წინათქმა

ამ წიგნში ჰანს კასტორპის თავგადასავალი გვინდა გიამბოთ, ოღონდ ამბავს ჰანს კასტორპის ხათრით როდი გიყვებით (მაშინ მკითხველი მისი სახით თუმცა მიმზიდველ, მაგრამ მაინც ერთ უბრალო ყმაწვილკაცს გაეცნობოდა), ჩვენ აქ მოთხრობილი თავგადასავლის გულისათვის უფრო ვირჯებით, რადგან გვგონია, რომ ნამდვილად ღირს ჩიტი ბრდღვნად (ოღონდ, მოდი, ჰანს კასტორპსაც ნუ დავუკარგავთ დამსახურებას: ეს თავგადასავალი სწორედ მას გადახდა თავს და, მოგეხსენებათ, ბედი ყველას როდი არგუნებს ხოლმე ასეთ პატივს წილად). ამ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, როგორც იტყვიან, მას უკვე ისტორიის კეთილშობილი ჟანგიც აქვს მოკიდებული და თხრობისას უეჭველად წარსული დროის ფორმები უნდა მოვიშველიოთ.

თუმცა აქვე მოგახსენებთ, რომ სიძველე ამბავს თუ ამშვენებს, თორემ პეწს არ უკარგავს. ამბავს სიძველე უხდება და შეიძლება ითქვას, რაც უფრო ოდინდელია იგი, მით უფრო ემატება მიმზიდველობა და მთხრობელსაც, ნამყო დროის ამ დუდუნით შემლოცველსაც, საქმეს უადვილებს. ოღონდ, ადამიანებისა არ იყოს, ამბავსაც ერთი უცნაურობა სჭირს: ადამიანები, და მათ შორის არცთუ იშვიათად სწორედ მწერლები, ამბის თხრობისას თავიანთ ასაკზე უხნესი აღმოჩნდებიან ხოლმე. ჰოდა, ამბავიც ასეა, იგიც ხშირად თავის ნამდვილ წლოვანებაზე ხანდაზმული გამოდის, თუმცა მისი ასაკი დღეებით არ გამოითვლება და არც მის მხრებზე დაწოლილი წლები იზომება მზის ირგვლივ ბრუნვით. ერთი სიტყვით, იგი თავისი ხანდაზმულობის ხარისხს დროს არ უმადლის. ამით გაკვრით და ქარაგმულად გვინდა მიგანიშნოთ ხსენებული იდუმალი სტიქიის ორჭოფულ და ფრიად თავისებურ ორმაგ ბუნებაზე, ოღონდ საქმის ნათელი ვითარება ხელოვნურად რომ არ გავაბუნდოვნოთ, აღვნიშნავთ: ჩვენი ამბის ხანდაზმულობა იმის წყალობით ადის მაღალ ხარისხში, რომ იგი სიცოცხლისა და ცნობიერების გამთიშავი ზღვრისა და გარდატეხის წინ თამაშდება. იგი თამაშდება, ანდა, მოდი, აწმყოს ყოველგვარ ფორმას თავი ავარიდოთ და ვთქვათ, რომ იგი გათამაშდა ან თამაშდებოდა წინათ, ოდესღაც, გარდასულ დღეებში, დიდი ომის წინა ხანაში, ომისა, რომლის დაწყებას ბევრი რამ მოჰყვა და მას შემდეგ საშველიც აღარ დასდგომია. ასე და ამგვარად, ეს ამბავი უწინ გათამაშდა, ოღონდ მისი დასაბამი შორეულ წარსულში არ უნდა ვეძიოთ. თუმცა ასეც რომ იყოს, განა ამბის ხანდაზმულობა მით უფრო ღრმა, სრულყოფილ და ზღაპრულ იერს არ იძენს, რაც უფრო მჭიდროდ ეკვრის იგი „უწინარესის“ ცნებას? გარდა ამისა, ჩვენს ამბავს თავისი შინაგანი ბუნების წყალობით იქნებ მართლაც ჰქონდეს კიდეც რაღაც საერთო ზღაპართან.

ჩვენ დაწვრილებით მოგიყვებით ამ ამბავს, გამოწვლილვით და საფუძვლიანად. აბა, როდის ყოფილა ამბის მოსათხრობი დროის სიგრძე-სიმოკლე იმ დროსა და სივრცეზე დამოკიდებული, რომელსაც იგი მოიცავს? აქაოდა, პედანტობა არ დაგვწამონო, ამის შიში ვერ დაგვაფრთხობს და აზრს ვერ შეგვაცვლევინებს, რომ მხოლოდ საფუძვლიანი თხრობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტად საინტერესო.

ჰანსის თავგადასავალს ხელის ერთი მოსმით ვერ მოათავებს მთხრობელი, ამ საქმეს არც შვიდი დღე ეყოფა და ვერც შვიდ თვეს მოილევს ბოლომდე. ან იქნებ სჯობდეს, წინასწარ არც იცოდე, რა მიწიერი დროის განმავლობაში ეყოლები მას თავის ქსელში გამომწყვდეული. თუმცა ეგებ ღმერთი შეგვეწიოს და შვიდი წელი მაინც არ დაგვჭირდეს.

მაშ, ასე, დავიწყოთ!

თავი პირველი

ჩამოსვლა

ერთი უბრალო ყმაწვილი კაცი შუა ზაფხულში თავისი მშობლიური ჰამბურგიდან სამი კვირით გრაუბიუნდენის კანტონში - დავოსში მიემგზავრებოდა სტუმრად.

ჰამბურგიდან დავოსამდე კარგა გრძელი გზაა, მით უმეტეს, თუ ასე ცოტა ხანს აპირებს კაცი იქ დარჩენას. სანამ ჩააღწევდეთ, ჯერ აღმა-დაღმა უნდა დაუყვეთ რამდენიმე დამოუკიდებელ ქვეყანას, სამხრეთ გერმანიის ზეგნიდან შვაბეთის ზღვისპირეთამდე უნდა დაეშვათ, გემით გადასეროოთ შვაბეთის ზღვის ზვირთები, შემდეგ კი ოდესღაც რომ იდუმალებით ჩანდა მოცული, ისეთ ჯურღმულებს გადაივლით იოლად. აქედან მოყოლებული ძველებურად მდორედ და დაუბრკოლებლად ვეღარ იმგზავრებთ - ხან სად გაეჩხირებით და ხან სად; შვეიცარიის ტერიტორიაზე, დაბა რორშახთან, კვლავ რკინიგზას მიანდობთ თავს, მაგრამ მატარებლით მხოლოდ პატარა ალპურ სადგურ ლანდკვარტამდე მიაღწევთ; იქიდან ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა იწყება, მაგრამ სანამ მატარებელში ჩაჯდებოდეთ, კარგა ხანს მოგიწევთ ყურყუტი ამ ხორშაკიან, მიუსაფარ გარემოში. სამაგიეროდ, როგორც კი დაიძვრება პატარა, მაგრამ აშკარად ღონიერი ორთქლმავალი, სწორედ მაშინ დაიწყება ნამდვილი თავგადასავალი. ადიხართ და ადიხართ ციცაბო, უდრეკ აღმართზე და ასე გგონიათ, ამ გზას დასასრული აღარ ექნებაო. სადგური ლანდკვარტი შედარებით ზომიერ სიმაღლეზეა, შემდეგ კი კლდე-ღრეში დაკიდული მართლაც რომ დაწყევლილი გზა იწყება.

ჰანს კასტორპი - ასე ეძახდნენ ამ ყმაწვილკაცს - თავისი ბიძისა და მეურვის - ბარემ მისი სახელიც აქვე მოვიხსენიოთ - კონსულ ტინაპელის ნაჩუქარ ნიანგის ტყავის ხელჩანთასთან, პორტპლედსა და კაუჭზე ჩამოკონწიალებულ ზამთრის პალტოსთან ერთად მარტო იყო რუხკედლებიან პატარა რბილ კუპეში. ჰანს კასტორპი ჩამოშვებულ ფანჯარასთან იჯდა. ნაშუადღევს საკმაოდ აგრილდა და ოჯახის ნებიერა, აზიზმა ყმაწვილმა კარგად წამოიწია აბრეშუმის განიერი, მოდაზე შეკერილი საზაფხულო მოსასხამის საყელო. გვერდით ყდაში ჩასმული წიგნი ედო - „Ocean Steamships“, რომელშიაც მოგზაურობის დასაწყისში ხანდახან მაინც ჩაჰკრავდა ხოლმე თვალს, ახლა კი წიგნი უყურადღებოდ მიეგდო. ამასობაში ორთქლმავალი მძიმე-მძიმედ მიქოშინებდა, ნახშირის მტვერს კუპეში აფრქვევდა და ჰანს კასტორპს მოსასხამს უჭუჭყიანებდა.

მოგზაურობაში გატარებული ორი დღე ადამიანს, მით უმეტეს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ფესვმოუმაგრებელ ახალგაზრდას, საკმაოდ აშორებს თავის ყოველდღიურ სამყაროს, აშორებს ყოველივე იმას, რასაც იგი თავის მოვალეობას, ინტერესებს, საზრუნავსა და პერსპექტივებს ეძახდა, აშორებს ამაზე გაცილებით მეტად, ვიდრე სადგურისაკენ დროშკით მიმავალი წარმოიდგენდა. მასა და მშობლიურ კერას შორის ბზრიალ-ტრიალით მსრბოლავი სივრცე საოცარ ძალას იჩენს, რასაც, ჩვეულებრივ, დრო-ჟამს მიაწერენ ხოლმე. ყოველსაათობით ახდენს იგი შინაგან ცვლილებებს, რომლებიც ძალიან ჰგვანან დრო-ჟამით გამოწვეულ ცვლილებებს, ოღონდ მას ერთგვარად აჭარბებენ კიდეც. სივრცეც დრო-ჟამის მსგავსად ბადებს დავიწყებას და ამას თავისებურად აღწევს. იგი ათავისუფლებს პიროვნებას ურთიერთობებისაგან და შეუბორკავ, პირველყოფილ მდგომარეობაში აყენებს. დიახ, მას ძალუძს ერთი ხელის დაკვრით პედანტები და ობივატელებიც კი აქციოს მაწანწალებად. დრო ლეთეაო, ამბობენ, მაგრამ შორეული კუთხის ჰაერიც ამავე ჯურის სასმელი გახლავთ. მართალია, იგი შედარებით ზერელედ ჟღენთს ორგანიზმს, სამაგიეროდ, უფრო სწრაფად მოქმედებს.

რაღაც ამის მსგავსს განიცდიდა ჰანს კასტორპიც. მას გულშიაც არ გაუვლია, ამ მოგზაურობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა ან შინაგანად მისგან რაიმეს მოლოდინში ყოფილიყო. პირიქით, რახან წამოუსვლელობა არ იქნებოდა, ფიქრობდა, რაც შეიძლებოდა მალე მოესტუმრებინა ეს ვალი, როგორიც წავიდა, უკან ზუსტად ისეთივე დაბრუნებულიყო და თავისი ცხოვრებაც ზუსტად იმ ადგილიდან გაეგრძელებინა, სადაც სულ ცოტა ხნის წინ იძულებით ჰქონდა გაწყვეტილი. იგი ჯერ კიდევ გუშინ სავსებით ჩვეულ ფიქრთა მდინარებას მიჰყვებოდა, იგონებდა ორიოდე დღის წინ ჩაბარებულ გამოცდას, ფიქრობდა „ტუნდერისა და ვილმსის“ ფირმაში (გემთსაშენის, მანქანამთშენებელი ქარხნისა და საქვაბე სახელოსნოების ფირმაში) პრაქტიკის დაწყებაზე და ამ სამი კვირის გასვლას ისე მოუთმენლად ელტვოდა, რამდენადაც შეეძლო მასავით უდრტვინველ კაცს მოუთმენლობა გამოეხატა. ახლა კი მაინც ეჩვენებოდა, რომ ახალი გარემოებანი მის სრულ ყურადღებას მოითხოვდა და არც ისე იოლად

ხელწამოსაკრავი გახლდათ. ეს ზეასვლა დაუჭაშნიკებელი ჰაერის რეგიონებში, სადაც სასიცოცხლო პირობები სავსებით უჩვეულო, თავისებურად მძიმე და ძუნწი უნდა ყოფილიყო, მღელვარებით აღავსებდა დაუცნაურ ძრწოლასაც ჰგვრიდა. სამშობლო და შესისხლხორცებული წესი და რიგი მხოლოდ შორს კი არ მოეტოვებინა, ისინი სადღაც ღრმად იყვნენ მის ქვეშ ჩაკარგულნი, თვითონ კი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. მათსა და უცნობ მოლოდინს შორის მოქანავე ყმაწვილი კაცი თავის თავს ეკითხებოდა, იქ, ზევით, რა მომელისო. ეგებ ზღვის დონიდან რამდენიმე მეტრზე დაბადებული და გაზრდილი კაცისათვის არ შეიძლებოდა, უფრო მეტიც, იქნებ სახიფათოც კი იყო ერთბაშად ასეთ სიმაღლეზე ამოსვლა, იქნებ სჯობდა, ორიოდე დღე მაინც გაეტარებინა საშუალო სიმაღლეზე? უცებ მოუნდა, მალე მიეღწია მიზნამდე, იქ, მაღლა, ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგებოდა, თორემ ამ დაუსრულებელ აბობღებაში გული უწვრილდებოდა იმის ფიქრით, ეს რა უჩვეულო დღეში ჩავიგდეთავიო. ჰანს კასტორპმა გარეთ გაიხედა: მატარებელი ვიწრო გზაზე მიიკლაკნებოდა, მოჩანდა წინა ვაგონები და ორთქლმავალი, რომელიც გაჭირვებით ისროდა რუხ-მწვანე, მოშავო ბოლქვებს და ჰაერში ფანტავდა. მარჯვნივ, უფსკრულში, წყლის ჩუხჩუხი ისმოდა, მარცხნივ კი ვეება კლდეებს შორის მომწყვდეული ჩამუქებული ფიჭვები ქვისფერი ზეცისკენ მიილტვოდნენ. გზაზე ხშირად ხვდებოდათ წყვდიადით მოცული გვირაბები, კვლავ დღის სინათლეზე გამოსულთ კი პირდაღებული უფსკრულები და მათ ძირში ჩაკარგული სოფლები ეგებებოდათ. შემდეგ უფსკრულები თვალს მიეფარებოდა და კვლავ იწყებოდა ვიწროები; ირგვლივ შემოჯარულ მთების კალთებს მხოლოდ ღრუბლებსა და ნაპრალებში შერჩენოდათ თოვლი. ორთქლმავალი ხან პატარა საცოდავ ბაქნებზე ჩერდებოდა, ხან კი საკვანძო სადგურები ხვდებოდათ, საიდანაც მატარებელი გეზს იცვლიდა და საწინააღმდეგო მიმართულებით გადიოდა. გეზის შეცვლა კაცს თავბრუს ახვევდა, თავგზა ებნეოდა და კარგა ხანს მხარეებიც ერეოდა ერთმანეთში. თვალს იტაცებდა მაღალმთიანეთის ცადაზიდულ მწვერვალთა ფანტასმაგორიული, ღვთაებრივი სამყარო, კლდეებს შორის მიმავალ მგზავრს ეს სანახაობა ხან თვალწინ ეშლებოდა, ხან კი მის მფრთხალ მზერას უსხლტებოდა და მიხვეულ-მიხვეულ ბილიკებში იკარგებოდა. ჰანს კასტორპს გაახსენდა, სადღაც ქვევით რომ მოიტოვა ფოთლოვანი ტყის ზონა, მასთან ერთად, მგონი, მგალობელ ფრინველთა სამყაროც და ბუნების ამ გაღატაკებასა და მიყუჩებაზე ფიქრმა თავბრუ დაახვია. გულშეღონებულმა წამით თვალზე აიფარა ხელი, მაგრამ თავბრუსხვევამ მალე გაუარა და დაინახა, რომ აღმართი აევლოთ, უღელტეხილი უკვე გადაელახათ და მატარებელი ახლა ხეობაში ლაღად მისრიალებდა.

რვა საათს აღარაფერი აკლდა, მაგრამ ჯერ კიდევ დღის სინათლე ძალობდა. თვალწარმტაც შორეთში მოჩანდა ტბა, წყალი რუხად ლივლივებდა, მის ირგვლივ შემოჯარულ მთების კალთებზე კი ჩამუქებული ფიჭვის ტყეები შეფენილიყო. ტყეები თანდათან მეჩხერდებოდა, მერე სულ იკარგებოდა და ჯანღისფერი, სალი კლდეები მოჩანდა.

მატარებელი ერთ პატარა სადგურში გაჩერდა. როგორც გარედან მოესმა, ეს სოფელი დავოსი გახლდათ. ახლა კი საბოლოო მიზნამდე მართლაც ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი; ამ დროს ჰანს კასტორპს ზედ ყურთან მოესმა თავისი ბიძაშვილის, იოახიმ ციმსენის, ჰამბურგული, მშვიდი ხმა.

- გამარჯობა შენი! აბა, რას შვრები, აღარ გადმოდიხარ?

ჰანს კასტორპმა ძირს გადაიხედა. იოახიმი ფანჯრის ქვეშ იდგა, ბაქანზე, ყავისფერი პალტო ეცვა, თავშიშველა იყო და ისეთი ჯანსაღი იერი ედო, თავის სიცოცხლეში რომ არა ჰქონია. მან გაიცინა და გაიმეორა:

- ჰო, გადმოდი, ნუ ინაზები!

- ჯერ ხომ არ მოვსულვართ? - ისე წაიბუტბუტა დაბნეულმა ჰანს კასტორპმა, რომ ზეზეც არ წამომდგარა.

- მოსული არა ხარ? სანატორიუმი სოფლიდან უფრო ახლოსაა, ეტლითა ვარ. აბა, მომეცი შენი ბარგი!

ჩამოსვლითა და ბიძაშვილის დახვედრით აფორიაქებულმა ჰანს კასტორპმა სიცილით გადააწოდა იოახიმს ხელჩანთა, ზამთრის პალტო, პორტპლედი ჯოხიან-ქოლგიანად და ბოლოს Ocean steamships“-იც, თვითონ კი ვიწრო ტალანი

გამოირბინა, რომ ბიძაშვილს წესიერად, ასე ვთქვათ, პერსონალურად მისალმებოდა. მისალმებამ ყოველგვარი ზედმეტი გრძნობიერების გარეშე ჩაიარა, როგორც ეს გულგრილ და თავშეკავებულ ადათ-წესებზე აღზრდილ ხალხს შეეფერებოდა. უცნაური კია, მაგრამ დიდი ხანია ბიძაშვილები, აქაოდა, ზედმეტი სითბო არ გამოვიჩინოთ და არ გავშინაურდეთო, ერთმანეთს სახელს აღარ ეძახდნენ, გვარებით მიმართვაც არ ივარგებდა და ამიტომ, უბრალოდ, შენობით ლაპარაკობდნენ. ამ ჩვეულებას მათ ურთიერთობაში უკვე ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული.

ერთი ლივრეიანი კაცი, რომელსაც თავზე ბუზმენტებიანი ქუდი ეხურა, შორიდან უთვალთვალებდა, როგორ ნაჩქარევად და ოდნავ უხერხულად ართმევდნენ ბიძაშვილები ერთმანეთს ხელს, ასე განსაჯეთ, ახალგაზრდა ციმსენი მხედრულ ყაიდაზე გაჭიმულიც კი იდგა, შემდეგ ლივრეიანი კაცი მათთან მივიდა და ჰანს კასტორპს ბარგის ქვითარი გამოართვა. ეს გახლდათ ინტერნაციონალური სანატორიუმ „ბერგჰოფის“ კარისკაცი. მან ახალგაზრდებს განუცხადა, სტუმრის დიდ ჩემოდანს სადგურიდან მე წამოვიღებ, თქვენ კი ამასობაში ეტლით პირდაპირ სავახშმოდ მიბრძანდითო.კარისკაცი თვალში საცემად კოჭლობდა და ეს იყო პირველი, რაც ჰანს კასტორპმა იოახიმ ციმსენს ჰკითხა:

- ეს კაცი ომის ვეტერანი ხომ არ არის, ასე რომ კოჭლობს?

- კი, როგორ არა! - ცოტა არ იყოს, გესლიანად მიუგო იოახიმმა, - ომის ვეტერანი კი არა, რაღაცა აქვს მუხლში, უფრო სწორად, რაღაცა ჰქონია და კვირისტავი სულ ამოუღიათ.

ჰანს კასტორპი სწრაფად მოეგო გონს.

- ჰოო?! - ჩაილაპარაკა მან, არ შეჩერებულა, ისე აიღო თავი და გარემოს თვალი სწრაფად მოავლო, - იქნებ გინდა, დამარწმუნო, რომ შენ კიდევ გაწუხებს რამე? კაცმა რომ შეგხედოს, ეგონება, ტემლაკი უკვე მიუღია და ეს-ესაა მანევრებიდან ბრუნდებაო, - ცერად შეხედა ბიძაშვილს ჰანს კასტორპმა.

მასზე უფრო ახოვანი და მხარბეჭიანი იოახიმი ახალგაზრდული ძალ-ღონის განსახიერებას წარმოადგენდა, პირდაპირ მუნდირისთვის იყო გაჩენილი, თითქმის შავგვრემანი ეთქმოდა, ასეთი ტიპები არცთუ იშვიათად გამოერევა ხოლმე მის ქერა სამშობლოში. თვალები შავი და ფართო ჰქონდა, ხოლო ისედაცმუქი პირისკანი მზისგან თითქმის ბრინჯაოსფერი გახდომოდა. მსუქან, ლამაზად მოყვანილ ტუჩებს შავი ულვაში უმშვენებდა. განზე გამდგარი ყურები რომ არა, ლამაზი კაცი ეთქმოდა. ერთ დროს მხოლოდ ამ ყურების დარდი თუ კლავდა იოახიმს, ახლა კი სხვა უფრო დიდი სადარდელი გასჩენოდა.

- შენ, ალბათ, ჩემთან ერთად დაბრუნდები ქვევით, არა? მე მგონი, ხელს არაფერი შეგიშლის, - განაგრძო ჰანს კასტორპმა.

- შენთან ერთად? - გაიკვირვა იოახიმმა და ფართო თვალები მიაპყრო. იოახიმის სინაზით აღსავსე თვალებს ამ ხუთ თვეში რაღაცნაირი დაქანცული და კაეშნიანი გამომეტყველება მიეღო, - შენ როდის აპირებ წასვლას?

- ასე, ორ-სამ კვირაში.

- ჰოო? შენ, როგორც გატყობ, ფიქრებით უკვე შინისაკენ მიეშურები, - უპასუხა იოახიმმა, - რა დროს წასვლაზე ლაპარაკია, კაცი ჯერ არ ჩამოსულხარ. მართალია, ჩვენთვის, აქ, ზევით, სამი კვირა არაფერია, მაგრამ შენსავით სტუმრად ჩამოსული კაცისთვის სამი კვირა ხომ უზარმაზარი დროა. ჯერ შეეჩვიე აქაურობას, ეგ არც ისე იოლია, შენ რომ გგონია. ჩვენთან მარტო ჰავა როდია განსაკუთრებული, იცოდე, ბევრ რამეს ნახავ ახალს. რაც შემეხება მე, ჩემი საქმე არც ისე კარგადაა, სამ კვირაში ჩემთან ერთად წამოხვალო, რომ ამბობ, ეგ ქვევიდან ამოყოლილი იდეებია. სახე კი მაქვს გარუჯული, მაგრამ ეს უფრო თოვლის ნამზეურია და ბერენსს თუ დავუჯერებთ, ბევრს არაფერს ნიშნავს. უკანასკნელი საერთო გამოკვლევის შემდეგ ბერენსმა მითხრა, ერთი ნახევარი წელი მაინც მოგიწევს კიდევ აქ ყოფნაო.

- ნახევარი წელიწადი? ხომ არ გაგიჟდი? - წამოიყვირა ჰანს კასტორპმა.

ბიძაშვილები ის-ის იყო, ჩასხდნენ სადგურის შენობის, უფრო სწორად, ფარდულის წინ მოკირწყლულ მოედანზე გაჩერებულ ყვითელ კაბრიოლეტში და წაბლა ცხენები დაიძრნენ კიდეც. ჰანს კასტორპი აღშფოთებისაგან კაბრიოლეტის მაგარ მერხზე ძლივს მაგრდებოდა.

- ნახევარი წელი? ნახევარი წელი კი იქნება უკვე, რაც აქა ხარ! ვისა აქვს ამდენი გასაცდენი დრო!
- ჰმ, დრო, - გვერდზე მიუხედავად თქვა იოახიმმა და თავი დააკანტურა. ბიძაშვილის გულწრფელი აღშფოთება აინუნშიაც არ ჩაუგდია, - ვერ წარმოიდგენ, როგორ აგდებულად ეკიდებიან აქ ადამიანის დროს. ამათთვის სამი კვირა ერთ დღეს უდრის. აი, შენი თვალით ნახავ, ყველაფერს საკუთარ ტყავზე გამოცდი, - თქვა მან და დასძინა, - აქ კაცი სულ სხვა ცნებებით აზროვნებას ეჩვევი.
ჰანს კასტორპი გვერდიდან შეჰყურებდა იოახიმს და თვალს არ აშორებდა, შემდეგ თავი გადააქნია და უთხრა:
- შენ მაინც დიდებულად მოკეთებულხარ.
- მართლა? - ჰკითხა იოახიმმა, - რა ვიცი, მეც ასე მგონია და, - დასძინა მან, წამოიწია, მერხის საზურგეს უფრო მარჯვედ მიეყრდნო, მაგრამ მალე ისევ ჩამოცურდა და გვერდულად ჩაჯდა, - თავს ნამდვილად უკეთ ვგრძნობ, მაგრამ ჯერ გამოჯანსაღებული მაინც არა ვარ. ზემოთ, მარცხენა მხარეს, სადაც წინათ ხიხინი ისმოდა, ახლა მხოლოდ მკვეთრად ისმის სუნთქვა, ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ ქვემოთ ჯერ კიდევ ძალიან მკვეთრია სუნთქვა, ხოლო მეორე ნეკნებშუა ღრუში კარგა მაგარი ხიხინი ისმის.
- ოჰო, შენ კარგად განსწავლულხარ! - თქვა ჰანს კასტორპმა.
- ღმერთმანი, ძალიან სასიამოვნო განსწავლულობა კია. სამხედრო სამსახურში მამყოფა და სიამოვნებით გავატანდი ამ განსწავლულობას ქარს, - მიუგო იოახიმმა, - ნახველს მაინც აღარ ვიღებდე... - განაგრძო მან და როგორღაც დაუდევრად და თან ფიცხლად აიჩეჩა მხრები, რაც ძალიან არ უხდებოდა. მერე პალტოს გარე ჯიბიდან სანახევროდ ამოაცოცა რაღაც, ბიძაშვილს დაანახვა და ისევ ჯიბეში ჩამალა: ეს იყო ლითონისსაცობიანი, ლურჯი შუშის ბრტყელი, გვერდებშეზნექილი ბოთლი, - ასეთი ბოთლები, აქ ზევით, უმეტესობას გვაქვს, - თქვა მან, - სახელიც კი შევარქვით ჩვენებურად, მეტად მოსწრებული მეტსახელი. შენ რა, მიდამოს ათვალიერებ?
ჰანს კასტორპი მართლაც მიდამოს ჭვრეტით იყო გართული და უპასუხა:
- დიდებულია!
- მოგწონს? - შეეკითხა იოახიმი.
ეტლი ერთხანს ხეობის შუაგულისაკენ მიდიოდა რკინიგზის გასწვრივ უთანაბროდ განაშენიანებულ ქუჩაზე, შემდეგ მარცხნივ გადაუხვიეს, ხევი გადაიარეს და თოხარიკით შეუყვნენ ტყიანი ფერდობისკენ მიმავალ აღმართს. იქ, ზემოთ, ოდნავ წინ წამოწეულ აბიბინებულ პლატოზე ფასადით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიქცეული გრძლად გაჭიმული შენობა იდგა. შენობას გუმბათიანი კოშკი ამშვენებდა, ხოლო მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული ლოჯიები შორიდან ნასვრეტებიან, ფოროვან ღრუბელს ამსგავსებდა. სანატორიუმში აქა-იქ უკვე კიაფობდა შუქი. სწრაფად ღამდებოდა. ვარდისფერი დაისი, ღრუბლებით მოფენილ უღიმღამო ცას ერთხანს რომ აცოცხლებდა, უკვე გაფერმკრთალებულიყო და ირგვლივ იმ უფერულ, უსულო და ნაღვლიან გარდამავალ ჟამს დაესადგურებინა, დღისა და ღამის გაყრისას რომ იცის ხოლმე. გრძლად გაწოლილი, ოდნავ მიხვეულ-მოხვეული, დასახლებული ხეობა გაჩირაღდნდა, მის ორივე კალთაზეც აკიაფდა შუქი. მარჯვენა, ტერასებად განაშენიანებული კალთა, უფრო კარგად იყო განათებული,მარცხნივ, ამწვანებულ ფერდობზე, ბილიკები მიიკლაკნებოდა და ყურყუმელა წიწვიან ტყეებში იკარგებოდა. უფრო შორს, ხეობის ვიწროებში ჩაკარგულიყო ფიქლისფრად ჩალურჯებული მთების კულისები. უეცრად ქარი ამოვარდა და საღამოს სუსხმა მგზავრებს თავისი ძალა აგრძნობინა.
- არა, გულახდილად რომ ვთქვა, აქაურობა არც ისე დიდებულია, - თქვა ჰანს კასტორპმა, - აბა, სად არის გლეტჩერები, ფირნები და ბუმბერაზი კლდეები? იქ რომ მოჩანს, ისინი თვალში მეპატარავება.
- აბა, რას ამბობ, - მიუგო იოახიმმა, - თითქმის ყველგან მოჩანს ტყის საზღვარი. შეხე, როგორ მკვეთრად წყდება ფიჭვნარი და იმის ზემოთ აღარაფერი რჩება, სალი კლდეების გარდა. ეგერ შენი გლეტჩერიც, გაღმა, შვარცჰორნის მარჯვნივ, ლურჯად ჩამუქებული შვერილი რომ მოჩანს. დიდი არ არის, მაგრამ ნამდვილი გლეტჩერია, სკალეტას გლეტჩერი ჰქვია. მიშელსა და ტინცენჰორნს აქედან ვერ

დაინახავ, თორემ ისინი მთელი წლის განმავლობაში თოვლით არიან დაფარულნი.
- მარადიული თოვლით, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- დიახ, თუ გნებავს, მარადიული თოვლით. ყველა ეს მთა ძალიან მაღალია. ისიც ხომ უნდა იანგარიშო, რომ ჩვენ თვითონ ვართ უსაშველო სიმაღლეზე, ზღვის დონიდან ათას ექვსას მეტრზე და ამიტომ აღარ გეჩვენება მთები ისე მაღალი.
- ო, რა მაგრად ვიფორთხიალეთ! შიშისაგან სული მეპარებოდა. ათას ექვსასი მეტრი! ეს დაახლოებით ხუთი ათას ფუტს მაინც უდრის, თუ ანგარიში არ მეშლება. ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ ამ სიმაღლეზე, - თქვა ჰანს კასტორპმა, ღრმად ჩაისუნთქა და ინტერესით გაუსინჯა ჭაშნიკი უცხო ჰაერს. ჰაერი მხოლოდ წმინდა იყო და მეტი არაფერი - სურნელება აკლდა, შინაარსისა და ნამისაგან დაცლილი, მჩატედ კი ჩადიოდა ფილტვებში, მაგრამ სულსა და გულს არ ეცხებოდა.
- შესანიშნავია! - ზრდილობიანად აღნიშნა მან.
- ეს ჰაერი ხომ ცნობილია. სხვათა შორის, ამ საღამოს აქაურობა თავს ვერ მოიწონებს. ხანდახან უკეთესი სანახავია ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, თოვლი როცა დევს, მაგრამ მაინც გყირჭდება. მერწმუნე, ჩვენ ყველას აქ, ზევით, ენა ვერ იტყვის, ისე მობეზრებული გვაქვს აქაურობა, - თქვა იოახიმმა და ბაგე ზიზღით მოეღრიცა. დიდად არც ეს გრიმასა უხდებოდა, გაზვიადებული ჩანდა და მის თავშეუკავებლობასაც ამხელდა.
- შენ რაღაც უცნაურად ლაპარაკობ, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- უცნაურად ვლაპარაკობ? - ცოტა არ იყოს, შეშფოთდა იოახიმი და ბიძაშვილისკენ შებრუნდა.
- არა, არა, მაპატიე, მხოლოდ წამით მომეჩვენა! - არ დაახანა ჰანს კასტორპმა. იგი იმ სიტყვებს გულისხმობდა, „ჩვენ, აქ, ზევითო“, უკვე სამჯერ თუ ოთხჯერ რომ გაიმეორა იოახიმმა. ამ გამოთქმამ კიდეც შეაკრთო და უცნაური გრძნობაც მოჰგვარა.
- როგორც ხედავ, ჩვენი სანატორიუმი კურორტზე კიდევ უფრო მაღლაა გაშენებული, - განაგრძო იოახიმმა, - ორმოცდაათი მეტრით მაღლა. პროსპექტში ასითო, წერია, მაგრამ ორმოცდაათ მეტრზე მეტი არ იქნება. ყველაზე მაღლაა სანატორიუმი „შაცალპი“, აქედან არ მოჩანს. ზამთარში, გზა რომ დაიკეტება, შაცალპელები თავიანთ გვამებს ძირს ბობსლეის ციგებით უშვებენ ხოლმე.
- თავიანთ გვამებს? ჰო, მივხვდი! ერთი უყურე! - წამოიძახა ჰანს კასტორპმა და უცებ სიცილი აუტყდა. ხმამაღალმა, გულიანმა სიცილმა მკერდი მძლავრად შეურხია და სუსხიანი ქარისაგან გახევებული სახე ტკივილმა დაუმანჭა, - ბობსლეის ციგებითო! მერე ასე გულარხეინად მიამბობ ამას? შენ ამ ხუთ თვეში ნამდვილი ცინიკოსი გამხდარხარ!
- ცინიკოსობა რა შუაშია, - მხრები აიჩეჩა იოახიმმა, - ვითომ რაო, გვამისათვის განა სულერთი არ არის, როგორ დაუშვებენ დაბლა? ისე კი, ძნელი არ იქნება, აქ, ჩვენთან, ცინიკოსი რომ გახდე კაცი. თვითონ ბერენსი ძველი ცინიკოსია, მაგრამ სხვათა შორის, კარგი ვინმეა, ყოფილი კორპორანტია, ოპერატორიც ბრწყინვალე უნდა იყოს. ბერენსი მოგეწონება.აქვე მუშაობს კროკოვსკი - ბერენსის ასისტენტი, დიდი ჭკუის პატრონი კაცი. პროსპექტში განსაკუთრებით არის მოხსენიებული მისი მოღვაწეობა. იგი, სახელდობრ, პაციენტების სულის დანაწევრებაზე მუშაობს.
- რაზე მუშაობს? სულის დანაწევრებაზე? ეს რაღა ჯანდაბაა! - წამოიყვირა ჰანს კასტორპმა და უზომოდ გამხიარულდა. თავს ისედაც ვეღარ ერეოდა და ამ სულის დანაწევრების ამბავმა ხომ სულ მოუთავა ხელი. ისეთი სიცილი აუტყდა, რომ წელში მოიკუნტა და თვალებზე აფარებული ხელებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები. იოახიმსაც გაეცინა და ეტყობოდა, სიცილმა გუნება გამოუკეთა. ამასობაში ცხენებმა, როგორც იქნა, ნაბიჯით აათავეს მიხვეულ-მოხვეული ციცაბო აღმართი და ინტერნაციონალურ სანატორიუმ ბერგჰოფის“ ჭიშკართან შეჩერდნენ. ახალგაზრდები ეკიპაჟიდან ჩინებულ გუნებაზე გადმოვიდნენ.

#34
იქვე, ხელმარჯვნივ, ალაყაფსა და სადარბაზო შესასვლელს შორის, კონსიერჟის

ჯიხური მოჩანდა. იქიდან, სადგურზე დამხვდური კოჭლის მსგავსად, ნაცრისფერ ლივრეაში გამოწყობილი მოსამსახურე გამოვიდა. ეტყობოდა, ფრანგი უნდა ყოფილიყო. იგი აქამდე ტელეფონთან იჯდა და გაზეთების კითხვაში იყო გართული. მან ახალგაზრდები გაჩახჩახებულ ვესტიბიულში შეიყვანა. ხელმარცხნივ თავშესაყრელი ოთახები მოჩანდა, ჰანს კასტორპმა ჩავლისას ყველგან შეიჭვრიტა, მაგრამ ოთახები ცარიელი დაუხვდა. ბიძაშვილს ჰკითხა, დამსვენებლები სად არიანო და მანაც მიუგო:
- აივნებზე წვანან. დღეს მე შენს დასახვედრად გამომიშვეს, თორემ ნავახშმევს მეც აივანზე ვწევარ ხოლმე.
ჰანს კასტორპს ცოტაღა დააკლდა, რომ კვლავ არ ახარხარებულიყო.
- რაა, ამ ღამესა და ნისლშიც აივანზე წევხართ ხოლმე? - ათრთოლებული ხმით ჰკითხა მან იოახიმს.
- ჰო, ასე გვაქვს დანიშნული, რვიდან ათამდე უნდა ვიწვეთ, მაგრამ მოდი, ჯერ შენი ოთახი ნახე და ხელები დაიბანე.
ლიფტს ფრანგი მხლებელი ემსახურებოდა. სანამ ზევით ავიდოდნენ, ჰანს კასტორპმა თვალები ამოიმშრალა.
- სიცილმა სულ არ გამასავათა! - თქვა მან და ჰაერი პირით ჩაისუნთქა, - იმდენ სიგიჟეს მომიყევი, რომ... სულის დანაწევრებას ხომ ნუღარ იკითხავ... ნამდვილად მეტისმეტი მომივიდა. მგზავრობისაგან ისედაც ცოტა დაღლილი ვიყავი და... ჰო, მართლა, ფეხები არ გეყინება? ფეხები გაყინული მაქვს, სახე კი მიხურს და ეს დიდად სასიამოვნო როდია. ახლავე ვერ დავნაყრდებით? მგონი, მშია კიდეც. ჭამის საქმე როგორ არის აქ, თქვენთან, ზევით, კარგად?
ისინი უხმაუროდ მიდიოდნენ ტალანში ქოქოსის ფიანდაზზე. ჭერზე ჩამოკიდებული, რძისფერი შუშის ზარისებური ბუშტები იქაურობას მკრთალ შუქ ჰფენდნენ. ლაქიანი ზეთის საღებავი კედლებს ლაპლაპა სითეთრესთან ერთად თითქოს სიმკვრივესაც ანიჭებდა. სადღაც მოწყალების დასაც მოჰკრეს თვალი. მას თეთრი თავსაბური ეხურა და ცხვირზე წამოკოსებული პენსნეს ზონარი ყურზე ჰქონდა გადაგდებული. იგი პროტესტანტი უნდა ყოფილიყო. თავისი ხელობის ჭეშმარიტი სიყვარული არ ეტყობოდა, თვალებს ცნობისმოყვარედ აცეცებდა და როგორც ჩანდა, მოწყენილობისაგან ფრიად შეწუხებული და გულდამძიმებულიც გახლდათ. ტალანში, ორგან, დანომრილი ოთახების თეთრად გალაქული კარის წინ, მუცელგაბერილი მოკლეყელიანი დიდი ბალონები იდგა. რისთვის იყო ისინი საჭირო, ამის კითხვა ჰანს კასტორპს ამჯერად გადაავიწყდა.
- აი, შენი ოთახი, - უთხრა იოახიმმა, - ოცდამეთოთხმეტე ნომერია. მარჯვნივ მე ვარ, მარცხნივ კი ერთი რუსი ცოლ-ქმარი ცხოვრობს, ცოტა მდაბიო და ხმაურიანი მეზობლები კი გეყოლება, მაგრამ სხვანაირად არ ეწყობოდა. აბა, რას იტყვი?
კარი ორმაგი იყო და კარებშუა ღრუში ტანსაცმლის საკიდები თავსდებოდა. იოახიმმა ჭერის ნათურა აანთო და მის მთრთოლარე შუქში ოთახი სასიამოვნო და მყუდრო გამოჩნდა. ოთახში თეთრი, პრაქტიკული ავეჯი იდგა, კედლებზეც თეთრი, გამძლე, გასარეცხი შპალერი გაეკრათ, იატაკზე გაწკრიალებული ლინოლეუმი ეგო, ხოლო ფანჯრებზე თანამედროვე გემოვნების მიხედვით სადა და მხიარული ნაქარგით დაშვენებული ტილოს ფარდები ეკიდა. აივნის კარი ღია იყო. იქიდან ხეობაში აციმციმებული სინათლეები მოჩანდა და საცეკვაო მუსიკის შორეული ხმა ისმოდა. კეთილ იოახიმს კამოდის თავზე ყვავილები შემოედგა, სულ ეს იყო, რაც კი მეორედ ამოყრილ ბალახში ეპოვა, პატარა ლარნაკში ფერდობებზე თავისი ხელით დაკრეფილი ცოტაოდენი მელიკუდა და რამდენიმე ღერი მაჩიტა ჩაედო.
- რა ყურადღებიანი ხარ, - უთხრა ბიძაშვილს ჰანს კასტორპმა, - მშვენიერი ოთახია! აქ ძალიან სასიამოვნო იქნება რამდენიმე კვირის გატარება.
- გუშინწინ აქ ერთი ამერიკელი ქალი მოკვდა, - უთხრა იოახიმმა, - ბერენსმა მითხრა, შენი ბიძაშვილის ჩამოსვლამდე მოთავებული იქნება მისი საქმე და შეუძლია ეს ოთახი მიიღოსო. მომაკვდავს თავისი საქმრო ადგა თავს, ინგლისის ფლოტის ოფიცერი, მაინცდამაინც ვაჟკაცურად ვერ ეჭირა თავი, წამდაუწუმ დერეფანში გადიოდა და პატარა ბიჭივით ტიროდა. გაპარსულ ლოყებს ცრემლი უთუთქავდა და სახეზე კოლდკრემს იცხებდა ხოლმე. გუშინწინ საღამოს იმ ამერიკელ ქალიშვილს ორჯერ ჰქონდა პირიდან ძლიერი სისხლდენა და გათავდა

კიდეც. მაგრამ ის გუშინ დილასვე წაასვენეს, ოთახი, რა თქმა უნდა, საფუძვლიანად აახრჩოლეს ფორმალინით, იცი, ასეთ შემთხვევებში ფორმალინი თურმე უებარი საშუალება ყოფილა.
ჰანს კასტორპი აღელვებული და დაბნეული უგდებდა იოახიმს ყურს. იგი მკლავებდაკაპიწებული იდგა განიერ პირსაბანთან. პირსაბანის ნიკელის ონკანებს ელექტრონის შუქზე ლაპლაპი გაჰქონდა. ჰანს კასტორპმა ფრთხილად გააპარა თვალი სუფთად გაწყობილი, თეთრად შეღებილი რკინის საწოლისკენ, ხელი დაიბანა, შეიმშრალა და, ცოტა არ იყოს, აბდაუბდა ლაპარაკს მოჰყვა:
- ჰოო, ახრჩოლება ჩინებულია, მეთილალდეჰიდს H2CO-ს ყველაზეგამძლე ბაქტერიაც კი ვერ უმკლავდება, მაგრამ მან ცხვირში შეღიტინებაც იცის, არა? რა თქმა უნდა, სისუფთავის უსასტიკესი დაცვა ჯანმრთელობის ძირითადი პირობაა...
„რა თქმა უნდაო“, მან უცნაურად დაანაწევრა, მისი ბიძაშვილი კი სტუდენტობის დროიდან უფრო წესიერ მეტყველებას იყო მიჩვეული. ჰანს კასტორპმა კვლავ ენაწყლიანად განაგრძო:
- ჰო,რა მინდოდა, კიდევ მეთქვა... ის ფლოტის ოფიცერი პირს, ალბათ, საპარსით იპარსავდა, იმით უფრო ადვილია სახის დასერვა, ვიდრე კარგად პირაწყობილი სამართებლით. ეს საკუთარი გამოცდილებითაც ვიცი. მე ხან ერთს ვხმარობ და ხან მეორეს... ჰოდა, გაღიზიანებულ კანს მარილიანი წყალი, ბუნებრივია, აუწვავდა, თანაც სამხედრო სამსახურში, ალბათ, შეჩვეული იყო კოლდკრემის ხმარებას და... გასაოცარს აქ ნამდვილად ვერაფერს ვხედავ...
ჰანს კასტორპი კიდევ კარგა ხანს ტლიკინებდა, თქვა, ჩემოდანში ორასი ცალი ჩემი საყვარელი სიგარა მარია მანჩინი“ მიდევს, საბაჟოში ძალიან ზერელედ გამჩხრიკესო. მერე იოახიმს რამდენიმე კაცის მოკითხვა გადასცა.
- აქ არ ათბობენ? - უცებ წამოიყვირა მან, გათბობის მილებს მივარდა და ხელი დაადო.
- არა, საკმაოდ გრილად გვინახავენ, - უპასუხა იოახიმმა, - აგვისტომდე ასე იქნება, სანამ ცენტრალურ გათბობას არ ჩართავენ.
- აგვისტომდე, აგვისტომდე! - თქვა ჰანს კასტორპმა, - მე კი ვიყინები და! საძაგლად ვიყინები, ტანზე მცივა, სახე კი აშკარად მიხურს, ერთი ხელი დამადე, რა ცხელი ვარ!
ეს თხოვნა, სახეზე ხელი დამადეო, სულაც არ შეეფერებოდა ჰანს კასტორპის ბუნებას და თვითონვე უსიამოვნო გრძნობა მოჰგვარა. არც იოახიმს დაუპირებია მისთვის ხელი შეეხო, მხოლოდ ეს უთხრა:
- არაფერია, ჰაერის ბრალია. თვითონ ბერენსს მთელი დღე ჩალურჯებული აქვს ლოყები. ზოგიერთი ვერასოდეს ეჩვევა აქაურ ჰავას. აბა, ახლა კი, go on, თორემ საჭმელს ვეღარაფერს ვიშოვით.
გარეთ ისევ შეეფეთათ მოწყალების და, რომელიც თავისი ბეცი თვალებით ორივეს ცნობისმოყვარედ ზვერავდა. მეორე სართულზე ჰანს კასტორპი უცებ რაღაც ამაზრზენმა ხმაურმა ადგილზე მიაჯაჭვა. ეს ხმაური სულ ახლოდან, ტალანის მოსახვევიდან მოდიოდა, ხმა დიდი არ იყო, მაგრამ ისეთი ამაზრზენი გახლდათ, რომ ჰანს კასტორპს სახე დაემანჭა და ბიძაშვილს გაფართოებული თვალებით შეხედა. ეს აშკარად ხველება იყო, თანაც მამაკაცისა, მაგრამ იგი არც ერთ ხველებას არ ჰგავდა, რაც ოდესმე ჰანს კასტორპს გაეგონა. მასთან შედარებით ყველა სხვა ხველება სიცოცხლის მძლავრ და ჯანსაღ გამოვლინებას წარმოადგენდა. ეს იყო ყოველგვარი ხალისისა და სიამისაგან დაცლილი ხველება, რომელიც თანაბრად კი არ გაისმოდა, არამედ ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს დაშლილი ორგანული ნაერთების ფაფაში რაღაც შემაძრწუნებლად უმწეოდ ფართხალებსო.
- დიახ, - თქვა იოახიმმა, - ასეთი ხველება კარგს არაფერს მოასწავებს. ეს ერთი ავსტრიელი არისტოკრატია. რომ იცოდე, რა ელეგანტური კაცია, პირდაპირ მხედრადაა გაჩენილი. ჯერ კიდევ უდგას სული, მაგრამ მისი საქმე წასულია.
მათ გზა განაგრძეს და ჰანს კასტორპმა იოახიმს კვლავ არისტოკრატი მხედრის ხველებაზე გაუბა საუბარი.
- არ დაგავიწყდეს, რომ ამის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამიგონია, ჰოდა, რა გასაკვირია, შთაბეჭდილებას ახდენდეს ჩემზე. ქვეყანაზე მრავალნაირი ხველება არსებობს, მშრალი და სველი, როგორც ამბობენ, სველი ხველება

ნაკლებად საშიშია და ასეთ ყეფაზე უკეთესიცაა. ჩემს ახალგაზრდობაში (ჩემს ახალგაზრდობაშიო, ზუსტად ასე თქვა) ანგინა რომ მქონდა, მგელივით ვყმუოდი ხოლმე და ახლაც კი მახსოვს, როგორ გაუხარდებოდა ყველას, ცოტა რბილად რომ დავიწყებდი ხველებას. ასეთი ხველება კი მართლა არ გამიგონია, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, არასდროს დამიხველებია ასე. ეს ხომ ცოცხალი ადამიანის ხველებას აღარა ჰგავს. ეს არც მშრალია, მაგრამ არც სველი ეთქმის. მოკლედ, სახელს ვერ მოუძებნი. ეს ხველება რომ გესმის, ასე გგონია, ადამიანის შიგნით იხედები, იქ კი ლაფსა და წებოვან ტალახს ხედავ ერთმანეთში აზელილს.
- ჰო, კარგი, - უთხრა იოახიმმა, - მე ხომ ყოველდღე მესმის ეს ხმა, შენი აღწერა რაღად მინდა.
მაგრამ ჰანს კასტორპი იმ ხმას ვერ ივიწყებდა, კვლავ ირწმუნებოდა, ამ დროს ნამდვილად მეგონა, არისტოკრატი მხედრის შიგნით ვიყურებოდიო. ბიძაშვილები რესტორანში რომ შევიდნენ, ჰანს კასტორპს მღელვარებისაგან უბრწყინავდა მგზავრობით მოღლილი თვალები.

რესტორანში

ნათელი, მყუდრო და ელეგანტური რესტორანი იქვე, ვესტიბიულის ხელმარჯვნივ, თავშესაყრელი ოთახების პირდაპირ იყო მოთავსებული. იოახიმის სიტყვით იგი ძირითადად ახალჩამოსულებს, უდროო დროს მოსადილე პაციენტებსა და მათ მოსანახულებლად ჩამოსულ სტუმრებს ემსახურებოდა. აქვე იხდიდნენ დაბადების დღეებს, აქვე იშლებოდა შინისკენ გზის დასალოცი სუფრაც და აღინიშნებოდა საერთო-სამედიცინო გამოკვლევის საიმედო შედეგებიც. ხანდახან აქ დიდი მხიარულებაა და შამპანურის ბოთლებიც იხსნებაო, უთხრა ბიძაშვილს იოახიმმა. ახლა რესტორანში ერთი, ოცდაათ წელს მიღწეული ქალბატონის გარდა არავინ იჯდა, იგი წიგნს კითხულობდა, თან თავისთვის ღიღინებდა და მარცხენა ხელის შუათითს სუფრაზე მსუბუქად უკაკუნებდა. როცა ახალგაზრდები მაგიდას მიუსხდნენ, მან ადგილი გამოიცვალა, რათა მათკენ ზურგშექცევით დამჯდარიყო. ადამიანებს უფრთხის და ყოველთვის რესტორანში ჭამს წიგნით ხელშიო, ჩუმად უთხრა ჰანს კასტორპს იოახიმმა. სულ პატარა გოგონა ყოფილა, სანატორიუმში რომ მოხვედრილა და მას შემდეგ სხვაგან აღარც უცხოვრია თურმე.
- აბა, შენი ხუთი თვის სტაჟით მაგასთან შედარებით მთლად ახალბედა ყოფილხარ და წელიწადიც რომ წამოიკიდო ზურგზე, მაინც ახალბედა დარჩები, - უთხრა ჰანს კასტორპმა თავის ბიძაშვილს.
იოახიმმა ისევ უცნაურად აიჩეჩა მხრები, რაც წინათ არ სჩვეოდა, და ხელი მენიუს წამოავლო. ისინი ფანჯარასთან დასხდნენ, რესტორნის უმშვენიერეს, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე, ისხდნენ კრემისფერ ფარდასთან ერთმანეთის პირისპირ და წითლად შებურვილი მაგიდის ნათურის ანარეკლი სახეებს უფერადებდათ. ჰანს კასტორპმა ერთმანეთს გადააჭდო ახალდაბანილი ხელები და ვახშმის მოლოდინში გემრიელად მოიფშვნიტა. სუფრასთან ხელების ფშვნეტა ჩვეულებად ჰქონდა, ეს ჩვევა იქიდან თუ დაჰყვა, მისი წინაპრები წვნიანის შემოტანის წინ რომ ლოცულობდნენ ხოლმე. მათ სუფრას შავკაბიანი, თეთრ წინსაფარაკრული, პირმოღიმარი, ფართოსახიანი, ლოყებღაჟღაჟა, ყრანტალა ოფიციანტი ემსახურებოდა. ჰანს კასტორპი გათვითცნობიერდა, რომ აქ ოფიციანტ ქალებს დარბაზის ასულებს“ ეძახდნენ და ამან დიდად გაამხიარულა. ოფიციანტს ერთი ბოთლი გრიუო ლაროზი“ შეუკვეთეს და ჰანს კასტორპმა უკეთ გასათბობად ერთხელ უკანვე გააბრუნა ბოთლი. კერძები ჩინებული მოართვეს: სატაცურიანი წვნიანი, გულგამოჩურთული პამიდორი, ნაირგვარი გარნირით დამშვენებული შემწვარი ხორცი. იშვიათი გემოვნებით მომზადებული ტკბილეული, რამდენიმენაირი ყველი და ხილი. ჰანს კასტორპს თუმცა ისეთი მადა არ გაჰღვიძებია, როგორსაც მოელოდა, მაგრამ ვახშამს იმანაც გვარიანად მოულხინა. იგი მიჩვეული იყო, მადაც რომ არ ჰქონოდა, მაინც უხვად ესვა და ეჭამა და ამით საკუთარი თავისთვის ეცა პატივი.
იოახიმი მაინცდამაინც დიდად არ დახარბებია გემრიელ კერძებს, აქაური

სამზარეულო მოყირჭებული მაქვსო. აქ, ზევით, ყველა ამ დღეში ვართ, ჩვენთან მიღებულია საჭმლის ძაგება, აბა, რა უნდა ქნა, შენი დღე და მოსწრება აქ რომ იქნები დაყუდებულიო... სამაგიეროდ, იოახიმი ღვინოს სიამოვნებით შეექცეოდა, ხარბადაც კი ეწაფებოდა და ერთხელ კიდევ გამოთქვა კმაყოფილება, ძლივს არ ჩამოვიდა კაცი, ერთ ჭკვიანურ სიტყვას მაინც რომ ეტყვიო, თან გულმოდგინედ შეეცადა თავის გამონათქვამში გულის ამაჩუყებელი სიტყვა არ გაერია:
- დიდებულია, რომ ჩამოხვედი! - თქვა მან და ჩვეულებრივ მშვიდ ხმაში თრთოლა შეეპარა, - შენი ჩამოსვლა ჩემთვის ნამდვილად მოვლენაა. ეს ხომ ცვლილებას ნიშნავს, შენმა ჩამოსვლამ გარდატეხა შეიტანა ამ უსაზღვრო, მარადიულ ერთფეროვნებაში, გაწყვიტა ერთფეროვნების ჯაჭვი.
- სამაგიეროდ, აქ, დრო, ალბათ, ელვის სისწრაფით გარბის, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- როგორ გითხრა, სწრაფადაც გადის და ნელაც, - უპასუხა იოახიმმა, - მე თუ მკითხავ, აქ დრო სულაც არ იძვრის, არც ამ დროს ჰქვია დრო და აღარც ამ სიცოცხლეს ჰქვია სიცოცხლე, არა, ნამდვილად არა, - თავი გააქნია მან და კვლავ ჭიქას წამოავლო ხელი.
ჰანს კასტორპიც სვამდა, თუმცა სახეზე უკვე ცეცხლი ეკიდა. ტანზე ისევ სციოდა, მაგრამ სხეულში რაღაც უცნაური, სასიამოვნო და თან ოდნავ შემაწუხებელი მოუსვენრობა ჰქონდა ჩამდგარი. სიტყვები ნიაღვარივით მოსდიოდა, ხან სისულელეც წამოსცდებოდა, მაგრამ ხელს ჩაიქნევდა და კვლავ განაგრძობდა საუბარს. იოახიმიც ხალისიან გუნებაზე იყო, ხოლო როცა განმარტოებით მჯდარი მოღიღინე ქალბატონი მოულოდნელად წამოხტა და წავიდა, ბიძაშვილებმა უფრო თავისუფლად და მხიარულად იგრძნეს თავი. ჭამის დროს ჩანგლებით ანიშნებდნენ ერთმანეთს სათქმელს, პირგამოტენილები ხან გაიბღინძებოდნენ, ხან გაიცინებდნენ, თავს აქნევდნენ, მხრებს იჩეჩდნენ და ლუკმა ჯერ წესიერად არც კი ჰქონდათ გადაყლაპული, რომ კვლავ აგრძელებდნენ ლაპარაკს. იოახიმს ჰამბურგის ამბები აინტერესებდა და ელბის კალაპოტის შეცვლაზეც ჩამოაგდო სიტყვა.
- ეპოქალური გეგმაა, ეპოქალური! - თქვა ჰანს კასტორპმა, - ეპოქალურიმნიშვნელობა აქვს ჩვენი ნაოსნობის განვითარებისათვის. ამ საქმისათვის ორმოცდაათი მილიონი ერთბაშად შეგვაქვს ბიუჯეტში და დარწმუნებული იყავი, მშვენივრად ვიცით, რასაც ვაკეთებთ.
ვითომ ჰანს კასტორპი ელბის რეგულირების საკითხს უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ მაშინვე გადაუხვია ამ თემას და იოახიმს სთხოვა, მიამბე „აქ, ზევით“ როგორ ცხოვრობთ და პაციენტებზეც მითხარიორიოდე სიტყვაო. ისიც არ დაზარებია, მით უმეტეს, რომ მოყოლა თვითონაც ეხალისებოდა, გულს მაინც გადააყოლებდა. ბობსლეის ბილიკით გვამების დაშვების ამბავი ჰანს კასტორპმა გაამეორებინა და იოახიმმაც ხელმეორედ დაუდასტურა, ეს წმინდა წყლის სიმართლე გახლავსო. ჰანს კასტორპს ისევ აუტყდა სიცილი, იოახიმიც აჰყვა და ეტყობოდა, მართლა გულით მხიარულობდა, რაკი ხალისიანი განწყობილების შესანარჩუნებლად ამ ამბავს სხვა კომიკური ამბებიც მოაყოლა. ჩემს მაგიდასთან ერთი საკმაოდ მძიმე ავადმყოფი ქალი ზის, ფრაუ შტორი, კანშტატელი მუსიკოსის ცოლი, იმისთანა გაუნათლებელი ჩემს ცხოვრებაში არაფერი შემხვედრიაო. დეზინფექციის მაგიერ ისე იტყვის „დეზენფექციას“, წარბსაც არ შეიხრისო. ასისტენტ კროკოვსკის კი „ფომულუსს“ ეძახის თურმე. ჰოდა, თუ ბიჭი ხარ, უსმინე და სახეზე ღიმილიც ნუ გადაგირბენს. ფრაუ შტორი დიდი ჭორიკანაც ყოფილა, როგორც სხვათა შორის, აქ, ზევით, მყოფი ქალების უმრავლესობა გახლავთ. ერთ ქალზე კი, ფრაუ ილტისზე, ქალბატონი შტორი ჭორაობს, თან „სტერილეტი“ დააქვსო.
- არა, „სტერილეტი“ როგორ მოგწონს, ხომ შესანიშნავია?! - და სკამებზე ნებიერად მიწოლილებმა ისეთი ხარხარი ატეხეს, რომ გული ამოუვარდათ და ორივეს თითქმის ერთდროულად აუტყდა სლოკინი.
ამასობაში იოახიმს სახე მოეღრუბლა და თავის ხვედრზე ჩაფიქრდა.
- ჩვენ აქ ვსხედვართ და ვიცინით, მე კი, კაცმა არ იცის, როდის გავაღწევ აქედან, - თქვა მან. სახე ტკივილით შეეჭმუხნა, დიაფრაგმა აუდ-ჩაუდიოდა და ხანდახან ხმაც უწყდებოდა, - ბერენსი ყოველთვის უმცირეს ვადას მეუბნება, ის რომ ნახევარ

წელიწადს გეტყვის, გაცილებით მეტს უნდა მოელოდე. შენ თვითონ მითხარი, განა სავალალო დღეში არა ვარ ჩავარდნილი? სასწავლებელში უკვე ჩარიცხული ვიყავი, ერთ თვეში შემეძლო, საოფიცრო გამოცდა ჩამებარებინა. ახლა კი უსაქმოდ ვაგდივარ აქ, პირში თერმომეტრი მაქვს გაჩრილი, ამ უვიცი ფრაუ შტორის ბრიყვულ გამოხდომებს ვითვლი და დროს ტყუილად ვფლანგავ. ჩვენს ასაკში ერთი წელი ძალიან ბევრს ნიშნავს, ქვევით ერთ წელიწადში რამდენი ცვლილება ხდება და რა წარმატებას არ შეგიძლია მიაღწიო კაცმა. მე კი დამდგარი წყალივით უნდა ჩავმყაყდე და ზარმაცი რეგვენივით ვეგდო აქ. არა, ეს შედარება ნამდვილად არ არის გადაჭარბებული.
თავისდა გასაკვირად იოახიმს ამ სიტყვებზე ჰანს კასტორპის შეკითხვა შემოესმა, აქ პორტერი თუ იშოვებაო, გაოცებულმა შეხედა ბიძაშვილს და დაინახა, რომ მას თვლემა მორეოდა, თუმცა თვლემა რა სათქმელია - უკვე ეძინა კიდეც.
- შენ თურმე ჩაგძინებია! - უთხრა იოახიმმა, - წამო, ორივეს დაწოლის დროა.
- არავითარი დრო არ ვიცი მე, - წაილუღლუღა ჰანს კასტორპმა, მაგრამ მაინც წამოდგა და წელში მოხრილი გაჰყვა იოახიმს. დაღლილობისაგან ისე მიათრევდა ფეხებს, თითქოს იატაკზე ეწებებაო, მაგრამ თავს მაინც მოერია, როცა უკვე მკრთალად განათებულ ვესტიბიულში გასულს იოახიმის ხმა შემოესმა.
- აგერ დოქტორი კროკოვსკი, მე მგონი, შენი წარდგენა ახლავე გვმართებს.
დოქტორი კროკოვსკი ერთ-ერთ თავშესაყრელ ოთახში ზედ გასაწევ კართან იჯდა ბუხრის წინ და გაზეთს კითხულობდა. ყმაწვილკაცების მოახლოებაზე ექიმი ფეხზე წამოდგა, იოახიმი მხედრულ ყაიდაზე გამოეჭიმა და მოახსენა:
- ბატონო დოქტორო, ნება მიბოძეთ, ჩემი ჰამბურგელი ბიძაშვილი კასტორპი წარმოგიდგინოთ. ეს-ესაა გეახლათ ჰამბურგიდან.
დოქტორი კროკოვსკი ახალჩამოსულს მხიარულად, მაგრამ დინჯად მიესალმა. მის სალამში გამამხნევებელი გულითადობაც გამოკრთოდა, თითქოს უნდოდა მიენიშნებინა, რომ მასთან კაცს სრულიად თავისუფლად შეეძლო ეგრძნო თავი, არაფრის არ უნდა მორიდებოდა და მისდამი უღრუბლო ნდობით უნდა განმსჭვალულიყო. ექიმი ოცდათხუთმეტიოდე წლის იქნებოდა. მხარბეჭგანიერი, ჩასუქებული დოქტორი კროკოვსკი ორივეზე საკმაოდ დაბალი გახლდათ, მაგრამ იძულებული იყო, თავი გვერდზე გადაეგდო და ქვემოდან ეცქირა მის წინ მდგომი ახალგაზრდებისათვის. დოქტორ კროკოვსკის არაჩვეულებრივად ფერმკრთალი გამჭვირვალე პირისკანი თითქოს ფოსფორულ ნათელს გამოსცემდა, ხოლო სახის სიფერმკრთალეს კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა მოელვარე შავი თვალები, შავი წარბები და კარგა გრძელი, ორად გაყოფილი წვერი, რომელშიაც აქა-იქ უკვე ერია ჭაღარა. ექიმს ტანზე შავი, ოდნავ გაცვეთილი ორბორტიანი პიჯაკი და სხვა ქსოვილის შარვალი ეცვა, ნაცრისფერ სქელ წინდებზე შავივე სანდალისებური ფეხსაცმელები, პერანგის საყელო კი რბილად ჰქონდაპიჯაკზე გადაფენილი. ასეთი საყელო ჰანს კასტორპს აქამდე მხოლოდ ერთ დანციგელ ფოტოგრაფზე ჰქონდა ნანახი და მართლაც, პიჯაკზე ასე გადმოფენილი საყელო ექიმს რაღაც ატელიესეულ იერს აძლევდა. დოქტორმა კროკოვსკიმ ისე გულღიად გაიღიმა, რომ წვერებში მოყვითალო კბილები გამოუკრთა, ყმაწვილ კაცს ხელი ჩამოართვა და ოდნავ უცხოურაქცენტიანი ბარიტონით უთხრა:
- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო კასტორპ! გისურვებთ, მალე შესჩვეოდეთ აქაურობას და შინაურულად გეგრძნოთ თავი. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ჩვენთან სამკურნალოდ ჩამობრძანდით, არა?
გულის ამაჩუყებელი სანახავი იყო, როგორ ცდილობდა ჰანს კასტორპი, თავი ყოჩაღად დაეჭირა და მორეულ ძილს გამკლავებოდა. გული მოსდიოდა, ასეთ ცუდ ფორმაში რომ იყო.ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი ყოყლოჩინობის გამო ეჭვის თვალით შესცქეროდა დოქტორ კროკოვსკის გამამხნევებელ ღიმილსა და საქციელს და ამ ღიმილში შეფარულ დაცინვას გრძნობდა. დოქტორ კროკოვსკის უპასუხა, სამი კვირით გეახელითო, ისიც უთხრა, გამოცდები ახლახან ჩავაბარეო და დასძინა, მადლობა ღმერთს, სავსებით ჯანმრთელი გახლავართო.
- მართლა? - შეეკითხა დოქტორი კროკოვსკი, თითქოს გამოაჯავრაო, ისე შეხედა გვერდიდან და ღიმილს შუქი მოუმატა.
- აბა, თქვენ უაღრესად საინტერესო შესასწავლი მოვლენა ყოფილხართ! პირადად მე სავსებით ჯანმრთელი კაცი ჯერ არ შემხვედრია. ნება მიბოძეთ

გკითხოთ, რა გამოცდა ჩააბარეთ?
- მე ინჟინერი გახლავართ, ბატონო დოქტორო, - ღირსეულად, მაგრამ თავმდაბლად უპასუხა ჰანს კასტორპმა.
- აჰ, ინჟინერი ბრძანდებით! კარგია! - დოქტორ კროკოვსკის ღიმილს თითქოს წამით მოაკლდა შუქი და გულითადობა, - მაშ, თქვენ არც ფიზიკური და არც ფსიქიკური თვალსაზრისით არავითარი მკურნალობა არ დაგჭირდებათ, არა?
- დიახ, არავითარი. ასგზის მადლობას მოგახსენებთ! - მიუგო ჰანს კასტორპმა და ერთი ნაბიჯით კინაღამ უკან დაიხია.
დოქტორ კროკოვსკის კვლავ ძლევამოსილმა ღიმილმა გაუნათა სახე. ყმაწვილ კაცს ხელმეორედ ჩამოართვა ხელი და ხმამაღლა უთხრა:
- რაკი ასეა, ძილი ნებისა, ბატონო კასტორპ! გისურვებთ, არ შეგრყეოდეთ უზადო ჯანმრთელობის რწმენა! ძილი ნებისა და ნახვამდის! - ამ სიტყვებით გაისტუმრა დოქტორმა ახალგაზრდები და კვლავ თავის გაზეთს მიუბრუნდა.
ლიფტს აღარავინ ემსახურებოდა და ბიძაშვილებმა ფეხით აათავეს კიბე. დოქტორ კროკოვსკისთან შეხვედრას ორივენი ოდნავ აეფორიაქებინა და ხმას არ იღებდნენ. იოახიმმა ჰანს კასტორპი ოცდამეთოთხმეტე ოთახამდე მიაცილა, სადაც კოჭლ კარისკაცს ბარგი უკვე მოეტანა. სანამ ჰანს კასტორპი საღამურ თეთრეულს ამოალაგებდა, ბიძაშვილებმა ერთი თხუთმეტი წუთი კიდევ ისაუბრეს. ჰანს კასტორპი თან მსხვილ სურნელოვან სიგარეტს აბოლებდა, სიგარას კი დღეს აღარც გაჰკარებოდა და ეს ამბავი უჩვეულოდ და საოცრად ეჩვენებოდა.
- გარეგნულად ზედმიწევნით მნიშვნელოვნად გამოიყურება, - თქვა მან და კვამლი ბოლქვებად გამოუშვა, - სახე ცვილივითა აქვს გაყვითლებული, მაგრამ ეს რა საძაგელი რაღაც აცვია ფეხზე, ჰა? ნაცრისფერი მატყლის წინდები და ზედ კიდევ ეს სანდლები. ვითომ ბოლოს ხომ არ გაგვინაწყენდა?
- ცოტა მგრძნობიარე კაცია და სამედიცინო მომსახურებაზე, მით უმეტეს, ფსიქიკურზე, ასე ხელაღებით არ უნდა გეთქვა უარი, - კვერი დაუკრა იოახიმმა, - არ უყვარს, გვერდს რომ აუვლიან ხოლმე. არც მე ვეხატები მაინცდამაინც გულზე, რადგან მის გამოცდილებას დიდად არ ვენდობი. ისე, ხანდახან მაინც ვუყვები ხოლმე სიზმრებს, რომ დასანაწევრებელი ჰქონდეს რამე.
- აბა, მე მართლა გამინაწყენებია და ეგ არის, - დანანებით თქვა ჰანს კასტორპმა. თავის თავზე მოსდიოდა ხოლმე გული, როცა ვინმეს აწყენინებდა, ახლა კი დაღლილობამაც ხელახალი ძალით დარია ხელი.
- ღამე მშვიდობისა, თორემ საცაა წავიქცევი, - უთხრა ბიძაშვილს.
- რვა საათზე საუზმისათვის გამოგივლი, - მიუგო იოახიმმა და ოთახიდან გავიდა.
ჰანს კასტორპმა ნაჩქარევად მოათავა ღამის ტუალეტი. ძლივს მოასწრო ღამის ნათურის ჩაქრობა, რომ ძილმა წაართვა თავი, მაგრამ უცებ გაახსენდა, ამ საწოლში გუშინწინ ვიღაც რომ მომკვდარიყო და დაფეთებულმა გაახილა თვალი.
- მერე რა, ეს პირველი შემთხვევა ხომ არ იქნებოდა, - თავის თავს შემოუძახა მან, თითქოს ეს დამამშვიდებელ საბუთად გამოადგებოდა, - ეს არის სასიკვდილო სარეცელი, ჩვეულებრივი სასიკვდილო სარეცელი, - წაიბუტბუტა და ძილს მისცა თავი.
ჩაეძინა თუ არა, სიზმრები დაეხვია და ასე, სიზმრებში დაათენდა კიდეც თავზე. სიზმარში მეტწილად იოახიმს ხედავდა: უცნაურად მოღრეცილი იოახიმი ბობსლეის ციგაზე იჯდა და ციცაბო გზაზე თავქვე მიექანებოდა. მასაც დოქტორ კროკოვსკივით ფოსფორისებური სითეთრე გადაჰკვროდა სახეზე. ციგის თავში ავსტრიელი არისტოკრატი მხედარი იჯდა და საჭეს მართავდა,მას ისეთი გაურკვეველი სახე ჰქონდა, როგორც ადამიანს, მისი ხველების მეტი რომ არა გაგიგონია რა.
- ეს ხომ ჩვენთვის აქ, ზევით, სულერთია, - თქვა მოღრეცილმა იოახიმმა. ახლა უკვე არისტოკრატი მხედარი კი არა, იოახიმი ახველებდა ასე ფაფისებურად და შემაძრწუნებლად. ამის შემხედვარე ჰანს კასტორპი მწარედ ატირდა. მერე გაახსენდა, რომ აფთიაქში უნდა გაქცეულიყო კოლდკრემის საყიდლად, მაგრამ გზაზე ცხვირწაწვეტებული ფრაუ ილტისი ჩამომჯდარიყო და ხელში რაღაც ეჭირა. ეს მისი სტერილეტი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირის საპარსი კი აღმოჩნდა. ამან ჰანს კასტორპს კვლავ სიცილი მოჰგვარა და ასე სიცილ-ტირილში იბორგა

მთელი ღამე, სანამ აივნის ნახევრად ღია კარში რიჟრაჟმა არ შემოიხედა და არ გამოაღვიძა.

თავი მეორე

ემბაზისა და ორსახიანი ბაბუის ამბავი

ჰანს კასტორპს მშობლიურ სახლზე მხოლოდ მკრთალი მოგონებანი ჰქონდა შემორჩენილი. დედ-მამა ძლივს ახსოვდა. ორივე მოკლე ხანში მიჰყოლოდა ერთმანეთს.
დედა ხუთი წლისას მოუკვდა, მამა კი შვიდი წლისას გამოეცალა ხელიდან. დედა უეცრად გარდაიცვალა. თვეში გადამდგარ ქალს თრომბი დაეცო და გულის დამბლამ თვალის დახამხამებაში მოუღო ბოლო. როგორც დოქტორმა ჰაიდეკინდმა ბრძანა, ეს სისხლძარღვთა ანთების ანუ, ემბოლიის ბრალი გახლდათ. ფეხმძიმე ქალი ლოგინში იჯდა და გულიანად იცინოდა. ყველას ეგონა, სიცილისაგან ჩაემხო პირქვეო, სინამდვილეში კი უკვე მკვდარი დაცემულიყო ლოგინზე. ამ ამბავმა მძიმედ იმოქმედა ჰანს კასტორპის მამაზე, ჰანს ჰერმან კასტორპზე. იგი ჯან-ღონით ვერც მანამდე დაიკვეხნიდა და საყვარელი ცოლის დაკარგვამ ხომ სულ მოუღო ბოლო. მას შემდეგ თითქოს ჭკუა-გონებაც შეუსუსტდა, საქმეს უშეცდომოდ ვეღარ უძღვებოდა და ფირმა კასტორპსა და ვაჟიშვილს“ ზედიზედ მოსდიოდა ზარალი. ცოლის გარდაცვალებიდან ორ წელსაც არ გაევლო, რომ გაზაფხულზე, ქარიან ნავსადგურში ბეღლების შემოწმებისას გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მწუხარებით დათრგუნვილმა გულმა მაღალ ტემპერატურას ვეღარ გაუძლო და, დოქტორ ჰაიდეკინდის გულმოდგინე ცდის მიუხედავად, ჰანს ჰერმან კასტორპმა ხუთ დღეში მიაშურა თავის ცოლს. ბევრმა პატივცემულმა ბიურგერმა მიაცილა იგი კასტორპების საგვარეულო აკლდამამდე, რომელიც წმინდა ეკატერინეს ეკლესიის ეზოში, უმშვენიერეს ადგილზე იყო გაშენებული და ბოტანიკურ ბაღს გადაჰყურებდა.
ჰანს კასტორპის ბაბუა, სენატორი კასტორპი, შვილის სიკვდილს კი მოესწრო, მაგრამ დიდხანს აღარც იმას უცოცხლია. სენატორიც ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, მაგრამ ავადმყოფობას ეგრე იოლად არ დანებებია, რადგან, თავისი ვაჟიშვილისაგან განსხვავებით, მიწაში მაგრად ჰქონდა ფესვი გადგმული და ასე იოლად წასაქცევი კაცი არ იყო. წელიწად-ნახევარი დაობლებულმა ჰანს კასტორპმა ბაბუამისის სახლში, გასული საუკუნის დამდეგს ჩრდილოური კლასიციზმის სტილზე ნაგებ შენობაში გაატარა. ესპლანადაზე, მიწის პატარა ნაკვეთზე აშენებული სახლის სადარბაზო შესასვლელს ორი დაბალი პილასტრი ამშვენებდა. უღიმღამოდ შეღებილი სახლის პირველი სართული მიწას ხუთი კიბით იყო აცილებული, ხოლო ბელეტაჟს თავზე კიდევ ორი სართული ედგა. ბელეტაჟის იატაკამდე გაჭრილ ფანჯრებს რკინისაგან ჩამოსხმული რიკულები ამშვენებდა.
ბელეტაჟზე მხოლოდ მისაღები ოთახები და ხის ფილებით მოპირკეთებული სასადილო დარბაზი იყო მოთავსებული. სასადილო ოთახის ღვინისფერი ფარდებით დამშვენებული სამი ფანჯარა სახლის უკან, ბაღჩაში გადიოდა. თვრამეტი თვის განმავლობაში ამ ოთახში ზუსტად ოთხ საათზე მარტონი სხდებოდნენ ხოლმე სასადილოდ ბაბუა და შვილიშვილი. მათ მოხუცი ფიტე ემსახურებოდა. ფიტეს საყურეები ეკეთა, ფრაკზე ვერცხლის ღილები ჰქონდა ჩამწკრივებული, გულისპირს კი ისეთივე ბატისტის ყელსახვევი უმშვენებდა, როგორიც მის ბატონს ეკეთა. ფიტე გაპარსულ ნიკაპსაც ზუსტად თავისი ბატონივით მალავდა ყელსახვევში; ბაბუა მას შენობით ელაპარაკებოდა და საუბარში ქვემოგერმანულად უქცევდა ხოლმე. ამას საოხუნჯოდ როდი სჩადიოდა, სერიოზულად ფიქრობდა, რომ მდაბიოებთან, ბეღლის მუშებთან, შიკრიკებთან, მეეტლეებსა და მსახურებთან ასეთ ენაზე უნდა ელაპარაკა. ჰანს კასტორპის ყურს საამოდ ელამუნებოდა ეს დიალექტი, ისიც სიამოვნებდა, თავის ბატონს ფიტეც

რომ ქვემოგერმანულად ეხმაურებოდა. ამ დროს ზურგს უკან მდგარი მსახური თავისი ბატონის მარჯვენა ყურთან დაიხრებოდა, რადგან სენატორს მარცხენა ყურზე გაცილებით უკეთ მარჯვენაში ესმოდა - მოხუციც, აქაოდა, ყველაფერი გავიგეო, მსახურს თავს უქნევდა და სადილს შეექცეოდა. წელში გამართული სენატორი თითქოს ჩაჭედილიყო მაგიდასა და წითელი ხის სკამის მაღალ საზურგეს შორის და თეფშისკენ მხოლოდ ოდნავ იხრებოდა. შვილიშვილი ბაბუის პირისპირ იჯდა და ჩუმად, ღრმა და გაუცნობიერებელი ყურადღებით აკვირდებოდა მის ძუნწ, დახვეწილ მოძრაობებს. უყურებდა, როგორ მოხდენილად ხმარობდა ბაბუა მშვენიერ, თეთრ, გამხდარ, ამობურცულფრჩხილებიან ბებრულ ხელებს, გერბიანი ბეჭდით დამშვენებულ მარჯვენა ხელში ჩანგალი ეჭირა, ჩანგლის წვერზე კოხტად წამოაგებდა ხორცის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ლუკმებს, თავს მსუბუქად წაიწვდენდა და ლუკმას პირში გადაუძახებდა. მერე ჰანს კასტორპი თავის ჯერ კიდევ მოუქნელ ხელებზე დაიხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს მოხდენილობა მის ხელებსაც ჰქონდა თანდაყოლილი და ოდესმე ისიც შეძლებდა, დანა-ჩანგალი ბაბუასავით შნოიანად მოეხმარა.
სხვა საქმე იყო, ოდესმე თუ ეღირსებოდა, ნიკაპი ისეთივე ყელსახვევში ჩაემალა, ბაბუამისს უცნაური ფორმის, ლოყებზე მიბჯენილი, წვეტიანი,მაღალი საყელოს ფართო ჭრილს რომ უვსებდა. საამისოდ კაცი ბაბუასავით მოხუცი უნდა ყოფილიყო, თორემ დღესაც კი მასა და მოხუც ფიტეს გარდა, ასეთ ყელსახვევსა და საყელოს იმ არემარეზე აღარავინ ატარებდა. ძალიან გულდასაწყვეტი კი იყო. ჰანს კასტორპს განსაკუთრებით ის მოსწონდა, ბაბუამისი მაღალ, თოვლივით ქათქათა ყელსახვევში რომ ჩარგავდა ნიკაპს და კარგა ხნის იყო, მეხსიერებას შემორჩენილი ეს ჟესტი ძველებურად რომ აღაფრთოვანებდა. იყო რაღაც ამაში, რასაც იგი მთელი თავისი არსებით ეთაყვანებოდა.
სადილს რომ მორჩებოდნენ, ხელსახოცებს დაკეცავდნენ, დაახვევდნენ და ვერცხლის რგოლებში გაუყრიდნენ. ჰანს კასტორპი ამ საქმეს დიდი ვაი-ვაგლახით აკეთებდა, რადგან ხელსახოცები ერთი პატარა სუფრისოდენამაინც იყო. მერე სენატორი წამოდგებოდა, ფიტე მაშინვე გასწევდა სკამს, მისი ბატონი კი სიგარის გამოსატანად კაბინეტში“ წაფრატუნდებოდა. ბაბუას ხანდახან შვილიშვილიც გაედევნებოდა ხოლმე.
ამ „კაბინეტის“ წარმოშობის ისტორია ასეთი გახლდათ: ვინაიდან სასადილო ოთახი სამფანჯრიანი გაუკეთებიათ და მთელი სახლის სიგანეზე გადაჭიმულა, ამიტომ ამ სართულზე წესად მიღებული სამი სასტუმრო ოთახის ნაცვლად, ორი ოთახის ფართობიღა დარჩენილა. თან ერთი, სასადილოსთან შვეულად მდებარე ერთფანჯრიანი ოთახი უსაშველოდ გრძელი გამოსულა. ამიტომ ჩამოუცლიათ სიგრძეში მისთვის ერთი მეოთხედი და კაბინეტიც ასე გამოუყვანიათ. ჭერთან ფანჯარადატანებულ, ჩაბნელებულ, ვიწრო ოთახში, ანუ კაბინეტში, ავეჯიც ცოტა იდგა: ერთი ეტაჟერი, რომელზედაც სენატორის სიგარებიანი ზარდახშა იდო და ლომბერის მაგიდა. ამ მაგიდის უჯრებში ფრიად მიმზიდველი საგნები ეწყო: ვისტის სათამაშო ქაღალდი, სათვალავები, გასაწევ-გამოსაწევი კბილანებიანი პატარა ფირფიტები, გრიფელები და ასპიდის დაფა, ქაღალდის მუნდშტუკები და სხვა ბევრი რამერუმე. კაბინეტში კიდევ პალისანდრის ხის როკოკოს სტილზე მოჩუქურთმებული კარადა იდგა, რომელსაც მინებზე ყვითელი აბრეშუმის ფარდები ჰქონდა გამოკრული.
- ბაბუა, - ეტყოდა ხოლმე პატარა ჰანს კასტორპი მოხუცს და ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ მის ყურს მისწვდენოდა, - მაჩვენე რა, ემბაზი!
ბაბუას უთხოვნელადაც უკვე გადაეწია რბილი ქსოვილისაგან შეკერილი გრძელი სერთუკის კალთა, გასაღებების აცმულა ამოეღო და შუშიან კარადას აღებდა, საიდანაც ბიჭუნას თავისებური, სასიამოვნო და უცნაური სურნელი ეფრქვეოდა ხოლმე. აქ იყო ბევრი, უკვე ხმარებიდან გამოსული და ამიტომაც უფრო მიმზიდველი ნივთი: ერთი წყვილი ვერცხლის წელში გამოყვანილი კანდელაბრი, მოხარატებული გატეხილი ბარომეტრი, დაგეროტიპებიანი ალბომი, ლიქიორების კედრის ხის ყუთი, ჭრელაჭრულა ტანსაცმლით მორთული, დიდი ხნის წინ მწყობრიდან გამოსული თურქი ბიჭის ტიკინა, რომელსაც სხეულში მექანიზმი ჰქონდა ჩადგმული და ოდესღაც მაგიდაზე სირბილი შეეძლო, ძველებური გემის მოდელი და სულ ქვედა თაროზე სათაგურიც კი. მოხუცი შუა

თაროდან ვერცხლის, ფერშეცვლილ, ვერცხლისავე სინზე დადგმულ მრგვალ თასს გადმოიღებდა, სინსა და თასს გააცალკევებდა და ქვემოთ მოთხრობილი განმარტებების დართვით ბიჭს ხან ერთს და ხან მეორეს ათვალიერებინებდა ხოლმე.
თასი და სინი ერთმანეთს რომ არ ეკუთვნოდნენ, ეს ძნელი გასარჩევი არ იყო, მაგრამ ბიჭს ყოველთვის თავიდან უხდებოდა ამის მოსმენა. უკვე ასი წელია, სახელდობრ თასის შეძენის მერე მათ ერთად ხმარობენო, ამბობდა ბაბუა. თასი მშვენიერი იყო, სადა, კეთილშობილური ფორმისა, უკანასკნელი საუკუნის ადრეული წლების მკაცრი გემოვნებით გამოყვანილი. შიგნიდან მოოქრულ, წმინდა ვერცხლის, პრიალა, მრგვალძირიან თასს დროთა განმავლობაში ვარაყი გახუნებოდა და ოქროცურვილ კედლებს მქრქალი ყვითელი ათინათიღა შერჩენოდა. თასს ერთადერთი სამკაული ამშვენებდა - კიდეზე შემოვლებული ვარდულები და დაკბილული ფოთლების ამობურცული გრეხილი. სინი რომ გაცილებით მეტი ხნის იყო, ამას შიგნით ამოკვეთილი წარწერაც ამტკიცებდა: „ათას ექვსას ორმოცდაათი წელი“, ეწერა დაღვლარჭნილი ციფრებით, თარიღი იმდროინდელ მოდურ ყაიდაზე“ ნაირ-ნაირ ხუჭუჭა ორნამენტში იყო ჩასმული, გაფუყული სტილით გამოყვანილ გერბებსა და არაბესკებს ნახევრად ვარსკვლავის თუ ყვავილის ფორმა ჰქონდათ, ხოლო სინის ძირზე სხვადასხვა ხელწერით დროთა განმავლობაში მის მფლობელთა სახელები იყო ამოკვეთილი. სინს უკვე შვიდი პატრონის ხელში გამოევლო, ყოველ სახელს სინის მემკვიდრეობით მიღების თარიღი ესვა და ყელსახვევიანი მოხუცი შვილიშვილს თითოეულ მათგანს ბეჭდიანი საჩვენებელი თითით უჩვენებდა ხოლმე. სინზე ჰანს კასტორპის მამის სახელიც ეწერა, თვითონ ბაბუასიც და პეპერასიც; შემდეგ კი პეპერას პაპის და ასე ორმაგად, სამმაგად, ოთხმაგად გაისმოდა სიტყვა „პაპა“ მოსაუბრის ბაგიდან და ბიჭუნაც გაფაციცებული უგდებდა ყურს. თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, ხან ჩაფიქრებული, ხან ოცნებაში ჩაძირული გაშტერებული თვალებით იყურებოდა, ბაგეზე კი თვლემამორეული მოწიწება ეხატებოდა ამ პაპის-პაპის-პაპის გაგონებაზე, სამარისა და დაზვავებული ჟამის მანიშნებელი ამ ყრუ ხმის გაგონებაზე, რომელიც ამავე დროს აწმყოს, მის საკუთარ სიცოცხლესა და შორეულ წარსულს შორის აქამდე რუდუნებით მოტანილკავშირს გამოხატავდა და მასზე რაღაც განუმეორებელ ზემოქმედებას ახდენდა - სწორედ ისეთს, როგორიც მის სახეზე იყო აღბეჭდილი. ამ ხმის გაგონებაზე ეჩვენებოდა, თითქოს ისეთივე შმორიანი გრილი ჰაერით სუნთქავდა, ეკატერინეს ეკლესიაში ან საკურთხევლის ქვეშ მოთავსებულ წმინდა მიქაელის აკლდამაში რომ იდგა. ყნოსვას უღიზიანებდა ისეთი ადგილებიდან მონაბერი ნიავი, სადაც ადამიანები ქუდით ხელში, მოწიწებით, ფეხის წვერებზე დადიან, ასე ეგონა, იმ მოგუგუნე ადგილების არაამქვეყნიური, რუდუნებით აღსავსე სიჩუმე მიდგას ყურებშიო. იმ მობუბუნე სიტყვის გაგონებაზე სულიერ შეგრძნებებს სიკვდილისა და ისტორიის განცდა ერწყმოდა და ეს ყველაფერი შვებას ჰგვრიდა. დიახ, ადვილი შესაძლებელია ასეც იყო, რადგან უფრო იმ სიტყვების გაგონება და განმეორება უნდოდა ხოლმე, როცა ბაბუას სთხოვდა, ემბაზი ერთხელ კიდევ დამათვალიერებინეო. შემდეგ ბაბუა თასს ისევ სინზე დადგამდა და ბიჭუნას პრიალა, ვარაყშერჩენილ თასში ჩაახედებდა. მაშინ ოქროცურვილი ფსკერი ზემოდან დაცემულშუქზე ნაირფრად აელვარდებოდა ხოლმე.
- საცაა, რვა წელი გახდება, რაც შენ ამ თასის თავზე გვეჭირე და შენი მოსანათლი წყალი შიგ იღვრებოდა, - ეუბნებოდა ბაბუა, - წმინდა იაკობის ეკლესიის დიაკვანი ლასენი ჩვენს კეთილ პასტორ ბუგენჰაგენს წყალს პეშვში უსხამდა, წყალი ქოჩორზე დაგდიოდა და იმ ემბაზში იღვრებოდა. წყალი შევათბეთ, ბავშვი არ შეკრთეს და არ იტიროსო, მაგრამ შენ, პირიქით, მანამდე უფრო ღრიალებდი, სანამ წყალს დაგასხამდით და ბუგენჰაგენს ხმის ამოღებას არ ანებებდი. წყალი რომ დაგასხეს, მაშინ ჩაყუჩდი და იმედი გვაქვს, ეს წმინდა საიდუმლოს წინაშე მოწიწების ბრალი იყო. რამდენიმე დღეში ორმოცდაოთხი წელი შესრულდება განსვენებული მამაშენის მონათვლის დღიდან, ორმოცდაოთხი წლის წინ მისი თავიდან ასევე წურწურით ჩადიოდა წყალი ამ ემბაზში. მამაშენი აქ, მშობლიურ სახლში მოინათლა, დარბაზში, შუა ფანჯრის წინ. მაშინ მოხუცი პასტორი ჰეზეკილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ეს ის პასტორი გახლავს, ფრანგებმა

ახალგაზრდობაში კინაღამ რომ დახვრიტეს, ხალხს რომ ვხოცავთ და სახლებს ვბუგავთ, ამის წინააღმდეგ როგორ ბედავ ქადაგებასო. მისი სულიც დიდი ხანია მიიღო უფალმა. სამოცდახუთმეტი წლის წინ კი მე თვითონ მოვუნათლავვართ ამ დარბაზში, მეც თქვენსავით ვჭერივარ ვიღაცას ამ ემბაზის თავზე, ასევე მდგარა ეს ემბაზი თავის სინზე, მღვდელიც იმავე სიტყვებს ბუტბუტებდა, როგორც შენი და მამაშენის მონათვლის დროს, მეც ასევე ჩამომდიოდა თბილი, კამკამა წყალი თმიდან (თმა, ახლა რომ მაქვს, ამაზე ბევრად მეტი კი არ მქონია მაშინ) და ამ ოქროს თასში იღვრებოდა თურმე.
ჰატარა ბიჭი ქვემოდან შესცქეროდა ბაბუის დალეულ ბებრულ თავს, რომელიც სწორედ ისე იყო დახრილი ემბაზის თავზე, როგორც იმ დიდი ხნის წინ ჩავლილ წამს, მოხუცი რომ უსურათხატებდა და ბიჭუნას ნაცნობი გრძნობა ეუფლებოდა, უცნაური, ნახევრად სიზმარეული, ნახევრად შიშის მომგვრელი შეგრძნება ერთსა და იმავე დროს მსრბოლავისა და უძრავისა, იმ ცვალებადი მარადიულობისა, რომელიც კვლავ და კვლავ უკან ბრუნდებოდა და თავბრუდამხვევად ერთფეროვანი რჩებოდა. ეს შეგრძნება ადრიდანვე იყო მისთვის ცნობილი და ისიც სურვილით გულანთებული ელოდა, ამ გრძნობას მისთვის ერთხელ კიდევ შეეხო ხელი. ნაწილობრივ ეს იყო მიზეზი, რომ ბიჭუნას აგრერიგად უნდოდა, მისთვის ეს ხელიდან ხელში გარდამავალი და თან უძრავი სამემკვიდრეო ნივთი ეჩვენებინათ.
უკვე მოწიფულობაში შესულმა თავის გულში რომ ჩაიხედა, აღმოაჩინა, რომ ბაბუის ხატება გაცილებით ღრმად და მკაფიოდ აღბეჭდილიყო მის გონებაში, ვიდრე თავისი მშობლებისა. შესაძლოა, ეს ბაბუისადმი სიმპათიის და მასთან ფიზიკური მსგავსების ბრალიც იყო, რადგან შვილიშვილი ისე ზედმიწევნით ჰგავდა ბაბუას, რამდენადაც შეიძლება პირზე რძეშეუშრობელი ბალღი ჰგავდეს ფერგადასულ და გამოფიტულ, სამოცდაათს გადაცილებულ მოხუცს. იქნებ ეს თვით მოხუცის ბრალიც იყო, რომელიც ოჯახში უდავოდ ყველაზე თავისებური და კოლორიტული პიროვნება გახლდათ.
საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, დრომ ჰანს ლორენც კასტორპს გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე გადაუქროლა თავზე და უკან ჩამოიტოვა მისი არსება და ზნე-ჩვეულებანი. დიდად მორწმუნე ქრისტიანი, რეფორმაციული საზოგადო საკრებულოს წევრი ჰანს ლორენც კასტორპი ტრადიციების მკაცრი მიმდევარი გახლდათ, სიახლეებს ფრიად მძიმედ ეგუებოდა და ისე ჯიუტად იცავდა იმ პრინციპს, რომ საზოგადოების მმართველ წრეებში მხოლოდ არისტოკრატები გარეულიყვნენ, თითქოს მეთოთხმეტე საუკუნეში ეცხოვროს, როცა ხელოსნები, ის-ის იყო, იწყებდნენ, ძველი პატრიციების მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქის საბჭოში ადგილებისა და ხმების მოპოვებას. მისი მოღვაწეობა დაემთხვა ძლიერი აღმავლობისა და მრავალგვარი გადატრიალებების წლებს, ფორსირებული მარშით მომავალი პროგრესის ხანას, რომელიც საზოგადოებას მაღალ მოთხოვნებს უყენებდა და მისგან მსხვერპლსა და გამბედაობას მოითხოვდა. მოხუცი კასტორპის გულს, ღმერთმანი, არაფრად ეპიტნავებოდა ის საქვეყნოდ ცნობილი, ბრწყინვალე გამარჯვებები, ახალი ეპოქის სულს რომ მოჰქონდა თან. იგი მამაპაპურ წეს-ჩვეულებებსა და ძველინსტიტუტებს უფრო მეტად აფასებდა, ვიდრე ნავსადგურების კისრისტეხით გაფართოებასა და დიდი ქალაქების სხვა ღვთის საგმობ თვალთმაქცობებს და ამიტომაც, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ამუხრუჭებდა და ბოლოს უღებდა ყოველგვარ სიახლეს. ამ ქვეყანას მისი ჭკუით რომ ევლო, ალბათ, ქვეყნის გამგებლობაში დღესაც ისეთი იდილიური ძველფრანკული სული იქნებოდა გამეფებული, როგორიც თავის დროზე მის საკუთარ კანტორაში სუფევდა.
მოხუცი კასტორპი სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ასე ესახებოდათ ბიურგერებს და თუმცა ჰატარა ჰანს კასტორპს სახელმწიფო საქმეებისა არაფერი გაეგებოდა, ბავშვის მშვიდ, დაკვირვებულ თვალს ბაბუაზე არსებითად იგივე შთაბეჭდილებანი ჰქონდა შემორჩენილი, ოღონდ სიტყვაში გაუცნობიერებელი და ამდენად, მოკლებული ყოველგვარ კრიტიკას. სხვათა შორის, ამ ცოცხალი შთაბეჭდილებების წყალობა გახლდათ, რომ სიჭაბუკეშიც შეგნებული თვალით გაზომილ-აწონილი ბაბუის ხატება სიტყვასა და ანალიზს არ ემორჩილებოდა და

მხოლოდ დადებით თვისებებს ინარჩუნებდა. როგორც მოგახსენეთ, აქ სიმპათიაც თამაშობდა დიდ როლს. ჯაჭვის ერთი რგოლის გამოტოვებითგადასული ღრმა ახლობლობის გრძნობაც და დიდი სულიერი ნათესაობაც, რაც ბაბუასა და შვილიშვილს შორის არც ისე იშვიათია ხოლმე. შვილებსა და შვილიშვილებს დაკვირვებისა და აღტაცებისათვის აქვთ გახელილი თვალი და კიდეც ეუფლებათ აღტაცების გრძნობა, რათა გადაიღონ და განავითარონ საკუთარ თავში მემკვიდრეობით გადმოცემული ნიშნები.
სენატორი კასტორპი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო. წლების სიმძიმისაგან ქედგადრეკილი მოხუცი ჯიუტად ცდილობდა, წელგამართულს ევლო, თავს ძალას ატანდა და ამიტომ ქვედა ბაგე ძირს ვითომ ღირსეულად ჰქონდა ჩამოშვებული. უკბილო მოხუცის ბაგეები შიშველ ღრძილებს ებჯინებოდა (მოხუცი ხელოვნურ ყბას მხოლოდ ჭამისას იდგამდა ხოლმე). მოხუცი ცდილობდა, უკვე შემოჩვეული თავის კანტური შეეკავებინა, ამიტომ თავი ყინჩად ეჭირა და ნიკაპს მკერდზე იბჯენდა, რაც პატარა ჰანს კასტორპს ესოდენ მოსწონდა ხოლმე.
მოხუცი ბურნუთს ვერ ელეოდა. კუს ბაკნის მოგრძო, ოქროთი ინკრუსტირებული სათუთუნე ხშირად ეჭირა ხელში. ამიტომ წითელ ცხვირსახოცებს ხმარობდა და ცხვირსახოცის ყური სერთუკის უკანა ჯიბიდან ჰქონდა ნიადაგ ამოჩრილი. მისი გარეგნობისათვის შეუფერებელი ეს სასაცილო ხინჯი შეიძლებოდა ასაკოვანი კაცისათვის მისატევებელ დაუდევრობად ჩაგეთვალათ. ხანდაზმული კაცი ამ უფლებას ან შეგნებულად ანიჭებს თავს, ან ახირებულობის გამო იქცევა ასე, ხან კი ასეთი ჩვევები ასაკს შეუცნობლად მოაქვს ხოლმე თან. ყოველ შემთხვევაში, ეს გახლდათ ბაბუის გარეგნობაში შემჩნეული ერთადერთი ზადი, რაც ჰანს კასტორპის ბავშვურად მახვილ თვალს ჰქონდა მეხსიერებაში აღბეჭდილი. ეს კი იყო, რომ არც შვიდი წლის ასაკში და არც მერე, მოწიფულობაში, შემორჩენილ მოგონებებში მოხუცის ყოველდღიური სახე მისეულად და ჭეშმარიტად როდი მიაჩნდა. სინამდვილეში ბაბუა სულ სხვანაირი გახლდათ, ჩვეულებრივზე უფრო მშვენიერი და უფრო ჭეშმარიტი, აი, ისეთი, მთელი ტანით დახატულ პორტრეტში რომ იყო გამოსახული. ის პორტრეტი უწინ ჰანს კასტორპის მშობლებს ეკიდათ სასადილო ოთახში, მერე კი პატარა ჰანს კასტორპთან ერთად ესპლანადაზე გადმობარგებულიყო და სასტუმრო ოთახში წითელაბრეშუმგადაკრული დივნის თავზე დაემკვიდრებინა ადგილი.
ჰანს ლორენც კასტორპს სურათზე რატსჰერის ტანისამოსი ეცვა, გასული საუკუნის ბიურგერის მკაცრი, თითქმის ღვთისმოსაური შესამოსელი, რომელსაც ჟამთა სრბოლაში გამოეტარებინა და პომპეზური შემთხვევებისათვის დღემდე შემოენახა იმდროინდელი საზოგადოების დარბაისლური და ამავე დროს ფხიანი იერი, რათა ცერემონიის სახით წარსული აწმყოდ, აწმყო კი წარსულად ექცია და ამით დაედასტურებინა ნივთთა მარადიული კავშირი და თავისი ვაჭრული ხელმოწერის ღირსეული უტყუარობა. მთელი ტანით გამოსახული სენატორი კასტორპი მოწითალო ფილებით მოგებულ იატაკზე იდგა ისრული, კამაროვანი თაღებისა და სვეტების ფონზე, უპეებთან ტომსიკები ეკიდა, ნიკაპი და ბაგეები ჩამოშვებული ჰქონდა და ჩაფიქრებული ლურჯი თვალებით სივრცეში იყურებოდა. მხრებზე მუხლებს ჩაცილებული, წინ გახსნილი, ანაფორასავით სრული, კიდეებსა და ქობაზე ბეწვშემოვლებული შავი მოსასხამი ეხურა. ნაოჭასხმული, არშიამოყოლებული განიერი სახელოებიდან სადა მაუდის შედარებით ვიწრო სახელოები მოუჩანდა, ხოლო მაქმანის მანჟეტები ხელის თითებს სახსრებამდე უფარავდა. კოხტად მოყვანილი ბებრული ფეხები შავი აბრეშუმის წინდებში ჰქონდა გამოკვართული, ფეხებს კი ვერცხლისბალთებიანი ფეხსაცმელები უმშვენებდა. მოხუცის ყელს ფართო, გახამებული, წინა მხრიდან ძირს ჩამოწეული, გვერდებზე კი აფშეკილი, ნაკეცებიანი ბრიჟი ებჯინებოდა, ხოლო მის ქვემოდან ჟილეტზე გადაფენილი ბატისტის მინაოჭებული ჟაბო მოჩანდა. ძველებური, ფართოფარფლებიანი, ბოლოში მოვიწროებული ქუდი მოხუცს ამოეღლიავებინა.
პორტრეტი ჩინებული გახლდათ, რომელიღაც სახელოვან მხატვარს იგი ძველი ოსტატების სტილით შეესრულებინა, რაც მოდელს კარგად შეესაბამებოდა და მჭვრეტელს ესპანური თუ ნიდერლანდური გვიანი შუასაუკუნეების წარმოდგენებს უღვიძებდა. პატარა ჰანს კასტორპი ხშირად აკვირდებოდა ამ სურათს. რა თქმა უნდა, ხელოვნების არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ბავშვური გონების თვალით

მაინც სწვდებოდა რაღაც ზოგადსა და ღრმას და თუმცა ერთადერთხელ და ისიც თვალმოკვრით ჰყავდა ნანახი რატუშაში საზეიმოდ მიმავალი ბაბუა ისეთი, როგორიც ტილოზე იყო გამოსახული, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ბაბუის ეს ხატება ჭეშმარიტად და მისეულად მიაჩნდა, ხოლო ყოველდღიური, ასე ვთქვათ, წარმავალი ბაბუა ამ ხატების დროებით, დამხმარე და ამდენად არასრულყოფილ სახედ ჰყავდა წარმოდგენილი. პატარა ჰანს კასტორპი, იქნებ მთლად მარჯვედ ვერა, მაგრამ მაინც ადარებდა ერთმანეთს ამ ხატებას და ბაბუის ყოველდღიურ სახებაშიც ხედავდა იმ წმინდა, ჭეშმარიტი სახის ნიშატგამოყოლილ რაღაც არაყოველდღიურსა და საოცარ თვისებებს, ვთქვათ, გაშეშებული საყელო და ფართო, ქათქათა ყელსახვევი ძველმოდური გახლდათ, მაგრამ არაფრით არ შეიძლებოდა იგივე გვეთქვა მისი ტანსაცმლის ზეაღმტაც ნაწილზე, სახელდობრ, ესპანურ ბრიჟზე, რომელთანაც სხვა ყველაფერი წარმავლობის საცოდავი ნიშნით დაღდასმული მოჩანდა. იგივე ითქმოდა მოდაგადასულ, წელში გამოყვანილ ცილინდრზეც, ბაბუა ქუჩაში რომ იხურავდა. ამ ცილინდრს უფრო ამაღლებულ სინამდვილეში სურათზე გამოსახული ფართოფარფლებიანი ფეტრის შლაპა შეესაბამებოდა, ხოლო გრძელკალთებიანი, მინაოჭებული სერთუკის წინამორბედად პატარა ჰანს კასტორპს ბეწვშემოვლებული ანაფორისებური მოსასხამი ესახებოდა.
ამიტომ იყო, როცა ერთ მშვენიერ დღეს ბაბუის ნეშტთან გამოსამშვიდობებლად დაუძახეს, ჰანს კასტორპმა გუნებაში გაიფიქრა,აი, ბაბუას ახლა კი დაუმშვენებია თავისი ჭეშმარიტი სახე და სრულყოფილებაო. ეს იყო სწორედ იმ დარბაზში, სადაც ბაბუა და შვილიშვილი ასე ხშირად უსხდნენ ხოლმე ერთად სასადილო მაგიდას. ახლა ჰანს ლორენც კასტორპი ამ დარბაზის შუაგულში ესვენა გვირგვინებით შემოზვინულ, ვერცხლით მოსირმულ კუბოში. იგი დიდხანს, მედგრად და თავგამეტებით ებრძოდა ფილტვების ანთებას, თუმცა გეგონებოდათ, ამქვეყნად მხოლოდ დროებით შესაგუებლად არის მოსულიო. ახლა კი იწვა გაშოტილი სამგლოვიარო სარეცელზე და ვერ გაიგებდით, სიკვდილთან ჭიდილში გაემარჯვა თუ დამარცხებულიყო. ასე იყო თუ ისე, სახეზე მშვიდი და მკაცრი იერი ეფინა, თუმცა სიკვდილთან ბრძოლაში შეცვლილიყო - ცხვირი წასწვეტებოდა. მიცვალებულს მკერდამდე პალმის რტოთი დამშვენებული სუდარა ეფარა, ხოლო თავი ისე მაღლა ედო აბრეშუმის ბალიშზე, რომ ნიკაპი საზეიმო ბრიჟზე დიდებულად განისვენებდა. მაქმანებიანი მანჟეტებით სანახევროდ დაფარული ხელები ვითომ ბუნებრივად ეწყო, მაგრამ მათგან მაინც მოქროდა სამარისეული სიცივე. განსვენებულის ხელებში სპილოს ძვლის ჯვარცმა ჩაედოთ და ასე გეგონებოდათ, ქუთუთოები დაუხრია და ჯვარცმას თვალმოუშორებლივ დასცქერისო. ჰანს კასტორპს ამ უკანასკნელი ავადმყოფობის პირველ ხანებში ბევრჯერ მოენახულებინა ბაბუა, აღსასრულისწინა დღეებში კი არ ენახა. თუმცა სიკვდილთან ჭიდილი უფრო ღამით ცხოველდებოდა, ბავშვს მაინც უფრთხილდებოდნენ და მომაკვდავს არიდებდნენ. მაგრამ ბავშვი გრძნობდა, სახლში დამთრგუნველი ატმოსფერო რომ იყო გამეფებული, მოხუცი ფიტეს დაწითლებულ თვალებსაც კარგად ამჩნევდა და ექიმების გაუთავებელ მისვლა-მოსვლასაც და ხვდებოდა, რომ ბაბუის თავს კარგი ამბავი არ იყო. ამ შედეგმა კი, რასაც დარბაზში შეეყარა პირისპირ, იგი მიახვედრა, რომ ბაბუას, ბოლოს და ბოლოს, საზეიმოდ დაეხსნა თავი წარმავალი ყოფისაგან და თავისი საკადრისი ჭეშმარიტი სახე სამარადისოდ დაემკვიდრებინა. ეს მისასალმებელი გახლდათ. მერე რა, რომ მოხუცი ფიტე ტიროდა და თავს შეუჩერებლივ აცანცარებდა, თვითონაც კი ტიროდა, როგორც მაშინ, მიცვალებულ დედას რომ უცქერდა, ან მის შემდეგ მალე გარდაცვლილ მამას რომ დასტიროდა, ასევე უცხოდ ქცეულსა და მდუმარეს.
ამ მოკლე ხანში, და ისიც ასეთ მცირეწლოვანს, სამჯერ დაატყდა თავს უბედურება და მის სულსა და გონებას - უფრო კი გონებას - თავისი დაღი დაამჩნია. სიკვდილი და მისგან მოგვრილი შთაბეჭდილებანი ახალი როდი იყო მისთვის, პირიქით, მათ უკვე ახლოს იცნობდა პატარა ჰანს კასტორპი და ახლა წინანდელზე უფრო დინჯად და გონივრულად ეჭირა თავი - თუმცა დადარდიანებული იყო, მისთვის ნერვებს არ უმტყუნია. პატარა ჰანს კასტორპს ან არ ესმოდა, ამ მოვლენებს რა პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა მისი ცხოვრებისათვის, ან ბავშვური

უდარდელობით სჯეროდა, რომ ღვთის ანაბარა არ მიაგდებდნენ. ასე იყო თუ ისე, ახლობლების კუბოსთან დგომისას რაღაცნაირ ბავშვურ გულგრილობას და საქმიან ყურადღებას იჩენდა. სიკვდილის მესამეჯერ განცდის გამო ბავშვმა თითქოს გამოცდილი და გრძნობადადინჯებული ადამიანისათვის დამახასიათებელი სერიოზულობა შეიძინა, თუმცა ახლა ცრემლსაც უფრო ხშირად ღვრიდა და სხვის მიმართაც თანაგრძნობით უფრო იოლად იმსჭვალებოდა. ეს ცვლილება სავსებით ბუნებრივი ჩანდა. ბავშვს მამის გარდაცვალებიდან სამ-ოთხ თვეში სიკვდილი გადაავიწყდა, ახლა კი ყველა იმ წუთის შთაბეჭდილება მთელი თავისი საოცარი თვისებებით კვლავ აღუდგა გონებაში და მთელი არსება განუმსჭვალა.

ეს შთაბეჭდილებანი რომ დაგვენაწევრებინა და სიტყვაში მოგვექცია, დაახლოებით ასე გამოითქმოდა: სიკვდილს თან ახლდა ღვთისმოსაური, მგრძნობიარე, ნაღვლიანი მშვენიერებით აღსავსე და ამდენად, სულიერი განცდა და ამასთან, სრულიად განსხვავებული, აშკარად საპირისპირო შეგრძნებაც - ზედმიწევნით ხორციელი, ზედმიწევნით მატერიალური, კაცი ვერც მშვენიერს, ვერც მგრძნობიარეს, ვერც ღვთისმოსაურს და ასე განსაჯეთ, სევდიანსაც რომ ვერ დაარქმევდა. საზეიმო და სასულიერო იყო მიცვალებულის პომპეზური მორთულობა, დიდებული ყვავილების ხვავი და პალმის რტოები. ესენი, როგორც ვიცით, ზეციურ სასუფეველს ასახიერებენ. სიკვდილის ამ თვისებას კი უფრო ძლიერად და თვალსაჩინოდ მიანიშნებდნენ ყოფილი ბაბუის გაშეშებულ თითებში ჩადებული ჯვარცმა, კუბოს თავთან თორვალდსენის ლოცვად ხელაპყრობილი მაცხოვრის ქანდაკება და ორივე მხარეს აღმართული კანდელაბრები, რომლებსაც ამ გარემოებაში საეკლესიო იერი მიეღოთ. ყველა ამ ატრიბუტის უფრო ზუსტი და კეთილისმყოფელი აზრი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ბაბუა მისეულ და ჭეშმარიტ სახეს უკვე სამარადისოდ დაჰბრუნებოდა.

პატარა ჰანს კასტორპი თავის თავსაც არ უტყდებოდა, თორემ კარგად ხვდებოდა, რომ ყველაფერს ერთად, განსაკუთრებით კი ყვავილების მთებს და მათ შორის ყველაზე ჭარბად დახვავებულ ტუბეროზებს, კიდევ სხვა პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდათ - მათ უნდა გაემშვენიერებინათ, დაეხშოთ და ცნობიერებამდე არ მიეშვათ სიკვდილთან დაკავშირებული ის მეორე რაღაც, რომელიც არც მშვენიერი იყო, არც სევდას აღძრავდა და თითქმის უხამსი, მდაბალი ხორციელი ბუნებისა გახლდათ.

ალბათ, ამის ბრალი თუ იყო, რომ მკვდარი ბაბუა ასე უცხო გამხდარიყო, თითქოს ბაბუის მაგიერ სიკვდილს ნატურალური ზომის ცვილის ტიკინა შემოეტყუებინა და ყველაეს ღვთისმსახურება და ზარ-ზეიმი მისთვის იხარჯებოდა. ვინც აქ იწვა, უფრო სწორად, რაც აქ იდო, თვითონ ბაბუა არ იყო, ეს გახლდათ მისი გარსი, რომელიც, ჰანს კასტორპმაც კარგად იცოდა, რომ სანთლისგან კი არა, მისი საკუთარი მატერიისაგან, მხოლოდ და მხოლოდ მატერიისგან შედგებოდა. სწორედ ეს გახლდათ ის რაღაც უხამსი, სევდას თითქმის რომ არ აღძრავდა, როგორც არასოდეს იწვევს ხოლმე სევდას ისეთი საგანი, რომელსაც მხოლოდ სხეული ეთქმის. პატარა ჰანს კასტორპი გულმოდგინედ აკვირდებოდა სანთლისფერ, პრიალა, გაქვავებული ყველივით მაგარ მატერიას, რისგანაც ეს ადამიანისოდენა უსულო სხეული შედგებოდა, თვალს არ აცილებდა ყოფილი ბაბუის სახესა და ხელებს. სწორედ ამ დროს ბაბუის უძრავ შუბლზე ბუზი დააფრინდა და ხორთუმი ააცმაცუნა. მოხუცმა ფიტემ ბუზს ფრთხილად აუქშია, უცაბედად მიცვალებულის შუბლზე არ მომიხვდეს ხელიო. ამ დროს სახე ისე დარბაისლურად მოეღუშა, აქაოდა, არც უფლება მაქვს და არც მსურს ვიცოდე, რას ვაკეთებო. ფიტეს სახეზე გამოხატული ზნეკეთილობა აშკარად მოწმობდა, რომ ბაბუა ახლა მხოლოდ სხეული იყო და სხვა აღარაფერი. ბუზი აფრინდა და მიცვალებულს ახლა სპილოს ძვლის ჯვარცმის ახლოს დააჯდა თითზე. ამის შემყურე ჰანს კასტორპმა უწინდელზე უფრო აშკარად იგრძნო ადრიდანვე ნაცნობი, სუსტი, მაგრამ თავისებურად მყრალი სუნი, რომელმაც თავისდა სამარცხვინოდ ერთი მანკიერებით შეპყრობილი და ყველასგან გარიყული სკოლის ამხანაგი გაახსენა. ეს სუნი მიცვალებულთან სულ ახლოს ჩარიგებული ტუბეროზების სურნელს უნდა ჩაეხშო, მაგრამ ეტყობოდა, მათი დიდებულება და სიმკაცრე საქმეს ვერაფერს შველოდა.

პატარა ჰანს კასტორპი რამდენჯერმე იდგა კუბოსთან. ერთხელ მოხუც ფიტესთან ერთად, მეორეჯერ დედის ბიძის, ღვინის ვაჭარ ტინაპელისა და ბიძების - ჯეიმსისა და პეტერის გვერდით, შემდეგ - მესამეჯერაც, როცა საკვირაოდ გამოწყობილი ნავსადგურის მუშები რამდენიმე წუთით შეჯგუფდნენ თავახდილ კუბოსთან, რათა სავაჭრო სახლის, „კასტორპისა და ვაჟიშვილის“ ყოფილი შეფისთვის უკანასკნელი მშვიდობა ეთქვათ.
დადგა დაკრძალვის დღეც. დარბაზი ხალხით გაიჭედა და ესპანური ბრიჟით ყელდამშვენებულმა წმინდა მიქაელის ეკლესიის პასტორმა ბუგენჰაგენმა, სწორედ მან, ვინც ჰანს კასტორპი მონათლა, ბაბუის სულის მოსახსენიებელი ლოცვა აღავლინა: შემდეგ პასტორი პატარა ჰანს კასტორპთან ერთად ჩაჯდა ბალდახინის უკან მიმავალ პირველ დროშკაში და ბავშვს გულთბილი საუბარი გაუბა. მათ უკან ეტლების გრძელი, გრძელი მწკრივი გაიჭიმა. ამით დასრულდა ცხოვრების ეს მონაკვეთიც და ჰანს კასტორპმა თავისი ცხოვრების ასეთ მოკლე მანძილზე მეორეჯერ გამოიცვალა სახლი და გარემო.

ტინაპელებთან ცხოვრებისა და ჰანს კასტორპის სულიერი მდგომარეობის ამბავი

ჰანს კასტორპს ბედზე სამდურავი არ ეთქმოდა - იგი თავისი მეურვის, კონსულ ტინაპელის სახლში გადაბარგდა, სადაც არც თვითონ აკლდა რამე და არც მისი ინტერესები შელახულა, თუმცა ამ უკანასკნელისა მაშინ არაფერი გაეგებოდა. რაკი კასტორპების მემკვიდრეობას განსვენებული დედის ბიძა, კონსული ტინაპელი განაგებდა, მან ჯერ უძრავი ქონება გაყიდა, მერე საექსპორტო და საიმპორტო ფირმა „კასტორპისა და ვაჟიშვილის“ ლიკვიდაციასაც თვითონ მოჰკიდა ხელი და საბოლოოდ თითქმის ოთხასი ათას მარკას მოუყარა თავი. ჰანს კასტორპის მემკვიდრეობა კონსულმა ტინაპელმა საიმედო აქციებში დააბანდა და ყოველი კვარტალის დასაწყისში შემოსული პროცენტებიდან ორ პროცენტ საკომისიო გასამრჯელოს ნათესაური გრძნობების შეუბღალავად მიითვლიდა ხოლმე.
ტინაპელების სახლი ბაღის სიღრმეში იდგა ჰარვეშტეჰუდის გზაზე. ერთ მხარეს ფაქიზად მოვლილი მოლი ეკრა, სადაც ერთი სარეველა ბალახი ვერ გაიჭაჭანებდა, მეორე მხარეს - სახელმწიფო სავარდე, მესამე მხრით კი სახლი მდინარეს გადაჰყურებდა. კონსულს ჩინებული ეტლი ჰყავდა, მაგრამ ყოველ დილით ფეხით მიდიოდა ქალაქის ძველ უბანში, თავის კანტორაში, და ხუთი საათისათვის ფეხითვე ბრუნდებოდა უკან, რადგან ხანდახან სისხლი თავში უვარდებოდა და მისთვის მოძრაობა აუცილებელი იყო. კონსული მოვიდოდა თუ არა, ტინაპელები ფრიად კულტურულად ისადილებდნენ. კონსული დარბაისელი კაცი გახლდათ, მუდამ საუკეთესო ინგლისური ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი ეცვა, დაფორეჯებულ ცხვირზე წამოდგმული ოქროს პენსნედან წყლისფერი გადმოკარკლული თვალები მოუჩანდა, ჭაღარაშერთული წვერი კი მეზღვაურულ ყაიდაზე ჰქონდა დაყენებული. მარცხენა ხელის კოტიტა ნეკზე ბრილიანტი უკაშკაშებდა. ცოლი დიდი ხანია მოჰკვდომოდა. კონსულს ორი ვაჟი ჰყავდა - პეტერი და ჯეიმსი. ერთი ვაჟი ფლოტში მსახურობდა და შინ იშვიათად ჩამოდიოდა, მეორე კი ღვინის სავაჭრო ფირმაში შველოდა მამას და ფირმის მემკვიდრედაც ის გახლდათ აღიარებული. ოჯახს დიდი ხანი იყო, ერთი ალტონელი ოქრომჭედლის ქალიშვილი, ფროილაინ შალეენი უძღვებოდა. შალეენს მუთაქებივით მაჯებს თეთრი, გახამებული ფურჩალები უმშვენებდა. მას თვალი ეჭირა, რომ საუზმეზე და ვახშმად სუფრას არ დაჰკლებოდა ცივი საუზმე - კიბორჩხალები და ორაგული, გველთევზა, ბატის მკერდი და როსტბიფისათვის შემზადებული ტომატიანი სოუსი. შალეენი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს წვეულებებზე დაქირავებულ მსახურებს და შალეენი გახლდათ ის ქალიც, ვინც პატარა ჰანს კასტორპს შეძლებისდაგვარად დედის მაგივრობას უწევდა.
ჰანს კასტორპი იზრდებოდა ცუდ კლიმატურ პირობებში, ქარსა და ნისლში, იზრდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყვითელ რეზინის ლაბადაში გამოხვეული და თავს საერთოდ არხეინად გრძნობდა. დაბადებიდან სისხლნაკლული იყო, დოქტორი ჰაიდეკინდიც ამ აზრისა გახლდათ და მისი ბრძანებით სკოლიდან

დაბრუნებულ ჰანს კასტორპს ნასაუზმევს მთელ ჭიქა პორტერს ასმევდნენ ხოლმე. პორტერი, მოგეხსენებათ, მარგებელი სასმელია, ხოლო დოქტორი ჰაიდეკინდი მას სისხლის მომამატებელ თვისებასაც მიაწერდა. ყოველ შემთხვევაში, პორტერი ჰანს კასტორპზე სასიკეთოდ მოქმედებდა, თანაც, როგორც ბიძია ტინაპელი იტყოდა ხოლმე, თვლემისაკენ მის მიდრეკილებას, ესე იგი, პირღია ჯდომასა და სივრცეში ოცნებით ყურებას, ჩინებულ სამსახურს უწევდა. სხვა მხრივ ჰანს კასტორპი ჯანმრთელი იყო და მარჯვეც, ჩოგანს გვარიანად სცემდა, ნიჩაბსაც კოხტად უსვამდა, თუმცა ნიჩბის მოსმას ზაფხულის საღამოს ულენჰორსტერის მებორნის სახლის ტერასაზე ჯდომა, მუსიკის მოსმენა და კარგი სასმელი ერჩია. იჯდა და უყურებდა გაჩახჩახებულ ნავებსა და მათ შორის ნაირფრად ალაპლაპებულ წყლის ზედაპირზე მოცურავე გედებს. ახლა მისი საუბრისათვის უნდა დაგეგდოთ ყური: ლაპარაკობდა დინჯად, ჭკვიანურად, ცოტა ყრუ და მონოტონური ხმით და ოდნავ ქვემოგერმანულად უქცევდა. საკმარისი იყო, ერთი შეგეხედათ ამ ქერა კორექტული ყმაწვილისათვის, მისი კოხტად მოყვანილი, როგორღაც ძველებური იერით შემკული თავისთვის, გულგრილ და მოდუნებულ მიხრა-მოხრაში თანდაყოლილი და შეუცნობელი მედიდურება რომ ეტყობოდა, უეჭველად დაასკვნიდით, ჩვენი ჰანს კასტორპი მშობლიური მიწის ჭეშმარიტი და ღირსეული პირმშოა და აქაურ ნიადაგს ჩინებულად არის შეზრდილიო. იგივე კითხვა თვითონაც რომ დაესვა საკუთარი თავისთვის, ამ აზრის ჭეშმარიტებაში წამითაც არ შეეპარებოდა ეჭვი.

აქაურობა დიდი ზღვისპირა ქალაქის მსოფლიო ვაჭრული სულითა და შეძლებული ცხოვრებისაგან დანესტიანებული ატმოსფეროთი სუნთქავდა. ამ ჰაერით სულდგმულობდნენ მისი მამა-პაპანი. მათი სულისკვეთებით გაჟღენთილი ჰანს კასტორპიც გულარხეინად ყლაპავდა ამავე ჰაერს და დარწმუნებულიც გახლდათ, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა. იყნოსავდა წყლის, ნახშირისა და კუპრის ანაორთქლს, დახვავებული კოლონიურისაქონლის მწვავე სუნი ცხვირში უღიტინებდა, უყურებდა, როგორ ჰბაძავდნენ უშველებელი ამწეები სიდინჯეში, გონიერებასა და გოლიათურ ღონეში სასაპალნე სპილოებს, როგორ ხაპავდნენ ნავსადგურში ჩამომდგარი გემების სტომაქიდან ტონობით ტვირთს: ტომრებს, ნაკრაულებს, ყუთებს, კასრებსა და ბალონებს და ვაგონებსა და საწყობებში როგორ ტვირთავდნენ. ხედავდა მასავით რეზინის ყვითელ ლაბადებში გამოწყობილ სოვდაგრებს, შუადღისას ბირჟისაკენ რომ მიიჩქაროდნენ. იქ, როგორც თავად იცოდა, დიდი გაწამაწია იყო ხოლმე. სულ იოლად შეიძლებოდა ვინმე ისეთ დღეში ჩავარდნილიყო, რომ კრედიტის ვადის გასაგრძელებლად სასწრაფოდ დასჭირვებოდა ნადიმზე მოსაპატიჟებელი ბარათებისდაგზავნა. ხედავდა აზრიალებულ ვერფებს (შემდგომ სწორედ ეს ადგილი გახდა მისი განსაკუთრებული ინტერესის სფერო), უყურებდა აზიაში და აფრიკაში მონაოსნე გემების დოკებზე შემდგარ მამონტივით ზონზროხა სხეულებს, ხრახნებ და ხერხემალგაშიშვლებულ, კოშკივით დაყუდებულ ხომალდებს, რომლებსაც მორის სისხო ხიმინჯები ჰქონდათ შეყენებული. მშრალზე ამოგდებული ვეშაპივით უმწეო გემებს ჭიანჭველებივით შესეოდა მუშების ლაშქარი - ზოგი რანდავდა, ზოგი აჭედებდა, ზოგი ღებავდა, იქით კი კვამლის ბოლქვებში გახვეულ გადახურულ ელინგებში მომავალი გემების ჩონჩხები აწოწილიყვნენ. ინჟინრებს ხელში ნახაზები და ლენცის ცხრილები ეჭირათ და მშენებლებს მითითებებს აძლევდნენ. ეს სანახაობა ჰანს კასტორპს სიყმაწვილიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული და მის გულში მხოლოდ მშობლიურ, თბილ გრძნობებს აღძრავდა, ხოლო ეს გრძნობები უმაღლეს წერტილს აღწევდნენ, როცა კვირა დილით ჯეიმს ტინაპელთან ან თავის ბიძაშვილ იოახიმ ციმსენთან ერთად ალსტერის პავილიონში თბილ-თბილ ფუნთუშებსა და შებოლილ ხორცს შეექცეოდა, ზედ ერთ ჭიქა ძველ პორტვეინსაც დააყოლებდა და ნასაუზმევს სკამზე გადაწოლილი თავის სიგარას ნებიერად გააბოლებდა ხოლმე. სწორედ ასეთ ყოფაში ჩანდა მისი ჭეშმარიტი ბუნება, ტკბილი ცხოვრება რომ უყვარდა და სისხლნაკლულობის წყალობით დახვეწილი გარეგნობის მიუხედავად, დედის ძუძუზე გაწუწკებული ჩვილივით ხარბად და ჯიუტად რომ ეწაფებოდა ამ ცხოვრების უხეშ სიამეთ.

იგი არხეინად და საკმაოდ ღირსეულად ატარებდა მხრებით იმ მაღალი ცივილიზაციის ტვირთს, ქალაქის ვაჭართა დემოკრატიის გაბატონებული

ზედაფენა თავის შვილებს მემკვიდრეობით რომ გადასცემდა ხოლმე. ჩვილივით მუდამ სუფთად დაბანილ-დავარცხნილი ყმაწვილი თავის წრეში აღიარებულ მკერავთან იმოსებოდა, ხოლო მისი ინგლისური კარადის უჯრებში ჩალაგებული ვენზელამოქარგული თეთრეულის მცირე მარაგს დიდი გულმოდგინებით უვლიდა შალეენი. ჰანს კასტორპი თავის ქალაქს რომ იყო მოცილებული, დასაკემსად და დასარეცხად თეთრეულს შინ გზავნიდა (რადგან მტკიცედ გახლდათ დარწმუნებული, რომ მთელ სახელმწიფოში უთოობის ყადრი მხოლოდ ჰამბურგში იცოდნენ) და მის რომელიმე მოხდენილ ფერად პერანგს ერთი მანჟეტი რომ დაჭმუჭნოდა, გული უსევდიანდებოდა ხოლმე. არცთუ არისტოკრატულად მოყვანილ, მაგრამ მუდამ სათუთად მოვლილ ხელებს პლატინის ჯაჭვისებურად ნაგრეხი სამაჯური და საგვარეულო ტვიფრიანი ბეჭედი უმშვენებდა. კბილები არ უვარგოდა, ხშირად სტკიოდა და ზედ ოქროს გვირგვინები ჰქონდა გადაკრული.
დგომისას და სიარულში მუცელს ოდნავ წინ აგდებდა და ეს ახოვანებას უკარგავდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სუფრასთან ჩინებულად ეჭირა თავი. წელგამართული იჯდა, თუ ვინმე დაელაპარაკებოდა, თავაზიანად მოუტრიალდებოდა (ლაპარაკობდა დინჯად და ოდნავ ქვემოგერმანულად უქცევდა). ფრინველის ხორცს ძვლებს თუ აცლიდა, ან სპეციალური ჩანგლით ასთაკვის მარწუხებიდან ვარდისფერ ხორცს თუ იღებდა, მაშინ იდაყვებს მსუბუქად აბჯენდა მაგიდას. სადილის შემდეგ პირველი მოთხოვნილება უჩნდებოდა, სურნელოვანი წყლით სავსე თასში ამოებანა თითები, მეორე მოთხოვნილება კი რუსული პაპიროსის მოწევა გახლდათ. ამ პაპიროსებში ბაჟი არ იყო გადახდილი, ისინი უწყინარი მაქინაციების წყალობით ჰქონდა ნაყიდი. პაპიროსი წინ უძღოდა ბრემენული მარკის ფრიად სასიამოვნო სიგარას (ამ სიგარაზე სხვა დროსაც გვექნება საუბარი), რომლის სურნელოვანი შხამი ასე მშვენივრად ერწყმოდა ყავის არომატს და დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა. ჰანს კასტორპი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავის თამბაქოს, ორთქლის გათბობამ არ გამიფუჭოსო და სარდაფში ინახავდა, სადაც ყოველ დილით ჩადიოდა და სათუთუნეში დღიურ ულუფას იღებდა ხოლმე, კარაქი კი ნაჭრებად თუ იყო დანაწილებული და არა კოხტად დაღარულ ბურთულებად, ყელში გაჭირვებით გადაუდიოდა.
როგორც ხედავთ, სულ იმის ფიქრში ვართ, მისი საქებარი არაფერი დაგვრჩეს მოუხსენიებელი, ოღონდ არაფერი გაგვიზვიადებია და ჰანს კასტორპი რაც გახლდათ, იმაზე არც უარესი გამოგვიყვანია და არც უკეთესი. იგი არც გენიოსი იყო და არც სულელი და თუ მისი დახასიათებისას სიტყვა „საშუალოს“ გავურბივართ, ამას არც მის გონებასთან და მით უმეტეს, მის უპრეტენზიო პიროვნებასთან ხომ საერთო არა აქვს რა. ასე მხოლოდ მისი ბედისადმი პატივისცემის გამო ვიქცევით, რომელსაც ვაპირებთ ერთგვარი ზეპირადული მნიშვნელობა მივანიჭოთ. მისი ტვინი რეალური გიმნაზიისმოთხოვნილებებს უმკლავდებოდა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, თავს მაინც არ შეიწუხებდა და არაფრის გულისათვის არ გაირჯებოდა ზედმეტად. იმის შიშით კი არა, თავს რაიმე ზიანი არ მივაყენოო, უფრო იმიტომ, რომ ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავდა, უფრო სწორად, ვერავითარ აუცილებელ მიზეზს ვერ ხედავდა, თავისთვის გაეჭირვებინა. იქნებ ამიტომაც არ გვინდა მას „საშუალო“ ვუწოდოთ, ასეთი მიზეზების არარსებობას რაღაცნაირად რომ შეიგრძნობდა.
ადამიანი მარტოოდენ ინდივიდი კი არ არის, მხოლოდ თავისი პირადული ცხოვრებით რომ იცხოვროს, იგი შეგნებულად თუ შეუგნებლად თავის თანამედროვე საზოგადოებისა და ეპოქის სულისკვეთებითაც ცხოვრობს. იქნებ ადამიანს ბუნებრივად და აუცილებლადაც კი მიაჩნდეს თავისი არსებობის ზოგადი, არაპირადული საფუძვლები და გულშიაც კი არ გაივლოს, მათ კრიტიკული თვალით შეხედოს ისევე, როგორც ამას არ იფიქრებდა ჩვენი ჰანს კასტორპი, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ბუნდოვნად მაინც იგრძნოს, როგორ იბღალებამისი საკუთარი კეთილზნეობა საზოგადოების მანკიერებით. შესაძლოა ცალკეულ ადამიანებს თვალწინ უთამაშებდეთ ისეთი პირადული მიზნები, მისწრაფებანი, იმედები და პერსპექტივები, რომლებიც კაცს ძალას მატებენ და უფრო ამაღლებული საქმისათვის აძლევენ იმპულსებს, მაგრამ თუკი საერთო

გარემო და თვით ეპოქა გარეგნული მჩქეფარების მიუხედავად საფუძველშივე მოკლებულია იმედებსა და პერსპექტივებს, თუკი პიროვნებისათვის აშკარა ხდება მისი უსასოობა, უპერსპექტივობა და უმწეობა, თუკი ეპოქა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, დასმულ კითხვას ყოველი საქმისა და მოღვაწეობის ზეპირადულ ჭეშმარიტ აზრზე სამარისებური დუმილით უპასუხებს, მაშინ ასეთი ვითარება კაცობრიობის შედარებით კეთილსინდისიერ ნაწილს თითქმის გარდაუვლად აძაბუნებს, ხოლო მისი დამთრგუნველი ძალა მარტოოდენ სულიერ და მორალურ სამყაროზე როდი მოქმედებს. იგი შეიძლება ინდივიდის ფიზიკურ და ორგანულ სისტემაზეც გავრცელდეს. განა შესაძლებელია ყოველდღიურობაზე ამაღლებული, მნიშვნელოვანი მოღვაწეობა, როცა დროება დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ გაძლევს კითხვაზე რისთვის“? ამისათვის ან ზნეობრივი მარტოსულობა და უშუალობაა საჭირო, რაც იშვიათია და ჰეროიკული ბუნებისა გახლავთ, ან ჯან-ღონით სავსე ვიტალურობა. ჰანს კასტორპს არც ერთი გააჩნდა და არც მეორე და ამიტომ მისთვის მართლაც შეიძლებოდა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, „საშუალო“ ადამიანი გვეწოდებინა.

ჩვენ აქ ყმაწვილი კაცის მხოლოდ სკოლის დროინდელ სულიერ წყობაზე არ გვისაუბრია. მომდევნო წლებსაც გადავწვდით, როცა ჰანს კასტორპს თავისი სამოქალაქო პროფესია უკვე არჩეული ჰქონდა. რაც შეეხება მისი მოწაფეობის ხანას, ერთი-ორჯერ დარჩა კიდევაც იმავე კლასში, მაგრამ საერთო ჯამში ჩამომავლობამ, ურბანისტულმა აღზრდამ და ბოლოს მათემატიკის, მართალია, უნდილმა, მაგრამ მაინც ჩინებულმა ნიჭმა უშველა. ერთწლიანი კურსის მოსმენის მოწმობა რომ მიიღო, გადაწყვიტა, გიმნაზია დაემთავრებინა. სიმართლე თუ გნებავთ, ამ გზას უფრო იმიტომ დაადგა, რომ უკვე შესისხლხორცებული გაურკვეველი ყოფა გაეხანგრძლივებინა, დრო მოეგო და უფრო მეტი ეფიქრა, საბოლოოდ რა უნდა გამოსულიყო.

ეს საკითხი, ადრე რა სათქმელია და, უფროს კლასებში რომ იყო, მაშინაც არ ჰქონდა მოფიქრებული. როცა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო (თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება თვითონ მიიღოო, რომ გვეთქვა, მეტისმეტი მოგვივიდოდა), იგრძნო, რომ ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა სულ სხვა გზას დასდგომოდა.

ისე, ხომალდები მართლა ყოველთვის უყვარდა. სულ პატარა ბიჭი იყო, თავისი ბლოკნოტების ფურცლებს მეთევზეთა ნავების, ბოსტნეულით დატვირთული კანჯოებისა და ხუთანძიანი ხომალდების ნახატებით რომ აჭრელებდა. თხუთმეტი წლისას ნება დართეს, გამორჩეული ადგილიდან ეყურებინა, როგორ უშვებდნენ „ბლომისა და ფოსის“ ფირმის ახალ, ორხრახნიან საფოსტო ორთქლის გემს „ჰანზას“ წყალში და მერე აკვარელით ისე ჩინებულად და ზედმიწევნით ზუსტად დახატა ეს კოხტა ხომალდი, რომ კონსულმა ტინაპელმა სურათი თავის კანტორაში დააკიდებინა. ტილოზე ისეთი დიდი სიყვარულითა და ხელოვნებით იყო გადმოცემული ატორტმანებული ზღვის გამჭვირვალება და ბოთლისებური სიმწვანე, რომ ვიღაცამ კონსულ ტინაპელს ისიც კი უთხრა, ამ ბიჭს ტალანტი აქვს და მისგან კარგი მარინისტი მხატვარი დადგებაო. კონსულ ტინაპელს შეეძლო ეს აზრი თავისი გაზრდილისათვის მშვიდად მოეხსენებინა, რადგან ჰანს კასტორპმა მხოლოდ გულკეთილად გაიცინა და გულში წამითაც არ გაუვლია, ექსცენტრიკულ სურვილებს აჰყოლოდა და თავი სიღატაკისა და შიმშილობისათვის გაემეტებინა.

- ქონება დიდი არა გაქვს, - ეუბნებოდა ხოლმე ძია ტინაპელი, - ჩემი ფული, ძირითადად, ჯეიმსსა და პეტერს ერგებათ. ესე იგი, იგი საქმეში დარჩება და პეტერი თავის რენტას მიიღებს ხოლმე. შენი ქონება სარფიანადაა დაბანდებული და ნაღდი შემოსავალი მოაქვს, მაგრამ დღეს რომ პროცენტებით იცხოვრო კაცმა, შენზე სულ ცოტა, ხუთჯერ მეტი მაინც უნდა ჰქონდეს ფული. თუკი გინდა ქალაქში კაცად გთვლიდნენ და თუ აპირებ,ჩვეული ცხოვრება განაგრძო, შენს შემოსავალს ყოველთვიურად გვარიანად უნდა მიუმატო ხოლმე. ეს კარგად გახსოვდეს, ჩემო შვილო.

ჰანს კასტორპმა კარგად დაიმახსოვრა ბიძის შეგონება და ისეთ პროფესიას დაუწყო ძებნა, ხალხის თვალშიც რომ დასდებდა ფასს და საკუთარ თვალშიაც რომ აამაღლებდა. ჰოდა, იპოვა კიდეც. ეს ამბავი ფირმა ტუნდერ და

ვილმსის“ კომპანიონის, მოხუცი ვილმსის ინიციატივით მოხდა. მოხუცმა ვილმსმა ერთ-ერთ შაბათს, ვისტის თამაშისას უთხრა კონსულ ტინაპელს, თავში ნამდვილად დიდებული აზრი მომივიდა, ჰანს კასტორპმა გემთმშენებლობა შეისწავლოს, ჩემს ფირმაში იმუშავებს და ყმაწვილზე მეც თვალი მეჭირებაო. აქედან მოყოლებული, ჰანს კასტორპი დიდად აფასებდა თავის პროფესიას და ამბობდა, თუმცა თავბედს გაწყევლინებს ისეთი რთული და დამქანცველია ჩემი პროფესია, სამაგიეროდ, ჩინებული, მნიშვნელოვანი და დიდებული რამ არისო. ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპი დარწმუნებული გახლდათ, ეს პროფესია ზედგამოჭრილია ჩემსავით წყნარი კაცისათვის და ბევრად სჯობია განსვენებული დედაჩემის არაღვიძლი დის შვილის, იოახიმ ციმსენის არჩევანს, რომელსაც აუჩემებია, გინდა თუ არა, ოფიცერი უნდა გავხდეო. ესეც არ იყოს, იოახიმ ციმსენს სუსტი ფილტვები აქვს, მისთვის ისეთი პროფესია, რომელსაც ჭკუა-გონების დიდი დაძაბვა არ სჭირდება და თანმეტწილად ჰაერზეც მოუხდება ჰოფნა, ზედგამოჭრილი არისო, - ოდნავ აგდებულად ფიქრობდა თავის გულში ჰანს კასტორპი. ასე იმიტომ ფიქრობდა, რომ შრომას დიდ პატივს სცემდა, თუმცა პირადად თვითონ მუშაობისაგან ძალიან ადვილად იქანცებოდა ხოლმე.

აქ დავუბრუნდებით ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მინიშნებას: თუკი ეპოქა გავლენას ახდენს ადამიანის პირად ცხოვრებაზე, მაშინ მას თავისუფლად შეუძლია ადამიანის ორგანიზმზეც იმოქმედოს. ჰოდა, განა შეიძლებოდა ჰანს კასტორპს პატივი არ ეცა შრომისათვის? ეს ხომ არაბუნებრივი იქნებოდა. მის გარშემო ქვეყანა ისე იყო მოწყობილი, რომ შრომა აუცილებლად უნდა მიეჩნია უდიდესი პატივისცემის ღირსად, შრომაზე უფრო დასაფასებელი არაფერი არსებობდა ამ ქვეყანაზე, ის გახლდათ ადამიანის ყოფნა-არყოფნის პრინციპი, დროების აბსოლუტი, რომელიც თავის თავს, ასე ვთქვათ, თვითონვე პასუხობდა. ჰანს კასტორპი შრომას რელიგიური მოწიწებით შეჰყურებდა და მის ღირსებას რამდენადაც გაეგებოდა, ჭეშმარიტად მიიჩნევდა. სხვა საქმეა, თვითონ შრომა უყვარდა თუ არა. არა, მიუხედავად დიდი პატივისცემისა, შრომის სიყვარული მას არ შეეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მუშაობას ვერ ეწყობოდა - დაძაბული შრომა ნერვებს უწეწავდა, მალე აცლიდა ქანცს და იგიც სრულიად გულახდილად აღიარებდა, რომ მუშაობას მოცალეობა ერჩივნა, ჭაპანწყვეტით შეუბორკავი, გაუჭირვებელი მოცალეობა, კბილთა ღრჭენით გადასალახავი დაბრკოლებებით რომ არ ექნებოდა დამძიმებული. კაცმა რომ თქვას, შრომისადმი მის დამოკიდებულებაში გაჩენილი ეს წინააღმდეგობა დაძლევას მოითხოვდა. იქნებ მისი სხეული და გონი, უფრო სწორად, ჯერ გონი და მისი მეშვეობით სხეულიც, შრომას მეტი ხალისითა და გულმოდგინებით მოჰკიდებოდა, სულის სიღრმეში, იქ, სადაც, თვითონაც ებნეოდა თავგზა, მართლა რომ ეწამებინა შრომის ჭეშმარიტი ფასი და გული ამით დაეშოშმინებინა. აქ კვლავ წამოიჭრება კითხვა: ჰანს კასტორპი საშუალო ადამიანი იყო თუ საშუალოზე აღმატებული? ამ კითხვაზე არაფრისდიდებით არ გვინდა გადაჭრით გავცეთ პასუხი. ჩვენი თავი სულაც არ მიგვაჩნია ჰანს კასტორპის მეხოტბედ და ამიტომ ერთ ვარაუდს ვუტოვებთ გასაქანს: ჩვენი აზრით, შრომა ცოტათი ხელს უშლიდა ჰანს კასტორპს, „მარია მანჩინით“ უღრუბლოდ დამტკბარიყო.

ჰანს კასტორპი სამხედრო სამსახურში არ გაუწვევიათ. სამხედრო სამსახურს მისი ბუნება ვერ შეეწყობოდა და, ალბათ, ამან თუ შეუშალა ხელი. ანდა ვინ იცის, იქნებ სამხედრო ექიმ დოქტორ ებერდინგს, რომელიც ჰარვეშტეჰუდის გზაზე ხშირად დაიარებოდა, კონსულმა ტინაპელმა სხვათა შორის ჩააწვეთა კიდეც, ახალგაზრდა კასტორპს იარაღში იძულებით ჩაჯდომამ უცხო მხარეში ეს-ესაა დაწყებულ სწავლა-განათლებაში ხელი არ შეუშალოსო.

ჰანს კასტორპის თავი ნელა და დუნედ მუშაობდა, მით უმეტეს, რომ უცხო მხარეშიც არ უღალატია ძველი ჩვეულებისათვის და საუზმეზე ყოველდღე პორტერს წრუპავდა ხოლმე. თავი ნელ-ნელა ევსებოდა ანალიზური და მხაზველობით გეომეტრიით, დიფერენციალური განტოლებებით, მექანიკითა და გრაფოსტატიკით, გულმოდგინედ სწავლობდა დატვირთული და დაუტვირთავი ხომალდის წყალწყვის ანგარიშს, სტაბილურობას, დიფერენტულ ცვლილებებსა და მეტაცენტრს, თუმცა ხანდახან ჭირის ოფლში იწურებოდა. მისი ტექნიკური ნახაზები: შპანჰოუტები, ვატერხაზები და სიგრძივი კვეთები ოსტატობით ბევრად

ჩამორჩებოდა ატალღებულ ზღვაზე დახატულ ჰანზას“, მაგრამ სადაც კი გონისმიერი თვალსაჩინოებისა და გრძნობადის შერწყმა გახდებოდა საჭირო, ტუშით ჩრდილების გამოყვანა იქნებოდა ეს თუ განივკვეთების გაფერადება - ასეთი საქმე ჰანს კასტორპს ბევრ თანაჯგუფელზე მარჯვედ გამოუდიოდა ხოლმე. არდადეგებზე შინ რომ ჩავიდოდა, ხალხი ინტერესით უჭვრეტდა. ზედმიწევნით სუფთად და კოხტად ეცვა, მთვლემარე, პატრიციულ სახესწითური, კოკობი ულვაში უმშვენებდა და გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ცხოვრებაში ღირსეული ადგილის დაკავებას აპირებდა. ქალაქის საქმეებზე თავგადაკლული ბიურგერები, რომლებიც ასევე კარგად ერკვეოდნენ ოჯახურ და პირად ურთიერთობებში - რამეთუ ასეთი გახლავთ თვითმმართველი ქალაქ-სახელმწიფოს მოქალაქეთა უმეტესობა - თავიანთ თავს ეკითხებოდნენ, ნეტავ ეს ყმაწვილი ერთ მშვენიერ დღეს რა როლს ითამაშებს საზოგადოებაშიო. მოგეხსენებათ, იგი ტრადიციული ოჯახის შთამომავალი და კარგი გვარიშვილი გახლდათ. ჰოდა, დადგებოდა დღე, როცა მისი პიროვნება პოლიტიკურ ფაქტორად გადაიქცეოდა და მისთვის ანგარიშის გაწევა მოუხდებოდათ. იგი ან ქალაქის გამგეობის წევრი გახდებოდა, ან ბიურგერთა კომისიისა. კანონებს გამოუშვებდა, ჩადგებოდა ქალაქის სუვერენიტეტის დაცვის საპატიო სამსახურში, უმეთაურებდა ქალაქის რომელიმე სამმართველოს - საფინანსო დეპუტაციას, ან იქნებ სამშენებლო დეპუტაციასაც კი, და მაშინ მისი ხმა ყურად უნდა ეღოთ და მისთვის ანგარიში უნდა გაეწიათ... ისიც საინტერესო იყო, ახალგაზრდა კასტორპი რომელ პარტიას მიემხრობოდა. თუმცა გარეგნობას შეიძლებოდა შეცდომაში შეეყვანა კაცი, მაგრამ ჰანს კასტორპი გარეგნულად დემოკრატების საიმედო კაცს მაინც არ ჰგავდა და არა. იგი ზედგამოჭრილი ბაბუამისი გახლდათ. მერედა ვითომ ბაბუასავით აღუდგებოდა წინ ყოველგვარ სიახლეს და კონსერვატული ელემენტი გახდებოდა? ვინ იცის, თუმცა შესაძლოა, პირიქითაც მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, ჰანს კასტორპი ხომ ინჟინერი იყო, მომავალი გემთმშენებელი, ტექნიკის წარმომადგენელი და, ალბათ, საერთაშორისო ურთიერთობებშიც მოუხდებოდა გარევა. იქნებ იგი სულაც რადიკალებს მიმხრობოდა დაუგუნურად, უმოწყალოდ დაერბია ძველი ნაგებობანი და პეიზაჟები? იქნებ საქმეში ებრაელისათვის დამახასიათებელი წრეგადასული შეუპოვრობაც გამოეჩინა და ამერიკელთა ჩვეული კადნიერებაც - ცხოვრების პირობების ბუნებრივი განვითარებისათვის დღემდე რუდუნებით მოტანილ გამოცდილებასთან კავშირის უხეშად გაწყვეტა ემჯობინებინა და სახელმწიფო თავზე ხელაღებულ ექსპერიმენტებში ჩაეთრია. ესეც საფიქრებელი გახლდათ. ანდა ექნებოდა ვითომ ამ ყმაწვილს გამჯდარი ძვალსა და რბილში რწმენა, რომ მათი უგონიერესობანი, რომლებსაც რატჰაუსთან სმენაზე უდგებოდნენ გუშაგნი, ყველაზე უკეთ სჯიდნენ ამქვეყნიურ საქმეებს, თუ გაკადნიერდებოდა და ქალაქის საბჭოში ოპოზიციას მიემხრობოდა? მის წითურ წარბებს ქვეშ გამომზირალ ლურჯ თვალებში თანამოქალაქეთა ცნობისწადილით სავსე კითხვებზე პასუხს ვერ წაიკითხავდით, თუმცა ამ კითხვებზე ვერც თვითონ გაგცემდათ პასუხს ჰანს კასტორპი. ეს ცხოვრებისაგან ჯერაც დაუწერელი ფურცელი მოგზაურობას რომ შეუდგა (და ჩვენ გადავეყარეთ კიდეც), ოცდამესამე წელიწადში იყო გადამდგარი და დანცინგის პოლიტექნიკუმის ოთხი სემესტრი ჰქონდა უკან მოტოვებული. ამას დაუმატეთ კიდევ ბრაუნშვაიგისა და კარლსრუეს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გატარებული ოთხი სემესტრი და ცოტა ხნის წინ ჩაბარებული დამამთავრებელი გამოცდები, რომლებიც, მართალია, მთლად ბრწყინვალედ და ტუშის თანხლებით არ ჩაუბარებია, მაგრამ არც ურიგო შეფასება დაუმსახურებია. ჰანს კასტორპი ის-ის იყო აპირებდა ტუნდერისა და ვილმსის“ ფირმაში შესულიყო ინჟინერ-პრაქტიკანტად და თეორიული ცოდნა ვერფებში მუშაობით გაეღრმავებინა, რომ სწორედ ამ დროს მისმა გზამ მოულოდნელად იცვალა გეზი და სულ სხვა მხარეს გადაუხვია. დამამთავრებელი გამოცდებისათვის გულმოდგინე და დაძაბულმა მუშაობამ ისე გაასავათა ჰანს კასტორპი, რომ შინ იმაზე გაცილებით მეტად ფერმიხდილი დაბრუნდა, ვიდრე ეს მისი ტიპის ახალგაზრდას შეეფერებოდა. დოქტორი ჰაიდეკინდი ყოველ შეხვედრაზე უჯავრდებოდა და კატეგორიულად ურჩევდა, ჰაერი საფუძვლიანად გამოეცვალა. ნორდერნეისა და ფიორის ვიკის ჰაერი ამჯერად არაფერში წაადგება, ვერფში მუშაობის დაწყებამდე ერთი-ორი კვირით მაღალმთიანეთში

უნდა დაისვენოსო, ამბობდა ხოლმე დოქტორი ჰაიდეკინდი.
- მაგას რა სჯობია, - უთხრა კონსულმა ტინაპელმა თავის დისწულსა და შვილობილს, - მაგრამ მაშინ ამ ზაფხულს ჩვენი გზები გაიყრება. ჩემდათავად, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი რომ ჩამაბა, მაღალმთიანეთში ვერ ამიტყუებ. სადაც ზომიერი, ატმოსფერული წნევა არ იქნება, იქ მე არ გამეძლება, იმწამსვე სისხლი ამივარდება თავში. ყველაფერს აჯობებს, მაღალმთიანეთში მარტო გაემგზავრო და თან იოახიმ ციმსენიც მოინახულო.
ეს წინადადება ბუნებრივი იყო. იოახიმ ციმსენი მართლა ავად გახლდათ. ჰანს კასტორპივით მსუბუქად კი არა, ნამდვილად სერიოზულად იყო ავად, რამაც დიდად შეაშფოთა მისი ახლობლები. იოახიმს ადრეც იოლად ემართებოდა კატარი და სიცხეც ხშირად უწევდა ხოლმე მაღლა, ერთ მშვენიერ დღეს კი ნახველს სისხლიც ამოაყოლა და მაშინ იძულებული გახდა, კისრისტეხით დავოსში გაქცეულიყო, გაქცეულიყო თავისდა სამწუხაროდ და სავალალოდ, რადგან სანუკვარი ოცნების ასრულებას ბევრი აღარაფერი უკლდა. იოახიმ ციმსენიც ახლობლების დაჟინებით რამდენიმე სემესტრს სწავლობდა იურისპრუდენციას, მაგრამ მოძალებულ სურვილს მაინც ვერ გაუმკლავდა, საიუნკრო სასწავლებელში შეიტანა განცხადება და ჩაირიცხა კიდეც. ახლა კი ხუთ თვეზე მეტი იქნებოდა, ინტერნაციონალურ სანატორიუმ ბერგჰოფში“ იყო გამოკეტილი (მთავარი ექიმი გახლდათ ჰოფრატი დოქტორი ბერენსი) და, როგორც ღია ბარათებში იტყობინებოდა, მოწყენილობისაგან სული ამოსდიოდა. თუ ჰანს კასტორპს უნდოდა თავისთვის მიეხედა, სანამ ტუნდერისა და ვილმსის“ ფირმაში მუშაობას შეუდგებოდა, სჯობდა ისიც იქ ასულიყო და თავისი საბრალო ბიძაშვილისათვის მარტოობა გაეიოლებინა. ამაზე უფრო სასიამოვნო ორივესათვის, აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო.
უკვე შუა ზაფხული იდგა, როცა ჰანს კასტორპმა გამგზავრება გადაწყვიტა. ივლისი იწურებოდა.
ჰანს კასტორპი მთაში სამი კვირით მიემგზავრებოდა.

თავი მესამე

დარბაისლური მოღუშულობა

ჰანს კასტორპი შიშობდა, ასე დაღლილ-დაქანცულს თავზე არ დამათენდესო, მაგრამ ვიდრე საჭირო იყო, იმაზე ადრიანად წამოხტა ფეხზე და იმდენი დრო დარჩა, რომ ამჯერად თავისუფლად შეეძლო ზედმიწევნით ზუსტად შეესრულებინა დილის ტუალეტის მაღალცივილიზებული წესები, რომელთა შორის მთავარ როლს რეზინის თასი, ლავანდისსაპნიანი ხის სასაპნე და ჩალის ფუნჯი თამაშობდა. სხეულის მოვლა-დასუფთავებას რომ მოათავებდა, ბარგის ამოსალაგებლად და დასაბინავებლადაც მორჩებოდა დრო. ჰანს კასტორპი ვერცხლით მოსევადებულ სამართებელს გულდაგულ ისვამდა სურნელოვანი ქაფით დაფარულ ლოყებზე და თან თავისი არეულ-დარეული სიზმრები აგონდებოდა. ამდენი აბდაუბდის გახსენებაზე დილით საღად მოაზროვნე კაცის შემწყნარებლური ღიმილი გამოესახა ბაგეზე და თავი გადააქნ-გადმოაქნია. ჰანს კასტორპს გამოძინებული და დასვენებული არ ეთქმოდა, მაგრამ ამ სისხამ დილას მაინც კარგად გამოეცოცხლებინა.
ჰანს კასტორპმა ხელები შეიმშრალა, სახე გაიპუდრა, წითელი ტარსიკონის ფლოსტებში ფეხი წაყო და ფილდეკოსის პერანგის ამხანაგის ამარა გამოვიდა გაუმჭვირვალე შუშის კედლებით დატიხრულ აივანზე, რომელიც შენობას მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა. მინის ტიხრები ზედ მოაჯირამდე არ მიდიოდა, მხოლოდ ოთახებს მიჯნავდა ერთმანეთისაგან. გრილი და ბურუსიანი დილა იდგა. მახლობელ მწვერვალებზე უძრავად იდო გრძლად გაწოლილი ნისლი, შორეულ ქედზე კი თეთრი და რუხი ღრუბლების უშველებელი ქულები იყო დახვავებული. აქა-იქ ლაქებად ან ზოლებად მოჩანდა ლურჯად მოხასხასე ცა, ხოლო მზე რომ

გამოიჭვრეტდა, მაშინ ნაძვნარით შემოსილი ფერდობის მუქ ფონზე თეთრად აქათქათდებოდა ხეობის სიღრმეში ჩაკარგული სოფელი. საიდანღაც დილის მუსიკის ხმა ისმოდა, ალბათ, იმ ოტელიდან თუ იყო, გუშინ საღამოსაც კონცერტი რომ ჰქონდათ. აქამდე ყრუდ აღწევდა ქორალის აკორდები, მოკლე პაუზის შემდეგ კი მარშმა დაიგრიალა. ჰანს კასტორპს მუსიკა სულითა და გულით უყვარდა, რადგან მუსიკა საუზმეზე მირთმეული პორტერივით მოქმედებდა მასზე, სახელდობრ, დიდად ამშვიდებდა, აბრუებდა და თვლემას ჰგვრიდა. ახლაც თავი გვერდზე გადაიგდო, ჩაწითლებული თვალები მილულა, პირი დააღო და მუსიკას სიამოვნებით მიუგდო ყური.

ქვევით სანატორიუმისაკენ მიმავალი გზა მიიკლაკნებოდა. გუშინ საღამოს ამ გზით ამოვიდნენ პლატოზე. მობიბინე ნამიან ბალახში აქა-იქ ჭიატობდნენ მოკლე ყლორტებზე ვარსკვლავებივით დაკიდული ქარაშოტები. პლატოს ერთი კუთხე შემოეღობათ და ბაღი გაეშენებინათ. ბაღში ხრეშმოყრილი ბილიკები, ყვავილების კორდები და ბუმბერაზი სოჭის ძირში ხელოვნურად აშენებული მღვიმე მოჩანდა. თუნუქით გადახურულ ვერანდაზე შეზლონგები ჩაემწკრივებინათ. ვერანდას პირი სამხრეთისაკენ ჰქონდა მიქცეული. მის ახლოს აღმართულ მოწითალო-ყავისფრად შეღებილ ჭოკზე ფანტაზიით შექმნილი თეთრ-მწვანე დროშა ფრიალებდა, რომლის შუაგულშიც მედიცინის ემბლემა - გველშემოხვეული კვერთხი იყო გამოსახული.

ბაღში ვიღაც სახემოღრუბლული, თითქმის ტრაგიკული შესახედაობის ხანში შესული ქალი დააბიჯებდა... ძაძით შემოსილს გაწეწილ ჭაღარა თმაზე შავი მანდილი ეხურა, მუხლებმოკაკული, მკლავებჩამოყრილი გამალებით დაძრწოდა ბილიკზე და უპეებმომჩვარული, ნახშირივით შავი თვალებით დაღარულ შუბლს ქვემოდან გაშტერებული იყურებოდა. მისმა მოტეხილმა, სამხრეთული ტიპის ფერმკრთალმა სახემ, დარდისაგან მოღრეცილმა დიდმა ტუჩებმა ჰანს კასტორპს ერთი ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობი ქალის ოდესღაც ნანახი პორტრეტი მოაგონა. შემაძრწუნებელი სანახავი იყო ეს შავი, ფერმკრთალი ქალი, ალბათ, შეუცნობლად, შორს მოგრიალე მარშის ტაქტს როგორ აყოლებდა თავის გრძელ, დარდით აღსავსე ნაბიჯებს.

თანაგრძნობით გამსჭვალული ჰანს კასტორპი ფიქრიანად დაჰყურებდა ქალს და ასე ეგონა, მისი მგლოვიარე ფიგურა დილის მზეს აბნელებსო. ამ დროს მის ყურს რაღაც უცნაური ხმაური მისწვდა. ხმაური ხელმარჯვნით მდებარე ოთახიდან გამოდიოდა, სადაც იოახიმის სიტყვით, რუსი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ოთახიდან გამოსული ხმები სულ არ უხდებოდა ამ მხიარულ, ხასხასა დილას, პირიქით, თითქოს რაღაც წებოვანით აჭუჭყიანებდა. ჰანს კასტორპს გაახსენდა, რომ ამგვარი ხმაური გუშინ საღამოსაც გაიგონა, მაგრამ დაღლილ-დაქანცულს ყურადღება არ მიუქცევია. ეს გახლდათ ბღლარძუნი, ხითხითი და ქშენა, რომლის უხამსი ბუნება ახალგაზრდა კაცისათვის დიდხანს არ დარჩენილა გაუგებარი, თუმცა გულკეთილობის გამო თავდაპირველად შეეცადა, ეს ხმები უწყინარი სახელით მოენათლა. ამ გულკეთილობისათვის სხვა სახელიც შეიძლებოდა გვეწოდებინა, მაგალითად, ცოტა გადაპრანჭულად, სულიერი უბიწოება, სერიოზულად და მოხდენილად - სიმორცხვე, დამაკნინებლად - სიმართლისათვის თვალის არიდება და ჩუმჩუმელობა, ან მისტიკური შიში და ღვთისმოსაობაც კი.მოკლედ, ამ ხმაურისადმი ჰანს კასტორპის დამოკიდებულებაში ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო გარეული, ფიზიონომიურად კი ეს გრძნობა სახის დარბაისლურ მოღუშვაში გამოიხატა, აქაოდა, არც უფლება მაქვს და არც მსურს, ვიცოდე, რა ხმაური მესმისო. ზნეკეთილობის ამგვარად გამოხატვა არც ისე ორიგინალური გახლდათ, მაგრამ ასეთი სახის მიღება ჰანს კასტორპს ზოგჯერ უყვარდა ხოლმე.

ასე სახემოღუშული შემობრუნდა ოთახში, ვითომ იმ პროცესს ყურს ავარიდებო, რომელიც თვითონ სერიოზულად და ამაღელვებლადაც კი მიაჩნდა, თუმცა იგი ამჯერად ხითხითით მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა, ოთახში კიდევ უფრო აშკარად ისმოდა კედელს იქით გამართული ჭიდილის ხმა. ეტყობოდა, მისი მეზობლები ავეჯის ირგვლივ დარბოდნენ, აი, სკამიც წააქციეს და ერთმანეთს ჩაესკვნენკიდეც. გაისმა ტყაპატყუპისა და კოცნის ხმა და თითქოს ამ უხილავ სცენას შეეხმატკბილაო, შორიდან მოისმა გაცვეთილი ვალსის ქუჩური, უხამსი მელოდიები. ჰანს კასტორპს ხელში პირსახოცი შერჩენოდა და თავისდა

უნებურად კვლავ ყურთასმენად იყო ქცეული. უეცრად სიწითლე მოედო ჰუდრდაყრილ ლოყებზე, რასაც ამდენ ხანს ხვდებოდა, უკვე დაიწყო - თამაში ცხოველურ აქტში იყო გადასული. ღმერთო დიდებულო, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! - გაიფიქრა მან, პირი იბრუნა და დილის ტუალეტი განგებ ხმაურით განაგრძო. ისინი ხომ ცოლ-ქმარი არიან, მადლობა ღმერთს, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დღისით, მზისით, ასეთი რამ მეტისმეტია. მე მგონი, არც გუშინ საღამოს იყვნენ გულხელდაკრეფილნი. ბოლოს და ბოლოს, რახან აქ ჩამოსულან, ავადმყოფები იქნებიან, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მაინც იქნება ავად და თავს აღარ უნდა მოუფრთხილდნენ? ისე, სიმართლე თუ გნებავთ, ყველაზე სკანდალური ისაა, რომ კედლებია თხელი და ყველაფერი აშკარად ისმის, ფიქრობდა გაალმასებული ჰანს კასტორპი. განა მოსათმენია ასეთი მდგომარეობა! იაფად, სამარცხვინოდ იაფადაა ეს შენობა ნაგები. ნუთუ მერე ამ ხალხს შევხვდები და შეიძლება ვინმემ გამაცნოს კიდეც? ეს კი მეტისმეტად არასასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის. ამ დროს ჰანს კასტორპმა გაოცებით შენიშნა, რომ წეღან მოდებულ სიწითლეს არ გადაევლო, პირიქით, სახეზე ავარდნილი ალმური განელებას არ აპირებდა და ლოყები გუშინდელივით მშრალად უხურდა. ეტყობოდა, სიმხურვალე ძილში ჩამცხრალიყო, ახლა კი საბაბი ეშოვა და სახეს ხელახლა მოსდებოდა. ამის შემხედვარეს მეზობლებზე, რა თქმა უნდა, გული არ მოჰბრუნებია და ტუჩებგაბერილმა მათი მისამართით ერთი მაგრად შეიკურთხა. მერე მოინდომა, გახურებული სახე წყლით გაეგრილებინა, მაგრამ შეცდა - ლოყები უარესად აეტკიცა. ამიტომ იყო, რომ ბიძაშვილის ნიშანს - კედელზე მოკაკუნებას, უგუნებოდ გამოეპასუხა და ოთახში შემოსულ იოახიმზე დასვენებული და დილით გახალისებული კაცის შთაბეჭდილება აღარ მოუხდენია.

საუზმე

- გამარჯობა, - თქვა იოახიმმა, - აბა, ეს ხომ პირველი ღამე იყო აქ, ზევით. კმაყოფილი ხარ თუ არა?

იოახიმი უკვე მზად იყო გარეთ გასასვლელად: სპორტულად გამოწყობილიყო, ფეხზე უხეში გამძლე ხამლები ჩაეცვა, მკლავზე გადაკიდებული პალტოს ჯიბიდან კი ბრტყელ ბოთლს ამოეყო თავი. ქუდი არც დღეს ეხურა.

- გმადლობთ, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - არა მიშავს რა. მეტს არ გამოვეკიდები. რაღაც არეულ-დარეულ სიზმრებს ვხედავდი, თან ამ სახლს ისეთი ხმაგამტარი კედლები აქვს, რომ ცოტა არ იყოს, გავწამდი. ჰო, მართლა, ის შავი მანდილოსანი ვინ არის, ბაღში რომ დადის?

იოახიმი იმწამსვე მიხვდა, ვის გულისხმობდა ჰანს კასტორპი.

- აჰ, ეს Tous-les-deux გახლავს, - მიუგო მან, - აქ ყველა ასე ეძახის, რადგან მისგან ამ ერთადერთ სიტყვას თუ გაიგონებს კაცი. მექსიკელია, სიტყვა არ იცის გერმანული, ფრანგულიც თითქმის სულ არ გაეგება, ერთ-ორ წინადადებას თუ მოაბამს თავს. ხუთი კვირა იქნება, რაც თავის უფროს ვაჟს ახლავს აქ. ვაჟი უიმედო ავადმყოფია, აღსასრული მალე დაუდგება, სნეულება მთელ ორგანიზმზე აქვს უკვე მოდებული, ბოლოს ეს ავადმყოფობა ტიფს ემსგავსებაო, ამბობს ბერენსი. ყოველ შემთხვევაში, ახლო მყოფთათვის საშინელი რამ არის; ორი კვირის წინ მისი მეორე ვაჟი ამოვიდა მომაკვდავი ძმის სანახავად, მშვენიერი, ძმასავით თვალებბრიალა ყმაწვილი, ორივენი მშვენიერი შესახედავები არიან. ქალები ჭკუას კარგავენ მაგათთვის. უმცროს ვაჟს ჯერ კიდევ ბარში დასწყებია ხველება, მაგრამ ყოჩაღად იყო თურმე. აქ როგორც კი ამოვიდა, როგორ გგონია, შეაცივა და 39,5-მდე აუვარდა მაშინვე სიცხე. ჰოდა, ახლა ისიც ლოგინადაა ჩავარდნილი, ბერენსი ამბობს, ეგ რომ ფეხზე წამოდგეს, სასწაული იქნებაო, ზევით დიდი ხნის წინ უნდა ამოსულიყოო... მას მერე დადის დედა აქეთ-იქით, თუ იმათ არ ადგას თავზე და თუ ვინმე დაელაპარაკება, მხოლოდ Tous-les-deux"-სო, გაიძახის. მეტის თქმა მას არ შეუძლია და აქ სხვა ამჟამად არავინაა ესპანურის მცოდნე.

- აი, თურმე როგორ ყოფილა მისი საქმე, - თქვა ჰანს კასტორპმა, - ნეტავ მე რომ გამაცნო, მეც ასე თუ მეტყვის? რა უცნაური იქნება, მე მინდა ვთქვა, თან კომიკური და თან შემაძრწუნებელი იქნება-მეთქი, არა? - დასძინა ჰანს კასტორპმა. თვალები

გუშინდელივით აეწვა, ხოლო ქუთუთოები ისე დაუმძიმდა, თითქოს ბევრი უტირიაო. თან თვალებში ის ცეცხლი უელავდა, ავსტრიელი არისტოკრატი მხედრის ხველების გაგონებაზე რომ გაუჩნდა.

ჰანს კასტორპს ანაზდად მოეჩვენა, რომ მხოლოდ ახლა გადო ხიდი გუშინდელსა და დღევანდელ დღეს შორის, თითქოს კვლავ ჩაება აქაურ ფერხულში, რასაც ახალგამოღვიძებული ვერ იტყოდა. მეც მზად გახლავარო, უთხრა იოახიმს, ცხვირსახოცზე რამდენიმე წვეთი ლავანდის წყალი იპკურა და შუბლი და უპეები დაინამა.

- ახლა თუ შენი ნებაც იქნება, შეგვიძლია Tous-les-deux“ წავიდეთ სასაუზმოდ, - როგორღაც გამომწვევად იხუმრა მან.

იოახიმმა ალერსიანად შეხედა ბიძაშვილს და უცნაურად, მელანქოლიურად და ოდნავ დამცინავად გაუღიმა. ამგვარი ღიმილი რას ნიშნავდა, ეს მისი საქმე გახლდათ.

ჰანს კასტორპმა ჯიბე მოისინჯა, მოსაწევი თუ მაქვს თანო, და ჯოხი, პალტო და ქუდი აიღო. ამ უკანასკნელს სიჯიუტის გამო წამოავლო ხელი, თავისი ცხოვრების ყაიდისა და ადათ-წესებისა ისე სჯეროდა, რომ ახალ, უცხო ზნე-ჩვეულებებს ასე იოლად ნამდვილად ვერ შეეგუებოდა. ასე გამოვიდნენ ოთახიდან, კიბე ჩაიარეს და ტალანს გაუყვნენ. იოახიმი გზადაგზა კარებზე უთითებდა და მობინადრეთა გვარებს უსახელებდა - გერმანულსაც და უცხოსაც - და თან მოკლე განმარტებებსაც ურთავდა მათი ხასიათისა და დაავადების სიმძიმის თაობაზე.

გზაში უკვე ნასაუზმევი ხალხიც ხვდებოდათ და თუ იოახიმი ვინმეს მიესალმებოდა, ჰანს კასტორპიც თავაზიანად იხდიდა ხოლმე ქუდს. იგი დაძაბული და განერვიულებული გახლდათ, როგორც ხშირად მოსდით ხოლმე ახალგაზრდებს, უცხო ხალხთან წარდგენა რომ ელით, მით უმეტეს, თუ კაცი იმასაც განიცდის, თვალები დანისლული მაქვს, სახე კი წითლად მიღვივისო. ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო სწორი, რადგან ჰანს კასტორპს დღეს ფერმკრთალი უფრო ეთქმოდა.

- ჰო, მართლა, სანამ დამავიწყდებოდეს! - უეცრად რატომღაც ცხარედ წამოიძახა მან, - თუ შემთხვევა ჩაგვივარდება, შეგიძლია სიამოვნებით გამაცნო ის მანდილოსანი, ბაღში რომ დადის, საწინააღმდეგო არა მექნება რა. მითხრას თავისი Tous-les-deux“, ამით არაფერი დაშავდება, მე ხომ უკვე ვიცი, რასაც ნიშნავს ეს და შესაფერი სახითაც მოვუსმენ. მაგრამ იმ რუსი ცოლ-ქმრის გაცნობა არა მსურს, გესმის? არავითარ შემთხვევაში არ მინდა, იმ უზრდელ ხალხს გავეცნო. ეს სამი კვირა, თუ იძულებული ვარ, მათ გვერდით ვიცხოვრო და ამას აღარაფერი ეშველება, მათი გაცნობა არაფრისდიდებით რომ არ მინდოდეს, ამის უფლება ხომ მაინცა მაქვს...

- კარგი, კარგი, - უპასუხა იოახიმმა, - მართლა ასე შეგაწუხეს? ნამდვილად ბარბაროსები არიან, ერთი სიტყვით, არაცივილიზებული ხალხია, მაგრამ მეხომ წინასწარ გაგაფრთხილე? კაცი ისეთი გაქუცული ტყავის ქურთუკით შემოდის ხოლმე სასადილოში, რომ ძალიან მიკვირს, ბერენსი ხმას რატომ არ აიმაღლებს. არც ქალია უკეთესი, თუმცა ფრთებიან შლაპას კი იხურავს ხოლმე... ისე შეგიძლია გული დაიმშვიდო, ისინი ჩვენგან შორს სხედან, „მდარე რუსულ მაგიდასთან“. არსებობს კიდევ კარგი რუსული მაგიდა“, სადაც შედარებით დახვეწილი რუსები სხედან. ასე რომ, ძალიანაც რომ გინდოდეს, არა მგონია, იმათ პირისპირ შეეჩეხო. აქ არც ისე იოლია ნაცნობობის გაბმა, უცხოელები ბევრნი არიან, მე თვითონ ამდენი ხანია აქა ვარ და პირადად ძალიან ცოტას თუ ვიცნობ.

- რომელია მათ შორის ავად, კაცი თუ ქალი? - ჰკითხა იოახიმს ჰანს კასტორპმა.

- მე მგონი, კაცი. ჰო, მხოლოდ კაცი, - აშკარად დაფანტულად უპასუხა იოახიმმა.

ამ დროს ისინი სასადილო დარბაზის გარდერობთან იდგნენ, შემდეგ თაღებიან ნათელ დარბაზში შევიდნენ; იქ ერთმანეთში არეული ხმებისაგან ზუზუნი იდგა, ისმოდა ჭურჭლის წკარუნი და დარბაზის ასულნი აქეთ-იქით დაარბენინებდნენ ოხშივარავარდნილ ჩაიდნებს.

სასადილო დარბაზში შვიდი მაგიდა იდგა. მათგან მხოლოდ ორი მაგიდა დაედგათ გარდიგარდმო, დანარჩენები კი სიგრძეზე განელაგებინათ. თითოეული მაგიდა ათ კაცს იტევდა, თუმცა ყველა სუფრა არ იყო ათი კაცისათვის გაშლილი. ორიოდე ნაბიჯი გადადგეს და ჰანს კასტორპი თავის ადგილზე აღმოჩნდა. მისთვის სუფრის

ბოლოში გაეწყოთ ჭურჭელი. მათი მაგიდა გარდიგარდმო მოთავსებულ ორ მაგიდას შორის იდგა. ჰანს კასტორპი თავისი სკამის ზურგს უკან დადგა, წელში ოდნავ მოიხარა და თავაზიანად მიესალმა თანამესუფრეთ, რომლებიც დიდის ამბით გააცნო იოახიმმა. ჰანს კასტორპმა ძლივს გაარჩია ისინი, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მათი სახელები გონებამდე არ მისწვდენია. მხოლოდ ფრაუ შტორის პიროვნება და სახელი დაამახსოვრდა და ისიც შენიშნა, რომ ამ ქალბატონს წითელი სახე და ფერფლისფერი გაზინთული თმა ჰქონდა. ფრაუ შტორს შტერულ სახეზე ეტყობოდა, რა ხეპრეც იქნებოდა. ჰანს კასტორპი სუფრას მიუჯდა და კმაყოფილებით შენიშნა, რომ აქ პირველ საუზმესაც სერიოზულ იჯრად თვლიდნენ.
სუფრას კონფიტიურითა და თაფლით სავსე თასები ამშვენებდა, ჯამებით იდგა ბრინჯისა და შვრიის ფაფა, ლანგრებზე ტაფამწვარი და ცივად მოხარშული ხორცი ეწყო, კარაქი, რამდენიც გნებავდათ, იმდენი შეგეძლოთ მიგერთმიათ. ვიღაცამ ხუფი ახადა დაცვარულ შვეიცარიულ ყველს და ნაჭერი ჩამოათალა. სუფრის შუაგულში კი ხმელი და ახალი ხილით სავსე ლარნაკი აღმართულიყო. შავ-თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილმა დარბაზის ასულმა ჰანს კასტორპს ჰკითხა, კაკაოს ინებებთ, ყავას თუ ჩაისო. დარბაზის ასული ბავშვივით ტანმორჩილი იყო და ბებრული სახე ჰქონდა, ეს ხომ ლილიპუტიაო, - შიშით დაასკვნა ჰანს კასტორპმა და ბიძაშვილს გადახედა, მაგრამ იოახიმმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და წარბები შეჭმუხნა, თითქოს უნდოდა ეთქვა, მერე რაო. ჰანს კასტორპს მეტი რა ჩარა ჰქონდა, ფაქტის წინაშე ქედი მოიხარა და ვინაიდან ლილიპუტს ელაპარაკებოდა, ზედმიწევნით თავაზიანად სთხოვა, ჩაი მომიტანეთო. ჰანს კასტორპმა შაქრითა და დარიჩინით შენელებული ბრინჯის ფაფა გადაიღო, თან თვალი ნუგბარი საჭმელებისკენ და შვიდ მაგიდასთან მსხდომი დამსვენებლებისაკენ ეჭირა: იოახიმის კოლეგები და მისი ბედის მოზიარენი ლაქლაქებდნენ და საუზმეს ისე მიირთმევდნენ.
დარბაზი იმ ახლებური უგემოვნობით იყო გაწყობილი, რომელიც საქმიან სისადავეს შესანიშნავად უხამებს ხოლმე ერთგვარ ფანტასტიკურ მორთულობას. სიგრძესთან შედარებით განი ნაკლები ჰქონდა, ხოლო მთელ სიგრძეზე პირით მაგიდებისაკენ მიქცეული ნიშების მწკრივი მიუყვებოდა. ნიშებში სერვანტები იყო შედგმული. ნიშების კამარები ნახევრამდე სანდლის ხეს მიმსგავსებული მასალით მოეპირკეთებინათ, ზევით, კედლებისა და ჭერის მსგავსად, თეთრად შეეფეთქათ და უბრალო, მხიარული შაბლონები გაეყოლებინათ ჭრელ-ჭრელ ზოლებად. ჭრელი ზოლები ზემოთაც გრძელდებოდა და ქამარივით ერტყმოდა დარბაზის თაღისებურ ჭერს. დარბაზს თითბრის პრიალა ელექტროჭაღები ამშვენებდა. თითოეული ჭაღი ერთმანეთზე წაწყობილი სამ-სამი რგოლისაგან შედგებოდა, რგოლები ერთმანეთთან თითბრისავე ნატიფი წნულებით იყო გადაბმული, ქვედა რგოლზე კი წრისებურად, პატარ-პატარა მთვარეებივით მისდევდნენ ერთმანეთს რძისფერი მინის ზარისებური თალფაქები. დარბაზს ოთხი შემინული კარი ჰქონდა. მოპირდაპირე განის კედელში გამოჭრილი ორი კარი ღია ვერანდაზე გადიოდა, მესამე კარი პირდაპირ ჰოლისაკენ დაეტანებინათ, მეოთხე - ვესტიბიულიდან შემოსასვლელი კარი იყო. ჰანს კასტორპი დღეს იქიდან შემოვიდა, რადგან იოახიმს ამჯერად სხვა კიბით ჩამოეყვანა დაბლა.
ჰანს კასტორპს ხელმარჯვნივ ერთი შავკაბიანი, უთვალადო არსება ეჯდა, მას ბუსუსებიანი სახე ჰქონდა, ღაწვები ოდნავ წამოსწითლებოდა, საუზმეზე მხოლოდ კარაქწასმულ ფუნთუშას და ყავას მიირთმევდა და ჰანს კასტორპმა იგი კარდაკარ მოსიარულე მკერავად მიიჩნია. მის წარმოდგენაში მკერავიქალის სახე ოდითგანვე კარაქწასმულ ფუნთუშასა და ჰავასთან იყო დაკავშირებული, ხელმარცხნივ ერთი ასევე კარგად მოწიფული გონჯი ინგლისელი ქალიშვილი ეჯდა. მას გამხმარი, გაყინულითითები ჰქონდა, სამშობლოდან გამოგზავნილ მრგვალ-მრგვალი ასოებით დაწერილ წერილს კითხულობდა და თან სისხლივით წითელ ჩაის წრუპავდა. მას იოახიმი მოსდევდა, იოახიმის გვერდით კი შოტლანდიური შალის კოფთაში გამოწყობილი ფრაუ შტორი იჯდა. ფრაუ შტორს ლოყის ქვეშ მარცხენა ხელის მუშტი ამოედო და ისე საუზმობდა, თან აშკარად ცდილობდა, ლაპარაკის დროს ისეთი სახე მიეღო, ვითომ დიდად განათლებული

ადამიანი გახლავართო, ზედა ტუჩს მაღლა სწევდა და კურდღელივით წაწვეტებულ გრძელ-გრძელ კბილებს აჩენდა. ფრაუ შტორს გვერდით მეჩხერულვაშიანი ახალგაზრდა კაცი მიუჯდა. ამ კაცს ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, პირში რაღაც უგემური უდევსო, იგი ისე შეუდგა ჭამას, ხმა არ ამოუღია. ჰანს კასტორპი უკვე იჯდა, ის რომ შემოვიდა... ახალგაზრდა ტაატით მოვიდა მაგიდასთან, არავისთვის ზედ არ შეუხედავს, სალმის ნიშნად ნიკაპი მკერდს მიაბჯინა, დაჯდა და თავისი საქციელით ყველას აგრძნობინა, არავითარი სურვილი არა მაქვს, ახალმოსულს გავეცნოო. იქნებ იგი ისე ავად იყო, რომ ცერემონიების თავი აღარ ჰქონდა და გარემოსადმი ინტერესის გამოჩენაც საერთოდ აღარ შეეძლო? ჰანს კასტორპის პირდაპირ სულ რამდენიმე წუთით იჯდა ერთი საშინლად გამხდარი, ქერათმიანი ქალიშვილი, რომელმაც თეფშზე გადმოაპირქვავა ერთი ბოთლი მაწონი, თვალის დახამხამებაში შეხვრიპა და იმწამსვე გაუჩინარდა.
სუფრასთან საუბარი არ ეწყობოდა. იოახიმი ზრდილობის გულისთვის ესაუბრებოდა ფრაუ შტორს, ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო და პასუხად რომ მიიღო, არც ისე კარგადო, კორექტულად გამოთქვა სინანული. ფრაუ შტორი „მოთენთილობას“ უჩიოდა. იცით, რა მოთენთილი ვარ! - სიტყვები გაწელა მან და ყოვლად უგვანოდ გაიპრანჭა. დილით 37,3 მქონდა და ნაშუადღევს რაღა იქნებაო. „მკერავმა“ განაცხადა, მეც მაგდენი მაქვს, მაგრამ პირიქით, აღგზნებული გახლავართო. ისეთ შინაგან დაძაბულობასა და მოუსვენრობას ვყავარ შეპყრობილი, თითქოს წინ რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მელოდებოდეს, ასეთი ხომ ვიცი, არაფერი მოხდება და ეს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი მიზეზებისაგან დამოუკიდებლად აღძრული ფიზიკური მღელვარებაა. ეს ქალი ისე სწორად და თითქმის მეცნიერული ენით მეტყველებდა, რომ მკერავი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მისი მღელვარება და ამ მღელვარების გამოხატვა ასეთი უფერული და საცოდავი არსებისაგან ჰანს კასტორპს უადგილოდ, უფრო მეტიც - უწესობადაც კი ეჩვენა. იგი ჯერ „მკერავს“, შემდეგ კი ფრაუ შტორს შეეკითხა, რამდენი ხანი იქნება, აქ რომ ბრძანდებითო (პირველს - ხუთი, მეორეს კი უკვე შვიდი თვე გაეტარებინა ამ დაწესებულებაში), შემდეგ თავისი ინგლისურის მარაგს თავი მოუყარა და ხელმარჯვნივ მჯდომ მეზობელს ჰკითხა, რის ჩაის მიირთმევთ (ეს ასკილის ჩაი გახლდათ) და გემრიელი თუ არისო. ამ კითხვაზე ქალიშვილმა თითქმის გულმხურვალედ უპასუხა, დიახო. მერე ჰანს კასტორპმა დარბაზს მოავლო თვალი. ზოგი მოდიოდა, ზოგი მიდიოდა - პირველი საუზმე ყველამ ერთდროულად მიირთვასო, ეტყობოდა, არ იყო მკაცრად დადგენილი.
ჰანს კასტორპს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, მძიმე შთაბეჭდილებებმა გული არ შემიშფოთოსო, მაგრამ შიში არ გაუმართლდა: ამ დარბაზში სრული სიმშვიდე სუფევდა, კაცს არ აღეძვროდა გრძნობა, დარდის საუფლოში ვიმყოფებიო. ღიღინით შემოდიოდნენ სასადილოში ორივე სქესის გარუჯული ახალგაზრდები, დარბაზის ასულთ დაელაპარაკებოდნენ და გამგელებულნი საუზმეს დაეტაკებოდნენ. აქ ხანში შესული ხალხიც იყო, ცოლ-ქმარი, ბავშვებიანად წამოსული მთელი ოჯახებიც, რომლებიც რუსულად ლაპარაკობდნენ, და მოზარდებიც. თითქმის ყველა ქალს შალის ან აბრეშუმის ვიწროდ შემოტმასნილი ჯემპრი, ეგრეთ წოდებული სვიტერი ეცვა, ზოგს თეთრი, ზოგს ფერადი, გადაფენილი საყელოთი და გვერდზე გაჭრილი ჯიბეებით. მშვენიერი სანახავი იყო, ეს ქალები ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი რომ იდგნენ და საუბრით იქცევდნენ თავს. ბევრ მაგიდაზე ხელიდან ხელში გადადიოდა, როგორც ჩანდა, თვით ავადმყოფების მიერ დამზადებული ფოტოსურათები, სხვაგან საფოსტო მარკებს უცვლიდნენ ერთმანეთს, ლაპარაკობდნენ ამინდზე, ვის როგორ ეძინა ან ვის რამდენი ჰქონდა დილით სიცხე. უმრავლესობა მხიარულ გუნებაზე იყო, საამისო მიზეზი, ალბათ, არაფერი ექნებოდათ, მაგრამ უშუალო საზრუნავი რომ არ აწუხებდათ და ასე ბევრნი იყვნენ ერთად თავმოყრილი, ის თუ ახარებდათ. მართალია, ზოგიერთი კი იჯდა მაგიდასთან ხელებზე თავდაყრდნობილი და სივრცეში უაზროდ იყურებოდა, მაგრამ უაზროდ ყურებას მათ არავინ უშლიდა და არც ყურადღებას აქცევდა ვინმე.
უცებ შეურაცხყოფილი ჰანს კასტორპი უსიამოდ შეკრთა: მიჯახუნდა კარი,

ხელმარცხნივ, პირდაპირ ჰოლში გამავალი კარი. ალბათ, ვიღაცამ კარს ხელი თუ უშვა ან ზურგს უკან გამოიჯახუნა მაგრად. ჰანს კასტორპს ოდითგანვე ისე სძულდა ეს ხმაური, რომ მსგავს უწესრიგობას ვერაფრით მოითმენდა. იქნებ ეს სიძულვილი აღზრდის ბრალი იყო ან იქნებ თანდაყოლილი იდიოსინკრაზიისა - ასე იყო თუ ისე, კარის მიჯახუნება ჰანსკასტორპს ჭირივით ეზარებოდა და იქნებ ეცემა კიდეც ის, ვინც მის თვალწინ ასეთ დანაშაულს ჩაიდენდა. ამჯერად კარი შემინული გახლდათ და ამ გარემოებამ შოკი გაუძლიერა -ჯახუნს თან წკრიალი და ზრიალი მოჰყვა. ფუ, ეს რა თავის აგდებაა, - გაიფიქრა გაალმასებულმა ჰანს კასტორპმა. სწორედ იმ წუთს „მკერავი“ გამოელაპარაკა და ვეღარ დაადგინა ეს ბოროტმოქმედი ვინ უნდა ყოფილიყო. ამიტომ, როცა „მკერავს“ უპასუხა, ქერა წარბები ისევე ჰქონდა შეჭმუხნილი და სახეც ბრაზისაგან დაღრეჯოდა.
იოახიმმა იკითხა, ექიმებს ხომ არ ჩამოუვლიათო. დიახ, ერთხელ უკვე იყვნენ, სწორედ იმ წუთში გავიდნენ დარბაზიდან, როცა თქვენ შემოხვედითო, უპასუხა ვიღაცამ. მაშინ რაღას ვუცადოთო, თქვა იოახიმმა. დღეს კიდევ მოეცემოდა შემთხვევა, მათთვის ჰანს კასტორპი წარედგინა. ბიძაშვილებმა ის იყო, გასვლა დააპირეს, რომ კარში კინაღამ შეეჯახნენ ჰოფრატ ბერენსს, რომელიც დოქტორ კროკოვსკის თანხლებით ჩქარი ნაბიჯით შემოდიოდა დარბაზში.
- ჰოპლა, ფრთხილად, ბატონებო! ასეთი შეჯახება შეიძლება სავალალოდ დამთავრდეს ორივე მხარის კოჟრებისათვის! - წამოიძახა ბერენსმა.
იგი ქვემოსაქსონურად უქცევდა, ბრტყელ-ბრტყელად და ღეჭვა-ღეჭვით ლაპარაკობდა.
იოახიმმა ქუსლები ერთმანეთს მიატყუპა და ბერენსს ბიძაშვილი წარუდგინა.
- მაშ, ეს თქვენა ხართ. მოხარული ვარ, მოხარული, - უთხრა ჰანს კასტორპს ბერენსმა და ყმაწვილ კაცს ნიჩაბივით ფართო ხელი გაუწოდა.
დოქტორი ბერენსი ძვალმსხვილი კაცი იყო. დოქტორ კროკოვსკიზე თითქმის სამი თავით მაღალი იქნებოდა. თმა სრულიად გასთეთრებოდა, კეფა გამობურცული ჰქონდა, ცხვირი - მსხვილი, გადმოკარკლული, ჩასისხლიანებული ლურჯი თვალები ეცრემლებოდა, მოკლედ შეკრეჭილი ულვაში კი ზედა ტუჩზე დამჩნეული ნაჭრილობევის წყალობით განზე მოჰქცეოდა. გუშინ იოახიმს სრული სიმართლე ეთქვა - ბერენსს ლოყები ჩალურჯებული ჰქონდა და ქირურგის თეთრი ხალათის ფონზე თავი განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოერჩეოდა, მუხლებამდე ჩაშვებული ქამრიანი თეთრი ხალათის ქვეშ ზოლიანი შარვალი მოუჩანდა, ხოლო ვეებერთელა ფეხებზე საკმაოდ გაცვეთილი, ზონრებით აბნეული ყვითელი წაღები ეცვა. დოქტორი კროკოვსკიც ექიმის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ოღონდ მისი ხალათი შავი ლუსტრინისა გახლდათ და ხელებზე რეზინის სამკლავურები ჰქონდა წამოცმული. ეს შავი, პერანგივით შეკერილი ხალათი სახეს კიდევ უფრო ფერმკრთალს უჩენდა. როგორც ასისტენტს შეეფერებოდა, მას თავი განზე ეჭირა და მისალმებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, ოღონდ ტუჩ-პირის კრიტიკულ დაჭიმულობაზე ეტყობოდა, რომ ხელქვეითის როლი ეთაკილებოდა და ეუცნაურებოდა კიდეც.
- ბიძაშვილები ხართ, არა? - ჰკითხა ახალგაზრდებს ჰოფრატმა, ხელი ჯერ ერთს მიაშვირა, მერე მეორეს და ჩასისხლიანებული ლურჯი თვალებით ორივეს შუბლს ქვემოდან შეხედა, - ჰო, რაო, ესეც აბჯრის ასხმას ხომ არ აპირებს? - ჰანს კასტორპზე თავით ანიშნა მან, - ღმერთმა დაგვიფაროს, არა? მე ხომ მაშინვე მივხვდი, - ახლა უკვე პირდაპირ ჰანს კასტორპს მიმართა ჰოფრატმა, - მაშინვე მივხვდი, რომ თქვენში არის რაღაც სამოქალაქო, რაღაც კომფორტაბელური და არა იარაღის ჟღარუნისებური, როგორც ამ როტმისტრსა აქვს. ნაძლევს ჩამოვალ, თქვენ თუ მაგაზე უკეთესი პაციენტი არ იქნებოდით. კაცს როგორც კი შევხედავ, კოჭებში შევატყობ, პაციენტად ივარგებს თუ არა, პაციენტობასაც ტალანტი უნდა, ტალანტი ყველაფერში საჭიროა, ეს მირმიდონი კი ღმერთს სულ არ უქნია, მწყობრში დგომისა არ ვიცი, მაგრამ პაციენტობის ნიჭი სრულებით არ გააჩნია! გინახავს, კაცს სულ გაქცევაზე ეჭიროს თვალი? სულ წასვლას გაიძახის, ბოლო მომიღო, დამანელა, ერთი სული აქვს, სამხედრო სამსახურს როდის შეაკლავს თავს. ასეთი თავგამოდებაც არ გამიგონია! ნახევარი წელიც ვერ გაუმეტებია ჩვენთვის. მერე კარგი მაინც არ იყოს აქ ყოფნა, გამოტყდით, ციმსენ, ხომ კარგია ჩვენთან ყოფნა! აი, ნახავთ, თქვენი ბატონი ბიძაშვილი ჩვენც თქვენზე უფრო

დაგვაფასებს და არც თვითონ დაიკლებს სიამოვნებას. ქალებს თუ იკითხავთ, ქალებიც გვეშოვება - რა ჯურის ქალი გინდა, არ გვყავდეს აქ. ყოველ შემთხვევაში, გარედან ზოგი მეტისმეტად ტურფაა, მაგრამ ცოტა ფერზე თუ არ მოხვედით, დამიჯერეთ, ქალებში გასავალი არ გექნებათ. სიცოცხლის ოქროს ხე კი უნდა იყოს მწვანე, მაგრამ სახისთვის მწვანე ფერი მაინცდამაინც დიდებული ვერ გახლავთ. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ტოტალურ ანემიასთან გვაქვს საქმე, - თქვა ბერენსმა, ჰანს კასტორპთან უცერემონიოდ მივიდა ახლოს და საჩვენებელი და შუათითით უპე ჩამოუწია, - დიახ, დიახ, როგორც მოგახსენეთ, ტოტალურად ანემიური ბრძანდებით. იცით, რას გეტყვით? ძალიან კარგი გიქნიათ, ის თქვენი ჰამბურგი ცოტა ხნით რომ მიგიტოვებიათ. ისე, ჰამბურგისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის - თავისი ნესტიანი მეტეოროლოგიის წყალობით გვარიან კონტინგენტს გვიქმნის ხოლმე. თუ ნებას დამრთავთ, ერთ ძვირფას რჩევას მოგცემთ, სავსებით sine pecunia, იცოდეთ: სანამ აქა ხართ, ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც თქვენს ბიძაშვილს აქვს დანიშნული. თქვენთვის ურიგო არ იქნება, ცოტა ხანს ისე იცხოვროთ, თითქოს მსუბუქი tuberculosis pulmonum გჭირდეთ.ცოტაოდენი ცილის მომატება არ გაწყენთ. აქ, ჩვენთან, ცილოვან ნივთიერებათა ცვლის ამბავი ნამდვილად კურიოზულ ხასიათს იღებს. წვა გაძლიერებულია, ორგანიზმი კი ცილებსმაინც იმატებს... ერთი მიბრძანეთ, როგორ გეძინათ, ციმსენ? კარგად, ხომ? აბა, ახლა კი სასეირნოდ მოუსვით! მაგრამ ნახევარ საათზე მეტი არა! მერე კი ვერცხლისწყლიანი სიგარა გაიჩარეთ პირში! ჩვენება ყოველთვის ზუსტად ჩაიწერეთ, ციმსენ! ჯარისკაცურად! სინდისიერად! შაბათს დავხედავ ტემპერატურის მრუდს! თქვენმა ბატონმა ბიძაშვილმაც გაისინჯოს ხოლმე სიცხე: ამით არაფერი დაუშავდება; აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო! არ მოიწყინოთ! დილა მშვიდობისა... დილა მშვიდობისა...
ჰოფრატმა ბერენსმა აფრა გაშალა. მას ფეხდაფეხ მიჰყვა დოქტორი კროკოვსკი. ბერენსი სიარულში ხელებს იქნევდა, ხელისგულები კი იატაკისკენ ჰქონდა მიქცეული. გზადაგზა მარცხნივ და მარჯვნივ არიგებდა კითხვებს, კარგად თუ გეძინათო, და ყველასაგან დადებით პასუხს იღებდა.

ლაზღანდარობა, ზიარება, შეწყვეტილი მხიარულება

- მშვენიერი კაცია, - თქვა ჰანს კასტორპმა, როცა წერილების გადარჩევაში გართულ კოჭლ კონსიერჟს ჩაუარეს (იგი თავაზიანად მიესალმა ორივეს) და გარეთ გავიდნენ. სადარბაზო კარი თეთრად შეფეთქილი შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო დატნეული, სადაც შენობა ფლიგელებთან შედარებით ერთი სართულით მაღლა იდგა. ამაღლებულ შუა ნაწილს ფიქალისფერი თუნუქით გადახურული საათიანი დაბალი კოშკი აგვირგვინებდა. შენობის ამ მხრიდან გამოსული კაცი ბაღის გაუვლელად აღმოჩნდებოდა გარეთ და თვალწინ ციცაბო ფერდობებზე შეფენილი მდელოები გადაეშლებოდა, სადაც აქა-იქ ობლად ამოსული ტანმაღალი ნაძვები და მიწამდე ტოტებდადრეკილი, დაღვარჭნილი ფიჭვები ხარობდა.
გზა, რომელსაც ისინი დაადგნენ - თუმცა ხეობაში ჩამავალი შარაგზის გარდა მხოლოდ ამ ერთს ეთქმოდა გზა - ოდნავ შეღმართიანად მიუყვებოდა სანატორიუმის შენობის უკანა მხარეს, სადაც სამზარეულო და სხვა სამეურნეო ოთახები იყო განთავსებული. იქვე, სარდაფის კიბეზე, რკინის სანაგვე ყუთები იდგა. გზა მოკლე მანძილზე კიდევ მიდიოდა შენობის გასწვრივ, შემდეგ ერთბაშად მარჯვნივ უხვევდა და ციცაბოდ მიემართებოდა მეჩხერი ტყით შემოსილი ფერდობისაკენ. ქვიან, მოწითალო მიწას ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ნამი. გზის პირას აქა-იქ ლოდები ეყარა. მარტო ბიძაშვილები არ გამოსულან სასეირნოდ. ვისაც თითქმის მათთან ერთად დაემთავრებინა საუზმე, ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ, სხვები კი ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ უკან და თავდაღმართს მძიმე ნაბიჯებით მოუყვებოდნენ.
- მშვენიერი კაცია! - გაიმეორა ჰანს კასტორპმა, - რა ენაწყლიანია, პირდაპირ მსიამოვნებდა, ყურს რომ ვუგდებდი. თერმომეტრზე რომ თქვა, ვერცხლისწყლიანი სიგარაო, ეს ხომ ჩინებული იყო და მაშინვე მივუხვდი კიდეც...

მაგრამ ამჯერად მე ნამდვილ სიგარას მოვუკიდებ, - თქვა მან და შეჩერდა, - მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! გუშინდელი ნაშუადღევის შემდეგ რიგიანი არაფერი მომიწევია... ბოდიშს გიხდი!
ჰანს კასტორპმა ვერცხლის მონოგრამით დამშვენებული ტყავის პორტსიგარიდან ერთი ცალი „მარია მანჩინი“ ამოაძვრინა, ზედა წყებიდან ყველაზე კოხტა, თავგაბრტყელებული სიგარა ამოარჩია, წვერი პატარა ბასრი ჯაყვით წააკვეთა (ჯაყვა საათის ძეწკვზე ჰქონდა დაკიდებული), კვესი აანთო, საკმაოდ გრძელ, ბოლოწაბლაგვებულ სიგარას ცეცხლი მოუკიდა, ნეტარებით დაარტყა ნაფაზი და გააბოლა.
- ესეც ასე! - თქვა მან, - ახლა შეგვიძლია, განვაგრძოთ სახალისო გასეირნება. შენ, რა თქმა უნდა, აქ განსაკუთრებით იდებ თავს და ერიდები მოწევას.
- არასდროს არ მომიწევია და რაღა აქ დავიწყებდი, - უპასუხა იოახიმმა.
- ეს კი ვერ გამიგია! - თქვა ჰანს კასტორპმა, - არ მესმის, როგორ შეიძლება, კაცი არ ეწეოდეს. იგი ხომ უარს ამბობს სიცოცხლის საუკეთესო სიამეზე, ყოველ შემთხვევაში, უდიდეს სიამოვნებას ხომ ნამდვილად იკლებს! გავიღვიძებ თუ არა, მიხარია, რომ დღეს მოვწევ, თუ ვჭამ, კვლავ სიგარისკენ მიმიხარია, ის კი არა, მხოლოდ იმიტომ ვჭამ, რომ მერე სიგარა გავაბოლო, ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ ასეა. უთამბაქოდ გატარებული ერთი დღეც კი ჩემთვის უღიმღამობის მწვერვალი იქნებოდა, სავსებით უმიზნო და უხალისო. დილას რომ ვუთხრა ჩემს თავს, დღეს მოსაწევი არაფერი მაქვს-მეთქი, მე მგონია, წამოსადგომად არ მეყოფოდა ძალა, დიახ, ნამდვილად, მთელ დღეს ლოგინში გავატარებდი. კაცს კარგი სიგარა თუ გაქვს... კარგ სიგარას იცი, რომელს ვეძახი? გვერდებიდან სული არ უნდა ეპარებოდეს და არ უნდა ხრჩოლავდეს, თორემ ეგ ნერვების მომშლელია - ჰოდა, იმას გეუბნებოდი, კაცს თუ კარგი სიგარა გაქვს, ასე თუ ისე, დაზღვეული ხარ, რომ ცუდი არაფერი მოგივა, ეს ზუსტად იმასა ჰგავს, ზღვის ნაპირას რომ წევხარ შენთვის და არაფერი რომ არ გენაღვლება, არც მუშაობა გინდა და არც გართობა. მადლობა ღმერთს, მთელ მსოფლიოში ეწევიან თამბაქოს, რამდენადაც ვიცი, სადაც უნდა გადაგისროლოს ბედმა, ყველგან ეცოდინებათ მისი ფასი. პოლარელი მკვლევრებიც კი ბლომად იმარაგებენ მძიმე შრომის გასაიოლებლად თამბაქოს. ეს რომ წავიკითხე, გული მათდამი სიმპათიით ამევსო. ყოველთვის შეიძლება კაცს ცუდი შეემთხვას რამე, ვთქვათ, გასაჭირში ჩავვარდე, სანამ სიგარები არ გამომელევა, ყველაფერს გავუძლებ, ვერავითარი უბედურება წელში ვერ გამტეხს.
- მაინც ცოტა ხელმიშვებულობის ბრალია, ასე რომ ხარ სიგარაზე მიჯაჭვული, - უთხრა იოახიმმა, - ბერენსი მართალია. შენ სამოქალაქო ყაიდის კაცი ხარ, თუმცა მან კი შეგაქო ამით, მაგრამ სიმართლე თუ გინდა, გამოუსწორებელი სამოქალაქო ყაიდის კაცი ხარ. თუმცა ჯანმრთელობა ხელს გიწყობს და რასაც გინდა, იმას იზამ, - დასძინა მან და თვალებში მოქანცულობა დაეტყო.
- ანემიურობამდე ჯანმრთელი ვარ, არა? - თქვა ჰანს კასტორპმა, - მეტისმეტი არ იყო, რომ მომახალა, მწვანე ფერი გადევსო? ისე, მართალი კი მითხრა, ეს მეც მომხვდა თვალში, თქვენთან შედარებით მართლაც მწვანევარ, სახლში ასე ვერ ვატყობდი ჩემს თავს. მერედა, რა ყურადღებით მომექცა, პირდაპირ რჩევა-დარიგებაზე გადავიდა და თან, როგორც თვითონ თქვა,მთლად sine pecunia. სიამოვნებით ვიღებ ყურად მის რჩევას - მეც შენს რეჟიმს დავიცავ. კაცმა რომ თქვას, აბა აქ, თქვენთან, ზევით, ისედაც რა უნდა გავაკეთო. ასეთი რეჟიმი ცილას თუ მომიმატებს, თორემ ხომ არაფერს მავნებს, თუმცა მერწმუნე, ეს ცილის მომატება ცოტა გულის ამრევადაც კი ჟღერს.
იოახიმმა ერთი-ორჯერ დაახველა - როგორც ჩანს, აღმართზე ასვლა მაინც გაუჭირდა. მესამეჯერაც რომ წამოახველა, წარბები შეეჭმუხნა და ბიძაშვილს სთხოვა, წინ წადიო. ჰანს კასტორპს არ დაუხანებია, სწრაფად გაშორდა იოახიმს და უკან მოუხედავად შეუდგა აღმართს. როცა დარწმუნდა, კარგა მანძილზე დავცილდიო, ნაბიჯი შეანელა, თითქმის შეჩერდა, მაგრამ უკან არც ახლა მოუხედავს.
ჰანს კასტორპისაკენ ორივე სქესის დამსვენებლების ჯგუფი მოდიოდა. ეს ჯგუფი ადრეც შეამჩნია, ზევით, ფერდობის ნახევრამდე რომ იყვნენ მისულნი, ახლა კი ისინი ძირს ეშვებოდნენ. გეზი პირდაპირ მისკენ ეჭირათ და ჰანს კასტორპს

კარგად ესმოდა მათი მრავალფეროვანი ხმები. ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ექვსი-შვიდი კაცი იქნებოდა, ზოგი სულ ახალგაზრდა იყო, რამდენიმე - შედარებით ასაკოვანი. ჰანს კასტორპს თავი გვერდზე გადაეგდო, მომავალთ შესცქეროდა და თან იოახიმზე ფიქრობდა... ყველა თავშიშველა იყო და მზეზე გარუჯული, ქალებს ფერად-ფერადი სვიტერები ეცვათ, მამაკაცების უმრავლესობა უპალტოოდ და ასე განსაჯეთ, უჯოხოდაც კი მოსეირნობდა, თითქოს ჯიბეებში ხელჩაწყობილნი საკუთარი სახლის წინ შინაურულად გამოსულან მუხლის გასამართავადო. თავდაღმართში ჩამოსვლა მაინცდამაინც არ მოითხოვს ძალის დაძაბვას, მხოლოდ ფეხი უნდა დააბიჯო მიწას მტკიცედ და თავი დაიმუხრუჭო, რომ თავქვე არ დაეშვა კისრისტეხით. მოკლედ, თავდაღმართში რომ მიდიხარ, სულ იმას უნდა ფიქრობდე, ღმერთი არ გამიწყრეს და არ დავგორდეო. ამიტომ იყო, რომ ისინი როგორღაც ფრთაშესხმულებივით მოდიოდნენ, თავი ქარაფშუტულად ეჭირათ და ეს ამჩატება ისე გადაეცემოდა მათ გამომეტყველებასა და მთელ არსებას, რომ ძალაუნებურად ინატრებდი, მეც მათთან მამყოფაო.

აი, ისინი სულ ახლოს მოვიდნენ, ჰანს კასტორპი ახლა კარგად არჩევდა მათ სახეებს და მიხვდა, რომ ყველანი როდი ყოფილან მზეზე გარუჯულნი - მათ შორის ორი ფერმკრთალი მანდილოსანიც ერია; ერთ-ერთს, ჭოკივით ხმელ ქალს, სპილოსძვლისფერი სახე ჰქონდა, მეორეს, შედარებით ტანმორჩილსა და ჩასუქებულს, კანი ლაქებით ჰქონდა დაუშნოებული. ჰანს კასტორპს ყველამ უტიფარი ღიმილით შეავლო თვალი. ერთმა მწვანესვიტერიანმა აწოლილმა ქალიშვილმა, რომელსაც თმა უშნოდ დაეყენებინა და სულელური თვალები ნახევრად მოეხუჭა, ისე ახლოს ჩაუარა ჰანს კასტორპს, რომ მკლავით თითქმის გაეხახუნა და თან დაუსტვინა კიდეც... არა, ეს რაღაც სიგიჟე იყო! მან დაუსტვინა, მაგრამ პირით კი არა, პირიქით, პირი მაგრად ჰქონდა მოკუმული, სტვენა მისი სტომაქიდან ამოდიოდა, თვითონ კი ჰანს კასტორპს სულელურად შესცქეროდა ნახევრად მოხუჭული თვალებით. ეს იყო ამაზრზენი სტვენა, უხეში და მკვეთრი, მაგრამ მაინც დახშული და გაჭიანურებული, ბოლოში ისეთ ტონს გამოსცემდა, ბაზარში გასაყიდად გამოტანილი რეზინის საჭყვიტინო მოგაგონდებოდათ, დაჩუტვისას მწივანა, საცოდავ ხმას რომ გამოსცემს ხოლმე. ეს სტვენა რომელიღაც გაუგებარი გზით ამოუშვა ამ ქალიშვილმა და თანამგზავრებთან ერთად ჩაიარა კიდეც.

სახტად დარჩენილი ჰანს კასტორპი გაუნძრევლად იდგა და სივრცეში იყურებოდა. შემდეგ ფიცხლად შემოტრიალდა და იმდენს მაინც მიხვდა, რომ ეს ამაზრზენი რამ წინასწარ მოფიქრებული ხუმრობა და დაცინვა უნდა ყოფილიყო, რადგან მიმავალთ მხრების თახთახზე ეტყობოდათ, რა გულიანად იცინოდნენ. ერთმა ჩასკვნილმა, ტუჩებგადმობრუნებულმა ბიჭმა კი, რომელსაც ორივე ხელი ჯიბეებში ჩაეწყო და თითქმის უზრდელად წამოეხადა პიჯაკი, დაუფარავად მოატრიალა მისკენ თავი და გაიცინა... ამასობაში ჰანს კასტორპს იოახიმი წამოეწია. იგი მიესალმა იმ ჯგუფს, თავისი რაინდული ჩვეულებისამებრ თითქმის სმენაზე გაიჭიმა და ქუსლები ერთმანეთს მიატყუპა. შემდეგ ბიძაშვილთან მივიდა და ალერსიანი მზერა შეაგება.

- რა მოხდა, რამ შეგიშალა სახე? - ჰკითხა მან ჰანს კასტორპს.

- ის ქალიშვილი უსტვენდა! - უპასუხა მან, - რომ ჩაიარა, მუცლიდან სტვენა ამოუშვა, იქნებ გამაგებინო, რაშია საქმე.

- ჰოო, - თქვა იოახიმმა და აგდებულად გაიცინა, - სისულელეა, მუცლიდან არ დაუსტვენდა. ეს გახლდათ ჰერმინე კლეეფელდი, ის პნევმოთორაქსით უსტვენს.

- რით? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა. იგი აღელვებული იყო, მაგრამ ისიც ვერ გაერკვია, რა აღელვებდა და თითქმის სიცილ-ტირილით დასძინა, - ახლა კიდევ ეგ მომთხოვე, თქვენს ჟარგონში გავერკვე.

- წამო, რაღას უდგახარ! - უთხრა იოახიმმა, - გზადაგზაც ხომ შემიძლია აგიხსნა. რა მილურსმულივით დგახარ! ალბათ, მიხვდი, რომ ეს სიტყვა ქირურგიის სფეროდანაა. პნევმოთორაქსი გახლავს ოპერაცია, რომელსაც აქ ხშირად აკეთებენ ხოლმე. ბერენსს კარგად აქვს ხელი გაწაფული... როცაერთი ფილტვი ძალიან დაზიანებულია, ხომ გესმის, რასაც გეუბნები, მეორე კი ჯანსაღი ან შედარებით ჯანსაღია, მაშინ დაავადებულ ფილტვს რამდენიმე ხნით გამოთიშავენ და ასვენებენ...ავადმყოფს აი, აქ, სადღაც ფერდში უკეთებენ

განასერს, მე ზუსტად არ ვიცი, სად, მაგრამ ბერენსი კი დიდებულად ერკვევა. შემდეგ ამ განასერში შეჰყავთ აზოტი და ასე დახშული ფილტვი უმოქმედოდ რჩება. რა თქმა უნდა, გაზი დიდხანს არ ჩერდება ფილტვში და თვეში ორჯერ უხდებათ პროცედურის გამეორება - ესე იგი, ხელახლა ჩაბერვა. თუ ასეთი მდგომარეობა წელიწადს ან კიდევ უფრო მეტხანს გრძელდება და საქმე კარგად მიდის, დასვენებული ფილტვი შეიძლება გამოჯანსაღდეს. რა თქმა უნდა, ყველას არ უმართლებს ბედი, პნევმოთორაქსის გაკეთება საკმაოდ რისკიანი საქმეა, მაგრამ ამბობენ, ამ მეთოდით უკვე მშვენიერ შედეგებს აღწევენო. ვინც შენ ახლა ნახე, იმათ ყველასა აქვს ეგ გაკეთებული. ფრაუ ილტისსაც აი, იმ ხალებიანს, ფროილაინ ლევისაც, გამხდარი რომაა, თუ გახსოვს, ის დიდხანს იყო ლოგინად ჩავარდნილი. ჰოდა, მონახეს ერთმანეთი, ხომ იცი, პნევმოთორაქსისთანა რამ აახლოებს ადამიანებს, „ცალფილტვიანთა კავშირი“ დაირქვეს და ამ სახელით არიან ცნობილნი. კავშირის სიამაყე კი გახლავთ ჰერმინე კლეეფელდი, რადგან პნევმოთორაქსით სტვენა შეუძლია. ესეც ნიჭია, ხომ იცი, ყველა კი ვერ შეძლებს ამას. როგორ ახერხებს სტვენას, ამას ვერ გეტყვი, ალბათ, თვითონაც ვერ აგიხსნის. სწრაფად რომ ივლის, მაშინ ამოსდის სტვენა და კარგადაც იყენებს ხალხის დასაშინებლად, განსაკუთრებით ახალჩამოსულ ავადმყოფებთან გაუდის თავისი ოინბაზობა. მე თუ მკითხავ, ამ სტვენა-სტვენაში, ეტყობა, კარგა ბლომად ფლანგავს თავის აზოტს და ყოველ კვირაში ბერავენ ხოლმე.
ახლა კი გაეცინა ჰანს კასტორპს. იოახიმის სიტყვებმა მღელვარება გაუნელა და მხიარულება მოჰგვარა. თვალებზე ხელი აიფარა, გულიანი ხითხითისაგან მოიკუნტა და მხრები აუთახთახდა.
- მათი კავშირი რეგისტრირებულია? - ძლივს ამოთქვა ეს სიტყვები შეკავებული სიცილისაგან მტირალა და მიკნავებული ხმით, - წესდება თუ აქვთ? როგორ მწყინს, შენ რომ არა ხარ მაგათი კავშირის წევრი, მაშინ იქნებ მეც მივეღე საპატიო წევრად, თუ არა კორპორანტად მაინც... გეთხოვა ერთი ბერენსისათვის, შენთვისაც გამოეთიშა ფილტვის ნაწილი. იქნებ შენც გესწავლა სტვენა, შენ მონდომება თქვი, თორემ მაგის სწავლას კი შეძლებს კაცი... ამაზე სასაცილო ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამიგონია, - მძიმედ ამოიხვნეშა მან, - მაპატიე, ასე იოლად რომ ვლაპარაკობ ამაზე, მაგრამ თვითონ ჩინებულ გუნებაზე არიან ეს შენი პნევმატური ამხანაგები და! როგორ მოიბღინძებოდნენ... რა ვიცოდი, ეს „ცალფილტვიანთა კავშირი“ თუ იყო! „წიუუ“ - როგორ მომასტვინა იმ ქაჯმა! ისე, ეს კარგი წრეგადასული სიანცეა, ხომ იცი! ვერ მეტყვი, რატომ არიან ასე გაცელქებულნი?
იოახიმი პასუხს ეძებდა.
- ღმერთო ჩემო, ისინი ხომ თავისუფალნი არიან, - თქვა ბოლოს, - ახალგაზრდები არიან, დროს მათთვის არავითარი ფასი არა აქვს. მალე იქნებ აღარც იყონ ამ ქვეყანაზე. რატომ დაიჭერენ სერიოზულად თავს? ხანდახან ვფიქრობ, რომ ავადმყოფობასა და სიკვდილს სერიოზულობის ნატამალი არ გააჩნია, ისინი უფრო უსაქმურობასა და ლაზღანდარობას ენათესავებიან, სიმართლე თუ გინდა, სერიოზული იქ არის ცხოვრება, ქვევით. მე მგონი, თანდათან შენც მიხვდები ამას, აქ, ზევით, მეტხანს თუ დაჰყოფ.
- უეჭველად, - თქვა ჰანს კასტორპმა, - რომ იცოდე, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მე უკვე მრავალი ინტერესი გამიღვიძეთ ზემოურებმა, ჰოდა, როცა კაცს რაიმე გაინტერესებს, თავისთავად მიხვდები ყოველივეს. მე... მე რაღა დამემართა, სიგარას გემოს ვეღარ ვატან, - თქვა მან და სიგარა შეათვალიერა, - ამდენი ხანია ჩემს თავს ვეკითხები, რა მომდის-მეთქი, და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ „მარია“ აღარ მსიამოვნებს და ამისი ბრალია ყველაფერი. თუ დამიჯერებ, პაპიე-მაშეს გემო აქვს და ისეთ შეგრძნებას მგვრის, თითქოს რაღაცამ მაწყინა-მეთქი. ვერაფერი გამიგია! საუზმეზე უჩვეულოდ ბევრი კი ვჭამე, მაგრამ ამის ბრალი არ იქნება, პირიქით, რაც უფრო მეტს შეჭამ, მით უფრო გემრიელი გეჩვენება სიგარა. შენ როგორ ფიქრობ, ცუდად რომ მეძინა, იმის ბრალი ხომ არ იქნება ყველაფერი? ამის გამო თუ მომეშალა ორგანიზმი. არა, უნდა ავიღო და გადავაგდო! - ახალი ნაფაზის შემდეგ თქვა ჰანს კასტორპმა, - რამდენჯერაც დავარტყი ნაფაზი, იმდენჯერ გამიცრუვდა იმედი. რა ძალა მადგას, თავი გავიწვალო.
ჰანს კასტორპმა ერთ წუთს კიდევ იყოყმანა და სიგარას ნამიან წიწვებში

გადაუძახა.
- იცი, რას ვფიქრობ? - კვლავ წამოიწყო მან, - დარწმუნებული ვარ, ეს სულ ამ წყეული ალმურის ბრალია, დილიდან რომ აღარ ეშველა დაცხრომა. ეშმაკმა წამიღოს, თუ არ მეგონოს, სახეზე სირცხვილის ალმური მაქვს მოდებული-მეთქი. შენც ასე იყავი, რომ ჩამოხვედი?
- ჰო, - უპასუხა იოახიმმა, - მეც რაღაც უცნაურად ვგრძნობდი თავს. არაფერია! მე ხომ გითხარი, აქაურობაზე მიჩვევა არც ისე იოლია-მეთქი. სულ მალე გაგივლის. შეხედე, რა კოხტა ძელსკამი დგას. ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ და მერე შინ წავიდეთ, თორემ სამკურნალო წოლის საათი მეწყება.
გაივაკეს. გზა ახლა თითქმის მთის შუა კალთაზე გადიოდა დადავოსისაკენ მიემართებოდა. აქედან მაღალ, ქარისაგან გადრეკილ, გაქუცულ ფიჭვებს შორის ჩამოღვრილ ჩახჩახა შუქში აქათქათებული სოფელი მოჩანდა. სუფთად გარანდული ძელსკამი ზურგით პიტალო კლდეს ებჯინებოდა. ბიძაშვილები სკამზე ჩამოსხდნენ. მათ გვერდით ხის ღარში საამურად მორაკრაკებდა წყალი და ხეობისაკენ მიედინებოდა.
იოახიმმა ის იყო, დააპირა ბიძაშვილისათვის ხეობის სამხრეთით ჩარაზმული, ღრუბლებში გახვეული ალპების მწვერვალების სახელები ესწავლებინა და ჯოხი მათკენ გაიშვირა, რომ ჰანს კასტორპმა მხოლოდ უგულოდ მოავლო მთებს თვალი, თავი ჩაღუნა და თავისი ქალაქური, ვერცხლით მოზარნიშებული ხელჯოხით ქვიშაში ფიგურების ხატვას შეუდგა. მას სულ სხვა რამ აინტერესებდა.
- იცი, რა მინდოდა მეკითხა შენთვის... - დაიწყო მან... - ჩემს ოთახში ჩემი ჩამოსვლის წინ ხომ გარდაიცვალა ვიღაც. ჰოდა, შენ რაც აქა ხარ, ბევრჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა?
- უეჭველად იქნებოდა და საკმაოდ მრავალიც, - უპასუხა იოახიმმა, - მაგრამ ასეთ ამბებს საიდუმლოდ ინახავენ. ჩვენ ვერაფერს ვიგებთ, ისე, შემთხვევით თუ შევიტყობთ გვიან. ავადმყოფის სიკვდილი დიდი საიდუმლოებითაა მოცული, პაციენტებს უფრთხილდებიან, განსაკუთრებით კი ქალებს ზოგავენ, რომ ისტერიკა არ დაემართოთ, შენ გვერდით ისე მოკვდება ვინმე, ვერც კი გაიგებ. კუბო უთენია მოაქვთ, როცა ჯერ კიდევ გძინავს და წასასვენებლადაც შესაფერ მომენტს არჩევენ, მაგალითად, სადილობის საათებს უდარებენ ხოლმე.
- ჰმ, - თქვა ჰანს კასტორპმა და ქვიშაზე ხატვა განაგრძო.
- მაშ, კულისებს მიღმა რაღაც-რაღაცები ხდება, ხომ?
- ჰო, შეიძლება ითქვას, რომ ასეა... მაგრამ ახლახან,... მაცადე, დაახლოებით რვა კვირა იქნება მას მერე...
- მაშინ რაღას ამბობ, ახლახანო, - ცივად და ფხიზლად შენიშნა ჰანს კასტორპმა.
- რა თქვი? კარგი, მაშინ ახლახან არა. შენ სიზუსტე გყვარებია. ახლახან-მეთქი, ისე ვთქვი, მაშასადამე, რამდენიმე ხნის წინ სრულიად შემთხვევით შევიჭვრიტე კულისებს მიღმა და დღევანდელ დღესავით მახსოვს ყველაფერი, რაც დავინახე: პატარა კათოლიკე გოგონას, ბარბარა ჰუიუსს, უკანასკნელი ზიარებისათვის, ანუ ზეთის კურთხევისათვის მოაკითხეს. მე რომ ჩამოვედი, ის ჯერ კიდევ ფეხზე დადიოდა, აქაურობას იკლებდა, ხალისით სავსე, ნამდვილი ახტაჯანა გოგონა იყო. მერე სნეულება მოერია და აღარც ამდგარა. იგი ჩემგან მეოთხე ოთახში იწვა. ჩამოვიდნენ მისი მშობლები, მერე მღვდელიც მობრძანდა. იგი ნაშუადღევს მოვიდა, როცა ყველანი ჩაის სუფრას უსხდნენ და დერეფნებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მაგრამ შენ წარმოიდგინე, მე აივანზე სამკურნალო წოლისას ჩამძინებოდა, გონგის ხმა გამომპაროდა და ჩაიზე თხუთმეტი წუთით დამაგვიანდა. ასე რომ, გადამწყვეტ წუთებში იქ არ ვიყავი, სადაც ყველა იყო და როგორც შენ ამბობ, კულისებში აღმოვჩნდი. მოვდივარ დერეფანში და ვხედავ, ჩემკენ მოდიან მოსირმული ანაფორებით შემოსილი ადამიანები, წინ ოქროს ჯვარი მოუძღვით. ერთ-ერთ მათგანს, იანიჩრების ორკესტრის წინ რომ მოაქვთ ხოლმე ზანზალაკებიანი საჟღარუნო, ისე მოჰქონდა ჯვარი.
- ვერაფერი შედარებაა, - საკმაოდ მკაცრად შენიშნა ჰანს კასტორპმა.
- მე კი ასე მომეჩვენა და, ჩემდა უნებურად ის საჟღარუნო გამახსენდა. ყური დაუგდე, რასაც გიყვები: ისინი მომიახლოვდნენ, მწყობრად, სწრაფი ნაბიჯით მომიახლოვდნენ. თუ არ ვცდები, სამნი იყვნენ, წინ ეკლესიის მსახური მოდიოდა ჯვრით ხელში, მას სათვალიანი მღვდელი მოსდევდა, ბოლოს ბიჭი მოდიოდა,

რომელსაც საცეცხლური ეჭირა ხელში. მღვდელს მკერდზე მიეკრა თავდახურული წმინდა ზიარება და თავი მოწიწებით ჰქონდა გვერდზე გადახრილი. ეს ხომ მათი წმიდათაწმიდა რამ არის.
- სწორედ მაგიტომ გამიკვირდა, საჟღარუნოს როგორ ახსენებს-მეთქი, - უთხრა ჰანს კასტორპმა.
- კარგი, კარგი, ერთი შენ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე, რას იზამდი. ისეთი სურათი იყო, სიზმარში გეგონებოდა თავი...
- მაინც რატომ?
- რატომ და, ჩემს თავს ვეკითხებოდი, ამ დროს როგორ უნდა მოვიქცე-მეთქი. თავზე ქუდი მე არ მეხურა, რომ მომეხადა...
- აი, ხომ ხედავ! - სწრაფად გააწყვეტინა ჰანს კასტორპმა, - ხომ ხედავ, რომ კაცს თავზე ქუდი უნდა ეხუროს. თვალში მომხვდებოდა, აბა, რა, აქ ქუდს რომ არ ატარებთ არავინ. ქუდი უნდა გეხუროს, რომ გაჭირვებისას მოხდა შეგეძლოს. მერე, მერე, განაგრძე.
- მე კედელს ავეკარი, - განაგრძო იოახიმმა, - და რომ გამისწორდნენ, თავი ოდნავ დავხარე. ეს იყო სწორედ პატარა ჰუიუსის ოთახის, ოცდამერვე ნომრის წინ. მე მგონი, მღვდელს ესიამოვნა, რომ მივესალმე. მან თავაზიანად გადამიხადა მადლობა და კუნკული მოიხადა. ამ დროს ყველანი შეჩერდნენ კიდეც, საცეცხლურიანმა ყრმამ კარზე დააკაკუნა, კარი გააღო და თავისი პატრონი წინ გაატარა. ახლა შენ წარმოიდგინე ჩემი შიში და შეძრწუნება! შედგა თუ არა მღვდელმა ოთახში ფეხი, საზარელმა ყვირილმა შეძრა იქაურობა, ასეთი კივილი, ალბათ, შენს სიცოცხლეში არ გაგიგონია,სამი-ოთხჯერ ზედიზედ გაისმა ის საზარელი შეკივლება და მას გულშემზარავი, გაბმული ყვირილი მოჰყვა. ეტყობოდა, გოგონა ფართოდ პირდაფჩენილი ყვიროდა, „ააა“, ამ ყვირილში ენით აუწერელი მოთქმაც იყო, ძრწოლაც და პროტესტიც, ხანდახან შემზარავი მუდარაც გამოერეოდა. უცებ ერთბაშად დაყრუვდა და დაიხშო ხმა, თითქოს მიწაში ჩაიკარგა და ღრმა დილეგიდან მოდისო.
ჰანს კასტორპი ფიცხლად მიუბრუნდა ბიძაშვილს.
- ეს ჰუიუსი იყო? - ჰკითხა აღელვებულმა, - რა ღრმა დილეგიდანო, რას ამბობ?
- იგი საბნის ქვეშ ჩაიმალა! - თქვა იოახიმმა, - აბა, წარმოიდგინე, რა დღეში ვიქნებოდი: მღვდელი კარის ზღურბლზე იდგა და აწყნარებდა გოგონას. ახლაც თვალწინ მიდგას, თავს წინ და უკან როგორ იქნევდა. ჯვრის მტვირთველი და მედავითნე ჯერ კიდევ ღია კარში იდგნენ და ოთახში ვერ შედიოდნენ. მე კი შემეძლო მათ შორის გამეჭვრიტა. ოთახი ისეთივეა, როგორიც შენი და ჩემია. საწოლი კარის ხელმარცხნივ დგას კედელთან. საწოლის ფერხთით ხალხი იდგა, ახლობლები და მშობლები იქნებოდნენ. ისინიც დამაშოშმინებელ სიტყვებს ჩასძახოდნენ ჰუიუსს, იქ კი უფორმო მასის მეტი არაფერი მოჩანდა, რომელიც ივედრებოდა, შემაძრწუნებლად გაჰკიოდა და ფეხებს ასხმარტალებდა.
- მართლა ასხმარტალებდა ფეხებს?
- მთელი ძალ-ღონით! მაგრამ ვერაფერმა უშველა, მაინც მიაღებინეს წმინდა ზიარება. მღვდელი მიუახლოვდა, ის ორიც შევიდა ოთახში და კარი მიიხურა კიდეც, მაგრამ მანამდე კიდევ შევასწარი თვალი: წამით გამოჩნდა ჰუიუსის თმაგაწეწილი ქერა თავი და მღვდელს ფართოდ გაღებული თვალებით მიაჩერდა, უჩინო, მთლად ფერდაკარგული თვალებით და ვაის ძახილით ისევ ზეწრის ქვეშ ჩაიმალა.
- მერე შენ მხოლოდ ახლა მიყვები ამ ამბავს? - ხანმოკლე პაუზის შემდეგ ჰკითხა ბიძაშვილს ჰანს კასტორპმა, - ვერ გამიგია, გუშინ საღამოსვე როგორ არ მიამბე ეს. ღმერთო ჩემო, ეტყობა, კიდევ ჰქონია ძალა შერჩენილი, ასე რომ იცავდა თავს, ამისთვის ხომ ძალაა საჭირო. არ უნდა მოეყვანათ მღვდელი, სანამ სულ არ მისუსტდებოდა.
- მღვდელი სწორედ სულთმობრძავს მოუყვანეს, - მიუგო იოახიმმა, - ეჰ, მოსაყოლი ბევრია. შენ ისა თქვი, რით უნდა დაიწყო, თორემ... გოგონა უკვე მივარდნილი იყო, მაგრამ ამოდენა ძალა მხოლოდ შიშმა მისცა, სიკვდილის შიშმა, მიხვდა, ვკვდებიო. ასეთ პატარა გოგონას ეპატიება სიკვდილის შიში, მაგრამ ხანდახან მამაკაცები იწყებენ შფოთვას, ეს კი, რა თქმა უნდა, მიუტევებელი სილაჩრეა. ბერენსმა იცის, როგორ უნდა მოუაროს ხოლმე ამისთანებს, იცის შესაფერი ტონის

გამონახვა.
- რა ტონის? - წარბები შეჭმუხნა ჰანს კასტორპმა.
- აბა, ნუ იგრიხებითო, ეტყვის და მორჩა, - უპასუხა იოახიმმა, - ყოველ შემთხვევაში, ახლახან ასე უთხრა ერთს. ჩვენ უფროსმა ექთანმა გვიამბო, რომელიც მომაკვდავს აკავებდა. იყო ერთი, აღსასრულის დადგომისას გულისამრევი სცენა რომ გამართა და არაფრისდიდებით არ უნდოდა, მომკვდარიყო... მაშინ შეუტია ბერენსმა, აბა, თუ შეიძლებოდეს, ნუ იგრიხებითო და პაციენტიც მაშინვე მიყუჩდა და სული მშვიდად განუტევა.
ჰანს კასტორპმა ბარძაყზე დაირტყა ხელი, მერხის საზურგეს მიეყრდნო და თვალები ზეცისკენ აღაპყრო.
- არა, ეს უკვე მეტისმეტია! - წამოიძახა მან, - როგორ, მივარდება და მომაკვდავს ეუბნება, ნუ იგრიხებითო? ეს რა მესმის! მომაკვდავს პატივი უნდა სცე. როგორ შეიძლება, ასე წამოჰკრა ხელი... მე რომ მკითხო, მომაკვდავი, რაც უნდა იყოს, წმიდათაწმიდაა.
- მართალი ბრძანდები, - უთხრა იოახიმმა, - მაგრამ ლაჩრულად თუ იქცევა, მაშინ? არამც და არამც არ შეიძლებაო, ისე ჯიუტად გაიძახოდა ჰანს კასტორპი, რომ ეს სულ არ შეეფერებოდა იმ სუსტ წინააღმდეგობას, რასაც ბიძაშვილი უწევდა.
- ვერაფრისდიდებით ვერ დამარწმუნებ, რომ მომაკვდავი ვიღაც რეგვენზე უფრო ღირსეული მაინც არ არის, რომელიც სიცილ-ხარხარით დაწანწალებს აღმა-დაღმა, ფულს შოულობს და მუცელს იყორავს. არა, ასე არ შეიძლება... არა, სად გაგონილა მომაკვდავისათვის ასე ხელის წამოკვრა... - დაასკვნა ჰანს კასტორპმა და ხმა უცნაურად აუთრთოლდა. უცებ მისი სიტყვები ხარხარმა ჩაახშო, გუშინდელივით თავშეუკავებელმა, გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა, დამაოსებელმა, უნაპირო ხარხარმა. სიცილისაგან დაოსებულმა ჰანს კასტორპმა თვალები დახუჭა და ქუთუთოებზე ცრემლებმა გამოჟონა.
- ტსს! - უცებ დაისისინა იოახიმმა, - ჩუმად! - ისევ წაიჩურჩულა მან და სიცილისაგან გადაბრუნებულ ჰანს კასტორპს მუჯლუგუნი წაჰკრა. ჰანს კასტორპმა ძლივს გაახილა ცრემლიანი თვალები.
მარცხნიდან მომავალ გზაზე ვიღაც უცხო მამაკაცი მოდიოდა. კოხტა შავგვრემან ბატონს შავი, გადაწკეპილი ულვაში ჰქონდა და ტანთ ღია ფერის უჯრედებიანი შარვალი ეცვა. უცნობი მიუახლოვდათ, იოახიმს მოხდენილად და ტკბილი ხმით დილა მშვიდობისა უსურვა, ხელჯოხს დაეყრდნო, ფეხებიგადააჯვარედინა და მათ წინ გრაციოზულ პოზაში გაჩერდა.

სატანა
უცნობის ასაკს კაცი ვერ დაადგენდა, ასე, ოცდაათიდან ორმოც წლამდე უნდა გევარაუდათ; თუმცა ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაგრამ საფეთქლები უკვე შევერცხლოდა და თმაც საგრძნობლად შესთხელებოდა, სამაგიეროდ, თმაში ყურეებივით შეჭრილი გამელოტებული ადგილები შუბლს უმაღლებდა. მის კოსტიუმს - ამ განიერ, ღია ყვითელ, უჯრედებიან შარვალსა და ორმხრივად ღილებჩარიგებულ, ვეებერთელალაცკანებიან და ხაოიან გრძელ სერთუკს ელეგანტური არამც და არამც არ ეთქმოდა, მომრგვალებულ დამდგარ საყელოსაც ხშირი რეცხვის წყალობით კიდეებზე ბუსუსები მოსდებოდა, შავი ჰალსტუხიც გაცვეთილი ჩანდა, ხოლო მანჟეტებს, უცნობი, ეტყობოდა, სულაც არ ატარებდა. ჰანს კასტორპმა შეამჩნია, უმანჟეტობის გამო როგორ ჩვარივით ეკიდა მაჯებზე სერთუკის სახელოები, მაგრამ იმასაც კარგად მიხვდა, რომ მის წინ უბრალო კაცი არ იდგა. ამაზე მეტყველებდა უცნობის ჭკვიანური გამოხედვა და ლაღი, თითქმის მშვენიერი მიხრა-მოხრა. ოღონდ ამ გაქუცულობისა და მომხიბვლელობის აღრევამ, შავმა თვალებმა და რბილად მოხაზულმა ულვაშმა ჰანს კასტორპს გადამთიელი მუსიკოსები გაახსენა, შობის დღეებში მის სამშობლოში კარდაკარ რომ დაეხეტებოდნენ, ქუჩის კონცერტებს მართავდნენ, მერე ხავერდოვანი თვალებით შეჰყურებდნენ ფანჯრებს და ელოდნენ, გაწვდილ ფეტრის შლაპებში როდის ჩამოუყრიდნენ ათპფენიგიანებს. „ნამდვილი მეარღნეა!“ - გაიფიქრა მან. ასე რომ, აღარ გაჰკვირვებია, როცა იოახიმისაგან უცნობის გვარი გაიგონა. იოახიმი ძელსკამიდან წამოდგა და ოდნავ უხერხულად

წარუდგინა ისინი ერთმანეთს.
- ჩემი ბიძაშვილი კასტორპი, ბატონი სეტემბრინი, - თქვა მან.
ჰანს კასტორპს სახეზე ჯერ კიდევ შერჩენოდა მხიარულების კვალი. იგიც ფეხზე წამოდგა, მაგრამ იტალიელმა ორივეს თავაზიანად სთხოვა, ნუ წუხდებითო და კვლავ სკამზე დასვა, თვითონ კი ფეხზე დარჩა იმავე მოხდენილ პოზაში გარინდებული. იგი იღიმებოდა და ბიძაშვილებს, უფრო კი ჰანს კასტორპს, აკვირდებოდა. ბატონ სეტემბრინის ტუჩის კუთხეში, იქ, სადაც ულვაში კოხტად აპრეხილიყო, ძლივს შესამჩნევი, ოდნავ დამცინავად ჩატეხილი ღრმული თუ ნაოჭი აჩნდა, რომელიც თითქოს სიცხადისა და სიფხიზლისაკენ გიხმობდათ. ამ გრიმასამ წამსვე გამოაფხიზლა ჰანს კასტორპი და თავისი თავისა შერცხვა. სეტემბრინიმ თქვა:
- ეტყობა, ბატონები აღტყინებულნი ბრძანდებიან და არცთუ უმიზეზოდ, არცთუ უმიზეზოდ! რა დიდებული დილაა! ცა ლურჯია, მზე იცინის, - მან მოხდენილად და მსუბუქად მოიქნია მკლავი, პატარა მოყვითალო ხელი ცისაკენ აღაპყრო და ირიბი, მხიარული მზერაც იქით ისროლა, - მართლა შეიძლება კაცს დაგავიწყდეს, სადა ხარ.
იგი უაქცენტოდ ლაპარაკობდა, მხოლოდ ბგერების მკაფიო გამოთქმაზე თუ შეატყობდით, რომ უცხოელი იყო. სიტყვები როგორღაც ხალისიანად სწყდებოდა ბაგიდან და მისი მოსმენა სასიამოვნო გახლდათ.
- ბატონმა კარგად თუ იმგზავრა ჩვენამდე? - მიუბრუნდა იგი ჰანს კასტორპს, - იქნებ განაჩენიც უკვე მოსმენილი აქვს? მე მინდა ვთქვა, პირველი გასინჯვის პირქუში ცერემონიალი თუ შედგა-მეთქი.
წესით, იგი აქ უნდა გაჩუმებულიყო და პასუხი თუ აინტერესებდა, დალოდებოდა კიდეც, მაგრამ ის იყო, დააპირა ჰანს კასტორპმა პასუხის გაცემა, რომ ბატონმა სეტემბრინიმ კვლავ დააყარა კითხვები:
- ცერემონიალი კეთილად დასრულდა თუ არა? თქვენი მხიარული განწყობილების შემხედვარემ... - იგი წამით შეჩერდა და ტუჩის კუთხეში დამჩნეული ნაოჭი ჩაუღრმავდა, - შეიძლება ნაირ-ნაირი დასკვნები გამოიტანოს, რამდენი თვე „მოგისაჯეს“ ჩვენმა მინოსმა და რადამანთისმა? - „მოგისაჯესო“ განსაკუთრებით სასაცილოდ გაისმა მისი ბაგიდან, - გამოვიცნო? ექვსი? თუ ერთბაშად ცხრა თვე? ვადებზე აქ არ ძუნწობენ ხოლმე...
გაკვირვებულმა ჰანს კასტორპმა გაიცინა და თან შეეცადა, გაეხსენებინა, მინოსი და რადამანთისი ვინ იყვნენ. ბატონ სეტემბრინის კი უპასუხა:
- რას ბრძანებთ, თქვენ შეცდით, ბატონო სეპტემ...
- სეტემბრინი, - სწრაფად და მკაფიოდ შეუსწორა იტალიელმა და ხუმრობით დაუკრა თავი.
- დიახ, უკაცრავად, ბატონო სეტემბრინი, მაგრამ თქვენ ცდებით... მე ავად არ გახლავართ. მხოლოდ რამდენიმე კვირით ჩამოვედი ჩემი ბიძაშვილის მოსანახულებლად, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბარემ დავისვენო კიდეც.
- ეშმაკმა დალახვროს, ჩვენი თანამოძმე არა ხართ? მაშ, ჯანმრთელი ბრძანდებით და მხოლოდ სტუმრადა ხართ აქ, როგორც ოდისევსი აჩრდილთა სამეფოში? დიდი სიმამაცეა, ჩაეშვა ქვესკნელში, სადაც მიცვალებულნი ამაო და უაზრო ცხოვრებას ეწევიან...
- ქვესკნელში, ბატონო სეტემბრინი? გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ მე ხუთი ათას ფუტ სიმაღლეზე ამოვძვერი თქვენთან.
- თქვენ მხოლოდ მოგეჩვენათ ასე! სიტყვას გაძლევთ, რომ მოგეჩვენათ, - თქვა იტალიელმა და მტკიცედ გაიქნია ხელი, - ჩვენ ღრმად ჩაძირულიარსებანი ვართ, ასე არაა, ლეიტენანტო? - მიუბრუნდა იგი იოახიმს.
იოახიმს ესიამოვნა ეს მიმართვა, მაგრამ შეეცადა, კმაყოფილება დაეფარა და მშვიდად უპასუხა:
- ჩვენ მართლაც გამოვთაყვანდით აქ, მაგრამ თუ მოვინდომებთ, კიდევ შეგვიძლია წამოვიმართოთ.
- დიახ, თქვენი მჯერა, რომ წესიერი კაცი ბრძანდებით, - უთხრა სეტემბრინიმ, - დიახ, დიახ, დიახ, - სამჯერ გაიმეორა მან, „დონი“ მეტისმეტად მკვეთრად გამოთქვა,კვლავ ჰანს კასტორპს მიუბრუნდა და ენა რამდენჯერმე გააწკლაპუნა.
- დახეთ, დახეთ, დახეთ, - კვლავ სამჯერ გაიმეორა ეს სიტყვა, კვლავ მკვეთრად

გამოთქვა დონი“ ბატონმა სეტემბრინიმ და ახალბედას ისე ჩააშტერდა, რომ თვალები გაეყინა და ბრმასავით უჩინო გაუხდა. შემდეგ მზერა კვლავ გამოუცოცხლდა და განაგრძო:
- მაშ, თქვენი ნებით ამობრძანდით ჩვენამდე, ჩაძირულ ადამიანებამდე, და თქვენი აქ ყოფნით ერთხანს სიამოვნება გსურთ, მოგვანიჭოთ, არა? მშვენიერია! მაინც რამდენ ხანს ფიქრობთ აქ დარჩენას? მოურიდებლად გეკითხებით, მაგრამ ერთი სული მაქვს, გავიგო, რამდენს უსჯიან ხოლმე თავს ადამიანები, როცა თავიანთ ბედს თვითონ წყვეტენ და არა რადამანთისი.
- სამ კვირას, - ოდნავ თავმომწონედ უპასუხა ჰანს კასტორპმა, რადგან შენიშნა, რომ მისი შეშურდათ.
- ო დიო? სამ კვირას! გაიგონეთ, ლეიტენანტო? განა კადნიერება არ არის, თქვას კაცმა, სამი კვირით ჩამოვედი და ისევ უკან გავემგზავრებიო? ჩვენ კვირებით არ ვზომავთ დროს, ბატონო ჩემო, თუ ნებას მომცემთ, ჭკუა დაგარიგოთ. ჩვენი უმცირესი დროის ერთეული თვე გახლავთ. ჩვენ მაღალი სტილით ვანგარიშობთ. ეს აჩრდილთა უპირატესობაა. ჩვენ სხვა უპირატესობანიც გვაქვს, მაგრამ ყველა ამდაგვარი ყაიდისაა. ნებას მომცემთ, გკითხოთ, ცხოვრებაში რა საქმიანობას ეწევით, ან უფრო სწორად, რისთვის ემზადებით? როგორც ხედავთ, ცნობისმოყვარეობას ლაგამს არა ვდებთ, რადგან ცნობისმოყვარეობაც ჩვენს უპირატესობად მიგვაჩნია.
- ბატონი ბრძანდებით, მოგახსენებთ, - თქვა ჰანს კასტორპმა და ბატონ სეტემბრინის ცნობები მიაწოდა.
- გემთმშენებელი! ეს ხომ დიდებულია! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - მერწმუნეთ, გემთმშენებლობა დიდებულ პროფესიად მიმაჩნია, თუმცა ჩემი ნიჭი სულ სხვა სფეროსკენ მაქვს მიმართული.
- ბატონი სეტემბრინი ლიტერატორი გახლავს, - ოდნავ დარცხვენით აუხსნა იოახიმმა, - მას გერმანული გაზეთებისათვის ნეკროლოგი აქვს კარდუჩიზე დაწერილი. კარდუჩი ხომ იცი, ვინ არის, - დასძინა იოახიმმა და კიდევ უფრო დაირცხვინა, რადგან ჰანს კასტორპმა გაოცებული მზერა მიაპყრო, თითქოს უნდოდა, ეთქვა: ვითომ შენ კი გაგიგონია კარდუჩი ვინ არის, დავიჯერო, მაგ საკითხში ჩემზე მეტი გეცოდინებაო?
- დიახ, - თავი დაიქნია იტალიელმა, - პატივი მქონდა, თქვენი თანამემამულეებისათვის მომეთხრო ამ დიდი პოეტისა და მოაზროვნის ცხოვრების ამბავი, როცა იგი ამქვეყნად აღარ იყო. მე ვიცნობდი მას და უფლებაც მაქვს, მის მოწაფედ ვიწოდებოდე, ბოლონიაში ფერხთით ვუჯექი ხოლმე. ჩემს განათლებასა და სიცოცხლის ხალისს მას უნდა ვუმადლოდე. მაგრამ ჩვენ თქვენზე ვსაუბრობდით. მაშ, გემთმშენებელი ბრძანდებით, არა? იცით თუ არა, რომ ერთბაშად ამაღლდით ჩემს თვალში? თურმე რა ვიცოდი, შრომის სამყაროსა და პრაქტიკული გენიის წარმომადგენელთან მქონია საქმე!
- კი მაგრამ, ბატონო სეტემბრინი, მე ხომ ჯერ სტუდენტი ვარ. მე მხოლოდ დამწყები გახლავართ.
- მერე რა, ყოველი საქმის დასაწყისია სწორედ ძნელი. საერთოდ, რასაც შრომა ჰქვია, ყველაფერი ძნელი გახლავთ. ასე არ არის?
- ეშმაკმა უწყის! - გულწრფელად წამოსცდა ჰანს კასტორპს.
- მაშ, თქვენ ეშმაკსაც კი უხმობთ თქვენი აზრის დასამტკიცებლად? ხორცშესხმულ სატანას? იცით, რომ ჩემს დიდ მასწავლებელს ჰიმნი აქვს სატანისადმი მიძღვნილი?
- რას ბრძანებთ, ეშმაკისადმი აქვს ჰიმნი მიძღვნილი? - გაიოცა ჰანს კასტორპმა.
- დიახ, თვით ეშმაკისადმი. ამ ჰიმნს ჩემს სამშობლოში ხანდახან მღერიან ხოლმე საზეიმო დღეებში. „O salute, o Satana, o Rebellione, o forza vindice della Regione“. დიდებული სიმღერაა! მაგრამ აქ ნახსენები ეშმაკი სულ სხვაა, იგი შრომასთან არის წილნაყარი. იმას კი, თქვენ რომ გულისხმობდით, შრომა ეჯავრება, რადგან ეშინია მისი. სწორედ მაგ ეშმაკზეა ნათქვამი, ახლოს არ უნდა მოუშვაო.
ყველაფერმა ამან ჩვენს კეთილ ჰანს კასტორპზე უცნაურად იმოქმედა. იტალიური მას არ ესმოდა, მაგრამ არც დანარჩენი მოსალბუნებია გულზე - თუმცა სეტემბრინი ნახევრად ხუმრობით ლაპარაკობდა, ამ სიტყვებს მაინც საკვირაო ქადაგების გემო დაჰკრავდა. ჰანს კასტორპმა ბიძაშვილს შეხედა, მაგრამ

იოახიმმა თვალი მოარიდა. მაშინ იგი ბატონ სეტემბრინის მიუბრუნდა.
- ო, ბატონო სეტემბრინი, თქვენ ჩემს სიტყვებს მეტისმეტად პირდაპირ იგებთ. გარწმუნებთ, ეშმაკი მხოლოდ სიტყვის მასალად ვიხმარე.
- მერე რა, ვიღაცას ხომ მაინც უნდა ჰქონდეს გაგების უნარი, - თქვა სეტემბრინიმ და სივრცეს მელანქოლიურად გაუშტერა თვალი. მაგრამ მალე კვლავ გამოცოცხლდა, გამხიარულდა და საუბრის ძველ თემას ოსტატურად დაუბრუნდა.
- ყოველ შემთხვევაში, თქვენი სიტყვებიდან შემიძლია დავასკვნა, რომ შრომატევადი და საპატიო პროფესია აგირჩევიათ. ღმერთო ჩემო, მე ჰუმანიტარულ განათლებასა ვარ ნაზიარები, ჰომო ჰუმანუს გახლავართ და ინჟინრობისა არაფერი გამეგება, მაგრამ თქვენს საქმეს უაღრესად დიდ პატივს ვცემ. ისიც მშვენივრად წარმომიდგენია, რომ საინჟინრო თეორიის ათვისებას ნათელი და გამჭრიახი გონება, ხოლო პრაქტიკას საქმეზე თავდადებული კაცი სჭირდება. ასე არარის?
- დიახ, ასე გახლავთ. ამაში უეჭველად გეთანხმებით, - უპასუხა ჰანს კასტორპმა და თავისდა უნებურად შეეცადა, ენაწყლიანობა გამოეჩინა, - დღევანდელი დღე კოლოსალურ მოთხოვნებს გვიყენებს. მართლა რომ გაისიგრძეგანო, რა მკაცრია ეს მოთხოვნები, შეიძლება შედრკე კიდეც კაცი. არა, ეს სახუმარო საქმე როდია და თუ ღონე არ გერჩის... მართალია, აქ სტუმრადა ვარ ამოსული, მაგრამ დიდი ჯან-ღონით ვერ დავიკვეხნი. შრომას იოლად ვუძლებ-მეთქი, რომ ვთქვა, ტყუილი გამომივა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, შრომა ქანცს მაცლის-მეთქი. სავსებით ჯანმრთელად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა უსაქმოდ ვარ.
- მაგალითად, ახლა, არა?
- ახლა? როგორ გითხრათ? აქაურობას ჯერ ისე შეუჩვეველი ვარ, რომ თქვენც შემამჩნევდით, თავგზა მაქვს აბნეული.
- აჰ, მაშ, თავგზა გაქვთ აბნეული?
- დიახ, წუხელ კარგად ვერ გამოვიძინე, მერე ეს პირველი საუზმეც ისეთი უხვი იყო, რომ... საუზმეზე კარგად დანაყრებასა ვარ ჩვეული, მაგრამ ეტყობა, დღევანდელი საუზმე მეტისმეტად უხვი გახლდათ ჩემთვის, too rich, როგორც ინგლისელები იტყვიან ხოლმე. მოკლედ, რაღაც შებორკილად ვგრძნობ თავს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დილით ჩემი სიგარაც კი უგემური მეჩვენა. სერიოზულად ავად თუ არა ვარ, ეს არ მემართება ხოლმე. დღეს კი ასე მეგონა, აბედი მიდევს-მეთქი პირში. იძულებული გავხდი, გადამეგდო, რადგან თავის გაწვალებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, თქვენ თუ ეწევით? არა? მაშინ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა გულდასაწყვეტია სიგარის გაუგემურება სიყმაწვილიდანვე თამბაქოს შეჩვეული კაცისათვის.
- ამ სფეროში არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია, - მიუგო სეტემბრინიმ, - მაგრამ ის მამხნევებს, რომ ჩემსავით გამოუცდელი ხალხის მშვენიერი საზოგადოება მიმშვენებს მხარს. ბევრ კეთილშობილ და გონებანათელ ადამიანს ეჯავრებოდა თამბაქო. არც კარდუჩის ჰყვარებია იგი. სამაგიეროდ, ჩვენი რადამანთისი კარგად გაგიგებთ. ისიც თქვენსავით მანკიერებითაა შეპყრობილი.
- მანკიერებითო, ბრძანებთ, ბატონო სეტემბრინი?
- რატომაც არა? მოვლენებს თავისი ჭეშმარიტი სახელი უნდა ვუწოდო. ეს აღონიერებს და აღამაღლებს ცხოვრებას. მეც მაქვს ჩემი მანკიერებანი.
- მაშ, ჰოფრატ ბერენსს სცოდნია სიგარების ყადრი?! მართლაც რომ მომხიბლავი პიროვნებაა ბატონი ჰოფრატი!
- თქვენ ასე გგონიათ? მაშ, უკვე გაგიცნიათ იგი?
- დიახ, გავიცანი, სანამ სასეირნოდ გამოვიდოდით. ამ გაცნობას თითქმის კონსულტაცია ეთქმოდა, ოღონდ sine pecunia, ხომ იცით. მაშინვე შემატყო, სისხლნაკლული რომ ვარ და მირჩია, შენი ბიძაშვილივით მოიქეცი, აივანზე ხანგრძლივად იწექი და სიცხეც მასავით გაიზომეო.
- მართლა? ჩინებულია! - ზეცას სიცილით შესძახა სეტემბრინიმ და წელში გადაიზნიქა, - როგორ მღერიან ერთი თქვენი დიდოსტატის ოპერაში? „ვარ მხიარული ჩიტირეკია, ჰარი-ჰარალე, ჰარი-ჰარალე!“ მოკლედ, კარგი თავშესაქცევი რამ არის. რას იზამთ, შეასრულებთ მის რჩევას თუ არა? რაღა თქმა უნდა, აბა, სხვა რა გზა გაქვთ. ნამდვილი სატანაა ეს რადამანთისი! და მართლაც „სულ მხიარულია“, თუმცა ხანდახან ძალას ატანს თავს, მელანქოლიისაკენ აქვს

მიდრეკილება. წეღან რომ გიხსენეთ, ის მანკიერი ჩვევა ვერაფერს შველის - სწორედ ამიტომაც ჰქვია მანკიერება - პირიქით, თამბაქო კიდევ უფრო ანაღვლიანებს. ამიტომ იყო, რომ ჩვენმა ღრმად პატივცემულმა ქალბატონმა უფროსმა ექთანმა თამბაქოს მარაგი ჩაუკეტა და დღიურ ულუფებად უზოგავს ხოლმე. ამბობენ, ჰოფრატს ხანდახან სული წასძლევს, თამბაქოს მოიპარავს და შემდეგ ნაღველი შემოაწვებაო. ერთი სიტყვით, დიდი მშფოთვარე სულის პატრონი გახლავთ. ჩვენი უფროსი ექთანიც თუ გაიცანით? არა? დიდად დაგიშავებიათ! ვერ იქცევით მართებულად, მის გაცნობას რომ არ ესწრაფვით. იგი ფონ მილენდონკების გვარისა გახლავთ, ბატონო ჩემო! მედიციელი ვენერასაგან იმით განსხვავდება, რომ იქ, სადაც ქალღმერთს ძუძუები აქვს, ამას მხოლოდ ჯვარი ჰკიდია.
- ხა, ხა, ხა, ჩინებულია! - გადაიხარხარა ჰანს კასტორპმა.
- სახელად ჰქვია ადრიატიკა.
- მართლა? - წამოიძახა ჰანს კასტორპმა, - რა უცნაურია! ფონ მილენდონკი და თან ადრიატიკა. ამ სახელისა და გვარის პატრონი დიდიხნის გარდაცვლილი გეგონებათ. პირდაპირ შუა საუკუნეების სუნი უდის.
- მოწყალეო ბატონო, - უპასუხა სეტემბრინიმ, - აქ, როგორც თქვენ ინებეთ გებრძანებინათ, ბევრ რამეს უდის შუა საუკუნეების სუნი“, მე ჩემდათავად, დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩვენმა რადამანთისმა მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული სტილის დასაცავად დააყენა ის ორგანული ნამარხი თავისი შიშის სასახლის უფროს ზედამხედველად. ჰოფრატი ხელოვანი გახლავთ. არ იცოდით? იგი ზეთით ხატავს. რაც გინდათ, ისა თქვით, მაგრამ ხატვა აკრძალული არ არის, ყველასა აქვს უფლება, ხატოს... ფრაუ ადრიატიკა ყველას ყურებს უჭედავს თავისი გვარის ქებით - მეცამეტე საუკუნის შუა წლებში ერთი მილენდონკი ქალთა მონასტრის წინამძღოლი იყო, რაინზე, ბონშიო. მე მგონი, თვითონ ამაზე დიდი ხნით გვიან არ უნდა იყოს დაბადებული.
- ხა,ხა, ხა! თქვენ ენამწარე ყოფილხართ, ბატონო სეტემბრინი.
- ენამწარე? თქვენ, ალბათ, გულბოროტი გინდოდათ, გეთქვათ, არა? დიახ, ცოტათი ბოროტიცა ვარ, - თქვა სეტემბრინიმ, - ჩემი უბედურება ის არის, რომ მოსჯილი მაქვს, ჩემი ბოროტება ასეთ საცოდავ საგნებზე გავფლანგო. იმედი მაქვს, ბოროტების საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ინჟინერო! ჩემს თვალში ბოროტება სიბნელისა და უხამსობის წინააღმდეგ მიმართული უბრწყინვალესი იარაღია გონებისა. ბოროტება, ბატონო ჩემო, კრიტიკის სულია, კრიტიკა კი, თავის მხრივ, პროგრესისა და განათლების საწყისი გახლავთ, - დაასკვნა მან, იმწამსვე პეტრარკაზე გადაინაცვლა და მას ახალი ეპოქის მამა“ უწოდა.
- სამკურნალო წოლის დროა, - დინჯად თქვა იოახიმმა.
ლიტერატორი სიტყვას გრაციოზულად აყოლებდა ხელს, თავისი გამოსვლა კი იმით დაამთავრა, რომ იოახიმს მიაშვირა თითი და თქვა:
- ჩვენი ლეიტენანტი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისაკენ მოგვიწოდებს, წავიდეთ, გზა ერთი გვაქვს. „დავადგეთ იმ გზას, დიტის დიდებული კედლებისკენ რომ მიისწრაფვის“. აჰ, ვერგილიუს, ვერგილიუს! ბატონებო, მისი მჯობნი ჯერ არავინ გამოჩენილა ამ ქვეყანაზე. პროგრესის, რა თქმა უნდა, მჯერა, მაგრამ ვერგილიუსი ისეთ ეპითეტებს იყენებს, არც ერთ თანამედროვე პოეტს რომ არ ხელეწიფება...
სანატორიუმისკენ მიმავალ გზას რომ დაადგნენ, სეტემბრინიმ იტალიური გამოთქმით ლათინური ლექსების დეკლამაცია წამოიწყო, მაგრამ ამ დროს მათკენ მომავალი ქალიშვილი დაინახა და ლექსების კითხვა შეწყვიტა. ეტყობოდა, ქალიშვილი აქაური უნდა ყოფილიყო. შესახედავად ვერაფერი შვილი გახლდათ, მაგრამ სეტემბრინიმ მსუნაგი ღიმილი და ენის წკლაპუნი დაადევნა და თან მიუმღერა: „ეჰეი, ლა, ლა, ლა! მოდი ჩემთან, ჩიტუნია“ ხედავთ, „ასხლეტილ შუქში როგორ ელავენ, ნაპერწკლიანი მისი თვალები“, ღმერთმა იცის, საიდან მოიყვანა ციტატა მან და გოგონას სირცხვილისაგან მოკუნტულ ზურგს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.
ეს რა ქარაფშუტა ყოფილაო, გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და ეს აზრი აღარც შეუცვლია, თუმცა სეტემბრინიმ თავისი გალანტური გამოხდომის შემდეგ კვლავ ბრძნული აზრების გადმოფრქვევა განაგრძო. მისი მჭევრმეტყველება,

ძირითადად, ჰოფრატ ბერენსისაკენ იყო მიმართული: მან ჯერ ჰოფრატის უშველებელი ფეხები გაკენწლა, შემდეგ კი მის ტიტულს გაჰკრა კბილი, ჩვენს ბერენსს ჰოფრატობა ერთმა ტვინის ტუბერკულოზით დაავადებულმა პრინცმა უბოძაო. იმ პრინცის სკანდალურ ცხოვრებაზე დღესაც ჭორაობენ აქაურები, მაგრამ რადამანთისი ცალ თვალს კი არა, ჰოფრატობის ხათრით ორივეს ხუჭავსო. იციან თუ არა ბატონებმა, ზაფხულის სეზონის გამომგონებელი ის რომ არის? დიახ, ის და სხვა არავინ. კაცს დამსახურება არ უნდა დაუკარგო. წინათ აქ ზაფხულობით მხოლოდ ერთგულთა შორის უერთგულესნი რჩებოდნენ თურმე. მაშინ ჩვენს იუმორისტს“ თავისი გამჭრიახი თვალით აღმოუჩენია, ამ დროს მოცდენა მხოლოდ ცრურწმენის ნაყოფი არისო. სხვაგან არ ვიცი და ჩვენს სანატორიუმში, ზაფხულში მკურნალობა არამცთუ უსარგებლო, განსაკუთრებით ეფექტური და აუცილებელიც კი გახლავთო.
ჰოფრატს ამ თეორემის გავრცელების შნოც გამოუჩენია, პოპულარული სტატიებიც გამოუცხვია და პრესაშიც გაუშანშალებია. მას შემდეგ საქმე ზაფხულშიაც სარფიანად მიუდის და ზამთარშიცო.
- გენიოსია! - დასძინა სეტემბრინიმ, - ნამდვილად არ ღალატობს ინ-ტუ-ი-ცია!
სეტემბრინიმ შემდეგ სხვა სამკურნალო დაწესებულებები ამოიღო ნიშანში და გესლიანად შეამკო მათი პატრონების მომხვეჭელობა. თუნდაც პროფესორი კაფკა ავიღოთ... ყოველ წელს, თოვლის დნობის კრიტიკულ პერიოდში, როცა ბევრი პაციენტი მოითხოვს, წასვლის ნება დართონ, პროფესორი კაფკა ერთი კვირით ვითომ გადაუდებელ საქმეზე მიემგზავრება, თან ყველას ჰპირდება, როგორც კი ჩამოვალ, გაგიშვებთო. კაფკა თვე-ნახევარს დაიკარგება, ეს საცოდავები კი უცდიან და უცდიან. სხვათა შორის, მოგახსენებთ, რომ ამ დროს წარმატებით იზრდება მათი დანახარჯები. კაფკას ფიუმეშიც კი იწვევენ, მაგრამ მანამ არ მიდის, სანამ ხუთი ათას შვეიცარიულ ფრანკს არ შეჰპირდებიან. ამასობაში ორი კვირა გადის და მხსნელი ექიმის ჩასვლიდან ერთი დღის შემდეგ ავადმყოფს თქვენი ჭირი მიაქვს ხოლმე; რაცშეეხება დოქტორ ზალცმანს, ის პროფესორ კაფკას ხმას უვრცელებს, შპრიცებს სუფთად არ ინახავს და ავადმყოფების ორგანიზმში ინფექცია შეჰყავსო, მიწაზე რეზინის ბორბლებით დადის, მიცვალებულებმა ჩემი ფეხის ხმა არ გაიგონონო. ზალცმანს არც კაფკა რჩება ვალში - ირწმუნება, ზალცმანი ხარჯების დამრგვალების მიზნით ისე უხვად აძალებს ავადმყოფებს ვაზის გამამხიარულებელ ნობათს“, რომ ადამიანები ბუზებივით იხოცებიან, ოღონდ ჭლექით კი არა, ლოთობითო...
ასე გაგრძელდა მთელი გზა და ჰანს კასტორპი გულიანად და უბოროტოდ იცინოდა ამ ენამოსწრებული ჭორების ჩანჩქერზე. იტალიელის ენაწყლიანი საუბარი იმიტომაც იყო სასიამოვნო მოსასმენი, რომ იგი გერმანულად წმინდად და უშეცდომოდ ლაპარაკობდა, ხოლო სიტყვები ისე მოქნილად და მოხდენილად სწყდებოდა ბაგიდან, გეგონებოდათ, თვითონ არის ამ სიტყვების პირველი შემოქმედიო. გარდა ამისა, იგი თვითონვე ტკბებოდა გესლიანი, მახვილი გამოთქმებითა და ფორმებით, სიტყვების გრამატიკულ მიმოხრასაც კი ისე ეფერებოდა და ესიყვარულებოდა, რომ იფიქრებდით, ასეთი ნათელი და ფხიზელი გონების კაცსლაპარაკში ერთი შეცდომაც არ მოუვაო.
- თქვენ ისე საამოდ ლაპარაკობთ, ბატონო სეტემბრინი, - შენიშნა ჰანს კასტორპმა, - ისე ცოცხლად და მოხდენილად, რომ... არა, მაინც ვერ გამომითქვამს, როგორ ლაპარაკობთ... იცით, როგორ...
- პლასტიკურად, არა? - შეაგება იტალიელმა და ცხვირსახოცი დაიფრიალა, თუმცა საკმაოდ გრილოდა, - აი, ეს იქნება ის სიტყვა, თქვენ რომ ეძებთ. თქვენ გინდათ მითხრათ, მეტყველების პლასტიკური მანერა გაქვთო,... მაგრამ სდექ! - წამოიძახა მან, - ამას რას ვხედავ! აგერ ჩვენი ჯოჯოხეთის მოციქულები მობრძანდებიან! რა სანახაობაა!
მოსეირნეებმა უკვე მოსახვევიც გამოიარეს. არ ვიცი, სეტემბრინის საუბარმა შეიქციათ, თავდაღმართის წყალობა იყო თუ სინამდვილეში უფრო მცირე მანძილზე იყვნენ სანატორიუმს დაცილებულნი, ვიდრე ჰანს კასტორპს ეგონა, ერთი რამ კი ცხადია: უკან წამოსულებმა გაცილებით სწრაფად გალიეს იგივე გზა. იქნებ ესეცაა, რომ უცნობი გზა ყოველთვის გრძელი გვეჩვენება, ნაცნობი კი უფრო გვემოკლება ხოლმე.

სეტემბრინი მართალი გამოდგა - ორივე ექიმი გამალებული მიიჩქაროდა სანატორიუმის უკან დატოვებულ ბილიკზე. წინ თეთრხალათიანი, კეფაგამობურცული ჰოფრატი მიდიოდა და ნიჩბებივით უსვამდა ხელებს, შავ ხალათში გამოწყობილი დოქტორი კროკოვსკი კი კვალში ჩასდგომოდა ჰოფრატს და იმაზე მეტად კადნიერად იყურებოდა წინ, ვიდრე ეს, კლინიკებში მიღებული წესისამებრ, შეფის უკან მიმავალ თანაშემწეს შეეფერებოდა.
- აჰ, კროკოვსკი! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - აი, მიდის და ჩვენი მანდილოსნების ყველა საიდუმლო ხელისგულზე აქვს. გთხოვთ, დააკვირდეთ მისი სამოსის დახვეწილ სიმბოლიკას. იმის ნიშნად იცვამს შავებს, რომ სანუკვარ შესასწავლ სფეროდ ღამე დაუსაკუთრებია. ამ კაცს თავში ერთადერთი აზრი უტრიალებს და ის აზრიც ბინძური გახლავთ. ინჟინერო, როგორ დაგვემართა, რომ ის აქამდე არ გვიხსენებია! თქვენ გაიცანით იგი?
ჰანს კასტორპმა დაუდასტურა.
- მერე? როგორც გატყობთ, ისიც მოგწონებიათ.
- მართალი გითხრათ, არ ვიცი, ბატონო სეტემბრინი, მხოლოდ ერთხელ შევხვდი და ისიც ცოტა ხნით. მსჯავრის გამოტანაში აჩქარება არ მჩვევია. შევხედავ ადამიანს და ვფიქრობ: „მაშ, ასეთი ხარ? კეთილი, რა გაეწყობა“.
- სისულელეა! - უპასუხა იტალიელმა, - გამოიტანეთ მსჯავრი! ბუნებამ ამისათვის გიბოძათ გონი და თვალი. თქვენი აზრით, მე ღვარძლიანად ვლაპარაკობ. თუკი ასეა, ალბათ, პედაგოგიური მიზნით ჩავდივარ ამას. ჩვენ, ჰუმანისტებს, ყველასა გვაქვს პედაგოგიური ფხა... ბატონებო, ჰუმანიზმისა და პედაგოგიკის ისტორიული კავშირი ადასტურებს მათ ფსიქოლოგიურ ერთობას. ჰუმანისტებს ხელიდან არ უნდა წავართვათ აღზრდის სადავეები, ვერც წავართმევთ, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ თაობებისათვის ადამიანური ღირსებისა და მშვენიერების გადაცემა. ოდესღაც ჰუმანისტმა შეცვალა მღვდელი, რომელსაც პირქუშ, კაცთმოძულე ეპოქებში ახალგაზრდობის გაძღოლა ეკისრებოდა. მას შემდეგ, ბატონებო, ნამდვილად აღარ შექმნილა აღმზრდელის ახალი ტიპი. თუ გნებავთ, ჩამორჩენილი მიწოდეთ, ინჟინერო, მაგრამ, ძირითადად, in abstracto, გთხოვთ, სწორად გამიგოთ - მე ჰუმანიტარული გიმნაზიის მომხრე გახლავართ.
მან ლიფტშიაც გააგრძელა ამ საგანზე საუბარი და მხოლოდ მაშინ გაჩუმდა, როცა ბიძაშვილები მესამე სართულზე გამოვიდნენ ლიფტიდან, თვითონ ბატონი სეტემბრინი კი მეოთხე სართულზე ავიდა, სადაც, იოახიმის სიტყვით, შენობის უკანა მხარეს ერთი პატარა ოთახი ეჭირა.
- ალბათ, ფული არა აქვს, ხომ? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა და ოთახში შეჰყვა. იოახიმის ოთახი ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც მისი.
- ჰო, ფული არა აქვს, - მიუგო იოახიმმა, - ან მხოლოდ იმდენი აქვს, რომ აქ თავის შენახვა შეძლოს. მამამისიც ლიტერატორი ყოფილა და მგონი, ბაბუამისიც.
- ჰო, მაშინ... - თქვა ჰანს კასტორპმა, - სერიოზულად არის ავად?
- რამდენადაც ვიცი, სასიკვდილო არაფერი სჭირს. მაგრამ ავადმყოფობაარ ეშვება, დროდადრო უახლდება. დიდი ხანია ავადაა, რამდენჯერაც წასულა აქედან, იმდენჯერვე გამხდარა იძულებული, მალე უკანვე დაბრუნებულიყო.
- საწყალი! ეტყობა, ძალიან ენატრება მუშაობა. უზომოდ ენამჭევრი კაცია. რა ადვილად გადადის ერთი თემიდან მეორეზე. იმ გოგონას, ცოტა არ იყოს, თავხედურად მოექცა, წუთით ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ რაც მერე ადამიანურ ღირსებაზე ილაპარაკა, ეს დიდებული იყო, პირდაპირ საზეიმო საღამოზე მეგონა თავი. მასთან ხშირად საუბრობ ხოლმე?

აზრის სიმახვილე

იოახიმს მხოლოდ გაჭირვებით და გაურკვევლად შეეძლო პასუხის გაცემა. ხავერდისსარჩულიანი წითელი ტყავის ბუდიდან უკვე ამოეღო პატარა თერმომეტრი და ვერცხლისწყლიანი ბოლოთი პირში ჩაედო კიდეც. თერმომეტრი მარცხენა მხარეს ამოედო, ენის ქვეშ, და ბოლოაშვერილი მინის ხელსაწყო განზე ჰქონდა პირიდან გამოჩრილი. იოახიმი საშინაო ტუალეტს შეუდგა, ფეხსაცმელი გამოიცვალა და ტანზე რაღაც ქურთუკისმაგვარი შემოიცვა. მაგიდიდან ფანქარი და დაბეჭდილი ცხრილი აიღო, მერე რუსული გრამატიკის წიგნს დაავლო ხელი

(იოახიმი რუსულს იმ იმედით სწავლობდა, სამსახურში მეტი გასაქანი მექნებაო). ასე შეიარაღებული ჩაჯდა აივანზე მდგარ შეზლონგში და აქლემის ბეწვის საბანი უბრალოდ წაიფარა ფეხებზე.
საბანი არ იყო საჭირო: უკანასკნელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში ღრუბლის საფარველი სულ დაიცრიცა და ისეთმა თაკარა და ჩახჩახა მზემ გამოანათა, ზაფხულში რომ იცის ხოლმე. იოახიმმა თეთრი ტილოს ქოლგას შეაფარა თავი, რომელიც პატარა, გონებამახვილური მოწყობილობის მეშვეობით შეზლონგის სახელურზე მაგრდებოდა და მზის მიმართულების მიხედვით შეიძლებოდა შემოგებრუნებინათ. ჰანს კასტორპმა შეაქო ეს გამოგონება. იგი უცდიდა, იოახიმის თერმომეტრი რამდენს უჩვენებდა და ამასობაში აკვირდებოდა, დასაწოლად როგორ უნდა მოწყობილიყო. დაათვალიერა ლოჯიის კუთხეში მიყუდებული ბეწვგამოკრული საძილე ტომარაც (იოახიმი მას სიცივეებში ხმარობდა), მერე მოაჯირს დაეყრდნო და ბაღში გადაიხედა. საერთო ვერანდა გაჭედილი იყო მწოლიარე პაციენტებით - ეტყობოდა, ზოგი წერდა, ზოგი საუბარში იყო გართული. თუმცა აქედან მხოლოდ ვერანდის ნაწილი და ხუთიოდე შეზლონგი მოჩანდა გარკვევით.
- რამდენი წუთი უნდა სიცხის გაზომვას? - იკითხა ჰანს კასტორპმა და შემობრუნდა.
იოახიმმა შვიდი თითი დაანახვა.
- ეგ შვიდი წუთი უკვე გასული იქნება!
იოახიმმა თავი გააქნია, ცოტა ხნის შემდეგ თერმომეტრი პირიდან გამოიღო, დახედა და თქვა:
- დიახ, დროს თვალყურს რომ ადევნებ, მაშინ იგი ძალიან ნელა გადის. დღეში ოთხჯერ ტემპერატურის გაზომვა კიდეც მსიამოვნებს, მარტო ამ დროს თუ მიხვდები, ნამდვილად რამსიგრძეა წუთი, ან შვიდი წუთიც რამდენ ხანს გრძელდება, თორემ აქ კვირის შვიდი დღე თვალსა და ხელს შუა გიფრინდება.
- „ნამდვილადო“ არ უნდა გეთქვა, - შეესიტყვა ჰანს კასტორპი. იგი მოაჯირზე გვერდულად ჩამომჯდარიყო და თვალის თეთრონები სისხლისფრად ჰქონდა დაქსელილი, - დრო საერთოდ არ არის ნამდვილი“. ერთს თუ ხანგრძლივი ეჩვენება, მაშინ ხანგრძლივია, თუ ხანმოკლე ეჩვენება, მაშინ ხანმოკლე გახლავს, მაგრამ სინამდვილეში რამსიგრძეა ან რამსიმოკლე, არავინ იცის.
იგი ასეთ მსჯელობას არ იყო ჩვეული, მაგრამ ახლა რატომღაც ფილოსოფობის საღერღელი ჰქონდა აშლილი.
იოახიმი შეეკამათა.
- ვითომ რატომ? ჩვენ ხომ ვზომავთ დროს. გვაქვს საათები და კალენდრები და როცა ერთი თვე ჩათავდება, ის თვე შენთვისაც ჩავლილია, ჩემთვისაც და ყველასთვისაც.
- ყური დამიგდე, - უთხრა ჰანს კასტორპმა და დანისლულ თვალებთან საჩვენებელი თითიც კი მიიტანა, - განა წუთი იმსიგრძეა, როგორც ტემპერატურის გაზომვის დროს გეჩვენება?
- წუთი იმსიგრძეა... ის იმდენ ხანს გრძელდება, რამდენიც წამმზომს სჭირდება თავისი წრის შემოსავლელად.
- მაგრამ მას ხომ ჩვენს შეგრძნებაში სულ სხვადასხვა დრო სჭირდება! ფაქტობრივად კი... მე გეუბნები, ფაქტობრივად-მეთქი, - გაიმეორა ჰანს კასტორპმა და საჩვენებელი თითი ისე მაგრად დაიჭირა ცხვირზე, რომ ცხვირის წვერი მიიჭყლიტა, - ეს გახლავს მოძრაობა, მოძრაობა სივრცეში, ხომ ასეა? სდექ, მაცალე! მაშასადამე, ჩვენ დროს სივრცით ვზომავთ, მაგრამ ეს ხომ იგივეა, სივრცის გაზომვა რომ მოვინდომოთ დროით, რასაც მეცნიერებისგან შორს მდგომი ხალხი სჩადის ხოლმე. ჰამბურგიდან დავოსამდე რკინიგზით ოცი საათის გზაა, მაგრამ ფეხით რამდენი ხანი სჭირდება? ფიქრით? სეკუნდიც არა!
- ყური მიგდე, - უთხრა იოახიმმა, - შენ რა დაგემართა? აქაურობამ ხომ არ გადაგრია?
- ჩუმად! დღეს რაღაც მახვილად მიჭრის გონება. მაინც რა არის დრო? - იკითხა ჰანს კასტორპმა და განზე მიგრეხილი ცხვირის წვერი ისე ღონივრად მიიჭყლიტა, რომ სისხლისაგან დაეწრიტა და გაუთეთრდა, - აბა, თუ მეტყვი? სიცივეს ხომ შევიგრძნობთ ჩვენი გრძნობის ორგანოებით, მხედველობითა და შეხებით.

კეთილი და პატიოსანი. დროის შემგრძნები ორგანო რომელიღაა? იქნებ შენ მითხრა? ხომ ხედავ, რომ ჩაფლავდი. მაშ, როგორღა გვინდა გავზომოთ ისეთი რამ, რომლის ვერც ერთ თვისებას ვერ დავასახელებთ?ჩვენ ვამბობთ, დრო გადისო. კი ბატონო, გავიდეს, მაგრამ მისი გაზომვა რომ შევძლოთ... მაცალე! ის რომ იზომებოდეს, თანაბრად ხომ უნდა მიმდინარეობდეს, მერე სად გიწერია, რომ თანაბრად მიედინება? ჩვენს ცნობიერებაში იგი ასე როდი იქცევა, ჩვენ მხოლოდ წესრიგისთვის ვვარაუდობთ, რომ თანაბრად მიედინება და ჩვენი განზომილება მხოლოდ და მხოლოდ პირობითი გახლავს. ნება მომეცი ერთი...
- კარგი, - თქვა იოახიმმა, - მაშინ ესეც მხოლოდ და მხოლოდ პირობითობა ყოფილა, ჩემითერმომეტრი ნორმაზე ხუთი ხაზით მეტს რომ მიჩვენებს! ჰოდა, ამ ხუთი ხაზის გულისთვის აქ რომ უნდა ვიყიალო და სამსახურს ვეღარ უნდა ვეწიო, ეს განა საზიზღარი ფაქტი არ არის?
- 37,5 გაქვს?
- დღეს კიდევ დაუწევია, - იოახიმმა თერმომეტრის ჩვენება ცხრილში აღნიშნა, - თორემ გუშინ საღამოს ოცდათვრამეტს აღარაფერი აკლდა. ეს შენი ჩამოსვლის ბრალია. ვისაც სტუმარი ჩამოუვა, ყველას უწევს ხოლმე ზევით ტემპერატურა, მაგრამ ასეთი აწევა მაინც სასიკეთოა.
- ახლა კი წავედი, - თქვა ჰანს კასტორპმა, - დროის შესახებ კიდევ უამრავი აზრი, ასე ვთქვათ, აზრების მთელი კომპლექსი მიტრიალებს თავში, მაგრამ ახლა აღარ აგაფორიაქებ, ისედაც ბევრი ხაზი გაქვს მომატებული. ყველაფერს დავიმახსოვრებ და იქნებ მერე, ვთქვათ, ნასაუზმევს, ვისაუბროთ ამაზე. საუზმის დრო რომ მოვა, დამიძახე. ახლა მეც წამოვწვები, მადლობა ღმერთს, ამით არაფერი დამიშავდება.
ჰანს კასტორპმა ამ სიტყვებით აუარა გვერდი მინის ტიხარს და თავის ლოჯიაში გავიდა, სადაც მისთვისაც გაეწყოთ შეზლონგი და პატარა მაგიდა. სუფთად მილაგებული ოთახიდან Ocean steamships“ და თავისი ლამაზი, წითელ და მწვანეუჯრედებიანი ღუნღულა პლედი გამოიტანა და წამოწვა.
მალე ისიც იძულებული გახდა, ქოლგა გაეშალა, რადგან მზე უმოწყალოდ აჭერდა. სამაგიეროდ, ისე გემრიელად იწვა, მაშინვე სიამოვნებით აღნიშნა, ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, ასე გემრიელად და მოხერხებულად შეზლონგზე ვწოლილიყოო. სარეცელს, ცოტა არ იყოს, ძველმოდური ფორმა ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ სტილიზაციის ნაყოფი უნდა ყოფილიყო, რადგან შეზლონგი აშკარად ახალთახალი გახლდათ. იგი შინდისფერი გაპრიალებული ხისაგან იყო გაკეთებული, ლეიბს ჩითისებური, რბილი ქსოვილი ჰქონდა გადაკრული, ფაქტობრივად, სამი ფუმფულა ბალიშისაგან შედგებოდა და შეზლონგს თავიდან ფეხებამდე სწვდებოდა. ამას გარდა, სასთუმალთან ზონრით მიეკრათ ნახევრად რბილი მუთაქა, რომელზედაც ნებიერად შეგეძლოთ მიგეყრდნოთ თავი. ჰანს კასტორპი განიერ, სრიალა სახელურებს დაეყრდნო და ისე გაირინდა, რომ არც გახსენებია თავის გასართობად მაინც აეღო Ocean steamships“ ხელში. ლოჯიის თაღებში ჩარჩოში ჩასმულივით მოჩანდა მკაცრი და ძუნწი, მაგრამ მზით გაჩახჩახებული ლანდშაფტი. ჰანს კასტორპი ჩაფიქრებული გაჰყურებდა გარემოს. უცებ რაღაც მოაგონდა და სიჩუმეში მჭახედ გაისმა მისი ხმა:
- ის ქალი ლილიპუტი იყო, არა, ჩვენ რომ პირველ საუზმეზე გვემსახურებოდა?
- ჩუუ, - გააჩერა იოახიმმა, - ჩუმად, ჰო, ლილიპუტი იყო, რა მერე?
- არაფერი. ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია და...
ჰანს კასტორპმა კვლავ ოცნებას მისცა თავი. ათი საათი იყო, რომ წამოწვა. ერთი საათი გავიდა, ჩვეულებრივი საათი, არც გრძელი და არც მოკლე. ეს საათიც გავიდა და გონგის ხმაც მოედო ბაღსა და შენობას - ჯერ შორიდან გაისმა მისი ხმა, მერე მოახლოვდა და კვლავ სადღაც შორს ჩაიკარგა.
- საუზმის დროა, - თქვა იოახიმმა და ხმაურზე ეტყობოდა, წამოდგა.
ჰანს კასტორპმაც დაამთავრა ამჯერად სამკურნალო წოლა და თავის მოსაწესრიგებლად ოთახში შევიდა. ბიძაშვილები ერთმანეთს ტალანში შეხვდნენ და ძირს ჩავიდნენ.
- შესანიშნავად ვიწექი. ეს რა შეზლონგებია? აქ თუ იყიდება, ერთი უნდა წავიღო ჰამბურგში, ამ შეზლონგზე რომ წევხარ, თავი სამოთხეში გგონია. შენ როგორ ფიქრობ, ბერენსის ესკიზით ხომ არ იქნება დამზადებული?

იოახიმმა ეს არ იცოდა. პალტოები გაიხადეს და მეორედ შევიდნენ სასადილო დარბაზში, სადაც კვლავ მთელი ძალით გაჩაღებულიყო ჭამა-სმა.
დარბაზი გადაქათქათებული იყო მაგიდებზე ჩამორიგებული რძისაგან - თითოეული პაციენტისათვის დიდრონი, თითქმის ნახევარლიტრიანი კათხებით დაედგათ რძე.
- არა, - თქვა ჰანს კასტორპმა, კვლავ სუფრის ბოლოში, „მკერავსა“ და ინგლისელ ქალიშვილს შორის დაიკავა ადგილი და მორჩილად გაშალა ხელსახოცი, თუმცა ჯერ პირველი საუზმე არ ჰქონდა მონელებული.
- არა, - გაიმეორა მან, - ღმერთმანი, რძეს საერთოდ არ ვსვამ, ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც ვერ დავლევ. იქნებ პორტერი გქონდეთ? - ნაზად და თავაზიანად მიმართა მან ლილიპუტს.
პორტერი, სამწუხაროდ, არ ჰქონდათ, მაგრამ დარბაზის ასული შეჰპირდა, კულმბახურ ლუდს მოგართმევთო და მოუტანა კიდეც. ლუდი სქელი იყო, შავი, თავზე ყავისფერი ქაფი ჰქონდა მოგდებული და მშვენივრად შეეძლო პორტერის მაგივრობა გაეწია. ჰანს კასტორპმა ხარბად გამოცალანახევარლიტრიანი მაღალი ჭიქა და ცივად მოხარშული ხორცი და გახუხული პური მიატანა. სუფრაზე კვლავ უხვად იყო შვრიის ფაფა, კარაქი და ხილი. ჰანს კასტორპმა მხოლოდ თვალი შეავლო მათ, რადგან ჭამის თავი ნამდვილად აღარ ჰქონდა. ამჯერად საზოგადოებას დაუწყო ჭვრეტა: მასა უკვე ნაწევრდებოდა მის თვალში და თანდათან ცალკეული სახეებიც იკვეთებოდა.
მისი მაგიდა მთლიანად დაკავებული იყო, მხოლოდ მაგიდის თავში მოჩანდა თავისუფალი ადგილი, რომელიც უკვე იცოდა, რომ ექიმისა გახლდათ. ექიმები, დრო თუ საშუალებას მისცემდათ, საერთო ტრაპეზში მონაწილეობდნენ და ხანერთ სუფრას მიუსხდებოდნენ და ხან მეორეს. ამიტომ იყო ყოველი სუფრის თავში ექიმის ადგილი დატოვებული. ამჯერად არც ერთი ექიმი არ გახლდათ დარბაზში, ვიღაცამ თქვა, ოპერაციაზე არიანო. ისევ მოვიდა ულვაშიანი ახალგაზრდა კაცი, ნიკაპი ერთხელ ჩამოჰკრა მკერდს და სუფრას სახემოღრუბლული მიუჯდა, ქერათმიანი კნაჭაც ისევ ისე იჯდა თავის ადგილზე და ისე ხვრეპდა მაწონს, თითქოს მაწვნის მეტი სუფრაზე არაფერი ყოფილიყო საჭმელი. მის გვერდით ამჯერად პატარა მხიარული დედაბერი იჯდა და რუსულად ელაპარაკებოდა ჩუმ ახალგაზრდა კაცს. ის შეშფოთებული შეჰყურებდა მოხუცს, მხოლოდ თავს უკანტურებდა და ისე იჭყანებოდა, გეგონებოდათ, რაღაც საშინლად უგემური უდევს პირშიო. მის პირდაპირ, მოხუცი ქალის მეორე მხარეს, კიდევ ერთი ქალიშვილი იჯდა. ქალიშვილი ლამაზი იყო, მაღალი მკერდი ჰქონდა, წაბლისფერი თმა სასიამოვნო ტალღებად დაელაგებინა, ვარდისფერ სახეს ბავშვური, მრგვალ-მრგვალი თაფლისფერი თვალები უმშვენებდა და მოხდენილ ხელზე პაწია ლალი უბრწყინავდა. იგი წამდაუწუმ იცინოდა და ასევე რუსულად, მხოლოდ და მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდა. როგორც ჰანს კასტორპმა გაიგონა, ქალიშვილს მარუსია ერქვა. შემდეგ მან სხვათა შორის შენიშნა, რომ იოახიმს სახე ეღუშებოდა და თვალებს ძირს ხრიდა, როცა მარუსია იცინოდა და ლაპარაკობდა.
სეტემბრინი განის კარიდან შემოვიდა და ულვაშის გრეხით გაემართა თავისი ადგილისაკენ, რომელიც ჰანს კასტორპის წინ ირიბად დადგმული მაგიდის ბოლოში გახლდათ. მისმა თანამესუფრეებმა გადაიხარხარეს, როცა სეტემბრინიმ თავისი ადგილი დაიკავა. ალბათ, თავისებურად გესლიანად თუ წაიოხუნჯა. ჰანს კასტორპმა ცალფილტვიანთა კავშირის“ წევრებიც იცნო. ჰერმინე კლეეფელდი სულელური ღიმილით გაძვრა ვერანდაზე გამავალი კარის წინ დადგმული მაგიდისკენ და ტუჩებგადმობრუნებულ ყმაწვილს მიესალმა. ეს სწორედ ის ყმაწვილი გახლდათ, მაშინ უზრდელად რომ წამოიხადა ქურთუკი. სპილოსძვლისფერსახიანი ლევი უცნობებს შორის იჯდა ჩასუქებული და სახედალაქული ილტისის გვერდით, ჰანს კასტორპის ხელმარჯვნივ გარდიგარდმო დადგმულ მაგიდასთან.
- აი, შენი მეზობლები, - ჰანს კასტორპისაკენ გადაიხარა და ჩუმად უთხრა იოახიმმა...
ცოლ-ქმარმა სულ ახლოს ჩაუარა ჰანს კასტორპს და მარჯვნივ, სულ ბოლო მაგიდისაკენ, ესე იგი, „მდარე რუსული მაგიდისკენ“ გაემართა, სადაც უკვე იჯდა

ერთი ცოლ-ქმარი უშნო ბიჭითურთ და შვრიის ფაფის მთებს ნთქავდა. ჰანს კასტორპის კაფანდარა მეზობელს ნაცრისფერი ლოყები ჩასცვივნოდა, ტანზე ყავისფერი ტყავის ქურთუკი ეცვა, ფეხებზე კი მოუხეშავი, აბზინდებიანი თექის წაღები. ცოლი მასავით მომცრო, მაგრამ კოხტა ტანისა იყო, თავზე ფრთებიანი შლაპა ეხურა და მაღალქუსლიან ჩექმებს მოაბაკუნებდა. ყელზე ბუმბულის ჭუჭყიანი ბოა ჰქონდა შემოხვეული. ჰანს კასტორპი მოურიდებლად ათვალიერებდა ორივეს. ასეთი ცქერა მას არ სჩვეოდა და თვითონვე უზრდელობად მიაჩნდა, მაგრამ სწორედ ეს უზრდელობა ანიჭებდა ამ წუთში რაღაცნაირ სიამოვნებას. ამ დროს, როგორც პირველი საუზმისას, ისევ ზრიალ-წკრიალით გაჯახუნდა მარცხნივ გამავალი შემინული კარი, მაგრამ ჰანს კასტორპი დილანდელივით აღარ შემკრთალა, მხოლოდ სახე დაეჭყანა. ერთი კი მოინდომა იქით შეტრიალებულიყო, მაგრამ გაუჭირდა და იფიქრა, თავის შეწუხებად არა ღირსო. ამდაგვარად, ასე უდიერად კარს ვინ ეპყრობოდა, ამჯერადაც დაუდგენელი დარჩა.
საქმე ის იყო, რომ საუზმეზე მირთმეულმა ლუდმა, სხვა დროს თუ ზომიერად შეაზარხოშებდა, დღეს სავსებით გააბრუა და დაადამბლავა, მოკლედ, ისე მოუღო ბოლო, თითქოს კეტი შემოეკრათ თავში. ქუთუთოები ტყვიასავით დაუმძიმდა, ენა აღარ ემორჩილებოდა და მარტივ აზრსაც ვეღარ უყრიდა თავს, რომ ინგლისელ ქალიშვილს ზრდილობის გულისთვის მაინც დალაპარაკებოდა. მზერისათვის მიმართულების შეცვლაც კი ძალის დაძაბვის ფასად უჯდებოდა. ამას ისიც დაერთო, რომ სახეზე გუშინდელივით საზიზღარი ალმური მოედო და ასე ეგონა, ლოყები სიმხურვალისაგან შეშუპებული მაქვსო. ჰანს კასტორპი მძიმედ სუნთქავდა, გულს ჩაქუჩივით გაჰქონდა ბაგაბუგი, მაგრამ ყველაფერ ამას დიდად თუ არ განიცდიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ისე ჰქონდა გაბრუებული, თითქოს რამდენჯერმე ქლოროფორმი შეუსუნთქავსო. დოქტორი კროკოვსკი რომ მაინც მობრძანდა საუზმეზე და მათ მაგიდასთან ჰანს კასტორპის პირისპირ, სუფრის თავში დაიკავა ადგილი, ეს მხოლოდ სიზმარში მყოფივით შენიშნა, თუმცა დოქტორმა რამდენჯერმე მიაპყრო მახვილი მზერა. დოქტორი კროკოვსკიხელმარჯვნივ მჯდომ ქალებს რუსულად ესაუბრებოდა, ქალიშვილები კი, სახელდობრ, აყვავებული მარუსია და გამხდარი მემაწვნია, მორჩილად და მორცხვად ხრიდნენ მის წინაშე თვალებს. ჰანს კასტორპი მაინც კეთილსინდისიერად იქცეოდა, ენა რახან აღარ ემორჩილებოდა, ჩუმად ყოფნა არჩია და დანა-ჩანგალს ჩვეულებრივზე უფრო მოხდენილადაც კი ხმარობდა. ამ დროს ბიძაშვილმა ანიშნა და ფეხზე წამოდგა, ისიც წამოიმართა, თანამესუფრეებს ბრმად დაუქნია თავი და ტაატით მიჰყვა იოახიმს.
- კიდევ როდისაა სამკურნალო წოლის საათი? - ჰკითხა მან იოახიმს, როცა ეზოში გავიდნენ, - აქ, როგორც ვხედავ, ყველაფერს ეგა სჯობია. ნეტავ ახლა ისევ ჩემს დიდებულ შეზლონგზე ვიწვე. შორს მივდივართ?

ზედმეტი სიტყვა

- არა, - უპასუხა იოახიმმა, - შორს წასვლის ნება არა მაქვს. ამ საათებში ქვევით ჩავდივარ, სოფელს გავივლი და თუ დრო დამრჩება, კურორტამდე გავდივარ ხოლმე. თვალს წყალს დავალევინებ, მაღაზიებშიც შევიხედავ და თუ რამე მჭირდება, შევიძენ. სადილობამდე ერთი საათი უნდა ვიწვეთ, მერე ოთხ საათამდე კვლავ ვისვენებთ, ასე რომ, გული ნუ დაგწყდება, წოლას კიდევ მოასწრებ.
თავდაღმართი მზისგულზე ჩაათავეს, ღელე გადაიარეს და ვიწრო ლიანდაგი გადაჭრეს. თვალწინ მარჯვენა ქედის მწვერვალები გადაეშალათ: „მცირე შიაჰორნი“, „მწვანე კოშკები“, „დორფბერგი“, - ასახელებდა მთებს იოახიმი; გაღმა ბორცვზე სოფელ დავოსის გალავანშემოვლებული სასაფლაო შეფენილიყო. იოახიმმა სასაფლაოსკენაც გაიშვირა თავისი ხელჯოხი. ამასობაში გავიდნენ მთავარ ქუჩაზეც, რომელიც ხეობის ძირთან შედარებით ერთი სართულის სიმაღლეზე გამოკვეთილ ტერასაზე იყო გაშენებული.
სოფელს სოფელი აღარ ეთქმოდა, ყოველ შემთხვევაში, მისგან სახელის მეტი აღარაფერი იყო დარჩენილი. სოფელი ხეობის ყელისაკენ გაჭიმულ კურორტს შთაენთქა და სოფლად წოდებული დასახლებაც შეუმჩნევლად შერწყმოდა

კურორტ დავოსად მონათლულ დაბას. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადახურულვერანდებიანი, აივნებიანი და ლოჯიებიანი ოტელები და პანსიონატები მოჩანდა, ქუჩის ორივე მხარეს კერძო სახლებიც მრავლად იყო, სადაც ოთახები ქირავდებოდა. აქა-იქ ახალმშენებლობანიც წამოეწყოთ. ზოგან დაუსახლებელი ადგილებიც ხვდებოდათ და იქიდან მათ თვალწინ ხეობის მწვანედ აბიბინებული ხედი იშლებოდა.
ჰანს კასტორპს თავისი საყვარელი, ნაჩვევი სასუსნავი მოენატრა და სიგარას მოუკიდა. ცოტა ხნის წინ დალეული ლუდის წყალობა თუ იყო, რომ ხანდახან მართალია სუსტად, მაგრამ მაინც გრძნობდა ნანატრ არომატს და ენით აუწერელი კმაყოფილება ეუფლებოდა, თუმცა ამ მცირე სიამოვნების მიღებისთვისაც საკმაოდ დასჭირდა ნერვების დაძაბვა და აბედის საძაგელი გემო პირიდან მთლიანად ვერ მოიშორა. ლუდისგან გაბრუებულს არაფრის თავი აღარ ჰქონდა, ერთხანს კი შეეცადა ძალით დაებრუნებინა სიტკბოება, რომელიც ხან ხელიდან უსხლტებოდა, ხან კი შორიდან დამცინავად ელაციცებოდა, მაგრამ ქანცი გაუწყდა და სიგარა ზიზღით მოისროლა. მისავათებული ჰანს კასტორპი მხოლოდ ზრდილობის გულისთვის განაგრძობდა საუბარს და ცდილობდა, ის შესანიშნავი მოსაზრებები გაეხსენებინა, ცოტა ხნის წინ დროის“ თაობაზე რომ ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელი კომპლექსი“, მთლიანად დავიწყებოდა და ახლა დროის შესახებ თავში ერთი პაწაწკინტელა აზრიც კი აღარ უტრიალებდა. სამაგიეროდ, სხეულის თავისებურებებზე, ცოტა არ იყოს, უცნაური ლაპარაკი წამოიწყო.
- კიდევ როდის უნდა გაიზომო სიცხე? - ჰკითხა იოახიმს, - ნასადილევს? კარგია. მაშინ ორგანიზმი მთელი ძალით იქნება ამოქმედებული და ყველაფერი კარგად გამოჩნდება. მეც რომ მითხრა ბერენსმა, გაიზომეო, ალბათ, მეხუმრა, არა? სეტემბრინისაც გულიანად გაეცინა, ეს რომ გაიგო. აბა, მე რაში მჭირდება სიცხის გაზომვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თერმომეტრიც კი არა მაქვს.
- ეგ რა დიდი საქმეა, - უთხრა იოახიმმა, - იყიდი და გექნება. აქ თერმომეტრი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება, მაღაზია არ მეგულება, თერმომეტრი არ იყიდებოდეს.
- რად მინდა! აი, წოლა სხვა რამეა, ამ რეჟიმს სიამოვნებით დავემორჩილები, სიცხის გაზომვა კი სტუმრად ჩამოსული კაცისთვის მეტისმეტია, ეგ თქვენთვის, ზემოურებისათვის გადმომილოცავს. ერთი ეს მაცოდინა, სულ ასე ძლიერად რატომ მიცემს გული, - განაგრძო ჰანს კასტორპმა და გულზე შეყვარებულივით მიიდო ორივე ხელი, - ეს ამბავი ძალიან მაშფოთებს და დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს. კაცს ან დიდი სიხარულის მოლოდინით შეიძლება უძგერდეს გული, ან შიშის გამო, მოკლედ, ეს გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული, ასე არ არის? მაგრამ გული ტყუილუბრალოდ რომ აგიძგერდება, უმიზეზოდ, ასე ვთქვათ, თავისით, ცუდად არ გამიგო და, ეს რაღაც შემზარავი რამ არის: თითქოს სხეული თავის საკუთარი გზით მიდიოდეს და სულთან აღარაფერი ჰქონდეს საერთო. ისევე როგორც მკვდარი სხეული განაგრძობს თავისით სიცოცხლეს: ეზრდება თმა და ფრჩხილები და, რამდენადაც ვიცი, შიგ თურმე ფიზიკური და ქიმიური პროცესებიც მიმდინარეობს, მოკლედ, დიდი მჩქეფარე საქმიანობაა თურმე გაჩაღებული.
- ეს რა გამოთქმებია, - მშვიდად შენიშნა იოახიმმა, - „მჩქეფარე საქმიანობა“, ჰმ!
იოახიმი, ალბათ, ცოტათი შურს იძიებდა, დილით წამოცდენილ „საჟღარუნოზე“ შენიშვნა რომ დაიმსახურა.
- დიახ, ეს სწორედ მჩქეფარე საქმიანობა გახლავს. რატომ გეხამუშა? - შეეკითხა ჰანს კასტორპი, - ისე, ეგ ამბავი სხვათა შორის ვახსენე. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, შემზარავი და დამტანჯველია, როცა სხეული თავისით,სულთან ყოველგვარი კავშირის გარეშე ცოცხლობს და თავი დიდადაც მოაქვს, ისევე როგორც ჩემი სხეულიც ყელყელაობს ამ უმიზეზო გულის ძგერისას. კაცი მაშინ ფორმალური მიზეზის ძებნას იწყებ, საკუთარ გულში იხედები. ეძებ სიხარულის თუ შიშის გრძნობას, რითაც, ასე ვთქვათ, შეძლებდი, გაგემართლებინა ეს ბაგაბუგი - ყოველ შემთხვევაში, მე ასე მემართება, მე მხოლოდ ჩემს თავზე ვლაპარაკობ.
- ჰო,ჰო, - ამოიოხრა იოახიმმა, - სიცხიანი კაციც მსგავს მდგომარეობაშია, ამ

დროსაც, შენი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, განსაკუთრებით მჩქეფარე საქმიანობაა“ ორგანიზმში გაჩაღებული, ჰოდა, როგორც შენ ამბობ, კაცი უნებურად საკუთარ გულში იხედება და ამით ეს საქმიანობა სანახევროდ გააზრებული ხდება... მაგრამ ეს რა უსიამოვნო ამბებზე ვლაპარაკობთ, - ათრთოლებული ხმით თქვა მან და სიტყვა გაწყვიტა. ჰანს კასტორპმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თან ზუსტად ისე, როგორც გუშინ იოახიმს დაუნახა.
ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. შემდეგ იოახიმმა ჰკითხა:
- აბა, რას იტყვი, როგორ მოგეწონა აქაურები? ჩვენს თანამესუფრეებზე გეკითხები.
ჰანს კასტორპი აიმრიზა.
- ღმერთო, - თქვა მან, - დიდად საინტერესო არც ერთი არ უნდა იყოს. ალბათ, სხვა მაგიდებთან უფრო საინტერესო ხალხი ზის, თუმცა შეიძლება შორიდან მეჩვენებოდეს ასე. ფრაუ შტორს თავი რომ დაებანა, ურიგო არ იქნებოდა, ისე გაქონილი აქვს თმა. ის მაზურკაა თუ რაღაცა, ცოტა არ იყოს, ტუტუცი მგონია. ხითხითი რომ ჩაიხშოს, ცხვირსახოცს იტენის პირში.
იოახიმს სახელის ასე დამახინჯებაზე ხმამაღლა გაეცინა.
- „მაზურკა“ შესანიშნავია! - წამოიძახა მან, - თუ თქვენი ნებაც იქნება, მას მარუსია ჰქვია, ეს იგივეა, რაც მარია“. ჰო, ის მართლა აცეტებულია, - განაგრძო იოახიმმა, - ცოტა მეტი სიდინჯე კი მართებს. არც ისე მსუბუქადაა ავად.
- სულ არ ეტყობა, მშვენივრად გამოიყურება. სუსტი მკერდი აქვსო, მაგაზე სწორედ ვერ იტყვი, - თქვა ჰანს კასტორპმა და დააპირა, ბიძაშვილისთვის ეშმაკურად ჩაეკრა თვალი, მაგრამ შეამჩნია, რომ იოახიმს გარუჯული სახე ლაქებმა დაუფარა. მზით დამწვარ სახეს ასე ედება ხოლმე სიფითრე. იოახიმს უცნაურად, საწყალობლად მოეღრიცა ტუჩები. ამ გამომეტყველებამ ახალგაზრდა ჰანს კასტორპს გაურკვეველი შიში მოჰგვარა, იძულებული გახდა, სიტყვა ბანზე აეგდო და სხვა პაციენტებზე დაეწყო ლაპარაკი, თან შეეცადა მარუსია და იოახიმის სახის გამომეტყველება სწრაფად დაევიწყებინა და მოახერხა კიდეც.
ასკილის ჩაის მოყვარულ ინგლისელ ქალიშვილს თურმე მის რობინსონი რქმევია. მკერავი კიონიგსბერგის ქალთა სახელმწიფო გიმნაზიის მასწავლებელი ყოფილა და ასე სწორად იმიტომ მეტყველებდა თურმე. მას ფროილაინ ენგელჰარტს ეძახდნენ. მხიარული დედაბრის სახელი, ამდენი ხანია აქ იყო და, იოახიმმაც არ იცოდა. ისე, იმ მემაწვნია ქალიშვილის პაპიდა ყოფილა და სანატორიუმში მუდამ თან ახლავს თურმე. ყველაზე მძიმე ავადმყოფი ოდესელი დოქტორი ლეო ბლუმენკოლი აღმოჩნდა - ის ულვაშიანი, გულჩათხრობილი, მუდამ შეწუხებული ახალგაზრდა კაცი. ის უკვე მრავალი წელია აქ, ზევით, ცხოვრობს თურმე....
ისინი უკვე ქალაქურ ტროტუარზე მიაბიჯებდნენ. ქუჩას ზედვე ეტყობოდა, ინტერნაციონალური თავშესაყრელი პუნქტის მთავარი ქუჩა რომ გახლდათ. წინ უსაქმოდ მოყიალე დამსვენებლები ხვდებოდათ, მეტწილად ახალგაზრდები, სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი თავშიშველი კავალრები და ასევე უქუდო, თეთრქვედაკაბიანი ქალბატონები. ისმოდა რუსული და ინგლისური ლაპარაკი. ქუჩას მარჯვნივ და მარცხნივ კოხტად მორთული ვიტრინების მწკრივი მიუყვებოდა. ჰანს კასტორპის დაღლილ გონებას ცნობისმოყვარეობამ დასძალა, თვალებს ძალა დაატანა, კარგა ხანს შეჩერდა მამაკაცის მოდური ტანსაცმლის მაღაზიის წინ და დაადგინა, რომ გამოფენილი საქონელი მაღალ დონეზე იდგა.
შემდეგ გადახურულგალერეიან როტონდას გაუსწორდნენ, სადაც ორკესტრი უკრავდა. ეს კურზალი გახლდათ. იქვე, ჩოგბურთის კორტებზე, თამაში გაეჩაღებინათ. გრძელფეხება, საგულდაგულოდ პირგაპარსულ ყმაწვილებს ტანზე კარგად დაუთოებული ფლანელის შარვლები ეცვათ, ფეხზე - რეზინისლანჩიანი ფეხსაცმელები, სახელოები დაეკაპიწებინათ და თეთრებში გამოწყობილ, მზეზე გარუჯულ ქალიშვილებს ეთამაშებოდნენ. ახალგაზრდები მზისგულზე დარბოდნენ, იწვართებოდნენ და ცარცივით თეთრ ბურთს ჩოგანს ჰაერში სცემდნენ. კარგად მოვლილ სასპორტო მოედნებზე ფქვილივით წმინდა მტვრის კორიანტელი იყო ამდგარი. ბიძაშვილები თამაშის სამზერად და გასაკრიტიკებლად თავისუფალ მერხზე ჩამოსხდნენ.
- შენ, ალბათ, არ თამაშობ, არა? - ჰკითხა იოახიმს ჰანს კასტორპმა.

- ჩემთვის არ შეიძლება, - უპასუხა იოახიმმა, - ჩვენ უნდა ვიწვეთ, სულ უნდა ვიწვეთ... სეტემბრინი ამბობს, ჩვენ ჰორიზონტალურად ვცხოვრობთ, ჰორიზონტალები ვართო. ვერაფერი ხუმრობაა. ესენი ან ჯანმრთელები არიან, ან აკრძალვას არ ეპუებიან. კაცმა რომ თქვას, ესენი სერიოზულად არც კი თამაშობენ, უფრო კოსტიუმების ხათრით გამოდიან მოედანზე. ისე,სიმართლე თუ გინდა, აქ უფრო დიდ ასაკრძალავსაც არ იკრძალავენ - პოკერს თამაშობენ, ზოგიერთ ოტელში კი petits chevaux აქვთ გაჩაღებული. ჩვენთან მითითებაა გამოკრული, ეს თამაში ყველაზე უფრო მავნებელიაო. ზოგიერთი საღამოს ჩამოვლის შემდეგაც კი იპარება ქვევით და თამაშობს. ბერენსს რომ ჰოფრატის ტიტული უბოძა, ის პრინციც არ იშლიდა ბანქოს თამაშს თურმე.
ჰანს კასტორპი ძლივსღა უსმენდა. პირი დაეღო, რადგან ცხვირიდან ვეღარ სუნთქავდა, თუმცა სურდო არ ჰქონდა. მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, გულისცემა მუსიკის ტაქტს ჩამორჩებოდა და ეს საშინლად აწუხებდა. ასე აფორიაქებული და აბორგებული უკვე ზეზეურად თვლემდა, როცა იოახიმმა შეახსენა,შინ წასვლის დროაო.
გზა თითქმის უბრად გალიეს. ჰანს კასტორპს რამდენჯერმე სწორ გზაზე დაუცდა ფეხი, ნაღვლიანად გაეღიმა და თავი გადააქნია. კოჭლმა კარისკაცმა ისინი ლიფტით აიყვანა თავიანთ სართულზე. ბიძაშვილები ოცდამეთოთხმეტე ოთახის წინ მოკლედ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თავ-თავიანთ ოთახებში შევიდნენ. ჰანს კასტორპი მაშინვე აივანზე გავარდა, როგორც იყო, ისევე ჩაცმულ-დახურული დაეცა შეზლონგზე და ერთხელ მიღებული პოზაც კი არ შეუცვლია, ისე ძველებურად გულაძგერებულს დარია ხელი შფოთიანმა ძილ-ბურანმა.

დედაკაცია, რაღა თქმა უნდა!
ძილ-ბურანში რამდენ ხანს იყო, არ ახსოვს. სადილობის დრომ რომ მოაწია, გონგის ხმა გაისმა, მაგრამ იგი სუფრასთან როდი უხმობდა დამსვენებლებს, მხოლოდ აფრთხილებდა, მოემზადეთო. ეს ჰანს კასტორპმა იცოდა და ამიტომ არც განძრეულა, სანამ ხელმეორედ არ გაისმა ლითონის ზრიალი და შემდეგ შორს არ ჩაიკარგა. იოახიმი ოთახიდან შემოვიდა მის წასაყვანად. მაშინ კი დაფაცურდა ჰანს კასტორპი, ტანსაცმელს გამოვიცვლიო, მაგრამ იოახიმმა აღარ დაანება. არაპუნქტუალობა მას ჭირივით ეზარებოდა. როგორღა გინდა გამოჯანსაღდე და სამხედრო სამსახურისთვის ივარგო, თუ ისეთი თავმიცემული ხარ, რომ ჭამისთვისაც კი დროზე ვერ გამოცხადებულხარო, ამბობდა იოახიმი. ამაში იგი მართალი გახლდათ და ჰანს კასტორპს ისღა დარჩენოდა ეთქვა, ავად არა ვარ, მაგრამ ძილისთვის თავი ვერ წამირთმევიაო. მან მხოლოდ ხელები დაიბანა და მესამეჯერ ჩავიდნენ სასადილოში.
დამსვენებლები ორივე შემოსასვლელიდან მოედინებოდნენ. ზოგი ვერანდის ღიად დატოვებული კარიდანაც შემოდიოდა და ისე სწრაფად შემოუსხდნენ შვიდივე მაგიდას, თითქოს არც ამდგარიყვნენ სუფრიდან. ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა. რა თქმა უნდა, ეს შთაბეჭდილება გამოგონილი და უგუნური გახლდათ, მაგრამ წუთით მაინც ჩაიბუდა მის დანისლულ ტვინში და რაღაცნაირი სიამოვნებაც კი მოჰგვარა. სადილობის დროსაც მრავალჯერ შეეცადა, ეს შთაბეჭდილება დაებრუნებინა და ყოველთვის წარმატებით ექმნებოდა სრული ილუზია. მხიარული დედაბერი ისევ ისე ესაუბრებოდა თავის დუდუნა ენაზე მისგან ალმაცერად მჯდარ დოქტორ ბლუმენკოლს და ისიც შეწუხებული სახით უგდებდა ყურს. დედაბრის გამხდარი ბადიში, ბოლოს და ბოლოს, მაწონს აღარ შეექცეოდა, ამჯერად სქელი Crême d’orge ედგა წინ, რომელიც დარბაზის ასულთ მათლაფებით მოჰქონდათ სუფრაზე. მან რამდენიმე კოვზი გადაყლაპა და კერძს თავი მიანება. ლამაზი მარუსია ხითხითის შესაკავებლად ფორთოხლის სუნამოთი ამჭორებულ ცხვირსახოცს იტენიდა პირში. მის რობინსონი ისევ იმ მრგვალ-მრგვალი ასოებით დაწერილ წერილებს კითხულობდა. ეტყობოდა, მან სიტყვა გერმანული არ იცოდა და არც უნდოდა, სცოდნოდა. იოახიმმა მოინდომა, რაინდული თავაზიანობა გამოეჩინა და ქალიშვილს ინგლისურად უთხრა რაღაც ამინდის თაობაზე. მის რობინსონს პირი არ გაუჩერებია, ისე უპასუხა მოკლედ და კვლავ გაილურსა, რაც შეეხებოდა

შოტლანდიურ შალის კოფთაში გამოწყობილ ფრაუ შტორს, იგი დილით გასასინჯად ყოფილიყო და ახლა თავის ამბებს ჰყვებოდა, თან ყოვლად უმსგავსოდ იპრანჭებოდა, ზედა ტუჩს ბზეკდა და კურდღლის კბილებს აჩენდა. მარჯვენა ფილტვის წვეროში ხიხინი ისმის, მარცხენა ბეჭქვეშ სუნთქვა ძალიან შესუსტებულია და „ბებერმა“ მითხრა, ხუთი თვე კიდევ უნდა დარჩეო, ჩიოდა იგი. უზრდელობის გამო ჰოფრატ ბერენსს იგი „ბებერს“ ეძახდა, თუმცა გული იმაზეც მოსდიოდა, „ბებერი“ დღეს ჩვენს სუფრასთან რატომ არ ზისო. „ტურნეს“ მიხედვით (იგი ალბათ „ტურს“ თუ გულისხმობდა) დღეს ჩვენი სუფრის რიგი იყო, „ბებერს“ კი ისევ მარცხნივ, მეზობელ მაგიდასთან მოუკალათებიაო (ჰოფრატი ბერენსი მართლა იქ დამჯდარიყო და თავისი თეფშის წინ დაეწყო ვეებერთელა ხელები). რა გასაკვირია, იქ ხომ ამსტერდამელი ფაშფაშა ფრაუ ზალომონი ზის, ყოველდღე მკერდმოღლეტილი რომ შემოდის სასადილოში, ალბათ, „ბებერი“ იმას უჟუჟუნებს თვალებს, მაგრამ ვერ გამიგია, რას უჭვრიტინებს, განა ყოველ გასინჯვაზე ვერ მოიჯერებს გულს ფრაუ ზალომონის ცქერითო. მერე ფრაუ შტორი მღელვარე ხმით, ჩურჩულით ჰყვებოდა, გუშინ საღამოს ბანზე მოწყობილ საერთო ვერანდაზე სინათლე ჩაუქრიათ, მე თუ მკითხავთ, მიზანი ყველასათვის „გასაგები“ უნდა იყოსო. „ბებერს“ ეს შეუნიშნავს და ისე დაუქუხია, მისი ხმა მთელ დაწესებულებას ესმოდა თურმე. მაგრამ დამნაშავე არ გამოუაშკარავებია. თუმცა იმის გამოცნობას უნივერსიტეტის დამთავრება არ სჭირდება, რომ ეს ბუქარესტელი კაპიტანი მიკლოზიჩი იქნებოდა, ქალთა საზოგადოებაში სიბნელე რომ ენაკლულებაო. კაპიტანი მიკლოზიჩი თუმცა კორსეტს ატარებს, მაგრამ ერთი გაუთლელი კაცია, თავისი ბუნებით ნამდვილი მტაცებელი მხეცი, დიახ, მტაცებელი მხეციაო, რამდენჯერმე გაიმეორა ფრაუ შტორმა ჩახლეჩილი ხმით და შუბლსა და ზედა ტუჩზე ოფლი გადაასკდა. მასთან ვენელი გენერალური კონსულის, ვურმბრანდტის ცოლს რა კავშირიცა აქვს, ეს მთელმა სოფელმა და დაბამ იცის, ამ შემთხვევაში საიდუმლო კავშირზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებაო. განა ის არ კმარა, რომ კაპიტანი გენერალური კონსულის ცოლის ოთახში დილაობით შედის, როცა ქალი ჯერ კიდევ ლოგინში წევს და მის დილის ტუალეტს ესწრება, თუ ისიც მოგახსენოთ, გასულ სამშაბათს ვურმბრანდტის ოთახიდან დილის ოთხ საათზე გამობრძანებული პატარა ფრანცის მომვლელ ქალს რომ დაუნახავსო. მეცხრამეტე ოთახში რომ ფრანცი წევს, იმას ჰნევმოთორაქსი გართულებია, მომვლელი ქალი იმას ადგას თავზე, კაპიტანს რომ გადაჰყრია, სირცხვილისაგან კარი შეშლია და უცებ დორტმუნდელი პროკურორის, პარავანტის ოთახში ამოუყვია თავიო... ბოლოს ფრაუ შტორი კარგა ხანს კურორტის ერთ „კოსმოსურ დაწესებულებაზე“ ჭარტალებდა, იქ კბილისელექსირს ვყიდულობ ხოლმეო.

იოახიმი თავის თეფშს თავდახრილი ჩაშტერებოდა.

სადილი ზედმიწევნით უხვიც იყო დაოსტატურად მომზადებულიც. ყუათიან წვნიანსაც თუ ჩავთვლით, იგი, სულ ცოტა, ექვსი თავისაგან შედგებოდა. თევზს გარნირით დამშვენებული ჩინებული ხორციანი კერძი და ბოსტნეულის სალათა მოჰყვა, შემდეგ შემწვარი ფრინველი შემოიტანეს, ნამცხვარი, გუშინ საღამოს რომ მიირთვეს, გემოთი იმას არ ჩამორჩებოდა, ბოლოს კი სუფრაზე ყველი და ხილი ჩამოარიგეს. ყოველი კერძი ორ-ორჯერ მოჰქონდათ და არც ტყუილუბრალოდ - შვიდივე მაგიდაზე თეფშებს ივსებდნენ მოსადილენი. ამ თაღქვეშ გამგელებული მადა და დაუოკებელი შიმშილი მეფობდა. ასეთი მადიანი ჭამა-სმის ყურება სასიამოვნოც კი იქნებოდა, რაღაცნაირი საზარელი, გულისამრევი გრძნობით რომ არ ყოფილიყო შეზავებული. ასეთ მადას მარტო მხიარული პაციენტები როდი იჩენდნენ, რომლებიც ლაყბობდნენ და ერთმანეთს პურის ბურთულებს ესროდნენ, არა, წყნარები და სახემოღუშულებიც გამალებულნი ჭამდნენ და შესვენებისას ხელზე თავდაყრდნობილნი სივრცეში უაზროდ იყურებოდნენ. მარცხნივ, მეზობელ მაგიდაზე, ერთი სასკოლო ასაკის შეღერებული ბიჭი იჯდა. ხალათის სახელოები დამოკლებოდა, ცხვირზე სქელი მრგვალშუშებიანი სათვალე ეკეთა. რასაც გადმოიღებდა, ყველაფერს დააქუცმაცებდა, თეფშზე ხორად დააყენებდა, ერთმანეთში ფაფასავით აზელდა, მერე მისდგებოდა და სულმოუთქმელად ანადგურებდა. ხანდახან სათვალის ქვეშ ხელსახოცს შეიცურებდა და თვალებს იწმენდდა - კაცმა არ იცის, რა ჰქონდა

შესამშრალებელი, ცრემლი თუ ოფლი.
სადილობისას ორმა შემთხვევამ მიიპყრო ჰანს კასტორპის ყურადღება, რამდენადაც კი შეეძლო მის მდგომარეობაში მყოფ კაცს ყურადღება გამოეჩინა. ჯერ იყო და, მინის კარი კვლავ გაჯახუნდა. ამ დროს სუფრაზე თევზი მოჰქონდათ. ჰანს კასტორპი გამწარებული შეხტა და გულში ჯიუტად დაიქადნა, ახლა კი უნდა დავადგინო ამის ჩამდენიო. ეს არა მარტო გაიფიქრა, არამედ ხმამაღლაც თქვა, ისე სერიოზულად იყო გაბრაზებული... უნდა გავიგოო, ისე გაცხარებით წაიჩურჩულა, რომ მის რობინსონმა და მასწავლებელმა გაოცებით მიაპყრეს მზერა. ჰანს კასტორპი მთელი ტანით შემოტრიალდა და ჩასისხლიანებული თვალები დააჭყიტა.
დამნაშავე ქალი აღმოჩნდა. იგი უკვე დარბაზში მიაბიჯებდა. დიახ, ეს ქალი გახლდათ, უფრო ქალიშვილი ეთქმოდა, შუატანის, თეთრ სვიტერსა და ფერად ქვედაკაბაში გამოწყობილი. მოწითალო ქერა თმა ნაწნავებად ჰქონდა თავზე შემოგრაგნილი. ჰანს კასტორპმა მის პროფილსაც კი ვერ მიატანა კარგად თვალი. იგი ფეხაკრეფით მიდიოდა, რაც შემოსვლისას ატეხილ ხმაურს საოცრად ეწინააღმდეგებოდა, თავი წინ წაეწვდინა და შემპარავი ნაბიჯებით მიიწევდა მარცხნივ, ვერანდის კარის პერპენდიკულარულად დადგმული „კარგი რუსული მაგიდისაკენ“. ცალი ხელი ტანზე შემოტმასნილი შალის ჟაკეტის ჯიბეში ედო, ხოლო მეორე ხელით კეფაზე თმას ისწორებდა. ჰანს კასტორპმა შეხედა ამ ხელს. იგი მცოდნე კაცის თვალით კრიტიკულად აკვირდებოდა ხოლმე ადამიანის ხელს და ჩვეულებად ჰქონდა, ვინმეს გაცნობისთანავე თვალთა მზერა ადამიანის სხეულის ამ ნაწილისაკენ მიემართა. ეს ხელი, თმას რომ იჭერდა, განსაკუთრებული ქალურობით ვერ დაიკვეხნიდა და არც ისეთი მოვლილი და ნატიფი იყო, როგორიც ახალგაზრდა ჰანს კასტორპს თავისი წრის ქალთა საზოგადოებაში უნახავს. საკმაოდ ფართო და მოკლეთითებიან ხელში იყო რაღაც პრიმიტიული და ბავშვური, რაღაც მოწაფისებური. ამ ფრჩხილებმა, ეტყობოდა, არ იცოდა, რა იყო მანიკიური, ისინი მოწაფურად უშნოდ და პირდაპირ წაეჭრათ, ხოლო ნუნებზე კანი ოდნავ გაუხეშებულიყო, რაც ეჭვს ბადებდა, რომ მათ პატრონს ფრჩხილების კვნეტის უბოროტო ცოდვა შემოსჩვეოდა. ჰანს კასტორპმა მხოლოდ იეჭვა ეს, რადგან ქალი ისე შორს იყო, რომ თითებს ასე კარგად ვერ დაუნახავდა. დაგვიანებულმა თანამესუფრეებს თავი დაუკრა და სუფრის თავში დაბრძანებულ დოქტორ კროკოვსკის გვერდით მიუჯდა. დარბაზისაკენ ზურგშექცეულმა ქალმა ისევ თმისკენ წაიღო ხელი, თავი შემოაბრუნა და საზოგადოებას გადახედა. ამ დროს ჰანს კასტორპმა თვალი შეასწრო, რომ მას ფართოყვრიმალებიანი სახე და ვიწრო თვალები ჰქონდა... ამ სახის დანახვამ თითქოს წამით რაღაცის თუ ვიღაცის ბუნდოვანი მოგონება აღუძრა.
„რაღა თქმა უნდა, დედაკაცია!“ - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და იგივე სიტყვები ისე ჩაიბურტყუნა, რომ მასწავლებელმა ფროილაინ ენგელჰარტმა მშვენივრად გაიგონა. საბრალო შინაბერას ცრემლნარევი ღიმილი გამოესახა სახეზე.
- ეს მადამ შოშა გახლავთ, - თქვა მან, - ასეთი დაუდევარია, მაგრამ მომხიბლავი ქალია.
ფროილაინ ენგელჰარტის ბუსუსებიან ლოყებს უფრო მეტად მოედო სიწითლე და სახე ისე აელეწა, როგორც ყოველთვის მოსდიოდა ხოლმე, პირს რომ გააღებდა.
- ფრანგია? - მკაცრად ჰკითხა მას ჰანს კასტორპმა.
- არა, რუსი გახლავთ, - მიუგო ენგელჰარტმა, - ალბათ, მისი მეუღლე თუა ფრანგი ან ფრანგული წარმოშობისა, ეს კარგად არ ვიცი.
ის ხომ არ არის მისი ქმარიო, ჯერ კიდევ გაღიზიანებულმა ჰკითხაფროილაინ ენგელჰარტს ჰანს კასტორპმა და „კარგ რუსულ მაგიდაზე“ ერთ მხრებჩამოყრილ კაცზე ანიშნა.
არა, ის აქ არ გახლავთო, მიუგო მასწავლებელმა. არც არასოდეს ყოფილა, აქ მას არავინ იცნობსო.
- კარს წესიერად უნდა მიხურვა! - თქვა ჰანს კასტორპმა, - ყოველთვის აჯახუნებს ხოლმე. ეს ხომუზრდელობაა.
მასწავლებელმა ისეთი თვინიერი ღიმილით მიიღო ეს შენიშვნა, თითქოს თვითონ ყოფილიყოს დამნაშავე და ამის შემდეგ მადამ შოშაზე ლაპარაკი აღარ გაგრძელებულა.

მეორე შემთხვევა ის გახლდათ, რომ დოქტორი ბლუმენკოლი სასადილო დარბაზიდან გავიდა, ეს იყო და ეს. მას უცებ ჩვეულებრივზე მეტი ზიზღი გამოეხატა სახეზე, ჩვეულებრივზე უფრო შეწუხებულმა გაუშტერა თვალი რომელიღაც წერტილს, მერე წყნარად გასწია თავისი სკამი და გარეთ გავიდა. აქ კი მთელი ბრწყინვალებით წარმოდგა ფრაუ შტორის გაუზრდელობა. ეტყობოდა, იგი სულმდაბლურ კმაყოფილებას გრძნობდა, რომ თვითონ დოქტორ ბლუმენკოლზე მსუბუქად იყო ავად და თანამესუფრე ნახევრად თანამგრძნობი, ნახევრად ზიზღიანი სიტყვებით გააცილა:
- საწყალი! - თქვა მან. - მალე წაიღებს წერილს. ისევ დასჭირდა ლურჯი ჰაინრიხის“ სამსახური. - სავსებით მოურიდებლად, შტერული სახით გადმოუშვა მან ბაგიდან ეს კარიკატურული სახელი და ჰანს კასტორპს ერთდროულად ზიზღი და გაცინების სურვილი მოჰგვარა. დოქტორი ბლუმენკოლი რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ისე უხმაუროდ და უპრეტენზიოდ დაბრუნდა, როგორც წავიდა, კვლავ თავის ადგილზე დაჯდა და ჭამა განაგრძო. ისიც ბევრს ჭამდა, ყოველ კერძს ორ-ორჯერ იღებდა, უჩუმრად იჯდა და ჩვეულებისამებრ შეწუხებული სახე ჰქონდა...
სადილი დამთავრდა. სწრაფი მომსახურების წყალობით - ლილიპუტი განსაკუთრებით ფეხმარდი არსება გამოდგა - იგი მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა. ჰანს კასტორპმა თვითონაც არ იცოდა, როგორ ააღწია ზევით, ახლა ისევ ლოჯიაში იწვა თავის ჩინებულ შეზლონგზე და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. ნასადილევს, სამხრამდე წოლა დღის რეჟიმში ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა და ეს წესი ყველას მკაცრად უნდა დაეცვა. ჰანს კასტორპი ორ გაუმჭვირვალე მინის ტიხარს შორის იწვა, ერთი მხრიდან ეს კედელი იოახიმისაგან ყოფდა, მეორე მხრიდან კი რუსი ცოლ-ქმრისაგან მიჯნავდა. გულაძგერებული ჰანს კასტორპი მიყუჩებულიყო და ჰაერს პირით ყლაპავდა. ცხვირი რომ მოიხოცა, ცხვირსახოცზე სისხლი შენიშნა, მაგრამ ძალა არ ეყო, ამაზე დაფიქრებულიყო. თუმცა საკმაოდ მშიშარა გახლდათ და ჰიპოქონდრიული ახირებებისკენაც ჰქონდა მიდრეკილება. ჰანს კასტორპმა ისევ მოუკიდა მარია მანჩინის“, ამჯერად გემოსთვის აღარ მიუქცევია ყურადღება და სიგარა ბოლომდე დაიყვანა. ჰანს კასტორპს თავი უბრუოდა, გულიც უცნაურად დამძიმებოდა და გონებაში ერთი ფიქრი უტრიალებდა: ეს რა უცნაურად ვგრძნობ აქ, ზევით, თავსო. ორჯერ თუ სამჯერ გულში გაეცინა, როცა გაახსენდა, რა როყიოდ წამოისროლა უვიცმა ფრაუ შტორმა ის საზარელი სიტყვა.

ბატონი ალბინი

ქვევით, ბაღში, ქარი აფრიალებდა გველშემოხვეული კვერთხით დამშვენებულ ფანტასტიკურ დროშას. ცაზე კვლავ ღრუბლები წამოიშალა, მზეც თვალს მიეფარა და ჰაერში უსიამოვნო სიგრილე დატრიალდა. ეტყობოდა, საერთო ვერანდა გაჭედილი იყო. ქვევიდან ლაპარაკისა და ხითხითის ხმა ამოდიოდა.
- ბატონო ალბინ, გევედრებით, აქედან მოაშორეთ ეგ დანა, შეინახეთ, თორემ რაღაც უბედურებას მოახდენთ! - ივედრებოდა ქალის მაღალი, ათრთოლებული ხმა.
და კიდევ:
- ძვირფასო ბატონო ალბინ, ღვთის გულისათვის, ნერვები ნუ დაგვაწყვიტეთ, ნუღარ დაგვანახვებთ მაგ სიკვდილის იარაღს! - ჩაერია მეორე ხმა, რაზედაც ქერათმიანმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც პირში სიგარეტი გაეჩარა და წინა რიგში დადგმულ შეზლონგზე გვერდულად ჩამომჯდარიყო, თავხედური ტონით უპასუხა:
- გულშიც არ გავივლებ! იმედი მაქვს, ქალბატონები არ დამიშლიან, ჩემი დანით წავითამაშო! ჰო, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ბასრი დანა გახლავთ. კალკუტაში მაქვს შეძენილი ბრმა მიმოსისაგან... იგი ამ დანას ყლაპავდა, დამხმარე ბიჭი კი მისგან ორმოცდაათ ნაბიჯზე აძრობდა დანას მიწიდან... განახვოთ? სამართებელზე უფრო ბასრია. ოდნავ რომ შეეხოს ამის პირი კანს, კარაქივით გაჭრის. მაცალეთ, უფრო ახლოს გიჩვენებთ...
და ბატონი ალბინი ფეხზე წამოდგა. გაისმა წივილი.
- არა, ახლა ჩემს რევოლვერს გამოვიტან! - თქვა ბატონმა ალბინმა, - ის უფრო

საინტერესო იქნება თქვენთვის. ჭკუიდან ასაწევი რამ არის. ისე შორს მიაქვს ტყვია, რომ... ახლავე მოვიტან.
- ბატონო ალბინ, ბატონო ალბინ, არ მოიტანოთ! - დაიბღავლა რამდენიმე ხმამ, მაგრამ ბატონი ალბინი უკვე გამოვიდა ვერანდიდან და ხელების ქნევით გაემართა თავისი ოთახისაკენ. იგი სულ ახალგაზრდა იყო, ვარდისფერი ბავშვური სახე და ყურის ძირებზე ჩამოყოლებული ვიწრო ბაკენბარდები ჰქონდა.
- ბატონო ალბინ, - ხმა დაადევნა ერთმა ქალმა, - გირჩევნიათ, პალტო წამოიღოთ და ჩაიცვათ, ჩემი ხათრით ჩაიცვით! ექვსი კვირა ფილტვების ანთებით იწექით ლოგინში, ახლა კი უპალტოოდ ზიხართ და თან ამდენს ეწევით! ბატონო ალბინ, პატიოსნებას გეფიცებით, ბედს ეთამაშებით.
ბატონმა ალბინმა მხოლოდ ირონიულად გაიცინა, წავიდა და მალე რევოლვერით ხელში დაბრუნდა უკან. ვერანდაზე გულის გამაწვრილებელი წივილ-კივილი ატყდა, ისმოდა, ვიღაცები როგორ წამოხტნენ თავიანთი შეზლონგებიდან, საბნები თავზე წაიფარეს და პირქვე ჩაემხნენ.
- შეხედეთ, რა პატარა და პრიალაა, - თქვა ბატონმა ალბინმა, - მაგრამ ხელს თუ დავაჭერთ, იკბინება, - ისევ გაისმა წივილი, - რა თქმა უნდა, დატენილი გახლავთ, - განაგრძო ბატონმა ალბინმა, - ამ მჭიდში ექვსი ტყვია ეტევა, ყოველ გასროლაზე ახალი ტყვია თავისით გადის ლულაში... სხვათა შორის, ამ ნივთს ტყუილუბრალოდ არ ვინახავ, - თქვა მან, როცა შენიშნა, რომ შთაბეჭდილება განელდა. რევოლვერი გულჯიბეში ჩაასრიალა, თავის შეზლონგზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ახალი სიგარეტი გააბოლა, - დიახ, ტყუილუბრალოდ არ ვინახავ, - გაიმეორა მან და ტუჩები მოკუმა.
- მაშ, რისთვის, რისთვის ინახავთ? - ეჭვიანად იკითხეს აკანკალებულმა ხმებმა, - რა საშინელებაა! - უცებ წამოიყვირა ერთმა და ბატონმა ალბინმაც დასტურის ნიშნად დაუქნია თავი.
- მე ვხედავ, რომ ნელ-ნელა მიხვდით რაღაცას, - თქვა მან, - დიახ, სწორედ მაგისთვის ვინახავ, - უდარდელად განაგრძო მან. ბატონი ალბინი არაფრად აგდებდა, სულ ახლახან ფილტვების ანთება რომ ჰქონდა გადატანილი, კვამლს ღრმად ისუნთქავდა და ბოლქვებად უშვებდა უკან, - იმ დღისთვის ვინახავ, როცა ეს გაჯანჯლებული საქმე მომბეზრდება და პატივი მექნება, უმორჩილესად დაგიკრათ თავი. ამას ბევრი კი არაფერი უნდა... ამ საქმეში ცოტა წავივარჯიშე და მშვენივრად ვიცი, ყველაზე უკეთ როგორ უნდა გავჩარხო საქმე („საქმის გაჩარხვის“ გაგონებაზე კვლავ აკივლდა ვიღაცა). გულში დაკვრა გამორიცხულია... მარჯვედ ვერ დაიმიზნებ... მირჩევნია, მაშინვე დავკარგო გონება, როგორც კი ამ მშვენიერ, პაწაწიწა უცხო სხეულს ამ საინტერესო ორგანოში ჩავიჭედებ... - და ბატონმა ალბინმა საჩვენებელი თითი მოკლედ გაკრეჭილ თავზე მიიდო, - აი, აქ... - ბატონმა ალბინმა ხელახლა ამოიღო ჯიბიდან მონიკელებული რევოლვერი და ლულა საფეთქელზე მიიბჯინა, - აი, აქ გადის საძილე არტერია... უსარკოდაც ნაღდი საქმეა...
ამჯერად უფრო ხმამაღლა გაისმა მრავალხმიანი მუდარით სავსე პროტესტი და მას მწარე ქვითინიც შეერია.
- ბატონო ალბინ, ბატონო ალბინ, მოიშორეთ რევოლვერი, საფეთქელს მოაშორეთ რევოლვერი, ვეღარ ვუძლებთ ყურებას! ბატონო ალბინ, თქვენ ახალგაზრდა ხართ, გამოჯანმრთელდებით, ცხოვრებას დაუბრუნდებით და ყველასათვის სასურველი ყმაწვილი იქნებით, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყველას ეყვარებით! ოღონდ პალტო ჩაიცვით, დაწექით, საბანი გადაიფარეთ,იმკურნალეთ! ნუღარ გააგდებთ მასაჟისტს, სპირტით რომ გიზილავთ ტანს! თამბაქოს თავი დაანებეთ, ბატონო ალბინ, დაგვიჯერეთ, გევედრებით, სიცოცხლეს მოუფრთხილდით, თქვენს ახალგაზრდა, სანუკვარ სიცოცხლეს!
მაგრამ ბატონი ალბინი თავისას არ იშლიდა.
- არა, არა, -თქვა მან, - თავი დამანებეთ, კმარა, მადლობას მოგახსენებთ. ქალისთვის არასოდეს არაფერზე მითქვამს უარი, მაგრამ თქვენ თვითონ ნახავთ, რა ამაოა ყველაფერი, ბედისწერას ვერსად გაექცევი. მესამე წელია, აქა ვარ... ყველაფერი ყელში ამომივიდა და აღარ მინდა თამაში, განა გამემტყუნება? განუკურნებელი გახლავართ, ქალბატონებო, დიახ, კარგად შემომხედეთ, განუკურნებელი გახლავართ. ჰოფრატს აქამდე კიდევ პატივმოყვარეობა და

სირცხვილი აჩერებდა, თორემ ახლა აღარც ის ფარავს ამ საიდუმლოს. მაშ, ცოტათი ამაშვებინეთ თავი, ამის ნებას ეს ფაქტი მანიჭებს! გიმნაზიაში იცოდნენ, ვინმეს კლასში დატოვება რომ გადაწყდებოდა, იმას აღარაფერს ეკითხებოდნენ და მასაც ხელის განძრევა აღარ სჭირდებოდა. როგორც იქნა, ისევ ჩავვარდი ამ ბედნიერ ყოფაში. ხელის განძრევა აღარ მჭირდება, სათვალავში აღარა ვარ ჩასაგდები, მე უკვე დავცინი ყველაფერს. გნებავთ შოკოლადი? მიირთვით! არა, სრულიადაც არ მაჩანაგებთ, შოკოლადი უამრავი მაქვს ჩემს ოთახში. რვა კოლოფი, ხუთი გალა-პეტერის ფილა და ოთხი გირვანქა ლინდტის შოკოლადი მიწყვია ზემოთ. ეს სულ სანატორიუმის ქალებმა მომართვეს, ფილტვების ანთება რომ მჭირდა.
საიდანღაც ვიღაცის ბანმა დაიგრგვინა და წესრიგისაკენ მოუწოდა პაციენტებს. ბატონმა ალბინმა ერთი გაიცინა. ეს იყო მთრთოლარე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილი. შემდეგ ვერანდაზე სიჩუმემ დაისადგურა, ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, გეგონებოდათ, სიზმარი თუ მოჩვენება გაიფანტაო. და ამ სიჩუმეში თითქოს ექოს გამოსცემდა ბატონი ალბინის სიტყვები. ჰანს კასტორპი მანამ უგდებდა ყურს, სანამ ხმა სულ არ მიწყდა და თუმცა დარწმუნებული იყო, ბატონი ალბინი ერთი ტუტუცი ვინმეაო, როგორღაც მაინც შეშურდა მისი. სკოლის ცხოვრებიდან აღებული შედარება გულზე მოხვდა. თვითონაც დარჩა ერთხელ იმავე კლასში და კარგად ახსოვდა ის, ცოტა არ იყოს, სამარცხვინო, მაგრამ თან სასაცილო და სასიამოვნო მიუსაფრობის გრძნობა, მეოთხე მეოთხედში „მორბენალთ“ რომ გამოაკლდა და „ყველაფერ ამაზე“ რომ ეცინებოდა. ჰანს კასტორპს თავში ისეთი გაურკვეველი და არეულ-დარეული აზრები უტრიალებდა, რომ ძალიან გაგვიჭირდება მათი ზუსტად გადმოცემა, ძირითადი აზრი კი ეს გახლდათ: თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობას მნიშვნელოვანი უპირატესობანი აქვს, მაგრამ სირცხვილსაც არანაკლები უპირატესობანი გააჩნია, ის კი არა, ამ უკანასკნელის უპირატესობებს არცა აქვს საზღვარი. ჰანს კასტორპმა სცადა, თავი ბატონი ალბინის ადგილზე დაეყენებინა და წარმოედგინა, რა მოხდებოდა, ადამიანს რომ საბოლოოდ მოეცილებინა ღირსების ტვირთი და მთელი თავისი სიცოცხლე სირცხვილის უკიდეგანო უპირატესობებით ესარგებლა. ამის წარმოდგენაზე ახალგაზრდა კაცს ისეთი უნაპირო სიტკბოების შეგრძნება შემოაწვა, რომ შეშინდა და გული საგულეს ვეღარ დაატია.

სატანა ღირსების შემბღალავ წინადადებას იძლევა

ჰანს კასტორპს შემდეგ ძილმა წაართვა თავი. მისი ჯიბის საათი ოთხის ნახევარს უჩვენებდა, როცა მინის მარცხენა ტიხარს მიღმა ლაპარაკმა გამოაღვიძა. დოქტორი კროკოვსკი, რომელიც ამ დროს ჰოფრატის გარეშე დადიოდა შემოვლაზე, უზნეო ცოლ-ქმარს რუსულად ელაპარაკებოდა. ეტყობოდა, დოქტორი კროკოვსკი ქმრის ჯანმრთელობას კითხულობდა და ტემპერატურის ცხრილს ათვალიერებდა. შემდეგ გზა აივნით აღარ გაუგრძელებია, ჰანს კასტორპის ლოჯიას გვერდი აუარა, ტალანში დაბრუნდა და იოახიმთან ოთახიდან შევიდა. ასეთი რკალი რომ შემოხაზეს და იგი განზე მოიტოვეს, ჰანს კასტორპს ეწყინა, თუმცა დოქტორ კროკოვსკისთან პირისპირ დარჩენა მაინცდამაინც არ ენატრებოდა. ჯანმრთელი რომ ვარ, იმიტომ არ მაგდებენ სათვალავში, აქ, ზევით, ისეა საქმე მოწყობილი, ვისაც პატივი აქვს, ჯანმრთელი იყოს, იმას არც სათვალავში აგდებენ და არც არაფერს ეკითხებიანო, ფიქრობდა ჰანს კასტორპი და სწორედ ამაზე მოსდიოდა გული.
დოქტორმა კროკოვსკიმ იოახიმთან ორი თუ სამი წუთი დაჰყო, შემდეგ აივნის გავლით განაგრძო გზა და ჰანს კასტორპმა ბიძაშვილის ხმა გაიგონა, ახლა კი ავდგეთ და სამხრისთვის მოვემზადოთო. მანაც უპასუხა, კარგიო, და ფეხზე წამოდგა. ფეხზე კი წამოდგა, მაგრამ ამდენი წოლისაგან თავბრუ ეხვეოდა, ამ ძილ-ბურანმაც სახეზე ხელახლა გაუღვივა ალმური, ტანში კი ისე ამტვრევდა, იფიქრა, ალბათ, საკმაოდ თბილად არ მეხურაო.
ჰანს კასტორპმა პირზე წყალი შეისხა, ხელები დაიბანა, თმა გადაივარცხნა, ტანსაცმელი გაისწორა და იოახიმს ტალანში შეხვდა.
- გესმოდა ბატონი ალბინის ლაპარაკი? - კიბეზე ჩასვლისას ჰკითხა იოახიმს.

- რა თქმა უნდა, - მიუგო იოახიმმა, - მაგას არ აწყენდა ერთი ჭკუაზე მოყვანა. შუადღის მკვდარ საათს თავისი ლაყბობით არღვევს და ქალებსაც ისე უშლის ნერვებს, რომ მთელ კვირებს უყრის წყალში. უხეშად არღვევს წესრიგს, მაგრამ გაუდის, დამსმენის როლს ვერავინ კისრულობს და თანაც უმრავლესობა ერთობა ასეთი ამბებით.
- შენ როგორ გგონია, - განაგრძო ჰანს კასტორპმა, - მართლა ჩაიდენს, როგორც თვითონ ამბობს „ნაღდ საქმეს“ და „უცხო სხეულს“ საფეთქელში მიიჭედებს?
- რატომაც არა, - უპასუხა იოახიმმა, - შეუძლებელი არაფერია. აქ, ზევით, ასეთები ხდება. ჩემს ჩამოსვლამდე ორი თვით ადრე, ერთ სტუდენტს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა აქ, საერთო გამოკვლევის შემდეგ ტყეში ჩამოუხრჩვია თავი. ჩემი ჩამოსვლის პირველ ხანებში ამაზე დიდი მოთქმა-მოთქმა იყო ატეხილი.
ჰანს კასტორპმა აღელვებისაგან დაამთქნარა.
- ჰოო, თქვენთან თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი, ვერ ვიტყვი, - განაცხადა მან, - მე მგონი, ვეღარ შევძლებ დარჩენას. ხომ არ გეწყინება, რომ წავიდე?
- წახვიდე? ეგ საიდან მოგივიდა თავში? - წამოიძახა იოახიმმა, - სისულელეა. გუშინ არ ჩამოხვედი? ერთ დღეში რა უნდა განსაჯო?
- ღმერთო, ნუთუ ერთი დღეც არ გასულა? ასე მგონია, უკვე დიდი ხანია აქა ვარ, დიდი ხანია აქ, ზევით, თქვენთანა ვარ-მეთქი.
- ახლა დროზე აღარ მოჰყვე ფილოსოფობას, - უთხრა იოახიმმა, - დილას სულ ამირიე ტვინი.
- არა, ნუ გეშინია, ყველაფერი დამავიწყდა, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - მთელი კომპლექსი დამავიწყდა და ისე აღარც მიჭრის გონება, ყველაფერმა გამიარა... მაშ, ახლა ჩაის მოგვართმევენ, არა?
- ჰო, მერე კი ისევ იმ ძელსკამამდე მივალთ, დილით რომ ვისხედით.
- იყოს, უფალო, ნება შენი, მაგრამ იმედი მაქვს სეტემბრინის აღარ გადავეყრებით. იცოდე, დღეს მეტი აღარ შემიძლია ჭკვიანური საუბრის მოსმენა.
სასადილოში ყველანაირი სასმელი ჰქონდათ, რისი დალევაც კი ამ დროს შეიძლებოდა: მის რობინსონი კვლავ სისხლივით წითელ ასკილის ჩაის სვამდა, ბადიში კვლავ მაწონს ხვრეპდა. გარდა ამისა, სუფრაზე რძე, ჩაი, ყავა, შოკოლადი და ასე განსაჯეთ, ხორცის ბულიონიც კი ჩამოატარეს. ყველა სუფრაზე მოიძებნებოდნენ დამსვენებლები, რომლებსაც ასეთი უხვი სადილის შემდეგ მხოლოდ ორი საათი გაეტარებინათ წოლაში და ახლა ქიშმიშიანი ნამცხვრის ვეებერთელა ნაჭრებზე გამალებით უსვამდნენ კარაქს.
ჰანს კასტორპმა ჩაი მოატანინა. შიგ ორცხობილა ჩააწო და კონფიტიურსაც გაუსინჯა გემო. ქიშმიშიანი ნამცხვარი კარგად შეათვალიერა, მაგრამ იმის გაფიქრებამაც კი, რომ შეეჭამა, ჟრჟოლა მოჰგვარა. აი, უკვე მეოთხედ იჯდა ამ ჭრელთაღებიან დარბაზში, სადაც შვიდი მაგიდა იყო გაჭიმული, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, შვიდ საათზე, მეხუთედ, ამჯერად სავახშმოდ მიუჯდა სუფრას. ამ ორ ტრაპეზს შორის მოკლე, უმნიშვნელო დრო რჩებოდა და პიტალო კლდესთან მიდგმულ ძელსკამამდე და ღარში მოჩუხჩუხე წყარომდე გაისეირნეს. ამჯერად გზაზე მრავლად მიმოდიოდნენ პაციენტები და ბიძაშვილებიც წამდაუწუმ ესალმებოდნენ ხალხს. შემდეგსაათ-ნახევარი იწვნენ აივანზე და ჰანს კასტორპს ტანში ჟრჟოლა უვლიდა. ის საათ-ნახევარი როგორღაც უშინაარსოდ, თვალდახელშუა გაეპარა.
სავახშმოდ ჰანს კასტორპმა კეთილსინდისიერად გამოიცვალა ტანსაცმელი. მის რობინსონსა და მასწავლებელს შორის დაჯდა და ჟიულიენი და შემწვარ-მოხრაკული მიირთვა გარნირითურთ, ბოლოს ზედორი ნაჭერი ტორტი, თაფლის კვერი და გემრიელი ყველი დააყოლა. ტორტი მრავალი კომპონენტისაგან შედგებოდა: ბისკვიტის, ნაღების კრემის, შოკოლადის, ხილის მუსისა და მარციპანისაგან. ჰანს კასტორპმა ისევ მოატანინა ერთი ბოთლი კულმბახური ლუდი, მაგრამ მაღალი ჭიქა ნახევრამდე დაიყვანა თუ არა, იგრძნო, რომ ლოგინში ჩაწოლა მოენატრა. თავი უბჟუოდა, ქუთუთოები ტყვიასავით დაუმძიმდა, გულს კი პატარა დაფდაფივით გაუდიოდა ბაგაბუგი. თავისდა სატანჯველად, ისიც კი წარმოიდგინა, ლამაზი მარუსია ლალით დამშვენებულ ხელს იმიტომ იფარებს პირზე, რომ მე დამცინისო, თუმცა თავგამოდებით ცდილობდა, არავისთვის მიეცა დაცინვის საბაბი. ჰანს კასტორპს თითქოს შორიდან ესმოდა ფრაუ შტორის ხმა.

იგი რაღაცას ჰყვებოდა თუ ამტკიცებდა. მისი სიტყვები ისეთ სიგიჟედ ეჩვენა, რომ დაეჭვდა, ან სწორად არ მესმის, რას ამბობს ეს ქალი, ან მისი ნათქვამი ჩემს ტვინში გარდაიქმნება უაზრობადო. ფრაუ შტორი იჩემებდა, თევზისათვის ოცდარვა საწებლის მომზადება შემიძლიაო. დიახ, თამამად ვაცხადებ ამას, თუმცა ჩემმა ქმარმა გამაფრთხილა, საწებელაზე კრინტი არ დაძრა, მაინც არავინ დაგიჯერებს ან თუ დაგიჯერებს, სიცილად არ ეყოფაო. მიუხედავად ამისა, დღეს საჯაროდ უნდა განვაცხადო, რომ თევზისთვის სწორედ ოცდარვანაირი საწებლის მომზადება შემიძლიაო. ამან ისე შეაშინა საბრალო ჰანს კასტორპი, რომ შუბლზე ხელი იტაცა და სულ დაავიწყდა, ჩესტერის ყველის ნაჭერი და თაფლის კვერი დაეღეჭა და გადაეყლაპა. სუფრიდან რომ ადგნენ, ის ლუკმა კიდევ ყელში ჰქონდა გაჩხერილი.

ამჯერად სასადილო დარბაზი მთავარი ვესტიბიულისაკენ გამავალი შემინული კარიდან დაიცალა. ეს სწორედ ის საბედისწერო კარი გახლდათ, ასე უმოწყალოდ რომ აჯახუნებდნენ ყოველდღე. თითქმის ყველამ ეს გზა ირჩია. როგორც ჩანდა, საზოგადოება ნავახშმევს გასართობად ვესტიბიულსა და სალონებს ეტანებოდა: პაციენტების უმრავლესობა ჯგუფ-ჯგუფად იდგა და საუბრით იქცევდა თავს. მწვანემაუდგადაკრული გასაშლელი მაგიდების ირგვლივ ცნობისმოყვარეები შეჯგუფულიყვენ. ერთგან დომინოს თამაშობდნენ, მეორეგან კი ბრიჯი გაეჩაღებინათ. თამაშობდნენ მხოლოდ ახალგაზრდები, მათ შორის ერივნენ ბატონი ალბინი და ჰერმინე კლეეფელდიც. პირველ სალონში რამდენიმე ოპტიკური გასართობი მოიძებნებოდა: სტერეოსკოპი, რომლის ლინზებში სიღრმეში ჩადგმული ფოტოსურათები მოჩანდა. მაგალითად, ერთ ფოტოზე გაშეშებული, უფერული ვენეციელი გონდოლიერი იყო გამოსახული. აქ გახლდათ ჭოგრისებური კალეიდოსკოპიც. მის ლინზებს თვალს მიადებდით, გორგოლაჭს მსუბუქად დაატრიალებდით და თვალს ფერად-ფერადი ვარსკვლავებისა და არაბესკების ჯადოსნური ტრიალი აგიჭრელებდათ. აქ იყო მბრუნავი დისკოც, რომელშიაც კინემატოგრაფის ლენტებს დებდნენ. დისკოს ნახვრეტში ალმაცერად თუ ჩაიხედავდით, ბუხრის მწმენდავთან მოჩხუბარ მეწისქვილეს დაინახავდით, ან სკოლის ზედამხედველს, რომელიც მოწაფეს წკეპლავდა, ან თოკზე მოხტუნავე ჯამბაზს და გლეხურად მოცეკვავე გოგო-ბიჭსაც. ჰანს კასტორპმა მუხლებზე დაიბჯინა გაყინული ხელები და კარგა ხანს იცქირებოდა ამ აპარატებში. ცოტა ხანს ბრიჯის მოთამაშეებთანაც შეჩერდა. განუკურნებელ ბატონ ალბინს ტუჩის კუთხეები ჩამოეშვა და დიდკაცური, დაუდევარი ჟესტით არიგებდა კარტს. ერთ კუთხეში დოქტორი კროკოვსკი ჩამჯდარიყო და მის ირგვლივ ნახევარწრისებურად დამსხდარ ქალებს: ფრაუ შტორს, ფრაუ ილტისსა და ფროილაინ ლევის გულითადად და ხალისიანად ებაასებოდა. „კარგი რუსული მაგიდის“ წევრები იქვე, მომცრო სალონში შეყუჟულიყვნენ და ინტიმური წრე შეეკრათ. მათი სალონი სათამაშო ოთახისაგან მხოლოდ ფარდით იყო გამოყოფილი. მადამ შოშას გარდა, იმ წრეში ქერაწვერიანი, თვალებგადმოკარკლული, მკერდჩავარდნილი უსიცოცხლო კაცი შედიოდა და ერთი ორიგინალური, კომიკური ტიპის შავგვრემანი ქალიშვილი, რომელსაც ოქროს საყურე ეკეთა და გაწეწილი თმა ბეჭებზე ეყარა. მათ დოქტორი ბლუმენკოლიც მიჰკედლებოდა. ამ წრეში კიდევ ორი მხრებჩამოცვენილი ყმაწვილი ერია. ჯგუფის სული და გული მადამ შოშა გახლდათ. მას თეთრი მაქმანის საყელოთი გაწყობილი ცისფერი კაბა ეცვა და სათამაშო ოთახისაკენ პირშექცევით იჯდა ოთახის სიღრმეში, მრგვალ მაგიდასთან მიდგმულ დივანზე. ჰანს კასტორპს არ შეეძლო, ამრეზით არ ეცქირა ამ ცუდად აღზრდილი ქალისთვის და თან გულში ფიქრობდა, იგი რაღაცას მაგონებს, მაგრამ ვერ მომიგონებია, რასო. ერთი ოცდაათიოდე წლის თმაშეთხელებული აყლაყუდა კაცი პატარა ყავისფერ პიანინოს მიუჯდა და ზედიზედ სამჯერ დაუკრა საქორწილო მარში ზაფხულის ღამის სიზმრიდან“. რამდენიმე ქალი შეეხვეწა, კიდევ დაუკარითო, მან ყველას სათითაოდ უსიტყვოდ ჩახედა თვალებში და მეოთხედ შეასრულა ეს მელოდიური ნაწარმოები.

- ნება მიბოძეთ, გკითხოთ, როგორ ბრძანდებით, ინჟინერო? - შეეკითხა ჰანს კასტორპს სეტემბრინი.

იგი აქამდე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაეხეტებოდა დამსვენებლებს შორის და

ახლა ჰანს კასტორპთან მივიდა... სეტემბრინის ისევ ის ნაცრისფერი, ხაოიანი სერთუკი და ღია ფერის უჯრედებიანი შარვალი ეცვა. მან შეკითხვას ღიმილი დაატანა და ჰანს კასტორპი კვლავ გამოაფხიზლა მისი შავი ულვაშის ძირში დამჩნეულმა ნატიფმა და დამცინავად ჩატეხილმა ნაოჭმა, ოღონდ ტუჩებს მაინც ვერ მოუყარა თავი და იტალიელს საკმაოდ უაზროდ მიაპყრო ჩაწითლებული თვალები.
- აჰ, თქვენ ის ბატონი ბრძანდებით, დილის სეირნობისას რომ შეგხვდით, იქ, ზევით, მერხთან... ღელესთან... - შეკითხვაზეარ უპასუხა ჰანს კასტორპმა, - მაშინვე გიცანით. დაიჯერებთ, - განაგრძო მან, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა, - დაიჯერებთ, რომ პირველად მეარღნე მეგონეთ?.. ეს რა თქმა უნდა, სისულელე იყო, - დასძინა მან, როცა დაინახა, როგორი ცივი და გამომცდელი მზერა მიაპყრო სეტემბრინიმ, - ერთი სიტყვით, საშინელი სისულელე გახლდათ! პირდაპირ ვერ გამიგია, როგორ შემეძლო...
- მაგაზე ნუ წუხხართ, არაფერია, - ერთხანს კიდევ უსიტყვოდ დააცქერდა ახალგაზრდა კაცს და ისე მიუგო სეტემბრინიმ, - როგორ გაატარეთ დღე, თქვენი პირველი დღე ამ მოსალხენ ადგილას?
- გმადლობთ. რეჟიმს ვიცავდი, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - დღის უმეტესი ნაწილი „ჰორიზონტალურად“ გავატარე, როგორც თქვენ გყვარებიათ თქმა.
სეტემბრინის გაეღიმა.
- შესაძლოა, შემთხვევით კიდეც ვთქვი ასე, - მიუგო მან, - აბა, რას იტყვით, გასართობი გეჩვენათ ცხოვრების ასეთი წესი?
- გასართობიც მეჩვენა და მოსაწყენიც, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - იცით, ეს ხანდახან ძნელი გასარჩევია. ისე, ნამდვილად არ მომიწყენია, აქ, ზევით, თქვენთან ისე ჩქეფს ცხოვრება, იმდენ ახალსა და უცნაურს ისმენს და ხედავს კაცი, რომ... მეორე მხრივ კი, მეჩვენება, თითქოს ერთი დღე კი არა, უკვე დიდი დრო გამეტარებინოს აქ, ასე მგონია, ხანიც მომემატა და ჭკუაც-მეთქი.
- ჭკუაც? - თქვა სეტემბრინიმ და წარბები აზიდა, - ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რამდენი წლისა ბრძანდებით?
მაგრამ დახეთ, ჰანს კასტორპმა არ იცოდა, იმ წუთში მართლა დაავიწყდა, რამდენი წლის იყო, თუმცა თავს სასოწარკვეთილმა დაატანა ძალა, თავისი ასაკი მოეგონებინა. დროის მოსაგებად სეტემბრინის შეკითხვა გაიმეორა და შემდეგ თქვა:
- მე... რამდენი წლისა ვარ? ჰო, რა თქმა უნდა, ოცდამეოთხეში გადავდექი. მალე ოცდაოთხის გავხდები. მაპატიეთ, დაღლილი ვარ! - თქვა მან, - თუმცა ჩემს მდგომარეობას ეს სიტყვა ვერ გამოხატავს... გამოგიცდიათ, კაცი სიზმარში რომ არის და იცის, რომ სიზმარშია, ცდილობს, გამოიღვიძოს და ვერ იღვიძებს? სწორედ ასე ვგრძნობ თავს. უეჭველად სიცხე მაქვს, თორემ სხვანაირად ვერ ამიხსნია ჩემი მდგომარეობა. თუ დამიჯერებთ, ფეხები მუხლებამდე გაყინული მაქვს. შეიძლება ასე ითქვას, იმიტომ, რომ მუხლებს ფეხები აღარ ეთქმის. მომიტევეთ, ძალიან დაბნეული ვარ. არცაა გასაკვირი, დილიდანვე რომ... პნევმოთორაქსით დაგისტვენენ. მერე ამ ბატონი ალბინის სიტყვას რომ მოისმენ და თან ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იქნები. თქვენ თვითონ განსაჯეთ, სულ მეჩვენება, რომ ჩემს ხუთ გრძნობას ვეღარ უნდა ვენდო და ეს უფრო მაწუხებს, ვიდრე სახეზე ავარდნილი ალმური და გაყინული ფეხები. გულახდილად მითხარით, შესაძლებლად თუ მიგაჩნიათ, ფრაუ შტორმა თევზისთვის ოცდარვა საწებლის მომზადება იცოდეს? იმას როდი გეუბნებით, ნამდვილად იცის-მეთქი; ეს გამორიცხული გახლავთ, ამ ცოტა ხნის წინ სუფრაზე მართლა ამტკიცებდა ამას თუ მე მომეჩვენა ასე, მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე.
სეტემბრინიმ ჰანს კასტორპს შეხედა. აქამდე ეტყობოდა, ყურს არ უგდებდა. ისევ გაშტერებოდა თვალი და მზერა უძრავი და უჩინო გახდომოდა. მან დილანდელივით ფიქრიანად და ირონიულად გაიმეორა სამჯერ დიახ, დიახ, დიახ“ და დახე, დახე, დახეო“ და დონს“ კვლავ მაგრად დააჭირა კბილი.
- ოცდაოთხი თქვით, არა? - იკითხა მან შემდეგ...
- არა, ოცდარვა! - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - ოცდარვა საწებელი თევზისათვის! ყველანაირი კი არა, სპეციალურად თევზზე მისატანებელი საწებლები, ეს გახლავთ სწორედ გადასარევი.

- ინჟინერო! - გულმოსული ხმით შემოუძახა ჰანს კასტორპს სეტემბრინიმ, - გონს მოდით და ამ უთავბოლო სისულელით ნუღარ შემაწუხებთ. მაგისი არც არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე. ოცდამეოთხეში გადავდექიო, ასე თქვით, არა? ჰმ... ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი კითხვა ან თუ გნებავთ, ერთი უბრალო რჩევა მოგცეთ: აქ ყოფნა თუ ასე უსარგებლოა თქვენთვის, თუ ფიზიკურადაც ცუდად გრძნობთ თავს და თუ თვალი არ მატყუებს, არც სულიერად უნდა იყოთ კარგად, რა იქნებოდა, უარი გეთქვათ აქ ასაკის მომატებაზე, მოკლედ, ამ საღამოსვე ბარგი შეგეკრათ, მატარებლების მიმოსვლის განრიგი გაგეგოთ და ჩქარი მატარებლით მოგეცოცხათ აქედან?
- მაშ, თქვენი აზრით უნდა წავიდე? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა, - სულ ახალი ჩამოსული რომ ვარ? როგორ გეკადრებათ, პირველი დღით რა უნდა დაასკვნა კაცმა?
ამ სიტყვებზე შემთხვევით გაიხედა მეზობელი ოთახისაკენ და ფრაუ შოშასსახე შეეფეთა, მისი ვიწრო თვალები და ფართო ყვრიმალები დაინახა და გაიფიქრა, ნეტავ რას მაგონებს თუ ვის მაგონებს ეს ქალიო. მოქანცულ გონებას ძალა დაატანა, მაგრამ ამ კითხვაზე მაინც ვერ იპოვა პასუხი.
- რა თქმა უნდა, არც ისე მეიოლება აქ, ზევით, აკლიმატიზაცია, - განაგრძო მან, - მაგრამ ესხომ მოსალოდნელი იყო. მხოლოდ იმისთვის რომ დავყარო ფარ-ხმალი, აქაოდა, ერთი-ორი დღე დაბნეული ვარ და ალმური მაწუხებს-მეთქი, ნამდვილად შემრცხვებოდა და ლაჩრად მომეჩვენებოდა თავი. გარდა ამისა, ისე უცებ წასვლა უგუნურებაც იქნებოდა. არა, თქვენ თვითონ ბრძანეთ...
ჰანს კასტორპი ერთბაშად გაჯიქდა, მხრები ნერვიულად აუთრთოლდა და ეტყობოდა, სულით და გულით მოინდომა, იტალიელისთვის უკანვე წაეღებინებინა თავისი წინადადება.
- მივესალმები გონიერებას, - უპასუხა სეტემბრინიმ, - მივესალმები სიმამაცესაც. თქვენი სიტყვები სასიამოვნო მოსასმენია, მათ წინააღმდეგ ძნელი იქნებოდა დამაჯერებელი საბუთის მოყვანა, თანაც აკლიმატიზაციის არაჩვეულებრივი შემთხვევებიც მინახავს. შარშან აქ ერთი ქალიშვილი მკურნალობდა, ფროილაინ ოტილია კნაიფერი, კარგი ოჯახისშვილი, დიდი სახელმწიფო მოხელის ქალიშვილი. აქ წელიწად-ნახევარი გაატარა და ისე გამოჯანსაღდა, რომ სრულიად გამოჯანმრთელებულს - აქ ზოგჯერ მართლა შეიძლება გაჯანსაღდეს კაცი - არაფრისდიდებით წასვლა აღარ უნდოდა. მუხლმოდრეკილი ევედრებოდა ჰოფრატს, კიდევ მომეცით დარჩენის ნება, შინ წასვლა არ მინდა, აქ არის ჩემი სახლი, აქა ვარ ბედნიერიო. მაგრამ იმ ხანებში სანატორიუმში ჭედვა იყო, მისი ოთახი სჭირდებოდათ. ამიტომაც მუდარამ არ გაჭრა, ექიმებმა დაიჟინეს, ჯანმრთელი ხარ და უნდა გაგწეროთო. მაშინ ოტილიას სიცხემ აუწია. სიცხის მრუდი კარგა მაღლა აიყვანა, მაგრამ გამოააშკარავეს, ჩვეულებრივი თერმომეტრი მუნჯი დაიკოთი“ შეუცვალეს. თქვენ ჯერ არ გეცოდინებათ, ეს რა არის. ეს გახლავთ უსკალო თერმომეტრი. თვითონ ექიმი მიაზომებს ხოლმე სკალას და მრუდსაც ის ადგენს. ოტილიას, ბატონო ჩემო, 36,9 აღმოაჩნდა, სიცხე არ ჰქონია თურმე. მაშინ ოტილიამ ტბაში იბანავა. მაისის პირველი რიცხვები იდგა, ღამღამობით ყინავდა, ტბა მთლად ყინულივით ცივი არ იყო, მაგრამ წყალი ნულს ზემოთ მხოლოდ რამდენიმე გრადუსს უჩვენებდა. კარგა ხანს იჯდა წყალში, იქნებ რამე დამემართოსო, მაგრამ ნურას უკაცრავად - ნეკიც არ წამოსტკივებია. არაფერმა გაჭრა, არც მშობლების ნუგეშისცემამ და დაყვავებამ - აქედან გულნატკენი და სასოწარკვეთილი გაემგზავრა. ბარში რა მინდა, გაიძახოდა იგი, აქ არის ჩემი სამშობლოო. მერე არ ვიცი, რა დაემართა... მაგრამ მე მგონია... თქვენ ყურს არ მიგდებთ, ინჟინერო? თუ თვალი არ მატყუებს, ფეხზე ძლივს დგახართ. ლეიტენანტო, ჩაიბარეთ თქვენი ბიძაშვილი! - მიუბრუნდა იგი იოახიმს, რომელიც ის-ის იყო, შემოვიდა ოთახში, - ჩააწვინეთ ლოგინში! თუმცა გონება და სიმამაცე ერთმანეთთან აქვს შერწყმული, მაგრამ ამ საღამოს ცოტა უმტყუნა ძალამ.
- არა, ნამდვილად გავიგე ყველაფერი! - იფიცებოდა ჰანს კასტორპი, - „მუნჯი დაიკო“ არის უსკალო ვერცხლის სვეტი, ხომ ხედავთ, მშვენივრად გავიგე, რაც მითხარით! - გაიძახოდა იგი, მაგრამ მაინც იოახიმთან ერთად შევიდა ლიფტში.
აქ უკვე სხვა პაციენტებიც დახვდნენ, რადგან დღეისათვის გართობა

დამთავრებული გახლდათ, ავადმყოფები ერთმანეთს შორდებოდნენ და საღამოს სამკურნალო წოლისათვის ვერანდებისა და ლოჯიებისაკენ მიეშურებოდნენ. ჰანს კასტორპი იოახიმს შეჰყვა ოთახში. ქოქოსის ფიანდაზით მოფენილი ტალანის იატაკი ტალღასავით ნანაობდა მის ფეხქვეშ, მაგრამ ამჯერად ამაზე აღარ შეწუხებულა. იოახიმის მოჩითულ ღრმა სავარძელში ჩაჯდა (ასეთი სავარძელი მის ოთახშიაც იდგა) და „მარია მანჩინის“ მოუკიდა, სიგარას, რის გემოც უნდა ჰქონოდა, იმის გარდა ყველაფრის გემო ჰქონდა: წებოსი, ნახშირის და კიდევ ვინ იცის, რისი აღარა. მიუხედავად ამისა, ჰანს კასტორპი სიგარას მაინც აბოლებდა და თან უყურებდა, იოახიმი დასაწოლად როგორ ემზადებოდა. როგორ შემოიცვა საშინაო ქურთუკი, ზედ კიდევ ძველი პალტო დაიმატა, მაგიდის ნათურასა და რუსული სავარჯიშოების წიგნს ხელი დაავლო და აივანზე გავიდა. ნათურა ჩართო, პირში თერმომეტრი ჩაიდო და გასაოცრად მარდად დაიწყო გახვევა შეზლონგზე გაშლილ აქლემის ბეწვის საბნებში. ჰანს კასტორპი გულწრფელი აღტაცებით უყურებდა, რა მარჯვედ აკეთებდა ამას იოახიმი. მან საბნები ერთიმეორის მიყოლებით ჯერ მარცხნიდან შემოიხვია მთელ სიგრძეზე, იღლიებამდე, შემდეგ ფეხებში ამოიკეცა, შემდეგ მარჯვნივ გადაიგდო და საბოლოოდ სწორი, უნაოჭო პაკეტი გამოუვიდა, საიდანაც მხოლოდ თავი, მხრები და მკლავები მოუჩანდა.
- რა ჩინებულად გაეხვიე, ა? - უთხრა ჰანს კასტორპმა.
- ვარჯიშის საქმეა, - თერმომეტრი კბილით დაიჭირა და ისე უპასუხა იოახიმმა, - შენც დახელოვნდები. ხვალ შენთვისაც აუცილებლად უნდა შევიძინოთ შალის საბნები, მერე ბარშიც გამოგადგება. აქ ხომ უამისოდ ვერ გახვალ იოლად, ბეწვის საძილე ტომარა რომ გქონდეს, კიდევ, ჰო.
- ახლავე გეუბნები, მე ღამით არ დავწვები აივანზე, - განუცხადა ბიძაშვილს ჰანს კასტორპმა, - მეტისმეტი მომივა. ყველაფერს აქვს თავისისაზღვარი. ბოლოს და ბოლოს, რაღაცაზე ხომ უნდა მეტყობოდეს, რომ აქ, ზევით, სტუმრად ვარ ამოსული. ცოტა ხანს შენთან ვიჯდები, სიგარას მოვწევ, როგორც წესი და რიგია. საძაგელი გემო აქვს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ კარგი სიგარაა და დღეს ესეც მეყოფა ნუგეშად. მართალია, ჩემდასავალალოდ, ჯერ ცხრა საათიც არ არის, მაგრამ საცაა ცხრა შესრულდება, ხოლო ათის ნახევარი რომ გახდება, მაშინ თითქმის ნორმალური იქნება, კაცი დასაძინებლად დაწვეს.
ჰანს კასტორპს გააჟრჟოლა, ერთხელ, ორჯერ, ერთმანეთზე მიყოლებით გააჟრჟოლა. იგი წამოხტა და კედლის თერმომეტრს ეცა, თითქოს ტყუილში უნდა გამოიჭიროსო. რეომიურის მიხედვით ოთახში ცხრა გრადუსი იყო სითბო. ჰანს კასტორპმა რადიატორს დაადო ხელი. რადიატორი უსიცოცხლო და ყინულივით ცივი დაუხვდა. მაშინ დაახლოებით ასეთი შინაარსის რაღაც წაიბურდღუნა: სირცხვილი მაგათ, რახან აგვისტოა, იმიტომ აღარ უნდა გაგვათბონო? თვის სახელს რა აზრი აქვს, ტემპერატურას უნდა შეხედონ. აბა, ესაა საქმე, სიცივისაგან ძაღლივით რომ ვიყინებიო. ჰანს კასტორპი მართლა ძაგძაგებდა, სახე კი მაინც უხურდა. სავარძელს მიაშურა, მაგრამ მაშინვე ფეხზე წამოხტა, წაიბურტყუნა, თუ ნებას დამრთავ, შენს საბანს ავიღებო, ისევ სავარძელში ჩაჯდა და საბანი წაიფარა. კარგა ხანს იჯდა ასე, გახურებული და აძაგძაგებული და თავს საშინლად უგემური სიგარით გვემავდა. თავისი თავი შეებრალა. ეჩვენებოდა, ასე ცუდად ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარო. რა გაჭირვებაში ჩავვარდიო, ბუტბუტებდა იგი. მაგრამ თითქოს უეცრად მოზღვავებული სიხარულისა და იმედის გრძნობამ დარია ხელი, ცოტა კიდევ შეიცადა, იქნებ კვლავ დამიბრუნდეს ეს გრძნობაო, მაგრამ ის სიხარული და იმედი აღარ დაჰბრუნებია და გულში მხოლოდ ნაღველი ჩარჩა. ახლა კი საბოლოოდ წამოდგა, იოახიმის საბანი კვლავ საწოლზე მიაგდო, ბაგეგახევებულმა „ღამე მშვიდობის“ მსგავსი რაღაც წაიბუტბუტა, დაამატა, მანდ არ გაიყინო, დილით საუზმისთვის გამომიარეო და ტალანის გავლით თავის ოთახში წალასლასდა.
ტანსაცმელს რომ იხდიდა, წაიღიღინა, მაგრამ ეს ხალისიანი ღიღინი როდი იყო. მექანიკურად, აზრის დაუტანებლად შეასრულა კულტურული ადამიანისთვის სავალდებულო ღამის ტუალეტის წესები: სამგზავრო ფლაკონიდან პირში გამოსავლები ღია წითელი სითხე ჩამოასხა და ზერელედ გამოივლო, ხელები იის ძვირფასი, ნაზი საპნით დაიბანა და ტანზე ბატისტის გრძელი პერანგი ჩაიცვა, რომელსაც გულჯიბეზე „ჰ“ და „კ“ ჰქონდა ამოქარგული. მერე ლოგინში ჩაწვა,

სინათლე ჩააქრო და გახურებული, გაბრუებული თავი ამერიკელი ქალიშვილის სასიკვდილო სასთუმალზე დაუვარდა.
ჰანს კასტორპი დარწმუნებული იყო, ბალიშზე თავს დავდებ თუ არა, ჩამეძინებაო, მაგრამ მოტყუვდა. თვალები აქამდე თუ ეხუჭებოდა, ახლა უარს ეუბნებოდნენ ძილზე და როგორც კი დახრიდა, მაშინვე ეხილებოდა. ამ დროს ძილს მიჩვეული არა ვარ და დღისითაც დიდხანს ვიწექიო, თავისთვის თქვა მან. ეს კიდევ არაფერი, ეჩვენებოდა, გარეთ ვიღაცა ხალიჩას ბერტყავსო. ეს ნაკლებად მოსალოდნელი იყო და ნამდვილად არც არავინ ბერტყავდა ხალიჩას. აღმოჩნდა, რომ ეს მის გულს გაუდიოდა ბაგაბუგი, ხოლო დარტყმის ხმა თავის სხეულს გარეთ, სადღაც შორიდან ესმოდა, ზუსტად ისე, თითქოს ვიღაც ლერწმის საბერტყ ჯოხს უბაგუნებდა ხალიჩას.
ოთახში ჯერ არ ბნელოდა. აივნის ღია კარში იოახიმისა და „მდარე რუსული მაგიდის“ წევრი ცოლ-ქმრის ლოჯიიდან არეკლილი შუქი შემოდიოდა. თვალგახელილი ჰანს კასტორპი გულაღმა იწვა. უცებ ის დღევანდელი შთაბეჭდილება განახლდა, ის აღმოჩენა, შიშისა თუ დელიკატურობის გამო რომ შეეცადა, დაევიწყებინა. ჰანს კასტორპს მოაგონდა, როგორ შეეცვალა იოახიმს სახე, მან რომ მარუსიასა და მის აღნაგობაზე ჩამოაგდო სიტყვა. გაახსენდა, როგორ საცოდავად და უცნაურად მოეღრიცა იოახიმს ტუჩ-პირი და მზით გარუჯული ღაწვები სიფითრის ლაქებმა როგორ დაუფარა. ჰანს კასტორპი იმწამსვე მიხვდა იოახიმის აღელვების მიზეზს, მაგრამ ამჯერად ისე ახლებურად, ღრმად და ინტიმურად ჩასწვდა ამ აზრს, რომ ლერწმის საბერტყმა ჯოხმა ორჯერ უფრო ღონივრად და სწრაფად გაუტია და თითქმის ჩაახშო კურორტიდან ამომავალი სერენადის ხმა. ქვევით, ოტელში, კვლავ კონცერტი დაიწყო. სიბნელეში იღვრებოდა რომელიღაც ოპერეტის სიმეტრიულად აგებული, უგემოვნო მელოდიები. ჰანს კასტორპმა მას ჩურჩულით ააყოლა სტვენა (სტვენა ჩურჩულითაც ხომ შეიძლება) და ბუმბულის ლეიბზე დადებული გაყინული ფეხები მის ტაქტზეც კი ააბაკუნა.
ეს საუკეთესო საშუალება გახლდათ ძილის გასადევნად, ხოლო ჰანს კასტორპს ახლა ძილისთვის მართლაც აღარ სცხელოდა. იოახიმის გაფითრების მიზეზს ასე ახლებურად და ცოცხლად რომ ჩასწვდა, გარე სამყაროს სულ სხვა თვალით შეხედა. კვლავ მოზღვავებული სიხარულისა და იმედის გრძნობამ მოიცვა და გული გაულხო. იგი მაინც ელოდა რაღაცას, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას. ხმაურზე მიხვდა, რომ მისმა მარჯვენა და მარცხენა მეზობლებმა დაამთავრეს საღამოს სამკურნალო წოლის საათი და თავიანთ ოთახებში შევიდნენ, რათა ჰორიზონტალური ყოფა ახლა იქ გაეგრძელებინათ. ჰანს კასტორპი თავს იიმედებდა, ბარბაროსი ცოლ-ქმარიამაღამ მაინც მომასვენებსო, მშვიდად დავიძინებ, დარწმუნებული ვარ, ამაღამ არ დამირღვევენ მყუდროებასო, მაგრამ არც ისინი მოქცეულან ასე და გულწრფელად არც ჰანს კასტორპს ჰქონია ამის იმედი. სიმართლე თუ გნებავთ, პირადად მას გასაოცრად მოეჩვენებოდა, მეზობლებს მყუდროება რომ არ დაერღვიათ. მიუხედავად ამისა, აღშფოთების უხმო შეძახილები აღმოხდაიმის გამო, რაც მეზობელი ოთახიდან ესმოდა. „გაუგონარი ამბავია! ეს არანორმალურია! ამას ვინ წარმოიდგენდა?!“ უხმოდ ყვიროდა იგი, თან დროდადრო ტუჩებს ამოძრავებდა და ჩურჩულით აყოლებდა ხმას ოპერეტის უგემოვნო მელოდიას, რომელიც შორიდან მომაბეზრებლად მოისმოდა.
შემდეგ ჩასთვლიმა, მაგრამ თვლემასთან ერთად პირველ ღამეზე უფრო ჩახლართული სიზმრები დაეხვია. ძილში ხან შიში წამოახტუნებდა, ხან კი არეულ-დარეული სიზმრიდან აზრის გამოტანის სურვილი. ესიზმრა ჰოფრატი ბერენსი. ჰოფრატი მუხლებში მოკაკულიყო, გაშეშებული მკლავები ძირს ჩამოეყარა და ბაღში ბილიკზე დაეხეტებოდა, თან ცდილობდა, გრძელი და ფეხათრეული ნაბიჯები შორეული მარშისათვის აეყოლებინა. ჰოფრატი ბერენსი მოუახლოვდა და ჰანს კასტორპმა დაინახა, რომ მას მრგვალ-მრგვალი, სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა. ჰოფრატი რაღაცას მიედ-მოედებოდა. „რა თქმა უნდა, სამოქალაქოა, - თქვა მან და თავისი ვეებერთელა ხელის საჩვენებელი და შუათითით თვალის უპე უბოდიშოდ ჩამოუქაჩა, - მაშინვე მივხვდი, დიდად პატივცემული ბატონი სამოქალაქო პირი რომ ბრძანდებოდა. მაგრამ უნიჭო

როდი გახლავთ, სწორედ რომ გაძლიერებული საერთო წვის ნიჭი აქვს! აბა, წელიწადებს როგორ დაგვამადლის, ყოჩაღად იმსახურებს ჩვენთან აქ, ზევით! აბა, ჰოპლა, ბატონებო, სასეირნოდ მოუსვით!“ - დასძახა მან, ვეებერთელა საჩვენებელი თითები პირში ჩაიყო და ისე უცნაურად ტკბილად დაუსტვინა, რომ სხვადასხვა მხრიდან დაპატარავებული მასწავლებელი ქალი და მის რობინსონი გამოფრინდნენ და მხრებზე ისე დაასკუპდნენ, როგორც ჰანს კასტორპს უსხდნენ აქეთ-იქით სუფრაზე. ჰოფრატი ასე წაკუნტრუშდა, თან ხანდახან სათვალის ქვეშ ხელსახოცს შეიცურებდა და თვალებს იწმენდდა. კაცმა არ იცის, რა ჰქონდა შესამშრალებელი, ცრემლი თუ ოფლი.

შემდეგ ესიზმრა, ვითომ სკოლის ეზოში იყო, სადაც მრავალი წელი გაეტარებინა შესვენებაზე გამოსულს და აპირებდა მადამ შოშასაგან ფანქარი ენათხოვრა. ქალმა ვერცხლის ბუდეში ჩასმული, ნახევრად დალეული წითელი ფანქარი მისცა და სასიამოვნოდ ჩახრინწული ხმით სთხოვა, გაკვეთილის შემდეგ ფანქარი აუცილებლად დამიბრუნეო. მადამ შოშამ ფართო ყვრიმალებს ზემოთ განლაგებული მონაცრისფრო-მომწვანო-ცისფერი ვიწრო თვალები მიანათა და ჰანს კასტორპი ძილში წამოვარდა, რადგან უცებ მოაგონდა, რას და ვის აგონებდა ეს ქალი. არა, ეს აღმოჩენა კი უსათუოდ უნდა დაემახსოვრებინა. დილას აღარ გადამავიწყდესო, ეს აზრი გონებაში ნაჩქარევად ჩაიბეჭდა და იგრძნო, რომ ხელახლა ითრევდა ძილი და სიზმარი. თავი სასთუმალზე დადო თუ არა, ისევ სიზმრებში გაეხვია. ახლა ცდილობდა, დოქტორ კროკოვსკის გაქცეოდა, რომელიც კვალში ჩასდგომოდა და სულის დანაწევრებას უპირებდა. ჰანს კასტორპი გიჟურმა, მართლა გონების წამღებმა შიშმა შეიპყრო. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მინის ტიხრებს შორის აივანზე, ფეხი ებორკებოდა, პირდაპირ აივნიდან ისკუპა ბაღში და კისერი კინაღამ მოიტეხა, გამწარებული მოყავისფრო წითელ ჭოკზე აბობღდა და ოფლში გაწურულს იმ წუთში გამოეღვიძა, როცა მდევარმა შარვალში სტაცა ხელი.

ის იყო, გული დაიწყნარა და ისევ ჩასთვლიმა, რომ საქმის ვითარება შეიცვალა: ახლა იგი ცდილობდა, სეტემბრინისთვის მხარი გაეკრა და ადგილიდან ფეხი მოეცვლევინებინა. სეტემბრინი კი იდგა და თავის ხშირ, შავ ულვაშქვეშ, იქ, სადაც ულვაში კოხტად აპრეხილიყო, ცივი და ირონიული, ნატიფი ღიმილი დასთამაშებდა. სწორედ ტუჩის კუთხეში დამჩნეული ეს ღიმილი ეღობებოდა ჰანს კასტორპს წინ და გასაქანს არ აძლევდა ხელს მიშლით!“ - ნათლად გაიგონა საკუთარი ხმა. ერთი-ორჯერ კიდევ შეჰყვირა, გამეცალეთ, თქვენ მხოლოდ მეარღნე ბრძანდებით და ხელს მიშლითო, მაგრამ ნურას უკაცრავად, სეტემბრინი ფეხის მოცვლას არ აპირებდა. ჰანს კასტორპი ის იყო, ჩაფიქრდა, რა ვიღონოო, რომ მოულოდნელად ჩინებულმა აზრმა გაუნათა გონება. მიხვდა, რას წარმოადგენდა დრო: იგი სხვა არა იყო რა, თუ არა მუნჯი დაიკო“, ეს გახლდათ იმათთვის განკუთვნილი უსკალო ვერცხლისწყლის სვეტი, ვინც თაღლითობას დააპირებდა. ჰანს კასტორპმა ამჯერად იმ განზრახვით გამოიღვიძა, ხვალ იოახიმს ჩემს აღმოჩენას გავანდობო.

ღამე ასეთ თავგადასავლებსა და აღმოჩენებში გაილია. მის სიზმრებში გაურკვეველ როლს ჰერმინე კლეეფელდი, ბატონი ალბინი და კაპიტანი მიკლოზიჩიც თამაშობდნენ. ამ უკანასკნელმა ხახაში გადაუძახა ფრაუ შტორს, თვითონ კი პროკურორ პარავანტის შუბმა განუგმირა გული. ერთი სიზმარი ორჯერაც კი დაესიზმრა და ორივეჯერ ზუსტად ერთნაირად. უკანასკნელად განთიადისას გაუმეორდა იგივე სიზმარი: ვითომ დარბაზში იჯდა, სადაც შვიდი მაგიდა იყო გაჭიმული. ამ დროს ზრიალით მიჯახუნდა შემინული კარი და მადამ შოშა შემოვიდა. მას თეთრი სვიტერი ეცვა, ცალი ხელი ჯიბეში ედო, მეორით კი კეფაზე თმას ისწორებდა. იმის მაგიერ, რომ კარგი რუსულიმაგიდისაკენ“ წასულიყო, ეს გაუზრდელი ქალი უხმაუროდ მივიდა ჰანს კასტორპთან და ხელი საკოცნელად უსიტყვოდ გაუშვირა. ოღონდ ხელის ზურგი კი არა, ხელისგული გაუწოდა. ჰანს კასტორპმაც აკოცა ამ მოუვლელ, ოდნავ ფართო და მოკლეთითებიან ხელს, რომელსაც ფრჩხილებთან კანი გაუხეშებოდა. ამ დროს თავიდან ფეხებამდე გათანგა იმ უნაპირო სიტკბოებამ, მაშინ რომ დაეუფლა, როცა სასინჯად ჩამოიგდოღირსების ტვირთი და სირცხვილის უკიდეგანო უპირატესობებს დაეწაფა, ოღონდ სიზმარში ეს გრძნობა გაცილებით

ძლიერი აღმოჩნდა.

თავი მეოთხე

საჭირო შენაძენი

- სულ ეს იყო თქვენი ზაფხული? - ირონიულად ჰკითხა მესამე დღეს ბიძაშვილს ჰანს კასტორპმა.
ამინდი უეცრად შეიცვალა.
მეორე დღე, რომელიც სტუმარმა აქ, ზევით, გაატარა, ზაფხულის დიდებული დღე გახლდათ. ცა ლურჯად ხასხასებდა ნაძვების შუბებივით წამახული კენწეროების თავზე, ხეობის ძირში კი, ამ პაპანაქება სიცხეში, თვალისმომჭრელად ქათქათებდა ფართოდ გადაშლილი სოფელი. ჰაერს ხალისით ავსებდა ძროხების ზანზალაკების წკარუნი, რომლებიც ფერდობებზე ძოვდნენ მზით გამთბარ, მოკლეყლორტიან ალპურ ბალახს. მანდილოსნები პირველ საუზმეზევე თხელ კოფთებში გამოწყობილნი გამოცხადდნენ, ზოგს სახელოჩაჭრილი კოფთაც კი ეცვა, რაც ყველას როდი შვენოდა. მაგალითად, ფრაუ შტორს საშინლად არ უხდებოდა მკლავების მოშიშვლება. ფორებიანი კანი ჰქონდა და ჰაეროვანი ტანსაცმელი საიმისოდ არ იყო გამოგონილი. მშვენიერი ამინდი სანატორიუმის მამაკაცთა სამყაროსაც დასტყობოდა. გამოჩნდა ლუსტრინის პიჯაკები და ტილოს კოსტიუმები. იოახიმ ციმსენმა სპილოსძვლისფერ ფლანელის შარვალზე ლურჯი პიჯაკი ჩაიცვა და მთლად მხედრული იერი მიიღო. რაც შეეხება სეტემბრინის, მან რამდენჯერმე აღნიშნა, კოსტიუმი უნდა გამოვიცვალოო.
- დალახვროს ეშმაკმა! - თქვა მან, როცა ნასაუზმევს ბიძაშვილებთან ერთად გაუყვა დაბისაკენ მიმავალ შარაგზას, - როგორ აცხუნებს მზე! როგორც ვხედავ, უფრო მსუბუქად მომიწევს ჩაცმა.
მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახვა მოხდენილად გამოთქვა, სეტემბრინის თავისი ფართოლაცკანებიანი გრძელი სერთუკი და უჯრედებიანი შარვალი არ გამოუცვლია. როგორც ჩანს, მთელი მისი გარდერობი ეს გახლდათ.
მესამე დღეს ისეთი ამინდი დაიჭირა, გეგონებოდათ, ბუნებას მახეში შევუტყუებივართ და მერე ყველაფერი თავდაყირა დაუყენებიაო. ჰანს კასტორპი თვალს არ უჯერებდა. ეს მოხდა მთავარი ტრაპეზის შემდეგ. სამკურნალო წოლის საათის დაწყებიდან ოც წუთსაც არ გაევლო, რომ მზე ერთბაშად მიიმალა, სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმული ქედიდან საძაგელი ტორფისფერი ღრუბლები წამოიგრაგნენ და ხელ-ფეხის გამთანგველი, სუსხიანი ქარი ამოვარდა. რომელიღაც უცნობი, ყინულოვანი მხარიდან წამოსულმა ქარმა ხეობაში გადმოიქროლა, მტვრის კორიანტელი დააყენა, ტემპერატურა დასცა და სულ სხვა საუფლოს დაუდო სათავე.
- თოვლი, - მინის ტიხარს იქით გაისმა იოახიმის ხმა.
- რა თოვლიო, რას ამბობ? - შეეკითხა ჰანს კასტორპი, - ხომ არ გინდა თქვა, რომ მოთოვს?
- უეჭველად, - უპასუხა იოახიმმა, - ამ ქარს ვიცნობთ. ეს რომ დაუბერავს, გზა სამარხილე გახდება.
- სისულელეა! - თქვა ჰანს კასტორპმა, - თუ არ ვცდები, ჯერ აგვისტოს დამდეგი უნდა იყოს.
იოახიმმა მართალი თქვა. ის უკვე კარგად იცნობდა აქაურ კლიმატს. ორ წუთსაც არ გაევლო, რომ ჭექა-ქუხილმა გადაიგრგვინა და ჰაერში თოვლის ფანტელები დატრიალდა. ჯერ უხვად ბარდნიდა, მერე კი ისეთი ქარბუქი ამოვარდა, რომ მიდამო ერთბაშად თითქოს ორთქლში ჩაიბურა და ამ ორთქლში სოფელიც და ხეობაც უკვალოდ ჩაიკარგა.
საღამომდე გადაუღებლად თოვდა. ჩართეს ცენტრალური გათბობა. იოახიმი ბეწვის საძილე ტომარაში გაეხვია, რომ მკურნალობა არ გაეწყვიტა, ჰანს კასტორპმა კი თავის ოთახს შეაფარა თავი და სკამი გამთბარ რადიატორთან

მიაჩოჩა. გაოცებისაგან ჰანს კასტორპი თავს აქნევდა და ისე შეჰყურებდა ბუნების თავაწყვეტილ თარეშს. დილას აღარ თოვდა. თერმომეტრი გარეთ რამდენიმე გრადუს სითბოს უჩვენებდა, მაგრამ თოვლი მუხლამდე იდო და ჰანს კასტორპის გაოცებულ თვალთა მზერას წინ ნამდვილი ზამთრის ლანდშაფტი გადაეშალა. გათბობა ისევ გამოთიშეს. ოთახის ტემპერატურა ნულს ზემოთ ექვს გრადუსს არ აღემატებოდა.
- სულ ეს იყო თქვენი ზაფხული? - მწარე ირონიით ჰკითხა ჰანს კასტორპმა ბიძაშვილს.
- ამის თქმა ადრეა, - საქმიანად მიუგო იოახიმმა, - ღმერთი თუ ინებებს, კიდევ დაგვიდგება მშვენიერი ზაფხულის დღეები. თბილი დღეები სექტემბერშიც გამოერევა ხოლმე, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ წლის დროები დიდად არ განირჩევიან ერთმანეთისაგან. იცი, ისინი ასე ვთქვათ, ერთმანეთში ირევიან და კალენდარს არ ემორჩილებიან. ზამთარში ხანდახან ისე დააჭერს მზე, რომ ოფლად გაიღვრები და სეირნობისას პიჯაკსაც გაიხდი, ზაფხულში კი, თუმცა ზაფხულში შენც ხედავ, როგორ იცვლება ხანდახან ამინდი. ახლა თოვლი იკითხე - თოვლი ყველაფერს აურ-დაურევს ხოლმე; იანვარში ხომ თოვს და თოვს, მაისშიც არანაკლები თოვლი იცის და როგორცხედავ, აგვისტოშიც არ გვანატრებს თავს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, თვე არ გავა ისე, რომ არ მოთოვოს. ეს კანონია და მას ვერსად წაუხვალ. მოკლედ, არსებობს ზამთარ-ზაფხულის და გაზაფხულ-შემოდგომის დღეები, ოღონდ ნამდვილი წელიწადის დრონი აქ, ჩვენთან, ზევით, არ არსებობს.
- კარგი თავსატეხია, - თქვა ჰანს კასტორპმა.
მას კალოში და ზამთრის პალტო ეცვა და ბიძაშვილს დაბაში მიჰყვებოდა შალის საბნების საყიდლად. ცხადი იყო, ასეთ ავდარში თავისი პლედით იოლად ვეღარ გავიდოდა. ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, ბეწვგამოკრული საძილე ტომარა ხომ არ ვიყიდოო, მაგრამ მერე შორს დაიჭირა ეს აზრი, თითქოსშეეშინდა კიდეც, ეს რამ მაფიქრებინაო.
- არა, არა, - თქვა მან, - შალის საბნები სავსებით საკმარისია! სხვა არა იყოს რა, საბნები ბარშიც გამომადგება. საოცარი და განსაკუთრებული აქ არაფერია. აი, საძილე ტომარა კი სულ სხვა რამაა, მას სპეციალური დანიშნულება აქვს. ცუდად არ გამიგო და, მე რომ საძილე ტომარა ვიყიდო, ასე მეგონება, აქ დასახლებას ვაპირებდე და, ასე თუ ისე, თქვენს ბედს ვიზიარებდე... მოკლედ, სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აბსოლუტურად გაუმართლებელი იქნება, ერთი-ორი კვირისთვის ბეწვგამოკრული საძილე ტომარა შევიძინო.
იოახიმი დაეთანხმა და ასე იყიდეს ინგლისური კვარტალის ერთ მშვენიერ, ფეშენებელურ მაღაზიაში იოახიმს რომ ჰქონდა, ისეთი აქლემის ბეწვის საბნები, გრძელი და განიერი, ღუნღულა, ბუნებრივი ფერისა და განკარგულება გასცეს, შენაძენი ინტერნაციონალურ სანატორიუმ ბერგჰოფის“ ოცდამეთოთხმეტე ოთახში გადაეგზავნათ. ჰანს კასტორპს დღესვე, ნაშუადღევს უნდოდა საბნებში გახვეულიყო.
მაღაზიაში, რა თქმა უნდა, მეორე საუზმის შემდეგ იყვნენ, რადგან დღის რეჟიმი კურორტზე ჩასვლის საშუალებას სხვა დროს არ იძლეოდა. შუადღისას წამოწვიმა და თოვლი ყინულიან ჭყაპუნა ტალახად იქცა. შინისაკენ მიმავალნი, სეტემბრინის წამოეწივნენ. ბატონ სეტემბრინის თავი ქოლგის ქვეშ შეეფარებინა, ქუდი კი მაინც არ ეხურა და ისიც სანატორიუმისაკენ მიეშურებოდა. იტალიელს სახეზე ყვითელი ფერი დასდებოდა და ეტყობოდა, ელეგიურ გუნებაზე გახლდათ. იგი ნატიფი, მოხდენილი სიტყვებით უჩიოდა სიცივესა და სინესტეს, ძალიან გამამწარესო. სანატორიუმს ათბობდნენ მაინც! „ბერგჰოფის“ საცოდავი ხელისუფალნი იმ წუთშივე თიშავენ გათბობას, როგორც კი თოვა გადაიღებსო. ნეტავ ვინ მოიგონა ასეთი ბრიყვული წესი, ეს ხომ ყოველგვარი გონიერი აზრის დაცინვა გახლავთო. როცა ჰანს კასტორპმა თავი გამოიდო, ჩემი აზრით, ოთახების ნორმალური ტემპერატურა სამკურნალო პრინციპებს შეესაბამება, ამით ცდილობენ, პაციენტები არ გაანებივრონო, სეტემბრინიმ ამაზე მწარე დაცინვით უპასუხა: ო, ხო, ხო, სამკურნალო პრინციპები, არა? ვითომდა წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი იყოს ეს სამკურნალო პრინციპები! ბატონი ჰანს კასტორპიც რომ სერიოზულად ლაპარაკობს ამ პრინციპებზე, თითქმის

რელიგიური მოწიწებითა და მორჩილებით რომ იხსენიებს! ბატონი ბრძანდებით, ოღონდ თვალში საცემი და თანაც დიდად სასიამოვნოდ თვალში საცემი ფაქტი ის გახლავთ, რომ მაინცდამაინც იმ პრინციპებს ეპყრობიან უღრმესი პატივისცემით, რომლებიც ხელისუფალთა ეკონომიურ ინტერესებსაც ზუსტად შეესაბამებაო. სხვა პრინციპებზე კი, სადაც გამორჩენა ნაკლებია, თვალის დახუჭვა უყვართო...
ბიძაშვილებმა გაიცინეს, სითბოს დანატრებულმა სეტემბრინიმ კი ამასთან დაკავშირებით განსვენებული მამა მოიგონა.
- მამაჩემი, - ბრტყელ-ბრტყელად, გატაცებით დაიწყო მან, - დიდად დახვეწილი კაცი იყო და სულითაც და ხორცითაც მგრძნობიარე ადამიანი გახლდათ! ო, როგორ უყვარდა ზამთრობით თავისი პატარა, თბილი კაბინეტი, სულით და გულით უყვარდა. იქ გაპარპალებული ღუმლის წყალობით, რეომიურის მიხედვით, მუდამ ოცი გრადუსი უნდა ყოფილიყო სითბო. ჰოდა, ნესტიან ყინვებს რომ დაიჭერდა, ან სუსხიანი ტრამონტანა რომ დაუბერავდა და ჩვენი პატარა სახლის ჰოლიდან იქ შეხვიდოდი, მხრებზე ფაფუკი მოსასხამივით შემოგეხვეოდა სითბო და თვალზე ნეტარების ცრემლი მოგადგებოდა. პატარა ოთახი წიგნებითა და ხელნაწერებით იყო გამოტენილი. მათ შორის უძვირფასესი ძეგლები მოიპოვებოდა და აი, ამ სულიერ საგანძურთა შორის იდგა ვიწრო პიუპიტრთან ლურჯი ფლანელის შლაფროკში გახვეული მამაჩემი და ლიტერატურისთვის იღვწოდა. წარმოიდგინეთ ჩემზე ერთი თავით დაბალი, ნატიფი აღნაგობის ჩია კაცი, საფეთქლებზე ჭაღარა გრუზა თმა რომ ეყარა და გრძელი, ფაქიზად მოყვანილი ცხვირი ჰქონდა... მერე რა რომანისტი იყო, ბატონებო! თავისი დროის ერთ-ერთი უპირველესი რომანისტი გახლდათ, ჩვენი ენის ისეთი მცოდნე, ცოტანი რომ არიან ამ ქვეყანაზე, ხოლო ლათინურის ისეთი უბადლო სტილისტი, როგორიც უკვე აღარ დადის დუნიაზე, ბოკაჩოსავით გულანთებული Uomo letterrato. საიდანღა არ მოდიოდნენ მასთან სწავლულები ჭკუის საკითხავად, ვინ ჰაპარანდიდან მოდიოდა, ვინ კიდევ, კრაკოვიდან ჩამოდიოდა ჩვენს მშობლიურ ქალაქ პადუაში, რათა მისთვის პატივი მიეგოთ და ისიც გულღიად და დარბაისლურად ხვდებოდა სტუმრებს. იგი ჩინებული მწერალიც გახლდათ, მოცალეობის ჟამს ელეგანტურტოსკანურ კილოზე მოთხრობებს თხზავდა, უბადლოდ ფლობდა Idიომა გენტტლე-სო, - გატაცებით დასძინა მან, მშობლიური ბგერები თითქოს დაადნა ენაზე და თავი აქეთ-იქით გადააქნია, - ბაღი ვერგილიუსისებურად გაიშენა, - განაგრძო სეტემბრინიმ, - თუ რამეს იტყოდა, ყოველთვის ჯანსაღსა და მშვენიერს. ოღონდ კაბინეტში სითბო, სითბო უნდა ჰქონოდა, თორემ სიცივისაგან აკანკალდებოდა და წყენისაგან ცრემლიც კი მოადგებოდა თვალზე, რატომ მყინავთო. და ახლა წარმოიდგინეთ, ინჟინერო, და თქვენც, ლეიტენანტო, მამაჩემის შვილი როგორ უნდა ვიტანჯებოდე ამ დაწყევლილ და ბარბაროსულ ადგილას, სადაც შუა ზაფხულში სხეული ყინვისაგან მეთოშება და დამაკნინებელი შთაბეჭდილებანი გამუდმებით მიძიძგნის სულს! ოჰ, რა სისასტიკეა! რა ტიპებში ვტრიალებთ, თუნდაც ეს ბრიყვი, ეშმაკის კერძი ჰოფრატი რადა ღირს, ხოლო კროკოვსკის, - სეტემბრინიმ ვითომ ენა წაიტეხა ამგვარზე, - ხოლო კროკოვსკის, ამ უსირცხვილო მოძღვარს, იმიტომ ვძულვარ, რომ ადამიანური ღირსება მიკრძალავს, მის მღვდლისებურ ოინბაზობას ავუბა მხარი... ჩემს სუფრასთან კი... ო, რა საზოგადოებაში მიხდება სადილობა! მარჯვნივ ჰალელი ლუდის მხარშავი მიზის, გვარად მაგნუსი, ულვაშები თივის კონას რომ მიუგავს. ამ ლიტერატურით თავი ნუ მომაბეზრეთო, მეუბნება. რას გვთავაზობს ლიტერატურა? მშვენიერ ხასიათებს! მერე რა თავში ვიხლი მშვენიერ ხასიათებს! მე პრაქტიკული კაცი ვარ, მშვენიერი ხასიათები ცხოვრებაში ნეტავ ვის უნახავსო. აი, რა შეხედულება აქვს ლიტერატურაზე. მშვენიერი ხასიათები... ო, დედაო ღვთისავ! მისი ცოლი კი ზის, ცილებს კარგავს და თან ნელ-ნელა ეფლობა გონებაჩლუნგობის ჭაობში. ეს სიბინძურე მიკლავს გულს, თორემ...
იოახიმსა და ჰანს კასტორპს ერთმანეთთან შეუთანხმებლად ერთნაირი აზრი დაებადათ: სეტემბრინის სიტყვები ორივეს უბადრუკი და გულსატკენი ეჩვენა, თუმცა თავშესაქცევიც და თავისი სითამამითა და ენამწარობით ჭკუის სასწავლებელიც კი. ჰანს კასტორპს გულიანად გაეცინა „თივის კონასა“ და „მშვენიერ ხასიათებზე“, თუმცა იმ კომიკურმა და თან სასოწარკვეთილმა ტონმა უფრო გააცინა, რომლითაც სეტემბრინი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა. შემდეგ ჰანს

კასტორპმა თქვა:
- ღმერთო ჩემო, რა გასაკვირია, ასეთ დაწესებულებაში საზოგადოება ცოტა ჭრელი იყოს. თანამესუფრეები ჩვენ თვითონ რომ აგვერჩია, სად წაგვიყვანდა. აი, ჩვენს მაგიდასთანაც ზის ერთი ქალი... ფრაუ შტორი. მე მგონი, თქვენ იცნობთ მას. რა დასამალია და, ისეთი უვიცია, ხანდახან ტლიკინს რომ მოჰყვება, რა მიწაში ჩაძვრე, არ იცი. სულ იმას წუწუნებს, სიცხე მაქვს და მოდუნებული ვარო. სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე ავადმყოფია. რა საოცარია, ავადმყოფია და თან სულელი. არ ვიცი, სწორად ვმსჯელობ თუ არა, მაგრამ ჩემზე უცნაურად მოქმედებს, ადამიანი ერთდროულად სულელიც რომ არის და ავადმყოფიც. ეს ორი მხარე რომ შეწყვილდება, ამაზე სავალალო რა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე. პირდაპირ არ იცი, ამ დროს თავი როგორ უნდა დაიჭირო. ავადმყოფს სერიოზულად და ყურადღებით უნდა მოექცე, ასე არ არის? ავადმყოფობას, ასე თუ ისე, პატივისცემით უნდა მოეკიდო, მაგრამ წამდაუწუმ სისულელეს თუ ისმენ თავისი „ფომულუსით“, „კოსმოსური დაწესებულებებით“ და ვინ იცის, კიდევ, რითი, აღარ იცი, იტირო თუ იცინო. ეს ადამიანის გრძნობისათვის დილემას წარმოადგენს და თან ისეთი საცოდაობაა, რომ ენით ვერ გამომითქვამს. მე მგონი, ავადმყოფობა და სისულელე ერთმანეთს ვერ უთავსდება, ისინი ერთმანეთს არ უხდებიან, მათ ერთად წარმოდგენასაც არა ვართ ნაჩვევი. ჩვენი აზრით, სულელი ადამიანი ჯანმრთელი და უბრალო უნდა იყოს, ავადმყოფობამ კი ადამიანს სინატიფე, ჭკუა და უჩვეულობა უნდა მიანიჭოს. ადამიანს რატომღაც ასე წარმოუდგენია. იქნებ, არა? თუმცა მე ახლა, მგონი, იმაზე მეტს ვიღებ ჩემს თავზე, ვიდრე შემიძლია, - დაასკვნა მან, - სიტყვას მოჰყვა, თორემ... - უკვე დაიბნა ჰანს კასტორპი.
იოახიმი შეიშმუშნა. სეტემბრინის წარბები აეძგიბა, ხმას არ იღებდა და თავს იკატუნებდა, ვითომ ზრდილობის გულისთვის ველოდები სიტყვის დამთავრებასო. სინამდვილეში კი უცდიდა, ჰანს კასტორპი საბოლოოდ როდის წაიტეხდა კისერს და მხოლოდ მერე უპასუხა:
- Sapristi, ინჟინერო, თქვენ ისეთ ფილოსოფიურ ნიჭს ამჟღავნებთ, რომ მართალი გითხრათ, არ მოველოდი! თქვენი თეორიის თანახმად, პირადად თქვენ ნაკლებად ჯანმრთელი უნდა იყოთ, ვიდრე გვეჩვენებით, რადგან ჭკუა აშკარად გიჭრით, მაგრამ ნება მიბოძეთ, გამოგიცხადოთ, რომ თქვენს დედუქციებს ვერ დავეთანხმები, მე მათ უარვყოფ. უფრო მეტიც, მათ წინააღმდეგ ვილაშქრებ კიდეც. მე, როგორც ხედავთ, გონისმიერ საკითხებში ცოტა მოუთმენელი გახლავართ და ის მირჩევნია, პედანტობა დამწამონ, ვიდრე დასაგმობი აზრი დაუგმობელი დავტოვო, აი, მაგალითად, ისეთი, როგორიც თქვენ მიერ განვითარებული აზრი გახლავთ...
- კი მაგრამ, ბატონო სეტემბრინი...
- ნე-ბა მი-ბო-ძეთ... ვიცი, რისი თქმაც გნებავთ. გინდათ, მითხრათ, რომ ეს სერიოზულად არ გითქვამთ, რომ თქვენი წარმოდგენილი შეხედულებები სრულიადაც არ არის თქვენთვის უკამათოდ მისაღები. თქვენ მხოლოდ ერთ-ერთი და ისიც ჰაერში გამოკიდებული მოსაზრება წამოაყენეთ, რათა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე ძალის გამოსაცდელად წამოგეკრათმისთვის ხელი. ასეთი საქციელი თქვენს ასაკს შეეფერება, რომელსაც ჯერ კიდევ აკლია ვაჟკაცური შემართება და, ჯერჯერობით, შეუძლია ნაირ-ნაირ თვალსაზრისს მოუსინჯოს კბილი. Placet experiri, - თქვა მან და ც“ იტალიურ ყაიდაზე დაარბილა, - კარგი ნათქვამია. მე მხოლოდ ის მაოცებს, რომ თქვენი ექსპერიმენტი სწორედ აქეთაა მიმართული. მეეჭვება, აქ შემთხვევითობას ჰქონდეს ადგილი. ვშიშობ, რომ აქ ისეთ მიდრეკილებასთან გვაქვს საქმე, რომელიც განმტკიცდება, თუ წინ არ აღვუდექით. ამიტომ ვრაცხ მოვალედ თავს, ცოტა რამ შეგისწოროთ. თქვენ ბრძანეთ, შეწყვილებულ ავადმყოფობასა და სისულელეზე სავალალო ამქვეყნად არაფერიაო, ამაში გეთანხმებით. ჭკვიანი ავადმყოფი მეც მირჩევნია ჭლექიან ბრიყვს, მაგრამ ჩემი პროტესტი იქ იღებს სათავეს, სადაც თქვენსისულელესთან შეწყვილებულ ავადმყოფობას სტილის დარღვევად მიიჩნევთ. ბუნებას გემოვნების აღრევაში ადანაშაულებთ და, როგორც თქვენ ინებეთ, გებრძანებინათ, ამას ადამიანის გრძნობისათვის დილემად თვლით. ავადმყოფობა რაღაც კეთილშობილური - თუ როგორ თქვით? - მგონი, პატივსაცემი რამ არის და სისულელეს ნამდვილად ვერ ეთვისებაო, არა? დიახ, სწორედ ასე

ბრძანეთ. ნურას უკაცრავად! ავადმყოფობა კეთილშობილური სულაც არ არის და არც პატივსაცემი გახლავთ, თავად ეს შეხედულებაა ავადმყოფური ან ავადმყოფობამდე მიგვიყვანს უცილოდ. იქნებ იმით უფრო გაგიღვიძოთ მისდამი ზიზღი, თუ გეტყვით, რომ ეს შეხედულება ხავსმოკიდებული და საზიზღარია. იგი იმ ცრუმორწმუნეობით დათრგუნვილი დროიდან მოდის, სადაც ადამიანურობის იდეა გაშარჟებული და პატივაყრილი იყო; იმ შიშით გათანგული დროიდან მოდის, სადაც ჰარმონია და სიჯანსაღე საეჭვოდ და ეშმაკეულად იყო მიჩნეული, ხოლო უძლურება ზეციური სასუფევლისკენ უხსნიდა ადამიანს გზას, მაგრამ ჭკუამ და განათლებამ განდევნა ის ჩრდილი, რომელიც ტვირთად აწვა კაცობრიობის სულს, თუმცა სრულად არ განუდევნია და დღესაც განაგრძობს მის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლას კი შრომა ჰქვია, ბატონო ჩემო, მიწიერი შრომა, შრომა დედამიწისათვის, კაცობრიობის ღირსებისა და ინტერესებისათვის, ჰოდა, ამ ბრძოლაში თანდათან გამოწრთობილი ძალები საბოლოოდ გაათავისუფლებენ ადამიანს და მას პროგრესისა და ცივილიზაციის გზაზე სულ უფრო კაშკაშა, მადლიანი და წმინდა შუქისაკენ წარუძღვებიან.
„ეშმაკმა დალახვროს, - გაიფიქრა შეცბუნებულმა და დარცხვენილმა ჰანს კასტორპმა, - ეს ხომ ნამდვილი ოდა იყო! ნეტავ რით გამოვიწვიე ეს აღტყინება? თუმცა, სიმართლე თუ გნებავთ, საკმაოდ მშრალი მეჩვენა მისი ნათქვამი. რას ჩააცივდა ამ შრომას, სულ შრომის ხსენებაშია, თუმცა ამ შემთხვევაში, შრომა არაფერი მოსატანი იყო“, - გუნებაში დასძინა მან და თქვა:
- მშვენიერია, ბატონო სეტემბრინი. პირდაპირ მოსმენადა ღირს, როგორ გამოთქვამთ ხოლმე აზრს. ამაზე უფრო... ამაზე უფრო პლასტიკურად ეს აზრი, მე მგონი, არც შეიძლებოდა გამოთქმულიყო.
- უკუქცევა, - განაგრძო სეტემბრინიმ და ვიღაც გამვლელს თავისი ქოლგა აარიდა, - გონისმიერი უკუქცევა იმ ბნელი, ტანჯული დროის შეხედულებებისაკენ, მერწმუნეთ, ინჟინერო, ავადმყოფობაა, სავსებით გამოკვლეული ავადმყოფობა, რომლისთვისაც მეცნიერებას სხვადასხვანაირი სახელი მოუგონია, ზოგი ესთეტიკისა და ფსიქოლოგიის, ზოგი კი პოლიტიკის ენაზე. ესენი სასკოლო ტერმინებია, რომლებიც საქმეს შუქს არ ჰფენენ და შეგიძლიათ მათი გამოყენებით თავი არც შეიწუხოთ, მაგრამ ვინაიდან სულიერ ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთი მეორისგან გამომდინარეობს, ვინაიდან ეშმაკს ნეკს ვერ გაუწვდი, მან რომ მთელი ხელი და მერე მთელი ადამიანი არ გაიყოლოს... ვინაიდან, მეორე მხრივ, ჯანსაღი პრინციპი ყოველთვის მხოლოდ სიჯანსაღეს შობს, სულერთია, რაც უნდა დაუდო მას სათავედ, ამიტომ ჩაიბეჭდეთ ტვინში, რომ ავადმყოფობა ისეთი კეთილშობილი და პატივსაცემი სულაც არ გახლავთ, რომ მას სისულელის ბიწი არ გაეკაროს. იგი უფრო დაკნინებაა, დიახ, მტკივნეული, იდეის შემბღალავი დაკნინება ადამიანისა. ცალკეულ ავადმყოფს შეიძლება მოუარო და მოუფრთხილდე, მაგრამ ავადმყოფობას შეგნებულად სცე პატივი, ეს შეცდომაა - ჩაიბეჭდეთ ტვინში! - შეცდომა და ყოველგვარი სულიერი ცდუნების სათავე გახლავთ. იმ ქალს, თქვენ რომ ახსენეთ - გვარი ვერ მომიგონებია, ჰო, ფრაუ შტორი, გმადლობთ - ერთი სიტყვით, ამ სასაცილო ქალს, მე მგონი, არ ძალუძს, როგორც თქვენ ბრძანებთ, ადამიანის გრძნობა დილემის წინაშე დააყენოს. ავადმყოფი და სულელი, ღმერთმანი, ეს თვით საცოდაობაა, აქ არც არაფერია გასარკვევი, ისღა დაგვრჩენია, გულმოწყალება გამოვიჩინოთ და მხრები ავიჩეჩოთ. დილემა კი, ბატონო ჩემო, ტრაგედია იქ იწყება, როცა ბუნება სისასტიკეს გამოიჩენს, პიროვნების ჰარმონიას დაარღვევს ან ამ ჰარმონიას თავიდანვე შეუძლებელს გახდის და კეთილშობილ, სიცოცხლისუნარიან სულს ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ სხეულში დაუდებს ბინას. ლეოპარდის თუ იცნობთ, ინჟინერო, ან თქვენ, ლეიტენანტო? ეს ჩემი ქვეყნის უბედური პოეტი გახლავთ. ამ კუზიან, სნეულ კაცს ბუმბერაზი სული დაჰყვა თან, მაგრამ სხეულის სიმახინჯე გამუდმებით უთრგუნავდა სულს და ირონიის სიმდაბლემდე დაჰყავდა იგი. და ახლა ამ სულის გოდება გულსგიფლეთს ადამიანს. აბა, მოისმინეთ!
და სეტემბრინი იტალიურად მოჰყვა დეკლამაციას, მშვენიერი, კეთილხმოვანი მარცვლები ენაზე ადნებოდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, ხანდახან თვალებსაც ნაბავდა და სულ არ ენაღვლებოდა, რომ მის თანამგზავრებს არც ერთი სიტყვა არ

ესმოდათ მისი. ეტყობოდა, უფრო იმიტომ ირჯებოდა, რომ თვითონვე დამტკბარიყო თავისი მეხსიერებითა და გამოთქმით და მსმენელების წინაშეც თავი მოეწონებინა. ბოლოს თქვა:
- მაგრამ თქვენ ხომ არ გესმით, რას ვამბობ, თქვენ ისმენთ, ისე, რომ მწარე აზრს ვერ სწვდებით. ხეიბარ ლეოპარდის, ბატონებო, ეს უნდა შეიგრძნოთ კარგად, უპირველეს ყოვლისა, ქალის სიყვარული აკლდა და სწორედ ამიტომ ვერ უმკლავდებოდა სულიერ დაძაბუნებას. დიდებისა და სათნოების შარავანდედი გაუხუნდა, ბუნება ბოროტად ეჩვენებოდა - თუმცა ბუნება არისკიდეც ბოროტი, უგუნური და ბოროტი. ამაში მეც ვეთანხმები ლეოპარდის, - და მას სასო წარეკვეთა, საშინელებაა ამის თქმაც კი - მეცნიერებასა და პროგრესზეც კი გაუტყდა გული! აი, სად არის ტრაგედია, ინჟინერო. აი, ესეც თქვენი ადამიანური გრძნობის წინაშე წამოჭრილი დილემა", იმ ქალთან დაკავშირებით კი, არც მინდა თავი შევიწუხო მისი გვარის გახსენებით... დილემა ვერ წამოიჭრება... ნუ მელაპარაკებით რაღაც ზეშთაგონებაზე", რომელიც თითქოს ავადმყოფობას მოჰქონდეს თან, თუ ღმერთი გწამთ, ამას ნუ იზამთ! სული სხეულის გარეშე ისეთივე არაადამიანური და საზარელია, როგორიც სხეული სულის გარეშე, ამასთან, პირველი იშვიათი გამონაკლისია, მეორე კი ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ. წესით, სხეული განაგებს სულს, ის მედიდურობს, ის მიითვლის სიცოცხლესაც და ამაზრზენად ემანსიპირდება. სნეულებამორეული ადამიანი მხოლოდ სხეულს წარმოადგენს, ეს გახლავთ სწორედ ადამიანურობის შემლახავი და დამაკნინებელი, სნეული ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ლეშზე უკეთესი არაფრით არის...
- საოცარია, - თქვა უეცრად იოახიმმა და წინ გადაიხარა, რათა სეტემბრინის გვერდით მიმავალი ბიძაშვილისათვის შეეხედა, - შენც ხომ რაღაც ამდაგვარი თქვი ამ ცოტა ხნის წინ.
- ჰოო? - თქვა ჰანს კასტორპმა, - ადვილი შესაძლებელია, მეც მომსვლოდეს თავში მსგავსი აზრი.
სეტემბრინიმ რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გადადგა, შემდეგ კი თქვა:
- მით უკეთესი, ბატონებო. მით უკეთესი, თუ თქვენც ასე გეჩვენებათ. სულაც არ განმიზრახავს, თქვენთვის რაღაც ორიგინალური ფილოსოფია შემომეთავაზებინა, ეს ჩემი ხელობა არ გახლავთ. თუკი ინჟინერმაც, თავის მხრივ, რაიმე მსგავსი შეამჩნია, ეს მხოლოდ ადასტურებს ჩემს ვარაუდს, რომ იგი თავის ძალას ცდის, და როგორც ნიჭიერ ახალგაზრდობას სჩვევია, ჯერჯერობით მხოლოდ კბილს უსინჯავს სხვადასხვა შეხედულებას. ნიჭიერი ყმაწვილი კაცი დაუწერელი ფურცელი არ გახლავთ, ამ ფურცელზე ცუდიც წერია და კარგიც და აღმზრდელის მოვალეობაც ის არის, რომ კარგი განავითაროს, ცუდს კი, გამომჟღავნებაც არ დააცალოს, გულმოდგინე ზემოქმედებით ერთხელ და სამუდამოდ ისე ამოუძირკვოს ფესვი.
- რაიმე შეიძინეთ, ბატონებო? - შეცვლილი, მსუბუქი ტონით იკითხა მან.
- ბევრი არაფერი, - თქვა ჰანს კასტორპმა, - ესე იგი...
- ორი შალის საბანი ვიყიდეთ ჩემი ბიძაშვილისთვის, - გულგრილად უპასუხა იოახიმმა.
- სამკურნალო წოლისთვის... ამ საშინელ ყინვაში... ეს ორი კვირა მეც ხომ უნდა ვიწვე აივანზე... - სიცილით თქვა ჰანს კასტორპმა და თვალები დახარა.
- ეს, საბნები, სამკურნალო წოლა, - თქვა სეტემბრინიმ, - დიახ, დიახ, დიახ. ო, ჰო, ჰო, მართლაც... - კვლავ იტალიურ ყაიდაზე წარმოთქვა მან და ბიძაშვილებს დაემშვიდობა. მათ უკვე გაიარეს ალაყაფი და კოჭლმა კონსიერჟმა სამივეს დაუკრა თავი. სანატორიუმის ვესტიბიულში რომ შევიდნენ, სეტემბრინიმ თავშესაყრელი ოთახებისაკენ გაუხვია, გაზეთებს წავიკითხავო. ეტყობოდა, აპირებდა, სამკურნალო წოლის მეორე საათი გაეცდინა.
- ღმერთო, შენ შეგვეწიე! - თქვა ჰანს კასტორპმა, როცა ლიფტში შევიდნენ, - ნამდვილი პედაგოგია, თვითონ არა თქვა ამას წინ, პედაგოგობის ფხა მაქვსო? ამ კაცთან ფრთხილად უნდა იყო, ზედმეტი არაფერი უნდა წამოგცდეს, თორემ დარიგებებით გაგიწვრილებს გულს. ისე, კარგი მოსასმენი კია მისი საუბარი. სიტყვა ისე კოხტად და მადიანად სწყდება ბაგიდან, რომ სულ ახალ-ახალი ფუნთუშები მელანდება ხოლმე.

იოახიმს გაეცინა.
- ეგ სჯობია, არ უთხრა, თორემ მე მგონი, გული ეტკინება. აბა, რა გუნებაზე დადგება, რომ გაიგოს, ჩემს დარიგებებზე ფუნთუშები აგონდებაო.
- შენ ასე გგონია? მაგაში მთლად დარწმუნებული არა ვარ. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დარიგებებს დიდად არაფრად აქნევდეს, დარიგებები მისთვის უფრო მეორეხარისხოვანია, მე თუ მკითხავ, მას ლაპარაკი უფრო სიამოვნებს, სიტყვებს რომ ისვრის და არაკრაკებს, იმით იფხანს გულს... სიტყვებს ელასტიკურად, რეზინის ბურთებივით ისვრის... ნაკლებად კი არ სიამოვნებს, სწორედ მისი ლაპარაკის მანერაზე გაამახვილებ ყურადღებას. ლუდის მხარშავი მაგნუსი ნამდვილადსისულელეს როშავს თავისი „მშვენიერი ხასიათებით“, მაგრამ სეტემბრინისაც ხომ უნდა განემარტა მისთვის, ლიტერატურა რას წარმოადგენს. შემეშინდა, სისულელე არ წამოვაყრანტალო-მეთქი, თორემ ამ საქმის მეც ბევრი არაფერი გამეგება და აქამდე არც ლიტერატორს გადავყრივარ სადმე. თუ მთავარი „მშვენიერი ხასიათები“ არ არის, მაშინ მთავარი მშვენიერი სიტყვები ყოფილა, სეტემბრინის რომ ვუსმენ, მე, მაგალითად, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. რა სიტყვებს არ ხმარობს! სულ არ ეხამუშება, ისე ახსენებს „სათნოებას“, როგორ მოგწონს! ჩემს სიცოცხლეში არ დამცდენია ეს სიტყვა, სკოლაშიც კი, წიგნში „Vირტუს“ რომ გვეწერა, მხოლოდ „სიმამაცეს“ ვიტყოდით ხოლმე. ამ სიტყვას რომ გავიგონებ, ასე მგონია, მკერდში რაღაც ჩამწყდა-მეთქი. ცოტა არ იყოს, ისიც მანერვიულებს, ასე რომ ილანძღება. ხან სიცივეს უკურთხებს, ხან ბერენსს ლანძღავს, ხან აქაოდა, ცილებს კარგავსო, ფრაუ მაგნუსს წამოჰკრავს ხელს, მოკლედ,ყველაფერს აგინებს. ნამდვილი ოპოზიციონერია, ამას მაშინვე მივხვდი. ყველაფერ არსებულს თავს ესხმის და ისეთი მიუსაფრობის განცდა მიჩნდება, რომ აღარ ვიცი, საით მივაწყდე.
- ეს შენ გეჩვენება ასე, - ფიქრიანად თქვა იოახიმმა, - მაგრამ მე რომ მკითხო, ამაში რაღაც სიამაყეც არის, რაც მიუსაფრობის განცდას სრულიადაც არ იწვევს, პირიქით, ის ხომ ისეთი ადამიანია, ვინც თავის თავსაც დიდად აფასებს და საერთოდ, ადამიანსაც. მე სწორედ ეს მომწონს ამ კაცში, ჩემს თვალში იგი რიგიანი კაცი ჩანს.
- მართალი ხარ, - კვერი დაუკრა ჰანს კასტორპმა, - რიგიანიც და მკაცრიც კი. ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც კი ვარდები, როცა გრძნობ, რომ ვიღაც გამოწმებს, ოღონდ ცუდი აზრით არ ვამბობ ამას. გინდა დამიჯერე, გინდა არა, სულ ისეთი გრძნობა მქონდა, არ მიწონებს, სამკურნალო წოლისათვის შალის საბნები რომ ვიყიდე, რაღაც საწინააღმდეგო მოსაზრება ამოძრავებს და გუნებაში მკიცხავს-მეთქი.
- არა, - გაოცებით და ფრთხილად თქვა იოახიმმა, - ნამდვილად არა მგონია. ეგ ფიქრი არც გამივლია გულში.
იოახიმმა პირში თერმომეტრი გაირჭო და თავისი ბარგი-ბარხანიანად დასაწოლად გავიდა აივანზე, ჰანს კასტორპი კი მაშინვე სადილისათვის მზადებას შეუდგა: ხელ-პირი დაიბანა და ტანსაცმელი გამოიცვალა. სადილობამდე ხომ ერთი საათიღა იყო დარჩენილი.

ექსკურსი დროის არსის გაგებისათვის

ნასადილევს, როცა ბიძაშვილები ისევ ზევით ავიდნენ, საბნებიანი პაკეტი უკვე ჰანს კასტორპის ოთახში იდო, სკამზე. ჰანს კასტორპი დღეს პირველად უნდა გამოსულიყო აივანზე და საბნებში გახვევის ხელოვნების გაკვეთილი ამ საქმეში უკვე გაწაფულმა იოახიმმა ჩაუტარა. ახალჩამოსული კაცი ვალდებული იყო, სანატორიუმის ყველა მკვიდრის მსგავსად, ამ ხელოვნებას მყისვე დაუფლებოდა. შეზლონგზე ჯერ ერთ საბანს გაშლიდნენ, შემდეგ მეორეს გადააფენდნენ, ზემოდან საბნები ისე იყო გაშლილი, რომ კარგა მოზრდილი ნაწილი იატაკზე ეფინა. ამის მერე ჩამოსხდებოდნენ და იწყებდნენ საბნებში გახვევას. ჯერ ზედა საბანს იღლიებამდე შემოირტყამდნენ ხოლმე სიგრძით, მერე წელში წაკუზულები იატაკზე მოფენილ კალთას ორივე ყურში ჩაავლებდნენ ხელს, ფეხებზე გადაიფარებდნენ და ისე ამოიკეცავდნენ, რომ ორივე ბოლო შეზლონგის კიდეებს კოხტად მორგებოდა და საბანი ლამაზად ყოფილიყო გადატკეცილი. შემდეგ

მეორე საბანშიც ზუსტად ასევე გაეხვეოდნენ ხოლმე. ეს ცოტა უფრო ძნელი იყო და ჰანს კასტორპმა, როგორც ეს შეუჩვეველსა და თანაც მოუქნელ კაცს შეეფერებოდა, გვარიანად იკრუსუნა, წელშიც მრავალჯერ მოიხარა და გაიმართა, სანამ ახალნასწავლ ილეთებში გაიწაფავდა ხელს. იოახიმმა უთხრა, ძველ მკვიდრთაგან თითო-ოროლას თუ შეუძლია ორივე საბნის ერთდროულად, ხელის სამი მარდი მოქნევით ტანზე შემორტყმა, მაგრამ ამ იშვიათი და შესაშური სიმარჯვისათვის მარტო წლობით ვარჯიში როდი კმარა, ამისთვის ბუნებით მომადლებული ნიჭიც არის საჭიროო. ამ სიტყვებზე ჰანს კასტორპს გაეცინა და ატკივებული ზურგი შეზლონგს მიაყრდნო. იოახიმი ერთბაშად ვერ მიხვდა, რა იყო აქ სასაცილო. ბიძაშვილს ჯერ გაოცებით შეხედა, მერე კი თვითონაც გაიცინა.
- ესეც ასე, - თქვა მან, როცა საბნებთან ჭიდილით გასავათებულმა, მორგვივით გახვეულმა ჰანს კასტორპმა რბილ მუთაქაზე მიდო თავი, - ახლა ოცგრადუსიანი ყინვაც კი ვერაფერს დაგაკლებს.
იოახიმი მინის ტიხარს იქით გავიდა, რომ თვითონაც ასევე შეფუთულიყო.
ოცგრადუსიანი ყინვა ვერაფერს დაგაკლებსო, ამაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი ეპარებოდა ჰანს კასტორპს. იგი ახლავე გვარიანად იყო გათოშილი და დროდადრო ტანშიც აჟრჟოლებდა, როცა აივნის ხის თაღებში გაიხედავდა. გარეთ უსიამოდ ჟინჟღლავდა და ეტყობოდა, ყოველ წუთს შეიძლებოდა, ეს ჟინჟღლი თოვად გადაქცეულიყო. მაინც რა უცნაურია - ამ ნესტიან ამინდში ლოყები ისე უხურდა, თითქოს გავარვარებულ ოთახში მჯდარიყო. სასაცილოდ კი დაიღალა საბნებით ვარჯიშში - ხელები მაშინვე აუცახცახდებოდა, როგორც კი დააპირებდა, თავისი Ocean steamships“ თვალთან მიეტანა. კაცმა რომ თქვას, ჰანს კასტორპი არც ისე ჯანმრთელი გახლდათ, - ტოტალური ანემია გაქვთო, უთხრა ჰოფრატმა ბერენსმა, ამიტომ თუ სჯაბნიდა ასე იოლად სიცივე. კიდევ კარგი, შეზლონგზე გემრიელად იყო გაშოტილი და უსიამოვნო შეგრძნებებს ეს უქარწყლებდა. ამ შეზლონგის ენით აუწერელი, თითქმის იდუმალებით მოცული თვისებები ჰანს კასტორპმა პირველი მოსინჯვისთანავე დააფასა და ეს აზრი ამჯერად კიდევ უფრო განუმტკიცდა. ვინ იცის, ეს შეზლონგზე გადაკრული ქსოვილის ბრალი იყო, საზურგის უზადო დაქანების, საყრდენების შესაფერი სიმაღლისა და სიგანის, თუ მუთაქის ზომიერი სირბილისა, ერთი კი ცხადია, ამ დიდებულ შეზლონგზე უფრო ჰუმანურად დაქანცულ სხეულს ვერაფერი მოასვენებდა. ამრიგად, ჰანს კასტორპს გული კმაყოფილებით ჰქონდა სავსე, წინ ორი თავისუფალი, აუმღვრეველი საათი ედო, სანატორიუმის განაწესით წმიდათაწმიდად ქცეული სამკურნალო წოლის საათი. მართალია, თვითონ მხოლოდ სტუმრად იყო ზევით ამოსული, მაგრამ ეს წესი აქაურობისათვის ზედგამოჭრილ დიდებულ ღონისძიებად მიაჩნდა. თვითონ ბუნებით თვინიერი კაცი გახლდათ, უქმად ყოფნა დიდხანს შეეძლო და, როგორც გვახსოვს, ისეთი მოცალეობა უყვარდა, რომელსაც მშფოთვარე საქმიანობა არ დაურღვევდა, არ შთაუნთქავდა და არ შეუკრთობდა. ოთხ საათზე ნამცხვრითა და მურაბით დამშვენებული სამხარი ელოდა, ნასამხრევს ჰაერზე ხანმოკლე გასეირნება, შემდეგ კვლავ შეზლონგზე წამოწოლა, შვიდზე კი ვახშამი. ვახშამს, ყველა სხვა ტრაპეზივით, თავისებური დაძაბულობა და ღირსშესანიშნაობა მოჰყვებოდა ხოლმე თან, რაც გულს ხალისიანი მოლოდინით ავსებდა. შემდეგ თვალს წყალს დაალევინებდა, სტერეოსკოპულ პანორამას გახედავდა ან კალეიდოსკოპსა და კინემატოგრაფიულ დისკოში ჩაიჭვრეტდა... ჰანს კასტორპმა დღის განრიგი ზეპირად იცოდა, თუმცა მეტისმეტი მოგვივიდოდა, გვეთქვა, რომ იგი, როგორც იტყვიან ხოლმე, აქაურობას უკვე სავსებით იყო შეთვისებული“.
მაინც დიდი უცნაური რამაა ეს შეთვისება უცხო გარემოსთან, ეს თუნდაც ძნელი შეგუება და შეჩვევა, რასაც კაცი გარკვეული მიზნით აკეთებს, რათა ეს-ეს არის, შეჩვეულს მაშინვე განერიდოს და კვლავ ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. ამის მსგავს გადახრებს კაცი შესვენებასავით ან ინტერმედიასავით ჩაურთავს ხოლმე ცხოვრების მთავარ დინებაში დასვენების“, სხვანაირად რომ ვთქვათ, ორგანიზმის განმაახლებელი, გამახალისებელი გავარჯიშების მიზნით, რომელსაც ცხოვრების ერთფეროვანი, მდორე დინების გამო გასათუთების, დაძაბუნებისა დაგამოთაყვანების საფრთხე ელის ხოლმე. კი მაგრამ, მაინც რა იწვევს ამ დაძაბუნებასა და გამოთაყვანებას, როცა დიდხანს არ იცვლება ცხოვრების წესი? ეს იმდენად ცხოვრების ჭაპანწყვეტით გამოწვეული

ფიზიკურიდა გონებრივი გადაქანცვა და გაცვეთა კი არ არის (მაშინ მის აღსადგენად და განსაკურნავად უბრალო დასვენება იკმარებდა), ეს უფრო სულიერი რამაა, ეს გახლავთ დროის შეგრძნება, რომელიც განუწყვეტელი ერთფეროვნებისას შეიძლება ხელიდან გაგისხლტეთ. იგი ისე ენათესავება სიცოცხლის შეგრძნებას და ისე გადაჯაჭვულია მასთან, რომ არ შეიძლება, ერთი არ მიასუსტოს და მეორეს სავალალო ზიანი არ მიაყენოს. მოწყენილობის არსზე მრავალი მცდარი წარმოდგენაა გავრცელებული. საერთოდ ჰგონიათ, რომ ინტერესითა და სიახლით სავსე მოვლენებს დრო სწრაფად გაჰყავს“, ესე იგი, ამოკლებს მას, ხოლო მონოტონურობა და სიცარიელე დროის სრბოლას ამძიმებს და აფერხებს, მაგრამ ეს ყოველთვის როდია სწორი. თუმცა სიცარიელესა და მონოტონურობას მართლაც ძალუძს წამი და საათი გააჭიანუროს და „მოსაწყენი“ გახადოს, მაგრამ იგი დრო-ჟამის დიდსა და უდიდეს მონაკვეთებს არათუ ამოკლებს, არამედ აცამტვერებს კიდეც, მდიდარ, საინტერესო, შინაარსიან მოვლენებს კი, პირიქით, ძალა შესწევს, საათი და დღეც კი შეამოკლოს და ააჩქაროს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ჟამთა სვლას ფართო მასშტაბით სივრცე, წონა და სოლიდურობა მიანიჭოს. ასე რომ, მოვლენებით მდიდარი წლები გაცილებით უფრო ნელა გადის, ვიდრე ის ღარიბი, ცარიელი და მსუბუქი წლები, ქარის ერთი დაქროლა რომ წააფარფატებს ხოლმე. ის, რასაც მოწყენილობას ეძახიან, მონოტონურობით გამოწვეული ავადმყოფური სიმოკლე უფროა დროისა. დროის დიდი მონაკვეთები განუწყვეტელი ერთფეროვნებისას გულის შემძვრელად იკუმშება - თუ ერთი დღე ყველა სხვა დღეს ჰგავს, მაშინ ის ყველაც ერთს ემგვანება, ხოლო სრული ერთფეროვნებისას უხანგრძლივესი სიცოცხლეც კი მოკლედ მოგვეჩვენებოდა და თვალსა და ხელს შუა გაგვიფრინდებოდა. მიჩვევა, დროის შეგრძნების მიძინება თუ არა, მოღლა მაინცაა და თუ სიყმაწვილის წლები თითქოს ზოზინით გადის, შემდგომი ცხოვრება სულ უფრო და უფრო სწრაფად მიქრის და მიილტვის წინ. ესეც შეჩვევის ბრალია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ძველზე გადაჩვევა და ახალზე მიჩვევა სასიცოცხლო უნარის შენარჩუნების, დროის შეგრძნების გამოცოცხლების, გაჭაბუკების, ძალის მოკრების, დროის განცდის შენელებისა და ამით სიცოცხლის გრძნობის განახლების ერთადერთი გზაა. ამიტომაც ვიცვლით ხოლმე ადგილსა და ჰავას, ამიტომაც მივდივართ ზღვაზე, ამიტომ ბადებს ჩვენში დასვენების განცდას ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი და თავგადასავლები. უცხო გარემოში პირველი დღეები ახალგაზრდულად, ანუ ღონივრად და ფართოდ მიაბიჯებენ, - ეს სულ ექვსიოდე დღეს გრძელდება. შემდეგ იმის მიხედვით, თუ როგორ „ეთვისები“ გარემოს, ამჩნევ, თანდათანობით როგორ მოკლდება დღეები. ვისაც სიცოცხლე რამედ უღირს, ან უკეთ რომ ვთქვათ, არ ეთმობა სიცოცხლე, იგი ძრწოლით რწმუნდება, რომ დღეები კვლავ თანდათან მსუბუქდება და ქროლას იწყებს, ხოლო უკანასკნელი კვირა, ვთქვათ, მეოთხე, უკანასკნელი კვირა, საშინელი სიშმაგითა და სისწრაფით გარბის. თუმცა გამოცოცხლებული დროის შეგრძნება კიდევ კარგა ხანს არ კარგავს ზემოქმედების ძალას და ჩვეულ გარემოში დაბრუნებისას ხელახლა იჩენს ხოლმე თავს: პირველი დღეები შინაც ცინცხლად, ვრცლად და ახალგაზრდულად განიცდება, მაგრამ შედარებით მცირე ხნით, რადგან ჩვეულ გარემოს ხელახლა უფრო სწრაფად ეთვისება კაცი, ვიდრე მის შეცვლას ეთვისებოდა; ხოლო, როცა დროის შეგრძნება ადამიანს ხანდაზმულობის მიზეზით უჩლუნგდება, ან თანდაყოლილი სიძაბუნის გამო არც არასდროს ჰქონია ძლიერად განვითარებული, ეს განცდა კვლავ სწრაფად მიიძინებს ხოლმე და უკვე ოცდაოთხი საათის შემდეგ გვეჩვენება, თითქოს შინიდან ფეხიც არ მოგვეცვალოს და ჩვენი მოგზაურობაც ერთი ღამის სიზმარი ყოფილიყოს მხოლოდ.

ეს შენიშვნები აქ ტყუილად როდი ჩავურთეთ. ახალგაზრდა ჰანს კასტორპს ზუსტად ამის მსგავსი ფიქრები უტრიალებდა თავში, როცა რამდენიმე დღის შემდეგ თავის ბიძაშვილს ჩაწითლებული თვალები მიაპყრო და უთხრა:

- უცნაურია, ხომ იცი, უცხო გარემოში მოხვედრილ კაცს პირველ ხანებში გეჩვენება, რომ დრო ზოზინით მიდის. არ ვიცი, როგორ აგიხსნა, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, მოწყენილი ვარ-მეთქი, პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეფურად ვატარებ დროს, მაგრამ, როცა უკან მოვიხედავ, ასე ვთქვათ, რეტროსპექტულად,

ცუდად არ გამიგო და, ისე მეჩვენება, თითქოს საუკუნეა, აქა ვარ, თითქოს დიდი დრო გასულიყოს მას შემდეგ, რაც ჩამოვედი და ერთბაშად ვერ გამოვერკვიე, სად ვიყავი. გახსოვს, შენ ისიც კი შემომძახე, გამოსვლას აღარ აპირებო? ასე მგონია, მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა. გამოანგარიშებასთან და, საერთოდ, გონებასთან ამას აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა აქვს. ეს წმინდა შეგრძნების საქმეა. რა თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა, მეთქვა, ასე მგონია, უკვე ორი თვეა აქა ვარ-მეთქი, ეს ხომ nonsens გამომივიდოდა, მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან დიდი ხანია“ აქა ვარ.
- ჰო, - მიუგო იოახიმმა, მას თერმომეტრი ედო პირში, - ჩემთვისაც კარგია,რომ ჩამოხვედი. რაც შენ აქა ხარ, როგორღაც საყრდენად მეგულები.
იოახიმმა ეს ისეუბრალოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თქვა, რომ ჰანს კასტორპს გაეცინა.
იგი ფრანგულად ცდილობს ლაპარაკს
არა, აქაურობას ის ჯერ არამც და არამც არ იყო შეთვისებული. რაც შეეხება თავისებურებებით აღსავსე აქაური ცხოვრების შესწავლას, რამდენიმე დღეში ეს შეუძლებელი გახლდათ. ის კი არა, თავის თავსაც გაუმხილა (და იოახიმთანაც არ დაუფარავს), რომ, სამწუხაროდ, ვერც სამ კვირაში შეიძენდა ამ ცოდნას, ხოლო მისი ორგანიზმი აქ, ზევით“, გამეფებულ ზედმიწევნით თავისებურ ატმოსფერულ პირობებს ხომ სულ ვერ იტანდა და ვერა. ჰანს კასტორპს გაუჭირდა, ისე გაუჭირდა აქაურობასთან შეგუება, რომ ეგონა, საშველი საერთოდ აღარ დაადგებოდა.
ჩვეულებრივი დღე ისე ზუსტად იყო დანაწილებული და მზრუნველობით ორგანიზებული, რომ ადამიანი მალე დგებოდა კალაპოტში და დღის ჩათავებას ვერც იგებდა, თუ საერთო მდინარებაში ჩაებმებოდა. კვირის განმავლობაში ან დროის უფრო მოზრდილ შუალედებში ხდებოდა გარკვეული კანონზომიერი ცვლილებები, მაგრამ ისე შეუმჩნევლად და თანდათანობით, რომ დღეს თუ რაიმე ახალი მოხდებოდა, ხვალ უკვე ერთხელ ნანახი მეორდებოდა. რაც შეეხება ყოველდღიურ საგნებსა და სახეებს, ჰანს კასტორპს ყოველ ფეხის ნაბიჯზე უხდებოდა მათი შესწავლა, თვალმოკვრით ნანახს უფრო კარგად უნდა ჩაჰკვირვებოდა, სიახლე კი ათვისების ახალგაზრდული უნარის წყალობით უნდა აღებეჭდა გულში.
მაგალითად, ტალანში ზოგიერთი კარის წინ გამოდგმულ იმ მუცელგამობერილ მოკლეყელიან ჭურჭლებში, მან რომ ჩამოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება, თურმე ჟანგბადი ყოფილა. ეს იოახიმმა აუხსნა. შიგ წმინდა ჟანგბადია, თითო ბალონი ექვსი ფრანკი ღირსო. ამ კეთილისმყოფელ აირს მომაკვდავთ აძლევდნენ, რომ მათთვის შერჩენილი ძალა დაეზოგათ და ცოტა ხნით მაინც გამოეცოცხლებინათ. ავადმყოფები გაზს პატარა შლანგით ეწაფებოდნენ. სადაც ეს ბალონები იდგა, იმ კარებს იქით მომაკვდავები ანუ მორიბუნდუსები“ იწვნენ. ასე ახსნა ისინი ჰოფრატმა ბერენსმა, ერთხელ ჰანს კასტორპს რომ შეხვდა მეორე სართულზე. ჰოფრატს თეთრი ხალათი ეცვა, ლოყები ჩალურჯებოდა და ტალანში ხელებს მოიქნევდა. მათ ერთად აიარეს კიბე.
- აბა, შორიდან მჭვრეტელო! - უთხრა ბერენსმა, - რას შვრებით, თქვენი გამომცდელი მზერა მოწყალედ გვიყურებს თუ არა? დიდად თავმოსაწონია ჩვენთვის, დიდად თავმოსაწონია, დიახ, ჩვენი საზაფხულო სეზონი არ ოჩნობს, ან რატომ იოჩნებს, დედა კარგი ჰყავს და მამა, მისთვის რეკლამის გაწევა კარგი ფული დამიჯდა. რა საწყენია, რომ არ გინდათ ზამთარი ჩვენთან გაატაროთ, ასე გავიგე, მხოლოდ რვა კვირას აპირებს დარჩენასო? ოჰ, სამ კვირას? სამი კვირა რა საკადრისია, გარჯადაც არა ღირს. თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ მაინც საწყენია, ზამთარში აქ რომ არ იქნებით. რაც კი ამ ქვეყანაზე hotvole-ა, - ხუმრობით დაამახინჯა სიტყვა მან, - მთელი ინტერნაციონალური ჰოტვოლე ქვევით დაბაში მხოლოდ ზამთარში იყრის ხოლმე თავს. აი, ისინი კი უნდა ნახოთ, ამით განათლებასაც შეიძენთ. იმ ვაჟბატონების შემხედვარე, სიცილით მოკვდებით, ფეხზე ამოკრული ფიცრებით რომ დაკუნტრუშობენ. ახლა ქალებს აღარ იკითხავთ? ერიჰაა, რა ქალებია?! მე თქვენ გეუბნებით, სამოთხის ჩიტებივით არიან აჭრელებულნი, თან ზედმიწევნით გალანტურნი არიან... ახლა კი ჩემს მორიბუნდუსთან უნდა შევიდე, - დასძინა მან, - აგერ, ოცდამეშვიდეში. ფინალურ სტადიაშია, ხომ იცით, ჩამპალი აქვს ყველაფერი. ხუთი დუჟინი ჟანგბადი

გამოწრუპა გუშინ და დღეს მაგ ღორმუცელამ, მაგან. მაგრამ შუადღემდე წაიღებს ad penates. აბა, ძვირფასო როიტერ, - თქვა მან და კარი შეაღო, - რას იტყვით, კიდევ ერთს ხომ არ წავატეხოთ თავი?
მისი სიტყვები მოხურულ კარს უკან ჩაიკარგა, მაგრამ ჰანს კასტორპმა მაინც მოასწრო ოთახში შეხედვა და ბალიშზე მისვენებული ახალგაზრდა, მეჩხერწვერიანი კაცის ცვილისფერი პროფილი დაინახა. მომაკვდავმა კარისკენ მოატრიალა დიდრონი თვალის გუგები.
ჰანს კასტორპმა თავის სიცოცხლეში პირველად დაინახა მორიბუნდუსი. მისმა მშობლებმაც და ბაბუამაც მის ზურგს უკან დალიეს სული. რა ღირსეულად განისვენებდა ახალგაზრდა კაცის წვერაშვერილი თავი ბალიშზე! რამდენი აზრი იყო მის ვეებერთელა თვალებში, კარისკენ ნელა რომ მოატრიალა! ჰანს კასტორპს ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ის წამით მოლანდებული სურათი და თავისდა უნებურად ცდილობდა, თვალები ფართოდ გაეხილა და იმ მომაკვდავივით ნელა და აზრიანად ემოძრავებინა. ასე ჩაუყვა კიბეს და ასე უცნაურად გაფართოებული თვალებით შეხედა ქალს, რომელიც მის ზურგს უკან გამოვიდა რომელიღაც ოთახიდან და კიბის თავში წამოეწია. ჰანს კასტორპმა ერთბაშად ვერ იცნო მადამ შოშა. ქალს მისმა თვალებმა ღიმილი მოჰგვარა. კეფაზე ნაწნავებს შეავლო ხელი, გაუსწრო, თავი ოდნავ წინ წაიწვდინა და კიბეს მოქნილი ნაბიჯებით უხმაუროდ ჩაუყვა.
პირველ დღეებში ჰანს კასტორპს თითქმის არავინ გაუცნია, თუმცა მერეც დიდხანს არ გაუფართოებია ნაცნობების წრე. დღის რეჟიმი ნაცნობობის გაბმისთვის ხელსაყრელ პირობებს არ იძლეოდა. ჰანს კასტორპი ბუნებითისედაც თავშეკავებული კაცი იყო. გარდა ამისა,აქ, ზევით, თავს სტუმრად და, როგორც ჰოფრატმა ბერენსმა უთხრა, „შორიდან მჭვრეტელად“ თვლიდა და, ძირითადად, იოახიმთან ურთიერთობითა და საუბრით კმაყოფილდებოდა, მაგრამ დერეფანში ერთ მოწყალების დას კისერი კინაღამ მოეღრიცა ჰანს კასტორპისაკენ ცქერით და იოახიმი იძულებული გახდა, მისთვის ბიძაშვილი გაეცნო. იოახიმი ამ ქალს სხვა დროსაც გამოლაპარაკებია. მოწყალების დას პენსნეს ზონარი ყურზე ჰქონდა გადაგდებული, ხოლო საუბარში ისე იტყლარჭებოდა და იწმაწნებოდა, რომ უფრო ახლოს თუ დაუკვირდებოდით, იფიქრებდით, მოწყენილობისაგან ისე გაწამებულა, ჭკუაც არევიაო. მისგან თავის დაღწევა იოლი არ იყო. შეატყო თუ არა, საუბარი მთავრდება და ახალგაზრდები წასვლას აპირებენო, ენად გაიკრიფა და ჭაბუკებს სასოწარკვეთილი მზერითა და ღიმილით ჩაებღაუჭა. მათაც შეებრალათ და ცოტა ხანს კიდევ შეჩერდნენ. მოწყალების და აღარ ათავებდა ლაპარაკს თავის მამიკოსა და ბიძაშვილზე (მამა - იურისტი, ხოლო ბიძაშვილი ექიმი ჰყოლოდა). აშკარად თავს იწონებდა, აქაოდა, ჩამომავლობით განათლებულ წრეს ვეკუთვნიო, ხოლო აქვე, კარს უკან მყოფ ავადმყოფს რაც შეეხება, ის კობურგელი თოჯინების ფაბრიკის მეპატრონის ვაჟიშვილი, გვარად როტბაინი გახლავთო. სენი ყმაწვილ ფრიცს სწორ ნაწლავზე გადასდებოდა. ჰოდა, რა ძნელია ასეთი ავადმყოფის მოვლა, ეს ბატონებსაც კარგად მოეხსენებათ, თანაც ადამიანი თუ განათლებული ოჯახისშვილია და მაღალი კლასისათვის დამახასიათებელი სიფაქიზე აქვს შესისხლხორცებული, იმისთვის, წარმოიდგინეთ, რა ძნელი იქნებაო. ჩემს ავადმყოფს წუთით ვერ მოაცილებ თვალს, ახლახან, ბატონები თუ დამიჯერებენ, სულ ცოტა ხნით დავტოვე, კბილის ფხვნილის მეტი არაფერი მიყიდია და უკან მობრუნებულს ჩემი ავადმყოფი საწოლში დამხვდა წამომჯდარი, წინ შავი ლუდი, შებოლილი ძეხვი, შავი პურის დიდი ნაჭერი და კიტრი ედო და გემრიელად შეექცეოდაო. ეს შინაური სასუსნავი მისიანებს ღონეზე მოსაყვანად გამოუგზავნიათ, ყმაწვილი როტბაინი კი მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ცოცხალ-მკვდარი იდო ლოგინში, სიცოცხლეს საკუთარ ხელით ისწრაფებსო. მაგრამ რა, აღსასრული მხოლოდ მას მოუტანს ხსნას, ჩემთვის - სხვათა შორის, მე ბერტას მეძახიან, სინამდვილეში კი ალფრედა შილდკნეხტი მქვია - ჩემთვის რა ხეირია, მე სხვა ავადმყოფს დამაყენებენ თავზე, მეტად თუ ნაკლებად მძიმე ავადმყოფს, აქ თუ სხვა სანატორიუმში და სულ ესაა, რისი იმედიც შემიძლია ვიქონიო, სხვა პერსპექტივა მე არ გამაჩნიაო. დიახ, მართალი ბრძანდებით, ნამდვილად მძიმე პროფესია გაქვთ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, კმაყოფილების მომტანიც არისო, დააიმედა იგი ჰანს კასტორპმა.

  რა თქმა უნდა, კმაყოფილების მომტანი როგორ არ არის, მაგრამ მაინც ძალიან მძიმეაო, - უპასუხა ქალმა.
მაშ, ბატონ როტბაინს ჩვენი კეთილი სურვილები გადაეცითო, - უთხრეს ბიძაშვილებმა მოწყალების დას და წასვლა დააპირეს, მაგრამ იგი კვლავ სიტყვებითა და მზერით მოებღაუჭა ორივეს. საცოდაობა იყო იმის ცქერა, როგორ იკლავდა ეს ქალი თავს, იქნებ ახალგაზრდები ცოტა ხანს კიდევ შევიყოლიოო და ნამდვილად სისასტიკე იქნებოდა, მისთვის ცოტა დრო კიდევ რომ არ ეჩუქებინათ.
- იმას ახლა სძინავს, არ ვჭირდები, - თქვა მან, - რამდენიმე წუთით გამოვედი დერეფანში...
და მოწყალების და ჰოფრატ ბერენსის საყვედურებს მოჰყვა. ისეთი ტონით მელაპარაკება, ჩემს ჩამომავლობას რომ არ ეკადრებაო. შემდეგ თქვა, ჰოფრატს დოქტორი კროკოვსკი სჯობიაო. დოქტორ კროკოვსკის დიდსულოვანი ადამიანი უწოდა. მერე კვლავ თავის მამიკოსა და ბიძაშვილს დაუბრუნდა, რადგან მისი ტვინი ამაზე შორს ვეღარ მიდიოდა. შემდეგ ამაოდ შეეცადა, ბიძაშვილები ცოტა ხანს კიდევ შეეჩერებინა. რომ შეატყო, წასვლას აპირებენო, უეცრად ხმასაც კი აუწია და თითქმის ყვირილზე გადავიდა, მაგრამ ისინი მაინც დაუძვრნენ ხელიდან. მოწყალების და ერთხანს კიდევ გაჰყურებდა მათ, მთელი სხეულით მათკენ მიილტვოდა და თვალებით ჭამდა ორივეს, თითქოს უნდოდა, მზერით მოებრუნებინა, შემდეგ ოხვრა აღმოხდა და თავისი ავადმყოფის ოთახში შებრუნდა.
მის გარდა, ჰანს კასტორპი პირველ დღეებში მხოლოდ ბაღში მოხეტიალე მექსიკელ ფერმკრთალ ქალს გაეცნო, „Tous-les-deux“-ს რომ ეძახდნენ. სწორედ ისე მოხდა, რომ მანაც მოისმინა მისი ბაგიდან ეს მეტსახელად ქცეული ნაღვლიანი სიტყვები. ჰანს კასტორპი ამ სიტყვების გასაგონად მზად იყო, თავი კარგად ეჭირა და თავისი საქციელით კმაყოფილიც დარჩა. ბიძაშვილები ქალს ალაყაფის კართან შეხვდნენ. რეჟიმის თანახმად, პირველი საუზმის შემდეგ გასასეირნებლად მიდიოდნენ. შავ ქიშმირის შალში გახვეული, მუხლებში მოკეცილი ქალი გრძელი, მოუსვენარი ნაბიჯებით დადიოდა ალაყაფის წინ. შევერცხლილ თმაზე შემოხვეული შავი მანდილი ნიკაპთან გაენასკვა და იქიდან მობერებული, ფერმკრთალი სახე და დარდიანად მოკუმული დიდი ტუჩები მოუჩანდა. იოახიმი ჩვეულებისამებრ უქუდოდ იყო და ქალს თავის დაკვრით მიესალმა, მანაც ნელა დაუქნია თავი და ვიწრო შუბლზე დამჩნეული განივი ნაოჭები ჩაუღრმავდა. უცხო სახე რომ დაინახა, შეჩერდა და ახალგაზრდებს დაელოდა. ეტყობოდა, ძალიან აინტერესებდა, უცხომ თუ იცოდა მისი გამწარებული სვე და უნდოდა, მისიაზრიმოესმინა. იოახიმმა ბიძაშვილი წარუდგინა. ქალმა მანტილიიდან გამოიღო დამჭკნარი, მოყვითალო, ძარღვებდაბერილი, ბეჭდებით შემკული ხელი, თავის კანტური არ შეუწყვეტია, ისე შეხედა ყმაწვილ კაცს და ხელი გაუწოდა.
- Tous les dé, Monsieur, - თქვა მან, - Tous les dé, vous savez.
- Je le sais, Madame, - წყნარად უპასუხა ჰანს კასტორპმა, - Et je le regrette beaucoup.
ისეთი მომჩვარული, დიდი და მძიმე ტომსიკები, როგორიც ამ ქალს ეკიდა გიშერივით შავი თვალების ქვეშ, ჰანს კასტორპს არავისზე არ ენახა. ქალს ისეთი ჭკნობაშეპარული, საამო სურნელი ასდიოდა, რომ ჰანს კასტორპს გულზე სინაზე და ნაღველი შემოაწვა.
- Merci, - მჟღერი ხმით თქვა მან, რაც მის მოტეხილ სახეს საოცრად უხდებოდა, და დიდი პირის კუთხე ტრაგიკულად ჩამოუვარდა. შემდეგ ხელი მანტილიაში შემალა, თავი დახარა და კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვა. ჰანს კასტორპმა გზაში თქვა:
- ხომ ხედავ, სულ არ დავბნეულვარ და არც ურიგოდ მოვქცეულვარ. საერთოდ, უბედურ ხალხთან მიადვილდება ურთიერთობა. ბუნებით მაქვს მომადლებული ასეთ ხალხთან ურთიერთობის ნიჭი. ასე არ არის? ისიც კი მგონია, რომ დადარდიანებულ ადამიანებთან უფრო მეიოლება ყოფნა, ვიდრე დალხენილებთან. ღმერთმა იცის, რატომ მემართება ასე, ალბათ, ადრე რომ დავობლდი, იმიტომ. როცა სიკვდილის მიზეზით დადარდიანებულ ადამიანებს ვუყურებ, არც გული მიღონდება და არც უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. პირიქით, თავს ჩემს სტიქიაში ვგრძნობ. ყოველ შემთხვევაში, დალხენილებზე

უფრო დარდიან ხალხთან მიიოლდება ყოფნა. ახლახან ვფიქრობდი, რა სიტუტუცეა, აქაური ქალები სიკვდილსა და მასთან დაკავშირებულ ამბებს ასე რომ უფრთხიან და ხელისუფალნიც საგულდაგულოდ არიდებენ მათ ასეთ ამბებს. ზიარებასაც კი მაშინ მიაღებინებენ მომაკვდავს, როცა ავადმყოფები სასადილო დარბაზში არიან. ფუ, რა უხამსობაა! რა თქვი, კუბოს დანახვა არ მსიამოვნებსო? მე კი, პირიქით, სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე კუბოს. მე თუ მკითხავ, კუბო ნამდვილად მშვენიერი ნაკეთობაა. ცარიელიც რომ არის, მაშინაც კი, თორემ შიგ თუ ვინმე წევს, მაშინ ხომ ჩემს თვალში პირდაპირ საზეიმო იერს იძენს. დაკრძალვა უთუოდ ჭკუას ასწავლის ადამიანებს. ხანდახან მიფიქრია, ეკლესიის მაგიერ კაცი დაკრძალვაზე უნდა მიდიოდეს, თუ უნდა, ცოტა ჭკუა ისწავლოს-მეთქი. დაკრძალვაზე ადამიანებს მშვენიერი შავი ტანსაცმელი აცვიათ, ქუდს იხდიან, კუბოს შესცქერიან და სახეზე სიდარბაისლე და მოწიწება ეხატებათ. ვერავინ გაბედავს, უკბილოდ იხუმროს, როგორც ცხოვრებაში ხუმრობენ ხოლმე. ძალიან მსიამოვნებს, ადამიანებს ცოტა ღვთის შიში რომ დაეტყობათ ხოლმე. ხანდახან ჩემი თავისთვის მიკითხავს, ხომ არ აჯობებდა, მღვდელი ვყოფილიყავი-მეთქი, ნამდვილად მგონია, მღვდლობას ცუდად არ შევიშნობდი... ჰო, მართლა, იმედი მაქვს, ფრანგულში შეცდომა არ დამიშვია?
- არა, - უთხრა იოახიმმა, - je le regrette beaucoup სავსებით სწორად იყო ნათქვამი.

პოლიტიკურად საეჭვოა

ჩვეულებრივ დღეებში რეგულარულად გამოერეოდა ხოლმე ცვლილებები: პირველ რიგში ასეთი დღე კვირა გახლდათ - კვირა დღე ტერასაზე გამართული საკურორტო კონცერტითურთ, რომელიც ყოველ თოთხმეტ დღეში ერთხელ მეორდებოდა და ამრიგად ორი კვირის თავს აღნიშნავდა ხოლმე. ჰანს კასტორპი უკანასკნელი კვირის სამშაბათს ჩამოვიდა და, მაშასადამე, მეხუთე დღე იყო, აქ გახლდათ. ამინდის იმ უეცარი შეცვლისა და ზამთრის დაბრუნების შემდეგ ის დღე გაზაფხულისას ჰგავდა; ალერსიანი და ლორთქო დილა იდგა, ლაჟვარდისფერ ცაზე ქათქათა ღრუბლები გაბნეულიყო, ფერდობებსა და ხეობას მზის თბილი სხივები დანათოდა და ისინიც ზაფხულისებურად მწვანედ აბიბინებულიყვნენ. უდროოდ მოსული თოვლი სწრაფად დასადნობად იყო განწირული.

ეტყობოდა, ყველა ცდილობდა, კვირადღისათვის პატივი მიეგო და იგი რაღაცით გამოერჩია. ადმინისტრაცია და დამსვენებლები ამ შემთხვევაში მხარში ედგნენ ერთმანეთს. დილის ჩაიზე დამსვენებლებს დარიჩინით შეზავებული ფხვიერი შაქარლამა მოართვეს და წინ ყველას დაუდგეს ყვავილებიანი პატარა ლარნაკები, რომლებშიც მთის მიხაკები და ალპური ვარდებიც კი ჩაეწყოთ. მამაკაცებმა არ დაახანეს და ვარდები ღილ-კილოებში გაირჭვეს (დორტმუნდელ პროკურორ პარავანტს დღეს შავი ფრაკი და წინწკლებიანი ჟილეტიც კი ჩაეცვა). მანდილოსნების ტუალეტებსაც დაეტყო საზეიმო ჰაეროვნება. ფრაუ შოშა საუზმეზე განიერი, სახელოებჩახსნილი მაქმანის მატინეთი მოვიდა, შემინული კარი მოიჯახუნა, მერე თითქოს დარბაზს თავი წარუდგინაო, ჯერ ყველას კარგად დაენახვა და შემპარავი ნაბიჯებით გაემართა თავისი მაგიდისაკენ. მადამ შოშას მატინე ისე უხდებოდა, რომ ჰანს კასტორპის მეზობელმა, კიონიგსბერგელმა მასწავლებელმა ქალმა აღტაცება ვეღარ დაფარა. „მდარე რუსული მაგიდის“ წევრმა ბარბაროსმა ცოლ-ქმარმაც კი მოუხარა ქედი ამ დღეს. კაცს თავისი ტყავის ქურთუკი მოკლე სერთუკისებურ მოსაცმელზე გაეცვალა და თექის წაღების მაგიერ ტყავის ფეხსაცმელები ჩაეცვა, ქალს, მართალია, დღესაც ჭუჭყიანი ფრთების ბოა ეკიდა კისერზე, მაგრამ ქვეშ მწვანე აბრეშუმის ფურჩალებიანი კოფთა მოუჩანდა... ჰანს კასტორპმა მათ დანახვაზე წარბები შეჭმუხნა და სახეზეც თვალში საცემად წამოწითლდა, როგორც აქ ხშირად ემართებოდა ხოლმე.

მეორე საუზმის შემდეგ ტერასაზე საკურორტო კონცერტი დაიწყო. ნაირ-ნაირი ლითონისა და ხის ჩასაბერი ინსტრუმენტები ხან მხიარულ, ხან კი ნაღვლიან მელოდიებს თითქმის სადილობამდე უკრავდნენ. კონცერტის დროს სამკურნალო წოლა სავალდებულო არ იყო. ზოგიერთი თავის აივანზე წამოწოლილი იტკბობდა სმენას და ბაღის ვერანდაზეც რამდენიმე შეზლონგზე მოჩანდნენ ავადმყოფები,

მაგრამ უმრავლესობა გადახურულ ტერასაზე დადგმულ პატარა თეთრ მაგიდებთან იჯდა, საზოგადოების თავქარიანი ნაწილი კი, ალბათ, ფიქრობდა, სკამებზე ჯდომა დარბაისლურ იერს მოგვანიჭებსო და ბაღში ჩამავალ ქვის კიბეზე მოკალათებულიყო. იქ ორივე სქესის ახალგაზრდა ავადმყოფები ერთობოდნენ, რომელთა უმრავლესობას ჰანს კასტორპი უკვე სახელით თუ არა, სახით მაინც იცნობდა. ამ საზოგადოებაში ჰერმინე კლეეფელდი და ბატონი ალბინიც ერივნენ. ბატონი ალბინი ყვავილებით მოხატული დიდი კოლოფით შოკოლადს დაატარებდა და ყველას უმასპინძლდებოდა, თვითონ შოკოლადს პირს არ აკარებდა, ყველას მამობრივი ღიმილით დასცქეროდა და ოქროს მუნდშტუკში გარჭობილ სიგარეტს აბოლებდა. აქ იყვნენ ცალფილტვიანთა კავშირის“ წევრი ტუჩებგადმობრუნებული ბიჭი, გამხდარი, სპილოსძვლიფერკანიანი ფროილაინ ლევი და ფერფლისფერთმიანი ახალგაზრდა კაცი, გვარად რასმუსენი, რომელსაც გულზე ფარფლებივით დაეკრიფა სახსრებმოდუნებული, მომჩვარული ხელები. წითელკაბიანი, ფაშფაშა ამსტერდამელი ფრაუ ზალომონიც ახალგაზრდებში გარეულიყო, მის ზურგს უკან კი ის თმაშეთხელებული, აწოწილი ახალგაზრდა კაცი იჯდა, „ზაფხულის ღამის სიზმრიდან“ ნაწყვეტს რომ უკრავდა, წაწვეტებულ მუხლებზე მკლავები შემოეჭდო და დანისლულ მზერას ქალის შავგვრემან კეფას არ აცილებდა. იქვე ჟღალთმიანი ბერძენი ქალიშვილი, უცხო მხრიდან ჩამოსული ერთი ტაპირისსახიანი გოგონა, მრგვალსათვალიანი ღორმუცელა ბიჭი, ერთი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მონოკლიანი ყმაწვილი და კიდევ ვიღაცები ისხდნენ. თვალზე მონოკლაწეპებულ ყმაწვილს, ხვლება რომ აუტყდებოდა, მარილის ამოსაღები კოვზივით წაგრძელებული ნეკის ფრჩხილი მიჰქონდა პირთან. იგი აშკარად ჩამოყალიბებული ვირი გახლდათ, თუმცა სხვები კიდევ უფრო დიდი ვირები იყვნენ.

იოახიმმა ჰანს კასტორპს ჩუმად უამბო: ეს გრძელფრჩხილა ყმაწვილი, აქ რომ ჩამოვიდა, მხოლოდ მსუბუქად ყოფილა ავად, სიცხესაც კი არ აძლევდა თურმე. მამამისი ექიმი ყოფილა და სიფრთხილის გულისათვის გამოუგზავნია ზევით. ყმაწვილს, ჰოფრატის დასკვნით, აქ სამიოდე თვე უნდა გაეტარებინა. ჰოდა, სამი თვის შემდეგ სიცხე შემოსჩვევია: 37,8, 38 და სენი მართლა მორევია. მაგრამ ისეთ თავაშვებულ ცხოვრებას ეწევა, კარგად რომ აუწვა ლოყები, არ აწყენსო, დასძინა იოახიმმა.

ბიძაშვილები დანარჩენებისაგან ცოტა მოშორებით ისხდნენ, რადგან ჰანს კასტორპი საუზმიდან შემორჩენილ შავ ლუდს სვამდა და თან აბოლებდა. ხანდახან სიგარას თითქოს ძველებურ გემოს ატანდა კიდეც.

ლუდსა და მუსიკას ჩვეულებისამებრ ემოქმედა ჰანს კასტორპზე, გაბრუებულიყო, პირი დაეღო, თავი გვერდზე გადაეგდო, თვალები ჩასწითლებოდა და საკურორტო უზრუნველ ცხოვრებას ისე აკვირდებოდა. ჰანს კასტორპს სრულიადაც არ ეხამუშებოდა, რომ ადამიანების ორგანიზმში ძნელად შესაჩერებელი რღვევის პროცესი მიმდინარეობდა და უმრავლესობას სიცხე ჰქონდა ოდნავ აწეული, პირიქით,ეს გარემოება თითქოს ყველაფერს ამაღლებულ იერსა და და ერთგვარ სულიერ მომხიბლაობას ანიჭებდა. მაგიდებთან შუშხუნა ლიმონათს სვამდნენ, ტერასის კიბეზე კი სურათებს იღებდნენ. სხვები საფოსტო მარკებს უცვლიდნენ ერთმანეთს. ჟღალთმიანი ბერძენი ქალიშვილი ბლოკნოტში ხატავდა ბატონ რასმუსენს. ქალიშვილს არ უნდოდა, ნახატი მისთვის ეჩვენებინა, იცინოდა, ფართო-ფართო მეჩხერ კბილებს აჩენდა და ბლოკნოტს აქეთ-იქით ისე ატრიალებდა, რომ ბატონმა რასმუსენმა დიდხანს ვერ მოახერხა, ბლოკნოტი ხელიდან გამოეგლიჯა. ჰერმინე კლეეფელდი კიბის საფეხურზე ჩამომჯდარიყო, თვალები ნახევრად მოეხუჭა და დაკეცილ გაზეთს მუსიკის ტაქტს აყოლებდა, ბატონი ალბინი კი მკერდზე მინდვრის ყვავილების თაიგულს უმაგრებდა. ტუჩებგადმობრუნებულ ყმაწვილს ფრაუ ზალომონის ფერხთით მოეკალათებინა, ქალისაკენ თავი აეღირა და ისე ეტლიკინებოდა. თმაშეთხელებული პიანისტი ქალს ისევ ზურგს უკან ეჯდა და მის კეფას თვალმოუშორებლივ შესცქეროდა.

კურორტის საზოგადოებას ექიმებიც შეერივნენ. ჰოფრატ ბერენსს თეთრი ხალათი ეცვა, დოქტორი კროკოვსკი კი შავ ხალათში იყო გამოწყობილი. მათ მაგიდების რიგს ჩაუარეს, ჰოფრატი თითქმის ყოველი მაგიდისკენ ისროდა

მოსწრებულ სიტყვას და უკან თითქოს სიცილ-ხარხარის ჩანჩქერი მოჰყვებოდა. შემდეგ ექიმები ახალგაზრდებთან ჩავიდნენ. ქალები იმწამსვე თეძოების რხევითა და თვალების ტრიალით დოქტორ კროკოვსკის შემოერტყნენ გარს. ჰოფრატმა კვირადღის პატივსაცემად მამაკაცებს წაღებზე ზონრების შეკვრის ფოკუსი უჩვენა. თავისი ვეებერთელა ფეხი კიბის საფეხურზე შემოდგა, ზონარი შეიხსნა, ხელში მოიმარჯვა და ცალი ხელით ისე მაგრად ამოიბნია, რომ ყველა გააოცა. რამდენიმე მამაკაცი ამაოდ შეეცადა, იგივე გაემეორებინა.
შემდეგ ტერასაზე სეტემბრინიც გამოჩნდა. იგი სასადილო დარბაზიდან გამოვიდა ჯოხზე ხელდაყრდნობილი. დღესაც თავისი ხაოიანი სერთუკი და მოყვითალო შარვალი ეცვა, სახეზე დახვეწილი, ფხიზელი და კრიტიკული ღიმილი ეფინა. მან ირგვლივ მიმოიხედა და ბიძაშვილების მაგიდას მიუახლოვდა. „ბრავო“!
- წამოიძახა მან და ნებართვა ითხოვა, თქვენთან დავჯდებიო.
- ლუდი, თამბაქო და მუსიკა, - ჰანს კასტორპს მიმართა სეტემბრინიმ, - აი, თქვენი სამშობლო! ვხედავ, რომ ეროვნული ხასიათი შესისხლხორცებული გქონიათ, ინჟინერო. მიხარია, თქვენს სტიქიაში რომ გხედავთ. მოდი, მეც მიმაღებინეთ თქვენს ჰარმონიულ ყოფაში მონაწილეობა.
ჰანს კასტორპმა სადავეები მოკრიბა - ეს მაშინვე გააკეთა, როგორც კი მოჰკრა იტალიელს თვალი - და სეტემბრინის მიმართა:
- კონცერტზე მოსვლა დაგაგვიანდათ, დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლია. არ გიყვართ მუსიკის მოსმენა?
- განკარგულებით - არა, მით უმეტეს, კვირის კალენდრის მიხედვით ხომ არ მიყვარს და არა მუსიკის მოსმენა, - მიუგო სეტემბრინიმ, - არ მიყვარს, როცა მას აფთიაქის სუნი უდის და სანიტარიული მიზნებითაა ზევიდან გათვალისწინებული. მე ცოტათი ვუფრთხილდები ჩემს თავისუფლებას, ან უფრო სწორად, თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების იმ ნაშთს, რომელიც აქ ჯერ კიდევ შეგვრჩენია. ასეთ სანახაობებზე, თქვენი არ იყოს, სტუმრის როლში გამოვდივარ, ოღონდ, რა თქმა უნდა, თქვენსავით ფართო აზრით არა. თხუთმეტიოდე წუთით შემოვიარე და ისევ ჩემი გზით წავალ... ეს დამოუკიდებლობის ილუზიას მიქმნის... ვერ ვიტყვი, ეს ილუზიაზე მეტი იყოს, მაგრამ რას დავეძებ, თუკი იგი ერთგვარ კმაყოფილებას მანიჭებს?! თქვენი ბიძაშვილის საქმე სხვაგვარადაა, მისთვის ეს სამსახური გახლავთ. ხომ ასეა, ლეიტენანტო? თქვენ ამ კონვერტსაც სამსახურის ნაწილად თვლით. ო, მე ვიცი, რომ თქვენ მონობაშიც ძალგიძთ რაღაც მანქანებით შეინარჩუნოთ სიამაყე და ღირსება. დიახ, რაღაც მანქანებით. განსაცვიფრებელია! ევროპაში ყველას როდი აქვს ამის უნარი. მუსიკა? თქვენ მკითხეთ, მუსიკის მოყვარული ხართ თუ არაო? რა გაეწყობა, რახან „მოყვარული“ ბრძანეთ (ჰანს კასტორპმა ვერ მოიგონა, ეს სიტყვა ებრძანებინოს), უნდა მოგახსენოთ, რომ გამოთქმა უხეიროდ არ შეგირჩევიათ. მას ნაზი თავქარიანობის ნიშატი ატყვია. კარგი, თანახმა ვარ. დიახ, მუსიკის მოყვარული გახლავართ, ოღონდ ისე არ გამიგოთ, თითქოს მას განსაკუთრებულ პატივს ვცემდე - მაგალითად, ისე, როგორც ვაფასებ და მიყვარს სიტყვა, გონის მატარებელი, პროგრესის ბრწყინვალე იარაღი და სახნისი... მუსიკა... იგი ნახევრად დაუნაწევრებელი, საეჭვო, უპასუხისმგებლო, ინდიფერენტული რამ არის. ალბათ, შემეკამათებით, იგი ანკარაც შეიძლება იყოსო. მაგრამ ბუნებასაც ძალუძსსიანკარე, ვთქვათ, რომელიმე ნაკადული შეიძლება იყოს ანკარა და წმინდა, მერე ეგ ჩვენთვის რა ბედენაა, ეს ჭეშმარიტი სიანკარე არ გახლავთ, იგი სიზმარეულია, არაფრის მთქმელი და არაფრის მოვალდებულე, იგი თანამიმდევრობას მოკლებული სიანკარეა და ამდენად, სახიფათოც, რადგან გვაცდუნებს, ჩემით დაიშოშმინეთ თავიო... მიანიჭეთ მუსიკას აღმაფრენა. კეთილი და პატიოსანი! მაშინ იგი ჩვენს გრძნობას აღანთებს, მაგრამ გრძნობის აალება რა ბედენაა, საქმე ისაა, გონება აღანთოს. მუსიკა თითქოს თვით მოძრაობაა, მაგრამ მე მაინც მისი კვიეტიზმი მაეჭვებს. ნება მიბოძეთ უკიდურესობამდე მივიყვანო ჩემი აზრი: მე მუსიკის მიმართ პოლიტიკური ანტიპათიითა ვარ განმსჭვალული.
აქ კი ვეღარ შეიკავა თავი ჰანს კასტორპმა, ხელი მუხლზე დაიკრა და წამოიძახა, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეშიარ გამიგონიაო.
- იქნებ მაინც აგეწონ-დაგეწონათ ეს აზრი? - ღიმილით უთხრა სეტემბრინიმ, -

მუსიკა მხოლოდ მაშინ არის დიდი ძალა, მაშინ ძალუძს აღგვაფრთოვანოს, აგვამაღლოს და წინ გვიბიძგოს, როცა თავისი შემოქმედებისათვის წინასწარ მომზადებული სული დახვდება. მაგრამ ლიტერატურამ, ეტყობა, გაუსწრო მას. მარტო მუსიკას არ ძალუძს, სამყარო წინ წაიყვანოს. მუსიკა ცალკე სახიფათოა. პირადად თქვენთვის, ინჟინერო, განსაკუთრებით სახიფათოა. აქ რომ შემოვედი, ეს სახეზე შეგატყვეთ.
ჰანს კასტორპმა გაიცინა.
- ჩემს სახეზე შეხედვა არა ღირს, ბატონო სეტემბრინი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მვნებს აქაური ჰავა. ვიდრე მოველოდი, იმაზე უფრო მიძნელდება აკლიმატიზაცია.
- ვშიშობ, რომ ცდებით.
- არა, რას ბრძანებთ! ეშმაკმა იცის ამის თავი და ტანი, სულ დაქანცული და გახურებული ვარ.
- მე კი მგონია, დირექციის მადლობელი უნდა ვიყოთ, კონცერტებს რომ გვიმართავს, - დინჯად თქვა იოახიმმა, - თქვენ საქმეს უფრო მაღალი პოზიციებიდან უდგებით, ბატონო სეტემბრინი, ასე ვთქვათ, მწერლის პოზიციიდან, და აქ ვერ შეგეკამათებით. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ამ ცოტაოდენი მუსიკისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყოთ. მე დიდი მუსიკალურობით ვერ დავიკვეხნი, თანაც აქ მაინცდამაინც დიდებულ ნაწარმოებებს არ უკრავენ, ეს არც კლასიკურია და არც თანამედროვე, უბრალო სასულე ორკესტრი გახლავთ, მაგრამ მაინც ხომ ახალისებს ცხოვრებას. იგი ჩინებულად ავსებს რამდენიმე საათს. მე იმის თქმა მინდა, რომ იგი დროს ანაწევრებს და ამ ნაწილებს ცალ-ცალკე ავსებს, ერთგვარ შინაარსს ანიჭებს, თორემ აქ საათები, დღეები და კვირები შემაძრწუნებლად გიფრინდება კაცს ხელიდან... ხომ ხედავთ, ასეთი უპრეტენზიო საკონცერტო ნომერი, ალბათ, შვიდ წუთს გრძელდება და ეს შვიდი წუთი თავისთავად რაღაცას წარმოადგენს, მათ დასაწყისიც აქვთ და დასასრულიც, ისინი გამოირჩევიან და ყოველ შემთხვევაში, დაზღვეული მაინც არიან, რომ შეუმჩნევლად არ ჩაიკარგებიან საერთო ორომტრიალში. გარდა ამისა, ისინი ხომ მრავალნაირად არიან დაყოფილნი, ჯერ ფრაზებად, მერე ტაქტებად. ასე რომ, ყოველთვის რაღაც ხდება და ყოველი წამი გარკვეულ აზრს იძენს, რომელსაც შეგიძლია მოეჭიდო. ჩვეულებრივ კი... არ ვიცი, რამდენად სწორად...
- ბრავო! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - ბრავო, ლეიტენანტო! თქვენ მშვენივრად შეგინიშნავთ მუსიკის არსში ჩაბუდებული ზნეობრივი მომენტი, სახელდობრ ის, რომ იგი ჟამთა სვლას სავსებით თავისებური, სიცოცხლით სავსე საზომით სიფხიზლეს, შთაგონებასა და ფასს ანიჭებს. მუსიკა აფხიზლებს დროის განცდას, იგი დროით უფაქიზესი ტკბობის უნარს გვიღვიძებს, იგი გვაფხიზლებს... და ზნეობრივიც ამდენად გახლავთ. ხელოვნება იმდენადაა ზნეობრივი, რამდენადაც ძალუძს ჩვენი გამოფხიზლება. მაგრამ მაშინ რაღას იტყვით, თუ იგი საწინააღმდეგო ზემოქმედებას ახდენს? თუ იგი გვაბრუებს, თვლემას გვგვრის, აქტიურობისა და პროგრესის წინააღმდეგ მოქმედებს? მუსიკას ესეც შეუძლია, მას ოპიუმის მაგივრობაც შეუძლია გასწიოს. ეს ეშმაკეული ზემოქმედებაა, ბატონებო! ოპიუმი ეშმაკისაა, რადგან იგი გონებაჩლუნგობას, დამყაყებას, უმოქმედობას, მონურ უმოძრაობას იწვევს... მუსიკაში არის რაღაც ორჭოფული, ბატონებო. მე კვლავ იმ აზრზე ვდგავარ, რომ იგი ორაზროვანი ბუნებისაა და გადაჭარბებული არ იქნება, თუ მას პოლიტიკურად საეჭვოდ გამოვაცხადებ.
მან ამგვარ ყაიდაზე განაგრძო ლაპარაკი, ჰანს კასტორპიც უსმენდა, მაგრამ გულისყურით ვერა. ჯერ ერთი, დაღლილობა უშლიდა ხელს, მერე ისიც, რომ გულისყურს კიბის საფეხურებზე ჩამომჯდარი თავქარიანი ახალგაზრდობის ჟრიამული უფანტავდა. თვალი ატყუებდა თუ მართლა ასე იყო? ტაპირისსახიანი ქალიშვილი მონოკლიან ყმაწვილს სპორტული შარვლის ლეკვერთხზე ღილს უკერებდა! თან ასთმისაგან მძიმედ ქშინავდა, ყმაწვილი კი ახველებდა და მარილის ამოსაღები კოვზივით წაგრძელებული ფრჩხილი პირთან მიჰქონდა! მართალია, ორივე ავადმყოფი იყო, მაგრამ ეს საქციელი მაინც აქ, ზევით, ახალგაზრდების ურთიერთობაში ფეხმოკიდებული ამორალური ჩვეულებების მაჩვენებელი გახლდათ. ორკესტრი პოლკას უკრავდა...
ჰიპე

ასე აღინიშნებოდა კვირა დღე. საღამო ხანიც თავისებურად გამოირჩეოდა - ამ დროს დამსვენებლები ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ ეტლით. ჩაის შემდეგ შარაგზაზე რამდენიმე ორცხენიანი ეტლი ამოვიდა და მუშტრის მოლოდინში ალაყაფის წინ გაჩერდა. ეტლს მეტწილად რუსები და ისიც ქალები უკვეთდნენ ხოლმე.

- რუსები სულ დასეირნობენ, - უთხრა იოახიმმა ჰანს კასტორპს. ბიძაშვილები ალაყაფის წინ იდგნენ და მოსეირნეთა ყურებით იქცევდნენ თავს, - ხან კლავადელისაკენ მიდიან, ხან ტბისაკენ გაუტევენ, ხან კი ფლუელატალში ან კლოსტერსში ამოყოფენ თავს. თუ მოისურვებ, სანამ აქა ხარ, ჩვენც შეგვიძლია სადმე წავიდეთ. მაგრამ, მე მგონია, შენ ჯერჯერობით ამისთვის არ გცალია, ჯერ აქაურობას ეგუები და სხვა გასართობისათვის არ გცხელა.

ჰანს კასტორპმა დაუდასტურა. მას სიგარეტი პირში გაერჭო, ხელები კი შარვლის ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. ასე უყურებდა, როგორ ჯდებოდა პატარა, მხიარული რუსი დედაბერი თავის გამხდარ ბადიშსა და ორ სხვა ქალთან ერთად ეტლში. ის ორნი მარუსია და მადამ შოშა გახლდნენ. მადამ შოშა თავშიშველი იყო და ზურგზე სარტყელდატანებული თხელი მოსასხამი ეცვა. იგი დედაბერთან ერთად დაჯდა ეტლის სიღრმეში, ქალიშვილები კი მეეტლისაკენ ზურგშექცევით ჩამოსხდნენ. ოთხივენი მხიარულ გუნებაზე იყვნენ და სულმოუთქმელად ლაპარაკობდნენ თავიანთ რბილ, თითქოს უხრტილო ენაზე. ქალებს ეცინებოდათ, ეტლის ჩარდახის ქვეშ ძლივს რომ მოთავსდნენ, ეცინებოდათ რუსულ კანფეტებზეც, რომელიც პაპიდას ვითომ გზაში პირის გასასველებლად წამოეღო და ახლავე კი მოეხსნა ბამბაჩაფენილი კუწუბებიანი ქაღალდით დამშვენებული ხის კოლოფისათვის თავი... ჰანს კასტორპი მოსაუბრეებში სიამოვნებით არჩევდა ფრაუ შოშას მოგუდულ ხმას. ყოველთვის, როგორც კი ამ დაუდევარ ქალს დაინახავდა, უფრო და უფრო აშკარად ესახებოდა ის მსგავსება, რომელსაც კარგა ხანს ეძებდა და ბოლოს სიზმარში გამოეცხადა კიდეც... მარუსიას სიცილმა კი, მისმა მრგვალ-მრგვალმა თაფლისფერმა თვალებმა, ტუჩებზე აფარებული ცხვირსახოციდან ბავშვურად რომ იმზირებოდნენ, მისმა მაღალმა მკერდმა, რომელიც შიგნიდან საკმაოდ დასნეულებული უნდა ყოფილიყო, ახლახან განცდილი გულის შემძრავი აღმოჩენა გაახსენა და იოახიმისკენ ჩუმად გააპარა თვალი. არა, მადლობა ღმერთს, იოახიმს მაშინდელივით არ ჰქონდა სახე აფორეჯებული და არც ტუჩები ეღრიცებოდა საცოდავად. თუმცა მარუსიას ყურებაში თითქოს სრულიად გაქრობოდა მხედრული შემართების ნიშანწყალი, სახეზე მძიმე ნაღველი და თავდავიწყება ეწერა და ამ წუთში აშკარად გამოხატული სამოქალაქო ყაიდის კაცი უფრო ეთქმოდა. ეს ყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა, იოახიმი სწრაფად გამოერკვა და ჰანს კასტორპს ისე უეცრად შეხედა, რომ უკანასკნელმა ძლივს მოასწრო თვალის არიდება. ბიძაშვილს თავი ისე მოაჩვენა, ვითომ სივრცეში ვიხედებიო, მაგრამ გული ძალუმად აუძგერდა - უმიზეზოდ და თავისით, როგორც აქ არაერთხელ ემართებოდა ხოლმე.

კვირა დღეს სხვა აღარაფერი ყოფილა ღირსშესანიშნავი, საჭმელ-სასმლის გარდა. სუფრის ჩვეულებრივზე უფრო უხვად გაშლა, ალბათ, საერთოდ შეუძლებელი გახლდათ, ამიტომ კვირა დღეს კერძებს უფრო დიდი ხელოვნებით ამზადებდნენ ხოლმე (სადილად კიბორჩხალებითა და ჩამუჟუჟებული ალუბლით დამშვენებული ქათმის Chaud-froid მოიტანეს, ნაყინს კი შაქრის ღეროებით მოწნულ პაწაწა კალათებში ჩადებული შაქარლამა და ახალი ანანასი მოჰყვა). საღამო ხანს კასტორპმა ლუდი მიირთვა და დაღლილობამ ჩვეულებრივზე მეტად დარია ხელი, ტანში სიცივემ დაუარა, ააძაგძაგა და ხელ-ფეხიც უფრო დაუმძიმდა, ვიდრე წინა დღეებში. ამიტომ ბიძაშვილს უკვე ცხრა საათზე უსურვა ღამე მშვიდობისა, ბუმბულის საბანი ნიკაპამდე წაიფარა და მკვდარივით დაეძინა.

მეორე დღეს, ესე იგი, აქ, ზევით, გატარებულ პირველ ორშაბათს დღის რეჟიმის ერთ-ერთი რეგულარული ცვლილება მოჰყვა თან. სახელდობრ, ამ დღეს, ორ კვირაში ერთხელ, „ბერგჰოფის“ გერმანული ენის მცოდნე სრულწლოვანი ავადმყოფებისა და არამორიბუნდუსული საზოგადოებისათვის დოქტორი კროკოვსკი ორ კვირაში ერთხელ სასადილო დარბაზში ლექციას კითხულობდა. როგორც ჰანს კასტორპმა თავისი ბიძაშვილისაგან გაიგო, ეს გახლდათ მეცნიერულ-პოპულარული ლექციების ციკლი, რომელსაც საერთო სათაურად

ჰქონდა სიყვარული, როგორც სენის წარმომშობი ძალა“. ეს ჭკუის სასწავლებელი ღონისძიება მეორე საუზმის შემდეგ ეწყობოდა ხოლმე. ამ ლექციების მოსმენა ვითომ სავალდებულო არ არის, მაგრამ იმათ ნამდვილად ცუდი თვალით უყურებენ, ვინც ლექციას თავს აარიდებსო, - გააფრთხილა იოახიმმა ბიძაშვილი. ამიტომ უთვლიდნენ ბატონ სეტემბრინის გაუგონარ თავხედობად, რომ სხვებზე გაცილებით კარგად მან იცოდა გერმანული ენა და ლექციებს არათუ ესწრებოდა, ასე განსაჯეთ, აგდებულადაც კი იხსენიებდა. რაც შეეხება ჰანს კასტორპს, მან უპირველეს ყოვლისა თავაზიანობის გულისათვის, მერე კი დაუფარავი ცნობისმოყვარეობის გამო გადაწყვიტა, ლექციას დასწრებოდა. ოღონდმანამდე ერთი მიუტევებელი სისულელე ჩაიდინა: ამოიჩემა, სასეირნოდ მარტო და ისიც შორს უნდა წავიდეო და თავისდა გასაოცრად ამ განზრახვამ თავბედი აწყევლინა.
- ყური მიგდე! - მიმართა მან იოახიმს, როგორც კი იგი მის ოთახში შემოვიდა, - აშკარად ვხედავ, ძველებურად ყოფნა აღარ მარგია. ჰორიზონტალური ცხოვრების წესი მომყირჭდა, ასე კაცს სისხლიგაგიჩერდება ძარღვებში. შენი საქმე სულ სხვაა, შენ პაციენტი ხარ და სულაც არ მინდა, შეგაცდინო, მე კი, თუ არ გეწყინება, ნასაუზმევს ერთს კარგად გავისეირნებ, ქვეყანაზე ცოტა ხანს ალალბედზე ვიხეტიალებ, ჯიბეში პატარა საუზმეს ჩავიდებ და ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიქნები აი, ვნახავთ, შინ სულ სხვა ბიჭი თუ არ დავბრუნდე.
- ბატონი ბრძანდები, - მიუგო იოახიმმა, რადგან შეატყო, რომ ჰანს კასტორპს სულითა და გულით უნდოდა შორს გასეირნება და თავისას მაინც არ დაიშლიდა, - მხოლოდ ერთს გირჩევ: ზედმეტი არ მოგივიდეს. აქ შენი სახლი არ გეგონოს. იცოდე, ლექციაზეც არ დაიგვიანო, - დასძინა მან.
სინამდვილეში მარტო ფიზიკური მდგომარეობის გამო არ გადაუწყვეტია ჰანს კასტორპს შორს გასეირნება. იგი ფიქრობდა, რომ სახეზე ავარდნილი ალმური, პირში ცუდი გემო და გულის თვითნებური ბაგაბუგი მარტო ძნელი აკლიმატიზაციის ბრალი არ უნდა იყოსო. აქ სხვა მიზეზებიც არანაკლებ ბრალში იქნებიანო: მეზობელი რუსი ცოლ-ქმრის ბღლარძუნი, სუფრასთან სულელი და ავადმყოფი ფრაუ შტორის ტლიკინის მოსმენა, არისტოკრატი მხედრის ყრუ ხველება, რომელიც ტალანში ყოველდღე ესმოდა, ბატონი ალბინის ქადილი, ავადმყოფი ახალგაზრდების თავაშვებული ქცევის ცქერა, იოახიმის სახის გამომეტყველება, როცა ის მარუსიას უმზერდა და მრავალი ამის მსგავსი შთაბეჭდილება აკლიმატიზაციაზე ნაკლებად როდი მოქმედებდა მასზე. იგი ფიქრობდა, კარგი იქნება, ერთხელ მაინც დავუსხლტე ბერგჰოფის“ მოჯადოებულ წრეს, გაშლილ ადგილას ღრმად ამოვისუნთქო, ერთი კარგად შევჯანჯღარდე და საღამოს დაღლილი რომ ვიქნები, ის მაინც მეცოდინება, რატომ ვარ დაღლილიო. ასეთი ფიქრებით დასცილდა იოახიმს, როცა უკანასკნელმა ნასაუზმევს სამსახურივით მოზომილი გასეირნება ღელესთან მდგარ ძელსკამთან დაასრულა და ხელჯოხის ქნევით დაეშვა თავქვე, სანატორიუმისაკენ.
გრილი, ღრუბლიანი დილა იდგა, ცხრის ნახევარი იქნებოდა. ჰანს კასტორპი წინასწარი განზრახვისამებრ ღრმად ისუნთქავდა დილის წმინდა ჰაერს, ამ ცინცხალ და მჩატე ატმოსფეროს, რომელიც მხოლოდ გაუჭირვებლად ჩასდიოდა ფილტვებში - არც სინესტის სურნელი გააჩნდა, არც შინაარსი და არც მოგონებებს აღუძრავდა... მან ხევი და ვიწრო ლიანდაგი გადაიარა, უწესრიგოდ განაშენიანებულ ქუჩაზე გავიდა, მაგრამ მალე გადაუხვია გზიდან და ბილიკს დაადგა. ბილიკი მხოლოდ ცოტა ხანს მიდიოდა ვაკეზე, მერე კი მარჯვენა ფერდობს ალმაცერად და თითქმის ციცაბოდ მიუყვებოდა. ჰანს კასტორპს მიუხაროდა მაღლა. მკერდი გაუფართოვდა, ჯოხის კაუჭი ქუდქვეშ შეიცურა და შუბლიდან ქუდი გადაიწია. მერე გვარიან სიმაღლეზე ასულმა უკან მოიხედა და შორს ტბის სარკისებური ზედაპირი რომ დაინახა, სიმღერა წამოიწყო. ეს ის ტბა იყო, მთებში მომავალმა ახლოს რომ ჩაუარა. რაც მოაგონდებოდა, იმას მღეროდა: ნაირ-ნაირ, ხალხურ ყაიდაზე შექმნილ სიმღერებს, რომლებიც სტუდენტური და სპორტული სიმღერების კრებულებში ეწერა ხოლმე. მათ შორის ერთი ასეთი სიმღერაც ერია:
„მაშ, ვუმღეროთ სიყვარულს და ღვინოს,
სათნოების ხოტბაც მოვუხშიროთ“.

ჯერ წყნარად ღიღინებდა, მერე კი ხმას აუწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასჭექა. ჩვენი მომღერალი ძლიერი ბარიტონით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ დღეს თავისი ხმა მშვენიერი ეჩვენებოდა და სიმღერის ეშხშიც უფრო და უფრო შედიოდა. მაღალ რეგისტრში რომ ავიდა, ფალცეტებიც გაუშვა, მაგრამ ესეც მშვენიერი ეჩვენა. მეხსიერება რომ უღალატებდა, მაშინ მელოდიას უაზრო მარცვლებსა და სიტყვებს აყოლებდა, ბაგეებს პროფესიონალი მომღერალივით ამრგვალებდა და „რაეს“ ჰაერში ნარნარად გზავნიდა. ბოლოს თვითონ დაიწყო ტექსტისა და მუსიკის გამოგონება და თავის ნაწარმოებს ხელებიც ოპერის მომღერალივით ააყოლა. რამეთუ მთაზე ასვლა და სიმღერა ძალიან დამქანცველი გახლავთ, სუნთქვამ მალე უმტყუნა და ღონეც თანდათან გამოელია, მაგრამ ამაღლებული გრძნობებისა და თავისი სიმღერის მშვენიერების ხათრით თავს არ იზოგავდა, ქლოშინებდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, სიმღერა როგორმე მიეყვანა ბოლომდე. მანამ მღეროდა, სანამ სული არ შეუგუბდა, თვალებში ფერად-ფერადი წრეები არ აუთამაშდა და გულამოვარდნილი ტანმსხვილი ფიჭვის ქვეშ არ დაენარცხა. ჯილდოდ ის ერგო, რომ ასეთი აღტყინების შემდეგ უეცრად გუნება წაუხდა და გამთანგველი, სასოწარკვეთილებამდე მისული დარდი შემოაწვა.

ნერვები, როგორც იქნა, დაიწყნარა, ფეხზე წამოდგა და ის იყო, დააპირა სეირნობა გაეგრძელებინა, რომ კეფა საშინლად აუცახცახდა და ამ ახალგაზრდა კაცს ისეთივე თავის კანტური აუტყდა, როგორიც ოდესღაც ჰანს ლორენც კასტორპმა იცოდა. ამ ამბავმა განსვენებული ბაბუა გაახსენა, მისი სიყვარული მოეძალა და ამიტომ თავის კანტურს უსიამოვნო გრძნობა არ მოუგვრია, მხოლოდ შეეცადა, ნიკაპი ბაბუასავით ღირსეულად დაებჯინამკერდზე და თავის კანტური იმ ხერხით შეეკავებინა, პატარა ბიჭობაში აგრერიგად რომ მოსწონდა ხოლმე.

დახვეული ბილიკი კიდევ უფრო მაღლა მიემართებოდა. ჰანს კასტორპი ძროხების ზანზალაკების ხმას მიჰყვა და მალე ნახირიც დაინახა. ძროხები ძელებით შეკრული ქოხის მახლობლად ძოვდნენ ბალახს. ქოხის სახურავი ქვებით დაემძიმებინათ. ჰანს კასტორპისკენ ორი წვერმოშვებული კაცი მოდიოდა. მხარზე ორივესცული ჰქონდა გადებული. ისინი მისგან რამდენიმე ნაბიჯზე დაშორდნენ ერთმანეთს.

- აბა, მშვიდობით იყავ და მადლობა შენდა! - ყრუ, ხორხისმიერი ხმით უთხრა ერთმა მეორეს, ცული მეორე მხარზე გადაინაცვლა, პირდაპირ ფიჭვნარში შერგო თავი და ხმელ ტოტებს ლაწალუწი აუყენა. „მშვიდობით იყავ და მადლობა შენდა“ - უცნაურად გაისმა ამ განმარტოებულ კუთხეში და ჰანს კასტორპს ზეასვლისა და სიმღერისაგან აღტყინებული სული საოცნებოდ შეურხია. მან ჩუმად გაიმეორა ეს სიტყვები, თან შეეცადა, იმ მთიულის ხორხისმიერი, მოუხეშავი და თან მაღალფარდოვანი კილოსათვის მიებაძა. მერე მწყემსების ქოხს გასცდა და ცოტა კიდევ აიმაღლა, უნდოდა, ტყის საზღვრისათვის მიეღწია, მაგრამ საათს დახედა თუ არა, გზის გაგრძელება გადაიფიქრა.

მარცხნივ გადაუხვია და კურორტისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ბილიკი ერთხანს ვაკეზე მიემართებოდა, მერე კი თავდაღმართში ჩადიოდა ცერად. წინ ტანაშოლტილი წიწვიანი ტყე შემოეგება, ტყეში შევიდა და კვლავინდებურად სიმღერა წამოიწყო, მაგრამ ამჯერად ისე გაბედულად ვეღარ მღეროდა. გულს არ იტეხდა, თორემ თავდაღმართში მუხლები წინანდელზე უფრო უცნაურად უკანკალებდა. უცებ კორომიდან გამოსულს ისეთი დიდებული სანახაობა გადაეშალა თვალწინ, რომ გაოგნებული შეჩერდა. ეს იყო წყნარი დიდებულებით მოსილი, ინტიმურად გამოცალკევებული ლანდშაფტი. მარჯვენა ფერდობზე ქვის სრიალა კალაპოტში ნაკადული ჩამორბოდა, აქაფებული ასკდებოდა ერთმანეთზე ტერასებივით წაწყობილ ლოდებს და შემდეგ შედარებით დინჯად მიედინებოდა ხეობისაკენ. ნაკადულზე გარანდულმოაჯირებიანი კოპწია ხიდი იყო გადებული. მიწა ირგვლივ მოდებული რომელიღაც ბუჩქად ამოსული მცენარის ზარისებური ყვავილებით გადალურჯებულიყო.

ერთი სიმაღლის, გოლიათი, მედიდური ნაძვები ხევში და ფერდობზე ზოგან კორომებად, ზოგან კი თითო-თითოდ იზრდებოდა, ერთს კი ნაკადულის პირას, ციცაბო ქარაფზე მოეკიდებინა ფესვი და წელში გადრეკილ ამ სურათში უცნაურად შემოჭრილიყო. ამ უკაცურ მშვენიერ კუნჭულში მოშრიალე განმარტოება მეუფეობდა; ნაკადულის გაღმა ჰანს კასტორპმა ძელსკამი დაინახა.

ხიდი გადაიარა და ძელსკამზე ჩამოჯდა. თავის გასართობად აქაფებულ ჩანჩქერს დაუწყო ცქერა და იდილიურად მოჩურჩულე, თითქოს მონოტონურ, მაგრამ შინაგანად მაინც ცვალებად ჩუხჩუხს სიამოვნებით მიუგდო ყური. წყლის ჩუხჩუხი ჰანს კასტორპს მუსიკასავით უყვარდა, იქნებ მუსიკას ერჩივნა კიდეც. ძელსკამზე მოხერხებულად მოიკალათა, მაგრამ ისე უეცრად წასკდა სისხლი ცხვირიდან, რომ კოსტიუმი გასვრას ვერ გადაარჩინა. სისხლი უხვად მოსდიოდა, შეჩერებას ჯიუტად არ აპირებდა და ნახევარ საათს გვარიანი საქმე გაუჩინა - ძელსკამსა და ნაკადულს შორის არბენინა. ჰანს კასტორპი ცხვირს მოიბანდა, მერე ძელსკამზე პირაღმა წვებოდა და ცხვირზე სველ ცხვირსახოცს იფარებდა. ასე იწვა კარგა ხანს, სანამ სისხლი არ შეუჩერდა. წყნარად იწვა, ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, მუხლები მოეკეცა, თვალები დაეხუჭა და ყურში ნაკადულის ჩუხჩუხი ედგა. თავს ცუდად როდი გრძნობდა, პირიქით, სისხლის უხვად გამოშვებას დაეწყნარებინა, უცნაურად მოედუნებინა და თითქოს დაექვეითებინა სხეულის სიცოცხლისუნარიანობა. ერთი ჩასუნთქვა დიდხანს ჰყოფნიდა, სუნთქვაშეკრული გულს რამდენჯერმე გაფართხალების საშუალებას მისცემდა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქავდა ხოლმე დუნედ და ზერელედ.
ამ დროს ერთბაშად თავისი ცხოვრების იმ ადრეულ წლებში გადავიდა, ამ რამდენიმე ღამის წინ ნანახი უახლესი შთაბეჭდილებებით აღძრულ სიზმარს რომ ედო საფუძვლად... ისეთი ძლიერი, მთლიანი და დრო-ჟამისა და სივრცის გამაუქმებელი იყო ეს გადასვლა ცნებებში იქ“ და მაშინ“, რომ თამამად შეიძლებოდა გეთქვათ, აქ, ზევით, ჩანჩქერის პირას, ძელსკამზე უსულო სხეული წევს, ხოლო ნამდვილი ჰანს კასტორპი გარდასულ ჟამსა და გარემოში იმყოფება, თუმცა უბრალო, მაგრამ მაინც სახიფათო და გულის ამაჩქროლებელ სიტუაციაშიო.
ჰანს კასტორპი ცამეტი წლის მეოთხეკლასელი, მოკლეშარვლიანი ბიჭუნა გახლდათ, როცა ერთ დღეს საგანგებოდ გამოძებნა საბაბი და სკოლის ეზოში თითქმის თავის კბილა, სხვაკლასელ ბიჭს გამოელაპარაკა. მართალია, საუბარი ისეთ საქმიან და თან კონკრეტულ საგანზე აეწყო, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ მას მაინც უზარმაზარ სიხარულს ანიჭებდა. ეს მოხდა ჰანს კასტორპის კლასის უკანასკნელი ორი გაკვეთილის - ისტორიისა და ხატვის გაკვეთილებს შორის შესვენებაზე. წითელი კლინკერით მოკირწყლულ ეზოში, რომელიც ქუჩისგან ორი ალაყაფით დამშვენებული, ყავრით გადახურული გალავნით იყო გამოყოფილი. მოსწავლეებიგამოფენილიყვნენ. ზოგიერთები მწკრივად დასეირნობდნენ, სხვები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ან ნახევრად ჩამსხდარიყვნენ და შენობის მოპირკეთებულ შვერილებს ეყრდნობოდნენ. სკოლის ეზოში ჟრიამული იდგა. ერთ შლაპიან მასწავლებელს ხელში ლორიანი ფუნთუშა დაეჭირა, ილუკმებოდა და თან მოსწავლეებს მეთვალყურეობდა.
ის ბიჭი გვარად ჰიპე იყო, სახელად კი პრიბისლავი ერქვა. გასაოცარი ის გახლდათ, რომ ამ სახელში რაე“ „შინად“ გამოითქმოდა და ამრიგად, ბიჭს პშიბისლავს ეძახდნენ. ეს იშვიათი სახელი მის თავისებურ, უცხო გარეგნობას მშვენივრად ეხამებოდა. გიმნაზიის ისტორიის პროფესორის ვაჟიშვილი პშიბისლავ ჰიპე ნამდვილად წარჩინებული მოსწავლე გახლდათ და ჰანს კასტორპს ერთი კლასით უსწრებდა წინ, თუმცა მასზე ბევრით უფროსი არ უნდა ყოფილიყო. ჰიპე მეკლენბურგში იყო დაბადებული,მაგრამ ეტყობოდა, ძველი რასობრივი აღრევის შედეგად მის გვარში გერმანული სისხლი ვენდ-სლავურს შერეოდა თუ, პირიქით, ვენდ-სლავური - გერმანულს. ყმაწვილს ქერა ეთქმოდა, მრგვალი თავი მოკლედ ჰქონდა გაკრეჭილი. თვალები მოლურჯო-ნაცრისფერი თუ მონაცრისფრო ლურჯი, რაღაც უცნაური და ბუნდოვანი, თითქოს შორეული მთების ფერისა ჰქონდა, თავისებურად, ვიწროდ, უფრო სწორად, ოდნავ ირიბად გაჭრილი და მათ ქვევით ფართო, წინ წამოწეული ყვრიმალები მკაფიოდ გამოერჩეოდა. სახის ასეთი წყობა სულაც არ ამახინჯებდა ჰიპეს, პირიქით, მის სახეს მიმზიდველობასაც კი მატებდა, მაგრამ საკმაო საბაბს იძლეოდა, რომ ამხანაგებს მეტსახელად ყირგიზი“ შეერქმიათ. ჰიპეს უკვე გრძელი შარვალი და გულდახურული, ზურგზე ნაოჭასხმული ქურთუკი ეცვა. ქურთუკის საყელოზე ცოტაოდენი ქერტლი ეყარა ხოლმე.
საქმე ის გახლდათ, რომ ჰანს კასტორპს კარგა ხანია პშიბისლავზე თვალი ეჭირა

და სკოლის ეზოში გამოფენილ ნაცნობ და უცნობ მოსწავლეთა გუნდში გამორჩეული ჰყავდა. ბარემ ისიც ხომ არ ვთქვათ, რომ მისით აღტაცებული იყო? ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მას განსხვავებული სიმპათიით შესცქეროდა და სკოლაში მიუხაროდა, თავისი კლასის ამხანაგებში გარეულს დავინახავ, მის ლაპარაკსა და სიცილს გავიგონებ და მის სასიამოვნო და მოგუდულ, ოდნავ ჩახრინწულ ხმას შორიდან გამოვარჩევო. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ სიმპათიას თითქოს რაიმე ხელმოსაჭიდი მიზეზი არ ედო საფუძვლად, თუ არ ჩავთვლით მის წარმართულ სახელს, სანიმუშო მოწაფეობას (თუმცა ამ ფაქტს დიდი წონა ვერ ექნებოდა) და ბოლოს ყირგიზულ თვალებს, რომლებიც მიიბნიდებოდნენ, დაინისლებოდნენ და ღამესავით ჩამუქდებოდნენ, როცა სივრცეში ალმაცერად და უჩინოდ იყურებოდნენ ხოლმე. ჰანს კასტორპი სულაც არ იწუხებდა თავს, ეს გრძნობები სულიერად გაემართლებინა, არც ის ადარდებდა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ამ გრძნობებისათვის რა სახელი უნდა დაერქმია. ამ გრძნობას მეგობრული ნამდვილად არ ეთქმოდა, რადგან იგი ჰიპეს სულ არ იცნობდა“... ჯერ ერთი, სულაც არ იყო საჭირო, სახელი დაგერქმია იმისთვის, რაზეც არასდროს სიტყვას არ ჩამოაგდებდი - ეს გრძნობა არც იყო სალაპარაკო და არც არავის სჭირდებოდა ამაზე ლაპარაკი. მეორეც, სახელის დარქმევა კრიტიკას თუ არა, განსაზღვრას მაინც ნიშნავს, ესე იგი, გრძნობის ნაცნობ და ჩვეულ ცნებებში მოქცევას ნიშნავს, ჰანს კასტორპი კი შეუცნობელი რწმენით იყო გამსჭვალული, რომ ასეთი შინაგანი საუნჯე ყოველგვარი განსაზღვრისა და გაცნობიერებისაგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაეფარა.

ასე იყო თუ ისე, ამ უსახელო და გამოუთქმელ გრძნობებს ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ჰანს კასტორპი მათ, ერთი წელი იქნებოდა, გულში ფარულად დაატარებდა. დიახ, თითქმის ერთი წელი, რადგან ჰანს კასტორპი დანამდვილებით ვერ იტყოდა, ეს გრძნობები გულში როდის ჩაესახა. ეს, სხვა თუ არაფერი, მის თავდადებასა და ერთგულებაზე მაინც მეტყველებდა, მით უმეტეს, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ასაკში ერთი წელი უზარმაზარი დროა. სამწუხაროდ, ხასიათის თვისებების შეფასება, როგორც წესი, მორალურ მსჯავრსაც შეიცავს, სულერთია, ეს ქება იქნება, თუ გაკიცხვა, თუმცა, მოგეხსენებათ, ყველანაირ ხასიათს ორი მხარე აქვს ხოლმე. ჰანს კასტორპის ერთგულებას“, რითაც, სხვათა შორის, თვითონ დიდად სულ არ მოჰქონდა თავი, ყოველგვარი მორალური მსჯავრის გარეშე თუ შევაფასებდით, მისი მიზეზი სულის ერთგვარი მოუხეშაობა, სიზანტე და სიკერპეც აღმოჩნდებოდა და კონსერვატული რწმენაც, რომ სიმპათია და ერთგულება მით უფრო ღირსეული და დასაფასებელი იყო, რაც უფრო დიდხანს გასტანდა. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ მაშინდელი გუნება-განწყობილება დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, ამიტომაც ელოლიავებოდა მათ და არც ისწრაფოდა, რაიმე შეეცვალა. ასე სათუთად დაატარებდა გულში პშიბისლავ ჰიპესადმი გაღვიძებულ ჩუმ და შორეულ ლტოლვას და ამ გრძნობას მთელი თავისი შინაგანი ცხოვრების მარადიულ ნაწილად თვლიდა. ჰანს კასტორპს უყვარდა ამ გრძნობით აღძრული მოძრაობანი სულისა: იმის მღელვარე მოლოდინი, იქნებ დღეს შემხვდეს ჰიპე, ახლოს გამიაროს ან შემომხედოსო. ძვირად უღირდა ის უსიტყვო და ნაზი გულსავსეობის გრძნობა, რითაც თავისი საიდუმლოება აჯილდოებდა ხოლმე, უყვარდა ის იმედგაცრუებაც, რაც ამ გრძნობას ბუნებრივად სდევდათან. ყველაზე უფრო დიდი იმედგაცრუება ის იყო, თუ პშიბისლავი სკოლას გააცდენდა, მაშინ სკოლის ეზო დაცარიელებული ეჩვენებოდა, ის დღე კი - უღიმღამო, მაგრამ გულში ხვალინდელი დღის იმედი მაინც უჭიატებდა ხოლმე.

ეს ამბავი, სანამ იმ საარაკო კულმინაციურ წერტილამდე მიაღწევდა, ერთ წელიწადს გრძელდებოდა, შემდეგ, ჰანს კასტორპის ერთგულების წყალობით, ერთ წელიწადს კიდევ გაძლო და ისე მოეღო ბოლო, რომ ჰანს კასტორპს არც კი უგრძნია, როგორ გაიხსნა პშიბისლავ ჰიპესთან მისი დამაკავშირებელი ხუნდები, ისევე როგორც არც მათი წარმოშობა შეუმჩნევია თავის დროზე. ამასობაში პშიბისლავის მამა სხვაგან გადაიყვანეს და პშიბისლავიც წავიდა სკოლიდანაც და ქალაქიდანაც, მაგრამ ჰანს კასტორპს იგი აღარ მოუსაკლისებია, პშიბისლავი უკვე მანამდე ჰყავდა დავიწყებული. შეიძლებოდა გვეთქვა,რომ „ყირგიზის“ ხატება თითქოს ბურუსიდან შემოიპარა შეუმჩნევლად მის

ცხოვრებაში, მერე ნელ-ნელა გამოიკვეთა და ხელშესახები გახდა, ეზოში იმ უდიდესი სიახლოვისა და განსხეულების მომენტს მიაღწია, ცოტა ხანს ასევე დარჩა პირველ პლანზე, შემდეგ ასევე ნელ-ნელა დაიხია უკან და განშორების ტკივილის გარეშე შთაინთქა ბურუსში.
ის წამი კი, ის გაბედული და სათავგადასავლო სიტუაცია, პშიბისლავ ჰიპესთან ნამდვილი საუბარი, ახლა რომ კვლავ ცხადლივ მოვლენოდა ჰანს კასტორპს, შემდეგნაირად მოხდა: ხატვის გაკვეთილი იწყებოდა და ჰანს კასტორპმა შეამჩნია, რომ ფანქარი შინ დარჩენოდა. ყველა მის თანაკლასელს თავისი ფანქარი სჭირდებოდა. სხვა კლასელებში კი ჰყავდა ნაცნობები, ვისგანაც ფანქარი შეეძლო ენათხოვრა, მაგრამ ყველაზე უფრო ახლო ნაცნობად პშიბისლავი ეჩვენა. მისთვის ის იყო ყველაზე ახლობელი, განა არა?! ამდენ ხანს გულში ნალოლიავები მეგობრობა აკავშირებდა მასთან. ფრთაშესხმულმა ჰანს კასტორპმა გადაწყვიტა, შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა - ამ ამბავს შემთხვევა უწოდა, - და პშიბისლავისათვის ფანქარი ეთხოვა. სინამდვილეში, ჰიპეს არ იცნობდა და ოინი იქნებ საკმაოდ უხერხულიც გამოსვლოდა, მაგრამ ეს მხედველობიდან გამორჩა ან აინუნშიაც არ ჩაუგდია, ამ უცნაურმა უბოდიშო განზრახვამ ისე დაუვსო თვალი. და აი, იგი უკვე ჰიპეს წინ იდგა კლინკერით მოკირწყლულ, აჟრიამულებულ სკოლის ეზოში და ეუბნებოდა:
- უკაცრავად, ფანქარს ხომ ვერ მათხოვებ?
პშიბისლავმა ფართო ყვრიმალებს ზევით გაჭრილი ყირგიზული თვალები მიანათა და თავისი სასიამოვნო ჩახრინწული ხმით ისე გამოეპასუხა, რომ არც გაოცებულა, ყოველ შემთხვევაში, გაოცება არაფრით არ გამოუხატავს.
- სიამოვნებით, ოღონდ გაკვეთილის შემდეგ აუცილებლად დამიბრუნე, - მიუგო მან და ჯიბიდან ფანქარი ამოიღო.
ფანქარი მოვერცხლილ ბუდეში იყო ჩასმული და რგოლით ბოლოვდებოდა. რგოლი უნდა ამოგეწიათ, რომ წითელ ფანქარს ლითონის ჰილზიდან წვერი გამოეყო. ჰიპემ ჰანს კასტორპს ეს უბრალო მექანიზმი აუხსნა და ამ დროს მათი თავები ფანქრისაკენ ერთად დაიხარნენ.
- ოღონდ არ გამიფუჭო! - დასძინა მან.
რა ეგონა ჰიპეს? ჰანს კასტორპი ფანქარს უკან არ დაუბრუნებდა თუ უდიერად იხმარდა?
ბიჭებმა ერთმანეთს გაუღიმეს და რახან მეტი აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი, შეტრიალდნენ და თავ-თავიანთი გზით წავიდნენ. სულ ეს იყო, მაგრამ ჰანს კასტორპს თავის სიცოცხლეში არ განუცდია ამაზე დიდი სიამოვნება - ხატვის გაკვეთილზე პშიბისლავ ჰიპეს ფანქრით ხატავდა. წინ კიდევ ელოდა ერთი სიხარული, რომელიც ძალდაუტანებლად და თავისთავად უნდა მოჰყოლოდა უკვე მომხდარ ამბავს - ფანქარი კვლავ თავისი პატრონისთვის უნდა დაებრუნებინა. ჰანს კასტორპი ისე გათამამდა, რომ ფანქარს წვერიც კი წაუთალა და გალაქული ხის სამი თუ ოთხი ჩამონათალი თითქმის ერთი წელიწადი ჰქონდა შენახული თავისი მერხის უკანა უჯრაში. ვისაც უნდა ენახა ეს ჩამონათალები, ეჭვსაც ვერ აიღებდა, რა ძვირფასი იყო ისინი ჰანს კასტორპისათვის. მერე რა, რომ ფანქრის დაბრუნება სრულიად უბრალოდ მოხდა. ასეთი ფორმა სავსებით შეესაბამებოდა ჰანს კასტორპის გემოვნებას, ჰიპესთან ინტიმური ურთიერთობის წყალობით ისე გასათუთებული და დარეტიანებული იყო, რომ ასე ერჩივნა.
- აჰა, დიდი მადლობა, - უთხრა მან ჰიპეს.
პშიბისლავს არაფერი უპასუხია, მექანიზმი ზერელედ შეამოწმა და ფანქარი ჯიბეში ჩაიდო...
ეს იყო და ეს - ისინი ერთმანეთს აღარ დალაპარაკებიან. ეს ერთადერთი საუბარიც ჰანს კასტორპის ფხიანობის წყალობით შედგა...
წარსულის ასე ნათლად გამოცხადებამ შეაკრთო ჰანს კასტორპი და თვალები ფართოდ გაახილა, ხომ არ დამესიზმრაო, გაიფიქრა. დიახ, ეს პშიბისლავი იყო. რამდენი ხანია, პშიბისლავი არ მომგონებია. ნეტავ სად არის ახლა ის ჩამონათალები? მერხი ბიძია ტინაპელის სახლის სხვენზე დგას. ჩამონათალები ისევ მარცხენა პატარა უკანა უჯრაში ეყრება. იქიდან არასოდეს ამომიღია, იმდენი ყურადღებაც კი აღარ გამომიჩენია, რომ ამომეღო და გადამეყარა... პშიბისლავი გამომეცხადა... როგორ ვიფიქრებდი,კვლავ ასე ნათლად თუ

ვიხილავდი ოდესმე. რა საოცრად ჰგავდა იმას, აქ, ზევით რომ არის! მაშ, ამიტომ დავუინტერესებივარ. თუ, პირიქით, ამ ქალის გულისთვის მაინტერესებდა ასე ოდესღაც პშიბისლავი? სისულელეა! დიდი სისულელეა. ახლა დროა, წავიდე და რაც შეიძლება სწრაფად. მაგრამ კვლავ ფიქრებსა და მოგონებებს გაჰყვა და კარგა ხანს არ განძრეულა. შემდეგ ფეხზე წამოდგა. „აბა, მშვიდობით იყავ და მადლობა შენდა!“ - ღიმილით თქვა და ცრემლით აევსო თვალები. ქუდსა და ჯოხს ხელი წამოავლო და წასვლა დააპირა, მაგრამ ფეხები აღარ ემორჩილებოდა და იძულებული გახდა, უმალვე ჩამჯდარიყო. „ოჰო! - გაიფიქრა მან, - მგონი, წასულია ჩემი საქმე! თერთმეტ საათზე სასადილო დარბაზში უნდა ვიყო ლექციაზე! აქ სეირნობა მშვენიერია, მაგრამ, ეტყობა, არც ისე იოლი ყოფილა. დიახ, დიახ, მაგრამ აქ ხომ ვერ დავრჩები! ალბათ, ამდენ ხანს წოლამ მომიდუნა სხეული“. სიარულში გამოვკეთდებიო, შემოუძახა თავს და კიდევერთხელ შეეცადა, ფეხზე დამდგარიყო. ამჯერად თავს მეტი ძალა დაატანა და კიდევ გადადგა ნაბიჯი.
მაინც რა საცოდაობა იყო აღმაფრენით ზეასვლის შემდეგ შინ ასე გაჭირვებით დაბრუნება. გზაზე ხშირ-ხშირად უხდებოდა დასვენება, რადგან სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო, შუბლზე ცივი ოფლი ასკდებოდა და გული ისე უფართქალებდა, რომ სულს ვეღარ ითქვამდა. ასე ვაი-ვაგლახით ჩამოათავა დახვეული ბილიკი, კურჰაუსის მახლობელ ველსაც მიაღწია და მიხვდა, რომ „ბერგჰოფამდე“ დარჩენილ გრძელ გზას თავისი ფეხით ვეღარ გალევდა. ტრამვაი არ იყო, არც ეტლი მოჩანდა სადმე და ვიღაც მედროგეს სთხოვა, დამსვიო. ცარიელი ყუთებით დატვირთულ ფორანს სოფლისკენ“ ეჭირა გეზი. ჰანს კასტორპი მედროგისაკენ ზურგშექცეული დაჯდა და ფეხები ძირს გადმოჰკიდა. ფორანი მიჯაყჯაყებდა. თვლემამორეული ჰანს კასტორპი თავს აკანტურებდა და აქეთ-იქით ირყეოდა. გაოცებული გამვლელები თანაგრძნობით აყოლებდნენ თვალს. ასე მიაღწია რკინიგზის გადასასვლელამდე, მედროგეს ფული ისე შეაჩეჩა, არც დაუხედავს, ბევრს აძლევდა თუ ცოტას და გამალებით აუყვა „ბერგჰოფისაკენ“ მიმავალ დახვეულ გზას.
- Dépêchez-vous, monsieur, - უთხრა ფრანგმა შვეიცარმა, - La Conference de M. Krokowski vient de commencer.
ჰანს კასტორპმა ქუდი და ხელჯოხი გარდერობში შეყარა და აღელვებული ფეხაკრეფით შეიპარა სასადილო დარბაზის ღრიჭოდ დარჩენილ შემინულ კარში. კურორტის საზოგადოება მწკრივად დადგმულ სკამებზე იჯდა, სერთუკში გამოწყობილი დოქტორი კროკოვსკი კი გარდიგარდმო დადგმულ მაგიდასთან დამდგარიყო და ლაპარაკობდა. სუფრაგადაფარებულ მაგიდას წყლით სავსე გრაფინი ამშვენებდა...

ფსიქოანალიზი
საბედნიეროდ, ზედ კართან აღმოჩნდა ერთი განაპირა ადგილი თავისუფალი. ჰანს კასტორპი სკამთან მიიპარა, გვერდულად ჩამოჯდა ზედ და ისეთი სახე მიიღო, ვითომ დიდი ხანია ასე ვზივარო. საზოგადოებას მთელი გულისყური ჯერ კიდევ დოქტორ კროკოვსკის ბაგეებისაკენ ჰქონდა მიქცეული და ჰანს კასტორპის შემოსვლა თითქმის არავის შეუმჩნევია. კიდევ კარგი, თორემ ჰანს კასტორპს არ შეეხედებოდა. სახე მიტკალივით გაფითრებოდა, ხოლო კოსტიუმი ისე ჰქონდა სისხლით დალაქული, გეგონებოდათ, ეს-ესაა, ვიღაც მოუკლავსო. მის წინ მჯდომმა ერთმა ქალმა მაინც შემოატრიალა თავი და ვიწრო თვალებით დააცქერდა. ეს მადამ შოშა გახლდათ. ჰანს კასტორპმა იცნო იგი და გამწარდა - ეს რაღა ღვთის წყრომაა, მოსვენება აღარ უნდა მეღირსოსო? ეგონა, აქ მაინც დაჯდებოდა თავისთვის წყნარად და ცოტას დაისვენებდა და ცხვირწინ ეს ქალი არ ჩამოუჯდა?! სხვა დროს ასეთი შემთხვევა გაახარებდა, მაგრამ ასე დაღლილ-დაქანცული და განაწამები მის სიახლოვეს რა თავში იხლიდა? ჰანს კასტორპის გულს ეს ახალი აღელვებაღა უნდოდა, რომ მთელი ლექციის მანძილზე სულშეგუბებული მჯდარიყო? მთლად პშიბისლავის თვალებით შემოხედა ამ ქალმა, ჯერ სახეზე დააკვირდა, მერე მის მოთხვრილ კოსტიუმზე გადაიტანა მზერა და საკმაოდ მოურიდებლად და დაჟინებით დააცქერდა. ქალი, რომელიც კარს აჯახუნებდა, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. მაინც რა ურიგოდ ეჭირა თავი ამ

ქალს! ჰანს კასტორპის წრეში ქალები ასე არ იქცეოდნენ. ისინი წელგამართულნი ისხდნენ მაგიდასთან, მამაკაცისკენ მხოლოდ თავს შემოაბრუნებდნენ და საუბრისას ბაგეს ოდნავ თუ გახსნიდნენ. ფრაუ შოშა კი მოშვებული და მოდუნებული იჯდა, წელში მოხრილიყო, მხრები ჩამოეყარა, ხოლო თავი ისე წაეწვდინა, რომ თეთრი კოფთის ჭრილიდან ხერხემლის მალები მოუჩანდა. პშიბისლავმაც ასე იცოდა თავის წაწვდენა, მაგრამ ის სანიმუშო მოწაფე მაინც იყო და ყველა პატივს სცემდა (თუმცა ჰანს კასტორპს მისგან ამიტომ არ უნათხოვრებია ფანქარი), აქ კი ცხადზე უცხადესი გახლდათ, რომ ფრაუ შოშას დაუდევარი თავდაჭერა, კარის მოჯახუნება და მოურიდებელი მზერა მის ავადმყოფობასთან იყო დაკავშირებული. დიახ, ავადმყოფობის ბრალი გახლდათ ის თავაშვებულობა, ის არასაპატიო, მაგრამ სწორედ საზღვარდაუდებელი უპირატესობანი, რითაც ბატონ ალბინს მოჰქონდა თავი...

ჰანს კასტორპს ფრაუ შოშას მოდუნებული ზურგის ყურებაში თავგზა აერია. აზრი ოცნებად გადაექცა და ბურანში გახვეულს დოქტორ კროკოვსკის გაბმული ბარიტონი და მისი ნარნარი „რ“ თითქოს შორიდან ესმოდა. მაგრამ დარბაზში გამეფებულმა სიწყნარემ, იქ დასადგურებულმა ყურთასმენამ ჰანს კასტორპზე იმოქმედა და ბურანიდან გამოაფხიზლა. ირგვლივ მიმოიხედა... გვერდით თმაშეთხელებული პიანისტი ეჯდა. მას თავი უკან გადაეგდო, ხელები გულზე დაეკრიფა, პირი დაეღო და ისე უსმენდა დოქტორ კროკოვსკის. ცოტა მოშორებით მასწავლებელი, ფროილაინ ენგელჰარტი იჯდა. თვალებში სიხარბე ჩასდგომოდა და ქინქლიანი ლოყები წითლად აფორეჯებოდა. ჰანს კასტორპმა რომელ ქალსაც შეხედა, ყველას ალეწილი ჰქონდა სახე, ბატონი ალბინის გვერდით მჯდომ ფრაუ ზალომონსაც და ლუდის მხარშავ მაგნუსის ცოლსაც, სწორედ იმას, ცილებს რომ კარგავდა, იქით ფრაუ შტორს ისეთი ბრიყვული აღმაფრენა ეხატა სახეზე, რომ შეგზარავდათ. სპილოსძვლისფერ ლევის კი თვალები მიელულა, დაბრტყელებული ხელები კალთაში ჩაეწყო და სკამის ზურგზე მისვენებულიყო. ფროილაინ ლევის მკერდი ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა, თორემ მიცვალებული გეგონებოდათ. ჰანს კასტორპს ამ სურათმა გაახსენა ოდესღაც პანოპტიკუმში ნანახი ცვილის ფიგურა, რომელსაც მკერდში მექანიზმი ჰქონდა ჩადგმული. ბევრ დამსვენებელს ყურთან ეჭირა ხელი, ზოგს კი ყურისაკენ წაღებული ხელი შუა გზაზე ისე გაშეშებოდა, თითქოს დაძაბული ყურადღებისაგან გაქვავებულაო. პროკურორმა პარავანტმა, მზით გარუჯულმა, ერთი შეხედვით ჯან-ღონით სავსე კაცმა, საჩვენებელი თითით ყურიც კი გამოიჩიჩქნა, უფრო კარგად გავიგონოო და კვლავ დოქტორ კროკოვსკის სიტყვების ნაკადს მიუმარჯვა.

მაინც რას ღაღადებდა დოქტორი კროკოვსკი? საითკენ მიემართა აზრთა მსვლელობა? ჰანს კასტორპმა გონება დაძაბა, რათა აზრს მიჰყოლოდა, მაგრამ გაუჭირდა. ლექციის დასაწყისი მას არ მოუსმენია და გაგრძელებაც ფრაუ შოშას მოდუნებული ზურგის ყურებაში გამოეპარა. ლაპარაკი იყო რაღაც ძალაზე... რაღაც ძალაზე... ჰო, სიყვარულის ძალაზე იყო ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა! განა ეს არ გახლდათ ლექციების ციკლის მთავარი თემა? სხვა რაღაზე ილაპარაკებდა დოქტორი კროკოვსკი, თუკი მისი კვლევის სფერო ეს იყო? ჰანს კასტორპს, ცოტა არ იყოს, ეხამუშებოდა სიყვარულზე ლექციის მოსმენა. აქამდე მხოლოდ ისეთ საგნებზე ისმენდა ლექციებს როგორიც, ვთქვათ, გემთმშენებლობაში გადამცემი მექანიზმები იყო. განა შეიძლებოდა დღისით, მზისით, ქალებისა და მამაკაცების წინაშე ასეთ ფაქიზ და იდუმალ საგანზე მსჯელობა? დოქტორი კროკოვსკი სიყვარულზე შერეულად, ერთსა და იმავე დროს პოეტური და მეცნიერული სტილით, უაღრესად მეცნიერული სტილით ლაპარაკობდა და თან სიტყვებსწამღერებითა და გატაცებით წარმოთქვამდა. ასეთი ტონი ახალგაზრდა ჰანს კასტორპს, ცოტა არ იყოს, უხამსად ეჩვენებოდა, თუმცა სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, ქალები ასე რომალეწილიყვნენ და მამაკაცებიც უთუოდ ამიტომ იჩიჩქნიდნენ ყურებს ასე გულმოდგინედ: ორატორი ხშირად ახსენებდა სიყვარულს და თან ისე ორჭოფულად, რომ ვერ გაიგებდით, ამ სიტყვაში უბიწო სიყვარულს გულისხმობდა თუ ვნებიან, ხორციელ გრძნობას და ეს ჭოჭმანი ზღვის ავადმყოფობისებურ შეგრძნებას აღძრავდა. ჰანს კასტორპს არასოდეს სმენია, ვინმეს ასე წამდაუწუმ ეხსენებინოს ეს სიტყვა, როგორც დღეს და აქ ახსენებდნენ. ასე განსაჯეთ, რომ დაფიქრდებოდა, ეჩვენებოდა, სიტყვა „სიყვარული“ არასოდეს

წამომცდენია და არც სხვისი ბაგიდან მომისმენია. აქ, ალბათ, ცდებოდა ჰანს კასტორპი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც სჯეროდა, ამ სიტყვის ასე ხშირად გამეორება არ ეგებისო. უფრო მეტიც, ეს სლიპინა ოთხი მარცვალი, რომელშიც სისინა, კბილბაგისმიერი და ხორხისმიერი თანხმოვნები და ვიწრო ხმოვნები ერია, ამდენჯერ ხსენებისგან მოყირჭდა კიდეც და სიყვარული წყალგარეულ რძედ, მოცისფრო თეთრ, მტკნარ სითხედ წარმოუდგა. მით უმეტეს, იმ მაგარ-მაგარ სიტყვებთან შედარებით, რომელთაც დოქტორი კროკოვსკი სიყვარულის ცნებას უსადაგებდა. ცხადია, დოქტორ კროკოვსკივით თუ აიღებდი თავზე ხელს, შეგეძლო მაგარ-მაგარი რაღაცები გეთქვა და დარბაზიდან ხალხი არ გაგქცეოდა. დოქტორი კროკოვსკი იმას აღარ სჯერდებოდა, თავბრუდამხვევად რომ ლაპარაკობდა ისეთ საყოველთაოდ ცნობილ საგნებზე, რომელზედაც ადამიანები დუმილს არჩევენ ხოლმე. იგი აცამტვერებდა ილუზიებს, მხოლოდ შემეცნებას უხდიდა ხარკს და ადამიანს შევერცხლილი თმის პატივისცემასაც უკარგავდა და ჩვილის ანგელოზისებური სიწმინდის რწმენასაც. სხვათა შორის, დოქტორ კროკოვსკის სერთუკზეც რბილი საყელო ჰქონდა გადმოფენილი და ნაცრისფერ წინდებზეც კვლავინდებურად სანდლები ეცვა. ეს ჩაცმულობა პრინციპულ და იდეალისტურ შთაბეჭდილებას ახდენდა, თუმცა ჰანს კასტორპს, ცოტა არ იყოს, მაინც შიშსა ჰგვრიდა. დოქტორი კროკოვსკი მაგიდაზე დალაგებული წიგნებიდან და ფურცლებიდან ამოკითხული ათასნაირი მაგალითით, ანეკდოტებითა და ლექსებითაც კი განამტკიცებდა თავის მოსაზრებებს და თან სიყვარულის საშიშ ფორმებზე მსჯელობდა, მისი გამოვლენის საოცარ, ტანჯვით აღსავსე, შემაძრწუნებელ სახეცვლილებებსა და სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალაზე ესაუბრებოდა მსმენელებს. ყველა ბუნებრივ ლტოლვათა შორის სიყვარული ყველაზე მერყევი და სახიფათო გრძნობაა, მას ძირშივე ცდუნებისა და განუკურნებელი გაუკუღმართებისკენ აქვს მიდრეკილება და ამაში არც არაფერია გასაოცარიო, - ამბობდა დოქტორი კროკოვსკი, - ოღონდ ეს ძლიერი იმპულსი მარტივი არ გახლავთ, იგი თავისი ბუნებით ძალზე რთული და მრავალმხრივია და რაც უნდა კანონზომიერი იყოს იგი მთლიანობაში, საბოლოო ჯამში მაინც გაუკუღმართებული ნაწილებისაგან არის შემდგარიო, - მაგრამ ვინაიდან, - განაგრძო დოქტორმა კროკოვსკიმ, - ადამიანებს არ სურთ, და სავსებით სამართლიანადაც, შემადგენელი ნაწილების გაუკუღმართების გამო მთელის გაუკუღმართება დაასკვნან, ამიტომ იძულებული ვართ, მთელის თუ ყველა კანონზომიერება არა, მისი ერთი ნაწილი მაინც ცალკეულ გაუკუღმართებაზეც გავავრცელოთ. ასეთი გახლავთ ლოგიკის კანონი და ჩემს მსმენელებს ვთხოვ, ეს კარგად დაიმახსოვრონო. სულიერი წინააღმდეგობანი და კორექტივები, ზნეობრივი და მომწესრიგებელი ინსტინქტები გახლავთ ის ძალა (დოქტორ კროკოვსკის კინაღამ წამოსცდა ბურჟუაზიული ყაიდის ინსტინქტებიო), რომელთა გამათანაბრებელი და შემზღუდავი გავლენის წყალობით ყველაზე გაუკუღმართებული ნაწილები ერთმანეთს კანონიერ და სასარგებლო მთელში ერწყმიან. ეს საკმაოდ გახშირებული და მისასალმებელი პროცესი გახლავთ, ოღონდ მისი შედეგი (ოდნავ აგდებულად დასძინა დოქტორმა კროკოვსკიმ) ექიმისა და მოაზროვნის საქმე აღარ არისო. სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, ეს პროცესი ბევრიც რომ მოინდომო, არ გამოგივა და ვინ იცის, იქნებ სწორედ ასეთი შემთხვევებია უფრო კეთილშობილი და სულიერადაც უფრო ფასეულიო? ზუსტად ასე იკითხა დოქტორმა კროკოვსკიმ. დიახ, სწორედ ამ შემთხვევაში ახასიათებს ორივე ძალთა ჯგუფს, როგორც ლტოლვას, ასევე მის საწინააღმდეგო იმპულსებსაც, პირველ რიგში კი სირცხვილსა და ზიზღს, განსაკუთრებული, ჩვეულებრივ, ბურჟუაზიულ-მეშჩანურ მასშტაბებზე აღმატებული ვნება და დაძაბულობაო; ხოლო სულის იდუმალ კუნჭულებში მათ შორის გაჩაღებული ბრძოლა ხელს უშლის ცთომილი ლტოლვის ისეთ დაშოშმინებას, დაოკებასა და ზნეობრივ განწმენდას, რომელსაც ჩვეულებრივი ჰარმონიისა და ნებადართული სიყვარულისაკენ მივყავართო. მაშ, როგორღა დამთავრდება ბრძოლა უბიწოებასა და სიყვარულს შორის? დიახ, სწორედ ამ ორ ძალაზეა აქ ლაპარაკი, - დასძინა დოქტორმა კროკოვსკიმ, - ეს ბრძოლა თითქოს უბიწოების გამარჯვებით მთავრდება. შიში, კეთილზნეობა, სიმორცხვით აღძრული ზიზღი, სიწმინდის

შენარჩუნების მთრთოლარე სურვილი თრგუნავენ სიყვარულს. ხელფეხშებორკილს ბნელეთში ამყოფებენ, მის მშფოთვარე ნდომას ნაწილობრივ თუ მიუშვებენ ცნობიერებამდე, თორემ მთელი მისი მრავალფეროვნებითა და ძალით ხომ ახლოსაც არგააჭაჭანებენ. ოღონდ უბიწოების ეს გამარჯვება მხოლოდ მოჩვენებითია, იგი პიროსის გამარჯვებას ჰგავს, რადგან სიყვარულის ძახილი პირს არ აგაკვრევინებს და არ დაგეძლევინებაო. დათრგუნვილი სიყვარული კი არ კვდება, უკუნეთსა და ჯურღმულში იდაგება და აღზევებისაკენ მიილტვის, იგი დაამსხვრევს უბიწოების ბორკილებს და გარდასახული და სახეშეცვლილი მაინც მოგვევლინება. როგორიღა იქნება დაგმობილი და დათრგუნვილი სიყვარულის სახე და ნიღაბი? - იკითხა დოქტორმა კროკოვსკიმ და ისე ჩაათვალიერა მსმენელთა რიგები, თითქოს პასუხს მართლამათგან მოელოდა. დიახ, რახან ამდენი თქვა, ახლა ბარემ ესეც თვითონ უნდა ეთქვა. მის გარდა, არავინ იცოდა ეს, მას კი ეტყობოდა, რომ ნამდვილად ეცოდინებოდა. ეს ცვილივით სახეგაფითრებული, თვალანთებული, შავწვეროსანი კაცი, ნაცრისფერ წინდებზე ბერის სანდლები რომ წამოეცვა, თვითონ გეგონებოდათ უბიწოებასა და ვნებას შორის გაჩაღებული იმ ბრძოლის ხორცშესხმული განსახიერება. ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა და ისიც ყველას მსგავსად დაძაბული მოელოდა პასუხს, დაგმობილი სიყვარული ხელახლა რა სახით უნდა მოგვვლინებოდა. ქალები სულგანაბულნი ისხდნენ. პროკურორმა პარავანტმა კი ერთხელ კიდევ სასწრაფოდ გამოიჩიჩქნა ყური, ვინძლო, გადამწყვეტ მომენტში არაფერი გამომეპაროსო. დოქტორმა კროკოვსკიმ წარმოთქვა: - ავადმყოფობის სახით! ავადმყოფობის სიმპტომები სიყვარულის შენიღბული მოქმედება გახლავთ, ხოლო ყოველგვარი ავადმყოფობა სახეცვლილი სიყვარულიაო, - დაასკვნა მან.
ახლა კი გაიგო ყველამ, რა იყო სიყვარული, თუმცა, ალბათ, ყველა ვერ შეძლებდა ეს პასუხი ჯეროვნად შეეფასებინა. დარბაზს ოხვრამ გადაურბინა. პროკურორმა პარავანტმა მოწონების ნიშნად მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი, დოქტორმა კროკოვსკიმ კი განაგრძო თავისი თეზისის განვითარება. ჰანს კასტორპმა თავი ჩაღუნა და მოსმენილს ჩაუფიქრდა, აბა, თუ გავიგეო, მაგრამ აზრთა ასეთ მდინარებაში გაწაფული არ გახლდათ, თანაც მარცხიანი გასეირნების შემდეგ ტვინს ძალას ვეღარ ატანდა და ყურადღება იოლად ეფანტებოდა. ახლაც მისი ყურადღება ზედ მის თვალწინ ასვეტილმა ზურგმა და მკლავმა მიიპყრო. ეს მკლავი აიწია, მოიხარა და ზედ ჰანს კასტორპის ცხვირწინ შეავლო კეფაზე დაგრაგნილ ნაწნავებს ხელი.
ჰანს კასტორპი მოინუსხა, ასე ახლოს რომ აუთამაშდა თვალწინ ეს ხელი. სხვა გზა აღარ იყო, ახლა ძალაუნებურად უნდა დაჰკვირვებოდა ამ ხელს და ყველა მისი ზადი და ადამიანური ნიშან-თვისება თითქოს გამადიდებელი შუშის ქვეშ უნდა შეგესწავლა. არა, ამ კოტიტა, მოწაფურ ხელს არისტოკრატულობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ზედ ფრჩხილები აცაბაცად წაეჭრათ, თითის სახსრები, მგონი, მთლად სუფთა არ უნდა ყოფილიყო, ხოლო ნუნები აშკარად დაჭმული ჩანდა. ჰანს კასტორპს ბაგე მოღრეცოდა, მაგრამ თვალები კვლავ მადამ შოშას ხელზე ჰქონდა მიჯაჭვული და ბუნდოვნად აგონდებოდა, რას ამბობდა დოქტორი კროკოვსკი ბურჟუაზიულ მოსაზრებებზე, რომლებსაც ხალხი სიყვარულს უპირისპირებდა... მადამ შოშას მკლავი ხელის მტევანზე უფრო მშვენიერი ჰქონდა, ეს თითქმის შეუმოსავი მკლავი, რომელიც ქალს რბილად მოეხარა და თავქვეშ ამოედო. სახელოების ქსოვილი კოფთის ქსოვილზე უფრო თხელი გახლდათ, სიფრიფანა გაზი ოდნავ ფარავდა მკლავს და სინაზესა და ჰაეროვნებას ანიჭებდა. შეუბურველი მკლავი, ალბათ, ასე წარმტაცი ვერ იქნებოდა და კაცს გულს ასე ვერ აუჩქროლებდა. ჰანს კასტორპი თითქოს გრძნობდა კიდეც, რა გრილი იქნებოდა ეს ნაზი და თან ხორცსავსე მკლავი. აბა, ამ მკლავთან რა სახსენებელი იყო ბურჟუაზიული მოსაზრებანი!
ჰანს კასტორპი თვალს ვერ სწყვეტდა მადამ შოშას მკლავს და ოცნების ზღვაში ცურავდა. მაინც როგორ იცვამენ ქალები! კეფასა და მკერდს ოდნავ მოიშიშვლებენ, მკლავებს კი გამჭვირვალე გაზით იბურავენ... მსოფლიოს ყველა კუთხეში ასე იქცევიან ქალები, რათა სურვილი გაგვიღვიძონ. ღმერთო, რა კარგია სიცოცხლე! სწორედ იმიტომაა სიცოცხლე მშვენიერი, ქალები რომ ასე მაცდურად

იცვამენ. თანაც მათი ქცევა არც არავის ეხამუშება, ამაზე არც არავინ ფიქრობს და ყველგან შეუცნობლად და უკამათოდ ეგუებიან მათ სიკეკლუცეს. ისე, სიმართლე თუ გნებავთ, კი გმართებს ამაზე დაფიქრება, თუ გსურს, სიცოცხლეს სულითა და გულით შეხაროდე. კარგად უნდა შეიგნო, რომ ეს ჩვეულება ბედნიერების მომნიჭებელი, ნამდვილად ზღაპრული ჩვეულებაა. ქალები აშკარად გარკვეული მიზნით იცვამენ ასე ზღაპრულად და მაცდურად და კეთილზნეობის ნორმებსაც არ არღვევენ, რადგან საქმე მომავალ თაობებს, ადამიანის გვარის გაგრძელებას ეხება. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მაშინ რაღა ვთქვათ, თუ ქალი დასნეულებული და დედობისათვის გამოუსადეგარია? მაშინ რაღა აზრი აქვს გაზის სახელოს? იქნებ ის, რომ მამაკაცს სნეული სხეულისადმი აღუძრას ვნება? არა, ამას ნამდვილად არა აქვს არავითარი აზრი. ასეთი სიკეკლუცე უზნეობად უნდა ჩაითვალოს და უნდა გაიკიცხოს კიდეც, რადგან სნეული ქალით მამაკაცის დაინტერესება ისეთივე უგუნურებაა, როგორიც... როგორიც, მაგალითად, თავის დროზე ჰანს კასტორპის გაუმხელელი ინტერესი იყო პშიბისლავ ჰიპესადმი. ღმერთო, რა სულელური შედარებაა! ცოტა არ იყოს, უხერხულიც კია ეს მოგონება, მაგრამ იგი ხომ დაუპატიჟებლად, თავისდა უნებურად წამოუტივტივდა გონებაში.თუმცა ჰანს კასტორპს ოცნება ამ წერტილზე გაუწყდა კიდეც, რადგან კვლავ დოქტორმა კროკოვსკიმ მიიპყრო მისი ყურადღება. დოქტორმა კროკოვსკიმ ხმას აუწია, ხელები გაშალა, თავი გვერდზე გადაიგდო და მიუხედავად იმისა, რომ ტანზე სერთუკი ეცვა, ლამის ჯვარცმულ იესო ქრისტეს დაემსგავსა!

თურმე დოქტორი კროკოვსკი თავისი მოხსენების ბოლოს სულის დანაწევრების პროპაგანდას შესდგომოდა და ყველას თავისკენ ხელგაშლით უხმობდა. შემოკრბით ჩემ ირგვლივ, ამბობდა იგი სხვა სიტყვებით, წამებულნო დატვირთის სიმძიმით წელში გადრეკილნო! და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველანი წამებულნი და წელში გადრეკილნი იყვნენ. იგი ლაპარაკობდა ფარულ ტანჯვაზე, სირცხვილსა და დარდზე და ფსიქოანალიზის მხსნელ ძალას ასხამდა ხოტბას. მთავარია, გავაშუქოთ ჩვენი გაუცნობიერებელი გრძნობები, თორემ ავადმყოფობა კვლავ გაცნობიერებულ აფექტად გარდაიქმნებაო, ყველას ნდობისაკენ მოუწოდებდა და გამოჯანსაღებას უწინასწარმეტყველებდა. შემდეგ მკლავები ძირს დაუშვა, თავი გაასწორა, მოხსენების დამხმარე დაბეჭდილი მასალები შეაგროვა, ქაღალდების შეკვრა მასწავლებელივით ამოიდო იღლიაში და ბაღში გასასვლელი კარისკენ თავაღერილი წავიდა.

ყველა ფეხზე წამოდგა. სკამები გასწიეს და იმავე გასასვლელისაკენ დაიძრნენ, საიდანაც დოქტორი გავიდა. თითქოს მას კონცენტრირებულად მიჰყვებოდნენ ყოველი მხრიდან ყოყმანით, უნებისყოფოდ, უგერგილოდ, მაგრამ მაინც ერთსულოვნად. ისევე როგორც თაგვების ჯოგი აწყდება ერთ ზღაპარში თაგვიჭერიას. ჰანს კასტორპი მდინარებას არ გაჰყოლია, სკამის ზურგს ჩასჭიდებოდა და ისე იდგა. მე ხომ სტუმრად ვარ აქ, ფიქრობდა იგი, არაფერი არ მაწუხებს და მადლობა ღმერთს, სათვალავში ჩასაგდები არა ვარ, ხოლო შემდეგ ლექციაზე აქედან შორს ვიქნები. თვალი ფრაუ შოშას გააყოლა - ქალს თავი წინ წაეწვდინა და შემპარავი ნაბიჯებით მიემართებოდა კარისაკენ. ვითომ ისიც ანაწევრებინებს თავის სულს დოქტორ კროკოვსკის? - გაიფიქრა და გული აუფართქალდა... ქალის ცქერაში გართულმა ვეღარ შეამჩნია, რომ იოახიმი სკამებს შორის იკვალავდა გზას და მისკენ მოდიოდა, და შეკრთა, როცა ბიძაშვილი დაელაპარაკა.

- შენ, მგონი, ბოლო წუთს მოხვედი, - უთხრა იოახიმმა, - შორს იყავი? კმაყოფილი ხარ გასეირნებით?

- ძალიან, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - საკმაოდ შორს გავედი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ გასეირნება ასე თუ მაწყენდა, არ მეგონა. ან ნაადრევი იყო ჩემთვის ეს გასეირნება, ან საერთოდ მწყენს და ეგ არის. ყოველ შემთხვევაში, მეორედ შორს წასვლას ვეღარ გავბედავ.

მოხსენება თუ მოგეწონაო, იოახიმს არ უკითხავს და ჰანს კასტორპსაც აღარ გამოუდვია თავი. თითქოს უსიტყვოდ შეთანხმებულანო, მოხსენების თაობაზე არც შემდეგ დაუძრავთ სიტყვა.

ეჭვი და განსჯა
ამრიგად ჩვენს გმირს სამშაბათს ერთი კვირა გაუხდა ჩამოსვლის დღიდან და დილის სეირნობიდან დაბრუნებულს თავის ოთახში პირველი კვირის ანგარიში დაუხვდა კიდეც. ეს გახლდათ მომწვანო ყდაში ჩასმული უზადოდ შედგენილი კომერციული დოკუმენტი. წიგნაკის ყდას გრიფი ამშვენებდა (ზედ მიმზიდველად გამოეხატათ ბერგჰოფის“ შენობა), მარცხენა მხარეს კი ვიწრო სვეტად იყო ჩაბეჭდილი პროსპექტის ნაწყვეტები, სადაც დაყოფილი შრიფტით ფსიქიკური მკურნალობის უახლესი პრინციპებიც“ გახლდათ მოხსენიებული. კალიგრაფიული ხელით ჩამოწერილი ანგარიში ზუსტად 180 ფრანკს შეადგენდა. კვება და საექიმო მომსახურება დღეში 12 ფრანკი ღირდა, ოთახი - 8 ფრანკი, „ჩანაწერის გადასახადის“ გრაფაში - 20 ფრანკი, ოთახის დეზინფექციის გრაფაში კი 10 ფრანკი ეწერა. თანხას თეთრეულის, ლუდისა და პირველ ვახშამზე მირთმეული ღვინის ფასი ამრგვალებდა.
ჰანს კასტორპმა სადავო ვერაფერი იპოვა, როცა იოახიმთან ერთად ჯამი შეამოწმა.
- მართალია, სამედიცინო მომსახურებით მე არ მისარგებლია, მაგრამ ეს ჩემი საქმეა, - თქვა მან, - სამედიცინო მომსახურება პანსიონის ფასშია ჩართული და ხომ ვერ მოვითხოვ, გამომიქვითეთ-მეთქი. ან რას ემსგავსება ეს, რომ მოვითხოვო? დეზინფექციაში კი, რა თქმა უნდა, მოგებას არიან. არა მგონია, იმ ამერიკელი ქალიშვილის ასაორთქლებლად 10 ფრანკის H2CO ეხრჩოლებინოთ ჩემს ოთახში, მაგრამ საერთო ჯამში, იმასთან შედარებით, რასაც აქ გვკვებავენ და გვივლიან, ანგარიში უფრო იაფი მეჩვენება, ვიდრე ძვირი, - დაასკვნა ჰანს კასტორპმა და ბიძაშვილები მეორე საუზმის შემდეგ დირექციაში“ ჩავიდნენ ანგარიშის გასანაღდებლად.
„დირექციის“ ოთახები ზედ მიწის პირზე იყო მოთავსებული და ვესტიბიულიდან გამოსული დერეფანს სამზარეულოსა და სხვა დამხმარე სათავსების მხარეს თუ გაუყვებოდით, იმ კარს ვერ ასცდებოდით. მით უმეტეს, რომ ზედ ფაიფურის ფირნიშიც გახლდათ მიმაგრებული. ჰანს კასტორპმა ინტერესით შეიჭვრიტა სამკურნალო დაწესებულების კომერციულ ცენტრში. ეს იყო ნამდვილი პატარა კანტორა: ჰყავდათ მემანქანე ქალიშვილი და სამი მოხელე, რომლებიც პულტებთან მუშაობდნენ წელში წახრილნი. მომიჯნავე ოთახში კი მინით დაფარულ საწერ მაგიდასთან, ეტყობოდა, უფრო პატივსაცემი პიროვნება - შეფი თუ დირექტორი იჯდა და მუშაობდა, ესე იგი, ჟამიდან ჟამზე კლიენტებს თავისი მონოკლიდან ცივ, საქმიან და გამომცდელ მზერას ესროდა ხოლმე. სანამ სარკმელთან ანგარიშს გაუსწორებდნენ, ქვითარს გამოუწერდნენ, ინკასაციას ჩაათავებდნენ და ხურდას დაუბრუნებდნენ, ახალგაზრდებს დინჯად და მორიდებულად ეჭირათ თავი. ხმას არ იღებდნენ და ყველას თვალებში შესცინცინებდნენ, როგორც ახალგაზრდა გერმანელებს სჩვევიათ, მოხელეებისა და დაწესებულების რიდი და პატივისცემა კანცელარიასა და მემანქანეთა ბიუროზეც რომ გადააქვთ ხოლმე. მაგრამ გარეთ გამოვიდნენ თუ არა, ენას კლიტე ახსნეს და მერეც მთელი დღე ჭორაობდნენ ბერგჰოფის“ წესწყობილებაზე. იოახიმი, როგორც აქაური მკვიდრი და ამდენად გათვითცნობიერებული პიროვნება, თავის ბიძაშვილს უამრავ კითხვაზე აძლევდა პასუხს.
თურმე ჰოფრატ ბერენსი ამ დაწესებულების არც პატრონი ყოფილა და არც უფროსი, თუმცა თამამად შეიძლებოდა კაცს ასე ეფიქრა. მის ზემოთ და ზურგს უკან იდგნენ უჩინარი ძალები, რომელთა საქმიანობა გარკვეულ მიჯნამდე მხოლოდ ბიუროს ფორმით სახიერდებოდა. ესენი გახლდნენ ზედამხედველთა საბჭო და სააქციო საზოგადოება, რომელთა წევრობა, ეტყობა, საზარალო არ უნდა ყოფილიყო. იოახიმი ირწმუნებოდა, თუმცა აქ ექიმებს მაღალი ხელფასი აქვთ და მეურნეობაშიც ზედმიწევნით ლიბერალურ პრინციპებს მისდევენ, საზოგადოების წევრები მაინც კარგა ნოყიერ დივიდენდებს მიითვლიანო. ამგვარად, ჰოფრატი დამოუკიდებელი სულაც არ გახლდათ. მართალია, იგი აქაურობის სული და გული იყო, პირველ კაცადაც ითვლებოდა და სააქციო საზოგადოებასა და მმართველობაზეც დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც მხოლოდ და მხოლოდ აგენტი გახლდათ, ფუნქციონერი, უმაღლეს ხელისუფალთა

დაახლოებული პირი და როგორც მთავარ ექიმს შეეფერებოდა, ამ წამოწყების კომერციულ საქმეებში ჩარევას არც კადრულობდა. ჰოფრატ ბერენსი, როგორც ამბობდნენ, წარმოშობით ჩრდილო-დასავლეთ გერმანიიდან იყო, მთავარი ექიმის პოსტი კი კარგა ხანია ეკავა. თუმცა თავიდან აქ დამკვიდრება არც ნდომებია და არც გეგმაში ჰქონია. დავოსში ცოლის გულისთვის ამოსულა. მისი ნეშტი თურმე უკვე დიდი ხანია განისვენებს ხეობის გასასვლელთან, მარჯვენა ფერდობზე შეფენილ თვალწარმტაც სასაფლაოზე. ექიმის ცოლი მომხიბლავი ქალი ყოფილა, თუმცა ამოღამებული თვალები ჰქონია და ასთენიური აგებულებისა ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, თურმე ასეთი ჩანს ბერენსის ბინაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოფენილ ფოტოსურათებზეც და კედლებზე ჩამორიგებულ ზეთით შესრულებულ პორტრეტებზეც, ბერენსს მოყვარული მხატვრის გაუწაფავი ხელით რომ დაუხატავს. ქალს მეუღლისათვის ქალ-ვაჟი უჩუქებია, მერე დასნეულებულა, სიცხე შემოსჩვევია, აქ ამოუყვანიათ და რამდენიმე თვეში საბოლოოდ დაუძლურებულა და გამოფიტულა კიდეც. ამბობენ, ბერენსიცოლს აღმერთებდა და მისი სიკვდილი ისე განუცდია, რომ მელანქოლია შემოსჩვევია და ახირებული საქციელიც დასჩემებიაო. ხანდახან ქუჩაში მიმავალი ხითხითებს, ხელებს იქნევს, თავის თავს ელაპარაკება და გამვლელთა ყურადღებას იქცევს თურმე. ცოლის სიკვდილის შემდეგ ბერენსი მშობლიურ კუთხეს აღარ დაჰბრუნებია.რა თქმა უნდა, ერთი მიზეზი ის იყო, რომ ცოლის საფლავი არ ეთმობოდა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ნაკლებად სენტიმენტალური მიზეზი გამხდარა - ბერენსს თვითონაც შერყევია ჯანმრთელობა და როგორც სპეციალისტს, აქ დარჩენა უმჯობინებია. ასე დამკვიდრებულა დავოსში იმ ექიმთა მსგავსად, რომლებიც იმათივე ხვედრს იზიარებენ, ვისი ჯანმრთელობის სადარაჯოზეც დგანან. ისინი ავადმყოფს ჯანმრთელი კაცის პოზიციიდან კი არ იცავენ, არამედ თვითონვე არიან სნეულებასთან წილნაყარნი. ეს თავისებური, მაგრამ არცთუ იშვიათი მოვლენა გახლავთ და უეჭველად თავისი უპირატესობაც აქვს და ნაკლიც გააჩნია. ექიმისა და პაციენტის ამხანაგობა ნამდვილად მისასალმებელია. ამბობენ, სნეულის მკურნალი და გზის მაჩვენებელი ისევ სნეული შეიძლება იყოსო, მაგრამ ვითომ ძალუძს დამონებულ კაცს თავის დამმონებელ ძალაზე ჭეშმარიტი მეუფეობა? განა ძალუძს სხვების ხსნა იმას, ვინც თვითონ არის ძლეული? სნეული ექიმი ადამიანის უბირი გრძნობისათვის პარადოქსად და გამოცანად რჩება. იქნებ ადამიანს საკუთარი გამოცდილება ავადმყოფობის არსში ჩაწვდომას კი არ უადვილებს, ან ზნეობრივად კი არ აკაჟებს, არამედ უფრო უბნევს თავგზას და აძაბუნებს? იგი სნეულებას მტკიცედ ვეღარ უსწორებს თვალს, იგი დათრგუნვილია და ვერ გადაუწყვეტია, ვის მხარეზე დადგეს. ამიტომ გვმართებს ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა სნეულთა სამყაროს წარმომადგენელი ისევე იყოს დაინტერესებული ადამიანის განკურნებით, როგორც ეს ჯანსაღ კაცს სჩვევია?..

ეს ეჭვი და ვარაუდი გამოთქვა ჰანს კასტორპმა, როცა იოახიმს ბერგჰოფსა“ და მის სამედიცინო ხელმძღვანელზე ესაუბრებოდა. იოახიმმა მიუგო, არავინ იცის, ბერენსი დღესაც პაციენტია თვითონ თუ არა, ალბათ, უკვე დიდი ხანია გამოჯანმრთელდაო. მან რომ აქ პრაქტიკას მიჰყო ხელი, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. კარგა ხანს დამოუკიდებლად უმუშავია და მალე გაუთქვამს კიდეც სახელი, როგორც სმენაგამახვილებულ დიაგნოსტსა და პნევმოთორაქსის სპეციალისტს. შემდეგ ბერენსი ბერგჰოფს“ დაუსაკუთრებია და ათი წელიწადია აქაურობასთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებულიო, უამბო ჰანს კასტორპს იოახიმმა. დოქტორ ბერენსის ბინა, - განაგრძო იოახიმმა, - ქვედა სართულში, ჩრდილო-დასავლეთის ფლიგელის ბოლოშია მოთავსებული (დოქტორი კროკოვსკიც იქვე ახლოს ცხოვრობსო) და ქვრივის საოჯახო მეურნეობას ის დიდგვაროვანი უფროსი ექთანი უძღვება, სეტემბრინი რომ დაცინვით ახსენებდაო. საერთოდ, ჰოფრატი მარტოხელაა. მისი ვაჟი გერმანიის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ისმენს ლექციებს, ქალიშვილი კი ფრანგულ შვეიცარიაში ცხოვრობს, ადვოკატს ჰყავს ცოლადო. ახალგაზრდა ბერენსი თურმე ხანდახან ჩამოდის მამასთან არდადეგებზე. ერთხელ იოახიმის აქ ყოფნაშიც ჩამოსულა. აქაური ქალები დიდ მღელვარებას მოუცავს, ტემპერატურას ყველასთვის აუწევია, ვერანდებზე ეჭვიანობის ნიადაგზე ერთმანეთსაც კი

დარევიან, ხოლო დოქტორ კროკოვსკის სპეციალურ მისაღებ საათებზე ზედახორა გამართულა თურმე.
ასისტენტს ცალკე ჰქონდა მისაღები ოთახი. ეს ოთახიც დიდი მისაღები ოთახის, ლაბორატორიის, საოპერაციო დარბაზისა და გასაშუქებელი კაბინეტის მსგავსად, კარგად განათებულ სარდაფში იყო მოთავსებული. სარდაფი იმიტომ ვახსენეთ, რომ პირველი სართულიდან ჩამავალი ქვის კიბე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს სარდაფში ჩადიოდით, თორემ სინამდვილეში პირველი სართული საკმაოდ მაღალზე იდგა. თანაც მთლიანად „ბერგჰოფის“ შენობა მთის ფერდობზე იყო წამოჭიმული და „სარდაფის“ ოთახები ბაღსა და ხეობას გადაჰყურებდა. ამგვარად, ეს კიბე თავის დანიშნულებას სულაც არ ამართლებლა: კაცს ეგონა, კიბით მიწის ქვეშ ჩავდივარო და მიწის პირზე ან, დიდი-დიდი, ერთი-ორი მტკავლით ქვემოთ კი აღმოჩნდებოდა. ამ ამბავმა ჰანს კასტორპი ძალიან გაამხიარულა, როცა ერთ მშვენიერ დღეს თავის ბიძაშვილს მასაჟისტთან „ჩაჰყვა“ ასაწონად. „სარდაფში“ კლინიკის შესაფერი სინათლე და სისუფთავე სუფევდა, ყველაფერი თეთრად ქათქათებდა, თეთრ ლაქწასმულ კარს პრიალი გაჰქონდა. დოქტორ კროკოვსკის მისაღები ოთახის კარიც თეთრი ლაქით იყო შეღებილი. ზედ სწავლულის სავიზიტო ბარათი ჭიკარტებით მიემაგრებინათ. კარი დერეფანზე ორი საფეხურით დაბლა იდგა და კარს იქით მდებარე ოთახს კაბინეტის იერს უკარგავდა. კიბის ხელმარჯვნივ, დერეფნის ბოლოში დატნეული ეს კარი ჰანს კასტორპმა ნიშანში ამოიღო და სანამ იოახიმის მოლოდინში დერეფანში ბოლთას სცემდა, იქითკენ ხშირად იხედებოდა. დაინახა, იმ ოთახიდან ქალი რომ გამოვიდა. ქალი ახალჩამოსული იყო და ჰანს კასტორპმა მისი გვარი ჯერ არ იცოდა. პატარა, მოხდენილმა ქალმა, რომელსაც შუბლზე კულულები ჰქონდა ჩამოყრილი და ოქროს საყურე ეკეთა, საფეხურები ამოათავა, წელში მოიხარა, ცალი ხელით კაბის კალთა აიკრიფა, ბეჭდებით დახუნძლული მეორე პატარა ხელით კიტუჩებზე ხილაბანდი მაგრად მიიჭირა, უფერული, დამფრთხალი, ფართო თვალები სივრცეს გაუშტერა და კიბისკენ ასე წაშარიშურდა. უცებ შეჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მაგრამ ისევ ცუნცულით გაიქცა და კიბის მოსახვევს ისე მიეფარა, რომ არც წელში გამართულა და არც ხილაბანდი მოუშორებია პირიდან.
მის ზურგს უკან გაღებულ კარში თეთრ დერეფანზე გაცილებით ბნელი ოთახი გამოჩნდა, ეტყობოდა, კლინიკის სინათლე იქამდე ვეღარ აღწევდა. როგორც ჰანს კასტორპმა შენიშნა, დოქტორ კროკოვსკის ანალიზურ კაბინეტში მრუმე ბინდი სუფევდა.

სუფრული საუბარი

აჭრელებულ სასადილო დარბაზში ახალგაზრდა ჰანს კასტორპი უხერხულად გრძნობდა თავს - საკუთარი ინიციატივით იმ დაწყევლილი გასეირნების შემდეგ ბაბუასეული თავის კანტური დასჩემდა და მაინცდამაინც სუფრასთან აუტყდებოდა ხოლმე. ჰანს კასტორპი თავის კანტურს ვერც იკავებდა და ვერც დაფარვას ახერხებდა. ნიკაპს მკერდზე ღირსეულად კი იბჯენდა, მაგრამ ასე ყოფნას დიდხანს ვერ უძლებდა და ათასგვარ საშუალებას იგონებდა თავისი ნაკლის შესანიღბავად. მაგალითად, აქაოდა, თანამესუფრეებს ვესაუბრებიო, თავს წამდაუწუმ აქეთ-იქით ატრიალებდა, წვნიანით სავსე კოვზს პირთან რომ მიიტანდა, მარცხენა მკლავს მაგრად დააბჯენდა მაგიდაზე, რათა თავი შეემაგრებინა. პაუზებში იდაყვებითაც კი ეყრდნობოდა მაგიდას და თავს ხელს შეუბჯენდა, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, რომ ასეთი უდიერი საქციელი მხოლოდ სნეულთა ხელმიშვებულ საზოგადოებაში თუ გამოადგებოდა. ჰანს კასტორპს ისე უჭირდა, რომ ცოტაც და, სასადილო დარბაზში ყოფნა სატანჯველად გადაექცეოდა. მერედა, როგორ არ ეთმობოდა ეს ტრაპეზები! მათ ხომ ამდენი მღელვარება და ღირსშესანიშნაობა მოჰქონდათ თან.
დიახ, ასეთი გახლდათ საქმის ვითარება და ჰანს კასტორპმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს სამარცხვინო ამბავი, თვითონ რომ თავგამოდებით ებრძოდა, წმინდა ფიზიკური წარმოშობისა არ იყო და ამას მხოლოდ აქაურ ჰაერსა და მძიმე აკლიმატიზაციას ვერ დააბრალებდა. თავის კანტური შინაგან მღელვარებას

ამხელდა და სწორედ ზემოხსენებული მღელვარებითა და ღირსშესანიშნაობებით გახლდათ გამოწვეული.
მადამ შოშა თითქმის ყოველთვის იგვიანებდა სუფრაზე და მის მოსვლამდე ჰანს კასტორპი ვერ ისვენებდა, აწრიალებული ელოდა, შემინული კარი ქალის შემოსვლაზე ჩვეულებისამებრ როდის აზრიალდებოდა. წინასწარ იცოდა, რომ თვითონ ამ ხმაზე შეკრთებოდა და სახე გაუცივდებოდა, რაც ასევე რეგულარულად ემართებოდა ხოლმე. პირველ ხანებში თავს გაბრაზებული შემოატრიალებდა და უდიერ დამგვიანებელს „კარგ რუსულ მაგიდამდე“ გაალმასებული მზერით მიაცილებდა. ზოგჯერ ხმადაბლა კბილებშუა გამოცრიდა გასაკიცხ სიტყვას ან ქალს აღშფოთებულ წამოძახილს დაადევნებდა ხოლმე. თანდათან ამას გადაეჩვია. ახლა ცხვირს თეფშში ჩარგავდა, ტუჩს მოიკვნეტდა და თავს განგებ მიატრიალებდა, რადგან ეჩვენებოდა, აღარც გაბრაზების უფლება მაქვს და აღარც ვინმეს გაკიცხვა მეკითხებაო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონაც ურევია ხელი დანაშაულში და სხვების წინაშე პასუხისმგებლობა მასაც ეკისრებაო. მოკლედ, ჰანს კასტორპს სირცხვილი წვავდა, მაგრამ სწორი არ იქნებოდა, გვეთქვა, რომ მას ფრაუ შოშას მაგივრად რცხვენოდა. იგი პირადად თვითონ იწვოდა სირცხვილით ხალხის წინაშე, რაც, სხვათა შორის, სრულიად ზედმეტი გახლდათ - დარბაზში არც ფრაუ შოშას მანკიერება ენაღვლებოდა არავის და არც იმას კითხულობდა ვინმე, ჰანს კასტორპს ამის გამო სირცხვილი წვავს თუ არაო. ამ მხრივ, იქნებ მარტო მის ხელმარჯვნივ მჯდომი მასწავლებელი, ფროილაინ ენგელჰარტი ყოფილიყო გამონაკლისი.
ეს საცოდავი არსება მიხვდა, რომ კარის მიჯახუნებისადმი ჰანს კასტორპის გრძნობიერების წყალობით მის ახალგაზრდა თანამესუფრესა და რუს ქალს შორის ერთგვარი აფექტური ურთიერთობა დამყარდა. შემდეგ იმისაც მიხვდა, რომ საქმე ყველაზე ნაკლებად ამ ურთიერთობის ხასიათს ეხებოდა, თუკი საერთოდ არსებობდა ეს ურთიერთობა და ბოლოს იმასაც მიხვდა, რომ ჰანს კასტორპის არტისტული გაუწვრთნელობისა და უნიჭობის წყალობით ცუდად გათამაშებული გულგრილობა ამ ურთიერთობის შესუსტებას კი არა, მის გაძლიერებასა და უფრო ამაღლებულ ფაზაში გადასვლას მოწმობდა. ფროილაინ ენგელჰარტი პირადად თავისთვის არაფერს გამოელოდა, მაგრამ ფრაუ შოშას საქებრად აღტაცებულ სიტყვებს არ იშურებდა და საოცარი ის იყო, რომ ჰანს კასტორპი თუმცა მაშინვე ვერა, მაგრამ თანდათან მაინც კარგად მიხვდა და განჭვრიტა, ფროილაინ ენგელჰარტი როგორ აქეზებდა და აღიზიანებდა. ამ აღმოჩენამ ზიზღი მოჰგვარა, მაგრამ მაინც არ მოუნდომებია, ფროილან ენგელჰარტის გავლენას გამკლავებოდა და ჯადოსათვის თავი აერიდებინა.
- ჯახ! - იტყოდა ხოლმე შინაბერა, - აი, ისიც მობრძანდა. მიხედვაც არაა საჭირო იმის გასაგებად, ვინ შემოვიდა. რა თქმა უნდა, ისაა. აგერ, მოდის. მერე რა წარმტაცად მორონინებს, გეგონება, რძის ჯამისკენ ფისუნია მიიპარებაო. რა კარგი იქნებოდა, ადგილები გაგვეცვალა, მაშინ თქვენც ჩემსავით მარჯვედ შესძლებდით, დაჰკვირვებოდით. განა არ მესმის, რომ ყოველთვის თავს ვერ მოატრიალებთ. ღმერთმა იცის, რას არ იფიქრებს, თუ შეგამჩნიათ... ახლა თავისიანებს ესალმება... ერთი მაინც მიგეხედათ, ამ ქალის ყურება ერთ რამედ ღირს. ლაპარაკისას რომ იღიმება, ლოყაზე ღრმული უჩნდება, მაგრამ ყოველთვის კი არა, როცა თვითონ მოესურვება, მაშინ ჩაკუჭავს ლოყას. რაც გინდათ, თქვით და მართლაც ოქროსავით ქალია. ეგ დაუდევრობა განებივრების ბრალი გახლავთ. ასეთი ადამიანი ძალით შეგაყვარებს თავს. ასეთები თავიანთი დაუდევრობით კი გაბრაზებენ, მაგრამ,სამაგიეროდ, ეს გაბრაზება კიდევ უფრო აძლიერებს ერთგულებას. განა ბედნიერება არ არის, ვინმეზე გული მოგდიოდეს და მაინც გიყვარდეს.
ასე პირზე ხელაფარებული, სხვებისაგან მალულად ებუტბუტებოდა მასწავლებელი ჰანს კასტორპს. შინაბერას ქინქლიან ლოყებზე მოდებული სიწითლე სხეულის არანორმალურ ტემპერატურაზე მეტყველებდა, ხოლო მისი ავხორცული ყბედობასაბრალო ყმაწვილს ტვინს უბურღავდა. ჰანს კასტორპს სიმტკიცე და დამოუკიდებლობის გრძნობა აკლდა და ამიტომ მოთხოვნილება ეღვიძებოდა, მესამე პირისაგან მოესმინა, მადამ შოშა მომხიბლავი ქალიაო. თან სულითა და გულით სწყუროდა, ვინმეს შეეგულიანებინა და თამამად მისცემოდა

იმ გრძნობებს, მისი გონება და სინდისი რომ ეწინააღმდეგებოდა.
სხვათა შორის, ეს საუბარი პრაქტიკული თვალსაზრისით ნაკლებად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ფროილაინ ენგელჰარტს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ფრაუ შოშაზე კონკრეტულს ვერაფერს იტყოდა, იმაზე მეტს ვერაფერს იტყოდა, რაც სანატორიუმში სხვას არ შეეძლო, სცოდნოდა. იგი ფრაუ შოშას არ იცნობდა, ვერც მისი საერთო ნაცნობებით დაიტრაბახებდა. ჰანს კასტორპთან მხოლოდ იმით თუ მოიწონებდა თავს, რომ თვითონ კიონიგსბერგელი გახლდათ, ესე იგი, რუსეთის საზღვართან არცთუ ისე მოშორებით ცხოვრობდა და ორი ღერი რუსული იცოდა. მაგრამ ჰანს კასტორპი მზად იყო, ამ საცოდავ უპირატესობაში ფრაუ შოშასთან რაღაც მრავლისმეტყველი პირადი კავშირი დაენახა.
- ხელზე ბეჭედი არ უკეთია, - უთხრა ჰანს კასტორპმა ფროილაინ ენგელჰარტს, - მის ხელზე ნიშნობის ბეჭედი არ დამინახავს. ეს როგორღა გავიგოთ? თქვენ ხომ მითხარით, გათხოვილიაო?
მასწავლებელმა ისე დაიმორცხვა, თითქოს ჩიხში მოექციოთ და ახლა თავი უნდა დაიძვრინოსო. იგი თითქოს ვალდებულად თვლიდა თავს, ჰანს კასტორპის წინაშე ფრაუ შოშა გაემართლებინა.
- ამ ამბავს ნუ გამოვეკიდებით, - უპასუხა მან, - ის ნამდვილად გათხოვილია. აქა არაფერია საეჭვო. თავის თავს „მადამს“ პატივმოყვარეობის გამო კი არ ეძახის. სხვა უცხოელ ქალიშვილებს როდი ჰგავს, რომ გადამწიფდებიან და გათხოვილი ქალის სახელს იჩემებენ. ყველამ ვიცით, რომ ნამდვილად ჰყავს სადღაც რუსეთში ქმარი. კურორტზე ვისაც უნდა ჰკითხოთ, ამას ყველა დაგიდასტურებთ. ქალიშვილობის გვარი რუსული აქვს და არა ფრანგული წარმოშობისა, რაღაც ანოვზე ბოლოვდება თუ უკოვზე, ვიცოდი და დამავიწყდა. თუ გნებავთ, გავიკითხავ. აქ უეჭველად იქნება ვინმე, მისი გვარი რომ ეცოდინება. ბეჭედიო, თქვენ თქვით? არა, ის ბეჭედს არ ატარებს. ეგ მეც მომხვდა თვალში. ღმერთო დიდებულო, ალბათ, არ უხდება, ფართო ხელს თუ უჩენს. ან იქნებ ბეჭდის ტარება მეშჩანობად მიაჩნია... ეს უბრალო რგოლი რა ბედენაა, ესღა აკლია, გასაღებების აცმულა ატაროს კიდევ... არა, საამისოდ იგი ნამდვილად დიდბუნებოვანი ქალია... მე ვიცი, რუს ქალებს მოსდგამთ რაღაცნაირი სილაღე და დიდბუნებოვნება. გარდა ამისა, საქორწინო ბეჭედი კაცს თითქოს აფრთხობს და აფხიზლებს. იგი, თუ გნებავთ, მორჩილების სიმბოლოა, ქალს მონაზვნური იერით მოსავს და უკარება ყვავილს ამსგავსებს. ჰოდა, სულაც არ მიკვირს, ამას ფრაუ შოშა რომ ვერ ეგუება... მომხიბლავი ქალია, გაფურჩქვნის ასაკში... ალბათ, საიმისო არც საბაბი აქვს და არც სურვილი, ყველა მამაკაცს, ვისაც კი ხელს გაუწვდის, მაშინვე აგრძნობინოს, ოჯახის ხუნდებითა ვარ შებორკილიო...
ღმერთო დიდებულო, როგორ იჭაჭებოდა მასწავლებელი. ჰანს კასტორპმა შიშით შეხედა სახეში, ქალმა ვითომ დაირცხვინა, მაგრამ მაინც უტეხად გაუსწორა თვალი. შემდეგ ორივე გაჩუმდა, რათა ცოტა მაინც მოეთქვათ სული. ჰანს კასტორპი საჭმელს შეექცეოდა და თან ცდილობდა, როგორმე შეეკავებინა თავის კანტური. ბოლოს თქვა:
- მერე ქმარი? ქმარს სულ არა აქვს ცოლის დარდი? აქ, ზევით, არ ნახულობს ხოლმე? თვითონ რას წარმოადგენს?
- ჩინოვნიკია, რუსი ჩინოვნიკი. სადღაც მიგდებულ გუბერნიაში, დაღესტანში მსახურობს. იქნებ იცით ეს კუთხე, აღმოსავლეთშია, შორს, კავკასიონს გადაღმა. აი, იქ გახლავთ გამწესებული. არა, ხომ გითხარით, აქ, ზევით, ის არავის უნახავს- მეთქი. ქალი კი აგერ, მესამე თვეა კვლავ აქ არის.
- მაშ, პირველად არ არის „ბერგჰოფში“?
- არა, უკვე მესამედაა. შუალედებში კი სხვა ამის მსგავს ადგილებში ცხოვრობს. პირიქით, ქალი ესტუმრება ხოლმე ქმარს ხანდახან, ისიც ხშირად არა, წელიწადში ერთხელ და ისიც ცოტა ხნით. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ქალი ქმარს იშვიათად თუ მოინახულებს ხოლმე.
- თუკი ავადაა, რა ქნას...
- ავად როგორ არ არის, მაგრამ... არც ისე ავადაა, რომ სულ სანატორიუმში იცხოვროს და ქმარს მოსცილდეს. აქ რაღაც უფრო ღრმა მიზეზები იმალება. დიახ, ჩვენთან ყველა ფიქრობს, რომ აქ სხვა მიზეზები იმალება. ალბათ, იმ დასაკარგავში, კავკასიონს გადაღმა დაღესტანში, ველურ მხარეში ცხოვრება არ

მოსწონს და, ბოლოს და ბოლოს, ეგ არც არის გასაკვირი. ცოტა ბრალი, ალბათ, ქმარსაც მიუძღვის, ქალს რომ სულ არ უნდა მასთან ყოფნა. მის ქმარს ფრანგული გვარი კი აქვს, მაგრამ ერთი რუსი ჩინოვნიკია და მეტი არაფერი. შეგიძლიათ მერწმუნოთ, რომ რუსიჩინოვნიკები გაუთლელი ხალხია. ერთხელ მინახავს მაგ წრის კაცი. რკინისფერი ბაკენბარდები ჰქონდა და წითელი სახე... დიდი მექრთამეები არიან, „ვუტკისთვის“, ესე იგი, არყისთვის, ხომ სულს ლევენ, ზრდილობისგულისთვის თუ მიატანენ რამეს - ერთ-ორ ცალ დამწნილებულ სოკოს ან ერთ ნაჭერ თართს და მერე უზომოდ ბევრს სვამენ. ჰოდა, ამას წასაუზმებას ეძახიან.
- თქვენ ყველაფერს კაცს აბრალებთ, - შეეკამათა ჰანს კასტორპი, - ჩვენ რა ვიცით, იქნებ ქალია დამნაშავე, ერთმანეთს რომ ვერ ეწყობიან. კაცი სამართლიანი უნდა იყო. ამ ქალს რომ შევხედავ და ეს კარის უზრდელი მოჯახუნებაც რომ მომაგონდება... ცუდად არ ჩამომართვათ და, ანგელოზი არა მგონია, მისი ბევრი არაფერი მწამს. თქვენ კი ისე შეჰფოფინებთ ამ ქალს, რომ პირდაპირ მზადა ხართ, ყველაფერი მის სასარგებლოდ შეატრიალოთ...
ჰანს კასტორპი ხანდახან ასე შეაბრუნებდა ხოლმე კეხს. ბუნებით უეშმაკო კაცი იყო, მაგრამ ეშმაკობასაც არ ერიდებოდა, ოღონდ კი საქმე ისე წარმოედგინა, ვითომ ფროილაინ ენგელჰარტის გატაცებას ფრაუ შოშათი სულ სხვა სარჩული ედო, ვითომ ეს გატაცება დამოუკიდებელი და თავშესაქცევი ფაქტი გახლდათ და მას, ჰანს კასტორპს, სულ არ ეხებოდა. თვითონ შეეძლო გულგრილად და დამცინავად განზე გამდგარიყო და შინაბერა შორიდან გაეღიზიანებინა. თან ისე მტკიცედ იყო დარწმუნებული, ჩემი თანამზრახველი ამ უტიფარ ოინს შეიფერებს და შეიშნობსო, რომ გასარისკიც არაფერი ჰქონდა.
- დილა მშვიდობისა! - ეუბნებოდა იგი ფროილაინ ენგელჰარტს, - კარგად გეძინათ? იმედი მაქვს, თქვენს მშვენიერ მინკას ნახავდით სიზმარში... არა, მაინც როგორ მაშინვე წითლდებით, მის სახელს რომ გიხსენებენ! მისთვის პირდაპირ ჭკუას კარგავთ, ამაზე ჯობია, უარს ნუ იტყვით!
და მასწავლებელი, რომელიც მართლა გაწითლებულიყო და ლამის ფინჯანში ჩაერგო თავი, ტუჩის მარცხენა კუთხით ბუტბუტებდა:
- კარგი რა, ბატონო კასტორპ! ეგ არ შეგშვენით, თქვენი ნართაულებით რომ მარცხვენთ. ხომ ყველა ამჩნევს, იმ ქალზე მელაპარაკებით და თან ისეთ რამეებს მეუბნებით, რომ მაწითლებთ...
ეს ორი თანამესუფრე დიდ ამბავში იყო. ორივემ იცოდა, რომ ორმაგად და სამმაგად ცრუობდნენ. ჰანს კასტორპი მხოლოდ იმიტომ აღიზიანებდა მასწავლებელს, რომ ფრაუ შოშაზე ჩამოეგდო სიტყვა, თან შინაბერასთან ლაზღანდარობა თავისებურ ავადმყოფურ კმაყოფილებასაც ჰგვრიდა. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, სხვა მიზეზები ამოძრავებდა: ჯერ ერთი, გულში მაჭანკლობის ჭია ჰქონდა შემჯდარი, მეორეც, ყმაწვილი კაცის ხათრით ცოტა მართლა შევარდნოდა ფრაუ შოშაზე გული და ბოლოს საცოდავი სულის სიღრმეში უბადრუკ ტკბობას განიცდიდა, ყმაწვილი კაცი რომ ელაზღანდარებოდა და აწითლებდა. ამავე დროს ორივეს საკუთარი თავისაც კარგად ესმოდა და ერთმანეთისაც, ისიც კარგად იცოდნენ, რომ ერთმანეთის გულისნადებს კითხულობდნენ და იმასაც კარგად ხვდებოდნენ, დახლართულ და ბინძურ საქმეში რომ ჰქონდათ თავი გაყოფილი. თუმცა ჰანს კასტორპს ჭირის დღესავით ეზარებოდა ყოველგვარი დახლართული და ბინძური საქმე და ამჯერადაც ზიზღით ევსებოდა გული, მაგრამ ამ ამღვრეულ წყალში ფართხალს მაინც განაგრძობდა და თავს იმშვიდებდა, აქ, ზევით, სტუმრადა ვარ მოსული და მალე გავემგზავრებიო. იგი მოჩვენებითი საქმიანი იერითა და მცოდნე კაცის თვალით ახასიათებდა „დაუდევარი“ ქალის გარეგნობას, ამტკიცებდა, ანფასში ნამდვილად უფრო ახალგაზრდა და ლამაზი ჩანს, ვიდრე პროფილშიო, თუმცა თვალები შორი-შორსა აქვს განლაგებული და მიხრა-მოხრაც უკეთესი რომ ჰქონდეს, აჯობებდაო. სამაგიეროდ, მკლავები ნაზად მოყვანილი და მშვენიერი აქვსო. ამას ამბობდა და თან ცდილობდა, თავის კანტური დაეფარა. თანაც არა მარტო მიხვედრილი იყო, მასწავლებელს ჩემი ამაო ჭაპანწყვეტა შემჩნეული აქვსო, არამედ აღშფოთებულმა შენიშნა, რომ შინაბერაც ზუსტად ისევე აკანტურებდა თავს. ისიც მარჯვე დიპლომატიური სვლა და დიდი ეშმაკობა გახლდათ, ფრაუ შოშას

„მშვენიერი მინკა“ რომ უწოდა. ამის შემდეგ შეეძლო თავისუფლად ეკითხა:
- „მინკას“ კი ვეძახი, მაგრამ სინამდვილეში რა ჰქვია? ისე ხართ ამ ქალზე გაგიჟებული, რომ სახელიც უეჭველად გეცოდინებათ.
მასწავლებელი ჩაფიქრდა.
- დამაცათ, სახელი ვიცი, - თქვა მან, - ნამდვილად ვიცოდი. ტატიანა ხომ არ ჰქვია? არა, ტატიანა არა. არც ნატალია. ნატაშა შოშა? არა, არ გამიგონია, ვინმეს ასე ეხსენებინოს. სდექ! მომაგონდა, ავდოტია ჰქვია თუ რაღაც ამდაგვარი. ყოველ შემთხვევაში, კატენკა ან ნინოჩკა ნამდვილად არა ჰქვია. სახელი ნამდვილად დამვიწყებია, მაგრამ თქვენ თუ გაინტერესებთ, მაგის გაგებას რა უნდა.
მეორე დღეს მასწავლებელმა მართლა გაიგო მადამ შოშას სახელი. სადილობისას, მოჯახუნდა თუ არა შემინული კარი, ფროილაინ ენგელჰარტმა ფრაუ შოშას სახელი ახსენა - მას კლავდია ჰრქმეოდა.
ჰანს კასტორპმა კარგად ვერ გაიგონა ქალის სახელი და სანამ დაიმახსოვრებდა, რამდენჯერმე გაამეორებინა და დაამარცვლინა. შემდეგ თვითონაც წარმოთქვა რამდენჯერმე, თან ჩაწითლებული თვალებით გახედაფრაუ შოშას და სახელი მიუსადაგა.
- კლავდია, - თქვა მან, - დიახ, ნამდვილად ეს უნდა ერქვას, ნამდვილად ასეა.
იგი სიხარულს აღარ ფარავდა, ინტიმური წვრილმანი რომ გაარკვია და ფრაუ შოშას იმ დღიდან მხოლოდ „კლავდიად“ იხსენიებდა.
- სწორედ ახლა შევასწარი თვალი, თქვენი კლავდია პურს როგორ აგორგალებს. ეს მის დახვეწილობას მოწმობს-მეთქი, ვერ ვიტყვი.
- საქმე ისაა, ვინ აკეთებს ამას, - მიუგო მასწავლებელმა, - კლავდიას ესეც უხდება.
დიახ, ამ დარბაზში, სადაც შვიდი მაგიდა იყო გადაჭიმული, ყოველ ტრაპეზს უდიდესი მომხიბლაობა ჰქონდა ჰანს კასტორპისათვის. ტრაპეზის დამთავრებაზე გული სწყდებოდა, მაგრამ ნუგეშად ის რჩებოდა, რომ სულ მალე, ორ ან ორ-ნახევარ საათში, კვლავ დაბრუნდებოდა უკან; ხოლო აქ რომ იჯდა, ასე ეგონა, აქედან არასოდეს ფეხი არ მომიცვლიაო. აბა, ტრაპეზებს შორის რა ხდებოდა? არაფერი. მოკლე გასეირნება ღელემდე ან ინგლისურ კვარტალამდე და ცოტა ხანს დასვენება შეზლონგზე. ეს შუალედი სერიოზულად არც იყო ანგარიშში ჩასაგდები და არც ძნელად გადასალახავი დაბრკოლება გახლდათ. სხვა იყო, წინ ან სამუშაო, ან რაიმე საზრუნავი და გასაჭირი დახვედროდა, რაც გონებაში იოლად არ გადაიხარშებოდა და არ დაიძლეოდა. არა, მადლობა ღმერთს, ასეთი რამ „ბერგჰოფის“ გონივრულად და ბედნიერად მოწესრიგებულ ცხოვრებაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო. დამთავრდებოდა თუ არა ერთი საერთო ტრაპეზი, მაშინვე მომდევნოს შეხაროდა. „თუკი სიხარული“ შეიძლება ეწოდოს იმ მოლოდინს, იმ გრძნობას, რასაც ის სნეულ ფრაუ კლავდია შოშასთან ახალ შეხვედრამდე განიცდიდა. იქნებ „სიტყვა სიხარული“ ამ გრძნობისათვის მეტისმეტად მსუბუქი, გაქსუებული, მარტივი და ჩვეულებრივი გამომდგარიყო. „თუმცა იქნებ მკითხველმა სწორედ „გაქსუებული“ და „ჩვეულებრივი“ მიიჩნიოს ჰანს კასტორპის პიროვნებისა და მისი სულიერი ცხოვრების შესაფერ, დამახასიათებელ სიტყვებად. მაგრამ შეგახსენებთ, რომ მასავით გონიერ და პატიოსან ახალგაზრდა კაცს მხოლოდ „სიხარულს“ ვერ მოჰგვრიდა ფრაუ შოშას დანახვა და სიახლოვე. ჰოდა, ეს რომ უნდა ვიცოდეთ, სწორედ ამიტომ დავასკვნით: მისთვის ეს სიტყვა რომ შეგვეთავაზებინა, მხრებს აიჩეჩდა და უკუაგდებდა-თქო.
დიახ, იგი იუკადრისებდა გრძნობის გამოხატვის ზოგიერთ ფორმას, - ეს დეტალი დიახაც რომ აღნიშვნის ღირსია. ლოყებატკეცილი ჰანს კასტორპი ღიღინით დაეხეტებოდა აღმა-დაღმა. ემღერებოდა, რადგან მუსიკალურად გრძნობამორეულ ყოფაში იყო ჩავარდნილი. ღიღინებდა ერთ სიმღერას, რომელიც, ვინ იცის, სად და როდის გაეგონა. მგონი, რომელიღაც საზოგადოებაში თუ საქველმოქმედო კონცერტზე მღეროდა ერთი სუსტი სოპრანო ამ სიმღერას. ჰანს კასტორპს ახლა მოჰგონებოდა ეს ნაზი სისულელე, რომელიც ასე იწყებოდა:
„თუნდ ერთადერთი სიტყვა
ლხენით ამივსებს გულს...“
და, ის იყო, დააპირა გაეგრძელებინა:

„შენი ბაგიდან მომწყდარი
ესალბუნება სულს!“
რომ უცებ მხრები აიჩეჩა და სასაცილოაო“, ჩაილაპარაკა. ეს ტკბილი სიმღერა უგემოვნო და უაზრო ეჩვენა და როგორღაც მელანქოლიურად და თან მკაცრად მოიცილა თავიდან. ამგვარად ჩაშაქრული სიმღერა ისეთ კაცს შეიძლებოდა მოსწონებოდა და მოსალბუნებოდა, რომელიც თავის გულს“, როგორც მიღებულია თქმა, კანონიერად, მშვიდობიანად და სამარადისოდ მიუძღვნიდა“ იქ, ქვევით, ბარში რომელიმე ჯანსაღ ბატისტვინას და თავის კანონიერ, მშვიდობიან, გონივრულ, სინამდვილეში კი გაქსუებულ გრძნობებს მიეცემოდა. მადამ შოშასთან მის ურთიერთობას“ - ეს უკანასკნელი სიტყვა მის სინდისზე იყოს, ჩვენ ვიხსნით ამაზე პასუხისმგებლობას, - ასეთი კუპლეტები არამც და არამც არ შეეფერებოდა. თავის შეზლონგზე წამოწოლილმა მოთხოვნილება იგრძნო, ამ საკითხზე ესთეტიკური მსჯავრი გამოეტანა. სიმღერისათვის „ტუტუცური“ ეწოდებინა, შუაზე გაეწყვიტა და თან ცხვირი აებზუებინა, თუმცა, სამაგიეროდ, უფრო შესაფერი ვეღარაფერი ეპოვა.
ერთი რამ კი ანიჭებდა კმაყოფილებას: ასე რომ იწვა და თავის გულს, ფიზიკურად არსებულ გულს, რომ აყურადებდა, საკუთარი გულის აჩქარებული ბაგაბუგი მკაფიოდ ესმოდა რეჟიმით დაწესებულ სიჩუმეში, რომელიც მთავარი სამკურნალო წოლისა და ძილის საათებში მთელ ბერჰგოფში“ გამეფებულიყო. გული ჯიუტად და დაჟინებით უცემდა. გული სულ ასე ჰქონდა, რაც აქ, ზევით, ამოვიდა, ოღონდ პირველ დღეებთან შედარებით ახლა ამას ნაკლებად დაგიდევდათ. ახლა ვეღარ იტყოდით, გული თავისით, უმიზეზოდ და სულთან ყოველგვარი კავშირის გარეშე ძგერსო. ასეთი კავშირი არსებობდა და ადვილი აღსაძვრელიც გახლდათ. სხეულის ეგზალტირებული მოქმედება შეიძლებოდა სულის მოძრაობით ახსნილიყო და გამართლებულიყო. საკმარისი გახლდათ, ჰანს კასტორპს ფრაუ შოშაზე ეფიქრა, - და ფიქრობდა კიდეც, - რომ გულის ამაძგერებელი გრძნობადაუფლებოდა.
შიშის მოძალება. ორი ბაბუის ამბავი და ნავით მოგზაურობა ბინდბუნდში
საძაგელი ამინდი იდგა. ხანმოკლე ვადით ჩამოსულ ჰანს კასტორპს ამ მხრივ ბედი არ სწყალობდა. არ თოვდა, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენიმე დღე გულის გამაწვრილებლად წვიმდა. ხეობა სქელ ნისლში იყო გახვეული. ისე ციოდა, რომ სასადილო დარბაზსაც კი ათბობდნენ და ამ დროს ხეობაში წამდაუწუმ სასაცილოდ გაისმოდა უდროო ქუხილის ექო.
- გული მწყდება, - თქვა იოახიმმა, - ვფიქრობდი, საუზმეს თან წავიღებთ და შაცალპზე ან სადმე გავისეირნებთ-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სურვილს ახდენა არ უწერია, იქნებ უკანასკნელ კვირას მაინც დაგიდგეს დარი.
მაგრამ ჰანს კასტორპმა უპასუხა:
- კარგი ერთი.გასეირნების ეშხით სულაც არ ვიდაგები. იმ პირველ გასეირნებაზეც კარგად ვიწყევლე თავბედი. ყველაზე უკეთ მაშინ ვისვენებ, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ერთფეროვნად რომ ვატარებ დღეს. გადახალისება აქ კარგა ხნით დაფუძნებული ხალხისთვისაა მოგონილი. სამი კვირით ჩამოსულ კაცს, აბა, რა გადახალისება მჭირდება.
ასედაც გახლდათ. ჰანს კასტორპისათვის აქაც ჩქეფდა სიცოცხლე და გარეთ გასახედად არც ეცალა. თუკი გულში იმედი უღვიოდა, აქვე ელოდა იმედის ახდენაც და გაცრუებაც და არა სადღაც შაცალპზე. მოწყენილობა არ აწუხებდა. პირიქით, უკვე შიში შეეპარა გულში, რომ აქ ყოფნის დასასრული სულ მალე დაუდგებოდა. უკვე მეორე კვირა ილეოდა. მისი დროის ორი მესამედი საცაა ჩათავდებოდა, მესამეც დაიწყებოდა და მერე უკვე ჩემოდნების ჩალაგებაზე უნდა ეფიქრა კაცს. ჰანს კასტორპს დროის შეგრძნების პირველმა გამოცოცხლებამ დიდი ხანია გაუარა, დღეები უკვე მიქროდნენ, დიახ, მიქროდნენ, თუმცა თითოეული მათგანი ყოველდღე განახლებული მოლოდინის წყალობით ჭიანურდებოდა და გაუმხელელი ფარული განცდებისაგან იფუყებოდა... დიახ, დრო იდუმალებით მოცული რამ არის. ძნელია მისი თვისებების გაცნობიერება!
განა საჭიროა მაინცდამაინც დავახასიათოთ ის ფარული განცდები, ჰანს კასტორპს დღეებს კიდეც რომ უმძიმებდა და ფრთებსაც რომ ასხამდა? ეს ყველასათვის ნაცნობი განცდები გახლავთ, თავისი მგრძნობიარე უბადრუკობის

წყალობით სავსებით ჩვეულებრივნი რომ არიან და არც იმ უგემოვნო სიმღერის შესაფერ გონივრულ და იმედისმომცემ შემთხვევაში წარიმართებოდნენ სხვაგვარად.
შეუძლებელი იყო, მადამ შოშას ერთ-ერთი მაგიდიდან მისკენ გაბმული ძაფები არ შეენიშნა. ჰოდა, ჰანს კასტორპის თავშეუკავებელი სურვილიც ის იყო, რომ ქალს რაიმე კი არა, რაც შეიძლებოდა მეტი შეემჩნია. ჩვენ თავშეუკავებელს ვუწოდებთ ამ სურვილს, რადგან ჩვენს გმირს სავსებით ჰქონდა შეგნებული, რა უაზრობა იყო ყოველივე ეს, მაგრამ ჰანს კასტორპისთანა გაჭირვებაში რომ კაცი ჩავარდება, მას სული მისდის, თავისი გულისთქმა იმ სხვასაც გააგებინოს როგორმე, თუნდაც ეს გულისთქმა ყოველგვარ აზრს იყოს მოკლებული. ასეთი გახლავთ ადამიანის ბუნება.
ამგვარად, ფრაუ შოშა, შემთხვევით თუ მაგნიტური ზემოქმედების წყალობით, ჭამის დროს რამდენჯერაც შემობრუნდა იმ მაგიდისაკენ, იმდენჯერვე ჰანს კასტორპის თვალებს წააწყდა. მეოთხეჯერ ქალმა განზრახ მოიხედა და ამჯერადაც ჰანს კასტორპის თვალებს შეხვდა. მეხუთედ მადამ შოშას კინაღამ მოეცარა ხელი, რადგან სწორედ იმ წუთში ჰანს კასტორპი საგუშაგოზე არ აღმოჩნდა. მაგრამ ყმაწვილმა კაცმა მაშინვე იგრძნო, ქალმა შემომხედაო და ისე ჯიქურ გაუსწორა თვალი, რომ ფრაუ შოშას გაეღიმა და თავი მიიბრუნა. ამ ღიმილმა ჰანს კასტორპს შიშნარევი იმედით და აღტაცებით აუვსო გული. ქალი თუ ბავშვად თვლიდა, ძალიან შემცდარი გახლდათ. ჰანს კასტორპს ფაქიზი და ამაღლებული გრძნობები სწყუროდა. მეექვსეჯერ, როცა იგუმანა, ფრაუ შოშა ახლა გამოიხედავსო, თავი ისე დაიჭირა, ვითომ ფერისმჭამელებიან ქალს აკვირდებოდა ამრეზით, რომელიც მათ მაგიდას პაპიდასთან სალაპარაკოდ მოახლოებოდა.
ჰანს კასტორპმა კარგა ორ-სამ წუთს გამოიჩინა რვალისებური სიმტკიცე. ცდუნებას გაუძლო და მანამდე არ მოუხედავს, სანამ არ დარწმუნდა, რომ შორიდან მოთვალთვალე ყირგიზული თვალები ჩამოეხსნენ. ეს გახლდათ საოცარი სახიობა, რომელიც ფრაუ შოშას არამცთუ შეეძლო, არამედ აუცილებლად უნდა განეჭვრიტა და ჰანს კასტორპის დიდ დახვეწილობასა და თავშეკავებას საგონებელში უნდა ჩაეგდო... საქმე იქამდე მივიდა, რომ კერძებს შორის შესვენებაზე ფრაუ შოშა დაუდევრად შემოტრიალდა და დარბაზი მოათვალიერა. ჰანს კასტორპი საგუშაგოზე იდგა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. სანამ ერთმანეთს უყურებდნენ - ავადმყოფი გამომცდელად და დამცინავად, ჰანს კასტორპი კი - აღელვებული, მაგრამ მტკიცედ (ასე განსაჯეთ, ჰანს კასტორპმა კბილი კბილსაც კი დააჭირა, რომ ქალის მზერისათვის გაეძლო) - ქალს კინაღამ ხელსახოცი დაუვარდა - კალთიდან კინაღამ ჩამოუცურდა იატაკზე. ქალი შეკრთა და ხელსახოცს ხელი შეაშველა. ამ დროს ჰანს კასტორპი, თითქოს ელვამ დაუარა სხეულშიო, სკამიდან წამოიწია. მზად იყო, იმ რვა მეტრს თვალდახუჭული გადავლებოდა, მათ შორის გაჩხერილი მაგიდისათვის გვერდი აევლო და ქალსმიშველებოდა, თითქოს კატასტროფა მოხდებოდა, ხელსახოცი რომ იატაკზე დავარდნილიყო. ქალმა ზედ იატაკთან მოასწრო ხელსახოცისთვის ხელის წავლება. იატაკისკენ დახრილმა ხელსახოცს ყურში წაავლო ხელი და სახემოღუშულმა ქვემოდან ამოხედა ჰანს კასტორპს. ალბათ, თავის ირგვლივ ატეხილმა უაზრო პატარა პანიკამ თუ გაანაწყენა და დამნაშავედ ჰანს კასტორპი ჩათვალა, მაგრამ ყმაწვილი კაცი ასე წარბებაძგიბული და გადმოსახტომად კამარაშეკრული რომ დაინახა, გაეღიმა და პირი მიიბრუნა.
ჰანს კასტორპი სიხარულით ცას ეწია, მაგრამ საპასუხო დარტყმას არ დაუყოვნებია - მადამ შოშა ორი დღის, ესე იგი, ათი ტრაპეზის განმავლობაში, დარბაზისაკენ საერთოდ აღარ შემობრუნებულა. ასე განსაჯეთ, თავის ჩვეულებასაც კი უღალატა - საზოგადოებისთვის თავი აღარ წარუდგენია“. ქალი გულქვაობას იჩენდა. მაგრამ რახან ეს მანევრები აშკარად ჰანს კასტორპისაკენ იყო მიმართული, ყმაწვილი კაცი აღარაფერს დაგიდევდათ: მათ შორისთუმცა ნეგატიური, მაგრამ მაინც რაღაც ურთიერთობა არსებობდა და ეს საკმარისი გახლდათ.
ჰანს კასტორპი მშვენივრად ხედავდა, რომ იოახიმი სავსებით მართალი იყო, თანამესუფრეებს თუ არ ჩავთვლით, აქ ნაცნობობის გაბმა სულაც არ არის

ადვილიო. სანატორიუმის მკვიდრნი ნასადილევს ერთადერთი საცოდავი საათის განმავლობაში იყრიდნენ თავს, ის ერთი საათიც ხშირად ოც წუთამდე დადიოდა ხოლმე და მაშინაც მადამ შოშა მუდამ თავის წრეში იჯდა მცირე სალონის სიღრმეში მკერდჩავარდნილ მამაკაცთან, თმახუჭუჭა კომიკურ ქალიშვილთან, წყნარ დოქტორ ბლუმენკოლსა და მხრებჩამოყრილ ყმაწვილთან ერთად. ეტყობოდა, ეს სალონი „კარგი რუსული მაგიდის“ წევრებს თავისთვის ჰქონდათ შეგულებული. არც იოახიმს უდგებოდა დიდხანს გული დამსვენებელთა საზოგადოებაში, აქაოდა, სამკურნალო წოლის საათი არ შევიმოკლოო. ვინ იცის, იქნებ სხვა დიეტური ხასიათის მიზეზებიც ამოძრავებდა იოახიმს და არ ამხელდა. ჰანს კასტორპი თვითონვე ხვდებოდა ამ მიზეზებს და მათ პატივსაც სცემდა. ჩვენ ჰანს კასტორპს თავშეუკავებლობა ვუსაყვედურეთ, მაგრამ სადამდეც უნდა მიეცა თავისი სურვილებისათვის გასაქანი, იგი ფრაუ შოშასთან ოფიციალური ნაცნობობისაკენ არ ისწრაფოდა და ნაცნობობის გაბმისათვის ხელის შემშლელი გარემოებანი სავსებით აძლევდა ხელს. ის ბუნდოვანი და დაძაბული ურთიერთობა, რომელიც შორიდან ლაციცის წყალობით დამკვიდრებულიყო მასა და რუს ქალს შორის, არაოფიციალური გახლდათ, ის არც არაფერს ავალებდა და ვერც დაავალებდა. რაკი ამ ურთიერთობას საზოგადოება ვერ მოუწონებდა, ამიტომ მარტო ის ფაქტი, „კლავდიაზე“ ფიქრი გულს მიძგერებსო, სულაც არ იყო საკმარისი, შეერყია ჰანს ლორენც კასტორპის შვილიშვილის რწმენა, რომ ამ უცხოელთან, რომელიც ქმარს მოშორებული ცხოვრობდა, თითზე ბეჭედი არ ეკეთა და კურორტიდან კურორტზე დაწანწალებდა, უზრდელად იქცეოდა, კარს აჯახუნებდა, პურს აგორგალებდა და ნამდვილად ფრჩხილებსაც იკვნეტდა, იმ იდუმალი ურთიერთობის გარდა, საერთო არაფერი არ შეიძლებოდა ჰქონოდა - მათ ღრმა უფსკრული აშორებდა ერთმანეთს და ეს ქალი მის კრიტიკას ვერ გაუძლებდა. კეთილგონიერების გამო ჰანს კასტორპს პიროვნული ამპარტავნობა არ ახასიათებდა, მაგრამ ზოგადი, ოდითგანვე შესისხლხორცებული ქედმაღლობა შუბლზე და ძილნასვამ თვალებში ეწერა. ამ ქედმაღლობისაგან მომდინარეობდა ის უპირატესობის გრძნობა, რასაც იგი ფრაუ შოშასა და მისი მანერების ცქერისას განიცდიდა. ამ გრძნობას ვერსად გაექცეოდა და არც უნდოდა, გაჰქცეოდა. საოცარი იყო, ეს დიდი უპირატესობა განსაკუთრებით მაშინ იგრძნო ცოცხლად და, ალბათ, პირველადაც, როცა ერთ დღეს ფრაუ შოშას გერმანული გაიგონა. ქალი ერთ-ერთი ტრაპეზის შემდეგ დარბაზში შეჩერებულიყო, ორივე ხელი ჟაკეტის ჯიბეებში ჩაეწყო და როგორც ჰანს კასტორპმა მოჰკრა ყური, ვიღაც პაციენტ ქალთან საუბარში - ალბათ, სამკურნალო ვერანდის კომპანიონთან - გერმანულს აცოდვილებდა და სხვათა შორის, ეს საკმაოდ მომხიბლავადაც გამოუდიოდა. მადამ შოშა ჰანს კასტორპის დედაენაზე ცდილობდა ლაპარაკს. ამ ამბავმა ერთბაშად განუცდელი სიამაყით აღავსო ჰანს კასტორპი, თუმცა მყისვე სურვილიც მოეძალა, სიამაყე იმ აღტაცებისთვის შეეწირა, ქალის დამტვრეულმა გერმანულმა და მისმა მიმზიდველმა ბორძიკმა რომ მოჰგვარა.

ერთი სიტყვით, ჰანს კასტორპი აქაურ დამსვენებელთა ამ დაუდევარ წარმომადგენელთან უსიტყვო ურთიერთობას ისეთ საარდადეგებო თავგადასავლად თვლიდა, რომელსაც „გონიერების ტრიბუნალის“, მისი საკუთარი გონივრული სინდისის წინაშე თავის მოწონების პრეტენზია ვერ ექნებოდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ფრაუ შოშა ავად იყო, მოდუნებული, სიცხიანი და ჭიანაჭამი. ეს გარემოება მჭიდროდ უკავშირდებოდა მთელი მისი არსებობის ორჭოფულობას და ჰანს კასტორპის გულში განრიდებისა და სიფრთხილის გრძნობის გაჩენაშიც ერია ხელი. არა, მასთან ნამდვილი ნაცნობობის გაბმა არც უფიქრია ჰანს კასტორპს, ხოლო დანარჩენს რაც შეეხება, ყველაფერს კვირა-ნახევარში ავად თუ კარგად მოეღებოდა ბოლო, როცა ტუნდერისა და ვილმსის“ ფირმაში შეუდგებოდა პრაქტიკას.

ჯერჯერობით კი იმ პაციენტისადმი ნაზი გრძნობებით აღძრული სულისმოძრაობანი, მღელვარება, იმედის გამართლება და გაცრუება თანდათან თავისი არდადეგების აზრად და შინაარსად ექცა. ამ გრძნობებით სულდგმულობდა და გუნება-განწყობაც მათი წარმატება-წარუმატებლობის მიხედვით ეცვლებოდა. მისი გრძნობების გაღვივების გარემოებანიც ჩინებულად უწყობდა ხელს. მტკიცე და ყველასათვის სავალდებულო დღის რეჟიმის

წყალობით დამსვენებლები შემოზღუდულ სივრცეში იყვნენ მოქცეულნი. მერე რა, რომ ფრაუ შოშა სხვა სართულზე - კერძოდ, მეორე სართულზე - ცხოვრობდა (როგორც ჰანს კასტორპს მასწავლებელმა აცნობა, იგი სამკურნალო წოლის საათს საერთო ვერანდაზე ატარებდა. სწორედ იმ ბანზე მოწყობილ ვერანდაზე, სადაც კაპიტანმა მიკლოზიჩმა ამ ცოტა ხნის წინ სინათლე ჩააქრო). ხუთ ტრაპეზზე ხომ აუცილებლად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და გარდა ამისა, დილიდან საღამომდე ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლებოდა, თუმცა შეიძლებოდა კი არა, თითქმის გარდაუვალიც გახლდათ ერთმანეთთან შეხვედრა. ამ შეხვედრებს რომ არავითარი საზრუნავი და საქმე არ უშლიდა ხელს, ჰანს კასტორპს დიდებულად მიაჩნდა, თუმცა ასე კარჩაკეტილი და თან სასიამოვნო შემთხვევითობებით აღსავსე ცხოვრება ეხამუშებოდა კიდეც.
მიუხედავად ამისა, ჰანს კასტორპმა მაინც შეიწუხა თავი და ბედისბორბალს ხელი წააშველა. რადგან ფრაუ შოშას ჩვეულებად ჰქონდა სუფრაზე დაგვიანება, ისიც შეეცადა, როგორმე ფეხი აეთრია და ქალს სადმე გზაში გადაჰყროდა. აჭიანურებდა ტუალეტს, იოახიმს მომზადებული არ ხვდებოდა, გაისტუმრებდა და ეტყოდა, მეც ახლავე მოვალო. ინსტინქტის კარნახით შესაფერ წუთს დაელოდებოდა და მეორე სართულისაკენ გაეშურებოდა. იქ იმავე კიბით აღარ აგრძელებდა გზას, ტალანს ბოლომდე გაივლიდა და სხვა კიბეს მიაშურებდა, რომელიც მისთვის კარგა ხანია ცნობილი #7 ოთახის ახლოს ჩადიოდა. ამ გზაზე, ერთი კიბიდან მეორემდე გადაჭიმულ ტალანში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე არსებობდა შანსი, რომ ის ნაცნობი კარი გაღებულიყო. კარი მართლაც ბევრჯერ იღებოდა და ფრაუ შოშას ზურგს უკან მოჯახუნდებოდა, თუმცა თვითონ ქალი უჩუმრად გადიოდა ოთახიდან და კიბისაკენ ასევე უჩუმრად მიიპარებოდა ხოლმე... შემდეგ ან ქალი მიდიოდა მის წინ და თმას ხელით ისწორებდა, ან ჰანს კასტორპი უსწრებდა და ზურგში მის მზერას გრძნობდა. ამ დროს მთელ ტანში მოიშლებოდა და ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ სურვილი კლავდა, ქალის წინაშე თავი მოეწონებინა და ისე იქცეოდა, თითქოს მის არსებობას ვერცა გრძნობს და თავისთვის არხეინად მისეირნობსო. ხელებს სერთუკის ჯიბეებში ჩაიწყობდა, მხრებს სულ ტყუილუბრალოდ იჩეჩდა, ხან ღონივრად ჩაახველებდა და მკერდზე ხელს იბაგუნებდა, ერთი შემომხედეთ, რა თავისუფლად მიჭირავს თავიო.
ერთი-ორჯერ უფრო ღრმად შეტოპა ჰანს კასტორპმა. უკვე სუფრასთან იჯდა, რომ უცებ შუბლზე ხელი იტკიცა და ვითომ შეწუხებულმა ჩაილაპარაკა, ცხვირსახოცი დამრჩენია, ახლა ხელმეორედ რა ავა ზევითო და უკან გაბრუნდა, რათა „კლავდიას“ პირისპირ შესჩეხებოდა. პირისპირ შეყრას სულ სხვა ეშხი და ლაზათი ჰქონდა, სულ სხვა ჟრჟოლა ახლდა თან, მასთან რა სახსენებელი იყო ქალის წინ გასწრება თუ უკან ჩამორჩენა. პირველად, როცა ჰანს კასტორპმა ეს მანევრი ჩაატარა, ქალმა შორიდან საკმაოდ მოურიდებლად და უტიფრად შეათვალიერა თავიდან ფეხებამდე, მაგრამ ახლოს რომ მოვიდა, გულგრილად მიიბრუნა სახე და გვერდით ისე ჩაუარა. ამრიგად, ამ შეხვედრით ჰანს კასტორპი ბევრს ვერაფერს დაიტრაბახებდა. მეორეჯერ ქალი მარტო შორიდან კი არა, მთელი ამ ხნის მანძილზე უცქერდა, სანამ ერთმანეთს მიუახლოვდებოდნენ. უყურებდა სახეში მტკიცედ და, ცოტა არ იყოს, პირქუშადაც კი. გვერდით რომ ჩაუარა, თავიც კი შემოაბრუნა მისკენ და საბრალო ჰანს კასტორპს მუხლი მოეკვეთა. კაცმა რომ თქვას, ჰანს კასტორპი შებრალების ღირსი არც იყო, მახეში თავისი ნებით ებმებოდა და ამ ოინებსაც საკუთარ თავს თვითონვე უწყობდა. ამ შეხვედრამ მაშინვე შეძრა ჰანს კასტორპი და მერეც დიდხანს ვერ დაიოკა მღელვარება. რადგან ყველაფერმა რომ ჩაიარა, მაშინ დაინახა ნათლად, რაც მოხდა: ფრაუ შოშას სახე აქამდე არასოდეს შეჰფეთებია ასე ახლოს, ასე ცხადად და ნათლად არ უნახავს არასდროს: ახლა ჰანს კასტორპი მისი ქერა თმის ყოველ ბუსუსსაც არჩევდა ნათლად: ქალის თმას ფოლადისებური სიწითლე დაჰკრავდა და ნაწნავებად იყო თავზე უბრალოდ შემოგრაგნილი. სულ რამდენიმე მტკაველი აცილებდა მის სახეს ქალის საოცარი, მისთვის შორიდან უკვე ასე ნაცნობი და ასე სანუკვარი ნაკვთებისაგან. უცხო, დამახასიათებელი სახე (საერთოდ, კაცს მხოლოდ უცხო სახე ეჩვენება დამახასიათებლად) ჩრდილოური ეგზოტიკითა და იდუმალებით იყო სავსე და ძირამდე ჩასაწვდომად იწვევდა კაცს, იმდენად ძნელი იყო მისი ნიშან-თვისებების გარკვევა. ყველაზე დამახასიათებელი ამ სახეში

მაინც თვალში საცემად ამობურცული ყვრიმალები გახლდათ, რომლებიც თითქოს გასაქანს არ აძლევდნენ უჩვეულოდ ბრტყლად, უჩვეულოდ შორი-შორს განლაგებულ თვალებს და ოდნავ შესამჩნევად ელამს აჩენდნენ. მათივე ბრალი იყო, რომ ლოყები ჩაცვივნული ჩანდა, სავსე ტუჩები კი - ამობურცული და ოდნავ წინ წამოზიდული. ყველაზე უფრო დამახასიათებელი მაინც თვალები ჰქონდა მადამ შოშას - ვიწრო და ჰანს კასტორპის აზრით, მომაჯადოებლად გაჭრილი ყირგიზული თვალები,შორეული მთების მოლურჯო-ნაცრისფერი თუ მონაცრისფრო სილურჯე რომ დაჰკრავდათ. ისინი მიიბნიდებოდნენ, დაინისლებოდნენ და ღამესავით ჩამუქდებოდნენ, როცა სივრცეში ალმაცერად და უჩინოდ იყურებოდნენ ხოლმე. ჰოდა, ეს თვალები მოურიდებლად, სულ ახლოდან რომ უბღვერდნენ ჰანს კასტორპს, განლაგებით, ფერითა და გამომეტყველებით თვალში საცემად და შემაშფოთებლად ჰგავდნენ პშიბისლავ ჰიპეს თვალებს, არა ჰგავდნენო“ არ გამოდგებოდა ამ შემთხვევაში: ეს იგივე თვალები გახლდათ. ფართო შუბლი და ყვრიმალები, პაჭუა ცხვირი, ყველაფერი - მოწითალო თეთრი კანი და ლოყების ღაჟღაჟა ფერიც ავადმყოფის მსგავსად მხოლოდ ჰაერზე ხანგრძლივად წოლით შეეძინა, - ყველაფერი პშიბისლავს აგონებდა. პშიბისლავიც ასე უყურებდა, ერთმანეთს სკოლის ეზოში რომ აუვლ-ჩაუვლიდნენ ხოლმე.

ეს ყოველნაირად შემაშფოთებელი გახლდათ. ამ შეხვედრით აღტაცებულიც იყო და თან შიშის მოძალებასაც გრძნობდა. ისეთი შებორკილობის გრძნობა ეუფლებოდა, როგორც ამ ვიწრო სივრცეში ხელსაყრელი შემთხვევებით აღვსილი გამომწყვდევა იწვევდა მის გულში. დიდი ხანია დავიწყებული პშიბისლავი აქ, ზევით, ფრაუ შოშასსახით კვლავ რომ გამოეცხადა და ყირგიზული თვალები შეანათა, ესეც გამომწყვდევას ნიშნავდა და ისეთი გარდაუვალობით იყო აღბეჭდილი, რომ ვერც გაექცეოდი და ვერც გვერდს აუვლიდი. ეს გვერდაუვლელი რამ კი ბედნიერებასაც ანიჭებდა და ძრწოლასაც ჰგვრიდა. ჰანს კასტორპი გრძნობდა, იმედითა და შიშით როგორ ევსებოდა გული, გრძნობდა, რომ ხიფათი ელოდა და დაუძლეველი სურვილი ერეოდა, ვინმესთვის საშველად მოეხმო. მის სულსა და გულში გრძნობათა ბუნდოვანი ინსტინქტური ჭიდილი მიმდინარეობდა, რისთვისაც შეიძლებოდა საყრდენის ხელის ფათურით ძებნა და ხსნის წყურვილი დაგვერქმია. იგი გულში არჩევდა სხვადასხვა პიროვნებას, იქნებ რომელიმეზე ფიქრმა დამაშოშმინოსო.

განა გვერდში არ ჰყავდა იოახიმი, კეთილი, წესიერი იოახიმი, აქ გატარებული თვეების წყალობით თვალებში ნაღველი რომ ჩასდგომოდა და ხანდახან ისე დაუდევრად და თან ფიცხლად იჩეჩდა მხრებს, რასაც ადრე არასდროს არ იზამდა? იოახიმი ჯიბეში ლურჯი ჰაინრიხითურთ“. ასე ეძახდა ამ ჭურჭელს ფრაუ შტორი და თან ისეთ შტერულ და უტიფარ სახეს იღებდა, რომ ჰანს კასტორპს ძრწოლა ერეოდა ხოლმე. დიახ, პატიოსანი იოახიმი აქ გახლდათ. იგი ჰოფრატს სისხლს უშრობდა, ქვევით, ანუ ბარში“ გამიშვიო, როგორც აქ რბილად, მაგრამ აშკარად დამაკნინებელი აქცენტით ეძახდნენ ჯანსაღ ადამიანთა სამყაროს. იოახიმი თავის საოცნებო სამხედრო სამსახურს ეშურებოდა, ოღონდ კი სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყო და დრო მოეგო, დრო, რომელსაც ასე დაუზოგავად ფლანგავდნენ აქ და იოახიმი, უპირველეს ყოვლისა, სამკურნალო სამსახურს ეწეოდა კეთილსინდისიერად. ამას, რა თქმა უნდა, გამოჯანსაღების გულისათვის სჩადიოდა, მაგრამ ჰანს კასტორპი ხანდახან ეჭვობდა, იოახიმი ცოტა სამკურნალო სამსახურსაც სწყალობსო, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა რომელიმე სამსახურს, რადგან მოვალეობის მოხდა აქაც სავალდებულო გახლდათ. ამიტომ იოახიმი საღამოს თხუთმეტ წუთს თუ გაატარებდა სალონში და აივანზე დასაწოლად მიიჩქაროდა. კიდევ კარგი, რომ მისი მხედრული პუნქტუალურობა ეხმარებოდა ჰანს კასტორპისთანა სამოქალაქო ტიპის კაცს, თორემ ის, ალბათ, უმიზნოდ და უპერსპექტივოდ კიდევ კარგა ხანს იყურყუტებდა პაციენტების საზოგადოებაში და თვალი პატარა რუსული სალონისაკენ გაექცეოდა. იოახიმი რომ ასე დაჟინებით იმოკლებდა საზოგადოებაში ყოფნის დროს, ამას სხვა ფარული მიზეზიც ჰქონდა. ჰანს კასტორპს აღარ უჭირდა, გამოეცნო, იოახიმი პაციენტების საზოგადოებას თავს რად არიდებდა. ერთხელ უკვე მიხვდა, მისი ბიძაშვილი რატომ ფითრდებოდა და

ტუჩ-პირიც საცოდავად რატომ ეღრიცებოდა. დიახ, მარუსიაც მეტწილად აქ იყო ხოლმე, ხითხითა მარუსია, მშვენიერ თითზე ლალი რომ უბრწყინავდა. მარუსია ფორთოხლის სურნელს აფრქვევდა და მაღალი, მაგრამ ჭიანაჭამი მკერდი ჰქონდა. და ჰანს კასტორპი მიხვდა, რომ იოახიმი განგებ გაურბოდა ამ გარემოს, რადგან იგი მეტისმეტად, შიშის მომგვრელად იზიდავდა. იქნებ იოახიმიც „გამომწყვდეული“ იყო ამ ვიწრო სივრცეში და მასზე უფრო მაგრადაც, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარუსია თავისი ფორთოხლის სურნელნაპკურები ცხვირსახოცითურთ დღეში ხუთჯერ ეჯდა სუფრასთან? ასე იყო თუ ისე, იოახიმს საკუთარი გაჭირვება ჰყოფნიდა და მას მშველელად ვერ გამოადგებოდა. თუმცა თავყრილობიდან იოახიმის ყოველდღიური გაქცევა პატივისცემას იმსახურებდა, მაგრამ მის მაგალითს ნაკლებად შეეძლო ჰანს კასტორპი დაეშოშმინებინა. მით უმეტეს, რომ ხანდახან ეჩვენებოდა, იოახიმის სამკურნალო სამსახურისადმი ერთგულებასა და ჩემთვის მოცემულ რჩევა-დარიგებაში საეჭვო არაფერი იმალებოდესო.

ჰანს კასტორპს „ბერგჰოფში“ ჯერ ორი კვირაც არ გაეტარებინა, მაგრამ ეგონა, საუკუნეა, აქა ვარო. აქ, ზევით, შემოღებული დღის რეჟიმი, რომელსაც იოახიმი, თავის მხრივ, ჯარისკაცური მორჩილებით იცავდა, მასაც თანდათან წმიდათაწმიდა, ხელშეუხებელ წესად ექცა და ბარში მჩქეფარე ცხოვრება აქედან თითქმის უცნაური და უკუღმართი ეჩვენებოდა. ჰანს კასტორპინელ-ნელა გაიწაფა შალის საბნების შემოხვევაში. ამ საბნებში პაკეტივით გამოკრული კაცი ნამდვილ მუმიას ემსგავსებოდა ხოლმე. ბევრი აღარაფერი აკლდა, რომ მასაც იოახიმივით სწრაფად, მარჯვედ და კოხტად შემოეგდო ირგვლივ შალის საბნები, ხოლო იმის გაფიქრებაზე, რომ ბარში ამ ხელოვნებისა და წესებისა არავის არაფერი გაეგებოდა, ჰანს კასტორპს გაოცება იპყრობდა ხოლმე. დიახ, ეს საკვირველი გახლდათ, მაგრამ ამასთან ჰანს კასტორპს ისიც აოცებდა, ეს ამბავი რომ უკვირდა და ხელახლა ეუფლებოდა ის მღელვარება, რისთვისაც გულის კარნახით რჩევისა და საყრდენის საძებრად აცეცებდა ხოლმე თვალებს.

ამ დროს ხან ჰოფრატი ბერენსი და მისგან sine pecunia მიღებული რჩევა მოაგონდებოდა, ყველაფერში პაციენტებს მიჰბაძე და სიცხეც კი გაიზომეო; აგონდებოდა სეტემბრინიც, ეს რჩევა სიცილად რომ არ ეყო და „ჯადოსნური ფლეიტიდან“ მოიყვანა რაღაც ციტატა. დიახ, ამ ორ ადამიანზეც შეეცადა, ეფიქრა, აბა, მათი გახსენება გულს თუ დამიმშვიდებსო. ჰოფრატი ბერენსი თმაგათეთრებული კაცი გახლდათ. იგი მამად შეეფერებოდა ჰანს კასტორპს, იმიტომაც ედგა ამ დაწესებულებას სათავეში და უმაღლეს ავტორიტეტადაც ითვლებოდა. ამ მამობრივი ავტორიტეტისაკენ ახალგაზრდა ჰანს კასტორპს მღელვარედ მიუწევდა გული, სცადა კიდეც, ფიქრით ჰოფრატს ბავშვურადმინდობოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჰოფრატს აქ ცოლი მიებარებინა მიწისათვის, დარდისაგან ცოტა უცნაურიც გამხდარიყო და აქაურობასაც ვეღარ მოშორებოდა, რადგან ვერც საფლავს შელეოდა და თვითონაც შერყეოდა ჯანმრთელობა. ახლა როგორღა იყო საქმე? ვითომ გამოჯანსაღებულია ჰოფრატი, ვითომ გულწრფელად უნდა ადამიანები განკურნოს და კვლავ ჩააბას ბარის ორომტრიალში? ლოყები ჩალურჯებული ჰქონდა ჰოფრატს და ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, თითქოს სიცხე აქვს აწეულიო. იქნებ თვალი ატყუებდა ჰანს კასტორპს და სახის სილურჯე ჰავის ბრალი იყო? განა თვითონაც სულ არ უხურდა სახე, სიცხე კი არ ჰქონდა, რამდენადაც შეეძლო უთერმომეტროდ განესაჯა? თუმცა ჰოფრატს რომ მოუსმენდით, ნამდვილად იფიქრებდით, სიცხე აქვს აწეულიო. რაღაც უცნაური ლაპარაკის მანერა ჰქონდა, მკვირცხლად, რიხიანად და თან გულთბილად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ლაპარაკის მანერაში მაინც იგრძნობოდა რაღაცნაირი აგზნებულობა და ეგზალტაცია. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაგიმტკიცდებოდათ, თუ ჩალურჯებულ ლოყებსაც მიიღებდით მხედველობაში და აცრემლებულ თვალებსაც, რომლებიც ისე ჩასწითლებოდა, თითქოს ისევ თავის ცოლს მისტირისო. ჰანს კასტორპს მოაგონდა, სეტემბრინიმ ჰოფრატის „მელანქოლიასა“ და „ბიწიერებაზე“ ენა რომ მოიფხანა და მას „გზააბნეული სული“ უწოდა. ეს სიტყვები შეიძლებოდა გესლიან და თავქარიან ხუმრობად მიგვეღო, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ჰოფრატ ბერენსზე ფიქრი ჰანს კასტორპს

გასამხნევებლად მაინც არ გამოადგებოდა.
კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თვითონ სეტემბრინიც ხომ აქ გახლდათ, ოპოზიციონერი, ჩიტირეკია და homo humanus“, როგორც თვითონ უწოდებდა თავის თავს და ჰანს კასტორპს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით უმტკიცებდა, ერთმანეთთან შერწყმული ავადმყოფობა და სისულელე წინააღმდეგობას არ ქმნიან და ადამიანური გრძნობებისათვის არც დილემას წარმოადგენენო. სეტემბრინიზე რაღას იტყოდა? ვითომ წაადგებოდა რამეში იმაზე ფიქრი? ჰანს კასტორპს მშვენიერად ახსოვდა, აქ ზევით, ღამღამობით შემოჩვეულ, ზედმიწევნით ცხად სიზმრებში როგორ მოსდიოდა გული, იტალიელის ნატიფ და ცივ ღიმილს რომ ხედავდა. ეს ღიმილი ტუჩის კუთხეში ემჩნეოდა მას, იქ, სადაც ულვაში კოხტად ჰქონდა აპრეხილი. მოაგონდა, როგორ ეძახდა მეარღნეს, როგორ ცდილობდა, გზიდან ჩამოეცილებინა, როგორ უყვიროდა, ხელს ნუ მიშლიო, მაგრამ ეს სიზმარი გახლდათ, ხოლო სიფხიზლეში ჰანს კასტორპი სულ სხვა კაცი იყო - ასეთ თავშეუკავებლობას როდი იჩენდა. სიფხიზლეში სულ სხვანაირად შეიძლებოდა წასულიყო საქმე. იქნებ სჯობდა, სეტემბრინის ახლებურ ბუნებას, მის ჭირვეულ და კრიტიკულ სულს შეხმიანებოდა. თუმცა მის ჭირვეულობას წუწუნი და ენაგასლექილობაც ერთვოდა. განა იგი თავის თავს თვითონვე არ ეძახდა პედაგოგს? აშკარად უნდოდა ვინმეზე გავლენა მოეხდინა და იმიტომ. ჰოდა, ახალგაზრდა ჰანს კასტორპსაც სულით და გულით უნდოდა მის გავლენას დამორჩილებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ისე არა, რომ მთლიანად სეტემბრინის ჭკუაზე ევლო, ბარგი ჩაელაგებინა და აქედან დროზე ადრე გაქცეულიყო, როგორც ახლახან სრულიად სერიოზულად ურჩია სეტემბრინიმ „placet experiri“, - ღიმილით გაიფიქრა მან. ცოტა ლათინური კიდევ ახსოვდა, ოღონდ ამიტომ ვერ გაბედავდა homo humanus“-ობა დაეჩემებინა. მას ახლა თვალი სეტემბრინიზე ეჭირა და თუ სადმე შეხვდებოდა, სიამოვნებით, თუმცა იჭვნეული ყურადღებით უსმენდა ხოლმე. ერთმანეთს ხან პიტალო კლდესთან მიდგმულ ძელსკამამდე მოზომილი სამკურნალო გასეირნებისას ხვდებოდნენ, ხან კი ქვევით, დავოსში ჩასვლისას. საუბარი სხვა დროსაც ეწყობოდა. მაგალითად, სეტემბრინი სუფრიდან პირველი დგებოდა, შვიდმაგიდიან დარბაზს ზანტად გაივლიდა და ყოველგვარი წესისა და რიგის საწინააღმდეგოდ ცოტა ხნით ბიძაშვილების მაგიდას ესტუმრებოდა. სეტემბრინის ჩვეულებისამებრ უჯრედებიანი შარვალი ეცვა და პირში კბილის საჩიჩქნი ჰქონდა გარჭობილი. იგი ფეხებს გადააჯვარედინებდა, გრაციოზულპოზაში გაჩერდებოდა, კბილის საჩიჩქნს იქნევდა და ასე ლაქლაქებდა. ხანდახან სკამს მოიტანდა და მაგიდის კუთხეში ჩამოჯდებოდა, ან ჰანს კასტორპსა და მასწავლებელს, ან ჰანს კასტორპსა და მის რობინსონს შორის და უყურებდა, მისი ცხრა თანამესუფრე დესერტს როგორ ანადგურებდა. ეტყობოდა, თვითონ დესერტს არ გეახლებოდათ.
- ნება მიბოძეთ, თქვენს კეთილშობილ წრეს შემოვუერთდე, - იტყოდა იგი. ბიძაშვილებს ხელს ჩამოართმევდა, დანარჩენებს კი თავს დაუკრავდა - ოჰ, ეს ლუდის მხარშავი... აღარაფერს მოგახსენებთ მისი ცოლის სასოწარკვეთილ სახეზე... დიახ, ბატონმა მაგნუსმა ამ წუთში ხალხთა ფსიქოლოგიაზე წაგვიკითხა მოხსენება. არ გნებავთ, მოისმინოთ? ჩვენი ძვირფასი გერმანია ყაზარმა გახლავთ, ამას წყალი არ გაუვა, ოღონდ ამ ყაზარმის უკან დიდი შრომისმოყვარეობა იმალება და ჩვენს მუყაითობას სხვების თავაზიანობაზე არ გავცლიო. აბა, რა ყრია თავაზიანობაში, თუ ყოველ ნაბიჯზე მომატყუებენო? აი, ამ სტილში ილაპარაკა. არა, ბატონებო, ნამდვილად მალე მიმტყუნებს ძალა. ჩემ წინ კიდევ ერთი საცოდავი არსება ზის, ზიბენბიურგენელი შინაბერა, ლოყებზე სამარის ვარდები უღვივის და გაუთავებლად ლაპარაკობს თავის სიძეზე“, რომელსაც არავინ იცნობს და არცა აქვს ვინმეს სურვილი, იცნობდეს. მოკლედ, ვეღარ გავუძელი და მოვკურცხლე.
- წარმომიდგენია, სირბილში საბრძოლო დროშას როგორ დაავლებდით ხელს, - უთხრა ფრაუ შტორმა.
- ზუსტი ნათქვამია! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - საბრძოლო დროშა! მე ვხედავ, აქ სხვა სიო ქრის.... არა, გზა ნამდვილად არ ამბნევია. მაშ, გამოქცეულმა დროშას ვტაცე ხელი არა?.. აი, მესმის სიტყვის მოქნევა! ნება მიბოძეთ, გკითხოთ, თქვენი

ჯანმრთელობის საქმე როგორ მიდის, ფრაუ შტორ?
საშინელი საყურებელი იყო ფრაუ შტორის მანჭვა-გრეხა.
- ღმერთო დიდებულო, - თქვა მან, - ცვლილება არ მეტყობა. ბატონს თვითონ მოეხსენება, აქ ორ ნაბიჯს რომ წინ წადგამ, სამი ნაბიჯით უკან იხევ ხოლმე. ხუთ თვეს მოიხდი, მოვა ის ბებერი და კიდევ ნახევარ წელიწადს დაგიმატებს. აჰ, ტანტალოსის ტანჯვაა პირდაპირ. აგორებ ლოდს, აგორებ და გგონია, უკვე ზევითა ვარ ასულიო, რომ...
- ო, ეს კი მშვენივრად გამოგივიდათ! საბრალო ტანტალოსს, როგორც იქნა, შეუცვალეთ სატანჯველი! ახლა ცნობილ მარმარილოს ლოდს აგორებინებთ! აი, ეს არის ჭეშმარიტი კეთილი გული, მაგრამ ეს რა სახსენებელია იმასთან, მადამ, თქვენ რაღაც საიდუმლო ამბები გემართებათ თურმე. რაღაც ამბებს ჰყვებიან გაორებასა და ასტრალურ სხეულებზე... აქამდე არ მჯეროდა, მაგრამ თქვენ რაც გემართებათ, იმან ისე შემაცბუნა, რომ...
- მგონი, ბატონს ჩემი გამასხარავება განუზრახავს.
- სრულიადაც არა! არც მიფიქრია! ჯერ თქვენი არსებობის ბნელ მხარეებში გამარკვიეთ, დამამშვიდეთ და მასხრად აგდებაზე მერე ვილაპარაკოთ! დავსეირნობ გუშინ საღამოს ათის ნახევრიდან ათ საათამდე ბაღში და თან აივნებს ვათვალიერებ. თქვენს აივანზე ელექტრონათურა ჩახჩახებს. მაშასადამე, თქვენ მოვალეობის, გონიერებისა და რეჟიმის კარნახით აივანზე იწექით. აი, წევს ჩვენი მშვენიერი ავადმყოფი და ერთგულად ასრულებს ექიმის მითითებებს, რათა მალე დაბრუნდეს შინ და ბატონ შტორს ჩაეკრას მკერდში-მეთქი, გავიფიქრე. ჰოდა, ამ რამდენიმე წუთის წინ რა გავიგონე? თურმე იმ დროს თქვენ cinematògrafo-ში ყოფილხართ (ბატონმა სეტემბრინიმ ეს სიტყვა იტალიურად წარმოთქვა და მეოთხე მარცვალს დაუსვა მახვილი). დიახ, კურზალის cinematògrafo-ში უნახავხართ, მას შემდეგ კი საშაქარლამოში მიირთმევდით თურმე ტკბილ ღვინოსა და ბეზეს, თანაც...
შტორუკამ მხრები შეარხია, თავის ხელსახოცში ჩაიხითხითა, იოახიმ ციმსენსა და წყნარ დოქტორ ბლუმენკოლს მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდებში, მერე ნდობის ნიშნად ეშმაკურად ჩაუკრა ორივეს თვალი და შეეცადა, როგორმე გამოეხატა ბრიყვული თავმომწონეობა. იგი საღამოობით განგებ ტოვებდა ხოლმე თავის აივანზე ანთებულ ნათურას, მერე ჩუმად გაიპარებოდა და ქვევით, ინგლისურ კვარტალში ირთობდა თავს, ქმარი კი კანშტატში ელოდებოდა. თუმცა ის ერთადერთი არ გახლდათ, ბევრი პაციენტი დაძვრებოდა ჩუმ-ჩუმად ღამღამობით.
- თანაც, - განაგრძო სეტემბრინიმ, - ვისთან ერთად იტკბარუნებდით პირს ბეზეთი? ბუქარესტელ კაპიტან მიკლოზიჩთან ერთად! მარწმუნებენ, კაპიტანი კორსეტს ატარებსო, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეგ აქ რა მოსატანია! გაფიცებთ, მადამ, სად იყავით? თქვენ გაორებულხართ! ალბათ, ჩაგეძინათ და იმ დროს, როცა თქვენი არსების მიწიერი ნაწილი სამკურნალო წოლის საათს ატარებდა, სპირიტუალური ნაწილი კაპიტან მიკლოზიჩის საზოგადოებით და მისი ბეზეთი იქცევდა თავს...
ფრაუ შტორი ისე ცმუტავდა და იგრიხებოდა, თითქოს უღიტინებენო.
- ვინ იცის, იქნებ სჯობდა, - განაგრძო სეტემბრინიმ, - ბეზე მარტოს მიგერთმიათ და სამკურნალო წოლის საათი კაპიტან მიკლოზიჩთან ერთად გაგეტარებინათ...
- ხი, ხი, ხი...
- გუშინწინდელი ამბავი თუ იცით, ბატონებო? - უეცრად იკითხა სეტემბრინიმ, - გუშინწინ აქედან ერთი ვაჟბატონი წააბრძანეს, ეშმაკის მანქანებით თუ თავისი შეუპოვარი დედიკოს ხელით, არ ვიცი, ისე კი ის მანდილოსანი ძალიან მომეწონა. ყმაწვილ შნეერმანზე მოგახსენებთ, ბატონ ანტონ შნეერმანზე, მადმუაზელ კლეეფელდის წინ რომ იჯდა სუფრაზე. ხომ ხედავთ, მისი ადგილი ცარიელია. იმ ადგილს მალე დაიკავებს ვინმე. ეგ არ მედარდება, მაგრამ აი, ანტონს კი ქორივით დააცხრნენ თავს და ისე ელვის სისწრაფით გაუყენეს გზას, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო. წელიწად-ნახევარი გაატარა თექვსმეტი წლის ბიჭმა აქ, ნახევარი წელიწადიც დაუმატეს და ამ დროს არ ვიცი, მადამ შნეერმანს ვინ მიაწვდინა ხმა, ყოველ შემთხვევაში, კი ჩააწვეთეს, თქვენი შვილი ბახუსს et ceteris სცემს პატივსო. ჰოდა, ისიც მოულოდნელად დაესხა შვილს თავს. ნამდვილი მატრონა გახლდათ - ჩემზე სამი თავით მაღალი თმაგათეთრებული ქალია, - გაალმასებულმა ბატონ

ანტონს უსიტყვოდ ჩაავლო საყელოში ხელი და კინწისკვრით გაუყენა გზას. თუ სასიკვდილოა, ბარემ ქვევით მოკვდესო, თქვა და შვილი შინ წაიყვანა.
ბატონი სეტემბრინი ამ ამბავს ისე თავშესაქცევად ჰყვებოდა, რომ ახლომახლო ვინც კი მოუსმინა, ყველას გაეცინა. აღმოჩნდა, რომ სეტემბრინი უკანასკნელი ამბების კურსში გახლდათ, თუმცა აქ, ზევით, ერთობლივ ცხოვრებას მუდამ აკრიტიკებდა და მასხრად იღებდა. მან ახალჩამოსულების გვარებიც იცოდა და მათი ყოფნა-არყოფნის საკითხიც კარგად მოეხსენებოდა. ამბობდა, გუშინ ამას და ამას ნეკნების რეზექცია გაუკეთესო და სანდო წყაროდანვიცი, შემოდგომიდან ისეთ ავადმყოფებს აღარ მიიღებენ, ვისაც 38,5-ზე მეტი ექნება სიცხეო. წუხელ, - ჰყვებოდა სეტემბრინი, - მითილენიდან ჩამოსული კაპაცულიასის ფინია თავისი ქალბატონის ღამის მაგიდაზე ასულა და ზედ სასიგნალო კნოპს დასჯდომია. ამაზე დიდი ალიაქოთი ატეხილა, მით უმეტეს, რომ მადამ კაპაცულიასი მარტო არ ყოფილა, ფრიდრიხსჰაგენელ ასესორ დიუსტმუნდთან შეუსწრიათ თურმე. ამ ამბავზე დოქტორ ბლუმენკოლსაც კი გაეღიმა. ლამაზი მარუსია კინაღამ გაიგუდა თავის ციტრუსოვან ცხვირსახოცში, ხოლო ფრაუ შტორი ისე გაჰკიოდა, რომ გული ორივე ხელით ეჭირა.
ბიძაშვილებს ლოდოვიკო სეტემბრინი, სეირნობისას იქნებოდა, საღამოს თავშეყრისას თუ ნასადილევს, როცა დაცარიელებულ დარბაზში ეს სამი მამაკაცი ღა შემორჩებოდა სუფრას, თავის თავსა და თავის ჩამომავლობაზეც ესაუბრებოდა ხოლმე. დარბაზის ასულნი სუფრას ალაგებდნენ, ჰანს კასტორპი კი თავის „მარია მანჩინის“ აბოლებდა, რომელსაც ამ მესამე კვირაში თითქოს დაჰბრუნებოდა ძველებური გემო და არომატი. გაფაციცებული ჰანს კასტორპი იჭვნეულად და ფხიზლად უსმენდა სეტემბრინის, მაგრამ მზად იყო, მისი გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, ისეთი საკვირველი, სავსებით ახლებური სამყარო ეხსნებოდა ამ მონათხრობის წყალობით თვალწინ.
სეტემბრინი ლაპარაკობდა თავის ბაბუაზე, რომელიც მილანში ადვოკატობას ეწეოდა, უპირველეს ყოვლისა კი, დიდი პატრიოტი გახლდათ. მის პიროვნებაში, სეტემბრინის სიტყვით, პოლიტიკური აგიტატორი, ორატორი და ჟურნალისტი იყო შერწყმული. ისიც შვილიშვილივით ოპოზიციონერი ყოფილა, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბისა და გაქანებისა. ლოდოვიკო კი, როგორც თვითონვე ამბობდა მწარედ, იმისთვის იყო გაჩენილი, რომ ინტერნაციონალურ სანატორიუმ „ბერგჰოფის“ მობინადრეთა ყოფა გაეკეთებინა, გესლიანი კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა და მის წინააღმდეგ გაელაშქრა მშვენიერი, მოქმედი კაცობრიობის სახელით. ბაბუამისი კი მთავრობას უჩენდა საქმეს. ავსტრიისა და იმ წმინდა ალიანსის წინააღმდეგ ეწეოდა კონსპირაციულ ბრძოლას, მაშინ მის დაქუცმაცებულ სამშობლოს მონობაში რომ ხდიდნენ სულს. ბაბუაჩემი იტალიაში ფეხმოკიდებული საიდუმლო ორგანიზაციის წევრი იყო, კარბონარი გახლდათო, ერთბაშად ისე დაუწია ხმას სეტემბრინიმ, თითქოს ამ სიტყვის ხსენება ახლაც სახიფათო ყოფილიყო. მოკლედ, ეს ჯუზეპე სეტემბრინი შვილიშვილის მონათხრობის მიხედვით ორივე მსმენელს იდუმალებით აღსავსე ფიცხ და მეამბოხე პიროვნებად, შფოთისთავად და შეთქმულად წარმოუდგა თვალწინ. ისინიც ზრდილობის გულისთვის შეეცადნენ მისდამი პატივისცემა გამოეხატათ, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს სახეზე აღბეჭდილი ეჭვი და ანტიპათია დაეფარათ. მერე რა ვუყოთ, რომ აქ საქმე სხვაგარად იყო; რაც მათ მოისმინეს, მას შემდეგ დიდი ხანი, თითქმის ასი წელი იქნებოდა გასული, ეს უკვე ისტორია გახლდათ, ხოლო ისტორიიდან, სახელდობრ, ძველი ისტორიიდან ამოკითხულ ფაქტებს: თავისუფლების თავგანწირულ სიყვარულსა და ტირანებისადმი შეუდრეკელ სიძულვილს ისინი თეორიულად თანაუგრძნობდნენ კიდეც, თუმცა ვერასდროს ვერ იფიქრებდნენ, რომ მსგავს მოვლენას ასე ადამიანურად და უშუალოდ შეეჩეხებოდნენ პირისპირ. გარდა ამისა, ამ ბაბუის მეამბოხეობა და კონსპირაციულობა სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით იყო ნაკარნახევი, მას უნდოდა სამშობლო ერთიანი და თავისუფალი ეხილა და მისი მეამბოხური მოღვაწეობა ამ პატივსაცემი გრძნობის ნაყოფი და შედეგი გახლდათ. როგორ გასაოცრადაც უნდამოსჩვენებოდათ ერთსაც და მეორესაც მეამბოხეობისა და პატრიოტიზმის შერწყმა - რადგან ისინი მიჩვეულნი იყვნენ სამშობლოს სიყვარული არსებული წესწყობილების შენარჩუნებასთან გაეიგივებინათ, -

იძულებულნი იყვნენ, გულში მაინც ეღიარებინათ, რომ იქ და მაშინდელ პირობებში ჯანყი კარგი მოქალაქეობის, ხოლო ლოიალობა და კანონების ერთგულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ტოლფასი შეიძლებოდა ყოფილიყო.
სეტემბრინის ბაბუა მხოლოდ იტალიელი პატრიოტი კი არ ყოფილა, იგი ყველა თავისუფლების მოყვარული ხალხის თანამოქალაქე და თანამებრძოლი გახლდათ. იგი სიტყვითაც და საქმითაც მონაწილეობდა ტურინში მომზადებულ სახელმწიფო გადატრიალებაში. გადატრიალების ცდა რომ ჩაფუშულა, თავი ძლივს დაუძვრენია თავად მეტერნიხის მაძებრებისაგან და განდევნის წლები იმისთვის გამოუყენებია, რომ ესპანეთში კონსტიტუციის მოსაპოვებლად, ხოლო საბერძნეთში ელინელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაეღვარა სისხლი. ამ დროს გაჩენილა ქვეყანაზე სეტემბრინის მამა და ამიტომაც გამოსულა ასე დიდი ჰუმანისტი და კლასიკური ძველი დროების მოყვარული. დედა, სხვათა შორის, გერმანული სისხლისა ჰყოლია, ჯუზეპეს შვეიცარიაში შეურთავს ცოლი და შემდეგ ხიფათით აღსავსე ცხოვრებაში თან გაუყოლებია. გაძევებულ ჯუზეპე სეტემბრინის მხოლოდ ათი წლის შემდეგ მოუხერხებია სამშობლოში დაბრუნება და მილანში ადვოკატობისათვის მიუყვია ხელი, მაგრამ ძველი მოღვაწეობისათვის თავი არასგზით არ დაუნებებია. იგი ერს ზეპირი თუ დაწერილი სიტყვით, ლექსად თუ პროზად თავისუფლებისა და ერთიანი რესპუბლიკის აღდგენისაკენ მოუწოდებდა, დიქტატორული გაქანებითა და ტემპერამენტით ამუშავებდა სახელმწიფო გადატრიალების პროგრამებს და გათავისუფლებულ ხალხებს საყოველთაო ბედნიერების მოსაპოვებლად გაერთიანებას უქადაგებდა. ახალგაზრდა ჰანს კასტორპზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება სეტემბრინის მიერ ნათქვამმა ერთმა დეტალმა მოახდინა: თურმე ბაბუა ჯუზეპე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ძაძით შემოსილი ეჩვენებოდა თანამოქალაქეებს და ამბობდა, ჩემს იტალიაზე, ჩემს სამშობლოზე ვარ მგლოვიარე, რომელიც სიღატაკესა და მონობაში ღაფავს სულსო. ამ ამბის გაგონებაზე და აქამდეც გულში რამდენჯერმე შეადარა ჰანსკასტორპმა ჯუზეპე თავის ბაბუას. ჰანს ლორენც კასტორპიც, რაც შვილიშვილს თავი ახსოვდა, ყოველთვის შავ ტანსაცმელს იცვამდა, ოღონდ მის ჩაცმულობას სულ სხვა მიზეზი ედო საფუძვლად. ჰანს კასტორპს ის ძველებური სამოსი მოაგონდა, რომელსაც ჰანს ლორენც კასტორპის თავისებური, გარდასულ ჟამთან განუყრელად დაკავშირებული არსება მანამდე იმშვენებდა აწმყოსთან განრიდების ნიშნად, სანამ სიკვდილმა საზეიმოდ (ბრიჟითურთ) არ დაუბრუნა თავისი ჭეშმარიტი და შესაფერი სახე. დიახ, ეს ორი ბაბუა თვალში საცემად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ჰანს კასტორპი ამან ჩააფიქრა, თვალი გაუშტერდა და ისე ფრთხილად დააქნია თავი, რომ ეს ჟესტი ჯუზეპე სეტემბრინით აღტაცების ნიშანიც შეიძლებოდა ყოფილიყო, განრიდებისაც და უარყოფისაც. იგი კეთილსინდისიერად შეეცადა, მისთვის უცხო რამ არ განესაჯა და მხოლოდ შედარებითა და განსაზღვრით დაკმაყოფილებულიყო. თვალწინ დაუდგა მოხუცი ჰანს ლორენც კასტორპის გალეული თავი, ჩაფიქრებული რომ დახრილიყო ვარაყგამოხუნებული ემბაზის თავზე. დასჩერებოდა ამ უძრავ, მაგრამ მაინც ერთი ხელიდან მეორეში გარდამავალ სამემკვიდრეო ნივთს, ბაგეები ოდნავ დაეძაბა და ისე უმძღვარებდა სახელებს სიტყვა „პაპასა“ და „პაპის პაპას“, ამ ყრუ და სადა ბგერებს, რომლებიც იმ ადგილებს გვახსენებენ, სადაც მოწიწებით და ფეხაკრეფით შევდივართ ხოლმე. იგი ხედავდა ჯუზეპე სეტემბრინისაც მოკაკული ხმლითა და სამფერი დროშით ხელში, ცისკენ რომ აღეპყრო შავი თვალები, თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმს მიუძღოდა და დესპოტიზმის ფალანგას უტევდა. ორივეს თავისი სილამაზე და ღირსება ჰქონდაო, ფიქრობდა იგი და უფრო იმიტომ ცდილობდა, სამართლიანობა დაეცვა, რომ თვითონ პირადული თუ ნახევრად პირადული მიზეზების გამო თავს ოდნავ მიკერძოებას ამჩნევდა. სეტემბრინის ბაბუა პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოდა, მის ბაბუას კი, ან თუნდაც მის პეპერასაც, ოდითგანვე ეკუთვნოდა ყოველგვარი უფლება და მდაბიოებმა ოთხი საუკუნის მანძილზე ძალითა და სიტყვით გამოსტაცეს უფლებები ხელიდან... მერე ორივე მუდამ შავ ტანსაცმელში დადიოდა, ჩრდილოელი ბაბუა და სამხრეთელიც, და ორივეს ერთი მიზანი ამოძრავებდა -

არასასურველი აწმყოსაგან მკაცრად გამიჯნულიყვნენ. ერთი ამას ღვთისმოსაობის გამო სჩადიოდა, გარდასული ჟამისა და სიკვდილის პატივსაცემად, რომელთაც ეკუთვნოდა კიდეც მთელი თავისი არსებით, მეორე კი, პირიქით, ამბოხისა და ღვთისმოსაობის მოწინააღმდეგე პროგრესის გულისათვის. დიახ, ეს ორი სამყარო ან სამყაროს ორი სხვადასხვა წახნაგი გახლდათო, ფიქრობდა ჰანს კასტორპი. ასე იდგა თვითონ ამ ორ სამყაროს შორის, სეტემბრინის მონათხრობს უსმენდა, ხან ერთ სამყაროში იხედებოდა იჭვნეული თვალით, ხან მეორეში და ასე ეგონა, ეს ოდესღაც უკვე გამომიცდიაო. მოაგონდა, რამდენიმე წლის უკან, ზაფხულის მიწურულს, როგორ სეირნობდა მარტო ნავით საღამოს ბინდბუნდში ჰოლშტაინის ერთ ტბაზე. შვიდი საათი იქნებოდა. მზე უკვე ჩასული იყო, ბუჩქნარიან ნაპირზე,აღმოსავლეთით, თითქმის სავსე მთვარე რომ ამოცურდა. იმ ათი წუთის განმავლობაში, სანამ ჰანს კასტორპი ტბის მშვიდ ზედაპირზე მიასრიალებდა ნავს, ირგვლივ უცნაურ, სიზმარეულ ყოფას დაესადგურებინა. დასავლეთით ჩახჩახა დღე იდგა, მინასავით გამჭვირვალე, ნამდვილი დღის შუქი ანათებდა, მაგრამ თავს მოატრიალებდა თუ არა, აქეთაც ისეთივე ნამდვილ, უაღრესად ჯადოსნურ, ნოტიო ნისლით შებურულ მთვარიან ღამეს ხედავდა. ეს უცნაური გაორება, ალბათ, ერთ თხუთმეტ წუთს თუ გრძელდებოდა, სანამ ღამემ და მთვარემ არ სძლიეს დღეს. იმ წუთებში ჰანს კასტორპის დაბრმავებული და გაშტერებული თვალი თრთოლანარევი გაოცებით გადარბოდა ერთი განათებიდან და პეიზაჟიდან მეორეზე, დღიდან ღამეზე და ღამიდან კვლავ დღეს უბრუნდებოდა, აი, ეს საღამო გაახსენდა ახლა ჰანს კასტორპს უნებურად.

ადვოკატი სეტემბრინი სამართლის დიდი მცოდნე ვერ იქნებოდა, მთელი სიცოცხლე ასეთ მოუსვენარ და მრავალფეროვან მოღვაწეობას თუ ეწეოდაო, - განაგრძო ფიქრი ჰანს კასტორპმა, მაგრამ მისი შვილიშვილი ირწმუნებოდა, სამართლისმცოდნეობის ძირითადი საფუძვლები ბავშვობიდან სიცოცხლის დასასრულამდე აღაფრთოვანებდა ბაბუაჩემსო. თუმცა ჰანს კასტორპს იმ დღეს მაინცდამაინც ვერ უჭრიდა გონება და თან ბერგჰოფული ექვსთავიანი სადილით საკმაოდ დამძიმებული გახლდათ, მაგრამ მაინც ცდილობდა, გაეგო, რას გულისხმობდა სეტემბრინი, ამ ძირითად საფუძვლებს თავისუფლებისა და პროგრესის“ წყაროს რომ უწოდებდა. ამ უკანასკნელში ჰანს კასტორპი აქამდე ისეთ ამბებს გულისხმობდა, როგორიც მეცხრამეტე საუკუნეში ტვირთის ამწევი მექანიზმების განვითარება გახლდათ. იმასაც ფიქრობდა, რომ არც ბატონი სეტემბრინი უყურებდა ტექნიკას აგდებულად და, ალბათ, არც მისი ბაბუა დააკნინებდა. იტალიელი თავისი ორივე მსმენელის სამშობლოს დიდ პატივს სცემდა, რადგან იქ დენთი გამოეგონებინათ, რომელსაც ფეოდალიზმის ჯავშანი გაეცამტვერებინა და გარდა ამისა, საბეჭდი დაზგაც მათი გამოგონება გახლდათ. ეს კი იდეების დემოკრატიულ გავრცელებას, ანუ დემოკრატიული იდეების გავრცელებას, უწყობდა ხელს. ამრიგად, სეტემბრინი გერმანიას ამ თვალსაზრისით აქებდა, ხოლო წარსულს თუ მივიღებდით მხედველობაში, მაშინ პალმის რტო მის საკუთარ სამშობლოს ერგებოდა. მაშინ, როცა სხვა ხალხები ჯერ კიდევ ცრუმორწმუნეობისა და მონობის ბურანში იყვნენ გახვეულნი, მის სამშობლოს პირველს აეფრიალებინა მეცნიერების, განმანათლებლობისა დათავისუფლების დროშა. თუკი იგი ტექნიკასა და მიმოსვლის საშუალებებს, ჰანს კასტორპის მოღვაწეობის სფეროს, მდაბლად უხრიდა ქედს, რაც იმ ძელსკამთან პირველ შეხვედრაზევე განეცხადებინა კიდეც, ამას თვით ამ ძალების ხათრით კი არ სჩადიოდა, იგი ტექნიკას იმდენად სცემდა პატივს, რა წვლილიც შეჰქონდა მას ადამიანების მორალურ სრულყოფაში. დიახ, ტექნიკურ საშუალებებს სწორედ სიხარულით შემიძლია ასეთი მნიშვნელობა მივანიჭოო, - განაცხადა მან, - ტექნიკა, - განაგრძო სეტემბრინიმ, - თანდათან იმორჩილებს ბუნებას თავისი შექმნილი დამაკავებელი საშუალებებით, გზების ქსელისა და ტელეგრაფის მეშვეობით. იგი კლიმატსაც კი ცვლის, წარმოადგენს ხალხთა დაახლოების ყველაზე საიმედო საშუალებას, ერთმანეთს აცნობს სხვადასხვა ხალხს, მათ შორის თანასწორობის დამკვიდრებას უკაფავს გზას, ანადგურებს მათ ცრურწმენებს და საბოლოოდ საყოველთაო გაერთიანებამდე მიგვიყვანს კიდეც. ადამიანთა მოდგმა თავს აღწევს წყვდიადს, შიშსა და სიძულვილს, იგი წინ და მაღლა მიემართება

მოკაშკაშე გზით სიმპათიის საბოლოო წერტილამდე, მიისწრაფვის შინაგანი გაცისკროვნების, სიკეთისა და ბედნიერებისაკენ და ამ გზაზე ტექნიკა არის ყველაზე სასარგებლო მამოძრავებელი ძალაო. ოღონდ ასეთი მსჯელობით სეტემბრინიმ ერთი ხელის დაკვრით ისეთი კატეგორიები დაუკავშირა ერთმანეთს, ჰანს კასტორპი რომ მათზე ცალ-ცალკე ფიქრს იყო ნაჩვევი. ტექნიკა და მორალი! - გადმოისროლა დევიზი სეტემბრინიმ და შემდეგ მართლა მაცხოვარსა და ქრისტიანობაზე მოჰყვა ლაპარაკს. ქრისტიანობამ პირველმა წამოაყენა თანასწორობისა და ერთიანობის იდეა, ბეჭდვითმა სიტყვამ ამ იდეის გავრცელებას კარგად შეუწყო ხელი, ხოლო დიდმა ფრანგულმა სახელმწიფო გადატრიალებამ იგი კანონის სიმაღლემდე აიყვანაო. ეს ნათქვამი ახალგაზრდა ჰანს კასტორპს რატომღაც აშკარად ეხამუშა, თუმცა ბატონმა სეტემბრინიმ სავსებით ნათელი და მკაფიო სიტყვებით ჩამოაყალიბა თავისი აზრი. სეტემბრინი ჰყვებოდა, თავის სიცოცხლეში ერთხელ, ერთადერთხელ და ისიც მოწიფულობის წლებში განიცადა ბაბუაჩემმა ჭეშმარიტი ბედნიერება და ეს პარიზის ივლისის რევოლუციის ხანა იყოო. მაშინ საჯაროდ, ხმამაღლა წარმოთქვა მან სიტყვა, ადამიანები ოდესმე პარიზის ამ სამ დღეს სამყაროს შექმნის ექვს დღეს ამოუყენებენ გვერდითო. აქ კი გულმა ვეღარ გაუძლო ჰანს კასტორპს და უდიდესი გაოცების ნიშნად მაგიდას დაჰკრა ხელი. 1830 წლის ზაფხულის სამი დღე, როცა პარიზელებმა ახალი კონსტიტუცია მოიპოვეს, იმ ექვსი დღის გვერდით რომ დაგვეყენებინა, როცა უფალმა ღმერთმა ხმელი წყლისაგან გამოყო და მარადიული ცის მნათობნი, ყვავილები, ხეები, ჩიტები, თევზები და ყოველი სულიერი შექმნა, მეტისმეტი ეჩვენა. შემდეგაც, თავის ბიძაშვილთან მარტო რომ დარჩა, ნათლად და აშკარად თქვა, ეს აზრი არამცთუგადამლაშებული, არამედ უხამსიც კი მეჩვენებაო.
მიუხედავად ამისა, იგი თავს არ არიდებდა სეტემბრინის გავლენას, საკუთარ თავზე ცდის ჩატარება სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა. ამიტომაც ამოსდო ლაგამი იმ პროტესტს, მისი მოწიწება და გემოვნება რომ გამოთქვამდნენ ნივთთა სეტემბრინისეული ურთიერთკავშირის წინააღმდეგ, თან ფიქრობდა, იქნებ მე რაც მკრეხელობად მეჩვენება, ის არის სწორედ სიმამაცე და რაც უგემოვნება მგონია, უკიდურეს შემთხვევაში, „იქ“ და „მაშინ“ მაინც დიდსულოვნად და კეთილშობილურ თავდადებად იყო მიჩნეულიო. თუნდაც ის, სეტემბრინის ბაბუა ბარიკადებს „ხალხის ტახტს“ რომ ეძახდა და აცხადებდა, „მოქალაქის შუბი კაცობრიობის საკურთხეველთან უნდა იკურთხოსო“.
ჰანს კასტორპმა იცოდა, რისთვისაც უგდებდა სეტემბრინის ყურს. ნათლად არა, მაგრამ მაინც იცოდა. ამაში მოვალეობის გრძნობაც ერია და მოგზაურისა და სტუმრისათვის დამახასიათებელი საარდადეგო უპასუხისმგებლობაც. ასეთი კაცი არავითარი შთაბეჭდილებისადმი არ იჩენს გულგრილობას და ყველაფერს გზას უხსნის თავისი გულისაკენ, რადგან ფიქრობს, დღეს თუ ხვალ, ისევ ფრთებს გავშლი და ჩემს ჩვეულ გარემოს დავუბრუნდებიო. ჰანს კასტორპს თითქოს სინდისის კარნახი, უფრო ზუსტად, სინდისის ქენჯნა უბიძგებდა, იტალიელისათვის მოესმინა, ან მაშინ, როცა ფეხი ფეხზე გადადებული აბოლებდა თავის „მარია მანჩინის“, ან როცა სამივენი ინგლისური კვარტალიდან „ბერგჰოფისაკენ“ მიმავალ აღმართს შეუდგებოდნენ ხოლმე.
სეტემბრინის დებულების მიხედვით ორი პრინციპი იბრძვის სამყაროს დაპატრონებისათვის: ძალა და სამართალი, ტირანია და თავისუფლება, ცრუმორწმუნეობა და ცოდნა, უძრაობისა და მჩქეფარე მოძრაობის, პროგრესის პრინციპი. პირველს შეიძლება აზიური, მეორეს კი ევროპული პრინციპი ეწოდოს, რადგან ევროპა იყო ყოველთვის ამბოხის, კრიტიკისა და გარდაქმნების სამშობლო, მაშინ როცა დედამიწის აღმოსავლური ნაწილი უძრაობას და უმოქმედო სიმშვიდეს ასახიერებდაო. ეჭვმიუტანელია, ამ ორი ძალიდან ვის ერგება საბოლოო გამარჯვება - გამარჯვებული დარჩება განათლებისა და გონების სრულყოფილების ძალა, რადგან სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი გაიყოლია ჰუმანიზმმა თავის კაშკაშა გზაზე, სულ უფრო მეტი ტერიტორია შემოიმტკიცა თვით ევროპაში და თანდათან გაიჭრა აზიისკენაც, მაგრამ სრულ გამარჯვებამდე მაინც ბევრი გვიკლია და კვლავ მძიმე ჯაფა მართებთ სიკეთის მოსურნე ადამიანებს. მათ, ვინც ეზიარა სინათლეს, კიდევ დიდი ბრძოლა მოუწევთ,

სანამ დადგებოდეს ის დღე, როცა ჩვენი კონტინენტის იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ჯერ არც მეთვრამეტე საუკუნე დასდგომიათ და არც 1789 წელი, დაემხობა მონარქიები და რელიგიასაც გამოეთხრება ძირი, მაგრამ ეს დღე დადგებაო, დასძინა სეტემბრინიმ და ულვაშში ნატიფად ჩაიღიმა. თუ მტრედივით არ მოგოგმანდება ეს დღე, არწივის ფრთებს მაინც გამოისხამს და გონიერების, ცოდნისა და სამართლის ნიშნით შემოუძღვება ხალხთა საყოველთაო ძმობის გარიჟრაჟს. იგი თან მოიტანს მოქალაქეობრივი დემოკრატიის წმინდა კავშირს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავებული იქნება თავადებისა და კაბინეტების იმ სამგზის წყეული ალიანსისაგან, რომლის პირადი და მოსისხლე მტერი გახლდათ ბაბუა ჯუზეპე. ერთი სიტყვით, იგი მსოფლიო რესპუბლიკას მოიტანს. ამ საბოლოო მიზნისათვის კი, უპირველეს ყოვლისა. საჭიროა უმოძრაობის აზიურ, მონურ პრინციპს ჩავცეთ ლახვარი და მისი წინააღმდეგობა გავტეხოთო. ეს სახელდობრ ვენას ეხებაო. ავსტრიაა, უპირველეს ყოვლისა, ამოსაძირკვავი და გასანადგურებელი, მას ჯერ წარსული უნდა ვაზღვევინოთ და მერე დედამიწაზე სამართლიანობისა და ბედნიერების დასამკვიდრებლად გავიყოლიოთო, - დაასკვნა სეტემბრინიმ.
სეტემბრინის ამოდ სასმენ აზრთა მდინარების ეს უკანასკნელი შემობრუნება და დასკვნა ჰანს კასტორპს აღარ აინტერესებდა. იოახიმზე რომ არაფერი ვთქვათ, არც მას ეჭაშნიკა ეს აზრი, უფრო მეტიც, მან პიროვნული და ეროვნული გრძნობაც კი შეუბღალა. იტალიელმა რომ ამ კალაპოტში მოაქცია თავის აზრთა მდინარება, იოახიმმა წარბი შეიკრა, პირი გვერდზე მიიბრუნა და იტალიელს ყურს აღარ უგდებდა. ერთი პირობა, სამკურნალო სამსახურიც კი ახსენა, იქნებ როგორმე საუბრის თემა შევცვალოთო. ჰანს კასტორპიც ცდილობდა, ასეთი უკუღმართი აზრებისათვის ყური აღარ ეთხოვებინა. ეს დებულებანი აშკარად გამოდიოდა იმ მოსაზრებათა საზღვრებიდან, ჰანს კასტორპს სინდისი რომ კარნახობდა, საცდელად მათი გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, მაგრამ ამგვარ მოსაზრებათა გასაზიარებლად ისე ძალუმად უხმობდა სინდისის ხმა, რომ თუ ბატონი სეტემბრინი მათ სუფრასთან ჩამოჯდებოდა ან სასეირნოდ გამოსულებს მიეკედლებოდა, აზრების გამოსათქმელად იტალიელს თვითონ ჰანს კასტორპი იწვევდა ხოლმე.
ეს იდეები, იდეალები და მისწრაფებანი მემკვიდრეობით გადმოდის ჩვენს გვარშიო, ამბობდა სეტემბრინი. სამივემ თავისებურად მივუძღვენით სიცოცხლე ამ მოწოდებას: მამას ბაბუა ჯუზეპეზე ნაკლებად არ დაუდვია თავი, მართალია, მასავით პოლიტიკური აგიტატორი და თავისუფლებისათვის მებრძოლი არ ყოფილა, მაგრამ ეს წყნარი, სუსტი სწავლული თავის პულტთანიდგა და ჰუმანიზმისათვის იღვწოდაო. მაგრამ რა არის ჰუმანიზმი? იგი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სიყვარული და ამის წყალობით იგი პოლიტიკაც არის და ამბოხებაც ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ადამიანურობის იდეას ლაფში სვრის და შეურაცხყოფსო. ჰუმანიზმს საყვედურობენ, ფორმით არის მეტისმეტად გატაცებულიო, მაგრამ იმ მშვენიერ ფორმასაც მხოლოდ ადამიანური ღირსების გულისათვის ელოლიავება და ამ გზითაც ბრწყინვალედ უპირისპირდება შუა საუკუნეებს, რომელიც არა მარტო კაცთმოძულეობისა და ცრუმორწმუნეობის, არამედ უფორმობის ამაზრზენ ჭაობში იყო ჩაფლული. ჰუმანიზმი კი ყველაფრის საწყისად ადამიანს თვლიდა, მის მიწიერ ინტერესებს, მის თავისუფალ აზროვნებასა და სიცოცხლის სიხარულს იცავდა და ამბობდა, ზეცა თუნდაც ბეღურებს დარჩენიათო. პრომეთე! აი, ვინ იყო პირველი ჰუმანისტი. იგი იმ სატანის იდენტური გახლავთ, კარდუჩი რომ ჰიმნებს უძღვნიდა... ოჰ, ღმერთო ჩემო, ერთი მოესმინათ ბიძაშვილებს, ეკლესიის ეს ძველი მტერი ბოლონიაში, რომანტიკოსების ქრისტიანულ გულჩვილობას ან მანცონის წმინდა საგალობლებს ბდღვირს როგორ ადენდა! რომანტიკოსების ჩრდილებისა და მთვარის შუქის პოეზიას ზეცის ფერმკრთალ მონაზონ მთვარეს“ რომ ადარებდა, Per Baccho, ეს უმაღლესი ტკბობის მომნიჭებელი გახლდათ! ერთი უნდა მოგესმინათ, როგორ ესმოდა დანტე, როგორ აფასებდა და ადიდებდა მას, როგორც დიდი ქალაქის მოქალაქეს, რომელიც ილაშქრებდა ასკეტიზმისა და უმოქმედობის წინააღმდეგ და მას სამყაროს გარდამქმნელ და გამაუმჯობესებელ ძალას უპირისპირებდა. პოეტს ბეატრიჩეს ავადმყოფური და მისტაგოგიური

აჩრდილი კი არ უკვდავუყვია Donna gentile e pietosa“-ს სახით, ეს სახელი უფრო მის მეუღლეს ეკუთვნის, რომელიც ლექსში ამქვეყნიური შემეცნების პრინციპს და პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ შრომას ასახიერებსო...
როგორც იქნა, გაიგო დანტეზე რაღაც-რაღაცები ჰანს კასტორპმა და თანაც საუკეთესო წყაროდან. მართალია, თავისი განმანათლებლის თავქარიანობის შემხედვარე ამ ცნობებს მაინცდამაინც მტკიცედ ვერ დაეყრდნობოდა, მაგრამ ის კი ღირდა მოსასმენად, რომ დანტე დიდი ქალაქის განათლებული მოქალაქე ყოფილა. შემდეგ ჰანს კასტორპი ყურს უგდებდა, სეტემბრინი საკუთარ თავზე რომ ჰყვებოდა, ჩემს, ესე იგი, შვილიშვილ ლოდოვიკოს პიროვნებაში, ჩემი უშუალო წინაპრების ტენდენციები გაერთიანდა, ბაბუას მოქალაქეობრივი და მამის ჰუმანისტური ტენდენციები და ლიტერატორი და თავისუფლად მოაზროვნე მწერალი იმიტომაც გამოვედიო. ვინაიდან ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა ჰუმანიზმისა და პოლიტიკის შერწყმა და იგი მით უფრო თავისუფალი და ბუნებრივი გახლავთ, რამდენადაც ჰუმანიზმი უკვე თვითონ არის პოლიტიკა და პოლიტიკა კი, თავის მხრივ, ჰუმანიზმიაო... აქ კი ცქვიტა ყური ჰანს კასტორპმა და იმედი მოეცა, იქნება ახლა მაინც გავიგო მთელი სიგრძე-სიგანით, რაში მდგომარეობს ლუდის მხარშავი მაგნუსის უვიცობა და შევიტყო, ლიტერატურა „მშვენიერი ხასიათების“ გარდა, სხვას კიდევ რას ასახავსო. სეტემბრინიმ იკითხა, იქნებ ჩემს მსმენელებს გაგონილი ჰქონდეთ ბრუნეტო ლატინის სახელი, დაახლოებით 1250 წელს ფლორენციაში მწერლად რომ მსახურობდა და სათნოებასა და ბიწიერებაზე წიგნი რომ აქვს დაწერილიო? მან ჯერ სულიერად დახვეწა ფლორენციელები, მერე მჭევრმეტყველებაც ასწავლა და თავიანთი რესპუბლიკის პოლიტიკის კანონებით მართვის ხელოვნებაცო.
- აი, ინებეთ ბატონებო! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - აი, ინებეთ! - და იგი მოჰყვა „სიტყვაზე“ ლაპარაკს, სიტყვის კულტისა და მჭევრმეტყველების აპოლოგიას და მას კაცობრიობის ტრიუმფი უწოდა. ვინაიდან სიტყვაა ადამიანის ღირსება და მხოლოდ ის ხდის სიცოცხლეს ადამიანის ღირსადო. არა მარტო ჰუმანიზმი, არამედ, საერთოდ, ჰუმანურობა, ოდითგანვე მომდინარე ადამიანური ღირსება, ადამიანის პატივისცემა და ადამიანისაგან საკუთარი თავის პატივისცემა განუყრელად არის სიტყვასთან, ლიტერატურასთან დაკავშირებული (ხედავ, - უთხრა ჰანს კასტორპმა შემდეგ თავის ბიძაშვილს, - ხედავ, მშვენიერ სიტყვას რა მნიშვნელობა ჰქონია ლიტერატურისათვის? ამას მაშინვე მივხვდი). პოლიტიკაც ასევეა მასთან დაკავშირებული, უფრო სწორად, პოლიტიკა გამომდინარეობს ამ კავშირიდან, ჰუმანიზმისა და ლიტერატურის ერთიანობისაგან, ვინაიდან მშვენიერი სიტყვა მშვენიერ საქმეს შობსო.
- თქვენს სამშობლოში, - თქვა სეტემბრინიმ, - ორასი წლის წინ ერთი პოეტი გყავდათ, ერთი დიდებული ძველი მოლექსე, რომელიც მშვენიერ ხელნაწერს ანიჭებდა უდიდეს წონას. იგი ფიქრობდა, მშვენიერი ხელნაწერი მშვენიერი სტილის საწინდარიაო. ცოტა კიდევ რომ განევრცო თავისი აზრი, იტყოდა, მშვენიერი სტილი მშვენიერ საქმეს შობსო.
ლამაზად წერა თითქმის ლამაზად აზროვნებას ნიშნავს, - ამბობდა სეტემბრინი, ხოლო აქედან მშვენიერ საქმემდე დიდი მანძილი აღარ რჩებაო. ყოველგვარი ზნეობა და ზნეობრივი სრულყოფილება ლიტერატურის სულისაგან მომდინარეობს. ადამიანური ღირსების იმ სულისაგან, რომელიც ამავე დროს ჰუმანიზმისა და პოლიტიკის სულიც გახლავთო. დიახ, თურმე ეს ყველაფერი ერთი ყოფილა, ერთსა და იმავე ძალასა და იდეას წარმოადგენსდა იგი შეიძლება ერთ სიტყვაში შეირწყას კიდეცო. როგორი იქნება ეს სიტყვა? იგი იმ ნაცნობი მარცვლებისაგან აიგება, რომელთა აზრი და დიდებულება არა მგონია, ბოლომდე ოდესმე გაგეაზრებინოთ ბიძაშვილებსო - მას ჰქვია ცივილიზაცია! ეს სიტყვა მოსწყვიტა სეტემბრინიმ ბაგეს და თან თავისი პატარა, ყვითელი მარჯვენა ხელი ისე აღმართა, თითქოს სადღეგრძელოს ამბობსო.
ჰანს კასტორპის აზრით, ნამდვილად ღირდა ამ ამბების მოსმენა, იგი არაფერს გავალდებულებდა, უფრო საცდელად უსმენდა, მაგრამ უეჭველად ღირდა მოსასმენად. ჰანს კასტორპმა შემდეგ ეს აზრი იოახიმ ციმსენსაც გაუზიარა. იოახიმს პირში თერმომეტრი ედო და მხოლოდ გაურკვევლად შეეძლო ეპასუხა, მერე კი თერმომეტრს დასცქეროდა გაფაციცებული, რომ მისი ჩვენება ცხრილში

შეეტანა და სეტემბრინის დებულებებზე აზრის გამოსათქმელად ნამდვილად არა სცალოდა. ჰანს კასტორპი, როგორც მოგახსენეთ, სიამოვნებით უგდებდა ყურს ყოველგვარ მსჯელობას, გამოსაცდელად უღებდა გულის კარს და აქედან, უპირველეს ყოვლისა, ის აზრი გამოჰქონდა, რამდენად სჯობია ფხიზელი ადამიანი სულელურ სიზმრებში გახვეულ კაცსო. სიზმარში რამდენჯერ მიუხლია პირში სეტემბრინისათვის, მეარღნე ბრძანდებითო და მთელი ძალით ცდილა, იგი გზიდან ჩამოეცილებინა, ხელს ნუ მიშლითო. სიფხიზლეში კი მას თავაზიანად და ყურადღებით უსმენდა და კანონიერების გრძნობით შეპყრობილი ცდილობდა, ის წინააღმდეგობები გაეწონასწორებინა და დაეთრგუნა, რომლებიც მენტორის დებულებებისა და მოსაზრებების საპირისპიროდ აღეძვრებოდა. ასეთი წინააღმდეგობები რომ აღეძვრებოდა, ამას ვერ უარვყოფთ: ზოგი ადრევე, ოდითგანვე არსებობდა მის სულში, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ახლანდელი გარემოებებიდან რომ აღმოცენებულიყვნენ აქ, ზევით, განცდილი ხან დაუფარავი, ხან კი ფარული გრძნობების წყალობით.
რას წარმოადგენს ადამიანი, რა იოლად ტყუვდება მისი სინდისი! როცა მის სულში მოვალეობის გრძნობა აღიმაღლებს ხმას, მაშინაც კი ახერხებს ამ ხმაში თავისი ვნების წამქეზებელი ხმა გამოარჩიოს! ჰანს კასტორპი სეტემბრინის მოვალეობის გამო, მოწონების სურვილითა და სამართლიანობის კარნახით უსმენდა, კეთილი გულით ამოწმებდა მის მოსაზრებებს გონიერების, რესპუბლიკისა და მშვენიერი სტილის თაობაზე, მზად იყო, ამ აზრების გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, თან კი ამ აზრების საწინააღმდეგო ფიქრსა და ოცნებას მით უფრო ხელაღებით აძლევდა გასაქანს. მთელი ჩვენი ეჭვი, ან უფრო სწორად, მთელი ჩვენი რწმენა რომ გამოეთქვათ, იგი მხოლოდ იმ მიზნით უსმენდა ბატონ სეტემბრინის, რათა საკუთარი სინდისისათვის ის უფლება დაეცინცლა, რომელზედაც აქამდე ყოველთვის უარს ეუბნებოდა თავს. რა ან ვინ იდგა პატრიოტიზმის, ადამიანური ღირსებისა და მხატვრული ლიტერატურის საპირისპირო მხარეზე, საითაც ჰანს კასტორპს თავისი ფიქრი და ლტოლვა მიემართა და ეგონა, რომ ჰქონდა კიდეც ამის უფლება? იქ იდგა... კლავდია შოშა - მოდუნებული, ჭიანაჭამი, ყირგიზულთვალებიანი კლავდია შოშა და ის რომ მოაგონდებოდა (თუმცა მოგონება“ მეტისმეტად გულგრილი სიტყვაა ამ ქალისადმი მისი ლტოლვის გამოსახატავად), ეჩვენებოდა, ჰოლშტაინის ტბაზე მივცურავ ნავით, დასავლეთ ნაპირის ბროლივით გამჭვირვალე დღის სინათლეს მზერას ვაცილებ და გაშტერებული და დაბრმავებული თვალით აღმოსავლეთის ცაზე გამეფებული, ნისლით შებურვილი მთვარიანი ღამისკენ ვიცქირებიო.

თერმომეტრი

ჰანს კასტორპის კვირა სამშაბათიდან სამშაბათამდე იანგარიშებოდა, რახან აქ სამშაბათ დღეს იყო ჩამოსული და აი, სულ რამდენიმე დღის უკან გაესწორებინა მეორე კვირის ანგარიში - გადაეხადა ერთი კვირის მოკრძალებული დანახარჯი - სულ 160 ფრანკი. დიახ, ეს თანხა მოკრძალებული და იაფი ეჩვენებოდა ჰანს კასტორპს, მით უმეტეს, თუ იმ ფულით აუნაზღაურებელ სიკეთესაც მივიღებდით მხედველობაში, რომელიც აქ ყოფნას ახლდა თან. ეს სიკეთე, ფულით რომ არ იზომებოდა, სწორედ ამიტომაც არ შეჰქონდათ ანგარიშში. რაც შეეხება სხვა გასართობს, როგორიც, მაგალითად, ორკვირეული კონცერტები და დოქტორ კროკოვსკის ლექციები გახლდათ, კურორტის მმართველობას რომ მოენდომებინა, თავისუფლად შეიძლებოდა ამათთვის ფასი დაედოთ. არა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ თანხის დასაფარად მარტო მასპინძლობა, სასტუმროს საკადრისი მომსახურება, მოხერხებული ლოჯიები და ხუთი უხვი ტრაპეზიც კმაროდა.
- დანახარჯი სულაც არ მეძვირება, უფრო იაფია, ვიდრე ძვირი, ნამდვილად ვერ დაიჩივლებ აქ, ზევით ყოფნა ძვირი მიჯდებაო, - ეუბნებოდა ჰოსპიტანტი სანატორიუმის მკვიდრს, - ესე იგი, ბინასა და კვებაში თვეში გეხარჯება 650 ფრანკი, თან სამედიცინო მომსახურებაც ამაში შედის. კეთილი და პატიოსანი, ახლა ამას დაუმატე თვეში 30 ფრანკი არყის ფული. მსახურებს იმდენი კი უნდა დაურიგო, წესიერი კაცი თუ ხარ და თუ გინდა, შენ ირგვლივ მოღიმარ სახეებს

ხედავდე. ესეც შენი 680 ფრანკი. კარგი, ახლა შენ მეტყვი, ამის გარდა, შემთხვევითი ხარჯიც შეგხვდებაო. ფული დაგეხარჯება სასმელში, კოსმეტიკაში, სიგარებში, ხან ექსკურსიაზე წასვლა მოგინდება, ხან ეტლით გაისეირნებ, ხანდახან ხარაზისა და მკერავის ანგარიშებიც გექნება გასანაღდებელი. გეთანხმები, მაგრამ ძალიანაც რომ მოინდომო, თვეში ათას ფრანკს მაინც ვერ დახარჯავ! ესე იგი, 800 მარკაც არ გამოდის! ხოლო წელიწადში, დიდი-დიდი, 10 000 მარკა დაგეხარჯოს. ამაზე მეტი ხომ არაფრისდიდებით არ იქნება. აი, ამ თანხით ცხოვრობ შენ.
- ზეპირი ანგარიში კარგი გცოდნია, - უთხრა იოახიმმა, - არ მეგონა, ასე გაწაფული თუ იყავი ანგარიშში. მაშინვე წლიური კალკულაცია რომ შეადგინე, ეს შენს დიდ გაქანებას მოწმობს აქ, ზევით, ნამდვილად გისწავლია რაღაც-რაღაცები, თუმცა თანხა მეტისმეტად დიდი გამოგივიდა. მე არც სიგარებს ვეწევი და აქ არც კოსტიუმების შეკერვას ვაპირებ, მადლობა მომიხსენებია!
- აი, ხომ ხედავ, მეტიც კი მიანგარიშია, - თქვა, ცოტა არ იყოს, შემცბარმა ჰანს კასტორპმა. ეს როგორ მოუვიდა, რომ ბიძაშვილის ანგარიშში ახალი კოსტიუმები და სიგარები ჩაყარა? ხოლო რაც შეეხება ზეპირი ანგარიშის ნიჭს, ეს თვალში ნაცრის შეყრა და მოტყუება გახლდათ. ანგარიშშიც ისეთივე ზანტი და უნდილი იყო, როგორიც სხვა ყველაფერში და მისი სწრაფი საზრიანობა ამ შემთხვევაში იმპროვიზაციას კი არ წარმოადგენდა, იგი საფუძვლიანად და ასე განსაჯეთ, წერილობითაც კი იყო მომზადებული. სახელდობრ, ერთ საღამოს, სამკურნალო წოლისას (ჰანს კასტორპიც სხვების მსგავსად წვებოდა საღამოს გარეთ) უეცრად ახალი აზრი დაებადა, თავისი მოხერხებული შეზლონგიდან წამოდგა და ოთახიდან ფანქარი და ქაღალდი გამოიტანა საანგარიშოდ. ასე დაადგინა, რომ მის ბიძაშვილს, ან თუნდაც სხვას, აქ წელიწადში, დიდი-დიდი, 12 000 ფრანკი დახარჯოდა და ხუმრობით ისიც გაივლო გულში, პირადად ჩემთვის აქ ცხოვრება ეკონომიურად ზედგამოჭრილიაო, რადგან თვითონ შეეძლო, წელიწადში 18-19 000 ფრანკი დაეხარჯა.
ამრიგად, მეორე კვირის ანგარიში, სანატორიუმის მესვეურთა და თავისდა სასიამოვნოდ, უკვე სამი დღეა, გასტუმრებული ჰქონდა. ეს კი ნიშნავდა, რომ იგი თავისი მესამე, ანუ უკანასკნელი კვირის შუამდე გახლდათ მისული. კვირას დაგეგმილ კონცერტს დავესწრები, ხოლო ორშაბათს დოქტორ კროკოვსკის ასევე ორ კვირაში ერთხელ დაწესებულ ლექციას მოვუსმენო, - თქვა გულში და იოახიმსაც ასევე მოახსენა. სამშაბათს ან ოთხშაბათს აქედან გაემგზავრებოდა ჰანს კასტორპი და იოახიმი კვლავ მარტო დარჩებოდა, საბრალო იოახიმი, რომლისთვისაც რადამანთისს, ვინ იცის, კიდევ რამდენი თვე ჰქონდა გამოწერილი. იოახიმს ყოველთვის ნაღველი ჩაუდგებოდა ნაზ, შავ თვალებში, როგორც კი სიტყვა ჰანს კასტორპის მოახლოებულ გამგზავრებაზე ჩამოვარდებოდა. ღმერთო დიდებულო! მაინც სად გაქრა ეს არდადეგები! ისე გაირბინა, ისე გაფრინდა და გაილია, რომ მართლა ვერ გეტყოდათ, როგორ შემოადნა ხელში. ბოლოს და ბოლოს, ოცდაერთი დღე ჰქონდათ ერთად გასატარებელი, თავიდან თითქოს თვალს რომ ვერ გადაუწვდენდი, ახლა კი სამი-ოთხი საცოდავი დღეღა დარჩენილიყო, სათქმელადაც რომ არა ღირდა. თუმცა ეს დღეები ჩვეულებრივი დღეებისაგან განსხვავებული რეჟიმით დამძიმდებოდა, მაგრამ მაინც აღსავსე იქნებოდა ბარგის შეკვრისა და გამგზავრების ციებ-ცხელებით. აქ, ზევით, სამი კვირა გინდ ყოფილა და გინდ არაო, ასე ეუბნებოდნენ ყველანი. ჩვენთან დროის უმცირესი ერთეული თვე გახლავთო, უთხრა სეტემბრინიმ, ჰანს კასტორპმა კი აქ თვეზე ნაკლები დაჰყო და ამიტომ მის ჩამოსვლას ჩამოსვლაც არ ეთქმოდა. ეს, როგორც ჰოფრატმა ბერენსმა ბრძანა, მხოლოდ ელვისებურივიზიტი გახლდათ. იქნებ გაძლიერებული საერთო წვის ბრალი იყო, აქ დრო თვალის დახამხამებაში რომ გარბოდა? დროის ასეთი სწრაფი ქროლა ხომ ნუგეში უნდა ყოფილიყო იოახიმისათვის, რომელსაც ხუთი თვე ედო წინ, თუკი, რა თქმა უნდა, ის მეხუთე თვე მისთვის საბოლოო აღმოჩნდებოდა, ოღონდ, ეს კია - ამ სამი კვირის განმავლობაში დროს მეტად უნდა მოფრთხილებოდნენ ბიძაშვილები, ისევე უნდა დადარაჯებოდნენ, როგორც ტემპერატურის გაზომვისას, როცა გამოზომილი შვიდი წუთი დროის ესოდენ მნიშვნელოვან მონაკვეთად იქცეოდა ხოლმე. ჰანს კასტორპს სულითა და გულით

ებრალებოდა ბიძაშვილი, რომელსაც თვალებში ეხატებოდა ამხანაგსა და კომპანიონთან მოახლოებული განშორებით აღძრული სევდა. ჰანს კასტორპი ნამდვილად თანაუგრძნობდა იოახიმს, როცა მოაგონდებოდა, საბრალო ამიერიდან უიმისოდ რომ უნდა დარჩენილიყო აქ, თვითონ კი კვლავ ბარში უნდა ეცხოვრა და ხალხთა დამაახლოებელი ტექნიკის სამსახურში ჩამდგარიყო. ხანდახან ისე ეტკინებოდა გული, რომ სერიოზულად დაფიქრდებოდა, თავს თუ მოვერევი და იოახიმს აქ, ზევით, მარტო თუ მივატოვებო. დიახ, ხანდახან სიბრალული ისე უდაგავდა გულს, რომ ამის გამო თანდათან მოუკლო გამგზავრებაზე ლაპარაკს. ისევ იოახიმი თუ ჩამოუგდებდა სიტყვას, თორემ, როგორც მოგახსენეთ, ჰანს კასტორპს თანდაყოლილი ტაქტისა და სათუთი გულის წყალობით უკანასკნელ წუთამდე გამგზავრებაზე აღარც უნდოდა კრინტი დაეძრა.
- ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი მაინც უნდა ვიქონიოთ, რომ აქ, ჩვენთან, დაისვენე და ბარში გამოცოცხლებული დაბრუნდები, - ეუბნებოდა იოახიმი.
- ჰო, მაშასადამე, ყველას მოკითხვას გადავცემ და ვეტყვი, რომ შენც არა უგვიანეს ხუთი თვისა ჩემს გზას დაადგები. მე თუ დავისვენე ამ ოციოდე დღეში? რა ვიცი, იქნებ დავისვენე კიდეც. ამ მოკლე დროშიც შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს, დამესვენა, მაგრამ აქ, ზევით, იმდენი უჩვეულო შთაბეჭდილება მომეძალა, უჩვეულო ყოველი თვალსაზრისით, ამაღელვებელიც და გონებისა და სხეულის დამღლელიც, რომ ვერც კი ვგრძნობ, ყველას თუ მოვერიე და აქაურობას თუ შევეგუე. ეს კი, ხომ იცი, ყოველგვარი დასვენების წინა პირობა გახლავს. მადლობა ღმერთს, „მარიას“ ეს რამდენიმე დღეა ძველებურად ვატან გემოს, მაგრამ დროგამოშვებით ცხვირსახოცზე წითელ ლაქებს ვამჩნევ, ხოლო ამ ალმურსა და გულის უაზრო ბაგაბუგს, ეტყობა, ბოლომდე ვერ მოვიცილებ. არა, არა, აკლიმატიზაციაზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ასეთ მოკლე დროში რა აკლიმატიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი. აკლიმატიზაციისა და შთაბეჭდილებათა გადახარშვისათვის მეტი დრო იყო საჭირო. აი, მაშინ კი შემერგებოდა დასვენება და ცილებსაც შევიმატებდი. სამწუხაროა. სამწუხაროა-მეთქი, ვამბობ, რადგან თავიდანვე შეცდომა დავუშვი, აქ დასარჩენად მეტი დრო რომ არ გამოვყავი. არ შემეძლო თუ რა? ჰოდა, ახლა ასე მგონია, ბარში რომ ჩავალ, შინ ჯერ ამ დასვენებისგან უნდა დავისვენო და სამი კვირა გამოვიძინო, ხანდახან ისე გასავათებული მეჩვენება თავი. ახლა კიდევ ეს კატარი მაკლდა...
მგონი, ჰანს კასტორპს მართლა საშინელი სურდოთი უწევდა ბარში დაბრუნება. ალბათ, სამკურნალო წოლისას, სახელდობრ, საღამოს სამკურნალო წოლისას, გავცივდიო, ეჭვობდა იგი. ამ ბოლო კვირაში საღამოობითაც წვებოდა ხოლმე აივანზე, თუმცა ნოტიო, სუსხიანი ამინდები იდგა და მის გამგზავრებამდე გამოდარებას პირი არც უჩანდა, მაგრამ უკვე იცოდა, რომ ასეთ ამინდს ცუდი არ ეთქმოდა. ავდრის ცნება აქ, ზევით, ცოტა სხვაგვარად ესმოდათ. არც დარს ეპუებოდნენ და არც ავდარს, ამინდს საერთოდ არაფრად აგდებდნენ. ჰოდა, ჰანს კასტორპიც ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ამყოლი ხასიათის გამო სწრაფად ითვისებდა იმ გარემოს ზნე-ჩვეულებებს, სადაც ბედს გადმოეგდო და ამინდსაც თანდათან ისიც გულგრილად ეკიდებოდა. მერე რა, რომ კოკისპირულად წვიმდა. არ უნდა გგონებოდათ, ამის გამო ჰაერს სიმშრალე მოაკლდებოდა და ეს მართლაც ასე გახლდათ, რადგან თავი ძველებურად უხურდა, თითქოს ზედმეტად გახურებულ ოთახში მჯდარიყოს ან ზედმეტი გადაეკრას. რაც შეეხებოდა სიცივეს და ისიც გვარიან სიცივეს, აზრი არ ჰქონდა, მას გაქცეოდი და ოთახისათვის შეგეფარებინა თავი. თუ არ თოვდა, ოთახს არ ათბობდნენ და იქ ჯდომა არავითარ შემთხვევაში არ იყო უფრო სასიამოვნო - გაცილებით ჯობდა, ზამთრის პალტოსა და აქლემის ბეწვის ორ საბანში ოსტატურად გამოხვეული აივანზე წოლილიყავი. დიახ, პირიქით, აივანზე წოლა გაცილებით სასიამოვნო გახლდათ. სიმართლე თუ გნებავთ, ჰანს კასტორპი, რაც თავი ახსოვდა, ამაზე უფრო ნებიერ ყოფაში არ ჩავარდნილა. ამ აზრს ვერაფერს აკლებდა ის, რომ ვიღაც მწერალმა და კარბონარამ ასეთ ცხოვრებისეულ ყოფას გესლიანი ნართაულით ცხოვრების „ჰორიზონტალური“ წესი უწოდა. ყველაზე სასიამოვნო სწორედ საღამოს იყო ასე წოლა, პატარა მაგიდაზე ნათურას რომ აინთებდი, საბნებში თბილად შეფუთულს პირში „მარია“ გქონდა გაჩრილი, რომელსაც

ძველებური არომატი დაჰბრუნებოდა და აქაური შეზლონგების ძნელად ასახსნელი კეთილი თვისებებით ტკბებოდი. მართალია, ცხვირი წაყინული გქონდა და ჯერ კიდევ იგივე Ocean steamships“ გეჭირა სიცივისაგან დაწითლებულ და დაკრუნჩხულ ხელებში, სამაგიეროდ, ლოჯიის თაღებიდან ბინდშეპარულხეობას გასცქეროდი, რომელიც ალაგ-ალაგ გაბნეული, ალაგ-ალაგ კი ერთმანეთზე მიჯრილი სინათლეებით იყო დაწინწკლული. იქიდან თითქმის ყოველ საღამოს, ერთი საათის განმავლობაში, მაინც ამოდიოდა მუსიკის ხმა, სასიამოვნოდ მიყრუებული ნაცნობი მელოდიები: ოპერების ფრაგმენტები, ნაწყვეტები კარმენიდან“, „ტრუბადურიდან“ ან ფრაიშუტციდან“. ფრაგმენტებს კეთილხმოვანი, მსუბუქი ვალსები და მარშები მოჰყვებოდა და მათ ტაქტზე მედიდურად იქნევდა თავს, მერე კი ხალისიანი მაზურკები გაისმოდა. მაზურკა? მაზურკა კი არა, მარუსია ერქვა იმ პატარა ლალისთვლიან ქალიშვილს, მეზობელ ლოჯიაში კი რძისფერი შუშის ტიხარს იქით იოახიმი იწვა და ჰანს კასტორპი ხანდახან ხმადაბლა ეხმაურებოდა, რათა სხვა ჰორიზონტალები არ შეეწუხებინა. იოახიმიც ჰანს კასტორპივით მყუდროდ იყო მოკალათებული თავის აივანზე, თუმცა მუსიკალურ სმენაზე მწყრალად გახლდათ და საღამოს კონცერტებით მასავით ვერ ტკბებოდა. საწყალი იოახიმი - მუსიკით დატკბობის ნაცვლად, ალბათ, რუსულ გრამატიკას კითხულობდა. ჰანს კასტორპს კი თავის Ocean steamships“ საბანზე მიეგდო და მთელი გულისყური მუსიკაზე გადაეტანა, სიამოვნებით იხედებოდა მუსიკის ფაქტურის გამჭვირვალე სიღრმეებში და სახასიათო, მგრძნობიარე და მელოდიური ჰანგები ისეთ დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ ხანდახან გაგულისებული ფიქრობდა სეტემბრინის ახირებულ დებულებაზე, მუსიკა პოლიტიკურად საეჭვო რამ არისო. ეს აზრი, სინამდვილეში, ბევრით არაფრით სჯობდა ბაბუა ჯუზეპეს გამონათქვამებს ივლისის რევოლუციისა და სამყაროს შექმნის ექვსი დღის თაობაზე.

ამგვარად, იოახიმს მუსიკაც ნაკლებად იზიდავდა და თამბაქოთი თავის შექცევაც უცხო ხილი იყო მისთვის, მაგრამ თავის ლოჯიაში ისიც გემრიელად და მშვიდად გახლდათ მოკალათებული. დღევანდელი დღე დამთავრდა. ამჯერად ყველაფერი დამთავრებული იყო და კარგად იცოდა, რომ დღეს მეტი აღარაფერი მოხდებოდა, ვეღარაფერი აგაღელვებდა და ვერც გულის კუნთებს შეგიტოკებდა რამე. თან ისიც კარგად იცოდი, რომ ხვალ მცირე სივრცის, ხელშემწყობი პირობებისა და გარემოებათა სისტემატურობის წყალობით ნამდვილად ყველაფერი ხელახლა დაიწყებოდა და განმეორდებოდა. ეს ორმაგი რწმენა და უსაფრთხოება არაჩვეულებრივად სასიამოვნო გახლდათ და მუსიკასა და სურნელებადაბრუნებულ მარიასთან“ ერთად ჰანს კასტორპს საღამოს სამკურნალო წოლას მართლაც ბედნიერ ყოფად უქცევდა.

ოღონდ ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ჰოსპიტანტი და აზიზი ახალბედა სამკურნალო წოლისას (თუ სადმე სხვაგან) გვარიანად გაცივებულიყო. ჰანს კასტორპს, ეტყობოდა, მაგარი სურდო შეჰყროდა, სურდო უკვე შუბლის წიაღში ჩასჯდომოდა და ტეხდა, ნაქი შესივებოდა და სტკიოდა, ხოლო ჰაერი ძველებურად კი აღარ ჩასდიოდა ბუნებისაგან საამისოდ გათვალისწინებულ არხში, არამედ ყელში ცივად ეჭედებოდა და ყოველ წუთში ხველება უტყდებოდა. ხმა ერთ ღამეში ისე ჩაეხლიჩა, თითქოს ყელი მაგარი სასმლისაგან აქვს ჩამწვარიო და, როგორც ამბობდა, იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, ხახა უშრებოდა და ხველება ბალიშზე არ ადებინებდა თავს.

- ძალიან საწყენია, - უთხრა იოახიმმა, - საწყენიცაა და თითქმის უხერხულიც. გაცივება რომ იცოდე, აქ recus არ გახლავს, ჰავის სიმშრალის გამო ოფიციალურად არის უარყოფილი და ვაი იმ პაციენტს, ვინც ბერენსთან დაიჩივლებს, გავცივდიო... შენი საქმე სულ სხვაა, შენ, ბოლოს და ბოლოს, უფლება გაქვს, გაცივდე. ისე, კარგი იქნებოდა, კატარი როგორმე შეგვეჩერებინა, ბარში კი აქვთ ამის პრაქტიკა, მაგრამ ვეჭვობ, აქ შენი ავადმყოფობით სერიოზულად დაინტერესდეს ვინმე. აქ სჯობია, კაცი ავად არ გახდე, თორემ სულერთია, მაინც არავინ შეიწუხებს შენთვის თავს. ეს ძველი მოძღვრება გახლავს და, ბოლოს და ბოლოს, ესეც უნდა იწვნიო. აქ რომ ჩამოვედი, ერთ ქალს მთელი კვირა ხელი ეჭირა ყურზე და ტკივილისაგან მოთქვამდა, ბერენსმა, როგორც იქნა, ჩახედა ყურში, შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ტუბერკულოზური აქ

არაფერიაო, უთხრა და ამით მოათავა საქმე. ჩვენ მაინც ჩვენსას ვეცადოთ, ხვალ დილადრიან მასაჟისტი რომ მომაკითხავს, ვეტყვი შენს ამბავს. აქ ასეთი წესია, ექიმებს იმან უნდა გადასცეს ცნობა. მერე იქნებ მოგხედონ.
იოახიმის ნათქვამი გამართლდა. სამედიცინო სამსახური ჩინებულად მუშაობდა. პარასკევს ჰანს კასტორპი, ის-ის იყო, დაბრუნდა დილის სეირნობიდან, რომ კარზე დაუკაკუნეს და ასე გაიცნო პირადად ფროილაინ მილენდონკი, ანუ როგორც მას ეძახდნენ, „ქალბატონი უფროსი ექთანი“. აქამდე ჰანს კასტორპს მხოლოდ შორიდან თუ მოეკრა თვალი საქმეებით მართლა დატვირთული უფროსი ექთანისათვის. იგი ერთი ავადმყოფის ოთახიდან რომ გამოვიდოდა, ტალანს გადაჭრიდა და მოპირდაპირე ოთახში შევიდოდა ან წუთით თუ გაიელვებდა სასადილო დარბაზში. იქ ჰანს კასტორპს რამდენჯერმე გაეგონა მისი წრიპინა ხმა. ახლა კი კატარის წყალობით, ქალბატონი უფროსი ექთანი პირადად მას ეახლა. უფროსმა ექთანმა კარზე მაგრად და მოკლედ დააკაკუნა და სანამ ჰანს კასტორპი გასძახებდა, მობრძანდითო, შემოვიდა კიდეც, თუმცა ზღურბლზე ისევ შეჩერდა, უკან გადაიხარა და ოთახის ნომერი ერთხელ კიდევ შეამოწმა.
- ოცდამეთოთხმეტე,- ხმამაღლა დაიწრიპინა მან, - დიახ, სწორია, ადამიანისშვილო, on me dit, que vous avez pris froid, I ჰეარ, ყოუ ჰავე ცაუგჰტ ა ცოლდ, ჭყ კასცჰეტსჯა, პროსტუდილისჯ, თქვენზე მითხრეს, გაცივდაო. რა ენაზე გელაპარაკოთ? აჰა, გერმანულად, მივხვდი, თქვენ ხომ ახალგაზრდა ციმსენის სტუმარი ბრძანდებით. დიახ, ვხედავ. საოპერაციოში ვარ წასასვლელი. იქ ერთს უნდა ვაყნოსებინოთ ქლოროფომი და ცერცვის სალათა კი მიურთმევია ვაჟბატონს. ყველაფერს ხომ ვერ მიაწვდენ თვალს... თქვენ კი, ადამიანისშვილო, თქვენ რაღამ გაგაცივათ აქ?
ჰანს კასტორპი საშინლად გააკვირვა ამ დიდგვაროვანი ქალის ლაპარაკმა. ქალს ენა წინ უსწრებდა, სიტყვებს ნაჩქარევად ისროდა, თავს მოუსვენრად ატრიალებდა აქეთ-იქით და მაღლა აშვერილი ცხვირით გალიაში ჩასმული მხეცივით ყნოსავდა ჰაერს. დაჭორფლილი მარჯვენა ხელი რბილად მოემუშტა, ცერი კი აეშვირა და ამ ხელს ჰაერში ისე იქნევდა, თითქოს ამბობდა: აბა, სწრაფად, სწრაფად, სწრაფად! მე ნუ მიგდებთ ყურს, თქვენი სათქმელი თქვით, რომ მალე წავიდეო. ქალი ორმოციოდე წლის იქნებოდა, ჩია, დალეული, უფორმო ტანი ქამრიან თეთრ ხალათში გამოესკვნა, ხოლო მკერდზე ძოწის ჯვარი ეკიდა. თეთრი ჩაჩიდან თხელი მოწითალო თმა გამოსჩენოდა, წყლისფერ, ჩაწითლებულ თვალებს აპარპალებდა, ცალ თვალზე კარგად ჩამწიფებული ჯიბლიბო აჯდა, ცხვირი აპრეხილი ჰქონდა, პირი გომბეშოსავით ჩახეული. გარდა ამისა, განზე მოქცეული ქვედა ტუჩი წინ წამოსწეოდა და ლაპარაკის დროს ნიჩაბივით იქნევდა. ჰანს კასტორპი ქალს მაინც თანდაყოლილი მოკრძალებით, მოთმინებითა და კაცთმოყვარე ღიმილით შესცქეროდა.
- ეს რა გაცივება მოგეგუნებათ, ჰა? - ჰკითხა უფროსმა ექთანმა ხელახლა და შეეცადა, თვალი თვალში გაეყარა, მაგრამ ვერ შეძლო, ისე გაურბოდა თვალები აქეთ-იქით, - ჩვენ ასეთი გაცივებები არ გვიყვარს. ხშირად ცივდებით ხოლმე? თქვენი ბიძაშვილიც ხშირად ცივდებოდა? რამდენი წლისა ხართ? ოცდაოთხის? ასაკმაც იცის. აქ ამობრძანდით და გაცივდით? თუ შეიძლებოდეს, აქ გაცივება“ არ გამაგონოთ, უკაცრავად კი ვარ, პატივცემულო ადამიანისშვილო, მაგრამ ეგ ქვემოდან ამოყოლილი მიქარვა გახლავს (უფროსმა ექთანმა ქვედა ტუჩი კვლავ ნიჩაბივით მოიქნია და ეს სიტყვა მისი პირიდან საზიზღრად და ტლანქად გაისმა)! თქვენ სასუნთქი გზების მშვენიერი კატარი გაქვთ, გეთანხმებით, თვალებზე გეტყობათ, ოღონდ კატარი სიცივისაგან როდი ემართება ხალხს, იგი ინფექციის შედეგი გახლავთ, რომლის მიმართაც მგრძნობიარე გამოდგა ორგანიზმი. ახლა კი საკითხავია, ეს რამდენად უწყინარი ინფექციაა, სხვა ყველაფერი მიქარვაა (ისევ ის ამაზრზენი სიტყვა ახსენა მან). იქნებ თქვენი ორგანიზმის მგრძნობიარობა უფრო უწყინარი გამოდგეს, - დააიმედა ჰანს კასტორპი უფროსმა ექთანმა და უცნაურად მიაშტერა მომწიფებული ჯიბლიბოიანი თვალი, - აი, თქვენ, უვნებელი ანტისეპტიკური საშუალება. გიშველით, ალბათ, - ქალმა ქამარზე დაკიდებული შავი ტყავის ჩანთიდან პატარა შეკრულა ამოიღო და ჰანს კასტორპს მაგიდაზე დაუდო. ეს ფორმამინტი გახლდათ, - ისე აღგზნებული ჩანხართ, თითქოს სიცხე გაქვთო, - ქალს კვლავ განზე გაურბოდა თვალები და ჰანს კასტორპს სახეში

ვერ უყურებდა, - სიცხე ხომ არ გაგიზომავთ?
ჰანს კასტორპმა უპასუხა, არაო.
- რატომ არ გაიზომეთ? - ჰკითხა მან და განზე მოქცეული ქვედა ტუჩი ჰაერში დარჩა გაშეშებული...
ჰანს კასტორპი გაჩუმდა. საბრალო ჯერ კიდევ ისე ახალგაზრდა იყო, რომ მოწაფესავით გაჩუმებას ვერ გადასჩვეოდა. თითქოს მერხიდან წამომდგარა, არაფერი იცის და ენა მუცელში ჩავარდნიაო.
- სიცხეს საერთოდ არ იზომავთ ხოლმე?
- როგორ არა, ქალბატონო უფროსო ექთანო. როცა მაქვს, ვიზომავ ხოლმე.
- ადამიანისშვილო, სიცხეს, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის იზომავენ, რომ გაიგონ, აქვთ თუ არა სიცხე. ახლა როგორ გგონიათ, გაქვთ სიცხე თუ არა?
- კარგად არ ვიცი, ქალბატონო უფროსო ექთანო. კარგად ვერ ვარჩევ. რაც აქ მოვედი, სულ გახურებული ვარ და მაჟრჟოლებს ხოლმე.
- აჰა, თერმომეტრი სადა გაქვთ?
- არა მაქვს, ქალბატონო უფროსო ექთანო. რად მინდა? მე ხომ სტუმრადა ვარ აქ, მე ჯანმრთელი გახლავართ.
- მიჰქარავთ! ჯანმრთელი რომ ხართ, იმიტომ დამიძახეთ?
- არა, - თავაზიანად გაიცინა მან, - იმიტომ დაგიძახეთ, რომ ცოტა...
- გაცივებული ხართ, არა? ასეთი გაცივება ბევრჯერ გვინახავს. ინებეთ, - თქვა მან, ჩანთა მოიქექა, ნიმუშად ტყავის ორი მოგრძო ფუტლარი ამოიღო, ერთი შავი და ერთი წითელი, და ისინი მაგიდაზე დააწყო, - აი, ეს სამ-ნახევარი ფრანკი ღირს, ეს კი - ხუთი ფრანკი. თქვენ, რა თქმა უნდა, ხუთფრანკიანს აირჩევთ. წესიერად თუ იხმართ, მთელი სიცოცხლე მოგემსახურებათ.
ჰანს კასტორპმა ღიმილით აიღო მაგიდიდან წითელი ფუტლარი და გახსნა. შუშის ხელსაწყო ძვირფასი სამკაულივით ესვენა ზუსტად მისი მოყვანილობის მიხედვით ჩაღრმავებულ ხავერდის საფენზე. გრადუსებიწითელი, ხოლო მეათედები შავი ხაზებით იყო აღნიშნული. ციფრებიც წითლად ეწერა, მოვიწროებული ბოლოკი სარკესავით მოლაპლაპე ვერცხლისწყლით იყო სავსე. ვერცხლისწყლის სვეტი ძირს იყო დაწეული, გაცილებით დაბლა იდგა ცხოველურ სითბოზე.
ჰანს კასტორპმა იცოდა, ღირსების დასაცავად როგორ უნდა მოქცეულიყო.
- ამას ავიღებ, - თქვა მან ისე, რომ მეორე თერმომეტრისთვის არც დაუხედავს, - ხუთფრანკიანს. ნებას მომცემთ, ახლავე...
- მოვრიგდით! - დაიწრიპინა უფროსმა ექთანმა, - მნიშვნელოვან ნივთს რომ იძენ, არ უნდა იწუწურაქო! საჩქარო არაფერია, თანხას ანგარიშში შევიტანთ. აქ მომეცით, ერთი კარგად ჩამოვფერთხოთ დაბლა. აი, ასე, - ჰანს კასტორპს თერმომეტრი ხელიდან გამოართვა, ჰაერში რამდენჯერმე დაიქნია და ვერცხლის სვეტი კიდევ უფრო დაბლა, 35 გრადუსამდე ჩამოიყვანა, - კიდევ აიწევს, კიდევ ავარდება მაღლა მერკური, - თქვა მან, - აი, თქვენი ნადავლი! ალბათ, გეცოდინებათ, ჩვენთან როგორ იზომავენ სიცხეს. თერმომეტრს დღეში ოთხჯერ შვიდი წუთით ამოიდებთ თქვენი ძვირფასი ენის ქვეშ, ხოლო თქვენს უძვირფასეს ბაგეებს ამ დროს კარგად მოკუმავთ. Adieu, ადამიანისშვილო! აბა, თქვენ იცით! - თქვა უფროსმა ექთანმა და ოთახიდან გავიდა.
ჰანს კასტორპმა თავი დაუკრა, მერე კარგა ხანს იდგა მაგიდასთან და იმ კარს გაჰყურებდა, საიდანაც უფროსი ექთანი გავიდა, შემდეგ კი მის დატოვებულ ინსტრუმენტს დახედა. „მაშ, ეს არის უფროსი ექთანი ფონ მილენდონკი, - გაიფიქრა მან, - სეტემბრინი ვერ იტანს და მართალიცაა, დიდი ულაზათო ქალია. ჯიბლიბოც ამახინჯებს, თუმცა ჯიბლიბო ყოველთვის ხომ არ ექნება. მაგრამ მე რატომღა მეძახის ადამიანისშვილს“, „ს“-ს მაინც რაღად ურთავს შუაში? ეს რა ძმაბიჭობაა?.. თან თერმომეტრიც რომ შემომასაღა?! ჩანთაში რამდენიმე ცალი, ალბათ, ყოველთვის უდევს. თერმომეტრი აქ, ალბათ, ყველგან იშოვება, ყველა მაღაზიაში ყიდიან, იქაც კი ყიდიან, სადაც არ უნდა იყიდებოდესო, ასე მითხრა იოახიმმა, მაგრამ მე სულაც არ გავრჯილვარ, ისე, თავისით ჩამივარდა კალთაში“.
მან კოხტა ხელსაწყო ფუტლარიდან ამოიღო, დაათვალიერა და აღელვებულმა გაიარ-გამოიარა ოთახში. გული ძალუმად და სწრაფად უცემდა. აივნის ღია კარს გახედა, შემდეგ ოთახის კარისკენ გაიწია, იოახიმთან შევივლიო, მაგრამ

გადაიფიქრა და მაგიდასთან დარჩა, ჩაახველა, ხმა რამდენად მაქვს ჩახრინწულიო. ჰო, ახლა უნდა ვნახო, სურდოსგან სიცხე თუ მაქვსო, თქვა და თერმომეტრი სწრაფად ჩაიდო პირში. ვერცხლისწყლიანი ბოლო ენის ქვეშ ისე ამოიდო, რომ ინსტრუმენტი ტუჩებს შორის დარჩა ირიბად გამოშვერილი: და შემდეგ მაჯის საათზე დაიხედა: ათს ოცდაოთხი წუთი აკლა. ჰანს კასტორპი დაელოდა, შვიდი წუთი როდის გავიდოდა.

„არც ერთი წამით მეტი და არც ერთი წამით ნაკლები, - გაიფიქრა მან, - სანდო კაცი ვარ, არც წავუმატებ და არც დავაკლებ, ჩემთან არაა საჭირო მუნჯი დაიკოთი თერმომეტრის შეცვლა, როგორც იმ ქალიშვილს უქნეს, სეტემბრინი რომ მიყვებოდა, მგონი, მას ოტილია კნაიფერი ერქვა“. ჰანს კასტორპმა ოთახში გაიარ-გაიარა, თან ინსტრუმენტს მაგრად აჭერდა ენას.

დრო მიზოზინებდა. ვადა თითქოს უსასრულოდ გაჭიანურდა. ისარს დახედა, დრო არ გამომეპაროსო და მხოლოდ ორ-ნახევარი წუთი იყო ჯერ გასული. რას არ მიედ-მოედო, რას არ წამოავლო ხელი, აივანზე გავიდა, ისე, რომ თავის ბიძაშვილს არ დანახვებია, ლანდშაფტს გახედა, ამ მაღალმთიან ხეობას, რომელსაც უკვე ასე შესჩვეოდა თვალი, მის მწვერვალებს, სავარცხელა ქედს და პიტალო კლდეებს, მარცხნივ აზიდულ ბრემენბიულის“ კულისებს. ქედი ირიბად ეშვებოდა კურორტისკენ, მის კალთებს კი ხეშეში ვირისტერფა მოსდებოდა. მარჯვნივ ერთმანეთზე ახორიალებული მთების სახელებიც ზეპირად იცოდა. აქედან ალტაინის კედელი ისე მოჩანდა, თითქოს ხეობას სამხრეთიდან კეტავსო. ჰანს კასტორპმა ბაღშიც ჩაიხედა და ბილიკები და ყვავილების კვლები მოათვალიერა, კლდეში გამოკვეთილ მღვიმესაც და სოჭსაც შეავლო თვალი, პაციენტებით გამოჭედილი ვერანდიდან დარხეულ ჩურჩულსაც მიუგდო ყური და ოთახში შემობრუნდა. შეეცადა, ინსტრუმენტი უფრო მარჯვედ დაეჭირა პირში, შემდეგ სახელო გადაიწია და მაჯა თვალთან მიიტანა. აღმოჩნდა, რომ დიდი ვაი-ვაგლახით გაეყვანა ექვსი წუთი. ოთახის შუაში გაჩერდა, ოცნებას მიეცა და ისე გაჰყვა ფიქრებს, რომ უკანასკნელი წუთი შეუმჩნევლად და უხმაუროდ გამოეპარა. თვალთან ისევ მიიტანა მაჯა და დარწმუნდა, რომ ის წუთი ჩუმად გაჰპაროდა, ვადას ცოტა გადასცილებოდა და მერვე წუთიდან უკვე ორი მესამედი იყო გასული. თავი დაიმშვიდა, არა უშავს, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნებაო, თერმომეტრი პირიდან გამოიღო და ამღვრეული თვალებით დააშტერდა.

თერმომეტრის ჩვენება მაშინვე ვერ გაარჩია. ვერცხლისწყლის ელვარება ოდნავ ამობურცულ მინის საფარს ერწყმოდა, სვეტი ხან სულ ზევით მოჩანდა, ხან კი სულ იკარგებოდა. ინსტრუმენტი ახლოს მიიტანა თვალთან. წაღმა-უკუღმა ატრიალა, მაგრამ ვერაფერი გაუგო. ბოლოს, მარჯვედ მოუხდა შეტრიალება და ხაზებიც აშკარად დაინახა. თერმომეტრი კარგად დაიჭირა ხელში და გულმოდგინედ შეამოწმა. მერკური მართლაც გვარიანადაწეულიყო, ვერცხლისწყლის სვეტი საკმაოდ მაღლა ასულიყო და სისხლისნორმალურ სითბოს ზევით რამდენიმე ხაზს უჩვენებდა. ჰანს კასტორპს 37,6 ჰქონდა.

დილით, ათ საათსა და თერთმეტის ნახევარს შუა, 37,6 მეტისმეტი გახლდათ. ამას უკვე „ტემპერატურა“ ეთქმოდა. სიცხე გამოეწვია ინფექციას, რომლის მიმართაც მისი ორგანიზმი მგრძნობიარე აღმოჩენილიყო. ახლა კი საკითხავი ისღა რჩებოდა, რა ტიპის ინფექციასთან გვქონდა საქმე. 37,6... ამაზე მეტი არც იოახიმს ჰქონდა და არც სხვა ვინმეს, რა თქმა უნდა, არაფერს მოგახსენებთ მძიმე ავადმყოფებზე ან ლოგინად ჩავარდნილ მორიბუნდუსებზე. არა, ამაზე მაღალი სიცხე არც პნევმოთორაქსიან კლეეფელდს ექნებოდა და არც... მადამ შოშას. რა თქმა უნდა, მისი საქმე მთლად ისე არ იყო, ეს მხოლოდ და მხოლოდ სურდოს სიცხე გახლდათ. როგორც ბარში ეძახდნენ, მაგრამ სიცხეების ზუსტად გარჩევა და ერთმანეთისაგან გამიჯვნა ჭირდა. ჰანს კასტორპი ეჭვობდა, ტემპერატურა მარტო გაცივების გამო არ ამიწევდაო და ნანობდა, მერკური უფრო ადრე რატომ არ მოვიკითხეო. მაშინვე, ჩამოსვლისთანავე უნდა მომეკითხა, როგორც ჰოფრატმა მირჩიაო. ეს რჩევა ზედმიწევნით გონივრული აღმოჩნდა და თავისი რესპუბლიკითა და მშვენიერი სტილით თავმომწონე სეტემბრინიმ სულ ტყუილად აიგდო მასხრად. ჰანს კასტორპი რამდენჯერაც კი თერმომეტრს დახედავდა, იმდენჯერ უპატიოდ ახსენებდა რესპუბლიკასა და მშვენიერ სტილს. თერმომეტრი ხან აუბრჭყვიალდებოდა, ხან კი მარჯვედ შეატრიალ-შემოატრიალებდა და კვლავ

გარკვევით უჩვენებდა ტემპერატურას: ვერცხლისწყლის სვეტი 37,6-ზე იდგა და ისიც ამ დილაადრიან!
ჰანს კასტორპი აფორიაქდა. თერმომეტრით ხელში ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში, თან თერმომეტრი ჰორიზონტალურად ეჭირა, შვეულად რომ დავიჭირო, არ დაიფერთხოს და ჩვენება არ შეიცვალოსო. შემდეგ ფრთხილად დადო პირსაბანის თაროზე, პალტო და საბნები აიღო და აივანზე გავიდა დასაწოლად. შეზლონგზე ჩამოჯდა და როგორც ნასწავლი ჰქონდა, უკვე გაწაფული ხელით შემოიხვია ჯერ ერთი, მერე მეორე საბანი და ქვემოდანაც ამოიკეცა. ასე იწვა წყნარად და იოახიმის შემოსვლასა და მეორე საუზმის გონგს ელოდებოდა. ხანდახან ისე გაებადრებოდა სახე, თითქოს ვიღაცას უღიმისო. ხან მკერდი ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა და კატარიანი ყელით ახველებდა.
თერთმეტი ხდებოდა. გონგის ხმა გაისმა, იოახიმმაც მოაკითხა სასაუზმოდ წასასვლელად, მაგრამ ჰანს კასტორპი ბიძაშვილს მწოლიარე დაუხვდა.
- ეს რა ამბავია? - გაკვირვებით ჰკითხა იოახიმმა და შეზლონგთან ახლოს მივიდა.

ჰანს კასტორპი ცოტა ხანს კიდევ დუმდა და სივრცეში იყურებოდა, შემდეგ უპასუხა:
- ის ამბავია, რომ სიცხე მაქვს.
- სიცხე რატომ უნდა გქონდეს? - ჰკითხა იოახიმმა, - ხომ არ გაჟრჟოლებს?
ჰანს კასტორპმა ცოტა კიდევ დააყოვნა პასუხი და შემდეგ როგორღაც დაუდევრად უპასუხა:
- რაც აქა ვარ, სულ მაჟრჟოლებს, ჩემო კარგო, მაგრამ ამჯერად საქმე სუბიექტურ შეგრძნებებს აღარ ეხება, ყველაფერი ზუსტადაა დადგენილი. სიცხე გავიზომე.
- გაიზომე? რითი? - შესძახა შეშფოთებულმა იოახიმმა.
- რა თქმა უნდა, თერმომეტრით, - საკმაოდ დამცინავად და მკაცრად უპასუხა ჰანს კასტორპმა, - უფროსმა ექთანმა მომყიდა, ოღონდ ადამიანისშვილს“ რატომ მეძახდა, ეგ არ ვიცი. ასე მომართვა ვერაფერი კორექტულობაა. ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ თერმომეტრი მაინც კარგი მომყიდა. თუ გაინტერესებს, რამდენს უჩვენებს, იქ დევს პირსაბანზე. მინიმალურადაა აწეული.
იოახიმი მაშინვე შემოტრიალდა და ოთახში შევიდა. უკან მობრუნებულმა ყოყმანით თქვა:
- ჰო, 37 და ხუთ-ნახევარი ხაზი გქონია.
- მაშ, დაწეულა! - არ დაახანა ჰანს კასტორპმა, - ექვსი ხაზი მქონდა.
- დილისთვის ასეთი ტემპერატურა მინიმალურად ვერ ჩაითვლება, - თქვა იოახიმმა, - არასასიამოვნო სიურპრიზია, - დასძინა მან და ისე გაჩერდა ბიძაშვილის სარეცელთან, თითქოს წინ მართლა არასასიამოვნო სიურპრიზი“ უდევსო - დოინჯშემოყრილი და თავდახრილი, - ლოგინში უნდა ჩაწვე.
ჰანს კასტორპს ამაზე უკვე მზად ჰქონდა პასუხი:
- არ მესმის, 37,6-ით მე რატომ უნდა ჩავწვე, შენ და ბევრი სხვა ამდენით და ამაზე მეტით თუ თავისუფლად დადიხართ, - უპასუხა ბიძაშვილს მან.
- შენი ამბავი სულ სხვაა, - უთხრა იოახიმმა, - შენ მწვავე და უწყინარი ავადმყოფობა გჭირს, სიცხე სურდოსგან გაქვს.
- ჯერ ერთი, - დაიწყო ჰანს კასტორპმა და თავისი სიტყვა „ჯერ ერთად“ და „მეორედ“ დაყო, - ჯერ ერთი, არ მესმის, კაცი უწყინარი სიცხით - ჯერჯერობით, დავუშვათ, რომ არსებობს ასეთი სიცხე, - რატომ უნდა იწვესლოგინში და სხვანაირი სიცხით კი ფეხზე დადიოდეს. მეორეც, უნდა გითხრა, რომ სურდოსგან იმაზე მეტად არ გავხურებულვარ, ვიდრე მანამდე ვიყავი გახურებული. მე იმ თვალსაზრისზე ვდგავარ, რომ 37,6 არის 37,6 და თუ თქვენ დადიხართ ფეხზე, მეც უნდა ვიარო, - დაასრულა მან.
- მე რომ ჩამოვედი, ოთხი კვირა ვიწექი, - შეეკამათა იოახიმი - მხოლოდ მაშინ მომცეს ადგომის ნება, როცა აღმოჩნდა, რომ ტემპერატურამ ლოგინშიწოლით დაბლა არ დაიწია.
ჰანს კასტორპმა გაიღიმა.
- მერე რა? - ჰკითხა მან, - რამდენადაც ვიცი, შენი საქმე სულ სხვანაირად იყო, არა? შენ, მგონი, წინააღმდეგობაში ჩავარდი. ჯერ ასხვავებდი ჩვენს მდგომარეობას,

ახლა კი აიგივებ. ეს ხომ მიქარვაა და მეტი არაფერი.
იოახიმი ქუსლებზე შემოტრიალდა. როცა კვლავ ბიძაშვილისკენ შემობრუნდა, ჰანს კასტორპმა შეამჩნია, იოახიმს კიდევ უფრო ჩაშავებოდა მზით დამწვარი სახე.
- არაფერიც, - თქვა მან, - მე არაფერს არ ვაიგივებ, ნამდვილად დაბნეული კაცი ხარ. მე მხოლოდ ის გითხარი, მაგრად ხარ გაცივებული, გაცივება ხმაზეც გეტყობა და უნდა ჩაწვე-მეთქი. იმ კვირას თუ შინ აპირებ წასვლას, უნდა ეცადო, კატარალური პროცესი ჩააქრო. მაგრამ თუ არ გინდა, ესე იგი, დაწოლა თუ არ გინდა, ძალას არავინ გატანს. მე კი არაფერს გინიშნავ. ახლა სასაუზმოდ წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდა.
- სწორია, წავიდეთ! - თქვა ჰანს კასტორპმა და საბანი გადაიხადა, მერე ოთახში შევიდა და თმაზე ჯაგრისი გადაისვა. იოახიმმა ერთხელ კიდევ დახედა პირსაბანზე დადებულ თერმომეტრს. ჰანს კასტორპი ბიძაშვილს შორიდან უთვალთვალებდა, შემდეგ უსიტყვოდ გაუდგნენ გზას, სასადილო დარბაზში შევიდნენ და კვლავ სუფრას შემოუსხდნენ. დარბაზი მეორე საუზმისათვის ჩვეულებისამებრ რძისგან იყო გადათეთრებული.
როცა ლილიპუტმა ჰანს კასტორპს კულმბახური ლუდი მოართვა, ამ უკანასკნელმა სერიოზულად იუარა, სჯობია, დღეს ლუდი არ დავლიო, მადლობელი ვარ, მაგრამ ვერც ლუდს დავლევ და ვერც სხვა რამეს, დიდი-დიდი, ერთი ყლუპი წყალი მოვსვაო. თანამესუფრეებმა ყურები ცქვიტეს, ეს რა ახალი ამბავია, ლუდს რატომ არ მიირთმევთო. პატარა სიცხე მაქვს, 37,6, მინიმალური ტემპერატურაა, დაუდევრად წარმოთქვა ჰანს კასტორპმა.
მაშინ კი თითით დაემუქრნენ და ჰანს კასტორპი შეცბა. ყველამ ეშმაკური სახე მიიღო, თავები გვერდზე გადაიგდეს, თვალი მოჭუტეს და ისეთი სახით მოჰყვნენ თითის ქნევას, თითქოს ვინმეს აქამდე უდანაშაულო კაცის როლი ეთამაშოს და ახლა გამოაშკარავებულიყოს მისი თამამი და პიკანტური ოინები.
- ო, ხო, ხო, ერთი ამას უყურეთ, ეს რა მშვენიერი ამბები გვესმის. დამაცათ, დამაცათ, - უთხრა მასწავლებელმა, ღიმილით დაემუქრა ჰანს კასტორპს და ლოყებზე ქინქლი აუფერადდა.
- აბა, აბა, აბა, - დაემუქრა ფრაუ შტორიც და თავისი კოტიტა წითელი ხელი ცხვირთან მიიტანა, - ბატონი სტუმარი კარგი ტემპით მიდის. გამტოლებიხართ და ეგ არის, დაგიმშვენებიათ ჩემთვის მხარი.
სუფრის ბოლოში წამოსკუპულმა პაპიდამაც კი დაუქნია ხუმრობით ხელი, როცა ცნობამ მის ყურამდეც მიაღწია. ლამაზი მარუსია აქამდე თითქოს ვერც ამჩნევდა ჰანს კასტორპს, ახლა კი ისიც გადმოიხარა, ფორთოხლისსურნელიანი ცხვირსახოცი ტუჩებზე მიიფარა, მრგვალ-მრგვალი თაფლისფერი თვალები მიაპყრო და თითით დაემუქრა. დოქტორმა ბლუმენკოლმაც კი აუბა მხარი დანარჩენებს, როცა ფრანც შტორმა საქმის ვითარება გააცნო, მაგრამ ჰანს კასტორპისაკენ არ გამოუხედავს. მხოლოდ მის რობინსონი არ ჩარეულა საქმეში და წარბი არ გაუხსნია. იოახიმს თავაზიანად დაეხარა თვალები.
ჰანს კასტორპს ეამა, თანამესუფრენი ასე ერთსულოვნად რომ ახელებდნენ და იფიქრა, მგონი, საჭიროა მორიდებულად მაინც დავიცვა თავიო.
- არა, არა, - თქვა მან, - თქვენ ცდებით, ყოვლად უწყინარი სურდო მაქვს, ხედავთ, თვალები როგორ მევსება ცრემლით? მკერდი გაკავებული მაქვს და მთელი ღამე ხველებამ არ მომასვენა, მე მგონი, კაცის გასაწვალებლად ესეც კმარა.
მაგრამ მის ბოდიშებს არავინ იღებდა, იცინოდნენ და ხელებს ასავსავებდნენ.
- აბა, თავის დაძვრენა არ იყოს, ჩვენ მაინც ვერ გაგვაცურებთ, ვიცით, ვიცით, ეგეთი სურდოს სიცხეები!
ბოლოს ერთხმად მოითხოვეს, ჰანს კასტორპი დაუყოვნებლივ ექიმს სჩვენებოდა. ამ ცნობამ ისე გამოაცოცხლა ყველა, რომ იმ საუზმეზე ასეთი გაცხოველებული საუბარი არც ერთ მაგიდაზე არ ყოფილა. ფრაუ შტორი ხომ სულ ენად გაიკრიფა. სახეაწითლებულ, ლოყებდახეთქილ ფრაუ შტორს შტერული სახე ყელზე შემოვლებულ რუშებში ჩაეფლო, მთლად ენად გაკრეფილიყო და ხველების სიამოვნებაზე გამოთქვამდა მოსაზრებებს. დიახ, დიდად სასიამოვნო და დამატკბობელია მკერდის სიღრმეში ღიტინს რომ იგრძნობ, ღიტინი თანდათან ძლიერდება, ძლიერდება, შენც იკრუნჩხები და იჭაჭები, რომ იმ სიღრმეზე

ჩააღწიო და ერთი კარგად ამოახველოო. ესისეთივე სიამოვნებაა, როგორიც დაცემინება, დაცემინების სურვილი მოგივლის, თანდათან გიძლიერდება, მერე აუტანელი ხდება, შენც ერთი-ორჯერ ღონივრად ჩაისუნთქავ და ამოისუნთქავ, ნეტარებით დაიკმაყოფილებ შენს სურვილს და იმ კურთხეული დაცემინებისას მთელი ქვეყანა დაგავიწყდებაო. ხანდახან ორ-სამჯერ ზედიზედ დააცემინებ, ჰოდა, ესაა ცხოვრების უფასო სიამენი, სხვა რაღა გინდათო. გაზაფხულზე მოყინული კანის ფხანა ხომ ერთ რამედ ღირს. ტკბილად რომ გექავება კანი, იკაწრავ, იკაწრავ შეუბრალებლად, სანამ სისხლი არ დაგდინდება, გააფთრებული იკაწრავ და თან სიამოვნებას გრძნობ და ამ დროს შემთხვევით სარკეში რომ ჩაიხედო, იქიდან ეშმაკის სიფათი შემოგანათებსო.
ასე ამაზრზენად და დაწვრილებით ლაპარაკობდა უვიცი შტორუკა, სანამ ეს მოკლე, მაგრამ ნოყიერი საუზმე არ დამთავრდა და ბიძაშვილები თავის გზას არ გაუდგნენ. ეს დილის მეორე გასეირნება გახლდათ და ამ დროს დავოსში ჩადიოდნენ ხოლმე. იოახიმი გულჩათხრობილი მოაბიჯებდა, ჰანს კასტორპი კი სურდოსაგან ქშინავდა და ხრინწიანად ახველებდა. შინისაკენ რომ მიდიოდნენ, იოახიმმა ბიძაშვილს უთხრა:
- ერთი წინადადება მაქვს. დღეს პარასკევია, ხვალ ნასადილევს ყოველთვიურ გასინჯვაზე ვარ მისასვლელი. ეს საერთოდ გამოკვლევა არ არის. ბერენსი ცოტას მომიკაკუნებს ბეჭებზე და კროკოვსკის ერთ-ორ შენიშვნას ჩააწერინებს. შენც შეგიძლია გამომყვე და სთხოვო, ბარემ შენც მოგისმინოს. განა სასაცილო არ არის? შინ რომ ყოფილიყავი, მაშინვე ჰაიდეკინდს მოაყვანინებდი, აქ ორი სპეციალისტი გვერდში გყავს, შენ კი აქეთ-იქით ისე დარბიხარ, რომ არც იცი, რა გჭირს. იქნებ ავადმყოფობა შორსაა წასული და ჩაწოლა გიჯობდეს.
- კარგი, - უთხრა ჰანს კასტორპმა, - როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი, თან გასინჯვაზე დასწრებაც საინტერესო იქნება ჩემთვის.
ამაზე შეთანხმდნენ და, ის იყო, სანატორიუმთან მივიდნენ კიდეც, რომ ბედზე პირადად ჰოფრატ ბერენსს შეეჩეხნენ და ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ, თავიანთი სატკივარი ასე სახელდახელოდ მოეხსენებინათ.
ბერენსი სადარბაზოდან გამოვიდა. ახმახ კაცს კისერი წაეწვდინა, კეფაზე ხეშეში ცილინდრი მოეგდო და პირში სიგარა გაეჩარა. ლოყები ჩვეულებისამებრ ლურჯად უღვიოდა და თვალებიც ცრემლით ჰქონდა სავსე. იგი გამალებული მოდიოდა - კურორტისაკენ მიეჩქარებოდა კერძო ავადმყოფების მოსანახულებლად, თანაც, როგორც განაცხადა, პირდაპირ საოპერაციოდან იყო გამოსული.
- შეგერგოთ, ბატონებო, შეგერგოთ! - მიაგება მან ბიძაშვილებს, - ერთ ადგილზე ვერ მაგრდებით, ხომ? რა ამბავია დუნიაზე? ეს-ესაა, ხელში დანა და ძვლის საჭრელი ხერხი მეჭირა და სიკვდილთან უთანასწორო დუელში ვიყავი გასული. დიდი საქმეა, ნამდვილად დიდი საქმეა ნეკნების რეზექცია. წინათ ორმოცდაათი პროცენტი მაგიდაზე რჩებოდა. ახლა უკეთესად გამოგვდის ეს საქმე, მაგრამ ზოგიერთები mortis causa მაინც უდროოდ იკრავენ ხოლმე გუდა-ნაბადს. კიდევ კარგი, დღევანდელი ობიექტი კარგად იტანდა ხუმრობას, ბოლომდე ვაჟკაცურად გაუძლო... ადამიანის ასეთ ნეკნს ხომ ნეკნი აღარ ჰქვია. რბილი ნაწილივით იდრიკება, რომ იცოდეთ, რა მოუხდენელი და უშნოა, ასე ვთქვათ, ცოტა იდეას გვითახსირებს. თქვენ რაღას მეტყვით? როგორ ბრძანდებით? ერთად ყოფნას რა სჯობს, არა, ციმსენ, შე ძველო, შენა! თქვენ რაღა გატირებთ მოხალისე მოგზაურო?
- უეცრად ჰანს კასტორპს მიუბრუნდა იგი, - აქ საჯაროდ ტირილი აკრძალულია, განაწესით არის აკრძალული, თორემ ასე რომ არ იყოს, მტირალებს ვერ ავუვიდოდით.
- ეს სურდოს ბრალია, ბატონო ჰოფრატო, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ არანორმალური კატარი კი შევიძინე. მახველებს კიდეც და მკერდიც გაკავებული მაქვს.
- ჰოო? - თქვა ბერენსმა, - თუ ასეა, კარგ ექიმს უნდა გაესინჯოთ.
ორივეს გაეცინა. იოახიმმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და უპასუხა:
- ვაპირებდით კიდეც, ბატონო ჰოფრატო. მე ხვალ გასინჯვაზე ვარ თქვენთან დაბარებული და გვინდოდა, გვეთხოვა, ჩემი ბიძაშვილიც მიგეღოთ ჩემთან ერთად. საკითხავია, სამშაბათს შეძლებს თუ არა გამგზავრებას...

- კ. ბ! - თქვა ბერენსმა, - კ. ბ. დ. ს! კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით! ეგ აქამდეც უნდა გვექნა. რახან კაცი აქ არის, გასინჯვა აუცილებელია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანს ვერ დააძალებ, გინდა თუ არა, გამესინჯეო. მაშასადამე, ორ საათზე, ბაგას მოსცილდებით თუ არა, მაშინვე!
- ცოტა სიცხეც მაქვს, და..... - დასძინა ჰანს კასტორპმა.
- რას ბრძანებთ? - წამოიძახა ბერენსმა, - ვითომ ახალი ამბავი მითხარით, არა? როგორ გგონიათ, თვალები არა მაქვს? - და უშველებელი საჩვენებელი თითი ჩასისხლიანებულ და აცრემლებულ, გადმოკარკლულ ლურჯ თვალებზე მიიდო, - მაინც რამდენი გაქვთ?
ჰანს კასტორპმა მორჩილად მოახსენა ციფრი.
- დილით ხომ? ჰმ, არა უშავს რა, დასაწყისისთვის სულაც არ არის უნიჭობის მაჩვენებელი. მაშ, ხვალ, ორ საათზე, წყვილად მობრძანდებით! დიდ პატივს დამდებთ. რასაც ჩაუშვებთ კუჭში, კურთხეულ იყოს! - დაასრულა ჰოფრატმა და მუხლებში მოხრილი, ხელების ქნევით, მძიმე-მძიმედ დაუყვა თავდაღმარს. მიმავალს თავზე დროშასავით დაჰფრიალებდა სიგარისკვამლი.
- როგორც შენ გინდოდა, ისე აეწყო ყველაფერი, - უთხრა ჰანს კასტორპმა ბიძაშვილს, - ამაზე უფრო კარგად საქმე არ გამოგვივიდოდა. აი, მეც ჩავეწერე სიაში. ალბათ, ბევრს ვერაფერს გამიკეთებს, ძირტკბილას წვენს ან მკერდის დასაამებელ ჩაის გამომიწერს და ის იქნება, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის მაინც სასიამოვნოა, ექიმი ყურადღებას რომ გაქცევს. კი მაგრამ, რატომ იცის ასე მოურიდებელი ლაპარაკი? პირველად სასაცილოდ მეჩვენებოდა, ახლა კი აღარ მსიამოვნებს. „რასაც ჩაუშვებთ კუჭში, კურთხეულ იყოსო“. ესრაღა ღვთის წყრომაა? ხომ შეიძლება თქვას, „კურთხეულ იყოს თქვენი პურობაო!“ „პურობა“, ასე ვთქვათ, პოეტური სიტყვაა, ისევე როგორც „პური ჩვენი არსობისა“ და „კურთხევას“ უხდება. მაგრამ საკვების „კუჭში ჩაშვება“ ხომ წმინდა ფიზიოლოგიაა და ამაზე უთხრა კაცს, „კურთხეულ იყოსო“, მასხრად აგდებაა და მეტი არაფერი. იმის ყურებაც მზარავს, სიგარას რომ ეწევა. ვიცი, რომ ვნებს და მელანქოლია იპყრობს და შიში მერევა ხოლმე. სეტემბრინიმ თქვა, თავს ძალად იმხიარულებსო. მას კი კრიტიკოსის ფხიზელი გონება აქვს, ეს არ უნდა დავუკარგოთ. მეც არ მაწყენს, ცოტა მეტი განსჯის უნარი მქონდეს და ყველაფერს უკრიტიკოდ არ ვიღებდე. ამაში ნამდვილად მართალია სეტემბრინი, ოღონდ ხანდახან კაცი განსჯას, დაწუნებასა და სამართლიან გულისწყრომას აჰყვები და ამასობაში სულ სხვა რაღაც გამოგიხტება, რასაც განსჯასთან არავითარი კავშირი აღარა აქვს. აი, მაშინ კი უნდა დაემშვიდობო მორალურ სიმკაცრეს და რესპუბლიკა და მშვენიერი სტილიც უხამსობად მოგეჩვენება...
ჰანს კასტორპმა კიდევ წაიბურტყუნა რაღაც, მაგრამ თვითონაც კარგად ვერ ერკვეოდა, რისი თქმა უნდოდა. ბიძაშვილმა მხოლოდ ცერად შეხედა, დაემშვიდობა და ორივემ თავ-თავის ოთახსა და აივანს მიაშურა.
- რამდენია? - ცოტა ხნის შემდეგ ყრუდ იკითხა იოახიმმა, თუმცა არ დაუნახავს, ჰანს კასტორპს კვლავ მიეკითხოს თავისი თერმომეტრისათვის... და ჰანს კასტორპმაც გულგრილად უპასუხა:
- იმდენივე.
მან მართლაც ოთახში შემოსვლისთანავე აიღო პირსაბანიდან თავისი დილანდელი კოხტა შენაძენი, რამდენჯერმე დაფერთხა და გააქრო ციფრი 37,6, რომელსაც უკვე დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი მნიშვნელობა, მთლად ძველი პაციენტივით ჩაიდო მინის სიგარა პირში და აივანზე წამოწვა. ჰანს კასტორპი მოელოდა, ტემპერატურა მაღალი მექნებაო და ინსტრუმენტი მთელი რვა წუთიც კი გაიჩერა ენის ქვეშ, მაგრამ მერკური 37,6-ზე მაღლა არ აწეულა. 37,6-საც სიცხე ეთქმოდა, მაგრამ იმაზე მაღალი არ იყო, რაც დილით ჰქონდა. ნასადილევს მოციმციმე სვეტმა 37,7-მდე აიწია, საღამოს კი, როცა პაციენტი მთელი დღის მღელვარებისა და სიახლეების განცდისაგან დაქანცული იყო, 37,5-მდე ჩამოიწია. მეორე დილით სულაც 37-ს უჩვენებდა, შუადღისთვის კი კვლავ გუშინდელ დონეს მიაღწია. ამ შედეგებით მოვიდა მეორე დღეს მთავარი ტრაპეზის დრო და მისი დამთავრებისთანავე დადგა პაემნის საათიც.
ჰანს კასტორპს მერე გაახსენდა, რომ მადამ შოშა ამ ტრაპეზზე ოქროსფერ სვიტერში გამოწყობილი მობრძანდა. სვიტერს დიდი ღილები და კანტიანი

ჯიბეები ამშვენებდა. სვიტერი ახალი იყო, ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპს იგი ქალის ტანზე აქამდე არ ენახა. ჩვეულებისამებრ დაგვიანებით შემოსული მადამ შოშა ჰანს კასტორპისათვის უკვე ნაცნობ პოზაში შეჩერდა კართან და დარბაზს დაენახვა, შემდეგ ჩვეულებისამებრ უჩუმრად გასრიალდა თავისი მაგიდისკენ, სუფრას ნარნარად მიუჯდა და ლაპარაკით შეუდგა ჭამას. ჰანს კასტორპი ყოველდღე აკვირდებოდა ქალს, მაგრამ დღეს განსაკუთრებული ინტერესით შესცქეროდა, ლაპარაკის დროს თავს როგორ არხევდა და ხელახლა შეამჩნია, მომრგვალებული კეფა და ჩამოყრილი მხრები ჰქონიაო. ჰანს კასტორპი კარგ რუსულ მაგიდას“ სეტემბრინის მხარს ზემოთ გასცქეროდა. სეტემბრინი შუაში ალმაცერად ჩადგმული მაგიდის ბოლოში იჯდა. ფრაუ შოშას, თავის მხრივ, სადილობისას არც ერთხელ არ გამოუხედავს დარბაზისაკენ, მაგრამ დესერტი რომ მოთავდა და დარბაზის ვიწრო მხარეს დაკიდებულმა ჯაჭვიანმა და ქანქარიანმა საათმა ზედ მდარე რუსული მაგიდის“ თავზე ჩამოჰკრა ორჯერ, ქალმა მაინც გამოიხედა და ჰანს კასტორპს მღელვარებისაგან სული შეუგუბდა. სანამ საათი ორჯერ ჩამორეკავდა, მომხიბლავმა ავადმყოფმა ნელა მოატრიალა თავი, ტანიც ოდნავ შემოაბრუნა და მხარს ზემოთ აშკარად დაუფარავად გამოიხედა ჰანს კასტორპის მაგიდისაკენ. თუმცა საერთოდ მაგიდისაკენ კი არა, არა, აქ საჭოჭმანოც აღარაფერი იყო: ქალმა პირადად მას შეხედა, მოკუმულ ბაგეებზე და პშიბისლავისეულ ვიწრო გაჭრილ თვალებში კი ღიმილი უკრთოდა, თითქოს უნდოდა, ეთქვა: „აბა, დროა, მიდიხარ თუ არა?“ (როცა მხოლოდ თვალები ლაპარაკობენ, საუბარი შენობით მიდის, თუნდაც ბაგეებს ჯერაც არ წარმოეთქვა „თქვენ“). ამ ამბავმა ჰანს კასტორპი მთელი არსებით შეძრა და შეაშფოთა, თვალს ძლივს დაუჯერა, აღტაცებულმა ჯერ სახეში შეხედა ფრაუ შოშას, შემდეგ მზერა მის შუბლსა და თმას შემოავლო და მერე სივრცეს გაუშტერა. ვითომ იცოდა ფრაუ შოშამ, ორ საათზე ჰანს კასტორპი გასასინჯად რომ უნდა მისულიყო? ნამდვილად ასე ჩანდა. თუმცა ქალს რომ ეს სცოდნოდა, თითქმის ისევე საეჭვო იყო, როგორც ის, რომ გამოეცნო, ამწუთის წინ ჰანს კასტორპი რას ფიქრობდა: ჰოფრატ ბერენსს იოახიმის პირით ხომ არ შევუთვალო, სურდომ თითქმის გამიარა და გასინჯვა აღარ ღირსო, მაგრამ ეს ფიქრები თითქოს გაუცამტვერა იმ შემკითხველმა ღიმილმა და ჰანს კასტორპს გულზე უიმედო სევდა შემოაწვა. თითქმის იმავე წუთს იოახიმმა დახვეული ხელსახოცი მაგიდაზე დადო, ბიძაშვილს წარბით ანიშნა, ადექიო, თანამესუფრეებს თავი დაუკრა და მაგიდას მოშორდა.ჰანს კასტორპი ღელავდა, მაგრამ გარეგნულად არაფერი შესტყობია - მტკიცე ნაბიჯით მიჰყვა ბიძაშვილს, ოღონდ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ის მზერა და ღიმილი ჯერ კიდევ მხრებზე აფენიაო.

გუშინდელს აქეთ ბიძაშვილებს აღარ უხსენებიათ დღევანდელი ვიზიტი და ახლაც შეთანხმებულებივით უბრად მიდიოდნენ. იოახიმი ჩქარობდა, რადგან დანიშნულ დროს უკვე რამდენიმე წუთი გადასცილდა, ჰოფრატ ბერენსს კი პუნქტუალურობა უყვარდა. მათ სასადილო დარბაზიდან მიწის პირზე მიმავალი დერეფანი ჩაათავეს, „დირექციას“ ჩაუარეს და მასტიკამოსმული ლინოლეუმით მოგებული გაწკრიალებული კიბით სარდაფში ჩავიდნენ“. იოახიმმა ზედ კიბის პირდაპირ მდებარე ოთახის კარზე დააკაკუნა. კარზე საორდინატოროს აღმნიშვნელი ფაიფურის ფირნიში იყო მიკრული.

- მობრძანდით! - დაიძახა ბერენსმა და პირველ მარცვალზე მკვეთრად დასვა მახვილი. იგი ოთახის შუაგულში იდგა, ხალათი ეცვა, ხელში კი შავი სტეტოსკოპი ეჭირა და ბარძაყზე ირტყამდა.

- დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, - თქვა მან და გადმოკარკლული თვალები კედლის საათს მიაპყრო, - Un poco più presto, Signori, ჩვენ მხოლოდ თქვენი უმაღლესობისათვის როდი ვარსებობთ.

ფანჯარასთან მიდგმულ ორმაგ საწერ მაგიდასთან დოქტორი კროკოვსკი იჯდა. შავი ლუსტრინის ხალათის ფონზე სახე გაფითრებული უჩანდა, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, ცალ ხელში კალმისტარი ეჭირა, მეორე ხელი წვერზე მოევლო, წინ ქაღალდები ედო, ალბათ, ავადმყოფობის ისტორიები, და შემოსულებს ისეთი განურჩეველი გამომეტყველებით შესცქეროდა, როგორც მხოლოდ ასისტენტად მოხმობილ პიროვნებას შეეფერებოდა.

- აბა, მიბოძეთ თქვენი კონდუიტი! - მობოდიშების პასუხად უთხრა იოახიმს

ჰოფრატმა და ტემპერატურის ცხრილი გამოართვა. ჰოფრატმა ცხრილს გადახედა, პაციენტი კი სასწრაფოდ გაშიშვლდა წელზევით და ტანსაცმელი კართან მოთავსებულ საკიდზე ჩამოკიდა. ჰანს კასტორპი არავის მოჰგონებია. იგი ერთხანს ფეხზე იდგა და ოთახს ათვალიერებდა, მერე კი პატარა მაგიდასთან მიდგმულ სახელურებზე ფოჩებშემოვლებულ ძველებურ სავარძელში ჩაჯდა. მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი იდგა. კედელთან დიდფორმატიანი სამედიცინო წიგნებითა და საქაღალდეებით გამოტენილი კარადები ჩაემწკრივებინათ. ოთახში ავეჯეულობიდან მხოლოდ ერთი თეთრი მუშამბაგადაკრული დაბალი შეზლონგი იდგა. შეზლონგს ასაწევ-დასაწევი სასთუმალი ჰქონდა. სასთუმალზე ქაღალდის ხელსახოცი ეფინა.
- 7 ხაზი, 9,8, - ამბობდა ბერენსი და ცხრილებს ფურცლავდა, სადაც იოახიმს დღეში ხუთჯერ კეთილსინდისიერად აღენიშნა თერმომეტრის ჩვენებანი, - ჯერ კიდევ შეხურებული გეთქმით, ძვირფასო ციმსენ, თქვენ კი მარწმუნებთ, ამ ცოტა ხანში მოვღონიერდიო („ცოტა ხანში“ ოთხი კვირა იგულისხმებოდა). შხამი გამოდევნილი არ არის, არ არის ჯერ გამოდევნილი, - თქვა მან, - რა თქმა უნდა, ეს დღეს და ხვალ არ მოხერხდება, ჯადოქრობის ძალა ჩვენ არ შეგვწევს.
იოახიმმა თავი დაუქნია და შიშველი მხრები აიჩეჩა, თუმცა შეეძლო ეთქვა, აქ, ზევით, გუშინ კი არ ჩამოვსულვარო.
- მარჯვენა ჰილუსთან როგორღაა ჩხვლეტის საქმე? იქ მკვეთრად ისმოდა ხიხინი. უკეთ? ახლოს მოდით! ერთი კარგად მოგიკაკუნოთ, - თქვა ბერენსმა და გასინჯვა დაიწყო.
ჰოფრატ ბერენსს ფეხები გაეჩაჩხა, უკან გადახრილიყო, სტეტოსკოპი იღლიაში ამოეჩარა და იოახიმს ჯერ მარჯვენა ბეჭზე უკაკუნებდა მარჯვენა ხელის უშველებელ შუათითს, მარცხენა ხელი კი მარჯვენისთვის შეეშველებინა, შემდეგ ბეჭის ფრთის ქვეშ მოუკაკუნა და მერე მარჯვენა ფერდს ქვევითაც ჩამოჰყვა. შემდეგ მთელი პროცედურა მარცხენა მხარეს გაიმეორა და განკარგულება გასცა, შემოტრიალდითო, რათა ახლა გულმკერდი გაესინჯა. ჰოფრატმა ჯერ ყელთან, ლავიწის ძვალთან, მიუკაკუნა იოახიმს თითი, შემდეგ მკერდს ზემოთ, მკერდქვეშ, ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ უკაკუნა და როცა კაკუნით იჯერა გული, მოსმენაზე გადავიდა, სტეტოსკოპი მკერდსა და ზურგზე მიადო იოახიმს, თვითონ ნიჟარას დაადო ყური და სადაც კი ადრე თითი მიუკაკუნა, ახლა ყველგან ინსტრუმენტით მოუსმინა. იოახიმს ხან ღრმად უნდა ესუნთქა, ხან ჩაეხველებინა, ეტყობოდა, ეს გაუჭირდა, რადგან ბოლოს სული შეუგუბდა და თვალზე ცრემლი მოადგა. ჰოფრატი ბერენსი კი საწერ მაგიდასთან მჯდომ ასისტენტს მოკლედ კარნახობდა, რასაც ისმენდა. ამ პროცესმა ჰანს კასტორპს თავისდა უნებურად თერძის სახელოსნო მოაგონა, სადაც ერთი კარგად ჩაცმული კაცი კოსტიუმისათვის ზომას უღებდა მეორეს, მკაცრად დადგენილი თანამიმდევრობით ადებდა სანტიმეტრს ხან იქ და ხან აქ, სხეულზე თუ კიდურებზე და ციფრებს მაგიდასთან დახრილ თანაშემწეს კარნახობდა.
- მოკლე, შემოკლებული, - კარნახობდა ჰოფრატი ბერენსი, - ვეზიკულარული, - თქვა მან და კიდევ გაიმეორა, - ვეზიკულარული (ეს ეტყობოდა, კარგი იყო), - მკვეთრი, - თქვა მან და სახე მოეღუშა, - ძალიან მკვეთრი ხიხინი, - ამბობდა ჰოფრატი და დოქტორი კროკოვსკი თერძის თანამშემწესავით იწერდა ყველაფერს.
ჰანს კასტორპს თავი გვერდზე გადაეგდო და გასინჯვის პროცესს ჩაფიქრებული ადევნებდა თვალყურს. აკვირდებოდა იოახიმის ზედა ტანს, უცქეროდა, ქშენისას ჩავარდნილი კუჭის ზემოთ გადაჭიმულ კანქვეშ როგორ იბურცებოდა ნეკნები (მადლობა ღმერთს, იოახიმს ნეკნები არ აკლდა). აკვირდებოდა ამ ახოვან მოყვითალო შავგვრემან ჭაბუკურ ტანს, შავიბალნით შემოსილ მკერდს, საკმაოდ ღონიერ მკლავებს და მაჯაზე შემორტყმულ ოქროსსამაჯურიან საათს. „ეს ტანმოვარჯიშის მკლავებია, - ფიქრობდა ჰანს კასტორპი, - ვარჯიში ყოველთვის უყვარდა იოახიმს, რადგან მუდამ ჯარისკაცობაზე ოცნებობდა, მე კი ვარჯიშს არაფრად ვაგდებდი. ის ყოველთვის ზრუნავდა ახოვანებაზე, ჩემზე გაცილებით მეტად, ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარად ზრუნავდა. მე ყოველთვის სამოქალაქო ყაიდის კაცი ვიყავი და უფრო იმაზე ვზრუნავდი, რომ თბილად მებანავა და კარგად მესვა და მეჭამა, ის კი დავაჟკაცებასა და მამაკაცურ საქმეებზე

ფიქრობდა ყოველთვის. ჰოდა, ახლა, თუმცა სულ სხვანაირად, მაგრამ მაინც სხეული დაუდგა წინა პლანზე და ავადმყოფობის წყალობით დამოუკიდებელი და საფერებელი გაუხდა. ვერც სიცხეები მოიშორა, ვერც შხამი გამოდევნა სხეულიდან და ვეღარც გამოჯანსაღდა, თუმცა საბრალოს ერთი სული აქვს, ქვევით, ბარში ჩავიდეს და ჯარისკაცი გახდეს. შეხედეთ, რა ტანადია, თავიდან ფეხებამდე წიგნებში აღწერილ აპოლონ ბელვედერელს ჰგავს, ოღონდ შიგნიდან დასნეულებულია, გარედან კი გახურებულია ავადმყოფობით. დიახ, ავადმყოფობა ადამიანს სხეულებრივს ხდის, მთლიანად სხეულად აქცევს...“ - ამ ფიქრებში ჩაძირული ჰანს კასტორპი უცებ შეკრთა, იოახიმის შიშველ მკერდს თვალი მოაცილა და სწრაფად და გამომცდელად შეხედა იოახიმს თვალებში, დიდრონ, შავ, თვინიერ თვალებში. იოახიმს ამდენი ხელოვნური სუნთქვისა და ხველებისაგან თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა და ჰანს კასტორპის მიღმა, ნაღვლიანად იცქირებოდა სივრცეში.
ამასობაში ჰოფრატმა ბერენსმა გასინჯვა დაასრულა.
- კარგია, ციმსენ, - თქვა მან, - შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი რიგზეა. შემდეგ გასინჯვაზე (ეს შემდეგი“ ოთხ კვირაში იქნებოდა) უეჭველად ყველგან შეგეტყობათ გაუმჯობესება.
- ბატონო ჰოფრატო, თქვენი აზრით, კიდევ რამდენ ხანს...
  - ისევ გეჩქარებათ? განა ასეთ მდგომარეობაში მყოფი შეძლებთ თქვენი ბიჭების გამოწვრთნას? ახლახან ნახევარი წელიწადი გითხარით, გადათვალეთ, თუ გნებავთ, იქიდან, მაგრამ იცოდეთ, ეს მინიმუმი გახლავთ. ბოლოს და ბოლოს, აქ კაცს რომ ეცხოვრება, ეს თავაზიანობის გულისთვის მაინც უნდა აღიაროთ: ჩვენ აქ არც კატორღა გვაქვს და... არც ციმბირის მაღაროები. იქნებ გინდათ თქვათ, რაღაც ამის მსგავსი გაქვთო, არა? კარგი, ციმსენ! წაბრძანდით! შემდეგი, აბა, ვის უნდა კიდევ გასინჯვა! - დაიძახა მან. სივრცეში გაიხედა და სტეტოსკოპი დოქტორ კროკოვსკის გაუშვირა. დოქტორი კროკოვსკი წამოდგა და სტეტოსკოპი ჩამოართვა, რომ ახლა მას ჩაეტარებინა იოახიმისათვის მცირე ასისტენტური გამოკვლევა.
ჰანს კასტორპიც წამოხტა ფეხზე, იგი თან ჰოფრატს შესცქეროდა და თან გამალებით ემზადებოდა გასასინჯად. ჰოფრატს ფეხები გაეჩაჩხა და პირი დაეღო - ეტყობოდა, ფიქრებში იყო ჩაფლული. ჰანს კასტორპი კი ისე ჩქარობდა, რომ თავი დაწინწკლულ, მანჟეტებიან პერანგში გაეჩხირა. როგორც იქნა, გადაიძრო პერანგი და აი, უკვე ჰოფრატ ბერენსის წინ იდგა თეთრი, ქერა, ვიწრობეჭებიანი, იოახიმ ციმსენზე გაცილებით უფრო სამოქალაქო ტიპი, მაგრამ ჰოფრატი ყურადღებას არ აქცევდა ჰანს კასტორპს - კვლავ ფიქრებში იყო წასული. დოქტორ კროკოვსკის კვლავ თავისი ადგილი დაეკავებინა, იოახიმი კი იცვამდა, როცა ბერენსმა, როგორც იქნა, კეთილინება, მის წინ მდგარი გასინჯვის მოსურნე“ შეემჩნია.
- აჰ, მაშ, ეს თქვენ ყოფილხართ! - თქვა მან, ჰანს კასტორპს თავისი გოლიათური ხელი მკლავში ჩაავლო, უკან დასწია და კარგად დააკვირდა. ბერენსი სახეში კი არ უყურებდა ახალგაზრდა კაცს, როგორც ჩვეულებრივ უყურებენ ხოლმე ადამიანებს, სხეულზე აკვირდებოდა, მერე უსულო საგანივით შემოატრიალა და ახლა ზურგი დაუთვალიერა.
- ჰმ, აბა, ერთი ვნახოთ, როგორ ხმებს გამოსცემთ, - თქვა მან და წინანდელივით მოჰყვა კაკუნს.
უკაკუნებდა ყველა იმ ადგილს, სადაც იოახიმ ციმსენს დაუკაკუნა და ზოგ ადგილს რამდენჯერმე უბრუნდებოდა ხოლმე. უფრო ხანგრძლივად მარცხენა ლავიწთან და ცოტა ქვემოთ უკაკუნებდა სხვადასხვანაირად და თან ხმებს ერთმანეთს უდარებდა.
- გესმით? - დოქტორ კროკოვსკის გასძახოდა იგი... და ხუთი ნაბიჯით მოშორებულ საწერ მაგიდასთან მჯდომი დოქტორი კროკოვსკიც დასტურის ნიშნად თავს უქნევდა, მესმისო. მერე ისე მაგრად დაიბჯინა ნიკაპი მკერდზე, რომ წვერი მიეჭყლიტა და ბოლოები აეპრიხა.
- ღრმად ისუნთქეთ! ჩაახველეთ! - განკარგულებებს იძლეოდა ჰოფრატი,რომელსაც უკვე სტეტოსკოპი აეღო ხელში. ჰანს კასტორპიც რვა თუ ათ წუთს ღონივრად მუშაობდა, ჰოფრატი კი უსმენდა იმ ადგილებს, სადაც კაკუნისას

ყოვნდებოდა ხოლმე. შემდეგ ინსტრუმენტი იღლიაში ამოიჩარა, ხელები ზურგზე შემოიწყო და ჰანს კასტორპსა და თავის ფეხებს შორის იატაკს დააშტერდა.
- დიახ, კასტორპ, - თქვა მან და ახალგაზრდა კაცს მხოლოდ გვარით პირველად მიმართა, - საქმე praeter propter ისეა, როგორც თავიდან ვეჭვობდი. მე თქვენ თვალში მყავდით ამოღებული, კასტორპ, ახლა შემიძლია ეს გითხრათ, იმ დღიდანვე ამოგიღეთ თვალში, რა დღესაც მერგო დაუმსახურებელი პატივი თქვენი გაცნობისა. თითქმის დარწმუნებული გახლდით, რომ თქვენ აქაური იყავით და ამას მალე მიხვდებოდითმათ მსგავსად, ვინც აქ გასართობად ამოსულა, აქაურობაზე ტუჩი აუბზუებია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მიმხვდარა, რომ აჯობებდა, - თუმცა „აჯობებდა“ რა სათქმელია, - გთხოვთ, კარგად გამიგოთ, - საჭირო იყო ცნობისმოყვარეობის ნიღაბი ჩამოეხსნა და აქ კარგა ხნით დაედო ბინა.
ჰანს კასტორპი აილეწა, იოახიმი ამ დროს აჭიმებს იბნევდა, ისიც შეჩერდა და სმენად იქცა...
- ძალიან სანდომიანი და სიმპათიური ბიძაშვილი გყავთ, - განაგრძო ჰოფრატმა, ჰანს კასტორპს თავით იოახიმზე ანიშნა, მერე სიმძიმე ქუსლიდან ფეხის წვერებზე გადაიტანა და ასე მოჰყვა ქანაობას, - იმედია, იგი მალე შეძლებს თქვას, ოდესღაც ავად ვიყავიო, მაგრამ ჩვენ თუ ამას მივაღწევთ, თქვენი ბატონი ღვიძლი ბიძაშვილი მაინც ნაავადმყოფარად ჩაითვლება, ეს კი, როგორც მოაზროვნეები იტყვიან, ა პრიორი თქვენც ერთგვარ შუქსა გფენთ, ძვირფასო კასტორპ.
- იგი ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი არ გახლავთ, ბატონო ჰოფრატო.
- კარგი, კარგი, ახლა ბიძაშვილზე ხომ არ გინდათ აიღოთ ხელი. ღვიძლია თუ არა, მაინც სისხლით ნათესავია და ეგაა. რომელი მხრიდან ხართ ნათესავები?
- დედის მხრიდან, ბატონო ჰოფრატო, იგი დედაჩემის არა ღვიძლი...
- თქვენი ქალბატონი დედიკო ჯანმრთელადაა?
- დედა აღარა მყავს, ბავშვობაში გარდამეცვალა.
- ო, რითი?
- თრომბით, ბატონო ჰოფრატო.
- თრომბით? მაშ, მას შემდეგ დიდი ხანი ყოფილა გასული, მამათქვენი?
- მამა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, - თქვა ჰანს კასტორპმა, - და ბაბუაჩემიც, - დასძინა მან.
- ისიც? ამდენი კაცი თქვენი წინაპრებიდან. რაც შეგეხებათ თქვენ, ყოველთვის სისხლნაკლული ყოფილხართ, არა? მაგრამ ფიზიკური და გონებრივი მუშაობა იოლად არ გღლით, ხომ? აბა, მაინც გღლით! გულიც აჩქარებული გაქვთ? ახლახან დაგჩემდათ? კარგი. გარდა ამისა, სასუნთქი გზების კატარებისკენაც გაქვთ მიდრეკილება, არა? იცით, რომ ადრე ავად ყოფილხართ?
- მე?
- დიახ, დიახ, პირადად თქვენ მყავხართ მხედველობაში. ამჩნევთ განსხვავებას? - და ჰოფრატმა ჯერ მარცხნივ, ზემოთ დაუკაკუნა მკერდზე და შემდეგ ცოტა ქვემოთ.
- აი, აქ ოდნავ ყრუდ ისმის ხმა, ვიდრე აქეთ, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- ძალიან კარგი. თქვენ ექიმი უნდა გამოსულიყავით. მაშასადამე, ეს ყრუ ადგილები გახლავთ. ყრუ ხმას ის ადგილები გამოსცემენ, სადაც უკვე მომხდარა ჩაკირვა, თუ გნებავთ, შეხორცება უწოდეთ. თქვენ დიდი ხანია ავად ბრძანდებით, კასტორპ, მაგრამ ვერ გისაყვედურებთ, ვერაფერი რომ ვერ გაგიგიათ. ადრეულ სტადიაში დიაგნოზის დასმა ცოტა ძნელია - მით უმეტეს, ბარელი კოლეგებისათვის ხომ ძნელია და ძნელი. ის კი არ მინდა ვთქვა, ჩვენ უფრო მახვილი სმენა გვაქვს-მეთქი, თუმცა სპეციალური წვრთნა კი ნიშნავს რაღაცას. აქ ჩვენ ჰაერი გვეხმარება, გესმით, აქაური გაიშვიათებული, მშრალი ჰავა სმენადობას უწყობს ხელს.
- დიახ, რა თქმა უნდა, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- კარგი, კასტორპ. ახლა კი მისმინეთ, ჩემო ბიჭუნი, რამდენიმე ოქროსავით სიტყვა უნდა გითხრათ. თქვენ რომ სხვა არაფერი გჭირდეთ და მხოლოდ თქვენს ეოლურ წიაღში გაჩენილ ყრუ ადგილებზე, შეხორცებებსა და ჩაკირულ უცხო სხეულებზე იყოს ლაპარაკი, მაშინ თქვენს ლარებსა და პენატებთან გაგგზავნიდით და თქვენი დარდი არ მექნებოდა, ხომ კარგად გამიგეთ? მაგრამ როცა ისეა საქმე, რომ მერეც

გჭირდებათ შემოწმება, ბარემ აქა ხართ, ჩვენთან, და შინ გამგზავრება არა ღირს, ჰანს კასტორპ, მაინც მალე მოგიწევთ უკანვე დაბრუნება.
ჰანს კასტორპმა ისევ იგრძნო, როგორ შემოაწვა სისხლი და გული მძლავრად აუჩქროლა, იოახიმსაც აჭიმის ღილზე გასშეშებოდა ხელი და თვალდახრილი გაუნძრევლად იდგა.
- ვინაიდან ყრუ ადგილების გარდა, - განაგრძო ჰოფრატმა, - მარცხნივ მკვეთრად ისმის სუნთქვა, თითქმის ხიხინივით, ეჭვი არაა, რომ იქ ახალ კერასთან გვაქვს საქმე. ჯერ არ მინდა გარბილებულ კერაზე ვილაპარაკო, მაგრამ ეს უეჭველად სველი კერა გახლავთ. ჰოდა, ჩემო კარგო, თუ ქვევითგააგრძელებთ თქვენს საქმიანობას, მაშინ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, ფილტვი ისე შემოგადნებათ ხელში, ვერც კი გაიგებთ.
ჰანს კასტორპი გაუნძრევლად იდგა, ტუჩები უცნაურად უცახცახებდა და ნეკნებს შუა თვალნათლივ შეიძლებოდა დაგენახათ, როგორ უცემდა გული. მან იოახიმისკენ გაიხედა, მაგრამ მისი მზერა ვერ დაიჭირა და კვლავ ჰოფრატს შეხედა ლოყებჩალურჯებულ, თვალებგადმოკარკლულ და ულვაშმოქცეულ სახეში.
- ობიექტურ დამამტკიცებელ საბუთად თქვენი ტემპერატურა გამოგვადგება, - განაგრძო ბერენსმა, - დილით ადრე 37,6 საკმაოდ ზუსტად შეესაბამება აკუსტიკურ მონაცემებს.
- მე კი ვფიქრობდი, სიცხე კატარის გამო მაქვს-მეთქი, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- მერე კატარი? - შეაგება ჰოფრატმა, - ეგ კატარი საიდანღა მოდის? ერთ-ორ სიტყვას გეტყვით, კასტორპ, და კარგად მომისმინეთ, რამდენადაც ვიცი, ტვინის ხვეულების ნაკლებობას არ განიცდით. მაშასადამე, თქვენფიქრობთ, რომ აქაური ჰაერი ავადმყოფობის მტერია, ხომ? ეს ასეც გახლავთ, მაგრამ იგი ავადმყოფობას უხდება კიდეც. გესმით ჩემი? ის თავიდან ხელს უწყობს ავადმყოფობის განვითარებას, რევოლუციას ახდენს ორგანიზმში, ფარული სენის აფეთქებას იწვევს, საწყენად ნუ მიიღებთ და ასეთი აფეთქება გახლავთ სწორედ თქვენი კატარი. არ ვიცი, ქვევით, ბარშიც თუ გაჟრჟოლებდათ ხოლმე, მაგრამ აქ კი პირველი დღიდანვე დაგეწყებოდათ ასეთი მოვლენები და თუ გნებავთ, ჩემი აზრი იცოდეთ, კატარის გამო არ გაგაჟრჟოლებდათ.
- დიახ, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - ეს მეც მჯერა.
- აქაური ჰაერი, ალბათ, მაშინვე შეგათრობდათ, - დასაბუთებას განაგრძობდა ჰოფრატი, - ეს ბაქტერიების მიერ გამოყოფილი შხამების გახსნის შედეგი გახლავთ. ისინი დამათრობლად მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხომ გესმით, და ადამიანს ლოყებსაც აუტკეცენ ხოლმე. თქვენ ჯერ უნდა ჩაგამწყვდიოთ, კასტორპ. ვნახოთ, იქნებ რამდენიმე კვირით ლოგინში წოლამ გამოგაფხიზლოთ. დანარჩენი მერე იყოს. ერთ კარგ შინაგან ხედსაც გადაგიღებთ, თქვენს საკუთარ პიროვნებაში ჩაჭვრეტა გვარიანად გაგახალისებთ, მაგრამ ახლავე გაფრთხილებთ: თქვენნაირი ავადმყოფი დღეს და ხვალ არ განიკურნება, სარეკლამო წარმატებებსა და საოცრებებზე ფიქრი ჩვენ არაფერს გვარგებს. მე ხომ მაშინვე მივხვდი, რომ თქვენგან ამ ბრიგადის გენერალზე უკეთესი პაციენტი დადგებოდა, ორ-სამ ხაზს დაუკლებს თუ არა, გზისკენ რომ უჭირავს თვალი, ვითომ სმენაზე წოლა ისეთივე კარგი ბრძანება არ იყოს, როგორც სმენაზე დგომა! სიმშვიდე მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა, მოუთმენლობას კი ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. აბა, იმედი არ გამიცრუოთ, კასტორპ, ძალიან გთხოვთ, არ დამაეჭვოთ საკუთარ თავში, ადამიანების ცნობის ნიჭი არ გამაჩნია-მეთქი! ახლა კი ნაბიჯით იარ, თქვენი სადგომისაკენ!
ჰოფრატმა ბერენსმა ამით დაასრულა შეგონება და საწერ მაგიდას მიუჯდა. როგორც საქმემოძალებულ კაცს შეეფერებოდა, უნდოდა შემდეგი პაციენტის შემოსვლამდე დარჩენილი პაუზა გამოეყენებინა. დოქტორი კროკოვსკი კი წამოდგა, ჰანს კასტორპთან მივიდა, თავი გვერდზე გადაიგდო, ცალი ხელი ახალგაზრდა კაცს მხარზე დაადო და ისე ფართოდ გაუღიმა, წვერებში მოყვითალო კბილები გამოუკრთა. მან ჰანს კასტორპს გულითადად ჩამოართვა ხელი.

თავი მეხუთე

მარადისობის წვნიანი და უეცარი გასხივოსნება

აქ ერთი ისეთი ამბის მომსწრენი ვხდებით, თვითონ მთხრობელი რომ ამჯობინებს, გაიოცოს, ვიდრე მკითხველი გაოცდებოდეს თავისით. თუკი იმ პირველი სამი კვირის ანგარიშმა (შუა ზაფხულის ოცდაერთმა დღემ, რითაც წინასწარი ადამიანური ვარაუდით ჰანს კასტორპის აქ, ზევით, ყოფნა უნდა შემოფარგლულიყო) ამოდენა დრო და სივრცე შთანთქა, - სხვათა შორის, მისი განფენილობა ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენსავე ნახევრად გამხელილ მოლოდინს, - მაშინ აქვე გატარებული მომდევნო სამი კვირის გადაგორებას იმდენივე პწკარი სიტყვა ან წამი აღარ დასჭირდება, რამდენი გვერდიც, ფურცელი, საათი და დღეც იმ პირველმა სამმა კვირამ შეიწირა. აი, ვნახავთ, ამ სამ კვირას როგორ თვალის დახამხამებაში მოვიტოვებთ უკან და როგორ დავასამარებთ.
ეს თითქოს გასაოცრად უნდა მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი სულაც არ სცილდება ბუნებრიობის ფარგლებს და თხრობისა და მოსმენის კანონებს სავსებით ემორჩილება, ვინაიდან ბუნებრიობის ფარგლებში თავსდება და ამ კანონებს ემორჩილება ერთი გარემოებაც: ჩვენც ისევე გვეხანგრძლივება ან გვემოკლება დრო და ჩვენს წარმოდგენაშიც ისევე განივრცობა ან იკუმშება იგი, როგორც ჩვენი მოთხრობის გმირის, ბედისაგან ასე მოულოდნელად ხელწამოკრული ჭაბუკი ჰანს კასტორპის წარმოდგენაში. იქნებ საჭირო იყო დრო-ჟამის საიდუმლოებაში ჩაწვდომის მიზნით მკითხველი წინასწარ შევამზადოთ სხვა სასწაულებისა და ფენომენების აღსაქმელად, რომელთაც მასთან ერთად გადავაწყდებით. ჯერჯერობით, საკმარისია, ყველამ გაიხსენოს, რა სწრაფად გადის დღეები, იმ დღეების თუნდაც საკმაოდ გრძელი“ წყება, ავადმყოფობის ჟამს საწოლში რომ ვატარებთ: ეს არის ერთი და იგივე დღე, რომელიც მეორდება და მეორდება, ჰოდა, სწორედ იმიტომ, რომ ის დღე მუდამ ერთი და იგივეა, იქნებ პრინციპში ნაკლებად კორექტულიც კი იყოს განმეორებაზე“ ლაპარაკი, ამ შემთხვევაში, იქნებ სჯობდა, ერთფეროვნება, შეჩერებული ასლი“ ან „მარადისობა“ გვეხსენებინა. მოაქვთ შენთვის სადილზე წვნიანი, გუშინაც მოგიტანეს, ხვალაც მოგიტანენ, და იმავე წუთს, არც კი იცი, როგორ და საიდან, ნიავი შეგახებს ფრთებს. თავბრუ გეხვევა იმ წვნიანის შემყურეს, ერთმანეთში გერევა დროის ფორმები, ისინი ერთმანეთს ერწყმიან და შენც არსებობის ჭეშმარიტ ფორმად განზომილებადაკარგული აწმყო გესახება, აწმყო, სადაც მარადჟამს წვნიანი მოაქვთ შენთვის. ოღონდ, თუ მარადისობა მოვიშველიეთ და მოწყენილობაზე ისე ვილაპარაკეთ, ეს მეტისმეტად პარადოქსული გამოგვივა, ხოლო პარადოქსებს, მოგეხსენებათ, ვერიდებით, მით უმეტეს, მაშინ, როცა ამ გმირთან ერთად გვიწევს ცხოვრება.
ასე და ამგვარად, ჰანს კასტორპი შაბათ ნაშუადღევიდან საწოლზე იყო მიჯაჭვული, რამეთუ ასეთი გახლდათ ჩვენი გარემომცველი სამყაროს უზენაესი ავტორიტეტის, ჰოფრატ ბერენსის განკარგულება. ჰოდა, იწვა იგი, საღამური პერანგის გულჯიბეზე ამოქარგული მონოგრამა მოუჩანდა, ხელები თავქვეშ ამოეწყო, იწვა თავის სუფთა, ქათქათა ქვეშაგებში, ამერიკელი ქალიშვილის და ვინ იცის, კიდევ რამდენი კაცისათვის სასიკვდილოდ ქცეულ სარეცელზე, სურდოსაგან დაბინდული ლურჯი თვალები ოთახის ჭერისათვის მიეპყრო და თავის ბედუკუღმართ დღეზე განსჯას მისცემოდა. ოღონდ ნურავინ იფიქრებს, სურდო რომ არა, მზერა კრიალა, ნათელი და არაორაზროვანი ექნებოდაო. რა მარტივიც უნდა ყოფილიყო მისი შინაგანი სამყარო, შიგ ასე დალაგებული მაინც არ გახლდათ საქმე - სინამდვილეში, გულში მეტისმეტად მღვრიე, აწეწილ-დაწეწილი, გაურკვეველი, ორჭოფული აზრები უტრიალებდა. ასე მწოლიარეს ხან უეცრად ამოხეთქილი, ლაღი სიცილი შეურხევდა მძლავრად მკერდს და გული ჯერ განუცდელი, დაუოკებელი სიხარულითა და იმედით გაეთანგებოდა, ხან კი შიშისა და ძრწოლისაგან გაეცრიცებოდა სახე. ამ დროს თვით სინდისი იყო ის ძალა, გულს რომ უძგერებდა, ისიც მკერდში ვეღარ ეტეოდა და აფართქალებული

აწყდებოდა ნეკნებს.
იოახიმს პირველ დღეს არ შეუწუხებია თავისი ბიძაშვილი და მით უმეტეს, არც სჯა-ბაასი გაუბამს. ავადმყოფის ოთახში ერთი-ორჯერ მორიდებულად შემოდგა ფეხი, მწოლიარეს თავი დაუკრა და წესისამებრ მოიკითხა, ხომ არაფერი გჭირდებაო. სხვათა შორის, იოახიმს თუნდაც იმიტომ არ გაუძნელდებოდა ჰანს კასტორპისათვის გაეგო და მის რიდს ყოველგვარი ახსნა-განმარტებისადმი მოწიწებით მოჰკიდებოდა, რომ თვითონაც შეშფოთებული იყო და ფიქრობდა, მე უფრო შავ დღეში ვარ ჩავარდნილიო.
მაგრამ კვირა დილით, სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ, - ახლა იგი ძველებურად კენტად დასეირნობდა, - იოახიმმა მაინც გადაწყვიტა, ბიძაშვილს სასწრაფოდ მოსაგვარებელ საქმეებზე მოლაპარაკებოდა, საწოლთან მივიდა, ერთი ამოიხვნეშა და თქვა:
- მეტი გზა არ არის, მოსაგვარებელი უნდა მოგვარდეს. შენ ხომ შინგელოდებიან.
- ჯერ არ მელოდებიან, - უპასუხა ჰანს კასტორპმა.
- ვთქვათ, ჯერ არ გელოდებიან, მაგრამ ამ დღეებში, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, ხომ მიგელიან?
- კარგი ერთი, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - ზუსტად იმ დღეს კი არ მიმელიან. მეტი საქმე არაფერი აქვთ, დღეები ითვალონ, უკან როდის დაბრუნდებაო. როცა იქნება, ჩავალ. ბიძია ტინაპელი მეტყვის, უკვე ჩამოსულხარო, ბიძია ჯეიმსი კი მკითხავს, დრო კარგად გაატარე თუ არაო. არ ჩავალ და კარგა ხანიგაივლის, სანამ მომისაკლისებენ. ამაში შეგიძლია დარწმუნებული ბრძანდებოდე. ისე, ერთ მშვენიერ დღეს, რა თქმა უნდა, კი გვმართებს, შევატყობინოთ ჩემი ამბავი...
- ხომ ხვდები, რა ცუდ დღეში ვარ ჩავარდნილი? - თქვა იოახიმმა და კვლავ ამოიხვნეშა, - წინ კიდევ რა მოგველის, არ ვიცით. ასე თუ ისე, მეც ხომ მეკისრება პასუხისმგებლობა? კაცი ჩემს სანახავად ამოხვედი, მეც აქაურობას შეგათვისე, ახლა კი მეჩეჩზე გარჩი და არავინ იცის, როდის დაიძვრენ აქედან თავს ან სამსახურს როდის შეუდგები. დამეთანხმე, რომ დიდ გაჭირვებაში ვარ ჩავარდნილი.
- ნეტავ თავს არ იმტვრევდე და სისულელს არ ლაპარაკობდე! - უთხრა კასტორპმა ისე, რომ თავქვეშ ამოწყობილი ხელები არ გამოუღია, - განა შენს სანახავად ამოვედი აქ? რა თქმა უნდა, ესეც იყო, მაგრამ პირველ რიგში ჰაიდეკინდის რჩევას მივუგდე ყური და დასასვენებლად ამოვედი. ჰოდა, აგერ გამომჟღავნდა, რომ თურმე იმაზე მეტად მჭირდებოდა დასვენება, ვიდრე მე ან ჩვენ ყველას გვქონდა წარმოდგენილი. მე ხომ პირველი არა ვარ, ვისაც ჰგონებია, აქ ხანმოკლე ვიზიტით ვარ ჩამოსულიო და მერე სხვაგვარად წასვლია საქმე. თუნდაც Tous les deux'"-ის მეორე ვაჟი აიღე. რა უბედურ დღეში ჩავარდა საწყალი. არც ვიცი, კიდევ ცოცხალია თუ ერთ მშვენიერ დღეს, სადილობის ჟამს გაიტანეს კიდეც. ცოტა ავად რომ ვარ, ეს ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი გახლავს. ჯერ სტუმრის როლი უნდა დავთმო, მერე კი შევეგუო, რომ მეც პაციენტი გავხდი და თქვენს წრეში ვარ გარეული. ისე კი, ეს ამბავი არცთუ მოულოდნელია ჩემთვის; კაცმა რომ თქვას, დიდებული ჯანმრთელობით ვერასდროს დავიკვეხნიდი. ის რომ მომაგონდება, რა ადრე დაიხოცნენ ჩემი მშობლები, ბოლოს და ბოლოს, მე საიდანღა უნდა გამომყოლოდა დიდებული ჯანმრთელობა! შენს პატარა ზადს, თუმცა ის უკვე თითქმის განკურნებულია, მაინც არაფრად ვაგდებთ არავინ, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენს ოჯახს მოსდგამდეს ეს სენი? ყოველ შემთხვევაში, ბერენსმა ასე ბრძანა. ასეა თუ ისე, რომ იცოდე, გუშინს აქეთ ვწევარ და ჩემს გუნება-განწყობილებაზე, ცხოვრებასა და მის მოთხოვნილებებთან ჩემს დამოკიდებულებაზე ფიქრით ვიმტვრევ თავს. ჩემი ბუნება ყოველთვის როგორღაც სერიოზულად ეკიდებოდა და ვერასდროს ვერ ეწყობოდა ზედმიწევნით ჯანსაღსა და როხროხა ყოფას. სულ ახლახან არ ვლაპარაკობდით, სამგლოვიარო და ამაღლებული ამბების ხათრით, ხანდახან მღვდლად კურთხევის სურვილი მომრევია-მეთქი. ხომ იცი, შავ ქსოვილზე ვერცხლის ჯვარი რომ ასვენია ან ღ. I. პ... ღექუიესცატ ინ პაცე რომაა ზედ ამოქარგული. მოგეხსენება, ეს უმშვენიერესი სიტყვა გახლავს და ათასწილ მირჩევნია, „დღეგრძელი იყავ"-ს, რაც უფრო სიტყვების რახარუხია და სხვა არაფერი. მე რომ მკითხო, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ მეცა მაქვს ზადი და დასაბამიდან

ავადმყოფობასა ვარ ნაზიარები, ჰოდა, ამ ამბავმა ამ შემთხვევაში იჩინა თავი. რახან ასე წავიდა ჩემი საქმე, ბედს უნდა ვუმადლოდე, რომ აქ ამოვედი და ექიმს გავესინჯე. შენ მაგაზე იოტისოდენა დარდიც არ გაივლო გულში. განა არ გაიგონე, კიდევ ცოტა ხანს რომ დავრჩენილიყავი ბარში, თურმე ფილტვი სულ მალე შემომადნებოდა ხელში.
- ეგ არავინ იცის! - თქვა იოახიმმა, - საქმეც ისაა, რომ ეგ არავინ იცის! შენ ხომ ადრეც გქონია კერები. მათ ჩასაქრობად თავი არავის შეუწუხებია, ისინი თავისით ჩაიკირა და მხოლოდ ყრუ ადგილები დაგიტოვა. იმ სველ კერებსაც ასევე შეიძლებოდა მოსვლოდა, შემთხვევით ჩემთან რომ არ ამოსულიყავი. ეგ წინასწარ არავინ იცის!
- არა, ცოდნით არაფრის ცოდნა არ შეიძლება, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - და სწორედ ამიტომ არა გვაქვს უფლება, ყველაზე უარესს დაველოდოთ. თუნდაც ჩემი აქ ყოფნის ვადა ავიღოთ. შენ ამბობ, არავინ იცის, აქედან თავს როდის დაიძვრენ და ვერფზე მუშაობას როდის შეუდგებიო, მაგრამ შენ ამ საკითხს პესიმისტურად უდგები, ჰოდა, მეც ეს მეჩვენება ნაადრევად, სწორედ იმიტომ, რომ ეგ არავის შეუძლია იცოდეს. ბერენსს დრო არ დაუთქვამს, დინჯი კაცია და წინასწარმეტყველის როლს არ თამაშობს. ჯერ ხომ არც გავუშუქებივარ და არც ფოტო გადაუღიათ ჩემთვის, რომ ობიექტური ვითარება ცხადი ყოფილიყო. ვინ იცის, იქნებ არც არაფერი აღმოჩნდეს ხელმოსაჭიდი, მეც მანამდე სიცხემ დამიკლოს და დაგემშვიდობოთ კიდეც. მე მგონი, ჯობია, დროს არ გადავუხტეთ წინ და შინაურები არ შევაშინოთ. ჯერჯერობით, საკმარისი იქნება, შევატყობინოთ, - მე თვითონ შემიძლია აი, ამ ავტოკალმით მივწერო, ცოტას თუ წამოვჯდები ლოგინში, - რომ გაცივებული ვარ, სიცხე მაქვს, ვწევარ და, ჯერჯერობით, წამოსვლა არ შემიძლია-თქო, მერე კი ვნახოთ.
- კარგი, ასე ვქნათ, დანარჩენზე ჯერ მოვიცადოთ.
- რა დანარჩენზე?
- ნუ ხარ უდარდელი! ჩემოდანში ხომმხოლოდ სამი კვირის მარაგი გაქვს ჩალაგებული. თეთრეული, საცვლები და საზამთრო ტანსაცმელი გჭირდება, ფეხსაცმელიც გინდა, სხვა არა იყოს რა, ფული ხომ უნდა გამოგიგზავნონ.
- თუკი დამჭირდება, დიახ, თუ დამჭირდება ეგ ყველაფერი, მაშინ კი, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- კარგი, მოვიცადოთ, მაგრამ ჩვენ ხომ... არა, - თქვა იოახიმმა და ოთახში გაიარ-გამოიარა, - ილუზიებს არ უნდა ავყვეთ! მე იმდენი ხანია აქა ვარ, რომ ბევრ რამეში ვერკვევი. თუკი ბერენსი ამბობს, ფილტვში ყრუ ადგილი ისინჯება, თითქმის ხიხინი ისმისო... ჰო, კარგი, ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა იქნება!
ამჯერად ამაზე შეჩერდნენ და მიჰყვნენ დღეების დინებას, რომელთა წყებაში კვირაში და ორ კვირაში ერთხელ გამოერეოდა ხოლმე ცვლილებები. მწოლიარე ჰანს კასტორპი თუ უშუალოდ არა, იმ ცნობების წყალობით მაინც მონაწილეობდა სანატორიუმის ცხოვრებაში, თავისი თხუთმეტწუთიანი ვიზიტების დროს იოახიმი რომ აწვდიდა. იგი ბიძაშვილს საწოლის კიდეზე ჩამოუჯდებოდა და სანატორიუმის ამბებს ისე უყვებოდა.
კვირა დილით, საუზმე რომ მოართვეს, ლანგარი ყვავილებიანი ლარნაკით იყო დამშვენებული და არც იმ ჰაეროვანი ნამცხვრის გამოგზავნა დავიწყებიათ, კვირაობით დარბაზში რომ შემოჰქონდათ სუფრაზე. ცოტა ხნის შემდეგ ბაღში და ტერასაზე ჟრიამული შეიქნა და ბრახაბრუხითა და კლარნეტის ჭყვიტინით დაიწყო ორკვირეული კონცერტი. იოახიმი კონცერტს თავისი ბიძაშვილის ღია აივნიდან უსმენდა, ჰანს კასტორპი კი ლოგინში ნახევრად წამომჯდარიყო, თავი გვერდზე გადაეგდო, კრძალვითა და სიყვარულით აღსავსე თვალები მიებნიდა და ღია კარიდან შემოჭრილ მელოდიებს ყურს ისე უგდებდა, თან გულში მხრებს იჩეჩდა, სეტემბრინის ნალაქლაქევი რომ აგონდებოდა, მუსიკა პოლიტიკურად საეჭვო რამ“ არისო.
დანარჩენს, როგორც მოგახსენეთ, იოახიმს აამბობინებდა, ამ დღეებში თუ რამე ხდებოდა ან რაიმე ღონისძიება თუ ტარდებოდა, ეკითხებოდა, კვირას საზოგადოება საზეიმოდ თუ იყო გამოწყობილი, ვინმეს მაქმანის მატინე ან რაიმე ამის მსგავსი თუ ეცვაო (თუმცა მაქმანის მატინეს შესაფერი ამინდი არ იდგა); აინტერესებდა, ნაშუადღევს ვინმემ ეტლით თუ გაისეირნაო (ეტლით

„ცალფილტვიანთა“ კავშირის წევრებს უსეირნიათ. in corpore გაუნავარდიათ კლავადელში); ორშაბათს ჰანს კასტორპმა დოქტორ კროკოვსკის ლექციის ამბების მოსმენაც ისურვა, როცა იქიდან დაბრუნებულმა იოახიმმა სამკურნალო წოლის წინ შემოუარა სალაპარაკოდ. იოახიმს, ეტყობოდა, მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდა მოხსენებაზე საუბარი, წინა ლექციის შემდეგაც ხომ აღარ დაუძრავთ სიტყვა ერთმანეთთან ამ საკითხზე, მაგრამ ჰანს კასტორპმა დაიჟინა, ყველაფერი დაწვრილებით მიამბეო.
- ლოგინში ვწევარ და სრულ ფასს კი ვიხდი, რატომ უნდა დავიკლო რამე? - თქვა მან.
გაიხსენა, ამ ორი კვირის წინ როგორ გაისეირნა მარტო, როგორ ავნო იმ გასეირნებამ და ვარაუდი გამოთქვა, ალბათ, იმ გასეირნებამ თუ იმოქმედა ჩემს ორგანიზმზე ასე რევოლუციურად და ჩაბუდებული სენი ააფეთქაო.
- რომ იცოდე, როგორ ლაპარაკობს აქ ხალხი, მდაბიო ხალხი, - წამოიძახა მან, - დარბაისლურად და დიდებულად მეტყველებენ. ხანდახან ლექსადაც კი - „მაშ, მშვიდობით იყავ და მადლობა შენდა!“ - გაიმეორა მან და ხისმჭრელივით მოუქცია,
- ეს სიტყვები გავიგონე ტყეში და ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. აი, მსგავსი ამბები ენასკვება სხვა შთაბეჭდილებებსა და მოგონებებს და კაცს სიცოცხლის დასასრულამდე უდგას ყურში. მაშ, კროკოვსკიმ კვლავ „სიყვარულზე“ ილაპარაკა? - იკითხა მან და დაიჭყანა.
- რაღა თქმა უნდა, - მიუგო იოახიმმა, - სხვა რაზე ილაპარაკებდა, მისი თემა ხომ ეს გახლავს.
- დღეს რაღა თქვა ამ თემაზე?
- ოჰ, განსაკუთრებული არაფერი. წინა ლექციაზე ხომ იყავი, არ იცი, როგორ ლაპარაკობს ხოლმე?
- ვიცი, მაგრამ დღეს ახალი არ შემოგთავაზათ რამე?
- ახალი დიდი არაფერი... დღეს წმინდა ქიმიაზე მიედ-მოედებოდა რაღაცას, - უხალისოდ დაიწყო მოყოლა იოახიმმა.
დოქტორ კროკოვსკის უთქვამს, „იმ დროს“ მოწამვლის მსგავსი პროცესი მიმდინარეობს, ხდება ორგანიზმის თვითმოწამვლა, რაც იმის შედეგია, რომ ორგანიზმში გამჯდარი, ჯერჯერობით უცნობი ნივთიერება დაშლას განიცდისო. ამ დაშლის პროდუქტები ისევე გვიბრუებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, როგორც უცხო შხამების - მორფის ან კოკაინის ორგანიზმში შეყვანა მოქმედებსო.
- ჰოდა, მერე ლოყებიც აგეტკიცებათო, არა? - თქვა ჰანს კასტორპმა, - ერთი შეხედე, რა საინტერესოა, პირდაპირ მოსმენად ღირს. რა არ იცის ამ კაცმა, ჭკუის კოლოფია ნამდვილი. ცოტა დაიცადე, ერთ მშვენიერ დღეს იმ უცნობ ნივთიერებასაც აღმოგიჩენს, აი, იმას, მთელ ორგანიზმში რომაა გამჯდარი და ისეთ სამსალას დაამზადებს, ცენტრალურ სისტემაზე გამაბრუებლად რომ იმოქმედებს. მაშინ ნახე, ხალხი როგორ დაარეტიანოს. ალბათ, წინათ ეცოდინებოდათ ასეთი ხრიკები. მაგას რომ უსმენ, გეგონება,ძველ ლეგენდებში რომ სიყვარულის სასმელებისა და სხვა მისთანების ამბებია მოთხრობილი, მართალი უნდა იყოსო... უკვე მიდიხარ?
- ჰო, - უთხრა იოახიმმა, - ცოტა ხანს კიდევ უნდავიწვე. გუშინდლიდან სიცხე მაქვს აწეული. ეტყობა, შენმა ამბავმა ჩემზედაც იმოქმედა.
ასე ჩაიარა კვირამ და ორშაბათმა. მესამე დღე გათენდა, რაც ჰანს კასტორპი „ბოგაზე“ იყო დაბმული. ეს გახლდათ კვირის ჩვეულებრივი, გამოურჩეველი დღე - სამშაბათი, მაგრამ ეს დღე მისი ჩამოსვლის დღე გახლდათ, ამ დღეს შეუსრულდა ზუსტად აქ, ზევით, ყოფნის სამი კვირა. ჰოდა, გულმა უკარნახა, შინ წერილი მიეწერა და ბიძებისთვის საქმის ვითარება ზერელედ მაინც შეეტყობინებინა. ჰანს კასტორპმა ზურგს უკან ბუმბულის ბალიში ამოიდო და სანატორიუმის საფოსტო ქაღალდზე ბარათი დაწერა, ჩემი გეგმები შეიცვალა და აქედან გამომგზავრება მიყოვნდებაო, გაცივებული ვარ, სიცხე მაქვს და ლოგინში ვწევარ, ჩემს ავადმყოფობას ჰოფრატი ბერენსი მისთვის ჩვეული უაღრესი კეთილსინდისიერებით მოეკიდა და არც ისე იოლად ხელწამოსაკრავად მიიჩნია, რადგან გაცივებას სტრიქონების ავტორის აგებულებას უკავშირებსო. მთავარმა ექიმმა პირველი ნახვისთანავე მითხრა, ანემიური ხარო. ყველაფერი ერთმანეთს დაემატა და აღმოჩნდა, რომ მის მიერ, ჰანს კასტორპის მიერ, დასასვენებლად

მონიშნული დრო არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა, საკმარისად მიჩნეულიყო. დანარჩენს უახლოეს ხანში გაცნობებთო, დაასრულა ჰანს კასტორპმა და გაიფიქრა, ასე ჯობიაო. წერილში სიტყვა არ არის ზედმეტი და თან, ჯერჯერობით, სრულიად საკმარისიაო. წერილი სასტუმროს მოსამსახურეს გადასცეს, მანაც ფოსტის ყუთს გვერდი აუარა და წერილი პირველივე მატარებელს გაატანა.
ამის შემდეგ ჩვენმა თავგადასავლების მაძიებელმა ბევრი რამ მოგვარებულად ჩათვალა. თუმცა ხველება ტანჯავდა და სურდოსგანაც გაგუდული იყო, გული მაინც დაიარხეინა და მოთმინებით შეუდგა დღევანდელი დღით ცხოვრებას - ერთმანეთს მიადევნა მცირე მონაკვეთებად მრავალგზის დაყოფილი, თავისი მტკიცე ერთფეროვნების წყალობით არც მოკლე და არც გაჭიანურებული, ჩვეულებრივ, თითქოს ერთი და იგივე დღეები. დილით კარზე მაგარი დაბრახუნება მოისმოდა და მასაჟისტი შემოდიოდა. ამ ნერვიულ ინდივიდს „ფიზკულტურელს“ ეძახდნენ. „ფიზკულტურელს“ დაძარღვული ხელები ჰქონდა, ოთახში მკლავებდაკაპიწებული შემოდიოდა, ხორხისმიერი ხმით ბურდღუნებდა, ჰანს კასტორპს, ისევე როგორც ყველა პაციენტს, ოთახის ნომერს ეძახდა და სპირტით უზელდა ტანს. მისი წასვლიდან დიდი ხანი არ გაივლიდა, რომ კოხტად ჩაცმულ-დახურული იოახიმი შემოვიდოდა, ბიძაშვილს მიესალმებოდა, დილის შვიდ საათზე რამდენი გქონდა სიცხეო, ჰკითხავდა და თავისას ეტყოდა. სანამ იოახიმი ქვემოთ საუზმობდა, ჰანს კასტორპს ზურგს უკან ბალიში ჰქონდა ამოდებული, ახლებური ცხოვრების წყალობით მადაგაცხოველებული იმავე საქმიანობას ეწეოდა და თავს დიდად არ იტკივებდა, ოთახში უაღრესად საქმიანი ნაბიჯებით შემოჭრილ ექიმებს რომ დაინახავდა. ექიმებს ამ დროს სასადილო დარბაზი უკვე შემოვლილი ჰქონდათ და ფეხაჩქარებულნი ახლა მწოლიარე ავადმყოფებისა და მორიბუნდუსების ოთახებში შედი-გამოდიოდნენ. ჰანს კასტორპს პირი მურაბით ჰქონდა გამოტენილი და ისე პასუხობდა ექიმებს, „მშვენივრად“ მეძინაო, მერე ფინჯნის კიდიდან უყურებდა, ჰოფრატს მუშტები როგორ დაებჯინა ოთახის შუაგულში დადგმულ მაგიდაზე და ტემპერატურის ცხრილს თვალის ერთი გადავლებით როგორ ამოწმებდა. ჰანს კასტორპი ოთახიდან გასულებს ზანტად მიადევნებდა, კარგად ბრძანდებოდეთო და სიგარეტს მოუკიდებდა. ამასობაში დილის სეირნობიდან მობრუნებულ იოახიმს დაინახავდა, მას კი ჯერ მისი წასვლაც არ ჰქონდა კარგად გადახარშული. ბიძაშვილები იტყოდნენ მთისას და ბარისას და მეორე საუზმემდე ისე ცოტა დრო რჩებოდათ, - ამასობაში იოახიმი სამკურნალო წოლის საათსაც ჩაათავებდა, - რომ თვით ყველაზე თავცარიელი და სულიერად გამოფიტული კაციც კი ვერ მოასწრებდა მოწყენას, თორემ ჰანს კასტორპს რა მოაწყენდა - ჯერ სამი კვირის შთაბეჭდილებანი ეყოფოდა საზრდოდ, მერე კი მოდგებოდა და ახლანდელ მდგომარეობას და მისგან გამომდინარე შედეგებს გადახარშავდა. ალბათ, ამისი ბრალი თუ იყო, რომ სანატორიუმის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი ილუსტრირებული ჟურნალის ორ სქელი ტომი აქამდე ხელუხლებლად ედო ღამის მაგიდაზე.
იოახიმის კურორტ დავოსში გასეირნებას სულ ერთი საცოდავი საათი ჰყოფნიდა. ეს ხანმოკლე დროც გავიდოდა, იოახიმი კვლავ ჰანს კასტორპთან შემოივლიდა და სეირნობის შთაბეჭდილებებს მოუყვებოდა, წუთით დადგებოდა ან დაჯდებოდა ავადმყოფის საწოლთან და მერე აივანზე წამოწვებოდა. მერედა, რამდენ ხანს გრძელდებოდა შუადღის სამკურნალო წოლა? კვლავ ერთ საცოდავ საათს! ძლივს მოასწრებდი თავქვეშ ხელების ამოწყობას, თვალს ჭერს მიაპყრობდი და ფიქრს გაუყვებოდი, რომ გონგიც დაიგრგვინებდა და ფეხზე მოსიარულე ავადმყოფებსა და არამორიბუნდუსებს სასადილოდ მოუხმობდა.
იოახიმის გასვლა და „შუადღის წვნიანის“ მოტანა ერთი იყო. ეს სახელი იმიტომ გახლდათ ასე მარტივი და სიმბოლური, რომ ჰანს კასტორპს ავადმყოფის დიეტა არ ჰქონდა დანიშნული. ანდა რა სჭირდა სადიეტო?ავადმყოფის დიეტა, მწირი საკვები სულაც არ შეეფერებოდა მის მდგომარეობას. მართალია, იწვა, მაგრამ სრულ ფასს იხდიდა და რაც მისთვის ამ შეჩერებული მარადისობის ჟამს მოჰქონდათ, „შუადღის წვნიანი“ როდი იყო, ეს „ბერგჰოფის“ ექვსთავიანი სადილი გახლდათ, მოტანილი უკლებლივ, მთელი თავისი წვრილმანით, სანიადაგო დღეებში უხვი, კვირაობით საუცხოო, დიდებული, საზეიმო სადილი, რომელსაც

სანატორიუმის სამზარეულო-ლუქსში ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილიშეფმზარეული ამზადებდა. დარბაზის ასულს, რომლის მოვალეობას მწოლიარე ავადმყოფების მომსახურება შეადგენდა, ნიკელისთავსახურიანი, მადისაღმძღვრელი თასებით მოჰქონდა მისთვის სადილი, ავადმყოფის მაგიდას ფეხს გამოუშლიდა, წონასწორობის ამ ცალფეხა საკვირველებას საწოლზე გარდიგარდმო გადაუდგამდა და ჰანს კასტორპიც ნატვრის სუფრასთან ფეხმორთხმული თერძის ვაჟიშვილივით ულხენდა სადილს.
სადილს მოათავებდა თუ არა, იოახიმიც ბრუნდებოდა. სანამ ეს უკანასკნელი თავის ლოჯიას მიაშურებდა და სანატორიუმ „ბერგჰოფში“ დიდი სამკურნალო წოლის საათი გამეფდებოდა, სამის ნახევარიც მოაწევდა, ალბათ, მთლად ნახევარი არა, ზუსტად რომ გვეთქვა, სამის თხუთმეტი წუთი იქნებოდა მხოლოდ, მაგრამ ასეთი მეოთხედი საათები დროის დამრგვალებულ ერთეულებთან რა სახსენებელი იყო. ისინი ისე ინთქმებოდნენ ამ ფართოდ მოხაზულ დროის მეურნეობაში, როგორც რკინიგზით მრავალსაათიანი მოგზაურობის, ან უმიზნო ლოდინის დროს ხდება ხოლმე, როცა მთელი გულისყური და ლტოლვა დროის გაყვანისა და უკან მოტოვებისკენ გაქვს ადამიანს მიმართული. სამის თხუთმეტი წუთი სამის ნახევრად ითვლება, ღვთის შეწევნით სამ საათადაც კი. რახან „სამი“ უკვე ვახსენეთ, ოცდაათი წუთი მრგვალი ციფრის - ოთხი საათის წინატაქტად ითვლება მხოლოდ და შინაგანად უკვე გავლილია ხოლმე; მსგავს გარემოებაში ჩავარდნილ კაცს ასე სჩვევია, ჰოდა, დიდი სამკურნალო წოლის ხანგრძლივობაც, კაცმა რომ თქვას, ასე დადიოდა ერთ საათამდე, ბოლოს ის ერთი საათიც შემოკლდებოდა და თითქოს აპოსტროფით ეკვეცებოდა კუდი, ეს აპოსტროფი კი დოქტორი კროკოვსკი გახლდათ.
დიახ, დოქტორი კროკოვსკი ნაშუადღევს დამოუკიდებლად ჩამოვლისას ჰანს კასტორპს გვერდს აღარ უვლიდა. ის უკვე სათვალავში იყო ჩაგდებული, ინტერვალსა და ჰიატუსს აღარ წარმოადგენდა, ისიც პაციენტი გახლდათ, მას შეკითხვებს აძლევდნენ, უწინდებურად უყურადღებოდ აღარ ტოვებდნენ და მასაც გული აღარ მოსდიოდა. დოქტორი კროკოვსკი პირველად ორშაბათს გამოეცხადა ჰანს კასტორპს. ჩვენ ვამბობთ, „გამოეცხადაო“, რადგან ეს სიტყვა ზედგამოჭრილი გახლავთ იმ უცნაური და ასე განსაჯეთ, შემაძრწუნებელი შთაბეჭდილების ასაწერად, რაც ჰანს კასტორპს დაატყდა მაშინ თავს. ნახევრად თუ მეოთხედად თვლემამორეული ჰანს კასტორპი უცებ შეკრთა, როცა იგრძნო, რომ ასისტენტი მის ოთახში იყო. იგი კარიდან კი არა, სულ სხვა მხრიდან უახლოვდებოდა. მოგეხსენებათ, დოქტორ კროკოვსკის გზა ტალანზე არ გადიოდა, იგი გარე ლოჯიებს მოუყვებოდა და ახლაც აივნის ღია კარიდან რომ შემოვიდა, გეგონებოდათ, პირდაპირ ციდან ჩამოეშვა ოთახშიო. ასე იყო თუ ისე, იგი ჰანს კასტორპის სარეცელთან იდგა, შავყვითელა, მხარბეჭგანიერი და ჩასკვნილი. საათის აპოსტროფი ვაჟკაცურად იღიმებოდა და შუაზე გაყოფილ წვერებში მოყვითალო კბილები მოუჩანდა.
- გეტყობათ, ჩემს დანახვას არ მოელოდით, ბატონო კასტორპ! - ალერსიანი ბარიტონით თქვა მან. დოქტორი კროკოვსკი სიტყვებს წელავდა, ოდნავ იპრანჭებოდა კიდეც და ლაპარაკში სასისმიერ, ეგზოტიკურ „რ“-ს ურევდა, თუმცა ამ ბგერას როდი ატრიალებდა - წინა კბილებს ენას მხოლოდ ერთხელ თუ შეახებდა, - ამიერიდან თქვენზე ზრუნვაც რომ მევალება, ეს დიდად სასიამოვნოა ჩემთვის. თქვენი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ ახალ ფაზაში შევიდა, ამ ერთი ღამის განმავლობაში სტუმრიდან ჩვენს ამხანაგად იქეცით, - (სიტყვა „ამხანაგმა“, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ჰანს კასტორპი), - აბა, ამას ვინ იფიქრებდა! - ამხანაგურად შეეხუმრა დოქტორი კროკოვსკი, - აბა, ამას ვინ იფიქრებდა იმ საღამოს, როცა პირველად მერგო პატივი, მოგსალმებოდით და თქვენ ჩემს მცდარ მოსაზრებაზე - მაშინ ის მოსაზრება მცდარი გახლდათ - მიპასუხეთ, სავსებით ჯანმრთელი გახლავართო. მე მგონი, მაშინ რაღაც ეჭვისმაგვარი გამოვთქვი, მაგრამ გარწმუნებთ, თქვენი ავადმყოფობა არ მიგულისხმია! სულაც არ მინდა, იმაზე გამჭრიახად მოვაჩვენო ვინმეს თავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ. მაშინ სველ კერაზე არ მიფიქრია, მე სხვაგვარად მოგახსენებდით, უფრო ზოგადად, უფრო ფილოსოფიურად, მე გაგიმხილეთ ჩემი ეჭვი, „ადამიანი“ და „სრულყოფილი ჯანმრთელობა“ მხოლოდ შეფარდებითი ცნებებია-მეთქი. დღესაც

კი, თქვენი გასინჯვის შემდეგ, მე ჩემდათავად, ჩემი პატივცემული შეფისაგან განსხვავებით, ამ სველ კერას, - იგი თითის წვერით მსუბუქად შეეხო ჰანს კასტორპის მხარს, - ინტერესთა სფეროს წინა პლანზე დაყენების ღირსად არა ვთვლი. ის ჩემთვის მეორადი მოვლენაა... ორგანული მოვლენები ყოველთვის მეორადნი არიან...
ჰანს კასტორპი შეკრთა.
- აქედან გამომდინარე, თქვენი კატარი ჩემს თვალში მესამე ხარისხის მოვლენა გახლავთ, - თითქოს სხვათა შორის დასძინა დოქტორმა კროკოვსკიმ, - მაინც როგორაა თქვენი კატარის საქმე? წოლითი რეჟიმი ამ შემთხვევაში თავისას იზამს. რამდენი გაქვთ დღეს სიცხე?
ამ დღიდან მოყოლებული ასისტენტის სტუმრობა უწყინარი საკონტროლო ვიზიტების ხასიათს ატარებდა და მომდევნო დღეებსა და კვირებშიც არ შეცვლილა: დოქტორი კროკოვსკი აივნის კარიდან 3 საათსა და 45 წუთზე შემოდიოდა, ხან ცოტა ადრეც, მწოლიარეს ვაჟკაცურად და მხიარულად მიესალმებოდა, უბრალო საექიმო კითხვებს დაუსვამდა, მოკლე პირადულ საუბარსაც მოაყოლებდა, ამხანაგურად წაიოხუნჯებდა და თუმცა ყველაფერ ამას რაღაც საეჭვო სუნი უდიოდა,მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საეჭვოსაც ეჩვევა კაცი, თუ იგი საზღვარს არ სცილდება ხოლმე. და ჰანს კასტორპსაც აღარ ეხამუშებოდა დოქტორ კროკოვსკის სისტემატური გამოცხადება, იგი ნორმალური, ჩვეულებრივი დღის შემადგენელი ნაწილი გახლდათ და დიდი სამკურნალო წოლის საათს აპოსტროფით კვეცავდა.
ამგვარად, ოთხი საათი სრულდებოდა, როცა ასისტენტი კვლავ აივანზე გავიდოდა, - ეს კი უკვე ნაშუადღევს ნიშნავდა! ნაშუადღევი ისე დადგებოდა, კაცი მოხედვას ვერ მოასწრებდა. ამის შემდეგ საღამოც ხომ შორს აღარ იყო და არა: სანამ დარბაზსა და ოცდამეთოთხმეტე ოთახში ჩაის მიირთმევდნენ, ხუთი საათიც მოაწევდა, სანამ იოახიმი თავისი მესამე სავალდებულო გასეირნებიდან დაბრუნდებოდა, უკვე ექვსს აღარა უკლდა რა და თუ ვახშმობამდე შემოღებულ სამკურნალო წოლის საათსაც დაამრგვალებდა, საათზე მეტი აღარც გამოდიოდა. ამ დროს სულ თამაშ-თამაშით გადააგორებდა კაცი, თუ თავში აზრები გიტრიალებდა და თან მთელი Orbis pictus საღამურ მაგიდაზე გედო.
იოახიმი ბიძაშვილს გამოემშვიდობებოდა და სავახშმოდ მიდიოდა. ჰანს კასტორპისთვისაც ვახშამი მოჰქონდათ. ხეობაში კარგა ხანია, ჩრდილები ჩაწოლილიყო და სანამ ჰანს კასტორპი ვახშმობდა, თეთრ ოთახშიც თვალდათვალ წვებოდა ბინდი. ჭამას რომ მოათავებდა, ბალიშს მიეყრდნობოდა, გადაძოვილი ნატვრის სუფრა წინ ედგა და თვალდათვალ ჩამუქებულ დაისს გასცქეროდა, დღევანდელ დაისს, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა გუშინდელი, გუშინწინდელი ან ერთი კვირის წინანდელი დაისისაგან. უკვე საღამო იდგა, სულ ახლახან კი დილა იყო. დაქუცმაცებული და ხელოვნურად დამოკლებული დღე პირდაპირ ხელში ელეოდა და ადნებოდა. ჰანს კასტორპს ეს გარემოება ხან აოცებდა და მხიარულებას ჰგვრიდა, ხან თითქოს აფიქრებდა კიდეც. მისი ასაკის კაცი, რა თქმა უნდა, ამის გამო ვერ შეშფოთდებოდა, მხოლოდ ეჩვენებოდა, „ჯერ კიდევ“ შემიძლია საგნების გარჩევაო.
ერთ დღეს, ამ დროს, ეს იყო ლოგინში წოლის მეათე-მეთორმეტე დღე, სანამ იოახიმი საღამოს თავშეყრიდან დაბრუნდებოდა, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ჰანს კასტორპმა კითხვაშერეული ხმით გასძახა, მობრძანდითო, და ზღურბლზე ლოდოვიკო სეტემბრინი დაინახა. მისი გამოჩენა და ოთახის გაკაშკაშება ერთი იყო. სტუმარს ჯერ კარი არ მიეხურა, რომ პლაფონი აანთო და ქათქათა ჭერიდან და ავეჯიდან არეკლილმა სხივებმა ოთახი თვალის დახამხამებაში კაშკაშა სინათლით აავსო.
იტალიელი გახლდათ ერთადერთი პიროვნება დამსვენებელთა შორის, ჰანს კასტორპმა ამ დღეებში ინტერესით და პირადად რომ მოიკითხა. იოახიმი დღეში ათჯერ მაინც შემოირბენდა ბიძაშვილთან, ათიოდე წუთით ხან საწოლზე ჩამოუჯდებოდა, ხან იქვე დადგებოდა და უკითხავადაც წვრილად უყვებოდა სანატორიუმის ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ამბებს, მაგრამ რახან კითხვებს ჰანს კასტორპი იძლეოდა, ეს მონათხრობი ზოგადი და გაუპიროვნებელი ხასიათისა იყო ხოლმე. იზოლირებულ პაციენტს

ცნობისწადილი კლავდა, სანატორიუმში ახალი თუ ჩამოვიდა ვინმე ან რომელიმე შეჩვეული ფიზიონომია ხომ არ წასულაო და ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რომ მხოლოდ პირველ შეკითხვაზე იღებდა დადებით პასუხს. ჩამოსულა ერთი ახალი", ლოყებჩაცვენილი და პირყვითელი ახალგაზრდა კაცი. იგი სპილოსძვლისფერსახიანი ლევისა და ფრაუ ილტისის მაგიდასთან დაუსვამთ, იქვე, ბიძაშვილების მაგიდიდან ხელმარჯვნივ. მაშ, ჰანს კასტორპს მოელის მასთან შეხვედრა. ვინმე ხომ არ წასულაო? იოახიმი მოკლედ პასუხობდა, არაო და თან თვალებს ხრიდა, მაგრამ ამ კითხვაზე ისე ხშირად უწევდა პასუხის გაცემა, რომ ბოლოს და ბოლოს, ხმაში მოუთმენლობა გაერია და შეეცადა, ბიძაშვილისათვის ერთხელ და სამუდამოდ შეეგნებინებინა, რამდენადაც ვიცი, გამგზავრებას არავინ აპირებს და საერთოდ, აქედან ასე იოლად ვერავინ მიდისო.

რაც შეეხება სეტემბრინის, ჰანს კასტორპმა იგი პირადად მოიკითხა და დაინტერესდა, სეტემბრინიმ ამ ამბავზე" რა თქვაო. რა ამბავზეო? აი, რომ ვწევარ და, მგონი, ავად უნდა ვიყოო. სეტემბრინის ამ ამბავზე მართლაც გამოეთქვა აზრი, მაგრამ მეტისმეტად ძუნწად. ჰანს კასტორპის გაუჩინარების დღესვე მისულა იოახიმთან და უკითხავს, თქვენი სტუმარი რა იქნაო, თან აშკარად მოელოდა თურმე, რომ ეტყოდნენ, გაემგზავრაო. იოახიმის ახსნა-განმარტების პასუხად ორად-ორი იტალიური სიტყვა უთქვამს: ჯერ Ecco" წამოუძახია, შემდეგ კი „Poveretto". რაც გერმანულად ნიშნავს: „დახეთ" და საწყალი ბიჭუნა". ამ სიტყვების დედააზრში ჩასაწვდომად იმდენი იტალიურიც კმაროდა, რამდენიც ბიძაშვილებმა იცოდნენ.

- ვითომ რატომ ვარ Poveretto"? - თქვა ჰანს კასტორპმა, - განა თვითონაც აქ არ ზის თავისი ჰუმანიზმითა და პოლიტიკით გამოტენილი ლიტერატურითურთ და მიწიერ, ცხოვრებისეულ ინტერესებს არაფერში არგია? ვითომ რატომ უნდა შევეცოდებინე ასე ქედმაღლურად, მე ბარში მაგაზე ადრე ჩავალ.

ახლა კი ბატონი სეტემბრინი ერთბაშად გასხივოსნებულ ოთახში იდგა. ჰანს კასტორპმა იდაყვზე წამოიწია, თავი კარისაკენ მოაბრუნა, სინათლისაგან დაბრმავებული თვალები მოჭუტა, იცნო იგი და გაწითლდა. სეტემბრინის, როგორც ყოველთვის, თავისი სქელი დიდლაცკანებიანი სერთუკი და უჯრედებიანი შარვალი ეცვა და სერთუკზე ოდნავ გაცრეცილი საყელო ჰქონდა გადმოფენილი. იგი ვახშმიდან ბრუნდებოდა და ტუჩებშუა, ჩვეულებისამებრ, ხის კბილის საჩხრეკი ჰქონდაგაჩრილი. ტუჩის კუთხე ლამაზად შემორკალული ულვაშის ქვეშ ნაცნობ, ნატიფ, ფხიზელ და კრიტიკულ ღიმილს შეეტეხა.

- საღამო მშვიდობისა, ინჟინერო! ნებას მოგვცემთ, შემოგხედოთ? თუ ასეა, მაშინ საჭირო ყოფილა ეს სინათლე, გთხოვთ, მაპატიოთ თვითნებობა! - თქვა მან და პატარა ხელი ჭერის ნათურისაკენ ენერგიულად აიშვირა, - ჭვრეტით იყავით გართული? არაფრისდიდებით არ მინდა, ხელი შეგიშალოთ. ფიქრებში ჩაძირვა თქვენს მდგომარეობაში ჩემთვის სავსებით გასაგებია, სასაუბროდ კი, ბოლოს და ბოლოს, თქვენი ბიძაშვილიც გეყოფათ. ხომ ხედავთ, როგორ ვგრძნობ, ზედმეტი რომ ვარ და მაინც, ასეთ პატარა სივრცეში მოქცეული ადამიანები ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობით იმსჭვალებიან, სულიერი, გულითადი თანაგრძნობით... მთელი ერთი კვირა იქნება, აღარ ჩანხართ. მართლა ვიფიქრე, ხომ არ გაემგზავრა -მეთქი, თქვენი ადგილი ქვემოთ, სატრაპეზოში, ცარიელი რომ დავინახე. ლეიტენანტმა გამათვითცნობიერა... უფრო სწორად, საკმაოდ არასასიამოვნო ამბავი მაუწყა, თუ ამ სიტყვას უზრდელობაში არ ჩამომართმევთ... მოკლედ, როგორაა თქვენი საქმე? რას შვრებით, როგორ გრძნობთ თავს? მაინცდამაინც დიდი სასოწარკვეთილება, მგონი, არ გეტყობათ, არა?

- ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო სეტემბრინი! რა სასიამოვნოა. ჰა, ჰა, ჰა, „სატრაპეზოში", არა? თქვენ ისევ ხუმრობთ, დაბრძანდით, გეთაყვა, ხელს სულაც არ მიშლით. ვიწექი და ფიქრებში ვიყავი გართული. თუმცა ფიქრებში ვიყავი გართული-მეთქი, ამის თქმა მეტისმეტი მომდის. უბრალოდ, სინათლის ანთება მეზარებოდა. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, სუბიექტურად სავსებით ნორმალურად ვგრძნობ თავს. ლოგინში წოლამ თავისი ქნა და სურდო თითქმის აღარ მაწუხებს, მაგრამ, როგორც მეუბნებიან, ეს მეორადი მოვლენა ყოფილა თურმე... ტემპერატურა ჯერ კიდევ ისეთი არა მაქვს, როგორიც უნდა მქონდეს, ხან

37,5, ხან 37,7, ამ დღეებში არც დაუწევია და არც აუწევია.
- რეგულარულად ისინჯავთ?
- დიახ, ექვსჯერ დღეში, ზუსტად ისე, როგორც თქვენ, ყველანი, აქ, ზევით. ჰა, ჰა, ჰა, ბოდიშს გიხდით, ერთი კიდევ უნდა გავიცინო თქვენს ხუმრობაზე, ჩვენს სასადილო დარბაზს „სატრაპეზო“ რომ უწოდეთ. ასე მონასტერში ამბობენ, არა? რაღაცით მართლა ჰგავს სატრაპეზოს. მონასტერში ჯერ ფეხი არ დამიდგამს, მაგრამ დაახლოებით ასე წარმომიდგენია. მე კი უკვე „ტიპიკონი“ გავიზუთხე და ზუსტადაც ვიცავ.
- ბერივით, არა? შეიძლება ითქვას, რომ გამოცდის ჟამი დაასრულეთ და ბერად აღიკვეცეთ კიდეც. მიიღეთ ჩემი საზეიმო მოლოცვა. თქვენ უკვე ამბობთ „ჩვენი სასადილო დარბაზიო“. სხვათა შორის, სულაც არ მინდა ხელვყო თქვენი მამაკაცური ღირსება, მაგრამ ახალგაზრდა მონაზონს უფრო მაგონებთ, ვიდრე ბერს, აი, სულ ახალაღკვეცილ ქრისტეს უბიწო სასძლოს, მსხვერპლად შეწირულის ფართოდ გახელილი თვალები რომ აქვს ხოლმე. წინათაც შემხვედრია ასეთი კრავები და ყოველთვის მომრევია სენტიმენტალური გრძნობა. დიახ, დიახ, თქვენმა ბიძაშვილმა ყველაფერი მიამბო. მაშასადამე, ბოლო წუთს მაინც გადაგიწყვეტიათ, ექიმს სჩვენებოდით.
- სიცხე რახან მქონდა... ბატონო სეტემბრინი, თუ დამიჯერებთ, ასეთი კატარისათვის ბარში აუცილებლად ჩვენს ექიმს მივმართავდი. აქ კი სადაც, ასე ვთქვათ, კაცი სათავესთანაა მისული და ორი სპეციალისტი გვერდით ეგულება, სასაცილო იქნებოდა, რომ...
- გასაგებია, გასაგებია. მაშასადამე, სიცხე მანამდე გაიზომეთ, სანამ დაგავალებდნენ, არა? ალბათ, სიცხის გაზომვა მყისვე გირჩიეს. თერმომეტრი მილენდონკმა შემოგასაღათ, ხომ?
- შემომასაღა? მჭირდებოდა და ერთი თერმომეტრი ვიყიდე მისგან.
- მესმის, ჩინებული სავაჭრო გარიგებაა. შეფმა რამდენი თვე მოგისაჯათ? ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ერთხელ უკვე გკითხეთ! გახსოვთ, სულ ახალჩამოსული რომ ბრძანდებოდით, როგორ თამამად მიპასუხეთ მაშინ...
- როგორ არ მახსოვს, ბატონო სეტემბრინი. მას შემდეგ ბევრი რამ გადამხდა თავს, მაგრამ ის დღე დღევანდელივით მახსოვს. მაშინ სწორედ ხუმრობის გუნებაზე ბრძანდებოდით და ჰოფრატი ბერენსი ჯოჯოხეთის მოციქულად მონათლეთ... რადამესი თუ... არა, მოიცათ, რაღაც სხვა იყო...
- რადამანთისი? შეიძლება შემთხვევით ასე მოვიხსენიე. ყველაფერს კი არ ვიმახსოვრებ, რასაც ჩემი ტვინი შემთხვევით ამოისვრის ხოლმე.
- ჰო, რა თქმა უნდა, რადამანთისი! მინოსი და რადამანთისი! მაშინ თქვენ კარდუჩიზეც გვიყვებოდით...
- დაიცათ, დაიცათ, ჩემო მეგობარო, მოდი, მას ნუ ვახსენებთ. ეს სახელი ამ წუთში მეტად უცნაურად მოისმის თქვენი ბაგიდან.
- კარგი, ეგრე იყოს, - გაეცინა ჰანს კასტორპს, - მაგრამ მე ხომ ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან ამ პოეტზე. დიახ, მაშინ საეჭვო არაფერს ვფიქრობდი და გიპასუხეთ, სამი კვირით ვარ ჩამოსული-მეთქი, სხვაგვარად იმ დღეს არც შემეძლო მეპასუხა. სწორედ მაშინ იყო, კლეეფელდმა მოსალმების ნიშნად პნევმოთორაქსით რომ დამისტვინა და გული მომაყვანინა. ისე, სიცხის აწევას თავიდანვე ვგრძნობდი. მოგეხსნებათ, აქაური ჰაერი ავადმყოფებისათვის სასარგებლოც არის და საზიანოც, ხანდახან იგი სნეულებას აღვიძებს ხოლმე, ეს კი, როგორც ეტყობა, საჭიროა, რათა მკურნალობას მოჰკიდო ხელი.
- მიმზიდველი ჰიპოთეზაა. ხომ არ უამბია ჰოფრატ ბერენსს ერთი რუსეთიდან ჩამოსული გერმანელიქალის ამბავი? შარშან, უკაცრავად, შარშანწინ, ხუთი თვე რომ გვყავდა აქ? არა? უნდა მოეყოლა. მიმზიდველი ქალბატონი გახლდათ, წარმოშობით ნახევრად რუსი, ნახევრად გერმანელი, გათხოვილი, ახალგაზრდა დედა. ლიმფატური, სისხლნაკლული ქალი აღმოსავლეთიდან ჩამოვიდა აქ, ეტყობოდა, რაღაც უფრო სერიოზულიც უნდა სჭირვებოდა. ჰოდა, ცხოვრობს აქ ერთი თვე და ჩივის, ცუდად ვგრძნობ თავსო. მოთმინება იქონიეთ! გადის მეორე თვე, ქალი კი ამტკიცებს, უკეთესობისაკენ კი არა, უარესობისაკენ მივდივარო. მას უჩიჩინებენ, უარესობისაკენ მიდიხართ თუ უკეთესობისაკენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ექიმს შეუძლია განსაჯოსო. თქვენ მხოლოდ ის შეგიძლიათ დაასკვნათ,

თავს როგორ გრძნობთო, ეს კი დიდს არაფერს ნიშნავსო. თქვენი ფილტვებით კმაყოფილები ვართო. კეთილი და პატიოსანი, გაჩუმდა, მკურნალობს და მკურნალობს, მაგრამ დღითი დღე იკლებს წონაში. მეოთხე თვეში გასინჯვაზე გული წაუვიდა. ეს არაფერიაო, ეუბნება ბერენსი, თქვენი ფილტვებით ნამდვილად კმაყოფილი ვარო, მაგრამ მეხუთე თვეზე ფეხზე რომ ვეღარ წამოდგა, აიღო და ქმარს მისწერა თავისი ამბავი. ბერენსმაც ქმრისაგან წერილი მიიღო, ზედ მსხვილი ასოებით ეწერა: „პირადად“ და „სასწრაფოდ“. ჩემი თვალით ვნახე ის წერილი. რა გაეწყობა, თქვა ბერენსმა და მხრები აიჩეჩა, ეტყობა, მართლა ვერ იტანს აქაურ კლიმატსო. ქალი სასტიკად გაანჩხლდა. ადრე ვერ მითხარით, სულ ვგრძნობდი, კარგად რომ არ იყო ჩემი საქმე, სულ დავიღუპე თავიო, ყვიროდა ის. იმედია, თავის ქმართან, აღმოსავლეთში, ისევ მოვიდოდა ჯანზე.
- ჩინებულია! თქვენ ისე მოხდენილად ჰყვებით, ბატონო სეტემბრინი, რომ ყოველი თქვენი სიტყვა პირდაპირ პლასტიკური მეჩვენება. იმ ქალიშვილის ამბავზე, ტბაში რომ ბანაობდა და „მუნჯი დაიკო“ მისცეს, ჩუმ-ჩუმად დღესაც კი მეცინება. დიახ, რა არ ხდება. სწავლა სიბერემდეო, ხომ გაგიგონიათ. ჩემი ამბავი ჯერ ბურუსითაა მოცული. ჰოფრატმა თითქოს რაღაც-რაღაცები მიპოვა, ისეთი კერები აღმომიჩინა, მათი არსებობაც რომ არ მიაზრია, ოღონდ ისინი რომ არსებობენ, ეს ჩემი ყურით მოვისმინე. ახლა კი სადღაც, მგონი, ახალი კერაც გაჩენილა. თუმცა სიტყვა „ახალი“ ასეთ სიტუაციაში, ცოტა არ იყოს, მეხამუშება კიდეც. ჯერჯერობით, მხოლოდ აკუსტიკური მონაცემებით ვმსჯელობთ, ნამდვილ დიაგნოზს მაშინ დამისვამენ, ფეხზე რომ წამოვდგები. გავეშუქები, რენტგენოგრამასაც გადავიღებ და მაშინ ყველაფერი დანამდვილებით გვეცოდინება.
- თქვენ ეგრე გგონიათ? იცით თუ არა, რომ ნეგატივს ხშირად ლაქები აჩნია, რომლებიც კავერნები ჰგონიათ, ისინი კი ჩრდილებია და სხვა არაფერი, ხოლო, სადაც მართლა არის რაღაც, იქ ხანდახან არავითარი ლაქა არ მოჩანს ხოლმე? ო, მადონა, ნეგატივი! აქ ერთი ახალგაზრდა ნუმიზმატიკოსი იყო, სიცხეებს აძლევდა. ჰოდა, რახან სიცხეები ჰქონდა, ნეგატივზე კავერნებსაც აშკარად ხედავდნენ. ამტკიცებდნენ, კავერნები მოსმენითაც ისინჯებაო. ფთიზიატრიული მკურნალობა დაუნიშნეს და გარდაიცვალა კიდეც. გაკვეთამ უჩვენა, რომ ფილტვები საღი ჰქონდა და რომელიღაც კოკების წყალობით იყო მკვდარი.
- ყური მიგდეთ, ბატონო სეტემბრინი, თქვენ უკვე გაკვეთაზე ლაპარაკობთ! მე მგონი, ჩემი საქმე ჯერ აქამდე არ უნდა იყოს მისული.
- ინჟინერო, თქვენ დიდი ოხუნჯი ბრძანდებით!
- თქვენ კი დიდი ურწმუნო და კრიტიკოსი. ამას წყალი არ გაუვა! არამც და არამც არ გინდათ, ერწმუნოთ ზუსტ მეცნიერებას. თქვენს ნეგატივს თუ აჩნია ლაქები?
- დიახ, რაღაც ლაქები აჩნია.
- და თქვენ მართლა ცოტა ავადა ხართ?
- ცოტა კი არა, საუბედუროდ, საკმაოდ მძიმედ ვარ ავად, - მიუგო სეტემბრინიმ და თავი ჩაჰკიდა.
პაუზა ჩამოვარდა. სეტემბრინიმ დაახველა. ჰანს კასტორპი თავისი სარეცლიდან შესცქეროდა დადუმებულ სტუმარს. ასე ეგონა, ჩემი ორი უმარტივესი კითხვით ყველაფერზე, ასე განსაჯეთ, რესპუბლიკასა და მშვენიერ სტილზეც კი ჩავაკმენდინე სტუმარს ხმაო. თვითონ არც უცდია, საუბარიგანეახლებინა.
ცოტა ხნის შემდეგ ბატონი სეტემბრინი ღიმილით წამოდგა ფეხზე.
- ერთი მიამბეთ, ინჟინერო, თქვენიანები როგორ შეხვდნენ ამ ცნობას? - თქვა მან.
- რომელ ცნობაზე მეუბნებით? ჩემი გამგზავრება რომ გადაიდო? აჰ, ჩემიანები... იცით, ჩემიანებიდან შინ სამი ბიძა მყავს, დედაჩემის ბიძა და მისი ორი ვაჟიშვილი, რომელთაც უფრო ბიძაშვილებად ვთვლი. სხვა ჩემიანი არავინა მყავს, დედითაც და მამითაც ძალიან ადრე დავობლდი. ამ ამბავს როგორ შეხვდნენო, მკითხეთ? მათ ხომ ჯერ ბევრი არაფერი იციან, ყოველ შემთხვევაში, რაც მე ვიცი, იმაზე მეტი არაფერი იციან. თავიდან, როცა ჩავწექი, მივწერე, მაგრადა ვარ გაცივებული და ვერ მოვდივარ-მეთქი. გუშინ კი, მეტისმეტად რახან გამიგრძელდა წოლა, ერთხელ კიდევ მივწერე, ჰოფრატმა ბერენსმა კატარის გამო ჩემს ფილტვებსაც მიაქცია ყურადღება და დამიჟინა, გამგზავრებას ნუ იჩქარებ, სანამ შენს მდგომარეობას კარგად არ გაარკვევო. ალბათ, ეს ამბავი ოდნავადაც არ

ააღელვებდათ.
- მერე თქვენი სამსახური? თქვენ ხომ მეუბნებოდით, მალე პრაქტიკული მუშაობის დაწყებას ვაპირებო.
- დიახ, პრაქტიკანტადუნდა მემუშავა. ჩემიანებს ვთხოვე, ჯერჯერობით, ვერფში ბოდიში მომხადეთ-მეთქი. ნურც იმას იფიქრებთ, რომ ან იქ მოიკლავენ ამის გამო თავს. რამდენ ხანსაც გნებავთ, იმდენს გაძლებენ პრაქტიკანტის გარეშე.
- კეთილი და პატიოსანი! მაშასადამე, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. მთელ ხაზზე ფლეგმატურობა ყოფილა გამეფებული. თქვენი თანამემამულენი საერთოდ ფლეგმატურნი არიან, არა? თან ენერგიულნიც, ხომ?
- დიახ, დიახ, ენერგიულნი, მეტისმეტად ენერგიულნიც, - თქვა ჰანს კასტორპმა. მან თითქოს შორიდან შეამოწმა თანამემამულეთა ხასიათი და მიხვდა, რომ მისმა მოსაუბრემ სწორად დაახასიათა ისინი. ფლეგმატურნი და თან ენერგიულნი, დიახ, სწორედ ასეთები არიან!
- მაშ, გამოდის, - განაგრძო ბატონმა სეტემბრინიმ, - მეტხანს რომ მოგიწიოთ აქ დარჩენამ, თქვენი ბიძის - დედათქვენის ბიძას ვგულისხმობ - გაცნობის ღირსნი გავხდებით, თქვენს სანახავად ის უეჭველად ამოვა, არა?
- ეგ გამორიცხულია! - შეჰყვირა ჰანს კასტორპმა, - არავითარ შემთხვევაში არ ამოვა! ცხრა უღელი ხარ-კამეჩი რომ ჩააბა, მაინც ვერ ამოიყვან აქ! ბიძაჩემი ზედმიწევნით აპოპლექსიური ტიპის კაცია. კისერი თითქმის არ აჩნია. არა, იგი მხოლოდ ნორმალურ ატმოსფერულ წნევას იტანს. აქ იმ აღმოსავლეთიდან ჩამოსულ ქალზე უარესი მოუვიდოდა, არა, ღმერთმა იცის, რა დაემართებოდა.
- ნამდვილად გული დამწყვიტეთ. მაშ, აპოპლექსიური ტიპის კაცია? აბა, ფლეგმატურობა და ენერგია რაღას უშველის. თქვენი ბატონი ბიძა, ალბათ, მდიდარია? თქვენც მდიდარი ხართ? თქვენს სამშობლოში არავის აკლია სიმდიდრე.
ჰანს კასტორპს გაეღიმა ბატონი სეტემბრინის მწერლურ განზოგადებაზე და თავისი სარეცლიდან კვლავ მშობლიურ მხარეს მიაწვდინა თვალი. სამშობლოს მოშორებული ჰანს კასტორპი შეეცადა, იქაურობა კარგად გაეხსენებინა და ზოგადად განესაჯა. დისტანციამ წაახალისა და გაუადვილა განაჩენის გამოტანა:
- ზოგი მდიდარია, ზოგი არა, - უპასუხა სეტემბრინის, - ვინც მდიდარი არ არის, მით უარესი მისთვის. მე? მე მილიონერი არ გახლავართ, მაგრამ ჩემს საკუთრებას ვერავინ შემეცილება. დამოუკიდებელი კაცი ვარ, ცხოვრების სახსარი გამაჩნია. თავი დავანებოთ ჩემზე ლაპარაკს, რომ გეთქვათ, თქვენში ადამიანი იძულებულია, მდიდარი იყოსო, დაგეთანხმებოდით. იმიტომ, რომ თუ კაცი მდიდარი არ არის ან მდიდარი აღარ არის, ვაი მას! ნეტავ კიდევ თუ აქვს მაგ საწყალს ფულიო, იკითხავენ სხვები... ზუსტად ამ სიტყვებით და ზუსტად ასეთი სახით იკითხავენ. ხშირად გამიგონია ასეთი ფრაზა და ახლა ვხვდები, გონებაში როგორ ჩამბეჭდვია ეს სიტყვები. ეტყობა, ეს ნათქვამი საკმაოდ უცნაურად მომჩვენებია, თუმცა ასეთების გაგონებას მიჩვეული გახლდით, თორემ ასე არ ჩამებეჭდებოდა გონებაში. თქვენ როგორ ფიქრობთ? არა, არა მგონია, თქვენ, მაგალითად, როგორც homo humanus-ს, ჩვენებური ყოფა მოგწონებოდათ; მე კი, იქ დაბადებულ და გაზრდილ კაცს, მერე შემიმჩნევია, ხანდახან როგორ მომწოლია ყელში ბოღმა, თუმცა მე პირადად არაფერი შემხებია. ვისაც სუფრაზე საუკეთესო, უძვირფასესი ღვინოების ჩამოდგმა არ შეუძლია, იმასთან არავინ დადის და ქალიშვილებიც შინ უბერდებიან. ასეთია ეს ხალხი. აქ რომ ვწევარ და ასე შორიდან ვუყურებ იქაურობას, გული ბოღმით მევსება. როგორ თქვით, ფლეგმატურები და რაო? და ენერგიულებიც? კეთილი, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ულმობლობასა და გულცივობას. ულმობლობა და გულცივობა რაღას ნიშნავს! ეს სისასტიკეს ნიშნავს. იქ, ქვევით, სასტიკი და დაუნდობელი ჰავაა. ასე რომ წევხარ და შორიდან უყურებ, შეიძლება შეძრწუნდე.
სეტემბრინი უსმენდა და თავს უქნევდა ჰანს კასტორპს. თავის ქნევა არც მაშინ შეუწყვეტია, ჰანს კასტორპი კრიტიკას რომ მორჩა და გაჩუმდა, შემდეგ ამოისუნთქა და თქვა:
- არ მინდა შევალამაზო თქვენი საზოგადოების შინაგანი ცხოვრებისბუნებრივი სისასტიკის გამოვლენის ფორმები. სულერთია, სისასტიკისადმი მიმართული საყვედური საკმაოდ სენტიმენტალური გამოდის ხოლმე, საკუთარ თვალში

სასაცილო არ გავხდეო, ამის შიშით სისასტიკეზე იქვე, ადგილზე, თქვენ სიტყვას ვერ დასძრავდით. დიახ, სავსებით სამართლიანად გადაგილოცავთ ეგ როლი მცონარეებისათვის. ახლა რომ ლაპარაკობთ სისასტიკეზე, ეგ ერთგვარი გაუცხოების ნიშანია და მაგ გრძნობის შესისხლხორცებას არ გისურვებდით. კაცი რომ მის ხსენებას შეეჩვევა, ის ცხოვრებაზეც იოლად აიღებს ხელს და ცხოვრების იმ ფორმასაც ადვილად დათმობს, რომლისთვისაც არის დაბადებული. იცით, ინჟინერო, რას ნიშნავს ცხოვრებაზე ხელის აღება?“ მე კი ვიცი, ამის მაგალითს ყოველ ცისმარე დღე ვუყურებ. სულ დიდი, ნახევარი წლის შემდეგ აქ ამოსულ ახალგაზრდას (აქ კი თითქმის მხოლოდ ახალგაზრდები ამოდიან) ფლირტისა და ტემპერატურის მეტი აღარაფერი უტრიალებს თავში, ხოლო, დიდი-დიდი, ერთი წლის შემდეგ სხვა არავითარი აზრის შეთვისებაც აღარ ძალუძთ - სხვა დანარჩენი „სასტიკად“ ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მცდარად და უგუნურად ეჩვენებათ. თქვენ გიყვართ ამბების მოსმენა, შემიძლია გასიამოვნოთ. შემეძლო მომეყოლა თქვენთვის ერთი ცოლშვილიანი კაცის ამბავი, რომელიც თერთმეტ თვეს იყო აქ და მე კარგად ვიცნობდი. ისთქვენზე ცოტათი უფროსი თუ იქნებოდა, თუმცა შეიძლება საკმაოდ უფროსიც იყო. იგი, როგორც გამოჯანსაღებული, სასინჯად გაუშვეს შინ, დაუბრუნეს თავის ახლობლებს. შინ თქვენსავით ბიძები კი არ ჰყოლია, დედა და მეუღლე ჰყავდა. მთელი დღე იწვა ეს ახალგაზრდა კაცი, პირში თერმომეტრი ედო და სხვა არაფრის გაგონება არ სურდა. თქვენ არაფერი გესმითო, ამბობდა თურმე, ერთი ზევით უნდა იცხოვროთ, რომ ქვეყნის ამბავს მიხვდეთ, აქ, ქვევით, პრინციპები არ გაგაჩნიათო. საქმე იმით დამთავრდა, რომ დედამ გადაუწყვიტა, ისევ დაბრუნდი ზევით, შენ აქ აღარაფერი გესაქმებაო და ისიც დაბრუნდა სამშობლოში“. თქვენც გეცოდინებათ, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია აქ, აქაურობას სამშობლოს უწოდებს. იმ კაცმა თავის ახალგაზრდა ცოლთან ვეღარაფერი ნახა საერთო. მოგეხსენებათ, ცოლს პრინციპები“ არ გააჩნდა და ისიც შეელია ქმარს. მიხვდა, რომ ქმარი თავის სამშობლოში“ იპოვიდა შესაფერი „პრინციპებით“ აღჭურვილ მეგობარს და იქ დარჩებოდა.
ჰანს კასტორპი თითქოს ცალი ყურით უსმენდა ბატონ სეტემბრინის, კაშკაშა სინათლით სავსე თეთრ ოთახში ისე იყურებოდა, თითქოს სივრცეში იმზირებაო, შემდეგ დაგვიანებით გაიცინა და თქვა:
- მაშ, აქაურობას სამშობლოს ეძახდა? ეს, თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც საკმაოდ სენტიმენტალურად ჟღერს. დიახ, ამბავი თქვენ უამრავი იცით, მე კი ისევ იმაზე ვფიქრობდი, რაც ჩვენ ულმობლობასა და სისასტიკეზე ვილაპარაკეთ. ამ დღეებში მრავალნაირად გადავამუშავე თავში ეს ყველაფერი. იცით, რა, კაცი საკმაოდ სქელკანიანი უნდა იყო, რომ სულითა და გულით ეთანხმებოდე ბარის ხალხის აზროვნების ყაიდას და ასეთ კითხვებს, ნეტავ კიდევ თუ აქვს მაგ საწყალს ფულიო, ეგუებოდე მათი სახის გამომეტყველებას, ამ სიტყვებზე რომ მიიღებენ. კაცმა რომ თქვას, მსგავსი რამ არც არასდროს მიმიჩნევია ბუნებრივად, თუმცა, ჰომო ჰუმანუს არ ვყოფილვარ. ოღონდ ახლა უფრო ვგრძნობ, რომ ასეთი ამბები ყოველთვის მეხამუშებოდა და მხვდებოდა თვალში. იქნებ ეს ავადმყოფობისადმი ჩემს შეუცნობელ მიდრეკილებასთანაც იყო დაკავშირებული? ჩამქრალი კერების ყრუ ხმა მე თვითონ მოვისმინე, ახლა კი ბერენსი ეჭვობს, სადღაც ახალი კერაცაა გაჩენილიო. მართალია, ეს ამბავი საკმაოდ მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაგრამ რომ გითხრათ, დიდად გაოცებული დავრჩი-მეთქი, ტყუილი იქნება. კაცმა რომ თქვას, კაჟივით ჯანმრთელი არასოდეს ვყოფილვარ, მერე მშობლებიც ასე ადრე დამეხოცა, რომ... იცით, ბავშვობაშივე დავობლდი...
ბატონმა სეტემბრინიმ თავით, მხრებითა და ხელებით ისეთი ერთიანი მხიარული ჟესტი გამოსახა, რომ აშკარად გამოიკვეთა კითხვა, კი ბატონო, მაგრამ მერე რაო.
- თქვენ ხომ მწერალი ბრძანდებით, ლიტერატორო, - განაგრძო ჰანს კასტორპმა, - თქვენ ხომ უნდა მიხვდეთ და აღიაროთ, რომ ასეთ გარემოში არ შეიძლება კაცი გულქვად აზროვნებდეს და ადამიანების სისასტიკე ბუნებრივად ჩათვალოს, ჩვეულებრივი ადამიანებისა, რომლებიც თქვენ ირგვლივ დადიან, იცინიან, ფულს იხვეჭენ და მუცლებს იყორავენ... არ ვიცი, რამდენად სწორია...
სეტემბრინიმ თავი დაუკრა:
- თქვენ გნებავთ თქვათ, რომ სიკვდილთან ნაადრევად და მრავალგზის შეხვედრა

ადამიანის შინაგან ბუნებას ისე აყალიბებს, რომ იგი თავქარიანი საერო ცხოვრების სიმკაცრისა და სიტლანქის, ვთქვათ, მისი ცინიზმის მიმართ მგრძნობიარე და სათუთი ხდება?
- დიახ, ზუსტად ასეა! - გულწრფელი აღფრთოვანებით წამოიძახა ჰანს კასტორპმა, - თქვენ უნაკლოდ და ზედმიწევნით ზუსტად გამოთქვით ჩემი აზრი, ბატონო სეტემბრინი! სიკვდილთან! მე ხომ ვიცოდი, რომ თქვენ, როგორც ლიტერატორი...
სეტემბრინიმ ხელი შეაგება, თან თავი გვერდზე გადახარა და თვალები დახუჭა. ეს მშვენიერი ნაზი ჟესტი თხოვნას გამოხატავდა, შეჩერდით და ყური დამიგდეთო. სეტემბრინი რამდენიმე წამს იმავე პოზაში იყო გარინდებული,ჰანს კასტორპიც უკვე კარგა ხანია გაჩუმებულიყო და, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი ელოდებოდა, სეტემბრინი კიდევ რას იტყვისო. ბოლოს სეტემბრინიმ კვლავ გაახილა თავისი შავი თვალები, მეარღნის თვალები, და წარმოთქვა:
- ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ და შეგაგონოთ, ინჟინერო, რომ ერთადერთი ჯანსაღი და კეთილშობილი, და სხვათა შორის - ეს ხაზგასმით უნდა დავძინოთ - ერთადერთი რელიგიური ფორმა სიკვდილის გაგებისა ის გახლავთ, რომ იგი სიცოცხლის განუყრელ ნაწილად და საკუთრებად, მის წმინდა პირობად მივიჩნიოთ და განვიხილოთ და არა მისგან გათიშულ, მასთან დაპირისპირებულ და შეურიგებელ მოვლენად, რაც სიჯანსაღის, კეთილშობილების, გონივრულობისა და რელიგიურობის საწინააღმდეგო იქნებოდა. ძველი ხალხები თავიანთ სარკოფაგებს სიცოცხლისა და ჩასახვის სიმბოლოებით ამკობდნენ, უწმაწურ სიმბოლოებსაც კი არ ერიდებოდნენ, იმიტომ, რომ წმიდათაწმიდა ანტიკური რელიგიისთვის ხშირად უწმაწურთან იყო გაიგივებული. ამ ადამიანებმა იცოდნენ სიკვდილის თაყვანისცემა. სიკვდილი სათაყვანოა, როგორც სიცოცხლის აკვანი, როგორც განახლების საშო. სიცოცხლეს დაცილებული სიკვდილი აჩრდილად, მოჩვენებად გადაიქცევა, აჩრდილზე უარესადაც გადაიქცევა, ვინაიდან სიკვდილი, როგორც დამოუკიდებელი გონიერი ძალა, უაღრესად უკუღმართი ძალაა და თუმცა მას უეჭველად აქვს ბიწიერი მიმზიდველობის უდიდესი უნარი, მისდამი სიმპათიის გამოვლენაასევე უეჭველად ადამიანის გონის უსასტიკეს დაბნეულობას ნიშნავს.
აქ ბატონი სეტემბრინი გაჩუმდა. ამ განზოგადებულ აზრზე შეჩერდა და საბოლოოდ მოჭრა კიდეც. იგი გასართობად როდი ლაპარაკობდა, სერიოზულად მსჯელობდა და თავისი პარტნიორისათვის არამცთუ საშუალება არ მიუცია, ლაპარაკში ჩარეულიყო ან საპირისპირო მოსაზრება გამოეთქვა, არამედ მსჯელობის დასასრულს ხმასაც კი დაუწია და წერტილიც დასვა. იგი პირმოკუმული იჯდა, ხელები გულზე დაეკრიფა, ფეხი ფეხზე გადაედო, უჯრედებიან შარვალში გამოკვართულ ფეხს მსუბუქად აქანავებდა და ზედ მკაცრად იყურებოდა.
ჰანს კასტორპიც დუმდა. იგი თავის ბალიშს მიყრდნობოდა, პირი კედლისკენ მიებრუნებინა და დალიანდაგებულ საბანზე თითს მსუბუქად უკაკუნებდა. საკუთარ თვალში ჭკუანასწავლი, სწორ გზაზე დაყენებული და ასე განსაჯეთ, გამათრახებულიც კი ჩანდა და დუმილში უხვად შერეოდა ბავშვური გაჯიქება. პაუზა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.
ბოლოს ბატონმა სეტემბრინიმ თავი ასწია და ღიმილით თქვა:
- გახსოვთ, ინჟინერო, ერთხელ უკვე გვქონდა მსგავსი დისპუტი, მსგავსი კი არა, შეიძლება ითქვას, იმავე თემაზეც? ჩვენ მაშინ, მგონი, ერთ-ერთი გასეირნებისას ავადმყოფობასა და სისულელეზე ვსაუბრობდით. თქვენ მათი გაერთიანება პარადოქსად გამოაცხადეთ და ეს სახელდობრ ავადმყოფობის წინაშე მოწიწებამ გათქმევინათ. მე ეს მოწიწება ისეთ პირქუშ ჟინიანობად მოვნათლე, რომელიც პატივსა ყრის ადამიანის ნააზრევს და თქვენ, ჩემდა სასიამოვნოდ, გეტყობოდათ, უარზე არ იყავით, აგეწონ-დაგეწონათ ჩემი დებულებანი. ჩვენ ვსაუბრობდით აგრეთვე ახალგაზრდობის ნეიტრალურობასა და მერყეობაზე, არჩევანზე დიდად რომ არ ყოყმანობენ, რომელ თვალსაზრისსაც გინდა მიეკედლებიან, ოღონდ კი ცდა დააყენონ. იმასაც ვამბობდით, რომ უფლება არა გვაქვს და არც არის საჭირო ასეთი ცდები საბოლოოდ და ცხოვრებისათვის სერიოზულ ოპტაციად მივიჩნიოთ. თუ გნებავთ, - განაგრძო ბატონმა სეტემბრინიმ, სკამიდან ღიმილით გადმოიხარა, ფეხები იატაკზე დაუშვა, ერთმანეთს მიატყუპა, ორივე ხელი მუხლებშუა მოიქცია

და თავი ოდნავ გვერდზე გადაიგდო, - თუ გნებავთ, ნება მომეცით, - გაიმეორა ბატონმა სეტემბრინიმ და მღელვარებისაგან ოდნავ გაებზარა ხმა, - წვრთნასა და ექსპერიმენტებში ხელი წაგაშველოთ და თუ დამღუპველი დასკვნების გამოტანის საფრთხე დაგემუქრებათ, სწორ გზაზე გიბიძგოთ ხოლმე.
- რა თქმა უნდა, ბატონო სეტემბრინი! - ჰანს კასტორპი სასწრაფოდ შეეცადა, უხერხული და ნახევრად ჯიუტი პოზა შეეცვალა, საბანზე თითის კაკუნსაც მოეშვა და თავის სტუმარს რბილად მიმართა, - თქვენ მეტისმეტად თავაზიანი ბრძანდებით... საკუთარ თავს მართლა ვეკითხები... ესე იგი, თუ მე...
- სავსებით sine pecunia, - ციტატა მოიყვანა ბატონმა სეტემბრინიმ და ფეხზე წამოდგა, - აბა, ასეთ დროს სიძუნწე რა საკადრისია.
ორივეს გაეცინა. ამ დროს გაიგონეს, როგორ გაიღო გარეთა კარი და იმწამსვე შიგნითა კარმაც გაიჩხაკუნა, ეს იოახიმი დაბრუნდა საღამოს თავშეყრიდან. იტალიელის დანახვაზე მასაც ისევე მოედო სიწითლე, როგორც ადრე ჰანს კასტორპს დაემართა: მზემოკიდებული სახე ჩაუმუქდა.
- ო, შენ სტუმარი გყოლია, - თქვა მან, - აბა, არ მოიწყენდი, მე ცოტა შემაგვიანდა, ბრიჯის თამაშში ჩამითრიეს. ბრიჯს ეძახიან, თორემ ეს რა ბრიჯია, - თავი გააქნია მან, - ხუთი მარკა მოვიგე.
- ოღონდ იცოდე, თამაში არ გაგიტკბეს, - უთხრა ბიძაშვილს ჰანს კასტორპმა, - ჰმ, ამასობაში ბატონმა სეტემბრინიმ მშვენივრად გამაყვანინა დრო, თუმცა დროის გაყვანა ვერაფერი შესაფერი სიტყვაა. ეგ უფრო თქვენსცრუ ბრიჯს შეეფერება, ბატონმა სეტემბრინიმ კი დრო მართლაც სერიოზულ საუბარში გამაყვანინა... წესიერმა კაცმა აქედან უნდა მოუსვას, რახან ცრუ ბრიჯზე მიმდგარა თქვენი საქმე, მაგრამ ბატონი სეტემბრინის ხშირად მოსმენის სურვილმა და მისი დახმარების იმედმა ლამის მანატრებინოს, რომ სიცხემ დიდხანს არ დამიკლოს და აქედან ფეხი ვერ მოვიცვალო... ბოლოს, ალბათ, მუნჯ დაიკოს მომაჩეჩებენ, რომ არ ვიცუღლუტო.
- გიმეორებთ, ინჟინერო, რომ დიდი ოხუნჯი ბრძანდებით, - თქვა იტალიელმა და ორივეს ზედმიწევნით მოხდენილად და თავაზიანად დაემშვიდობა.
ბიძაშვილთან მარტო დარჩენილმა ჰანს კასტორპმა ამოიხვნეშა.
- ნამდვილი პედაგოგია! - თქვა მან, - მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჰუმანური პედაგოგია. გამუდმებით ცდილობს, გამოგასწოროს, ხან კონკრეტული ამბებით გარიგებს ჭკუას, ხან კი აბსტრაქტული ფორმით. ჰოდა, მასთან ისეთ საგნებზე იწყებ კაცი ლაპარაკს, ვერასოდეს რომ ვერ იფიქრებდი, ამ საგნებზე ან ვისაუბრებ, ან მათ გაგებას შევძლებო. მას რომ ქვევით, ბარში, შევხვედროდი, იქ ნამდვილად ვერ გავუგებდი, - დასძინა მან.
იოახიმი ამ დროს ცოტა ხანს რჩებოდა ხოლმე მასთან - საღამოს სამკურნალო წოლის ორ, სამ მეოთხედ საათს სწირავდა მსხვერპლად. ხანდახან ჰანს კასტორპის ტაბლაზე ჭადრაკს თამაშობდნენ. იოახიმს ჭადრაკი კურორტიდან ამოეტანა, შემდეგ იოახიმი თერმომეტრს პირში გაიჩრიდა და თავისი ბარგი-ბარხანით აივანს მიაშურებდა. ჰანს კასტორპიც უკანასკნელად გაიზომავდა სიცხეს, ამ დროს ღამეული ხეობიდან ნიავს მსუბუქი მუსიკის შორეული ან სულ ახლოს დარხეულიჰანგები მოჰქონდა. ათ საათზე სამკურნალო წოლის საათი მთავრდებოდა და ოთახში ისმოდა, როგორ ემზადებოდა დასაწოლად იოახიმი, ისმოდა მდარე რუსული მაგიდის“ წევრი ცოლ-ქმრის ხმაურიც... ჰანს კასტორპი ძილის მოლოდინში გვერდზე გადაბრუნდებოდა და გაირინდებოდა.
ღამით გაძლება უფრო უჭირდა, რადგან ხშირად ეღვიძებოდა და საათობით იწვა ხოლმე თვალგახელილი. იქნებ არანორმალური ტემპერატურა არ აძლევდა მოსვენებას ან იქნებ ცხოვრების სავსებით ჰორიზონტალური წესი უტეხდა ძილს. სამაგიეროდ, თვლემის საათებს ისეთი მრავალფეროვანი და ცხოველმყოფელი სიზმრები უხალისებდა, რომ ძილგატეხილს მათი გახსენებით შეეძლო, გაერთო თავი. თუკი აქაურ დღეებს მრავალგზის დაყოფა და დაქუცმაცება ამოკლებდა, ღამით ერთფეროვნად მიმავალი საათებიც თავიანთი განურჩევლობის წყალობით ისეთივე შეგრძნებას იწვევდა. დილა მოახლოვდებოდა თუ არა, თავს იმით იქცევდა, რომ აკვირდებოდა, როგორ ნელ-ნელა მატულობდა სინათლე და ბინდბუნდში ოთახი როგორ იკვეთებოდა, საგნებიც მოიხსნიდნენ პირსაბურავს და თანდათან გამოჩნდებოდნენ. გარეთ კი ან ღრუბლიანი დღე თენდებოდა, ან

ცინცხალი აისი დგებოდა. მერე, სანამ კარგად გამოფხიზლდებოდა, ის წუთიც მოატანდა, როცა მასაჟისტი კარზე ღონივრად დააბრახუნებდა და ამცნობდა, დღის რეჟიმი ძალაში შედისო.
ჰანს კასტორპს თან კალენდარი არ ჰქონდა წამოღებული და რიცხვებს მაინცდამაინც ზუსტად ვერ მიჰყვებოდა. ხანდახან ბიძაშვილს შეეკითხებოდა, დღეს რა რიცხვიაო, ოღონდ ისიც ყოველთვის ზუსტად ვერ პასუხობდა ხოლმე. რიცხვების გამოსათვლელი ორიენტირი მაინც კვირადღე იყო, განსაკუთრებით ყოველი მეორე კვირადღე, როცა კონცერტს მართავდნენ ხოლმე. მისი წყალობით დაადგინა ჰანს კასტორპმა, რომ უკვე სექტემბერი დამდგარიყო, თუმცა დამდგარიყო კი არა, ნახევრამდე მიეღწია კიდეც. გარეთ, ხეობაში, მას შემდეგ, რაც ჰანს კასტორპი ჩაწვა, ღრუბლიანი და ცივი ამინდი ზაფხულის დიდებული დღეებით შეიცვალა, ერთმანეთს წაეწყო კაშკაშა დღეები, იოახიმი ყოველ დილით თეთრ შარვალში გამოწყობილი შემოდიოდა ბიძაშვილის ოთახში და ჰანს კასტორპს გული სწყდებოდა. ერთხელ წყნარად ისიც კი წამოსცდა, „სამარცხვინოა“ ასეთი დღეების ხელიდან გაშვებაო, მაგრამ მყისვე გულის დასაშოშმინებლად დასძინა, რომც შემეძლოს, ამაზე მეტად მაინც ვერ გამოვიყენებდი ამ დღეებს, რადგან გამოცდილება მიჩვენა, როგორ მვნებს მეტისმეტი მოძრაობაო. კიდევ კარგი, აივნის კარი ფართოდ იყო გაღებული და მწოლიარეს შეეძლო გარეთ მოკაშკაშე მცხუნვარე დღით შორიდან მაინც დამტკბარიყო. მაგრამ მისი წოლითი რეჟიმის დასასრულამდე ამინდი კვლავ შეიცვალა. ღამით ცა ნისლით დაიბურა, აცივდა, ხეობაში თოვლჭყაპიანი ქარბუქი ამოვარდა და ოთახში ორთქლის გათბობის მშრალი სითბო დატრიალდა. ამინდი არც იმ დღეს შეცვლილა, როცა ჰანს კასტორპმა დილის ჩამოვლაზე შემოსულ ჰოფრატს შეახსენა, სამი კვირა შემისრულდა, რაც ვწევარ და ადგომის ნება დამრთეთო.
- რაო, ეშმაკმა დალახვროს, ნუთუ შეგისრულდათ ვადა? - გაიოცა ბერენსმა, - ვნახოთ ერთი! მართლა ასე ყოფილა. ღმერთო, რა შეუმჩნევლად ვბერდებით. ისე, ამასობაში თქვენი მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, ხომ? რაო, გუშინ ნორმალური გქონდათ? ჰო, ნაშუადღევის ექვს საათამდე ნორმალური გქონიათ. კარგი, კასტორპ, აღარც მე გავჯიქდები და თქვენს თავს ადამიანთა წრეს დავუბრუნებ. ადექით და იხეტიალეთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, დადგენილ საზღვრებს და ნორმებს ნუ გადასცდებით. ამ დღეებშიგაგაშუქებთ. ჩაინიშნეთ! - გარეთ გასვლისას მიაძახა მან დოქტორ კროკოვსკის, უზარმაზარი ცერით მხარს უკან ანიშნა ჰანს კასტორპზე და პირყვითელა ასისტენტს თავისი ჩასისხლიანებული, აცრემლებული ლურჯი თვალები მიანათა... ჰანს კასტორპმა „სადგომი“ დატოვა.
ჰანს კასტორპმა იმ დღეს პირველად გაისეირნა ბიძაშვილთან ერთად ღელესთან მდგარ ძელსკამამდე. პალტოს საყელო წამოწეული ჰქონდა და ფეხზე კალოში ეცვა. უკან დაბრუნებისას გულმა არ მოუთმინა და ბიძაშვილს ჰკითხა, ნეტავ რამდენ ხანს მამყოფებდა ჰოფრატი ლოგინში, დღეს მე თვითონ რომ არ შემეხსენებინა, წოლის ვადამ გაიარა-მეთქი. იოახიმმა ნაღვლიანად მოხედა, პირი ისე გააღო, თითქოს უსასოო ეს“ უნდა ეთქვა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია, ხელი ისე ჩაიქნია.

„ღმერთო ჩემო, ვხედავ!“
მთელი კვირა გავიდა, სანამ უფროსი ექთანი ფონ მილენდონკი ჰანს კასტორპს გასაშუქებლად ლაბორატორიაში წარადგენდა. ისიც არ აჩქარებდა ექთანს - სანატორიუმ ბერგჰოფში“ ჰანს კასტორპისათვის ახლა მაინც არავის სცხელოდა, ეტყობოდა, ექიმებსა და მედპერსონალს ყელამდე ჰქონდათ საქმე. უკანასკნელ დღეებში ახალი დამსვენებლები ჩამოსულიყვნენ: ესენი გახლდნენ ორი სქელქოჩორა რუსი სტუდენტი, რომელთაც ისეთი გულდახურული შავი ხალათები ეცვათ, რომ მათ ქვეშ საცვალი არ ილანდებოდა, ჰოლანდიელი ცოლ-ქმარი, რომლებიც სეტემბრინის მაგიდასთან დაესვათ, და ერთი კუზიანი მექსიკელი, რომელსაც დროდადრო ასთმის შეტევა უვლიდა და თანამესუფრეებს შიშის ზარს სცემდა ხოლმე. შეტევა რომ წამოუვლიდა, მექსიკელი აღარ დაგიდევდათ,

გვერდით კაცი ეჯდა თუ ქალი, გრძელი ხელებით ღონივრად ჩააფრინდებოდა მეზობელს, შეძრწუნებული მსხვერპლი შველას ითხოვდა, ის კი გასაქანს არ აძლევდა და ხელებს კვლავ მარწუხივით უჭერდა. ერთი სიტყვით, სასადილო დარბაზში პაციენტების ნაკლებობა არ იგრძნობოდა, თუმცა ზამთრის სეზონი მხოლოდ ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო. ჰოდა, ჰანს კასტორპი რა ისეთი მძიმე ავადმყოფი გახლდათ, რომ ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვა. დოქტორ ბლუმენკოლზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, ფრაუ შტორიც კი, თავისი სიბრიყვისა და უვიცობის მიუხედავად, აშკარად მასზე გაცილებით მძიმედ იყო ავად. მთლად დაკარგული უნდა გქონოდა ავადმყოფობის რანგებსა და დისტანციებში გარკვევის უნარი, რომ ჰანს კასტორპის მდგომარეობაში მყოფ კაცს მოკრძალებულად არ დაგეჭირა თავი, მით უმეტეს, რომ სანატორიუმში ასეთი სულისკვეთება გახლდათ გამეფებული. მსუბუქ ავადმყოფებს რომ აქ პატივს არ სცემდნენ, ეს დასკვნა ბევრჯერ გამოუტანია ჰანს კასტორპს. აქ მიღებული მასშტაბების წყალობით მსუბუქ ავადმყოფებს აგდებულად იხსენიებდნენ და ზემოდან ქედმაღლურად დაჰყურებდნენ არა მარტო მძიმე და უმძიმესი რანგის ავადმყოფები, არამედ ისინიც კი, ვინც თვითონაც „მსუბუქები“ გახლდნენ. მართალია, ეს უკანასკნელნი ამით საკუთარ თავსაც იბიაბრუებდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, აქაურ მასშტაბებს უხრიდნენ ქედს და ღირსებისა და პატივისცემის უფრო მაღალ ფორმებს იცავდნენ ხელყოფისაგან. ასეთი გახლავთ ადამიანის ბუნება.

- აჰ, ეგა! - ამბობდნენ ხოლმე ერთმანეთზე, - მაგას ხომ არაფერი სჭირს. მე თუ მკითხავთ, აქ გასაჩერებელიც არ არის. ერთი კავერნა მაინც ჰქონდეს...

„აი, ასეთი სულისკვეთება მეფობდა აქ. ეს გახლდათ თავისებური არისტოკრატიზმი, რომელსაც ჰანს კასტორპი ყოველგვარი კანონისა და წესრიგისადმი თანდაყოლილი მოწიწების გამო უხრიდა ქედს. დიახ, ამას ერქვა აქაური ადათ-წესები. მოგზაურებს მხოლოდ გაუნათლებლობაში თუ ჩამოერთმევათ მათი მასპინძელი ხალხის ადათ-წესების აბუჩად აგდება, მით უმეტეს, რომ მრავალი წესი და რიგი იმსახურებს პატივისცემას. თვითონ იოახიმის წინაშეც კი გრძნობდა ჰანს კასტორპი მოწიწებასა და რიდს, ოღონდ იმიტომ არა, რახან იგი უკვე დიდი ხანია აქ ბინადრობდა და მას ამ სამყაროში წინამძღოლობასა და ჩიჩერონობას უწევდა - მხოლოდ იმიტომ სცემდა პატივს, რომ იოახიმი „მასზე უფრო მძიმე“ გახლდათ. ჰოდა, ასეთ ვითარებაში რაღა გასაკვირი იყო, თუკი ყველა ცდილობდა, თავისი მდგომარეობა მაქსიმალურად გამოეყენებინა, ან მეტისმეტიც მოენდომებინა, რათა არისტოკრატიაში გარეულიყო, ანდა თუ ვერ გაერეოდა, არისტოკრატიას მიახლოებოდა მაინც. ჰანს კასტორპიც აჰყვა ფეხის ხმას და სუფრასთან რომ ჰკითხავდნენ, ტემპერატურა რამდენი გქონდაო, ერთ-ორ ხაზს წაუმატებდა ხოლმე. ამ დროს ცდუნებას ვერ უმკლავდებოდა და სახე სიამოვნებისაგან ებადრებოდა, თანამესუფრეები ქვეყნის დამაქცევარივით რომ არ დაუქნევდნენ თითს. ოღონდ ჰანს კასტორპს სიცრუე ვერას შველოდა - იგი მაინც დაბალი რანგის პიროვნებად ითვლებოდა და მოთმინებისა და თავშეკავების მეტი არა დარჩენოდა რა.

ჰანს კასტორპი კვლავ დაუბრუნდა იოახიმის მხარდამხარ პირველი სამი კვირის განმავლობაში შეთვისებულ აუმღვრეველ, ზუსტად დაყოფილ ცხოვრების წესს და პირველი დღიდანვე ისე დაუბრკოლებლად ჩაება საერთო ფერხულში, თითქოს ეს ცხოვრება არც არასდროს გაწყვეტილიყო. და მართლაც რომ არაფერს ნიშნავდა ის სამკვირიანი შუალედი, ამას ჰანს კასტორპი სასადილო დარბაზში პირველივე გამოჩენისთანავე მიხვდა. იოახიმი საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევდა ამგვარი ფაქტების აღნიშვნას და ამიტომაც გარჯილიყო, რომ „მკვდრეთით აღმდგარი“ კაცის წინ სუფრა ყვავილების თაიგულს დაემშვენებინა, თორემ სუფრის დანარჩენ წევრებს აინუნშიც არ ჩაუგდიათ ჰანს კასტორპის დაბრუნება და, რა თქმა უნდა, ზარ-ზეიმითაც არ მისალმებიან. ისე შეხვდნენ, ვითომ მისი არყოფნიდან სამ კვირას კი არა, სამ საათს გაევლოს. ოღონდ ეს სულაც არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს თანამესუფრენი გულგრილად ეკიდებოდნენ ჰანს კასტორპის უბრალო და სიმპათიურ პიროვნებას, ან ეს ხალხი საკუთარი თავით, უფრო სწორად, საკუთარი საინტერესო სხეულით მეტისმეტად იყო გართული, არა, ასე უფრო იმიტომ იქცეოდნენ, რომ დროის ეს შუალედი

გაუცნობიერებელირჩებოდა მათთვის. სიმართლე თუ გნებავთ, არც ჰანს კასტორპს ეხამუშებოდა მათი საქციელი. მით უმეტეს, რომ თვითონაც ისე ჩვეულებრივად იჯდა სუფრის ბოლოში, მასწავლებელ ქალსა და მის რობინსონს შორის, ვითომ აქ, დიდი-დიდი,გუშინ მჯდარიყო უკანასკნელად.
და, თუკი თანამესუფრეებს დიდად არ აღუნიშნავთ მისი დაბრუნება, განა დარბაზში აღნიშნავდა ვინმე? იქ ნამდვილად არავის შეუმჩნევია ეს ფაქტი სეტემბრინის გარდა, რომელიც ნასაუზმევს მოვიდა მათ მაგიდასთან და ჰანს კასტორპს მეგობრული ხუმრობით მიესალმა. ჰანს კასტორპმა, მგონი, კიდევ ერთი რამ შენიშნა, რაზედაც ჩვენ თავს ვერ დავდებთ. იგი გულში ირწმუნებოდა, კლავდია შოშამ ჩემი დაბრუნება შეამჩნიაო.
ჩვეულებისამებრ დაგვიანებით შემოსულმა ქალმა შემინული კარი გაიჯახუნა, ვიწრო თვალებიდან გამოტყორცნილი მზერა მის სახეზე შეაჩერა, მანაც თვალი გაუსწორა, ქალმა კი, დაჯდა თუ არა, კიდევ ერთხელ მხარს ზემოთ გადმოხედა იმავე ღიმილით, სამი კვირის წინ ექიმთან გასასინჯად მიმავალი რომ გააცილა. ეს მოძრაობა ისეთი მოურიდებელი და უცერემონიო გახლდათ, როგორც მის მიმართ, ასევე დანარჩენი საზოგადოების მიმართაც, რომ ჰანს კასტორპმა აღარ იცოდა, აღფრთოვანებულიყო თუ თავი დამცირებულად ეგრძნო და გაბრაზებულიყო. ასე იყო თუ ისე, ამ მზერაზე გული კი მოეწურა. მის თვალში ეს გამოხედვა ერთი ხელის მოსმით, შემაძრწუნებლად და თავბრუდამხვევად აცამტვერებდა იმ ფაქტს, რომ ის და სნეული ქალი საზოგადოებაში მიღებული წესის თანახმად არ იცნობდნენ ერთმანეთს და თითქოს ორივეს ტყუილში იჭერდა. მას უკვე მოწურული ჰქონდა გული, როცა შემინულმა კარმა გაიზრიალა, რადგან ამ წამს სუნთქვაშეკრული ელოდა.
დაგვიანებით მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰანს კასტორპის დამოკიდებულებამ „კარგი რუსული მაგიდის“ წევრი პაციენტისადმი, მისმა გრძნობამ და მოკრძალებულმა სულიერმა ლტოლვამ საშუალო ტანის, შემპარავად მოგოგმანე, ყირგიზულთვალებიანი ქალისადმი, მოკლედ, მისმა ტრფობამ განმარტოების ჟამს უდიდესი პროგრესი განიცადა (დიახ, ტრფობამო, ვთქვით, თუმცა ეს სიტყვა „ქვევიდან“ ამოყოლილი, ბარისეული სიტყვაა და შეიძლება გვაფიქრებინოს, სიმღერა რა საოცრად მაღელვებს“... აქ შეიძლება ზედგამოჭრილი აღმოჩნდესო).
ჰანს კასტორპს განთიადისას ხშირად უტყდებოდა ხოლმე ძილი, იწვა თვალგახელილი, შესცქეროდა, როგორ ნელ-ნელა იკვეთებოდა ბინდბუნდში ოთახის კონტურები და ქალის ხატება თვალწინ უტრიალებდა. საღამოობითაც დიდხანს შესცქეროდა ჩამოწოლილ ბინდს და ისევ კლავდია ელანდებოდა (იმ წუთშიაც ნათლად ედგა თვალწინ, როცა სეტემბრინი შემოვიდა ოთახში და შუქი ააკაშკაშა. ამიტომაც გაწითლდა ჰუმანისტის დანახვაზე). ელანდებოდა მისი ბაგეები, მისი ყვრიმალები, მისი თვალები, რომელთა ფერი, ჭრილი და ფორმა სულს უკოდავდა, ფიქრობდა მის მხრებჩამოყრილ ფიგურაზე, მის მოღერებულ ყელზე, მისი კოფთის დეკოლტედან გამოჩენილ კისრის მალებზე, სიფრიფანა გაზით შებურულ მკლავებზე, ოცნებით ავსებდა დაქუცმაცებული დღის ცალკეულ საათებს და თუ აქამდე არაფერი გვითქვამს, რის წყალობით გადიოდა მისთვის ასე უმტკივნეულოდ წოლის საათები, მხოლოდ იმიტომ, რომ პატივისცემით ვეკიდებოდით მის სინდისის ქენჯნას, რომელიც ამ ხატებისა და ხილვებისაგან მოგვრილ თავზარდამცემ ბედნიერებას ერწყმოდა. დიახ, ბედნიერებასთან შერწყმულიყო შიში, ძრწოლა, რაღაც გაურკვეველი, უსაზღვრო და გულისწამღები იმედის, სიხარულისა და შიშის მოლოდინი, რომელსაც სახელი არ ჰქონდა, მაგრამ ყმაწვილი კაცის გულს - გადატანითი და პირდაპირი გაგებით - ხანდახან ისე შეათრთოლებდა, რომ ცალ ხელს ამ ორგანოს მიდამოში დაიდებდა, ცალს კი შუბლზე მოისვამდა (თითქოს თვალებზე ბინდი აქვს გადაკრულიო) და წაიჩურჩულებდა ხოლმე:
- ღმერთო ჩემო!
დიახ, ჰანს კასტორპი ღმერთს უხმობდა, რადგან მის თავში მორიალე აზრები და ფიქრები ანიჭებდნენ სწორედ იმ ხატებსა და ხილვებს წრეგადასულ სიტკბოებას, ეს ფიქრები დასტრიალებდნენ თავს მადამ შოშას დაუდევრობასა და უცერემონიობას, იმ ფაქტს, რომ ქალი ავად იყო, ავადმყოფობის წყალობით წარმოჩენილ და ხაზგასმულ სხეულს, ავადმყოფობის წყალობით განსხეულებულ

არსებას ქალისას და იმ ამბავსაც, რომ ექიმების განაჩენის თანახმად იგიც, ჰანს კასტორპიც, ამიერიდან ასეთივე ყოფას უნდა ზიარებოდა. იგი გულში უკვე გრძნობდა იმ ავანტიურისტულ თავისუფლებას, რაც ფრაუ შოშას უფლებას აძლევდა, არაფრად ჩაეგდო ის გარემოება, რომ ისინი საზოგადოებაში მიღებული წესების დაცვით არ იცნობდნენ ერთმანეთს და მისთვის ღიმილი და მზერა ეტყორცნა. ქალი ისე იქცეოდა, თითქოს ისინი საზოგადოების წევრები არც ყოფილიყვნენ და თითქოს არც იყო საჭირო, ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ... სწორედ ეს აშინებდა ჰანს კასტორპს. ისეთივე შიშს ჰგვრიდა ეს ამბავი, როგორც მაშინ შეეშინდა, ექიმის კაბინეტში იოახიმის ზედატანს რომ ააყოლა თვალი და მის თვალებს შეეფეთა. იმ განსხვავებით, რომ მაშინ თანაგრძნობამ და ბიძაშვილზე ზრუნვამ მოჰგვარა შიში, აქ კი ამ გრძნობას სულ სხვა რამ ედო საფუძვლად.

ამგვარად, „ბერგჰოფის“ ცხოვრება, ეს ვიწრო არენაზე მოქცეული,წყალობით აღსავსე, ორგანიზებული ცხოვრება კვლავ თავის კალაპოტში ჩადგა. ჰანს კასტორპი გაშუქების მოლოდინში კეთილი იოახიმის მხარდამხარ მიჰყვებოდა ცხოვრების დინებას და საათიდან საათამდე ზუსტად ჰბაძავდა ბიძაშვილს. იოახიმის მეზობლობა აშკარად სასარგებლო გახლდათ ყმაწვილი კაცისათვის. მართალია, ამ მეზობლობას მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფების თანამეზობლობა ეთქმოდა, მაგრამ იგი მხედრული პატიოსნებით იყო აღსავსე. იოახიმი, ეტყობა, თავისდა უნებურად ცდილობდა,ჯანმრთელობის სამსახურში ეპოვა კმაყოფილება, აქაური სამსახურით მაინც შეეცვალა ოცნებად ქცეული ჯარისკაცური ცხოვრება და ჯანმრთელობის სამსახური ერთგვარ პროფესიად გაეხადა. ჰანს კასტორპი არც ისეთი სულელი იყო, ამას რომ ვერ მიმხვდარიყო. მიუხედავად ამისა, მაინც გრძნობდა, მის საკუთარ სამოქალაქო ბუნებას როგორ თოკავდა და თავს უჭერდა იოახიმის გავლენა, ალბათ, ამ მეზობლობის, იოახიმის მაგალითისა და მეთვალყურეობის წყალობა თუ იყო, ჰანს კასტორპი წინდაუხედავი ნაბიჯისა და უგუნური მოქმედებისგან თავს რომ იკავებდა. იგი მშვენივრად ხედავდა, რა ვაჟკაცურად უმკლავდებოდა ყოჩაღი იოახიმი ყოველდღე ფორთოხლის ატმოსფეროს, სადაც მრგვალ-მრგვალი თაფლისფერი თვალები, პაწაწკინტელა ლალი, საკმაოდ უმიზეზო სიცილი და ერთი შეხედვით აყვავებული გულმკერდი ხარობდა. ის გონიერება და თავმოყვარეობა, რითაც იოახიმი იმ ატმოსფეროს გავლენას უფრთხოდა და გაურბოდა, ჰანს კასტორპსაც ედებოდა, მასაც თოკავდა და უფლებას არ აძლევდა, ვიწროთვალება ქალისაგან, ვთქვათ, „ფანქარი ენათხოვრებინა“. ეს დისციპლინირებული მეზობლობა რომ არა, ჰანს კასტორპი უკან არ დაიხევდა.

იოახიმი არასდროს არ ახსენებდა ხითხითა მარუსიას და ჰანს კასტორპიც ვერ ბედავდა, მასთან კლავდია შოშაზე ჩამოეგდო სიტყვა. დანაკლისს იმით ინაზღაურებდა, რომ თავის ხელმარჯვნივ მჯდომ მასწავლებელ ქალს ეჩურჩულებოდა ქურდულად, შინაბერას აწითლებდა, იმ მოქნილი სნეული ქალისათვის სულს ლევთო, ამასობაში თვითონ მოხუცი კასტორპივით მედიდურად იბჯენდა ნიკაპს მკერდზე და თან შინაბერა მასწავლებელს კლავდია შოშას პირადი ცხოვრების ამბებს ცინცლავდა. წვრილად გამოჰკითხა მის ჩამომავლობაზე, მის ქმარზე, მის ასაკზე, მისი ავადმყოფობის ხასიათზე თუ რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი იცოდა. შვილები თუ ჰყავსო, აინტერესებდა ჰანს კასტორპს. რას ბრძანებთ, რის შვილები - ასეთ ქალს შვილები რად უნდაო. ჯერ ერთი, ალბათ, სასტიკად აკრძალულიც ექნება ბავშვის ყოლა და მეორეც, ის ბავშვები რა ბავშვები იქნებოდნენო, ხელებს ასავასებდა მასწავლებელი და ჰანს კასტორპიც იძულებული იყო, კვერი დაეკრა. ესეც არ იყოს, რაღა დროს მაგის შვილებიაო, ნაძალადევი საქმიანი იერით დასძინა შემდეგ ჰანს კასტორპმა, ხანდახან პროფილში რომ ვუყურებ, მადამ შოშას სახის ნაკვთები ოდნავ გაუხეშებული მეჩვენება, ალბათ, ოცდაათს გადაცილებული იქნება, არაო? ფროილაინ ენგელჰარტი გაწიწმატდა, როგორ გეკადრებათ, კლავდიას ოცდაათი წლისას რა უგავს, დიდი-დიდი, ოცდარვა წლისა იყოსო, ხოლო რაც შეეხება პროფილს, ამაზე სიტყვის დაძვრასაც კი გიკრძალავთ, კლავდიას ნაზი, ყმაწვილქალური და წარმტაცი პროფილი აქვს, დიახაც, თავისებური და საინტერესო, ვიღაც ჯანსაღ ბატისტვინას როდი უგავსო. შემდეგ ჰანს კასტორპის

დასასჯელად ფროილაინ ენგელჰარტმა სულმოუთქმელად დასძინა, დანამდვილებით ვიცი, ფრაუ შოშას კურორტიდან“ ერთი თანამემამულე აკითხავს და იგიც ამ ბატონს საღამოობით თავის ოთახში იღებსო.
ფროილაინ ენგელჰარტმა ისარი ზუსტად მოახვედრა ყმაწვილკაცს გულში. ჰანს კასტორმა ნებისყოფა დაძაბა, მაგრამ მაინც მოექცა სახე. ამ აღმოჩენის გასაიოლებლად ვითომ განურჩევლად ჩაილაპარაკა, „ერთი შეხედეთ, თურმე როგორ ყოფილა საქმეო“, მაგრამ ამ სიტყვებსაც გაჭირვების დაღი ესვა. თავიდან ვითომ შეეცადა, „ერთი თანამემამულის“ არსებობას უდარდელად მოჰკიდებოდა, მაგრამ ვერ შეძლო და ტუჩებაცახცახებული ამ ამბავს რამდენჯერმე დაუბრუნდა. ახალგაზრდა კაციაო? - იკითხა მან. როგორც მითხრეს, ახალგაზრდა და სანდომიანი ყოფილა, მე თვითონ ჩემი თვალით არ მინახავს და ვერაფერს გეტყვითო, მიუგო მასწავლებელმა. ავადმყოფიაო? - მსუბუქად არის ავადო. ჰანს კასტორპმა გესლიანად შენიშნა. იმედია, იმ ვაჟბატონს მდარე რუსულ მაგიდასთან“ მსხდომ სტუდენტებზე მეტი საცვლები მაინც ეცმევაო. ფროილაინ ენგელჰარტმა, კვლავ დასჯის მიზნით, არც ახლა დაინდო ჰანს კასტორპი და განუცხადა, მაგაში ეჭვიც არ მეპარებაო. მაშინ ჰანს კასტორპმა მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა, ეს საქმე ღირს თავის შესაწუხებლადო და ფროილაინ ენგელჰარტს სერიოზულად დაავალა, კარგად გამიგეთ, ის თანამემამულე აქეთ ხშირ-ხშირად რისთვის დაიარებაო. ფროილაინ ენგელჰარტმა ამ ამბავზე ცნობების შეკრების მაგიერ ჰანს კასტორპს რამდენიმე დღის შემდეგ ცხელ-ცხელი ამბები მოუტანა.
თურმე ვიღაც კლავდია შოშას პორტრეტს ხატავს და თქვენ თუ იცით ეს ამბავი, თუ არ იცით, შეგიძლიათ დაიჯეროთ, იმიტომ, რომ ეს ამბავი ფრიად სარწმუნო წყაროსგან გავიგეო. თურმე კლავდია დიდი ხანია სანატორიუმში ერთ ვინმეს მოდელად უზის და თუ იცით, ეს ერთი ვინმე ვინ არის? ჰოფრატი,ბატონი ჰოფრატი გახლავთ, რომელსაც ამ საბაბით თითქმის ყოველდღე დაუდის ქალი შინო.
ეს ცნობა ჰანს კასტორპმა პირველზე უფრო ახლოს მიიტანა გულთან, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ცალყბა ქილიკს მოჰყვა: მერე რა, ცნობილია, რომ ჰოფრატი ზეთით ხატავს, ნეტავ თქვენ რა გესაქმებათ, ზეთით ხატვა აკრძალული კი არ არის, ვისაც მოენებება, შეუძლია ხატოსო. მაშ, ქვრივის ბინაში დადის, არა? იმედია, იმ სეანსებს ფროილაინ მილენდონკი მაინც ესწრება. აჰ, იმას სად სცალიაო, შორს დაიჭირა მასწავლებელმა.
- ყოველ შემთხვევაში, უფროს ექთანზე მეტი დრო არც ბერენსს უნდა ჰქონდეს, - მკაცრადთქვა ჰანს კასტორპმა.
ამით თითქოს ითქვა საბოლოო სათქმელი, მაგრამ ჰანს კასტორპი სულაც არ აპირებდა, ამ თემას ასე იოლად ჩამოხსნოდა, დაწვრილებით გამოიკითხა ყველაფერი: რანაირი პორტრეტია, რა ფორმატის, ქალს წელზევით ხატავენ თუ მთელი ტანითო, თითოეული სეანსი რამდენ ხანს გრძელდებაო. ფროილაინ ენგელჰარტს ასეთი დეტალების მიწოდება აღარ შეეძლო და ჰანს კასტორპი დააშოშმინა, დანარჩენს სხვა დროს გავიგებთო.
ამ ცნობის შემდეგ ჰანს კასტორპმა ტემპერატურის ცხრილში 37,7 ჩაიწერა. რუსი თანამემამულის ვიზიტებზე უფრო ქალის სხვაგან სიარული უკლავდა გულს. ფრაუ შოშას კერძო და პირადი ცხოვრება თავისთავად, მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლადაც აშფოთებდა და ტკივილს აყენებდა ჰანს კასტორპს და რაოდენ უნდა გამძაფრებულიყო ორივე ეს განცდა, მის ყურს ამ ცხოვრების შინაარსზე მრავალმნიშვნელოვანი აზრი რომ მისწვდებოდა. სავსებით შესაძლებელი იყო, რუს სტუმარს თანამემამულესთან საღი და უბიწო ურთიერთობა ჰქონოდა, მაგრამ ჰანს კასტორპს ამ ბოლო დროს სისაღე და უბიწოება მიქარვად მიაჩნდა და ვერავინ დააჯერებდა, რომ ზეთის საღებავების სეანსები რიხიან ქვრივსა და ვიწროთვალება, შემპარავად მოგოგმანე ახალგაზრდა ქალს შორის რაღაც სხვა ურთიერთობას არ ნიშნავდა. მოდელის არჩევანით თუ ვიმსჯელებდით, ჰოფრატის გემოვნება ისე ზედმიწევნით ესადაგებოდა მის საკუთარ გემოვნებას, რომ ჰანს კასტორპი ვერაფრით ვერ იწამებდა, ჰოფრატსა და მის მოდელს შორის უბიწო ურთიერთობა არსებულიყო, თუმცა ჰოფრატის ჩალურჯებული ლოყები და წითლად დაქსელილი, აცრემლებული თვალები ეჭვისთვის ნაკლებ საბაბს აძლევდა.

იმ დღეებში ჰანს კასტორპმა დამოუკიდებლად, შემთხვევით მოახდინა ერთი აღმოჩენა, რომელმაც სულ სხვაგვარად იმოქმედა მასზე, თუმცა საქმე აქაც მისი საკუთარი გემოვნების დადასტურებას ეხებოდა. ის ავადმყოფი ბიძაშვილების ხელმარცხნივ, შემინული კარის ახლოს იჯდა გარდიგარდმო მდგარ მაგიდასთან, ფრაუ ზალომონისა და სათვალიანი ღორმუცელა მოსწავლის გვერდით. ეს სწორედ ის ოცდაათიოდე წლის თმაშეთხელებული, კბილებდაჭიანებული, ენაბლუ კაცი გახლდათ, საღამოს თავშეყრისას პიანინოზე ყველაზე ხშირად "ზაფხულის ღამის სიზმრიდან" საქორწინო მარშს რომ უკრავდა. ჰანს კასტორპს გაგონილი ჰქონდა, დიდი ღვთისმოშიში კაციაო, ღვთისმოშიშობა კი, თავისთავად გასაგებია, არცთუ იშვიათი იყო აქაურ ბინადართა შორის. თურმე მანჰაიმელი პაციენტი ყოველ კვირა დადიოდა დავოსში წირვაზე, ხოლო სამკურნალო წოლისას საღვთო წიგნებს კითხულობდა, რომელთა ყდაზეც ემბაზი ან პალმის რტო იყო გამოსახული. ჰოდა, ჰანს კასტორპმა ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნია, რომ ამ კაცის მზერაც მადამ შოშას მოქნილ ტანს მიეპყრო და ამ დაჟინებულ მზერაში თითქმის ძაღლური მორჩილება იგრძნობოდა. რახან ერთხელ შეამჩნია ეს ამბავი, თავს ვეღარ იკავებდა, რომ იმ ავადმყოფის მზერა არ დაეჭირა. ხედავდა, როგორ იდგა იგი სამორინეში დამსვენებლებს შორის და ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა წარმტაც, თუმცა ოდნავ მოტეხილ ქალს, რომელიც მეორე სალონში იჯდა დივანზე და გრუზათმიან თამარას (ასე ეძახდნენ იმ სასაცილო გოგონას), დოქტორ ბლუმენკოლსა და თავის თანამესუფრეს, წელში მოდრეკილ, მკერდჩავარდილ ბატონს ებაასებოდა. ხედავდა, როგორ მოაცილებდა მანჰაიმელი ქალს მზერას, ოთახში მძიმედ გაივლ-გამოივლიდა, კვლავ ნელა, ქურდულად გააპარებდა თვალს იქითკენ და ზედა ტუჩი საცოდავად ეღრიცებოდა. ხედავდა, როგორ აელეწებოდა სახე, შემინული კარი რომ გაჯახუნდებოდა, თავს არ ასწევდა, მაგრამ მერე გული ვეღარ უთმენდა, აიხედავდა და თავისი მაგიდისაკენ შემპარავი ნაბიჯებით მიმავალ ფრაუ შოშას თვალს ხარბად გააყოლებდა. ბევრჯერ უნახავს, საცოდავი როგორ განგებ დგებოდა გასასვლელსა და "კარგ რუსულ მაგიდას" შორის, ოღონდ კი ფრაუ შოშას მის ახლოს გაევლო. მოახლოებულ ქალს ნაღვლით სავსე თვალებით ჭამდა, ქალი კი არაფრად აგდებდა.

ამგვარად, ამ ახალმა აღმოჩენამაც გვარიანად იმოქმედა ჰანს კასტორპზე, თუმცა მანჰაიმელის საცოდავ ტრფობას იმდაგვარად არ შეიძლებოდა, შეეშფოთებინა მისი გული, როგორც კლავდია შოშას ურთიერთობა აღელვებდა ჰოფრატ ბერენსთან, რომელიც მას ასაკით, პიროვნული თვისებებითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით ჯაბნიდა. კლავდიას იოტისოდენადაც არ აწუხებდა მანჰაიმელის დარდი. სხვაგვარად რომ ყოფილიყო საქმე, ეს ჰანს კასტორპის გამახვილებულ თვალსა და ყურს არ გამოეპარებოდა. არა, ამ შემთხვევაში ამაზრზენი ეჭვი როდი უკოდავდაგულს - ჰანს კასტორპმა ყველა იმ განცდას გაუგო გემო, რომელთაც ეწაფება ხოლმე სიყვარულითა და ვნებით მთვრალი ადამიანი, როცა სხვისი თვალით შეხედავს თავისივე მსგავს გრძნობას და ეს ყველაფერი ზიზღისა და ზიარი გრძნობების ამაზრზენ ნარევად ექცევა. მოკლედ, ყველაფრის დასაბუთება და გაანალიზება შორს წაგვიყვანდა და ადგილიდან ვეღარ დავიძვრებოდით. ასე იყო თუ ისე, საბრალო ჰანს კასტორპს მეტისმეტი მოუვიდა, მის გაჭირვებას კიდევ მანჰაიმელის მეთვალყურეობა რომ დაემატა.

ასე გავიდა კვირა და დადგა ჰანს კასტორპის გაშუქების დღეც. ჰანს კასტორპს აღარც კი ეგონა, ეს კვირა თუ გავიდოდა, მაგრამ ერთ დილას პირველ საუზმეზე უფროსი ექთანის პირით შემოუთვალეს (ექთანს ქუთუთოზე კვლავ ჯიბლიბო აჯდა. ეს ნამდვილად ძველი არ იქნებოდა, ეტყობოდა, ამ უწყინარი,მაგრამ დამაუშნოებელი მუწუკის ამოსვლა მისი ორგანიზმის ბრალი იყო), ნასადილევს ლაბორატორიაში უნდა გამოცხადდეო, და მიხვდა, რომ ეს დღეები მართლა გასულიყო. ჰანს კასტორპი სამხრამდე ნახევარი საათით ადრე თავის ბიძაშვილთან ერთად უნდა ჩასულიყო ლაბორატორიაში - ექიმები შემთხვევით სარგებლობდნენ და იოახიმსაც უპირებდნენ გაშუქებას. ეტყობოდა, იოახიმის უკანასკნელი რენტგენოგრამა უკვე მოძველებული გახლდათ.

ბიძაშვილებმა იმ დღეს ოცდაათი წუთით შეამოკლეს ნაშუადღევის დიდი

სამკურნალო წოლის საათი, ოთხის ნახევარზე ჩაუყვნენ ცრუ სარდაფში ჩასასვლელ ქვის კიბეს და პატარა მოსაცდელ ოთახში გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ. ეს ოთახი ერთმანეთისაგან ყოფდა გასაშუქებელ ლაბორატორიასა და საორდინატოროს. იოახიმი ახალს არაფერს ელოდა და მშვიდად იჯდა, ჰანს კასტორპი კი მოლოდინის ციებ-ცხელებას შეეპყრო - აქამდე მის ორგანიზმში არავის ჩაეხედა. ისინი მარტონი არ იყვნენ: ოთახში რამდენიმე პაციენტი დახვდათ, მათ მუხლებზე დაფხრეწილი ილუსტრირებული ჟურნალები ეფინათ და იცდიდნენ. ესენი გახლდნენ: გოლიათური აღნაგობის ახალგაზრდა შვედი, რომელიც სასადილო დარბაზში სეტემბრინის მაგიდასთან იჯდა. ამ შვედზე ამბობდნენ, აპრილში აქ რომ ამოვიდა, ისე მძიმედ იყო ავად, რომ ძლივს მიიღესო. ახლა კი ოთხმოცი გირვანქა მოემატებინა და სადაცაა სავსებით გამოჯანსაღებული გაეწერებოდა აქედან; შემდეგი გახლდათ მდარე რუსული მაგიდის“ წევრი ერთი საცოდავი ქალი, რომელსაც მასზე უფრო საცოდავი გრძელცხვირა, უშნო ვაჟიშვილი ახლდა თან, სახელად საშა. ეს ხალხი ბიძაშვილებზე დიდხანს იცდიდა - ისინი აშკარად მათზე უფრო ადრე იქნებოდნენ გამოძახებულნი. ეტყობოდა, გასაშუქებულ ლაბორატორიაში შეფერხდა საქმე და ახლა ყველას ცივი ჩაის დალევა მოუწევდა.

ლაბორატორიაში დიდი ფაციფუცი იყო. ისმოდა ჰოფრატის ხმა, იგი განკარგულებებს იძლეოდა. ოთხის ნახევარი იქნებოდა, თუ ცოტა მეტი, როცა კარი გაიღო, - კარი ტექნიკურმა ასისტენტმა გააღო - და ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული შვედი შეუშვეს ოთახში. მისი წინამორბედი, ეტყობოდა, სხვა კარიდან გაისტუმრეს. ამის შემდეგ საქმე უფრო სწრაფად წავიდა. ათი წუთის შემდეგ დერეფნიდან მოისმა სავსებით გამოჯანსაღებული სკანდინავიელის, კურორტისა და სამკურნალო დაწესებულების ამ ფეხზე მოსიარულე რეკლამის, ღონიერი ნაბიჯების ხმა, ლაბორატორიაში კი რუსი დედა-შვილი შევიდა. ჰანს კასტორპმა შვედის შესვლისასაც შენიშნა და ახლაც, რომ გასაშუქებელ კაბინეტში ბინდი იდგა, უფრო სწორად, იქაურობას ზუსტად ისეთივე ხელოვნური მკრთალი შუქი ეფინა, როგორიც დოქტორ კროკოვსკის ანალიტიკურ კაბინეტს. ფანჯრები მოსაცდელ ოთახშიც შებურვილი იყო, შიგ დღის შუქი არ აღწევდა და ოთახს რამდენიმე ნათურა ანათებდა. საშა და დედამისი ლაბორატორიაში შეუშვეს თუ არა, დერეფნის კარი გაიღო და მოსაცდელ ოთახში მორიგი პაციენტი შემოვიდა. რიგის შეფერხების გამო პაციენტს ადრე მოუვიდა მოსვლა. ეს პაციენტი მადამ შოშა გახლდათ.

დიახ, ოთახში შემოსული პაციენტი კლავდია შოშა იყო. ჰანს კასტორპმა იგი იცნო, თვალები დაჭყიტა და აშკარად იგრძნო, სახე სისხლისაგან როგორ დაეწრიტა, ქვედა ყბა მოუდუნდა და ტუჩებს თავი ვეღარ მოუყარა. კლავდია ისე მოულოდნელად და შეუმჩნევლად შემოვიდა ოთახში, თითქოს ბიძაშვილების გვერდით თავისით აღმოჩნდაო. იოახიმმა სწრაფად გადახედა ჰანს კასტორპს, შემდეგ თვალები არ დაუხრია, უკვე გადადებულ ილუსტრირებულ ჟურნალს ისევ დასწვდა და თავი შიგ ჩარგო. ჰანს კასტორპს ძალა არ ეყო, იგივე გაეკეთებინა. გაფითრების შემდეგ ჭარხალივით გაწითლდა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

მადამ შოშა ლაბორატორიის კართან მიდგმულ მომრგვალებულ სავარძელში ჩაეშვა, რომელსაც თანაბრად წაკვეთილი მორებივით მრგვალი სახელურები ჰქონდა. საზურგეს მიეყრდნო, ფეხი ფეხზე მსუბუქად გადაიდო და სივრცეში დაიწყო ყურება. იგი გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ, უხერხულობის დასაფარავად პშიბისლავისეული თვალები განზე წაიღო და ოდნავ გაუელმდა. მადამ შოშას ლურჯ ქვედაკაბაზე თეთრი სვიტერი ეცვა, კალთაში აშკარად ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნი ედო და ფეხსაცმლის ჭვინტს იატაკზე მსუბუქად უკაკუნებდა.

წუთ-ნახევარს არ გაევლო, რომ მან პოზა შეიცვალა, ირგვლივმიმოიხედა, ფეხზე წამოდგა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ იცის, რა ქნას ან ვის მიმართოსო და დაილაპარაკა. მან იოახიმს ჰკითხა რაღაც, თუმცა იოახიმი ილუსტრირებული ჟურნალის კითხვაში ჩანდა გართული, ჰანს კასტორპი კი უსაქმოდ იჯდა. მადამ შოშას ბაგეებმა სიტყვები წარმოთქვეს, ხმა კი თეთრი ყელიდან ამოუვიდა - დაბალი ხმა ჰქონდა, ოდნავ მკვახე, მაგრამ სასიამოვნოდ ჩახრინწული. ამ ხმას იცნობდა ჰანს კასტორპი, დიდი ხანია იცნობდა და ერთხელ სულ ახლოდანაც

გაეგონა. აი, მაშინ, როცა ამ ხმამ უთხრა, სიამოვნებით, ოღონდ გაკვეთილის შემდეგ უეჭველად უნდა დამიბრუნოო. თუმცა ის სიტყვები უფრო სხაპასხუპით და მტკიცედ იყო ნათქვამი, ახლა კი ჰანს კასტორპს ოდნავ ზოზინითა და ბორძიკით წარმოთქმული სიტყვები ესმოდა, თითქოს მოლაპარაკეს მათზე უფლებაც არა აქვს, თითქოს ვიღაცისაგან უსესხებიაო. ჰანს კასტორპს რამდენჯერმე მოესმინა ქალის ლაპარაკი, უპირატესობისმაგვარი გრძნობაც გასჩენოდა, მაგრამ ამ გრძნობას აღტაცების განცდა ერეოდა და თოკავდა. ფრაუ შოშას ცალი ხელიშალის სვიტერის ჯიბეში ედო, მეორე კი კეფაზე ეჭირა და იოახიმს ეკითხებოდა:
- უკაცრავად, თქვენ რომელ საათზე ხართ დაბარებული?
იოახიმმა თავის ბიძაშვილს ესროლა მზერა, არ წამომდგარა, ქუსლი ქუსლს ისე მიატყუპა და მადამ შოშას უპასუხა:
- ოთხის ნახევარზე.
ქალმა განაგრძო.
- მე კი სამ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ვიყავი დაბარებული. რა მოხდა? საცაა ოთხი შესრულდება, მგონი, ახლახან შევიდა შიგ ხალხი, არა?
- დიახ, ორი კაცი, - უპასუხა იოახიმმა, - ისინი ჩვენზე წინ იყვნენ რიგში. მუშაობის დაწყება დაუგვიანდათ და ეტყობა, რიგმა მთელი ნახევარი საათით გადმოიწია.
- რა სამწუხაროა! - თქვა ქალმა და თმაზე ნერვიულად გადაისვა ხელი.
- დიახ, ფრიად სამწუხაროა, - მიუგო იოახიმმა, - ჩვენც თითქმის ნახევარი საათია ვიცდით.
ასე საუბრობდნენ ისინი და ჰანს კასტორპს თავი სიზმარში ეგონა, იოახიმი რომ ფრაუ შოშას ელაპარაკებოდა, ეს თითქმის იმას უდრიდა, თითქოს თვითონ ელაპარაკოს, თუმცა სულ სხვაგვარად და სულ სხვა თემაზე. მაგრამ ამ „ფრიადმა“ ჰანს კასტორპი შეურაცხყო, რადგან ეს სიტყვა ამ სიტუაციაში თავხედური თუ არა, სულ მცირე, გულგრილი მაინც ეჩვენა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, იოახიმს შეეძლო ასე ელაპარაკა. მას შეეძლო საერთოდ ესაუბრა მასთან და იქნებ უნდოდა კიდეც, ჰანს კასტორპის ჯიბრზე ფრაუ შოშასთვის ამ, ცოტა არ იყოს, ირონიული და თამამი სიტყვით მიემართა. ეს დაახლოებით იმას ჰგავდა, თვითონ რომ იწონებდა თავს იოახიმისა და სეტემბრინის წინაშე, „სამ კვირას“ ვაპირებ აქ დარჩენასო. ფრაუ შოშაც მაინცდამაინც იოახიმს გამოელაპარა, თუმცა მას ჟურნალში ჰქონდა ჩარგული თავი. აბა, რა, ის უფრო ხანმორჭმული ბინადარი გახლდათ და შორიდან მას უფრო დიდი ხანია იცნობდა. სხვა რაიმეც იყო ამის მიზეზი: მათი ურთიერთობა აქაურ ადათ-წესებს ემყარებოდა, თავისუფლად შეეძლოთ, გამოლაპარაკებოდნენ კიდეც ერთმანეთს, მაშინ, როცა ჰანს კასტორპსა და ამ ქალს შორის მღელვარე, ღრმა, ძრწოლისმომგვრელ და იდუმალ დამოკიდებულებას დაესადგურებინა. აქ რომ ვინმე თაფლისფერთვალება, ლალისთვლიანი, ფორთოხლის სურნელით ამჭორებული ქალი მჯდარიყო, მაშინ ჰანს კასტორპს ერგებოდა სიტყვა და ისიც ისე არხეინად და თამამად გამოელაპარაკებოდა იმ ქალს, როგორც ეს მათ ურთიერთობას შეეფერებოდა. „რა თქმა უნდა, ძვირფასო ქალიშვილო, ფრიად სამწუხაროა“. ეტყოდა ალბათ, გულჯიბიდან ცხვირსახოცსაც დარდიმანდულად ამოიღებდა და ცხვირსაც კარგად მოიხოცავდა. გთხოვთ, მოთმინება იქონიოთ, არც ჩვენ ვართ თქვენზე უკეთეს დღეშიო, დასძენდა მერე. იოახიმს გაუკვირდებოდა მისი სითამამე და, ალბათ, მის ადგილზე ყოფნას არ ისურვებდა. არა, ამ შემთხვევაში, არც ჰანს კასტორპს შურდა იოახიმისა, თუმცა მას ფრაუ შოშასთან საუბრის შემთხვევა მიეცა. ჰანს კასტორპს სავსებით მართებულად მიაჩნდა, ფრაუ შოშა რომ იოახიმს გამოელაპარაკა. ამ საქციელით ქალმა გარემოებას გაუწია ანგარიში და თავისი თავი გასცა, რომ ყველაფერს ხვდებოდა... ჰანს კასტორპს გული აუჩქროლდა.
ფრაუ შოშასთან დაუდევარ საუბარში ჰანს კასტორპმა კეთილი იოახიმის ოდნავ მტრული დამოკიდებულებაც კი იგრძნო პაციენტი ქალისადმი და მღელვარების მიუხედავად გაეღიმა. კლავდიამ ოთახში გავლა-გამოვლა სცადა, მაგრამ სივრცე არ ეყო, ამიტომ მანაც ილუსტრირებული ჟურნალი აიღო ხელში და თავის სახელურწაკვეთილ სავარძელს დაუბრუნდა. ჰანს კასტორპი იჯდა და ქალს შესცქეროდა, ნიკაპი ბაბუამისივით დაებჯინა მკერდზე და ამ წუთში მოხუც

კასტორპს მართლაც სასაცილოდ ჰგავდა. ფრაუ შოშამ კვლავ ფეხი ფეხზე გადაიდო და ლურჯი მაუდის ქვედაკაბაში მუხლი და შხვართი ფეხი მკაფიოდ გამოეკვეთა. იგი საშუალო ტანისა იყო. ჰანს კასტორპის თვალში უაღრესად მიმზიდველი და ქალისათვის შესაფერი სიმაღლისა, მაგრამ მაღალი ფეხები და ვიწრო თეძოები ჰქონდა, ქალი სავარძლის ზურგს არ ეყრდნობოდა, წინ გადმოხრილი იჯდა, გადაჭდობილი ხელები ბარძაყებზე დაეყრდნო, წელში მოკუზულიყო და მხრები ისეჩამოსცვენოდა, რომ კეფაზე მკაფიოდ ასხდა კისრის მალები და ასე განსაჯეთ, შემოტმასნილ სვიტერში ხერხემალიც კი ენაკვთებოდა. მკერდი მარუსიასავით მაღალი და ათქვირებული არ ჰქონდა, პატარა, ქალწულებრივი მკერდი მკლავებში მოემწყვდია. ჰანს კასტორპს უეცრად გაახსენდა, რომ ისიც გაშუქებას ელოდა. ჰოფრატი ხატავდა ქალს, მისი გარეგნული სახე ზეთის ფერადი საღებავებით ტილოზე გადაჰქონდა, ახლა კი უკუნეთში სინათლის სხივებს მიმართავდა მისკენ და სხეულის წიაღს გაუშიშვლებდა. ამის გაფიქრებაზე ჰანს კასტორპი დარბაისლურად მოიღუშა, პირი იბრუნა და სახეზე თავშეკავება და ზნეკეთილობა გამოეხატა. მსგავსი ამბების წარმოდგენისას ასეთი გამომეტყველების მიღება, მარტო რომ იყო, მაშინაც კი საჭიროდ მიაჩნდა.

მოსაცდელ ოთახში სამეულის ერთად ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა. ეტყობოდა, დროის მოგებას ეშურებოდნენ და საშასა და დედამისს თავს არავინ გადაჰყოლია. თეთრხალათიანმა ტექნიკოსმა ხელახლა გააღო კარი. იოახიმმა ჟურნალი მაგიდაზე მიაგდო და ფეხზე წამოდგა. ჰანს კასტორპი ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მერე ისიც გაედევნა იოახიმს. გულშირაინდული გრძნობები აეშალა, რაც იქნება, იქნება, ფრაუ შოშას დაველაპარაკები და რიგს დავუთმობო, ისიც იფიქრა, დალაპარაკება, მგონი, ფრანგულად აჯობებსო და ნაჩქარევად დაიწყო კიდეც სათანადო ფრაზის ასაგები სიტყვების ძებნა, მაგრამ არ იცოდა, აქ ასეთი თავაზიანობა მიღებული იყო თუ არა. იქნებ დადგენილი რიგის დაცვა რაინდულ თავაზიანობაზე მეტად ფასობდა? იოახიმს ეს ეცოდინებოდა. ჰოდა, რაკი მას ჰანს კასტორპის დაჟინებული მზერისათვის ყურადღება არ მიუქცევია და არც უფიქრია, ქალისთვის დაეთმო გზა, ჰანს კასტორპმაც გაუარა ფრაუ შოშას წინ და ლაბორატორიაში შევიდა. ქალი წელში არ გამართულა, ორივეს ისე ამოხედა.

ჰანს კასტორპი ისე გაბრუებული იყო უკანასკნელი ათი წუთის თავგადასავლით, რომ გასაშუქებელ კაბინეტშიც კარგა ხანს ვერ მოეგო გონს. ხელოვნური შუქით ოდნავ განათებულ ოთახში თითქმის ვერაფერს ხედავდა. ყურში კვლავ ფრაუ შოშას სასიამოვნოდ მოგუდული ხმა ჩაესმოდა: „რა მოხდა... მგონი, ახლახან შევიდა შიგ ხალხი... რა სამწუხაროა“. ჰანს კასტორპს ამ ხმის გახსენებაზე ტკბილმა ჟრჟოლამ დაუარა ტანში. თვალწინ კვლავ ედგა მაუდის ქვედაკაბაში გამოკვართული მისი მუხლი, ხედავდა მის ჩაქინდრულ კისერს, კეფაზე დაგრაგნილ ნაწნავებში აუკრეფავ ქერა თმის ბულულებს, კისერზე დამსხდარ მალებს და ტანში კვლავ ჟრჟოლა უვლიდა. მან დაინახა ჰოფრატი ბერენსი, იგი შემოსულებისაკენ ზურგით იდგა კარადისა თუ სტელაჟის წინ და მოშავო ფირფიტას ათვალიერებდა, რომელიც ჭერზე დაკიდებული მქრქალი ნათურისათვის მიეშვირა. ბიძაშვილებმა ექიმს გვერდი აუარეს და კაბინეტის სიღრმისაკენ გაემართნენ. თანაშემწემ ორივეს გაასწრო და მათი გასაშუქებელი აპარატის მომზადებას შეუდგა. კაბინეტში თავისებური სუნი იდგა, თითქოს ატმოსფერო დაგუბებულ ოზონს აუვსიაო. შავი ფარდებით შებურულ ფანჯრებს შორის წამომართული სტელაჟი ოთახს ორ არათანაბარ ნაწილად ყოფდა. თვალი არჩევდა ფიზიკურ ხელსაწყოებს, ჩაზნექილ შუშებს, სამართავ პულტებს, შვეულად აწვდილ საზომ ინსტრუმენტებს, აგრეთვე ფოტოაპარატისებურ მოძრავ შტატივზე დამაგრებულ ყუთს და კედელზე ჩამომწკრივებულ დიაპოზიტივებს. ვერ გაარკვევდი, ფოტოგრაფის ატელიეში იყავი, ფარის გასამჟღავნებელ ჯიხურში, გამომგონებლის სახელოსნოში თუ ჯადოქრის ლაბორატორიაში.

იოახიმი დაუხანებლად შეუდგა წელზევით გახდას. ექიმის თეთრხალათიანმა თანაშემწემ, ჭარმაგმა, ლოყებღაჟღაჟა ჩასკვნილმა აქაურმა კაცმა, ჰანს კასტორპს ანიშნა, შენც გაიხადეო. ასე უფრო სწრაფად წავა საქმე, თქვენს რიგს მომზადებული შეხვდებითო... სანამ ჰანს კასტორპი ჟილეტს გაიხდიდა, ბერენსიც

გამოვიდა თავისი კუთხიდან და წამოიძახა:
- ოჰო! ეს ხომ ჩვენი დიოსკურები არიან! კასტორპი და პოლუქსი... თუ შეიძლება, კვნესა არ გამაგონოთ! ცოტა მაცალეთ და ორივეს გაგხედავთ სინათლეზე. მგონი, გეშინიათ, კასტორპ, თქვენი წიაღის გადაშლა? შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, ყველაფერი ესთეტიკურად სრულდება. თქვენ ჩემი კერძო გალერეა ჯერ არ გინახავთ, არა?
მან ჰანს კასტორპს მკლავში ჩასჭიდა ხელი, მუქი შუშების მწკრივთან მიიყვანა და მათ უკან შუქი ჩართო. ფირფიტები განათდა და გამოსახულებებიც გამოჩნდა. ჰანს კასტორპი ხედავდა ხელებს, ფეხებს, კვირისთავებს, თეძოებს, მხრებს, მკლავებსა და მენჯებს, ოღონდ ადამიანის სხეულის ამ ცალკეული ნაწილების ცოცხალი ფორმები უფრო სქემებს ჰგავდნენ და კონტურებიც ბუნდოვნად ჰქონდათ შემოხაზული, ისინი ნისლივით მკრთალი შარავანდედივით ეკვროდნენ გარს თავიანთივე ნათელ, მკვეთრად შემოხაზულ საფუძველს - ჩონჩხს.
- ძალიან საინტერესოა, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- დიახაც, საინტერესოა! - მიუგო ჰოფრატმა, - ახალგაზრდებს თვალსაჩინო გაკვეთილად გამოადგებათ. შუქის ანატომია, მოგეხსენებათ, ახალი ეპოქის გამარჯვება გახლავთ. ეს ქალის მკლავია. ადვილი საცნობია თავისი სიკოხტავითა და სინატიფით. აი, ამ მკლავს შემოგვაჭდობენ ხოლმე ქალები სიყვარულის წუთებში, გესმით? - ჰოფრატმა გაიცინა და შეკრეჭილიულვაშის ქვეშ ზედა ტუჩი აიბზუა. ჰანს კასტორპი იქითკენ მიბრუნდა, სადაც იოახიმის გადასაღებად აპარატურას ამზადებდნენ.
სამზადისი სწორედ იმ სტელაჟის წინ მიმდინარეობდა, სადაც თავიდან ჰოფრატი იდგა. იოახიმი ხარაზის ტაბურეტის მსგავს სკამზე დაჯდა, მკერდი თავის წინ აღმართულ დაფას მიაბჯინა და მკლავებიც შემოაჭდო. თანაშემწემ ზურგზე მოუტყაპუნა ხელები და პოზა შეაცვლევინა. ბეჭები უფრო წინ წამოუწია და ზურგი კარგად დაუზილა, თვითონ აპარატის უკან ფოტოგრაფივით დადგა, წაიკუზა, ფეხები გაჩაჩხა და ფოკუსი შეამოწმა. კმაყოფილება გამოთქვა. აპარატს მოშორდა და იოახიმი გااააფრთხილა, ღრმად ჩაისუნთქე და სანამ ყველაფერი არ დამთავრდება, არ ამოისუნთქოო. იოახიმის მოხრილი ზურგი დაიჭიმა და ასე შეჩერდა. თანაშემწემ სამართავ პულტზე კნოპები ჩართო და ოთახში ორი წამის განმავლობაში დათარეშობდნენ საშინელი ძალები, რომელთა აშვება საჭირო იყო მატერიაში გასაღწევად, დათარეშობდა ათასობით, ასიათასობით ვოლტის დენი, ჰანს კასტორპი ფიქრობდა, მგონი, სწორად გავიხსენეო. გარკვეული მიზნისათვის მოთოკილი ძალები გასაძრომს ეძებდნენ და თავის აწყვეტას ლამობდნენ. განმუხტვის ტკაცუნი სროლასავით გაისმოდა, საზომ ხელსაწყოზე ცისფრად ელავდა და ტკაცუნებდა რაღაც, კედელს ტკაცატკუცით მიჰყვებოდნენ ელვის ხაზები, საიდანღაც გახელილი თვალივით ჩუმად და მუქარით იხედებოდა წითელი სინათლე, იოახიმის ზურგს უკან დაკიდებულ კოლბაში კი მწვანედიღვრებოდა რაღაც. შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. სინათლის ციმციმი შეწყდა და იოახიმმაც ამოიხვნეშა. გადაღება დამთავრებული იყო.
- შემდეგი მსჯავრდადებული! - თქვა ბერენსმა და ჰანს კასტორპს გაჰკრა მუჯლუგუნი, - ოღონდ დაღლილობა არ მოიმიზეზოთ! ერთ ეგზემპლარს უფასოდ მიიღებთ, კასტორპ. შემდეგ შეგიძლიათ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს კედელზე აჩვენოთ თქვენი გულმკერდის საიდუმლოებანი.
იოახიმი განზე გადგა. ტექნიკოსმა ფირფიტა გამოცვალა. ჰოფრატმა ბერენსმა ახალბედას თვითონ უჩვენა, როგორ უნდა დამჯდარიყო და თავი როგორ უნდა დაეჭირა.
- შემოეხვიეთ! - თქვა მან, - დაფას შემოეხვიეთ! წარმოიდგინეთ, რომ სულ სხვა რამეს ეხვევით! მკერდი კარგად შეაწებეთ, თითქოს განცხრომას განიცდიდეთ! სწორედ ასე. ჩაისუნთქეთ! სუნთქვა შეიკარით, არ გაინძრეთ! - განკარგულებებს იძლეოდა იგი, - უღრმეს მადლობას მოგახსენებთ!
ფილტვებდაბერილი ჰანს კასტორპი თვალებს ახამხამებდა და ისე იცდიდა. მის ზურგს უკან მეხი გავარდა, გაისმა ტკაცანი, ჭახანი, ბათქი და მერე სიმშვიდე ჩამოვარდა. ობიექტივმა მის წიაღში ჩაიხედა.
ჰანს კასტორპი წამოდგა, მთელი ამ პროცედურისაგან დაბნეული და გაბრუებული იყო, თუმცა გაშუქება იოტისოდენადაც არ უგრძნია.

- ყოჩაღ! - უთხრა ჰოფრატმა, - აბა, ახლა ჩვენ თვითონ ჩავიხედოთ თქვენს წიაღში.
იოახიმი ამ საქმეში უკვე გამოცდილი გახლდათ. იგი გარეთ გასასვლელ კართან აღმართული უზარმაზარი აპარატისაკენ გაემართა და ზურგშექცევით დადგა შტატივთან. მისი ზურგის სიმაღლეზე ნახევრად წყლით გავსებული შუშის ბუშტი მოჩანდა, რომელსაც რამდენიმე საორთქლე მილი ჰქონდა დატანებული. მკერდის სიმაღლეზე ჭოჭონაქებზე დაკიდებული ჩარჩოშემოვლებული ეკრანი ირწეოდა. იოახიმის ხელმარცხნივ, დენის ჩასართავ ფირსა და სხვა ინსტრუმენტებს შორის, წითელი ნათურა ამოჩრილიყო. დაკიდებული ეკრანის წინ ტაბურეტზე გადამჯდარმა ჰოფრატმა აანთო ის ნათურა. ჭერის სინათლე ჩაქრა. ახლა სცენას მხოლოდ ლალისფერი შუქი ანათებდა. შემდეგ მაესტრომ ის სინათლეც მარდად გამოთიშა და ლაბორატორიაში მყოფნი სიბნელეში დაინთქნენ.
- ჯერ თვალი უნდა შეეჩვიოს სიბნელეს, - გაისმა სიბნელეში ჰოფრატის ხმა, - ჯერ გუგები კატასავით უნდა გაგვიფართოვდეს, რომ დასანახი დავინახოთ. კარგად მოგეხსენებათ, რომ უამისოდ ჩვენი ჩვეულებრივი დღის თვალებით ხეირიანად ვერაფერს დავინახავთ. საამისოდ თავიდან უნდა ამოვიგდოთ ნათელი დღე თავისი წარმტაცი სურათებიანად.
- რა თქმა უნდა, - თქვა ჰოფრატის ზურგს უკან მდგარმა ჰანს კასტორპმა და თვალები დახუჭა.
ოთახში ისეთი წყვდიადი იდგა, რომ სულერთი იყო, თვალები დახუჭული გექნებოდა თუ ღია, - ჯერ თვალი სიბნელეს უნდა შევაჩვიოთ, რომ რაიმე დავინახოთ, ეს ადვილი გასაგებია, - განაგრძო ჰანს კასტორპმა, - მე რომ მკითხოთ, კარგიცაა და სწორიც, რომ ჯერ, ასე ვთქვათ, უსიტყვოდ ვილოცოთ და ცოტა გულისყური მოვიკრიბოთ. ასე თვალდახუჭული რომ ვდგავარ, თითქოს სასიამოვნო რული მერევა. ოღონდ ეს მითხარით, რისი სუნი დგას აქ?
- ჟანგბადის, - უთხრა ჰოფრატმა, - ეს ოქსიგენი გახლავთ, - ოთახის ჭექა-ქუხილის ატმოსფერული პროდუქტი, გამიგეთ? აბა, გაახილეთ თვალი! - თქვა მან, - ახლა იწყება ჯადოქრობა.
ჰანს კასტორპი სასწრაფოდ დაემორჩილა ჰოფრატს.
გაისმა რომელიღაც სახელურის გადაწევის ხმა. ჩაირთო მოტორი და გაისმა ღმუილი, მაგრამ რაღაც ისევ გადასწიეს და ღმუილი ჩანელდა. იატაკითანაბრად ზანზარებდა. წაგრძელებული, წითელი ნათურა უხმოდ, მუქარით იყურებოდა შორიდან. სადღაც ელვამ გაიტკაცუნა. ნელ-ნელა გამოჩნდა რძისფერი შუქი და სიბნელეში განათებული სარკმელივით გამოიკვეთა ეკრანის მქრქალი მართკუთხედი. ჰოფრატი ბერენსი ეკრანის წინ ხარაზის ტაბურეტის მსგავს სკამზე გადაჩაჩხულიყო, მუშტები ზედ დაებჯინა, პაჭუა ცხვირი მინაზე მიედო და ადამიანის წიაღში იჭვრიტებოდა.
- ხედავთ, ყმაწვილო? - იკითხა მან. ჰანს კასტორპი მის მხართან დაიხარა, მაგრამ ისევ ასწია თავი და იქით გაიხედა, სადაც სიბნელეში იოახიმის თვალები ეგულებოდა. ეს თვალები, ალბათ, ახლაც ისევე ნაღვლიანად და ნაზად იცქირებოდნენ, როგორც მაშინ, გასინჯვის დროს.
- ნებას მაძლევ?
- რა თქმა უნდა, - წყვდიადიდან რბილად უპასუხა იოახიმმა.
იატაკის ზანზარში, თავაწყვეტილი ძალების ტკაცანსა და ზუზუნში შეიჭვრიტა ჰანს კასტორპმა მქრქალად განათებულ სარკმელში და იოახიმ ციმსენის ცარიელ ჩონჩხში ჩაიხედა. გულისფიცარი თითქოს ხერხემალს შერწყმოდა და ორივე ერთად ერთ კვანძებიან, ჩამუქებულ სვეტს ქმნიდა. წინა ნეკნებს უკანა კვეთდა და ეს უკანასკნელი შედარებით მკრთალად მოჩანდა. ზემოთ მოქნილად იტოტებოდნენ ლავიწის ძვლები, ხოლო კუნთების რბილ მონახაზში მკაფიოდ და გამოკვეთილად გამოირჩეოდა ბეჭები და იდაყვები. მკერდის წიაღი თითქოს თანაბრად იყო განათებული, მაგრამ შიგ ძარღვების, ბნელი ლაქებისა და მოშავო ხლართების გარჩევა შეიძლებოდა.
- ნათელი სურათია, - თქვა ჰოფრატმა, - ეს არმიელი ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სიგამხდრის წყალობაა. აქ მე რუმბები შემხვედრია, შუქი რომ ვერ ატანდა, თითქმის ვერაფერს რომ ვერ გაარჩევდი, ისეთი. იმისისქე ქონის ფენაში შემღწევი სხივები ჯერ კიდევ აღმოსაჩენი გახლავთ... აი, მესმისსუფთა

სამუშაო. ხედავთ დიაფრაგმას? - თქვა მან და ჰანს კასტორპს აჩვენა მუქი რკალი, რომელიც სარკმლის ძირში ადი-ჩადიოდა, - აქვე, მარცხნივ, ამობურცულ ადგილებს თუ ხედავთ, ეს იმ პლევრიტის კვალია, თხუთმეტი წლისას რომ გადაუტანია. ღრმად ისუნთქეთ! - განკარგულება გასცა ჰოფრატმა, - უფრო ღრმად. ხომ გითხარით, ღრმად-მეთქი!
იოახიმის ათრთოლებული დიაფრაგმა რაც შეიძლებოდა მაღლა აიწია, ფილტვის მწვერვალი შესამჩნევად განათდა, მაგრამ ჰოფრატი კიდევ არ იყო კმაყოფილი.
- ეგ არ კმარა! - თქვა მან, - ხედავთ ჯირკვლებს? შეხორცებებს თუ ხედავთ? ხედავთ აქ კავერნებს? აი, აქედან ამოდიან ის შხამები, მთელ ორგანიზმს რომ წამლავენ.
მაგრამ ჰანს კასტორპის ყურადღება რაღაც ტომსიკისებურმა, უფორმო ცხოველივით მოძრავმა, შუაში, უფრო ზუსტად, მაყურებლისგან ხელმარჯვნივ მოთავსებულმა მუქმა ორგანომ მიიქცია, რომელიც თანაბრად ფართოვდებოდა და იკუმშებოდა და რაღაცით წყალში მონანავე მედუზას წააგავდა.
- ხედავთ მის გულს? - ჰკითხა ჰანს კასტორპს ჰოფრატმა, უზარმაზარი ხელი ბარძაყიდან აიღო და საჩვენებელი თითი მთრთოლარე ტომსიკას დაატაკა...
ღმერთო დიდებულო, ჰანს კასტორპი გულს ხედავდა, იოახიმის პატიოსან გულს!
- შენს გულს ვხედავ! - ათრთოლებული ხმით წარმოთქვა მან.
- შეხედე, შეხედე, - კვლავ უპასუხა იოახიმმა და, ალბათ, სიბნელეში თვინიერად გაეღიმა.
მაგრამ ჰოფრატმა ორივეს უბრძანა, ჩუმად იყავით და ერთმანეთს ემოციებს ნუ უზიარებთო.
ჰოფრატი აკვირდებოდა ლაქებსა და ხაზებს, გულმკერდის ღრუში დამჩნეულ შავ ხლართებს, მისი თანამჭვრეტელიც ვერ ძღებოდა იოახიმის სამარისეული ნეშტისა და ჩონჩხის ცქერით, ამ გაშიშვლებული ძვლებისა და ჩხირივით ხმელი მემენტო-ს ცქერით. ჰანს კასტორპი მოწიწებამ და ძრწოლამ შეიპყრო.
- დიახ, დიახ, ვხედავ, - რამდენჯერმე გაიმეორა მან, - ღმერთო ჩემო, ვხედავ!
ჰანს კასტორპს გაგონილი ჰქონდა ტინაპელების ერთი დიდი ხნის გარდაცვლილი ნათესავი ქალის ამბავი, რომელსაც, თავისდა საუბედუროდ, წყეული ნიჭი ჰქონია თანდაყოლილი. იმ ადამიანებს, რომელთაც მალე სიკვდილი ეწერათ, ჩონჩხის სახით ხედავდა თურმე, ახლა სწორედ ასე ხედავდა ჰანს კასტორპი კეთილ იოახიმს, თუმცა ეს ფიზიკურ-ოპტიკური მეცნიერების წყალობა გახლდათ და არ შეიძლებოდა, ავის მომასწავებელი ყოფილიყო, თანაც ნებართვა თვითონ იოახიმისაგან ჰქონდა აღებული. მიუხედავად ამისა, ჰანს კასტორპი ახლა მიხვდა ღრმად, რა საზარელი ბედი ჰქონია იმ ნათელმხილველ დეიდას მისჯილი. ნანახით, უფრო სწორად, იმ ფაქტით შეძრულმა, რომ ამ სურათს უყურებდა, იგრძნო, როგორ დაესერა გული იდუმალი ეჭვებით. ნუთუ მართლა რეალური ძალების ნაყოფია ეს სურათი და ნუთუ მაქვს უფლება ამ მთრთოლარე და მოტკაცუნე წყვდიადში ჭვრეტისაო. და მის გულში ერთმანეთს შეერწყა სიკვდილ-სიცოცხლისსაიდუმლოებაში ჩაწვდომის მტანჯველი სურვილი და გულის ამაჩუყებელი, ღვთისმოსაური გრძნობები.
რამდენიმე წუთის შემდეგ კი თვითონ იდგა იმ ჭექა-ქუხილში სამარცხვინო ბოძზე აკრული, ხოლო კვლავ სხეულდახურული იოახიმი უკვე ტანთ იცვამდა. ჰოფრატი ისევ იჭვრიტებოდა რძისფერ შუშაში და ამჯერად ჰანს კასტორპის წიაღს ათვალიერებდა. მისი ბუტბუტი, წამოცდენილი გინება და შეძახილები მოწმობდა, რომ ნანახი მის მოლოდინს ამართლებდა. ჰოფრატმა შემდეგ ხათრი არ გაუტეხა ჰანს კასტორპს და მისი დაჟინებული თხოვნით საკუთარი ხელი დაანახვა ეკრანზე.
და ჰანს კასტორმა იხილა ის, რასაც მოელოდა და რაც ადამიანის თვალისათვის არ იყო განკუთვნილი. არც თვითონ იფიქრებდა, თუ ოდესმე ეღირსებოდა ასეთი სურათის ხილვა: იგი საკუთარ სამარეში იყურებოდა. სინათლის სხივის წყალობით წინასწარ დაინახა თავისი გახრწნის პროცესი, ხედავდა თავის დაშლილ, დამდნარ და ნისლადქცეულ ხორციელ გარსს, შიგ წვრილად დანაწევრებულ თავის მარჯვენას და არათითზე შავად ჩამოკონწიალებულ ბაბუასეულ ტვიფრიან ბეჭედს. ამ მიწიერი, გამძლე ნივთით ადამიანი თავის სხეულს ილამაზებს, სხეული კი თანდათან ილევა მის ქვეშ, ბეჭედიც თავისუფლდება და სხვა სხეულზე გადადის, რომელსაც ასევე ერთხანს ძალუძს მისი ტარება. ტინაპელების გვარის იმ წინაპარი ქალის თვალით დაინახა მან

საკუთარი სხეულის ზედმიწევნით ნაცნობი ნაწილი, დაინახა გამჭოლი, წინასწარმხედველი თვალით, და თავის სიცოცხლეში პირველად მიხვდა, რომ სიკვდილის შვილი იყო. ამის გაფიქრებაზე სახე ისე შეეცვალა, როგორც მუსიკის მოსმენის დროს იცოდა ხოლმე. საკმაოდ სულელური, მთვლემარე და ღვთისმოშიში გამომეტყველება მიიღო, პირი ნახევრად დააღო და თავი გვერდზე გადაიგდო.
ჰოფრატმა თქვა:
- ეს სურათი, ცოტა არ იყოს, მოჩვენებას ჰგავს, არა? დიახ, ამაში ნამდვილად არის რაღაც მოჩვენებისმაგვარი, ამას ვერ უარვყოფთ.
შემდეგ ჰოფრატმა მოთოკა თავაწყვეტილი ძალები. იატაკი დაწყნარდა, სინათლის ციმციმი შეწყდა და მაგიური სარკმელი კვლავ ჩაიძირა წყვდიადში. ჭერზე შუქი აინთო, სანამ ჰანს კასტორპიც შეიმოსებოდა, ბერენსმა გაითვალისწინა მათი დილეტანტობა და მოკლედ აუხსნა დაკვირვების შედეგები. სახელდობრ, რაც ჰანს კასტორპს შეეხებოდა, აქ ოპტიკურმა გამოკვლევამ იმდენად ზუსტად დაადასტურა აკუსტიკური მონაცემები, როგორც ეს მეცნიერების ღირსებას ეკადრებოდა. ეკრანზე კარგად გამოჩენილაროგორც ძველი, ისე ახალი კერები, ხოლო ხლართი“ ბრონქებიდან მოყოლებული ფილტვების სიღრმემდეა გადაჭიმული და ზედ კვანძები ასხიაო. ჰანს კასტორპი ამას თავისი თვალით დაინახავს დიაპოზიტივზე, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, მალე მიერთმევაო. ამგვარად, გვმართებს სიმშვიდე, მოთმინება, ვაჟკაცური თავშეკავება, სიცხის გაზომვა, ჭამა, წოლა, ლოდინი და ჩაის სმა. ჰოფრატმა ამ სიტყვებზე ორივეს ზურგი შეაქცია და ისინიც ლაბორატორიიდან გამოვიდნენ. იოახიმის ფეხდაფეხ მიმავალმა ჰანს კასტორპმა ერთი მაინც მიიხედა უკან. ტექნიკოსმა კარი გააღო და ოთახში ფრაუ შოშა შევიდა.

თავისუფლება

მაინც როგორ წარმოედგინა ეს ყველაფერი ჰანს კასტორპს? იქნებ ეჩვენებოდა, ის შვიდი კვირა, რომელიც მან მითითების თანახმად ნამდვილად გაატარა აქ, ზევით, ბერგჰოფელთა წრეში, მხოლოდ და მხოლოდ შვიდ დღეს უდრიდა? ან იქნებ პირიქით ეგონა, რომ აქ გაცილებით დიდხანს ცხოვრობდა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო? იგი თავის გულშიაც სვამდა ამ კითხვას და იოახიმსაც ამასვე ეკითხებოდა, მაგრამ საბოლოო განაჩენი კი ვერ გამოჰქონდა და ვერა. ალბათ, ერთიც იყო და მეორეც: უკან რომ მოიხედავდა, აქ გატარებული დრო არაბუნებრივად გრძელიც ეჩვენებოდა და მოკლეც, მის ნამდვილ ხანგრძლივობას კი ვერ აღიქვამდა, თუკი საერთოდ შესაძლებელია დრო-ჟამის ბუნებასა და სინამდვილის ცნებასთან დაკავშირება.
ასე იყო თუ ისე, ოქტომბერი კარზე იყო მომდგარი. ამის მიხვედრა არც ჰანს კასტორპს გაუჭირდებოდა, მაგრამ პაციენტების საუბარსაც მოჰკრა ყური და გაახსენდა, რომ დღე-დღეზე ოქტომბერი შემოადგამდა ფეხს.
- იცით, რომ ხუთ დღეში პირველი რიცხვი მოდის? - გაიგონა ჰანს კასტორპმა ჰერმინე კლეეფელდის ხმა, რომელიც თავისი კომპანიის ორ ახალგაზრდა წევრს, სტუდენტ რასმუსენსა და იმ ტუჩებგადმობრუნებულ ყმაწვილს, გვარად გენზერს, ესაუბრებოდა. პაციენტები ნასადილევს საჭმლის ოხშივრით სავსე სასადილო დარბაზში მაგიდებს შორის შეჯგუფებულიყვნენ, ფეხს ითრევდნენ და სამკურნალო წოლის საათს აკლებდნენ წუთებს, - პირველი ოქტომბერი მოახლოვდა. ეს დირექციის კალენდარზე ვნახე. მეორე ოქტომბერს ვატარებ ამ მოსალხენ დაწესებულებაში. დიახ, ზაფხული თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა და პირში ჩალაგამოვლებულები დაგვტოვა, ისევე როგორც საერთოდ ცხოვრებაში ვრჩებით მოტყუებულნი, - განაგრძო ჰერმინე კლეეფელდმა, ცალი ფილტვით ამოიხვნეშა და სიბრიყვისაგან დაბინდული თვალები ჭერისაკენ აღაპყრო, - ყურები ნუ ჩამოგიყრიათ, რასმუსენ! - დასძინა მან და თავის ამხანაგს მობუზულ მხარზე დაჰკრა ხელი, - გაიხუმრეთ მაინც!
- ბევრი რომ არაფერი ვიცი, - მიუგო რასმუსენმა და ხელები ფარფლებივით დაიკრიფა მკერდზე, - რაც ვიცი, იმის თქმაც ისე მასავათებს ხოლმე, რომ...
- ასე ცხოვრებას ძაღლიც ვერ გაუძლებდა, - კბილებში გამოცრა გენზერმა. სამივემ

მხრები აიჩეჩა და გაიცინა.
სეტემბრინის კბილების საჩხრეკი ბაგეებშუა მოექცია და ისიც მათ ახლოს იდგა. დარბაზიდან რომ გამოდიოდნენ, იგი ჰანს კასტორპს მიუბრუნდა:
- არ დაუჯეროთ, ინჟინერო, არასოდეს არ დაუჯეროთ მაგათ ლანღვა-გინებას! უკლებლივ ყველა ასე ილანძღება, თუმცა აქ ისე გრძნობენ თავს, როგორც შინ. გულხელდაკრეფილები ცხოვრობენ და კიდევ თანაგრძნობის პრეტენზია აქვთ, გამწარებულ სვეზე, ირონიასა და ცინიზმზე დებენ თავს. „ამ მოსალხენ დაწესებულებაშიო!“ განა სანატორიუმი მართლაც მოსალხენი დაწესებულება არ არის? მე რომ მკითხოთ, სწორედ ასე გახლავთ და ამ სიტყვის ყველაზე საეჭვო გაგებით! „მოტყუებულნი“ ვრჩებითო, ამბობს ეს გომბიო. „ამ მოსალხენ დაწესებულებაში ცხოვრებისაგან მოტყუებულნიო“, აბა, ერთი ქვევით გაუშვით ბარში, იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი, თავის ცხოვრებას ისე წაიყვანს, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე უკანო. ჰო, მართლა, ირონია! უფრთხილდით აქ გაფურჩქნილ ირონიას, ინჟინერო! საერთოდ უფრთხილდით ამ ინტელექტუალურ პოზას! სადაც კი იგი მჭევრმეტყველების უშუალო, კლასიკურ ხერხს არ წარმოადგენს და თუნდაც წამით ჯანსაღი აზრისათვის გაუგებარი ხდება, იქ იგი აღვირახსნილობად, ცივილიზაციის დამაბრკოლებლად, ბინძურ, დამყაყებულ ლაციცად, მავნე ინსტინქტებად და ბიწიერებად იქცევა, ვინაიდან ის ატმოსფერო, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, აშკარად ხელს უწყობს ამ ჭაობის მცენარის გაფურჩქვნას. ვშიშობ და თან ვიმედოვნებ, რომ გამიგებთ.
იტალიელის სიტყვები მართლაც ამგვარი ყაიდისა გახლდათ, ჰანს კასტორპს მსგავსი რამ შვიდი კვირის უკან ბარში რომ მოესმინა, ერთ ყურში შეუშვებდა და მეორიდან გამოუშვებდა. აქ, ზევით ყოფნამ კი მისი გონება მგრძნობიარე გახადა, ინტელექტუალური წვდომაც გაუმახვილა და არანაკლებ გაუღვივა სიმპათიებში გარკვევის უნარიც, რაც იქნებ უფრო მეტად მნიშვნელოვანიც გახლდათ. ამიტომ, თუმცა გულის სიღრმეში უხაროდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, სეტემბრინი მასთან ძველებურად განაგრძობდა საუბარს, კვლავ ასწავლიდა ჭკუას, აფრთხილებდა და ცდილობდა, მასზე ზეგავლენა მოეხდინა, ჰანს კასტორპს ისე გამახვილებოდა გონება, რომ მის სიტყვებს უკვე კრიტიკულად ეკიდებოდა და, ყოველ შემთხვევაში, თავის დაქნევას მაინც აღარ ჩქარობდა. „დახე, - ფიქრობდა იგი, - სეტემბრინი ირონიაზეც ზუსტად ისევე ლაპარაკობს, როგორც ადრე მუსიკაზე მსჯელობდა. ესღა გვაკლია, ირონიაც პოლიტიკურად საეჭვოდ“ გამოაცხადოს და სახელდობრ, იმ მომენტიდან, სადაც იგი შეგონების უშუალო და კლასიკურ ხერხად აღარ გვევლინება. მაგრამ თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რაღა ირონიაა ის ირონია, რომელიც არც ერთი წუთით გაუგებარი არ არის?“ მაშინ ის გამოფიტული მენტორული ჩმახვა იქნებოდა და მეტი არაფერი“. დიახ, ასეთი უმადური გახლავთ ახალგაზრდობა ჩამოყალიბების პროცესში - იგისაჩუქარს იმისთვის იღებს, რომ მერე დაიწუნოს იგი.
ჰანს კასტორპმა მთლად ვეღარ იკისრა, თავისი წინააღმდეგობა სიტყვიერად ჩამოეყალიბებინა და სეტემბრინის მხოლოდ ჰერმინე კლეეფელდზეგამოთქმულ აზრში შეედავა. ეს აზრი ან მართლა არამართებული ეჩვენა, ან გარკვეული მიზეზების გამო უნდოდა, ასე მოსჩვენებოდა.
- ის ქალიშვილი ხომ ავადმყოფია! - თქვა მან, - ის ნამდვილად მძიმედ არის ავად და ყველა საფუძველი აქვს, სასოწარკვეთილი იყოს! კაცმა რომ თქვას, რას ერჩით?
- ავადმყოფობაც და სასოწარკვეთილებაც ხშირად აღვირახსნილობის ფორმებს წარმოადგენს, - თქვა სეტემბრინიმ.
„მაშინ ლეოპარდიზე რაღას იტყვის, განა მას მეცნიერებასა და პროგრესზეც არ გაუტყდა გული? ანდა, თვითონ, თვითონ ბატონი პედაგოგი? ისიც ხომ ავად არის და დროდადრო აქაურობას უბრუნდება ხოლმე. ასეთი კაცი კარდუჩის დიდად ვერ გაახარებდა!“ - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, ხმამაღლა კი თქვა:
- რა კეთილი ხართ? ეს ქალიშვილი ყოველდღე შეიძლება წუთისოფელს გამოეთხოვოს, თქვენ კი მის საქციელს აღვირახსნილობას უწოდებთ! მაშინ იქნებ უკეთესად მაინც ამიხსნათ, ამაში რას გულისხმობთ. თქვენ რომ გეთქვათ, ავადმყოფობა ზოგჯერ აღვირახსნილობის შედეგიაო, ეს კიდევ გასაგები იქნებოდა...

- ზედმიწევნით გასაგები, - ჩაურთო სეტემბრინიმ, - სინდისს გეფიცებით, თქვენთვის ნამდვილად ხელსაყრელი იქნებოდა, აქ თუ შევჩერდებოდით.
- ან რომ გეთქვათ: ავადმყოფობა შეიძლება აღვირახსნილობის საბაბად იქცესო, არც ამას დავიწუნებდი.
- Grazie tanto.
- მაგრამ თქვენ რომ ბრძანებთ, ავადმყოფობა აღვირახსნილობის ფორმააო, აქედან გამოდის, რომ იგი აღვირახსნილობის შედეგი კი არ არის, არამედ თვით არის აღვირახსნილობა და ეს ხომ პარადოქსი გახლავთ!
- ოჰ, ინჟინერო, ძალიან გთხოვთ, ტყუილად ნურაფერს მომაწერთ! პარადოქსებს ვერ ვიტან, მძულს პარადოქსები! რაც ირონიაზე მოგახსენეთ, ის ყველაფერი პარადოქსს მიუსადაგეთ და ზედ კიდევ რამდენიმე თვისება დაამატეთ! პარადოქსი კვიეტიზმის შხამიანი ყვავილია, დამყაყებული გონების ყალბი ელვარება, აღვირახსნილობათა შორის უდიდესი აღვირახსნილობა! ისე, სხვათა შორის, ვრწმუნდები, რომ თქვენ კვლავ ავადმყოფობას აფარებთ მოწყალე კალთას...
- არა, რაც თქვენ ბრძანეთ, მაინტერესებს. თქვენი მსჯელობა დოქტორ კროკოვსკის ორშაბათისეულ ქადაგებას მაგონებს. ორგანულ ავადმყოფობას ისიც მეორეულ მოვლენად აცხადებს.
- იგი მთლად წმინდა წყლის იდეალისტი არ არის.
- მაინც რას ერჩით?
- სწორედ მაგას ვერჩი.
- ანალიზზე ცუდი აზრის ბრძანდებით?
- გააჩნია, როდის. ცუდი აზრისაც ვარ და კარგისაც, ხან ასე და ხან ისე, ინჟინერო.
- ეგ როგორ უნდა გავიგო?
- ანალიზი კარგია, თუ იგი ცივილიზაციისა და განათლების იარაღს წარმოადგენს, კარგია იმდენად, რამდენადაც იგი სულელურ შეხედულებებს არყევს, შესისხლხორცებულ ცრურწმენებს აბათილებს და ავტორიტეტებს უთხრის ძირს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კარგია იმდენად, რამდენადაც იგი ათავისუფლებს, ხვეწს, კაცად აქცევს ადამიანს და დამონებულთ თავისუფლებისათვის ამწიფებს. ანალიზი ცუდია, ძალიან ცუდი, როცა იგი საქმეს ამუხრუჭებს, ცხოვრებას ფესვებს უღრღნის, რადგან თვითონ არ ძალუძს მისი აშენება. ანალიზი შეიძლება გულმიუსვლელ საქმედ იქცეს, სიკვდილივით გულმიუსვლელ საქმედ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, იგი სიკვდილთან არის კიდეც წილნაყარი, ანალიზი სამარესა და მის ყბადაღებულ ანატომიას ენათესავება...
„კარგად დაიბრდღვინა ლომმა“, - გულმა ვეღარ გაუძლო და ჩვეულებისამებრ გაიფიქრა ჰანს კასტორპმა. ასე იცოდა, როცა ბატონი სეტემბრინი რაიმე პედაგოგიურ აზრს გამოთქვამდა ხოლმე, ხმამაღლა კი მხოლოდ ესა თქვა:
- ახლახან ჩვენს სარდაფში შუქის ანატომიით ვიყავით გართულნი. ბერენსმა რომ გაგვაშუქა, ასე უწოდა ამ საქმეს.
- აჰ, თქვენ ეს სტადიაც გაიარეთ? მერე?
- ჩემი ხელის ჩონჩხი დავინახე, - თქვა ჰანს კასტორპმა და თან შეეცადა მაშინ აღძრული გრძნობები აღედგინა, - თქვენთვის თუ უჩვენებიათ ოდესმე მსგავსი რამ?
- არა, იოტისოდენადაც არ მაინტერესებს ჩემი ჩონჩხი. სამედიცინო დასკვნა როგორია?
- მან დაინახა ხლართი, კვანძებიანი ხლართი.
- ეშმაკის კერძი!
- თქვენ ერთხელაც მოიხსენიეთ ასე ჰოფრატი ბერენსი. რას გულისხმობთამაში?
- დარწმუნებული ბრძადებოდეთ, რომ ეს კიდევ ფაქიზი გამოთქმა გახლავთ.
- არა, თქვენ უსამართლო ბრძანდებით, ბატონო სეტემბრინი! გეთანხმებით, რომ იმ კაცს თავისი სუსტი მხარეები აქვს, მისი ლაპარაკის მანერას დიდხანს ვერც მე ვუძლებ, ხანდახან მის ლაპარაკს ნაძალადეობა ეტყობა, განსაკუთრებით, ის რომ გაგახსენდება, მეუღლის დაკარგვის გამო რამოდენა მწუხარება აქვს გადატანილი, მაგრამ რაც უნდა ვთქვათ, ის მაინც დამსახურებული და პატივსაცემი კაცია, ტანჯული კაცობრიობის კეთილისმყოფელი! ამას წინათ შევხვდი ოპერაციიდან მომავალს, ნეკნების რეზექცია ჩაეტარებინა, ეს ისეთი

საქმეა, ქირურგს ძვლების მოღუნვა თუ მოტეხა რომ უწევს. გავოგნდი, ამ საქმის დიდი სპეციალისტი მძიმე, სასარგებლო შრომით დაქანცული რომ დავინახე. ჯერ კიდევ გახვითქულს საკუთარი თავის დასაჯილდოებლად სიგარისათვის მოეკიდებინა. პირდაპირ შემშურდა მისი.
- ეს მართლაც მშვენივრად გამოგივიდათ. თქვენს საჯარიმო ვადაზე რაღას იტყვით?
- ჩემთვის განსაზღვრული ვადა არ დაუდგენია.
- არც ესაა ურიგო. მაშ, წამოვწვეთ, ინჟინერო, დავიკავოთ ჩვენ-ჩვენი ადგილები.
ერთმანეთს 34-ე ოთახის წინ გამოემშვიდობნენ.
- წაბრძანდით თქვენს ბინაზე, ბატონო სეტემბრინი. საზოგადოებაში წოლა უფრო სახალისო იქნება. ალბათ, მშვენივრად ერთობით, არა? თქვენთან ერთად საინტერესო ხალხი წევს ბანზე?
- არა, რას ბრძანებთ, სულ პართები და სკვითები არიან.
- რუს მამაკაცებს გულისხმობთ?
- რუს ქალებსაც, - მიახალა ბატონმა სეტემბრინიმ და ტუჩი აიბზუა, - Adieu, ინჟინერო!
უკანასკნელი სიტყვები უეჭველად ქარაგმულად იყო ნათქვამი. ჰანს კასტორპი დაბნეული შევიდა ოთახში. ვითომ იცოდა სეტემბრინიმ მისი გულისნადები? იქნებ იგი აღმზრდელობითი მიზნით უთვალთვალებდა და მის მზერასაც აყოლებდა ხოლმე თვალს? ჰანს კასტორპს იტალიელზეც მოუვიდა გული და საკუთარ თავზედაც: თავი ღირსეულად უნდა დაეჭირა და სეტემბრინისათვის არ უნდა მიეცა კბენის საბაბი.
ასე გულმოსული შეუდგა საწერ-კალმისა და ქაღალდის ძებნას - შინ დღესვე უნდა გაეგზავნა მესამე წერილი, დაყოვნება უკვე აღარ შეიძლებოდა. ჰანს კასტორპი თან აივანზე გასატან ნივთებს იმზადებდა და თან გაჯავრებული ბურდღუნებდა: ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ამკობდა იმ ქარაოცსა და რეზონიორს, სხვის საქმეში რომ ყოფდა ცხვირს, სხვას ასწავლიდა ჭკუას, თვითონ კი ქუჩაში გოგონებს ელაციცებოდა და სამუშაოს გულს ვეღარ უდებდა. ამ მეარღნემ თავისი ნართაულებით იმდენი ქნა, რომ სულ დაუკარგა წერის ხალისი, მაგრამ თავზევით ძალა არ იყო: ჰანს კასტორპს საზამთრო ტანსაცმელი, ფული, საცვლები და ფეხსაცმელი სჭირდებოდა. მოკლედ, სჭირდებოდა ყველაფერი, რასაც თან წამოიღებდა, რომ სცოდნოდა ზაფხულის სამ კვირას კი არა, არამედ... არამედ განუსაზღვრელი დროით მოუხდებოდა აქ დარჩენა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, აქ დამიზამთრდება და მე რომ დრო-ჟამის აქაური ანგარიშის ამბავი ვიცი, ალბათ აქ, ზევით, გამოვიზამთრებ კიდეცო, - ფიქრობდა ჰანს კასტორპი და აი, ეს ვარაუდი უნდა სცოდნოდათ შინაურებს. ჰანს კასტორპს კარგი ჯაფა დაადგებოდა, სანამ ბარელებს“ წმინდა წყლის სიმართლეს გააგებინებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, აღარც მათ აუხვევდა თვალს და აღარც თავს მოიტყუებდა.
წერილი სწორედ ასეთი სულისკვეთებით შეთხზა, წერისას იოახიმისაგან გადმოღებული ტექნიკა გამოიყენა: შეზლონგზე წამოწვა, მუხლები მოხარა, ზედ პორტფელი მიიყუდა და ავტოკალმით გადააჭრელა სანატორიუმის საფოსტო ბლანკი. ასეთივე ბლანკების მარაგი ჰანს კასტორპს უჯრაში ეწყო. წერილი ჯეიმს ტინაპელს მისწერა, რადგან იგი სამ ბიძათაგან ყველაზე ახლობლად მიაჩნდა და სთხოვა, მისი ამბები კონსულისათვის შეეტყობინებინა. ჰანს კასტორპმა ბიძას მოუთხრო სამწუხარო ამბავი: ეჭვები დადასტურდა და ექიმმა დაადგინა, ზამთრის ნაწილი და შეიძლება მთელი ზამთარიც აქ, ზევით, უნდა გაატარო. თურმე ჩემნაირ ავადმყოფობას უფრო ხშირად სცოდნია გაჯიუტება, ვიდრე მწვავე და აშკარა ფორმით გამოვლენილს. ამიტომ აუცილებელია, მკურნალობას მაგრად მოვკიდოთ ხელი და ერთხელ და საბოლოოდ მოვსპოთ სენის კერაო. საკითხს ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, მე პირდაპირ ბედმა გამიღიმა, რომ აქ შემთხვევით ამოვედი და იძულებული გავხდი, ექიმებს ვჩვენებოდი, თორემ, ალბათ, კიდევ კარგ ხანს ვერ გავიგებდი ვერაფერს და მერე საქმე თავში საცემი გამიხდებოდაო. რაც შეეხება მკურნალობის წინასწარ ნავარაუდევ ვადას, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ზამთრის გადაგორება აქ მომიწევს და იოახიმზე ადრე ბარში თუ ვერ დავბრუნდებიო. დრო-ჟამის ცნებები აქ სხვანაირია, იმ ვადებს არა ჰგავს, სხვა კურორტებზე ან ზღვაზე დასასვენებლად რომ არის მიღებული, თვე აქ

დროის უმცირეს მონაკვეთადითვლება და ცალკე აღებულს ხომ არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიაო.
სუსხიანი ამინდი იდგა. ჰანს კასტორპს პალტო ეცვა, საბანშიც შეფუთნილიყო, მაგრამ ხელები სიცივისაგან მაინც დასწითლებოდა. ხანდახან თვალს მოსწყვეტდა ქაღალდს, რომელსაც ჭკვიანური და დამაჯერებელი ფრაზებით აჭრელებდა და ნაცნობ პეიზაჟს გახედავდა. თვალი ძლივსღა არჩევდა გარემოს: გრძლად გადაჭიმული ხეობის ყელთან აზიდულ მწვერვალებს დღეს თითქოს შუშისებური მკრთალი ფერი ედო, მჭიდროდ დასახლებულ ტაფობში ხანდახან მზის სხივი აბრწყინდებოდა, ხოლო ალაგ ტყით დაბურული, ალაგ კი მწვანედ აბიბინებული ფერდობებიდან ძროხების ზანზალაკების წკარუნი ისმოდა. წერა თანდათან უადვილდებოდა და უკვირდა, ამ წერილის დაწერას რა უნდოდა, აქამდე რომ ვერ ვბედავდიო. წერისას თვითონვე ხვდებოდა, რომ ამაზე უფრო ნათელი და მკაფიო მსჯელობა წარმოუდგენელი იყო და თქმა აღარ უნდოდა, შინაურებიც სავსებით გაუგებდნენ და დაეთანხმებოდნენ. საერთოდ, მსგავს გარემოებაში ჩავარდნილი მისი წრის ახალგაზრდა კაცი, როგორც მოუხდებოდა, ისე შველოდა თავს და მისთანებისათვის ხელმისაწვდომ არც ერთ საშუალებას არ ზოგავდა. დიახაც, ასეც უნდა ექნა. შინ რომ დაბრუნებულიყო და თავისი ამბავი მოეყოლა, ისევ აქეთ უკრავდნენ თავს. ჰანს კასტორპმა ბიძას მისწერა, საჭირო ნივთები გამომიგზავნეთო, ბოლოს კი სთხოვა, ყოველთვიურად 800 მარკა მომაშველეთ, ამ თანხას ყველაფრისთვის ვიმყოფინებო.
წერილს თავისი სახელი მიაწერა და ეს საქმე მოგვარებულად ჩათვალა. შინ გასაგზავნი მესამე წერილი ხანგრძლივ ვადაზე იყო გათვლილი, ოღონდ იქაური კი არა,აქ, ზევით, გაბატონებული დროის გაგების მიხედვით. ამ წერილმა განამტკიცა ჰანს კასტორპის თავისუფლება. არა, ეს სიტყვა ჰანს კასტორპის ბაგეს არ დასცდენია, გულშიც კი არ წარმოუთქვამს თუნდაც ერთი მარცვალი, მაგრამ, სამაგიეროდ, სრულად შეიგრძნო მისი ვრცელი აზრი, როგორც არაერთხელ შეუგრძნია ხოლმე აქ ყოფნის განმავლობაში, ოღონდ ამ აზრს ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო ამ სიტყვის ცნების სეტემბრინისეულ გაგებასთან. ამის გაფიქრებაზე ჰანს კასტორპს თავიდან ფეხებამდე დაუარა შიშისა და მღელვარების ნაცნობმა ტალღამ და ერთი ისეთი ამოიხვნეშა, თითქოს გული თან ამოატანაო.
წერისაგან თავში სისხლი აუვარდა და სახე აელეწა. პატარა მაგიდიდან მერკური აიღო და სიცხე გაიზომა, თითქოს არ უნდოდა, ეს შემთხვევა ხელიდან გაეშვა. მერკური 37,8-მდე აწეულიყო. „აი, ხედავთ?“ - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და წერილს პოსტსკრიპტუმი დაურთო. წერამ ეტყობა, დამღალა, გავიზომე და 37,8 მაქვს. ვხედავ, რომ ჯერჯერობით აღელვებას უნდა ვერიდო და არ მიწყინოთ, თუ იშვიათად მოგწერთო. შემდეგ წამოწვა და ხელისგული ცას ისე მიუშვირა, როგორც რენტგენის ეკრანზე ჰქონდა აფარებული, მაგრამ ცის სინათლემ ვერაფერი დააკლო ხელის სასიცოცხლო ფორმას, დაისის შუქზე უფრო ჩამუქდა და გაუმჭვირვალე გახდა ხელის ქსოვილი, მხოლოდ კონტურები გამოიკვეთა და განათდა მოწითალო შუქით. ეს გახლდათ ჰანს კასტორპის ცოცხალი ხელი, იგი ასეთი ხელის ყურებას, მოვლასა და ხმარებას იყო ნაჩვევი და არა იმ უცხო ჩონჩხს, ეკრანზე რომ დაინახა. ახლა ისევ შეიკრა პირი მაშინ მის თვალწინ გადახსნილმა ანალიტიკურმა უფსკრულმა.

მერკურის ჭირვეულობა

დადგა ოქტომბერი, დადგა ისე, როგორც ახალ თვეს სჩვევია დადგომა, თვე ხომ სავსებით უბრალოდ და უჩუმრად, ყოველგვარი ბათქიბუთქისა და აურზაურის გარეშე დგება, ფხიზლად თუ არ იქენი, ისე წამოგეპარება, ვერც კი გაიგებ. სინამდვილეში, დრო-ჟამი არავითარ მონაკვეთებად არ არის დაყოფილი. ახალი თვის თუ ახალი წელიწადის დადგომისას არც ჭექა-ქუხილი ატყდება და არც ბუკ-ნაღარას სცემს ვინმე, თვით ახალი ასწლეულის დადგომასაც მხოლოდ ადამიანები აღნიშნავენ ბათქითა და ზარების რეკვა-გუგუნით.
ჰანს კასტორპის თვალში ოქტომბრის პირველი დღე წვეთი წყალივით ჰგავდა სექტემბრის უკანასკნელ დღეს. ისიც ისეთივე ცივი და მიუსაფარი იყო და

მომდევნო დღეებიც მას დაემგვანა. ხალხი საზამთრო პალტოებში იფუთნებოდა, ხოლო სამკურნალო წოლისას აქლემის ბეწვის ორივე საბანს მარტო საღამოობით კი არა, დღისითაც იხურავდნენ, წიგნის დასაჭერად საბნიდან ამოყოფილი თითები უნოტივდებოდათ და უშეშდებოდათ, ლოყები კი უხურდათ და იოახიმს ერთი სული ჰქონდა, თავის ბეწვგამოკრულ საძილე ტომარაში გახვეულიყო. თავს მხოლოდ იმიტომ თუ იკავებდა, დროზე ადრე არ გავსათუთდეო.
მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, თითქმის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ამინდმა პირი იცვალა და ისეთი ნაგვიანევი, მაგრამ დიდებული ზაფხული დადგა, რომ გაოცდებოდით. ტყუილად როდი გაეგონა ჰანს კასტორპს აქაური ოქტომბრის ქედა-დიდება. მთელი ორკვირა-ნახევრის განმავლობაში მთებსა და ხეობას ლურჯი ცა დანათოდა თავზე, ერთი -მეორეზე ხასხასა დღეები მოსდევდნენ ერთმანეთს და მზეც ისე აცხუნებდა, რომ დამსვენებლები იძულებულნი გახდნენ, ისევ გამოეძებნათ ერთხელ უკვე გადაყრილი საზაფხულო ტანსაცმელი - მუსლინის კაბები და ტილოს შარვლები. შეზლონგების სახელურებზე გონებამახვილური მექანიზმის, ანუ დახვრეტილი შიმშის წყალობით იოლად შეიძლებოდა ხელის ტილოს ქოლგების დამაგრება, მაგრამ შუადღის მზის მცხუნვარე სხივებისაგან ადამის ქოლგაც ვერ იფარავდა.
- რა კარგია, აქ ასეთ დღეებს რომ მოვესწარი, - უთხრა ჰანს კასტორპმა თავის ბიძაშვილს, - ხანდახან რა ჭირის დღეში გვაგდებდა სიცივე, ახლა კი გეგონება, ზამთარი უკვე გადავაგორეთ და წელიწადია, თბილი დრო დაგვდგომიაო.
იგი მართალი იყო. შემოდგომის ნიშნები თითქმის არ ჩანდა და რაც ჩანდა, ისიც უმნიშვნელო გახლდათ. თუ ქვევით, დავოსში, დარგულ რამდენიმე ნეკერჩხალს არ ჩავაგდებდით სათვალავში, რომლებსაც კარგა ხანია ლაჩრულად ჩამოეყარათ ფოთლები, აქ სხვა ფოთლოვანი ხე არ ხარობდა, რომ გაძარცულიყო და ლანდშაფტისათვის შემოდგომის იერი მიენიჭებინა. მხოლოდ ორსქესიანი ალპური მურყანი იდგა შემოდგომისეულად შიშველ, თავის რბილ წიწვებს ფოთოლივით რომ იცვლის ხოლმე. მაღალმთიანეთს ცაში ატყორცნილი თუ დაგვაჯული მარადმწვანე წიწვიანი ხეები ამშვენებდნენ. მხოლოდ ისინი უძლებდნენ აქაურ ზამთარს, რომელიც არავითარ წესსა და რიგს არ ემორჩილებოდა და მთელი წლის განმავლობაში ტყე-ღრეში ქარბუქს ათარეშებდა, მხოლოდ ტყეებზე ზოლებად მოდებული მოჟანგისფრო-მოწითალო ფერი გვამცნობდა, რომ ზაფხულისებურად გავარვარებული ცის მიუხედავად, წელიწადი დასასრულს უახლოვდებოდა. თუ კარგად დაუკვირდებოდით, მინდვრის ყვავილებსაც შეატყობდით, როგორ უჩუმრად გვაუწყებდნენ ზამთრის მოახლოებას. აღარ ჩანდა ჯადვარისებური კაციხელა, ბუჩქ-ბუჩქად ამოსული წყალიკრეფიაც გამქრალიყო, ჰანს კასტორპის ჩამოსვლისას რომ ამშვენებდა ფერდობებს და აღარც ველური მიხაკი მოჩანდა სადმე. მხოლოდ გვრიტა და მოკლეფესვებიანი ნებო ყვაოდა აქა-იქ და ატმოსფეროს გახურებულ ზედა ფენებს ქვეშ ჩამალულ სიგრილეზე მიგვანიშნებდა, რომელიც ზოგჯერ ძალუმად წამოუქროლებდა და შეზლონგზე წამოწოლილ კაცს ისე შეაძაგძაგებდა, როგორც სიცხით გათანგულ ავადმყოფს დაუვლის ხოლმე ტანში ჟრჟოლა.
ამგვარად, ჰანს კასტორპი შინაგანად არ იცავდა იმ წესსა და რიგს, რისი წყალობითაც ადამიანი დროს უვლის და პატრონობს, მის მდინარებას თვალყურს ადევნებს, მას მონაკვეთებად ყოფს, გამოთვლის და სახელს არქმევს და ამიტომაც წამოეპარა ასე ფეხაკრეფით წელიწადის მეათე თვე. იგი მხოლოდ გრძნობადს აღიქვამდა - მზის მცხუნვარებაში შერეულ და იდუმალად ჩამალულ სუსხს. ასეთი შეგრძნება აქამდე უცხო ხილი გახლდათ მისთვის და რატომღაც კულინარიული შედარებების გუნებაზე აყენებდა. იოახიმს ეუბნებოდა, ჰაერი „Omelette en surprise“-ს მაგონებს, ათქვეფილი ცხელი ცილის ქვეშ ნაყინი რომ დაგიხვდებაო. ასეთ რამეებს საკმაოდ ხშირად ამბობდა ხოლმე ჰანს კასტორპი, მსგავს შედარებას ისე უეცრად წამოისვრიდა, ისე სხაპასხუპით მიაყრიდა და თან ხმა ისე უკანკალებდა, თითქოს ციებ-ცხელება უვლისო. ხანდახან კი ხმაგაკმენდილი, რომ არა ვთქვათ, გულჩათხრობილი დაიარებოდა. ვითომ ყურადღება გარე სამყაროზე ჰქონდა გადატანილი, მაგრამ სინამდვილეში, მისი ფიქრები გარე სამყაროსერთადერთ წერტილს ევლებოდა თავს, სხვა დანარჩენი,

ადამიანებიც და საგნებიც, ნისლში დაცურავდნენ, ჰანს კასტორპის ტვინში წარმოშობილ ნისლში, რომელსაც ჰოფრატი ბერენსი და დოქტორი კროკოვსკი უეჭველად ხსნად შხამად მონათლავდნენ. თავბრუდახვეულიც ამასვე ეუბნებოდა საკუთარ თავს, ოღონდ ეს აღიარება, ძალას რა სათქმელია და, იოტისოდენა სურვილსაც კი არ უღვიძებდა, ამ ბურანიდან გამოფხიზლებულიყო.
მოგეხსენებათ, ამდაგვარი ბურანი ისეთი მაცდურია, რომ ადამიანი თვითონვე ვერ ელევა და გამოფხიზლებაზე უფრო საზიზღარი არა ეგულება რა. იგიერიდება გრძნობის გამანელებელ შთაბეჭდილებებს, მათ სათოფეზე არ ეკარება და ასე ინახავს თავს. ჰანს კასტორპმა მშვენივრად იცოდა და ეს აზრი წინათ გამოუთქვამს კიდეც, რომ ფრაუ შოშა პროფილში ნაკლებად მიმზიდველი ჩანდა, პროფილში უფრო ეტყობოდა, რომ მის ნაკვთებს სირბილე და სინორჩე დაეკარგა. მერე? იგი ერიდებოდა ქალისთვის პროფილში ეცქირა, თვალს ხუჭავდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხოლო თუ შემთხვევით შორიდან ან ახლოდან მაინც პროფილში მოჰკრავდა თვალს, გული ტკივილისაგან ეკუმშებოდა. მერედა, რატომ? განა მისი გონება ასეთ შემთხვევას არ უნდა დახარბებოდა და სათანადო დასკვნები არ უნდა გამოეტანა? მაგრამ ამაოდ ვირჯებით... ჰანს კასტორპს აღტაცებისაგან ფერი წაუვიდა, იმ კაშკაშა დღეებში მეორე საუზმეზე კლავდია კვლავ თეთრი მაქმანის მატინეში რომ გამოეცხადა. მატინეს ქალი თბილ ამინდში იცვამდა ხოლმე და ამ ტანსაცმელში განსაკუთრებით თვალწარმტაცი ჩანდა. კლავდია იმ დღესაც დაგვიანებით და კარის ჯახუნით შემოვიდა სასადილო დარბაზში, პირმოღიმარმა ხელები სხვადასხვა სიმაღლეზე ნარნარად ასწია, დარბაზისაკენ პირით შემობრუნდა და საზოგადოებას დაენახვა. მაგრამ ჰანს კასტორპი ქალის სიმშვენიერით იმდენად არ გახლდათ აღტაცებული, რამდენადაც თვით მშვენიერების არსებობის ფაქტი აღაფრთოვანებდა, რადგან იგი კიდევ უფრო ტკბილად ახვევდა გონების დამბინდველ ბურუსში და საკუთარი ნებით თავსმოხვეულ ბურანს ამართლებდა და საკვებს აძლევდა.
ლოდოვიკო სეტემბრინის ტიპის მოაზროვნე შემფასებელს ასეთი უნებისყოფობის დანახვაზე საბაბი მიეცემოდა, აღვირახსნილობაზე, კერძოდ, „აღვირახსნილობის“ ერთ-ერთ ფორმაზე ჩამოეგდო სიტყვა. ჰანს კასტორპს ხანგამოშვებით აგონდებოდა ხოლმე ავადმყოფობასა და სასოწარკვეთილებაზე“ გამოთქმული მისი მწიგნობრული აზრები, რომლებსაც გაუგებრად თვლიდა ან თავს იკატუნებდა, მათი მნიშვნელობა არ მესმისო. იგი შეჰყურებდა კლავდია შოშას, მის ჩამოყრილ მხრებს, წინ წაწვდილ თავს; ხედავდა, ყოველთვის როგორ აგვიანებდა სუფრაზე, უმიზეზოდ და უბოდიშოდ, მხოლოდ უწესრიგობისა და თავმიცემულობის გამო. ხედავდა, რომ ამავე ნაკლის წყალობა იყო, ქალი შესვლა-გამოსვლისას ასე რომ აჯახუნებდა კარს, პურსაც ამიტომ აგორგალებდა და ხანდახან ნუნებსაც ამიტომ იკვნეტდა. და ჰანს კასტორპს უსიტყვო ეჭვით ევსებოდა გული, რაკი ეს ქალი ავად არის, - ავად კი ნამდვილად იყო კლავდია შოშა, თითქმის უიმედოდ ავად, რახან ასე ხანგრძლივად და ასე ხშირად უწევდა აქ ცხოვრება, - მისი ავადმყოფობა, თუ სავსებით არა, სანახევროდ მაინც მორალური ბუნების უნდა იყოსო, და როგორც სეტემბრინი იტყოდა ხოლმე, ავადმყოფობა მართლა მიზეზი ან შედეგი კი არ გახლდათ მისი დაუდევრობისა“, არამედ თვით წარმოადგენდა დაუდევრობას. ჰანს კასტორპს მოაგონდა, რა ტუჩაბზუებული ლაპარაკობდა ჰუმანისტი პართებსა და სკვითებზე“, რომელთა გვერდითაც სამკურნალო წოლის საათების გატარება უწევდა ხოლმე, ლაპარაკობდა ამრეზილი, ბუნებრივი და უშუალო, დაუსაბუთებლადაც ეჭვმიუტანელი დაცინვითა და ზიზღით, რაც თავიდან ჰანს კასტორპისათვის სავსებით გასაგები იყო, გასაგები იყო მაშინ, როცა თვითონ ყოველთვის წელში გამართული იჯდა სუფრასთან, კარის მოჯახუნებაც ჭირის დღესავით სძულდა და სულიც არასოდეს წასძლევდა, ნუნები დაეკვნიტა (თუნდაც იმიტომ, რომ ამის სამაგიეროდ მარია მანჩინი“ ჰქონდა ნაბოძები), და უპირატესობის გრძნობასაც ვერ უმკლავდებოდა, როცა ესმოდა, ეს ვიწროთვალება უცხოელი ქალი ჰანს კასტორპის მშობლიურ ენაზე ლაპარაკს როგორ ცდილობდა.
ახლა ჰანს კასტორპს გუნება ისე ჰქონდა შეცვლილი, რომ ასეთი ამბები აღარ ეჩოთირებოდა. ახლა უფრო იტალიელზე მოსდიოდა გული, „პართებსა და სკვითებს“ ასე ქედმაღლურად რატომ იხსენიებსო. მით უმეტეს, რომ სეტემბრინის

მხოლოდ მდარე რუსული მაგიდის“ წევრები როდი ჰყავდა მხედველობაში. არც მარტო იმ სუფრას გულისხმობდა, ის თმაგაჩეჩილი, უპერანგო სტუდენტები რომ უსხდნენ და თავიანთ გაუგებარ ენაზე გაუთავებლად რომ ეკამათებოდნენ ერთმანეთს. სხვა ენა არც ეცოდინებოდათ, ხოლო მათი უხრტილო ენა ჰანს კასტორპს ნეკნებამოღებული გულმკერდის ღრუს აგონებდა, ამას წინათ ჰოფრატმა ბერენსმა რომ აუწერა. სავსებით მართებული იყო, ამ ხალხის წეს-ჩვეულებებს ჰუმანისტის გულში უპირატესობის გრძნობა გაეღვიძებინა. ისინი საჭმელს დანით გეახლებოდნენ და ენით აუწერლად თითხნიდნენ ტუალეტს. სეტემბრინი ამტკიცებდა, ერთ-ერთმა მათგანმა, სამედიცინო ფაკულტეტის უმაღლესი სემესტრის სტუდენტმა ლათინურში სრული უვიცობაგამოამჟღავნაო, მაგალითად, ვაკუუმი რა იყო, არ იცოდა. ჰანს კასტორპს საკუთარი გამოცდილება კარნახობდა, ფრაუ შტორი არ უნდა იტყუებოდეს, სუფრაზე რომ ჰყვება, თურმე 32-ე ოთახის ბინადარი ცოლ-ქმარი ერთ ლოგინში წევს, როცა მათთან მასაჟისტი შედისო.

თუნდაც მართალი ყოფილიყო ეს ყველაფერი, მაინც ტყუილად როდი არსებობდა თვალში საცემი დაყოფა კარგი“ და მდარე“ და ჰანს კასტორპი თავს ირწმუნებდა, მხოლოდ მხრების აჩეჩის ღირსია რესპუბლიკისა და მშვენიერი სტილის ვიღაც პროპაგანდისტი, რომელიც ცხვირს იბზუებს, ყველას ფხიზელი თვალით უცქერის, დიახ, სწორედ ფხიზელი თვალით, თუმცა ისიც სიცხიანია და გაბრუებული - ორივე მაგიდის წევრებს ერთ ტაფაში ხრაკავს და პართებსა და სკვითებს უწოდებსო. ამ ნათქვამში რაც იგულისხმებოდა, მშვენივრად იცოდა ჰანს კასტორპმა. ისიცხომ შეეჩვია ნელ-ნელა იმ აზრს, რომ ფრაუ შოშას ავადმყოფობა მის „დაუდევრობასთან“ დაეკავშირებინა, მაგრამ დადგა დღე, როცა ჰანს კასტორპმა იოახიმს უთხრა: კაცი გულის მოსვლისა და უპირატესობის გრძნობით იწყებ ადამიანებთან ურთიერთობას. ერთ მშვენიერ დღეს კი ისეთი რამ გამოგიხტება, რაც განსჯას სულ არ ემორჩილება“. მაშინ შენი ზრდილობა და წესიერება ნიავივივთ გაგიფრინდება ხელიდან და რესპუბლიკური და მჭევრმეტყველური ყაიდის პედაგოგიური შეგონებანი შენზე ვერავითარ ზეგავლენას ვეღარ მოახდენენო. კი მაგრამ, რა არის ეს? ალბათ, ლოდოვიკო სეტემბრინისებურად ვიკითხავთ ჩვენც, რა უნდა გამოუხტეს კაცს ისეთი, განსჯის უნარი რომ დაუდამბლავოს და გამოუთიშოს, უფრო მეტიც, განსჯის უფლებაც წაართვას და თან ისეთ გუნებაზე დააყენოს, რომ უხაროდეს კიდეც უფლების დაკარგვა? ჩვენ ამ გრძნობის სახელს როდი ვკითხულობთ - ეს სახელი ყველამ იცის. ჩვენ მისი მორალური თავისებურებანი გვაინტერესებს და გულახდილად რომ ვაღიაროთ, დიდად თამამ პასუხს არც კი მოველით, ოღონდ ჰანს კასტორპმა ხსენებული თავისებურებანი სხვაგვარად გამოამჟღავნა: მან არა მარტო ხელი აიღო კრიტიკაზე, არამედ მოინდომა, ცხოვრების იმდაგვარი წესი საკუთარ თავზე გამოეცადა. მაგალითად, მოსინჯა, აბა, როგორია მაგიდასთან მხრებჩამოყრილი ჯდომაო და აღმოაჩინა, რომ ასეთი პოზა მენჯის კუნთებს დიდ შვებას აძლევდა. შემდეგ სცადა, კარი ზურგს უკან კი არ მოეხურა, არამედ მოეჯახუნებინა, და ესეც ძალზე მოსახერხებელი და თითქმის ბუნებრივიც კი ეჩვენა. ასეთი საქციელი შინაარსით იმ მხრების აჩეჩას შეესაბამებოდა, რითაც თავის დროზე იოახიმი შეეგება სადგურზე და იგივე ჟესტი მას მერეც აქაურებისათვის“ ასე ხშირად შეუნიშნავს.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩვენს მოგზაურს სიგიჟემდე უყვარდა კლავდია შოშა, - ჩვენ კვლავ ვახსენეთ ეს სიტყვა, რადგან გვგონია, რომ წინასწარ მიღებული ზომების წყალობით მას მცდარად არავინ გაგვიგებს. ჰანს კასტორპის სიყვარულს იმ სატრფიალო სიმღერის გულის ამაჩუყებელი სევდა ოღონდაც რომ ვერ ამოწურავდა. მისი სიყვარული ჭკუა-გონების დაკარგვის საკმაოდ სახიფათო და მიუსაფარი სახეცვლილება გახლდათ, ეს იმას ჰგავდა, სიცხიან ავადმყოფს რომ უვლის ტანში ციებ-ცხელება ან მთაში დამდგარ ოქტომბერს რომ ერევა შიგადაშიგ სითბო და სიცივე. ამ ჯურის ტრფობას სწორედ უკიდურესობამდე მისული შემადგენელი ნაწილების შემაკავშირებელი დიდბუნებოვნება აკლდა. ჰანს კასტორპის გრძნობა, ერთი მხრივ, უშუალო სინამდვილისკენ გახლდათ მიმართული: ფრაუ შოშას მუხლისკენ, მისი ზურგისაკენ, მისი კისრის მალებისა და მკლავებისაკენ, რომლებსაც პატარა მკერდი მოემწყვდიათ, ერთი სიტყვით, მისი

სხეულისაკენ, მისი მოთენთილი, სნეულებისაგან უაღრესად წარმოჩენილი ხაზგასმული და ხელმეორედ განსხეულებული სხეულისაკენ, რაც ახალგაზრდა კაცს ფერს უკარგავდა და სახეს უღრეცდა. მეორე მხრივ კი, ეს გრძნობა უკიდურესად ზერელე და ფართო იყო, ფიქრი, თუმცა ფიქრი კი არა, ოცნება, შემაძრწუნებელი და უსაზღვროდ მაცდუნებელი ოცნება გახლდათ ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც ნათელი, თუმცა შეუცნობლად დასმული კითხვების პასუხად მხოლოდ სამარისებური დუმილი მიეღო. ჩვენს ადგილზე ყოველი კაცი ისარგებლებდა უფლებით, თხრობისას პირადი მოსაზრებანი გამოეთქვა და ჩვენც გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ჰანს კასტორპი აქ ყოფნის ვადას წუთსაც არ გადააცილებდა, რომ მის ალალმართალ გულს დრო-ჟამის სიღრმეებიდან ამოეკითხა დამაკმაყოფილებელი პასუხი: რა შეადგენდა სიცოცხლის სამსახურის აზრსა და მიზანს.

სხვა მხრივ სიყვარული ყველა იმ ტკივილსა და სიხარულს ანიჭებდა, რაც ამ გრძნობას ყველგან და ყველა გარემოებაში მოაქვს ხოლმე თან. ტკივილი ძვალსა და რბილში ატანს, გარდა ამისა, მას ჩვეულებრივ ღირსების შემლახავი ელემენტიც აქვს და შეუძლია ისე შეარყიოს ნერვული სისტემა, რომ ადამიანს სუნთქვა შეუკრას და მოზრდილ კაცსაც კი ცხარე ცრემლი აღვრევინოს. ოღონდ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სიხარულიც მრავლად მოჰქონდა ამ გრძნობას. მართალია, გასახარებლად უმნიშვნელო საბაბიც კმაროდა, მაგრამ ტანჯვაზე არანაკლებ ატანდა ძვალსა და რბილში. „ბერგჰოფის“ დღის თითქმის ყოველ წუთს ძალუძდა სიხარული მოეტანა მისთვის. მაგალითად, სასადილო დარბაზში მიმავალი ჰანს კასტორპი შეამჩნევდა, რომ მისი ოცნების საგანი ფეხდაფეხ მოსდევდა. ამ შემთხვევის შედეგი წინასწარვე ცხადი გახლავთ და ზედმიწევნით მარტივიც,მაგრამ ისე აღაფრთოვანებს კაცს, რომ შეიძლება ცრემლიც კი მოადგეს თვალზე. მათი თვალები შეეჩეხებიან ერთმანეთს, მისი თვალები და ქალის მომწვანო-მონაცრისფრო თვალები, რომელთა ოდნავ აზიური განლაგება და ჭრილი სულის სიღრმემდე ძრავს ჰანს კასტორპს. გონება დაბინდული აქვს, მაგრამ უგონოდაც დროზე ახერხებს განზე გადგომას და ქალს კარისაკენ მიმავალ გზას უთმობს. ქალი ოდნავ იღიმება, ხმადაბლა ამბობს Merci“, სარგებლობს მისი მხოლოდ და მხოლოდ თავაზიანი ჟესტით, გვერდზე ჩაუვლის და წინ უსწრებს. იგი კი დგას მისი გავლით აღძრულ ნიავში, დგას შეხვედრის ბედნიერებით გამოყეყეჩებული და სუნთქვა ეკვრის, რომ მის ბაგეთაგან დაცდენილი ერთადერთი სიტყვა, სახელდობრ პირადად მისთვის იყო ნათქვამი. იგი მიჰყვება ქალს, თავის მაგიდასთან მიბარბაცდება, სკამზე მიესვენებადა ხედავს, რომ იქით კლავდიაც სკამზე ჯდება, თან მისკენ იყურება და როგორც ჰანს კასტორპს ეჩვენება, სახეზე კართან შეხვედრით გამოწვეული სიხარული დასთამაშებს. ო, საოცარო თავგადასავალო! ო, გამარჯვების სიხარულო და უსაზღვრო აღტყინებავ! არა, ამ ფანტასტიკური სიამოვნებით თრობა ჰანს კასტორპს ვინმე ჯანსაღი ბატისტვინას დანახვაზე არ ეღირსებოდა, რომელსაც იქ, ბარში, ნებადართულ, მშვიდობიან და პერსპექტივიან პირობებში, იმ სატრფიალო სიმღერისა არ იყოს, „გულს მიუძღვნიდა“. სახეზე ცეცხლმოკიდებული ჰანს კასტორპი ჯერ აღელვებით ესალმება მასწავლებელს, რომელმაც ყველაფერი დაინახა და ღინღლიანი სახე ალეწილი აქვს, მერე მის რობინსონს ინგლისურად რაღაც ისეთ უაზრობას ეტლიკინება, რომ ყოველგვარი ექსტაზისადმი გულგრილი ქალიშვილი განზეც კი იწევს და შიშჩამდგარი თვალებით მისჩერებია.

ერთხელ, სხვა დროს, ვახშმობისას ჩამავალი მზის სხივები პირდაპირ ეცემა კარგ რუსულ მაგიდას“. ვერანდის კარებსა და ფანჯრებზე ფარდები ჩამოშვებულია, მაგრამ სადღაც დარჩენილა ერთი ნაპრალი და იმ ნაპრალიდან იჭყიტება ცივი, მაგრამ დამაბრმავებელი წითელი შუქი და პირდაპირ ფრაუ შოშას თავს ეცემა, ის კი ამ დროს ხელმარჯვნივ მჯდომ მკერდჩავარდნილ თანამემამულეს ესაუბრება და სახეს ხელით იჩრდილავს. ქალს აწუხებს მზის სხივი, თუმცა არც ისე ძალიან, ყურადღება მიაქციოს ამ უხერხულობას, ჰანს კასტორპის მზერა კი დარბაზს სწვდება, ერთხანს ისიც სხვებივით ადევნებს თვალს ამ სურათს, მერე ცდილობს, გაერკვეს საქმის ვითარებაში, თვალით მიჰყვება სხივის გზას და იმ ჭუჭრუტანას აგნებს: სხივი თაღიანი ფანჯრის მარჯვენა კუთხიდან იჭყიტება, ვერანდის კარსა და მდარე რუსულ მაგიდას“ შორის.

ეს კუთხე ფრაუ შოშას მაგიდიდან საკმაოდ შორს არის და თითქმის ასეთივე მანძილი აშორებს ჰანს კასტორპსაც მისგან და ჰანს კასტორპი იღებს გადაწყვეტილებას, უსიტყვოდ დგება, ხელსახოცი ხელში უჭირავს და მიდის, ირიბად ჭრის დარბაზს, კრემისფერ ფარდებს მჭიდროდ ხურავს, მხრის ზემოდან გადმოიხედავს, რწმუნდება, რომ დაისის სხივს გზა გადაკეტილი აქვს და ფრაუ შოშა გათავისუფლებულია და ვითომ არხეინად ბრუნდება უკან, ყურადღებიანი ყმაწვილი კაცია. რაკი სხვა ვერავინ მიხვდა, თვითონ მოიმოქმედა ის, რაც საჭირო იყო. ბევრს არაფერი შეუმჩნევია, ფრაუ შოშამ კი მყისვე იგრძნო შვება და მოიხედა. ქალს პოზა მანამდე არ შეუცვლია, სანამ ჰანს კასტორპი თავის მაგიდასთან არ მივიდა. მან კი, სანამ დაჯდებოდა, ქალისაკენ გაიხედა და მანაც ალერსიანი, გაოცებული ღიმილით გადაუხადა მადლობა, ესე იგი, თავი უფრო წინ წაიწვდინა, ვიდრე დააქნია და ჰანს კასტორპმაც თავის დაკვრით უპასუხა. გული გაუჩერდა, გეგონებოდათ, სულ აღარ უცემსო. როცა ყველაფერმა ჩაიარა, მხოლოდ მერე დაუწყო გულმა ძგერა და მაშინღა შეამჩნია, რომ იოახიმი თავის თეფშს მდუმარედ ჩაშტერებოდა. შემდეგ ისიც გაახსენდა, ფრაუ შტორმა მუჯლუგუნი რომ წაჰკრა დოქტორ ბლუმენკოლს გვერდში, სიცილი ძლივს შეიკავა და თავის მაგიდას აღარ დასჯერდა - თანამზრახველებს სხვა მაგიდებზეც დაუწყო თვალით ძებნა...

ჩვენ ჩვეულებრივ ამბებს აღვწერთ, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავი არაჩვეულებრივი ხდება, როცა იგი არაჩვეულებრივი მიზეზებითაა გამოწვეული. მათ შორის ურთიერთობა ხან იძაბებოდა, ხან ისევ განიმუხტებოდა ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის თუ არა (რამდენად იყო მადამ შოშა ამ ამბავში ჩართული, ამ საკითხს გვერდს ავუვლით), ჰანს კასტორპის გრძნობებსა და ფანტაზიაში მაინც. იმ მშვენიერ დღეებში, ნასადილევს, საზოგადოება სასადილო დარბაზიდან პირდაპირ ვერანდაზე გამოეფინებოდა ხოლმე, პაციენტები ჯგუფ-ჯგუფად დგებოდნენ და მზეს ეფიცხებოდნენ. ვერანდაზე ისეთი ჟრიამული იდგა, როგორც ორკვირეულ კონცერტებზე იცოდა ხოლმე. აბსოლუტურად მოცლილი, ხორცეული კერძებითა და ტკბილეულით ზედმეტად გამაძღარი, ტემპერატურისაგან ოდნავ აღგზნებული ახალგაზრდები ლაყბობდნენ, ოხუნჯობდნენ და ერთმანეთს თვალებით ელაციცებდნენ. ამსტერდამელი ფრაუ ზალომონი ბალიუსტრადასთან იჯდა, ერთი მხრიდან ტუჩებგადმობრუნებული გენზერი აჭერდა მუხლებს, მეორე მხრიდან კი შვედი გოლიათი ავიწროებდა. ეს უკანასკნელი სავსებით გამოჯანსაღებული გახლდათ, მაგრამ დასვენებას ცოტათი კიდევ იხანგრძლივებდა. ფრაუ ილტისი, ეტყობოდა, ქვრივი იყო, რადგან ბოლო ხანებში „საქმრო“ გაეჩინა, თუმცა ამ მელანქოლიურ დაუღიმღამო კაცს არც ერიდებოდა, კაპიტან მიკლოზიჩის არშიყობას ისე იფერებდა. კაპიტან მიკლოზიჩს კეხიანი ცხვირი და აპრეხილი ულვაში ჰქონდა, მედიდურად იჯგიმებოდა და თვალებს აბრიალებდა. აქ იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ქალებიც, სამკურნალო წოლის საათებს ვერანდაზე რომ ატარებდნენ, მათ შორის ახალჩამოსულებიც ერივნენ, პირველი ოქტომბრიდან რომ ჩანდნენ აქ. მათ ჰანს კასტორპი გვარებით არც კი იცნობდა. ქალების წრეში ბატონი ალბინის ტიპის კავალრები ტრიალებდნენ: მონოკლიანი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი, სათვალიანი, ვარდისფერლოყება ახალგაზრდა ჰოლანდიელი, რომელსაც მარკების გაცვლა-გამოცვლის მანია სჭირდა, თმაზე პომადაწასმული, ნუშისთვალება ბერძნები, სუფრასთან გადამეტებულ მადას რომ იჩენდნენ; „მაქსად და მორიცად“ წოდებული ორი განუყრელი პიჟონი, რომლებიც დიდ შფოთისთავებად ითვლებოდნენ; კუზიანი მექსიკელი, რომელმაც აქ სალაპარაკო არც ერთი ენა არ იცოდა და ამის გამო ყრუ-მუნჯივით იყურებოდა. იგი წამდაუწუმ სურათებსიღებდა, სასაცილოდ დასუნსულებდა და ფოტოაპარატის შტატივს ტერასის ერთი თავიდან მეორე ბოლოში დაათრევდა, ხანდახან ჰოფრატიც ინებებდა ხოლმე მოსვლას და პაციენტებს ხამლებზე თასმების გახსნა-შეკვრის ფოკუსს უჩვენებდა. სადღაც ბრბოში ეულად დაბორიალებდა მანჰაიმელი მორწმუნე, თავისი უძირო, ნაღვლიანი თვალებით ერთი მიმართულებით მალულად იყურებოდა და ჰანს კასტორპს ზიზღს ჰგვრიდა.

ამ „დაძაბულობისა და განმუხტვის“ მაგალითების შესავსებად კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებთ. ერთხელ ჰანს კასტორპი გალაქულ სკამზე იჯდა

სახლის კედელთან და ვერანდაზე ძალით გამოყვანილ იოახიმს ენაწყლიანად ესაუბრებოდა. ამ დროს ფრაუ შოშა თანამესუფრეების წრეში იდგა მოაჯირთან და სიგარეტს ეწეოდა. ჰანს კასტორპი მის გასაგონად ლაპარაკობდა, ქალმა კი ზურგი შეაქცია... როგორც ხედავთ, ჩვენ ერთი გარკვეული შემთხვევა გვაქვს მხედველობაში.

ჰანს კასტორპი აღელვებისაგან ისე იყო ენად გაკრეფილი, რომ მსმენელად ბიძაშვილი ეცოტავა და ერთ პაციენტს განგებ გამოეცნაურა. მერე და ვის? - ჰერმინე კლეეფელდს. ჰანს კასტორპი ყმაწვილქალს მოურიდებლად გამოელაპარაკა, თვითონაც გაეცნო და იოახიმიც წარუდგინა. მერე ერთი გალაქული სკამი იმასაც მიუჩოჩა და საუბარი გააჩაღა - სამ კაცში უფრო ადვილი იყო თავის მოწონება. თუ გახსოვთ, პირველად რომ შეგხვდით დილის სეირნობაზე, როგორ საშინლად შემაშინეთო, ჰკითხა ჰანს კასტორპმა ქალიშვილს. დიახ, ეს მე გახლდით, მაშინ მოსალმების ნიშნად რომ დამისტვინეთ და გული გამიხეთქეთ, ჩემი ნებით ვაღიარებ, რომ მიზანს მიაღწიეთ, თუ გნებავთ, ჩემს ბიძაშვილს ჰკითხეთ, ისეთი რეტი დამესხა, თითქოს კომბალი ეთავაზებინოთ ჩემთვის თავშიო. ჰა, ჰა, ჰა, აბა, როგორია, საწყალ მოგზაურს პნევმოთორაქსით რომ დაუსტვენო. მე მგონი, სამართლიანი იქნება ჩემი გაბრაზება და არც იმას მიწყენთ, თუ თქვენს საქციელს მკრეხელურ თამაშად და შეცოდებად მოვნათლავო... იოახიმი გრძნობდა, ბიძაშვილი იარაღად რომ იყენებდა და თავდახრილი იჯდა. ჰანს კასტორპი თვალებს ისე აცეცებდა, რომ ნელ-ნელა კლეეფელდიც მიხვდა, თავისი მიზნებისათვის მიყენებსო და განაწყენდა. ჰანს კასტორპი ხან ფახიფუხობდა, ხან კოკობზიკობდა, რას არ როშავდა, ხმას რანაირად არ იცვლიდა, სანამ მართლა არ მიაღწია თავისას - ფრაუ შოშა არაბუნებრივად მორატრატეს მოუტრიალდა და სახეში სულ წამით შეხედა. შემდეგ ისე მოხდა, რომ პშიბისლავისეული თვალები ჰანს კასტორპის ტანს სწრაფად ჩააყოლა - ჰანს კასტორპი ამ დროს ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა - გულგრილი მზერა წამით მის ყვითელ ხამლებზე შეაჩერა, შემდეგ ცივად და, ალბათ, შეკავებული ღიმილით კვლავ აარიდა თვალი.

ო, რა დიდი უბედურება დაატყდა თავს! ჰანს კასტორპი ერთხანს კიდევ ატაცებული განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მერე მის ხამლებზე მიმართული მზერის აზრს ნელ-ნელა მიხვდა, სიტყვა თითქმის შუაზე გაწყვიტა, გულზე დარდი შემოაწვა და ენა ჩაუვარდა. კლეეფელდს მოეწყინა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და თავისი გზით წავიდა. იოახიმმა საკმაოდ გამაღიზიანებელი ხმით მიმართა ბიძაშვილს, მგონი, ახლა კი შეიძლება დასასვენებლად წავიდეთო. ბაგეგაფითრებულმა, დარდისაგან გულმოკლულმა ჰანს კასტორპმა ძლივს ამოილუღლუღა, კარგიო.

ჰანს კასტორპმა ეს მარცხი ორ დღეს ვერ მოინელა, რადგან ამასობაში აღარაფერი მომხდარა ისეთი, რომ მის ჭრილობას სალბუნად დასდებოდა. რატომ შემოხედა ასე? ყოვლად წმინდა სამებავ, რით დაიმსახურა მისი ზიზღი? იქნებ ქვევიდან ამოსულ ჯანსაღ ტუტრუცანად თვლის, დიდი არაფერი სატკივარი რომ არა სჭირს? იქნებ მის თვალში იგი ბარიდან ამოსული ერთი უბრალო, ხეპრე ბიჭია, როგორიც მრავლად დადიან იქ, იცინიან, მუცელს იყორავენ და ფულს აკეთებენ, იქნებ ცხოვრების სკოლის სანიმუშო შეგირდი ჰგონია, რომელსაც მხოლოდ პატივმოყვარეობის ჭია ღრღნის და ამ ქვეყნისა სხვა აღარაფერი გაეგება? განა იგი სამი კვირით ჩამოსული ქარაფშუტა ჰოსპიტანტი და მათი სფეროსათვის უცხო კაცია? თავისი სველი კერის წყალობით ისიც ხომ აღიკვეცა ბერად, მათ წრეში გაერია, ერთ-ერთი ამათგანია, მათიანი გახდა და ზურგზე კარგი ორი თვეცა აქვს წამოკიდებული. განა ჰანს კასტორპი არ იყო, გუშინ საღამოს მერკური 37,8-ზე რომ აუვარდა?..მაგრამ სწორედ ის გახლდათ მისი ტანჯვა-ვაების დამაგვირგვინებელი, რომ მერკური ზევით აღარ იწევდა! იმ დღეებში ისე იყო დარდისაგან გულმოკლული, რომ სხეული გაუგრილდა, გამოფხიზლდა და დაძაბული ნერვები მოუდუნდა. თავისდა სამარცხვინოდ, თერმომეტრი ნორმალურზე ოდნავ მეტს უჩვენებდა და ბოღმა კლავდა, ამ დარდმა და წუხილმა იმის მეტი ვერაფერი მარგო, რომ კლავდიას ყოფასა და არსებას კიდევ უფრო დამაშორაო.

მესამე დღემ დილიდანვე შვება მოუტანა. შემოდგომის მშვენიერი დილა იდგა, მზიანი და ცინცხალი, გადაჭიმულ ველ-მინდვრებს მორუხო-ვერცხლისფერი

დაჰკრავდა, მზე და მილეული მთვარე თითქმის ერთ სიმაღლეზე იდგნენ მოწმენდილ ცაზე. ბიძაშვილები ჩვეულებრივზე ადრე ადგნენ, მშვენიერი დილის ხათრით აპირებდნენ, მოციონი ცოტა გაეგრძელებინათ, ღელესთან ჩამოდგმულ მერხთან აღარ შეჩერებულიყვნენ და ტყისკენ მიმავალ გზაზე გაესეირნათ. იოახიმი სწორედ გამოჯანსაღების გზას ადგა და ამით გულმოცემულმა შესთავაზა ჰანს კასტორპს,ცოტა წესს გადავუხვიოთ, სიმხნეში წაგვადგებაო და მასაც უარი აღარ უთქვამს.
- ჩვენ ხომ გამოჯანსაღებულები ვართ, - უთხრა ბიძაშვილს მან, - სიცხეებიც მოვიცილეთ და შხამებიც, ბარში დასაბრუნებლად თითქმის მზად ვართ, ვითომ კვიცებივით რატომ არ უნდა წავიკუნტრუშოთ?
ბიძაშვილებმა ხელჯოხები აიღეს და გზას ასე თავშიშველნი დაადგნენ - ჰანს კასტორპმა ბერად აღკვეცის შემდეგ“ ღმერთი ახსენა, აქ გამეფებულ ადათ-წესებს შეეგუა და უქუდოდ დაიწყო სიარული, თუმცა აქამდე თავი მოჰქონდა, შესისხლხორცებულ წესსა და რიგს აგრე იოლად ვერ შეველევიო. ჯერ მოწითალო მიწით დაფარული აღმართი არ აევლოთ, დაახლოებით იმ ადგილამდე იყვნენ მისულნი, სადაც მაშინ ახალბედას პნევმატური ჯგუფი შეეჩეხა, რომ ცოტა მოშორებით, აღმართზე ნელ-ნელა მიმავალი ფრაუ შოშა დაინახეს, თეთრებში გამოწყობილი ფრაუ შოშა; ქალს თეთრი სვიტერი, თეთრი ფლანელის ქვედაკაბა და თეთრივე ფეხსაცმელი ეცვა და დილის მზეზე მოწითალო თმა უბრწყინავდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ჰანს კასტორპმა იცნო, იოახიმი კი მისახვედრს უსიამოვნო შეგრძნებამ მიახვედრა - მის გვერდით მიმავალმა ჰანს კასტორპმა, აქამდე რომ მიიზლაზნებოდა, ახლა ფეხს ერთბაშად აუჩქარა და მასაც ეწეოდა, ჩქარა ვიაროთო. ასეთი შეგულიანება იოახიმს არც სიამოვნებდა და მისთვის არც ადვილი ასატანი იყო, იგი სულ მალე აქოშინდა და ხველება აუტყდა. სამაგიეროდ, ჰანს კასტორპი ისე იყო ერთი მიზნით შეპყრობილი, რომ სუნთქვის ორგანოები ჩინებულად უმუშავებდა და ბიძაშვილის გასაჭირს აინუნშიაც არ აგდებდა. იოახიმი რაკი გაერკვა საქმის ვითარებაში, მხოლოდ უსიტყვოდ მოიღუშა და ჰანს კასტორპს ფეხი აუწყო - აბა, წინ მარტოს ხომ არ არბენინებდა.
ახალგაზრდა ჰანს კასტორპი გამოაცოცხლა მშვენიერმა დილამ. დეპრესიის პერიოდში მის სულიერ ძალებს შეუმჩნევლად დაესვენათ და ახლა გონებაში ცხადად უკიაფებდა რწმენა, რომ ჯადოს ტყვეობიდან თავის დახსნის წუთი საცა�ა უნდა დამდგარიყო. ასე გამალებული მიდიოდა ჰანს კასტორპი და გაგულისებულ და აქოშინებულ იოახიმს თან მიათრევდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოსახვევთან, სადაც გზა ივაკებდა და ტყით შებურულ ფერდობს მიუყვებოდა, ფრაუ შოშას თითქმის წამოეწივნენ კიდეც. აქ კი მოუკლო ტემპს ჰანს კასტორპმა, გამალებული სიარულისაგან აქოშინებულსა და გახვითქულს არ ვგავდეო და მოსახვევში, უფსკრულსა და კლდეს შორის აღმართულ ჟანგისფრად დაფერილ ფიჭვებში, რომელთა ტოტებშიაც მზის შუქი იჭყიტებოდა, მოხდა მოსახდენი. ყველაფერი დიდებულადაც კი გამოვიდა: იოახიმის ხელმარცხნივ მიმავალი ჰანს კასტორპი თვალწარმტაც პაციენტს წამოეწია, ვაჟკაცური ნაბიჯით ჩაუარა გვერდით, ქალს მხარმარჯვნივ მოექცა და თავი დაუკრა. უქუდო კაცი ქუდს ვერ მოიხდიდა, ამიტომ ჰანს კასტორპმა თავის დაკვრას ხმადაბალი დილა მშვიდობისა“ დაატანა და ქალს ასე მოწიწებით (ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ მოწიწებით?) მიესალმა. პასუხიც მიიღო: ქალს არაფერი გაუოცებია, ალერსიანად დაუკრა თავი, მოღიმარი თვალებით შეხედა და გერმანულადვე უსურვა დილა მშვიდობისა. ეს სულ სხვა რამ იყო, ძირფესვიანად განსხვავდებოდა მისი ხამლებისაკენ მიმართული მზერისაგან. ეს იყო ნეტარება, უკეთესისაკენ, საუკეთესოსაკენ შემობრუნება, უმაგალითო, ზღაპრული ბედნიერება - ეს გახლდათ ხსნა.
ფრთაშესხმული, გონისწამღები სიხარულისაგან დაბრმავებული, იმ სალმით, სიტყვებითა და ღიმილით დაჯილდოებული ჰანს კასტორპი გაგულისებული იოახიმის გვერდით მიაბიჯებდა. იოახიმი ხმას არ იღებდა, ბიძაშვილს თვალს არიდებდა და ქარაფს გასცქეროდა. იოახიმის თვალში ეს საკმაოდ უღირსი ოინი გახლდათ. ასე განსაჯეთ, ღალატი და მუხანათობაც კი, რაც ჰანს კასტორპმა მშვენივრად იცოდა. თუმცა ეს ხომ იმას არ ჰგავდა, სულ უცნობი კაცისაგან ფანქარი გენათხოვრებინა. პირიქით, გაუთლელობაში ჩამოგერთმეოდა, იმ ქალის გვერდით, რომელთანაც თვეობით ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდი, წელში

გამართულს და თავაღერილს გაგევლო. განა ახლახან მოსაცდელ ოთახში კლავდია არ იყო, რომ გამოელაპარაკათ? ჰოდა, იოახიმსაც არაფერი აქვს სათქმელი. მაგრამ ჰანს კასტორპს მშვენივრად ესმოდა, თავმოყვარე იოახიმი რატომ დუმდა და თვალს რატომ არიდებდა.თვითონ ოინმა რომ გაუმართლა, სიხარულისა და ბედნიერებისაგან ცას ეწეოდა. ვინმეს ბარში ნებადართული, პერსპექტივიანი და სასიამოვნო რომანი რომ გაეჩაღებინა, რომელიმე ჯანსაღი ბატისტვინასთვის თავისი გული მიეძღვნა“ და დიდი წარმატებაც მოეპოვებინა, ჰანს კასტორპზე უფრო ბედნიერი ვერ იქნებოდა, დიახ, მან რომ ბედნიერ საათს გამოსტაცა და დაისაკუთრა მცირედი ჯილდო, ასეთი მცირედით ის სხვა მასავით ბედნიერი ვერ იქნებოდა... ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ ბიძაშვილს მხარზე ღონივრად დაარტყა ხელი და უთხრა:

- ეჰეი, რა დაგემართა? შეხედე, რა მშვენიერი ამინდია! მერე კურზალში ჩავისეირნოთ, ხომ იცი, იქ კონცერტი ექნებათ! ალბათ, ახლა „კარმენიდან“ უკრავენ ნაწყვეტს: „იმ დილით მოძღვნილ ყვავილს ვიკრავ გულში ერთგულად!“ მაინც რა ბზიკმა გიკბინა?

- არაფერსაც არ უკბენია, - უპასუხა იოახიმმა, - მაგრამ ისე ალეწილი გაქვს სახე, ვშიშობ, რომ შენი ტემპერატურის დაწევას ბოლო მოეღო.

ასეც გახლდათ. ჰანს კასტორპის ორგანიზმის სამარცხვინოგაგრილება კლავდია შოშას სალამმა გაანეიტრალა და სიმართლე თუ გნებავთ, ყმაწვილ კაცს კმაყოფილებაც კი მოჰგვარა. დიახ, იოახიმი მართალი აღმოჩნდა. მერკურმა კვლავ აიწია. როცა სეირნობიდან დაბრუნებულმა კასტორპმა მერკურს მოუხმო ბჭობად, მან ზუსტად 38 გრადუსი უჩვენა.

(პირველი წიგნის დასასრული)

თავი მეხუთე
ენციკლოპედია

ბატონი სეტემბრინის ქარაგმები ჰანს კასტორპს თუ აგულისებდა, ყოველ შემთხვევაში, არ აკვირვებდა მაინც და არც უფლება ჰქონდა, ჰუმანისტისათვის აღმზრდელობითი ჟინი ესაყვედურებინა. ბრმასაც არ გაუჭირდებოდა იმის დანახვა, ჰანს კასტორპის თავს რა ამბავიც ტრიალებდა. არც თვითონ იწუხებდა თავს, გრძნობები დაეფარა, ერთგვარი გულწრფელობა და კეთილშობილი გულუბრყვილობა უბრალოდ ხელს უშლიდა, საიდუმლო გულში ჩაემარხა. ამით განსხვავდებოდა იგი, და თუ გნებავთ, სჯობდა კიდეც, ამ თმაშეთხელებულ მანჰაიმელ შეყვარებულსა და ჩუმ-ჩუმად მძრომელას. მოგაგონებთ და გაგიმეორებთ, რომ ჰანს კასტორპისთანა დღეში ჩავარდნილ კაცს, ჩვეულებრივ, არ ასვენებს ხოლმე გულის გადაშლის სურვილი, რაღაც ძალა ეწევა აღსარებისა და აღიარებისაკენ, საკუთარი თავის გარდა ვეღარავის ხედავს და ცდილობს, თავისი პიროვნებით აღავსოს სამყარო. ეს ლტოლვა მით უფრო გაუგებარია ჩვენისთანა ფხიზლად მოაზროვნე ხალხისათვის, რაც უფრო ნაკლები აზრი, ჭკუა და იმედი ახლავს ხოლმე მას თან. ისე კი, როგორ ახერხებს ასეთი ხალხი თავის გაცემას, ძნელი სათქმელია. ეტყობა, მათ არც შეუძლიათ, რაიმე მოიმოქმედონ და ეს შეუმჩნეველი დარჩეს სხვას, მით უმეტეს, ისეთ საზოგადოებას, რომელსაც დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევდა, მხოლოდ ორი რამ რომ უტრიალებს თავში: პირველ რიგში ტემპერატურა და მეორე რიგშიც ტემპერატურა, ანდა ის საკითხი, ვენელი გენერალური კონსულის მეუღლე ფრაუ ვურმბრანდტი ვისით იამებს კაპიტან მიკლოზიჩის გულარძნილობით ნატკენ გულს: სავსებით გამოჯანსაღებული შვედი გოლიათით, დორტმუნდელ პროკურორ პარავანტით თუ ერთდროულად ორივეთიო. საზოგადოებისათვის ისიც ეჭვმიუტანლად ცნობილი გახლდათ, რომ მრავალი თვის განმავლობაში პროკურორისა და ამსტერდამელი ფრაუ ზალომონის შემაკავშირებელი ძაფები მშვიდობიანი შეთანხმების საფუძველზე გაწყვეტილი იყო. ფრაუ ზალომონი ასაკის ძახილის შესაბამისად შედარებით ნორჩ თაობას მიჰბრუნებოდა და კლეეფელდის მაგიდასთან მჯდომ ტუჩებგადმობრუნებულ გეზერს აფარებდა მოწყალე კალთას, ანუ, როგორც ფრაუ შტორმა კანცელარიული სტილით და საკმაოდ თვალსაჩინოდაც ბრძანა, გენზერი მას უკვე „საქმეში ჰყავდა ჩაკერებული“. ამ ამბავს წყალი არ გაუვიდოდა, ამგვარად, პროკურორი ჩიტივით თავისუფალი გახლდათ და შეეძლო გენერალური კონსულის მეუღლის გულისთვის შვედისთვის ან დაერტყა, ან მეტოქეს მშვიდობიანად მორიგებოდა.

ამგვარად, „ბერგჰოფის“ საზოგადოებასა და განსაკუთრებით ციებ-ცხელებით შეპყრობილი ახალგაზრდების წრეში ფესვგადგმული ამბები, რომელთა შორისაც აშკარად მნიშვნელოვან როლს აივნიდან აივანზე (შუშის თეჯირებისა და მოაჯირის გასწვრივ) გაძრომ-გამოძრომა თამაშობდა, შეადგენდა აქაური ცხოვრების ძირითად ატმოსფეროს, თუმცა აქ დატრიალებულ ამბებს, კაცმა რომ თქვას, არც ეს აზრი გამოხატავს ზუსტად. ჰანს კასტორპს, მაგალითად, ეჩვენებოდა, რომ ის მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც მთელ მსოფლიოში, ხუმრობით იქნებოდა ეს თუ სერიოზულად, ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, აქ კიდევ სირთულესა და ამ სირთულის წყალობით სრულიად ახალ ტონალობას, ფასსა და შინაარსს იძენდა. ეს გარემოება კი ამ საქმეს საშიშ თუ არა, თავისი სიახლის გამო შემაშფოთებელ შუქში მაინც ახვევდა. ამ აზრის გამოთქმისას სახე გვეცვლება და აღვნიშნავთ, რომ თუკი ხსენებულ საჭოჭმანო ურთიერთობებზე აქამდე მსუბუქი და ხუმრობანარევი ტონით ვლაპარაკობდით, ეს იმავე იდუმალ მიზეზებს უნდა მივაწეროთ, რომელთა გამოც ეს ამბავი ასე ხშირად ხდება ხოლმე, ოღონდ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს იგი სახუმარო და იოლი იყოს. იმ სფეროში კი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, სიყვარული მართლაც ნაკლებად სახუმარო უნდა ყოფილიყო, ვიდრე სადმე სხვაგან. ჰანს კასტორპს იქამდე ეგონა, ამ სიამოვნებით ხელწამოსაკრავ მნიშვნელოვან ურთიერთობებში მშვენივრად ვერკვევიო და არც გაემტყუნებოდა. ახლა კი მიხვდა, რომ ბარში მხოლოდ ზერელედ იყო გათვითცნობიერებული და, კაცმა რომ თქვას, ბევრ რამეზე გულუბრყვილო წარმოდგენაც კი ჰქონდა. აქ მიღებულმა პირადმა გამოცდილებამ კი, რომლის ბუნების ახსნასაც მრავალგზის შევცდილვართ, ერთ

მშვენიერ დღეს წამოაცდენინა, „ღმერთო ჩემოო“ და საკმაოდ უშველა იმ გაუგონარი, თავზე ხელაღებული და უსახელო გრძნობების გამაძლიერებელი აქცენტის აზრს ჩასწვდომოდა, რითაც ეს ურთიერთობა აქ, ზევით, მობინადრეებისათვის იყო დაღდასმული. ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, თითქოს აქ მსგავს ამბებზე არავინ ხუმრობდა, მაგრამ ბართან შედარებით, აქ ხუმრობის მანერასაც გაცილებით მეტად აჩნდა სიყალბის დაღი, მასში თითქოს სიმწრით კბილთა ღრჭენა და ოხვრა ისმოდა, რაც ამ ხუმრობის ქვეშ დამალულ გრძნობას გამჭვირვალე საფარველში ხვევდა ან უფრო სწორად, ძლივს დაფარულ სიმძიმილს ააშკარავებდა. ჰანს კასტორპს გაახსენდა, როგორ გაუფითრდა იოახიმს სახე და მერე კი აუფორეჯდა, როცა პირველად და უკანასკნელად ბარისეული მიამიტობით ჩამოუგდო სიტყვა მარუსიას ხორციელებაზე. ისიც გაახსენდა, თვითონროგორ გაეყინა და გაუფითრდა სახე, ფრაუ შოშა ჩამავალი მზის სხივისაგან რომ დაიფარა. მანამდეც და მერეც სხვებისთვისაც შეუმჩნევია მსგავსი სიფითრე, და, როგორც წესი, ერთდროულად ორი ადამიანის სახეზე, მაგალითად, ფრაუ ზალომონისა და ყმაწვილი გენზერის სახეებზე, როცა მათ შორის, ის-ის იყო, იწყებოდა ფრაუ შტორის მიერ ენამოსწრებულად მონათლულიურთიერთობა. მოკლედ, ჰანს კასტორპმა ყველაფერი გაიხსენა და მიხვდა, რომ ისეთ პირობებში არამცთუ ძნელი იყო არ გაგეცა“ თავი, არამედ საერთოდ არც ღირდა გრძნობების დამალვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მარტო გულწრფელობითა და დიდსულოვნებით არ აიხსნება, ჰანს კასტორპი გრძნობის დამალვაზე დიდად რომ არ იწუხებდა თავს, იგი უფრო აქაურმა ატმოსფერომ წაათამამა.
იოახიმმა თავიდანვე გაუძნელა აქ ნაცნობობის გაბმა, რაც უფრო იმის ბრალი იყო, რომ ბიძაშვილებს სანატორიუმის საზოგადოებისაგან შორს ეჭირათ თავი და, ასე ვთქვათ, ცალკე პარტიას თუ მინიატიურულ ჯგუფს ქმნიდნენ. გარდა ამისა, სამხედრო სამსახურზე მეოცნებე იოახიმს ერთი სული ჰქონდა, როდის გამოჯანსაღდებოდა და საზოგადოებაში გარევასა და თავის ბედქვეშ მყოფ პაციენტებთან მეტად დაახლოებას ამიტომაც გაურბოდა. ეს გარემოება რომ არა, ჰანს კასტორპს მეტი გასაქანი ექნებოდა და გულსაც აქამდე გადაუშლიდა ვინმეს. ასე იყო თუ ისე, ერთ საღამოს იოახიმმა ჰანს კასტორპს ჰერმინე კლეეფელდისა და მისი ორი თანამესუფრის - გენზერისა და რასმუსენის წრეში წაასწრო. ამ წრეს კიდევ მონოკლიანი, გრძელფრჩხილა ყმაწვილიც მიმატებოდა. არაბუნებრივად თვალებგარწყინებული ჰანს კასტორპი მათ შორის ჩამჯდარიყო და აკანკალებული ხმით ასხამდა ხოტბას ფრაუ შოშას თავისებურ და უცხო სახის წყობას, მისი მსმენელები კი ერთმანეთს ხან გადახედავდნენ, ხან მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ და სიცილით იგუდებოდნენ.
იოახიმი ჭირის ოფლში იწურებოდა, ამ მხიარულების მიზეზს კი თავისი გრძნობების გაშიშვლება სულ არ ეჩოთირებოდა, ასე ეგონა, ჩემი გულისნადები რომ დავმალო და მივაფუჩეჩო, რაც მომიპოვებია, იმასაც დავკარგავო. შუბი ხალთაში რომ ვერ დაიმალებოდა, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა და ნიშნსაც რომ მოუგებდნენ, ამასაც უნდა შერიგებოდა. მარტო მისი თანამესუფრენი კი არა, მეზობელ სუფრაზე მსხდომნიც უთვალთვალებდნენ, რომ მისი გაფითრება-გაწითლების ყურებით ეჯერებინათ გული, როცა შემინული კარი ნაგვიანევად გაიღებოდა და მიჯახუნდებოდა. იგი ამითაც კმაყოფილი იყო, ასე ეგონა, რახან ამდენ ყურადღებას იმსახურებს ჩემი გრძნობა, მაშასადამე, საზოგადოება მხარს მიჭერს და თანამიგრძნობსო. ეს დასკვნა კიდევ უფრო უღვივებდა გაურკვეველ და უგუნურ იმედს, ფრთას ასხამდა და ბედნიერებასაც კი ანიჭებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პაციენტები სპეციალურად იყრიდნენ თავს, რათა ამ თვალდავსებული მიჯნურის ცქერით ეჯერებინათ გული. ეს უმეტესად ნასადილევს, ვერანდაზე ხდებოდა, ან კვირას, ნაშუადღევს, როცა დამსვენებლები კონსიერჟის ჯიხურთან იყრიდნენ ხოლმე ფოსტის მისაღებად თავს - ფოსტას იმ დღეს ოთახებში არ არიგებდნენ. ყველამ იცოდა, რომ ჰანს კასტორპი თავბრუდასხმული და დარეტიანებული მიჯნური გახლდათ და სულის ყოველი მოძრაობა სახეზე ეხატებოდა. ჰოდა, დადგებოდნენ ერთად ფრაუ შტორი, ფროილაინ ენგელჰარტი, კლეეფელდი და მისი ტაპირისსახიანი მეგობარი ქალი, განუკურნებელი ბატონი ალბინი, გრძელფრჩხილა ყმაწვილი კაცი და პაციენტთა საზოგადოების სხვა

რომელიმე წევრი, ტუჩს იბზუებდნენ, ფრუტუნებდნენ და ჰანს კასტორპისაკენ იხედებოდნენ. ის კი იდგა, დაბნეულ სახეზე ვნებიანი ღიმილი ეფინა, ლოყებზე ჩამოსვლის პირველ დღესვე მოდებული ალმური ასდიოდა, თვალებშიც იგივე ნაპერწკალი უელავდა, ავსტრიელი მხედრის ხველებამ რომ აღუნთო და ერთი განსაზღვრული მიმართულებით იყურებოდა...
კაცმა რომ თქვას, ერთხელ ასეთ ვითარებაში ჩინებულად მოიქცა ბატონი სეტემბრინი: ჰანს კასტორპთან მივიდა, საუბარი გაუბა და ჯანმრთელობის ამბების გამოკითხვა დაუწყო, მაგრამ საეჭვოა, ჰანს კასტორპი ამ კაცთმოყვარული ჟესტის მადლობელი დარჩენილიყო. ეს იყო ვესტიბიულში, კვირას, ნაშუადღევს, კონსიერჟს დამსვენებლები შემოხვეოდნენ და წერილებისკენ იწვდიდნენ ხელებს. იოახიმიც აქ იყო, ოღონდ წინ იდგა, მისი ბიძაშვილი კი უკან ჩამორჩენილიყო, სახეზე სასოება აღბეჭდვოდა და ცდილობდა, კლავდია შოშას მზერა დაეჭირა. ქალი იქვე იდგა, ახლოს, თავისი თანამესუფრეების წრეში, და ხალხის შეთხელებას ელოდებოდა. ამ დროს დამსვენებლები ერთმანეთში ირეოდნენ და იოლად შეიძლებოდა, ხელსაყრელი შემთხვევა გამოჩენილიყო. ახალგაზრდა ჰანს კასტორპს ამიტომაც უყვარდა და არ ეთმობოდა ეს წუთები. რვა დღის წინ სარკმელთან ისე ახლოს მივიდა მადამ შოშასთან, რომ ქალი ოდნავ მიეჯახა კიდეც. მადამ შოშამ თავი სწრაფად მოატრიალა და ფრანგულად მოუბოდიშა. ჰანს კასტორპმა იმ წუთში დალოცა თავისი აღგზნებული გული, რომელმაც ძალა მისცა ქალისათვის შეეგებებინა:
- Pas de quoi, madame
!
(არაფერს, ქალბატონო (ფრანგ.).) რა ბედნიერებაა, ფოსტას ყოველკვირას, ნაშუადღევს, ვესტიბიულში რომ არიგებენო, ფიქრობდა იგი. შეიძლება ითქვას, მთელი კვირა გადასანსლა იმ წუთების დაბრუნების მოლოდინში, მოლოდინი კი წინ სწრაფვას ნიშნავს, ხოლო წინ სწრაფვისას დრო და აწმყო ჯილდოდ კი არა, დაბრკოლებად გეჩვენება, გინდა იგი გააუფასურო, უარყო და გონებაში როგორღაც გადაახტე კიდეც. ლოდინში დრო ჭიანურდებაო, ამბობენ, მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, ლოდინში დრო მოკლდება კიდეც, რადგან დროის უზარმაზარ მასას ისე ნთქავს კაცი, რომ სრულიად არ იყენებს და მისით არ სულდგმულობს. შეიძლება ითქვას, მხოლოდ ლოდინით მოსულდგმულე კაცი ღორმუცელობას ჰგავს,რომლის საჭმლის მომნელებელი ორგანოები აუარებელ სანოვაგეს ნთქავენ, მაგრამ საჭმელს ვერც გემოს ატანენ და ვერც შეირგებენ. ეს შედარება შეიძლებოდა, განგვევრცო და გვეთქვა: როგორც მოუნელებელი საკვები არ შეერგება კაცს, ისე ლოდინში გაფლანგული დროც ხანს არ მოუმატებს. თუმცა პრაქტიკულად არც არსებობს წმინდა და შეურეველი მოლოდინი.
ამგვარად ჩაიყლაპა კვირა და ისე დადგა მეორე კვირის ნაშუადღევი, ვითომ ეს იგივე, შვიდი დღის წინანდელი ჟამი ყოფილიყოს. გულათრთოლებული ეძებდა ჰანს კასტორპი ხელსაყრელ შემთხვევას, წუთი არ უნდოდა ხელიდან გაეშვა, იქნებ კვლავ მისცემოდა ფრაუ შოშასთან გამოლაპარაკების საშუალება. ასეთი შესაძლებლობის გახსენებაზე გული ხან ეწურებოდა, ხან აუჩქროლდებოდა, შესაძლებლობა რომ სინამდვილედ ექცია, ამაზე კი რატომღაც ფეხს ითრევდა. ამას ნაწილობრივ სამხედრო, ნაწილობრივ სამოქალაქო ყაიდის დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ. ერთი მხრივ, ჰანს კასტორპს პატიოსნებით აღსავსე იოახიმის იქ ყოფნა უშლიდა ხელს, მეორე მხრივ კი საკუთარი მოვალეობისა და ღირსების გრძნობა არ ანებებდა, თავისუფლად მოქცეულიყო. თუმცა იგი სხვა მიზეზის გამოც იკავებდა თავს: კლავდია შოშასთან ჩვეულებრივი, საზოგადოებაში მიღებული ურთიერთობა თქვენობით მიმართვას, რევერანსებსა და შეძლებისდაგვარად ფრანგულად საუბარს გულისხმობდა, ასეთი ურთიერთობა კი ხელს არ აძლევდა ჰანს კასტორპს: იგი არც სასურველი იყო და ვერც ნამდვილი ურთიერთობა დაერქმეოდა. ჰანს კასტორპი იდგა და შესცქეროდა, როგორ სიცილით ლაპარაკობდა ქალი, ზუსტად ისე, როგორც პშიბისლავ ჰიპე ლაპარაკობდა და იცინოდა სკოლის ეზოში: ლაპარაკისას პირს საკმაოდ ფართოდ აღებდა კლავდია შოშა, ყვრიმალებს ზემოთ ირიბად განლაგებული, მონაცრისფრო-მომწვანო თვალები უვიწროვდებოდა და ჭრილებივით მოუჩანდა. თვალების დავიწროება არცთუ ისე ამშვენებდა“, მაგრამ ეს რა მოსატანია -

მოგეხსენებათ, შეყვარებული კაცისათვის არც ესთეტიკურ მსჯავრს გააჩნია ფასი და არც მორალური მსჯავრი ფასობს ძვირად.
- თქვენც უსტარს ელოდებით, ინჟინერო?
ასე მხოლოდ ერთადერთი კაცი, მისი ხელის შემშლელი ლაპარაკობდა. ჰანს კასტორპი შეკრთა და ბატონ სეტემბრინის მიუბრუნდა. იტალიელი მის წინ იდგა და ღიმილი ეფინა სახეზე. ეს იგივე დახვეწილი და ჰუმანისტური ღიმილი გახლდათ, რომლითაც ოდესღაც ახალჩამოსულს ღელის პირას დადგმულ ძელსკამთან მიესალმა ბატონი სეტემბრინი და ჰანს კასტორპს ამ ღიმილზე მაშინდელივით შერცხვა. მართალია, სიზმარში ხშირად ცოდვილობდა, „მეარღნე“ გზიდან ჩამოეცილებინა, აქაოდა, „ხელს მიშლისო“, მაგრამ მოგეხსენებათ, სიზმარში მყოფ კაცს ფხიზელი კაცი სჯობია და ჰანს კასტორპი არა მარტო გამოაფხიზლა ამ ღიმილმა, არამედ შეარცხვინა კიდეც. იმასაც მიხვდა, რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანეს და გული მადლიერებით აღევსო.
- რას ბრძანებთ, ბატონო სეტემბრინი, მე ხომ დესპანი არ გახლავართ! იქნებ ღია ბარათი მოგვივიდეს ერთ-ერთ ჩვენგანს. ჩემი ბიძაშვილი გაიგებს ახლავე.
- მე კი კოჭლმა ეშმამ უკვე მომართვა ჩემი მცირე კორესპონდენცია, - თქვა სეტემბრინიმ და თავისი განუყრელი, ხაოიანი სერთუკის გულჯიბეზე მოისვა ხელი... - საინტერესო ამბები მომივიდა, დიდად მნიშვნელოვანი ლიტერატურული და სოციალური ამბები, ამას ვერ უარვყოფ. ერთი ჰუმანიტარული ინსტიტუტი დიდ პატივს მდებს და ენციკლოპედიური ხასიათის შრომაში თანამშრომლობას მთავაზობს. მოკლედ, მშვენიერი სამუშაოა, - ბატონმა სეტემბრინიმ სიტყვა გაწყვიტა, - თქვენი საქმეები რასა იქმს? - ჰკითხა მან ყმაწვილ კაცს, - როგორ მიდის, მაგალითად, აკლიმატიზაციის პროცესი? რაც გინდათ, თქვით და, თქვენ არც ისე დიდი ხანია ჩვენ შორის იმყოფებით, რომ ეს საკითხი მოხსნილი იყოს დღის წესრიგიდან.
- გმადლობთ, ბატონო სეტემბრინი, აკლიმატიზაციის პროცესს კვლავინდებურად ახლავს სიძნელეები. ჩემი აზრით, უკანასკნელ დღემდე გამიჭირდება აქაურობასთან შეგუება. ზოგი ვერასოდეს ვერ ეგუება აქაურობასო, ჩამოსვლისთანავე მითხრა ჩემმა ბიძაშვილმა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იმ აზრს მაინც ხომ შეეგუები კაცი, რომ აქაურობას ვერ ეგუები?
- მეტად დახლართული პროცესია, - გაეცინა იტალიელს, - ეგ ჩვენთან ფეხის მოკიდების განსაკუთრებული ფორმა გახლავთ. ბუნებრივია, ახალგაზრდობას ყველაფრის უნარი შესწევს. ვითომ ვერ ეგუება გარემოს და ფესვებს კი იდგამს.
- დიახ, ბოლოს და ბოლოს, ციმბირის მაღაროებში კი არა ვართ!
- ღმერთმანი, არა, მაგრამ, თქვენ, გეტყობათ, აღმოსავლურ შედარებებს ამჯობინებთ დასავლურს. იოლი გასაგებია, აზია შთანგვთქავს ჩვენ. საითაც უნდა გაიხედო, თათრულ სახეებს დაინახავ, - სეტემბრინიმ თვალი ზურგს უკან გააპარა, - ჩინგისხანი, ტრამალის მგლის ანთებული თვალები, თოვლი და არაყი, მათრახი, შლიუსელბურგი და ქრისტიანობა, - განაგრძო მან, - კარგი იქნებოდა, აქ, ამ ვესტიბიულში თავდაცვის მიზნით ათენა პალადასთვის აგვეგო საკურთხეველი. ხედავთ, აგერ ვიღაც უნიფხვო ივან ივანოვიჩი როგორ ეკამათება პროკურორ პარავანტს? ორივე ამტკიცებს, ფოსტის მისაღებ რიგში მე ვიდექი წინო. მე არ ვიცი, ვინაა ამ ორში მართალი, მაგრამ გული მეუბნება, რომ ქალღმერთის მოწყალე კალთა პროკურორს ექნება გადაფარებული. მართალია, ისიც კარგი ვირია, მაგრამ ლათინური მაინც იცის.
ჰანსკასტორპს გაეცინა, ბატონი სეტემბრინი კი არასოდეს იცინოდა. გულიანად გაცინებულს მას ვერც კი წარმოიდგენდით - ღიმილი ოდნავ თუ შეურხევდა ტუჩის კუთხეს. მან ერთხანს უყურა ახარხარებულ ყმაწვილკაცს და მერე ჰკითხა:
- თქვენი დიაპოზიტივი თუ მიიღეთ?
- დიახ, მივიღე! - დიდის ამბით დაუდასტურა ჰანს კასტორპმა, - სწორედ ახლახან მივიღე. აი, აქ მიდევს, - დასძინა მან და ხელი პიჯაკის შიდა ჯიბეზე მოივლო.
- აჰ, საფულით დაატარებთ თან, როგორც პირადობის მოწმობას, პასპორტს ან საწევრო ბილეთს, არა? კეთილი და პატიოსანი. მაჩვენეთ, ერთი!
სეტემბრინიმ ჰანს კასტორპს შავქაღალდშემოვლებული მომცრო მინის ფირფიტა გამოართვა, ცერითა და საჩვენებელი თითით დაიჭირა და სინათლეზე გახედა, - ეს ჟესტი აქ, ზევით, მიღებული გახლდათ. ფირფიტის ჭვრეტისას ნუშისთვალება სახე

ოდნავ დაეჭყანა. კაცი ვერ მიხვდებოდა, რატომ ეჭყანებოდა სახე, კარგად უნდოდა გაეჭვრიტა ფირფიტა, თუ ამას სხვა მიზეზი ჰქონდა.
- დიახ, დიახ, ინებეთ თქვენი პირადობის მოწმობა, დიდი მადლობა, - თქვა შემდეგ, ფირფიტა პატრონს მხარუკუღმა მიაწოდა და პირი მიიბრუნა.
- დაინახეთ ხლართები? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა, - კვანძებიც?
- თქვენ ხომ იცით, რა აზრისაცა ვარ ამ ნაწარმზე, - უნდილად უპასუხა ბატონმა სეტემბრინიმ, - ისიც მოგეხსენებათ, რომ ზედ დამჩნეული ლაქები და ჩამუქებები მეტწილად ფიზიოლოგიური ხასიათისაა. თქვენი სურათის მსგავსი ასობით სურათი მინახავს და შემიმჩნევია, რომ იმის გადაწყვეტა, სურათი ვინმეს „პირადობის მოწმობად“ გამოდგება თუ არა, ასე თუ ისე, დამკვირვებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ამ საქმეში უმეცარი კი გახლავართ, მაგრამ უმეცრობის სტაჟი მაინცა მაქვს დიდი.
- თქვენი პირადობის მოწმობა უარესად გამოიყურება?
- დიხა, ცოტა უარესად. სხვათა შორის, ჩემთვის ცნობილია, რომ ჩვენი უფალი მაესტროები მარტო ამ სათამაშოთი არ სვამენ დიაგნოზს. მაშ, ჩვენთან აპირებთ გამოზამთრებას, არა?
- ღმერთმანი... თანდათან ვეჩვევი იმ აზრს, რომ მხოლოდ ჩემს ბიძაშვილთან ერთად მომიწევს დაღმა დაქანება.
- მაშასადამე, ეჩვევით იმ აზრს, რომ თქვენ... მეტად გონებამახვილური ფორმულირებაა. იმედი მაქვს, მიიღებდით საჭირო ნივთებს, თბილ ტანსაცმელს, გამძლე ფეხსაცმელს?
- ყველაფერი მივიღე. ყველაფერი წესრიგში მაქვს, ბატონო სეტემბრინი. შინაურებს ვაცნობე და ჩვენმა დიასახლისმა ყველაფერი სასწრაფოდ გამომიგზავნა. ახლა აღარაფერი მიჭირს.
- ძალიან მასიამოვნეთ, მაგრამ მოიცათ, თქვენ გჭირდებათ საძილე ტომარა, ბეწვგამოკრული საძილე ტომარა. ეს როგორ არ მოგვაგონდა! ასეთი ნაგვიანევი ზაფხული სანდო არ არის. ერთ საათში შეიძლება შუა ზამთარი დაგვიდგეს. თქვენ აქ ყველაზე სუსხიანი თვეების გატარება მოგიწევთ...
- ჰო, საძილე ტომარა, - თქვა ჰანს კასტორპმა, - უიმისობა არ იქნება. მაგ აზრმა მეც გამიელვა თავში, ვიფიქრე, მე და ჩემი ბიძაშვილი ამ დღეებში დავოსში ჩავალთ და ვიყიდით-მეთქი. მერე აღარაფერში გამომადგება, მაგრამ ხუთი-ექვსი თვისათვის მაინც ღირს ყიდვა.
- ღირს, ღირს, ინჟინერო! - წყნარად თქვა ბატონმა სეტემბრინიმ და ყმაწვილკაცს უფრო მიუახლოვდა, - იცით, რა თავზარდამცემია, თვეებს ასე იოლად რომ ფანტავთ? თავზარდამცემია, რადგან ასეთი მფლანგველობა არაბუნებრივი და უცხოა თქვენი არსებისათვის და მხოლოდ თქვენი ასაკისათვის დამახასიათებელი წამხედურობის ბრალი გახლავთ. ოჰ, ახალგაზრდობის ეს გადამეტებული წამხედურობა! ესაა, სასოწარკვეთილებას რომ ჰგვრის აღმზრდელს, რადგან ახალგაზრდობა ცუდის გადმოღებისაკენ უფრო იჩენს მიდრეკილებას. ამ ატმოსფეროს შესაფერად კი ნუ ლაპარაკობთ, ჭაბუკო, ისე იაზროვნეთ, როგორც ეს თქვენს ევროპულ ცხოვრების წესს შეეფერება! „ბერგჰოფის“ ჰაერში, უპირველეს ყოვლისა, აზიური სული ტრიალებს. ტყუილად კი არ არის გამოვსებული აქაურობა მოსკოვიტური მონღოლეთიდან ჩამოსული ტიპებით. აი, ამ ხალხზე მოგახსენებთ, - თქვაბატონმა სეტემბრინიმ და ნიკაპით მხარუკუღმა ანიშნა ჰანს კასტორპს, - შინაგანად მათზე ნუ აიღებთ ორიენტაციას, ნუ გადმოგედებათ მათი ცნებები, პირიქით, თქვენი არსება, თქვენი უფრო მაღალი არსება დაუპირისპირეთ მათ და წმიდათაწმიდად შეინარჩუნეთ ის, რაც თქვენ, დასავლეთის შვილს, ღვთიური დასავლეთის შვილს, ცივილიზაციის პირმშოს, ბუნებითა და წარმომავლობით გაქვთ მომადლებული, ავიღოთ თუნდაც დრო! ეს გულუხვობა, ეს ბარბაროსული ხელგაშლილობა დრო-ჟამის ხარჯვაში აზიური სტილი გახლავთ, ალბათ, ამიტომაა, აღმოსავლეთის შვილებს ასე რომ უტკბებათ აქ ყოფნა. არასოდეს შეგინიშნავთ, რუსი „ოთხ საათს“ რომ იტყვის, ის ჩვენებური კაცის ნათქვამ „ერთ საათზე“ მეტს რომ არ უდრის? ადვილი საფიქრებელია, ამ ადამიანების აგდებული დამოკიდებულება დრო-ჟამის მიმართ მათი ქვეყნის უკიდეგანოდ გადაჭიმულ სივრცესთან იყოს დაკავშირებული. სადაც ბევრი სივრცეა, იქ დროც ბევრია. ტყუილად როდი ამბობენ ამ ხალხზე, დროცა აქვთ და

ლოდინიც შეუძლიათო. ჩვენ, ევროპელებს, ეს არ შეგვიძლია. ჩვენ ისევე ცოტა გვაქვს დრო, როგორი მცირე სივრცეცა აქვს ჩვენს კეთილშობილურად და კოპწიად დაყოფილ კონტინენტს, ჩვენ როგორც ერთის, ისევე მეორის კარგი მოვლა-პატრონობა, დამუშავებადა გამოყენება, დიახ, გამოყენება გვმართებს, ინჟინერო! სიმბოლოდ ჩვენი დიდი ქალაქები ავიღოთ, ცივილიზაციის ეს უდიდესი ცენტრები, ეს აზროვნების სამჭედლოები! როგორც მიწა ძვირდება თანდათან აქ და მიუტევებელი ხდება ფართობის განიავება, ისევე, კარგად დაიმახსოვრეთ ეს, ინჟინერო, ისევე ძვირდება იქ დრო, Carpe diem
!(დაიჭირე დღე! (ლათ.).)
ასე მღეროდა ერთი დიდი ქალაქის შვილი. დრო ადამიანთათვის ღმერთისგან ბოძებული ჯილდოა, კაცობრიობის პროგრესის სამსახურში ჩასაყენებლად ბოძებული ჯილდოა, ინჟინერო!
ეს უკანასკნელი სიტყვებიც კი, რომლებიც ამდენ ფონეტიკურ დაბრკოლებას უქმნიდნენ მის მედიტერანულ(ხმელთაშუა ქვეყნების ენა.)
ენას, სეტემბრინიმ ჩინებულად, მკაფიოდ, კეთილხმოვნად და შეიძლება ითქვას, პლასტიკურადაც კი მიიტანა მსმენელის ყურამდე. ჰანს კასტორპი ხმას არ იღებდა, მხოლოდ იმ მოწაფესავით მოკლედ, კისერგაშეშებული და დარცხვენილი უქნევდა სეტემბრინის თავს, რომელიც საყვედურებით სავსე შეგონებებს იღებს ყურად. ან კი რა უნდა ეპასუხა? ეს Privatissimum
,(საიდუმლო ბარათი (ლათ.).)
რომელიც ბატონმა სეტემბრინიმ საიდუმლოდ, დანარჩენი საზოგადოებისაკენ ზურგშექცეულმა, თითქმის ჩურჩულით წაუკითხა, ისეთი საქმიანი გახლდათ და ისე ნაკლებად იყო ფართო საზოგადოებისათვის გამიზნული, რომ ტაქტი იმის უფლებასაც კი არ მოგცემდათ, თუნდაც მოწონება გამოგეხატათ. მასწავლებელს არ ეუბნებიან, ეს კარგად გამოგივიდათო. ჰანს კასტორპს წინათ ხანდახან უთქვამს ასე, რათა საზოგადოებრივი თვალსაზრისით მასთან თანასწორი ურთიერთობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ასეთი დაჟინებული აღმზრდელობითი საუბარი ჰუმანისტს მისთვის ჯერ არ ჩაეტარებინა და ჰანს კასტორპსაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა: შეგონებანი სიტყვაშეუბრუნებლად უნდა მოესმინა და ამდენი მორალით თავგამოტენილი, დატუქსულ მოსწავლესავით უნდა გაყუჩებულიყო.
ბატონი სეტემბრინი გაჩუმდა, მაგრამ ეტყობოდა, გულში კვლავ თავის ნათქვამზე ფიქრობდა. ჰანს კასტორპთან ისე ახლოს იდგა, რომ ეს უკანასკნელი წელში გადაიზნიქა, ის კი თავისი შავი, ჭკვიანი თვალებით დაჟინებით მისჩერებოდა ახალგაზრდა კაცს სახეში.
- თქვენ იტანჯებით, ინჟინერო! - განაგრძო მან, - თავგზააბნეული კაცივით იტანჯებით, ამას ყველა გატყობთ, მაგრამ თქვენი დამოკიდებულება ტანჯვასთანაც კი ევროპული უნდა იყოს და არა აღმოსავლური. აღმოსავლეთი რბილია და ავადმყოფობისადმი მეტ მიდრეკილებას იჩენს. ამიტომაცაა ეს ადგილი აღმოსავლელებით უხვად მოფენილი... თანაგრძნობა და უზომო მოთმინება, აი, ასე ეკიდება აღმოსავლეთი ტანჯვას. ეს დამოკიდებულება არ შეიძლება, უფლება არა გვაქვს ჩვენად, თქვენად გავიხადოთ! ჩვენ ჩემს წერილზე ვსაუბრობდით... ნახეთ, აქ... მაგრამ უმჯობესია, გავეცალოთ აქაურობას! აქ შეუძლებელია... იქით შევიდეთ, იმ ოთახში. მე თქვენ ისეთ რამეებს გაგიმხელთ, რომლებიც... წამოდით!
ბატონი სეტემბრინი შეტრიალდა, ჰანს კასტორპი ვესტიბიულს მოაცილა და სადარბაზო შემოსასვლელთან ყველაზე ახლოს მდებარე თავისუფალ სალონში შეიყვანა. სალონი სამკითხველო ოთახივით იყო მოწყობილი. ოთახის ჭერი კრემისფრად შეეღებათ, მუხისპანელებიან კედლებთან წიგნების კარადები იდგა. სკამებშემოწყობილ მაგიდაზე აკინძული გაზეთები ეწყო, ხოლო თაღოვან ფანჯრის ნიშებში საწერი მოწყობილობა მოჩანდა. ბატონი სეტემბრინი მიუახლოვდა ერთ-ერთ ფანჯარას და ჰანს კასტორპიც მიჰყვა. კარი ღია დარჩა.
- ამ ქაღალდებს, - დაიწყო იტალიელმა, ქისასავით დაკიდებული შიდაჯიბიდან მარდად ამოაძრო მოზრდილი, უკვე გახსნილი კონვერტი და შიგ მოთავსებული ნაირ-ნაირი ნაბეჭდი ფურცლები და ერთიც ხელნაწერი ბარათი ჰანს კასტორპს გადმოულაგა, - ამ ქაღალდებს ფრანგულად აწერია: „პროგრესის ხელშემწყობი

ინტერნაციონალური საზოგადოება“. ესლუგანოდან გამომიგზავნეს, სადაც ამ კავშირის ფილიალი გახლავთ. გაინტერესებთ მისი პრინციპები და მიზნები? ორიოდე სიტყვით აგიხსნით. პროგრესის ხელშემწყობ ლიგას დარვინის ევოლუციური მოძღვრებიდან გამოჰყავს თავისი ფილოსოფია, რომ კაცობრიობის ბუნებრივი, შინაგანი მოწოდება თვითსრულყოფა გახლავთ. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ყოველი კაცი, რომელსაც სურს, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ლტოლვა, მოვალეა, ხელი შეუწყოს კაცობრიობის წინსვლასა და განვითარებას. ბევრმა იღო ყურად მისი მოწოდება. ამ კავშირს საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, თურქეთსა და თვით გერმანიაშიც საკმაოდ ბევრი წევრი ჰყავს. მეც მაქვს პატივი, კავშირის წევრთა სიაში ვირიცხებოდე. კავშირმა შეიმუშავა მეცნიერულად დაფუძნებული გრანდიოზული სარეფორმო პროგრამა, რომელიც ადამიანის ორგანიზმის სრულყოფის ყველა არსებულ საშუალებას მოიცავს. შესწავლის პროცესშია ჩვენი რასის ჯანმრთელობის პრობლემა, ცდიან დეგენერაციის დასაძლევ ყოველგვარ მეთოდს, რაც უეჭველად მზარდი ინდუსტრიალიზაციის თანმხლები სავალალო მოვლენა გახლავთ. შემდეგ კავშირი მიზნად ისახავს სახალხო უნივერსიტეტების დაარსებას, ცდილობს ამ მიზნისათვის გამოსადეგი ყველა სოციალური ხასიათის გაუმჯობესებით დასძლიოს კლასობრივი ბრძოლა და ბოლოს მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლის განვითარებით მოსპოს ხალხთა შორის შეტაკებანი და ომები. როგორც ხედავთ, ლიგის მისწრაფებანი დიდბუნებოვანი და ყოვლისმომცველია. ამ კავშირის მოღვაწეობას მრავალი ინტერნაციონალური ჟურნალი ადასტურებს. ეს გახლავთ ყოველთვიური მიმომხილველები, რომლებიც სამ თუ ოთხ მსოფლიო ენაზე მოგვითხრობენ კულტურული კაცობრიობის პროგრესული განვითარების ამბავს. სხვადასხვა ქვეყანაში დაარსებულია უამრავი ადგილობრივი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებმა სადისკუსიო საღამოებისა და საკვირაო დღესასწაულების შემწეობით უნდა გაანათლონ და აღამაღლონ ხალხი, აღზარდონ ისინი ადამიანის პროგრესული იდეალისათვის ბრძოლის სულისკვეთებით. უპირველეს ყოვლისა, კავშირი იმისათვის იღვწის, რომ ყველაქვეყნის პოლიტიკურ პროგრესულ პარტიებს მიაწოდოს თავისი მასალები და ამით შეუწყოს ხელი... მისმენთ, ინჟინერო?

- მთელი გულისყურით! - ცხარედ უპასუხა გაოგნებულმა ჰანს კასტორპმა. ამ სიტყვებზე ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხი დაუცდა, მაგრამ საბედნიეროდ, დაცემისაგან თავი შეიკავაო.

ბატონი სეტემბრინი, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა.

- მე მგონი, თქვენთვის სრულიად ახალ და მოულოდნელ აზრებს ეზიარეთ, არა?

- დიახ, უნდა ვაღიარო, რომ პირველად მესმის ამ... ამ მისწრაფებების ამბავი.

- ნეტავ ადრე გაგეგონათ, - წყნარად წამოიძახა სეტემბრინიმ, - ნეტავ ადრე გაგეგონათ! მაგრამ იქნებ ახლაც არ იყოს გვიან. ვაი, ეს ნაბეჭდი ფურცლები... თქვენ გინდათ იცოდეთ, რაზეა აქ ლაპარაკი... მისმინეთ! გაზაფხულზე ბარსელონაში მოიწვიეს კავშირის საზეიმო საერთო კრება. მოგეხსენებათ, ამ ქალაქს შეუძლია იამაყოს პოლიტიკური პროგრესის იდეებისადმი განსაკუთრებული ინტერესებით. კონგრესი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ბანკეტებისა და საზეიმო საღამოების ორომტრიალში. ღმერთო დიდებულო, როგორ გულით მინდოდა იმ თათბირში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ამ გაიძვერა ჰოფრატმა ამიკრძალა წასვლა, ეს მოგზაურობა სიცოცხლის ფასად დაგიჯდებაო, მეც შემეშინდა სიკვდილის და ვერ წავედი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ წარმიკვეთდა სასოს ჩემი უბადრუკი ჯანმრთელობისგან მოწყობილი ოინი. იმაზე მწარე არაფერია, როცა ჩვენი ორგანული, ცხოველური საწყისი გონების სამსახურში გვიშლის ხელს. მით უფრო მანიჭებს სიხარულს ლუგანოს ბიუროდან გამოგზავნილი ეს ბარათი... გაინტერესებთ ხომ, რას მწერენ? სიამოვნებით გიჯერებთ! მოგაწვდით რამდენიმე მოკლე ინფორმაციას... „პროგრესის ხელშემწყობი კავშირი“ ითვალისწინებს რა სინამდვილეს, დაასკვნის, რომ მისი ამოცანაა, ბედნიერება მოუპოვოს კაცობრიობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ... ადამიანთა ტანჯვა მიზანსწრაფული სოციალური შრომის მეოხებით დაამარცხოს და საბოლოოდ ამოძირკვოს კიდეც, შემდეგ კვლავ ითვალისწინებს რა სინამდვილეს, დაასკვნის, რომ ეს უმაღლესი

ამოცანა შეიძლება გადაიჭრას სოციოლოგიური მეცნიერების წყალობით, რომლის საბოლოო მიზანს სრულყოფილი სახელმწიფო წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, კავშირმა გადაწყვიტა, ბარსელონაში გამოსცეს მრავალტომიანი შრომა „ტანჯვის სოციოლოგია“, რომელშიაც ადამიანური ტანჯვა ყველა თავისი გვარისა და სახეობის მიხედვით ზუსტად და ამომწურავად იქნება დამუშავებული. იქნებ მკითხოთ, რა საჭიროა კლასები, სახეობები და სისტემებიო. მე გიპასუხებთ: წესრიგი და კლასიფიკაცია საწყისია შემეცნებისა, ხოლო ყველაზე საშიში მტერი უცნობი მტერი გახლავთ. ადამიანთა მოდგმა უნდა გამოვიყვანოთ შიშისა და თვინიერი გონებაჩლუნგობის პრიმიტიული სტადიიდან და მას შეგნებული მოღვაწეობის ფაზისაკენ გავუძღვეთ, ოღონდ უნდა ავუხსნათ, რომ სავსებით შესაძლებელია იმ მოვლენების დაძლევა, რომელთა მიზეზებს ჯერ შევიცნობთ და მერეაღმოვფხვრით. ასევე უნდა ავუხსნათ ისიც, რომ ინდივიდის თითქმის ყველა ტანჯვა სოციალური ორგანიზმის დაავადებებს წარმოადგენს. კეთილი და პატიოსანი! აი, ეს გახლავთ „სოციოლოგიური პათოლოგიის“ მიზანი. ამგვარად, ლექსიკონის ფორმატის ოცამდე ტომში ჩამოთვლილი და განხილული იქნება ადამიანის ტანჯვის ყველა შემთხვევა, რაც კი შეიძლება არსებობდეს - პირადი და ინტიმური ტანჯვით დაწყებული და დიდი ჯგუფური კონფლიქტებით დამთავრებული, რომლებიც კლასობრივი მტრობისა და საერთაშორისო შეტაკებების ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე. იგი, მოკლედ რომ ვთქვათ, გვიჩვენებს ქიმიურ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვანი შერევითა და შეკავშირებითაა შედგენილი ყველა ადამიანური ტანჯვა. ამ ნაშრომს სახელმძღვანელო პრინციპად ადამიანის ღირსება და ბედნიერება გაუხდია და სხვას თუ ვერაფერს, ყოველ შემთხვევაში, ტანჯვის მიზეზთა აღმოფხვრის საშუალებებსა და ხერხებს მაინც ჩაუგდებს კაცობრიობას ხელში. ევროპული სამეცნიერო სამყაროს სახელგანთქმული სპეციალისტები, ექიმები, ეკონომისტები და ფსიქოლოგები მიიღებენ მონაწილეობას ამ ტანჯვის ენციკლოპედიის დამუშავებაში. ლუგანოს გენერალური სარედაქციო ბიურო კი რეზერვუარი იქნება, სადაც თავს მოიყრის ეს სტატიები. თქვენ თვალებით მეკითხებით, რა როლი მეკისრება მე ამ საქმეში, არა? ბოლომდე მათქმევინეთ სათქმელი! ეს დიდი შრომა არც კაზმულსიტყვაობას უგულებელყოფს, რამდენადაც სწორედ ადამიანური ტანჯვა წარმოადგენს მისი ასახვის საგანს. კაზმულსიტყვაობისათვის ცალკე ტომია გათვალისწინებული, სადაც ტანჯულთა სანუგეშოდ და ჭკუის სასწავლებლად ყოველი ადამიანური კონფლიქტის შესაფერი მსოფლიო ლიტერატურის შედევრი იქნება მოკლედ განხილული; ჰოდა, ეს გახლავთ სწორედ ის დავალება, რომელსაც ამ წერილით ანდობენ თქვენს მონა-მორჩილს კავშირის მესვეურები.

- რას ბრძანებთ, ბატონო სეტემბრინი! ნება მიბოძეთ, სულით და გულით მოგილოცოთ! ეს ხომ დიდებული დავალებაა და მე რომ მკითხოთ, ზედგამოჭრილი თქვენთვის. სრულიადაც არ მიკვირს, რომ ლიგამ თქვენ გაგიხსენათ. ალბათ, როგორ გიხარიათ, ადამიანური ტანჯვის ამოძირკვაში თქვენც რომ შეიტანთ წვლილს.

- ეს უზარმაზარი სამუშაოა, - დინჯად თქვა ბატონმა სეტემბრინიმ, - მის დასაძლევად დიდი დაკვირვება და ბევრი კითხვა მმართებს. მით უმეტეს, - დასძინა მან და თვალებზე შეეტყო, რომ მზერა თავისი ამოცანის მრავალფეროვნებაში ჩაეკარგა, - მით უმეტეს, რომ კაზმულსიტყვაობა თითქმის ყოველთვის ადამიანურ ტანჯვას ირჩევდა თავისი განსჯის საგნად. დიახ, თვით მეორე და მესამე რანგის ქმნილებებიც კი, ასე თუ ისე, ამ საგანს დასტრიალებენ თავს. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მით უკეთესი ჩემთვის, რაც უნდა მრავლისმომცველი იყოს ჩემი საქმე, იგი იმ ყაიდისაა, რომ უკიდურეს შემთხვევაში ამ დაწყევლილ ადგილზეც შეიძლება გაკეთდეს, თუმცა არ მინდა დავიჯერო, რომ იძულებული შევიქნები, იგი აქ დავასრულო კიდეც. თქვენზე დაკისრებულ მოვალეობაზე კი, - განაგრძო ბატონმა სეტემბრინიმ, ხმას დაუწია და კვლავ ახლოს მივიდა ჰანს კასტორპთან, - თქვენზე დაკისრებულ მოვალეობაზე კი არ შეიძლება იგივე ითქვას, ინჟინერო! სწორედ ამის სათქმელად მინდოდა გამომეტყუებინეთ იქიდან. კარგად მოგეხსენებათ, როგორ მომწონს თქვენი პროფესია, მაგრამ იგი წმინდა პრაქტიკული პროფესიაა და არა

ინტელექტუალური და ჩემგან განსხვავებით მხოლოდ ბარში შეგიძლიათ გამოიყენოთ. მხოლოდ ბარში შეგიძლიათ იყოთ ევროპელი, თქვენებურად გაუმკლავდეთ ტანჯვა-ვაებას, პროგრესს ემსახუროთ, დრო მოიხმაროთ. მე მხოლოდ იმიტომ გიამბეთ ჩემს წილხვედრ ამოცანაზე, რათა თქვენი საკუთარი მოვალეობა მოგგონებოდათ, გონს მოჰგებოდით და თქვენი ცნებები გამოგესწორებინათ, აქაური ატმოსფეროს ზეგავლენით აშკარად რომ აგბნევიათ. დაჟინებით მოგიწოდებთ: საკუთარ თავს ნუ განუდგებით! სიამაყეს მოუხმეთ და თქვენი ბუნებისათვის უცხო რაც არის, იმას განერიდეთ, მოსცილდით ამ ჭაობს, ამ კირკეს კუნძულს,(კირკეს კუნძული - ლეგენდარული კუნძული, სადაც ძველი ბერძნული თქმულების მიხედვით ცხოვრობდა ჯადოქარი კირკე, მზის - ჰელიოსის ასული, რომელმაც ოდისევსის თანამგზავრები ღორებად აქცია.)
თორემ ოდისევსობამდე ბევრი გაკლიათ, რომ აქ ყოფნა შეგრჩეთ. მალე ოთხზე ივლით, საცა წინა კიდურებს დააბჯენთ მიწას და მერე იღრუტუნებთ კიდეც, თავს გაუფრთხილდით!
ჰუმანისტი ხმადაბლა წარმოთქვამდა თავის შეგონებებს, მაგრამ დაჟინებით იქნევდა თავს, შემდეგ შუბლი შეეჭმუხნა, თვალები დახარა და გაჩუმდა. შეუძლებელი იყო, ჰანს კასტორპს მისთვის ძველებურად ხუმრობით ეპასუხა, ან ბანზე აეგდო სიტყვა, თუმცა ერთი პირობა კინაღამ წასძლია სულმა, ხუმრობაში გაეტარებინა სეტემბრინის შეგონებანი. ახლა ისიც თავდახრილი იდგა, შემდეგ მხრები აიწურა და ისევე წყნარად იკითხა:
- აბა, რა ვქნა?
- რაც მე გითხარით.
- ესე იგი, აქედან წავიდე, არა?
ბატონი სეტემბრინი დუმდა.
- იქნებ გნებავთ, მითხრათ, შინ წადიო?
- ეგ მე პირველსავე საღამოს გირჩიეთ, ინჟინერო.
- დიახ, მირჩიეთ... და მაშინ თავისუფლად შემეძლო კიდეც შინ დაბრუნება, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაერმა დამცადა, ფარ-ხმლის დაყრა მაშინაც უგუნურებად მიმაჩნდა. მაგრამ მას შემდეგ ხომ შეიცვალა საქმის ვითარება. მას მერე იყო, რომ გამსინჯეს და ჰოფრატმა ბერენსმა მიუკიბ-მოუკიბავად მითხრა, შინ გამგზავრება არა ღირს, სულერთია, მაინც მალე მოგიწევთ აქ დაბრუნებაო. ბარში რომ განმეგრძო ძველებურად ცხოვრება, ჩემი საქმე ისე წავიდოდა, ფილტვს მალე გამოვემშვიდობებოდი კიდეც.
- ვიცი, ვიცი, ახლა პირადობის მოწმობა გიდევთ ჯიბეში.
- დიახ, ისე ირონიულად მეუბნებით მაგას, რომ... რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი ირონიით, რომელიც არც ერთი წუთით არ არის გაუგებარი, პირიქით, მჭევრმეტყველების უშუალო და კლასიკური ხერხი გახლავთ; ხომ ხედავთ, როგორ ვიმახსოვრებ თქვენს სიტყვებს, მაგრამ შეგიძლიათ კი საკუთარ თავზე აიღოთ პასუხისმგებლობა და შინ გამგზავრება მირჩიოთ, როცა უკვე არსებობს ეს ფოტოსურათი, გაშუქების მონაცემები და ჰოფრატის დიაგნოზი?
ბატონი სეტემბრინი წუთით შეყოყმანდა, შემდეგ წელში გაიმართა, შავი თვალები მტკიცედ მიანათა ჰანს კასტორპს და საკმაოდ თეატრალური და ეფექტური რიხით მიუგო:
- დიახ, ინჟინერო, ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას.
მაგრამ ახლა ჰანს კასტორპიც გაიჯგიმა. ქუსლი ქუსლს მიატყუპა და ბატონ სეტემბრინის თვალი თვალში გაუყარა. ეს უკვე შერკინება გახლდათ და ჰანს კასტორპს თავი ჯაბნად არ უჩვენებია. ვისი გავლენაც სძლევდა, ის ახლოს ჰყავდა და ამან გაამხნევა“ იგი. აქ პედაგოგი ედგა წინ, გარეთ კი ვიწროთვალება ქალი ეგულებოდა. ჰანს კასტორპს ბოდიშიც არ მოუხდია, არ უთქვამს, არ გეწყინოთ, ამას რომ გეუბნებითო, ისე ჯიქურ მიახალა სეტემბრინის:
- თქვენ საკუთარ თავს მეტად უფრთხილდებით, ვიდრე სხვებს! თქვენ თვითონ ვერ აღუდექით წინ ექიმის აკრძალვას და სიკვდილის შიშით ბარსელონაში პროგრესის კონგრესზე არ წაბრძანდით.
ბატონ სეტემბრინის ამ სიტყვებზე აშკარად შეეტყო შეცბუნება, შემდეგ ბაგეზე საკმაოდ ნაძალადევი ღიმილი გამოესახა და თქვა:
- მე ვიცი მოსწრებული სიტყვის ფასი, თუმცა თქვენი ლოგიკა შორს აღარ არის

სოფისტიკისაგან. ზიზღსა მგვრის აქ მიღებულ ამაზრზენ კამათში ჩაბმა, თორემ გიპასუხებდით, რომ მე თქვენზე გაცილებით მძიმედ ვარ ავად, სამწუხაროდ, ისე მძიმედ გახლავართ ავად, რომ თავს ვიტყუებ და ძალად ვიქმნი იმედს, ვითომ ოდესმე მეღირსება აქედან წასვლა და ბარში დაბრუნება. იმ წუთშივე, როგორც კი ნიადაგი გამოეცლება ჩემს იმედს, ამ დაწესებულებას ზურგს შევაქცევ, ხეობაში დავიქირავებ ბინას და დარჩენილ დღეებს იქ დავლევ. ვაგლახ, რომ სამწუხარო იქნება ასეთი ბოლო, მაგრამ ჩემი მოღვაწეობის სფერო შედარებით თავისუფალი და ინტელექტუალურია, ფიზიკური სიძაბუნე ხელს ვერ შემიშლის, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვემსახურო კაცობრიობის საქმეს და ავადმყოფობას არ შევეპუო. ჩვენ შორის ამ თვალსაზრისით არსებულ განსხვავებაზე მე უკვე მიგაქცევინეთ ყურადღება. ინჟინერო, თქვენ ის კაცი არა ხართ, ვისაც შეუძლია თავისი ნიჭი და უნარი აქ გამოიჩინოს, ეს თქვენთან პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი. თქვენ მიყიჟინებთ, ბარსელონაში არ წახვედითო: დიახ, აკრძალვას დავემორჩილე, რათა ნაადრევად არ მომესწრაფებინა სიცოცხლე, მაგრამ უბრძოლველად მაინც არ მომიდრეკია ქედი, ჩემი სული ზვიადად და გამწარებით უცხადებდა პროტესტს ჩემი საცოდავი სხეულის კარნახს. თქვენში იღვიძებს კი ეს პროტესტი, როცა აქაურ ხელისუფალთა ნებას ემორჩილებით, თუ სხეული გძლევთ და თქვენც სიხარულით მისდევთ მის ბოროტ ძახილს?..
- რას ერჩით სხეულს? - სიტყვა პირში შეატეხა სეტემბრინის ჰანს კასტორპმა და გაფართოებული ლურჯი თვალები მიაპყრო, რომლის თეთრონები წითლად ჰქონდა დაქსელილი. აშკარად ეტყობოდა, საკუთარი შეუპოვრობა თვითონვე ასხამდა თავბრუს. „რაებს ვლაპარაკობ, - ფიქრობდა გულში, - კარგი დღე არ დამადგება, მაგრამ რაკი ერთხელ ავუმხედრდი, სანამ შევძლებ, სიტყვას აღარ შევარჩენ. რა თქმა უნდა, საბოლოოდ ის მაჯობებს, მაგრამ არაფერია, ამით მაინც რაღაცას მოვიგებ. სხვა თუ არაფერი, გავაღიზიანებ მაინც“. ჰანს კასტორპმა თავისი საყვედური დაასრულა:
- თქვენ ხომ ჰუმანისტი ხართ? როგორ შეგიძლიათ სხეულს ასე მტრულად ეკიდებოდეთ?
სეტემბრინიმ ამჯერად ძალდაუტანებლად და თავდაჯერებულად გაიღიმა.
- „რას ერჩით ფსიქოანალიზს? ანალიზზე ცუდი აზრის ბრძანდებით?“ - თავი მხარზე დაიდო და ისე მოიყვანა ჰანს კასტორპის ციტატა სეტემბრინიმ, - ამ კითხვებზე ყოველთვის მზად გახლავართ, პასუხი გაგცეთ, ინჟინერო, - თავი დაუკრა სეტემბრინიმ და პატივისცემის ნიშნად მოხდენილად გაშალა ხელები, - განსაკუთრებით მაშინ, როცა თქვენი საყვედური გონივრულია. თქვენ დარტყმებსაც საკმაოდ ელეგანტურად იგერიებთ. ჰუმანისტიო, რა თქმა უნდა, ჰუმანისტი გახლავართ, ასკეტურ მიდრეკილებებს ვერ მიყიჟინებთ. მე ვაღიარებ, პატივს ვცემ და ვეტრფი სხეულს, ისევე როგორც ფორმას,სილამაზეს, თავისუფლებას, სიხარულსა და ტკბობას ვაღიარებ, პატივს ვცემ და ვეტრფი, ისევე როგორც ამქვეყნიურ“, ცხოვრებისეულ ინტერესებს ვიცავ ამ ქვეყნიდან სენტიმენტალური გაქცევისაგან, - რომანტიზმს კლასიციზმს ვამჯობინებ. მე, მგონი, ნათელია ჩემი პოზიცია. მაგრამ არსებობს ძალა, პრინციპი, რომელსაც ეკუთვნის ჩემი უმაღლესი აღიარება, ჩემი უმაღლესი და უკანასკნელი მოწიწება და სიყვარული და ეს ძალა, ეს პრინციპი გონი გახლავთ. როგორ მძულს ის საეჭვო მთვარეული მოჩვენებები და აჩრდილები, რასაც სულს“ უწოდებენ და სხეულს უპირისპირებენ, მაგრამ სხეულისა და გონის ანტითეზაში სხეული ბოროტ, ეშმაკისეულ საწყისს ასახიერებს, რადგან სხეული ბუნებაა, გონთან, საზრისთან დაპირისპირებული ბუნება კი, ვიმეორებ, ბოროტია, მისტიკური და ბოროტი. თქვენ ხომ ჰუმანისტი ბრძანდებითო! რა თქმა უნდა, ჰუმანისტი გახლავართ, რადგან მე ადამიანების მეგობარი ვარ, ისევე როგორც პრომეთე იყო ადამიანების მეგობარი, მე კაცობრიობისა და მისი კეთილშობილების თაყვანისმცემელი გახლავართ, მაგრამ ეს კეთილშობილება გონშია, საზრისშია ჩაქსოვილი, და თქვენ ამაოდ მიყიჟინებთ ქრისტიანულ ობსკურანტობას...
ჰანს კასტორპს პროტესტი გამოეხატა სახეზე.
- დიახ, ამაოდ გაირჯებით, - თავისას ადგა სეტემბრინი, - რაკი ჰუმანისტურმა, კეთილშობილურმა სიამაყემ გონის სხეულთან, ბუნებასთან კავშირი ერთ მშვენიერ დღეს დამამცირებლად და სამარცხვინოდ მიიჩნია. გაგიგონიათ თუ არა,

დიდ პლოტინს(პლოტინი (204-დაახლ. 270) - ბერძენი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი, რომელმაც ანტიკური ხანის იდეალისტური აზრი აღმოსავლეთის მისტიკურ მოძღვრებასთან შეაერთა. პლოტინის მოძღვრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაზე.)
უთქვამს, მრცხვენია, სხეული რომ მაქვსო? - ისე სერიოზულად ჩაეკითხა ჰანს კასტორპს სეტემბრინი, რომ ყმაწვილი კაცი იძულებული გახდა, ეღიარებინა, ეს სიტყვები პირველად მესმისო.
- ასე გადმოგვცემს პორფირიუსი(პორფირიუსი (232-დაახლ. 305 წწ.) - ბერძენი ფილოსოფოსი, პლოტინის მოწაფე და პოპულარიზატორი, პლატონისა და არისტოტელეს შრომების კომენტატორი.)
აბსურდული გამონათქვამია, თუ გნებავთ, მაგრამ სწორედ ეს აბსურდია სულიერი თვალსაზრისით პატივსაცემი და იმაზე საცოდაობა არა არის რა, ამ აბსურდულობის სასაყვედუროდ მოგიბრუნდეს ენა, იქ, სადაც გონი ბუნებას უპირისპირდება, საკუთარ ღირსებას იცავს და ბუნების წინაშე თავმოდრეკაზე ამბობს უარს... გსმენიათ ლისაბონის მიწისძვრის ამბავი?
- არა, რა მიწისძვრა? აქ გაზეთებს არ ვათვალიერებ...
- თქვენ ვერ გამიგეთ. სხვათა შორის, ჩვენდა სავალალოდ, ესეც აქაურობისათვის დამახასიათებელი სენია, პრესას რომ არ კითხულობთ. მაგრამ თქვენ ვერ გამიგეთ, მე რომ მოგახსენეთ, ის მიწისძვრა ახალი არ გახლავთ, იგი დაახლოებით ას ორმოცდაათი წლის წინ მოხდა...
- დიახ, დიახ, დამაცათ, სწორია! წამიკითხავს, გოეთემ მაშინ ვაიმარში, თავის საწოლ ოთახში უთხრა მსახურს...(„გოეთემ მაშინ ვაიმარში, თავის საწოლ ოთახში უთხრა მსახურს“ - გოეთემ 1808 წელს ვაიმარში იგრძნო მესინის მიწისძვრა. ამას ადასტურებს ეკერმანი წიგნში საუბრები გოეთესთან“.)
- აჰ, მე სულ სხვას მოგახსენებდით, - გააწყვეტინა სეტემბრინიმ, თვალები დახუჭა და პატარა, შავგვრემანი ხელი ჰაერში გაიქნია, - ისე კი, თქვენ ერთმანეთში ურევთ კატასტროფებს. თქვენ მესინის მიწისძვრას გულისხმობთ, მე კი მხედველობაში მაქვს მიწისძვრა, რომელიც ლისაბონს დაატყდა თავს 1755 წელს.
- უკაცრავად.
- ჰოდა, ვოლტერი აღშფოთდა.
- ეგ როგორ გავიგოთ, რას ჰქვია, აღშფოთდა?
- დიახ, იგი ამბოხდა. მან არ ცნო ეს უხეში ბედისწერა, ეს უგუნური ფაქტი, და მის წინაშე ქედის მოხრაზე უარი განაცხადა. მან სულისა და გონების სახელით პროტესტი გამოუცხადა ბუნების ამ აღმაშფოთებელ თავგასულობას, რომელმაც აყვავებული ქალაქის სამი მეოთხედი და ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა... გიკვირთ? გეღიმებათ? გაოცება თქვენი ნებაა, მაგრამ ღიმილს რაც შეეხება, თავს ნებას ვაძლევ, აგიკრძალოთ იგი! ვოლტერის პოზიცია იმ ძველი გალების ჭეშმარიტი ნაშიერის პოზიციაა, რომლებიც ზეცას ისრებს უშენდნენ...
(ძველი გალების ჭეშმარიტი ნაშიერის პოზიციაა, რომლებიც ზეცას ისრებს უშენდნენ“ - ამას მოგვითხრობს რომაელი მხედართმთავარი, გაიუს იულიუს კეისარი თავის ნაწარმოებში ჩანაწერები გალებთან ომზე“ (ძვ. წ. 52-51).) ხედავთ, ინჟინერო, აი, აქა გაქვთ ბუნების მიმართ გონის მტრობის, მის მიმართ ზვიადი უნდობლობის ნიმუში, ბუნებისა და მისი ბოროტი, უგუნური ძალების კრიტიკის უფლების მოპოვება დიდგულოვნებით, რადგან იგი ძალას წარმოადგენს, ხოლო ძალის მორჩილება, მასთან შერიგება. მონობის დამადასტურებელი გახლავთ: დაიმახსოვრეთ, მასთან შინაგანად შერიგება მონობას ნიშნავს... აი, აქა გაქვთ ის ჰუმანურობაც, რომელიც სულაც არ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს და არც ქრისტიანულ ფარისევლობასუბრუნდება, რაკი სხეულში ბოროტი და მტრული პრინციპის დანახვას ბედავს. აქ თქვენ მიერ დანახული წინააღმდეგობა პრინციპულად იგივე გახლავთ. „რას ერჩით ფსიქოანალიზსო“? არაფერს... თუკი ის აღზრდის, თავისუფლებისა და პროგრესის საქმეს ემსახურება. ყველაფერს... თუკი მას სამარის ამაზრზენი სუნი უდის. სხეულის საქმეც ასეა. მას პატივი უნდა ვცეთ და უნდა დავიცვათ, თუ საქმე მის ემანსიპაციასა და სილამაზეს ეხება, მაგრამ მისი შეძულება გვმართებს, თუკი იგი სიმძიმისა და მოთენთილობის პრინციპად გვევლინება, თუკი მისი სპეციფიკური სული გაუკუღმართების, გახრწნის, ავხორცობისა და სირცხვილის სულად იქცევა...

სეტემბრინიმ ჰანს კასტორპს სახე სახესთან მიუტანა და უკანასკნელი სიტყვები თითქმის უხმოდ და ძალიან სწრაფად ჩაულაპარაკა, რათა სათქმელი მოემთავრებინა. ამ დროს ჰანს კასტორპს მხსნელი მოევლინა: სამკითხველო ოთახში იოახიმი შემოვიდა, რომელსაც ხელში ორი ღია ბარათი ეკავა. ლიტერატორმა სიტყვა გაწყვიტა და ისე მარჯვედ შეიცვალა გამომეტყველება და სახეზე ისე სწრაფად გადაიფინა თავაზიანი ღიმილი, რომ მის მოწაფეზე - თუკი შეიძლება ჰანს კასტორპს ასე ვუწოდოთ - დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.
- აი, თქვენც გამოჩნდით, ლეიტენანტო! ალბათ, თქვენს ბიძაშვილს ეძებდით. მომიტევეთ! საუბარში გავერთეთ და თუ არ ვცდები, ცოტა წავკინკლავდით კიდეც. თქვენი ბიძაშვილი ცუდი მოკამათე როდია და თუ გაახელე, პაექრობაში საკმაოდ საშიში მოწინააღმდეგეც გახლავთ.
HUMANIოღა(ჰუმანიტარული (ლათ.).)
თეთრ შარვლებსა და ლურჯ პიჯაკებში გამოწყობილი ჰანს კასტორპი და იოახიმ ციმსენი ნასადილევს ბაღში ისხდნენ. ოქტომბრის ერთ-ერთი ნაქები დღე იდგა, ცხელი და მსუბუქი, ერთდროულად საამურიც და მწკლარტეც. ხეობას სამხრეთისებური მუქი ლურჯი ცა დაჰნათოდა. ჯერ კიდევ მწვანედ ბიბინებდა სოფლებს შორის გადაშლილი, ბილიკებით დაქსელილი იალაღები, წიწვიანი ტყით დაბურული ფერდობებიდან კი ძროხების ზანზალაკების წკარუნი მოჰქონდა ნიავს. ეს ჟღარუნი, მშვიდობიანი, მარტივი მუსიკალური ბგერები მკაფიოდ და ლაღად ნარნარებდნენ წყნარ, გაიშვიათებულ, ცარიელ ჰაერში და კიდევ უფრო აღრმავებდნენ იმ დიდებულ საზეიმო განწყობილებას, მაღალმთიანეთში რომ სუფევს ხოლმე.
ბიძაშვილები ბაღის ბოლოში ჩადგმულ ძელსკამზე ისხდნენ, ნორჩი ნაძვების კორომთან. ეს ადგილი მესრით შემორაგული ორმორცდაათმეტრიანი პლატოს ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე იყო მიკუჭული. ხეობაში ამოზიდული პლატო „ბერგჰოფის“ შენობას თითქოს კვარცხლბეკად შესდგომოდა. ბიძაშვილები დუმდნენ. ჰანს კასტორპი აბოლებდა. იგი გულში ბრაზობდა იოახიმზე, რადგან ამ უკანასკნელს ნასადილევს ვერანდაზე გამოფენილ საზოგადოებაში გარევა არ მოეწადინებინა და ჰანს კასტორპი ძალით გამოეყვანა ბაღში. ახლა ამ სიმყუდროვეში უნდა მსხდარიყვნენ, სანამ სამკურნალო წოლის საათი დაეწყებოდათ. ეს იოახიმის მხრივ ტირანობას უდრიდა. სიმართლე თუ გნებავთ, ისინი სიამელი ტყუპი როდი იყვნენ, რომ ერთმანეთს ვერ დასცილებოდნენ, თუკი მათი სურვილები გაითიშებოდა. ჰანს კასტორპი იმისათვის კი არ დარჩა აქ, რომ იოახიმისათვის კომპანია გაეწია, ის თვითონ გახლდათ პაციენტი. ამიტომ იბუტებოდა ასე ძალიან, თუმცა სიბრაზე უნელდებოდა, რაკი მარია მანჩინი“ ჰქონდა თან. ჰანს კასტორპს ხელები პიჯაკის ჯიბეებში ჩაეწყო, ფეხები გაეშხლართა, ხოლო გრძელი, მორუხო სიგარა პირში ისე გაერჭო, რომ ოდნავ გვერდზე ჰქონდა მოქცეული. სიგარა მოწევის პირველ სტადიაში გახლდათ, ესე იგი, მისი ბლაგვი წვეროდან ჯერ ფერფლი არ ჩამოებერტყათ. ჰანს კასტორპი სიგარას ყუათიან სადილს აყოლებდა და მისი არომატით ტკბებოდა. სიგარას კვლავ დაჰბრუნებოდა ძველებური არომატი. აქაურობასთან შეთვისება თუნდაც მხოლოდ შეუგუებლობასთან შეგუება ყოფილიყო, კუჭის ქიმიზმს რაც შეეხებოდა, მისი მშრალი და იოლად სისხლმდინარე ლორწოვანი გარსი, ეტყობოდა, საბოლოოდ შეჰგუებოდა აქაურ კლიმატს, შეჰგუებოდა ისე შეუმჩნევლად, რომ ჰანს კასტორპს არც კი უგრძნია პროგრესი. დღეების რბოლაში, ამ სამოცდახუთი თუ სამოცდაათი დღის განმავლობაში, თითქოს შეუმჩნევლად დაჰბრუნებოდა ორგანული ტკბობის უნარი და ჩინებულად დამზადებულ გამაღიზიანებელ და გამაბრუებელ მცენარეულ ნაწარმს კვლავ ძველებურად ატანდა გემოს. ჰანს კასტორპს უხაროდა ამ უნარის დაბრუნება, ხოლო მორალური კმაყოფილება ფიზიკურ ტკბობას უძლიერებდა. ლოგინში წოლისას მარაგად წამოღებული ორასი ცალი სიგარიდან ნაწილი დაეზოგა და იმის ნაშთი ახლაც ჰქონდა შემორჩენილი, მაგრამ თეთრეულსა და საზამთრო ტანსაცმელთან ერთად შალეენს ამ ბრემენული ნაწარმის ხუთასი ცალიც გამოაგზავნინა, რათა თავი ქუდში ჰქონოდა. სიგარები კოპწია გალაქულ ყუთებში იყო ჩალაგებული, ზედ ოქროთი ეხატა გლობუსი, უამრავი მედალი და დროშებით შემოჯარული საგამოფენო შენობა.

ასე ისხდნენ ისინი და დახეთ, უცებ ბაღში მომავალი ჰოფრატი ბერენსი არ დაინახეს?! მან დღეს სასადილო დარბაზში ისადილა, ფრაუ ზალომონის სუფრაზე, და პაციენტები ხედავდნენ, თეფშის წინ როგორ ეწყო უშველებელი ხელები. შემდეგ, ალბათ, ტერასაზე დაჰყოფდა ხანს, ვინმეს გამოელაპარაკებოდა და, ალბათ, ხამლების ზონრების ფოკუსსაც უჩვენებდაიმათ, ვისაც ეს ფოკუსი ჯერ არ ენახათ. ახლა კი ჰოფრატი ხრეშმოყრილ გზაზე მოყიალობდა, საექიმო ხალათი გაეხადა, ტანზე წვრილუჯრედებიანი კუდმაკრატელა ფრაკი ეცვა, ცილინდრი კეფაზე მოეგდო, პირში მასაც ყურყუმელა სიგარა გაეჩარა და თეთრ კვამლს ბოლქვებად უშვებდა. თავი და გალურჯებული, პაჭუაცხვირიანი თხაწვერა სახე, ზედ რომ აცრემლებული, ლურჯი თვალები უელავდა, ოდნავ წელში მოხრილ, მოშვებულ ახმახ ტანსა და უშველებელ ხელ-ფეხთან შედარებით პატარა მოუჩანდა. ექიმი განერვიულებული ჩანდა. ბიძაშვილების დანახვაზე აშკარად შეკრთა და ცოტა ეუხერხულა კიდეც, პირდაპირ მათკენ რომ მოდიოდა. იგი, ჩვეულებისამებრ, ხალისიანად და ხატოვნად მიესალმა თავის პაციენტებს: „ერთი შეხედე, ტიმოთეუს!“ - შესძახა მან, შემდეგ ორივეს ნივთიერებათა ცვლა დაულოცა და მის პატივსაცემად ფეხზე წამოდგომა არ დაანება.
- ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ. ჩემისთანა უბრალო კაცთან ცერემონიები რა საჭიროა. მით უმეტეს, რომ ერთიცა და მეორეც პაციენტები ბრძანდებით. თქვენ ასეთი თავაზიანობა არ მოგეთხოვებათ. სიტუციას ვერსად გავექცევით.
ჰოფრატი მათ წინ შეჩერდა და სიგარა უშველებელი მარჯვენა ხელის შუა და საჩვენებელი თითით დაიჭირა.
- როგორი გემო აქვს თქვენს ბალახის ხვეულას, კასტორპ? ერთი მაჩვენეთ, სიგარების ყადრიც ვიცი და დიდი მოყვარულიც გახლავართ. ფერფლი კარგი აქვს. რა ჰქვია ამ შავგვრემან მზეთუნახავს?
- „მარია მანჩინი“, ბრემენული Postre de Banquett
“

(სადესერტო სიგარები (ესპ.).) გახლავთ, ბატონო ჰოფრატო. ძალიან იაფია, თითქმის მუქთია, ცხრამეტი პფენიგი თითო, მაგრამ ისეთი ბუკეტი აქვს, ამ ფასიან სიგარებში რომ არსად შეგხვდებათ. სუმატრა-ჰავანა გახლავთ, გარსი ქვიშისფერი აქვს, როგორც ხედავთ. ამ სიგარებს ძალიან შევეჩვიე. ნარევი საშუალო სიმაგრისაა, ძალზე სურნელოვანია, მაგრამ ენაზე არ გკბენს, უყვარს, ფერფლს დიდხანს რომ გაუჩერებ. მე, დიდი-დიდი, ორჯერ თუ ჩამოვბერტყავ. რა თქმა უნდა, ცოტა ჭირვეულობა ამანაც იცის, მაგრამ, ეტყობა, დამზადებისას მკაცრ კონტროლს უწევენ, რომ თვისებები არ ეცვლება და სავსებით თანაბრად იფერფლება. ნება მიბოძეთ, ერთი ცალი შემოგთავაზოთ.
- გმადლობთ, მაშინ გავცვალოთ, - და ორივემ ამოიღო სათუთუნეები.
- ჯიშიანი სიგარაა, - თქვა ჰოფრატმა და ჰანს კასტორპს თავისი სიგარა მიაწოდა, - ტემპერამენტიანია, წვნიანი და ღონიერი. „
  შტ. ფელიხ ბრასილლ “, ყოველთვის ამ ტიპის სიგარებს ვირჩევ. დარდისა და ნაღვლის ნამდვილი გამქარვებელია, არაყივით თუთქავს პირს, ბოლოს კი რაღაცნაირ ცეცხლისებურ გემოს გიტოვებს. ისე, ცოტა მოსარიდებელი კი გახლავთ, ამ სიგარების ერთიმეორეზე მიყოლება მამაკაცის ძალას აღემატება, მაგრამ სჯობია, ერთხელ დაარტყა ნამდვილი ნაფაზი, ვიდრე მთელი დღე წყლის ორთქლს უშვებდე პირიდან...
ისინი გაცვლილ საჩუქრებს თითებშუა ატრიალებდნენ, მცოდნე თვალით საქმიანად სინჯავდნენ ამ წერწეტა სხეულს, რომელსაც ნეკნებივით ირიბად მიუყვებოდა ამობურცული ძარღვები. ფოთლის კიდეები აქა-იქ აკვარკნილიყო და მის დაქსელილ ძარღვებში თითქოს პულსაცია იგრძნობოდა. ოდნავ ხორკლიანი კანი და ზედაპირსა და კიდეებზე მოლივლივე შუქი სიგარას ცოცხალ ორგანიზმს ამსგავსებდა. ჰანს კასტორპმა ხმამაღლა გამოთქვა ეს აზრი.
- ასეთი სიგარა ცოცხალია, გეგონება, სუნთქავსო. შინ ერთხელ აზრად მომივიდა სინესტისაგან დასაცავად მარია“ ჰერმეტულ თუნუქის ყუთში შემენახა. დაიჯერებთ, რომ იგი მოკვდა? ერთ კვირაში ისე მოიმჩვარა, რომ ხელში მკვდარი აბედიღა შემრჩა.
ექიმმა და პაციენტმა ერთმანეთს გაუზიარეს სიგარების, კერძოდ, იმპორტული სიგარების შენახვის გამოცდილება. იმპორტული სიგარები მიყვარს, მაგარ

ჰავანურ სიგარებს ხომ არაფერი მირჩევნია, მაგრამ ბრალი ჩემი, რომ მწყენსო, თქვა ჰოფრატმა. ერთხელ სტუმრად ვიყავი, ორი პატარა ჰენრი კლეი“ მოვწიე და ისეთი შავი დღე დამაყარა, კინაღამ საიქიოს გამისტუმრაო.
- ვეწევი ერთხელ ჰენრი კლეის“ და თან ყავას ვწრუპავ, - განაგრძო მან, - მოვწიე ერთი, ვეწევი მეორეს - არაფერი. მაგრამ ბოლომდე რომ დავიყვანე, ეს რა მომდის-მეთქი, ვიფიქრე. ისეთი დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამდგომია. სახლამდე დიდი ვაი-ვაგლახით მოვაღწიე და მაშინ კი ვიფიქრე, ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული-მეთქი. ფეხები გამეყინა, ცივმა ოფლმა დამასხა, სახეზე მიტკლისფერი დამედო, გულს ნუღარ იკითხავთ, პულსი ხან ძლივს მიფეთქავდა, ხან კი ისეთ ბაგაბუგს ატეხდა, რომ თქვენი მოწონებული. ტვინი ამერ-დამერია... დარწმუნებული ვიყავი, ახლა ერთი რომ ჩამოვუარო, მიშველის-მეთქი. დიახ, ჩამოვლას ვამბობ, რადგან ეს სიტყვა მომივიდა მაშინ თვალში და ჩემი მდგომარეობისათვის ზედგამოჭრილი მეჩვენა. სხვა რა უნდა მეფიქრა, როცა აცუნცრუკებული და ატაცებული ვიყავი, თან კი სასტიკად მეშინოდა, უფრო სწორად, შიშს ვყავდი გათანგული. მაგრამ შიში და ატაცება ერთმანეთს რომ არ გამორიცხავს, ეს ყველას მოეხსენება. ბიჭი რომპირველად უნდა დაეუფლოს გოგოს, იმასაც ეშინია, გოგოსაც ეშინია, მაგრამ თან ორივე დნება სიამოვნებისაგან. ჰოდა, მეც სწორედ კინაღამ გავდნი, ისე გულით მინდოდა, ჩამომევლო, მაგრამ მილენდონკმა ჩამიფუშა ყველაფერი - ყინულიანი კომპრესები დამადო, ქაფურის ნემსი გამიკეთა და ასე შეუნარჩუნა ჩემი თავი კაცობრიობას.
ჰანს კასტორპი პაციენტის უფლებებს იფერებდა, მერხზე იჯდა და ისეთი სახით შესცქეროდა ბერენსს, რომ ეტყობოდა, თავში სულ სხვა აზრები უტრიალებდა, ბერენსს კი თხრობისას ცრემლით ავსებოდა ლურჯი, ისედაც მუდამ სველი თვალები.
- თქვენ ხანდახან ხატავთ, არა, ბატონო ჰოფრატო? - მოულოდნელად წამოიძახა ჰანს კასტორპმა.
ჰოფრატი ვითომ შეცბა.
- ოჰო! ყმაწვილო, ეგ საიდან მოიტანეთ?
- უკაცრავად. შემთხვევით მოვკარი ყური და ახლა გამახსენდა.
- რახან ეგრეა, არც მე დავდგები უარზე, ხომ იცით, ყველას გვაქვს ჩვენი სისუსტეები. დიახ, ვხატავ ხოლმე, Anch’io sono pittore(mec mxatvari var (esp.).)
, როგორც ერთ ესპანელს უყვარდა თქმა.
- პეიზაჟებს ხატავთ? - მოკლედ და მფარველური ტონით ჰკითხა ჰანს კასტორპმა. ასეთი ტონი სიტუაციამ უკარნახა.
- რამდენსაც გნებავთ! - მოკრძალებული ტრაბახით მიუგო ჰოფრატმა, - პეიზაჟებს, ნატიურმორტებს, ცხოველებს - გულადი კაცი არაფერს ეპუება.
- პორტრეტებს არ ხატავთ?
- შიგადაშიგ პორტრეტებსაც გამოვურევ ხოლმე. რაო, თქვენ ხომ არ გინდათ, პორტრეტი შემიკვეთოთ?
- ხა, ხა, ხა არა, რას ბრძანებთ, მაგრამ ძალიან დაგიმადლიდით, თუ შემთხვევა მოგეცემოდათ, გეჩვენებინათ თქვენი ნამუშევრები.
იოახიმი აქამდე გაოცებული მისჩერებოდა ბიძაშვილს, ახლა კი ჰანს კასტორპს მანაც აუბა მხარი, დიახ, ძალიან დაგიმადლითო.
ბერენსს ისე ესიამოვნა ბიძაშვილების ყურადღება, რომ აღტაცებას ვეღარ მალავდა, საცაა ცრემლები წამოუვიდოდა თვალებიდან.
- სიამოვნებით! - წამოიძახა მან, - დიდი სიამოვნებით! თუნდაც ახლავე გაჩვენებთ, რაკი ასე გაინტერესებთ! წამობრძანდით, წამომყევით ჩემს სოროში, თურქულ ყავასაც მოგიდუღებთ!
ბერენსმა ახალგაზრდებს მკლავში ჩაავლო ხელი, ძელსკამიდან წამოყარა, შუაში ჩაუდგა და ისე წაიყვანა ხრეშმოყრილი ბილიკით თავისი ბინისაკენ. ბიძაშვილებმა იცოდნენ, რომ მისი ბინა ბერგჰოფის“ ჩრდილო-დასავლეთ ფლიგელში იყო მოთავსებული.
- მეც მომისინჯავს ყალამი, - განაცხადა ჰანს კასტორპმა.
- რას ამბობთ? სერიოზულად გიცდიათ ხატვა? ზეთით?
- არა, არა, აკვარელზე შორს აღარ წავსულვარ. ხომალდი, ზღვა და სხვა ასეთი

ბავშვობანა დამიხატავს. მაგრამ სურათების თვალიერება მიყვარს და ამიტომ შემოგბედეთ...
იოახიმს ცოტა გულზე მოეშვა, ბიძაშვილის უცნაური ცნობისმოყვარეობის ახსნა რომ მოისმინა. ჰანს კასტორპმაც უფრო მისი გულისთვის გაიხსენა თავისი მხატვრული ცდები, ვიდრე ჰოფრატისათვის. ამასობაში მივიდნენ კიდეც: შენობას ამ მხარეს მთავარი შემოსასვლელისთანა დიდებული, ფარნებით შემკული პორტალი არ ამშვენებდა, მუხის კარისაკენ მხოლოდ რამდენიმე მომრგვალებული საფეხური ადიოდა. ის საფეხურები აიარეს, ჰოფრატმა გასაღებების დიდი აცმულადან სახელურისებური გასაღები ამოარჩია და კარი იმით გააღო. ჰოფრატს ხელი უკანკალებდა, ნამდვილად განერვიულებული იყო. ბინის შესასვლელი გარდერობს ეჭირა. ბერენსმა იქ მიაკიდა კაჩხაზე თავისი ცილინდრი; შიგნით, შენობის დანარჩენი ნაწილისაგან შუშის კარით გამოყოფილი მოკლე დერეფნის ორივე მხარეს, პატარა ოთახები იყო ჩარიგებული, ჰოფრატმა მოახლეს გასძახა და განკარგულებები მისცა, შემდეგ თავისი სტუმრები დარდიმანდული, შემაგულიანებელი სიტყვებით შეიპატიჟა ხელმარჯვნივ მდებარე ერთ-ერთ ოთახში.
ბინაში ბურჟუაზიულ-ბანალურ ყაიდაზე მორთული რამდენიმე ოთახი აღმოჩნდა. ფანჯრები ხეობას გადაჰყურებდა. კარი არც ერთ ოთახს არ ჰქონდა, ერთმანეთისაგან მხოლოდ პორტიერები ყოფდათ: „ძველგერმანულ“ სასადილო ოთახს სასტუმრო და სამუშაო ოთახები მოსდევდა. კაბინეტში საწერი მაგიდა იდგა, მის თავზე კი სტუდენტური ქუდი და გადაჯვარედინებული ხმლები ეკიდა. იატაკზე ფუმფულა ხალიჩები ეგო. ბინაში კიდევ ბიბლიოთეკა, რბილი დივნით დამშვენებული კუთხე და ერთიც თამბაქოს მოსაწევი კაბინეტი აღმოჩნდა, რომელიც პატრონს „თურქულად“ ჰქონდა მოწყობილი. ბინის კედლები ჰოფრატის დახატული სურათებით იყო მოფენილი და შემოსულებმაც კედლებს წინასწარ შემზადებული, თავაზიანი და აღტაცებული მზერა მიაპყრეს. ჰოფრატის განსვენებული მეუღლის პორტრეტი ბევრგან მოჩანდა - რამდენიმე, ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტი კედელზე ეკიდა, ფოტოგრაფიული სურათები კი ჰოფრატს საწერ მაგიდაზე ჩაემწკრივებინა. ეს გახლდათ სიფრიფანა, ხალვათ ტანსაცმელში გამოწყობილი იდუმალებით მოცული ქერა ქალი. ხელებიმარცხენა მხარზე ისე მსუბუქად დაეკრიფა, რომ ხელის თითები ძლივს ეხებოდნენ ერთმანეთს. ქალი ხან ცისკენ თვალაპყრობილი იყო გამოსახული, ხან კი ისე მძიმედ თვალდახრილი, რომ გრძელი წამწამების ჩრდილში თვალები აღარ მოუჩანდა: განსვენებული მაყურებელს არც ერთ სურათში არ უმზერდა პირდაპირ. ამ პორტრეტების გარდა კედლებზე მეტწილად მთის პეიზაჟები მოჩანდა, თოვლით დაფარული ან მწვანე ნაძვნარში ჩაფლული, ნისლის ლეჩაქმოხვეული, აშკარად სეგანტინის(ჯოვანი სეგანტინი (1858-1899) - იტალიელი მხატვარი იმპრესიონისტი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ალპური პეიზაჟებითა და გლეხური და მწყემსური ცხოვრების ჟანრული სცენებით.) გავლენით დახატული მთები, რომელთა მკაცრი და წამახული კონტურები მკაფიოდ იკვეთებოდა ლურჯად მოლივლივე ცის ფონზე. სხვა სურათებზე მწყემსების ჩოდოლოები(ქოხი, ქოხმახი.)
, მზით გაკაშკაშებულ იალაღზე მობალახე ან წამოწოლილი ფერდებდაბერილი ძროხები, ყვავილები, მთიელთა ტიპები და სხვა მრავალი რამ მოჩანდა. ერთ ნატიურმორტზე მხატვარს გაპუტული ქათამი დაეხატა, რომელსაც მოგრეხილი კისერი საცოდავად გადმოჰკიდებოდა ბოსტნეულით დაზვინული ხონჩიდან. ყველაფერ ამას დილეტანტის კადნიერი ხელი აჩნდა, სურათებზე თამამად მოესვათ საღებავი, ხანდახან გეგონებოდათ, ტილოზე პირდაპირ ტუბიდან დაუგოზავთ საღებავი და მერე მის გაშრობას კარგა ხანი დასჭირვებიაო. მოგეხსენებათ, ეს ხერხი ხანდახან ეფექტურად ფარავს ხოლმე უხეშ შეცდომებს.
სტუმრები, თითქოს საგამოფენო დარბაზში არიანო, ისე უვლიდნენ კედლებს, მასპინძელიც თან დაჰყვებოდათ, იგი ხანდახან სახელს არქმევდა რომელიმე მოტივს, მეტწილად კი სახეზე ხელოვანისათვის შესაფერი ამაყი კდემა ეფინა და უცხო თვალთან ერთად ტკბებოდა თავისი ქმნილებების ყურებით. კლავდია შოშას პორტრეტი სასტუმრო ოთახში ეკიდა, ფანჯრებს შუა. ჰანს კასტორპმა შემოსვლისთანავე მოლანდა იგი, თუმცა პორტრეტი ორიგინალს ოდნავ თუ

წააგავდა. ჰანს კასტორპი განგებ არიდებდა სურათს თვალს, თავის მხლებელთ სასადილო ოთახში აჩერებდა და ვითომ მოლურჯო გლეტჩერების ფონზე დახატული ზერგიტალის მწვანე ველით იყო აღტაცებული, შემდეგ ორივე ჯერ თურქულ კაბინეტში გაიყვანა საკუთარი ინიციატივით, ხოტბა-დიდება არც იქ დაუშურებია, კაბინეტიც ძირფესვიანად დაათვალიერა, და მხოლოდ ამის შემდეგ მიაშურა სასტუმრო ოთახს, თან იოახიმს დროდადრო იწვევდა ხოლმე მოწონების გამოსახატავად. ბოლოს შემობრუნდა და ვითომ შეცბუნებულმა იკითხა:

- ეს ხომ ნაცნობი სახეა?

- იცანით? - აღმოხდა ბერენსს.

- რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ვცდებოდე. ეს ქალბატონი კარგ რუსულ მაგიდასთან“ ზის, ფრანგული გვარი აქვს...

- სწორია, შოშა, მიხარია, რომ მიამსგავსეთ.

- ძალიან ჰგავს! - იცრუა ჰანს კასტორპმა, ოღონდ პირფერობის გამო არა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჩვეულებრივ პირობებში მოდელს ვერ ამოიცნობდა, ისევე როგორც თავისით ვერც იოახიმი მიხვდებოდა ვერასდროს, ვინ იყო სურათზე გამოსახული, კეთილი, მოტყუებული იოახიმი, რომელსაც მხოლოდ ახლა აეხილა თვალი, და მიხვდა, ჰანს კასტორპმა ყინულზე როგორ გააცურა.

- აი, თურმე რა ყოფილა, - ჩაილაპარაკა მან და ისიც სურათის დამთვალიერებლებს შეუერთდა. მისმა ბიძაშვილმა მაინც აინაზღაურა ვერანდის საზოგადოებაში გამოწყვეტა.

მხატვარს მადამ შოშა წელამდე დაეხატა, ნახევრად პროფილში, ნატურალურ ზომაზე ოდნავ პატარა. ქალს დეკოლტეიანი კაბა ეცვა, ხოლო მხრებსა და მკერდზე ნაკეცებად შემოვლებოდა სიფრიფანა ქსოვილი. პორტრეტი ფართო, ოქროსფერარშიაშემოვლებულ შავ ჩარჩოში იყო ჩასმული. სურათზე ფრაუ შოშა თავის ასაკთან შედარებით ათი წლით უფროსი ჩანდა, როგორც დილეტანტ მხატვრებს გამოუდით, ხასიათის დაჭერას რომ შეეცდებიან ხოლმე. სახეზე წითელი ფერი ჭარბობდა. ცხვირი სულ ვერ გამოსვლოდა მხატვარს, თმის ფერიც ვერ აეღო, თმა ზედმეტად ჩალისფერი ჩანდა, პირი მოღრეცილი დაეხატა, სახის თავისებური მომხიბვლელობა ან ვერ დაენახა, ან ვერ გადმოეტანა, ხოლო სახის ნაკვთები საერთოდ გაეუხეშებინა. საბოლოო ჯამში პორტრეტი მიფუჩეჩებული იყო და ორიგინალს მხოლოდ შორეულად თუ ენათესავებოდა. მაგრამ ჰანს კასტორპი მსგავსებას დიდად არ დაგიდევდათ, ამ ტილოს კავშირი ფრაუ შოშას პიროვნებასთან მისთვის საკმარისი გახლდათ, სურათი აუცილებლად უნდა დამსგავსებოდა ფრაუ შოშას, ის ხომ ამ ოთახებში მოდელად ეჯდა ჰოფრატს, ჰოდა, ეს კმაროდა, რომ ყმაწვილი კაცი აღელვებულიყო და წამდაუწუმ ემეორებინა:

- პირდაპირ ცოცხალი გეგონება!

- როგორ გეკადრებათ, - იუარა ჰოფრატმა, - ეს ისეთი სახათაბალო სამუშაო იყო, რომ ვერ დავიჩემებ, ბოლომდე გავწვდი-მეთქი, თუმცა კარგი ოცი სეანსი მაინც გვქონდა. ერთი მითხარით, როგორ გინდათ ასეთ უცნაურ ფიზიონომიას მოერიოთ. კაცი იფიქრებს, ამ სახის დახატვას რა უნდაო,გადმოიღებ ამ ჰიპერბორეულ ყვრიმალებს და საფუვრიან ნამცხვარში გაჩენილი ნასკდომებივით გაჭრილ თვალებს და მორჩა. მაგრამ, ნურას უკაცრავად.დეტალები რომ ზუსტად გამოსახო, მთელი სახე ხელიდან გაგიფრინდება. დიდი თავსატეხია. იცნობთ მას? იქნებ მისი გადმოხატვა კი არა, მეხსიერებით აღდგენა სჯობდა. იცნობთ თუ არა?

- დიახ... არა, ისე, შორიდან, როგორც აქ იცნობ ხალხს, მხოლოდ ისე.

- ჰოო, მე კი მას შიგნიდან უფრო კარგად ვიცნობ, კანქვეშიდან, გამიგეთ, არტერიული წნევით, ქსოვილთა დაჭიმულობითა და ლიმფის მიმოქცევით, ამ მხრივ, გასაგები მიზეზების გამო, ჩინებულად ვიცნობ, მისი კანზედა სამყარო კი უფრო ძნელი შესაცნობი ყოფილა. გინახავთ, როგორ დადის? აი, როგორც დადის, სახეც ისეთივე აქვს - შემპარავი. აიღეთ, მაგალითად, მისი თვალები, ფერზე არაფერს მოგახსენებთ, თუმცა თავისი მზაკვრობა იმასაც გააჩნია, თვალების ჭრილსა და განლაგებას ვგულისხმობ. თქვენ მეტყვით, რომ თვალები ვიწროდ და ირიბად აქვს გაჭრილი. ეგ მხოლოდ გეჩვენებათ. თქვენ ეპიკანტუსს შეჰყავხართ შეცდომაში. ეს ზოგიერთი რასისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა: როცა ადამიანს ცხვირის ფუძე ბრტყელი აქვს, მაშინ ზედმეტი კანი ქუთუთოს ეფარება

და თვალის კუთხემდე აღწევს. კანი რომ გადაჭიმოთ, თვალი ზუსტად ისეთი გამოჩნდება, როგორიც ჩვენ გვაქვს. ეს საკმაოდ პიკანტური მისტიფიკაციაა, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ დიდად თავმოსაწონი იყოს, ვინაიდან ეპიკანტუსი ატავისტური გადმონაშთია და თავისთავად ხელის შემშლელიც გახლავთ.
- დახეთ, როგორ ყოფილა საქმე, - თქვა ჰანს კასტორპმა, - ეგ არ ვიცოდი, მაგრამ ასეთი თვალების ამბავი დიდი ხანია კი მაინტერესებდა.
- თვალის ახვევა და მოტყუებაა, დიახ, - ერთხელ კიდევ დაუდასტურა ჰოფრატმა, - დახატავთ ასეთ თვალებს უბრალოდ ვიწროსა და წაირიბებულს და დაიღუპებით. ის სივიწროვე და ირიბობა ისევე უნდა გამოვხატოთ, როგორც ბუნება ხატავს, ილუზიას ილუზიითვე უნდა მივაღწიოთ. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ ეპიკანტუსის არსი და ბუნება. ცოდნა, საერთოდ, არ გვაწყენს. დააკვირდით აი, ამ კანს. როგორ ფიქრობთ, კანი ხელშესახებადაა გამოხატული, თუ არც ისე?
- არაჩვეულებრივად, კანი არაჩვეულებრივად ხელშესახებადაა გამოსახული. მე მგონი, ამაზე უკეთ დახატული კანი არც მინახავს. გეგონებათ, ფორებსაც კი ხედავო, - თქვა ჰანს კასტორპმა და სურათს დეკოლტეს ზემოთ მოუსვა ხელი.
მკერდის სითეთრე სახის გადაჭარბებული სიწითლის ფონზე ისე მკაფიოდ იკვეთებოდა, როგორც ნამზეურ ტანზე ქათქათებს ხოლმე მზისგან დაფარული სხეულის ნაწილი. ეს გარემოება, განგებ თუ შემთხვევით, აშკარად იწვევდა სიშიშვლის წარმოდგენას. ყოველ შემთხვევაში, სიშიშვლის ეფექტი საკმაოდ უხეში ხერხებით იყო მიღწეული. მიუხედავად ამისა, ჰანს კასტორპის ხოტბა სამართლიანი გახლდათ. მოცისფრო სიფრიფანა ქსოვილის ნაკვთებიდან გამომკრთალი ქათქათა, ნაზი, მაგრამ არცთუ გამხდარი მკერდი ზედმიწევნით ბუნებრივი ჩანდა. ეტყობოდა, მხატვარს სურათში დიდი გრძნობა ჩაექსოვა და კანისათვის მეცნიერული სიზუსტე, რეალობა და სიცოცხლე ისე მიენიჭებინა, რომ მკერდისათვის გულის მიმტაცი სიტკბოებაც არ დაეკარგა. ტილოს ხორკლიანობა კარგად გამოეყენებინა. კანს განსაკუთრებით მკერდზე ნაზად დამჩნეულ ლავიწის ძვლებთან ზეთის საღებავით ოდნავ დაფარული ტილოს ბუნებრივი უსწორმასწორობა ანიჭებდა სიცოცხლეს. მხატვარს არც ძუძუებშუა, ოდნავ მარცხნივ ამოსული ხალი დაეტოვებინა უყურადღებოდ, ხოლო მკერდის ბორცვებს შორის ღარში თითქოს ცისფრად დაქსელილი ძარღვებიც კი გამოსჭვიოდა. გეგონებოდათ, ამ სიშიშვლეს დამკვირვებლის თვალი აკრთობს და ქალს მგრძნობიარე, ძლივს შესამჩნევი თრთოლა უვლისო. უფრო გაბედულად რომ ვთქვათ, კაცს შეიძლებოდა წარმოედგინა, ამ კანის ნამს და უხილავ ფშვინვას ვგრძნობო და ტუჩი რომ მივაკარო, საღებავისა და ლაქის სუნს კი არა, ადამიანის სხეულის სუნს შევისუნთქავო. ჩვენ ჰანს კასტორპის შთაბეჭდილებებს გადმოგცემთ, მაგრამ რაც უნდა გათანგული ყოფილიყო იგი ასეთი შთაბეჭდილებების აღძვრის სურვილით, მაინც ობიექტურად უნდა დავასკვნათ, რომ ამ ოთახებში გამოფენილ სურათებს შორის ფრაუ შოშას დეკოლტე ყველაზე ღირსშესანიშნავი რამ გახლდათ.
ჰოფრატ ბერენსს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, ქუსლიდან თითის წვერებზე გადაჰქონდა სხეულის სიმძიმე, ადგილზე ირწეოდა და თავის სურათებს სტუმრებთან ერთად ისე ათვალიერებდა.
- მიხარია, მიხარია, ბატონო კოლეგა, ამ მხარესაც რომ მიაქციეთ ყურადღება, - თქვა მან, - კარგია და არც არაფერს გვიშავებს, ცოტა რამ ეპიდერმის ქვეშაც რომ გაგვეგება და იმის დახატვაც რომ შეგვიძლია, რაც უხილავი გახლავთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, ნატურას ლირიკულის გარდა, სხვა კუთხითაც მივუდგეთ. მაგალითად, კაცი თუ ექიმიცა ხარ, ფიზიოლოგიც, ანატომიც და კიდევdessous
- ის
(მის ქვეშაც (ფრანგ.).) შესახებაც მოგეპოვება რაღაც საიდუმლო ცოდნა, ეს, რაც გინდა თქვით, და ურიგო რამ არ არის, ერთგვარ უპირატესობას ნამდვილად განიჭებს. ამ სხეულებრივ გარსს თავისი მეცნიერული მხარეცა აქვს, მისი ორგანული აგებულება შეგიძლიათ მიკროსკოპით შეისწავლოთ. იქთქვენ კანის ზედაფენის მარტო ლორწოვან და რქოვან გარსს კი არ დაინახავთ, მის ქვეშ მოქცეულ ქსოვილსაც, თავისი საოფლე ჯირკვლებით, სისხლძარღვებითა და კერტებით მოფენილ კანის ქსოვილსაც შეამჩნევთ,რომელსაც ცხიმოვანი ფენა

აქვს სარჩულივით ამოდებული. რომ იცოდეთ, სწორედ ეს საფენი ქმნის თავისი უამრავი ცხიმოვანი უჯრედის მეოხებით წარმტაც ქალურ ფორმებს. ჰოდა, კაცმა რაც იცი და რაზედაც ფიქრობ ხატვის დროს, ის თავს იჩენს კიდეც. ხელი თითქოს გაგირბის და თავისას აკეთებს. ამ დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის რაღაც უხილავი ჩანს და არცა ჩანს და თვალსაჩინოებაც სწორედ აქედან მომდინარეობს.
ჰანს კასტორპი გულანთებული უსმენდა ამ საუბარს, შუბლი უხურდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, არ იცოდა, პირველად რა ეთქვა, იმდენი რამ ჰქონდა სათქმელი. პირველ რიგში აპირებდა, სურათი ამ დაჩრდილული კედლიდან სადმე უფრო ხელსაყრელ ადგილზე გადაეტანა, თან ჰოფრატისათვის საუბარში აება მხარი, რადგან კანის ბუნებაზე მსჯელობა საშინლად აინტერესებდა, დაბოლოს, ერთი სული ჰქონდა, განზოგადებული ფილოსოფიური აზრები გამოეთქვა ამ საკითხზე. ჰანს კასტორპმა უკვე ჩამოსახსნელად ჩაავლო ხელი პორტრეტს და თან სხაპასხუპით მიაყარა:
- დიახ, დიახ! მართალი ბრძანდებით, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. მე ვიტყოდი... ესე იგი, ბატონი ჰოფრატი ბრძანებდა, ნატურას ლირიკულის გარდა სხვა კუთხითაც თუ მივუდგებითო. დიახ, ურიგო არ იქნებოდა, თუ ლირიკულის გარდა, - მგონი, ასე ბრძანეთ არა, - ესე იგი, ნატურისადმი მხატვრის დამოკიდებულების გარდა, სხვა დამოკიდებულებაც თუ გაგიჩნდებათო. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ საგნებს სხვა თვალსაზრისითაც მივუდგებით, მაგალითად, მედიცინის თვალსაზრისითო, ეს უზარმაზარი მიგნება გახლავთ... მომიტევეთ, ბატონო ჰოფრატო, და მე ვფიქრობ, ეს მოსაზრება იმიტომაა ასე ზედმიწევნით სწორი, რომ სინამდვილეში აქ ერთმანეთისაგან ძირფესვიანად განსხვავებულ ორ დამოკიდებულებასა და თვალსაზრისთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ კარგად თუ ჩავუკვირდებით, მხოლოდ ერთი და იგივე მოვლენა, უფრო სწორად, ერთი და იმავე მოვლენის ორი სახეობა შეგვრჩება ხელთ. დიახ, მე მინდა ვთქვა, ეს ნიუანსები ანდა ვარიაციებია ერთი და იმავე ზოგადი ინტერესის-მეთქი და თუ არ გამიწყრებით, იმასაც ვიტყვი, რომ ფერწერით გატაცებაც იმავე ინტერესის მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილსა და ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. დიახ, მომიტევეთ, მაგრამ ეს სურათი უნდა ჩამოვხსნა. აქ სულ არ ეცემა სინათლე. აი, ნახავთ, ერთი მივიტანო დივანთან, თუ ის სულ სხვანაირი არ... დიახ, იმას ვამბობდი: რას შეისწავლის მედიცინა? რა თქმა უნდა, მე ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ იგი ხომ ადამიანს შეისწავლის. იურისპრუდენცია, კანონმდებლობა და სამართალი? ისიც ადამიანს შეისწავლის. ენათმეცნიერება რაღას შეისწავლის, რომელთანაც ყველაზე უფრო მეტად არის დაკავშირებული პედაგოგიური მოღვაწეობა? თეოლოგია, სულის ხსნისათვის ბრძოლა, ღვთისმსახურება? ყველა ეს დარგი ადამიანს შეისწავლის, ეს გახლავთ ერთი და იმავე მნიშვნელოვანი და... მთავარი ინტერესის, სახელდობრ, ადამიანისადმი ინტერესის მცირე სახეცვლილებანი, ერთი სიტყვით, ეს ჰუმანიტარული პროფესიებია და ვისაც მათი შესწავლა სურს, უპირველეს ყოვლისა, საძირკვლის სახით, ანუ როგორც ამბობენ, ფორმალური განათლების მისაღებად ძველ ენებს უნდა დაეუფლოს. ალბათ, გიკვირთ, ამ ამბებზე ასე რომ ვლაპარაკობ, მე ხომ ერთი რეალისტი, ტექნიკოსი კაცი ვარ, მაგრამ სულ ახლახან, წოლის პერიოდში, ბევრი ვიფიქრე ამაზე: განა დიდებულად არ არის ეს ქვეყანა მოწყობილი, ჰუმანიტარული პროფესიის ყოველ სახეობას ფორმა, ფორმის იდეა, მშვენიერი ფორმის იდეა რომ უდევს საფუძვლად? ამ გარემოებას რაღაც კეთილშობილური და ამაღლებული შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და ამას გარდა, კიდევ გრძნობასა და... თავაზიანობას გვმატებს. ხოლო ჩვენი ინტერესი მისი წყალობით ლამის გალანტურ სურვილად იქცეს. მგონი, როგორც საჭიროა, ისე ვერ გამოვთქვამ ჩემს აზრს, მაგრამ ის კი კარგად უნდა ჩანდეს, სულიერი საწყისი და მშვენიერება როგორ ერწყმიან ერთმანეთს, და რომ ისინი ყოველთვის ერთნი იყვნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მეცნიერება და ხელოვნება ერთია და, მაშასადამე, ხელოვნების საქმიანობაც მეცნიერების დარგად უნდა ჩაითვალოს, ასე ვთქვათ, მეხუთე ფაკულტეტად უნდა მიემატოს მეცნიერებას, რადგან ისიც სხვა არაფერია, თუ არა ჰუმანიტარული პროფესია. იგიც ჰუმანიტარული ინტერესის ნაირსახეობას წარმოადგენს, რამდენადაც მისი მნიშვნელოვანი თემა, ანუ

ლტოლვის საგანი, დამეთანხმებით, ისევ და ისევ ადამიანი გახლავთ. სიყმაწვილეში ამ მიმართულებით რომ ვცდიდი ძალას, მხოლოდ ხომალდებსა და წყალს ვხატავდი, მაგრამ ჩემთვის მხატვრობაში ყველაზე მიმზიდველ ჟანრად მაინც პორტრეტი რჩება, რადგან მისი უშუალო ასასახი საგანი თვით ადამიანია. ამიტომაც გკითხეთ, ბატონო ჰოფრატო, ამ ჟანრში თუ მოღვაწეობთ-მეთქი... განა გაცილებით მომგებიანი არ იქნება ამ პორტრეტისათვის, აქ რომ დავკიდოთ?
ორივე, ბერენსიც და იოახიმიც, ისეთი სახით უყურებდნენ ჰანს კასტორპს, ნუთუ არა რცხვენია, რაებს მიედ-მოედებაო. მაგრამ ჰანს კასტორპი ისე იყოგატაცებული, რომ სირცხვილისათვის არ სცხელოდა. პორტრეტი კედელზე მიედო და ითხოვდა, მითხარით, აქ ხომ გაცილებით უკეთ ეცემა შუქიო. ამ დროს მოახლემ ლანგრით შემოიტანა ცხელი წყალი, სპირტქურა და ყავის ფინჯნები. ჰოფრატმაკაბინეტში მიიპატიჟა სტუმრები და ჰანს კასტორპს უთხრა:
- მაშინ თქვენ, კაცმა რომ თქვას, მხატვრობა კი არ უნდა გიტაცებდეთ, პირველ რიგში ქანდაკებით უნდა იყოთ დაინტერესებული... არ გედავებით, მანდ მეტად ეცემა პორტრეტს შუქი, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ ბრძანებთ, რომ იგი ამდენ სინათლეს აიტანს... დიახ, პლასტიკა უნდა გაინტერესებდეთ, რადგან მას მხოლოდ ადამიანთან აქვს საქმე. ოღონდ სჯობია, ვიჩქაროთ, თორემ წყალი ამოგვიშრება.
- სწორია, პლასტიკა უნდა მაინტერესებდეს, - დაეთანხმა ჰანს კასტორპი. უკვე კაბინეტისაკენ მიდიოდნენ, მას კი დაავიწყდა პორტრეტი ან ძველ ადგილზე დაეკიდებინა, ან სადმე მიეყუდებინა - იგი თეძოზე დაიბჯინა და თან წამოიღო, - დიახ, რომელიმე ბერძნულ ვენერასა ან ათლეტში უეჭველად ყველაზე მკაფიოდ ჩანს ჰუმანისტური საწყისი. და კარგად რომ დავუფიქრდეთ, ალბათ, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ჰუმანისტური სახეობა ხელოვნებისა.
- ოღონდ, რაც შეეხება პაწია შოშას, -შენიშნა ჰოფრატმა, - ის მაინც უფრო ფერწერის ობიექტი გახლავთ, ვიდრე ქანდაკებისა. მე მგონი, ფიდიასი
(ფიდიასი (ძვ. წ. X ს. დამდეგი) - დიდი ბერძენი მოქანდაკე კლასიკური ხანისა. მისი ზევსის ქანდაკება შედის ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებათა რიცხვში.) ან ის მეორე... ებრაულად რომ ბოლოვდება მისი გვარი, ასეთი ფიზიონომიის დანახვაზე ცხვირს აიბზუებდნენ... რას შვრებით, რას დაგიბჯენიათ ეს სურათი თეძოზე, სად მოათრევთ?
- გმადლობთ, ნუ წუხდებით, ჯერჯერობით, ჩემი სკამის ფეხზე მივაყუდებ, ცოტა ხანს არა უჭირს რა. ბერძენი მოქანდაკენი ადამიანის თავს დიდად არაფრად აგდებდნენ. ისინი უფრო სხეულით იყვნენ დაინტერესებულნი და, ალბათ, სწორედ ამაში გამოიხატებოდა მათი ჰუმანიზმი... მაშ, ქალის პლასტიკური ფორმები ცხიმი ყოფილა და მეტი არაფერი?
- დიახ, ცხიმი! - მოკლედ მოუჭრა ჰოფრატმა, განჯინა გამოაღო და ყავის მოსამზადებელი ხელსაწყოები გამოალაგა: მილაკისებური თურქული ხელსაფქვავი, გრძელსახელურიანი ჯეზვე და შაქრისა და დაფქული ყავის ჩასაყრელი ორმაგი ჭურჭელი. ყველაფერი სპილენძისაგან იყო ნაკეთები, - პალმიტინი, სტეარინი, ოლეინი, - ჩამოთვალა ბერენსმა, თუნუქის კოლოფიდან ყავის მარცვლები გადმოყარა, ხელსაფქვავი გაავსო და სახელური დაატრიალა, - ხედავთ, ბატონებო, ყველაფერს ჩემი ხელით ვაკეთებ თავიდან ბოლომდე, ასე უფრო ვატან გემოს, - თქვენ რა, ამბროზია გეგონათ?
- არა, ეს მეც ვიცოდი, მხოლოდ სხვისგან გაგონილი მეუცნაურა, - უპასუხა ჰანს კასტორპმა.
ისინი კარსა და ფანჯარას შორის ისხდნენ, ოთახის კუთხეში. წინ აღმოსავლური ორნამენტით დამშვენებული, სპილენძის ფირფიტაგადაკრული ბამბუკის ტაბლა ედგათ, რომელზედაც ჩიბუხები და ყავის მოსახარში ჭურჭელი ელაგა. იოახიმი ბერენსის გვერდით მოკალათებულიყო აბრეშუმის ბალიშებით უხვად მოფენილ ტახტზე, ჰანს კასტორპი კი გორგოლაჭებიან სავარძელში ჩამჯდარიყო და ფრაუ შოშას პორტრეტი სავარძელზე მიეყუდებინა. ფეხქვეშ ჭრელი ხალიჩა ეგოთ. ჰოფრატმა გრძელსახელურიან ჯეზვეში კოვზით ჩაყარა ყავა და შაქარი, წყალი დაასხა და სპირტქურაზე შემოდგა ასადუღებლად. ყავა რუხად ამოფუვდა ორმაგ ჭურჭელში და როცა დალევაზე მიდგა საქმე, ძალზე მაგარი და ტკბილი გამოდგა.
- სხვათა შორის, თქვენი პლასტიკაც, - თქვა ბერენსმა, - თქვენი საკუთარი

პლასტიკური ფორმები, თუ ძალიან გინდათ, მათქმევინოთ, რა თქმა უნდა, ასევე ცხიმისგან შედგება, თუმცა იმდენი ცხიმისგან არა, როგორც ქალებს აქვთ. ჩვეულებრივ, ცხიმი მამაკაცების სხეულის წონის მეოცედს შეადგენს, დედაკაცებისა კი მეთექვსმეტედს. ცხიმოვანი ქსოვილი რომ არ გვქონდეს, ყველანი ხარისფაშვა სოკოს ვემგვანებოდით. ხანში რომ შევდივართ, ეს ქსოვილი ილევა და მაშინ გვიჩნდება ყველასათვის ცნობილი არაესთეტიკური ნაოჭები. ცხიმოვანი ქსოვილი ყველაზე სქელი და ცხიმიანი გახლავთ ქალის მკერდზე, მუცელსა და თეძოებზე, მოკლედ, ყველგან, სადაც კი გულისა და ხელის საამებელია რამე. ცხიმოვანი ქსოვილი ქალებს ტერფებზეცა აქვთ და იქ ეღიტინებათ კიდეც.
ჰანს კასტორპმა მილაკისებური ხელსაფქვავი შეატრიალ-შემოატრიალა. ის, მთელი გარნიტურისა არ იყოს, უფრო ინდური ან ირანული წარმოშობისა გახლდათ, ვიდრე თურქულისა, ამას სპილენძზე გაკეთებული გრავიურის სტილიც მოწმობდა - მქრქალ ზედაპირზე მკაფიოდ აჩნდა ამობურცული ლაპლაპა ხაზები. ჰანს კასტორპი ორნამენტს ათვალიერებდა და ერთბაშად ვერც კი გაარჩია, რა იყო ზედ გამოხატული. როცა მიხვდა, სახე აელეწა.
- დიახ, ეგ ჭურჭელი მარტოხელა მამაკაცისთვისაა განკუთვნილი, - უთხრა ბერენსმა, - რომ იცოდეთ, ამიტომაც მაქვს ჩაკეტილი, თორემ შეიძლება ჩემმა სამზარეულოს ფერიამ თვალები დაითხაროს ზედ, თქვენ კი მაგის ცქერითარაფერი დაგიშავდებათ. ეგ ჭურჭელი ერთმა პაციენტმა მაჩუქა, ეგვიპტელმა პრინცესამ, რომელმაც პატივი დაგვდო, ჩვენთან ერთი წელი გაეტარებინა. ხედავთ, ეს ნახატი როგორ მეორდება ყველაფერზე. კარგი საყურებელია, არა?
- დიახ, უცნაურია, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - არა, მე ნამდვილად არაფერი დამიშავდება. ისე, თუ გნებავთ, ამაში სერიოზული და საზეიმო აზრიც შეიძლება დაინახოს კაცმა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ყავის სერვიზისთვის შეიძლებამთლად ზედგამოჭრილი ვერ იყოს ეს ორნამენტი. ძველი ხალხები ასეთ სურათებს ხანდახან თავიანთ კუბოებს ახატავდნენ. ისინი თითქოს ერთმანეთთან აიგივებდნენ უწმაწურსა და წმიდათაწმიდას.
- პრინცესას რაც შეეხება, ის, მე მგონი, პირველს ამჯობინებდა. მისგან არაჩვეულებრივად მშვენიერი სიგარეტებიც დამრჩა, ექსტრაკლასის სიგარეტები, იმათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ გამოვაჩენ ხოლმე, - თქვა ბერენსმა, განჯინიდან ჭყეტელა ფერებით მოხატული კოლოფი გადმოიღო და ბიძაშვილებს მიაწოდა. იოახიმმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და ისე თქვა უარი, ჰანს კასტორპმა კი ოქროს სფინქსით შემკულ უშველებელ სიგარეტს ხელი სტაცა და გემრიელად გააბოლა. სიგარეტი მართლაც ჩინებული გამოდგა.
- თუ არ შეწუხდებით, კიდევ მოგვიყევით რაიმე კანის შესახებ, ბატონო ჰოფრატო, - სთხოვა ჰანს კასტორპმა ჰოფრატს. მას ფრაუ შოშას პორტრეტი ისევ აეღო ხელში, მუხლზე დაედგა, თვითონ სკამის საზურგეზე მიწოლილიყო და ისე ათვალიერებდა, სიგარეტი კი პირში ჰქონდა გაჩრილი, - ცხიმოვანი ქსოვილის შესახებ არა, მაგ საკითხში უკვე გარკვეულნი ვართ, საერთოდ, ადამიანის კანზე გვიამბეთ რაიმე, მისი ხატვა ასე კარგად რომ გეხერხებათ.
- კანზე? ფიზიოლოგია გაინტერესებთ?
- ძალიან! ფიზიოლოგია ყოველთვის ზედმიწევნით მაინტერესებდა. ადამიანის სხეული ყოველთვის უდიდეს ინტერესს აღძრავდა ჩემში. ხანდახან ჩემი თავისთვის მიკითხავს, ექიმი ხომ არ უნდა გამოვსულიყავი-მეთქი. ისე, მე მგონი, ექიმობას ცუდად არ შევიშნობდი. ვისაც სხეული აინტერესებს, მას ავადმყოფობაც აინტერესებს, სწორედ ავადმყოფობა, ასე არ არის? თუმცა რა სალაპარაკოა, კიდევ რა შემეძლო გამოვსულიყავი, მაგალითად, მღვდელიც კი შეიძლებოდა გავმხდარიყავი.
- კარგი ერთი!
- დიახ, ხანდახან მართლა ვფიქრობ ხოლმე, მღვდლად რომ ვეკურთხო, ჩემს სტიქიაში ვიგრძნობდი-მეთქი თავს.
- თუ ეგრე იყო, ინჟინრობა რაღად გინდოდათ?
- შემთხვევითობის გამო. ინჟინრობისაკენ მეტ-ნაკლებად გარემო პირობებმა მიბიძგეს.

- მაშ, კანზე გიამბოთ რაიმე, არა? აბა, რა უნდა გიამბოთ თქვენს მგრძნობიარე გარსზე. ეს თქვენი გარე ტვინია, ხომ გესმით? ონტოგენეტიკური თვალსაზრისით იგი იმავე წარმოშობისა გახლავთ, როგორისაც ეგრეთ წოდებული გრძნობის უმაღლესი ორგანოების აპარატი. მაგ თქვენს თავის ქალაში მოთავსებული ცენტრალური ნერვული სისტემა, რომ იცოდეთ, გარეგანი კანის ფენის მხოლოდ მარტივი სახეცვლილება გახლავთ, უფრო დაბალ ცხოველებს კი ჯერ კიდევ არა აქვთ განსხვავებული ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემა და ისინი სუნსა და გემოს კანით გრძნობენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ საერთოდ მხოლოდ კანის მგრძნობელობა ახასიათებთ, თუმცა მათ ადგილზე რომ ვიყოთ, ეს ამბავი არც ჩვენ გვეხამუშებოდა, ხოლო ისეთი მაღალდიფერენცირებული ცოცხალი არსებების კანი, როგორიც მე და თქვენ ვბრძანდებით, პატივმოყვარეობას მხოლოდ ღიტინისადმი მგრძნობელობით იკმაყოფილებს. ჩვენი კანი მხოლოდ და მხოლოდ დამცველ და სასიგნალო ორგანოდაა ქცეული, სამაგიეროდ, მედგრად დგას საგუშაგოზე და ყველაფერს წინ აღუდგება, რაც კი სხეულთან გაკარებას მოინდომებს. მას შემხები აპარატი გარეთაც კი აქვს გამოწეული. ეს გახლავთ, მაგალითად, თმა და ბალანი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გარქოვანებული კანის უჯრედებისაგან შედგება და მანამდე გაგრძნობინებს საგნის მოახლოებას, სანამ თვით კანს შეეხებოდეს რამე. ჩვენ შორის დარჩეს და, ჩემი აზრით, კანის დამცველი და მომგერიებელი ძალა ორგანიზმის მხოლოდ ფიზიკურ მხარეზე არ უნდა ვრცელდებოდეს... იცით, როგორ წითლდება ან ფითრდება ადამიანი?
- კარგად არა.
- დიახ, გულახდილად რომ ვთქვათ, მთლად ზუსტად არც ჩვენ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ ვიცით, სირცხვილის სიწითლეს რა იწვევს. ეს საკითხი ნათლად არაა გარკვეული, რადგან გამაფართოებელი კუნთები, რომლებიც ვაზომოტორული ნერვების მეოხებით შეიძლება მოძრაობაში მოდიოდეს, დღემდე სისხლძარღვებში არ არის დადასტურებული. მამალს როგორ ებერება ბიბილო, ან სხვა რენომისტიკური მაგალითები რომ მოვიყვანოთ, ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, მისტერიულ ბურუსშია გახვეული. მით უმეტეს, სადაც ფსიქიკურ ზემოქმედებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თავის ტვინში არსებობს კავშირი დიდი ტვინის ქერქსა და სისხლძარღვთა ცენტრალურ სისტემას შორის და გარკვეული გაღიზიანების შედეგად, მაგალითად, როცა საშინლად შეგრცხვებათ, ეს კავშირიამოქმედდება, სისხლძარღვების ნერვების მოძრაობა სახისას გადაეცემა, სახის სისხლძარღვები ფართოვდება და ისე ივსება სისხლით, რომ თავი ინდაურივით გაგისივდებათ და სახეში სისხლი ისე შემოგაწვებათ, რომ თვალებიდან ვეღარ გამოიხედავთ. სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, ღმერთმა იცის, რა მოგელით, - შეიძლება მშვენიერი, მაგრამ სახიფათო ელდაც. მაშინ კანის სისხლძარღვები იკუმშება, კანი ფითრდება, ცივდება, იჭიმება და მღელვარებისაგან გვამს ემსგავსებით. თვალის ფოსოებზე ტყვიისფერი გედებათ, ცხვირი გითეთრდებათ და წაწვეტებულ ფორმას იღებს, გულს კი ამ დროს სიმპათიკური ნერვის წყალობით ბაგაბუგი გაუდის.
- აი, თურმე რა ყოფილა, - თქვა ჰანს კასტორპმა.
- დაახლოებით ასეა. ეს რეაქციები გახლავთ, თუ გნებავთ, იცოდეთ, მაგრამ ვინაიდან ყველა რეაქციასა და რეფლექსს დასაბამიდან თავისი მიზანი აქვს, ფიზიოლოგებითითქმის ვჩერდებით იმ ვარაუდზე, რომ ფსიქიკური აფექტების ეს თანმხლები მოვლენებიც თავისებურ დაცვით საშუალებებს წარმოადგენენ. ისინი სხეულის ისეთივე მომრიგებელი რეფლექსებია, როგორიც კანის აბურძგვლა გახლავთ. იცით, როგორ გებურძგლებათ კანი?
- არც ისე კარგად.
- ეს გახლავთ, სახელდობრ, კანის ცხიმოვანი ჯირკვლების მოქმედების შედეგი. ეს ჯირკვლები გამოყოფს ცხიმს, ერთგვარ ცილოვან, ცხიმიან სეკრეციას, რომ გითხრათ, მადის აღმძვრელს-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ იგი უნარჩუნებს კანს მოქნილობას, რათა კანი სიმშრალისაგან არ დასკდეს და შესახებადაც სასიამოვნო იყოს. აბა, ერთი წარმოიდგინეთ, იმ ქოლესტერინის საცხის გარეშე რა მისაკარებელი იქნებოდა ადამიანის კანი. ამ ცხიმოვან ჯირკვლებს აქვთ პატარა ორგანული კუნთები, რომელთაც ჯირკვლების ამობურცვა შეუძლიათ.

ჰოდა, როცა ისინი ამოქმედდებიან, მაშინ თქვენც ისეთივე დღე დაგადგებათ, როგორიც იმ ყმაწვილს, პრინცესამ ციმორებით სავსე სათლი რომ გადაასხა თავზე. კანი აგეხორკლებათ და თუ გამღიზიანებელი ძლიერია, მაშინ თმის ძირებიც გაღიზიანდება, მტერთან შებმული მაჩვზღარბივით ყალყზე დაგიდგებათ თმა, ბალანიც აგეშლებათ და სწორედ ამაზე ამბობენ, შიშისაგან ჟრუანტელმა დამიარა ტანშიო.
- ო, ეგ არაერთხელ გამომიცდია, - თქვა ჰანს კასტორპმა, - ჟრუანტელი საკმაოდ ადვილად მივლის ხოლმე ტანში და სულ სხვადასხვა მიზეზით. მხოლოდ ის მიკვირს, ჯირკვლები სხვადასხვა შემთხვევის გამო როგორ წამოიმართებიან ხოლმე. გრიფელი რომ გაუსვა მიწაზე, მაშინაც გებურძგლება კანი და მშვენიერ მუსიკას რომ ისმენ, მაშინაც. მახსოვს, კონფირმაციის დროს რომ მაზიარეს, ვეღარ მოვისვენე, ყოველ წუთს ჟრუანტელი მივლიდა და ხორკლებს მაყრიდა ტანზე. პირდაპირ საოცარია, ის პატარა კუნთები რას არ მოჰყავს მოძრაობაში.
- დიახ, - თქვა ბერენსმა, - გაღიზიანება გაღიზიანებაა, გაღიზიანების შინაარსი კი სხეულს სულ არ ენაღვლება. ციმორი იქნება თუ ზიარება, მისთვის სულერთია, ცხიმოვანი ჯირკვლები მაინც იბურცებიან.
- ბატონო ჰოფრატო, - თქვა ჰანს კასტორპმა და მუხლებზე დადებულ პორტრეტს დახედა, - ერთ საკითხს მინდა ისევ მივუბრუნდე. ცოტა ხნის წინ თქვენ შინაგან პროცესებზე ლაპარაკობდით, ლიმფის მიმოქცევასა და მისთანებზე... როგორ ხდება ეს? სიამოვნებით მოვისმენდი კიდევ ორიოდე სიტყვას, მაგალითად, ლიმფის მიმოქცევაზე, თუ, რა თქმა უნდა, არ შეწუხდებით, ეს ამბავი ძალიან მაინტერესებს.
- მჯერა, მჯერა, - მიუგო ბერენსმა, - ლიმფა ყველაზე უწმინდესი, ყველაზე ინტიმური და უნაზესი ნაწილაკია ჩვენი ორგანიზმისა, ეტყობა, ამას თქვენც ხვდებით გუმანით, რაკი მეკითხებით. ყოველთვის ლაპარაკობენ სისხლსა და მის საიდუმლოებაზე და მას უწოდებენ განსაკუთრებულ წვენს, მაგრამ ლიმფა უპირველესი წვენია, კვინტესენციაა, გესმით, სისხლის ხსენია, უძვირფასესი სითხე, ცხიმით გაჯერებისას მართლაც რომ ემსგავსება ხსენს.
და ჰოფრატი ხალისიანად და ხატოვნად შეუდგა აღწერას, როგორ მოძრაობს სისხლი, ეს თეატრალური მანტიის ფერი, სუნთქვისა და მონელების წყალობით შექმნილი, გაზებით გაჯერებული, წიდით დანაგვიანებული, ცხიმის, ცილების, რკინის, შაქრისა და მარილის ნაზავი მეწამული სითხე. ამ ოცდათვრამეტ გრადუსზე გახურებულ სითხეს გულის დგუში სისხლძარღვებში ისვრის, იგი მთელ სხეულში არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას და ცხოველურ სითბოს ინარჩუნებს. ერთი სიტყვით, სიცოცხლეს უზრუნველყოფს, ოღონდ თვითონ სისხლი როდი მიდის უშუალოდ უჯრედებამდე, იგი წნევის ზემოქმედების წყალობით სისხლძარღვების კედლებიდან გამოყოფს ერთგვარ ექსტრაქტსა და ხსენს. ქსოვილებს ჟღენთს, ყოველ ნასვრეტს გაუჯდება, უჯრედის ელასტიკურ ქსოვილს გააფართოებს და დაჭიმავს. ამას ეწოდება ქსოვილების დაჭიმვა, ანუ ტურგორი. ტურგორის წყალობით კი ლიმფა ალერსიანად დანამავს უჯრედებს, ნივთიერებას გაუცვლის, მერე ლიმფურ ძარღვებში, ანუ
ვასა ლყმპჰატიცა- ში ბრუნდება და კვლავ სისხლში ჩაედინება დღეში ლიტრ-ნახევრის ოდენობითო. ჰოფრატმა აღწერა აგრეთვე ლიმფური ძარღვების მილაკური და შემწოვი სისტემა, ისაუბრა ძუძუს რძის ნაკადზე, რომელიც ფეხების, მუცლისა და მკერდის, ცალი მკლავისა და თავის ცალიმხრის ლიმფას კრებს. შემდეგ სათუთი გამფილტრავი ორგანოებიც ახსენა, რომლებიც მრავლადაა ლიმფურ სისტემაში, ლიმფური ჯირკვლები ეწოდება და ყელთან, იღლიებში, იდაყვის სახსართან, კვირისტავში და სხვა მსგავს ინტიმურ და ნაზ ორგანოებთანაა განლაგებული.
- აი, აქ შეიძლება წარმოიქმნას შეშუპებები, - განაცხადა ბერენსმა, - ჩვენც სწორედ აქედან დავიწყეთ, მაშასადამე, შესაძლებელია გასქელდეს ლიმფური ჯირკვალი, ვთქვათ, კვირისტავში, ხელის სახსარში, აქა-იქ წარმოიქმნას წყალმანკისებური სიმსივნეები, ამას კი თავისი მიზეზები აქვს, თუმცა არცთუ ისე მშვენიერი მიზეზები. ზოგიერთ გარემოებაში შეიძლება ეჭვი ავიღოთ ლიმფური ძარღვების ტუბერკულოზურ დახშობაზე.
ჰანს კასტორპი დუმდა.

- დიახ, - ხანმოკლე პაუზის შემდეგ წყნარად თქვა მან, - მე მგონი, გამოვიდოდა ჩემგან ექიმი. ძუძუს რძის ნაკადი... ფეხების ლიმფა, ძალიან მაინტერესებს. რას წარმოადგენს ორგანიზმი! - უცებ ცხარედ წამოიყვირა მან, - რა არის ხორცი? რას წარმოადგენს ადამიანის სხეული? რისგან შედგება იგი? დღესვე გვითხარით, ბატონო ჰოფრატო, გვითხარით დაწვრილებით და ზუსტად, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვიცოდეთ!
- წყლისაგან,- უპასუხა ბერენსმა, - მაშ, თქვენ ორგანული ქიმიაც გაინტერესებთ? ადამიანის ჰუმანისტური სხეული მეტწილად წყლისაგან შედგება, არც მეტი და არც ნაკლები, მაგრამ ეს გაცხარების საბაბს არ გაძლევთ. მშრალი სუბსტანცია მხოლოდ ოცდახუთ პროცენტს აღწევს, ხოლო აქედან ოცი პროცენტი ჩვეულებრივი ქათმის კვერცხის ცილა გახლავთ, უფრო კეთილშობილური სახელი თუ გვინდა დავარქვათ, ამ ცილას პროტეინი ეწოდება. პროტეინს მხოლოდ ცოტაოდენი ცხიმი და მარილი ემატება და მორჩა!
- ქათმის კვერცხის ცილა რაღაა?
- სხვადასხვა ელემენტისაგან შემდგარი ნივთიერება - ნახშირბადის, წყალბადის, აზოტის, ჟანგბადისა და გოგირდის ნაერთი. ზოგჯერ შიგ ფოსფორიც ურევია. თქვენ მართლა ცოდნის დიდ ჟინს ამჟღავნებთ. ზოგიერთი ცილა ნახშირწყლებთან, ესე იგი, გლუკოზასა და სახამებელთან არის მიერთებული. ხანდაზმულობაში ადამიანს ხორცი იმიტომ უუხეშდება, რომ შემაერთებელ ქსოვილებში მატულობს კოლაგენი, ანუ წებო - ძვლებისა და ხრტილების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. აბა, რაღა გიამბოთ? კუნთების პლაზმაშიც გვაქვს ცილა, მიოზინოგენი, რომელიც სიკვდილის შედეგად კუნთის ფიბრინად იქცევა და გვამის გაშეშებას იწვევს.
- გაშეშებას, დიახ, - მკვირცხლად თქვა ჰანს კასტორპმა, - კეთილი და პატიოსანი. ჰოდა, ამას მოჰყვება საერთო ანალიზი, საფლავის ანატომია, არა?
- დიახ, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ეგ კარგად გამოგივიდათ. ეს პროცესი ფართო ხასიათს იღებს და ასე ვთქვათ, ვიქსაქსებით. აბა, წარმოიდგინეთ, ამდენ წყალს რა მოუვა! უსიცოცხლოდ არც სხვა შემადგენელი ელემენტები ძლებენ დიდხანს. ისინი გახრწნის შედეგად მარტივ შენაერთებად იშლებიან, არაორგანულ შენაერთებად.
- გახრწნა, ლპობა, - თქვა ჰანს კასტორპმა, - ეგ ხომ წვის პროცესი, ჟანგბადთან შეერთებაა, რამდენადაც ვიცი.
- მართალი ბრძანდებით. ეგ ოქსიდაცია გახლავთ.
- მაშინ სიცოცხლე რაღაა?
- ისიც, ყმაწვილო, ისიც ოქსიდაცია გახლავთ. სიცოცხლე, ძირითადად, უჯრედის ცილების ჟანგბადური წვაა, აქედან მოდის მშვენიერი ცხოველური სითბო, რომელიც ხანდახან ჭარბად აქვს ხოლმე ადამიანს. დიახ, სიცოცხლე სიკვდილია, ამ ამბავს შელამაზება ვერაფერს უშველის, იგი une destruction organique
(ორგანული რღვევა (ფრანგ.).) გახლავთ, როგორც ერთმა ფრანგმა უწოდა თავისი თანდაყოლილი სიმჩატის წყალობით. სიცოცხლეს მართლაც უდის რღვევის სუნი და თუკი სხვაგვარად გვეჩვენება, ეგ ჩვენივე მოგონილი გახლავთ.
- ჰოდა, თუკი ადამიანს სიცოცხლე აინტერესებს, მაშინ მას სიკვდილიც აინტერესებს. ასე არ არის?
- არა, რაღაც სხვაობა მაინც არსებობს. სიცოცხლე იმას ჰქვია, რომ მატერიის ცვალებადობისას ფორმა უცვლელი რჩება.
- ფორმის შენარჩუნება რა საჭიროა? - იკითხა ჰანს კასტორპმა.
- რა საჭიროა? ყური დამიგდეთ, ყმაწვილო, რასაც თქვენ ამბობთ, ეგ ჰუმანური აღარ გამოდის.
- ფორმაზე გამოდევნება კოკობზიკობა გახლავთ!
- დღეს თქვენ რაღაც მეტისმეტ ფხიანობას იჩენთ. პირდაპირ ფრთებშესხმულივითა ხართ, მაგრამ მე თვითონ მოვეშვი, - თქვა ჰოფრატმა, - მელანქოლია მომერია, - დასძინა მან და უზარმაზარი ხელი თვალებზე მიიფარა, - ხედავთ, რა მემართება? თქვენთან ერთად ყავა დავლიე, მესიამოვნა კიდეც, მაგრამ ხანდახან მემართება ასე, მერე მელანქოლია მერევა ხოლმე. ბატონებს ვთხოვ, მაპატიონ. თქვენთან ყოფნა სასიამოვნო იყო და კარგადაც გავერთე...
ბიძაშვილები ფეხზე წამოხტნენ - ეს როგორ მოგვივიდა, ბატონი ჰოფრატიამდენ

ხანს რომ შევაწუხეთო, მაგრამ ჰოფრატმაც, თავის მხრივ, დაამშვიდა ისინი. ჰანს კასტორპმა სასწრაფოდ გაარბენინა ფრაუ შოშას პორტრეტი მეზობელ ოთახში და კვლავ თავის ადგილზე ჩამოკიდა. ბაღში აღარ გამოსულან - ბერენსმა ასწავლა გზა და საერთო დერეფანში გამავალ შუშის კარამდე მიაცილა სტუმრები. უეცრად ნაღველმორეულ ჰოფრატს თითქოს ჩვეულებრივზე მეტად გამობურცოდა კეფა, ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა აცრემლებულ თვალებს, ტუჩები მოღრეცოდა და ზედ საცოდავად ჩამოსცვენოდა ულვაში.
სანამ დერეფანსა და კიბეს ჩაათავებდნენ, ჰანს კასტორპმა ბიძაშვილს უთხრა:
- გამოტყდი, რომ კარგი იდეა მომივიდა თავში.
- ყოველ შემთხვევაში, შენმა იდეამ რაღაც სიახლე მაინც შემოიტანა ჩვენს ერთფეროვან ყოფაში, - მიუგო იოახიმმა, - ესეც არ იყოს, შემთხვევით ვისარგებლეთ და სხვადასხვა საკითხზე გამოვთქვით აზრი. ცოტა არ იყოს, თავში ამერ-დამერია კიდეც ყველაფერი. ახლა ჩაიმდე ბევრი დრო კი აღარა გვაქვს დარჩენილი. იქნებ ერთი ოცი წუთით მაინც მოვასწრო წამოწოლა. შენ ახლა ისე ფრთაშესხმული ხარ, რომ კოკობზიკობად ჩამითვლი რეჟიმის ხსენებას, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მე შენზე მეტად მჭირდება რეჟიმის დაცვა.

კვლევა-ძიებანი
და აი, მოვიდა, რაც მოსასვლელი იყო - დადგა ზამთარი, აქაური ზამთარი, ჰანს კასტორპი კი სულ ცოტა ხნის წინ გულშიაც ვერ გაივლებდა, რომ აქ დაუზამთრდებოდა. იოახიმი წელიწადის ამ დროსაც კარგად იცნობდა - შარშანდელი ზამთარი ჯერ კიდევ მედგრად იდგა, როცა იგი აქ ჩამოვიდა. ჰანს კასტორპი კი, ცოტა არ იყოს, შეშინებული ჩანდა, თუმცა საზამთროდ საუკეთესოდ გახლდათ აღჭურვილი. იოახიმი შეეცადა, ბიძაშვილი დაემშვიდებინა.
- მართლა ასეთი სასტიკი კი ნუ გგონია აქაური ზამთარი, - უთხა მან, - იქნებ ფიქრობ, არქტიკული ზამთარი დაგვიდგებაო. არაფერი ამის მსგავსი - აქ ჰავა მშრალია, ქარი არ იცის და ამიტომ ყინვასაც ნაკლებად იგრძნობ. კარგად თუ შეიფუთნები, შუაღამემდე ისე შეგიძლია იწვე აივანზე, რომ ყინვა ვერაფერს დაგაკლებს. ნისლის საზღვარს ზემოთ ტემპერატურა იცვლება, მაღლა და მაღლა უფრო თბილა, ეს წინათ არ იცოდნენ. როცა წვიმს, მაშინ უფრო ცივა, მაგრამ საძილე ტომარა აქ არა გაქვს?! თუ ძალიან გაგვიჭირდა, მაშინ ცოტას გაგვათბობენ კიდეც.
ისე, კაცმა რომ თქვას, ზამთარი არც მოულოდნელად დასცემიათ თავს და არც ავი ზნე გამოუჩენია, - იგი ფეხაკრეფით შემოიპარა და თავიდან დიდად არ განსხვავდებოდა შუა ზაფხულის ავდრიანი დღეებისაგან. რამდენიმე დღე უბერავდა ქვენა ქარი, მზე აჭერდა. ხეობა თითქოს დამოკლებულიყო და დავიწროებულიყო, ისე ახლოს და უღიმღამოდ მოჩანდნენ ხეობის ყელში კულისებივით ჩამომდგარი ალპები. შემდეგ პიც მიშელსა და ტინცენჰორნიდან ლეგა ღრუბლები წამოიშალნენ და ჩრდილო-დასავლეთისაკენ დაიძრნენ ჯოგად. ხეობა ჩაიქუფრა. მძიმე-მძიმედ წამოვიდა წვიმა, ნელ-ნელა აიმღვრა და მოთეთრო-ნაცრისფერი შეერია - ეს თოვლის ფანტელები აირია წვიმაში, შემდეგ კარგა ხანს მხოლოდ თოვლის ფიფქები ცვიოდა ციდან, ბოლოს კი ხეობაში ქარბუქი დატრიალდა. ავდარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ტემპერატურაც საგრძნობლად დაეცა. ასე რომ, თოვლი ვეღარ დადნა, მიწა სველი თოვლით წაინამქრა, ხეობას მეჩხერ-მეჩხერ გადაეფარა სიფრიფანა, სველი, თეთრი სუდარა და მის ფონზე შავად გამოიკვეთა ფერდობებზე შეფენილი წიწვიანი ტყეები. სასადილო დარბაზში რადიატორები შეიყუჟა. ეს გახლდათ ნოემბრის დამდეგს, მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელ დღეებში. ამ დროს რაღა გასაკვირი იყო ავდარი, როცა აგვისტოშიც ხშირად ირეოდა ხოლმე ამინდი და უკვე გადაჩვეულნი იყვნენ, თოვლი ზამთრის მომასწავებლად მიეღოთ. ყოველთვის, დარსა თუ ავდარში, თუმცა შორიდან, მაგრამ მაინც ხედავდნენ თოვლს - რეტიკონის მთაგრეხილის ნაპრალებსა და ნაოჭებში თეთრად ქათქათებდა შემორჩენილი თოვლი. რეტიკონის მთაგრეხილი თითქოს გაჩხერილი იყო ხეობის ყელში, ხოლო უფრო შორს, სამხრეთით, მედიდურად აზიდული მთები მარადიული თოვლის საბურვლით იწონებდნენ თავს და ზვიადად

გვესალმებოდნენ.
ბარდნიდა. ტემპერატურა თანდათან ეცემოდა. ხეობას მკრთალი ნაცრისფერი ცა ჩამოემხო თავზე, ცა თითქოს ფანტელებს შეერწყა, ფანტელები კი უხმოდ ცვიოდნენ და ცვიოდნენ, ცვიოდნენ შემაშფოთებლად უხვად და ყინვა საათობით მატულობდა. ერთ მშვენიერ დღეს ჰანს კასტორპის ოთახში შვიდ გრადუსამდე დაეცა ტემპერატურა, მეორე დღეს კი თერმომეტრი მხოლოდ ხუთ გრადუსს უჩვენებდა. ყინვები დაიჭირა. მართალია, ტემპერატურა გარკვეულ საზღვრებს აღარ გადასცილებია, მაგრამ მაინც ყინავდა, ჯერ მხოლოდ ღამღამობით ყინავდა, მერე დღისითაც დაიწყო ყინვები, დილიდან საღამომდე უჭერდა სუსხი და თან ისევ ბარდნიდა. მხოლოდ ცოტა ხნით თუ გამოიდარებდა, მერე ისევ დაიწყებოდა თოვა და ასე ბარდნიდა მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე დღეს. ახლა კი დადგა გორებად თოვლი და გზები ჩაიხერგა. ღელის პირას მიდგმულ ძელსკამამდე გამოზომილი სასეირნო გზა და ხეობისკენ მიმავალი შარაგზა გაკვალეს, ოღონდ ბილიკები ისეთი ვიწრო იყო, რომ კაცი კაცს გვერდს ვერ აუქცევდა - ერთ-ერთი იძულებული ხდებოდა, განზე გამდგარიყო და მუხლამდე თოვლში ჩაფლულიყო. ქვევით, კურორტის ქუჩებში, მთელი დღე დაგორავდა ქვისაგან გამოთლილი საბეკნელა. საბეკნელას ხელნაზე ცხენი გამოებათ და აღვირით დაატარებდნენ. კურორტსა და დაბის ჩრდილოეთით მდებარე სოფლად წოდებულ დასახლებას შორის კი ძველფრანკული სტილის ყვითლად შეღებილი, საფოსტო კარეტისებური მარხილი დადიოდა. მარხილს წინ სახნისი ეყენა და ქათქათა თოვლის გროვას აქეთ-იქით ისროდა. „ზემოურების“ ვიწრო, მაღლა შეფენილი და განცალკევებული სამყარო კი თითქოს ფუმფულა ქურქში შეფუთნილიყო, ვერც ერთ სვეტს ან შვერილს ვერ დაინახავდით, თეთრი ბოხოხი რომ არ ჰხურებოდა თავზე, „ბერგჰოფის“ ალაყაფისაკენ მიმავალი კიბის საფეხურები თოვლს წაეშალა და მათ მაგიერ ციცაბო ფერდობიღა ჩანდა. ფიჭვების ტოტებზე მძიმე, სასაცილოდ მოყვანილი ბალიშები იდო, აქა-იქ უცებ ჩამოიმქვლეოდა ნამქერი, ბუქი დატრიალდებოდა და მერე ღრუბელივით თუ ნისლივით ხეებს შორის დიდხანს მიიზლაზნებოდა.
ირგვლივ აზიდული მთებიც დათოვლილიყო. ქვედა კალთებზე უფრო უხვად იდო თოვლი, მცენარეულ ზონას აცილებულ სხვადასხვაგვარადმოყვანილ პიტალო კლდეებს კი ალაგ-ალაგ რბილად შეჰფენოდა. ცა მოქუფრულიყო. მზე ძლივს იჭყიტებოდა თოვლიანი ბურუსიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ თოვლი გამოსცემდა ალმაცერდა რბილ შუქს, არემარეს რძისფერ სინათლეს ჰფენდა და მიდამოსაც ამშვენიერებდა და ადამიანებსაც, თუმცა ამ უკანასკნელთ თეთრ ან ფერად ნაქსოვ ქუდებს ქვეშ წითლად მოუჩანდათ ცხვირები.
სასადილო დარბაზში გაშლილ შვიდივე მაგიდასთან ზამთრის მეტი აღარაფერი ჰქონდათ სალაპარაკო. წელიწადის ეს დრო ყველაზე დიდი და ხანგრძლივი იცოდა ამ მიდამოებში. თურმე უამრავი ტურისტი და სპორტსმენი ჩამოსულა და „სოფლისა“ და კურორტის“ სასტუმროებში ტევა აღარ არისო, თოვლის სისქეს სამოცი სანტიმეტრისათვის მიუღწევია და ეს მოთხილამურეებისათვის პირდაპირ მისწრება გახლავთო, ამბობდნენ პაციენტები. ბობსლეის ტრასაზე, რომელიც შაცალპის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე გადიოდა და ხეობისაკენ ეშვებოდა, გაცხოველებული მუშაობა იყო გაჩაღებული, ტრასა უახლოეს დღეებში შეიძლება გაიხსნას, თუ, რა თქმა უნდა, ფიონმა არ უმუხთლათო. ავადმყოფები სიხარულით მოელოდნენ ჯანმრთელი ხალხის, ქვემოდან ამოსული სტუმრების გაწამაწიას, საცაა კვლავ რომ უნდა დაწყებულიყო დავოსში. შეჰხაროდნენ სპორტულ ზეიმებსა და რბოლებს, დასწრება აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ მაინც ფიქრობდნენ სამკურნალო წოლის საათები გაეცდინათ და გაპარულიყვნენ. ჰანს კასტორპმა ყური მოჰკრა, ჩრდილოელებს რაღაც ახალი სპორტული თამაში გამოუგონიათ, სკიკიორინგიო. თურმე სპორტსმენები თხილამურებზე დგანან და ცხენებს ისე მიერეკებიანო. ამის სანახავად კი მართლა ღირდა გაპარვა. იმ დღეებში შობასაც ხშირად ახსენებდნენ.
შობა! არა, ჰანს კასტორპს ჯერ არ უფიქრია შობაზე. იმისი არც თქმა გასძნელებია და არც დაწერა, ექიმების რჩევით იოახიმთან ერთად ზამთარი აქ უნდა გავატაროო, მაგრამ ეს შობის აქვე გატარებასაც რომ ნიშნავდა, ეს აზრი, ცოტა არ იყოს, შიშსაც კი ჰგვრიდა: თუნდაც იმიტომ (თუმცა მხოლოდ ამიტომ არა!), რომ

შობას საერთოდ არასოდეს შეხვედრია სამშობლოს გარეთ, ამ დღეს ყოველთვის ოჯახურ წრეში ზეიმობდა ხოლმე. რა გაეწყობა, ესეც ღვთის ნებაა. ბავშვი ხომ აღარ არის, ეტყობა, იოახიმიც უდრტვინველად ემორჩილება ბედს, არც წუწუნებს და არც იწირპლება. ანდა რა მოხდა, სად და რა პირობებში არ უზეიმია კაცს შობა!
ასე იყო თუ ისე, ჰანს კასტორპს მაინც სულსწრაფობად ეჩვენებოდა ვნების კვირის დადგომამდე შობაზე ლაპარაკი. მანამდე ხომ კარგი ექვსი კვირა იყო დარჩენილი, მაგრამ ამ ექვს კვირას სასადილო დარბაზის მეინახენი თითქოს ახტებოდნენ და ყლაპავდნენ. ამ შინაგან მეთოდს ჰანს კასტორპიც გახლდათ უკვე დაუფლებული, მაგრამ ძველი ბინადრების მსგავსი მამაცური სტილი ჯერ არ ჰქონდა გამომუშავებული. წელიწადის რბოლაში მონიშნული ისეთი ეტაპები, როგორიც საშობაო დღესასწაული იყო, მათთვის, ეტყობა, ტრამპლინებსა და ტრაპეციებს წარმოადგენდნენ, საიდანაც შეიძლებოდა დროის ცარიელ შუალედებს აკრობატივით გადავლებოდნენ თავზე. ყველას სიცხე ჰქონდა, ნივთიერებათა ცვლა გაძლიერებული, ორგანიზმის მოქმედება გაცხოველებული და აჩქარებული და, ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ამიტომაც იყო, დრო-ჟამს ასე სწრაფად და ფართო-ფართოდ რომ მიერეკებოდნენ. ჰანს კასტორპს არც ის გაუკვირდებოდა, შობაც უკან რომ მოეტოვებინათ და ახალ წელსა და ყველიერზე დაეწყოთ ლაპარაკი... მაგრამ, ნურას უკაცრავად, ასეთი ამჩატება მიღებული არ გახლდათ ბერგჰოფის“ სასადილო დარბაზში. ამჯერად შობაზე იყვნენ შეჩერებულნი და თავსამტრევი და სადარდებელი ჰყოფნიდათ. ბჭობდნენ და მსჯელობდნენ საერთო საჩუქარზე, რომელიც ბერგჰოფის“ ტრადიციის თანახმად, შეფისათვის, ჰოფრატ ბერენსისათვის შობის მწუხრზე უნდა მიერთმიათ. საჩუქრისათვის უკვე დაეწყოთ თანხის შეგროვება. როგორც წინა შობის აქ მომსწრენი ამბობდნენ, შარშან ჰოფრატისათვის ჩემოდანი ეჩუქებინათ, ამჯერად კი ზოგი რას იგონებდა და ზოგი რას: ასახელებდნენ ახალ საოპერაციო მაგიდას, მოლბერტს, ქურქს, სკამ-საქანელას, სპილოს ძვლის ინკრუსტირებულ სტეტოსკოპს. სეტემბრინის რომ ჰკითხეს რჩევა, მან შესთავაზათ, ახლახან წამოწყებული ლექსიკოგრაფიული შრომა ტანჯვის სოციოლოგია“ მივართვათო, მაგრამ ამ წინადადებას მხოლოდ ერთმა წიგნით მოვაჭრემ აუბა მხარი, რომელიც დიდი ხანი არ იყო, კლეეფელდის მაგიდასთან იჯდა. შეთანხმებას ვერ იქნა და ვერ მიაღწიეს. საერთო ენის გამონახვა განსაკუთრებით რუს პაციენტებთან გაძნელდა. დამსვენებლები ორ ბანაკად გაიყვნენ. მოსკოვიტებმა განაცხადეს, ჩვენ ბერენსს საკუთრად გვინდა მივართვათ საჩუქარიო. ფრაუ შტორს რამდენიმე დღე იყო, მოსვენება დაჰკარგოდა ათი ფრანკის გამო, რომელიც ასე თავქარიანად გაეღო ფრაუ ილტისის მაგივრად და მას კი ფულის დაბრუნება „დავიწყებოდა“. „დაავიწყდაო“, ისეთი ინტონაციებით აზავებდა ხოლმე ამ სიტყვას ფრაუ შტორი, ისეთ მრავალნაირ ნიუანსს აქსოვდა შიგ, რომ ყველაფერ ამას კარგად უნდა გამოეხატა მისი გულისწყრომა და ურწმუნოება ისეთი გულმავიწყობისადმი, რომელსაც ვერავითარი ქარაგმა და ჩანისკარტება ვერაფერს შველოდა, თუმცა ფრაუ შტორს, მისივე თქმით, არც ერთი ეს ხერხი არ დაეშურებინა. მრავალჯერ გამოიდო თავი ფრაუ შტორმა და მრავალჯერ განაცხადა, მიჩუქებია ილტისისათვის ის თანხაო, ჩემმაგივრადაც ვიხდი და მის მაგივრადაცო, კარგი ბატონო, ბოლოს და ბოლოს, შერცხვენილი მე ხომ არ გამოვდივარო, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, მონახა გამოსავალი: საიდუმლო თანამესუფრეებს გაუმხილა და საერთო მხიარულებაც გამოიწვია. ფრაუ შტორმა დირექცია აიძულა, ეს თანხაგადაეხადა და ილტისის ანგარიშში ჩაეწერა. ამგვარად, ფრაუ შტორმა ცუღლუტ მევალეს ჭკუაში აჯობა და, ასე იყო თუ ისე, საქმე მოაგვარა.
თოვა შეწყდა. ცა აქა-იქ გაიხსნა. ერთმანეთს დაცილებულმა მოლურჯო-რუხმა ღრუბლებმა მზის შუქს გზა უტიეს და მზემ მიდამო მოცისფროდ შეაფერადა, მერე კი სულ გამოიდარა. დადგა მოწმენდილი სუსხიანი დღეები. ნოემბრის შუა რიცხვებში მედიდურად შემობრძანდა ქათქათა ზამთარი და აივნის თაღებიდან გამოჩნდა დიდებული პანორამა - პუდრშეფრქვეული ტყეები, ჩანამქრული ხევები, ლურჯად მოკაშკაშე ცის ქვეშ გადაშლილი მზით გასხივოსნებული თეთრი ხეობა. საღამოობით თითქმის სავსე მთვარე ამოდიოდა და მიდამო იმწამსვე ივსებოდა ჯადოსნური მშვენიერებით. ყველაფერი ბროლისებრ ციმციმსა და ალმასისებრ

ბრწყინვალებას გამოსცემდა. ტყეებს მკვეთრი თეთრი და შავი ფერი დასდებოდა. მთვარეს დაშორებული ცის კაბადონი ჩაბნელებულიყო და ზედ ამოქარგულივით ასხდა ვარსკვლავები.
სახლებიდან, ხეებიდან და ტელეგრაფის ბოძებიდან ასხლეტილი მკაფიო, ზუსტად მოხაზული მუქი ჩრდილები აციმციმებულ ზედაპირს ეცემოდნენ და თვით ჩრდილის გადმომცემ საგნებზე უფრო ნამდვილნი და ხელშესახებნი ჩანდნენ. მზის ჩასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ ყინვა შვიდ-რვა გრადუსს აღწევდა. სამყარო თითქოს გარინდებულიყო ყინულოვან სიწმინდეში, დაეფარა თავისი ბუნებრივი ჭუჭყი და სიკვდილის ფანტასტიკური ჯადოს ბრჭყალებში მოქცეულივით გაქვავებულიყო. ჰანს კასტორპი გვიან ღამემდე რჩებოდა თავის აივანზე და ზამთრისაგან მოჯადოებულ ხეობას გადასცქეროდა: იოახიმზე გაცილებით გვიანობამდე რჩებოდა. იოახიმი ათზე ან, დიდი-დიდი, თერთმეტის წუთებზე შედიოდა ოთახში. ჰანს კასტორპს ხის მოაჯირთან მიეწია თავისი დიდებული შეზლონგი, რომელსაც სამ ნაწილად გაყოფილი ლეიბი და თავის მისაყრდნობი მუთაქაც ჰქონდა. მოაჯირზე ბალიშივით იდო თოვლი. შეზლონგთან მიდგმულ თეთრ მაგიდაზე ელექტრონათურა ენთო, წიგნების დასტა ეწყო და ერთი ჭიქა საღამოს მონაწველი ცხიმიანი რძე იდგა, რომელიც ცხრა საათზე „ბერგჰოფის“ ყველა ბინადრისათვის ოთახებში მიჰქონდათ ხოლმე. რძეში ჰანს კასტორპი გემოს მისაცემად ერთ ყლუპ კონიაკს ისხამდა. სიცივისაგან თავის დასაცავად ყველა ხელმისაწვდომი საშუალება, მთელი არსენალი უკვე გამოეყენებინა. ყელამდე გახვეულიყო ღილებით შესაკრავ ბეწვის საძილე ტომარაში, რომელიც დროულად შეეძინა კურორტის ერთ-ერთ ფეშენებელურ მაღაზიაში. ზედ კიდევ სათანადო რიტუალის დაცვით აქლემის ბეწვის ორივე საბანი შემოეხვია, თბილ კოსტიუმზე კიდევ მოკლე ქურქი წამოესხა, თავზე შალის ნაქსოვი ქუდი ეხურა, ფეხებზე თექის ჩექმები ეცვა, ხელებზე კი სქელი, დაბამბული ხელთათმანები ეკეთა, მაგრამ ეტყობოდა, ხელთათმანები ვერაფერს შველოდა და ყინვისაგან თითები მაინც უშეშდებოდა.
რა აჩერებდა ასე გვიანობამდე, თითქმის შუაღამემდე გარეთ (ამ დროს მდარე რუსული წყვილი“ დიდი ხნის შესული იყო ოთახში)? ალბათ, ზამთრის ღამის მომხიბლაობაც, ხეობიდან დარხეული მუსიკაც, რომელიც თერთმეტ საათამდე მოისმოდა, მაგრამ მთავარი მაინც სიზანტე და აღგზნება გახლდათ, ჰანს კასტორპს ერთდროულად რომ დაუფლებოდა. დიახ, სიზანტე, სხეულში გამჯდარი, გაუნძრევლად წოლის სურვილიც და აფორიაქებული სულიც, რომელიც მისივე წამოწყებული ახალ-ახალი შემბოჭველი შტუდიების გავლენით დაშოშმინებას არ აპირებდა. ავდარი სწყენდა, ყინვა ასავათებდა და ორგანიზმს უთანგავდა. ბევრს ჭამდა, მადაგამგელებული მუსრს ავლებდა ბერგჰოფულ უზარმაზარ სადილებს, გარნირით მორთმეულ როსტბიფს კიდევ შებრაწული ბატის ხორცი რომ მოსდევდა ხოლმე თან. როგორც ჩანდა, ხალხს აქ ზამთარში უფრო უცხოველდებოდა მადა და ეს ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ჰანს კასტორპს გარდა ამისა სულ ძილი ერეოდა, ისე, რომ, დღისით იქნებოდა თუ მთვარიანი ღამით, წიგნებზე ეყვინთებოდა. ჩასთვლემდა, სულ რამდენიმე წუთით გამოეთიშებოდა გონება, მერე კი კვლავ განაგრძობდა თავის ძიებებს. ენის გაუჩერებელი ტარტარი - სხვათა შორის, ბართან შედარებით აქ უფრო ეშლებოდა ლაპარაკის საღერღელი და სხაპასხუპით, გაუთავებლად და თამამად ლაქლაქებდა - იოახიმთან ერთად თოვლში სავალდებულო სეირნობისას ქანცს აცლიდა. თავბრუ ეხვეოდა, სხეული უკანკალებდა, თავი მთვრალივით უბრუოდა და უხურდა. ზამთარი დადგა თუ არა, მისმა ტემპერატურის მრუდმაც აიწია და ჰოფრატმა ბერენსმა ინიექციები ახსენა, რომელსაც ტემპერატურის ასე ჯიუტად აწევისას ხმარობდა ხოლმე. ამ ინიექციებს სისტემატურად უკეთებდნენ დამსვენებელთა ორ მესამედს, მათ შორის იოახიმსაც, ჰანს კასტორპი კი ფიქრობდა, ჩემი სხეულის მაღალი ტემპერატურა იმ სულიერი მღელვარებისა და მოუსვენრობის ბრალი უნდა იყოს, რომელიც ყინვისაგან მოსარკულ ღამეებში გვიანობამდე ჩემს შეზლონგზე მაჩერებსო და ამ აზრს ის წიგნებიც უდასტურებდნენ, გატაცებით რომ კითხულობდა ხოლმე.
ინტერნაციონალურ სანატორიუმ ბერგჰოფის“ საერთო ვერანდებსა თუგანცალკევებულ აივნებზე ცოტას როდი კითხულობდნენ. წიგნებს

განსაკუთრებით დამწყები და მოკლევადიანი პაციენტები ეწაფებოდნენ. მრავალთვიანებს, და მით უმეტეს, მრავალწლიანებს ხომ დიდი ხანია ნასწავლი ჰქონდათ, ტვინის გაუნძრევლადაც მოეკლათ დრო და შინაგანი ვირტუოზობის წყალობით სწრაფად მოეტოვებინათ უკან. დიახ, ეს უკანასკნელნი იმასაც კი აცხადებდნენ, დროის მოსაკლავად წიგნს რომ წაეპოტინები, ეს გონებაჩლუნგობისა და სიბრიყვის ნიშანიაო. ყოველ შემთხვევაში, ერთ წიგნს კალთაში თუ ჩაიდებდი ან სასთუმალთან თუ მიუჩენდი ადგილს, ესეც სავსებით საკმარისი გახლდათ.სანატორიუმის მრავალენოვან ბიბლიოთეკაში უფრო ილუსტრირებული გამოცემები ჭარბობდა და მისი წიგნადი ფონდი მხოლოდ რაოდენობით თუ აღემატებოდა რომელიმე კბილის ექიმის მოსაცდელში დახვავებულ ლიტერატურას. ამიტომ პაციენტებს რომანები კურორტის ბიბლიოთეკიდანაც ამოჰქონდათ და ერთმანეთს უცვლიდნენ ხოლმე. ხანდახან გამოჩნდებოდა წიგნი, ერთმანეთს ხელიდან რომ გლეჯდნენ. ასეთ წიგნს ფარისევლური ფლეგმატურობით კითხვას გადაჩვეულნიც წაეპოტინებოდნენ ხოლმე. იმ დროს, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, ერთი უხარისხოდ დაბეჭდილი ბროშურა გადადიოდა ხელიდან ხელში, რომელიც ბატონ ალბინს შემოეტანა სანატორიუმში. წიგნაკს „ცდუნების ხელოვნება“ ეწოდებოდა. იგი სიტყვასიტყვით იყო ფრანგულიდან ნათარგმნი. მთარგმნელს ორიგინალის სინტაქსიც კი შეენარჩუნებინა, ამის გამო მონათხრობი გაფუყული და გამაღიზიანებლად ელეგანტური ჩანდა, ხოლო ხორციელი სიყვარულისა და განცხრომის ფილოსოფია საერო, ხალისიანი, წარმართული სულისკვეთებით იყო გადმოცემული. ფრაუ შტორმა მაშინვე წაიკითხა წიგნი და თქვა კიდეც, „გამაბრუებელიაო“. ფრაუ მაგნუსმა, სწორედ იმან, ცილებს რომ კარგავდა, გულმხურვალედ დაუკრა კვერი. მისმა ლუდის მხარშავმა მეუღლემ განაცხადა, ამ წიგნიდან პირადად მე ბევრი სასარგებლო რამ შევითვისე, მაგრამ იმას ვწუხვარ, ფრაუ მაგნუსმაც რომ წაიკითხა ეს თხზულება. ასეთი ნაწერები ქალებს „აფუჭებს“ და თამამ აზრებს უნერგავსო. ამ აზრმა კიდევ უფრო გააღვივა წიგნისადმი ინტერესი. ქვედა ვერანდის ორი მკვიდრი, ოქტომბერში ჩამოსული ქალბატონები: პოლონელი მეწარმის მეუღლე, ქალბატონი რედიში და ბერლინელი ქვრივი ჰესენფელდი ნასადილევს სამარცხვინოდ წაიკიდნენ, არა, მე ვიდექი წიგნის რიგში და არა, მეო. ჰანს კასტორპს თავის აივანზე ესმოდა მათი ჩხუბი. შეტაკება ერთ-ერთი ქალის ყურისწამღები წივილ-კივილით დამთავრდა - ეს რედიშიც შეიძლებოდა ყოფილიყო და ჰესენფელდიც - და გაცოფებული თავის ოთახში მიაბრძანეს. ახალგაზრდობამ უფროსებზე ადრე ჩაიგდო ხელში ეს ტრაქტატი. ისინი ნავახშმევს სხვადასხვა ოთახში იკრიბებოდნენ და ამ თხზულებას ჯგუფურად სწავლობდნენ. ჰანს კასტორპმა დაინახა, გრძელფრჩხილა ყმაწვილმა როგორ გადასცა ის წიგნი ახლახან ჩამოსულ მსუბუქ ავადმყოფს, ფრენცხენ ობერდანკს, დედის მორჩილ, თმაგადატკეპნილ გოგონას, რომელიც სულ ახლახან დედას ამოეყვანა მთაში.

შეიძლება არსებობდა გამონაკლისი, ალბათ, პაციენტებს შორის მოიძებნებოდნენ ისეთები, სამკურნალო წოლის საათებს სერიოზული გონებრივი საქმიანობითა და რომელიმე საჭირო საგნის შესწავლით რომ ავსებდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ბარისეულ ცხოვრებასთან შეენარჩუნებინათ კავშირი, ან დრო-ჟამისათვის ცოტა სიმძიმე და სიღრმე მიენიჭებინათ და იგი მხოლოდ წმინდა დრო აღარ ყოფილიყო. ალბათ, ტანჯვის ამოსაძირკვად დამაშვრალი ბატონი სეტემბრინისა და რუსულ სავარჯიშოებზე გადაგებული პატივმოყვარე იოახიმის გარდა, კიდევ იქნებოდა სანატორიუმში ვინმე, ვინც სათუთად უფრთხილდებოდა დროს. ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპს ასეთები სასადილო დარბაზის მკვიდრთა შორის ნამდვილად არ ეგულებოდა, მაგრამ ის კი უნდოდა დაეჯერებინა, რომ სწორედ მწოლიარე ავადმყოფებსა და მორიბუნდუსებში შეიძლებოდა სერიოზული ხალხის პოვნა. რაც შეეხება თვითონ ჰანს კასტორპს, თავის დროზე, რაკი Ocean steamship

ს “ მეტს ვეღარაფერს ეუბნებოდა, მან ზამთრის ნივთებთან ერთად რამდენიმე საინჟინრო-მეცნიერული, გემთმშენებლობის ტექნიკაზე დაწერილი წიგნიც გამოაგზავნინა შინიდან. ოღონდ ეს წიგნები ახლა უპატრონოდ ეყარა, ისინი სულ სხვა სფეროს თხზულებებს დაეჯაბნა, რომელთა შინაარსისადმი ჰანს კასტორპს

დიდი ინტერესი გასჩენოდა. ეს გახლდათ სხვადასხვა ენაზე, გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად დაწერილი ანატომია, ფიზიოლოგია და ბიოლოგია. ისინი ერთ მშვენიერ დღეს კურორტის წიგნის მაღაზიის მეპატრონეს გამოეგზავნა მისთვის. ალბათ, წიგნები თვითონ შეუკვეთა და თან საკუთარი ხელითაც ჩუმად, უიოახიმოდ გასეირნების დროს, თორემ ისე ხომ არავინ გამოუგზავნიდა (იოახიმი იმ დროს, ალბათ, ან ნემსს იკეთებდა, ან ასაწონად იქნებოდა „სარდაფში“ ჩასული). იოახიმი სახტად დარჩა, ბიძაშვილს ხელში ის წიგნები რომ დაუნახა. წიგნები ძვირი ღირდა, როგორც საერთოდ ღირს ხოლმე მეცნიერული თხზულებები. ფასი ყდაზეც ეწერა და შმუცტიტულზეც. იოახიმმა ბიძაშვილს ჰკითხა, ასეთი წიგნების წაკითხვა თუ გინდოდა, ჰოფრატს ვერ გამოართვი, მას ხომ ამგვარი ლიტერატურის დიდი არჩევანი ექნებაო. მაგრამ ჰანს კასტორპმა მიუგო, ჩემი მერჩივნა, მქონოდა, კითხვას სულ სხვა გემო აქვს, როცა წიგნი შენიაო. გარდა ამისა, მე ფანქრით ადგილების გახაზვაც მიყვარსო. მას შემდეგიოახიმს საათობით ესმოდა ბიძაშვილის აივნიდან ქაღალდის საჭრელი დანით გაუჭრელი ფურცლების ფხრეწის ხმა.

ტომები მძიმე იყო, ხელში ძლივს დაიჭერდი; ჰანს კასტორპი მათ ქვედა კიდით იბჯენდა მკერდსა და კუჭზე. იჭეჭყებოდა, მაგრამ ითმენდა. პირი ნახევრად დაეღო და თვალს ისე აყოლებდა მეცნიერებით გატენილ გვერდებს, რომლებიც სულ ტყუილად იყო განათებული აბაჟურიანი ლამპის მოწითალო შუქით - თუ გაჭირდებოდა, კითხვა მთვარის შუქზეც მშვენივრად შეიძლებოდა. ჰანს კასტორპი მანამდე ჩაუყვებოდა გვერდებს, სანამ ნიკაპი მკერდზე არ დაებჯინებოდა, მერე, სანამ მომდევნო გვერდისაკენ აღაპყრობდა თვალს, ცოტა ხანს ფიქრმორეული ჩათვლემდა თუ თვლემამორეული ფიქრობდა. იგი ჩაჰკირკიტებდა წიგნს, სწავლობდა ორგანიზებული მატერიისა და პროტოპლაზმის თვისებებს, ამ მგრძნობიარე სუბსტანციას, რომელიც თავის სახეს ინარჩუნებდა განვითარებასა და დაშლასშორის არსებულ თავისებურ მერყევ გარემოში და უნარი ჰქონდა ნივთიერების პირველყოფილი, მაგრამ აქამდე მოღწეული ფორმებისათვის მრავალფეროვნება მიენიჭებინა. მთრთოლარე ინტერესით კითხულობდა სიცოცხლისა და მისი წმინდა და თან უწმინდური საიდუმლოების ამბავს.

რა იყო სიცოცხლე? არავინ იცოდა ეს. სიცოცხლეს სიცოცხლედ ქცევისთანავე უეჭველად შეცნობილი ექნებოდა საკუთარი თავი, მაგრამ არც თვითონ ეცოდინებოდა, რას წარმოადგენდა. ცნობიერება, როგორც გაღიზიანების შეგრძნება, რაღაცნაირი ხარისხით მაინც უეჭველად გაიღვიძებდა თავისი წარმოშობის ჯერ კიდევ უმდაბლეს და უმარტივეს საფეხურებზე. შეუძლებელი იყო, შეგნებული პროცესების პირველი აღმოცენება მისი ზოგადი ან ინდივიდუალური განვითარების ისტორიის რომელიმე წერტილთან დაგვეკავშირებინა, ცნობიერება ნერვული სისტემის არსებობით გაგვეპირობებინა. უმდაბლეს ცხოველურ ფორმებს არ გააჩნდათ ნერვული სისტემა, აღარაფერს ვამბობთ თავის ტვინზე, მაგრამ განა გაბედავდა ვინმე, მათთვის გაღიზიანების შეგრძნების უნარი წაერთმია. გარდა ამისა, შეიძლებოდა მხოლოდ შეგრძნებისუნარიანი განსაკუთრებული ცალკეული ორგანოები და ნერვები კი არა, თვით სიცოცხლეც გაგვებჟუებინა. შეიძლებოდა დროებით მოგვესპო მცენარეული ან ცხოველთა სამყაროს რომელიმე სიცოცხლისუნარიანი მატერიის მგრძნობელობა, შეიძლებოდა კვერცხუჯრედის ან სპერმატოზოიდის ქლოროფორმით, ქლოროჰიდრატით ან მორფით ნარკოზირება. ამგვარად, ცნობიერება, თავის მხრივ, მხოლოდ ორგანიზებული ცოცხალი მატერიის ფუნქცია ყოფილა, უფრო მეტად გაძლიერებისას კი ეს ფუნქცია თავისსავე მატარებელს მიუბრუნდებოდა, თავისი გამჩენი ფენომენის კვლევისა და ახსნის ლტოლვად გადაიქცეოდა, იმედიან და უიმედო ლტოლვად ყოველგვარი ცოცხალის თვითშემეცნებისადმი, ბუნების თავის თავში ქექვად, რაც ამაო აღმოჩნდებოდა ბოლოს და ბოლოს, რადგან ბუნებას არ ძალუძს შემეცნებაში გაითქვიფოს, ბუნებას არ ძალუძს თავის თავში სიცოცხლის უკანასკნელ გამოვლინებას მიუგდოს ყური.

რა იყო სიცოცხლე? არავინ იცოდა ეს. არავინ იცოდა ის ბუნებრივი წერტილი, სადაც ის წარმოიქმნა და აღენთო, სიცოცხლის სფეროში იმ წერტილიდან მოყოლებული არაფერი იყო განუპირობებელი ან მხოლოდ ცუდად

განპირობებული. თუკი ამაზე რაიმეს თქმა შეიძლებოდა, მხოლოდ ეს უნდა თქმულიყო: იგი ისეთი მაღალგანვითარებული აგებულებისა უნდა ყოფილიყო, რომ არაცოცხალ სამყაროში ვერაფერი უნდა გვეპოვა ისეთი, რომელიც მას თუნდაც შორეულად ემგვანებოდა. ცრუფეხა ამებასა და ხერხემლიან ცხოველს შორის არსებული მანძილი უმცირესი და უმნიშვნელო იყო იმ მანძილთან შედარებით, რაც სიცოცხლის უმარტივეს გამოვლინებასა და იმ ბუნებას შორის არსებობდა, რომელიც იმის ღირსიც კი არ იყო, რომ მკვდარი გვეწოდებინა, რადგან იგი არაორგანული გახლდათ, ვინაიდან სიკვდილი მხოლოდ ლოგიკური უარყოფაა სიცოცხლისა, ხოლო ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებას შორის ისეთ უფსკრულს დაებჩინა პირი, რომ ზედ ხიდის გადებას ამაოდ ელტვოდა მეცნიერება. მეცნიერები ცდილობდნენ, თეორიებით ამოევსოთ ეს უფსკრული, მაგრამ იგი ისე ნთქავდა ამ თეორიებს, რომ არც სიღრმე აკლდებოდა და არც სიგანე. ოღონდ კი შემაერთებელი რგოლი ეპოვათ და უსტრუქტურო ცოცხალი მატერიისა და არაორგანიზებული ორგანიზმების არსებობაც კი დაუშვეს, რომლებიც ვითომ თავისთავად ჩნდებოდნენ ცილოვან ხსნარში, ისევე როგორც კრისტალი ჩნდება ხოლმე დედახსნარში. ეს ვარაუდი დაუშვეს მაშინ, როცა არც ერთი ცოცხალი არსება არ იყო ჯერ აღმოჩენილი, რომელიც თავის არსებობას თავის მშობლებს არ უმადლოდა, ზღვის სიღრმეებიდან ამოღებული პირველყოფილი ლორწოს გამო ატეხილ ზარ-ზეიმს საბოლოოდ შერცხვენა ეწერა. თურმე თაბაშირის დანალექები მიეღოთ პროტოპლაზმად. ოღონდ კი საოცრება არ ეღიარებინათ - თავისთავად ისიც საოცრება იქნებოდა, რომ სიცოცხლე იმავე ნივთიერებებისაგან იყო აგებული და იმავე ნივთიერებებად იშლებოდა, როგორც არაორგანული ბუნება - და ძალით იწამეს პირველქმნადობა, ესე იგი, არაორგანულიდან ორგანულის წარმოშობა, რაც ასევე საოცრება გახლდათ. ასე განაგრძეს შუალედური და გარდამავალი საფეხურების გამოგონება, ისეთი ორგანიზმების არსებობა დაუშვეს, რომლებიც ყველაცნობილ ორგანიზმზე დაბლა იდგნენ, ხოლო თავის მხრივ მათაც სიცოცხლის წარმოშობის კიდევ უფრო შორეული ცდები ჰყავდათ წინაპრად. ეს გახლდათ სინჯები, რომლებსაც ვერასდროს იხილავდა ვინმე, რადგან ისინი უძლიერეს მიკროსკოპშიაც უხილავნი რჩებოდნენ, ხოლო მათ გამოგონილ აღმოცენებას ცილოვანი შენაერთების სინთეზს აწერდნენ მეცნიერები...

მაშ, რა ყოფილა სიცოცხლე? ეს გახლდათ სითბო, ფორმაუცვლელი ცვალებადობის თბური პროდუქტი, მატერიის ციებ-ცხელება, რომელიც თან ახლავს უაღრესად დახლართულად და მრავალფეროვნად ნაგები ცილოვანი მოლეკულების განუწყვეტელი დაშლისა და აღდგენის პროცესს. ეს იყო არსებობის უნარს მოკლებული ყოფის არსებობა, რომელიც რღვევისა და განახლების მხოლოდ ამ შეზღუდულ და ციებცხელებიან პროცესში ინარჩუნებდა ტკბილ-მწარე ჭირთათმენით ყოფიერების წერტილზე წონასწორობას. ის მატერიალური არ გახლდათ, ის არც გონი იყო, იგი ამ ორს შუა მერყეობდა. ამ ფენომენს მატერია ატარებდა და იგი ჩანჩქერებზე აციმციმებულ ცისარტყელასაც ჰგავდა და აბრიალებულ ალსაც. მერე რა, რომ იგი არც იყო მატერიალური, სამაგიეროდ, ავხორცობამდე და გულის არევამდე გრძნობადი გახლდათ, საკუთარი თავისა და გაღიზიანების შემგრძნობი მატერიის უტიფრობას, ყოფიერების გარყვნილ ფორმას წარმოადგენდა. ეს იყო სამყაროს უბიწო სიცივეში დარხეული იდუმალი, ძლივს შესაგრძნობი გაფაჩუნება, საკვების შეწოვისა დაგამოყოფის ქურდული და ავხორცული, უწმინდური პროცესი, ნახშირმჟავისა და იდუმალი წარმოშობისა და ასევე იდუმალი თვისებების მქონე მავნე ნივთიერების ექსკრეტორული ფშვინვა. ეს იყო მისი მერყევი არსის გაწონასწორებით დაწყებული და განვითარების თანდაყოლილი კანონების ხუნდებში მოქცეული მოდიდება, წყლის, ცილის, მარილისა და ცხიმისაგან შემდგარი გაფიჟვინებული რაღაცის გაფურჩქნა და ფორმირება. ამ რაღაცას ხორცი ეწოდება სახელად და იგი თანდათან ფორმად, მაღალ სახეობად, მშვენიერებად გადაიქცა, თუმცა კვლავინდებურად შერჩა გრძნობადობისა და ჟინის საწყისი. ვინაიდან ეს ფორმა და მშვენიერება არც გონისმიერია, როგორც ეს პოეტურ და მუსიკალურ ნაწარმოებებშია წარმოდგენილი, და არც ნეიტრალური, იგი გონისაგან დაცლილი მასალისაგანაა ნაგები, რომელიც გონს

ვითომ უბიწოდ აქცევს გრძნობად გარსად და ვითომ სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ფორმად და მშვენიერებად გვევლინება, სინამდვილეში კი იგი ჩვენთვის უცნობი გზით ავხორცობაგაღვიძებული სუბსტანციის ნაყოფი და წარმონაქმნია. თვით ორგანული, ხრწნადი მატერიის, აყროლებული ხორცის ნაყოფი გახლავთ...

ახალგაზრდა ჰანს კასტორპი საკუთარი სხეულის სითბოში ნებივრობდა, რომელიც მისთვის შეენარჩუნებინა შალეულსა და ბეწვეულს და ალაპლაპებულ ხეობას გაჰყურებდა. სწორედ ამ დროს, უსულო ვარსკვლავედების სხივით განათებულ ყინვიან ღამეში, თვალწინ დაუდგა სიცოცხლის ხატი. იგი მის წინ სადღაც სივრცეში ნანაობდა, შორეული და თან ახლობელი და ხელშესახები, სხეული, ტანი, მქრქალი, სურნელოვანი, მფშვინავი, წებოვანი, თვალწინ წარმოუდგა კანი, ყველა თავისი ბუნებრივი ჭუჭყითა და ბიწიერებით, ლაქებით, კერტებით, ჩაყვითლებული და დახეთქილი, ზოგან ხორკლიანი და აქერცლილი, რომელთაც ნაზ ჩქერებად და ხვეულებად მიუყვებოდა რუდიმენტული ღინღლი. იგი თითქოს გამოცალკევებოდა უსიცოცხლობის სუსხს და თავისსავე ოხშივარში გახვეულიყო, მოშვებული იდგა. თავზე თავისივე კანისაგან წარმოქმნილი, გრილი, რქოვანი, პიგმენტებიანი რამ შემოგრაგნოდა, ხელები კეფაზე შემოეწყო, წამწამები დაეხარა და ისე იმზირებოდა, ქუთუთოს კანის გადაჭიმვის გამო თვალის ჭრილი ირიბი მოუჩანდა, პირი ნახევრად გაეღო, ტუჩები ოდნავ წინ წამოეზიდა, ცალ ფეხს ისე ეყრდნობოდა, რომ თეძოს ძვალი მკაფიოდ ამოსჩროდა ტანზე, მეორე მოდუნებული ფეხი ოდნავ მოეხარა, განზე გაედგა. ცერს მსუბუქად ებჯინებოდა და მუხლი სიმძიმეგადატანილი მეორე მუხლის შიდა მხარისათვის მიედო. ფიგურა ასე იდგა და იღიმებოდა, ჰანს კასტორპისათვის ოდნავ შეექცია გვერდი, მიმზიდველად გადაზნექილიყო და თავისი აღნაგობისა და მოყვანილობის შესაფერად სიმეტრიულად წამოეწია წინ ალაპლაპებული იდაყვები, მძაფრი ოხშივარადენილი იღლიების სიმუქეს საშოს მისტიკური სამკუთხედის ღამე შეესაბამებოდა, ისევე როგორც თვალებს პირის ღრუს წითელი ეპითელი, მკერდის ვარდისფერ კოკრებს კი წამოზიდული, ამობურცული ჭიპი. თავის ტვინსა და ზურგის ტვინში განლაგებული მოტორული ნერვების მოქმედების წყალობით მუცელი და მკერდი ადი-ჩადიოდა, პლევროპერიტონული ღრუ კი იბერებოდა და იკუმშებოდა. სასუნთქი არხების ლორწოვანი გარსისაგან დანამული და გამთბარი, ნარჩენი ნივთიერებებით გაჯერებული ჰაერი ჯერ ფილტვების სასუნთქ უჯრედებში გაივლიდა, თავის ჟანგბადს სისხლის ჰემოგლობინს დაუტოვებდა, რაც აუცილებელი იყო შინაგანი სუნთქვისათვის და მხოლოდ მას მერე გამოედინებოდა ბაგეებიდან. ჰანს კასტორპი მიხვდა, რომ ამ ცოცხალ სხეულში იდუმალი თანაფარდობით იყო შეზავებული ნერვებით, ვენებით, არტერიებით, თმის ბოჭკოებითა და ლიმფური ძარღვებით დაქსელილი სხეულის ნაწილები. ეს იყო ცოცხალი სხეული, თავისი ჩონჩხით, ტვინით გავსებული მილაკისებური ძვლებით, ბეჭის,ხერხემლისა და მენჯის ძვლებით, რომლებიც პირველყოფილი საყრდენი სუბსტანციიდან, ლაბისებრი ქსოვილებისაგან წარმოიშვნენ, შემდეგ კი კირის მარილებისა და წებოს წყალობით გამყარდნენ, რათა შესძლებოდათ ამ სხეულის ტარება. დიახ, ამ ძვლებს უნდა ეტარებინათ ეს სხეული მთელი თავის კაფსულებითა და სლიპინა ღრმულებით, თავისი სახსრების მყესებითა და ხრტილებით, თავისი ორასზე მეტი კუნთით, თავისი ცენტრალური, საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი, გაღიზიანების შემგრძნობი და პასუხისგამცემი ორგანოებით, თავისი დამცველი კანით, სეროზული უბეებითა და ოფლის გამომყოფი ჯირკვლებით, მილებითა და ნაპრალებით დასერილი, დახლართული შიდა ზედაპირით, რომელიც გარე სამყაროსთან სხეულზე დატნეული ხვრელებით იყო დაკავშირებული. მიხვდა, რომ ეს „მე“ უმაღლესი რანგის ცოცხალი ერთეული იყო და სულაც არ ჰგავდა იმ უმარტივეს არსებებს, რომლებიც თავიანთი სხეულის ზედაპირით სუნთქავდნენ და აზროვნებდნენ კიდეც. იგი ისეთი უწვრილესი შენაერთების მირიადებისაგან იყო აგებული, რომლებიც ერთისაგან წარმოიშვნენ, უსასრულო გაყოფის მეშვეობით გამრავლდნენ, სხვადასხვა დანიშნულების შენაერთებად გადაიქცნენ, ერთმანეთისაგან გაიმიჯნენ, საკუთრივ ჩამოყალიბდნენ და ისეთი ფორმები შექმნეს, რომლებიც მათი შემდგომი ზრდის ხელშემწყობ პირობად იქცნენ.

მაშასადამე, მის თვალწინ მონანავე სხეული, ეს განცალკევებული არსება და ცოცხალი მე“ იმ მსუნთქავი და მჭამელი ინდივიდების უზარმაზარ სიმრავლეს წარმოადგენდა, რომლებსაც ორგანული წყობისა და გამიზნულობის წყალობით ისე უკვალოდ დაეკარგათ თავიანთი მეობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ისე ზედმიწევნით ანატომიურ ელემენტებად გადაქცეულიყვნენ, რომ ზოგიერთის დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ სინათლის, ბგერის, შეხების, სითბოს შეგრძნებებით შემოფარგლულიყო, სხვებს კი იმის უნარიღა შერჩენოდათ, რომ შეკუმშულიყვნენ და ფორმა შეეცვალათ ან საჭმლის მომნელებელი სეკრეციები გამოეყოთ. დანარჩენებიკი ცალმხრივად განვითარებულიყვნენ და თავდაცვის, წონასწორობის, სითხის გამოყოფის ან გამრავლების უნარი შეეძინათ. არსებობდა ამ მაღალ მედ“ შეკავშირებული ორგანული სიმრავლის მერყევი ფორმებიც და ისეთი შემთხვევებიც, სადაც მდაბალი ინდივიდების სიმრავლე მხოლოდ მსუბუქად და საეჭვოდ იყო უმაღლეს ცოცხალ ერთეულად შეკოწიწებული. ცოდნას მოწყურებული ჰანს კასტორპი თავს იმტვრევდა ბუნების ისეთ მოვლენებზე, როგორიც უჯრედთა კოლონიები, ნახევარორგანიზმები და წყალმცენარეები იყო, რომელთა ცალკეული უჯრედები მხოლოდ ლაბისებურ აფსკში იყვნენ გახვეულნი და ხშირად ერთიმეორისაგან შორიშორ მდებარეობდნენ, თუმცა მაინც მრავალუჯრედიან შენაერთებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ისინი რომ აგელაპარაკებინათ, თვითონაც ვერ გეტყოდნენ, ინდივიდების გროვა ვართ თუ ერთი მთლიანი არსებაო და საკუთარ გამონათქვამშიც მესა“ და „ჩვენს“ შორის მერყეობას დაიწყებდნენ. აქ ბუნებამ საშუალო საფეხური შემოგვთავაზა უამრავი მარტივი ინდივიდის მაღალ სოციალურ შენაერთებსა და ამ მარტივი ორგანიზმების თავისუფალ და განცალკევებულ არსებობას შორის. ამგვარად, მრავალუჯრედიანი ორგანიზმი მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა ყოფილა ციკლური პროცესისა, რომელშიც სიცოცხლე იჩენს თავს და წრიულად მოძრაობს დაბადებიდან დაბადებამდე. განაყოფიერების აქტი, ორი უჯრედოვანი სხეულის სქესობრივი შერწყმა, ყოველი მრავალუჯრედიანი ინდივიდუუმის წარმოშობის სათავე გახლდათ, ისევე როგორც იგი უდებდა სათავეს განცალკევებული მარტივი არსებების თაობათა წყებას და ისევ და ისევ მეორდებოდა. ეს აქტი გასამრავლებლად არ დასჭირვებია მრავალ თაობას, რადგან ისინი განუწყვეტელი გზით მრავლდებოდნენ, სანამ არ დადგა წამი, როცა არასქესობრივი გზით გაჩენილმა შთამომავლებმა კვლავ განახლებისაკენ და ერთმანეთთან შერწყმისაკენ არ იგრძნეს სწრაფვა და ამით წრე ჩაიკეტა კიდეც. უჯრედთა მრავალფეროვანი ცოცხალი სახელმწიფო, რომელიც ორი მშობლის უჯრედების შერწყმისაგან იყო წარმოშობილი, უჯრედოვანი ინდივიდუუმების არასქესობრივი გზით გაჩენილ მრავალ თაობას აერთიანებდა. იგი ამ ინდივიდუუმების გამრავლების ხარჯზე იზრდებოდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა, როცა ხელახლა ჩნდებოდნენ სქესობრივი უჯრედები - ანუ გამრავლებისათვის აუცილებელი ელემენტები, ჩნდებოდნენ და სიცოცხლის ასაღორძინებლად ერთმანეთთან შერწყმის გზას პოულობდნენ კიდეც.
ახალგაზრდა თავგადასავლების მაძიებელს გულის ფიცარზე დაებჯინა ემბრიოლოგიის დიდტანიანი ტომი და ორგანიზმის განვითარებას იმ წუთიდან ადევნებდა თვალს, როცა ერთ-ერთი მრავალთაგანი თესლი თავისივე კუდის ენერგიული მოძრაობის წყალობით პირველი წაეჯახებოდა თავით კვერცხუჯრედის ლაბისებრ გარსს და ჩანასახის ბორცვში შეიჭრებოდა, რომელსაც მიახლოებისთანავე გადაუხსნიდა კვერცხის ქერქის პროტოპლაზმა. რა უცნაურ გრიმასებსა და ფარსს არ იგონებდა ბუნება ამ პროცესის გაუკუღმართებისას. ზოგიერთი ცხოველის მამრი დედლის ნაწლავში იბუდებდა პარაზიტულად. სხვა გამნაყოფიერებლები თესლის ჩასადებად დედალს ხახაში უყოფდნენ კიდურს, დედალი იმ კიდურსმოკვნეტდა და ამოანთხევდა, ხოლო მოკვნეტილი კიდური თავისით გარბოდა მეცნიერების გასაოგნებლად, რომელმაც მას ბერძნულ-ლათინური სახელი შეარქვა და დიდხანს დამოუკიდებელი ცოცხალი არსება ეგონა. ჰანს კასტორპს თითქოს ყურში ედგა ოვისტებისა და ანიმალკულისტების სკოლის წარმომადგენელთა დავა,(ჰანს კასტორპს თითქოს ყურში ედგა ოვისტებისა და ანიმალკულისტების სკოლის წარმომადგენელთა დავა“ - XVII-XVIII საუკუნეებში ბიოლოგიაში დავა

მიმდინარეობდა სწავლულ პრეფორმისტებს შორის, ვის სქესობრივ უჯრედებში იყო წინასწარ გამოსახული ზრდადასრულებული ორგანიზმი - ქალისა თუ მამაკაცისაში.)
რომელთაგან ერთნი ამტკიცებდნენ, კვერცხი დასრულებულ პატარა ბაყაყს, ძაღლს ან ადამიანს წარმოადგენს და თესლი მხოლოდ მისი ზრდის გამომწვევ ძალად გვევლინებაო, მეორენი კი თესლში ცოცხალი არსების ჩანასახს ხედავდნენ და ამტკიცებდნენ, ამ ჩანასახს თავიცა აქვს და ხელ-ფეხიც და კვერცხი მხოლოდ საკვებ ნიადაგად ემსახურებაო. ასე კამათობდნენ ისინი, სანამ არ შეთანხმდნენ, კვერუცხუჯრედისა და თესლისთვისაც, რომლებიც თავდაპირველად ერთნაირი ემბრიონული უჯრედებისაგან იყვნენ წარმოქმნილნი, თანაბარი დამსახურებანი მიეწერათ. ჰანს კასტორპი თვალს ადევნებდა განაყოფიერებული კვერცხის ერთუჯრედიანი ორგანიზმის მრავალუჯრედიან ორგანიზმად გადაქცევის პროცესს. ხედავდა, როგორ ნაოჭდებოდა კვერცხუჯრედი, როგორ იყოფოდა, უჯრედები ერთმანეთს როგორ ეწებებოდნენ და ლორწოვან გარსს ქმნიდნენ, მერე ჩანასახის ბუშტუკი ჩაიჭყლიტებოდა, ფიალასავით ჩაღრმავებულ ფორმას იღებდა და საკვების მიღებასა და მონელებას იწყებდა. ეს გახლდათ ჭიანაწლავი, პირველყოფილი ცხოველი, გასტრულა, ყოველგვარი ცხოველური სიცოცხლის პირველადი ფორმა, ყოველგვარი ხორციელი სილამაზის ძირითადი ფორმა. მისი ორივე ეპითელი, გარეგანიც და შინაგანიც, ეკტოდერმაც და ენტოდერმაც, პრიმიტიული ორგანოები აღმოჩნდნენ, რომელთაგან ჩაზნექისა და ამოზნექის წყალობით ჯირკვლები, ქსოვილები, გრძნობის ორგანოები და კიდურები წარმოიქმნებოდნენ. ჩანასახის გარეფურცლის ერთი ზოლი სქელდებოდა, იგრაგნებოდა, პირს შეიკრავდა, ნერვების გამტარ მილაკად გადაიქცეოდა და ხერხემლად და თავის ტვინად ჩამოყალიბდებოდა, როგორც კი ჩანასახოვანი ლორწო გარდაიქმნებოდა ბოჭკოვან ქსოვილად და ხრტილებად. ეს კი მაშინ ხდებოდა, როცა ლაბისებრი თონთლო უჯრედები მუცინის ნაცვლად წებოვანი სუბსტანციის გამომუშავებას იწყებდნენ. იგი ხედავდა, მაერთებელი ქსოვილების უჯრედები ცალკეულ ადგილებზე როგორ ისრუტავდნენ გამრეცხი წვენებიდან კირის მარილებსა და ცხიმებს და როგორ ძვალდებოდნენ. ადამიანის კუდიანი, მოკუნტული ჩანასახი არაფრით განსხვავდებოდა ღორის ჩანასახისაგან. მასაც უზარმაზარი ფაშვი ჰქონდა და წაკვეთილივით უფორმო კიდურები, სახის ნიშატი გაბერილ ჭიპზე მიეხუტებინა და მისი განვითარება მეცნიერებას, რომელიც შეუფერადებლად და მკაცრად გვიჩვენებდა სიმართლეს, მთელი ზოოლოგიური პერიოდის სწრაფ განმეორებად ესახებოდა. მას ერთხანს სკაროსივით ლაყუჩებიც კი ჰქონდა. სავსებით შესაძლებელი იყო, ან უფრო უკეთ, საჭიროც კი იყო მისი განვითარების სტადიების მიხედვით აღგვედგინა ადამიანისაგან საკმაოდ განსხვავებული სახე უძველესი ხანის ზრდადასრულებული ადამიანისა. უძველესი ხანის ადამიანს მწერებისაგან თავდასაცავად კანზე შესაკუმში კუნთები უვითარდებოდა და ხშირი ბალანი ამოსდიოდა, საყნოსავი ლორწოვანი გარსის ზედაპირი ფართოდ ჰქონდა გადაჭიმული, მისი აცქვეტილი, მოძრავი ყურები ცოცხლად მონაწილეობდნენ სახის მიმიკაში და ბგერებს უფრო უკეთ იჭერდნენ, ვიდრე ახლა. მაშინ ადამიანის თვალებს მესამე, მოხამხამე ქუთუთო იცავდა. თვალები თავის ორივე მხარეს იყვნენ განლაგებულნი, აღარაფერს ვამბობთ შუბლზე ამოსულ მესამე თვალზე, რომლის რუდიმენტსაც ჩვენს ტვინში მოთავსებული კოპისებური ჯირკვალი წარმოადგენს და რომელიც ადამიანს ზემოდან თავდასხმას არიდებდა. იმ ადამიანს, გარდა ამისა, ძალიან გრძელი ნაწლავები და მრავალი საღეჭი კბილი ჰქონდა, დასაღრიალებლად ხორხში ეკიდა სახმო ტომსიკები, ხოლო მამაკაცური სასქესო ჯირკვლები მუცლის ღრუში ჰქონდა მოთავსებული.
ანატომიამ ტყავი გააძრო და ისე წარმოუდგინა ჩვენს მკვლევარს ადამიანის სხეულის ნაწილები, უჩვენა მისი ზედაპირული და სიღრმისეული კუნთები, თეძოს ფეხის, მკლავების, ხელების მყესები და იოგები, ასწავლა ლათინური სახელები, რომლითაც მედიცინა, ჰუმანიტარული აზროვნების ეს განშტოება, კეთილშობილურად და გალანტურად ნათლავდა და ერთმანეთისაგან ასე განასხვავებდა სხეულის ნაწილებს. ანატომიამ ორგანიზმში ჩონჩხამდე ჩაახედა ჰანს კასტორპი, ამ უკანასკნელის აგებულებამ კი რამდენიმე ახალი

თვალსაზრისი შეუქმნა და მთელი სიგრძე-სიგანით დაანახვა, რომ ყოველივე ადამიანური ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და თავის თავში ყველა დისციპლინას აერთიანებდა, ვინაიდან ამ ამბებმა ჰანს კასტორპს, თავისდა გასაოცრად, საკუთარი პროფესია, ანუ თავისი წინანდელი მეცნიერული ჩინი გაახსენა, რომლითაც ჩამოსვლისას წარუდგა პირველივე შემხვედრთ (ბატონ დოქტორ კროკოვსკისა და ბატონ სეტემბრინის). კაცი რაღაცას ხომ უნდა დაუფლებოდა, ხოლო ეს რაღაცა რაიქნებოდა, თითქმის სულერთი გახლდათ მისთვის და მანაც უმაღლეს სასწავლებელში რაღაც-რაღაცები ისწავლა სტატისტიკის, დრეკადი საყრდენების, დატვირთვისა და კონსტრუქციის მექანიკური მასალების ეკონომიური ხარჯვის მიზნით გამოყენების თაობაზე. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ საინჟინრო მეცნიერება და მექანიკის კანონები ორგანულ ბუნებასაც მიესადაგებოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ ვერც იმას იტყოდით, რომ ისინი ორგანული ბუნებიდან იყვნენ წარმოქმნილნი. ისინი უბრალოდ ორგანულ ბუნებაში მეორდებოდნენ და დასტურდებოდნენ. ღრუიანი ცილინდრის პრინციპი, მაგალითად, ისე ვლინდებოდა გრძელი მილაკისებური ძვლების აგებულებაში, რომ მყარი სუბსტანციის ზუსტი მინიმუმის პირობებში იგი სავსებით აკმაყოფილებდა სტატისტიკის მოთხოვნებს. ჰანს კასტორპს ნასწავლი ჰქონდა, რომ დაჭიმვისა და დაწოლის მოთხოვნების შესაბამისად მხოლოდ ძვლებითა და ლატანებით შეკრულ სხეულს შეუძლია იმავე დატვირთვას გაუძლოს, რასაც უძლებს ამ მასალისგან გამოჭრილი მთლიანი სხეული. ასევე შეიძლებოდა მილაკისებური ძვლების წარმოშობის პროცესში დაჰკვირვებოდით, მათ ზედაპირზე კომპაქტური სუბსტანციის წარმოქმნისთანავე მექანიკის თვალსაზრისით გამოუსადეგარი შიდა ქსოვილები როგორ გადაიქცეოდნენ ცხიმოვან ქსოვილად ან ძვლის ტვინად. ბარძაყის ძვალი ამწე ონკანს ჰგავდა, რომლის აგებისას ორგანულ ბუნებას ძვლების ძელებისათვის ზუსტად ისეთივე მიმართულება მიეცა და დაჭიმვისა და დაწოლის ისეთივე მრუდი მოეხაზა, როგორსაც ჰანს კასტორპი ამ ფართოდ გავრცელებული მექანიზმის გრაფიკული გამოსახვისას კონკრეტულად გადმოსცემდა ხოლმე. ჰანს კასტორპს ძალიან ესიამოვნა ამ მსგავსების აღმოჩენა, რადგან ბარძაყის ძვალსა და საერთოდ ორგანულ ბუნებასთან ამიერიდან სამგვარი დამოკიდებულება ექნებოდა: ლირიკული, სამედიცინო და ტექნიკური. ეს სამი სახის ურთიერთობა, მისი აზრით, განუყოფელი იყო „ადამიანურის“ ცნებაში. ისინი ერთი და იმავე ცხოველი ინტერესის სახეცვლილებებს, ჰუმანიტარულ დარგებს წარმოადგენდნენ...

ყველაფერ ამასთან ერთად კი მაინც აუხსნელი რჩებოდა პროტოპლაზმის როლი. ეტყობოდა, სიცოცხლე უძლური იყო, თავისსავე არსს ჩასწვდომოდა, ბიოქიმიური პროცესის უმრავლესობა არამცთუ უცნობი იყო ადამიანისათვის, არამედ თავისი ბუნების წყალობით ისინი თვალისთვის უხილავნიც რჩებოდნენ. „უჯრედად“ წოდებული ცოცხალი ერთეულის წარმოშობასა და სტრუქტურაზე ხომ თითქმის არაფერი იცოდა ადამიანმა. მკვდარი კუნთის შემადგენელი ნაწილების დადგენა ვის რაში გამოადგებოდა, თუკი ცოცხალი კუნთის ქიმიური გამოკვლევა შეუძლებელი იყო? მარტო მკვდარი სხეულის გაშეშების გამომწვევი ცვლილებები კმაროდა, ყოველგვარი ექსპერიმენტი ფუჭად რომ მიგეჩნიათ. ვერავინ ერკვეოდა ნივთიერებათა ცვლაში, არავინ იცოდა ნერვების მოქმედების არსი. რა თვისებებს უმადლოდნენ თავის გემოს გემოს მატარებელი ორგანიზმები? რა იყო ამა თუ იმ მგრძნობიარე ნერვების არომატულ ნივთიერებებზე სხვადასხვა რეაქციის მიზეზი? რაში მდგომარეობდა საერთოდ სუნის არსი? ცხოველებისა და ადამიანის სპეციფიკური სუნი ისეთი სუბსტანციების აორთქლების შედეგი გახლდათ, რომელთა განსაზღვრა არავის შეეძლო. არც იმ სეკრეციის შემადგენლობა იყო გარკვეული, რომელსაც ოფლს უწოდებდნენ. მისი გამომყოფი ჯირკვლები ისეთ არომატს გამოიმუშავებდნენ, რომელსაც უეჭველად აქვს მნიშვნელობა ძუძუმწოვარა ცხოველებისთვის, მაგრამ ადამიანს რაღაში სჭირდება, ეს არავინ უწყოდა. აშკარად მნიშვნელოვანი ორგანოების ფიზიოლოგიური დანიშნულება წყვდიადით იყო მოცული. აღარაფერს ვამბობთ ბრმა ნაწლავზე, რომელიც გამოცანად რჩებოდა. ბოცვრებს ბრმა ნაწლავი რეგულარულად ევსებოდათ ფაფისებრი მასით და მეცნიერები ვერაფერს

გეტყოდნენ, ეს მასა შიგ როგორ იშრიტებოდა ან როგორ ახლდებოდა. თავის ტვინის თეთრი და რუხი სუბსტანცია რაღა იყო? ან მხედველობითი ბორცვი რაღას წარმოადგენდა, რომელიც მხედველობის ნერვს უკავშირდებოდა, ან ხიდის“ რუხი დანაშრევები რისი მაქნისი გახლდნენ? თავის ტვინისა და ზურგის ტვინის სუბსტანცია ისე სწრაფად იშლებოდა, რომ ნაკლებად საიმედო ჩანდა, ოდესმე მაინც გამოეკვლიათ მისი აგებულება. რა მიზეზით წყვეტდა დიდი ტვინის ქერქი დაძინებისას მოქმედებას? რა უშლიდა ხელს ცოცხალი ორგანიზმის კუჭის თვითმონელებას, თუკი ასეთი რამ ხანდახან გვამში ნამდვილად ხდებოდა? პასუხი ასეთი გახლდათ: რა უშლის და, სიცოცხლე, ცოცხალი პროტოპლაზმის განსაკუთრებული წინააღმდეგობის ძალაო. თავს ისე გვაჩვენებდნენ, ვითომ ვერ ხვდებოდნენ, რა მისტიკური იყო ეს ახსნა. ისეთი ყოველდღიური მოვლენის ამხსნელი თეორია, როგორიც ციებ-ცხელება გახლდათ, წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. ნივთიერებათა გაძლიერებულ ცვლას სითბოს გაძლიერებული გამოყოფა მოსდევდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ რატომ აღარ ხდებოდა მისი კომპენსაცია სითბოს გაცემის ხარჯზე? ვითომ ოფლის სეკრეციის შეწყვეტა კანის კონტრაქციას ემყარებოდა? ოღონდ ასეთი რამ მხოლოდ შემცივნებისას შეიმჩნეოდა. ჩვეულებრივ კი კანი უფრო ცხელი იყო, ვიდრე ცივი. ციებ-ცხელება ამხელდა, რომ ცენტრალური ნერვული სისტემა გახლდათ თავიდათავი მიზეზი ნივთიერებათა გაძლიერებულიცვლისაც და კანის სიმხურვალისაც, რასაც არანორმალურს უწოდებდნენ, რაკი სხვა ახსნა ვერ მოეძებნათ.
მაგრამ ყველა ეს უმეცრება მონაგონი იყო იმ უმწეობასთან შედარებით, კაცი რომ იგრძნობდა, როგორც კი მეხსიერებასა და განსაკუთრებით მეხსიერების იმ უფრო შორეულ და საოცარ ფორმასთან მოუწევდა პირისპირ დგომა, რომელსაც მემკვიდრეობით მიღებული თვისებების გადაცემას უწოდებდნენ. უჯრედის სუბსტანციის ამგვარი მოქმედების მექანიკურ ახსნაზე თუნდაც შორეული მინიშნებაც კი შეუძლებელი გახლდათ. იმ თესლის დანახვა, რომელსაც მამის უამრავი შთამომავლობითი და ინდივიდუალური თვისება გადაჰქონდა კვერცხზე, მხოლოდ მიკროსკოპით თუ შეიძლებოდა, ოღონდ იგი უძლიერეს მიკროსკოპშიაც კი ჰომოგენურ სხეულად ჩანდა და საშუალებას არ იძლეოდა, ამოგვეცნო მისი წარმოშობის საიდუმლოება, მით უმეტეს, რომ ყველა ცხოველის თესლი ერთნაირად გამოიყურებოდა. თესლის აგებულების ეს თავისებურება გვაფიქრებინებდა, რომ უჯრედის საქმეც ისევე იყო, როგორც მის მიერ აგებული უფრო მაღალი ორგანიზმისა. მაშასადამე, ჯერ თვითონ უჯრედი წარმოადგენდა ურთულეს ორგანიზმს და, თავის მხრივ, კვლავ და კვლავ გასაყოფი ცოცხალი სხეულებისა და ინდივიდუალური ცოცხალი ერთეულებისაგან შედგებოდა. ამგვარად, ვითომ უმცირესისაგან კიდევ უფრო მცირესაკენ გვიხდებოდა წასვლა და იძულებულნი ვხდებოდით, მარტივი ორგანიზმი კიდევ უფრო მარტივ ელემენტებად დაგვეშალა. უეჭველია, როგორც ცხოველთა სამყარო შედგებოდა ცხოველთა სხვადასხვაგვარი სახეობებისაგან, ისევე შედგებოდა ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმი ერთმანეთისაგან განსხვავებული უჯრედთა მთელი ცხოველური სამყაროსაგან, ხოლო თითოეული უჯრედი ისეთი ელემენტარული ცოცხალი ერთეულების ახალ-ახალ და მრავალფეროვან ცხოველთა სამყაროს წარმოადგენდა, რომელთა სიდიდე მიკროსკოპული ხილვადობის საზღვრის მიღმა მდებარეობდა. ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად იზრდებოდნენ, დამოუკიდებლად მრავლდებოდნენ იმ კანონის თანახმად, რომ ყოველი არსება თავისსავე მსგავსს შობს და შრომის განაწილების პრინციპის მიხედვით ერთად ემსახურებოდნენ უფრო მაღალ ფორმად ორგანიზებული სიცოცხლის შექმნას.
ეს გახლდათ გენები, ბიობლასტები, ბიოფორები(გენები, ბიობლასტები, ბიოფორები - XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთევროპულ გენეტიკაში ეწოდება „მემკვიდრეობითი ნივთიერების“, „უკვდავი ჩანასახოვანი პლაზმის“ უმარტივეს ერთეულებს, რომლებიც თითქოს მემკვიდრეობითობის მატერიალურ მატარებლებს წარმოადგენენ. ტერმინი გენი“ 1909 წელს შემოიღო გენეტიკოსმა-ვაისმანისტმა იოჰანსენმა, გენის თეორია კი გერმანელი მეცნიერის, ა. ვაისმანისა და ავსტრიელი გ. მენდელის მოძღვრებათა საფუძველზე შექმნა და დაამუშავა ამერიკელმა ბუნებისმეტყველმა ტ. მორგანმა.)
ჰანს კასტორპს უხაროდა ამ ყინვიან ღამეში მათ სახელებს რომ ეცნობოდა,

ოღონდ ინტერესით ეკითხებოდა საკუთარ თავს, უფრო უკეთ რომ გაშუქდება ეს საკითხი, ელემენტარული ბუნების საქმე როგორღა იქნებაო. რაკი გენები, ბიობლასტები და ბიოფორები სიცოცხლის მატარებელნი იყვნენ, ორგანიზებულნიც უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სიცოცხლე ორგანიზებულობას ემყარება და თუკი ორგანიზებულნი არიან, ელემენტარული როგორღა იქნებიან, ორგანიზმი ხომ ელემენტარული არ არის, იგი რთული მონაცემიაო, ფიქრობდა ჰანს კასტორპი. ეს გახლდათ უჯრედზე დაბლა მდგომი, მაგრამ უჯრედის ორგანულად ამგები ცოცხალი ერთეულები. თუ ასეა, მაშინ რა წარმოუდგენლად ჰაწაწკინტელაც უნდა გამომდგარიყვნენ ისინი, თვითონვე უნდა ყოფილიყვნენ „ნაგებნი“ და, სახელდობრ, სიცოცხლის წესის მიხედვით ორგანულად ნაგებნიც“, ვინაიდან ცოცხალი ერთეულის ცნება იდენტური გახლდათ უფრო მცირე, დაქვემდებარებული ერთეულებისაგან ნაგები ერთეულისა. ესე იგი, სიცოცხლის უფრო მაღალ ფორმად ორგანიზებული ცოცხალი ერთეულებისა, სანამ გაყოფა ისეთ ორგანულ ერთეულებს იძლეოდა, რომლებსაც სასიცოცხლო თვისებები გააჩნდათ, სახელდობრ, გააჩნდათ ასიმილაციის, ზრდისა და გამრავლების უნარი. მას საზღვარი ვერ დაედებოდა. სანამ ცოცხალ ერთეულებზე იყო ლაპარაკი, შეცდომად ჩაითვლებოდა ელემენტარული ერთეულების ხსენებაც კი, ვინაიდან ერთეულის ცნება ad infinitum
(უსასრულობამდე (ლათ.).) მოიცავდა დაქვემდებარებული საშენი ერთეულის თანაცნებასაც და ელემენტარული სიცოცხლე, ესე იგი, რაღაც ცოცხალი, ოღონდ ჯერ კიდევ მარტივი, ელემენტარული რამ ბუნებაში ვერ იარსებებდა...
თუმცა ეს აზრი მოკლებული იყო ლოგიკას, მაგრამ რაღაც ამის მსგავსი მაინც უნდა არსებულიყო, ვინაიდან პირველქმნადობის იდეას, ესე იგი, სიცოცხლის არაცოცხალიდან წარმოშობის იდეას, ასე ერთი ხელის მოსმით თავიდან ვერ მოიცილებდი. ბოლოს და ბოლოს, ბუნების ორგანულ წიაღში მაინც უნდა ამოვსებულიყო როგორღაც სიცოცხლესა და უსიცოცხლობას შორის არსებული უფსკრული, რომლის ამოვსებასაც ამაოდ ცდილობდნენ გარეგუნებაში. ან თუ ვერ ამოივსებოდა, ზედ ხიდი მაინც უნდა გადებულიყო. გაყოფა ოდესმე მრავალ ისეთ „მთლიანობამდე“ მიგვიყვანდა, რომლებიცშეკავშირებულნი კი იყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ორგანიზებული არ ეთქმოდათ და შუალედური ადგილი ეჭირათ ცოცხალსა და არაცოცხალს შორის. სწორედ ამ მოლეკულების ჯგუფი წარმოადგენდა წმიდა ქიმიიდან მოწესრიგებული სიცოცხლისაკენ გარდამავალ საფეხურს. ოღონდ ქიმიურ მოლეკულას მივადგებოდით თუ არა, ახალი უფსკრულის პირას აღმოვჩნდებოდით და ეს უფსკრული გაცილებით უფრო მისტერიულად აბჩენდა პირს, ვიდრე ორგანულ და არაორგანულ ბუნებას შორის არსებული უფსკრული. ეს უკვე მატერიალურსა და არამატერიალურს შორის გაჩენილი უფსკრული გახლდათ. მოლეკულა ხომ ატომებისაგან შედგებოდა, ხოლო ატომი იმოდენაც კი არ იყო, რომ მისთვის ჰაწაწკინტელა მაინც გვეწოდებინა. იგი იმდენად ჰატარა იყო, რაღაც არანივთიერის ისეთ ნამცეცა, ოდინდელ და გარდამავალ გუნდას წარმოადგენდა, დიახ, ჯერ კიდევ არანივთიერს, მაგრამ ნივთიერის მსგავს ენერგიის გუნდას, რომ არც შეიძლებოდა მისთვის რაღაც მატერიალური ან თუნდაც რაღაც არამატერიალური გვეწოდებინა, უფრო სწორი იქნებოდა, იგი მატერიალურსა და არამატერიალურს შორის არსებულ შუალედად ან საზღვრად მიგვეჩნია. ასე წამოიჭრა სხვა პირველქმნადობის პრობლემა, გაცილებით უფრო იდუმალი და თავსატეხი, ვიდრე ორგანულის პრობლემა იყო: ეს გახლდათ არანივთიერისგან ნივთიერის წარმოშობის პრობლემა. აი, ახლა კი მატერიალურსა და არამატერიალურს შორის არსებული უფსკრული მართლაც ისევე სასწრაფოდ და იქნებ უფრო სასწრაფოდაც ითხოვდა ამოვსებას, ვიდრე ორგანულ და არაორგანულ ბუნებას შორის გაჩენილი უფსკრული. საჭირო იყო არამატერიალური წარმონაქმნების ქიმია, საჭირო იყო იმ არანივთიერი ნაერთების კვლევა, საიდანაც ნივთიერი ნაერთები წარმოიქმნა, ისევე როგორც ორგანიზმები გაჩნდნენ არაორგანული შენაერთებისაგან. იქნებ ატომები მატერიის სინჯები და ერთუჯრედოვანები გამომდგარიყვნენ, იქნებ ატომები თავიანთი უბნებით იყვნენ და არც იყვნენ ნივთიერნი. მაგრამ მიადგებოდნენ თუ არა განსაზღვრას, ატომი არც ისე ჰატარა უნდა იყოსო“. მასშტაბიც მაშინვე უსხლტებოდათ ხელიდან, რადგან არც ისე

პატარა“ შეიძლება უზარმაზარსაც“ ნიშნავდეს. ასე და ამგვარად, ატომამდე მისვლა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, უაღრესად საბედისწერო აღმოჩნდა, ვინაიდან მატერიალური ნაწილაკის უკანასკნელი გაყოფისა და დაქუცმაცების წუთს უეცრად გადაიხსნა ასტრონომიული კოსმოსი!
ატომი ენერგიით დატენილი კოსმოსური სისტემა აღმოჩნდა, რომელშიაც კოსმოსური სხეულები მზის მსგავსი ცენტრის ირგვლივ ტრიალებდნენ, ხოლო მის ეთეროვან სივრცეში სინათლის სხივის სიჩქარით დაქროდნენ კომეტები და მათ თავიანთ ექსცენტრულ გზაზე ცენტრალური ციური სხეულის მიზიდულობის ძალა აკავებდა. ეს მხოლოდ შედარება არ გახლდათ, ისევე როგორც არც ის იყო მხოლოდ შედარება, მრავალუჯრედიან არსებებს უჯრედთა სახელმწიფოს“ რომ უწოდებდნენ. ქალაქი, სახელმწიფო, შრომის განაწილების პრინციპით მოწყობილი სოციალური თემი არა მარტო ჰგავდა ორგანულ სიცოცხლეს, არამედ იმეორებდა კიდეც მას. ასევე ირეკლებოდა ბუნების სიღრმეებში ვარსკვლავთა მაკროკოსმოსური სამყარო, რომელთა მთვარისაგან გახუნებული გუნდები, გროვები, ჯგუფები და ფიგურები თავიდან ფეხებამდე შეფუთნილი ადეპტისა და ყინვისაგან აბრჭყვიალებული ხეობის თავზე მიირხეოდნენ. განა უფლება არ გვქონდა, გვეფიქრა, რომ ატომურ მზის სისტემაში, მზის სისტემის ლაშქარსა და ირმის ნახტომებში არსებობდნენ პლანეტები, ან ამა თუ იმ მიკროკოსმოსურ სხეულს განა არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთივე პირობები, რომლებმაც დედამიწა აქციეს სიცოცხლის კერად? კანის ზენორმალური“ ტემპერატურისაგან, ცოტა არ იყოს, ტვინაგზნებულ ახალგაზრდა ადეპტს, რომელსაც აკრძალულ სფეროებში შეჭრის ერთგვარი გამოცდილებაც ჰქონდა უკვე შეძენილი, არამცთუ დაუჯერებელი ეჩვენებოდა ეს აზრი, არამედ თითქმის აკვიატებულიც კი ჰქონდა და ლოგიკური ჭეშმარიტების ნათელ სპეკულაციადაც ესახებოდა. მიკროკოსმოსურ ციურ სხეულთა სიმცირე“ რა ანგარიშში ჩასაგდები იყო, როცა „დიდისა“ და მცირეს“ მასშტაბები იმ წუთიდან გახდნენ უვარგისნი, როგორც კი გამოაშკარავდა ნივთიერების უმცირეს ნაწილაკთა კოსმოსური ხასიათი და ამასთან ერთად შეირყა კიდეც გარე არსისა და შიდა არსის ცნების სიმტკიცე. ატომის სამყარო გარე არსი იყო, ხოლო პლანეტა დედამიწა, რომელზედაც ჩვენ ვსახლობდით, ორგანული თვალსაზრისით თუ შევხედავდით, ადვილი შესაძლებელია რაღაც ღრმად შიდა არსი აღმოჩენილიყო. განა ერთ მკლევარს კადნიერმა ოცნებამ არ გააბედვინა ცის იკანკლედის ცხოველებზე“, კოსმოსურ ურჩხულებზე ლაპარაკი, რომელთა ხორცი, ძვალი და ტვინი მზის სისტემით იყო ნაგები?
(„განა ერთ მკვლევარს კადნიერმა ოცნებამ არ გააბედვინა ცის იკანკლედის ცხოველებზე“, კოსმოსურ ურჩხულებზე ლაპარაკი, რომელთა ხორცი, ძვალი და ტვინი მზის სისტემით იყო ნაგები“? - იგულისხმება ცნობილი ფრანგი ასტრონომი და სამყაროს შექმნის მეცნიერების პოპულარიზატორი კამილ ფლამარიონი (1842 -1925), „პოპულარული ასტრონომიის“ ავტორი და ჟურნალ „ასტრონომიის“ დამაარსებელი. ზემოთ მოხსენიებული აზრი მან გამოთქვა თავის ფანტასტიკურ რომანებში ლიუმენი“ და ურანია“.) ეს თუ ასეა, ფიქრობდა ჰანს კასტორპი, რომ გგონია, ბოლოში გავედიო, სწორედ იმწუთში იწყება ყველაფერი თავიდან! იქნებ თავისი არსების სიღრმეთა სიღრმეში თვითონ ის, ახალგაზრდა ჰანს კასტორპი, ერთხელ კი არა, უკვე ასჯერ მაინც იწვა ასე თავის ლოჯიაში, იწვა თბილად შეფუთნილი, გაჰყურებდა ყინვიანი ღამის მთვარით განათებულ მაღალმთიანეთს, თითები გასშეშებოდა და ჰუმანიტარულ-სამედიცინო ინტერესით ლოყებატკეცილი სწავლობდა სხეულის ცხოვრებას?
ჰანს კასტორპს მაგიდის წითელი შუქისათვის მიეშვირა პათოლოგიური ანატომიის ერთ-ერთი ტომი და ილუსტრირებული ტექსტის მეშვეობით სწავლობდა პარაზიტულ უჯრედთა გაერთიანებისა და ინფექციური სიმსივნეების არსს. ეს გახლდათ ქსოვილის ფორმები და სწორედ განსაკუთრებით აყვავებული ქსოვილს ფორმები, რომლებიც ორგანიზმში უცხო უჯრედთა შეჭრის გზით წარმოიქმნებოდნენ. ორგანიზმი ზოგჯერ ადვილად იღებდა მათ და როგორღაც, თუმცა უმჯობესია ითქვას, თავისი აღვირახსნილობის წყალობით, აყვავების ხელსაყრელ პირობებსაც უქმნიდა. ეს კიდევ არაფერი, რომ პარაზიტი საკვებს ართმევდა მეზობელ ქსოვილებს, იგი ყოველი უჯრედის მსგავსად ნივთიერებათა

ცვლას აწარმოებდა და ისეთ ორგანულ ნაერთებს წარმოქმნიდა, რომლებიც მასპინძელი ორგანიზმის უჯრედებისათვის საოცრად მომწამვლელი და დამღუპველი აღმოჩნდებოდნენ. ადამიანმა ისწავლა ზოგიერთი მიკროორგანიზმიდან ტოქსინების გამოყოფა და კონცენტრირება და თავისდა გასაოცრად დაასკვნა: საკმარისი იყო ამ ცილოვანი შენაერთების რიგის ნივთიერებათა სულ მცირე დოზა შეგვეყვანა ცხოველის სისხლში, რომ სახიფათო მოწამვლის ნიშნები გამომჟღავნებულიყო და ცხოველი დაღუპულიყო. ამ კორუფციის გარეგნულ სახეს ქსოვილთა გაფუება, პათოლოგიური სიმსივნე წარმოადგენდა. ეს გახლდათ უჯრედთა რეაქცია მათ შორის ჩაბუდებული ბაცილების შემოტევაზე. ამ დროს წარმოიქმნებოდა ლორწოვანი გარსის ქსოვილისებური უჯრედებისაგან შემდგარი ფეტვის მარცვლისოდენა კვანძები, რომელთა შორისაც ან რომლებშიც ბაცილები იბუდებდნენ. ზოგიერთი ამ უჯრედთაგანი განსაკუთრებით მდიდარი იყო პროტოპლაზმით, რამდენიმე ბირთვი ჰქონდა და მოცულობითაც უსაშველოდ იზრდებოდა. ოღონდ ეს ზარ-ზეიმი სულ მალე მთავრდებოდა დაღუპვით, რადგან უსაშველოდ გაზრდილი უჯრედების ბირთვები ჯერ მოიკრუნჩხებოდნენ, მერე კი დაშლას იწყებდნენ, მათი პროტოპლაზმა კი შედედებისაგან იღუპებოდა. ახლა ამ მიდამოს სხვა ქსოვილებს დაერეოდა უცხო გამღიზიანებელი, იქაც დაიწყებოდა ანთებითი პროცესი და მოსაზღვრე სისხლძარღვებს ჩაითრევდა. დაავადებული ადგილისაკენ სისხლის თეთრი ბურთულები მოისწრაფოდნენ, გრძელდებოდა შედედებისა და კვდომის პროცესი. ამასობაში ხსნადი ბაქტერიული შხამები ცენტრალურ ნერვულ სისტემას აბრუებდნენ, ორგანიზმი სიცხით იწვოდა, მიბორძიკობდა და ასე ვთქვათ, აბობოქრებულ მკერდს აგებებდა თავისივე დაშლისა და განადგურების პროცესს.

თუკი პათოლოგია, ანუ მოძღვრება სნეულებათა შესახებ, განსაკუთრებით სხეულის სატკივარზე ამახვილებდა ყურადღებას, ხოლო სხეულის სატკივრის წარმოჩენა, თავის მხრივ, სხეულებრიობას და ამდენად, ავხორცობასაც უსვამდა ხაზს, მაშინ ავადმყოფობა სიცოცხლის უზნეო ფორმა ყოფილა და სხვა არაფერი. თვითონ სიცოცხლე რაღა იყო? იქნებ ისიც მატერიის ინფექციურ დაავადებას წარმოადგენდა, ისევე როგორც მხოლოდ ავადმყოფობა და გაღიზიანების შედეგად არამატერიალურის გაზრდა-მატება იყო ის, რისთვისაც მატერიის პირველქმნადობა შეიძლებოდა გვეწოდებინა. ბოროტების, ავხორცობისა და სიკვდილისაკენ უპირველესი ნაბიჯიც უეჭველად იქ უნდა გადადგმულიყო, სადაც უცნობი ინფილტრაციის ღიტინმა გამოიწვია გონისმიერის ის პირველი გატლანქება და მისი ქსოვილის პათოლოგიური აფუება, ხოლო ამ ნახევრად ტკბობამ, ნახევრად თავდაცვამ სუბსტანციის უაღრესი საფეხური, არამატერიალურის მატერიალურში გარდამავალი საფეხური შექმნა. ეს გახლდათ შთავრდომა ცოდვასა შინა. მეორე პირველქმნადობა, არაორგანულიდან ორგანულის შობა მხოლოდ ხორციელების უგვანი ზეასვლა იყო შემეცნებამდე, ისევე როგორც ორგანიზმის ავადმყოფობა გახლდათ სიმთვრალის ბურუსით მოცული ზეასვლა და უზნეო წარმოჩენა ხორციელებისა. სიცოცხლე კიდევ ერთი გარდაუვალი ნაბიჯი იყო პატივაყრილი გონისაკენ მიმავალ ავანტიურისტულ გზაზე, მგრძნობელობაგაღვიძებული მატერიის სირცხვილის თბური რეფლექსი, რომელიც მზად გახლდათ, გულში ავხორცულად ჩაეკრა თავისი გამღიზიანებელი...

წიგნები პატარა მაგიდაზე ეყარა, ერთი შეზლონგთან ეგდო ლოჯიაში დაფენილ ჭილოფზე, ხოლო ის წიგნი, რომელშიც ჰანს კასტორპი უკანასკნელად იქექებოდა, კუჭზე აწვებოდა თავის მკითხველს და სუნთქვასაც უშლიდა, მაგრამ მისი ტვინის ქერქს ჯერ შესაბამისი კუნთებისათვის ვერ გაეცა განკარგულება, რომ წიგნი მკერდიდან მოეცილებინა. ჰანს კასტორპმა ბოლომდე ჩაიკითხა გვერდი, ნიკაპი მკერდზე ჩამოუვარდა და მიამიტ ლურჯ თვალებზე ქუთუთოები ჩამოეფარა. იგი ახლა სიცოცხლის ხატს ხედავდა, მის აყვავებულ სხეულს, ხორცშესხმულ მშვენიერებას, ქალს კეფიდან ჩამოეღო ხელები, მკლავები გაეშალა და იდაყვის სახსრის შიდა მხარეს, ნაზ კანქვეშ მოცისფროდ აჩნდა მთავარი არტერიების შტოები. ტკბილი და ენითაუწერლად ამო იყო ეს მკლავები. ქალი დაიხარა, მისკენ დაიხარა, ზედ გადაეფოფრა, და ჰანს კასტორპმა შეიგრძნო მისი ორგანული

სურნელება, მისი გულისცემა გაიგონა, ყელზე ცხელი სინაზე შემოეჭდო, ნეტარებისა და ძრწოლისაგან სახსრებში მოიშალა, ხელები წინამხარზე მოჰკიდა ქალს, იქ, სადაც საამურად გრილი იყო კუნთებზეგადაჭიმული ხოშორა კანი და ტუჩებზე იგრძნო ქალის კოცნის სველი მცხუნვარება.

მიცვალებულთა როკვა

ნაშობევს გარდაიცვალა არისტოკრატი მხედარი... მაგრამ მანამდე ხომ მაინც მოვიდა შობა, მოვიდა ორი დღესასწაული, ხოლო, თუ ნათლიღების მწუხრსაც მივათვლიდით, სამიც გამოვიდოდა. ამ დღეებს ჰანს კასტორპი გულისფანცქალითა და იჭვნეული თავის კანტურით ელოდა, ნეტავ აქ შობა როგორ უნდა აღინიშნოსო. დადგა დღესასწაულიც, მაგრამ ის დღეები არაფრით გამოირჩეოდა სხვა დღეებისაგან, ჩვეულებრივი დღეები იყო თავისი დილით, შუადღითა და საღამოთი, უგემური ამინდით (იმ დღეებში თოვლმა დაიწყო დნობა) და ასევე ჩვეულებრივად გათენდა და დაღამდა კიდეც. ზიზილ-პიპილებით ოდნავ გამორჩეულმა დღეებმა მათთვის განკუთვნილი ვადით მოიცვეს ადამიანთა აზრი და გონება, გულში სხვა დღეებისაგან ოდნავ განსხვავებული შთაბეჭდილებები ჩატოვეს და ჯერ ახლო, შემდეგ კი შორეულ წარსულად იქცნენ...

არდადეგებზე ჰოფრატს ვაჟიშვილი ჩამოუვიდა, სახელად კნუტი, და მამასთან ფლიგელში დაიდო ბინა. ეს იყო მოხდენილი ყმაწვილი კაცი, თუმცა კეფა უკვე იმასაც მეტისმეტად ჰქონდა გამობურცული. ატმოსფეროს მაშინვე დაეტყო ახალგაზრდა ბერენსის ჩამოსვლა. ქალები უმიზეზოდ კისკისებდნენ, კოპწიაობდნენ და ჭირვეულობდნენ, მათ საუბარში ხშირ-ხშირად ისმოდა, კნუტს ვინ ბაღში შეხვედროდა, ვინ ტყეში და ვინ კურზალში. ამასობაში კნუტს თვითონ ჩამოუვიდნენ სტუმრები. უნივერსიტეტელი ამხანაგების ერთი ჯგუფი, ექვსი თუ შვიდი სტუდენტი, მთაში ამოსულიყო, ბინა ხეობაში დაედო, მაგრამ ჰოფრატთან იკვებებოდნენ და თავიანთ თანაკურსელთან ერთად აღმა-დაღმა ჯოგად დაეხეტებოდნენ. ჰანს კასტორპი მათ გაურბოდა და იოახიმთან ერთად სეირნობის დროსაც ცდილობდა, სადმე პირისპირ არ შესჩეხებოდა. „ბერგჰოფის“ ბინადარს მთელი სამყარო აშორებდა ამ როხროხა, მოყიალე და ჩიტირეკია ყმაწვილებისაგან. ჰანს კასტორპს მათი სახელის გაგონებაც არ უნდოდა. სხვა თუ არაფერი, უმრავლესობა ჩრდილოელებს ჰგავდა და ადვილად შესაძლებელი იყო, მათ შორის მისი თანამემამულე გამორეოდა ვინმე. ჰანს კასტორპს კი ყველაფერზე უფრო თანამემამულეებისა ეშინოდა, ხშირად უსიამოდ გაჰკრავდა ხოლმე გულში, „ბერგჰოფში“ ვინმე ჰამბურგელი არ ჩამოეხეტოსო. მით უმეტეს, რომ ბერენსს ნათქვამი ჰქონდა, თქვენი ქალაქი ჩვენს დაწესებულებას მოზრდილ კონტინგენტს აწვდისო. იქნებ ჰამბურგელები ერივნენ კიდეც მორიბუნდუსებსა და მძიმე ავადმყოფებს შორის, რომელთაც ჰანს კასტორპი ვერ ხედავდა. სასადილო დარბაზში კი მხოლოდ ერთი ლოყებჩაცვენილი ვაჭარი ჩანდა, რომელიც რამდენიმე კვირა ილტისის მაგიდასთან იჯდა. ის ვაჭარი, მგონი, კუქსჰაფენელი უნდა ყოფილიყო. ჰანს კასტორპს მის დანახვაზე ჯერ ის უხაროდა, რომ აქ სხვა მაგიდასთან მსხდომ პაციენტებთან ასე ძნელი იყო ნაცნობობის გაბმა, მერე კი ის, რომ მისი მშობლიური მხარე ასე მდიდარი იყო დაბა-ქალაქებით, თანაც ამ ვაჭრის გულგრილობამ სულ გაუქარწყლა ჰამბურგელების ჩამოსვლის შიში.

ამგვარად ახლოვდებოდა ნათლიღების მწუხრი. იგი კარზე იყო მომდგარი და მეორე დღეს დადგა კიდეც... მაშინ მთელი ექვსი კვირა იყო მის მოსვლამდე დარჩენილი, ჰანს კასტორპს რომ უკვირდა, ჯერ რა დროს შობაზე ლაპარაკიაო. ზუსტად რომ გეანგარიშათ, ეს დრო უდრიდა თავიდან აქ დასარჩენად გათვალისწინებულ დროს და კიდევ ლოგინში გატარებულ კვირებს ერთად აღებულს. ჰანს კასტორპს ის დრო, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი, მაშინ მაინც უსაშველოდ დიდი ეჩვენებოდა, ზუსტად იმდენივე დრო კი მის თვალში ახლა საკმაოდ უმნიშვნელო, თითქმის არარაობა ჩანდა. ჰანს კასტორპს უკვე აღარ უკვირდა, სასადილო დარბაზში მსხდომნი იმ ექვს კვირას არაფრად რომ არ აგდებდნენ. ექვსი კვირა იმდენიც კი არ არის, რამდენი დღეცაა კვირაში, მაგრამ ეს კითხვა მონაგონი იყო მეორე კითხვასთან შედარებით, თვითონ კვირა

რაღა არის, ეს ორშაბათიდან კვირამდე მისული და კვლავ ორშაბათიდან დაწყებული პატარა წრეო? საკმარისი იყო, ყოველი მომდევნო, დროის უფრო მცირე ერთეულის ფასი და მნიშვნელობა შეგეცნოთ, რომ მიმხვდარიყავით, რა უბადრუკ შედეგს გაძლევდათ ამ ერთეულების ჯამი, რადგან მისი ზემოქმედება ერთსა და იმავე დროს შეკვეცაში, შეკუმშვასა და შესაკრები სიდიდეების გაბათილებაში გამოიხატებოდა. ან დღე-ღამე რაღა იყო, თუნდაც სადილობის დროიდან მოყოლებული, ოცდაოთხი საათის შემდეგ იმ წუთის კვლავ დადგომამდე? არაფერი, თუმცა ოცდაოთხი საათი კი გადიოდა. ან ერთი საათი რაღას წარმოადგენდა, წოლაში, სეირნობასა თუ ჭამაში გატარებული ერთი საათი, რითაც ამოიწურებოდა დროის ამ ერთეულის გაყვანის შესაძლებლობა? ისევ და ისევ არაფერი. ჰოდა, მაშ, არაფრისაგან შემდგარი ჯამი რაღა უნდა ყოფილიყო? საკითხი კიდევ უფრო რთულდებოდა, როცა უმცირეს სიდიდეებზე მიდგებოდა საქმე: ის შვიდჯერ სამოცი წამი კი, როცა ავადმყოფს თერმომეტრი ედო პირში, რათა გაეგრძელებინა ტემპერატურის მრუდი, პირიქით, ზედმიწევნით ცხოველი და მნიშვნელოვანი გახლდათ, ისინი თითქოს მცირე მარადისობამდე ფართოვდებოდნენ და დიდი დრო-ჟამის აჩრდილისებურ ქროლაში უაღრესად სოლიდურ დანაშრევებს ქმნიდნენ...

დღესასწაულმა ოდნავ თუ შეძლო, დაერღვია ბერგჰოფელთა ცხოვრებისრეჟიმი. შობამდე რამდენიმე დღით ადრე ტანაშოლტილი ნაძვის ხე აღმართეს სასადილო დარბაზის მარჯვენა ვიწრო მხარეს, „მდარე რუსული მაგიდის“ მახლობელ კუთხეში. ნაძვის სურნელი ხანდახანთუ გამოაღწევდა მრავალფეროვანი კერძების ოხშივარში და სევდას მოჰგვრიდა შვიდ მაგიდასთან მსხდომ ზოგიერთ პაციენტს. 24 დეკემბერს ვახშმობისას ნაძვის ხე უკვე წვიმით“, შუშის ბურთებით, მოოქრული გირჩებით, ბადეებში გახვეული პაწაწკინტელა ვაშლებითა და ათასნაირი კანფეტით იყო აჭრელებული, ხოლო ფერად-ფერადი სანთლები ვახშამზეც ენთო და მერეც. ამბობდნენ, მწოლიარე ავადმყოფების ოთახებშიც ანთია პაწაწინა ხეები, ყველას თავისი ნაძვის ხე უდგასო. უკანასკნელ დღეებში ამანათების რიცხვმა იმატა. იოახიმ ციმსენმა და ჰანს კასტორპმაც მიიღეს თავიანთი შორეული სამშობლოდან ნობათი. სათუთად გახვეული საჩუქრები ბიძაშვილებმა თავიანთ ოთახებში გაშალეს: ეს იყო გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი, ჰალსტუხები, ტყავისა და ნიკელის ნატიფი ნივთები, უამრავი სადღესასწაულო ნამცხვარი, თხილი, ვაშლები და მარციპანი. ამ უზარმაზარ მარაგს ბიძაშვილები ეჭვის თვალით დაჰყურებდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, როდის უნდა მოვასწროთ ამ ნუგბრით პირის ჩატკბარუნებაო. ჰანს კასტორპმა იცოდა, რომ მის ამანათს შალეენი გაამზადებდა და ბიძებთან საქმიანი თათბირის შემდეგ, საჩუქრებსაც ის უყიდდა. ამანათს თან ჯეიმს ტინაპელის ბარათი ახლდა - სქელ საფირმო ბლანკზე მანქანით დაბეჭდილი. ბიძა, მამამისის სახელით და თვითონ პირადად, საშობაო მოლოცვასა და გამოჯანსაღების სურვილებს უთვლიდა და პრაქტიკული მოსაზრებით წინასწარ ულოცავდა მოახლოებულ ახალ წელს. სხვათა შორის, ჰანს კასტორპიც ასევე მოიქცა, როცა ლოგინში მწოლიარემ კლინიკური პატაკი და საშობაო მილოცვა ერთად გაუგზავნა კონსულ ტინაპელს.

სასადილო დარბაზში აღმართული ნაძვის ხე ბრიალებდა, ტკაცუნებდა, სურნელს აფრქვევდა, ყველას გულს უჩქროლებდა და გონებას უფხიზლებდა, მნიშვნელოვანი წუთები დგებაო. საზოგადოება მორთულ-მოკაზმულიყო, მამაკაცებს საგარეო კოსტიუმები ეცვათ, ქალებს კი, ალბათ, ბარიდან მოსიყვარულე ქმრების გამოგზავნილი სამკაული ეკეთათ. კლავდია შოშასაც აქ მიღებული შალის სვიტერი საღამოს კაბაზე გაეცვალა, რომელიც თავისებურ, უფრო სწორად, ეროვნულ სტილზე იყო შეკერილი. ეს გახლდათ ფართოქამრიანი, ღია ფერის ამოქარგული კაბა - რუსული გლეხური სამოსის თუ ბალკანურის, ან იქნებ ბულგარული სტილისა. ოქროს პაწაწკინტელა კილიტებით მორთული, ნაოჭებასხმული კაბა მის ტანს უჩვეულოდ სალუქ სისავსეს ანიჭებდა და როგორც სეტემბრინის უყვარდა ხოლმე თქმა, არაჩვეულებრივად უხდებოდა მის თათრულ ფიზიონომიასა“ და განსაკუთრებით ტრამალის მგლის ანთებულ თვალებს“. „კარგ რუსულ მაგიდაზე“ დიდი მხიარულება სუფევდა. პირველად იქ იფეთქა შამპანურის საცობმა, მერე კი თითქმის ყველა მაგიდაზე ისმებოდა შამპანური. ბიძაშვილების

მაგიდაზე შამპანური პაპიდამ შეუკვეთა მარუსიასა და თავისი ძმის შვილიშვილისათვის და ყველას გაუმასპინძლდა. რჩეული კერძებით სავსე სუფრა ყველიანი ღვეზლით, კანფეტებით, ლიქიორითა და ყავით დასრულდა. ჟამიდან ჟამზე ნაძვის ხის რომელიმე ტოტს ალი მოედებოდა და სანამ ცეცხლს ჩააქრობდნენ, დარბაზში ყურისწამღები წივილ-კივილი და გადამეტებული პანიკა ატყდებოდა ხოლმე. სეტემბრინი საზეიმო ვახშმის დასრულების შემდეგ ცოტა ხნით ჩამოჯდა ბიძაშვილების მაგიდასთან. მას ჩვეულებრივად ეცვა და ხელში თავისი განუყრელი კბილის საჩხრეკი ეჭირა. იგი ჯერ ფრაუ შტორს ახელებდა, მერე კი ორიოდე სიტყვა თქვა დურგლის ვაჟიშვილსა და კაცობრიობის მოძღვარზე - ჩვენ კი ვდღესასწაულობთ მისი დაბადების დღეს, მაგრამ ის კაცი მართლა არსებობდა თუ არა, არავინ იცისო. მაგრამ რაც მაშინ იშვა და იქიდან მოყოლებული დღევანდლამდე უწყვეტი ძლევამოსილი ხელით მოემართება, ეს ცალკეული სულისათვის ფასის დადება და თანასწორობის იდეის არსი გახლავთ. ერთი სიტყვით, ეს არის ინდივიდუალური დემოკრატიის დასაბამიო, - დასძინა სეტემბრინიმ და შემოთავაზებული სასმისიც ამ ნიშნით გამოცალა. ფრაუ შტორმა მისი მსჯელობის ფორმა „ორჭოფულად და უგულოდ“ გამოაცხადა, დანარჩენების პროტესტს ყური არ ათხოვა და სუფრიდან წამოდგა, თუმცა პაციენტები ამასობაში ისედაც დაძრულიყვნენ სალონებისაკენ და თანამესუფრეებმაც ფრაუ შტორის მაგალითს მიჰბაძეს.

საღამოს მხიარულებას აზრი და სიცხოველე მოემატა, როცა დადგა ჰოფრატისათვის საჩუქრების გადაცემის წამი, ჰოფრატი კნუტსა და მილენდონკთან ერთად ნახევარი საათით გამოჩენილიყო პაციენტების საზოგადოებაში. საჩუქრების გადაცემის ცერემონიალი იმ სალონში გაიმართა, სადაც ოპტიკური გასართობი აპარატები იყო დადგმული. რუსების გამოცალკევებული საჩუქარი ვერცხლის უზარმაზარი ხონჩა აღმოჩნდა, რომლის შუაგულში მსხვილად ამოეკვეთათ პატივსაცემი პიროვნების მონოგრამა. საჩუქარი რომ არაფერში გამოდგებოდა, ეს უტყუარი გახლდათ. დანარჩენი პაციენტებისაგან მორთმეულ შეზლონგზე წამოწვებოდა მაინც კაცი, თუმცა ზედ არც ბალიში მოჩანდა და არც საბანი. ქსოვილგადაკრულ შეზლონგს სასთუმალი ამაღლებული ჰქონდა და ბერენსმა იქვე გასინჯა, გემრიელი დასაწოლი თუ არისო. რუსების უსარგებლო საჩუქარი იღლიაშიამოიჩარა, შეზლონგზე გაიშოტა და ხერხივით დაიწყო ხროტინი, ვითომ ფაფნირი

(ფაფნირი - დრაკონისსახიანი გოლიათი, რომელიც იცავს რაინის ოქროს და ზიგფრიდთან ბრძოლაში დაცემული ნიბელუნგის ბეჭედს. დიდი გერმანელი კომპოზიტორის ვილჰელმ რიხარდ ვაგნერის (1813-1883) ტეტრალოგიის „ნიბელუნგის ბეჭდის“ ერთ-ერთი პერსონაჟი. ეს ოპერა კომპოზიტორმა შექმნა XII საუკუნის გერმანული ეპოსის „სიმღერა ნიბელუნგებზე“ მიხედვით.) ვარ და საუნჯეს ვდარაჯობო. სალონში ერთი ჟივილ-ხივილი ატყდა. ფრაუ შოშამაც გულიანად იცინა ამ სცენის შემხედვარემ, სიცილისდროს თვალები ეჭუტება და პირსაც ზუსტად ისევე აღებს, როგორც პშიბისლავ ჰიპემ იცოდაო, ფიქრობდა ჰანს კასტორპი.

შეფი წავიდა თუ არა, პაციენტები სათამაშო მაგიდებს მიუსხდნენ. რუსების საზოგადოებამ, ჩვეულებისამებრ, მცირე სალონს მიაშურა. რამდენიმე პაციენტი საშობაო ნაძვის ხეს შემოხვეოდა, ლითონის ჰილზებში ჩადგმული სანთლის ნამწვავების ბჟუტვას უცქერდნენ და თან ნაძვის ხის ტოტებზე ახუნძლული ტკბილეულით იტკბარუნებდნენ პირს. მაგიდები უკვე აელაგებინათ და ზედ პირველი საუზმის ჭურჭელი გაეწყოთ. რამდენიმე კაცი ერთმანეთისაგან მოშორებით მარტოდმარტო მისჯდომოდა სუფრას, მაგიდას სხვადასხვანაირად ჩამოყრდნობოდნენ და ფიქრებს მისცემოდნენ.

შობის პირველი დღე ნესტიანი და ბურუსიანი გათენდა. ბერენსმა თქვა, აქ, ზევით, ნისლი არ იცის, ჩვენ ღრუბლებში ვსხედვართო, მაგრამ ღრუბელი იყო თუ ნისლი, ნესტი კი ძვალსა და რბილში ატანდა. თოვლის ზედაფენები დნებოდა და თოვლი ფაშარი და წებოვანი გახდა. სავალდებულო სეირნობაზე გამოსულებს სახე და ხელები ახლა უფრო ეძაგრებოდათ, ვიდრე მოწმენდილ, სუსხიან დღეებში.

იმ დღის გამოსარჩევად საღამოს მუსიკალური ღონისძიება მოაწყვეს. ეს გახლდათ „ბერგჰოფის“ ფირმის მიერ შემოთავაზებული ნამდვილი კონცერტი

რიგებად ჩამწკრივებული სკამებითა და დაბეჭდილი პროგრამებითურთ. სიმღერის საღამოს აქ მუდმივად მცხოვრები პროფესიონალი მომღერალი ქალი მართავდა, რომელიც სხვა დროს მუსიკის გაკვეთილებით ირჩენდა თავს. მომღერალს სამეჯლისო კაბის დეკოლტეს ქვემოთ ორი მედალი ეკიდა, ჯოხებივით მკლავები ჰქონდა და ისეთი თავისებური ყრუ ხმით მღეროდა, რომ აშკარად ამხელდა სამწუხარო მიზეზს, აქ, ზევით, რატომაც დამკვიდრებულიყო. ქალი მღეროდა:
„მე ჩემს ტრფობას, სანატრელო,
გულით ყველგან დავატარებ“.
  მომღერალს აკომპანიატორიც აქაური ჰყავდა... ფრაუ შოშა პირველ რიგში იჯდა, მაგრამ შესვენება გამოცხადდა თუ არა, დარბაზიდან გავიდა. ასე რომ, ჰანს კასტორპს შეეძლო მუსიკისათვის მშვიდად მოესმინა (ეს, ასე თუ ისე, მაინც მუსიკა იყო) და სიმღერის ტექსტისათვის დაბეჭდილ პროგრამაში ედევნებინა თვალი. ჰანს კასტორპს ერთხანს სეტემბრინი ეჯდა გვერდით, მაგრამ მანაც მალე უშველა თავს, ოღონდ ჯერ აქაური მომღერლის ყრუ ბელკანტოზე რამდენიმე გესლიანი და პლასტიკური შენიშვნა გამოთქვა და დაცინვით ისიც აღნიშნა“, ამ საღამოს ეს რა გულთბილი და სასიამოვნო ატმოსფერო სუფევს პაციენტებს შორისო. სიმართლე თუ გნებავთ, ჰანს კასტორპს გულზე მოეშვა, დარბაზიდან ორივე - ვიწროთვალება ქალიც და პედაგოგიც რომ გაიგულა, ახლა სიმღერის ყურადღებით მოსმენაში ხელს აღარავინ უშლიდა. ხომ დიდებულია მთელ მსოფლიოში, ალბათ, უჩვეულო გარემოშიც კი, თუნდაც პოლარულ ექსპედიციებშიც, ადამიანები მუსიკით რომ ტკბებიანო, ფიქრობდა იგი.
შობის მომდევნო დღე აღარაფრით გამორჩეულა, გარდა იმისა, რომ გონებაში სადღაც ჭიატობდა აზრი, ეს შობის მეორე დღეაო. იგი იმდენად არ განირჩეოდა ჩვეულებრივი კვირადღისა ან კვირის რომელიმე დღისაგან, რომ ეს დღე მიიწურა თუ არა, შობის დღესასწაულიც წარსულში დაინთქა, უფრო სწორად, შორეულ მომავალში, ანუ ერთი წლით დაშორებულ მომავალში გადაინაცვლა, უკვე ჩაება დრო-ჟამის ტრიალში და მის ხელახლა დადგომამდე კვლავ თორმეტი თვე დარჩა. ეს კი, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ შვიდი თვით იყო მეტი იმ დროზე, რაც ჰანს კასტორპს აქ უკვე გაეტარებინა.
შობა გავიდა თუ არა, ჯერ კიდევ ახალი წლის დადგომამდე გარდაიცვალა არისტოკრატი მხედარი. ბიძაშვილებს ეს ამბავი საიდუმლოდ გაანდო საბრალო ფრიც როტბაინის მომვლელმა, ბერტად წოდებულმა მოწყალების დამ, ალფრედა შილდკნეჰტმა. ჰანს კასტორპს ძალიან დასწყდა გული: ერთი მხრივ, იმიტომ, რომ არისტოკრატი მხედრის არსებობის დამადასტურებელი ხმები აქ, ზევით, განცდილი ერთ-ერთი პირველი შთაბეჭდილებათაგანი გახლდათ მისთვის (ჰანს კასტორპისათვის რომ გეკითხათ, სწორედ ამ შთაბეჭდილებებმა აღუძრეს სახის სიმხურვალის რეფლექსი და მას შემდეგ სახე აღარც დასცხრომია), მეორე მხრივ კი მასზე მორალურმა, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ სულიერმა მიზეზებმა იმოქმედეს ასე მტკივნეულად. მან იოახიმიც კარგა ხანს შეიყოლია მოწყალების დასთან საუბარში და ალფრედა შილდკნეჰტიც ფრიად ნასიამოვნები დარჩა, რომ ენის მოფხანის საშუალება მიეცა. საოცარია, არისტოკრატმა მხედარმადღესასწაულამდე რომ მიაღწიაო, თქვა მან. მისი თავდაჭერილობისა და ამტანობის ამბავი დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში რითი სუნთქავდა, ეს ნამდვილად გაუგებარიაო. თუმცა ეს რამდენიმე დღე კი ჟანგბადითღა სულდგმულობდა, მარტო გუშინ ექვს-ექვს ფრანკად ღირებული ორმოცი ბალონი გამოცალაო. ეს რა ფულიც დაჯდებოდა, ბატონებს კი მოეხსენებათ, ოღონდ ნურც ის დაგავიწყდებათ, მისი მეუღლე, ვის მკლავზეც სული განუტევა, სრულიად უსახსროდ რომ დარჩაო. იოახიმმა არ მოიწონა ასეთი ხელგაშლილობა. რაღა საჭიროა სავსებით უიმედო ავადმყოფის ტანჯვა და სიცოცხლის ასე ხელოვნურად და ძვირად ღირებული საშუალებებით გახანგრძლივებაო? იმ კაცის რა ბრალია, ბრმად რომ შთაუნთქავს ამდენი ძვირფასი გაზი, იმას ხომ აძალებდნენ, ჟანგბადით ესუნთქაო. ჭირისუფლებს უნდა მოეკრიბათ იმდენი გონიერება, რომ მომაკვდავი ღვთის ნებით თავისი გზით გაეშვათ, სულერთია, რა ქონების პატრონებიცუნდა ყოფილიყვნენ და მით უმეტეს. ასე უნდა მოქცეულიყვნენ, თუკი ფინანსური მდგომარეობაც ანგარიშგასაწევი

ჰქონდათო. ცოცხლებსაც ხომ აქვთ თავიანთი უფლებებიო და ასე შემდეგ. ჰანს კასტორპი მტკიცედ შეეკამათა ბიძაშვილს, შენც თითქმის სეტემბრინივით მსჯელობ, ტანჯვისადმი არავითარ პატივისცემასა და მოწიწებას არ გრძნობო, ბოლოს და ბოლოს, ავსტრიელი მხედარი გარდაიცვალა, მას ამიერიდან ვეღარაფრით სცემ პატივს, მომაკვდავს კი თანაგრძნობა და პატივისცემა სჭირდება, მე პირადად ამ აზრისა გახლავარო, დასძინა ჰანს კასტორპმა. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ ბერენსს უკანასკნელ წუთს მისთვის არ დაუყვირია და არც ავი სიტყვა უკადრებიაო. არა, ავსტრიელ მხედარს ლანძღვის საბაბი არ მიუციაო, მიუგო შილდკნეჰტმა. მართალია, ბოლოს ცოტა გაიბრძოლა და საწოლიდან გადმოვარდნასაც შეეცადა, მაგრამ საკმარისი გამოდგა, უბრალოდ ენიშნებინათ, ასეთი ცდა სავსებით უმიზნოაო, რომ ერთხელ და სამუდამოდ აეღო მსგავს განზრახვაზე ხელიო.
ჰანს კასტორპი განსვენებულის ხსენებას არ იშლიდა და ამას ბერგჰოფული მიჩქმალვისა და დამალვის სისტემის ჯიბრზე სჩადიოდა. მას სძულდა პაციენტების ეგოისტური სურვილი, არაფერი სცოდნოდათ, არაფერი დაენახათ და არაფერი გაეგონათ და უნდოდა ამ უმსგავსობას წინ საქმით აღსდგომოდა. სუფრასთან დააპირა კიდეც არისტოკრატი მხედრის სიკვდილზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ისეთ ერთსულოვან და ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, სირცხვილისა და აღშფოთებისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა. ფრაუ შტორი პირდაპირ გაწიწმატდა და რა არ აკადრა. ნეტავ რამ გაფიქრებინათ ასეთ თემაზე ლაპარაკი, ნეტავ სად გაიზარდეთო, სანატორიუმის მესვეურები სათუთად უფრთხილდებიან პაციენტებს, რომ ასეთი ამბები მათ ყურს არ მისწვდეს და ერთი უყურეთ, ეს პირზე რძეშეუშრობელი ბიჭი რა ხმამაღლა ლაპარაკობს სიკვდილზე, თან შემწვარი რომ მოაქვთ, იმ დროს და თან დოქტორ ბლუმენკოლის თანდასწრებით, რომელსაც დღე-დღეზე შეიძლება იგივე დაემართოსო (ეს ფრაზა ჩურჩულით ითქვა). ერთი კიდევ გაგიმეორებიათ ასეთი რამ და მე ვიცი, სადაც ვიჩივლებო. საქმე იმით დამთავრდა, რომ გამათრახებულმა გადაწყვიტა და ეს ხმამაღლა განაცხადა კიდეც, მე ჩემდათავად გარდაცვლილი ამხანაგის სარეცელთან მოწიწებით დავდგები და უკანასკნელ პატივს ვცემო და იოახიმიც დაიყოლია, ასევე მოქცეულიყო.
და აი, ალფრედის მეშვეობით ბიძაშვილებმა ნებართვა მიიღეს, მიცვალებულის ოთახში შესულიყვნენ. ავსტრიელის ოთახი მათი ოთახების ქვეშ მდებარეობდა, მეორე სართულზე. მოსამძიმრეებს არისტოკრატი მხედრის ქვრივი, ტანმორჩილი, თმაგაწეწილი, ღამეების ტეხისაგან გაცრეცილი ქერა ქალი შეეგება. ქალს პირზე ცხვირსახოცი მიეფარებინა, ცხვირი გასწითლებოდა და სქელი პალტოს საყელო მაღლა წამოეწია, რადგან ოთახში ძალიან ციოდა. გათბობა გამოეთიშათ და აივნის კარიც ღია დაეტოვებინათ. ახალგაზრდებმა ყრუ ხმით ჩაილაპარაკეს, რაც საჭირო იყო. ქვრივმა გლოვით გულმოკლული ჟესტით შეიპატიჟა სამძიმარზე მოსულნი. ისინიც მოწიწებითა და ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ მიცვალებულის სარეცელს და მის თავთან სხვადასხვანაირ პოზაში გაირინდნენ. იოახიმი მხედრულად გაჭიმული, ოდნავ თავდახრილი იდგა, ჰანს კასტორპი კი მოშვებული და ჩაფიქრებული. ხელები გულზე დაეკრიფა, თავი გვერდზე გადაეგდო და სახეზე ისეთი გამომეტყველება ეფინა, როგორც მუსიკის მოსმენის დროს იცოდა ხოლმე. ავსტრიელ მხედარს თავი მაღლა ედო, სხეული კი, ეს გრძელი ნაგებობა და სიცოცხლის წარმომშობი მრავალგზისი წრიული მოძრაობის ნაყოფი, საბნიდან გამოჩრილი ფეხების წყალობით ფიცარივით ბრტყელი მოუჩანდა. მუხლების მიდამოში ყვავილების თაიგული იდო და ყვავილებიდან ამოჩხერილი პალმის რტო ჩავარდნილ გულმკერდზე დაკრეფილ ყვითელ, გაძვალტყავებულ დიდრონ ხელებს ეხებოდა. არისტოკრატ მხედარს გამელოტებული თავიც ყვითელი და გაძვალტყავებული ჰქონდა, სახეზე კეხიანი ცხვირი ადგა, ყვრიმალები ამოსჩროდა და სქელი, ბუჩქად დაყენებული წითური ულვაში ნაცრისფერ, ჩაცვივნულ, გაბურძგნილ ლოყებს კიდევ კიდევ უფრო ჩაცვენილს უჩენდა. მიცვალებულს თვალები ისე არაბუნებრივად მაგრად დაეხუჭა, რომ ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, ალბათ, კი არ დაუხუჭეს, ჩაუჭყლიტესო. ამასუკანასკნელი სამსახურის გაწევას ეძახდნენ, თუმცა ეს ცოცხლების ხათრით უფრო კეთდებოდა, ვიდრე მიცვალებულისა. გარდა ამისა, ეს დროზე უნდა გაეკეთებინათ,

სიკვდილისთანავე, თორემ თუ კუნთებში მიოზინი წარმოიქმნებოდა, მერე თვალებს აღარაფერი უშველიდა და მიცვალებული თვალდაჭყეტილი მოგაშტერდებოდა. მიცვალებულს თვალებს იმიტომ უხუჭავდნენ, რომ მნახველისათვის მოეჩვენებინათ, „თვლემსო“...
სიკვდილის საკითხებში გამოცდილი ჰანს კასტორპი თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობდა, მაგრამ გამოჯეკილობის მიუხედავად, სარეცელთან თავმოდრეკილი იდგა.
- მძინარეს ჰგავს, - ვითომ ადამიანურობა გამოიჩინა ჰანს კასტორპმა, თუმცა განსხვავება მეტად ხელშესახები ჩანდა.
შემდეგ ჰანს კასტორპმა ოსტატურად მოგუდული ხმით გაუბა საუბარი არისტოკრატი მხედრის ქვრივს, გამოჰკითხა მეუღლის ავადმყოფობის უკანასკნელი დღეებისა და წუთების, მიცვალებულის კერნტენში გადასვენების ამბები და საუბარში გამოამჟღავნა, რომ მედიცინაშიც საკმაოდ ჩახედული გახლდათ და სულიერ-ზნეობრივი თანაგრძნრობის გამოცხადებაც გვარიანად ემარჯვებოდა. ქვრივი ავსტრიულ ყაიდაზე წელავდა სიტყვებს და ცხვირშიც დუდღუნებდა, ხანდახან კი ამოისლუკუნებდა და გაოცებით კითხულობდა, ასე ახალგაზრდები სხვისი მწუხარების გაზიარებას როგორ ახერხებთო. ჰანს კასტორპმა ამაზე უპასუხა, ჩვენც ავადმყოფები ვართ და გარდა ამისა, მე პირადად ძალიან ადრემომიწია ახლობლების სასიკვდილო სარეცელთან დგომამ, დედ-მამით ობოლი გახლავართ და ასე ვთქვათ, დიდი ხანია სიკვდილთან ნაზიარები ვარო. რა პროფესიის ბრძანდებითო, შეეკითხა ქვრივი. ინჟინერი „ვიყავიო“, მიუგო ჰანს კასტორპმა. იყავითო? - გაიოცა ქვრივმა. დიახ, ვიყავი, რადგან ავადმყოფობამ აქაურობას განუსაზღვრელი ვადით მიმაჯაჭვა, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეფერხება გამომდის და ვინ იცის, აქ ყოფნა ცხოვრებაში შემობრუნების პუნქტადაც კი გადამექცესო (იოახიმი ინტერესითა და შეშფოთებით უცქერდა ბიძაშვილს). თქვენი ბატონი ბიძაშვილი რა მოხელეაო? ის ბარში სამხედრო სამსახურში შესვლას აპირებს, საოფიცროდ ემზადებაო, - უპასუხა ჰანს კასტორპმა. - ო, - თქვა ქალმა, - ჯარისკაცობაც პროფესიაა და თან ისეთი, კაცს სერიოზულობას რომ აჩვევს. ჯარისკაცს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ შეიძლება სიკვდილს სულ ახლოს შეეჩეხოს და კარგს იზამს, სიკვდილის ცქერას ადრიდანვე თუ შეეჩვევაო.
ქვრივმა ახალგაზრდები მადლობით გამოისტუმრა. ქალის თავდაჭერილობას არ შეიძლებოდა, პატივისცემა არ აღეძრა მათ გულში, მით უმეტეს, თუ მის მგლოვიარობას და განსაკუთრებით მეუღლისაგან დატოვებულ ჟანგბადის უზარმაზარ დანახარჯს მივიღებდით მხედველობაში. ბიძაშვილები თავიანთ სართულზე ავიდნენ. ჰანს კასტორპი ამ ვიზიტით კმაყოფილი ჩანდა და ეტყობოდა, მიღებულ შთაბეჭდილებებს მისთვის სულიერი აღმაფრენაც მოეტანა.
- Requiescat in pace
(განუსვენე (ლათ.).) , - თქვა მან. - Sit tibi terra levis. Requiem aeternam dona ei, Domine
(მსუბუქი იყოს შენთვის მიწა, უფალო, დაუმკვიდრე სასუფეველი (ლათ.).) ხედავ, როცა საქმე სიკვდილზე მიდგება და ადამიანი მიცვალებულს მიმართავს ან მიცვალებულს ახსენებს, კვლავ ლათინურია ძალაში. ლათინური ასეთ შემთხვევაში ოფიციალური ენაა. ამ დროს კარგად ჩანს, სიკვდილი რომ სულ სხვა რამ არის, ჰუმანისტურ კურტუაზიად როდი ჩაითვლება, ადამიანი სიკვდილის პატივსაცემად ლათინურად რომ ლაპარაკობს. მოგეხსენება, მიცვალებულთა ენა განათლებული ხალხის ლათინური არაა, მას სულ სხვა სული უდგას, შეიძლება ითქვას, ეს ენა იმ ლათინურის სრულიად საპირისპირო ენა გახლავს. ეს არის საკრალური ლათინური, ბერების დიალექტი, შუა საუკუნეების ენა, რომელიც ყრუ, მონოტონურ, თითქოს მიწის სიღრმიდან მომდინარე გალობას ჰგავს. სეტემბრინის ეს ენა დიდად არაფრად მოეწონება, იგი ჰუმანისტების, რესპუბლიკელებისა და სეტემბრინისთანა პედაგოგებისათვის არაა მოგონილი, იგი სულ სხვა სულიერი მიმართულებისაა, ყველა სხვა მიმართულებისაგან განსხვავებული. მე რომ მკითხო, ადამიანი კარგად უნდა ერკვეოდეს სხვადასხვა სულიერ მიმართულებასა თუ განწყობილებაში. დიახ, სიმართლე თუ გნებავთ, არსებობს ღვთისმოშიში და თავისუფალი სულიერი მიმართულებანი, ორივეს თავისი ღირსებები აქვს, მაგრამ რასაც მე თავისუფალში, ასე ვთქვათ,

სეტემბრინისეულში ვეწინააღმდეგები, მხოლოდ ის არის, რომ მან მთლიანად მიითვისა ყოველგვარი ადამიანური ღირსება და ეს მეტისმეტი გამოდის. ის მეორე მიმართულებაც შეიცავს მრავალ ადამიანურ ღირსებას და დიდსულოვნების, თავდაჭერილობისა და კეთილშობილი საქციელის მრავალ საბაბს. თუ გნებავს, „თავისუფალზე“ უფრო მეტ საბაბსაც იძლევა, თუმცა იგი ადამიანურ სისუსტესა და სულიერ მერყეობას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება და სიკვდილსა და გახრწნაზე ფიქრი მასში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. გინახავს თეატრში დონ კარლოსი“? ესპანეთის მეფის კარზე ფილიპე მეფე რომ შემოდის თავიდან ფეხებამდე შავით მოსილი და ოქროს საწმისით მკერდდამშვენებული და ნელა იხდისქუდს, რომელიც ძალიან წააგავს ჩვენებურ ქვაბუნა ქუდებს, ქუდს მაღლა აწევს და ამბობს: „თავზე დაიხურეთ, ჩემო გრანდებო“ თუ რაღაც ამის მსგავსს. ეს ისე დარბაისლურად გამოუდის, რომ იქ არც შეიძლება გაიჭაჭანოს თავაშვებულობამ, არ შეიძლება შეირყეს ზნეობა, სწორედ რომ პირიქით. აკი ამიტომაც ამბობს დედოფალი, „ჩემს საფრანგეთში სულ სხვა წესი და რიგი იყო“. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად დარბაისლური და მკაცრი ეჩვენება, დედოფალს უფრო ხალისიანი და ადამიანური ყოფა ურჩევნია, მაგრამ ადამიანური რაღას ჰქვია? ყველაფერს შეიძლება ადამიანური უწოდო. მე რომ მკითხო, ესპანური ღვთისმოშიშობა, თავმოდრეკილობა და თან საზეიმო, მკაცრ ფარგლებში მოქცეული ცხოვრების წესიც მეტად ღირსეული ფორმაა ადამიანურობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სიტყვით ყოველნაირი დაუდევრობა და თავაშვებულობაც შეიძლება მონათლოს კაცმა. მე მგონი, ამაში შენც დამეთანხმები.

- მაგაში კი დაგეთანხმები, - მიუგო იოახიმმა, - დაუდევრობასა და თავაშვებულობას, რა თქმა უნდა, ვერც მე ვიტან, დისციპლინა აუცილებელია.

- დიახ, შენ შენი პროფესია გალაპარაკებს და მეც მგონია, რომ სამხედროებმა იციან წესრიგის ფასი. ქვრივი სავსებით მართალი იყო, თქვენს პროფესიაზე რომ თქვა, სამხედრო პროფესიას სერიოზულობა ახასიათებსო. თქვენ ხომ იძულებული ხართ, ყოველთვის უკიდურესობას შეეგუოთ და სიკვდილთან შესახვედრადაც ყოველთვის მზადყოფნა გმართებთ. თქვენ მუნდირი გაცვიათ, მუნდირს მაგარი საყელო აქვს, ტანზეც კოხტად გაქვთ მორგებული და ეს მხედრულ იერს განიჭებთ. მერე თქვენთან იერარქია და მორჩილება სუფევს, თქვენ ერთმანეთს მოწიწებით ესალმებით. ეგ ყველაფერი ესპანური ყაიდისაა, მორჩილების ნიშატს ატარებს და, პრინციპში, ძალიან მომწონსკიდეც. ნეტავ ჩვენი, სამოქალაქო რანგის ხალხის, ზნე-ჩვეულებებსა და საქციელშიც იყოს თქვენნაირი სული ფეხმოკიდებული. მე, მაგალითად, ასე მირჩევნია, ასეთ ყოფას უფრო მართებულად ვთვლი. ჩემი აზრით, ეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ყველა შავით მოსილი უნდა დაიარებოდეს. თქვენი საყელოს მაგიერ ყველას გახამებული ბრიჟი უნდა ეკეთოს ყელზე. ერთმანეთს სერიოზულად, დინჯად და ოფიციალურად უნდა ექცეოდნენ და გულით სიკვდილზე ფიქრს უნდა დაატარებდნენ. აი, რა ემჯობინებოდა და რა იქნებოდა უფრო მორალური. ხომ ხედავ, ესეც ერთ-ერთი შეცდომა და ყოყოჩობაა სეტემბრინისა, დიახ, კიდევ ერთი შეცდომა და რა კარგია, რომ ამაზე ლაპარაკის საშუალება მომეცა. ის განა მარტო ადამიანურ ღირსებას მიითვლის სიცოცხლის საკეთილდღეო პრაქტიკული მოღვაწეობით“, თავისი პროგრესის ხელშემწყობი საკვირაო დღესასწაულებითა და (ვითომ კაცს, ისიც კვირაობით, პროგრესის მეტი არაფერი ჰქონდეს საფიქრალი) თავისი ტანჯვის ამოძირკვით მორალსაც ეპოტინება. შენ, მგონი, ამისი არაფერი იცი, მე კი ამ ამბებით დამოძღვრილი გახლავარ, თან ტანჯვის სისტემატურად ამოძირკვას ლექსიკონის მეშვეობით აპირებს. ჰოდა, მერე რა, მე თუ ეს ამბები ამორალურად მეჩვენება? ეგ რომ ვუთხრა, თავისი პლასტიკური ლაპარაკით გამაცამტვერებს და მეტყვის: „მე თქვენ გაფრთხილებთ, ინჟინერო!“ მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩემებურად ფიქრს ვერავინ დამიშლის. „სირ, გვიბოძეთ აზრის თავისუფლება“(სირ, გვიბოძეთ აზრის თავისუფლება!“ - მარკიზ დე პოზას სიტყვები შილერის ტრაგედიიდან დონ კარლოსი“.)

. ჰო, მართლა შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი, - დაასრულა მან (ამასობაში იოახიმის ოთახშიც შევიდნენ და იოახიმი აივანზე დასაწოლად მზადებას შეუდგა).

- იცი, რა გადავწყვიტე? აქ გვერდიგვერდ ვცხოვრობთ მომაკვდავებთან, უმძიმეს

დარდსა და მწუხარებათან და არა მარტო თავს ვიკატუნებთ, სხვისი ჭირი ჩვენ რაში გვეკითხებაო, არამედ აქეთ გვზოგავენ და გვიფრთხილდებდიან, არაფერი დაინახოთ, არაფერი განიცადოთო, არისტოკრატ მხედარსაც ჩუმად გააპარებენ ჩვენი სამხრობის ან საუზმის დროს. ეს მე ზნედაცემულობად მიმაჩნია. ნახე, შტორუკა როგორ გადაირია, ავსტრიელის სიკვდილი რომ ვახსენე? მე თუ მკითხავ, ეს დიდი სირეგვნეა და მეტი არაფერი. თუ ეს ქალი ისეთი უვიცია, რომ ჰგონია, სიტყვები ჩუმად, ჩუმად თავმოდრეკით“, „ტანჰოიზერიდანაა“
(ტანჰოიზერი“ - ვაგნერის რომანტიკული ოპერა. დაიწერა 1843-1845 წლებში, დაიდგა 1845 წელს. სიუჟეტი ნასესხებია შუა საუკუნეების გერმანული ლეგენდებიდან. ერთი ლეგენდა მოგვითხრობს ვარტბურგში მომღერლების შეჯიბრების ამბავს (1206), მეორე კი მინეზინგერ ტანჰოიზერის თავგადასავალს, რომელმაც შვიდი წელი გაატარა ჰოერზელბურგის მთაზე ვენერას ტყვეობაში.) , როგორც ამ ცოტა ხნის წინ წამოროშა სუფრაზე, მეტი გრძნობიერება მაინც გამოიჩინოს, თუმცა არც სხვებს აწყენდა მეტი გრძნობიერების გამოჩენა. ჰოდა, გადავწყვიტე, ამიერიდან გულთან უფრო ახლოს მივიტანო მძიმე ავადმყოფებისა და მორიბუნდუსების ხვედრი. ეს ჩემთვისაც სასარგებლო იქნება. აი, დღევანდელმა ვიზიტმა უკვე ნამდვილად მარგო. ოცდამეშვიდე ნომერი, საბრალო როიტერი, ჩემი ჩამოსვლის პირველ დღეებში წამით რომ მოვკარი თვალი, ალბათ, ახლა კარგა ხნის წასული იქნება ad penates
(საიქიოს (ლათ.).) და საიდუმლოდ გააპარებდნენ კიდეც აქედან. იმას ჯერკიდევ მაშინ ჰქონდა საშინლად ამღვრეული თვალები. მაგრამ ავადმყოფების მეტი რაა, სანატორიუმი გატენილია ხალხით. ჰოდა, ალფრედას, უფროს ექთანს, ან სულაც თვითონ ბერენსს შეუძლია, დაგვეხმაროს, რომ ხან ერთთან და ხან მეორესთან დავამყაროთ ურთიერთობა. ეს, მგონი, ძნელი აქ არ უნდა იყოს. ვთქვათ, რომელიმე მორიბუნდუსის დაბადების დღეა, ჩვენ ვიგებთ ამას, - ამის გაგებას დიდი ამბავი არ უნდა, - კეთილი და პატიოსანი. ჩვენ იმ ქალს თუ კაცს ყვავილებიან ქოთანს შევუგზავნით ორი უცნობი კოლეგის ყურადღების ნიშნად და სულითა და გულით მალე გამოჯანსაღებას ვუსურვებთ. სიტყვა „გამოჯანსაღება“ თავაზიანობის გამოსახატავად ყოველთვის საჭიროა. შემდეგ, რა თქმა უნდა, იმ ავადმყოფს ჩვენს სახელებსაც გავუმხელთ, იმ კაცს თუ ქალსაც გული აუჩუყდება და შორიდან გამოგვიგზავნის მეგობრულ სალამს. იქნებ წუთით ოთახშიც შეგვიპატიჟოს და ჩვენც, სანამ სულს მიაბარებდნენ, ერთ-ორ ტკბილ სიტყვას შევაწევთ. აი, ესა მაქვს ჩაფიქრებული. არ მეთანხმები? ყოველ შემთხვევაში, მე ჩემდათავად გადაწყვეტილი მაქვს, ასე მოვიქცე.
ამ განზრახვას არც იოახიმი მოჰკიდებია მაინცდამაინც უარყოფითად.
- ეგ შენი ჩანაფიქრი აქაურ წესსა და რიგს ეწინააღმდეგება, - უთხრა ბიძაშვილს მან, - ასე თუ ისე, არღვევ წესს, მაგრამ რაკი ასეთი სურვილი გაქვს, გამონაკლისის სახით ბერენსი, მე მგონი, დაგრთავს ნებას. სხვათა შორის, შეგიძლია მედიცინისადმი ინტერესიც მოიმიზეზო.
- მართალი ხარ, სხვათა შორის, ესეც შეიძლება მოვიშველიო, - მიუგო ჰანს კასტორპმა.
ამ სურვილს მართლაც მრავალნაირი საფანელი ჰქონდა. აქ ფეხმოკიდებული ეგოიზმის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო. მორიბუნდუსების ნუგეშისცემის სურვილს ერთი სულიერი მოთხოვნილებაც უღვივებდა - უფლება ჰქონოდა, სერიოზულად და მოწიწებით მოჰკიდებოდა ტანჯვასა და სიკვდილს. ჰანს კასტორპსგულში იმედი უჭიატებდა, რომ მძიმე ავადმყოფებსა და მომაკვდავებთან დაახლოება კმაყოფილებას მოჰგვრიდა, სულიერ სიმტკიცეს მიანიჭებდა და იმ უამრავ შეურაცხყოფასაც გაუწონასწორებდა, რომელთაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ ცისმარე დღეს, ყოველ წუთს აწყდებოდა აქ. ამ შეურაცხყოფათა წყალობით მისდა სავალალოდ დასტურდებოდა სეტემბრინის ზოგიერთი დებულება. ამის მაგალითი უამრავი იყო. ჰანს კასტორპისთვის რომ გეკითხათ, ალბათ, პირველ რიგში იმ ბერგჰოფელებს დაგისახელებდათ, რომლებიც, თავისივე აღიარებით, საერთოდ არ იყვნენ ავად და სავსებით ნებაყოფლობით, მსუბუქი სისუსტის ოფიციალური საბაბით იყვნენ აქ, სინამდვილეში კი ავადმყოფების ცხოვრების წესი მოსწონდათ და მხოლოდ თავისი საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრობდნენ

„ბერგჰოფში“. ასეთი გახლდათ უკვე ერთხელ სხვათა შორის ნახსენები ჰესენფელდის ქვრივი, მოუსვენარი დედაკაცი, რომელიც დანაძლევებაზე კარგავდა ჭკუას: ენაძლევებოდა მამაკაცებს, ყველაფერზე და ყველაფრისათვის, ხვალინდელ ამინდსა და კერძებზე, საერთო გამოკვლევის შედეგებზე, მკითხაობდა, ვის რამდენ თვეს მიუსჯიდნენ, ვინ გახდებოდა ჩემპიონი ბობსლეიში, მარხილებით რბოლაში, ციგურებით ან თხილამურებით სრიალში, ნაძლევს დებდა, როგორ წარიმართება დამსვენებლებს შორის გაჩაღებული ესა თუ ის რომანიო და ვინ იცის, კიდევ რაზე. ხშირად სრულიად უგუნური და განურჩეველი ამბების გამო დებდა ნაძლევს შოკოლადზე, შამპანურსა და ხიზილალაზე და შემდეგ ეს პროდუქტები რესტორანში ნადგურდებოდა საზეიმოდ. ნაძლევს დებდა ფულზე, კინოს ბილეთსა და კოცნაზეც კი, გასაცემ თუ მისაღებ კოცნაზე, მოკლედ, ამ ქალბატონს თავისი ამოჩემებული გასართობით დიდი დაძაბულობა და გამოცოცხლება შეჰქონდა სასადილო დარბაზის ცხოვრებაში, მაგრამ მისი ოინბაზობა, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა ჰანს კასტორპს, უფრო მეტიც, ამ ქალის აქ ყოფნაც კი ტანჯვის სავანის ღირსების შელახვად მიაჩნდა.
ტანჯვის სავანის ღირსების დაცვას კი ნამდვილად გულწრფელად ცდილობდა ჰანს კასტორპი. ასე განსაჯეთ, აქაურობას საკუთარი თავისაგანაც კი იფარავდა, თუმცა ეს არც ისე ადვილი გახლდათ, რადგან ბერგჰოფელებს შორის გატარებულ ნახევარ წელიწადს მაინც გაჰქონდა თავისი. ჰანს კასტორპმა ნელ-ნელა ღრმად ჩაიხედა აქაურების ცხოვრებასა და საქმიანობაში, მათ ზნე-ჩვეულებებსა და შეხედულებებსაც გაუსინჯა კბილი, მაგრამ ეს გამოცდილება ხელს თუ შეუშლიდა მის კეთილ განზრახვას, თორემ შველით ხომ არაფერს შველოდა. აქ იყო კიდევ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ის ორი გამხდარი პიჟონი, „მაქსსა და მორიცს“ რომ ეძახდნენ მეტსახელად. ისინი ღამღამობით ან პოკერის სათამაშოდ დაწანწალებდნენ, ან ქალებთან ღლაბუცში კლავდნენ დროს და ბერგჰოფულ ჭორებს მდიდარ მასალას აძლევდნენ. მოკლედ, ახალი წლის დადგომიდან რვა დღის შემდეგ (შეგახსენებთ, რომ სანამ ჩვენ ამბებს ვყვებით, დრო უჩუმრად მიიპარება) საუზმეზე მთელ დარბაზს მოედო ცნობა, დილით მასაჟისტი რომ შესულა მაქსსა და მორიცთან“, ორივე ლოგინზე გაუხდელად დახვედრია მიგდებული და ორივეს დაჭმუჭნილი საგარეო კოსტიუმები სცმიაო.
თუმცა ეს ცნობა ბღალავდა ჰანს კასტორპის კეთილ სურვილებს, მაგრამ მანაც ბევრი იცინა. სამაგიეროდ, ეს ამბავი იუტერბოგელი ვექილის აინჰუფისთავგადასავლებთან მონაგონი იყო. ეს გახლდათ ორმოციოდე წლის გაბანჯგვლულხელებიანი, წვერცანცარა კაცი, რომელიც ერთი ხანია გამოჯანსაღებული შვედის ადგილზე იჯდა სეტემბრინის მაგიდასთან. ის კიდევ არაფერი, რომ ვექილი ყოველღამე გალეშილი მოდიოდა შინ. ცოტა ხნის წინ შინ მოსვლაც ვეღარ მოეხერხებინა და მინდორზე ეპოვათ მიგდებული. გარდა ამისა, ვექილი სახიფათო მუსუსადაც ითვლებოდა და ფრაუ შტორი მოურიდებლად უთითებდა ყველას ერთ ახალგაზრდა მანდილოსანზე, - ის ქალი, სხვათა შორის, ბარში დანიშნული გახლდათ, - რომელიც უდროო დროს დაენახათ აინჰუფის ოთახიდან გამომავალი. ქალს ქურქი ჰქონია მოსხმული, მის ქვეშ კი საღამური პიჟამის მეტი არაფერი სცმია თურმე. ეს უკვე სკანდალი გახლდათ, დიახ, სკანდალი არა მარტო ზოგადი მორალური თვალსაზრისით, არამედ სკანდალური და შეურაცხმყოფელი პირადად ჰანს კასტორპისათვის, ვინაიდან იგი მის სულიერ მისწრაფებებს შეურაცხყოფდა. ამას ისიც დაემატა, რომ ჰანს კასტორპს ვექილის ხსენებაზე უკვე ფრენცხენ ობერდანკი აგონდებოდა, სწორედ ის თმაგადატკეპნილი დედის მორჩილი შვილიკო, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ჩამოეყვანა აქ დედიკოს, დარბაისელ პროვინციელ მანდილოსანს. ფრენცხენ ობერდანკი პირველი გასინჯვისას მსუბუქ ავადმყოფად იქნა მიჩნეული, მაგრამ მერე თავს არ მიხედა თუ ექიმები შეცდნენ, ან აქაურმა ჰაერმა კი არ არგო, არამედ პირიქით, დააჩქარა მისი ავადმყოფობის განვითარება, თუ სასიყვარულო ინტრიგებში გაეხვია და მღელვარებამ ავნო, ასე იყო თუ ისე, ჩამოსვლიდან ოთხი კვირის თავზე ხელახალი გასინჯვიდან მობრუნებულმა ფრენცხენმა სასადილო დარბაზში შემოსვლისას ხელჩანთა ჰაერში აისროლა და წკრიალა ხმით დაიძახა:
- ვაშაა, ერთი წელიწადი უნდა დავრჩე აქ!
ამ სიტყვების გაგონებაზე მთელი დარბაზი ჰომერულად ახარხარდა. იმ დღიდან

ორ კვირასაც არ გაევლო, რომ ხმა გავრცელდა, ვექილი აინჰუფი ფრენცხენ ობერდანკს არამზადულად მოექცაო. მოდი, ეს გამოთქმა ჩვენს სინდისზე იყოს ან, ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპის სინდისზე მაინც შევაგდოთ, თორემ ხმის გამავრცელებლებს ფრენცხენ ობერდანკის ამბავი ისეუჩვეულოდ არ მოსჩვენებიათ, რომ ასეთი მაგარ-მაგარი სიტყვები ეხმარათ. პირიქით, ისინი მხრებს იჩეჩდნენ და ამბობდნენ, ბოლოს და ბოლოს, ასეთ საქმეში ორი კაცი მონაწილეობს და უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მონაწილის სურვილის და ნების გარეშე არაფერი მოხდებოდაო. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გახლდათ ფრაუ შტორის ზნეობრივი მრწამსი და დამოკიდებულება ამ შემთხვევის მიმართ.
მძიმე იყო კაროლინე შტორის გაძლება. თუკი ჰანს კასტორპს ვინმე უშლიდა ხელს თავისი გულწრფელი მისწრაფებების განხორციელებაში, ეს ფრაუ შტორის პიროვნება და მისი ბუნება გახლდათ. მისი გაუთავებელი შეცდომების მოთმენა აღარ შეიძლებოდა. „სულის ღაფვის“ მაგიერ აგონიეს“ ამბობდა, ვინმეს თავხედობას თუ უსაყვედურებდა,
ინზოლვენტი(ვინც ვალს არ იხდის (ლათ.).) ხარო, ეტყოდა, ხოლო მზის დაბნელების გამომწვევ ასტრონომიულ მოვლენებზე საშინელ სისულელეებს ჩმახავდა. სქლად დადებულ თოვლზე ამბობდა, „რამოდენა სიდიდეაო“. ერთ დღეს კი ბატონ სეტემბრინის გაოცებისაგან დააღებინა პირი, ახლა სანატორიუმის ბიბლიოთეკიდან გამოტანილ ერთ წიგნს ვკითხულობ, პირდაპირ სათქვენოა, ეს გახლავთ შილერის თარგმნილი ბენედეტო ჩენელიო“.
(ეს გახლავთ შილერის თარგმნილი ბენედეტო ჩენელიო“ - ფრაუ შტორი ამახინჯებს და ერთმანეთში ურევს სახელებსა და გვარებს. მას მხედველობაში აქვს აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი მოქანდაკის, ოქრომჭედლისა და მწერლის, ბენვენუტო ჩელინის (1500-1571) ავტობიოგრაფია, რომელიც გერმანულად თარგმნა გოეთემ.) ფრაუ შტორს ისეთი გამოთქმები ეკერა პირზე, ჰანს კასტორპს გაცვეთილობის, მოდურობისა და ბანალურობის გამო ჭირივით რომ ეჯავრებოდა. ასეთები გახლდათ მაგალითად: „უმაღლესია“, „აზრზე ხართ?“, ხოლო რაკი ბრწყინვალესა“ და ჩინებულის“ ნაცვალი მოდური სიტყვა „მხეცურია“ ხანგრძლივი ხმარების გამო უკვე გამოფიტული, ძალადაკარგული, პროსტიტუირებული და ხავსმოკიდებული გამხდარიყო, ფრაუ შტორმაც სხვა სიტყვა ამოიჩემა და ახლა სერიოზულად იქნებოდა თუ ირონიულად ყველაფერზე „შესარყევიაო“, იძახდა. შესარყევი იყო ყველაფერი: სამარხილე გზაც, ნამცხვარიც და საკუთარი სხეულის ტემპერატურაც. ეს ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენდა, ხოლო ყოველივე ამას ემატებოდა ჭორიკანობის დიდი სიყვარულიც. ის კიდევ არაფერი, ფრაუ შტორი რომ ჰყვებოდა, ფრაუ ზალომონს დღეს მაქმანებიანი, უძვირფასესი საცვლები აცვია, აბა, როგორ, გასინჯვაზეა დაბარებული და ექიმთან ძვირფასი საცვლებით ხომ უნდა მოიწონოს თავიო. დიახ, ეს კიდევ შეიძლებოდა სიმართლესთან ახლოს ყოფილიყო. ჰანს კასტორპს თვითონაც შეუნიშნავს, რომ გასინჯვის პროცედურა შედეგისაგან დამოუკიდებლად სიამოვნებას ანიჭებდა ქალებს და ისინი საამისოდ კეკლუცად იკაზმებოდნენ. მაგრამ ფრაუ შტორის სხვა მონაჭორი კი ძნელი დასაჯერებელი იყო, პოზნანელი ფრაუ რედიში, რომელზედაც ეჭვობდნენ, ზურგის ტვინის ტუბერკულოზი უნდა ჰქონდესო, კვირაში ერთხელ ათ-ათი წუთი ჰოფრატ ბერენსის წინ დედიშობილა დააბიჯებსო. ამ ჭორში იმდენივე ტყუილი ერია,რამდენიც უხამსობა, მაგრამ ფრაუ შტორი იჭაჭებოდა და იფიცებოდა, წმინდა წყლის სიმართლეს მოგახსენებთო. პირდაპირ გასაოცარი იყო, ამ საცოდავ ქალს საიდან ჰქონდა ამდენი გაცხარების, სიჯიუტისა და სიკერპის თავი, როცა თავში საცემად საკუთარი ჭირიც ეყოფოდა. ხანდახან ფრაუ შტორს სიმხდალისა და მოთქმა-გოდების შეტევები წამოუვლიდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა სისუსტე“ მოერეოდა ან ტემპერატურის მრუდი მაღლა აეწეოდა ხოლმე. მაშინ სასადილო დარბაზში აქვითინებული შემოვიდოდა, ცრემლებისაგან კიდევ უფრო დაღარულ და დაწითლებულ სახეზე ცხვირსახოცს მიიფარებდა და ზლუქუნებდა, ბერენსი ლოგინში ჩაგდებას მიპირებს და ნეტავი გამაგებინა, ჩემს ზურგს უკან რას ლაპარაკობს, რა მჭირს, როგორია ჩემი ჯანმრთელობის საქმე, მინდა ყველაფერი დაუფარავად ვიცოდე და სიმართლეს თვალებში ვუყუროო. ერთ მშვენიერ დღეს კი თავისდა საუბედუროდ შეენიშნა, რომ მისი საწოლი

კარისაკენ ბოლოშექცეული იდგა და ამ აღმოჩენამ კინაღამ კრუნჩხვა დამართა. გააფთრებისა და შეძრწუნების მიზეზს იოლად ვერავინ მიუხვდა, ჰანს კასტორპი ხომ დიდხანს ვერ გაერკვა: მერე რა? რა მოხდა? საწოლს რა უჭირს, როგორ იდგებაო? ღმერთო, შენ შემეწიე, ეგ როგორ არ გესმით, კარისაკენ ფეხები მაქვს მიქცეულიო, ისე გაჰკიოდა ფრაუ შტორი, რომ საწოლი მაშინვე შეუბრუნეს, თუმცა ახლა დღის სინათლე თვალებში სცემდა და ალიონზე ეღვიძებოდა ხოლმე.
ეს ყველაფერი სათვალავში ჩასაგდები არც იყო, ჰანს კასტორპის სულიერ მოთხოვნილებებს ასეთი ამბები არაფერში წაადგებოდა, მაგრამ ერთ დღეს სადილობისას მომხდარმა საზარელმა შემთხვევამ ახალგაზრდა კაცზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა: ერთ ახალ პაციენტს, მასწავლებელ პოპოვს, გამხდარ, ჩუმ კაცს, რომელიც მასავით გამხდარ და ჩუმ საცოლესთან ერთად „კარგ რუსულ მაგიდასთან“ იჯდა, ეპილეფსია აღმოაჩნდა. ეპილეფსიის საშინელმა შეტევამ სწორედ გახურებული ჭამა-სმის დროს მოუარა. პოპოვმა ისეთი ყვირილი ამოუშვა, რომ იმ დემონურ და არაადამიანურ ყვირილს მერე ხშირად იგონებდნენ ხოლმე პაციენტები. იგი თავის სკამთან ახლოს დაენარცხა იატაკზე და ხელ-ფეხს დიდხანს საზარლად ასხმარტალებდა. მისდა საუბედუროდ, იმ მომენტში სუფრაზე თევზს მიირთმევდნენ და ადვილი შესაძლებელი იყო, ამ კრუნჩხვაში თევზის ფხაც გადასცდენოდა. დარბაზი ენით აუწერელმა მღელვარებამ მოიცვა. ქალებმა, პირველ რიგში კი ფრაუ შტორმა, თუმცა მას არც სხვაქალბატონები ჩამორჩებოდნენ, იქაურობა აიკლეს. ფრაუ ზალომონი, რედიში, ჰესენფელდი, მაგნუსი, ილტისი, ლევი და კიდევ უფალმა უწყის, რა ერქვათ, ისეთ დღეში ჩაცვივდნენ, რომ ზოგიერთი მათგანი პოპოვზე ნაკლებად როდი იგრიხებოდა. დარბაზში ყურთწამღები გნიასი იდგა. პაციენტებს შიშისაგან თვალები მაგრად დაეხუჭათ, პირები დაეღოთ და სხეული მოღრეცოდათ, ერთს კი ჩუმად გულის წასვლა ემჯობინებინა. ამ საშინელმა ამბავმა ყველას შუა ღეჭვა-ყლაპვაში მოუსწრო, ბევრს ლუკმა ყელზე დასდგომოდა და ხველა ასტეხოდა. ბევრმა გაქცევით უშველა თავს - ზოგი ახლომდებარე გასასვლელს ეცა, ზოგმა კი ვერანდის კარს მიაშურა, თუმცა გარეთ ნოტიო ყინვა მძვინვარებდა. სხვათა შორის, ამ შემზარავ ინციდენტს რაღაცნაირი უხამსობის იერიც დაჰკრავდა და ყველას უნებურად მოაგონდა დოქტორ კროკოვსკის უკანასკნელ მოხსენებაში ჩაქსოვილი იდეების წყება. უკანასკნელ ორშაბათს ფსიქოანალიტიკოსი საუბრობდა სიყვარულზე, როგორც სნეულების წარმომშობ ძალაზე და მაგალითად სწორედ ბნედა მოიყვანა. დოქტორმა კროკოვსკიმ ეს სენი, რომელშიაც წინაანალიტიკური კაცობრიობა ხან წმინდანურ და წინასწარმეტყველურ, ხან კი ეშმაკისეულ ნიჭს ხედავდა, ნახევრად პოეტური, ნახევრად მკაცრი მეცნიერული სიტყვებით სიყვარულის ეკვივალენტად და ტვინის ორგაზმად მონათლა. მოკლედ, ისეთ საეჭვო მოვლენად მიაჩნია, რომ მისმა მსმენელებმა მასწავლებელ პოპოვის ბნედა მოხსენების ილუსტრაციად, მის ბობოქარ გამოვლინებად, მისტერიულ სკანდალად მიიღეს. ქალები ჩუმ-ჩუმად დარცხვენის გამოც გაიპარნენ. ჰოფრატი თვითონ ესწრებოდა სადილს და მან, მილენდონკმა და რამდენიმე ახალგაზრდა მკვლავმაგარმა პაციენტმა გალურჯებული, დუჟმორეული, დაკრუნჩხული, სახედაჭყანული და ექსტაზმორეული პაციენტი დარბაზიდან ვესტიბიულში გაიყვანეს. იქ ექიმები, უფროსი ექთანი და სხვა პერსონალი კიდევ დიდხანს დასტრიალებდნენ ცნობამიხდილს თავს და მერე საკაცით გაიტანეს, დიდ დროს არ გაუვლია, რომ პაციენტებმა დაინახეს, დაწყნარებული ბატონი პოპოვი თავის ასევე დაწყნარებულ საცოლესთან ერთად კვლავ როგორ მიუჯდა „კარგ რუსულ მაგიდას“ და ვითომც აქ არაფერიაო, სადილობა განაგრძო!
ჰანს კასტორპი ამ ამბებს მოწიწებაშერეული შეშფოთებით მოეკიდა, მაგრამ ღვთის შეწევნით გულთან მაინცდამაინც ახლოს არ მიუტანია. მართალია, პოპოვს სულ ადვილად შეიძლებოდა თევზის ფხა გასჩხეროდა და დამხრჩვალიყო, მაგრამ სინამდვილეში ხომ არ დამხრჩვალა - როგორც ჩანს, იმ ბორგვასა და აქეთ-იქით წყვეტებაში თავის მოფრთხილება ცნობამიხდილსაც არ ავიწყდებოდა. ახლა კი პოპოვი არხეინად იჯდა, სადილიც მიირთვა და ისე იქცეოდა, ვითომ ცოფმორეულივით ან უგონოდ მთვრალივით არ ეკოტრიალოს იატაკზე - ეტყობა, არაფერი აღარ ახსოვდა. დიახ, ჰანს კასტორპს არც პოპოვის შემხედვარეს

უგრძნია მეტი მოწიწება ტანჯვის მიმართ, ხოლო მისმა საცოლემ თავისებურად გაუძლიერაქარაფშუტული აღვირახსნილობის უსიამო გრძნობა. ასეთი აღვირახსნილობის მაგალითებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა ჰანს კასტორპი და ცდილობდა, მათ წინააღმდეგ იმით მაინც გაელაშქრა, რომ მორიბუნდუსებსა და მძიმე ავადმყოფებს დაახლოებოდა, თუმცა ასეთი საქციელი აქაურ ადათ-წესებს ეწინააღმდეგებოდა.
ბიძაშვილების სართულზე, მათი ოთახების შორიახლოს, ერთი სულ ნორჩი ქალიშვილი, ლაილა გერნგროსი, იწვა. მას, ალფრედას მოწოდებული ცნობების თანახმად, დიდი დღე აღარ ეწერა. ქალიშვილს ათი დღის განმავლობაში ოთხჯერ უღებინებია სისხლი და მისი მშობლები ჩამოსულან, იქნებ მივუსწროთ და შინ ცოცხალი ჩავიყვანოთო, მაგრამ ამაო გამოდგა მათი იმედი: ჰოფრატს უთქვამს, საბრალო პატარა გერნგროსი მგზავრობას ვერ გადაიტანსო. გოგონა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის თუ იქნებოდა. ჰანს კასტორპს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, თავისი გეგმა განეხორციელებინა - მომაკვდავისათვის ყვავილებიანი ქოთანი გაეგზავნა და გამოჯანსაღების სურვილები შეეთვალა, თუმცა ლაილას დაბადების დღე შორს იყო და ადამიანთა წინასწარმეტყველებას თუ ვენდობოდით, თავის დაბადების დღეს იგი ვეღარ მოესწრებოდა. როგორც ჰანს კასტორპს გაეკითხ-გამოეკითხა, ლაილა გაზაფხულზე იყო დაბადებული, მაგრამ, მისი აზრით, ეს ფაქტი ვერაფერი დაბრკოლება უნდა ყოფილიყო გულმოწყალების გამოჩენისათვის. ერთ-ერთი გასეირნებისას ჰანს კასტორპი თავის ბიძაშვილთან ერთად შევიდა კურჰაუზის ახლოს მდებარე საყვავილეში, მღელვარე მკერდით ჩაისუნთქა მიწისა და ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ნოტიო ჰაერი, ლაილასათვის ერთი ძირი მშვენიერი ჰორტენზია შეარჩია და მეყვავილეს უბრძანა, ქოთანი პატარა მორიბუნდუსისათვის გაეგზავნა. ყვავილს თან უსახელო ბარათი უნდა ხლებოდა: „ორი სანატორიუმელი მეგობრისგან. სულითა და გულით გისურვებთ მალე გამოჯანსაღებას“, ჰანს კასტორპმა ეს საქმე დიდი ხალისით გააკეთა, ყვავილების სურნელმა სასიამოვნო თავბრუსხვევა მოჰგვარა, ხოლო სუსხიანი ჰაერიდან საყვავილეში შესულს ნოტიო სითბომ თვალზე ცრემლი მოადინა. ჰანს კასტორპს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავგადასავალი გადახდენოდეს და თავისივე გაბედულებამ და ჩუმად ჩადენილმა კეთილშობილმა საქციელმა, რომელსაც გულში სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა, გული ძალუმად აუძგერა.
ლაილა გერნგროსს თავზე პირადი მომვლელი არ ადგა. იგი ფროილაინ მილენდონკისა და ექიმების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მოწყალების და ალფრედა ხშირად შედიოდა ხოლმე მასთან და ახალგაზრდებს მან შეატყობინა, თქვენმა ყურადღებამ მომაკვდავზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. მართლაც, მძიმე სენის გამო ოთახში გამოკეტილი ავადმყოფი ბავშვივით გაახარა უცხოთაგან გამოგზავნილმა სალამმა. ყვავილი სასთუმალთან დაიდგა, თვალითა და ხელით ეფერებოდა ჰორტენზიებს, არწყვევინებდა და გატანჯულ მზერას მაშინაც კი არ აცილებდა, როცა ხველების მძიმე შეტევები წამოუვლიდა ხოლმე. გოგონას მშობლები - გადამდგარი მაიორი გერნგროსი და მისი მეუღლე - ასევე ააღელვა და გაახარა ამ ამბავმა. სანატორიუმში ისინი არავის იცნობდნენ და ვერც მიხვდებოდნენ, მათ ქალიშვილს ვინ მოიკითხავდა. ჰოდა, ალფრედა შილდკნეჰტსაც სულმა წასძლია და გერნგროსებს ანონიმი გულშემატკივრების სახელები გაუმხილა. ბიძაშვილებს მანვე გადასცა სამივე გერნგროსის თხოვნა, საშუალება მოგვეცით, გაგეცნოთ და მადლობა გადაგიხადოთო. ასე და ამგვარად, მესამე დღეს მოწყალების დის წინამძღოლობით ორივე ფეხაკრეფით შევიდა ლაილას ტანჯვის სენაკში.
მომაკვდავი თვალწარმტაცი ქერა გოგონა აღმოჩნდა, კესანესავით ცისფრად მოციმციმე თვალები ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სისხლი დაეკარგა და სუნთქვისაც ფილტვის პაწაწინა დაუზიანებელი ნაგლეჯითღა სუნთქავდა, სათუთი ჩანდა და არა გასაცოდავებული. მან ყმაწვილკაცებს მადლობა გადაუხადა და სუსტი, მაგრამ სასიამოვნო ხმით საუბარი წამოიწყო. ლაილას ლოყებს თანდათან მოედო ვარდისფერი და თითქოს ზედ შეეყინა. ჰანს კასტორპმა ლაილასაც და მის მშობლებსაც ისე აუხსნა თავისი საქციელი,

როგორც საჭირო იყო, ბოდიშიც მოუხადა და შემდეგ ყრუ, მღელვარებაშეპარული ხმით განაგრძო მოკრძალებული საუბარი. ჰანს კასტორპს ბევრი აღარაფერი აკლდა, - ყოველ შემთხვევაში, გული უკარნახებდა, საწოლის წინ მუხლი მოეყარა. მას დიდხანს და მაგრად ეჭირა ლაილას ცხელი ხელი, თუმცა ხელი ნოტიო კი არა, მთლად სველი იყო - გოგონას ოფლის სეკრეცია გაძლიერებულად მოქმედებდა. საბრალო იმდენ სითხეს კარგავდა, რომ სხეული უკვე დიდი ხნის გამოფიტული და გამომშრალი ექნებოდა, ლიმონათი რომ არ ესვა ხარბად. ლიმონათით სავსე გრაფინი ყოველთვის ედგა სასთუმალთან და სითხის დანაკარგს ამით ინაზღაურებდა. დარდით გულმოკლულ მშობლებს რისი თავი ჰქონდათ, მაგრამ ზრდილობის გულისათვის მაინც გამოჰკითხეს ბიძაშვილებს თავიანთი ამბავი და მოკლე საუბრით შეიქციეს კიდეც. მაიორი მხარბეჭიანი, შუბლდაბალი, ულვაშაპრეხილი კაცი იყო და გოლიათურ აღნაგობაზე აშკარად ეტყობოდა, რომ ქალიშვილის სნეულებისადმი მიდრეკილებაში არავითარი ორგანული ბრალი არ მიუძღოდა. დამნაშავე აშკარად დედა უნდა ყოფილიყო, ტანმორჩილი ქალი, მკაფიოდ გამოკვეთილი ჭლექიანის ტიპი,რომლის სინდისი, ეტყობოდა, ამ საშინელ მზითევს“ დაემძიმებინა. ლაილას ათიოდე წუთის შემდეგ დაღლილობა, უფრო სწორად, ზედმეტი აგზნება დაეტყო (ლოყებიდან ავარდნილი ალმური ახლა ღაწვისთავებსაც მოედო და კესანესავით თვალები მოუსვენრად აუციმციმდა) და ალფრედამ ბიძაშვილებს თვალით ანიშნა, თქვენი წასვლის დროაო. ახალგაზრდები ლაილას გამოემშვიდობნენ. ფრაუ გერნგროსმა ისინი ტალანში გამოაცილა და ისე გულმოკლულმა ილაპარაკა, რომ ჰანს კასტორპს გული აუჩუყდა. გამწარებული ქალი ირწმუნებოდა, ჩემგან, მხოლოდ ჩემგანა აქვს გოგონას ეს სენი, ჩემი ქმარი სავსებით უდანაშაულოა, იოტისოდენა ბრალიც არ მიუძღვისო. მაგრამ მე მხოლოდ მსუბუქად ვიყავი ავად ქალიშვილობაში და ისიც სულ მცირე ხნითო. შემდეგ დამარწმუნეს, სენი ვეღარ მოგერევაო. სულითა და გულით მინდოდა გათხოვება და ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრება, ბედმა გამიღიმა და მეც თითქოს სავსებით განკურნებული და გამოჯანსაღებული მივთხოვდი ჩემს ძვირფას, ჯანმაგარ მეუღლეს, რომელსაც, თავის მხრივ, ეჭვიც არ აუღია, ასეთი შავი დღე თუ მოგველოდაო. მამა ხომ ასეთი ჯანსაღი და ღონიერი იყო, მაგრამ ავადმყოფობას ეტყობა, ვერ აჯობა, რაკი უბედურება თავიდან ვერ ავიცილეთ და იმ მივიწყებულმა და დასამარებულმა სენმა შვილში იჩინა თავიო. ბავშვი ვერ გაუმკლავდა სენს, ხელიდან გვეცლება, დედამისი კი გადაურჩა სიკვდილს და აგერ შედარებით უხიფათო ასაკსაც მიაღწიაო. ჩემი საბრალო, საყვარელი შვილი კვდება, ექიმები არავითარ იმედს აღარ გვაძლევენ და ეს ყველაფერი ჩემი წყეული წარსულის ბრალიაო.

ახალგაზრდები შეეცადნენ, ენუგეშებინათ საბრალო ქალი, რა იცით, იქნებ საქმე საბედნიეროდ შემოტრიალდესო, მაგრამ მაიორის მეუღლემ მხოლოდ ამოისლუკუნა და ახალგაზრდებს კვლავ მადლობა გადაუხადა ჰორტენზიებისთვისაც და იმისთვისაც, რომ თავიანთი მოსვლით შვილი გაუხალისეს და გაუბედნიერეს. წევს ჩემი საბრალო დატანჯული გოგონა მარტოდმარტო, მისი ტოლები კი სიცოცხლეს შეჰხარიან, ლამაზ-ლამაზ ბიჭებთან ცეკვავენ, ასეთ სურვილებს, ხომ იცით, ავადმყოფობა რომ ვერ კლავსო. ღმერთო ჩემო, თქვენ ჩემს გოგონას მზის სხივი შემოუტანეთ და, ალბათ, უკანასკნელიცო. ჰორტენზია მეჯლისზე მოპოვებულ წარმატებას უდრის, ხოლო ორ წარმოსადეგ კავალერთან საუბარი მისთვის პატარა სასიამოვნო ფლირტი რომ იყო, ეს დედამისის თვალს არ გამოჰპარვიაო.

ახლა კი უსიამოვნოდ შეიშმუშნა ჰანს კასტორპი, მით უმეტეს, რომ მაიორის მეუღლემ სიტყვა ფლირტი“ არასწორად გამოთქვა, ესე იგი, ინგლისურ ყაიდაზე კი არა, გერმანულად მოუქცია და ამან ჰანს კასტორპს სულ მოუთავა ხელი. გარდა ამისა, რა წარმოსადეგი კავალერი ის იყო - პატარა ლაილა მხოლოდ აქ გამეფებული ეგოიზმის ჯიბრზე და სამედიცინო და სულიერ ინტერესის ხათრით მოინახულა; მოკლედ, ჰანს კასტორპს, ცოტა არ იყოს, გუნება წაუხდინა საქმის ასე დაბოლოებამ - მაიორის მეუღლემ მათი ვიზიტი ასე რომ შეაფასა, მაგრამ ამ ამბავმა მაინც გამოაცოცხლა და თავისი საქციელით მაინც კმაყოფილი დარჩა. მის სულსა და გულს ორი შთაბეჭდილება დააჩნდა ცხოვლად: საყვავილეში გამეფებული ნოტიო მიწის სურნელი და ლაილას ცხელი და სველი ხელისაგან

მოგვრილი მღელვარება. ახლა, რაკი პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო, ჰანს კასტორპი ალფრედა შილდკნეჰტს იმავე დღეს შეუთანხმდა, ამჯერად თქვენს ავადმყოფს, ფრიც როტბაინს ვინახულებო. მხოლოდ თავისი მომვლელის შემყურე ფრიც როტბაინი საშინლად მოწყენილი იყო. თუმცა, თუ ავის მომასწავებელი ნიშნები არ ტყუოდნენ, მისი დღეებიც დათვლილი გახლდათ.
კეთილ იოახიმს უარი არ გაუვიდა და იძულებული გახდა, ბიძაშვილს თან გაჰყოლოდა. ჰანს კასტორპის აღტყინება და გულშემატკივრობის ჟინი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ბიძაშვილს უარი. იოახიმი, აქაოდა, ცუდი ქრისტიანობა არ დამწამონო, უარს, დიდი-დიდი, დუმილითა და თვალების დახრით თუ გამოხატავდა. ჰანს კასტორპი ამას მშვენივრად ხედავდა და ბიძაშვილის თვინიერებით თამამად სარგებლობდა კიდეც. მას ამ უხალისობის სხვა მიზეზიც კარგად ესმოდა - მისი ბიძაშვილი ხომ სამხედრო ყაიდის კაცი იყო. მაგრამ თუკი თვითონ ასე ამხნევებდა და ბედნიერებას ანიჭებდა ასეთი საქციელი? თუკი საჭიროდაც მიაჩნდა? მაშინ იოახიმის უსიტყვო წინააღმდეგობა არაფრად არ უნდა ჩაეგდო და თავისი გაეტანა. იგი ბიძაშვილს მოეთათბირა, ახალგაზრდა ფრიც როტბაინსაც ყვავილები მივართვათ თუ არაო. მოგეხსენებათ, ეს მორიბუნდუსი მამრობითი სქესისა გახლდათ.
ჰანს კასტორპს სული მისდიოდა, ისე უნდოდა, ფრიც როტბაინისათვის ყვავილები გაეგზავნა. მის აზრით, ყვავილები ზედგამოჭრილი იყო ასეთი შემთხვევებისათვის. იისფერი ჰორტენზიის კოხტა ბუჩქით მიღწეული ეფექტით მეტად ნასიამოვნები გახლდათ ჰანს კასტორპი. ჰოდა, ახლაც გადაწყვიტა, კაცი სიკვდილის პირას რომაა მისული, სქესს რაღა მნიშვნელობა აქვსო. არც ისაა აუცილებელი, როტბაინსაც მაინცდამაინც დაბადების დღე ჰქონდეს, განა მომაკვდავისათვის ყოველი დღე დაბადების დღეს არ უდრისო? ასეთი აზრებით დატვირთულმა ჰანს კასტორპმა ბიძაშვილთან ერთად კვლავ შეაღო თბილი მიწის სურნელით გაჟღენთილი საყვავილის კარი და ბატონ როტბაინთან ახალდანამული სურნელოვანი ვარდების, მიხაკებისა დალევკოიონების თაიგულით ხელდამშვენებული შევიდა. ახალგაზრდები ავადმყოფთან ალფრედა შილდკნეჰტმა შეიყვანა.
მძიმე ავადმყოფი ოცი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ უკვე გამელოტებულიყო და თმაც გასჭაღარავებოდა, ცვილისფერი სახე ტანჯვისაგან მოღრეცოდა. ცხვირი და ყურები უზარმაზარი მოუჩანდა, ასე რომ თანაუგრძნეს და გაახალისეს, როტბაინს მადლიერების ცრემლი მოადგა თვალზე. მართალია, სისუსტისაგან ერთი-ორჯერ წამოისლუკუნა, როცა ორივეს მიესალმა და თაიგული გამოართვა, მაგრამ შემდეგ დაუხანებლივ ჩურჩულით წამოიწყო საქმიანი საუბარი ყვავილებით ევროპულ ვაჭრობაზე. როგორ დღითი დღე ცხოველდება ყვავილებით ვაჭრობა, ნიცისა და კანის მებაღეობა რა უზარმაზარ ექსპორტს მისდევს, როგორ გზავნიან ამ ადგილებიდან ყვავილებით დატვირთულ ვაგონებს და საფოსტო ამანათებს ევროპის ყოველ კუთხეში და როგორ მარაგდება პარიზის, ბერლინისა და რუსეთის საბითუმო ბაზრები ყვავილებითო. როტბაინი ვაჭარი გახლდათ და სანამ პირში სული ედგა, მთელი მისი ინტერესები კომერციისაკენ იქნებოდა მიმართული. მამაჩემმა, კობურელმა თოჯინების ფაბრიკის მეპატრონემ, განათლების მისაღებად ინგლისში გამგზავნაო, ჩურჩულით უამბობდა იგი სტუმრებს, და იქ დავსნეულდი კიდეცო. სიცხეს რომ მაძლევდა, ტიფით ვეგონე ყველას ავად და მკურნალობაც ტიფის შესაფერი დამინიშნეს, მკაცრ დიეტაზე დამსვეს და ამან სულ მომითავა ხელიო. აქ, ზევით, ჭამის ნება დამრთეს, მეც საჭმელს მივეძალე, სახეზე ჭირის ოფლი მასკდებოდა, მაგრამ ლოგინში წამოვჯდებოდი და მაინც ვჭამდიო, მაგრამ ახლა უკვე გვიანია, სამწუხაროდ, სენი ნაწლავებზეც მაქვს მოდებული და შინიდან სულ ტყუილად მიგზავნიან ენის ძეხვსა და შებოლილ გველთევზას, მათი მონელება მე აღარ შემიძლიაო. ახლა მამა ჩამომივა კობურგიდან, ბერენსმა დეპეშით იხმოო. ბერენსი უკიდურესი ზომების მიღებას აპირებს, ნეკნების რეზექცია უნდა გამიკეთოს, თუმცა ჩემი გადარჩენის შანსი ძალიან მცირეაო. როტბაინი ზედმიწევნით საქმიანი კილოთი ჩურჩულებდა და ოპერაციას პრაქტიკულად უდგებოდა. იგი, სანამ პირში სული ედგა, მოვლენებს სხვა კუთხით ვერც შეხედავდა და ვერც შეაფასებდა. ოპერაცია, ზურგის ტვინის ანესთეზიასთან ერთად, ათას ფრანკამდე ჯდებაო, ჩურჩულებდა

როტბაინი, ხუმრობა ხომ არ არის, მთელი მკერდის ღრუა ჩათრეული, ექვსი ან რვა ნეკნის რეზექცია მაინც უნდა გამიკეთონო, ჰოდა, აი, საკითხავია, ღირს თუ არა ეს საქმე ამდენ დავიდარაბად. ბერენსი ჩემს დაყოლიებას ცდილობს, რა თქმა უნდა, მისი ინტერესებისათვის ეს ნაღდი საქმეა, ჩემთვის კი რა მოგახსენოთ, იქნებ უფრო გონივრული იყოს, კაცი თავისი ნეკნებიანად მიიცვალოსო.

მისთვის რჩევის მიცემა ძნელი საქმე გახლდათ. ბიძაშვილებმა აზრი გამოთქვეს, ვითარების აწონ-დაწონისას ჰოფრატის ქირურგიული ხელოვნებაც უნდა მიიღოს კაცმა მხედველობაშიო. ბოლოს შეთანხმდნენ, საკითხის გადაწყვეტა მოხუცი როტბაინის ჩამოსვლამდე გადაედოთ, რომელსაც ყოველდღე ელოდნენ. გამომშვიდობებისას ყმაწვილმა ფრიცმა ერთი-ორჯერ ისევ წამოისლუკუნა. თუმცა ცრემლი სისუსტის გამო მოსდიოდა, მაგრამ ტირილი მაინც საოცრად არ ეხამებოდა მისი აზროვნებისა და მეტყველების მშრალ და საქმიან მანერას. მან ბიძაშვილებს სთხოვა, კიდეც მინახულეთო, ისინი სიამოვნებით შეჰპირდნენ, მაგრამ როტბაინს მათი ნახვა აღარ ეწერა. საღამოს ჩამოვიდა თოჯინების ფაბრიკის მეპატრონე, მეორე დღეს ფრიც როტბაინს ოპერაცია გაუკეთეს, ნაოპერაციევს კი არავის ნახვის თავი აღარ ჰქონდა. ორი დღის შემდეგ იოახიმთან ერთად ტალანში მიმავალმა ჰანს კასტორპმა დაინახა, როტბაინის ოთახში როგორ ფუსფუსებდნენ დამლაგებლები, მოწყალების და ალფრედა თავისი ბარგი-ბარხანიანად მიდიოდა ბერგჰოფიდან“, რადგან სხვა სანატორიუმში გამოეძახებინათ სხვა მორიბუნდუსთან. ალფრედა შილდკნეჰტმა პენსნეს ზონარი ყურზე გადაიგდო, ერთი ამოიოხრა და წასასვლელად მოემზადა. ეს გახლდათ ერთადერთი პერსპექტივა, რაც მისთვის ცხოვრებას შეეძლო შეეთავაზებინა.

„მიტოვებულ“, გათავისუფლებულ ოთახში ერთიერთმანეთზე აეკოკოლავებინათ ავეჯი, ორმაგი კარი ფართოდ გაეღოთ და ოთახს ისე ასუფთავებდნენ. სასადილო დარბაზში ან ეზოში მიმავალი კაცისათვის თითქოს მრავლისმთქმელი უნდა ყოფილიყო ასე კარგამოღებული ოთახი, მაგრამ ამასთანავე, ეს ისეთი ჩვეულებრივი სანახაობა გახლდათ, რომ ადამიანს ბევრს ვერაფერს ეუბნებოდა, მით უმეტეს, თუ თავის დროზე თვითონაც ასევე გათავისუფლებულ“ და დაწკრიალებულ ოთახში დაბინავებულიყო დაა გაშინაურებულიყო. ზოგჯერ შეიძლებოდა გცოდნოდა, ვინ ბინადრობდა ოთახში და გულში კარგა ხანს ჩაგრჩენოდა გარდაცვლილზე დარდი. სწორედ ასე მოხდა რვა დღის შემდეგ, როცა ჰანს კასტორპმა პატარა გერნგროსის ოთახს ჩაუარა და იქაც დამლაგებლებს მოჰკრა თვალი. ამ შემთხვევაში გონება ერთბაშად ვეღარ აღიქვა, რატომ ფუსფუსებდნენ ოთახში დამლაგებლები. დაბნეული და თავზარდაცემული კარგა ხანს იდგა კართან და ოთახში იყურებოდა. ამ დროს ტალანში მომავალი ჰოფრატი დაინახა.

- ვდგავარ და ვუყურებ, როგორ ალაგებენ ოთახს, - თქვა ჰანს ჰოფრატმა, - გამარჯობა, ბატონო ჰოფრატო, მაშ, პატარა ლაილა უკვე...

- მდაა, - უპასუხა ბერენსმა და მხრები აიჩეჩა. ხანმოკლე პაუზამ გაფანტაამ ჟესტით გამოწვეული სიმძიმილი და ჰოფრატმა დასძინა, - თქვენ, ასე ვთქვათ, ფარდის დაშვების წინ კიდევ მოგისწრიათ მასთან გაარშიყება, არა? მომიწონებია თქვენთვის, მხნეობა რომ გყოფნით და მცირე თანაგრძნობას მაინც უწევთ ჩემს გალიებში ჩამწყვდეულ ფილტვისტვენიებს. ეს თქვენი ხასიათის მშვენიერი შტრიხია, ა-პა-პა-პა, ამ შტრიხს ვერ დაგიკარგავთ. გინდათ ხანგამოშვებით შეგიყვანოთ ხოლმე მძიმე ავადმყოფებთან? აქ მე ხომ ათასი ჯურის ჭივჭავი მიზის, თუკი გაინტერესებთ. ახლა, მაგალითად, ერთი წუთით ჩემს გაბერილთან“ უნდა შევირბინო. წამომყვებით? თქვენზე ვეტყვი, თქვენს ბედქვეშ მყოფი გულშემატკივარი მოგიყვანეთ-მეთქი.

ჰანს კასტორპმა უპასუხა, ბატონო ჰოფრატო, პირდაპირ დამასწარით იმის თქმა, რაც მე თვითონ უნდა მეთხოვაო, მადლობა გადაუხადა და თან გაჰყვა, ოღონდ „გაბერილი“ ვინ არის, ეს მეტსახელი როგორ უნდა გავიგოო, ჰკითხა ჰოფრატს.

- როგორ უნდა გაიგოთ და სიტყვასიტყვით, - მიუგო ჰოფრატმა, - ზედმიწევნით ზუსტად და ყოველგგარი მეტაფორის გარეშე. თვითონვე მოაყოლეთ თავისი ამბავი და გაიგებთ...

ორი ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ უკვე გაბერილის“ ოთახთან იყვნენ. ჰოფრატმა

ორფა კარი შეაღო და თავის თანმხლებს უბრძანა, აქ მომიცადეთო. ბერენსის შესვლისთანავე ოთახიდან შეკავებული, მაგრამ მაინც წკრიალა და მხიარული კისკისი და ლაპარაკი მოისმა, მაგრამ კარი მაშინვე მიიხურა და ხმაც მიწყდა. ჰანს კასტორპს ბერენსმა ოთახში შესვლის ნება დართო და ლოგინში მწოლიარე ქერა მანდილოსანს წარუდგინა. ქალმა ახალშემოსულსაც კისკისი შეაგება და ცნობისმოყვარე ცისფერი თვალები მიანათა. ქალი ზურგს უკან ამოდებულ ბალიშებზე ნახევრად მიწოლილიყო, მოუსვენრად წრიალებდა და ისე ხმამაღლა და წკრიალა ხმით კისკისებდა, გეგონებოდათ, ვიღაც უღიტინებსო. ალბათ, ჰოფრატის გატყლარჭულ სიტყვებზე ეცინებოდა, სტუმარი დიდის ამბით რომ წარუდგინა. ქალმა კარისაკენ მიმავალ ჰოფრატს რამდენჯერმე მიაძახა, დიდი მადლობა და ნახვამდისო, ხელიც დაუქნია, ხმამაღლა ამოიხვნეშა, კვლავ გადაიკისკისა და ბატისტის პერანგქვეშ ათახთახებულ მკერდზე ხელები მიიჭირა. ქალი ისევ წრიალებდა და ფეხებს ასხმარტალებდა. ეს გახლდათ ფრაუ ციმერმანი.

ჰანს კასტორპი შორიდან იცნობდა ფრაუ ციმერმანს. იგი რამდენიმე კვირის განმავლობაში ფრაუ ზალომონისა და ღორმუცელა მოსწავლის მაგიდასთან იჯდა და ბევრს იცინოდა ხოლმე. შემდეგ ფრაუ ციმერმანი აღარ გამოჩენილა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს იგი დიდად არ მოუსაკლისებია. იფიქრა, ალბათ, გაემგზავრა, რაკი აღარ ჩანსო. ახლა კი „გაბერილის“ სახელით მონათლულს აქ გადააწყდა და ერთი სული ჰქონდა, სანამ ამ მეტსახელის შერქმევის მიზეზს გაიგებდა.

- ხა, ხა, ხა, - ისე კისკისებდა ქალი, თითქოს უღიტინებენო და მკერდი უთახთახებდა, - რა სასაცილო კაცია ეს ბერენსი, საშინლად სასაცილო და ხუმარა კაცია, მაგის შემხედვარეს მუცელი ხელით უნდა გეჭიროს. დაბრძანდით, ბატონო კარსტენ, ბატონო კარსტენ, თუ რაცა ხართ. ისეთი სასაცილო გვარი გაქვთ, რომ... ხი, ხი, ხი, უკაცრავად! ჩემს ფეხებთან დაბრძანდით, მაგრამ ნება მომეცით, ფეხები ვასხმარტალო, ფეხები... ოჰ, - ერთი ამოიხვნეშა და ისევ გადაიკისკისა ქალმა, - ფეხები ვერ გამიჩერებია.

ქალს თითქმის ლამაზი ეთქმოდა, სწორი, ცოტა არ იყოს, მკვეთრად მოხაზული, მაგრამ მაინც სასიამოვნო სახის ნაკვთები ჰქონდა, ყელზე უკვე პატარა ღაბაბი გასჩენოდა, ტუჩები და ცხვირის წვერი კი გალურჯებოდა. ალბათ, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. სიფრიფანა ხელებს ღამის პერანგის მაქმანიანი მანჟეტები უმშვენებდა, ოღონდ ფეხებისა არ იყოს, ვერც ხელებს აჩერებდა. გოგონასავით ნორჩი და სალუქი ყელი ჰქონდა, ლავიწის სუსტ ძვლებს ქვემოთ ღრმულები აჩნდა, ხოლო გაუთავებელი სიცილისა და ქოშინისაგან ათრთოლებული მკვრივი მკერდი კოხტად ენაკვთებოდა ღამის პერანგში. ჰანს კასტორპმა გადაწყვიტა, მისთვისაც მიერთმია ან გამოეგზავნა ნიცასა და კანიდან ექსპორტირებული დაცვარული, სურნელოვანი ყვავილები. ფრაუ ციმერმანის წრეგადასული მხიარულება ჰანს კასტორპსაც გადაედო, თუმცა გულის სიღრმეში შიშიც შეეპარა.

- მაშ, თქვენ მძიმე ავადმყოფებს ნახულობთ ხოლმე? - შეეკითხა იგი ჰანს კასტორპს, - დიდი თავაზიანობაა თქვენი მხრივ, ხა, ხა, ხა! მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მე სულაც არა ვარ მძიმე ავადმყოფი, უფრო სწორად, სულაც არ ვიყავი მძიმე ავადმყოფი, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ არაფერიც არ მაწუხებდა... ეს ამბავი რომ არა... აბა, მისმინეთ, სასაცილო თუ არ არის, ალბათ, თქვენს სიცოცხლეში... - ქალმა ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი და სიცილ-კისკისით უამბო, რაც თავს გადახდენოდა.

მსუბუქი ავადმყოფი ჩამოსულა, მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ავად გახდა, თორემ აქ ხომ არ ჩამოვიდოდა. შეიძლება მთლად მსუბუქად არ იყო ავად, მაგრამ მაინც უფრო მსუბუქი ავადმყოფი ეთქმოდა, ვიდრე მძიმე. პნევმოთორაქსი, ქირურგიული ტექნიკის ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ პოპულარული მიღწევა, მისთვის ზედგამოჭრილი გამომდგარა. პნევმოთორაქსი ისე მოხდენია, მდგომარეობა დღითი დღე უუმჯობესდებოდა და ქმარს - ქმარი მყავს, მაგრამ შვილები არაო, - ჩაურთო ქალმა, - სამ-ოთხ თვეში უნდა დაჰბრუნებოდა. ჰოდა, გულის გადასაყოლებლად ციურიხშიგასეირნება მოპრიანებია, ნამდვილად სხვა მიზანი არა მქონია, მხოლოდ ცოტა გართობა მინდოდაო. გართობა-დროსტარებით გულიც უჯერებია, მაგრამ ამასობაში პნევმოთორაქსის განახლება დასჭირვებია და ეს საქმე იქაური ექიმისთვის მიუნდვია. მშვენიერი სასაცილო

ყმაწვილი იყო, ხა, ხა, ხა, მაგრამ რად გინდა? მეტისმეტი მოუვიდა და გამბერაო. ამ სიტყვას განმარტება აღარ სჭირდება, ყველაფერი ისედაც ნათელიაო. იმ კაცს ჩემთვის სიკეთე უნდოდა, მაგრამ რა ექნა, თუკი მეტი არ იცოდაო. მოკლედ და კონკრეტულად, ასე გაბერილი, ესე იგი, სულშეხუთული და გვერდებში ჭვლებგამდგარი, ხა, ხა, ხა, ჩამოსულა აქ. ბერენსს ჯერ ერთი მაგრად შეუხურებია და მერე ლოგინში უკრავს მისთვის თავი. ჰოდა, ახლა მძიმე ავადმყოფი ვარ, კაცმა რომ თქვას, მთლად წასული არ არის ჩემი საქმე, მაგრამ დამახინჯებული და გაუბედურებული კი ვარ, ხა, ხა, ხა, ერთი თქვენს თავზე შეგახედათ, რა სასაცილოდ დაგეჭყანათ სახე?! - გადაიხარხარა ქალმა, ჰანს კასტორპს თითი მიაშვირა და სიცილისაგან ისე ჩაბჟირდა, რომ შუბლი გაულურჯდა. მაგრამ ყველაზე სასაცილო მაინც ბერენსი იყო, ლანძღვა-გინების კორიანტელი რომ დააყენაო, განაგრძო ფრაუ ციმერმანმა.
ბერენსის ამბავი რომ ვიცოდი, როგორც კი შევატყვე თავს გაბერვა, სიცილს ვეღარ ვიკავებდიო, ბერენსს ერთი მაგრად დაუღრიალია და მისთვის მიუკიბ-მოუკიბავად უთქვამს, თქვენი სიცოცხლე საფრთხეშიაო. მაპატიეთ, მაგრამ ეს ჩვენი ბერენსი ნამდვილად დათვიაო, ხა, ხა, ხა, კვლავ აკისკისდა ქალი.
ჰანს კასტორპი კარგად ვერ გაერკვა, ასეთი საკისკისო რა იყო ჰოფრატის განცხადებაში. ვერ მიხვდა, ქალს ბერენსის უხეშობაზე“ ეცინებოდა და მისი ნათქვამი არ სჯეროდა, - თუმცა კი უნდა დაეჯერებინა - თუ თვით ის მოსალოდნელი საფრთხე ეჩვენებოდა ასე საშინლად სასაცილო? ჰანს კასტორპმა ბოლოს დაასკვნა, ეს უკანასკნელი აზრი იქნება მართალიო, ქალი კი ბავშვური თავქარიანობით ეკიდება ამ საფრთხეს, მის ქათმის ტვინს მეტის გაგების უნარი არ შესწევს და ასე იმიტომ ტიკტიკებს და ტკარცალებსო. ამას კი ჰანს კასტორპი ვერ მოუწონებდა. მიუხედავად ამისა, ყვავილები მაინც გაუგზავნა, ოღონდ ეს კისკისა ქალი მეტად აღარ უნახავს - მას შემდეგ ფრაუ ციმერმანს რამდენიმე დღე ჟანგბადით ასუნთქებდნენ და დეპეშით გამოძახებულ მეუღლეს ჩააკვდა კიდეც ხელში. ნამდვილი ბატისტვინა იყოო, დასძინა ჰოფრატმა, როცა ჰანს კასტორპს მისი სიკვდილის ამბავი აუწყა.
ოღონდ მანამდე ჰანს კასტორპმა ვერ დაიოკა გულშემატკივრობით ანთებული ენერგია. ჰოფრატისა და მომვლელების შემწეობით სხვა მძიმე ავადმყოფებთან დაამყარა ურთიერთობა და იოახიმიც აიძულა, თან გაჰყოლოდა. ისინი ერთად მივიდნენ
თოუს-ლეს-დეუხ “-ის მეორე ვაჟთან. მას ჯერ კიდევ ედგა სული, უმცროსი ძმის ოთახი კი დიდი ხანია დაელაგებინათ და ჰ2
ჩო- ით აექოთებინათ. ინახულეს მძიმე ავადმყოფი ჰატარა ბიჭუნა ტედიც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამოეყვანათ ფრიდერიციანუმად“ წოდებული პანსიონიდან, შემდეგ ბიძაშვილებმა ნახევრად რუსი და ნახევრად გერმანელი დაზღვევის აგენტი, გულკეთილი წამებული, ანტონ კარლოვიჩ ფერგე მოინახულეს. შემდეგ უბედურ და თან კეკლუც ფრაუ მალინკროდტს ესტუმრნენ და მასაც ყველა ზემოთ დასახელებულის მსგავსად ყვავილები მიართვეს. ასე განსაჯეთ, ამ ქალს ჰანს კასტორპი იოახიმის თანდასწრებით ხშირად თავისი ხელით ფაფასაც კი აჭმევდა ხოლმე... სანატორიუმში ბიძაშვილებს უკვე სამარიელებსა და მოწყალების ძმებს ეძახდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ჰანს კასტორპს სეტემბრინიმ ჩამოუგდო ამ თემაზე სიტყვა.
- ეშმაკმა დალახვროს, ინჟინერო, თქვენს მოღვაწეობაზე უცნაური ხმები მომდის. მართლა ქველმოქმედება წამოიწყეთ? კეთილი საქმით გინდათ თავის მოწონება?
- სალაპარაკოდაც არა ღირს, ბატონო სეტემბრინი. ისეთი არაფერი გაგვიკეთებია. ჩემი ბიძაშვილი და მე...
- თუ ღმერთი გწამთ, თქვენს ბიძაშვილს მოეშვით! ორივეს რომ გახსენებენ, იქ თქვენა ხართ მთავარი. ლეიტენანტს ღირსება არ აკლია, მაგრამ ის ერთი უბირი და წყნარი კაცია და აღმზრდელს თავსატეხს არაფერს გაუჩენს. ამიტომ ვერ დამარწმუნებთ, რომ ისაა წინამძღოლი, წამყვანი და ამდენად უფრო ფათერაკიანი თქვენა ხართ. თავს ნებას მივცემ, მოგახსენოთ, რომ მეტისმეტად „ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ ბრძანდებით და აღმზრდელს ბევრ საზრუნავსაც უჩენთ. აკი მომეცით ნება, მეზრუნა თქვენზე.
- მართალი ბრძანდებით, ბატონო სეტემბრინი. ერთხელ და სამუდამოდ

მოგანიჭეთ ეგ უფლება. სასიამოვნოა, ჩემთვის რომ წუხდებით. „ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ კი მომწონს. რას არ მოიფიქრებს მწერალი კაცი! არ ვიცი, ეს ტიტული შევიფერო თუ არა, მაგრამ ლამაზად რომ ჟღერს, ამას კი ვიტყვი. დიახ, მე ცოტაოდენ ყურადღებას ვიჩენ სიკვდილის შვილებისადმი“, ალბათ, ამას გულისხმობდით, არა? სამკურნალო რეჟიმს არ ვარღვევ, მაგრამ დრო რომ დამრჩება, მძიმე და უიმედო ავადმყოფებს ვნახულობ ხოლმე. თუ გნებავთ, იცოდეთ, იმათ ვნახულობ, ვინც გასართობად არ არის აქ ჩამოსული და არც აღვირახსნილობის გამო ღაფავს სულს.
- ხომ იცით, სახარებაში წერია: მკვდრები ისევ მკვდრებმა გადაათრიონო („მკვდრები ისევ მკვდრებმა გადაათრიონო“ - ბიბლიური გამოთქმისპერიფრაზი (ლუკას სახარება, თავი მე-9, მუხლი მე-60).) , - თქვა სეტემბრინიმ.
ჰანს კასტორპმა ხელები გაშალა და ისეთი სახით შეხედა იტალიელს, თითქოს ეუბნებოდა, მასეთები იმდენი წერია წიგნებში, რომ სწორედ ამიტომაა ძნელი, ჭეშმარიტება იპოვო და მას მიჰყვეო. როგორც მოსალოდნელი იყო, მეარღნე მის საწინააღმდეგო თვალსაზრისს იშველიებდა. მერე რა, რომ ჰანს კასტორპი უწინდებურად მზად იყო, სეტემბრინისთვის მოესმინა, მისი შეგონებანი ყურად ეღო და საშუალება მიეცა, თავისი პედაგოგიური ზეგავლენა გამოეცადა. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ რაღაც აღმზრდელობითი თვალსაზრისის ხათრით თავი დაენებებინა წამოწყებული საქმისათვის, მერე რა, რომ დედა გერნგროსმა პატარა, უწყინარ ფლირტად“ მონათლა მისი ვიზიტი, მერე რა, რომ „გაბერილმა“ ფრაუ ციმერმანმა ბრიყვული ტკარცალით აიკლო, თავისი საქმიანობა ჰანს კასტორპს მაინც საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიაჩნდა.
„Tous-les-deux
“-ის ვაჟიშვილს ლაურო ერქვა, მანაც მიიღო ყვავილები - მიწის სურნელით გაჟღენთილი ნიცის იები ბარათითურთ: „ორი გულშემატკივარი სანატორიუმელისაგან. სულით და გულით გისურვებთ მალე გამოჯანსაღებას“. ვინაიდან ანონიმობა უკვე ფორმალობად იქცა და ყველამ იცოდა, ვისგან მოდიოდა ეს ნობათი, „Tous-les-deu
b “-მ, მექსიკელმა შავყვითელა დედამ, თვითონ შეაჩერა დერეფანში ბიძაშვილები, მადლობა გადაუხადა და ჟღრიალა ხმით წარმოთქმული სიტყვებით, უფრო კი ნაღვლიანი ჟესტით, სთხოვა, პირადად მისი ვაჟიშვილისაგან მიეღოთ მადლობა, — de son seul et dernier fils qui allait mourir aussi
(მისი ერთადერთი და უკანასკნელი ვაჟიშვილისაგან, რომელიც ასევე სიკვდილის პირასაა მისული (ფრანგ.).) . ბიძაშვილებს არ დაუხანებიათ, ლაუროსთან მაშინვე შევიდნენ. ლაურო არაჩვეულებრივად ლამაზი ყმაწვილი კაცი აღმოჩნდა. თვალებბრიალა ჭაბუკს ნესტოებდაბერილი კეხიანი ცხვირი და მშვენიერი ტუჩები ჰქონდა, საულვაშეზე კი უკვე შავი ღინღლი ემჩნეოდა. სამაგიეროდ, ეს მშვენიერი ჭაბუკი ისე ბაქიბუქობდა, რომ სტუმრებმა - იოახიმზე არანაკლებ ჰანს კასტორპმა - შვებით ამოისუნთქეს, როცა ავადმყოფის ოთახის კარი მათ უკან დაიხურა. „Tous-les-deux
“-ს მხრებზე შავი ქიშმირის შალი მოესხა, ხოლო ნიკაპთან შავი მანდილი გამოესკვნა. შუბლდაღარულ ქალს დიდრონი ტომსიკები ეკიდა გიშერივით შავ თვალებს ქვეშ და მუხლებმოხრილი დაძრწოდა ოთახში. ფართო ტუჩ-პირის ცალი კუთხე საცოდავად ჩამოსწეოდა, ხანდახან შვილის საწოლთან ჩამომსხდარ ახალგაზრდებს მიუახლოვდებოდა და თავის უბედურებას თუთიყუშივით გაზეპირებული სიტყვებით შესჩიოდა: Tous les dé, vous comprenez, messiés... Premièrement l’un et maintenant l’autre
(ორივე, გესმით, ბატონებო... ჯერ ერთი, მერე მეორე (ფრანგ.).) მშვენიერი ლაუროც ფრანგულად ლაპარაკობდა, ჟღრიალა ხმით ისროდა აუტანლად მაღალფარდოვან ფრაზებს, ესპანელი გმირივით უნდა მოვკვდე, comme héros, à l’espagnol, gleich seinem Bruder, de même que son fier jeune frère Fernando
(გმირივით, ესპანურად, ჩემს ძმასავით, ჩემს ამაყ პატარა ძმასავით, ფერნანდოსავით (ფრანგ.).) , ლაურო ხელებს ფართოდ შლიდა და პერანგს არ იჩერებდა ტანზე, ვითომ სიკვდილს უშვერდა თავის გაყვითლებულ მკერდს. ლაურომ მანამდე არ მოისვენა, სანამ ხველება არ აუტყდა და ტუჩებზეც ვარდისფერი დუჟი არ მოადგა. ხველების შეტევამ მის ბაქიბუქს ბოლო მოუღო და

ბიძაშვილებსაც საბაბი მისცა, ოთახიდან გამოძურწულიყვნენ.
მართალია, ლაუროს მონახულებაზე ამის შემდეგ აღარ დაუძრავთ სიტყვა, მაგრამ ვერც ერთი ვერ ბედავდა თუნდაც გულში გაეკიცხა მისი საქციელი. სამაგიეროდ, ორივეს ძალიან მოეწონა პეტერბურგელი ანტონ კარლოვიჩ ფერგე. ანტონ კარლოვიჩს დიდრონი, კეთილი ულვაში ჰქონდა და ასევე გულკეთილად ამოჩხერილი ყანყრატო. მისთვის ცოტა ხნის წინ პნევმოთორაქსის გაკეთება უცდიათ და მას შემდეგ ძალიან ნელა და მძიმედ მიდიოდა უკეთესობისაკენ. იმ პნევმოთორაქსს კინაღამ გადავყევი, ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდაო, თქვა ანტონ კარლოვიჩმა. საბრალო ძლიერ შოკში ჩავარდნილიყო, პლევრალურ შოკში, რაც ამ მოდური ოპერაციისას ხანდახან მოსდიოდათ ხოლმე ავადმყოფებს. მას კი პლევრალური შოკი განსაკუთრებით მძიმე ფორმით მოსვლოდა, შოკს სრული კოლაფსი და მძიმე გულყრა დართვოდა თან, ერთი სიტყვით, ისეთ დღეში ჩავარდნილიყო, რომ ოპერაცია შეეწყვიტათ და ჯერჯერობით გადაედოთ.
ბატონ ფერგეს კეთილი ჭროღა თვალები უფართოვდებოდა და სახეზე მიწისფერი ედებოდა, როგორც კი ოპერაციაზე დაიწყებდა ლაპარაკს. ეტყობოდა, პნევმოთორაქსის პროცესი მისთვის შემაძრწუნებელი უნდა ყოფილიყო.
- უნარკოზოდ, ბატონებო, ვთქვათ, ჩემისთანები ვერ იტანენ ნარკოზს. ნარკოზი ასეთ შემთხვევაში აკრძალულია. ბატონი ბრძანდებით, შეგნებული კაცი ამას მიხვდება და გაუძლებს, მაგრამ ადგილობრივი ანესთეზიასიღრმეში ვერ აღწევს, ბატონებო, მხოლოდ ზედა ფენებს აყრუებს, გაჭრისას, ასე თუ ისე, დაწოლასა და ჭყლეტას მაინც გრძნობ. ვწევარ სახეზე პირბადეაფარებული, რომ არაფერი დავინახო, მარჯვნიდან ასისტენტი მიჭერს, მარცხნიდან უფროსი ექთანი. ასე მგონია, მაწვებიან და მჭყლეტენ-მეთქი. სინამდვილეში, ხორცს ჭრიან და ჭანგებით უფართოებენ ჭრილობას პირს. ამ დროს გავიგონე, ბატონმა ჰოფრატმა რომ თქვა: „ესეც ასე!“ და იმ წუთში, ბატონებო, დაიწყო კიდეც რაღაც ბლაგვი ინსტრუმენტით - ის ინსტრუმენტი ბლაგვი უნდა იყოს, რომ ნაადრევად არ გახვრიტოს პლევრა - ნეკნებქვეშა პლევრის მოსინჯვა. მოსინჯვა იმისთვის სჭირდებათ, რომ ნახვრეტის გასაკეთებელი შესაფერი ადგილი იპოვონ და გაზი შეუშვან. მაგრამ ვაი ამ მოსინჯვას, ინსტრუმენტებს ჩემს პლევრაზე რომ დაატარებდნენ, ჩემს მტერს, ბატონებო! მაშინ დამემართა, რაც დამემართა, კინაღამ სული გამძვრა, ენა ვერ აწერს, რა დღეში ჩავვარდი. ნეკნებქვეშა პლევრა, ბატონებო, ხელშეუხებელია, როგორ შეიძლება მისი ხელის ხლება, ეს ტაბუ გახლავთ, ბატონებო, ხელშეუხებელი რომაა, იმიტომაცაა ერთხელ და სამუდამოდ ხორცით დაფარული და იზოლირებული. აი, მაშინ კი ცუდად გავხდი, საშინელება იყო, ბატონებო! განა ოდესმე ვიფიქრებდი, დედამიწაზე ასეთი შვიდგზის წყეული, ძაღლური შეგრძნება თუ არსებობდა? ჯოჯოხეთზე აღარაფერს მოგახსენებთ! წამივიდა გული, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ზედიზედ, ხან გავმწვანდი, ხან გავყვითლდი, ხან იისფერი დამედო. გულწასული ვარ და თან სიმყრალისაგან ვიხრჩობი. პლევრალურმა შოკმა სიმყრალის შეგრძნება მომგვარა, ბატონებო, ირგვლივ ყველაფერი გოგირდწყალბადის სუნით იყო აქოთებული. ალბათ, ჯოჯოხეთში თუ ტრიალებს ისეთი სიმყრალე, ხოლო ყველაფერთან ერთად მესმოდა ჩემივე სიცილი, თუმცა უჰაერობისაგან კი ვიხრჩობოდი. მაგრამ ადამიანივით როდი ვიცინოდი, ეს იყო რაღაც უგვანი და გულისამრევი სიცილი, ჩემს სიცოცხლეში რომ არ გამიგონია, ისეთი, ნეკნებქვეშა პლევრაში რომ გიფათურებენ ხელს, ბატონებო, გეგონებათ, შეუბრალებლად, დაუზოგავად, არაადამიანურად გიღიტინებენო. აი, ისეთ წყეულ სირცხვილში ხარ ჩავარდნილი კაცი პლევრალური შოკისას, თქვენ ღმერთმა გაშოროთ მისი გამოცდა, ბატონებო.
ანტონ კარლოვიჩ ფერგეს შიშისაგან ფერფური მისდიოდა, ის „ძაღლური“ განსაცდელი რომ აგონდებოდა და არანაკლებ ეშინოდა, კიდევ არ გამიმეორდესო. სხვა მხრივ, როგორც წინასწარ განაცხადა თვითონ, ერთი უბირი კაცი გახლდათ, არც თვითონ დებდა თავს მაღალ-მაღალ მატერიებსა“ და სულიერ თუ მორალურ მოთხოვნილებებზე და არც სხვას უყენებდა დიდ პრეტენზიებს. თუ ამას მივიღებდით მხედველობაში, ინტერესს მოკლებული არ იყო მისი მონათხრობი თავის წინანდელ ცხოვრებაზე, საიდანაც ავადმყოფობას გამოეძევებინა. ეს გახლდათ ხანძრისაგან დამზღვევი საზოგადოების აგენტის დაუდგრომელი, მოხეტიალე ცხოვრება: პეტერბურგიდან რომ წამოვიდოდა,

სიგრძე-სიგანეზე სერავდა მთელ რუსეთს, დასაზღვევ ფაბრიკებს ნახულობდა და ეკონომიურად ძირმორყეული საწარმოების შესახებ კრებდა ცნობებს. სტატისტიკით დამტკიცებული გახლდათ, რომ სწორედ იმ ფაბრიკებში ხდებოდა ყველაზე ხშირად ხანძარი, სადაც საქმე ცუდად მიუდიოდათ. ჰოდა, მასაც იმიტომ გზავნიდნენ აქეთ-იქით, რომ ამა თუ იმ საბაბით დაეზვერა საწარმო და თავისი ბანკისათვის ცნობები მიეწოდებინა, რათა ამ უკანასკნელს დროზე გაედიდებინა შესატანი თანხა ან პრემიების განაწილებისას მოსალოდნელი ზარალისგან თავი წინასწარ დაეზღვია. ბატონი ფერგე ჰყვებოდა, როგორ მოგზაურობდა ზამთარში ამ უკიდეგანო ქვეყანაში, ღამით, საშინელ ყინვაში რამდენჯერ უმგზავრია მარხილით ტყაპუჭში შეფუთნილს, გაუღვიძია და თოვლზე ვარსკვლავებივით ანთებული თვალები დაუნახავს მგლებისა. საგზლად გაყინული ბორშჩი და თეთრი პური მიჰქონდა თურმე. ცხენების გამოსაცვლელად სადგურში რომ შეჩერდებოდნენ, სანოვაგეს გაადნობდა და პური ისე აფუმფულდებოდა, თითქოს იმ დღეს გამოუცხვიათო. ცუდი ის იყო, გზაში უეცრად თუ დათბებოდა: მაშინ ნაჭერ-ნაჭერ წამოღებული ბორშჩი დნობას დაიწყებდა და უფუჭდებოდა.
აი, ასეთ ამბებს ჰყვებოდა ბატონი ფერგე. ხანდახან თხრობას გაწყვეტდა, ერთს ამოიოხრებდა და იტყოდა, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნეტავ იმ პნევმოთორაქსს აღარ გამიკეთებდნენო. მის მონათხრობში არაფერი იყო უჩვეულო, მაგრამ რასაც ჰყვებოდა, ნამდვილი გახლდათ და სასიამოვნო მოსასმენიც. განსაკუთრებით ჰანს კასტორპისათვის, რომელსაც სწყუროდა, რაც შეიძლებოდა მეტი გაეგო რუსულ სამყაროსა და რუსების ცხოვრების ყაიდაზე, მოესმინა სამოვრების, „პიროგების“, კაზაკებისა და ხის ეკლესიების ამბავი, ხახვივით მოყვანილი გუმბათები რომ ეხურათ თავზე და შორიდან ჯგუფად ამოსულ სოკოებს რომ ჰგავდნენ. აინტერესებდა იქაური ადამიანების ცხოვრება, მათი ჩრდილოური ეგზოტიკა, მის თვალში ასე უცხო საბურველში გახვეული რომ ჩანდა. ბატონ ფერგეს აამბობინებდა მათ სისხლში აზიური სისხლის შერევის, ამობურცული ყვრიმალებისა და თვალების ფინურ-მონღოლური განლაგების წარმომავლობის ამბავს და ვითომ ანთროპოლოგიური ინტერესები ამოძრავებდა. ხან კი ბატონ ფერგეს რუსულად ალაპარაკებდა. ბატონ ფერგეს ულვაშქვემოდან და გულკეთილად ამობურცული ყანყრატოდან სწრაფად, დუდუნით, უცხოდ და უხრტილოდ მოედინებოდა აღმოსავლური ტიპის მეტყველება და ჰანს კასტორპი მითუფრო ტკბებოდა მისი მოსმენით (საერთოდ, ასე სჩვევია ახალგაზრდობას), რაც უფრო მეტად იყო მისთვის პედაგოგიური თვალსაზრისით აკრძალული ის სფერო, რომელშიც ახლა დანავარდობდა.
ისინი ხშირ-ხშირად შეირბენდნენ ხოლმე თხუთმეტიოდე წუთით ანტონ კარლოვიჩ ფერგესთან, ნახულობდნენ ფრიდერიციანელ“ ტედისაც, თოთხმეტი წლის ელეგანტურ, ქერათმიან, დახვეწილ ყმაწვილს, რომელსაც ცალკე მომვლელი ადგა თავს და თეთრი აბრეშუმის ზონრებით შემკული პიჟამა ეცვა. ტედი როგორც თვითონ ჰყვებოდა, ობოლი იყო და მდიდარი. მალე მძიმე ოპერაცია ელოდა, - მისთვის ფილტვების დაცხრილული ნაწილები უნდა ამოეჭრათ - მაგრამ თავს როგორც კი უკეთ იგრძნობდა, ერთი საათით ადგებოდა ლოგინიდან, მოხდენილ სპორტულ კოსტიუმს ჩაიცვამდა და საზოგადოებაში გაერეოდა ხოლმე. მანდილოსნები სიამოვნებით ელაციცებოდნენ, ისიც უსმენდა მათ საუბარს, მაგალითად, ინტერესით უგდებდა ყურს ვექილ აინჰუფისა და მისი სატრფოების - პანტალონიანი ქალიშვილისა და ფრენცხენ ობერდანკის ამბავს, შემდეგ კი ისევ ჩაწვებოდა. ასე ელეგანტურად ატარებდა დღეებს ეს ყმაწვილი და აშკარად ეტყობოდა, რომ ცხოვრებისაგან სხვას აღარაფერს მოელოდა.
ორმოცდამეათე ნომერში ცხოვრობდა ფრაუ ფონ მალინკროდტი, სახელად ნატალი, შავთვალა, ოქროსსაყურიანი, კეკლუცი, კოკობზიკა ქალი, მაგრამ ღმერთს იმდენი ჭირი დაენათლა მისთვის, რომ მდედრობითი სქესის ლაზარესა და იობს უდრიდა ერთად აღებულს. ორგანიზმი ისე გაჟღენთოდა შხამით, რომ ხან მონაცვლეობით, ხან ერთდროულად ნაირ-ნაირი სენი ემართებოდა. განსაკუთრებით კანი ჰქონდა დაწყლულებული, თითქოს მთელ კანზე მოსდებოდა პირმოღებული ეგზემა. ეგზემა ხანდახან ტუჩებზეც გამოსდიოდა და პირში კოვზის ჩადება უჭირდა. ანთებითი პროცესი ხან ნეკნებქვეშა პლევრას მოედებოდა, ხან თირკმელებსა და ხან ფილტვებს, ხან ძვლის ქსოვილებს, ასე განსაჯეთ, ტვინსაც

კი და ჟამიდან ჟამზე ცნობიერებას აკარგვინებდა. ამდენი სიცხიანობისა და ტკივილისაგან გულიც დასუსტებული ჰქონდა. ტანჯვა-წამებით ისე იყო დამფრთხალი, რომ ხანდახან საჭმლის გადაყლაპვის ეშინოდა და ლუკმა ყელში ეჩხირებოდა. მოკლედ, ქალი იმდენ ჭირს დაემახინჯებინა და ამ ქვეყანაზეც სულ მარტოდმარტო დარჩენილიყო. ქმარ-შვილი თავის დროზე სხვა მამაკაცის, უფრო სწორად, ვიღაც ბიჭუნას გულისათვის მიეტოვებინა, მერე როგორც თვითონ უამბო ბიძაშვილებს, ის საყვარელიც გაქცეოდა. ახლა აღარც სახლი ჰქონდა და აღარც კარი, მაგრამ ყოფილ მეუღლეს მისთვის ცხოვრების სახსარი მაინც გაეჩინა. ისიც არ უკადრისობდა და სარგებლობდა ქმრის წესიერებითა თუ მის მიმართ შერჩენილი სიყვარულით. თუმცა თვითონ საკუთარ თავს პატივს არ სცემდა, პირიქით, აღიარებდა კიდეც, ერთი უპატიოსნო, ცოდვილი დედაკაცი ვარო და ამიტომაც იობის ტანჯვას გასაოცარი მოთმინებითა და გამძლეობით იტანდა, იტანდა ქალებისათვის დამახასიათებელი სიკერპით. თავის შავგვრემან სხეულს სჯობნიდა და იმასაც კი ახერხებდა, რაღაც სამწუხრო მიზეზის გამო თავზე წაკრული თეთრი გაზის ხილაბანდი მოსართავად ექცია. წამდაუწუმ იცვლიდა სამკაულებს - დილას რომ მარჯნის მძივებით დაიწყებდა, საღამოს მარგალიტებით დაამთავრებდა. ჰანს კასტორპის გამოგზავნილმა ყვავილებმა ძალიან გაახარა. ეტყობოდა, ქალმა ამ ფაქტში უფრო გალანტურობა დაინახა, ვიდრე გულმოწყალება და ამიტომ ახალგაზრდები თავის საწოლთან გაწყობილ ჩაიზე მიიპატიჟა. თვითონ ჩაის ნისკარტიანი ფინჯნით სვამდა, თითები, ცერის ჩათვლით, სახსრებამდე ჰქონდა დახუნძლული ოპალის, ამეთვისტოსა და ზურმუხტისთვლიანი ბეჭდებით, ყურებზე კი ოქროს საყურე ერხეოდა. ასე მორთულ-მოკაზმული უყვებოდა ახალგაზრდებს თავს გადახდენილ ამბებს: როგორ მიუტოვებია წესიერი, მაგრამ მოსაწყენი ქმარი, ასევე წესიერი და მოსაწყენი ბავშვები, რომლებიც მთლად მამას დამსგავსებოდნენ და დედას მათი სიყვარულით გული ვერა და ვერ გასთბობოდა; როგორ გაქცეულა სახლიდან პატარა ბიჭთან ერთად, რომლის პოეტურ სინაზეს მის მიმართ ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ბიჭის ახლობლებმა ცბიერებითა და ძალით ჩამომაშორეს სატრფო, თან პატარასაც, ალბათ, შეზიზღდა ჩემი ავადმყოფობა, რამაც მაშინ მთელი ძალით იფეთქა და მომერიაო. იქნებ ბატონებსაც ეზიზღებათ ჩემი ყურებაო, კეკლუცად იკითხა მან, მაგრამ ჩემმა ქალურობამ ნახევარ სახეზე მოდებულ ეგზემასაც კი აჯობაო, დაასრულა ფრაუ მალინკროდტმა.

ჰანს კასტორპმა გულში ქედმაღლურად გაკიცხა ის პატარა ბიჭი, ქალი როგორ შეეზიზღაო და თავისი გრძნობა მხრების აჩეჩით გამოხატა. თვითონ ჰანს კასტორპს პოეტური ბუნების ბიჭის სულმდაბლობა საპირისპირო გრძნობამ გაუღვიძა. ამ დღიდან მოყოლებული შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რათა უბედური ფრაუ მალინკროდტისთვის მიეხედა და ისეთ რაღაცებში შეშველებოდა, რაც არავითარ სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვდა: მაგალითად, სათუთად აჭმევდა ფაფას, თუ ფაფის შემოტანას შეესწრებოდა, ნისკარტიანი ფინჯნით აწვდიდა წყალს, როცა ქალს ლუკმა ყელზე დაადგებოდა, შველოდა გადაბრუნებაში, რადგან ქალს ოპერაციის შემდეგ დარჩენილი ნაჭრილობევის გამო გადაბრუნება უჭირდა. ფრაუ მალინკროდტისათვის მხოლოდ მაშინ შეეძლო მიეხედა, როცა სასადილო დარბაზში მიდიოდა ან სეირნობიდან ბრუნდებოდა. იოახიმს ეტყოდა, შენიარე, დაგეწევიო, ერთი ორმოცდამეათეში შევირბენ, ვნახავ, საქმე როგორ მიდისო, და ამ დროს ბედნიერად გრძნობდა თავს, სიხარულს საკუთარი მოღვაწეობის საჭიროებისა და მნიშვნელობის შეგრძნება უძლიერებდა. რა დასამალია და, თავისი მოღვაწეობის ქრისტიანული უმწიკვლობაც ანიჭებდა რაღაცნაირ ქურდულ სიამოვნებას და მართლაც ამ ღვთისმოსაურ, კეთილ და საქებარ საქმიანობას არც სამხედრო და არც ჰუმანისტურ-პედაგოგიური თვალსაზრისით წუნი ვერ დაედებოდა.

კარენ კარსტედი ჩვენ ჯერ არ გვიხსენებია, ჰანს კასტორპმა და იოახიმმა კი მას დიდი თანაგრძნობა გაუწიეს. კარენ კარსტედი ჰოფრატის კერძო პაციენტი გახლდათ და ბიძაშვილებს მან ურჩია, კარენისათვის მიეხედათ. ხელმოკლე ქალიშვილი თავის გულქვა ნათესავებზე იყო მთლიანად დამოკიდებული. კარენი სულ ოთხი წელი იქნებოდა, რაც აქ ცხოვრობდა, ნათესავებს ერთხელ უკვე წაეყვანათ აქედან, სულერთია, მაინც უნდა მოკვდესო და მხოლოდ ჰოფრატის

დაჟინებული მოთხოვნით დაებრუნებინათ უკან. კარენი სოფელში“ ცხოვრობდა, იაფფასიან პანსიონში.
ცხრამეტი წლის გაძვალტყავებულ ქალიშვილს დატკეპნილი, გაზინთული თმა ჰქონდა, დამფრთხალი თვალები ავადმყოფურად უელავდა და ლოყებზეც ავადმყოფური სიწითლე დაჰკრავდა, ხმასაც ავადმყოფური ხრინწი მორეოდა, მაგრამ ყურს მაინც სასიამოვნოდ ხვდებოდა. კარენ კარსტედს განუწყვეტლივ ახველებდა და თითის წვერები პლასტირით ჰქონდა გადაწებილი, რადგან ორგანიზმში დაბუდებული შხამის წყალობით თითებზე უკვე პირშეუკრავი იარები გასჩენოდა.
ამგვარად, ჰოფრატის თხოვნით - აბა, თქვენ იცით, რახან ასეთი გულკეთილი ყმაწვილები ხართო, - მას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ ბიძაშვილები. მათი ურთიერთობა ყვავილების გაგზავნით დაიწყო, შემდეგ „სოფელშიც“ ესტუმრნენ კარენს თავის პაწია აივანზე და მას შემდეგ სამივე ერთად ესწრებოდა ხოლმე კურორტზე მოწყობილ ამა თუ იმ ღონისძიებას: შეჯიბრებას თხილამურებით სრიალში, ბობსლეიში და სხვა. ჩვენს ხეობაში ამ დროს გახურებული ზამთრის სპორტული სეზონი იყო, ზეიმი მთელ კვირას გაგრძელდა, იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა. ერთმანეთს ცვლიდა ახალ-ახალი გასართობი, რომელთაც აქამდე ბიძაშვილები მხოლოდ ზერელე ინტერესით ეკიდებოდნენ. იოახიმი ხომ ყოველგვარ გასართობს გაურბოდა. აქ იმისთვის როდი იყო ჩამოსული, რომ აქაურ ცხოვრებას შეჰგუებოდა და იმაზე ეფიქრა, როგორმე არ მოვიწყინოო. მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის იტანდა აქ ყოფნას, რომ ორგანიზმიდან რაც შეიძლება მალე გამოედევნა შხამები და ბარში სამსახურს შესდგომოდა, ნამდვილ სამსახურს და არა ჯანმრთელობის სამსახურს, რომელიც მხოლოდ ერზაცს წარმოადგენდა, თუმცა იოახიმს არც ამ სამსახურის ღალატი შეეძლო ეგრე იოლად. ზამთრის გასართობებში აქტიურად ჩაბმა მას აკრძალული ჰქონდა, ხოლო სხვების მხიარულებისათვის პირდაღებულს რომ ეყურებინა, ეს არაფრად ეპიტნავებოდა. ჰანს კასტორპი კი უკვე ისე შესთვისებოდა აზრს, მეც აქ, ზევით, დამკვიდრებულთა განუყოფელი ნაწილი ვარო, რომ თვალი და ყური არ გაექცეოდა იმ ხალხის გაწამაწიისკენ, რომლებიც ამ ხეობაში სპორტულ ასპარეზს ხედავდნენ.
საბრალო ფროილაინ კარსტედზე ზრუნვა რომ დაეკისრათ, ამ გარემოებამ იოახიმის განწყობილებაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა - სანახაობის ყურებაზე უარი რომ ეთქვა, ეს უკვე ცუდ ქრისტიანობაში ჩამოერთმეოდა. ბიძაშვილებმა სნეულ ქალიშვილს თავის უბადრუკ ბინაზე გაუარეს და მზით გაკაშკაშებულ სუსხიან ამინდში ჰოტელ დანგლეტერად“ წოდებული ინგლისური კვარტალისაკენ გაუყვნენ მთავარ ქუჩას. მთავარი ქუჩის ორივე მხარეზე ფეშენებელური მაღაზიები იყო ჩამწკრივებული, ქუჩის სავალ ნაწილზე კი მარხილები დაჟღარუნობდნენ. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული მომლხენი და მუქთახორა მდიდარი ახალგაზრდები მოლაშლაშებდნენ, კურჰაუზისა და სხვა დიდი ოტელების ბინადარნი თავშიშველა გამოსულიყვნენ ქუჩაში, ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი მოდური სპორტული კოსტიუმები ეცვათ, სახეებზე ზამთრის მზისა და თოვლის წყალობით ბრინჯაოსფერი დასდებოდათ და კურჰაუზის მახლობლად, ხეების სიღრმეში მოწყობილი საციგურაო მოედნისაკენ მიეშურებოდნენ. ზაფხულობით იმ მინდორზე ფეხბურთს თამაშობდნენ ხოლმე. გრიალებდა მუსიკა, ოთხკუთხა მოედნის თავში აღმართული ხის პავილიონის ფიცარნაგზე უკრავდა კურორტის ორკესტრი. მოედნის უკან ლურჯი ცის ფონზე ლამაზად იკვეთებოდა დათოვლილი მთები. მაყურებლები მოედნის სამ მხარეს მოწყობილ ამფითეატრში ისხდნენ. ახალმოსულებმა ბილეთები იყიდეს, ხალხში გზა გაიკვლიეს, ადგილები იპოვეს და დასხდნენ, ყინულის მოედანზე მოკლე კაბებში, შავ ტრიკოებსა და ბეწვშემოვლებულ ქურთუკებში გამოწყობილი მოციგურავეები დასრიალებდნენ, ბზრიალებდნენ, ფიგურები გამოჰყავდათ, მაღლა ხტებოდნენ და წრეებს არტყამდნენ. ერთი ვირტუოზული, კონკურსგარეშე გამოსული პროფესიონალი წყვილი ისეთ ილეთებს ასრულებდა, ქვეყანაზე მათ მეტს რომ არავის შეეძლო. მაყურებლებმა მოწონების ნიშნად ტაში დაუკრეს, ხოლო ორკესტრმა ტუში დასცხო. ყინულზე სირბილში ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნების ექვსი ჭაბუკი

ეჯიბრებოდა. ისინი წელში წახრილიყვნენ, ხელები ზურგს უკან დაეწყოთ დაისე მიქროდნენ. ხანდახან პირთან ცხვირსახოცი მიჰქონდათ ხოლმე. მათ წაგრძელებული ოთხკუთხედისათვის ექვსჯერ უნდა შემოევლოთ ირგვლივ. მაყურებლები მუსიკსს ზარის წკრიალს აყოლებდნენ, ხანდახან კი ბრბოში წამქეზებელი შეძახილები და მქუხარე ტაში გადაიგრგვინებდა ხოლმე.
სამ ავადმყოფს - ბიძაშვილებსა და მათ სამეურვეოს - ირგვლივ ჭრელი ბრბო ეტყა. შოტლანდიური ქუდებით თავდამშვენებული, თეთრკბილა ინგლისელები ფრანგულად ესაუბრებოდნენ სურნელნაპკურებ მანდილოსნებს, რომლებიც თავიდან ფეხებამდე ჭრელ შალეულში იყვნენ გამოწყობილნი, ზოგიერთს შარვალიც ეცვა. მომცროთავიან ამერიკელებს თმა კეფაზე გადაეგლისათ, პირში ჩიბუხები გაეჩარათ და პირამობრუნებულ ქურქებში იყვნენ გახვეულნი. წვერმოშვებული, ელეგანტურად ჩაცმული რუსები მდიდარ ბარბაროსებს ჰგავდნენ, მალაიური ტიპის ჰოლანდიელები გერმანელებსა და შვეიცარიელებს შორის ისხდნენ, ხოლო ბრბოში კიდევ უამრავი ფრანგულად მოლაპარაკე, მაგრამ რომელიღაც უცხო ტომის ხალხი, ბალკანელები თუ ლევანტელები ერივნენ. მათკენ ჰანს კასტორპს თვალი გაურბოდა, იოახიმი კი ამ გაურკვეველი ჯურის ხალხს სათოფეზე არ ეკარებოდა. შუალედებში მოედანზე ბავშვების სახუმარო შეჯიბრებები იმართებოდა: ბავშვებს ცალ ფეხზე ფიგურები ეცვათ, მეორეზე კი თხილამური და მოედანზე ისე დაბორძიკობდნენ, ბიჭუნები თავიანთ პატარა ქალბატონებს თოვლის სახვეტი ხოფებით დაასრიალებდნენ. ზოგიერთს ხელში ანთებული სანთლები ეჭირა და გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც ჩაუქრობელი სანთლით მიაღწევდა ფინიშამდე. ზოგს სირბილში დაბრკოლებები უნდა გადაელახა ან კალის ჩამჩით კარტოფილის ჩაყრა უნდა მოესწრო ალაგ-ალაგ დადგმულ წურწურებში. მაღალი საზოგადოება ილხენდა, ერთმანეთს ყველაზე მდიდარ, ყველაზე ცნობილ და ყველაზე მომხიბლავ ბავშვებზე უთითებდნენ: ვინ ჰოლანდიელი მულტიმილიონერის ასული იყო, ვინ პრუსიელი პრინცის ძე, ერთი თორმეტი წლის ბიჭი კი საქვეყნოდ სახელგანთქმული შამპანური ღვინოების ფირმის მეპატრონის გვარისა გახლდათ. საბრალო კარენიც ჭყლოპინებდა აღტაცებისაგან, თან ახველებდა და დაწყლულებულ ხელებს ერთმანეთს უტყაპუნებდა. ო, რა მადლიერი იყო საბრალო კარენი!
ბიძაშვილებმა იგი ბობსლეიზეც წაიყვანეს. ბობსლეის ტრასა არც „ბერგჰოფიდან“ იყო შორს და არც კარენის ბინიდან, ტრასა შაცალპიდან ეშვებოდა და მის დასავლეთ ფერდობზე, „სოფელში“ მთავრდებოდა. იქ იყო აღმართული საკონტროლო პუნქტი, სადაც ტელეფონით მოდიოდა ცნობა ამა თუ იმ ციგის სტარტის შესახებ. თოვლის გაყინულ კალაპოტში ფოლადივით ალაპლაპებულ ტრასაზე შორიშორ თავქვე მიექანებოდნენ თეთრ შალის კოსტიუმებში გამოწყობილი სპორტსმენებით დატვირთული ბრტყელ-ბრტყელი ციგები. შეჯიბრების მონაწილეებს მკერდზე სხვადასხვა ქვეყნის ფერად-ფერადი შარფები ჰქონდათ გადაჭერილი. მაყურებლები ხედავდნენ მათ გაწითლებულ, დაძაბულ სახეებს, ხედავდნენ, პირში როგორ ეყრებოდათ თოვლი. ზოგიერთს ფოტოაპარატი ჰქონდა მომარჯვებული და რომელიმე ციგა კედელს რომ მიეხეთქებოდა, გადაბრუნდებოდა და თავის ეკიპაჟს თოვლზე გადმოცლიდა, იმწამსვე სურათებს უღებდნენ. მუსიკა აქაც უკრავდა. მაყურებლები ან პატარა-პატარა ტრიბუნებზე ისხდნენ, ან იდგნენ ვიწრო ბილიკზე, რომელიც ტრასის გასწვრივ იყო გაკვალული. ტრასაზე ზოგან გადებული ხის ბოგირებიც ხალხით იყო სავსე, მათ ქვეშ კი დროდადრო გაიზუზუნებდნენ ხოლმე ბობსლეისტები. სანატორიუმიდან დაცურებული გვამებიც ამ ტრასაზე მიექანებიან, ასევე გაიზუზუნებენ ბოგირებს ქვეშ, მოსახვევებსაც ასევე გაივლიან დადძირს, ხეობისაკენ დაექანებიანო, გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და ხმამაღლა გამოთქვა კიდეც ეს აზრი.
რახან კარენ კარსტედს ასე უხაროდა ყველაფრის ნახვა, ერთ საღამოს კურორტის ბიოსკოპშიც
(ბიოსკოპი - მოძრავი სურათების საჩვენებელი საპროექციო აპარატი, რომელიც იხმარებოდა XX საუკუნის დასაწყისში. ბიოსკოპს ზოგჯერ კინემატოგრაფსაც უწოდებდნენ.) წაიყვანეს ბიძაშვილებმა. იქაური ჩახუთული ჰაერი სამივეს ეხამუშა, რადგან მხოლოდ სუფთა ჰაერის სუნთქვას იყვნენ მიჩვეულნი, სული

შეეხუთათ, თავბრუ დაეხვათ და თვალებიც ატკინათ ეკრანზე აციმციმებული კადრების ყურებამ: ეკრანზე თითქოს დანაკუწებულ ცხოვრებას უჩვენებდნენ, მოკლედ მოჭრილსა და აჩქარებულს, რომელიც წამით შეჩერდებოდა, მერე კუნტრუშითა და ფაციფუცით მიქროდა მათ წინ და თან მარტივი მუსიკაც ახლდა. მუსიკა აწმყოში მოცემულ დროს აქუცმაცებდა და ამით თითქოს წარსულში გადაჰყავდა მაყურებელი, თან ცდილობდა, თავისი შეზღუდული ხერხებით საზეიმო და პომპეზური განწყობილების, ბობოქარი ვნებებისა და აგზნებული გრძნობების მთელი გამა გადმოეცა. ეს გახლდათ სიყვარულისა და მკვლელობის მღელვარე ისტორია, მუნჯურად რომ თამაშდებოდა ერთი აღმოსავლელი დესპოტის კარზე, ფუფუნებითა და სიშიშვლით სავსე ეპიზოდებით, მეუფეთა ჟინიანობით და რელიგიურ გახელებამდე მისული მორჩილებით, სისასტიკით, ჟინით, სისხლის წყურვილითა და თვალსაჩინოებით აღსავსე, როცა ჯალათის მკლავის მუსკულატურის დემონსტრაცია გახდებოდა საჭირო. მოკლედ, ეს იყო ინტერნაციონალური ცივილიზებული მაყურებლის ფარული სურვილებისგათვალისწინებით, მათი გულის მოსაგებად შექმნილი სურათი. ასეთი განმსჯელი კაცი, როგორიც სეტემბრინი გახლდათ, ალბათ, მკაცრად გაილაშქრებდა ასეთი ანტიჰუმანური სანახაობის წინააღმდეგ და მისთვის დამახასიათებელი შეუფარველი კლასიკური ირონიით დაგმობდა კაცთმოძულე ზრახვების გამოცოცხლების მიზნით ტექნიკის ბოროტად გამოყენებასო, - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და იგივე აზრი ბიძაშვილსაც ჩასჩურჩულა ყურში. ფრაუ შტორი კი, რომელიც სამეულის ახლოს იჯდა, პირიქით, გატაცებით შეჰყურებდა ეკრანს და სიამოვნებისაგან ეღრიცებოდა აწითლებული გამოთაყვანებული სახე.

ისე, საითაც უნდა გაგეხედათ, მსგავს სახეებს დაინახავდით, მაგრამ, როცა ეკრანზე უკანასკნელმა აციმციმებულმა სურათმა გაიელვა, დარბაზში შუქი აინთო და ბრბოს თვალწინ ცარიელ დაფასავით დაეკიდა წუთის წინ სანახაობის ასპარეზად ქცეული ველი. არავის არ შემოუკრავს ტაში, ანდა ვისთვის უნდა გადაეხადათ ტაშით მადლობა, ვინ უნდა გამოეძახათ სცენაზე? მათი დამატკბობელი სურათის წარმოსადგენად შეგროვილი მსახიობები დიდი ხნის წინ დაქსაქსულიყვნენ და მაყურებლები ახლა მათ აჩრდილებსღა უყურებდნენ, მილიონობით გავრცელებულ, მოკლედ ფიქსირებულ სურათებს, რომლებშიაც მოექციათ და დაენაწევრებინათ მათი მოქმედება, რათა სურვილისამებრ ჩაერთოთ მოციმციმე დინებაში და დროის სტიქიისათვის დაებრუნებინათ. ილუზიის გაქრობის შემდეგ გამეფებულ დუმილში რაღაც ამაზრზენი გახევება იგრძნობოდა, გარინდებულ ბრბოს ხელები უაზროდ დაეკრიფა არარაობის წინაშე, ზოგი თვალებს ისრესდა, ზოგი კი სახეს იზელდა, თითქოს სინათლის რცხვენიათ და ისევ სიბნელისაკენ ისწრაფვიან, რათა კვლავ დაინახონ ახლანდელ დროში გადმონერგილი ჟამგადასული და მუსიკით შეფერადებული ამბები და ტკბობა ხელმეორედ განიცადონო.

დესპოტს დანა გაუყარეს მკერდში და მანაც დიდებული ხახიდან ღრიალი ამოუშვა, ოღონდ ღრიალის ხმა არ ისმოდა. შემდეგ მაყურებლებს მთელი მსოფლიოს ამბები უჩვენეს: საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს თავზე ცილინდრი ახურავს, მხარიღლივ ორდენების ლენტი შემოუკრავს, ლანდოში ზის და მოსალმებაზე პასუხობს; ინდოეთის ვიცე-ხელმწიფე რომელიღაც რაჯის ქორწილზე: გერმანიის კრონპრინცი

(გერმანიის კრონპრინცი - იგულისხმება ვილჰელმი, გერმანიის იმპერატორი და პრუსიელი მეფე ვილჰელმ II-ის (1859-1941) ვაჟი.) პოტსდამის ყაზარმაში. მაყურებლები უყურებდნენ ახალი მეკლენბურგის(ახალი მეკლენბურგი - წინათ „ახალი ირლანდია“, ბისმარკის არქიპელაგის სიდიდით მეორე კუნძული.)

რომელიღაც სოფელში ადგილობრივი ხალხის ცხოვრებასა და საქმიანობას, ბორნეოზე მამლების ბრძოლას, შიშველ ველურებს, რომლებიც რომელიღაც ჩასაბერ ინსტრუმენტზე უკრავდნენ, ველურ სპილოებზე ნადირობას, სიამის მეფის კარზე მოწყობილ ცერემონიალს, ბორდელების ქუჩას იაპონიაში, სადაც გეიშები ხის გალიებში ისხდნენ, უყურებდნენ, ჩრდილოეთ აზიის თოვლიან უდაბნოში ირმებშებმული მარხილებით როგორ მოგზაურობდნენ შეფუთნილი სამოედები, აგერ რუსი მეროჭიკე ბერები ლოცულობენ ჰებრონში

(ჰებრონი - პალესტინის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, რომელიც მორწმუნეებს იზიდავდა თავისი მეჩეთით, სადაც გადმოცემის თანახმად, ბიბლიური პატრიარქები იყვნენ დაკრძალულნი.) სპარს დამნაშავეებს ქუსლებზე სცემენ; თითქოს მაყურებელი ესწრებოდა ყველაფერ ამას, სივრცე აღარ არსებობდა, დრო-ჟამი უკუგდებული გახლდათ, „იქ“ და მაშინ“ სწრაფად მქროლავ, მოჩვენებით, მუსიკით გარშემორტყმულ აქად“ და ახლად“ გადაქცეულიყო. ახალგაზრდა მაროკოელ ქალს ტანზე ზოლიანი აბრეშუმის ქსოვილი შემოეხვია, ძეწკვები, სამაჯურები და ბეჭდები აეჩორჩხლა და მკვრივი მკერდი სანახევროდ მოეშიშვლებინა. ქალის გამოსახულება უეცრად ნატურალური სიდიდით მოახლოვდა ეკრანზე. ნესტოებდაბერილს ცხოველური ცეცხლით უელავდა თვალები, ფართოდ გაღიმებულ სახეზე კბილები უქათქათებდა. ქალმა ცალი ხელით თვალები მოიჩრდილა, - მუქ ხელზე თეთრად მოუჩანდა ფრჩხილები, მეორე ხელი კი ხალხს დაუქნია. მაყურებელი შეცბუნებული მისჩერებოდა მომხიბლავ აჩრდილს, რომელიც გეგონებოდათ, გიყურებდათ, მაგრამ სინამდვილეში ვერ გხედავდათ, ვერც გრძნობდა, თუ ვინმე უყურებდა - მისი სიცილი და ხელის დაქნევა აწმყოს კი არ გულისხმობდა, არამედ იქ“ და „მაშინ“ იყო ჩაკარგული. ასე რომ, სისულელე იყო, მისთვის გეპასუხათ. როგორც მოგახსენეთ, სწორედ ეს გარემოება იწვევდა გაოგნებასთან შერეულ ინტერესს. შემდეგ მოჩვენება გაქრა, ეკრანს ცარიელი შუქი დაეფინა და ზედ მიტყეპებულივით გამოჩნდა სიტყვა დასასრული“, სურათების ციკლი დასრულდა და საზოგადოება უჩუმრად გაიკრიფა თეატრიდან, გარეთ კი ახალი მაყურებელი შეჯგუფებულიყო და სული მისდიოდა, ფირს ხელახლა როდის დაატრიალებდნენ.
ბიოსკოპიდან გამოსულებს ფრაუ შტორი შემოუერთდათ და ბიძაშვილები შეაგულიანა, კურჰაუზის კაფეში შევიდეთო. ისინიც საბრალო კარენის საამებლად შევიდნენ კაფეში და საცოდავ ქალიშვილს მთელი საღამო მადლიერების ნიშნად ერთმანეთზე მიტყუპებული ეჭირა ხელები. კაფეში მუსიკა უკრავდა. წითელ ფრაკებში გამოწყობილი მუსიკოსებისაგან შემდგარორკესტრს ხელმძღვანელობდა ჩეხი თუ უნგრელი პირველი ვიოლინო, რომელიც ჯგუფს ჩამოსცილებოდა, მოცეკვავე წყვილებში ჩამდგარიყო, მთელი სხეულით ტოკავდა და ინსტრუმენტს ისე აკვნესებდა. მაგიდებთან მაღალი საზოგადოება ილხენდა, ოფიციანტები იშვიათ სასმელებს დაატარებდნენ. ბიძაშვილებმა თავისთვის და თავიანთი სამეურვეოსთვის ორანჟადი შეუკვეთეს, რადგან დარბაზში ცხელოდა და მტვრის ბუღი ტრიალებდა, ხოლო ფრაუ შტორმა ლიქიორი მიირთვა. ამ დროს აქ ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი მხიარულებაო, თქვა მან. ცეკვა უფრო გვიან საღამოს გახურდება, როცა აქაურობას უამრავი პაციენტი მოაწყდება სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებიდან, სასტუმროდან და კურჰაუზიდანო. და რომ იცოდეთ, რამდენი მძიმეავადმყოფი გამგზავრებულა აქედან ცეკვა-ცეკვით საიქიოს, მას შემდეგ, რაც სიცოცხლით ტკბობის სამსალა გამოუცლია და პირდაპირ in dulci jubili
(ტკბილი ზეიმის წუთს (ლათ.).) უკანასკნელად წასკდომია სისხლიო. ფრაუ შტორმა უვიცობის წყალობით რაც ამ გამოთქმას უყო, იმას ენით ვერ აწერს კაცი. პირველი სიტყვა თავისი მეუღლის იტალიურ-მუსიკალური ლექსიკონიდან ისესხა და „დოლჩედ“ გამოთქვა, მეორე კი ფოიერიოდ“ მონათლა თუ იუბილარად“, უფალმა უწყოდა. ბიძაშვილებმა ასეთი ჩიქორთული ლათინური რომ მოისმინეს, მყისვე თავიანთ ჭიქებში ჩადებული ჩალის ღეროები იტაკეს პირში. შტორუკას კი წარბიც არ შეუხრია, პირიქით, შტერულად დაკრიჭა თავისი კურდღლის კბილები და ნართაულებითა და გესლიანი შენიშვნებით შეეცადა, გაერკვია, ამ სამ ახალგაზრდას შორის რა ურთიერთობაა გაჩაღებულიო, თუმცა ისედაც მშვენივრად ხვდებოდა ყველაფერს. თვითონვე თქვა, საბრალო კარენი ისეთ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, რომ მისთვის დიახაც სასარგებლოა ერთბაშად ორი ასეთი მფარველი რაინდის ყოლა, მაგრამ თქვენი კი ვეღარაფერი გამიგიაო. თუმცა ჭკუათხელობისა და გაუნათლებლობის მიუხედავად, ფრაუ შტორი ქალურმა ინტუიციამ მაინც მიახვედრა, საქმე დაახლოებით როგორ უნდა ყოფილიყო. მშვენივრად მიხვდა და გესლიანად აღნიშნა კიდეც, რომ ნამდვილი ჭეშმარიტი რაინდი ჰანს კასტორპი იქნება, ჭაბუკი ციმსენი მხოლოდ ასისტენტობას უწევს, ოღონდ ჰანს კასტორპს რაც შეეხება, კარგად ვიცი, ფრაუ

შოშას ეტრფის და საცოდავ კარსტედს როგორც ერზაცს, ისე ელოლიავება, რადგან იმაზე ხელი არ მიუწვდებაო. ასეთი, ყოველგვარ მორალურ სიღრმეს მოკლებული, მხოლოდ უბრალო ქალური ინტუიციით მიგნებული შეხედულება, სწორედ რომ შეეფერებოდა ფრაუ შტორისთანა მდაბალ არსებას და ჰანს კასტორპმაც მხოლოდ დაღლილი და ზიზღიანი მზერით უპასუხა მის უხამს და გამაღიზიანებელ შენიშვნებს. ისე, საბრალო კარენთან ურთიერთობა ჰანს კასტორპს მართლაც უწევდა რაღაცის მაგივრობას და ისევე ეხმარებოდა, როგორც ამის მსგავსი სხვა გულმოწყალე წამოწყებანი. მოკლედ, ამ წამოწყებებს თავისი მიზანი ჰქონდა - ჰანს კასტორპი კმაყოფილებას განიცდიდა, როცა დავრდომილ ფრაუ მალინკროდტს ფაფით კვებავდა, ისიც სიამოვნებდა, ბატონ ფერგეს რომ აყოლებდა თავისი ჯოჯოხეთური პლევრალური შოკის ამბავს, კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა, საბრალო კარენს რომ უყურებდა, სიხარულისა და მადლიერებისაგან ერთმანეთზე როგორ უტყაპუნებდა პლასტირით გადაწებილ თითებს. მართალია, ეს კმაყოფილება რაღაცას უნაზღაურებდა, მაგრამ მაინც უშუალო და წმინდა არ ეთქმოდა. ეს გრძნობა სულ სხვა სულიერი წყობის ნაყოფი გახლდათ და აშკარად უპირისპირდებოდა იმას, რის წინააღმდეგაც პედაგოგიური თვალსაზრისით ილაშქრებდა ბატონი სეტემბრინი, თუმცა ახალგაზრდა ჰანს კასტორპისათვის რომ გეკითხათ, ეს ამბებიც ღირდა იმად, რომ წარმოგვეთქვა პლაცეტ ეხპერირი.

პატარა სახლი, სადაც კარენ კარსტედი ცხოვრობდა, რკინიგზის შორიახლოს მდებარეობდა, „სოფლისაკენ“ მიმავალ გზაზე, და ბიძაშვილებს თავისუფლად შეეძლოთ იგი ნასაუზმევს სავალდებულო გასეირნებისას თან წაეყვანათ. „სოფლისაკენ“ მიმავალ გზას თუ დაადგებოდნენ და მერე მთავარი პროსპექტისაკენ გაუხვევდნენ, წინ მცირე შიაჰორნი აესვეტებოდათ, ცოტა იქით, მარჯვენა მხარეს კი ქონგურებივით მოყვანილი სამი კლდე მოჩანდა, რომელთაც „მწვანე კოშკებს“ ეძახდნენ, ოღონდ ახლა ისინიც დაფარულიყვნენ მზეზე თვალისმომჭრელად ალაპლაპებული თოვლით, უფრო შორს კი მარჯვნივ, დორფბერგის მწვერვალს ამოეყო თავი. დორფბერგის კალთებზე „სოფლის“ სასაფლაო შეფენილიყო. სასაფლაოს გალავანი ერტყა და ეტყობოდა, ტბისკენ ლამაზი გადასახედი ექნებოდა, რაკი გასასეირნებელ ადგილად იყო მიჩნეული. ერთ მშვენიერ დილას სამივენი კიდევ ავიდნენ იმ მთაზე. ახლა ყოველდღე დარი იდგა: უქარო, მზიანი, ლურჯად მოხასხასე, ცხელიც და ყინვიანიც, თეთრად გადაპენტილი და მოციმციმე. ბიძაშვილებიდან ერთს აგურისფერი ედო სახეზე, მეორე ბრინჯაოსფრად გარუჯულიყო, ორივენი კოსტიუმის ამარა იყვნენ გამოსული. აბა, ასეთ მცხუნვარე მზეში პალტოს თრევას რა აზრი ჰქონდა. ჭაბუკ ციმსენს სპორტული კოსტიუმი და თოვლში სასიარულო რეზინის ჩექმები ეცვა, ჰანს კასტორპიც სპორტულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ოღონდ გრძელი შარვალი ეცვა, რადგან მოკლე შარვალს ჯერ ფიზიკურად ვერ ეგუებოდა. თებერვლის პირველი რიცხვები იდგა. დიახ, მას შემდეგ ახალი წელიწადიდადგა, რაც ჰანს კასტორპი მთაში ამოვიდა. ახლა სხვა წელს სვამდნენ თარიღად. სამყაროს დროის საათის დიდმა ისარმა ერთი ერთეულით წაიწია წინ, ოღონდ იმ ყველაზე დიდ ისარს არ გადაუწევია, რომელიც ათასწლეულებს ითვლიდა, ბევრი ვერ მოესწრება იმ ისრის გადაწევას, თუმცა ამჯერად არც იმ ისარს გადაუწევია, საუკუნეს რომ აღნიშნავდა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ათწლეულის აღმნიშვნელი ისარი შერხეულა. მხოლოდ წლების მაჩვენებელმა ისარმა გადაიწია სულ ცოტა ხნის წინ, თუმცა ჯერ ერთი წელიც არ იყო, წელიწადი რა სათქმელია, ნახევარ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჰანს კასტორპი აქ, ზევით, ბინადრობდა. ახლა კი დრო ისევ გაიყინა, იმ დიდი საათების მსგავსად შეჩერდა, მხოლოდ ხუთ წუთში ერთხელ რომ გადასწევენ ხოლმე ისარს. იმ დიდი ისრის გადაწევამდე ათჯერ უნდა შემობრუნებულიყო თვის მაჩვენებელი ისარი, იმ დროზე ორჯერ მეტად, ვიდრეჰანს კასტორპი იმყოფებოდა აქ. იგი თებერვალს აღარ ათვლიდა, რაკი დადგა, დახურდავებული ფულისა არ იყოს, თებერვალი გასულად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

ამგვარად, სამეული ერთ მშვენიერ დღეს დორფბერგზე შეფენილ სასაფლაოსაც ეწვია. ამას ზუსტი ანგარიშისთვის მოგახსენებთ. გასეირნების მოთავე ჰანს კასტორპი გახლდათ. იოახიმი ჯერ საბრალო კარენს უფრთხილდებოდა, მაგრამ

მერე ისიც დათანხმდა, რა აზრი აქვს კუკუმალობანა ვითამაშოთ და მხდალი შტორივით ყველაფერს მოვარიდოთ, რაც სიკვდილს გაახსენებსო. კარენ კარსტედი არც იტყუებდა თავს, როგორც ეს უკანასკნელ სტადიაში მყოფ ავადმყოფებს სჩვევიათ ხოლმე, მშვენივრად იცოდა, რა დღეშიც იყო და ისიც იცოდა, თითის წვერებზე გაჩენილი ნეკროზი რასაც ნიშნავდა. ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ გულქვა ნათესავები არც იფიქრებდნენ, მისი ცხედარი სამშობლოში წაესვენებინათ და სიკვდილის შემდეგ აქ ერგებოდა მოკრძალებული ადგილი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, შეიძლებოდა თავისუფლად გეფიქრათ, მორალურად ეს გასეირნება უფრო შეეფერებოდა კარენს, ვიდრე სხვა რამ - თუნდაც ბობსლეი ან კინო. გარდა ამისა, ეს ამხანაგური გრძნობის გამომჟღავნების აქტიც იყო სასაფლაოს ბინადართა მიმართ, თუ, რა თქმა უნდა, სასაფლაოს უბრალო ღირსშესანიშნაობად ან სასეირნო ადგილად არ მივიჩნევდით.

გამწკრივებულნი, ნელ-ნელა მიუყვებოდნენ აღმართს, რადგან თოვლში გაკვალულ ბილიკზე მხოლოდ თითო-თითოდ თუ გაივლიდა კაცი. მალე უკან მოიტოვეს ფერდობზე შეფენილი უკანასკნელი ვილები, შემდეგ ვილებს თავზე მოექცნენ და თვალწინ გადაეშალათ ზამთრის მთელი დიდებულებით მოსილი ნაცნობი ლანდშაფტი, რომელიც აქედან უფრო შორი და უკიდეგანო ჩანდა. მიდამოს ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხეობის ყელისაკენ გაეშალა მხრები, როგორც იქნა, დაინახეს ტყის არშიაში ჩასმული ტბა, ტბის გაყინული ზედაპირი თოვლით იყო დაფარული. მის შორეულ ნაპირთან თითქოს მიწას დაჰკვდომოდნენ ციცაბო კლდეები, ხოლო მათ უკან, ლურჯად მოხასხასე ზეცაში, უცნობი დათოვლილი მწვერვალები ატყორცნილიყვნენ. კარგა ხანს იდგნენ თოვლში სასაფლაოს ქვის ალაყაფთან და მიდამოს გადასცქეროდნენ, შემდეგ უბრალოდ მიხურული გისოსებიან ჭიშკარი შეაღეს და სასაფლაოზე შევიდნენ.

ბილიკები სასაფლაოზეც გაეკვალათ, მესრით შემოფარგლულ, თოვლის სუდარაგადაფარებულ საფლავებს შორის. საფლავის ბორცვები ყველგან ერთნაირი იყო: ზოგს ქვის ჯვარი ესვა, ზოგს ლითონისა, ზოგიერთ საფლავზე კი მედალიონებითა და წარწერებით შემკული პატარ-პატარა ძეგლები იდგა. სასაფლაოზე ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. აქ გამეფებულ სიჩუმეს, სიწყნარესა და სიმშვიდეს რაღაცნაირი სიღრმე და იდუმალება ახლდა. ბუჩქებში სადღაც პატარა ანგელოზისა თუ ფრთებიანი ბავშვის ქანდაკი მოჩანდა, გვერდულად რომ მოეგდო თავზე თოვლის ქუდი, თითი ტუჩთან მიეტანა და თითქოს ამ ადგილის გენიას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დუმილის გენიას ასახიერებდა და სახელდობრ, ისეთი დუმილისას, რომელიც ზედმიწევნით უპირისპირდებოდა მეტყველებას, დადუმებას ნიშნავდა, მაგრამ სრულიადაც არ იყო შინაარსსა და განცდას მოკლებული. ორივე მამაკაცს აქ ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა. ქუდი მოეხადა, ან ერთს. ან მეორეს რომ ხურებოდა თავზე, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ქუდი არც ერთს არ ეხურა და ისღა დარჩენოდათ, მოწიწებით და ფეხაკრეფით ევლოთ, ხან მარჯვნივ დაეხარათ თავი და ხან მარცხნივ და თან კარენ კარსტედს მიჰყოლოდნენ, რომელიც ორივეს წინ მიუძღოდა.

სასაფლაო ასიმეტრიულად იყო გაშენებული, ჯერ ვიწრო ზოლად მიემართებოდა სამხრეთისაკენ, მერე კი ორ მხარეს იშლებოდა სწორკუთხად. ეტყობოდა, სასაფლაო მრავალჯერ გაეფართოებინათ და თანდათან მიემატებინათ მისთვის მიწის ნაჭრები, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასაფლაოზე ტევა არ იყო. ვერც გალავნის გაყოლებაზე და ვერც სიღრმეში, თუნდაც ნაკლებად საპატიო ადგილებზე, საფლავის გასაჭრელ მიწის ნაგლეჯსაც კი ვერ დაინახავდით. სამი უცხო დიდხანს დაეხეტებოდა საფლავებს შორის დარჩენილ ვიწრო გასასვლელებში, ხანდახან ჩერდებოდნენ და ძეგლებზე წარწერილ სახელებსა და თარიღებს კითხულობდნენ. ძეგლები და ჯვრები სადა იყო და უბრალო, წარწერებზე სადაურ სახელსა და გვარს არ ამოიკითხავდით: ინგლისურს, რუსულს,საერთოდ, სლავურს, გერმანულს, პორტუგალიურს და კიდევ ვინ იცის, სადაურს არა. თარიღები კი საცოდავად გამოიყურებოდნენ: დაბადებისა და სიკვდილის თარიღს შორის ძალიან ხანმოკლე დრო, ოცი წელიწადი ან ოცზე სულ ცოტა მეტი თუ იყო გასული. ამ სავანეს უპირატესად ახალგაზრდობა დაჰპატრონებოდა. ხანდაზმული არავინ ჩანდა, ეს ახალგაზრდობა კი მსოფლიოს

ყველა კუთხიდან შეყრილიყო აქ და სამარადისოდ მიეღო არსებობის ჰორიზონტალური ფორმა.
სადღაც, ამ მიყრუებულ სიკვდილის სავანეში, ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილ საფლავებს შორის, სწორედ ადამიანის სიგრძე თავისუფალ ადგილს წააწყდნენ. აქეთ-იქით ამობორცულ საფლავებზე თუნუქის გვირგვინები ეკიდა და სამივე უნებლიეთ შეჩერდა მათ წინ. ასე იდგნენ კარგა ხანს - ქალიშვილს ოდნავ გაესწრო წინ თანამგზავრებისათვის - და გულსაკლავ თარიღებს კითხულობდნენ. ჰანს კასტორპი მოშვებულიყო, ხელები გულზე დაეკრიფა, პირი დაეღო და თვლემამორეული თვალებით იყურებოდა, ჭაბუკ ციმსენს კი სახე მოღუშვოდა და არათუ გაჭიმული, უკან გადაზნექილიც კი იდგა. უცებ ორივემ ქურდულად გააპარა ცნობისმოყვარე თვალი კარენ კარსტედისაკენ, მაგრამ მან მყისვე დაიჭირა მათიმზერა და შეცბა. იდგა ასე საბრალო, შემკრთალი და დარცხვენილი, თავი ოდნავ ალმაცერად წაეწვდინა წინ, მერე ბაგე საცოდავმა ღიმილმა მოუგრიხა და თვალები სწრაფად აახამხამა.

ვალპურგის ღამე
რამდენიმე დღეში შვიდი თვე შესრულდებოდა, რაც ახალგაზრდა ჰანს კასტორპი აქ, ზევით, იმყოფებოდა, იოახიმს კი მისი ჩამოსვლის უკვე ხუთი თვე აწვა მხრებზე. ასე რომ, იოახიმს თორმეტი თვე მოეტოვებინა უკან, ერთი წელიწადი, სრული ერთი წელიწადი, სრული - კოსმოსური თვალსაზრისით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც იოახიმი აქ ჩამოსვა პატარა, მაგრამ ღონიერმა ორთქლმავალმა, დედამიწამ ერთხელ შემოუარა მზეს და საწყის წერტილს დაუბრუნდა. დიდმარხვა დგებოდა, ყველიერი კარზე იყო მომდგარი და ჰანს კასტორპმა ერთწლიანს ჰკითხა, აქ როგორ ატარებენ ამ დღესასწაულსო.
- Magnifik
(დიდებულად (ფრანგ.).) , - უპასუხა სეტემბრინიმ, რომელსაც ბიძაშვილები დილის მოციონზე შეხვდნენ, - Splendide
(ბრწყინვალედ (ფრანგ.).) , - დაუმატა მანვე, - აი, ნახავთ, ინჟინერო, ისეთი მხიარულება იქნება, თავი პრატერში
(პრატერი - პარკი ვენაში, სადაც იმართებოდა ხოლმე სახალხო სეირნობა. აქ ქარაგმულადაა მინიშნებული პრატერში სეირნობისა და კუდიანების თავშეყრის მსგავსებაზე, რაზეც მეფისტოფელი ლაპარაკობს გოეთეს ფაუსტში“ („ვალპურგის ღამე“, I ნაწ.).) გეგონებათ. ჩვენ ბრწყინვალე კავალრებად ვიქცევით და ერთრიგად ჩავმწკრივდებით, - ენაკვიმატად განაგრძო მან და მწარ-მწარე სიტყვებს ხელების, თავისა და მხრების ქნევა ააყოლა, - აბა, როგორ გნებავთ, ამას წინათ წავიკითხე maison de santé(sagiJe (frang.).)
-შიც კი აწყობენ თურმე გიჟებისა და სულელებისათვის მეჯლისებს და აქ რატომ აღარ უნდა მოაწყონ? პროგრამა შეიცავს ნაირ-ნაირ danses macabres(micvalebulTa rokva (frang.).)
, აბა, რა გგონიათ! სამწუხაროდ, შარშანდელ მონაწილეთა გარკვეული ნაწილი ვერ გამოცხადდება, რადგან ზეიმი, მოგეხსენებათ, ათის ნახევარზე მთავრდება.
- რა ბრძანეთ... ჰო, ჩინებულია! - გაეცინა ჰანს კასტორპს, - დიდი ხუმარა კაცი ბრძანდებით! მაშ, ათის ნახევარზე, არა? გესმის? კარნავალი ძალიან ადრე მთავრდება და შარშანდელების გარკვეული ნაწილი“ ვერ გამოცხადდებაო, ბრძანებს ბატონი სეტემბრინი. ხა, ხა, ხა, რა საშინელებაა. ეს სწორედ ის ნაწილი გახლავთ, რომელსაც ამასობაში საკუთარმა ხორცმა“ საბოლოოდ უთხრა Vალეტ
(მშვიდობით (ლათ.).) . მიხვდი, სიტყვა როგორ გავათამაშე? ერთი სული მაქვს, დღესასწაული როდის დადგება, - განაგრძო მან, - სავსებით მართებულია, აქ ყველა დღესასწაულს რომ აღვნიშნავთ. ამ გზით ერთგვარად გამოვარჩევთ ეტაპებს, ანუ დროის მონაკვეთებს. დაუნაწევრებელი ერთფეროვნება რომ იყოს, რა გაუძლებდა. აი, შობა ვიდღესასწაულეთ და უკვე ვიცოდით, რომ ახალი წელი მოდიოდა, ჰოდა, ახლა ყველიერის ჯერია. შემდეგ ბზობის კვირა წამოგვეწევა (ნეტავ აქ კრენდელები თუ იციან?), შემდეგ ვნების კვირა დადგება, მერე აღდგომა, აღდგომას ექვს კვირაში სამება მოჰყვება, მერე კი ყველაზე გრძელი დღე გათენდება, ზაფხულის ბუნიობა, ხომ გესმით, და დრო შემოდგომისკენ

დაექანება...
- სდექ! სდექ! სდექ! - შესძახა სეტემბრინიმ, თვალები ცისაკენ აღაპყრო და ხელისგულები საფეთქლებზე მიიჭირა, - გაჩუმდით! ასე სადავის მიშვებას გიკრძალავთ!
- მაპატიეთ, მაგრამ მე სწორედ პირიქით ვლაპარაკობ. სხვათა შორის, ბერენსი, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტს, ინექციები გამიკეთოს, რათა ჩემი ორგანიზმიდან გამოდევნოს შხამი. მუდმივად მაქვს ხოლმე ოცდაჩვიდმეტი და ოთხი, ხუთი, ექვსი და შვიდი ხაზიც კი, სიცხე არ მივარდება და არა. მე ხომ ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ ვარ და სულ ასეთი ვიქნები. გრძელვადიანი ნამდვილად არ გახლავართ, რადამანთისს გარკვეული არაფერი დაუბუხუნებია, მაგრამ იმას კი მეუბნება, აბა, რა აზრი აქვს, მკურნალობის ვადაზე ადრე შეწყვეტას, რაკი ამდენ ხანს დარჩენილხარ აქ და ასე ვთქვათ, ამდენი დრო შეგიწირავს ამ საქმისთვისო. ვითომ ვადა რომ დამინიშნოს, ამით რა შეიცვლება? ბევრი არაფერი. ის რომ ნახევარ წელს იტყვის, სულ მცირეს გულისხმობს და კაცი გაცილებით მეტს უნდა იყოს შეგუებული. განა ჩემი ბიძაშვილის მაგალითი წინ არ გვიდევს? ამ თვის დამდეგს მოთავებული უნდა ყოფილიყო მისი საქმე, რა თქმა უნდა, გამოჯანსაღებას ვგულისხმობ, მაგრამ ბერენსმა სრული გამოჯანსაღებისათვის უკანასკნელად კიდევ ოთხი თვე დაუმატა. ჰოდა, ეს რას ნიშნავს? როგორც მოგახსენეთ, ზაფხულის ბუნიობაც დაგვიდგება - ამით თქვენი გაღიზიანება სულ არ მიფიქრია, - მერე კი კვლავ ზამთრისაკენ ვიზამთ პირს. ამ წუთში კი, რა თქმა უნდა, ყველიერი, საკარნავალო ღამე გვიძევს წინ. ხომ გითხარით, მომწონს, ყველა დღესასწაულს რიგრიგობით, კალენდრის მიხედვით რომ ვზეიმობთ-მეთქი. ფრაუ შტორმა მითხრა, კონსიერჟის ჯიხურში საბავშვო საყვირები იყიდებაო, მართლა?
ეს მართალი გამოდგა. ყველიერის სამშაბათი ისე შეუმჩნევლად შემოიპარა, რომ უკან მოხედვას ვერ მოასწრებდა კაცი. იმ დღეს დილაადრიან, პირველივე საუზმეზე გაისმა სასადილო დარბაზში სათამაშოჩასაბერი ინსტრუმენტების ჭყვიტინი. სადილობისას გენზერის, რასმუსენისა და კლეეფელდის მაგიდებიდან უკვე წამოფრინდნენ სერპანტინები, ბევრს კი, მაგალითად, მრგვალთვალება მარუსიას, ქაღალდის ჩაჩი ეხურა თავზე. ეს ჩაჩებიც კოჭლი კონსიერჟის ჯიხურში იყიდებოდა,ხოლო საღამოს დარბაზსა და სალონებში დიდი მხიარულება სუფევდა და ამ დროს... მხოლოდ ჩვენ ვიცით წინასწარ, ჰანს კასტორპის ენერგიულობამ ამ საკარნავალო ღამეს სადამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ რაღაც-რაღაცების ცოდნა ვერ აგვამჩატებს, დროის პატივისცემაზე ხელს ვერ აგვაღებინებს, მოვლენების განვითარებას წინ ვერ გადავუსწრებთ, პირიქით, იქნებ მოვლენების განვითარება შევაყოვნოთ კიდეც და ამით ახალგაზრდა ჰანს კასტორპის ზნეკეთილი მოკრძალება გავიზიაროთ, ამ წუთების დადგომას ასე დიდხანს რომ უჭიანურებდა.
ნასადილევს ყველა წამოიშალა და კურორტზე სახეტიალოდ წავიდა საკარნავალოდ მორთული, ჟივილ-ხივილით სავსე ქუჩების სანახავად. გზაში ნიღბები ხვდებოდათ, პიეროები და არლეკინები, რომლებსაც ხელში სატკაცუნოები ეჭირათ, ხოლო ქვეითად მოსიარულეებსა და ქუჩებში მოჟღარუნე მორთულ-მოკაზმული მარხილების ასევე ნიღბებაფარებულ მგზავრებს შორის კონფეტებით ბრძოლა იყო გაჩაღებული. ვახშმობისას უკვე ზეაწეული განწყობილება სუფევდა შვიდივე მაგიდაზე. ყველას უნდოდა, მხიარულება ახლა უფრო ვიწრო წრეში გაეგრძელებინა. კონსიერჟის ქაღალდის ჩაჩებს, სატკაცუნოებსა და საჭყვიტინოებს დიდი გასავალი ჰქონდა. პროკურორმა პარავანტმა კი პირველმა წამოიწყო ტრავესტი, ქალის კიმონო გადაიცვა და კეფაზე ნაწნავი ჩამოიკონწიალა - ის ნაწნავი ზოგიერთმა იცნო და დაიძახეს, გენერალური კონსულის მეუღლის, ფრაუ ვურმბრანდტის არისო. პროკურორს ულვაში თმის სახვევი მაშის შემწეობით ძირს დაექაჩა და მართლა ჩინელს დამსგავსებოდა. არც მმართველობას შეურცხვენია თავი - შვიდივე მაგიდა ქაღალდის აბაჟურებით იყო დამშვენებული, ქაღალდის ფერად-ფერად მთვარეებში კი სანთლები ჩაედგათ. დარბაზში შემოსულმა სეტემბრინიმ ეს რომ დაინახა, ჰანს კასტორპის მაგიდასთან შეჩერდა და ილუმინაციის შესაფერი სტრიქონები წაიკითხა:

„აგერ იქ ცეცხლი როგორ ბრჭყვიალებს,
და ათასფერად, ნაზად ცქრიალებს!
ყველა ისწრაფვის აქ გასართობად“.
(იოჰან ვოლფგანგ გოეთე, „ფაუსტი“, ტრაგედია, თარგმანი დავით ონიაშვილისა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 262.) ციტატას თავისებური, დახვეწილი, დამცინავი ღიმილი მოაყოლა და თავისი ადგილისაკენ გაემართა. თანამესუფრეებმა სეტყვასავით დაუშინეს თხელკანიანი, სურნელოვანი სითხით სავსე ბუშტუკები, რომლებიც მიზანში მოხვედრისას სკდებოდა და კაცს სურნელით ნამავდა.
მოკლედ, სადღესასწაულო განწყობილება თავიდანვე აშკარად იგრძნობოდა, ისმოდა სიცილ-ხარხარი, ჰაერში ირხეოდა ჭაღებზე ჩამოკიდებული სერპანტინები, საწებელში კონფეტები ტივტივებდა, ხოლო ლილიპუტმა სულ მალე შემოარბენინა ნაყინითა და შამპანურით დატვირთული პირველი ხონჩები. შამპანურს ბურგუნდიულში ურევდნენ და ისე სვამდნენ. ამის მაგალითი ყველას ვექილმა აინჰუფმა უჩვენა. ჭაღები ჩააქრეს, სასადილო დარბაზს ქაღალდის ფარნებიღა ანათებდა და ირგვლივ იტალიურ ღამესავით ნაირფერად მოლიცლიცე ბინდი იყო გამეფებული. ყველას საზეიმო განწყობილება დაეუფლა, ჰანს კასტორპის მაგიდაზე კი დიდი მხიარულება გამოიწვია სეტემბრინის ბარათმა (სეტემბრინიმ ბარათი მწვანე აბრეშუმის ქაღალდის ჟოკეის ქუდით თავდამშვენებულ მარუსიას გადასცა, რომელიც მის ახლოს იჯდა). ბარათში ფანქრით ეწერა:
„მხოლოდ იცოდეთ, რომ დღეს მთა იწყებს
ჯადოქრულ ძალით გიჟურ აღგზნებას.
ცთომილი ალი გაგიკვლევთ გზებსა,
მაგრამ ნუ მოსთხოვთ ძალიან ბევრსა“.
(„ფაუსტი“, გვ. 255) დოქტორმა ბლუმენკოლმა, რომელსაც კვლავ უკან-უკან მისდიოდა საქმე, სახე თავისებურად დაჭყანა თუ ტუჩი აიბზუა და რაღაც წაიბურტყუნა, აქაოდა, ეს რა ლექსიაო. ჰანს კასტორპს კი არ უნდოდა, იტალიელს ვალში დარჩენოდა და მოინდომა, გამოუვიდოდა თუ არ გამოუვიდოდა, ბარათზე იმასაც დაეწერა სახუმარო რეპლიკა. ჯიბეები მოიქექა, მაგრამ ფანქარი ვერ იპოვა, ფანქარი არც იოახიმს აღმოაჩნდა და არც მასწავლებელ ქალს. მაშინ ხსნის საძებრად აღმოსავლეთს მიაპყრო ჩაწითლებული თვალები, დარბაზის უკანა მარცხენა კუთხე მოათვალიერა და სახეზე დაეტყო, უეცარმა განზრახვამ რა შორეული ასოციაციები აუშალა. ჰანს კასტორპი გაფითრდა და სულ გადაავიწყდა თავისი პირვანდელი განზრახვა.
გასაფითრებელი მიზეზი ისედაც ჰქონდა ჰანს კასტორპს. დარბაზის ბოლოში საკარნავალოდ მოკაზმული ფრაუ შოშა იჯდა, ახალი კაბა ეცვა, ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპს აქამდე არ ენახა მის ტანზე ეს კაბა. მუქი, თითქმის შავი, მაგრამ ხანდახან ოქროსფრად და ყავისფრად მოლივლივე მსუბუქი აბრეშუმის კაბა ყელთან ისე ქალწულურად ჰქონდა ამოჭრილი, რომ მხოლოდ ყელი, ლავიწის სათავე, წინ წაწვდილ კისერზე ოდნავ ამობურცულირამდენიმე მალა და ნაწნავებქვეშ ამოსული ურჩი ბუწუწები მოუჩანდა. სამაგიეროდ, მხრებამდე მოეშიშვლებინა მკლავები, ნაზი და თან სავსე, რომელთაც აშკარად ეტყობოდათ, რომ გრილიც იქნებოდნენ. მკლავები საოცრად ქათქათებდნენ შავი აბრეშუმის ფონზე, ისე გრძნობის აღმძვრელად ქათქათებდნენ, რომ ჰანს კასტორპმა თვალები დახუჭა და ჩურჩულით აღმოხდა: „ღმერთო ჩემო“! ასე შეკერილი კაბა არასოდეს ენახა ჰანს კასტორპს. უნახავს სამეჯლისო ტუალეტები, სადღესასწაულოდ განკუთვნილი, მიღებული წესის ფარგლებში რომ ამხელდა ტანის სიშიშვლეს, ამხელდა ამ კაბაზე გაცილებით თამამად, მაგრამ იმ კაბებს ასე გამაოგნებლად არ უმოქმედია მასზე. მცდარი აღმოჩნდა საბრალო ჰანს კასტორპის წინანდელი ვარაუდი, ეს მკლავები გონის წამღებ ხიბლს სიფრიფანა გაზით შებურვის წყალობით იძენენ, თორემ ასეთი მომგებიანი „გაშუქების“ გარეშე ნაკლებად მიმზიდველნი იქნებიანო. როგორ ცდებოდა! როგორ საბედისწეროდ იტყუებდა თავს! შხამით დაბეჩავებული ორგანიზმის ამ დიდებულინაწილის სრული, მკაფიოდ გამოკვეთილი და თვალისმომჭრელი სიშიშვლე გაცილებით მომაჯადოებელი აღმოჩნდა, ვიდრე მაშინდელი

შენიღბულობა, ამ მკლავების შემხედვარეს ისღა დარჩენოდა, თავი ჩაექინდრა და უხმოდ ემეორებინა გულში: „ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!“ ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მოვიდა ბარათი, რომელშიაც ეწერა:
„აი, ნამდვილი, ტურფა კრებული!
აქ პატარძლები ჰგვანან თვით ედემს!
ვაჟკაცნიც ჩანან ძალზე ქებულნი
და იძლევიან დიად იმედებს“.
(„ფაუსტი“. გვ. 273) - ბრავო, ბრავო! - დაიძახეს აქეთ-იქიდან. სუფრებზე ყავისფერი ქაშანურის პაწაწინა ტოლჩებით უკვე მოკა ჩამოედგათ. ზოგი ლიქიორსც წრუპავდა, მაგალითად, ფრაუ შტორი, რომელიც ჭკუას კარგავდა ტკბილი სპირტიანი სასმელებისთვის. საზოგადოება წამოიშალა და დარბაზში გაიფანტა. მიდიოდნენ ერთმანეთთან, იცვლიდნენ მაგიდებს. დამსვენებლების ერთმა ნაწილმა სალონებს მიაშურა, სხვები კი ისხდნენ და კვლავ ნარევ ღვინოებს ულხენდნენ. ბოლოს სეტემბრინი პერსონალურად გამოცხადდა ბიძაშვილების მაგიდასთან, ყავის ფინჯანი ხელში ეჭირა. კბილის საჩხრეკი ბაგეებს შუა გაერჭო, იგი ჰანს კასტორპსა და მასწავლებელს შორის სტუმარივით ჩამოჯდა მაგიდის კუთხეში.
- ჰარცის მთიანეთი, - თქვა მან. - შირკესა და ელენდის მიდამოები
(ჰარცის მთიანეთი... შირკესა და ელენდის მოდამოები - ვალპურგის პირველი ღამის მოქმედების ადგილი ფაუსტში“.) განა ზედმეტს დაგპირდით რამეს, ინჟინერო? მე უკვე წირვა მაქვს გამოყვანილი! მაგრამ მოთმინება იქონიეთ, ხუმრობის უნარი ასე მალე არ დაგვიჩლუნგდება, ჯერ მწვერვალამდე არ მივსულვართ, თორემ დასასრული ხომ კიდევ უფრო შორსაა. ყველაფერზე ეტყობა, ნიღბები მოგვიმრავლდებიან, ვიღაც-ვიღაცები მიიმალნენ და ეს ნაირ-ნაირ სიურპრიზს გვიქადის. აი, ნახავთ თუ არა.
მართლაც გამოჩნდა ახალი კოსტიუმები. მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ ქალებს სასაცილო, ოპერეტისებურ იერს აძლევდა მომრგვალებული ფორმები. მათ წვერ-ულვაში გამურული კორპით მიეხატათ სახეზე, მამაკაცებს კი, პირიქით, კაბები გადაეცვათ და კაბის კალთებში ფეხები ებლანდებოდათ. მაგალითად, სტუდენტი რასმუსენი ძლივს დაბორძიკობდა კილიტებით აბრჭყვიალებულ შავ კაბაში, დეკოლტეში ფერისმჭამლებიანი მკერდი მოუჩანდა, ხელში ქაღალდის მარაო ეჭირა და მკერდსაც იგრილებდა და ზურგსაც. გამოჩნდა მათხოვარიც, მას ვითომ მუხლები ეკეცებოდა და კაუჭიან ჯოხზე იყო ჩამოკიდებული. ვიღაცას თეთრი პერანგის ამხანაგისა და ქალის ფეტრის შლაპისაგან პიეროს კოსტიუმი შეეკოწიწებინა, სახე შეეპუდრა, შეპუდრულ სახეზე არაბუნებრივად მოუჩანდა თვალები, პირი კი პომადით სისხლისფრად მოეთხუპნა. ეს გრძელფრჩხილა ყმაწვილი გახლდათ. „მდარე რუსული მაგიდის“ წევრ ბერძენს იისფერი ნაქსოვი კალსონები ჩაეცვა და კოხტა ფეხებით იწონებდა თავს, მხრებზე მანტია მოესხა, ქაღალდის ჟაბო გაეკეთებინა, ხელში ჯოხის დაშნა დაეჭირა და თავისი ჭკუით ესპანელ გრადს თუ ზღაპრულ პრინცს ასახიერებდა. ყველა ეს ნიღაბი ნავახშმევს ნაჩქარევი იმპროვიზაციის ნაყოფი გახლდათ. ფრაუ შტორი სკამზე ვეღარ დაეტია, გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ დამლაგებლის კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა. ფრაუ შტორს კაბის კალთები აეკრიფა, მკლავები დაეკაპიწებინა, ქაღალდის ჩაჩის ბაფთები ნიკაპქვეშ გამოესკვნა და სათლითა და ცოცხით შეიარაღებულიყო. მან მაშინვე აამოქმედა თავისი იარაღები, სველ ჯაგრისს მაგიდებს ქვეშ დაატარებდა და მაგიდებთან მსხდომთ ფეხებზე უგლასუნებდა.
„ბერი ბაუბო
(ბერი ბაუბო...“ - ანტიკურ მითოლოგიაში ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრეს ძიძა. იგი ცდილობს უწმაწური ლაქლაქით გაართოს ქალღმერთი, მას შემდეგ, რაც მას თავისი ასული პერსეფონე) სულ მარტო მოდის“.
მის დანახვაზე ციტატა მოიყვანა სეტემბრინიმ და ზედ მკაფიოდ და პლასტიკურად მიურითმა კიდეც. ფრაუ შტორმა გაიგონა მისი სიტყვები, „გადამთიელი მამალი“ უწოდა და დაექადნა, მაგ უშვერი ხუმრობის პასუხი ჩემზე იყოსო, თან ნიღბებიან კარნავალზე მიღებული წესის თანახმად,შენობით მიმართა. მიმართვის ეს ფორმა ჯერ კიდევ ვახშმობისას დამკვიდრდა დარბაზში. სეტემბრინიმ, ის იყო, დააპირა, მისთვის პასუხი გაეცა, რომ ვესტიბიულიდან ერთი

ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი შემოიჭრა და დარბაზიც ახმაურდა.
სალონებიდან პაციენტები გამოცვენილიყვნენ და გარს შემორტყმოდნენ ორ უცნაურ ფიგურას, რომლებსაც, ეტყობოდათ, ახლახან დაემთავრებინათ ჩაცმა. ერთი მონაზვნის სამოსში იყო გამოწყობილი, შავ შესამოსელზე გულისპირიდან ქობამდე თეთრი ზოლები დაეკერებინა, ოღონდ მოკლე-მოკლე ხაზები ახლო-ახლო განელაგებინა, უფრო გრძელი ხაზები კი შორიშორ და კოსტიუმი თერმომეტრის სკალისთვის დაემსგავსებინა, გაცრეცილ ტუჩებზე თითი მიედო, მეორე ხელში კი ტემპერატურის ცხრილი ეჭირა. მეორე ნიღაბი თავიდან ფეხებამდე ლურჯად შემოსილიყო, ბაგეები და წარბებიც ლურჯად შეეღება, სახე და ყელიც ლურჯად მოეხატა, თავზე ლურჯი ნაქსოვი ქუდი ჩამოეფხატა და მხრებზე მოსასხამისმაგვარი ბრჭყვიალა ტილოს ნაჭერი წამოესხა, რომელიც კოჭებთან ბაფთებით გამოენასკვა, ხოლო მუცელთან გამობერილი ჰქონდა. ყველამ იცნო ფრაუ ილტისი და ბატონი ალბინი. ორივეს ყელზე მუყაოს ფარები ეკიდა, ერთ-ერთზე ეწერა: „მუნჯი დაიკო“, მეორეზე კი ლურჯი ჰაინრიხი“. ხელიხელჩაკიდებულმა ნიღბებმა სასადილო დარბაზს ყანყალ-ყანყალით შემოუარეს. დარბაზში დიდი ტაშისცემა და ჟივილ-ხივილი ატყდა. ფრაუ შტორს ცოცხი იღლიის ქვეშ გამოერჭო, ხელები მუხლებზე დაებჯინა და აქაოდა, დამლაგებლის როლს ვასრულებო, სიცილ-ხარხარით იკლებდა იქაურობას. მხოლოდ სეტემბრინისარ შეუცვლია ნირი. მან ლამაზად გადაწკეპილ ულვაშს ქვემოთ მაგრად მოკუმა ტუჩები და მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი ასე მოწონებულ ნიღბოსან წყვილს.
იმათ შორის, ვინც ლურჯსა“ და მუნჯს“ სალონიდან ამალად გამოჰყოლოდა, კლავდია შოშაც იყო. ფრაუ შოშას თან გრუზათმიანი თამარა და ის მკერდჩავარდნილი თანამესუფრე ახლდა, ვინმე ბულიგინი, რომელსაც დღეს საგარეო კოსტიუმი ეცვა. ახალ კაბაში გამოწყობილმა კლავდია შოშამ ჰანს კასტორპის მაგიდას ჩაუარა და ახალგაზრდა გენზერისა და კლეეფელდის მაგიდისაკენ აიღო გეზი, მათთან შეჩერდა, ხელები უკან შემოიწყო, ვიწრო თვალები ღიმილმა გაუნათა და საუბარში ჩაება. დანარჩენები კვლავ ალეგორიულ მოჩვენებებს დაჰყვებოდნენ და მათთან ერთად გავიდნენ კიდეც დარბაზიდან. ფრაუ შოშასაც საკარნავალო ქუდით შეემკო თავი, ოღონდ ნაყიდი ქუდით კი არა, თავზე, ბავშვებს რომ უკეთებენ სამკუთხად მოკეცილი თეთრი ქაღალდისაგან, ისეთი ქუდი ეხურა. ოდნავ გვერდზე მოგდებული ქუდი არაჩვეულებრივად შვენოდა. ოქროსფრად მოლივლივე მუქი ყავისფერი კაბა ფეხებს არ უფარავდა, ქვედაკაბაზე ოდნავ ნაოჭიც ჰქონდა ასხმული, მკლავებზე აღარაფერს ვამბობთ, ისინი, როგორც მოგახსენეთ, მხრებამდე ჰქონდა მოშიშვლებული.
- „კარგად გასინჯე!“ - თითქოს შორიდან გაიგონა ჰანს კასტორპმა ბატონი სეტემბრინის ხმა. ბატონმა სეტემბრინიმ მიმავალ ქალს შემინულ კარამდე გააყოლა თვალი, - „ლილიტი არის“.
(„ლილიტი არის“ - მეფისტოფელის სიტყვები სცენიდან ვალპურგის ღამე“ („ფაუსტი“). თქმულების მიხედვით, ლილიტი ადამის პირველი ცოლია. ადამმა იგი უარყო, რადგან საკუთარ შვილებს ხოცავდა. ლილიტი შემდეგ სატანის საყვარელი და ავხორცობის დემონი გახდა.) - ვინ? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა.
ლიტერატორს გაუხარდა და განუმარტა:
- „ადამის პირველი ცოლი. უფრთხილდი...“(ფაუსტი“, გვ. 265.)
მათ გარდა მაგიდასთან დოქტორი ბლუმენკოლიღა იჯდა, თავის მოშორებულ ადგილზე მიყუჟული. დანარჩენები, მათ შორის იოახიმიც, სალონებში გაკრეფილიყვნენ. ჰანს კასტორპმა თქვა:
- დღეს შენ თავი პოეზიითა და ლექსებით გაქვს გამოტენილი. ეს ლილიტი ვინღაა? განა ადამს ორი ცოლი ჰყავდა? ეგ მე არ ვიცოდი...
- ასე ამბობს ებრაული ლეგენდა. ეს ლილიტი შემდეგ აჩრდილად იქცა და სახიფათო გახდა ახალგაზრდა მამაკაცებისათვის, განსაკუთრებით თავისი მშვენიერი თმით.
- ფუი ეშმაკს! მშვენიერთმიანი ღამეული მოჩვენება, ხომ? შენ კი ასეთებს ვერ იტან, არა? მოდიხარ და ელექტრონის შუქს ანთებ. ასე ვთქვათ, იმისათვის, რომ ახალგაზრდა მამაკაცები სწორ გზაზე დააყენო. განა ასე არ არის? - დაჟინებით

ჩაეკითხა ჰანს კასტორპი. მას საკმაოდ ეყლაპა ნარევი ღვინო.
- ყური მიგდეთ, ინჟინერო, მოეშვით ამ ამბებს! - წარბები შეჭმუხნა და ისე უბრძანა სეტემბრინიმ, - თუ შეიძლება, განათლებულ ევროპაში მიღებული ფორმა იხმარეთ მიმართვისა, მეორე პირი Pluralis
(მრავლობითი რიცხვი (ლათ.).) , შენობით ლაპარაკი სულ არ გიხდებათ!
- ეგ რა გამოვიდა? ჩვენ ხომ კარნავალი გვაქვს! ამ საღამოს მიღებულია შენობით ლაპარაკი...
- დიახ, მიღებული გახლავთ თავისი უზნეო მომხიბვლელობის გულისთვის. შენობით ლაპარაკი უცნობებს შორის, ესე იგი, იმ პიროვნებებს შორის, რომლებიც, ჩვეულებრივ, თქვენობით მიმართავენ ერთმანეთს,ამაზრზენი ველურობაა, პირველყოფილობანას თამაშია, აღვირახსნილი თამაში, რომელიც ზიზღსა მგვრის, რადგან იგი, პრინციპში, ცივილიზაციისა და პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგაა მიმართული, თან უსირცხვილოდ და თავხედურადაც. მე თქვენთვის „შენ“ არ მიკადრებია, ეგრე ნუ წარმოიდგენთ! მე მხოლოდ ციტატა მოგიყვანეთ თქვენი ეროვნული ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრიდან. მე, მოგეხსენებათ, პოეტური ენით გესაუბრებოდით...
- მეც! მეც ასევე პოეტური ენით ვლაპარაკობ, ეს წუთი საამისოდ შესაფერი მეჩვენა და შენობით იმიტომ მოგმართე. ამით სულაც არ მინდა ვთქვა, თითქოს ჩემთვის სავსებით ბუნებრივი იყოს ასე ლაპარაკი. განა მეადვილება შენთან შენობით საუბარი, პირიქით, ეს საკმაო ძალდატანების ფასად მიჯდება, ბიძგი მჭირდება და სიხარულით, სულითა და გულით ვუბიძგებ თავს...
- სულითა და გულით?
- დიახ, სულითა და გულით, შეგიძლია მერწმუნო. ჩვენ ხომ უკვე დიდი ხანია ერთად ვართ აქ, ზევით, შვიდი თვეა, თუ იანგარიშებ. აქაური თვალსაზრისით ეს დიდი დრო არ არის, მაგრამ ბარის ცნებებს თუ მოვიშველიებთ, ეს უზარმაზარი დროა. ჰოდა, ეს უზარმაზარი დრო ჩვენ ერთად გავატარეთ, რადგან ცხოვრებამ შეგვყარა ერთმანეთს, ყოველდღე ვხვდებოდით და საინტერესოდაც ვსაუბრობდით ნაწილობრივ ისეთ საგნებზე, ქვევით ვერაფერს რომ ვერ გავუგებდი. აქ კი მშვენივრად მესმის ყველაფერი. აქ ეს საგნები მნიშვნელოვანი და ახლობელი გახდა ჩემთვის, ისეთი მნიშვნელოვანი, რომ დისკუსიისას გულისყურად ვიყავი ქცეული. უფრო მეტიც, შენ რომ ჰომო ჰუმანის-ის პოზიციებიდან განმიმარტავდი რომელიმე საკითხს, მე, რა თქმა უნდა, გამოცდილება არ მყოფნიდა, ჩემი მხრივ დამემატებინა რამე, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველთვის ყურადსაღებად მიმაჩნდა შენი ნათქვამი. იმდენი რამ გავიგე და ვისწავლე შენგან... კარდუჩისთან დაკავშირებული ამბები უმცირესი იყო მათ შორის, მაგრამ რესპუბლიკა რომ მშვენიერსტილს უკავშირდება, ხოლო დრო-ჟამი კაცობრიობის პროგრესთანაა გადაჯაჭვული, უფრო მეტიც, დრო-ჟამი რომ არ ყოფილიყო, ვერც კაცობრიობის პროგრესი იარსებებდა, მსოფლიო კი მხოლოდ და მხოლოდ დამყაყებული გუბე ან აშმორებული წუმპე იქნებოდაო, საიდან მეცოდინებოდა ეს ამბები, შენ რომ არ ყოფილიყავი? მე უბრალოდ გეუბნები „შენ“ და მეტს არაფერს გეტყვი, მომიტევე, მაგრამ სხვანაირად ვერც წარმომიდგენია და არც შემიძლია. აი, ზიხარ აქ და მე უბრალოდ გეუბნები „შენ“ და ეს კმარა. შენ ვიღაც კაცი კი არა ხარ, შენ წარმომადგენელი ხარ, ბატონო სეტემბრინი, აქაურობის წარმომადგენელი ხარ და ჩემი მხარე გიჭირავს, აი, ვინა ხარ შენ, - დაასკვნა ჰანს კასტორპმა და ხელი მაგიდაზე დაარტყა. - ახლა კი მინდა მადლობა გითხრა, - განაგრძო მან და შამპანურისა და ბურგუნდიულის ნარევით სავსე ჭიქა ბატონი სეტემბრინის ყავის ფინჯანთან ისე ახლოს მიიტანა, თითქოს მიჭახუნებას უპირებსო, - მინდა მადლობა გითხრა იმისათვის, რომ ამ შვიდი თვის განმავლობაში ასე მეგობრულად მექცეოდი და მე, ახალგაზრდა mulus
-ს(მულუს (ლათ. ვირი) - გერმანიაში აბიტურიენტის სახუმარო სახელწოდება.)
, რომელსაც ამდენი სიახლე დამატყდა თავს, ვარჯიშებსა და ექსპერიმენტებში დახმარების ხელს მიწვდიდი. მადლობა უნდა გითხრა იმისათვის, რომ ცდილობდი, სავსებით სინე პეცუნია გამოგესწორებინე - ნაწილობრივ სხვადასხვა მონათხრობის შემწეობით, ნაწილობრივ კი აბსტრაქტული ფორმით: აშკარად ვგრძნობ, რომ დადგა წამი, როცა ამისათვის და ყველაფრისათვის მადლობა უნდა გადაგიხადო და პატიება გთხოვო: მომიტევე, თუ ცუდი მოწაფე გამოგადექი,

მომიტევე, შენი სიტყვებით რომ ვთქვა, „თუ ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ ვიყავი. ამ სიტყვებმა მაშინაც ამიჩუყა გული და ყოველთვის გულს მიჩუყებს, როცა გამახსენდება. „ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“, დიახ, ეს ვიყავი შენთვისაც და შენი პედაგოგიური ფხისთვისაც. ეს შენ პირველ დღესვე აღნიშნე. რა თქმა უნდა, ესეც ფორმაა იმ კავშირისა, შენ რომ მასწავლე, ერთ-ერთი ფორმა ჰუმანიზმსა და პედაგოგიკას შორის, არსებული კავშირისა, - კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე გამეხსენებინა. მაშ, მომიტევე და ცუდად ნუ მომიგონებ! შენ გაგიმარჯოს, ბატონო სეტემბრინი, იცოცხლე! მე ვცლი ჭიქას შენი ლიტერატურული მოღვაწეობის პატივსაცემად, რომელიც ადამიანურ ტანჯვათა ამოსაძირკვადაა მოწოდებული, - დაასრულა მან, გადაიზნიქა, თავისი ღვინის ნარევი რამდენიმე ყლუპით გამოცალა და ფეხზე წამოდგა. - ახლა კი დანარჩენებს შევუერთდეთ! - დასძინა ჰანს კასტორპმა.
- მისმინეთ, ინჟინერო, რომელმა ბზიკმა გიკბინათ დღეს? - ჰკითხა იტალიელმა, გაოცებული თვალები მიაპყრო და მაგიდას მაშინვე მოსცილდა, - ეს გამოთხოვებასავით ჟღერს...
- რას ბრძანებთ, გამოთხოვება რა შუაშია? - სიტყვა ბანზე აუგდო ჰანს კასტორპმა. მან არა მარტო სიტყვით მოარიდა თავი პირდაპირ პასუხს, სხეულითაც განერიდა ბატონ სეტემბრინის, წელში მოიხარა და ფროილაინ ენგელჰარტს შეეგება, რომელიც სწორედ მათ წასაყვანად მოდიოდა. თურმე მუსიკალურ სალონში ჰოფრატი დირექციის ხარჯზე საკარნავალო პუნშითუმასპინძლდებოდა ყველას.
ბატონები ახლავე წამოვიდნენ, თუ უნდათ, თითო ჭიქა მათაც ერგოთო, მოახსენა ორივეს ფროილაინ ენგელჰარტმა. ყველანი გავიდნენ დარბაზიდან.
ჰოფრატი მართლაც სალონის შუაგულში დადგმულ თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან იდგა, ირგვლივ პაციენტები შემოხვეოდნენ და პატარ-პატარა ტოლჩებს უწვდიდნენ. ჰოფრატი თასიდან ჩამჩით იღებდა ოხშივარავარდნილ სასმელს. ტანსაცმელი მასაც საკარნავალოდ გაეხალისებინა, დღესაც ექიმის ხალათი ეცვა, - ექიმმა ხომ არ იცის, რა არის დასვენება, მაგრამ თავზე ჭიაფერი, ნამდვილი თურქული ფესი ეხურა და ფესის შავი ფუნჯი ყურზე ეხლებოდა. ეს კოსტიუმი თავის ფესიანად სავსებით საკმარისი გახლდათ - სავსებით კმაროდა იმისათვის, რომ მისი ისედაც გამორჩეული გარეგნობა საოცრებისა და აღტყინების სიმაღლემდე ასულიყო. გრძელი თეთრი ხალათი ჰოფრატს კიდევ უფრო მაღალს აჩენდა, ხოლო წუთით რომ წარმოგვედგინა, ეს წახრილი კისერიც გამართული ჰქონოდა, მაშინ ხომ თვალს ვეღარ შევუწვდენდით და ზედმიწევნით თავისებურად მოყვანილი თავიც ტანთან შედარებით მეტისმეტად პატარა გამოჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჰანს კასტორპს ეს სახე ისეთი უცნაური არასოდეს მოსჩვენებია, როგორც ამ იდიოტურ ქუდში ჩანდა. ეს მიბრტყელებული, პაჭუაცხვირიანი, ლოყებჩალურჯებული ფიზიონომია, ქერა წარბებქვეშ აცრემლებული ლურჯი, გადმოკარკლული თვალები და რკალვით გაჭრილ აბზეკილ ტუჩებზე გადაწყობილი ქერა, აბურძგნილი ულვაში უცნაური ეჩვენებოდა. ჰოფრატი თასიდან ამოსულ ოხშივარს თავს არიდებდა და ყავისფერ სასმელს, დაშაქრულ პუნშს, ჩამჩით ნაკადად უშვებდა გამოწვდილ ჭიქებში, თან თავისებურად ოხუნჯობდა და მაგიდის ირგვლივ ერთი ხორხოცი და ტკრციალი იდგა.
- „ბატონი ურიანი მოქრის აქ ჯირითით!“(„ფაუსტი“, გვ. 258.)
- ხელი ჰოფრატისაკენ გაიშვირა და ისე წაილაპარაკა სეტემბრინიმ, მაგრამ ამ დროს იგი ჰანს კასტორპთან ერთად მიაგდეს გვერდზე. დოქტორი კროკოვსკიც აქ გახლდათ. ტანმორჩილ, ჩასკვნილ, კერკეტა კაცს შავი ლიუსტრინის ხალათი ისე უბრალოდ მოეგდო მხრებზე, კაცს დომინო ეგონებოდა, ჭიქა ხელუკუღმა დაეჭირა, ზედ ცხვირთან მიეტანა დანიღბების წყალობით სქესარეული პაციენტების ერთ ჯგუფს მხიარულად ესაუბრებოდა. გაისმა მუსიკის ხმა. ტაპირისსახიანმა პაციენტმა ვიოლინოზე ჯერ ჰენდელის ლარგო დაუკრა, შემდეგ კი გრიგის მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ხასიათის, მაგრამ ოდნავ სალონური სონატა. სოლისტს აკომპანემენტს მანჰაიმელი უწევდა. საზოგადოებამ გულკეთილად დაუკრა ტაში. ტაში ბრიჯის სათამაშო მაგიდებთან შეკრებილმა უნიღბო და ნიღბიანმა პაციენტებმაც დაუკრეს. მათ ყინულიან სათლებში ჩაცივებული სასმელები მოედგათ გვერდით, კარი ყველგან მოღებული იყო. პაციენტები

ვესტიბიულშიც იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, ხოლო ერთ ჯგუფს პუნშიან მრგვალ მაგიდასთან ჰოფრატის ირგვლივ მოეყარა თავი. ჰოფრატი საზოგადოებას მხიარული თამაშით ართობდა. იგი მაგიდაზე წახრილიყო და სადარბაზო ბარათის უკანა მხარეზე თვალდახუჭული ხატავდა რაღაც ფიგურას. თავი უკან გადაეგდო, ყველამ დაინახოს, თვალები დახუჭული რომ მაქვსო, უზარმაზარ ხელში ფანქარი ეჭირა და თვალების დაუხმარებლად პროფილში გამოჰყავდა გოჭის კონტურები. სურათი, ცოტა არ იყოს, მარტივი გამოუდიოდა და გოჭი იდეალურ გამოსახულებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ცხოვრებისეულს, მაგრამ გოჭს კი ნამდვილად ჰგავდა. ისიც ხომ იყო ანგარიშგასაწევი, რომ ჰოფრატს რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ეს ჰოფრატის ერთ-ერთი ფოკუსთაგანი გახლდათ. მხატვარმა გოჭს თითქმის იქ დაუსვა ჭრუტა თვალი, სადაც საჭირო იყო, დინგთან ოდნავ უფრო ახლოს, მაგრამ დაახლოებით თავის ადგილზე. აცქვეტილი ყურებიც კოხტად მიაბა თავზე, მომრგვალებულ მუცელზე პატარა ფეხებიც მიახატა და ასევე მომრგვალებული ზურგის ხაზის ბოლოში რგოლივით კოხტად დახვეული კუდი დაამატა. ნაწარმოები რომ დაასრულა, ყველას აღტაცების შეძახილი აღმოხდა და პატივმოყვარეობააღძრულნი ფანქარს წაეტანენ, აბა, ერთი ჩვენც ვსინჯოთო. ოღონდ იმათგან, თვალდახუჭულის რა მოგახსენოთ და, ერთი-ორი კაცი თვალახელილი თუ შეძლებდა გოჭის დახატვას. რა მახინჯი ქმნილებები არ გამოუდიოდათ მოხალისე მხატვრებს! სხეულის ერთი ნაწილი ალთას მიდიოდა, მეორე - ბალთას. თვალი თავის გარეთ რჩებოდა, ფეხები - მუცელში, მუცლის ხაზი შეკრული არ იყო, კუდი სადღაც ცალკე იგორგლებოდა, აცაბაცა დახატულ ტანთან არავითარი ორგანული კავშირი არ ჰქონდა და ცალკე დახატულ არაბესკასავით გამოიყურებოდა. მაყურებლებს სიცილისაგან მუცელზე კანი აღარ შერჩათ. ჯგუფს თანდათან შემოემატა ხალხი. დაინტერესდნენ ბრიჯის მოთამაშენიც და მარაოსავით გადაშლილი კარტით ცნობისმოყვარედ შემოეჯარნენ მაგიდას. მაყურებლები ბედის მცდელებს თვალებში შესცქეროდნენ, არ გამოიჭყიტოსო, რადგან ზოგიერთი თავის უძლურებას რომ იგრძნობდა, ქურდულად იჭვრიტებოდა ხოლმე, ხითხითებდნენ და ფხუკუნებდნენ, სანამ მხატვარს“ ხაზები ბრმად გამოჰყავდა და მერე ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, როცა ის თვალებს გაახელდა და თავის ნაცოდვილარს დახედავდა. შეჯიბრებაში ყველას საკუთარი თავის მატყუარა რწმენა ითრევდა. სადარბაზო ბარათი მოზრდილიიყო, მაგრამ ორივე მხარეს მალე დააჯღაბნა აცაბაცა, ერთმანეთში გადახლართული ხაზებით, ჰოფრატმა მეორე ცალიც გაიმეტა, პორტფელიდან ამოაძვრინა კიდევ ერთი სადარბაზო ბარათი. პროკურორმა პარავანტმა გულში გადაწყვიტა, გოჭს ერთი ხელის მოსმით დავხატავო, მაგრამ მისმა მარცხმა ყველა დანარჩენებისას გადააჭარბა. მის მიერ შექმნილი ორნამენტი არამცთუ გოჭს, არამედ დედამიწის ზურგზე გავრცელებულ არც ერთ სულიერს შორეულადაც კი არ მოგაგონებდათ. პროკურორს სიცილი დააყარეს და გულმხურვალედ მიულოცეს წარმატება“. ვიღაცებმა სასადილო დარბაზიდან მენიუს ფურცლები გამოიტანეს და ახლა ბევრს შეეძლო, ქალბატონებსაც და ბატონებსაც, მხატვრობაში ბედი ეცადა: ყოველ კონკურენტს თავისი ზედამხედველი და მაყურებელი გამოუჩნდა, თან თითოეული მათგანი ფანქრის ხელში მოგდებას ელოდა. შეჯიბრების მონაწილეებს სამად სამი ფანქარი ჰქონდათ და ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ. ფანქრები პაციენტებისა გახლდათ. ჰოფრატმა დაინახა, რომ ახალი თამაში უკვე გახურებული იყო და თანაშემწესთან ერთად გაუჩინარდა. პაციენტების წრეში ჩამდგარი ჰანს კასტორპი მხატვრებს იოახიმის მხარს ზემოდან დაჰყურებდა. ცალი იდაყვი ბიძაშვილის მხარზე ჩამოეყრდნო, ნიკაპი მუჭში მოემწყვდია და მეორე ხელი თეძოზე შემოედო. იგი თან ლაპარაკობდა და თან იცინოდა. მასაც უნდოდა, გოჭი დაეხატა, ხმამაღლა ითხოვდა, მეც დამახატვინეთო და, როგორც იქნა, ერთი ისეთი დალეული ფანქარი ჩაიგდო ხელში, მხოლოდ ცერსა და საჩვენებელ თითს თუ მოავლებდა. ჰანს კასტორპი აგინებდა ფანქრის ნალევს, თვალდახუჭული სახე ჭერისაკენ აღეპყრო, ხმამაღლა ილანძღებოდა, წყევლიდა გამოუსადეგარ ჩხირს და თან აკანკალებული ხელით მუყაოზე რაღაც საფრთხობელა გამოჰყავდა. ბოლოს ხელი სუფრაზე გადაუცდა.

- ეს არ ითვლება, აბა, ამით რა უნდა დახატო, ფუ, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია! - საყოველთაო სიცილ-ხარხარში დაიძახა მან და დამნაშავეს პუნშის თასში

ჩაუძახა, - ვისა აქვს წესიერი ფანქარი? ვინ მათხოვებს? ერთხელ კიდევ უნდა დავხატო! ფანქარი! ფანქარი! ვისა აქვს ფანქარი? - გაჰყვიროდა იგი, მარჯვენა ხელს ჰაერში იქნევდა. ფანქარი არავინ მისცა. მაშინ ჰანს კასტორპი გამობრუნდა, მაგიდას მოსცილდა და ყვირილით განაგრძო ფანქრის თხოვნა. მერე პირდაპირ კლავდია შოშას მიაშურა, იცოდა, რომ იგი მცირე სალონის ფარდასთან იდგა და პუნშის მაგიდასთან ატეხილ გაწამაწიას შორიდან ღიმილით უყურებდა.
ზურგს უკან სასიამოვნო ხმით წარმოთქმული უცხო სიტყვებიგაიგონა:
- Eh! Ingegnere! Aspetti! Che cosa fa! Ingegnere! Un po di ragione, sa! Ma è matto questo ragazzo! !(ჰეი, ინჟინერო! შეჩერდით! რას სჩადიხართ? ინჟინერო! გონს მოდით! ეს ბიჭი გაგიჟდა! (იტალ.).)
მაგრამ ეს ხმა თავისი ყვირილით ჩაახშო. სხვებმა შენიშნეს, როგორ შემოიკრა ბატონმა სეტემბრინიმ თავში ორივე ხელი და იქაურობას განერიდა. ეს მის სამშობლოში მიღებული ჟესტი გახლდათ, რომლის აზრსაც ერთი სიტყვით აგრე იოლად ვერ გამოხატავდით და რომელსაც გაგრძელებული ეეჰ!“ ახლდა თან. ჰანს კასტორპი კი კვლავ კლინკერით მოკირწყლულ სკოლის ეზოში იდგა, ამობურცულ ყვრიმალებს ზემოთ განლაგებულ ეპიკანტიან მოცისფრო-მონაცრისფრო-მომწვანო თვალებს შეჰყურებდა და ამბობდა:
- იქნებ შენ გქონდეს ფანქარი?
ჰანს კასტორპს სახეზე მკვდრისფერი ედო, ისევე როგორც მაშინ, მარტოდმარტო გასეირნების შემდეგ ლექციაზე სისხლით მოთხუპნილი რომ გამოცხადდა. ამჯერადაც ცხოვლად ამოქმედებულიყო სახისაკენ მიმავალი ნერვების სისტემა: ახალგაზრდა სახის კანი სისხლისაგან დაეწრიტა, გაეფითრებინა და ყინულივით გაეცივებინა, ცხვირი წაეწვეტებინა, ხოლო თვალის უპეები მიცვალებულივით ჩაელურჯებინა. სიმპათიკურმა ნევრმა გულს ისეთი ბაგაბუგი აუყენა, რომ თანაბარ სუნთქვაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი, კანქვეშა ცხიმოვანი ჯირკვლების განკარგულებით ჰანს კასტორპს ტანში ჟრჟოლამ დაუარა და კანზე ბალანი წამოეშალა.
სამკუთხაქუდიანმა თავიდან ფეხებამდე ღიმილით შეავლო თვალი, ოღონდ ამ ღიმილში არავითარი თანაგრძნობა, მისი სასოწარკვეთილი სახით აღძრული არავითარი წუხილი არ იგრძნობოდა. ამ ჯილაგს საერთოდ არ სჩვევია ვნებათაღელვის მიმართ თანაგრძნობის, მოკრძალებისა და შიშის გამოჩენა. ეს სტიქია მისთვის უეჭველად უფრო მახლობელია, ვიდრე მამაკაცისათვის, რომელიც თავისი ბუნებით არავითარ შემთხვევაში არ გრძნობს თავს ამ სტიქიაში თავისუფლად და ვნებათა ღელვის ბრჭყალებში ჩავარდნილს ქალისაგან დაცინვა და ნიშნის მოგება მოელის. თუმცა ჰანს კასტორპი ახლა თანაგრძნობასა და წუხილზეც მადლობით იტყოდა უარს.
- მე? - ამ შენს“ უპასუხა მკლავებმოშიშვლებულმა ავადმყოფმა, - მგონი, მაქვს, - დასძინა ქალმა და ღიმილსა და ხმაში მაინც შეეპარა მღელვარება. ასეთი მღელვარება ეუფლება ადამიანს, როცა ხანგრძლივი, უსიტყვო ურთიერთობის შემდეგ პირველად მოუხდება ვინმესთვის ხმის გაცემა. ეს ცბიერი მღელვარებაა, განვლილ დროში მომხდარ ყველა მოვლენას იმ წუთში იდუმალად რომ იტევს, - შენ ძალიან პატივმოყვარე ხარ... შენძალიან... ფიცხი ხარ, - განაგრძო მან თავისი ეგზოტიკური გამოთქმა. „რ“ უცხოდ გაისმა, „ე“ მეტისმეტად ღიად და დამცინავად ჟღერდა, ხოლო სიტყვა პატივმოყვარეს“ მისმა ოდნავ მოგუდულმა, სასიამოვნოდ ჩახრინწულმა ხმამ მახვილი მეორე მარცვალზე დაუსვა და ამ სიტყვამ სავსებით უცხო ჟღერადობა შეიძინა. ქალმა ტყავის ხელჩანთაში მოაფათურა ხელი, შიგ ჩაიხედა, ჯერ ცხვირსახოცი ამოიღო, მერე კი ხელს ვერცხლის ბუდეში ჩასმული პაწაწინა ფანქარი ამოაყოლა, წვრილი და უსუსური საგალანტერიო ნივთი, რომელიც სერიოზულ საქმეში არა გვგონია, ვინმეს გამოსდგომოდა. ის პირველი, მაშინდელი ფანქარი გაცილებით გამოსადეგი და პრაქტიკული გახლდათ.
- Voilà!
(აჰა! (ფრანგ.).) - უთხრა ჰანს კასტორპს ქალმა, ფანქარი ცერითა და საჩვენებელი თითით დაიჭირა და თვალწინ გაუტარ-გამოუტარა.
ქალი აძლევდა და არც აძლევდა ფანქარს, ჰანს კასტორპიც წაეპოტინა, ესე იგი, ხელი ფანქრის სიმაღლეზე ასწია, თითები მზად ჰქონდა ფანქრის ჩასაბღუჯად, მაგრამ არ მიჰკარებია, ამოღამებული თვალებით ხან ფანქარს უყურებდა და ხან

კლავდიას შესცქეროდა თათრულ სახეში, სისხლდაწრეტილი ბაგე გაეღო და ტუჩების შეურხევლად ბუტბუტებდა:
- ხედავ, ვიცოდი, რომ გექნებოდა.
- Prenez garde, il est un peu fragile
, - უპასუხა მან, - C'est à visser, tu sais
(ფრთხილად, ადვილად ტყდება, ამოხრახნვა სჭირდება (ფრანგ.).) მათი თავები ერთად დაიხარნენ ფანქრისაკენ და ქალმა ფანქრის მარტივი მექანიზმი უჩვენა: პაწაწკინტელა ხრახნს რომ მოატრიალებდი, ბუდიდან გრაფიტის ნემსივით წვრილი, მაგრამ ეტყობოდა, მაგარი ჩხირი გამოყოფდა თავს.
ისინი ერთმანეთთან ახლოს იდგნენ. ჰანს კასტორპს დღეს საგარეო კოსტიუმი ეცვა და შეეძლო ნიკაპი პერანგის გახამებულ საყელოზე დაებჯინა.
- პატარაა, მაგრამ შენია, - შუბლით თითქმის კლავდიას შუბლს შეეხო, ფანქარს დახედა და ტუჩების გაუნძრევლად, ლაბიალური ბგერები სულ რომ არ წარმოუთქვამს, ისე ჩაილაპარაკა მან.
- ო, შენ ოხუნჯიც ყოფილხარ, - ჩაიცინა ქალმა, წელში გაიმართა და ახლა კი დაანება ფანქარი (უფალმა უწყის, ჰანს კასტორპს რა ეოხუნჯებოდა, როცა ტვინი სისხლისაგან ჰქონდა დაწრეტილი).
- მაშ წადი, გაიქეცი, დახატე, კარგად დახატე. თავი ისახელე! - ოხუნჯობითვე შეეცადა ქალი, თავიდან მოეცილებინა იგი.
- არა, შენ ხომ არ დაგიხატავს. ჯერ შენ უნდა დახატო, - ბგერებს ყლაპავდა და ისე ეუბნებოდა ჰანს კასტორპი, თან უკან იხევდა და ქალსაც წასაყვანად ეწეოდა.
- მე? - კვლავ გაოცებით გაიმეორა მან და ხმაზე შეეტყო, რომ ამ პასუხში მის მოთხოვნაზე გაცილებით მეტს გულისხმობდა. სახეზე შეცბუნებული ღიმილი გამოესახა, ცოტა ხანს კიდევ იდგა ადგილზე, მერე კი თითქოს მის დამამაგნიტებელ ჟესტს დაემორჩილაო, პუნშის მაგიდისაკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.
ოღონდ იქ, ეტყობოდა, უკვე ჩამქრალიყო ენთუზიაზმი. ვიღაც კიდევ ხატავდა, მაგრამ ზედაც არავინ უყურებდა. ბარათები უაზრო ნახატებით იყო დაფარული, ზედ ყველას თავისი უნიჭობა მოესინჯა, მაგიდა მიეტოვებინათ და მისკენ აღარც კი იხედებოდნენ. პაციენტები დარწმუნდნენ, რომ ექიმები იქ აღარ იყვნენ და ცეკვის ნიშანი მისცეს. მაგიდები გვერდზე მიაჩოჩეს, სამკითხველო და მუსიკალური ოთახების კარებთან მეთვალყურეები დააყენეს, მათ დათქმული ნიშანი უნდა მიეცათ და მეჯლისი შეეჩერებინათ, თუკი მოხუცი", კროკოვსკი ან უფროსი ექთანი გამოჩნდებოდნენ სადმე. ერთმა სლავმა ჭაბუკმა გატაცებით დაჰკრა თითები კაკლის ხის პატარა პიანინოს კლავიშებს და მაყურებლების სავარძლებისა და სკამების უსიმეტრიო წრეში პირველი წყვილები დატრიალდნენ.
ჰანს კასტორპმა დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია კედლისკენ გაცურებულ მაგიდას და შემდეგ ფრაუ შოშას მცირე სალონში, პორტიერების ახლოს მყუდრო კუთხეში მიდგმულ თავისუფალ სკამებზე ნიკაპით ანიშნა. სიტყვა არ დაუძრავს, ალბათ, იფიქრა, მაინც მუსიკა ჩაახშობს ჩემს ხმასო. ფრაუ შოშასათვის ეგრეთ წოდებული ტრიუმფალური სკამი მოაჩოჩა, ეს სწორედ ის პლუშგადაკრული სკამი გახლდათ, ქალს მანამდე მიმიკით რომ მიანიშნა. თვითონ ჭრიალა, მკლავებმომრგვალებული, მოწნული სკამი დაისაკუთრა, ქალს გვერდით მიუჯდა, იდაყვებით სახელურებს დაეყრდნო და მისკენ დაიხარა. ფანქარი ხელში ეჭირა, ფეხები კი სკამქვეშ ჰქონდა შეწყობილი. ფრაუ შოშა პლუშგადაკრულ სკამზე ისე მიწოლილიყო, რომ მუხლები ზემოთ ჰქონდა აწეული, მაგრამ ფეხი ფეხზე მაინც გადაედო და ცალ ფეხს აქანავებდა. შავი ლაქის ფეხსაცმელებიდან შავივე აბრეშუმის წინდებში გამოკვართული კოჭები მოუჩანდა. მათ წინ სხვები ისხდნენ, დგებოდნენ, ცეკვავდნენ და ცეკვით დაღლილებს ადგილს უთმობდნენ. იყო ერთი წასვლა-წამოსვლა.
- შენ ახალი კაბა გაცვია, - უთხრა ჰანს კასტორპმა ქალს, რათა მისითვალიერების საბაბი ჰქონოდა და ქალის პასუხიც გაიგონა.
- ახალი? ასე კარგად ერკვევი ჩემს ტუალეტებში?
- ხომ მართალი ვარ?
- მართალი ხარ. ეს კაბა ცოტა ხნის წინ შევაკერინე ლუკაჩეკს სოფელში. აქ, ზევით,

მას ბევრი მუშტარი ჰყავს. მოგწონს?
- ძალიან, - მიუგო მან, ერთხელ კიდევ შეავლო ქალს თვალი და მერე ძირს დაიხედა, - გინდა ვიცეკვოთ? - დასძინა მერე.
- შენ კი გინდა? - წარბები ასწია, გაიღიმა და ისე ჰკითხა ქალმა.
- შენ თუ გენდომებოდა, ვიცეკვებდი.
- შენ არც ისე წესიერი ყოფილხარ, როგორიც მეგონე, - უთხრა ქალმა და მისი აგდებული სიცილი რომ გაიგონა, დასძინა, - შენი ბიძაშვილი უკვე წავიდა.
- დიახ, ის ჩემი ბიძაშვილია, - უადგილოდ დაუდასტურა მან, - ადრევე შევამჩნიე, რომ წავიდა. ალბათ, დაწვებოდა.
- C’est un jeune homme très étroit, très honnête, très allemand
.(ზედმიწევნით პატიოსანი კაცია, ზედმიწევნით შეზღუდული, ზედმიწევნით გერმანელი (ფრანგ.).)
- Étroit? Honnête?(SezRuduli? patiosani? (frang.).)
- გაიმეორა მან, - ფრანგული იმაზე უკეთ მესმის, ვიდრე ვლაპარაკობ. შენ გინდა თქვა, რომ ის პედანტური კაცია, არა? განა გერმანელებს პედანტებად გვთვლი? - nous autres Alleinands
(ჩვენ, გერმანელებს? (ფრანგ.).) ?
— Nous causons de votre cousin. Mais c'est vrai, ihr seid ein wenig bourgeois. Vous aimez l'ordre mieux que la liberté, toute l'liurope le sait.
(ჩვენ თქვენს ბიძაშვილზე ვლაპარაკობთ, თუმცა ეს მართალია, თქვენ თავისუფლებაზე მეტად წესრიგი გიყვართ. ეს მთელმა ევროპამ იცის (ფრანგული ტექსტი ყველგან თარგმნა ნ. ქადეიშვილმა).) - Aimer... aimer . . . Qu’est-ce que c’est! Ça manque de délinition, ce mot-là
— ერთი ფლობს, მეორეს უყვარს comme nous disons proverbialement,
(სიყვარული... სიყვარული... მაინც რას ნიშნავს ეს? ეს სიტყვა ძალიან განუსაზღვრელია, როგორც ჩვენში ამბობენ...) - ამტკიცებდა ჰანს კასტორპი, - მე უკანასკნელ ხანს, - განაგრძო მან, - ზოგჯერ მიფიქრია თავისუფლებაზე. უფრო სწორად, ეს სიტყვა ისე ხშირად მესმოდა, რომ არ შეიძლებოდა, არ დავფიქრებულიყავი. Je te le dirai en francais, რა ფიქრები მომივიდა თავში Je te le dirai en français, was ich mir dachte. Ce que toute l’Europe nomme la liberté, est peut-être une chose assez pédante et assez bourgeoise en comparaison de notre besoin d’ordre — c’est ça
!(ფრანგულად გეტყვი... ის, რასაც მთელი ევროპა თავისუფლებას უწოდებს, წესრიგისადმი ჩვენს მოთხოვნილებას თუ შევადარებთ, შეიძლება ისეთივე პედანტური და ბურჟუაზიული რამ აღმოჩნდეს - დიახ, სწორედ ასე გახლავთ.)
— Tiens! C’est amusant. C’est ton cousin à qui tu penses en disant des choses etranges comme ça
?(ოჰო! საინტერესოა! ასეთ უცნაურ რაღაცებს რომ ლაპარაკობ, შენს ბიძაშვილს ხომ არ გულისხმობ?) - არა, c’est vraiment une bonne âme, eine einfache, unbedrohte Natur, tu sais. Mais il n’est pas bourgeois, il est militaire
.
(არა, ის მართლა კეთილი კაცია... ოღონდ ის ბურჟუა... არ არის, ჯარისკაცი გახლავს.) - უხიფათო ბუნების? - ძლივს გაიმეორა მან, - Tu veux dire: une nature tout à fait ferme, sûre d’elle-même? Mais il est sé- rieusement malade, ton pauvre cousin
.
(შენ ის გინდა თქვა, რომ მტკიცე და თავდაჯერებული ბუნების კაცია, არა? მაგრამ ის შენი საბრალო ბიძაშვილი ხომ მძიმე ავადმყოფია?) - ვინა თქვა ეგ?
- აქ ერთმანეთზე ყველამ ყველაფერი იცის.
- ეგ ჰოფრატმა გითხრა?
— Peut-être en me faisant voir ses tableaux
.(შეიძლება, ალბათ, მაშინ მითხრა, თავის სურათებს რომ მათვალიერებინებდა.)
— C’est-à-dire: en faisant ton portrait
?(თუ შენს პორტრეტს ხატავდა?)

— Pourquoi pas. Tu l’as trouvé réussi, mon portrait?
(რატომაც არა, მაინც როგორ ფიქრობ, ჩემი პორტრეტი კარგი გამოუვიდა?) — Mais oui, extrêmement. Behrens a très exactement rendu ta peau, oh vraiment très fidèlement.

J’aimerais beaucoup être portraitiste, moi aussi, pour avoir l’occasion d’étudier ta peau comme lu
n .
(აბა, რა, შესანიშნავი. ბერენსს ძალიან ზუსტად გამოუსახავს შენი კანი. მართლა ძალიან ბუნებრივად გამოუსახავს, ნეტავ მეც პორტრეტისტი ვიყო, მაშინ მეც მომეცემოდა საშუალება, შენი კანი გამომეკვლია.) — Parlez allemand, s’il vous plaît
!
(გერმანულად ილაპარაკე, გეთაყვა.) - ო, მე მაშინაც კი გერმანულად ვლაპარაკობ, როცა ფრანგულად ვსაუბრობ. C’est une sorte d’étude artistique et médicale — en un mot: il s’agit des lettres humaines, tu comprends
.
(ეს ერთგვარი კვლევაა, ერთდროულად მხატვრული და სამედიცინოც. ერთი სიტყვით, საქმე ეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, გესმის?) ახლაც არ გინდა, ვიცეკვოთ?
- ოჰ, არა, რა ბავშვობაა. En cachette des médecins. Aussitôt que Behrens reviendra, tout le monde va se précipiter sur les chaises. Ce sera fort ridicule
.
(...ექიმებისგან მალულად. ერთი თუ დაბრუნდა ბერენსი, ყველა სკამებს ეცემა. სისულელეა და მეტი არაფერი!) - მას დიდ პატივს სცემ?
- ვის? - კითხვა შეუბრუნა ქალმა და ეს სიტყვა უცხოურ ყაიდაზე მოკლედ წარმოთქვა.
- ბერენსს.
— Mais va donc avec ton Behrens
!(არ გააჭირე საქმე ამ შენი ბერენსით!)
ეგეც არ იყოს, იქ კუდის მოსაქნევი ადგილიც არ არის. Et puis sur le tapis
...
(... თანაც ხალიჩაზე.) ჯობია, ცეკვას ვუყუროთ!
- კარგი, ვუყუროთ, - კვერი დაუკრა ჰანს კასტორპმა. იგი კვლავ ფრაუ შოშას გვერდით იჯდა. სახე გაჰფითრებოდა და ბაბუასეული ლურჯი ჩაფიქრებული თვალებით გაჰყურებდა სალონსა და სამკითხველოში ნიღბებიანი პაციენტების კუნტრუშს. აგერ მუნჯი დაიკო“ დაკუნტრუშებდა ლურჯ ჰაინრიხთან“ ერთად, ფრაუ ზალომონი კი კავალრად გამოწყობილიყო, ფრაკი და თეთრი ჟილეტი ჩაეცვა, მკერდზე აფუშფუშებული გულისპირი მიემაგრებინა, ულვაში დაეხატა, თვალზე მონოკლი აეწეპებინა, ლაქის მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი ჩაეცვა და ისე ბზრიალებდა. პატარა ფეხსაცმელები არაბუნებრივად მოუჩანდა მამაკაცის შარვლიდან. იგი პიეროსთან ცეკვავდა. პიეროს თეთრად შეფეთქილ სახეზე სისხლისფრად შეღებილი ტუჩები უხასხასებდა და თვალები ალბინოს ბაჭიას მიუგავდა. მანტიაწამოსხმული ბერძენი ლურჯ კალსონებში გამოკვართული ფეხებით იწონებდა თავს და მკერდმოშიშვლებული და შავად ალაპლაპებული რასმუსენის ირგვლივ ისროდა ტლინკებს. კიმონოში გამოწყობილ პროკურორს, გენერალური კონსულის მეუღლე ვურმბრანდტსა და ყმაწვილ გენზერს კი, ასე განსაჯეთ, ფერხულიც კი ჩაებათ და ერთმანეთისთვის მხრებზე გადაედოთ ხელი. რაც შეეხება ჩვენს შტორუკას, მას გულში იატაკის საწმენდი ჯაგრისი ჩაეხუტებინა და მის ჯაგარს ისე ეალერსებოდა, ვითომ ადამიანის აბურძგნილი თავი ყოფილიყოს.
- ვუყუროთ, ვუყუროთ, - მექანიკურად გაიმეორა ჰანს კასტორპმა. ისინი პიანინოს ხმაზე წყნარად საუბრობდნენ.
- მოდი, ვისხდეთ ასე და სიზმარში გვეგონოს თავი. იცი, ასე რომ ვსხედვართ, თავი მართლა სიზმარში მგონია, comme un rêve singulièrement profond, car il faut dormir très profondément pour rêver comme cela... Je veux dire: C’est un rêve bien connu, rêvé de tout temps, long, éternel, oui, être assis près de toi comme à présent, voilà l’eternité
.(...თითქოს ღრმა ძილში ვიყო, რადგან ღრმად უნდა გეძინოს. ასეთი სიზმარი რომ ნახო... მე მინდა ვთქვა: ეს სიზმარი ჩემთვის კარგადაა ნაცნობი, იგი მუდამ მესიზმრებოდა, ხანგრძლივი, მარადიული სიზმარია... ჰო, ასე, შენ გვერდით ჯდომა ეს უკვე მარადიულობაა!)
— Poète
! - თქვა მან, - voilà 1’Allemand au complet, comme il faut.

(პოეტი!.. ბურჟუა, ჰუმანისტი და პოეტი. ესეც თქვენი გერმანელი, ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა იყოს!) — Je crains que nous ne soyons pas du tout et nullement comme il faut
, - მიუგო მან, - ძნელად აღსაზრდელი ბავშვები ვართ. Sous aucun égard. Nous sommes peut-être des Sorgenkinder des Lebens, tout simplement
.(ვშიშობ, სრულიად არა ვართ, არაფრით არა ვართ ისეთი, როგორიც უნდა ვიყოთ... არაფრით. ჩვენ, ალბათ, უბრალოდ...)
— Joli mot. Dis-moi donc . . . Il n'aurait pas été fort difficile de rêver ce rêve-là plus tot. C'est un peu tard que monsieur se résout à adresser la parole à son humble servante.
(ლამაზადაა ნათქვამი... მაგრამ ერთი მიბრძანე, ამ სიზმრის ნახვა წინათაც ხომ არ იქნებოდა ძნელი? ოღონდ, თქვენ, ბატონო ჩემო, ცოტა არ იყოს, გვიან გადაწყვიტეთ, ერთი სიტყვა გაგემეტებინათ თქვენი მონა-მორჩილისათვის!)
— Pourquoi des paroles?« sagte er. »Pourquoi parier? Parier, discourir, c'est une chose bien républicaine, je le concède. Mais je doute que ce soit poétique au même degré. Un de nos pensionnaires, qui est un peu devenu mon ami, Monsieur Settembrini...
— Il vient de te lancer quelques paroles.
(მან ახლახან რაღაც მოგაძახათ!) — Eh bien, c’est un grand parleur sans doute, il aime même beaucoup à réciter de beaux vers, — mais est-ce un poète, cet homme-là?(hoda, igi ueWvelad didebuli moubaria, lamazi leqsebis kiTxvac emarjveba, magram gana es kaci poetia?)
— Je regrette sincèrement de n’avoir jamais eu le plaisir de faire la connaissance de ce chevalier
(გულწრფელად ვნანობ, ერთხელაც რომ არ მღირსებია ბედნიერება, გამეცნო ეს რაინდი!)
— Je le crois bien
.(მჯერა, რომ ნანობ!)
— Ah, tu le crois
() ოჰო, გჯერა?
— Comment? C'était une phrase tout à fait indifférente, ce que j'ai dit là. Moi, tu le remarques bien, je ne parle guère le français. Pourtant, avec toi je préfère cette langue à la mienne, car pour moi, parier français, c'est parier sans parier, en quelque manière, — sans responsabilité, ou comme nous parlons en rêve. Tu comprends?
(რა მოხდა? ეს ისე, უგულისყუროდ გითხარი. ალბათ, შენც შეამჩნევდი, რომ ფრანგულად მიჭირს ლაპარაკი, მაგრამ შენთან მაინც ამ ენაზე მირჩევნია ლაპარაკი, ვიდრე მშობლიურ ენაზე. ასე ვთქვათ, ლაპარაკს ნიშნავს ლაპარაკის გარეშე. როგორღაც უპასუხისმგებლოდ, ანდა ისე, როგორც სიზმარში ვლაპარაკობთ ხოლმე. მიხვდი?)
— A peu près
(დაახლოებით)
— Ça suffit... Parier
— განაგრძო ჰანს კასტორპმა, — pauvre affaire! Dans l’éternité, on ne parle point. Dans l’éternité, tu sais, on fait comme en dessinant un petit cochon: on penche la tête en arrière et on ferme les yeux
.(ესეც საკმარისია... ლაპარაკი წყლის ნაყვაა! მარადისობაში სულაც არ ლაპარაკობენ. იცი, მარადისობაში ისე იქცევიან, როგორც გოჭის ხატვისას: თავს უკან გადასწევენ და თვალებს ხუჭავენ.)
— Pas mal, ça! Tu es chez toi dans l’éternité, sans aueun doute, tu la connais à fond. Iლ ფაუტ ავოუერ ქუე ტუ ეს უნ ჰეტიტ რ ვეურ ასსეზ ცურიეუხ
.(მშვენიერი ნათქვამია! რასაკვირველია, მარადისობაში შენ შინაურულად გრძნობ თავს. შენ ხომ მას საფუძვლიანად იცნობ! უნდა ვაღიარო, საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდა მეოცნებე ბრძანდებით!)
— Et puis, si je t’avais parlé plus tot, il m’aurait fallu te dire “vous“(garda amisa... ufro adre rom daglaparakebodi, albaT, „TqvenobiT“ unda momemarTa.)
, - თქვა ჰანს კასტორპმა.
— Eh bien, est-ce que tu as l’intention de me tutoyer pour toujours?
(კი მაგრამ, ნუთუ განზრახული გაქვს, მე ყოველთვის შენობით“ მელაპარაკო?)
— Mais oui. Je t’ai tutoyé de tout temps et je te tutoierai éternellement
.

(რა თქმა უნდა. მე ყოველთვის შენობით“ მოგმართავდი და კვლავაც ასე მოვიქცევი.) — C’est un peu fort, par exemple. En tout cas tu n’auras pas trop longtemps l’occasion de me dire ›tu‹. Je vais partir
.(ეგ უკვე მეტისმეტია, ყოველ შემთხვევაში, დიდხანს არ მოგიწევს ჩემთან „შენობით“ ლაპარაკი. მე მალე მივდივარ.)
ჰანს კასტორპი ერთბაშად ვერ მიხვდა, რა უთხრეს. შემდეგ ფეხზე წამოიჭრა და ახალგამოღვიძებულივით მიმოიხედა ირგვლივ. ისინი საკმაოდ ნელა საუბრობდნენ, რადგან ჰანს კასტორპს უჭირდა ფრანგულად ლაპარაკი და სიტყვებს ეძებდა. წუთით დადუმებული პიანინო კვლავ ახმიანდა. ახლა პიანინოზე მანჰაიმელი უკრავდა, მან სლავი ჭაბუკი შეცვალა და პიუპიტრზე ნოტები დაილაგა. გვერდით ფროილაინ ენგელჰარტი ეჯდა და ნოტებს უფურცლავდა. მოცეკვავეთა წრე შეთხელდა. ეტყობოდა, სანატორიუმელთა უდიდეს ნაწილს უკვე ჰორიზონტალური მდებარეობა მიეღო. მათ წინ აღარავინ იჯდა. სამკითხველოში კარტს თამაშობდნენ.
- რას აპირებ? - ჰკითხა გუნებაწამხდარმა ჰანს კასტორპმა.
- მივემგზავრები, - გაუმეორა ქალმა და ისე გაიღიმა, ვითომ უკვირს, რამ გაგაქვავაო.
- შეუძლებელია, - თქვა ჰანს კასტორპმა, - შენ ხუმრობ.
- სულაც არა. სავსებით სერიოზულად გეუბნები. მივემგზავრები.
- როდის?
- ხვალ. Après dîner
.
(ნასადილევს.) ჰანს კასტორპს მოეჩვენა, რომ გულში რაღაც ჩასწყდა.
- სად?
- აქედან ძალიან შორს.
- დაღესტანში?
— Tu n’es pas mal instruit. Peut-être, pour le moment
...
(ცუდად როდი ყოფილხარ გათვითცნობიერებული. შესაძლებელია, დროებით.) - უკვე განიკურნე?
— Quant à ça... non. Aber Behrens meint, es sei vorläufig hier nicht mehr viel für mich zu erreichen. C’est pourquoi je vais risquer un petit changement d’air
.(არა, ეგ არა... ამიტომაც მინდა გავბედო და ჰავა გამოვიცვალო.)
- მაშ, უკან დაბრუნდები!
- ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. უპირველეს ყოვლისა, საკითხავია, როდის დავბრუნდები. Quant à moi, tu sais, j’aime la liberté avant tout et notamment celle de choisir mon domicile. Tu ne comprends guère ce que c’est: être obsédé d’indépendance. C’est de ma race, peut-être
(პირადად მე, პირველ ყოვლისა, თავისუფლება მიყვარს, სახელდობრ, მიყვარს, როცა თავისუფლად ვირჩევ საცხოვრებელ ადგილს. შენთვის, ალბათ, გაუგებარია, ადამიანი დამოუკიდებლობის სურვილით იყოს შეპყრობილი. ეტყობა, ამას ჩემს წარმოშობას უნდა ვუმადლოდე.)
— Et ton mari au Daghestan te l'accorde, — la liberté?
(კი მაგრამ, შენი დაღესტნელი ქმარი მოგცემს კი იმ შენს თავისუფლებას?) — C’est la maladie qui me la rend. Me voilà à cet endroit pour la troisième fois. J’ai passé un an ici, cette fois. Possible que je revienne. Mais alors tu seras bien loin depuis longtemps.(Tavisufleba me avadmyofobam momca. am adgilebSi ukve mesamed var. amjerad mTeli weli davyavi. SesaZlebelia isev davbrunde. magram maSin Sen ukve Sors iqnebi, Tanac didi xnis wasuli.)
- შენ ასე გგონია, კლავდია?
— Mon prénom aussi! Vraiment tu les prends bien au sérieux les coutumes du carnaval!
(ჩემი სახელიც სცოდნია! იცი, რას გეტყვი? შენ მეტისმეტად სერიოზულად ეკიდები კარნავალის წეს-ჩვეულებებს?)
- თუ იცი, მე როგორი ავადმყოფი ვარ?
— Oui — non — comme on sait ces choses ici. Tu as une petite lache humide là dedans et un peu de fièvre, n’est-ce pas
?(კიდეც ვიცი და კიდეც არა! ზუსტად ისე, როგორც აქ იციან ხოლმე ასეთი ამბები.

შენ მანდ, შიგნით, სველი, პატარა კერა გაქვს და ცოტ-ცოტა სიცხესაც გაძლევს, ხომ ასეა?)
— Trente-sept et huit ou neuf l’après-midi
(37,8 თუ 9, ნაშუადღევს...) - თქვა ჰანს კასტორპმა, - შენ?
— Oh, mon cas, tu sais, c’est un peu plus compliqué... pas tout à fait simple
(ოო, ჩემი საქმე, შენც მოგეხსენება, ცოტა უფრო რთულადაა. არც ისე ჩვეულებრივი შემთხვევაა.)
— Il y a quelque chose dans cette branche de lettres humaines dite la médecine«, — თქვა ჰანს კასტორპმა
— qu’on appelle bouchement tuberculeux des vases de lymphe.
(ჰუმანიტარული მეცნიერების იმ დარგში, მედიცინას რომ უწოდებენ... არის ისეთი რამ, რასაც ლიმფური ძარღვების ტუბერკულოზური დაცობა ჰქვია.) — Ah, tu as mouchardé, mon cher, on le voit bien
(ოო, როგორც ვატყობ, ჩემო ძვირფასო, შენ კიდევ ჯაშუშობდი.)
— Et toi(Sen TviTon...)
... მაპატიე! ახლა კი ნება მომეცი, გკითხო, გერმანულად და თან დაჟინებით ჩაგეკითხო! აი, მაშინ, სასადილო დარბაზიდან პირდაპირ გასასინჯად რომ მივდიოდი, ექვსი თვის წინ... გახსოვს, თვალი რომ გამომაყოლე?
— Quelle question? Ілꙗ ꙗ ᲐᲘᲑ ᲛᲝᲘᲡ
!(უცნაური კითხვაა! მას შემდეგ ხომ ნახევარი წელი გავიდა.) - იცოდი, სად მივდიოდი?
— Certes, c’était tout à fait par hazard.
..(რა თქმა უნდა, ოღონდ სრულიად შემთხვევით გავიგე...) - ბერენსისგან გაიგე?
— Toujours ce Behrens
!(ისევ ეს ბერენსი!) — Oh, il a représenté ta peau d’une façon tellementexacte... D’ailleurs, c’est un veuf aux joues ardentes et qui possède un service à café très remarquable... Je crois bien qu’il connaisse ton corps non seulement comme médecin, mais aussi comme adepte d’une autre discipline de lettres humaines
.
(ოო, მან შენი კანი ისე ზუსტად ასახა... სხვათა შორის, ამ ღაჟღაჟა ქვრივს შესანიშნავი ყავის სერვიზი აქვს... ვფიქრობ, შენს სხეულს მარტო ექიმის თვალით კი არ იცნობს, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგის ადეპტის თვალითაც.) — Tu as décidément raison de dire, que tu parles en rêve, mon ami
.(ნამდვილად მართალი ხარ, ძვირფასო, როცა ამბობ, სიზმარში მგონია თავიო.)
— Soit... Laisse-moi rêver de nouveau après m’avoir réveillé si cruellement par cette cloche d’alarme de ton départ. Sept mois sous tes yeux... Et à présent, oû en réalité j’ai fait ta connaissance, tu me parles de départ
!
(თუნდაც ასე იყოს... იმის შემდეგ, რაც შენი გამგზავრების მაუწყებელი ნობათით ასე ულმობლად გამომაღვიძე, ხელს ნუღარ მიშლი ისევ სიზმარში ვიგულო თავი. შვიდი თვე შენ თვალწინ გავატარე... ახლა კი, როცა ცხადში გაგიცანი, გამგზავრებაზე მელაპარაკები!) — Je te répète, que nous aurions pu causer plus tôt
.
(გიმეორებ, შეგვეძლო ადრეც გვესაუბრა...) - მოინდომებდი კი?“
— Moi? Tu ne m’échapperas pas, mon petit. Ілꙗ ᲡᲐᲒᲘᲢ ᲓᲔ ᲢᲔᲡ ᲘᲜᲢ Რ- êᲢᲡ, à ᲢᲝᲘ. ᲔᲡᲢ-ᲪᲔ ᲥᲣᲔ ᲢᲣ ᲢᲐᲘᲡ ᲢᲠᲝᲠ ᲢᲘᲛᲘᲓᲔ ᲠᲝᲣᲠ Ტ’ᲐᲠᲠᲝᲪᲠᲔᲠ Დ’ᲣᲜᲔ ᲤᲔᲛᲛᲔ ᲥᲣᲘ ᲢᲣ ᲠᲐᲠᲚᲔᲡ ᲔᲜ Რ ᲕᲔ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲜᲐᲜᲢ, ᲝᲣ ᲔᲡᲢ-ᲪᲔ ᲥᲣ’ᲘᲚ ꙗ ᲐᲕᲐᲘᲢ ᲥᲣᲔᲚᲥᲣ’ᲣᲜ ᲥᲣᲘ Ტ’ᲔᲜ Ა ᲔᲛᲠ ᲪᲠ
?
(სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, ყმაწვილო, საქმე შენს ინტერესებს ეხება. ნუთუ ისეთი მოკრძალებული იყავი, ერთხელაც ვერ გაბედე მიახლოებოდი იმ ქალს, ახლა რომ თითქოს სიზმარში ელაპარაკები, ან იქნებ ვინმემ შეგიშალა ხელი?) — Je te Tai dit. Je ne voulais pas te dire vous
“.(აკი გითხარი! არ მინდოდა, „თქვენობით“ მომემართა-მეთქი!)
— Farceur. Réponds donc, — ce monsieur beau parleur, cet IᲢᲐᲚᲘᲔᲜ-ᲚᲘ ᲥᲣᲘ Ა ᲥᲣᲘᲢᲢ ᲚᲐ ᲡᲝᲘᲠ Ე, — ᲥᲣ’ᲔᲡᲢ-ᲪᲔ ᲥᲣ’ᲘᲚ Ტ’Ა ᲚᲐᲜᲪ ᲢᲐᲜᲢ Ტ
?(ოო, რა ცუღლუტი ხარ! ერთი ამაზე მიპასუხე: იმ ბატონმა ყბედმა, აი, იმ

იტალიელმა, საღამოზე რომ არ დარჩა, რა მოგაძახა წეღან?)
— Je n’en ai entendu absolument rien. Je me soucie très peu de ce monsieur, quand mes yeux te voient. Mais tu oublies... il n’aurait pas été si facile du tout de faire ta connaissance dans le monde. II ᵸ ავაიტ ენცორე მონ ცოუსინ ავეც ქუი ჯ’étაის ლი ეტ ქუი ინცლინე ტრ ს პეუ ს’ამუსერ იცი: Iლ ნე პენსე რიენ ქუ’à სონ რეტოურ დანს ლეს პლაინეს, პოურ სე ფაირე სოლდატ
.
(ერთი სიტყვაც არ გამიგონია. რა მესაქმება იმ კაცთან, როცა ჩემი თვალები მხოლოდ შენ გხედავენ! მაგრამ შენ გავიწყდება... ამ ხალხში შენი გაცნობა არც ისე ადვილი იქნებოდა. თანაც ბიძაშვილიც ფეხდაფეხ დამდევდა, ის კი გასართობად სულაც არაა განწყობილი. მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ბარში ჩავიდეს და ჯარისკაცი გახდეს.) — Pauvre diable. Iლ ესტ, ენ ეფფეტ, პლუს მალადე ქუ’ილ ნე საიტ. თონ ამი იტალიენ დუ რესტე ნე ვა პას ტროპ ბიენ ნონ პლუს.
(საცოდავი! თვითონაც არ იცის, რა მძიმე ავადმყოფია. სხვათა შორის, არც შენი მეგობარი იტალიელია კარგად.) — II ლე დიტ ლუი-მ მე. მაის მონ ცოუსინ... ესტ-ცე ვრაი? თუ მ’ეფფრაიეს
.(ამას თვითონვე ამბობს, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი... ნუთუ მართალია? ნუ მაშინებ!)
— Fort possible qu’il aille mourir, s’il essaye d’être soldat dans les plaines.
(თუკი შეეცდება ბარში ჩავიდეს და იქ ჯარისკაცი გახდეს, ადვილი შესაძლებელია, მოკვდეს.) — Qu’il va mourir. La mort. Terrible mot, n’est-ce pas? Mais c’est étrange, il ne m’impressionne pas tellement aujourd’hui, ce mot. C’était une façon de parier bien conventionelle, lorsque je disais Tu m’effraies. L’idée de la mort ne m’effraie pas. Elle me laisse tranquille. Je n’ai pas pitié — ni de mon bon Joachim ni de 434 moi-même, en entendant qu’il va peut-être mourir. Si c’est vrai, son état ressemble beaucoup au mien et je ne le trouve pas particulièrement imposant. Iლ ესტ მორიბონდ, ეტ მოი, ჯე სუის ამოურეუხ, ეჰ ბიენ! — თუ ას პარლ მონ ცოუსინ ატელიერ დე პჰოტოგრაპჰიე ინტიმე, დანს ლ’ანტიცჰამბრე, ტუ ტე სოუვიენს
.
(მოკვდეს? სიკვდილი. შემზარავი სიტყვაა, არა? მაგრამ უცნაურია, ეს სიტყვა დღეს ისე ძალიან აღარ მოქმედებს ჩემზე. როცა გითხარი, ნუ მაშინებ-მეთქი, ამას ისე, სხვათა შორის გეუბნებოდი. სიკვდილზე ფიქრი შიშს აღარ იწვევს ჩემში. მას მე მშვიდად ვხვდები. როცა მეუბნებიან, შენი ბიძაშვილი მოკვდებაო, არც ჩემი კეთილი იოახიმი მებრალება და არც საკუთარი თავი.თუ ეს მართალია, იოახიმი და მე ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ და ასე საშინელი აღარ მეჩვენება ეს ყველაფერი. ის მომაკვდავია, მე კი შეყვარებული... ჰოდა... შენ ხომ ელაპარაკე ჩემს ბიძაშვილს რენტგენის კაბინეტის მოსაცდელში? გახსოვს?)
— Je me souviens un peu(ho, raRac magondeba.)
— Donc ce jour-là Behrens a fait ton portrait transparent
!(ჰოდა, იმ დღეს ბერენსმა შენც გაგაშუქა.)
— Mais oui
.(რა თქმა უნდა.) — Mon dieu. Et l’as-tu sur toi
?
(ღმერთო ჩემო, რენტგენის სურათი თან გაქვს?) — Non, je l’ai dans ma chambre
.
(არა, ოთახში დავტოვე.) — Ah, dans ta chambre. Quant au mien, je Tai toujours dans mon portefeuille. Vეუხ-ტუ ქუე ჯე ტე ლე ფასსე ვოირ
?
(ჰოო, ოთახში დატოვე! მე კი მუდამ თან დამაქვს ჩემი სურათი. საფულეში მაქვს. გინდა გაჩვენო?) — Mille remérciements. Ma curiosité n’est pas invincible. Ce sera un aspect très innocent(uRrmesi madloba! cnobismoyvare ar gaxlavar. albaT, Zalian uxifaTo ram iqneba.)
.
— Moi, j’ai vu ton portrait extérieur. J’aimerais beaucoup mieux voir ton portrait intérieur qui est enfermé dans ta chambre . . . Laisse-moi demander autre chose! Parfois un monsieur russe qui löge en ville vient te voir. Qui est-ce? Dans quel but vient-il, cet homme?
)(მე შენი გარეგნული პორტრეტი ნანახი მაქვს. გაცილებით მირჩევნია, შინაგანი პორტრეტი ვნახო, ოთახში რომ ჩაგიკეტავს... ნება მომეცი, ერთი შეკითხვაც

მოგცე: ხანდახან შენს სანახავად რუსი მამაკაცი მოდის. აი, ის, ქალაქში რომ ცხოვრობს, ვინ არის? რა მიზნით დადის შენთან?) — Tu es joliment fort en espionnage, je l’avoue. Eh bien, je r-- ponds. Oui, c’est un compatriote souffrant, un ami. J’ai fait sa connaissance à une autre Station balnéaire, il y a quelques années déjà. Nos relations? Les voilà: nous prenons notre thé ensemble, nous fumons deux ou trois papiros, et nous bavardons, nous philosophons, nous parlons de l’homme, de Dieu, de la vie, de la morale, de mille choses. Voilà mon compte rendu. Est-tu satisfait
?

(უნდა ვაღიარო, ჯაშუშობაში ბადალი არ გყოლია! კი ბატონო, გიპასუხებ: ჰო, ეს ავადმყოფი ჩემი თანამემამულეა, ჩემი მეგობარი, ერთ სამკურნალო კურორტზე გავიცანი რამდენიმე წლის წინ. რა ურთიერთობა გვაქვს? აი, ასეთი: ერთად ვსვამთ ჩაის, ვეწევით ორ-სამ პაპიროსს, ვლაყბობთ, ვფილოსოფოსობთ, ვმსჯელობთ ადამიანზე, ღმერთზე, ცხოვრებაზე, მორალზე და რა ვიცი, ათას რამეზე. ესეც სრული ანგარიში! დაკმაყოფილდი?) — De la morale aussi! Et qu’est-ce que vous avez trouvé en fait de morale, par exemple
?
La morale? Cela t'intéresse? Eh bien, il nous semble, qu'il faudrait chercher la morale non dans la vertu, c'est-à-dire dans la raison, la discipline, les bonnes mœurs, l'honnêteté, — mais plutôt dans le contraire, je veux dire: dans le péché, en s'abandonnant au danger, à ce qui est nuisible, à ce qui nous consume. Il nous semble qu'il est plus moral de se perdre et même de se laisser dépérir que de se conserver. Les grands moralistes n'etaient point de vertueux, mais des aventuriers dans le mal, des vicieux, des grands pécheurs qui nous enseignent à nous incliner chrétiennement devant la misère. Tout ça doit te déplaire beaucoup, n'est-ce pas?
?

(მორალის სფეროში? გაინტერესებს? ინებე: ჩვენი აზრით, მორალი უნდა ვეძებოთ არა სათნოებაში, ესე იგი, კეთილგონიერებაში, დისციპლინაში, კარგ ზნე-ჩვეულებებსა და პატიოსნებაში, არამედ უმალ საწინააღმდეგო მოქმედებაში. მე მინდა ვთქვა: როცა ვცოდავთ, მაშინ თავს საფრთხეში ვიგდებთ, იმას ჩავდივართ, რაც მავნეა, რაც გვღუპავს. ჩვენი აზრით, უფრო მორალურია, თავი აიწყვიტო და დაიღუპო, ვიდრე დაზოგო თავი. დიდი მორალისტები სულაც არ დებდნენ თავს სათნოებაზე. ისინი ბოროტებაში ნაცადნი, უზნეონი, დიდი ცოდვილები იყვნენ. ისინი გვასწავლიან, ქრისტიანულად მოვიხაროთ ქედი უბედურების წინაშე. ასეთი ამბები შენ, ალბათ, არ მოგწონს, ხომ მართალია?)
იგი დუმდა. როგორც პირველად დაჯდა, ისევ ისე იჯდა - ფეხები თავის ჭრიალა სკამის ქვეშ შეეწყო ღრმად, სკამზე მიწოლილი სამკუთხაქუდიანი ქალისაკენ დახრილიყო, მის ფანქარს თითებს შუა აწვალებდა და ჰანს ლორენც კასტორპისეული ლურჯი თვალებით იყურებოდა უკვე დაცარიელებულ ოთახში. საზოგადოება წავიდ-წამოვიდა. მოპირდაპირე კუთხეში მიდგმული პიანინო ჯერ კიდევ ხმიანობდა წყნარად დანაწყვეტ-ნაწყვეტად, მანჰაიმელი ავადმყოფი ცალი ხელით უკრავდა. გვერდით მასწავლებელი ქალი ეჯდა, მას კალთაში ნოტები ედო და ფურცლავდა. როცა ჰანს კასტორპისა და კლავდია შოშას საუბარი მიწყდა, პიანისტმა საბოლოოდ შეწყვიტა დაკვრა და ის ხელიც ჩამოიღო, რომლითაც აქამდე ნაზად ეხებოდა კლავიშებს, ფროილაინ ენგელჰარტი კი კვლავ ნოტებში იცქირებოდა. საკარნავალო საზოგადოებიდან დარჩენილი ოთხი ადამიანი გაუნძრევლად იჯდა. დუმილი დიდხანს გაგრძელდა. პიანინოსთან მიმსხდარი წყვილის თავები დუმილის დამთრგუნველი სიმძიმით ნელ-ნელა დაიხარა ძირს - მანჰაიმელმა კლავიატურაზე ჩამოჰქინდრა თავი, ფროილაინ ენგელჰარტმა კი თავი ნოტებში ჩარგო. ბოლოს, თითქოს საიდუმლოდ შეთანხმდნენო, ორივე ერთდროულად წამოდგა და სამკითხველო ოთახის გავლით ფეხის წვერებზე გაიპარნენ უჩუმრად. მანჰაიმელი და მასწავლებელი ქალი განგებ არიდებდნენ თვალს ოთახის იმ კუთხეს, სადაც კლავდია შოშა და ჰანს კასტორპი ისხდნენ, კისერწაწვდილნი მიდიოდნენ და ხელები თითქოს ტანზე ჰქონდა მიშეშებული.
— Tout le monde se retire«, sagte Frau Chauchat. »C’etaient les derniers; il se fait tard. Eh bien, la fête de carnaval est finie
,
(ყველა წავიდ-წამოვიდა, - ესენი უკანასკნელები იყვნენ, უკვე გვიანაა. რას იზამ,

კარნავალი დასრულდა...) - ქალმა ხელები ასწია და ნაწნავებად დაგრაგნილი მოწითალო თმიდან ქაღალდის ქუდი მოიცილა, - Vოუს ცონნაისსეზ ლეს ცონს ქუენცეს, მონსიეურ
.
(დასკვნა თქვენთვის ნათელია, მესიე.) მაგრამ თვალმილულულმა ჰანს კასტორპმა უარის ნიშნად ისე გააქნია თავი, რომ პოზა არ შეუცვლია და მერე უპასუხა:
— amais, Clawdia. Jamais je te dirai ›vous‹, jamais de la vie ni de la mort, wenn man so sagen kann, — man sollte es können.; Cette forme de s’adresser à une personne, qui est celle de l’Occident cultivé et de la civilisation humanitaire, me semble fort bourgeoise et pédante. Pourquoi, au fond, de la forme? La forme, c’est la pédanterie elle même! Tout ce que vous avez fixé à l’égard de la morale, toi et ton compatroite souffrant, — tu veux 436 sérieusement que ça me surprenne? Pour quel sot me prends-tu? Dis donc, qu’est-ce que tu penses de moi
ჟ ?
(არასოდეს, კლავდია, არასოდეს თქვენობით“ არ დაგელაპარაკები, არც ცოცხალი და არც მკვდარი... - ადამიანისადმი მიმართვის ეს ფორმა, კულტურულმა დასავლეთმა და ჰუმანურმა ცივილიზაციამ რომ შემოიღო, უაღრესად ბურჟუაზიულად და პედანტურად მიმაჩნია. ბოლოს და ბოლოს, რა შუაშია ფორმა? თავისთავად ფორმა ხომ პედანტობაა! ნუთუ სერიოზულად ფიქრობ, რომ გამაოცა ყოველივე იმან, რაც შენ და შენმა ავადმყოფმა თანამემამულემ გადაწყვიტეთ მორალის საკითხებში? სულელი ხომ არ გგონივარ? ერთი მითხარი, რა აზრისა ხარ ჩემზე?) — C’est un sujet qui ne donne pas beaucoup à penser. Tu es un petit bonhomme convenable, de bonne famille, d’une tenue appétissante, disciple docile de ses précepteurs et qui retournera bientôt dans les plaines, pour oublier complètement qu’il a jamais parlé en rêve ici et pour aider à rendre son pays grand et puissant par son travail honnête sur le chantier. Vოილ
ტა პჰოტოგრაპჰიე ინტიმე, ფაიტე სანს აპპარეილ. თუ ლა ტროუვეს ეხაცტ , ჯ’ესპერე
?(ამ თემაზე დიდი დაფიქრება არაა საჭირო! შენ ხარ ერთი წესიერი ყმაწვილი, კარგი ოჯახიშვილი, სასიამოვნო გარეგნობის, მასწავლებლების დამჯერი მოწაფე. მალე ბარში დაბრუნდები და სრულიად გადაგავიწყდება, თუ ოდესმე აქ სიზმარში ლაპარაკობდი და საკუთარი ქვეყნის დიდებისა და სახელისათვის პატიოსნად იმუშავებ მშენებლობაზე. აი, ასეთია ურენტგენოდ გადაღებული შენი შინაგანი პორტრეტი. იმედია, არ დაიწუნებ!)
— Iლ ყ მანქუე ქუელქუეს დ ტაილს ქუე ბეჰრენს ყ ა ტროუვ ს
.
(ამ სურათს ბერენსის მიერ აღმოჩენილი რამდენიმე დეტალიღა აკლია.) — Ah, les médecins en trouvent toujours, ils s’y connaissent.
...(ოჰ, ექიმები მუდამ რაღაცას პოულობენ. გიყვარდეს, ეს კი იციან...)
— Tu parles comme Monsieur Settembrini. Et ma fièvre? D’où vient-elle?
(ბატონი სეტემბრინივით მსჯელობ! კი მაგრამ, სიცხეს რომ მაძლევს? ეს რიღასი ბრალია?) — Allons donc, c’est un incident sans conséquence qui passera vite(kargi erTi, es SemTxveviTi ambavia da sul male ukvalod gaivlis.)
— Non, Clawdia, tu sais bien que ce que tu dis la, n’est pas vrai, et tu le dis sans conviction, j’en suis sûr. La fièvre de mon corps et le battement de mon cœur harassé et le frissonnement de mes membres, c’est le contraire d’un incident, car ce n’est rien d’autre..
. - და ტუჩებაცახცახებული, გაფითრებული სახე კიდევ უფრო დახარა მისკენ ჰანს კასტორპმა, - ien d’autre que mon amour pour toi, oui, cet amour qui m’a saisi à l’instant, où mes yeux t’ont vue, plutôt, que j’ai reconnu, quand je t’ai reconnue toi, — et c’était lui, évidemment, qui m’a mené à cet endroit...
რ(არა, კლავდია, შენც კარგად იცი, მართალი არაა, რასაც ამბობ და დარწმუნებული ვარ, თვითონვე არ გჯერა შენი ნათქვამის. მთელ ტანში ჟრჟოლა, გულის ძგერა, კიდურების ცახცახი შემთხვევის ამბავი სულაც არაა, რადგან იგი სხვა არაფერია, თუ არა ჩემი შენდამი სიყვარული. დიახ, სიყვარული, იმწამსვე რომ მომეკიდა, როგორც კი ჩემმა თვალებმა დაგინახეს, ან უკეთ, როცა გიცნეს, როგორც კი შეგიცანი. ეტყობა, სწორედ სიყვარულმა მომიყვანა ამ ადგილას...)
— Quelle folie

!
(რა სიგიჟეა!) — Oh, l’amour n’est rien, s’il n’est pas de la folie, une chose insensée, défendue et une aventure dans le mal. Autrement c’est une banalité agréable, bonne pour en faire de petites chansons paisibles dans les plaines. Mais quant à ce que je t’ai reconnu et que j’ai reconnu mon amour pour toi, — oui, c’est vrai, je t’ai dé- jà connu, anciennement, toi et tes yeux merveilleusement obliques et ta bouche et ta voix, avec laquelle tu parles, — une fois déjà, lorsque j’étais collégien, je t’ai demandé ton crayon, pour faire enfin ta connaissance mondaine, parceque je t’aimais irraisonnablement, et c’est de là, sans doute c’est de mon ancien amour pour toi que ces marques me restent que Behrens a trouvées dans mon corps, et qui indiquent que jadis aussi j’étais malade..
.(ოო, სიყვარული არარაობაა, თუკი სიგიჟე არ ურევია, იგი უაზრობაა, თუკი აკრძალული არ არის, თუკი ავისა ეშინია. სხვაგვარად იგი სასიამოვნო ბანალურობა იქნებოდა და უწყინარი, პატარ-პატარა სიმღერებისთვის გამოდგებოდა, ისიც მხოლოდ ბარში. ხოლო, როცა გითხარი, გიცანი-მეთქი, ჰო, ეს მართალია, მე შენ ადრეც გიცნობდი, შენ და შენს გასაოცარ ირიბად გაჭრილ თვალებს, შენს ბაგეებსა და შენს ხმას... ერთხელ, როცა გიმნაზიელი ვიყავი, ფანქარი გთხოვე მხოლოდ იმისათვის, რომ ისე გამეცანი, როგორც ეს მიღებულია, რადგან თავდავიწყებით მიყვარდი. ჰოდა, ეტყობა, შენდამი ჩემმა სიყვარულმა სწორედ იმ დროიდან დატოვა ეს კვალი, რაც ბერენსმა ჩემს სხეულში აღმოაჩინა და რაც იმაზე მიუთითებს, რომ წინათაც ავად ვყოფილვარ...) ჰანს კასტორპი კბილს კბილზე აცემინებდა. ამ ფანტაზიორობაში ცალი ფეხი ჭრიალა სკამის ქვეშიდან გამოიღო, წინ წასწია და ამ დროს მეორე ფეხის მუხლით უკვე იატაკს შეეხო, ქალის გვერდით ჩაიჩოქა, თავი დახარა და მთელი სხეულით აკანკალდა.
— Je t’aime
, - ტიტინებდა იგი, - je t’ai aimée de tout temps, car tu es le Toi de ma vie, mon rêve, mon sort, mon envie, mon éternel désir.
..(მე შენ მიყვარხარ ...მუდამ მიყვარდი, რადგან შენ ჩემი ცხოვრების შენ“ ხარ, ჩემი სიზმარი, ჩემი ბედი, ჩემი ნატვრა, ჩემი მარადიული სურვილი...)
— Allons, allons
! - უთხრა ქალმა, - Si tes préeepteurs te voyaient
...(კარგი კარგი!.. ახლა რომ შენმა მოძღვრებმა დაგინახონ...)
მაგრამ მან თავი უსასოოდ გადააქნია, სახე ლამის ნოხს შეახო და უპასუხა:
— Je m’en ficherais, je me fiche de tous ces Carducci et de la République éloquente et du progrès humain dans le temps, car je t’aime
!
(ჩემი დარდიც ეს იყოს! მეწყერსაც წაუღია ყველა კარდუჩი, რესპუბლიკა, თავის მჭევრმეტყველებიანად და დროში განვითარებული პროგრესიც, რაკი შენ მიყვარხარ.) ქალმა მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი.
— Petit bourgeois
! - თქვა მან. - Joli bourgeois à la petite tache humide. Est-ce que tu m’aimes tant
?
(პატარა ბურჟუა!.. ლამაზი ბურჟუა სველი კერით. მართლა ასე ძალიან გიყვარვარ?) მისმა შეხებამ აღაფრთოვანა ჰანს კასტორპი. ორივე მუხლი მოიყარა მის წინ, თავი ჩაჰკიდა და თვალდახუჭულმა განაგრძო ლაპარაკი.
— Oh, l’amour, tu sais... Le corps, l’amour, la mort, ces trois ne font qu’un. Car le corps, c’est maladie et la volupté, et c’est lui qui fait la mort, oui, ils sont charnels tous deux, l’amour et la mort, et voilà leur terreur et leur grande magie! Mais la mort, tu comprends, c’est d’une part une chose mal famée, impudente qui fait rougir de honte, et d’autre part c’est une puissance très solennelle et très majestueuse, — beaueoup plus haute que la vie riante gagnant de la monnaie et farcissant sa panse, — beaueoup plus vénérable que le progrès qui bavarde par les temps, — parce qu’elle est l’histoire et la noblesse et la piété et l’éternel et le sacré qui nous fait tirer le chapeau et marcher sur la pointe des pieds... Or, de même, le corps, lui aussi, et l’amour du corps, sont une affaire indécente et fâcheuse, et le corps rougit et pâlit à sa surface par frayeur et honte de lui-même. Mais aussi il est une grande gloire adorable, image miraculeuse de la vie organique, sainte merveille de la forme et de la beauté, et l’amour pour lui, pour le corps humain, c’est de même un intérét extremement humanitaire et une puissance plus éducative que toute le

pédagogie du monde!.. Oh, enchantante beauté organique 438 qui ne se compose ni de teinture à l’huile ni de pierre, maisde matière vivante et corruptible, pleine du secret fébrile de la vie et de la pourriture! Regarde la symétrie merveilleuse de l’édifice humain, les épaules et les hanches et les mamelons fleurissants de part et d’autre sur la poitrine, et les côtes arrangées par paires, et le nombril au milieu dans la mollesse du ventre, et le sexe obscur entre les cuisses! Regarde les omoplates se remuer sous la peau soyeuse du dos, et l’échine qui descend vers la luxuriance double et fraîche des fesses, et les grandes branches des vases et des nerfs qui passent du tronc aux rameaux par les aisselles, et comme la strueture des bras correspond à celle des jambes. Oh, les douces régions de la jointure intérieure du coude et du jarret avec leur abondance de délicatesses organiques sous leurs coussins de chair! Quelle fête immense de les caresser ces endroits délicieux du corps humain! Fête à mourir sans plainte après! Oui, mon dieu, laisse-moi sentir l’odeur de la peau de ta rotule, sous laquelle l’ingénieuse capsule articulaire sécrète son huile glissante! Laisse-moi toucher dévotement de ma bouche 1’Arteria femoralis qui bat au front de ta cuisse et qui se divise plus bas en les deux artères du tibia! Laisse-moi ressentir l’exhalation de tes pores et tâter ton duvet, image humaine d’eau et d’albumine, destinée pour l’anatomie du tombeau, et laisse-moi périr, mes lèvres aux tiennes
!Arteria femoralis
(ოჰ, სიყვარული, იცი?.. სხეული, სიყვარული, სიკვდილი - სამივე ერთნი არიან, რადგან სხეული სნეულება და ავხორცობაა და სწორედ ეს იწვევს სიკვდილს. დიახ, ორივე ხორციელია, სიკვდილიცა და სიყვარულიც, სწორედ ამაშია მათი საშინელება და მათი დიდი ჯადოსნური ძალაც! მაგრამ სიკვდილი, ერთი მხრივ, ეს არის რაღაც სამარცხვინო, უტიფარი, სირცხვილისაგან რომ გაგაწითლებს, მეორე მხრივ, ეს არის მეტად საზეიმო და დიდებული ძალა, ბევრად ამაღლებული, ვიდრე სიცოცხლე, რომელიცხარხარებს, რადგან ფულს იხვეჭს და მუცელს იყორავს. იგი გაცილებით პატივსაცემია, ვიდრე პროგრესი, ყოველ დროში რომ ლაყბობს. რადგან სიკვდილი ისტორია და კეთილშობილებაა, ღვთისმოსაობა და მარადიულობაა, ღვთიური მადლია, რის წინაშეც ქუდს ვიხდით და ფეხის წვერებზე დავდივართ... ასევეა სხეულიც. სხეული და ხორციელი სიყვარული რაღაც უხამსი და მავნეა. თავისი საფარის ქვეშ სხეული შიშისა და სირცხვილისგან წითლდება და ფითრდება, მაგრამ ამასთან, სხეული დიდებული და ღვთაებრივი შარავანდია, ეს არის ორგანული ცხოვრების სასწაულებრივი იერსახე, ფორმისა და სილამაზის წმიდათაწმიდა საოცრება და მის სიყვარულშიც, ადამიანის სხეულის სიყვარულშიც უკიდურესად ჰუმანური ინტერესია გამოხატული და აღმზრდელობითი ძალაც მას უფრო მეტი აქვს, ვიდრე მსოფლიოს მთელ პედაგოგიკას!.. ეს მაცდური ორგანული სილამაზე არც ზეთის საღებავითაა დახატული და არც ქვისგან გამოთლილი, არამედ ცხოვრებისა და ლპობის საიდუმლო აღგზნებით სავსე ცოცხალი და ხრწნადი მატერიისაგანაა შექმნილი! აბა, ერთი შეხედე ადამიანური ჩონჩხის ამ საოცარ სიმეტრიას, მხრებსა და თეძოებს, მკერდის ორივე მხარეს აფეთქებულ კერტებს და წყვილად ჩამწკრივებულ ფერდებს, მომრგვალებული, რბილი მუცლის შუაში ჩამჯდარ ჭიპსა და ბარძაყებს შორის მიმალულ სქესს! შეხედე, ზურგის აბრეშუმივით კანქვეშ როგორ მოძრაობს ბეჭი, ან ხერხემალი როგორ ეშვება ორმაგ, ქორფა და ფაშფაშა დუნდულებისკენ, შეხედე ძარღვებისა და ნერვების ამ კონებს, ტორსიდან რომ მოდის და ტოტებად რომ იშლება იღლიებში; ანდა, მკლავების აღნაგობა როგორ მიესადაგება ფეხების აღნაგობას! ოო, რა ფაფუკი ადგილებია იდაყვისა და მუხლის შიგნითა სახსრებთან, ხორცის ბალიშებს ქვეშ მიმალული კოხტა ორგანული ფორმებით! რა უდიდესი ნეტარებაა მიუალერსო სხეულის ამ სასიამოვნო ნაწილებს! ეს ისეთი ნეტარებაა, მისგან სიკვდილს სანანებლად რომ არ ჩათვლი! დიახ, ღმერთო ჩემო! ნება მომეცი, ვიგრძნო ის სურნელი, სასახსრე ჩანთიდან სრიალა ზეთი რომ გამოყოფს შენი მუხლის თასის ქვეშ! ნება მომეცი, მოკრძალებით შევახო ბაგე შენს , შენი ბარძაყის თავზე რომ ფეთქავს და უფრო ქვევით წვივის ძვლების ორ არტერიად რომ იყოფა! ნება მომეცი, შევისუნთქო შენი ფორების გამონაორთქლი და შევეხო შენი სხეულის ღინღლს, წყლისა და ალბუმინის ადამიანურ სახებას, საფლავის ანატომიისათვის რომაა განკუთვნილი! ნება მომეცი, ბაგით შენს ბაგეს შეწებებული დავიღუპო!) მან ლაპარაკი დაამთავრა, მაგრამ თვალები არ გაუხელია. არ განძრეულა. როგორც იყო, ისევე

დარჩა. თავი უკან ჰქონდა გადაგდებული, გაწვდილ ხელებში ვერცხლისბუდიანი ფანქარი ეჭირა, დაჩოქილს მუხლები უცახცახებდა და აქეთ-იქით ირწეოდა.
— Tu es en effet un galant qui sait solliciter d'une manière profonde, à l'allemande
,(შენ მართლაც ისეთი თაყვანისმცემელი ყოფილხარ, ღრმა, მართლა გერმანელივით რომ იცის ჩაციება!)
- უთხრა ქალმა და თავზე ქაღალდის ჩაჩი ჩამოაცვა.
— Adieu, mon prince Carnaval! Vოუს აურეზ უნე მაუვაისე ლიგნე დე ფი ვრე ცე სოირ, ჯე ვოუს ლე პრ დის
(მშვიდობით, პრინცო კარნავალო! წინასწარმეტყველება: ამ საღამოსტემპერატურა მაღალი გექნება!) .
ამ სიტყვებზე ქალი სკამიდან ჩამოცურდა, ხალიჩაზე გასრიალდა, კარს მიაშურა, წირთხლზე შეჩერდა, ნახევრად შემობრუნდა, შიშველი მკლავი ასწია, ხელით კარის ჩარჩოს მიეყრდნო, ჰანს კასტორპს მხარს ზემოთ გადმოხედა და წყნარად უთხრა:
— N'oubliez pas de me rendre mon crayon
(არ დაგავიწყდეთ, ფანქარი უნდა დამიბრუნოთ!) .
და ოთახიდან გავიდა.

თავი მეექვსე

ცვლილებანი

რა არის დრო? საიდუმლოება - უსახელო და ყოვლისმძლე, მოვლენათა სამყაროს განმსაზღვრელი პირობა, მოძრაობა, გადაჯაჭვული და შერწყმული სივრცეში სხეულების განლაგებასა და მოძრაობასთან. იარსებებდა კი დრო, მოძრაობა რომ არ ყოფილიყო? ან მოძრაობა კი იარსებებდა დროის გარეშე? კითხვა კითხვად რჩება! არის თუ არა დრო სივრცის ფუნქცია ან პირიქით? ან იქნებ ისინი ერთმანეთის იდენტურნი არიან? აქაც მხოლოდ კითხვას ვსვამთ! დრო მოქმედია, მას ზმნით გამოსახატავი თვისება აქვს, იგი „იწვევს", მაგრამ რას? ცვლილებას! „ახლა" და „მაშინ" ერთი და იგივე არ არის, „აქ" არ არის „იქ", რადგან მათ შორის მოძრაობა ძევს, მაგრამ ვინაიდან მოძრაობა, რისი მეშვეობითაც დროს ვზომავთ, წრიულია და თავის თავში ჩაკეტილი, ამიტომ ასეთი მოძრაობისა და ცვლილებისათვის ასევე თავისუფლად შეიძლებოდა სიმშვიდე და უძრაობა გვეწოდებინა - „მაშინ" ხომ გამუდმებით მეორდება „ახლაში", „აქ" კი ცნებაში „იქ". რაკი შემდეგ სასრული დრო და შემოსაზღვრული სივრცე ძალ-ღონის უსაშველოდ დაძაბვის ფასადაც კი ვერ წარმოიდგინეს, გადაწყვიტეს, დრო და სივრცე „მარადიულად და უსასრულოდ გაეაზრებინათ", ალბათ, იფიქრეს, ასეთი განსაზღვრა საუკეთესო თუ არა, სხვაზე ოდნავ უკეთესი მაინც ხომ არისო. მაგრამ „განა მარადიულისა" და „უსასრულოს" შემოღება ყოველივე შემოსაზღვრულისა და სასრულის ლოგიკური გაანგარიშების გზით განადგურებას, შესაბამისად კი მათ ნულამდე დაყვანას არ ნიშნავს? „განა მარადისობაში შესაძლებელია თანამიმდევრობის ანდა უსასრულობაში თანამეზობლობის არსებობა? როგორ შეუთავსდება მარადიულისა და უსასრულოს იძულებით ვარაუდს ისეთი ცნებები, როგორიცაა დაშორება, მოძრაობა, ცვლილება, ან თუნდაც კოსმოსში შემოსაზღვრული სხეულების არსებობა? აი, კითხვები, თუ გნებავთ, ეს არის!
ჰანს კასტორპს ასეთი ან მსგავსი კითხვები უტრიალებდა გონებაში, რომელსაც აქ, ზევით, ჩამოსვლისთანავე გამოემჟღავნებინა ამგვარი საჩოთირო და საკირკიტო აზროვნებისადმი მიდრეკილება, ხოლო უკეთური, მაგრამ ძლიერი წადილის მეოხებით, მას შემდეგ რომ იკმაყოფილებდა ხოლმე, გონება, ალბათ, განსაკუთრებით გამახვილებოდა და სადავიდარაბო სფეროში ჩხრეკის შესაფერი სითამამე შეეძინა. იგი საკუთარ თავსაც უსვამდა ამ კითხვებს, კეთილ იოახიმსაც და თოვლის სქელ საფარველში უხსოვარი დროიდან გახვეულ ხეობასაც, თუმცა სულაც არ მოელოდა, რომელიმე მათგანისაგან თუნდაც პასუხს მიმსგავსებულ

რასმეს მივიღებო, თან ისიც ძნელი სათქმელია, ყველაზე ნაკლებ ვისი იმედი ჰქონდა. საკუთარ თავს კი მხოლოდ იმიტომ უსვამდა ასეთ კითხვებს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რომ არ შეეძლო. იოახიმს ამ საქმეში ნამდვილად ვერ ჩაითრევდა, მას, როგორც ჰანს კასტორპმა ერთ საღამოს ფრანგულად განაცხადა, თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა, - ბარში ჯარისკაცი გამხდარიყო, ამიტომ იგი ხან სულ ახლოს მონანავე, ხან კი კვლავ დამცინავად შორიდან მოჭიატე იმედთან გაალმასებულ ბრძოლაში იყო ჩაბმული და, ეტყობა, უკვე აპირებდა ეს ბრძოლა ძალით დაემთავრებინა. დიახ, კეთილ, თვინიერ, წესიერ, სამსახურისა და დისციპლინის ერთგულ იოახიმს დროდადრო მეამბოხური სული ეუფლებოდა და „გაფკის სკალის“
(„გაფკის სკალა“ - გეორგ თეოდორ ავგუსტ გაფკი (1850-1918) - ცნობილი გერმანელი ბაქტერიოლოგი, უნივერსალური მედიკოსი; „გაფკის სკალა“ აღნიშნავს სკალას, რომლის მეშვეობითაც მიკროსკოპული დაკვირვების შედეგად სისხლში კოხის ჩხირების რაოდენობას ადგენენ.) წინააღმდეგ ილაშქრებდა ხოლმე. „გაფკის სკალა“ იმ გამომკვლევ სისტემას ეწოდებოდა, რითაც ქვევით, ლაბორატორიაში, ანუ როგორც აქაურები ეძახდნენ, „ლაბორში“, პაციენტის ბაცილებით დასნებოვნების ხარისხი მოწმდებოდა. „გაფკის სკალაზე“ ციფრით აღინიშნებოდა, საანალიზო მასაში თითო-ოროლა ბაცილა ერია თუ უამრავზე უამრავი და მერე ამ ციფრზე იყო ყველაფერი დამოკიდებული: გაფკის სკალა სავსებით უტყუარად გვამცნობდა, მის პატრონს გამოჯანსაღების რა შანსი უნდა ჰქონოდა. მოცემული ციფრის მიხედვით არც იმის განსაზღვრა იყო ძნელი, რამდენი თვე ან წელიწადი უნდა გაეტარებინა ადამიანს აქ, დაწყებული ნახევარწლიანი ხანმოკლე ვიზიტით და დამთავრებული ვადით - „მთელი სიცოცხლე“, რაც დროში გადაყვანილი ხშირად საკმაოდ მცირე გამოდიოდა ხოლმე. და აი, სწორედ ამ გაფკის სკალას აუმხედრდა იოახიმი და საჯაროდ აცხადებდა, მისი ავტორიტეტისა არაფერი მწამსო. თუმცა არა, მთლად საჯაროდ, მაინცდამაინც უფროსებთან კი არა, მაგრამ თავის გულისწყრომას ბიძაშვილთან და ასე განსაჯეთ, სუფრასთანაც აღარ მალავდა.
- კმარა, მომბეზრდა, თავს მეტად ვეღარავის გავასულელებინებ, - იტყოდა ხმამაღლა და ნამზეურ სახეზე სისხლი შემოაწვებოდა, - თოთხმეტი დღის წინ ორი გაფკი აღმომაჩნდა, ორი რა არის, სახსენებლადაც არ ღირს,გამოჯანსაღების პერსპექტივაც საუკეთესო მქონდა, დღეს კი სკალა ცხრას უჩვენებს, ბაცილებს თვლა არა აქვს, ბარში ჩასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემს ამბავს ეშმაკიც ვერას გაუგებს, ამის გაძლება შეუძლებელია. ზევით, შაცალპში, ერთი კაცი უწევთ, ბერძენი გლეხია, არკადიელი, ვიღაც აგენტს გამოუგზავნია აქ, უიმედო ავადმყოფია, სწრაფი ჭლექი აქვს, exitus
-ს(ეხიტუს (ლათ.) - აღსასრული, სიკვდილი.)
ყოველდღე შეიძლება ველოდეთ, და ამ კაცის ნახველში ჯერ ერთი ბაცილაცარ აღმოუჩენიათ, ხოლო იმ სქელ ბელგიელ კაპიტანს, ჩემი ჩამოსვლის დღეებში რომ გაეწერა აქედან, ათი გაფკი აღმოაჩნდა, მის ანალიზში ბაცილები ფუთფუთებდნენ, ერთი პაწაწკინტელა კავერნა კი ჰქონდა. გაფკის გაგონებაც აღარ მინდა! მორჩა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მაინც შინ მივდივარ!
ასე ამბობდა იოახიმი და ყველას გული სტკიოდა, ამ წყნარ და თავდაჭერილ ახალგაზრდას ასე აღელვებულს რომ ხედავდნენ. ჰანს კასტორპს იოახიმის მუქარის გაგონებაზე, ყველაფერს მივატოვებ და ბარში გავემგზავრებიო, თავისდა უნებურად გარკვეული მოსაზრებანი აგონდებოდა, მესამე პირისაგან ფრანგულად რომ ჰქონდა მოსმენილი, მაგრამ იგი დუმდა. სამართლიანი იქნებოდა კი ბიძაშვილისათვის მასაც საკუთარი მოთმინება წაეყენებინა ნიმუშად, ფრაუ შტორისა არ იყოს, რომელიც იოახიმს სერიოზულად უკიჟინებდა, შენი სიკერპით ღმერთს ნუ სცოდავ, თვინიერება გამოიჩინე და გამძლეობის მაგალითი ჩემგან აიღე, მე, კაროლინე შტორი, აქ, ზევით, ყოფნას რა მოთმინებით ვიტან, რა მტკიცედ ვეუბნები ჩემს თავს უარს კანშტატში საკუთარ სახლში დიასახლისობაზე, რათა ოდესმე მეუღლეს ჩემი სახით სავსებით და საფუძვლიანად გამოჯანსაღებული თანამეცხედრე დავუბრუნოო? არა, ჰანს კასტორპს ხმა არ ამოეღებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ საყველიერო კარნავალის შემდეგ იოახიმის წინაშე სინდისის ქენჯნას გრძნობდა, უფრო ნათლად რომ

ვთქვათ, სინდისის ხმა ჩასძახოდა, იოახიმი იმ ამბავში - რაზეც ისინი არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ იოახიმმა უეჭველად ყველაფერი იცოდა - რაღაც ღალატის, დეზერტირობისა და ორგულობისმაგვარს ხედავსო, თან ისიც ხომ უნდა მიგვეღო მხედველობაში, იოახიმი ამ მრგვალ-მრგვალ, თაფლისფერ თვალებს, თითქმის უმიზეზო სიცილსა და ფორთოხლის სუნამოს დღეში ხუთჯერ რომ ეჩეხებოდა, მაგრამ ზრდილობიანად არიდებდა თვალს და თეფშიდან თავს არ იღებდა ხოლმე... ჰანს კასტორპი იმ უსიტყვო წინააღმდეგობაშიც კი გრძნობდა მხედრული თავდაჭერილობის გამოძახილს, რითაც იოახიმი დრო-ჟამის“ თაობაზე მის გონებაჭვრეტით ფიქრსა და განსჯას პასუხობდა და თითქოს სინდისზეც აგდებდა. რაც შეეხებოდა ხეობას, თოვლის სქელ საბურველში გახვეულ ზამთრის ხეობას, რომელსაც ჰანს კასტორპი თავისი ჩინებული სკამლოგინიდან ისეთივე ტრანსცენდენტური კითხვებით მიმართავდა, მისი მთების ქონგურები, გუმბათისებური მწვერვალები, ციცაბო კლდეების რიგი და მოყავისფრო-მომწვანო-მოწითალო ტყეები დრო-ჟამში გარინდულიყვნენ, ისინი, უჩუმრად მსრბოლავი მიწიერი დროით შემოქსელილნი, ხან ცის მუქ სილურჯეში აელვარდებოდნენ, ხან ჯანღით შეიბურებოდნენ, ხან მოწითალოდ ღვიოდნენ ჩამავალი მზის სხივებში, ხან კი მთვარიანი ღამის ჯადოსნურ შუქში ალმასივით აციმციმდებოდნენ ხოლმე, ოღონდ მთელი ამ ექვსი უხსოვარი, თუნდაც ელვის სისწრაფით გასული თვის განმავლობაში თოვლში იყვნენ ჩაფლულნი და სანატორიუმში ყველა ჩიოდა, თოვლის დანახვა აღარ შეგვიძლიაო, თოვლი შეგვძულდა, ზაფხულშიც გვეყო, რაც თოვლი ვნახეთო, ახლა კიდევ ყოველდღე თოვლის, თოვლის ბორცვების, თოვლის საფარვლის, თოვლიანი ფერდობების ყურება ადამიანის ძალას აღემატება, გრძნობა-გონებას გვიწამლავსო, და ისინიც ფერად სათვალეებს იკეთებდნენ, მწვანე, ყვითელ და წითელ სათვალეებს, ოღონდ იმდენად თვალებს კი არ უფრთხილდებოდნენ, რამდენადაც გულს იმხიარულებდნენ ხოლმე.

მაშ, მთა და ველი უკვე ექვსი თვეა თოვლშია ჩაფლული? ექვსი კი არა შვიდი თვეა! დრო გადის, სანამ ჩვენ ამბავს ვყვებით, - ჩვენი დროც, რასაც თხრობას ვანდომებთ, და იქ, ზევით, თოვლის საუფლოში, ჰანს კასტორპისა და მისი ბედის თანაზიართა განვლილი დროც, გადის და ცვლილებებს იწვევს. მოვლენებს მართლა ისეთი პირი უჩანდა, როგორც ყველიერის დღეს „კურორტიდან“ შინისაკენ მომავალმა ჰანს კასტორპმა მოკლედ იწინასწარმეტყველა და ბატონი სეტემბრინის გულისწყრომა გამოიწვია; მართალია, გაზაფხულის ბუნიობა ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ ქათქათა ხეობაში უკვე აღდგომა დაბრძანდებოდა, აპრილი საცაა მიიწურებოდა, სულთმოფენობამდე უკვე მიგიწვდებოდათ თვალი, მალე გაზაფხულიც დადგებოდა და თოვლი დნობას დაიწყებდა, ოღონდ, ცხადია, სულ არ დადნებოდა, სამხრეთის მწვერვალებსა და ჩრდილოეთით, რეტიკონის მთაგრეხილზე თოვლი ყოველთვის იდო, აღარაფერს მოგახსენებთ ზაფხულის თვეებში დადებულ თოვლზე, მიწას დიდხანს რომ არ შერჩებოდა ხოლმე; და მაინც, წელიწადის დროის შეცვლას უეჭველად სულ მალე მნიშვნელოვანი სიახლეები უნდა მოჰყოლოდა თან, აკი იმ საკარნავალო ღამის შემდეგ, ჰანს კასტორპმა ფრაუ შოშასგან ფანქარი რომ ინათხოვრა და მოგვიანებით უკანვე დაუბრუნა, მერე კი ფანქრის სანაცვლოდ ქალს სხვასამახსოვრო დასტყუა და ახლა იმ სამახსოვროს ჯიბით დაატარებდა, უკვე ექვსი კვირა იყო გასული - ესე იგი, იმაზე ორჯერ მეტი, ვიდრე ჰანს კასტორპს თავიდან აქ დასარჩენად ჰქონდა გამეტებული.

დიახ, ნამდვილად ექვსი კვირა გავიდა იმ საღამოს შემდეგ, რაც ჰანს კასტორპმა კლავდია შოშა გაიცნო და სამსახურის ერთგულ იოახიმზე გაცილებით გვიან დაბრუნდა თავის ოთახში. ექვსი კვირა გავიდა იმ დღიდან, რაც ფრაუ შოშა გაემგზავრა, ამჯერად დროებით გაემგზავრა დაღესტანში, აღმოსავლეთში, კავკასიონის გადაღმა მხარეში. ეს გამგზავრება რომ დროებითი იყო და არა საბოლოო, ფრაუ შოშა რომ კვლავ დაბრუნებას აპირებდა - გარკვევით არ თქმულა, როდის, მაგრამ ოდესმენებით თუ იძულებით მაინც უნდა დაბრუნებულიყო, - ჰანს კასტორპს ეს აღთქმა მიღებული ჰქონდა, ოღონდ იგი ჩვენ მიერ გადმოცემულ უცხოენოვან დიალოგში არ დადებულა, ალბათ, მაშინ თუ ითქვა, დროის იმ შუალედში, ჩვენ რომ გაჩუმება ვარჩიეთ, შევწყვიტეთ დროის კალაპოტში

მოქცეული თხრობის მდინარება და მეუფეობა მხოლოდ მას, წმინდა დროს გადავულოცეთ. ასე იყო თუ ისე, ახალგაზრდა კაცმა ის აღთქმა და ნუგეშის მომცემი დაპირებანი მანამდე მიიღო, სანამ ოცდამეთოთხმეტე ნომერში დაბრუნდებოდა, რადგან მეორე დღეს ფრაუ შოშას საერთოდ არ დალაპარაკებია, ახლოსაც კი არ უნახავს. ორჯერ მხოლოდ შორიდან დაინახა: ერთხელ სადილობისას, როცა ლურჯი მაუდის ქვედაკაბასა და თეთრ შალის ჟაკეტში გამოწყობილმა ქალმა შემინული კარი მოაჯახუნა და შემპარავი ნაბიჯებით ერთხელ კიდევ წარმტაცად წარონინდა თავისი მაგიდისაკენ; ამის დანახვაზე ჰანს კასტორპს გული ყელში მოებჯინა და მხოლოდ ფროილაინ ენგელჰარდტის ფხიზელმა თვალმა შეაჩერა, თორემ სახეზე ხელებს აიფარებდა; მეორედ ნასადილევს, სამ საათზე, გამგზავრებისას უცქირა შორიდან. მის გამგზავრებას, მართალი გითხრათ, არ დასწრებია, მაგრამ, სამაგიეროდ, გამგზავრების სამზადისს დერეფნის იმ ფანჯრიდან უთვალთვალებდა, სანატორიუმში ამოსასვლელ გზას რომ გადაჰყურებდა.
ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჰანს კასტორპს აქ, ზევით ცხოვრების მანძილზე მრავალჯერ ენახა: მარხილი ან ეტლი გაჩერდებოდა შენობის წინ, მეეტლე და მსახური ჩემოდნებს თოკით შეკრავდნენ, სადარბაზო კართან ავადმყოფები და იმის მეგობრები გამოეფინებოდნენ, ვინც ბარში გაჯანსაღებული თუ სნეული, სასიკვდილოდ თუ სასიცოცხლოდ ბრუნდებოდა, გამცილებლებში ზოგჯერ ისეთებიც ერივნენ, რომლებიც „სამსახურს აცდენდნენ“, ოღონდ კი ღირსშესანიშნავი ამბისგან გამოწვეული მღელვარება განეცადათ. გამოცხადდებოდა ფრაკში გამოწყობილი დირექციის წარმომადგენელი, ზოგჯერ ექიმებიც ინებებდნენ მობრძანებას, სულ ბოლოს კი შინ მიმავალი გამოვიდოდა. წამსვლელებს მოსალოდნელი ცვლილებები თუ ახალისებდათ, ირგვლივ შემოჯარულ ცნობისმოყვარეებსა და გამცილებლებს ასე სახეგაცისკროვნებულნი ალერსიანად რომ ესალმებოდნენ ხოლმე... ამჯერად შენობიდან პირმოღიმარი, უზარმაზარი თაიგულით ხელდამშვენებული ფრაუ შოშა გამოვიდა. ქალს ბეწვით გაწყობილი ხაოიანი ქსოვილის გრძელი სამგზავრო პალტო ეცვა და თავზე დიდი შლაპა ეხურა, თან ახლდა თავისი მკერდჩავარდნილი თანამემამულე, ბატონი ბულიგინი, რომელიც გზის ერთ მონაკვეთზე დაემგზავრებოდა. ფრაუ შოშაც ყველა წამსვლელივით საამო მღელვარებას შეეპყრო. საერთოდ, ეს მღელვარება მხოლოდ და მხოლოდ გარემოს შეცვლის მოლოდინით აიხსნებოდა. სულერთი იყო, პაციენტი ექიმის ნებართვით მიემგზავრებოდა თუ აქ ყოფნა ისე მოყირჭებოდა, რომ სასოწარკვეთილებამდე მისული სინდისის ხმას იხშობდა და რისკზე მიდიოდა. სიხარულისგან ღაწვებშეფაკლული ფრაუ შოშა, სანამ მუხლებს ბეწვის საფარში უფუთნიდნენ, ალბათ, რუსულად, ენას გაუჩერებლივ ატიკტიკებდა... ფრაუ შოშას მარტო მისი თანამემამულენი და თანამესუფრენი როდი აცილებდნენ - სხვა პაციენტებიც აქ იყვნენ. კროკოვსკი მხნედ იღიმებოდა და წვერებში ყვითელი კბილები მოუჩანდა. საიდანღაც კიდევ გაჩნდა ყვავილები, პაპიდა იქ მყოფთ კანფეტით, ანუ როგორც თვითონ ეძახდა, „კონფექტით“, უფრო სწორად, რუსული მარმელადით გაუმასპინძლდა, გამცილებლებს შორის მასწავლებელი და მანჰაიმელიც იყვნენ. ეს უკანასკნელი მოშორებით იდგა და გამოთხოვების სცენას სახემოღრუბლული შესცქეროდა, მერე ტანჯვით აღსავსე მზერა სანატორიუმის შენობას ააყოლა და ნაღვლიანად შეაჩერა დერეფნის ფანჯარასთან ატუზულ ჰანს კასტორპზე... ჰოფრატი ბერენსი არ გამოჩენილა, იგი მიმავალს, როგორც ჩანს, სხვა დროს, თან ცალკე გამომშვიდობებოდა... გამცილებელთა შეძახილებსა და ხელის ქნევაში ცხენები დაიძრნენ, ფრაუ შოშა უეცარი ბიძგისაგან საზურგეს მიაწყდა, მაგრამ ერთხელ კიდევ ღიმილით მოავლო ირიბად გადაჭრილი თვალები „ბერგჰოფის“ ფასადს და წამის ერთი მეასედით მზერა ჰანს კასტორპის სახეზე შეაჩერა... გაფითრებულმა ჰანს კასტორპმა თავის ოთახს მიაშურა, რათა მიმავალი მარხილისათვის თავისი ლოჯიიდან ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი. მარხილი ზანზალაკების წკარუნით ჩაუყვა „სოფლისაკენ“ მიმავალ შარაგზას, ჰანს კასტორპი კი სკამზე მოცელილივით დავარდა და გულჯიბიდან სამახსოვრო საჩუქარი ამოიღო. ამჯერად საწინდრად მოყავისფრო-მოწითალო ჩამონათალები კი არდარჩენია, ვიწრო კანტშემოყოლებული შუშის ფირფიტა უსახსოვრეს, რომელიც სინათლეზე უნდა

დაგეჭირათ, რომ ზედ რაიმე გაგერჩიათ. ეს იყო კლავდიას შინაგანი პორტრეტი, მართალია, ზედ მის სახეს ვერ დაინახავდით, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად შეგეძლოთ მკერდის ღრუს ორგანოები და მთელი ზედატანი გაგერჩიათ, სადაც ნაზ ძვლებს ირგვლივ მსუბუქად, აჩრდილივით შემოვლებოდა ხორცის რბილი ფორმები...
რა ხშირად უთვალიერებია ეს ფირფიტა და ტუჩებზეც მიუკრავს სასოებით იმ დროის განმავლობაში, მას შემდეგ რომ ჩაიარა და ცვლილებებიც გამოიწვია. მაგალითად, რომ შეაგუა აქ, ზევით, ახლებურ ცხოვრებასთან, როცა კლავდია შოშა მისგან სივრცობრივად იყო დაშორებული და შეაგუა იმაზე უფრო სწრაფად, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა: აქაური დრო ხომ სწორედ საიმისოდ იყო მოწყობილი და ორგანიზებული, რომ შეგუება გამოეწვია, თუნდაც ეს იმ აზრთან შეგუება ყოფილიყო, აქაურობას რომ ვერ ეგუებოდი. აღარც მოსალოდნელი იყო და აღარც გაისმოდა ხუთი უხვი ტრაპეზის დაწყებისას ზრიალ-წკრიალი. ახლა აქედან უსაშველოდ შორს, სადღაც სხვაგანაჯახუნებდა ფრაუ შოშა კარს, რადგან მისი ხასიათი ისევე ერწყმოდა და ეჯაჭვებოდა მის ყოფასა და სნეულებას, როგორც დრო-ჟამია სივრცეში განლაგებულ სხეულებთან გადაჯაჭვული. იქნებ მისი ავადმყოფობაც ეს იყო და სხვა არაფერი... იგი, უხილავიც და აქედან წასულიც, ჰანს კასტორპის გონებაში ერთსა და იმავე დროს უხილავიც რჩებოდა და აქ მყოფიც, ის იყო ამ ადგილის გენია, მან რომ ავბედით, ზღვარგადასულ ტკბილ წუთებში შეიცნო და შეითვისა, ისეთ წუთებში, რომელთაც ბარის ვერც ერთი უწყინარი, პატარა სიმღერა ვერ მიუდგებოდა, ეს იმ გენიის შინაგანი სილუეტი იყო, ამ ცხრა თვის მანძილზე ძალუმად მოფართქალე გულთან მიკრულს სასოებით რომ დაატარებდა.
იმ წუთებში მისმა ათრთოლებულმა ბაგეებმა უცხო და მშობლიურ ენებზე ნახევრად გაუცნობიერებლად, ნახევრად გაურკვევლად წაიბუტბუტეს წინადადება, თხოვნა, გიჟური გეგმა და ჩანაფიქრი, რაზეც სავსებით სამართლიანად მიიღო უარი, - იგი მზად იყო გაჰყოლოდა გენიას კავკასიონს გადაღმა, გასდევნებოდა მის კვალს, დალოდებოდა იქ, სადაც გენიის დაუდგრომელი გუნება ამოირჩევდა ნავსაყუდელს, რათა აღარასოდეს დაშორებოდა, ჰპირდებოდა კიდევ ბევრ სხვა ამგვარ სისულელეს, მაგრამ განცდილი ავანტიურისტული წუთების სამახსოვროდ ამ გულუბრყვილო ყმაწვილკაცს მხოლოდ საწინდარი შერჩა და კიდევ ალბათობასთან მიახლოებული შესაძლებლობა, რომ ფრაუ შოშა, ადრე თუ გვიან, აქ მეოთხედ დაბრუნდებოდა, დაბრუნების ვადა კი იმ ავადმყოფობის მიმდინარეობაზე იყო დამოკიდებული, ქალს რომ თავისუფლებას ანიჭებდა. თუმცა ეს ამბავი ადრე მოხდება თუ გვიან, ჰანს კასტორპი დიდი ხნის წასული იქნება აქედანო“, ერთხელ კიდევ ითქვა გამომშვიდობებისას. ამ წინასწარმეტყველებაში შეფარული შეურაცხმყოფელი აზრი კიდევ უფრო ძნელი ასატანი გახდებოდა, რომ არ გცოდნოდა, წინასწარმეტყველებას, დაფიცებისა არ იყოს, უფრო იმ მიზნით წამოისვრიან, მართლა არ ახდესო. ასეთი ყაიდის წინასწარმეტყველაბანი მომავალს აღიზიანებენ, რათა მას შერცხვეს და მართლა წინასწარმეტყველებისამებრ არ წარიმართოს. რაკი გენიამ მას, ჰანს კასტორპს, აქ გადმოცემულ თუ გამოუცემელ საუბარში joli bourgeois au petit endroit humide
“
(„ლამაზი ბურჟუა სველი კერითურთ“ (ფრანგ.).) უწოდა, რაც დაახლოებით სეტემბრინის გამონათქვამის თარგმანს უდრიდა, „ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ ბრძანდებითო, ახლა საკითხავი ის იყო, მის არსებაში ამ რთული შენაერთის რომელი კომპონენტი გადასძლევდა - ბურჟუა თუ მეორე... გენიას კიდევ ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან: თუკი თვითონ მიდიოდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა ხოლმე, ჰანს კასტორპსაც ხომ შეეძლო შესაფერ მომენტში უკან დაბრუნებულიყო, თუმცა ჰანს კასტორპი, სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ იმიტომ არ იცვლიდა აქედან ფეხს, უკან დაბრუნება რომ აღარ დასჭირვებოდა: დიახ, მისი და მისთანების აქ ყურყუტს ნამდვილად ეს აზრი ჰქონდა.
ყველიერის ღამის ერთი დამცინავი წინასწარმეტყველება კი მაინც აღსრულდა: ჰანს კასტორპს ტემპერატურის მრუდი გაუუარესდა, ციცაბოდ აიჭრა ზევით და მანაც საზეიმოდ გამოსახა ფურცელზე ეს ცვლილება, თუმცა ამ ზეასვლის შემდეგ ტემპერატურამ ცოტა დაიკლო და მრუდი ოდნავ უსწორმასწოროდ, ჰლატოსავით

დაადგა თავს აქამდე მისთვის ჩვეულ, ვაკესავით სწორ ხაზს. ეს უკვე ისეთი ტემპერატურა იყო, მისი სიმაღლე და მდგრადობა, ჰოფრატის სიტყვით, ლოკალურ მონაცემებს სრულიად რომ აღარ შეესაბამებოდა.
- ჩემო მეგობარო, შხამი იმაზე უფრო ძლიერად გაქვთ გამჯდარი, ვიდრე ვფიქრობდით, სხვა გზა არ არის, ინიექციებზე უნდა გადავიდეთ! უეჭველად მოგიხდებათ. თუ გნებავთ, ხელს მოგიწერთ, რომ სამ-ოთხ თვეში კენჭივით იქნებით, - უთხრა ჰოფრატმა.
ასე და ამგვარად, ჰანს კასტორპს დილის მოციონის დამთავრებისთანავე კვირაში ორჯერ, ოთხშაბათობითა და შაბათობით, „ლაბორში“ უწევდა ჩასვლა და ნემსის გაკეთება.
მკურნალობას ორი ექიმი უტარებდა, ხან ერთი უკეთებდა ნემსს და ხან მეორე, მაგრამ ჰოფრატი ვირტუოზი იყო თავისი საქმისა, ნემსს ერთი მოქნევით კიდეც ურჭობდა და წამალსაც უშვებდა, სულ არ ენაღვლებოდა, ნემსს სად დაარჭობდა, პაციენტებს ხანდახან ჯოჯოხეთურ ტკივილს აყენებდა, ნანემსარი მერეც დიდხანს ეწვოდათ და უმაგრდებოდათ. ესეც არ იყოს, ინიექცია მთელ ორგანიზმზე ძლიერად მოქმედებდა და ნერვულ სისტემას ისევე არყევდა, როგორც სპორტით გადაღლამ იცის ხოლმე. ეს ყველაფერი წამლის ძალას მოწმობდა, რაც იმაშიც მჟღავნდებოდა, რომ თავიდან ტემპერატურა მაღლაც კი მიიწევდა: ჰოფრატმა ეს წინასწარ უთხრა და ასეც მოხდა, ასე რომ, წინასწარ ცნობილ მოვლენებზე სასაყვედურო არც არაფერი უნდა ჰქონოდა. რიგი რომ მოგიწევდა, მერე პროცედურა სწრაფად გიტარდებოდა. თვალის დახამხამებაში შხამსაწინააღმდეგო ხსნარი, ბარძაყში იქნებოდა თუ მკლავში, შენს კანქვეშ ხვდებოდა. იშვიათად, როცა ჰოფრატი კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა და თამბაქოსგანაც არ იყო მოჟამული, ნემსის გაკეთების შემდეგ პაციენტი და ექიმი ცოტა ხანს ლაპარაკს შეჰყვებოდნენ ხოლმე და ჰანს კასტორპიც შეძლებისდაგვარად სასურველ თემას გადასწვდებოდა.
- ახლაც სიამოვნებით ვიგონებ, შარშან შემოდგომაზე თქვენთან ყავას რომ ვუსხედით, მერედა, რა შემთხვევით გამოგვივიდა სტუმრობა. სწორედ გუშინ იყო თუ გუშინწინ,ჩემს ბიძაშვილს რომ გავახსენე... - წამოიწყო ერთხელ ჰანს კასტორპმა.
- შვიდი გაფკი აქვს, - შეაწყვეტინა ჰოფრატმა, - უკანასკნელი მონაცემები ასეთია, შხამი ვერა და ვერ გამოვუდევნეთ ამ ყმაწვილს ორგანიზმიდან, თანაც ასე ჯერ არასოდეს გავუწვალებივარ და გავუტანჯივარ, როგორც ახლა მაწვალებს. ბავშვივით იქცევა, ერთი სული აქვს, აქედან წავიდეს და წელზე ხმალი დაიკიდოს. წელიწადსა და სამ თვეს ისე იმადლება, თითქოს აქ საუკუნე გაეტარებინოს. რაც უნდა მოხდეს, უნდა წავიდეო, თქვენც ასე გეუბნებათ? ერთი თქვენც უნდა მისდგეთ და ჭკუაზე მოიყვანოთ, თორემ ის თქვენებური ნისლი ვადაზე ადრე თუ ჩაისუნთქა, მერე მორჩა, მარჯვენა ზედა წვერი ვეღარ გაუძლებს. ხმლის მქნეველ კაცს რა ჭკუა მოეკითხება, მაგრამ თქვენისთანა გონიერმა, სამოქალაქო განათლების მქონე კაცმა კი უნდა შეუჯანჯღაროთ ტვინი, რომ სისულელე არ ჩაიდინოს.
- ასეც ვიქცევი, ბატონო ჰოფრატო, - მიუგო ჰანს კასტორპმა, მაგრამ არჩეული გზიდან არ გადაუხვევია, - ასეც ვიქცევი, როცა აბობოქრდება ხოლმე და იმედიც მაქვს, გონს მოვა, მაგრამ თვალწინ ისეთი მაგალითები გვიძევს, რომ მათგან სასიკეთოს ვერაფერს ისწავლი. წამდაუწუმ მიდის ვინმე, მიემგზავრებიან ბარში, თვითნებურად, უსაფუძვლოდ, თან ისეთი ზარ-ზეიმით, თითქოს ეს ნამდვილი და საბოლოო გამგზავრება იყოს, განა ასეთი ამბები სუსტი ნებისყოფის კაცისთვის მაცდუნებელი არ არის? აი, სულ ახლახან, მაგალითად... ვინ წავიდა ამ ცოტა ხნის წინ? ჰო, ერთი ქალბატონი, „კარგ რუსულ მაგიდასთან“ რომ იჯდა, მადამ შოშა. ამბობენ, დაღესტანში გაემგზავრაო. არა, დაღესტანში ჰავა არ ვიცი, როგორია, ალბათ, ჩრდილოურ ზღვისპირეთზე მავნებელი არ იქნება, მაგრამ ჩვენებურად დაღესტანსაც ბარი ჰქვია, თუნდაც გეოგრაფიული გაგებით მთიანიც იყოს, მართალი გითხრათ, ამისთანებში კარგად ვერც ვერკვევი. როგორ უნდა იცხოვროს იქ ავადმყოფმა, სადაც არავის არაფერი გაეგება აქაური წესისა და რიგისა და არც ის იციან, როდის წოლაა საჭირო და როდის სიცხის გაზომვა? თუმცა, როგორც თვითონ მითხრა, უკან დაბრუნებას აპირებს, მაგრამ... არა, მაინც რაზე ვახსენეთ იგი?.. ჰო, თუ გახსოვთ, თქვენ მაშინ ბაღში შეგხვდით, ბატონო

ჰოფრატო, თუმცა არა, ჩვენ კი არ შეგხვდით, თქვენ შეგვხვდით, რადგან ჩვენ ძელსკამზე ვისხედით, დღესაც მახსოვს, რომელ სკამზე ვისხედით, ზუსტად შემიძლია დაგისახელოთ, და სიგარას ვაბოლებდით, უფრო სწორად, მე ვაბოლებდი, რადგან ჩემი ბიძაშვილი გაუგებარი მიზეზების გამო არ ეწევა. სწორედ იმ წუთში თქვენც ეწეოდით და ახლა მომაგონდა, ერთმანეთს გავუცვალეთ კიდეც სიგარები, თქვენი ბრაზილიური“ ძალიან მომეწონა, მაგრამ ეტყობა, ამ სიგარებს გაუხედნავი ცხენივით უნდა მოექცე, თორემ ისეთივე დღე დაგადგება, რაც თქვენ იმ ორმა იმპორტულმა სიგარამ გიყოთ, გული რომ ამოგივარდათ და კინაღამ საიქიოს გაემგზავრეთ. დიახ, რაკი ყველაფერი კარგად დამთავრდა, ახლა შეიძლება ვიცინოთ ამაზე, ორასიოდე ცალი მარია მანჩინი“ სწორედ ახლა გამოვიწერე ბრემენიდან, ამ ნაწარმს მიჩვეული ვარ, ყოველმხრივ მესიმპათიურება, მაგრამ ბაჟი და გამოგზავნის ხარჯები ისე ძვირი მიჯდება, რომ თქვენ თუ აქ ყოფნის ვადას ცოტა ხანში კიდევ გამიგრძელებთ, რაღა გზა მექნება, ისევ რომელიმე აქაურ ბალახბულახს უნდა დავჯერდე, ვიტრინებში მშვენიერი რამერუმეებია გამოფენილი. დღევანდელ დღესავით მახსოვს, თქვენი სურათები რომ დაგვათვალიერებინეთ, უზარმაზარი სიამოვნება განვიცადე, გამაოგნებელია, ისე თამამად ხმარობთ ზეთის საღებავებს, მე ამდენს ვერასოდეს გავბედავდი. ჩვენ ხომ მაშინ ფრაუ შოშას პორტრეტიც ვნახეთ, პირდაპირ აღტაცებული დავრჩი, ისე ოსტატურად გქონდათ კანი დახატული. მაშინ იმ სურათის მოდელს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი, მხოლოდ შორიდან მყავდა ნანახი და გვარიც ვიცოდი. მას შემდეგ, სწორედ მისი ახლანდელი გამგზავრების წინ, პირადადაც გავიცანი.

- რას ბრძანებთ! - თუ თავს ნებას მივცემთ წარსული გავიხსენოთ, ახლაც ზუსტად ისევე მიუგო ჰოფრატმა, როგორც მაშინ, როცა ჰანს კასტორპმა პირველი გასინჯვის წინ აცნობა, ცოტა სიცხეც მაქვსო. ჰოფრატს ამჯერადაც მეტი არაფერი უთქვამს.

- დიახ, გავიცანი, - დაუდასტურა ჰანს კასტორპმა, - როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, არც ისე იოლია აქ ვინმესთან ნაცნობობის გაბმა, მაგრამ ფრაუ შოშამ და მე უკანასკნელ საათს მაინც მოვახერხეთ ერთმანეთის გაცნობა, საუბარში კი...

- ჰანს კასტორპმა კბილი კბილს დააჭირა და ჩაისუნთქა. ამ დროს ნემსი დაარტყეს,

- უუჰ! - ამოიხვნეშა მან, - ეტყობა, რომელიღაც დიდად მნიშვნელოვან ნერვზე მოგიხვდათ უცაბედად ნემსი, ბატონო ჰოფრატო. დიახ, დიახ, საშინლად მტკივა. გმადლობთ, მასაჟმა ცოტა მიშველა... დიახ, საუბარში კი საკმაოდ დავუახლოვდით ერთმანეთს.

- ჰოო! მერე, მერე? - ჰოფრატმა თავი დაუქნია და ისეთი სახით ჩაეკითხა მერე, მერეო, კაცი რომ პასუხად ვინმეს ქება-დიდებას მოელის და შეკითხვაში საკუთარი გამოცდილებით ნაკარნახევი მოსალოდნელი ქების დასტურსაც რომ ურთავს წინასწარ.

- მგონი, ჩემმა ფრანგულმა მიღალატა, -სიტყვა ბანზე აუგდო კასტორპმა, - ანდა საიდან მეცოდინება კარგი ფრანგული, მაგრამ რომ გაგიჭირდება, სიტყვები თითქოს თავისით მოფრინავენ და ერთმანეთს მაინც კარგად ვაგებინებდით.

- ალბათ, ალბათ. მერე? - კვლავ გამომწვევად ჰკითხა ჰოფრატმა და თავის მხრივ დაუმატა, - ეშხიანი ქალია, არა?

ჰანს კასტორპი პერანგის საყელოს იბნევდა, ფეხები და იდაყვები გაეჩაჩხა და სახე ჭერისკენ ჰქონდა აპყრობილი.

- ბოლოს და ბოლოს, ახალი არაფერი მომხდარა, - თქვა მან, - ერთ კურორტზე ორი ადამიანი ან ორი ოჯახი კვირების განმავლობაში ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ და შორიშორს არიან, ერთ მშვენიერ დღეს კი გაიცნობენ ერთმანეთს, გულწრფელად მოეწონებათ ერთმანეთი და ამ დროს აღმოჩნდება, რომ ერთ-ერთი მხარე გამგზავრებას აპირებს. მე მგონი, ასეთი გულისტკენა ხშირია და ადამიანს გინდა კონტაქტები მაინც შეინარჩუნო, ნაცნობების ამბავს, ვთქვათ, წერილებით მაინც ვიგებდე, მაგრამ ფრაუ შოშამ...

- რაო, არ მინდაო, ხომ? - გულკეთილად გაიცინა ჰოფრატმა.

- დიახ, ამის გაგონებაც არ მინდაო. თქვენც არასოდეს გწერთ, სადმე სხვაგან რომ არის ხოლმე?

- არა, ღმერთმა დამიფაროს, - უპასუხა ბერენსმა, - ეგ თავშიც არ მოუვა. ჯერ ერთი,

სიზარმაცის გამო, და მეორეც, როგორ უნდა მომწეროს? რუსულს მე ვერ წავიკითხავ, ჩიქორთულ ლაპარაკს როგორღაც ვახერხებ, როცა გამიჭირდება, მაგრამ კითხვა სულ არ ვიცი. არც თქვენ იცით, ხომ? ფრანგულად და გერმანულადაც ჩვენი ფისუნია სიამოვნებით კრუტუნებს, მაგრამ წერაზე თუ მიდგა საქმე, ნამდვილად შეირცხვენს თავს. ორთოგრაფიას ნუ ეხუმრებით, ჩემო კარგო! ნუგეშის მეტი არაფერი დაგვრჩენია, ბიჭუნი. ის ხომ დროგამოშვებით ჩამოდის ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ეს, როგორც იტყვიან, ტექნიკისა და ტემპერამენტის საქმეა. ზოგი მიდის და მოდის, ზოგი კი საერთოდ არ იცვლის ფეხს, რომ უკან დაბრუნება აღარ დასჭირდეს, თქვენს ბიძაშვილს კი გადაეცით, თუ ახლა წახვალ, ადვილი შესაძლებელია, სულ მალე საზეიმოდ უკან დაბრუნებული გიხილო-თქო.
- კი მაგრამ, ბატონო ჰოფრატო, როგორ ფიქრობთ, მე რამდენ ხანს...
- თქვენ? თქვენ კი არა, ის! ქვევით იმაზე ნაკლებ ხანს მოუწევს ყოფნა, ვიდრე აქ იყო. მე ჩემდათავად, ასე მომიხსენებია და თუ პატივს დამდებთ, გთხოვთ თქვენს ბიძაშვილსაც ასევე გადასცეთ.
ალბათ, დაახლოებით ასე წარიმართა ეს საუბარი, რომელიც ჰანს კასტორპმა მარჯვედ კი შეატრიალა, მაგრამ რაც აინტერესებდა, ის მაინც ვერ გაიგო, თითქმის ყველა კითხვაზე ორაზროვანი პასუხი მიიღო: აქ რამდენ ხანს უნდა დარჩენილიყო, რომ ვადაზე ადრე წასული პაციენტის უკან დაბრუნებას შესწრებოდა, ამ კითხვაზე ორაზროვნად უპასუხეს, ხოლო გაუჩინარებული ქალის ასავალ-დასავლის გაგებას რომ შეეცადა, აქედან მიღებული შედეგი ნულს უდრიდა. ჰანს კასტორპი, ეტყობა, მის ამბავს მანამდე ვერ გაიგებდა, სანამ ერთმანეთს დროისა და სივრცის იდუმალება აშორებდათ. ქალი წერილს არ მოიწერდა, ხოლო თვითონ მიწერა არ შეეძლო... თუმცა, კარგად თუ დაფიქრდებოდი, წერილების წერა განა ნამდვილი ბურჟუაზიული პედანტობა არ გამოდიოდა, მით უმეტეს, თუკი ოდესღაც ფიქრობდი, ერთმანეთს რომ ველაპარაკებოდეთ, არათუ საჭირო, არამედ სასურველიც კი არ არისო? ან თუნდაც იმ დალაპარაკებას“ დალაპარაკება ერქვა განათლებული ევროპის გაგებით, ყველიერის ღამეს ქალს გვერდით რომ ეჯდა და უცხო ენაზე უფრო ბოდავდა, ვიდრე წესისა და რიგისამებრ ესაუბრებოდა? ჰოდა, ახლა რაღა საჭირო იყო წერილების ან ღია ბარათების წერა, როგორც დროდადრო ბარში უგზავნიდა ხოლმე შინაურებს, რომ გამოკვლევის ცვალებადი შედეგები ეცნობებინა? განა კლავდია მართალი არ იყო, წერილების წერაზე იმ ავადმყოფობისავე წყალობით რომ არ ივალდებულებდა თავს, რომელიც თავისუფლებას ანიჭებდა? ლაპარაკი, წერა- ნამდვილად ჩინებული რამ არის, მაგრამ ეს ჰუმანისტებისა და რესპუბლიკელების საქმეა. თუნდაც ვთქვათ, ბატონ ბრუნეტო ლატინისა,(ბრუნეტო ლატინი (დაახლ. 1220-1294) - იტალიელი მწერალი, სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე.)
რომელმაც სათნოებასა და მანკიერებაზე წიგნი დაწერა, ფლორენციელები დახვეწა, მათ ორატორობაც ასწავლა და თავიანთი რესპუბლიკის პოლიტიკის კანონებით მართვა-გამგეობის ხელოვნებაც...
ამის გაფიქრებაზე ჰანს კასტორპს ლოდოვიკო სეტემბრინი მოაგონდა და ისევე გაწითლდა, როგორც მაშინ, როცა მწერალმა მოულოდნელად შემოაღო ავადმყოფის ოთახის კარი და უეცრად გაჩახჩახებულ ოთახში გამოჩნდა. ჰანს კასტორპს შეეძლო იმ გონებაჭვრეტითი გამოცანების ამოსახსნელი კითხვები ბატონი სეტემბრინისთვის დაესვა, თუნდაც გამოწვევისა და კირკიტის მიზნით, თუმცა იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ მიწიერი, ცხოვრებისეული ინტერესების მოტრფიალე ჰუმანისტისაგან ამ კითხვებზე პასუხს მიიღებდა. მაგრამ საყველიერო კარნავალის დღიდან, მას შემდეგ, რაც სეტემბრინი მუსიკალური სალონიდან აღელვებული გავიდა, ჰანს კასტორპსა და იტალიელს შორის უცხოობის ჩრდილი ჩამოწვა. ეს იმის ბრალი იყო, რომ ერთ-ერთ მათგანს სინდისი ქენჯნიდა, ხოლო მეორეს, როგორც პედაგოგსა და აღმზრდელს, გული გასტეხოდა. ამის გამო ერთმანეთს გაურბოდნენ და კვირებიისე გავიდა, მათ შორის ერთი სიტყვაც არ თქმულა. ვითომ სეტემბრინი ჰანს კასტორპს კვლავ ძნელად აღსაზრდელ ბავშვად“ თვლიდა? ნამდვილად არა, იმის თვალში, ვინც კეთილზნეობას გონიერებასა და წესიერებაში ხედავდა, ჰანს კასტორპი

ჩამოწერილი კაცი იყო... და ჰანს კასტორპიც გაუჯიქდა ბატონ სეტემბრინის, მის დანახვაზე წარბებს იჭმუხნიდა და ტუჩს იბზუებდა, ბატონი სეტემბრინი კი უსიტყვო საყვედურით მიაპყრობდა ხოლმე შავად მოელვარე მზერას. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჰანს კასტორპი მაშინვე მოტყდა, ლიტერატორი რამდენიმე კვირის შემდეგ პირველი რომ გამოელაპარაკა, თუნდაც მხოლოდ ორიოდე სიტყვით და ისიც მითოლოგიური ქარაგმის სახით, რაც ევროპულად განათლებული კაცისთვის გასაგები უნდა ყოფილიყო. ეს იყო ნასადილევს. ერთმანეთს იმ შემინულ კარში შეეჩეხნენ, რომელსაც აღარავინ აჯახუნებდა. სეტემბრინი ახალგაზრდა კაცს გაუსწორდა და ნაბიჯის შეუნელებლად უთხრა:
- რაო, ინჟინერო, გეამათ ბროწეული?
(„რაო, ინჟინერო, გეამათ ბროწეული?“ - სეტემბრინი ქარაგმულად ანტიკურ მითზე მინიშნებით კენწლავს კასტორპის გატაცებას კლავდია შოშათი (მითი ეხება პერსეფონეს გატაცებას ჰადესის მიერ, პერსეფონე ზევსისა და დემეტრეს ქალიშვილი იყო, მან ქვესკნელში იგემა ბროწეული - ქორწინების სიმბოლო და ამის გამო ქვესკნელიდან შეეძლო დედამიწაზე წლის მხოლოდ ორი მესამედის განმავლობაში ამოსვლა).) ჰანს კასტორპს სიხარულის ღიმილმა გაუნათა სახე, მაგრამ სეტემბრინის კითხვამ დააბნია:
- როგორ... რაზე ბრძანებთ, ბატონო სეტემბრინი? ბროწეულიო? სუფრაზე ბროწეული რომ არ მოურთმევიათ? ჩემს სიცოცხლეში არ... თუმცა არა, ერთხელ კი გავსინჯე ბროწეულის წვენი ზელტერის წყალთან ერთად და მეტისმეტად ტკბილი მეჩვენა.
იტალიელი უკვე გასცდა ჰანს კასტორპს, მაგრამ თავი მოაბრუნა და დამარცვლით უთხრა:
- ზოგჯერ ღმერთები და მოკვდავნი აჩრდილთა სამეფოს ეწვეოდნენ და უკან დასაბრუნებელ გზასაც პოულობდნენ ხოლმე, მაგრამ მიწისქვეშეთის ბინადრებმა კარგად უწყოდნენ, ვინც მათი საუფლოს ხილს იგემებდა, სამუდამოდ მათი მონა-მორჩილი რომ გახდებოდა.
სეტემბრინის ისევ ის მუდმივ სამოსად ქცეული ღია ფერის უჯრედებიანი შარვალი ეცვა, მან გზა განაგრძო და ზურგს უკან მოიტოვა ჰანს კასტორპი, რომელიც, მისი აზრით, ასეთი მრავალმნიშვნელოვანი ქარაგმისაგან „გულგანგმირული“ უნდა დარჩენილიყო და მეტ-ნაკლებად ასეც გახლდათ კიდეც, თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან კი ცხარობდა, სეტემბრინის ასე რატომ ჭგონიაო, და თავისთვის ბურდღუნებდა:
- ლატინი-მატინი, კარდუჩი-მარდუჩი,
(კარდუჩი - ჯოზუე კარდუჩი (1835-1907) - იტალიელი პატრიოტი პოეტი, ვაჟი კარბონარისა, გატაცებული იყო ანტიკლერიკალური რესპუბლიკური იდეებით, მიემხრო მაძინისა და გარიბალდის, განიცდიდა ლათინური ანტიკურობის გავლენას.) თავი გამანებე, თუ შეიძლება!
თან გული ბედნიერებისგან უჩქროლავდა, სეტემბრინი პირველი რომ გამოელაპარაკა, რადგან იმ ნადავლის, იმ ავბედითი სამახსოვროს მიუხედავად, რომელსაც გულთან მიკრულს დაატარებდა, ბატონი სეტემბრინი ძვირფასი იყო მისთვის, ეს კაცი არ ეთმობოდა და რომ ეფიქრა, ბატონმა სეტემბრინიმ სამუდამოდ მომიძულა და ამაღო ხელიო, იმ ბიჭზე უარეს დღეში ჩავარდებოდა, აი, სკოლაში სათვალავში რომ აღარ აგდებდნენ და ისიც, ბატონი ალბინისა არ იყოს, სირცხვილის უპირატესობებით ტკბებოდა... ასეთ განცდებში იყო ჰანს კასტორპი, მაგრამ მაინც ვერ ბედავდა, მენტორს თვითონ გამოლაპარაკებოდა, მენტორმა კი რამდენიმე კვირა კვლავ უბრად გაიყვანა და თავის ძნელად აღსაზრდელს ახლოს მხოლოდ მას შემდეგ გაეკარა.
ეს მოხდა მაშინ, როცა დრო-ჟამის მონოტონური რიტმით მსრბოლავმატალღამ აღდგომა მოაგორა და ეს დღესასწაული „ბერგჰოფში“ ისევე აღინიშნა, როგორც აღინიშნებოდა დროის ყველა ეტაპი და მონაკვეთი, რათა ამ დაუნაწევრებელი ერთფეროვნებისაგან როგორმე თავი დაეღწიათ. პირველ საუზმეზე ყველა დამსვენებელს თავის თეფშთან იის კონა დახვდა, მეორე საუზმეზე ყველას მოართვეს შეღებილი კვერცხი, ხოლო საზეიმოდ გაშლილ სასადილო სუფრას შაქრისა და შოკოლადის ბაჭიები ამშვენებდა.
- ოდესმე გიმოგზაურიათ გემით, Tenente

(ლეიტენანტო (იტალ.).) , ან თქვენ ინჟინერო? - ჰკითხა ბატონმა სეტემბრინიმ ბიძაშვილებს, როცა ნასადილევს, თავისი კბილის საჩხრეკით ხელში მათ მაგიდასთან მივიდა. დამსვენებელთა უმრავლესობის მსგავსად, ისინიც თხუთმეტი წუთით იმოკლებდნენ სამკურნალო წოლის საათს და სალონში ყავასა და კონიაკს მიირთმევდნენ, - ეს ბაჭიები და შეღებილი კვერცხები ერთ დიდ თბომავალზე გატარებულ დღეებს მაგონებს, მარილიან უდაბნოში კვირების მანძილზე მხოლოდ ჰორიზონტს რომ ხედავ, სრული კომფორტი მხოლოდ ზერელედ გავიწყებს მის უკიდეგანობას, სამაგიეროდ, ცნობიერება სულის უფრო ღრმა ხვეულებში უჩუმრად ძრწის ამ იდუმალი შიშის წინაშე... მეცნობა ეს სულისკვეთება, იმ კიდობნის ბორტზეც ხომ ასევე მოწიწებით აღნიშნავენ ხოლმე terra ferma
-ს
(ხმელეთი (იტალ.).) დღესასწაულებს. ეს გახლავთ გარესამყაროსეული ცხოვრების ხსოვნის პატივისცემა, კალენდრისადმი გულის ამაჩუყებელი ერთგულება... ხმელეთზე დღეს აღდგომა უნდა იყოს, არა? ხმელეთზე დღეს ხელმწიფის დაბადების დღეს ზეიმობენ და ჩვენც ვზეიმობთ, როგორც შეგვიძლია, ჩვენც ხომ ადამიანები ვართო... ასე არ არის განა?
ბიძაშვილები დაეთანხმნენ, დიახ, ნამდვილად ასეაო. ჰანს კასტორპი თან სინდისის ქენჯნას გრძნობდა და თანნასიამოვნებიც იყო, სეტემბრინი რომ დაელაპარაკა და ამიტომ თავგამოდებით, მაღალფარდოვნად ასხამდა ხოტბას სეტემბრინის სიტყვებს და რაც შეეძლო ეპირფერებოდა, რა მახვილგონივრულად, დიდებულად და მაღალმხატვრულად ბრძანებთო. რა თქმა უნდა, როგორც ბატონმა სეტემბრინიმ ხატოვნად ბრძანა, ზუსტად ისეა, საოკეანო გემის კომფორტი მართლაც მხოლოდ ზერელედ გავიწყებს შენ გარშემო გამეფებულ სტიქიონს, და თუ ნებას მომცემთ თქვენს გამონათქვამს ჩემი აზრიც დავუმატო, ამ სრულყოფილ კომფორტში თითქოს ფუქსავატური და გამომწვევი აზრიც კი ურევია, რაღაც იმის მსგავსი, ძველებიHybris
-ს
(ქედმაღლობა, ამპარტავნობა (ბერძნ.).) რომ ეძახდნენო (თავის მოწონების ეშხით ძველებიც კი დაიმოწმა ჰანს კასტორპმა) ანდა რაღაც ამის მსგავსი: „მე ვარ ხელმწიფე ბაბილონისა!“ მოკლედ, იმ კომფორტში რაღაც ამდაგვარი მკრეხელობა ურევიაო. მეორე მხრივ, ბორტზე გამეფებული ფუფუნება ხომ ადამიანის გონებისა და ღირსების ძლევამოსილი ტრიუმფის რეალიზებაა („რეალიზებაო!“). რაკი ადამიანს ეს ფუფუნება და კომფორტი მარილიან, აქაფებულ ტალღებში გააქვს და იქ მამაცურად ინარჩუნებს, ამით ხომ იგი სტიქიას ახრევინებს ქედს, ბუნების ძალებს თოკავს და ეს ქაოსზე კაცობრიობის ცივილიზაციის გამარჯვებას განასახიერებს, თუკი ნებას მომცემთ, ასე გამოვთქვა ჩემი აზრიო...
ბატონი სეტემბრინი ყურადღებით უსმენდა ჰანს კასტორპს, ფეხები გადაეჯვარედინებინა, ხელები გულზე დაეკრიფა და კბილის საჩხრეკს მოხდენილად ისვამდა გადაპრეხილ ულვაშზე. შემდეგ თქვა:
- აღსანიშნავია, რომ ადამიანი არც ერთ განზოგადებულ, მეტ-ნაკლებად დალაგებულ აზრს არ გამოთქვამს ისე, რომ მთლიანად არ გასცეს საკუთარი თავი, ძალაუნებურად არ გამოამჟღავნოს მთელი თავისი მე“, რამენაირად, იგავურად მაინც არ გამოამჟღავნოს საკუთარი ცხოვრების ლაიტმოტივი და მარადიული პრობლემა. თქვენც ასე მოგდით, ინჟინერო, რაც თქვენ აქ ბრძანეთ, ნამდვილად თქვენი პიროვნების სიღრმიდან მომდინარეობს და მისი განვითარების ამჟამინდელ სტადიასაც პოეტურად წარმოგვისახავს: ეს კი ჯერ კიდევ ექსპერიმენტის სტადია გახლავთ...
- Placet experiri
! - თავის ქნევითა და სიცილით უპასუხა ჰანს კასტორპმა და ც“ იტალიურ ყაიდაზე გამოთქვა.
-Sicuro
(რა თქმა უნდა (იტალ.).) , თუკი აქ საქმე სამყაროს შეცნობის სურვილით აღძრულ ღირსეულ ვნებათაღელვას ეხება და არა აღვირახსნილობას. თქვენ Hybris
“ ახსენეთ, დიახ, ეს გამოთქმა იხმარეთ, ოღონდ, როცა გონებისHybris

ბნელი ძალების წინააღმდეგაა მიმართული, მაშინ იგი ადამიანურობის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს, იგი მოშურნე ღმერთების შურისგებას იწვევს,peresempio
,(მაგალითად (იტალ.).) როცა კომფორტაბელური კიდობანი იღუპება და სიღრმეში შვეულად მიექანება, ეს ღირსეული დაღუპვა გახლავთ. პრომეთეს მოქმედებაც
ჰყბრის იყო და სკვითების კლდეზე მისი მარტვილობა
(... და სკვითების კლდეზე მისი მარტვილობა...“ - სეტემბრიანი თითქმისყველა არაევროპელ ერს სკვითებად“ მოიხსენიებს. „სკვითების კლდეში“ „ევროპოცენტრისტი“ სეტემბრინი კავკასიონის ქედს გულისხმობს, რომელზედაც ბერძნული მითის მიხედვით მიჯაჭვული იყო პრომეთეოსი.) ჩვენთვის წმიდათაწმიდაა, მაგრამ იმ სხვაHybris
- ს, გონების საწინააღმდეგო, კაცობრიობის მტრული ძალების შემწეობით ჩატარებულ ავხორცულ ექსპერიმენტში დაღუპვას რაღა ვუწოდოთ? სად ხედავთ აქ ღირსებას? განა შეიძლება აქ ღირსებაზე ლაპარაკი?Si o no
(ან ჰო, ან არა (იტალ.).) .
ჰანს კასტორპი ფინჯანში კოვზს ურევდა, თუმცა შიგ აღარაფერი იყო ჩარჩენილი.
- ინჟინერო, ინჟინერო, - თავის ქნევით უთხრა იტალიელმა და შავი თვალები სივრცეს ფიქრიანად გაუშტერა, - ნუთუ არ გეშინიათ ჯოჯოხეთის მეორე წრის ქარბორბალისა
(„... ნუთუ არ გეშინიათ ჯოჯოხეთის მეორე წრის ქარბორბალისა...“ - სეტემბრინი აქ დანტეს „ჯოჯოხეთის“ V სიმღერაზე მიანიშნებს (ცოდვილებს აქ მისჯილი ჰქონდათ ქარბორბალით მუდმივი მტანჯველი ბზრიალი).) , ხორციელი ცოდვის ჩამდენი რომ ანჯღრევს და აბზრიალებს, იმ უბედურებაზე მოგახსენებთ, ტკბობის წილ გონება რომ შეუწირავთGran Dio
. (ღმერთო დიდებულო (იტალ.).) , რომ წარმოვიდგენ, როგორ წაღმა-უკუღმა იტრიალებთ და იბზრიალებთ ჰაერში, დარდისაგან ლამის გული წამივიდეს...
ამ პოეტურ ხუმრობაზე ბიძაშვილებს მხიარულად გაეცინათ, მაგრამ სეტემბრინიმ დასძინა:
- ყველიერის ღამეს, ღვინის სმისას, თუ გახსოვთ, თქვენ თითქოს დამემშვიდობეთ, ინჟინერო, დიახ, დიახ, იყო რაღაც ამის მსგავსი, დღეს კი ჩემი ჯერია. ნამდვილად ვაპირებ, ბატონებო, დაგემშვიდობოთ. მე ვტოვებ ამ სახლს.
ბიძაშვილები დიდად გაოცდნენ.
- შეუძლებელია! თქვენ, ალბათ, ხუმრობთ! - ზუსტად ისევე წამოიძახა ჰანს კასტორპმა, როგორც ერთი სხვა შემთხვევის დროს, ახლაც თითქმის მაშინდელივით შეეშინდა და წარმოიდგინეთ, სეტემბრინიმაც ისევე უპასუხა:
- სრულიადაც არა. სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. თან ეს ცნობა შეუმზადებლადაც არ მომიწოდებია თქვენთვის. მე გითხარით, როგორც კი დავკარგავ იმედს, რომ დღეს თუ ხვალ შევძლებ შრომის სამყაროში დაბრუნებას, იმ წუთშივე ავშლი აქაურ კარავს და აქვე, სადმე კურორტზე საბოლოოდ დავბინავდები-მეთქი. ჰოდა, ეს წუთიც დადგა. გამოჯანსაღება რომ არ მიწერია, ეს აშკარაა. სიცოცხლე კიდევ შემიძლია გავიხანგრძლივო, ოღონდ იმ პირობით, თუ აქ დავსახლდები. დიახ, განაჩენში, საბოლოო განაჩენში მიწერია, მთელი სიცოცხლე აქ უნდა დავრჩეო. ეს მისთვის ჩვეული ხუმრობის კილოთი მაუწყა ჰოფრატმა ბერენსმა. რა გაეწყობა, აქედან დასკვნები უნდა გამოვიტანო. ბინა დაქირავებულია, ვაპირებ ჩემი მცირედი მიწიერი ავლადიდება, ჩემი სალიტერატურო ხელსაწყო-იარაღები იქ გადავიტანო... ბინა აქედან შორს არ არის, „სოფელში“ გახლავთ, ერთმანეთს, რა თქმა უნდა, შევხვდებით, თქვენს კვალს არ დავკარგავ, მაგრამ როგორც თანამობინადრეს კი პატივი მაქვს, დაგემშვიდობოთ.
აი, რა აუწყა ბიძაშვილებს სეტემბრინიმ აღდგომის კვირას და ორივე დიდად ააღელვა. ამ გადაწყვეტილების თაობაზე ისინი სხვა დროსაც და უფრო ხანგრძლივადაც ესაუბრნენ ლიტერატორს. როგორ შეძლებდა ეს უკანასკნელი კერძო ბინაზე მკურნალობის გაგრძელებას, თან როგორ წაიღებდა ვრცელ ენციკლოპედიურ ნაშრომს ან მუშაობას როგორ განაახლებდა, მან ხომ იკისრა ტანჯვის მომტანი კონფლიქტებისა და მათი ამოძირკვის თვალსაზრისით

განეხილა ყველა ლიტერატურული შედევრი. ისაუბრეს აგრეთვე მის მომავალ ბინაზე, რომელიც ბატონი სეტემბრინის სიტყვით, „ბაყლის“ სახლში გახლდათ. ბაყალმა თავისი საკუთრების ზედა სართული ერთ ჩეხ მკერავს მიაქირავა, იმას კი, თავის მხრივ, მდგმურები ჰყავსო... ამგვარად, ეს საუბარიც უკან დარჩა. დრო მიაბიჯებდა და ცვლილებაზე რაღაც უფრო დიდს ამზადებდა. სეტემბრინი მართლაც აღარ ცხოვრობდა ინტერნაციონალურ სანატორიუმ „ბერგჰოფში“, უკვე რამდენიმე კვირა იყო, მკერავ ლუკაჩეკთან ბინადრობდა. მისი წასვლის დღეს მარხილი არ მოსდგომია ალაყაფის კარს, ბატონი სეტემბრინი ფეხით დაადგა გზას. ტანთ საყელოსა და სახელოებზე ბეწვშემოვლებული მოკლე, ყვითელი პალტო ეცვა, მისი გამცილებელი კი ხელურმით მიაგორებდა მწერლის მიწიერ და ლიტერატურულ ავლადიდებას. სეტემბრინიმ წასვლისას ალაყაფის კარში ერთ დარბაზის ასულს უჩქმიტა ლოყაზე, მერე კი დაინახეს, ჯოხის ქნევით როგორ დაადგა გზას... აპრილი, როგორც მოგახსენეთ, კარგა მოზრდილი ნაწილით, ანუ სამი მეოთხედით, უკვე წარსულის ჩრდილში იყო დანთქმული, მთებში კი ჯერ კიდევ შუა ზამთარი იდგა, დილაობით ოთახში თერმომეტრი ძლივს უჩვენებდა ექვს გრადუს სითბოს, ხოლო გარეთ ყინვა ცხრა გრადუსს აღწევდა, ლოჯიაში მელანი თუ დაგრჩებოდა, ღამით გაიყინებოდა და ყინულის ზოდად, ქვანახშირის ნატეხად გადაიქცეოდა, მაგრამ გაზაფხულის მოახლოება მაინც იგრძნობოდა. დღისით, მზე თუ გამოანათებდა, ჰაერში აქა-იქ უკვე გენიშნებოდათ მისი უჩუმარი, სათუთიფშვინვა. თოვლის დნობის ხანა კარზე იყო მომდგარი, მის დადგომასთან ერთად კი „ბერგჰოფში“ დაიწყებოდა ცვლილებები, რასაც წინ ვერაფერი აღუდგებოდა, ვერც ჰოფრატის ავტორიტეტი და ვერც მისი ცოცხალი სიტყვა, თუმცა ჰოფრატი თავს არ იზოგავდა და ოთახებსა თუ სასადილო დარბაზში, ყოველ გასინჯვაზე, ყოველ ვიზიტზე, თუ ყოველ ტრაპეზზე თავგამოდებით ებრძოდა თოვლის დნობის ხანაზე გავრცელებულ ცრურწმენებს.
მე აქ სპორტსმენები მყავს თუ ავადმყოფები და პაციენტებიო, ცხარობდა ჰოფრატი. ნეტავ ვის რად უნდა თოვლი, და ისიც გაყინული? თოვლის დნობის ხანა მავნებელიაო? მავნებელი კი არა, ყველაზე უფრო მარგებელია! დადასტურებულია, რომ მთელ ხეობაში ამ დროს გაცილებით ცოტაა მწოლიარე ავადმყოფი, ვიდრე წლის რომელიმე სხვა დროს! მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის ცვალებადი ამინდი ფილტვებით ავადმყოფისთვის აქაურზე გაცილებით უფრო მავნებელია! ვისაც ცოტა ჭკუა მაინც აქვს, ის ცდუნებას არ აჰყვება, თავს აქაურ ამინდში გამოიწრთობს და შემდეგ ვეღარაფერს დააკლებს სიცხე-სიცივე, იგი მსოფლიოს ყველა კუთხის ჰავას გაუძლებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, საბოლოო გამოჯანსაღებას დაელოდებაო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ ჰოფრატი ტყუილად იღლიდა ენას, თოვლის დნობის ხანაზე წინასწარ აკვიატებული აზრი ტვინში ყველას მაგრად ჰქონდა ჩაბეჭდილი და კურორტი ცარიელდებოდა. იქნებ გაზაფხული თავისთავადაც უფორიაქებდა სულსა და გულს ადამიანებს, მათ შორის ყველაზე დარბაისელთაც კი უკარგავდა მოსვენებას და ცვლილების ჟინს უღვიძებდა? ასე იყო თუ ისე, „უნებართვოდ და უმართებულოდ“ წამსვლელთა რიცხვმა „ბერგჰოფშიც“ დამაფიქრებლად იმატა. მაგალითად, ამსტერდამელმა ფრაუ ზალომონმა აღარაფრად ჩააგდო ის სიამოვნება, რასაც გასინჯვის პროცედურა და მასთან დაკავშირებით მაქმანიანი ძვირფასი საცვლების გამომზეურება ანიჭებდა და უნებართვოდ, უმართებულოდ გაემგზავრა, გაემგზავრა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ უკეთ გრძნობდა თავს, პირიქით, სწორედ იმიტომ გაემგზავრა, რომ ჯანმრთელობა დღითი დღე უუარესდებოდა. აქ, ზევით, ის ჰანს კასტორპზე გაცილებით ადრე იყო ჩამოსული, მას შემდეგ წელიწადზე მეტი იქნებოდა გასული, მსუბუქ ავადმყოფად მიჩნეულს გამოჯანსაღების ვადა სამი თვით რომ განუსაზღვრეს. ოთხი თვის შემდეგ უთხრეს, „ოთხი კვირაც და მართლა გამოჯანსაღდებიო“, ექვსი კვირის შემდეგ კი უთქვამთ, გამოჯანსაღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, აქ, სულ ცოტა, ოთხი თვე მაინც უნდა დარჩეთო. ასე წაება დღეები ერთმანეთს და რაკი აქ არც კატორღა იყო და არც ციმბირის მაღაროები, ფრაუ ზალომონიც დარჩა და დროდადრო თავის ძვირფას საცვლებს ამზეურებდა ხოლმე, მაგრამ უკანასკნელი გასინჯვის დროს, თანაც თოვლის დნობის დაწყების წინ, მარცხენა ფილტვის წვეროში სტვენისებური ხიხინისა და მარცხენა ბეჭქვეშ ყრუ ტონების გამო კიდევ

ხუთი თვე რომ დაუმატეს, ქალს მოთმინების ძაფი გაუწყდა, მილანძღ-მოლანძღა „სოფელიც“ და „კურორტიც“, საქვეყნოდ ცნობილი ჰაერიც, ინტერნაციონალური სანატორიუმი „ბერგჰოფიც“ და მისი ექიმებიც და პროტესტის ნიშნად შინ, ამსტერდამში, ამ ქარის სათარეშო, ნესტიან ქალაქში გაემგზავრა.
მერედა ჭკვიანური იყო ეს? ჰოფრატმა ბერენსმა მხრები აიჩეჩა, ხელები ჯერ გაშალა, მერე ბარძაყებზე დაიტყაპუნა და განაცხადა, არა უგვიანეს შემოდგომისა ფრაუ ზალომონი კვლავ დაბრუნდება, მაგრამ ამჯერად სამუდამოდო. გაუმართლებდა ჰოფრატს ეს წინასწარმეტყველება? ვნახოთ, ჩვენ ხომ კიდევ ხანგრძლივი მიწიერი დროის განმავლობაში ვიქნებით ამ მოსალხენ ადგილს მიჯაჭვულნი, მაგრამ ზალომონისთანა სხვაც ბევრი იყო. დროს მოჰქონდა ცვლილებები, ის ადრეც თავისას აკეთებდა, მაგრამ თანდათანობით, ასე თვალში საცემად არა. სასადილო დარბაზში ყველა მაგიდასთან, კარგ რუსულ მაგიდასა და მდარესთანაც, სიგრძეზე დადგმულსა და გარდიგარდმოსთანაც, სიხალვათე იგრძნობოდა, ოღონდ ამ გარემოებას შეიძლებოდა სრულიადაც ვერ გამოეხატა სანატორიუმში პაციენტების შემოსვლის ნამდვილი სურათი. ჩამოსვლითაც, ჩვეულებისამებრ, ბევრი ჩამოდიოდა, ოთახები, ეტყობოდა, დაკავებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ უფრო ისეთი პაციენტებით, რომლებიც ფინალურ სტადიაში იმყოფებოდნენ და ამიტომ გადაადგილების უნარი შეზღუდული ჰქონდათ. სასადილოში, როგორც მოგახსენეთ, ზოგი სწორედ იმიტომ აღარ ჩანდა, გადაადგილება რომ ჯერ კიდევ თავისუფლად შეეძლო, ზოგს კი ამ საქმეში მეტისმეტი და ამაო სიმარჯვეც გამოეჩინა, როგორც, მაგალითად, დოქტორ ბლუმენკოლს, რომელიც უკვე მკვდარი გახლდათ. მას ბოლო ხანებში თანდათან უფრო ძლიერად ეხატებოდა სახეზე ისეთი გამომეტყველება, თითქოს პირში რაღაც საშინლად უგემური უდევსო, შემდეგ დიდხანს იყო ლოგინად ჩავარდნილი და ერთ მშვენიერ დღეს გარდაიცვალა კიდეც, ოღონდ ზუსტად ვერავინ გეტყოდათ, როდის. მისი საქმეც, აქაური ჩვეულებისამებრ, ტაქტიანად და საიდუმლოდ მოთავდა. გაჩნდა სიცარიელე. ფრაუ შტორი სუფრასთან ამ სიცარიელის გვერდით იჯდა და იგი შიშის ზარს სცემდა. ამიტომ ადგილი მოინაცვლა და ჭაბუკ ციმსენს იმ მხრიდან მიუსკუპდა, სადაც მის რობინსონი იჯდა ხოლმე. მის რობინსონი გამოჯანსაღებული გაეწერა აქედან. ამრიგად, ფრაუ შტორი ახლა ჰანს კასტორპის მარცხენა მეზობლის, მასწავლებლის პირდაპირ იჯდა, ხოლო ეს უკანასკნელი ძველებურად მედგრად იდგა თავისსაგუშაგოზე. მასწავლებელი ახლა მარტოდმარტო დარჩა მაგიდის ამ მხარეს - სამი დანარჩენი ადგილი ცარიელი იყო. სტუდენტი რასმუსენი დღითი დღე დნებოდა და უძლურდებოდა, შემდეგ ლოგინად ჩავარდა და უკვე სასიკვდილოდ გადადებულად, ანუ მორიბუნდუსად ითვლებოდა; პაპიდაც წასულიყო დროებით თავის დის შვილიშვილსა და მაღალმკერდიან მარუსიასთან ერთად. სხვებისა არ იყოს, ჩვენც ვამბობთ დროებითო“, რადგან უახლოეს ხანში მათი უკან დაბრუნება გადაწყვეტილი საქმე იყო. შემოდგომაზე უკვე აქ იქნებოდნენ და განა ამას საბოლოო გამგზავრება ეთქმოდა? გაზაფხულის ბუნიობამდე რაღა დაგვრჩენოდა, თუკი სულთმოფენობა კარზე იყო მომდგარი? ხოლო ყველაზე გრძელი დღე რომ დადგებოდა, მერე თავდაღმართი იწყებოდა, ბუნება ზამთრისკენ იზამდა პირს, - მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, პაპიდასა და მარუსიას ლამის უკან დაბრუნებულები ეთქმოდათ და ასეც ჯობდა, რადგან ხითხითა მარუსიას გამოჯანსაღებული და შხამებისაგან გათავისუფლებული სულაც არ ეთქმოდა. მასწავლებელს საიდანღაც გაეგო, თაფლისფერთვალება მარუსიას აყვავებულ მკერდზე ტუბერკულოზური სიმსივნეები აქვს, რომლებიც უკვე არაერთხელ ამოუკვეთიათო. მასწავლებელი რომ ამას ჰყვებოდა, ჰანს კასტორპმა თვალი გააპარა და დაინახა, როგორ აუფორეჯდა იოახიმს სახე და თეფშს როგორ ჩააშტერდა.
მხიარულმა პაპიდამ თანამესუფრეებს, ესე იგი, ბიძაშვილებს, მასწავლებელსა და ფრაუ შტორს რესტორანში გამოსამშვიდობებელი ვახშამი, უფრო სწორად, ხიზილალით, შამპანურითა და ლიქიორით დამშვენებული ნადიმი გაუმართა. იოახიმი ვახშამზე ენაჩავარდნილივით იჯდა, დიახ, ჩაწყვეტილი ხმით ძლივს ერთი-ორი სიტყვა ამოთქვა, ბუნებით გულთბილი პაპიდა მის გამხნევებას შეეცადა, თან სულ დაივიწყა ცივილიზებული სამყაროს წესი და რიგი და იოახიმს

შენობით დაუწყო ლაპარაკი:
- ცხვირი ნუ ჩამოუშვი, მამილო, ყოჩაღად იყავი, ჭამე და სვი, ხმა ამოიღე, ჩვენ მალე დავბრუნდებით! - უთხრა პაპიდამ, - ვჭამოთ და ვსვათ, ენა მოვიფხანოთ, დარდი და ნაღველი ჭირსაც წაუღია, ღვთის შეწევნით შემოდგომა ისე მალე მოვა, უკან მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ. აბა, შენ თვითონ თქვი, თუ ღირს ამის გამო ცხვირის ჩამოშვება!
პაპიდამ მეორე დილით სასადილო დარბაზში თითქმის ყველას ჩამოურიგა „კონფექტებიანი“ ჭრელ-ჭრელი კოლოფები და თავისი გოგონებიანად ცოტა ხნით გაემგზავრა.
იოახიმი როგორღა იყო? მას შემდეგ გული საგულეს ჩაუდგა თუ ცარიელი ადგილის შემხედვარეს სული უკვნესოდა? ეს უჩვეულო, ბობოქარი მოუთმენლობა, მისი მუქარა, თუ კიდევ შეეცდებიან ჩემს გაბრიყვებას, აქედან დაუკითხავად წავალო, მარუსიას გამგზავრების ბრალი ხომ არ იყო? ან იქნებ პირიქით, იოახიმი ჯერჯერობით რომ არსად მიდიოდა და თოვლის დნობის ხანის ჰოფრატისეულ ქება-დიდებასაც უგდებდა ყურს, უფრო იმ სხვა ფაქტთან ხომ არ უნდა დაგვეკავშირებინა, რომ მაღალმკერდიანი მარუსია საბოლოოდ კი არა, მხოლოდ დროებით გაემგზავრა და აქაური დროის ხუთი პაწაწკინტელა ერთეულის გავლის შემდეგ კვლავ უკან უნდა დაბრუნებულიყო? ეჰ, ეტყობა, ცოტ-ცოტა აქ ყველაფერი ერია. ჰანს კასტორპს იოახიმთან ამ ამბავზე სიტყვა რომც არ ჩამოეგდო, ისედაც შეეძლო ყველაფერი წარმოედგინა, რადგან თვითონაც ისევე გაურბოდა ამ თემაზე ლაპარაკს, როგორც იოახიმი იკავებდა თავს და ახლახან წასული ერთი პიროვნების სახელს არასოდეს ახსენებდა ხოლმე.
ამასობაში, სეტემბრინის მაგიდასთან, იტალიელის ადგილზე... არა, მაინც ვინ იჯდა ეს ერთი ხანია იქ, ჰოლანდიელების წრეში, რომლებსაც ისეთი მადა ჰქონდათ, რომ ყოველი მათგანი ხუთთავიანი სადილის წინ, ჯერ კიდევ წვნიანის მოტანამდე, სუფრაზე სამ-სამი კვერცხის ტაფამწვარს ადგმევინებდა? ეს გახლდათ ანტონ პავლოვიჩ ფერგე, დიახ, ის ფერგე, ვინც პლევრალური შოკის ჯოჯოხეთური წამება იწვნია! დიახ, ბატონი ფერგე ფეხზე დადგა; პნევმოთორაქსის გარეშეც ისე გამოკეთდა, რომ დღის უმეტეს ნაწილს ჩაცმული, ფეხზე ატარებდა და თავის გულკეთილად ამობურცული ჩიჩახვით ტრაპეზებს არ აკლდებოდა. ბიძაშვილები მას ხან დარბაზში ესაუბრებოდნენ, ხან კი ვესტიბიულში, ხოლო როცა შემთხვევა მიეცემოდათ, გასეირნებაზეც დაიმგზავრებდნენ ხოლმე. მოსწონდათ ეს უბირი მარტვილი, რომელიც აცხადებდა, მაღალი მატერიებისა არაფერი გამეგებაო, და ამის მთქმელი საოცრად სასიამოვნოდ ჰყვებოდა კალოშების წარმოებისა და რუსეთის იმპერიის შორეული კუთხეების - სამარისა და საქართველოს
(„... რუსეთის იმპერიის შორეული კუთხეების - სამარისა და საქართველოს ამბებს“... - აქ კიდევ ერთხელ დასტურდება უსაფუძვლობა იმ ვარაუდისა, რაც გავრცელებულია რატომღაც ჩვენში, რომ თითქოს თომას მანი კარგად იცნობდა საქართველოს.) ამბებს, როცა სამივენი ბურუსიან ამინდში თოვლ-ჭყაპში მიაბოტებდნენ ხოლმე.
გზები მართლაც ისე იყო ატალახებული, რომ გავლა ჭირდა, ხოლო მიდამოს ნისლის ოხშივარი ასდიოდა. მართალია, ჰოფრატი ამბობდა, ეს ნისლი კი არა, ღრუბლებიაო, მაგრამ ჰანს კასტორპისთვის რომ გეკითხათ, ჰოფრატი ხალხს თვალში ნაცარს აყრიდა. გაზაფხული ზამთართან მძიმეჭიდილში იყო ჩაბმული, ზამთარმა ლამის ასჯერ გადასძლია და ეს ჭიდილი თვეობით, თითქმის ივნისამდე გაგრძელდა. ჯერ კიდევ მარტში, მზე გამოანათებდა თუ არა, სიცხე ისე დააჭერდა, რომ გარეთ, სკამლოგინზე, უმსუბუქეს ტანსაცმელში, ქოლგის ქვეშაც არ გაიძლებოდა, ჰოდა, იმ დროს ბერგჰოფში“ გამოერეოდნენ ქალები, რომ გამოიზაფხულებდნენ და პირველ საუზმეზევე მუსლინის კაბებში გამოპრანჭულნი მობრძანდებოდნენ ხოლმე. ამგვარი ამჩატება თითქოს ეპატიებოდათ კიდეც, რაკი აქაური ჭირვეული ამინდი მეტეოროლოგიური თვალსაზრისით თვეებს ერთმანეთში ურევდა და ადამიანს აბნევდა, მაგრამ მათ სულსწრაფობაში ერთდროულად სიბეცეც ერია, ფანტაზიის უქონლობაც, მხოლოდ დღევანდელი დღით მოსულდგმულე ადამიანების უგუნურებაც, რომლებსაც არ შესწევთ მოსაზრების უნარი, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფერი უკუღმა შეტრიალდეს,

ამასთან ერთად ცვლილების ჟინიც და დროის ხარბად შთანმთქავი მოუთმენლობაც: მარტი რახან იდგა, ეს გაზაფხულს ნიშნავდა, გაზაფხული და ზაფხული კი რამ გაყოო, და ისინიც მუსლინის კაბებს ამოაფრიალებდნენ, რომ შემოდგომის დადგომამდე მოესწროთ კაბებით თავის მოწონება. და შემოდგომაც, ასე თუ ისე, იჩენდა ხოლმე თავის ძალას. აპრილში ღრუბლიანი, ცივი, ნესტიანი დღეები დაიჭირა, გამუდმებულ წვიმებში ხან თოვლ-ჭყაპი გამოერეოდა და ხან ქარბუქიც დატრიალდებოდა. პაციენტებს ლოჯიებში წოლისას თითები უშეშდებოდათ, კვლავ ჩადგნენ სამსახურში აქლემის ბეწვის საბნები, ცოტაც და, საძილე ტომრებიც დასჭირდებოდათ, დირექციამ გადაწყვიტა, გათბობა ჩაერთო და ყველა წუწუნებდა, გაზაფხული თვალსა და ხელს შუა გაგვეპარებაო. თვის დამლევს მიდამო თოვლის სქელ საბურველში იყო გახვეული, მაგრამ მერე ფიონმა

(ფიონი (გერმ. ფ ჰნ; ლათ. ფავონიუს - თბილი დასავლეთის ქარი) — თბილი, მშრალი მძაფრი ქარი, რომელიც დროდადრო უბერავს მთებიდან ხეობებისკენ.)

დაუბერა, როგორც იწინასწარმეტყველეს და იყნოსეს გამოცდილმა და მგრძნობიარე პაციენტებმა: ფრაუ შტორმა, სპილოსძვლისფერმა ლევიმ და მათზე არანაკლებ ჰესენფელდის ქვრივმა. მათ ჯერ კიდევ მაშინ იგრძნეს ფიონის მოახლოება, როცა სამხრეთით, გრანიტის მთის მწვერვალის თავზე ღრუბლის პაწაწკინტელა ნაფლეთიც კი არსად ჩანდა. ფრაუ ჰესენფელდს ისტერიკა დასჩემდა, ლევი ჩაწვა, ფრაუ შტორი კი შტერულად აჩენდა კურდღლის კბილებს და ცრუმორწმუნე შიშს აყოლილი წამდაუწუმ გაიძახოდა, პირიდან ნამდვილად სისხლი წამსკდებაო, პაციენტებში ხმა დადიოდა, ფიონი მსგავს მოვლენებს იწვევსო. დადგა საოცრად თბილი დღეები, გათბობა გამოთიშეს, აივნის კარს ღამით ღიას ტოვებდნენ და ოთახში დილით მაინც თერთმეტი გრადუსი სითბო იდგა. თოვლი სწრაფად დნებოდა, ჯერ ყინულის ფერი დაედო, მერე ფაშარი გახდა, დაისვრიტა, სადაც გორებად იდო, ისე ჩაიფუშა, გეგონებოდათ, საცაა მიწაში ჩაძვრებაო. ყველგან წკანწკარი, წკაპუნი და ჩუხჩუხი ისმოდა, ტყეში ხან წვეთები ეცემოდა მიწაზე, ხან კი თოვლი ჩამოიმქვლეოდა ხოლმე, ქუჩებში ქრებოდა თოვლის ბორცვები, იცრიცებოდა მდელოებზე დაფენილი თეთრი ხალიჩები, თუმცა თოვლი ისე სქლად იდო, რომ მთლიანად ასე სწრაფად არ დადნებოდა. მიდამო სავსე იყო საოცრებებით, ხეობაში სავალდებულო სეირნობისთვის განკუთვნილ გზებზე გაზაფხულის ზღაპრული, ჯერ არნახული სიურპრიზები შემოგხვდებოდათ. ხეობაში გადაშლილიყო იალაღი, დასალიერში ჯერ კიდევ თოვლში გახვეული შვარცჰორნი წამომართულიყო, სულ ახლოს, მარჯვნივ, ასევე დათოვლილი სკალეტის მყინვარი მოჩანდა, იალაღზე, რომელსაც ერთი თივის ზვინიღა შერჩენოდა, ჯერ კიდევ იდო თოვლი, თუმცა თოვლის საფარველი დათხელებულიყო და გაცრეცილიყო, აქა-იქ მიწის ხორკლიან, ჩამუქებულ ბორცვებს ამოეყო თავი, თოვლის საბანი კი ყველგან ხმელ ბალახს დაესვრიტა. მოსეირნეებს მოეჩვენათ, რომ იალაღზე მაინც მეტისმეტად არათანაბრად იდო თოვლი, შორს, ტყიანი ფერდობის ძირში, შედარებით სქლად მოჩანდა, ახლოს კი, ზედ დამკვირვებელთა თვალწინ, ნაზამთრალი, გამხმარი, უფერული ბალახი თოვლს მხოლოდ შეეფიფქა, დაეწინწკლა და მოეჩითა... უფრო ახლოს დააკვირდნენ, გაოცებულები დაიხარნენ და ნახეს, რომ ეს თოვლი კი არა, ყვავილები იყო, თოვლის ყვავილები თუ ყვავილების თოვლი, მოკლეყლორტიანი პაწაწკინტელა ფიალები, თეთრი, მოთეთრო-მოცისფრო ფიალები კროკუსები აღმოჩნდა: ღმერთმანი, იალაღის გაჟღენთილი მიწიდან მილიონობით ამოხეთქილ კროკუსებს ისე გადაეპენტა იქაურობა, რომ ნამდვილად თოვლი გეგონებოდათ, და შორეთში მართლაც თოვლის საფარს შეუმჩნევლად ერწყმოდნენ კიდეც.

თავიანთ შეცდომაზე გაეცინათ, სიხარულის სიცილი მოჰგვარათ საკუთარი თვალით ნანახმა სასწაულმა, ფრთხილად, გაუბედავად ამოწვერილი ორგანული სიცოცხლე ასე საყვარლად რომ დამფრთხალიყო და გარემოსთან შეხამებას ლამობდა. ცოტაოდენი დაკრიფეს, ესიყვარულებოდნენ და აკვირდებოდნენ სათუთად მოყვანილ ფიალებს, ღილ-კილოები დაიმშვენეს ამ ყვავილებით, შინაც წაიღეს, ჭიქებში ჩააწყვეს და ოთახებში დაიდგეს, რადგან ხეობის არაორგანული გახევების ჟამი მეტისმეტად ხანგრძლივი, თუნდაც სწრაფად მსრბოლავი, მაგრამ

მაინც ხანგრძლივი გამოდგა.
მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყვავილების თოვლს ნამდვილმა თოვლმა გადაათოვა და ასევე დაემართა მათ შემდეგ ამოსულ ცისფერ მაჩიტებსა და წითელ-ყვითელ ფურისულებსაც. დიახ, გაუჭირდა გაზაფხულს შემობრძანება და აქაური ზამთრის დაჯაბნა! ათჯერ მაინც დაიხია უკან, ვიდრე აქ, ზევით ფეხს მოიკიდებდა, და ეს მოხდა ზამთრის უკანასკნელი შემოტევის შემდეგ, რომელმაც თან მოიტანა თეთრი ქარბუქი, სუსხიანი ქარი და ცენტრალური გათბობა. მაისის დამდეგს (სანამ თოვლის ყვავილების ამბავს გიყვებოდით, მაისიც დადგა), მაისის დამდეგს, ლოჯიაში ბარში გასაგზავნი უბრალო ღია ბარათის დაწერა კი სატანჯველად გექცეოდათ, ნოემბრისებური სუსხიანი სინესტისაგან ისე აგეწვებოდათ თითები, ხოლო იმ არემარეზე ამოსული ორიოდე ფოთლოვანი ხე ისე გაძარცული იდგა, როგორც ბარში იანვარში იცის ხოლმე. მთელი დღეები გადაუღებლად წვიმდა, მთელი კვირა მოდიოდა დელგმა და აქაური სკამლოგინის სანებივრო თვისებები რომ არა, საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა სველი, გახევებული სახით ამდენ საათს ჰაერზე, ღრუბლების ბურში წოლა. და მაინც, მალულად ეს გაზაფხულის წვიმა გახლდათ და რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა, მით უფრო ამხელდა თავს. თოვლი თითქმის სულ დაადნო ამ წვიმამ, სითეთრე აღარსად ჩანდა, ლილოჭრელზე მხოლოდ აქა-იქ თუ დაინახავდით ჭუჭყიანი ყინულის მორუხო ნაფლეთებს და მდელოებს ახლა კი მართლა დაეტყო ამწვანება.
როგორ ესალბუნებოდა თვალს ამ უსასრულო სითეთრის შემდეგ მდელოების სიმწვანე! სხვა სიმწვანეც ერია აქ, სინაზითა და საამო სირბილით ნორჩი ბალახის სიმწვანეს რომ ჯაბნიდა. ეს გახლდათ ლარიქსის ახალგამოფეთქილი წიწვები. ჰანს კასტორპს სავალდებულო სეირნობისას გული იშვიათად თუ მოუთმენდა, რომ მათ ხელით არ მოჰფერებოდა და ლოყით არ მილამუნებოდა, ისე აუტანლად საყვარელნი იყვნენ თავიანთი სირბილითა და სინორჩით ეს წიწვები.
- კაცს პირდაპირ ბოტანიკოსობა მოგინდება, - ეუბნებოდა ახალგაზრდა კაცი თავის თანამგზავრს, - ნამდვილად, მარტო ამ სიამოვნების ხათრით გაგიჩნდება ბოტანიკის სიყვარული, რასაც ჩვენთან, აქ, ზევით ნაზამთრალი ბუნების გამოღვიძება განიჭებს! ეს ხომ გვრიტაა, ადამიანო, აი, იმ ფერდობზე რომ მოჩანს, ეს კი პაწაწინა ყვითელი იების რომელიღაც ჩემთვის უცნობი ჯიშია, აი, აგერ ბაია, ეს ყვავილი ბარშიც ასეთია, ბაიასებრთა ოჯახს მიეკუთვნება, როგორც ვხედავთ, მრავალფურცელაა, საოცრად ლამაზი ყვავილია, სხვათა შორის, ორსქესიანია, ხომ ხედავ უამრავ მტვრიანასა და იქვე ბუტკოებს? რამდენადაც მახსოვს, ეს გახლავს ანდროცეუმი და გინეცეუმი, უეჭველად გამოვძებნი პოპულარული ბოტანიკის წიგნს, სიცოცხლისა და ცოდნის ამ სფეროში რომ გავთვითცნობიერდე. ო, როგორ გადაჭრელდა ქვეყანა!
- ივნისში კიდევ უკეთესი იქნება, - უთხრა იოახიმმა, - აქაური მინდვრის ყვავილები ხომ ცნობილია, მაგრამ არა მგონია, იმათ ამოსვლას დაველოდო. შენ, გეტყობა, კროკოვსკისაგან გადმოგედო ბოტანიკის შესწავლის ჟინი.
კროკოვსკისგანო? კროკოვსკი რაღამ გაახსენა? ჰო, მართლა, ახლახან არ იყო, დოქტორი კროკოვსკი თავის ერთ-ერთ ლექციაზე ბოტანიკაში რომ გადაიჭრა! როგორ ცდებოდნენ ისინი, ვისაც ეგონა, ჟამთა სრბოლით გამოწვეულმა ცვლილებებმა ისეთი მასშტაბი მიიღო, დოქტორი კროკოვსკი ლექციებს აღარ წაიკითხავსო! უწინდებურად თოთხმეტ დღეში ერთხელ კითხულობდა იგი ლექციას ფრაკში გამოწყობილი. მართალია, სანდლები აღარ ეცვა, - სანდლებს იგი ზაფხულობით ატარებდა და მაშასადამე, მალე კვლავ ჩაიცვამდა, - მაგრამ ყოველ მეორე ორშაბათს სასადილო დარბაზში, როგორც მაშინ, ახალჩამოსული ჰანს კასტორპი ლექციაზე სისხლში მოთხვრილი, დაგვიანებით რომ გამოცხადდა, სამი მეოთხედი წლის განმავლობაში ლაპარაკობდა ანალიტიკოსი სიყვარულსა და ავადმყოფობაზე, ბევრს ერთად არასოდეს იტყოდა, პატარ-პატარა ულუფებად, ნახევარსაათიან ან ორმოცდახუთწუთიან საუბრებში აფრქვევდა თავისი ცოდნისა და აზრების საუნჯეს და ყველას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ ლაპარაკს არც არასოდეს დაასრულებდა, ეს ლექციები მარად და ყოველთვის ასე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ეს რაღაცით ნახევართვიან ათას ერთ

ღამეს“ ჰგავდა, მსმენელს ნაწყვეტ-ნაწყვეტ რომ უყვებოდნენ და მათზე ისევე სასიკეთოდ მოქმედებდა, როგორც შაჰრაზადის ზღაპრები აშოშმინებდა ცნობისმოყვარე მეუფეს და ძალადობის წადილს უკარგავდა. თავისი უნაპირობით დოქტორ კროკოვსკის თემა იმ წამოწყებას მოგვაგონებდა, სადაც სეტემბრინი თანამშრომლობდა და ტანჯვის ენციკლოპედია“ ერქვა სახელად, ხოლო თემას რა სახეცვლილების უნარიც ჰქონდა, ეს იქიდან გამოჩნდა, რომ მომხსენებელი ახლახან ბოტანიკასაც კი გადასწვდა, უფრო ზუსტად, სოკოებზე ჩამოაგდო სიტყვა... ეტყობა, ნაწილობრივ მაინც შეცვალა თავისი ლექციის საგანი, ლაპარაკი ახლა უფრო სიყვარულსა და სიკვდილს ეხებოდა, რაც საბაბს იძლეოდა ნათქვამისთვის, ერთი მხრივ, პოეტური სინატიფე, ხოლო, მეორე მხრივ, მკაცრი მეცნიერული ელფერი მიენიჭებინა. ამის გამო იყო, რომ მეცნიერი თავისი აღმოსავლურ ყაიდაზე გაჭიანურებული წარმოთქმით და ნაკლებად ნარნარა, სასისმიერი რაე“-თი ბოტანიკაში, ანუ სოკოების სფეროში შეიჭრა - ორგანული სიცოცხლის ეს ათქვირებული, ჩრდილში ამოსული, ფანტასტიკურიწარმონაქმნები ბუნებით ხორციელნი იყვნენ და ძალიან ახლოს იდგნენ ცხოველთა სამყაროსთან, მათ სტრუქტურაში ნივთიერებათა ცვლის ცხოველური პროდუქტები - ცილა, გლიკოგენი, ანუ ანიმალური სახამებელი მოიძებნებოდა, და დოქტორმა კროკოვსკიმ ერთ სოკოზე ისაუბრა, თავისი ფორმისა და მისთვის მიწერილი ძალის წყალობით ჯერ კიდევ კლასიკურ უძველეს ხანაში რომ იყო ცნობილი, ილაპარაკა, კერძოდ, ხარისფაშვა სოკოზე, მის ლათინურ სახელწოდებას ეპითეტად impudicus
(ურცხვი (ლათ.).) რომ ჰქონდა წამძღვარებული და მოყვანილობით სიყვარულს, ხოლო სუნით სიკვდილს მოგვაგონებდა.Iმპუდიცუს
- ი, როცა ზარისებური ქუდიდან მომწვანო, წებოვანი ლორწო ჩამოედინებოდა, აშკარად გვამის მყრალ სუნს უშვებდა. სოკოს ზემოდან ეს ლორწოვანი, სპორების შემცველი გარსი ჰქონდა გადაკრული, უსწავლელი ხალხი კი მას დღესაც აღმგზნებ თვისებას მიაწერდა.
ო, მანდილოსნების თანდასწრებით ასეთების თქმა ნამდვილად მეტისმეტიაო, ბრძანა პროკურორმა პარავანტმა, რომელიც ჰოფრატის პროპაგანდას მორალურად გაეკაჟებინა და თოვლის დნობის ხანას აღარ გაჰქცეოდა, ფრაუ შტორმაც, რომელიც, სხვათა შორის, ასევე იჩენდა ხასიათის სიმტკიცეს და ყოველგვარ უმართებულო გამგზავრებაზე ფიქრს მედგრად იგერიებდა, სუფრასთან განაცხადა, დღეს დოქტორი კროკოვსკი თავისი კლასიკური სოკოთი მეტისმეტად ობსკურანტული“ იყოო. საბრალომ ობსკურანტულიო“, თქვა და ენით აუწერელი უმეცრებით შებღალა თავისი ავადმყოფობა. ჰანს კასტორპს კი მხოლოდ ის აკვირვებდა, იოახიმმა დოქტორ კროკოვსკიზე რომ გადაუკრა სიტყვა, რადგან, სიმართლე თუ გნებავთ, ისინი ისევე ნაკლებად ლაპარაკობდნენ ანალიტიკოსზე, როგორც კლავდია შოშაზე ან მარუსიაზე, დოქტორ კროკოვსკის არ ახსენებდნენ, ერჩივნათ, მისი პიროვნებისა და მოღვაწეობისათვის დუმილით აევლოთ გვერდი, ახლა კი იოახიმმა ისევე კუშტად ახსენა ასისტენტი, როგორც ამას წინ წამოისროლა, მდელოების აყვავებას აღარ დაველოდებიო. ეტყობა, კეთილი იოახიმი საცაა დაკარგავდა წონასწორობას, გაღიზიანებისგან ხმა ისე უთრთოდა. სადღა იყო ძველი თვინიერი და თავდაჭერილი იოახიმი. იქნებ ფორთოხლის სუნამოზე ნაღვლობდა? ან იქნებ გაფკის სკალის ცუღლუტობას მიჰყავდა სასოწარკვეთილებამდე? იქნებ თვითონვე ვერ გადაეწყვიტა, შემოდგომამდე მოეცადა თუ დაუკითხავად წასულიყო?
სინამდვილეში არსებობდა კიდევ ერთი მიზეზი, იოახიმს ხმა რატომაც უკანკალებდა და ახლახან საკმაოდ დამცინავად ბოტანიკოსი კოლეგა რატომაც ახსენა. ამ მიზეზისა ჰანს კასტორპმა არაფერი იცოდა, უფრო სწორად, არ იცოდა, იოახიმმა თუ იცოდა რაიმე, რადგან თვითონ, ცხოვრებისა და პედაგოგიკისათვის ამ ძნელად აღსაზრდელ ბავშვს, ყველაფერი მეტისმეტად კარგად მოეხსენებოდა. ერთი სიტყვით, იოახიმმა ბიძაშვილი ერთ დანაშაულში დაიჭირა, შემთხვევით გახდა მისი ღალატის მოწმე, იმის მსგავსი ღალატისა, რაც ჰანს კასტორპმა ყველიერის ღამეს ჩაიდინა, კიდევ ერთ ახალ სიმუხთლეზე წაასწრო, თან დანაშაულს ისიც ამწვავებდა, რომ ეტყობოდა, ეს საქმიანობა ჰანს კასტორპს კარგა ხნის დაწყებული უნდა ჰქონოდა.

დრო-ჟამის მსვლელობის მარად მონოტონური რიტმითა და მტკიცე დანაწევრების გზით შემოკლებული ჩვეულებრივი დღის ნაწილს, იმ დღისას, საკუთარ თავთან გამაოგნებელი მსგავსებისა და გაიგივების წყალობით მარად უცვლელი რომ რჩებოდა და ძნელი წარმოსადგენი იყო, თვითონ შეჩერებულ მარადისობად ქცეული ცვლილებებს როგორღა იწვევდა, მოკლედ, იმ მტკიცედ აწყობილი დღის რეჟიმის ნაწილს, როგორც გახსოვთ, წარმოადგენდა დოქტორ კროკოვსკის შემოვლა ნაშუადღევის ოთხის ნახევრიდან ოთხამდე, ამ დროს დოქტორი კროკოვსკი ყველა ოთახს, უფრო სწორად, ყველა აივანსა და სკამლოგინს ჩამოუვლიდა ხოლმე. რამდენმა ჩვეულებრივმა ბერგჰოფულმა დღემ ჩაიარა მას შემდეგ, რაც ჰანს კასტორპს ჰორიზონტალური მდებარეობა ჰქონდა მიღებული და გული მოსდიოდა, ასისტენტი გვერდს რომ მივლის, სათვალავში რატომ არ მაგდებსო! მაშინდელი სტუმარი დიდი ხანია კამერადად“, ანუ ამხანაგად იქცა და თავის საკონტროლო ვიზიტების დროს დოქტორი კროკოვსკი ხშირად ასეც მიმართავდა ხოლმე, და თუკი ეს სამხედრო სიტყვა, რომლის შემადგენელ რ“-ბგერას დოქტორი კროკოვსკი ეგზოტიკურად, სასაზე ენის ერთხელ მიკარებით წარმოთქვამდა, ჰანს კასტორპისავე სიტყვით, მის მთქმელს სულაც არ უხდებოდა, სამაგიეროდ, არცთუ ცუდად ესადაგებოდა მისსავე მხნე, ვაჟკაცურ, ხალისიან, ნდობისა და სიმპათიის აღმძვრელ თავდაჭერას, თუმცა სახის ყვითელი ფერი რაღაცნაირი სიყალბის განცდასა და ეჭვის გრძნობას მაინც ბადებდა.
- აბა, კამერად, როგორ ბრძანდებით? - ეტყოდა ბარბაროსი რუსი ცოლ-ქმრის ლოჯიიდან გამოსული დოქტორი კროკოვსკი ჰანს კასტორპს და სასთუმალთან დაუდგებოდა. იმას კი, ვისაც ასე მხნედ მიმართავდნენ, ხელები გულზე დაეკრიფა, დოქტორს ყოველდღე ნაძალადევი მეგობრული ღიმილით პასუხობდა ამ საზიზღარ მიმართვაზე და თან შავ წვერებში გამომკრთალ ყვითელ კბილებზე აკვირდებოდა, - კარგად მოისვენეთ? - განაგრძობდა დოქტორი კროკოვსკი, - სიცხის მრუდი ქვემოთ იწევს? აჰ, დღეს ზევით აიწია?არაფერია, ქორწილამდე ნორმაში ჩადგება. მიიღეთ ჩემი სალამი, - ამ სიტყვებით, რაც არანაკლებ საზიზღრად ჟღერდა, რადგან იგი სალამის“ მაგიერ სლამს“ ამბობდა, დოქტორი უკვე იოახიმისკენ მიემართებოდა - ეს ხომ შემოვლა გახლდათ, ერთი თვალის გადავლებით წესრიგის შემოწმება და მეტი არაფერი.
ზოგჯერ დოქტორი კროკოვსკი მეტხანს ჩერდებოდა და საუბარსაც შეუყვებოდა ხოლმე. იდგა მხარბეჭგანიერი, ყოველთვის ვაჟკაცურად მოღიმარი და კამერადს სხვადასხვა თემაზე ესაუბრებოდა: ამინდზე, პაციენტების წასვლა-წამოსვლაზე, მისსავე ცუდ თუ კარგ გუნება-განწყობაზე, და ასე განსაჯეთ, მისი პირადი საქმეებით, ჩამომავლობით თუ შეხედულებებითაც კი ინტერესდებოდა, მერე „მიიღეთ ჩემი სლამიო“ იტყოდა და გზას გააგრძელებდა. და ჰანს კასტორპიც, რომელიც, აქაოდა, პოზა შევიცვალეო, ხელებს ახლა თავქვეშ ამოიწყობდა, დოქტორს ასევე ღიმილით პასუხობდა, მართალია, ყელში მოწოლილი ზიზღით, მაგრამ მაინც პასუხობდა. ისინი ჩუმად საუბრობდნენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ მინის ტიხარი ლოჯიებს ბოლომდე არ ყოფდა, გვერდით მყოფი იოახიმი მათ საუბარში სიტყვებს ვერ არჩევდა და თავს ძალასაც არ ატანდა, რაიმე მოესმინა. ეს კი ესმოდა, როგორ დგებოდა მისი ბიძაშვილი სკამლოგინიდან და დოქტორ კროკოვსკისთან ერთად, ალბათ, ტემპერატურის მრუდის საჩვენებლად, ოთახში შედიოდა. ეტყობოდა, საუბარი ერთხანს იქაც გრძელდებოდა, რაკი ასისტენტი იოახიმთან ასეთ დროს დერეფნიდან და თან ცოტაოდენი დაგვიანებით შემოდიოდა ხოლმე.
რაზე ლაპარაკობდნენ კამერადები? იოახიმი ამას არ კითხულობდა, მაგრამ რომელიმე ჩვენგანს რომ მისი მაგალითისთვის არ მიებაძა და ასეთი კითხვა დაესვა, მაშინ უნდა ჩამოგვეთვალა, რა და რა მასალა და საბაბი არსებობდა იმ მამაკაცებისა და თანაც კამერადების სულიერი ურთიერთობისათვის, რომელთა ძირითად შეხედულებებს იდეალისტური ელფერი აძევს, ერთ-ერთი მათგანი თვითგანათლების გზით იმ აზრამდეა მისული, რომ მატერია გონის მიერ ჩადენილი ცოდვაა, მისი გაღიზიანებისგან წარმოქმნილი ავთვისებიანი სიმსივნე, ხოლო მეორე, როგორც ექიმი, ორგანული ავადმყოფობის მეორად ხასიათზე ქადაგებასაა ჩვეული. ჩვენი აზრით, რა ნაირ-ნაირი საკითხი გინდათ, აქ რომ არ

ყოფილიყო განსახილველი და ერთმანეთისთვის გასაზიარებელი: მატერია, როგორც არამატერიალურის სამარცხვინო გადაგვარება, სიცოცხლე, როგორც მატერიის გათახსირება, ავადმყოფობა, როგორც სიცოცხლის აღვირახსნილი ფორმა! მიმდინარე ლექციების გავლენით, აქ შეიძლებოდა სიტყვა ჩამოვარდნილიყო სიყვარულზე, როგორც ავადმყოფობის წარმომშობ ძალაზე, სიმპტომის ზემგრძნობიარე არსზე, „ძველ“ თუ „ახალ“ კერებზე, ხსნად შხამებსა და სიყვარულის სამსალაზე, არაცნობიერის განჭვრეტაზე, სულის დანაწევრების მადლზე, სიმპტომების შექცევადობასა და რა ვიცით, კიდევ რაზე, რადგან რაც აქ ჩამოვთვალეთ, ეს მხოლოდ წარმოდგენები და ვარაუდებია, ვთქვათ, კითხვა რომ დასმულიყო, დოქტორ კროკოვსკისა და ახალგაზრდა ჰანს კასტორპს ერთმანეთთან რა შეიძლებოდა ჰქონოდათ სალაპარაკო.
სიმართლე თუ გნებავთ, ისინი ერთმანეთს აღარც ელაპარაკებოდნენ, ეს ეტაპი უკვე გავლილი ჰქონდათ, მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდა მათი საუბარი. ბოლოს დოქტორი კროკოვსკი ამ პაციენტთან სხვებზე მეტხანს აღარც ჩერდებოდა ხოლმე. აბა, კამერად, მიიღეთ ჩემი სლამიო, ეტყოდა და მეტწილად ამით მთავრდებოდა ხოლმე მისი ვიზიტი. სამაგიეროდ, იოახიმმა ახალი აღმოჩენა მოახდინა, სწორედ ის, რასაც ღალატად უთვლიდა ჰანს კასტორპს, ხოლო ამ აღმოჩენას სავსებით უნებურად, მხედრული პირდაპირობით რომ მოახდენდა და არა თვალთვალის გზით, ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ერთ ოთხშაბათს იოახიმი პირველ სავალდებულო წოლას უეცრად მოსწყვიტეს და სარდაფში მეაბანოესთან გამოიძახეს ასაწონად. და აი, ეს ახალი ამბავიც იქ გაიგო. იგი კიბეზე ჩადიოდა, ლინოლეუმით მოგებულ გაწკრიალებულ კიბეზე, რომლის ბოლოში საორდინატოროს კარიც მოჩანდა. საორდინატოროს ორივე მხარეს გასაშუქებელი კაბინეტები იყო, მარცხნივ ორგანული გაშუქებისათვის, მარჯვნივ კი, კუთხეში, ერთი საფეხურით დაბლა - ფსიქიკურისათვის და ამ უკანასკნელის კარზე დოქტორ კროკოვსკის სადარბაზო ბარათი მიემაგრებინათ. იოახიმს ნახევარი კიბე არ ჰქონდა ჩავლილი, რომ უეცრად შეჩერდა, დაინახა, როგორ გამოვიდა სარდაფში ნემსის გასაკეთებლად ჩამოსული ჰანს კასტორპი საორდინატოროდან, კარი ორივე ხელით გამოიხურა, ირგვლივ არც მიმოუხედავს, ისე გაემართა მარჯვნივ მდებარე კარისკენ, რომელზედაც ჭიკარტებით სადარბაზო ბარათი გახლდათ მიმაგრებული, და რამდენიმე უხმაურო, სწრაფი ნაბიჯით იქ გაჩნდა კიდეც. წელში მოიხარა, დააკაკუნა და ყური ლამის კარზე მოკაკუნე თითს დაადო.
- მობრძანდით! - დაიგუგუნა იმ ოთახის ბინადრის ეგზოტიკური „რაეთი“ და დამახინჯებული ხმოვნებით შეზავებულმა ბარიტონმა და იოახიმმა დაინახა, როგორ დაინთქა მისი ბიძაშვილი დოქტორ კროკოვსკის ანალიზური მღვიმის ბინდბუნდში.

კიდევ ვიღაც სხვა

დადგა გრძელი დღეები, უგრძესი ობიექტურად, დღის სინათლიანი საათების რაოდენობის თვალსაზრისით, თორემ მათ ხანმოკლეობასთან, ვერც თითოეულ მათგანთან ცალ-ცალკე და ვერც მათ ერთფეროვან რბოლასთან, ასტრონომიული ხანგრძლივობა ვერაფერს გახდებოდა. გაზაფხულის ბუნიობიდან თითქმის სამი თვე იყო უკვე გასული, დაიწყო მზის მობრუნება, მაგრამ ბუნებრივი წელიწადი აქ, ჩვენთან, ზევით, კალენდარს ტაატით მისდევდა: მხოლოდ ახლა, მხოლოდ ამ უკანასკნელ დღეებში დადგა საბოლოოდ გაზაფხული, ჯერ კიდევ ზაფხულის პაპანაქებაშეურეველი გაზაფხული, სურნელოვანი, გამჭვირვალე და ნარნარი, ვერცხლისფრად მბზინავი ლაჟვარდითა და ბავშვურად ჭრელაჭრულა მინდვრის ყვავილებით.
ჰანს კასტორპი ფერდობებზე კვლავ პოულობდა ამ ყვავილებს, ახალჩამოსულს იოახიმმა მეგობრული სალმის ნიშნად რომ დაახვედრა, მელიკუდებსა და მაჩიტებს, და ეს მიანიშნებდა, რომ წელიწადი შემობრუნებულიყო. მაინც ორგანული სიცოცხლის რა ნაირსახეობას არ ამოეხეთქა ფერდობებსა და ველ-მინდვრებზე მობიბინე ნორჩი, ზურმუხტოვანი ბალახიდან, ზოგს ვარსკვლავის, ფიალის, ზარისებური ფორმა ჰქონდა, ზოგი უსწორმასწორო მოყვანილობისა იყო. მზით სავსე ჰაერს მშრალი სურნელით ავსებდა უამრავი ადონისი, ველური

იაჟუჟუნა, ზიზილა, წითელ-ყვითელი ფურისულები, ესენი გაცილებით დიდრონი და მშვენიერია, ვიდრე ბარში ოდესმე მინახავსო, ამბობდა ჰანს კასტორპი, ცხადია, თუკი ბარში საერთოდ მიუქცევია მათთვის ყურადღება; მაჩიტაც მრავლად ხარობდა ამ მიდამოებში: ცისფერი, მეწამული და ვარდისფერი მაჩიტები, მძიმედ რომ დაეხარათ ბუსუსებიანი, ზარისებური თავები.
ყველა ეს მშვენიერება დაკრიფა ჰანს კასტორპმა და თაიგულები შინ სერიოზული მიზნით უფრო წაიღო, ვიდრე ოთახის დასამშვენებლად, კერძოდ, განზრახული ჰქონდა, ყვავილები მეცნიერულად დაემუშავებინა. შეიძინა ფლორისთვის განკუთვნილი ხელსაწყოები, ზოგადი ბოტანიკის კურსი, მცენარის ამოსათხრელი პაწია ნიჩაბი, ჰერბარიუმი, ძლიერი ლუპა და ახალგაზრდა კაცი შეუდგა თავის ლოჯიაში საქმიანობას. ჰანს კასტორპი კვლავ საზაფხულოდ იყო გამოწყობილი, ტანზე ბარიდან ჩამოყოლილი ერთ-ერთი კოსტიუმი ეცვა, რაც ასევე წლის დამრგვალების ნიშანი გახლდათ.
ოთახში, ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, ჭიქებით ახალდაკრეფილი ყვავილები ედგა და თავის ჩინებულ სკამლოგინთან მიდგმული პატარა მაგიდაც ყვავილებით ჰქონდა დამშვენებული. ნახევრად დამჭკნარი, ფერწასული, მაგრამ ჯერ კიდევ ქორფა ყვავილები აივნის მოაჯირზე და ლოჯიის იატაკზე იყო მიმობნეული, სხვები კი კოხტად გასწორებული ეწყო საშრობ ქაღალდებს შორის. საშრობი ქაღალდი მათ სინოტივეს ისრუტავდა, ზემოდან პრესის მაგიერ ქვები ედო, რომ შემდეგ ჰანს კასტორპს გამშრალი პრეპარატები წებოიანი ქაღალდის ზოლებით თავის ალბომში ჩაეწებებინა. ჰანს კასტორპი იწვა, მუხლები მოეკეცა, ფეხი ფეხზე გადაედო, მკერდზე სახლის სახურავივით ედგა პირქვე დამხობილი, ნახევრად გადაშლილი ცნობარი, გულუბრყვილო ცისფერ თვალებსა და ყვავილს შორის სქელი გამადიდებელი შუშა დაეჭირა და ყვავილის გვირგვინს გულდასმით აკვირდებოდა. ყვავილსაჯდომის უკეთ შესწავლის მიზნით გვირგვინი ჯიბის დანით წაეკვეთა და ასე გვირგვინწაკვეთილი ყვავილი ძლიერი ლინზის ქვეშ უცნაურად გაფუყული და გაჯირჯვებული მოჩანდა. მტვრიანას წვეროზე დაკიდებული პარკუჭები ყვითელ მტვერს აფრქვევდნენ, ბუტკოდან დაბურცული სვეტი გამოჩრილიყო. იმ სვეტს თუ გასერავდით, ნაზ ღარს დაინახავდით, საიდანაც მტვრის მარცვლები და ტომსიკები შაქრიანი გამონადენის მეშვეობით ბუტკოში გადადიოდა. ჰანს კასტორპი ითვლიდა, ამოწმებდა და ადარებდა, იკვლევდა ჯამის, ფოთლებისა და ყვავილების ფურცლების მდებარეობას, მდედრობით და მამრობით სასქესო ორგანოებს. რასაც ხედავდა, იმას ყვავილების სქემატურ და ბუნებრივ გამოსახულებებს უდარებდა, ნაცნობი მცენარეების აგებულების მეცნიერულ სისწორეს კმაყოფილებით ადასტურებდა და ამჯერად ლინეის სისტემით მისთვის უცნობი ყვავილების ჯგუფებს, კლასებს, ჯიშებს, ოჯახებსა და გვარებს ადგენდა. რაკი დრო ბევრი ჰქონდა, შედარებითი მორფოლოგიის საფუძველზე ბოტანიკურ სისტემატიზაციაში წარმატებასაც კი მიაღწია. ჰერბარიუმში ჩაკრული გამხმარი მცენარის ქვეშ კალიგრაფიული ხელწერით გამოჰყავდა ლათინური სახელწოდებანი, რითაც ასე გალანტურად ამარაგებდა ჰუმანიტარული მეცნიერება, დამახასიათებელ თვისებებსაც იქვე უწერდა, კეთილ იოახიმს უჩვენებდა და ისიც გაოცებას ვერ მალავდა.
ღამღამობით ვარსკვლავებს აკვირდებოდა. ამ ბოლო დროს მეტისმეტად გაიტაცა საკუთარი ღერძის ირგვლივ მბრუნავმა წელიწადმა, მაშინ როცა ამქვეყნად ოცი ასეთი წელიწადი ჰქონდა გატარებული და აქამდე მისი ბრუნვით ერთხელაც არ დაინტერესებულა. ჩვენ თუ უნებურად წამოგვცდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „გაზაფხულის ბუნიობა“, ეს მისმა სულისკვეთებამაც გვათქმევინა და აწმყოს წინასწარ განჭვრეტამაც, რადგან ამის მსგავსი გახლდათ ის ტერმინები, იგი რომ ერთი ხანია აფრქვევდა და თავის ბიძაშვილს ამ დარგში შეძენილი ცოდნითაც აცვიფრებდა ხოლმე.
- ახლა მზე მალე კირჩხიბის ნიშნის ქვეშ მოექცევა, - წამოიწყებდა ხოლმე სეირნობისას, - ერკვევი ამ ამბებში? ეს არის ზაფხულის პირველი ზოდიაქო. შემდეგ ლომისა და ქალწულის გადავლით შემოდგომის დღეღამსწორობის წერტილისკენ გავემართებით, ანუ შემოდგომის ბუნიობისაკენ, რომელიც სექტემბრის ბოლოს დგება, ამ დროს მზე კვლავ გადაკვეთს ცის ეკვატორს, აი, როგორც ახლახან იყო, მარტში, მზე რომ ვერძის ნიშანქვეშ მოექცა.

- შენ წარმოიდგინე ეგ მომენტი გამომრჩა, - შუბლშეკრული ეუბნებოდა იოახიმი, - ან შენ რაღა გალაპარაკებს ამისთანებზე ასე გაუთავებლად? დღეღამსწორობის წერტილიო...ზოდიაქოო.....
- დიახ, ზოდიაქო,zodiacus
. ციური სარტყლის ძველი ნიშნებია: ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა,aquarius (მერწყული (ლათ.).) , და კიდევ რაც ჰქვიათ, განა შეიძლება ეს არ გაინტერესებდეს? სულ თორმეტია ასეთი ნიშანი, ეს მაინც უნდა იცოდე, სამ-სამი წელიწადის ყოველი დროისათვის, აღმავალნი და დაღმავალნი, ესაა ზოდიაქოს ეტლი, რომელზეც მზე მოძრაობს. მე რომ მკითხოთ, დიდებულია! შენ წარმოიდგინე, ამ ნიშნებით მოხატული პლაფონი ერთ ეგვიპტურ ტაძარშიც აღმოაჩინეს და თებეს მახლობლად აღმართულ აფროდიტეს ტაძარშიც. ეს ნიშნები ქალდეველებმაც იცოდნენ, დიახ, ქალდეველებმა, ამ არაბულ-სემიტური მოდგმის ძველმა ჯადოქარმა ხალხმა, ასტროლოგიასა და წინასწარმეტყველბაში დიდად განსწავლულნი რომ იყვნენ. ჯერ კიდევ ისინი სწავლობდნენ ციურ სარტყელს, რომელზეც პლანეტები მოძრაობენ, ეს სარტყელი მათ თორმეტ ნიშნად დაჰყვეს და მათმა დოდეკატემორიამ
(დოდეკატემორია (ბერძნ), - მნათობთა თორმეტი ნიშანი.) ასევე მოაღწია კიდეც ჩვენამდე. დიდებულია, აი, რა არის კაცობრიობა!
- ახლა მთლად სეტემბრინივით თქვი, „კაცობრიობაო“!
- ჰო, მასავით, ან იქნებ ოდნავ სხვანაირად. კაცობრიობა როგორიც არის, ისეთი უნდა იწამო, ის ისედაც დიდებულია. ბევრჯერ გულთბილად მიფიქრია ქალდეველებზე, სკამლოგინზე წამოწოლილი იმ პლანეტებს რომ ვაკვირდები, მათთვისაც რომ იყო ცნობილი, დიდი განსწავლულობის მიუხედავად, ყველა მათაც არ იცოდნენ. ოღონდ მათ რომ არ იცოდნენ, იმ პლანეტებს ვერც მე ვხედავ, ურანი ხომ სულ ახლახან, რაღაც ას ოცი წლის წინ აღმოაჩინეს ტელესკოპით.
- ახლახან?
- დიახ, „ახლახან“-მეთქი, ვამბობ, შენის ნებართვით, მანამდე განვლილ სამი ათას წელიწადთან შედარებით, მაგრამ ასე რომ ვწევარ და პლანეტებს ვაკვირდები, მაშინ ის სამი ათასი წლით დაშორებული ხანაც ახლახან“ მეჩვენება, და ინტიმურად ვფიქრობ ქალდეველებზე, ამ ვარსკვლავებს რომ ხედავდნენ და ლექსებს უძღვნიდნენ, აი, ეს არის კაცობრიობა.
- კარგი, ასე იყოს, მაგრამ თავში დიდმნიშვნელოვანი აზრები კი გიტრიალებს.
- შენ დიდმნიშვნელოვანს“ უწოდებ ამ აზრებს, მე კი ინტიმურს“, გააჩნია, ვინ როგორ გაიგებს. ჰოდა, იმას მოგახსენებდი, მზე რომ სასწორის ნიშანქვეშ შევა, ეს კი მოხდება სამი თვის შემდეგ, მაშინ დღე ისე იქნება შემცირებული, რომ დღე და ღამე გათანაბრდება, შემდეგ დღე იკლებს, ასე გრძელდება შობამდე, ეს შენც კარგად მოგეხსენება, მაგრამ, აბა, ის თუ იცი, მზე როცა ზამთრის ზოდიაქოს ნიშნებს ქვეშაა მოქცეული, თხის რქის, მერწყულისა და თევზების ნიშნის ქვეშ, დღე მაშინ რომ იწყებს კვლავ მატებას! კვლავ დგება გაზაფხულის ბუნიობა, ქალდეველების დროიდან სამი ათას მეასეჯერ და იქიდან მოყოლებული ზაფხულის დადგომამდე დღე სულ მატულობს და მატულობს.
- ეგ თავისთავად ცხადია.
- სულაც არა, ეს მართლაც ოილენშპიგელის(ოილენშპიგელი - ტილ ოილენშპიგელი - გერმანული ხალხური იუმორისტულ-კომიკური მოთხრობების, ე.წ. შვანკების გმირი, რომელიც ხასიათდება ოინბაზობით, ქილიკობით, გონებამახვილური ოინებით.)
ოინბაზობას ჰგავს, ზამთარში მატულობს დღე, ხოლო ოცდაერთ ივნისს, ანუ ზაფხულის დასაწყისში, უგრძესი დღე რომ დადგება, მაშინ კლებას იწყებს, მერე მოკლდება და მოკლდება და კვლავ ზამთრისკენ მივექანებით. შენ ამაზე ამბობ, თავისთავად ცხადიაო, მაგრამ ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს აღარ მოგეჩვენოს ასე? მაშინ ისეთი შიში აგიტანს, რომ მოგინდება თავის გადასარჩენად რაღაცას ჩაებღაუჭო. თითქოს მართლა ოილენშპიგელმა მოაწყო ისე, რომ სინამდვილეში ზამთრის დამდეგს გაზაფხული იწყება, ხოლო ზაფხულის დამდეგს შემოდგომა იღებს სათავეს... ეს ხომ თვალში ნაცრის შეყრას ჰგავს, თითქოს წრეში შევეტყუებინოთ ვინმეს, წრეს თითქოს ბოლო უჩანს, მაგრამ ახლოს რომ მიხვალ, ის ბოლო კვლავ შემობრუნების წერტილი... წრეში ჩართული

შემობრუნების წერტილი აღმოჩნდება. მოგეხსენება, წრე მხოლოდ განუვრცობელი შემობრუნების წერტილებისგან შედგება, რკალი განუზომელია, მას არ გააჩნია ერთი მუდმივი მიმართულება და ამიტომ მარადისობა „პირდაპირ სვლა“ კი არ არის, არამედ „კარუსელივით ბრუნვა“ გახლავს.
- კარგი, გეყოფა!
- მზის მობრუნების დღესასწაული! - განაგრძობდა ჰანს კასტორპი, - გაზაფხულის ბუნიობა! მთებზე დანთებული კოცონი და მობრიალე ალის ირგვლივ ჩაბმული ფერხული! არასოდეს მინახავს, მაგრამ გამიგონია, ასე ზეიმობენ ბუნების შვილნი ზაფხულის პირველ ღამესო. ამ ღამით იწყება შემოდგომა, ეს გახლავს წელიწადის შუადღე და უმაღლესი მწვერვალი, საიდანაც თავდაღმართი იწყება და ისინიც ცეკვავენ და ყიჟინას სცემენ. თუ გესმის, რაზე სცემენ ყიჟინას ეს თვითმყოფადი ადამიანები? რა ამხიარულებთ ასე წრეგადასულად? რა და, თავდაღმართი რომ წყვდიადისკენ მიექანება, ან იქნებ ის, რომ აქამდე აღმართი ედოთ წინ და ახლა შემობრუნების წუთი დაუდგათ, გარდაუვალი შემობრუნების პუნქტი, შუა ზაფხულის ღამე, სრული ზეასვლა, როცა აღტყინებას ნაღველიც ახლავს ხოლმე თან. მე იმას ვამბობ, რაც არის და იმ სიტყვებით, რაც მომადგება ენაზე. ეს მელანქოლიური აღტყინება და აღტყინებული მელანქოლია აყიჟინებს და აცეკვებს ამ ბუნების შვილთ ცეცხლისირგვლი. შენ მეტყვი, ამას მხოლოდ სასოწარკვეთილების გამო სჩადიან, მუდმივ მიმართულებას მოკლებული მარადისობის წრის ოინბაზობის პატივსაცემად, სადაც ყველაფერი თავიდან მეორდებაო.
- მე არაფერსაც არ გეუბნები, - წაიბურდღუნა იოახიმმა, - თუ ხათრი გაქვს, მე თავი დამანებე. ეს შენ ეწევი დიდ საქმიანობას, ღამღამობით აივანზე რომ წევხარ.
- იქნებ მეც გითხრა, შენ ჩემზე უფრო ნაყოფიერად იყენებ დროს, რუსულ გრამატიკას რომ სწავლობ-მეთქი. სულ მალე ენა გამართულად გეცოდინება, ადამიანო, ღმერთმა დაგვიფაროს და, ომი რომ ატყდეს, დიდი გასავალი გექნება.
- ღმერთმა დაგვიფაროსო? როგორ გეტყობა, სამოქალაქო პირი რომ ხარ. ომი საჭიროა. მოლტკეს(მოლტკე - გრაფი ჰელმუთ ფონ მოლტკე (1800-1891), პრუსიელი გერმანელი და არმიის რეფორმატორი, 1871 წლიდან გენერალ-ფელდმარშალი.) აქვს ნათქვამი, ომები რომ არა, მსოფლიო სულ მალე დამყაყდებოდაო.
- მართალი ხარ, მოლტკეს ნამდვილად აქვს ომისკენ მიდრეკილება. მეც უნდა დაგეთანხმო, - წამოიწყო ჰანს კასტორპმა და ის იყო, ქალდეველებს უნდა მიბრუნებოდა, რომლებიც ასევე ომობდნენ და ბაბილონიც დაიპყრეს, თუმცა სემიტები, ანუ თითქმის ებრაელები იყვნენო, რომ ორივემ ერთდროულად შეამჩნია მათ წინ მიმავალი ორი მამაკაცი, ეტყობოდა, ამ ლაპარაკმა ისე მიიქცია მათი ყურადღება, რომ სიტყვა გაწყვიტეს და ახალგაზრდებს მოუხედეს.
ეს ამბავი მთავარ ქუჩაზე ხდებოდა, კურზალსა და სასტუმრო „ბელვედერს“ შუა, სოფელ დავოსისკენ მიმავალ გზაზე. ხეობა თითქოს საზეიმოდ მორთულიყო ნაზ, ნათელ, მხიარულ ფერებში. ჰაერი დიდებული იყო, წმინდა, მშრალი, მზით გაჩახჩახებულ ატმოსფეროს მინდვრის ყვავილების მრავალფეროვანი, ხალისიანი სურნელის სიმფონია ავსებდა.
მათ იცნეს ვიღაც უცნობის გვერდით მიმავალი ლოდოვიკო სეტემბრინი, ოღონდ მან ან ვერ იცნო ისინი, ან მათთან შეხვედრას მოერიდა, რადგან პირი კვლავ სწრაფად მიიბრუნა, თავის თანამგზავრთან ჟესტიკულაციით შეზავებული საუბარი განაგრძო და ასე განსაჯეთ, ფეხსაც კი აუჩქარა. ბიძაშვილები მაინც წამოეწივნენ, მარჯვნიდან ამოუდგნენ და მხიარულად დაუკრეს თავი. ისიც ვითომ ძალიან გაოცებული და გახარებული შეჩერდა და ბიძაშვილებს ჩვეული სიტყვებით შეეგება. „ჯერ წამოიძახა „შაპრისტი“, მერე კი „ეშმაკმა დალახვროსო“, მაგრამ მაინც შეეცადა, ორივე წინ გაეტარებინა და ჩამოეცილებინა. ბიძაშვილები ვერაფერს მიუხვდნენ, უფრო სწორად, ვერ შეამჩნიეს სეტემბრინის ჟესტი, რადგან ამაში გონივრული არა იყო რა. ამდენი ხნის განშორების შემდეგ ორივეს გულწრფელად გაუხარდა სეტემბრინის დანახვა, შეჩერდნენ, ხელი ჩამოართვეს, მოიკითხეს და თავაზიანი მოლოდინით შეავლეს თვალი მის თანამგზავრს. ასე აიძულეს იგი, რაც არ უნდოდა, სწორედ ის გაეკეთებინა, თუმცა თავშეკავების მიზეზს ვერც ამჯერად მიუხვდნენ, რადგან მსგავსი რამ ამქვეყნად ყველაზე უფრო ბუნებრივ და იოლ საქმედ მიაჩნდათ - სახელდობრ ის, რომ სეტემბრინის მათთვის

თავისი თანამგზავრი გაეცნო: და მართლაც საამისოდ შეჩერებაც არ დასჭირვებიათ - სეტემბრინის გაცნობის ცერემონიალისთვის გულითადი ჟესტები და მხიარული სიტყვები არ დაუშურებია და ახალგაცნობილებმაც ზედ მის მკერდთან ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.
უცნობი, რომელიც სეტემბრინის ხნისა უნდა ყოფილიყო, მისი მეზობელი აღმოჩნდა - ისიც მკერავ ლუკაჩეკთან იდგა მდგმურად და თუ ახალგაზრდებმა სწორად გაიგეს, გვარად ნაფტა გახლდათ. ჩია, პირგაპარსულ კაცს ისეთი უსიამო, უფრო სწორად, ისე ამაზრზენად უშნო სახე ჰქონდა, რომ მის დანახვაზე ბიძაშვილები განცვიფრდნენ. ყველა ნაკვთი მკვეთრად ჰქონდა მოხაზული: კეხიანი, მთელ სახეზე გაბატონებული ცხვირი, მაგრად მოკუმული თხელი ტუჩები და სხვათა შორის, მსუბუქ ჩარჩოში ჩასმული, მაგრამ მეტისმეტად სქელი სათვალის შუშებიც, საიდანაც მისი ღია ნაცრისფერი თვალები იმზირებოდნენ და თვით დუმილიც კი, რომელიც მიგვანიშნებდა, ამ ჩია კაცს ლაპარაკიც მკაფიო და თანამიმდევრული ეცოდინებაო; კოსტიუმის ამარას აქაური ჩვეულებისამებრ თავზე არც ქუდი ეხურა, ოღონდ ზედმიწევნით კარგად კი იყო ჩაცმული, საზოგადოებაში გამოსულიახალგაზრდების გაწაფულ თვალს არ გამოჰპარვია, რომ მუქი ლურჯი, თეთრზოლებიანი ფლანელის კოსტიუმი ჩინებულად და თან მოდაზე ჰქონდა შეკერილი. თავის მხრივ, პატარა ნაფტამაც ასევე გაწაფული, მაგრამ მათზე უფრო მახვილი და სწრაფი თვალით გაზომა ახალგაზრდები. ლოდოვიკო სეტემბრინის რომ იმის შნო არ ჰქონოდა, ასე ღირსეულად შეეფერებინა თავისი ხაოიანი სერთუკი და უჯრედებიანი შარვალი, ამ კოხტად ჩაცმულ საზოგადოებაში უთუოდ დაიჩაგრებოდა, თუმცა ამჯერად ეს საფრთხე შედარებით ნაკლებად ემუქრებოდა, რადგან უჯრედებიანი შარვალი ახალგაუთოებული გახლდათ და ერთი შეხედვით თითქმის ახალივით გამოიყურებოდა. შარვალს ბინის პატრონის ხელი დასტყობიაო, იმწამსვე გაიფიქრეს ახალგაზრდებმა. თუკი გონჯი ნაფტა ძვირფასი და მოდური ჩაცმულობით ბიძაშვილებთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე თავის მეზობელთან, სამაგიეროდ, მას და სეტემბრინის, ასაკს გარდა, კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აწყვილებდა და ახალგაზრდებისაგან გამოარჩევდა. ერთი სიტყვით, ამ ორ წყვილს ერთმანეთისგან ყველაზე აშკარად სახის ფერი განასხვავებდა; პირველ წყვილს მზისგან ბრინჯაოსფერი და წითელი ფერი დასდებოდა, მეორე წყვილს კი სახე ფერმკრთალი ჰქონდა. იოახიმიზამთარში მთლად ბრინჯაოსფრად ჩამუქებულიყო, ჰანს კასტორპს კი შუაზე გაყოფილი ქერა თმის ფონზე სახე ვარდისფრად უღუოდა. სეტემბრინის რომანული ტიპის, შავი ულვაშით შემკულ, კეთილშობილურ ფერმკრთალ სახეს მზე არ ეკიდებოდა, მისი ამხანაგი კი, მართალია, ქერათმიანი გახლდათ, უფრო სწორად, პიტალო შუბლს ფერფლისფერი, ლითონივით მქრქალი თმა უმშვენებდა, მაგრამ სახის კანი მასაც შავგვრემანი რასისთვის დამახასიათებელი მკრთალი ფერისა გამოჰყოლოდა. ამ ოთხიდან ორს ხელჯოხი ეკავა, სახელდობრ, ჰანს კასტორპსა და სეტემბრინის, იოახიმი მხედრული ღირსების შესანარჩუნებლად ამბობდა უარს ხელჯოხზე, ნაფტამ კი წარდგენის ცერემონიალის შემდეგ კვლავ ზურგს უკან დაიწყო ხელები. ეს ნაზი, პატარა ხელები და ასევე პატარა, კოხტა ფეხები საუცხოოდ ეხამებოდა მის გარეგნობას და სულ არ გეჩოთირებოდათ, მათი პატრონი, ალბათ, გაცივების გამო, როგორღაც სუსტად და უნიათოდ რომ ახველებდა.
სეტემბრინი იმწამსვე მოერია თავს და მოხდენილად დაფარა ახალგაზრდების დანახვით გამოწვეული შეცბუნება თუ წყენა, თავი მოიმხიარულა და სამი მამაკაცი ხუმრობით წარუდგინა ერთმანეთს. მაგალითად, ნაფტას Princeps scholasticorum
“

(„სქოლასტიკოსების თავადი“ (ლათ.).) უწოდა, მერე კი დასძინა, როგორც არეტინო(არეტინო - პიეტრო არეტინო (1492-1556) - იტალიელი მწერალი, ცნობილი თავისი სატირული თხზულებებით.)
იტყოდა, მხიარულებას მთელი ბრწყინვალებით დაუვანებია მისი მკერდის დარბაზებში“ და ეს გაზაფხულის ბრალია, იმ გაზაფხულისა, ჭეშმარიტად ქების ღირსი რომ არისო. ხშირად დამიჩივლია და ბატონებსაც კარგად მოეხსენებათ, აქაურობა გულზე რომ არ მეხატება, მაგრამ ქება-დიდება მაღალმთიანეთის გაზაფხულს, იგი დროებით მაინც მიადვილებს ამ მიდამოების ყველა

სისაძაგლესთან შერიგებასო. აქაური გაზაფხული ბარის გაზაფხულივით როდი გაფორიაქებს. არავითარი ფარული თრთოლა! არავითარი ნოტიო ფშვინვა, არავითარი ხაშმი! მხოლოდ სიკამკამე, სიმშრალე, სიკისკასე და მწკლარტე მიმზიდველობა. აი, რა მეამება, აი, რა არის დიდებულიო.
ოთხივენი, სანამ კი შეიძლებოდა, მართალია, უსწორმასწოროდ, მაგრამ მაინც გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ, ხან ვინმე შეეჩეხებოდათ და სეტემბრინი, რომელსაც მარჯვენა ფლანგი ეკავა, გზასავალზე გადადიოდა ხოლმე, ხან კი რომელიმე მათგანი ჩამორჩებოდა და ფრონტი ირღვეოდა, ეს ხან მარცხენა მხარეს მიმავალი ნაფტა იყო, ხან კი ჰანს კასტორპი, რომელიც ჰუმანისტსა და თავის ბიძაშვილს შორის მიაბიჯებდა. ნაფტამ სურდოსაგან ჩახლეჩილი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიცინა. დაახლოებით ასეთ ხმას გამოსცემს გაბზარული თეფში, მოკაკული თითით ზედ რომ დააკაკუნებ. შემდეგ თავი იტალიელისკენ მიაბრუნა და გაწელილი აქცენტით უთხრა:
- მენიშნა ვოლტერიანელის, რაციონალისტის ხმა, იგი ბუნებას ასხამს ხოტბას, რადგან ბუნება თვით ყველაზე ხელსაყრელ ჟამსაც კი არ გვიბნევს თავგზას მისტიკური ბურუსით, იგი კლასიკურ სიმშრალეს ინარჩუნებს. ჰო, მართლა, რა ჰქვია ნესტს ლათინურად?
-Humor
(იუმორი (ლათ.). ჰუმორ - ნიშნავს როგორც სინესტეს, სინოტივეს, ასევე იუმორს. ანტიკური შეხედულების მიხედვით, დამოკიდებულია ადამიანის სხეულში მოქმედ სითხესა და წვენზე. ტერმინი იუმორი“ ესთეტიკურ-ლიტერატურული მნიშვნელობით პირველად ინგლისში ჩამოყალიბდა და აქედან გადავიდა სხვა ენებშიც,) , - მარცხენა მხარს ზემოდან გადმოსძახა სეტემბრინიმ, - ჩვენი პროფესორის იუმორი კი ბუნების აღქმისას ვლინდება, მას, სიენელი წმინდა კატარინასი
(კატარინა სიენელი - წმინდანი (1347-1380), მღებავის ქალიშვილი, ჟანა დ’არკივით დიდ პოლიტიკაში აქტიურად ერეოდა, მოუწოდებდა პაპ გრეგორ IX-ს ავინიონიდან რომში დაბრუნებულიყო, რათა აღმდგარიყო კათოლიკურიეკლესიის ერთიანობა; უვლიდა შავი ჭირით დაავადებულთ.) არ იყოს, წითელი ფურისულების დანახვაზე ქრისტეს ჭრილობები აგონდება ხოლმე.
ნაფტამ მიუგო:
- ეს უმალ გონებამახვილური იქნებოდა, ვიდრე იუმორისტული, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ეს ბუნებაში მაინც გონის შეტანას ნიშნავს. აი, გონი კი მას ნამდვილად სჭირდება.
- ბუნებას, - ხმადაბლა თქვა სეტემბრინიმ და ამჯერად სიტყვა მხარს ზემოდანაც კი აღარ უსვრია, პირი იბრუნა და ისე ჩაილაპარაკა, - ბუნებას თქვენი გონი სულაც არ სჭირდება, ის თვითონაა გონი.
- აღარ მოგბეზრდათ ეგ თქვენი მონიზმი?
- აა, მაშ თქვენ აღიარებთ, რომ მხოლოდ თავის გასართობად თიშავთ სამყაროს და ღმერთსა და ბუნებას ერთმანეთს აცილებთ, არა?
- საინტერესოა, რომ თქვენ გართობას უწოდებთ იმას, რასაც მე გატაცებასა და გონს ვეძახი.
- განა საოცარი არ არის, რომ თქვენ, ვინც ასეთ მაღალფარდოვან სიტყვებს ხარჯავთ მსგავსი ფუქსავატური მიზნებისათვის, მე მჭევრმეტყველს მეძახით!
- თქვენ კვლავ იმ აზრისა ხართ, რომ გონი ფუქსავატობას ნიშნავს, მაგრამ მისი ბრალი სულაც არ არის, იგი დასაბამიდანვე რომ დუალისტურია. დუალიზმი, ანტითეზა, აი, ეს გახლავთ მამოძრავებელი, მგზნებარე, დიალექტიკური, გონებამახვილური პრინციპი. სამყაროს მტრულად გათიშულს ხედავდე, სწორედ ეს არის გონი, ყოველგვარი მონიზმი მოსაწყენია. შოლეტ არისტოტელეს ქუაერერე პუგნამ.(არისტოტელეს ახასიათებს ბრძოლის ჟინი (ლათ.).)
- არისტოტელესო? არისტოტელემ ზოგადი იდეების ჭეშმარიტება ინდივიდებზე გადაიტანა და ეს პანთეიზმი გახლავთ.
- ცდებით, მიანიჭეთ ინდივიდებს სუბსტანციური ხასიათი, საგანთა არსი ზოგადიდან კერძომოვლენაზე განავრცეთ, როგორც ამას არისტოტელეს მიმდევრები, თომა აკვინელი
(თომა აკვინელი (1224-1247) - დასავლური შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი

მოაზროვნე, კათოლიკე წმინდანი, უმნიშვნელოვანესი სქოლასტიკოსი, „ანგელოზების დოქტორად“ წოდებული.) და ბონავენტურა,
(ბონავენტურა - ნამდვილი სახელი და გვარია იოჰანეს ფიდანცა (1221-1274); იტალიელი სქოლასტიკოსი, მისტიკოსი, წმინდანი, ეკლესიის მამა, თომა აკვინელის უახლოესი მეგობარი, წოდებული დოქტორ სერაფიკუსად“ („სერაფიმების დოქტორად“).) სჩადიოდნენ, და თქვენ სამყაროს ერთიანობას დაარღვევთ, მას უზენაეს იდეას მოსწყვეტთ, იგი ღმერთის მიღმა დაგრჩებათ, ღმერთი კი ტრანსცენდენტურია, ბატონო ჩემო, ეს კლასიკური შუა საუკუნეებია.
- ვერაფერს ვიტყვი, კლასიკური შუა საუკუნეები მართლაც რომ მშვენიერი შესიტყვებაა!
- გთხოვთ, მომიტევოთ, მაგრამ მე კლასიკურის ცნებას იქ ვხმარობ, სადაც ჯერ არს, ესე იგი, იქ, სადაც იდეა სრულყოფილებამდეა მისული. ანტიკური კულტურა ყოველთვის როდი იყო კლასიკური. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თქვენ კატეგორიების თავისუფლად ხმარების, ესე იგი, აბსოლუტის წინააღმდეგი ხართ. გამოდის, თქვენ არც აბსოლუტური გონი გინდათ. თქვენ გნებავთ, გონი დემოკრატიულ პროგრესს წარმოადგენდეს.
- იმედი მაქვს, ორივე ვიზიარებთ იმ აზრს, რომ გონი, რაც უნდა აბსოლუტური იყოს იგი, ვერასოდეს გახდება რეაქციის დამცველი.
- დიახ, ის მაინც ყოველთვის თავისუფლების დამცველად გვევლინება.
- მაინცო? თავისუფლება კაცთმოყვარეობის კანონია და არა ნიჰილიზმი და ბოროტება.
- რისაც თქვენ აშკარად გეშინიათ, არა?
სეტემბრინიმ ხელი ასწია. პაექრობა შეწყდა. იოახიმი ხან ერთს უყურებდა გაოცებით და ხან მეორეს, ჰანს კასტორპს კი წარბები აეძგიბა და ძირს იყურებოდა. ნაფტა მკვახედ და კატეგორიულად ლაპარაკობდა. რაკი უფრო ფართო აზრით იგი იცავდა თავისუფლებას, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისას განსაკუთრებით უსიამოდ ამბობდა, სცდებითო და თ“-ს წარმოთქმისას ტუჩებს ჯერ წინ წამოსწევდა და შემდეგ ბაგეს ენერგიულად მოკუმავდა ხოლმე. სეტემბრინი ნახევრად ხუმრობით ეწინააღმდეგებოდა, ოღონდ მაშინ კი ცხარდებოდა, ნაფტა ორივესთვის საერთო რომელიმე პრინციპს რომ ახსენებდა ხოლმე. როცა ნაფტა დადუმდა, სეტემბრინი შეეცადა ახალგაზრდებისთვის უფრო კარგად გაეცნო მათთვის უცნობი პიროვნება, იგრძნო, რომ მათმა კამათმა ახალგაზრდებს ინტერესი აღუძრა და თავი მოვალედ ჩათვალა, ეს ინტერესი დაეკმაყოფილებინა. ნაფტას არც უცდია მისთვის ხელი შეეშალა. ბატონი ნაფტა პროფესორია, „ფრიდერიციანუმის“
(„ფრიდერიციანუმი“ - „ფრიდერიკუს“ ფრიდრიხის ლათინიზებული ფორმაა. იგულისხმება პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ის დროინდელი საშუალო სასწავლებელი.) უფროს კლასებში კლასიკურ ენებს ასწავლისო, განუცხადა ახალგაზრდებს სეტემბრინიმ და იტალიელთა ჩვეულებისამებრშეეცადა, მისი ტიტულები რაც შეიძლებოდა, გაეზვიადებინა. ნაფტას ბედი ჩემსას ჰგავსო. ამ ხუთი წლის წინ ჯანმრთელობა შერყევია, ამიტომ ამოსულა მთაში, მალე დარწმუნებულა, რომ ხანგრძლივად დასჭირდებოდა აქ ყოფნა. სანატორიუმი მიუტოვებია და მკერავ ლუკაჩეკთან კერძოდ დაბინავებულაო: აქაური სასწავლებლის მესვეურებს ჭკუა უხმარიათ და ეს დიდებული ლათინისტი, ერთ-ერთი ორდენის აღზრდილი, - ეს უკანასკნელი სიტყვები, ცოტა არ იყოს, გაურკვევლად ჩაილაპარაკა სეტემბრინიმ, - დოცენტად მიუწვევიათ და ახლა იგი ამ სკოლის მშვენებას წარმოადგენსო... ერთი სიტყვით, სეტემბრინის გონჯი ნაფტას განსადიდებლად სიტყვა არ დაუშურებია, თუმცა სწორედ წუთის წინ მასთან აბსტრაქტული დავის მსგავსი რამ ჰქონდა გაჩაღებული და ეს პაექრობა, ეტყობოდა, კვლავაც გაგრძელდებოდა.
სეტემბრინიმ ახლა ნაფტას აუხსნა, ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები და სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ბიძაშვილები მასთან წინათაც ეხსენებინა. აი, ეს არის სამი კვირით ჩამოსული ახალგაზრდა ინჟინერი, ჰოფრატმა ბერენსმა რომ ძველი კერა აღმოუჩინა, ეს კი პრუსიული არმიის იმედი, ლეიტენანტი ციმსენი გახლავთო, უთხრა სეტემბრინიმ ნაფტას. ამას მოაყოლა, იოახიმი აქ ყოფნას ვეღარ

ურიგდება და წასვლას აპირებსო, მერე კი დასძინა, ინჟინერს ნამდვილად გულს ვატკენთ, თუ არ აღვნიშნეთ, რომ მასაც ერთი სული აქვს, თავის სამუშაოს როდის დაუბრუნდებაო.
ნაფტა დაიჭყანა და თქვა:
- დიდად ენამჭევრი ქომაგი გყავთ, ბატონებო. თავს ნებას არ მივცემ, ეჭვი შევიტანო, თქვენს ფიქრებსა და სურვილებს სწორედ გადმოგვცემს თუ არა-მეთქი. შრომა, შრომა... რაღა თქმა უნდა, იმწამსვე კაცობრიობის მტრად -nimicus humanae naturae-
ი დ გამომაცხადებს, თუ გავბედავ და იმ ხანას მოვაგონებ, სადაც იგი თავისი ბუკ-ნაღარით სასურველ ეფექტს სრულიადაც ვერ მოახდენდა, იმ ხანაზე მოგახსენებთ, სადაც უაღრესად დიდ პატივში სწორედ მისი იდეალის საპირისპირო იდეალები გახლდათ. ბერნარ კლერვოელი
(ბერნარ კლერვოელი - (1091-1153) ფრანგი თეოლოგი, მნიშვნელოვანი საეკლესიო პოლიტიკოსი, დასავლური შუა საუკუნეების მისტიკის ფუძემდებელი.) სრულყოფილების ისეთ საფეხურებს ქადაგებდა, ბატონ ლოდოვიკოს სიზმრადაც რომ არ მოელანდება. გნებავთ, იცოდეთ, რომელია ეს საფეხურები? მისი უმდაბლესი ანუ პირველი საფეხურია „წისქვილი“, მეორე - „ყანა“, მესამე და ყველაზე ღირსეული კი, - ყურს ნუ ათხოვებთ სეტემბრინის, - „განცხრომის სარეცელი“. წისქვილი საერთო ცხოვრების სიმბოლოა და ცუდად არ არის შერჩეული; ყანა ერისკაცის სულს განასახიერებს, რაზეც მქადაგებელი და სულიერი მოძღვარი ახდენენ ზეგავლენას, ეს საფეხური პირველზე ღირსეულია, სარეცელზე კი...
- კმარა! ვიცით! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - ბატონებო, ახლა იგი ლოგინის დანიშნულებასა და გამოყენებას დაგისურათებთ!
- არ ვიცოდი, ასეთი კდემამოსილი თუ იყავით, ლოდოვიკო. ვისაც უნახავს, გოგონებს თვალს როგორ უპაჭუნებთ... სადღაა თქვენი წარმართული უშუალობა? ამგვარად, ლოგინი არის გამიჯნურებულისა და მისი რჩეულის შერწყმის ადგილი და ღმერთთან შერწყმის მიზნით ქვეყნისა და ყოველი სულიერისაგან ჭვრეტითი განდგომის სიმბოლო.
- ფუი!Andate, andate
(კმარა, კმარა, (იტალ.).) ! - თითქმის ტირილით შესძახა იტალიელმა. ყველას გაეცინა, მაგრამ შემდეგ სეტემბრინიმ ღირსეულად განაგრძო:
- არა და არა, მე ევროპელი გახლავართ, დასავლელი, თქვენი იერარქიული კიბე კი წმინდა აღმოსავლეთი გახლავთ. აღმოსავლეთი ზიზღით ეკიდება ქმედებას, ლაო ძი(ლაო ძი (ჩინურად ნიშნავს: ძველ ოსტატს) - ნამდვილი სახელია: ლი-პო-იანი; ვარაუდობენ, რომ ცხოვრობდა ძვ. წ. IV ს. II ნახევარში; ფილოსოფოსი და რელიგიური რეფორმატორი, კონფუცისთან ერთად ჩინეთის აზროვნების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პიროვნება.)
გვასწავლის, ამქვეყნად ყველაზე უფრო სასარგებლო საქმე უმოქმედობაა. ყველა რომ უქმად დაჯდეს, დედამიწაზე სრული სიმშვიდე და ბედნიერება დამკვიდრდებაო. აი, ესეც თქვენი შერწყმა.
- როგორ გეკადრებათ, მაშ დასავლურ მისტიკას რაღას უშვრებით? ან კვიეტიზმს, რომლის მიმდევრებს ფენელონი(ენელონი - ფრანსუა დე სალინიაკ დე ლა მოტ (1651-1715) - ცნობილი კვიეტისტი, ფრანგი თეოლოგი და პედაგოგი.)
უნდა მივაკუთვნოთ, ვინც გვასწავლიდა, ყოველგვარი ქმედება მცდარია, ქმედების სურვილით ღმერთს შეურაცხვყოფთ, რადგან მხოლოდ მას ერთს ხელეწიფება ქმედებაო? მე მოლინოსის
(მოლინოსი მიგუელ დე (1640-1696) - ესპანელი მისტიკოსი და კვიეტისტი.) ძირითადი დებულებები დავიმოწმე, როგორც ჩანს, უმოქმედობაში შვების პოვნის იდეა მაინც საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული.
აქ ჰანს კასტორპმა აიღო სიტყვა, გულუბრყვილო სითამამით ჩაერია საუბარში და სივრცეში თვალგაშტერებულმა დაიწყო:
- ჭვრეტა, განდგომა. ამ ამბებში არის ისეთი რამ, მოსასმენად რომ ღირს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ჩვენ აქ, ზევით, განდეგილებივითვცხოვრობთ, ხუთი ათას ფუტ სიმაღლეზე ვწევართ ჩვენს სკამლოგინებზე, ასე მოხერხებული რომაა დასაწოლად, ქვეყანასა და ყოველგვარ სულიერს ზემოდან დავცქერით და

ვოცნებობთ. რომ დავფიქრდები, სიმართლე თუ გნებავთ, ლოგინი, გთხოვთ, კარგად გამიგოთ, ამ შემთხვევაში სკამლოგინს ვგულისხმობ, ამ ათ თვეში ჩემთვის უფრო სასარგებლო გამოდგა და მან გაცილებით მეტ რაიმეზე დამაფიქრა, ვიდრე ბარში, ანუ წისქვილში“ გატარებულ ყველა დანარჩენ წელს დავუფიქრებივარ. ამას ნამდვილად ვერ უარვყოფთ.
სეტემბრინიმ ნაღვლიანად მოციმციმე შავი თვალები მიაპყრო ჰანს კასტორპს.
- ინჟინერო, - უთხრა მან ყრუ ხმით, - ინჟინერო! - გაუმეორა, მერე მკლავში ხელი ჩასჭიდა და უკან დასწია, თითქოს უნდა სხვებს ჩამოაშოროს და პირადად ელაპარაკოსო, - რა ხშირად მითქვამს თქვენთვის, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს, ვინ არის თვითონ და ისე უნდა იაზროვნოს, როგორც მას ეკადრება! ევროპელის საქმე, ყოველგვარი ფუძემდებლური დებულებების მიუხედავად, საზრისი, ანალიზი, ქმედება და პროგრესია და არა ბერის სამცონარო სარეცელი!
ნაფტას ყური მათკენ ეჭირა და სეტემბრინის გადასძახა:
- ბერისა ხომ? ევროპის მიწა ბერებს უმადლის თავის კულტურას! მათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ გერმანია, საფრანგეთი და იტალია გაუვალი ტყითა და ჭაობებით კი არ არის დაფარული, არამედ პურს, ხილსა და ღვინოს გვიწყალობებს. ბატონო ჩემო, ბერები ამაოდ როდი დამშვრალან...
-Ebbe
(აი (იტალ.).) ხედავთ?
- ნურას უკაცრავად! ღვთისმსახურთა შრომა დიახაც თვითმიზნური არ ყოფილა, ისინი არც იმისთვის შრომობდნენ, რომ თავდავიწყებას მისცემოდნენ და არც ის ჰქონდათ მიზნად, პროგრესისათვის ხელი შეეწყოთ ან თვითონ ენახათ სარგებელი. შრომა მათთვის იყო წმინდა ასკეტური ვარჯიში, მონანიების ნაწილი, სულის ხსნის საშუალება. იგი ადამიანს იცავდა ხორციელი ცდუნებისაგან, იგი ავხორცობის ჩაკვლას ემსახურებოდა. ამგვარად, თუ ნებას მომცემთ, მოგახსენოთ, შრომას ასოციალური ხასიათი ჰქონდა. იგი წმინდა წყლის რელიგიური ეგოიზმი გახლდათ.
- ახსნა-განმარტებისათვის უღრმეს მადლობას მოგახსენებთ და მიხარია, შრომის მადლი თურმე ადამიანის ნების საწინააღმდეგოდაც რომ ვლინდება.
- დიახ, მისი განზრახვის საწინააღმდეგოდ, აქ, არც მეტი, არც ნაკლები, ვხედავთ, რა განსხვავებაა სასარგებლოსა და ჰუმანურს შორის.
 - უპირველეს ყოვლისა მე იმას ვხედავ, რომ თქვენ კვლავ ორად თიშავთ სამყაროს და გულისწყრომას ვერ ვმალავ.
- ვწუხვარ, თქვენი გულისწყრომა რომ დავიმსახურე, მაგრამ უნდა შეგვეძლოს საგნების ერთმანეთისგან გარჩევა და მათი დალაგება და ასევე უნდა შეგვეძლოსHomo dei-
ს
(ძე ღვთისა (ლათ.).) იდეის ყოველგვარი მინარევისაგან გათავისუფლება. თქვენ, იტალიელებმა, თამასუქები და ბანკები გამოიგონეთ, შეგინდოთ უფალმა, მაგრამ, სამაგიეროდ, ინგლისელებმა პოლიტეკონომია გამოიგონეს და ამას არასოდეს აპატიებს ადმიანის გენია.
- ეჰ, განა კაცობრიობის გენია იმ კუნძულელ ეკონომისტ მოაზროვნეებშიც არ ღვიოდა? თქვენ რაღაც გინდოდათ გეთქვათ, ინჟინერო?
ჰანს კასტორპმა ვითომ იუარა, მაგრამ მაინც წამოიწყო ლაპარაკი და ნაფტამაც და სეტემბრინიმაც დიდი ინტერესით მიუგდეს ყური:
- მაშ, თქვენ ჩემი ბიძაშვილის პროფესია უნდა მოგწონდეთ, ბატონო ნაფტა, და ისიც უნდა მოუწონოთ, სამსახურის დაწყებას მოუთმენლად რომ ელოდა... მე სულით ხორცამდე სამოქალაქო პირი ვარ და ჩემი ბიძაშვილი ხშირად მსაყვედურობს კიდეც ამას. ჯარში არასოდეს მიმსახურია, მართლაც რომ მშვიდობის პირმშო ვარ და ხანდახან ისიც კი მიფიქრია, ჩემგან კარგი მღვდელი გამოვიდოდა-მეთქი. ჰკითხეთ ჩემს ბიძაშვილს, თუ არ გამომითქვამს ეს აზრი, მაგრამ ზოგჯერ ჩემს მიდრეკილებებზე რომ ვიტყვი ხოლმე უარს, - თუმცა რომ ვუფიქრდები, მთლიანად ხელის აღებაც არაა საჭირო, - შემიძლია ვაღიარო, სამხედრო კასტას როგორ ვაფასებ და ვეთაყვანები. მას ერთი საოცრად სერიოზული თავისებურება ახასიათებს, თუ გნებავთ, „ასკეტური“ თავისებურება - ცოტა ხნის წინ თქვენ ინებეთ, ეს სიტყვა გეხსენებინათ - იგი ყოველთვის მზად

უნდა იყოს სიკვდილთან შესახვედრად და, ბოლოს და ბოლოს, სასულიერო პირებსაც განა სიკვდილთან არა აქვთ საქმე? აქედან მოსდევს სამხედრო ფენას თავდაჭერილობაც, იერარქიაც, მორჩილებაც და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ესპანური ღირსებაც. მერე რა, ერთნი მუნდირის ხეშეშ საყელოს თუ ატარებენ და მეორენი გახამებულ ჟაბოს. ეს ყველაფერი ერთი და იმავე საწყისიდან, თქვენი დიდებული თქმისა არ იყოს, „ასკეტურიდან“ მოდის... არ ვიცი, რამდენად შევძელი, ჩემი აზრი...
- სავსებით, სავსებით, - უთხრა ნაფტამ და სეტემბრინის გადახედა, რომელიც თავის ხელჯოხს ატრიალებდა და ცაში იხედებოდა.
- სწორედ ამიტომ ვფიქრობ, - განაგრძო ჰანს კასტორპმა, - ყოველივე იმის შემდეგ, რაც ბრძანეთ, ჩემი ბიძაშვილის, ციმსენის, მისწრაფებანი უნდაგესიმპათიურებოდეთ-მეთქი. მე განა ტახტსა და საკურთხეველს“ ვგულისხმობ ან სხვა მისთანა სიტყვათა წყვილებს, ხელისუფლების ერთგული, თუნდაც ხელისუფლებისადმი კეთილად განწყობილი ადამიანები სხვადასხვა ცნებისაგან რომ აკოწიწებენ, მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ სამხედრო კასტის შრომა, ანუ სამსახური - მათ შრომას ხომ სამსახურს ვუწოდებთ - არავითარ სარგებელს არ გამოელის და თქვენ რომ „პოლიტეკონომია“ უწოდეთ, იმ მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ალბათ, ამიტომაცაა, ინგლისელებს რომ ასე ცოტა ჰყავთ ჯარი, თითო-ოროლა ჯარისკაცი ინდოეთისათვის და თითო-ოროლა შინ, აღლუმის ჩასატარებლად...
- სიტყვის გაგრძელებას აზრი არა აქვს, ინჟინერო, - გააწყვეტინა მას სეტემბრინიმ, - ჩვენი ლეიტენანტი საწყენად ნუ ჩამოგვართმევს და, ჯარისკაცურ ყოფაზე იდეური კამათი გამორიცხულია, რადგან ეს ყოფა წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მას თავისთავად დაკარგული აქვს შინაარსი, ჯარისკაცის ძირითადი ტიპია ლანდსკნეჰტი, ანუ დაქირავებული ჯარისკაცი, რომელსაც ყოველნაირი საქმისთვის იყენებდნენ ხოლმე, ერთი სიტყვით, არსებობდა ესპანეთის კონტრრეფორმაციის ჯარისკაცი, რევოლუციური არმიის ჯარისკაცი, ნაპოლეონის, გარიბალდის ჯარისკაცი, არსებობს პრუსიელი ჯარისკაცი, ჯარისკაცზე მაშინ მალაპარაკეთ, თუ მეცოდინება, რისთვის იბრძვის იგი!
- ის რომ იბრძვის, - შეეკამათა ნაფტა, - სწორედ ეს გახლავთ მისი კასტის თვალსაჩინო თავისებურება, ამაზე ნუ ვიკამათებთ, შესაძლოა, ეს არ კმაროდეს საამისოდ, რომ ეს კასტა თქვენი გაგებით იდეური კამათისათვის“ გამოდგეს, მაგრამ ამ თავისებურებას იგი ისეთ სფეროში გადაჰყავს, სიცოცხლის ბიურგერული გაგება ვერაფრით რომ ვერ ჩასწვდება.
- ის, რასაც თქვენ ცხოვრების ბიურგერულ გაგებას ეძახით, - მხოლოდ ტუჩებით წარმოთქვა სეტემბრინიმ, გადაპრეხილი ულვაშის ქვეშ ტუჩის კუთხეები გაწელა, კისერი უცნაურად მიგრიხ-მოგრიხა, საყელოდან წამოაყელყელავა და განაგრძო, - ყოველთვის მზად იქნება, დაიცვას ზნეობა და გონიერება და ახალგაზრდა მერყევ სულებზე მათი კანონიერი ზეგავლენა ნებისმიერი ფორმით უზრუნველყოს.
სიჩუმე ჩამოვარდა. ახალგაზრდები უხერხულად იყურებოდნენ წინ. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, სეტემბრინიმ თავ-კისერს კვლავ თავისი ბუნებრივი ადგილი მიუჩინა და თქვა:
- ნუ გაოცდებით, ეს ბატონი და მე ხშირად ვჩხუბობთ, მაგრამ ეს მეგობრული ჩხუბია, ხოლო ზოგიერთ საკითხში ერთმანეთს ვეთანხმებით კიდეც.
ამ სიტყვებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ბატონი სეტემბრინი ნამდვილად რაინდულად და ჰუმანურად მოიქცა, მაგრამ იოახიმმა, რომელსაც ასევე კეთილი განზრახვა ამოძრავებდა და უნდოდა, საუბარი მშვიდობიანად გაეგრძელებინა, უნებურად, თითქოს ვიღაც უბიძგებს და ძალას ატანსო, მაინც წამოიწყო:
- თქვენ რომ წამოგეწიეთ, მე და ჩემი ბიძაშვილი მაშინ სწორედ ომზე ვლაპარაკობდით.
- მესმოდა, - უპასუხა ნაფტამ, - ერთი-ორ სიტყვას მოვკარი ყური და მოვიხედე. პოლიტიკაზე საუბრობდით? მსოფლიო ვითარებას განიხილავდით?
- არა, რას ბრძანებთ, - გაიცინა ჰანს კასტორპმა, - პოლიტიკასთან რა ხელი გვაქვს! ჩემს ბიძაშვილს თავისი პროფესიის გამო არც შეეფერება პოლიტიკაზე ფიქრით შეიწუხოს თავი, მე კი ნებაყოფლობით ვამბობ ამ თემაზე უარს, რადგან

პოლიტიკისა არაფერი გამეგება. რაც აქ, ზევით ვარ, გაზეთიც კი არ ამიღია ხელში...
სეტემბრინის წინათაც გაუკიცხავს ჰანს კასტორპი ამისათვის და ეს ამბავი არც ამჯერად მოუწონებია, თვითონ კი აღმოჩნდა, რომ ზედმიწევნით კარგად გახლდათ გათვითცნობიერებული, მშვენივრად ერკვეოდა მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებაში და კმაყოფილიც იყო, რაკი ახლანდელი ვითარება მისი ფიქრით, ცივილიზაციისათვის სასარგებლო უნდა გამომდგარიყო. საერთო-ევროპული ატმოსფერო მშვიდობიანი აზრებითა და განიარაღების გეგმებითაა აღვსილი, დემოკრატიული იდეები მძლავრად იკაფავენ გზასო, თქვა ბატონმა სეტემბრინიმ, შემდეგ კი განაცხადა, სანდო ინფორმაცია მაქვს მიღებული, ახალგაზრდა თურქობა
(„ახალგაზრდა თურქობა“ - ეროვნული თურქული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო აბდულ-ჰამიდ II-ის მიერ დესპოტურად განგებული ოსმანთა იმპერიის დაცემისა და დაქვეითებისაგან გადარჩენა დასავლეთევროპული დემოკრატიების ნიმუშის მიხედვით კონსტიტუციური და უფლებრივი სახელმწიფოს შექმნით.) საცაა დაამთავრებს სამზადისს და გადატრიალებას მოახდენსო. თურქეთი ეროვნულ-კონსტიტუციური სახელმწიფო რომ გახდეს, განა ეს კაცობრიობის ტრიუმფი არ არისო?!
- ისლამის ლიბერალიზაცია, არა? - დასცინა ნაფტამ, - ჩინებულია. განათლებული ფანატიზმი ხომ მშვენიერია და მშვენიერი. სხვათა შორის, ეს თქვენ გეხებათ, - მიუბრუნდა იგი იოახიმს, - აბდულ-ჰამიდს(აბდულ-ჰამიდი (1842-1918) - იგულისხმება აბდულ-ჰამიდ II, ოსმანების (თურქების) სულთანი.)
თუ ჩამოაგდებენ, თქვენს გავლენას თურქეთზე ბოლო მოეღება და პროტექტორობას ინგლისი დაიჩემებს... ჩვენი სეტემბრინის ინფორმაციასა და ამ ინფორმაციის წყაროს სერიოზულად უნდა მოეკიდოთ, - ორივეს ისე გამომწვევად უთხრა ნაფტამ, რომ ეტყობოდა, ფიქრობდა, კარგად ვიცი, ბატონ სეტემბრინის სერიოზულად რომ არ ეკიდებითო, - ეროვნულ-რევოლუციურ საკითხში იგი ჩინებულად ერკვევა, - განაგრძო ნაფტამ, - მის თანამემამულეებს კარგი ურთიერთობა აქვთ ინგლისის ბალკანურ კომიტეტთან, მაგრამ რევალის შეთანხმებისგან რაღა დარჩება, ლოდოვიკო, თქვენს პროგრესულ თურქებს ბედი თუ გაუღიმებთ? ედუარდ მეშვიდე რუსებს ვეღარ გაატარებს დარდანელის სრუტეში და ავსტრიაც ბალკანეთის საკითხში მაინც თუ დაადგა აქტიური პოლიტიკის გზას, მაშინ...
- თქვენ ხომ მუდამ კატასტროფა უნდა იწინასწარმეტყველოთ! - შეუტია ნაფტას სეტემბრინიმ, - ნიკოლოზი მშვიდობის მომხრეა. ჰააგის კონფერენციებს მას უნდა ვუმადლოდეთ, ეს კონფერენციები პირველხარისხოვანი მორალური ფაქტი გახლავთ.
- მაშ, როგორ, რუსეთს ხომ უნდა მოეთქვა სული აღმოსავლეთში იმ პატარა მარცხის შემდეგ!
- ფუი, ბატონო ჩემო, ასე არ უნდა დასცინოდეთ კაცობრიობის ლტოლვას საზოგადოებრივი სრულყოფისაკენ. ის ხალხი, ვინც ასეთ მისწრაფებებს აღუდგება წინ, უეჭველად დაიმსახურებს მორალურ გაკიცხვას.
- აბა, პოლიტიკა რის მაქნისია, ერთმანეთს საკუთარი რეპუტაციის შელახვის საშუალება თუ აღარ მივეცით!
- თქვენ პანგერმანიზმის მომხრე ხართ?
ნაფტამ მხრები აიჩეჩა, მას ცალი მხარი დაბლა ჰქონდა ჩამოვარდნილი და ამრიგად, სხვა სიმახინჯესთან ერთად, ცოტა მოგრეხილიც გახლდათ. მან კითხვაზე პასუხი არ იკადრა და სეტემბრინიმ თვითონ დაასკვნა:
- ყოველ შემთხვევაში, რასაც თქვენ ამბობთ, ცინიზმია. დემოკრატიის კეთილშობილური მისწრაფება, საერთაშორისო ასპარეზზე მოიკიდოს ფეხი, პოლიტიკურ ფანდად გნებავთ, მონათლოთ...
- იქნებ იმას მთხოვთ, ამაში იდეალიზმი ან უფრო მეტიც, ღვთისმოსაობა დავინახო: ეს თავის გადარჩენის ინსტინქტის უკანასკნელი გაფრთხილებაა, რის ძალაც ჯერ კიდევ შერჩენია ამ დასაღუპად განწირულ მსოფლიო სისტემას. კატასტროფა აუცილებელია და გარდაუვალი და იგი რა სახით და რა გზითაც იქნება, მაინც დაგვატყდება თავს. თუნდაც ბრიტანული სახელმწიფო პოლიტიკა ავიღოთ.

ინგლისის სურვილი, შეინარჩუნოს ინდოეთში პოზიციები, კანონიერია, მაგრამ შედეგი როგორიღაა? ედუარდს თქვენსა და ჩემზე უკეთ მოეხსენება, რომ პეტერბურგის ხელისუფალთ როგორც პური არსობისა, ისე სჭირდებათ მანჯურიის მარცხის გამოსყიდვა, რათა რევოლუციისგან იხსნან თავი, მაგრამ ედუარდს სხვა გზა არა აქვს, რუსების ექსპანსიას უნდა უბიძგოს ევროპისაკენ და ასე ირჯება კიდეც - პეტერბურგსა და ვენას შორის მიძინებულ ქიშპობას აღვიძებს...
- ოჰ, ეს ვენა! თქვენ, ალბათ, იმიტომ გაწუხებთ ამ მსოფლიო მუხრუჭის ბედი, რომ იმ დამყაყებულ იმპერიაში, იგი რომ მეთაურობს, საღვთო რომის იმპერიის მუმიას ჭვრეტთ, ოღონდ გერმანელი ერისას.
- მე კი თქვენ რუსოფილად გთვლით და ვფიქრობ, რომ ეს კეისრული პაპიზმისადმი ჰუმანისტური სიმპათიით მოგდით.
- ბატონო ჩემო, დემოკრატიას კრემლისაც კი მეტი იმედი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ჰოფბურგისა,
(ჰოფბურგი - ვენაში იმპერატორების რეზიდენციის სახელწოდება) ეს კი ლუთერისა და გუტენბერგის ქვეყნისთვის დიახაც რომ სამარცხვინოა...
- სამარცხვინოს გარდა, მგონი, სისულელეცაა, მაგრამ ეს სისულელეც რომ ბედისწერის იარაღია...
- არ გააჭირეთ საქმე ამ თქვენი ბედისწერით? საკმარისია, ადამიანის გონებამ ისურვოს, ბედისწერაზე ძლიერი გახდეს და ის თვით გახდება ბედისწერა!
- მონდომებით მხოლოდ საკუთარი ბედი შეიძლება ინდომო. კაპიტალისტურ ევროპას თავისი საკუთარი ბედი სწადია.
- ომის დაწყების მხოლოდ იმას სჯერა, ვისაც სულითა და გულით არ სძულს ომი!
- თქვენი სიძულვილი ლოგიკური თვალსაზრისით უნიადაგოა, რაკი იგი სათავეს სახელმწიფოსგან არ იღებს.
- ეროვნული სახელმწიფო სააქაოს პრინციპია, თქვენ კი მას ეშმაკს მიაწერთ. აბა, ერთი გაათავისუფლეთ და გაათანასწორეთ ერები, დაიფარეთ პატარები და სუსტები ჩაგვრისაგან, დაამყარეთ სამართლიანობა, შექმენით ეროვნული საზღვრები...
- ბრენერის საზღვრები, არა? ლიკვიდაცია ვუყოთ ავსტრიას, ხომ? ერთი მაცოდინა, როგორ წარმოგიდგენიათ ამ საქმის უომრად მოგვარება!
- მე მაცოდინა ნეტავ, თუ ოდესმე დამიგმია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომები.
- მაგაზე სასიამოვნოს ვერაფერს გამაგონებთ...
- არა, არა, ეგ ნათქვამი ბატონ სეტემბრინის უნდა დავუდასტურო, - ჩაერია დისპუტში ჰანს კასტორპი, რომელიც ყურს უგდებდა კამათს და ხან ერთიმოსაუბრისკენ იღრეცდა კისერს და ხან მეორისაკენ, - მე და ჩემს ბიძაშვილს ზოგჯერ წილად გვრგებია პატივი, მსგავს საკითხებზე გვესაუბრა მასთან, უფრო სწორად, ჩვენ ვუსმენდით, იგი კი თავის შეხედულებებს გამოთქვამდა და ყველაფერს ნათლად გვიხსნიდა ხოლმე. ახლა მე მინდა დავადასტურო, და ჩემი ბიძაშვილიც გაიხსენებს, რომ ბატონ სეტემბრინის არაერთხელ ულაპარაკია აღფრთოვანებით გამათავისუფლებელი მოძრაობის, ჯანყისა და მსოფლიოს სრულყოფის პრინციპებზე, თვით ეს პრინციპი კი, ჩემი აზრით, მშვიდობიანი სულაც არ გახლავთ, თან ისიც უთქვამს, ამ პრინციპს კიდევ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდება, სანამ იგი ყველგან გაიმარჯვებდეს და ერთიანი, ბედნიერი მსოფლიო რესპუბლიკა დამყარდებოდესო. ეს მისი სიტყვებია, ოღონდ, თავისთავად ცხადია, რომ ეს აზრი იმაზე გაცილებით პლასტიკურად და ხატოვნად გამოითქვა, ვიდრე მე გადმოგეცით, ოღონდ ერთი რამ კი ზედმიწევნით კარგად გავიგე და სიტყვასიტყვით დავიმახსოვრე, რადგან ჩემისთანა წმინდა წყლის სამოქალაქო პირი, ცოტა არ იყოს, შევშინდი, როცა მან ბრძანა, ის დღე მტრედივით კი არ შემოგოგმანდება, არამედ არწივის ფრთებს გამოისხამსო (მახსოვს, სწორედ ამ არწივის ფრთებმა შემაშინა), და ვენას უნდა გაუჭეჭყო თავი, თუ გინდა, ბედნიერება დაამკვიდრო ამ ქვეყანაზეო. არა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, ბატონ სეტემბრინის ომი საერთოდ უარეყოს. ხომ მართალი ვარ, ბატონო სეტემბრინი?
- დაახლოებით, - მოკლედ მოუჭრა იტალიელმა, რომელსაც პირი მიებრუნებინა და თავის ხელჯოხს ათამაშებდა.

- ამას კი ვერ მოგიწონებთ, - გესლიანად ჩაიღიმა ნაფტამ, - ხომ ხედავთ, თქვენმა საკუთარმა მოწაფემ ამხილა ომისკენ თქვენი მიდრეკილება.Assument pennas ut aquilae.
..(არწივის ფრთებს გამოისხამენ... (ლათ.).) - ცივილიზატორულ ომებს ვოლტერიც კი იწონებდა და ფრიდრიხ მეორეს ურჩევდა, თურქებზე გაილაშქრეო.
- მერე კი თვითონ შეკრა მათთან კავშირი, არა? ჰე, ჰე, ჰე, მერე კიდევ ეს მსოფლიო რესპუბლიკა რად ღირს! არც კი ვცდილობ, ჩაგეძიოთ, რა მოუვა მოძრაობისა და ჯანყის პრინციპს, ქვეყნად ბედნიერება და ერთობა რომ დამკვიდრდეს, მაშინ ხომ ჯანყი მყისვე დანაშაულად გადაიქცეოდა...
- თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ამ ახალგაზრდა ბატონებმაც იციან, რომ აქ ლაპარაკია კაცობრიობის უსასრულოდ გააზრებულ პროგრესზე.
- მაგრამ ყველა მოძრაობა ხომ წრიულია, - თქვა ჰანს კასტორპმა, - მოძრაობა დროსა და სივრცეში, ამას გვასწავლის მასის შენარჩუნებისა და პერიოდულობის კანონი. მე და ჩემი ბიძაშვილი სულ ახლახან ვსაუბრობდით ამ საკითხზე. განა შეიძლება მუდმივი მიმართულების გარეშე, ჩაკეტილი მოძრაობის პირობებში წინსვლაზე ლაპარაკი? საღამოობით აივანზე წამოწოლილი ზოდიაქოს, ესე იგი, ზეცის ხილულ ნახევარს რომ ვაკვირდები და ძველ ბრძენ ხალხებზე ვფიქრობ...
- მაგ კირკიტსა და ოცნებას ინჟინერო, - გააწყვეტინა სეტემბრინიმ, - გირჩევნიათ, თქვენი ასაკისა და რასის შესაფერ ინსტინქტებს მისდიოთ მტკიცედ, რომლებმაც ქმედებისაკენ უნდა გიბიძგოთ. თქვენმა საბუნებისმეტყველო განათლებამაც პროგრესის იდეას უნდა გაზიაროთ. თქვენ ხედავთ, ჟამთა სრბოლაში როგორ ვითარდებოდა სიცოცხლე, როგორ მიილტვოდა წინ და აღმა, სანამ ინფუზორიიდან ადამიანამდე მოვიდოდა და არ უნდა გეეჭვებოდეთ, რომ ადამიანს კიდევ წინ უძევს სრულყოფილების ამოუწურავი შესაძლებლობანი. თუ მაინცდამაინც მათემატიკას გინდათ მიაცივდეთ, მაშინ მისდიეთ თქვენს წრიულ მოძრაობას სრულყოფილებიდან სრულყოფილებამდე და დაეწაფეთ ჩვენი მეთვრამეტე საუკუნის მოძრაობას, რომ ადამიანი თავისი არსით კეთილი, ბედნიერი და სრულყოფილი იყო, რომ მხოლოდ საზოგადოებრივმა უკუღმართობამ დაამახინჯა და გადააგვარა იგი და რომ საზოგადოების სტრუქტურის კრიტიკის გზით იგი კვლავ კეთილი, ბედნიერი და სრულყოფილი უნდა გახდეს და გახდება კიდეც.
- ბატონ სეტემბრინის გამორჩა, - ჩაურთო ნაფტამ, - რომ რუსოს იდილია იმ საეკლესიო დოქტრინის ვითომ გაუმჯობესებული ვარიანტია, ადამიანის ოდინდელ თავისუფლებასა და უცოდველობას, ღმერთთან მის პირველყოფილ სიახლოვესა და ბავშვურ გულუბრყვილობას რომ გვიქადაგებს, რასაც იგი კვლავ უნდა დაუბრუნდეს, ქალაქი ღმრთისა კი იქ აღდგება მისი ყოველგვარი მიწიერი ფორმის დაშლის შემდეგ, სადაც ერთმანეთს ეხება ცა და დედამიწა, გრძნობადი და ზეგრძნობადი, ხსნა ტრანსცენდენტურია, ხოლო რაც შეეხება თქვენს კაპიტალისტურ მსოფლიო რესპუბლიკას, დიახაც უცნაურია, ძვირფასო დოქტორო, ამასთან დაკავშირებით ინსტინქტზე“ რომ ლაპარაკობთ, ინსტინქტურის ცნება ეროვნულობისას უკავშირდება, თვით ღმერთმა დაანათლა ადამიანებს ბუნებრივი ინსტინქტი, რომელმაც ხალხები აიძულა, ერთმანეთს გამოყოფოდნენ და სხვადასხვა სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყვნენ, ომი...
- ომი, - წამოიძახა სეტემბრინიმ, - ომიც კი იძულებული გახდა, ბატონო ჩემო, პროგრესის სამსახურში ჩამდგარიყო, რასაც თქვენც დამიდასტურებთ, თუკი თქვენი საყვარელი ეპოქიდან მოიგონებთ ზოგიერთ ფაქტს, ჯვაროსნულ ომებზე მოგახსენებთ! ამ ცივილიზატორულმა ომებმა ფრიად შეუწყო ხელიხალხთა შორის სამეურნეო და სავაჭრო პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას და დასავლეთევროპული სამყარო ერთი იდეის ნიშნით გააერთიანა.
- თქვენ მეტისმეტად გულმოწყალედ ეკიდებით იდეას და ამიტომ მეც მით უფრო თავაზიანად შეგახსენებთ, რომ მართალია, ჯვაროსნულმა ომებმა გამოაცოცხლა ხალხთა შორის ურთიერთობანი, მაგრამ საერთაშორისო თანასწორობის საქმეს ბევრი ვერაფერი შემატა, პირიქით, ამ ომებმა ხალხებს ასწავლა ერთმანეთისაგან გამიჯვნა და მძლავრად შეუწყო ხელი ეროვნული სახელმწიფოს იდეის ჩამოყალიბებას.
- მართალი ბრძანდებით, თუკი ამ შემთხვევაში სამღვდელოებასთან ხალხების

ურთიერთობას გულისხმობთ. დიახ! მაშინ დაიწყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსების გრძნობის განმტკიცება და იერარქიულ პრეტენზიებთან მისი დაპირისპირება...
- სხვათა შორის, რასაც თქვენ იერარქიულ პრეტენზიებს უწოდებთ, სხვა არფერია, თუ არა კაცობრიობის სულიერი ნიშნით გაერთიანების იდეა.
- ვიცით, ვიცით, რაც არის ეგ თქვენი სულიერება და დიდად მადლობელნიც გახლავართ.
- რა გასაკვირია, თქვენი ეროვნული მანია სიძულვილით ეკიდებოდეს მსოფლიოს დამპყრობ კოსმოპოლიტიზმს ეკლესიისას, ნეტავ მაცოდინა, ამ გრძნობას ომისადმი სიძულვილს როგორღა უთავსებთ? ანტიკურს მიმსგავსებულ თქვენს სახელმწიფო კულტს პოზიტიური სამართლის დამცველად უნდა ექციეთ და როგორც ასეთი...
- სამართალსაც გადავწვდით, არა? საერთაშორისო სამართალში, ბატონო ჩემო, ბუნებრივი სამართლისა და კაცობრიობის გონიერების იდეა ღვივის...
- კარგი ერთი, თქვენი საერთაშორისო სამართალიrusos ius divinum
(ღვთის სამართალი (ლათ.).)- ის ვითომ გაუმჯობესებული ვარიანტია და სხვა არაფერი, მას არც ბუნებასთან და არც გონიერებასთან საერთო არა აქვს რა, იგი მხოლოდ ზეშთაგონებაზეა დამყარებული...
- სახელწოდებებზე ნუ ვიკამათებთ, პროფესორო! დაარქვით, თუ გნებავთ, იუს დივინუმ იმას, რასაც მე ბუნებრივი და საერთაშორისო სამართლის სახელით პატივს ვცემ, მთავარია, რომ ეროვნული სახელმწიფოების პოზიტიურ უფლებებზე მაღლა დგება უფრო მაღალი, ჭეშმარიტი და საყოველთაო სამართალი, რომელიც სადავო საკითხების მოგვარებას სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით უზრუნველყოფს.
- სამედიატორო სასამართლოს მეშვეობითო! ეს რა მესმის! ბურჟუაზიული სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით, არა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს წყვეტს, ღვთის ნებას გვამცნობს და ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავს? კარგი, იყოს ეს მტრედის გოგმანი, მაგრამ არწივის ფრთები სადღაა?
- ბიურგერული კეთილზნეობა...
- ოჰ, ბიურგერულმა კეთილზნეობამ თვითონაც არ იცის, რა უნდა! ბევრს გაჰყვირიან, შობადობის შემცირებას ვებრძოლოთო, მოითხოვენ, ბავშვების აღზრდა და მათთვის ხელობის მიცემა იაფი უნდა გვიჯდებოდესო და ამ დროს ადამიანი ხალხის მორევში იხრჩობა, ხოლო სპეციალისტები ისე მომრავლდნენ, რომ კუჭის გასაძღომად გაჩაღებულ გაშმაგებულ ბრძოლასთან წარსულის ყველა ომი მონაგონია. ვრცელი მოედნები და ქალაქ-ბაღები! რასის გაჯანსაღება! მაგრამ რაღაში გვინდა გაჯანსაღება, თუკი ცივილიზაციასა და პროგრესს აღარ ნებავს ომები? ომი ხომ ყველაფერს უშველიდა და ყველაფერს მოაგვარებდა, რასის გაჯანსაღებასაც წაადგებოდა და ასე განსაჯეთ, შობადობის შემცირებასაც.
- თქვენ ხუმრობთ. ამას უკვე სერიოზული ლაპარაკი აღარ ჰქვია. ახლა კი ჩვენი საუბარი მთავრდება და სწორედ დროც არის, უკვე მოვედით, - თქვა სეტემბრინიმ და ბიძაშვილებს ჯოხით ის პატარა სახლი უჩვენა, რომლის ჭიშკართანაც ისინი შეჩერდნენ. სადა, უპრეტენზიო სახლი სოფლის“ გადასახვევთან, თითქმის ქუჩის პირას იდგა - ქუჩისაგან მხოლოდ ვიწრო ბაღჩა ყოფდა. სახლის კარზე უსურვაზი აეყოლებინათ, ფესვებგაშიშვლებული ველური ვაზის ერთი გადრეკილი ლერწი კედელს აჰკროდა და ხელმარჯვნივ, მიწის პირზე გაჭრილი ფანჯრისკენ გაწვართულიყო, ეს საბაყლოს ვიტრინა გახლდათ. პირველი სართული ერთ ბაყალს აქვს დაქირავებულიო, თქვა სეტემბრინიმ. ნაფტას სამყოფელი ერთი სართულით მაღლა, სამკერვალოს გვერდითაა, მე კი სხვენზე ვბინადრობ, ერთი მყუდრო კაბინეტი მიკავიაო.
ნაფტამ მოულოდნელად საოცარი თავაზიანობა გამოიჩინა, იმედი მაქვს, ერთმანეთს კვლავ შევხვდებითო.
- გვესტუმრეთ, - უთხრა მან ახალგაზრდებს, - მე მესტუმრეთ-მეთქი, გეტყოდით, დოქტორ სეტემბრინის ჩემზე ძველი უფლება რომ არ ჰქონდეს თქვენთან მეგობრობისა. მობრძანდით, როცა გენებოთ, მობრძანდით, როგორც კი გაგიჩნდეთ პატარა კოლოკვიუმის მოწყობის სურვილი. დიდად ვაფასებ

ახალგაზრდებთან ურთიერთობას და ვგონებ, არც საამისო პედაგოგიური გამოცდილება უნდა მაკლდეს... თუკი ჩვენი მასონთა ლოჟის მეთაური
(„მასონთა ლოჟის მეთაური“ - დედანშია სიტყვასიტყვით სკამის ოსტატი“,რაც ნიშნავს ფრანკ-მასონთა ლოჟის პრეზიდენტს. ამას ნაფტა სეტემბრინიზე ირონიულად ამბობს, რადგან სეტემბრინი ფრანკ-მასონთა საზოგადოების მხოლოდ რიგითი წევრია.) (მან სეტემბრინიზე ანიშნა ახალგაზრდებს) დაიჩემებს, პედაგოგობის დვრიტა და მოწოდება მხოლოდ ბურჟუაზიული ჰუმანიზმის წილხვედრიაო, ამაზე უკამათოდ ვერ დავეთანხმებით. აბა, მალე შეხვედრამდე!
სეტემბრინიმ სიძნელეები მოიმიზეზა, ლეიტენანტს აქ, ზევით თითებზე დასათვლელი დღეები დარჩენია, ხოლო ინჟინერი სამკურნალო სამსახურში ამიერიდან, ალბათ, ორმაგ სიბეჯითეს გამოიჩენს, ვინძლო ისიც მალე გაჰყვეს თავისი ბიძაშვილისკვალსო.
ახალგაზრდები რიგრიგობით ერთსაც დაეთანხმნენ და მეორესაც. ნაფტას თავაზიანად დაუკრეს თავი და ასე მიიღეს მისი მიწვევა, ხოლო წუთის შემდეგ თავის მოდრეკითა და მხრების აჩეჩვით გამოხატეს, სეტემბრინის მოსაზრებანიც სამართლიანიაო. ასე და ამგვარად, საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა.
- რა თქვა სეტემბრინიზე ნაფტამ? - ჰკითხა იოახიმმა ჰანს კასტორპს, როცა „ბერგჰოფისკენ“ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ გზას დაადგნენ...
- თუ ყურმა არ მომატყუა, „მასონთა ლოჟის მეთაური“ უწოდა, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - და ახლა სწორედ მაგაზე ვფიქრობდი, ალბათ, იხუმრა, ისინი ხომ უცნაურ სახელებს უძახიან ერთმანეთს-მეთქი. სეტემბრინიმ ნაფტას რომ Princeps scholasticorum
“ უწოდა, არც ეს იყო ურიგო. სქოლასტიკოსები ხომ შუა საუკუნეების მწიგნობრები იყვნენ, თუ გნებავს, დოგმატიკოსი ფილოსოფოსები. ჰმ, შუა საუკუნეებს ისედაც არაერთხელ გადასწვდნენ და სულ მაგონდებოდა, სეტემბრინიმ პირველსავე დღეს რომ თქვა, აქ ჩვენთან, ზევით, ბევრ რამეს შუა საუკუნეების სუნი უდისო, შუა საუკუნეები მაშინ ადრიატიკა ფონ მილენდოკმა, უფრო სწორად, მისმა სახელმა მოგვაგონა. ის როგორღა მოგეწონა?
- ის პატარა? არც ისე, მისი ნათქვამიდან ზოგი რამ კი დამიჯდა ჭკუაში, სამედიატორო სასამართლო მართლა ფარისევლური გამოგონებაა, მაგრამ თვითონ იმდენად არ მომეწონა, რომ ასეთმა საეჭვო პიროვნებამ რა ჭკვიანური აზრიც უნდა თქვას, ჩემთვის ფასი არ ექნება, ხოლო საეჭვო პიროვნება რომ არის, ამას ვერც შენ უარყოფ. სარეცელს რომ შერწყმის ადგილი“ უწოდა, ჯერ თუნდაც ეს იყო საეჭვო. როგორი ებრაული ცხვირი აქვს? თუ დააკვირდი, ასეთი დაგვალულებიც მხოლოდ სემიტები არიან ხოლმე. შენ სერიოზულად ფიქრობ, ეწვიო?
 - რა თქმა უნდა, ვეწვევით! - განაცხადა ჰანს კასტორპმა, - დაგვალულიო, რომ ამბობ, ამას შენი მხედრული ბუნება გალაპარაკებს, ხოლო რაც შეეხება ცხვირებს, ცხვირები ქალდეველებსაც ასეთი ჰქონდათ, მაგრამ ისინი მარტო მჩხიბავები როდი იყვნენ, სხვა ბევრ რამეშიც იყვნენ გაწაფულნი. ნაფტასაც აქვს რაღაც მაგიური და ამიტომ მაინტერესებს, არც იმას დავიჩემებ, ეს კაცი დღევანდელი შეხვედრით თავიდან ბოლომდე განვჭვრიტე-მეთქი, მაგრამ ხშირად თუ შევხვდებით, და იმედი მაქვს, შევხვდებით კიდეც, მასაც უკეთ გავიცნობთ და მე მგონი, ჩვენც ცოტა ჭკუა მოგვემატება.
- ადამიანო, შენ აქ ისედაც სულ ჭკუის მატებაში ხარ ამ შენი ბიოლოგიით, ბოტანიკით და შემობრუნების მერყევი წერტილებით, ხოლო დრო-ჟამით“ ლამის პირველსავე დღეს დაინტერესდი. ჩვენ აქ ჭკუის კი არა, ჯან-ღონის მოსამატებლად ვართ ამოსული, დღითი დღე უნდა ვჯანსაღდებოდეთ, რომ ბოლოს და ბოლოს მოგვანიჭონ თავისუფლება და განკურნებულნი გაგვიშვან ბარში.
- „თავისუფლება მხოლოდ მთებშია!“(„თავისუფლება მხოლოდ მთებშია!“ - ციტატი ფრ. შილერის დრამიდან მესინელი პატარძალი“.)
- ფუქსავატურად წაიღიღინა ჰანს კასტორპმა და მერე ჩვეულებრივად განაგრძო, - აბა, მითხარი, რა არის თავისუფლება? ნაფტა და სეტემბრინი ახლახან ამაზე კამათობდნენ, მაგრამ ვერ მორიგდნენ. „თავისუფლება კაცთმოყვარეობის კანონიაო“, - ამბობს სეტემბრინი და ამ სიტყვებში მისი კარბონარი წინაპრის ხმა გაისმის. მაგრამ რაც უნდა მამაცი ყოფილიყო ის კარბონარი, ან რაც უნდა მამაცი

იყოს თვით სეტემბრინი...
- ჰო, ისე კი შეიშმუშნა, სიტყვა სიმამაცეზე რომ ჩამოვარდა.
- ...მე მაინც მგონია, სეტემბრინის ისეთი რაღაცების ეშინია, რისი შიშიც პატარა ნაფტას არა აქვს, გესმის, და ამიტომაც მისი თავისუფლებაც და სიმამაცეც საკმაოდ უნიათოა. როგორ გგონია, ეყოფოდა გამბედაობა,de se perdre ou même de se laisser dépérir
?
(ვნებათაღელვას აჰყოლოდა და თავიც კი გაეწირა (ფრანგ.).) - შენ რა ფრანგულად დამიწყე ლაპარაკი?
- ისე... აქ ისეთი ინტერნაციონალური ატმოსფეროა, რომ... თუმცა არ ვიცი, ვის უფრო მოსწონს ეს ატმოსფერო - სეტემბრინის, როგორც ბურჟუაზიული მსოფლიო რესპუბლიკის მოსურნეს, თუ იერარქიული კოსმოპოლისის მოქადაგე ნაფტას. როგორც ხედავ, საუბარს ყურდაცქვეტილი ვუსმენდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე, პირიქით, მათი მოსმენის შემდეგ უფრო ამერ-დამერია ყველაფერი.
- რას იზამ, აზრებისა და შეხედულებების კორიანტელში ყოველთვის გეჩვენება, რომ თავში ყველაფერი გერევა ხოლმე. მე თუ მკითხავ, საქმე ის კი არაა, ვის რა შეხედულებები აქვს, საქმე ისაა, ვინ რა კაცია. ყველაფერს სჯობია, არავითარი შეხედულება არ გქონდეს და შენს საქმეს ემსახურებოდე.
- ეს შენ შეგიძლია თქვა, როგორც ლანდსკნეჰტმა, რაკი შენი არსებობა წმინდა ფორმალური ხასიათისაა, ჩემი საქმე კი სხვაა, მე სამოქალაქო პირი ვარ და, ასე თუ ისე, მაკისრია პასუხისმგებლობა... ჰოდა, ასეთ არევ-დარევას რომ ვუყურებ, ნერვები მეშლება, ერთი საერთაშორისო მსოფლიო რესპუბლიკის იდეას ქადაგებს, ომიც მთელი არსებით ეჯავრება, თან კი ისეთი პატრიოტია, რომpartout
(ყველგან და ყოველთვის (ფრანგ.).) ბრენერის(ბრენერი (კელტ. იტალ.: ბრენერო)
- ყველაზე დაბალი უღელტეხილი ცენტრალურ ალპებში, ერთმანეთთან აკავშირებს ავსტრიულ ჩრდილოეთ ტიროლს(ინსბრუკი) იტალიურ ტიროლთან (ბოლცანო).)
საზღვრებს მოითხოვს და ამისთვის ცივილიზატორული ომის გაჩაღება სურს, მეორე სახელმწიფოს ეშმაკის მანქანას ეძახის, და ჰორიზონტზე საყოველთაო ერთობას ვხედავთო, ღაღადებს, მეორე წუთს კი ბუნებრივ ინსტინქტებს უჭერს მხარს და სამშვიდობო კონფერენციებს დასცინის. დიახ, სწორედ უნდა მივიდეთ და ყველაფერში გავერკვეთ. მართალია, შენ ამბობ, აქ დასაჭკვიანებლად კი არა, გამოსაჯანსაღებლად ვართ მოსულნიო, მაგრამ ეს ორი რამ ხომ უნდა გაერთიანდეს, ეს თუ არ გჯერა, მაშინ სამყარო გაგითიშავს და ესაა, სამყაროს გათიშვა კი, ვერ დაგიმალავ, დიდი შეცდომა გახლავს.

ღმრთის ქალაქისა და უკეთური ხსნის ამბავი
ჰანს კასტორპმა თავის ლოჯიაში ერთი ყვავილის ჯიში დაადგინა. რაც ასტრონომიული ზაფხული დადგა და დღემ კლება დაიწყო, ეს ყვავილი თითქმის ყველგან იყო მოდებული. წყალიკრეფია ანუ აკვალეგია, ეს ბაიასებრთა ჯიშის მცენარე, ბუჩქ-ბუჩქად იზრდებოდა, გრძელ ღეროზე ლურჯ, იისფერ ან მოყავისფრო-მოწითალო ყვავილებს იკეთებდა და დიდრონი ფოთლები ჰქონდა. წყალიკრეფიას სად არ წააწყდებოდით, მაგრამ უფრო ხვავრიელად მაინც იმ მიჩქმალულ კუთხეში ყვაოდა, სადაც მან დაახლოებით ერთი წლის წინ პირველად იხილა ისინი - მთის ნაკადულის ჩუხჩუხით აღსავსე მივარდნილ ხევში, ნაკადულზე გადებული ბოგირისა და ძელსკამის შორიახლო, სადაც დასრულდა მაშინდელი ნაადრევი, თვითნებური და მარცხიანი გასეირნება და სადაც ამ ბოლო დროს ისევ დასეირნობდა ხოლმე.
მაშინდელივით სულსწრაფობას თუ არ გამოიჩენდა, იქამდე არც ისე შორი მანძილი იყო. „სოფლიდან“ ფერდობს ბობსლეის ტრასის ფინიშიდან ოდნავ ცერად აუყვებოდით: და ეს თვალწარმტაცი ადგილი ტყეში გაჭრილ გზაზე შემოგხვდებოდათ, ბობსლეის ტრასა შაცალპიდან ეშვებოდა, გზა კი ტრასაზე გადადებულ ბოგირებს მიუყვებოდა. გზიდან თუ არ გადაუხვევდი და საოპერო არიებსაც თუ არ იმღერებდი, მაშინ არც სულის მოსათქმელი შესვენებები დაგჭირდებოდა და იმ ადგილსაც ოც წუთში მიაღწევდი. იოახიმი პაციენტის

მოვალეობების: გასინჯვის, რენტგენის, სისხლის, ანალიზის, ნემსების ან აწონის გამო სანატორიუმიდან თუ ვერ გამოდიოდა, მაშინ ჰანს კასტორპი კარგ ამინდში თავისი საყვარელი კუთხისკენ ხან მეორე საუზმის შემდეგ მიემართებოდა, ხან პირველი საუზმის დამთავრებისთანავე, ზოგჯერ კი საამისოდ ჩაისა და ვახშამს შორის დარჩენილ შუალედსაც იყენებდა. დაჯდებოდა იმ ძელსკამზე, სადაც ერთხელ ცხვირიდან სისხლი წასკდა, თავს გვერდზე გადაიგდებდა, ნაკადულის ჩუხჩუხს მიუგდებდა ყურს და ამ განმარტოებული პეიზაჟისა და მიწაზე კვლავ უხვად ამოსული ლურჯი წყალიკრეფიას ცქერით ტკბებოდა.
ვითომ მხოლოდ ამისთვის ამოდიოდა აქ? არა, განმარტოებაც უყვარდა, რათა მოგონებებში ჩაფლულიყო, ამდენი თვის შთაბეჭდილებები და თავგადასავალი გონებაში გადაექექა და ყველაფერი გაეაზრებინა. შთაბეჭდილება და თავგადასავალი კი უხვად დაუგროვდა და არც ისე ადვილი დასალაგებელი გამოდგა, ისე იხლართებოდნენ და ირეოდნენ ერთმანეთში, რომ ხელშესახები ამბები ნაფიქრის, ნაოცნებარისა და წარმოდგენილისაგან ძნელად გამოირჩეოდა. თან ყველა ეს ამბავი იმდენად ავანტიურისტული იყო, რომ მათ გახსენებაზე აქ, ზევით ამოსვლის დღიდან აფართქალებული გული ხან შეუჩერდებოდა, ხან კი უფრო ძალუმად აუძგერდებოდა ხოლმე. ან იქნებ მისი მგრძნობიარე გულის ასე ავანტიურისტულად შესაკრთობად ის ფიქრიც კმაროდა, რომ აქ, სადაც ოდესღაც მისუსტებულსა და მისავათებულს ცოცხლად გამოეცხადა პშიბისლავ ჰიპე, წყალიკრეფია ისევ კი არ ყვაოდა, არამედ ხელახლა აყვავებულიყო და მაშინდელი სამი კვირა“ საცაა წელიწადად დამრგვალდებოდა? სხვათა შორის, მთის ნაკადულის პირას მას შემდეგ ცხვირიდან სისხლი აღარ წასკდომია - ამ სატკივარმა გაუარა. აკლიმატიზაცია იოახიმმა ჩამოსვლისთანავე ძნელად დაუსახა და ძნელი გამოდგა კიდეც, მაგრამ მას შემდეგ საქმე წინ წავიდა, თერთმეტი თვის შემდეგ აკლიმატიზაცია დასრულებულად შეგვეძლო. ჩაგვეთვალა და ამ მხრივ წინსვლა ნაკლებად იყო მოსალოდნელი. კუჭის ქიმიზმი მოუწესრიგდა და შეეგუა აქაურობას, „მარია მანჩინის“ კვლავ დაუბრუნდა უწინდელი გემო, მისი გამომშრალი ლორწოვანი გარსის ნერვები კარგა ხანია ძველებურად შეიგრძნობდნენ ამ ძვირფასი ნაწარმის სურნელს და იგიც, მარაგი გამოელეოდა თუ არა, უწინდებურად ბრემენიდან ლამის სასოებით იწერდა ხოლმე სიგარებს, თუმცა ინტერნაციონალური კურორტის ვიტრინებში ფრიად მიმზიდველი საქონელი იყო გამოფენილი. იქნებ მარია“ რაღაც კავშირის როლს ასრულებდა განდგომილსა და ბარს, ანუ მის ძველ სამშობლოს შორის? განა ბართან ურთიერთობას იგი უფრო კარგად არ უნარჩუნებდა და არ ელოლიავებოდა, ვიდრე ის ღია ბარათები, ჰანს კასტორპი ხანგამოშვებით ბიძებს რომ უგზავნიდა? ამ ბარათებს შორის შუალედები ისეთივე ზომით იზრდებოდა, როგორც იგი ეჩვეოდა აქაური ცნებების შეთვისების წყალობით დროის ხელგაშლილად ხარჯვას. თვალის საამებლად მეტწილად ხედებიან ღია ბარათებს არჩევდა, ზედ თოვლში ჩაფლული ან საზაფხულო სამოსელში გამოწყობილი ხეობა იყო გამოსახული და წერილისთვის ზუსტად იმდენი ადგილი რჩებოდა, რამდენიც კმაროდა საიმისოდ, რომ შინაურებისთვის ექიმის უახლესი დანიშნულებანი შეეტყობინებინა, ნათესაურად მოეხსენებინა თვიური ან საერთო გამოკვლევის შედეგები, ესე იგი, ეცნობებინა, რომ აკუსტიკურადაც და ოპტიკურადაც აშკარა გაუმჯობესება ეტყობოდა, მაგრამ შხამებისგან ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული და ტემპერატურაც ნორმაზე ჯერ კიდევ ოდნავ მაღალი ჰქონდა. ეს კი პატარა კერების ბრალი იყო. თუ მოთმინებას გამოიჩენდა, ისინი ნამდვილად უკვალოდ გაქრებოდა და აქ ამოსვლა აღარასოდეს დასჭირდებოდა. ჰანს კასტორპს შეეძლო, დამშვიდებული ყოფილიყო, მიწერ-მოწერის დარგში ამაზე მეტ თავგამოდებასმისგან არც არავინ მოითხოვდა და არც არავინ მოელოდა - ის სფერო, საითაც იგი წერილებს გზავნიდა, ჰუმანისტურ-მჭევრმეტყველური სფერო არ გახლდათ. არც იქიდან მოსულ პასუხებში იღვრებოდა გრძნობები. საპასუხო ბარათები მეტწილად იმ ფულად გზავნილებს ახლდა, იგი შინიდანრომ იღებდა. ეს იყო მამისეული მემკვიდრეობის პროცენტები და აქაურ ფულზე ისე მომგებიანად ხურდავდებოდა, რომ ახალი გზავნილის მიღებამდე ძველის დახარჯვას ვერასოდეს ასწრებდა. ერთი სიტყვით, შინიდან მეტწილად მანქანაზე დაბეჭდილი რამდენიმე პწკარი მოსდიოდა,

ბარათს ხელს აწერდა ჯეიმს ტინაპელი და ბოლოში ბიძისაგან და ზოგჯერ ზღვაში მონაოსნე პეტერისგანაც მოკითხვას ურთავდა ხოლმე.
როგორც ჰანს კასტორპი იტყობინებოდა, ჰოფრატს მისთვის ნემსები ცოტა ხნის წინ შეეწყვიტა. ინიექციები ახალგაზრდა პაციენტს არაფერს რგებდა, პირიქით, თავის ტკივილს, უმადობას, წონაში კლებასა და მოდუნებას იწვევდა, „ტემპერატურაც“, პირველი ნემსის გაკეთებისთანავე რომ აუწია, მას მერე ძირს აღარ ჩამოსულა. „ტემპერატურა“ სუბიექტურადაც აწუხებდა, ვარდისფერი სახე კვლავინდებურად მშრალად უხურდა და თითქოს შეახსენებდა, ბარისა და მისი ნესტიანი, ცხოველმყოფელი მეტეოროლოგიის პირმშოს აკლიმატიზაცია სინამდვილეში იმ აზრთან შეგუებას ნიშნავდა, აქაურობას ვერასოდეს რომ ვერ შეეგუებოდა, რაც, სხვათა შორის, რადამანთისსაც სჭირდა - ლოყები ტყუილად როდი ჰქონდა მუდამ ჩალურჯებული. ზოგი ვერასოდეს ეგუება აქაურობასო, ჩამოსვლისთანავე უთხრა იოახიმმა და ეტყობა, ჰანს კასტორპიც იმ ზოგიერთში ეწერა, თავის კანტურიც თითქმის აქ, ზევით ამოსვლისთანავე დასჩემდა და ახლა სიარულშიც ეძალებოდა, საუბარშიც და ასე განსაჯეთ, ამ ლურჯად მოღაღანე სავანეშიც, სადაც იგი თავის თავგადასავალთა კომპლექსზე ფიქრობდა ხოლმე. ასე რომ, ჰანს ლორენც კასტორპის ჟესტი - თავის კანტურის შესაკავებლად ნიკაპის მკერდზე ღირსეულად დაბჯენა - ლამის მასაც უკვე მტკიცე ჩვეულებად გადაექცა და თავის ყოველ კანტურზე მისდა უნებურად მოხუცის გაშეშებული საყელო, ანუ ბრიჟის ეს წარმავალი სახეცვლილება აგონდებოდა, აგონდებოდა ემბაზის ვარაყგამოხუნებული ფსკერიც, „პაპის პაპის“ ღვთისმოსაური ხსენებაც და თავისი ცხოვრების ძაფს ფიქრებში დასაბამიდან აქამდე გამოუყვებოდა ხოლმე.
პშიბისლავ ჰიპე, ამ თერთმეტი თვის წინ რომ იხილა, ისე ცოცხლად აღარ გამოცხადებია. აკლიმატიზაცია დასრულდა, ხილვები აღარ აწუხებდა, აღარც ის გამეორებულა, თვითონ ძელსკამზე გაუნძრევლად რომ იწვა და მისი „მე“ შორეულ წარსულში დაფრინავდა. მეხსიერებაში მაშინ ამოტივტივებული წარსულის სურათები ზოგჯერ კვლავ ნათლად და ცოცხლად დაუდგებოდა თვალწინ, მაგრამ ამჯერად სავსებით ნორმალურ და ჯანსაღ საზღვრებში თავსდებოდა ხოლმე. წარსულის გახსენებაზე ჰანს კასტორპი გულჯიბიდან შუშის სამახსოვროს ამოიღებდა, სარჩულიანი კონვერტით სათუთად რომ ედო საფულეში; მინის ფირფიტას მიწას თუ მიუშვერდით, მაშინ იგი შავად პრიალებდა და გაუმჭვირვალე ჩანდა, მაგრამ დღის სინათლეზე თუ გახედავდით, განათდებოდა და ჰუმანისტურ საგნებს წარმოგიჩენდათ: ადამიანის სხეულის გამჭვირვალე გამოსახულებას, ნეკნებისა და გულის მოხაზულობას, დიაფრაგმასა და ფილტვებს, ლავიწისა და მხრის ძვლებს, ყველაფერ ამას კი ირგვლივ მკრთალი, ნისლისფერი გარსი, ანუ ხორცი ეკვროდა, რომელსაც თავისი უგუნურების წყალობით ჰანს კასტორპმა ყველიერის კვირას გემო გაუსინჯა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუკი ამ სამახსოვროს ჭვრეტისას მგრძნობიარე გული ხან გაუჩერდებოდა, ხან კი ძალუმად აუჩქარდებოდა, ან მერე თუკი ცდილობდა, მეხსიერებაში „ყველაფერი“ აღედგინა და გაეაზრებინა, ასე რომ იჯდა ძელსკამის სადად გარანდულ საზურგეზე მიყრდნობილი, ხელები გულზე დაეკრიფა, თავი გვერდზე გადაეგდო, ყურებში მთიდან დაქანებული ნაკადულის ჩუხჩუხი ედგა, ხოლო თვალით ლურჯად აყვავებულ წყალიკრეფიას ეალერსებოდა?
ორგანული სიცოცხლის უმაღლესი წარმონაქმნი, ადამიანის სხეული, ისევე ნანაობდა მის თვალწინ, როგორც იმ ყინვიან, ვარსკვლავიან ღამეს, მეცნიერულ შტუდიებში რომ იყო ჩაფლული, ამ სხეულში ჭვრეტას კი ისეთი კითხვები და გამოცანები ეჯაჭვებოდა, რომელთა არსში გარკვევა კეთილ იოახიმს იქნებ არც ევალებოდა, მაგრამ თვითონ ამ ბოლო დროს ფიქრობდა, როგორც სამოქალაქო პირს მათზე ერთგვარი პასუხისმგებლობა მეკისრებაო. მერე, რა, ბარში თვითონაც რომ არასოდეს დაინტერესებულა ამ საკითხებით და, ალბათ, არც ოდესმე დაინტერესდებოდა, აქ რომ არ ამოსულიყო. აქედან, შორიდან მჭვრეტელის თვალით, ხუთი ათასი ფუტი სიმაღლიდან დაჰყურებდა ქვეყანასა და ყოველგვარ სულიერს და ფიქრებს მიუყვებოდა. ვინ იცის, იქნებ ჭვრეტაში ხსნადი შხამებისაგან აღძრული აღგზნებაც შველოდა, რაც, სხვათა შორის, სახის მხურვალებასაც იწვევდა. ამგვარი ჭვრეტისას სეტემბრინი აგონდებოდა,

პედაგოგი-მეარღნე, ელადაში შობილი მამის შვილი, ვინც მატერიის იმ უმაღლესი წარმონაქმნისადმი სიყვარულს პოლიტიკას, ამბოხსა და მჭევრმეტყველებას უთანაბრებდა და მოქალაქის შუბი კაცობრიობის საკურთხეველზე ჰქონდა ნაკურთხი. ფიქრობდა აგრეთვე თავის კამერადზე, კროკოვსკიზე, ამ ბოლო დროს ჩაბნელებულ ოთახში სეანსებს რომ უტარებდა. ფიქრობდა ფსიქოანალიზის ორმაგ ბუნებაზეც და იმაზეც, უწყობდათუ არა ფსიქოანალიზი ქმედებასა და პროგრესს ხელს, ან რამდენად ენათესავებოდა იგი სამარესა და მის ოდიოზურ ანატომიას. გამოიხმობდა ორივე ბაბუის ხატებას, შავ ტანსაცმელს სულ სხვადასხვა მიზეზით რომ ატარებდნენ. ხან გვერდიგვერდ დააყენებდა. ხან კი ერთმანეთს უპირისპირებდა ერთის მეამბოხე და მეორის ტრადიციის მიმდევარ ბუნებას და მათ ღირსებებს მისხალ-მისხალ წონიდა. საკუთარ თავს ეთათბირებოდა ისეთ მრავლისმეტყველ კომპლექსებზე, როგორიცაა ფორმა და თავისუფლება, სული და სხეული, ღირსება და სირცხვილი, დრო და მარადისობა,და წამიერად, მაგრამ ძლიერად ეხვეოდა თავბრუ იმის გახსენებაზე, რომ წყალიკრეფია კვლავ აყვავებულიყო და ეს ერთი წელიწადის გასვლას ნიშნავდა.

ჰანს კასტორპმა უცნაური სიტყვა გამონახა განმარტოებულ, თვალწარმტაც კუთხეში საპასუხისმგებლო გონებრივი ვარჯიშისათვის - ამ ვარჯიშს „მართვა“ დაარქვა - სათამაშო, ონავრული, ბავშვური გამოთქმა შეურჩია ვითომ თავშესაქცევ, სინამდვილეში კი საყვარელ გართობას, თუმცა მას შიში, თავბრუსხვევა და გულის ფრიალი ახლდა თან და სახეზე მოდებულ ალმურსაც კიდევ უფრო უღვივებდა ხოლმე. ჰანს კასტორპს არც ის ეხამუშებოდა, ამ საქმიანობისთვის თავს ძალას რომ ატანდა და იძულებული ხდებოდა. ნიკაპი მკერდზე დაებჯინა, განა ეს პოზა შესანიშნავად არ ეხამებოდა საკუთარი ღირსების შეგრძნებას, თვალწინ მონანავე უმაღლესი წარმონაქმნის წინაშე „მართვა“ შინაგანად რომ ანიჭებდა?

„ჰომო დეი“ უწოდა გონჯმა ნაფტამ ამ უმაღლეს წარმონაქმნს, როცა მას ინგლისური პოლიტეკონომიისაგან იცავდა, ჰოდა, რა გასაკვირია, ჰანს კასტორპს თავისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კარნახით და მართვის ინტერესების სასარგებლოდ თავი ვალდებულად ეგრძნო, იოახიმთან ერთად პატარა ნაფტასთან სტუმრად მისულიყო? სეტემბრინის არ ეჭაშნიკა ეს მიპატიჟება - ჰანს კასტორპს საიმისო ეშმაკობაც ჰყოფნიდა და სულიერი დახვეწილობაც, ეს ამბავი რომ შეემჩნია. ჰუმანისტს მათთან შეხვედრა თავიდანვე არ ესიამოვნა, აშკარად შეეცადა ახალგაზრდებისთვის თავი აერიდებინა და ისინი, უფრო სწორად, ჰანს კასტორპი - რასაც სხვათა შორის მშვენივრად მიუხვდა ეს გამოქექილი, ძნელად აღსაზრდელი ბავშვი - ნაფტასთან ნაცნობობისგან პედაგოგიური მოსაზრებით დაეფარა, თუმცა ამ კაცს თვითონ ეამხანაგებოდა და ეკამათებოდა. ასეთები არიან აღმზრდელები - თვითონ ყველაფერ საინტერესოს ეტანებიან, აქაოდა, ჩვენ საამისოდ „მომწიფებულნი“ ვართო, ხოლო ახალგაზრდობას ზღუდავენ და უჩიჩინებენ, საინტერესო ამბებისთვის მომწიფებული“ ნუ გეგონებათ თავიო. კიდევ კარგი, მეარღნეს არსვითარი უფლება არ ჰქონდა, ახალგაზრდა ჰანს კასტორპისათვის რაიმე აეკრძალა და ამას არც ცდილობდა. საკმარისი იყო, ძნელად აღსაზრდელ ბავშვს სქელკანიანი და გულუბრყვილო კაცის როლი ეთამაშა, რომ ხელს აღარაფერი შეუშლიდა პატარა ნაფტის მიპატიჟებით ესარგებლა. ჰანს კასტორპი ასეც მოიქცა, იოახიმი, ავად თუ კარგად, დაიყოლია და პირველი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კვირადღეს, ნაშუადღევს, მთავარი სამკურნალო წოლის საათი ჩათავდა თუ არა, ნაფტასკენ გაეშურა.

„ბერგჰოფიდან“ იმ პატარა, უსურვაზაყოლებულ სახლამდე რამდენიმე წუთის სავალი იყო. ეზოში შევიდნენ, საბაყლოს კარი ხელმარჯვნივ ჩამოიტოვეს, ყავისფრად შეღებილი ვიწრო კიბით მეორე სართულზე ავიდნენ და იმ კარს მიადგნენ, სადაც ზარის გვერდით მხოლოდ მკერავ ლუკაჩეკის აბრა იყო მიკრული. კარი მოკლედ თმაშეკრეჭილმა, ლოყაწითელმა ბიჭმა გააღო. მსახური ბიჭი ვითომ ლივრეაში იყო გამოწყობილი - ზოლიანი პიჯაკი და გამაშები ეცვა. სტუმრებმა ბატონი პროფესორი ნაფტა იკითხეს და რაკი სადარბაზო ბარათები თან არ ჰქონდათ, თავიანთი გვარები ბიჭს რამდენჯერმე გაამეორებინეს,

მსახურმა ნაფტას პროფესორის ტიტული ჩამოაცილა, ბატონ ნაფტას თქვენს მოსვლას მოვახსენებო და წავიდა. პირდაპირ ღია კარიდან სამკერვალო მოჩანდა, დღეს უქმე იყო, მაგრამ ლუკაჩეკს მაგიდაზე მოერთხა ფეხი და ხელში ნემსი ეჭირა. ფერმკრთალ, მელოტ ლუკაჩეკს ვეებერთელა, ჩამოშვებული ცხვირი ჰქონდა და ტუჩის კუთხეებზე უჟმურად ეკიდა შავი ულვაში.
- გამარჯობა! - მიესალმა ჰანს კასტორპი.
- გრ ტსი, - აქაურ დიალექტზე უპასუხა მკერავმა, თუმცა შვეიცარიული დიალექტი არც მის გვარს შეეფერებოდა და არც მის გარეგნობას და ამიტომ ყალბად და უცნაურად ჟღერდა.
- დროს აღარ აცდენთ? - თავის ქნევით განაგრძო ჰანს კასტორპმა... - დღეს ხომ კვირაა!
- სასწრაფო საქმეა, - მოკლედ მოუჭრა ლუკაჩეკმა და საკერავს ნემსი ამოუბნია.
- ძვირფასი ჩანს, - ჩაეძია ჰანს კასტორპი, - ეტყობა, საგანგებო შეკვეთაა, სამეჯლისოა თუ...
მკერავმა კითხვა ერთხანს უპასუხოდ დატოვა, ძაფი მოკვნიტა, ახალი ააგო და მხოლოდ მერე დაუქნია თავი.
- ლამაზი კაბა გამოვა? - კვლავ ჩაეკითხა ჰანს კასტორპი, - სახელო უნდა მიაკეროთ?
- სახელო უეჭველად, დედაბრის კაბაა, - ძლიერი ჩეხური აქცენტით უპასუხა ლუკაჩეკმა. ღია კარში წამოწყებული საუბარი მსახურის მოსვლამ გაწყვიტა, ბატონი ნაფტა გთხოვთ, მობრძანდეთო, ახალგაზრდებს მოახსენა, ხელმარჯვნივ, სამკერვალოდან რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული კარი გააღო და პორტიერებიც გადასწია. სტუმრებს ნაფტა შეეგება, მას აბზინდიანი ფეხსაცმელი ეცვა და ხავსისფერ ხალიჩაზე იდგა.
ბიძაშვილები განაცვიფრა ამ ორფანჯრიან კაბინეტში გამეფებულმა ფუფუნებამ, უფრო მეტიც, თვალი მოსჭრათ ოთახის მდიდრულმა მორთულობამ, რადგან ამ გაქუცული სახლის, კიბისა და უბადრუკი დერეფნის შემხედვარენი მსგავსს არაფერს მოელოდნენ. სწორედ ეს კონტრასტულობა ანიჭებდა ნაფტას ოთახის ელეგანტურ მორთულობას ზღაპრულ ელფერს, რაც მას თავისთავად ნამდვილად არ გააჩნდა და ცხადია, სხვა გარემოში ჰანს კასტორპსა და იოახიმს ასე ზღაპრული არც მოეჩვენებოდათ. და მაინც, ოთახი მდიდრულად, უფრო მეტიც, ბრწყინვალედაც კი იყო მორთული, კაბინეტში საწერი მაგიდაც იდგა და წიგნისკარადებიც, მაგრამ სწორედ ამ მდიდრული მორთულობის გამო აქაურობა მამაკაცის ბინას ნაკლებად ჰგავდა, მეტისმეტად უხვად იყო მოფენილი აბრეშუმით, ღვინისფერი და მეწამული აბრეშუმით: აბრეშუმის ფარდები ნიღბავდა ორივე უშნო კარს, ფანჯრებზეც აბრეშუმის ფარდები ეკიდა და ამ ავეჯზეც აბრეშუმი იყო გადაკრული, მეორე კარის მოპირდაპირე კედლის თითქმის მთელ სიგანეზე გადაჭიმულ გობელენთან რბილ კუთხეს რომ ქმნიდა. ბაროკოს სტილის სავარძლებს სამკლაურებზე პატარ-პატარა ბალიშები ჰქონდა, სავარძლები ლითონით ინკრუსტირებული მაგიდის ირგვლივ შემოეწყოთ, ხოლო კედელთან პლუშის ბალიშებით მოფენილი იმავე სტილის დივანი იდგა. წიგნის კარადებს ორივე კარის აქეთ-იქით მთელი კედელი ეჭირა. კარადებიც და ფანჯრებშუა დადგმული საწერი მაგიდაც, უფრო სწორად, ამობურცული სახურავით დამშვენებული სეკრეტერი, წითელი ხისა გახლდათ, ხოლო კარადებს შემინულ კარზე შიგნიდან კიდევ მწვანე აბრეშუმი ჰქონდა გამოკრული. აი, რბილი ავეჯის ხელმარცხნივ კუთხეში კი ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილება მოჩანდა, წითელი აბრეშუმით შებურვილ კვარცხლბეკზე დიდი, შეღებილი ხის ქანდაკება - „პიეტა“
(პიეტა (ლათ. იტალ. - ღვთისმოსაობა) - ნახატი (ან ქანდაკება), რომელზედაც გამოსახულია მარიამ ღვთისმშობელი და ჯვრიდან ჩამოხსნილი მაცხოვარი; იესო ქრისტეს დატირება.) იდგა, როგორღაც შემაკრთობელი, გროტესკამდე მისული თავისი პრიმიტიულობითა და შთამბეჭდაობით: ღვთისმშობელს თავზე ჩაჩი ეხურა, წარბები შეეჭმუხნა, ოდნავ გაღებული პირი სატირლად მოეღრიცა და კალთაში წამებული მაცხოვარი ესვენა, მის ფიგურაში პრიმიტიულად იყო დარღვეული პროპორციები, ხოლო მეტისმეტად მკაფიოდ გამოკვეთილი ანატომიური აგებულება აშკარად ამხელდა, ხელოვანს ანატომიისა რომ

არაფერი გაეგებოდა. წამებულს მკერდზე ჩამოვარდნილ თავზე ეკლები ასხდა, სახე და ხელ-ფეხი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, ხოლო დასერილ ფერდებსა და ხელ-ფეხზე დამჩნეულ ნალურსმარებთან შედედებული სისხლის კოლტები მიხმობოდა. ეს თვალის სასეირო ქმნილება აბრეშუმით შემოსილ ოთახს მართლაც რომ განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა. შპალერი მხოლოდ წიგნების კარადების თავსა და ფანჯრებს შორის, კედელზე მოჩანდა და ისიც უეჭველად მდგმურის შერჩეული იქნებოდა, რადგან შპალერსაც წითლად შეღებილ იატაკზე დაფენილი ხალიჩისფერი მწვანე ზოლები დაუყვებოდა. მხოლოდ დაბალი ჭერისთვის ვერ მოეხერხებინათ ვერაფერი: ოთახს შიშველი, დაბზარული ჭერი დაჰყურებდა, მაგრამ იგი მაინც მომცრო, ვენეციური ჭაღით შეემკოთ, ფანჯრები კი იატაკამდე დაშვებული კრემისფერი ფარდებით შეებურათ.
- აი, მოვედით კოლოკვიუმზე! - თქვა ჰანს კასტორპმა, თან თვალი კუთხეში აღმართული წმინდა საფრთხობელისკენ უფრო ეჭირა, ვიდრე ამ განსაცვიფრებელი ოთახის ბინადრისაკენ, რომელმაც ახალგაზრდებს მიაგება, სიტყვის პატრონები ყოფილხართო და პატარა ხელით აბრეშუმგადაკრული სავარძლებისაკენ მიიპატიჟა, მაგრამ ჰანს კასტორპი მონუსხულივით პირდაპირ ხის ქანდაკებისკენ გაემართა, დოინჯი შემოიყარა, თავი გვერდზე გადაიგდო და მის წინ გაირინდა.
- ეს რა გქონიათ! - ჩაილაპარაკა მან, - საშინლად კარგი რამ არის. თუ ვინმეს გინახავთ ოდესმე ასეთი ტანჯვა? უეჭველად ძველი იქნება.
- მეთოთხმეტე საუკუნისა გახლავთ, - უპასუხა ნაფტამ, - რაინის სკოლა უნდა იყოს, თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არა?
- უზარმაზარი, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - რა გასაკვირია, მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდეს. მაპატიეთ, მაგრამ არ მეგონა, ასეთი სიმახინჯე ასეთი მშვენიერი თუ შეიძლებოდა ყოფილიყო.
- როგორც წესი, სულისა და გრძნობის ერთობლივი ქმნილება, - მიუგო ნაფტამ, - ყოველთვის მახინჯია თავისი სიმშვენიერითა და მშვენიერია თავისი სიმახინჯით. აქ სულიერ სილამაზესთან გვაქვს საქმე და არა ხორციელთან, ხორციელი სილამაზე აბსოლუტურად დაცლილია გონისგან, იგი, სიმართლე თუ გნებავთ, აბსტრაქტულიც არის, - დასძინა მან და განაგრძო, - დიახ, სხეულის სილამაზე აბსტრაქტულია, რეალურია მხოლოდ შინაგანი სილამაზე, რელიგიური გრძნობის სილამაზე.
- რა სწორად შეაფასეთ და დაალაგეთ ყველაფერი, - უთხრა ნაფტას ჰანს კასტორპმა, - მეთოთხმეტე თქვით, არა? - გაიმეორა მან, - ესე იგი, ათას სამას რომელიღაც წელსაა შექმნილი? დიახ, ტიპური შუა საუკუნეები სწორედ ესაა, ამ ქანდაკებამ კიდევ უფრო განმიმტკიცა შუა საუკუნეებზე ამ ბოლო ხანებში შექმნილი წარმოდგენა. წინათ ასეთი ამბებისა არაფერი გამეგებოდა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე ტექნიკური პროგრესის ერთი წარმომადგენელი ვარ და მეტი არაფერი, მაგრამ აქ, ზევით, გაცილებით ნათელი წარმოდგენა შემექმნა შუა საუკუნეებზე. პოლიტეკონომია რომ არ არსებობდა მაშინ, ეს ცხადია. ნეტავ ვინ არის ამ ქანდაკების ავტორი?
ნაფტამ მხრები აიჩეჩა.
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს? - მიუგო მერე, - ეგ ჩვენ არ გვეკითხება, და, სხვათა შორის, ავტორს არც მაშინ კითხულობდა ვინმე, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა. მისი შემოქმედი ვინმე მოგენიოსოMonsieur
არ იქნება, ეს ქანდაკება ანონიმურია და საერთო. ოღონდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მაინც გვიანდელი შუა საუკუნეებია, გოტიკა,Signum mortificationis
(კვდომის სიმპტომი (ლათ.).) , აქ ადამიანის შებრალებისა და ტანჯვის შელამაზების ნიშანწყალსაც ვეღარ იპოვით, რაც ჯვარცმულის გამოსახვისას ჯერ კიდევ რომანულ ეპოქას ჰქონდა წესადმიღებული; აქ ვეღარც მეფის გვირგვინს ვხედავთ და ვეღარც ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მოწამებრივ სიკვდილზე გამარჯვების ზეიმს, ამ ქანდაკებაში უკიდურესი ხერხებითაა გამოხატული ტანჯვა და ხორცის უძლურება. მხოლოდ გოტიკური გემოვნებაა ჭეშმარიტად პესიმისტური და ასკეტური. თქვენ არ გეცოდინებათ ინოკენტი მესამის
(ინოკენტი III (1198-1216) - რომის პაპი, განასახიერებდა უმაღლეს პაპისტურ ძალაუფლებას, გააფართოვა საეკლესიო სახელმწიფო, დაიქვემდებარა საერო

ხელისუფალნი, მოაწყო ლაშქრობა მწვალებელთა - ალბიგოელთა წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა ბერთა ე.წ. „მათხოვრულ ორდენებს“ -- ფრანცისკანელებსა და დომინიკანელებს.) თხზულება De miseria humanae condiotionis
“(„ადამიანის უბადრუკი ხვედრისა გამო“ (ლათ.).)
, ფრიად გონებამახვილური ლიტერატურული თხზულებაა, მართალია, იგი მეთორმეტე საუკუნის დამლევს განეკუთვნება, მაგრამ მისი დასურათება მხოლოდ ამ ეპოქის ხელოვნებას ძალუძს.
- ბატონო ნაფტა, - ერთი ამოიხვნეშა და ისე წამოიწყო ჰანს კასტორპმა, - მე ყოველი თქვენი ნათქვამი სიტყვა მაინტერესებს Signum mortificationis“
თქვით, არა? ამას დავიმახსოვრებ, მანამდე კი ანონიმური და საერთო“ ახსენეთ, რაც ასევე ღირს დასაფიქრებლად. სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით, პაპის თხზულებას - ინოკენტი მესამე, ალბათ, პაპი იქნებოდა - არ ვიცნობ... თუ სწორად გაგიგეთ, ეს თხზულება ასკეტური და გონებამახვილურია, არა? უნდა გამოვტყდე, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ეს ორი ცნება ხელიხელჩაკიდებული თუ ივლიდა, მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდები, ვხვდები, რომ ადამიანის სიბეჩავეზე სჯა-ბაასი ნამდვილად იძლევა ხორცის გაკენწლვის საბაბს. იშოვება კი ეს თხზულება? ჩემს ლათინურს რომ თავი მოვუყარო, ალბათ, შევძლებ მის წაკითხვას.
- მე მაქვს ეს წიგნი, - მიუგო ნაფტამ და თავით ერთ-ერთ კარადაზე ანიშნა, - შემიძლია, მოგართვათ. ახლა კი ჯობია დავსხდეთ, „პიეტას“ დივნიდანაც შევხედავთ. აი, მცირე სამხარიც მოგვართვეს...
იმ პატარა ბიჭმა ჩაი და მოვერცხლილი კოპწია კალათით კოხტად დაჭრილი ფხვიერი ნამცხვარი შემოიტანა, მსახურს კი ვინ შემოჰყვა ფეხდაფეხ, მსუბუქი ნაბიჯით, დახვეწილი ღიმილითა და შეძახილებით: „Sapperlot! Acciedenti
?!“(„ეშმაკმა დალახვროს! როგორ შემოგესწარით!“ (იტალ.).)
ეს ბატონი სეტემბრინი გახლდათ. იგი ერთი სართულით მაღლა ცხოვრობდა და ეტყობოდა, იმისთვის მობრძანდა, რომ სტუმრებისთვის მხარი დაემშვენებინა. ჩემი ფანჯრიდან დაგინახეთ, რომ მობრძანდებოდით, სწრაფად ჩავათავე ენციკლოპედიის ერთი გვერდი, რომელსაც ის იყო, ვწერდი და მეც აქეთკენ გამოვეშურეო, განაცხადა სეტემბრინიმ. მისი გამოჩენა სავსებით ბუნებრივი გახლდათ - მოსვლის უფლებას, ჯერ ერთი, ბერგჰოფელებთან ძველი ნაცნობობაც აძლევდა, და მეორეც, შეხედულებათა ღრმა სხვაობის მიუხედავად, ეტყობოდა, ნაფტასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რაკი მასპინძელს მისი მოსვლა სულაც არ გაუოცებია და მოსულს შინაურივით მიესალმა. და მაინც, ჰანს კასტორპზე მისმა მოსვლამ ორგვარი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ ერთი, შეატყო, რომ ბატონ სეტემბრინის არ უნდოდა, ის და იოახიმი, უფრო სწორად, ჰანს კასტორპი, პატარა, გონჯ ნაფტასთან მარტო დაეტოვებინა, თვითონაც თუ აქ იქნებოდა, ნაფტას თავის პედაგოგიურ ზეგავლენას დაუპირისპირებდა, და მეორეც, იმასაც მიუხვდა, რომ სეტემბრინი სიამოვნებით სარგებლობდა შემთხვევით - ცოტა ხანს სხვენზე ჯდომის მაგიერ ნაფტას აბრეშუმგამოკრულ ოთახში დაჰყოფდა და კოხტად მორთმეულ ჩაისაც დალევდა. სეტემბრინიმ, სანამ სამხარს შეუდგებოდა, ნეკის გაყოლებაზე შავბალანგადავლილი მოყვითალო ხელები მოიფშვნიტა, აღტაცება სიტყვიერადაც გამოხატა და დიდი სიამოვნებითაცშეექცა თხელ რგოლებად დაჭრილ ფხვიერ ნამცხვარს, რომელსაც შოკოლადის კრემი ძარღვებივით დაუყვებოდა.
საუბარი კვლავ პიეტას“ გარშემო გაგრძელდა, რადგან ჰანს კასტორპი მას ვერც თვალს წყვეტდა და ლაპარაკითაც სულ პიეტაზე“ ლაპარაკობდა. სეტემბრინისაც ამიტომ მიმართა და შეეცადა, ხელოვნების ქმნილებაზე ერთი-ორი კრიტიკული სიტყვა დაეცდენინებინა. ჰუმანისტი ამ კუთხისაკენ ზურგით იჯდა და როცა ქანდაკებისკენ მიახედეს, სახეზე აშკარად გამოეხატა, ოთახის ამ სამშვენისზე რა აზრისაც ბრძანდებოდა, მაგრამ თავაზიანობა ეყო, ყველაფერი არ ეთქვა, რასაც ფიქრობდა, და ამიტომ ჯგუფური ქანდაკების დარღვეული პროპორციებისა და სხეულის ფორმების კრიტიკით შემოიფარგლა, ეს არაბუნებრივი ფორმები გულს სულაც ვერ ამიჩუყებენ, რადგან ისინი უმწიფარობისა და უმწეობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ უკეთური ნების, საფუძველშივე მცდარი პრინციპის ნაყოფი გახლავთო. ნაფტამ გესლიანად დაუკრა კვერი, დიახ, ტექნიკური გაუწაფაობა აქ ნამდვილად არაფერ შუაშია, ამ შემთხვევაში ბუნებრიობისგან გონის შეგნებული

ემანსიპაციის, მისდამი სიძულვილისა და ბუნების წინაშე ყოველგვარ ქედის მოხრაზე რელიგიური გზნებით გაცხადებული უარის მოწმენი ვხდებითო. სეტემბრინიმ ბუნებისა და მისი შესწავლის უგულებელყოფა ადამიანის დამღუპველ შეცდომად გამოაცხადა და აბსურდული უფორმობის საპირისპიროდ, რომელსაც შუა საუკუნეები და მისი წამბაძველი ეპოქები ბრმად ემონებოდნენ, ბერძნულ-რომაული მემკვიდრეობის, კლასიციზმის, ფორმის, მშვენიერების, გონიერებისა და სიცოცხლის ხალისის ხოტბა-დიდებას მოჰყვა და დაასკვნა, მხოლოდ ამათ ძალუძთ ადამიანს სარგებლობა მოუტანონო. აქ კი ჩაერია ჰანს კასტორპი ლაპარაკში და ჰკითხა, ასე თუ წავიდა საქმე, მაშინ პლოტინს რაღა ვუყოთ, როგორც ვიცით, მას თავისი სხეული ერცხვინებოდაო, ან ვოლტერზე რაღასიტყვით, გონიერების სახელით ლისაბონის საშინელი მიწისძვრის წინააღმდეგ რომ გაილაშქრაო? უაზრობა იყო ხომ? ესეც უაზრობაა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, საკუთარი შეხედულებისამებრ შეგიძლია უაზრობა სულიერ კეთილშობილებად მონათლო და მაშინ გოტიკური ხელოვნების მხრივ ბუნების უგუნური მტრობაც საბოლოოდ ისეთივე კეთილშობილური აღმოჩნდება, როგორიც პლოტინისა და ვოლტერის საქციელი, რადგან აქაც ისევე მჟღავნდება ბედისწერისა და ფაქტისაგან ემანსიპაციის ნება და კადნიერი სიამაყე, რომელიც უარზე დგას, უგუნური ძალის, სახელდობრ, ბუნების წინაშე ქედი მოიხაროსო...
ნაფტამ გადაიხარხარა, კვლავ ის ხმა გამოსცა, გაბზარულ თეფშს რომ მოგვაგონებდა, და სიცილი ხველებით დაასრულა. სეტემბრინიმ ღირსეულად თქვა:
- თქვენი ოხუნჯობით ხომ ჩვენს მასპინძელსაც ზიანს აყენებთ და თან მადლობასაც არ ამბობთ, ასეთი დიდებული ნამცხვარი რომ მოგართვეს, შეგიძლიათ კი საერთოდ მადლიერების გამოხატვა? წინასწარვე მოგახსენებთ, რომ მადლიერებაში მოძღვნილი საჩუქრების საკადრისად მოხმარებას ვგულისხმობ.
ჰანს კასტორპს დარცხვენა რომ შეატყო, სეტემბრინიმ მყისვე მომხიბლავად დასძინა:
- თქვენ ხომ დიდი ოხუნჯი ბრძანდებით, ინჟინერო, თქვენი მანერა, მეგობრულად დასცინოთ სიკეთეს, მისდამი თქვენს სიყვარულში მაინც ვერ დამაეჭვებს. მოგეხსენებათ, ბუნებრიობის წინააღმდეგ გონის მხოლოდ ის გალაშქრებაა კეთილშობილური, რომელიც ადამიანის ღირსებისა და მშვენიერებისთვის იღვწის და არა ის, ვითომ მიზნად რომ არ ისახავს ადამიანისთვის პატივის აყრასა და დაკნინებას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამას კი სჩადის. თქვენ ისიც კარგად მოგეხსენებათ, რა არაადამიანური შიშის ზარი, რა პირსისხლიანი სისასტიკე მოიტანა იმ ეპოქამ, ჩემს ზურგს უკან მოთავსებული ეს ხელოვნების ქმნილება თავის წარმოშობას რომ უმადლის. საკმარისია, მოგაგონოთ ინკვიზიტორის ერთი საზარელი ტიპი, თუნდაც ვინმე კონრად მარბურგელის
(კონრად მარბურგელი (XII-ს. II ნახევარი - 1233) - ულმობელი გერმანელი ინკვიზიტორი, დომინიკანელი ბერი, ერეტიკოსთა რისხვა, წმ. ელიზაბეტის „აღსარების მამა“, მოკლეს რაინდებმა.) სისხლიანი ფიგურა, მისი ბილწი, ფანატიკური რისხვა თავს რომ ატყდებოდა ყველას და ყველაფერს, რაც კი ზებუნებრივის მეუფეობას უპირისპირდებოდა. მე მგონი, არც თქვენ მიგაჩნიათ ხმალი და კოცონი ადამიანისადმი სიყვარულის გამოსახატავ იარაღებად...
- სამაგიეროდ, - თქვა ნაფტამ, - ამ მიზანს ემსახურებოდა ის მანქანა, რომლის დახმარებითაც კონვენტი ქვეყანას ცუდი მოქალაქეებისგან წმენდდა. ყველა საეკლესიო სასჯელი, კოცონიც და ეკლესიისაგან განკვეთაც სულის სამარადისო წაწყმედისაგან დასახსნელად იყო მოგონილი, რასაც ვერ ვიტყვით იაკობინელთა ხოცვა-ჟლეტის ჟინზე. თავს ნებას მივცემ, აღვნიშნო, რომ წამებასა და სისხლის ღვრაზე აგებული ყოველგვარი სამართალი, რომელიც იმქვეყნიური ცხოვრების რწმენას არ ემყარება, პირუტყვული უაზრობაა და სხვა არაფერი, ხოლო ადამიანის დაკნინებას რაც შეეხება, მისი ისტორია ზუსტად ემთხვევა ბურჟუაზიული გონის განვითარების ისტორიას. რენესანსმა, განმანათლებლობამ, ბუნებისმეტყველებამ და მეცხრამეტესაუკუნის ეკონომიკურმა მოძღვრებამ, რითაც კი შეეძლო, ხელი შეუწყო ადამიანის დაკნინებას, დაწყებული ახალი ასტრონომიით, რომელმაც დედამიწა სამყაროს ცენტრიდან, იმ საპატიო

ასპარეზიდან, სადაც ღმერთი და ეშმაკი ერთმანეთს ერკინებოდნენ ორივესთვის სანუკვარი არსების დასასაკუთრებლად, უბრალო, პატარა პლანეტად აქცია და კოსმოსში ადამიანის მეუფებას დროებით ბოლო მოუღო. კოსმოსის ცენტრში ადამიანის დგომას კი, სხვათა შორის, ასტროლოგია ემყარებოდა.
- დროებით, არა? - ისე შემპარავად ჩაეკითხა ბატონი სეტემბრინი, რომ თვითონ დაემსგავსა მწვალებელთა მსაჯულსა და ინკვიზიტორს, ჩასაფრებული რომაა, მოპასუხეს იქნებ რაიმე მიუტევებლი წამოსცდესო.
- დიახ, რამდენიმე საუკუნით, - ცივად დაუდასტურა ნაფტამ, - თუ არ ვცდები, სქოლასტიკა ამ სფეროშიც დაიბრუნებს დაკარგულ ღირსებას, იგი ახლა აყვავების ხანაშია. კოპერნიკს პტოლომეუსი დაამარცხებს. ჰელიოცენტრული თეზისი, ბოლოს და ბოლოს, იდეურ წინააღმდეგობას წაწყდება, რაც, ალბათ, მიზნამდე მიგვიყვანს. მეცნიერება ფილოსოფიური თვალსაზრისით გახდება იძულებული, დედამიწას კვლავ დაუბრუნოს ის ღირსება, საეკლესიო დოგმა რომ ცდილობდა მისთვის შეენარჩუნებინა.
- რაო, რაო? იდეური წინააღმდეგობაა? ფილოსოფიური თვალსაზრისით გახდება იძულებულიო? მიზნამდე მიგვიყვანსო? ვოლუნტარიზმის რა სახეობას ღაღადებს თქვენი ბაგენი? ობიექტურ კვლევას რაღას უშვრებით? ან წმინდა შემეცნებას, ან ჭეშმარიტებას, ბატონო ჩემო, რომელიც თავისუფლებასთან არის მტკიცედ გადაჯაჭვული, ან მისთვის წამებულთ რას უპირებთ? თქვენ რომ დედამიწის შემბილწველებად მიგაჩნიათ, სწორედ ისინი უქმნიან პლანეტას სამარადისო დიდებას.
ბატონმა სეტემბრინიმ ჯიქურ იცოდა კითხვების დასმა, იგი შემართული იჯდა და თავის დარბაისლურ სიტყვებს პატარა ბატონ ნაფტას ზემოდან აფრქვევდა, ბოლოს კი ისე აუწია ხმას, რომ კარგად იგრძნობოდა, რა მტკიცედ იყო დარწმუნებული, მოწინააღმდეგე პასუხად მხოლოდ დარცხვენით ჩაჰკიდებს თავს და გაჩუმდებაო. ლაპარაკისას ნამცხვრის ერთი ნაჭერი ხელში ეჭირა, ახლა კი კვლავ თეფშზე დადო, რადგან საუბრის ასე შებრუნების შემდეგ აღარც უნდოდა მისთვის პირის დაკარება.
ნაფტას პასუხში არასასიამოვნო სიმშვიდე იგრძნობოდა:
- ძვირფასო მეგობარო, წმინდა შემეცნება არ არსებობს. საეკლესიო გნოსეოლოგიის კანონიერება, რომელიც ავგუსტინეს(ავგუსტინე - ავგუსტინუს ავრელიუსი (ახ. წ. 354-430); წმინდანი, ეკლესიის მამა, ნეტარ ავგუსტინედწოდებული, ადრეული შუა საუკუნეების უდიდესი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოაზროვნე, დასავლური საქრისტიანოს ურყევი უზენაესი ფილოსოფიური ავტორიტეტი თომა აკვინელამდე, მხატვრული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ავგუსტინეს მემუარები - „აღსარება“ (ეს არის პირველი მსოფლიო ლიტერატურული მნიშვნელობის მქონე ავტობიოგრაფია).)
დებულებაში დასკვნის სახით გვეძლევა, „მრწამს, რათა შევიმეცნოო“, სრული ჭეშმარიტებაა. რწმენა შემეცნების იარაღია, ინტელექტი კი მეორეული მოვლენა გახლავთ. ეგ თქვენი ობიექტური მეცნიერება წმინდა წყლის მითია და სხვა არაფერი. რაღაც რწმენა, რაღაც მსოფლმხედველობა, რაღაც იდეა, მოკლედ, ნება ყოველთვის თანა გდევს და გონების ვალია, გააანალიზოს და დაასაბუთოს იგი. ყველაფერი საბოლოოდ Quod erat demonstrandum
(რისი დასაბუთებაც იყო სწორედ საჭირო (ლათ.).) “-მდე დადის. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, თვით დასაბუთების ცნება შეიცავს მძლავრად გამოხატულ ვოლუნტარისტულ ელემენტს. მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეების დიდი სქოლასტიკოსები ერთ დებულებაში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: ის, რაც თეოლოგიაში მცდარია, არ შეიძლება ფილოსოფიაში ჭეშმარიტი იყოს, თავი დავანებოთ თეოლოგიას, მაგრამ ის ჰუმანიზმი ჰუმანიზმად არ ჩაითვლება, რომელიც არ აღიარებს ერთ დებულებას: ბუნებისმეტყველებაში არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს ის, რაც ფილოსოფიურად მცდარია. წმინდა სამსჯავრომ გალილეის წაუყენა დამამტკიცებელი არგუმენტები, რომ მისი დებულებები ფილოსოფიური თვალსაზრისით აბსურდი იყო. ამაზე მომაკვდინებელი არგუმენტაცია არ არსებობს.
- ეეჰ, ჩვენი საბრალო, დიდი გალილეის არგუმენტები უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა! მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ,Professore

(პროფესორო (ლათ.).) ! აი, ამ ინტერესიანი ახალგაზრდების წინაშე მიპასუხეთ ერთ კითხვაზე: გწამთ თუ არა ჭეშმარიტება, ობიექტური, მეცნიერული ჭეშმარიტება? მისკენ ლტოლვა ხომ ყოველგვარი ზნეობის უმაღლეს კანონს წარმოადგენს და ავტორიტეტებზე მისი გამარჯვებები ადამიანის გონის დიად ისტორიას ქმნის?!
ჰანს კასტორპმა და იოახიმმა თავები ახლა ნაფტასკენ მიაბრუნეს, ოღონდ პირველმა უფრო სწრაფად, ვიდრე მეორემ. ნაფტამ უპასუხა:
- ასეთი გამარჯვება შეუძლებელია, რადგან ავტორიტეტი თვით ადამიანია, მისი ინტერესები, მისი ღირსება, მისი სიჯანსაღე და ამრიგად, ავტორიტეტსა და ჭეშმარიტებას შორის არ შეიძლება წინააღმდეგობა არსებობდეს, ისინი ერთმანეთს ემთხვევა.
- გამოდის, რომ ჭეშმარიტება...
- ჭეშმარიტია ის, რაც ადამიანს წაადგება. ბუნება მასშია ხორცშესხმული, მთელ ბუნებაში მხოლოდ ის არის შექმნილი და მთელი ბუნებაც მისთვის არსებობს, იგია საგანთა საზომი და მისი სიჯანსაღეა ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ის თეორიული შემეცნება, რომელიც მოკლებულია ადამიანის სიჯანსაღის იდეასთან პრაქტიკულ მიმართებას, იმდენად უინტერესოა, რომ მას არც ფასი ედება და არსებობის უფლებაც წართმეული აქვს. ქრისტიანულ საუკუნეებში ერთი საერთო აზრი იყო გამეფებული, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანისათვის. ლაქტანციუსი(ლაქტანციუსი - ლუციუს ცელიუს ფირმიანუსი (ახ. წ. III ს.), საეკლესიო მწერალი, წოდებული ჩიეცერო სჰრისტიანუს“-ად („ქრისტიან ციცერონად“), ბრწყინვალე რიტორი.)
კონსტანტინე დიდმა
(კონსტანტინე დიდი (274-337) - რომაელი იმპერატორი, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აქცია და თვითონაც მოინათლა.) თავის ვაჟიშვილს მოძღვრად რომ შეურჩია, პირდაპირ სვამდა კითხვას, რა ნეტარება უნდა მომანიჭოს იმის ცოდნამ, ნილოსი სად იღებს სათავეს ან რაში მაინტერესებს, ფიზიკოსები რას ჩმახავენ ცის შესახებო. აბა, უპასუხეთ ამ კითხვას, თუ შეგიძლიათ! თუკი პლატონის ფილოსოფია სხვა დანარჩენს ამჯობინეს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბუნების შეცნობას კი არა, ღმერთის შეცნობას ცდილობდა, მერწმუნეთ, კაცობრიობა მალე მიუბრუნდება ამ თვალსაზრისს და აღიარებს, რომ ნამდვილი მეცნიერების საქმე არ არის უწმინდურ ჭეშმარიტებებზე გამოდევნება, მას ევალება მავნე ან თუნდაც იდეურად უმნიშვნელო რამ ძირშივე ამოძირკვოს, ერთი სიტყვით, ინსტინქტს, ზომიერებასა და არჩევანს მისცეს სარბიელი. ბავშვობაა ვფიქრობდეთ, თითქოს ეკლესია წყვდიადს ამჯობინებდა სინათლეს. სამგზის მართალი იყო იგი, სასჯელის ღირსად რომ აცხადებდა საგანთა შემეცნებისაკენ მიუკერძოებელ“ ლტოლვას, ანუ ისეთ ლტოლვას, სულისთვის ზრუნვასა და საუკუნო სასუფეველს რომ არაფრად აგდებს. სწორედ ეს „მიუკერძოებელი“, ფილოსოფიაგამოცლილი ბუნებისმეტყველება ითრევდა ადამიანს წყვდიადში და რაც ხანი გავა, კიდევ უფრო ღრმად ჩაითრევს.
- თქვენ პრაგმატიზმს ქადაგებთ, - მიუგო სეტემბრინიმ, - საკმარისია, იგი პოლიტიკაში გადავიტანოთ, რომ თვალნათლივ გამოჩნდეს მისი სახიფათო არსი. კეთილი და პატიოსანი, ჭეშმარიტი და კანონიერია ის, რასაც სახელმწიფოსთვის სარგებლობა მოაქვს. მისი კეთილდღეობა, მისი ღირსება, მისი ძალაუფლება თურმე ზნეკეთილობის კრიტერიუმი ყოფილა. მშვენიერია! ოღონდ სწორედ ამის წყალობით ეძლევა ყოველგვარ დანაშაულს ფართო ასპარეზი, ხოლო ადამიანური ჭეშმარიტება, ინდივიდუალური სამართლიანობა, დემოკრატია ხელში გვადნება...
- მე მგონი, ცოტაოდენი ლოგიკა არ გვაწყენდა, - წამოიწყო ნაფტამ, - ან პტოლომეუსი და სქოლასტიკოსები არიან მართალნი და სამყარო სასრულია დროსა და სივრცეში, - მაშინ ღმერთი ტრანსცენდენტურია, ძალაში რჩება ღმერთისა და სამყაროს წინააღმდეგობა და ადამიანიც დუალისტურ არსებას წარმოადგენს: მის სულში ერთმანეთს უპირისპირდება გრძნობადი და ზეგრძნობადი, ხოლო ყველაფერი საზოგადოებრივი მეორე რიგში ინაცვლებს, და პირადად მე მხოლოდ ამგვარი ინდივიდუალიზმი შემიძლია მივიჩნიო თანამიმდევრულად, - ანდა თქვენს აღორძინების ხანის ასტრონომებს მიუგნიათ

ჭეშმარიტებისთვის და კოსმოსი უსასრულო ყოფილა. მაშინ არც ზეგრძნობადი სამყარო არსებულა და არც დუალიზმი. გამოდის, იმქვეყნიური ამქვეყნიურში შედის, ღმერთისა და ბუნების დაპირისპირებას ნიადაგი ეცლება, და რაკი ამ შემთხვევაში ადამიანის პიროვნება არამცთუ აღარ წარმოადგენს ორი მტრული პრინციპის შეჯახების ასპარეზს, არამედ ჰარმონიული და ერთიანია, მაშინ ადამიანის შინაგანი კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთწინააღმდეგობას ემყარება და სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება, წარმართული ხანის მსგავსად, ზნეობრივ კანონად იქცევა. ან ერთი უნდა ვაღიაროთ, ან მეორე.

- მე პროტესტს ვაცხადებ! - წამოიძახა სეტემბრინიმ და მასპინძლისკენ ის ხელი გაიშვირა, რომელშიც ჩაის ფინჯანი ეჭირა, - პროტესტს ვაცხადებ, აზრს რომ მიმახინჯებთ, თითქოს მე მეთქვას, თანამედროვე სახელმწიფო ინდივიდის სატანურ დამონებას ნიშნავს-მეთქი. სამგზის პროტესტს ვაცხადებ, სახელდობრ, იმის წინააღმდეგ, პრუსიული რეჟიმისა და გოტიკური რეაქციის უსიამოვნო ალტერნატივის წინაშე რომ გვაყენებთ! დემოკრატიის აზრი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ყოველგვარ სახელმწიფო აბსოლუტიზმში შეიტანოს ინდივიდუალისტური შესწორებანი. ჭეშმარიტება და სამართლიანობა ინდივიდუალური ზნეობის მარგალიტია, მას სახელმწიფო ინტერესებთან განხეთქილებაც რომ მოუვიდეს და ანტისახელმწიფოებრივ ძალასაც რომ დაემსგავსოს, სინამდვილეში იგი მაინც უფრო მაღალი მიზნისათვის, ბარემ ვიტყვი კიდეც - სახელმწიფოს სულიერი კეთილდღეობისათვის იღვწის. რენესანსმა სათავე დაუდო სახელმწიფოს გაღმერთებასო! რა უბადრუკი ლოგიკაა! ამ მონაპოვარს - დიახ, ხაზს ვუსვამ ამ სიტყვის ეტიმოლოგიას - რენესანსისა და განმანათლებლობისმონაპოვარს, ბატონო ჩემო, სახელად პიროვნება, ადამიანის უფლებები და თავისუფლება ჰქვია.

მსმენელებმა, როგორც იქნა, ამოისუნთქეს, ბატონი სეტემბრინის ამ გრძელ რეპლიკას ისე სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ. ჰანს კასტორპმა ვეღარ მოითმინა და მაგიდას, თუმცა მორიდებულად, მაგრამ მაინც დაჰკრა ხელი.

- ბრწყინვალეა! - კბილებში გამოცრა მან. იოახიმსაც კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე, თუმცა აქ პრუსიული რეჟიმის გასაკენწლადაც ითქვა ორიოდე სიტყვა. შემდეგ ორივემ სეტემბრინის მოწინააღმდეგისკენ იბრუნა პირი, რომელმაც ეს-ესაა იგემა გამაბრუებელი დარტყმა. ჰანს კასტორპი ისე გაფაციცდა, რომ მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და ნიკაპი მუშტს დააბჯინა, დაახლოებით ისეთი პოზა მიიღო, როგორც მაშინ, გოჭს რომ ხატავდა, ნაფტასკენ გადაიხარა და სახეში დაძაბული მიაჩერდა.

ნაფტა ჩუმად იჯდა, მაგრამ სახეზე დაძაბულობა ემჩნეოდა და გამხდარი ხელები კალთაში ეწყო. მან თქვა:

- მე შევეცადე ჩვენს საუბარში ლოგიკა შემეტანა, თქვენ კი მაღალფარდოვანი სიტყვებით მპასუხობთ. რენესანსმა რომ ამქვეყნად ყველაფერი მოიტანა, რასაც ლიბერალიზმს, ინდივიდუალიზმსა და ჰუმანისტურ მოქალაქეობრიობას ვეძახით, ეგ ჩემთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი, თქვენს ეტიმოლოგიურ ხაზგასმას“ კი სრულიადაც არ ავუღელვებივარ, რადგან მაგ თქვენმა იდეალებმა დიდი ხანია განვლეს მებრძოლი“, ჰეროიკული ასაკი. ეს იდეალები უკვე მკვდარია, ან უკეთეს შემთხვევაში, დღეს სულს ღაფავს და ისინი, ვინც მათ ხელს მოუთავებენ, უკვე კარზე არიან მომდგარნი. თქვენ, თუ არ ვცდები, თავს რევოლუციონერს უწოდებთ, მაგრამ თუ გგონიათ, რომ მომავალი რევოლუციები თავისუფლებას მოიტანს, შემცდარი ბრძანდებით. თავისუფლების პრინციპმა ხუთი ასწლეულის მანძილზე იცოცხლა და თავისი დრო უკვე მოჭამა. იმ პედაგოგიკამ, რომელსაც თავი დღესაც განმანათლებლობის პირმშო ჰგონია და აღმზრდელობით ხერხებს „მეს“ კრიტიკაში, მის გათავისუფლებასა და მოვლა-პატრონობაში და ცხოვრების სავსებით განსაზღვრული ფორმების განადგურებაში ხედავს, რიტორიკულ, წუთიერ წარმატებებს კიდევ შეუძლია მიაღწიოს, მაგრამ მისი ჩამორჩენილობა საქმეში ჩახედული ხალხისათვის სრულიად აშკარაა. ყველა ჭეშმარიტმა აღმზრდელობითმა ორგანიზაციამ ოდითგანვე იცოდა, სინამდვილეში რას წარმოადგენს ყოველგვარი პედაგოგიკა: სახელდობრ, კატეგორიულ ბრძანებას, რვალისებურ სიმტკიცეს, დისციპლინას, მსხვერპლის გაღებას, საკუთარ მეობაზე

უარის თქმას, პიროვნებაზე ძალადობას. და ბოლოს, ახალგაზრდობას ჩვენივე უსულგულობის გამო სწორად ვერ ვუგებთ და გვგონია, თითქოს იგი თავისუფლებისკენ მიისწრაფვის, სინამდვილეში კი თავის ყველაზე სანუკვარ სურვილს ემორჩილება.
იოახიმი წელში გაიმართა, ჰანს კასტორპი წამოწითლდა, ბატონმა სეტემბრინიმ კი აღელვებისგან გადაიკვარკნა თავისი მშვენიერი ულვაში.
- არა! - განაგრძო ნაფტამ, - ეპოქის საიდუმლოება და მისი მცნება „მეს“ გათავისუფლება და გაფურჩქვნა როდია, ის, რაც მას სჭირდება, რისკენაც მიილტვის და რასაც მოიპოვებს კიდეც, გახლავთ... ტერორი.
უკანასკნელ სიტყვაზე მან ხმას დაუწია, არც შერხეულა, მხოლოდ მისმა სათვალის მინებმა გაიბრჭყვიალა წამით. სამივე მსმენელი შეკრთა, შეკრთა სეტემბრინიც, მაგრამ წამსვე მოეგო გონს და გაიღიმა.
- ნება მიბოძეთ, გავიგო, - მიმართა მან ნაფტას, - ვინ ან რა, - ხომ ხედავთ, კითხვად ვარ ქცეული, ოღონდ არ ვიცი, კითხვა როგორ დაგისვათ, - ვინ ან რა წარმოგიდგენიათ ამ - იძულებული ვარ, ეს სიტყვა გავიმეორო - ტერორის მატარებლად?
ნაფტა ჩუმად იჯდა და დაძაბულ სახეზე სათვალე უბრწყინავდა, შემდეგ თქვა:
- ბატონი ბრძანდებით. მგონი, არ შევცდები თუ მოგაგონებთ ჩვენს ერთსულოვნებას ერთ საკითხში, რომ კაცობრიობის პირველყოფილი ცხოვრება იდეალური იყო, მაშინ არც სახელმწიფო არსებობდა და არც ძალმომრეობა, ადამიანებიც ღვთის შვილები იყვნენ, არც ბატონი იცოდნენ და არც მსახური, არც კანონი ჰქონდათ და არც სასჯელი, არც უსამართლობა არსებობდა, არც ხორციელი კავშირი, არც კლასობრივი განსხვავება, არც შრომა, არც კერძო საკუთრება, არსებობდა მხოლოდ ძმობა, თანასწორობა და ზნეობრივი სრულყოფილება.
- კეთილი და პატიოსანი, გეთანხმებით, - განუცხადა სეტემბრინიმ, - გეთანხმებით ხორციელი კავშირის პუნქტამდე, რაც აშკარად ყოველ დროს უნდა არსებულიყო, რადგან ადამიანი მაღალგანვითარებული ხერხემლიანი ცხოველია და სხვა სულიერისაგან განსხვავებულად არ...
- როგორც გენებოთ. მე მხოლოდ ერთხელ კიდევ გიდასტურებთ ჩვენს ერთსულოვნებას იმ საკითხში, რაც ადამიანის პირველყოფილ, სამოთხისებურ ყოფას შეეხება, როცა ადამიანებს არც იუსტიცია ჰქონდათ და ღმერთთანაც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი. მერე შესცოდეს და ეს ყოფა ამის წყალობით დაკარგეს. მე მგონი, ჩვენ გზის კიდევ ერთ მონაკვეთს მხარდამხარ გავივლით, სახელდობრ იმას, სადაც ორივენი სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად ერთ საზოგადოებრივ ხელშეკრულებას ვთვლით, იგიამქვეყნად ცოდვის გაჩენასაც ითვალისწინებდა და უსამართლობისაგან თავის დასაცავადაც იქნა დადებული, და ამ ფაქტში ორივენი ხელისუფლებისა და ძალმომრეობის სათავეს ვჭვრეტთ.
-Benissimo
(ჩინებულია (იტალ.).) ! - წამოიძახა სეტემბრინიმ, - საზოგადოებრივ ხელშეკრულებას... ეს ხომ განმანათლებლობაა, ეს ხომ რუსოა. არ მეგონა, თუ...
- უკაცრავად, მაგრამ ჩვენი გზები აქ იყრება. ამ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მთელი ხელისუფლება და ძალა დასაბამიდან ხალხს ეკუთვნოდა და მან კანონმდებლობის უფლებაც და მთელი ძალაუფლებაც სახელმწიფოს, ხელმწიფეს გადაულოცა, თქვენს სკოლას გამოაქვს დასკვნა, ხალხის რევოლუციური უფლებები ხელმწიფის ძალაუფლებას აღემატებაო, ჩვენ კი...
„ჩვენო“? ამ სიტყვამ ღრმად ჩააფიქრა ჰანს კასტორპი... ვინ ჩვენ“, მერე აუცილებლად ვკითხავ სეტემბრინის, „ჩვენში“ ნაფტა ვის გულისხმობსო.
- ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, - განაგრძო ნაფტამ, - და იქნებ თქვენზე არანაკლებ რევოლუციურადაც, აქედან უპირველეს ყოვლისა ის დასკვნა გამოგვქონდა, რომ ეკლესიას ეჭირა საერო სახელმწიფოზე აღმატებული ადგილი, სახელმწიფოს თავისი არაღვთიური წარმოშობა შუბლზედაც რომ არ სწერებოდა, თუნდაც ამ ისტორიულ ფაქტზე მითითება, რომ იგი ეკლესიისგან განსხვავებით ხალხის ნებითაა შექმნილი და არა ღვთით გაჩენილი, იკმარებდა საიმისოდ, რომ იგი მთლად ბოროტების განსახიერებად თუ არა, გაჭირვებისა და ცოდვილიანი უძლურების ნაყოფად მაინც გამოგვეცხადებინა.

- სახელმწიფო, ბატონო ჩემო...
- ვიცი, ვიცი, რა აზრისაც ბრძანდებით ეროვნულ სახელმწიფოზე. „ყველაზე მაღლა დგას სამშობლოს სიყვარული და დიდების უსაზღვრო წყურვილი“. ეს ვერგილიუსია. თქვენ ამ გამონათქვამში ცოტაოდენი ლიბერალური ინდივიდუალიზმი შეგაქვთ და დემოკრატიაც ეგ არის; ოღონდ ამის გამო სახელმწიფოსთან თქვენი პრინციპული დამოკიდებულება იოტისოდენადაც არ იცვლება. სახელმწიფოს სული რომ ფულია, ეს, გეტყობათ, სულაც არ გაწუხებთ. იქნებ თქვათ, ასე არაა? ანტიკური სამყარო კაპიტალისტური იყო, იგი სახელმწიფოს სცემდა თაყვანს. ქრისტიანულმა შუა საუკუნეებმა ცხადად შეიცნო საერო სახელმწიფოს კაპიტალისტური არსი. „ფული გახდება კეისარი“ - ეს წინასწარმეტყველება მეთერთმეტე საუკუნიდან მოდის. უარყოფთ, რომ ეს ნათქვამი სიტყვასიტყვით ახდა და დღეს პირწმინდად წაწყმედილია ცხოვრება?
- ძვირფასო მეგობარო, სიტყვა თქვენზეა. მოუთმენლად მოველი მამცნოთ იმ დიდი, თავზარდამცემი უცნობის სახელი.
- კადნიერებაა ასეთი ცნობისმოყვარეობის გამოჩენა იმ კლასის მესიტყვისაგან, ქვეყნის დამაქცევარი თავისუფლების მატარებელი რომაა. სულაც არ არის საჭირო, თქვენი საწინააღმდეგო მოსაზრება მოვისმინო, ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეოლოგია ჩემთვის ისედაც ცნობილია. თქვენი მიზანია დემოკრატიული იმპერია, ეროვნული სახელმწიფო პრინციპის უნივერსალურ, მსოფლიო სახელმწიფოში თავისთავად გადაზრდა. ამ იმპერიის ხელმწიფე ვინღა იქნება? ჩვენ ვიცნობთ მას. თქვენი უტოპია ამაზრზენია, მაგრამ ამ საკითხში, ასე თუ ისე, მაინც შეგვიძლია შევთანხმდეთ, რადგან თქვენს კაპიტალისტურ მსოფლიო რესპუბლიკას აქვს რაღაც ტრანსცენდენტური, მსოფლიო სახელმწიფო მართლაც საერო სახელმწიფოს ტრანსცენდენციაა და ჩვენ ორივეს გვწამს, რომ კაცობრიობის სრულყოფილ საწყის სტადიას შორეულ მომავალში ასევე სრულყოფილი უკანასკნელი სტადია შეესაბამება. ღმრეთის ქალაქის დამფუძნებლის, გრეგორი დიდის
(გრეგორი დიდი - რომის პაპი გრეგორი VII (ჰილდებრანდი, 1020-1085), წმინდანი, შემოიღო ცელიბატი (კათოლიკე მღვდლებისათვის დაქორწინების აკრძალვა), აკრძალა საერო ხელისუფალთათვის სასულიერო თანამდებობათა მინიჭება.) ხანიდან მოყოლებული, ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ ღმერთის წინამძღოლობის ქვეშ მოაქციოს ადამიანი. პაპი ძალაუფლებას თვითმიზნურად როდი მოითხოვდა, მისი, ანუ ქრისტეს ნაცვლის, დიქტატურა წარმოადგენდა ხსნის გზასა და საშუალებას და წარმართული სახელმწიფოდან ცათა სასუფევლისაკენ გარდამავალ ფორმას. თქვენ ამ სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებს წვრილად უამბეთ ეკლესიის სისხლიანი საქმენი და მისი შეუწყნარებლობა და ფრიად უგუნურადაც მოიქეცით, რადგან ღმერთისათვის თავდადება, ცხადია, ვერ იქნება პაციფისტური, აკი გრეგორი დიდმა ბრძანა: „წყეულიმც იყოს კაცი, ვინც თავისი ხმლის სისხლით შეღებვას შეუშინდება!“ ძალაუფლება რომ ბოროტებაა, ვიცით, მაგრამ სასუფეველი რომ დამკვიდრდეს, კეთილისა და ბოროტის, საიქიოსა და სააქაოს, გონისა და ძალაუფლების დუალიზმს დროებით უნდა შეენაცვლოს პრინციპი, რომელიც თავის თავში ასკეტიზმსა და ბატონობას აერთიანებს, აი, ეს არის, რასაც მე ტერორის აუცილებლობას ვუწოდებ.
- ტერორის განმახორციელებელი ვიღაა?
- ეგ კიდევ საკითხავია? ნუთუ თქვენს მანჩესტერულ მსოფლმხედველობას
(მანჩესტერული მსოფლმხედველობა - სხვაგვარად: მანჩესტერის სკოლა ანდა მანჩესტერის დოქტრინა - ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) სამეურნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი ფორმა, მოითხოვს თავისუფალ ვაჭრობასა და თავისუფალ კონკურენციას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.) გამორჩებოდა იმ საზოგადოებრივი მოძღვრების არსებობა, ეკონომიზმის ადამიანური გზით დაძლევას რომ ქადაგებს, ხოლო მისი პრინციპები და მიზნები მთლიანად ემთხვევა ქრისტიანული ღმრთის ქალაქის პრინციპებსა და ამოცანებს? ეკლესიის მამებმა ჩემი“ და შენი“ დამღუპველ სიტყვებად, ხოლო კერძო საკუთრება უზურპაციად და ქურდობად შერაცხეს. ისინი გმობდნენ მიწის კერძო საკუთრებას, რადგან ღმერთის სამართლით მიწა ყველას საერთო საკუთრებაა და აქედან გამომდინარე, მისი ნაყოფიც ყველას ეკუთვნის. ისინი გვასწავლიდნენ, რომ

მხოლოდ სიხარბე, ეს შეცოდების ნაყოფი, იცავს მესაკუთრის უფლებებს და კერძო საკუთრების შექმნაც მისი წყალობაა. ისინი იმდენად ჰუმანურნი იყვნენ, იმდენად გმობდნენ ვაჭრულ ბუნებას, რომ ყოველგვარ კომერციულ საქმიანობას სულის ცხონებისათვის, ანუ კაცობრიობისათვის სახიფათოდ თვლიდნენ. მათ სძულდათ ფული და ფულადი გარიგებები და კაპიტალს ჯოჯოხეთის კოცონის სახმილს ეძახდნენ. მათ სულითა და გულით სძულდათ ეკონომიკის ძირითადი კანონი, რომ ფასი მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთშესაბამისობის მიხედვით განისაზღვრება, ხოლო კონიუნქტურის გამოყენებას შეაჩვენებდნენ, რამდენადაც იგი მოყვასის გაჭირვების ცინიკური ექსპლოატაციაა და სხვა არაფერი. მათი თვალსაზრისით, არსებობდა ერთი კიდევ უფრო მკრეხელური ფორმა ექსპლოატაციისა: დროის ექსპლოატაცია, ეს ურჩხული, დრო-ჟამის თავისთავად რბოლაში რომ მიითვლის საფასურს, ანუ პროცენტებს, და ამ გზით ღვთით დაწესებულ, ყველასათვის საერთო დროს ერთის სასარგებლოდ და მეორის საზიანოდ ბოროტად იყენებს.
- ბენისსიმო! - წამოიძახა ჰანს კასტორპმა. მეტისმეტი გაცხარებისაგან მას სეტემბრინისეული მოწონების შეძახილი წამოსცდა, - დრო... ღვთით ბოძებული საყოველთაო ფენომენი... ეს დიდად მნიშვნელოვანია!..
- დიახ, უთუოდ, - განაგრძო ნაფტამ, - ამ კაცთმოყვარე ხალხს ამაზრზენი ეჩვენებოდა ფულის თვითნებურ გამრავლებაზე ფიქრი, ყოველგვარ პროცენტიან და სპეკულაციურ გარიგებებს მევახშეობად თვლიდნენ და აცხადებდნენ, ყველა მდიდარი ან ქურდია, ან ქურდის ჩამომავალიო. ისინი ამაზე შორსაც მიდიოდნენ, თომა აკვინელის მსგავსად, ვაჭრობას, წმინდა აღებმიცემობას, გამორჩენის მიზნით ყიდვა-გაყიდვას, სამეურნეო საქონლის შემდგომი დამუშავებისა და გაუმჯობესების გარეშე, სამარცხვინო ხელობად მიიჩნევდნენ. შრომას დიდად არ აფასებდნენ, რადგან შრომა მხოლოდ ეთიკური საქმეა და არა რელიგიური, იგი ღმერთს კი არა, ცხოვრებას ემსახურება, მაგრამ რაკი საქმე, ასე თუ ისე, ცხოვრებასა და ეკონომიკას ეხებოდა, ისინი ეკონომიკური მოგების პირობად და პატივისცემის საზომად პროდუქციულ საქმიანობას აღიარებდნენ. პატივისცემის ღირსი მათ თვალში მიწის მუშა და ხელოსანი იყო და არა ვაჭარი და მეწარმე. ისინი მოითხოვდნენ, პროდუქცია მოთხოვნილების მიხედვით დამზადებულიყო, საქონლის მასობრივი წარმოება კი ზიზღს ჰგვრიდათ. და აი, ყველა ეს ეკონომიკური პრინციპი და საზომი, საუკუნეების მანძილზე მივიწყებული და დამარხული, აღორძინდა თანამედროვე კომუნისტურ მოძრაობაში. სრული თანხვდომაა თვით ძალაუფლების მოთხოვნის ჩათვლით, რომელიც ვაჭრობისა და სპეკულაციის ინტერნაციონალის წინააღმდეგ წამოაყენა შრომის ინტერნაციონალმა, მსოფლიო პროლეტარიატმა, ბურჟუაზიული კაპიტალიზმის ხრწნას დღეს ჰუმანიზმსა და ღმრთის ქალაქის კრიტერიუმებს რომ უპირისპირებს. პროლეტარიატის დიქტატურაში, ეპოქის ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მხსნელ მოთხოვნაში, თვითმიზნური და მარადიული ბატონობა როდი იგულისხმება, იგი ჯვრის სახელით გონსა და ძალაუფლებას შორის არსებული წინააღმდეგობის დროებით მოხსნას, მსოფლიო ბატონობის გზით მსოფლიოს დაძლევასა და გარდაქმნას, ტრანსცენდენციას, ღვთის სასუფევლის დამკვიდრებას ნიშნავს. პროლეტარიატმა იტვირთა გრეგორის საქმის განგრძობა, ღმერთისათვის მისი თავდადება პროლეტარიატში ჩასახლებულა და იგიც მასავით ნაკლებად მოერიდება სისხლში ხელის გასვრას. მას ეკისრება მსოფლიოს გასაჯანსაღებლად, ხსნის მიზნის მისაღწევად, ღვთის ჭეშმარიტ შვილთა უსახელმწიფო და უკლასო საძმოს შექმნის გულისათვის თავზარი დასცეს ყველას.
ასეთი იყო ნაფტას მკვახე სიტყვა. პატარა კრება დუმდა. ახალგაზრდებმა ბატონ სეტემბრინის მიაპყრეს თვალი. წესით, მას უნდა ეთქვა, თუ რაიმე იყო სათქმელი. მან თქვა:
- გასაოცარია. ვაღიარებ, რომ ნამდვილად ამაღელვეთ, ამას მართლა არ მოველოდი.Roma locuta
(ღომა ლოცუტა“ - ლათინური გამონათქვამი: ღომა ლოცუტა, ცაუსა ფინიტა: სიტყვასიტყვით: რომმა (ე.ი. რომის პაპმა) აზრი გამოთქვა,) . მერე და, როგორ ილაპარაკა; ჩვენ თვალწინ ხუცური მალაყები აკეთა, თუ სადმე ეპითეტში

წინააღმდეგობას წააწყდა, „დროებით მოხსნა“. აბა, როგორ! ვიმეორებ, გასაოცარია-მეთქი. შეიძლება თუ არა შეგეკამათოთ, პროფესორო, შეგეკამათოთ მხოლოდ ლოგიკურობის თვალსაზრისით? ახლახან თავგამოდებით ცდილობდით ჩვენთვის გასაგები გაგეხადათ ღმერთისა და სამყაროს დუალიზმზე დაფუძნებული ქრისტიანული ინდივიდუალიზმი დაპოლიტიკით განპირობებულ ყოველგვარ ზნეობაზე მისი უპირატესობა დაგემტკიცებინათ. რამდენიმე წუთის შემდეგკი სოციალიზმი დიქტატურამდე და თავზარის დაცემამდე დაიყვანეთ. როგორ უთავსდება ეს ყველაფერი ერთმანეთს?
- შეთავსება წინააღმდეგობებისაც შეიძლება, - მიუგო ნაფტამ, - აი, სანახევრო და საშუალო კი ვერ უთავსდება ერთმანეთს. თქვენი ინდივიდუალიზმი, როგორც თავს ნება მივეცი უკვე მომეხსენებინა, მენახევრეობა და დათმობაზე წასვლაა. თქვენს წარმართულ სახელმწიფოებრივ ზნეობას იგი, დიდი-დიდი, ცოტაოდენი ქრისტიანობით, ცოტაოდენი ინდივიდის უფლებებით“, ცოტაოდენი, ეგრეთ წოდებული თავისუფლებით თუ შეალამაზებს, ხოლო ის ინდივიდუალიზმი, ცალკეული სულის კოსმიური, ასტროლოგიური მნიშვნელობიდან რომ მომდინარეობს, სოციალური და არა რელიგიური ინდივიდუალიზმი, რომელიც ადამიანურ არსს მესა“ და საზოგადოებას შორის წინააღმდეგობაში კი არ ჭვრეტს, არამედ ღმერთსა და მეს“ შორის, ხორცსა და გონს შორის წინააღმდეგობაში ხედავს, აი, ასეთი ჭეშმარიტი ინდივიდუალიზმი, თავის მხრივ, მშვენივრად ეგუება მონოლითურად შეკრულ ერთობას...
- იგი ანონიმურია და საერთო, - ჩაურთო ჰანს კასტორპმა.
სეტემბრინის გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.
- ჩუმად, ინჟინერო! - ალბათ, ნერვიულობისა და დაძაბულობისაგან თუ უბრძანა ასე მკაცრად სეტემბრინიმ, - ცოდნა შეიძინეთ, მაგრამ სიბრძნის ფრქვევას ნუ მოჰყვებით! დიახ, ეს პასუხი გახლავთ, - კვლავ ნაფტას მიუბრუნდა იგი, - თუმცა იგი დიდად სანუგეშო ვერ არის, მაგრამ, ასე თუ ისე, პასუხი ეთქმის. ახლა ჩავუკვირდეთ, რა გამოდის აქედან... ინდუსტრიასთან ერთად ქრისტიანული კომუნიზმი ტექნიკას, მანქანას, პროგრესსაც უარყოფს. თქვენ მიერ ჩარჩობად მონათლულ საქმიანობასა და ფულსა და ფულად გარიგებებთან ერთად, რასაც ანტიკური სამყარო სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაზე გაცილებით მაღლა აყენებდა, იგი თავისუფლებასაც უარყოფს, ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ამ გზით, შუა საუკუნეების მსგავსად, ყველა კერძო და საზოგადოებრივი ურთიერთობაც, და მიძნელდება, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ პიროვნებაც მიწაზე აღმოჩნდება მიჯაჭვული. თუკი მხოლოდ მიწა კვებავს ადამიანს, მაშინ თავისუფლების მომნიჭებელიც მხოლოდ იგი გამოდის. ხელოსანი და გლეხი, რაც უნდა ღირსეული იყოს იგი, მიწა თუ არ ექნა, იმისი ყმა გახდება, ვისაც ეს მიწა ექნება. და მართლაც, თვით გვიან შუა საუკუნეებამდე ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობასაც კი ყმები შეადგენდნენ. საუბარში თქვენ ორიოდე სიტყვა ადამიანურ ღირსებაზეც ინებეთ, გებრძანებინათ, თან კი ისეთი ეკონომიკური წყობის მორალს იცავთ, პიროვნებისთვის მონობა და ღირსების შელახვა რომ მოაქვს.
- ღირსებასა და უღირსობაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, - მიუგო ნაფტამ, - ჯერჯერობით კი იმითაც კმაყოფილი ვიქნებით, თუ ეგ ურთიერთმიმართებანი თქვენ გიბიძგებენ, თავისუფლება მხოლოდ მშვენიერ ჟესტად კი არა, პრობლემად წარმოიდგინოთ. თქვენ ამტკიცებთ, ქრისტიანული ეკონომიკური მორალი, თავისი სიმშვენიერისა და ადამიანურობის მიუხედავად, თავისუფლების დაკარგვას გვიქადისო. მე კი პირიქით მგონია, რომ თავისუფლების საქმე, ანუ უფრო კონკრეტულად, ქალაქების საქმე, ვითომ ყოველთვის რომ გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, ისტორიულად ეკონომიკის სფეროში მორალის ყველაზე არაადამიანურ გადაგვარებასთან, თანამედროვე ჩარჩობისა და სპეკულაციის ყოველგვარ სიმახინჯესთან, ფულისა და საქმოსნობის ეშმაკეულ ბატონობასთან იყო დაკავშირებული.
- დაბეჯითებით გთხოვთ, ორჭოფობასა და ანტინომიებს
(ანტინომია (ბერძ.) - (ფილოს.) წინააღმდეგობა ორ ურთიერთგამომრიცხავ დებულებას შორის, რომლებიც ცალ-ცალკე თანაბრად ჭეშმარიტებად ითვლება.) ნუ ეფარებით, ჯობია, ნათლად და პირდაპირ აღიაროთ შავ რეაქციასთან თქვენი

კავშირი!
- ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ჰუმანიზმისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი სწორედ რეაქციის“ ცნების წინაშე შიშის კანკალის დაძლევა იქნებოდა.
- საკმარისია, - ოდნავ ათრთოლებული ხმით წარმოთქვა ბატონმა სეტემბრინიმ, ფინჯანი და თეფში გასწია, რომელზედაც, სხვათა შორის, აღარაფერი იდო და აბრეშუმგადაკრული დივნიდან წამოდგა, - დღეისათვის კმარა, ერთი დღისთვის, მე მგონი, საკმარისია, რაც მოვისმინეთ, პროფესორო, მადლობას გიხდით გემრიელად გამასპინძლებისათვის და ზედმიწევნით სასულიერო საუბრისათვის. ჩემს ბერგჰოფელ მეგობრებს სამკურნალო პროცედურები ელოდება, მე კი მინდა, სანამ წავიდოდნენ, ჩემი სენაკი ვაჩვენო. წამობრძანდით, ბატონებო! Addio Padre (მშვიდობით, პადრე! (იტალ.).) !
ახლა კიდევ პადრე“ უწოდა ნაფტას! ჰანს კასტორპმა გაოცების ნიშნად წარბები აძგიბა. სეტემბრინის სიტყვებზე ყველა წამოიშალა, თუმცა იგი ბიძაშვილებსაც უბოდიშოდ დაეპატრონა და არც უფიქრია, იქნებ ნაფტასაც უნდოდეს წამოსვლაო. მასპინძელს ახალგაზრდებმაც გადაუხადეს მადლობა და დაემშვიდობნენ. ნაფტამ ორივეს სთხოვა, კვლავაც მეწვიეთო,ბიძაშვილები იტალიელს გაჰყვნენ, ოღონდ ჰანს კასტორპს არ დავიწყებია, ნანათხოვრები თხზულება დე მისერია ჰუმანაე ცონდიტიონის“, ქაღალდისყდიანი დაცრეცილი წიგნი, თან წამოეღო. უჟმურულვაშიანი ლუკაჩეკი ისევ ისე ფეხმორთხმული იჯდა თავის მაგიდაზე და ვიღაც დედაბრისთვის სახელოებიან კაბას კერავდა, მათ გამოღებულ კარს რომ ჩაუარეს და მანსარდისაკენ მიმავალ, თითქმის პწკალასავით ვიწრო ხის კიბეს აუყვნენ. სიმართლე თუ გნებავთ, ამას მანსარდიც აღარ ეთქმოდა. ეს იყო ჩვეულებრივი სხვენი, ყავრის სახურავს შიდა მხრიდან შიშველი თავხეები მიუყვებოდა და ირგვლივ ისეთი თბილი ხის სურნელი იდგა, ზაფხულობით ბეღელში რომ იცის ხოლმე. სხვენზე ორი პაწია ოთახი მაინცთავსდებოდა და რესპუბლიკელი კაპიტალისტი აქ ბინადრობდა, ერთი ოთახი ტანჯვის სოციოლოგიის“ ესთეტ თანამშრომელს კაბინეტად ემსახურებოდა, მეორეში კი საძინებელი ჰქონდა გამართული. მან ახალგაზრდა მეგობრებს ხალისიანად უჩვენა თავისი ოთახები, თან დაატანა, განცალკევებული და მყუდრო ბუდე მაქვსო, თითქოს უნდა, საკუთარი ბინის შესამკობი სიტყვები სტუმრებს მზამზარეულად მიაწოდოსო და მათაც არ დაუხანებიათ, ორივემ ერთხმად შეუქო ბინა, როგორც თქვენ ბრძანეთ, მართლაც მშვენიერი, განცალკევებული და მყუდრო ბინააო. ახალგაზრდებმა ცალი თვალით შეიჭვრიტეს პაწია საძინებელ ოთახში, სადაც მანსარდის კუთხეში, მოკლე და ვიწრო სარეცლის წინ, პატარა ხალიჩა ეგო, და კვლავ სამუშაო ოთახში შემობრუნდნენ. კაბინეტიც თითქმის ასევე ღარიბულად იყო მოწყობილი, მაგრამ შიგ მაინც საზეიმო, ლამის სუსხიანი წესრიგი სუფევდა. ოთხი ტლანქი, ძველმოდური ჩალისდასაჯდომიანი სკამი კარის ორივე მხარეს სიმეტრიულად იყო განლაგებული, დივანიც კედელთან მიედგათ და ოთახის შუაგული მთლიანად მწვანე მაუდგადაკრულ მრგვალ მაგიდას ეჭირა, ზედ ჭიქაჩამომხობილი ხელადა მოსართავად იდგა თუ გულის გასაგრილებლად, არ ვიცით, მაგრამ სიფხიზლის შეგრძნებას კი ნამდვილად იწვევდა. წიგნები, ზოგი ყდიანი, ზოგი უყდო, ერთმანეთზე ალმაცერად მიწყობილი ელაგა პატარა თაროზე, ღია სარკმელთან მაღალფეხება, გარანდული დასაკეცი პულტი წამომართულიყო, ხოლო პულტის წინ სქელი ქეჩის პატარა ნაჭერი ეგდო, ზუსტად იმოდენა, რომ კაცი ზედ დამდგარიყო. ჰანს კასტორპმა წუთით მოსინჯა, როგორი იყო სეტემბრინის სამუშაო ადგილზე დგომა, სადაც იგი ენციკლოპედიისთვის ადამიანური ტანჯვის თვალსაზრისით მიმოიხილავდა მხატვრულ ლიტერატურას, დაქანებულ პულტზე იდაყვები ჩამოაყრდნო და განაცხადა, აქ მართლა შეიძლება შენთვის განცალკევებით და მყუდროდ იდგეო. ალბათ, ლოდოვიკოს მამაც ასევე იდგა ოდესღაც თავის პულტთან, პადუაში, თავისი გრძელი, ფაქიზად მოხაზული ცხვირითო, თქვა ჰანს კასტორპმა და იქვე შეიტყო კიდეც, რომ არა მარტო ეს პულტი, არამედ ჩალის სკამებიც, მაგიდაც და ხელადაც კი განსვენებული სწავლულისა ყოფილა, უფრო მეტიც, ჩალის სკამები კარბონარი ბაბუას ნაქონი აღმოჩნდა, ისინი მილანში მისი საადვოკატო ბიუროს კედლებს ამშვენებდაო. ამ ფაქტმა ახალგაზრდებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, სკამების მოყვანილობამ მათ თვალში ერთგვარი პოლიტიკურ-მეამბოხური ელფერი

შეიძინა. იოახიმი სწრაფად წამოდგა თავისი სკამიდან, რომელზეც აქამდე გულარხეინად, ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა, სკამს უნდოდ მიაჩერდა და ზედ აღარც დამჯდარა, ხოლო ჰანს კასტორპი კვლავ სეტემბრინი-უფროსის პულტთან იდგა და ფიქრობდა, ნეტავ როგორ იღვწის ამ პულტთან სეტემბრინი-შვილი და კაზმულსიტყვაობას ბაბუას პოლიტიკასა და მამის ჰუმანიზმს როგორ უხამებსო. მალე სამივენი გამოვიდნენ სახლიდან - მწერალმა მოინდომა, ბიძაშვილები შინამდე მიეცილებინა.
ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ, მაგრამ მათი სიჩუმე ნაფტას უტრიალებდა და ჰანს კასტორპი დუმილის დარღვევას არ ჩქარობდა, დარწმუნებული იყო, ბატონი სეტემბრინი თავის მეზობელზე თვითონვე წამოიწყებს ლაპარაკს, სწორედ ამ მიზნით გამოგვყვაო, და არც შემცდარა...
იტალიელმა ერთი ისე ამოისუნთქა, თითქოს გაქცევას აპირებსო და დაიწყო:
- ბატონებო, მე მინდა გაგაფრთხილოთ.
რაკი ამ სიტყვებს პაუზა მოჰყვა, ჰანს კასტორპმა ვითომ გაოცებით იკითხა, რას გულისხმობთო, თუმცა აჯობებდა, ეკითხა, ვის გულისხმობთო. კითხვა განგებ არ დააკონკრეტა, აქაოდა, ასე გულუბრყვილო ვარო, მაშინ როცა იოახიმიც კი მიხვდა, სეტემბრინი ვისაც გულისხმობდა.
- იმ პიროვნებას, ვისთანაც ეს-ესაა გახლდით სტუმრად, - მიუგო სეტემბრინიმ, - და ვინც ჩემდა უნებურად გაგაცანით. თქვენც იცით, რომ ყველაფერი შემთხვევის ბრალია, მაგრამ თქვენ წინაშე მაინც პასუხისმგებლობას ვგრძნობ და მძიმე პასუხისმგებლობასაც. ჩემი ვალია, თქვენისთანა ახალგაზრდები გავაფრთხილო, რა სულიერი საფრთხე მოგელით ამ კაცთან ურთიერთობისას და ის მაინც გთხოვოთ, მისგან შეძლებისდაგვარად შორს დაიჭიროთ თავი. მისი ფორმა ლოგიკაა, არსი კი არეულობა გახლავთ.
ოჰო, ეტყობა, ნაფტა მთლად კეთილი სული არ უნდა იყოსო, თქვა ჰანს კასტორპმა, ხანდახან მართლა უცნაურად ლაპარაკობდა, ცოტაღა დააკლდა, პირდაპირ ეთქვა, მზე დედამიწის ირგვლივ ბრუნავსო, მაგრამ განაბიძაშვილებს აზრად მოუვიდოდათ, რომ მის მეგობართან, სეტემბრინის მეგობართან, ურთიერთობის გაბმა სასურველი არ იყო? აკი თვითონ ბრძანებთ, ნაფტა მე გაგაცანითო, იმ დღესაც ხომ ერთად გნახეთ, თქვენ თვითონ ნაფტასთან ერთად დასეირნობთ, შინაურულად ჩამოდიხართ მასთან ჩაიზე, განა ეს არ ამტკიცებს, რომ...
- რა თქმა უნდა, ინჟინერო, რა თქმა უნდა, - ბატონი სეტემბრინის ხმა ალერსიანად ჟღერდა, თითქოს მშვიდადაც, მაგრამ ხმა ოდნავ მაინც უთრთოდა, - შეკამათების ღირსი ვარ და მეკამათებით კიდეც, კეთილი და პატიოსანი, მზად ვარ, ვიკისრო პასუხისმგებლობა... მე ამ კაცთან ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობ, ჩვენი შეხვედრა გარდაუვალია, ერთ სიტყვას მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და ასე მყარდება ნაცნობობა. ბატონი ნაფტასნაირი ჭკვიანი კაცი იშვიათია. თან, ჩემი არ იყოს, კამათი და მსჯელობა უყვარს. ვინც უნდა დამძრახოს, შემთხვევას ვერ გავუშვებ ხელიდან, რომ ღირსეულ მოწინააღმდეგესთან იდეური ხმალი არ გადავაჯვარედინო.მე აქ მარტოდმარტო ვარ. მართალი ბრძანდებით, მასთან დავდივარ, ისიც მოდის ჩემთან, ერთად ვსეირნობთ კიდეც. ჩვენ ვკამათობთ, ცხარედ ვკამათობთ, თითქმის დღე არ გავა, არ ვიკამათოთ, მაგრამ უნდა გამოვტყდე, სწორედ მტრული და საწინააღმდეგო აზრების გამო უფრო მწყურია ხოლმე მასთან შეხვედრა. მე წვრთნა მჭირდება, აზრები და შეხედულებანი დროდადრო ბრძოლაში თუ არ ჩააბი, სამუდამოდ მოგიჩლუნგდება. მე შეხედულებებს ვეღარავინ შემირყევს, მაგრამ თქვენზე განა იგივე ითქმის, ლეიტენანტო, ან თქვენზე, ინჟინერო? ვერც ერთი ფარს ვერ დაუხვედრებთ ინტელექტუალურ ცდუნებას, თქვენ საფრთხის წინაშე დგახართ. თქვენს გონსა და სულს შეიძლება ვნება მოუტანოს ამ ნახევრად ფანატიკურმა და ნახევრად ბოროტეულმა სოფისტიკამ.
დიახ, დიახ, კვერი დაუკრა ჰანს კასტორპმა, მართალი ბრძანდებით, მე და ჩემი ბიძაშვილი ამ მხრივ მეტ-ნაკლებად სახიფათო ბუნებისანი ვართო. მოკლედ, ძნელად აღსაზრდელი ბავშვების ამბავი ხომ მოგეხსენებათო, მაგრამ ამის საპირისპიროდ პეტრარკა და მისი დევიზი შეიძლება გავიხსენოთ, ხომ იცით, რასაც ვგულისხმობ, ამიტომ რაც უნდა იყოს, ნაფტას მოსმენა მაინც ღირსო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, კომუნისტურ ხანაზე რაც ილაპარაკა,

დროის რბოლაში პროცენტები არავის მიეთვლებაო, ეს ჩინებული გახლდათ, მართალი გითხრათ, მე პედაგოგიკაზე გამოთქმულმა აზრებმაც ძალიან დამაინტერესა, ნაფტა რომ არა, ასეთ აზრებს ვერასოდეს მოვისმენდიო...
ბატონმა სეტემბრინიმ ბაგე მოკუმა და ჰანს კასტორპმა სასწრაფოდ დასძინა, მე, რა თქმა უნდა, არც არავის ვემხრობი და არც ვინმეს პოზიციაზე ვდგები, უბრალოდ, სიამოვნება მომგვარა იმის მოსმენამ, რაც ნაფტამ ახალგაზრდობის მისწრაფებებსა და სურვილებზე ილაპარაკაო.
- ოღონდ ჯერ ერთი რამ ამიხსენით! - განაგრძო მან, - იმ თქვენმა ბატონმა ნაფტამ, დიახ, ასე ვიხსენიებ იმის ნიშნად, რომ მაინცდამაინც გულზე არ მეხატება, პირიქით, შინაგანად ვცდილობ მასთან ფრთხილად ვიყო...
- და სწორადაც იქცევით! - მადლიერი ხმით შესძახა სეტემბრინიმ.
- ფულზე, ანუ როგორც თვითონ უწოდებს, სახელმწიფოს სულზე, მან ბევრი ცუდი ილაპარაკა, კერძო საკუთრებაც დაგმო, ქურდობა არისო, მოკლედ, კაპიტალის წინააღმდეგ გაილაშქრა, თუ არ ვცდები, ასე თქვა, იგი ჯოჯოხეთის კოცონის სახმილიაო, სამაგიეროდ, აქო და ადიდა შუა საუკუნეები, შუა საუკუნეებში სარგებლის აღება აკრძალული იყოო, თვითონ კი... მომიტევეთ, მაგრამ იგი ხომ... მის ოთახში რომ შეხვალ, გაოცდები, ეს ამდენი აბრეშუმი...
- ო, ამაში კი მართალი ხართ, - გაეღიმა სეტემბრინის, - გემოვნება ნამდვილად ახირებული აქვს...
- ...მშვენიერი ძველებური ავეჯი, - იხსენებდა ჰანს კასტორპი, - მეთოთხმეტე საუკუნის პიეტა“... ვენეციური ჭაღი... ლივრეიანი პატარა ჰაიდუკი... შოკოლადიანი ნამცხვარი უხვად... მე მგონი, ის თვითონ უნდა იყოს...
- თვითონ ბატონი ნაფტა, - მიუგო სეტემბრინიმ, - ისეთივე კაპიტალისტია, როგორიც მე.
- მაგრამ? - ჩაეძია ჰანს კასტორპი, - თქვენს სიტყვებს მაგრამ“ აკლია, ბატონო სეტემბრინი.
- ერთი სიტყვით, ისინი თავისიანს არაფერს გაუჭირვებენ.
- ვინ ისინი?
- აი, მამები.
- მამები? რომელი მამები?
- იეზუიტები-მეთქი, ინჟინერო!
პაუზა ჩამოვარდა. ბიძაშვილებს შეცბუნება გამოეხატათ სახეზე. ჰანს კასტორპმა წამოიძახა:
- ღმერთო დიდებულო, ჯვარო და ხატო, ეშმაკმა დალახვროს, მაშ, ეს კაცი იეზუიტია?
- გამოცანა გერგებათ, - ოდნავ დამცინავად მიუგო სეტემბრინიმ.
- არა, ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი... არა, ამას ვინ იფიქრებდა! მაშ, ამიტომ უწოდეთ პადრე?
- ეს თავაზიანი გადაჭარბება გახლდათ, - მიუგო სეტემბრინიმ, - ბატონი ნაფტა პატრი არ არის. ავადმყოფობის ბრალია, რომ ჯერ ასე ვერ დაწინაურდა, თუმცა გამოცდის ვადა უკვე განვლო და აღთქმაც დადებული აქვს. ავადმყოფობამ მოსწყვიტა თეოლოგიურ შტუდიებს. მანამდე რამდენიმე წელი ორდენის ერთ-ერთ სკოლაში პრეფექტად მსახურობდა, ესე იგი, ახალგაზრდა აღსაზრდელთა მეთვალყურე, მოძღვარი და აღმზრდელი გახლდათ. ეს სამსახური მისი პედაგოგიური მიდრეკილებებისათვის ზედგამოჭრილი იყო. თუმცა აქაც მიეცა საშუალება, საყვარელი საქმე გაეგრძელებინა - ფრიდერიციანუმში ასწავლის ლათინურს, ხუთი წელია აქ ცხოვრობს. უფალმა უწყის, ოდესმე თუ ეღირსება აქედან წასვლა, მაგრამ იგი ორდენის წევრია და ორდენთან უფრო სუსტადაც რომ იყოს დაკავშირებული, მაინც არაფერი შემოაკლდებოდა. აკი გითხარით, თვითონ ღარიბია, უფრო სწორად, საკუთარი ქონება არ გააჩნია-მეთქი. აბა, როგორ, ასეთი გახლავთ მათი წესდება. სამაგიეროდ, ორდენს აურაცხელი სიმდიდრე აქვს და როგორც ხედავთ, თავისიანებს მოვლა-პატრონობას არ აკლებს.
- ეშმაკმა დალახვროს, - წაიბუტბუტა ჰანს კასტორპმა, - ნამდვილად არ ვიცოდი და ვერც წარმომედგინა, ასეთი რამ თუ მართლა არსებობდა! იეზუიტია, კეთილი და პატიოსანი!.. მაგრამ ერთი ეს მითხარით; თუკი იქიდან ასე უზრუნველყოფილი და პატივდებულია, მაშინ რაღად ცხოვრობს... არა, მე, რა თქმა უნდა, თქვენს

საცხოვრებელს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ბატონო სეტემბრინი, თქვენ მშვენივრად ცხოვრობთ ლუკაჩეკთან, ისე სასიამოვნოდ, განცალკევებით და მყუდროდხართ მოწყობილი, მაგრამ, თუკი ნაფტას, უხეშად რომ ვთქვათ, ჯიბე ფულით აქვს გატენილი, რატომ უკეთეს ბინას არ დაიქირავებს, უფრო ფეშენებელურს, აი, წესიერი შესასვლელი რომ ექნება და მოზრდილი ოთახები? მის ცხოვრებას რაღაც იდუმალი და ავანტიურული ელფერი დაჰკრავს, ამ აბრეშუმგამოკრულ სოროში რომაა გამომწყვდეული...
სეტემბრინიმ მხრები აიჩეჩა.
- ეს შეიძლება ტაქტისა და გემოვნების საქმეც იყოს, - თქვა მან, - ჩემი აზრით, ღარიბულ ოთახში რომ ცხოვრობს, ამით თავის ანტიკაპიტალისტურ სინდისს იმშვიდებს, მაგრამ, სამაგიეროდ, დანაკლისს ცხოვრების ასეთი წესით ინაზღაურებს. ან იქნებ ეს მოკრძალების ბრალიცაა. ხალხს ასე მოურიდებლად ხომ ვერ დაანახვებს, ეშმაკი ჩუმ-ჩუმად როგორ მანებივრებსო. დიახ, ისინი სადა ფასადს ეფარებიან, მის უკან კი გასაქანს აძლევენ აბრეშუმზე გაწუწკებული იეზუიტის გემოვნებას...
- გამაოგნებელია! - თქვა ჰანს კასტორპმა, - უნდა გამოვტყდე, ეს ამბავი ჩემთვის ახალიცაა და ძალიან ამაღელვებლიც. არა, ნამდვილად მადლობელი ვართ, ბატონო სეტემბრინი, ეს კაცი რომ გაგვაცანით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ კიდევ ბევრჯერ შემოვივლით და ვესტუმრებით. ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი. მსგავსი ურთიერთობები ხომ უჩვეულოდ აფართოებს ჰორიზონტს და ისეთ სამყაროში გახედებს, მისი არსებობაც რომ არ იცოდი, ნამდვილი იეზუიტი! მაგრამ ნამდვილს“ რომ ვამბობ, ვგრძნობ, როგორ მაეჭვებს ეს სიტყვა, ამ აზრმა სწორედ ახლა გამიელვა გონებაში და ვერ დაგიმალავთ, მართლა ნამდვილი კი არის? ვიცი, თქვენ ფიქრობთ, ვისზედაც ეშმაკი ზრუნავს ჩუმ-ჩუმად, ის არ შეიძლება ნამდვილი იყოსო, მაგრამ მე სულ სხვას ვგულისხმობ: ნამდვილად არის თუ არა ნაფტა ისეთი, როგორც იეზუიტს შეეფერება, აი, ეს ფიქრი მიტრიალებს თავში. რაც მან დღეს ილაპარაკა, - თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ, - თანამედროვე კომუნიზმის თაობაზე თუ ღმერთისათვის პროლეტარიატის თავდადებაზე, პროლეტარიატისა, რომელიც თურმე სისხლში ხელის გასვრას არ უნდა მოერიდოს, მოკლედ, ყველა საჩოთირო ამბის ჩამოთვლით თავს აღარ მოგაბეზრებთ, მაგრამ ნუ მიწყენთ და, ბაბუათქვენი თავის მოქალაქის შუბითურთ მასთან შედარებით ნამდვილი უცოდველი კრავი გახლავთ. მერე ეს შეიძლება? ვითომ ასეთ აზრებს მოუწონებენ უფროსები? ან ეს აზრები კი ეხამება რომის მოძღვრებას, რამდენადაც ვიცი, ორდენი მთელ მსოფლიოში ათასგვარი ხრიკების დახმარებით რომ ავრცელებს? განა ეს, - იმ სიტყვას ვეღარ ვიგონებ, - ჰო, ერეტიკული, მიუღებელი, მცდარი აზრები არ არის? აი, რას ვფიქრობ ნაფტასთან დაკავშირებით და სიამოვნებით მოვისმენდი, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით.
სეტემბრინიმ გაიღიმა.
- ყველაფერი ძალიან იოლი გასაგებია. ბატონი ნაფტა უპირველეს ყოვლისა იეზუიტია, იეზუიტი სულით ხორცამდე, მეორე მხრივ კი ჭკვიანი კაცია, სხვანაირად მის საზოგადოებას არც დავხარბდებოდი. ჭკვიანი რომ არის, ამიტომაც ეძებს ახალ კომბინაციებს, შეგუების, ურთიერთობის ახალ ფორმებსა და დროის შესაფერ სახეცვლილებებს. თქვენც დაინახეთ, მისმა თეორიებმა მეც კი გამაოცა. ასეთი გულახდილობა ჩემთან არასოდეს გამოუჩენია. მე კარგად გამოვიყენე მისი აღტყინება, რაც აშკარდ თქვენმა აქ ყოფნამ გამოიწვია, და რაც შემეძლო, გავაღიზიანე, რომ ზოგიერთ საკითხზე ბოლომდე გამოეთქვა თავისი აზრი. მისი ნათქვამი სასეიროც იყო და შემზარავიც...
- დიახ, დიახ, მაგრამ პატრი რატომ ვერ გახდა? მე მგონი, ასაკს არ უნდა შეეშალა ხელი.
- ხომ გითხარით, ავადმყოფობამ შეუშალა-მეთქი ხელი.
- კეთილი, მაგრამ როგორ ფიქრობთ, თუ იგი უპირველეს ყოვლისა იეზუიტია, მეორე მხრივ კი კომბინაციური ნიჭით დაჯილდოებული, ჭკვიანი კაცი, ამ მეორე, დამატებით თვისებას მის ავადმყოფობასთან ხომ არა აქვს კავშირი?
- ამით რა გნებავთ თქვათ?
- არაფერი, ბატონო სეტემბრინი. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, თუკი ამ კაცს

სველმა კერამ შეუშალა ხელი პატრი გამხდარიყო, კომბინაციებიც ხომ არანაკლებ შეუშლიდა ხელს და ამდენად, კომბინაციები და სველი კერა ერთმანეთთან ხომ არ არის-მეთქი დაკავშირებული? ჰოდა, ისიც ძნელად აღსაზრდელი ბავშვი გამოდის, joli jésuite petite tache humide
(ლამაზი იეზუიტი სველი კერითურთ (ფრანგ.).) -ითურთ.
ამასობაში სანატორიუმს მიაღწიეს. სანამ ერთმანეთს დასცილდებოდნენ, შენობის წინა მოედანზე ცოტა ხანს კიდევ შეჩერდნენ და შესასვლელთან მოყიალე რამდენიმე პაციენტის ყურადღება მიიპყრეს. ბატონმა სეტემბრინიმ თქვა:
- ერთხელ კიდევ გიმეორებთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, ფრთხილად იყავით-მეთქი. თუკი ცნობისმოყვარეობა არ გასვენებთ, მე ვერ აგიკრძალავთ ამ ნაცნობობის გაგრძელებას, მაგრამ გულსა და გონებას უნდობლობის ჯავშანი შემოარტყით, ნუ მოგკლებოდეთ კრიტიკული წინააღმდეგობის ძალა.
ამ პიროვნებას მე ერთი სიტყვით დაგიხასიათებთ: იგი ავხორცი კაცია.
ბიძაშვილებს სახეები დაუგრძელდათ, შემდეგ კი ჰანს კასტორპმა იკითხა:
- რა თქვით?.. როგორიაო? კი მაგრამ, იგი ხომ ორდენის წევრია. რამდენადაც ვიცი, ისინი აღთქმას დებენ და ესეც არ იყოს, იგი ისეთი ჩია და გაფშიკულია, რომ...
- ნუ სულელობთ, ინჟინერო, - გაუწყრა ბატონი სეტემბრინი,- ავხორცობასთან გაფშიკულობას არავითარი კავშირი არა აქვს, ხოლო რაც შეეხება აღთქმას, აღთქმის შემოვლა ყოველთვის შეიძლება. ესეც არ იყოს, მე ჩემი ნათქვამი უფრო ფართოდ, სულიერ ასპექტში მქონდა გააზრებული და იმედი მქონდა, სწორად გამიგებდით. გახსოვთ, ერთხელ თქვენს ოთახში რომ გინახულეთ, მას შემდეგ დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია გასული, თქვენ, ის იყო, პაციენტად მიღებისთანავე დანიშნული წოლითი რეჟიმის ვადა გითავდებოდათ...
- როგორ არ მახსოვს! თქვენ დაბინდებისას შემობრძანდით და შუქი აანთეთ, დღევანდელ დღესავით მახსოვს...
- კეთილი და პატიოსანი, მაშინ საუბარში მაღალ მატერიებს გადავწვდით, როგორც ეს, ღვთის შეწევნით, საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე. კარგად მახსოვს, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე ვსაუბრობდით, ისიც ვთქვით, სიკვდილი იმდენად შეიძლება იყოს მშვენიერი, რამდენადაც იგი სიცოცხლის პირობა და შემადგენელი ნაწილია, ხოლო მყისვე სიმახინჯედ იქცევა, როგორც კი გონი ზიზღით განერიდება და მას ცალკე პრინციპად მოგვივლენს-მეთქი, - თქვა სეტემბრინიმ, ახალგაზრდებთან სულ ახლოს მიიწია, მარცხენა ხელის შუათითი და ცერი ჩანგალივით გაფარჩხა, რომ მათი ყურადღება უფრო კარგად მიეპყრო, ხოლო მარჯვენა ხელის შუათითი გაფრთხილების ნიშნად მაღლა ასწია, - ტვინში ჩაიბეჭდეთ, რომ გონი სუვერენულია, მისი ნება კი თავისუფალი და ზნეობრივ სამყაროსაც იგი აყალიბებს. ოღონდ გონმა თუ დუალისტურად განაცალკევა სიკვდილი, მაშინ ეს უკანასკნელი გონისავე ნებით სინამდვილედ და მართლა
აცტუ -დ იქცევა, ხომ გესმით, რასაც გეუბნებით, სიცოცხლის საპირისპირო დამოუკიდებელ ძალად, ეშმაკეულ პრინციპად, დიდ მაცდურად გადაიქცევა და მაშინ მისი საუფლო ავხორცობის საუფლო იქნება. თქვენ მკითხავთ, რატომ ავხორცობისაო? გიპასუხებთ: იმიტომ, რომ მას თავისუფლება და ხსნა მოაქვს, იმიტომ, რომ იგი ხსნაა, მაგრამ ხსნა არა ბოროტებისაგან, არამედ ბოროტეული ხსნა. იგი ბორკილებს ხსნის ზნესა და ზნეობას, იგი თავდაჭერილობისა და სიმტკიცისაგან გვათავისუფლებს და ამით ავხორცობისკენ გვიხსნის გზას. მხოლოდ ამიტომ გაფრთხილებთ, ერიდოთ იმ კაცს, ვინც ნამდვილად ჩემდა უნებურად გაგაცანით, ამიტომ მოგიწოდებთ მასთან ურთიერთობისა და კამათისას გულებს კრიტიკის სამმაგი სარტყელი შემოავლეთ-მეთქი, რადგან ყველა მისი ნააზრევი ავხორცულია, მის აზრებს მფარველად სიკვდილი ჰყავს, ხოლო სიკვდილი უაღრესად უკუღმართი ძალაა. როგორც მაშინ გითხარით, ინჟინერო, ეს გამოთქმა კარგად მახსოვს, ჩემსავე, შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოთქმულ გონივრულ და ზუსტად მონახულ აზრებს ვიმახსოვრებ ხოლმე: სიკვდილი ზნეკეთილობის, პროგრესის, შრომისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ძალაა და აღმზრდელის უკეთილშობილესი მოვალეობაა მისი მავნე ამონასუნთქისაგან დაიფაროს ახალგაზრდების გონი და სული.
ბატონ სეტემბრინიზე უკეთ, უფრო ნათლად და დასრულებულად ვის შეეძლო ეს

ეთქვა. ჰანს კასტორპმა და იოახიმ ციმსენმა ჭკუის დარიგებისათვის უღრმესი მადლობა მოახსენეს ბატონ სეტემბრინის, გამოეთხოვნენ და „ბერგჰოფის“ სადარბაზო შესასვლელისკენ მიმავალ კიბეს აუყვნენ, ბატონი სეტემბრინი კი ნაფტას აბრეშუმგამოკრული სენაკის თავზე წამომართულ ჰუმანისტურ პულტს დაუბრუნდა.
ჩვენ აქ ბიძაშვილების პირველი სტუმრობა აგიწერეთ ნაფტასთან, მასშემდეგ მათ ორჯერ თუ სამჯერ კიდევ მოინახულეს ნაფტა, ერთხელ ბატონი სეტემბრინის დაუსწრებლადაც კი, და ყველა ეს შეხვედრა ახალგაზრდა ჰანს კასტორპს ფიქრისა და განსჯისათვის მასალას აძლევდა, შინაგან თვალთა წინაშე სიცოცხლის უმაღლესი წარმონაქმნი, ჰომო დეი-დ წოდებული ხატება ედგა, იჯდა თავის ლურჯად მობიბინე განმარტოებულ კუთხეში და „მართვაში“ გახლდათ გართული.

გაალმასება.
და კიდევ ერთი უაღრესად საჩოთირო რამ
ასე დადგა აგვისტო და მის პირველ რიცხვებში მშვიდობიანად ჩაიარა ჩვენი გმირის აქ, ზევით, ამოსვლის წლისთავმა. კიდევ კარგი, რომ ჩაიარა, თორემ ახალგაზრდა ჰანს კასტორპს იმ დღის მოლოდინში უსიამოვნოდ ეკუმშებოდა გული. აქ ყველას ასე ემართებოდა, ჩამოსვლის დღე არავის უყვარდა, ვისაც აქ წელიწადი ან წელიწადზე ბევრად მეტი ჰქონდა გატარებული, ისინი ჩამოსვლის დღეს არც იხსენებდნენ, სამაგიეროდ, სხვა საბაბს არ გაუშვებდნენ ხელიდან, რომ ზარ-ზეიმი და ჭიქების ჭახაჭუხი არ აეტეხათ. წელიწადის რიტმსა და მაჯისცემაში ჩართული დიდი თუ პატარა გამორჩეული დღეები უამრავი პირადი და უცაბედი ზეიმით მრავლდებოდა, რესტორანში ნადიმითა და საცობების ბათქაბუთქით აღინიშნებოდა დაბადების დღეები, საერთო გამოკვლევის შედეგები, უმართებულო თუ მართებული გამგზავრება და ამდაგვარი მიზეზები, იმ ღირსსახსოვარ დღეს კი დუმილით უვლიდნენ გვერდს, ჩუმად გააპარებდნენ ხოლმე, თუმცა ზოგჯერ მართლა არ აგონდებოდათ აქ ჩამოსვლის თარიღი და თავისუფლად შეეძლოთ ეფიქრათ, სხვებს მით უმეტეს არ ემახსოვრებათო. აი, დროის დანაწევრება კი არავის ეზარებოდა; კალენდარს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს და წლის არც ერთი დრო არ გამოეპარებოდათ. სამაგიეროდ, აქაურ სივრცესთან დაკავშირებული დროის თვლა და ანგარიში, ანუ პირადი, ინდივიდუალური დროის ანგარიში, მოკლევადიანებისა და ახალბედების საქმე გახლდათ. ძველ ბინადართ ამ მხრივ განუზომელი, თითქოს შეჩერებული მარადისობა ერჩივნათ, ის დღე ერჩივნათ, რომელიც სულ ერთი და იგივე იყო, და გაფაქიზებული გრძნობა უკარნახებდათ, სხვასაც ასეთივე სურვილი უღვივის გულშიო. დიდ უზრდელობასა და უხეშობაში ჩამოგართმევდნენ, ვინმესთვის რომ გეთქვათ, დღეს სამი წელი ხდება, რაც აქ ბრძანდებითო, და ასეთი რამ არც ხდებოდა. ფრაუ შტორი ხომ ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე უშვებდა შეცდომებს, მაგრამ ამ საკითხში ისიც კი დიდ ტაქტსა და დახვეწილ ზრდილობას იჩენდა და მარცხი არასოდეს მოუვიდოდა. მერე რა, რომ მისი ავადმყოფობა და სიცხიანობა დიდ უმეცრებას ერწყმოდა. სულ ცოტა ხნის წინ სუფრაზე ფილტვის წვეროების „აფექტაციაზე“ ლაპარაკობდა, ხოლო საუბარმა ისტორიაზე რომ გადაინაცვლა, განაცხადა, ისტორიული თარიღები მუდამ ჩემი „პოლიკრატეს ბეჭედი“
(პოლიკრატეს ბეჭედი“ - ფრაუ შტორს სურს თქვას: „აქილევსის ქუსლიო“.) იყოო, და თანამესუფრეები ერთხელ კიდევ გააოგნა, სამაგიეროდ, წარმოუდგენელია თებერვალში ახალგაზრდა ციმსენისთვის შეეხსენებინა, საიუბილეო თარიღი გისრულდებაო, თუმცა ეს ფაქტი, ალბათ, მშვენივრად ემახსოვრებოდა, რადგან უკუღმართი თავი უამრავი უსარგებლო თარიღითა და ამბით ჰქონდა გამოტენილი და სხვის მაგიერ ანგარიშიც უყვარდა, მაგრამ აქაური ადათ-წესები მასაც კი ლაგამს სდებდა.
ასევე უჩუმრად ჩაიარა ჰანს კასტორპის საიუბილეო თარიღმაც, მართალია, ფრაუ შტორი ერთი პირობა კი შეეცადა მისთვის მრავალმნიშვნელოვნად ჩაეკრა თვალი, მაგრამ ახალგაზრდა კაცის არაფრის მთქმელ სახეს რომ წააწყდა, სასწრაფოდ დაიხია უკან. არც იოახიმს უთქვამს ბიძაშვილისთვის რამე, თუმცა

მშვენივრად ახსოვდა ის დღე და რიცხვი, მასთან სტუმრად ჩამოსულს სადგურ „სოფელში“ რომ დახვდა. იოახიმი ბუნებითაც სიტყვაძუნწი გახლდათ, ჰანს კასტორპს როდი ჰგავდა, ეს უკანასკნელი აქ მაინც რომ ენად იყო გაკრეფილი, და მით უმეტეს შორს იდგა ჩვენი ნაცნობი ჰუმანისტებისა და კაზუისტებისაგან, მაგრამ ბოლო ხანებში მაინც უცნაური, თვალში საცემი მდუმარება დასჩემდა, თითო-ოროლა მოკლე სიტყვა თუ დასცდებოდა, სამაგიეროდ, სახეზე ისეთი შინაგანი მღელვარება ეხატებოდა, ცხადი იყო, სადგურის გახსენებაზე დახვედრა და ჩამოსვლა ნაკლებად აგონდებოდა... მას ბართან ცხოველი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული. გულში საბოლოოდ უმწიფდებოდა გადაწყვეტილება და საამისო სამზადისიც საცა იყო, დასრულდებოდა კიდეც.
ივლისი თბილი და კაშკაშა გამოდგა, მაგრამ ახალი თვის დადგომისთანავე გაავდრდა, მართალია, ღრუბლიან დღეებში, თოვლჭყაპსა და ნამდვილ თოვაში აქა-იქ ზაფხულის მცხუნვარე დღეებიც გამოერია, მაგრამ თვე ისე მიილია და სექტემბერიც ისე დადგა, ერთი არ გამოუდარებია. თავიდან ოთახებში ჯერ კიდევ ბოგინობდა ზაფხულიდან შემორჩენილი სითბო, თერმომეტრი ათ გრადუსს უჩვენებდა, რაც ასატანად ითვლებოდა, მაგრამ მალე სულ უფრო და უფრო აცივდა და ყველას გაუხარდა, ხეობაში რომ ჩამოთოვა, რადგან ტემპერატურის დაწევა „ბერგჰოფში“ არაფრად ითვლებოდა, დირექციას მხოლოდ თოვლის დანახვა თუ აიძულებდა, ჯერ სასადილო დარბაზი, ხოლო შემდეგ ოთახებიც გაეთბო. ამიერიდან სამკურნალო პროცედურებს რომ დაასრულებდი, ორი საბნიდან გამოძვრებოდი და ლოჯიიდან ოთახში შემოხვიდოდი, შეგეძლო სიცივისაგან დანესტიანებული, გაშეშებული ხელები გამოცოცხლებულ მილებზე დაგეწყო, თუმცა მათგან მონაბერი მშრალი სითბო ლოყებზე ავარდნილ ალმურს კიდევ უფრო აძლიერებდა.
ვითომ დადგა ზამთარი? ყოველ შემთხვევაში, შეგრძნება ნამდვილადასეთი იყო და ყველა ჩიოდა, „ზაფხული თვალსა და ხელშუა გაგვეპარაო“, იმას კი ვეღარ გრძნობდნენ, რომ ბუნებრივ და ხელოვნურ ხელშემწყობ პირობებთან შეხმატკბილებულნი თვითონვე შინაგანადაც და გარეგნულადაც, დაუზოგავად ფლანგავდნენ დროს და ზაფხულიც თვითონვე გაუშვეს ხელიდან. გონიერების კარნახს თუ მივუგდებდით ყურს, ჯერ კიდევ წინგვედო მშვენიერი შემოდგომის დღეები, ისინი, ალბათ, ერთმანეთსაც კი წაეწყობოდა და უჩვეულოდ ხასხასა, თბილი დღეებისათვის არცთუ ისე დიდი პატივი იქნებოდა, ზაფხული გვეწოდებინა, თუნდაც ერთი პირობით, რომ მზე უკვე ზენიტს აღარ მიაღწევდა და შედარებით ადრე დაგვემშვიდობებოდა. და მაინც, ზამთრის პეიზაჟი ისე უწამლავდათ გუნებას, რომ ამგვარი ნუგეში მას ვეღარ ჯაბნიდა - იდგნენ აივნის ჩაკეტილ კართან და ჰაერში მოფარფატე ფანტელებს გულამღვრეულნი შეჰყურებდნენ. დიახ, ეს იოახიმი იყო, კართან რომ იდგა და ყრუ ხმით ამბობდა:
- მაშ, ისევ იწყება, არა?
ჰანს კასტორპი ოთახის სიღრმიდან გამოეპასუხა:
- ჯერ ადრეა. დაწყებით, არა მგონია, დაწყებულიყოს, მაგრამ სასიკეთო პირი კი ნამდვილად არ უჩანს. თუკი ზამთარი სიბნელე, თოვლი, სიცივე და გამთბარი მილებია, მაშინ მართლა დამდგარა და ეს არის, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ზამთარი სულ ცოტა ხნის წინ დაგვემშვიდობა და თოვლის დნობაც ახალი ჩათავებულია, - ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ხომ გვეჩვენება, რომ ჯერ კიდევ გუშინ გაზაფხული გვედგა, - მაშინ მართლა შეიძლება გული შეგიღონდეს, ამას ვაღიარებ. ასეთი რამ ადამიანს სიცოცხლის ხალისს უკარგავს, ნება მომეცი, აგიხსნა, რასაც ვგულისხმობ: ჩემი აზრით, ნორმალურ ვითარებაში სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ადამიანის მოთხოვნილებებს შეეხამოს და მასში სიცოცხლის ხალისის გაღვივებას შეუწყოს ხელი. ეს უეჭველად უნდა ვაღიაროთ. ცხადია, მეტისმეტი მომივა, თუ ვიტყვი, თითქოს ბუნების წესი და რიგი, ვთქვათ, დედამიწის სიდიდე ან ის დრო, იგი თავის ღერძისა და მზის გარშემო შემობრუნებას რომ ანდომებს, დღე-ღამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა, თუ გნებავს, კოსმოსური რიტმიც, ჩვენს მოთხოვნილებებზე იყოს გათვლილი, ამის თქმა ჩემი მხრივ კადნიერება და გულუბრყვილობა იქნებოდა, ანუ, ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს, ტელეოლოგია გამომივიდოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი მოთხოვნილებები და ბუნების ზოგადი, ძირითადი

კანონზომიერებანი, მადლობა ღმერთს, შეხმატკბილებულნი არიან. დიახ, მადლობა ღმერთს-მეთქი, ვამბობ, რადგან ამისთვის კი გვმართებს ღმერთს მადლობას ვწირავდეთ, ჰოდა, როცა ბარში ზაფხული ან ზამთარი დგება, მაშინ წარსული ზაფხული და ზამთარი ისე დიდი ხნის ჩავლილია, რომ ზამთარ-ზაფხული კვლავ ახალი და სასურველია ხოლმე ჩვენთვის და სიცოცხლის ხალისიც ამას ემყარება. აქ, ზევით, ჩვენთან კი ეს წესრიგი და შეხმატკბილება დარღვეულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქ, შენი თქმისა არ იყოს, არ არსებობს ნამდვილი წელიწადის დროები, აქ მხოლოდ ზამთრისა და ზაფხულის დღეები პ ლე-მ ლე ირევა ერთმანეთში, თან აქაური დროც არა ჰგავს ნამდვილ დროს, ამიტომაც ახალი ზამთარი განა მართლა ახალია, ისევ ის ძველი ზამთარი გახლავს. აი, რისი ბრალია, ფანჯარში ასე უკმაყოფილოდ რომ იყურები.

- დიდი მადლობა, - მიუგო იოახიმმა, - ისეთი კმაყოფილება გეტყობა, ასე მშვენივრად რომ ამიხსენი ყველაფერი, მგონი, სხვა დანარჩენთან ერთად თვით ეს ამბავიც გგვრის კმაყოფილებას, თუნდაც იგი... არა, მორჩა! რაც აქ ხდება, ეს ნამდვილი ღორობაა, უსაშველო, ამაზრზენი ღორობა, შენი არ ვიცი და... მე კი... - დასძინა მან, ოთახიდან სწრაფად გავიდა და კარი ბრაზიანად გაიჯახუნა. თვალს თუ არ მოვუტყუებივართ, იოახიმს მშვენიერ, ნაზ თვალებში ცრემლები ედგა.

ჰანს კასტორპს თავზარი დაეცა. სანამ იოახიმი ომახიანად იქადნებოდა, მის სიტყვებს სერიოზულად არ მოჰკიდებია, ახლა კი ეს გადაწყვეტილება ჯერ უსიტყვოდ რომ ეხატებოდა სახეზე და მერე მღელვარებაც ვეღარ დამალა, შეშინდა, მიხვდა, ეს ჯარისკაცი მზად იყო, სიტყვა საქმედ ექცია და შიშისაგან ფერი დაეკარგა, ორივეს ბედმა შეზარა, მისმა ბედმაც და საკუთარმაც. „Fort possible qu'il aille mourir

"(ადვილი შესაძლებელია, მოკვდეს (ფრანგ.).)

, გაიფიქრა მან და რაკი ეს ვარაუდი აშკარად მესამე პირისგან მოდიოდა, ამ აზრს კიდევ ძველი, მარად გაუნელებელი ეჭვის სიმძიმილიც შეერია, თან გუნებაში დასძინა: „ნუთუ აქ, ზევით, მარტო მიმატოვებს? განა შეიძლება მიატოვოს ის კაცი, ვინც აქ მხოლოდ მის სანახავად ჩამოვიდა? ამაზე დიდი უგუნურება და საშინელება რაღა უნდა იყოს, დიახ, იმოდენა უგუნურებად და საშინელებად მესახება ეს აზრი, რომ ვგრძნობ, როგორ მიცივდება სახე და როგორ მიფართქალებს გული. აქ, ზევით, მარტო თუ დავრჩი, - იოახიმი რომ წავა, ასეც იქნება, რადგან მე აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ, - მაშინ ხომ, - აი, ახლა კი სულ გამიჩერდა გული, - მაშინ ხომ სამუდამოდ მიწერია აქ დარჩენა, მე მარტო აქაურობას თავს ვერ დავაღწევ და ბარში ვეღარასოდეს დავბრუნდები".

ასეთი იყო ჰანს კასტორპის შემაძრწუნებელ ფიქრთა მდინარება და ნაშუადღევსვე ნათელი გახდა კიდეც ყველაფერი: იოახიმმა გაუმხილა თავისი განზრახვა, წილი უკვე ნაყარი იყო და ახლა საქმის აღსრულებას წინაღარაფერი ედგა.

ჩაის შემდეგნათელ სარდაფში ჩავიდნენ ყოველთვიურ გასინჯვაზე. ეს იყო სექტემბრის დამდეგს. საორდინატოროში მშრალი სითბო ტრიალებდა. დოქტორი კროკოვსკი თავის ადგილზე დაუხვდათ, საწერ მაგიდასთან, მთლად სახეგალურჯებულ ჰოფრატს კი გულხელი დაეკრიფა, კედელს მიყრდნობოდა, ცალ ხელში სტეტოსკოპი ეჭირა, სტეტოსკოპს მხარზე იკაკუნებდა და ჭერისკენ თავაღერილი ამთქნარებდა.

- გამარჯობა, ბავშვებო! - თავიდანვე უნდილად მიესალმა იგი ბიძაშვილებს და გამოცოცხლება არც მერე დასტყობია. ჰოფრატი ჩვეულ მელანქოლიასა და აპათიას შეეპყრო. ეტყობოდა, თამბაქო მოეწია, მაგრამ მის უგუნებობაში უეჭველად სხვა უსიამოვნებებსაც ედო წილი. ბიძაშვილებსაც გაგონილი ჰქონდათ, ჰოფრატს ერთი შიდასანატორიული, საკმაოდ ტრივიალური უსიამოვნება რომ შეხვედროდა. ერთი გოგონა, ამი ნოლტინგი, შარშანწინ შემოდგომაზე ჩამოსულა სანატორიუმში და ცხრა თვის შემდეგ, აგვისტოში, გამოჯანსაღებული გაუწერიათ აქედან. სექტემბრის ბოლოს უკან დაბრუნებულა, აქაოდა, „შინ თავს შეუძლოდ ვგრძნობდიო", თებერვალში კვლავ დაუდგენიათ, ფილტვებში არავითარი ხიხინი აღარ ისმისო და ბარში უკანვე გაუგზავნიათ, მაგრამ ივლისის შუა რიცხვებში ფრაუ ილტისის სუფრასთან კვლავ თავის ძველ ადგილს დაჰბრუნებია. ჰოდა, ეს ამი ღამის პირველ საათზე თავის ოთახში ერთ

ავადმყოფთან შეუსწრიათ, გვარად პოლპრაქსიოსთან, ახალგაზრდა ქიმიკოსთან, რომლის მამას პირეუსის მახლობლად სამღებრო ქარხნები ჰქონია. ეს სწორედ ის ახალგაზრდა ბერძენი გახლდათ, საყველიერო კარნავალზე უზადოდ ჩამოქნილი ფეხებით სამართლიანად რომ დაიმსახურა საყოველთაო აღტაცება. ბერძენთან ამი ნოლტინგი ეჭვიანობისგან გაგიჟებულ თავისსავე ამხანაგს შეუსწრია და თქვენ წარმოიდგინეთ, ამის ოთახში ისიც ბერძენივით აკრძალული გზით, აივნიდან შესულა. შეყვარებული წყვილის დანახვაზე გამწარებულა, საშინელი წივილ-კივილი აუტეხია და მთელი სანატორიუმი შეუყრია. ბერენსს სამივე მიუბრძანებია სანატორიუმიდან: ათენელიც, ნოლტინგიც და ვნებისგან გახელებული და თავმოყვარეობადაკარგული მისი მეგობარიც. ჰოდა, ახლა სწორედ ამ უსიამო ამბავზე ესაუბრებოდა თავის ასისტენტს, რომელთანაც, სხვათა შორის, ამიც და მისი გამცემიც კერძოდ მკურნალობდნენ. ბერენსს ლაპარაკი არც ბიძაშვილების გასინჯვისას შეუწყვეტია, წყენასა და გულგატეხილობას არ მალავდა. აუსკულტაციაში ისე დახელოვნებული გახლდათ, რომ ერთდროულად შეეძლო ფილტვებიც მოესმინა, სულ სხვა თემაზე ელაპარაკა და ასისტენტისთვის გასინჯვის მონაცემებიც ეკარნახა.

- დიახ, დიახ, ჯენტლმენებო, წყეული libido

!

(ვნება, ავხორცობა (ლათ.).) - ამბობდა იგი, - თქვენ იქნებ გსიამოვნებთ კიდეც მსგავსი ამბების გაგონება, მაგრამ ერთი მეც მკითხეთ... ვეზიკულარული. ჩემისთანა დაწესებულების მთავარ ექიმს ასეთები ყელში აქვს ამოსული, შეგიძლიათ... ყრუ ხმები... შეგიძლიათ, მერწმუნოთ. რა ჩემი ბრალია, ტუბერკულოზი ძლიერ სქესობრივ აღგზნებას რომ იწვევს?.. სუნთქვა ოდნავ გაუხეშებულია... ჩემი მოგონილი არ არის ეს ამბავი, მაგრამ კაცი მოხედვასაც ვერ მოასწრებ, საეჭვო სახლის პატრონად გადაიქცევი... მარცხენა ბეჭქვეშ შემოკლებულია... ჩვენ გვაქვს ფსიქოანალიზი, გვაქვს გულის გადაშლის საშუალება, რად გინდა მერე! ეს მოხიხინე ბანდა რაც უფრო მეტად გვიშლის გულს, მით უფრო ეღვიძებათ ნდომა. ფსიქოანალიზს მე, მაგალითად, მათემატიკას ვამჯობინებდი... აქ უკეთესადაა საქმე, ხიხინი აღარ ისმის... მერწმუნეთ, მათემატიკა ავხორცობის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა. პროკურორი პარავანტიც კი იყო გაწუწკებული, მაგრამ მათემატიკას მოჰკიდა ხელი, ახლა წრის კვადრატურას უკირკიტებს და თავს მშვენივრადაც გრძნობს. მაგრამ რად გინდა, უმეტესობა ისეთი უტვინო და ზარმაცია, რომ ღმერთმა დაგიფაროს... ვეზიკულარული... როგორც ხედავთ, მშვენივრად ვიცი, ახალგაზრდობა აქ ძალიან იოლად რომ აიწყვეტს ხოლმე, და წინათ ხანდახან მაინც ვცდილობდი, აღმეკვეთა მათი ექსცესები, მაგრამ ერთი-ორჯერ რომელიღაც ძმამ თუ საქმრომ პირდაპირ მომახალა, ნეტავ თქვენ რაში გეკითხებათ ეს ამბავიო და მას შემდეგ მხოლოდ ექიმის მოვალეობას ვასრულებ... ზემოთ, მარჯვნივ, სუსტი ხიხინი.

ბერენსი მორჩა იოახიმის გასინჯვას, სტეტოსკოპი ხალათის ჯიბეში ჩაიდო და უშველებელი მარცხენა ხელით თვალები მოიფშვნიტა. მელანქოლია რომ მოერეოდა და მოეშვებოდა, ასე იცოდა და ახლაც უგუნებობისაგან ნახევრად მექანიკურად, მთქნარებ-მთქნარებით წარმოთქვა გაზეპირებული შეგონებები:

- აბა, ყოჩაღად, ცისმენ! ჯერ კიდევ ისე არა გაქვს საქმე, როგორც ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოში წერია, აქა-იქ ჯერ კიდევ გვიჭირს, არც გაფკისთან გაქვთ მთლად სუფთად გასწორებული ანგარიშები, ამასწინანდელთან შედარებით ერთი დანაყოფით მაღლაც კი აიწიეთ, სკალა ამჯერად ექვსს გვიჩვენებს, მაგრამ ამის გამო მსოფლიო სევდას ნუ მიეცემით. აქ რომ ჩამოხვედით, გაცილებით მძიმედ იყავით ავად, ამაზე თუ გინდათ, ხელს მოგიწერთ, ახლა რომ ხუთი, ექვსი თუე... იცით, წინათ თვის მაგიერ თუეს რომ ამბობდნენ? მარჯვეც იყო და უფრო კეთილხმოვნადაც ჟღერდა. გადავწყვიტე, ამიერიდან მხოლოდ ეს სიტყვა ვიხმარო...

- ბატონო ჰოფრატო, - დაიწყო იოახიმმა. წელზევით შიშველი იოახიმი სმენაზე იდგა, მკერდი წინ გამოეგდო, ქუსლები შეეტყუპებინა და სახე ისევე აფორეჯებოდა, როგორც მაშინ, ჰანს კასტორპმა ერთი შემთხვევის გამო პირველად რომ შეამჩნია სახის აფორეჯება და გაიფიქრა, აი, მზემოკიდებულები თურმე როგორ ფითრდებიანო.

- თუკი თქვენ, - იოახიმს არც მოუსმინა, ისე განაგრძო ბერენსმა, - ნახევარწელიწადს კიდევ მედგრად იდგებით თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე, ისე გაკაჟდებით, რომ თუნდაც კონსტანტინოპოლს დალაშქრავთ და მარტო თქვენი უსაზღვრო ჯან-ღონის გამო პირდაპირ სასაზღვრო ოლქის მთავარსარდლად დაგნიშანვენ.
ვინ იცის, გუნებამოშხამული ჰოფრატი კიდევ რას არ გადმოაფრქვევდა, რომ იოახიმის მტკიცე გამომეტყველებას მისთვის რიხი არ დაეკარგა. იოახიმს აშკარად ეტყობოდა, სათქმელს უკან არ წაიღებდა.
- ბატონო ჰოფრატო, - მიმართა ჰოფრატს ახალგაზრდა კაცმა, - ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: გადაწყვეტილი მაქვს აქედან წავიდე.
- ოჰო? მაშ, კომივოიაჟორობა მოგინდომებიათ და ეგ არის. მე კი მეგონა, მოიცდიდით, გამოჯანსაღდებოდით და სამხედრო სამსახურში ჩადგებოდით.
- არა, ბატონო ჰოფრატო, ვეღარ დავიცდი, რვა დღეში უნდა წავიდე.
- ყური ხომ არ მატყუებს? გამოდის, რომ შაშხანას აგდებთ და გარბიხართ. ეს ხომ დეზერტირობაა.
- არა, ბატონო ჰოფრატო, ეგ გულშიც არ გამივლია, დროა, პოლკში გამოვცხადდე.
- თუკი მე გეტყვით, რომ ნახევარ წელიწადში ნამდვილად გაგიშვებთ, ოღონდ ნახევარ წელიწადზე ადრე თქვენი გაშვება არ შემიძლია-მეთქი, მაინც წახვალთ?
იოახიმი მხედრულად გაიჭიმა, მუცელი შესწია და ყრუ ხმით, მაგრამ მტკიცედ და მოკლედ მოჭრა:
- მე წელიწად-ნახევარზე მეტია აქა ვარ, ბატონო ჰოფრატო. მეტს ვეღარ მოვიცდი. თავიდან სამი თვე დამინიშნეთ, შემდეგ მკურნალობის ვადას სამ-სამი და ექვს-ექვსი თვით მიხანგრძლივებდით, გამოჯანსაღებით კი ვერ გამოვჯანსაღდი.
- მერე მე ვარ დამნაშავე?
- არა, ბატონო ჰოფრატო, მაგრამ მეტის მოცდა აღარ შემიძლია. თუ არ მინდა, სულ გამოვეთხოვო სამხედრო სამსახურს, მაშინ საბოლოო გამოჯანმრთელებას ვერ დაველოდები. ბარში უნდა წავიდე. აღჭურვილობისა და სხვა სამზადისისათვის ცოტა დრო კიდევ მჭირდება.
- თქვენი ოჯახი თანახმაა?
- დედა თანახმაა. საქმეც მოგვარებულია - პირველი ოქტომბრიდან სამოცდამეთექვსმეტე პოლკში იუნკრად ჩავირიცხები.
- მაშ, რისკზე მიდიხართ, არა? - ჰკითხა ბერენსმა და ჩასისხლიანებული თვალები მიაპყრო.
- დიახ, ბატონო ჰოფრატო, - აცახცახებული ტუჩებით მიუგო იოახიმმა.
- რაკი ასეა, აღარაფერი მეთქმის, - ჰოფრატს სახე შეეცვალა, ტანშიც მოიშალა და მოეშვა, - იყოს ნება თქვენი. თავისუფლად, ციმსენ! წადით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე. გეტყობათ, კარგად იცით, რაც გინდათ და პასუხისმგებლობასაც თქვენვე კისრულობთ. ბოლოს და ბოლოს, ეგ თქვენი საქმეა და არა ჩემი. უფრო სწორად, ამ წუთიდან აღარ არის ჩემი საქმე, რაკი მთელ პასუხისმგებლობას თქვენვე კისრულობთ. რა გაეწყობა, საკუთარი თავის პატრონი თვითონვე ბრძანდებით. მე, ჩემი მხრივ, ვერც ვერაფრის გარანტიას მოგცემთ და თავსაც ვერაფერზე დავდებ. ღმერთმა ქნას, გაგიმართლოთ, თქვენი პროფესიის კაცს ჰაერზე მოგიხდებათ დიდხანს ყოფნა და ვინ იცის, იქნებ ავადმყოფობამ ვერ დაგჩაგროთ და საბოლოოდ გამოჯანსაღდეთ.
- მესმის, ბატონო ჰოფრატო!
- თქვენ, თქვენ რაღას აპირებთ სამოქალაქო ფენის წარმომადგენელო? თქვენც გინდათ თან გაჰყვეთ? - ჰანს კასტორპს მიუბრუნდა ბერენსი.
ახლა ჰანს კასტორპს მართებდა კითხვაზე პასუხის გაცემა. ერთი წლის უკან, ზუსტად ამ ადგილზე, ასევე სახეგაფითრებული იდგა ექიმების წინაშე და იმ გასინჯვას მოჰყვა კიდეც მისი პაციენტად მიღება. და აი, დღესაც მაშინდელივით ნათლად ჩანდა, ნეკნებშუა გული როგორ უფეთქავდა.
- ეგ თქვენს მსჯავრზეა დამოკიდებული, ბატონო ჰოფრატო, - უპასუხა მან ბერენსს.
- ჩემს მსჯავრზე, არა? კეთილი და პატიოსანი.
ჰოფრატმა ახალგაზრდა კაცს მკლავში ჩაავლო ხელი, თავისკენ მიიზიდა, ერთხანს უსმინა და უკაკუნა, თანაშემწისათვის არაფერი უკარნახია, გასინჯვა საკმაოდ სწრაფად მოათავა და უთხრა:

- შეგიძლიათ გაემგზავროთ!
ჰანს კასტორპს ენა დაება.
- ესე იგი... როგორ? მაშ, გამოვჯანსაღდი?
- დიახ, ჯანსაღი ხართ, ზემო მარცხენა კერაზე ლაპარაკიც აღარ ღირს. თქვენს ტემპერატურას იმ კერასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ტემპერატურა რისი ბრალია, ვერ გეტყვით. ჩემი ვარაუდით, იგი საშიში არარის. ჩემდათავად ნებას გაძლევთ აქედან წახვიდეთ.
- კი მაგრამ... ბატონო ჰოფრატო... იქნებ ამ წუთში სერიოზულად არ მეუბნებით, წადიო.
- სერიოზულად არ გეუბნებით? აბა, თქვენი აზრით, როგორ უნდა გითხრათ? მაშ, ასეთი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე? თქვენ ვინ გგონივართ? იქნებ საეჭვო სახლის პატრონად მთვლით?!
ჰოფრატი გაალმასდა. ბრაზისაგან სისხლი მოაწვა და სახე იისფრად ჩაუმუქდა, მარცხენა მხარეს ისედაც აწეული ზედა ტუჩი ულვაშიანად აუვიდა მაღლა და ზედა კბილები გამოუჩნდა, თავი ხარივით ააღირა, თვალები კი აუწყლიანდა და ჩაუსისხლიანდა.
- როგორ მიბედავთ! - აყვირდა იგი, - მე, ჯერ ერთი, აქაურობის პატრონი არა ვარ! მე აქ ვმსახურობ! მე ექიმი გახლავართ, მხოლოდ ექიმი, გასაგებია? და თუ გნებავთ, იცოდეთ, არც მაშვალი ვარ და არც ნეაპოლელი სინიორ ამოროზო
(სინიორ ამოროზო - იტალიურად შეყვარებული ბატონი.) ტოლედოს ქუჩიდან. მე ტანჯული კაცობრიობის მსახური გახლავართ! თქვენ თუ შემთხვევითსხვა ვინმე გგონივართ, მაშინ ჯანდაბამდე გზა გქონიათ ორივეს, თავში ქვა გიხლიათ და მუცელში სამართებელი, არჩევანი თქვენთვის მომინდვია! გზა მშვიდობისა!
დოქტორმა ბერენსმა გრძელი და ფართო ნაბიჯით მიაშურა რენტგენის კაბინეტის მოსაცდელში გამავალ კარს და ზურგს უკან მოიჯახუნა.
ბიძაშვილებმა თვალით შემწეობა სთხოვეს დოქტორ კროკოვსკის, მაგრამ იგი ვითომ ქაღალდების ქექვაში იყო გართული და თავი მაღლა არ აუღია. ტანსაცმელი ნაჩქარევად ჩაიცვეს და ოთახიდან გამოვიდნენ. კიბეზე ჰანს კასტორპმა თქვა:
- ეს რა საშინელება იყო?! გინახავს ოდესმე ასე გაალმასებული?
- არასოდეს, მაგრამ ასეთი გამძვინვარება საერთოდ უფროსებმა იციან. ამ დროს ყველაფერს სჯობია მოითმინო და კაცს რისხვა გადმოანთხევინო. რა თქმა უნდა, პოლიპრაქსიოსისა და ნოლტინგის ამბით ნერვებაშლილი კი იყო, მაგრამ ხომ ნახე, - განაგრძო იოახიმმა და აშკარად შეეტყო, თავის საქმეში გამარჯვების გამო სიხარულისგან გული გასკდომაზე რომ ჰქონდა, - ხომ ნახე, როგორ დაიხია უკან და დაყარა ფარ-ხმალი, რომ შემატყო, აღარ ვხუმრობდი? შენსაზე მტკიცედ უნდა დადგე და ვერავინ დაგიბრიყვებს. ახლა, ასე თუ ისე, ნებართვა ხელთა მაქვს, თვითონ არ თქვა, ალბათ გამოჯანსაღდებიო? რვა დღეში წავალთ... სამ კვირაში პოლკში ვიქნები, - გამოასწორა მან, ჰანს კასტორპის სახელით ლაპარაკს მოერიდა და სიხარულისგან აკანკალებული ხმით ნათქვამი სიტყვები საკუთარ თავზე გადაიტანა.
ჰანს კასტორპი დუმდა, არც იოახიმის ნებართვაზე“ დაუძრავს კრინტი და არც თავის საკუთარზე, თუმცა ამ უკანასკნელზე ლაპარაკი კი ნამდვილად მართებდა. სამკურნალო წოლისთვის მზადებას შეუდგა, ჯერ თერმომეტრი ჩაიდო პირში, მერე აქ დამკვიდრებული წმიდათაწმიდა პრაქტიკის წყალობით, რაზეც ბარში წარმოდგენაც არ ჰქონდა არავის, მტკიცედ, სხარტად, ლამის ხელის ერთი მოქნევით გაეხვია აქლემის ბეწვის საბნებში და ადრეული შემოდგომის სუსხსა და ნესტში ასე მორგვივით გამოკრული კარგა ხანს გატრუნული იწვა თავის ჩინებულ სკამლოგინზე.
საავდრო ღრუბლები დაბლა დაწეულიყო, ფანტასტიკური დროშა ჩამოეშვათ, სოჭის სველ ტოტებს აქა-იქ კიდევ შერჩენოდა თოვლი. ქვედა გალერეიდან, საიდანაც ერთი წლის უკან მის ყურს პირველად მოსწვდა ბატონი ალბინის ხმა, ახლა ერთობლივი დუდუნი ამოდიოდა. თვითონ სამკურნალო პროცედურებს ეს წუთია შეუდგა და ნოტიო ყინვისაგან სახე და თითები უკვე გაუშეშდა, მაგრამ ასეთებს კარგა ხანია აღარაფრად აგდებდა, სხვაგვარი ცხოვრება ვეღარც წარმოედგინა, აქაური ცხოვრების წესს მადლობას სწირავდა მონიჭებული

სიკეთისათვის, ასე ნებიერად წოლა და ფიქრი რომ შეეძლო.
გადაწყდა. იოახიმი გაემგზავრებოდა. რადამანთისმა გაუშვა იგი, არა
რიტე , არა როგორც გამოჯანსაღებული, მაგრამ მაინც გაუშვა. ეტყობა, მოუწონა კიდეც ასეთი მტკიცე ნების გამოჩენა. იოახიმი ბარისკენ იზამდა პირს, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ქვევით დაეშვებოდა, ლანდკვარტამდე, რომანსჰორნამდე მივიდოდა, შემდეგ იმ დიდ და უძირო ტბას გადასერავდა, ერთ ლექსს თუ დავუჯერებთ, ვინმე მხედარს ცხენდაცხენ რომ გადაულახავს, მთელ გერმანიას გადაივლიდა და შინ ჩავიდოდა. მერე იქ იცხოვრებდა, ბარის სამყაროში, ისეთ ადამიანებს შორის, ნამდვილ ცხოვრებაზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ, მათ არც თერმომეტრისა გაეგებოდათ რამე, არც საბნებში გახვევის ხელოვნებისა, არც ბეწვგამოკრული საძილე ტომრისა, არც სამჯერადი სავალდებულო გასეირნებისა, არც... ძნელი იყო ყველაფრის თქმა და ჩამოთვლა, რისაც ქვევით მცხოვრებთ არაფერი გაეგებოდათ, და აი, ახლა იოახიმს, მას შემდეგ რაც აქ, ზევით, წელიწად-ნახევარზე მეტი გაეტარებინა, უმეცართა შორის უნდა ეცხოვრა. მართალია, ეს საფრთხე, ამჯერად მხოლოდ იოახიმს ემუქრებოდა და მას, ჰანს კასტორპს, მხოლოდ შორიდან და ისიც სასინჯად თუ შეეხებოდა, მაგრამ ამის წარმოდგენამაც კი ისე შეაკრთო, რომ თვალები დახუჭა და ხელები გაასავსავა.
- შეუძლებელია, შეუძლებელი, ა- წაიბუტბუტა მან.
ჰოდა, რაკი ეს შეუძლებლი იყო, გამოდის, რომ აქ, ზევით, უიოახიმოდ, მარტოდმარტოს მოუწევდა ცხოვრება. დიახ. მერედა, რამდენ ხანს? რამდენ ხანს და, სანამ ბერენსი გამოჯანსაღებულს არ გაუშვებს აქედან, სანამ სერიოზულად არ გაუშვებს, დღევანდელივით კი არა! კარგი, ასე იყოს, მაგრამ ამით ხომ ისეთივე განუსაზღვრელ ვადას უდებდა საკუთარ თავს, ერთხელ სხვა რომელიღაც ამბავთან დაკავშირებით იოახიმმა განუზომლობის ნიშნად ჰაერში რომ შემოხაზა. ესეც არ იყოს, ვითომ შეუძლებელი მაშინ კი უფრო შესაძლებელი გახდებოდა? სწორედ რომ პირიქით, ბოლომდე თუ გვინდოდა გულახდილობა გამოგვეჩინა, სწორედ ახლა უწვდიდნენ დახმარების ხელს და შეუძლებელიც, ალბათ, არც ისე შეუძლებლი ჩანდა, როგორიც შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყო. იოახიმის თვითნებური გამგზავრების წყალობით საყრდენი და წინამძღოლი მოვლენოდა ბარისკენ მიმავალ გზაზე, თორემ ამ გზას თავისით ვეღარასოდეს გაიგნებდა. ეს ამბავი რომ გაეგო, რას აღარ იზამდა ჰუმანისტი პედაგოგი, ოღონდ კი მისთვის შთაეგონებინა, გამოწვდილ ხელს ჩასჭიდებოდა და იმ წინამძღოლს გაჰყოლოდა! მაგრამ ბატონი სეტემბრინი რომ ძალებსა და მოვლენებს განადიდებდა, განა ამქვეყნად მხოლოდ ის ძალები და მოვლენები იყოსავალდებულო და საყურადღებო? იოახიმიც ხომ ასევე იქცეოდა. იგი სამხედრო გახლდათ, დიახ, დიახ, და ლამის იმ დროს მიდიოდა აქედან, როცა მკერდმაღალი მარუსიას უკან დაბრუნებამდე სულ ცოტაღა რჩებოდა (ცნობის თანახმად მარუსიას პირველ ოქტომბერს ჩამოელოდნენ), მას კი, სამოქალაქო პირს, ჰანს კასტორპს, მოკლედ და გასაგებად თუ ვიტყვით, გამგზავრება სწორედ იმიტომ ეჩვენებოდა შეუძლებელი, რომ თვითონ კლავდია შოშას უნდა დალოდებოდა, თუმცა მის დაბრუნებაზე ჯერ არაფერი ისმოდა. ეგ გულშიც არ გამივლიაო, უპასუხა იოახიმმა, რადამანთისმა დეზერტირობა რომ დასწამა და მართლაც, ჰოფრატმა მხოლოდ გულგარეშე წამოროშა ეს სიტყვები, თორემ იოახიმს დეზერტირი ხომ არ ეთქმოდა. სამაგიეროდ, მისი საქმე, როგორც სამოქალაქო პირისა, სულ სხვაგვარად გახლდათ. მას (დიახ, ეჭვიც არ ეპარება, რომ ასეა! სწორედ თავის გრძნობათა სამყაროდან ამ საბოლოო აზრის ამოსაჩხრეკად დაწვა დღეს აივანზე ამ ნოტიო სიცივეში), მას სწორედ ის ჩაეთვლებოდა დეზერტირობად, შემთხვევით თუ ისარგებლებდა და ბარში უნებართვოდ ან ნახევრად უნებართვოდ გაემგზავრებოდა. ეს იქნებოდა იმ დიდი პასუხისმგებლობის ღალატი, უმაღლესი წარმონაქმნის,
ჰომო დეი- დ წოდებული ხატის ჭვრეტისას აქ, ზევით რომ ჩაესახა. ეს იქნებოდა იმ მძიმე და მწველი, თუნდაც მის ძალებზე აღმატებული, მაგრამ მაინც ავანტიურისტული ბედნიერების მომნიჭებელი მართვის მოვალეობის ღალატი, რასაც იგი თავის ლოჯიასა და იმ ლურჯად მობიბინე კუთხეში მთელი არსებით ეძლეოდა ხოლმე.

ჰანს კასტორპმა პირიდან ისევე მოუთმენლად გამოიღო თერმომეტრი, როგორც მაშინ, უფროსმა ექთანმა ეს კოპწია ხელსაწყო რომ მიჰყიდა და სიცხე პირველად რომ გაისინჯა. ახლაც მაშინდელივით სულსწრაფად დახედა თერმომეტრს, მერკური კარგა მაღლა ავარდნილიყო, იგი ოცდაჩვიდმეტსა და რვას, ლამის ცხრა ხაზს უჩვენებდა.
ჰანს კასტორპმა საბნები მოიშორა, ფეხზე წამოხტა და ოთახში ლოჯიის კარიდან დერეფანში გამავალ კარამდე რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, შემდეგ კვლავ ჰორიზონტალური მდებარეობა მიიღო და იოახიმს წყნარად გასძახა, სიცხე რამდენი გაქვსო.
- მე აღარ ვიზომავ, - უპასუხა იოახიმმა.
- ო, მე კი ტემპუსს ვუმატებ, - ფრაუ შტორის „შამპუნის“ ანალოგიით მიუგო ჰანს კასტორპმა, მაგრამ შუშის ტიხარს იქიდან არავინ გამოხმაურებია.
იოახიმს არც შემდეგ უთქვამს რამე, არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში ჩასძიებია, რა გადაწყვიტე, რა გზას ადგებიო. გამგზავრებამდე ისე ცოტა დრო იყო დარჩენილი, ჰანს კასტორპი თუ რაიმეს აპირებდა, ეს ან მოქმედებაში უნდა გამომჟღავნებულიყო, ან უმოქმედობაში და ასეც მოხდა, ოღონდ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ჰანს კასტორპი, ეტყობა, კვიეტიზმის მიმდევარი გახლდათ, კვიეტიზმი კი მოგვიწოდებდა, ქმედება ღმერთის შეურაცხყოფას ნიშნავს, რამეთუ მას ერთსა აქვს მინიჭებული ქმედების უფლებაო. ასე იყო თუ ისე, იმ დღეებში ჰანს კასტორპის აქტიურობა ბერენსთან ვიზიტით შემოიფარგლა. იგი რომ ბერენსთან განმეორებით საუბარს აპირებდა, ეს იოახიმს კარგად მოეხსენებოდა და ამ საუბრის მსვლელობაც და შედეგებიც წინასწარ ხუთი თითივით იცოდა. ბიძაშვილმა მართლაც განუცხადა, ვამჯობინებ, ჰოფრატ ბერენსის ადრინდელ შეგონებებს უფრო დავენდო, ვიდრე აღელვებული კაცის ნაჩქარევი სიტყვები ვირწმუნოო. ხომ მეუბნებოდა, ჯობია ერთხელ და სამუდამოდ გამოჯანსაღდე, რომ უკან დაბრუნება აღარ მოგიხდესო, 37,8 მაქვს სიცხე, ამ სიცხის პატრონი
რიტე გაშვებულად მაინც ვერ ვიგრძნობ თავსო და თუკი ჰოფრატს იმ დღეს ჩემი აქედან გაგდება არ ჰქონდა განზრახული, რისი საბაბიც ნამდვილად არ მიმიცია, მაშინ დინჯად თუ ავწონ-დავწონი ყველაფერს, ნამდვილად ჯობია, ერთხანს კიდევ დავრჩე და ორგანიზმიდან შხამის გამოდევნას დაველოდოო. ამაზე ჰოფრატი თითქმის სიტყვასიტყვით ასე უპასუხებდა:
ბონ , კეთილი და პატიოსანი! რას ბრძანებთ, საწყენი არაფერიაო, ნამდვილად ჭკვიანურად მსჯელობთო, მე ხომ მაშინვე მივხვდი, თქვენ რომ პაციენტობის მეტი ნიჭი აღმოგაჩნდებოდათ, ვიდრე თქვენს ბიძაშვილს, სულ ხმლის ქნევასა და აქედან გაქცევაზე რომ უჭირავს თვალიო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.
მოკლედ, იოახიმის გაანგარიშება საკმაოდ ზუსტი გამოდგა: ეს საუბარი დაახლოებით ასეც წარიმართა და ბიძაშვილისთვის ამიტომაც აღარაფერი უკითხავს, უსიტყვოდ გადაწყვიტა, ჰანს კასტორპი, როგორც ჩანს, ჩემთან ერთად გასამგზავრებლად არ ემზადებაო, თვითონ კი იმდენი საქმე ჰქონდა, ბიძაშვილის წამოსვლა-დარჩენაზე ფიქრით თავს ამაზე მეტად ვეღარ შეიწუხებდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ქარიშხალი უტრიალებდა გულში. ალბათ, ჯობდა, სიცხეს რომ აღარ იზომავდა, თუმცა თერმომეტრი მაინც აღარ ჰქონდა, ვითომ შემთხვევით გაუვარდა ხელიდან და გაუტყდა: ტემპერატურის მონაცემებს შეიძლებოდა შეცდომაში შეეყვანა კაცი, რადგან იოახიმის მდგომარეობა ამ დღეებში წამდაუწუმ იცვლებოდა: ხან წამოახურებდა და წამოწითლდებოდა, ხან კი სიხარულისა და მღელვარებისგან ფერი მისდიოდა. წოლა აღარ შეეძლო, ჰანს კასტორპს ესმოდა, მთელი დღე ოთახში ბოლთას როგორ სცემდა და თანაც იმ საათებში, როცა დღეში ოთხჯერ მთელი „ბერგჰოფი“ ჰორიზონტალურად განისვენებდა. წელიწად-ნახევარი! ახლა კი კვლავ ბარში ჩასვლა, შინ ყოფნადა მერე, თუნდაც სანახევრო ნებართვით, მაგრამ მაინც პოლკში გამოცხადება! განა ეს უბრალო ამბავია? ჰანს კასტორპი აწრიალებულ ბიძაშვილს სულითა და გულით თანაუგრძნობდა. თვრამეტი თვის, სრული ერთი წელიწადისა და კიდევ ნახევარი წლის გატარება აქ, ზევით, ასე ღრმად შეტოპვა, აქაური ცხოვრების კალაპოტში ჩადგომა, შვიდჯერ სამოცდაათი დღის განმავლობაში აქაური წესითა და რიგით, აქაური რიტმით ცხოვრება და მერე შინ დაბრუნება, უცხოობაში, უმეცართა წრეში

დაბრუნება! ვინ იცის, იქ როგორ გაუძნელდეს აკლიმატიზაცია! და განა გასაკვირია, იოახიმის მღელვარებაში მხოლოდ სიხარულს კი არა, ძრწოლასა და შეჩვეულ ყოფასთან გამომშვიდობების სიმძიმილსაც თუ ედო წილი? მარუსიაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, ესეც კმაროდა, რომ ოთახში ეწრიალა.
მაგრამ სიხარულმა ყველაფერი გადაწონა. გული სიხარულს ვეღარ იტევდა და იოახიმიც ენად გაიკრიფა, სულ საკუთარ თავზე ლაპარაკობდა, ბიძაშვილის მომავალს აღარ კითხულობდა. ამიერიდან ყველაფერი შეიცვლებოდა, ცხოვრება თავიდან დაიწყებოდა, თვითონაც შეიცვლებოდა და დროც, ყოველი დღე, ყოველი საათი სიახლეს მოუტანდა. დრო-ჟამს სიდარბაისლე და წონა დაუბრუნდებოდა, ნელა და მძიმედ გავიდოდა ახალგაზრდული წლები. იგი ახსენებდა დედას, ჰანს კასტორპის არაღვიძლ დეიდას, რომელსაც იოახიმივით ნაზი, შავი თვალები ჰქონდა. იოახიმს მთელი ამ დროის განმავლობაში არ ენახა დედა, რადგან ისიც, იოახიმისა არ იყოს, თვიდან თვემდე ელოდა მთებში ყოფნის ვადის გასვლას და აქეთ წამოსვლა ვერა და ვერ გადაეწყვიტა. იოახიმი სახეგაცისკროვნებული ლაპარაკობდა, სულ მალე დროშის წინაშე დავდებ ფიცსო და მართლაც ასე იყო: ფიცს საზეიმოდ დებდნენ დროშის წინაშე, ერთგულებას სწორედ მას შეჰფიცავდნენ.
- მართლა? - ეკითხებოდა ჰანს კასტორპი, - სერიოზულად? დროშის ტარს, უბრალო ქსოვილის ნაჭერს უნდა შეჰფიცო ერთგულება?
ჰო, დროშას, არტილერიაში კი სიმბოლურად ქვემეხის წინაშე დებენ ფიცსო. ეს რა ამაღელვებელი ადათ-წესები გქონიათო, უკვირდა სამოქალაქო პირს, გულის ამაძგერებელი, ფანატიკურიც კი ეთქმისო, ეუბნებოდა იოახიმს და ისიც ამაყად, სახეგაცისკროვნებული უქნევდა თავს.
იოახიმს სამზადისის მეტი აღარაფერი ახსოვდა, დირექციაში ანგარიში გაასწორა და გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო ჩემოდნების ჩალაგება, ჩაალაგა საზაფხულო და საზამთრო ტანსაცმელი, ხოლო ბეწვგამოკრული საძილე ტომარა და აქლემის ბეწვის საბნები მსახურს ჯვალოში გამოაკერვინა, იქნებ მანევრებზე დამჭირდესო. დაიწყო გამოსამშვიდობებელი დღეები. ნაფტასა და სეტემბრინის იოახიმი მარტო ესტუმრა, რადგან ბიძაშვილს თან გაყოლის სურვილი არ გამოუმჟღავნებია და არც მერე უკითხავს, სეტემბრინიმ შენს გამგზავრებასა და ჩემს დარჩენაზე რა თქვაო. არც კი დაინტერესებულა, მხოლოდ ხედავთ, ხედავთ“ თქვა, „მაშ, ასე“ თუ ორივე ერთად ან იქნებ სულაც
პოვერეტტო “ წამოიძახაო.
დადგა გამგზავრების წინადღე. იმ დღეს იოახიმმა უკანასკნელად იგემა ყველა ტრაპეზი, არც ერთი სამკურნალო წოლის საათი, არც ერთი სავალდებულო გასეირნება არ გამოუტოვებია და ექიმებსაც და უფროს ექთანსაც გამოემშვიდობა. გათენდა ის დილაც: იოახიმი საუზმეზე გამოცხადდა, მთელი ღამის უძილოს თვალები უელავდა და ხელები ყინულივით ცივი ჰქონდა, საუზმეზე პირი თითქმის არაფრისთვის დაუკარებია, ლილიპუტმა როგორც კი მოახსენა, ეტლში ბარგი უკვე ჩალაგებულიაო, მაშინვე წამოხტა და თანამესუფრეებს ნაჩქარევად გამოემშვიდობა. ფრაუ შტორმა ცრემლები გადმოყარა, გაუნათლებელი ადამიანის იოლად მომდინარე, მტკნარი ცრემლები, და მაშინვე იოახიმის ზურგს უკან სახისმანჭვას მოჰყვა, მასწავლებელს თავის ქნევით და ხელების პარჭყვით ანიშნა, აქაოდა, მეეჭვება, ეს თვითნებური გამგზავრება კეთილად დამთავრდესო. ჰანს კასტორპი ამ დროს ზეზეურად ცლიდა თავის ფინჯანს, რომ ბიძაშვილს ფეხდაფეხ მიჰყოლოდა, და ყველაფერი დაინახა. იოახიმს კიდევ აქაური მომსახურე პერსონალი უნდა დაესაჩუქრებინა და დირექციის წარმომადგენლის ოფიციალურ გამოსამშვიდობებელ სიტყვაზეც უნდა ეპასუხა. პაციენტები ჩვეულებისამებრ გამოეფინნენ გამგზავრების საყურებლად: აქ გახლდნენ ფრაუ ილტისი თავის სტერილეტითურთ“, სპილოსძვლისფერი ლევი და თავაშვებული პოპოვი თავისი საცოლითურთ. ისინი ცხვირსახოცებს იქნევდნენ, მეეტლე კი ამასობაში უკანა თვალს მუხრუჭით იჭერდა და ეკიპაჟი თავდაღმართში ნელ-ნელა, ხრაშახრუშით ჩაჰყავდა. იოახიმს ვარდები მიართვეს. მას თავზე შლაპა ეხურა, ჰანს კასტორპი კი თავშიშველი იყო.
დიდებული დილა გათენდა, ხანგრძლივი ღრუბლიანობის შემდეგ დღეს

პირველად გამოანათა მზემ. შიაჰორნი, მწვანე კოშკები, დორფბერგის გუმბათისებური მწვერვალი ზედმიწევნით მკაფიოდ იხატებოდა ლაჟვარდი ცის ფონზე და იოახიმი მიდამოს თვალს ვეღარ აშორებდა. როგორ მწყინს, მაინცდამაინც შენი გამგზავრების დღეს რომ გამოიდარაო, უთხრა ჰანს კასტორპმა. თითქოს ჯიბრზე იქცევა ამინდი, პირმოქუშული დღე განშორებას აიოლებსო. არავითარი გაიოლება მე არ მჭირდება, პირიქით, კარგი ამინდი სამხედრო მომზადებისათვის ზედგამოჭრილია, ბარშიც გამომადგებაო, უპასუხა იოახიმმა. საერთოდ კი ცოტას ლაპარაკობდნენ. მათი პირადი საქმეებიც და მათი ურთიერთობაც ამ ბოლო დროს ისე წარიმართა, რომ საუბარი არ ეწყობოდა. ესეც რომ არა, წინ, კოფოზე, კოჭლი მსახური ეჯდათ.
თვითონ მაღლა ისხდნენ და კაბრიოლეტის მაგარ ბალიშებზე ეხეთქებოდნენ. ასე მოიტოვეს უკან ჩანჩქერიდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, მის გასწვრივ უსწორმასწოროდ განაშენიანებულ ქუჩაზე გავიდნენ და სადგურისწინა მოკირწყლულ მოედანზე შეჩერდნენ. სადგურ სოფლის“ შენობას ფარდული უფრო ეთქმოდა. ჰანს კასტორპმა სადგური იცნო და შეკრთა, აქ ცამეტი თვის წინ, საღამო ხანს რომ გადმოვიდა მატარებლიდან, მას შემდეგ აქაურობა აღარ ენახა.
- მეც ამ სადგურზე არ ჩამოვედი?! - როყიოდ წამოიძახა მან. იოახიმმა მხოლოდ ეს უპასუხა, აბა, რა გეგონაო, და მეეტლე გაისტუმრა.
მარდმა კოჭლმა მსახურმა ყველაფერზე იზრუნა, - ბარგიც დააბინავა და ბილეთიც იყიდა. ბიძაშვილები ბაქანზე გვერდიგვერდ იდგნენ მინიატიურულ მატარებელთან, პატარა კუპეს წინ, სადაც სავარძლებს რუხი მაუდი ჰქონდა გადაკრული, და სადაც იოახიმს უკვე დაებინავებინა პალტო, პლედი და ვარდები.
- აბა, შენ იცი, დადე შენი რომანტიკული ფიცი! - უთხრა იოახიმს ჰანს კასტორპმა და მანაც მიუგო.
- არის, დავდო ფიცი!
რაღა დარჩა სათქმელი? უკანასკნელად დააბარეს ერთმანეთს მოკითხვა: ერთმა ბარელებთან, მეორემ ზემოურებთან, შემდეგ ჰანს კასტორპი ერთხანს თავისი ხელჯოხით ასფალტზე რაღაც ფიგურებს ხაზავდა. ამასობაში მგზავრებს მატარებელში ასასვლელად მოუხმეს, ჰანს კასტორპი შეკრთა და ბიძაშვილს შეხედა. ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს. ჰანს კასტორპი უაზროდ იღიმებოდა, იოახიმი კი სერიოზული სახით შეჰყურებდა და თვალებში ნაღველი და მუდარა ეხატებოდა.
- ჰანს! - წარმოთქვა შემდეგ. ღმერთო დიდებულო! ამაზე საშინელი განა შეიძლებოდა რაიმე მომხდარიყო? მან ჰანს კასტორპს სახელით მიმართა! „შენო“ ან ადამიანოო“ კი არ უთხრა, როგორც მთელი სიცოცხლე მიმართავდნენ ერთმანეთს, არამედ ყოველგვარი თავდაჭერილობის ჯიბრზე გადალახა უხერხულობისა და ცერემონიის მიჯნები და ბიძაშვილს სახელი დაუძახა!
- ჰანს, - გაუმეორა მან, მუდარითა და შიშით მოუჭირა ხელზე ხელი და ჰანს კასტორპმა შეამჩნია, რომ ღამენათევ, მგზავრობის ციებ-ცხელებით შეპყრობილ, აღელვებულ იოახიმს ისევე უცანცარებდა თავი, როგორც თვითონ ემართებოდა ხოლმე მართვისას“.
- ჰანს, - შეევედრა იგი, - მალე ჩამოდი!
მეტი აღარაფერი უთქვამს, ფეხი კიბის საფეხურზე შედგა, ვაგონის კარი დაიკეტა, გაისმა სასტვენის ხმა, ვაგონები ერთმანეთს მიაწყდნენ, პატარა ორთქლმავალი დაიძრა და მატარებელი ლიანდაგზე ნელა გასრიალდა. მიმავალი ფანჯარაში გადმომდგარიყო და შლაპას იქნევდა, აქ დარჩენილი კი გამოთხოვების ნიშნად კარგა ხანს უქნევდა ხელს. გულმოკლული ჰანს კასტორპი კიდევ დიდხანს იდგა ბაქანზე მარტოდმარტო, შემდეგ აუჩქარებლად დაადგა იმ გზას, იოახიმმა კარგა ხნის წინ რომ ამოატარა.

მოგერიებული იერიში

დროის ბორბალი ბრუნავდა. დიდი ისარი წინ მიიწევდა. აღარც ჯადვარი და წყალიკრეფია ყვაოდა და აღარც ველური მიხაკი. სველ ბალახში კვლავ ამოეყო თავი გვრიტას მუქ ლურჯ, ვარსკვლავისებურ ყვავილებსა და უფერულ, შხამიან სათოვლიებს, ტყიან ზოლს კი ჟანგისფერი მოჰკიდებოდა. შემოდგომის

დღეღამსწორობის ჟამი გავიდა, მოახლოვდა მიცვალებულთა ხსენების დღე, ხოლო დროის ფლანგვაში დახელოვნებულთათვის შობისწინა მეოთხე კვირადღე, ანუ წელიწადის უმოკლესი დღე და თვით შობის დღესასწაულიც შორს აღარ იყო. სინამდვილეში კი ჯერ კიდევ ოქტომბერი იდგა და ერთმანეთს წაეწყო მშვენიერი დღეები - სწორედ იმ დღის მსგავსი, ერთხელ ბიძაშვილებმა ჰოფრატის ტილოები რომ დაათვალიერეს.
იოახიმის წასვლის შემდეგ ჰანს კასტორპი შტორის მაგიდასთან აღარ იჯდა, აღარ იჯდა იმ მაგიდასთან, რომელსაც სამარადისოდ დამშვიდობებოდა დოქტორი ბლუმენკოლი და სადაც მარუსია უმიზეზო მხიარულების ჩასახშობად პირში ფორთოხლისსუნამოიან ცხვირსახოცს იტენიდა ხოლმე. იქ ახლა სულ სხვა უცხო პაციენტები ისხდნენ, ჩვენი მეგობრისთვის კი სანატორიუმის დირექციას მეორე წლის დაწყებიდან ორ-ნახევარი თვის თავზე მეზობელ მაგიდასთან მიეჩინა ადგილი. ის მაგიდა ძველისგან ალმაცერად იდგა, ვერანდაზე გამავალ მარცხენა კართან უფრო ახლოს, მის ყოფილ მაგიდასა და „კარგ რუსულ მაგიდას“ შორის, მოკლედ, იგი სეტემბრინის მაგიდასთან დაესვათ. დიახ, ჰანს კასტორპი ახლა ჰუმანისტის დაობლებულ ადგილზე, კვლავ სუფრის ბოლოში, ექიმის სკამის პირდაპირ იჯდა. ჰოფრატისა და მისი ფამულუსისთვის ხომ შვიდივე მაგიდაზე გახლდათ თითო ადგილი შემონახული.
იქ, სუფრის თავში, სამედიცინო პრეზიდიუმის ხელმარცხნივ, რამდენიმე ბალიშზე წამოსკუპებულიყო მოყვარული ფოტოგრაფი, კუზიანი მექსიკელი, რომელმაც ერთადერთი ენა იცოდა და ამიტომ მუდამ ყრუ-მუნჯივით უმეტყველო სახით იყურებოდა. მექსიკელს გვერდით ერთი ტრანსილვანიელი შინაბერა ეჯდა, რომელზეც ჯერ კიდევ სეტემბრინი ჩიოდა, ყველას თავი მოგვაბეზრა საკუთარ სიძეზე ლაპარაკით, თუმცა იმ კაცს არც არავინ იცნობს და არც არავის აქვს სურვილი იცნობდესო. ეს ქალი ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, აივანზე გადმოდგებოდა, მოსავადებული ვერცხლის კაუჭით დამშვენებულ ჯოხს, რომელსაც სავალდებულო გასეირნებაზეც კი ხმარობდა, მხრებზე გარდიგარდმო გაიდებდა, თეფშივით მიბრტყელებულ მკერდს გამოზნექდა და ჰიგიენური სუნთქვის ვარჯიშებს ასრულებდა ხოლმე. ამ ქალის წინ ერთი ჩეხი იჯდა, რომელსაც ბატონ ვენცელს ეძახდნენ, რადგან მისი ნამდვილი გვარის გამოთქმა არავის შეეძლო. თავის დროზე ბატონი სეტემბრინი ვითომ ცდილობდა მის გვარში ერთმანეთზე მიჯრილი თანხმოვნები წარმოეთქვა, სინამდვილეში კი უნდოდა, ლათინურ კულტურაზე აღზრდილი კაცის კეთილშობილური უმწეობა ეჩვენებინა, თანხმოვანთა ამ ეკალბარდებთან, აბა, რას გახდებიო. თუმცა ჩეხი მაჩვივით ჩაკურატებულიყო და გამგელებული მადით ბერგჰოფელებშიც კი გამოირჩეოდა, ოთხი წელია ირწმუნებოდა, უეჭველად მოვკვდებიო. საღამოს თავყრილობებზე ბაფთიანი მანდოლინა დაჰქონდა, ზედ მშობლიურ სიმღერებს აჟღარუნებდა და თავისი შაქრის ჭარხლის პლანტაციების ამბებს ჰყვებოდა, სამუშაოდ სულ ლამაზ-ლამაზი გოგოები დამიდიანო. ჰანს კასტორპთან სულ ახლოს, ერთმანეთის პირისპირ ბატონი და ქალბატონი მაგნუსები ისხდნენ, რომლებსაც ჰალეში ლუდის სახდელი ქარხანა ჰქონდათ. ეს წყვილი მელანქოლიურ ატმოსფეროში იყო გახვეული, რადგან ორივე ნივთიერებათა ცვლის უმნიშვნელოვანეს პროდუქტებს კარგავდა - ბატონი მაგნუსი შაქარს, ხოლო ქალბატონი მაგნუსი ცილას. სახეგაცრეცილ ფრაუ მაგნუსს მაინც ხომ ისე ჩამოსტიროდა სახე, ეტყობოდა, იმედი გადაწურული ჰქონდა. სულიერი სიღატაკე სარდაფის შმორივით მოქროდა მისი არსებიდან, ამ ქალში ლამის უმეცარ ფრაუ შტორზე უფრო მკაფიოდ ერწყმოდა ერთმანეთს ავადმყოფობა და სისულელე, რაც ჰანს კასტორპს უკვირდა და ეხამუშებოდა, თუმცა ამის გამო ბატონ სეტემბრინისაგან ერთხელ უკვე საყვედური ჰქონდა მიღებული. ბატონ მაგნუსს ცოლთან შედარებით ჭკუაც უფრო უჭრიდა და ენაც, ისევე როგორც წინათ, ბატონ სეტემბრინის ლიტერატურულ მოთმინებას რომ აკარგვინებდა ხოლმე. გარდა ამისა, ბატონმა მაგნუსმა გაალმასებაც იცოდა, მაგალითად, ბატონ ვენცელთან პოლიტიკური თუ სხვა საკითხების გამო ხშირად მოსდიოდა შეტაკება. ბატონ მაგნუსს ჯერ ისიც ვერ მოენელებინა, ჩეხს რომ ეროვნული თავმოყვარეობა გააჩნდა და იმას როგორღა შეარჩენდა, ბატონი ვენცელი თავს ალკოჰოლიზმის მტრად რომ აცხადებდა და ამბობდა, ლუდის გამომხდელის პროფესია

მორალური თვალსაზრისით დასაგმობიაო. სახეწამოჭარხლებული ბატონი მაგნუსი კი ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თვისებებს მიაწერდა იმ სასმელს, რომელთანც მისი საარსებო ინტერესები იყო მტკიცედ გადაჯაჭვული. წინათ ამდაგვარ შეხლა-შემოხლას ბატონი სეტემბრინი იუმორით ჩააწყნარებდა ხოლმე, მის ადგილზე დამკვიდრებულ ჰანს კასტორპს კი საიმისო არც მოქნილობა ჰყოფნიდა და არც ავტორიტეტი, ამ საქმეში მისი მაგივრობა გაეწია.
ჰანს კასტორპს მხოლოდ ორ თანამესუფრესთან ჰქონდა ურთიერთობა: ერთი მის ხელმარცხნივ იჯდა. ეს გახლდათ პეტერბურგელი ა. კ. ფერგე, გულკეთილი მარტვილი, დაფანჩულ ჟღალ ულვაშში რომ დუდღუნებდა და ჰანს კასტორპს კალოშების წარმოების, რუსეთის იმპერიის შორეული მხარეების - პოლარული წრისა და ნორდკაპზე გამეფებული მარადიული ზამთრის ამბებს უყვებოდა. ისინი ზოგჯერ სავალდებულო გასეირნებაზეც ერთად დადიოდნენ, მეორე კი სუფრის თავში იჯდა მექსიკელიკუზიანის წინ და თუ შემთხვევა მიეცემოდა, მათ მესამე კაცად ეკედლებოდა ხოლმე. ეს ის თმაშეთხელებული, კბილებდაჭიანებული მანჰაიმელი გახლდათ, გვარად ვეეზალი, ვაჭარი ფერდინანდ ვეეზალი, მომხიბლავ ფრაუ შოშას უსასოო ჟინით აღსავსე მზერას რომ არ აცილებდა და ყველიერის ღამის შემდეგ თავგამოდებით რომ ცდილობდა, ჰანს კასტორპს დაახლოებოდა.
იგი ჯიუტად, მორჩილად, მონური ერთგულებით მიილტვოდა მისკენ და ჰანს კასტორპს ზიზღნარევ ძრწოლას ჰგვრიდა. ჰანს კასტორპი მშვენივრად ხვდებოდა, ამ ერთგულებაში რა რთული აზრიც იმალებოდა, მაგრამ თავს მაინც ვალდებულად თვლიდა, მანჰაიმელს ადამიანურად მოპყრობოდა. ისიც იცოდა, რომ იმ საცოდავის დასაფრთხობად ერთი შუბლის შეკვრა კმაროდა და ამიტომ მოთმინებით იტანდა ვეეზალის მონური ბუნების გამოვლინებებს - ვეეზალი შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ ფეხქვეშ არ გაგებოდა და არ მილაქუცებოდა. ჰანს კასტორპი იმასაც იტანდა, სავალდებულო გასეირნებისას ვეეზალი პალტოს რომ ჩამოართმევდა, მკლავზე გადაიკიდებდა და ლამის სასოებით დაატარებდა, დაბოლოს, მანჰაიმელის მოსაწყენ ლაპარაკსაც მოთმინებით უგდებდა ხოლმე ყურს. ვეეზალს, მაგალითად, ასეთი კითხვების დასმა უყვარდა: ღირს თუ არა სიყვარული აუხსნა ქალს, რომელიც ზედაც არ გიყურებს, ერთი სიტყვით, მაინტერესებს, უიმედო სიყვარულის გამხელაზე ბატონები რა აზრის ბრძანდებიანო. მე, ჩემდათავად, მგონია, რომ უეჭველად უნდა ღირდეს, რადგან სიყვარულში გამოტყდომა ადამიანს უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებსო. მართალია, სიყვარულში გამოტყდომის თვით აქტი ზიზღის გამომწვევიცაა და დამამცირებელიც, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ წუთში მაინც ხომ აღგიძრავს სასურველ არსებასთან სრული სასიყვარულო სიახლოვის განცდას, ძალაუნებურად ახედებს მას შენს სულში, შენი ვნების სტიქიაში ითრევს და თუნდაც ამით დასრულდეს ყველაფერი, იმ ერთ წუთში განცდილი უსასოო ნეტარება სამუდამო დანაკარგსაც კი გინაზღაურებს, სიყვარულში გამოტყდომა თავისთავად ძალადობას ნიშნავს და რაც უფრო დიდი ზიზღი აღუდგება მას წინ, მით უფრო დიდ ნეტარებას განიჭებსო. ამ სიტყვების გაგონებაზე ჰანს კასტორპს ერთხელ ისე მოეღუშა სახე, რომ ვეეზალი დაფრთხა და გაჩუმდა, თუმცა ჩვენი გმირი იმიტომ როდი მოღუშულა, აქაოდა, ასეთი ლაპარაკი ჩემს ზნეობრივ მრწამსს შეურაცხყოფსო, იგი გულკეთილ ფერგეს მოერიდა, რომლისთვისაც, მისივე სიტყვით, უცხო ხილი იყო მაღალი და რთული მატერიები. ვინაიდან სულაც არ ვაპირებთ ჩვენი გმირი იმაზე უარესად ან უკეთესად მოგაჩვენოთ, ვიდრე სინამდვილეში იყო, ამიტომ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: როცა საბრალო ვეეზალმა ჰანს კასტორპი დაიმარტოხელა და დაეღრიჯა, იმ ყველიერის ღამის განცდები და შთაბეჭდილებები, ღვთის გულისათვის, დაწვრილებით მიამბეო, ჰანს კასტორპმა გულკეთილობა გამოიჩინა და არ გააწბილა იგი, ოღონდ მკითხველი ნუ იფიქრებს, თითქოს ის ნაჩუმათევი სცენა რითიმე შეებღალოს და დაეკნინებინოს. არა, მაგრამ მაინც გვაქვს საიმისო მიზეზები, ამ ამბის მოყოლა მასაც ავარიდოთ და ჩვენს თავსაც, ოღონდ იმას კი დავძენთ, რომ ვეეზალი მას შემდეგ სულგრძელი ჰანს კასტორპის პალტოს გაორმაგებული ერთგულებით დაატარებდა.
სულ ესაა, რაც ჰანსის ახალ თანამესუფრეებზე გვინდოდა გვეთქვა. მის

ხელმარჯვნივ ადგილი თავისუფალი იყო, ის ადგილი მხოლოდ დროებით, სულ რამდენიმე დღით, ეკავა ერთ ისეთივე სტუმარს, როგორიც ოდესღაც თვითონ იყო, მის ნათესავს, ბარიდან ამოსულ კაცს, ანუ ბარიდან გამოგზავნილ დესპანს, მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმ ადგილზე ჰანსის ბიძა ჯეიმს ტინაპელი იჯდა.
მოხდა საოცრება, ჰანს კასტორპს უეცრად გვერდით მოუჯდა სამშობლოს წარმომადგენელი და წარმოგზავნილი და თან მოიყოლა სადღაც ღრმად ჩაკარგული ზესკნელის“ ძველი, წინანდელი, მივიწყებული ცხოვრების სიო, რომელიც მისი ინგლისური კოსტიუმის ქსოვილს შემოენახა. მოსახდენი უნდა მომხდარიყო. ჰანს კასტორპი გულში დიდი ხანია შეეგუა აზრს, ბართან ამდაგვარი შეჯახება მომიწევსო და ის პიროვნებაც სწორად გამოიცნო, ვისაც ახლა მართლა ეკისრა მზვერავის მისია. ამის გამოცნობა არც ისე ძნელი იყო, რადგან მუდამ ზღვაში მონაოსნე პეტერი დესპანად ნაკლებად გამოდგებოდა, ხოლო ძია ტინაპელს აქაური მაღალი ატმოსფერული წნევის ისე ეშინოდა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი რომ ჩაგებათ, აქ ვერ ამოიყვანდით. არა, მხოლოდ ჯეიმსისათვის თუ შეიძლებოდა შინაურებს დაკარგულის მოძებნა დაევალებინათ. მის ჩამოსვლას ჰანს კასტორპი უფრო ადრეც ელოდა, თორემ მას შემდეგ, რაც იოახიმი მარტო დაბრუნდებოდა შინ და ნათესავებს აქაურ ვითარებას აუწერდა, თავდასხმა აუცილებელი და გარდაუვალი ჩანდა. ამიტომ ჰანს კასტორპს სულაც არ გაჰკვირვებია, იოახიმის გამგზავრებიდანთოთხმეტი დღის შემდეგ კარისკაცმა დეპეშა რომ მოუტანა. წინასწარ მიხვდა, დეპეშაში რაც ეწერებოდა და არც შემცდარა, დეპეშა ჯეიმს ტინაპელის ჩამოსვლას იუწყებოდა. ჯეიმსს შვეიცარიაში საქმეები გამოსჩენოდა და ბარემ ჰანსის მთებში ამოსვლაც გადაეწყვიტა. იგი ზეგ ჩამოდიოდა.
„ძალიან კარგი“, გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, „მშვენიერია“, დასძინა გულშივე და „ბატონი ბრძანდებითო“ თუ რაღაც ამდაგვარიც დაუმატა. მერე კი ფიქრებში გამოელაპარაკა მისკენ მომავალს, სად მოდიხარ, ნეტავ გაცოდინაო... ერთი სიტყვით, ახალ ამბავს არ აუღელვებია, ჰოფრატსა დადირექციას აცნობა, სტუმარი ჩამომდისო და მისთვის ოთახი მოამზადებინა - იოახიმის ოთახი ჯერაც თავისუფალი იყო - და მესამე დღეს, თავის ჩამოსვლის დროს, ასე, საღამოს რვა საათზე, უკვე ბნელოდა, როცა იმავე ჯაყჯაყა ეტლით რომლითაც იოახიმი გააცილა, ბარიდან საქმის გასარკვევად წარმოგზავნილი დესპანის დასახვედრად სადგურ სოფლისაკენ“ გაემართა.
სინგურისფრად დამწვარი, თავშიშველი, კოსტიუმის ამარა იდგა იგი ბაქანზე. პატარა მატარებელი რომ ჩამოდგა, თავისი ნათესავის კუპე მონახა, ფანჯარას მიადგა და ჩამოსულს სთხოვა, უკვე აქა ხართ, გამობრძანდითო. კონსული ტინაპელი, რომელიც თავისდა სასახელოდ მოხუც მამას ვიცე-კონსულობის საპატიო ტვირთისგანაც ათავისუფლებდა, ზამთრის პალტოში გახვეულიყო, მაგრამ სიცივისგან მაინც იბუზებოდა. ისე, ამ ოქტომბრის საღამოს მართლაც საგრძნობლად ციოდა, ცოტაც და, ვიტყოდით, ყინავსო, დილით კი ახლავე ეტყობოდა, ყინვა მაგრად რომ მოუჭერდა. კონსული კუპედან რატომღაც საოცრად მხიარულ გუნებაზე გამოვიდა, ოღონდ მხიარულება, როგორც ჩრდილოდასავლელ დახვეწილ გერმანელს შეეფერებოდა, ძუნწად და თავდაჭერილად გამოხატა, დისწულს მიესალმა, ხაზგასმით გამოთქვა კმაყოფილება, რა დიდებულად გამოიყურებიო, დარწმუნდა, კოჭლი მსახური ბარგს კარგად მიმიხედავსო და ჰანს კასტორპთან ერთად ეტლის მაღალ და მაგარ მერხზე აბობღდა. თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა დაჰყურებდათ და ჰანს კასტორპი გზადაგზა საჩვენებელ თითს ცისკენ იშვერდა, ბიძას სიტყვითა და ჟესტით ხან ერთ თანავარსკვლავედს უჩვენებდა და ხან მეორეს და პლანეტებს უსახელებდა, მაგრამ მსმენელი უფრო მეტი ყურადღებით თავის თანამგზავრს აკვირდებოდა, ვიდრე კოსმოსს და გულში ფიქრობდა, ეგებ კაცს სიგიჟედ არ უნდა ჩაუთვალო, ჩამოსვლისთანავე მაინცდამაინც ვარსკვლავებზე რომ დაგიწყებს ლაპარაკს, მაგრამ, მგონი, უფრო ახლოს სხვა რაღაცები კი მოიძებნებოდაო. როდიდან ერკვევი ასე კარგად ციურ მოვლენებშიო, ჰკითხა მან ჰანს კასტორპს და მანაც უპასუხა, ჩემს ცოდნას საღამოობით ზამთარ-ზაფხულ აივანზე წოლას უნდა ვუმადლოდეო. რაო? ღამღამობით აივანზე წევხარო? აბა,

როგორ, შენც ისე იზამ, მეტი რა გზა გექნებაო.
- დიახ, დიახ, რ-რაღა თქმა უნდა, - კვერი კი დაუკრა ჯეიმს ტინაპელმა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შეკრთა. მისი სამეურვეო აუღელვებლად და მონოტონურად ლაპარაკობდა და ამ სუსხიან შემოდგომის საღამოს ასე უქუდოდ და უპალტოოდ ეჯდა გვერდით.
- შენ, გეტყობა, არ გცივა, - უთხრა ჯეიმსმა. თვითონ სქელი მაუდის პალტოშიც კი აკანკალებდა, ხან სწრაფად ლაპარაკობდა, ხან ძლივს ატრიალებდა ენას, რადგან ცოტაღა აკლდა და, კბილს კბილზე დააცემინებდა.
- ჩვენ არ გვცივა, - დინჯად და მოკლედ უპასუხა ჰანს კასტორპმა.
კონსული მალიმალ აპარებდა მისკენ თვალს. ჰანს კასტორპს ნათესავებისა და ნაცნობების ამბავი არ უკითხავს. ჯეიმსმა ყველას მოკითხვა გადასცა და მათ შორის იოახიმისაც, ის უკვე პოლკში მსახურობს და ბედნიერებისა და სიამაყისაგან სახეგაბრწყინებული დადისო. ჰანს კასტორპმა მოკითხვაზე დინჯად მოახსენა მადლობა, მაგრამ მშობლიური კუთხის ამბებით არც ამჯერად დაინტერესებულა. ჯეიმსმა თვითონაც არ იცოდა, რა აწუხებდა, ვერ მიმხვდარიყო, საწუხარი მისი დისწულისგან მომდინარეობდა თუ მის საკუთარ არსებაში, მგზავრობით დაღლილ სხეულში იღებდა სათავეს. აქეთ-იქით იყურებოდა, ამ სიბნელეში მაღალმთიანეთის პეიზაჟს კარგად ვერ ხედავდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და განაცხადა, დიდებულიაო. რა თქმა უნდა, დიდებულია, ტყუილად კი არ არის ცნობილი მთელ მსოფლიოშიო, მიუგო ჰანს კასტორპმა. დიდი ზემოქმედების ძალა აქვს, მართალია, ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს, მაგრამ ორგანიზმი ცილებს მაინც ითვისებსო. ადამიანის სხეულში ფარულად ჩაბუდებულ ყველა სენს კურნავს, ოღონდ ჯერ სენს კიდევ უფრო გააძლიერებს, მთელ ორგანიზმს გააააქტიურებს, აამოძრავებს და პირველ ხანებში, ასე ვთქვათ, სენის საზეიმო აფეთქებასაც კი იწვევსო. მოიცა, მოიცა, რა თქვი, საზეიმო აფეთქებასო? - დიახ, სწორედ საზეიმოს. ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევია, ავადმყოფობის აფეთქებაში რაღაც საზეიმო რომ ურევია, ავადმყოფობა სხეულის ერთგვარი აღტყინება რომ არისო, მიუგო ჰანს კასტორპმა.
- დიახ, დიახ, რ-რაღა თქმა უნდა, - ქვედა ყბა ვეღარ დაიმორჩილა და სასწრაფოდ დაუდასტურა ძია ჯეიმსმა, შემდეგ კი აუწყა, ერთი რვა დღე შემიძლია დავრჩე, ანუ, ერთი კვირა, ვთქვათ, შვიდი დღე, ან იქნებ მხოლოდ ექვსიო. შენ კი, როგორც გითხარი, კურორტზე ყოფნის წყალობით, რამაცხანგრძლივობით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ისე მოღონიერებულხარ, მგონი, შინ ჩემთან ერთად დაბრუნდებიო.
ოო, საკითხს ასე ჯიქურ ნუ გადავწყვეტთო, მიუგო ჰანს კასტორპმა, ძია ჯეიმსი ნამდვილი ბარელივით ლაპარაკობს, ჯერ აქ, ზევით, ცოტა მიიხედ-მოიხედოს, რაღაც-რაღაცებს შეეგუოს და მერე თავის იდეებს თვითონვე შეიცვლისო. აქ მთავარია საბოლოო გამოჯანსაღება, გადამწყვეტი და მთავარია საბოლოო გამოჯანსაღება და საამისოდ ბერენსმა ახლახან კიდევ ნახევარი წელი წამიმატაო. აქ კი ვეღარ მოითმინა ბიძამ და შესძახა, ყმაწვილო, შენ ხომ არ შეიშალეო.
- სულ შეიშალე? - ჰკითხა მან.
წელიწადი და სამი თვეა არდადეგები გაქვს დაკიდევ ნახევარი წელი გინდა მიუმატოო? დიდება შენდა ღმერთო, ამდენი დასაკარგი დრო ვისა აქვსო! ამაზე ჰანს კასტორპმა მშვიდად ჩაიცინა და ვარსკვლავებისკენ აღაპყრო თვალები. ჰმ, დრო! დიახ, დიახ, რაც შეეხება დროს, ამის თაობაზე ძია ჯეიმსს თან ჩამოყოლილი ცნებების ძირფესვიანად გადასინჯვა მოუწევს, სანამ დროის თაობაზე აქ, ზევით, დაიწყებდეს ლაპარაკსო. შენივე ინტერესებისათვის ხვალვე სერიოზულად მოველაპარაკები ბატონ ჰოფრატსო, აღუთქვა ტინაპელმა.
- ასე ქენი! - მიუგო ჰანს კასტორპმა, - ჰოფრატი მოგეწონება. საინტერესო კაცია, თან ყოჩაღია და თან მელანქოლიური, - დასძინა მან, შემდეგ ხელი შაცალპის სანატორიუმის სინათლეებისკენ გაიშვირა და სხვათა შორის თქვა, აი, იქიდან გვამებს ბობსლეის ბილიკზე აცურებენო.
მამაკაცებმა ერთად ივახშმეს ბერგჰოფის“ რესტორანში, მანამდე კი ჰანს კასტორპმა სტუმარი იოახიმის ოთახში შეიყვანა, რომ ნამგზავრს ხელ-პირი

დაებანა და გამოცოცხლებულიყო. ჰანს კასტორპმა ბიძას მოახსენა, ამ ოთახში H2CO
ახრჩოლეს და სხვათა შორის, ისევე საფუძვლიანად, თითქოს აქედან ვინმე უნებართვოდ კი არა, სულ სხვა მიზეზით წასულიყოსო, მოკლედ, აქაურობა ისე ააქოთეს, ვითომ საქმე ეხოდუს(ბიბლ. გამოსვლა (ებრაელებისა ეგვიპტიდან).)
-ით კი არა, ფხიტუს((მედიც.) სიკვდილი, ლეტალური შედეგი (ლათ.).)
-ით დამთავრებულიყოსო. ბიძამ რომ ჰკითხა, ეგ რას ნიშნავსო, ჰანს კასტორპმა მიუგო:
- ჟარგონია, გამოთქმაა ასეთი. იოახიმმა იდეზერტირა, დროშას შეაფარა თავი, ასეთი დეზერტირობაც არსებობს, მაგრამ კმარა, წამოდი, თუ გინდა, ცხელ კერძს მიუსწრო!
ახლა კი ბიძა-დისწული ერთმანეთის პირისპირ იჯდა თბილ, მყუდრო რესტორანში, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე. ლილიპუტი მარდად ემსახურებოდათ, ჯეიმსმა ერთი ბოთლი ბურგუნდიული შეუკვეთა, ღვინო პატარა კალათით მოართვეს, ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს და სხეულში სასიამოვნო სითბო ჩაეღვარათ. უმცროსი ჰყვებოდა წლის სხვადასხვა დროს აქ, ზევით, როგორ მიდიოდა ცხოვრება, სასადილო დარბაზში რა იყო საინტერესო, არც პნევმოთორაქსი დავიწყებია, ბიძამისს კარგად აუხსნა, ეს რასაც ნიშნავდა და მაგალითად გულკეთილი ფერგეს ამბავს მოუყვანა, დაწვრილებით აუწერა პლევრალური შოკის საშინელება, ისიც გაიხსენა, ბატონ ფერგეს სამფეროვანი გულყრა რომ დამართვოდა, განსაკუთრებით სიმყრალის ჰალუცინაციას შეუწუხებია, ხოლო სიკვდილის პირას მისული ლამის სიცილ-ხარხარით დამხრჩვალაო. ლაპარაკით მარტო ჰანს კასტორპი ლაპარაკობდა, ჯეიმსმა ისედაც კარგი ჭამა-სმა იცოდა, ახლა კი მგზავრობისა და ჰაერის გამოცვლის წყალობით მადა კიდევ უფრო გასცხოველებოდა და სულმოუთქმელად ჭამდა, მაგრამ დროდადრო ყბას მაინც ასვენებდა, პირი საჭმლით ჰქონდა გამოტენილი, მაგრამ დაღეჭვა ავიწყდებოდა, დანა-ჩანგალი ჰაერში უშეშდებოდა და ჰანს კასტორპს დაჟინებით აცქერდებოდა ხოლმე. ამას, მგონი, ვერც თვითონ გრძნობდა, მაგრამ არც ჰანს კასტორპს ეხამუშებოდა, ბიძა ასე დაჟინებით რად მიცქერისო. კონსულს თხელი, ქერა თმით დაფარულ საფეთქლებზე ძარღვები დაბერვოდა.
მშობლიურ მხარეზე საუბარი არ ჩამოვარდნილა, სიტყვა არ თქმულა არც შინაურ, არც ქალაქისა და არც სამსახურებრივ საქმეებზე, მათ შორის არც ტუნდერ და ვილმსის“ ფირმაზე, გემსაშენი ვერფების, მანქანებისა და ორთქლის საქვაბეების მწარმოებელ ფირმაზე, რომელიც დღესაც ამაოდ ელოდა ახალგაზრდა პრაქტიკანტს და რაკი ნაკლებსარწმუნოა, რომ ფირმას ამის მეტი საზრუნავი აღარაფერი ექნებოდა, ძალაუნებურად დაგებადებოდათ კითხვა, საერთოდ ელოდა კი? ჯეიმს ტინაპელი გზაშიც და მერეც ერთი-ორჯერ შეეცადა ამ ამბებზე ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ რამდენჯერაც სცადა, იმდენჯერ უსულოდ დაუცვივდა მიწაზე სიტყვები, ისე აისხლიტა ისინი ჰანს კასტორპის მშვიდმა, აშკარა და ძალდაუტანებელმა გულგრილობამ, თავისი შეუვალობითა და სიმტკიცით ასე ძალიან რომ ჰგავდა შემოდგომის საღამოს სუსხისადმი მის უგრძნობლობასა და მისსავე სიტყვებს, ჩვენ არ გვცივაო. ამიტომ თუ იყო, ჯეიმს ტინაპელი თავის დისწულს დროდადრო ასე დაჟინებით რომ აცქერდებოდა. საუბარი უფროს ექთანსაც შეეხო, ექიმებსაც და დოქტორ კროკოვსკის ლექციებსაც, ერთი ლექციის მოსმენა შენც მოგიწევს, რაკი რვა დღე რჩებიო. მერედა, ვინ გითხრა, ბიძაშენს ლექციაზე დასწრება უნდაო?არავინ, მე თვითონ დავასკვენიო, ისე მტკიცედ მოახსენა ჰანს კასტორპმა, თითქოს ეს საკითხი წინასწარ ყოფილიყოს გადაწყვეტილი. ჯეიმს ტინაპელი მიხვდა, ლექციის გაცდენაზე ფიქრსაც კი საკვირველებად რომ ჩაუთვლიდნენ და სასწრაფოდ დაატანა, დიახ, დიახ, რ-რაღა თქმა უნდაო, ამით შეეცადა თავიდან აეცილებინა ეჭვი, ასეთ ავ განზრახვას გულში როგორ გავივლებდიო. სწორედ ამ ძალის ბუნდოვანი, მაგრამ დამთრგუნველი შეგრძნება აიძულებდა ბატონ ტინაპელს, დისწულს დაჰკვირვებოდა და ამჯერად, სხვათა შორის, პირღია, რადგან ცხვირის სასუნთქი არხები დახშობოდა, თუმცა, წესით, სურდო არ უნდა ჰქონოდა. იგი უსმენდა თავისი ნათესავის მონათხრობს იმ სენზე, აქ რომ საყოველთაო პროფესიული ინტერესის

საგნად ქცეულიყო, როგორი გადამდები იყო ეს სენი, თვით ჰანს კასტორპს როგორ გაუჭიანურდა ვითომ მსუბუქი ავადმყოფობა, როგორ აღიზიანებდა ბაცილა სასუნთქი არხებისა და ფილტვის ალვეოლების ქსოვილთა უჯრედებს, როგორ ჩნდებოდა ტუბერკულები, ორგანიზმს გამაბრუებელი, ხსნადი შხამები გაუჯდებოდა, მერე იწყებოდა უჯრედების დაშლა და კაზეოზური პროცესი, ოღონდსაქმე ის იყო, ეს პროცესი როგორ განვითარდებოდა, ტუბერკულები ჩაიკირებოდა, შეხორცებები წარმოიქმნებოდა, ამის წყალობით ავადმყოფობა შეჩერდებოდა და ადამიანი განიკურნებოდა, თუ სენი კიდევ უფრო მოზრდილ კერებს დაარბილებდა, ქსოვილებს დაცხრილავდა და ფილტვებს საბოლოოდ მოსპობდა და გაანადგურებდა. ეს პროცესი ზოგჯერ ჩქარდება, დაოთხილი მიქრის და რამდენიმე თვეში, ზოგჯერ რამდენიმე კვირაშიც კი,
ეხიტუს- ით მთავრდებაო. ჯეიმს ტინაპელმა მოისმინა, რა დახელოვნებული ყოფილა ჰოფრატი პნევმოტომიასა და ნეკნების რეზექციაში, აი, ხვალაც უკეთებს ამ ოპერაციას ახალჩამოსულ, ოდესღაც მიმზიდველ შოტლანდიელ ქალს, რომელსაც
განგრაენა პულმონუმ , ანუ ფილტვების განგრენა სჭირს, იმ საბრალოს სენი თურმე ისე ჰქონია მოდებული, რომ მოშავო-მომწვანო მყრალი ბალღამი სდის და მთელი დღე კარბოლმჟავის ანაორთქლით სუნთქავს, რომ საკუთარი თავის ზიზღით ჭკუაზე არ შეიშალოსო. ამ სიტყვებზე კონსულს უეცრად, თავისდა უნებურად და თავისდა სამარცხვინოდ, სიცილი წასკდა. მართალია, გონს მალე მოეგო, თავი შეიკავა და შეეცადა ეს უადგილო სიცილი ხველებით მიეფუჩეჩებინა, მაგრამ ერთი ისეთი რამ შეამჩნია, რამაც ერთდროულად დაამშვიდა და შეაშფოთა კიდეც. ჰანს კასტორპს წარბიც არ შეუხრია, თუმცა შეუძლებელია ბიძის უადგილო სიცილი გამოჰპარვოდა, უბრალოდ ყური მოიყრუა, მაგრამ ეს ტაქტის, თანაგრძნობისა ან თავაზიანობის გამო არ უქნია - მისი უყურადღებობა კვლავ იმ სრული გულგრილობის, უგრძნობლობისა და რაღაც საშინელი შემწყნარებლობის გამოვლენა გახლდათ, თითქოს მსგავსი ამბებით გაკვირვებას დიდი ხანია გადასჩვევიაო... კონსულმა კი თავისი უეცარი მხიარულების გამართლება მოინდომა თუ რა იყო, მოულოდნელად წმინდა მამაკაცურ, საკლუბო თემაზე გადაინაცვლა, საფეთქლებზე ძარღვები კიდევ უფრო დაებერა და ერთ, ეგრეთ წოდებულ შანსონეტზე, კაფეს მომღერალ ქალზე დაიწყო ლაპარაკი. ეს გასაგიჟებელი ქალი თურმე ამჟამად სანქტ-პაულიში გამოდიოდა და მშობლიური რესპუბლიკის მამაკაცთა მთელი სამყარო თავისი ეშხითა და ტემპერამენტით ჰყავდა მონუსხული. დისწულს ამ ამბებს რომ უყვებოდა, უხერხულობისგან ენა ებმოდა, მაგრამ შესაშფოთებელი არაფერი ჰქონდა - ეტყობოდა, მისი მსმენელის შემწყნარებლობას ვერც ამდაგვარი ამბები შეარყევდა. ამასობაში მგზავრობისგან დაღლილი ჯეიმს ტინაპელი ისე მოითენთა, რომ უკვე თერთმეტის ნახევარზე შესთავაზა ჰანს კასტორპს, ავიშალოთო და, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა, ვესტიბიულში მრავალჯერ ნახსენებ დოქტორ კროკოვსკის რომ გადააწყდნენ. დოქტორი კროკოვსკი ერთ-ერთი სალონის წინ იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ჰანს კასტორპმა ბიძა წარუდგინა, მაგრამ კონსულმა დოქტორის მხნე და მხიარული მომართვის საპასუხოდ, მგონი, ესღა ამოილუღლუღა, დიახ, დიახ, რ-რაღა თქმა უნდაო, თავისუფლად მაშინღა ამოისუნთქა, დისწულმა რომ დაუბარა, დილის რვა საათზე გამოგივლიო და აივნის გავლით იოახიმის დეზინფიცირებული ოთახიდან თავის ოთახში გავიდა. კონსული მისი გასვლისთანავე მოცელილივით დავარდა დროშასთან გაქცეულის საწოლზე და საძილისპირე სიგარეტი ხელში შერჩა, ძილს თავი ვეღარ გაართვა და ერთი-ორჯერ ისე ჩამოეყვინთა, რომ დაწვას ბეწვზე გადაურჩა.
ჯეიმს ტინაპელი, ჰანს კასტორპი ძია ჯეიმსს“, ხან კი უბრალოდ ჯეიმსს“ რომ ეძახდა, ორმოციოდე წლის გრძელფეხება კაცი იყო. მუდამ ინგლისური ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი და თოვლივით ქათქათა პერანგები ეცვა, იადონის ბუმბულისფერი შეთხელებული თმა, ახლო-ახლო ჩამჯდარი ლურჯი თვალები და ზედმიწევნით მოვლილი ხელები ჰქონდა, ხოლო მოკლედ შეკრეჭილი ულვაში ბაგეზე ჩალის პატარა კონებივით ეკიდა. ოჯახს რამდენიმე წლის უკან მოჰკიდებოდა, მაგრამ კვლავ მოხუც კონსულთან, ჰარვეშტეჰუდის გზაზე წამოჭიმულ დიდ ვილაში ცხოვრობდა. ცოლად ჰყავდა თავისივე წრის,

მასავით ცივილიზებული და დახვეწილი ქალი, რომელმაც მეუღლესავით ხმადაბლა, სწრაფი, თავაზიანი და თან ოდნავ გესლიანი ლაპარაკი იცოდა. ჯეიმს ტინაპელი თავის მშობლიურ კუთხეში ენერგიულ,გამჭრიახ, ელეგანტურობისკენ ლტოლვის მიუხედავად, დინჯ, საქმიან კაცად ითვლებოდა, ოღონდ უცხო გარემოში, ვთქვათ, ქვეყნის სამხრეთში თუ მოხვდებოდა, მის არსებაში მაშინვე იღვიძებდა თავაზიანი სურვილი და მზადყოფნა, თავის საკუთარ ზნე-ჩვეულებებზე ხელი აეღო და უცხოს შეჰგუებოდა. განა მშობლიური კულტურისა არ სჯეროდა, პირიქით, ამ კულტურის სიმტკიცე და მთლიანობა რომ სწამდა, სწორედ ამიტომ უნდოდა არისტოკრატიული ცერემონიულობა დაეძლია და თუნდაც სრულიად უცხო და მიუღებელ ცხოვრებისეულ გარემოშიც კი შინაურულად ეგრძნო თავი. დიახ, დიახ, რაღა თქმა უნდაო, იმეორებდა წამდაუწუმ, ვინძლო არავის ეფიქრა, დახვეწილი კაცი კია, მაგრამ გონებაშეზღუდულიაო. მართალია, აქ გარკვეული საქმიანი მისიით იყო ჩამოსული, სახელდობრ, შინაურებისგანაც ევალებოდა და თვითონაც განზრახული ჰქონდა, ყველაფერში კარგად გარკვეულიყო, როგორც გულში ამბობდა, თავისი გაზანტებული ახალგაზრდა ნათესავი აქედან „გამოეხსნა“ და შინ დაებრუნებინა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ბრძოლა სხვის მიწაზე მოუხდებოდა, აკი პირველი წუთიდანვე უგრძნო გულმა, აქაურობამ და მისმა ზნეობრივმა სამყარომ მხოლოდ სტუმრად რომ მიიღო იგი, თანაც ეს სამყარო თავისი შეუვალობითა და სიმტკიცით არათუ ჩამორჩებოდა მის საკუთარს, არამედ კიდეც სჯაბნიდა. ამის შეგრძნებისთანავე მის საქმიან ენერგიასა და ზრდილობას შორის ბზარმა იჩინა თავიდა საკმაოდ ღრმა ბზარმაც, რადგან დამხვდური სფეროს თვითრწმენა მართლაც რომ დამთრგუნველი აღმოჩნდა.

სწორედ ეს განჭვრიტა ჰანს კასტორპმა, კონსულის დეპეშას გულში წარბშეუხრელად რომ გაეპასუხა, ბატონი ბრძანდებითო. ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იგი აპირებდა, აქაური გარემოს სიმტკიცე ბიძის წინააღმდეგ შეგნებულად გამოეყენებინა. არა, საამისო ძალა ნამდვილად არ შესწევდა, კარგა ხანია თვითონაც ამ გარემოს ნაწილად იყო ქცეული და მას თავდამსხმელის წინააღმდეგ ვეღარ გამოიყენებდა, პირიქით, ეს გარემო წარმართავდა მასაც და ამიტომ ყველაფერი თავისთავად და მარტივად ხდებოდა. ამიტომაც იყო, კონსულს თავისი დისწულის დანახვისთანავე რომ გაჰკრა ბუნდოვანმა ეჭვმა, ჩემს ჩანაფიქრს ახდენა არ უწერიაო და ეს გრძნობა ბოლომდე, აქ ყოფნის დასასრულამდე გაჰყვა, ჰანს კასტორპს კი სხვა აღარაფერი დარჩენოდა - ამ დასასრულისთვის მელანქოლიური ღიმილი უნდა გაეყოლებინა.

პირველივე დილას, საუზმეზე, ჩამოსულს დამხვდურმა თანამესუფრეთა რჩეული საზოგადოება გააცნო, ნასაუზმევს კი დარბაზში თავის შავყვითელა ასისტენტთან ერთად ახმახმა, ღაჟღაჟა ჰოფრატმა ჩამოიარა. ჰოფრატი მკლავებს ნიჩბებივით უსვამდა, აქეთ-იქით უხვად არიგებდა თავის რიტორიკულ დილის მოკითხვას, ხომ კარგად გეძინათო, ჯეიმს ტინაპელს კი მოახსენა, ბრწყინვალე აზრი მოგსვლიათ თავში, თქვენი ეულად დარჩენილიNeveu
(დისწული (ფრანგ.).) -სთვის ცოტა ხნით მაინც მარტოობის შემსუბუქება რომ მოგინდომებიათო, მაგრამ აქ ყოფნით პირველ რიგში საკუთარ თავს უწევთ სამსახურს, რადგან ეჭვგარეშეა, ტოტალურად ანემიური ბრძანდებითო. მე და ანემიურიო? დიახ და, მერე როგორიო, გაუმეორა ბერენსმა და უპე საჩვენებელი თითით ჩამოუწია. რა თქმა უნდა, უაღრესად ანემიური ბრძანდებითო, ერთხელ კიდევ დაასკვნა მან. ბიძა-ბატონს არ აწყენს, ერთი-ორი კვირა აქ აივანზე თუ გაიშოტება და ყველაფერში თავის დისწულს მიჰბაძავსო, თქვენს ადგილზე კაცი იმაზე უფრო ჭკვიანურს ვერაფერს იზამს, ცოტა ხანს თუ ისე იცხოვრებს, თითქოს მსუბუქი ტუბერკულოზის პულმონუმ სჭირდებაო, რაც, სხვათა შორის, ყველას სჭირსო.

- დიახ, დიახ, რ-რაღა თქმა უნდა! - არ დაახანა კონსულმა და მეტისმეტი მონდომებისგან ერთხანს პირდაღებული მისჩერებოდა კეფაგამობურცულ ჰოფრატს, რომელიც ხელებს კვლავ ნიჩბებივით უსვამდა და გზას განაგრძობდა, მისი გამობრძმედილი დისწული კი ისე იდგა, ვითომც აქ არაფერიაო. ამასობაში სახალისო გასეირნების დრომაც მოაწია და ღელესთან მდგარ ძელსკამამდე გაისეირნეს, შემდეგ კი ჯეიმს ტინაპელი ჰანს კასტორპის ხელმძღვანელობით

მოემზადა სამკურნალო წოლის პირველი საათის ჩასატარებლად. დისწულმა ბიძის თან ჩამოტანილ პლედს ერთი თავისი დაუმატა, - შემოდგომის თბილი დღე იდგა და თვითონ ერთსაც იმყოფინებდა, - და საბნებში გახვევის ტრადიციული ხელოვნების ყოველი ილეთი სათითაოდ უჩვენა. არც მერე დაიზარა - მუმიასავით კოხტად და უნაოჭოდ გამოკრული კონსული ისევ გახსნა, თვითონ ხელი თითქმის აღარ წაუშველებია, ისე გაამეორებინა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი პროცედურა და ბოლოს ისიც ასწავლა, ტილოს ქოლგით მზე როგორ უნდა მოეჩრდილა.

კონსული ოხუნჯობდა. ბარისეული სულისკვეთება ჯერ კიდევ არ მოსუსტებოდა და ისევე იგდებდა მასხრად წუთის წინ ნასწავლ ილეთებს, როგორც ამ დილით გამოზომილ სახალისო გასეირნებაზე ეცინებოდა, მაგრამ რომ შეხედა, რა მშვიდად და გულგრილად ეღიმებოდა ჰანს კასტორპს მის ოხუნჯობაზე, რა ნათლად იხატებოდა ამ ღიმილში აქაური ზნეობრივი სამყაროს შეუვალობა და სიმტკიცე, მაშინ კი შედრკა, შეეშინდა, საქმიანი ენერგია არ დამეშრიტოსო და გადაწყვიტა, თავისი დისწულისსაქმეზე ჰოფრატს დაუყოვნებლივ მოლაპარაკებოდა, თუნდაც ნაშუადღევს, სანამ თვითონ ჯერ კიდევ შერჩენოდა ბარიდან ამოყოლილი საკუთარი ჭკუა-გონება და სულიერი ძალა, რადგან გრძნობდა, ერთიცა და მეორეც ხელიდან რომ ეცლებოდა და აქაური სულისკვეთება მისსავე ზრდილობასთან სახიფათო, მტრულ კავშირს კრავდა.

იმასაც გრძნობდა, ჰოფრატი ამაოდ რომ გაისარჯა, ანემიური ბრძანდებით და ყველაფერში ავადმყოფებს მიჰბაძეთო - ჰოფრატსაც რომ არ ერჩია, მაინც ასე უნდა მოქცეულიყო, რადგან სხვა გზას აქ ვერ ხედავდა, ოღონდ ჰანს კასტორპის სიმშვიდისა და შეურყეველი თვითრწმენის შემყურეს ეჩვენებოდა ასე თუ აქ მართლა არ არსებობდა სხვა გამოსავალი, ამ საქმეში ერთბაშად გარკვევა მასავით კარგად აღზრდილ კაცს ნამდვილად უჭირდა. აბა, ამაზე ცხადი და გასაგები რაღა უნდა ყოფილიყო, პირველ სამკურნალო წოლას უხვი მეორე საუზმე რომ მოჰყვებოდა და ამის მერე „კურორტისკენ“ სახალისო გასეირნებაც აუცილებელი რომ ხდებოდა, შინ დაბრუნებისთანავე კი ჰანს კასტორპი ბიძამისს ფეხებს კვლავ საბნებში უხვევდა, თუმცა სიმართლე თუ გნებავთ, მარტო ფეხებს კი არა, თვალსაც უხვევდა და შემოდგომის მზეში მართლაც წუნდაუდებელ, ჩინებულ სკამლოგინზე როგორც თვითონ იწვა, მასაც ისევე აწვენდა, სანამ გონგის გამაყრუებელი ხმა პაციენტებთან ერთად სასადილოდ არ მოუხმობდათ. სადილი კი ისეთი დიდებული, უზადო და თან ისეთი უხვი გახლდათ, რომ ნასადილევს წოლა ოფიციალურად დაწესებულიც რომ არ ყოფილიყო, შინაგანი მოთხოვნილება გაიძულებდა, ეს წესი შეგესრულებინა. ასე გადიოდა დღე და დგებოდამრავალფეროვანი ვახშმისა და ნავახშმევს იმ სალონში თავშეყრის დრო, სადაც გასართობი ოპტიკური ხელსაწყოები იდგა. ჰოდა, ცხადია, ამგვარ დღის რეჟიმს ვერ დაიწუნებდი, იგი სათუთად და ძალდაუტანებლად გახვევდა თავს საკუთარ წესსა და რიგს და შეუძლოდ ყოფნის გამო კრიტიკის უნარი დაქვეითებულიც რომ არ ჰქონოდა, კონსული სადავოს მაინც ვერაფერს გამოძებნიდა, თუმცა შეუძლოდ ყოფნა არც უნდოდა დაერქმია უცნაური მდგომარეობისათვის, სადაც ერთმანეთს უსიამოდ ერწყმოდა დაღლილობისა და აღგზნების, სიცხისა და სიცივის შეგრძნება.

ჯეიმს ტინაპელი მოუთმენლად ელოდა ჰოფრატ ბერენსთან მოლაპარაკებას და ამ მიზნით სათანადო იერარქიული ნაბიჯები გადაიდგა კიდეც: ჰანს კასტორპმა მეაბანოეს აუწყა ბიძის სურვილი, მან თავის მხრივ უფროს ექთანს გადასცა მისი თხოვნა და ჯეიმს ტინაპელს ამის წყალობით მიეცა საშუალება, უფროს ექთანთან უჩვეულო ნაცნობობა დაემყარებინა - იგი აივანზე გამოეცხადა კონსულს, მწოლიარეს წაადგა თავს და თავისი უცნაური საქციელით მუთაქასავით გამოკრული უმწეო კაცის ზრდილობას მეტისმეტად ბევრი საზრუნავი გაუჩინა. დიდად პატივცემულმა ადამიანისშვილმა კეთილინებოს და ერთი-ორი დღე მოიცადოს, ჰოფრატს არ სცალია, ხან ოპერაციაზეა, ხან რომელიმე პაციენტის გენერალური გასინჯვა უწევს, ქრისტეს სჯული ხომ მოგვიწოდებს, ჯერ ტანჯულ კაცობრიობას მივეშველოთო, თქვენ კი, რახან თავი ჯანმრთელი გგონიათ, უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ აქ პირველ ნომრად ვერ გახვალთ, ცოტა უკან უნდა მიდგეთ და დაიცადოთო. სხვა საქმეა, თქვენ თვითონ თუ გინდათ, გაესინჯოთო. სხვათა

შორის, ადრიატიკას ეგ სულაც არ გაუკვირდებაო. აბა, ერთი შემომხედეთ?! დიახ, დიახ, ასე, თვალი გამისწორეთ, თვალები ამღვრეულიც გაქვთ და ჩაწითლებულიც, აი, ასე მწოლიარეს რომ გიყურებთ, ცუდად კი არ გამიგოთ და მთლად კარგად, ანუ უზადოდ, არც თქვენ უნდა გქონდეთ საქმეო. ერთი სიტყვით, გასაგებად მითხარით, გასასინჯად გნებავთ ჰოფრატის ნახვა თუ კერძო საუბრისთვისო? კერძო საუბრისთვის, რ-რაღა თქმა უნდაო! მტკიცედ განუცხადა მწოლიარემ. რაკი ეგრეა, მოცდა მოგიწევთ, კერძო საუბრისთვის ჰოფრატი იშვიათად იცლისო.
მოკლედ, საქმე სულ სხვაგვარად მიდიოდა, ვიდრე ჯეიმსს წარმოედგინა, უფროს ექთანთან საუბარმა ხომ საბოლოოდ შეურყია ისედაც შერყეული წონასწორობა. ჯეიმს ტინაპელი საიმისოდ მეტისმეტად ცივილიზებული გახლდათ, რომ დისწულისათვის, რომლის შეუდრეკელი სიმშვიდე აქაურობასთან მის სრულ და აშკარა შერწყმას მოწმობდა, უზრდელად ეთქვა, ეს რა ამაზრზენი დედაკაცი ყოფილაო, ამიტომ ფრთხილად მიუკაკუნა ჰანს კასტორპს და მხოლოდ ეს უთხრა, უფროსი ექთანი მეტისმეტად ორიგინალური ქალია, არაო? ჰანს კასტორპმა წამით ჯერ სივრცეს გაუშტერა თვალი, მერე სანახევროდ დაეთანხმა ჯეიმსს და კითხვა შეუბრუნა, მილენდონკს შენთვის თერმომეტრი ხომ არ მოუყიდიაო.
- ჩემთვის? არა. განა თერმომეტრებსაც ყიდის? - გაიოცა ბიძამ, მაგრამ მისდა სავალალოდ დისწულს სახეზე შეატყო, რასაც ეკითხებოდა, ის მართლა რომ მომხდარიყო, სრულიადაც რომ არ გაუკვირდებოდა. „ჩვენ არ გვცივაო“, ეწერა ამ სახეზე, კონსულს კი თან სციოდა და თან სახე უხურდა, მაგრამ გუნებაში მაინც ბჭობდა, უფროს ექთანს თერმომეტრი რომ შემოეთავაზებინა, რა თქმა უნდა, უარს ვეტყოდი და ცუდადაც მოვიქცეოდი, რადგან ცივილიზებულ ადამიანს სხვისი თერმომეტრით, მაგალითად, დისწულის თერმომეტრით სარგებლობა ნამდვილად არ შეეფერებაო.
ასე გავიდა ოთხი თუ ხუთი დღე. ბარის დესპანის ცხოვრება თავიდანვე მისთვის დაგებულ ლიანდაგზე მისრიალებდა და ამ ლიანდაგიდან გადახვევათითქოს წარმოუდგენელი ჩანდა. კონსულს განცდები და შთაბეჭდილებები დაუგროვდა, მაგრამ არ გვინდა მაინცდამაინც სულში ჩავუძვრეთ. ერთ მშვენიერ დღეს ჰანს კასტორპის ოთახში შუშის შავმა ფირფიტამ მიიქცია მისი ყურადღება. პატრონს თავის სუფთა ოთახი კომოდის თავზე გამწკრივებული წვრილმანი ნივთებით გაელამაზებინა და ის ფირფიტაც ამ ნივთებს შორის იდგა მინიატიურულ, მოხარატებულ სადგამზე. ჯეიმს ტინაპელმა ფირფიტა აიღო და სინათლეზე რომ გახედა, ნეგატივი შერჩა ხელთ.
- ეს რა არის? - იკითხა ბიძამ და ნეგატივს კარგად დააკვირდა.
განა საკითხავი არ იყო? პორტრეტს თავი არ ჰქონდა, ადამიანის ზედატანის ჩონჩხს ნისლივით შემოხვეოდა ხორციელი გარსი. ტორსი, ეტყობა, ქალისა უნდა ყოფილიყო.
- ესა? ეს სუვენირია, - მიუგო ჰანს კასტორპმა. Pardon
-
(ბოდიში (ფრანგ.).) ! - წამოიძახა ბიძამ, პორტრეტი კვლავ სადგამზე მიაყუდა და კომოდს სწრაფად მოშორდა. ეს ამბავი იმ ოთხი თუ ხუთი დღის განცდებისა და შთაბეჭდილებების ერთ-ერთ ნიმუშად მოვიყვანეთ. რაკი წარმოუდგენელი იყო, სხვებს გამოჰკლებოდა, ჯეიმს ტინაპელი დოქტორ კროკოვსკის ლექციასაც დაესწრო, ხოლო რაც შეეხება ჰოფრატ ბერენსთან საოცნებოდ ქცეულ საუბარს, ეს სურვილი, როგორც იქნა, მეექვსე დღეს აისრულა. ჰოფრატთან მიღებაზე გამოუძახეს და ისიც ნასაუზმევს სარდაფში იმ მტკიცე განზრახვით ჩავიდა, რომ ამ კაცს თავის დისწულსა და მისგან დროის ასეთ უთავბოლო ფლანგვაზე სერიოზულად მოლაპარაკებოდა.
სარდაფიდან რომ ამოვიდა, ჰანს კასტორპს მიკნავებული ხმით ჰკითხა:
- ასეთი რამ თუგსმენია ოდესმე?
რაკი შეატყო, რომ ჰანს კასტორპს ასეთი რამ კიდეც სმენოდა და ამის გაგონებაზე არც კანკალი აიტანდა, სიტყვა შუაზე გაწყვიტა და დისწულის გულგრილ შეკითხვებზე ერთნაირ პასუხს იძლეოდა, არაფერი, არაფერიო. სამაგიეროდ, იმ წუთიდან ერთი უცნაური ჩვეულება დასჩემდა: წარბებს შეიჭმუხნიდა, ტუჩებს მოწრუპავდა და სადღაც ზეცაში ერთხანს ალმაცერად იყურებოდა, მერე თავს ღონივრად გაიქნევდა და ასეთივე მზერას ახლა მოპირდაპირე მხარეს

მიაპყრობდა ხოლმე... ვითომ ბერენსთან საუბარი სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე კონსულს წარმოედგინა? ან იქნებ მხოლოდ ჰანს კასტორპზე არ ულაპარაკიათ, იქნებ საუბარი მასაც, ჯეიმს ტინაპელსაც, შეეხო და ამგვარად კერძო საუბრის ხასიათი დაკარგა? მისი საქციელიდან სწორედ ეს დასკვნა შეიძლებოდა გამოგვეტანა. კონსული აფორიაქებული ჩანდა, ბევრს ლაპარაკობდა, უმიზეზოდ იცინოდა, დისწულს ფერდში მუჯლუგუნს წაჰკრავდა და წამოიძახებდა, ეჰეი, შე ძველოო, ხანგამოშვებით კი კვლავ იმდაგვარად გაიხედ-გამოიხედავდა, მაგრამ სადილობისას, სასეირნო ბილიკებზე თუ საღამოს თავყრილობებზე თვალი ერთი გარკვეული მიმართულებითაც გაურბოდა ხოლმე.

კონსულს თავიდან განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ვინმე ფრაუ რედიშისათვის, პოლონელი მეწარმის მეუღლისათვის, რომელიც დროებით წასული ფრაუ ზალომონისა და მრგვალსათვალიანი ღორმუცელა მოსწავლის მაგიდასთან იჯდა. ეს ქალი მართლაც არაფრით გამოირჩეოდა საერთო გალერეის ქალებისაგან, ერთი ტანმორჩილი, ჩასუქებული შავგვრემანი ქალი იყო, ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, თმაში ჭაღარაც გარეოდა, მაგრამ სანდომიანი ღაბაბი და თაფლისფერი ცოცხალი თვალები ჰქონდა. ეს ქალი ცივილიზაციის თვალსაზრისით კონსულ ტინაპელის მეუღლეს ქვევით, ბარში, რა თქმა უნდა, ვერ გაუტოლდებოდა, მაგრამ კვირა საღამოს, ნავახშმევს, სალონში კონსულმა კილიტებიანი, ღრმად ამოჭრილი შავი კაბის წყალობით აღმოაჩინა, რომ ფრაუ რედიშს თურმე ძუძუები ჰქონია და ერთმანეთზე მიწნეხილ თეთრ ძუძუებს შუა კარგა დიდზე მოუჩანდა მკერდის ღარიც. ამ აღმოჩენამ იმ ზომამდე შეძრა და აღაფრთოვანა ეს მოწიფული და დახვეწილი კაცი, თითქოს სულ ახალი, არნახული და არგაგონილი აღმოეჩინოს რამე. სულითა და გულით მოიწადინა, გაეცნო ფრაუ რედიში და გაიცნო კიდეც, ერთხანს ზეზეურად ესაუბრა, შემდეგ კარგა ხანს უჯდა გვერდით და ბოლოს ღიღინ-ღიღინით წავიდა დასაძინებლად. მეორე დღეს ფრაუ რედიშს ის კაბა აღარ სცმია, გულმკერდი ამჯერად საგულდაგულოდ ჰქონდა დაფარული, მაგრამ კონსულს ერთხელ ნანახი არ ავიწყდებოდა და კვლავ იმ პირველ შთაბეჭდილებას ელოლიავებოდა. მას შემდეგ ქალს სასეირნო ბილიკზე განზრახ წამოეწეოდა და საუბრით ართობდა ხოლმე, გვერდით მიჰყვებოდა, მისკენ მოხდენილად, კოხტად, ნარნარად იხრებოდა, სადილობისას შორიდან ადღეგრძელებდა, ქალიც ღიმილით პასუხობდა და ჩამწკრივებულ ოქროს კბილებს უელვარებდა. კონსული ხშირად ახსენებდა ფრაუ რედიშს, ბოლოს დასძენდა, „ღმერთივით ქალიაო“ და ღიღინს მოჰყვებოდა ხოლმე. ჰანს კასტორპი ამდაგვარებს მოთმინებით, დინჯად ისმენდა, სახეზც ისეთი გულმოწყალება ეხატებოდა, ვითომ უჩვეულოს ვერაფერს ვხედავო, მაგრამ ასეთი ამჩატება მის თვალში უფროს ნათესავს ვერც ავტორიტეტს უმაღლებდა და მის დესპანობასაც ცუდად ეხამებოდა.

იმ დღეს, სადილზე, ჯეიმს ტინაპელმა ფრაუ რედიში მაღლა აწეული ჭიქით და თანაც ორჯერ რომ ადღეგრძელა, ერთხელ თევზის რაგუს, ხოლო მეორედშარბათის ჩამორიგებისას, ჰანს კასტორპისა და მისი სტუმრის სუფრას ჰოფრატი ბერენსი უჯდა - იგი ხომ რიგრიგობით ჯდებოდა ხოლმე თითოეულ სუფრასთან და ამიტომაც იყო ყოველი სუფრის თავში მისთვის ჭურჭელი გამზადებული. ჰოფრატს თეფშის წინ დაეწყო თავისი უშველებელი ხელები, იჯდა ჩვეულებისამებრ ულვაშმოქცეული, ბატონ ვეეზალსა და მექსიკელ კუზიანს შორის და ამ უკანასკნელს ესპანურად ელაპარაკებოდა. ჰოფრატმა ყველა ენა იცოდა, მათ შორის თურქულიც და უნგრულიც. იგი ლაპარაკობდა და თან ჩაწითლებული, აცრემლებული ლურჯი თვალებით უყურებდა, კონსული ტინაპელი ფრაუ რედიშს ბორდოთი სავსე ჭიქით შორიდან როგორ ადღეგრძელბდა, ცოტა ხნის შემდეგ კი, შუა სმა-ჭამაში, ჰოფრატმა თანამესუფრეებს პატარა ლექცია წაუკითხა. საამისოდ იგი ჯეიმსმა შეაგულიანა, მოულოდნელად სუფრის ბოლოდან შეკითხვა მიაწვდინა, ხომ ვერ აგვიხსნით, ადამიანი როგორ იხრწნებაო. თქვენ ხომ შესწავლილი გაქვთ ადამიანის სხეული, სხეული თქვენი საუფლოა, თქვენ, ასე ვთქვათ, მისი მეუფე ბრძანდებითო, ჰოდა, იქნებ გვიამბოთ, ადამიანის გახრწნის პროცესი როგორ მიმდინარეობსო!

- უპირველეს ყოვლისა მუცელი გისკდებათ! - მიახალა ჰოფრატმა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ნიკაპი ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებს დააბჯინა, -

წევხართ თქვენთვის ბურბუშელასა და ნახერხში, გაზები კი, რომ იცოდეთ, ისე აგაფუებენ და გაგბერავენ, როგორც ბაყაყს ბერავენ ხოლმე ბოროტი ბიჭბუჭები, ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, თქვენც ბუშტივით გაიბერებით, თქვენი მუცლის კანი ამდენ გაჭიმვას ვეღარ გაუძლებს, ერთ ბაცს დაიძახებს და მორჩა, გასკდება! გასკდება და თქვენც მოისვენებთ, ზუსტად ისე, როგორც იუდა ისკარიოტელს დაემართა, ტოტიდან რომ ჩამოვარდა და მთელი შიგნეული გარეთ გამოყარა. დიახ, დიახ, და ამის მერე საზოგადოებაშიც გამოგეყოფათ თავი. საიქიოდან შვებულებით რომ გამოგიშვან, ისე მოინახულებთ თქვენს ჭირისუფალს, შიშით გულს არგაუხეთქავთ. ამაზე იტყვიან, მუცელმა დაუცაო. ჰაერზე გამოსვლა თუ გეღირსებათ, პალერმოს მოქალაქეებივით ტანწერწეტა ბიჭი იქნებით. აი, იმათზე მოგახსენებთ, პორტა-ნუოვაში კაპუცინების მონასტრის სარდაფებში რომ კიდიან კედელზე, გამომშრალები, ელეგანტურები და გამვლელ-გამომვლელის პატივისცემას იმსახურებენ, ოღონდ მთავარია, მუცელმა დაგიცეთ.
- რაღა თქმა უნდა! - მიუგო კონსულმა, მერე დასძინა, უღრმეს მადლობას მოგახსენებთო და მეორე დილითვე გაიპარა.
წავიდა, გაიპარა, პირველივე მატარებლით გაქუსლა ბარისაკენ, მაგრამ განა ვინმეს შეეძლო ეფიქრა, რომ აქაურ საქმეებს მოუწესრიგებლად მიატოვებდა? ანგარიშები გაასწორა, გასინჯვის ჰონორარიც გადაიხადა, თავის ნათესავთან ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ისე ჩაალაგა ორივე ჩემოდანი, - ალბათ, საღამოს ან ადრე დილით მოამზადა ყველაფერი, სანამ ყველას ეძინა, - და ჰანს კასტორპმა პირველი საუზმის დროს ბიძას რომ შეუარა, ოთახი ცარიელი დაუხვდა.
მან დოინჯი შემოიყარა, გასაგებია, გასაგებიაო, ჩაილაპარაკა და სახეზე კვლავ იმ მელანქოლიურმა ღიმილმა გადურბინა. ესეც ასეო, თქვა მერე და თავი დააკანტურა. კი არ წასულა, გაუქუსლავს აქედან, კისრისტეხით გაქცეულა, ჩუმად, თითქოს ეშინოდა, ჩემი გადაწყვეტილება წამიერი არ გამოდგეს და ეს წამი არ გამისხლტეს ხელიდანო, თავისი ნივთები ჩემოდანში სასწრაფოდ ჩაუყრია და გაქცეულა. მარტო წასულა, სხვას რას დავეძებ ან ჩემი მისიის შესრულებას რა თავში ვიხლი, ნეტავ მე მაინც გავასწრო აქედანო, უფიქრია ამ წესიერ კაცს, ჩვენს ძია ჯეიმსს, და ბარის დროშისთვის მიუშურებია. რა გაეწყობა, გზა მშვიდობისა!
ჰანს კასტორპს არავისთვის შეუმჩნევინებია, რომ თავისი ნათესავის წასვლისა წინასწარ არაფერი იცოდა, განსაკუთრებით კი შეეცადა, კოჭლი კარისკაცისთვის აეხვია თვალი, რადგან მას კონსული სადგურზე გაეცილებინა. მალე ბოდენის ტბიდან ღია ბარათი მოუვიდა, ჯეიმსი სწერდა, დეპეშა მივიღე, ბარში სასწრაფო საქმეზე გამომიძახეს, არ მინდოდა, შემეწუხებინე და ამიტომ არაფერი გითხარიო. ჩვეულებრივი, თავაზიანი ტყუილი გახლდათ, ბოლოს კი იწერებოდა, მანდ კვლავაც ბედნიერად დარჩენას გისურვებო. ვითომ დასცინოდა? თუ დამცინის, ნაძალადევი დაცინვა გამოუდისო, გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და გულში დასძინა, არა, დაცინვისა და ხუმრობის თავი ნამდვილად არ ექნებოდა, აქედან ისე კისრისტეხით გაქცეულაო. კი არ დასცინებდა, შინაგანად გააცნობიერებდა და წარმოიდგენდა ყველაფერს და შეძრწუნდებოდა: აქ გატარებული რვა დღის შემდეგ ბარში უკან დაბრუნებულს კარგა ხანს მცდარად, არაბუნებრივად და შეუძლებლად მოეჩვენებოდა, ნასაუზმევს სავალდებულო, სახალისო გასეირნება რომ აღარ დასჭირდებოდა, აღარც საბნებში გახვევის რიტუალს შეასრულებდა, ხოლო იმის მაგიერ, რომ თარაზულად გაშოტილიყო და სუფთა ჰაერით ესუნთქა, თავის კანტორაში უნდა ევლო. სწორედ ეს შემაშფოთებელი აზრი იქნებოდა მისი გაქცევის უშუალო მიზეზი.
ასე და ამგვარდ, მარცხით დასრულდა ბარის ცდა, ამაო აღმოჩნდა გზააბნეული ჰანს კასტორპის შინ დასაბრუნებლად გაწეული გარჯა. თავის თავს არ უმალავდა, რომ ეს წინასწარვე განჭვრეტილი მარცხი საგრძნობლად შეცვლიდა ბარელებთან მის ურთიერთობას. ბარი ამ მარცხის შემდეგ მხრებსაიჩეჩდა და საბოლოოდ აიღებდა მასზე ხელს, თვითონ კი სრული თავისუფლება მიენიჭებოდა, ოღონდ ესაა, რომ თავისუფლების განცდა დიდი ხანია გულს აღარ უთრთოლებდა.
OPERATIონეშ შპIღIთუალეშ
(სულიერი წვრთნა (ლათ.).) ლეო ნაფტა გალიცია-ვოლინის საზღვრის მახლობლად მდებარე ერთ პატარა დაბაში იყო დაბადებული. მამას პატივისცემით იხსენიებდა, ალბათ, ფიქრობდა, ჩემს მშობლიურ წრეზე იმდენად

ამაღლებული ვარ, რომ შემიძლია კეთილი სიტყვით მოვიხსენიო ჩემი მამა-პაპანიო. მამამისი იმ ქალაქში ხახამად ანუ სალახად მდგარა, ოღონდ ეს ხელობა ქრისტიანი ყასბის ხელობას როდი ჰგვანებია - ქრისტიან ყასაბს მასთან შედარებით მხოლოდ მედუქნესა და ხელოსანს თუ დაუძახებდით. სულ სხვა კაცი იყო ლეოს მამა, იგი თანამდებობის პირი, თანაც სასულიერო თანამდებობის პირი გახლდათ. საღვთო ხელობაში რაბინისგან გამოცდილი და მისგანვე უფლებამოსილი ელია ნაფტა თალმუდის წესისამებრ კლავდა მოსეს კანონით დასაკლავად ნებადართულ პირუტყვს და მისი ვაჟიშვილისავე სიტყვებით, უშფოთველი, შთაგონებული ლურჯი თვალებიდან ვარსკვლავისებურ შუქს აფრქვევდა. გარდა ამისა, ელია ნაფტას პიროვნებას ისეთი რელიგიური, ისეთი ამაღლებული იერი ედო, მისი შემხედვარე უეჭველად ირწმუნებდით, უძველეს დროში პირუტყვის დაკვლა მართლაც სასულიერო პირთა საქმე რომ იყო. ზოგჯერ ლეოს, ანუ როგორც ბავშვობაში ეძახდნენ, ლაიბს, ნებას რთავდნენ ეყურებინა, მამამისი თავის ეზოში, ებრაული ჯიშის, ათლეტური, ღონიერი მოჯამაგირის დახმარებით როგორ აღასრულებდა თავის რიტუალურ მოვალეობას. იმ ჭაბუკის გვერდით ქერაწვერებიანი, ისედაც სუსტი ელია კიდევ უფრო ნაზი და კაფანდარა ჩანდა, ჰოდა, ეს კაფანდარა კაცი აიღებდა სალახის დიდ დანას და გაკოჭილ-დაბორკილ, მაგრამ დაურეტიანებელ პირუტყვს ყელში ისე ღრმად გამოუსვამდა, რომ დანას კისრის მალებამდე დაატანდა, მოჯამაგირე ბიჭი კი ამოხეთქილ, ოხშივრიან სისხლს თასებს აგებებდა და ერთმანეთის მიყოლებით ავსებდა ხოლმე. ამ სანახაობას ლაიბი იმ ბავშვური თვალით აღიქვამდა, გრძნობადი გზით რომ სწვდება არსებითს, ეს უნარი კი ვარსკვლავთვალება ელიას ვაჟს,ალბათ, განსაკუთრებით ექნებოდა მომადლებული. მან იცოდა, რომ ქრისტიანი ყასბები პირუტყვს დაკვლამდე კომბლის ან ნაჯახის დარტყმით არეტიანებდნენ, მითითება ეძლეოდათ, სისასტიკე არ გამოეჩინათ და პირუტყვი არ ეწვალებინათ, მამამისი კი იმ ოქლაქებზე გაცილებით ნაზიც იყო და ჭკვიანიც, თან ისეთი ვარსკვლავთვალებაც, მათში რომ მსგავსიც არავინ გამოერეოდა, მაგრამ მაინც თავის კანონს მისდევდა, დანას დაურეტიანებელ პირუტყვს უყრიდა და მანამდე ადენდა სისხლს, სანამ სულს არ ამოხდიდა. ბიჭუნა ლაიბი გრძნობდა, რომ იმ ხეპრე გოიმების
(არაებრაელი) ტლანქი, ბიწიერი გულკეთილობით აღბეჭდილი წესი უზენაესს ისეთივე პატივს ვერ მიაგებდა, როგორსაც მამამისის ადათის ამაღლებული გულქვაობა მიუზღავდა, ამიტომაც მის წარმოდგენაში ღვთისმოსაობა და სისასტიკე ისევე ერწყმოდა ერთმანეთს, როგორც მჩქეფარე სისხლის სუნი და დანახვა უკავშირდებოდა წმინდანობისა და სულიერი ზნეობის იდეას. კარგად ხედავდა, რომ მამამისს თავისი სისხლიანი ხელობა ტლანქი გემოვნების გამო არ აურჩევია, როგორც ეს ჯან-ღონით სავსე ქრისტიან ჭაბუკებს ან თუნდაც მისსავე ებრაელ მოჯამაგირე ბიჭს შეიძლებოდა მოსვლოდა, სალახის ხელობას ეს კაფანდარა კაცი იმ სულიერი მოთხოვნილების გამო მისდევდა, მისი ვარსკვლავივით შუქმფინარე თვალებიდან რომ გამოსჭვიოდა.
ელია ნაფტა მართლაც კირკიტა და მოაზროვნე კაცი იყო, არა მარტო მცოდნე, არამედ კრიტიკოსიც თორისა, რაბინთან საღვთო წერილის ზოგიერთ დებულებას არჩევდა და არცთუ იშვიათად მასთან კამათშიც ებმებოდა ხოლმე. იმ მხარეში და, თქვენ წარმოიდგინეთ, არა მარტო ერთმორწმუნეთა შორის, ელია ნაფტას უცნაური კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ზოგს უცნაური იმიტომ ეჩვენებოდა, რომ მან სხვებზე მეტი იცოდა, ზოგი კი ფიქრობდა, ეს კაცი საშიში თუ არა, მთლად წმინდა სულის მაინც არ უნდა იყოსო. ელია ნაფტას არსებიდან მართლაც გამოსჭვიოდა რაღაც სექტანტური და ზებუნებრივი, უცხო წინასწარმეტყველის, ბაალ-შემისა(ბაალი - (ბაბილ. „ბელ“ - ბატონი, უფალი.; ძველ ებრ. „ბაალ“ - „მფლობელი“, „ბატონი“, სემიტ. „საკუთრება“, „ბატონი“) ძველ დროებაში სემიტური ღმერთის ზოგადი სახელწოდება. ქრისტიანული თვალსაზრისით, ბაალი მიანიშნებს ცრუმორწმუნეობრივ, კერპთაყვანისმცემლურ-ბოროტეულ-ეშმაკეულ კულტზე. ბიბლიურ ენაზე ბაალი აღნიშნავს ზოგადად წარმართულ, ე.ი. მიუღებელ, დასაგმობ ღვთაებებს.)
თუ ზადიკის(ზადიკი - (ძვ. ებრ. „სამართლიანი“) - წმინდანად მიჩნეული მასწავლებელი ხასიდიზმში (ხასიდიმ - ძველ ებრ. „ღვთისმოსავნი“). ხასიდიზმი მე

-18 ს.-ის აღმოსავლეთევროპულ ებრაელობაში წარმოქმნილი რელიგიური მიმდინარეობაა, რომელიც ფორმალურ, კანონიზებულ იუდაიზმს უპირისპირებდა ცხოველმყოფელ ღვთისმოსაობას.)
იერიც ედო და რაღაცით სასწაულმოქმედსაც ჰგავდა - აკი ერთხელ სისხლითა და შელოცვით ავი გამონაყრისაგან მართლაც განკურნა ერთი დედაკაცი, ხოლო ერთი ბიჭი ბნედისაგან იხსნა. ჰოდა, სწორედ ამ, ცოტა არ იყოს, კადნიერი ღვთისმოსაობის შარავანდედმა დაღუპა იგი და მის დაღუპვაშიკარგა დიდი წილი ამ სისხლის სუნით გაჟღენთილ ხელობასაც ედო. ორი ქრისტიანი ბავშვის ბნელით მოცული მკვლელობის გამო გამძვინვარებულმა ბრბომ ელია მხეცურად გამოასალმა სიცოცხლეს: სახლს ცეცხლი წაუკიდეს, ელია კი ცეცხლმოკიდებული სახლის კარზე ჯვარს აცვეს, მისი ჭლექიანი, ლოგინად ჩავარდნილი ცოლი ბავშვებით - ლაიბითა და მისი ოთხი მცირეწლოვანი და-ძმით - ხელაპყრობილი, მოთქმა-გოდებით გაეცალა იქაურობას.
ელიას თადარიგიანობის წყალობით ოჯახი სულ უსახსროდ არ დარჩენილა, დარბეულებმა ფორარლბერგის
(ფორარლბერგი - ავსტრიული პროვინცია.) ერთ პატარა ქალაქს შეაფარეს თავი, სადაც ფრაუ ნაფტამ ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაში იშოვა სამუშაო. დედა, სანამ შეეძლო და როგორც შეეძლო, ისე მუშაობდა, მოზრდილი შვილები კი სახალხო სკოლაში დადიოდნენ. ამ დაწესებულების გონებრივი საზრდო ლეოს და-ძმის სულიერ წყობასა და მოთხოვნებს, ასე თუ ისე, აკმაყოფილებდა, მაგრამ მისთვის, უფროსი ვაჟიშვილისთვის, იგი შეუფერებელი გამოდგა. ლაიბს დედისგან სუსტი ფილტვები გამოჰყვა, მამისაგან კი ტანმორჩილობა და უჩვეულოდ მახვილი ჭკუა-გონება, ოღონდ ეს იყო, რომ მისი ნიჭი თავიდანვე შეერწყა ქედმაღლურ ინსტინქტებს, უზარმაზარ პატივმოყვარეობას, დიდკაცური ცხოვრებისკენ დაუოკებელ ლტოლვას და თავის მშობლიურ წრეზე ამაღლების მგზნებარე წადილს. ეს თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილი სკოლაშიც დადიოდა, წიგნებს სად აღარ შოულობდა, სულსწრაფად, უსისტემოდ ვითარდებოდა და გონებას დამატებით საზრდოს აწვდიდა. თავში ისეთი აზრები უტრიალებდა, ამ აზრებს ხმამაღლა რომ გამოთქვამდა, მისი ლანდად ქცეული დედა კისერს მოიღრეცდა, თავს აწურულ მხრებში ჩარგავდა და გაძვალტყავებულ ხელებს გაასავსავებდა ხოლმე. საღვთო სჯულის გაკვეთილებზე თავისი საქციელითა და კითხვა-პასუხით მან იქაური რაბინის ყურადღება მიიპყრო. ამ ღვთისმოსავმა და განათლებულმა კაცმა მოწაფედ აიყვანა იგი, მშვენიერი ფორმით გატაცება ებრაული და კლასიკური ენების სწავლებით დაუოკა, ლოგიკური აზროვნებისადმი მის მიდრეკილებას მათემატიკით გაუჩინა საზრდო, მაგრამ სიკეთისათვის იმ კეთილ კაცს ბოროტად მიეზღო - რაც დრო გადიოდა, ცხადი ხდებოდა, რომ კეთილი რაბინი თავის მკერდზე ასპიტს ზრდიდა. ელია ნაფტასა და მისი რაბინისა არ იყოს, ვერც ესენი ეწყობოდნენ ერთმანეთს, მასწავლებელსა და მოწაფეს ხან რელიგიური, ხან კი ფილოსოფიური ხასიათის შეხლა-შემოხლა მოსდიოდათ, ურთიერთობა დღითიდღე მწვავდებოდა, ასე რომ, ყმაწვილი ლეოს სულიერმა სიკერპემ, კრიტიკისა და ჩაძიების ჟინმა, მუდამ წინააღმდეგობისათვის შემართულმა სულმა და დაუნდობელმა დიალექტიკამ ამ პატიოსან, წიგნიერ კაცს ბევრჯერ თავბედი აწყევლინა. ამას დაემატა ისიც, რომ ლეოს მახვილგონიერებამ და მაძიებელმა სულმა ბოლო ხანებში რევოლუციური ელფერი შეიძინა: ჯერ ერთი სოციალ-დემოკრატის, რაიხსტრატის წევრის ვაჟიშვილის გაცნობამ, მერე კი თვით ამ მასების ბელადთან დაახლოებამ ლეო ნაფტას გონება პოლიტიკისკენ გადახარა და მისი ლოგიკის ცეცხლი საზოგადოებრივი წყობის კრიტიკისაკენ წარიმართა. ნაფტას მასწავლებელს, პატიოსან თალმუდისტს, ძვირად უღირდა თავისი ლოიალურობა და მოწაფის ნააზრევის გაგონებაზე თმა ყალყზე უდგებოდა ხოლმე. ამ ამბის გამო საბოლოოდ გაიყარა მასწავლებლისა და მოწაფის გზები, საქმე იქამდე მივიდა, რომ ოსტატმა შეგირდი დაითხოვა და სამუდამოდ აუკრძალა თავის კაბინეტში ფეხის შემოდგმა. ეს განხეთქილება სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ლეოს დედას, რაჰელ ნაფტას, სული ამოსდიოდა.
დედა გარდაიცვალა კიდეც და ლეომ პატრ უნტერპერტინგერთან გააბა ნაცნობობა.
ერთხელ თექვსმეტი წლის ყმაწვილი ნაფტა ეგრეთ წოდებულ მარგარეტენკაპფეს

პარკში მარტოდმარტო იჯდა მერხზე. ეს სახელი ქალაქის დასავლეთით, ილის ნაპირას წამომართულ ერთ ბორცვს ერქვა, საიდანაც რაინის ხეობის თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა. იჯდა დაღონებული ლეო ნაფტა და თავის ხვედრსა და მომავალზე მწარე ფიქრებს მისცემოდა. ამ დროს პარკში იეზუიტთა საზოგადოების პანსიონის ცისკრის ვარსკვლავის“ ერთმა მასწავლებელმა ჩამოისეირნა და ყმაწვილს გვერდით მიუჯდა, ქუდი მერხზე დადო, შესამოსლის კალთებქვეშ ფეხი ფეხზე გადაიდო, ერთხანს თავისი ლოცვანის კითხვაში გაერთო, შემდეგ კი ყმაწვილს გამოელაპარაკა. საუბარი მალე გაცხოველდა და იმ დღეს საბოლოოდ გადაწყდა ლეოს ბედი. იეზუიტი ბევრის მნახველი, განათლებული კაცი იყო, პედაგოგობის ფხასთან ერთად ადამიანების ცნობისა და მათი გამოჭერის ნიჭიც ჰქონდა მომადლებული და ამ საცოდავი ებრაელი ბიჭის პირველსავე, აშკარა ირონიით შეფერილ პასუხებზე მაშინვე ცქვიტა ყური. ამ პასუხებისგან მახვილი ჭკუა-გონება გამოსჭვიოდა, ხოლო კიდევ უფრო კარგად რომ ჩაეძია, ცოდნასთან ერთად დახვეწილ, მაგრამ გაბოროტებულ აზროვნებასაც წააწყდა, რაც ამ ჩამოკონკილი ყმაწვილისაგან კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო. შემდეგ სიტყვა მარქსზე ჩამოვარდა, რომლის „კაპიტალიც“ ლეო ნაფტას იაფფასიანი ბროშურის სახით გამოცემული შეესწავლა. მარქსიდან ჰეგელზე გადაინაცვლეს. ნაფტას ჰეგელისნაშრომებიც წაკითხული ჰქონდა, მასზე დაწერილ ლიტერატურასაც საკმაოდ კარგად იცნობდა და ამიტომ ჰეგელზე ორიოდე სხარტი მოსაზრების გამოთქმა არ გასჭირვებია. პარადოქსული აზროვნებისაკენ მიდრეკილებამ სძლია თუ თავაზიანობის გამოჩენის სურვილმა, ნაფტამ ჰეგელს კათოლიკური“ ტიპის მოაზროვნე უწოდა, ხოლო მღვდელმა ღიმილით რომ ჰკითხა, ეგ როგორ გინდა დაასაბუთო, ჰეგელი ხომ პრუსიული სახელმწიფოს ფილოსოფოსია და საქმე საქმეზე თუ მიდგა, პროტესტანტად უფრო ჩაითვლებაო, მან უპასუხა, სწორედ ეგ გამოთქმა - „სახელმწიფო ფილოსოფოსი“ - ამტკიცებს, რომ სწორედ რელიგიური და არა საეკლესიო-დოგმატური აზრით უფლება მაქვს ჰეგელის კათოლიკურობა ვამტკიცოო. რამეთუ (ნაფტას განსაკუთრებით უყვარდა ეს კავშირი, იგი მის ბაგეთაგან როგორღაც საზეიმოდ და ულმობლად გაისმოდა და სათვალის შუშებს მიღმა თვალები უბრწყინავდა, თუკი ამ სიტყვის გამოყენების საშუალება მიეცემოდა), რამეთუ პოლიტიკისა და კათოლიციზმის ცნებები ერთმანეთთან ფსიქოლოგიურადაა დაკავშირებული, ისინი ერთად ქმნიან კატეგორიას, რომელიც მოიცავს ყველაფერს ობიექტურს, შემოქმედებითს, საქმიანს, ხორცშემსხმელსა და გარე სამყაროსკენ მიმართულს, მას უპირისპირდება პიეტისტური,(პიეტისტური - პიეტიზმისათვის დამახასიათებელი. (ლათ. პიეტას - ღვთისმოსაობა) ქრისტიანული მოძრაობა, რომელიც მიისწრაფვის გულისა და საქმის ქრისტიანობისაკენ ოფიციალურ-ორთოდოქსული მკვდარი სარწმუნოების საპირისპიროდ. განვითარდა ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში მე-17 ს.-ის II ნახევარში.)

მისტიკიდან ამოზრდილი პროტესტანტული სფეროო და დასძინა, იეზუიტებს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აქვთ გამოკვეთილი კათოლიციზმის პოლიტიკურ-პედაგოგიური არსი, იეზუიტთა ორდენი სახელმწიფოს მართვის ხელოვნებასა და აღზრდა-განათლებას ყოველთვის თავის სამოღვაწეო სფეროდ თვლიდაო. ლეომ გოეთეც ახსენა, გოეთე, რა თქმა უნდა, პროტესტანტი იყო და პიეტიზმში ჰქონდა ფესვები გადგმული, მაგრამ კათოლიკობისკენაც საკმაოდ იხრებოდა, სახელდობრ, თავისი ობიექტივიზმისა და მოქმედებისაკენ მოწოდების წყალობით. გოეთე აღსარების წმინდა საიდუმლოს იცავდა და როგორც აღმზრდელს იეზუიტობას ბევრი აღარაფერი აკლდაო.

ძნელი სათქმელია, ამას ნაფტა იმიტომ ამბობდა, რომ მართლა ასე სწამდა თუ გონებამახვილურად მიაჩნდა თავისი ნათქვამი, ან იქნებ მსმენელის გულის მონადირებასაც ცდილობდა, ღარიბი კაცი ხომ იძულებულია, ვიღაცას ეპირფეროს და კარგად აწონ-დაწონოს, რით აზარალებს და რით ასარგებლებს თავს, ოღონდ ამჯერად პატრს ნაკლებად ენაღვლებოდა, მის სიტყვებში სიმართლე რამდენად ერია, მას თავისი მოსაუბრის ჭკუა უფრო აინტერესებდა, ჭკუას კი ეს საუბარი უდავოდ მოწმობდა. სიტყვა სიტყვას მოჰყვა, იეზუიტმა ლეოს პირადი ცხოვრებაც გამოიძია და ეს შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ

უნტერპერტინგერმა ლეოს შესთავაზა, პანსიონში მინახულეო.
ასე მოიპოვა ნაფტამ უფლება Stella matutina
“ („ცისკრის ვარსკვლავი“ (ლათ.).)
-ში შეედგა ფეხი, რომლის მეცნიერული, თან დიდკაცური ატმოსფერო დიდი ხანია უღიზიანებდა წარმოსახვას და უცნაური ძალით იზიდავდა. უფრო მეტიც: გარემოებათა შეტრიალების წყალობით განგებამ ახალი მოძღვარი და მფარველი უბოძა და ამ უკანასკნელს წინანდელ მოძღვარზე უფრო მეტად შესწევდა უნარყ, დაეფასებინა და განევითარებინა მისი ნიჭი. თვითონ მოძღვარი გულცივი კაცი იყო, მისი ღირსებები ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მომდინარეობდა და ლეოს მწველი სურვილი კლავდა, ამ კაცის ცხოვრებისეულ სამყაროში შეჭრილიყო. ბევრი სხვა ჭკვიანი ებრაელის მსგავსად ნაფტა ბუნებით ერთსა და იმავე დროს რევოლუციონერიც იყო და არისტოკრატიც. ეს სოციალისტი კაცი დღენიადაგ იმაზე ოცნებობდა, როგორმე ზვიად, დიდკაცურ, გამორჩეულ და დახვეწილ ცხოვრებას ზიარებოდა. კათოლიკე თეოლოგთან პირისპირ შეყრამ, მართალია, წმინდა ანალიტიკურ-შედარებითი ფორმით, მაგრამ მაინც უმალვე გაამჟღავნებინა რომის ეკლესიისადმი სიყვარული. რომის ეკლესია ხომ მის ცნობიერებაში არისტოკრატიულიც იყო და სასულიეროც, ანუ ანტიმატერიალურიც, იგი მიწიერ და საერო ცხოვრებას ეწინააღმდეგებოდა და ამდენად რევოლუციურ ძალადაც კი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. რომის ეკლესიას ნაფტა გულწრფელად სცემდა პატივს, ეს მოწიწება მართლაც გულის სიღრმიდან მომდინარეობდა, იუდაიზმი კი, მისივე სიტყვით, თავისი მიწიერებით, პრაქტიკულ ცხოვრებაზე აღებული გეზით, თავისი სოციალიზმით, თავისი პოლიტიკით შეზავებული აზროვნებით უფრო ახლოს იდგა კათოლიკურ სფეროსთან და მას გაცილებით უფრო მჭიდროდ ენათესავებოდა, ვიდრე მჭვრეტელობის ჟინითა და მისტიკური სუბიექტივიზმით გაჟღენთილ პროტესტანტიზმს, - ამიტომაც რომის ეკლესიისაკენ ებრაელის მოქცევა უფრო ძალდაუტანებელი სულიერი პროცესი გახლდათ, ვიდრე პროტესტანტისა.
თავისი წინანდელი რელიგიური თემის სულიერი მწყემსისგან შერისხული, დაობლებული და გარიყული ნაფტა მთელი არსებით მიისწრაფოდა ისეთი დახვეწილი და ამაღლებული ყოფისაკენ, როგორიც მის ნიჭსა და უნარსეკადრებოდა. არჩევანის უფლება ასაკით კარგა ხანია მოპოვებული ჰქონდა, რჯულის შეცვლასაც ხომ დანატრებული იყო და მის აღმომჩენს“ დიდი ჯაფა არ დასდგომია, რომ ეს სული, უფრო სწორად, ეს უჩვეულოდ მოაზროვნე ტვინი თავის რჯულზე მოექცია. მღვდლის შემწეობით ლეომ სტელაში“ ჯერ კიდევ მონათვლამდე პოვა თავშესაფარიც და სულიერი და ხორციელი საზრდოც. იგი მშვიდად გადაბარგდა სტელაში“, შემდეგ კი, როგორც ეს მისნაირ სულით არისტოკრატს შეეფერებოდა, მშვიდად და გულცივად მიანდო თავის უმცროს და-ძმებზე ზრუნვა ღარიბთა თავშესაფარს და ის ბედი განუმზადა, რასაც იმ საცოდავებს თავიანთი მცირე ნიჭი და უნარი ჰპირდებოდა.
კათოლიკურ აღმზრდელობით დაწესებულებას სახნავ-სათესიც ისეთივე ვრცელი ჰქონდა, როგორიც საცხოვრებელი შენობები, სადაც ოთხასამდე აღსაზრდელის ადგილი მოიძებნებოდა. პანსიონის კომპლექსში ტყეები და საძოვრებიც შედიოდა, ნახევარი დუჟინი სპორტული მოედნებიც, სამეურნეო ნაგებობანიც და ასეულობით სული ძროხის ბოსლებიც. მოკლედ, ეს ინსტიტუტი ერთსა და იმავე დროს პანსიონატიც იყო, სანიმუშო მამულიც, სპორტული აკადემიაც, ლიცეუმიც და მუზათა ტაძარიც, რადგან აქ თეატრი და მუსიკაც მეფობდა. აქაური ცხოვრება ბატონკაცურ-მონასტრული გახლდათ. აქ გამეფებული სიმკაცრე და დახვეწილობა, სიდარბაისლე, ინტელექტუალური ატმოსფერო, კეთილდღეობა, ზუსტი და მრავალფეროვანი დღის რეჟიმი სალბუნად ედებოდა ლეოს სულის სიღრმეში მიმალულ ინსტინქტებს და უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებდა. ჩინებულ საჭმელ-სასმელს ვრცელ სატრაპეზოში გეახლებოდათ, სადაც, ისევე როგორც სასწავლებლის დერეფნებში, სავალდებულო იყო სიჩუმის დაცვა. სატრაპეზოს შუაგულში აღმართულ კათედრაზე ახალგაზრდა პრეფექტი იჯდა და მოსადილეებს ხმამაღალი კითხვით ართობდა. ნაფტა ცოდნას გატაცებით ეწაფებოდა და სუსტი ფილტვების მიუხედავად, ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ ნაშუადღევს გამართულ სპორტულ თამაშებში არავისთვის ტოლი არ დაედო. ისე

თავმოდრეკილი უსმენდა ყოველდღე დილის წირვას, ხოლო კვირაობით ისეთი რუდუნებით ეძლეოდა ღვთისმსახურებას, რომ არ შეიძლებოდა, მამა-პედაგოგები არ გაეხარებინა. არანაკლებ სიამოვნებას ანიჭებდა წმინდა მამებს მისი წესიერება. დღესასწაულებზე, ნაშუადღევს, ნამცხვარსა და ღვინოს რომ იგემებდა, მაღალსაყელოიან ნაცრისფერ-მწვანე ფორმასა და ლამპასებიან შარვალში გამოეწყობოდა, კეპს დაიხურავდა, სხვებთან ერთად მწკრივში ჩადგებოდა და სასეირნოდ მიდიოდა ხოლმე.
ნაფტას მადლიერებითა და აღფრთოვანებით ევსებოდა გული, როცა ხედავდა, რა ლმობიერად ეკიდებოდნენ აქ მის ჩამომავლობასა და ქონებას და არც იმას ამჩნევინებდნენ, ქრისტიანობა ახალი მიღებული რომ ჰქონდა. ეტყობა, არც ის იცოდა არავინ, სასწავლებელში უფასოდ რომ სწავლობდა. აქაური წესები თანაჯგუფელებს მის უთვისტომობას არ აგრძნობინებდა, პანსიონში სანოვაგისა და სასუსნავის გამოგზავნა საერთოდ იკრძალებოდა და თუ ამანათი მაინც მოუვიდოდა ვინმეს, ყველას უნაწილებდა და წილი ლეოსაც ერგებოდა ხოლმე. სასწავლებელში გამეფებული კოსმოპოლიტიზმის გამო თვალში არავის ეჩხირებოდა მისი რასობრივი ნიშნები, მით უმეტეს, რომ აქ ბევრი ეგზოტიკური ქვეყნის შვილი სწავლობდა, მაგალითად, სამხრეთამერიკელი პორტუგალიელები მასზე უფრო ჩამოჰგავდნენ „ებრაელს“ და ამრიგად, ეს ცნება აქ არ არსებობდა. ეთიოპიელი პრინცი, რომელიც ნაფტასთან ერთად მიეღოთ სასწავლებელში, სულაც თმახუჭუჭა მავრის ტიპი გახლდათ, მაგრამ ამით მის კეთილშობილებას არა აკლდებოდა რა.
რიტორიკის კლასში ლეომ თეოლოგიის შესწავლის სურვილი გამოთქვა, მერე ღირსად თუ ცნობდნენ, ორდენშიც შევიდოდა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ „მეორე ხარისხის პანსიონატიდან“, სადაც კვება და ცხოვრების პირობები შედარებით მოკრძალებული იყო, უფასო ადგილი ახლა „პირველში“ მიუჩინეს. იმ დღიდან სუფრაზე ლაქიები ემსახურებოდნენ, ხოლო მისი საძინებელი ოთახი ერთი მხრივ სილეზიელი გრაფის, ფონ ჰარბუვალ-და-შამარეს ოთახს ემიჯნებოდა, მეორე მხრივ კი მოდენელი მარკიზის, დი რანგონი-სანტაკროჩესას. მან ბრწყინვალედ დაამთავრა სასწავლებელი, ერთხელ ნათქვამ სიტყვას უერთგულა, პანსიონატის აღსაზრდელის ცხოვრება მეზობლად მდებარე ტიზისში, მორჩილთა სახლში თავმოდრეკილ, უსიტყვო მოთმინებით აღსავსე ცხოვრებასა და რელიგიურ წვრთნაზე გაცვალა და ახალ ცხოვრებას ძველი ფანატიკოსების მსგავსად აღტყინებით დაეწაფა.
ამასობაში ჯანმრთელობა შეერყა, ოღონდ მკაცრი ცხოვრების მიზეზით კი არა - მორჩილთ ფიზიკური დასვენებაც არ აკლდათ - ჯანმრთელობის შერყევას სულ სხვა შინაგანი მიზეზები ჰქონდა. აქაური აღმზრდელობითი მეთოდები გონივრულობითა და მოქნილობით სავსებით შეეფერებოდა მის მიდრეკილებებს და ამასთანავე მათ განვითარებას უწყობდა ხელს. სულის წვრთნისას, რასაც იგი დღეებსა და ღამის ღამეებსაც ანდომებდა, სინდისის ამდენ გამოცდაში, ფიქრსა, განსჯასა და ჭვრეტაში ბოროტებით, კაზუისტური გზნებით ინთებოდა და ათას გასაჭირში, წინააღმდეგობასა და სადავო საკითხებში იხლართებოდა. მოძღვარი დიდ იმედს ამყარებდა ნაფტაზე, მაგრამ სასოც ხშირად წარეკვეთებოდა, ისეთ ჯოჯოხეთის გენიაში აგდებდახოლმე მოწაფე თავისი მგზნებარე დიალექტიკითა და არცთუ მიამიტური ბუნებით.Ad haec quid tu
(აბა, რას იტყვი ამაზე (ლათ.).)? - ეკითხებოდა იგი მოძღვარს და სათვალის შუშები ულაპლაპებდა. ჩიხში მომწყვდეულ პატრს ისღა დარჩენოდა, მისთვის შეეგონებინა, ლოცვად დამდგარიყო და ამ გზით მოეპოვებინა სულიერი სიმშვიდე - „ut in aliquem gradum quietis in amina parveniat
“. ოღონდ ასეთი „სიმშვიდე“ რომც მოეპოვებინა, ძვირად დაუჯდებოდა, მის საფასურად სრული გამოთაყვანება, საკუთარი მეობის დაკარგვა და უსულო იარაღად ქცევა ელოდა, ეს იყო სასაფლაოს სიმშვიდე, რომლის საზარელ გარეგნულ ნიშნებს იგი ირგვლივ მყოფთა გამოთაყვანებულ სახეებზე კითხულობდა. თავს ფიზიკურად თუ გაინადგურებდა, თორემ ასეთ სულიერ სიმშვიდეს თვითონ ვერასოდეს მოიპოვებდა.
მის წინამდგომთა ინტელექტუალური დონის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათ თვალში ამ ორჭოფობასა და სულიერ შეჭირვებას ნაფტას ავტორიტეტი არ

შეურყევია. მორჩილობის ორწლიანი ჟამის დასასრულს თვით პატრმა-პროვინციალმა(პროვინციალი - რომელიმე პროვინციის მონასტრის ბერთა ორდენის წინამძღვარი.)
მიიხმო ნაფტა, ესაუბრა და მისი ორდენში მიღება ბრძანა. და აი, ახალგაზრდა სქოლასტიკოსი, რომელსაც უკვე გაევლო ოთხი დაბალი საფეხური, სახელდობრ, ბჭეთა მცველისა, მონასტრის მსახურისა, მკითხველისა და შემლოცველისა, და „მარტივი“ აღთქმებიც დადებული ჰქონდა, საბოლოოდ ჩაირიცხა ორდენში და თეოლოგიური განათლების დასასრულებლად ჰოლანდიის ქალაქ ფალკენბურგის იეზუიტთა კოლეგიაში გაიგზავნა.
მაშინ იგი ოცი წლისა იყო, სამი წლის შემდეგ კი მავნე ჰავისა და დაძაბული გონებრივი შრომის წყალობით მისმა მემკვიდრეობითმა სენმა ისე იმძლავრა, რომ იქ დარჩენა შეიძლებოდა სიცოცხლის ფასადაც დასჯდომოდა. პირიდან სისხლი წასკდა, შემდეგ კვირების განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს და ოდნავ მომჯობინდა თუ არა, შეშფოთებულმა უფროსებმა, საიდანაც ჩამოვიდა, მყისვე იქით უკრეს თავი. ნაფტას თავისივე აღმზრდელ სასწავლებელში პრეფექტის, ზედამხედველისა და კლასიკური ენებისა და ფილოსოფიის მასწავლებლის თანამდებობა უბოძეს: ასეთი შუალედი წესდებით ისედაც სავალდებულო იყო, ოღონდ რამდენიმე წელიწადს რომ იმსახურებდი, თეოლოგიის შვიდწლიანი კურსის დასასრულებლად კვლავ იეზუიტთა სკოლაში ბრუნდებოდი, ეს გზა კი ძმა ნაფტას სამუდამოდ მოჭრილი ჰქონდა. იგი კვლავ ავადმყოფობდა, ამიტომ ექიმმა და წინამდგომებმა გადაწყვიტეს, ჯერჯერობით, აქვე, ჯანსაღ კლიმატურ პირობებში ემუშავა და თავის აღსაზრდელებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაშიც ჩაბმულიყო. მართალია, ნაფტამ პირველი კურთხევა მიიღო და უფლება მოიპოვა, კვირაობით საზეიმო ღვთისმსახურებისას სამოციქულო ეგალობა, მაგრამ ეს უფლება არ გამოუყენებია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სმენის ნატამალი არ გააჩნდა და მეორეც, ავადმყოფობისაგან ჩახრინწული ხმა სასიმღეროდ ნაკლებად გამოადგებოდა. იპოდიაკვნობაზე მაღლა აღარც წასულა, თორემ დიაკვნობასა და მღვდლად კურთხევაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო: სისხლდენა კვლავ გაუმეორდა და არც სიცხე გამონელებია. აი, ასე დამკვიდრდა აქ ზევით, ორდენის ხარჯზე ხანგრძლივად სამკურნალოდ, მეექვსე წელია, მთაში ცხოვრობდა, როგორც ჩანს, აქაური გაიშვიათებული ჰაერით სუნთქვა მკურნალობის კი არა, საერთოდ სიცოცხლის აუცილებელ პირობად გადაქცეოდა და ახლა ცხოვრებას იმითღა იმშვენიერებდა, რომ სნეულ ბავშვთა გიმნაზიაში ლათინურს ასწავლიდა...
ეს და სხვა ბევრი წვრილმანიც ჰანს კასტორპმა აბრეშუმგამოკრულ სენაკში სტუმრობისას ნაფტასგანვე შეიტყო, სადაც ხან მარტო, ხან კი თანამესუფრეების - ფერგესა და ვეეზალის თანხლებით დადიოდა, ზოგი რამ კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ან დამთავრებული სახით სხვადასხვა დროს მოესმინა, როცა სახალისო გასეირნებისას ნაფტას გადაეყრებოდა და მასთან ერთად სოფლის“ გზას დაადგებოდა ხოლმე. ჰანს კასტორპს ეს ამბები თვითონ ხომ საყურადღებოდ მიაჩნდა, ამასაც არ სჯერდებოდა და ფერგესა და ვეეზალსაც აიძულებდა, თქვენც ასე იფიქრეთო. ისინიც არ ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა ერთ-ერთი მათგანი ზოგჯერ მორიდებულად კი შეახსენებდა, მაღალი მატერიები ჩემგან შორს არისო (იგი მხოლოდ პლევრალურ შოკს აღემაღლებინა თავის უპრეტენზიო არსებობაზე), მეორე კი პირიქით, აშკარად ნასიამოვნები იყო ოდესღაც დაჩაგრული კაცის აღმასვლით, თუმცა ნაფტასთვის ბედს მაინც ემუხთლა და ბოლომდე არ გაეხარებინა - აღმავლობა შეჩერებულიყო და ამ საყოველთაო ფიზიკურ უძლურებაში მინავლულიყო.
ჰანს კასტორპს, თავის მხრივ, გული შესტკიოდა ამ დამყაყებაზე და სიამაყითა და ზრუნვით იგონებდა პატივმოყვარე იოახიმს, რომელსაც გმირულად მოეკრიბა ძალა, გაეგლიჯა რადამანთისის ნაყალბევით მოქსოვილი მტკიცე ქსელი და თავისი დროშისკენ გაქცეულიყო, ახლა იგი, ალბათ, მაგრად ებღაუჭებოდა დროშის ტარს და ერთგულების ფიცის ნიშნადმარჯვენა ხელის სამი თითი მაღლა აეწია. ნაფტასაც დროშისთვის ჰქონდა ფიცი მიცემული, იგიც დროშის კალთას იყო შეფარებული, ეს თვითონვე უთხრა ჰანს კასტორპს, თავისი ორდენის არსს რომ უხსნიდა, მაგრამ, ეტყობა, თავისი გადახრებისა და კომბინაციების

წყალობით იგი იოახიმზე ნაკლებად ერთგულებდა დროშას, ჰანს კასტორპი კი როგორც სამოქალაქო პირი და მშვიდობის პირმშო, ამ ყოფილი თუ მომავალი იეზუიტის შემხედვარე კიდევ უფრო მტკიცედ იმსჭვალებოდა რწმენით, რომ იოახიმსა და ნაფტას ერთმანეთის პროფესიისა და კანტისადმი პატივისცემისა და სიახლოვის გრძნობა უნდა გასჩენოდათ, ორივეს პროფესია სამხედრო იყო და თან მრავალმხრივი აზრით: როგორც ასკეტიზმითა“ და იერარქიით, ასევე მორჩილებითა და ესპანური ღირსებითაც. სწორედ ეს უკანასკნელი მეუფეობდა ნაფტას ორდენში, რომელიც, სხვათა შორის, ესპანური წარმომავლობისა გახლდათ
(„...ნაფტას ორდენში, რომელიც, სხვათა შორის, ესპანური წარმომავლობისა გახლდათ...“ - იეზუიტების ორდენი დააარსა იგნაციუს ლოიოლამ (დაახლ. 1491-1556). ლოიოლა ცდილობდა კათოლიციზმის განახლებას, ილაშქრებდა რეფორმაციის წინააღმდეგ. მას მიეწერება გამოთქმა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ითვლებოდა ესპანელად, სინამდვილეში კი იყო ბასკური ჩამომავლობის არისტოკრატი.) მისი სულის საწვრთნელი წესდებაც,მ იმ წესდების ერთგვარი პირველწყარო, რომელიც შემდგომ პრუსიელთა მეფე ფრიდრიხმა შემოიღო თავის ქვეით არმიაში, თავდაპირველად ესპანურ ენაზე დაიწერა და ამიტომაც იყო, ნაფტა თავის მონათხრობსა თუ შეგონებებში ესპანურ გამოთქმებს ხშირად რომ ურთავდა ხოლმე. ლაპარაკობდა, მაგალითად, „dos banderas
“-ზე - „ორ დროშაზე“, რომელთაც გარშემო დიდი ლაშქრობის წინ შემოეწყობოდა ხოლმე ჯარი: იმ დროშებიდან ერთი ეშმაკისა იყო, ხოლო მეორე ღმერთისა, იერუსალიმის მახლობლად ლაშქარს ქრისტე მიუძღოდა წინ, კეთილისა ყოვლისა „capitan general
“
(მთავარსარდალი (ესპან.).) , ბაბილონის ველზე დაბანაკებულ ლაშქარში კი „caudillo
“, ანუ წინამძღოლი, ლუციფერი გახლდათ...
განა სასწავლებელი ცისკრის ვარსკვლავი“ ნამდვილად კადეტთა კორპუსი არ იყო, სადაც დივიზიებად“ დაყოფილ აღსაზრდელებს აჩვევდნენ, როგორ უნდა დაეცვათ ღირსეულად სამხედრო და სასულიერობიenséance
? განა იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ხეშეში საყელოსა“ და ესპანური ბრიჟის“ ნაერთს არ წარმოადგენდა? ღირსებისა და დაწინაურების იდეა, იოახიმის კასტაში ასე ბრწყინვალე როლს რომ თამაშობდა, იმ სფეროშიც ხომ ასევე აშკარად იკვეთებოდა, სადაც ნაფტამ ავადმყოფობის გამო, სამწუხაროდ, წინ ვერ წაიწიაო, ფიქრობდა ჰანს კასტორპი. მისი ჭკუით, ორდენი მხოლოდ და მხოლოდ ზედმიწევნით პატივმოყვარე ოფიცრებისგან შედგებოდა და ისინი ერთადერთი აზრით იყვნენ შეპყრობილნი: როგორმე სამსახურში გამორჩეულიყვნენ და წინ წაეწიათ (ამას ლათინურად Iნსიგნეს ესსე
“ ეწოდებოდა). ორდენის დამაარსებლისა და მათი პირველი გენერლის, ესპანელი ლოიოლას(„...მათი პირველი გენერლის, ესპანელი ლოიოლას...“ - 1541 წელს ლოიოლა ორდენის პირველ გენერლად აირჩიეს.)
მოძღვრებისა და წესდების თანახმად, ისინი იმათზე უფრო გულმოდგინედ და ღირსეულად ეწეოდნენ სამსახურს, ვინც მხოლოდ საღი გონების კარნახით მოქმედებდა. თანაც ისინი ex supererogatione“
, ანუ ზომაზე აღმატებულად მოქმედებდნენ, სახელდობრ, არა მარტო ახშობდნენ ხორცის ამბოხს („rebellioni carnis“
), რაც, ასე თუ ისე, დამახასიათებელია ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანისათვის, არამედ საკუთარი თავისა და წუთისოფლის სიყვარულის ისეთ გამოვლინებებსაც კი ებრძოდნენ, რაც საყოველთაოდ ნებადართული გახლდათ. ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, „agere contra
“, ანუ შეტევა, თავდაცვაზე („resistere
“) გაცილებით საპტიოდ ითვლებოდა. „მტერი უნდა დაასუსტო და წელში გატეხო!“ - ეწერა სალაშქრო წესდებაში და მისი შემქმნელი ესპანელი ლოიოლა აქაც იოახიმის ცაპიტან გენერალ-თან, პრუსიელ ფრიდრიხსა და მის საბრძოლო ლოზუნგებთან: „შეტევა! შეტევა!“ „მტერს სულის მოთქმა არ აცალოთ!“ „Attaquez

donc toujours
!“ ერთსულოვნებას ამჟღავნებდა.
ყველაზე უფრო კი ნაფტასა და იოახიმის სამყაროს აერთიანებდა სისხლის ღვრისადმი მათი დამოკიდებულება, ანუ ერთი აქსიომა: ადამიანი სისხლში ხელის გასვრას არ უნდა მოერიდოსო. ამ საკითხში ეს ორი სამყარო - ორდენი და სამხედრო კასტა - მტკიცე ერთსულოვნებას ამჟღავნებდა და მშვიდობის პირმშოც სიამოვნებით უგდებდა ყურს, რასაც ნაფტა შუა საუკუნეების მეომარ ბერებზე უყვებოდა. ისინი თავს ასკეტური ცხოვრებით იგვემავდნენ და თან საეკლესიო ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟინით იყვნენ ანთებულნი, სისხლის ღვრას არ უფრთხოდნენ, ოღონდ კი ქალაქიღმრთისა
(ქალაქი ღმრთისა - ლათ. ცივიტას დეი-ს მიხედვით ავგუსტინეს მთავარ თხზულებაში ღმრთის საუფლოსათვის“ („დე ჩივიტატე დეი“) შემუშავებული ისტორიულ-ფილოსოფიური ცნება და აქედან გამოყვანილი მოძღვრება, რომლის მიხედვით, საბოლოოდ ღმრთის სახელმწიფო დასძლევს, დათრგუნავს ეშმაკის სამფლობელოს.) დაეარსებინათ და დედამიწის ზურგზე ზებუნებრივი ძალა გაებატონებინათ. ნაფტა უყვებოდა ტაძრის მცველთა
(ტაძრის მცველები - ანუ ტამპლიერები - სასულიერო რაინდთა ორდენი, მიზნად ისახავდა პალესტინისა და წმინა საფლავის პილიგრიმთა დაცვას; ეცვათ თეთრი მოსასხამები წითელი ჯვრითურთ, რაც ფარავდა სარაინდო აღჭურვილობას. დაარსდა ჯვაროსნული ომების დროს.) ამბავს, სარეცელზე სიკვდილს ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპვა რომ ერჩივნათ და ქრისტეს გულისთვის დახოცვას ან სხვათა მოკვდინებას დანაშაულად კი არა, დიდად სასახელოდ თვლიდნენ. კიდევ კარგი, სეტემბრინი რომ არ ესწრებოდა ასეთ საუბარს, თორემ იმწამსვე აბეზარ მეარღნედ გადაიქცეოდა და მშვიდობაზე მოჰყვებოდა წუწუნს, თუმცა ვენის წინააღმდეგ მიმართულ წმიდათაწმიდა, ეროვნულ და ცივილიზაციურ ომზე უარს არ იტყოდა და ნაფტაც გესლითა და ღვარძლით სწორედ ამ გულისთქმასა და სისუსტეს უყიჟინებდა ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, სანამ იტალიელს ასეთი გრძნობები ენთო გულში, ნაფტა მას ქრისტიანულ კოსმოპოლიტიზმს უპირისპირებდა, ჩემი სამშობლო ყოველი ქვეყანაა და ცალკე არც ერთი მათგანიო, მერე კი ორდენის გენერლის, ვინმე ნიკელის სიტყვებით უკოდავდა გულს, სამშობლოს სიყვარული ჭირია და უეჭველი სიკვდილი ქრისტიანული სიყვარულისაო“.
ცხადია, ნაფტა ასკეტიზმის ხათრით ეძახდა სამშობლოს სიყვარულს ჭირს, რადგან ამ სიტყვაში ვინ იცის, რას აღარ გულისხმობდა და მისი აზრით, ასკეტიზმსა და ღვთის სასუფეველს რა აღარ ეწინააღმდეგებოდა! დასაგმობი მარტო სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული როდი იყო, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სიყვარულიც ცოდვად ითვლებოდა: სწორედ ამას უყიჟინებდა ნაფტა ჰუმანისტს, რაკი იგი მშვიდობასა და ბედნიერებას ეთაყვანებოდა. ხორცის სიყვარულს,
ამორ ცარნალის , სხეულის გაზულუქებისადმი მიდრეკილებას,
ცომმოდორუმ ცორპორის , აყვედრიდა და პირში ეუბნებოდა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის თუნდაც უმცირესი ფასის დადება წმინდა ბურჟუაზიული ურწმუნოების დამადასტურებელიაო.
ერთ მშვენიერ დღეს კი, შობის წინახანებში, „კურორტისაკენ“ მიმავალ თოვლიან გზაზე წინ და უკან სეირნობისას, ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების დიდი კოლოკვიუმი შედგა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის თაობაზე და კამათში ყველამ მიიღო მონაწილეობა: სეტემბრინიმ, ნაფტამ, ჰანს კასტორპმა, ფერგემ და ვეეზალმა. ცოტ-ცოტა ყველას აწეული ჰქონდა სიცხე, თან მაღალმთიანეთის ყინვიან ჰაერზე სიარულისა და ლაპარაკისაგან ერთსა და იმავე დროს გაბრუებულნიც იყვნენ და აღგზნებულნიც, უკლებლივ ყველას აჟრჟოლებდა, მერე რა, რომ ყველა ნაფტასა და სეტემბრინივით გაცხარებით არ კამათობდა და მხოლოდ მოკლე-მოკლე რეპლიკებით ერთვოდა საუბარში, სამაგიეროდ, ისე გაფაციცებულნი იყვნენ, რომ ხშირად თავისდა უნებურად ჩერდებოდნენ, ჯგუფად შეიკვრებოდნენ, ხელებს იქნევდნენ, ყაყანებდნენ და მოურიდებლად უღობავდნენ გზას გამვლელებს, ისინიც ან გვერდს უვლიდნენ, ან ჩერდებოდნენ და მათ გაცხარებულ კამათს გაოცებით უგდებდნენ ყურს.

სიმართლე თუ გნებავთ, დისპუტი კარენ კარსტედის გამო დაიწყო, თითებდაწყლულებული საბრალო კარენის გამო, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაცვლილიყო. ჰანს კასტორპს არც მისი ლოგინად ჩავარდნა შეუტყვია და არცExitus
, თორემ სიამოვნებით მივიდოდა მის დაკრძალვაზე, თუნდაც იმიტომ, რომ დაკრძალვაზე სიარული საერთოდ უყვარდა. მაგრამ რაკი აქ ჩვეულებად ჰქონდათ ასეთი ამბების მიჩქმალვა, კარენ კარსტედის გარდაცვალებაც გვიან გაიგო და ისიც, რომ მას უკვე სამუდამოდ მიეღო ჰორიზონტალური მდებარეობა და სწორედ იმ კუპიდონის შორიახლო დაედო ბინა, თოვლის ქუდი რომ ჰქონდა თავზე ალმაცერად მოგდებული.Requiem aeternam
.. (უფალო, განუსვენე (ლათ.).).
ჰანს კასტორპმა ის იყო, თქვა, კარენ კარსტედის ხსოვნა იყოსო, რომ ამით საბაბი მისცა ბატონ სეტემბრინის მისი საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის დაეცინა. ბატონმა სეტემბრინიმ მოიგონა მისი ვიზიტები ლეილა გერნგროსთან, საქმიან როტბაინთან, აზოტით გაბერილ ციმერმანთან, „
თოუს ლეს დეუხ “-ის მკვეხარა ვაჟიშვილთან, ტანჯულ ნატალი ფონ მალინკროდტთან და გაუქილიკებელი არც ის დარჩენია, ჰანს კასტორპი იმ სასიკვდილოდ განწირულ, სასაცილო ხროვას თავის ერთგულებას ძვირად ღირებული ყვავილებით რომ უმტკიცებდა ხოლმე. ჰანს კასტორპმა ამაზე მოახსენა, ფრაუ მალინკროდტისა და ბიჭუნა ტედის გამოკლებით ყველა, ვისაც ჩემი ყურადღებით მძიმე ხვედრს ვუმსუბუქებდი, სავსებით სერიოზულად, ცოცხლები აღარ არიანო. სეტემბრინიმ ჰკითხა, რაო მერე, ამით რა გნებავთ თქვათ, სიკვდილით ვითომ ღირსება და პატივი მოემატათო? ჰანს კასტორპმა მიუგო, ხომ არსებობს გრძნობა, რასაც ტანჯვისმიმართ ქრისტიანულ გულმოწყალებას ეძახიანო. სანამ სეტემბრინი ამ სიტყვებზეც გასცემდა საკადრის პასუხს, ნაფტამ მოყვასისადმი თავდადებულ სამსახურზე დაიწყო ლაპარაკი, რაც ასე გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში და ავადმყოფის მოვლის ფანატიზმამდე მისული, გასაოცარი თავდადების მაგალითები მოიყვანა: მეფის ასულნი კეთროვანთა აყროლებულ წყლულებს კოცნიდნენ, განგებ ისნებოვნებდნენ თავს, სხეულზე გაჩენილ მუწუკებს თავიანთ ვარდებს ეძახდნენ, ჩირქოვანი მუწუკების ჩამონაბან წყალს სვამდნენ დაგაიძახოდნენ, ამაზე ტკბილი ჩვენს სიცოცხლეში არაფერი დაგვილევიაო.
სეტემბრინი ისე დაიმანჭა, ვითომ ახლა აღებინებსო და თქვა, ამ გულისამრევი სურათის წარმოდგენაზე გულ-მუცელს ეს უზარმაზარი სისულელე უფრო მიტრიალებს, ადამიანებს მოყვასის სიყვარული უკუღმართად რომ ესმითო. სეტემბრინი კვლავ ამაყად გაიმართა წელში და გამხიარულდა, ადამიანზე ზრუნვის თანამედროვე პროგრესული ფორმები, ეპიდემიის ძლევამოსილი დათრგუნვა მოიხსენია და იმ სისაძაგლეს სოციალურ რეფორმებთან ერთად ჰიგიენა და მედიცინის მიღწევები დაუპირისპირა.
რასაც თქვენ ბრძანებთ, ეგ ყველაფერი ბიურგერული თვალთახედვით დიახაც რომ დასაფასებელია, მაგრამ იმ საუკუნეებში დიდად ვერაფრად გამოდგებოდაო, უპასუხა ნაფტამ, არც ერთ მხარეს არ გამოადგებოდა, არც სნეულსა და გაჭირვებულს და არც ჯანმრთელსა და სვებედნიერს, რადგან მშველელნი თანაგრძნობის გამო როდი იჩენდნენ გულმოწყალებას, ისინი უფრო საკუთარი სულის საცხონებლად იღვწოდნენო. ეგ სასიკეთო სოციალური რეფორმები ადამიანების ერთ ნაწილს ხსნის უმნიშვნელოვანეს საშუალებას წაართმევდა, მეორენი კი წმინდანის შარავანდედს დაკარგავდნენო. ამიტომ იყო ორივე მხარისთვის ხელსაყრელი სიღარიბისა და ავადმყოფობის ხანგრძლივად შენარჩუნება და ეს შეხედულება მანამდე არ დაკარგავს ძალას, სანამ შესაძლებელი იქნება წმინდა რელიგიურ თვალსაზრისზე დგომაო.
ეგ იმდენად ბინძური თვალსაზრისია, რომ მსგავსი სიტუაციის გასაბათილებლად გარჯას არც ვიკადრებდიო, განაცხადა სეტემბრინიმ. „წმინდანის შარავანდედის“ იდეაც და ისიც, რასაც ინჟინერი სხვისი გავლენით ტანჯვის მიმართ ქრისტიანულ გულმოწყალებას“ უწოდებს, ცრუ მონაჩმახია, მოჩვენებითია, ყალბ შეგრძნებასა და ფსიქოლოგიურ შეცდომაზეა დამყარებული. ჯანმრთელ კაცს ავადმყოფის თანაგრძნობა ლამის მოწიწებად ექცევა, რაკი ვერ

წარმოუდგენია, მის ადგილზე ტანჯვას თვითონ როგორ გაუძლებდა, მაგრამ ეს თანაგრძნობა უაღრესად გაზვიადებულია, ავადმყოფი ამდენის ღირსი ნამდვილად არ არის, ასეთი თანაგრძნობა აზრისა და ფანტაზიის ცდომილების ნაყოფია, ჯანმრთელი კაცი განცდის საკუთარ უნარს ავადმყოფს მიაწერს და წარმოიდგენს, ვითომც ავადმყოფიც ჯანმრთელი იყოს და ავადმყოფის ტანჯვა კი უნდა იტვირთოს, რაც თავიდან ბოლომდე შეცდომა გახლავთ. ავადმყოფი ავადმყოფია, იგი ბუნებითაც ავადმყოფია და განცდის უნარიც სახეცვლილი აქვს. ავადმყოფობა ისე შეიჩვევს ხოლმე თავის მსხვერპლს, რომ ერთმანეთს მშვენივრად ეწყობიან, რადგან აქ კიდევ ბევრი რამ გვევლინება მხსნელად: მგრძნობელობის დაქვეითება, გამოთიშვა, შვების მომტანი ნარკოზი, ბუნებაც თავისებურად აიოლებს ავადმყოფობასთან სულიერ და მორალურ შეგუებას და ტანჯვას ამ გზითაც ამსუბუქებს, რასაც ჯანმრთელი კაცი გულუბრყვილოდ ივიწყებს ხოლმე. ამის საუკეთესო მაგალითია აქ, ზევით, შეყრილი ჭლექიანების ხროვა თავისი ქარაფშუტობით, სისულელითა და აღვირახსნილობით, გამოჯანსაღების ნამდვილი, მტკიცე სურვილიც რომ არ გააჩნიათ, მოკლედ, ის გულშემატკივარი ჯანმრთელი კაცი თვითონ რომ გახდეს ავად, მაშინ მიხვდება, რომ ავად ყოფნაც ერთგვარი ყოფაა, მაგრამ არცთუ საპატიო ყოფა და იმასაც მიხვდება, ყველაფერ ამას თურმე თვითონ მეტისმეტად სერიოზულად რომ ეკიდებოდაო.

აქ კი ანტონ კარლოვიჩ ფერგე აბობოქრდა და ცილისწამებისა და გაქიაქებისაგან პლევრალური შოკის დაცვა მოინდომა. როგორ, მაშ, მე პლევრალურ შოკს მეტისმეტად სერიოზულად მოვკიდებივარო? დიდი მადლობა მომიხსენებია, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ დაგეთანხმებითო. ფერგე ისე გამწარებით ცდილობდა გადატანილი გაჭირვება სამასხარაოდ არავისთვის დაენებებინა, რომ დიდი ჩიჩახვი და გულკეთილი ულვაში აუდ-ჩაუდიოდა. მე ერთი უბრალო კაცი ვარ, თავსა და ბოლოს, დაზღვევის აგენტი გახლავართ და მაღალი მატერიებისა არაფერი გამეგებაო, ეს საუბარიც აღემატება ჩემს გონებრივ დონეს, მაგრამ თუ ბატონი სეტემბრინი თავის ნათქვამში პლევრალურ შოკსაც გულისხმობს, ამ ჯოჯოხეთურ ღიტინს გოგირდოვანი სიმყრალითა და სამფეროვანი გულყრითურთ, მადლობა მომიხსენებია, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ დაგეთანხმებითო, მგრძნობელობის დაქვეითებაზე, შვების მომტან ნარკოზზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ამაზე დიდი სისაძაგლე მზისქვეშეთში არ მოიძებნება და ვისაც ის არ გამოუცდია, მან არც შეიძლება...

- ერიჰაა! - თქვა ბატონმა სეტემბრინიმ. ეტყობა, ბატონი ფერგეს კოლაფსი რაც დრო გადის, მეტ დიდებულებას იძენს და მის გადამტანს იგი სულ მალე წმინდანის შარავანდედივით დაადგება თავზეო. მე თვითონ, თქვენსმონა-მორჩილს, დიდად არაფრად მიმაჩნია ისეთი ავადმყოფები, სხვებისგან აღტაცებას რომ მოელიან, თვითონაც ავადმყოფი ვარ, საკმაოდ მძიმე ავადმყოფი, და პოზიორობაში ნუ ჩამომართმევთ, ჩემი მდგომარეობა ნამდვილად მესირცხვილებაო, დასძინა მან. მე მხოლოდ ზოგადად ვმსჯელობ, ფილოსოფიურ პლანში, ოღონდ რაც ავადმყოფისა და ჯანმრთელის ბუნებასა და განცდების სხვადასხვაობაზე ითქვა, ეს უკვე დადასტურებულია და ბატონებს შეუძლიათ ამაში სულიერი ავადმყოფობისა და ჰალუცინაციების მაგალითით დარწმუნდნენო. აი, რომელიმემ აქ მყოფთაგან, ვთქვათ, ინჟინერმა ან ბატონმა ვეეზალმა ამ საღამოს, ბინდბუნდში, თავისი ოთახის კუთხეში გარდაცვლილი ბატონი მამა რომ დაინახოს, მამამ შემოხედოს და დაელაპარაკოს, ეს ამბავი ერთსაც და მეორესაც შეაძრწუნებდა. ეს იქნებოდა მათთვის უაღრესად ამაღელვებელი და გამაოგნებელი განცდა, საკუთარ გრძნობა-გონებას არ დაუჯერებდნენ, ოთახიდან მაშინვე გამოცვივდებოდნენ და ნერვებს უმკურნალებდნენ. იქნებ, არა? მაგრამ ოინიც ის არის, რომ ასეთი რამ ამ ბატონებს არ შეემთხვევათ, რადგანისინი სულიერად ჯანმრთელნი ბრძანდებიან და თუ შეემთხვევათ, მაშინ ჯანმრთელებიც არ ყოფილან და არც ჯანმრთელის რეაქცია ექნებათ, ესე იგი, ასეთი რამ არც შეაძრწუნებდათ და არც ოთახიდან გამოცვივდებოდნენ, პირიქით, მამის გამოცხადებას ნორმალურად მიიჩნევდნენ და საუბარსაც გაუბამდნენ, როგორც ჩვეულებრივ იქცევიან ჰალუცინაციით დაავადებულებიო. ფანტაზიის ცდომილებაც სწორედ ის გახლავთ, ჯანმრთელ

ადამიანს რომ ჰგონია, თითქოს ავადმყოფურ ჰალუცინაციებს ჯანსაღი შიში იწვევდესო.
ბატონი სეტემბრინი ისე სასაცილოდ და პლასტიკურად ლაპარაკობდა კუთხეში მდგარ მამაზე, ძალაუნებურად ყველას გაეცინა, გაეცინა ფერგესაც, თუმცა გულნატკენი კი იყო, ინფერნალური ფათერაკი ასე რომ გაუბიაბრუეს. ჰუმანისტი თანამოსაუბრეთა მხიარულ განწყობილებას დაეხარბა და მოინდომა, ბოლომდე გაეცამტვერებინა ჰალუცინაციებით დაავადებულები და საერთოდ ყოველი juris pazzi
(შეშლილები (იტალ.).) - ეს ადამიანები, აქაოდა, მეტი არ მოგვეკითხებაო, თავს მეტისმეტად ბევრის უფლებას აძლევენ, სინამდვილეში კი თავიანთი სიგიჟის მოთოკვა მშვენივრად შეუძლიათო, განაგრძო მან. მე თვითონ ვყოფილვარ ამის მოწმე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რომ შემივლიაო, როგორც კი ზღურბლზე ექიმი ან ვინმე უცხო გამოჩნდება, ჰალუცინაციებით შეპყრობილი მანჭვა-გრეხასა და ლაპარაკს წყვეტს, სანამ გრძნობს, მითვალთვალებენო, წესიერად იქცევა, მერე კი ისევ აიშვებს თავსო. დიახ, მეტწილად სიგიჟე იგივე თავაშვებულობაა, სუსტი ნებისყოფის ადამიანისთვის სიგიჟე დიდი დარდისგან თავის დაღწევის, ბედისწერის უმძიმესი დარტყმებისაგან თავის დაფარვის საშუალებაა, რადგან დიდ განსაცდელს ასეთი ადამიანი სრული ჭკუა-გონებით ვერ გაუძლებდაო. დიახ, ასე ბევრს ემართება და სეტემბრინის თურმე ჰქონია შემთხვევა, როცა მხოლოდ და მხოლოდ მზერით მოუთოკავს შეშლილი, გიჟის ოინბაზობისათვის თავისი ულმობელი ჭკუა-გონება დაუპირისპირებია და ცოტა ხნით მაინც გაუნათებია მისთვის გონება...
ნაფტამ გესლიანად ჩაიცინა, ჰანს კასტორპმა კი განაცხადა, მჯერა, ბატონი სეტემბრინი რასაც ამბობსო. იმას რომ წარმოვიდგენ, როგორ ჩაიღიმებდა ბატონი სეტემბრინი ულვაშში, იმ გონებასუსტს ჭკვიანურ, მტკიცე მზერას მიაპყრობდა და თვალს თვალში გაუყრიდა, მჯერა, ის საბრალო იძულებული რომ გახდებოდა, თავი მოეთოკა და ფხიზელი გონებისთვის პატივი მიეგო, თუმცა, ბუნებრივია, ბატონი სეტემბრინისთანა ხელის შემშლელის გამოჩენა მაინცდამაინც არ გაუხარდებოდაო... მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნაფტაც ნამყოფი ყოფილა საგიჟეში და მასაც შეუძლია გაიხსენოს, რა ამბავი ტრიალებდა ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების „შმაგი გიჟების“ განყოფილებაში. იქ რომ სცენები და სურათები მინახავს, იმათთან, ღმერთმანი, ვერას გახდებოდა სეტემბრინის ჭკვიანური მზერა და დამაშოშმინებელი ზეგავლენაო. ეს გახლდათ დანტესეული სცენები, ძრწოლისა და ტანჯვის გროტესკული სურათები: შხაპქვეშ სხვადასხვა პოზაში ჩაცუცქული შიშველი გიჟები, საზარელი შიშისა და ძრწოლისგან გამოთაყვანებული სახეები, ზოგი გულის შემძვრელად ღრიალებს, სხვებს ხელები აღუპყრიათ და ხახადაფჩენილები ისე შემზარავად ხარხარებენ, ჯოჯოხეთის ყველა საშინელებას ერთად დაგიყენებენ თვალწინ...
აბა, რა გეგონათო, თქვა ბატონმა ფერგემ და თავს ნება მისცა, გაეხსენებინა, სული ამომდიოდა და გულიანად მეცინებოდაო.
ერთი სიტყვით, „შმაგი გიჟების განყოფილებაში“ დატრიალებული სცენების წინაშე ჯობდა, კუდი ამოეძუებინა ბატონ სეტემბრინის ულმობელ პედაგოგიკას, გაცილებით ადამიანური იქნებოდა, კაცი მათ დანახვაზე რელიგიურ მოწიწებას შეეპყრო, თორემ რა საკადრისი იყო ისეთი ცხვირაბზუებული და ჭკუადამჯდარი მორალისტიკა, რაც ჩვენს უბრწყინვალეს მზის რაინდსა და სოლომონ ბრძენის ნაცვალს სიგიჟის წინააღმდეგ მოემარჯვებინა.
ჰანს კასტორპს არ ეცალა ყველა იმ ტიტულს ჩაჰკვირვებოდა, რითაც ნაფტამ ხელახლა შეამკო სეტემბრინი და სახელდახელოდ გადაწყვიტა, ამსაქმეს პირველი შესაძლებლობისთანავე ჩავეძიებიო. ამჯერად კი მისი ყურადღება მთლიანად შთაენთქა საუბარს, რადგან ნაფტა ის-ის იყო, მწვავედ აკრიტიკებდა იმ ზოგად ტენდენციებს, რაც ჰუმანისტს აიძულებდა, ყველა პატივი და ღირსება ჯანმრთელობისთვის მიეგო, ხოლო ავადმყოფობა ყოველნაირად დაეკნინებინა და მიწასთან გაესწორებინა. აქვე ისიც ითქვა, რომ ხსენებული პოზიციის დაცვისას საკვირველი, ლამის სანაქებო თვითგანადგურების მოწმენი ვხდებოდით, რაკი ბატონი სეტემბრინი თვითონაც ავად ბრძანდებოდა. სამაგიეროდ, მისი პოზიცია, ამ უჩვეულო ღირსების მიუხედავად, თურმე უდავოდ

მცდარი გახლდათ, რადგან იგი სხეულის წინაშე რიდიდან და მოწიწებიდან მომდინარეობდა, მსგავსი პოზიცია კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, სხეული თავის პირველყოფილი, ღვთიური სახით რომ შემოგვრჩენოდა და არა ისე დაკნინებული -in statu degradationis
- ახლა რომ გვქონდა. სხეულმა, თავდაპირველად უკვდავად შობილმა, ბუნების გაუკუღმართების წყალობით ჯერ შესცოდა, მერე კი ცოდვის მეოხებით სიბილწესა და ბოროტებას ეზიარა, მოკვდავი და ხრწნადი გახდა, სულის საპყრობილედ და დილეგად იქცა და ახლა იმისთვისღა ვარგოდა, რომ ჩვენში სირცხვილისა და დაბნეულობის გრძნობა, ანუ როგორც წმინდა იგნაციუსი(„წმინდა იგნაციუსი“ - იგულისხმება იგნაციუს ლოიოლა.)
იტყოდა,pudoris et confusionis sensum
გაეღვიძებინა.
როგორც ვიცით, ჰუმანისტ პლოტინსაც აქვს გამოთქმული მსგავსი აზრიო, წამოიძახა ჰანს კასტორპმა, მაგრამ ბატონმა სეტემბრინიმ ხელები აღაპყრო და შეუწყრა, თუ შეიძლებოდეს, სხვადასხვა თვალსაზრისს ერთმანეთში ნუ აურევ-დაურევთ და ისედაც ჯობია, ცოდნის შემთვისებლის როლს დასჯერდეთო.
ამასობაში ნაფტა მსმენელებს უხსნიდა, ქრისტიანულიშუა საუკუნეების მოწიწება სხეულის უძლურების წინაშე იმ რელიგიური გრძნობით იყო ნაკარნახევი, რასაც ადამიანის გულში ხორციელი ტანჯვის ყურება აღძრავდაო. თურმე დაწყლულებული სხეული არა მარტო თავის არარაობას ამხელდა, არამედ თვალსაჩინოდ ადასტურებდა სულის მოშხამულ, ხრწნად ბუნებას და ამით ადამიანს სულიერ კმაყოფილებას ჰგვრიდა, აყვავებული სხეული კი მაცდური, სინდისის შემბღალავი მოვლენა ყოფილა და მისი დათრგუნვა და მიწასთან გასწორება სანაქებო საქმედ ითვლებოდაQuis me liberabit de corpore mortis hujus
. ? ვინ დამიხსნის მე ამა სიკვდილის სხეულისაგან? - აი, ეს გახლავთ სულის ყივილი, ჭეშმარიტად ადამიანური რომ დარჩება უკუნითი უკუნისამდეო.
არა და არა, ეს იმ სამყაროს მძლავრი ყივილია, სადაც საზრისისა და ადამიანურობის მზის შუქს ჯერ კიდევ არ შეუღწევიაო, - ასეთი იყო ბატონი სეტემბრინის მღელვარედ წარმოთქმული აზრი. მე პირადად, მართალია, ხორციელი გარსი მოშხამული მაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, გონი შემინარჩუნებია იმდენად ჯანსაღი და ხალასი, რომ დიახაც, შემწევს უნარი, ხუცესთა ყაიდაზე მოაზროვნე ნაფტასაც საკადრისი პასუხი გავცე და სულიც ჩემებურად გავაქილიკოო. შემდეგ სეტემბრინი სხეულის ხოტბა-დიდებას მოჰყვა, სხეული ღვთის ჭეშმარიტი საყდარიაო, ნაფტამ ამაზე მიუგო, ეგ ქსოვილი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენსა და მარადისობას შორის ჩამოშვებული ფარდაო, ამ სიტყვებს კი შედეგად ის მოჰყვა, რომ სეტემბრინიმ ნაფტას საბოლოოდ აუკრძალა სიტყვა „კაცობრიობის“ ხსენება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.
ყინვისგან სახეგახევებულები, თავშიშველნი, კალოშებით მიაბიჯებდნენ ისინი ხან ტროტუარზე, სადაც ნაცარმოყრილ თოვლს ხრაშახრუში გაუდიოდა, ხან კი გზასავალზე გადადიოდნენ და მომბალ თოვლს ფეხებით ხნავდნენ. სეტემბრინის საზამთრო ქურთუკი ეცვა, ქურთუკს საყელოსა და სახელოებზე მოვლებული ბეწვი გაჰქუცვოდა, მაგრამ ეს გარემოება მის პატრონს ხელს არ უშლიდა, იგი მაინც შნოიანად ეტარებინა, ნაფტას შავ, კოჭებამდე გრძელ, გულდახურულ პალტოს კი ბეწვი მხოლოდ შიგნიდან ჰქონდა გამოკრული და გარედან სადა ჩანდა. სეტემბრინი და ნაფტა ზემოხსენებულ პრინციპებზე ისე გაცხარებით კამათობდნენ, გეგონებოდათ, მათი საკუთარი ბედი წყდებაო, თან უფრო ხშირად ერთმანეთს კი არა, ჰანს კასტორპს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს და მოწინააღმდეგეზე თავით ან ცერით უთითებდნენ ხოლმე. ისიც, მოკამათეებს შუა მომწყვდეული, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და ხან ერთს უკრავდა კვერს და ხან მეორეს, ზოგჯერ შეჩერდებოდა, წელში ალმაცერად გადაიზნიქებოდა, თხის ტყავის ხელთათმანით შემოსილ ხელს თავგამეტებით იქნევდა და საკუთარ, მაგრამ ცხადია, ზედმიწევნით უსუსურ აზრებს გამოთქვამდა ხოლმე. რაც შეეხება ფერგესა და ვეეზალს, ისინი სამეულის ირგვლივ ტრიალებდნენ, მოკამათეებს ხან წინ უსწრებდნენ, ხან უკან მიჰყვებოდნენ, ზოგჯერ კი გვერდში ამოუდგებოდნენ და ასე გამწკრივებულნი მიდიოდნენ, სანამ გამვლელ-გამოვლელნი მწკრივს არ აურ-დაურევდნენ ხოლმე.

მერე საუბარში ისინიც ჩაერივნენ და მათი წყალობით კამათმა შედარებით კონკრეტულ თემებზე გადაინაცვლა. მოკამათენი ერთმანეთის მიყოლებითშეეხნენ კრემაციის, ფიზიკური სასჯელის, წამებისა და სიკვდილით დასჯის საკითხებს და ყველას ლაპარაკის ჟინი გაუღვიძეს. გაწკეპვლის თემა, მაგალითად, ფერდინანდ ვეეზალმა ჩართო კამათში და ჰანს კასტორპმა სწორად აღნიშნა, მღელვარებამ ვეეზალს სახე დაუმშვენაო. რა გასაკვირია, თუკი ბატონმა სეტემბრინიმ ადამიანურ ღირსებას მოუხმო და ხმა აღიმაღლა ამ უმსგავსი მეთოდის წინააღმდეგ, იგი არც პედაგოგიკაშია მისაღები და მით უმეტეს, არც მართლმსაჯულებაშიო, ბრძანა მან, ასევე არავის გაჰკვირვებია, ნაფტამ რომ ცემა -ტყეპას დაუჭირა მხარი, თუმცა მისმა პირქუშმა კადნიერებამ ყველანი კი შეაცბუნა. მისი სიტყვით, ადამიანურ ღირსებაზე ტლიკინი სისულელე იყო, ვინაიდან ჩვენი ჭეშმარიტი ღირსება სულში გახლდათ დავანებული და არა ხორცში, ხოლო რაკი ადამიანის სული თავგამეტებით ცდილობდა სიცოცხლის ყველა სიამე სხეულიდან გამოეწოვა, ამიტომ მისთვის სწორედ ტკივილი უნდა მიგეყენებინა, რათა სამუდამოდ ჩაგეკლა მის არსებაში გრძნობადისაკენ ლტოლვა, და ამ გზით სულისკენ შემოგებრუნებინა, რათა სული კვლავ აღზევებულიყო. ცემით დასჯა სამარცხვინოაო, ამის თქმა სისულელეა და მეტი არაფერი, როგორც ლეგენდიდან ვიცით, წმინდა ელიზაბეტი
(წმინდა ელიზაბეტი (1207-1231) - ტიურინგიელი ლანდგრაფის ქალი, ასული უნგრეთის მეფის ანდრეას II-ისა და ცოლი ტიურინგიის ლანდგრაფ ლუდვიგ IV-ისა.) ცემით დაასისხლიანა მისმა სულიერმა მამამ კონრად მარბურგელმა და სული მისი“ ამის წყალობით აღზევდა ანგელოსთა მესამე დასამდე“, თვითონ ელიზაბეტმა კი საკუთარი ხელით გაწკეპლა ერთი საბრალო დედაბერი, რომელსაც აღსარებისას თვლემა მორეოდა. განა ვინმე გაკადნიერდებოდა, ბარბაროსული და არაადამიანური ეწოდებინა იმ თვითგვემისათვის, ზოგიერთი ორდენის ან სექტის წევრი რომ მიმართავდა, ან თუნდაც გაეკიცხა ის კეთილშობილი ადამიანები, სხეულს რომ ითრგუნავდნენ, რათა თავიანთ თავში სულიერი საწყისი განემტკიცებინათ? ზოგიერთი ქვეყანა თავს იწონებს როზგის გაუქმებით, რაკი ეს პროგრესი ჰგონია, სინამდვილეში კი ასეთი აზრი და მით უმეტეს, ამ აზრის შეურყევლობის რწმენა კომიკურ ელფერს იძენსო, დაასკვნა ნაფტამ.
ერთი სიტყვით, თურმე აუცილებლად უნდა ვაღიაროთ,რომ სულისა და სხეულის ურთიერთწინააღმდეგობისას სხეული ნამდვილად ბოროტ, ეშმაკეულ საწყისს განასხეულებს. ხა, ხა, ხა, დიახ, განასხეულებსო, აღნიშნა ჰანს კასტორპმა, აბა, რა, სხეული ხომ თავის ბუნებით ბუნებისმიერია, დიახ, ბუნებითაა ბუნებისმიერი, ჰოდა, არც ესაა ურიგო! ბუნება, გონისა და საზრისის საპირისპიროდ, ბოროტია, მისტიკურად ბოროტი, თუკი, რა თქმა უნდა, ჩემი ცოდნა-განათლების პატრონს შეუძლია გაბედოს ამის თქმაო. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანი იქნება, სხეულს საკადრისად მოვექცეთ, კერძოდ, დისციპლინური სასჯელი დავადოთო, ოღონდ ერთხელ კიდევ გავბედავ და მოგახსენებთ, რომ ესეც მისტიკურ ბოროტებად მიმაჩნიაო. თუმცა ბატონი სეტემბრინი ფიზიკური სისუსტის გამო მაშინ ბარსელონაში გამართულ პროგრესის კონგრესზე რომ ვერ წავიდა, ვინ იცის, წმინდა ელიზაბეტისნაირი ვინმე რომ ჰყოლოდა გვერდით, იქნებ...
ყველას გაეცინა, მაგრამ ჰუმანისტმა გაცხარება დააპირა და ჰანს კასტორპმა სასწრაფოდ დაიწყო ცემა-ტყეპასთან დაკავშირებული ერთი ფათერაკის მოყოლა: მისი გიმნაზიის დაბალ კლასებში თურმე ნებადართული ყოფილა გაწკეპვლა და წკეპლები კლასშივე ჰქონიათ მომარაგებული. მართალია, მასწავლებლები ანგარიშს უწევდნენ ჩემს საზოგადოებრივ მდგომარეობას და ხელის ხლებას ვერ მიბედავდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთხელ ჩემმა ერთმა ღონიერმა თანაკლასელმა, ახმახმა მუტრუკმა, წკეპლით ისე ამიხურა ბარკლები და წინდებისამარა კანჭები, იმ ჯოჯოხეთურ ტკივილს რა დამავიწყებსო. ის ტკივილი სწორედ რომ მისტიკური იყო, ბრაზისა და შეურაცხმყოფელი ტკივილისგან ხმამაღლა ვღრიალებდი და სიმწრის ცრემლები მცვიოდაო, თუმცა ჩემი რა მიკვირს, სადღაც წამიკითხავს, საპყრობილეში, ყველაზე მაგარ ბანდიტებს და კაცისმკვლელებს რომ წკეპლავენ, თურმე ისინიც პატარა ბავშვებივით

ზლუქუნებენო.
სეტემბრინიმ სახეზე აიფარა გაქექილი ტყავის ხელთათმანებით შემოსილი ხელები, ხოლო ნაფტამ სახელმწიფო მოღვაწეს რომ შეშურდებოდა, ისე მედიდურად ბრძანა, აბა, პირწავარდნილი ავაზაკების მოთვინიერება როგორ წარმოგიდგენიათ, თუ არა ჯოხითა და წკეპლითო, თანაც ნუ დაგავიწყდებათ, ასეთი მეთოდები კატორღის სტილს შეეფერება, ჰუმანური კატორღა განახევრებული ესთეტიკური მთელია, კომპრომისი. ბატონი სეტემბრინი, მართალია, ოქროპირი ბრძანდება, მაგრამ სინამდვილეში მშვენიერებისა არაფერი გაეგებაო. რაც შეეხება პედაგოგიკას, ნაფტას თუ ყურს მივუგდებდით, ადამიანური ღირსების მათეულ გაგებას, ვინც ფიზიკური დასჯის გაუქმებას უჭერდა მხარს, ბურჟუაზიული ჰუმანიზმის ეპოქის ლიბერალურ ინდივიდუალიზმში, „მეს“ განმანათლებლურ აბსოლუტიზმში ჰქონდა ფესვი გადგმული, ეს უკანასკნელი კი საცაა გადაშენდებოდა და ასპარეზს დაუთმობდა ამომავალ, ნაკლებად ლმობიერ საზოგადოებრივ იდეებს, ერთობისა და ქედის მოდრეკის, იძულებისა და მორჩილების იდეებს, რომელთა განხორციელება შეუძლებელია ღვთაებრივი სისასტიკის გარეშე, ხოლო ისინი, თავის მხრივ, გვაიძულებენ ადამიანის ლეშის ფიზიკურადდასჯას სულ სხვა თვალით შევხედოთო.
- ჰოდა, სწორედ აქედან მოდის გამოთქმა - ლეშის მორჩილება!(„ლეშის მორჩილება“ - გერმანულ ენაში არსებობს გამოთქმა კადავერგეჰორსამ, რაც სიტყვასიტყვით ლეშის მორჩილებას ნიშნავს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით ბრმა, უკრიტიკო, მონურ მორჩილებას გულისხმობს.)
- გესლიანად თქვა სეტემბრინიმ, ამაზე კი ნაფტამ უპასუხა, თუკი ღმერთმა ჩადენილი ცოდვის საზღაურად ჩვენს სხეულს ხრწნა მოუსაჯა და ამით პატივი აჰყარა, იმავე სხეულს წკეპლით თუ ააჭრელებენ, ეს ჩვენი უდიდებულესობა სხეულისთვის დიდი შეურაცხყოფა როდი იქნებაო! ამის თქმისთანავე საუბარმა გვამის დაწვაზე გადაინაცვლა.
სეტემბრინიმ ხალისით შეასხა ხოტბა ამ წესს, ხრწნით პატივის აყრას, ბოლოს და ბოლოს, ეშველებაო. კაცობრიობას შეგნებული აქვს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება და იდეალური მოტივები ამოძრავებს, ხრწნისგან თავი დაიხსნასო, განაგრძო მან და განაცხადა, ვმონაწილეობ კრემაციისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესის მოსამზადებელ სამუშაოებში, რომელიც, ალბათ, შვედეთში ჩატარდებაო. თურმე დაგეგმილი ყოფილა წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით აგებული სანიმუშო კრემატორიუმისა და კოლუმბარიუმის ჩვენება, რომელიც, იმედია, საყოველთაო გამოცოცხლებასა და გათამამებას გამოიწვევსო. ახალი დროების ფონზე დიახაც რომ დამყაყებული ჩვეულებაა მიწაში დამარხვა! ქალაქები ფართოვდება! მიწის მომცდენი ეგრეთ წოდებული სასაფლაოები ქალაქგარეთ გადააქვთ! მიწის ფასები იზრდება! თანამედროვე ტრანსპორტის გამოყენება დაკრძალვის ცერემონიალს ძალაუნებურად აუბრალოებს! ბატონ სეტემბრინის არ გასძნელებია ასეთი გამაუბრალოებელი, მარჯვედ მონახული ფაქტების ჩამოთვლა. განა სასაცილო არ არის წელში მოხრილი ქვრივი მამაკაცის ფიგურა, ყოველდღე რომ მიჩანჩალებს ძვირფასი მიცვალებულის საფლავისაკენ, აქაოდა, განსვენებულს ადგილზევე უნდა ვესაუბროო? ასეთი იდეალებით მოსულდგმულე კაცს, ეტყობა, თავზე საყრელად ჰქონია სიცოცხლისაგან მონიჭებული უდიდესი სიკეთე - დრო, მაგრამ ესეც არ იყოს, შუაგულ ქალაქში გამოჭიმული თანამედროვე სასაფლაოს ხალხმრავლობა მყისვე ჩაუკლავდა ატავისტური გულჩვილობის გამომჟღავნების სურვილსო. გვამის ცეცხლში დაწვა! რა სუფთა, ჰიგიენური და ღირსეული, ლამის საგმირო ხვედრიც კია იმასთან შედარებით, რაც ადამიანს უბადრუკი თვითგახრწნისა და უმდაბლეს ორგანიზმებთან ასიმილაციის შედეგად მოელის. რაც გინდათ თქვით და, ახალი მეთოდი გულსაც უფრო ესალბუნება, ის უფრო მეტს ჰპირდება ადამიანის უკვდავებისკენ სწრაფვას. რაც ცეცხლში ნადგურდება, სწორედ იგია ცვალებადი, სხეულის ეს ნაწილებია, სიცოცხლეშივე რომ ემორჩილებოდა ნივთიერებათა ცვლას, ხოლო ის, რაც ყველაზე ნაკლებად მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესში და ადამიანს თითქმის უცვლელად მიჰყვება მთელი ზრდადასრულებული სიცოცხლის მანძილზე,

ცეცხლგამძლე ყოფილა, სწორედ იგი იქცევა ფერფლად და ჭირისუფალიც ამ ფერფლთან ერთად უყრის თავს ყოველივეს, რაც თურმე წარუვალი ყოფილა განსვენებულშიო.
- მშვენიერია, - თქვა ნაფტამ, - დიახაც რომ სანაქებოა. მაშ, ადამიანის წარუვალი ნაწილი ფერფლი ყოფილა.
ჰო, რაღა თქმა უნდა, ნაფტას ურჩევნია, კაცობრიობას კვლავაც ირაციონალური პოზიცია დაიკავოს ბიოლოგიური ფაქტებისადმი. მისი ნება რომ იყოს, იმ პრიმიტიულ რელიგიურ საფეხურსაც სიამოვნებით შეინარჩუნებდა, სადაც სიკვდილი საფრთხობელას წარმოადგენდა და ისეთი იდუმალი ძრწოლით იყო გარემოსილი, რომ ამ ფენომენს გონების ფხიზელ თვალს ვერ გაუსწორებდი. რა ბარბაროსობაა! სიკვდილის შიში უკულტურო, ჩამორჩენილი ეპოქებიდან მომდინარეობს. იმ დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო მოძალადეობრივი სიკვდილი და ასეთი სიკვდილის წინაშე საფუძვლიანი შიში ადამიანის გულში დიდხანს უტოლდებოდა საერთოდ სიკვდილის შიშს, მაგრამ თანდათან, ჰიგიენის განვითარებისა და პირადი უსაფრთხოების განმტკიცების წყალობით, ბუნებრივი სიკვდილი ნორმად იქცა, თანამედროვე მშრომელ ადამიანს საუკუნო განსასვენებელზე ფიქრი ძალის თანდათანობით გამოფიტვის შემდეგ სულაც აღარ წარმოუდგებოდა საზარლად, პირიქით, ნორმალური და სასურველიც კი ეჩვენებოდა. არა და არა, სიკვდილი არც საფრთხობელაა და არც მისტერია, იგი მარტივი, გონივრული, ფიზიოლოგიურად აუცილებელი, მისასალმებლი მოვლენაა და ეს იქნებოდა სიცოცხლის გაძარცვა, მის ჭვრეტაში გარინდებას დაწესებულზე უფრო ხანგრძლივად თუ მოვინდომებდით. ამიტომაც იყო დაგეგმილი იმ სანიმუშო კრემატორიუმისა და მისი კოლუმბარიუმის, ანუ „სიკვდილის დარბაზის“, გვერდით სიცოცხლის დარბაზის“ აშენება, სადაც გაერთიანდებოდა არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და პოეზია, რათა ცოცხლების გონება სიკვდილის განცდისგან, ჩლუნგი მწუხარებისა და უმაქნისი მოთქმა-გოდებისაგან ჩამოეშორებინათ და სიცოცხლის მრავალი სიკეთისკენ მიეპყროთ...
- თანაც დაუხანებლად, არა? - დასცინა ნაფტამ, - რათა დაწესებულზე მეტად არ გასჭიანურებოდათ გლოვა, როგორმე ღრმად რომ არ შეეტოპათისეთი უმნიშვნელო ფაქტით მოგვრილ სასოებაში, რომლის გარეშე, სხვათა შორის, არც არქიტექტურა იარსებებდა, არც მხატვრობა, არც ქანდაკება, არც მუსიკა და არც პოეზია.
- იგი სადეზერტიროდ დროშისკენ გარბის, - მეოცნებე ხმით წარმოთქვა ჰანს კასტორპმა.
- თქვენი ნათქვამის უაზრობა, ინჟინერო, მის მანკიერებასაც ამხელს, - უპასუხა სეტემბრინიმ, - სიკვდილის განცდა, ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ სიცოცხლის განცდას უნდა აღძრავდეს, თორემ იგი მხოლოდ და მხოლოდ საფრთხობელას დაემსგავსება.
- იქნება თუ არა სიცოცხლის დარბაზში“ ისეთი უწმაწური სიმბოლოები, ზოგიერთ ანტიკურ სარკოფაგზე რომაა გამოსახული? - სერიოზულად იკითხა ჰანს კასტორპმა.
იქნება, იქნება, ეგ თუ არა, სხვა ყველაფერი მაინც უხვად იქნება თვალისა და გულის დამატკბობელიო, დაიამედა ნაფტამ. კლასიცისტური გემოვნების ხალხი მხატვრებს მარმარილოთი და ზეთის საღებავით გამოასახვინებს სხეულს, იმ ცოდვილ სხეულს ხომ გახრწნისაგან იფარავენ, თუმცა ეგ რაღა გასაკვირია, როცა ზედ ისე დაჰკანკალებენ, რომ მის დასჯასაც აღარავის ანებებენ...
ამ დროს საუბარში ვეეზალი ჩაერია და მისთვის ზედგამოჭრილ თემაზე - წამებაზე ჩამოაგდო სიტყვა, აინტერესებდა, ბატონები წამებით დაკითხვაზე რა აზრის ბრძანდებიანო. თვითონ საქმიანი მოგაზურობისას თურმე შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, ძველი კულტურის ცენტრებში ის საიდუმლო ადგილები რომ მოენახულებინა, სადაც სინდისის ამდაგვარი გამოცდა ტარდებოდა ხოლმე. ამგვარად, გათვითცნობიერების მიზნით მონახულებული ჰქონია ნიურნბერგისა და რეგენსბურგის საწამებელი საკნები. სხვათა შორის, იქ სხეულს სულის სალხინებლად საკმაოდ უხეშად ეპყრობოდნენ და საამისოდ ფრიად გონებამახვილურ ხერხებსაც იყენებდნენ თურმე, თან ყვირილსაც რომ

ვერსაიდან გაიგონებდით?! ადამიანს პირში მსხალს ჩრიდნენ, აი, იმ საყოველთაოდ ცნობილი ხის მსხალს, ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ჯერ თვითონ ის მსხალი როგორ ჩაუტკბარუნებდა ადამიანს პირს და მერე საქმეც რა უხმაურდ წარიმართებოდა...
-Porcheria
(რა ღორობაა (იტალ.).) , - წაიბურტყუნა სეტემბრინიმ.
ფერგემ სათანადო პატივი მიაგო მსხალსა და მთელ იმ უხმაურო საქმიანობას, მაგრამ მაინც დასძინა, პლევრის მოსინჯვაზე უფრო საშინელ წამებას იმ დროშიც კი ვერავინ გამოიგონებდაო.
ჰო, მაგრამ, ეს ხომ თქვენს განსაკურნავად იყო გამიზნულიო.
გახევებული სული და შელახული სამართლიანობა დიახაც არანაკლებ ამართლებდა დროებით სისასტიკეს და ესეც არ იყოს, წამება რაციონალური პროგრესის შედეგი გახლდათო.
ნაფტა სრულ ჭკუაზე ვერ უნდა იყოსო.
ჭკუის ნაკლებობას სწორედაც არ ვუჩივიო, ბატონი სეტემბრინი კი ესთეტი ბრძანდება და ამიტომაც ეტყობა, ასე უცებ ვერ გაიხსენებს შუა საუკუნეების სამართლის ისტორიას. ეს უკანასკნელი ნამდვილად რაციონალიზმის გზით ვითარდებოდა და სასამართლოდან თანდათან სწორედაც გონიერების კარნახით გამოაძევეს ღმერთი. ღმერთის სამსჯავრო დამარცხდა, რადგან აშკარა გახდა, მის სამსჯავროში, დამნაშავეც რომ ყოფილიყო, მაინც ძლიერი იმარჯვებდა. ეს მოვლენა სწორედ ბატონი სეტემბრინისნაირმა ხალხმა - ურწმუნოებმა, კრიტიკანებმა შეამჩნიეს და იმდენი ქნეს, სანამ ძველი, გულუბრყვილო სასამართლოს ადგილი ინკვიზიციამ არ დაიკავა, რომელიც ჭეშმარიტების გამოსარკვევად ღმერთის იმედად აღარ იყო და ცდილობდა, სიმართლე ბრალდებულისთვის ეთქმევინებინა. არავითარი განაჩენი დანაშაულის აღიარების გარეშე! ერთი ნახეთ, დღესაც თუ არ არის მსგავსი აზრი ხალხში გავრცელებული. ამ ინსტინქტმა ღრმად ჩაიბუდა ადამიანის ცხოვრებაში. რაც უნდა უტყუარი იყოს მტკიცებათა ჯაჭვი, განაჩენს უკანონოდ მიიჩნევენ, თუ დამნაშავე არ აღიარებს დანაშაულს. მერედა როგორ უნდა მიეღწიათ ამისთვის? ჭეშმარიტების დასადგენად მხოლოდ სამხილი ან ეჭვი ხომ არ იკმარებდა? როგორ უნდა ჩაეხედათ იმ ადამიანის სულსა და გულში, რომელიც დანაშაულს ჩქმალავდა და უარყოფდა? ჰოდა, თუკი სული გაკერპდებოდა, სხეულს უნდა მისდგომოდი, სხეული ხომ ვეღარსად გაგექცეოდა. წამების მეოხებით დანაშაულში გამოტეხა გონებით გახლდათ ნაკარნახევი. მერედა, ვინ მოითხოვა და ვინ შემოიღო დანაშაულის აღიარების მუხლი? ვინ და, ბატონმა სეტემბრინიმ, და აქედან გამომდინარე, წამების შემომღებიც იგი გახლავთო.
ჰუმანისტი დანარჩენებს ეხვეწებოდა, ნაფტას არ დაუჯეროთ, ეს ყველაფერი ეშმაკის მოგონილიაო. მართლა რომ ასე იყოს, როგორც ბატონი ნაფტა გვიქადაგებს, მართლა გონება რომ იყოს ყოველგვარი უკეთურობის მომგონი, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურებდა. გონებას ყოველთვის და ყოველ დროში რომ სჭირდებოდა შემწეობა და განათლება და რა ამაოდ შიშობენ ბუნებრივი ინსტინქტების თაყვანისმცემელნი, ოდესმე დედამიწაზე ცხოვრება გონივრულად წარიმართებაო! ოღონდ ჩემზე წინ გამოსულ ორატორს ნამდვილად აჰბნევია თავგზა - სამართლის თანამდევსაშინელებებს თუნდაც იმიტომ ვერ მივაწერთ გონებას, რომ მისი თავიდათავი მიზეზი ჯოჯოხეთის რწმენა გახლავთო. საკმარისია, ნახოთ მუზეუმები და საწამებელი საკნები: მთელი ეს ჭანგები, მარწუხები, ძელები და შანთები ნამდვილად ბავშვური, ბრმა ფანტაზიის ნაყოფია, მათი შექმნა საიქიოს მარადიული ტანჯვის წაბაძვის ღვთისმოსაური სურვილითაა ნაკარნახევი. უფრო მეტიც, სასამართლოს მსახურნი დამნაშავეს, მათი ჭკუით, მისივე სასიკეთოდ აწამებდნენ. გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, საბრალო სულს სწყურია დანაშაულის აღიარება, ხორცი კი, როგორც ბოროტეულის სიმბოლო, წინ ეღობება მის კეთილ სურვილსო. ჰოდა, ტანჯვა-წამებით ხორცს თუ ავნებდნენ, ამით, მათი ჭკუით, სულს გაუწევდნენ სასიკეთო სამსახურს. ასკეტური უგუნურებაა... იქნებ ძველი რომაელებიც ამ აზრისა იყვნენო...
რომაელები?Ma che
(კიდევ რა გნებავთ (იტალ.).) !

სხვათა შორის, ისინიც მიმართავდნენ სასამართლო პროცესზე წამებასო.
ლოგიკის მარცხმა ყველა შეაცბუნა... ჰანს კასტორპი შეეცადა, უხერხული სიტუაცია განემუხტა და დიდის ამბით, თითქოს მართლა შესწევდა ძალა ამდაგვარი საუბარი წარემართა, საკამათოდ სიკვდილით დასჯის პრობლემა წამოისროლა. მართალია, წამება გაუქმებულია, მაგრამ გამომძიებელს ბრალდებულის წელში გასატეხად ჯერ კიდევ ბევრი საშუალება აქვსო. რაც მთავარია, ეტყობა, სიკვდილით დასჯა უკვდავია, მას ვერ შეველევით, ყველაზე ცივილიზებული ერებიც კი მტკიცედ ებღაუჭებიან ამ წესსო. ფრანგებმა, მაგალითად, დამნაშავეთა გადასახლების შემოღებით ბევრი სიმწარე იწვნიეს და ზოგიერთ ადამიანის მსგავს არსებასთან საბრძოლველად სხვა ვეღარაფერი მოიფიქრეს, ერთი თავით მათი დამოკლების გარდაო.
ისინი „ადამიანის მსგავსი“ კი არა, ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც მე და თქვენ ვართ, ინჟინერო, ოღონდ მათ ნებისყოფა ღალატობთ, ისინი მანკიერი საზოგადოების მსხვერპლნი არიანო, დაასკვნა სეტემბრინიმ და მსმენელებს მოუთხრო ერთი საშიში დამნაშავის, კაცისმკვლელის ამბავი, აი, ისეთი ტიპისა, პროკურორები თავიანთ სიტყვაში პირუტყვს“ და „ადამიანის სამოსელში გახვეულ მხეცს“ რომ უწოდებენ ხოლმე. ამ კაცს თავისი საკნის კედლები ლექსებით აუჭრელებია და არცთუ ურიგო ლექსებით, ყოველ შემთხვევაში, ეს ლექსები გაცილებით უკეთესი გახლდათ, ვიდრე ისინი, პროკურორები ჟამიდან ჟამზე რომ თხზავენო.
ეს ფაქტი ისევ და ისევ ხელოვნებას თუ მოჰფენს უცნაურ შუქს, თორემ სხვა მხრივ არაფრით ღირსშესანიშნავი არ არისო, ბრძანა ნაფტამ.
ჰანს კასტორპი მოელოდა, ნაფტა სიკვდილით დასჯას დაუჭერს მხარსო. მისი აზრით, ნაფტა რევოლუციონერობაში ბატონ სეტემბრინის არ ჩამორჩებოდა, ოღონდ მისი რევოლუციონერობა არსებულის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული.
სეტემბრინის თავდაჯერებული კაცის ღიმილი გამოესახა ბაგეზე: მსოფლიო ანტიჰუმანური რეგრესის რევოლუციას გადააბიჯებს და დღევანდელ დღის წესრიგზე გადავაო, ბატონი ნაფტა კი უმალ ხელოვნებას შეხედავს ეჭვის თვალით, ვიდრე იმას აღიარებს, რომ ხელოვნებას ძალუძს ყველაზე ზნედაცემული არსებაც კი ადამიანად აკურთხოსო. არა, სინათლის მაძიებელ ახალგაზრდობას ამგვარი ფანატიზმით ვერ მიიმხრობო. სულ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ლიგა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ყველა კულტურულ ქვეყანაში კანონით აკრძალოს სიკვდილით დასჯა. თქვენს მონა-მორჩილს პატივი აქვს ამ ლიგის წევრი იყოსო. ჯერ კიდევ დასადგენია, სად გაიმართება მისი პირველი კონგრესი, მაგრამ კაცობრიობას შეუძლია იმედი იქონიოს, რომ იქ გამოსულ ორატორებს სათანადო არგუმენტები არ შემოაკლდებათო, განაცხადა სეტემბრინიმ და სათანადო არგუმენტები მოიყვანა, მათ შორის ისიც, რომ ყოველთვის არსებობს სასამართლო შეცდომის, ანუ იუსტიციური მკვლელობის შესაძლებლობაო, ესეც არ იყოს, არასოდეს არ უნდა დავკარგოთ ადამიანის გამოსწორების იმედიო და დაიმოწმა, „ჩემი არს შურისგებაი“. მერე კვლავ განაგრძო შეგონებანი, თუკი სახელმწიფო ადამიანის გაკეთილშობილებისთვის იღვწის და არა ძალმომრეობისთვის, მას უფლება აღარ აქვს, ბოროტებას ბოროტებითვე უპასუხოსო. ბოლოს კი სეტემბრინიმ, მას შემდეგ, რაც მეცნიერული დეტერმინიზმის საფუძველზე უკუაგდო „დანაშაულის“ ცნება, „სასჯელის“ ცნებაც უარყო.
ამის პასუხად ნაფტამ „სინათლის მაძიებელი“ ახალგაზრდობის თვალწინ ერთმანეთზე მიყოლებით მოუგრიხა კისერი ზემოხსენებულ არგუმენტებს. მან მასხრად აიგდო კაცობრიობის მეგობრის სისხლმოშიშობა და სიცოცხლის ტრფიალი, ცალკეული სიცოცხლის ასეთი ტრფიალი მხოლოდ ყველაზე უზნეო ეპოქას, ქოლგიანი ბურჟუის ხანას თუ შეეფერებაო, ხოლო როცა ვნებათაღელვა აზავთდება, ერთადერთი იდეის, „უსაფრთხოებაზე“ ამაღლებული, რაღაც ზეპიროვნული, ანუ ზეინდივიდუალური იდეის გამოჩენაც კმარა და სხვათა შორის, ადამიანს მხოლოდ ასეთი ყოფა ეკადრება, უმაღლესი აზრით, სწორედ ეს გახლავთ ადამიანის ნორმალური მდგომარეობაო, ცალკეულ ადამიანთა სიცოცხლე ყოველ ეპოქაში უბოდიშოდ ეწირებოდა უმაღლეს იდეას, თვით

ინდივიდი ნებაყოფლობით, უყოყმანოდსწირავდა იდეისათვის სიცოცხლეს, ჩემი უფალი მოწინააღმდეგის ფილანთროპია კი იმისთვის იღვწის, რომ სიცოცხლეს წაართვას მთელი მისი სიდიადე და ძალმოსილება, ფილანთროპიაც და მისი, უკაცრავად პასუხია, მეცნიერული დეტერმინიზმიც სიცოცხლის კასტრაციისკენ ისწრაფვის, მაგრამ სინამდვილეში დეტერმინიზმი არამცთუ ვერაფერს აკლებს დანაშაულის ცნებას, არამედ პირიქით, მას სიმძიმესა და შიშის ჟრუანტელს მატებსო.
ურიგო აზრი არაა, მაგრამ იქნებ ბატონ ნაფტას ისიც ნებავს, საზოგადოების იმ წყეულმა მსხვერპლმა მართლა შეიგნოს საკუთარი დანაშაული და ეშაფოტზე რწმენის კარნახით ავიდესო?
დიახაც, მნებავსო. დამნაშავე ისევეა განმსჭვალული თავისი დანაშაულით, როგორც საკუთარი თავით, რადგან იგი ისეთია, როგორიც არის, და არც ძალუძს და არც სურს სხვანაირი იყოს, აი, სწორედ ეს გახლავთ დანაშაული. ბატონმა ნაფტამ დანაშაული და დამსახურება ემპირიული სფეროდან მეტაფიზიკურში გადაიტანა, მართალია, საქციელსა და მოქმედებაში კი სუფევს დეტერმინიზმი და იქ არ არსებობს თავისუფლება, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ყოფიერებაში არსებობსო. ადამიანი ისეთია, როგორიც თვითონ უნდა, რომ იყოს და ამ სურვილს კუბოს კარამდე ვერ დაეხსნება. იგი სწორედ თავისი სიცოცხლის საამებლად“ სჩადის მკვლელობას და აქედან გამომდინარე, საკუთარი სიცოცხლით სხვისი სიკვდილის გამოსყიდვა აღარც ისე ძვირი უჯდება. თუკი შენს უსასოეს სურვილს შეისრულებ, მაშინ სიკვდილი აღარ გაგიჭირდებაო.
უსასოეს სურვილსო?
დიახ, უსასოესსო.
ყველას ენა ჩაუვარდა. ჰანს კასტორპმა ჩაახველა. ვეეზალს ქვედა ყბა მოექცა. ბატონმა ფერგემ ამოიხვნეშა, სეტემბრინიმ კი მოხდენილად შენიშნა:
- როგორც ჩანს, შეიძლება ყველაფერი ისე განაზოგადო, რომ საგანს პიროვნული ელფერი მიანიჭო. იქნებ თქვენც გაქვთ მკვლელობის სურვილი?
- ეგ თქვენი საქმე არ არის, მაგრამ ერთს კი გეტყვით: მე თუ მკვლელობას ჩავიდენდი, არ მომერიდებოდა პირში დამეცინა იმ უმეცარი ჰუმანისტისათვის, ვინც სიცოცხლის ბუნებრივ დასასრულამდე ოსპის სალაფავს მათქვლეფინებდა. უაზრობაა, მკვლელმა მოკლულზე მეტი იცოცხლოს. მათ ხომ მარტოდმარტო, მოწმეების გარეშე, სადაც ერთი ითმენს, მეორე კი მოქმედებს ხოლმე, დიდი საიდუმლო გაიზიარეს და ერთმანეთს სამარადისოდ დაუკავშირდნენ. დიახ, ისინი განუყრელნი არიან.
სეტემბრინიმ გულგრილად აღიარა, მე პირადად სიკვდილისა და მისტიციზმის აღსაქმელი ორგანო ნამდვილად მაკლია, მაგრამ მის ნაკლებობას არ ვნაღვლობო. ბატონ ნაფტას რელიგიურ ტალანტზე რა მეთქმის, ეს ტალანტი ჩემზე უხვად აქვს მომადლებული, მე მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ მისი სულაც არა მშურსო, ოღონდ დაუძლეველი გულზიზღიანობა მაიძულებს, თავი შორს დავიჭირო იმ სფეროსაგან, სადაც სიღატაკეს უხრიან ქედს, ამ სიღატაკეზე ეს წუთია ლაპარაკობდნენ ექსპერიმენტის მიმდევარი ახალგაზრდები, და იგი მხოლოდ ფიზიკურს კი არა, სულიერ სიღატაკესაც გულისხმობს, მოკლედ, სათოფეზე არ ვეკარები იმ სფეროს, სადაც სათნოებასა და ჯანმრთელობას ჩალის ფასი აქვს, ხოლო ბიწიერება და ავადმყოფობა, პირიქით, საოცრად დიდ პატივშიაო.
ნაფტამ დაუდასტურა, სათნოება და ჯანმრთელობა მართლაც არ გახლავთ რელიგიური კატეგორიებიო. ყველაფერს აჯობებდა, ნათლად განგვემარტა, რელიგიას გონიერებასა და ზნეობასთან რაღა უნდა ესაქმებოდეს, როცა სიცოცხლესთან არაფერი ესაქმებაო. სიცოცხლე ისეთ პირობებსა და პრინციპებს ეფუძნება, რომელთაგან ნაწილი შემეცნების თეორიას, ნაწილი კი მორალის სფეროს განეკუთვნება. პირველ წყებაში შედის დრო, სივრცე და პირობითობა, მეორე წყებაში შემავალი ცნებები კი საზრისად და ზნეობად იწოდებიანო. ყველა ეს ცნება არამცთუ უცხოა და განურჩეველი რელიგიისთვის, არამედ რელიგია მათ მტრულადაც კი ეკიდება, ვინაიდან სწორედ ისინი შეადგენენ სიცოცხლეს, ანუ ეგრეთ წოდებულ ჯანმრთელობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არქიფილისტერობასა და ზებურჟუაზიულობას, რომლის აბსოლუტურ, უფრო

ზუსტად, აბსოლუტურად გენიალურ წინააღმდეგობად რელიგიური სამყარო უნდა მივიჩნიოთ. თუმცა მას, ნაფტას, სულაც არ უნდა თქვას, თითქოს სიცოცხლის სფეროში სავსებით გამორიცხული იყოს გენიალობის გამოვლენა. არსებობს სიცოცხლისუნარიანი ბურჟუაზიულობა, რომლის მონუმენტურ სიდარბაისლეს საკამათოდ ვერ გახდი, ამგვარ ფილისტერულ დიდებულებას შეიძლება პატივისცემით მოეკიდო, თუკი მიიჩნევ, რომ ფეხებგალაჯული დგომით, ზურგს უკან შემოწყობილი ხელებითა და გაჯგიმული გულმკერდით გამოხატული ღირსება ხორცშესხმული ურწმუნოების დამადასტურებელიაო.
ჰანს კასტორპმა მოწაფესავით ასწია თითი, მე არც ერთი მხარის გაკენწვლა არ მინდა, მაგრამ აქ, ეტყობა, პროგრესზეა ლაპარაკი, კაცობრიობის პროგრესზე, აქედან გამომდინარე კი განათლებული დასავლეთის პოლიტიკას, რიტორიკულ რესპუბლიკასა და ცივილიზაციაზე და მეც მინდა ვთქვა, რომ განსხვავება, ანუ, თუ ბატონ ნაფტას მაინცდამაინც ნებავს მისი გამოთქმა ვიხმაროთ, წინააღმდეგობა სიცოცხლესა და რელიგიას შორის, დროისა და მარადისობის წინააღმდეგობაში უნდა ვეძიოთ, ვინაიდანპროგრესი მხოლოდ დროშია შესაძლებელი; მარადისობაში ვერც პროგრესი იარსებებს, ვერც პოლიტიკა და ვერც მჭევრმეტყველება. იქ, ასე ვთქვათ, თვალები უნდა დახუჭო და თავი ღვთის ნებას მიანდო. მგონი, აზრი ბუნდოვნად გამოვთქვი, მაგრამ რელიგიასა და ზნეობას შორის განსხვავება, ჩემი აზრით, ეს უნდა იყოსო.
აზრის გამოხატვის ასეთი გულუბრყვილო მანერა ნაკლებად შემაშფოთებელია, მე უფრო ის მაშინებს, ეს ყმაწვილი ვინმეს გაკენწვლას რომ უფრთხის, ეშმაკთან თანაზიარობისა კი არ ეშინიაო, ბრძანა სეტემბრინიმ.
ო, მას შემდეგ ხომ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ბატონმა სეტემბრინიმ და მან, ჰანს კასტორპმა, ეშმაკზე კამათით იჯერეს გული. „O satana, O ribellione!
“ არა, მაინც რომელ ეშმაკთან ვირჩიე თანაზიარობა, ამბოხის, შრომისა და კრიტიკის მფარველთან თუ სხვა რომელიმესთან? ერთი ეშმაკი რომ მარჯვნივ ამოგიდგება და მეორე მარცხნივ, ეს ძალიან სახიფათოა და მართლა ეშმაკმა იცის, საფრთხეს თავი როგორ უნდა დააღწიოო!
ასე თუ ვიმსჯელეთ, სწორად ვერ გადმოვცემთ საგანთა წყობაზე ბატონი სეტემბრინისეულ აზრსო, თქვა ნაფტამ. მის მსოფლგაგებაში მთავარი ისაა, რომ იგი ღმერთსა და ეშმაკს ორ სხვადასხვა არსებად ან პრინციპად წარმოგვიდგენს, „სიცოცხლეს“ კი, სხვათა შორის, ზუსტად შუა საუკუნეების წამხედურობით, მათ შუა ათავსებს საკამათო ობიექტადო. სინამდვილეში კი ისინი ერთნი არიან და მათივე ერთობლიობის საფუძველზე შედგენილი რელიგიური პრინციპის სახით ერთად უპირისპირდებიან სიცოცხლეს, სიცოცხლისუნარიან ბურჟუაზიულობას, ეთიკას, საზრისსა და სათნოებასო.
- ო, რა გულისამრევი დომხალია - che guazzabugllo proprio stomachevole
! - წამოიძახა სეტემბრინიმ და განაგრძო, ამ დომხალში კეთილი და ბოროტი, წმინდა და უწმინდური ერთმანეთშია არეულიო! განუსჯელად! ნების გამოუვლენად! იმის ძალაც არავის შესწევს, დაგმოს ის, რაც დასაგმობია! ბატონ ნაფტას ის მაინც თუ ესმის, რას აცამტვერებს, ახალგაზრდების გასაგონად ღმერთსა და ეშმაკს ერთმანეთში რომ თქვეფს და ამ უგვანი ორერთიანობის სახელით ეთიკურ პრინციპს უარყოფსო! იგი ფასეულობის ცნებას აცამტვერებს, ფასეულობათა ყოველგვარ პრინციპს გმობს, ზიზღი მიპყრობს, ამას რომ ვამბობო. კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ, არარსებულა კეთილი და ბოროტი, ყოფილა მხოლოდ ზნეობრივად მოუწესრიგებელი სამყარო! არც კრიტიკული აზროვნების უნარით დაჯილდოებული ღირსეული პიროვნებები არსებულან, ამქვეყნად მხოლოდ ყველაფრის შთანმთქავი და გამათანასწორებელი ერთობა და მასთან მისტიკური შერწყმა ყოფილა დამკვიდრებული! ინდივიდუუმი...
ჩინებულია, ბატონი სეტემბრინის თავი კვლავ ინდივიდუალისტად რომ მოაქვსო! ინდივიდუალისტი რომ იყო, იმაში მაინც უნდა ერკვეოდე, რა განსხვავებაა ზნეობასა და განცხრომაში ყოფნას შორის, ამისა კი ჩვენს ბატონ ილუმინატსა(ილუმინატები (ლათ. გაბრწყინებულნი, განათლებულნი) - 1776 წელს ყოფილი იეზუიტის, ადამ ვაისჰაუპტის მიერ გერმანულ ქალაქ ინგოლშტატში დაარსებული საიდუმლო ორდენის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ განმანათლებლობის იდეების განხორციელებას, უახლოვდებოდნენ იდეებითა და

მიზანდასახულობით ფრანკ-მასონებს, ებრძოდნენ იეზუიტებს. 1785 წლიდან ფრანკ-მასონებთან ერთად ოფიციალურად დევნას განიცდიან და იკრძალებიან.)
და მონისტს ბევრი არაფერი გაეგებაო. იქ, სადაც სიცოცხლეს გონებაჩლუნგობის გამო თვითმიზნად თვლიდნენ და მის ზეგარდმო აზრსა და მიზანზე ფიქრით არ იტკივებდნენ თავს, გვაროვნული და სოციალური ეთიკა იყო გამეფებული. ეს ხერხემლიანთა მორალია და არა ინდივიდუალიზმი, იგი, როგორც ასეთი, მხოლოდ და მხოლოდ რელიგიისა და მისტიკის სფეროში, ეგრეთ წოდებულ ზნეობრივად მოუწესრიგებელ სამყაროში გრძნობს შინაურულად თავს. ბატონი სეტემბრინისეული ზნეობა კი ან რას წარმოადგენს, ან რას მოითხოვს?! მისეულ ზნეობას სიცოცხლე ბორკავს, მას მხოლოდ პრაქტიკული მიზნით თუ გამოიყენებ, ჰეროიკის ნიშანწყალი არ გააჩნია და ამით სიბრალულს აღძრავსო. იგი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ მისი შემწეობით ადამიანი ბედნიერად დაბერდეს, ქონება და ჯანმრთელობა შეიძინოს და მორჩა. აი, ამგვარი წინდახედულობითა და შრომით აღსავსე ფილისტერობა უწევს მას ეთიკის მაგივრობას; ხოლო, რაც შეეხება ნაფტას, იგი ერთხელ კიდევ მისცემს თავს უფლებას, მას უბადრუკი, სიცოცხლისუნარიანი ბურჟუაზიულობა უწოდოს.
სეტემბრინიმ მოწინააღმდეგეს მოუწოდა, ნუ ცხარობთო, თუმცა თვითონ მღელვარებისგან უთრთოდა ხმა, როცა ამბობდა, ვერ ამიტანია, ბატონი ნაფტა „სიცოცხლისუნარიან ბურჟუაზიულობაზე“, უფალმა უწყის, რატომ, მაგრამ მუდამ არისტოკრატიული, აგდებული ტონით რომ ლაპარაკობსო, თითქოს მისი საპირისპირო მოვლენა - სიცოცხლის საპირისპირო მოვლენა კი რაც არის, ყველას მოგეხსენებათ - გაცილებით მასზე კეთილშობილური იყოსო!
ხელახლა დატრიალდა დევიზებისა და ლოზუნგების კორიანტელი! ახლა კეთილშობილებასა და არისტოკრატიულობას მიადგნენ! ჰანს კასტორპს ღონე ელეოდა და თავი უხურდა ყინვისა და ამ რთული პრობლემებისაგან.აღარ იცოდა, თვითონ გასაგებად გამოთქვამდა აზრს თუ აგზნებული იყო და ესათამამებდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, გახევებული ტუჩებით წამოილუღლუღა, მე პირადად სიკვდილი ოდითგანვე ესპანური გახამებული ბრიჟით წარმომიდგენია, ანდა ხეშეშსაყელოიანი სამხედრო ფორმით მაინცო, სიცოცხლე კი მის საპირისპიროდ, თვალწინ ჩვეულებრივი, თანამედროვე გადმოფენილი საყელოთი წარმომიდგებაო... ჰანს კასტორპი თვითონვე შეშინდა, საზოგადოებაში ასე მთვრალივით თუ სიზმარში მყოფივით რა მალაპარაკებსო და მოიბოდიშა, ასე არ მინდოდა, მეთქვაო. მაგრამ განა მართლა არ არსებობენ ზედმიწევნით ჩვეულებრივი და მიწიერი ადამიანები, მათი მკვდრად წარმოდგენა რომ გაგიჭირდებაო? უფრო ნათლად რომ ვთქვა, ისეთი სიცოცხლისუნარიანები არიან, გეგონება, არასოდეს დაიხოცებიან, თითქოს ღირსნიც არ არიან, სიკვდილის საიდუმლოს ეზიარონო.
ბატონმა სეტემბრინიმ ბრძანა, იმედი მაქვს ჰანს კასტორპი ასეთ აზრებს მხოლოდ იმიტომ გამოთქვამს, რომ შევეკამათოთო. ამ ახალგაზრდა კაცს შეუძლია ასეთ ცდუნებასთან სულიერ ჭიდილში მუდამ შემწედ მიგულოსო. „სიცოცხლისუნარიანიო“, თქვა მან? და თან ეს სიტყვა დამამცირებელი აზრით იხმარა, არა? „სიცოცხლის ღირსი!“ აი, მის მაგიერ რა უნდა ეთქვა და მაშინ ყველა ცნება თავისთავად მონახავდა თავის ჭეშმარიტ ადგილსა და რიგს. „სიცოცხლის ღირსი“: იტყვი ამ სიტყვას და მას მაშინვე, სავსებით იოლი და კანონზომიერი ასოციაციის წყალობით გვერდში ამოუდგება სიყვარულის ღირსის“ იდეა, იგი შინაგანად ისე ახლოს დგას იმ პირველ ცნებასთან, რომ უფლება გვეძლევა, ვთქვათ, რომ მხოლოდ ჭეშმარიტად სიცოცხლის ღირსი შეიძლება იყოს სიყვარულის ღირსიც. ორივე ერთად კი, სიცოცხლისა და სიყვარულის ღირსი, შეადგენენ იმ ცნებას, რასაც კეთილშობილება ჰქვია.
ჰანს კასტორპმა ზემოთ თქმული მომხიბლავად და უაღრესად საინტერესოდ მიიჩნია. ბატონმა სეტემბრინიმ დამატყვევა თავისი პლასტიკური თეორიითო, ოღონდ კაცმა თავის სათქმელი მაინც უნდა თქვასო, თუნდაც ის, რომ ავადმყოფობა სიცოცხლის ამაღლებული სახეობაა და მას რაღაც საზეიმოც ახლავს თან. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ხომ ცხადია, რომ ავადმყოფობა ზედმიწევნით წამოსწევს წინ ხორციელებას, იგი ადამიანს მთლიანად საკუთარ სხეულს მიაჯაჭვავს და ამ გზით განადგურებამდე მიჰყავს ადამიანის ღირსება,

ხოლო რაკი იგი ადამიანურ ღირსებას აქვეითებს და იგი სხეულამდე დაჰყავს, ავადმყოფობა არაადამიანურიაო.
ავადმყოფობა უაღრესად ადამიანური გახლავთო, მყისვე შეეკამათა ჰანს კასტორპს ნაფტა. ადამიანად ყოფნა ავად ყოფნას ნიშნავს. სხვათა შორის, ადამიანი თავისი არსით ავადმყოფია, მას სწორედ ავადმყოფობა აქცევს ადამიანად და ვინც მის გამოჯანსაღებას ლამობს, ვისაც სურს იგი ბუნებასთან შეარიგოს, „უკან მიაბრუნოს ბუნებასთან“ (თუმცა იგი არც არასდროს ყოფილა ბუნების შვილი), ყველაფერი ის, რასაც დღეს რეგენერატორები, უმი საკვებისა და სუფთა ჰაერის მეხოტბენი, მზის აბაზანების დამამკვიდრებლები და სხვა მისთანების მქადაგებლები სჩადიან, ყველა ჯურის რუსოისტები ადამიანს ადამიანობის დაკარგვისა და გაპირუტყვებისაკენ ეწევიან... ადამიანობა? კეთილშობილება? არც ერთი და არც მეორე. ადამიანი ბუნებისგან შორს დგას, მას მძლავრად აქვს განვითარებული ბუნებასთან დაპირისპირებულობის შეგრძნება და მხოლოდ გონი გახლავთ ის, რაც მას ყველა სხვა ორგანული სიცოცხლისაგან განასხვავებს. ამგვარად, გონში, ავადმყოფობაშია ჩაკირული ადამიანის ღირსება და კეთილშობილება. ერთი სიტყვით, რაც უფრო ავადაა ადამიანი, მით უფრო მაღალი რანგის ადამიანია იგი, და აქედან გამომდინარე, ავადმყოფობის გენია გაცილებით უფრო ადამიანურია, ვიდრე ჯანმრთელობისა. გასაკვირია, როცა ვინმე, ვისაც კაცთმოყვარედ მოაქვს თავი, თვალს ხუჭავს ადამიანობის ასეთი ძირითადი ჭეშმარიტებების წინაშე. ბატონ სეტემბრინის ენაზე აკერია პროგრესი, თითქოს პროგრესი, თუკი საერთოდ არსებობს იგი, თავის არსებობას ავადმყოფობას, ანუ გენიას არ უმადლიდეს, რადგან გენია, როგორც ასეთი, სხვა არაფერია, თუ არა ავადმყოფობა! თითქოს ყველა დროის ჯანმრთელი ადამიანები ავადმყოფობის მიღწევებითა და მონაპოვრებით არ ირჩენდნენ თავს! ამქვეყნად იყვნენ ადამიანები, რომლებიც შეგნებულად, განზრახ იავადმყოფებდნენ და იგიჟებდნენ თავს, რათა კაცობრიობისათვის ის ცოდნა მოეპოვებინათ, რომელიც ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგებოდა, ხოლო სიგიჟის ფასად მოპოვებული ცოდნის ფლობასა და გამოყენებას იმ გმირული თავგანწირვის შემდეგ, ცხადია, უკვე აღარ დასჭირდებოდა ავადმყოფობა და სიგიჟე. აი, ეს არის ჭეშმარიტი ჯვარცმაო, დაასრულა ნაფტამ.
„აჰა, - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, - ერთი ამ უკუღმართ იეზუიტს დამიხედეთ, რა კომბინაციებს იგონებს და რაებს ჩმახავს ჯვარცმაზე! ახლა ნათელია, მღვდლად რატომ არ ეკურთხე, joli jésuite à la petite tache humide
! (ლამაზო იეზუიტო, პატარა სველი კერითურთ! (ფრანგ.).)
აბა, დაიბრდღვინე, ლომო!“ - გულში მიმართა ბატონ სეტემბრინის. მანაც „დაიბრდღვინა“ და ყველაფერი ის, რასაც ნაფტა წუთის წინ ამტკიცებდა, ფანტასმაგორიად, სოფისტიკად და აბრაკადაბრად მონათლა.
- ბარემ პირდაპირ თქვით, აღმზრდელის მთელი პასუხისმგებლობამოიკრიბეთ და ამ ცვილივით დამყოლი ახალგაზრდების გასაგონად განაცხადეთ, რომ გონი ავადმყოფობაა! რაღა თქმა უნდა, ამით გონს გამოუფხიზლებთ და მის რწმენას შთაუნერგავთ! თუკი, მეორე მხრივ, ავადმყოფობასა და სიკვდილს კეთილშობილურს დაუძახებთ, ხოლო ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ზნედაცემულობად გამოაცხადებთ, ეს ხომ ყველაზენაცადი ხერხი იქნება აღსაზრდელის კაცობრიობის სამსახურში ჩასაყენებლად! Davvero e criminoso
(ს მართლა არამზადაა! (იტალ.).) ! - შესძახა ბატონმა სეტემბრინიმ და ასე რაინდულად გამოიდო თავი ბუნებისგან მონიჭებული ჯანმრთელობისა და სიცოცხლის კეთილშობილების დასაცავად, რომელსაც, თავის მხრივ, არაფერი ჰქონდა გონზე სადარდებელი. „ფორმა!“ - ამბობდა იგი და ნაფტაც მაღალფარდოვნად პასუხობდა, - „ლოგოსი!“ ის კი, ვისაც ლოგოსი არაფრად მიაჩნდა, გაიძახოდა: „საზრისი!“ ამის პასუხად ლოგოსის მომხრემ ვნებასა და გატაცებას“ დაუჭირა მხარი და დაბნეულობა გამოიწვია. „ობიექტი!“ - ამბობდა ერთი, „მე“, - მიუგებდა მეორე. ბოლოს ერთმა მხარემ საკამათო თემად „ხელოვნება“ აირჩია, მეორემ კი კრიტიკა“, მაგრამ რაზეც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, მაინც ბუნებისა“ და გონის“ ურთიერთმიმართების საკითხს უბრუნდებოდნენ და კამათობდნენ, მათ შორის უფრო კეთილშობილური რომელიაო, არც არისტოკრატიულობის პრობლემა“ ავიწყდებოდათ, მაგრამ ამ

უწესრიგო კამათში არსად ჩანდა ნათელი აზრი, თუნდაც ეს ორი, ერთმანეთის მოქიშპე აზრი ყოფილიყო. აზრები ერთმანეთს არა მარტო ეწინააღმდეგებოდა, არამედ ერთმანეთშიც ირეოდა და მოკამათენი არა მარტო ერთმანეთს, არამედ საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგებოდნენ. სეტემბრინის მანამდეც ხშირად მჭევრმეტყველურად შეუსხამს ხოტბა კრიტიკისათვის“, ახლა კი მის საწინააღმდეგო ფენომენს - „ხელოვნებას“ უჭერდა მხარს, რაკი ხელოვნებაში არისტოკრატიული პრინციპის ხორცშესხმას ხედავდა, ხოლო ნაფტა, ვინც არაერთხელ გამოსულა ბუნებრივი ინსტინქტის“ დამცველად სეტემბრინის წინააღმდეგ, რომელიც ბუნებას უგუნურ ძალად“, შიშველ ფაქტად და ბედისწერად თვლიდა და აცხადებდა, მას ადამიანის საზრისმა და სიამაყემ ქედი არ უნდა მოუხაროსო, ახლა გონისა და ავადმყოფობის“ მხარეს იჭერდა, მხოლოდ იქ არის კეთილშობილება და ადამიანობა საძიებელიო, მაშინ როცა აქამდე ბუნების ძალასა და მის სიჯანსაღით სავსე კეთილშობილებას იცავდა და არავითარი ემანსიპაცია აღარ აგონდებოდა. არანაკლები დაბნეულობა სუფევდა „ობიექტისა“ და მეს“ საკითხში. მართალია, ეს დაბნეულობა კარგა ხანია არსებობდა, მაგრამ ახლა ისე უკიდურესად გამწვავებულიყო, რომ ვეღარავინ ერკვეოდა, ვინ ღვთისმოსავი გამოდიოდა და ვინ ღვთისმგმობელი. ნაფტამ სეტემბრინის მეტისმეტად მკვახედ მიმართა, თავს ინდივიდუალისტს“ ნუღარ უწოდებთ, რაკი ღმერთსა და ბუნებას შორის წინააღმდეგობას უარყოფთო. თქვენ ადამიანის შინაგან კონფლიქტად მხოლოდ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეუთავსებლობა მიგაჩნიათ, აქედან გამომდინარე, სიცოცხლეს დახარბებულ ბურჟუაზიულ ზნეობას ხართ ნაზიარები, რომელსაც სიცოცხლე თვითმიზნად გაუხდია, გმირობის ნიშანწყალი არ გააჩნია, თვალი მხოლოდ გამორჩენაზე უჭირავს და სახელმწიფოს არსებობის მიზნად მორალური კანონის დაფუძნება დაუსახავსო. თვითონ კი, ნაფტამ, პირიქით, მშვენივრად იცის, რომ ადამიანის შინაგანი პრობლემა უფრო გრძნობადისა და ზეგრძნობადის ურთიერთწინააღმდეგობას ემყარება, აქედან გამომდინარე, იგი ჭეშმარიტი, მისტიკური ინდივიდუალიზმის მომხრეა და თავისუფლებისა და პიროვნების დამცველიც სწორედ ის არის. ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, თუ ეს მართალია, მაშინ როგორღა ეთანხმება ყოველივეს ეს ანონიმურსა და საერთოს“, რათა მაგალითის სახით მაშინვე შევძლოთ ერთ-ერთი შეუსაბამობის წარმოჩინებაო? ანდა იმ უჩვეულო აზრებს რაღა ვუყოთ, რითაც პატერ უნტერპერტინგერთან საუბარში თავს იწონებდა ნაფტა, როგორიცაა სახელმწიფო ფილოსოფოსის, ჰეგელის კათოლიციზმი“, „პოლიტიკურისა“ და კათოლიკურის“ შინაგანი კავშირი და ობიექტურის“ კატეგორია, რომელსაც ორივე ეს ცნება ერთად ქმნისო? განა სახელმწიფოს მართვის ხელოვნება და აღზრდა ნაფტას ორდენის საგანგებო სამოღვაწეო სფეროს არ შეადგენდა? მერედა, რა აღზრდის! მართალია, ბატონი სეტემბრინი დიდად მონდომებული პედაგოგი იყო, იქამდე, რომ მისი მონდომება ლამის მომაბეზრებელი და აუტანელი ხდებოდა, მაგრამ მეობის დამთრგუნავი, ასკეტური ობიექტურობის თვალსაზრისით მისი პრინციპები ნაფტას პრინციპებთან ჭიდილს ვერ გაუძლებდა. კატეგორიული იმპერატივი! რვალისებური სიმტკიცე! ძალადობა! მორჩილება! ტერორი! იქნებ ყოველივე ამას თავისი ღირსებაც ჰქონოდა, მაგრამ ცალკეული ადამიანის კრიტიკული აზროვნებისა და ღირსებისათვის ასეთ ვითარებაში მეტად მცირე ადგილიღა რჩებოდა. ეს იყო პრუსიელი ფრიდრიხისა და ესპანელი ლოიოლას სამხედრო წესდება, უკიდურესობამდე მისული თავისი ღვთისმოსაობითა და სიმკაცრით. ოღონდ აქ ერთი რამ იყო საინტერესო: თვითონ ნაფტა რაღამ მიიყვანა ასეთ უკიდურესობამდე, როცა მისივე სიტყვით, წმინდა შემეცნებისა და ობიექტური კვლევის, მოკლედ, ჭეშმარიტებისა არაფერი სწამდა, ობიექტური, მეცნიერული ჭეშმარიტებისა, რომლისკენ ლტოლვაც ლოდოვიკო სეტემბრინისათვის ადამიანის ზნეობისუმაღლეს კანონს წარმოადგენდა. ამ საკითხში ბატონი სეტემბრინი ღვთისმოსაობასა და სიმკაცრეს იჩენდა, ნაფტა კი სირბილესა და თავაშვებულობას, რაკი ჭეშმარიტებას ადამიანს უსადაგებდა და აცხადებდა, ჭეშმარიტია ის, რაც ადამიანს წაადგებაო! განა სიცოცხლისუნარიანი ბურჟუაზიულობა და გამორჩენაზე დახარბებული ფილისტერობა არ გამოდიოდა, ჭეშმარიტებას ადამიანის ინტერესებს ასე თუ დაუქვემდებარებდი? სადღა იყო

რვალისებური ობიექტურობა, აქ გაცილებით მეტი თავისუფლება და სუბიექტურობა იმალებოდა, ვიდრე ლეო ნაფტა ისურვებდა, ეს ისეთივე „პოლიტიკა“ გახლდათ, როგორიც ბატონი სეტემბრინის შეგონება იყო: თავისუფლება კაცთმოყვარეობის კანონიაო. ჰოდა, ესეც ისევე აშკარად ნიშნავდა თავისუფლების შებორკვას, როგორც ნაფტა ბორკავდა ჭეშმარიტებას, როცა მას ადამიანს უკავშირებდა, ოღონდ ამას ნამდვილად უფრო ღვთისმოსაობა ეთქმოდა, ვიდრეთავისუფლება, და სწორედ აქ იმალებოდა ის განსხვავება, რომელიც ამდაგვარი მსჯელობისას სულ იოლად შეიძლებოდა ხელიდან გაგსხლტომოდა. ოჰ, ეს სეტემბრინი! ტყუილად კი არ იყო იგი ლიტერატორი, ანუ პოლიტიკოსის შვილიშვილი და ჰუმანისტის ძე. იგი დიდსულოვნად მსჯელობდა კრიტიკაზე და ემანსიპაციის მშვენიერებაზე და ქუჩაში გოგონებსაც წაუღიღინებდა ხოლმე, ენამწარე, პატარა ნაფტა კი მკაცრი აღთქმით იყო ხელფეხშებორკილი, მიუხედავად ამისა, იგი თავისუფალი აზროვნების გამო ლამის გარყვნილი კაცი გამოდიოდა, სეტემბრინი კი მასთან შედარებით, თუ გნებავთ, ვითომ სათნოებაზე კარგავდა ჭკუას. ბატონ სეტემბრინის აბსოლუტური გონის“ ეშინოდა და უნდოდა, გონი მაინცდამაინც დემოკრატიულ პროგრესზე მიეჯაჭვა. მას აძრწუნებდა მეომრული სულით განმსჭვალული ნაფტას რელიგიური სითამამე, რომელიც ერთ ტაფაში წვავდა ღმერთსაც და ეშმაკსაც, სიწმინდესაც და შეცოდებასაც, გენიალობასაც და ავადმყოფობასაც და არც რისამე შეფასება სწამდა, არც გონების მსჯავრი და არც ნება. მაშინ ვიღა გამოდიოდა თავისუფლად მოაზროვნე და ვინ ღვთისმოსავი, აბა, რაღა იყო ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება: ჩაფლობა ყველაფრის შთანმთქავ და გამათანასწორებელ ერთობაში, რაც ერთსა და იმავე დროს უზნეობასაც ნიშნავდა და ასკეტურობასაც, თუ კრიტიკულ სუბიექტად“ ქცევა, სადაც ერთმანეთს გადახლართოდა ქარაფშუტობა და მკაცრი მოქალაქეობრივი სინდის-ნამუსი? ო, როგორ დაუსრულებლად იხლართებოდა ერთმანეთში ათასნაირი პრინციპი და თვალსაზრისი, არც შინაგანი წინააღმდეგობის ნაკლებობა იგრძნობოდა და ამიტომაც ადგებოდა დიდი გასაჭირი სამოქალაქო პირის პასუხისმგებლობას, ისე უჭირდა ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებიდან არამცთუ რომელიმე ამოერჩია, არამედ თუნდაც პრეპარატებივით გაეცალკევებინა და სუფთად შეენახა, რომ დიდი იყო ცდუნება, თავიან-ფეხებიანად ნაფტას ზნეობრივად მოუწესრიგებელ სამყაროში“ გადაშვებულიყო. ასე იჯაჭვებოდა და იხლართებოდა ერთმანეთში ყველაფერი და იქმნებოდა დიდი გაუგებრობა, ჰანს კასტორპი კი გულში ფიქრობდა, მოკამათენი ასე არ გაწიწმატდებოდნენ, კამათისას თვითონვე რომ არ თრგუნავდეთ ამ გაუგებრობის სიმძიმეო.

ასე ერთად ავიდნენ ყველანი ბერგჰოფამდე“, შემდეგ ბერგჰოფელთა სამეული ისევ უკან დაბრუნდა, გარეშენი თავიანთ სახლამდე მიაცილეს და იქ კიდევ კარგა ხანს იდგნენ თოვლში. ნაფტამ და სეტემბრინიმ პედაგოგიური მიზნით კვლავ გააგრძელეს კამათი, რასაც მშვენივრად მიუხვდა ჰანს კასტორპი - ორივეს სურდა, სინათლის მაძიებელი ახალგაზრდების დამყოლი სული დაემუშავებინა. ბატონ ფერგესთვის ეს ყველაფერი მეტისმეტად მაღალი მატერიების რანგს განეკუთვნებოდა, რასაც წამდაუწუმ იმეორებდა კიდეც, ხოლო მას შემდეგ, რაც მოკამათენი გაწკეპვლასა და წამებაზე ლაპარაკს მორჩნენ, დიდი ინტერესი აღარც ვეეზალს ეტყობოდა. ჰანს კასტორპს თავი ჩაეკიდა, ჯოხით თოვლს ჩიჩქნიდა და იმ დიდ გაუგებრობაზე ფიქრობდა.

ბოლოს გაიყარნენ. აბა, როდემდე უნდა მდგარიყვნენ ასე, მით უმეტეს, რომ კამათს ბოლო აღარ უჩანდა. სამი ბერგჰოფელი ისევ თავის გზას გაუყვა, ხოლო ორი თავგადაკლული მოკამათე პედაგოგი ძალაუნებურად ერთად უნდა შესულიყო სახლში, სადაც ერთს აბრეშუმგამოკრული სენაკი ელოდა, მეორეს კი ჰუმანისტის ბუდე თავისი პულტითა და ხელადით. ჰანს კასტორპმა თავის ლოჯიას მიაშურა და ყურში დიდხანს ედგა ორი ლაშქრის ყიჟინა და იარაღის ჟღარუნი, ისინი, dos banderas

-ის ქვეშ დარაზმულნი იერუსალიმსა და ბაბილონიდან დაძრულიყვნენ, ერთმანეთს შეჰყროდნენ და ომის ორომტრიალში ჩაბმულიყვნენ.

თავი მეექვსე თოვლი

დღეში ხუთჯერ ისმოდა შვიდივე მაგიდაზე წლევანდელი ზამთრის ერთსულოვანი საყვედურები: მაღალმთიანეთი ზამთარზე დაკისრებულ მოვალეობას ცუდად ასრულებსო, იმ მეტეოროლოგიურ სამკურნალო თვისებებს, რასაც ეს მხარე თავის დიდებას უმადლის, იმ დოზით არ გვთავაზობს, როგორც ეს პროექტში წერია, ან როგორც ამას აქ ხანმოთეულები იყვნენ ჩვეულნი, ახალბედებს კი ხატოვნად წარმოდგენილი ჰქონდათო. მნიშვნელოვან გამაჯანსაღებელ ფაქტორს მოკლებულნი ვართ, ურომლისოდაც გამოჯანსაღება ნამდვილად გვიჭიანურდებაო... და რაც უნდა დაეჭვებულიყო ბატონი სეტემბრინი, ბერგჰოფელი ავადმყოფები გულწრფელად არ ცდილობენ მალე გამოჯანსაღდნენ და „სამშობლოდან“ ბარში მალე დაბრუნდნენო, ერთი რამ ცხადი იყო: ისინი ყველაფერს მოითხოვდნენ, რაც ერგებოდათ, მოითხოვდნენ იმ ხარჯების სრულ ანაზღაურებას, რასაც მათი გულისთვის ეწეოდნენ მათი მშობლები და თანამეცხედრეები და სუფრასთან იქნებოდა ეს, ლიფტსა თუ ვესტიბიულში, გაუთავებლად ბუზღუნებდნენ ხოლმე. თავის მხრივ, დირექცია თავს არ ზოგავდა, რომ მათთვის ზარალი როგორმე აენაზღაურებინა. შეიძინეს „ხელოვნური მთის მზის“ ახალი აპარატი, რადგან ელექტრომზით გაშავების მსურველებს აქამდე არსებული ორი „მზე“ ვეღარ აუდიოდა - ნამზეური ქალებსა და გოგონებს ამშვენიერებდა, მამაკაცთა სამყაროს კი, ცხოვრების ჰორიზონტალური წესის მიუხედავად, სპორტსმენისა და გულთამპყრობლის დიდებულ იერს ანიჭებდა, და ეს იერი თავის ნაყოფსაც იმკიდა: ქალებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, ეს ვაჟკაცური იერი ტექნიკურ-კოსმეტიკური წარმომავლობისა რომ იყო, მაგრამ ჭკუა არ ჰყოფნიდათ, თუ პირიქით, საკმაოდ გამობრძმედილნი იყვნენ და ცრუ გრძნობებს დახარბებულნი, არ ვიცით, მაგრამ ეს კია, რომ ილუზიებით თავს იბრუებდნენ და ქალურ სისუსტეს ნებდებოდნენ ხოლმე.

- ღმერთო ჩემო, - ეუბნებოდა ფრაუ შონფელდი, ჟღალთმიანი, თვალებჩაწითლებული ბერლინელი ქალი, საღამოს ვესტიბიულში თავის გრძელფეხება, მკერდჩავარდნილ კავალერს, რომელსაც სადარბაზო ბარათზე ეწერა Aviateur diplômé et Enseigne de la Marine allemande
“

(გერმანელთა ფლოტის დიპლომიანი ავიატორი და ლეიტენანტი (ფრანგ.).) და ფერდი კი პნევმოთორაქსით ჰქონდა დამშვენებული. სხვათა შორის, ეს კავალერი სადილზე სმოკინგით ცხადდებოდა, საღამოს კი ტანსაცმელს იცვლიდა, აქაოდა, ფლოტში ასეა მიღებულიო, - ღმერთო ჩემო, - ეუბნებოდა ქალი და თვალებით ჭამდა Enseigne
-ს(ლეიტენანტი (ფრანგ.).)

- რა დიდებულად გაშავებულა ეს ეშმაკი მთის მზეზე! პირდაპირ არწივზე მონადირეს ჰგავს!

- დამაცა, ქალო! - ლიფტში ზედ მის ყურთან დაიჩურჩულა ლეიტენანტმა და ქალს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, - მაგ თვალების ჟუჟუნს განანებთ, იცოდეთ!

ჰოდა, ეს ეშმაკი და არწივზე მონადირე აივნებზე, მინის ტიხრებშუა მიძვრებოდა და ქალისკენ მიმავალ გზას მშვენივრად იგნებდა...

ხელოვნურ მთის მზეს ბევრი აკლდა იქამდე, რომ წლევანდელი დანაკლისი აენაზღაურებინა და ნამდვილი მზის შუქის მაგივრობა გაეწია. თვეში ორი ან სამი ჩახჩახა, მზიანი დღე თუ გამოერეოდა, აი, ისეთი, ქათქათა მწვერვალებს უკან ხავერდივით ჩამუქებული ლაჟვარდი რომ მოჩანდა, თოვლი ალმასივით ციმციმებდა, მზე კი რუხ ნისლსა და ჩამოწოლილ ღრუბლებს ჯაბნიდა, სხივებს დიდებულად აფრქვევდა და ადამიანებს სახესა და კეფაზე აცხუნებდა - კვირების მანძილზე ორი თუ სამი ასეთი დღე სულაც არ კმაროდა იმ ხალხის გუნება-განწყობის გამოსაკეთებლად, ვისთვისაც ბედს თავის დასაშოშმინებლად უჩვეულო პრეტენზიების უფლება მიენიჭებინა, ისინი სულის სიღრმეში დიდ გულზე იყვნენ, ბარის საზოგადოებაში რომ არ ვურევივართ, მის სიხარულსა და ტკივილს მოკლებულნი რომ ვართ, სამაგიეროდ, თუნდაც უსიცოცხლო, მაგრამ იოლი და საამური ცხოვრება უნდა მოგვენიჭოს, იმდენად უზრუნველი და კეთილმოწყობილი, რომ დროის კატეგორია ჩვენთვის აღარ არსებობდესო.

ამაოდ მოაგონებდა ჰოფრატი თავის მრევლს, რაც უნდა იყოს, ბერგჰოფში ყოფნა კატორღასა და ციმბირის მაღაროებში ყოფნას მაინც არ ნიშნავსო, ახლა აქაურ ჰაერს აღარ იკითხავთ, გაიშვიათებული და მჩატე რომ არის, ლამის კოსმოსურ, დაცლილ ეთერს ჰგავს, მიწიერი, არც კეთილი და არც ბოროტი, შიგ არაფერი ურევია, თუნდაც მზე არ ანათებდეს, ეს ჰაერი ბარის კვამლსა და ოხშივარს მაინც სჯობიაო. უკმაყოფილება და პროტესტი მაინც იზრდებოდა, ბევრი იმუქრებოდა, უნებართვოდ წავალო და მიდიოდა კიდეც, არად დაგიდევდნენ, წინ თვალსაჩინო მაგალითად რომ ედოთ ფრაუ ზალომონის ამასწინანდელი ტრაგიკული დაბრუნება. წინათ ფრაუ ზალომონს, მართალია, ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებოდა, მაგრამ მძიმე ავადმყოფი არ ეთქმოდა, ახლა კი, ნესტიან და ქარიან ამსტერდამში თვითნებურად ყოფნის წყალობით მისი სნეულება განუკურნებელი გამხდარიყო...

სამაგიეროდ, მზის ნაცვლად იყო თოვლი, თოვლის უზარმაზარი მთები, იმდენი თოვლი, ჰანს კასტორპს თავის სიცოცხლეში რომ არ ენახა. ამ მხრივ თავი არც შარშანდელ ზამთარს შეურცხვენია, მაგრამ ამ დიდთოვლობასთან შედარებით მისი მიღწევები სათვალავში ჩასაგდები არ იყო. ზამთრის უსაზღვრო, არაჩვეულებრივი ძალა ავანტიურიზმისა და ექსცენტრიკულობის გუნებაზე გაყენებდა. თოვდა დღედაღამ, გადაუღებლად თოვდა, ხან მეჩხრად, ხან ბარდნიდა, მაგრამ თოვდა და თოვდა. რამდენიმე გაკვალული ბილიკიც ხეობებს დაემსგავსა, რადგან კაცზე მაღალ კედლებს შორის აღმოჩნდნენ მოქცეულნი,თოვლის ხოშორი ზედაპირი ალებასტრის ფილებს ჰგავდა, საამური სანახავი იყო მისი კრისტალების ციმციმი, და მაღალმთიანეთის სტუმრებიც ზედ ათასგვარ ჭორს, ხუმრობასა და ქარაგმას აჯღაბნიდნენ. ამ მაღალ კედლებს შორისაც რომ მაღალზე იდო თოვლი, ამას ფაშარი თოვლით დაფარულ ადგილებსა და ორმოებზე შეატყობდით, სადაც უეცრად შეიძლებოდა ლამის მუხლამდე ჩაგფლობოდათ ფეხი: მოკლედ, ბილიკზე ფრთხილად უნდა გევლოთ, რომ ფეხი არ მოგტეხოდათ. ძელსკამები აღარსად ჩანდა, თოვლს წაენამქრა. მათი თეთრი საფლავებიდან აქა-იქ ამოჩრილი ზურგებიღა მოჩანდა. ქვევით, კურორტზე, ისე მაღლა აწეულიყო ქუჩის დონე, რომ პირველ სართულზე მოთავსებული მაღაზიები სარდაფებად გადაქცეულიყო და ხალხი ტროტუარიდან ქვემოთ თოვლის საფეხურებით ჩადიოდა.

თოვლის სქელ საფარველს კვლავ ათოვდა, ათოვდა დღედაღამ, ათ, თხუთმეტგრადუსიან ყინვაში უჩუმრად ცვიოდა თოვლის ფანტელები, მაგრამ ყინვა ძვალ-რბილში არ ატანდა, უქარო ამინდი და მშრალი ჰავა სუსხს ისე არბილებდა, თითქოს ყინვა ორი ან, დიდი-დიდი, ხუთი გრადუსი ყოფილიყო. დილით ძალიან ბნელოდა; მხიარული შაბლონებით მოხატულ თაღებიან დარბაზში ჭაღების შუქზე საუზმობდნენ ხოლმე. გარეთ მრუმე არარაობა მეფობდა, ცრიატ ბამბაში გახვეული სამყარო თითქოს ჩაჭედილიყო თოვლის ნისლსა და ბურუსში და ფანჯრებს გარედან შემოსდგომოდა. მთები აღარ ჩანდა, დროდადრო ოდნავ თუ გამოკრთებოდა უახლოესი წიწვოვანი ტყე, ტოტებდამძიმებული ხეები კვლავ სწრაფად ინთქმებოდნენ ნისლის მორევში, ხანდახან რომელიმე ფიჭვი მხრებიდან ტვირთს თუ ჩამოიბერტყავდა და ნაცრისფერ ბურუსში თეთრი მტვრის კორიანტელს დააყენებდა. ათ საათზე მზე ოდნავ განათებული კვამლის სვეტივით დაადგებოდა მიდამოს თავზე და იქაურობას აჩრდილივით გაცრეცილ სიცოცხლეს შთაბერავდა, გრძნობიერების უსუსურ სხივს მოჰფენდა არარაობამდე სახეშეცვლილ პეიზაჟს. მაგრამ ყველაფერი კვლავინდებურად გათქვეფილი რჩებოდა გაცრიატებულ სინარნარეში, ერთი ხაზი არსად ჩანდა, რომ ადამიანს თვალი გაეყოლებინა. მწვერვალთა კონტურები წაშლილიყო, ისინი ნისლსა და ბურუსს შთაენთქა. მკრთალად განათებული თოვლის ბორცვები ერთმანეთს მისწყობოდნენ და თვალს უსასრულობაში იტყუებდნენ. უეცრად რომელიმე კლდის მკერდზე კვამლის ბოლქვივით გრძლად გაწოლილი, განათებული ღრუბელი ამოყოფდა თავს და დიდხანს არ იცვლიდა მოხაზულობას.

შუადღისას ღრუბლებს ოდნავ გამოარღვევდა მზე და ცდილობდა, ნისლი ლაჟვარდში გაეთქვიფა, მაგრამ მის სურვილს ახდენა არ ეწერა; მხოლოდ წამით თუ გაიელვებდა ლაჟვარდს მიმსგავსებული სილურჯე, მაგრამ ეს ერთი ბეწო

შუქიც კმაროდა, რომ თოვლის თარეშისგან საოცრად სახეშეცვლილი მიდამო ალმასივით აციმციმებულიყო. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, თოვა გადაიღებდა ხოლმე, თითქოს მასაც უნდოდა თავისი ნამოქმედარისთვის დაეხედა, და ეტყობა, ამავე მიზანს ისახავდა ის რამდენიმე მზიანი დღეც, როცა ქარბუქი ისვენებდა და მოულოდნელად აჩახჩახებული ციური ცეცხლი ახალი თოვლის ქათქათა საფარველს გალხობას დაუპირებდა. გარე სამყაროს ზღაპრული, ბავშვური და უცნაური იერი მიეღო. ხეების ტოტებზე დიდრონი, ფაფუკი, აფუმფულებული ბალიშები ეწყო, ამობურცული მიწის ქვეშ ხვიარა მცენარეები ან წვეტიანი ქვები იმალებოდა, ბორცვები, ღრმულები, პეიზაჟის სამასკარადო ჩაცმულობა მიდამოს ზღაპრების წიგნიდან გადმოსულ გნომების სასაცილო სამყაროს ამსგავსებდა, მაგრამ თუკი ახლო შემოგარენს, სადაც მოძრაობა ჭირდა, ფანტასტიკური და თან ოინბაზური იერი ედო, სამაგიეროდ, შორეთში აზიდული დათოვლილი, ზვიადი ალპები სიდიადისა და სისპეტაკის შეგრძნებას აღვიძებდნენ.
ნაშუადღევს, ორსა და ოთხ საათს შუა, კარგად ჩაფუთნილი ჰანს კასტორპი ლოჯიაში თავის ჩინებულ სკამლოგინზე იწვა ხოლმე, თავი არც ძალიან ციცაბოდ და არც მეტისმეტად დაბლა დაყენებულ სასთუმალზე ედო და დათოვლილ მოაჯირს ზემოთ ტყესა და მთებს გასცქეროდა. ფერდობებს მუქი მწვანე, თოვლით დამძიმებული ნაძვნარი მიუყვებოდა, ხეებს შუა კი თოვლს მიწა ფაფუკი ბალიშებით მოეფინა. ტყის თავზე მოთეთრო-მონაცრისფრო კლდეები წამომართულიყო, კლდეებზე სქლად იდო თოვლი, მხოლოდ აქა-იქ მუქად მოჩანდა მოშიშვლებული კლდის ქიმები და მსუბუქ ნისლში ქედის მოხაზულობაც ილანდებოდა. უხმაუროდ თოვდა. მიდამო სულ უფრო და უფრო იბურებოდა. ბამბისებურ არარაობაში მზირალ თვალს თვლემა იოლად ერეოდა. ძილის ქვეყანაში გადასვლის წამს თან შეჟრჟოლება ახლდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ყინვაში ძილს სიმშვიდით სხვა ძილი ვერ შეედრებოდა, უსიზმრო ძილს ორგანული სიცოცხლის ტვირთისშეგრძნებაც აღარ ამძიმებდა, რადგან ორგანიზმს ცარიელი, ყოველგვარი ანაორთქლისგან დაცლილი ჰაერის ჩასუნთქვა იმაზე მეტად არ უჭირდა, ვიდრე მიცვალებულს სუნთქვის გარეშე ყოფნა. გამოიღვიძებდი და მთები მთლიანად თოვლის ბურუსში ჩაკარგული დაგხვდებოდა, მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ გამოკრთებოდა რომელიმე მწვერვალი ან კლდის ქიმი და მყისვე კვლავ შეიბურებოდა. აჩრდილთა ეს უხმაურო თამაში საოცრად თავშესაქცევი გახლდათ, ოღონდ სიფხიზლე არ უნდა მოგედუნებინა, რომ ამ ნისლიანი ფანტასმაგორიის იდუმალი ცვალებადობა არ გამოგპაროდა. უეცრად ბურუსში დიდებულად და შმაგად წამოიმართებოდა კლდე, რომელსაც არც ძირი უჩანდა და არც თხემი, მაგრამ საკმარისი იყო, თვალი წუთით მოგეცილებინა, რომ მისი კვალიც კი აღარსად ჩანდა.
ზოგჯერ ქარბუქი ამოვარდებოდა და ლოჯიაში წოლა შეუძლებელი ხდებოდა, თეთრი კორიანტელი ლოჯიაშიც ტრიალებდა და ყველაფერს- იატაკსა და ავეჯს - სქლად ეფინებოდა. დიახ, მაღალმთიანეთის ამ წყნარ ხეობაში ქარბუქიც იცოდა. გაიშვიათებული ატმოსფერო აბობოქრდებოდა, ჰაერში ხშირი ფანტელები ისე აირეოდნენ, რომ ერთ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ქარბორბალა ნამქერს შმაგად წამოხვეტდა, აღმა-დაღმა დააქანებდა, ქვემოდან ზემოთ ბზრიალ-ტრიალით მიერეკებოდა, ხეობის სიღრმიდან ჰაერში აბზრიალებდა, ფიფქები გიჟურად ცეკვავდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ, - ამას თოვა აღარ ეთქმოდა, ეს იყო თეთრი წყვდიადის ქაოსი, თავაწყვეტილობა, ზომიერებადაკარგული რეგიონის გაუგონარი გათავხედება და აი, ამ ორომტრიალში უეცრად გუნდ-გუნდად წამოფრენილი სკვინჩებიღა გრძნობდნენ შინაურულად თავს.
ჰანს კასტორპს მაინც უყვარდა დიდთოვლობა. იქაურობა მრავალმხრივ მოგაგონებდა ზღვისპირეთს. ბუნების სურათის მარადიული მონოტონურობა ორივე სფეროს ახასიათებდა; თოვლი, ეს ღრმა, ფაფუკი, სპეტაკი, ფხვიერი თოვლი, ზუსტად იმავე როლს თამაშობდა, რასაც ზღვის ნაპირას მოყვითალო ქვიშა; ორივესთან შეხებისას ერთნაირად გეღვიძებოდათ სისუფთავის შეგრძნება, ფეხსაცმლიდან და ტანსაცმლიდან ისევე ჩამოიფერთხავდით მშრალ, გაყინულ სითეთრეს, როგორც ბარში მოიცილებდით უკვალოდ ზღვის ფსკერის კენჭებისა და ნიჟარებისგან წარმოქმნილ უმტვერო ფხვნილს, და თოვლში სიარულიც ზუსტად ისევე ჭირდა, როგორც ქვიშრობზე, განსაკუთრებით მაშინ, თოვლის

ფენები მზისგან თუ მოლბებოდა, მაგრამ თუ ღამით ყინვა გაამაგრებდა ზედაპირს, მაშინ ისევე იოლი და სასიამოვნო იყო თოვლზე სიარული, როგორც წყლით გაჟღენთილ, ზედ ზღვის კიდეზე გაყოლებულ პრიალა, მკვრივ, დრეკად ქვიშის ზოლზე.

ეს კია, რომ დიდთოვლობამ მოთხილამურეების გარდა, ყველას გაუძნელა გარეთ გამოსვლა. სათრეველები არ ცდებოდნენ, მაგრამ ისინი ყველაზე უფრო საჭირო ბილიკებისა და კურორტის მთავარი ქუჩის გაწმენდას ძლივს აუდიოდნენ და ის რამდენიმე გაკვალული გზა, რომლებიც შიგადაშიგ გაუვალ გზებს ემიჯნებოდნენ, გაჭედილი იყო ჯანმრთელებითა და ავადმყოფებით, ადგილობრივი მცხოვრებითა და სასტუმროებში დაბინავებული ინტერნაციონალური საზოგადოებით. ფეხით მოსიარულეებს წამდაუწუმ ეჯახებოდნენ მოციგავე ბატონები და ქალბატონები, რომლებსაც ფეხები წინ გაეშვირათ და ძირს გამაფრთხილებელი შეძახილებით ეშვებოდნენ. მოციგავეებს კილოზე ეტყობოდათ, თავიანთ თამაშს რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, საბავშვო ციგებით კისრისტეხით მოქროდნენ ფერდობზე და ძირს ჩამოსულნი თავიანთ მოდურ სათამაშოს თოკით კვლავ აღმართ-აღმართ მიათრევდნენ ხოლმე.

ჰანს კასტორპს გასეირნება მოყირჭებული ჰქონდა. ორი სურვილი არ აძლევდა მოსვენებას: მათ შორის უფრო ძლიერს - ფიქრებთან მარტო დარჩენისა და თავისუფლად მართვის“ სურვილს, მისი ლოჯია, მართალია, ზერელედ, მაგრამ მაინც უკმაყოფილებდა, მეორე კი, ისევ იმ პირველთან დაკავშირებული ცხოველი სურვილი, დათოვლილ მთებთან უფრო ახლოს და თავისუფლად მისვლისა, განუხორციელებელი ჩანდა, რადგან ამ სურვილს ერთი უმწეო, ფრთებდაკეცილი, ფეხით მოსიარულე კაცი დაატარებდა, მას გაკვალული ბილიკიდან ერთი განზე რომ გადაეხვია, თოვლის სტიქიაში მკერდამდე ჩაეფლობოდა.

ამიტომ გადაწყვიტა ერთ მშვენიერ დღეს ჰანს კასტორპმა, აქ, ზევით, გატარებულ მეორე ზამთარს, თხილამურები ეყიდა და მათი ხმარება ისე ესწავლა, როგორც მის ჩანაფიქრს შეეფერებოდა. იგი სპორტსმენი არ იყო, არც არასოდეს ყოფილა თავისი სუსტი აგებულების გამო და სხვათა შორის, ზოგიერთი ბერგჰოფელისგან განსხვავებით, სპორტსმენად არც მოჰქონდა თავი. ბევრი აქ გამეფებულ სულისკვეთებასა და მოდას ხარკს უხდიდა და თავისდა სავალალოდ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი დაიპრანჭებოდა. ამ საქმეში მამაკაცებს არც დედაკაცები ჩამორჩებოდნენ: ჰერმინე კლეეფელდი, მაგალითად, რომელსაც სუნთქვის უკმარისობისაგან ტუჩები და ცხვირის წვერი ულურჯდებოდა, ლანჩზე შალის შარვალსა და სვიტერში გამოწყობილი მობრძანდებოდა, ნასაუზმევს კი ვესტიბიულში რომელიმე ჩალის სავარძელში მუხლებგაჩაჩხული საკმაოდ უწესოდ გადაიშხლართებოდა ხოლმე. ჰანს კასტორპს ჰოფრატისთვის რომ გაენდო განზრახული, უეჭველად უარს მიიღებდა - აქ,მ ზევით, „ბერგჰოფსა“ და მისმსგავს დაწესებულებებში სპორტი ყველას ეკრძალებოდა, რადგან ეს ვითომ იოლად ჩასასუნთქი ჰაერი გულის კუნთს ისედაც საკმაოდ ტვირთავდა, ხოლო, რაც შეეხება პირადად ჰანს კასტორპს, მისი გონებამახვილური სიტყვებიც, „იმ აზრთან შეგუება, რომ აქაურობას ვერ ეგუებოდა“, სრულ ძალაში რჩებოდა და არც სიცხიანობა ეშვებოდა, რასაც რადამანთისი სველი კერის არსებობას მიაწერდა. ასე რომ არ ყოფილიყო, აბა, აქ, ზევით, რაღა ესაქმებოდა? მართალია, მისი სურვილი და განზრახვა წინააღმდეგობით აღსავსეც იყო და განუხორციელებელიც, მაგრამ მისთვისაც უნდა გაეგოთ. პატივმოყვარეობის ჭია როდი ღრღნიდა, ვითომ სუფთა ჰაერზე გაგიჟებულ ფრანტებსა და თავმომწონე სპორტსმენებს გავეჯიბროო, ისინი, ერთი რომ დაგესტვინათ, ისეთივე გულმოდგინებით დახუთულ ოთახში ბანქოს ჩაუსხდებოდნენ. ჰანს კასტორპი სულიერ სიახლოვეს ნამდვილად სხვა ჯურის სფეროებთან გრძნობდა და არა ამ მოტურისტო გოგო-ბიჭებთან, გარდა იმისა, რომ უწინდელზე უფრო ფართო და ახალი თვალსაზრისი ჰქონდა შემუშავებული, გამაუცხოებელი ღირსებისა და მოვალეობის მინავლული გრძნობაც აფიქრებინებდა, ჩემი საქმე არ არის იმათებურად თოვლში გიჟივით კოტრიალიო. არავითარი ესკაპადების მოწყობა გულში არ გაუვლია, განზრახული ჰქონდა, ზომიერებისთვის არ ეღალატა, ასე რომ, რადამანთისს თავისუფლად შეეძლო მისთვის ნებაც დაერთო, მაგრამ რადამანთისი სანატორიუმის წესდებას მაინც არ დაარღვევდა და ჰანს

კასტორპმა გადაწყვიტა, მისზურგს უკან ემოქმედა.
ერთხელ სიტყვამ მოიტანა და, თავისი განზრახვა ბატონ სეტემბრინის გაანდო. ბატონი სეტემბრინი სიხარულისგან კინაღამ გადაეხვია.
- რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, ინჟინერო, ღვთის გულისათვის, ასეც უნდა ქნათ! ნურავის შეეკითხებით, აღასრულეთ, რაც ჩაგიფიქრებიათ, კეთილ ანგელოზს ჩაუგონებია თქვენთვის ეს განზრახვა! ნუღარ დააყოვნებთ, შეასრულეთ განზრახული, სანამ სურვილი არ გაგნელებიათ! მეც თქვენთან ერთად წამოვალ, მაღაზიაში წამოგყვებით და ერთად შევიძინოთ ის დალოცვილი რაღაც-რაღაცები! მთებშიც წამოგყვებოდით, თქვენთან ერთად ვისრიალებდი, ფეხზე მერკურივით ფრთიან ქალამნებს ამოვისხამდი, მაგრამ, ვაგლახ, რომ ამის უფლება არა მაქვს... ეჰ, უფლება! მხოლოდ „უფლებაში“ რომ იყოს საქმე, უკან არ დავიხევდი, მაგრამ ვაი, რომ არც შემიძლია, ჩემი საქმე წასულია, თქვენ კი... თქვენ არაფერი დაგიშავდებათ, სულ არაფერი, თუკი ჭკვიანად მოიქცევით და ზომას არ გადააჭარბებთ. თუნდაც რაიმე დაგიშავდეთ, არაფერია, მაინც კეთილი ყოფილა ის ანგელოზი, რომელმაც... აღარაფერს ვამბობ, დიდებული განზრახვაა! ორი წელი კაცმა აქ გაატარო და ასეთი აზრი მოგივიდეს თავში, ეს ნიშნავს, რომ ჯანსაღი დვრიტა გქონიათ. არავითარი საბაბი არა გვაქვს, თქვენში ეჭვი შეგვეპაროს. ბრავო, ბრავო! ო, როგორ ჩამოაშვებინებთ ცხვირს თქვენს აჩრდილთა მეუფეს, იყიდეთ თხილამურები და ან ჩემთან გამოაგზავნინეთ, ან ლუკაჩეკთან, ან სულაც ბაყალს, ჩვენი სახლის პატრონს დაუტოვეთ. სავარჯიშოდ როცა დაგჭირდებათ, იქიდან წაიღებთ ხოლმე, მერე კი გაუტევთ...
ზუსტად ასეც მოხდა. ბატონი სეტემბრინის თანდასწრებით, რომელიც დიდ მცოდნესავით ირჯებოდა, თუმცა სპორტისა არაფერი გაეგებოდა, ჰანს კასტორპმა მთავარ ქუჩაზე, სპეციალურ მაღაზიაში შეიძინა ღია ყავისფრად გალაქული, დიდებული თასმებით აღჭურვილი იფნის კოპწიაჭვინტიანი თხილამურები, იყიდა ლითონისწვერიანი ჯოხებიც, თავისივე რგოლებით და ვინმეს კი არ წააღებინა, სეტემბრინის ბინამდე თვითონვე ატარა მხრებზე გადებული და ბაყალსაც მოურიგდა, რომ თხილამურებს ის შეუნახავდა. ჰანს კასტორპს მოთხილამურეებისთვის ბევრჯერ უყურებია და დამოუკიდებლად დაიწყო კიდეც ყოველდღიური ვარჯიში აჟრიამულებული ტრასებისგან შორს, თითქმის შიშველ ფერდობზე, სანატორიუმ „ბერგჰოფის“ მახლობლად, სადაც მის ვარჯიშს ზოგჯერ ბატონი სეტემბრინიც ესწრებოდა ხოლმე. ბატონი სეტემბრინი თავის ხელჯოხს დაეყრდნობოდა, ფეხებს კოხტად გადააჯვარედინებდა და მის პირველ სპორტულ ნაბიჯებს „ბრავოს“ ძახილით ესალმებოდა. ერთ დღეს ჰანს კასტორპი „სოფლისკენ“ მიმავალი გაკვალული გზით ეშვებოდა, რომ თხილამურები ბაყლისთვის მიებარებინა და გზაში ჰოფრატს გადაეყარა. ბედმა გაუღიმა - ბერენსმა ვერ იცნო, თუმცა შუადღე იდგა და ახალბედა მოთხილამურეც ლამის ზედ გადააწყდა. სიგარის კვამლში გახვეულმა ბერენსმა უკანმოუხედავად განაგრძო გზა.
ჰანს კასტორპი დარწმუნდა, რაც გულით გწადია, იმ საქმეში გაწაფვა ძნელი არ ყოფილაო. ვირტუოზობის პრეტენზია მას არ ჰქონდა, ხოლო რაც სჭირდებოდა, ოფლში გახვითქვისა და ქოშინის გარეშე რამდენიმე დღეში შეისწავლა. მიეჩვია, ფეხები კოხტად მიეწყო და თოვლზე თანაბარი კვალი დაეტოვებინა, ისწავლა დაძვრისას ჯოხის მარჯვედ ხმარება, ისწავლა პატარ-პატარა დაბრკოლებების გადალახვა, ხელებგაშლილი გაექანებოდა რომელიმე ბორცვისაკენ და ტანს ისე აზიდავდა, როგორც გემი გადადის აღელვებული ზღვის ტალღებზე. ოცჯერ რომ სცადა, მერე აღარ ეცემოდა, როცა მთელი სისწრაფით მომავალი სვლას ტელემარკით დაამუხრუჭებდა, ცალ ფეხს წინ წადგამდა და მეორეს მუხლში მოხრიდა ხოლმე. თანდათან ითვისებდა ახალ-ახალ ილეთებს, ერთ მშვენიერ დღეს კი ბატონი სეტემბრინის თვალწინ შთაინთქა თეთრ ნისლში, ამ უკანასკნელმა ხელებირუპორივით მიიდო პირზე, მიაძახა, ფრთხილად იყავიო, ამით პედაგოგიური მისია შესრულებულად ჩათვალა და შინისკენ კმაყოფილი გაეშურა.
მშვენიერი იყო ზამთრის სამოსელში გახვეული მთები, და განა მარტო თავისი სილბოთი და სიმშვიდით - იგი ისეთივე სიმშვენიერით ბრწყინავდა, როგორიც აბობოქრებული ჩრდილოეთის ზღვაა ხოლმე მშვენიერი და თუმცა აქ გრუხუნის

ნაცვლად სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ეს სიჩუმეც ზუსტად ისეთივე მოწიწების გრძნობას აღძრავდა. ჰანს კასტორპს გრძელი, მოქნილი ლანჩები სხვადასხვა მხარეს მიაქროლებდა: ხან მარცხნივ, ფერდობზე, კლავადელის მიმართულებით, ხან მარჯვნივ, ფრაუენკირჰესა და კლარისის გასწვრივ, რომელთა უკან ნისლში, ამზელფლუს მასივი აჩრდილივით იხატებოდა. ხან დიშმატალში დაქროდა, ხან კი „ბერგჰოფის“ უკან, ტყით შემოსილი ზეეჰორნისკენ იღებდა გეზს, ტყის საზღვარს ზემოთ აზიდული თოვლიანი მწვერვალიღა რომ მოუჩანდა, მერე დრუზაჩავალდისკენ იბრუნა პირი, რომლის უკან რეტიკონის დათოვლილი მთაგრეხილის მკრთალი კონტურები ილანდებოდა. თხილამურები საბაგირო გზით შაცალპზეც კი აიტანა და იქ, ზემოთ, ორი ათას მეტრ სიმაღლეზე გული იჯერა პუდრივით წმინდა თოვლით დაფარულ, აციმციმებულ ფერდობებზე სრიალით, საიდანაც მოწმენდილ ამინდში მისი თავგადასავლების დიდებული, ფართოდ გაშლილი სარბიელი მკაფიოდ მოჩანდა ხოლმე.
უხაროდა საკუთარი წარმატება, რისი წყალობითაც მიუწვდომელს მისწვდებოდა და თითქმის ყველა დაბრკოლება გადაელახა. მისი წყალობა იყო ეს ნანატრი განმარტოება, იმაზე უფრო ღრმა, ვიდრე ოდესმე უოცნებია, განმარტოება, რომელიც გულს ადამიანისთვის სრულიად უცხო და კრიტიკული განცდებით უჩქროლებდა. აქ ერთ მხარეს ნაძვნარით შემოსილიუფსკრული ინთქმებოდა თოვლის ბურუსში, მეორე მხარეს კი პიტალო კლდე, რომელზეც უზარმაზარი, ციკლოპისებური თოვლის ზვინები თაღებს, გუმბათებს, ბორცვებს თუ მღვიმეებს ქმნიდა. ხანდახან გაირინდებოდა, რომ საკუთარი ჩქამიც არ გაეგონა და მაშინ ირგვლივ საოცარი, სრულყოფილი სიჩუმე ისადგურებდა, თითქოს ბამბაში შეფუთნილი სიჩუმე, არნახული, არგაგონილი, სხვაგან არარსებული სიჩუმე, ნიავიც არსად იძვროდა, ხეებს თუნდაც სულ ოდნავ რომ შეარხევდა, არც შრიალი ისმოდა, არც საიდანმე ჩიტის გალობა. ჰანს კასტორპი პირველქმნილ სიჩუმეს უსმენდა, იდგა ჯოხზე დაყრდნობილი, თავი გვერდზე გადაეგდო და პირი დაეღო; თოვდა კვლავ ჩუმად და გადაუღებლად, დინჯად მოფარფატებდნენ თოვლის ფანტელები, მშვიდად და უხმაუროდ ეშვებოდნენ მიწაზე.
არა, ამ უძირო სიჩუმით აღსავსე, მიუსაფარ სამყაროს მასპინძლობისა არა ეცხო რა, სტუმარს იგი თავის ანაბარა ტოვებდა, სტუმრად არც აგდებდა, მხოლოდ ითმენდა მის შემოჭრას, მის აქ ყოფნას, მაგრამ რაღაც უცნაურად ითმენდა, არაფერ სასიკეთოს არ უქადდა, უსიტყვო მუქარით დამუხტული სტიქია მოსულს თითქოს მტრულად ხვდებოდა, თუმცა ასეთ დახვედრას სრული გულგრილობა უფრო ეთქმოდა, იგი სიკვდილს გულგრილად გპირდებოდა. ცივილიზაციის პირმშო დაბადებიდანვე შორს დგას ველური ბუნებისაგან და ამიტომ უფრო ადვილად სწვდება მის სიდიადეს, ვიდრე ბუნების გაურანდავი შვილი, ფეხის ადგმისთანავე რომ ზიარებია ბუნებას და მისჩვევია მასთან ყოველდღიურ სიახლოვეს. ამ უკანასკნელისთვის უცხოა ის რელიგიური მოწიწება, რითაც ის სხვა შეჰყურებს ბუნებას, შეჰყურებს წარბებაძგიბული, ბუნებისადმი მის ყველა გრძნობას ის მოწიწება განსაზღვრავს და მის სულში მუდამ ასაზრდოებს ღვთისმოსაურ აღფრთოვანებასა და შიშნარევ მღელვარებას. აქლემის ბეწვის ჟაკეტში გამოწყობილ ჰანს კასტორპს, ტოლაღებშემოხვეული ფეხებით რომ იდგა თავის ძვირფას თხილამურებზე, ეგონა, თამამად უგდებდა ყურს იმ პირველყოფილ სიჩუმესა და სიკვდილივით დადუმებულ ზამთრის უდაბნოს, მაგრამ როცა შინისკენ იბრუნა პირი და ნისლში პირველმა დასახლებულმა უბნებმა ამოყო თავი, მაშინღა იგრძნო შვება და მიხვდა, რომ მის გრძნობა-გონებას რამდენიმე საათის განმავლობაში იდუმალი, წმიდათაწმიდა ძრწოლა დაუფლებოდა. ერთხელ ასევე იდგა ზილტში ზღვის პირას, თეთრ შარვალში გამოწყობილი, თამამი, ელეგანტური და პატივმოყვარე, აბობოქრებული ზღვა ლომის გალიას ჰგავდა, თითქოს გისოსებს ხახადაღებული მხეცი ასკდებოდა და საზარელ კბილებს აღრჭიალებდა, შემდეგ იბანავა, ნაპირიდან კი მეთვალყურე საყვირით აფრთხილებდა მათ, ვინც თავხედურად ცდილობდა, პირველ ტალღას ზედ გადავლებოდა და მოახლოებულ ქარიშხალს შეჰბმოდა, კეფაში კი ლომის თათივით გირტყამდა დამსხვრეული ტალღის უკანასკნელი შხეფები. იმ დროიდან იყო იგი ნაზიარები სტიქიასთან მსუბუქი სასიყვარულო შეხებით მოგვრილი აღტაცებისა და ბედნიერების განცდას და იცოდა, რომ მასთან ჩახუტება

დამღუპველი აღმოჩნდებოდა. ოღონდ მაშინ არ აწვალებდა სურვილი, მომაკვდინებელ ბუნებასთან ისე ახლოს მისულიყო, რომ მასთან ჩახუტების საფრთხე დამუქრებოდა, - ისეთი სუსტი, თუმცა ცივილიზაციისგან საკმაოდ დაჯილდოებული და შეიარაღებული ადამის შვილი, როგორიც ის გახლდათ, მაშინ ვერ ბედავდა ისე ღრმად შეჭრილიყო შიშის სამყაროში, შეჭრილიყო და იქამდე არ უკუქცეულიყო, სანამ კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწევდა და უკან დასახევი გზა აღარ დარჩებოდა, იმ მიჯნამდე ვერ მივიდოდა, სადაც უკვეშხეფებსა და ლომის თათის მსუბუქ დარტყმაზე კი არა, ტალღაზე, ლომის ხახაზე, ზღვაზე მიდგებოდა საქმე.
ერთი სიტყვით, ჰანს კასტორპი აქ, ზევით, გამამაცდა, თუკი სტიქიის წინაშე სიმამაცის გამოჩენა მასთან გონებაჩლუნგ შეთამამებას კი არა, შეგნებულ თავგანწირვასა და მისდამი სიმპათიის წყალობით სიკვდილის შიშის დათრგუნვას ნიშნავდა, - სიმპათიაო? - დიახაც, ჰანს კასტორპს თავის ვიწრო, ცივილიზებულ მკერდში სტიქიისადმი სიმპათია უღვიოდა. და ეს სიმპათია ერწყმოდა ახალშეძენილ ღირსების გრძნობას, რომელიც მოციგავე ხალხის ყურებისას გაეღვიძა და ამ გრძნობამ მიახვედრა, რომ მას უფრო დიდი და ღრმა განმარტოება სწყუროდა და კიდეც შეეფერებოდა, ვიდრე სასტუმროს სიმყუდროვით აღსავსე ლოჯიაში წოლა. აქამდე ლოჯიიდან გასცქეროდა ხოლმე ნისლში გახვეულ მაღალ მთებსა და ქარბუქის ცეკვა-თამაშს და გულის სიღრმეში რცხვენოდა, გარემოს კომფორტის სანგარს შეფარებული, პირდაღებული რომ შესცქეროდა. ამიტომაც ისწავლა თხილამურებით სრიალი და არა იმიტომ, რომ სპორტული ჟინი არ ასვენებდა, ან ვარჯიშის თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა. თუკი აკრთობდა ამ დათოვლილი სამარისებური სიჩუმის სიდიადე - და არც შეიძლებოდა ცივილიზაციის პირმშო ამ სიდიადეს არ შეეკრთო - კარგა ხანია ამ გრძნობას აქ, ზევით, გულითა და გონებით ნაზიარები იყო. და განა ნაფტასა და სეტემბრინისთან გამართული კოლოკვიუმი არ იყო შემაკრთობელი? მასაც ხომ უგზო-უკვლო და უაღრესად საშიშ სფეროებში შეჰყავდა. და თუკი შეიძლებოდა ზამთრის უდაბნოსადმი ჰანს კასტორპის სიმპათიებზე გველაპარაკა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ ადგილს ღვთისმოსაური შიშის მიუხედავად, საკუთარი ფიქრისა და განსჯის სარბიელად თვლიდა, ყველაზე უფრო შესაფერისად მიაჩნდა იმ ადამიანისათვის, ვინც თვითონაც ვერ ერკვეოდა, როგორ, მაგრამ მაინც
ჰომო დეი -ზე დაკისრებულ მართვისფუნქციებსა და მის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე ფიქრებს დაემძიმებინა.
აქ კაცი არავინ ჩანდა, თავზე ხელაღებულებისთვის საყვირით რომ ემცნო საფრთხის მოახლოება, თუმცა ვინ იცის, იქნებ ბატონი სეტემბრინი იყო ასეთი კაცი, პირთან ხელები რუპორივით რომ მიიტანა და ჰანს კასტორპს ტყეში გაუჩინარებამდე რაღაც მიაძახა, მაგრამ ჰანს კასტორპს სიმამაცისა და ახალგაღვიძებული სიმპათიების გამო ყური არ უთხოვებია ამ შეძახილისათვის, ისევე როგორც ყველიერის ღამეს არ მიუქცევია ყურადღება სიტყვებისათვის, ერთი ნაბიჯის გადადგმისგან რომ აფრთხილებდა: „Eh, Iნგეგნერე, უნ პო დი რაგიონე, სა
!“
(ეჰეი, ინჟინერო, გონს მოდით! (იტალ.).) „აჰ, შე პედაგოგო-სატანავ, შენი ragione
-თი და ribellione
-თი! - გაიფიქრა მან, - რომ იცოდე, მაინც მიყვარხარ. მართალია, ქარაოცი და მეარღნე ბრძანდები, მაგრამ გული კეთილი გაქვს, უფრო სიკეთე გალაპარაკებს და მეც იმ ენამწარე პატარა იეზუიტსა და ტერორისტზე, პრიალასათვალიან, ესპანური წამებისა და წკეპლის ოსტატზე უფრო მიყვარხარ, თუმცა ერთმანეთთან ჩხუბი რომ მოგდით, ლოგიკით თითქმის ყოველთვის ის გჯაბნის ხოლმე... ანუ ჩემი საბრალო სულის დასასაკუთრებლად პედაგოგიური მიზნით რომ სწიწკნით ერთმანეთს, ისევე როგორც შუა საუკუნეებში ღმერთი და ეშმაკი იბრძოდნენ ადამიანის დასაკუთრებისათვის...“
ფეხებდაფიფქული ჰანს კასტორპი ჯოხების დახმარებით მიქროდა სადღაც მაღლა, ცრიატ სივრცეში, თოვლით შესუდრულ ტერასებზე სულ მაღლა და მაღლა ადიოდა, კაცმა არ იცის, გეზი საით ეჭირა. ის გზა თითქოს არსაით მიდიოდა, მისი

ზედა რეგიონი ცას ერწყმოდა, ხოლო ცასაც ისეთივე ჯანღისფერი ედო, ვერც გაარკვევდი, სად იწყებოდა; არც ერთი მწვერვალი, ქედის არც ერთი კონტური არ მოჩანდა, ეს იყო ნისლში ჩაფლული არარაობა, საითაც ჰანს კასტორპი მიისწრაფოდა და რაკი მის უკან დარჩენილი სამყარო, ადამიანებით დასახლებული ხეობა, სულ მალე უკან დარჩა, თვალს მოეფარა და იქიდან ჩამიჩუმი აღარ ესმოდა, ეს უკვე მისი განმარტოება იყო, თუმცა განმარტოება კი არა, სანამ დაფიქრებას მოასწრებდა, გადაკარგვაც კი; ასეთ უძირო განმარტოებაზე უკეთესს ვერც ინატრებდა, ასეთი შიშის ზღვრამდე მისული განმარტოება, თავისთავად სიმამაცის წინა პირობა გახლავთ, „Praeterit figura hujus mundi
“(და იკარგება ხატი ამა ქვეყნისა (ლათინ.).)
, ლათინურად თქვა გულში, ოღონდ ეს გამონათქვამი ჰუმანისტური სულისკვეთებით როდი იყო გაჟღენთილი - იგი ნაფტასგან ჰქონდა გაგონილი. ჰანს კასტორპი შეჩერდა და მიმოიხედა. ირგვლივ არაფერი ჩანდა, თეთრი ზეციდან მხოლოდ პაწაწკინტელა ფანტელები მოცვიოდა, თეთრ მიწას ეფინებოდა, ირგვლივ ძლევამოსილ, მდუმარე სიჩუმეს დაესადგურებინა, თვალი თეთრ სიცარიელეს აწყდებოდა, სითეთრე თვალს სჭრიდა და მაშინ გრძნობდა, მღელვარებისგან როგორ უკრთოდა გული, აღმართზე ასვლისგან ისედაც აფართხალებული ეს კუნთოვანი ორგანო, რომლის ცხოველურ მოყვანილობასა და ძგერას გასაშუქებელი კაბინეტის ტკაცუნა ელვის სინათლეზე იქნებ ზედმეტად თამამადაც კი აკვირდებოდა და უსმენდა. ამისგახსენებაზე ლამის გული აუჩუყდა, ადვილად გასაგები, ღვთისმოსაური სიმპათია გაეღვიძა საკუთარი გულის მიმართ, ადამიანის მფეთქავი გულის მიმართ, თავის კითხვებსა და ამოცანებთან ერთად ასე მარტო რომ აღმოჩნდა აქ, ზევით, ყინულოვან სიცარიელეში.
ისევ განაგრძო აღმა, ზეცისკენ სვლა. ზოგჯერ ჯოხს თავით ჩაარჭობდა თოვლში და უყურებდა, ხვრელის სიღრმიდან როგორ ამოჰყვებოდა ცისფერი სინათლე. ამ თამაშმა გაართო, შეეძლო კიდევ დიდხანს მდგარიყო ასე და ამ ოპტიკურ მოვლენას მრავალჯერ დაჰკვირვებოდა. ეს იყო რაღაც უცნაური, თან მთისა და თან სიღრმისეული ნაზი სინათლე, მომწვანო-მოლურჯო, ყინულივით გამჭვირვალე, თან დაბინდული და მიმზიდველი თავისი იდუმალებით. შუქითა და ფერით მან ერთი ადამიანის თვალები მოაგონა, ის ირიბად გაჭრილი, საბედისწერო თვალები, ბატონმა სეტემბრინიმ, ჰუმანისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, აგდებულად თათრული ჭრილები“ და ტრამალის მგლის ანთებული თვალები“ რომ უწოდა, დიახ, უწინ ნანახი და მერე ხელახლა ნაპოვნი, ჰიპესა და კლავდია შოშას თვალები მოაგონა. „კარგი, - ჩაილაპარაკა ამ მდუმარებაში, - კარგი, მაგრამ არ გამიტეხო: „Ilლ ესტ ა ვისსერ ტუ საის
“
(იცი, უნდა ამოხრახნო (ფრანგ.).) . ეს თქვა თუ არა, ზურგს უკნიდან თითქოს სასიამოვნო ხმა ჩაესმა, გონს მოდიო.
მარჯვნივ, კარგა მოშორებით, ნისლივით აზიდულიყო ტყე, პირი იქით იბრუნა, რომ მოთეთრო, ტრანსცენდენტური მიდამოს ნაცვლად თვალწინ მიწიერი მიზანი ჰქონოდა, მაგრამ დაღმართი ვეღარ შენიშნა და უეცრად თავქვე დაექანა. თოვლი თვალს ისე სჭრიდა, ნიადაგის მოხაზულობა აღარ განირჩეოდა, ვეღარაფერს ხედავდა, თვალში ყველაფერი აერ-დაერია, ყოველ წუთს მოულოდნელ დაბრკოლებებს აწყდებოდა, ფერდობს ისე დაუყვა, რამდენად ციცაბო იყო, წინასწარ არ დაჰკვირვებია.
ის ტყე, თავისკენ რომ იზიდავდა, იმ ხევის გადაღმა იყო, სადაც თავისდა უნებურად ამოყო თავი. ფაფუკი თოვლით დაფარული ხრამის ფსკერი ქედისკენ დამრეცად მიემართებოდა. ეს მაშინ შენიშნა, მცირე მანძილი ამ მიმართულებით რომ გაიარა. მერე თავდაღმართი დაიწყო; ხევის ფერდები თანდათანმაღლდებოდა; ხევი თითქოს გვირაბივით იყო მთაში შეჭრილი, შემდეგ თხილამურების ჭვინტები კვლავ ყალყზე შედგა, მის წინ ბორცვი ამოიზიდა, ხევის ფერდები უეცრად ჩათავდა და უგზო-უკვლო სვლა კვლავ ზეცისკენ აზიდულ, მოშიშვლებულ მთის კალთებზე გაგრძელდა.
ნაძვნარი ახლა მის ქვეშ და ზურგს უკან ალმაცერად მოჩანდა, მანაც პირი იქით იბრუნა, თავქვე სწრაფად დაეშვა და მალე მიაღწია კიდეც განაპირა დათოვლილ

ნაძვებს, რომლებიც უტყეო ფერდობში სოლივით შეჭრილიყვნენ. მათ ტოტებქვეშ შეისვენა და სიგარეტი მოსწია, სულის სიღრმეში კვლავ გრძნობდა, როგორ თრგუნავდა, ძაბავდა და ბორკავდა ეს უძირო სიჩუმე და სახიფათო სიმარტოვე, მაგრამ თან სიამაყით ევსებოდა გული, მისი დაპყრობა რომ შეძლო და თავი მამაცურად აქაურობის ღირსეულ პატრონად მოჰქონდა.
ნაშუადღევის სამი საათი იყო. გზას ნასადილევს გაუდგა, იმ ანგარიშით, რომ დიდი სამკურნალო წოლის საათი და სამხარი გაეცდინა და უკან დაღამებამდე დაბრუნებულიყო. იმის ფიქრში, რომ რამდენიმე საათი ბუნების დიდებულ სამეფოში უნდა გაეტარებინა, საამური გრძნობა ეუფლებოდა. ბრიჯის ჯიბეში ცოტაოდენი შოკოლადი, ხოლო ჟილეტის ჯიბეში პატარა ბოთლით პორტვეინი ჩაიდო.
მზე ისეთ სქელ ნისლში იყო გახვეული, რომ საიდანღაც ძლივს იჭყიტებოდა. უკან, ხეობის ყელში, ქედის უჩინარ ძგიდესთან, ღრუბლები და ჯანღი თანდათან იქუფრებოდა და თითქოს წინ მოიწევდა. ეტყობა, თოვას აპირებდა და იმაზე უფრო ხვავრიელად, ვიდრე ეს ნამდვილი ქარბუქის მონატრულ კაცს ჟინის მოსაკლავად სჭირდებოდა. და მართლაც, ფერდობზე პაწაწინა, უხმო ფანტელების ცვენამ საგრძნობლად იმატა.
ჰანს კასტორპმა ფეხი წინ წადგა, რათა მკლავი მათთვის შეეშვირა და ზედ დაცვენილ ფანტელებს დილეტანტი მკვლევრის თვალით დაჰკვირვებოდა. ფანტელები უფორმო ნაკუწებს ჰგავდა, მაგრამ მათი მსგავსნი გამადიდებელი შუშით ბევრჯერ დაუთვალიერებია და იცოდა, რა ნატიფი და პაწაწინა ძვირფასეულობებისგან შედგებოდა თითოეული მათგანი, ამგვარ სამკაულებზე, ორდენის მსგავს ვარსკვლავებსა და ბრილიანტის საკინძეებზე უფრო მდიდრულსა და ნატიფს ყველაზე დახელოვნებული ოქრომჭედელიც ვერაფერს შექმნიდა. დიახ, ეს მჩატე, ფაფუკი, პუდრივით თეთრი ფიფქები მშობლიური ზღვის ქვიშას კი მოაგონებდა, მაგრამ სულ სხვა ზნეს იჩენდა, მათი სიმძიმის ქვეშ ტყე იზნიქებოდა, მთა-ველი იფარებოდა და თვითონ ზედ თხილამურებით დასრიალებდა, თანაც ეს მასა ქვის მარცვლებისგან როდი შედგებოდა, ეს იყო მრავალფეროვან კრისტალებად გაქვავებული წყლის ნაწილაკების მირიადები, - იმ არაორგანული სუბსტანციის ნაწილაკები, ცოცხალ პლაზმაშიც, მცენარეებშიც, ადამიანის სხეულშიც რომ მოედინება, - და ჯადოსნური ვარსკვლავების ამ მირიადებში უხილავი, ადამიანის თვალისგან დაფარული, იდუმალი მინიატიურული დიდებულების წყალობით ორს, ერთმანეთის მსგავსს ვერსად იპოვიდით. აქ ერთი და იმავე მარად უცვლელი ძირითადი სქემის, ტოლფერდა და ტოლკუთხა ექვსკუთხედისუსასრულო ვარიაციები და უნატიფესი სახეცვლილებანი სუფევდა; ოღონდ თავისთავად თითოეული ყინულის ქმნილებათაგანი თავის სავალდებულო პროპორციასა და რვალისებურ კანონზომიერებას ემორჩილებოდა, და სწორედ აქ იმალებოდა მისი იდუმალება, ანტიორგანულობა და სიცოცხლის მტრობა. ისინი მეტისმეტად სიმეტრიულნი იყვნენ, სასიცოცხლოდ ორგანიზებული სუბსტანცია ასე სიმეტრიული ვერ იქნებოდა, სიცოცხლე ძრწოდა ასეთი სიზუსტისა და სისწორის წინაშე, იგი მომაკვდინებლად, თვით სიკვდილის საიდუმლოდ ესახებოდა და ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, მგონი, ახლა კი ვხვდები, ძველი ხუროთმოძღვრები ტაძრის სვეტების განლაგებაში განგებ და მალულად სიმეტრიას ოდნავ რატომ არღვევდნენო.
იგი ადგილს მოსწყდა, ნისლს შეერია, თავისი ფირფიცრებით თოვლით სქლად დაფარულ ტყისპირა ფლატეზე ჩასრიალდა და კვლავ არხეინად განაგრძო აღმა-დაღმა უმიზნო სრიალი ამ მკვდარ მიდამოში, რომელიც თავისი უდაბური, დატალღული სივრცეებით, მწირი მცენარეული საფარვლით, აქა-იქ გაბნეული, თოვლში შავად ამოჩრილი ჯუჯა ბუჩქნარითა და ჰორიზონტის ოდნავ ამაღლებული ხაზით აშკარად დიუნებს წააგავდა. ჰანს კასტორპი შეჩერდა და ეს მსგავსება რომ დაადგინა, კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია. ახლა სახის სიმხურვალეს, ხელ-ფეხის კანკალსაც და ერთმანეთში შერეულ მღელვარებასა და დაღლილობასაც სიამოვნებით იტანდა, რაკი ეს ყველაფერი ასეთივე გამომაცოცხლებელი და თან ძილისმომგვრელი სურნელით გაჯერებული ზღვის ჰაერის ნაჩვევ ზეგავლენას მოაგონებდა და გულს სითბოთი უვსებდა. კმაყოფილებას ჰგვრიდა საკუთარი ლაღი დამოუკიდებლობაც და თავისუფალი

სრბოლაც. სავალდებულო გზა არც წინ ედო და არც უკან ეგულებოდა, როგორც მოვიდა, უკან ისევე რომ დააბრუნებდა. თავიდან პალოები, თოფლში ჩარჭობილი ბოძკინტები და გზისმკვლევი ნიშნები ხვდებოდა, მაგრამ მათ მეურვეობას განგებ არიდებდა თავს, რადგან ისინი იმ საყვირიან კაცს მოაგონებდა და ზამთრის უზარმაზარ უდაბნოსთან თავის შინაგანი დამოკიდებულებისათვის შეუფერებლად ეჩვენებოდა.
დათოვლილ ჭიუხებს შორის ზიგზაგებით იარა, იქიდან გამოაღწია თუ არა, თავდაღმართი დაიწყო, მერე ცოტა გაივაკა და ისევ მაღალ მთებშუა ამოყო თავი, სადაც ფაფუკი თოვლით დაფარული ღრანტეები და ვიწრობები საოცრად იოლი სავალი ჩანდა და თავისკენ იზიდავდა. დიახ, ჰანს კასტორპი ვერ უმკლავდებოდა შორეთისა და მაღალი მთების მიმზიდველობას, ისინი ხომ სულ ახალ და ახალ განმარტოებას ჰპირდებოდნენ,გრძნობდა, რომ აგვიანდებოდა და მაინც სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ამ უდაბურ სიჩუმეში, ამ მრისხანე იდუმალებაში, რომელიც კარგს არაფერს უქადდა. აღარც იმას დაგიდევდათ, შინაგანი დაძაბულობა და თრთოლა ნამდვილ ძრწოლად რომ გადაჰქცეოდა უდროოდ ჩამობნელებული ცის შემხედვარეს, რომელიც მიდამოს ნელ-ნელა მრუმე პირბადესავით ეფარებოდა. ძრწოლამ მიახვედრა, რომ აქამდე გულში ჩუმად სწორედ იმას ნატრობდა, ნეტავ გზა ამებნეს და დამავიწყდეს, ხეობა და კურორტი საით არისო და აკი ეს ნატვრა სრულად ახდენოდა. ისე, შეეძლო თავისთვის ეთქვა, ახლავე უკან რომ მიბრუნდე და სულ თავდაღმართში იარო, ზედ „ბერგჰოფთან“ თუ არა, ხეობაში მაინც ამოყოფ თავსო და თანაც მალე, ძალიან მალეო, მაგრამ ამ შემთხვევაში ნაადრევად მოუხდებოდა შინ მისვლა და დროს სრულად ვერ გამოიყენებდა, თუმცა, მეორე მხრივ, ქარბუქი თუ წამოეწეოდა, მაშინ საეჭვო იყო, სახლამდე საერთოდ გაეგნო გზა. მაგრამ მხოლოდ ამის გამო ნაადრევად გაქცევა არ უნდოდა, მერე რა, სტიქიის შიშით გული რომ ეწურებოდა. სპორტსმენი, მაგალითად, ასე არ მოიქცეოდა. სპორტსმენი მხოლოდ მანამდე ანდობს თავს სტიქიას, სანამ მის ბატონ-პატრონად გრძნობს თავს, იგი უფრო ფრთხილად და ჭკვიანურად იქცევა და დროზე იცის დათმობაზე წასვლა, ხოლო ის, რაც ჰანს კასტორპის სულში ხდებოდა, შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოთქმულიყო: ეს გახლდათ გამოწვევა. და რა გასაკიცხიც უნდა იყოს ამ სიტყვის შინაარსი, თუნდაც, უფრო სწორად, მით უმეტეს, მისთვის დამახასიათებელ კადნიერებას ამოდენა ჭეშმარიტი შიში და ძრწოლა თუ ახლავს თან, ადამიანურობა ხომ უნდა გამოვიჩინოთ და მიახლოებით მაინც მივხვდეთ, იმ ადამიანის, იმ მამაკაცის სულში, რომელიც წლების მანძილზე ჰანს კასტორპივით ცხოვრობდა, რაღაც რომ გროვდება, ანუ, როგორც ჰანს კასტორპი-ინჟინერი იტყოდა, „აკუმულირდება“, ერთ მშვენიერ დღეს კი ივსება მოთმინების ფიალა, აღარაფრად დაგიდევს გონიერებასა და სიფრთხილეს, ამოხეთქავს, გამომწვევად იქცევა და ისეთ ელემენტარულ ფრაზად ყალიბდება, როგორიცაა: „ოჰ, ერთი!“ ანდა, „მოხდეს, რაც მოსახდენია!“ ჰოდა, ასე დაძრა კიდეც მან თავისი ჯადოსნური ქალამნები, კიდევ ერთი თავდაღმართი ჩაათავა, კიდევ ერთი ბექობი გადალახა, სადაც ქვებით სახურავდაჯორგილი ძელური, საბძელი თუ ხულა იდგა და გეზი უახლოესი მთისკენ აიღო, რომელსაც თხემზე ჯაგარივით ადგა ნაძვნარი, ხოლო მის უკან ნისლში გახვეული მაღალი მწვერვალები მოჩანდა. ჰანს კასტორპის წინ ასვეტილ კორომებიან კედელზე ფეხის მოკიდება შეუძლებელი კი იყო, მაგრამ მის უკან მიდამოს დათვალიერება თუ გინდოდა, კლდეს მარჯვენა ფერდიდან შემოევლებოდი და ჰანს კასტორპსაც არ დაუხანებია, ძელურიანი ბექობიდან საკმაოდ ღრმა, მარჯვნიდან მარცხნივდაქანებული ხევი გადაიარა და იმ მიდამოს გამოკვლევას შეუდგა.
ცოტა ხნის შემდეგ პირი ხეობისკენ იბრუნა და როგორც მოსალოდნელი იყო, ქარბუქიც ამოვარდა, და მერე როგორი. ერთი სიტყვით, დაიწყო ქარბუქი, რომელიც დიდი ხანია იმუქრებოდა, თუკი შეიძლება მუქარა“ დავარქვათ ბრმა და უგუნური სტიქიის საქციელს, რომელსაც ჩვენი მოსპობა სულაც არ სწადია, მაგრამ ეს მოფერებად მოგვეჩვენებოდა იმ გულგრილობასთან შედარებით, რასაც სტიქია იჩენს, ასეთი რამ შემთხვევით თუ მოხდება ხოლმე. „ერიჰა! - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა და იმწამსვე შეჩერდა, როგორც კი ქარმა დაუბერა და ახვეტილი თოვლი შეაყარა, - კარგა მაგრად დამიბერა და ძვალ-რბილშიც გამატანა!“ -

დასძინა გულშივე და მართლაც, ეს ქარი დაუნდობელი იყო: სასტიკი ყინვა, ოცი გრადუსი ნულს ქვემოთ, მხოლოდ მაშინ არ იგრძნობოდა და ლამის სასიამოვნოდ იკბინებოდა, თუ მშრალი ჰაერი არ იძროდა, მაგრამ ქარი დაუბერავდა თუ არა, ყინვა ხორცში დანასავით გესობოდათ. ასეთ ქარბუქში - თოვლის პირველი დაბზრიალება მხოლოდ მისი წინამორბედი გახლდათ - გამძვინვარებული ყინვისგან შვიდი ქურქიც ვერ დაგიფარავდათ, ხოლო ჰანს კასტორპს, მოგეხსენებათ, შვიდი ქურქი კი არა, ერთი შალის ჟაკეტი ეცვა, რომელიც ჩვეულებრივ ამინდში არამცთუ სავსებით ჰყოფნიდა, მზეს ოდნავ რომ გამოეჭყიტა, ლამის შემაწუხებელიც ხდებოდა ხოლმე. ქარი ჯერჯერობით ზურგში ალმაცერად სცემდა, ამიტომ აზრი არ ჰქონდა მისთვის მკერდი შეეშვირა, ამასობაში ეს ფიქრი მის სიჯიუტესა და გულში ამოჭრილ პრინციპს შეერია, მოხდეს, რაც მოსახდენიაო, და შლეგმა ყმაწვილმაც გზა განაგრძო, თუმცა გეზი აქა-იქ გაბნეული ნაძვებისკენ აიღო, რათა ქარისგან აწიოკებულ მთას ამოჰფარებოდა.

აბა, ეს რაღა სიამოვნება იყო, როცა აცეკვებულ ფანტელებს იქით ვეღარაფერს ხედავდა, ფანტელები თითქოს მიწაზე არც ცვიოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ და ფიფქების კორიანტელი ირგვლივ მთელ სივრცეს ავსებდა. ყინულივით ცივი ქარი ყურებს მტკივნეულად უწიწკნიდა და უთუთქავდა, ფეხებს უდამბლავებდა და ხელებს ისე უბუჟებდა, რომ ვეღარ გრძნობდა, ჯოხები ისევ ხელში ეჭირა თუ არა. თოვლი კისერში უძვრებოდა და წყლად ქცეული ზურგზე წკანწკარით ჩაუდიოდა, ხოლო ბეჭებსა და მარჯვენა თეძოზე სქლად ედებოდა. ასე ეგონა, საცაა ჩემი ჯოხიანად თოვლის ბაბუად გადავიქცევიო; ყველა ეს უბედურება მაინც შედარებით უკეთეს პირობებში დაატყდა თავს: რომ შემობრუნებულიყო, საქმე უარესად წაუვიდოდა; შინისკენ მიმავალი გზა მართლაც რომ დიდ ჯაფად ექცა, მაგრამ ამ გზას ახლა დაუყოვნებლივ უნდა დასდგომოდა.

ასეც მოიქცა, შეჩერდა, მხრები ბრაზიანად აიჩეჩა და თხილამურები შემოატრიალა. პირქარმა იმწამსვე სუნთქვა შეუკრა და იძულებული გახდა, ხელახლა ჩაეტარებინა თხილამურების შემოტრიალების უსიამოვნო პროცედურა, რომ სული მოეთქვა და გულგრილი მტრისთვის შუბლი უფრო მედგრად შეეშვირა. თავი ჩაღუნა, სუნთქვის სიხშირეც მოზომა, თითქოს დაიძრა კიდეც, და სახტად დარჩა - კარგს არაფერს მოელოდა, მაგრამ მაინც არ ეგონა, წინსვლა ასე თუ გაუჭირდებოდა, გასაჭირს ისიც აძლიერებდა, რომ ვერაფერს ხედავდა და სულსაც ძლივს ითქვამდა. იძულებული ხდებოდა, ყოველ წუთს შეჩერებულიყო, ჯერ ერთი, ქარბორბალისთვის პირი უნდა მოერიდებინა და ჰაერი ჩაესუნთქა, მეორეც, ეშინოდა, თეთრ წყვდიადში ასე თავდახრილი, ბრმად რომ მიდიოდა, ხეს არ დასჯახებოდა, ან ფეხი რაიმეზე არ წაეტეხა. თოვლის ფიფქები სახეზე უხვად ეყრებოდა, ზედ ადნებოდა და ზედვე ეყინებოდა. ფიფქები პირში უცვიოდა, მტკნარი წყლის გემოს უტოვებდა, აფრინდებოდა ქუთუთოებზე და ძალით ახუჭვინებდა, თვალებს უნამქრავდა და უბრმავებდა, თუმცა მხედველობა მაინც ვერაფერში წაადგებოდა, ამ გადათეთრებულ, შესუდრულ არემარეში თვალის გახელას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. არარაობა, თეთრი კორიანტელი - აი, სულ ეს იყო, რასაც ხედავდა, როცა თავს ძალას დაატანდა და თვალს გაახელდა ხოლმე. მხოლოდ აქა-იქ აჩრდილივით თუ ამოყვინთავდა ხილული სამყაროს კონტურები: ქონდარა ფიჭვის როკები, ფიჭვის კორომი, ანდა იმ ძელურის მკრთალად მოხაზული სილუეტი, ცოტა ხნის წინ შორიახლო რომ ჩაუარა.

ძელური ახლაც გვერდით ჩამოიტოვა და იმ ბექობიდან უკან დასაბრუნებელი გზის გაგნებას შეეცადა, მაგრამ სადღა იყო გზა, სწორი გეზის, თუნდაც მიახლოებული გეზის აღებაც უფრო იღბლის საქმე იყო, ვიდრე გონებისა, რადგან თვალთან მიტანილ თითს კიდევ როგორმე გაარჩევდა კაცი, თხილამურების ჭვინტს კი ვერა, თუმცა ცოტა უფრო შორსაც რომ გაგეხედა, სულერთია, წინსვლას სხვა ბევრი რამ დააბრკოლებდა: თოვლით შებუმბლული სახე, მუხთალი ქარიშხალი, რომელიც სუნთქვას გიკრავდა, ჰაერის ჩასუნთქვასაც გიძნელებდა და ამოსუნთქვასაც და ყოველ წუთს სულის ამოსათქმელად შებრუნებას გაიძულებდა, - ასე წინსვლას განა ვინმე შეძლებდა, ჰანს კასტორპი იქნებოდა ეს თუ მასზე ღონიერი ვინმე, როცა ყოველ წუთს შეჩერება გიხდებოდა, თვალებს აპარპალებდი, რომ წამწამებიდან წყალი ჩამოგებერტყა, გულმკერდზე

შემორტყმულ თოვლის ბექთარს იშორებდი და თან გრძნობდი, ასეთ პირობებში წინსვლა უგუნურება და კადნიერება რომ იყო.
ჰანს კასტორპი კი მაინც წინ მიდიოდა, უფრო სწორად, მიღოღავდა. ესკიდევ არაფერი, თუკი ამ წინსვლას რაიმე აზრი მაინც ჰქონდა, თუ სწორ გზას მაინც ადგა, იქნებ ჯობდა, ადგილიდან სულაც აღარ დაძრულიყო (თუმცა ესეც შეუძლებელი ჩანდა), შეჩერება დაღუპვას უდრიდა, ამ აზრს თეორიული ალბათობაც კი ეწინააღმდეგებოდა, თორემ პრაქტიკულად ხომ ჰანს კასტორპს უეცრად მოეჩვენა, თითქოს რაღაც შეიცვალა, თითქოს ფეხქვეშ იმავე მიწას ვეღარ გრძნობდა, ეს ის მოვაკებული ბექობი აღარ იყო, ზედ გაჭირვებით რომ ამოაღწია და აქედან კვლავ თავდაღმართი რომ ეგულებოდა. ვაკე მეტისმეტად პატარა აღმოჩნდა, ჰანს კასტორპი ისევ აღმა მიემართებოდა. ეტყობა, სწორი გზიდან ქარიშხალმა გადაახვევინა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან, ხეობის ყელიდან უბერავდა და მკერდზე გამძვინვარებული აწვებოდა. კარგა ხანს უვლია მცდარი გზით და ამაოდ დაქანცულა. თეთრი ღამის კორიანტელში ჩაფლული ახლაც ბრმად მიიკვლევდა გზას და კიდევ უფრო ღრმად იჭრებოდა გულგრილი მუქარის წიაღში.
„ოჰო!“ - კბილებში გამოცრა და შეჩერდა. ამაზე უფრო პათეტიკური აღარაფერი უთქვამს, თუმცა ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს ყინულივით ცივმა ხელმა ისე ჩაბღუჯა მისი გული, რომ გულმა გაიფართხალა და ნეკნებს ისევე გაშმაგებით მიაწყდა, როგორც მაშინ, რადამანთისმა სველი კერა რომ აღმოუჩინა. მშვენივრად ხვდებოდა, რომ უფლება არ ჰქონდა, მაღალფარდოვნად ელაპარაკა და ხელები დიდგულად ექნია, რაკი სტიქია თვითონვე გამოიწვია, შავ დღეში ჩავარდნა მხოლოდ საკუთარი თავისთვის უნდა დაებრალებინა. კარგია, კარგიაო, ჩაილაპარაკა და იგრძნო, რომ სახის ნაკვთები და კუნთები გრძნობა-გონებას აღარ ემორჩილებოდა, გახევებულ კუნთებს აღარაფრის გამოხატვა აღარ შეეძლო: აღარც შიშის, აღარც რისხვის და აღარც ზიზღისა. „ახლა რაღა ვქნა? ჯერ ალმაცერად უნდა დავეშვა, მერე კი სულ პირდაპირ, ქარის წინააღმდეგ უნდა ვიარო? ეს სათქმელად უფრო იოლია, ვიდრე საქმნელად“, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ქოშინით, მაგრამ მაინც ჩაილაპარაკა მან და ისევ დაიძრა. „რაღაც უნდა ვიღონო, თორემ რომ დავჯდე და ვიცადო, ხომ დამფარავს ეს ექვსკუთხა სიმეტრია და სეტემბრინი თავისი საყვირით ჩემს დასახედად რომ მოვა, თვალებგამოციებული დავუხვდები და თოვლის ქუდი გვერდზე მექნება მოგდებული“. უეცრად მიხვდა, საკუთართავს რომ ელაპარაკებოდა და თან საკმაოდ უცნაურადაც. თავს კი შემოუწყრა, მაგრამ ხმადაბლა და ბეჯითად ლაპარაკი მაინც განაგრძო, თუმცა ტუჩები ისე გაუხევდა, რომ პირის გაღებას აღარ ცდილობდა და თანხმოვნების გარეშე ლაპარაკობდა - თანხმოვნები ხომ ტუჩების დახმარებით წარმოითქმება. ამ ამბავმა ცხოვრებაში ადრე გადახდენილი მსგავსი შემთხვევა მოაგონა, „გაჩუმდი და შეეცადე, წინ წახვიდე, - უთხრა თავის თავს და დასძინა, - მე მგონი, შენ ახლა რაღაცას მიედ-მოედები და ტვინიც გერევა. ეს კი გარკვეული თვალსაზრისით ცუდია“.
ოღონდ, ეს რომ აქედან თავის დაღწევის თვალსაზრისით იყო ცუდი, ამას მხოლოდ მაკონტროლებელი გონება დაასკვნიდა და ეს იყო თუნდაც შეწუხებული, მაგრამ მაინც უცხო, თითქოს შორიდან მაყურებელი კაცის დასკვნა. მის წილ სხეულს კი სურვილი სძლევდა, იმ გაურკვეველ ძალას მინებებოდა, რომელიც დაღლილობასთან ერთად სულ უფრო და უფრო ღონივრად სჭიდებდა ხელს, მაგრამ საკუთარ თავს ამ სურვილს მიუხვდა და მსჯელობის საგნად გაიხადა. „ეს ქარბუქში მოხვედრილი, გზააბნეული კაცის სახეცვლილი განცდებიაო“, - ფიქრობდა იგი, თოვლს გამალებით მიარღვევდა, ამ ფიქრის ნაწყვეტებს პირიდან სულმოუთქმელად ისროდა და თან აზრის ამაზე უფრო ნათლად გამოთქმას შეგნებულად ერიდებოდა. „კაცი მსგავს ამბავს შემდეგ რომ შეიტყობს, საშინელებად წარმოიდგენს, მაგრამ მას ავიწყდება ერთი რამ: ავადმყოფობა თავის მსხვერპლს ისე მოაქცევს, რომ მერე ერთმანეთს მშვენივრად ეთვისებიან ხოლმე და ჩემს მდგომარეობასაც ხომ, ასე თუ ისე, ავადმყოფობა ეთქმის. აქ იჩენს თავს მგრძნობელობის დაქვეითება, მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი ნარკოზი და შვების მომტანი სხვა ბუნებრივი საშუალებანი, დიახ, დიახ... მაგრამ მათ მაინც უნდა შეებრძოლო, ისინი ორსახოვანი, უაღრესად ორაზროვანნი არიან და მათი მოწონება-არმოწონება თვალსაზრისის საქმეა. თუ შინ აღარ გიწერია

დაბრუნება, მაშინ ისინი კარგიცაა და შვებისმომგვრელიც, მაგრამ მათზე ცუდი და დასაგმობი არაფერია, თუკი ჯერ კიდევ შეიძლება შინ დაბრუნებაზე ლაპარაკი, აი, თუნდაც რა დღეშიც მე ვარ ამ წუთში - გული ამოვარდნაზე მაქვს და მაინც არ ვაპირებ ამ სულელურად თანაბარ კრისტალომეტრიას დავამარხვინო თავი".
ჰანს კასტორპი დაღლილობისგან მართლა წაქცევაზე იყო და გრძნობა-გონების დაბინდვას უაზროდ, ციებცხელებიანივით ერკინებოდა. შეამჩნია, რომ სწორ გზას კვლავ ასცდენოდა, მაგრამ ისე არ შეშინებია, როგორც საღ გონებაზე მყოფს შეეშინდებოდა: ამჯერად აშკარად მხარი ჰქონდა ნაქცევი, იქით მიდიოდა, სადაც ბექობი ძირს ეშვებოდა. ისიც დაეშვა, ქარი წინიდან ალმაცერად ურტყამდა, და თუმცა იქით წასვლა ჯერ ნაადრევი იყო, ამ წუთში ყველაზე მოხერხებული ასე სიარული ეჩვენა. „არა უშავს რა, - ფიქრობდა იგი, - ქვევით ჩავალ და ისევ სწორ გზას დავადგები". ასეც ქნა, ან ეგონა, ასე ვქენიო, თუმცა იქნებ არაფერიც არ ეგონა, ან უფრო უარესი - აღარც ენაღვლებოდა, განზრახული შეისრულა თუ არა. ეს კი იმის ბრალი იყო, რომგონება დროდადრო ებინდებოდა და ამ ამბავს უილაჯოდღა უძალიანდებოდა. მთიანეთის სტუმარს, ვისთვისაც აკლიმატიზაცია, აქაურობას რომ ვერ ეგუებოდა, იმ აზრთან შეგუებას ნიშნავდა, უკვე დიდი ხანია შემოსჩვეოდა დაღლილობისა და მღელვარების ნარევი შეგრძნება, მაგრამ ახლა ეს ორივე კომპონენტი ისე გაძლიერებულიყო, რომ გონების დაბინდვის წინააღმდეგ შეგნებულ გაბრძოლებაზე ლაპარაკიც აღარ ღირდა. გონება ებინდებოდა, ბარბაცებდა და ისევე ცახცახებდა გაბრუებისა და მღელვარებისაგან, როგორც ნაფტასა და სეტემბრინისთან კოლოკვიუმის შემდეგ, ოღონდ გაცილებით ძლიერად; ჰოდა, რაღა გასაკვირი იყო, ბანგნასვამივით დაბინდული გონება რომ აღარ უნათდებოდა და ცდილობდა თავისი უსუსურობა იმ კამათის გამაბრუებელი რემინისცენციებით შეელამაზებინა. ზიზღნარევი აღშფოთება ახრჩობდა, ნუთუ ამ ექვსკუთხა სიმეტრიაში დამარხვა მიწერიაო და მაინც თავისთვის, ხან აზრიანად და ხან უაზროდ, ბუტბუტებდა. მოვალეობის გრძნობა, რომელიც მგრძნობიარობის საეჭვო დაქვეითებასთან ბრძოლაში მშველის, სხვა არაფერია, თუ არა შიშველი ეთიკა, ანუ სიცოცხლისუნარიანი უბადრუკი ბურჟუაზიულობა და ურწმენო ფილისტერობაო. ამ დროს ტვინში ისე შეუძვრა მაცდური სურვილი, ერთი წამომაწვინა და დამასვენაო, რომ გულში თქვა, ალბათ, უდაბნოში ამოვარდნილი ქარიშხალიც ასე აიძულებს არაბებს, პირქვე ჩაემხონ და თავზე ბურნუსი წაიფარონო. თვითონ კი ცდუნებას რომ არ აჰყვა, ამის მიზეზი სხვა ვეღარაფერი მონახა, ბურნუსი არა მაქვს და შალის ჟაკეტს თავზე ხომ ვერ წამოვიფარებო, თუმცა ბავშვი ხომ არ იყო, გადმოცემით მაინც არ სცოდნოდა, ადამიანი როგორ იყინებოდა.
ზომიერი სისწრაფით ჩაათავა თავდაღმართი, პატარა მოვაკებული ადგილიც გაიარა და ისევ აღმართს, თან საკმაოდ ციცაბო აღმართს მიადგა. მგონი, ამჯერად სწორად მიდიოდა, რადგან ხეობისკენ მიმავალ გზაზე ერთი აღმართი კიდევ ეგულებოდა. რაც შეეხება ქარს, იგი ეტყობა, ახლა ზურგში უბერავდა, რაზეც, სხვათა შორის, მადლობის თქმა მართებდა, ოღონდ ეს ქარიშხალი დრეკდა წელში თუ ბინდისფერი ქარბუქისაგან თეთრად შესუდრული ფაფუკი ფერდობი იტყუებდა ჩასამუხლებლად?მის ძახილს თუ მინებდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი შეესვენა და ეს ცდუნება ისე დიდი იყო, ისე უზარმაზარი, როგორც ერთ წიგნში ეწერა და ტიპურ საფრთხედ იხსენიებოდა, მაგრამ ეს განმარტება, სხვათა შორის, ცდუნების ცოცხალ, ამ წუთში მოქმედ ძალას ვერაფერს აკლებდა. ცდუნება თავის ინდივიდუალურ უფლებებს იჩემებდა, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებში გათქვეფა და მათ რიგში საკუთარი თავის ამოცნობა არ სურდა, აქაოდა, ჩემი შეუპოვრობაც ერთადერთია და განუმეორებელიო, თუმცა ვერც იმას უარყოფდა, რომ სადღაც მაინც ედო სათავე, იგი ესპანურ შავ სამოსელში გამოწყობილი, ქათქათა, დანაოჭებული ბრიჟით ყელდამშვენებული ერთი სულიერისაგან მომდინარეობდა, რომლის იდეასა და პრინციპულ წარმოდგენებს რაც კი რამ პირქუში, უკიდურესად იეზუიტური და კაცთმოძულე მოიძებნებოდა, ყველაფერი უკავშირდებოდა, გვემა-წამებისა და წკეპლის ჩათვლით, რაც ბატონ სეტემბრინის შემაძრწუნებელი ეჩვენებოდა, თუმცა ასეთ რამეებს რომ უარყოფდა, თვითონაც არანაკლებ სასაცილო ჩანდა თავისი არღნითა და regione
(საზრისი (იტალ.).) -თი...

ჰანს კასტორპი მაინც მედგრად იდგა და ჩამუხლების ცდუნებას უმკლავდებოდა. ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ბრძოლას განაგრძობდა და წინ მიიწევდა, - სულერთია, რაიმე აზრი ჰქონდა მის წინსვლას თუ არა, იგი თავისას აკეთებდა და მიდიოდა სუსხიანი ქარიშხლის ჯიბრზე, რომელიც ხელ-ფეხზე ხუნდებს ადებდა და ნაბიჯს სულ უფრო და უფრო უმძიმებდა. ციცაბო აღმართის ავლა რომ გაუჭირდა, ბევრი აღარ უფიქრია, გვერდზე გადაუხვია და ერთხანს ფერდობის გასწვრივ იარა. მაგრად დახუჭული ქუთუთოების ერთმანეთზე დაცილება და გამოხედვა ძალის დაძაბვას მოითხოვდა და რაკი უკვე გამოცადა, გამოხედვას აზრი არა აქვსო, თვალის გახელას აღარ ცდილობდა. თუმცა ხანდახან მაინც არჩევდა რაღაცას: ჯგუფ-ჯგუფად ამოსულ ფიჭვებს, ნაკადულს თუ ღრანტეებს, თოვლიან ნაპირებს შუა შავად რომ დაეღოთ პირი; ხოლო, როცა კვლავ თავდაღმართში დაეშვა და მკერდი ქარიშხალს შეუშვირა, მოშორებით, თოვლის კორიანტელში მონანავე, ადამიანის ნახელავი რაღაც ნაგებობა დალანდა.
ნანატრი, ნუგეშის მომგვრელი სურათი იყო! ვაჟკაცურად მიაღწია იქამდე, დაბრკოლებებს არ შეუშინებია, რაკი ადამიანის ნახელავი გამოჩნდა, ეს იმის ნიშანია, რომ ახლოსაა დასახლებული ხეობა. იქნებ ადამიანებიც დაუხვდნენ, იქნებ შევიდეს კიდეც, გამოდარებამდე მის ჭერქვეშ შეაფაროს თავი და თუ შემოაღამდა და გაუჭირდა, მეგზურიც გამოიყოლოს იქიდან. გეზი იმ ქიმერისკენ აიღო, რომელიც ხან გამოჩნდებოდა და ხან იკარგებოდა ავდრისგან ჩამოქუფრულ მიდამოში. სანამ იქამდე მიაღწევდა, კიდევ ერთი გამასავათებელი აღმართის ავლა მოუხდა და ისიც ქარის წინააღმდეგ, და ახლოს მისულს აღშფოთების, გაოცებისა და შიშისაგან კინაღამ გული შეუღონდა, როცა დარწმუნდა, რომ წვითა და ვაებით სრიალის ფასად ისევ იმ ქვებით სახურავდაჯორგილ ნაცნობ ქოხამდე თუ საბძლამდე მიეღწია.
აქ ნამდვილად ეშმაკის ხელი ერია! ჰანს კასტორპის გახევებულმა ტუჩებმაკბილბაგისმიერი ბგერების გარეშე გამოსცეს წყევლა-კრულვა“. ორიენტაციის გარკვევის მიზნით ქოხს ირგვლივ გაჭირვებით შემოუარა და დაადგინა, რომ ამჯერად ქოხს უკანა მხრიდან მისდგომოდა და ამგვარად, თავისი ანგარიშით, მთელი ერთი საათი უმიზნოდ და ამაოდ დაეკარგა. მაგრამ თავზევით ძალა არ იყო, იმ წიგნშიც ხომ ასე ეწერა: ადამიანი წრეებს ურტყამს, თავს იგვემავს, მტკიცედ სჯერა, წინ მივდივარო და ამ დროს ფართო-ფართო, უაზრო წრეებს კი ხაზავს, რომელიც წელიწადის მისტიკური ბრუნვისა არ იყოს, კვლავ საწყის წერტილს უბრუნდება. ასე ებნეოდა ადამიანს გზა, ასე ვეღარ აგნებდა სახლს. ჰანს კასტორპს წიგნებში აღწერილმა ამ ფენომენმა ერთგვარი კმაყოფილებაც მოჰგვარა და შიშიც, ბრაზისა და გაოცებისაგან ბარძაყზე ხელიც კი შემოირტყა, ეს საყოველთაო დებულება მის თავისებურ, ინდივიდუალურ, დღევანდელ შემთხვევაშიც ასე ზუსტად რომ განმეორდა.
ეულად მდგარ ფარდულს ვერსაიდან მიუდგა, კარი ჩარაზული იყო, მაგრამ ჯერჯერობით მაინც აქ დარჩენა გადაწყვიტა, რადგან წინ წამოწეული სახურავი სტუმართმოყვარეობის ილუზიას ქმნიდა, ხოლო თვითონ ქედისკენ პირშექცეული ქოხი ქარიშხლისგან მართლა დაიფარავდა, თუკი გარანდულ ფიცრებს ცალი მხრით მიეყრდნობოდა - ზურგით მიყრდნობას გრძელი თხილამურები მაინც არ დაანებებდა. ისიც გვერდულად მიეყრდნო კედელს, ჯოხი იქვე, თავის გვერდით ჩაარჭო თოვლში, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, შალის ჟაკეტის საყელო წამოიწია, ცალი ფეხი წინ წადგა და წონასწორობის დასაცავად იმ ფეხს დაეყრდნო. თვალები დახუჭა და გაბრუებული თავი ფიცარს მიადო, ხანდახან თვალს გამოახელდა და მხარს ზემოდან გახედავდა უფსკრულს გადაღმა აზიდულ კლდეს, რომელიც ნისლის პირბადეში ხანდახან გამოკრთებოდა ხოლმე.
წინანდელთან შედარებით ნამდვილად არა უშავდა რა. „თუ გაჭირდა, ასე მთელი ღამე შემიძლია ვიდგეო, - ფიქრობდა იგი, - დროდადრო ფეხს შევანაცვლებ, ასე ვთქვათ, მეორე გვერდზე გადავბრუნდები, შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, ცოტას გავინძრევი კიდეც, რაც აუცილებელია. მართალია, გარედან გახევებული ვარ, მაგრამ მოძრაობის წყალობით შიგნით მაინც დავიგროვე სითბო, მხარი მექცა და ამ ქოხიდან ისევ ამ ქოხამდე აღმა-დაღმა ვიარე, მაგრამექსკურსიას ამაოდ მაინც არ ჩაუვლიაო... „მხარის ქცევა“ რა გამოთქმაა? ვის რაში სჭირდება ეს სიტყვა, რაც მე შემემთხვა, იმას ხომ სულ არ შეეფერება, უნებურად წამომცდა, თავი მიბრუის

და იმიტომ, თუმცა, ეს სიტყვა, მგონი, თავისებურად სწორი უნდა იყოს... კიდევ კარგი, რომ ყველაფერს გავუძელი, ამ ორომტრიალმა, უწესო ორომტრიალმა თავისუფლად შეიძლება გარიჟრაჟამდე გასტანოს, თუმცა დაბინდებამდეც რომ გასტანოს, ესეც საშიშია, გინდ ღამით გქცევია მხარი და წრეები გირტყამს და გინდ ქარბუქში მოგსვლია იგივე... ალბათ, უკვე მოსაღამოვდა, ექვსი საათი მაინც იქნება, ნუთუ უგზო-უკვლოდ ხეტიალში ამდენი დრო გავფლანგე? მაინც რომელი საათია?“ ჰანს კასტორპმა საათს დახედა, თუმცა ადვილი არ იყო გაშეშებული თითებით საათის ამოღება, - ოქროს საათს მონოგრამიანი სახურავი ამშვენებდა, იგი ცოცხლად და კეთილსინდისიერად ტიკტიკებდა ამ უდაბურ სიმარტოვეში და რაღაცით გულს მიაგავდა, მისი მკერდის ორგანულ სითბოში მოფართხალე ადამიანის გულს...
ხუთის ნახევარი იყო. ეშმაკმა დალახვროს, საათი თითქმის ამდენივეს უჩვენებდა, ავდარმა რომ აიწყვიტა. ნუთუ მისი უგზო-უკვლოდ ხეტიალი თხუთმეტ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა? „დრო გაჭიანურებულა,მ - გაიფიქრა მან, - ეტყობა, მხარის ქცევასა და გვამად ქცევაში დრო ჭიანურდება. ასეა თუ ისე, ხუთზე ან ექვსის ნახევარზე მაინც კარგად შემომაღამდება. ჩადგება კი მანამდე ქარბუქი, რომ კიდევ არ მექცეს მხარი? ახლა კი ურიგო არ იქნება, პორტვეინით მოვმაგრდე“.
ეს დილეტანტური სასმელი მხოლოდ იმიტომ ჩაიდო ჯიბეში, რომ „ბერგჰოფში“ სპეციალურად ექსკურსანტებისათვის ბრტყელ ბოთლებში ჩამოსხმული იყიდებოდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმისთანებისთვის კი არა, ვინც უმსგავსად იქცეოდა, თოვლსა და ყინვაში უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა და შავ დღეში ჩავარდნილი დაღამებას ელოდა. აზროვნების უნარი ასე დაქვეითებული რომ არ ჰქონოდა, თავის თავს ეტყოდა, კაცს შინ დაბრუნება თუ უნდა, პორტვეინის დალევაზე უარესს ვეღარაფერს მოიფიქრებსო და თავის თავს ასე უთხრა კიდეც, ოღონდ მერე, როცა ერთი ყლუპი უკვე გადაკრული ჰქონდა. ამ ერთმა ყლუპმა ისევე იმოქმედა, როგორც აქ, ზევით, პირველსავე საღამოს კულმბახურმა ლუდმა დაარეტიანა, სწორედ მაშინ იყო, სეტემბრინი თევზის საწებლებსა და სხვა ამისთანა სისულელეებზე ბოდიალით რომ განარისხა, ბატონი ლოდოვიკო, პედაგოგი, რომელსაც მომნუსხავი მზერით გიჟებიც კი მოჰყავდა გონს; ჰანს კასტორპს ამ წუთშიაც ჩაესმა მისი საყვირის საამური ხმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მჭევრმეტყველი აღმზრდელი აქეთკენ მოეშურებოდა, რათა თავისი ონავარი მოწაფე, ძნელად აღსაზრდელი ბავშვი გაჭირვებიდან დაეხსნა და შინ წაეყვანა...
ეს უნებლიეთ დალეული კულმბახური ლუდი ურევდა გონებას. ჯერ ერთი, ბატონ სეტემბრინის საყვირი კი არა, მხოლოდ არღანი ჰქონდა, არღანი გამოსაშლელი ფეხით ტროტუარზე ედგა, სახელურს ატრიალებდა და თან თავის ჰუმანისტურ მზერას სახლებისკენ ტყორცნიდა, მეორეც, ის ვერც რაიმეს ხედავდა და ვერც რაიმეს ამჩნევდა, რადგან სანატორიუმ ბერგჰოფში“ კიარა, კარგა ხანია მკერავ ლუკაჩეკთან ცხოვრობდა სხვენზე, ზედ ნაფტას აბრეშუმგამოკრული სენაკის თავზე, პატარა ბუდეში, სადაც მუდამ წყლით სავსე ხელადა ედგა. გარდა ამისა, მას არც უფლება ჰქონდა და არც შეეძლო მის სამფლობელოში შეჭრილიყო, ისევე როგორც არც მაშინ, ყველიერის ღამეს არ შეეძლო მიშველებოდა. ჰანს კასტორპი მაშინაც ასეთივე შავ დღეში იყო ჩავარდნილი, როცა ავადმყოფ კლავდია შოშას son crayon,
მისი ფანქარი, პშიბისლავ ჰიპეს ფანქარი დაუბრუნა... მაინც რას ნიშნავს შავ დღეში ჩავარდნა“? შავ დღეში რომ ჩავარდე, კი არ უნდა იდგე, უნდა იწვე, რათა ამ სიტყვამ მეტაფორულის ნაცვლად თავისი ნამდვილი, ჩვეულებრივი აზრი შეიძინოს. ჰორიზონტალური ყოფა, აი, რა შეეფერებოდა აქ, ზევით, მყოფთა ხანმოთეულ თანამოძმეს. ვითომ რაო, განა დღედაღამ თოვლსა და ყინვაში ჰაერზე წოლას არ იყო ჩვეული? და ის იყო, დააპირა კიდეც წამოწოლა, რომ გონებაში გაუელვა, ასე ვთქვათ, ქეჩოში ჩაავლო ხელი ერთმა აზრმა და ფეხზე გააჩერა, ჯობდა, „შავ დღეზე“ გულში ლაყბობა კულმბახური ლუდისთვის მიეწერა, იგი მხოლოდ და მხოლოდ ძილისა და წოლის გაუპიროვნებელი, იმ წიგნში ტიპურ საფრთხედ მიჩნეული სურვილისაგან მომდინარეობდა, მას სოფიზმებითა და სიტყვის თამაშით გამოთაყვანებას რომ უპირებდა.
„აი, აქ კი შევცდი, - აღიარა მან, - პორტვეინი არ უნდა დამელია. იმ რამდენიმე

ყლუპმა თავი ისე დამიმძიმა, რომ მკერდზე მივარდება, ტვინში აბდაუბდისა და უკბილო ოხუნჯობის მეტი არაფერი მიტრიალებს, თანაც უბედურება ისაა, რომ იმ ოხუნჯობისა მე თვითონ არაფერი მჯერა, არც იმათი, პირველად რომ მომივიდა თავში და არც მათი, შემდეგ იმ პირველების გასაკრიტიკებლად რომ მომაფიქრდა.

„

შონ ცრაყონ “! ამ შემთხვევაში ეს ქალის“

ცრაყონ -ია და არა ვაჟისა“, „

სონ “ მხოლოდ იმიტომ ითქმის, რომ

ცრაყონ “ მამრობითი სქესისაა, სხვა დანარჩენიმხოლოდ მასხრობაა და მეტი არაფერი. თუმცა სახუმაროდ სადა მცალია! ჯობია, იმას მივხედო, რომ ჩემი საყრდენი მარცხენა ფეხი ზედმიწევნით მაგონებს სეტემბრინის არღნის ხის ფეხს, იმ გამოსაშლელ ფეხს იგი მუხლით უბიძგებს, არღანს ტროტუარზე მიაჩოჩიალებს, მერე რომელიმე ფანჯრის ქვეშ დადგება და ხავერდის ქუდს გაიშვერს, ვინძლო ზემოდან ვინმე გომბიომ ცოტა ფული ჩამომიგდოსო. მე კი ამ დროს ვიღაც უჩინარი თითქოს ხელით მექაჩება, თოვლში ჩაწექიო. ამ ცდუნებისგან მხოლოდ მოძრაობა თუ მიხსნის. კულმბახური ლუდის დალევისთვის ჯარიმა მეკუთვნის, უნდა ვიმოძრაო და გახევებულ ფეხს მოქნილობა დავუბრუნო“.

მან მხარი მოიქნია და დაიძრა, მაგრამ როგორც კი მოშორდა ძელურს და ერთი ნაბიჯი გადადგა, ქარმა მოცელა და კვლავ მფარველ კედელს მიანარცხა. ჯერჯერობით ამ ადგილზე თავის შეფარება აშკარად მისჯილი ჰქონდა, ოღონდ მრავალფეროვნებისთვის უფლება ეძლეოდა, კედელს ამჯერად მარცხენა ბეჭით მიჰყრდნობოდა და მარჯვენა ფეხზე დანდობილს მარცხენა აქეთ-იქით ქნევით გამოეცოცხლებინა. „ასეთ ავდარში ძაღლი არ გაიგდება კარში, - ფიქრობდა იგი, - ზომიერი გართობა კიდევ დასაშვებია, მაგრამ სიახლის ძებნისა და ქარიშხალთან შებმისა კი რა მოგახსენოთ. წყნარად იყავი და ეგ თავი, რახან ასე დაგმძიმებია, შეგიძლია ჩაჰკიდო. მშვენიერი კედელია, ეს ხის მორები თითქოს სითბოსაც გამოსცემს, თუკი აქ საერთოდ შეიძლება სითბოს ხსენება, ჰო, ეს ხის საკუთარი, იდუმალი სითბოა, თუმცა რა ვიცი, იქნებ ეს უფრო განწყობილებისმიერი, სუბიექტური განცდაა... ო, რამდენი ხეა! ო, რა კარგია ცოცხალთა მაცოცხლებელი ჰავა! რა სურნელებაა!..“

მის ფერხთით, აივნის ქვეშ, პარკი გადაშლილიყო, თვითონ კი ვითომ აივანზე იდგა. ვრცელ, მწვანედ აბიბინებულ პარკში ფოთლოვანი ხეები ხარობდა: თელა, ჭადარი, წიფელი, ნეკერჩხალი, არყის ხე, ფერით ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებულ ხეებს ხშირი, ლორთქო, პრიალა ფოთლის საფარველი ამშვენებდა და კენწეროები უშრიალებდა. ქროდა სასიამოვნო, ნამიანი, ხეების ამონასუნთქი სურნელებით შეზავებული ნიავი. თბილი თქეში წამოვიდა, მაგრამ წვიმაში მზის შუქი ატანდა. ჰაერი ზეცის თაღამდე გავსებულიყო წვიმის პრიალა ზოლებით. რა მშვენიერია! ო, მშობლიურო მხარევ, დიდი ხნით მიტოვებული ბარის სურნელებავ და სიუხვევ! ჰაერში ჩიტების ხმა იდგა, ნარნარი, საამური, ტკბილი სტვენა, ჭიკჭიკი, ჟღურტული, ღუღუნი და ჟივჟივი, ირგვლივ კი ერთი ჩიტუნა არსად ჩანდა. ჰანს კასტორპი იღიმებოდა და მადლიერების ნიშნად ღრმად სუნთქავდა. ამასობაში მიდამო კიდევ უფრო გამშვენიერდა - მთელ არემარეზე ცისარტყელა გადაიჭიმა, შვიდფერი და მძლავრი, კრიალა და დიადი, მისი შვიდივე ფერი ხასხასებდა და ზემოდან ზეთივით ბლანტად ეღვრებოდა მუქ, პრიალა სიმწვანეს. ეს ხომ მუსიკას ჰგავდა, სადაც ქნარის ჟღერას ფლეიტები და ვიოლინოები ერწყმოდა. სხვა ფერებს საოცარი სილამაზის ლურჯი და იისფერი ჯაბნიდა. მთელი არემარე ჯადოსნურად ითქვიფებოდა ამ ფერებში, სახეს იცვლიდა, კვლავ იფურჩქნებოდა და კიდევ უფრო მშვენდებოდა, ეს მშვენიერება ჰანს კასტორპს მრავალი წლის წინანდელ ამბავს აგონებდა, როცა შემთხვევა მიეცა, მსოფლიოშისახელგანთქმული მომღერლისთვის, იტალიელი ტენორისათვის მოესმინა, აი, მისი ყელიდან ამოდიოდა მირონცხებული, ძლიერი ხმა და ადამიანთა გულებში იღვრებოდა. შემდეგ მან ხმას აუწია და კარგა ხანს გააგრძელა. ხმა თავიდანვე ლამაზად ჟღერდა, მაგრამ თანდათან, წუთიდან წუთამდე, კიდევ უფრო ფართოვდებოდა, მგზნებარე, საამური ბგერა ივსებოდა და თანდათან ემატებოდა სიკისკასე და ბრწყინვალება. ხმა თითქოს ზედიზედ იხსნიდა იმ საბურველთა წყებას, არავის რომ არ შეუმჩნევია აქამდე. აი, თითქოს

ჩამოვარდა უკანასკნელი საბურველიც და გეგონებოდათ, იმან გააშიშვლა ყველაზე ჩახჩახა, ყველაზე ანკარა სინათლეო, მაგრამ ყველას გასაოცრად თურმე კიდევ დარჩენილიყო უკანასკნელი საბურველი, რომელმაც გზა გაუხსნა ისეთი ბრწყინვალებითა და ცრემლისმომგვრელი დიდებულებით აციმციმებული ხმის ნიაღვარს, რომ ბრბოს ლამის პროტესტამდე მისული აღტაცების ყრუ ოხვრა აღმოხდა, ყმაწვილ ჰანს კასტორპს კი აქვითინებას აღარაფერი აკლდა. ამ პეიზაჟსაც ასე დაემართა, ისიც იცვლიდა სახეს, იფურჩქნებოდა და შუქი ემატებოდა. ლაჟვარდი მინანაობდა... წვიმის პრიალა პირბადე ჩამოიშალა: ქვევით უკვე ზღვა იყო გაწოლილი - დიახ, ზღვა, თანაც სამხრეთული. მუქლურჯ, ვერცხლისფერი ათინათებით აელვარებულ თვალწარმტაც ყურეს ცალ მხარეს ნისლივით ეკრა ღია ზღვა, მეორე მხარეს კი ფართოდ შემორკალოდა მთები, რომელთა სილურჯე შორს სულ უფრო და უფრო მქრქალდებოდა. აქა-იქ კუნძულები მოჩანდა, კუნძულებზე ზოგან პალმები აზიდულიყვნენ, ზოგან კი, კვიპაროსების ჭალაში, თეთრი სახლები გამოკრთოდა. ო, კმარა, არაფრით დამიმსახურებია ამ შუქით, კრიალა ლურჯი ცით, მზეზე მოხასხასე წყლით მოგვრილი ნეტარება! ჰანს კასტორპს ამის მსგავსი არასოდეს არაფერი ენახა. საარდადეგო მოგზაურობისას, ასე ვთქვათ, მხოლოდ დაუჭაშნიკებია სამხრეთი, თორემ კარგად მხოლოდ მკაცრ, უფერულ ზღვას იცნობდა და ბავშვური, გულუბრყვილო გრძნობით უყვარდა კიდეც იგი. ხმელთაშუა ზღვა, ნეაპოლი, სიცილია ან თუნდაც საბერძნეთი კი არასოდეს უხილავს და მაინც გაახსენდა. დიახ, საოცარია,მაგრამ მიდამო ეცნო და გაუხარდა. „დიახ, დიახ, ის არის!“ - ეძახდა გულისხმა, თითქოს ახლა მის თვალწინ გადაშლილ, მზით გასხივოსნებულ ლურჯ ბედნიერებას აქამდე საკუთარ თავსაც არ უმხელდა და გულში ოდითგანვე საიდუმლოდ დაატარებდა. და ეს ოდითგანვე“ შორს იყო, უსასრულოდ შორს, ხელმარცხნივ გადაშლილი ზღვისა არ იყოს, რომელიც სადღაც, ზედ ჩამომხობილ ნაზ იისფერ ცას ერწყმოდა.

ჰორიზონტი მაღალი ჩანდა, სივრცე თითქოს ზემოთ მიიწევდა, რაც იმის ბრალი იყო, რომ ჰანს კასტორპი ყურეს ზემოდან, შემაღლებული ადგილიდან დასცქეროდა: ირგვლივ შემოჯარული აქოჩრილი მთების ერთი წყება ზღვაში იჭრებოდა, თვალსაწიერის შუაგულიდან რკალივით უხვევდა, იქამდე აღწევდა, სადაც იგი იჯდა და კიდევ უფრო შორს მიემართებოდა; ერთი სიტყვით, ჰანს კასტორპი მთაგორიან სანაპიროზე მოხვდა და ახლა მზით გამთბარ ქვის საფეხურებზე იყო მიყუჟული. მის თვალწინ ხავსმოდებული, ქვიანი ნაპირი ტერასებად ეშვებოდა დაბლა და იქ ივაკებდა, სადაც ლერწმებში ქვა-ღორღი ლურჯად მოკამკამე ყურეებს, პატარ-პატარა მისადგომებსა და უბეებს ქმნიდა. და ეს მზიური მხარე, ეს ადვილად მისაწვდომი მთიანი სანაპირო და ეს, კლდეებშუა გაჩენილი, მოცინარი გუბურები, ისევე როგორც კუნძულებამდე გადაჭიმული ზღვა, სადაც ნავები დაცურავდა, ხალხით იყო გადაჭედილი: ადამიანები, მზისა და ზღვის შვილები, სანაპიროზე მიმოდიოდნენ ან ისვენებდნენ, საამური იყო ამ ზომიერად მხიარული, მშვენიერი ახალგაზრდობის ცქერა და ჰანს კასტორპსაც ფართოდ ეღებოდა გულის კარი, ისე ფართოდ, რომ ტკივილსაც კი გრძნობდა, და მათი სიყვარულით იმსჭვალებოდა.

ჭაბუკები ცხენებს ხედნიდნენ, ლაგამს ხელჩაჭიდებულნი ფეხდაფეხ, სირბილით მიჰყვებოდნენ აჭიხვინებულ, თავაღერილ ბედაურებს, გრძელი აღვირით მოთოკავდნენ ყალყზე შემდგარ ცხენს და ზურგზე მოექცეოდნენ. ზოგი უბელო ცხენს მიაჭენებდა, ბედაურს ფერდში შიშველ ქუსლებს ურტყამდნენ და ზღვაში შეაგდებდნენ, იქ კი მხედრებს მზისგულზე ლამაზად უთრთოდათ მოოქროსფერ-მოწაბლისფრო კანქვეშ ზურგის კუნთები, ხოლო მათი ძახილი, ერთმანეთს რომ გასძახოდნენ, ან თავიანთ ცხენებს დასჭყიოდნენ, რატომღაც მომაჯადოებლად ჟღერდა. ხმელეთში ღრმად შემოჭრილ ყურესთან, შიგ რომ ნაპირები მთის ტბასავით ირეკლებოდა, გოგონებს ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. ერთ საოცრად მომხიბლავ გოგონას აკრეფილი თმა კეფაზე დაეგრაგნა, კბოდეზე ჩამომჯდარიყო, ფეხები ძირს ჩაეკიდა, მწყემსის სალამურს აკვნესებდა და ათამაშებულ თითებს ზემოდან თავის დობილებს გასცქეროდა. გრძელ, განიერ კაბებში შემოსილი გოგონებიდან ზოგი ცალფად ცეკვავდა, პირმოღიმარი და მკლავგაშლილი, სხვები ერთმანეთს საფეთქლებით მიჰკროდნენ და წყვილ-

წყვილად დაგოგმანებდნენ. სალამურიანი გოგონას ზურგს უკან სხვა დობილები ისხდნენ ან ხელიხელგადახვეულნი იდგნენ, მოცეკვავეებს შესცქეროდნენ და წყნარად საუბრობდნენ. იმ გოგონას კი მკლავები ისე გაეწვდინა, რომ თეთრი, შოლტივით მოქნილი ზურგი ნარნარად მომრგვალებოდა. მოშორებით ჭაბუკთა გუნდი მშვილდოსნობაში ვარჯიშობდა. საამური საყურებელი იყო, უფროსები ჯერ ხელგაუწაფავ, თმახუჭუჭა ყმაწვილებს მშვილდის მოზიდვასროგორ ასწავლიდნენ, სამიზნეს ერთად ირჩევდნენ და ისარი რომ გაიზუზუნებდა, წაბარბაცებულ მოისარს ხელს სიცილით აშველებდნენ. სხვები თევზაობდნენ, პირქვე იწვნენ კლდოვან ნაპირზე, ცალი ფეხი ჰაერში აეშვირათ, მკერდი ზღვაში ჩაეშვათ, თავი მიებრუნებინათ და ერთ-ერთ მეზობელს არხეინად ესაუბრებოდნენ, ეს უკანასკნელი კი ნახევრად წამომჯდარიყო და ტანი დაეძაგრა, რომ სატყუარა ზღვაში რაც შეიძლებოდა შორს გადაეგდო. იქით კიდევ სხვები მაღალფერდებიან იალქნიან ნავს წყალში ჩაშვებას უპირებდნენ, აწვებოდნენ, მიაჩოჩიალებდნენ, ქვეშ საბიჯელებს უდებდნენ. ბავშვები ზვირთმჭრელებს შორის თამაშობდნენ და იქაურობას ყიჟინით იკლებდნენ. ქვიშაზე გაწვართულ ერთ ყმაწვილ ქალს თავი აეწია, ცალ ხელში დაფოთლილი კაბა ჩაებღუჯა და მკერდს იფარავდა, მეორით კი ცდილობდა, ნაყოფითა და ფოთლებით დახუნძლულ ტოტს მისწვდენოდა, რომელსაც მის თავთან მდგარი ვიწროთეძოებიანი კაცი თვალწინ უთამაშებდა. ვინ გადმოშვერილ კლდეს შეჰფარებოდა, ვინ ზედ წყლის პირას იდგა, ხელები მხრებზე ჯვარედინად შემოეწყო, წყლის სიგრილეს ფეხის ცერებით ამოწმებდა და ყოყმანობდა, ზღვაში შესულიყო თუ არა. ნაპირ-ნაპირ წყვილები დასეირნობდნენ და ვაჟებს ბაგე მათზე მინდობილი გოგონების ყურთან მიეტანათ. გრძელწვერა თხები კლდიდან კლდეზე დახტოდნენ, მათ ყმაწვილი მწყემსი მწყემსავდა, სერზე გადმომდგარ მწყემსს ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა, მეორით თავის გრძელ კომბალს ეყრდნობოდა, წაბლისფერკულულებიან თავზე კი ფარფლებაკეცილი პატარა ქუდი ეხურა.

„რა მშვენიერებაა! - გულში აღტაცება გამოთქვა ჰანს კასტორპმა, - რა მიმზიდველი და საამურია აქაურობა! რა ლამაზები, ჯანსაღნი და ჭკვიანები არიან ყველანი. დიახ, თვალტანადობასთან ერთად გონიერება და შინაგანი ზრდილობაც ამკობთ. ერთი რამ მიჩუყებს გულს და მავსებს სიყვარულით: მე თუ მკითხავთ, მათ არსებობასაც და ერთად ცხოვრებასაც საფუძვლად გონი და აზრი უდევს“. ჰანს კასტორპი იმ დიდ გულთბილობასა და ზომიერ თავაზიანობას გულისხმობდა, რითაც მზის შვილები ეპყრობოდნენ ერთმანეთს: გრძნობების აშკარა თანაზიარობისა და სისხლში გამჯდარი რომელიღაც იდეის წყალობით ერთმანეთის მიმართ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამჟღავნებდნენ ღიმილით შეფარულ, მოკრძალებულ პატივისცემას, ასე განსაჯეთ, ღირსებასა და სიმკაცრესაც კი, მაგრამ ამ სიმკაცრეს მხიარულება განაზავებდა,მათ საქციელს პირქუშობას მოკლებული სიდარბაისლისა და გონივრული კეთილზნეობის ენით გამოუთქმელი სულიერი ზეგავლენა განსაზღვრავდა, თუმცა არც ცერემონიულობა აკლდათ. იქით, მაგალითად, მრგვალ, ხავსმოდებულ ქვაზე ყავისფერკაბიანი ახალგაზრდა დედა იჯდა, ცალი მხარი მოეშიშვლებინა და ჩვილს ძუძუს აწოვებდა. ყოველი გამვლელი ქალს თავისებურად ესალმებოდა და ამ სალამში ყველაფერი იყო ჩაქსოვილი, რაზეც ეს ადამიანები თავიანთ საქციელში მეტყველ დუმილს ამჯობინებდნენ: დედაშვილობის შემყურე ყმაწვილნი ხელებს მსუბუქად, მკვირცხლად და მოხდენილად იჯვარედინებდნენ მკერდზე და ღიმილით ხრიდნენ თავებს, გოგონები კი დედაქალის წინაშე ისე მსუბუქად იდრეკდნენ ქედს, როგორც მორწმუნენი ხრიან ხოლმე მსუბუქად მუხლს საკურთხეველთან ჩავლისას. გოგონები თან რამდენჯერმე ცოცხლად, მხიარულად და გულითადად უქნევდნენ თავს ქალს, ცერემონიული მოწიწებისა და გულითადობის ამ ნაზავს ემატებოდა ახალგაზრდა დედის გულთბილობა და სიდინჯე - იგი საჩვენებელი თითით თან ძუძუს უმარჯვებდა ჩვილს და თან თავის პატივისმცემლებს ღიმილით უხდიდა მადლობას. ჰანს კასტორპს აღტაცებით აევსო გული, ამ სურათის ყურებით ვეღარ ძღებოდა და თან საკუთარ თავს შეწუხებული ეკითხებოდა, მაქვს კი ცქერის უფლება, იქნებ მკაცრი სასჯელიც მეკუთვნის, ეს გარეშე კაცი, საკუთარი თავი მე თვითონვე მდაბიო, გონჯი და გაუთლელი რომ მეჩვენება, ამ მზით გასხივოსნებულ უბიწო ბედნიერებას რომ ვუთვალთვალებო.

დიახ, აქ საფიქრალიც არა იყო რა. ერთი ლამაზი ბიჭი, გვერდზე გადავარცხნილი, შუბლთან აქოჩრილი თმა საფეთქლებზე რომ ეფინებოდა, ამხანაგებს გამოცალკევებოდა და გულხელდაკრეფილი ზუსტად მის ქვემოთ იჯდა - არც დარდი ეტყობოდა და არც გაგულისება, უბრალოდ, განმარტოება მოეწადინებინა. და აი, ამ ბიჭმა დაინახა ჰანს კასტორპი, ჯერ ქვემოდან ამოხედა, მერე კი მზერა ვითომ ნაპირისკენ გადაიტანა, მაგრამ დროდადრო მოთვალთვალეს უთვალთვალებდა. უეცრად ბიჭმა მას თვალი მოაცილა, სივრცეს გახედა და მშვენიერ, მკაცრნაკვთებიან, ნახევრად ბავშვურ სახეზე თვალის დახამხამებაში გაუქრა აქაურების ბაგეზე მოთამაშე დაძმური, თავაზიანი ღიმილი, წარბიც არ შეუკრავს, ისე გაუმკაცრდა სახე, თითქოს გაუქვავდა, უმეტყველო, განუჭვრეტელი, სიკვდილივით გულჩათხრობილი იერი დაედო, ვითომ ოდნავ დამშვიდებულ ჰანს კასტორპს კი მის დანახვაზე შიშისგან ფერი წაუვიდა, რადგან დაახლოებით მიხვდა, ეს ყველაფერი რასაც ნიშნავდა.
თვითონაც მოიხედა... მის ზურგს უკან ცილინდრული ბლოკებისგან აკოკოლავებული უზარმაზარი, უკვარცხლბეკო სვეტები აღმართულიყო, ბლოკებშუა ხავსმოდებული სვეტები ტაძრის კარიბჭეს ედგა, თვითონ კი ღია ცის ქვეშ გამოსულ კიბეზე იჯდა. გულდამძიმებული წამოდგა, კიბე კიდე-კიდეჩაიარა, კარიბჭისკენ ამომავალ გზას დაუყვა და ამ გზამ ფილებმოგებულ ქუჩაზე გაიყვანა. სულ მალე ახალ პროპილეებს
(პროპილეა - არქიტექტურულად გაფორმებული კოლონადა შენობის ან რაიმე ტერიტორიის შესასვლელის წინ.) მიადგა, ისინიც გაიარა და მის წინ ერთბაშად წამოიმართა მასიური, დრო-ჟამისგან ჩანაცრისფრებულ-ჩამწვანებული, ციცაბოსაფეხურებიან კვარცხლბეკზე შემდგარი ფართოფასადიანი ტაძარი. ფასადი ღონიერ, საკმაოდ დაბალ, მაგრამ თავწაწვრილებულ სვეტებს ეყრდნობოდა, აქა-იქ სვეტისთავებიდან მრგვალი ქვები ალმაცერად გამოჩრილიყო. ჰანს კასტორპმა ფეხებს ხელები მიაშველა, დიდი ვაი-ვაგლახით, ხვნეშით აფოფხდა ციცაბო საფეხურებზე და გულამოვარდნილმა, როგორც იქნა, კოლონადაში შეაღწია. კოლონადა ისე ღრმა იყო, რომ თავი ზღვისპირა წიფლნარში ეგონა, ისიც შუაგულს თავს განგებ არიდებდა და კიდე-კიდე სიარულს ამჯობინებდა. საბოლოოდ გულმა მაინც შუაგულისკენ გაუწია და სვეტების მწკრივი რომ გამეჩხერდა, თვალწინ კვარცხლბეკზე შემდგარი ჯგუფური ქანდაკება აესვეტა. ქვის ორი ფიგურა, ეტყობოდა, დედასა და ქალიშვილს გამოსახავდა: ერთი, უფრო ხნიერი, დარბაისელი ქალი, იჯდა, მას სათნო, ღვთიური სახე ჰქონდა და თვალის ცარიელ ფოსოებს ზემოთ მწუხარედ შეეყარა წარბები. ტანზე ნაოჭებიანი ტუნიკა და მოსასხამი ეცვა, ხოლო მატრონისებურად დავარცხნილ ხვეულ თმას მანდილი უფარავდა; მეორეს, ქალწულისსახიან, პირმრგვალ გოგონას, მოსასხამის ნაოჭებში ხელები არ მოუჩანდა, იგი ფეხზე იდგა და მატრონას მისთვის დედაშვილურად მოეხვია ხელი.
ქანდაკების ყურებაში ჰანს კასტორპს რატომღაც შიშისა და ავი წინათგრძნობისაგან კიდევ უფრო დაუმძიმდა გული. არ უნდოდა, გრძნობას აჰყოლოდა, მაგრამ ძალაუნებურად ქანდაკებას შემოუარა და მის უკან აღმართული ორმაგი სვეტების წყებაშიც გაძვრა: იქ ღია დაუხვდა ტაძრის რკინის კარი და საბრალოს საზარელი სურათის დანახვაზე მუხლები მოეკვეთა. ორი ჭაღარა, ნახევრად შიშველი, თმაგაწეწილი დედაბერი, მკერდზე როკაპებივით რომ ეკიდათ გრძელკერტებიანი, ჩამომჭკნარი ძუძუები, ამაზრზენად დაფუსფუსებდა გავარვარებულ ტაფებთან. დედაბრებს გობის თავზე ჩვილი ბავშვი ეჭირათ, შემზარავ სიჩუმეში ჩვილს ხელებით ხლეჩდნენ - ჰანს კასტორპი ხედავდა სისხლით გათხუპნილ ქერა თმის ბულულებს - და ნაჭერ-ნაჭერ სანსლავდნენ, მათ ხახაში კნაწაკნუწი გაუდიოდა თოთო ძვლებს, ხოლო დამჭკნარ ტუჩებზე სისხლი ჩამოსწანწკარებდათ. ჰანს კასტორპს ძარღვებში სისხლი გაეყინა. უნდოდა, თვალებზე ხელები აეფარებინა და ვერ შეძლო, გაქცევა უნდოდა და ვერ შეძლო. ამასობაში თავის საზარელ საქმეში გართულმა დედაბრებმა იგი შეამჩნიეს და გასისხლიანებული მუშტები მოუღერეს. ისინი უხმოდ, მაგრამ ურცხვად, თანაც ჰანს კასტორპის მშობლიურ დიალექტზე, უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ. ჰანს კასტორპი ასე ცუდად თავის სიცოცხლეში არ გამხდარა. სასოწარკვეთილმა ერთხელ კიდევ რომ მოინდომა ადგილიდან

დაძვრა, სვეტზე ზურგი მოუცურდა, მიწაზე გვერდულად დაეშვა და გამოეღვიძა კიდეც, ნახევრად გამოფხიზლებულმა იგრძნო, რომ საზარელი ჩურჩული კვლავ ყურებში ედგა, შიშისგან ისევ გაყინული ჰქონდა ხელ-ფეხი, თავის ფარდულთან იწვა თოვლში, მკლავი ქვეშ მოჰქცეოდა და თავით კედელს მიყრდნობილს თხილამურებამოკრული ფეხები წინ გაეშვირა.
თუმცა ამას ნამდვილი, ჩვეულებრივი გამოღვიძება მაინც არ ეთქმოდა. იმ საზარელ დედაბრებს ხელიდან რომ დაუსხლტა, შვებისგან ახამხამებდა თვალებს, ჯერაც კარგად ვერ გაერკვია და კაცმა რომ თქვას, დიდად არც ადარდებდა, ტაძრის სვეტის ძირში ვწევარ თუ საბძელთანო, ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ძილ-ბურანში იყო, მართალია, სიზმარს თვალით ვეღარ ხედავდა, მაგრამ ფიქრში აგრძელებდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ისევ ისე თამამად და მიხლართულ-მოხლართულადაც კი.
„ხომ ვამბობდი, სიზმარია-მეთქი, - ბუტბუტებდა იგი, - მშვენიერი და საშიში სიზმარი ვნახე, თუმცა ყველაფერი რა ხანია ვიცოდი და თვითონვე შევუქმენი კიდეც საკუთარ თავს - ფოთლოვანი ტყე-პარკიც, საამური ნესტიც და კიდევ სხვა ბევრი რამ, მშვენიერიც და საზარელიც, ყველაფერი ლამის წინასწარ ვიცოდი. მაგრამ განა შეიძლება ასეთი რამ იცოდე ან საკუთარ თავს შეუქმნა, თან გაიბედნიერო და თან ასე დაიშინო თავი? საიდან მომევლინა ის მშვენიერი ყურე თავის კუნძულებიანად, ანდა ტაძრის უბანი, საითაც მიმანიშნა იმ განმარტოებული, სანდომიანი ბიჭის თვალებმა? ოცნება მხოლოდ შენს სულში როდი იბადება, იგი ანონიმურია და საერთო, თუმცა ყოველი ადამიანი თავისებურად ოცნებობს. დიდი სული, რომლის პატარა ნაწილსაც შენ წარმოადგენ, სწორედ შენგნით და შენებურად ოცნებობს იმ საგნებზე, გულში მარად საოცნებოდ რომ გაუხდია, ოცნებობს თავის ახალგაზრდობაზე, თავის იმედზე, თავის ბედნიერებასა და მშვიდობაზე... და თავის სისხლიან ნადიმზეც. აი, ვწევარ ჩემს სვეტთან და ჯერაც არ გამომნელებია ჩემი სიზმარი - სისხლიანი ნადიმისაგან მოგვრილი ძრწოლა, მანამდე კი ფრფინვა ვიგრძენი, კაცობრიობის ნათელი მოდგმის ბედნიერებითა და კეთილზნეობით მოგვრილი. დიახაც შემფერის და მონიჭებულიცა მაქვს კანონიერი უფლება, აქ ვიწვე და ამასთან, ვიოცნებო. აქ, ზევით მყოფთაგან, ბევრი რამ შევიტყვე გაქცევა-გამოქცევასა და გონიერებაზე. მხარნაქცევს ნაფტასა დასეტემბრინისთან ერთად მიხეტიალია უაღრესად სახიფათო მთიანეთში. მე ყველაფერი ვიცი ადამიანზე. მე შევიცანი მისი სისხლი და ხორცი, მე სნეულ კლავდიას დავუბრუნე პშიბისლავ ჰიპეს ფანქარი. ჰოდა, ვინც სხეულსა და სიცოცხლეს შეიცნობს, იგი სიკვდილსაც შეიცნობს, ოღონდ ეს ყველაფერი როდია, პედაგოგიური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ეს მხოლოდ დასაწყისია, მას მეორე ნახევარი, მისი საპირისპირო ნახევარიც უნდა შევუერთოთ, რადგან სიკვდილისა და ავადმყოფობისაკენ მიმართული ინტერესი სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლისადმი თავისებური ინტერესის გამოვლინება, როგორც ამტკიცებს ამას მედიცინა, ეს ჰუმანისტური მეცნიერება, მუდამ თავაზიანად, ლათინურად რომ მიმართავს ხოლმე სიცოცხლესა და ავადმყოფობას, თვითონ კი მხოლოდ ანარეკლს წარმოადგენს იმ უზარმაზარი და უმწვავესი სურვილისას, მე რომ დიდი სიმპათიით თავის საკუთარ სახელს ვუწოდებ: ეს გახლავთ ძნელად აღსაზრდელი ბავშვი, ეს არის ადამიანი, მისი დანიშნულება და მისი საუფლო... ადამიანის არსში არცთუ ცუდად ვერკვევი, ბევრი რამ ვისწავლე აქ, ზევით მყოფთაგან, ბარიდან ისე მაღლა ავიჭერი, რომ მე საბრალოს ლამის სული შემეხუთა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემი სვეტის ძირიდან ურიგოდ როდი ვაწვდენ თვალს მიდამოს... მე ვიხილე სიზმარი ადამიანის დანიშნულებასა და მის თავაზიან, შეგნებულ, პატივისცემით აღსავსე თანამეგობრობაზე, რომლის ზურგს უკან, ტაძარში, საზარელი სისხლიანი ნადიმი თამაშდება. იქნებ მზის შვილები იმიტომაც ეპყრობოდნენ ერთმანეთს ასე მომხიბლავად და თავაზიანად, რომ ცალი თვალი იმ საშინელებისკენ ეჭირათ? გამოდის, რომ დახვეწილობაც და თავაზიანობაც იქიდან შეუძენიათ და ეგაა! მე გულში მათ ვემხრობი და არა ნაფტას, თუმცა არც სეტემბრინის მხარეს ვიჭერ, რადგან ორივენი მოლაყბეები არიან. ერთი ავხორცი და ბოროტია, მეორე კი გაუთავებლად მხოლოდ გონიერების საყვირს აყვირებს და დაუჩემებია, გიჟის მოჭკვიანებაც კი შემიძლიაო, და განა ეს უხამსობა არაა? ეს ფილისტერობა,

შიშველი ეთიკა და ურწმუნოებაა და სხვა არაფერი. ოღონდ მე ვერც პატარა ნაფტას მივემხრობი, მისი რელიგია ღმერთისა და ეშმაკის, კეთილისა და ბოროტის guazzabuglio
-ა
(დომხალი, ნაზავი (იტალ.).) და მხოლოდ იმისთვის თუ გამოდგება, რომ ინდივიდი შიგ კისრისტეხით გადავარდეს, რათა ზოგადში მისტიკურად გაითქვიფოს. ოჰ, ეს ორივე პედაგოგი! მათი კამათიც და განხეთქილებაც მხოლოდ და მხოლოდ guazzabuglio
-ა, ბრძოლის უთავბოლო ყიჟინა და ვერავის გააბრუებს, ვისაც ოდნავ მაინც შესწევს აზროვნების უნარი და გულიც სათნო აქვს. არ გააჭირეს საქმე თავიანთი არისტოკრატიზმითა და კეთილშობილებით! სიკვდილი თუ სიცოცხლე, ავადმყოფობა თუ ჯანმრთელობა, გონი თუ ბუნება. ნუთუ მართლა ეწინააღმდეგებიან ესენი ერთმანეთს? მე თქვენ გეკითხებით, განა მათ კითხვები შეიძლება ვუწოდოთ? არა, არც ესაა კითხვები და არც ის, ამათგან რომელია უფრო კეთილშობილურიო. სიკვდილთან გაქცევა სიცოცხლისავე შემადგენელი ნაწილია, უამისოდ სიცოცხლეც ვერ იარსებებდა, და
ჰომო დეი -ს ადგილიც მათ შუა ძევს, გაქცევ-გამოქცევასა და გონიერებას შუა ძევს, ისევე როგორც მისი საუფლოა მოქცეული მისტიკურ ერთობასა და თავქარიან ინდივიდუალიზმს შორის. აი, რას ვხედავ მე ჩემი სვეტიდან. იმ შუალედურ ადგილზე მდგომი კი ჯერ საკუთარ თავს უნდა სცემდეს პატივს, თავაზიანად და სათუთად ეპყრობოდეს, რადგან თვითონ იგია კეთილშობილი და არა ხსენებული წინააღმდეგობანი. ადამიანია წინააღმდეგობათა ბატონ-პატრონი, ისინი მისი წყალობით არსებობენ და ამგვარად, ადამიანი მათზე უფრო კეთილშობილია. სიკვდილზე კეთილშობილი, გაცილებით კეთილშობილი, თავისუფალი ჭკუა-გონების წყალობით და სიცოცხლეზე კეთილშობილი, გაცილებით კეთილშობილი, თავისი ღვთისნიერი გულის წყალობით. აი, მგონი, გავრითმე კიდეც და საბოლოოდ ადამიანისადმი მიძღვნილი სიზმარეული ლექსი გამომივიდა. არ მინდა რაიმე დამავიწყდეს. მინდა კეთილი ვიყო! არ მინდა სიკვდილი ვაბატონო ჩემს ფიქრებზე! რადგან მხოლოდ აქაა და სხვაგან არსად სიკეთე და კაცთმოყვარეობა. სიკვდილი ბუმბერაზი ძალაა. მის სიახლოვეს ადამიანები ქუდს იხდიან და თითის წვერებზე დადიან. იგი ღირსების ნიშნად მკერდს გარდასული დროის ბრიჟით იმშვენებს, ხოლო თვითონ ადამიანი მის პატივსაცემად შავი, სადა ტანსაცმლით იმოსება. გონიერება ტუტუცურად მოჩანს მის წინაშე, რადგან იგი მხოლოდ და მხოლოდ სათნოებაა, სიკვდილი კი თავისუფლება, გაქცევ-გამოქცევა, უფორმობა და ავხორცობაა. დიახ, ავხორცობაა და არა სიყვარულიო, მეუბნება ჩემი სიზმარი. სიკვდილი და სიყვარული ერთმანეთს ცუდად ერითმება, უხამსი და ყალბი ლექსი გამოდის! სიყვარული სიკვდილს ეწინააღმდეგება, მხოლოდ ის არის მასზე ძლიერი და არა საზრისი. მხოლოდ ის შობს კეთილ აზრებს და არა საზრისი, ფორმაც მხოლოდ სიყვარულისა და სიკეთისაგან ყალიბდება - შეგნებული თანამეგობრობისა და ადამიანთა მშვენიერი სამეფოს ფორმა და ზნეობა სისხლიანი ნადიმის უჩუმრად ცქერასთან ერთად. ო, რა ცხადი იყო ჩემი სიზმარი და მართვაც რა კარგად გამომდიოდა. არ მინდა რაიმე დამავიწყდეს, მინდა გულში სიკვდილის ერთგულებას დავატარებდე, ოღონდ ყოველთვის მახსოვდეს, რომსიკვდილისა და გარდასული დროის ერთგულება მხოლოდ ბოროტება, ბნელი ავხორცობა და კაცთმოძულეობაა, თუკი იგი ჩვენს აზროვნებასა და მართვის უნარს დაეუფლება და წარმართავს. ადამიანმა სიკეთისა და სიყვარულის გულისათვის სიკვდილს თავის აზრებზე გაბატონება არ უნდა დაანებოს. აი, ახლა კი მართლა ვიღვიძებ... რადგან ამ აზრებმა დაასრულა ჩემი სიზმარი და მიზანთან ახლოს მიმიყვანა. დიდი ხანია დავეძებდი ამ სიტყვას: იმ ადგილზე, სადაც ჰიპე გამომეცხადა, ჩემს ლოჯიაში, და ყველგან. თოვლიანი მთებისკენაც მის საძებრად გამომიწია გულმა და, როგორც იქნა, მოვიპოვე. ჩემმა სიზმარმა ნათლად დამანახვა იგი, რათა გონებაში სამუდამოდ ჩავიბეჭდო. დიახ, მან აღმაფრთოვანა და გამათბო. გული ღონივრად მიცემს და იცის კიდეც ამის მიზეზი. იგი მხოლოდ ფიზიკური მიზეზით როდი ძგერს, აი, ვთქვათ, ისე, გვამს რომ ეზრდება ხოლმე ფრჩხილები, იგი ადამიანურად ძგერს და თანაც ბედნიერებისაგან. ჩემი სიზმრისეული სიტყვა პორტვეინსა და ლუდზე უფრო

მათრობელაა, იგი ძარღვებში სიყვარულსა და სიცოცხლესავით მიედინება და იმ ძილისა და სიზმრისგან მაფხიზლებს, მე თვითონაც რომ ვიცი, რა სახიფათოცაა ჩემი ახალგაზრდული სიცოცხლისათვის... ფეხზე წამოდექ! თვალები გაახილე! ეს თოვლში ჩაფლული ფეხები შენია! ძალა მოიკრიბე და წამოდექი! ხედავ, გამოუდარებია!“

ძნელი იყო გათავისუფლება ხუნდებისაგან, მტკიცედ რომ შემოსჭდობოდნენ და წელის წამოწევას არ ანებებდნენ, მაგრამ თავის მიერვე შექმნილი სტიმული უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ჰანს კასტორპი იდაყვზე წამოიწია, მუხლი ვაჟკაცურად გამართა, დაიძაგრა, საყრდენი წერტილი იპოვა და წამოიმართა. თოვლი თხილამურებით დაბეკნა, ფერდებზე ხელები მიიტყაპუნა, მხრები შეიბერტყა, შეწუხებული, დაძაბული მზერა არემარესაც მოავლო და ცასაც გახედა, სადაც ლეჩაქივით სიფრიფანა, მოლურჯო-მონაცრისფრო ღრუბლებში მკრთალი ლაჟვარდი გამოკრთოდა, მერე ღრუბლები ნელ-ნელა გაიფანტა და ნამგალა მთვარეც გამოჩნდა. ბინდი მსუბუქად წვებოდა. აღარც ქარიშხალი მძვინვარებდა და თოვასაც გადაეღო. პირდაპირ მკაფიოდ მოჩანდა დამყუდროებული მთა, თხემზე ჯაგარა ნაძვნარი რომ გადავლებოდა. მთას ჩრდილი მხოლოდ მკერდამდე სწვდებოდა, თხემზე კი უნაზესი ვარდისფერი შუქი დაჰფენოდა. რა მოხდა, რა ხდებოდა ამ ქვეყანაზე? ნუთუ გათენდა? ნუთუ მთელი ღამე თოვლში იწვა და არ გაყინულა? წიგნში რომ ასე ეწერა? მას კი არც ერთი კიდური არ მოზრობია, არც ერთი ჭახანით არ დამსხვრევია, თუმცა ფეხებს თოვლზე აბაკუნებდა, ხელებსაც თავდაუზოგავად იქნევდა და ფერდებზე იტყაპუნებდა, თან დროს არ კარგავდა და ვითარებაში გარკვევას ცდილობდა. მართალია, ყურები, თითის წვერები და ფეხის თითები უბჟუოდა, მაგრამ იმაზე მეტად არა, ვიდრე ზამთრის ღამეში ლოჯიაში წოლით უბუჟდებოდა ხოლმე. ჯიბიდან გაჭირვებით ამოაძვრინა საათი. საათი მუშაობდა. არ გაჩერებულიყო, როგორც იცოდა, ღამით მოუმართავი თუ დარჩებოდა ხოლმე. საათი ჯერ ხუთსაც არ უჩვენებდა, ხუთამდე ჯერ კიდევ კარგა თორმეტი თუ ცამეტი წუთი იყო დარჩენილი. საოცარია! ნუთუ ათ წუთზე მეტხანს არ წოლილა თოვლში, ნუთუ ათ წუთში შეთხზა ამდენი ბედნიერებისა და შიშის მომგვრელი სურათი, ან ამდენი თამამი და კადნიერი აზრი ათ წუთში დაებადა? ამასობაში კი ექვსკუთხა ურჩხულმა ისევე სწრაფად დაიხია უკან, როგორც მოვარდა? მაშ, ბედს არ გაუწირავს, მისი შინ დაბრუნება უნებებია და ეგაა. აკი ორჯერ იცვალა გეზი მისმა სიზმრებმა და ნაოცნებარმა და ორჯერვე ზეზე მკვირცხლად წამოაგდო: ერთხელ ძრწოლისაგან, მეორედ კი სიხარულისგან წამოახტუნა, ეტყობა, სიცოცხლე ლმობიერად მოეკიდა თავის გზააბნეულ, ძნელად აღსაზრდელ შვილს...

ასე იყო თუ ისე, შემოათენდა თუ შემოაღამდა (სინამდვილეში კი მოსაღამოებული გახლდათ) სულერთია, შინ დაბრუნებაში ხელს არც ობიექტური მიზეზები უშლიდა და არც სუბიექტური და ჰანს კასტორპსაც არ დაუხანებია, ღონივრად, ასე ვთქვათ, ფრთაშესხმული დაეშვა ხეობისაკენ. ხეობაში ჩასულს სინათლეები ანთებული დაუხვდა, თუმცა გზაში თავისუფლად ეყო დღის სინათლის ნაშთები, თოვლს რომ შემოენახა. იგი მატენვალდის კიდე-კიდე, ბრემენბიულის ფერდობით დაეშვა დაბლა და ექვსის ნახევარზე უკვე „სოფელში“ იყო. იქ ბაყალს მიაბარა თავისი სპორტული იარაღი, სულის მოსათქმელად სხვენზე, ბატონ სეტემბრინისთან ავიდა და მოახსენა, ქარბუქში მოვყევიო. ჰუმანისტი შეშფოთდა, ხელები აღაპყრო, ჰანს კასტორპი ასეთი თავქარიანობისთვის გაკიცხა და ხელდახელ აანთო მხრჩოლავი სპირტქურა, რომ დაღლილ-დაქანცული სტუმრისთვის ყავა მოედუღებინა, მაგრამ მაგარი ყავაც ვერას გახდა - ჰანს კასტორპს იქვე, სკამზე ჩამოეძინა.

„ბერგჰოფის“ მაღალცივილიზებულ ატმოსფეროში ერთი საათის შემდეგღა მოექცა. ვახშამზე მადიანად ილუკმებოდა. ნელ-ნელა ფერმკრთალდებოდა სიზმარი. თავისივე ნააზრევ-ნაფიქრალი იმავე საღამოს ისე ნათელი და გასაგები აღარ ეჩვენებოდა.

ყოჩაღად და ჯარისკაცურად

ჰანს კასტორპი გამუდმებით იღებდა თავისი ბიძაშვილისგან მოკლე-მოკლე

ცნობებს, თავიდან კარგს, იმედიანს, შემდეგ ნაკლებსასიკეთოს, ბოლოდროინდელ ბარათებში კი უღიმღამოდ შელამაზებული სამწუხარო ამბები გამოსჭვიოდა. ღია ბარათების წყება დაიწყო ხალისიანი პატაკით, სადაც იოახიმი სამსახურში ჩადგომისა და ამაღელვებელი ცერემონიალის ამბავს იტყობინებოდა. ცერემონიალზე, საპასუხო ბარათში ჰანს კასტორპის ნათქვამ სიტყვებს თუ გავიმეორებთ, იოახიმს სიღარიბის, უმწიკვლოებისა და მორჩილების აღთქმა დაედო. შემდეგ ერთმანეთს მიეწყო სასიხარულო ამბები: სამხედრო სარბიელი უხინჯო და სვებედნიერი გამოდგა, ეტაპების გავლას აადვილებდა საქმის მგზნებარე სიყვარული და უფროსების სიმპათია. ასეთი ბარათები, ჩვეულებრივ, სალმითა და მოკითხვით მთავრდებოდა ხოლმე. რაკი იოახიმს რამდენიმე სემესტრი გავლილი ჰქონდა, სამხედრო სასწავლებლიდან გაეთავისუფლებინათ, საახალწლოდ უკვე უნტეროფიცრის წოდება მიენიჭებინათ და გამოგზავნა კიდეც ფოტოსურათი, რომელშიც უნტეროფიცრის სამხრეებით იყო გადაღებული. ყოველი მისი მოკლე პატაკიდან გამოსჭვიოდა აღფრთოვანება, რომ ემორჩილებოდა ისეთ იერარქიას, რომელიც ღირსებისა და რკინისებური დისციპლინის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, მაგრამ ადამიანურ სისუსტეებს მაინც ლმობიერად და იუმორით ეკიდებოდა. იოახიმი იწერებოდა ანეკდოტურ ამბებს, როგორი რომანტიკული და თან რთული ურთიერთობა ჰქონდა მასთან, გამოუცდელ ხელქვეითთან, ფელდფებელს, ბუზღუნა, ფანატიკოს ჯარისკაცს, რომელიც იოახიმში თავის ხვალინდელ უფროსს ხედავდა. იოახიმი მართლაც უკვე ოფიცერთა სასადილოში დაიარებოდა. ეს ყველაფერი ნამდვილად სასაცილო და საოცარი იყო. შემდეგ იოახიმმა მოიწერა, საოფიცრო გამოცდაზე დამიშვესო და ის იყო, აპრილის დამდეგს ლეიტენანტის ჩინიც მიიღო.

როგორც ჩანს, იოახიმზე ბედნიერი კაცი ამქვეყნად არ მოიძებნებოდა. ასე იშვიათად თუ მოერგება ხოლმე ადამიანის ბუნება და სურვილები განსაკუთრებული ცხოვრების წესს. თითქოს საკუთარი ბედნიერებისა რცხვენიაო, ისე ჰყვებოდა იგი, მთელი თავისი ახალგაზრდული ეშხითა და ბრწყინვალებით პირველად როგორ ჩაუვლია რატჰაუსთან და მის პატივსაცემად სმენაზე გაჭიმული გუშაგისათვის შორიდანვე უნიშნებია, თავისუფლადო, იწერებოდა აგრეთვე სამსახურთან დაკავშირებული წვრილმანი უსიამოვნებებისა თუ სიხარულის, ჯარისკაცური ამხანაგობის, თავისი დენშჩიკის ფარისევლური ერთგულების ამბებს, სამწყობრო მეცადინეობასა და სამხედრო წესდების გაკვეთილებზე მომხდარ კომიკურ შემთხვევებს, სამწყობრო დათვალიერებებისა და ამხანაგური სუფრის შთაბეჭდილებებს. ზოგჯერ სიტყვას ვიზიტებზე, ნადიმებსა და მეჯლისებზეც ჩამოაგდებდა, ჯანმრთელობის თაობაზე კი საერთოდ არაფერს იწერებოდა.

ზაფხულამდე არაფერს, შემდეგ მოიწერა, ლოგინში ვწევარო, სამწუხაროდ, იძულებული ვარ, ავადმყოფობის ამბავი უფროსებს მოვახსენოო, რამდენიმე დღის საქმეა, გავცივდი და სიცხე მომცაო. ივნისის დამდეგს კვლავ სამსახურში ჩადგა, მაგრამ შუა რიცხვებში ისევ „წაიფორხილა“, იოახიმი ბედს უჩიოდა და თან ეტყობოდა, ეშინოდა, ვაითუ, აგვისტოს პირველ რიცხვებში დაგეგმილ დიდ მანევრებს, ასე რომ შევხაროდი, გამოვაკლდეო. ამის მსგავსი არაფერი მომხდარა, ივლისში კაჟივით იყო, კვირების მანძილზე ფრჩხილიც არ წამოსტკენია, მანამ, სანამ ტემპერატურის ამ დაწყევლილი მერყეობის გამო სამედიცინო გამოკვლევის საჭიროება არ წამოტივტივდა, რაზეც ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული. ამ გამოკვლევის შედეგებზე ჰანს კასტორპს დიდხანს არაფერი სმენია, ხოლო როცა ხმა მოაწვდინეს, აღმოჩნდა, რომ იოახიმი კი არა, დედამისი, ფრაუ ციმსენი სწერდა, უფრო სწორად, იოახიმის ამბავს დეპეშით ატყობინებდა. ჰანს კასტორპმა აღარ იცოდა, იოახიმს მოწერა არ შეეძლო თუ მისი რცხვენოდა. დეპეშაში ეწერა, ექიმებმა აუცილებლად მიიჩნიეს, იოახიმს მიეცეს რამდენიმეკვირიანი შვებულებაო. გამოუწერიათ მაღალმთიანეთის ჰავა, ურჩევიათ სასწრაფოდ გამგზავრება, ჰანს კასტორპს სთხოვენ, დაუბეკოს ორი ოთახი. პასუხის ღირებულება გადახდილია. ხელმოწერა: დეიდა ლუიზე.

ივლისის ბოლო იდგა, როცა ჰანს კასტორპმა თავის ლოჯიაში თვალი გადაავლო ამ დეპეშას, შემდეგ კი ხელახლა რამდენჯერმე გადაიკითხა. კითხულობდა და თან თავს აქნევდა, უფრო სწორად, მთელი ტანით ირხეოდა და კბილებში ცრიდა: „ოჰო,

ჰო, ჰო! ერიჰაა! იოახიმი ბრუნდება! - უეცრად ტანში სიხარულმა დაუარა, მაგრამ ასევე უცებ მოეშვა და გაიფიქრა, - ჰმ, ჰმ, ცუდი ამბავია. აი, მოულოდნელი ნობათი თუ გნებავთ, ეს არის. ეშმაკმა დალახვროს, რა სწრაფად წასვლია უკან-უკან საქმე - უკვე მომწიფებულა სამშობლოში დასაბრუნებლად! დედაც თან მოჰყვება („დედაო“, თქვა და არა დეიდა ლუიზე“; აქ ყოფნაში ისე მოჩლუნგებოდა ნათესაური და ოჯახური გრძნობები, რომ მისდა შეუმჩნევლად ყველაფერი მშობლიური მისთვის ლამის უცხო გამხდარიყო), რა საშინელებაა, და თანაც ზედ მანევრების წინ, საბრალო ასე რომ შეხაროდა! ჰმ, დიდი უნამუსობაა, ადამიანის მასხრად აგდება და უნამუსობა, აი, ეს არის ანტიიდეალისტური ფაქტი. სხეულიაღზევებულია, იგი სულის სურვილს ანგარიშს არ უწევს, და იმ ბრძენთა ბრძენების სამარცხვინოდ, თავისი გააქვს კიდეც. აკი ისინი გვიქადაგებენ, სხეული სულს ემორჩილებაო. გამოდის, რომ თვითონაც არ სცოდნიათ, რასაც ამბობენ, თორემ, მართალნი რომ იყვნენ, მაშინ სულს ხომ საეჭვო ჩრდილი მიადგებოდა, თუნდაც აი, ეს ერთი შემთხვევა რომ აგვეღო, sapienti sat
.(გამგები გაიგებს (ლათ.).)
დიახ, კარგად ვიცი, რასაც ვგულისხმობ, რადგან ჩემი დასმული კითხვა სწორედ იმ აზრს შეიცავს, რამოდენა შეცდომაასულისა და სხეულის დაპირისპირება, მე თუ მკითხავთ, მათ კუდი კუდზე აქვთ გადაბმული და პირიქით, ერთმანეთს აძლევენ მხარს, რაც თავისდა საბედნიეროდ, იმ ბრძენთა ბრძენთ არ აგონდებათ. ჩემო კარგო იოახიმ, ნეტავ ვინ მოინდომა შენს დიდ წადილს წინ აღსდგომოდა! შენ პატიოსანი კაცი ხარ, მაგრამ გეკითხები, რაღა ფასი აქვს პატიოსნებას, თუკი სულსა და სხეულს კუდი კუდზე ექნებათ გადაბმული? იქნებ ის გამახალისებელი სურნელი, მაღალი მკერდი და უმიზეზო სიცილი ვერ დაივიწყე, შტორის სუფრასთან რომ გელოდება?.. იოახიმი ბრუნდება!“ - ხელახლა გაიფიქრა მან და სიხარულისაგან გააჟრჟოლა, - ალბათ, ცუდად არის და იმიტომ ბრუნდება, მაგრამ ორი კაცი ერთად სულ სხვაა, აქ, ზევით, საკუთარი თავის ამარა მაინც აღარ ვიქნები. კარგია, თუმცა ცხოვრება ზუსტად ძველებურად ვეღარ აეწყობა, რადგან მისი ოთახი დაკავებულია, იქ მისის მაკდონალდი წევს, უხმო ხველებისგან იხრჩობა და თავის პატარა ბიჭუნას სურათი, რა თქმა უნდა, სასთუმალთან უდევს, ან იქნებ სულაც ხელში უჭირავს. მისის მაკდონალდი ფინალურ სტადიაშია და თუ ოთახი ჯერ კიდევ ვინმესგან არ არის დაბეჭებული, მაშინ... თუმცა ჯერჯერობით ეს თუ არა, სხვა ოთახი ხომ მოიძებნება. რამდენადაც ვიცი, ოცდამერვე თავისუფალია. ახლავე ჯერ დირექციაში და მერე ბერენსთან უნდა გავიქცე. ეს ახალი ამბავი, ერთი მხრივ, სამწუხაროა, მაგრამ, მეორე მხრივ, დიდებულია, და დიდებულიც რომ არ იყოს, ღირსშესანიშნავი ხომ მაინც არის და არის! ოღონდ ჯერ ჩვენს ძვირფას კამერადასა და მის სლამს“ უნდა დაველოდო, საცაა გამოჩნდება, უკვე ოთხის ნახევარი ყოფილა. ერთი უნდა ვკითხო, ამ შემთხვევაშიც თუ იტყვის, ფიზიკური მდგომარეობა მეორად მოვლენად უნდა მივიჩნიოთო“.
დირექციაში ჩაის დალევამდე ჩავიდა. თავის დერეფანში ნაგულვები ოთახი თავისუფალი აღმოჩნდა და ადგილი ფრაუ ციმსენისთვისაც მოიძებნებოდა. შემდეგ ბერენსს მიაშურა. ბერენსი ლაბორატორიაში“ დაუხვდა, ცალ ხელში სიგარა ეჭირა, მეორეში კი უფერული სითხით სავსე სინჯარა.
- ბატონო ჰოფრატო, იცით, რა? - წამოიწყო ჰანს კასტორპმა...
- ჰო, უსიამოვნებებს, ვიცი, ბოლო რომ არ ექნება, - მიუგო პნევმოტომმა, - აი, ეს უტრეჰტიდან ჩამოსული როზენჰაიმი გახლავთ, - თქვა მან და სიგარით სინჯარაზე მიუთითა, - ათი გაფკი აქვს, ჰოდა, მოდის ამას წინ ფაბრიკის დირექტორი შმიცი და ცოფს ყრის, როზენჰაიმმა სასეირნო ბილიკზე გადააფურთხაო, წარმოგიდგენიათ, ათი გაფკის პატრონი ამას რომ იზამს. ცხადია, უნდა შევახურო, მაგრამ თუ შევახურე, არ მოითმენს, ჯერ ერთი, ფიცხი კაცია და, მეორეც, თავის ოჯახიანად სამი ოთახი უკავია. ის რომ აქედან გავაპანღურო, დირექციისგან მომხვდება. აი, ყოველ წუთს რა აღარ გამოგიხტება კაცს, ძალიანაც რომ გინდოდეს შენთვის წყნარად იყო და შენს საქმეს უმწიკვლოდ ემსახურებოდე.
- დიახ, სულელური ამბავია, - ძველი ბინადრისა და ახლობელი კაცის კილოთი თანაუგრძნო ბერენსს ჰანს კასტორპმა, - ვიცნობ ორივეს. შმიცი უაღრესად კორექტული და ფაქიზი კაცია, როზენჰაიმი კი უწესო და დაუდევარი. მაგრამ მათ შეიძლება ჰიგიენურის გარდა კიდევ სხვა შეხების წერტილებიც ჰქონდეთ

ერთმანეთთან. ორივე, შმიციც და როზენჰაიმიც, მეგობრობენ ბარსელონელ დონია პერესთან, აი, მასთან, კლეეფელდის მაგიდასთან რომ ზის, თავიდათავი მიზეზი, ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს. მე გირჩევდით, ეს წესი ერთხელ კიდევ შეგეხსენებინათ ყველასათვის და სხვა დანარჩენზე თვალი დაგეხუჭათ.
- აკი ვხუჭავ კიდეც და ამდენი თვალის დახუჭვისაგან ლამის ნერვიული ტიკი დამემართოს. თქვენ რაღამ მოგიყვანათ ჩემთან? - ჰკითხა ბერენსმა ჰანს კასტორპს და მანაც გადმოულაგა თავისი სამწუხარო და თან ღირსშესანიშნავი ახალი ამბები.
ვერ ვიტყვით, ჰოფრატს მოულოდნელობისგან პირი დაეღოს. ეს არც სხვა შემთხვევაში დაემართებოდა და მით უმეტეს, ამ ამბავზე ხომ არა და არა, რადგან ჰანს კასტორპი, ეკითხებოდნენ თუ არ ეკითხებოდნენ, იოახიმის ამბებს ბერენსს სისტემატურად მაინც ატყობინებდა და ჯერ კიდევ მაისში მოახსენა, იოახიმი ლოგინში წევსო.
- აჰა, - თქვა ბერენსმა, - მაშ, ასე. მე რას გეუბნებოდით? ერთხელ და ორჯერ კი არა, ასჯერ მაინც ხომ მექნება თქვენთვის ნათქვამი? ინებეთ, ბატონო. სამი მეოთხედი წელი ხომ იცხოვრა თავის სამოთხეში, თავის ნებაზე, მაგრამ სამოთხე რომ მთლად არ იყო შხამებისგან გაწმენდილ-გასუფთავებული? იქ ყოფნა სასიკეთოს რომ არაფერს მოუტანდა, იმ მეამბოხეს ბეხრეკი ბერენსისთვის კი უნდა დაეჯერებინა. ბეხრეკ ბერენსს ყოველთვის უნდა დავუჯეროთ, თორემ კისერს მოვიტეხთ და მერე გონსმოსვლა გვიან იქნება. ლეიტენანტის ჩინისთვის მიუღწევია, რა მეთქმის, კარგია, მაგრამ ჩინს რა თავში იხლის? ღმერთი ადამიანის გულში იხედება, ჩინსა და წოდებას ზედ არ უყურებს, მის წინაშე ყველანი დედიშობილა ვდგავართ, გენერალი და უბრალო კაცი მისთვის ერთია...
ჰოფრატი კარგა ხანს მიედ-მოედებოდა,უშველებელი ხელით თვალებს ისრესდა და თან თითებშუა სიგარა ეჭირა, შემდეგ ჰანს კასტორპს უთხრა, ამჯერად მეტს ნუღარ შემაწუხებთ, ციმსენს ოთახს, ცხადია, გამოვუძებნით, ოღონდ ჩამოსვლისთანავე ლოგინში უნდა ჩააწვინოო. რაც შემეხება მე, ბერენსს, მე არავის არაფერს წამოვძახებ, გაქცეულს მამაშვილურად ხელგაშლილი შევეგებები და მის პატივსაცემად მზად ვარ, ხბო დავკლაო.
ჰანს კასტორპმა საპასუხო დეპეშა გაგზავნა. მას მერე გამვლელ-გამოვლელს უყვებოდა, ჩემი ბიძაშვილი ბრუნდებაო. ყველას, ვინც კი იოახიმს იცნობდა, ეს ამბავი კიდეც უხაროდა და კიდეც სწყინდა და ორივე გრძნობა გულწრფელი იყო, რადგან იოახიმის ფაქიზი, რაინდული ბუნება საყოველთაო სიმპათიას იწვევდა. პირდაპირ არავინ ამბობდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ბევრს იოახიმის ბადალი აქ, ზევით, არავინ ეგულებოდა. ხელს პირდაპირ ვერავის დავადებთ, მაგრამ გვჯერა, ზოგ-ზოგს უხაროდა, იოახიმი ჯარისკაცურ ყოფას რომ თმობდა, ცხოვრების ჰორიზონტალურ წესს უბრუნდებოდა და თავის სიფაქიზიანად კვლავ ჩვენიანი უნდა გამხდარიყო. ფრაუ შტორს, ცხადია, მყისვე გაუჩნდა საკუთარი მოსაზრებები. აკი გაუმართლდა ის მდაბალი ეჭვები, იოახიმის ბარში გაქცევამ რომ აუშალა, და ახლა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა, რომ მიხვედრილობით თავი არ მოეწონებინა: ცუდია, ცუდიო, - გაიძახოდა იგი. იმწამსვე მივხვდი, საქმე ცუდად რომ ჰქონდა და ახლა მხოლოდ იმის იმედი მაქვს, იქნებ ციმსენს თავისმა სიჯიუტემ ფეხები არ გააფშეკინოსო („ფეხები გააფშეკინოსო“, ეს სიტყვები თავისმა ვულგარულობამ ათქმევინა). განა არ ჯობია, ჩემსავით მედგრად იდგე, მეც კი მიმიწევს ბარისკენ გული, იქ, კანშტადტში, ქმარი და ორი ბავშვი მყავს მიტოვებული, მაგრამ თავს მაინც ვიკავებო... ჰანს კასტორპს არც იოახიმისგან და არც ფრაუ ციმსენისგან არავითარი პასუხი არ მიუღია, ამიტომ არც მათი ჩამოსვლის დღე იცოდა და აღარც საათი და სადგურზეც, ცხადია, ვერ დახვდებოდა, მაგრამ დეპეშის გაგზავნიდან სამი დღის თავზე ისინი ჩამოვიდნენ და ლეიტენანტი იოახიმი ნერვიული სიცილით მიადგა იმ სარეცელს, სადაც მისი ბიძაშვილი სამსახურებრივ მოვალეობას იხდიდა.
საღამოს წოლის საათი ახალი დაწყებული იყო. დედა-შვილი იმავე მატარებელმა ჩამოიყვანა, რომლითაც ამ რამდენიმე წლის წინ აქ, ზევით, ჩამოვიდა ჰანს კასტორპი. წელიწადის დროც კი დაემთხვა, ზუსტად აგვისტოს პირველი რიცხვები იდგა. ის რამდენიმე წელი არც ხანმოკლე ყოფილა და არც ხანგრძლივი, მას უჟამო ჟამი უფრო ეთქმოდა, უაღრესად მდიდარი მოვლენებით და მაინც ნულისა

და არარაობის ტოლი. იოახიმი, როგორც მოგახსენეთ, მხიარულად, დიახ, იმ წუთში მართლაც სიხარულისგან აღელვებული შევიდა ჰანს კასტორპთან, უფრო სწორად, ოთახიდან აივანზე სწრაფად გამოვიდა და ქოშინ-ქოშინით, ყრუ, ჩახრინწული ხმით მხიარულად მიესალმა ბიძაშვილს. იოახიმმა გრძელი გზა გამოიარა, გადმოლახა მრავალი ქვეყანა, ზღვისოდენა ტბა, შემდეგ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით სულ მაღლა-მაღლა იარა და აი, ახლა ისე იდგა, თითქოს არც არასოდეს წასულიყოს აქედან და ჰორიზონტალური ყოფიდან ნახევრად წამოწეული ნათესავი ჰაი-ჰუით ეგებებოდა. ჰაერზე სამსახურის წყალობით იყო თუ მგზავრობისაგან, იოახიმს სახე უღვიოდა. თავის ოთახში არც კი შესულა, პირდაპირ 34-ე ნომერს მოაშურა, რომ ხელახლა აწმყოდ ქცეული ძველი დღეების ამხანაგს მისალმებოდა, დედამისი კი ამ დროს სამგზავრო ტანსაცმელს იცვლიდა. ათ წუთში ვახშმობას აპირებდნენ, ცხადია, რესტორანში, ჰანს კასტორპი თუ არაფერს შეჭამდა, იქნებ მათთან ერთად ერთი ყლუპი ღვინო მაინც დაელია. იოახიმმა თან გაიყოლია იგი 28-ე ნომერში და იქ გარემოებანი ზუსტად ისე განმეორდა, როგორც ჰანსის ჩამოსვლის საღამოს, ოღონდ, პირიქით: ამჯერად იოახიმი ლაპარაკობდა აღგზნებულად, პრიალა პირსაბანში ხელებს იბანდა, ჰანს კასტორპი კი შესცქეროდა გაოცებული და, ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილიც, ბიძაშვილს სამოქალაქო ტანსაცმელში რომ ხედავდა, კარიერისა არაფერი გეტყობა, მე ფორმაში გამოჭიმულ ოფიცრად წარმომედგინე, შენ კი ჩვეულებრივი კაცივით უბრალო, რუხი ტანსაცმელი გაცვიაო. იოახიმს გაეცინა, რა გულუბრყვილო ხარო. არა, ფორმა შინ დავტოვე, სხვათა შორის, ეგ კი უნდა იცოდე, რომ სამხედრო ფორმა სულ სხვა რამ არის, მისი ჩაცმა ყველგან როდი შეიძლებაო.

- აი, თურმე რა ყოფილა, უღრმესი მადლობა მომიხსენებია, - მიუგო ჰანს კასტორპმა.

ეტყობა, იოახიმს აზრადაც არ მოსვლია მისი წყენინება, თორემ „ბერგჰოფის“ ბინადართა მოკითხვასა და გარემოებათა გამოძიებას არ მოჰყვებოდა, თანაც ქედმაღლურად კი არა, გულთბილად, როგორც შინ დაბრუნებულ კაცს შეეფერებოდა. შემდეგ მეზობელი ოთახიდან ფრაუ ციმსენი გამოვიდა და თავის ნათესავს ისე მიესალმა, როგორც მსგავს გარემოებაში სჩვევია ზოგიერთს, სახეზე ვითომ მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეულისიხარულნარევი გაოცება გამოეხატა, მაგრამ ამ გამომეტყველებას დაღლილობა და, ალბათ, იოახიმის მდგომარეობით გამოწვეული სიმძიმილი მელანქოლიურ შუქში ხვევდა. სამივენი მალე ქვემოთ ჩავიდნენ.

ლუიზე ციმსენს იოახიმივით მშვენიერი, შავი და ნაზი თვალები ჰქონდა, ხოლო შავი ფერისავე, მაგრამ უკვე გაჭაღარავებული თმა თითქმის უჩინარ, სიფრიფანა ბადეში კოხტად აეკრიფა, სადა ვარცხნილობაშვენოდა, თავი დინჯად, ზომიერად შინაურულად, დარბაისლურად ეჭირა და ამის წყალობით არცთუ მაღალი ინტელექტის ქალს სასიამოვნო, ღირსეული იერი ენიჭებოდა. ნათლად ჩანდა და ჰანს კასტორპს არც უკვირდა, ფრაუ ციმსენს რომ ვერ გაეგო და, ცოტა არ იყოს, სწყინდა კიდეც იოახიმის მხიარულება, ეხამუშებოდა მისი გახშირებული სუნთქვა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მეტყველება, საერთოდ აღტყინება, რაც იოახიმს, ეტყობა, არც შინ და არც გზაში არ გამოუმჟღავნებია და, სიმართლე თუ გნებავთ, მის მდგომარეობას არც შეეფერებოდა. ფრაუ ციმსენს აქ ჩამოსვლა უბედურებად მიაჩნდა და ფიქრობდა, თავიც შესაფერისად უნდა დავიჭიროო. იოახიმის გრძნობებს, შინ დაბრუნებით აღძრულ მღელვარებას, რაც ამ წუთში ყველა სხვა გრძნობას ჩრდილავდა და აქაური ჰაერის, ჩვენი შეუდარებლად მჩატე, დაწმენდილი და აღმგზნები ჰაერის ხელახლა ჩასუნთქვის წყალობით კიდევ უფრო გაღვივებულიყო, იგი ვერც გაიგებდა და ვერც ჩასწვდებოდა. „ჩემი საბრალო ბიჭიო“, ფიქრობდა ფრაუ ციმსენი და ამ დროს ხედავდა, მისი საბრალო ბიჭი თავის ბიძაშვილთან ერთად თავაწყვეტილ მხიარულებას რომ მისცემოდა. ორივენი ათას მოგონებას აცოცხლებდნენ, ათას კითხვას უსვამდნენ ერთმანეთს და პასუხის გაგონებაზე სიცილით იხოცებოდნენ. ფრაუ ციმსენმა ბევრჯერ მოუხმო ორივეს ზომიერებისაკენ, ხოლო შვილს რაც ბოლოს უთხრა, ვითომ სიხარულის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხმაში წყენა და საყვედური კი გამოერია:

- იოახიმ, ასეთი მართლა კარგა ხანია აღარ მინახავხარ. თითქოს მაინცდამაინც აქეთ უნდა წამოვსულიყავით, რომ დაწინაურების დღეს რომ ხარობდი, ისე გაგეხარა.
ამის თქმა იყო და, იოახიმის მხიარულებასაც ბოლო მოეღო. გუნება წაუხდა, ჩაფიქრდა, დადუმდა და დესერტისთვის პირი აღარ დაუკარებია, თუმცა დესერტად ზედმიწევნით მადის აღმძვრელი, გათქვეფილი ნაღებით თავმოდგმული შოკოლადის სუფლე მოართვეს (სუფლეს მის მაგივრად ჰანს კასტორპმა მოულხინა, თუმცა უხვი ვახშმის შემდეგ მხოლოდ ერთი საათი იყო გასული). იოახიმს ამის შემდეგ თავი აღარც აუწევია, შესაძლოა იმიტომაც, რომ თვალები ცრემლით აევსო.
ფრაუ ციმსენს ეს როდი უნდოდა, მას მხოლოდ ეუხერხულა ასეთი მხიარულება და სცადა, ცოტა დაედინჯებინა ახალგაზრდები, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, რომ აქაურობას სწორედ შუალედური და ზომიერი საქციელი ეუცხოებოდა და არჩევანიც მხოლოდ ორ უკიდურესობას შორის ხდებოდა ხოლმე. ასე გულმოკლულ შვილს რომ უყურებდა, ატირებას მასაც აღარაფერი უკლდა და ჰანს კასტორპის მიმართ მადლიერებით აღივსო, მან რომ მწუხარე განწყობილების გაფანტვა სცადა. მოკლედ, პაციენტთა შემადგენლობას რაც შეეხება, იოახიმს ზოგი რამ შეცვლილი და განახლებული მოეჩვენება, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი არყოფნის დროს რაღაც-რაღაცები ისევ ძველებურ კალაპოტში ჩადგაო. პაპიდა, მაგალითად, მთელი თავისი ამალით დიდი ხანია აქ არის, მანდილოსნები უწინდებურად შტორის სუფრასთან სხედან და მარუსია ხშირად და გულიანად იცინოსო, თქვა მან.
იოახიმს ხმა არ ამოუღია, ფრაუ ციმსენს კი პირიქით, ამ სიტყვებმა ერთი შეხვედრა და დაბარებული მოკითხვა მოაგონა: ჰო, მართლა, სანამ დამავიწყდებოდეს, მოკითხვა უნდა გადმოგცეთო. აქეთობას ერთი დღით მიუნხენში შევჩერდით და იქ რესტორანში ერთი მარტოხელა, არცთუ უსიმპათიო, თუმცა მეტისმეტად სწორწარბებიანი ქალი ჩვენს მაგიდასთან მოვიდა და იოახიმს მიესალმაო. ყოფილი აქაური პაციენტი... მისი გვარი იქნებ იოახიმმა შემახსენოსო...
- ფრაუ შოშა, - თქვა იოახიმმა წყნარად და დასძინა, იგი ამჟამად ალგოისის ერთ-ერთ კურორტზე ისვენებს, შემდგომაზე ესპანეთში აპირებს წასვლას, ზამთარში კი, ალბათ, ისევ აქ ამოვა, შენთან დიდი მოკითხვა დამაბარაო.
ჰანს კასტორპი პატარა ბიჭი აღარ იყო, მშვენივრად ფლობდა იმ სისხლძარღვებს, მისი სახის გაფითრება ან გაწითლება რომ შეეძლოთ, და იოახიმს მშვიდად მიუგო:
- აჰ, ის იყო? დახე, ისევ გამოუღწევია კავკასიიდან. რაო, რა თქვი, ესპანეთში წასვლას აპირებსო?
დიახ, ქალბატონმა პირენეების ერთ-ერთი ქალაქი დაასახელაო, მიუგო ფრაუ ციმსენმა და განაგრძო:
- კოხტა, უფრო სწორად, მომხიბლავი ქალია. სასიამოვნო ხმა აქვს, სასიამოვნო მიხრა-მოხრა, ოღონდ მანერები მეჩვენა თამამი და დაუდევარი. ისე უბრალოდ გამოგველაპარაკა, თითქოს ძველი მეგობრები ვყოფილიყოთ, ჩვენი ამბებიც გამოგვკითხა და თავისიც გვიამბო. ძალიან გამიკვირდა, მით უმეტეს, როცა გავიგე, რომ იოახიმი ამ ქალს წესიერად არც იცნობს თურმე.
ასეთი სითამამე აღმოსავლეთისა და ავადმყოფობის ბრალია და ამ საქმეს ჰუმანისტური ზნეობის მასშტაბით რომ მივუდგეთ, არაფერი გამოგვივაო, მიუგო ჰანს კასტორპმა და განაგრძო: მაშ, ფრაუ შოშა ესპანეთში აპირებს წასვლას? ჰმ, ესპანეთი, ესპანეთიც ძალიან შორს დგას ჰუმანისტური ზომიერებისაგან, ოღონდ სიმკაცრისკენ უფრო იხრება, ვიდრე ლმობიერებისაკენ. იქ არამცთუ უფორმობა, არამედ ზეფორმა, ასე ვთქვათ, სიკვდილის სახით გამოვლენილი ფორმა ბატონობს. ეს არის არა სიკვდილში განზავება, არამედ სიკვდილის სისასტიკე, შავი, კეთილშობილური და სისხლიანი, ეს არის ინკვიზიცია, გახამებული ბრიჟი, ლოიოლა, ესკორიალი...(ესკორიალი - სასახლე, ეკლესია და მონასტერი მადრიდის პროვინციაში, ფელიპე II-ის აგებული, მოიცავს აგრეთვე უნივერსიტეტს,ძვირფას ბიბლიოთეკას, სემინარიას, სურათების გალერეას, მუზეუმს, ჰოსპიტალსა და ესპანელი მეფეების აკლდამას; შენობა რენესანსის სტილითაა აგებული.)

საინტერესოა, მოეწონება თუ არა ფრაუ შოშას ესპანეთი. კარის მოჯახუნების ხალისი რომ დაეკარგება, ცხადია, მაგრამ იქნებ ორი ანტიჰუმანისტური ბანაკის შეჯახებას ადამიანურობის კომპენსაცია მოჰყვეს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რაკი აღმოსავლეთი ესპანეთისკენ დაძრულა, შედეგად რაღაც მართლა ბოროტეულ-ტერორისტულიც მივიღოთო...
დიახ, იგი არც გაწითლებულა და არც გაფითრებულა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფრაუ შოშაზე მოულოდნელად მიღებული ცნობებისაგან მოგვრილი მღელვარება ენამჭევრობაზე დაეტყო, რასაც საპასუხოდ, ცხადია, თავშეკავებული დუმილი უნდა მოჰყოლოდა. იოახიმი მაინცდამაინც არ შეცბუნებულა, დიდი ხანია იცოდა, მისი ბიძაშვილი აქ, ზევით, ტვინის ჭყლეტას რომ მისჩვეოდა. სამაგიეროდ, ფრაუ ციმსენს თვალებში ისეთი შეშფოთება გამოეხატა, თითქოს ჰანს კასტორპს უწმაწური ლაპარაკი წამოეწყოს. ფრაუ ციმსენი შეიშმუშნა და ხანმოკლე, უხერხული პაუზის შემდეგ სუფრიდან წამოდგა კიდეც. სანამ ერთმანეთს დასცილდებოდნენ, ჰანს კასტორპმა იოახიმს ჰოფრატის ბრძანება გადასცა, ლოგინიდან არ წამოდგე, ყოველ შემთხვევაში, ხვალინდელ გასინჯვამდე მაინც, ჰოფრატს ლოგინში დახვდიო. დანარჩენს დრო გვიჩვენებსო. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ სამივენი უკვე თავ-თავიანთ ოთახებში იწვნენ, ღია კარში მაღალმთიანეთის ზაფხულის ღამის სიგრილე შემოდიოდა და ყოველი მათგანი თავის ფიქრებს მიჰყვებოდა. ჰანს კასტორპის ფიქრები უპირატესად ნახევარ წელიწადში ფრაუ შოშას მოსალოდნელ დაბრუნებას დასტრიალებდა.
ასე და ამგვარად, იოახიმი ექიმების რჩევისამებრ, ხანმოკლე დამატებითი მკურნალობის ჩასატარებლად კვლავ სამშობლოში დასახლდა. ხანმოკლე დამატებითი მკურნალობა, ეტყობა, ბარში გაცემული პაროლი გახლდათ და იგი აქ, ზევითაც არ გაუუქმებიათ. ეს გამოთქმა ჰოფრატმა ბერენსმაც კი მიიღო, თუმცა იოახიმს მაშინვე ოთხკვირიანი წოლითი რეჟიმი მიუსაჯა, ეს დრო ყველაზე უხეში ზიანის გამოსასწორებლად, ახლა აკლიმატიზაციისთვისა და სითბური ბალანსის მოსაწესრიგებლად გვჭირდებაო. დამატებითი მკურნალობის ვადის განსაზღვრისაგან ჰოფრატმა თავი დაიძვრინა. ფრაუ ციმსენი გონიერი, წინდახედული ქალი იყო, სანგვინიკოსი ხომ ნამდვილად არ ეთქმოდა. ჰოდა, მან ჰოფრატი იოახიმის საწოლისგან მოშორებით დაიმარტოხელა, წასვლის ვადად, თავის მხრივ, შემოდგომა, ვთქვათ, ოქტომბერი შესთავაზა და ბერენსი თითქოს დაეთანხმა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც წამოსცდა, მაგ დროისათვის მდგომარეობა ახლანდელზე გაცილებით ნათელი იქნებაო. საერთოდ, ფრაუ ციმსენს ჰოფრატი ძალიან მოეწონა. იგი ქალს რაინდულად ექცეოდა, „მოწყალეო ქალბატონოო“, მიმართავდა, თავისი ჩასისხლიანებული, აცრემლებული თვალებით ვაჟკაცურად, ერთგულად უსწორებდა მზერას და სტუდენტური ჟარგონით ისე ელაპარაკებოდა, რომ დადარდიანებულ ქალს სიცილიც კი მოჰგვარა. იოახიმს სანდო კაცის ხელში ვტოვებო, თქვა ფრაუ ციმსენმა და რვა დღის შემდეგ ჰამბურგს გაემგზავრა - იოახიმს განსაკუთრებული მოვლა ნამდვილად არ სჭირდებოდა და თან ახლო ნათესავიც გვერდით ჰყავდა.
- გიხაროდეს, შემოდგომაზე წახვალ, - ეუბნებოდა იოახიმს ჰანს კასტორპი, როცა 28-ე ოთახში ბიძაშვილს სასთუმალთან უჯდა ხოლმე, - მოხუცმა, ასე თუ ისე, შეიბორკა თავი და შეგიძლია გეგმები მისი დაპირებისამებრ ააგო. წასვლა ოქტომბერში გიწევს. ზოგი ამ დროს ესპანეთში მიემგზავრება, შენ კი შენს bandera -ს დაუბრუნდები და სამსახურში კიდევ უფრო დაწინაურდები...
ამიერიდან ჰანს კასტორპის ყოველდღიურ საზრუნავს იოახიმის ნუგეშისცემა შეადგენდა, იოახიმი ხომ აქ, ზევით, ყოფნის გამო აგვისტოში დაგეგმილ დიდ მანევრებს აცდენდა და ყველაზე მწვავედ ამ ამბავს განიცდიდა, ლამის საკუთარი თავი შეზიზღებოდა ამ წყეული სისუსტის გამო, უკანასკნელ წუთს რომ მორეოდა.
- Rebellio carnis
(ხორცის ამბოხი (ლათ.).) , - ეუბნებოდა ჰანს კასტორპი, - რას იზამ, თავზევით ძალა არაა. აქ უმამაცესი ოფიცერიც კი ვერას გახდება, ასეთი მარცხი თვით წმინდა ანტონიუსსაც(წმინდა ანტონიუსი - ანუ ანტონიუს დიდი, უძველესი ცნობილი მეუდაბნოე; დაიბადა დაახლოებით 250 წელს (კემაენში, შუა ეგვიპტეში), გარდაიცვალა 356 წელს. 20 წლისამ უდაბნოში დაიდო ბინადა დააარსა ქრისტიანი განდეგილების თემები ეგვიპტეში. ითვლება ქრისტიანული ბერობის

ფუძემდებლად, უწოდებენ ბერობის პატრიარქს“.)
კი უწვნევია. მადლობა ღმერთს, მანევრები ყოველ წელიწადს ეწყობა, და ესეც არ იყოს, აქაური დროის ამბავი არ იცი? აქაურ დროს ხომ დრო ვერ ეთქმის, განა რა დიდი ხნის წასული შენა ხარ, რომ აქაურ ტემპში იოლად არ ჩაერთო, მიიხედ-მოიხედავ და შენი ხანმოკლე, დამატებითი მკურნალობა ჩავლილი იქნება.
და მაინც, იოახიმს ბარში ცხოვრებისგან იმდენად გამოცოცხლებოდა დროის შეგრძნება, რომ ეს ოთხი კვირა, საეჭვოა, მისთვის იოლი ასატანი ყოფილიყო. სამაგიეროდ, ამ ოთხი კვირის გადაგორებაში ბევრი ეხმარებოდა. თავისი უხინჯო ბუნებით რომ საყოველთაო სიმპათია ჰქონდა მოპოვებული, ეს შინაურთა თუ გარეულთა გაუთავებელი სტუმრობით დადასტურდა: მოვიდა სეტემბრინი, თანაგრძნობით აღსავსე, მოხდენილი, იგი იოახიმს ლეიტენანტობით“ უწინ მიმართავდა და ახლა კაპიტანოს“ ეძახდა; ნაფტამაც ინახულა, აქაური ძველი ნაცნობებიც ესტუმრნენ. ისინი სამკურნალო საათს თხუთმეტიოდე წუთს ჰპარავდნენ, რომ მის სასთუმალთან ჩამომსხდარიყვნენ, საუბარშიხანმოკლე დამატებითი მკურნალობა ეხსენებინათ და მისგანაც მოესმინათ სამხედრო ცხოვრების ამბები. ესენი იყვნენ: ქალბატონები შტორი, ლევი, ილტისი და კლეეფელდი, ბატონები ფერგე, ვეეზალი და სხვები. ზოგს ყვავილებიც კი მოჰქონდა. ოთხი კვირის თავზე იოახიმი წამოდგა, სიცხემ იმდენად დაუწია, რომ ფეხზე სიარული შეეძლო და სასადილო დარბაზში სუფრას თავის ბიძაშვილსა და ფრაუ მაგნუსს შორის, ლუდის მხარშავის, ბატონი მაგნუსის პირისპირ მიუჯდა, სწორედ სუფრის კუთხესთან, სადაც თავის დროზე ძია ჯეიმსი, ხოლო რამდენიმე დღით ფრაუ ციმსენიც მჯდარიყო.
და აი, უწინდებურად, კვლავ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ახალგაზრდები. მალე ძველებური ცხოვრების სურათი სრულყოფილად აღდგა. მისის მაკდონალდმა თავისი ბიჭუნას სურათით ხელში დალია სული და იოახიმი კვლავ თავის ძველ ოთახში, ჰანს კასტორპის მეზობლად დაბინავდა, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ოთახში H2CO-
ს დახმარებით საფუძვლიანად გაკეთდა დეზინფექცია. ორივეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა და, სიმართლე თუ გნებავთ, არც ცდებოდნენ, რომ იოახიმი ცხოვრობდა ჰანს კასტორპის გვერდით და არა პირიქით. ამჯერად ეს უკანასკნელი იყო აქაური მკვიდრი, მეორე კი მისი ყოფიერების ფორმას ხანმოკლე დროით, სტუმარივით იზიარებდა. იოახიმი ხომ თავგამოდებით ცდილობდა ოქტომბრისთვის მონიშნული ვადა მუდამ თვალწინ ჰქონოდა, თუმცა მისი ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთი წერტილი ჰუმანისტური ქცევის ნორმებს ეურჩებოდა და მისი კანის სითბოს კომპენსაციურ ხარჯვას უშლიდა ხელს.
განახლდა აგრეთვე მათი სტუმრობა სეტემბრინისა და ნაფტასთან და გასეირნებაც ამ ორ მტერ-მოყვარესთან ერთად, ხოლო როცა მათ არცთუ იშვიათად ა. კ. ფერგე და ფერდინანდ ვეეზალიც შეუერთდებოდნენ, ისინი ექვსნი ხდებოდნენ, და სულიერი მეტოქეები თავის გაუთავებელ დუელებს ყველას თანდასწრებით მართავდნენ ხოლმე. ამ ორთაბრძოლების სრულყოფილად გადმოცემას, ბევრიც რომ ვეცადოთ, მაინც ვერ შევძლებთ, ჩვენც ისევე უიმედოდ ჩავიკარგებით უსასრულობაში, როგორც ეს უკანასკნელნი ამას ყოველდღე სჩადიოდნენ ასეთი წარჩინებული საზოგადოების წინაშე, თუმცა ჰანს კასტორპი მშვენივრად ხვდებოდა, მათი დიალექტიკური ორთაბრძოლის მთავარ მიზანს მისი საბრალო სულის დაუფლება რომ შეადგენდა. მან ნაფტასგან შეიტყო, სეტემბრინი მასონიაო და ამ ფაქტმა არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ვიდრე ადრე იტალიელისგან გამხელილმა საიდუმლომ, ნაფტა იეზუიტია და იეზუიტთა ორდენი არჩენსო. ჰანს კასტორპი სახტად დარჩა, ნუთუ ასეთი რამ კიდევ არსებობსო და ტერორისტს ბეჯითად გამოჰკითხა ამ უცნაური დაწესებულების წარმოშობისა და არსის ამბავი, რომელიც რამდენიმე წელიწადში დაარსებიდან ორასი წლის იუბილეს იზეიმებდა. თუკი სეტემბრინი ნაფტას სულიერ არსზე მის ზურგს უკან პათეტიკური ტონით ლაპარაკობდა და ჰანს კასტორპს აფრთხილებდა, ამ ეშმაკთან წილნაყარ კაცს ერიდეო, ნაფტა, ასევე ზურგს უკან, სეტემბრინის სამოღვაწეო სფეროს ისე მოურიდებლად ამასხარავებდა, რომ მსმენელს აგრძნობინებდა, ეს სფერო ერთი დრომოჭმული და ჩამორჩენილი რამ არისო; ეს გახლდათ თურმე ბურჟუაზიული

განმანათლებლობა და გუშინწინდელი თავისუფალი მოაზროვნეობა, რომელიც საცოდავ აჩრდილად ქცეულა და სასაცილოდ იტყუებს თავს, ვითომ ჯერ კიდევ რევოლუციური სული გვიდგასო. ნაფტამ დასძინა.
- აბა, რა გეგონათ, ჯერ კიდევ ბაბუამისი იყო კარბონარი, რაც გერმანულად მენახშირეს ნიშნავს, და მისგან მოსდგამს მენახშირის რწმენაც საზრისზე, თავისუფლებასა და კაცობრიობის პროგრესზეც და მთელი ეს ჩრჩილნაჭამი, სათნოების მოქადაგე კლასიკური ბურჟუაზიული იდეოლოგიაც... იცით, ქვეყნიერებას რა უბნევს თავგზას? ის შეუსაბამობა, რაც სულის აღმაფრენასა და მატერიის უსაშველო უილაჯობას, მოუქნელობასა და დახავსებულ ინერტულობას შორის სუფევს. უნდა ვაღიაროთ, რომ მარტო ესშეუსაბამობა იკმარებდა სინამდვილით გონის სრული დაუინტერესებლობის გასამართლებლად, რადგან ჩვეულებრივ, სინამდვილის რევოლუციებს რომ იწვევს, ის ფერმენტები ადამიანის გონს დიდი ხნის მოყირჭებული აქვს. განა მკვდარი გონი უფრო მკაფიოდ არ განსხვავდება ცოცხლისაგან, ვიდრე რაღაც ბაზალტები, რომლებიც ყოველ შემთხვევაში პრეტენზიას მაინც არ წამოგიყენებენ, გონი და სიცოცხლე ვართო? ასეთი ბაზალტები, ანუ ოდინდელი სინამდვილის ნაშთები, გონმა ისე შორს მოიტოვა უკან, რომ სინამდვილის ცნებას მათ საერთოდ აღარ უკავშირებს, ისინი განაგრძობენ დახავსებულ სიცოცხლეს და თავიანთი ჩლუნგი და მკვდარი არსებობით ამაზრზენად ცდილობენ, უხამსობას თავისივე უხამსობა არ შეაგნებინონ. მე ზოგადად ვლაპარაკობ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ კონკრეტულად მიუსადაგოთ ეს აზრი ჰუმანისტურ თავისუფალ აზროვნებას, რომელსაც ჰგონია, ჯერ კიდევ ჰეროიკულ ოპოზიციაში ვუდგავარ სახელმწიფოსა და ხელისუფლებასო. ახლა იმ კატასტროფებს აღარ იკითხავთ, რომელთა მეშვეობითაც იგი თავისი სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცებას ლამობს და ნაგვიანევ და სახეირო ტრიუმფებს იმ იმედით ამზადებს, ვინძლო ერთ მშვენიერ დღეს გამარჯვება ვიზეიმოთო! ამაზე უბრალო ფიქრიც კი მომაკვდინებელ სევდას მოჰგვრიდა ცოცხალ გონს, რომ არ იცოდეს, სინამდვილეში ასეთი კატასტროფებიდან მხოლოდ თვითონ რომ გამოვა გამარჯვებული და მოგებული, დიახ, იგი, ვინც ძველისა და მომავლის ელემენტებს თავის თავში შეადუღაბებს და ჭეშმარიტ რევოლუციად აქცევს... ჰო, მართლა, როგორ არის თქვენი ბიძაშვილი, ჰანს კასტორპ?ხომ იცით, როგორ მესიმპათიურება იგი.
- გმადლობთ, ბატონო ნაფტა. იგი მართლა ყველას ესიმპათიურება და ნამდვილად კარგი ყმაწვილიც არის, ბატონ სეტემბრინისაც მოსწონს, თუმცა იოახიმის კასტისთვის დამახასიათებელი რომანტიკული ტერორიზმი, რა თქმა უნდა, გულზე არ ეხატება. მაშ, იგი ლოჟის წევრია? ერთი უყურეთ! გულახდილად უნდა გითხრათ, ამ ამბავმა ამაფორიაქა, ახლებურად დამანახვა მისი პიროვნება და ზოგ რამეზე თვალიც ამიხილა. ნუთუ ისიც ფეხებს მართი კუთხით დგამს
(„ნუთუ ისიც ფეხებს მართი კუთხით დგამს...“ - ფრანკ-მასონებს თავისებური მოძრაობები და გარეგნული ნიშნები აქვთ, რითაც ერთმანეთს ცნობენ ხოლმე, სადაც უნდა მოხვდნენ.) და ხელის ჩამორთმევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს? ასეთი რამ ნამდვილად არასოდეს შემიმჩნევია...
- ასეთი ბავშვობანა ჩვენს ფრანკ-მასონს უკვე გამოვლილი აქვს,
(„ასეთი ბავშვობანა ჩვენს ფრანკ-მასონს უკვე გამოვლილი აქვს...“ - იგულისხმება ფრანკ-მასონთა ლოჟაში მიღების ხანგრძლივი, გასაიდუმლოებული რიტუალი და ცერემონიალი, რაც დაწვრილებითაა აღწერილი ლევ ტოლსტოის რომანში ომი და მშვიდობა“ (პიერ ბეზუხოვის მიღება თავისუფალი კალატოზების“ ორგანიზაციაში).) - მიუგო ნაფტამ, - ჩემი აზრით, ლოჟის ცერემონიალი ეპოქის ფხიზელ, ბურჟუაზიულ სულისკვეთებას საკმაოდ უბადრუკად, მაგრამ მაინც ეხამება. ძველი რიტუალი თავისი ფოკუს-მოკუსებით, ალბათ, თვითონაც ესირცხვილებათ და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ათეისტურ რესპუბლიკანიზმს ოღონდაც რომ არ შეჰფერის მისტერიის სამოსელში გამოწყობა. არ ვიცი, ბატონი სეტემბრინის გამძლეობა რა დასაშინებელი ხერხებით გამოცადეს, ტალანებში ატარეს თუ არა თვალახვეული, ჩაბნელებულ თაღებქვეშ ალოდინეს თუ არა, სანამ მის წინაშე გაჩირაღდნებული დარბაზის კარი გაიღებოდა, იქნებ შიშველ მკერდზე ხმლებმიბჯენილი, მკვდრის თავის ქალისა და სამი ანთებული სანთლის წინაშე კატეხიზმოშიც საზეიმოდ გამოცადეს.

თვითონ მას უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ვშიშობ, ენამრავლობას არ გამოიჩენს. ეს ცერემონიალი ამაზე გაცილებით საღად და მარტივადაც რომ ჩატარებულიყო, სულერთია, დუმილის აღთქმას მაინც დაადებინებდნენ.
- მაშ, დუმილის აღთქმას მაინც დაადებინებდნენ, არა?
- რა თქმა უნდა, დუმილისაც და მორჩილებისასაც.
- აჰა, მორჩილების აღთქმასაც. მისმინეთ, პროფესორო, ახლა მეჩვენება, რომ სეტემბრინის არავითარი საბაბი არ ჰქონია, გაცხარებულიყო ჩემი ბიძაშვილის კასტის რომანტიკულობასა და ტერორიზმზე. დუმილი და მორჩილება! ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სეტემბრინისთანა თავისუფლად მოაზროვნე კაცი წმინდა ესპანურ პირობითობასა და აღთქმას დაემორჩილებოდა. ვგრძნობ, მასონობაში მილიტარისტულ-იეზუიტური რაღაც უნდა ერიოს...
- სწორად გიგრძნიათ, - მიუგო ნაფტამ, - თქვენი ჯადოსნური კვერთხი ტოკავს და კაკუნის ხმას გამოსცემს. ამ კავშირის იდეა განუყრელად, თავისი ფესვებითაა დაკავშირებული აუცილებლობის იდეასთან და აქედან გამომდინარე, იგი ტერორისტული ანუ ანტილიბერალური გახლავთ. იგი სინდისის ტვირთისგან ათავისუფლებს ინდივიდს და აბსოლუტური მიზნის სახელით აკურთხებს ყოველგვარ, თუნდაც სისხლიან ხერხსა და საშუალებას და დანაშაულსაც. არსებობს ვერსია, საძმო კავშირი ოდესღაც მასონთა ლოჟაშიც სიმბოლურად სისხლით დასტურდებოდაო. კავშირი, საერთოდ, არც ხილულია და არც ხელშესახები, იგი თავისი არსით ყოველთვის აბსოლუტური გონის მაორგანიზებელი ძალის შედეგი გახლავთ. იცით თუ არა,ილუმინატების ორდენის დამაარსებელი, იმ ორდენისა, რომელიც ერთხანს თითქმის ერწყმოდა მასონობას, იესოს საზოგადოების ყოფილი წევრი რომ იყო?
- არა, ეგ ნამდვილად პირველად მესმის.
- ადამ ვაისჰაუპტმა თავისი ჰუმანიტარული საიდუმლო კავშირი ზუსტად იეზუიტთა ორდენის მიხედვით ჩამოაყალიბა. იგი თვითონ მასონი გახლდათ, ხოლო ლოჟის იმდროინდელი ყველაზე პატივსაცემი წევრები ილუმინატები იყვნენ. მე მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარზე მოგახსენებთ, რომელსაც სეტემბრინი უყოყმანოდ მონათლავს თავისი გილდიის დაკნინების ხანად, სინამდვილეში კი ეს იყო მისი, და საერთოდ, ყველა საიდუმლო საზოგადოების აყვავების ხანა. იმ დროს მასონობამ მართლაც თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია, მაგრამ შემდეგ იგი ჩვენი კაცთმოყვარე მეგობრის მსგავსმა ხალხმა ჩამოაქვეითა. დიახ, მასაც ხსენებულ ეპოქაში რომ ემოღვაწა, უეჭველად იმათ აუბამდა მხარს, ვინც მასონობას იეზუიტობასა და ობსკურანტიზმს უკიჟინებდა.
- არსებობდა კი საამისო საფუძველი?
- არც უმაგისობა გახლდათ. ტრივიალურ თავისუფალ მოაზროვნეობას ჰქონდა საამისო საფუძველი. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი მამა-პაპანი ცდილობდნენ კავშირისთვის კათოლიკურ-იერარქიული სული შთაებერათ, ხოლო კლერმონის ახლოს, საფრანგეთში, თავისუფალ კალატოზთა, ანუ მასონთა იეზუიტური ლოჟა ყვაოდა. ამავე ხანაში შეიჭრა მასონთა ლოჟაში როზენკროიცერობა,
(როზენკროიცერობა - XVII-XVIII საუკუნეებში საიდუმლო საზოგადოება, ორდენი; როზენკროიცერების ემბლემა იყო ვარდი და ჯვარი.) საკმაოდ უცნაური საძმო, აღსანიშნავია, რომ იგი ადამიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოსწორებისა და გაკეთილშობილების წმინდა რაციონალურ მიზნებს თავისებურად აღმოსავლეთის საიდუმლო მეცნიერებებს, ინდურ და არაბულ სიბრძნესა და ბუნების მაგიურ შეცნობას უკავშირებდა. იმ დროს გატარდა მრავალი რეფორმა და მასონური ლოჟა უმკაცრესი ობსერვაციის
(დაკვირვების (ლათ.).) ნიშნით, ზედმიწევნით ირაციონალური, იდუმალებით აღსავსე, მაგიურ-ალქიმისტური ნიშნით გარდაიქმნა და, სხვათა შორის, მასონობის შოტლანდიური იერარქია თავის არსებობას სწორედ ამ გარდაქმნებს უნდა უმადლოდეს. ეს გახლდათ ორდენის სარაინდო ხარისხი, რომელიცთავიდანვე სამხედრო ყაიდაზე შექმნილ შეგირდის, ამქრისა და ოსტატის ძველ იერარქიულ კიბეს დაემატა. ერთი სიტყვით, გაჩნდა დიდოსტატის რამდენიმე წოდება, ქურუმობამდე რომ მაღლდებოდა და როზენკროიცერული საიდუმლო ცოდნით იყო აღჭურვილი. ეს გახლდათ მიბრუნება შუა საუკუნეების სასულიერო რაინდული ორდენებისკენ, განსაკუთრებით კი ტემპლიერებისაკენ,

რომლებიც, მოგეხსენებათ, იერუსალიმის პატრიარქის წინაშე სიღატაკის, უბიწოებისა და მორჩილების აღთქმას დებდნენ. დღესაც კი მასონთა უმაღლესი წოდება იერუსალიმის დიდი მთავარი“ გახლავთ.
- ეს ყველაფერი პირველად მესმის, ბატონო ნაფტა. ჩვენს სეტემბრინის ნელ-ნელა მივუხვდი ეშმაკობას... „იერუსალიმის დიდი მთავრის“ წოდება ურიგო როდია. ერთხელ ხუმრობით ასე უნდა მიმართოთ, თვითონ არ იყო, ახლახან მეტსახელად doctor angelicus
“(ანგელიკური დოქტორი (ლათ.). ანგელოზების დოქტორი. თომა აკვინელს გარდაცვალების შემდეგ მიანიჭეს ეს ტიტული.)
რომ გიწოდათ? შური ხომ უნდა იძიოთ?
- ო, არსებობს კიდევ მსგავსი მნიშვნელოვანი წოდებების მთელი არსენალი მკაცრი ობსერვაციის უმაღლესი და ტემპლიერული ხარისხებისა. გვაქვს, მაგალითად, სრულქმნილი ოსტატის, აღმოსავლეთის რაინდის, დიდი მღვდელმთავრის ტიტულები, ხოლო ოცდამეთერთმეტე ხარისხი ასეც კი იწოდება: „მეფურ საიდუმლოებათა უზენაესი მთავარი“. ხომ ხედავთ, ყველა ეს სახელწოდება აღმოსავლურ მისტიკაზე(მისტიკა (ბერძნ. „მიუსტიკოს“ - იდუმალი, საიდუმლო, განდობილთათვის წმინდა) - მოძღვრება, რომლის მიხედვით, ღმერთი უშუალო ჭვრეტით, მის არსებაში ჩაძირვითა და შინაგანი ხილვით უნდა იქნეს აღქმული. ღმერთის შემეცნების გზა გადის სიყვარულზე, „გამონათებაზე“ და არა ცოდნაზე („ღმერთი იმდენად ხდება მისაწვდომი, რამდენადაც გიყვარს იგი“).)
რომ მიგვანიშნებს. თუნდაც მეტაძრეთა ხელახალი აღზევება გვიდასტურებს ამგვარი მიმართულებების არსებობას, ეს მართლაც ნიშნავს საზოგადოების სრულქმნისათვის საჭირო გონივრულ იდეათა სამყაროში დუღილის ირაციონალური ფერმენტის შეტანას. მასონობამ ამის წყალობით მოიპოვა ახალი ხიბლი და ბრწყინვალება და ამით აიხსნება, იმ დროს მასონთა ლოჟა მიმდევართა მოზღვავებას რომ განიცდიდა. მან საზოგადოების ისეთი ელემენტები მიიზიდა, რომელთაც მობეზრებული ჰქონდათ იმ საუკუნის ტვინის ჭყლეტა, მისი ჰუმანისტური განმანათლებლობა და კეთილგონიერება და უფრო მაგარი სასიცოცხლო სასმელი სწყუროდათ. ორდენმა ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ ფილისტერები ჩიოდნენ, იგი მამაკაცებს ოჯახური ბედნიერების სურვილს უკარგავს, ხოლო დედაკაცებს ღირსების გრძნობას უჩლუნგებსო.
- აი, ახლა კი გასაგებია, პროფესორო, ბატონ სეტემბრინის რატომაც არ სიამოვნებს თავისი ორდენის აყვავების ხანის გახსენება.
- აბა, რა სასიამოვნოა იმ დროის გახსენება, როცა მთელი ის ანტიპათია, რასაც თავისუფალი მოაზროვნეობა, ათეიზმი, ენციკლოპედიური აზროვნება, ჩვეულებრივ, ეკლესიის, კათოლიციზმის, ბერმონაზვნობის, შუა საუკუნეების მთელი კომპლექსის მიმართ იჩენდა, მთლიანად მისი კავშირისკენ რომ შემობრუნდა. გაგონილი გექნებათ, მასონებს ობსკურანტობას რომ უყიჟინებდნენ...
- მერედა, რატომ? ამ ამბავში უფრო ნათლად სიამოვნებით გავერკვეოდი.
- სწორედ ეგ მინდა გითხრათ. მკაცრი ობსერვაცია ორდენის ტრადიციების გაღრმავებისა და გაფართოების ტოლფარდი გახლდათ, იგი მის ისტორიულ ფესვებთან მიბრუნებას, იდუმალების სამყაროში, ეგრეთ წოდებულ შუა საუკუნეების წყვდიადში ჩაძირვას ნიშნავდა. ლოჟის დიდოსტატები physica mistica
-ს
(მისტიკური ფიზიკა (ბერძნ.).) იყვნენ ნაზიარები, ბუნების მაგიურ ცოდნას ფლობდნენ და რაც მთავარია, დიდი ალქიმიკოსებიც გახლდნენ.
- მე ახლა მთელი ჭკუა-გონება უნდა მოვიკრიბო, რომ მივხვდე, მიახლოებით მაინც რას წარმოადგენდა ეს ალქიმია. ალქიმია ხომ ოქროს კეთება, ფილოსოფიური ქვისა და aurum potabile
-ს
(ოქროს სასმელი, სიცოცხლის ელექსირი (ლათ.).) ძიებაა...
- პოპულარული ენით კი, მაგრამ საკითხს ცოტა უფრო მეცნიერულად თუ მივუდგებით, მაშინ ალქიმია მატერიის განწმენდას, გარდაქმნასა და გაკეთილშობილებას ნიშნავს, ეს არის ტრანსსუბსტანცია, ოღონდ იგი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას, ასე ვთქვათ, ამაღლებას გულისხმობს, - lapis

philosophorum
,(ფილოსოფიური ქვა (ლათ.).)
გოგირდისა და ვერცხლისწყლის დედაკაცურ-მამაკაცური პროდუქტი, res bina
,(ორსახოვანი საგანი (ლათ.).)
ორსქესიანი prima materia
(პირველქმნილი მატერია (ლათ.).) სხვა არა იყო რა, თუ არა ამაღლების პრინციპი, ძალდატანებით გამოყვანა-გამოზრდის პრინციპი, ანუ თუ გნებავთ, მაგიური პედაგოგიკა.
ჰანს კასტორპი დუმდა, თვალები მოეჭუტა და მაღლა ალმაცერად იყურებოდა.
- ალქიმისტური ტრანსმუტაციის სიმბოლო, - განაგრძო ნაფტამ, - უპირველეს ყოვლისა, აკლდამა გახლდათ.
- სამარე?
- დიახ, გახრწნის ადგილი. იგია ყოველგვარი ჰერმეტიკის გამოხატულება, მხოლოდ და მხოლოდ საიმედოდ დაცული კრისტალური რეტორტაა, სადაც მატერიას აიძულებენ, უკანასკნელად განიწმინდოს და გარდაიქმნას.
- „ჰერმეტიკაო“, კარგად ბრძანეთ, ბატონო ნაფტა. ყოველთვის მომწონდა სიტყვა „ჰერმეტული“, ჭეშმარიტად ჯადოსნური სიტყვაა და გაურკვეველი, განფენილი ასოციაციებიც ახლავს თან. მომიტევეთ, მაგრამ მის ხსენებაზე ჩვენი საოჯახო მინის ქილები მაგონდება, ჩვენს ჰამბურგელ დიასახლისს, შალეენს - მას არც ფრაუს ვუწოდებთ და არც ფროილაინს, უბრალოდ, შალეენს ვეძახით - საკუჭნაოში, თაროებზე რომ აქვს ჩამომწკრივებული, ჰერმეტულად დახურულ მინის ქილებში ხილი, ხორცი და რა ვიცი, კიდევ რაღა არ არის ჩადებული. დგას ეს ქილები წლების მანძილზე და რომ გახსნი, შიგთავსი ახალი და ხელუხლებელი დაგიხვდება, წლებს ვერაფერი დაუკლია მათთვის, შეგიძლია, გახსნა და მიირთვა, როცა დაგჭირდება. ეს ხომ არც ალქიმიაა და არც განწმენდა, ეს არის მხოლოდ შენახვა და აქედან მოდის მისი სახელიც - კონსერვი. ოღონდ ჯადოქრობა ისაა, რომ ქილის შიგთავსი დროს განარიდეს, მისგან ჰერმეტულად გამოაცალკევეს და ჩაკეტეს, დრომ მას გვერდით ჩაუარა, ამიტომაც დრო აღარ გააჩნდა და დრო-ჟამის მიღმა იდგა თავის თაროზე. ხომ ხედავთ, მინის ქილებზე რამდენი ვილაპარაკე და სათქმელს კი თავი ვეღარ მოვაბი. Pardon
, მგონი, თქვენ კიდევ რაღაც გინდოდათ ჩემთვის გესწავლებინათ.
- თუ თქვენი სურვილიც იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში. შეგირდი, ჩვენი თემის სტილს თუ არ გადაუხვევთ, ცოდნას დახარბებული და უშიშარი უნდა იყოს. აკლდამა, სამარე ყოველთვის ითვლებოდა ორდენის წევრად კურთხევის მთავარ სიმბოლოდ. შეგირდი, ცოდნასთან მისასვლელი გზის მაძიებელი უმწიფარი კაცი არავითარი საფრთხის წინაშე არ უნდა შედრკეს, ორდენის წესი და ადათი მოითხოვს, იგი მიწისქვეშეთში ჩავიდეს და იქ ხანი დაჰყოს, შემდეგ კი უცნობი ძმის ხელი ამოიყვანს იქიდან, ამ მიზანს ემსახურებოდა დახლართული ტალანები და ჩაბნელებული თაღები, სადაც მორჩილს უწევდა გავლა, შავი ქსოვილიც, რომლითაც შემოსილი იყო მკაცრი ობსერვაციის თავშესაყრელი დარბაზი და კუბოს კულტიც, წევრად კურთხევასა და კრების ცერემონიალში ასეთ მნიშვნელოვან როლს რომ თამაშობდა. მისტერიისა და განწმენდის გზა საფრთხით იყო აღსავსე, იგი სიკვდილის შიშზე, ხრწნის სამეფოზე გადიოდა, შეგირდი, ნეოფიტი ხომსიცოცხლის საოცრებებს დახარბებული, საკუთარ თავში დემონური განცდის უნარის გაღვიძების მოსურნე ახალგაზრდობაა, წინამძღოლად კი ისეთი ნიღბები ჰყავს, მხოლოდ და მხოლოდ საიდუმლოს ჩრდილს რომ წარმოადგენდნენ.
- დიდ მადლობას მოგახსენებთ, პროფესორო ნაფტა. დიდებულია. აი, თურმე რა ყოფილა ჰერმეტული პედაგოგიკა. არც მე მაწყენს ამ საკითხზე რაღაც-რაღაცების მოსმენა.
- მით უმეტეს, რომ აქ ლაპარაკია უკანასკნელ მიჯნამდე მიყვანაზე, ზეგრძნობადის აბსოლუტურ აღიარებამდე და ამ გზით მიზნამდე მისვლაზე. ალქიმიური ლოჟის წინამდგომებს შემდგომ ათწლეულებში ბევრი კეთილშობილი, მაძიებელი სული მიუყვანიათ ამ მიზნამდე - თქმაც არ დამჭირდება, თქვენ თვითონ მიხვდებით, შოტლანდიური მაღალი ხარისხები მხოლოდ სუროგატი რომ არ არის იერარქიისა. ოსტატი მასონის ალქიმიური სიბრძნე გარდასახვის მისტერიაში

ვლინდება, საიდუმლო მითითებანი, რომელთაც ლოჟა თავის მორჩილებს უზიარებდა, ასევე ნათლადაა მოცემული საღვთო წიგნებში, ხოლო ორდენის ცერემონიალის სიმბოლურ სცენებს ჩვენი წმინდა კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიკულ და ხუროთმოძღვრულ სიმბოლიკაში ვპოულობთ.
- რას ბრძანებთ!
- მადროვეთ, ყველაფერი ჯერ არ მითქვამს. ერთხელ უკვე თავს ნება მივეცი, აღმენიშნა, მასონთა ლოჟას დასაბამი თითქოს წარჩინებულ კალატოზთა გილდიიდან მისცემოდეს, ეს ვერსია მხოლოდ ისტორიული თვალსაჩინოებისთვის არის-მეთქი გამიზნული, ყოველ შემთხვევაში, მკაცრმა ობსერვაციამ მას გაცილებით ღრმა ადამიანური საძირკველი შეუქმნა. ლოჟის საიდუმლოებას ჩვენი ეკლესიის ზოგიერთ მისტერიასთან ერთად აშკარად ბევრი აქვს საერთო უძველესი ხანის კაცობრიობის საიდუმლო დღესასწაულებსა და წმინდა ექსცესებთან... რაც შეეხება ეკლესიას, აქ მხედველობაში მაქვს საიდუმლო სერობა, საძმო ტრაპეზი და ხორცისა და სისხლის გემოდ ხილვის საიდუმლო, ლოჟასთან დაკავშირებულ ამბებში კი...
- ერთი წუთით. ერთი წუთი მიბოძეთ შენიშვნისათვის. ჩემი ბიძაშვილი რომ ეკუთვნის, იმ ორდენის მკაცრ ცხოვრებაშიც არის ეგრეთ წოდებული საძმო ტრაპეზები. იოახიმს ასეთი ამბები ჩემთვის ხშირად მოუწერია. რა თქმა უნდა, ხალხი იქაც შეზარხოშდება, მაგრამ ზომიერად ქეიფობენ და ილხენენ, თუნდაც ისე არა, როგორც კორპორანტების თავყრილობებზე ხდება ხოლმე...
- ...ლოჟასთან დაკავშირებულ ამბებში კი აკლდამა და კუბოს კულტი, რაზეც ამას წინათ მიგაქცევინეთ ყურადღება. ორივე შემთხვევაში იგულისხმება უკანასკნელისა და უკიდურესის სიმბოლიკა, წინარერელიგიური ხანის ორგასტული ელემენტები, კვდომისა და აღმოცენების პატივსაცემი ღამეული მსხვერპლშეწირვანი, სიკვდილი, ფერიცვალება და აღდგომა... ალბათ, გემახსოვრებათ, იზიდასა და ელევსინის მისტერიები ღამით და თან ბნელ მღვიმეებში რომ ტარდებოდა. მოკლედ, ეგვიპტური წეს-ჩვეულებანი მრავლად იყო და არის მასონობაში, ხოლო საიდუმლო საზოგადოებებს შორის ისეთებიც მოიძებნებოდა, თავს ელევსინურ კავშირს რომ უწოდებდნენ. არსებობდა ლოჟის დღესასწაულები, ელევსინური მისტერიები და აფროდისიები, სადაც, ბოლოს და ბოლოს, ქალიც მონაწილეობდა. ეს გახლდათ ვარდების დღესასწაული, რაზედაც მასონთა გულსაფარზე გამოხატული სამი ცისფერი ვარდი მიგვანიშნებს, ხოლო ეს დღესასწაული, როგორც ჩანს, ბაკქანალიაში გადადიოდა ხოლმე...
- ოჰო, ეს რა მესმის, პროფესორო ნაფტა? და ეს ყველაფერი მასონობაა? ნუთუ ჩემს წარმოდგენაში ამ ამბებს უნდა დავუკავშირო ჩვენი საღად მოაზროვნე ბატონი სეტემბრინი...
- არა, ეგ დიდი უსამართლობა იქნებოდა! სეტემბრინიმ ამ ამბებისა სრულიად არაფერი იცის. მე ხომ გითხარით, ლოჟა მისთანების წყალობით განიწმინდა-მეთქი ამაღლებული ცხოვრების ყოველგვარი ელემენტებისაგან. ღმერთო ჩემო, ლოჟა ხომ ჰუმანისტური, მოდერნიზებული გახდა. მან ამდაგვარ ხლართებს თავი დააღწია და სასარგებლო საქმიანობას, გონიერებასა და პროგრესს, არისტოკრატიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლას, ერთი სიტყვით, საზოგადოების საკეთილდღეო მოღვაწეობას დაუბრუნდა; ახლა იქ კვლავ ბუნებაზე, სათნოებაზე, ზომიერებასა და სამშობლოზე საუბრობენ და რა ვიცით, იქნებ კომერციაზეც კი. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ კლუბის სახემიღებული ბურჟუაზიული უბადრუკობა...
- დასანანია. ვარდების დღესასწაული ნამდვილად მენანება. ერთი, სეტემბრინის უნდა ვკითხო, ნუთუ ამდაგვარებისა მართლა აღარაფერი იცის.
- გონიოს კეთილშობილი რაინდი! - გესლიანად თქვა ნაფტამ, - ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაუჭირდებოდა კაცობრიობის ტაძრის მისადგომებთან მისვლა, იგი ხომ საყდრის თაგვივით ღარიბია, იქ კი მხოლოდ უმაღლეს, უკაცრავად, ჰუმანისტურ განათლებას როდი თხულობენ, შეძლებულ კლასსაც უნდა ეკუთვნოდე, რომ არცთუ მცირე გასაწევრებელი თანხისა და წლიური გადასახადის შეტანა შეძლო. განათლება და ქონება - აი, თქვენი ბურჟუაზია! აი, თქვენი ლიბერალური მსოფლიო რესპუბლიკის საფუძვლები!
- ოღონდაც, - გაიცინა ჰანს კასტორპმა, - და მისი აშკარა ნიმუშიც თვალწინ გვაქვს,

არა?
- თუნდაც ასე იყოს, - ხანმოკლე პაუზის შემდეგ დასძინა ნაფტამ, - მე მაინც გირჩევდით, ამ კაცსა და მის საქმიანობას ეგრე იოლად არ მოჰკიდებოდით, და რაკი ამ საგანზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ბარემ მინდა გთხოვოთ, ფრთხილად იყავით -მეთქი. უხამსობა და უბიწოება ერთი და იგივე სულაც არ არის და არც ისაა აუცილებელი, შეზღუდულობა უწყინარი იყოს. ამ ხალხმა ოდესღაც ცეცხლივით მოგიზგიზე ღვინოში ბევრი წყალი გაურია, მაგრამ თვით კავშირის იდეა დღესაც ისე ღონიერია, რომ კიდევ ბევრ წყალს აიტანს; საამისოდ მას შემონახული აქვს ნაყოფიერი საიდუმლოს ნაშთები. გარდა ამისა, არც ისაა საეჭვო, რომ მასონთა ლოჟებს მსოფლიო პოლიტიკაში ურევიათ ხელი და ჩვენც ჩვენი პატივცემული ბატონი სეტემბრინის პიროვნებაში, რაც თვითონაა, იმაზე უფრო მეტის დანახვა გვმართებს; მის ზურგს უკან ძალები დგანან, რომელთა მონათესავე და ემისარიც თვითონ ბრძანდება...
- ემისარი?
- დიახ, დიახ, იგი პროზელიტების მომკრები ანუ სულებზე მონადირე გახლავთ.
- „შენ ვიღასი ემისარი ბრძანდები?“ - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, ხმამაღლა კი თქვა:
- გმადლობთ, პროფესორო ნაფტა. გულწრფელად მადლობელი ვარ მინიშნებისა და გაფრთხილებისათვის, მაგრამ, იცით, რა? ახლა ერთი სართულით მაღლა ავალ, თუკი ამ შემთხვევაში საერთოდ შეიძლება სართულზე ლაპარაკი, და თან შენიღბულ მასონსაც კბილს მოვუსინჯავ. შეგირდი ცოდნას დახარბებული და უშიშარი უნდა იყოს... და, რა თქმა უნდა, ფრთხილიც... ემისრებთან, ცხადია, სიფრთხილე გვმართებს.
მას თამამად შეეძლო სეტემბრინისთვისაც გამოეკითხა რაღაც-რაღაცები, რადგან ამ უკანასკნელს ბატონ ნაფტასთან საიდუმლოს შენახვის საკითხში სასაყვედურო არაფერი ჰქონდა და ესეც არ იყოს, საგულდაგულოდ არც თვითონ მალავდა, ხსენებულ ჰარმონიულ საზოგადოებას რომ ეკუთვნოდა - „Rivista della Massoneria Iტალიანა“
(„იტალიელ მასონთა ჟურნალი“ (იტალ.).) მაგიდაზე დაუფარავად ედო ხოლმე; ჰანს კასტორპს, უბრალოდ, მისთვის აქამდე ყურადღება არ მიუქცევია, ახლა კი, ნაფტასგან გაცნობიერებულმა, მეფურ ხელოვნებაზე ისე ჩამოაგდო სიტყვა, ვითომ სეტემბრინის მასონობაში არც არასდროს ეპარებოდა ეჭვი და ამ უკანასკნელის მხრიდანაც მხოლოდ მცირე წინააღმდეგობას წააწყდა, მართალია, იყო საკითხები, რომელთა მიმართ ლიტერატორი არამცთუ გულახდილობას იჩენდა, არამედ მათ ხსენებაზე პირზე კლიტეს იდებდა ხოლმე. ზოგიერთ საკითხზე ლაპარაკი, ალბათ, ნაფტასგან ხსენებული ტერორისტული აღთქმით ეკრძალებოდა, მაგალითად, საიდუმლოდ ინახავდა ყველაფერ იმას, რაც გარეგნულ წეს-ჩვეულებებსა და ამ უცნაურ ორგანიზაციაში მის საკუთარ როლს შეეხებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა საკითხებში ენამჭევრობასაც კი იჩენდა და ცნობისმოყვარეს დაწვრილებით უყვებოდა მისი ლიგა თავისი ოცი ათასი ლოჟისა და ას ორმოცდაათი დიდი ლოჟის მეოხებით ლამის მთელ მსოფლიოს რომ მოსდებოდა და ისეთ ცივილიზაციებსაც კი სწვდებოდა, როგორიც ჰაიტი და ზანგთა რესპუბლიკა ლიბერია იყო. სეტემბრინის არც იმ ცნობილი ხალხის სახელები შემოჰკლებია, რომლებიც უწინ ან დღეს მასონები იყვნენ, გარდაცვლილებიდან მან დაასახელა ვოლტერი, ლაფაიეტი და ნაპოლეონი, ფრანკლინი და ვაშინგტონი, მაზინი და გარიბალდი, ცოცხლებიდან ინგლისის მეფეც კი და კიდევ ბევრი სხვაც, მთავრობისა და პარლამენტის წევრი, რომელთაც ხელთ ეპყრათ ევროპულ სახელმწიფოთა სადავეები.
ჰანს კასტორპმა კრძალვით მოიხარა ქედი მათ წინაშე, მაგრამ არაფერი გაუოცებია. სტუდენტურ კორპორაციებშიც ასევე ხდებაო, თქვა მან, ისინიც მთელი სიცოცხლე არ წყვეტენ ერთმანეთთან კავშირს, თავისიანებს კარგად უწყობენ ცხოვრებას, ხოლო ვინც კორპორანტი არ ყოფილა, იმან საეჭვოა, სამსახურებრივ იერარქიაში რაიმეს მიაღწიოსო. ამიტომ იქნებ ბატონი სეტემბრინისგან არც ეგებოდეს, ასეთ წარჩინებულ ხალხს მასონობას თავმოსაწონებლად რომ უთვლისო, იქნებ პირიქითაც ვივარაუდოთ, მასონთაგან ამდენ კაცს რომ სჭერია მნიშვნელოვანი პოსტები, ეს გარემოება მხოლოდ ორდენის ძალაზე

მიგვითითებს და ერთ ფაქტსაც გვიმხელს: თურმე ორდენს იმაზე მეტად ურევია მსოფლიო პოლიტიკაში ხელი, ვიდრე ამის თქმას ბატონი სეტემბრინი ისურვებდაო.
სეტემბრინის გაეღიმა. მან ჟურნალ Massoneria
"-ს ნომერი მარაოსავითაც კი დაიფრიალა სახესთან და იკითხა, მგონი, მახის დაგებას მიპირებთ, არაო? იქნებ ფიქრობთ, ლოჟის პოლიტიკურ არსზე ან ლოჟის პოლიტიკური სულისკვეთების არსზე წინდაუხედავი სიტყვა დამაცდენინოთო.
- ამაოდ ეშმაკობთ, ინჟინერო! პოლიტიკას ჩვენ დაუფარავად, აშკარად ვაღიარებთ. ჩვენ არაფრად მიგვაჩნია ის ცუდი რეპუტაცია, რაც ზოგიერთი ბრიყვის თვალში - სხვათა შორის, ასეთი ბრიყვები თქვენს სამშობლოში არიან, და სხვაგან, მგონი, არც მოიძებნებიან - ამ სიტყვასა და ტერმინსმიეწერება. კაცობრიობის კეთილისმყოფელი ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს, რა არის პოლიტიკა და რა - არა. პოლიტიკას რომ არ შეიცავდეს, ისეთი ამქვეყნად არაფერია. ყველაფერი პოლიტიკა გახლავთ.
- სუყველაფერი?
- მშვენივრად ვიცი, არსებობენ ადამიანები, რომელთაც კარგი ჰგონიათ, მასონთა იდეების თავდაპირველ აპოლიტიკურ ბუნებას თუ ამხელენ, მაგრამ ეს ხალხი სიტყვებით თამაშობს და რაღაც მიჯნებს ავლებს, რომლებიც დროა, ყალბად და უაზროდ გამოვაცხადოთ. ჯერ ერთი, ესპანურ ლოჟებს დასაბამიდანვე ჰქონდათ პოლიტიკური ელფერი...
- წარმომიდგენია...
- თქვენ ბევრს ვერაფერს წარმოიდგენთ, ინჟინერო. თავს ნუ ჩააგონებთ, თითქოს თქვენით შეგეძლოთ ბევრი რამის წარმოდგენა, ჯობია, ზოგი რამ გაიგოთ და შეითვისოთ, - ამას თქვენსავე სასარგებლოდ გთხოვთ, თქვენივე სამშობლოსა და მთელი ევროპის ინტერესებისათვის, - და კიდევ მეორე რამ მინდა გონებაში ჩაგიბეჭდოთ: თუ გნებავთ, სწორედ მასონთა იდეა არასდროს, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა აპოლიტიკური, არც შეეძლო აპოლიტიკური ყოფილიყო და თუკი ოდესმე ასე ეგონა, მცდარად ესმოდა ხოლმე თავისივე არსი და მხოლოდ ამიტომ. რანი ვართ ჩვენ? მშენებლები და შავი მუშები. ყველას მიზანი ერთია, მთელის კეთილდღეობაა ძმობის ძირითადი კანონი, მაგრამ ეს კეთილდღეობა, ეს შენობა როგორიღაა? ეს გახლავთ დიდი ხელოვნებით ნაგები საზოგადოებრივი შენობა, კაცობრიობის სრულყოფილება, ახალი იერუსალიმი. თუ ღმერთი გწამთ, რა შუაშია აქ ან პოლიტიკა, ან არაპოლიტიკა? საზოგადოების პრობლემა, თანაარსებობის პრობლემა თვით არის პოლიტიკა, თავიდან ფეხებამდე პოლიტიკაა და მხოლოდ პოლიტიკა. ის, ვინც მას ეზიარება - ხოლო, ვინც მას შეგნებულად არ ეზიარება, ის არცაა ღირსი, ადამიანად იწოდებოდეს - შიგნიდანაც და გარედანაც პოლიტიკასთან არის წილნაყარი, მას კარგად ესმის, რომ თავისუფალი კალატოზის ხელოვნება მართვის ხელოვნებაა...
- მართვისა...
- ...და რომ მასონ-ილუმინატებს ჰქონდათ კიდეც რეგენტის ხარისხი.
- ჩინებულია, ბატონო სეტემბრინი, მართვის ხელოვნება, რეგენტის ხარისხი, ეს ყველაფერი მომწონს, მაგრამ მხოლოდ ეს მითხარით: თქვენს ლოჟაში ყველა, სუყველა ქრისტიანები ხართ?
- Perchè
!
(ეგ რა საკითხავია! (იტალ.).) - მომიტევეთ, სხვანაირად მინდა გკითხოთ, უფრო ზოგადად და მარტივად. გწამთ ღმერთი?
- გიპასუხებთ, ოღონდ მითხარით, რატომ მეკითხებით.
- აქამდე არ მომინდომებია თქვენი ცდუნება, მაგრამ არსებობს ერთი ბიბლიური თქმულება, სადაც ერთი კაცი უფლის შეცდენას რომაული მონეტით ცდილობს და პასუხად იღებს, ღვთისა - ღმერთსა და კეისრისა - კეისარსო. მე მგონი, ასეთივე განსხვავება უნდა იყოს პოლიტიკასა და არაპოლიტიკას შორის. თუკი ღმერთი არსებობს, მაშინ ეს განსხვავებაც არსებობს. სწამთ მასონებს ღმერთი?
- მე დაგპირდით, გიპასუხებთ-მეთქი. თქვენ ისეთ ერთიანობაზე ლაპარაკობთ, რისთვისაც იღვწის დღეს ბევრი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ერთიანობა ჯერ კიდევ არ არსებობს. მასონთა მსოფლიო კავშირი არ არსებობს. თუკი იგი

ჩამოყალიბდება - გიმეორებთ, ამ უზარმაზარი საქმისათვის თავდადებული, საიდუმლო მუშაობა მიმდინარეობს-მეთქი - მაშინ მისი რელიგიური რწმენაც უსათუოდ ერთიანი გახდება, ხოლო სიტყვიერად იგი ასე გამოისახება: „Écrasez l'infâme
".
(გაჭეჭყეთ სიბილწე! (ფრანგ.).) - იძულებით? მერედა, ეს ხომ შემწყნარებლობა აღარ იქნება?
- არა მგონია, შემწყნარებლობაში რიგიანად ერკვეოდეთ, ინჟინერო. გონებაში ერთხელ და სამუდამოდ ჩაიბეჭდეთ, რომ შემწყნარებლობა დანაშაულად იქცევა, როცა საქმე ბოროტებას ეხება.
- მერედა, ღმერთი ბოროტებაა?
- ბოროტება ღმერთი კი არა, მეტაფიზიკაა, რადგან იგი მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მიაძინოს ის გულისხმევა, საზოგადოების ტაძრის აგებას რომ უნდა შევალიოთ. ამის მაგალითი კარგა ხნის წინ მოგვცა საფრანგეთის დიადმა აღმოსავლეთმა",(„საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი" - ყველაზე ძველი მასონური ორგანიზაცია საფრანგეთში და უძველესი კონტინენტურ ევროპაში. დაარსდა 1738 წლის 24 ივნისს. „საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი" მსოფლიოში ლიბერალური მასონობის ფლაგმანია.)
როცა ყველა თავისი ხელნაწერიდან ამოაგდო ღმერთის სახსენებელი. ჩვენ, იტალიელებმა, მივბაძეთ მათ მაგალითს...
- პირდაპირ კათოლიკური საქციელია!
- თქვენ ფიქრობთ...
- მე ვფიქრობ, ღმერთის სახსენებლის ამოგდება წმინდა კათოლიკური საქციელია -მეთქი.
- თქვენ გნებავთ, თქვათ...
- ისეთი არაფერი, ბატონო სეტემბრინი. მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს ნაბოდვარს, მხოლოდ ამ წუთში მომივიდა თავში აზრად, რომ ათეიზმი უაღრესად კათოლიკური მოვლენაა და თითქოს ღმერთის სახსენებელს მხოლოდ იმიტომ უარყოფენ, კიდევ უფრო ჭეშმარიტი კათოლიკეებირომ გახდნენ -მეთქი.
ბატონმა სეტემბრინიმ რომ აქ ხანმოკლე პაუზა გააკეთა, ეს აშკარად პედაგოგიური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი და გამიზნული დუმილის შემდეგ თქვა:
- ინჟინერო, არავითარი სურვილი არა მაქვს, შეგირყიოთ პროტესტანტული რწმენა და გული გატკინოთ. ჩვენ შემწყნარებლობაზე ვსაუბრობდით... ზედმეტად მიმაჩნია, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პროტესტანტიზმს არამცთუ მოთმინებით ვეკიდები, არამედ უაღრესად აღტაცებულიც ვარ სინდისის ხმის ჩახშობის წინააღმდეგ გაწეულ ბრძოლაში მისი ისტორიული როლის გამო. წიგნის საბეჭდი დაზგის გამოგონება და რეფორმაცია არის და დარჩება ორ უდიდეს დამსახურებად, რაც ცენტრალურ ევროპას მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. ეს უეჭველია. ოღონდ თქვენ რაც ამ წუთში ბრძანეთ, იმის შემდეგ ეჭვი არ მეპარება, რომ ერთი სიტყვითაც გამიგებთ, თუკი გეტყვით, ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა და მას მეორე მხარეც აქვს-მეთქი. პროტესტანტიზმი შეიცავს ელემენტებს... თქვენივე რეფორმაციის მამამთავარს ჰქონდა ეს ელემენტები... მხედველობაში მაქვს ნეტარი სიმშვიდისა და საკუთარ თავში ჰიპნოზური ჩაძირვის ელემენტი, რაც ევროპული ყაიდის არაა, ისინი უცხო და მიუღებელია მსოფლიოს ამ საქმიანი კუთხის ცხოვრებისეული პრინციპებისათვის. ერთი შეხედეთ თქვენს ლუთერს! დააკვირდით მის ახალგაზრდულ და გვიანდელ პორტრეტს! როგორი თავის ქალა აქვს, როგორი ყვრიმალები, რა უცნაური თვალის ჭრილი! ეს აზიაა, ჩემო მეგობარო! გამიკვირდებოდა, ძალიან გამიკვირდებოდა, აქ რაღაც ვენდურ-სლავურ-სარმატულს რომ არ ერიოს ხელი, და აი, ეს უზარმაზარი პიროვნება - ან კი ვინ გაბედავს, უარყოს მისი სიდიადე - უშველებელ და საბედისწერო ტვირთად დააწვა თქვენი ქვეყნის ძლივძლივობით გაწონასწორებული სასწორის ერთ-ერთ პინას და აღმოსავლურმა მხარემ ისეთი საშინელი ძალით გადასძლია, რომ დასავლური დღემდე უსასოოდ ზეცაშია გამოკიდებული...
სეტემბრინი ფანჯარასთან წამომართულ ჰუმანისტურ პულტს მოსცილდა,

ხელადით დამშვენებულ მრგვალ მაგიდასთან გადმოინაცვლა და თავის მოწაფეს მიუახლოვდა, რომელიც კედელთან მიდგმულ ტახტზე იჯდა, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო და ხელი ნიკაპქვეშ ჰქონდა ამოდებული.
- Caro
! - შესძახა ბატონმა სეტემბრინიმ, - Caro amico
!(ძვირფასო მეგობარო (იტალ.).)
საჭირო გახდება გადაწყვეტილებების მიღება - ევროპის ბედნიერი მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება, და ეს თქვენი ქვეყნის ხვედრია. ეს გადაწყვეტილებანი მის სულში უნდა მომწიფდეს. თქვენი სამშობლო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დგას, მან უნდა მოახდინოს ამ ორ სფეროს შორის საბოლოო და შეგნებული არჩევანი, რადგან მის სულს ორივე სფერო ეპატრონება. თქვენ ახალგაზრდა ხართ, თქვენი ხელი უნდა ერიოს ამ გადაწყვეტილების მიღებაში, თქვენ გმართებთ მასზე ზეგავლენა იქონიოთ. ამიტომ კურთხეულ იყოს ის ბედი, რომელმაც ამ საშინელ მხარეში გადმოგისროლათ, მე კი, ჩემი მხრივ, საშუალება მომცა, ჩემი არცთუ გაუწაფავი, არცთუ დუნე სიტყვით მეოცნებე, ახალგაზრდულ სულზე ზეგავლენა მომეხდინა და თქვენში ის პასუხისმგებლობის გრძნობა გამეღვიძებინა, თქვენს ქვეყანას რომ აკისრია ცივილიზაციის წინაშე...
ჰანს კასტორპს ნიკაპი მუჭში მოექცია, იჯდა, მანსარდის ფანჯარაში მდუმარედ იცქირებოდა და გულუბრყვილო ცისფერ თვალებში სიკერპე ჩასდგომოდა.
- თქვენ დუმხართ, - აღელვებული ხმით მიმართა ბატონმა სეტემბრინიმ, - თქვენ და თქვენი ქვეყანა მრავალმნიშვნელოვან დუმილს ამჯობინებთ, და ამ დუმილის განუჭვრეტელობა მის სიღრმეში ჩაწვდომას არ გვანებებს. თქვენ სიტყვა არ გიყვართ, ან ვერ ფლობთ მას, ან მტრულად ეკიდებით - მეტყველმა მსოფლიომ არც იცის და ვერც გაიგებს, გულში რა გიდევთ. ჩემო მეგობარო, ეს სახიფათოა... ენა თვით კულტურაა... სიტყვა, თუნდაც საწინააღმდეგოდ თქმული, ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს... უსიტყვობა კი მარტოობას გვიქადის. გული მიგრძნობს, თქვენ მარტოობას საქმით დაჯაბნით. თქვენს ბიძაშვილს, ჯაკომოს (ბატონი სეტემბრინი სიმარჯვისათვის იოახიმს ზოგჯერ ჯაკომოს ეძახდა), თქვენს ბიძაშვილს, ჯაკომოს, თქვენი დუმილით საშუალებას აძლევთ, დაგასწროთ მოქმედების დაწყება, „და იგი ორ კაცს მძლავრი დარტყმით იქვე მიაწვენს, დანარჩენები თავს გაქცევით თუ უშველიან“...
ჰანს კასტორპს გაეცინა და ბატონ სეტემბრინისაც წამით კმაყოფილების ღიმილი მოჰგვარა თავისივე პლასტიკური სიტყვით გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ.
- კარგი, ვიცინოთ! - თქვა მან, - სამხიარულოდ მუდამ მზადა ვარ. სიცილისულის გამობრწყინებაა, ამბობს ერთი ძველი მოღვაწე. ამასობაში ჩვენს თემას გადავუხვიეთ და იმ სიძნელეებს მივადექით, რომელნიც, ვაღიარებ, წინ ეღობება მასონთა მსოფლიო კავშირის შესაქმნელად ჩვენ მიერ გაწეულ შრომას, ხოლო ამ სიძნელეებს სწორედ პროტესტანტული ევროპა გვიქმნის.
ბატონმა სეტემბრინიმ გატაცებით განაგრძო საუბარი მსოფლიო კავშირის შექმნის იდეაზე, რომელსაც უნგრეთში დასდებოდა სათავე, მის განხორციელებას საიმედო პირი უჩანდა, და ამგვარად, მასონობა მსოფლიოს ბედ-იღბლის გადამწყვეტ ძალად გადაიქცეოდა. მან ვითომ დაუდევრად გადმოალაგა ამ საქმის უცხოელი მამამთავრებისგან მიღებული წერილები, მათ შორის ოცდამეცამეტე ხარისხის ძმის, შვეიცარიელი დიდოსტატის, კარტიე ლა ტენტეს ხელით დაწერილი ბარათი და ჰანს კასტორპს გააცნო ხელოვნური ენის - ესპერანტოს მასონთა მსოფლიო კავშირის ენად გამოცხადების გეგმა. ბატონი სეტემბრინი საუბარმაისე გაიტაცა, რომ პოლიტიკის უმაღლეს სფეროებსაც გადასწვდა, თვალი ყველგან მიაწვდინა და შეაფასა ის პერსპექტივები, რაც რევოლუციურ-რესპუბლიკურ იდეებს მის საკუთარ სამშობლოში, ესპანეთსა და პორტუგალიაში ჰქონდა. ბატონი სეტემბრინი შეეცადა, ჰანს კასტორპი დაერწმუნებინა, ზემოთ ხსენებული მონარქიის დიდი ლოჟის მეთაურებთან მიმოწერა მაქვსო. აი, სწორედ იქ მომწიფდა საჭირო გადაწყვეტილებანიო, ჰანს კასტორპმა გაიხსენოს ჩემი სიტყვები, სულ ახლო მომავალში იქ, ბარში, დიდი ამბები დაიწყებაო. ჰანს კასტორპიც შეჰპირდა, გავიხსენებო.
უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მასონური სჯა-ბაასი მოწაფისა ცალ-ცალკე, ხან ერთ და

ხან მეორე მენტორთან, ჯერ კიდევ აქ, ზევით, თავისიანებთან იოახიმის დაბრუნებამდე მიმდინარეობდა, ხოლო ის კამათი, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებთ, იოახიმის აქ ყოფნაში, მისი თანდასწრებით შედგა, მისი დაბრუნებიდან ცხრა კვირის თავზე, ოქტომბრის დამდეგს, როცა ერთ მშვენიერ დღეს ყველანი შემოდგომის მზის ქვეშ კურჰაუსის წინ ისხდნენ და გამაგრილებელ სასმელებს წრუპავდნენ. ჰანს კასტორპს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ის დღე, მაშინ პირველად შეეპარა გულში იოახიმის დარდი, სადარდებელი კი ისეთმა სიმპტომებმა გაუჩინა, ჩვეულებრივ, დამაღონებელი რომ არ არის ხოლმე, სახელდობრ, ყელის ტკივილმა და ხმის ჩახლეჩამ, რომელთაც თითქოს უწყინარი სატკივარი ეთქმოდა, მაგრამ ახალგაზრდა ჰანს კასტორპს ისინი უცნაური შუქით ეჩვენა განათებული, დიახ, შუქით, და ეს შუქი, მისი რწმენით, იოახიმის თვალთა სიღრმიდან იფრქვეოდა. თვალები იოახიმს ყოველთვის ნაზი და ფართო ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს თვალებში შუქთან ერთად ფიქრი და - იძულებული ვართ, ერთი უცნაური სიტყვაც დავურთოთ - მუქარა ჩასდგომოდა და ამის გამო თვალებიც უფრო ფართო და ღრმა მოუჩანდა. სწორი არ იქნება თუ ვიტყვით, ჰანს კასტორპს ის შუქმფინარე მზერა არ მოსწონდა-თქო, პირიქით, ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ სადარდებელსაც უჩენდა. ერთი სიტყვით, ამდაგვარ განცდებს, მათივე ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ ბუნდოვნად თუ აღწერს კაცი.

რაც შეეხება საუბარს, ანუ პაექრობას - პაექრობას, რაღა თქმა უნდა, ნაფტასა და სეტემბრინის შორის - იგი სულ სხვა ხასიათისა გახლდათ და მასონთა ლოჟის არსის გარკვევასთან ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა. ბიძაშვილების გარდა, აქ იყვნენ ფერგე და ვეეზალი და ოთხივენი დიდ ენთუზიაზმსაც იჩენდნენ, თუმცა კამათის საგანში ყველა როდი ერკვეოდა, მაგალითად, ბატონი ფერგე ხომ ნამდვილად ვერ ერკვეოდა და ვერა, მაგრამ როცა კამათი ისე ცხარედ მიმდინარეობს, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდეს და თან იმოდენა გონებამახვილობა და ბრწყინვალებაა შიგ ჩაქსოვილი, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლე სულაც არაფერ შუაში იყოს და მოპაექრენი მხოლოდ ელეგანტურად ერკინებოდნენ ერთმანეთს - ნაფტასა და სეტემბრინის დისპუტი კი ყოველთვის ასე მიმდინარეობდა ხოლმე - რაღა გასაკვირია, ამგვარმა კამათმა ისეთი ხალხიც მიიზიდოს, ვისაც მისი ბევრი არც არაფერი გაეგება და მისი მნიშვნელობაც ბუნდოვნად აქვს წარმოდგენილი. ირგვლივ მყოფნი, სულ გარეშენიც კი, გაოცებისგან წარბებაწეულნი უგდებდნენ ყურს მოპაექრეებს, ისინიც იმდენად დაეტყვევებინა მათ მგზნებარე შეხლა-შემოხლას.

ეს ამბავი, როგორც მოგახსენეთ, კურჰაუსის წინ ხდებოდა, ნაშუადღევს, ჩაის შემდეგ. ოთხი ბერგჰოფელი იქ გადაეყარა სეტემბრინის და შემთხვევით ნაფტაც სულ მალე შემოუერთდათ. ყველანი ერთ პატარა ლითონის მაგიდას უსხდნენ და სოდიანი წყლით გაზავებულ სასმელებს - ანისულის არაყსა და ვერმუთს მიირთმევდნენ. ნაფტა აქ სამხრობდა ხოლმე და ახლაც ღვინო და ნამცხვარი შეუკვეთა. ასეთი სამხარი, ეტყობა, თავისი განსწავლის ხანას აგონებდა. იოახიმი მტკივან ყელს ხშირ-ხშირად ისველებდა ნატურალური ლიმონათით. გაჯერებული, მჟავე სასმელი ყელში უღიტინებდა და შვებას აძლევდა, სეტემბრინი კი მხოლოდ უბრალო დამტკბარ წყალს სვამდა, მაგრამ ჩალის ღეროთი ისე მადის აღმძვრელად და მოხდენილად წრუპავდა, თითქოს ძვირფას გამაგრილებელ სასმელს ეწაფებაო. იგი ჰანს კასტორპს გაეხუმრა.

- ეს რა მესმის, ინჟინერო? რა ჭორი მოსწვდა ჩემს ყურს? თქვენი ბეატრიჩე უკან ბრუნდება? გიბრუნდებათ სამოთხის ცხრავე წრეში თქვენი მეგზური? რა გაეწყობა, მინდა იმედი ვიქონიო, რომ მთლიანად არუკუაგდებთ თქვენი ვერგილიუსისგან სამეგობროდ გამოწვდილ ხელს! ჩვენი ძვირფასი ეკლეზიასტე დაგიდასტურებთ, რომ medio evo

-ს

(შუა საუკუნეების (იტალ.).) სამყარო სრულად ვერ ჩაითვლება, თუკი ფრანცისკანულ მისტიკას თომისტური რწმენით გამსჭვალული საწინააღმდეგო პოლუსი არ ექნა.

ხუმრობით შეზავებულ ამოდენა განსწავლულობაზე ყველას გაეცინა და ჰანს კასტორპს შეხედეს, რომელსაც ვერმუთით სავსე ჭიქა აეწია და თავის

ვერგილიუსს“ ასევე სიცილით ესალმებოდა. თითქმის დაუჯერებელი ჩანდა, ბატონი სეტემბრინის თუნდაც ჩახუჭუჭებულ, მაგრამ სავსებით უწყინარ სიტყვებს სულ ცოტა ხანში გაუთავებელი იდეური ჭიდილი თუ მოჰყვებოდა. მართალია, ნაფტა მაინც გაკენწლეს და გამოიწვიეს, მაგრამ, თავის მხრივ, ისიც მყისვე გადავიდა შეტევაზე და თავს დაესხა ლათინ პოეტს. ყველამ იცოდა, იმ პოეტს სეტემბრინი რომ აღმერთებდა, ასე განსაჯეთ, ჰომეროსზე მაღლაც კი აყენებდა, ხოლო ნაფტა მთელ ლათინურ პოეზიას თავისვერგილიუსიანად აგდებულად ეკიდებოდა, ახლაც არ დაუხანებია და შემთხვევა ბოროტად გამოიყენა. მხოლოდ დიდი დანტეს კეთილ გულსა და ეპოქისმიერ შეზღუდულობას უნდა მიეწეროს, ეს საშუალო ნიჭის ვერსიფიკატორი ასე რომ განადიდა და თავის თხზულებაში მნიშვნელოვანი როლი უბოძა, ბატონი ლოდოვიკო კი ამ როლს ზედმიწევნით მასონურ მნიშვნელობას მიაწერსო. ანდა სხვა რა ღირსება გააჩნდა ამ კარის ლაურეატსა და იულიუსის საგვარეულოს ლაქიას, მსოფლიო ქალაქის ლიტერატორსა და მოლაყბეს, გულში შემოქმედებითი ნაპერწკალი მას არ უღვიოდა და სულიც, თუკი საერთოდ გააჩნდა სული, ნასხვისარი ჰქონდა, მას ხომ პოეტი არც ეთქმის, იგი ავგუსტუსის ეპოქის პარიკით თავდამშვენებული ფრანგია და მეტი არაფერიო, ბრძანა ნაფტამ.
ბატონ სეტემბრინის თურმე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისი წინამორბედი ორატორი არავითარ გზასა და საშუალებას არ დაერიდებოდა, ოღონდ კი აყვავებული რომაული ცივილიზაციის სიძულვილი თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან - ლათინურის მასწავლებლობასთან შეეთავსებინა, თუმცა საჭიროდ მიმაჩნია, მივუთითო, ამდაგვარი აზრების წყალობით თავის საყვარელ საუკუნეებს უფრო მეტად არ დაუპირისპირდეს, რადგან იმ საუკუნეებში არამცთუ სიძულვილით ეკიდებოდნენ ვერგილიუსს, არამედ, პირიქით, განადიდებდნენ და მისი გულუბრყვილობის წყალობით სიბრძნით ძლევამოსილ ჯადოქრადაც სახავდნენო.
ბატონი სეტემბრინი ნამდვილად ამაოდ იშველიებს იმ ახალშობილ საუკუნეებში გამეფებულ გულუბრყვილობას. სწორედ ეს გულუბრყვილობა იყო, თავისი შემოქმედებითი ძალა და უნარი დაძლეული წინააღმდეგობების დემონიზაციაშიც რომ გამოავლინაო, განაცხადა ნაფტამ. სხვათა შორის, იმ დროს ახალგაზრდა ეკლესიის მოძღვარნი დაუღალავად ამხელდნენ ძველი ფილოსოფოსებისა და პოეტების სიცრუეს და ხალხს განსაკუთრებით აფრთხილებდნენ, ვერგილიუსის მაღალფარდოვანი მჭევრმეტყველებით სული არ დაიბინძუროთო, ხოლო დღეს, როცა კიდევ ერთ ეპოქას უდგას სამარეში ფეხი და საცაა პროლეტარიატის დილა გათენდება, ჭეშმარიტად შესაფერი დროა, მოვიგონოთ ეს გაფრთხილება! მინდა ჩემს მოწინააღმდეგეს საშუალება მივცე, ყველაფერზე ერთბაშად გამცეს პასუხი და ამიტომაც დავძენ: დაე, ბატონი ლოდოვიკო დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ ამ სიტყვების მთქმელიც ასრულებს თავის მცირე მოქალაქეობრივ მოვალეობას, რაზეც მან, ასევე ინება გადაეკრა სიტყვა, თანაც ასრულებს ყოველგვარი reservatio mentalis
(აზრობრივი შესწორებები.) დაცვით და ვერ ვიტყვით, რომ ირონიის გარეშე, მაგრამ მაინც ეთვისება კლასიკურ-რიტორიკულ აღმზრდელობით მეთოდებს, რომელთაც, ერთი სანგვინიკოსის გამოთვლით, რამდენიმე ათწლეულის სიცოცხლეღა დარჩენიათო.
- თქვენ, თქვენ სწავლობდით, - შესძახა სეტემბრინიმ, - სწორედ თქვენ ღვრიდით ოფლს იმ ძველი პოეტებისა და ფილოსოფოსების შესწავლაზე და ისევე ცდილობდით, მიგეთვისებინათ მათი ძვირფასი მემკვიდრეობა, როგორც ანტიკური ნაგებობების მასალას იყენებდით თქვენი სალოცავების ასაშენებლად. მშვენივრად გრძნობდით, რომ თქვენი პროლეტარული სულის ძალა არ გაგწვდებოდათ ახალი ტიპის ხელოვნების შესაქმნელად და იმედი გქონდათ, ძველი ხელოვნება თავისივე იარაღით გაგენადგურებინათ. ასე იქნება ახლაც, ასე იქნება ყოველთვის! თქვენი გაურანდავი პროლეტარიატის დილა იძულებული გახდება, იმ წყაროს დაეწაფოს, რომლის სიძულვილსაც თქვენსავე თავს და სხვებსაც უნერგავთ, რადგან განათლების გარეშე ვერ წარდგებით კაცობრიობის წინაშე, განათლება კი ერთადერთი არსებობს: სწორედ ის, რასაც თქვენ ბურჟუაზიულს უწოდებთ და ზოგადსაკაცობრიო კი გახლავთ!

რაო, ჰუმანისტური აღზრდის პრინციპების აღსასრული რამდენიმე ათწლეულის საქმეაო? ბატონ სეტემბრინის მხოლოდ თავაზიანობა აკავებს, თორემ ერთს უდარდელად და სარკასტულად გადაიხარხარებდა. ევროპას ძალუძს, მოუაროს თავის მარადიულ საუნჯეს, იგი ყველა იმ პროლეტარულ აპოკალიფსს გადალახავს, ხან სად და ხან სად რომ ამოყოფს ხოლმე თავს,და დინჯად გადავა კლასიკური საზრისის დღის წესრიგზე.
აი, სწორედ დღის წესრიგის საკითხში ვერ არის ბატონი სეტემბრინი სათანადოდ გაცნობიერებულიო, გესლიანად შენიშნა ნაფტამ. დღის წესრიგში სწორედ ის საკითხი დგას, მას რატომღაც საბოლოოდ გადაჭრილი რომ ჰგონიაო, სახელდობრ, არის თუ არა მედიტერანულ-კლასიკურ-ჰუმანისტური მემკვიდრეობა საკაცობრიო და ამდენად, მარადიული, თუ იგი მხოლოდ ერთი ეპოქის, ბურჟუაზიულ-ლიბერალური ეპოქის, აზროვნების ფორმა და მისივე კუთვნილებაა და მასთან ერთად უნდა დაიღუპოს კიდეც. ამ საკითხის გადაჭრა ისტორიის საქმეა და ბატონ სეტემბრინის უნდა ვურჩიოთ, მეტისმეტად ნუ დაიიმედებს თავს, რომ ეს საკითხი მისი ლათინური კონსერვატიზმის სასარგებლოდ გადაიჭრებაო.
ეს უკვე მეტისმეტი უტიფრობა იყო პატარა ნაფტას მხრივ, ბატონი სეტემბრინისთვის, პროგრესის ამ აღიარებული მსახურისათვის, კონსერვატორი ეწოდებინა. მისი სიტყვები ყველას გულში მოხვდა და, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მწარედ შეურაცხყოფილს, იგი აღელვებისაგან აპრეხილ ულვაშს იკვარკნიდა და საპასუხო დარტყმის ძიებაში მტერს დროს უტოვებდა ახალ-ახალი გამოხდომისთვის კლასიკური განათლების იდეალების, ევროპული სწავლა-აღზრდის არსის რიტორიკულ-ლიტერატურული სულისკვეთებისა და მისი გრამატიკულ-ფორმალური სპლინის წინააღმდეგ, რომელიც თურმე მხოლოდ ბურჟუაზიის გაბატონებული კლასისთვისღა ყოფილა საინტერესო, თორემ ხალხი კარგა ხანია საცინლად იგდებსო. დიახ, ჩვენ არც კი ვიცით, ხალხი როგორ ამასხარავებს ჩვენს სადოქტორო წოდებებს, მთელ ჩვენს წოდებრივ იერარქიაზე აგებულ განათლებასა და სახელმწიფო სახალხო სკოლას, ბურჟუაზიული კლასობრივი დიქტატურის ამ იარაღს, თვითონვე რომ იტყუებენ თავს, სახალხოგანათლება წყალგარეული ფსევდომეცნიერებაა. ის აღზრდა-განათლება კი, ძირმომპალი ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას რომ სჭირდება, ხალხმა კარგა ხანია თვითონვე იცის, სხვაგან რომ უნდა ეძიოს და არა იმ ადმინისტრაციულ იძულებით დაწესებულებებში, სკოლა რომ ჰქვია. დღეს ვინ აღარ იცის, შუა საუკუნეების სამონასტრო სკოლებიდან მომდინარე ჩვენი სკოლა სასაცილო გადმონაშთად და ანაქრონიზმად რომაა ქცეული. დედამიწის ზურგზე კაცი არ მოიძებნება, თავის განათლებას სკოლას რომ უმადლოდეს. თავისუფალი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სწავლა-განათლება საჯარო ლექციების, გამოფენებისა და კინოს წყალობით შეიძინება და ყოველგვარ სასკოლო განათლებაზე უკეთესიც გახლავთო.
რევოლუციისა და ბნელეთის მოციქულობის ამ ნაზავში, რომლითაც ნაფტა უმასპინძლდება მსმენელებს, ყოვლად უხამსი ობსკურანტული მინარევი ჭარბობსო, უპასუხა მოწინააღმდეგეს ბატონმა სეტემბრინიმ. ხალხის განათლებაზე მისი ზრუნვა დიახაც მოსაწონია, მაგრამ, ვაგლახ, რომ აქ უფრო ინსტინქტური სურვილი მძლავრობს, ერი და ბერი უწიგნურობის წყვდიადში გაახვიოსო.
ნაფტას გაეღიმა. უწიგნურობაო! ახლა ერთ კაცს ჰგონია, მართლა საზარელი სიტყვა ვისროლეო, გორგონას თავი დაგვანახვა და დარწმუნებული ბრძანდება, მის დანახვაზე ყველას ფერი წაგვივაო. ნამდვილად გული მწყდება, მაგრამ მოპაექრეს იმედი უნდა გავუცრუო, რადგან უწიგნურობის ცნების წინაშე ჰუმანისტური შიში სასაცილოდ მიმაჩნიაო. კაცი მართლა რენესანსული ტიპის ლიტერატორი, პრეციზული სტილის მიმდევარი, სეჩენტისტი, მარინისტი(სეჩენტისტი, მარინისტი - ნაფტა აქ ჩამოთვლის მის მიერ იდეალურად აღიარებულ შუა საუკუნეების ხელოვნების შემდეგ არსებულ სტილებს: რენესანსულს, პრეციზულს, იტალიური ბაროკოს ერთ-ერთ შენაკადს, სეჩენტიზმს. მარინისტიც მარინიზმის (წარმომდგარია იტალიელი პოეტის, ჯამბატისტა მარინოს სახელიდან) - ე.ი. XVII საუკუნის იტალიურ პოეზიაში არსებული მანერული, ღვარჭნილი მიმდინარეობის წარმომადგენელს ნიშნავს.)

და
ესტილო ცულტო -ს
(კულტივირებული სტილი (იტალ.).) მასხარა უნდა იყო, წერა-კითხვის ცოდნას ამოდენა აღმზრდელობითი მნიშვნელობა მიანიჭო და ფიქრობდე, სადაც წერა-კითხვა არ იციან, იქ სულიერი წყვდიადია გამეფებულიო. იქნებ ბატონმა სეტემბრინიმ გაიხსენოს, შუა საუკუნეების უდიდესი პოეტი ვოლფრამ ფონ ეშენბახი
(ვოლფრამ ფონ ეშენბახი - XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დამდეგის გერმანელი სარაინდო რომანისტი, ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის ყველაზე დიდი ეპიკოსი, სარაინდო რომან „პარციფალის“ ავტორი.) წერა-კითხვის უცოდინარი რომ იყოო? მაშინ გერმანიაში საძრახისად ითვლებოდა, სამღვდლოდ თუ არ ამზადებდნენ, ისე ბიჭის სკოლაში გაგზავნა და აზნაურთა და უაზნოთა ეს ზიზღი ლიტერატურის ხელოვნებისადმი სამუდამოდ დარჩა კეთილშობილი ჩამომავლობის სიმბოლოდ, ხოლო ლიტერატორმა, ჰუმანიზმისა და ბურჟუაზიის პირმშომ, მართალია, წერა-კითხვა იცოდა, რაც აზნაურს, მეომარსა და ხალხს სულ არა ან ძლივძლივობით შეეძლო, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ქვეყნისა მეტი არაფერი გაეგებოდა, ასეთი კაცი დღესაც ლათინიზებულ ქარაოცად რჩება, ენა კიუჭრის, მაგრამ ცხოვრებისეულ საქმეებს რიგიან ხალხს აკისრებს. სწორედ ამიტომაა, ლიტერატორი პოლიტიკასაც ქარით გაბერილ გუდად, ანუ რიტორიკითა და მხატვრული ლიტერატურით გაბერილ გუდად რომ აქცევს, ხოლო ამას პარტიულ ენაზე რადიკალიზმი და დემოკრატია ეწოდებაო და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.
ბატონი სეტემბრინი ამ ნათქვამს უპასუხოდ ვერ დატოვებდა! მეტისმეტად თამამად კი ამხელს მოპაექრე ზოგიერთი ეპოქის მგზნებარე ბარბაროსობისადმი თავის სიმპათიებსო, შესძახა მან, თან ლიტერატურული ფორმის სიყვარულსაც რომ მასხრად იგდებს, ურომლისოდაც არ შეიძლება და წარმოუდგენელიცაა ადამიანის არსებობა, და, სხვათა შორის, ყოველთვის ასე იყო და ასეც იქნება! კეთილშობილებაო? მხოლოდ კაცობრიობის მტერს ძალუძს ამ სახელით მონათლოს სიტყვიერი სიღატაკე და უხეში, მუნჯი საგნობრიობა. კეთილშობილურად სწორედ ის ფუფუნება, ანუ generosità
, უფრო ჩაითვლება, ფორმას რომ ვანიჭებთ ადამიანურ, შინაარსისგან დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ასევეა მჭევრმეტყველების კულტიც, იგი, როგორც ხელოვნება ხელოვნებისათვის, ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის მემკვიდრეობაა, რომელიც ჰუმანისტებმა,
უომინი ლეტტერატი , სხვას თუ არა, რომანულ ქვეყნებს მაინც დაუბრუნეს და იგი წარმოადგენს ყოველი შემდგომი გააზრებული იდეალიზმის, მათ შორის, აგრეთვე, პოლიტიკური იდეალიზმის წყაროსო.
- დიახ, ბატონო ჩემო! - განაგრძო სეტემბრინიმ, - ის, რაც თქვენ უდიერად ცხოვრებისა და სიტყვის გათიშვად მოიხსენიეთ, სხვა არა არის რა, თუ არა მშვენიერების გვირგვინში ჩაწნული უფრო მაღალი ერთიანობა, და სულაც არ ვთრთი იმის შიშით, ლიტერატურისა და ბარბაროსობის არჩევანის გამო გამართულ ჭიდილში კეთილშობილი ახალგაზრდობა რომელ მხარეს დაიჭერს-მეთქი.
ჰანს კასტორპი უგულისყუროდ უსმენდა საუბარს, რადგან მისი ყურადღება აქ მყოფ მეომარსა და კეთილშობილთა წრის წარმომადგენელს, უფრო სწორად, მის ახლებურ გამოხედვას შთაენთქა და, ცოტა არ იყოს, შეკრთა, როცა იგრძნო, ბატონი სეტემბრინის უკანასკნელი სიტყვები მოწოდებასა და გამოწვევასავით ჩემკენაა მომართულიო, მაგრამ მყისვე ისეთივე სახე მიიღო, როგორიც მაშინ, სეტემბრინი „აღმოსავლეთსა და დასავლეთს“ შორის არჩევანის გასაკეთებლად საზეიმოდ რომ მოუწოდებდა: ესე იგი, სახე მაშინდელივით მიუკარებელი და ურჩი გაუხდა და დუმილი არჩია. ეს ორი კაცი მაინც ხომ ყველაფერს ამწვავებსო, ფიქრობდა გულში, თუმცა,ალბათ, ასეც იყო საჭირო, რახან პაექრობის სურვილი კლავდათ, ისინი ერთმანეთს გამწარებით აძალებდნენ ორ უკიდურეს არჩევანს, მას კი ეჩვენებოდა, რომ ჭეშმარიტება სადღაც შუაში უნდა ყოფილიყო, ერთმანეთთან შეურიგებელ მოსაზრებებს შორის, ენამჭევრ ჰუმანიზმსა და უწიგნურ ბარბაროსობას შორის უნდა გვეძებნა ის, რისთვისაც შეიძლებოდა

შეღავათით ადამიანური ანუ ჰუმანური გვეწოდებინა, მაგრამ ჰანს კასტორპს ეს აზრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს, ორივეს წყენინებას მოერიდა, თვითონ კი ურწმუნობის ჯავშანი აიფარა და ისე უყურა, მტრობით თვალდავსებული მოპაექრენი ერთმანეთს როგორ უწყობდნენ ხელს უთავბოლოდ ელაპარაკათ და აღარ ამთავრებდნენ კამათს, რომელსაც ბიძგი სეტემბრინიმ მისცა, ხუმრობით ლათინი პოეტი ვერგილიუსი რომ ახსენა.
სეტემბრინის ჯერ კიდევ არ ეთქვა საბოლოო სიტყვა, აქეთ-იქით იქნევდა იმ სიტყვას, რომელსაც მისთვის გამარჯვება უნდა მოეტანა. მან თავი ლიტერატურის გენიის ქომაგობაზე დადო, დამწერლობის ისტორია იმ წუთიდანაა სადიდებელი, როცა ადამიანმა პირველად მოინდომა თავისი ცოდნისა და გრძნობისათვის ძეგლივით სამარადისო სიცოცხლე მიენიჭებინა და ქვაზე იეროგლიფები ამოეკვეთაო. მან გაიხსენა ეგვიპტელთა ღმერთი თოტი, რომელიც ელინთა სამსახოვანი ღმერთის, ჰერმესის ტოლფარდი გახლდათ და ხალხი თაყვანს სცემდა, როგორც დამწერლობის გამომგონებელს, წიგნთსაცავების მფარველსა და ყოველგვარი სულიერი ნამოღვაწარის შთამაგონებელს. იგი მზად იყო, მუხლი მოეყარა ტრისმეგისტოსის, ჰუმანისტი ჰერმესის, პალესტრის
(პალესტრა - ძველ საბერძნეთში ჭიდაობისა და ფარიკაობის სკოლა, საერთოდ: ფიზიკური ვარჯიშის სკოლა.) ოსტატის წინაშე, რომელსაც კაცობრიობა მხატვრული სიტყვისა და აგონალური რიტორიკის უზენაესი საჩუქრის ბოძებას უმადლიდა. ამ სიტყვებმა ჰანს კასტორპს ერთი შენიშვნა წამოაცდენინა: გამოდის, რომ ის ჭეშმარიტი ეგვიპტელი პოლიტიკოსიც ყოფილა და უფრო მაღალ დონეზე იგივე როლი უთამაშია, რაც ბატონ ბრუნეტო ლატინის, რომელმაც ფლორენციელები დახვეწა და მათ მეტყველების ხელოვნება და თავიანთი რესპუბლიკის პოლიტიკის კანონებით მართვა ასწავლაო. ამაზე ნაფტამ უპასუხა, ბატონმა სეტემბრინიმ ცოტ-ცოტა ტყუილები შემოგვაპარა და თოტი-ტრისმეგისტოსის(თოტი-ტრისმეგისტოსი (ბერძნ. „სამგზის უდიდესი“) - ეგვიპტური ღმერთის, თოტის (რომელიც უდრიდა ბერძნულ ჰერმესს) მეტსახელი.)
ზედმიწევნით შელამაზებული პორტრეტი წარმოგვიდგინაო. სინამდვილეში იგი უფრო მაიმუნის, მთვარისა და სულების ღვთაება, ნამგალა მთვარით თავშემკობილი პავინია და ჰერმესის მსგავსად უპირველესყოვლისა სიკვდილისა და მიცვალებულთა ღმერთად ითვლებაო. ამ სულთა მპყრობელსა და წინამძღოლს, გვიანდელ ანტიკურ ხანაში უკვე არქიჯადოქარს უწოდებენ, კაბალისტიკურ
(კაბალისტიკური (ებრ.), კაბალისტიკა - კაბალის მოძღვრება, იუდაიზმში მისტიკური ნაკადი. ფართო მნიშვნელობით: საიდუმლო მოძღვრება, ჯადოქრობა, ჯადოსნობის (ჯადოქრობის) ხელოვნება. კაბალა მჭიდროდაა დაკავშირებული ასოებისა და რიცხვების სიმბოლიკასთან. მეორე მხრივ, კაბალა იუდაიზმში ეზოტერიკულ და თეოსოფიურ მიმდინარეობასაც აღნიშნავდა. კაბალისტიკა განსაკუთრებით შუა საუკუნეებში იყო ფეხმოკიდებული.) შუა საუკუნეებში კი ჰერმეტული ალქიმიის მამამთავრადაც მიიჩნევენო.
რაო, რაო? ჰანსის ფიქრებისა და წარმოდგენების სამჭედლოში ყველაფერი აირ-დაირია. აქ იყო ჰუმანისტი რიტორის სახით მოვლენილი ლურჯწამოსასხამიანი სიკვდილი, ხოლო პედაგოგიურ-ლიტერატურულ ღმერთსა და კაცობრიობის მეგობარს უფრო ახლოდან თუ დააკვირდებოდი, მის მაგიერ ხელთ მაიმუნის სახე შეგრჩებოდა, რომელსაც შუბლზე ღამისა და ჯადოქრობის სიმბოლო ჰქონდა დაჭდეული... ჰანს კასტორპმა ხელები გაასავსავა და თვალებზე აიფარა, მაგრამ წყვდიადში, სადაც ამ აბდაუბდას გაარიდა თავი, კვლავ სეტემბრინის ხმა გაისმოდა და ლიტერატურას განადიდებდა. არა მარტო ჭვრეტითი, არამედ აქტიური სიდიადეც მარადჟამს მასთან იყო დაკავშირებულიო, შესძახა მან, ჩამოთვალა ალექსანდრეს, კეისრის, ნაპოლეონის სახელები, მათ მიაყოლა პრუსიელი ფრიდრიხი და სხვა გმირები და ასე განსაჯეთ, ლასალი
(ლასალი - ფერდინანდ ლასალი (1825-1864) გერმ. სოციალისტი, დავა ჰქონდა მარქსთან, მოკლეს დუელში.) და მოლტკეც კი. იგი არც იმას შეუცბუნებია, ნაფტამ რომ ჩინურ სამყაროში დაუპირა გადასროლა, სადაც მისი სიტყვით, არნახულ, გაუგონარ გროტესკამდე მიდიოდა ანბანის გაღმერთება, სადაც იმ ადამიანს მხედართუფროსობას ანიჭებდნენ, ვისაც ორმოცი ათასივე იეროგლიფის ტუშით

გამოყვანა შეეძლო, თქვენისთანა ჰუმანისტისთვის ამაზე გულგასახარელი რაღა იქნებაო. ეჰ, ნაფტას მშვენივრად მოეხსენება, რომ ტუშით ხატვა აქ არაფერ შუაშია, საქმე ლიტერატურას ეხება, როგორც კაცობრიობის იმპულსს, მთავარი აქ გონია, საცოდავო ქილიკო! გონი თვით არის საოცრება - ანალიზისა და ფორმის შერწყმის ნიმუში. ეს მან გააღვიძა ყოველივე ადამიანურის გაგების უნარი, მან შეუწყო ხელი ბრიყვული აზრებისა და ცრურწმენების შესუსტებასა და მოსპობას, ადამიანთა მოდგმას მან მოუტანა კულტურა, გააკეთილშობილა და უკეთესი გახადა იგი. მან მიანიჭა ადამიანს უმაღლესი ზნეობრივი დახვეწილობა და მგრძნობიარობა, ფანატიზმს აარიდა და ისე აღზარდა მასში დაეჭვების, სამართლიანობისა და მოთმინების ნიჭი... ლიტერატურის განმწმენდი, ამამაღლებელი ძალა, შემეცნებისა და სიტყვის შემწეობით ვნებების დათრგუნვა, ლიტერატურა - ურთიერთგაგების, მიტევებისა და სიყვარულისკენ მიმავალი გზა, ენის მხსნელი, ლიტერატურული გონი - ადამიანის გონის უკეთილშობილესი გამოვლენა, ლიტერატორი - სრულქმნილი ადამიანი, წმინდანი - აი, ასეთ გასხივოსნებულ კალაპოტში მოედინებოდა ბატონი სეტემბრინის ოდა, მაგრამ, ვაგლახ, რომ მის მოწინააღმდეგესაც კარგად უჭრიდა ენა და არც გასჭირვებია ეს ანგელოზური ალილუია ავყია, მაგრამ ბრწყინვალე არგუმენტებით გაეცამტვერებინა, მან თვითშენარჩუნებისა და სიცოცხლის მხარე დაიჭირა, რღვევისა და დაშლის სულისკვეთების საპირისპიროდ, რომელიც, მისი სიტყვით, იმ სერაფიმული(სერაფიმული - (ებრ.) ანგელოსისებური (სერაფი - მხ. რიცხვში, სერაფიმ - მრავლობით რიცხვში - ძველ აღთქმაში: ანგელოსი).)
პირმოთნეობის უკან იმალებოდა. ის საოცარი ნაზავი, რაზეც მთრთოლარე ხმით ილაპარაკა ბატონმა სეტემბრინიმ, ბოლოს და ბოლოს, სიცრუე და თაღლითობაა და სხვა არაფერიო, ვინაიდან ის ფორმა, ლიტერატურის გონს რომ თავი მოაქვს, კვლევისა და დანაწევრების პრინციპთან შევაერთეო, მხოლოდ მოჩვენებითი, ცრუ ფორმაა, იგი არ არის ჭეშმარიტი, ზრდადასრულებული და ბუნებრივი, იგი სიცოცხლის ფორმად ვერ ჩაითვლება. ჩვენს ეგრეთ წოდებულ ადამიანის გამომასწორებელს, მართალია, პირზე განწმენდა და ამაღლება აკერია, მაგრამ სინამდვილეში იგი სიცოცხლის დასაჭურისებისა და სისხლისგან დაწრეტისკენ მოგვიწოდებს. დიახ, გონი და ულმობლობის თეორია სიცოცხლის შემბილწველია და ვისაც ადამიანური ვნებების განადგურება სწადია, მას არარაობა უნდა, წმინდა არარაობა, დიახაც, წმინდა, რადგან სინამდვილეში წმინდა“ ის ერთადერთი ატრიბუტია, რაც არარაობას კიდევ შეიძლება მიესადაგოს. სწორედ აქ ამჟღავნებს თავის ჭეშმარიტ არსს სეტემბრინი, ეს ლიტერატორი. იგი სახელდობრ, პროგრესის, ლიბერალიზმისა და ბურჟუაზიული რევოლუციის მებაირახტრე გახლავთო. პროგრესი ხომ წმინდა წყლის ნიჰილიზმია, ხოლო ლიბერალი ბიურგერი თავისთავად არარაობასა და სატანასთანაა წილნაყარი. დიახ, იგი უარყოფს ღმერთს, უარყოფს კონსერვატულ და პოზიტიურ აბსოლუტს, სამაგიეროდ, დემონურ ანტიაბსოლუტს ეთაყვანება და თავისი მკვდარი პაციფიზმით, ჩვენდა გასაოცრად, თავი ღვთისმოშიშად მოაქვსო. ღვთისმოშიშობამდე ოდნავადაც რომ ბევრი აკლია, მას სიცოცხლისწინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის და ამისთვის ამ უკანასკნელის ინკვიზიციასა და მკაცრ საიდუმლო სამსჯავროზე წარდგომას იმსახურებსო, et cetera
.
(და ასე შემდეგ (ლათ.).) ასე იცოდა ნაფტამ კამათის გამწვავება, სადიდებელი ჰიმნის სატანურად მოქცევა და საკუთარი თავის წარმოჩენა მკაცრი სიყვარულის მფარველად., ასე რომ, ყველაფერი კვლავ ისე აირ-დაირია, სად ღმერთი იყო და სად ეშმაკი, სად სიკვდილი და სად სიცოცხლე, კაცი ვერ გამოარჩევდა. ალბათ, სიტყვაზე გვენდობით, მოწინააღმდეგე ნაფტას ვალში რომ არ დარჩებოდა, გასცა კიდეც საკადრისი პასუხი, თუმცა თვითონაც მაგარ-მაგარი დარტყმები იგემა. და ასე კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა კამათი, თანაც შიგადაშიგ ერთხელ უკვე ნათქვამი მოსაზრებანიც გამოერია. ჰანს კასტორპს დიდხანს აღარც უგდია მათთვის ყური, რადგან იოახიმმა სხვათა შორის თქვა, მგონი, გავცივდი და აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, გაცივება აქ reçu(miRebuli (frang.).)
რომ არ არისო. დუელიანტებმა ყურიდან ყურში გაატარეს ეს ნათქვამი, მაგრამ ჰანს კასტორპს, როგორც ვთქვით, ბიძაშვილზე თვალი ეჭირა, ამიტომ

მოპაექრეებს სიტყვა პირზე შეატოვა და მასთან ერთად წამოდგა, თავი აღარც იმაზე ფიქრით აუტკივებია, დარჩენილი საზოგადოება, ანუ მარტო ფერგე და ვეეზალი, საკმაო პედაგოგიური სტიმული იქნებოდა თუ არა პაექრობის გასაგრძელებლად.
გზაში ის და იოახიმი შეთანხმდნენ, რომ მისი გაცივებისა და ყელის ტკივილისათვის წესისა და რიგის დაცვით მოევლოთ, ესე იგი, მეაბანოესთვის ეთხოვათ, უფროსი ექთანი გაეფრთხილებინა, შემდეგ კი, იმედია, ავადმყოფს უყურადღებოდ არ მიატოვებდნენ. საქმისთვის ასე ჯობდა. და აი, იმავე საღამოს, ნავახშმევს, ადრიატიკამ იოახიმის კარზე სწორედ იმ დროს დააკაკუნა, ჰანს კასტორპიც რომ იქ იყო, და ახალგაზრდა ოფიცერს წრიპინით გამოჰკითხა, რას უჩივითო.
- ყელი გტკივათ? ხმა ჩახლეჩილი გაქვთ? - გაიმეორა მან, - ადამიანისშვილო, ეს რა ოინებია?
ადრიატიკა შეეცადა, იოახიმისთვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ იოახიმის ბრალი არ ყოფილა, ერთმანეთს თვალი რომ ვერ გაუსწორეს: ადრიატიკას თვითონვე აქეთ-იქით გაურბოდა თვალები. გამოცდილებით ხომ იცოდა, თვალს ვერავის რომ ვერ უსწორებდა და საოცარია, რატომღა იკლავდა თავს. მან ქამარზე დატნეული ჯიბიდან ლითონის კაწაპის მსგავსი ხელსაწყო ამოიღო, პაციენტს ენაზე დადო და ყელში ჩახედა, ჰანს კასტორპს კი სთხოვა, საღამური ლამპით მომინათეო. ადრიატიკა თითის წვერებზე აიწია, იოახიმს ნაქი გულდასმით დაუთვალიერა და შემდეგ ჰკითხა:
- მითხარით, დიდად პატივცემულო ადამიანისშვილო, სასულეში ნამცეცი ხომ არ გადაგცდებათ ხოლმე?
აბა, ამაზე რა პასუხი შეიძლებოდა! სანამ ყელს უთვალიერებდნენ, იოახიმს ხმის ამოღება მაინც არ შეეძლო, მაგრამ რომ გათავისუფლდა, მაშინაც ვერ მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა: რა თქმა უნდა, ჭამა-სმის დროს ბევრჯერ დასდგომია გულზე ლუკმა და სასულეშიც გადასცდენია, მაგრამ ასეთი რამ ვის არ მოსვლია და, ცხადია, ადრიატიკას ეს არც ექნებოდა მხედველობაში. იოახიმმა გაიოცა: რატომ მეკითხებით, არ მესმის, არც კი მახსოვს, ბოლოს როდის დამემართა ასეთი რამო.
კეთილი, კეთილი, ეს კითხვა უნებლიეთ დამებადაო. ეტყობა, გაცივებულხართო, დასძინა მან ბიძაშვილების გასაოცრად, რადგან აქ სიტყვა გაცივებას“ საერთოდ არ ახსენებდნენ ხოლმე. ყელის უფრო კარგად გასასინჯად ჰოფრატის ლარინგოსკოპი დაგვჭირდებაო, დაასკვნა ადრიატიკამ, იოახიმს ფორმამინტი და ღამით კომპრესის გასაკეთებლად დოლბანდი და მუშამბის ნაჭერი დაუტოვა და წავიდა. იოახიმმა ორივე საშუალება გამოიყენა და მათი წყალობით შვება იგრძნო, ასე განაგრძო კიდეც მკურნალობა, მაგრამ ჩახლეჩილ ხმას არაფერი ეშველა, პირიქით, უკანასკნელ დღეებში ხმა კიდევ უფრო ჩაეხლიჩა, თუმცა ყელის ტკივილი ხანდახან აღარც აწუხებდა ხოლმე.
მოკლედ, გაცივების ვერსია წმინდა წყლის მონაგონი აღმოჩნდა. ობიექტურმა მონაცემებმა დაადასტურა ჰოფრატის გასინჯვის შედეგები და ამგვარად, სანამ პატივმოყვარე იოახიმი კიდევ ხანმოკლე დამატებით მკურნალობას არ ჩაიტარებდა, მანამ თავის დროშას ვერ მიაშურებდა. ოქტომბერში დათქმულმა ვადამ უხმაუროდ, ზარ-ზეიმის გარეშე ჩაიარა. იგი აღარავის უხსენებია, არც ჰოფრატს და არც ბიძაშვილებს. ბიძაშვილებს ერთმანეთთანაც არ დასცდენიათ სიტყვა, ამ თარიღს ისე უსიტყვოდ, თვალდახრილებმა აუარეს გვერდი. იმის მიხედვით, რაც ბერენსმა ყოველთვიური გასინჯვისას თავის ფსიქოლოგ თანაშემწეს ჩააწერინა და რაც ფოტოფირფიტამ აჩვენა, სავსებით ნათელი გახდა, რომ იოახიმი თავზე ხელს თუ აიღებდა და ისე გაბედავდა აქედან წასვლას, თორემ ამჯერად რკინისებური ნებისყოფის გამოჩენა აქ, ზევით, სამსახურში მართებდა, სანამ ბარში სამსახურისა და ფიცის აღსრულებისათვის საჭირო გამძლეობას არ შეიძენდა.
ასეთი გახლდათ ის სამოქმედო ლოზუნგი, რომელიც ყველამ უსიტყვოდმიიღო. მაგრამ სინამდვილეში, არც ერთი არ იყო მტკიცედ დარწმუნებული, სხვას ამ ლოზუნგისა გულის სიღრმეში სჯერა თუ არაო და თუკი ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ, ეს სწორედ იმ ეჭვებიდან მომდინარეობდა, თან, რაც მთავარია, თვალებს მას მერე ხრიდნენ, თვალი თვალს რომ შეხვდებოდა ხოლმე. ასეთი

ამბები კი სწორედ იმ ლიტერატურული კოლოკვიუმის შემდეგ გახშირდა, როცა ჰანს კასტორპმა იოახიმის თვალთა სიღრმეში ის ახლებური შუქი და უცნაური, „მუქარიანი“ გამოხედვა პირველად შეამჩნია. ერთხელ კი სუფრასთან ასეთი ამბავი მოხდა: ხმაჩახლეჩილ იოახიმს უეცრად სასულეში ნამცეცი გადასცდა და სული ძლივს ამოითქვა. და აი, მაშინ, როცა იოახიმი პირზე ხელსახოცაფარებული ახველებდა და ფრაუ მაგნუსი, მისი მეზობელი, ძველი ჩვეულებისამებრ ზურგზე ურტყამდა ხელს, ბიძაშვილების თვალები ერთმანეთს შეხვდა და ჰანს კასტორპი ამ შემთხვევამ უფრო მეტად შეაძრწუნა, ვიდრე თვით მარცხმა, რომელიც, ცხადია, ყველას შეიძლებოდა დამართოდა. შემდეგ იოახიმმა თვალები დახარა, ხელსახოცი პირზე მიიფარა და დარბაზიდან გავიდა, რომ ყელი გარეთ ამოეწმინდა.

მოღიმარი, თუმცა ოდნავ ფერდაკარგული იოახიმი ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა უკან, თანამესუფრეებს შეწუხებისთვის ბოდიში მოუხადა, კვლავ მიუჯდა სასმელ-საჭმლით გადატვირთულ სუფრას და მას შემდეგ ეს ტრივიალური ინციდენტი აღარავის გახსენებია. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის შემდეგ, ამჯერად ასევე უხვ მეორე საუზმეზე და არა სადილობისას, იოახიმს იგივე რომ დაემართა, მართალია, მათი თვალები ერთმანეთს აღარ შეხვედრია, - ყოველ შემთხვევაში, ბიძაშვილებისა მაინც არა, რადგან ჰანს კასტორპს თეფშიდან თავი არ აუღია და ვითომ მშვიდად განაგრძობდა ჭამას, - მაგრამ სუფრიდან რომ აიშალნენ, ამ ამბავზე მაინც ითქვა ორიოდე სიტყვა და იოახიმმა იმ წყეულ დედაკაცს, მილენდონკს დასდო ბრალი, თავისი როყიო შეკითხვით გულში ეჭვის ჭია გამიჩინა, ნამდვილად გამთვალა, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი და ტანიო. ჰო, ნამდვილად შთაგონების ბრალია, ვითომ სასაცილოა ამის თქმა, მაგრამ ამდენი უსიამოვნება კი მოგვაყენაო, დაუდასტურა ჰანს კასტორპმა. რაკი ამ ამბავს თავისი სახელი დაერქვა, იოახიმი იმ დღიდან ჯადოს წარმატებით უმკლავდებოდა, ჭამის დროს ფრთხილობდა და გაუთვალავ ხალხზე უფრო ხშირად სასულეში ნამცეცი აღარ გადასცდენია: მხოლოდ ცხრა თუ ათი დღის შემდეგ დაემართა იგივე, რაზეც, კაცმა რომ თქვას, ლაპარაკიც არ ღირდა.

მიუხედავად ამისა, იოახიმი რიგგარეშე, დამატებით გამოიძახეს რადამანთისთან. მიღებაზე უფროსმა ექთანმა ჩაწერა და ჭკვიანურადაც მოიქცა: რაკი სანატორიუმში ლარინგოსკოპი მოიძებნებოდა, ეს გახანგრძლივებული ხმის ჩახლეჩა, ზოგჯერ ხმის საათობით დაკარგვა, ყელის ტკივილი, მაშინვე რომ იჩენდა თავს, როგორც კი იოახიმს ყელში დამარბილებელი წამლის გამოვლება დაუგვიანდებოდა, საკმაოდ საპატიო საბაბი გახლდათ ამ ჭკვიანური გამოგონების კარადიდან გამოსაღებად, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, იოახიმს რამოდენა სიფრთხილის ფასად უჯდებოდა, სასულეში ნამცეცი ასე იშვიათად რომ გადასცდენოდა, და ამის გამო სუფრიდანაც ყველაზე ბოლოს რომ დგებოდა ხოლმე.

ასე და ამგვარად, ჰოფრატმა სარკითაც ჩაანათა და თვალითაც ღრმად ჩაიჭვრიტა იოახიმის ყელში, პაციენტი კი ჰანს კასტორპის დაჟინებული თხოვნით გასინჯვის დამთავრებისთანავე მის ლოჯიაში გამოცხადდა და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. ყელში საკმაოდ უსიამოვნოდ მიღიტინებსო, ჩურჩულით უამბო იოახიმმა, რადგან სწორედ მთავარი სამკურნალო წოლისა და სიჩუმის დაცვის დრო იყო, ბოლოს ბერენსმა ბევრი ილაპარაკა ყელის გაღიზიანებაზე, ყოველდღე ყელში წამალი უნდა წამისვან, ხვალვე დამიწყებენ მოწვას, მხოლოდ ჯერ წამალი უნდა დაამზადონო. მოკლედ, დადგინდა გაღიზიანება და დაინიშნა მოწვით მკურნალობა. ჰანს კასტორპს თავში უამრავი ასოციაცია დაებადა და ისეთი გარეშე ხალხიც კი გაახსენდა, როგორიც კოჭლი კონსიერჟი და ერთი ქალი იყვნენ. იმ ქალს მთელი კვირა ყურზე ეკიდა ხელი და ბოლოს, როგორც იქნა, მისცეს შვება. კითხვაც ბევრი ადგა ენაზე, მაგრამ აღარაფერი უკითხავს, გადაწყვიტა, ჰოფრატი დაემარტოხელებინა და ყველაფერი მისთვის ეკითხა, იოახიმს კი მხოლოდ ეს უთხრა, კარგია, შენს სატკივარს თვითონ ჰოფრატმა რომ მიხედა, ყოჩაღი კაცია, უეჭველად გიშველისო. ამ სიტყვებზე იოახიმმა თავი დაუქნია, ოღონდ სახეში არ შეუხედავს, ისე მიბრუნდა და თავის ლოჯიაში გავიდა.

მაინც რა სჭირდა პატივმოყვარე იოახიმს? მას უკანასკნელ დღეებში მზერა საოცრად უნდო და მფრთხალი გაუხდა. სულ ახლახან იყო, უფროსი ექთანი

მილენდონკი ამაოდ რომ შეეცადა მისთვის თვალებში ჩაეხედა, მაშინ ნაზმა და შავმა თვალებმა მისი მზერა აირიდა, მაგრამ მილენდონკს აი, ახლა, ერთხელ კიდევ რომ ეცადა იგივე, არავინ იცის, საქმე როგორ დაგვირგვინდებოდა. ისე კი, იოახიმი ყველას თვალს არიდებდა და თუ მაინცდამაინც თვალის გასწორებაზე მიდგებოდა საქმე (მაგალითად, ჰანს კასტორპი ხშირად დაეძებდა ხოლმე მის მზერას), ამის მოსურნეს გულზე დიდად არ მოეშვებოდა. თავის ლოჯიაში მარტო დარჩენილ ჰანს კასტორპს გუნება წაუხდა და გულში დაიქადნა, შეფს დაუყოვნებლივ მოველაპარაკებიო, ოღონდ ახლავე ამ სურვილს ვერ შეისრულებდა - იოახიმს მისი წამოდგომა არ გამოეპარებოდა და მანაც გადაწყვიტა, მოლაპარაკება ნაშუადღევისთვისგადაედო.
ეს კი არ მოხერხდა და არა. საოცარია! ჰოფრატის ხელში ჩაგდება მართლაც რომ შეუძლებელი გახდა, იმ საღამოს ხომ ვერ დაიჭირა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც მომდევნო დღეებში გაუმართლა ბედმა. ცხადია, ამ საქმეს იოახიმიც უშლიდა ხელს, მას ხომ არაფერი არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ ეს მიზეზიც არ კმაროდა იმის ასახსნელად, საუბარი რატომ ვერ მოხერხდა და რადამანთისი ასე მოუხელთებელი რატომ გახდა. ჰანს კასტორპმა მის ძებნაში მთელი სანატორიუმი შემოიარა, ვინ საით უთითებდა და ვინ საით, სადაც ნამდვილად უნდა დაეჭირა, მაგრამ იქამდე მისულს ჰოფრატი ადგილზე აღარ ხვდებოდა. ერთხელ ბერენსი სუფრასთანაც იჯდა და დესერტის მოტანამდე თვალსა და ხელს შუა დაეკარგა. რამდენჯერმე ეგონა, აი, ახლა კი დავიჭირე და ეს არისო, კიბეზეც დალანდა, ტალანშიც, ერთხელ კროკოვსკისთან, მეორეჯერ უფროს ექთანთან, მესამეჯერ რომელიღაც პაციენტთან მოსაუბრე და დაუდარაჯდა კიდეც, მაგრამ საკმარისი იყო, ერთი გვერდზე მიეხედა და ბერენსს თვალიდან კარგავდა.
მხოლოდ მეოთხე დღეს მიაღწია მიზანს. აივნიდან დაინახა მისი დევნილი ბაღში მებაღეს მითითებებს რომ აძლევდა, სასწრაფოდ გამოსხლტა საბნიდან და კიბეზე დაეშვა. ბაღში თვალი წაატანა ჰოფრატის მრგვალ კეფას - ჰოფრატი მკლავებს ნიჩბებივით უსვამდა და თავისი ბინისკენ მიეშურებოდა - გამოეკიდა, ასე განსაჯეთ, დაძახებაც კი გაუბედა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ბოლოს, როგორც იქნა, აქოშინებული მაინც დაეწია და შეაჩერა.
- თქვენ აქ რა გინდათ! - თვალები გადმოუკარკლა და დაუყვირა ჰოფრატმა, - თუ შინაგანაწესის ცალკე ეგზემპლარი მოგართვათ? როგორც ვიცი, ახლა წოლის საათია. თქვენი ტემპერატურის მრუდი და რენტგენოგრამა მაინცდამაინც დიდ უფლებას არ განიჭებენ, ასე თავადურად მოიქცეთ. ერთი აქ სადმე ჯადოსნური საფრთხობელა უნდა დავადგმევინო, ვინც ორსა და ოთხ საათს შუა ბაღში თვითნებურად გამობრძანდება, შამფურზე წამოგებით რომ დაემუქროს. მაინც რა გნებავთ?
- ბატონო ჰოფრატო, თქვენთან ერთი წუთით აუცილებელი სალაპარაკო მაქვს!
- შეგამჩნიეთ, დიდი ხანია, რომ წვალობთ. ისე დამდევთ კუდში, ვითომ ლამაზი ქალი ან რაიმე მაგდაგვარი საცდური ვიყო... მაინც რა გნებავთ ჩემგან?
- ჩემი ბიძაშვილის თაობაზე გაწუხებთ, ბატონო ჰოფრატო, ბოდიშს გიხდით! მას ახლა ყელში მალამოს წასმა აქვს დანიშნული... დარწმუნებული ვარ, გამოკეთდება, მაგრამ საშიში ხომ არაფერია-მეთქი, მხოლოდ ეს მინდოდა, მეკითხა...
- თქვენ ისეთი ტიპის კაცი ხართ, არაფერი არ გინდათ საშიში იყოს. მართალია, ზოგჯერ საშიშ საქმეშიც გაყოფთ ხოლმე თავს, მაგრამ მერე თავს იკატუნებთ, ვითომ საშიში არაფერიაო, და გგონიათ, ამით ღმერთსაც ასიამოვნებთ და კაცსაც. თქვენ მხდალი და ჩუმჩუმელა ბრძანდებით, თქვენი ბიძაშვილი სამოქალაქო პირს რომ გეძახით, ეს შეგიძლიათ დიდ ევფემიზმად
(ევფემიზმი (ბერძნ.) - შემალამაზებელ-შემარბილებელი გამოთქმა, რომელიც ცდილობს სიმართლის შენიღბვა-დაფარვას.) მიითვალოთ.
- იქნებ ასეც იყოს, ბატონო ჰოფრატო. რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ ახლა ჩემს ნაკლზე ლაპარაკის დრო არ არის, სამი დღეა, ერთი რამ მინდა გთხოვოთ...
- რომ სასიამოვნოდ დაშაქრული და შელამაზებული სიმართლე გითხრათ, არა? თქვენ გინდათ გასაქანი არ მომცეთ, თავი მომაბეზროთ, რათა თქვენს წყეულ პირმოთნეობას ზურგი გავუმაგრო, თქვენ დამშვიდებული სინდისით იძინოთ,

სხვებმა კი ღამეები ტეხონ და მთელი პასუხისმგებლობა იტვირთონ.
- ბატონო ჰოფრატო, ძალიან მკაცრად მექცევით, მე, პირიქით, მინდოდა...
- ჰო, რა თქმა უნდა, სიმკაცრე თქვენთვის უცხო ხილია. აი, თქვენი ბიძაშვილი კი სულ სხვა კაცია, ძარღვებში სხვა სისხლი უდუღს. ყველაფერი იცის. იცის და დუმს, გესმით? ის კალთებს არ აგლეჯს არავის, მითხარით, რომ საშიში არაფერია, იქნებ იმედის ცისფერ ბურუსში გავეხვიოო. მან კარგად იცოდა, რა რისკზეც მიდიოდა. აი, ვინ არის ნამდვილი ვაჟკაცი, თავის შეკავებაც რომ შეუძლია და პირზე კლიტის დადებაც. ეს მამაკაცური ნიჭია, და სამწუხაროდ, თქვენისთანა ორფეხა კოკობს ვერ ექნება მომადლებული. მაგრამ გაფრთხილებთ, კასტორპ, თქვენ რომ აქ სცენები და მოთქმა-გოდება წამომიწყოთ და თქვენს სამოქალაქო გრძნობებს აჰყვეთ, იმ დღესვე მიგაბრძანებთ აქედან. გამიგეთ, ეს მხოლოდ მამაკაცების საქმეა.
ჰანს კასტორპი დუმდა. ახლა მასაც ლაქებად ემჩნეოდა ხოლმე სიფითრე, სპილენძისფრად დამწვარი სახე მთლიანად არ უფითრდებოდა, ბოლოს აცახცახებული ტუჩებით წარმოთქვა:
- დიდი მადლობა, ბატონო ჰოფრატო. იქნებ მეც ვხვდებოდე ყველაფერს, მე მგონი, თქვენ ასე არ - როგორ გითხრათ, არ ვიცი. - იოახიმის საქმე ცუდად რომ არ იყოს, თქვენ ასე არ დამიწყებდით ლაპარაკს, ოღონდ იცოდეთ, მე სცენებისა და მოთქმა-გოდების მოყვარული სულაც არ გახლავართ, ამას ტყუილად მაბრალებთ, და საქმე საიდუმლოს შენახვაზე თუ მიდგა, მერწმუნეთ, არც აქ გიმტყუნებთ.
- თქვენს ბიძაშვილზე გული ძალიან შეგტკივათ, ჰანს კასტორპ? - ჰკითხა ჰოფრატმა, თან ახალგაზრდა კაცს უეცრად ჩასჭიდა ხელი და თავისი ლურჯი, თეთრწამწამებიანი, ჩასისხლიანებული, გადმოკარკლული თვალები შუბლქვემოდან შეანათა.
- აბა, რა გითხრათ, ბატონო ჰოფრატო, ჩემი ახლო ნათესავია, აქ კი, ზევით, ჩემი ამხანაგი და კეთილი მეგობარი, - მიუგო ჰანს კასტორპმა, წამოისლუკუნა, ცალი ფეხის ქუსლი გარეთ შეატრიალა და ფეხის წვერს ისე დაეყრდნო.
ჰოფრატმა სწრაფად უშვა ხელი.
- რაკი ეგრეა, ეს ექვსი-რვა კვირა მოეფერეთ, - უთხრა მან და დასძინა, - ეგ საქმე თქვენსავე თანდაყოლილ უწყინარ ხასიათს მიანდვეთ და მასაც ყველაზე უფრო ამით ასიამოვნებთ. მეც აქა ვარ და სწორედ ეგ მევალება, შესაძლებლობის ფარგლებში საქმე რაინდულად და კომფორტაბელურად მოგვარდეს.
- larynx
,
(ხორხი (ბერძნ.).) არა? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა და ჰოფრატს თავი დაუქნია.
- დიახ,
ლარუნგეა ,(ხორხის ტუბერკულოზი (ბერძნ.).)
- დაუდასტურა ბერენსმა, - დაშლის პროცესი სწრაფად ვითარდება. სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსიც უკვე საშინლად გაღიზიანებულია. ადვილი შესაძლებელია, სამხედრო სამსახურში ბრძანებების ხმამაღლა გაცემას წარმოექმნა locus minoris resistentiae
,
(სუსტი ადგილი (ლათ.).) მაგრამ ასეთი დივერსიები უამისოდაც მოსალოდნელია. იმედი ძალიან მცირეა, ყმაწვილო, უფრო სწორად, არავითარი. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა ვცადოთ, რაც კი საუკეთესო და ეფექტური გვაქვს.
- დედას..... - წამოიწყო ჰანს კასტორპმა.
- მერე, მერე, საჩქარო არაფერია. აბა, თქვენ იცით, მთელი ტაქტი და სიმარჯვე ჩააქსოვეთ, რომ დედა შესაფერის დროს მოგვევლინოს, ახლა კი თქვენს საგუშაგოს მიაშურეთ, არაფერს მიხვდეს. აბა, რა სასიამოვნოა, ზურგს უკან შენზე რომ ლაპარაკობენ.
იოახიმი ყოველდღე დადიოდა პროცედურებზე. მშვენიერი შემოდგომა იდგა, თეთრი ფლანელის შარვალსა და ლურჯ პიჯაკში გამოწყობილი იოახიმი პროცედურების გამო ხშირად აგვიანებდა სადილზე, სუფრასთან მოხდენილად, სამხედრო ნაბიჯით მოვიდოდა, თანამესუფრეებს მოკლედ, თავაზიანად და ვაჟკაცურად მიესალმებოდა, დაგვიანებისთვის ბოდიშს მოიხდიდა და ჭამას შეუდგებოდა. სადილს კარგა ხანია საგანგებოდ უმზადებდნენ, რახან ყლაპვა

უჭირდა და, ჩვეულებრივ, კერძებს სხვებზე მეტხანს უნდებოდა, ამიტომ მისთვის წვნიანი, დაკეპილი ხორცი და ფაფეული მოჰქონდათ ხოლმე. თანამესუფრეები სწრაფად გაერკვნენ საქმის ვითარებაში. იოახიმს სალამზე გადამეტებული თავაზიანობითა და სითბოთი ეპასუხებოდნენ და „ბატონ ლეიტენანტს“ ეძახდნენ. მის მოსვლამდე ჰანს კასტორპს აყრიდნენ შეკითხვებს, ამბის საკითხავად პაციენტები სხვა მაგიდებიდანაც კი მოდიოდნენ, ხოლო ფრაუ შტორი ხელებს იმტვრევდა და მდაბიურად მოთქვამდა ხოლმე. მაგრამ ჰანს კასტორპი შეკითხვებზე ყველას ძუნწად პასუხობდა, მდგომარეობა რომ სერიოზული იყო, ამას არ მალავდა, მაგრამ ყველაფერს მაინც არ ამბობდა, ღირსების გრძნობა კარნახობდა, რომ უფლება არ ჰქონდა, იოახიმი დროზე ადრე გაეწირა.
ისინი ერთად სეირნობდნენ, დღეში სამჯერ ფარავდნენ სავალდებულო სამკურნალო მანძილს, რომელიც ჰოფრატმა იოახიმს ამჯერად ზუსტად გამოუზომა, რათა ამ უკანასკნელს ძალ-ღონე ტყუილად არ გაეფლანგა. ჰანს კასტორპი ბიძაშვილს მხარმარცხნივ მიჰყვებოდა, უწინ ხან ასე დადიოდნენ და ხან ისე, როდის როგორ მოხვდებოდა, მაგრამ ახლა ჰანს კასტორპი მეტწილად მარცხენა მხარეს ირჩევდა ხოლმე. ისინი ბევრს არ ლაპარაკობდნენ, ერთ-ორ სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს, რის საბაბსაც „ბერგჰოფის“ ჩვეულებრივი დღე მისცემდათ. მათ შორის მძიმედ ჩამოწოლილ თემაზე ლაპარაკი არც ღირდა, ან კი ისეთ მკაცრ ზნე-ჩვეულებებზე აღზრდილ ადამიანებს რა ექნებოდათ სათქმელი, როცა ერთმანეთს სახელით მხოლოდ იშვიათად მიმართავდნენ. მიუხედავად ამისა, ჰანს კასტორპის სამოქალაქო მკერდში ზოგჯერ დარდი ისე აზავთდებოდა, ლამის გადმოეხეთქა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ. ის ბობოქარი, გულზე მოწოლილი ტკივილი ცხრებოდა და იგიც ხმას აღარ იღებდა ხოლმე.
იოახიმი თავჩაღუნული მიჰყვებოდა გვერდით. ძირს ისე იყურებოდა, თითქოს მიწას ჩასციებიაო. მაინც რა საოცარია: იგი აქ დააბიჯებდა, ფაქიზი და მოხდენილი, გამვლელებს, ჩვეულებისამებრ, რაინდულად ესალმებოდა, თავის გარეგნობასა და თავდაჭერას უწინდებურად ყურადღებას აქცევდა და უკვე მიწის წილხვედრი კი იყო. ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, ყველანი მიწის ხვედრი ვართ, მაგრამ ასე ახალგაზრდა, დროშის სამსახურის ასე სულით და გულით მოსურნე კაცი უდროოდ რომ გახდები მისი ხვედრი, ძალიან მწარეა: თუმცა უფრო მწარეა და გაუგებარი მის გვერდით მიმავალი, ზედმიწევნითგათვითცნობიერებული ჰანს კასტორპისათვის, ვიდრე თვით მიწის შვილისათვის, რადგან მისი ზრდილობიანად დაფარული ცოდნა მართლაც განყენებული ხასიათისაა, იგი ნაკლებად ჰგავს ნამდვილს და თვითონ მას, მართლაც რომ სხვებზე ნაკლებად ეხება. დიახ, სინამდვილეში, ჩვენი სიკვდილი უფრო ცოცხლად დარჩენილების საქმეა, ვიდრე ჩვენი, რადგან გვახსოვს თუ არ გვახსოვს ერთი ხუმარა ბრძენის სიტყვები, იგი სრულ სიმართლეს კი შეიცავს: სანამ ვცოცხლობთ, სიკვდილი არ არსებობს, ხოლო სიკვდილი რომ მოდის, ჩვენ აღარ ვართო, მაშასადამე, ჩვენსა და სიკვდილს შორის არავითარი რეალური კავშირი არ არსებობს. იგი ის მოვლენაა, ბუნებასა და სამყაროს ცოტათი მაინც რომ ეხება, ჩვენ კი საერთოდ არ გვეხება და ამიტომაცაა ყველა სულიერი მას მშვიდად, გულგრილად, უპასუხისმგებლოდ და ეგოისტური უმანკოებით რომ შესცქერის. ამ უმანკოებისა და უპასუხისმგებლობის ნიშნებს უკანასკნელი კვირების მანძილზე იოახიმის არსებაშიც უხვად ამჩნევდა ჰანს კასტორპი და ხვდებოდა, რომ მან ყველაფერი იცოდა, მაგრამ სწორედ იმიტომ არ უძნელდებოდა, თავისი გასაჭირი დუმილით დაეფარა, რომ შინაგანად მასთან სუსტად და ისიც მხოლოდ თეორიულად იყო დაკავშირებული, ხოლო ამ ამბის პრაქტიკული მხარე ზრდილობის ჯანსაღი გრძნობის წყალობით რეგულირდებოდა და გვარდებოდა. იგივე გრძნობა ნაკლებად იძლეოდა იმ ცოდნაზე მსჯელობის უფლებას, ისევე როგორც მიღებული არ არის ბევრ სხვა ფუნქციურ უწმინდურობაზე საუბარი, რომლებსაც სიცოცხლე აცნობიერებს და რითაც თვითონვე არის კიდეც განპირობებული, ოღონდ იმ ფუნქციების არსებობა წესისა და რიგის დაცვას ხელს სულაც არ უშლის ხოლმე.
ასე მიაბიჯებდნენ ისინი და ბუნების სიცოცხლისმიერ უწმინდურობებს დუმილით უვლიდნენ გვერდს. იოახიმი უწინ ბრაზობდა და ჩიოდა, მანევრები და, საერთოდ, ბარში სამხედრო სამსახური მიცდებაო, მაგრამ ახლა ეს საყვედურები აღარ

ისმოდა, მაშინ რატომღა უბრუნდებოდა მიამიტური ნიღბის მიუხედავად მის ნაზ თვალებს ნაღვლიანი კრთომა, აი, ის მერყეობა, რასაც უფროსი ექთანისთვის ამჯერად შეიძლებოდა გამარჯვება მოეტანა? იქნებ იმიტომ, რომ იცოდა, თვალები და ლოყები როგორ ჩაუცვივდა? ეს ცვლილება ამ კვირებში თვალდათვალ დაეტყო და იმაზე გაცილებით მეტად, ვიდრე ბარიდან შინ დაბრუნებულს ეტყობოდა, გარდა ამისა, ბრინჯაოსფერ სახეზე დღითი დღე პერგამენტისებური სიყვითლე ეძალებოდა. თითქოს ეს გარემო, რომელიც თავის ბატონ ალბინიანად მხოლოდ იმისთვის იყო მოწოდებული, რომ უსირცხვილობის უსაზღვრო უპირატესობებით დამტკბარიყო, მას, პირიქით, საბაბს აძლევდა, საკუთარი თავი შეზიზღებოდა და სირცხვილით დამწვარიყო. მაშ, რასა და ვიღას არიდებდა ოდესღაც პირდაპირ მზერას? რა საოცარია სულდგმულთა რიდი სიცოცხლის წინაშე. ისინი სულის ამოსასვლელად სადმე სამალავში მიძვრებიან, რადგან იციან, რომ ბუნების წიაღში თავიანთი ტანჯვისა და სიკვდილის წილ არავითარ ყურადღებასა და პატივისცემას არ უნდა მოელოდნენ და არც ცდებიან, რადგან ფრთამალი ჩიტები თავის სნეულ ამხანაგს არამცთუ პატივს არ სცემენ, არამედ გამძვინვარებულნი, ზიზღით ნისკარტის დარტყმით უმასპინძლდებიან, მაგრამ ეს ხომ პრიმიტიულ ბუნებაში ხდება, ჰანს კასტორპის გულში კი ღრმა ადამიანური სიყვარული და სიბრალული ბობოქრობდა, როცა საბრალო იოახიმს თვალებში მძიმე ინსტინქტურ სირცხვილს ამჩნევდა. იგი იოახიმს შეგნებულად მხარდამხარ მიჰყვებოდა, რაკი ამ ბოლო დროს მუხლის მოსუსტებასაც ატყობდა, ხოლო როცა პატარა ფერდობზე აფორთხება უწევდათ, სისხლსა და ხორცში გამჯდარ ეტიკეტს სძლევდა და იოახიმს მხარზე ხელს გადახვევდა ხოლმე. ზოგჯერ ხელის აღება ავიწყდებოდა, მაშინ იოახიმი მის ხელს განაწყენებული იშორებდა და ეუბნებოდა, არ გინდა, ხელიხელგადახვეული რომ მივდივართ, ვინმეს მთვრალები ვეგონებითო.

მაგრამ შემდეგ დადგა წამი, როცა ახალგაზრდა ჰანს კასტორპმა იოახიმის დაღვრემილ მზერაში კიდევ ერთი, სულ სხვა სხივი შენიშნა. ეს იყო იმ დღეს, როცა იოახიმს უბრძანეს, წოლითი რეჟიმი დაეცვა. ნოემბრის პირველი რიცხვები იდგა, თოვლი სქლად იდო. სწორედ მაშინ იყო, იოახიმს დაკეპილი ხორცისა და ფაფეულის ყლაპვაც რომ გაუჭირდა - ყოველი მეორე ლუკმა სასულეში უვარდებოდა. საჭირო გახდა მისი თხიერ საკვებზე გადაყვანა და ბერენსმა ამასთან ერთად ხანგრძლივი წოლითი რეჟიმიც დაუნიშნა, რომ ძალა ტყუილად არ გაეფლანგა. მოკლედ, ეს მოხდა იოახიმის ლოგინად ჩავარდნის წინ, იმ უკანასკნელ საღამოს, ჯერ კიდევ ფეხზე რომ იდგა, და აი, მაშინ ჰანს კასტორპმა მას მარუსიასთან მოსაუბრეს მიუსწრო, უმიზეზოდ მოხითხითე, ფორთოხლისცხვირსახოციან და ვითომ ჯანსაღმკერდიან მარუსიასთან. ეს იყო ნავახშმევს, საღამოს თავშეყრისას, ვესტიბიულში. ჰანს კასტორპი მუსიკალურ სალონში შეყოვნდა და ვესტიბიულში იოახიმის დასახედად გამოვიდა. იოახიმი შორენკეცით მოპირკეთებული ბუხრის წინ, მარუსიას სკამთან დაინახა: მარუსია სკამსაქანელაში იჯდა, იოახიმს მარცხენა ხელი სკამის საზურგისთვის ჩაევლო და სკამი უკან გადაწეული ეჭირა, ისე, რომ ნახევრად წამოწოლილი მარუსია თავისი თაფლისფერი, მრგვალ-მრგვალი თვალებით სახეში ქვემოდან შესცქეროდა. იოახიმი ქალის სახისკენ დახრილიყო და ჩუმად დანაწყვეტ-ნაწყვეტ ელაპარაკებოდა, ქალი კი შიგადაშიგ იღიმებოდა და ნერვიულად და აგდებულად იჩეჩდა მხრებს.

ჰანს კასტორპმა სასწრაფოდ უკან დაიხია, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ ამ სცენას საზოგადოების სხვა წევრები, აქაური ჩვეულებისამებრ, ეშმაკური ღიმილით უთვალთვალებდნენ, მათ თვალთვალს კი იოახიმი ან ვერ ამჩნევდა, ან განგებ არ აქცევდა ყურადღებას. ამ სანახაობამ: მაღალმკერდიან მარუსიასთან ასე გატაცებით მოსაუბრე იოახიმის დანახვამ, იმ მარუსიასთან, რომელთანაც ამდენ ხანს ერთ მაგიდასთან ისე იჯდა, ერთხელაც არ დალაპარაკებია, მის პიროვნებასა და არსებობასთან თავის დამოკიდებულებას კი იმით გამოხატავდა, რომ მკაცრი სახით, გონივრულად და პატიოსნად არიდებდა თვალს, თუმცა მის ხსენებაზე სახე უფორეჯდებოდა ხოლმე, უფრო მეტად შეაძრწუნა ჰანს კასტორპი, ვიდრე დაუძლურების სხვა რომელიმე ნიშანმა, რაც ამ კვირებში თავისი საბრალო ბიძაშვილისთვის შეემჩნია. წასულია მისი საქმე! - გაიფიქრა მან და მუსიკალურ

სალონში სკამზე ჩამოჯდა, რათა იოახიმისთვის ედროვებინა, ვესტიბიულში გატარებულ ამ უკანასკნელ საღამოს, ამქვეყნად დარჩენილი თავისი წილი ბედნიერებით მაინც დამტკბარიყო.
იმ დღიდან იოახიმმა ხანგრძლივად მიიღო ჰორიზონტალური მდებარეობა და ჰანს კასტორპმა ეს ამბავი ლუიზე ციმსენს აცნობა. წერილი თავის ჩინებულ სკამლოგინზე დაწერა, ადრე რასაც გატყობინებდით, იმას უნდა დავუმატო, რომ იოახიმი მწოლიარე შეიქნა და თუმცა თვითონ არაფერი უთქვამს, მაგრამ მის თვალებში სურვილი ამოვიკითხე, დედა გვერდით ჰყავდესო, ამ გამოუთქმელ სურვილს ჰოფრატი ბერენსიც მტკიცედ უჭერს მხარსო. წერილს ეს უკანასკნელი აზრიც სათუთად, მაგრამ ნათლად დაურთო, ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ფრაუ ციმსენი თავისი ვაჟიშვილისკენ უსწრაფესი ტრანსპორტით გამოეშურა და იმ ჰუმანურად დაწერილი საგანგაშო წერილის გაგზავნიდან სამი დღის თავზე უკვე აქ იყო. ჰანს კასტორპი ქარბუქში მარხილით დახვდა სადგურ „სოფელში“ და სანამ პატარა მატარებელი ჩამოდგებოდა, ისეთი სახე მიიღო, რომ პირველ შეხედვაზე დედას არც ძალიან შეშინებოდა, მაგრამ მის თვალებში არც ყალბი მხნეობა ამოეკითხა.
ვინ იცის, რა ხშირად შემდგარა აქ ამდაგვარი შეხვედრა, რა ხშირად მიჰგებებიან ერთმანეთს ადამიანები და ჩამოსულს დაჟინებული, შიშით სავსე, გამომცდელი მზერით ჩაუხედავს დამხვდურისათვის თვალებში! გეგონებოდათ, ფრაუ ციმსენს ჰამბურგიდან ფეხით ჩამოურბენიაო. სახეალეწილმა ქალმა ჰანს კასტორპის ხელი მკერდზე მიიკრა, ირგვლივ შიშით მიმოიხედა და თითქოს საიდუმლოს უმხელსო, ისე სწრაფად გამოჰკითხა შვილის ამბები. ჰანს კასტორპმა კითხვებზე პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და მადლობა გადაუხადა, რა კარგია, ასე მალე რომ ჩამობრძანდით, წარმომიდგენია, იოახიმს როგორ გაუხარდებაო. ჰმ, სამწუხაროდ, იოახიმი ამჟამად მწოლიარეა, ეს რეჟიმი თხიერი საკვების გამო დაუნიშნეს, რა თქმა უნდა, ამგვარი საკვები თავისთავად ასუსტებს ადამიანსო, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, სხვა საშუალებებიც მოიძებნება, მაგალითად, ხელოვნური კვება, მოკლედ, თქვენ თვითონ ნახავთო.
დედამ მართლაც დაინახა ყველაფერი და დაანახვა მის გვერდით მდგომ ჰანს კასტორპსაც. ჰანს კასტორპს აქამდე ასე აშკარად არ შეუმჩნევია, უკანასკნელი კვირების მანძილზე როგორ შეცვლილიყო იოახიმი, ამგვარი ამბების მიმართ ახალგაზრდები ხომ უყურადღებონი არიან. ახლა კი შორიდან ჩამოსული დედის თანდასწრებით თვითონაც დედის თვალებით შეხედა იოახიმს, თითქოს დიდი ხნის უნახავი ჰყოლოდეს, ისე ცხადად და აშკარად მიხვდა იმას, რასაც უეჭველია, დედაც ხვდებოდა და რაც, სხვათა შორის, ამ სამში ყველაზე უკეთ თვით იოახიმმა იცოდა - იგი უკვე მორიბუნდუსი რომ გამხდარიყო. იოახიმმა ფრაუ ციმსენის ხელი თავის ხელში გაიჩერა, ხელიც სახესავით გაჰყვითლებოდა და გალეოდა, ხოლო ყურები, მისი ბედნიერი ხანის ეს პატარა სადარდებელი, სიგამხდრისაგან უწინდელზე უფრო გამოსჩროდა და გულშემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ სახეს ამ ნაკლის, ტანჯვის კვალისა და სერიოზული, მკაცრი გამომეტყველების, უფრო სწორად, სიამაყის მიუხედავად, კიდევ უფრო მეტი მამაკაცური სილამაზე შეეძინა, თუმცა შავი ულვაშის ქვეშ გამობურცული ტუჩები ჩაცვენილ ლოყებთან შედარებით მეტისმეტად სავსე მოუჩანდა. ყვითელ კანგადაკრულ შუბლზე, წარბებშუა, ორი ღრმა ნაოჭი გასჩენოდა, ფოსოებში ღრმად ჩაცვენილი თვალები კი უფრო ფართო და მშვენიერი გახდომოდა და მათი ცქერა ჰანს კასტორპს სიამოვნებას ჰგვრიდა. ლოგინად ჩავარდნის შემდეგ იოახიმს თვალებში ყოველგვარი წუხილი, დარდი და ყოყმანი გაუქრა, მათი მშვიდი, უძირო სიღრმიდან მხოლოდ ადრე შემჩნეული სხივი და კიდევ, ალბათ, ის „მუქარაც“ გამოკრთოდა. არ გაუღიმია, დედის ხელი ისე ეჭირა ხელში და დედას ჩურჩულით ესალმებოდა. ღიმილი არც მის შემოსვლაზე დასტყობია და ეს უმოძრაო სახე, ეს გაქვავებული გამომეტყველება ყველაფერს თვითონვე ამბობდა.
ლუიზე ციმსენი მამაცი ქალი იყო. თავისი ყოჩაღი შვილის დანახვაზე მოთქმა-ვაება არ აუტეხია, სიმშვიდე არ დაუკარგავს, თავს ისევე იმაგრებდა, როგორც თავზე გადაკრული სიფრიფანა ბადე უმაგრებდა თმას. თავისთანამემამულეთა მსგავსად ფლეგმატურმა და ენერგიულმა ქალმა მაშინვე მოჰკიდა იოახიმის

მოვლას ხელი, მის დანახვაზე დედობრივი ბრძოლის უნარი გაეღვიძა და მტკიცედ ირწმუნა, თუკი ხსნა სადმე არსებობდა, იგი მხოლოდ მის ძალასა და სიფხიზლეს შეიძლებოდა მათთვის მოეტანა. ლუიზე ციმსენს, ცხადია, საკუთარი ტვირთის შემსუბუქებაზე არ უზრუნია, როცა აქაურ წეს-ჩვეულებებს ანგარიში გაუწია და რამდენიმე დღის შემდეგ დათანხმდა, მძიმე ავადმყოფისთვის მესასთუმლე მიეჩინათ. ეს გახლდათ მოწყალების და ბერტა, სინამდვილეში, ალფრედა შილდკნეჰტი, რომელიც იოახიმის სარეცელთან თავისი შავი ჩემოდნითურთ გამოცხადდა, მაგრამ ფრაუ ციმსენი ისეთი იჭვნეული ენერგიით უვლიდა შვილს, რომ ბერტას დიდი საქმე არც დღე ჰქონდა და არც ღამე, ამიტომ უამრავი დრო რჩებოდა, დადგებოდა დერეფანში, პენსნეს ზონარს ყურს უკან გადაიგდებდა და თვალებს ცნობისმოყვარედ აცეცებდა ხოლმე.
პროტესტანტი მოწყალების და საღად და გულცივად აზროვნებდა. ჰანს კასტორპსა და ავადმყოფთან ერთად ოთახში მარტო რომ დარჩებოდა, შეეძლო, მაგალითად, ეთქვა, სიზმრადაც არ მომელანდებოდა, რომელიმე თქვენგანს სიკვდილის წინ თუ მოვუვლიდიო; ავადმყოფს კი ამ დროს სულაც არ ეძინა, თვალგახელილი გულაღმა იწვა ხოლმე.
შეშინებული ჰანს კასტორპი ბერტას თვალებს უბრიალებდა და მუშტს უღერებდა, მაგრამ ბევრს ვერაფერს აგებინებდა. მონაზონს არც გაემტყუნებოდა, იგი ვერ მიხვდებოდა, იოახიმს შებრალება სჭირდებაო, გარდა ამისა, მისნაირი პრაქტიკულად მოაზროვნე ადამიანი ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ ვინმეს და, მით უმეტეს, ახლობელ ადამიანს, შეეძლო ავადმყოფობის ხასიათსა და მოსალოდნელ შედეგზე თვალი დაეხუჭა და თავი მოეტყუებინა.
- აჰა, - ეუბნებოდა იგი იოახიმს და ოდეკოლონით დანამულ ცხვირსახოცს ნესტოებთან უსვამდა, - სანამ შეგიძლიათ, ცოტა კიდევ ისიამოვნეთ, ბატონო ლეიტენანტო!
ისე, მართლაც აღარ ღირდა კეთილი იოახიმისთვის შავი თეთრად მოეჩვენებინათ, გამხნევების მიზნით კიდევ, ჰო, როგორც ფრაუ ციმსენი ფიქრობდა, როცა შვილს მღელვარე ხმით მტკიცედ ელაპარაკებოდა გამოჯანსაღებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ორი რამ იყო აშკარა და უდავო: ჯერ ერთი, ის, რომ იოახიმი სიკვდილს სავსებით ნათელი გონებით ეგებებოდა და მეორეც, ამ მოლოდინს თან ახლდა საკუთარ თავთან სრული ჰარმონიისა და კმაყოფილების შეგრძნება. მხოლოდ უკანასკნელ კვირაში, ნოემბრის ბოლოს, უმტყუნა გულმა და მას შემდეგ საათობით იწვა ნახევრად უგონოდ, იმედის ნეტარ ბურუსში გახვეულს თავისი მდგომარეობა ავიწყდებოდა და აი, მაშინ ლაპარაკობდა პოლკში მალე დაბრუნებასა და დიდ მანევრებში მონაწილეობაზე, ეგონა, მანევრები კიდევ გრძელდებოდა. სწორედ იმ დროს იყო, ბერენსმა ახლობლებს ყოველგვარი იმედი რომ გადაუწურა და უთხრა, აღსასრული სულ რამდენიმე საათის საქმეაო.
სევდის მომგვრელია და თან კანონზომიერიც, თვით ვაჟკაცური ბუნების ადამიანებიც რომ ივიწყებენ ხოლმე საფრთხეს და თავს ცრუ იმედით სწორედ მაშინ ისულელებენ, როცა დაშლის პროცესი მართლაც თავის ლეტალურ შედეგს უახლოვდება ხოლმე. დიახ, ეს მოვლენა კანონზომიერია, სცილდება პიროვნულის ფარგლებს, აღმატებულია ყოველგვარ ინდივიდუალურ ცნობიერებაზე, ისევე როგორც ძილის ცდუნება ახვევს ქსელში გაყინვის პირას მისულ ადამიანს ან რაღაც ძალა გზააბნეულს ერთსა და იმავე წრეში რომ აბორიალებს. ჰანს კასტორპს დარდი და გულისტკივილი ხელს არ უშლიდა, სიკვდილის ფენომენს ფხიზლად და საქმიანად დაჰკვირვებოდა და შემდეგ უსუსური, თუმცა თავისებურად მახვილგონივრული მოსაზრებები გამოეთქვა, როცა ნაფტასა და სეტემბრინის თავისი ნათესავის ამბებს უყვებოდა ხოლმე. ერთხელ სეტემბრინისგან შენიშვნაც კი მიიღო, როცა განაცხადა, მოარული აზრი, თითქოს ფილოსოფიური რწმენა და სიკეთის გამარჯვების იმედი ჯანმრთელობის გამოხატულება იყოს, ხოლო ყველაფრის შავად დანახვა და წუთისოფლის დაგმობა ავადმყოფობისა, ეტყობა, შეცდომაა, სხვაგვარად შეუძლებელია სწორედ ყველაზე უიმედო, ფინალთან მიახლოებულ დღეებს ისეთი ოპტიმიზმი გამოეწვია, რომლის ავისმაუწყებელ ვარდისფერთან შედარებით წინამავალი დაღვრემილობა სიცოცხლის მძლავრ და ჯანსაღ გამოვლინებად მოჩანსო. მადლობა ღმერთს, ჰანს კასტორპმა გულშემატკივრებს ისიც მაშინვე აუწყა,

რადამანთისმა ამ უიმედო მდგომარეობაშიც იპოვა საიმედო გამოსავალი და იოახიმს, ახალგაზრდობის მიუხედავად, უდრტვინველი და უმტკივნეულო Exitus (აღსასრული (ლათ.).) უწინასწარმეტყველაო.
- გულის მხრივ იდილიური მდგომარეობა გვაქვს, მოწყალეო ქალბატონო! - უთხრა მან ლუიზე ციმსენს, მისი ხელი ნიჩაბივით ფართო ხელებში მოიქცია და თავისი გადმოკარკლული, აცრემლებული, ჩასისხლიანებული თვალები შუბლს ქვემოდან შეანათა, - მიხარია, ძალიან მიხარია, რომ პროცესი კარდიალური გზით წარიმართა და ავადმყოფს არ ელის არც საყლაპავი მილის შეშუპება და არც მსგავსი სისაძაგლეები. ამის წყალობით ბევრ უსიამოვნებას ასცდება. გული ვეღარ უძლებს, ეს მისთვისაც შვებაა და ჩვენთვისაც. ამ ამბავს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თუშევებრძოლებით ქაფურიანი შპრიცით, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვუშველით. მე მგონი, ის კი შემიძლია აღგითქვათ, რომ ბოლოს ბევრს იძინებს და სასიამოვნო სიზმრებსაც ნახავს. უკანასკნელ წუთებში რომც არ დაეძინოს, გადასვლა სწრაფად და შეუმჩნევლად მოხდება, მერწმუნეთ, თითქმის ვერაფერს იგრძნობს. აღსასრული თითქმის ყოველთვის ასე დგება ხოლმე. მე ვიცნობ სიკვდილს, დიდი ხანია მას ვემსახურები. მერწმუნეთ, სიკვდილს ადამიანები მეტისმეტად აზვიადებენ. განა შეიძლება ყველა ის ტანჯვა, რომელიც მას უძღვის წინ, მთლიანად სიკვდილს მივაწეროთ? იმ ცვალებადმა ტანჯვა-წამებამ ხომ შეიძლება სიცოცხლისა და გამოჯანსაღებისაკენ გვაქნევინოს პირი? მაგრამ ადამიანი ამქვეყნად რომ ბრუნდებოდეს, სიკვდილზე ბევრს ვერაფერს მოგვიყვებოდა, რადგან იგი სიკვდილს ვერ განიცდის. ჩვენ წყვდიადიდან ამოვდივართ და წყვდიადშივე ვიძირებით, განცდები ამ ორ წყვდიადს შორის ძევს, ოღონდ დასაწყისსა და დასასრულს, დაბადებასა და სიკვდილს ჩვენ ვერ განვიცდით, მათ სუბიექტური ხასიათი არ გააჩნიათ, ეს პროცესები მთლიანად ობიექტურის სფეროს განეკუთვნებიან. დიახ, ასე გახლავთ.
აი, ასე იცოდა ჰოფრატმა ნუგეშისცემა. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ნუგეშისცემამ მცირეოდენი შვება მაინც მოუტანა შეგნებულ ფრაუ ციმსენს, მით უმეტეს, რომ მისი წინასწარმეტყველება თითქმის სრულად ახდა. მისუსტებული იოახიმი უკანასკნელ დღეებში ძილად იყო მივარდნილი და საამურ სიზმრებსაც ხედავდა, ჩვენი ვარაუდით, ალბათ, ბარში, სამხედრო სამსახურში გატარებული დღეები ესიზმრებოდა. გამოღვიძებულს თუ შეეკითხებოდნენ, თავს როგორ გრძნობო, მართალია, გაურკვევლად, მაგრამ ყოველთვის პასუხობდა, კარგად და ბედნიერადო, თუმცა პულსი თითქმის აღარ ესინჯებოდა და ბოლოს ნემსის ჩხვლეტასაც ვეღარ გრძნობდა. სხეულს მგრძნობელობა დაეკარგა, ხორცი რომც დაგეშანთათ ან ამოგეგლიჯათ, კეთილი იოახიმი ვეღარაფერს იგრძნობდა.
და მაინც, დედის ჩამოსვლის შემდეგ იოახიმს ბევრი ცვლილება დაეტყო. რაკი პირის გაპარსვა უკვე უჭირდა, სიკვდილამდე რვა თუ ათი დღით ადრე ამ საქმეს თავი მიანება, წვერი სწრაფად მოეზარდა და მალე მის სანთელივით გაყვითლებულ, ნაზთვალებიან სახეს შავ ჩარჩოსავით შემოევლო ნამდვილი მეომრული წვერი, ისე როგორც ჯარისკაცებმა იციან ბრძოლის ველზე წვერის მოშვება, და ყველა ეუბნებოდა, წვერი ვაჟკაცურ იერს გმატებს და ძალიან გიხდებაო. დიახ, იოახიმი წვერის წყალობით ჭაბუკიდან ერთბაშად მოწიფულ მამაკაცად გადაიქცა და არა მარტო წვერის წყალობით. საათის ზამბარა რომ გაიშლება, აი, ისე სწრაფად მიედინებოდა მისი სიცოცხლე, ჭენებით გაიარა ყველა ის ასაკობრივი საფეხური, რომელთა გავლა თავ-თავის დროზე აღარ ეწერა და უკანასკნელ ოცდაათხ საათში ღრმა მოხუცად გადაიქცა. გულის სისუსტემ შეშუპება გამოიწვია და სახეზე ისეთი დაღლილობის კვალი დაამჩნია, რომ ჰანს კასტორპი ფიქრობდა, სიკვდილი, სხვა თუ არაფერი, დიდი ჯაფა მაინც ყოფილაო, თუმცა იოახიმი დროგამოშვებით გონებას კარგავდა და ეტყობოდა, ვერაფერს გრძნობდა. შეშუპება, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო ტუჩ-პირის მიდამოებს ეძალებოდა, ამას პირის ღრუს ნერვების დასუსტება და სიმშრალეც ერთოდა, ამის გამო იოახიმი მართლა მოხუცივით ლუღლუღებდა და თავის თავზე გული მოსდიოდა. მეტყველება რომ გამომისწორდეს, მერე ყველაფერი კარგად იქნება, ლაპარაკი ძალიან მიჭირსო, ენას ძლივს აბრუნებდა იგი.
რას გულისხმობდა, „რა იქნებოდა კარგად“, გაუგებარი დარჩა. უკანასკნელ ხანებში იოახიმს აშკარად დასჩემდა ორაზროვანი ლაპარაკი, არაერთხელ

უთქვამს ორაზროვანი სიტყვა, თითქოს იცოდა და არც იცოდა, რაც მოელოდა, ერთხელ კი, ეტყობა, აშკარად იგრძნო აღასრულის მოახლოება, შეძრწუნებულმა თავი გააქნია და თითქოს დანანებით ჩაილაპარაკა, ასე ცუდად ჯერ არ ვყოფილვარო.
მას მერე იოახიმი მიუკარებელი გახდა, ცივად და მკაცრად, თითქმის უზრდელადაც კი იქცეოდა, ნუგეშსა და თავისი მდგომარეობის შელამაზებას ვეღარ იტანდა, ასეთებზე პასუხსაც აღარ იძლეოდა და წინ გაყინული თვალებით იყურებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ლუიზე ციმსენის მოხმობილმა ახალგაზრდა მღვდელმა მასთან ერთად ილოცა, რომელსაც, სხვათა შორის, ჰანს კასტორპის გულსატკენად, გახამებული ბრიჟის ნაცვლად მხოლოდ პატარა საყელო ეკეთა, იოახიმს კილო შეეცვალა და ბოლო ხანებში სურვილებს მხოლოდ მოკლე-მოკლე ბრძანებების სახით გამოთქვამდა ხოლმე.
საღამოს ექვს საათზე უცნაური მოძრაობები დაეწყო: მარჯვენა ხელს, რომლის მაჯაზეც ოქროს დაწნული სამაჯური ეკეთა, საბნის ზემოდან თეძოზე ჯერ ქვევით ჩააცურებდა, ხოლო უკან მობრუნებისას ხელს ოდნავ მაღლა ასწევდა და საბანს ისე ფხოჭნიდა, თითქოს რაღაცას თავისკენ ექაჩება და აგროვებსო.
შვიდ საათზე იგი გარდაიცვალა - ალფრედა შილდკნეჰტი დერეფანში იყო, მხოლოდ დედა და ბიძაშვილი ადგნენ თავს. იგი ბალიშიდან დაცურდა და მოკლე ბრძანება გასცა, თავი მაღლა დამიდეთო. ფრაუ ციმსენი მაშინვე შეუდგა ბრძანების შესრულებას და მხრებზე შემოხვია ხელი, ამასობაში იოახიმმა სწრაფად წარმოთქვა, ახლავე უნდა შევადგინო და გავგზავნოგანცხადება, შვებულება გამიგრძელონო და ამ სიტყვებთან ერთად მოხდაკიდეც სწრაფი გადასვლა“, რასაც წითლად შებურვილი საღამური ნათურის შუქზე ჰანს კასტორპი სასოებით აკვირდებოდა. იოახიმს თვალები გაეყინა, უგონო დაძაბულობისგან შეშლილი სახის ნაკვთები დაუწყნარდა, შეშუპებული ტუჩები თვალდათვალ ჩაუცხრა, ჩვენი იოახიმის დადუმებულ სახეს უდროოდ დაკაცებული ყმაწვილის მშვენება მოეფინა და ასე აღესრულა.
აქვითინებულმა ლუიზე ციმსენმა პირი იბრუნა და ჰანს კასტორპს სხვა გზა აღარ ჰქონდა - უმოძრაო იოახიმს არათითის წვერით მან დაუხუჭა ქუთუთოები და საბანზე ხელებიც სათუთად დაუკრიფა. შემდეგ თვითონაც თავთით დაუდგა და ატირდა, ლოყებზე ჩამოედინა ისეთივე ცრემლები, ინგლისის ფლოტის ოფიცერს რომ უთუთქავდა სახეს, ჩამოედინა ეს კრიალა სითხე, რომელიც ისე უხვად და მწარედ იღვრება ყოველ წუთს დედამიწის ყოველ კუთხეში, რომ ამქვეყნიური ჭირ -ვარამი პოეტურად მისი სახელითაც კი მოუნათლავთ, საცრემლე ჯირკვლების ამ ტუტოვან-მარილიანი პროდუქტის სახელით, ჩვენი სხეულიდან ნერვების ამშლელი, ძვალ-რბილში დამვლელი ფიზიკური და სულიერი ტკივილის გამო რომ ინთხევა ხოლმე. მან ისიც იცოდა, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ცოტაოდენი მუცინი და ცილაც რომ ერია შიგ.
ჰოფრატს ეს ამბავი ბერტამ შეატყობინა და ისიც მოვიდა. ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ ჰოფრატი აქ იყო, მომაკვდავს ქაფური შეუშხაპუნა და აი, სწრაფი გადასვლის წამს კი ვეღარ შეესწრო.
- მდაა, ეს საქმეც მოითავა, - უბრალოდ თქვა მან, იოახიმის დადუმებულ მკერდს სტეტოსკოპი მოაცილა და წელში გაიმართა. ახლობლებს ხელი ჩამოართვა და თავი დაუკრა. შემდეგ ცოტა ხანს კიდევ იდგა მათთან ერთად სარეცელთან და იოახიმის უმოძრაო, მხედრულად წვერმოშვებულ სახეს დასცქეროდა, - უგუნური ჭაბუკი, უგუნური ბიჭი, - მხარზემოდან ისროლა მან და ჭირისუფალთ თავით განსვენებულზე ანიშნა, - ძალით უნდოდა, გაეტანა თავისი, თქვენც იცით, იქ, ქვევით, მისი სამსახური თვითგვემა და ძალდატანება რომ იყო. სიცხიანი კაცი სამსახურს თავს აკლავდა, ეს დეზერტირი ღირსების ველზე, გესმით, ღირსების ველზე გაგვექცა, მაგრამ ღირსება და პატივი სიკვდილში პოვა, სიკვდილს კი - თუ გნებავთ, შეგიძლიათ ეს ნათქვამი შეატრიალოთ, - მან თავისი გაიტანა და სიკვდილს მაინც უპატაკა: „მაქვს პატივი, გამოვცხადდე!“ დიახ, უგუნური ბიჭუნა იყო, უგუნური ჭაბუკი!
ამ სიტყვებზე ჰოფრატი ოთახიდან გავიდა, ახმახი, ბეჭებმოხრილი და კეფაგამობურცული.
იოახიმის სამშობლოში გადასვენება გადაწყვეტილი საქმე იყო და

„ბერგჰოფის“ ფირმამ ყველაფერზე იზრუნა, რაც ასეთ დროს აუცილებელია, საზოგადოდ მიღებულიც და მიცვალებულის დამამშვენებელიც. ასე რომ, დედასა და ბიძაშვილს თითქმის ხელის განძრევა არ დასჭირვებიათ. მეორე დღეს იოახიმი უკვე მანჟეტებიან აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი ესვენა თოვლიანი დღის რძისფერი შუქით განათებულ ოთახში და სუდარაზე ყვავილები ეწყო. იოახიმი კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა, ვიდრე იმ ქვეყნად გადასვლის წამს, სახეზე სიკვდილთან ჭიდილის კვალიც აღარ ემჩნეოდა, გაცივებული სახის ნაკვთები დასწმენდოდა, დადუმებოდა და საბოლოო ფორმა მიეღო. ერთი მოკლე შავი კულული უმოძრაო, ყვითელ შუბლზე ჩამოშლოდა, თვითონ შუბლი კეთილშობილი, მაგრამ მყიფე, ცვილიდან მარმარილოში გარდამავალი რაღაც მასალისგან გამოკვეთილს მიუგავდა, ხოლო ოდნავ დატალღულ წვერებში ამაყად დაბურცული ტუჩები მოუჩანდა. ამ თავს ანტიკური მუზარადი დაშვენდებოდაო, ასეთი აზრი გამოთქვა მასთან გამოსათხოვრად მოსულმა არაერთმა სტუმარმა.
ფრაუ შტორმა ყოფილი იოახიმის გარდასახული სახის დანახვაზე აღტაცების ცრემლები გადმოყარა. გმირია, ნამდვილი გმირიო, რამდენჯერმე წამოიძახა მან და ბრძანა, მის სამარესთან ბეთჰოვენის ეროტიკა“
(ბეთჰოვენის ეროტიკა“ - ფრაუ შტორს ეშლება, გულისხმობს ბეთჰოვენის III სიმფონია ეროიცა“-ს (1804).) დაუკრანო.
- აღარ გაჩუმდებით? - დაუსისინა სეტემბრინიმ. იგი და ნაფტა სწორედ ფრაუ შტორთან ერთად აღმოჩნდნენ ოთახში. ბატონი სეტემბრინი გულწრფელად წუხდა, ორივე ხელს იოახიმისკენ იშვერდა და იქ მყოფთ გლოვისაკენ მოუწოდებდა.
- Un giovanotto tanto simpatico, tanto stimabile
! (ასეთი სიმპათიური, ასეთი ღირსეული ჭაბუკი! (იტალ.).)
- რამდენჯერმე წამოიძახა მან.
ნაფტამ ვეღარ მოითმინა და წყნარად და გესლიანად ისე ჩაულაპარაკა, მისთვის ზედაც არ შეუხედავს და არც დაჭიმული ტანი შეურხევია:
- მიხარია, თავისუფლებისა და პროგრესის გარდა, კიდევ სხვა სერიოზული მოვლენების განცდის უნარი რომ შეგრჩენიათ.
სეტემბრინიმ წყენა არ შეიმჩნია. ალბათ, იგრძნო, რომ გარემოებათა წყალობით ამ წუთში ნაფტას დროებითი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული, ან იქნებ გლოვის ასე ცხოვლად გამოხატვით სწორედ მოწინააღმდეგის წამიერი უპირატესობის განელება სურდა და მისი დუმილის მიზეზიც ეს გახლდათ. უფრო მეტიც, მაშინაც კი არ ამოუღია ხმა, როცა ლეო ნაფტამ თავისი პოზიციური უპირატესობა გამოიყენა და მკვახედ, დამრიგებლურიკილოთი უთხრა:
- ლიტერატორების შეცდომა იმ რწმენაში იმალება, თითქოს მხოლოდ სული აკეთილშობილებდეს ყველაფერს. სწორედ რომ პირიქით, სადაც სული აღარ არის, იქ არის კეთილშობილება.
„ოჰო, - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, - აი, ნამდვილი პითიური
(პითიური (ბერძნ.), პითია -ძველ საბერძნეთში წინასწარმეტყველი ქურუმი-ქალი; „პითიურში“ კასტორპი აქ გულისხმობს დახლართულს, გამოუცნობს, ღრმააზროვნულის პრეტენზიის მქონეს.) აფორიზმი, თუ გნებავთ, ეს არის! ამას რომ წარმოთქვამ და თან ბაგეებს მოკუმავ, ვინ აღარ დაიბნევა“.
ნაშუადღევს მოიტანეს ლითონის კუბო. იოახიმის ჩასვენება ამ რგოლებითა და ლომის თავებით შემკულ დიდებულ ჭურჭელში კუბოს თანმხლებმა პირმა ითავა, აქაოდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საქმეაო. ეს გახლდათ დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენელი, შავებში გამოწყობილი კაცი, რომელსაც ტანზე კუდმოკვეცილი ფრაკისმაგვარი სერთუკი ეცვა და პლებეურ ხელზე ქორწინების ბეჭედი ეკეთა. ბეჭდის ყვითელი რგოლი თითზე ისე უჭერდა, რომ ირგვლივ ხორცი შეშუპებოდა და ბეჭედი შიგ ჩაზრდილივით მოუჩანდა. უნებურად იფიქრებდით, მის სერთუკს გვამის სუნი ასდისო, მაგრამ, ცხადია, ეს წინასწარ აკვიატებული აზრი გახლდათ. ასე იყო თუ ისე, იმ კაცს თავი სპეციალისტად მოჰქონდა და მტკიცედ სჯეროდა, რომ მთელი მისი საქმიანობა კულისებს მიღმა უნდა ჩატარებულიყო, ჭირისუფლის თვალს კი მხოლოდ მოწიწების აღმძვრელი, საპარადო შედეგი უნდა ეხილა. ოღონდ ეს აზრი ჰანს კასტორპს არც ესიამოვნა და არც გუნებაში ჰქონია, ფრაუ ციმსენი რომ ამ სანახაობას უნდა განრიდებოდა,

ამ აზრს მანაც დაუჭირა მხარი, თვითონ კი აქედან ფეხს ვერავინ მოაცვლევინებდა, დარჩა კიდეც ოთახში და საქმეს ხელი შეაშველა - მიცვალებულს მხრებში ამოსდო ხელი და ბიუროს აგენტს საწოლიდან კუბოში გადაასვენებინა. ახლა იოახიმის ნეშტი კუბოში ჩაფენილ ზეწრებსა და ფოჩებიან ბალიშებზე მაღლა იდო და სანატორიუმ ბერგჰოფის“ სასანთლეებს შორის საზეიმოდ განისვენებდა.
აი, მეორე დღეს კი ჰანს კასტორპმა ისეთი მოვლენა შენიშნა, რომ შინაგანად განერიდა იოახიმის ნეშტს და სარბიელი მთლიანად პროფესიონალს, წესისა და რიგის ამ უბადრუკ დამცველს დაუთმო. იოახიმი აქამდე მკაცრად და მედიდურად გამოიყურებოდა, იმ დღეს კი მეომარივით მოშვებულ წვერებში ღიმილი გამოუკრთა და ჰანს კასტორპი შეუმცდარად მიხვდა, ეს ღიმილი გადაგვარებისა და გახრწნის დასაწყისს რომ ნიშნავდა. ამ ამბავმა აგრძნობინა, რომ საქმის დაჩქარება მართებდათ. მადლობა ღმერთს, კუბო საცაა უნდა გამოესვენებინათ და მალე მჭიდროდ დაალურსმავდნენ სახურავს. ჰანს კასტორპს ჩვეული თავშეკავება აღარ გამოუჩენია - თავის ყოფილ იოახიმს გამოთხოვების ნიშნად ქვასავით ცივ შუბლზე ნაზად ეამბორა და თუმცა იმ კულისებში მოფუსფუსე კაცს ბოლომდე არ ენდობოდა, გამოტრიალდა და ლუიზე ციმსენთან ერთად ოთახიდან გამოვიდა.
აქ საბოლოო ჩამოშვებამდე ერთხელ კიდევ ვხურავთ ფარდას, ოღონდ სანამ იგი შრიალ-შრიალით ეშვება დაბლა, მოდი, თავის მაღლობზე დარჩენილ ჰანს კასტორპთან ერთად გონების თვალით შევიჭვრიტოთ შორს, ბარში, ერთ ნესტიან სასაფლაოზე და სმენად ვიქცეთ. იქ ხმალი ალაპლაპდება და ძირს დაეშვება, გაისმის ბრძანება და სამი ბათქი, სამი საოცნებო, საპატიო ბათქი დაიქუხებს იოახიმ ციმსენის ფესვებგადავლილი, ჯარისკაცური სამარის თავზე.

თავი მეშვიდე გასეირნება სანაპიროზე

შესაძლებელია თუ არა დროის მოყოლა, თვით დროისა, როგორც ასეთის, როგორც თავისთავად არსებულისა? ნამდვილად არა. ამ განზრახვაზე უგუნური რაღა იქნება! წარმოვიდგინოთ ასეთი მონათხრობი: „დრო გადიოდა, დრო გარბოდა, დრო მიედინებოდა“ და ასე დაუსრულებლად. ამგვარ აბდაუბდას ჭკუათამყოფელი კაცი თხრობას ვერ დარქმევს. ეს იმას ჰგავს, ვინმე ჭკუანაღრძობმა მთელი საათი ერთი და იგივე ნოტი ან აკორდი არახუნოს და მუსიკად შემოგვასაღოს. თავისთავად კი მოთხრობა იმით ჰგავს მუსიკას, რომ ისიც დროს ავსებს, „წესიერად ავსებს“ და ანაწევრებს“, განსვენებულმა იოახიმმა იცოდა თქმა, მისით რაღაც იწყება“ და მთავრდებაო“. როგორც გარდაცვლილი კაცის ხსენებას შეეფერება, ისე ნაღვლიანად და მოკრძალებით ვიგონებთ მის სიტყვებს, დიდი ხნის წინ ნათქვამ სიტყვებს-თქო, ვამბობთ, რადგან არ ვიცით, მკითხველს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს თუ არა, უკანასკნელად რამდენი ხნის წინ გაისმა ეს სიტყვები. დრო თხრობის სტიქიაა, ისევე როგორც სიცოცხლისა, ხოლო სიცოცხლე მასთან ისევე განუყრელად არის დაკავშირებული, როგორც სივრცეში განლაგებულ სხეულებთან. დრო მუსიკის სტიქიაცაა, მუსიკა, თავის მხრივ, ზომავს და ანაწევრებს დროს, ერთდროულად წამიერსა და სანუკვარს ხდის, და, როგორც ვთქვით, ამ მხრივ მოთხრობას ენათესავება, რომელიც ასევე (ოღონდ განსხვავებით სახვითი ხელოვნების ნაწარმოებისაგან, რომელიც ერთ რომელიმე წამს აღბეჭდავს და დროსთან მხოლოდ სხეულის სახითაა დაკავშირებული) მარტოოდენ თანამიმდევრობად და რბოლად წარმოგვიდგება და თვითონაც რომც მოინდომოს, ნებისმიერ წუთს მთლიანობაში გვეჩვენოს, გამოვლენისათვის მაინც დრო დასჭირდება.
ეს დღესავით ნათელია, ოღონდ მათ შორის რომ განსხვავება არსებობს, ისიც ასევე აშკარა გახლავთ. მუსიკას ერთადერთი დროისმიერი სტიქია აქვს: ესაა ადამიანის მიწიერი ჟამიდან ამონარიდი დრო, რომელშიც იგი გადმოიღვრება, რათა ეს უკანასკნელი ენით აუწერლად გააკეთილშობილოს და აღამაღლოს, მოთხრობას კი ამის საპირისპიროდ ორგვარი დრო აქვს: ჯერ ერთი, თავისი საკუთარი, მუსიკალურ-რეალური დრო, რომელიც მის რბოლას, მის გამოვლენას განაპირობებს და მეორე, შინაარსისეული დრო, რომელიც პერსპექტიულია,

ოღონდ ამ თვალსაზრისით ისე სხვადასხვაგვარი, რომ მოთხრობის მოჩვენებითი დრო ლამის სავსებით ემთხვევა თავისივე მუსიკალურ დროს, თუმცა შეიძლება ისიც ისე შორს იყოს მისგან, როგორც ვარსკვლავებია ჩვენგან დაშორებული. მუსიკალური ნაწარმოები, ვთქვათ, „ხუთწუთიანი ვალსი“, ხუთი წუთი გრძელდება და დროსთან მისი დამოკიდებულებაც მხოლოდ და მხოლოდ ამით ამოიწურება, ხოლო მოთხრობა, რომლის შინაარსისეული დროის გრძლიობა ხუთ წუთამდე აღწევს, ამ ხუთ წუთს ზედმიწევნით კეთილსინდისიერად თუ შეავსებს, შეიძლება ათასჯერ მეტხანსაც გაგრძელდეს და თან ხანმოკლეც გვეჩვენოს, თუმცა თავის მოჩვენებით დროსთან შედარებით შეიძლება ძალზე გახანგრძლივდეს კიდეც. მეორე მხრივ, ისიც შესაძლებელია, იმ მოთხრობის შინაარსისეულმა დრომ, რომლის საკუთარი ხანგრძლივობა შემოკლების წყალობით განუზომელი ხდება, დიახ, „შემოკლებას“ ვამბობთ, რათა წარმოვაჩინოთ ის ილუზორული, ანუ უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ავადმყოფური ელემენტი, რაც აქ ზედგამოჭრილი გვგონია, რადგან სწორედ ასეთ შემთხვევაში მიმართავს მოთხრობა იმ ჰერმეტულ მაგიასა და დროისმიერ ზეპერსპექტივას, ზოგიერთ არანორმალურ და აშკარად ზეგრძნობადის სფეროს მომცველ რეალურ გამოცდილებას რომ მოგვაგონებს. ჩვენს ხელთაა თრიაქის მწეველთა ჩანაწერები, სადაც ნათქვამია, რომ თრიაქით გაბრუებული კაცი ხანმოკლე ტრანსის განმავლობაში ისეთ სიზმრებს ხედავს, ათ, ოცდაათ, თქვენ წარმოიდგინეთ, სამოც წელიწადსაც რომ მოიცავს, ან კიდევ უკეთესი, დროის აღქმის ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს რომ სცილდება. მოკლედ, ამ სიზმრების მოჩვენებითი დრო-ჟამი თავის საკუთარ ხანგრძლივობას აჭარბებს, მათში დროის განცდა დაუჯერებლად მოკლდება, ხოლო ხილვები ისეთი სისწრაფით აწყდება ერთმანეთს, რომ ერთი ჰაშიშის მღეჭავის სიტყვით რომ ვთქვათ, გეგონებათ, გაბრუებული კაცის ტვინიდან გაფუჭებული საათის ზამბარის მსგავსი რაღაც ამოუღიათო“.
ერთი სიტყვით, ამ ბიწიერი სიზმრებისა არ იყოს, მოთხრობასაც შეუძლია დროს მისდგეს და ასევე მოექცეს. ჰოდა, რაკი შეუძლია ასევე მოექცეს“, მაშინ ცხადია, დრო, რომელიც მოთხრობის სტიქიას წარმოადგენს, მის თემადაც შეიძლება იქცეს და თუკი მეტისმეტია ითქვას, „დროის მოყოლა“ შესაძლებელიაო, დროის შესახებ საუბარი რომ ისურვოს კაცმა, მგონი, ეს არც ისეთი აბსურდული განზრახვა უნდა იყოს, როგორც თავიდან შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. ჰოდა, აქედან გამომდინარე, სახელწოდებამ დრო-ჟამის რომანი“ საოცრად სიზმარეული, ორჭოფული აზრი შეიძლება შეიძინოს. სინამდვილეში კი კითხვა, შესაძლებელია თუ არა დროის მოყოლა, მხოლოდ იმიტომ წამოვჭერით, რომ გვინდოდა, გულისნადები გაგვემხილა - წინამდებარე წიგნში სწორედ ეს რომ გვაქვს განზრახული. მართალია, ერთი შეკითხვაც დავსვით, ჩვენ ირგვლივ მყოფთ ნათლად თუ აქვთწარმოდგენილი, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც განსვენებულმა იოახიმმა მუსიკასა და დროზე ის შენიშვნა ჩაურთო საუბარში- თქო (ეს უკანასკნელი აზრი, სხვათა შორის, მისი არსების ალქიმისტურ აღმავლობას მოწმობს, რადგან მსგავსი შენიშვნები მაინცდამაინც დამახასიათებელი არ ყოფილა იოახიმის სადა ბუნებისათვის), მაგრამ სულაც არ გავნაწყენდებოდით, პასუხად რომ მოგვესმინა, ამ წუთში მართლა ვერ გეტყვით,მას შემდეგ რა დრო გავიდაო. დიახ, ნამდვილად არ გავბრაზდებოდით, პირიქით, ასეთი პასუხი გვესიამოვნებოდა კიდეც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ განცდებში ჩვენი გმირის თანამონაწილეობა ჩვენსავე ინტერესებს შეესაბამება. აკი დრო-ჟამის მსვლელობაში თვითონ ჰანს კასტორპიც ვერ ერკვეოდა და, სხვათა შორის, კარგა ხანია ვეღარ ერკვეოდა, მაგრამ გინდ ასე თქვით და გინდ ისე, ეს საკითხი მისი რომანის, ანუ დრო-ჟამის რომანის შემადგენელი ნაწილიც კი გახლავთ.
მაინც რამდენ ხანს ცხოვრობდა იოახიმი მასთან ერთად იქ, ზევით, თავის უნებართვო გამგზავრებამდე ან თუნდაც მთლიანობაში აღებული; კალენდარულად რომელ თარიღს ემთხვევა მისი პირველი თავნება გამგზავრება, რამდენ ხანს გასტანა მისმა არყოფნამ, როდის ჩამოვიდა ხელახლა, ან თვითონ ჰანს კასტორპი რა ხანს ითვლიდა მას შემდეგ, რაც იოახიმი უკან დაბრუნდა და ცოტა ხანში მთლიანად ამოვარდა კიდეც დროის დინებიდან; კარგი, იოახიმს თავი დავანებოთ, ფრაუ შოშა რამდენი ხნითღა იყო წასული, ან ის მაინც თუ ვიცით,

რომელ წელს დაბრუნდა უკან (დიახ, იგი უკვე აქ გახლდათ), ან ჰანს კასტორპმა მის დაბრუნებამდე „ბერგჰოფში“ რა მიწიერი დრო გაატარა; აი, ეს კითხვები რომ დაგესვათ ჰანს კასტორპისათვის (თუმცა სინამდვილეში არამცთუ გარეშე ვინმე დაუსვამდა ამ კითხვას, საკუთარ თავს შიშით თვითონაც ვერაფერს ეკითხებოდა), შუბლზე თითს მიიკაკუნებდა და გადაჭრით კი ვერაფერს გიპასუხებდათ. ჰოდა, ეს ამბავი არანაკლებ შემაშფოთებელი გახლდათ, ვიდრე ის დროებითი გულმავიწყობა, ჩამოსვლის პირველ საღამოსვე რომ შეეტყო, აი, ბატონ სეტემბრინის საკუთარი ასაკი რომ ვერ უთხრა, დიახ, ამ მხრივ ნამდვილად გაუარესება ეტყობოდა, რადგან თავისი ასაკი ახლა მართლა აღარ ახსოვდა!

ეს შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში არც ისე გაუგონარი ამბავია და არც ისე უცნაური, პირიქით, შესაბამის ვითარებაში მსგავსი რამ ყოველთვის შეიძლება ყოველ ჩვენგანს შეემთხვეს: ასეთ პირობებში რომ ჩავვარდნილიყავით, ჩვენც ვერაფერი დაგვიფარავდა, დროის რბოლას ვერც ჩვენ შევიცნობდით და შესაბამისად, საკუთარი ასაკიც დაგვავიწყდებოდა. ასეთი რამ ჩვენს წიაღში დროის შემგრძნობი ორგანოს უქონლობით აიხსნება, ადამიანებს არავითარი უნარი არ გაგვაჩნია ჩვენით შევიგრძნოთ დროის დინება და გარეგანი საყრდენის გარეშე მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ იგი. ერთხელ შახტში ჩამარხულმა მაღაროელებმა, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ დღე-ღამის მონაცვლეობაზე დაკვირვების საშუალებას, ბედის წყალობით გადარჩენის შემდეგ, უკუნეთში, იმედსა და სასოწარკვეთილებაში გატარებული დრო სამი დღით განსაზღვრეს, სინამდვილეში კი ათი დღე იყო გასული. თითქოს გაჭირვებაში გატარებული დრო გრძლად უნდა მოსჩვენებოდათ, მათთვის კი იმ დროის რეალური ხანგრძლივობა სამჯერ და მეტად შემოკლებული აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს, თავიანთი უმწეობის გამო, დრო უფრო შემოკლებული ეჩვენებათ, ვიდრე გახანგრძლივებული.

ასეა თუ ისე, ცხადია, საკამათოდ არ ვხდით ერთ ამბავს: ჰანს კასტორპს რომ მოენდომებინა, დროსაც გაუჭირვებლად გამოიანგარიშებდა და ყველაფერში მშვენივრადაც გაერკვეოდა, ისევე როგორც არც მკითხველს გაუჭირდებოდა იგივე, თუკი მოინდომებდა ჯანსაღ გონებაზე შემთხვევით გადაკრული ბინდი და ნისლი მოეცილებინა. რაც შეეხება ჰანს კასტორპს, ალბათ, უხერხულობას კი გრძნობდა, მაგრამ დიდად მაინც არ ცდილობდა, ბინდისა და ნისლისგან თავი დაეღწია და გაერკვია, ბოლოს და ბოლოს, აქ ყოფნაში რამდენი წლისა გამხდარიყო. ისე, რა საოცრადაც უნდა მოგვეჩვენოს, ამ საქმეში რიდი უშლიდა ხელს, რიდი საკუთარი სინდისის წინაშე, თუმცა, მოგეხსენებათ, ამქვეყნად ყველაზე დიდი უსინდისობა სწორედ დროის უგულებელყოფა გახლავთ.

არ ვიცით, გაამართლებს თუ არა ჰანს კასტორპს ის ამბავი, რომ მის არსებაში კეთილი ნების ნაკლულობას - რაკი მაინც არ გვინდა, მის ნებას ბოროტი ვუწოდოთ, - გარემოებანიც მეტისმეტად უწყობდა ხელს. ფრაუ შოშა რომ დაბრუნდა (მისი დაბრუნება ოცნებაში სულ სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ამაზე სხვა დროს), კვლავ შობის კვირაძალი იდგა და უმოკლესი დღე, ანუ ასტრონომიული ენით თუ ვიტყვით, ზამთრის დასაწყისი, ზედ კარზე იყო მომდგარი. სინამდვილეში კი, თუ თეორიულ განაწესს არად ჩავაგდებთ და თოვლსა და ყინვას მივიღებთ მხედველობაში, უფალმა უწყის, ზამთარი რამდენი ხნის დაწყებული გახლდათ. უფრო სწორად, იგი არც არასდროს გასულა, მხოლოდ შიგადაშიგ წყდებოდა ზაფხულის მცხუნვარე დღეებით და მაშინ ლაჟვარდი ისე ჩამუქდებოდა, ლამის შავად მოჩანდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ზამთარს ისეთი ზაფხულის დღეები წყვეტდა, როგორიც, სხვათა შორის, ზამთარშიც იცოდა. ასეთ დღეებში თოვლს აღარავინ აგდებდა სათვალავში, მით უმეტეს, რომ უთოვლოდ ზაფხულის არცერთი თვე არ ჩაივლიდა. რა ხშირად უყბედია ჰანს კასტორპს განსვენებულ იოახიმთან ამ დიდ გაუგებრობაზე, რომელიც წელიწადის დროებს ერთმანეთში ურევდა, თავდაყირა აყენებდა, წელიწადს დაუნაწევრებლად მიერეკებოდა და წელიწადიც დროის გაჭიანურების წყალობით ხან მოკლდებოდა, ხან კი, პირიქით, დროის შემოკლების წყალობით ჭიანურდებოდა. ამიტომაც, ოდესღაც იოახიმის ზიზღით ნათქვამი სიტყვებისაარ იყოს, აქაურ დროს დროს ვერ დაარქმევდი. ამ დიდი გაუგებრობის პირობებში, თუ გნებავთ, ერთმანეთში მართლა ირეოდა და ითქვიფებოდა გრძნობისა და ცნობიერების გამომხატველი

ცნებები: „ისევ“ და „ხელახლა“, ერთ-ერთი ყველაზე დამაბნეველი, აბსურდული, წყეული განცდა, რომელსაც კიდევ ერთი განცდა ერწყმოდა, აი, ის, ჰანს კასტორპს აქ, ზევით, ამოსვლის პირველსავე დღეს რომ გაეღვიძა მისი დაჭაშნიკების უზნეო სურვილი: სახელდობრ, მხიარული შაბლონებით მოხატულ სასადილო დარბაზში ხუთი უჩვეულოდ უხვი ტრაპეზის დროს პირველად იგრძნო, ვითომ უბიწო, მაგრამ მაინც სხვაგვარმა თავბრუსხვევამ როგორ დარია ხელი.
მას შემდეგ გრძნობისა და გონების მოტყუებამ გაცილებით ფართო გასაქანი შეიძინა. დროის სუბიექტური აღქმა შესუსტებული რომც იყოს ან თუნდაც სრულიად გამქრალი, იგი მაინც კონკრეტულია და რეალური, რადგან იგი მოქმედებს და რაღაცას ამზადებს“. თაროზე შემოდგმული, ჰერმეტულად დახურული კონსერვი დროის მიღმა არსებობს თუ არა, ეს საკითხი პროფესიონალი მოაზროვნის საქმეა და მას ჰანს კასტორპი ერთხელ მხოლოდ ყმაწვილური კადნიერების გამო შეეჭიდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ დრო ლეთარგიული ძილით შეპყრობილებსაც არ ინდობს. ერთი ექიმი მოგვითხრობს თორმეტი წლის გოგონას ამბავს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ძილს მიეცა და ძილში ცამეტი წელი გატარა, მაგრამ გოგონა თორმეტი წლისა როდი დარჩენილა, ამასობაში გაფურჩქნილა და დაქალებულა კიდეც. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მკვდარი მკვდარია და საუკუნო ძილით განისვენებს. მას დრო ბევრი აქვს, ანუ სულაც არ გააჩნია ის დრო, რასაც პირად დროს ვეძახით, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, გაეზარდოს თმა და ფრჩხილები. გამოდის, რომ... მაგრამ, მოდი, ნუღარ გავიმეორებთ იმ მოურიდებელ სიტყვებს, ერთხელ იოახიმმა ასეთ ამბებთან დაკავშირებით რომ თქვა და კარგადაც შეაცბუნა ბარისეული წარმოდგენებით გაჟღენთილი ჰანს კასტორპი. მასაც ხომ ეზრდებოდა თმა და ფრჩხილები და, როგორც ჩანს, სწრაფადაც ეზრდებოდა, განსაკუთრებით ყურის ძირებში ეპრიხებოდა ხოლმე მალ-მალე თმა და ამიტომ საკმაოდ ხშირად უწევდა კურორტის მთავარ ქუჩაზე, ერთი დალაქის სავარძელში ჩაჯდომა და თეთრ წამოსასხამში გახვევა. ხშირად კი არა, შეიძლება ითქვას, სულ იქ იჯდა. უფრო მეტიც, როცა იგი ქლესა და მარჯვე დალაქს ესაუბრებოდა, რომელიც თავის საქმეს აკეთებდა, დროს მაშინ თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა. ასევე იყო მაშინაც, როცა აივანზე, თავისი ოთახის კარწინ დადგებოდა და ხავერდგამოკრული კოპწია ნესესერიდან ამოღებული პაწაწინა მაკრატლითა და ქლიბით ფრჩხილებს იქნიდა ხოლმე. აი, სწორედ ასეთ დროს უტევდა ცნობისმოყვარეობაშერეულ შიშისებურ გრძნობასთან ერთად ის სხვანაირი თავბრუსხვევა: თავბრუსხვევა, ამ სიტყვის ბუნდოვანი და ორაზროვანი მნიშვნელობით, ეს იყო გაბრუებაც და გაბრიყვებაც, თავგზაბნეული ისევ“ და „ხელახლას“ რომ ვეღარ ასხვავებდი, რომელთა შერევა-აღრევისაგან წარმოიშობა მარადიულისა და განუწყვეტლის უდროჟამო ცნებები.
არაერთხელ შეგპირებივართ, ჩვენს გმირს არც იმაზე უკეთესად წარმოგიდგენთ და არც იმაზე უარესად, ვიდრე სინამდვილეში იყო-მეთქი, ამიტომ ვერ დაგიმალავთ, ამდაგვარი მისტიკური ცდუნებებისაკენ გასაკიცხ მიდრეკილებას ზოგჯერ სავსებით შეგნებულად და განზრახ რომ აღვივებდა, თუმცა საპირისპირო საქციელით ცოდვების გამოსყიდვასაც ლამობდა ხოლმე. მაგალითად, შეეძლო ხელში საათი დაეჭირა, თავისი ბრტყელი, პრიალა ოქროს ჯიბის საათი, მონოგრამიანი ხუფი აეხადა და დიდხანს ეცქირა შავი და წითელი არაბული ციფრებით ორ მწკრივად შემორკალული ფაიფურის ციფერბლატისათვის, რომელზეც ორი ნატიფად მოყვანილი ოქროს ისარი სხვადასხვა მხარეს იცქირებოდა, ხოლო წვრილი წამმზომი საქმიანი ტიკტიკით უვლიდა გარს თავის პაწაწკინტელა საუფლოს. ჰანს კასტორპი თვალს არ აცილებდა ამ ისარს, იქნებ რომელიმე წუთი შევაჩერო და გავახანგრძლივო, იქნებ დროს კუდში ჩავავლო ხელიო. პაწაწინა ისარი თავისი გზით მიცუნცულებდა, ციფრებს ზედაც არ უყურებდა, მიუახლოვდებოდა, შეეხებოდა, გადააბიჯებდა, უკან მოიტოვებდა, დიდი მანძილით მოიტოვებდა უკან, კვლავ მიუახლოვდებოდა და კვლავ ხელს მიაწვდენდა ხოლმე. იგი არც მიზანს დაგიდევდათ, არც მონაკვეთს, არც დანაყოფებს, არადა, 60-თან მისვლისას წამით შეყოვნება მართებდა, პაწაწინა ნიშანი მაინც ხომ უნდა მიეცა, აქ რაღაც დამთავრდაო, მაგრამ რომ შეგეხედათ, რა სწრაფად, რა ერთნაირად გადარბოდა იგი ციფრებით მონიშნულ და მოუნიშნავ

ხაზებზე, შეატყობდით, მის გზაზე გამწკრივებული ციფრებისა და დანაყოფების წყება გარედან რომ იყო თავსმოხვეული, თვითონ კი მიდიოდა და მიდიოდა... ჰანს კასტორპს სხვა რაღა დარჩენოდა - მინისა და ლითონის ნაწარმს კვლავ ჟილეტის ჯიბეში ჩაიდებდა და დროს თავის დინებას მიანდობდა ხოლმე.
როგორ გინდათ ქალაქის წარჩინებულ საზოგადოებას აუხსნათ ის ცვლილებები, რაც ახალგაზრდა თავგადასავლების მაძიებლის შინაგან სამყაროში ხდებოდა? თავბრუდამხვევ იგივეობათა მასშტაბები კი იზრდებოდა და იზრდებოდა. თუკი რაღაც-რაღაცების დათმობის ფასადაც არ იყო იოლი დღევანდელი „ახლა“ გუშინდელი, გუშინწინდელი და გუშინწინისწინანდლისაგან განესხვავებინა, რადგან ყოველი მათგანი მის თვალში გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს, მაშინ რაღა გასაკვირია, „ახლას“ თავისივე აწმყოერთი თვის ან ერთი წლის წინანდელ ამბავში არეოდა და იმ ცნებაში გაეთქვიფა, „ყოველთვის“ რომ ჰქვია სახელად. ჰოდა, რაკი იმ ცნებების ზნეობრივი გამოვლენის ფორმები, როგორიცაა ისევ, ხელახლა და მომავალში, გამოცალკევებული რჩებოდა, ცდუნება გძლევდა იმ მიმართებათა სახელწოდებები, რითაც „დღეის“ ცნება წარსულსა და მომავალს ემიჯნება, ანუ ცნებები „გუშინ“ და „ხვალ“, მათი შინაარსის მიხედვით განგევრცო და დროის უფრო მოზრდილი მონაკვეთებისათვის მიგესადაგებინა. ალბათ, არც ისე ძნელია წარმოვიდგინოთ, შედარებით ჰატარა ჰლანეტებზე მცხოვრები არსებები, რომლებიც, ალბათ, მინიატიურულ დროს განაგებენ და მათი „ხანმოკლე“ სიცოცხლისათვის ჩვენი წამმზომის მარდი ცუნცული დიდი ისრის მკაცრად გამოზომილი სვლის ტოლი იქნებოდა, მაგრამ ისეთი არსებების წარმოდგენაც ხომ შეიძლება, რომელთა სივრცეს უშველებელი ნაბიჯით მიმავალი დრო შეესაბამება? მათ შეგრძნებაში ცნებები „ეს-ესაა“ და „ცოტა ხნის შემდეგ“, „გუშინ“ და „ხვალ“, ალბათ, უსაშველოდ ფართო აზრს შეიძენდა. ეს, ვიმეორებთ, არამცთუ შესაძლებელი იქნებოდა, არამედ ერთი შესაწყნარებელი თეორიის, ეგრეთ წოდებული ფარდობითობის თეორიის ან თუნდაც ერთი ანდაზის თანახმად, „როგორიც ალაგი, ისეთი ალაბიო“, სავსებით კანონიერი, ჯანსაღი და საპატიო აღმოჩნდებოდა. მაგრამ ერთ მიწის შვილს რაღა ვუყოთ, მის ასაკში ერთმა დღემ, ერთმა კვირამ, ერთმა თვემ, ერთმა სემესტრმა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი რომ უნდა ითამაშოს, ცხოვრებაში უამრავი ცვლილება და წინსვლა რომ უნდა მოუტანოს, მას კი ერთ მშვენიერ დღეს ბიწიერი ჩვევა შეუძენია, ზოგჯერ მაინც აჰყვეს წადილს და იმის მაგიერ, რომ თქვას, „ერთი წლის უკანო“, „გუშინო“ ამბობს, ხოლო „ხვალ“ მისთვის „ერთი წლის შემდეგს“ ნიშნავს. „არევა და აღრევა“, თუ გნებავთ, ამას ჰქვია და დიდად შემაშფოთებელიც სწორედ ეს გახლავთ.
დედამიწის ზურგზე არსებობს ისეთი ცხოვრებისეული სიტუაცია, ისეთი განსაკუთრებული ლანდშაფტი (თუკი ჩვენ მიერ წარმოდგენილ შემთხვევაში საერთოდ შეიძლება „ლანდშაფტზე“ ლაპარაკი), სადაც დრო-სივრცობრივი დისტანციების თავბრუდამხვევ ერთფეროვნებამდე მისული აღრევა და წაშლა იმდენად ბუნებრივია და კანონზომიერი, რომ მოცლილობის ჟამს შეიძლება, ასე თუ ისე, დასაშვებად ჩაითვალოს მის ჯადოში გახვევა. მხედველობაში გვაქვს გასეირნება ზღვის სანაპიროზე, რომელსაც ჰანს კასტორპი უდიდესი სიამოვნების გარეშე ვერ იხსენებდა და ისიც ხომ ვიცით, რომ თოვლიან გარემოში ცხოვრებაც მშობლიურ დიუნებზე სასიამოვნო და მადლიერებით აღსავსე მოგონებებს უღვიძებდა ხოლმე. ვიმედოვნებთ, მკითხველის გამოცდილება და მეხსიერება არ გვიმტყუნებს, თუკი ამ საოცარ თავდავიწყებას გავიხსენებთ. მიდიხარ და მიდიხარ... ამგვარი გასეირნებიდან შინ დროზე ვერასოდეს დაბრუნდები, რადგან შენ დრო გამოგეცალა ხელიდან, შენ კი დროს გამოეცალე. ო, ზღვაო, ამას რომ ვყვებით, შორსა ვართ შენგან, ჩვენი ფიქრები, ჩვენი სიყვარული შენკენაა მომართული, აშკარად და დაუფარავად შემოგძახით, დამკვიდრდე ჩვენს მოთხრობაში, თუმცა უჩუმრად ისედაც იყავი, ხარ და იქნები მასში დამკვიდრებული... მოშიშინე უდაბნოვ, მკრთალი ნაცრისფერი რომ გადაგკვრია, მწკლარტე ნესტით აღსავსევ, ის ნესტი მარილის გემოს რომ გვიტოვებს ტუჩებზე... მივდივართ და მივდივართ წყალმცენარეებითა და ჰაწაწინა ნიჟარებით მოფენილ ოდნავ დრეკად მიწაზე, ყურებს ქარი გვიგუბებს,

ეს დიდი, ფრთამალი და ალერსიანი ქარი, თავისუფლად და ლაღად, უბოროტოდ რომ დანავარდობს სივრცეში და თავს ნაზად გვიბრუებს, - ჩვენ მივხეტიალებთ, მივხეტიალებთ და ვხედავთ, როგორ გვილოკავს ფეხებს ნაპირისკენ წამოგორებული და მერე ისევ უკუქცეული ტალღების ქაფიანი ენები. ზღვა დუღს, ყრუ ზათქით ეხეთქება ტალღა ტალღაზე და ბრტყელ ნაპირს აბრეშუმივით ელამუნება, აქაც, იქაც და უფრო შორსაც მოჩანს, როგორ სწვდება იგი სანაპიროს ქვიშიან ზოლს და ეს გაურკვეველი, ყოვლისმომცველი, ნაზი შიშინი და გრუხუნი ყურებს გვიხშობს და ამქვეყნიურ ხმებს აღარ უშვებს ჩვენამდე... ღრმა სულიერი კმაყოფილება, შეგნებული თავდავიწყება... ბარემ დავხუჭოთ თვალები და გვფარვიდეს მარადისობა! მაგრამ არა, შეხე, იქ, აქაფებულ მონაცრისფრო-მომწვანო სივრცეში, უსაშველოდ შემოკლებული სივრცე ჰორიზონტში რომ იკარგება, იალქანი მოჩანს. იქ? არანაირი ეს იქ"? რა სიშორეზეა? რა სიახლოვეს? ეგ შენ არ იცი. ის თავბრუს გახვევს და ისე უსხლტება შენს მსჯავრს ხელიდან. აი, ის გემი რამსიშორეზეა ნაპირიდან დაცილებული, ეს რომ თქვა, უნდა იცოდე, რამოდენაა იგი სინამდვილეში. პატარაა და ახლოს, თუ დიდია და შორს არის შენგან. შენი მზერა უმეცრებაში ეფლობა, რადგან შენ თვითონ არავითარი ორგანო ან გრძნობა არ გაგაჩნია, სივრცეზე რაიმე წარმოდგენას რომშეგიქმნიდა... ჩვენ მივდივართ და მივდივართ... მაინც რამდენი ხანია? ან რამდენი გავიარეთ? თითქოს ადგილიდან არც ვიძვრით. გადადგმული ნაბიჯით არაფერი იცვლება, გინდ იქ ყოფილხარ და გინდ აქ, „უწინ" იგივეა, რაც ახლა" და „შემდეგ", სივრცის განუზომელი მონოტონურობა აშთობს დროს, როცა ერთფეროვნება ბატონობს, ერთი წერტილიდან მეორემდე მოძრაობას მოძრაობა აღარ ჰქვია და სადაც მოძრაობას მოძრაობა აღარ ჰქვია, იქ დროც აღარ არსებობს.

შუა საუკუნეებისმოძღვარნი ამტკიცებდნენ, დრო ილუზიაო, მისი რბოლა მიზეზობრიობასა და შედეგობრიობაში მხოლოდ ჩვენი გრძნობის ორგანოების განსაკუთრებული აღნაგობის შედეგია, ხოლო საგანთა ჭეშმარიტი ყოფიერება ერთ ადგილზე გაჩერებული ახლააო". ნეტავ თუ უსეირნია ზღვის ნაპირას იმ დოქტორს, ვისაც თავში პირველად მოუვიდა ასეთი აზრი და თუ უგრძნია თავის ბაგეებზე მარადისობის მსუბუქი სიმწარე? ჩვენ ყოველი შემთხვევისათვის ვიმეორებთ, რომ აქ საარდადეგო თავისუფლებაზე, ანუ მოცლილობის ჟამის ფანტაზიაზე ვლაპარაკობთ, რომლითაც ისევე სწრაფად იჟღინთება ჩვენი ზნეობრივი სულისკვეთება, როგორც თბილ ქვიშაზე წოლისაგან ითენთება სავსებით ჯანმრთელი ადამიანი. ადამიანის შემეცნების გზებისა და ფორმების კრიტიკა, მათი წმინდა ფასეულობის საეჭვოდ მიჩნევა აბსურდი იქნებოდა, უპატიოსნობად და ვერაგობად ჩაითვლებოდა, თუკი იგი ერთადერთ მიზანს არ დაისახავდა - გონებისათვის მიეთითებინა ის მიჯნები, რომელთა მიღმა გადაბიჯებას არ შეიძლება, შედეგად არ მოჰყვეს მისი ჭეშმარიტი დანიშნულების უგულებელყოფა. ჩვენ მხოლოდ მადლიერნი შეიძლება ვიყოთ ისეთი ადამიანისა, როგორიც ბატონი სეტემბრინია, მან ხომ იმ ახალგაზრდა კაცს, რომლის ბედითაც ჩვენ ვართ დაინტერესებული და ვისაც ერთხელ თვითონვე მოხდენილად შეარქვა „ძნელად აღსაზრდელი ბავშვი", პედაგოგიური კილოთი, მტკიცედ განუცხადა, მეტაფიზიკა ბოროტებაა. ჰოდა, ჩვენც ყველაზე უკეთ იმით ვცემთ პატივს ერთი ძვირფასი განსვენებულის ხსოვნას, თუკი ვიტყვით, რომ კრიტიკის პრინციპული აზრი, მიზანი და დანიშნულება მხოლოდ ერთი რამ შეიძლება და უნდა იყოს კიდეც: ეს გახლავთ მოვალეობის იდეა, სიცოცხლის მოთხოვნების შესრულება. დიახ, მაშინ როცა კანონმდებლურმა სიბრძნემ კრიტიკულად მონიშნა გონების მიჯნები, იმავე მიჯნებზე სიცოცხლის დროშაც გამოჰკიდა და ადამიანს ჯარისკაცურ მოვალეობად დაუსახა ამ დროშის სამსახური. ჰოდა, ამის შემდეგ ნუთუ შეიძლება გავამართლოთ ახალგაზრდა ჰანს კასტორპი და ვფიქრობთ, დროის ასე უზნეოდ ფლანგვაში, მარადისობასთან მის ბიწიერ შეთამაშებაში იგივე თვისება მჟღავნდება, მისი მხედარი ბიძაშვილის ერთმა მელანქოლიურმა მეხოტბემ თავდადება" რომ უწოდა და ამ თავდადებას ლეტალური დასასრულიც რომ მოჰყვა თან?

მინჰერ პეპერკორნი

მინჰერ პეპერკორნი, ერთი ხანდაზმული ჰოლანდიელი, კარგა ხანია ცხოვრობდა სანატორიუმ ბერგჰოფში“, რომელსაც დიახაც სამართლიანად ეწერა თავის აბრაზე ზედსართავი სახელი ინტერნაციონალური“. ყველაფერი შეიძლება იფიქროს კაცმა, მაგრამ პეპერკორნის შეფერადებული ეროვნება - იგი იავაზე, კოლონიაში დაბადებული ჰოლანდიელი, ყავის პლანტატორი გახლდათ - ნამდვილად ვერ შეგვაგულიანებდა მისი, ანუ პიტერ პეპერკორნის პიროვნება (დიახ, ასე იწოდებოდა იგი და თვითონაც ასე იხსენიებდა საკუთარ თავს: ახლა პიტერ პეპერკორნი ერთი სირჩა არყით გაისველებს ყელსო, იცოდა ხოლმე თქმა), ვიმეორებთ, ვერ გვიბიძგებდა მისი პიროვნება ჩვენს მონათხრობში და ისიც ლამის უკანასკნელ გვერდებზე შემოგვეყვანა. ღმერთო დიდებულო, რა ფერისა და შეფერილობის საზოგადოება არ ირეოდა იმ დიდად პატივცემულ დაწესებულებაში, სადაც ჰოფრატი დოქტორი ბერენსი მრავალ ენაზე მჭევრმეტყველებდა და სამედიცინო სამსახურს ისე უძღვებოდა! განა მაგალითად ის არ კმარა, რომ ერთი ხანია აქ კვლავ ბინადრობდა ეგვიპტელი პრინცესა, დიახ, სწორედ ის, ოდესღაც ჰოფრატს ღირსშესანიშნავი ყავის სერვიზი და „სფინქსის“ მარკის სიგარეტები რომ უსახსოვრა? ამ სენსაციურ პიროვნებას ნიკოტინისგან ჩაყვითლებული თითები ბეჭდებით ჰქონდა დახუნძლული, თმას მოკლედ შეჭრილს ატარებდა, მთავარ ტრაპეზებზე პარიზულ კაბებს იცვამდა, ჩვეულებრივ კი პიჯაკსა და გატკეცილ შარვალში დაბრძანდებოდა. მამაკაცთა სამყაროს ზედაც არ უყურებდა, სამაგიეროდ, თავისი მიბნედილი და თან მგზნებარე ყურადღებით მხოლოდ ერთ რუმინელ ებრაელ ქალს ანებივრებდა, რომელსაც უბრალოდ ფრა ლანდაუერს ეძახდნენ, მაშინ როცა პროკურორი პარავანტი მისი უდიდებულესობის მიზეზით მათემატიკასაც კი შეეშვა და სიყვარულისგან ლამის გამოთაყვანდა. აქაურობისთვის ვითომ პრინცესას პიროვნება არ კმაროდა, რომ მის მცირე ამალაში კიდევ ერთი საჭურისი მავრი არ ყოფილიყო, სნეული, სუსტი კაცი, რომლის აღნაგობაზე სიამოვნებით ქილიკობდა ხოლმე კაროლინე შტორი, მაგრამ არა გვგონია, იმ მავრზე მეტად ვინმე თუ ეჭიდებოდა სიცოცხლეს, საბრალომ დარდით აღარ იცოდა, რა ექნა, როცა სხეულში ჩამდგარი წყვდიადი გაუშუქეს და ფირფიტაზე მისი შინაგანი სურათი გამოისახა...

მოკლედ, გასაოცარი არაა, ასეთ პიროვნებებთან შედარებით მინჰერ პეპერკორნი ლამის უფერული მოგვჩვენებოდა. თუმცა შეიძლებოდა ჩვენი მოთხრობის ამ მონაკვეთს ერთი წინამავალი თავის მსგავსად სათაურად ჰქონოდა „კიდევ ვიღაც სხვა“, მაგრამ ნურავინ შეშფოთდება, ასპარეზზე კიდევ ერთი გონისმიერი და პედაგოგიური არევ-დარევის შემომტანი პიროვნება არ მოგვევლინოსო. არა, მინჰერ პეპერკორნი ის კაცი არ გახლდათ, სამყაროში ლოგიკურ არევ-დარევას რომ შემოიტანდა. როგორც დავინახეთ, ის სულ სხვა ყაიდის კაცი იყო, მაგრამ მისმა პიროვნებამაც რომ ისეთივე მძიმე არევ-დარევა შემოიტანა ჩვენი გმირის ცხოვრებაში, ამას ქვემოთ შევიტყობთ.

მინჰერ პეპერკორნი იმავე მატარებელს ჩამოჰყვა სადგურ სოფელში“, რომლითაც მადამ შოშა ჩამობრძანდა, იმავე მარხილით ამოვიდა სანატორიუმ „ბერგჰოფში“ და იქვე, რესტორანშიც, მასთან ერთად ივახშმა. ერთი სიტყვით, ამას ერქვა არა მარტო ერთდროული, არამედ ერთად ჩამოსვლა, და ამ ერთობამ თავისი გაგრძელება, მაგალითად, ერთ განკარგულებაში პოვა, როცა მინჰერს შინ ახალაბრუნებული ქალის გვერდით, კარგ რუსულ მაგიდასთან მიუჩინეს ადგილი, ექიმის სკამის პირდაპირ, იქ, სადაც ოდესღაც მასწავლებელი პოპოვი თავის უსიამო და ორჭოფულ სცენებს მართავდა. სწორედ ამ განუყრელობამ გაუფუჭა გუნება ჰანს კასტორპს, რადგან მსგავსი რამ გათვალისწინებული არ ჰქონია. მანამდე ჰოფრატმა კლავდიას უკან დაბრუნების დღე და საათი თავისებურად აუწყა ჰანს კასტორპს:

- აჰა, კასტორპ, საყვარელო, - უთხრა მან, - დაგიფასდათ ერთგული მოლოდინი, ზეგ საღამოს ფისუნია ისევ შემოგვეპარება, დეპეშა მივიღე.

ოღონდ ფრაუ შოშა რომ მარტო არ მოდიოდა, ამაზე ჰოფრატს კრინტი არ დაუძრავს, იქნებ თვითონაც არ იცოდა, ის და პეპერკორნი ერთად თუ ჩამოვიდოდნენ და ერთმანეთთან ასე დახლოებულნი თუ იყვნენ, ყოველ

შემთხვევაში, ძალიან კი გაიოცა, როცა ჰანს კასტორპმა მათი ერთად ჩამოსვლის დღესვე პასუხი მოსთხოვა.
- ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს კაცი სად უნდა მოეჩანგლა, - განუცხადა მან ჰანს კასტორპს, - ეტყობა, მოგზაურობაში გაიცნო, უფრო მგონია, პირენეებში გაიცნობდა. ეჰ, რას იზამთ, ამ ამბავს ანგარიში უნდა გაუწიოთ, თქვე იმედგაცრუებულო სელადონო, სხვა გზა არა გაქვთ, ხომ ხედავთ, რა დიდი მეგობრები არიან, თუ არ ვცდები, სალაროც კი საერთო უნდა ჰქონდეთ, ის კაცი უსაშველოდ მდიდარი ყოფილა. აბა, წარმოიდგინეთ, კაცი ყავის მეფეა, საქმისთვის თავი უკვე მიუნებებია, მალაელი ლაქია ჰყავს, ფუფუნებაში ცხოვრობს. თუმცა იმასაც გაგიმხელთ, რომ აქ გასართობად არ ჩამოსულა. გარდა იმისა, რომ ალკოჰოლიზმის გამო ლორწოვანი გარსი გაღიზიანებული აქვს, ვერაგი ტროპიკული ციებაც უნდა სჭირდეს, ციებ-ცხელება ხან შემოუტევს, ხან ჩაუცხრება ხოლმე, მერყევი, ძველისძველი, მიშვებული,გაჯიუტებული ავადმყოფობა როგორია, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ერთი სიტყვით, მის შემხედვარეს მოთმინება გმართებთ.
- ბატონი ბრძანდებით, - ქედმაღლურად უპასუხა ჰანს კასტორპმა, გუნებაში კი გაიფიქრა: „შენ? შენ როგორ გუნებაზეღაბრძანდები? თუ არ ვცდები, ადრე შენი ხელშესახები მხატვრობით, მთლად უცოდველი არც შენ ყოფილხარ, ლოყებჩალურჯებულო ქვრივო. მართალია, ლაპარაკში ღვარძლიანი სიხარული გეტყობა, მაგრამ ჩვენ ხომ ერთ ბედქვეშა ვართ, ყოველ შემთხვევაში, პეპერკორნის საკითხში მაინც“.
- საოცარი, ნამდვილად ორიგინალური კაცია, - გამომეტყველი ჟესტი გააკეთა და ისე განაგრძო ჰანს კასტორპმა, - ჯანიანიცა და სუსტიც, აი, მის დანახვაზე როგორი შთაბეჭდილება გექმნება. ყოველ შემთხვევაში, მე დღეს საუზმეზე ასე მეჩვენა. დიახ, ჯანიანი და თან სუსტი, მე თუ მკითხავთ, ამ ზედსართავებით შეიძლება მისი დახასიათება, თუმცა, ჩვეულებრივ, ეს ორი სიტყვა ერთმანეთს ვერ დაუწყვილდება. მართალია, მაღალია და ბრგე, ფეხებგაჩაჩხული დგომაც უყვარს და ხელებიც სწორად ჩაჭრილ ჯიბეებში უწყვია - ჯიბეები სწორად აქვს ჩაჭრილი და არა ირიბად, როგორც მე და თქვენ გვაქვს და როგორც მიღებულია მაღალ საზოგადოებაში, - ჰოდა, როცა ასე დგას და ჰოლანდიურ ყაიდაზე დუდღუნებს, მაშინ ნამდვილად ჯანიანი გეგონება. წვერიც მეჩხერი აქვს - გრძელი, მაგრამ ისე მეჩხერი, რომ თმის ღერების დათვლა შეიძლება, თვალებიც წვრილი აქვს და ღია ფერის, ლამის უფერო. თვალების ქაჩვა არაფერს შველის, პირიქით, შუბლზე ღრმა ნაოჭები უჩნდება, ნაოჭები საფეთქლებიდან აღმა მიემართება, შემდეგ კი მაღალ, წითელ შუბლზე ჰორიზონტალურად გადაუყვება. თეთრი თმა, რომ იცოდეთ შუბლზე გრძლად კი ეფინება, მაგრამ ის თმაც მეჩხერი აქვს და თვალებიც, რაც უნდა აბრიალოს, მაინც წვრილი და უფერო ექნება. დახურული ჟილეტი ვითომ სასულიერო პირის იერს ანიჭებს, მაგრამ სერთუკი კი უჯრედებიანი აცვია. აი, ასეთია ჩემი დილანდელი შთაბეჭდილება.
- კარგად კი ამოგიღიათ მიზანში, - უპასუხა ბერენსმა, - მთელი თავისი ნიშნებით გულდასმით შეგისწავლიათ და მართალი გითხრათ, გონივრულადაც მოქცეულხართ, რადგან იძულებული იქნებით, მისი აქ ყოფნა აიტანოთ.
- დიახ, ეტყობა, ასე მოგვიწევს, - უპასუხა ჰანს კასტორპმა.
მას ახალი, მოულოდნელი სტუმრის მიახლოებითი პორტრეტის მოხაზვა ხვდა წილად და ამ საქმეს საკმაოდ კარგად გაართვა თავი. ამაზე უკეთ მის აღწერას ჩვენც ვერ შევძლებდით, ოღონდ ეს კია, რომ მას ხელსაყრელი სათვალთვალო პოსტი ეკავა: როგორც ვიცით, იგი კლავდიას არყოფნაში ნელ-ნელა კარგ რუსულ მაგიდას მიუჩოჩდა და ბოლოს მის მეზობლად აღმოჩნდა. ახლა ორივე მაგიდა ერთმანეთის პარალელურად იდგა, ოღონდ კარგი რუსული მაგიდა ოდნავ უფრო ახლოს იყო ვერანდაზე გასასვლელ კართან. ჰანს კასტორპსაც და პეპერკორნსაც მაგიდასთან დარბაზის შუაგულისაკენ მიქცეული ვიწრო მხარე ეჭირათ და ამრიგად, ლამის გვერდიგვერდ ისხდნენ. ჰანს კასტორპი ოდნავ უკან იჯდა, რაც თვალთვალსაც უიოლებდა, არც თვითონ ხვდებოდა ვინმეს თვალში და ფრაუ შოშასაც, თუმცა ალმაცერად, მაგრამ სახის სამი მეოთხედით მაინც ხედავდა. მის ნიჭიერად მოხაზულ ესკიზს მხოლოდ იმით შევავსებდით, რომ პეპერკორნი ბაგეს სუფთად იპარსავდა, მოზრდილი, ხორციანი ცხვირი და ასევე დიდი პირი ჰქონდა,

ხოლო მორღვეული ტუჩები გახეულს მიუგავდა. საკმაოდ ფართო ხელებს გრძელი, წაწვეტებული ფრჩხილები უმშვენებდა და ლაპარაკში ორივე ხელს ხშირად იშველიებდა. ლაპარაკით კი გაუთავებლად ლაპარაკობდა, თუმცა ჰანს კასტორპს მისი ნალაპარაკევიდან აზრის გამოტანა უჭირდა. პეპერკორნი ხელებით ისეთ მეტყველ ჟესტებს აკეთებდა, რომ მსმენელის ყურადღებას ძაბავდა, ნიუანსებით მდიდარი, მოხდენილი, ზუსტი და ნატიფი, დახვეწილი ჟესტებით დირიჟორისას მიუგავდა, ხან საჩვენებელი თითითა და ცერით წრეს შეკრავდა, ხან კი წაწვეტებულფრჩხილებიან, თითებგაფარჩხულ ხელისგულს თანამესუფრეთ ისე შეაგებებდა, თითქოს მსმენელებს უფრთხილდება, სათქმელს არბილებს, მაგრამ მათგან მაინც ყურთასმენას მოითხოვსო, შემდეგ კი შეეძლო მისგანვე მონუსხული, ყურთასმენად ქცეული, პირზე ღიმმორეული მსმენელები სახტად დაეტოვებინა, იმდენად ბუნდოვანი აღმოჩნდებოდა ხოლმე ასე დიდის ამბით შემზადებული სათქმელი. თუმცა არა, მსმენელს სახტად როდი ტოვებდა, უფრო სიხარულსა და გაოცებას ჰგვრიდა, რადგან სათქმელის მომზადებაში ჩაქსოვილი ძალა, სინატიფე და მრავლისმეტყველება ზედმიწევნით ანაზღაურებდა იმას, რაც ნათქვამიდან გაუგებარი რჩებოდა, თვით ეს სამზადისი ჰგვრიდა ყველას კმაყოფილებასა და სიხალისეს, უფრო მეტიც, რაღაცით თითქოს კიდეც ამდიდრებდა. ზოგჯერ ამ სამზადისს სულაც არავითარი გამონათქვამი არ მოჰყვებოდა ხოლმე. ამ დროს იგი ხელს ან მარცხნივ მჯდომ მეზობელს, ერთ ახალგაზრდა ბულგარელ მეცნიერს, ან ხელმარჯვნივ მჯდომ მადამ შოშას სათუთად დაადებდა ხელზე, შემდეგ ამ ხელს ალმაცერად აიშვერდა, სმენასა და გაგონებას მოითხოვდა და წარბებს ისე მაღლა ასწევდა, რომ შუბლის მარჯვენა კუთხიდან თვალის კილოებისკენ მიმავალი ნაოჭები უღრმავდებოდა და სახე ნიღაბს ემსგავსებოდა. ასე წარბებაწეული დაჰყურებდა ადგილზე მიჯაჭვული თანამესუფრის გასწვრივმაგიდას, დიდ, გახეულ პირს დააღებდა, თითქოს ეს-ესაა, რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა თქვასო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამოისუნთქავდა, სათქმელს გადაიფიქრებდა, ხელს ისე აიქნევდა, თითქოს განკარგულება გაეცეს, „თავისუფლადო“, და ვითომც აქ არაფერიაო, კვლავ თავის მაგარ ყავასმიუბრუნდებოდა, რომელსაც თავისთვის ცალკე, საკუთარ ყავადანში ადუღებინებდა ხოლმე.

ყავას დალევდა თუ არა, კვლავ ხელით შეაჩერებდა საუბარს, სიჩუმეს ისე დაამყარებდა, როგორც დირიჟორი აჩუმებს ხოლმე აგნიასებულ ინსტრუმენტებს და თავის ორკესტრს დინჯად მოუწოდებს, სპექტაკლის დაწყებისთვის მოემზადეთო. ამ დროს ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი დიდი თავი, რომელსაც ცეცხლის ენებივით შემოვლებოდა თეთრი თმა, მისი უფერო თვალები, შუბლის ღონიერი ნაოჭები, გრძელი წვერი და ტანჯვით მორღვეული ტუჩ-პირი, რომ მის ხელის აქნევას ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ჩუმდებოდნენ, ღიმილით შესცქეროდნენ, ელოდნენ, ზოგი გამამხნევებელი ღიმილითაც კი უქნევდა თავს, პეპერკორნი კი საკმაოდ წყნარად იტყოდა:

- ბატონებო... კარგი. კეთილი და პატიოსანი. მორჩა, ოღონდ მხედველობაში მიიღეთ და არ... არც ერთი წუთით... არ უგულებელყოთ, რომ... მოდი, ამ პუნქტზე ნუღარ შევჩერდებით, რაც უნდა მეთქვა, ის არაფერია, უპირველეს ყოვლისა და მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ... ურყევი.. ვიმეორებ და განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს ამ სიტყვებს... ჩვენკენაა მომართული ურყევი მოთხოვნა... არა! არა, ბატონებო, ეგ არა! ისე კი ნუ გამიგებთ, რომ მე ლამის... დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მე... მორ-ჩა, ბატონებო! მორჩა და გათავდა. ვიცი, რომ ყველანი მეთანხმებით და ამიტომ დროა, საქმეს შევუდგეთ!

პეპერკორნს სინამდვილეში არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი თავი, ხოლო ჟესტ-მიმიკა იმდენად მტკიცე, ჟინიანი და მეტყველი ჰქონდა, რომ ყველას, და მათ შორის ჰანს კასტორპსაც, ეგონა, რაღაც დიდმნიშვნელოვანი მოვისმინეთ, ხოლო გული არც იმათ დასწყვეტიათ, ვინც მიხვდა, რომ ამ დაუმთავრებელი ნათქვამიდან აზრის გამოტანა შეუძლებელი იყო. ერთი ვიკითხოთ, ასეთ დროს ყრუ ადამიანი რა გუნებაზე დადგებოდა. ალბათ, იდარდებდა, რადგან სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე, მცდარ დასკვნას გააკეთებდა, წარმოიდგენდა, რაღაც

მნიშვნელოვანი ითქვა და ჩემი ნაკლის გამო ბევრი დავკარგეო. ასეთ ადამიანებს უნდობლობა სჩვევიათ და იოლად იციან განაწყენება. აქ კი პირიქით ხდებოდა, სუფრის ბოლოში ერთი ახალგაზრდა ჩინელი იჯდა, გერმანული ჯერ კარგად არ იცოდა და ამიტომაც ვერც ვერაფერი გაიგო, მაგრამ ეს ყველაფერი რომ მოისმინა და დაინახა, თავისი აღტაცება და კმაყოფილება ერთი შეძახილით გამოხატა: „very well
!“
(ძალიან კარგი! (ინგლ.).) - და ტაშიც შემოჰკრა.
მინჰერ პეპერკორნი კი ამასობაში საქმეს შეუდგა“, წამოდგა, ფართო მკერდი გამოზნიქა, დახურულ ჟილეტზე შემოცმულ უჯრედებიან სერთუკზე ღილები შეიბნია და მისმა თეთრთმიანმა თავმა მყისვე მეფური იერი შეიძინა. მან ერთ-ერთი დარბაზის ასული მოიხმო, - ეს გახლდათ ლილიპუტი, რომელსაც იმ წუთში არ ეცალა, მაგრამ ნიშნის მიღებისთანავე აქეთ გამოეშურა, ყავადანი და სარძევე ხელში შერჩა და მის სკამთან ასე დაერჭო. დარბაზის ასულსაც უნებურად ღიმილი მოეფინა ფართო, ბებრულ სახეზე და პეპერკორნს ალერსიანად დაუქნია თავი. იგი მოწიწებით აღავსო მის შუბლზე გაწოლილი ღონიერი ნაოჭების ქვემოდან წამოსულმა უფერო მზერამ, მისმა აწეულმა ხელმა, რომლის საჩვენებელ თითსა და ცერს წრე შეეკრა, ჰაერში აშვერილ დანარჩენ სამ თითს კი წამახული ფრჩხილები თავზე შუბებივით დასდგომოდა.
- ჩემო გოგონა, - მიმართა მან ლილიპუტს, - კარგი, აქამდე ყველაფერი მშვენივრად იყო. თქვენ ტანით პატარა ხართ, მერე მე რას მიშავებთ? პირიქით! მე დადებითად ვაფასებ ამ ამბავს, ღმერთს მადლობას ვწირავ, როგორიც ხართ, ისეთი რომ გაგაჩინათ და თქვენი თავისებური ტანმორჩილობით... კარგი, ამას მოვეშვათ! ჰოდა, რაც მე თქვენგან მინდა, ისიც თქვენსავით პატარა რამ არის, პატარა და თავისებური. მაგრამ ჯერ ეს მითხარით, რა გქვიათ?
დარბაზის ასულმა ღიმილით წაიბუტბუტა რაღაც და შემდეგ თქვა, ემერენცია მქვიაო.
- ჩინებულია! - წამოიძახა პეპერკორნმა, სკამის საზურგეს მიეყრდნო და ხელი ლილიპუტისკენ გაიშვირა. ეს სიტყვა ისეთი კილოთი წამოიძახა, თითქოს უნდოდა, ეთქვა, რას ერჩით, ყველაფერი რიგზე ყოფილაო! - ჩემო გოგონი, - განაგრძო მან ზედმიწევნით სერიოზულად, თითქმის მკაცრად, - ამას კი ნამდვილად არ მოველოდი. ემერენციია, თქვენ ამ სახელს მოკრძალებით წარმოთქვამთ, ეს სახელი კი... თანაც თქვენს პიროვნებასთან შეერთებული... ერთი სიტყვით, უმშვენიერესი შესაძლებლობები გვეძლევა. თქვენი სახელი ნამდვილად იმსახურებს ერთგულებასა და სულითა და გულით შეყვარებას, რათა... მოფერებითი სახელი... ხომ გესმით, ჩემო გოგონი: თქვენი მოფერებითი სახელი შეიძლება რენცია იყოს, მაგრამ გულსემჰენიც მოესალბუნებოდა... და ამ წუთში უპირატესობას უყოყმანოდ ემჰენს ვანიჭებ. მაშ, ემჰენ, ჩემო გოგონი, დაიმახსოვრე: სულ ცოტა პური მინდა, საყვარელო. შეჩერდი! სდექ! გაუგებრობა არ მოხდეს! ამის საშიშროება შენს, ცოტა არ იყოს, დიდ სახეზე გაწერია... დიახ, პური მინდა, რენცჰენ, ოღონდ გამომცხვარი კი არა, გამომცხვარი თავზე საყრელი გვაქვს და თანაც ათასნაირი სახისა, მე გამოხდილი პურიმინდა, ჩემო ანგელოზო. პური ღვთისა, ანკარა პური, აი, ის, პურს მოფერებით რომ ეძახიან, ყელის გასასველებელი, დარწმუნებული არა ვარ, ამ სიტყვის აზრი გესმით თუ არა... მის მაგივრად სხვა სიტყვას, კერძოდ, „მოსამაგრებელს“ შემოგთავაზებდით, მაგრამ აქაც მეშინია, ჩვეულებრივი რამ არ იგულისხმოთ... მორ-ჩა, რენცია. მორჩა და გათავდა. უფრო ჩვენი წმინდა მოვალეობისა და დანიშნულების ხათრით... თუნდაც ჩემზე დაკისრებული ღირსების გამო დავშთები შენი გამორჩეული ტანმორჩილობის სულითა და გულით პატივისმცემელი... ერთი ჯინი, საყვარელო! გულის გასახარად-მეთქი, გეუბნები. აბა, პურის არაყი, ემერნცჰენ. სწრაფად გასწი და ერთი ჭიქა მომირბენინე!
- ერთი ჯინი, გაუზავებელი, - გაიმეორა ლილიპუტმა, ადგილზევე შემოტრიალდა, პეპერკორნი რომ არ შეეწუხებინა, ხელი მეზობელ მაგიდაზე მოინაცვლა და ყავადანი ჰანს კასტორპს ზედ თეფშთან ჩამოუდგა. ლილიპუტმა მარდად მიირბინ-მოირბინა და მისმა დამკვეთმა მყისვე მიიღო, რაც უნდოდა. ჭიქა ისე გაელიცლიცებინათ, რომ პური“ ყოველი მხრიდან იღვრებოდა და თეფშს

რწყავდა. ბატონმა პეპერკორნმა ჭიქა ცერითა და შუათითით აიღო და სინათლეზე გახედა.
- მაშ, ასე, პიტერ პეპერკორნი ახლა არყით გაისველებს ყელს, - განაცხადა მან, ხორბლის დესტილატი გადაყლურწა და ერთი ლუკმა დააყოლა.
ახლა ყველას ფხიზელი თვალით გიყურებთო, დასძინა მან, ფრაუ შოშას ხელს დასწვდა და ტუჩებთან მიიტანა, შემდეგ ხელი კვლავ სუფრაზე დაასვენა და ერთხანს თავისი ხელიც ზედ ედო.
თავისებური, გამორჩეული, მაგრამ ძნელად გასაგები კაცი იყო ბატონი პეპერკორნი. „ბერგჰოფის“ საზოგადოება დიდად დაინტერესდა მისი პიროვნებით. ამბობდნენ, ახლახან კოლონიაში საქმისთვის თავი მიუნებებია და დიდი ქონება დარჩენიაო, ჰააგაში დიდებული სახლი აქვს, ხოლო შევენინგენში ასევე დიდებული ვილაო. ფრაუ შტორი მას ფულის მაგნიტს“ (მაგნატი-მეთქი, უმეცრების განსახიერებავ!) ეძახდა და თან ყველას თითით ანიშნებდა მარგალიტის მძივზე, მადამ შოშა უკან დაბრუნების შემდეგ საღამოს კაბაზე რომ იკეთებდა. კაროლინეს სიტყვით, მძივი მისი მეუღლის ამიერკავკასიური გალანტურობის დასტური არ უნდა ყოფილიყო, იგი უფრო საერთო სალაროს“ პირმშოს ჰგავდა. ფრაუ შტორმა ამ სიტყვებზე გარშემო მყოფთ თვალი ჩაუკრა. თავით ჰანს კასტორპზე ანიშნა და მისი მწუხარების პაროდიულად წარმოსადგენად ტუჩის კუთხეები ძირს ჩამოუშვა; ეტყობა, ფრაუ შტორის დახვეწა ვერც ავადმყოფობამ შეძლო და ვერც ტანჯვამ და ჰანს კასტორპის უბედურებასაც ასე მოურიდებლად ამიტომ დასცინოდა. ეს უკანასკნელი კი წონასწორობას არ კარგავდა, ასე განსაჯეთ, საკმაოდ გონებამახვილურად ფრაუ შტორს შეცდომაც კი გაუსწორა. ალბათ, უნებურად შეგეშალათ, მაგნატის ნაცვლად მაგნიტი რომ ბრძანეთ, თუმცა არც მაგნიტია ურიგო, რადგან პეპერკორნს, მგონი, მიმზიდველობაც არ აკლიაო. ჰანს კასტორპმა მასწავლებელ ენგელჰარტსაც წარბშეუხრელად გასცა პასუხი, ქალმა რომ ჰკითხა, ახალი სტუმარი როგორ მოგწონთო, თან ღაწვები შეეფაკლა, ალმაცერად ჩაიცინა და ჰანს კასტორპს თვალი აარიდა. მინჰერ პეპერკორნი გამოხუნებული პიროვნებაა“, უპასუხა მან მასწავლებელს, დიდი პიროვნებაა, მაგრამ გამოხუნებულიო. ასეთი ზუსტი დახასიათება ობიექტურობასთან ერთად მის სულიერ სიმტკიცესაც მოწმობდა და ამან მასწავლებელს კარგად შეურყია კიდეც პოზიციები. რაც შეეხება ფერდინანდ ვეეზალსა და მის გესლიან შენიშვნას, ფრაუ შოშა გაუთვალისწინებელ გარემოცვაში დაბრუნდაო, აქ ჰანს კასტორპმა დაამტკიცა, რომ არსებობს მზერა, რომელიც თავისი ზუსტი ერთმნიშვნელოვნებით არც ერთ ხმამაღლა წარმოთქმულ სიტყვას არ ჩამოუვარდება. „უბადრუკო!“ - ამბობდა ის მზერა, რომლითაც ჰანს კასტორპმა გაზომა მანჰაიმელი და ეს ისე ცხადად ითქვა, სხვაგვარად გაგება გამორიცხული იყო. ვეეზალიც მშვენივრად მიუხვდა და შეირგო კიდეც ის სიტყვა, თანხმობის ნიშნად თავიც კი დაუკრა და თავისი დაჭიანებული კბილები გამოაჩინა, ოღონდ იმ დღიდან ნაფტას, სეტემბრინისა და ფერგესთან ერთად სეირნობისას ჰანს კასტორპის პალტო აღარ უტარებია.
ღმერთო დიდებულო, განა ჰანს კასტორპი პალტოს თვითონ ვერ ატარებდა? ერჩივნა კიდეც თვითონ ეტარებინა, მხოლოდ ხათრით უთმობდა ხოლმე იმ საცოდავს, ოღონდ ჩვენს წრეში ვერავინ უარყოფდა, იმ სრულიად გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა ჰანს კასტორპს პირდაპირ გულში რომ მოახვედრა ტყვია, გაუცამტვერა ის სამზადისი, თავის საყველიერო თავგადასავლის საგანთან კვლავ შესახვედრად გულში რომ დაატარებდა. უკეთ რომ ვთქვათ: იმ გარემოებებმა საერთოდ ზედმეტად აქცია ყოველგვარი სამზადისი და დამამცირებელიც სწორედ ეს გახლდათ.
განზრახული ჰქონდა, ზედმიწევნით ფაქიზად და გონივრულად მოქცეულიყო, თორემ სულსწრაფობასა და სიტლანქეს ხომ არ გამოიჩენდადა არა. აზრადაც არ მოსვლია, კლავდიას სადგურზე დახვედროდა და მადლობა ღმერთს, ასეთი ფიქრი გულშიაც რომ არ გაუვლია! ისედაც დარწმუნებული არ იყო, ქალი, რომელსაც ავადმყოფობა ამოდენა თავისუფლებას ანიჭებდა, თუ მოისურვებდა შორეული, ნიღაბაფარებული და უცხოენოვანი, სიზმარეული ღამე სინამდვილედ ეღიარებინა, ანდა ისურვებდა თუ არა, ის ღამე მისთვის ჩამოსვლისთანავე გაეხსენებინათ. არა, არავითარი აბეზარობა და უხეირო პრეტენზიები! რაკი მისი

ურთიერთობა ირიბთვალება ავადმყოფთან თავისი არსით გადასცდა ევროპული გონიერებისა და თავდაჭერის ფარგლებს,ახლა მაინც მართებდა სრულად დაეცვა ურთიერთობის ცივილიზებული ნორმები და თავი იქნებ გულმავიწყადაც კი მოეჩვენებინა. მაგიდიდან მაგიდისკენ გაგზავნილი უმდაბლესი სალამი - ჯერჯერობით მეტი არაფერი! სხვა დროს, შემთხვევა რომ მიეცემა, თავაზიანად მივა და მოიკითხავს, როგორ იმოგზაურეთო... შემდეგ შეხვედრაზე კი, ვინ იცის, იქნებ სათანადოდ დაჯილდოვდეს კიდეც მისი რაინდული თავშეკავება.
მთელი ეს ფაქიზი ჩანაფიქრი, როგორც მოგახსენეთ, წყალში გადაეყარა, რადგან ნებაყოფლობით მორიდების საშუალებაც წაერთვა და აქედან გამომდინარე, ყოველგვარი დამსახურებაც. მინჰერ პეპერკორნის აქ ყოფნა თავისთავად ძირს უთხრიდა ისეთ ტაქტიკას, უკიდურეს თავშეკავებაზე რომ არ იქნებოდა დაფუძნებული. ჰანს კასტორპმა იმ საღამოს თავისი ლოჯიიდან დაინახა მარხილი, ნელ-ნელა რომ მოუყვებოდა მიხვეულ-მოხვეულ გზას, კოფოზე მეეტლის გვერდით მალაელი კამერდინერი მოჩანდა, ყვითელკანიან კაცუნას ბეწვისსაყელოიანი პალტო ეცვა და ცილინდრი ეხურა, ხოლო კლავდიას გვერდით შუბლზე შლაპაჩამოფხატული უცნობი იჯდა. ის ღამე ჰანს კასტორპმა თითქმის თეთრად გაათენა. დილით სულ არ გასძნელებია მისი ამაფორიაქებელი პიროვნების სახელისა და გვარის გაგება, რასაც თან ერთოდა ცნობა, რომ ორივეს მეორე სართულზე, გვერდიგვერდ აეღო საუკეთესო ოთახები. შემდეგ მოვიდა პირველი საუზმის დროც, ჰანს კასტორპმა დაუგვიანებლად დაიკავა თავისი ადგილი და საკმაოდ ფერწასული დაელოდა მინის კარის მოჯახუნებას. ამაო გამოდგა მისი მოლოდინი. კლავდიას შემოსვლამ უხმაუროდ ჩაიარა, რადგან კარი მის უკან მომავალმა მინჰერ პეპერკორნმა მიხურა, ბრგე, ბეჭებგანიერი და შუბლმაღალი კაცი, ღონიერ თავზე შარავანდედივით რომ შემოვლებოდა თეთრი თმა, ფეხდაფეხ მოჰყვებოდა თავის თანამგზავრს. ის კი, უწინდებურად თავწაწვდილი, კატასავით რბილი ნაბიჯებით მიიპარებოდა თავისი მაგიდისაკენ. დიახ, ის იყო, უწინდელი და უცვლელი. ჰანს კასტორპი ისე დარეტიანდა, რომ წინასწარ განზრახულის საწინააღმდეგოდ თავიდან ფეხებამდე შემოავლო ქალს ღამენათევი მზერა. ეს მისი მოწითალო ქერა თმა იყო, დიდი ხელოვნებით დავარცხნილ-დაყენებული კი არა, არამედ თავზე ერთ ნაწნავად შემოგრაგნილი, ეს მისი თვალები იყო, „ტრამალის მგლის ანთებული თვალები“, მისი მომრგვალებული კეფა და მისი ტუჩები, მისი ამობურცული ყვრიმალები, რომელთა ქვეშ ტუჩები უფრო სავსე, ხოლო ლოყები საყვარლად ჩაცვენილი მოუჩანდა... „კლავდია“, - თქვა გულში ჰანს კასტორპმა და ამ სახელის ხსენებაზე შეაჟრჟოლა, მოულოდნელ სტუმარს თვალი დაასო, თუმცა თავი ჯიუტად ასწია მაღლა და თითქმის დაუფარავი ირონიით შეათვალიერა ნიღაბივით სახეგაქვავებული დიდებული პიროვნება, თან საკუთარ გულს შემოუძახა, დაეცინა მისი ახლანდელი დიდმპყრობელური მესაკუთრეობისათვის, რომელიც წარსულში მომხდარი ზოგ-ზოგი ამბის გამო საკმაოდ შელახული ჩანდა: დიახაც, წარსულის ნამდვილი ამბებისა და არა ზეთის საღებავებით დილეტანტური მხატვრობის სფეროში ნავარაუდევი ბუნდოვანი ამბების გამო, თუმცა იმ სფეროს სადარდებელი ოდესღაც მისთვისაც გაეჩინა... ფრაუ შოშას არც ის ჩვეულება დავიწყებოდა, სუფრასთან დაჯდომამდე პირმოღიმარი დარბაზისკენ რომ შეტრიალდებოდა, თითქოს საზოგადოებას უნდა წარუდგესო. და პეპერკორნმა თავის თანამგზავრს აქაც აუბა მხარი: მანამდე იდგა მის უკან, სანამ ეს პატარა ცერემონიალი დასრულდებოდა და მერე ისიც კლავდიას მხარეს, თავის ადგილზე, სუფრის თავში დაჯდა.
ზედმეტი გამოდგა მაგიდიდან მაგიდისკენ რაინდული სალმის გაგზავნა. კლავდიას მზერამ საზოგადოების წინაშე „წარდგომისას“ თავზემოთ გადაუარა ჰანს კასტორპის პიროვნებასაც და მის ადგილსამყოფელსაც და დარბაზის შორეულ კუთხეებს გადასწვდა: სასადილოში მომდევნო შეხვედრისას იგივე განმეორდა და ასე გამრავლდა იმ ტრაპეზების რიცხვი, როცა მათი თვალები თითქოს ერთმანეთს ხვდებოდა, მაგრამ ფრაუ შოშა გულგრილად არიდებდა ხოლმე ისედაც უჩინო მზერას, თუმცა ერთხელ სადილობისას მისკენ მთელი ტანითაც კი შემოტრიალდა. ასე და ამრიგად, მდაბალი სალამი თანდათან კიდევ უფრო უადგილო ხდებოდა. საღამოს ხანმოკლე თავშეყრისას ფრაუ შოშა და მისი

თანამგზავრი მცირე სალონში, თანამესუფრეების წრეში, გვერდიგვერდ ისხდნენ დივანზე, პეპერკორნს ცეცხლის ენებივით აფრიალებული თეთრი თმისა და წვერის ფონზე წითლად უღვიოდა სახე და ვახშამზე გახსნილ ერთ ბოთლ წითელ ღვინოს წრუპავდა. ღვინოს იგი სადილზეც სვამდა, ხან ერთ ბოთლს, ხან ერთ-ნახევარს და ორსაც, აღარაფერს ვამბობთ იმ პურზე“, რითაც პირველ საუზმეს იწყებდა ხოლმე. ესმეფური კაცი, ეტყობა, პირის პატივს ზედმეტად ემონებოდა. დღის განმავლობაში უჩვეულოდ მაგარ ყავასაც რამდენჯერმე გეახლებოდათ, თანაც ყავას მარტო დილით როდი სვამდა, ერთ დიდ ფინჯანს შუადღეზეც მიირთმევდა, ოღონდ ნასადილევს კი არა, სადილობისას, და თან ღვინოსთან ერთად. ჰანს კასტორპს არაერთხელ გაუგონია მისი ნათქვამი, ორივე ერთად სიცხიანობის, განსაკუთრებით კი ჩემი მერყევი ტროპიკული ციების უებარი წამალია, მათ გამახალისებელ ზემოქმედებაზე რომ აღარაფერი ვთქვათო. სხვათა შორის, ეს ციებ-ცხელება იყო, იგი ჩამოსვლისთანავე თავის ოთახსა და ლოგინს თითქმის მთელი დღით რომ მიაჯაჭვა. ჰოფრატმა მის ავადმყოფობას კვარტული ციებ-ცხელება უწოდა, რაკი იგი ჰოლანდიელს დაახლოებით ოთხ დღეში ერთხელ უტევდა: ჯერ ისე შეამცივნებდა, რომ კბილს კბილზე არტყმევინებდა, მერე კი სიცხეს მისცემდადა ოფლს დაასხამდა ხოლმე. ელენთაც ამის გამო უნდა ჰქონდეს გადიდებულიო, ამბობდა ბერენსი.
VINGT ET UN ასე გავიდა კარგა ხანი - გავიდა კვირები, ჩვენი ანგარიშით, სამი თუ ოთხი, ვინაიდან ჰანს კასტორპის განსჯასა და ანგარიშის უნარს ვერ დავენდობით. კვირებმა ისე გაირბინა, თან არავითარი ცვლილება არ მოუტანია, მხოლოდ ჩვენი გმირის არსებაში მოამწიფა იმ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებათა წინააღმდეგ მიმართული სიკერპე, თავშეკავებას თავისთავად რომ აიძულებდა და საკუთარ დამსახურებას უუფასურებდა. ეს იყო სიკერპე, მიმართული იმ მეფური, დიადი, ძნელად გასაგები პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც საკუთარ თავს პიტერ პეპერკორნად იხსენიებდა, როცა არყის გადაკვრას მოისურვებდა ხოლმე. მისი აქ ყოფნა ხელს უშლიდა ჰანს კასტორპს და იმაზე უფრო უხეშად, ვიდრე თავის დროზე ბატონი სეტემბრინი უშლიდა ხელს“. ჰანს კასტორპს უგუნებობისა და სიკერპის გამო წარბებშუა ნაოჭი გაუჩნდა და შინ მობრუნებულ ქალს დღეში ხუთჯერ ასე წარბშეკრული უთვალთვალებდა, თუმცა მაინც უხაროდა, მისი ცქერის საშუალება რომ ჰქონდა და თან შეეძლო წარსულის ჩრდილით შელახული დიდმპყრობელური აწმყოსათვის დამამცირებელი თვალით შეეხედა.
მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ვესტიბიულსა და სალონებში თავშეყრა, სრულიად უსაბაბოდ, ჩვეულებრივზე უფრო მხიარულად წარიმართა. გაისმოდა მუსიკა, ერთი უნგრელი სტუდენტი ვიოლინოზე ლაღად უკრავდა ბოშურ სიმღერებს, ასე განსაჯეთ, საერთო მხიარულებაში ჰოფრატი ბერენსიც კი გაერია - მან დოქტორ კროკოვსკისთან ერთად თხუთმეტიოდე წუთი დაჰყო მუსიკალურ სალონში, ვიღაცას პიანინოზე დაბალ რეგისტრში დააკვრევინა პილიგრიმების გუნდის“ მელოდია, თვითონ გვერდით ამოუდგა, მაღალი რეგისტრის სიმებს ჯაგრისი გაუსვ-გამოუსვა, ვიოლინოს პასაჟების მსგავსად ააჟღერა და საყოველთაო სიცილ-ხარხარი გამოიწვია. ამის შემდეგ ჰოფრატი სალონში დიდხანს აღარ დარჩენილა, პაციენტებმა მქუხარე ტაშით გააცილეს იგი, თვითონ კი საკუთარი სიანცის შესარბილებლად მიმტევებელი ღიმილით უკრავდა ყველას თავს. მხიარულება გაგრძელდა, კვლავ გრიალებდა მუსიკა, მაგრამ საყოველთაო ყურადღებას აღარ იპყრობდა: ზოგი დომინოსა და ბრიჯს თამაშობდა და თან სასმელს წრუპავდა, ზოგი გასართობი ჭოგრიტებით იქცევდა თავს, ზოგი საუბარში იყო გართული. კარგი რუსული მაგიდის საზოგადოებაც ვესტიბიულისა და მუსიკალური სალონის ჯგუფს შერეოდა. მინჰერ პეპერკორნი ხან სად გამოჩნდებოდა და ხან სად, შეუძლებელი იყო, იგი არ შეგემჩნიათ, დიდებული თავით ყველანაირ გარემოცვაში გამოირჩეოდა, მეფური იერითა და მიხრა-მოხრით ყველას ჩრდილავდა და თუკი მის ირგვლივ თავმოყრილ ხალხს აქამდე მის სიმდიდრეზე გავრცელებული ხმები იზიდავდა, ახლა აშკარად ჩანდა, მათ სიმპათიას მხოლოდ და მხოლოდ თვით პეპერკორნის პიროვნება რომ იმსახურებდა. ყველანი თვალებში შესციცინებდნენ და გამამხნევებლად, გატაცებით უკანტურებდნენ თავს. შუბლზე მედიდურად გაწოლილი ღრმა ნაოჭების ქვემოდან მომზირალი უფერო თვალებით

მონუსხულთ მოდუნებას არ ანებებდა მისი გრძელფრჩხილებიანი თითების დახვეწილი, ჟინიანი მოძრაობა და ასეთ დიდმნიშვნელოვან ჟესტებს გაუგებარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ბუნდოვანი და ფუჭი სიტყვები რომ მოჰყვებოდა თან, მერე აღარც ამაზე სწყდებოდათ გული.
ამ ვითარებაში ჰანს კასტორპს თუ მოვიკითხავთ, მას საწერ-სამკითხველოში წავაწყდებით, სწორედ იმ ოთახში, სადაც ოდესღაც (ეს ოდესღაც ბუნდოვანი რამ არის, მისი სიძველის ხარისხზე არც მთხრობელს, არც გმირსა და არც მკითხველს აღარა აქვთ მთლად ნათელი წარმოდგენა) გაანდეს კაცობრიობის პროგრესისათვის მებრძოლი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები. აქ შედარებით სიწყნარე იყო და ამ ჭერს მასთან ერთად კიდევ რამდენიმე კაცი შეხიზნოდა. ვიღაც ჭერიდან ჩამოშვებული ელექტრონათურის ქვეშ ორმაგ პულტს მისჯდომოდა და წერდა. ერთ ქალბატონს ცხვირზე ორი პენსნე ერთად გაეკეთებინა, ბიბლიოთეკის თაროებთან მიყუჟულიყო და დასურათებულ წიგნს ფურცლავდა; ჰანს კასტორპი ზედ მუსიკალურ სალონში გამავალ ღია კართან მიდგმულ სკამზე იჯდა, პორტიერებისთვის ზურგი შეექცია და ხელში გაზეთი ეჭირა. თუ გნებავთ, კარგად წარმოიდგინოთ ის სკამი, მოგახსენებთ, რომ ეს გახლდათ რენესანსის სტილის, სწორზურგიანი, პლიუშგადაკრული, უსახელურო სკამი.ახალგაზრდა კაცს გაზეთი ისე ეჭირა, როგორც კითხვის დროს იციან, მაგრამ არ კითხულობდა, კისერი მეზობელი ოთახისკენ მიეღრიცა და საერთო დუდუნში ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამორეულ მუსიკას უსმენდა, თუმცა მოღუშულ წარბებზე ეტყობოდა, რომ მუსიკასაც უგულისყუროდ უსმენდა და მისი ფიქრები არამუსიკალური გზით მიემართებოდა, მიემართებოდა იმედგაცრუების ეკლიანი გზით, რადგან საკუთარი თავისთვის მისჯილი დიდი მოლოდინის დასასრულს ზოგიერთი გარემოების წყალობით ასე სამარცხვინოდ გასულელებული და მოტყუებული აღმოჩნდა. ეს იყო სიკერპის მწარე გზა და ამ წუთში ბევრი აღარაფერი აკლდა, ერთი რამ განეზრახა და განზრახული მყისვე აღესრულებინა - გაზეთი ამ შემთხვევით ამორჩეულ, მოუხერხებელ სკამზე მიეგდო, ვესტიბიულში გამავალი კარი გაევლო, ეს ჩამწარებული თავყრილობა თავისი ლოჯიის სუსხიან მიუსაფრობაზე გაეცვალა და მარია მანჩინისთან“ განმარტოებულიყო.
- თქვენი ბიძაშვილი სადღაა, მესიე? - უეცრად იკითხა ზურგს უკან, მის თავზემოთ ვიღაცის ხმამ. ეს ხმა აჯადოებდა მის სმენას, იგი თითქოს იმისთვის შეექმნაგანგებას, რომ თავისი ტკბილ-მწარე ყრუ ჟღერით უზენაესი ნეტარება მოენიჭებინა, ამ ხმას თითქოს უმაღლეს მწვერვალზე აჰყავდა ნეტარების ცნება, ეს ხმა იყო, შორეულ წარსულში რომ უთხრა, ფანქარს სიამოვნებით გათხოვებ, მაგრამ არ გამიტეხოო. დიახ, დიახ, ამ დამთრგუნველმა, ბედისწერის ხმამ, და თუ არ ცდება, ამავე ხმამ ახლა იოახიმის ამბავი იკითხა.
გაზეთი ნელ-ნელა დაუშვა და სახე ოდნავ მაღლა ასწია, ასე რომ, თავი ახლა მხოლოდ კისრის მალებით ებჯინებოდა სკამის სწორ საზურგეს. თვალებიც კი მოჭუტა, მაგრამ უმალვე გაახილა, ალმაცერად აიხედა და მზერა სადღაც სიცარიელისკენ მიმართა, საითაც თავის მიბრუნება შეეძლო. საბრალოს ლამის ნათელმხილველური, სომნამბულური გამომეტყველება მოეფინა სახეზე. ინატრა, კითხვა ერთხელ კიდევ გამიმეორონო, მაგრამ ამაოდ. ამიტომ ეჭვიც კი ეპარებოდა, ჩემ უკან იგი კიდევ დგას თუ არაო, როცა პასუხი უჩვეულოდ დააყოვნა და კარგა ხნის შემდეგ თითქმის ხმაჩაწყვეტილმა თქვა:
- მოკვდა, ბარში სამხედრო სამსახურში ჩადგა და მოკვდა.
თვითონვე მიხვდა, რომ სიკვდილი“ იყო პირველი მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც მათ შორის ისევ ითქვა. იმასაც მაშინვე მიხვდა, რომ მისი მშობლიური ენის სუსტად ცოდნის გამო ქალი თანაგრძნობის გამომხატველ იოლ სიტყვებს ეძებდა, მერე ზურგს უკან, ზედ თავზემოთ კვლავ გაიგონა:
- ო, საბრალო! რა სამწუხაროა. მთლად მოკვდა და დამარხეთ? დიდი ხანია?
- დიდი ხანი არ არის. დედამ შინ წაასვენა. ბოლოს მეომარივით მოეზარდა წვერი. მის სამარესთან სამი საპატიო ბათქი მისცეს.
- დაიმსახურა კიდეც. იგი ძალიან მამაცი იყო, სხვებზე, ზოგიერთზე გაცილებით მამაცი...
- ჰო, მამაცი იყო. რადამანთისი სულ ზედმეტ თავდადებას საყვედურობდა, მაგრამ

სხეული არ ასვენებდა, ამას იეზუიტების ენაზე rebellio carnis
ჰქვია. იგი ყოველთვის სხეულს აყენებდა მაღლა, მისთვის ეს ღირსებისა და პატივის საქმე იყო, მაგრამ სხეულს მისდა უნებურად უღირსი ძალა შეეპარა და თავდადება გაუცამტვერა, თუმცა მაღალი ზნეობა სწორედ ისაა, თავი წააგო და დაიღუპო, ვიდრე თავს მოუფრთხილდე და სიცოცხლე შეინარჩუნო.
- კარგად ვხედავ, ისევ ამაოდ ფილოსოფოსობთ. რადამანთისი ვიღაა?
- ბერენსი, ეს სახელი სეტემბრინიმ შეარქვა.
- ა, სეტემბრინი, ვიცი, რომელიცაა. აი, ის იტალიელი... ეგ კაცი არ მიყვარდა. ადამიანური ბევრი არაფერი ეცხო, - (ხმამ სიტყვა „ადამიანური“ უცნაურად ზანტად და მეოცნებედ გააჭიანურა), - იგი ქედმაღალი იყო, - (ამ სიტყვას მახვილი მეორე მარცვალზე დაუსვა), - ის აქ აღარ არის? მე სულელი ვარ. არ ვიცი, რადამანთისი რა არის.
- რაღაც ჰუმანისტური უნდა იყოს. სეტემბრინი აქედან გადავიდა. ჩვენ ამ დროის განმავლობაში ბევრს ვფილოსოფოსობდით, ის, ნაფტა და მე.
- ნაფტა ვიღაა?
- მისი მოწინააღმდეგე.
- თუკი მისი მოწინააღმდეგეა, სიამოვნებით გავიცნობ. მე ხომ გითხარით, თქვენი ბიძაშვილი მოკვდება, ბარში ჯარისკაცობას თუ მოინდომებს-მეთქი.
- ჰო, შენ ეს იცოდი.
- აბა, აბა, რა ამბავში ხართ!
ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ჰანს კასტორპი დუმდა. იცდიდა, კისერი კვლავ სკამის ზურგზე ჰქონდა მიჭერილი, ნათელმხილველის გამომეტყველებით ელოდა ხმის კვლავ გაგონებას, თან ხელახლა დაეჭვდა, ქალი ისევ აქ არის თუ არაო, შეეშინდა, მუსიკის ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ბგერებმა ხომ არ შთანთქა მიმავლის ნაბიჯების ხმაო, მაგრამ ბოლოს ხმა ისევ გაიგონა:
- მესიეს ბიძაშვილი მოუკვდა და დაკრძალვაზე არ წასულა?
მან უპასუხა:
- არ წავსულვარ, აქვე გამოვეთხოვე. სანამ კუბოს დაჭედავდნენ, მანამდე შეეპარა სახეზე ღიმილი. ვერ წარმოიდგენ, შუბლი რა ცივი ჰქონდა.
- ისევ! განა თითქმის უცნობ ქალთან შენობით ლაპარაკი შეიძლება?
- აბა, რა ვქნა? ჰუმანისტური ლაპარაკი ჯობია თუ ადამიანური (თავისდა უნებურად მანაც ისე გაწელა სიტყვა, თითქოს ძილი მორევია, იზმორება და ამთქნარებსო)?
- Quelle blague
!(რა სისულელეა! (ფრანგ.))
თქვენ სულ აქ იყავით?
- ჰო. ვიცდიდი.
- რას უცდიდით?
- შენ გიცდიდი.
მის თავთან სიცილი და მასთან ერთად ამოთქმული სიტყვა „ბრიყვი!“ გაისმა.
- მე მელოდი! ალბათ, არ გაგიშვეს და იმიტომ იცდიდი.
- გამიშვეს, ბერენსმა ერთხელ გაბრაზებულ გულზე გამიშვა, მაგრამ მაშინ რომ წავსულიყავი, მაინც უნებართვოდ წასვლა გამომივიდოდა. შენც ხომ იცი, ძველი, მოწაფეობის დროინდელი ნაწიბურების გარდა ბერენსმა კიდევ ახალი კერა აღმომიჩინა, სიცხეებს რომ მაძლევს, იმის ბრალია.
- სიცხეები კიდევ გაქვს?
- ჰო, ცოტ-ცოტა თითქმის ყოველთვის მაქვს. ჩემი ტემპერატურა მერყეობს, მაგრამ ეს მერყევი ციებ-ცხელება არაა.
- Des allusions
?(ეს ქარაგმაა (ფრანგ.).)
ჰანს კასტორპი გაჩუმდა და ნათელმხილველის მზერა მოღუშულმა წარბებმა ჩაუმუქა. ცოტა ხნის შემდეგ ქალს ჰკითხა:
- შენ სად იყავი?
სკამის საზურგეზე ხელის დაკვრის ხმა გაისმა.
- Mais c’est un sauvage
!(ეს კაცინამდვილი ველურია! (ფრანგ.).)
სად ვიყავი? ყველგან. მოსკოვში (ხმამ „მოსკოვის“ თქმაზე ისე გააგრძელა

ხმოვანი, როგორც აქამდე ადამიანური“ წარმოთქვა), - ბაქოში, გერმანიის კურორტებზე, ესპანეთში.
- ო, ესპანეთშიც, ესპანეთი როგორ მოგეწონა?
- ისე, რა. იქ მოგზაურობა ჭირს. იქაურები ნახევრად მავრები არიან. კასტილია ხრიოკი და მიუსაფარია. სილამაზით იმას კრემლი სჯობია, ქედის ძირას ციხე-დარბაზი თუ მონასტერი რომ არის...
- ესკორიალი.
- ჰო, ფელიპეს ციხე-დარბაზი. პირქუში, არაადამიანური ციხე-დარბაზია. ყველაზე უფრო კატალონიური ხალხური ცეკვა მომეწონა, სარდანა, გუდასტვირზე რომ ცეკვავენ. მათთან ერთად მეც ვცეკვავდი. ყველანი ხელს ჩაჰკიდებენ ერთმანეთს და ფერხულს უვლიან. მთელი მოედანი გაჭედილია. C’est charmant
.(მშვენიერია (ფრანგ.).)
აი, ეს ადამიანურია. იქ პატარა ლურჯი ქუდი ვიყიდე, ისეთები უბრალო ხალხში ყველა მამაკაცსა და ბიჭს ახურავს, ფესს წააგავს, ბოინა ჰქვია. ამ სამკურნალო წოლისას ვიხურავ, ისედაც მახურავს ხოლმე. მესიე, ალბათ, მეტყვის, მიხდება თუ არა.
- რომელი მესიე?
- აი, ამ სკამზე რომ ზის, ის.
- ჰოო, მე მინჰერ პეპერკორნზე ამბობდი, მეგონა.
- მან უკვე მითხრა თავისი აზრი, ძალიან გიხდებაო.
- გითხრათ კი? ბოლომდე თქვა? წინადადება ისე დაასრულა, რომ ყველაფერი გასაგები იყო?
- ოჰო, როგორც ჩანს, უგუნებოდ ვართ. გვინდა, გავბოროტდეთ და ვიკბინებოდეთ. ვცდილობთ, დავცინოთ ისეთ ხალხს, ჩემსა და თქვენზე დიდებული, უკეთესი და ადამიანურნი რომ არიან... avec son ami bavard de la Méditerranée, son maître grand parleur ...
(ჩვენი ხმელთაშუა ზღვისპირელი ლაქლაქა მეგობრის, ჩვენი დიდი მოლაყბის ჩათვლით (ფრანგ.).) მაგრამ მე ნებას არავის მივცემ, ჩემი მეგობრები...
- ჩემი შინაგანი პორტრეტი კიდევ გაქვს? - ნაღვლიანი კილოთი გააწყვეტინა ხმას მან.
ხმამ გაიცინა.
- სადმე მოვძებნი.
- შენსას მე თან დავატარებ, ერთი პატარა ფირფიტა კი კამოდზე მიდგას და ღამით...
სიტყვა შუაზე გაუწყდა, მის წინ პეპერკორნი იდგა. მან თავის თანამგზავრს მოაკითხა, პორტიერები გადასწია, შემოვიდა და იმის სკამის წინ აისვეტა, ვის ზურგს უკანაც მოსაუბრე ქალი დაინახა. პეპერკორნი ზედ ფეხებთან, კოშკივით დაადგა ჰანს კასტორპს თავზე, ამ უკანასკნელმა სომნაბულიზმის მოჭარბების მიუხედავად, კი მოისაზრა, რომ ახლა წამოდგომა და თავაზიანობის გამოჩენა მართებდა, მაგრამ არც ისე იოლი გამოდგა ამ ორს შუა წამოდგომა, ამიტომ გვერდულად ჩამოცურდა სკამიდან და ფეხზე რომ დადგა, მოქმედმა პირებმათითქოს სამკუთხედი შექმნეს, ხოლო სკამი მათ შუა მოექცა.
ფრაუ შოშამ ანგარიში გაუწია ზრდილობიანი ევროპის წესებს და „ბატონები“ ერთმანეთს წარუდგინა, აქაური ძველი ნაცნობიაო, თქვა მან ჰანს კასტორპზე, ამისწინა ჩამოსვლაზე გავიცანიო. ბატონი პეპერკორნის აქ ყოფნას არავითარი ახსნა-განმარტება არ სჭირდებოდა და მანაც მხოლოდ მისი სახელი და გვარი თქვა. ჰოლანდიელს კიდევ უფრო ჩაუღრმავდა შუბლსა და საფეთქელზე არაბესკებივით გაბნეული ნაოჭები, მის სახეს კერპს რომ ამსგავსებდა, თავისი უფერო თვალებით ახალგაზრდა კაცს იმ ნაოჭებს ქვემოდან გამოხედა და ხელი გაუწოდა. ჰანს კასტორპმა დახედა ამ ფართო, დაჭორფლილ ხელს და გაიფიქრა, ასე შუბებივით წამახული ფრჩხილები რომ არ ჰქონდეს, ნამდვილი კაპიტნის ხელიაო. იგი პირველად მოექცა პეპერკორნის ძლიერი პიროვნების უშუალო ზეგავლენის ქვეშ (მასთან შეხვედრისას ყველას ეს სიტყვა აგონდებოდა; მისი შემხედვარე ყველა ხვდებოდა, რა იყო პიროვნება, უფრო მეტიც, ყველას სჯეროდა, რომ პიროვნება სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო) და იგრძნო, როგორ დათრგუნა მისი სიყმაწვილე ამ ბეჭებგანიერი, სახეღაჟღაჟა, თეთრფაფრიანი

კაცის სამოცმა წელმა, რომელსაც ტანჯვით გახეული პირი ჰქონდა და სასულიერო პირივით გულდახურულ ჟილეტზე გრძელი და ვიწრო წვერი ეფინა, სხვათა შორის, პეპერკორნი თავაზიანობის განსახიერება გახლდათ.
- ბატონო ჩემო, - დაიწყო მან, - ...სავსებით. არა, ნება მიბოძეთ... სავსებით! მე თქვენ ამ საღამოს გაგიცანით, გავიცანი ნდობის შთამნერგავი ახალგაზრდა კაცი... მე ამას მთელი შეგნებით ვაკეთებ, ბატონო ჩემო, სულითა და გულით ვარ მოწადინებული. მე თქვენ მომწონხართ, ბატონო ჩემო; მე... უმორჩილესად გთხოვთ! მორჩა. მე თქვენ თვალში მომიხვედით.
ამაზე ვის რა ეთქმოდა. პეპერკორნმა დახვეწილი ჟესტებით კატეგორიულად გამოხატა, რომ ჰანს კასტორპი მოეწონა. აქედან სათანადო დასკვნებიც გააკეთა და მინიშნებებით ხმამაღლა გამოთქვა კიდეც, ხოლო მისი თანამგზავრის პირით ნათქვამს სიცხადე და სისავსე შეემატა.
- ჩემო შვილო, - განაგრძო მან, - ყველაფერი რიგზეა. რა იქნება, რომ... გთხოვთ, კარგად გამიგოთ. წუთისოფელი ისე ხანმოკლეა, რომ ჩვენ მის მოთხოვნილებებს თავისას ვერ მივუზღავთ, რას იზამ... ასეთია სინამდვილე, ჩემო შვილო. კანონები. ულ-მო-ბელობა, ერთი სიტყვით, ჩემო შვილო, ერთი სიტყვით...
იგი გაირინდა და ხელი ისე მეტყველად დარჩა გაწვდილი, თითქოს ამბობდა, ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნი, თუკი ჩემი მითითებებისმიუხედავად, ნათქვამს შეცდომით გაიგებთო.
ეტყობა, ფრაუ შოშა გაწაფული იყო მისი სანახევროდ გამოთქმული სურვილების გამოცნობაში და პეპერკორნს გაეპასუხა:
- რატომაც არა. ცოტა ხანს კიდევ შეიძლება ერთად ყოფნა, ცოტა წავითამაშოთ და ერთი ბოთლი ღვინოც დავლიოთ. რაღას უდგახართ? - მიუბრუნდა იგი ჰანს კასტორპს, - გაინძერით! სამნი ხომ არ ვიქნებით, საზოგადოება გვჭირდება. ვინ არის კიდევ სალონში? მოიწვიეთ, ვისაც კი ნახავთ! აივნებიდანაც მოუხმეთ რამდენიმე მეგობარს, ჩვენ კი ჩვენს თანამესუფრეს, დოქტორ ტინ-ფუს მოვიპატიჟებთ.
პეპერკორნმა ხელები მოიფშვნიტა.
- უსათუოდ, - თქვა მან, - ჩინებულია. დიდებულია, იჩქარეთ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობარო! გაუგონეთ, რაც გითხრათ! კომპანიას შევკრავთ, ვითამაშებთ, ჭამა-სმას გავაჩაღებთ. ვიგრძნობთ, რომ ჩვენ... დიახ, უსათუოდ, ახალგაზრდავ!
ჰანს კასტორპი ლიფტით მესამე სართულზე ავიდა და ა. კ. ფერგეს მიუკაკუნა, მან კი, თავის მხრივ, ქვედა გალერეაში გაიარა და სკამლოგინებიდან წამოყარა ფერდინანდ ვეეზალი და ბატონი ალბინი. პროკურორი პარავანტი და ცოლ-ქმარი მაგნუსები ჯერ კიდევ ვესტიბიულში იყვნენ, ხოლო ფრაუ შტორსა და კლეეფელდს სალონში მიაგნეს. იქვე, ჭაღის ქვეშ გაიშალა სათამაშო მაგიდა, რომელსაც ირგვლივ სკამები და კერძების გასაწყობი პატარა მაგიდები შემოუწყვეს. მინჰერი ყველა სტუმარს ესალმებოდა, ვინც კი მათ მაგიდას შემოუერთდებოდა და ყურადღების ნიშნად მაღლა აწეული არაბესკების ქვემოდან თავის უფერო, თავაზიან მზერას აგებებდა ხოლმე. მაგიდას თორმეტი კაცი შემოუსხდა, ჰანს კასტორპი წარმოსადეგ მასპინძელსა და კლავდია შოშას შორის დაჯდა. ჩამოარიგეს ბანქო და სათამაშო მარკები, რადგან გადაწყდა, რამდენიმე ხელი Vინგტ ეტ უნ
ეთამაშათ, ხოლო პეპერკორნმა თავისებურად ომახიანად მოუხმო ლილიპუტს და 1906 წლის თეთრი შაბლი“ შეუკვეთა, დასაწყისისთვის სამი ბოთლი კმარა თავისი შესაფერი ტკბილეულით, მოგვიტანეთ, რაც კი რამ გეშოვებათ, აღმოსავლური ხმელი ხილი და შაქარლამაო. პეპერკორნი ხელების ფშვნეტით ეგებებოდა სუფრაზე შემოსულ ყოველ ნუგბარს, ხარობდა, თავისებურად ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ცდილობდა თავისი განცდების გამოხატვას და მშვენივრად გამოსდიოდა, რადგან უფრო მეტს მთელი მისი შთამბეჭდავი პიროვნება გაგრძნობინებდათ. მან ორივე ხელი თავის მეზობლებს დაადო ხელზე, შუბივით წამახული საჩვენებელი თითი ასწია, სმენა და გაგონება ბრძანა, ყველა იოლად გააჩუმა და მოუწოდა, წერწეტაჭიქებში ჩამოსხმული ღვინის დიდებული ოქროს ფერისთვის მიექციათ ყურადღება, აღტაცება გამოთქვა აგრეთვე მალაგური ყურძნის ჩაშაქრული მარცვლებისა და მარილიანი, ხაშხაშმოყრილი პატარ-პატარა კრენდელების გამო, რომელთაც ღვთაებრივი უწოდა და თავისი

დახვეწილი, მაგრამ კატეგორიული ჟესტებით ჩანასახშივე ჩაკლა გაუბედავად გამოთქმული თუნდაც ოდნავ საწინააღმდეგო აზრი. პირველმა იკისრა თამაშში ბანკის აღება, მაგრამ მალე ეს მოვალეობა ბატონ ალბინს დაუთმო, თუკი სწორად გაუგეს, ეს მოვალეობა თავისუფლად მოლხენაში უშლიდა ხელს.
ეტყობა, იგი აზარტულ თამაშს დიდად არაფრად აგდებდა, თანაც თამაში, მისი აზრით, უმნიშვნელო თანხაზე მიდიოდა, უმცირეს ფსონად მისივე წინადადებით ორმოცდაათი შვეიცარიული სანტიმი დათქვეს, მაგრამ ეს თანხაც მოთამაშეთა უმრავლესობისათვის დიდი გამოდგა. პროკურორი პარავანტი და ფრაუ შტორი ხან ფითრდებოდნენ და ხან წითლდებოდნენ, ფრაუ შტორს ხომ მაინც ელეთმელეთი მოსდიოდა, როცა გადასაწყვეტი გაუხდებოდა, თვრამეტი ქულის პატრონს კიდევ აემატებინა კარტი თუ არა. იგი წივილით იკლებდა იქაურობას, როცა ბატონი ალბინი გულგრილად, ნამდვილი ყომარბაზივით ისეთ კარტს მიუგდებდა, რომლის ციფრიც მის რისკს აცამტვერებდა ხოლმე, და პეპერკორნი ამაზე გულიანად ხარხარებდა.
- იწივლეთ, იწივლეთ, მადამ! - ეუბნებოდა იგი, - ყურის წამღები, სიცოცხლით სავსე ხმა გაქვთ და გულის სიღრმიდან... დალიეთ, ყელი გაისველეთ ახალ... - განაგრძობდა იგი და ჭიქას უვსებდა, ღვინოს აქეთ-იქით მსხდომ თანამესუფრეებსაც უსხამდა და თვითონაც ისხამდა, მერე კიდევ სამი ბოთლი შეუკვეთა და ჭიქა ვეეზალსა და გამოფიტულ ფრაუ მაგნუსს მიუჭახუნა, რადგან ეჩვენა, რომ გამოცოცხლება ყველაზე მეტად ამ ორს სჭირდებოდა. ჭეშმარიტად დიდებულმა ღვინომ სახე ყველას სწრაფად შეუფაკლა, მხოლოდ დოქტორ ტინ-ფუს არა დასტყობია რა, უწინდებურად ყვითელ სახეზე გიშერივით უელავდა ვირთხასავით ირიბად გაჭრილი თვალები. იგი მალულად ხითხითებდა, ძალიან დიდ ფსონს ჩამოდიოდა და ბედიც უტიფრად უღიმოდა ხოლმე. არც სხვებს უნდოდათ, მას ჩამორჩენოდნენ. და აი, პროკურორი პარავანტი დანისლული თვალებით ბედს გაეთამაშა და არცთუ დიდად საიმედო კარტის პატრონი ათ ფრანკს ჩამოვიდა, ფერი წაუვიდა, სანამ საჭიროზე მეტ კარტს აიმატებდა და ფული ორმაგად ამოიგო,მ რადგან ტუზით გათამამებულმა ბატონმა ალბინმა ფსონი გააორმაგა. მარტო ისინი როდი ღელავდნენ, ვისი ბედიც წყდებოდა, თამაშს ყველანი განიცდიდნენ, თვით ბატონი ალბინიც კი, რომელიც სიდინჯითა და გულგრილობით მონტე-კარლოს კაზინოს კრუპიეს არ ჩამოუვარდებოდა, მან, სხვათა შორის, განაცხადა კიდეც, იქაური კაზინოს მუდმივი სტუმარი გახლდითო, და აი, ისიც კი ვერ ერეოდა თავს და მღელვარებას ვერ ფარავდა. ჰანს კასტორპიც მსხვილ-მსხვილ თანხაზე თამაშობდა, კლეეფელდიც და ფრაუ შოშაც. შემდეგ „ტურებზე“ გადავიდნენ, თამაშობდნენ რკინიგზას“, „ფურთს“ და სახიფათო „დიფერანსს“. აღტყინება და სასოწარკვეთა, გაცეცხლება და ისტერიკული სიცილი ერთმანეთს ენაცვლებოდა, ნერვებს ბედის უეცარი გაღიმება უღიზიანებდათ და გრძნობის ყოველგვარი გამოვლენა ისე ნამდვილი იყო და სერიოზული, თვით ცხოვრებაშიც ამაზე ნამდვილი ვერ იქნებოდა.
და მაინც, ამ საყოველთაო აღტყინების მიზეზი არც მარტო თამაში გახლდათ და არც ღვინო, ეს ალეწილი სახეები, გაფართოებული, გაბრწყინებული თვალები, ამ პატარა წრეში შექმნილი უკიდურესი დაძაბულობა, სუნთქვაშეკრული ჯდომა, ლამის ტკივილამდე მისული გაფაციცება, ვინძლო, არც ერთი წამი არ გამოგვეპაროსო - ყველაფერი ეს უფრო მათ შორის მყოფი მბრძანებლური ბუნების კაცის ზეგავლენას მიეწერებოდა, „პიროვნების“, მინჰერ პეპერკორნის ძალმოსილებას, რომელიც ყველაფერს თავისი მეტყველი ხელით წარმართავდა და თავისი ზვიადი იერით, შუბლის მონუმენტური ნაოჭების ქვემოდან მომზირალი უფერო თვალებით, სიტყვითა და შთამბეჭდავი პანტომიმით თანამოსუფრენი მონუსხული და ამ წუთებზე მიჯაჭვული ჰყავდა. მაინც რას ამბობდა იგი? რაღაც უაღრესად ბუნდოვანს, და რაც უფრო მეტს სვამდა, აზრი მით უფრო ბუნდოვანი ხდებოდა, მაგრამ ყველანი თვალებში შესციცინებდნენ, წარბები გაოცებისგან აეწიათ და თავს უქნევდნენ იმ წრეს, მისი საჩვენებელი თითითა და ცერით რომ იკვრებოდა. პეპერკორნს დანარჩენი თითები მათ გვერდით შუბებივით ჰქონდა აღერილი, ამავე დროს მისი მეფური თვალები აიძულებდათ, წინააღმდეგობის გაუწევლად მისცემოდნენ გრძნობებს, რომლებიც დიდად აღემატებოდა თავდადებისა და მგზნებარების იმ უნარს, რასაც ეს ხალხი, ჩვეულებრივ, საკუთარ

თავს მიაწერდა. გრძნობათა ასეთი ჭიდილი ბევრს ძალ-ღონეს აცლიდა. ფრაუ მაგნუსი, მაგალითად, ცუდად შეიქნა, კინაღამ გული შეუღონდა, მაგრამ არამც და არამც არ ინდომა თავის ოთახში წასვლა, იქვე წამოწვა სკამლოგინზე, შუბლზე სველი ხელსახოცი დაადეს და მოსულიერდა თუ არა, ისევ საზოგადოებას შემოუერთდა.

პეპერკორნმა მისი მარცხი იმით ახსნა, ცოტა საკვები მიგირთმევიათო. ეს აზრი მან ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოთქვა და თან საჩვენებელი თითი მაღლა აიშვირა. უნდა შეჭამოთ, რიგიანად უნდა ჭამოთ, რომ წუთისოფლის მოთხოვნილებებს თავისი მიუზღათო, დაახლოებით ასე გამოთქვა თავისი აზრი და მთელი კომპანიისათვის მოსაღონიერებელი კერძები შეუკვეთა:საუზმეული, ნაირ-ნაირი ცივად მოხარშული ხორცი, ენა, ბატის მკერდი, შემწვარ-მოხრაკული, ძეხვი და ლორი - ნოყიერი, ნუგბარ-ნუგბარი კერძებით სავსე ლანგრები ისე იყო კარაქის ბურთულებით, ბოლოკითა და ოხრახუშით მორთულ-მოკაზმული, რომ ყვავილნარს ჰგავდა. მართალია, ამ სუფრას წინ უძღოდა უხვზე უხვი ვახშამი, მაგრამ კერძებს მაინც ყველა დაეხარბა, პეპერკორნმა კი ორიოდე ლუკმა იგემა თუ არა, განაცხადა, ყველაფერი ნაყარნუყარიაო“ და ეს ისე გულმოსულმა თქვა, აშკარა გახდა, მისი მბრძანებლური ბუნება რა შიშის მომგვრელ მოულოდნელობებს გვპირდებოდა. ასეც მოხდა: იგი განრისხდა, როცა ვიღაცამ საუზმეულის გამოსარჩლება გაბედა; სახეზე სისხლი შემოაწვა, მაგიდას გამეტებით დაჰკრა მუშტი და დაიქუხა, რაც მოიტანეს, ყველაფერი წყეული დომხალიაო, ამის გაგონებაზე ყველას ენა ჩაუვარდა, ბოლოს და ბოლოს, მასპინძელი და გადამხდელი ის იყო და უფლებაც ჰქონდა, თავისივე გაშლილი სუფრა დაეწუნებინა.

ისე კი, მრისხანება, თუნდაც ასე უმიზეზო და გაუგებარი, საოცრად შვენოდა პეპერკორნს და ჰანს კასტორპს არ შეეძლო, ეს გულში მაინც არ ეღიარებინა. მრისხანება არც აუშნოებდა და არც აკნინებდა, გულშიც კი ვერავინ გაბედავდა ეს უმიზეზო რისხვა უზომოდ ბევრი ღვინის დალევით აეხსნა, გაუგებრობა, პირიქით, სიდიადესა და მეფურ ძალას ანიჭებდა მის მრისხანებას, ამიტომაც თუ მოიკუნტნენ ყველანი და ვერც ერთმა ვეღარ გაბედა ხორცეულისთვის პირი დაეკარებინა. ისევ ფრაუ შოშამ დააშოშმინა თავისი თანამგზავრი, მუშტის დარტყმის შემდეგ მაგიდაზე დასვენებულ კაპიტნის ხელს მოეფერა და პეპერკორნს ალერსიანად უთხრა, ხომ შეიძლება სხვა რამ შეუკვეთო, თუნდაც რაიმე ცხელი კერძი, რა თქმა უნდა, თუკი შენ გინდა და შეფმზარეულიც თუ დაგთანხმდებაო.

- კარგი, ჩემო გოგონა, - უპასუხა მან ქალს, ძალდაუტანებლად, ღირსეულად გადავიდა მრისხანებიდან სიმშვიდეზე და კლავდიას ხელზე ეამბორა. მან თავისთვის და თავისიანებისთვის ომლეტი ისურვა, თითოეულისათვის თითო კარგი მწვანილმოყრილი ომლეტი, რათა წუთისოფლის მოთხოვნილებებისთვის თავისი მიეზღოთ და შეკვეთას ასფრანკიანი დაურთო, რომ მომსახურე პერსონალს სამზარეულოში შებრუნება არ დაზარებოდა.

პეპერკორნს გუნება ისევ გამოუკეთდა, როცა რამდენიმე ლანგრით შემოიტანეს ოხშივარავარდნილი კერძი, იადონისფერი, მწვანილმოყრილი ომლეტი, და ოთახი კარაქისა და კვერცხის ნაზი, თბილი სურნელით აივსო. ყველა ჭამას შეუდგა, მათ შორის, პეპერკორნიც, რომელიც თვითონაც ტკბებოდა, და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებითა და მბრძანებლური, დახვეწილი ჟესტებით სხვებსაც აიძულებდა, ღვთის ნაბოძვარს მეტი გულისხმიერებით მოჰკიდებოდნენ და მისთვის ღირსეული პატივი მიეგოთ, შემდეგ სუფრაზე ჰოლანდიური ჯინი ჩამოატარებინა და ყველა აიძულა, ანკარა სითხე, რომელსაც ღვიასთან შეზავებული ხორბლის ჯანსაღი სურნელი ასდიოდა, მოწიწებით შეესვათ.

ჰანს კასტორპმა გააბოლა. ფრაუ შოშამაც ამოიღო მუნდშტუკიანი სიგარეტი და გალაქული რუსული პორტსიგარი, რომელსაც გაჭენებული ტროიკის გამოსახულება ამშვენებდა, სიმარჯვისთვის წინ დაიდო. პეპერკორნს თავისი მეზობლები არ გაუკიცხავს, ამ სიამოვნებას რომ ეწაფებოდნენ, მაგრამ თვითონ არ ეწეოდა და არც არასდროს მოუწევია. თუ სწორად გავუგეთ, მისი აზრით, თამბაქო იმ ზედმეტად დახვეწილ დამატკბობელ საშუალებებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ძარცვავდნენ უბრალო სიცოცხლისეულ სიამეთ, სიცოცხლის

წყალობასა და მოთხოვნებს დიდებულებას ართმევდნენ და ჩვენც ისე გვიჩლუნგებდნენ გრძნობებს, რომ მათთვის თავისი რომ მიგვეზღო, საამისოდ ძალა აღარ გვყოფნიდა.
- ყმაწვილო, - უთხრა მან ჰანს კასტორპს და თავისი უფერო თვალების მზერითა და დახვეწილი ჟესტებით მონუსხა, - ყმაწვილო... უბრალო, წმიდათაწმიდა რამ! კეთილი, თქვენ გესმით ჩემი. ერთი ბოთლი ღვინო, ოხშივრიანი ტაფამწვარი, გამოხდილი ხორბალი... ჯერ ამით დავტკბეთ, ჯერ ამას მოვუღოთ ბოლო, სათანადო პატივი მივაგოთ, სანამ... უსათუოდ, ბატონო ჩემო. მორჩა. მე მყოლია ნაცნობები, ქალებიც და კაცებიც, კოკაინის მყლაპავები, თრიაქის მწეველები! მორფინისტები... კარგი, ასე იყოს, ძვირფასო მეგობარო! ჩინებულია! იყოს მათი ნება! ჩვენ ნურც განვსჯით და ნურც დავსჯით, ოღონდ მას, რაც წინ უნდა უსწრებდეს ყოველივეს, უბრალოს, დიადს, ღვთის გაჩენილს, იმას ეს ხალხი... მორჩა, ჩემო მეგობარო. ისედაც განსჯილნი არიან. განკიცხულნი. ისინი ვალში დარჩნენ ყველაფერ ამის წინაშე! რაც უნდა გერქვათ, ყმაწვილო... კეთილი, კეთილი, თქვენი სახელი ვიცოდი და დამავიწყდა... ბიწიერება განა კოკაინშია ან ოპიუმში, ან თუნდაც თვით მანკიერებაში, მიუტევებელი ცოდვა ის არის...
იგი შეჩერდა. ზორბა, ბეჭებგანიერი კაცი თავისი მეზობლისკენ მიტრიალდა და თითქოს გაქვავდა ძლევამოსილ და მეტყველ დუმილში, საჩვენებელი თითი მაღლა ჰქონდა აშვერილი, სამართებლით გაკაწრული, სუფთად გაპარსული წითელი ზედა ტუჩის ქვეშ უსწორმასწოროდ გახეული პირი გაეღო, მელოტ შუბლზე გაწოლილი სწორი ნაოჭები დაძაბულობისგან აგრეხოდა, შუბლს ცეცხლის ენებივით შემოგზნებოდა თეთრი თმა, წვრილი,უფერო თვალები გაფართოებოდა და ჰანს კასტორპმა დაინახა, ამ თვალებში როგორ აფარფატდა ძრწოლა დანაშაულის, დიდი შეცოდების, მიუტევებელი უძლურების წინაშე, რაზეც ცოტა ხნის წინ სიტყვით მიანიშნა, ახლა კი მთელი თავისი ბუნდოვანი, მბრძანებლური ბუნების მომნუსხავი ძალით ყველას უხმოდ უბრძანებდა, მათი მრისხანე ბუნება შეეცნოთ... ძრწოლა, გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, ობიექტური, მაგრამ თითქოს პირადიც, რომელიც ამ მეფურ კაცს თვითონვე ეხებოდა. ერთი სიტყვით, შიში, ოღონდ პატარა და უმნიშვნელო კი არა, მის თვალებში პანიკური შიში ფარფატებდა, უფრო სწორად, ამ შიშმა თითქოს წამით გაიელვა და ამ აღმოჩენას არ შეიძლებოდა, არ შეეძრა ბუნებით ისედაც სხვისი პატივისმცემელი ჰანს კასტორპი, თუმცა ყველა საფუძველი ჰქონდა, ფრაუ შოშას ზვიად თანამგზავრს მტრულად მოჰკიდებოდა.
მან თვალები დახარა, მოინდომა, თავისი ზვიადი მეზობლისათვის ესიამოვნებინა და თავიც დაუქნია, კარგად გაგიგეთო.
- ალბათ, მართალი ბრძანდებით, - დასძინა მან, - შეიძლება მართლა ცოდვა იყოს და არასრულფასოვნების ნიშანიც, როცა ადამიანს სიცოცხლის უბრალო და ბუნებრივი, ესოდენ დიადი და წმიდათაწმიდა წყალობისათვის თავისი ვერ მიუზღავს და სხვა დახვეწილ სიამეთ კი ეტანება. თუ სწორად გავიგეთ, თქვენ ასე ფიქრობთ, მინჰერ პეპერკორნ, და თუმცა ეს აზრი აქამდე არ დამბადებია, რაკი თქვენ ბრძანებთ, მეც სავსებით გეთანხმებით. სხვათა შორის, სიცოცხლის ჯანსაღი და უბრალო წყალობა საკმაოდ იშვიათად ფასდება ხოლმე. ეტყობა, ადამიანების უმრავლესობა საამისოდ ნამდვილად ზანტია და უყურადღებო, სინდისდაკარგული და შინაგანად გამოფიტული.
მბრძანებელი უაღრესად კმაყოფილი დარჩა.
- ყმაწვილო, - უთხრა მან ჰანს კასტორპს, - ჩინებულია. თუ ნებას მომცემთ... მეტის თქმა საჭირო არ არის. გთხოვთ, ერთად შევსვათ, ხელიხელს გადავხვიოთ და ჭიქები ისე გამოვცალოთ, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ძმურად, შენობით ლაპარაკს გთავაზობდეთ, ის იყო, დავაპირე, მაგრამ დავფიქრდი და მივხვდი, რომ ეს ცოტა ნაჩქარევი იქნებოდა. ამას სულ მოკლე ხანში უეჭველად შემოგთავაზებთ... მენდეთ, ასე იქნება! მაგრამ თუკი თქვენ გსურთ და დაიჟინებთ, რომ ჩვენ ახლავე...
ჰანს კასტორპმა ხელით ანიშნა პეპერკორნს, ისე იყოს, როგორც თქვენ ბრძანეთ, ნუ ავჩქარდებითო.
- კეთილი, კეთილი, ბიჭუნი. კეთილი, ჩემო ამხანაგო. არასრულფასოვნება... კარგია. კარგიცაა და შიშის მომგვრელიც. სინდისდაკარგულიო... ძალიან კარგი.

წყალობა... არ არის კარგი. მოთხოვნილებები! წმიდათაწმიდა, ქალური მოთხოვნილებები სიცოცხლისა, ღირსებასა და მამაცურ ძალას რომ უყენებენ...
ჰანს კასტორპი უეცრად მიხვდა, რომ პეპერკორნი ძალიან მთვრალი იყო, მაგრამ მის სიმთვრალეშიც კი არაფერი შეიმჩნეოდა დამამცირებელი და სამარცხვინო, იგი არამცთუ პატივსა და ღირსებას არ აკლებდა მას, არამედ საოცრად ერწყმოდა მის სიდიადეს და უსაზღვრო მოწიწებას აღძრავდა. ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, განა მთვრალი ბახუსიც ასე არ ეყრდნობოდა თავის თავგამოდებულ მიმდევართ, მაგრამ მის ღვთაებრიობას არა აკლდებოდა რა და საერთოდ, ეტყობა, მთავარია, ვინ თვრება, პიროვნება თუ არარაობაო. ჰანს კასტორპი გულით ცდილობდა, იოტისოდენადაც არ განელებოდა პატივისცემა კლავდია შოშას ძლევამოსილი თანამგზავრისადმი, რომელსაც დახვეწილი ჟესტები მოდუნებოდა და ენა ებმოდა.
- ძმაო და მეგობარო, - დაიწყო პეპერკორნმა, - იგი სიმთვრალემორეული უზარმაზარი სხეულით თავისუფლად და ზვიადად მისვენებოდა სკამის საზურგეს, გაწვდილი მკლავი მაგიდაზე დარჩენოდა და დუნედ მომუშტულ ხელს ზედ მსუბუქად უკაკუნებდა, - მომავალში... ახლო მომავალში, თუმცა კეთილგონიერება ჯერ კიდევ... კარგი. მორჩა. ცხოვრება, ყმაწვილო, ქალია, ჩვენ წინ გაწოლილი ქალი, ერთმანეთზე მიხუტებული აფუებული ძუძუები რომ უღელავს, გამობურცულ თეძოებს შუა ფართო, ფაფუკი მუცელი მოუჩანს, შხვართი მკლავები და მკვრივი ბარძაყები გაუწვართია, თვალები მიულულავს, სახეზე საოცარი, დამცინავი გამოწვევა ახატია და ჩვენგან უმაღლეს მგზნებარებას, ჩვენი მამაკაცური სურვილის მთელი ძალით გამოვლენას მოელის, რასაც ან გამარჯვება მოჰყვება, ან სამარცხვინო მარცხი უწერია... სამარცხვინო მარცხი, ყმაწვილო, გესმით, რა არის ეს? სიცოცხლის წინაშე გრძნობათა მარცხი, აი, რა არის უძლურება, მისთვის არ არსებობს არც შეწყალება, არც თანაგრძნობა და არც ღირსება, მას შეუბრალებლად და დამცინავი ხარხარით უკუაგდებენ, მიაფურთხებენ ხოლმე... მორ-ჩა, ყმაწვილო, მორჩა და გათავდა... ამ განადგურებისა და გაკოტრების, ამ საზარელი მარცხის გამოსახატავად შერცხვენა და პატივის აყრა უსუსური სიტყვებია. ეს არის დასასრული, ჯოჯოხეთური სასოწარკვეთა, ესაა განკითხვის დღე...
ჰოლანდიელი ლაპარაკისას თავისი უზარმაზარი სხეულით სულ უკან-უკან იხრებოდა, მერე მეფური თავი მკერდზე ისე ჩამოუვარდა, თითქოს ძილი მოერიაო, მაგრამ უკანასკნელ სიტყვაზე მოდუნებული მუშტი ისე ღონივრად დაჰკრა მაგიდას, რომ დაგვალული ჰანს კასტორპი, რომელიც ისედაც აღგზნებული იყო თამაშის, ღვინისა და ამ თავისებური ვითარებისაგან,შეკრთა და მბრძანებელს შიშითა და მოწიწებით შეხედა. „განკითხვის დღეო“. როგორ შვენოდა ეს სიტყვა! ჰანს კასტორპმა ვერ გაიხსენა, ეს სიტყვა საღვთო სჯულის გაკვეთილის გარდა სადმე გაეგონოს, შემთხვევითი არც არისო, გაიფიქრა გუნებაში, მის ნაცნობებში, აბა, ვის შეიძლებოდა, მოხდენოდა ეს მეხივით სიტყვა, ვის ჰქონდა საიმისო მასშტაბები, რომ ეს კითხვა, როგორც ჯერ არს, ისე დაესვა? ვთქვათ, პატარა ნაფტას შეეძლო, ეს სიტყვა ეხსენებინა, მაგრამ ეს იქნებოდა უზურპაცია და გესლიანი ლაქლაქი, პეპერკორნის პირით წარმოთქმულ ამ მეხივით სიტყვას კი მთელი თავისი მგრგვინავი და ნაღარასავითი მქუხარე ძალმოსილება, ერთი სიტყვით, ბიბლიური სიდიადე ენიჭებოდა. „ღმერთო ჩემო, აი, პიროვნება, - ლამის მეასედ იმეორებდა იგი გულში, - როგორც იქნა, შევხვდი დიდ პიროვნებას და იგი მაინცდამაინც კლავდიას თანამგზავრი აღმოჩნდა!“ თვითონაც კარგად შეზარხოშებული ჰანს კასტორპი ცალი ხელით მაგიდაზე თავის ჭიქას ატრიალებდა, მეორე კი შარვლის ჯიბეში ედო, ცალი თვალი მოეჭუტა, რათა ტუჩის კუთხეში გაჩრილი სიგარეტის კვამლისთვის მოერიდებინა. განა ამ მეხივით სიტყვების გამგონეს გაჩუმება არ მართებდა? მასთან რას გახდებოდა მისი მიკნავებული ხმა? მაგრამ თავისი დემოკრატი აღმზრდელებისაგან - დიახ, ორივე დემოკრატი გახლდათ, თუმცა ერთ-ერთი თავგამოდებით უარყოფდა თავის დემოკრატობას - ისე იყო კამათს დაჩვეული, რომ ცდუნებას ვერ გაუძლო, თავისი ერთ-ერთი გულწრფელი კომენტარი მოიმარჯვა და თქვა:
- თქვენი შენიშვნები, მინჰერ პეპერკორნ, - (შენიშვნები რას ჰქვია! განა განკითხვის დღეზე შენიშვნებს გამოთქვამს ვინმე?), - მაიძულებს, ერთხელ კიდევ დავუბრუნდე იმ აზრს, რაც ცოტა ხნის წინ შეცოდებაზე ითქვა, სახელდობრ ის, რომ

შეცოდება უბრალო, როგორც თქვენ ბრძანეთ, წმიდათაწმიდა, მე ვიტყოდი, სიცოცხლის კლასიკური წყალობის შეურაცხყოფაა, დიდი მასშტაბის წყალობის შეურაცხყოფაა, თუკი მას გვიანდელ და გამონაგონ, რაფინირებულ წყალობას ამჯობინებენ, ამ უკანასკნელთ, როგორც ერთ-ერთმა ჩვენგანმა თქვა, „ემონებიან“, მაშინ როცა სიცოცხლის დიდ წყალობას ადამიანი ეწირება“ და თაყვანს სცემს“. მაგრამ, ჩემი აზრით, გამართლებაც სადღაც აქვეა, მაპატიეთ, მაგრამ მე ბუნებით გამართლების მომხრე ვარ, მართალია, გამართლებას თავისთავად მასშტაბი არ გააჩნია, ამას აშკარად ვგრძნობ, მაგრამ მეორე მხრივ, ცოდვას სწორედ აქ შეიძლება მოეძებნოს შენდობა, თან სწორედ იმიტომ, რომ ცოდვას, როგორც თქვენ ბრძანეთ, „უძლურება“ უდევს საფუძვლად. თქვენ უძლურების საშინელებებზე ისეთი მასშტაბის აზრები გამოთქვით, გულწრფელად რომ გითხრათ, სახტად დავრჩი, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ცოდვილი კაცი არამცთუ გრძნობს ამ საშინელებებს, არამედ მათ სავსებით აღიარებს, რადგან მას სწორედ სიცოცხლის კლასიკურ წყალობათა შესაგრძნობად ღალატობს ძალა და ცოდვისკენ თავისი უილაჯობა უბიძგებს, ოღონდ ეს სიცოცხლის შეურაცხყოფას როდი ნიშნავს, პირიქით, იქნებ ეს სიცოცხლის თაყვანისცემადაც კი ჩავუთვალოთ, რაკი ყოველგვარი რაფინირებული საშუალება გასაბრუებლად და აღსაგზნებადაა მოგონილი. მათ ტყუილად როდი უწოდებენ სტიმულანტებს, ისინი შეგრძნების უნარს აძლიერებენ და აღონივრებენ, მათი აზრი და მიზანი კი მაინც სიცოცხლეა, გრძნობის სიყვარული, უძლურების ლტოლვა გრძნობისაკენ... მე თუ მკითხავთ...

რას მიედ-მოედებოდა იგი? განა ის დემოკრატიული უტიფრობა აღარ კმაროდა, „ერთ-ერთმა ჩვენგანმაო“ რომ ბრძანა და თავი ამ დიდ პიროვნებას გაუტოლა? იქნებ ასე გაკადნიერებას წარსულის ზოგ-ზოგი ამბავი აბედვინებდა, დღევანდელი მესაკუთრეობის უფლებებს რომ აყენებდა ჩრდილს? ნეტავ რა ბზიკმა უკბინა, კიდევ ცოდვის“ უტიფარ ანალიზს რომ მოჰყვა? ჰოდა, ახლა კეთილინებოს და თავი დაიძვრინოს, რადგან აშკარად ჩანდა, ცეცხლი სახიფათოდ რომ გააღვივა.

მინჰერ პეპერკორნი, სანამ მისი წვეული ლაპარაკობდა, სკამზე კვლავ სანახევროდ იწვა, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა და ისე გარინდებულიყო, გეგონებოდათ, ჰანს კასტორპის სიტყვები მის ცნობიერებამდე არც აღწევსო, მაგრამ როცა ყმაწვილმა კაცმა აბდაუბდის როშვა აღარ გაათავა, იგი ნელ-ნელა წელში გაიმართა, სკამზე თანდათან წამოიწია და ბოლოს მთელი ტანით წამოიმართა. დიდებული თავი წამოუჭარხლდა, შუბლის არაბესკები აეჭიმა, ხოლო წვრილი, უფერო თვალები ავისმომასწავებლად გაუფართოვდა. რას გვიქადდა ყოველივე ეს? რისხვის მოახლოებას, რომელთან შედარებითაც ამასწინანდელი განრისხება მსუბუქ უგუნებობად მოგეჩვენებოდათ. მინჰერის ქვედა ტუჩი ისე მრისხანედ და ღონივრად მიებჯინა ზედას, რომ ტუჩის კუთხეები ჩამოეწია და ნიკაპი წინ წამოეზიდა, მარჯვენა ხელი ნელ-ნელა მოსცილდა მაგიდას, თავის სიმაღლეზე აიწია, მერე კიდევ უფრო მაღლა ავიდა და დამუშტული მარჯვენა დემოკრატი მოლაყბის თავზე გამანადგურებელი დარტყმისათვის აღიმართა. დემოკრატს თავზარი დაეცა და თუმცა მეფური მრისხანების შემხედვარე აღფრთოვანებასაც ვერ მალავდა, ძლივს შეძლო, შიში და გაქცევის სურვილი დაეფარა. ბოლოს მაინც იმარჯვა და მოასწრო უკან დახევა.

- ცხადია, კარგად ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი, ყველაფერი, ბოლოს და ბოლოს, მასშტაბზეა დამოკიდებული. დიდი მასშტაბის მოვლენას ცოდვას ვერ დაარქმევ. ცოდვას არც არასდროს ჰქონია დიდი მასშტაბები და არც იმრაფინირებულ აღმგზნებ საშუალებებს გააჩნია არავითარი მასშტაბი, სამაგიეროდ, ადამიანის ლტოლვას გრძნობიერებისაკენ ოდითგანვე მხარში ედგა ერთი გამაბრუებელი და აღმგზნები საშუალება, რაც თვითონვეა სიცოცხლის კლასიკური წყალობა, იგი უბრალო და წმიდათაწმიდა ბუნებისაა, მასში არაფერია ცოდვისეული, ეს არის, თუკი შეიძლება ასე ითქვას, მასშტაბური დამხმარე საშუალება, ანუ ღვინო, ადამიანებისათვის ნაბოძები ღვთიური საჩუქარი, ძველ ჰუმანისტ ხალხებს თუ დავუჯერებთ, ეს იმ ღმერთის ფილანთროპული აღმოჩენაა, რომელსაც, ნება მიბოძეთ ესეც აღვნიშნო, ცივილიზაციის განვითარებას მიაწერენ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყურძნის მოყვანისა და ღვინის დაწურვის ხელოვნების დაუფლებით

ადამიანები ველურობის ხანიდან გამოვიდნენ და ზნეობას ეზიარნენ და დღესაც კი ის ხალხები, რომლებსაც ყურძენი მოჰყავთ, უფრო კულტურულად ითვლებიან, ან თვითონვე თვლიან საკუთარ თავს უფრო კულტურულად სხვა ხალხებთან, მაგალითად, კიმერებთან
(კიმერები, ანუ კიმერიელები - ძველ დროებაში ინდოევროპული (თრაკიული) მესაქონლე, მომთაბარე და ცხენოსანი ხალხი, რომელმაც ძვ.წ. II საუკუნის მიწურულს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სახელმწიფო დააარსა, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ქერჩის ტერიტორიაა. ჰომეროსთან კიმერიელები მითური ხალხია შორეულ ჩრდილოეთში, სადაც მარადიული წყვდიადი სუფევს. ზოგჯერ შეცდომით აიგივებენ კიმბრებთან, ჩრდილოგერმანულ ტომებთან.)
შედარებით, რაც უეჭველად ყურადსაღები გახლავთ. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ კულტურა შეგნებისა და მკაფიოდ გამოხატული ფხიზელი გონების ნაყოფი როდია, მას აღტყინებას, გაბრუებასა და ნეტარებასთან გაცილებით მეტი აქვს საერთო, გავკადნიერდები და გკითხავთ, განა ამ საკითხზე თქვენც იმავე აზრის არ ბრძანდებით?
დიდი გაიძვერა კი იყო ეს ჰანს კასტორპი, ანდა, როგორც ბატონი სეტემბრინი მწერლის დახვეწილი ენით იტყოდა, იგი „ეშმაკის ფეხი“ გახლდათ, წინდაუხედავი, თითქმის თავხედიც კი დიდ პიროვნებებთან ურთიერთობაში და თან, თუ საჭირო გახდებოდა, ხიფათიდან თავის დამძვრენიც. მან, ჯერ ერთი, სახიფათო სიტუაციაში შეძლო სიმთვრალის დასაცავი იმპროვიზებული ოდის შეთხზვა, შემდეგ კი, ვითომ სხვათა შორის, სიტყვა „ზნეკეთილობაზე“ გადაიტანა, რაც ყველაზე ნაკლებად სწორედ მინჰერ პეპერკორნის პირველყოფილ, თავზარდამცემ პოზაში იგრძნობოდა და ამით საბოლოოდ შეარყია და გააუფასურა ეს პოზა, აბა, ასეთ კითხვაზე კაცი მუშტმოღერებული ხომ ვერ უპასუხებდა. ჰოლანდიელსაც გაუნელდა თავისი წარღვნამდელი მრისხანება, ხელი ნელ-ნელა კვლავ მაგიდაზე დაუშვა და სახეც დაუწყნარდა. ბედი გქონიაო, თითქოს ეწერა მის ჯერ კიდევ მუქარაშერჩენილ სახეზე, მაგრამ ჭექა-ქუხილი უკვე ჩაცხრა, თან საქმეში ფრაუ შოშაც ჩაერია და თავის თანამგზავრს შეახსენა, საერთო მხიარულება შენელდაო.
- ძვირფასო მეგობარო, სტუმრებს ყურადღებას აღარ აქცევთ, - ფრანგულად უთხრა მან პეპერკორნს, - თქვენ მხოლოდ და მხოლოდ ამ ბატონს უნდებით, მართალია, მნიშვნელოვანი საკითხები გაქვთ მასთან ერთად გადასაჭრელი, მაგრამ ამასობაში თამაში თითქმის ჩაკვდა და ვშიშობ, რომ საზოგადოებამ ისედაც მოიწყინა. იქნებ დავშლილიყავით?
პეპერკორნი მაშინვე თანამესუფრეებისკენ შემობრუნდა, ირგვლივ მართლაც დემორალიზაცია, ლეთარგია, გამოთაყვანება გამეფებულიყო: სტუმრები უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოწაფეებივით ცელქობდნენ. ზოგი ყვინთავდა. პეპერკორნმა მაშინვე მოკრიბა მიშვებული სადავეები:
- ბატონებო! - შესძახა მან და საჩვენებელი თითი მაღლა ასწია. შუბივით წამახული თითი მოღერებულ ხმალსა თუ დროშას დაემსგავსა, ხოლო შეძახილი მოწოდებასავით გაისმა; პეპერკორნი თითქოს ამბობდა, ვინც დედალი არა ხართ, მომყევითო. ასე სარდალი აჩერებს ხოლმე უკუქცეულ ჯარს. მისი პიროვნების ზეგავლენით საზოგადოება ისედაც გამოფხიზლდა და გახალისდა. ყველა წელში გასწორდა, ძილმორეული სახეები გაუნათდათ და მასპინძელს კვლავ ღიმილით შეაცქერდნენ კერპივით დაღარულ შუბლქვემოდან გამომზირალ უფერო თვალებში. მან ყველა მონუსხა და ხელახლა თავის სამსახურში ჩაიყენა, საჩვენებელი თითის წვერი ცერის წვერს შეუერთა, ხოლო დანარჩენი, გრძელფრჩხილებიანი თითები შუბებივით აღმართა ჰაერში. კაპიტნის ხელი ისე გაშალა, თითქოს ყველას უფრთხილდება და თან გზიდან იცილებსო და მისი ტანჯვით გახეული ტუჩებიდან ისევ დაიძრა სიტყვების ნაკადი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ბუნდოვანი, მაგრამ მომნუსხველი მისი დიადი პიროვნებიდან მომდინარე დამთრგუნველი ძალის წყალობით.
- ბატონებო... კეთილი. ხორცი, ბატონებო, რომ იცოდეთ... მორჩა, არა... ნება მიბოძეთ... ხორცი „უძლურიაო“, ასე წერია საღვთო წერილში. ეს ნიშნავს, რომ მას მიდრეკილება აქვს, მოთხოვნილებებს... მაგრამ მე მოვუწოდებ თქვენს, კეთილი და პატიოსანი, ბატონებო, მე მო-გი-წო-დებთ, თქვენ მეტყვით, ძილს რაღა ვუყოთო.

კეთილი, ბატონებო, ჩინებულია, დიდებულია. მე მიყვარს და პატივს ვცემ ძილს. მე თაყვანს ვცემ მის ღრმა, ტკბილ, მომთენთავ ნეტარებას. ძილი მიეკუთვნება... როგორ თქვით, ყმაწვილო?..სიცოცხლის კლასიკურ წყალობათა რიცხვს, პირველ, უპირველეს... არა, უკაცრავად,... უზენაეს წყალობათა რიცხვს, ბატონებო. ოღონდ, მოდი, მაინც დაფიქრდით და გაიხსენეთ: გეთსიმანია! „და წარიყვანნა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე; დაადგერით აქა და იღვიძებდით ჩემ თანა“. გახსოვთ, არა? „და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ მღვიძარებად ჩემ თანა?“ ძლიერი ადგილია, ბატონებო. ძარღვებში დაგივლის. გულს ხვდება. „და მოვიდა და კუალად პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ. მაშინ მოვიდა მოწაფეთა თანა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა, ესერა მოახლოებულ არს ჟამი...“ ბატონებო, ხედავთ, რა ჟრუანტელისმომგვრელია, რა გულსაკლავი.
მართლაც ყველა სულის სიღრმემდე იყო შეძრული და დარცხვენილი. მან კი ხელები შეატყუპა, მკერდს ზემოთ, ვიწრო წვერებთან მიიტანა და თავი გვერდზე გადაიგდო. უფერო თვალების მზერა სულ დაებინდა, როცა გახეული ბაგეებიდან ობლად სიკვდილის სიმწარეზე აღვლენილი სიტყვები წარმოსდინდა. ფრაუ შტორმა ამოისლუკუნა. ფრაუ მაგნუსს ხმამაღალი ოხვრა აღმოხდა. პროკურორმა პარავანტმა თავი ვალდებულად ჩათვალა, სტუმრების სახელით გამოსულიყო, მან პატივცემულ მასპინძელს ხმადაბლა ორიოდე სიტყვით მიმართა და ყველას მაგივრად ერთგულება აღუთქვა. აქ რაღაც შეცდომაა, თქვა მან, ყველანი ცოცხლად და ფხიზლად ვართ, სულითა და გულით ვილხენთ და ვერთობითო. მშვენიერი, საზეიმო, უაღრესად გამორჩეული საღამოა, ეს ყველას გვესმის, ამას ყველა ვგრძნობთო და არც არავის უფიქრია სიცოცხლის ერთ-ერთ წყალობას - ძილს მინებდესო. მინჰერ პეპერკორნს შეუძლია ენდოს თავის სტუმრებს, ყოველ მათგანს შეუძლია ენდოსო.
- ჩინებულია! შესანიშნავია! - შესძახა პეპერკორნმა და წელში გაიმართა. ხელები ერთმანეთს მოაცილა, გაშალა, შემდეგ ნელ-ნელა აღაპყრო და ხელისგულები გარეთ ისე მოაქცია, როგორც წარმართული ლოცვისას იციან ხოლმე. სულ ცოტა ხნის წინ გოტიკური ტკივილით შთაგონებული დიდებული ფიზიონომია სიხარულისგან გაებადრა და ასე განსაჯეთ, ლოყაზე სიბარიტული ღრმულიც კი დააჩნდა.
- აჰა, ესერა მოახლოებულ არს ჟამი, - წარმოთქვა მან და ღვინოების ნუსხა მოატანინა, ცხვირზე რქის პენსნე გაიკეთა, რომლის კეხი ქედივით დაადგა შუბლზე, და შამპანური შეუკვეთა, სამი ბოთლი მუმი და კ“ cordon rouge, très sec
;
(წითელი ბაფთა, ძალიან მშრალი (ფრანგ.).) მასთან ერთად მოატანინა petits fours
, ფუმფულა ბისკვიტისგან დამზადებული უგემრიელესი, კონუსისებური, ვარდისფრად მოსარკული, შოკოლადისა და ფსტის კრემით დაქსელილი, კუწუბებიან ქაღალდის ფიალებში ჩაწყობილი პაწია შაქარლამები. ფრაუ შტორმა ლამის თითები თან ჩაატანა სასუსნავს. ბატონმა ალბინმა, როგორც მრავლისმნახველ კაცს შეეფერებოდა, დინჯად შემოხსნა მავთული პირველ ბოთლს, გაისმა სათამაშო პისტოლეტის ტკაცანისმაგვარი ხმა, კოპწიად მოხატული ყელიდან სოკოსებრი საცობი ამოვარდა და ჭერს შეასკდა, ბატონმა ალბინმა კი ელეგანტური წესისამებრ ბოთლს ხელსახოცი შემოახვია და დასასხმელად ისე მოიმარჯვა. კეთილშობილმა ქაფმა დაასველა სასერვისე მაგიდების სუფრები. ერთმანეთს მიუჭახუნეს ფიალასავით გადაშლილი ჭიქები, ერთი დაკვრით გამოცალეს და სტომაქი ყინულივით ცივი, სურნელოვანი, შუშხუნა სითხით დაიელექტროეს. თვალები ყველას აუპრიალდა. თამაში შეწყდა, მაგრამ ფულისა და ბანქოს ალაგებისათვის თავი არავის შეუწუხებია. საზოგადოება ნეტარ მცონარობას მიეცა, რაღაცას მიედ-მოედებოდნენ, ცალ-ცალკე თითქოს მათ ყოველ ფრაზას ამაღლებული გრძნობები ასაზრდოებდა, ეს ფრაზები თითქოს რაღაც უმშვენიერესის გამოსათქმელად იყვნენ ჩაფიქრებულნი, მაგრამ სანამ ესა თუ ის აზრი ადამიანამდე მიაღწევდა, გზაში ქუცმაცდებოდა, ბუტბუტში გადადიოდა და სანახევროდ უტიფარ, სანახევროდ გაუგებარ გალიმათიად

იქცეოდა. ამ სურათს ფხიზელი კაცი რომ შემოსწრებოდა, ბრაზნარევი სირცხვილით დაიწვებოდა, სუფრასთან მსხდომნი კი არხეინად გრძნობდნენ თავს, ყველას ერთნაირად ჰქონდა დაკარგული პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგრძნება. თქვენ წარმოიდგინეთ, ფრაუ მაგნუსსაც კი წამოუწითლდა ყურები და გამოტყდა, ტანში თითქოს სიცოცხლის ჟრუანტელი მივლისო, ოღონდ ბატონი მაგნუსი, მგონი, ნასიამოვნები არ დარჩენილა ცოლის სიტყვებით. ჰერმინე კლეეფელდი ზურგით ბატონი ალბინის მხარს მიჰყრდნობოდა და მისკენ ჭიქა გაეშვირა. პეპერკორნი შუბებივით წამახულ თითებს დახვეწილი ჟესტით ათამაშებდა, ამ ბაკქანალიას მეთაურობდა და დროდადრო სასმელ-საჭმლის შემოტანაზეც ზრუნავდა. შამპანურის შემდეგ ყავა მოატანინა,
მოცცა დოუბლე , ხოლო ყავას მოჰყვა „პური“ და ქალებისათვის ტკბილი, მაგარ-მაგარი სასმელები: აბრიკოტინი, შარტრეზი, კრემ-დეევანილი და მარასკინი. მოგვიანებით სუფრაზე შემოვიდა თევზის ფილეს მარინადი და ლუდი, ბოლოს კი შემოიტანეს ჩაი, ჩინურიც და გვირილასიც, მათთვის, ვისაცაღარც შამპანური უნდოდათ, აღარც ლიქიორი და არც ღვინის სმის თავი ჰქონდათ. პეპერკორნი დანარჩენებისაგან განსხვავებით, შუაღამისას ფრაუ შოშასა და ჰანს კასტორპთან ერთად შვეიცარიულ წითელ ღვინოზე გადავიდა და მოწყურებული ზედიზედ ცლიდა უბრალო შუშხუნა ღვინით სავსე ჭიქებს.
პირველ საათზე ლხინი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, თანამეინახეებს სუფრასთან ცოტ-ცოტა ყველაფერი აკავებდათ: სიმთვრალისაგან ტყვიასავით დამძიმებული სხეულიც, უცნაური კმაყოფილების შეგრძნებაც, რომ მალე თავზე დაათენდებოდათ, პეპერკორნის პიროვნების ზეგავლენაც და პეტრესა და მისი მოციქულების შემაცბუნებელი მაგალითიც, რადგან არავის უნდოდა, საკუთარი თავი ხორცით უძლურთათვის მიეთვალა. ისე, ქალთა საზოგადოება ამ თვალსაზრისით ნაკლებად შელახული ჩანდა. მამაკაცებიდან ზოგს სახე ასჭარხლებოდა, ზოგს კი, პირიქით, ჩატეტკოდა, ისხდნენ ფეხებგაჩაჩხულნი და ლოყებს ბუშტავდნენ, ხანდახან მექანიკურად თუ წამოავლებდნენ ჭიქას ხელს, თორემ სმის ხალისიც დაჰკარგოდათ და აღარც გულწრფელ თავაზიანობაზე დებდნენ თავს. სამაგიეროდ, ქალები უფრო გააქტიურებულიყვნენ. ჰერმინე კლეეფელდს შიშველი იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო, ლოყები ხელებზე ჩამოედო და მოხითხითე ტინ-ფუს წინა კბილებს უელვარებდა, ფრაუ შტორს კი ნიკაპი და მხარი კეკლუცად წამოეგდო წინ და ცდილობდა, პროკურორი ცოცხლებში დაებრუნებინა. ფრაუ მაგნუსი ისე გათამამებულიყო, რომ ბატონ ალბინს კალთაში ჩასჯდომოდა და ორივე ყურის ბიბილოში ჩაჰფრენოდა, რაც ბატონ მაგნუსს, მგონი, შვებასაც კი ჰგვრიდა. ანტონ კარლოვიჩ ფერგე შეაგულიანეს, თქვენი პლევრალური შოკის ამბავი მოგვიყევითო, მაგრამ იგი ენას ვეღარ ატრიალებდა და პატიოსნად ცნო თავი გაკოტრებულად, ამაზე ყველამ ერთხმად შესძახა, ეს აღიარება დალევით უნდა აღინიშნოსო. ვეეზალს ძველი დარდები თუ გაახსენდა და მწარედ ატირდა, მაგრამ თანამეინახეებისათვის დარდისა და ნაღველის გასანდობად აღარც მას ემორჩილებოდა ენა, იგი, ერთი პირობა, ყავისა და კოკაინის დახმარებით, თითქოს სულიერად გამართეს წელში, მაგრამ საბოლოოდ მისმა გულამოსკვნილმა მოთქმა-გოდებამ, დაღმეჭილმა, აცახცახებულმა ნიკაპმა, ქვეშ რომ ცრემლები ესკვნებოდა, პეპერკორნი მაინც დააინტერესა. მან საჩვენებელი თითი მაღლა ასწია, არაბესკებიც შეჰყარა და ვეეზალისკენ მიმართა საყოველთაო ყურადღება.
- ეს არის... - თქვა მან, - ეს ხომ... არა, ნება მიბოძეთ! წმიდათაწმიდა! ნიკაპი შეუმშრალე, ჩემო გოგონი, აჰა, ჩემი ხელსახოცი! თუმცა არა, ჯობია, თავი დაანებო! ხომ ხედავ, თვითონაც არ უნდა, ბატონებო... წმიდათაწმიდაა! წმიდათაწმიდაა ყოველგვარი აზრით, ქრისტიანული გაგებითაც და წარმართულითაც! პირველფენომენია! პირველქმნილი ფენომენია... უზენაესი... არა, არა, ესაა...
იმდაგვარივე მბრძანებლური და განმარტებითი შეძახილებით, როგორიც იყო: „ესაა“, „ეს ხომ“ და მისთანანი, უძღვებოდა იგი თავის ლხინს და დახვეწილ ჟესტებს ზუსტად, თუმცა უკვე ოდნავ ბურლესკურად კი აყოლებდა. საერთოდ, ჩვეულებად ჰქონდა, მოკაკული საჩვენებელი თითითა და ცერით წრე შეეკრა და ყურს ზემოთ დაეჭირა, ხოლო თავი ისე ალმაცერად და ოინბაზურად გაეწია განზე, რომ ამ პოზის შემხედვარეს გეგონებოდათ, რომელიმე უცხო კულტის ხანდაზმულ

ქურუმს შესამოსელი წამოუხდია და სამსხვერპლოს წინ უცნაური როკვა დაუწყიაო. ჰეპერკორნი ამჯერად ისევ მედიდურად გადაიშხლართა თავის სკამზე, მკლავი მეზობელ სკამს გადაადო და თანამეინახეებს მათდა გასაოცრად ძალა დაატანა, ჩემთან ერთად ჩაფიქრდით და განთიადი ცოცხლად და თვალნათლივ წარმოიდგინეთო, წარმოიდგინეთ ზამთრის სუსხიანი, პირქუში დილა, ჩვენი მაგიდის ნათურის მოყვითალო არილი ფანჯრის მინების გარეთ შიშველ ტოტებში რომ ირეკლება, ის ტოტები კი ალიონზე ჩამოწოლილ, ყინვითა და ყვავების ჩხავილით გათანგულ ნისლში გარინდებულანო... ჰეპერკორნმა ამდაგვარი მინიშნებებით იმოდენა ძალა შთაბერა ამ უბრალო, ყოველდღიურ მოვლენას, რომ ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში, მით უმეტეს, რომ მან ყინულივით ცივი წყლით გაჟღენთილი დიდი ღრუბელიც ახსენა, ავადმყოფები დილაადრიან კეფაზე რომ იწურავდნენ და მას წმიდათაწმიდა უწოდა. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ წიაღსვლა, ცხოვრებაზე დაკვირვების თვალსაჩინო მაგალითი, ფანტასტიკური ექსპრომტი, რომელიც თვითონვე მაშინვე მიივიწყა და ჟინითა და ცინცხალი გრძნობით კვლავ ზეიმით აღსავსე ღამის მდინარებას მიეცა. მერე ისე მოიქცა, თითქოს იმ წუთში ხელმისაწვდომი ყველა მდედრობითი სქესის არსება ერთმანეთისგან განურჩევლად შეუყვარდაო, ლილიპუტს, მაგალითად, ისეთი რამეები შესთავაზა, რომ ამ ჯოჯოს ღიმილმა დაუღმიჭა უშველებელი, ბებრული სახე, შტორს ისეთი ქათინაურები უძღვნა, რომ ბრიყვმა დედაკაცმა მხარი კიდევ უფრო კეკლუცად წამოსწია წინ და ლამის სულელივით მოჰყვა პრანჭვა-გრეხას, ჰეპერკორნმა ჰერმინე კლეეფელდს თავის დიდრონ, გახეულ ტუჩებზე კოცნა გამოსთხოვა და ბოლოს უნუგეშო ავადმყოფ ფრაუ მაგნუსსაც კი გაეარშიყა, ოღონდ ამისთანებით არაფერი დაჰკლებია ერთგულებას თავისი თანამგზავრისადმი, რომლის ხელიც გალანტური მოწიწებით ტუჩებთან ხშირ-ხშირად მიჰქონდა ხოლმე.

- ღვინო... - თქვა მან, - ქალები... ესა... ეს ხომ... ნება მიბოძეთ... მეორედმოსვლაა... გეთსიმანია...

ნაშუაღამევის ორი საათი იქნებოდა, ხმა რომ მოსწვდათ, „ბებერი“, ანუ ჰოფრატი ბერენსი, ფორსირებული მარშით სალონისკენ მოემართებაო. მისავათებულ სტუმრებს შორის იმწამსვე პანიკა ატყდა; გადაყირავდა სკამები, ყინულიანი გოვზები და გასაქცევად ყველა სამკითხველოს მიაწყდა. ჰეპერკორნი მეფურმა რისხვამ შეიპყრო, სიცოცხლის ზეიმი ასე უეცრად რომ ჩაუშალეს, მაგიდას მუშტი დაჰკრა და გაქცეულებს „ლაჩარო მონებოო“ თუ რაღაც ამდაგვარი მიაძახა, მაგრამ შემდეგ, ასე თუ ისე, დაეთანხმა ჰანს კასტორპსა და ფრაუ შოშას, ნადიმი ექვს საათს გაგრძელდა და ოდესმე ისედაც ხომ უნდა დამთავრებულიყოო, თან წმიდათაწმიდა, სანეტარო ძილისკენ მოწოდებასაც ათხოვა ყური და მათი თანხლებით საწოლ ოთახში წაბრძანება ინება.

- მხარში შემომიდექი, ჩემო გოგონი! შენ მეორე მხრიდან მომეშველე, ყმაწვილო! - უთხრა მან ფრაუ შოშასა და ჰანს კასტორპს. ისინიც მიეშველნენ და სკამიდან ძლივს წამოსწიეს მისი მძიმე სხეული, შემდეგ მკლავი შესთავაზეს, ისიც ორივეს მხრებზე ჩამოეყრდნო და ფართო-ფართო ნაბიჯებით დაიძრა. ღონიერი თავი თავისივე აწეულ მხარზე ესვენა, საწოლი ოთახისკენ მიბარბაცებდა და ხან ერთ და ხან მეორე გამცილებელს კედელს ანარცხებდა. სიმართლე თუ გნებავთ, იგი მეფურ ფუფუნებას არ იკლებდა, აქეთ-იქიდან საყრდენებსა და მეგზურებს რომ არ იცილებდა, თორემ რომ დასჭირვებოდა, გზას მარტოკაც მშვენივრად გაიგნებდა. თავს ძალას არ ატანდა, რადგან ძალდატანებას მხოლოდ ერთი დამამცირებელი აზრი თუ ექნებოდა, თითქოს სიმთვრალე ერცხვინება და მის დაფარვას ცდილობსო, მას კი სიმთვრალე არამცთუ არ ეთაკილებოდა, არამედ, პირიქით, თავი მოსწონდა, მეფურად ერთობოდა, მორჩილ მეგზურებს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ რომ ანარცხებდა ხოლმე. სიტყვით კი გზაში ასე ბრძანა:

- ბავშვებო... უაზრობაა... რა თქმა უნდა, ადამიანი სულაც არ... აი, ამ წუთში რომ... აი, მაშინ ნახავდით... სასაცილოა...

- დიახ, სასაცილოა! - დაუდასტურა ჰანს კასტორპმა, - უეჭველია! სიცოცხლის კლასიკურ წყალობას ადამიანი სწორედ მაშინ უხდის ხარკს, მის პატივსაცემად ასე აშკარად და დაუფარავად რომ მიბარბაცებს. სერიოზულად მოგახსენებთ... მეც ხომ არაფერი დამკლებია, მაგრამ მიუხედავად ეგრეთ წოდებული

სიმთვრალისა, მშვენივრად მესმის, რა დიდი პატივი მხვდა წილად, ასეთ თვალსაჩინო პიროვნებას საწოლამდე რომ მივაცილებ. სიმთვრალემ, ეტყობა, მეც კი ვერ მაჯობა, თუმცა მასშტაბის თვალსაზრისით იმ პიროვნებას მე რას შევედრები...

- კარგი, კარგი, შე ყბედო, შენა, - ჩაილაპარაკა პეპერკორნმა, ისევ წაბარბაცდა და ჰანს კასტორპი კიბის მოაჯირს მიანარცხა, ხოლო ფრაუ შოშა თან გაიყოლია.

ჰოფრატი მოდისო, ეს ცნობა ფუჭი გასროლა გამოდგა. ხმა დაქანცულმა ლილიპუტმა თუ დაარხია, იქნებ კომპანია დაიშალოსო. ეს რომ გაიგო, პეპერკორნი შეჩერდა და სუფრასთან მიბრუნება და სმის გაგრძელება მოინდომა, მაგრამ ორივე მხრიდან ალერსიანად შემოუტიეს, განზრახული გადააფიქრებინეს და მანაც კვლავ გზის გაგრძელება ინება.

მალაელი კამერდინერი, თეთრჰალსტუხიანი კაცუნა, რომელსაც ფეხზე შავი აბრეშუმის ფეხსაცმელი ეცვა, თავის მბრძანებელს დერეფანში მისი პალატების წინ ელოდა, იგი წელში ორად მოიხარა, გულზე ხელი მიიდო და პატრონს ასე მიესალმა.

- გადაკოცნეთ ერთმანეთი! - ბრძანა პეპერკორნმა, - ამ მომხიბლავ ქალს შუბლზე ემთხვიე, ყმაწვილო! - მიმართა მან ჰანს კასტორპს, - იგი არ გაგიძალიანდებათ და ამბორითვე გიპასუხებთ. გააკეთე ეს ჩემი ნებართვითა და ჩემს სადღეგრძელებლად! - დასძინა მან, მაგრამ ჰანს კასტორპი უარზე დადგა.

- არა, თქვენო უდიდებულესობავ! - უთხრა მან, - მომიტევეთ, მაგრამ ეგ შეუძლებელია.

პეპერკორნი თავის კამერდინერს დაეყრდნო, არაბესკები აზიდა და მოითხოვა, გამაგებინეთ, რატომ არ შეიძლებაო.

- იმიტომ, რომ თქვენს თანამგზავრს ვერც მე ვეამბორები შუბლზე და ამბორს ვერც მისგან მივიღებ, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - ნამდვილად მოსვენება მჭირდება! არა, ეს ყოველმხრივ წმინდა წყლის უაზრობა იქნებოდა.

რაკი ფრაუ შოშამაც თავისი ოთახის კარს მიაშურა, პეპერკორნსაც აღარ დაუბრკოლებია ურჩი ყმაწვილი, თუმცა კარგა ხანს ისევ ისე შუბლშეჭმუხნილი იდგა და მიმავალს მხარს ზემოდან, ანუ მალაელის თავს ზემოთ გაოცებით გასცქეროდა, ეტყობა, ასეთ კადნიერებას ნაჩვევი არ იყო მისი მბრძანებლური ბუნება.

მინჰერ პეპერკორნი (მერე და მერე)

მინჰერ პეპერკორნმა სანატორიუმ „ბერგჰოფში“ მთელი ზამთარი, უფრო სწორად, ზამთრისგან მორჩენილი დრო, და გაზაფხულის დამდეგიც დაჰყო. ასე რომ, უკანასკნელად კიდევ ფლუელატალში გახლდათ იქაური ჩანჩქერის მოსანახულებლად (ამ მართლაც ღირსსახსოვარ ერთობლივ ექსკურსიაში სეტემბრინი და ნაფტაც მონაწილეობდნენ). უკანასკნელადო? მაშ, მას შემდეგ აქ აღარ დარჩენილა? - დიახ, აღარ დარჩენილა, - გაემგზავრა? - ჰოც და არაც, - ჰოც და არაც? თუ ღმერთი გწამთ, საიდუმლოებანას თამაშს მოვეშვათ! როგორმე ყველაფერს გავუძლებთ. ლეიტენანტი ციმსენიც კი მოკვდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სიკვდილის როკვაში ჩაბმულ სხვა არანაკლებ ღირსეულ მოცეკვავეებზე. მაშ, იდუმალებით მოცული პეპერკორნი ტროპიკულმა ციებამ საიქიოს გაისტუმრა? არა, ეგ არა, თუმცა სულსწრაფობა რა საჭიროა? ყველაფრის თქმა ერთბაშად არ იქნება, ეს სიცოცხლისა და თხრობის წინა პირობაა და მოდი, ადამიანის შემეცნების ღვთივბოძებულ ფორმებს ნურც ჩვენ ავუხირდებით! დრო-ჟამს იმდენი პატივი მაინც მივაგოთ, რასაც ჩვენი მოთხრობილი ამბის არსი დაგვანებებს! ბევრი მაინც აღარ დაგვრჩენია, დრო, რომ იტყვიან, პირდაპირ მირახრახებს! ანდა, ეს გამოთქმა თუ მეტისმეტად ხმაურიანი გეჩვენოთ, მაშინ ქროლა-ქროლით მიდის-თქო, ვთქვათ. ჩვენს დროს პაწაწინა ისარი ზომავს, იგი ისე მიტიკტიკებს, თითქოს წამებს ითვლიდეს, სინამდვილეში კი უფალმა უწყის, რისი მომასწავებელია, თავის კულმინაციურ წერტილს გულგრილად და შეუჩერებლივ რომ ჩაუვლის ხოლმე. ჩვენ აქ, ზევით, ნამდვილად მრავალი წელია ვიმყოფებით, თავბრუ გვესხმის, ეს არის ჰაშიშისა და თრიაქის გარეშე მოვლენილი ბიწიერი სიზმარი. ვიცით, მორალისტები განგვსჯიან ამისათვის, მაგრამ იმ მავნე ბურუსს

ჩვენ მაინც ფხიზელ გონებასა და ლოგიკურ სიცხადეს დავუპირისპირებთ! უნდა ვაღიაროთ, შემთხვევით არ შეგვირჩევია ისეთი ტიპის მოაზროვნეები, როგორიც ბატონები ნაფტა და სეტემბრინი არიან, და ირგვლივ არ შემოგვიკრებია მხოლოდ ძნელად გასაგები პეპერკორნები. ეს გარემოება, ცხადია, შედარების სურვილს აღგვიძრავს, შედარება კი, გარკვეული თვალსაზრისით, სახელდობრ, მასშტაბზე თუ მიდგა საქმე, ამ გვიან მოვლენილი პერსონაჟის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და ეს საკითხი ასევე გადაწყდა კიდეც ჰანს კასტორპის ფიქრებშიც, როცა იგი თავის ლოჯიაში საკუთარ თავს გამოუტყდა, ორივე ზეენამჭევრი აღმზრდელი, რომლებსაც შუაში მოუმწყვდევიათ ჩემი საბრალო სული, პეპერკორნის გვერდით ლამის ქონდრისკაცებად მოჩანანო. ჰოდა, რა იქნება, მეფურად შექეიფიანებულმა კაცმა მე რომ ყბედი“ მიწოდა, მათაც ეს სახელი შევარქვა, თუმცა ბედს მაინც უნდა ვუმადლოდე, ჰერმეტულმა პედაგოგიკამ ამ დიად პიროვნებასაც რომ შემახვედრაო.
ეს პიროვნება რომ კლავდია შოშას თანამგზავრად მოევლინა და უზარმაზარი დაბრკოლება შეუქმნა მის გეგმებს, კიდევ სხვა საკითხი გახლდათ და ჰანს კასტორპი პეპერკორნის შეფასებისას მას თავგზას ვერ აბნევინებდა. ვიმეორებთ, მარტო ის გარემოება ვერ შეაცვლევინებდა ამ დიდი მასშტაბის პიროვნებისადმი გულწრფელი პატივისცემით აღსავსე, თუმცა ოდნავ შეთამამებულ დამოკიდებულებას, აქაოდა, იმ ქალთან საერთო სალარო აქვს, ვისგანაც მე ყველიერის ღამეს ფანქარი ვინათხოვრეო. ასეთი რამ უცხო იყო მისი ყაიდის კაცისათვის, თუმცა ვერც იმას უგულებელვყოფთ, ჩვენი წრის მამრობითი ან მდედრობითი სქესის რომელიმე წარმომადგენელს აღშფოთებას რომ მოჰგვრიდა ასეთი უტემპერამენტობა“. მათ ერჩივნათ, ჰანს კასტორპს პეპერკორნი ამოეძულებინა, ახლოსაც არ გაჰკარებოდა, გულში სულ ბებერი ვირი და ბლიყინა ლოთი ეძახებინა, და არა ის, რომ ციებ-ცხელების ყოველი შეტევისას მოენახულებინა, საწოლთან ჩამოსჯდომოდა და ენა ეტლიკინებინა, - ეს სიტყვა, ცხადია, საუბარში მის მონაწილეობას შეეფერებოდა და არა დიადი პეპერკორნისას, - თან განათლებას მოწყურებული მოგზაურის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და ამ პიროვნების ზეგავლენა განეცადა. იგი ასეც იქცეოდა და ჩვენც ისე თავისუფლად ვყვებით ამ ამბავს, რომ არ გვეშინია, ვინმეს ფერდინანდ ვეეზალი არ გაახსენდეს, როგორ იყო, ჰანს კასტორპის პალტოს რომ დაათრევდაო. ამდაგვარები აქ ვერაფერი მოსატანია. ჩვენი გმირი ვეეზალი არ გახლდათ, დარდ-ვარამი მისი საქმე არ იყო. „გმირად“ სულაც არ მოჰქონდა თავი, ანუ, არ აპირებდა, მამაკაცთან ურთიერთობაში ქალი გაერია. კვლავაც ერთგულნი ვრჩებით ჩვენი პრინციპისა, რაც იყო, იმაზე არც უკეთესად და არც უარესად არ წარმოგიდგინოთ ჩვენი გმირი და აქედან გამომდინარე, დავასკვნით, რომ იგი შეგნებულად ან სხვის დასანახად როდი იქცეოდა ასე. ნამდვილად გულუბრყვილოდ ცდილობდა, რომანტიკული განცდები უკუეგდო, მისივე სქესის წარმომადგენელი საკადრისად დაეფასებინა და მისგან ბევრი რამ ესწავლა, სავსებით შესაძლებელია, ამდაგვარები ქალებს არ მოსწონებოდათ, თუ არ ვცდებით, ფრაუ შოშას მისდა უნებურად სწყინდა კიდეც ეს ამბავი. ამას იქიდან დავასკვნით, რომ ზოგჯერ მწარე-მწარე სიტყვები დასცდებოდა ხოლმე, მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს თვისებები ხდიდა ჰანს კასტორპს პედაგოგიური კამათისათვის გამოსადეგ ობიექტად.
პიტერ პეპერკორნი ხშირად ავადმყოფობდა, თუმცა ბანქოთი და შამპანურით გატარებული პირველივე საღამოს შემდეგ რომ ჩაწვა, ეს არც ისე გასაოცარი გახლდათ. იმ გაჭიანურებულმა და დამქანცველმა თავყრილობამ ყველას აწყინა,არც ჰანს კასტორპი ყოფილა გამონაკლისი, მასაც გასკდომაზე ჰქონდა თავი, მაგრამ სატკივარს არ შეეპუა და გუშინდელი მასპინძელი მაინც მოინახულა. მეორე სართულის დერეფანში მალაელს წაწყდა, პეპერკორნს სტუმრობის ნებართვა მისი პირით სთხოვა და მანაც შემოუთვალა, მობრძანდითო.
ჰოლანდიელის ორასწლიან საძინებელში სასტუმრო ოთახიდან შევიდა - სასტუმრო ერთმანეთისაგან ყოფდა პეპერკორნისა და ფრაუ შოშას საძინებელ ოთახებს - და შეამჩნია, რომ პეპერკორნის სასტუმრო სიდიდითა და მდიდრული მორთულობით ბერგჰოფის“ სტანდარტული სასტუმრო ოთახებისაგან თვალში საცემად განსხვავდებოდა. აქ იდგა აბრეშუმგადაკრული სავარძლები და

ფეხებშეზნექილი მაგიდები, იატაკზე ფაფუკი ხალიჩა ეგო და საწოლებიც არ ჰგავდა ჩვეულებრივ ჰიგიენურ სასიკვდილო სარეცელს, პირიქით, აქაურ საწოლებს მდიდრულიც კი ეთქმოდა: ალუბლის ხის პრიალა საწოლებს თითბრის ჩუქურთმა და მომცრო ჩარდახი ამშვენებდა, ჩარდახს ფარდები არ ჰქონდა, ეს იყო მხოლოდ პატარა, საწოლების პირობითად გამაერთიანებელი ბალდახინი.
პეპერკორნი ერთ-ერთ საწოლზე იწვა, წითელი აბრეშუმის დალიანდაგებულ საბანზე წიგნები, წერილები და გაზეთები მიმოებნია, ცხვირზე რქის კეხმაღალი პენსნე წამოეკოსებინა და „ტელეგრაფს“ კითხულობდა. საწოლთან მიდგმულ სკამზე ყავის ჭურჭელი ეწყო, ხოლო პატარა მაგიდაზე წამლის შუშებთან ერთად ნახევრამდე დაყვანილი წითელი ღვინის ბოთლი, ანუ გუშინდელი უბრალო შუშხუნა მოჩანდა. ჰოლანდიელს, ჰანს კასტორპის გასაოცრად, თეთრი პერანგის ნაცვლად შალის გრძელსახელოებიანი მაისური ეცვა, მაისური მაჯებზე ღილებით იკვრებოდა, საყელო არ ჰქონდა, ყელთან მრგვლად იყო ამოჭრილი და მოხუცის ფართო მხარბეჭსა და ღონიერ გულმკერდს მჭიდროდ ეტმასნებოდა. ეს სამოსი კიდევ უფრო უსვამდა ხაზს ბალიშზე მისვენებულ თავის ადამიანურ დიდებულებას, ბურჟუაზიულობის ნატამალსაც აღარ უტოვებდა და მთელ მის პიროვნებას თან ხალხის წრიდან გამოსული მუშაკაცის, თან მარადიულ, ქანდაკებისეულ იერსაც ანიჭებდა.
- სავსებით, ყმაწვილო, - მიმართა მან ჰანს კასტორპს, პენსნეს კეხში მოჰკიდა ხელი და მოიხსნა, - გთხოვთ, გთხოვთ, არავითარ შემთხვევაში, პირიქით.
ამ სიტყვებზე ჰანს კასტორპი ახლოს მიუჯდა პეპერკორნს და შეეცადა, თავისი სიბრალულნარევი გაოცება თუ, უფრო სწორად, სამართლიანობის გრძნობით ნაკარნახევი აღტაცება მეგობრული, მხიარული საუბრით დაეფარა და პეპერკორნიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებითა და შთამბეჭდავი ჟესტებით ეხმიანებოდა. იგი საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა, სახე გაჰყვითლებოდა და ნატანჯი და მისუსტებული ჩანდა. გათენებისას ციებ-ცხელებას შემოეტია, ამას წუხანდელი დათრობა დამატებოდა და ახლა მივარდნილი იყო.
- წუხელ მეტისმეტი მოგვივიდა, - თქვა მან, - არა, ნება მიბოძეთ, გითხრათ, მეტისმეტიც მოგვივიდა და ცუდი დღეც დაგვადგა! თქვენ ჯერ კიდევ... კარგია, რომ არაფერი გევნოთ... მაგრამ ჩემს ასაკში და ჩემი შერყეული... ჩემო გოგონი, - ალერსიანი ხმით, მაგრამ საკმაოდ მკაცრად მიმართა მან სასტუმრო ოთახიდან შემოსულ ფრაუ შოშას, - ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ გიმეორებთ, რომ ჯობდა უფრო ყურადღებით ყოფილიყავით, არ უნდა დაგენებებინათ...
ამ სიტყვებზე სახეზეც და ხმაშიც ლამის აბობოქრების პირას მისული მეფური რისხვა დაეტყო, მაგრამ ერთი წარმოგედგინათ, რა ავდარი დატრიალდებოდა, ვინმეს რომ მისთვის მართლა დაეშალა სმა და მიხვდებოდით, რა უგუნური და უსაფუძვლო იყო მისი საყვედური, მაგრამ, ეტყობა, დიდ პიროვნებებს ასე სჩვევიათ. მისმა თანამგზავრმაც საყვედურს ყური აარიდა და ფეხზე წამომდგარ ჰანს კასტორპს მიესალმა, ოღონდ ხელი არ გაუწოდებია, მხოლოდ ღიმილითა და თავის დაქნევით მიესალმა და ისე უთხრა, ნუ წუხდებით, ბრძანდებოდეთო, აქაოდა, არ მინდა მინჰერ პეპერკორნთან
თ ტე-à-ტ ტე საუბარში ხელი შეგიშალოთო... მერე ოთახში ხან რას წამოავლო ხელი და ხან რას, კამერდინერს ყავის ჭურჭელი გაატანინა, ცოტა ხნით გავიდა, უკან ფეხაკრეფით დაბრუნდა, რომ საუბრისთვის დაუჯდომლად შეეწია ორიოდე სიტყვა, მაგრამ თუკი ჰანს კასტორპის ბუნდოვან შთაბეჭდილებას გადმოგცემთ, ფრაუ შოშას უნდოდა, საუბრისთვის წუთით მაინც თვალყური ედევნებინა. რაღა თქმა უნდა! მას შეეძლო „ბერგჰოფში“ ამ დიდი მასშტაბის პიროვნებასთან ერთად დაბრუნებულიყო, მაგრამ თუკი მის მოლოდინში დაღლილი კაცი შემდეგ ამ პიროვნებას დამსახურებული პატივისცემით მოეკიდებოდა, როგორც მამაკაცი მამაკაცს, მაშინ მის სიტყვებში „ნუ წუხდებით, ბრძანდებოდეთო“, შეშფოთება და, თუ გნებავთ, წყენაც უნდა გამორეოდა. ჰანს კასტორპს ქალის საქციელმა ღიმილი მოჰგვარა, ღიმილის დასაფარავად ლამის მუხლებამდე ჩაღუნა თავი და თან გულში სიხარულით ცას ეწია.
პეპერკორნმა მაგიდიდან ბოთლი აიღო და სტუმარს ერთი ჭიქა ღვინო დაუსხა, დღევანდლისთანა ვითარებაში ყველაფერს სჯობია, იქიდან დავიწყოთ, სადაც წუხელ შევჩერდით, ხოლო ეს შუშხუნა სოდიანი წყლის მაგივრობას მშვენივრად

გაგვიწევსო, უთხრა ჰოლანდიელმა ჰანს კასტორპს და ჭიქა მიუჭახუნა. ჰანს კასტორპი თან სვამდა და თან უყურებდა, დაჭორფლილმა, ფრჩხილებწამახულმა კაპიტნის ხელმა, რომელსაც მაჯაზე ღილით ეკვრებოდა შალის მაისური, როგორ ასწია ჭიქა, ფართო, გახეული ტუჩებით ჭიქის ძგიდეს დაეწაფა, მუშური თუ ნაქანდაკევი ხორხი ადი-ჩადიოდა და ღვინო ყელში რაკრაკით გადადიოდა. შემდეგ საუბარი მაგიდაზე ჩამოდგმულ წამალს შეეხო, ამ ყავისფერისითხით სავსე კოვზით პეპერკორნმა ფრაუ შოშას კარნახით და მისივე ხელიდან დალია. ეს გახლდათ ანტიპირეტიკუმი, სიცხის დამწევი საშუალება, რომელშიც ქინაქინა ჭარბობდა; პეპერკორნმა სტუმარს გაასინჯა წამალი, ნახეთ, რა თავისებური, ტკბილ-მწარე გემო აქვსო და, შემდეგ ქინაქინის საქებრად სიტყვა არ დაუშურებია: ეს დალოცვილი პრეპარატი არა მარტო მიკრობებს სპობს და სითბურ ცენტრზე მოქმედებს, არამედ მშვენიერი ტონუსის ამწევი საშუალებაც გახლავთო: ანელებს ცილოვან ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმის კვებას, ერთი სიტყვით, ნამდვილი უკვდავების წამალია, ჩინებული მომაღონიერებელი, გამამხნევებელი და გამომაცოცხლებელი საშუალებაა და, სხვათა შორის, გამაბრუებელიცო; ზოგჯერ კარგად შემაჭიკჭიკებსო, დასძინა პეპერკორნმა, თითები და თავი გუშინდელივით ოინბაზურად შეათამაშა და კვლავ აცეკვებულ წარმართ ქურუმს დაემსგავსა.

დიახ, ქინაქინის ქერქი დიდებული რამაა! ჯერ სამი ასწლეული არც კია, რაც ჩვენი მატერიკის ფარმაკოლოგიამ გაიცნო იგი, ხოლო მას შემდეგ საუკუნეც არ გასულა, რაც ქიმიამ აღმოაჩინა ალკალოიდი, ანუ ის ნივთიერება, რასაც ქინაქინის კეთილისმყოფელი თვისებები ემყარებაო, ქიმიამ ნაწილობრივ მაინც შეძლო მისი ანალიზი, ნაწილობრივ-მეთქი, რადგან მას დღესაც არ შეუძლია ამტკიცოს, ქინაქინის შემადგენლობა ისე კარგად ვიცით, რომ შეგვიძლია მისი ხელოვნურად დამზადებაო. ჩვენი ფარმაკოლოგია კარგად იქცევა, თავს სასაცილოდ რომ არ იხდის ტრაბახით, რადგან ქინაქინისა არ იყოს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასარკვევი: ვითომ დინამიკის რაღაც-რაღაცები გაეგება, ნივთიერებების მოქმედებისაც, მაგრამ, სახელდობრ, რას ემყარება მათი ზემოქმედება, ასეთ საკითხებში ბევრჯერ შეურცხვენია თავიო. ერთი ჩაიხედეთ, ყმაწვილო, შხამებზე დაწერილ თხზულებებში, ვერავინ აგიხსნით, რაზეა დამოკიდებული ეგრეთ წოდებული საწამლავის მოქმედება. მაგალითად, გველის შხამზე სხვა არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ეს ცხოველური ნივთიერება თურმე ცილოვან ნაერთთა რიგს მიეკუთვნება, სხვადასხვა ცილოვანი სხეულაკისაგან შედგება, რომლებიც მომაკვდინებელ თვისებებს მხოლოდ ამა თუ იმ განსაზღვრულ, უფრო სწორად, სრულიად განუსაზღვრელ შენაერთში იჩენენ. ისინი სისხლის მიმოქცევაში მოხვედრისთანავე ისეთ სასწაულებს ახდენენ, რომ გაოგნებულნი ვრჩებით, რადგან ცილოვანი ნაერთი და შხამი ერთმანეთთან ვერ შეგვითავსებია, მაგრამ ნივთიერებათა სამყაროშიო, განაგრძო პეპერკორნმა, ბალიშიდან წამოსწია უფეროთვალებიანი, არაბესკებით შუბლდაღარული თავი და თავს შუბებივით წამახული თითებით შეკრული, სიზუსტის მაჩვენებელი წრეც შეაშველა, ნივთიერებათა სამყაროში საქმე ისეა მოწყობილი, რომ ერთსა და იმავე ნივთიერებაში ერთდროულად სიცოცხლეცაა ჩაბუდებული და სიკვდილიც - ყოველი ნივთიერება წამალიც არის და საწამლავიც, ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია ერთი და იგივე დარგია, ადამიანი შხამით იკურნება, ხოლო ის, რაც სიცოცხლის მატარებლად ითვლება, შესაფერი პირობები თუ შეექმნა, კრუნჩხვას იწვევს და ადამიანს ერთ წამში კლავსო.

პეპერკორნი წამალსა და საწამლავზე დამაჯერებლად და უჩვეულოდ მწყობრად ლაპარაკობდა, ჰანს კასტორპი კისერმოღრეცილი უსმენდა და დროდადრო თანხმობის ნიშნად თავს უკანტურებდა, მაგრამ ასე გულმხურვალედ გამოთქმულ აზრებს ნაკლებად უკვირდებოდა, უფრო მეტად ამ პიროვნების ზემოქმედების ძალაზე ფიქრობდა, რაც, ბოლოს და ბოლოს, ისეთივე ძნელი ასახსნელი იყო, როგორიც გველის შხამის მოქმედება. ნივთიერებათა სამყაროში მთავარია დინამიკა, სხვა დანარჩენი მთლიანად მასზეა დამოკიდებულიო, თქვა პეპერკორნმა, ქინაქინაც სამკურნალო შხამია და უპირველეს ყოვლისა, ძლიერი შხამიო. ოთხი გრამი ქინაქინა ატროპინის მსგავსად იწვევს სიყრუეს, თავბრუსხვევას, სულის ხუთვას, ასუსტებს მხედველობას, ალკოჰოლივით ათრობს

და ამიტომაც ქინაქინის ფაბრიკის მუშებს თვალების ანთება ემართებათ, უსივდებათ ტუჩები და კანზე გამონაყარი უჩნდებათო. შემდეგ პეპერკორნი მოჰყვა ქინაქინისა და ქინაქინის ხის ამბავს: მისი სამშობლო კორდილიერების უსიერი ტყეებია, იქ იგი სამი ათას მეტრ სიმაღლეზე ხარობსო, ესპანეთში მისი ქერქი „იეზუიტების ფხვნილის“ სახელით გვიან შემოსულა, სამხრეთ ამერიკის მკვიდრი მოსახლეობისათვის კი მისი ძალა ოდითგანვე ყოფილა ცნობილიო; შემდეგ მან აღწერა ქინაქინის უზარმაზარი პლანტაციები, ნიდერლანდების სამეფოს რომ ჰქონია იავაზე გაშენებული, საიდანაც ყოველწლიურად ამსტერდამსა და ლონდონში გემებით შემოდის უამრავი მილიონი გირვანქა დარიჩინისმსგავსი, მოწითალო, დაკვარკნილი ქერქებიო... საერთოდ, ქერქი, ხის ქერქის ქსოვილი, ეპიდერმისიდან კამბიუმამდე, გაჟღენთილია სამკურნალო წვენითო, თქვა პეპერკორნმა, საერთოდ, ქერქს აქვს ზებუნებრივი დინამიკური თვისებები, როგორც კეთილი, ასევე ბოროტი, და წამლეულობისა ფერადკანიანმა ხალხებმა ჩვენზე გაცილებით მეტი იციანო. ახალი გვინეის აღმოსავლეთით მდებარე ზოგიერთ კუნძულზე ახალგაზრდები სიყვარულის სამსალას ამზადებენ: აიღებენ რომელიღაც ხის ქერქს, ის ხე, ეტყობა, შხამიანია, იავაზე რომ ხარობს ანტიარის ტოხისარია , იმის მსგავსი. ის ხე მანცანილას მსგავსად თავისი ანაორთქლით წამლავს ჰაერს და კაცსაც და მხეცსაც სასიკვდილოდ აბრუებს, ისინი კი ამ ხის ქერქს ფხვნილად აქცევენ, ქოქოსის კაკლის ბურბუშელაში ურევენ, ნარევს ფოთოლში შეახვევენ და წვავენ. შემდეგ მისგან მომზადებულ წვენს თავის რჩეულს მძინარეს მიასხურებენ სახეზე და ქალიშვილი იმ კაცის სიყვარულით აღენთება, ვინც წამალს მიასხურებსო. ზოგჯერ სამსალა ძირხვენებშია. მალაის არქიპელაგში ხარობს ერთი ასეთი
სტრყცჰნოს თიეუტე -დ წოდებული ხვიარა მცენარე, ადგილობრივიმცხოვრებნი მას გველის შხამს უმატებენ და ამზადებენ საწამლავს - უპას-რაჯას. ეს შხამი სისხლში თუ მოხვდა, ვთქვათ, ისრის მეშვეობით, ელვისებურ სიკვდილს იწვევს, ახალგაზრდა ჰანს კასტორპს ვერავინ აუხსნის, როგორ ხდება ეს, მხოლოდ ერთი რამაა ცხადი, რომ უპასი დინამიკურობით სტრიქნინს უახლოვდებაო... პეპერკორნი ამასობაში მთლიანად წამოჯდა საწოლში, დროდადრო ოდნავ აკანკალებულ კაპიტნის ხელს ღვინის ჭიქას წამოავლებდა, გახეულ ტუჩებთან მიიტანდა და ხარბად დაეწაფებოდა ხოლმე, შემდეგ კვლავ თხრობას განაგრძობდა, კორომანდელის სანაპიროზე ერთი ხე ხარობს, ყვავისთვალას ეძახიანო, მისი ნარინჯისფერი კენკროვანი ნაყოფისაგან, ანუ ყვავის თვალებისგან“, იღებენ უძლიერეს ალკალოიდს, სტრიქნინი რომ ჰქვიაო. პეპერკორნი ხმადაბლა, ჩურჩულით ლაპარაკობდა, შუბლის შთამბეჭდავი ნაოჭები მაღლა ჰქონდა აზიდული და ისე ამაღელვებლად ჰყვებოდა ფერფლისფერი ტოტების ამბავს, ზედ ხასხასა პრიალა ფოთლები და მომწვანო-მოყვითალო ფერის ყვავილები ასხიაო, რომ ახალგაზრდა ჰანს კასტორპს თვალწინ ცხადად დაუდგა ის ხე, ერთსა და იმავე დროს სევდიანიც და ისტერიკულად აჭრელებულიც, და ლამის გული შეუღონდა.
ამ დროს საქმეში ფრაუ შოშა ჩაერია, ამდენი ლაპარაკი პეპერკორნს დაქანცავს და შეიძლება სიცხემ ისევ აუწიოსო, ძალიან ვწუხვარ, საუბარს რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ იძულებული ვარ, ჰანს კასტორპს ვთხოვო, ამჯერად პეპერკორნთან ყოფნა იკმაროსო. ჰანს კასტორპი, რა თქმა უნდა, ასეც მოიქცა, მაგრამ მერეც, მომდევნო თვეებშიც, კვარტანის
(კვარტანი (მედიც.) - ციებ-ცხელების ერთ-ერთი სახე, ოთხდღიანი მალარია.) შემდეგ, ხშირად მჯდარა ამ მეფური კაცის საწოლთან, ფრაუ შოშა კი ხან შეუმჩნევლად ადევნებდა თვალყურს მათ საუბარს, ხან თითო-ოროლა სიტყვას თვითონაც ჩაურთავდა, ოთახიდან ხან გავიდოდა, ხან ისევ შემოვიდოდა. პეპერკორნს ციებ-ცხელება რომ არ აწუხებდა, ჰანს კასტორპი ისეთ დღეებშიც საათობით იჯდა ხოლმე მასთან და მის მარგალიტებით ყელდამშვენებულ თანამგზავრთან, ხოლო, როცა ჰოლანდიელი ფეხზე იდგა, იგი ნასადილევს თვითონვე იკრებდა ბერგჰოფელი პაციენტების პატარა, ალალბედზე შედგენილ წრეს და მათთან ერთად ან თამაშობდა, ან ღვინოს სვამდა, ან სხვა რამით ილაღებდა თავს. ზოგჯერ პირველი საღამოს მსგავსად თავშესაყრელ ოთახში სხდებოდნენ, ხან რესტორანში შევიდოდნენ და ჰანს კასტორპი, ჩვეულებრივ,

დაუდევარ ქალსა და დიად პიროვნებას შუა ჯდებოდა ხოლმე. მოკლედ, ისინი შინ და გარეთ ერთად იყვნენ, ერთად დადიოდნენ სასეირნოდ, მოსეირნეებს ზოგჯერ ბატონები ფერგე და ვეეზალიც უერთდებოდნენ, ხოლო მალე მათ წრეში სეტემბრინი და ნაფტაც გაერივნენ. ამ ერთმანეთთან შეურიგებელ სულიერ მოქიშპეებთან შეხვედრა მაინც გარდაუვალი იყო და ჰანს კასტორპმა ბედნიერად ჩათვალა თავი, ისინი ჯერ პეპერკორნს, ხოლო, ბოლოს და ბოლოს, კლავდია შოშასაც რომ გააცნო, თან სულ არ უნაღვლია, ეს ნაცნობობა და სიახლოვე მოპაექრეებისათვის სასურველი იყო თუ არა, თუმცა გულში მაინც სჯეროდა, რომ ისინი პედაგოგიურ ობიექტს ვერ შეელეოდნენ და თავიანთი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების მსმენელის სულ დაკარგვას ერჩივნათ, იგი თუნდაც არასასურველი დანამატებითურთ შეენარჩუნებინათ.
იგი არც იმაში შემცდარა, რომ მისი ჭრელი წრის წევრები, სხვა თუ არაფერი, იმ აზრს მაინც შეეგუებოდნენ, ერთმანეთს რომ ვერ ეგუებოდნენ, ცხადია, მათ შორის საკმაოდ იყო დაძაბულობა, უცხოობა, თუნდაც ჩუმი მტრობაც და თვითონვე გვიკვირს, ჩვენი არცთუ ღირსშესანიშნავი გმირი როგორ ახერხებდა ყველა თავის ირგვლივ შემოეკრიბა. ამ უცნაურობას მისი ოინბაზური და ხალისიანი ბუნებით თუ ავხსნით, რისი წყალობითაც ყველაფერი საყურადღებოდ“ მიაჩნდა ხოლმე. ამ თვისებისთვის შეიძლებოდა ხათრიანობა დაგვერქმია და ეს თვისება ეხმარებოდა, არა მარტო თვითონ შეენარჩუნებინა ურთიერთობა სულ სხვადასხვანაირ პირებსა და პიროვნებებთან, არამედ ისინიც ერთმანეთთან დაეკავშირებინა.
საოცარი იყო ეს ღობე-ყორეს მოდებული ურთიერთობანი! მოთმინებააღარ გვყოფნის, ყველას ისე დავანახვოთ მათივე ერთმანეთში ჩახლართული ძაფები, როგორც ჰანს კასტორპი ჭვრეტდა ხოლმე ოინბაზური და ხალისიანი თვალით მათ სეირნობისას. აქ გახლდათ საბრალო ვეეზალი, ფრაუ შოშას ჟინი რომ კლავდა, ხოლო პეპერკორნსა და ჰანს კასტორპს მოწიწებით უხრიდა ქედს, ერთს ამჟამად, მეორეს კი წარსულში მეუფეობისათვის. აქ იყო თვით კლავდია შოშაც, მომხიბლავად, ფეხაკრეკვით მოსიარულე ავადმყოფი და მოგზაური, პეპერკორნისგან დაურვებული, დაურვებული, ცხადია, საკუთარი რწმენითა და ნებით, მაგრამ ამავე დროს აფორიაქებული და გაღიზიანებულიც იმის გამო, რომ ერთი შორეული ყველიერის ღამის რაინდი ასე დაახლოებოდა მის ახლანდელ მბრძანებელს. განა ეს გაღიზიანება იმ გრძნობას არ მოგვაგონებდა, ბატონ სეტემბრინისთან მის დამოკიდებულებას რომ ედო საფუძვლად? დამოკიდებულებას ამ მჭევრმეტყველსა და ჰუმანისტთან, ქალი რომ დასანახად ვერ იტანდა და ამპარტავანსა და არაადამიანურს ეძახდა? იგი ახალგაზრდა ჰანს კასტორპის აღმზრდელსა და მეგობარს სიამოვნებით მოსთხოვდა პასუხს, თქვენს მედიტერანულ ენაზე, რისაც, სხვათა შორის, თვითონ სიტყვა არ გაეგებოდა, ისევე როგორც არც სეტემბრინის გაეგებოდა არაფერი მისი მშობლიური ენისა, მაგრამ ქალს ამის გამო მასავით ქედმაღლურად ვერ ეჭირა თავი, თქვენს მედიტერანულ ენაზერა მიაძახეთ ამ პატარა, ლამაზ, კარგ ოჯახიშვილ, სველკერიან ბურჟუას, ჩემთან მოახლოებას რომ აპირებდაო. ჰანს კასტორპი, რომ იტყვიან, „ყურებამდე“ იყო შეყვარებული, ოღონდ ამ გამოთქმის არცთუ სასიამოვნო გაგებით, რადგან მის აკრძალულ და უგუნურ სიყვარულს ბარის ის პატარა, უწყინარი სიმღერა ვერ მიესადაგებოდა. ჰანს კასტორპს მავნე სიყვარულის სნება შეჰყროდა, მისი წყალობით სხვის თვალებში მაცქერალი, სხვისი მონა-მორჩილი და ტანჯული გამხდარიყო, მაგრამ მაინც ჰყოფნიდა მამაკაცური ძალა, მონობაშიც ცბიერება შეენარჩუნებინა და მშვენივრად სცოდნოდა, რა დიდი ფასი ჰქონდა და ყოველთვის ექნებოდა მის ერთგულებას ფეხაკრეფით მოსიარულე მომხიბლავი ავადმყოფისათვის, რომელსაც თათარივით ვიწროდ გაჭრილი მომაჯადოებელი თვალები ჰქონდა. ამ ერთგულების ფასი, როგორც უსასოო მორჩილების მიუხედავად შეამჩნია ჰანს კასტორპმა, ქალს, ეტყობა, ბატონი სეტემბრინის საქციელმა დაანახვა, უფრო სწორად, მხოლოდ დაუდასტურა ეჭვი, რადგან ბატონი სეტემბრინი მას იმდენად მტრულად ეკიდებოდა, რამდენადაც ამას ჰუმანისტური ზრდილობა ანებებდა. ცუდი, თუმცა ჰანს კასტორპის თვალში უმალ მომგებიანიც კი იყო ის ფაქტი, ქალს ლეო ნაფტაზე დამყარებული დიდი იმედიც რომ გაუცრუვდა, თუმცა ლეო ნაფტასგან არ უგრძნია ისეთი პრინციპული

ათვალწუნება, როგორსაც მის მიმართ ბატონი ლოდოვიკო იჩენდა. ლეო ნაფტასთან საუბარიც უფრო კარგად ეწყობოდა: ისინი ზოგჯერ ცალკეც კი საუბრობდნენ, კლავდია და უკმეხი კაცუნა წიგნებზე, პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებზე მსჯელობდნენ და ერთმანეთს მათ რადიკალურ შეფასებაში ეთანხმებოდნენ: ჰანს კასტორპსაც რაღა დარჩენოდა - საუბარში ისიც გულწრფელი ინტერესით ებმებოდა ხოლმე. ისე კი, ქალს არ შეიძლებოდა, არ ეგრძნო, ნაფტა მასთან ურთიერთობაში ერთგვარ არისტოკრატულ თავდაჭერილობას რომ იჩენდა და ამას ფრთხილად სჩადიოდა, როგორც ყველა აღზევებულ მდაბიოს სჩვევია. მისი ესპანური ტერორიზმი, პრინციპში, ნაკლებად ეხამებოდა ფრაუ შოშას კარის ჯახუნითა და ხეტიალის ჟინით გაჟღენთილ „ადამიანურობას“, და ბოლოს, ამას ემატებოდა ფაქიზად გამოხატული, მსუბუქი, ძლივს შესამჩნევი მძულვარება, რასაც იგი ქალური ინტუიციით ორივე მოქიშპის, სეტემბრინისა და ნაფტას, მხრიდან გრძნობდა (ეს არც საყველიერო კარნავალის რაინდს გამოჰპარვია), ამ სიძულვილს კი საფუძვლად ედო ორივეს დამოკიდებულება მასთან, ჰანს კასტორპთან: ეს გახლდათ აღმზრდელის ეჭვიანობა საერთოდ ქალის მიმართ, მათ თვალში ქალი ხელის შემშლელ, ყურადღების დამფანტველ ელემენტს წარმოადგენდა და ეს უსიტყვო, ძველთაძველი მტრობა აერთიანებდა მათ, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობას კარგავდა მათი გამძაფრებული პედაგოგიური განხეთქილება.
ამდაგვარ მტრობას იქნებ პიტერ პეპერკორნთან დამოკიდებულებაშიც ურევდა ორივე დიალექტიკოსი? ჰანს კასტორპს ეჩვენებოდა, ასეც არისო, ალბათ, იმიტომ, რომ თავიდანვე ღვარძლიანი მოლოდინით იყო ავსებული, უფრო მეტიც, ნატრობდა კიდეც, ენაბლუ მეფური კაცი თავის სახელმწიფო მრჩევლებთან“, როგორც გულში ენამოსწრებულად იხსენიებდა ხოლმე მათ, შეეტაკებინა და ეყურებინა, ამ შეტაკებას რა ეფექტი მოჰყვებოდა. მინჰერი ღია ცის ქვეშ ისეთ დიდებულ შთაბეჭდილებას როდი ახდენდა, როგორც დახურულ შენობაში. შუბლზე ჩამოფხატული რბილი ფეტრის შლაპა ცეცხლის ენებივით აფრიალებულ თეთრ თმასა და შუბლის მონუმენტურ ნაოჭებს უფარავდა, ნაკვთებს უპატარავებდა, თითქოს ერთმანეთს აჭყლეტდა და თვით ღაჟღაჟა ცხვირსაც კი უკარგავდა დიდებულებას. სიარულიც დგომაზე უარესი იცოდა: დადიოდა მოკლე-მოკლე ნაბიჯებით. ჩვეულებად ჰქონდა, ფეხის ყოველ გადადგმაზე მთელი თავისი ზორზოხი ტანითა და თავითაც კი გვერდზე გადახრილიყო და სახელდობრ, იმ ფეხისაკენ, რომელსაც წინ დგამდა, ეს კი უფრო გულკეთილ, ბებრულ იერს ანიჭებდა, ვიდრე მეფურსა და დიადს; თანაც დგომა წელგამართული იცოდა, სიარულით კი მეტწილად მოკუზული დადიოდა, თუმცა ასეც ერთი თავით სჭარბობდა ლოდოვიკოსაც და მითუმეტეს, პატარა ნაფტას, ოღონდ მარტო ამ ამბავს ვერ დავაბრალებთ, მისი იქ ყოფნა ასე ძალიან, ასე ზედმიწევნით რომ თრგუნავდა ორივე პოლიტიკოსს, რაც, სხვათა შორის, ჰანს კასტორპს წინასწარ ჰქონდა წარმოდგენილი.
ეს გახლდათ მძიმე ლოდი, შედარების საფუძველზე აღმოცენებული დაკნინება და დამდაბლება, რასაც გაქნილი მეთვალყურეც ხედავდა და ცხადია, ამ ამბის მონაწილენიც, ანუ უილაჯო ზეენამჭევრებიც და დიადი ენაბლუც გრძნობდნენ. პეპერკორნი ნაფტასა და სეტემბრინის უაღრესად თავაზიანად და ყურადღებით ექცეოდა, ლამის მოწიწებითაც კი, რაც ჰანს კასტორპს შეიძლებოდა ირონიად მიეღო, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, ირონიის ცნება დიდი მასშტაბის ადამიანებთან საერთოდ შეუთავსებელიაო. მეფეებს ირონიისა არაფერი გაეგებათ - არც პირდაპირი დანიშნულებით იყენებენ მას, როგორც მჭევრმეტყველების ერთ-ერთ ხერხსა და საშუალებას და მით უმეტეს, აზრის დახლართვის მიზნით ხომ არ გამოიყენებენ და არა. ამიტომაც ჰანსის მეგობრებთან ჰოლანდიელის დამოკიდებულება დახვეწილ და ზვიად დაცინვას უფრო ჰგავდა, რაც, თავის მხრივ, ხან ოდნავ გადაჭარბებული სერიოზულობის ქვეშ იმალებოდა, ხან კი აშკარად იჩენდა ხოლმე თავს.
- დიახ-დიახ-დიახ! - იტყოდა ხოლმე იგი, მათ თითით დაემუქრებოდა, თავს კი აქეთ მოატრიალებდა და გახეულ ტუჩებზე ანცი ღიმილი აუთამაშდებოდა, - ეს არის... ესენი არიან... ბატონებო, ყურადღებამიაქციეთ... Cerebrum
,(ტვინი (ლათ.).)

ტვინისმიერი, ხომ გესმით! არა... არა, ჩინებულია, არაჩვეულებრივია, აი, ხომ მაინც ირკვევა...
ისინი კი შურს იმით იძიებდნენ, რომ ჯერ ერთმანეთს გადახედავდნენ, შემდეგ კი სასოწარკვეთილების ნიშნად ზეცისკენ აღაპყრობდნენ თვალს და ჰანს კასტორპის აყოლიებასაც ცდილობდნენ, მაგრამ იგი მხარს არ უბამდა ხოლმე.
ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბატონმა სეტემბრინიმ თავის მოწაფეს პირდაპირ მოსთხოვა პასუხი და ამგვარად, თავისი პედაგოგიური შეშფოთება გამოამჟღავნა.
- ღვთის გულისათვის, ინჟინერო, ეს ხომ ერთი გამოჩერჩეტებული ბერიკაცია და სხვა არაფერი! რა ნახეთ მასში ასეთი? რით უნდა ასაზრდოოს მან თქვენი გონება? ვეღარაფერი გამიგია! მოგიწონებდით-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ გაგიგებდით მაინც, ამ კაცს მისი ახლანდელი სატრფოს გულისთვის რომ დაახლოებოდით, მაგრამ ბრმა უნდა ვიყო, ვერ დავინახო, რომ თქვენ ლამის მას უფრო ევლებით თავზე, ვიდრე იმ ქალს, თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ, რა ხდება...
ჰანს კასტორპს გაეცინა.
- უსათუოდ! ჩინებულია! ეს არის მოკლედ... ნება მიბოძეთ... კარგი! - უპასუხა ჰანს კასტორპმა და თან შეეცადა, პეპერკორნის დახვეწილი ჟესტებისთვის მიებაძა, - დიახ, დიახ, - კვლავ სიცილით განაგრძო მან, - თქვენ ამას სისულელედ მითვლით, ბატონო სეტემბრინი, და მაინც ვერაფრით ვერ გამიგია, თქვენს თვალში სისულელეზე უარესი თუ შეიძლება იყოს რამე. ეჰ, სისულელე, სისულელე, სისულელის მრავალი სახესხვაობა არსებობს და მათ შორის გონივრულობა საუკეთესო სახეობად ვერ ჩაითვლება... ოჰო! მგონი, ეს კარგად გამომივიდა, მშვენივრად ვიხუმრე, როგორ მოგწონთ, ჰა?
- ძალიან. მოუთმენლად მოველი თქვენი აფორიზმების პირველ კრებულს. იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან, და ამიტომ გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ზოგიერთი მოსაზრება, პარადოქსის კაცთმოძულე არსზე მე და თქვენ რომ გამოგვითქვამს.
- უეჭველად, ბატონო სეტემბრინი, უეჭველად მივიღებ მხედველობაში, ოღონდ ჩემს ოხუნჯობას პარადოქსებზე ნადირობად ნუ ჩამითვლით, მე მხოლოდ მინდოდა, მეთქვა, „სისულელისა“ და „გონიერების“ განსაზღვრას წინ დიდი სიძნელეები ეღობება-მეთქი, და განა არ ეღობება? ეს ორი ცნება ისე ძნელი გასამიჯნია, ისე იხლართება ერთმანეთში, რომ... კარგად ვიცი, როგორ გძულთ მისტიკური გუაზზაბუგლიო, თქვენ გწამთ ფასეულობანი, განსჯა, შეფასება და მართალიც ბრძანდებით, მაგრამ რა არის „სისულელე“ ან „გონიერება“, ეს ზოგჯერ საიდუმლოებითაა მოცული და განა უფლება არ უნდა გვქონდეს, ამ საიდუმლოს ჩავეძიოთ, რა თქმა უნდა, თუ ვიგულისხმებთ, რომ ამისკენ პატიოსნად მივისწრაფვით, და გვინდა შეძლებისდაგვარად ძირფესვიანად შევისწავლოთ იგი? ახლა კი ერთ შეკითხვას დაგისვამთ. გეკითხებით: უარყოფთ განა, რომ ეს კაცი ყველას ჯიბეში ჩაგვისვამს? ჩემს აზრს უხეშად გამოვთქვამ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამას ვერ უარყოფთ. იგი ჯიბეშიც ჩაგვისვამს და თითქოს უფლებაც აქვს, ყველანი მასხარად აგვიგდოს. საიდან? როგორ? რანაირად? რა თქმა უნდა, არა თავისი გონიერების წყალობით. ვაღიარებ, რომ მის გონიერებაზე ზედმეტია ლაპარაკი, ის უფრო დაბნეული და გრძნობას აყოლილი კაცია, მისი აჩემებული საგანი სწორედ გრძნობაა, მაპატიეთ ეს ფამილარული გამოთქმა! ესე იგი, რა მინდა ვთქვა: იგი გონიერების წყალობით როდი ჩაგვისვამს ჯიბეში, ჭკუა-გონება აქ არაფერ შუაშია, ეს რომ მეთქვა, გამიბრაზდებოდით, ამის თქმა არც მიფიქრია, მაგრამ ფიზიკური მონაცემებიც რომ არ არის აქ გადამწყვეტი?! არც მისი კაპიტნისმხარბეჭი, არც ღონიერი მკლავები, არც ის, ყოველი ჩვენგანი მუშტის ერთი დარტყმით რომ შეუძლია გააგოროს, ეს თავში არც მოუვა, მაგრამ რომც მოუვიდეს, მის დასაშოშმინებლად ერთი-ორი თავაზიანი სიტყვა კმარა... გამოდის, რომ ფიზიკური ძალაც არაფერ შუაში ყოფილა. და მაინც, ფიზიკური ძალა აქ აშკარად დიდ როლს თამაშობს, ოღონდ უხეშობის თვალსაზრისით კი არა, სულ სხვა, მისტიკური აზრით. როგორც კი ფიზიკური ძალა მნიშვნელობას შეიძენს, ეს უკვე მისტიკაა, ფიზიკური საწყისი სულიერში გადადის და პირიქით, ამიტომაა მათი გარჩევა ძნელი, ამიტომაა სისულელე და გონიერება ძნელი გასარჩევი, მაგრამ ზემოქმედების მაგალითი თვალწინ გვაქვს, ესე იგი, არსებულა ამ ამბის დინამიკური მხარე და ჩვენც ჯიბეში გვისვამენ. ყოველივე ამის ასახსნელად

ერთადერთი სიტყვა გვაქვს ხელთ და ეს სიტყვა გახლავთ პიროვნება“, იგი ჩვეულებრივი აზრითაც იხმარება, ჩვენ ხომ ყველანი პიროვნებები ვართ, მორალურადაც და იურიდიულადაც, და მერე რა პიროვნებები, მაგრამ აქ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა ენიჭება, ეს გახლავთ საიდუმლო, რომელიც სისულელისა და გონიერების მიღმა მდებარეობს და ადამიანს უფლება უნდა ჰქონდეს მისით დაინტერესდეს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მას შეძლებისდაგვარად ძირისძირობამდე ჩასწვდეს და ნაწილობრივ იმიტომ, რაკი ეს შეუძლებელია, აქედან ჭკუის სასწავლი მაინც გამოიტანოს რამე. ჰოდა, თუკი თქვენ ფასეულობებისთვის შეგტკივათ გული, ბოლოს და ბოლოს, პიროვნება ხომ თავისთავად დადებითი ფასეულობაა, ჩემი აზრით, სისულელესა და გონიერებაზე დადებითი მაინცხომ არის, უაღრესად დადებითი, აბსოლუტურად დადებითია, ისევე როგორც სიცოცხლე. ერთი სიტყვით: სიცოცხლის ერთ-ერთი ფასეულობათაგანია და ღირს მისით სერიოზულად დავინტერესდეთ. აი, ეს მინდოდა მეპასუხა იმაზე, რაც თქვენ სისულელეზე ბრძანეთ.
ამ ბოლო დროს, გრძნობები რომ მოაწვებოდა, ჰანს კასტორპი არც იბნეოდა და არც ენა ებმოდა და გულშიც არაფერს იტოვებდა ხოლმე. სათქმელს ბოლომდე იტყოდა, ხმას დაუწევდა, წერტილის დასმაც ეხერხებოდა და თავის გზას ვაჟკაცურადაც მიჰყვებოდა, თუმცა ჯერ კიდევ წითლდებოდა და, ცოტა არ იყოს, გულში ეშინოდა კიდეც იმ კრიტიკული დუმილისა, მისი გაჩუმების შემდეგ რომ ჩამოვარდებოდა და შესარცხვენად დროს უტოვებდა. ბატონმა სეტემბრინიმ ამჯერადაც დაუთმო დუმილს სარბიელი და მერე თქვა:
- თქვენ ბრძანეთ, პარადოქსებზე არ ვნადირობო, თან მშვენივრად იცით, მისტერიებზე ნადირობასაც რომ ვერ მოვიწონებთ, პიროვნებისგან საიდუმლოს რომ ქმნით, საშიშია კერპთაყვანისმცემლობას არ მიეცეთ. თქვენ ნიღაბს ეთაყვანებით. თქვენ იქ ხედავთ მისტიკას, სადაც მხოლოდ მისტიფიკაცია არსებობს და ეს არის ერთ-ერთი იმ მოჩვენებითი და ფუყე ფორმათაგანი, რომელთა შემწეობითაც ფიზიკურ-ფიზიოგნომიკური საწყისის დემონი ზოგჯერ გვამასხარავებს ხოლმე. არასდროს გქონიათ ურთიერთობა მსახიობებთან? არ გინახავთ იმ მიმიკოსთა თავები, იულიუს კეისრის, გოეთესა და ბეთჰოვენის სახის ნაკვთები რომ აქვთ, მაგრამ ამ თავების ბედნიერი პატრონები პირს გააღებენ თუ არა, უბადრუკზე უბადრუკი არსებანი რომ აღმოჩნდებიან ხოლმე?
- კარგი, იყოს ეს ბუნების ოინი, - თქვა ჰანს კასტორპმა, - მაგრამ ამქვეყნად მხოლოდ ბუნების ოინი, მხოლოდ გამასხარავება ხომ არ არსებობს. რაკი ისინი მსახიობები არიან, ტალანტი ხომ უნდა ჰქონდეთ, და ტალანტი ხომ თავისთავად აღემატება სისულელესა და გონიერებას, ის თვითონ არის სიცოცხლისეული ფასეულობა. მინჰერ პეპერკორნსაც მომადლებული აქვს ტალანტი, რაც გინდათ, ის თქვით და ამის წყალობითაა, ყველას რომ ჯიბეში გვისვამს. დასვით ოთახის ერთ კუთხეში ბატონი ნაფტა და წააკითხეთ გრეგორი დიდსა და ღმრთის ქალაქზე ლექცია, უაღრესად საინტერესოა, ხომ? მეორე კუთხეში კი დადგება პეპერკორნი თავისი უცნაური პირითა და მაღლა აზიდული ნაოჭებით, ის სხვას არაფერს იტყვის: „უსათუოდ! ნება მიბოძეთ... მორჩა!“ და ნახავთ, ხალხი პეპერკორნს მიაწყდება, ნაფტა კი მარტო დარჩება თავისი გონიერებითა და თავისი ღმრთის ქალაქით, თუმცა ისეთი ცხადი და მკაფიო ლაპარაკი იცის, რომ ძვალ-რბილში გაგატანს, როგორც ბერენსმა იცის ხოლმე თქმა...
- გრცხვენოდეთ, წარმატებას ასე რომ ემონებით! - დაანამუსა იგი სეტემბრინიმ, - Mundus vult decipi
.
(ქვეყანას უყვარს, რომ ატყუებენ (ლათ.).) მე სულაც არ მოვითხოვ, ხალხი ბატონ ნაფტას მიესიოს, იგი პირწავარდნილი ქვებუდანაა, მაგრამ რაც თქვენ აქ დიდის ამბით წარმომიდგინეთ, ამ შემთხვევაში მის მხარეს დავიჭერ. ერთი სინჯეთ, უგულებელყოთ აზრის სიცხადე, სიზუსტე და ლოგიკურობა, ადამიანური, აზრიანი სიტყვა! ანაცვალეთ იგი რაღაც ფოკუს-მოკუსებს, მინიშნებებსა და გრძნობებით შარლატანობას და უეჭველად ეშმაკის კლანჭებში აღმოჩნდებით...
- მაგრამ, მერწმუნეთ, მას აზრიანი ლაპარაკიც მშვენივრად ეხერხება, როცა აღენთება ხოლმე, - თქვა ჰანს კასტორპმა, - ამას წინ ისე საინტერესოდ მიყვებოდა დინამიკური წამლებისა და აზიური შხამიანი ხეების ამბავს, რომ

შეძრწუნებას ცოტაღა მაკლდა, - საინტერესო ამბავი ყოველთვის ცოტაშემაძრწუნებელიც არის ხოლმე, - თანაც ამბავი თავისთავად როდი იყო იმდენად საინტერესო, ამბავს პიროვნების ზემოქმედება აძლიერებდა, მისი ზემოქმედების წყალობით იყო იგი ერთსა და იმავე დროს თავზარდამცემიც და საინტერესოც...
- ჰო, რაღა თქმა უნდა, თქვენი სიმპათია ყოველგვარი აზიურისადმი ცნობილია, მე ნამდვილად არ ძალმიძს ამდაგვარი საოცრებები შემოგთავაზოთ, - ისეთი გულისტკივილით მიუგო ბატონმა სეტემბრინიმ, რომ ჰანს კასტორპმა არ დაახანა, თქვენი საუბრისა და დამოძღვრის უპირატესობა სულ სხვა ყაიდისაა და თავში აზრადაც არავის მოუვა მათი ერთმანეთთან შედარება, ეს ყოველმხრივ უსამართლობა იქნებოდაო, მაგრამ იტალიელმა ყურად არ იღო მისი ზრდილობიანი ნათქვამი და განაგრძო:
- ასეა თუ ისე, ნება მიბოძეთ, გითხრათ, ინჟინერო, რომ აღტაცებული ვარ თქვენი ობიექტურობითა და წარბშეუხრელობით, მაგრამ თქვენი საქციელი ლამის გროტესკამდე რომ მიდის, ამაზე უნდა შევთანხმდეთ. სინამდვილეში რა ხდება... ამ გამოთაყვანებულმა თქვენი ბეატრიჩე წაგართვათ - მე მოვლენებს თავის სახელს ვარქმევ - თქვენ კი რას შვრებით? მართლაც რომ უმაგალითო შემთხვევაა.
- ტემპერამენტი სხვადასხვანაირი არსებობს, ბატონო სეტემბრინი. იგი სხვადასხვანაირია სისხლის სიფიცხისა და რაინდულობის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, თქვენ, როგორც სამხრეთელი, საწამლავსა და ხანჯალს მიმართავდით, ან საზოგადოების მოსაწონ სიფიცხეს გამოიჩენდით, მოკლედ, არ იდედლებდით. ეს უეჭველად ვაჟკაცური საქციელიც იქნებოდა და გალანტურიც. ჩემი საქმე კი სხვაგვარადაა. მე იმ ყაიდის ვაჟკაცი ნამდვილად არა ვარ, მამაკაცში მხოლოდ ჩემს მოქიშპე ხვადს ვხედავდე, იქნებ საერთოდაც ვერ ვიყო ვაჟკაცი, მაგრამ იმყაიდის მაინც ნამდვილად არა ვარ, რასაც ჩემდა უნებურად, არც კი ვიცი, რატომ, „საზოგადოების“ მოსაწონი ვუწოდე. მე საკუთარ თავს, ჩემს ჯაბან გულს ვეკითხები, იმ კაცს ჩემგან საყვედური ერგება თუ არა-მეთქი. შეგნებულად დამიშავა რამე? შეურაცხყოფას განზრახ თუ არ გაყენებენ, შეურაცხყოფად არ ჩაითვლება, ხოლო თუ „დაშავებაზე“ მიდგება საქმე, მე უფრო იმისთვის უნდა მომეთხოვა პასუხი, მაგრამ ამის უფლებაც რომ არა მაქვს? საერთოდ არა მაქვს არავითარი უფლება და მით უმეტეს, პეპერკორნს რაღას უნდა ვერჩოდე. ის, ჯერ ერთი, დიდი პიროვნებაა და ქალისთვის მარტო ესეც კმარა, მეორეც, იგი სამოქალაქო პირი როდია, ჩემი საბრალო ბიძაშვილისა არ იყოს, ისიც სამხედრო ყაიდის კაცია, ესე იგი, აქვს თავისი
პოინტ დ’ჰონნეურ , ანუ თავისებური, ახირებული შეხედულება ღირსებაზე, იგი გრძნობისა და ცხოვრების კაცია... მგონი, რაღაცას მივედ-მოვედები, მაგრამ მირჩევნია, ვიბოდიალო და ძნელად გამოსათქმელი აზრი სანახევროდ მაინც გამოვთქვა, ვიდრე უზადო, მზამზარეული ფრაზები ვაფრქვიო. ეს შეიძლება ჩემი ხასიათის ბრალიც იყოს, იქნებ მეც მაქვს ხასიათში სამხედრო კასტის თვისებები, რა თქმა უნდა, თუ ამის თქმას კადნიერებად არ ჩამითვლით...
- კვლავაც ასე განაგრძეთ, - თავი დაუქნია სეტემბრინიმ, - ასეთ ხასიათს ნამდვილად შეგიქებდით. შემეცნებისა და აზრის გამოხატვის გამბედაობა, აი, ეს არის ლიტერატურა, ეს არის ჰუმანიზმი...
ასე მშვიდობიანად მთავრდებოდა ხოლმე ამდაგვარი შეხვედრები; ბატონი სეტემბრინი საუბარს ყოველთვის შერიგებით ამთავრებდა და ჰქონდა კიდეც საამისო მიზეზები. თვითონაც ისე საიმედოდ ვერ ჰქონდა გამაგრებული პოზიციები, რომ მეტისმეტ სიმკაცრეს მისთვის სარგებლობა მოეტანა. ეჭვიანობაზე ლაპარაკსაც, ცოტა არ იყოს, ასევე მოლიპულ ნიადაგზე ედგა ფეხი; გარკვეულ წერტილამდე რომ მივიდოდა, იძულებული ხდებოდა, ეღიარებინა, რომ თავისი პედაგოგიური დვრიტის გამო მისი დამოკიდებულება მამაკაცურ საწყისთან სრულიადაც არ გახლდათ მთლად რაინდულ-ვაჟკაცური და დიდმპყრობელი პეპერკორნიც ისევე ხელყოფდა მის სფეროს, როგორც ამას ნაფტა და ფრაუ შოშა სჩადიოდნენ; და ბოლოს, არც იმის იმედი ჰქონდა, რომ თავის მოწაფეს შეაგონებდა, ამ პიროვნების ზეგავლენას ნუ განიცდი და მის ბუნებით მომადლებულ უპირატესობას ნუ აღიარებო, რაკი ისიც და მისი პარტნიორიც ვერ უარყოფდნენ აზროვნების სფეროში მსგავსი ზემოქმედების

შესაძლებლობას.
ისინი ყველაზე უფრო კარგად მაშინ გრძნობდნენ თავს, როცა ინტელექტუალური სიო დაუბერავდა, როცა კამათს გააჩაღებდნენ და მოსეირნეების ყურადღებას თავიანთ ელეგანტურ, ცხარე და თან აკადემიურ პაექრობას მიაჯაჭვავდნენ, პაექრობდნენ კი ისეთი ტონით, გეგონებოდათ, უმწვავესი სადღეისო და სასიცოცხლო პრობლემები წყდებაო. კამათს, შეიძლება ითქვას, მარტო ეს ორი წარმართავდა და მთელი ამ ხნის მანძილზე მასშტაბი“ განეიტრალებული ჰყავდათ, რაკი კამათში მისი მონაწილეობა მხოლოდ გაოცების ნიშნად ზეაწეული ნაოჭებითა და დამცინავი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბუტბუტით იფარგლებოდა. სამაგიეროდ, მისი დაწოლა ამ ვითარებაშიც იგრძნობოდა, იგი კამათს ჩრდილავდა, თითქოს ელვარებას უკარგავდა და ანეიტრალებდა, ყველა გრძნობდა, რომ შეუგნებლად, თუ, უფალმა უწყის, რამდენად შეგნებულად, პეპერკორნი კამათს რაღაც ისეთს უპირისპირებდა, რაც არც ერთი მხარისთვის არ იყო სასიკეთო, იმ რაღაცისწყალობით პაექრობა უფერულდებოდა და კნინდებოდა, და ძალიან კი ვერიდებით ამის თქმას, მაგრამ წყლის ნაყვას ემსგავსებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს გონებამახვილური, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იდუმალი, ბუნდოვანი ძალის მეოხებით განუწყვეტლივ, ფარულად ანგარიშს უწევდა იქვე, გვერდით მიმავალ მასშტაბს“ და მის მაგნეტიზმთან შეჯახებისას ძალას კარგავდა. სხვანაირად ვერ აიხსნება მოკამათეებზე ამ იდუმალი და უსიამო ძალის ზემოქმედება, მხოლოდ ესღა დაგვრჩენია ვთქვათ: პიტერ პეპერკორნი საერთოდ რომ არ ყოფილიყო, მაშინ სხვებიც უფრო დაივალდებულებდნენ თავს, კამათში ვისიმე მხარე დაეჭირათ, მაგალითად, მაშინ, როცა ლეო ნაფტა ბატონი სეტემბრინის საპირისპიროდ ეკლესიის არქირევოლუციურ არსს იცავდა, ხოლო ბატონი სეტემბრინი ამ ისტორიულ ძალაში მხოლოდ და მხოლოდ წყვდიადისა და დამყაყებული ყოფის მფარველს ხედავდა და ამბობდა, გადატრიალებისა და განახლებისათვის მოწოდებული ყოველი ცხოველმყოფელი და სამომავლო მისწრაფება დაკავშირებულია ანტიკური კულტურის აღორძინების ძლევამოსილ ეპოქაში ჩასახულ განმანათლებლობის პრინციპებთან, მეცნიერებასა და პროგრესთანო, და ამ აზრის დასამტკიცებლად მშვენიერ სიტყვებსა და ჟესტებს არ იშურებდა. მაშინ ნაფტამ ცივად და მკვახედ ბრძანა, შევეცდები, დაგიმტკიცოთო და მართლაც თვალისმომჭრელი სიცხადით დაასაბუთა, რომ ეკლესია, როგორც რელიგიურ-ასკეტური იდეის განსახიერება, თავისი არსით ვერასგზით ვერ აუბამს მხარს და მფარველობას ვერ გაუწევს იმას, რასაც დამკვიდრება სწადია, ანუ მხარს ვერ დაუჭერს საერო განათლებასა და სახელმწიფო მართლწესრიგს, მას, პირიქით, ოდითგანვე მტკიცედ და სამუდამოდ უწერია დროშაზე მათ წინააღმდეგ რადიკალური ბრძოლა; უკლებლივ ყველაფერი, რასაც თავი სამუდამოდ შენარჩუნების ღირსი ჰგონია და რის შენარჩუნებასაც ცდილობენ უნიათონი, მხდალები, კონსერვატორები და ბურჟუები, - ეს გახლავთ, სახელდობრ, სახელმწიფო და ოჯახი, საერო ხელოვნება და მეცნიერება, - ყოველთვის, შეგნებულადთუ შეუგნებლად, ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ იდეას, ეკლესიას, რომლის თანდაყოლილი ტენდენცია და მტკიცე მიზანია ყოველი არსებული წესწყობილების ნგრევა და საზოგადოების გარდაქმნა იდეალური, კომუნისტური ღმრთის ქალაქის ნიმუშის მიხედვით.
შემდეგ სიტყვა სეტემბრინიმ აიღო და, ღმერთმანი, კარგად გამოიყენა კიდეც! ლიუციფერული რევოლუციური აზრის ასეთი შეცვლა ყოველგვარი მავნე ინსტინქტების ჯანყით ფრიად სამწუხაროაო, განაცხადა მან. ეკლესიის სიყვარული განახლებისადმი საუკუნების მანძილზე იმას ნიშნავდა, რომ მიეკვლიათ და მოეშთოთ ცხოველმყოფელი აზრი, თავისი კოცონის კვამლში მოეგუდათ იგი, დღეს კი ეკლესია თავისი ემისრების პირით თავს მეამბოხედ აცხადებს, აქაოდა, ჩვენი მიზანია, თავისუფლება, განათლება და დემოკრატია ბრბოს დიქტატურითა და ბარბაროსობით შევცვალოთო. ვაი, რომ ეს მართლაც საზარელი ფორმაა წინააღმდეგობრივი თანამიმდევრობისა და თანამიმდევრული წინააღმდეგობისა...
მაგდაგვარი წინააღმდეგობა და თანამიმდევრულობა არც ჩემს მოწინააღმდეგეს აკლიაო, მიუგო ნაფტამ. მას თავი დემოკრატად მოაქვს, ხალხისა და

თანასწორობის მომხრეს კი ნაკლებად ჰგავს, მიუტევებელ არისტოკრატულ ქედმაღლობას უფრო იჩენს, ცხვირს უბზუებს წარმომადგენლობითი დიქტატურისათვის მოწოდებულ მსოფლიო პროლეტარიატს და მას ბრბოს ეძახისო. სიმართლე თუ გნებავთ, დემოკრატის პოზიციიდან თვითონ ნაფტა უდგება ეკლესიას, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენდა საამაყოდ, კაცობრიობის ისტორიის უკეთილშობილეს ძალას წარმოადგენს - კეთილშობილს ამ სიტყვის საუკეთესო და უზენაესი გაგებით. ვინაიდან და რადგანაც ასკეტური სული - თუკი ნებას დამრთავთ, პლეონაზმებით ვილაპარაკო - წუთისოფლის უარყოფისა და განადგურების სული, კეთილშობილება, წმინდა წყლის არისტოკრატული პრინციპი გახლავთ; იგი ვერასოდეს გახდება ხალხური და ამიტომაცაა, არც ერთ ეპოქაში ეკლესია რომ არც ყოფილა პოპულარული. სულ ცოტა ლიტერატურული ჯაფა დასჭირდება ბატონ სეტემბრინის შუა საუკუნეების კულტურაში ჩასახედად, რომ ეს ფაქტი ირწმუნოს, იგი დაინახავს, რა რეგვნული სიძულვილით ეკიდებოდა ხალხი - ამ სიტყვის უფართოესი გაგებით - ყოველივე სასულიეროს, მაგალითად ხალხის პოეტური ფანტაზიით შექმნილი ბერების სახეებიც კმარა, სადაც ასკეტურ იდეებს ჭეშმარიტად ლუთერისებურად უპირისპირდება ღვინო, ქალი და სიმღერა. საერო გმირობის ყველა ინსტინქტი, ყოველგვარი მეომრული სულისკვეთება, მასთან საკარო პოეზიაც, მეტ-ნაკლებად აშკარა ოპოზიციაში ედგა რელიგიურ იდეასა და, აქედან გამომდინარე, იერარქიასაც, რადგან ეს ყველაფერი მიწიერ ცხოვრებასა“ და მდაბიოთა ბრბოს წარმოადგენდა ეკლესიისგან შემოთავაზებულ სულიერ არისტოკრატიზმთან შედარებით.

ბატონმა სეტემბრინიმ მადლობა გადაუხადა ნაფტას მეხსიერების გამოცოცხლებისათვის. „ვარდების ბაღში“(„ვარდების ბაღში“ გამოყვანილი ბერი ილზანის სახე - „ვარდების ბაღი“ ანდა სრულად ვარდების ბაღი ვორმსში“ შუაზემოგერმანულ ენაზე შეთხზული ანონიმური საგმირო ეპოსია (მე-13 ს. დამდეგი), მიეკუთვნება დიტრიხ ბერნელის (ვერონელის) თქმულებათა ციკლს, რომლის ისტორიულ პროტოტიპს წარმოადგენდააღმოსავლელი გოტების მეფე თეოდორიხი (დაახლ. 454-526).)

გამოყვანილი ბერი ილზანის სახე, აქ განდიდებულ სამარის არისტოკრატიზმთან შედარებით, უხვად შეიცავს მაცოცხლებელ ძალას, მე პირადად, ვერ ვიტყვი, გულზე მეხატებოდეს თქვენგან ქარაგმულად მოხსენიებული ეს გერმანელი რეფორმატორი, მაგრამ მაინც მზად ვარ, მგზნებარედ დავიცვა, თუკი რამ დემოკრატიული ინდივიდუალიზმისმაგვარი უდევს საფუძვლად მის მოძღვრებასო, განაცხადა მან.

- ოჰო! - უცებ წამოიძახა ნაფტამ, - თქვენ გნებავთ ეკლესიას კიდევ დემოკრატიზმის ნაკლებობა ან პიროვნების დაუფასებლობა უკიჟინოთ? კანონიკური სიმართლის ჰუმანურ პირუთვნელობას რაღას უშვრებით! რომაულმა სამყარომ უფლებაუნარიანობა სამოქალაქო სამართალს დაუქვემდებარა, ხოლო გერმანულმა სამყარომ იგი ეროვნულობასა და პიროვნულ თავისუფლებას დაუკავშირა, და აი, ერთადერთი კანონიკური სამართალი მოითხოვდა მხოლოდ საეკლესიო მრევლის წევრობასა და მართლმორწმუნეობას, უგულებელყოფდა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წინა პირობას და ანდერძისა და მემკვიდრეობის უფლებას მონას, სამხედრო ტყვესა და ტუსაღსაც კი ანიჭებდა. ამ წესის შემოღებისას, ალბათ, ცალი თვალი „კანონიკური ულუფისკენ“ ეჭირათ, ყოველ ანდერძს რომ უნდა ჩამორჩენოდნენო, გესლიანად შენიშნა სეტემბრინიმ, შემდეგ სიტყვა გააგრძელა ხუცესთა დემაგოგიაზე“, მას ძალაუფლებას მოწყურებულთა თავმდაბლობა უწოდა, ქვესკნელს მაშინ რომ მოიშველიებენ, როცა ღმერთებს, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ჩვენთვის არა სცალიათო და დასძინა, ეკლესიას, ეტყობა, მიმხრობილი სულების კვანტიტატური მხარე უფრო აინტერესებს, ვიდრე კვალიტატური, რაც მის დიდ სულიერ მდაბიურობას მოწმობსო.

როგორ, ეკლესია და მდაბიურიო და, ბატონ სეტემბრინის მყისვე მოაგონეს დაუნდობელი არისტოკრატიზმი, სირცხვილის მემკვიდრეობით გადაცემის იდეას რომ უდევს საფუძვლად. მძიმე დანაშაულის გადაცემა, დემოკრატიული თვალსაზრისით რომ ვიმსჯელოთ, სრულიად უდანაშაულო ნაშიერებზე, აი, მაგალითად, უკანონო ბავშვები მთელი სიცოცხლის მანძილზე დაღდასმულნი და

უუფლებონი რომ რჩებიანო, მაგრამ სეტემბრინიმ მოითხოვა, ამაზე ხმა-კრინტი არ დასძრათო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჰუმანური გრძნობები მელახება და მეორეც, მომყირჭდა ეს თქვენი გაუთავებელი გრძნობა-გამოძრომანიო, და კიდევ, ჩემი მოწინააღმდეგის აპოლოგეტურ ილეთებში კვლავ ვცნობ არარაობის მდაბალ და ეშმაკეულ კულტს, რომელსაც ნებავს სული ვუწოდოთ და გვაიძულებს ასკეტური პრინციპის მის მიერვე აღიარებული არაპოპულარობა რაღაც კანონზომიერ, წმინდა მოვლენად მივიჩნიოთო.
ამაზე ნაფტამ განაცხადა, ნება მიბოძეთ, ერთი გულიანად გადავიხარხაროო. ეკლესია და ნიჰილიზმი?! ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს, მსოფლიო ისტორიაში ბატონობის ყველაზე რეალისტურ სისტემას ნიჰილიზმი დასწამოო! ნუთუ ბატონ სეტემბრინის არასოდეს შეხებია ჰუმანური ირონიის ქროლა, რითაც ეკლესია უდგება ამქვეყნიურ ცხოვრებას, ხორცს, ჭკვიანურად მიდის დათმობაზე, საბოლოო, პრინციპულ დასკვნებს ნიღბავს, სულს გასაქანს აძლევს, წარმმართველი ზეგავლენა მოახდინოს ხორცზე და თან ბუნებას მეტისმეტად მკაცრად არ მოეკიდოსო. გამოდის, მას არც მიტევების დახვეწილ აზრზე სმენია რამე, რითაც სამღვდელოება უდგება თუნდაც ქორწინების საიდუმლოს, რომელსაც სხვა საიდუმლოებებივით დადებითი კეთილდღეობა კი არ მოაქვს, არამედ ცოდვისგან იფარავს ადამიანს, მხოლოდ და მხოლოდ გრძნობისმიერ სურვილებს გვიზღუდავს და ზომიერებას გვაჩვევსო, ამგვარად, ასკეტიზმის პრინციპი და უბიწოების იდეალიც დაცულია და არც ხორცის წინააღმდეგ ილაშქრებს ვინმე აპოლიტიკური სისასტიკითო.
სეტემბრინის რა გული გაუძლებდა, „პოლიტიკურის“ ცნების ამგვარი უხამსი გაგების წინააღმდეგ ხმა არ აღემაღლებინა, არ დაეგმო იმგვარი ქედმაღლური გულმოწყალება და კეთილგონიერება, რასაც სული - ანუ, რასაც ამ შემთხვევაში სულს უწოდებდნენ - მიიწერდა თავის ვითომ ცოდვილიანი, „პოლიტიკურად“ მისახედი ანტიპოდის საპირისპიროდ, რომელსაც, სინამდვილეში, არაფრად სჭირდებოდა მისი გესლიანი მიმტევებლობა. სული ამ თვისებებს მიიწერდა სამყაროს წყეული, ორაზროვანი გაგების საპირისპიროდ, რაც უნივერსუმს, სახელდობრ, სიცოცხლესაც და მის ბნელით მოცულ ანტიპოდსაც, ანუ სულსაც, ეშმაკის თანაზიარს ხდიდა, ცხადია, თუკი ერთი ბოროტი იყო, მეორეც, როგორც მისივე წმინდა უარყოფა, ბოროტი უნდა ყოფილიყო! შემდეგ იგი ხმალამოღებული მოჰყვა ავხორცობის უცოდველობის მტკიცებას და ჰანს კასტორპს უნებურად სხვენზე მოთავსებული ჰუმანისტური ბუდე მოაგონდა თავისი პულტით, ჩალის სკამებითა და ხელადითურთ, ნაფტა კი ამ დროს გაიძახოდა, ავხორცობა უცოდველი ვერასოდეს იქნებაო და ბუნებასაც სულიერი საწყისის წინაშე მუდამ სინდისი უნდა ქენჯნიდესო. ნაფტამ საეკლესიო პოლიტიკასა და სულის მიმტევებლურ უნარს სიყვარული“ უწოდა და ამის გაგონებაზე ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, ამ უკმეხ, კაფანდარა, ჩია კაცს ეს სიტყვა როგორ არ უხდებაო...
ასე გაგრძელდა დიდხანს ჩვენთვისაც და ჰანს კასტორპისთვისაც ნაცნობი თამაში. ჩვენ მხოლოდ წუთით მივუგდეთ ყური, რათა გვენახა, ვთქვათ, გვერდით მიმავალი დიდი პიროვნების ჩრდილში როგორ წარიმართებოდა ამდაგვარი პერიპატეტური ჭიდილი
(„პერიპატეტური ჭიდილი (ბერძნ. „პერიპატოს“; გასეირნება, რონინი) - პერიპატეტიკოსები იყვნენ არისტოტელეს შეგირდები, რომლებიც ფილოსოფიურ განათლებას სიარულში, სეირნობაში იძენდნენ და ფილოსოფიურ პრობლემებზე ბოლთის ცემისას მსჯელობდნენ.) და მარტო მისი თანდასწრება ამ ჭიდილს სასიცოცხლო ნერვს როგორ გამოაცლიდა. სახელდობრ, ეს იდუმალი, უეჭველად ანგარიშგასაწევი ძალა აქა-იქ დაკვესებულ ნაპერწკალსაც აქრობდა და უნებურად მოგვაგონებდა იმ უსიცოცხლობის შეგრძნებას, დენს მიუერთებელი ელექტროსადენის დანახვისას რომ გვეუფლება ხოლმე. ერთი სიტყვით, ასეთი გახლდათ ვითარება, ერთმანეთს ტკაცატკუცით აღარ ეჯახებოდნენ საპირისპირო აზრები, აღარც ელვა იკლაკნებოდა, აღარც დენი წარმოიქმნებოდა. მოპაექრეებს დიახაც უნდოდათ, გონს ის პიროვნება გაენეიტრალებინა, მაგრამ, მგონი, თვითონ გონი გამოდიოდა განეიტრალებული და ჰანს კასტორპი ამ ამბავს ცნობისმოყვარეობით და გაოცებით შესცქეროდა.

რევოლუცია და არსებულის შენარჩუნება... ამ სიტყვებზე პეპერკორნისკენ გაიხედეს, ხედავდნენ, როგორ მძიმედ მოაბიჯებდა იგი, ფეხით მიმავალი არც ისე დიდებული ჩანდა, მიირწეოდა და ქუდი შუბლზე ჰქონდა ჩამოფხატული; ხედავდნენ მის ფართო, უსწორმასწოროდ გახეულ ტუჩ-პირს, ხედავდნენ, დანარჩენებს მოპაექრეებისაკენ ხუმრობით როგორ ანიშნებდა და ესმოდათ მისი სიტყვები:
- ოჰო, ჰო, ჰო!
ჩერებრუმ , ტვინისმიერი ამბებია, ხომ გესმით! ეს არის... ხომ ირკვევა, რომ...
და შეხეთ, ელექტროკონტაქტმა სული დალია! მოპაექრეებმა სხვა გზას მიმართეს, უფრო ძლიერი თილისმა მოიშველიეს, გადავიდნენ არისტოკრატიზმის პრობლემაზე“, პოპულარობასა და კეთილშობილებაზე, მაგრამ ამაოდ - ნაპერწკალი არ გაჩენილა. საუბარმა მაგნიტურად მიიღო პიროვნული ხასიათი. ჰანს კასტორპს კლავდიას თანამგზავრი ლოგინში მწოლიარე წარმოუდგა თვალწინ, წითელი აბრეშუმის დალიანდაგებული საბანი რომ ეხურა და უსაყელო ნაქსოვ პერანგში ნახევრად მუშაკაცური, ნახევრად მეფური მკერდი ენაკვთებოდა. ამის წარმოდგენისთანავე კამათის ნერვმა ერთი-ორჯერ სუსტად გაიფართხალა და ჩაკვდა. ძაბვა გააძლიერეს! აქეთ უარყოფა და არარაობის კულტი - იქით მარადიული დიახ“ და გონის მოსიყვარულე ლტოლვა სიცოცხლისაკენ! სადღა იყო ნერვი, ელვა და ელექტროდენი, მინჰერს რომ შეხედავდნენ, მისი იდუმალი მიზიდულობის ძალა ყველაფერს ჯაბნიდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ქრებოდა და ეს, ჰანსის ნათქვამისა არ იყოს, არც მეტი და არც ნაკლები, მისტერია გახლდათ. ამ უკანასკნელს თავისი აფორიზმების კრებულისათვის შეეძლო ჩაენიშნა, რომ მისტერია ან უმარტივესი სიტყვებით აიხსნება, ან საერთოდ აუხსნელი რჩება ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, მის ასახსნელად მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა გვეთქვა, ოღონდ მიუკიბ-მოუკიბავად, რომ პიტერ პეპერკორნი თავისი შუბლდაღარული, მეფური ნიღბითა და სიმწრით გახეული პირით ორივე უკიდურესობას აერთიანებდა, ორივე საწყისი მისთვის ზედგამოჭრილიც ჩანდა და ერთმანეთის გამაბათილებელიც, მის შემხედვარეს გეგონებოდათ, რომ იგი ისიც იყო და ესეც, ერთიც იყო და მეორეც. დიახ, ასეთი გახლდათ ეს უჭკუო ბერიკაცი, ეს მბრძანებელი ნული! იგი წინააღმდეგობათა ნერვს ნაფტასავით ვინმეს დაბნევითა და ხვანჯებით როდი ადამბლავებდა; მასავით ორაზროვნად როდი მოქმედებდა, იგი მისი საპირისპირო პიროვნება იყო, დადებითი აზრით, რა თქმა უნდა, ეს მობარბაცე მისტერია მაღლა იდგა არა მარტო სისულელესა და გონიერებაზე, არამედ იმ მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენასაც ზემოდან დასცქეროდა, სეტემბრინი და ნაფტაც რომ იშველიებდნენ, რათა აღმზრდელობითი მიზნით მაღალი ძაბვა გამოემუშავებინათ. ეს პიროვნება ერთი შეხედვით აღმზრდელობით ზეგავლენას არ ახდენდა, მაგრამ მასთან ურთიერთობა მაინც რამოდენა შანსი იყო განათლებას დაწაფებული მოგზაურისათვის! ნამდვილად საოცარი სანახავი გამოდგა ეს მეფური ორსახოვნება, როცა მოპაექრენი ქორწინებისა და ცოდვის საკითხს მიადგნენ და მიმტევებლობის საიდუმლოსა და ავხორცობის ცოდვიანობასა თუ უცოდველობაზე გააჩაღეს კამათი. მან თავი გვერდზე გადახარა და მკერდზე ჩამოიყრდნო, ტანჯული ბაგეები გაეხსნა, ტუჩის კუთხეები დუნედ და საცოდავად ჩამოეშვა, ნესტოები თითქოს ტკივილისაგან დაეძაბა და გაუფართოვდა, შუბლის ნაოჭები აიზიდნენ და გაფართოებულ, უფერო თვალებში ტანჯვა აესახა - ეს იყო ღრმა მწუხარების გამომხატველი სურათი და შეხეთ, თვალის დახამხამებაში მარტვილს სახე სიხარულისაგან გაებადრა! სევდიანად გადახრილი თავი შეათამაშა, ჯერ კიდევ ღია ტუჩებზე უწმაწური ღიმილი გამოესახა, ცალ ლოყაზე თქვენთვის უკვე ნაცნობი სიბარიტული ღრმული დააჩნდა, კვლავ აცეკვებულ წარმართ ქურუმად იქცა, ტვინის კოლოფებისკენ თავი უწინდებურად ანცად გადააქნია და თქვა:
- აბა, აბა, ჩინებულია. ეს არის... ესენი არიან... ახლა ხომ ირკვევა... ავხორცობის საიდუმლო, ხომ გესმით...
და მაინც, როგორც მოგახსენეთ, ჰანს კასტორპის ღირსებაშელახულ მეგობრებსა და მასწავლებლებს ყველაზე მეტად ერთმანეთთან ჩხუბი სიამოვნებდათ. ისინი ამ დროს თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობდნენ, „მასშტაბზე“ კი ამას ვერ

ვიტყოდით, და მაინც მისი როლი ამ საქმეში სხვადასხვანაირად შეიძლებოდა შეგვეფასებინა. მაგალითად, ვითარება აშკარად მათ საზიანოდ იცვლებოდა, როცა გონებამახვილობისა და ზეშთაგონების ნაცვლად წინ საქმე, მიწიერი და პრაქტიკული ამბები წამოიწევდა, სადაც მბრძანებლური ბუნების ადამიანები თავიანთ უპირატესობას ავლენენ ხოლმე: მაშინ ისინი იფერფლებოდნენ, იჩრდილებოდნენ, სულ აღარ ჩანდნენ და სამეფო კვერთხს პეპერკორნი ისაკუთრებდა, განაჩენი მას გამოჰქონდა, საკითხს იგი წყვეტდა, განკარგულებებს იძლეოდა, უკვეთდა და მბრძანებლობდა... რა გასაკვირია, რომ იგი ასეთი მდგომარეობისაკენ ილტვოდა და სიტყვიერ ბრძოლას საქმე ერჩია? პეპერკორნი იტანჯებოდა, სანამ კამათი მიმდინარეობდა, ანდა, მით უმეტეს, თუ გაჭიანურდებოდა, ოღონდ პატივმოყვარეობა როდი ტანჯავდა, - ჰანს კასტორპი ამაში დარწმუნებული გახლდათ. პატივმოყვარეობას მასშტაბი არ გააჩნია, ხოლო სიდიადისათვის უცხოა პატივმოყვარეობა. არა, პეპერკორნის მისწრაფება საქმისადმი სხვა მიზეზებით იყო ნაკარნახევი: უხეშად და გაურანდავად რომ ვთქვათ, „შიშით“, ანუ ღირსებისა და მოვალეობის იმ გრძნობით, რაზეც ჰანს კასტორპს ბატონ სეტემბრინისთან ბევრჯერ უცდია ხოლმე ლაპარაკი და რომელიც თვითონ, ასე თუ ისე, სამხედრო კასტის თვისებად მიაჩნდა.
- ბატონებო, - თქვა ჰოლანდიელმა და წამახულფრჩხილებიანი კაპიტნის ხელი თხოვნისა და მოწოდების ნიშნად აღმართა, - კეთილი, ბატონებო, ჩინებულია, საუცხოოა! ასკეტიზმი... მიმტევებლობა... ხორციელი ტკბობა... მე ვისურვებდი ეს... უაღრესად მნიშვნელოვანია! ოღონდ ნება მიბოძეთ... ვშიშობ, რომ ვეჭიდებით მძიმე... ჩვენ თავს ვარიდებთ, ბატონებო, უპასუხისმგებლოდ ვარიდებთ თავს წმიდათაწმიდა... - მან ამოიხვნეშა, - ეს ჰაერი, ბატონებო, დღევანდელი ფიონით ამოძრავებული თავისებური ჰაერი, სალბუნივით რომ გვედება, გაზაფხულის სურნელს გვახსენებს და რაღაცას გვპირდება, ის განა იმიტომ უნდა ჩავისუნთქოთ, რათა... დაჟინებით გთხოვთ, ეს არ ჩავიდინოთ, ეს მისი შეურაცხყოფაა. მხოლოდ მას უნდა მივუძღვნათ ჩვენი სრული და მთლიანი... ო, ჩვენი უზენაესი და უსათუთესი... მორჩა, ბატონებო! და ამოსუნთქვას მხოლოდ მისი თვისებების ხოტბა-დიდება უნდა ამოვაყოლოთ მკერდიდან... მეტს აღარ გავაგრძელებ, ბატონებო! აღარ გავაგრძელებ და პატივს მივაგებ ამ... - იგი შეჩერდა, გადაიზნიქა, თვალები ქუდით მოიჩრდილა და ყველამ მიჰბაძა მის მაგალითს, - თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ზეცისკენ, მაღალი ზეცისკენ, შეხედეთ აი, იმ შავ, მბრუნავ წერტილს იქ, ზევით, საოცრად ლურჯი, შავში გარდამავალი ფერის ქვეშ... ის მტაცებელი ფრინველია, დიდი მტაცებელი ფრინველი. ეგ გახლავთ, თუკი თვალი არ... ბატონებო და ჩემო გოგონი, ეს არწივი გახლავთ... მტკიცედ მიგითითებთ იქით... შეხედეთ! ეგ არც კაკაჩაა და არც ძერა... თქვენც რომ ჩემსავით შორსმხედველი იყოთ ხანდაზმულობის გამო... დიახ, ჩემო გოგონი, ხანდაზმულობის გამო თმა გამიხუნდა, რაღა თქმა უნდა, დიახ, თქვენც ჩემსავით ცხადად დაინახავდით ფრთების რკალზე... არწივია, ბატონებო, კლდის არწივი. იგი ზუსტად ჩვენს თავზე აკეთებს ირაოს, ფრთების შეურხევლად მინანაობს დიდებულ ტატნობზე ჩვენი... და ცხადია მიდამოს ზვერავს წარბებქვეშ მობრიალე მახვილი თვალებით... არწივი, ბატონებო, იუპიტერის ფრინველია, ფრინველთა მეფე, ცის ლომი! ტანთ ბუმბულის შარვალი აცვია, რკინის ნისკარტი აქვს, ბოლოში მაგრად მოკაუჭებული, უსაშველოდ ღონიერი ჭანგები და მორკალული ბრჭყალები აქვს, უკანა გრძელი ბრჭყალები წინას მაგრად ჩასჭიდებია, ხედავთ, აი, ასე! - დასძინა მან და შეეცადა, გრძელფრჩხილებიანი კაპიტნის ხელი არწივის ბრჭყალებივით მოეხარა, - რას დაგვტრიალებ თავს ან რას ზვერავ, ძმობილო?! - ასძახა მან ზეცას, - ძირს დაექანე! თავში ჩასცხე შენს საკბილოს ეგ რკინის ნისკარტი, ამოკორტნე თვალები, მუცელი გაუფატრე ამ სულიერს, რაც შენთვის ღმერთს... ჩინებულია! მორჩა! ჭანგებზე მისი წელები უნდა დაახვიო და ნისკარტიდან სისხლი მოგწვეთავდეს...
აღტყინებული პეპერკორნის შემხედვარე ნაფტასა და სეტემბრინის ანტინომიებისადმი ინტერესი გაუნელდათ, არწივის ხატება კი მერეც უსიტყვოდ ირეკლებოდა მინჰერის მეთაურობით განხორციელებულ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში: შეუხვიეს სასტუმროში, იყო სმა-ჭამა, უდროო, მაგრამ მაინც მადიანი, მადას კი არწივზე ფიქრი უცხოველებდათ; გაიმართა ქეიფი, როგორც

ხშირად იცოდა მინჰერმა, „ბერგჰოფს“ გარეთ, სუფრას, სადაც მოხვდებოდა, იქ რომ გაშლიდა, „კურორტსა“ თუ სოფელში“, გლარისისა თუ კლოსტერსის დუქნებში, სადაც საექსკურსიო ჰატარა მატარებელი დადიოდა; იქ თავიანთი მეუფის მეთაურობით კლასიკურ სასმელ-საჭმელს გეახლებოდნენ: ნაღებიან ყავასა და აქაურ ნამცხვარს, ან ცვრიან ყველსა და სურნელოვან ალპურ კარაქს, ცხელ-ცხელ შემწვარ წაბლს საოცრად რომ უხდებოდა, ზედ კი, რამდენიც სულსა და გულს უნდოდა, იმდენველტლინურ წითელ ღვინოს აყოლებდნენ; ჰეპერკორნი სახელდახელო ნადიმს დიდმნიშვნელოვანი ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებებით უძღვებოდა ან ანტონ კარლოვიჩ ფერგეს ალაპარაკებდა. მართალია, ამ გულკეთილი მარტვილისთვის სავსებით უცხო იყო ყოველივე ამაღლებული, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსული კალოშების წარმოებაზე უაღრესად საქმიანი თხრობა შეეძლო: რეზინის მასას თურმე გოგირდითა და სხვა ნივთიერებებით აზავებდნენ, ხოლო მზა, გალაქულ კალოშებს ას გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე ვულკანიზაციას“ უკეთებდნენ. სამსახურებრივი მიზნით მას პოლარულ წრემდეც უწევდა ხოლმე მოგზაურობა და იქაური შუაღამის, მზისა და ნორდკაპზე გამეფებული მარადიული ზამთრის ამბავსაც ჰყვებოდა, იქაური უზარმაზარი კლდეებისა და ფოლადისფერი ზღვის ფონზე გემი სულ პაწაწკინტელა ჩანსო, ამბობდა იგი და დაძარღვული ყელი და ჩამოკიდებული ულვაში აუდ-ჩაუდიოდა. ცას კი ალაგ-ალაგ თურმე ყვითელი შუქის ზოლები ეფინა, ეს ჩრდილოეთის ციალი ყოფილა და მთელი არემარე და ლამის საკუთარი თავიც ანტონ კარლოვიჩს თურმე მოჩვენება ეგონა ხოლმე.
საბოლოო ჯამში, მათ ჰატარა წრეში ბატონი ფერგე იყო ერთადერთი კაცი, ამ ათასნაირად დახლართული ურთიერთობების მიღმა რომ იდგა. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ ორი მოკლე საუბარია აღსანიშნავი, ორი საოცარი საუბარი, მოწმეების გარეშე რომ გაიმართა იმ დღეებში ჩვენს არაგმირულ გმირსა და კლავდიას შორის და მასა და კლავდიას თანამგზავრს შორის, ორივესთან ცალ-ცალკე: პირველი ვესტიბიულში, საღამო ხანს, როცა ხელის შემშლელი“ სიცხიანი იწვა თავის ოთახში, მეორე კი ერთ ნაშუადღევს, მინჰერის საწოლთან...
იმ საღამოს ვესტიბიული ნახევრად ჩაბნელებული იყო. ყოველდღიური თავშეყრა ხანმოკლე და უხალისო აღმოჩნდა და დამსვენებლებმა საღამოს სამკურნალო წოლისათვის ადრიანად მიაშურეს თავ-თავიანთ აივნებს, რა თქმა უნდა, იმათ გარდა, ვინც აკრძალული გზით ბანქოს სათამაშოდ ან საცეკვაოდ, ქვევით, მიწიერ სამყაროში ჩადიოდა. ჩამკვდარ ჰოლში, სადღაც, ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა და ირგვლივ ჩარიგებული სალონებიდანაც სუსტი შუქი გამოდიოდა. ჰანს კასტორპს მაინც არ გამოჰპარვია, რომ ფრაუ შოშა, რომელსაც თავისი მბრძანებლის გარეშე ევახშმა, ჯერ კიდევ არ ასულიყო მეორე სართულზე და სამკითხველოში მარტოდმარტო იჯდა. ამიტომ თვითონაც არ უჩქარია ზევით ასვლა და ვესტიბიულის იმ კუთხეს მიაშურა, სადაც იატაკი ერთი საფეხურით იყო ამაღლებული და ხით მოპირკეთებული სვეტებით დამშვენებული ორი თეთრი თაღით მცირე ფართობი იფარგლებოდა. შორენკეცით მოპირკეთებულ ბუხართან ისეთივე სკამსაქანელაში ჩაჯდა, მაშინ რომ ირწეოდა მარუსია, როცა იოახიმი ერთადერთხელ დაელაპარაკა. ჰანს კასტორპი იჯდა და სიგარეტს აბოლებდა - თამბაქოს მოწევა აქ ასეთ დროს ნებადართული გახლდათ.
იგი ვესტიბიულში გამოვიდა, ჰანს კასტორპმა გაიგონა მისი ნაბიჯების ხმა და ზურგს უკან მისი კაბის შრიალიც მოესმა, ქალი მიუახლოვდა, ხელში წერილი ეჭირა, კონვერტისთვის კიდეში ჩაევლო ხელი და ჰაერში აფრიალებდა. მან პშიბისლავის ხმით მიმართა ჰანს კასტორპს:
- კონსიერჟი წასულია, იქნებ თქვენ მაინც მომცეთ timbre-poste
!
(საფოსტო მარკა (ფრანგ.).) ქალს იმ საღამოს ყელთან მრგვალად ამოჭრილი მსუბუქი, მუქი აბრეშუმის კაბა ეცვა და განიერი სახელოები მაჯაზე ღილიანი მანჟეტით ეკვრებოდა. კაბა თვალში მოუვიდა. ქალს კაბა მარგალიტის მძივით დაემშვენებინა და მარგალიტები ბინდბუნდში მკრთალად უციმციმებდა... ჰანს კასტორპმა ყირგიზულ სახეში შეხედა და გაიმეორა:
- Timbre
? რომ არა მაქვს?

- არა გაქვთ? Tant pis pour vous
.(მით უარესი თქვენთვის (ფრანგ.).)
გამოდის, რომ მანდილოსანს ხელს ვერ გაუმართავთ? - მან ტუჩი აიბზუა და მხრები აიჩეჩა, - ნამდვილად იმედი გამიცრუეთ. მამაკაცებისაგან თადარიგიანობის იმედი მაინც ხომ უნდა გვქონდეს. რატომღაც მეგონა, საფულეში სხვადასხვა ზომისა და ფასის პატარ-პატარა ფურცლები გექნებოდათ ჩაწყობილი.
- რისთვის? - მიუგო მან, - წერილებს მე არავის ვწერ, ანდა ვის უნდა მივწერო? დიდი-დიდი, ღია ბარათი დამჭირდეს, რომელსაც მარკა ზედვე აქვს დაკრული. ვის უნდა მივწერო წერილი? მე არავინ მყავს. ბართან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე. ჩვენი ხალხური სიმღერების კრებულში არის ერთი სიმღერა, სადაც ნათქვამია, „ქვეყნისთვის დაკარგული ვარო“, და სწორედ ისეა ჩემი საქმე...
- კარგი, მაშინ პაპიროსი მაინც მომეცით, დაკარგულო კაცო! - უთხრა ქალმა, მის პირდაპირ, ბუხრის გვერდით მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც ტილოგადაკრული ბალიში იდო, ფეხი ფეხზე გადაიდო და პაპიროსისთვის ხელი გაუწოდა, - ეგ კი გქონიათ მომარაგებული.
გამოწვდილი ვერცხლის სათუთუნედან მან დაუდევრად ამოიღო სიგარეტი და მადლობაც არ უთქვამს, ისე მოუკიდა კვესზე, რომელიც ჰანსკასტორპმა დახრილ სახესთან ახლოს მიუტანა. ამ ზანტად ნათქვამ სიტყვებში, „პაპიროსი მაინც მომეცითო“ და მადლობის უთქმელად სიგარეტის გამორთმევაში განებივრებული ქალის სილაღე, მაგრამ ამასთან ადამიანური, უკეთ რომ ვთქვათ, „ადამიანური“ სიახლოვე და საერთო საკუთრების შეგრძნება გამოსჭვიოდა, პირველყოფილი სილბოთი გაჟღენთილი გრძნობა, რომ რისამე გაღება და მიღება თავისთავად გასაგები რამ იყო. შემდეგ მან უპასუხა:
- ჰო, ეგ კი ყოველთვის მომარაგებული მაქვს. სიგარეტი არ უნდა შემოგაკლდეს. უიმისოდ რა გეშველება? ამას ვნების აყოლას ეძახიან, არა? გულახდილად რომ ვთქვა, ვნებიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ჩემი ვნებები მეცა მაქვს, ფლეგმატური ვნებები, რა თქმა უნდა.
- აი, ვნებიანი არა ვარო, რომ თქვით, მაგით კი ნამდვილად დამამშვიდეთ, - უპასუხა ქალმა და პირიდან ბოლი გამოუშვა, - ანდა როგორ იქნებით ვნებიანი? მაშინ ხომ თქვენს ჯიშსა და ჯილაგს უნდა უღალატოთ. ვნება სიცოცხლისთვის სიცოცხლეს ნიშნავს, მამაკაცები კი განცდის გულისთვის ცოცხლობთ. ვნება თავდავიწყებაა, თქვენ კი მხოლოდ თვითგამდიდრების ჟინი გკლავთ. C’est ca
(დიახ, სწორედ ასეა (ფრანგ.).) . ნუთუ არც გიფიქრიათ, რომ ეს საზიზღარი ეგოიზმია და მისი წყალობით ერთ მშვენიერ დღეს კაცობრიობის მტრის როლში აღმოჩნდებით?
- ოჰო! ერთბაშად კაცობრიობის მტრად გვაცხადებ? რაებს ამბობ, კლავდია, ყველაფერს ასე რატომ აზოგადებ? მაინც რა გარკვეული და პირადი თვისება გაქვს მხედველობაში, რომ ამბობ, სიცოცხლისთვის კი არა, თვითგამდიდრებისთვის იღვწითო? ქალებს ფუჭი მორალის კითხვა რომ არ გიყვართ? ო, მორალი, რომ იცოდე, ნაფტასა და სეტემბრინის საპაექრო თემაა. იგი უკიდურესი ბუნდოვანების სფეროს მიეკუთვნება. ადამიანი საკუთარი თავისთვის ცოცხლობს თუ სიცოცხლისათვის, ეს თვითონაც არ იცის და ზუსტად და მტკიცედ ვერც ვერავის ეცოდინება. მე მინდა ვთქვა, მიჯნას ამ შემთხვევაში მკაფიოდ ვერ გაავლებ-მეთქი. არსებობს ეგოისტური თავგანწირვა და თავგანწირული ეგოიზმი... ჩემი აზრით, აქ ისეთივე ამბავი ხდება, როგორიც სიყვარულშია. ცხადია, ამორალურად ვიქცევი, კარგად რომ ვერ ვუგდებ ყურს, მორალზე რასაც მელაპარაკები, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ის მიხარია, ერთად რომ ვსხედვართ, როგორც ოდესღაც ვისხედით, და მას მერე არც ერთხელ ერთად არ ვმსხდარვართ, რაც უკან დაბრუნდი. მიხარია, რომ შემიძლია გითხრა, როგორ გშვენის ეს ვიწრო მანჟეტები შენც და შენს ხელებსაც, როგორ ევლება გარს ეს სიფრიფანა აბრეშუმი შენს მკლავებს, ჩემს ნაცნობ მკლავებს...
- მივდივარ.
- ნუ წახვალ, გთხოვ! მე ვითარებასაც გავითვალისწინებ და პიროვნებებსაც.
- თქვენისთანა უვნებო კაცისაგან ამის იმედი მაინც ხომ უნდა ვიქონიოთ.
- ხომ ხედავ! შენ დამცინი და მკიცხავ, როცა მე... წასვლას კი აპირებ, როცა...

- თუ გნებავთ, რომ გაგიგოთ, გთხოვთ, ნურაფერს გამოტოვებთ.
- გამოდის, რომ იოტისოდენადაც ვერ გამომიყენებია შენი უნარი, შენ ხომ გამოტოვებული სიტყვების ამოცნობაში გაწაფული ხარ? გეტყოდი, უსამართლოდ მექცევი-მეთქი, მაგრამ ვიცი, სამართლიანობა აქ რომ არაფერ შუაშია...
- დიახაც, არა. ეჭვიანობისაგან განსხვავებით სამართლიანობა ფლეგმატური ვნებაა და ეჭვიანობით ფლეგმატური ადამიანები თავს ნამდვილად სასაცილოდ იხდიან ხოლმე.
- ხედავ? სასაცილოდო. ამიტომაც გეუბნები, ჩემი ფლეგმატურობა მე დამანებე-მეთქი! გიმეორებ! რა მეშველებოდა, ასეთი რომ არ ვიყო? უამისოდ თუნდაც ლოდინს კი გავუძლებდი?
- რას?
- შენს ლოდინს.
- Vოყონს, მონ ამი
.
(ყური მიგდე, მეგობარო (ფრანგ.).) აღარ მსურს ავიტანო მომართვის ის ფორმა, რასაც სულელურად და ჯიუტად ადგახართ. ეგ ფორმა თვითონვე მოგბეზრდებათ, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, არც მე ვარ ბურჟუის პრანჭია ცოლი, რომ აღვშფოთდე...
- ავად ხარ და იმიტომ. ავადმყოფობა ადამიანს თავისუფლებას ანიჭებს. იგი შენ... მოიცა, აღარ მაგონდება ის სიტყვა, რომელიც ჯერ არ გამომიყენებია! იგი შენ გენიალურობას განიჭებს!
- გენიალურობაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ეგ სულ არ მინდოდა მეთქვა. მე მხოლოდ ერთს მოვითხოვ: ნუ წარმოიდგენთ, თითქოს თქვენს ლოდინში - თუკი მართლა მელოდით - მე რაიმე ბრალი მიმიძღოდეს ან შემეგულიანებინოთ, ან, საერთოდ, დამერთოს ამის ნება. ახლავე უნდა დამიდასტუროთ, რომ სწორედ პირიქით იყო...
- სიამოვნებით, კლავდია, სიამოვნებით. შენ არ მოგიცია ლოდინის საბაბი, მე ჩემი ნებით გელოდი. კარგად მესმის, რატომაც აძლევ ამასმნიშვნელობას...
- ხომ ხედავთ, თქვენს აღიარებაშიც კი იგრძნობა კადნიერება. საერთოდ, კადნიერი კაცი ბრძანდებით, ღმერთმა იცის, რატომ. მარტო ჩემთან ურთიერთობაში კი არა, ისედაც. თქვენს აღტაცებაშიც, თქვენს მორჩილებაშიც კი იგრძნობა კადნიერება. იქნებ გგონიათ, ამას ვერ ვამჩნევდე! წესით, არც უნდა დაგლაპარაკებოდით, თუნდაც იმიტომ, რომ ბედავთ და ლოდინზე მიწყებთ ლაპარაკს. თქვენი მხრივ უპასუხისმგებლობაა, ისევ აქ რომ ხართ. დიდი ხანია თქვენს სამუშაოს უნდა დაჰბრუნებოდით, sur le chantier
, (ვერფი (ფრანგ.).) თუ სადაც იყო, იქ...
- აი, ახლა გენიალურად კი არა, სავსებით ჩვეულებრივად ლაპარაკობ, კლავდია. ეგ ფუჭი სიტყვებია. შეუძლებელია, შენც სეტემბრინივით მსჯელობდე. ვიცი, ასე განგებ რომ ლაპარაკობ და შენს ნათქვამს არც მე ვეკიდები სერიოზულად. მე ჩემი საბრალო ბიძაშვილივით უნებართვოდ ვერ წავიდოდი, იგი ბარში სამსახურს რომ შეეცადა, შენი წინასწარმეტყველებისამებრ, მოკვდა კიდეც, მაგრამ მან იცოდა, რომ მოკვდებოდა და აქ სამკურნალო სამსახურის გაგრძელებას მაინც სიკვდილი ერჩია. ამიტომაც იყო ჯარისკაცი, მაგრამ მე ჯარისკაცი არ გახლავართ, მე სამოქალაქო პირი ვარ, დეზერტირობად მე ის ჩამეთვლებოდა, ჩემი ბიძაშვილივით რომ მოვქცეულიყავი და partout
,
(აუცილებლად (ფრანგ.).) რადამანთისის აკრძალვის მიუხედავად, ბარში პირდაპირ სასარგებლო საქმისა და პროგრესის სამსახურში ჩავმდგარიყავი. ეს იქნებოდა უდიდესი უმადურობისა და ორგულობის გამოჩენა ავადმყოფობის, გენიის, შენდამი სიყვარულის წინაშე, რომელმაც ძველი და ახალი ჭრილობები დამიტოვა, შენი მკლავების წინაშე, რომელთაც ვიცნობ, თუნდაც ვაღიარო, რომ მხოლოდ სიზმარში, გენიალურ სიზმარში გავიცანი შენი მკლავები, ასე რომ, ეგ შენ არც არაფერს გავალდებულებს და ოდნავადაც არ გიზღუდავს თავისუფლებას...
ქალი ისევ ისე იჯდა, სიგარეტს ეწეოდა, ზურგით პანელს მიყრდნობოდა, ხელები სკამზე დაებჯინა და ფეხი ფეხზე გადაედო. ჰანს კასტორპის სიტყვებზე ისე გაიცინა, რომ თათარივით ვიწროდ გაჭრილი თვალები მთლად მოეჭუტა და შავი

ლაქის ფეხსაცმლით შემოსილი ფეხი აუთამაშდა.
- Quelle générosité! Oh là, là, vraiment
(რა დიდსულოვნებაა! კმარა მართლა და მართლა (ფრანგ.).) , ზუსტად ასეთი წარმომედგინა homme de génie
,
(გენიოსი (ფრანგ.).) ჩემო საბრალო ბიჭუნავ!
- კარგი, გეყოფა, კლავდია. მე, რა თქმა უნდა, ჩემი ბუნებით არავითარი homme de génie
არა ვარ და ვერც დიდ მასშტაბებს დავიჩემებ, ღმერთმანი, არა, მაგრამ შემთხვევით - დაარქვი ამას შემთხვევა - ავიჭერი მაღლა ამ გენიალურ სფეროებში... მოკლედ, შენ, ალბათ, არ გეცოდინება, რომ არსებობს რაღაც ალქიმისტურ-ჰერმეტული პედაგოგიკა, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, ესე იგი, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ამაღლება, ოღონდ გარეგანი ზემოქმედებისა და ბიძგის შემწეობით უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად რომ გამოდგეს, საამისოდ ცოტა რამ მაინც თვით იმ ნივთიერებასაც უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი. ჰოდა, მე ზედმიწევნით კარგად ვიცი, რაც მქონდა თანდაყოლილი - მე ოდითგანვე ვემეგობრებოდი ავადმყოფობასა და სიკვდილს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭმა უგუნურება გამოვიჩინე და შენგან ფანქარი ვინათხოვრე, ისევე როგორც აქ გამოგართვი ყველიერის ღამეს ფანქარი. მაგრამ უგუნური სიყვარული გენიალურია, რადგან სიკვდილი, რომ იცოდე, გენიალური პრინციპია, res bina, lapis philosophorum
,
(იგი ფილოსოფიურს ჰგავს (ფრანგ.).) მაგრამ იგი პედაგოგიური პრინციპია, რადგან მის სიყვარულს სიცოცხლისა და ადამიანის სიყვარულამდე მივყავართ. დიახ, ასეა, ჩემს ლოჯიაში მომევლინა ცხადად ეს აზრი და ახლა აღტაცებული ვარ, შენ რომ შემიძლია გაგიზიარო. სიცოცხლისკენ ორი გზა მიდის: ერთი ჩვეულებრივია, პირდაპირი და წესიერი, მეორე უკეთურია, იგი სიკვდილის მიღმა გადის და გენიალობისაკენ მიმავალი გზაც ეს არის!
- შენ მოსულელო ფილოსოფოსი ხარ, - უთხრა ქალმა, - ვერ დავიჩემებ, შენი დახლართული გერმანული აზრებიდან ყველაფერი მესმის-მეთქი, მაგრამ შენი ნათქვამი ადამიანურად ჟღერს და შენც ნამდვილად კარგი ბიჭი ხარ. ისე კი, შენ მართლა en philosophe
(ფილოსოფოსივით (ფრანგ.).) მოიქეცი, ამას ვერავინ დაგიკარგავს...
- შენი გემოვნებისთვის მეტისმეტად en philosophe
, არა, კლავდია?
- გეყოფა თავხედობა! მომწყინდა. რომ მელოდი, ეგ სისულელე იყო და დაუშვებელი, მაგრამ მაინც ხომ არ მიბრაზდები, ტყუილად რომ გალოდინე?
- ძნელი იყო, კლავდია, ფლეგმატური კაცისთვისაც კი ძნელი იყო ლოდინი, ჩემთვის ხომ ძნელი იყო, მაგრამ შენ მაინც დიდი სისასტიკე გამოიჩინე, იმასთან ერთად რომ დაბრუნდი, ბერენსისგან ხომ უეჭველადგეცოდინებოდა, რომ აქ ვიყავი და გელოდი. მაგრამ ხომ გითხარი, ჩვენსღამეს მხოლოდ სიზმრად ვთვლი და შენს თავისუფლებას ვაღიარებ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, არც ამაოდ მიცდია, შენ აქა ხარ, მაშინდელივით ერთად ვსხედვართ, მესმის შენი საოცარი, ოდნავ ხრინწიანი ხმა, ამ ხმას დიდი ხანია მიჩვეულია ჩემი ყური, ამ განიერი აბრეშუმის კაბის ქვეშ კი შენი მკლავები იმალება, მე რომ ვიცნობ, ის მკლავები, თუნდაც ზევით სიცხიანი იწვეს შენი თანამგზავრი, დიდი პეპერკორნი, ეგ მარგალიტის მძივი რომ მოგიძღვნა, ის პეპერკორნი...
- რომელსაც თქვენ თვითგამდიდრების მიზნით ასე დაუმეგობრდით.
- ეგ ნუ გეწყინება, კლავდია! სეტემბრინიმაც გამომლანძღა ამის გულისთვის, მაგრამ ეს ხომ საზოგადოებაში გამეფებული ცრურწმენის ბრალია. ამ კაცთან შეხვედრა ბედის საჩუქარია, ღმერთმანი, იგი დიდი პიროვნებაა! მართალია, ხანდაზმულია, მაგრამ მაინც გაგიგებდი, როგორც ქალს ძალიან რომ შეგყვარებოდა. მართლა ძალიან გიყვარს?
- შენი ფილოსოფოსობა დასაფასებელია, გერმანელო ჰანსჰენ, - უთხრა ქალმა და თმაზე ხელი გადაუსვა, - მაგრამ მე მგონი, ადამიანური არ იქნება, შენ ჩემს სიყვარულზე გელაპარაკო!

- ო, არა, კლავდია, რატომაც არა, ჩემი აზრით, ადამიანურობა იქ იწყება, სადაც არაგენიალურ ხალხს ჰგონია, მთავრდებაო. მაშ, გაგიჟებით გიყვარს?
ქალი გადაიხარა, სიგარეტის ნამწვი ალმაცერად ისროლა ბუხარში და შემდეგ დიდხანს გულხელდაკრეფილი იჯდა.
- თვითონ ვუყვარვარ, - თქვა მან, - და მისი სიყვარული სიამაყეს, მადლიერებისა და ერთგულების გრძნობას აღმიძრავს. შენ ან გამიგებ ამას, ანდა ღირსი არ იქნები იმ მეგობრობისა, იგი შენდამი რომ ავლენს... მისმა გრძნობამ მაიძულა, თან გავყოლოდი და მისი მხევალი გავმხდარიყავი. აბა, რა მექნა? თვითონ განსაჯე! განა ადამიანს შესწევს ძალა, უგულებელყოს მისი გრძნობები?
- არავითარ შემთხვევაში! - კვერი დაუკრა ჰანს კასტორპმა, - ეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომელი ქალი გაბედავს უგულებელყოს მისი გრძნობა, ანუ ამ გრძნობისგან გაჩენილი შიში, და იგი, ასე ვთქვათ, ბედის ანაბარა მიატოვოს გეთსიმანიის ბაღში...
- შენ უჭკუო არა ხარ, - უთხრა ქალმა და ირიბად გაჭრილ თვალებში ფიქრი გაეყინა,
- შენ ყველაფერი გესმის. გრძნობისგან გაჩენილი შიში...
- იმის დანახვას დიდი ჭკუა არ სჭირდება, რომ უნდა გაჰყოლოდი, თუნდაც იმიტომ, ანდა უფრო იმიტომაც, რომ მის სიყვარულში ბევრი რამაა შიშის მომგვრელი.
- C’est exact
...
(სწორედ ასეა (ფრანგ.).) შიშის მომგვრელი. რომ იცოდე, რა სადარდებელს მიჩენს, მასთან ყოფნა რა ძნელია...
ქალი მის ხელს დასწვდა და ხელის მტევანს ერთხანს ანგარიშმიუცემლად ათამაშებდა, მაგრამ უეცრად წარბი შეიკრა და ჰკითხა:
- მოიცა! განა სიმდაბლე არ არის, მასზე ასე რომ ვლაპარაკობთ?
- არა, ცხადია, არა, კლავდია. არა, ნამდვილად არა. ეს ადამიანური საქციელია და მეტი არაფერი! შენ გიყვარს ეს სიტყვა, ისე მეოცნებედ აჭიანურებ ხოლმე ბგერებს, მიყვარს შენი ბაგიდან ამ სიტყვის გაგონება. ჩემი ბიძაშვილი იოახიმი ჯარისკაცი იყო და ვერ იტანდა ამ სიტყვას, ეგ საყოველთაო უწესრიგობასა და თავმიშვებულობას ნიშნავსო. ამ სიტყვაში მაინცდამაინც უნაპირო შემწყნარებლობის აზრს თუ ჩავდებთ, მაშინ ვაღიარებ, რომ მეც ჩემებური ეჭვები მიჩნდება, მაგრამ როცა მასში თავისუფლება, გენიალობა და სიკეთე იგულისხმება, მაშინ იგი უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს, და, როცა ჰეპერკორნზე და მისგან მომდინარე სადარდებელსა და სიძნელეებზე ვლაპარაკობთ, შეგვიძლია დამშვიდებით ვახსენოთ ეს სიტყვა. ეს ყველაფერი, ცხადია, ღირსების მისებური, ახირებული გაგებიდან მომდინარეობს, მისი შიშისაგან, ვაითუ, გრძნობამ მიღალატოსო და დამხმარე და დამატკბობელ საშუალებებსაც ასე ამიტომაც ეტანება. ასეთ ამბებზე ჩვენ მხოლოდ მოწიწებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რადგან იგი ყველაფერში ავლენს თავის მასშტაბებს, დიდებულ, მეფურ მასშტაბებს, და თუკი ამაზე ადამიანურად ვილაპარაკებთ, ეს არც მისი დამცირება გამოვა და არც ჩვენი.
- ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ, - მიუგო ქალმა და კვლავ გულხელი დაიკრიფა, - თუ ქალი მამაკაცისთვის, და თან, როგორც შენ ამბობ, დიდი მასშტაბის მამაკაცისთვის, ვისაც მის მიმართ გრძნობა გააჩნია და ამ გრძნობას შიშით თავს დაჰკანკალებს, თუნდაც დამცირებას არ აიტანს, იმას ქალი არც ჰქვია.
- ნამდვილად, კლავდია. კარგი ნათქვამია. მაშინ დამცირებაც მასშტაბებს იძენს და ქალს შეუძლია თავისი დამცირების სიმაღლიდან ამაყად გადმოხედოს იმათ, ვისაც მეფური მასშტაბები არ გააჩნია, და ისე აგდებულად ელაპარაკოს, როგორც შენ მითხარი ცოტა ხნის წინ
ტიმბრეს პოსტე -ს გამო, მამაკაცებისგან თადარიგიანობის იმედი მაინც ხომ უნდა გვქონდესო!
- გეწყინა? კარგი ერთი. წყენა ეშმაკსაც წაუღია, კარგი? მეც მწყინს ხოლმეშენგან რაღაც-რაღაცები, აი, ახლა გეუბნები გულახდილად, რაკი ამ საღამოს ერთად ვსხედვართ და ვსაუბრობთ. მე შენს ფლეგმატურობაზე მომდის გული, შენი ეგოისტური სიამოვნებისთვის იმას რომ დაუმეგობრდი, თუმცა მაინც ძალიანმიხარია, ასე მოწიწებით რომ ეპყრობი... შენს საქციელში ლოიალობა ჭარბობს, თუმცა თავხედობაც კარგად გამოსჭვივის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს,

მაინც მიპატიებია.
- მეტისმეტად კეთილი ბრძანდები.
ქალმა შეხედა.
- შენი გამოსწორება, ეტყობა, არ იქნება. იცი, რას გეტყვი: დიდი ეშმაკი ბიჭი ხარ. არ ვიცი, ჭკვიანი ხარ თუ არა, მაგრამ ეშმაკობა ნამდვილად არ გაკლია. არა უშავს, ამის ატანა შეიძლება. შენთან მეგობრობაც შეიძლება. მოდი, გინდა მეგობრული კავშირი შევკრათ მის სასარგებლოდ, აი, როგორც ვინმეს წინააღმდეგ კრავენ ხოლმე კავშირს. თანახმა ხარ, მაძლევ ხელს? ხშირად შიში მიპყრობს... ხანდახან მასთან მარტო დარჩენა მეშინია, შინაგანად მარტო დარჩენა, tu sais
...(ხომ გესმის (ფრანგ.).)
იგი შიშს მგვრის... ზოგჯერ მგონია, რომ კარგი არაფერი მოელის... და მაშინ ძრწოლა მიპყრობს... იცი, როგორ მინდა ვინმე კარგი ადამიანი მყავდეს გვერდით... Enfin
,
(მოკლედ (ფრანგ.).) სიმართლე თუ გინდა, იქნებ მასთან ერთად აქ იმიტომაც ჩამოვედი...
ისინი ისე ახლო-ახლოს ისხდნენ, რომ მუხლებით ეხებოდნენ ერთმანეთს, იგი წინ გადახრილ სარწეველაში იჯდა, ქალი კი სკამზე. უკანასკნელ სიტყვებზე ქალმა სახე სახესთან მიუტანა და მკლავში ჩაავლო ხელი. მან უპასუხა:
- ჩემთან, არა? რა კარგია. ო, კლავდია, რა საოცრებას მეუბნები. მაშ, ჩემთან ჩამოხვედი? და ამის შემდეგ ამბობ, შენი ლოდინი დაუშვებელი და ფუჭი იყოო? რეგვენი უნდა ვიყო, შენი შემოთავაზებული მეგობრობის ფასი ვერ გავიგო, დიახ, ჩვენ მის სასიკეთოდ უნდა დავმეგობრდეთ...
და აი, ამ დროს ქალმა ტუჩებში აკოცა. ეს იყო ნამდვილი რუსული კოცნა, იმდაგვარი, ამ ვრცელ, გულღია ქვეყანაში რომ იციან დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, თითქოს ბეჭდის დასმით რომ ამტკიცებენ სიყვარულს, მაგრამ რაკი ერთმანეთს პირწავარდნილმა მზაკვარმა“ ახალგაზრდა კაცმა და შემპარავი ნაბიჯებით მომხიბლავად მოსიარულე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა აკოცეს, ამის მოყოლაზე ძალაუნებურად გვახსენდება დოქტორ კროკოვსკის ოსტატური, იქნებ არცთუ სავსებით მართებული, მერყევი საუბარი სიყვარულზე, დაბეჯითებით ვერავინ რომ ვერ იტყოდა, დოქტორი კროკოვსკი უბიწო სიყვარულს გულისხმობდა თუ ვნებიანსა და ხორციელს. რა ვქნათ, ჩვენც მასავით ვიმსჯელოთ, ანუ, ჰანს კასტორპმა და კლავდია შოშამაც მისებურად იმსჯელონ თუ არა თავიანთ რუსულ კოცნაზე? მაშინ რაღას იტყოდით, უბრალოდ, უარი რომ გვეთქვა ამ საკითხის ღრმად განხილვაზე? ჩვენი აზრით, ანალიტიკური მსჯელობა კი გამოგვივა, მაგრამ ჰანს კასტორპის ნათქვამს გავიმეორებთ და ვიტყვით, „დიდი სიბრიყვე“ და სიცოცხლისმოძულეობა იქნება, უბიწო და ვნებიანი სიყვარული ერთმანეთისაგან მკვეთრად“ რომ გავმიჯნოთ. ეს მკვეთრად გამიჯვნა რაღაა?! ან ეს მერყევი და ორჭოფული აზრი რას ჰქვია?! არც ვმალავთ, ასეთი რამეები სასაცილოდ რომ მიგვაჩნია. განა დიდებული და მშვენიერი არ არის, ენა ერთ სახელს რომ არქმევს ყველაფერს, რაც შეიძლება იგულისხმო ამ გრძნობაში, უბიწოებიდან მოყოლებული და ხორციელი ჟინით დამთავრებული? ეს გახლავთ ორაზროვნებაში ჩაბუდებული სავსებით ერთმნიშვნელოვანი აზრი, რადგან თვით უკიდურესად ღვთისმოსაური სიყვარულიც არ შეიძლება არ იყოს ხორციელი და პირიქით, უკიდურესად ხორციელ სიყვარულშიც არ შეიძლება, მისხალი მაინც არ ერიოს ღვთისმოსაური, იგი მარად საკუთარი თავის ერთგულია, როგორც სიცოცხლის მზაკვრული ტრფიალი, როგორც უზენაესი ვნება, იგია ორგანული საწყისისაკენ ლტოლვა, გულის ამაჩუყებლად, ვნებიანად რომ იკრავს გულში ხრწნისთვის განკუთვნილ სხეულს, caritas
(თავგანწირული სიყვარული, გულმოწყალება (ლათ.).) მხოლოდ ყველაზე ზეაღმტაც და ბობოქარ ვნებაშია ჩაბუდებული. მერყევი აზრიო? ღმერთო დიდებულო, იყოს სიყვარულის აზრი მერყევი! ასეთი რომ არის, ესაა სწორედ ცხოვრება და ადამიანურობა, და სრული სიბლაგვე სწორედ ის იქნება, მის მერყეობაზე ვიმტვრიოთ თავი.
ამგვარად, სანამ ჰანს კასტორპისა და ფრაუ შოშას ტუჩები რუსულ კოცნაშია შეწებებული, სცენის შეცვლის მიზნით ჩავაბნელოთ ჩვენი პატარა თეატრი. ჩვენ

ხომ დაგპირდით, მეორე საუბარსაც გაგანდობთ-თქო, და აი, შუქის კვლავ ჩართვის შემდეგ, საღამოსკენ გადახრილი გაზაფხულის დღის მღვრიე სინათლეზე ჩვენს გმირს ჩვეულ ვითარებაში ვხედავთ, დიდი პეპერკორნის საწოლთან მეგობრულად და მოწიწებით მოსაუბრეს. სასადილოში, ოთხ საათზე, ჩაის სუფრასთან ფრაუ შოშა მარტო მობრძანდა, ისევე როგორც მის წინამორბედ სამივე ტრაპეზზე, და მაშინვე საყიდლებზე წავიდა კურორტის მაღაზიებში. ჰანს კასტორპმა კი, ჩვეულებისამებრ,ავადმყოფი ჰოლანდიელის მონახულება გადაწყვიტა, ერთი მხრივ, უნდოდა მისდამი ყურადღება გამოეჩინა და ცოტათი მაინც გაერთო, მეორე მხრივ კი, თვითონაც უნდოდა თავისდა სასიკეთოდ კვლავაც განეცადა მისი პიროვნების ზეგავლენა, მოკლედ, სიცოცხლისეული, მერყევი მოტივები ამოძრავებდა. პეპერკორნმა „ტელეგრაფი“ განზე გადადო, რქის პენსნეს კეხში ჩაავლო ხელი, ჯერ შუბლზე აიწია, მერე კი მოიხსნა, გაზეთზე დააგდო და სტუმარს კაპიტნის ხელი გაუწოდა, ფართო, გახეული ტუჩები კი ისე შეარხია, თითქოს ტკივილმა მოუღრიცაო. წითელი ღვინო და ყავა, ჩვეულებისამებრ, საწოლთან მიედგა, სკამზე დარჩენილცარიელ ყავის ჭურჭელს ყავა ზოლებად შეხმობოდა, მინჰერს სადილზე დასაყოლებელი ულუფა უკვე დაელია, ჩვეულებისამებრ, მაგარი და ცხელი, შაქრითა და ნაღებით შეზავებული, და ახლა ოფლში იწურებოდა. ცეცხლის ენებივით აფრიალებული თეთრი თმით შემორკალული მეფური სახე გასწითლებოდა, ხოლო შუბლი და ზედა ტუჩი დაცვაროდა.

- გავოფლიანდი, - უთხრა მან ჰანს კასტორპს და დასძინა, - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ყმაწვილო. პირიქით, პირიქით. დაბრძანდით! თბილი სასმლის დალევის შემდეგ გაოფლიანება სისუსტის ნიშანია. თუ არ შეწუხდებით... დიახ, დიახ. ცხვირსახოცი. გმადლობთ.

ამასობაში სიწითლე დაუცხრა და სახეზე მოყვითალო სიფითრე გადაეკრა, როგორც ამ დიდებულ კაცს ციებ-ცხელების შეტევის შემდეგ ემართებოდა ხოლმე. ამ დილით კვარტულმა ციებ-ცხელებამ მაგრად მოჰკიდა ხელი, სამივე სტადია ძლიერად მიმდინარეობდა, ცივიც, მხურვალეც და სველიც და პეპერკორნის პატარ-პატარა, უფერო თვალები კერპივით დაღარული შუბლის ქვემოდან უსიცოცხლოდ იმზირებოდნენ. მან განაგრძო:

- ეს... დიახ, დიახ, ყმაწვილო. მე მინდა სიტყვა „სანაქებო“... დიახ, დიახ, უსათუოდ. დიდ თავაზიანობას იჩენთ, ავადმყოფი ბერიკაცი რომ...

- მოვინახულე? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა, - რას ბრძანებთ, მინჰერ პეპერკორნ. მე იქით მმართებს მადლობის თქმა, აქ ცოტა ხნით ჯდომის უფლება რომ მოვიპოვე, მე ხომ გაცილებით მეტს ვიძენ აქ მოსვლით, ვიდრე თქვენ, და ამიტომ წმინდა ეგოისტური მიზნები მამოძრავებს. ეს მცდარი დახასიათება თქვენს თავს როგორ აკადრეთ. „ავადმყოფი ბერიკაციო“. ვერავინ მიხვდება, რომ ეს თქვენ შეიძლება იყოთ. ასე ხომ სავსებით ყალბი სურათი იქმნება...

- კეთილი, კეთილი, - მიუგო პეპერკორნმა და რამდენიმე წამით თვალები დახუჭა. დიდებული თავით ბალიშზე მიესვენა, ნიკაპი მაღლა ასწია და გრძელფრჩხილებიანი ხელები ნაქსოვი პერანგიდან ამობურცულ, ფართო, მეფურ მკერდზე დაიწყო, - კარგია, ყმაწვილო, უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, კეთილი მიზნები გამოძრავებთ. სასიამოვნო დრო გავატარეთ გუშინ საღამო ხანს... დიახ, დიახ, ჯერ კიდევ გუშინ საღამოს... იმ სტუმართმოყვარე ადგილას... სახელი დამავიწყდა... აი, სადაც საუცხოო ძეხვით, სალამით შეზავებული ტაფამწვარი და ჯანსაღი, აქაური ღვინო...

- ნამდვილად დიდებული იყო! - დაუდასტურა ჰანს კასტორპმა, - ყველამ მადიანად მოვულხინეთ... „ბერგჰოფის“ შეფმზარეული სამართლიანად განაწყენდებოდა, რომ დავენახეთ, ერთი სიტყვით, თავი არც ერთს არ დაგვიზოგავს, მაგრად შევუტიეთ. ეს იყო ნამდვილი სალამი, ბატონ სეტემბრინის გული აუჩუყდა, ლამის ცრემლმორეული გეახლებოდათ. თქვენც გეცოდინებათ, ბატონი სეტემბრინი პატრიოტი და თან დემოკრატი პატრიოტი რომ არის, მოქალაქის შუბი კაცობრიობის საკურთხეველზე აქვს ნაკურთხი, რათა სალამის შემოტანისთვის შვეიცარიის საზღვარზე ბაჟი მომავალშიც არ მოიშალოს.

- ეგ არაფერი, - განუცხადა პეპერკორნმა, - იგი რაინდი და ხალისიანი მოსაუბრეა, ჩინებული კავალერიც, თუმცა, ეტყობა, განგებამ იმის ბედი არ არგუნა, რომ ტანსაცმელი ხშირ-ხშირად გამოეცვალა.

- დიახ, არ არგუნა! - თქვა ჰანს კასტორპმა, - მაგის ბედი სულ არ არგუნა! ბატონ სეტემბრინის კარგა ხანია ვიცნობ და ვმეგობრობთ კიდეც, ესე იგი, მან მოისურვა დიდსულოვნად ჩემთან მეგობრობა, „ძნელად აღსაზრდელი“ ვგონივარ და იმიტომ, გამოთქმა გვაქვს ასეთი, ასე უბრალოდ ვერ გაიგებთ, თავს არ იზოგავს, რომ სწორ გზაზე დამაყენოს. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ ზამთარ-ზაფხულ ამ უჯრედებიან შარვალსა და ხაოიან ორბორტიან სერთუკში ვხედავ, ოღონდ ამ ძველმანებს მოხდენილად და ღირსეულად ატარებს, ზუსტად ისე, კავალერს რომ შეეფერება, ამაში მეც სავსებით გეთანხმებით. ასე ტანსაცმლის შეშნობა სიღატაკეზე გამარჯვებაა, პირადად მე მისი სიღატაკე მირჩევნია პატარა ნაფტას ელეგანტურობას. მის დანახვაზე ისეთი უხერხულობა გეუფლება, თითქოს ყველაფერი ეშმაკეული ჰქონდეს და საამისო სახსრებს უწმინდური გზებით შოულობდეს, დიახ, რაღაც-რაღაცები ჩემთვის ცნობილია კიდეც.
- რაინდული და ხალისიანი კაცია, - გაიმეორა პეპერკორნმა, ისე, რომ ნაფტას გაკენწლვისთვის ყური არ უთხოვებია, - თუმცა, ნება მიბოძეთ, ესეც ვთქვა, ადამიანის ათვალწუნება ჰყვარებია. თქვენც შემჩნეული გექნებათ, ჩემს თანამგზავრ მანდილოსანს იგი მაინცდამაინც გულზე არ ეხატება, უსიმპათიოდ იხსენიებს ხოლმე, ალბათ, იმიტომ, რომ ამდაგვარი ხასიათი მის მიმართაც... სიტყვა არ მითხრათ, ყმაწვილო. სულაც არ ვაპირებ, ბატონი სეტემბრინი დათქვენი მეგობრული გრძნობები... მორჩა! არც იმას ვამტკიცებ, მას ოდესმე თავაზიანობის წესები შეშლოდეს, როგორც კავალერი ვალდებულია, მანდილოსანს... ჩინებულია, მეგობარო, ვერაფერში გამოედავები! ოღონდ ხომ არსებობს რაღაც მიჯნა, თავშეკავება, ერთგვარი ორჭოფული და-მო-კი-დებუ-ლება, რაც ქალბატონის მტრულ განწყობილებას ადამიანური თვალსაზრისით უაღრესად...
- გასაგებს ხდის. დიახ, გასაგებიცაა და უაღრესად გამართლებულიც. მაპატიეთ, მინჰერ პეპერკორნ, თქვენი წინადადება რომ დავამთავრე, ასე იმიტომ გავკადნიერდი, რომ სავსებით გეთანხმებით. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ, ქალი - ალბათ, გეღიმებათ, ჩემი ასაკის კაცი ქალებზე ასე ზოგადად რომ ვლაპარაკობ, - ქალი თავის დამოკიდებულებას მამაკაცისადმი, ძირითადად, მამაკაცის მისდამი დამოკიდებულებით განსაზღვრავსდა აქ გასაკვირი არაფერია. ქალები, მე თუ მკითხავთ, რეაქტივებს ჰგვანან, საკუთარი ინიციატივა არ გააჩნიათ, მოშვებულები, უფრო სწორად, პასიურები არიან... გამიჭირდება, მაგრამ ნება მომეცით, მაინც განვავითარო ჩემი აზრი. ქალი, ჩემი დაკვირვებით, სიყვარულის საქმეში თავის თავს უპირველეს ყოვლისა, ობიექტად თვლის, ახლოს მოუშვებს სიყვარულს, მაგრამ თვითონ არა აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, სიყვარულში ამომრჩეველ სუბიექტად იგი მხოლოდ მამაკაცის არჩევანის საფუძველზე იქცევა და მაშინაც კი, ნება მიბოძეთ, ესეც დავძინო, არჩევანის თავისუფლებაზე - ცხადია, იგულისხმება, რომ მამაკაცი მთლად წყალწაღებული არაა, თუმცა აუცილებელ წინა პირობად ვერც ეს ჩაითვლება, - დიახ, არჩევანის თავისუფლებაზე ზეგავლენას ახდენს და ქალს წელში ტეხს ის ფაქტი, რომ თვითონ არის სხვისი რჩეული. ღმერთო დიდებულო, მგონი, ბანალურ ჭეშმარიტებას ვროშავ, მაგრამ ახალგაზრდას, ბუნებრივია, ყველაფერი ახალი, ახალი და განსაცვიფრებელი ეჩვენება. თქვენ ეკითხებით ქალს: „გიყვარს თუ არა იგი?“ „იცით, მას როგორ ვუყვარვარ?“ - გიპასუხებთ ქალი და თვალებს ან ძირს დახრის, ან ზეცისკენ აღაპყრობს. აბა, ერთი წარმოიდგინეთ ასეთი პასუხი ჩვენი პირიდან - მაპატიეთ, ყველას სახელით რომ ვლაპარაკობ! ალბათ, არსებობენ მამაკაცები, ასე რომ გვიპასუხებდნენ, მაგრამ ისინი ხომ სასაცილოები არიან, ეპიგრამის ფორმით რომ ვთქვა, მათ ქალაჩუნა მიჯნურები შეიძლება ვუწოდოთ. განა ისინი თვითონვე არ იხასიათებენ თავს ამგვარი ქალური პასუხით? ნეტავ რას ფიქრობს ქალი, ჰგონია, რომ მამაკაცს უსაზღვრო ერთგულებით უნდა უპასუხოს, რაკი მან ასეთი მდაბალი არსება თავისი სიყვარულით გააბედნიერა, თუ მამაკაცის სიყვარულში თავის უეჭველ უპირატესობას ჭვრეტს? დაფიქრებისას ხშირად დამისვამს საკუთარი თავისთვის ეს კითხვა.
- წმიდათაწმიდა ამბებზე ნათქვამი სხარტი სიტყვებით თქვენ უძველეს, კლასიკურ ფაქტებს გადასწვდით, ყმაწვილო, - მიუგო პეპერკორნმა, - მამაკაცს ათრობს

თავისი ჟინი, ქალი მოითხოვს და მოელის, თვითონაც დათვრეს მისი ჟინისაგან. აქედან მოდის ჩვენი მოვალეობა, გვქონდეს გრძნობის უნარი. აქედან მოდის საშინელი სირცხვილი, როცა გრძნობისგან დაცლილობის გამო უძლურნი ვართ, ქალს ჟინი გავუღვიძოთ. თქვენც ხომ არ მიირთმევთ ერთ ჭიქა წითელ ღვინოს? მე დავლევ. მწყურია. დღეს განსაკუთრებით ბევრი სითხე დავკარგე.
- უღრმესი მადლობა, მინჰერ პეპერკორნ. ამ დროს დალევა არ მერგება, მაგრამ თქვენი სადღეგრძელოს შესასმელად ყოველთვის მზად ვარ.
- მაშინ ღვინის ჭიქა თქვენ აიღეთ, ერთის მეტი არა მაქვს, მე ფიალითაც იოლად გავალ. მე მგონი, ეს პატარა შუშხუნა არ გვიწყენს, თუ უბრალო სასმისით...
მან სტუმარი დაიხმარა, ოდნავ აკანკალებული კაპიტნის ხელით დაისხა ღვინო და უფეხო ჭიქიდან ისე სწრაფად გადაუშვა თავის ნაქანდაკევ ხორხში, თითქოს სუფთა წყალიაო.
- ყელს გავისველებ, - თქვა მან, - თქვენ მეტს აღარ დალევთ? მაშინ ნება მიბოძეთ, მე ერთხელ კიდევ... - ხელმეორედ დასხმისას ცოტა ღვინო დაეღვარა და საბნის შალითა წითლად დაილაქა, - ვიმეორებ, - თქვა მან, შუბივით წამახული თითი ასწია, მეორე ხელში კი ღვინით სავსე ჭიქა აუკანკალდა, - ვიმეორებ: აქედან მოდის გრძნობის წინაშე ჩვენი რელიგიური მოვალეობა. რომ იცოდეთ, ჩვენი გრძნობაა ის მამაკაცური ძალა, სიცოცხლეს რომ აღვიძებს. სიცოცხლე თვლემს. მას უნდა გააღვიძონ, რათა ღვთაებრივ გრძნობას შეუუღლდეს და მასთან ერთად გააჩაღოს მთვრალი ქორწილი. რადგან სიყვარული, ყმაწვილო, ღვთაებრივი გრძნობაა. ადამიანიც ღვთაებრივია მანამდე, სანამ სიყვარულის უნარი შესწევს. ადამიანი ღმერთის სიყვარულია. ღმერთმა შექმნა იგი, რათა მისით განეცადა სიყვარული. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ის ორგანოა, რომლის მეშვეობითაც ღმერთი გამოღვიძებულ და სიყვარულით მთვრალ სიცოცხლესთან ქორწინდება. და თუ ადამიანს გრძნობამ უმტყუნა, მაშინ ეს ღმერთის შერცხვენაა, ეს არის ღმერთის მამაკაცური ძალის მარცხი, კოსმიური კატასტროფა, გაუგონარი საშინელება... - დასძინა მან და დალია.
- ნება მომეცით, ჭიქა გამოგართვათ, მინჰერ პეპერკორნ, - უთხრა ჰანს კასტორპმა, - მივყვები თქვენს ფიქრთა მდინარებას და ბევრ რამესვსწავლობ. თქვენ ავითარებთ ისეთ თეოლოგიურ თეორიას, რომლის თანახმადაც, ადამიანს უაღრესად საპატიო, თუმცა, ალბათ, ოდნავ ცალმხრივ რელიგიურ ფუნქციას მიაწერთ. თქვენს მსჯელობაში, თუ აზრის გამოთქმის ნებას დამრთავთ, ურევია ერთგვარი რიგორიზმი, ეს კი, მაპატიეთ და, დამთრგუნველად მოქმედებს. ყოველგვარი რელიგიური სიმკაცრე, ცხადია, დამთრგუნველია მოკრძალებული მასშტაბის ადამიანებისათვის. გულშიც არ გამივლია, თქვენთვის რაიმე შემესწორებინა, მე მხოლოდ მინდოდა, მივბრუნებოდი იმ აზრს, რაც თქვენ „ათვალწუნებაზე“ ბრძანეთ. თქვენი დაკვირვებით, ბატონი სეტემბრინი ასეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს თქვენი თანამგზავრისადმი. ბატონ სეტემბრინის დიდი ხანია ვიცნობ, ძალიან დიდი ხანია, საუკუნეა ვიცნობ და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მისი წინასწარ აკვიატებული აზრი, თუკი საერთოდ არსებობს იგი, არავითარ შემთხვევაში წვრილმანი და ფილისტერული არ იქნება, ამის გაფიქრებაც კი სასაცილოა. აქ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაღალი სტილისაკვიატებული აზრი, ანუ არაპიროვნული აზრი, ასე ვთქვათ, ზოგადი პედაგოგიური პრინციპები, რომელთა საფუძველზე, გულახდილად რომ გითხრათ, ბატონმა სეტემბრინიმ ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ დამარქვა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. ეს იმდენად რთული საკითხია, რომ ორი სიტყვით შეუძლებელია...
- და თქვენ გიყვართ
მადამე , არა? - უეცრად ჰკითხა მინჰერმა და სტუმრისკენ მიაბრუნა თავისი მეფური სახე. ჰანს კასტორპმა შეხედა ამ ტანჯვით გახეულ ტუჩებს, არაბესკებით დაღარული შუბლის ქვემოდან გამომზირალ წვრილ-წვრილ, უფერო თვალებს და... შეკრთა. მან წაილუღლუღა:
- თუ მე... ესე იგი... მე, რა თქმა უნდა, დიდ პატივს ვცემ ფრაუ შოშას თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ...
- გთხოვთ, გთხოვთ! - თქვა პეპერკორნმა და ჰანს კასტორპი დახვეწილი ჟესტით შეაჩერა, - ნება მიბოძეთ, - განაგრძო მან, მას შემდეგ, რაც ამ გზით თავის

სათქმელს მისცა გასაქანი, - ნება მიბოძეთ, გაგიმეოროთ, რომ გულშიც არ გამივლია იმ იტალიელი ბატონისათვის რაინდული კოდექსის ნამდვილი დარღვევა მესაყვედურებინა - ამ საყვედურს ვერავის ვაკადრებ, ვერავის. მე მხოლოდ შევამჩნიე, რომ... ამ წუთში ლამის მიხარია, რომ... კარგი, ყმაწვილო, ნამდვილად კარგია და მშვენიერი. მიხარია, აქ საეჭვო არაფერია; ნამდვილად ნასიამოვნები ვარ. ჩემს თავს ვეუბნები... ჩემს თავს მოკლედ და ნათლად ვეუბნები: თქვენ ჩემზე დიდი ხანია იცნობთ მადამს. წინა ჩამოსვლაზე თქვენც მასთან ერთად იყავით აქ. გარდა ამისა, იგი უაღრესად მომხიბლავი ქალია, მე კი ერთი ავადმყოფი ბერიკაცი ვარ. როგორ მოხდა, რომ... იგი, მე რაკი შეუძლოდ ვარ, დღეს ნაშუადღევს, საყიდლებზე მარტოდმარტო წავიდა. რა მოხდა მერე! თითქოს არაფერი! მაგრამ ნამდვილად საჭირო იყო... მივაწერო ეს, როგორ თქვით? ჰო, სინიორ სეტემბრინის პედაგოგიურ პრინციპებს, რომ თქვენს რაინდულ გრძნობებს... გთხოვთ, სწორად გამიგოთ...
- სწორად გაგიგეთ, მინჰერ პეპერკორნ. არა, სრულიადაც არა. მე სრულიად დამოუკიდებლად ვიქცევი. პირიქით, ბატონი სეტემბრინი ზოგჯერ... ო, სამწუხაროდ, თქვენს შალითას ღვინის ლაქები ამჩნევია, მინჰერ პეპერკორნ. რა ვქნათ? ჩვენ ზედ მარილის მოყრა ვიცით ხოლმე, სანამ ლაქა ახალია...
- ეგ არაფერი, - უპასუხა პეპერკორნმა, ისე, რომ სტუმრისთვის თვალი არ მოუცილებია.
ჰანს კასტორპი გაწითლდა.
- აქ, - ყალბი ღიმილით დაიწყო მან, - აქ ხომ ჩვეულებრივი ვითარება არაა, აქაური სულისკვეთება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირობითობას არ ემორჩილება. უპირატესობა აქ ავადმყოფს ენიჭება, სულერთია, კაცი იქნება ის თუ ქალი. სამაგიეროდ, რაინდული კანონები იჩაგრება. თქვენ ამჟამად შეუძლოდ ბრძანდებით, მინჰერ პეპერკორნ, მწვავე შეტევა გქონდათ და მალე გაგივლით. თქვენი თანამგზავრი შედარებით ჯანმრთელადაა. მე მგონი, ქალბატონის მოსაწონად ვიქცევი, აქ რომ მის მაგივრობას ვეწევი, თუკი შეიძლება მის მაგივრობაზე ლაპარაკი, ხა, ხა, ხა, იმის ნაცვლად, რომ პირიქით მექნა, თქვენი მაგივრობა გამეწია და მისთვის დაბაში წაყოლა შემეთავაზებინა. როგორ გავბედავდი, თქვენი თანამგზავრისათვის ჩემი რაინდული სამსახური დამეძალებინა? საამისო არც უფლებამოსილება გამაჩნია და არც რაიმე საბუთი. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ კარგად ვიცი, ვის რისი უფლება აქვს. მოკლედ, მე მგონი, კორექტულად ვიქცევი, ჩემი საქციელი საერთო ვითარებას შეესაბამება, იგი, კერძოდ, თქვენდამი ჩემს პატივისცემას შეესაბამება, მინჰერ პეპერკორნ, და ვფიქრობ, რომ ამგვარად თქვენს კითხვაზე - თქვენ ხომ დამისვით შეკითხვა, - დამაკმაყოფილებელი პასუხი გაგეცით.
- და ძალიან სასიამოვნო პასუხიც, - მიუგო პეპერკორნმა, - ჩემდა უნებურად სიამოვნებით ვუსმენ თქვენს თამამ სიტყვას, ყმაწვილო. თქვენ კისრისტეხით გადარბიხართ დაბრკოლებებზე და საკითხებს ისე ამრგვალებთ, რომ ყველაფერი მისაღები გეჩვენება, ოღონდ დამაკმაყოფილებელი კი არა. თქვენი პასუხი სრულიადაც ვერმაკმაყოფილებს, მაპატიეთ, თუ ამის თქმით იმედი გაგიცრუეთ. ჩემო კარგო, ჩემ მიერ ცოტა ხნის წინ გამოთქმულ შეხედულებებთან დაკავშირებით თქვენ „რიგორიზმი“ ახსენეთ, მაგრამ თქვენს შეხედულებებშიაც ურევია ერთგვარი რიგორიზმი, ერთგვარი სიმკაცრე და შებოჭილობა, რაც თქვენი ბუნებისათვის, მე პირადად, შეუფერებელი მეჩვენება, თუმცა თქვენს საქციელში იგი სხვა დროსაც შემიმჩნევია. და აი, ახლაც იმავეს გატყობთ. ეს გახლავთ ის შებოჭილობა, რაც ჩვენი თავყრილობისას თუ გასეირნებისას ქალბატონის მიმართ - და მხოლოდ და მხოლოდ მის მიმართ, - გამოგიმჟღავნებიათ და საამისო მიზეზის ახსნა თქვენი ვალია, თქვენი მოვალეობაა, ყმაწვილო. მე არ ვცდები. ჩემი დაკვირვება მრავალჯერ დადასტურდა და წარმოუდგენელია, ამგვარი აზრი სხვებსაც არ გასჩენოდათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სხვებს, ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად, შეუძლიათ ამ ფენომენის ახსნა.
მინჰერი დღეს უჩვეულოდ ზუსტი და დასრულებულ სტილით ლაპარაკობდა, თუმცა მუხანათი შეტევისაგან ძალ-ღონე ჰქონდა გამოცლილი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები თითქმის არ გამოურევია. საწოლში ნახევრად წამომჯდარს ღონიერი ბეჭები და დიდებული თავი სტუმრისკენ მიეტრიალებინა, ცალი მკლავი საბანზე

გაეწვართა,შალის პერანგის სახელოდან კაპიტნის დაჭორფლილი ხელის მტევანი მოუჩანდა, ხელის მტევანი აეწია და ზედ შუბებივით წამახული თითებით სიზუსტის რგოლი შეეკრა, პირით კი სიტყვებს ისე მკაფიოდ და ზუსტად, ლამის პლასტიკურად წარმოთქვამდა, ბატონ სეტემბრინისაც კი შეშურდებოდა, ხოლო ისეთ სიტყვებში, როგორიცაა წარმოუდგენელია“ და არ გასჩენოდათ“ ხორხისმიერ რაეს“ ურთავდა.
- თქვენ გეღიმებათ, - განაგრძო მან, - თვალებს ახამხამებთ და თავს აქეთ-იქით ისე ატრიალებთ, თითქოს ამაოდ გიწევდეთ დაფიქრება. თან მშვენივრად იცით, რასაც ვგულისხმობ და რაზეც ვლაპარაკობთ. მე არ ვამტკიცებ, თითქოს თქვენ მადამს ხმას არ სცემდეთ, ან პასუხს არ აძლევდეთ, როცა საუბარი ამას მოითხოვს, მაგრამ ვიმეორებ, თავს ძალას ატანთ ხოლმე, უფრო ზუსტად, რაღაცას გაურბიხართ, თავს იძვრენთ, კერძოდ, თუ კარგად ჩავუკვირდებით, თქვენ ერთ ფორმას გაურბიხართ. თქვენ რომ გიყუროთ, ადამიანს ეგონება, ნაძლევი გქონდეთ დადებული, თითქოს მადამთან ფიცით იყოთ შეკრული და გეკრძალებოდეთ მასთან საუბარში მიმართვის ფორმების გამოყენება. თქვენ თანამიმდევრულად, გამონაკლისის გარეშე მოქმედებთ, არასოდეს არ მიმართავთ მას, არასოდეს თქვენობით“ არ ელაპარაკებით.
- კი მაგრამ, მინჰერ პეპერკორნ... რა ფიცზე ლაპარაკობთ...
- თავს ნებას მივცემ, ერთ გარემოებაზე მიგითითოთ, რასაც, ალბათ, თქვენც კარგად ამჩნევთ, - ამ წუთში საშინლად გაფითრდით.
ჰანს კასტორპს არ აუხედავს. თავდახრილი იჯდა და ვითომ შალითაზე დამჩნეულ წითელ ლაქებს დასცქეროდა. „აქამდე უნდა მივსულიყავით და მივედით კიდეც, - ფიქრობდა იგი, - ჩემი დასაკლავი დანა, მგონი, მე თვითონ გამოვჩხრიკე. ამ წუთში მივხვდი, რომ ნამდვილად ასეა. ნუთუ მართლა ასე გავფითრდი? თუმცა რა გასაკვირია, დადგა გადამწყვეტი წუთი. კაცმა არ იცის, რა მოხდება. კიდევ ვიცრუო? რა დამიშლის, მაგრამ რომ აღარ მინდა? ჯერჯერობით, ამ სისხლის ლაქებს, შალითაზე დამჩნეულ წითელი ღვინის ლაქებს არ მოვეშვები“.
მის თავს ზემოთაც დუმილი მეფობდა. დუმილი ორ-სამ წუთს გაგრძელდა და ცხადი გახდა, ასეთ ვითარებაში როგორი ხანგრძლივობა შეიძლება შეიძინოს ამ პაწაწინა დროის ერთეულებმა.
დუმილი კვლავ პიტერ პეპერკორნმა დაარღვია.
- ეს იყო იმ საღამოს, რომელმაც თქვენი გაცნობის პატივი მარგუნა, - თითქოს წაიღიღინა მან და ბოლოს ისე დაუდაბლა ხმას, თითქოს ეს მოზრდილი მოთხრობის პირველი ფრაზა ყოფილიყო, - ჩვენ პატარა ლხინი გვქონდა, სასმელ-საჭმლით ვისიამოვნეთ და აღტყინებულნი, ადამიანურად გალაღებულნი და გათამამებულნი, გვიან ღამით, ხელიხელგადახვეულნი მივემართებოდით ჩვენ-ჩვენი განსასვენებლისაკენ. და აი, მაშინ, ჩემი კარის წინ, დამშვიდობებისას მომივიდა თავში აზრად, თქვენთვის ერთი წინადადება შემომეთავაზებინა. თქვენ ბაგეებით უნდა შეხებოდით იმ ქალის შუბლს, რომელმაც თქვენი თავი აქ ამასწინანდელი ყოფნისას შეძენილ კარგ მეგობრად გამაცნო, მე მინდოდა ამ ამაღლებული წუთების აღსანიშნავად მასაც შეესრულებინა ჩემ თვალწინ ეს საზეიმო და მხიარული რიტუალი. თქვენ გადაჭრით უარყავით ჩემი წინადადება იმ საბაბით, რომ უაზროდ მიმაჩნია თქვენს თანამგზავრს შუბლზე ვეამბოროო. ვერ შემომედავებით, რომ ეს განმარტება თვითონვე მოითხოვდა ახსნა-განმარტებას, ახსნა-განმარტებას, რომელიც ჩემ წინაშე დღემდე ვალად გაწევთ. თანახმა ხართ, ეს ვალი ახლა გამისწოროთ?
„ხედავ, ესეც კი შეუმჩნევია, - გაიფიქრა ჰანს კასტორპმა, ღვინის ლაქას კიდევ უფრო ახლოს დააკვირდა და მოღუნული შუათითით ერთ-ერთ მათგანს ფხაჭნაც კი დაუწყო, - კაცმა რომ თქვას, მაშინ მინდოდა კიდეც, ეს რომ შეემჩნია და მიმხვდარიყო, თორემ ასე არც ვეტყოდი. ახლა კი რა ვქნა? გული გვარიანად ამიფანცქალდა. ვითომ პირველხარისხოვანი მეფური რისხვა დამატყდება თავს? იქნებ ჯობდა მისი მუშტისთვის შემეხედა, ჩემს თავზე არ ჰქონდეს უკვე აღმართული? მეტისმეტად თავისებურ და საჩოთირო დღეში კიჩავვარდი!“
უეცრად იგრძნო, პეპერკორნმა მარჯვენა მაჯაში როგორ ჩაავლო ხელი.
„ოჰო, მაჯაში ჩამავლო ხელი! - გაიფიქრა მან, - ისე, სასაცილო არაა, კუდამოძუებული რომ დავმჯდარვარ და არ ვინძრევი?! რაიმე დანაშაული მაინც

მიმიძღოდეს მის წინაშე! არავითარი. თუ საჩივლელია, ჯერ დაღესტანში მისმა ქმარმა იჩივლოს, მერე ამან ან სხვამ, შემდეგ კი მე. ყოველ შემთხვევაში, მე რამდენადაც ვიცი, ამას მაინც არაფერი აქვს საჩივლელი. მაშ, რაღას მიფანცქალებს გული? სწორედ დროა, ავდგე და დიდმპყრობელურ სახეში უტეხად, თუმცა მაინც მოწიწებით შევხედო!“
ასეც მოიქცა. პეპერკორნს დიდმპყრობელურ სახეზე ყვითელი ფერი დასდებოდა, შუბლზე აკრეფილი ნაოჭების ქვეშ თვალები უფერო მოუჩანდა და გახეულ ტუჩებზე სიმწრის ღიმილი დასთამაშებდა. ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს დიადმა მოხუცმა და უბრალო ყმაწვილმა კაცმა და ამ დროს ერთ-ერთ მათგანს კვლავ მაგრად ეჭირა მეორის მაჯა. ბოლოს პეპერკორნმა წყნარად თქვა:
- თქვენ კლავდიას საყვარელი იყავით ამას წინათ მისი აქ ყოფნის დროს.
ჰანს კასტორპმა ისევ ჩაღუნა თავი, მაგრამ იმწამსვე მაღლა ასწია, ერთი ღრმად ამოისუნთქა და თქვა:
- მინჰერპეპერკორნ! ძალიან მინდა, არ მოგატყუოთ და გზას ვეძებ, თავიდან ავიცილო სიცრუე, ეს კი იოლი საქმე როდია. ტრაბახი გამომივა, თქვენი ნათქვამი რომ დავადასტურო და სიცრუე გამომივა, მთლიანად რომ უარვყო. სწორად უნდა გამიგოთ. მე დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიცხოვრე ამ სახლში კლავდიასთან, უკაცრავად, თქვენს ახლანდელ თანამგზავრთან ერთად, ასე რომ, მას ოფიციალურად არ ვიცნობდი. საზოგადოებაში მიღებული წესები გამორიცხული იყო ჩვენი, უფრო სწორად, მასთან ჩემი ურთიერთობიდან უნდა მოგახსენოთ, რომ ამის სათავეები წყვდიადშია ჩაფლული. ჩემს ფიქრებში კლავდიასათვის მხოლოდ შენობით მიმიმართავს და სინამდვილეშიც არასოდეს სხვაგვარად არ მომხდარა, რადგან ის საღამო, როცა ცოტა ხნის წინ ნახსენები პედაგოგიური ბორკილები ჩამოვიცილე და ერთი საბაბით, რომელიც წარსულიდანვე მქონდა გულზე დაჩნეული, მას მივუახლოვდი, საკარნავალო საღამო იყო, ყველიერის ღამე, უპასუხისმგებლო საღამო, შენობით სალაპარაკო საღამო და იმ საღამოს მდინარებაში ამ სიტყვამ სიზმარეული და უპასუხისმგებლო განწყობილების წყალობით ღრმა აზრი შეიძინა, მაგრამ ეს იყო ამავე დროს კლავდიას გამგზავრების წინა საღამოც.
- ღრმა აზრი, - გაიმეორა პეპერკორნმა, - ძალიან თავაზიანად კი გამოგივიდათ... - მან ჰანს კასტორპს ხელი უშვა და თავისი გრძელფრჩხილებიანი კაპიტნის ხელებით ყვრიმალების, თვალის ფოსოების, ლოყებისა და ნიკაპის სრესას მოჰყვა. შემდეგ ხელები ღვინით დალაქულ ზეწარზე დააწყო და თავი მარცხენა მხარეს დადო, სტუმრისაგან პირი იბრუნა, თითქოს სახე მოარიდაო.
- მე რაც შემეძლო სწორად გიპასუხეთ, მინჰერ პეპერკორნ, - უთხრა ჰანს კასტორპმა, - და შევეცადე, არც მეტი მეთქვა და არც ნაკლები. უპირველეს ყოვლისა, მინდა გაითვალისწინოთ, რომ ჯერ კიდევ გასარკვევია, ის საღამო, ბოლომდე შენობით ლაპარაკისა და გამოთხოვების საღამო, ანგარიშში უნდა ჩაითვალოს თუ არა, ეს ხომ ყოველი წესიდან და რიგიდან, ლამის კალენდრიდან ამოვარდნილი საღამო იყო. ერთგვარი hors d’uvre
, ასე ვთქვათ, ექსტრაორდინარული, დამატებითი საღამო, ოცდაცხრა თებერვალი, და ამგვარად, ეს იქნებოდა სანახევროდ ტყუილი, თქვენი ნათქვამი რომ უარმეყო.
პეპერკორნს არაფერი უპასუხია.
- ვარჩიე, თქვენთვის სიმართლე მეთქვა, - ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ წამოიწყო ჰანს კასტორპმა, - თუმცა ამით შეიძლებოდა თქვენი კეთილგანწყობა მომშლოდა, რაც, გულახდილად გითხრათ, საგრძნობი დანაკლისი იქნებოდა ჩემთვის, უფრო მეტიც: ეს იქნებოდა დარტყმა, ნამდვილი დარტყმა. ამ დარტყმას მხოლოდ იმას თუ შევადარებდი, როცა ფრაუ შოშა უკან მარტო კი არა, თქვენთან ერთად დაბრუნდა. საფრთხეს არ შევუშინდი, რადგან დიდი ხანია მინდოდა ჩვენ შორის ყველაფერი ნათელი ყოფილიყო. მე თქვენ განსაკუთრებულ პატივს გცემთ და ჩვენი ურთიერთობა ასე უფრო მშვენიერი და ადამიანური მესახებოდა. თქვენ იცით, თავისი მომაჯადოებელი, ხრინწიანი ხმით კლავდია როგორ წარმოთქვამს ამ სიტყვას, როგორ მომხიბლავად აჭიანურებს. დიახ, ასეთი ურთიერთობა მერჩივნა, ვიდრე დუმილი და თვალთმაქცობა, ამიტომაც მომეშვა გულზე, ცოტა ხნის წინ ამაზე თქვენ თვითონ რომ წამოიწყეთ ლაპარაკი.
პეპერკორნს არაფერი უპასუხია.

- კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, მინჰერ პეპერკორნ, - განაგრძო ჰანს კასტორპმა, - კიდევ ერთმა გარემოებამ მაიძულა, თქვენთვის სრული სიმართლე მეთქვა, ჩემს თავზე გამომიცდია, რა შემაცბუნებელია გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რა შემაწუხებლად მოქმედებს ბუნდოვანი ეჭვები და ვარაუდები. თქვენ ახლა იცით, ვინ იყო ის კაცი, ვისთანაც კლავდიამ საღამო გაატარა, იზეიმა ოცდაცხრა თებერვლის მსგავსი ერთი დღე, სანამ ახლანდელი ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა, რომელსაც, სიგიჟე იქნება,პატივი არ ვცე. მე, ჩემდათავად, ასეთი სიცხადისათვის არ მიმიღწევია, თუმცა ყოველთვის მესმოდა, რომ ამდაგვარ დღეში ჩავარდნილმა კაცმა წინამორბედ ფაქტებს, უფრო სწორად, თავის წინამორბედებს ანგარიში უნდა გაუწიოს. კარგად ვიცოდი, რომ ჰოფრატმა ბერენსმა - თქვენც გეცოდინებათ, იგი ზეთის საღებავებით რომ დილეტანტობს, - მრავალი სეანსი მოანდომა მისი პორტრეტის შექმნას, მშვენიერი პორტრეტი გამოსვლია, განსაკუთრებით კანი აქვს ისე ხელშესახებად გადმოცემული, რომ, ჩვენ შორის დარჩეს და, ძალაუნებურად ღრმად ჩაგაფიქრებს. ამ ამბავმა ბევრი სატანჯველი და თავსატეხი გამიჩინა და დღემდე ვერ მომისვენია.
- იგი ისევ გიყვართ? - ჰკითხა პეპერკორნმა ისე, რომ პოზა არ შეუცვლია, ესე იგი, პირი ისევ იქით ჰქონდა მიბრუნებული... დიდი ოთახი სულ უფრო და უფრო იძირებოდა ბინდბუნდში.
- ბოდიშს გიხდით, მინჰერ პეპერკორნ, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - მაგრამ თქვენდამი ჩემი პატივისცემა და აღფრთოვანება არ მაძლევს იმის უფლებას, თქვენი თანამგზავრის მიმართ ჩემს გრძნობებზე გელაპარაკოთ.
- და იგი თქვენს გრძნობას დღესაც იზიარებს? - ჰკითხა პეპერკორნმა წყნარი ხმით.
- ვერ ვიტყვი, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - ვერ ვიტყვი, მას ოდესმე გაეზიარებინოს ჩემი გრძნობები. ეს ნაკლებად სარწმუნოა. ჩვენ ამ თემას ცოტა ხნის წინ თეორიულად შევეხეთ, როცა რეაქტივებთან ქალის ბუნებისმსგავსებაზე ვლაპარაკობდით. ანდა რა მაქვს მე შესაყვარებელი? ან რა მასშტაბის კაცი მე ვარ, თქვენ თვითონ განსაჯეთ! თუკი საქმე მაინც მივიდა, ასე ვთქვათ, ოცდაცხრა თებერვლამდე, ეს მხოლოდ იმას შეიძლება მივაწეროთ, რომ ქალს სიამოვნებს, მამაკაცის რჩეული რომაა, აქვე მინდა დავძინო, რომ მე თვითონ ტრაბახა და უგემოვნო კაცად მეჩვენება საკუთარი თავი, ჩემს თავს მამაკაცს“ რომ ვუწოდებ, მაგრამ მე თუ ეს სახელი არ მერგება, კლავდია მაინც ხომ ნამდვილი ქალია.
- იგი გრძნობას აჰყოლია, - გახეული ტუჩებით წაიბუტბუტა პეპერკორნმა.
- ეს თვისება თქვენთან გაცილებით უფრო ძლიერად გამოუმჟღავნებია, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, - და, ალბათ, სხვა დროსაც მრავალჯერ მოქცეულა ასე, ეს ყველასთვის ცხადია, ვისაც კი საშუალება მისცემია...
- შეჩერდით! - თქვა პეპერკორნმა. იგი ჯერ კიდევ პირშებრუნებული იწვა, მაგრამ თავისი მოსაუბრე გაშლილი ხელით შეაჩერა, - განა სულმდაბლობა არაა, მასზე ასე რომ ვლაპარაკობთ?
- სულაც არა, მინჰერ პეპერკორნ. შემიძლია სავსებით დაგამშვიდოთ, რომ არა. ჩვენ ხომ ადამიანურ ამბებზე ვლაპარაკობთ და სიტყვა „ადამიანურში“ თავისუფლებასა და გენიალობას ვგულისხმობთ, მაპატიეთ, ცოტა მაღალფარდოვანი გამოთქმა რომ ვიხმარე, მაგრამ ცოტა ხნის წინ დამჭირდა მისი გამოყენება.
- კარგი, განაგრძეთ! - უბრძანა პეპერკორნმა წყნარად.
ჰანს კასტორპიც წყნარად ლაპარაკობდა, საწოლთან ახლოს მიწეული სკამის კიდეზე იჯდა, მეფური მოხუცისაკენ დახრილიყო და ხელები მუხლებშუა მოექცია.
- იგი ხომ გენიალური არსებაა, - განაგრძო მან, - და ქმარიც, ამიერკავკასიაში რომ ცხოვრობს - ალბათ, გეცოდინებათ, ქმარი რომ ჰყავს ამიერკავკასიაში, - თავისუფლებისა და გენიალობის უფლებას ანიჭებს, ეს ან სიბრიყვით მოსდის, ან ინტელიგენტობით, ვერაფერს გეტყვით, ამ ტიპს არ ვიცნობ. ასეა თუ ისე, სწორად იქცევა, უფლებებს რომ ანიჭებს, რადგან ამ უფლებებს მაინც მიანიჭებდა ავადმყოფობა, ანუ ავადმყოფობის გენიალური პრინციპი, რომელსაც იგი ემორჩილება. ასეთ ვითარებაში მოხვედრილი ყოველი კაცი სწორად მოიქცევა, მისი ქმრის მაგალითს თუ მიჰბაძავს და არც წარსულის და არც მომავლის გამო ჩივილს არ მოჰყვება...
- თქვენ არ ჩივით? - ჰკითხა პეპერკორნმა და სახე მისკენ მიაბრუნა... ბინდბუნდში

სახე ჩათეთქვილი მოუჩანდა; თვალებს ფერი სულ დაჰკარგოდათ და კერპივით დაღარული შუბლის ქვემოდან მოღლილნი იცქირებოდნენ, დიდი, გახეული პირი კი ტრაგიკული ნიღაბივით ღია დარჩენოდა.
- მე ჩემი თავი არ მიგულისხმია, - მოკრძალებით უპასუხა ჰანს კასტორპმა, - მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, თქვენ ნუ დაიჩივლებთ-მეთქი, მინჰერ პეპერკორნ, და წარსული ამბების გამო თქვენს კეთილგანწყობას ნუ მომიშლით. ამ წუთში ესაა ჩემთვის მთავარი.
- გამოდის, რომ ჩემდა უნებურად მაინც დიდი ტკივილი მომიყენებია თქვენთვის, - თქვა პეპერკორნმა.
- თუ ეს შეკითხვაა, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - დადებითად გიპასუხებთ, მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს იმ დიდ სიკეთეს არ ვაფასებდე, თქვენი გაცნობის წყალობით რომ შევიძინე, რადგან სწორედ ეს სიკეთე განუყრელადაა დაკავშირებული იმ გულისტკენასთან, რაზეც თქვენ ლაპარაკობდით.
- გმადლობთ, ყმაწვილო, გმადლობთ. დიდად ვაფასებ თქვენს თავაზიან სიტყვებს, ოღონდ ჩვენს ნაცნობობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ...
- ამის მხედველობაში მიუღებლობა ძნელია, - უპასუხა ჰანს კასტორპმა, -ესეც არ იყოს, უმაგისოდაც შემიძლია თქვენს კითხვაზე სავსებით გულწრფელად გიპასუხოთ. კლავდია რომ თქვენი მასშტაბის პიროვნებასთან ერთად დაბრუნდა, ამას, ცხადია, არ შეიძლებოდა, არ გაეძლიერებინა და არ გაერთულებინა ჩემი გულისტკივილი იმის გამო, რომ იგი საერთოდ სხვა მამაკაცთან ერთად დაბრუნდა. ამ ამბავმა საკმაოდ ბევრი თავსატეხი გამიჩინა და მაწუხებს დღესაც, ამას არ უარვყოფ, და მე განგებ ავირჩიე საყრდენად ამ ვითარების დადებითი მხარე, ესე იგი, ჩემი თქვენდამი გულწრფელი პატივისცემა, მინჰერ პეპერკორნ, რაშიც, სხვათა შორის, თქვენი თანამგზავრისადმი პატარა გაბოროტებაც ერია - ქალებს ხომ მაინცდამაინც არ სიამოვნებთ, მათი თაყვანისმცემლები ერთმანეთთან რომ მეგობრობენ.
- სწორია, - მიუგო პეპერკორნმა და ღიმილი დამალა, ხელისგული ისე მოისვა პირსა და ნიკაპზე, თითქოს ეშინია, ფრაუ შოშამ ღიმილი არ დამინახოსო. ჰანს კასტორპმაც გაიღიმა მორიდებით და შემდეგ თანხმობის ნიშნად ერთმანეთს თავი დაუქნიეს.
- ეს პატარა შურისძიება, კაცმა რომ თქვას, დიდ ცოდვად არ ჩამეთვლება, - განაგრძო ჰანს კასტორპმა, - რადგან, თუ ჩემზე მიდგება საქმე, ჩივილის საბაბი ნამდვილად მაქვს, კლავდიას ან თქვენ კი არაფერს გერჩით, მინჰერ პეპერკორნ, საერთოდ, ჩემს ცხოვრებასა და ბედს ვემდური. რაკი თქვენი ნდობის პატივი დავიმსახურე, თან რაღაც უცნაური ბინდბუნდიცაა ჩამომდგარი, შევეცდები, ცოტაოდენი რამ გიამბოთ და ერთგვარი წარმოდგენა მაინც შეგიქმნათ ჩემზე.
- გთხოვთ, მიამბოთ, - თავაზიანად მიუგო პეპერკორნმა და ჰანს კასტორპმაც განაგრძო.
- მე აქ,ზევით, დიდი ხანია ვარ, მინჰერ პეპერკორნ, საუკუნეა აქა ვარ, ზუსტად არც კი ვიცი, რამდენი ხანია, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების წლებია და ამიტომ ვახსენე „ცხოვრება“, ხოლო ბედს“ რაც შეეხება, ამას შესაფერ მომენტში დავუბრუნდები. ჩემი ბიძაშვილი, ვის მოსანახულებლადაც ცოტა ხნით ჩამოვედი აქ, სამხედრო იყო, ღირსებითა და სიმამაცით აღსავსე, თუმცა ამ თვისებებმა ვერაფერი უშველა, იგი ხელიდან გამომეცალა, მე კი აქ შევრჩი. მე სამხედრო არ ვყოფილვარ, სამოქალაქო პროფესია მქონდა, თქვენც გაგონილი გექნებათ, გამოსადეგი, გონივრული პროფესია. ამბობენ, ეს პროფესია ხალხთა ურთიერთკავშირსაც კი უწყობს ხელსო, მაგრამ მე თვითონ დიდად არასოდეს მყვარებია ჩემი პროფესია, ამას ვაღიარებ, საამისო მიზეზებზე კი მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენოთ, რომ ისინი წყვდიადში გახლავთ დანთქმული: ის მიზეზები თქვენი თანამგზავრის მიმართ ჩემი გრძნობების უძველეს ფესვებთან ერთად არიან წყვდიადში დანთქმულნი, მათ ასე ხატოვნად იმიტომ ვიხსენიებ, რომ გაგრძნობინოთ, ფიქრადაც არ მომსვლია, ვისიმე კანონიერი უფლებები ხელმეყო-მეთქი. ჩემს გრძნობაზე კლავდიას მიმართ და მასთან შენობით დამყარებულ ურთიერთობაზე არასოდეს მითქვამს უარი, მას შემდეგ, რაც პირველად შევეფეთე მის თვალებს და ამ თვალებმა მომაჯადოეს, მომაჯადოეს, რომ იცოდეთ, ამ სიტყვის უგუნური გაგებით. მისი ხათრით და ბატონი სეტემბრინის ჯიბრზე დავემორჩილე

უგუნურების პრინციპს, ავადმყოფობის გენიალურ პრინციპს, რომელსაც, ალბათ, დიდი ხანია, ოდითგანვე ვემონებოდი, და აქ, ზევით, დავრჩი, - ზუსტად აღარ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, ყველაფერი დამავიწყდა და ყველაფერთან გავწყვიტე კავშირი, ჩემს ნათესავებთანაც, ჩემს ბარისეულ პროფესიასთანაც და ყველა ჩემს სამომავლო იმედთანაც. ჰოდა, როცა კლავდია გაემგზავრა, მას დაველოდე, აქვე, ზევით, ფეხმოუცვლელად ველოდი, ასე რომ, ბართან აღარაფერი მაკავშირებს და ჩემიანების თვალში უკვე მკვდრად ვითვლები. აი, რა მქონდა მხედველობაში, „ბედი“ რომ ვახსენე და თავს ნება მივეცი, მინიშნებით მეთქვა, კი მმართებს სხვისგან მოპოვებულ უფლებებზე დავიჩივლო-მეთქი. ერთხელ ერთი მოთხრობა წავიკითხე, თუმცა, არა, თეატრში ვნახე,
(„ერთხელ ერთი მოთხრობა წავიკითხე, თუმცა არა, თეატრში ვნახე...“ - იგულისხმება პროსპერ მერიმეს ნოველა „კარმენი“ და კომპოზიტორ ჟორჟ ბიზეს ამავე სახელწოდების ოპერა.) ერთი გულმართალი ყმაწვილი - სხვათა შორის, იგიც ჩემი ბიძაშვილივით სამხედრო გახლდათ - მომხიბლავ ბოშა ქალს რომ გადაეყარა, მართლა მომხიბლავი ქალი კი იყო, ყურს უკან ყვავილი ჰქონდა დამაგრებული, ველური, ავბედითი დედაკაცი, და იმ ქალმა ისე მოაჯადოვა ეს ყმაწვილი, რომ მთლიანად ააცდინა გზას, ყველაფერი შესწირა იმ ქალს, დეზერტირი გახდა, მასთან ერთად კონტრაბანდისტებში გაერია და ყოველმხრივ შეირცხვინა თავი. კაცი ასე გაანადგურა, მერე მოჰბეზრდა და ვიღაც მატადორს დაუახლოვდა, მართლაც მშვენიერ ვაჟკაცს, დიდებულ ბარიტონს. ამბავი იმით დასრულდა, რომ ცარცივით სახეგაფითრებულმა, პერანგგაღეღილმა პატარა ჯარისკაცმა იგი ცირკის წინ დანით განგმირა, აი, სანამდე მიიყვანა ქალმა ეს კაცი. ეს ამბავი თითქოს აქ არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც რატომ მომაგონდა, არ ვიცი.
მინჰერ პეპერკორნმა „დანის“ ხსენებაზე საწოლში ოდნავ შეიცვალა პოზა, უცებ განზე გაიწია, სახე სწრაფად მოაბრუნა სტუმრისკენ და თვალებში გამომცდელად შეხედა, მერე წელში გაიმართა, იდაყვს დაეყრდნო და თქვა:
- ყმაწვილო, მოგისმინეთ და ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ნება მომეცით თქვენი ნაამბობის საფუძველზე ერთი ლოიალური ახსნა-განმარტებამოგცეთ! თმა რომ არ მქონდეს გათეთრებული და ვერაგ ციებ-ცხელებას არ ვყავდე დაჯაბნილი, მაშინ მზად ვიქნებოდი თქვენ წინაშე, როგორც მამაკაცებს შეეფერება, იარაღით ხელში მეგო პასუხი იმ წყენისათვის, რაც ჩემდა უნებურად მოგაყენეთ და ის გულისტკივილიც გამომესყიდა, რაც ჩემს თანამგზავრს მოუყენებია თქვენთვის, რადგან მე მის მაგივრადაც ვაგებ პასუხს. კეთილი, ბატონო ჩემო. უკან არ დავიხევდი, მაგრამ ამჟამინდელი ვითარებიდან გამომდინარე, ნება მომეცით სამაგიეროდ სხვა წინადადება შემოგთავაზოთ, კერძოდ, აი, ასეთი: მაგონდება ის ზეაწეული წუთები ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში, - ყველაფერი კარგად მახსოვს, თუმცა საკმაოდ ბევრი მქონდა დალეული, - დიახ, წუთები, როცა მე თქვენი ბუნებით მოხიბლულმა დავაპირე, ძმობის ნიშნად შემომეთავაზებინა, ერთმანეთისათვის შენობით მიგვემართა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჯერ კიდევ ნაადრევი იქნებოდა. კეთილი და პატიოსანი, დღეს მე მოგაგონებთ იმ წუთებს, ვუბრუნდები მათ და მაშინ დათქმულ ვადას გასულად ვთვლი. ყმაწვილო, ჩვენ ძმები ვართ, მე ძმობას გიცხადებთ. თქვენ ბრძანეთ, სიტყვაში „შენ“ სულ სხვანაირ, სრულ აზრს ვდებდიო, ჩვენი ნათქვამი „შენ“ ასევე სრულ აზრს შეიძენს და გრძნობაზე დამყარებული ძმობის გამოხატულება იქნება. იმ დამაკმაყოფილებელ პასუხს, ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო რომ ვერ გარგუნეთ, გთავაზობთ ძმური კავშირის სახით, რომელსაც ჩვეულებრივ კრავენ ხოლმე მესამე პირის, ერისა და ბერის, ვინმეს წინააღმდეგ, ჩვენ კი ამ კავშირს ვიღაცის მიმართ გრძნობის ნიშნით შევკრავთ. ხელიმოჰკიდეთ თქვენს ჭიქას, ყმაწვილო, მე კი, ჩვენს შუშხუნას არაფერი დაუშავდება, თუ ისევ ჩემს წყლის ჭიქას ავიღებ ხელში...
მან ოდნავ აკანკალებული კაპიტნის ხელით გაავსო ჭიქები და შემცბარმა ჰანს კასტორპმა მოწიწებით შეაშველა ხელი.
- ხელი მოჰკიდეთ! - გაუმეორა პეპერკორნმა, - ხელი ხელში გამიყარეთ და ისე დალიეთ! გამოცალეთ! ჩინებულია, ყმაწვილო. მორჩა. აი, ჩემი ხელი, კმაყოფილი ხართ?
- ეგ სიტყვა ვერ გამოხატავს ჩემს გრძნობას, მინჰერ პეპერკორნ, - მიუგო ჰანს

კასტორპმა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა სავსე ჭიქის ერთი დაკვრით გამოცლა და მუხლი ცხვირსახოცით შეიმშრალა, რადგან ზედ ღვინო დაეღვარა, - უმჯობესი იქნება, ვთქვა, რომ დიდი ბედნიერება მომანიჭეთ და ჯერ კიდევ ვერ გამიგია, როგორ მხვდა წილად ამოდენა ბედნიერება, - გულახდილად გითხრათ, თავი სიზმარში მგონია. ეს ჩემთვის უზარმაზარი პატივია, არ ვიცი, იგი რით დავიმსახურე, დიდი-დიდი, პასიურად თუ დავიმსახურებდი, თორემ სხვანაირად ვერა, და ნუ გაგიკვირდებათ, თავიდან გამიჭირდეს ახლებურად მოგმართოთ, ან ენა დამებას, მით უმეტეს, კლავდიას თანდასწრებით, მას, ქალების ხასიათი რომ ვიცი, შეიძლება არც ესიამოვნოს ჩვენი შეთანხმება...
- ეგ მე მომანდე, - მიუგო პეპერკორნმა, - დანარჩენი კი ვარჯიშისა და მიჩვევის საქმეა! ახლა კი, გასწი, ყმაწვილო! დამტოვე, ჩემო შვილო! უკვე ბნელა, კარგად მოსაღამოვდა, ჩვენი სატრფო ყოველ წუთს შეიძლება უკან დაბრუნდეს და თქვენი შეხვედრა მაინცდამაინც ახლა, ალბათ, მთლად სასურველი ვერ იქნებოდა...
- კარგად ბრძანდებოდე, მინჰერ პეპერკორნ! - უთხრა ჰანს კასტორპმა და წამოდგა, - ხომ ხედავთ, ვცდილობ, დავძლიო ჩემი სავსებით სამართლიანი მოკრძალება და უკვე ვვარჯიშობ, რომ თამამად მოგმართოთ. სწორია, უკვე ჩამობნელდა! წარმომიდგენია, უეცრად ბატონი სეტემბრინი რომ შემოვიდეს და სინათლე აანთოს, რათა აქ დაისადგუროს გონიერებამ და საზოგადოებრივმა სულისკვეთებამ, ამ სურვილს ვერ ერევა ხოლმე. აბა, ხვალამდე! ისეთი კმაყოფილი და გაამაყებული მივდივარ, სიზმარშიც რომ ვერ წარმოვიდგენდი. გამოჯანსაღებას გისურვებ! ახლა, სულ ცოტა, სამი დღე მაინც არ გექნება სიცხე და თქვენ შეძლებთ, მხარი აუბათ სიცოცხლის ყველა მოთხოვნილებას. ისე მიხარია, თითქოს მე ვიყო შენს ადგილზე. ღამე მშვიდობისა!

მინჰერ პეპერკორნი (დასასრული)
ჩანჩქერი ყოველთვის მიმზიდველი საექსკურსიო ადგილია და ვერ გაგვიგია, ჰანს კასტორპს, ვისაც განსაკუთრებით იზიდავდა წყალვარდნილები, ფლუელატალის ტყეში ეს ულამაზესი კასკადი აქამდე რომ არ მოენახულებინა. იოახიმთან ერთად ცხოვრების დროს ეს ამბავი შეიძლებოდა მისი ბიძაშვილის მკაცრი ცხოვრების წესით გაგვემართლებინა, რომელიც აქ სიამოვნებისთვის არ იყო ჩამოსული და მისი საქმიანი და გამიზნული ყოფის წყალობით მათი თვალსაწიერი სანატორიუმ „ბერგჰოფის“ უახლოესი შემოგარენით იფარგლებოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თხილამურებით გასეირნებას, ჰანს კასტორპმა მისი გარდაცვალების შემდეგაც შეინარჩუნა აქაური ბუნებისადმი კონსერვატული, ერთფეროვანი დამოკიდებულება, მისი შინაგანი გამოცდილების გაქანებასა და „მართვის“ მოვალეობას შორის გაჩენილი ეს კონტრასტი ახალგაზრდა კაცის თვალში ნამდვილად არ იყო მოკლებული ერთგვარ მომხიბლაობას, მაგრამ როცა მისი ჩათვლით შვიდი კაცისგან შემდგარ მეგობრულ წრეში დაისახა გეგმა იმ საექსკურსიოდ აღიარებულ კუთხეში ეტლებით გამგზავრებისა, დიდი ხალისით განაცხადა თანხმობა.
დადგა მაისი, ბარის მარტივი სიმღერების თანახმად, სანეტარო თვე, მართალია, აქაური ჰავის გამო საკმაოდ გრილი და ნაკლებად ალერსიანი, მაგრამ თოვლის დნობა მაინც დამთავრებულად შეიძლებოდა, ჩაგვეთვალა. მსხვილ-მსხვილი ფანტელები უკანასკნელ დღეებშიც ხშირად ცვიოდა, მაგრამ თოვლს არ დებდა, მიწა მხოლოდ სველდებოდა ხოლმე. ნამქერი გალხვა, აორთქლდა, მხოლოდ აქა-იქ თუ იყო შემორჩენილი თოვლის პატარ-პატარა ნაშთები; თოვლის არტახებიდან გათავისუფლებული გზები და ამწვანებული მიდამო თითქოს სასეირნოდ იწვევდა ადამიანებს.
უკანასკნელ კვირებში ისედაც იშვიათად იყრიდნენ თავს შეხმატკბილებული ჯგუფის წევრები თავიანთი მეთაურის, დიდებული პიტერ პეპერკორნის ავადმყოფობის გამო, ტროპიკებიდან გამოყოლილი მისი ვერაგი მზითევი არც საარაკო ჰავის ზემოქმედებას ნებდებოდა და არც ისეთი გამოჩენილი მედიკოსის შხამსაწინააღმდეგო ინიექციებს, როგორიც ჰოფრატი ბერენსი გახლდათ. იგი ხშირად იწვა და არა მარტო იმ დღეებში, როცა კვარტული ციებ-ცხელება შემოუტევდა ხოლმე. როგორც ჰოფრატმა ჩუმად გაანდო პაციენტის ახლობლებს,

მას ელენთა და ღვიძლიც აწუხებდა, არც კუჭი ჰქონდა სახარბიელო დღეში, და ბერენსს არ დაუფარავს, რომ ასეთ ვითარებაში ქრონიკული გამოფიტვის საშიშროებისაგან არც პეპერკონისთანა ღონიერი ორგანიზმი იყო დაზღვეული.
მინჰერ პეპერკორნმა იმ კვირებში საღამოს ლხინს ერთადერთხელ უმეთაურა, ხოლო ერთობლივი გასეირნებისგანაც მხოლოდ ერთი და ისიც მოკლე გასეირნება დარჩა ძალაში. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, ჰანს კასტორპს ამ ჯგუფის დაშლა გულში, ერთი მხრივ, კიდეც უხაროდა, რადგან ფრაუ შოშას თანამგზავრთან ბრუდერშაფტის დალევა გასაჭირში აგდებდა ხოლმე; ახლა სხვების თანდასწრებით საუბარში პეპერკორნთანაც იგრძნობოდა იგივე „შებოჭილობა“, იგივე თავის დაძვრენა“ და ფიცით შეკვრასთან დაკავშირებული ისეთივე მიკიბ-მოკიბვა“, რაც პეპერკორნმა კლავდიასთან ურთიერთობაში შენიშნა: რა გასაოცარ ხერხებს აღარ იშველიებდა ჰანს კასტორპი, რომ როგორმე თავი აერიდებინა პირდაპირი მიმართვისათვის, იგივე, უფრო სწორად, შეტრიალებული დილემის გამო, რომელიც კლავდიასთან სხვების, ან თუნდაც მისი პატრონის თანდასწრებით საუბარში იგრძნობოდა და ახლა ეს დილემა, პეპერკორნთან საუბრის შემდეგ, მისთვის ნამდვილ ორმაგ მარწუხად ქცეულიყო.
ასე და ამგვარად, დღის წესრიგში დადგა ჩანჩქერზე ექსკურსიის მოწყობა, საექსკურსიო ადგილი თვით პეპერკორნმა ამოირჩია და, ეტყობა, საამისო ჯანი და ღონე შესწევდა კიდეც. ეს იყო კვარტული ციებ-ცხელების შემოტევის მესამე დღე და მინჰერმა ყველას აცნობა, ამ დღის გამოყენება რომ სურდა. იგი ამ ბოლო ხანებში დამკვიდრებული წესისამებრ პირველ საუზმეზე სასადილო დარბაზში არ ჩამოსულა, საუზმე მადამ შოშასთან ერთად მიირთვა თავის სასტუმრო ოთახში, მაგრამ ჰანს კასტორპმა პირველ საუზმეზევე მიიღო კოჭლი კონსიერჟის პირით შემონათვალი განკარგულება, ნასადილევს, ერთი საათის შემდეგ გასასეირნებლად მზად ყოფილიყო, ეს განკარგულება ბატონ ფერგესა და ბატონ ვეეზალისთვის გადაეცა, სეტემბრინისა და ნაფტასთვისაც შეეტყობინებინა, გამოგივლითო, და ბოლოს სამი საათისთვის ორი ლანდოს შეკვეთაზეც ეზრუნა.
სამ საათზე ყველამ სანატორიუმ ბერგჰოფის“ ალაყაფთან მოიყარა თავი: ჰანს კასტორპი, ფერგე და ვეეზალი თავადურ ოთახებში დაბინავებულ ბატონსა და ქალბატონს ელოდებოდნენ და თავს იმით იქცევდნენ, რომ ცხენებს ეფერებოდნენ, ისინიც შაქრის ნატეხებს სველი, მოუხეშავი შავი დრუნჩებით პირდაპირ მათი ხელისგულებიდან სუსნიდნენ. თანამგზავრებმა ოდნავ დააგვიანეს პარმაღზე გამოსვლა. პეპერკორნს მეფური თავი თითქოს დაპატარავებოდა, ტანზე გრძელი, ოდნავ გაქექილი მოკლე პალტო ეცვა, იგი კლავდიასთან ერთად პარმაღზევე შეჩერდა, რბილი, ფართოფარფლებიანი შლაპა მოიხადა და ტუჩები საერთო მისალმების ნიშნად უხმოდ აამოძრავა.შემდეგ სათითაოდ ჩამოართვა ხელი სამივე მამაკაცს, რომლებიც წყვილს ზედ კიბის საფეხურთან მიეგებნენ.
- ყმაწვილო, - უთხრა მან ჰანს კასტორპს და მარცხენა ხელი მხარზე გადახვია, - როგორაა საქმე, ჩემო შვილო?
- უღრმესი მადლობა! თქვენ როგორ გიკითხოთ? - მიუგო კითხულმა...
მზე ანათებდა, მშვენიერი, კაშკაშა დარი იდგა, მაგრამ მაინც ჭკვიანურად მოიქცნენ, მსუბუქი პალტოები რომ ჩაიცვეს: გზაში უეჭველად შესცივდებოდათ. მადამ შოშასაც ფართოუჯრედებიანი, ხაოიანი ქსოვილის თბილი, ქამრიანი პალტო ეცვა, რომელსაც მხრებზე ბეწვიც კი ჰქონდაშემოვლებული. ფეტრის შლაპის ერთი ფარფლი ნიკაპქვეშ გამონასკვულ ზეთისხილისფერ პირბადეს ალმაცერად დაეზნიქა დაბლა და ეს ქალს ისე საოცრად უხდებოდა, რომ დამსწრეთა უმრავლესობას გული შეეკუმშა, მხოლოდ ფერგეს არ შესტოკებია ნერვი - ის გახლდათ ერთადერთი მამაკაცი, ვისაც არ უყვარდა ეს ქალი; და სწორედ ამ გულგრილობას ის მოჰყვა შედეგად, რომ ადგილების წინასწარი განაწილებისას, სანამ საზოგადოებას სანატორიუმს გარეთ მობინადრენი შემოუერთდებოდნენ, მინჰერისა და მადამ შოშას მოპირდაპირე ადგილი პირველ ლანდოში ფერგეს ერგო, ჰანს კასტორპი კი ვეეზალთან ერთად იძულებული გახდა, მეორე ეკიპაჟში ასულიყო, რაზეც კლავდიას დამცინავად გაეღიმა. ექსკურსიაზე თურმე მალაელი ჩია კამერდინერიც მოდიოდა. იგი ფეხდაფეხ გამოჰყვა თავის ბატონებს, მოზრდილი კალათა, რომლის სარქვლიდან ორი ღვინის ბოთლის

ყელი მოჩანდა, მოწინავე ლანდოს უკანა მერხის ქვეშ შედგა, თვითონ მეეტლეს მიუჯდა და ხელები გულზე დაიკრიფა. იმავე წუთში ცხენებს ნიშანი მისცეს კიდეც და ეკიპაჟები მიხვეულ-მოხვეულ გზას მოჭიმული მუხრუჭებით ნელ-ნელა დაუყვნენ.
ფრაუ შოშას ღიმილი ვეეზალმაც შენიშნა, ჭიანი კბილები გამოაჩინა და თავის თანამგზავრს გამოელაპარაკა.
- დაინახეთ, როგორ დაგცინათ, ჩემთან რომ მოგიწიათ მგზავრობამ? - ჩაეკითხა იგი ჰანს კასტორპს, - დიახ, დიახ, კაცს ფეხი თუ დაგიცდა, იმწამსვე გაგთელავენ. თქვენ ძალიან გწყინთ და ზიზღსა გგვრით ჩემ გვერდით ჯდომა?
- თავი შეიკავეთ, ვეეზალ, ასე უმსგავსოდ ნუ ლაპარაკობთ! - შეუწყრა ჰანს კასტორპი, - ქალები ყველაფერზე იღიმებიან, ზოგჯერ მხოლოდ გაღიმების გულისთვის იღიმებიან და საჭირო არაა, ყოველთვის ვიმტვრიოთ ამაზე თავი. ასე რატომ იმცირებთ თავს? თქვენც, როგორც ჩვენ, ყველას, თქვენი ნაკლიც გაქვთ და ღირსებაც. მაგალითად, თქვენ მშვენივრად უკრავთ(„...თქვენ მშვენივრად უკრავთ ნაწყვეტებს ზაფხულის ღამის სიზმრიდან...“ - იგულისხმება გერმანელი კომპოზიტორის ფელიქს)
ნაწყვეტებს ზაფხულის ღამის სიზმრიდან“, ეს ყველას როდი შეუძლია. ჰო, მართლა, იქნებ ერთხელ კიდევ დაგეკრათ როგორმე.
- ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ ქედმაღლურად მელაპარაკებით, - მიუგო იმ საცოდავმა, - არც კი იცით, თქვენს ნუგეშისცემაში რამოდენა უტიფრობა იმალება და ამით კიდევ უფრო რომ მამცირებთ. ცხადია, გეიოლებათ ქედმაღლურად ლაპარაკი, მართალია, ახლა თქვენც საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებით, მაგრამ ერთხელ მაინც ხომ მიაღწიეთ საწადელს, ღმერთო დიდებულო, ერთხელ მაინც ხომ იყავით მეშვიდე ცაზე, თქვენ მისი მკლავები გიგრძნიათ კისერზე და კიდევ სხვა ყველაფერი. ღმერთო დიდებულო, გულ-მუცელი მეწვის ამის გახსენებაზე, სავსებით შეგნებული გაქვთ, რა ბედნიერება გხვდათ წილად და ჩემს მათხოვრულ ტანჯვას ზემოდან იმიტომ გადმოსცქერით...
- ძალიან ულაზათოდ ლაპარაკობთ, ვეეზალ. უფრო მეტიც, მეტისმეტად ამაზრზენად ლაპარაკობთ, ამას არც მე დაგიმალავთ, რაკი თქვენის მხრივ უტიფრობა მისაყვედურეთ, დიახ, ეს ყველაფერი ამაზრზენია, თითქოს მოწადინებული ხართ, ადამიანს თავი შეაზიზღოთ, თან სულ იგრიხებით და იკლაკნებით. ნუთუ ასე უსაშველოდ ხართ შეყვარებული?
- საშინლად! - თავის კანტურით დაუდასტურა ვეეზალმა, - ენა ვერ იტყვის, როგორ ვიტანჯები მისი წყურვილითა და ჟინით. ასეთ ყოფას სიკვდილი მირჩევნია, ასე ხომ არც ცოცხალი მეთქმის და არც მკვდარი. წასული რომ იყო, თითქოს მეშველა, ნელ-ნელა ვივიწყებდი, მაგრამ რაც დაბრუნდა და ყოველდღე თვალწინ მყავს, ზოგჯერ ისე გავმწარდები, რომ ხელებს ვიკბენ, ჰაერი აღარ მყოფნის და არ ვიცი, საით მივაწყდე. ასეთი რამ, ალბათ, არც უნდა არსებობდეს ქვეყანაზე, მაგრამ ვერსად რომ ვერ გაექცევი?! ჩემს დღეში ჩავარდნილი კაცი თავს ვერ დაიხსნის, მაშინ სიცოცხლისაგან უნდა დაიხსნა თავი, მაგრამ სიცოცხლესთან ისე ხარ შედუღაბებული, რომ სწორედ ეს არ შეგიძლია, თუნდაც მოკვდე, რა მერე? საწადლის მიღწევის შემდეგ - სიამოვნებით. მის მკლავებში - უდიდესი ნეტარებით. მაგრამ მანამდე? მანამდე სიკვდილი უაზრობაა, რადგან სიცოცხლე წადილია, წადილი კი სიცოცხლე და ის საკუთარი თავის წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს. აი, ეს არის ღვთით დაწყევლილი ბედუკუღმართობა. „ღმერთისგან დაწყევლილს“, ისე, სიტყვაზე ვამბობ, თორემ მე თვითონ ასე არ ვიტყოდი. არსებობს გვემის მრავალი სახე, კასტორპ, და გვემულს ყოველთვის აქვს სურვილი, ერთხელ და სამუდამოდ თავი დააღწიოს ამ ტანჯვა-ვაებას. ეს არის მისი მიზანი, მაგრამ ხორციელი ჟინისაგან მოყენებულ გვემას მხოლოდ ერთი გზით შეიძლება დააღწიო თავი, მხოლოდ ერთი რამ გიშველის - ჟინი უნდადაიოკო, სხვა გზა და სხვა საშველი არ არის! ღმერთს ასე მოუგონია. ვისაც ეს გრძნობა არ გააჩნია, იგი აღარც იგვემავს თავს, მაგრამ ვინც ამ გრძნობას შეუპყრია, იგი უფალი იესო ქრისტეს გზას მიჰყვება, მას თვალი მუდამ ცრემლით ექნება სავსე. ღმერთო მაღალო, ეს რა მოგიგონია და დაგიწესებია, რომ ხორცს ხორცის ჟინი კლავდეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი საკუთარი ხორცი არაა და სხვა სულიერსეკუთვნის. საოცარია, მაგრამ კარგად თუ ჩაუკვირდები, რა მოკრძალება და სიმორცხვე იგრძნობა ამ

ლტოლვაში! ხომ შეიძლებოდა, გვეთქვა, თუკი მეტი არაფერი უნდა, ღვთის გულისათვის, მიენიჭოს ეს სიტკბოებაო! განა რა მინდა მე, კასტორპ? მოკვლა მინდა მისი? მისი სისხლის დაღვრა მწადია? მხოლოდ მინდა მივუალერსო, მეტი არაფერი! კასტორპ, ძვირფასო კასტორპ, მაპატიეთ, რომ ვწუწუნებ, მაგრამ ხომ შეიძლება, სამადლოდ მაინც დამნებდეს! აქ ხომ არის რაღაც ამაღლებული, კასტორპ, მე ხომ პირუტყვი არა ვარ, ჩემებურად მეც ხომ ადამიანი ვარ! ხორციელი ჟინი ხან საით მიილტვის და ხან საით, იგი ერთზე არ არის ხოლმე მიჯაჭვული და ერთის ერთგული, ამიტომაც ვეძახით მას ცხოველურ ჟინს, მაგრამ როცა იგი ერთ განსაზღვრულ ადამიანზეა მიჯაჭვული, მაშინ ჩვენი ბაგეები სიყვარულზე ღაღადებენ. მე ხომ მარტო მისი სხეული და ხორციელი გარსი არ მიზიდავს, გარეგნობაში იოტისოდენა სხვანაირი რომ ჰქონდეს რამე, მაშინ, ალბათ, მთელი მისი სხეული ასე არ მიმიზიდავდა, აქედან ხომ ჩანს, რომ მე მისი სული მიყვარს, მთელი სულით და გულით მიყვარს იგი, რადგან გარეგნობაზე დამყარებული სიყვარული სულიერი სიყვარულია...
- რა მოგდით, ვეეზალ? გონება დაგიკარგავთ და ღმერთმა იცის, რას მიედ-მოედებით...
- დიახ, სწორედ ეგ არის, სწორედ ეგ არის უბედურება, - განაგრძო საწყალმა, - უბედურება ისაა, რომ მას სული გააჩნია, იგი სულისა და სხეულისაგან შემდგარი ადამიანია! მის სულს ჩემი სულის არაფერი ესმის და მის სხეულს არაფერი უნდა ჩემი. ო, ეს რა გენია ტრიალებს ჩემს თავზე, ამიტომაა ჩემი სურვილი სამარცხვინო და შეჩვენებული და ჩემს სხეულს მარადიული გვემა უწერია! რატომ უარყოფს მისი სული და სხეული ჩემსას, კასტორპ, რატომ ჰგვრის ჩემი სურვილი ზიზღს?! განა მე მამაკაცი არა ვარ? თუნდაც საზიზღარი მამაკაცი განა მამაკაცი არ არის? გეფიცებით, მამაკაციც ვარ და ძალიან ძლიერიც, ყველა ჩემს წინამორბედს გადავაჭარბებდი, თავისი მკლავების ხვევნის ნეტარება რომ მოენიჭებინა. მისი მკლავებიც ხომ მშვენიერია, რადგან ისინიც მისი სულიერი სახის ნაწილია! მე მას ყველა ამქვეყნიურ ნეტარებას მივანიჭებდი, კასტორპ, საქმე მხოლოდ ჩვენს სხეულებს რომ ეხებოდეს და გარეგნულ სახეს არა, მისი წყეული სული რომ არ არსებობდეს, რომელსაც გაგონება არ უნდა ჩემი, მაგრამ უიმისოდ მეც ხომ არ მექნებოდა მისი სხეულის დაუფლების სურვილი. აი, ეს არის ეშმაკის ბორბალი, მე რომ უსასრულოდ მატრიალებს!
- ვეეზალ, ჩუ! ხმას დაუდაბლეთ! მეეტლეს ხომ ყველაფერი ესმის! იგი განგებ არ ატრიალებს თავს, მაგრამ ზურგზე ვატყობ, ყურს გვიგდებს.
- ესმის, რასაც ვამბობ და იმიტომაც გვიგდებს ყურს! აი, ამითაც დასტურდება ამ ამბისა და საქმის თავისებურება და ხასიათი! მე რომ სულის აღდგომაზე ვლაპარაკობდე ან... ვთქვათ, ჰიდროსტატიკაზე, იგი ვერც ვერაფერს გაიგებდა, ვერც წარმოიდგენდა, ყურსაც არ დაგვიგდებდა და არც არაფრით დაინტერესდებოდა, იმიტომ, რომ ეს პოპულარული თემა არ არის. მაგრამ უზენაესი და უკიდურესი, შემაძრწუნებელი იდუმალებით მოცული საკითხი, ხორცისა და სულის საკითხი, ხედავთ, რა პოპულარული ყოფილა, იგი ყველას ესმის და ყველას შეუძლია მასხრად აიგდოს მისით გვემული კაცი, ვისაც დღე სატანჯველად, ხოლო ღამე სირცხვილის ჯოჯოხეთად ქცევია! კასტორპ, ძვირფასო კასტორპ, ნება მომეცით, ცოტა ვიწუწუნო და გითხრათ, რა ღამეებს ვატარებ! ყოველ ღამე მესიზმრება იგი. ო, სიზმარში რას აღარ ვხედავ, გულ-მუცელი მეწვის, რომ მომაგონდება! სიზმარი კი ყოველთვის იმით მთავრდება, რომ იგი სახეში სილას მაწნავს, ხოლო ზოგჯერ მაფურთხებს კიდეც, ზიზღისაგან დამანჭული სახით მაფურთხებს, და მაშინ ჭირის, სირცხვილისა და ნდომის ოფლში გაღვრილს მეღვიძება...
- კარგი, ვეეზალ, ახლა მაინც გავჩუმდეთ და პირზე კლიტე დავიდოთ, სანამ საბაყლომდე მივიდოდეთ და ვინმე ჩაგვიჯდებოდეს. ეს არის ჩემი წინადადებაც და განკარგულებაც... არ მინდა, გული გატკინოთ და გიჯერებთ, საშინლად რომ იტანჯებით, მაგრამ ერთი ჩვენებური ზღაპარი კი მაგონდება: ერთი ქალი იმით დასაჯა ღმერთმა, რომ ლაპარაკისას პირიდან გველ-ბაყაყი სცვიოდა, ყოველ სიტყვაზე ან გველი გადმოუვარდებოდა, ან ბაყაყი. წიგნში არ ეწერა, ის ქალი რა ღონეს ხმარობდა, მაგრამ მე კი ყოველთვის ვფიქრობდი, ალბათ, ცდილობს, ხმა არ ამოიღოს-მეთქი.

- ლაპარაკი ხომ ადამიანის მოთხოვნილებაა, - საცოდავად თქვა ვეეზალმა, - ადამიანის მოთხოვნილებაა, ძვირფასო კასტორპ, ილაპარაკოს და გულს აღარ შემოასკდეს, როცა ჩემსავით იტანჯება.
- დიახ, იგი, თუ გნებავთ, ადამიანის უფლებაც კია, ვეეზალ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, არსებობს ისეთი უფლებები, ზოგიერთ ვითარებაში გონიერების კარნახით რომ არ იყენებენ ხოლმე.
ამგვარად, ჰანს კასტორპის განკარგულებისამებრ ისინი გაჩუმდნენ,ეტლებმა მალე მიაღწიეს ბაყლის უსურვაზაყოლებულ პატარა სახლს, სადაც არც ერთი წუთითლოდინი არ დასჭირვებიათ: ნაფტა და სეტემბრინი უკვე ქუჩაში იდგნენ, ერთს თავისი გაქუცული ბეწვის ქურთუკი ეცვა, მეორეს კი მოთეთრო-მოყვითალო საზაფხულო პალტო, რომელიც ისე მიჯრით იყო დალიანდაგებული, რომ კოკობზიკურ შთაბეჭდილებას ახდენდა. სალამ-ქალამში ეტლები შემოტრიალდნენ და ბატონებიც ჩასხდნენ: ნაფტა მეოთხე მგზავრად მიემატა პირველ ლანდოს და ფერგეს გვერდით დაჯდა, სეტემბრინი კი ჰანს კასტორპსა და ვეეზალს შეუამხანაგდა. სეტემბრინი ბრწყინვალე გუნებაზე გახლდათ და ირგვლივ ცინცხალ ხუმრობებს აფრქვევდა, მას ვეეზალმა ეტლის სიღრმეში თავისი ადგილი დაუთმო, ბატონ სეტემბრინისაც არ დაუყოვნებია, მყისვე კორსოზე
(კორსო - იტალიაში მთავარი ქუჩა.) სეირნობას დაჩვეული კაცის დაუდევარი პოზა მიიღო და თავისი ადგილი შეიშნო.
მან ხოტბა შეასხა ეტლით მგზავრობას, სხეული განცხრომაშია, თან მოძრაობ და თან ნაირ-ნაირი პეიზაჟით ტკბებიო; სეტემბრინი ჰანს კასტორპს მამასავით მოეფერა, საბრალო ვეეზალსაც კი მოუთათუნა ლოყაზე ხელი და შემოუძახა, თქვენი უსიმპათიო მე“ დაივიწყეთ და ამ ნათელი წუთისოფლით დატკბითო და მიდამოს გაქექილი ტყავის ხელთათმნით შემოსილი მარჯვენა ხელი ნარნარად შემოატარა.
მშვენივრად მგზავრობდნენ. ოთხივე ღონიერი, პრიალა და მაძღარი ნიშა ცხენი მწყობრად მიგელავდა გაშანდაკებულ, ჯერ კიდევ აუმტვერებელ გზაზე. ჩამონაშალი კლდეები, რომელთა ნაპრალებში ბალახსა და ყვავილებს ამოეყოთ თავი, ზოგჯერ ზედ გზის კიდეს ებჯინებოდა, უკან გარბოდნენ ტელეგრაფის ბოძები, მთაზე შეფენილი ტყეები ზეცისკენ მიილტვოდნენ, მოსხლეტილ მოსახვევებს რომ შეუდგებოდნენ და მყისვე უკან მოიტოვებდნენ, ეს კიდევ უფრო აცხოველებდა ინტერესს, მზით დაფერილ შორეთში კი ბუნდოვნად იხატებოდა აქა-იქ ჯერ კიდევ თოვლით დაფარული მთაგრეხილი. უკვე გასცდნენ ნაჩვევ ხეობას და ყოველდღიური სანახაობის შეცვლა გუნებას უხალისებდათ. მალე ტყის პირას შეჩერდნენ: აქედან გზა ფეხით უნდა განეგრძოთ და საბოლოო მიზნამდე მისულიყვნენ, რომელთანაც უკვე კარგა ხანია დამყარებული ჰქონდათ გრძნობისმიერი კონტაქტი, თავიდან გაუცნობიერებელი, სუსტი კონტაქტი, მაგრამ იგი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. როგორც კი შეჩერდნენ, მაშინვე მოსწვდა ყველას ყურს შორეული ხმაური, ჩუმი შიშინი, ზოგჯერ ისევ რომ უსხლტებოდა სმენას, გრუხუნი და შხაპუნი. ყველანი ერთმანეთს მოუწოდებდნენ, გაერჩიათ ეს ხმები და ერთ ადგილზე გარინდებულნი შორეულ ხმებს უსმენდნენ.
 - ახლა ჯერ კიდევ ნაზი ხმაური გვესმის, - თქვა სეტემბრინიმ, რომელიც რამდენჯერმე იყო აქ ნამყოფი, - მაგრამ იქ ამ დროს წყალს ისეთი გრუხუნი გაუდის, აი, ნახავთ, საკუთარ ნათქვამს ვერ გავიგონებთ.
ტყეში შევიდნენ და ნოტიო წიწვებით მოფენილ გზას დაადგნენ, წინ თავისი თანამგზავრის ხელს დაყრდნობილი პიტერ პეპერკორნი მიდიოდა, შავი, რბილი შლაპა შუბლზე ჩამოფხატოდა და მიირწეოდა; მათ უკან ჰანს კასტორპი მიაბიჯებდა, არც სხვა მამაკაცებს და არც მას ქუდი არ ეხურა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თავი გვერდზე გადაეგდო, სტვენა-სტვენით მიაბიჯებდა და აქეთ-იქით იყურებოდა; მას ნაფტა და სეტემბრინი მიჰყვებოდნენ, შემდეგ ფერგე და ვეეზალი, ბოლოს კი საუზმით სავსე კალათით ხელში კენტად მოდიოდა მალაელი. საუბარი ტყეს შეეხებოდა.
ეს ტყე სხვა ტყეებს არ ჰგავდა, აქედანვე ეტყობოდა, უჩვეულოდ თვალწარმტაცი, ლამის ეგზოტიკური, და თან შემაძრწუნებელი სახე რომ ჰქონდა. ტყეს ჭარბად მოსდებოდა რომელიღაც ჯიშის ხავსისებური ლიქენი, მორეოდა, დაჰკიდებოდა,

დაეხუნძლა, ტყე თავიდან ბოლომდე გაბურდულიყო ლიქენებში, გრძელი, ჭუჭყისფერი წვერებივით ჩამოსძენძოდა ამ პარაზიტი მცენარის გაბურძგნილი აბლაბუდა შემოქსელილ, შეფუთნილ ტოტებს, წიწვები თითქმის აღარ მოჩანდა, ირგვლივ მხოლოდ და მხოლოდ ხავსის აბლაბუდა ეკიდა; მძიმედ, უცნაურად დამახინჯებულიყო ტყე და მოჯადოებული, ავადმყოფური სახე მიეღო. ტყეს უჭირდა, ამ ბიწიერ ლიქენს დაესნეულებინა იგი, მოშთობით ემუქრებოდა. ასეთი იყო ყველას აზრი, ვინც ახლა პატარა ჯგუფად წიწვით მოფენილ გზაზე მიაბიჯებდა, ყურებში ედგათ იმ ადგილიდან წამოსული ხმაური, რომელსაც თანდათან უახლოვდებოდნენ, ეს გრუხუნი და შიშინი თანდათან გრგვინვად გადაქცეულიყო და სეტემბრინის წინასწარმეტყველების აცხადებას ჰპირდებოდათ.

ერთი მოსახვევიც გაიარეს და თვალწინ ტყით შემოსილი, კლდოვანი ხევი გადაეშალათ, ჩანჩქერი შიგ ჩაედინებოდა, ხევზე კი ხიდი იყო გადებული. ხევის გამოჩენისთანავე ყურთასმენის წამღებმა ხმაურმა თავის მწვერვალს მიაღწია. ეს იყო ჯოჯოხეთური გრუხუნი, წყლის უზარმაზარი ნაკადი შვეულად, ერთ კასკადად ეშვებოდა შვიდი თუ რვა მეტრი სიმაღლიდან, სიგანეზეც ასევე შთამბეჭდავად იშლებოდა და თეთრად აქაფებულ კლდეებზე მიჩუხჩუხებდა. წყალი გიჟური ხმაურით ენარცხებოდა ძირს და ამ ხმაურში ირეოდა ნაირ-ნაირი ხმა და ტონალობა-გრუხუნი, შიშინი, ღრიალი, ღმუილი, ტუშისებური ხმები, ჭახანი, ზათქი, გრიალი და ზარების რეკვა, - ნამდვილად გონისწამღები ხმაური იდგა. ექსკურსანტები სულ ახლოს მივიდნენ სლიპინა კლდოვან ნაპირთან, ნოტიო ჰაერს ისუნთქავდნენ, შხეფებით დანამულნი, წყლისთქორში გახვეულნი, ხმაურისაგან ყურებდაგუბებულნი მხოლოდ თვალებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ბაგეზე შემკრთალი ღიმილი ეფინათ, თავებს აკანტურებდნენ და ისე შესცქეროდნენ ამ სანახაობას, აქაფებულ, აზავთებულ, განუწყვეტელ კატასტროფას, რომლის გიჟური და წრეგადასულიგრუხუნი სმენას უხშობდათ, შიშს ჰგვრიდათ და რაღაცები ელანდებოდათ. თითქოს თავს ზემოთ, ყოველი მხრიდან ესმოდათ გამაფრთხილებელი ძახილი, მუქარა, ბუკი და ნაღარა და მამაკაცის უხეში ხმები.

მინჰერ პეპერკორნის უკან შეჯგუფებულნი - ფრაუ შოშაც დანარჩენ ხუთ მამაკაცს შორის იდგა - მასთან ერთად შესცქეროდნენ წყალვარდნილს. პეპერკორნის სახეს ვერ ხედავდნენ, ხედავდნენ მხოლოდ, რომ ქუდი მოეხადა, თეთრი თმა ცეცხლის ენებივით უფრიალებდა და მკერდი გრილი ჰაერისთვის შეეშვირა. ერთმანეთს თვალებითა და ნიშნებით გაესაუბრნენ, რადგან ვარდნილი წყლის გრუხუნი, ალბათ, უშუალოდ ყურში ჩაძახებულ სიტყვებსაც კი ჩაახშობდა. მათი ტუჩები გამოთქვამდნენ გაოცებისა და აღტაცების სიტყვებს და ხმას კი ვერ გამოსცემდნენ. ჰანს კასტორპი, სეტემბრინი და ფერგე თავის დაქნევით შეთანხმდნენ, ხევის თავზე ასულიყვნენ, ახლა ისინი მის ფსკერზე იმყოფებოდნენ, გავიდოდნენ ზედა ბილიკზე და წყალვარდნილს იქიდან დაინახავდნენ. ეს არც ისე ძნელი იყო: კლდეში გამოკვეთილი, ვიწროსაფეხურებიანი ციცაბო კიბე ტყის ზემო სართულში ადიოდა; იმ კიბეზე თითო-თითოდ აცოცდნენ, ხიდზე გავიდნენ და შუა ხიდზე ისე გამოჩნდნენ, თითქოს ჩანჩქერის ამოზნექილ ზედაპირზე ფარფატებენო, მოაჯირს დაეყრდნენ და იქიდან დაუქნიეს ხელი ქვევით მყოფ მეგობრებს. შემდეგ ხიდით გაღმა გავიდნენ, ძლივძლივობით ჩააღწიეს ხევის გაღმა კალთამდე და წყალვარდნილს მეორე მხარეს მოექცნენ, ხიდი იქაც იყო გადებული და ქვემოთ დარჩენილებს ისევ დაენახვნენ.

ამჯერად ნიშნებით საუბარი დანაყრებას შეეხებოდა. რამდენიმე კაცმა თანამგზავრებს ანიშნა, ამ ხმაურიან ზონას მოვცილდეთ, ერთმანეთის ხმას გავიგონებთ და ყრუ-მუნჯებივით არ ვისაუზმებთო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პეპერკორნის ნება-სურვილი ამ აზრს ეწინააღმდეგებოდა. მან თავი გააქნია, საჩვენებელი თითი კვლავ ხევის ფსკერისკენ გაიშვირა, ბაგე გაჭირვებით გახსნა და მისმა გახეულმა ტუჩებმა უხმოდ გამოხატეს სიტყვა: „აქ!“ რა გაეწყობოდა? ასეთ საკითხებში იგი ბრძანდებოდა ბატონი და გამგებელი, მის პიროვნებას ისეთი დიდი წონა ჰქონდა, ამ ექსკურსიის მოთავე და გამგებელიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მის სიტყვას ექნებოდა გასავალი. ასეთი მასშტაბის პიროვნებები ოდითგანვე იყვნენ და იქნებიან ტირანები და ერთმმართველები.

მინჰერს სურდა, ჩანჩქერის პირას, ამ გრუხუნში წაეხემსებინა, ეს გახლდათ თვითმპყრობელური ახირება და ვისაც არ უნდოდა მშრალზე დარჩენილიყო, აქ მოუწევდა დარჩენა. უმრავლესობა უკმაყოფილო იყო. ბატონმა სეტემბრინიმ რომ დაინახა, როგორ ეცლებოდა ხელიდან ადამიანურად აზრის გაცვლა-გამოცვლის ან თუნდაც დემოკრატიული, ნათელი დისპუტის გამართვის საშუალება, სასოწარკვეთილებისა და მორჩილების ნიშნად ხელები აღაპყრო. მალაელი დაუხანებლივ შეუდგა თავისი მბრძანებლის სურვილის ასრულებას. თან ჰქონდა ორი დასაკეცი სკამი, რომლებიც მინჰერსა და მადამ შოშას კლდის ძირას დაუდგა. შემდეგ მათ ფეხებთან სუფრა დააფინა და კალათაში რაც ეწყო, ყველაფერი ამოალაგა: ყავის ჭურჭელი და ჭიქები, თერმოსები, ნამცხვარი და ღვინო. ყველა თავის ულუფას მიეტანა, შემდეგ ვინ ლოდებზე, ვინ ბილიკს გაყოლებულ მოაჯირზე შემოჯდა, ხელში ცხელი ყავით სავსე ფინჯანი ეკავათ, ნამცხვრიანი თეფში მუხლებზე ედგათ და ამ გრუხუნში უხმოდ სამხრობდნენ.
პეპერკორნს პალტოს საყელო წამოეწია, შლაპა თავის გვერდით მიწაზე დაედო და მონოგრამიანი ვერცხლის თასით პორტვაინს ზედიზედ ცლიდა. და აი, უეცრად მან ლაპარაკი წამოიწყო. საკვირველი კაცი კი იყო! შეუძლებელია, საკუთარი ხმა თვითონ გაეგონა და მით უმეტეს, დანარჩენებს ხომ ერთი სიტყვაც არ ესმოდათ იმისა, რასაც იგი მხოლოდ ტუჩებით, გაუხმოვანებლად ლაპარაკობდა. საჩვენებელი თითი მაღლა აეწია, მარჯვენა ხელში თასი ეჭირა და ამიტომ მსმენელებისკენ მარცხენა მკლავი და ალმაცერად აღმართული ხელისგული გაეშვირა. ყველა ხედავდა, როგორ მეტყველებდა მისი მეფური სახე, პირი სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ სიტყვებს ისე გამოსცლოდა ხმა, თითქოს მათ უჰაერო სივრცეში წარმოთქვამენო. ყველას უხერხული ღიმილი მოჰფენოდა სახეზე და ფიქრობდნენ, საცაა ამ ფუჭ საქმეს თავს დაანებებსო, მაგრამ იგი ლაპარაკს განაგრძობდა, მომნუსხველი, ყურთასმენის მოსაკრები დახვეწილი ჟესტებით სიტყვებს ყველაფრის შთანმთქმელ გრუხუნში ისროდა, შეჭმუხნილ შუბლს ქვემოდან გამომზირალ, პატარ-პატარა, მოღლილ, უფერო თვალებს აბრიალებდა და ხან ერთ მაყურებელს მიაპყრობდა და ხან მეორეს, ასე რომ, თითოეული მათგანი იძულებული ხდებოდა, წარბები აეწია, მისთვის თავი ექნია, პირი დაეღო და ხელი ყურის ნიჟარაზე მოეფარებინა, თითქოს ეს ხერხი უიმედო საქმეს რაიმეს უშველიდა. იგი ზეზეც კი წამოდგა! თასი ხელში ეჭირა, დაჭმუჭნილი პალტო თითქმის კოჭებამდე სწვდებოდა, საყელო წამოწეული ჰქონდა, იდგა კლდესთან თავშიშველი, მაღალ, კერპივით დაღარულ შუბლს თეთრი თმა ცეცხლის ენებივით ევლებოდა, სახესამოძრავებდა, შუბებივით წამახული თითებით შეკრული წრე სახესთან ახლოს ეჭირა და თავის მუნჯურ, გაუგებარ სადღეგრძელოს აზრის დამადასტურებელი ნიშნებით ამკობდა. ჟესტებით მართლა შეიძლებოდა გამოეცნოთ და ტუჩებზე წაეკითხათ ცალკეული სიტყვები, რომლებიც მისგან ხშირად სმენოდათ: „ჩინებულია“ და „მორჩა“, ეს იყო და ეს. ხედავდნენ მის ალმაცერად გადახრილ თავს, გახეულ ტუჩებზე გამოსახულ სიმწრისღიმილს, მოკლედ, მრავალტანჯული კაცის მთელ ხატებას. შემდეგ დაინახეს, სახეზე კვლავ როგორ აუყვავდა მეტყველი ფოსო, და ყველას თვალწინ წარმოუდგა მისი სიბარიტული ოინბაზობა, საცეკვაოდ წამოკრეფილი სამოსი და წარმართი ქურუმის ღვთაებრივი უზნეობა. მან თასი ასწია, თანამეინახეებს თვალწინ ნახევარწრედ შემოუტარა და ორი თუ სამი ყლუპით ისე გამოცალა, რომ ფსკერი მთლიანად ააყირავა, შემდეგ თასი მალაელს გადააწოდა, მან ცალი ხელი მკერდზე მიიდო და თასი ისე ჩამოართვა, პეპერკორნმა კი ჟესტით ბრძანება გასცა, დროა, ავიშალოთო.
მადლობის ნიშნად პეპერკორნს თავი დაუკრეს და შეეცადნენ, მკვირცხლად შეესრულებინათ ბრძანება. ვინც მიწაზე იყო ჩაცუცქული, ფეხზე წამოხტა, ვინც მოაჯირზე იჯდა, ძირს ჩამოვიდა. ჩია იაველმა, რომელსაც ცილინდრი ეხურა და ბეწვისსაყელოიანი პალტო ეცვა, საუზმის ნარჩენები და ჭურჭელი წამოკრიფა. როგორც მოვიდნენ, ისევე გამწკრივებულნი დაადგნენ ნოტიო წიწვებით მოფენილ გზას, ლიქენებით დამახინჯებული ტყე გაიარეს და შარაგზაზე გავიდნენ, სადაც ეტლები ელოდებოდათ.
ჰანს კასტორპი ამჯერად მასპინძელსა და მის თანამგზავრს ჩაუჯდა, წყვილის პირდაპირ მოთავსდა, კეთილი ფერგეს გვერდით, ვისთვისაც სავსებით უცხო იყო

ყოველივე ამაღლებული. შინისაკენ მგზავრობისას თითქმის სიტყვა არავის დაუძრავს. მინჰერსა და კლავდიას პლედში ერთად ჰქონდათ შეფუთნილი მუხლები, მინჰერს ხელისგულები პლედზე დაეწყო და ქვედა ყბა ჩამოვარდნოდა. სეტემბრინი და ნაფტა მანამდე ჩამოვიდნენ, სანამ ეტლები ვიწრო ლიანდაგსა და წყალსადინარს გადაივლიდნენ და ვეეზალმა მეორე ეტლით მარტოდმარტომ იმგზავრა ბერგჰოფის“ ალაყაფის კარამდე, სადაც ყველანი ერთმანეთს დასცილდნენ კიდეც.
ნუთუ იმ ღამეს ჰანს კასტორპს თვით მისი სულისთვისაც გაუცნობიერებელი შინაგანი მოლოდინის გამო ისე ფხიზლად ეძინა, რომ ბერგჰოფული ღამის ჩვეული სიმყუდროვიდან იოტისოდენა გადახვევა, ძლივს გასაგონი მღელვარება თუ შორს გაქცევა-გამოქცევისაგან შენობის სულ ოდნავ შერხევაც კმაროდა, რათა სავსებით გამოფხიზლებულიყო და ლოგინში წამომჯდარიყო? დიახ, ფაქტობრივად, იგი კარგა ხნის გამოღვიძებული გახლდათ, როცა კარზე დააკაკუნეს. სამის წუთები იყო. კართან მოსულს მყისვე ფხიზლად, მკვირცხლად და ენერგიულად გააგონა. მაღალი და როყიო ხმა სანატორიუმის ერთ-ერთი მომვლელი ქალისა იყო, მან ფრაუ შოშას დანაბარები გადმოსცა, დაუყოვნებლივ მეორე სართულზე ჩამობრძანდითო. ახლავე მოვდივარო, კიდევ უფრო ენერგიულად გასძახა მან, საწოლიდან წამოხტა, სასწრაფოდ ჩაიცვა, თმა თითებით გადაივარცხნა და კიბეზე ზომიერი ნაბიჯებით დაეშვა, რაც მომხდარიყო, მიხვდა, მაგრამ როგორ მოხდა, ეს კი აღარ იცოდა.
პეპერკორნის სასტუმრო ოთახის კარი ღია დახვდა, საძინებელი ოთახის კარიც ღია იყო და ყველა ნათურა ჩახჩახებდა. ორივე ექიმი, უფროსი ექთანი მილენდონკი, მადამ შოშა და იაველი კამერდინერი იქ იყვნენ. ამ უკანასკნელს ჩვეულებრივი ტანსაცმლის ნაცვლად თავისი ნაციონალური კოსტიუმი ეცვა - ფართოზოლებიანი, პერანგისმაგვარი, გრძელი და განიერსახელოებიანი ხალათი და შარვლის მაგიერი, ჭრელი ქვედაკაბა, თმაზე ყვითელი მაუდის წოწოლა ქუდი ეხურა, მკერდზე ავგაროზების კრიალოსანი ეკიდა, გულხელი დაეკრიფა და საწოლის თავთან, ხელმარცხნივ გაუნძრევლად იდგა, საწოლში კი პირაღმა, ხელებჩასწორებული იწვა პიტერ პეპერკორნი. შემოსული ამ სურათის დანახვაზე გაფითრდა. ფრაუ შოშა საწოლის ფეხებთან, მისკენ ზურგშექცეული იჯდა დაბალ სავარძელზე, იდაყვები დალიანდაგებულ საბანზე დაეყრდნო, ნიკაპი ხელში მოექცია, თითები ქვედა ტუჩისთვის ჩაეჭდო და თავის თანამგზავრს სახეში შესცქეროდა.
- საღამო მშვიდობისა, ბიჭუნი, - უთხრა ჰანს კასტორპს ბერენსმა, რომელიც დოქტორ კროკოვსკისა და უფროს ექთანთან დაბალი ხმით საუბრობდა, მერე ნაღვლიანად დაუქნია თავი და ჭაღარა ულვაში აიგრიხა. ბერენსს ექიმის ხალათი ეცვა, გულჯიბიდან სტეტოსკოპი მოუჩანდა, ფეხი ამოქარგულ ფოსტლებში წაეყო და საყელოც არ ეკეთა, - ვეღარაფერს გახდები, - ჩურჩულით დასძინა მან, - სუფთა ნამუშევარია. ახლოს მოიწით და ერთი თქვენი გამოცდილი თვალი შეავლეთ. დამეთანხმებით, რომ ექიმის ხელოვნება აქ ვეღარაფერს გახდება.
ჰანს კასტორპი საწოლს ფეხის წვერებზე მიუახლოვდა. მალაელმა მის ყოველ მოძრაობას თვალი ისე გაადევნა, თავი არ შემოუბრუნებია, მხოლოდ თვალის თეთრონებმა გაიელვა. ჰანს კასტორპმა ფრაუ შოშასკენ გააპარა თვალი, დაასკვნა, რომ იგი მისკენ არც იხედებოდა და სარეცელთან ჩვეულ პოზაში დადგა, ცალ ფეხს დაეყრდნო, ხელები მუცელზე დაიკრიფა, თავი გვერდზე გადაიგდო და მიცვალებულს მოწიწებით და სევდიანად დააცქერდა.პეპერკორნი წითელი აბრეშუმის საბნის ქვეშ იწვა, ტანზე ისევ ის ნაცნობი შალის მაისური ეცვა. ხელებსა და აქა-იქ სახეზეც მოშავო-მოლურჯო ლაქები ემჩნეოდა. ეს საკმაოდ ამახინჯებდა, თუმცა მეფური სახის ნაკვთები არ შესცვლოდა. თმის თეთრ ჩარჩოში ჩასმულ მაღალ შუბლზე კერპივით აჩნდა ოთხ თუ ხუთრიგად გაწოლილი ნაოჭები, რომლებიც შემდეგ სწორად ეშვებოდნენ ძირს, საფეთქლებისაკენ, მთელ მის დაძაბულ ცხოვრებას ამხელდნენ და ახლაც კი, დახუჭული ქუთუთოების ფონზე, უმოძრაო სახეზე მკვეთრად გამოირჩეოდნენ. სიმწრით გახეული ტუჩები ოდნავ ღია დარჩენოდა. ჩალურჯებული კანი უეცარ სისხლის ჩაქცევაზე მიუთითებდა და სასიცოცხლო ფუნქციების ძალდატანებით შეჩერებას მოწმობდა.
ჰანს კასტორპიერთხანს გარინდებული იდგა და შექმნილ ვითარებაზე ფიქრობდა,

იმის მოლოდინში, „ქვრივი“ დამელაპარაკებაო, განძრევას ვერ ბედავდა, მაგრამ დუმილი არავის დაურღვევია, მანაც გარიდება გადაწყვიტა და თავის ზურგს უკან შეჯგუფებულ დანარჩენ დამსწრეთ გამოხედა. ჰოფრატმა თავით სასტუმრო ოთახისკენ ანიშნა და ისიც უკან გაჰყვა.
- Suicidium
? (თვითმკვლელობა (ლათ.).)
- ხმადაბლა და საქმიანად ჰკითხა მან ჰოფრატს...
- რა თქმა უნდა! - ხელი ჩაიქნია ბერენსმა და დასძინა, - მერედა, როგორი. აღმატებით ხარისხში. ამის მსგავსი საგალანტერიო საქონელი თუ გინახავთ სადმე? - ჰკითხა მან ჰანს კასტორპს, ხალათის ჯიბიდან უსწორმასწორო ფორმის კოლოფი ამოიღო, იქიდან რაღაც პატარა საგანი ამოაძვრინა და ყმაწვილ კაცს გაუწოდა... - მე პირადად არ მინახავს, მაგრამ სანახავად კი ღირს. სწავლა სიბერემდეო, ხომ გაგიგონიათ. დიდი ახირებული, მაგრამ გონებამახვილური რამ კი არის. ეს ხელიდან გამოვართვი, ფრთხილად! ერთი წვეთი თუ მოგხვდათ ხელზე, დაგთუთქავთ.
ჰანს კასტორპმა შეატრიალ-შემოატრიალა საიდუმლოებით მოცული საგანი. ეს იყო ლითონის, სპილოს ძვლის, ოქროსა და კაუჩუკისაგან დამზადებული უცნაური ხელსაწყო, ჰქონდა ლითონის მოკაუჭებული, პრიალა, ბასრწვერებიანი ორი მარწუხი და სპილოს ძვლისგან გამოთლილი, ოდნავ მომრგვალებული, ოქროთი მოჭედილი შუა ნაწილი, რომელშიც მარწუხები თავისუფლად მოძრაობდა, ხოლო ხელსაწყოს ტანი მაგარი, შავი რეზინის ბალონისმაგვარი ბუშტით ბოლოვდებოდა. მთელი ხელსაწყო სიდიდით სულ ორიოდე დუიმი თუ იქნებოდა.
- ეს რა არის? - ჰკითხა ბერენსს ჰანს კასტორპმა.
- ეს გახლავთ ნამდვილი საინიექციო შპრიცი, - მიუგო ბერენსმა, - ანუ, სხვა კუთხით თუ მივუდგებით, სათვალიანი გველის ყბის მექანიკური ასლი, მიხვდით? მგონი, ვერაფერსაც ვერ მიხვდით, - დასძინა მან, რაკი შეატყო, რომ ჰანს კასტორპი კვლავ იმ საზარელ ხელსაწყოს აკვირდებოდა, - ესაა კბილები, ისინი ღრუიანია, შიგ გადის თმის ღერის სიმსხო, უწვრილესი არხი, რომლის ბოლო შეგიძლიათ შპრიცის წინა ნაწილში დაინახოთ, ცხადია, არხები კბილის ძირშიც ღიაა და რეზინის ბუშტის ყელსაც უკავშირდება, რომელიც სპილოს ძვლის ფუძეში გადის. კბენისას კბილები ოდნავ შიგნით იზნიქება, ეს აშკარაა, აწვება რეზერვუარს, ისიც შიგთავსს არხებში გზავნის და როგორც კი მარწუხები ხორცს ჩაესობა, შხამიც სისხლში გადადის. ასე რომ უყურებ, ყველაფერი მეტისმეტად მარტივადაა მოწყობილი, მაგრამ ამას მოფიქრება ხომ უნდა. ალბათ, საკუთარი მითითებით ექნებოდა დამზადებული.
- უეჭველად! - მიუგო ჰანს კასტორპმა.
- დოზა ძალიან დიდი არ იქნებოდა, - განაგრძო ჰოფრატმა, - მაგრამ რაც რაოდენობას დააკლდა, ის, ალბათ, შეივსო...
- დინამიკით, - დაასრულა ჰანს კასტორპმა.
- დიახ. შიგ რა არის, ამას ჩვენ კიდევ გამოვიკვლევთ. საკმაოდ საინტერესო შემთხვევაა, აქედან რაღაცის სწავლა შეიძლება. ნაძლევს ჩამოვალ, აი, ეს ეგზოტიკური კაცი, ამ ღამით ასე რომ გამოპრანჭულა, ყველაფერს ძირფესვიანად აგვიხსნიდა. ჩემი ვარაუდით, ეს უნდა იყოს ცხოველური და მცენარეული ნივთიერებების კომბინაცია, ყოველ შემთხვევაში, საუკეთესოთაგან საუკეთესო, რადგან ელვის სისწრაფით უმოქმედია. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ სუნთქვა ერთბაშად შეჩერებია, მომხდარა სასუნთქი ცენტრის დამბლა, რომ იცოდეთ, სული წამით შეეხუთებოდა და უწვალებლად და უტანჯველად მოკვდებოდა კიდეც.
- ღმერთმა ქნას! - თქვა ჰანს კასტორპმა, ჰოფრატს საშინელი პატარა ხელსაწყო უკან დაუბრუნა, ერთი ამოიხვნეშა და საძინებელ ოთახში შებრუნდა.
იქ მხოლოდ მალაელი და მადამ შოშა დაუხვდნენ. ამჯერად კლავდიამ თავი ასწია და ყმაწვილ კაცს შეხედა, როცა იგი საწოლს ისევ მიუახლოვდა.
- თქვენ გქონდათ იმის უფლება, აქ რომ მომეყვანეთ, - უთხრა მან.
- დიდი სიკეთე მიყავით, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - თქვენ მართალი ხართ, ჩვენ შენობით ველაპარაკებოდით ერთმანეთს. სირცხვილი მწვავს, სხვების თანდასწრებით ამის რომ მერიდებოდა და რა ფანდებს აღარ მივმართავდი. თქვენ უკანასკნელ წუთებში მის გვერდით იყავით?

- მსახურმა მაშინ დამიძახა, როცა ყველაფერი გათავდა, - უპასუხა მან.
- იგი იმოდენა მასშტაბის კაცი იყო, - წამოიწყო ისევ ჰანს კასტორპმა, - რომ სიცოცხლის შეგრძნების მოჩლუნგებას კოსმიურ კატასტროფად და თავლაფის დასხმად თვლიდა, თქვენც გეცოდინებათ, საკუთარ თავს ამ ქვეყანასთან ღვთის ქორწინების მესვეურად რომ მიიჩნევდა. ეს მისი მეფური ახირება გახლდათ... როცა კაცს გრძნობა შემოაწვება, მაშინ ბედავს ისეთი გამოთქმების ხმარებას, რომლებიც იქნებ უხეშად და მოურიდებლად კი ჟღერენ, მაგრამ ნებადართულ სალოცავ სიტყვებზე გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე.
- C’est une abdication
,
(განდგომა (ფრანგ.).) - თქვა მან, - ჩვენი სისულელეები თუ იცოდა?
- არ შემეძლო, დამემალა, კლავდია. თვითონვე მიხვდა, როცა უარი ვუთხარი, თქვენთვის მისი თანდასწრებით შუბლზე მეკოცნა. მისი აქ ყოფნა ამ წუთში უფრო სიმბოლურია, ვიდრე რეალური, მაგრამ ნებას დამრთავთ მისი სურვილი ახლაშევასრულო?
ქალმა ისე სწრაფად მიუშვირა შუბლი, თითქოს თავისკენ უხმობსო და თვალები დახუჭა. ჰანს კასტორპმა ტუჩები მის შუბლს შეახო. მალაელი ისე უთვალთვალებდა ამ სცენას, ისე დააელმა მხეცივით წვრილ-წვრილი, ყავისფერი თვალები, რომ სახეზე თვალების თეთრონებიღა მოუჩანდა.
დიდი გამოთაყვანება
ერთხელ კიდევ გავიგონებთ ჰოფრატ ბერენსის ხმას - კარგად მივუგდოთ ყური! იქნებ უკანასკნელად გვესმის მისი ხმა! ოდესმე ეს ამბავიც ხომ უნდა დამთავრდეს; იგი ისედაც ძალიან გაგვიგრძელდა, უფრო მეტიც: მისი შინაარსობრივი დრო ისე სწრაფად მიგორავს, რომ მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია, მისი მუსიკალური მხარეც იწურება და, ალბათ, მეტად აღარც მოგვიწევს ენაწყლიანი რადამანთისის დარბაისლური საუბრის მოსმენა. იგი ჰანს კასტორპს ეუბნებოდა:
- კასტორპ, ჩემო ძველო მეგობარო, თქვენ მოწყენილი ბრძანდებით, ცხვირი ჩამოგიშვიათ, კარგა ხანია გამჩნევთ, უგუნებობა ზედ შუბლზე გაწერიათ. გაბერილი ბუშტივითა ხართ, კასტორპ, სენსაციებით განებივრებული ბრძანდებით და ყოველდღე პირველხარისხოვანი ამბავი თუ არ მოგართვით, ბუზღუნებთ და ჯავრობთ, დავმყაყდითო. მართალი ვარ თუ არა?
ჰანს კასტორპი დუმდა და ეს იმას მოწმობდა, რომ მის სულში მართლა წყვდიადი სუფევდა.
- მართალი ვარ, როგორც ყოველთვის, - თავის თავს თვითონვე უპასუხა ბერენსმა, - და სანამ თქვენ აქ მსოფლიო დარდისა და სევდის შხამს გამივრცელებდეთ, უნდა გითხრათ, უკმაყოფილო მოქალაქევ, რომ ღმერთსა და ქვეყანას არ დავიწყებიხართ, პირიქით, უფროსობას თვალი უჭირავს თქვენზე, ჩემო ძვირფასო, თვალს არ გაშორებთ და სულ იმაზე ფიქრობს, იქნებ როგორმე გავართოო. ბებერი ბერენსიც ჯერ კიდევ აქ არის. ახლა კი ხუმრობას მოვეშვათ, ჩემო შვილო! თქვენ გამო ერთი აზრი მომივიდა თავში, ღმერთმანი, უძილო ღამეები თქვენზე ფიქრში ბევრჯერ გამიტარებია და შეიძლება ითქვას, რომ ახლა გონება გამინათდა, დიახ, ჩემი იდეისგან ნამდვილად ბევრს გამოველი, ესე იგი, არც მეტი და არც ნაკლები, შხამებისგან თქვენს გათავისუფლებას და შინ უმოკლეს ვადაში თქვენს ტრიუმფალურ დაბრუნებას ვფიქრობ.
- თვალები გაგიფართოვდათ, ხომ, - განაგრძო მან საგანგებო პატარა პაუზის შემდეგ, თუმცა ჰანს კასტორპს თვალები სულაც არ გაჰფართოებია, პირიქით, ბერენსს ძილმორეული და დაბნეული თვალებით შესცქეროდა.
- ვერ ხვდებით, ბებერი ბერენსი რას უნდა გულისხმობდესო, მე კი აი, რას ვფიქრობ: თქვენი საქმე მთლად დაწყობილი ვერ არის, კასტორპ, თქვენისთანა მიხვედრილ კაცს ეს, ალბათ, არ გამოეპარებოდა. დაუწყობელ საქმეს იმას ვეძახი, რომ თქვენი ინტოქსიკაციის გამოვლენა უკვე კარგა ხანია გაუმჯობესებულ ლოკალურ მდგომარეობას აღარ შეესაბამება, ამ ამბავზე გუშინ და დღეს არ მიფიქრია. აი, თქვენი უახლესი ფოტო... მოდი, ერთი, სინათლეზე გავხედოთ ამ ჯადოსნურ სურათს. თქვენ ხედავთ, რომ ყველაზე პირწავარდნილი ბუზღუნა და პესიმისტი, როგორც ჩვენი უფალი იმპერატორი იტყოდა, აქ საკბილოს ბევრს

ვერაფერს ნახავს. რამდენიმე კერა მთლიანად შეწოვილია, ბუდე დაპატარავებულია და უფრო მკაფიოდაა გამოყოფილი. ეს კი, როგორც თქვენსავით განსწავლულ კაცს მოეხსენება, გამოჯანსაღებაზე მიუთითებს. ასეთი მონაცემების ფონზე თქვენი ტემპერატურის მერყეობა ძნელი ასახსნელია. ექიმი იძულებული ხდება, სხვა მიზეზები ეძიოს.
ჰანს კასტორპმა თავის დაქნევით საკმაოდ თავაზიანად გამოხატა ცნობისმოყვარეობა.
- თქვენ, ალბათ, იფიქრებთ, კასტორპ, ბეხრეკი ბერენსი იძულებულია, აღიაროს, რომ მცდარ მკურნალობას მიტარებდაო, მაგრამ მწარედაც შეცდებით, და ვითარებასაც მცდარად შეაფასებთ და ბეხრეკ ბერენსსაც. თქვენი მკურნალობა მცდარი არ ყოფილა, ოღონდ შესაძლოა ცალმხრივად ორიენტირებული კი იყო. მე მხედველობიდან გამომრჩა, რომ თქვენი სიმპტომები ოდითგანვე მხოლოდ და მხოლოდ ტუბერკულოზისთვის არ უნდა მიგვეწერა, ახლა კი მტკიცედ მჯერა, დღეს ისინი ტუბერკულოზს მართლაცრომ აღარ მიეწერება. ეტყობა, დაავადების რაღაც სხვა წყარო არსებობს. ჩემი აზრით, ეს კოკები უნდა იყოს.
- ჩემი ღრმა რწმენით, - მეტი დამაჯერებლობისათვის გაიმეორა ჰოფრატმა, რაკი შეამჩნია, რომ ჰანს კასტორპმა თავი გადააქნია, - თქვენ სტრეპტოკოკები გაქვთ, მაგრამ შესაშფოთებელი არაფერია.
(შეშფოთება აქ არაფერ შუაში გახლავთ, ჰანს კასტორპის სახე უფრო ირონიულ აღიარებას გამოხატავდა, ან ამ წუთში მოსმენილი აღმოჩენის, ან იმ ახალი საპატიო ადგილის გამო, ჰოფრატს თავისი ჰიპოთეზის თანახმად მისთვის რომ უნდა მიეჩინა).
- საპანიკო არაფერი გაქვთ! - ნუგეშის ვარიაციებს სთავაზობდა ჰოფრატი, - კოკები ყველა ორგანიზმშია. სტრეპტოკოკები ყოველ ვირს აქვს, ძალიან კი ნუ გაიფხორებით. დიდი ხანი არაა, რაც გავიგეთ, რომ ადამიანს შეიძლება სისხლში ჰქონდეს სტრეპტოკოკები და ინფექცია კი არავითარი სახით არ გამოვლინდეს. ბევრ ჩვენს კოლეგას ჯერ კიდევ არ გაუგია ჩვენთვის ცნობილი ფაქტი, რომ სისხლში შეიძლება ტუბერკულებიც იყოს, მაგრამ ამას გართულებები არ მოჰყვეს თან. ჩვენ ერთი ნაბიჯიღა გვაკლია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ტუბერკულოზი, თუ გნებავთ, სისხლის დაავადებაა.
ჰანს კასტორპმა აღნიშნა, ძალზე ყურადსაღები აზრიაო.
- ამგვარად,როცა ვამბობ სტრეპტოკოკები-მეთქი, - კვლავ წამოიწყო ბერენსმა, - ცხადია, ის ცნობილი მძიმე დაავადება არ უნდა ვიგულისხმოთ. ეს პაწაწკინტელა არსებები თქვენს სხეულში საერთოდ ჩაბუდებულნი არიან თუ არა, ამას სისხლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს. თუკი თქვენი სიცხიანობა მათი ბრალია, ცხადია, თუ აღმოგაჩნდათ სტრეპტოკოკები, მაშინ ამას დაგვიდასტურებს სტრეპტოვაქცინით მკურნალობა, რომელსაც ამჯერად ჩაგიტარებთ. აი, ამ გზას უნდა დავადგეთ, ძვირფასო მეგობარო, და როგორც გითხარით, მისგან მოულოდნელ შედეგებს მოველი. რამდენადაც ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს ტუბერკულოზი, იმდენად სწრაფად იკურნება დღეს ამგვარი დაავადებანი და თუკი თქვენ ინიექციებზე საერთოდ რეაგირებთ, მაშინ ექვს კვირაში ჯანმრთელობისაგან იხტუნებთ. რას იტყვით? დგას, არა, ბეხრეკი ბერენსი თავის საგუშაგოზე?
- ეს ხომ, ჯერჯერობით, ჰიპოთეზაა, - უხალისოდ უპასუხა ჰანს კასტორპმა.
- სამაგიეროდ, სარწმუნო ჰიპოთეზა! და უაღრესად ნაყოფიერიც! - მიუგო ჰოფრატმა, - რა ნაყოფიერიცაა, თქვენ თვითონ ნახავთ, ჩვენს კულტურებზე კოკები რომ აღმოცენდება. ხვალ ნაშუადღევს გიჩხვლეტთ, კასტორპ, სოფლის დალაქის ყველა წესისა და რიგისამებრ სისხლს გამოვუშვებთ. ეს თავისთავადაც მშვენიერი რამაა, მარტო მას შეუძლია სხეულსა და სულზე კურთხეული ზეგავლენა მოახდინოს...
ჰანს კასტორპმა უპასუხა, ამ დივერსიისთვის მზად გახლავართო და დიდი მადლობაც გადაუხადა ყურადღებისათვის, შემდეგ თავი მხარზე დაიდო და ხელების ქნევით მიმავალ ჰოფრატს თვალი გააყოლა. შეფმა ამ საუბრისათვის ზუსტად გამოძებნა კრიტიკული მომენტი. რადამანთისმა საკმაოდ ზუსტად აუღო ალღო მთის სტუმრის გამომეტყველებასა და გუნება-განწყობას და ახალი წამოწყებით მიზნად დაისახა - მიზანი ნათელი გახლდათ და ჰოფრატი ამას არც

მალავდა, - გადაელახათ ის მკვდარი წერტილი, სადამდეც მისი სახის გამომეტყველების მიხედვით პაციენტი ცოტა ხნის წინ მისულიყო. სახის გამომეტყველება კი თვალნათლივ მოგაგონებდათ განსვენებული იოახიმის გამომეტყველებას, როცა მის არსებაში ის თვითნებური და ჯიუტი გადაწყვეტილებები მწიფდებოდა.
უფრო მეტიც, ჰანს კასტორპს ეჩვენებოდა, რომ მარტო თვითონ როდი იყო მისული ამ მკვდარ წერტილამდე, თითქოს ეს სენი მთელ ქვეყანას, „ყველაფერს“ შეჰყროდა, უფრო მეტიც, მისი აზრით, ძნელი იყო კერძო ზოგადისაგან გამოგეცალკევებინა. ერთ პიროვნებასთან ურთიერთობის ასეთი ექსცენტრიკული დასასრულის შემდეგ, ამ დასასრულის გამო ბერგჰოფის“ თავს გადავლილი ქარტეხილისა და აქაური სათვისტომოდან კლავდია შოშას ხელახალი გამოთიშვის შემდეგ, როცა ერთმანეთს დაემშვიდობნენ იგი და მისი ბატონის ცოცხლად დარჩენილი ძმობილი და ეს დამშვიდობება დაიჩრდილა დიადი განდგომის ტრაგიზმითა და აღიბეჭდა მისდამი პატივისცემის სულისკვეთებით, ამ დროიდან მოყოლებული ახალგაზრდა კაცს აქაურობაც და აქაურებიც გათვალული ეჩვენებოდა, თითქოს საქმე რაღაც უცნაურად, სულ უფრო და უფრო შავად მიდიოდა და ამის გამო შიში ეძალებოდა, თითქოს ძალაუფლება რომელიღაც დემონს ჩაეგდო ხელში. მართალია, იმ ავ და ბრიყვ დემონს უკვე კარგა ხანია გაჰქონდა თავისი, მაგრამ ახლა მაინც სულ აეწყვიტა და თავის ბატონობას ისე აშკარად იჩემებდა, რომ იდუმალ შიშს გგვრიდა და აქედან გაქცევის ფიქრს შთაგაგონებდა, და იმ დემონს გამოთაყვანება ერქვა სახელად.
კაცი იფიქრებს, მთხრობელი ამუქებს და რომანტიკულად აზვიადებს სათქმელს, გამოთაყვანებას დემონურ საწყისს რომ უკავშირებს და მას მისტიკური შიშის გამომწვევ თვისებებს მიაწერსო, მაგრამ ჩვენ არაფერს ვიგონებთ. დიახაც, ზუსტად ავსახავთ ჩვენი უბრალო გმირის პირად განცდებს, მართალია, ამ ცოდნას გამოკვლევის გზით ვერ შევიძენდით, მაგრამ იგი მაინც გვიდასტურებს, რომ გამოთაყვანებამ გარკვეულ ვითარებაში შეიძლება ამდაგვარი ბუნება გამოამჟღავნოს და ამდაგვარი გრძნობები გააღვიძოსადამიანში. ჰანს კასტორპმა ირგვლივ მიმოიხედა... მიმოიხედა და დაინახა მხოლოდ შემაძრწუნებელი, ბოროტეული ყოფა და მიხვდა, რასაც ხედავდა: ეს იყო უდროჟამო სიცოცხლე, უზრუნველი და უსასოო, ლპობაშეპარულ, მოფუსფუსე აღვირახსნილობად ქცეული სიცოცხლე, მკვდარი სიცოცხლე.
აქ საქმიანი ფუსფუსი მეფობდა, ყველა ნაირ-ნაირი საქმიანობით იყო გართული, დროდადრო კი ზოგიერთი მათგანი მოდურ სიშმაგედ გადაიქცეოდა და ყველას ფანატიკურად ითრევდა ხოლმე. მაგალითად, დიდი ხანია ბერგჰოფულ სამყაროში ასეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მოყვარულთა ფოტოგრაფია, მაგრამ ორჯერ - აქ, ზევით, ხანმოთეულნი მოსწრებიან ამგვარი ეპიდემიების პერიოდულ განმეორებას - ეს გატაცება კვირებისა და თვეების მანძილზე ისეთ საყოველთაო სიგიჟედ იქცა, რომ ადამიანს ვერ ნახავდით, მკერდქვეშ ფოტოაპარატი არ ჰქონოდა მიკრული, შეწუხებული სახით ზედ არ ყოფილიყო დახრილი და დიაფრაგმა არ ეწვალებინა, შემდეგ კი ბოლო არ უჩანდა სურათების მაგიდიდან მაგიდაზე გადაწოდებას. ერთბაშად პატივისა და ღირსების საქმედ იქცა ნეგატივების საკუთარი ხელით გამომჟღავნება. საამისოდ გამოყოფილი ჩაბნელებული ოთახი მსურველებს ვეღარ აუდიოდა, ამიტომ ყველამ ოთახების კარ-ფანჯრის შავი ფარდებით დაბნელებას მიჰყო ხელი და წითელ შუქზე ქიმიური ხსნარებით მანამდე იჩხერკედელავეს, სანამ ხანძარი არ გააჩინეს და კარგი რუსული სუფრის წევრი, ერთი ბულგარელი სტუდენტი ფერფლად ქცევას ბეწვზე არ გადაურჩა. ამის შემდეგ დირექციამ ოთახებში სურათების ბეჭდვა აკრძალა.მალე უბრალო სურათებს ყავლი გაუვიდა და ფართო გაქანება პოვა ლუმიერისეულმა წამიერმა და ფერადმა ფოტოგრაფიამ. ახლა ყველანი წამიერი ფოტოსურათების თვალიერებით ტკბებოდნენ, ამ სურათებზე ბლიცით უეცრად დაბრმავებული ადამიანები სახეშეჭმუხნილი ჩანდნენ და უაზრო თვალებით იყურებოდნენ. გეგონებოდათ, გვამებისთვის თვალები არ დაუხუჭავთ და სკამზე ისე დაუსვამთო. ჰანს კასტორპსაც ჰქონდა მუყაოს ჩარჩოში ჩასმული ერთი ასეთი ნეგატივი, ნეგატივს სინათლეზე თუ გახედავდით, დაინახავდით ფრაუ შტორსა და სპილოსძვლისფერსახიან ლევის შორის ჩამდგარ ჰანს კასტორპს, ქალებიდან

ერთს ცისფერი, მეორეს კი სისხლივით წითელი სვიტერი ეცვა, თვითონ თითბერივით ყვითელი ბაიებით მოფენილი, ხასხასა მწვანე მდელოს ფონზე სახე სპილენძისფერი მოუჩანდა, ერთი ყვავილი კი ღილ-კილოში ჰქონდა გაჩრილი და ყვითლად უკიაფებდა.
შემდეგ შემოვიდა მარკების შეგროვების მოდა. ამ საქმიანობას თითო-ოროლა კაცი ყოველთვის მისდევდა, მაგრამ დროდადრო ესეც საყოველთაო სიგიჟედ იქცეოდა ხოლმე. ყველა აწებებდა, ჩალიჩობდა, ცვლიდა, იწერდნენ ფილატელისტურ ჟურნალებს, მიწერ-მოწერა ჰქონდათ ადგილობრივ და საზღვარგარეთულ სპეციალურ ფირმებთან, ფილატელისტთა ორგანიზაციებსა და კერძო მოყვარულებთან და იშვიათი მარკების ხელში ჩასაგდებად ისეთი ხალხიც კი იხდიდა საარაკო თანხას, ვისი შემოსავალიც ასეთ ფეშენებელურ სამკურნალო დაწესებულებაში თვეობით ან წლობით ცხოვრებას ძლივძლივობით აუდიოდა.
ეს ამბავი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ახალი ფუქსავატობა არ მოიკიდებდა ფეხს, მაგალითად, კარგ ტონად ითვლებოდა ნაირ-ნაირი შოკოლადის დახვავება და გაუთავებელი ჭამა. ყველას ყავისფრად ჰქონდა მოთხვრილი ტუჩები და ბერგჰოფული სამზარეულოს ნუგბარ-ნუგბარ კერძებს უხალისოდ, ამრეზით ციცქნიდნენ, რადგან კუჭი ნაირ-ნაირი შოკოლადით: Milka-Nut, Chocolat à la crème d’amandes, Marquis-Napolitains
-ითა და ოქროსფრად დაწინწკლული კატის ენებით“ ჰქონდათ ამოყორილი და აბუყბუყებული.
გოჭის თვალდახუჭულმა ხატვამ, ერთ ყველიერის ღამეს უზენაესმა ხელისუფალმა რომ შემოიღო და მას შემდეგ დიდ გასავალშიც გახლდათ, თავისთავად მიგვიყვანა მოთმინების გამოსაცდელ გეომეტრიულ სავარჯიშოებამდე, რასაც ყველა ბერგჰოფელი პაციენტის სულიერი ძალები და თვით მორიბუნდუსების უკანასკნელი ფიქრი და ენერგიაც კი ეწირებოდა. კვირების მანძილზე მთელი „ბერგჰოფი“ ერთი დახლართული ფიგურით სულდგმულობდა, რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები, რვა დიდი და რვა პატარა წრისა და ერთმანეთში ჩახაზული უამრავი სამკუთხედისაგნ შედგებოდა. ამოცანა მოითხოვდა, ეს მრავალწახნაგა ფიგურა ხელის აუღებლად გამოგეხაზათ, უმაღლეს მიზანს კი მაშინ მიაღწევდით, იმავე ამოცანას მაგრად ახვეული თვალებითაც თუ გადაწყვეტდით, რაც, ბოლოს და ბოლოს, თუ მცირე ულაზათობას არ გამოვეკიდებოდით, მხოლოდ პროკურორ პარავანტს გამოუდიოდა, რადგან ამ თავსატეხის ყველაზე ერთგული მიმდევარი ის გახლდათ.
ჩვენ ვიცით, რომ იგი მათემატიკით იყო გატაცებული, ვიცით თვით ჰოფრატისაგან და ამ გატაცების აღმზრდელობითი მექანიზმის ამბავიც მოგვეხსენება, გაგვიგონია მისი გამაგრილებელი, ხორციელი ჟინის დამაყუჩებელი ზემოქმედების ხოტბაც და ეს მეთოდი, მგონი, საყოველთაოდ რომ გავრცელებულიყო, მაშინ, ალბათ, ზედმეტი გახდებოდა ამას წინათ იძულებით გატარებული ზოგიერთი მკაცრი ღონისძიება. ამათგან უმთავრესი ის გახლდათ, რომ აივნებზე გადაკეტეს ყველა გასასვლელი, მქრქალი მინისკედლიდან მოაჯირამდე დარჩენილ ადგილებში ვიწრო კარები დაატანეს და მეაბანოე საღამოობით პაციენტების დამცინავ ქირქილში ყველა კარს კეტავდა ხოლმე. მას შემდეგ დიდი ფასი დაედო მეორე სართულზე, ზედ ვერანდის თავზე განლაგებულ ოთახებს, იქ თუ ბალუსტრადაზე გადაძვრებოდით და წინ წამოწეულ შუშის სახურავზე აცოცდებოდით, იმ კარის გაუვლელადაც შეგეძლოთ აივნიდან აივანზე გადასვლა, ოღონდ ეს დისციპლინური სიახლე პროკურორის გამო არ შემოუღიათ. იმ ეგვიპტელი ფატმას გამოჩენით აღძრული მძიმე ცდუნება დიდი ხანია დასძლია პარავანტმა და იგი მისი მიწიერი სურვილების შემათრთოლებელი უკანასკნელი ცდუნებაც გამოდგა. მას შემდეგ პროკურორი გაორკეცებული მგზნებარებით ჩაეკრა მკერდში სიბრძნის ნათელთვალება ქალღმერთს, რომლის დამაოკებელ ძალას ასე მაღალფარდოვნად განადიდებდა ჰოფრატი, მას შემდეგ იგი დღე და ღამე, მთელი გრძნობა-გონებით ერთადერთ პრობლემაზე იყო გადაგებული, მთელ თავის მონდომებასა და სპორტულ ჟინს მას ახმარდა, ოდესღაც კი, შვებულებაში წამოსვლის წინ, რომელსაც ასე ხშირ-ხშირად უხანგრძლივებდნენ და ამიერიდან, ალბათ, თადარიგში გასვლასაც შესთავაზებდნენ, ამ მონდომებასა და სპორტულ ჟინს საბრალო დამნაშავეების განსჯაში ხარჯავდა. და ეს

პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ წრის კვადრატურა გახლდათ.
კალაპოტიდან ამოვარდნილი სასამართლოს მოხელე მათემატიკური შტუდიების წყალობით საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მეცნიერება მტკიცედ ვერ ასაბუთებდა ხსენებული სტრუქტურის არსებობის უსაფუძვლობას, ამიტომ იგი, პარავანტი, უზენაესმა საგანგებოდ ჩამოაცილა ცოცხალთა მიწიერ სამყაროს, აქ გადმოისროლა და ამიერიდან მას ეწერა, ეს ტრანსცენდენტური ამოცანა მიწიერ წიაღში გადაეწყვიტა. აი, ასეთ დღეში გახლდათ პარავანტი. მას გამუდმებით ფარგალი ეჭირა ხელში და სადაც უნდა ყოფილიყო, წრეებს ხაზავდა და ანგარიშობდა, ფიგურებით, ასოებით, ციფრებითა და ალგებრული ფორმულებით აჭრელებდა ქაღალდის დასტებს და კაჟივით ჯანმრთელი კაცივით ბრინჯაოსფრად მზემოკიდებულ სახეზე მანიაკის უაზრო და კერპი გამომეტყველება ეფინა. იგი მხოლოდ და მხოლოდ, და ისიც საშინლად ერთფეროვნად, შეფარდებით რიცხვზე, ანუპი-ზე ლაპარაკობდა, ამ წყეულ წილადზე, რომელიც ერთი უბრალო მოანგარიშის, ზაქარიას დაზეს(იოჰან მარტინ ზაქარიას დაზე (1824-1861) - გონებაში, ზეპირად ანგარიშის ფენომენური ნიჭის მქონე ჰამბურგელი წვრილი მოხელე.)
უბირ გენიას ერთ მშვენიერ დღეს ორასი მეათედის სიზუსტით განესაზღვრა და, სიმართლე თუ გნებავთ, სულ ტყუილუბრალოდაც გარჯილიყო, რადგან მიუღწეველ სიზუსტესთან მიახლოების შესაძლებლობა ვერც ორი მეათასედის სიზუსტით განსაზღვრის შემთხვევაში გაიზრდებოდა. წამებულ მოაზროვნეს ყველა გაურბოდა, რადგან ვისაც ხელში ჩაიგდებდა, მგზნებარე ტირადებს ასმენინებდა, ადამიანს ამ გზით ვითომ ჰუმანური მგრძნობიარობა გაეღვიძებოდა და მიხვდებოდა, ამ მისტიკურ მიმართებას ადამიანის გონება მისდა სამარცხვინოდ უკურნებელი ირაციონალიზმით რომ დაენაგვიანებინა. წრის ფართობის გამოსაანგარიშებლად ჯერ უნდა განესაზღვრა წრეწირის სიგრძე და რადიუსი აგეყვანა კვადრატში, ამისათვის კი „პი“ დიამეტრზე დაუსრულებლად უნდა გემრავლებინა და სწორედ ამ ოპერაციის უნაყოფობა იწვევდა პროკურორში მწარე ეჭვებს: იქნებ არქიმედეს დროიდან მოყოლებული კაცობრიობა შეცდომით ირთულებდა საქმეს და ამ საიდუმლოს ამოხსნა და გადაწყვეტა სულ იოლი კი იყო? ნუთუ არ შეიძლება გავასწოროთ წრის მრუდი ანდა წრედ შევკრათ წრფე? პარავანტს ზოგჯერ ეგონა, აღმოჩენამდე აღარაფერი მიკლიაო. ხშირად უნახავთ იგი გვიან ღამით დაცარიელებულ და სუსტად განათებულ სასადილო დარბაზში მაგიდასთან მჯდარი, მაგიდის შიშველ ზედაპირზე თოკის ნაგლეჯს გულდასმით წრის ფორმას რომ აძლევდა, მერე თითქოს ვიღაცას თავს ესხმისო, თოკს მოულოდნელად გამოსწევდა და გაასწორებდა, მაგრამ მერე კვლავ მძიმედ ჩაჰკიდებდა თავს და მწარე ფიქრებს ჩაუღრმავდებოდა ხოლმე. ჰოფრატი ზოგჯერ ხელს აშველებდა მძიმე დღეში ჩავარდნილს და მის ახირებას ისედაც თანაუგრძნობდა. პარავანტს ჰანს კასტორპისთვისაც არაერთხელ მიუმართავს თავისი ამოჩემებული თავსატეხით, რადგან ახალგაზრდა კაცი მეგობრულად ეკიდებოდა და წრეწირის საიდუმლოს ამოხსნაში თანაუგრძნობდა. სამაგიეროდ, მან ყმაწვილ კაცს თვალსაჩინოდ აუხსნა, რა იყო ეს წყეული „პი“, უჩვენა უზუსტესი ნახაზი, სადაც პაწაწინაგვერდებიან ორ მრავალწახნაგას შორის დიდი გაჭირვებით, ადამიანის შესაძლებლობათა უკიდურეს ზღვრამდე მისული სიზუსტით იყო ჩასმული წრეწირი, ხოლო დარჩენილი მრუდი, ეთერივით, სულივით რომ უსხლტება რაციონალურ აზროვნებას, ეს არის სწორედ „პი“-ო, თქვა ყბააკანკალებულმა პროკურორმა. მართალია, ჰანს კასტორპი შთაბეჭდილებიანი კაცი იყო, მაგრამ „პი“-ს საქციელით თავის მოსაუბრესავით არ გაღიზიანებულა. ამას ოინბაზობა უწოდა, პროკურორს ურჩია, თქვენც დაჭერობანას თამაშში სერიოზულად კი ნუ გაცხარდებითო და ლაპარაკი გაუბა არაგანფენილ შემობრუნების წერტილებზე, რომელთაგანაც შედგება წრეწირი, თავისი არარსებული დასაწყისიდან მოყოლებული ასევე არარსებულ დასასრულამდე. ესაუბრა აგრეთვე მხიარულ მელანქოლიაზე, რომელიც თავის თავში მბრუნავმარადისობაში ძევს, და ყველაფერ ამაზე ისეთი მშვიდი, ღვთისმოსაური კილოთი ელაპარაკა, რომ ცოტა ხნით მაინც დააშოშმინა.
სხვათა შორის, კეთილი ჰანს კასტორპი თავისი ბუნების წყალობით არაერთ ისეთ პაციენტს აღუძრავდა ნდობას, ვინც რომელიმე იდეას ჰყავდა შეპყრობილი და

იმით იტანჯებოდა, იოლ ცხოვრებას დახარბებულ ხალხში თანამგრძნობელს რომ ვერ პოულობდა. ერთ ავსტრიელ პროვინციელს, ყოფილ მოქანდაკეს, უკვე ხანდაზმულ თეთრწვერა კაცს, რომელსაც კეხიანი ცხვირი და ცისფერი თვალები ჰქონდა, ფინანსურ-პოლიტიკური ტიპის გეგმა შეემუშავებინა, გეგმა კალიგრაფიული ხელით გადაეწერა და მნიშვნელოვანი ადგილები სეპიაში ამოწებული ფუნჯით მოენიშნა. მისი გეგმის მიხედვით, გაზეთის ყოველი გამომწერი უნდა დაგვევალდებულებინა, დღეში 40-40 გრამი გაზეთის ქაღალდი ეგროვებინა და ყოველი თვის პირველ რიცხვში გადაეგზავნა შემგროვებელი ჰუნქტისათვის. ეს წელიწადში შეადგენდა 14 000 გრამს, ოც წელიწადში კი არანაკლებ 288 კილოგრამისა და თუ კილოგრამს 20 პფენიგად ვიანგარიშებდით, მივიღებდით 57 მარკასა და 60 პფენიგს. ხუთი მილიონი აბონენტი, ეწერა შემდეგ მემორანდუმში, ამგვარად, ოც წელიწადში, ძველი გაზეთების ჩაბარებით შემოიტანდა უზარმაზარ თანხას - 288 მილიონ მარკას, აქედან ორი მესამედი გაზეთის ხელახლა გამოწერას მოხმარდებოდა, - ამით თავისთავად გაიაფდებოდა გაზეთის გამოწერა, - ხოლო ერთ მესამედს, ანუ 100 მილიონამდე მარკას, გამოვიყენებდით ჰუმანური მიზნებისათვის, ფილტვების სახალხო სამკურნალოების მოსაწყობად, ხელმოკლე ტალანტების დასახმარებლად და ასე შემდეგ. გეგმა ისე ზედმიწევნით იყო დამუშავებული, რომ სანტიმეტრებში გამოსახული ფასების სკალის ნახაზიც კი ახლდა, მაკულატურის მიმღებ დაწესებულებას ყოველთვიურად ამ სკალის მიხედვით უნდა განესაზღვრა შეგროვილი ქაღალდის ფასი, ხოლო ანგარიში გეგმაზე დართული დახვრეტილი ფორმულარით გაესწორებინა. გეგმა ყოველმხრივ დახვეწილი და დასაბუთებული გახლდათ. გაზეთის ქაღალდის გაჩანაგება და განადგურება, რასაც უვიცნი სჩადიოდნენ, ქაღალდს კანალიზაციაში რომ უშვებდნენ ან ცეცხლში წვავდნენ, ჩვენი ტყისა და ჩვენი სახალხო მეურნეობის მიმართ სახელმწიფო ღალატს უდრიდა. ქაღალდის მოფრთხილება, ქაღალდის დაზოგვა ცელულოზის, ხეტყის, იმ ადამიანური რესურსების მოფრთხილებასა და დაზოგვას ნიშნავდა, რაც ცელულოზისა და ქაღალდის წარმოებაში იხარჯებოდა. დიახ, არანაკლებ იზოგებოდა ადამიანური რესურსები და კაპიტალი, რაკი შემდეგ შესაფუთ ქაღალდად და მუყაოდ გარდაქმნილი ძველი გაზეთების ქაღალდის ფასი ოთხმაგად შეიძლებოდა გაგვეზარდა, იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორად და სახელმწიფო და სათემო ბეგარის წყაროდ გადაიქცეოდა და გაზეთის მკითხველებს გადასახადების ტვირთს შეუმსუბუქებდა. მოკლედ, მშვენიერი გეგმა იყო, ვერაფერში რომ ვერ გამოედავებოდით, ისეთი, და თუკი მას ამაზრზენი უმაქნისობის, უფრო სწორად, სიბნელისა და სისულელის დაღი აჩნდა, ეს სწორედ იმ მახინჯი ფანატიზმის ბრალი იყო, ყოფილ ხელოვანს მაინცდამაინც ეს ეკონომიკური იდეა რომ ამოაჩემებინა, გულში კი თავისსავე იდეას აშკარად ისე აგდებულად ეკიდებოდა, რომ მის განსახორციელებლად თითის განძრევა ეზარებოდა... ჰანს კასტორპს თავი გვერდზე გადაეხარა, იმ კაცს ასე უსმენდა და დროდადრო თავს უქნევდა, როცა იგი მგზნებარე სიტყვებით უწევდა პროპაგანდას თავის მხსნელ იდეას, და თან იმ ზიზღისა და ანტიპათიის მიზეზს ეძებდა, რაც ხელს უშლიდა, ადამიანების უდარდელობის წინააღმდეგ ამხედრებული გამომგონებლისთვის თანაგრძნობა გაეწია.

ზოგი ბერგჰოფელი ესპერანტოს ეტანებოდა და სუფრაზე ამ ხელოვნურ ენაზე საუბრით თავმომწონეობდა. ჰანს კასტორპი მათ უბღვერდა, თუმცა გუნებაში ფიქრობდა, სხვებთან შედარებით ამათ კიდევ რა უშავთო. ერთი ხანია აქ რამდენიმე ინგლისელი ბინადრობდა და მათ შემოიღეს თამაში, სადაც ორად ორი ფრაზა ტრიალებდა. თამაშის მონაწილე წრეში ჩამჯდარ თავის მეზობელს ეკითხებოდა: „Did you ever see the devil with a night - cap on
?“

(ოდესმე თუ გინახავთ საღამურჩაჩიანი ეშმაკი? (ინგლ.)) მეზობელი უპასუხებდა: No! I ნევერ საწ ტჰე დევილ წიტჰ ა ნიგჰტ-ცაპ ონ“

,

(არა, საღამურჩაჩიანი ეშმაკი არასოდეს მინახავს (ინგლ.).) ახლა იმავე კითხვით სხვას მიმართავდა და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ამის მოსმენა საშინელება იყო, მაგრამ საბრალო ჰანს კასტორპს გული კიდევ უფრო

უღონდებოდა, პასიანსის გამშლელებს რომ უყურებდა - მათ ხომ სანატორიუმის ყოველ კუნჭულში დღის ყოველ მონაკვეთში დაინახავდით. ერთი ხანია ამ გასართობს ყველა ისეთი ჟინით ეტანებოდა, რომ სანატორიუმი პირდაპირ ყომარბაზთა ბუნაგად გადაიქცა და ჰანს კასტორპს ჰქონდა კიდეც მიზეზი, ყველაზე უფრო საშინელი ეს ეპიდემია რომ ეჩვენებოდა - დროდადრო ამ ჭირის მსხვერპლი, და იქნებ ყველაზე თავგადაკლულიც, თვითონვე ხდებოდა ხოლმე. თერთმეტობანამ მაინც ხომ სულ მოუთავა ხელი. პასიანსის ამ სახეობისთვის ვისტის სათამაშო დასტას იღებენ, სამ-სამ კარტს სამ რიგად აწყობენ და კიდევ ორ კარტს უმატებენ, რომ საერთო ჯამმა თერთმეტი შეადგინოს, მერე კარტებს მიჰყვები და ჭრი,თუ ბედმა გაგიღიმა და ხელი დაიცალე, თამაშიც დამთავრებულია. კაცი ვერ დაიჯერებს, ამ უბრალო თამაშს თუ შეიძლება ჰქონდეს ასეთი მომნუსხველი და მომაჯადოებელი ძალა. ჰანს კასტორპმა სხვების წამხედურობით მაინც გაუსინჯა გემო ამ ძალას, ოღონდ წარბმოღუშულმა, რადგან თავაშვებულობას სიხარული მაინც არასოდეს არ მოაქვს ხოლმე. კარტის ღვთაების ქეიფს აყოლილ, იღბლის ფანტასტიკური ცვალებადობით მონუსხულ ჰანს კასტორპს ზოგჯერ ბედი ისე იოლად გაუღიმებდა, რომ თერთმეტს პირველივე წყვილი შეადგენდა, ვალეტი, დამა და მეფე ერთად გამოუხტებოდა და თამაში მანამდე მთავრდებოდა, სანამ მესამე რიგი ჩათავდებოდა (ასეთი ნაუცბადევი გამარჯვება ნერვებს უფრო უწეწავდა და კარტის ხელახლა გაშლისკენ უბიძგებდა), შემდეგ ხელზე მეცხრე და უკანასკნელ კარტამდე გაჭრის არავითარი შანსი აღარ გამოჩნდებოდა, ან უკანასკნელ წამს შეეშლებოდა ხელი და წარმატება თვალსა და ხელს შუა გაუფრინდებოდა ხოლმე. და ისიც ყველგან და ყოველ დროს შლიდა პასიანსს, ღამით, ვარსკვლავების შუქზე, დილით, პიჟამის ამარა, სუფრასთან და სიზმარშიაც კი. სიგიჟემდე მიდიოდა, მაგრამ თავისას მაინც ვერ იშლიდა. და აი, ერთხელ ბატონმა სეტემბრინიმ შემოუსწრო და ხელი შეუშალა“, რადგან ოდითგანვე ასეთი გახლდათ მისი მისია.

- Accidente

!

(ფუი! (იტალ.).) - უთხრა მან, - კარტს იშლით, ინჟინერო?

- ამას კარტის გაშლა არ ჰქვია, - მიუგო ჰანს კასტორპმა, - უბრალოდ, ვალაგებ, აბსტრაქტულ შემთხვევითობას ვეომები. მაინტერესებს მისი ამინდივით ჭირვეული ოინები, მოლაქუცება და მერე უეცარი, დაუჯერებელი ურჩობა და გაჯიუტება. ამ დილით, ადგომის შემდეგ, პასიანსი ერთიმეორის მიყოლებით სამჯერ დაუბრკოლებლად გავშალე, ამათგან ერთხელ ორ რიგში მოვრჩი გაშლას, რაც რეკორდად ითვლება. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ახლა ოცდამეთორმეტედ ვშლი კარტს და ვერც ერთხელ შუამდეც ვერ მივაღწიე.

ბატონმა სეტემბრინიმ ისევ შეხედა ნაღვლიანი, შავი თვალებით, როგორც არაერთხელ შეუხედავს ამ წლების განმავლობაში.

- ყოველ შემთხვევაში, იმას კი ვხედავ, რომ ყელამდე საქმეში ხართ ჩაფლული, - უთხრა მან, - რაღაც ვერ ვატყობ, აქ ჩემმა დარდმა ნუგეში პოვოს, ან ჩემს დამტანჯველ შინაგან განხეთქილებას მოეცხოს ბალზამი.

- განხეთქილებას? - გაიმეორა ჰანს კასტორპმა და კარტის გაშლა განაგრძო...

- საერთაშორისო ვითარება მაშფოთებს, - ამოიხვნეშა მასონმა, - მიღებული ინფორმაცია მიდასტურებს, რომ ბალკანეთის კავშირი შედგება, ინჟინერო, რუსეთი გამალებით იღვწის საამისოდ, და ამ კომბინაციის მახვილი ავსტრია-უნგრეთის მონარქიისკენაა მიმართული, რადგან მისი განადგურების გარეშე რუსეთის პროგრამის ვერც ერთი პუნქტი ვერ განხორციელდება. ხომ გესმით, რა მაფიქრებს? თქვენ იცით, ვენა სულითა და გულით რომ მძულს, მაგრამ განა ამიტომ მივემხრობი სარმატულ დესპოტიზმს,

(„სარმატული დესპოტიზმი“ - სარმატები იყვნენ ირანული ჩამომავლობის ცხენოსანი ხალხი; უწოდებენ აგრეთვე ჩრდილოევროპულ ტომებს, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ვისლასა და ნევის პირას; ხალხთა დიდი გადასახლების დროს ამოწყდნენ. ანტიკურ ხანაში ტერიტორიას ვისლასა და ვოლგას შორის უწოდებდნენ სარმაციას. სეტემბრინი აქ რუსეთის იმპერიას გულისხმობს და სარმატები მისთვის ბარბაროსების სინონიმს წარმოადგენს.) რომელიც აპირებს ჩვენს კეთილშობილ კონტინენტზე ომის ხანძარი დაანთოს? მეორე მხრივ კი,

ავსტრიასთან ჩემი ქვეყნის თუნდაც დროებითი დიპლომატიური თანამშრომლობა ჩემთვის ღირსებისა და პატივის აყრას ნიშნავს, ეს სინდის-ნამუსის საკითხებია, რომლებიც...
- შვიდი და ოთხი, - თქვა ჰანს კასტორპმა, - რვა და სამი. ვალეტი, დამა და მეფე. აი, ხომ გამოვიდა! ბედნიერ ფეხზე მოსულხართ, ბატონო სეტემბრინი.
იტალიელი გაჩუმდა. ჰანს კასტორპი გრძნობდა მისი შავი თვალების მზერას, გონიერებითა და კეთილზნეობით, ღრმა ნაღვლით სავსე მზერას, მაგრამ ერთხანს კვლავ განაგრძობდა თამაშს, მერე ლოყა ხელზე დააბჯინა, ბოროტი ბავშვივით უცოდველი სახე მიიღო და მის წინ მდგარ მენტორს ახედა.
- ამაოდ ირჯებით, თვალებზე მაინც გეტყობათ, მშვენივრად რომ იცით, რა დღეშიც ხართ ჩავარდნილი.
- Placet experiri,
- თავხედურად უპასუხა ჰანს კასტორპმა და ბატონი სეტემბრინი იმწამსვე გასცილდა. თეთრ ოთახში მარტო დარჩენილი ჰანს კასტორპი კიდევ დიდხანს, გაუნძრევლად იჯდა თავის მაგიდასთან, კარტს აღარ შლიდა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და შეძრწუნებული ფიქრობდა, მსოფლიო სახიფათო და ორჭოფულ დღეშია ჩავარდნილიო. ფიქრობდა დემონისა და მაიმუნების ღმერთის ბოროტ ღიმილზე, მსოფლიო მის თავაწყვეტილ ძალაუფლებას რომ დამონებოდა და იმ დემონს დიდი გამოთაყვანება“ ერქვა სახელად.
ეს ავი, აპოკალიფსური სახელი საიმისოდ იყო ზედგამოჭრილი, რომადამიანის არსებაში შიში ჩაესახლებინა. ჰანს კასტორპი იჯდა და ხელისგულებით შუბლსა და გულმკერდს ისრესდა. ეშინოდა, ეჩვენებოდა, „ეს ყველაფერი“ კეთილად არ დასრულდებაო, ამას შედეგად მოჰყვებოდა კატასტროფა, მომთმენი ბუნების ამბოხი, ჭექა-ქუხილი და განმწმენდი ქარიშხალი, მოჯადოებულ სამყაროს რომ თავს ააწყვეტინებდა, ცხოვრებას მკვდარი წერტილიდან“ დასძრავდა და „დამწნილების ხანას“ განკითხვის დღე დაუდგებოდა. მას გაქცევა უნდოდა, ეს უკვე მოგახსენეთ, და კიდევ მისი ბედი, რომ უფროსობა, ერთხელ ნათქვამისა არ იყოს, „თვალს არ აშორებდა“, მის სახეზე ფიქრების წაკითხვა შეეძლო და ადგილზე დაბმას ახალი, ნაყოფიერი ჰიპოთეზებით უპირებდა!
მას კორპორანტი სტუდენტის ენით აუხსნეს, შენი სითბური ბალანსის მერყეობის ნამდვილ მიზეზებს მივაგენითო, ეს მიზეზები კი, მათი მეცნიერული მსჯელობიდან გამომდინარე, თურმე ისე იოლად აღმოიფხვრებოდა, რომ გამოჯანსაღება და ბარში კანონიერად გაშვება ახლა კი მართლა უახლოესი მომავლის საქმე ჩანდა. ახალგაზრდა კაცს ნაირ-ნაირი გრძნობა შემოესია და გულმა ბაგაბუგი დაუწყო, როცა ვენიდან სისხლის გამოსაშვებად გაიწვდინა მკლავი. სახე გაჰფითრებოდა, თვალებს ახამხამებდა და აღტაცებით შესცქეროდა თავის სასიცოცხლო, დიდებულ, ლალისფერ სითხეს, რომელიც გამჭვირვალე ჭურჭელს სწრაფად ავსებდა. ჰოფრატმა თავისი ასისტენტების - დოქტორ კროკოვსკისა და მოწყალების დის დახმარებით, თვითონ გაუკეთა ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ოპერაცია. მას შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და ამ დღეებში ჰანს კასტორპი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ჩემი გაცემული სისხლი ჩემს გარეთ, მეცნიერების თვალთა წინაშე, ნეტავ რა ზნეს გამოიჩენსო.
თავიდან ჰოფრატმა უთხრა, აბა, ჯერ რა უნდა ამოთესილიყოო, სამწუხაროდ, ჯერაც არაფერი ჩანსო, ბრძანა შემდეგ, მაგრამ გათენდა დილა, როცა იგი საუზმობისას მივიდა ჰანს კასტორპთან, რომელსაც ახლა კარგ რუსულ მაგიდასთან სუფრის თავში ეკავა ადგილი, იქ, სადაც ოდესღაც მისი დიდი ძმობილი იჯდა, და ენაწყლიანი მილოცვების შემდეგ აუწყა, დათესილ კულტურათაგან ერთ-ერთში კოკების ჯაჭვის არსებობა აშკარად დადასტურდაო. ახლა ალბათობის თეორია თუ დაგვეხმარება ერთი პრობლემის გადაჭრაში, ინტოქსიკაციის მოვლენები მაინც მსუბუქ ტუბერკულოზს უნდა მივაწეროთ თუ სტრეპტოკოკებს, რომლებიც სისხლში ასევე მცირე რაოდენობით აღმოჩნდაო. მან, ბერენსმა, ეს საქმე უფრო დაკვირვებით და ხანგრძლივად უნდა შეისწავლოს, კულტურა ჯერ კიდევ კარგად არ გაზრდილაო. შემდეგ ჰანს კასტორპს მან ლაბორატორიაში აჩვენა ეს კულტურა: სისხლის წითელ ჟელეში პაწაწინა რუხი წერტილები მოჩანდა და კოკებიც სწორედ ეს გახლდათ (კოკებიც და ტუბერკულებიც ყოველ ვირს აქვს და მას სიმპტომები რომ არ მოჰყვებოდეს თან,

ამ ფაქტს არავითარი ყურადღება არ მიექცეოდაო).
ამასობაში მის გარეთ, მეცნიერების თვალთა წინაშე, ჰანს კასტორპის გულიდან გადმოღვრილი სისხლი კვლავაც ამართლებდა თავის დანიშნულებას. და აი, გათენდა დილა, როცა ჰოფრატმა მაღალფარდოვნად აუწყა, კოკები არა მარტო ერთ კულტურაზე, არამედ ყველა დანარჩენზე ამოითესა და თან უამრავი რაოდენობითო. ჯერ არ ვიცით, ეს სტრეპტოკოკებია თუ არა, მაგრამ თითქმის აღარ გვეეჭვება, რომ ინტოქსიკაციის მოვლენები აქედან მომდინარეობს, თუმცა ზუსტად ვერც ის დაგვიდგენია, აქედან რა წილი მოდის ტუბერკულოზზე, რომელიც ნამდვილად გქონდათ და ჯერ კიდევ სავსებით განკურნებული არ არისო. აქედან გამომდინარე დასკვნა? სტრეპტოვაქცინის კურსი! პროგნოზი? უჩვეულოდ სასიკეთო, მით უმეტეს, რომ ეს ცდა ყოველგვარ რისკს გამორიცხავს და ვნებას მაინც არავითარ შემთხვევაში არ მოგიტანთო. შრატი ხომ ჰანს კასტორპის საკუთარი სისხლისგან მზადდება, ასე რომ, ინიექციების მეშვეობით ორგანიზმში ისეთი ბაცილა არ მოხვდება, რაც უკვე შიგ არ არისო. უარეს შემთხვევაში, ინიექცია არავითარ შედეგს არ მოგვცემს, მისი ეფექტი ნულის ტოლი იქნება, მაგრამ განა ეს ცუდ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, რაკი პაციენტი ისედაც აქ უნდა დარჩენილიყოო?!
რას ბრძანებთ, ჰანს კასტორპი ასე როგორ გაკადნიერდებაო, უპასუხა მან და დაიწყო კიდეც მკურნალობა, თუმცა იგი სასაცილოდ და ლამის დამამცირებლად მიაჩნდა. საკუთარი სისხლის ინიექციები ამაზრზენ, გულსაკლავ დივერსიად ეჩვენებოდა, თითქოს „მესა“ და „მეს“ შორის სისხლის აღრევა ხდებოდა, ესეც არ იყოს, მკურნალობა ისედაც უნაყოფო და უიმედო ჩანდა. ასე მსჯელობდა ეს უმეცარი ჰიპოქონდრიკოსი, თუმცა ერთ საკითხში კი აღმოჩნდა მართალი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სავსებით მართალიც - მკურნალობა უნაყოფო გამოდგა. დივერსია კვირების მანძილზე გრძელდებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, მვნებსო, რაც, ცხადია, არ იყო სწორი, ზოგჯერ კი ეჩვენებოდა, მიხდებაო, რაც ასევე მცდარი გახლდათ. შედეგი ნულს უდრიდა, თუმცა ეს აშკარად და ხმამაღლა არავის გამოუცხადებია. ძალისხმევამ, ამგვარად, ფუჭად ჩაიარა და ჰანს კასტორპმა კვლავ გააგრძელა პასიანსის შლა, დარჩენილმა დემონის პირისპირ, რომლის თავაწყვეტილი თარეში გულში საშინელი დასასრულის წინათგრძნობებს უღვიძებდა.
კეთილხმოვანების სიუხვე
მაინც რა მიღწევა და სიახლე შემოიღო სანატორიუმმა „ბერგჰოფმა“ ისეთი, რომ ჩვენი მრავალი წლის მეგობარი კარტის ტრფიალისაგან იხსნა და სხვა, უფრო კეთილშობილი, თუმცა, პრინციპში, არანაკლებ უცნაური ვნების მონად აქცია? ვაპირებთ, მოგითხროთ ეს ამბავი, რადგან ჩვენ აღსავსე ვართ ამ საგნის იდუმალი ხიბლით და ერთი სული გვაქვს, იგი თქვენც გაგიზიაროთ.
საქმე ეხებოდა მთავარი სალონის გასართობი ხელსაწყოების გამრავლებას, რაც გამოწვეული იყო პაციენტებზე დირექციის განუწყვეტელი, მოუღალავი ზრუნვით, და ეს საკითხი „ბერგჰოფის“ დირექციის კოლეგიაზევე გადაწყდა კიდეც. გაღებულ იქნა ხარჯი, რომლის ანგარიშს ჩვენ ვერ შევუდგებით, მაგრამ ეს ნაბიჯი ამ უსათუოდ სანდო დაწესებულების უზენაეს ხელისუფალთ ხელგაშლილობად კი უნდა ჩავუთვალოთ. მაინც რა შეიძინეს: სტერეოსკოპის, ჭოგრიტისებური კალეიდოსკოპის ან კინემატოგრაფიული დისკოს მსგავსი გონებამახვილური სათამაშო? რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც სულ სხვა რამ. ჯერ ერთი, ის ოპტიკური ხელსაწყო არ ყოფილა, ერთ საღამოს საფორტეპიანო სალონში რომ დახვდათ, მის დანახვაზე ზოგმა რომ თავში შემოირტყა ხელი, ზოგმა კი გაოცების ნიშნად მუხლებზე დაიტყაპუნა ხელები, ეს აკუსტიკური ხელსაწყო გახლდათ და მეორეც, ის მსუბუქი ატრაქციონები ვერც კლასით, ვერც რანგითა და ღირებულებით მას საერთოდ ვერ შეედრებოდა. ის, რაც იმ ბავშვურ და ერთფეროვან საჩხირკედელაო სათამაშოებს ჰგავდა, მალე რომ ჰბეზრდებოდათ და სულ სამიოდე კვირის ჩამოსულებიც კი ახლოს აღარ ეკარებოდნენ, გახლდათ უცნაური საყვირი, საიდანაც უხვად იღვრებოდა მხიარული და ნაღვლიანი ჰანგები და ხელოვნებით გატკბობდა. ეს იყო მუსიკალური აპარატი. ეს იყო გრამოფონი.
ჩვენ სერიოზულად ვწუხვართ, ეს სიტყვა უკადრისი და ჩამორჩენილი აზრით არ გაგვიგოთ და ჩვეულებისამებრ, მის ხსენებაზე არ წარმოიდგინოთ იმ აპარატის

მოძველებული ფორმა, რაც სინამდვილეში გვინახავს და არ კი შეესაბამებოდა მუზის კარნახით ამოქმედებული ტექნიკის დაუღალავი შრომით შექმნილ სრულყოფილ ნიმუშზე ჩვენს ნაოცნებარს. არა, ჩემო კარგებო! ეს ის უბადრუკი, ხელით დასაქოქი სკივრი როდი გახლდათ, დისკო და ნემსის ბუდე თითბრის უფორმო რუპორის გვერდით დანამატივით რომ ჰქონდა ამოჩრილი, მედუქნის დახლზე ღრიალი გაუდიოდა და დუდღუნა ხმით ატკბობდა უგემოვნო ყურთასმენას. აქ მქრქალი შავი ფერის დაკალასებული ხისგან გამოთლილი, მომაღლო ყუთი აბრეშუმის ელექტროზონრით როზეტში იყო ჩართული, სპეციალურ მაგიდაზე იდგა და თავისი სადა მოყვანილობით იმ უხეშ, ადამის დროინდელ მექანიზმს იოტისოდენადაც აღარ ჰგავდა. ახდიდით ზემოთკენ კოხტად მოვიწროებულ სახურავს და იგი შიგნიდან ამოწეულ თითბრის საბჯენზე ოდნავ დახრილი, ავტომატურად გაჩერდებოდა, მის ქვეშ კი, ოდნავ ჩაღრმავებულ ნაწილში, მწვანე მაუდგადაკრული, ნიკელშემოყოლებული და შუაში ნიკელისავე შტიფტდატანებული დისკო მოჩანდა, რომელზედაც კაუჩუკის გახვრეტილი ფირფიტა ეცმებოდა. მარჯვენა მხარეს, წინა პლანზე, საათის ციფერბლატის მსგავს მოწყობილობასაც შეამჩნევდით, რომელიც ტემპს არეგულირებდა, ხელმარცხნივ მოთავსებული პატარა ბერკეტი კი მბრუნავი მექანიზმის ამოძრავება-გაჩერებას ემსახურებოდა; მარცხნივ, სიღრმეში, ნიკელისავე მოღუნული, მოძრავი ტონარმი მოჩანდა, რომელიც მრგვალი და ბრტყელი მემბრანით ბოლოვდებოდა, მისი მექანიზმი ნემსის სატარებლად იყო გამიზნული. წინ დატანებულ ორსაგდულიან კარს თუ გამოაღებდით, დაინახავდით შავი დაკალასებული ხისგანვე გამოთლილ, ალმაცერად დაყენებულ, ჟალუზისმაგვარ ტიხარს - ეს იყო და ეს.
- ეს უახლესი მოდელი გახლავთ, - თქვა ჰოფრატმა, რომელიც ფეხდაფეხ შემოჰყვა სხვებს, - უკანასკნელი მიღწევაა, ბავშვებო, დიახ, დდ-იახ, უკეთესს ვერსად იპოვით, - ეს ისე სასაცილოდ გამოუვიდა, როგორც გაუნათლებელმა ნოქრებმა იციან თავიანთი საქონლის ქება-დიდება, - ეს არც აპარატია და არც მანქანა, - განაგრძო მან, მაგიდაზე მოთავსებული ჭრელი თუნუქის კოლოფიდან ერთი ნემსი ამოიღო და ტონარმში ჩაამაგრა, - ეს ნამდვილი ინსტრუმენტია, სტრადივარიუსია, გვარნერი. აქ მთავარია უკიდურესად რაფინირებული რეზონანსისა და ბგერითი ტალღების ურთიერთმიმართება. როგორც სახურავის შიგნით მოთავსებული წარწერა გვამცნობს, ამ მარკის სახელია „პოლიჰიმნია“. რომ იცოდეთ, გერმანული ნაწარმი გახლავთ. ამ საქმეში ჩვენ ვერავინ გვჯობია. მუსიკალური საწყისისადმი ერთგულება თანამედროვე მექანიკურ ფორმაშია ხორცშესხმული. გერმანული სული up to date
.
(სადღეისოდ (ინგლ.).) ლიტერატურაც აქვე გაქვთ! - თქვა მან და ხელი განჯინისაკენ გაიშვირა, რომელშიც სქელტანიანი ალბომები იყო ჩამწკრივებული, - მთელი ეს ჯადოსნური საუნჯე თქვენთვის გადმომილოცავს, ოღონდ მის დაცვას საზოგადოებას ვანდობ. რას იტყვით, ერთი ხომ არ დაგვეგუგუნებინა?
ავადმყოფები შეევედრნენ, კარგი იქნებაო, ბერენსმაც გადმოიღო ერთი უტყვი, მაგრამ შინაარსით სავსე ჯადოსნური წიგნი და მძიმე ფურცლებიგადაშალა, ფურცლებზე მუყაოს ჯიბეები იყო დაკრული, მრგვლად ამოჭრილი მუყაოდან კი ფერად-ფერადი წარწერები მოჩანდა. ჰოფრატმა რომელიღაც ფირფიტა ამოიღო და დისკოზე დადო. მერე ხელის ერთი მოძრაობით ჩართო დისკო, ორი წამი დაიცადა, სანამ დისკო სრული სიჩქარით დატრიალდებოდა და ფოლადის შტიფტის მახვილი წვერი ფირფიტის კიდეს ფრთხილად დაადო. გაისმა მსუბუქი შრიალი. ჰოფრატმა სახურავი დაუშვა დაიმავე წუთს გამოღებული ორსაგდულიანი კარიდან, ჟალუზების ნაპრალებიდან, თუმცა არა, სკივრის მთელი კორპუსიდან, გამოიჭრა მხიარული, მჭექარე და ჟინიანი მელოდია, ოფენბახის ერთ-ერთი ოპერეტის უვერტიურის პირველი ლაღი ტაქტები.
ყველა პირდაღებული, ღიმმორეული უსმენდა. საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ, ისე წმინდად და ბუნებრივად ჟღერდა ხის ჩასაბერი ინსტრუმენტების რულადები. ერთი ვიოლინო ცალფად, ფანტასტიკურად ასრულებდა საწყის მელოდიას. ხემის გასმის ხმაც კი ისმოდა, გრიფის ტრემოლოც, ერთი პოზიციიდან მეორეში ტკბილი და ნარნარი გადასვლაც. ვიოლინომ გამოკვეთა თავისი მელოდია, ვალსი „ეჰ, მე

იგი დავკარგე“, ორკესტრმა მსუბუქი, ჰარმონიული ფონი შეუქმნა ამ შემპარავ მოტივს და მსმენელებმა აღტაცება ვეღარ დამალეს, როცა ანსამბლმა ღირსეულად აიტაცა მოტივი, რომელიც საერთო ხმოვანებაში მორაკრაკე
ტუტტი -ს სახით მეორდებოდა. ცხადია, სულ სხვა იქნებოდა, ორკესტრს აქვე, ოთახში რომ დაეკრა. ინსტრუმენტების ხმას დამახინჯებული არ ეთქმოდა, მაგრამ თითქოს იგი შორიდან მოისმოდა და ამიტომ შედარებით სუსტად ჟღერდა; თუკი შეიძლება სმენის სფეროს დასახასიათებლად შედარება მხედველობითი სფეროდან მოვიშველიოთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდათ, თითქოს რომელიღაც სურათს შეტრიალებული ბინოკლით უყურებდით, გამოსახულება შორს გაწეული და დაპატარავებული მოჩანდა, მაგრამ ამით არც კონტურები ბუნდოვანდებოდა და არც ფერებს აკლდებოდა სიხასხასე. ეს ცინცხალი და ხალასი მუსიკალური ნაწარმოები სრულად ინარჩუნებდა გონებამახვილობასა და ფუქსავატურ სიკისკასეს, ფინალი მაინც ხომ სიცელქის განსახიერება გახლდათ, ვითომ ყოყმანით დაწყებული გალოპი უტიფარ კანკანში გადადიოდა, თითქოს თვალით ხედავდით აფრიალებულ ცილინდრებს, ტლინკაობას, წამოხდილ ქვედაკაბებს და რამდენჯერმე გამეორებული კომიკურ-ტრიუმფალური, დამამთავრებელი აკორდის მიუხედავად, მუსიკას ბოლო მაინც არ უჩანდა. შემდეგ მბრუნავი მექანიზმი თავისით გაჩერდა. ფირფიტა დამთავრდა. ყველამ გულწრფელად დაუკრა ტაში.
კიდევ გვინდაო, დაიძახეს, და მიიღეს კიდეც: სკივრიდან ადამიანის ხმა გადმოიღვარა, მამაკაცის ხმა, თან ხავერდოვანი და თან ძლიერი, ეს ორკესტრის თანხლებით ერთი სახელგანთქმული იტალიელი ბარიტონი მღეროდა, აი, ახლა კი არავითარ დაყრუებასა და შორ მანძილზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა: დიდებული ხმა მთელი თავისი ბუნებრივი დიაპაზონითა და სიძლიერით ჟღერდა, სახელდობრ, მეზობელ ოთახში ვინმე რომ შემოსულიყო და აპარატი ვერ დაენახა, ნამდვილად ეგონებოდა, სალონში თვით ხორცშესხმული მსახიობი დგას, ხელში ნოტები უჭირავს და მღერისო. იგი თავის ენაზე ომახიან საოპერო არიას ასრულებდა: eh, il barbiere. Di qualità, di qualità! Figaro qua, Figaro là, Figaro, Figaro, Figaro
!
(აი დალაქი. თავისი საქმის მცოდნე. ფიგარო აქ, ფიგარო იქ, ფიგარო, ფიგარო, ფიგარო! (იტალ.).) მსმენელები სიცილით იხოცებოდნენ მისი ფალცეტიანი perlando
(რეჩიტატივი (იტალ.).) -ს გაგონებაზე, ამ ბოხ ხმასა და სხაპასხუპით ლაპარაკს შორის წარმოქმნილ კონტრასტზე, მცოდნეებს კი შეეძლოთ მის ფრაზირების ხელოვნებას, სუნთქვის ტექნიკას დაჰკვირვებოდნენ და აღტაცებულიყვნენ. სწორუპოვარი ოსტატი, იტალიური და
ცაპო -ს ეს ვირტუოზი, ისე უსასრულოდ აგრძელებდა ფინალური ტონიკის წინა ბგერას, თან ეტყობოდა, ამ დროს რამპასთან იდგა და ხელი აშკარად ჰაერში ჰქონდა აღმართული, რომ მსმენელებს მანამდე აღმოხდათ ხანგრძლივი ბრავო, სანამ იგი სიმღერას დაასრულებდა. დიდებული რამ იყო.
და ასე გაგრძელდა დიდხანს. ვალტორნამ სადად და მოხდენილად შეასრულა ვარიაციები ხალხური სიმღერის თემაზე. მერე სოპრანო აწკრიალდა, იგი რაკრაკებდა, სტაკატოებს აკეთებდა და ასე ტკბილი, ხალასი ხმით უზადოდ იმღერა „ტრავიატადან“ ერთი არია. მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინის სულმა შეასრულა რუბინშტეინის ერთი რომანსი. რომანსი თითქოს საბურველს უკან ისმოდა და როიალის აკომპანემენტიც სპინეტივით მშრალად ჟღერდა, აქაფქაფებული ჯადოსნური სკივრიდან ზარების წკარუნი, ქნარის გლისანდო, საყვირის ყივილი და დაფდაფების გრიალი ისმოდა. ბოლოს საცეკვაო ფირფიტები დადეს. მათ შორის საზღვარგარეთიდან ახლახან შემოტანილი რამდენიმე ნიმუშიც აღმოჩნდა, სანავსადგურო დუქნების ეგზოტიკური გემოვნების შესაფერი საცეკვაო მუსიკა და ტანგოც, ვენურ ვალსს ბაბუების ცეკვად გადაქცევას რომ უქადდა. ორმა წყვილმა, რომელსაც უკვე ათვისებული ჰქონდა მოდური ილეთები, ხალიჩაზე შეასრულა ეს ცეკვა. ბერენსი წავიდა, მაგრამ მანამდეყველა გააფრთხილა, ნემსი მხოლოდ თითოჯერ ეხმარათ და ფირფიტებსაც „უმი კვერცხივით“ ფრთხილად მოქცეოდნენ. აპარატს ჰანს კასტორპმა მოჰკიდა ხელი.

რატომ მაინცდამაინც მან? თავისთავად გამოვიდა ასე, მშვიდად და ორიოდე სიტყვით შეაჩერა მან ისინი, ვინც ჰოფრატის წასვლის შემდეგ ხელი მიჰყო ნემსებისა და ფირფიტების ცვლას და დენის ჩართვა-გამორთვას. ეგ საქმე მე დამანებეთო, თქვა და ყველანი მისწი-მოსწია, იმათაც მორჩილად დაიხიეს უკან, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჰანს კასტორპს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ამ საქმეში დიდი ხნის გამოწაფული ყოფილიყო, და მეორეც, თვითონაც ნაკლებად აინტერესებდათ ტკბობის წყაროსთან ფუსფუსი, ერჩივნათ, სხვა გამასპინძლებოდათ და სანამ ეს გასართობიც მოჰბეზრდებოდათ, არაფერზე შეწუხებულიყვნენ.

ჰანს კასტორპი სხვაგვარად ფიქრობდა. სანამ ჰოფრატი ახალი შენაძენის დემონსტრაციას ახდენდა, იგი ჩუმად იდგა უკან, არ იცინოდა, მოწონებას შეძახილებით არგამოხატავდა, მაგრამ მუსიკას კი დაძაბული უსმენდა, ჩვეულებისამებრ, ორი თითით წარბს იგრეხდა. აღელვებისაგან რამდენჯერმე ადგილიც კი გამოიცვალა, სამკითხველოშიც გავიდა, რომ იქიდან ესმინა, მერე ხელები ზურგს უკან შემოიწყო, სახემოღუშული ბერენსის გვერდით დადგა, სკივრისთვის თვალი აღარ მოუცილებია და მისი მართვის მარტივი წესები იოლად დაიმახსოვრა. მის სულში ხმიანობდა: „სდექ! ყურადღება! ეპოქალური მოვლენის მოწმე ხარ!“ აშკარად იგრძნო, როგორ აღივსო ახალი ვნების, მოჯადოების, სიყვარულის ახალი კირთის მოლოდინით. სხვა კი არაფერი ემართება ბარში ვინმე ჭაბუკს, გოგოს პირველივე დანახვაზე ამურის დაკბილული ისარი შიგ გულში რომ ხვდება. ჰანს კასტორპი იმწამსვე ეჭვიანობამ შეიპყრო. საზოგადო საკუთრებაო? დუნე ცნობისმოყვარეობას არც უფლება აქვს და არც საიმისო ძალა გააჩნია, დაისაკუთროს იგი. ეს საქმე მე დამანებეთო, გამოცრა კბილებშუა და ისინიც არ გასძალიანებიან. ცოტა ხანს კიდევ იცეკვეს მსუბუქი მუსიკის ტაქტზე, მერე ერთი სოლო სიმღერა მოითხოვეს, საოპერო დუეტი, ბარკაროლა ჰოფმანის ზღაპრებიდან“(ბარკაროლა ჰოფმანის ზღაპრებიდან“ - იგულისხმება გერმანული ჩამომავლობის ფრანგი კომპოზიტორის, ჟაკ ოფენბახის (1819-1880) ოპერა ჰოფმანის ზღაპრების“ III აქტის დასასრულიდან ერთ-ერთი მუსიკალური ნომერი.)

რომელიც სასიამოვნო მოსასმენია, და როცა მან სახურავი დაუშვა, ოდნავ აღგზნებულები, სამკურნალო წოლის საათის შესასრულებლად და დასასვენებლად ლაპარაკ-ლაპარაკით გაიკრიფნენ. ისიც ამას უცდიდა. მათ ყველაფერი მიყრილ-მოყრილი დატოვეს: თავღია კოლოფები და გადაშლილი ალბომები, მიმოფანტული ფირფიტები. მათგან სხვას არც არაფერს მოელოდა. თვითონაც ვითომ წამსვლელებში გაერია, მაგრამ კიბეზე ჩუმად ჩამოსცილდა, სალონში დაბრუნდა, ყველა კარი ჩაკეტა და ნახევარი ღამე დიდ საქმიანობაში გაატარა.

კარგად გაიცნო ახალი შენაძენი, თავისუფლად გადასინჯა თანდართული საუნჯე, მძიმე ალბომები რომ იყო მოთავსებული. ალბომი თორმეტი დაითვალა, ორნაირი ზომისა, თითოეულში თორმეტ-თორმეტი ფირფიტა იდო, მაგრამ წრიული ხაზებით დაქსელილი ბევრი ფირფიტა ორმხრივი აღმოჩნდა, მხოლოდ იმიტომ არა, რომ ზოგიერთი ნაწარმოები ორივე მხარეს გრძელდებოდა, საკმაოდ ბევრ დისკოზე ორი სხვადასხვა ნაწარმოები იყო ჩაწერილი და ამგვარად, მშვენიერების დასაპყრობი სფერო ისეთი უზარმაზარი გამოდგა, რომ დაგაბნევდა და თავიდან თვალსაც ვერ გადააწვდენდი. ოცდახუთამდე ფირფიტა მაინც დაუკრა, ღამის მყუდროება რომ არ დაერღვია, სპეციალურ, ხმის დამხშობ ნაზ ნემსებს ხმარობდა, მაგრამ რაც დაუკრა, მერვედი ნაწილიც არ იყო იმისა, რომ გიზიდავდა და თავს გთავაზობდა. დღეისთვის ისიც კმაროდა, სათაურები გადაგეთვალიერებინა, დროდადრო სკივრში სასინჯად ჩაგედო მუნჯი წრეებით დახაზული რომელიმე ფირფიტა და აგეხმიანებინა. ისინი გარეგნულად მხოლოდ ცენტრში დაკრული ეტიკეტებით განსხვავდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, თვალით ამ კაუჩუკის მაგარ დისკოებს ერთმანეთისგან ვერაფრით გამოარჩევდით. ერთი მეორეს ჰგავდა შუაგულამდე ან სანახევროდ დაფარული კონცენტრული წრეებით; და მაინც, მათი ხაზების ანაბეჭდებში ნაირფერი მუსიკა იყო ჩამალული, შთაგონებული ხელოვნების ყოველგვარი ნიმუში და მათ საუკეთესო ოსტატებიც ასრულებდნენ.

ამაღლებული სიმფონიური მუსიკის სამყაროდან აქ იყო უვერტიურები და ცალკეული პიესების ცნობილი ორკესტრების შესრულებით, რომელთაც სახელგანთქმული დირიჟორები ხელმძღვანელობდნენ, უამრავი სიმღერა, რომელთაც ფორტეპიანოს თანხლებით ასრულებდნენ დიდი საოპერო თეატრების მომღერლები, აქ იყო ცალკეულ კომპოზიტორთა მაღალი და გაცნობიერებული ნიჭით შექმნილი სიმღერებიც და მარტივი, ხალხური სიმღერებიც, ისეთებიც ერია, ამ ორ ჟანრს შორის რომ უჭირავთ შუალედური ადგილი, რადგან ისინი შთაგონებული ხელოვნების ნაყოფს კი წარმოადგენენ, მაგრამ ხალხური მუსიკის სულისკვეთებითა და აზრით არიან გაჟღენთილნი და შექმნილნი; ეს გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელოვნური ხალხური სიმღერები, ოღონდ სიტყვა ხელოვნური“ მათგულწრფელობას ვერაფერს აკლებდა: ერთი ასეთი სიმღერა ბავშვობიდანვე იცოდა ჰანს კასტორპმა, ახლა კი მას რაღაცნაირი იდუმალი და მრავალმნიშვნელოვანი სიყვარულით ეკიდებოდა და ჩვენც კიდევ გვექნება ამ სიმღერაზე ლაპარაკი. კიდევ რა იყო აქ, უფრო სწორად, რა აღარ იყო? იყო უამრავი ოპერა. სახელმოხვეჭილი მომღერალი ქალებისა და მამაკაცების ინტერნაციონალური კრებული არაჩვეულებრივად დამუშავებულ, ღვთით ნაბოძებ ხმას არ იშურებდა და ასრულებდა არიებს, დუეტებს, მთელ ანსამბლებს მუსიკალური თეატრის ნაირ-ნაირი სფეროდან და ეპოქიდან, ორკესტრები კი მათ მოკრძალებულ ფონს უქმნიდნენ. აქ იყო სამხრეთული მშვენიერების სფერო თავისი მაღალი და თან უდარდელი, მგზნებარე ხელოვნებით, ოინბაზური და დემონური სულით გაჟღენთილი გერმანულ-ხალხური სამყარო, ფრანგული დიადი და კომიკური ოპერა. ამით მთავრდებოდა კი ყველაფერი? ო, არა. შემდეგ მოდიოდა კამერული მუსიკის სერია, კვარტეტები და ტრიოები, ინსტრუმენტული სოლო ნომრები ვიოლინოს, ჩელოსა და ფლეიტისათვის, საკონცერტო ვოკალური ნომრები ვიოლინოს ან ფლეიტის თანხლებით, საფორტეპიანო მუსიკა, რომ აღარაფერი ვთქვათ უბრალო, გასართობ მუსიკაზე, კუპლეტებსა და სპეციალურ ფირფიტებზე, რომლებზეც პატარ-პატარა ორკესტრებს ჩაეწერათ თავიანთი მელოდიები და მათ დასაკრავად უხეში ნემსი იყო საჭირო.

ჰანს კასტორპმა გადაათვალიერა ყველაფერი, მოაწესრიგა და დაალაგა, მცირე ნაწილი მიანდო ინსტრუმენტს, რომ მათი ხმები გაეცოცხლებინა, და თავდამძიმებული, გვიან, დაახლოებით იმ დროს წავიდადასაძინებლად, როგორც პიტერ პეპერკორნთან პირველი დიდებული, დამაძმობილებელი სამახსოვრო შეხვედრის შემდეგ და ორიდან შვიდ საათამდე კვლავ ჯადოსნური სკივრი ესიზმრებოდა. სიზმარშიც შტიფტზე მბრუნავ დისკოს ხედავდა, დისკო ისე სწრაფად ბრუნავდა, რომ აღარც კი მოჩანდა, თან უხმოდ ტრიალებდა და თავის ღერძის ირგვლივ ტრიალსაც არ სჯერდებოდა, აქეთ-იქით უცნაურად ირხეოდა, ნემსის მატარებელ ტონარმს, რომლის ქვეშაც იგი ბრუნავდა, თითქოს მისგან გადაეცემოდა რხევა და იგიც ისე ტოკავდა და სუნთქავდა, გეგონებოდათ, ხემიანი ინსტრუმენტებისა და ადამიანის ხმების
ვიბრატო -სა და
პორტამენტო -ს ესადაგებაო; ოღონდ სიზმარშიც არანაკლებ, ვიდრე სიფხიზლეში, მაინც ვერ გაეგო, აკუსტიკური ღრმულის თავზე, თმის ღერის სისხო ხაზზე მხოლოდ ნემსის სრიალითა და მემბრანის რხევადი გარსის დახმარებით როგორ გადმოიცემოდა ერთად შეკრული ამდენი ბგერა, მძინარის შინაგან სმენას რომ ავსებდა.

დილით, ჯერ კიდევ საუზმემდე, ისევ სალონს მიაშურა, იჯდა სავარძელში გულხელდაკრეფილი და ერთ დიდებულ ბარიტონს, არფის თანხლებით, სკივრიდან არიას ამღერებდა: „თვალს ვავლებ ირგვლივ კეთილშობილთ წრეს“. არფა სავსებით ბუნებრივად ჟღერდა, ბგერა გაუყალბებლად და შეუსუსტებლად ისმოდა, სკივრი ადამიანის ხმასაც ასევე ზუსტად გამოსცემდა, რომელიც ხან აუმაღლებდა ხმას, ხან დაუწევდა და სიტყვებს მკაფიოდ წარმოთქვამდა. საოცრება იყო. ერთი თანამედროვე იტალიური ოპერიდან ამოღებულ დუეტზე უნაზესი მაინც ხომ არაფერი იქნებოდა დედამიწის ზურგზე, ჰანს კასტორპმა შემდეგ რომ მოისმინა: აქ ერთმანეთს სადად და გულითადად ერწყმოდა გრძნობები, როცა ამ ალბომებში უხვად წარმოდგენილი, მსოფლიოში

სახელგანთქმული ტენორის ფრაზას: „
და მი ილ ბრაცციო, მია პიცცინა “, ბროლივით გამჭვირვალე, პატარა, საამური სოპრანო მიამიტური, ტკბილი, მელოდიური, მოკლე ფრაზით შეესიტყვებოდა...
ჰანს კასტორპი შეკრთა - მის უკან უეცრად კარი გაიღო. ეს ჰოფრატმა შემოიხედა ოთახში. ჰოფრატს თეთრი ხალათი ეცვა და გულჯიბიდან სტეტოსკოპი მოუჩანდა, მას კარის სახელურისთვის ხელი არ გაუშვია, „ლაბორანტს“ უხმოდ ისე მიესალმა. ამ უკანასკნელმაც მხარს ზემოდან დაუქნია თავი და შეფის ლურჯლოყებიანი, ულვაშმოქცეული სახე მიხურულ კარს უკან მიიმალა თუ არა, ისევ თავის უჩინრად მოგალობე შეყვარებულ წყვილს მიუბრუნდა.
შემდეგ, დღის განმავლობაში, ნასადილევს, ნასამხრევს, მსმენელები გამოუჩნდნენ. თუ თვით ჰანს კასტორპს მსმენელად კი არა, სხვებისთვის სიამოვნების მიმნიჭებლად ჩავთვლიდით, მაშინ სალონში მართლაც სულ სხვადასხვა ხალხი ირეოდა. თვითონ ასე გადაწყვიტა და სანატორიუმის საზოგადოებაც თავიდანვე უსიტყვოდ შეეგუა იმ აზრს, რომ მან თვითონვე დაინიშნა თავი ამ საზოგადო ქონების გამგებლად და დარაჯად. ასეთ დათმობაზე წასვლა ამ ხალხს არაფრად უღირდა, მართალია, ისინი ზერელე აღფრთოვანებას გამოხატავდნენ და აღტაცების შეძახილებსაც არ იშურებდნენ, როცა ღვთაებრივი ტენორი იწვოდა და დნებოდა, და კანტილენებად დაღვრილი მსოფლიოს გამაბედნიერებელი ხმა ვნებებს დიდი ხელოვნებით გამოხატავდა, მაგრამ მათ სიყვარულის უნარი აკლდათ და ამიტომაც მზად იყვნენ, საზრუნავი ნებისმიერი მსურველისთვის გადაელოცათ და აი, ჰანს კასტორპი აღმოჩნდა ის კაცი, ვისაც ფირფიტების საუნჯე მოწესრიგებული ჰქონდა, შიგთავსის სია ალბომებს ყდის შიგნითა მხარეზე აწერდა, რომ ნებისმიერი ნაწარმოები სურვილისამებრ ან მოთხოვნისთანავეხელთ ჰქონოდა, და ჰანს კასტორპი გახლდათ ის კაციც, ვინც ინსტრუმენტს განაგებდა და მართავდა; ყველა ხედავდა, რა მალე დახელოვნებულიყო იგი და ყველაფერს რა მარჯვედ და სათუთად აკეთებდა. სხვები რას იზამდნენ? ფირფიტებს ნახმარი ნემსებით დაუკრავდნენ და გაავერანებდნენ, შიშვლად დაყრიდნენ სკამებზე, აპარატს ფეხქვეშ გაიგდებდნენ, კეთილშობილ მუსიკალურ ნაწარმოებს ან ას ათი ბრუნით დაატრიალებდნენ, ან ისარს ნულზე დააყენებდნენ და ისტერიკული წივილის ან მოგუდული კვნესის ხმას გვაგონებდნენ... ასეთები ჩაუდენიათ კიდეც. მართალია, ავადმყოფები იყვნენ, მაგრამ უხეშობა არ აკლდათ. ამიტომაც ჰანს კასტორპი ცოტა ხნის შემდეგ უკვე ჯიბით დაატარებდა იმ კარადის გასაღებს, სადაც ალბომები და ნემსები ინახებოდა და ავადმყოფებიც იძულებულნი იყვნენ, მისთვის დაეძახათ, როცა ფირფიტების მოსმენა მოუნდებოდათ.
გვიან ღამით, საღამოს თავყრილობის შემდეგ, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდოდნენ, დგებოდა მისი ნეტარების ჟამი. იგი სალონშივე რჩებოდა ან ჩუმად ბრუნდებოდა უკან და შუაღამემდე მარტო მუსიკობდა. თავიდან რომ ეგონა, სანატორიუმს მყუდროებას ვურღვევო, ამის აღარ ეშინოდა, რადგან აჩრდილთა მუსიკის ძალა შორ მანძილზე არ ვრცელდებოდა: რამდენადაც საკვირველ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ბგერითი ტალღები მისი წყაროს სიახლოვეს, მისგან დაშორებით იმდენად სწრაფად ფერმკრთალდებოდა, სუსტდებოდა და ეცლებოდა ძალა, როგორც ყველაფერს მოჩვენებითს სჩვევია ხოლმე. ჰანს კასტორპი მარტო იყო ოთხკედელშუა თავის საოცრებათა სკივრთან, სავიოლინე ხის მასალისაგან გამოთლილ ამ პატარა კუბოსთან, ამ მქრქალი შავი ფერის პაწაწინა ტაძართან, იჯდა მისი ღია კარის წინ სავარძელში, გულხელი დაეკრიფა, თავი მხარზე ჩამოედო, პირი დაეღო და კეთილხმოვანების მორევში იძირებოდა.
მომღერლების მხოლოდ ხმა ესმოდა, მათ ვერ ხედავდა, მათი ადამიანური გარსი ამერიკაში, მილანში, ვენასა და სანქტ-პეტერბურგში იმყოფებოდა.დაე, იქ ყოფილიყვნენ, რაც მათ საუკეთესო გააჩნდათ, ანუ მათი ხმა, მშვენივრად ესმოდა და ეს განწმენდა თუ აბსტრაქცია მოსწონდა კიდეც, რადგან ხმას საკმაო მგრძნობიარობა შერჩენოდა, პიროვნული სიახლოვის უარყოფითი ზეგავლენა კი მოხსნილი იყო და საშუალება ეძლეოდა, სწორედ თავისი თანამემამულეები, გერმანელები, პირუთვნელად გაეკონტროლებინა და განესაჯა. შეიძლებოდა, გაგერჩიათ მომღერლის წარმოთქმა, დიალექტი, ვიწროკუთხური წარმომავლობა, ხმის ხასიათი რაღაც-რაღაცებს გვეუბნებოდა ცალკეული მომღერლის სულიერ

სიმწიფეზე და იმის მიხედვით, იყენებდნენ თუ ხელიდან უშვებდნენ მსმენელზე სულიერი ზემოქმედების შესაძლებლობებს, მათი ინტელიგენტურობის დონეც იგრძნობოდა. ჰანს კასტორპს გული მოსდიოდა, ვინმე ამ შესაძლებლობებს ხელიდან თუ გაუშვებდა, იტანჯებოდა, სირცხვილით ტუჩებს იკვნეტდა, როცა მომღერალი სრულყოფილად არ ფლობდა ტექნიკას, თითქოს ნაკვერცხლებზე იჯდა, როცა რომელიმე პოპულარული ფირფიტიდან ზოგიერთი ბგერა მკვახედ ან უხეშად მოისმოდა, რაც უფრო ხშირად ქალის მერყევ ხმას ემართებოდა ხოლმე. მაგრამ ამასაც ურიგდებოდა, რადგან სიყვარული და ტანჯვა ხომ განუყოფელია. ზოგჯერ მფშვინავი და მბრუნავი საკრავის თავზე ისე დაიხრებოდა, თითქოს იასამნის ბუჩქს დასცქერისო და თავს ბგერების ღრუბელში წარგავდა; იდგა თავახდილი სკივრის წინ და დირიჟორის ძალაუფლებას ინაწილებდა, მაგალითად, ზეაღმართული ხელით საყვირს დაწყების ნიშანს აძლევდა. მთელი ამ საუნჯიდან ზოგიერთი ვოკალური და ინსტრუმენტული ნომერი ისე გამორჩეულად უყვარდა, რომ მათი მოსმენა არასოდეს მოჰბეზრდებოდა. არ შეგვიძლია, არ ჩამოვთვალოთ ისინი.

ფირფიტების ერთი პატარა კომპლექტი მელოდიკის გენიით გალიცლიცებული ბრწყინვალე ოპერის ფინალურ სცენებს შეიცავდა. ეს ნაწარმოები გასული საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიღაც აღმოსავლელი მთავრის დაკვეთით შეეთხზა

(ეს ნაწარმოები, რომელიღაც აღმოსავლელი მთავრის დაკვეთით შეეთხზა“ - იგულისხმება ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდა“, რომელიც პირველად 1871 წლის 24 დეკემბერს კაიროში დაიდგა სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით (ოპერა ვერდის შეუკვეთა ეგვიპტელმა ისმაილ-ფაშამ).) ბატონ სეტემბრინის ერთ დიდ თანამემამულეს, სამხრეთული დრამატული მუსიკის მამამთავარს, და იგი კონკრეტულ სადღესასწაულო ფაქტს - ხალხთა დამაკავშირებელი ტექნიკის ერთ-ერთი პირმშოს კაცობრიობისათვის გადაცემის დღეს ეძღვნებოდა. ჰანს კასტორპმა თავისი განათლების წყალობით დაახლოებით იცოდა ოპერის შინაარსი, ზოგადად იცოდა, რა ბედი ეწიათ რადამესს, ამნერისსა და აიდას, რომლებიც სკივრიდან იტალიურად უმღეროდნენ და ამგვარად, თითქმის ესმოდა, რასაც შეუდარებელი ტენორი, შუა დიაპაზონში მოდულაციებით მდიდარი ღვთაებრივი კონტრალტო და ვერცხლივით წკრიალა სოპრანო მღეროდნენ. მართალია, ყოველი სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ სიტუაციებისა და ამ სიტუაციებისადმი თავისი სიმპათიის წყალობით აქა-იქ მაინც იგებდა შინაარსს. ეს გულწრფელი სიმპათიები მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ხშირად ატრიალებდა იმ ოთხ თუ ხუთ ფირფიტას და ბოლოს ნამდვილ სიყვარულად გადაექცა.

ჯერ იყო რადამესისა და ამნერისის შეხვედრა: მეფის ასულმა მოაყვანინაბორკილდადებული რადამესი, ქალს უყვარდა იგი და თავისთვის უნდოდა, გადაერჩინა, თუმცა მან ბარბაროს მონა ქალს ანაცვალა სამშობლოც და საკუთარი ღირსებაც. რადამესის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას „სულის სიღრმეში შეულახავი დარჩა ღირსება“, მაგრამ ყველაზე სანუკვარი გრძნობების შეულახაობამ ვერ შეუმსუბუქა დანაშაულის მძიმე ტვირთი, აშკარად ჩადენილი შეცოდების გამო იგი სასულიერო სამსჯავროს წინაშე წარდგა, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველივე ადამიანური. სამსჯავრო თავზე ხელს არ გადაუსვამდა, თუკი უკანასკნელ წუთს მაინც გონს არ მოეგებოდა, მონა ქალს არ განუდგებოდა და მოდულაციებით მდიდარ მეფურ კონტრალტოს არ ჩაუვარდებოდა მკლავებში, რასაც ეს უკანასკნელი წმინდა აკუსტიკური თვალსაზრისით სავსებით იმსახურებდა. ამნერისი გაშმაგებით ცდილობდა, გამოეფხიზლებინა ხავერდოვანი ხმის პატრონი, მაგრამ მისდა საუბედუროდ, თვალდავსებული და სიცოცხლეზე ხელაღებული ტენორი ერთსა და იმავეს მღეროდა: „არ შემიძლია!“ „ამაოა ყველაფერი!“, როცა სასოწარკვეთილი კონტრალტო ემუდარებოდა, განუდექ მონა ქალს, ამით შენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებაო. „არ შემიძლია!“ „ერთხელ კიდევ მისმინე, განუდექ!“ „ამაოა ყველაფერი!“ - დამღუპველი სიბრმავე და სიყვარულის მგზნებარე ღაღადისი დუეტში შეერთდა, რომელიც საოცრად მშვენიერი იყო, მაგრამ იმედის ნატამალს აღარ გვიტოვებდა. შემდეგ ამნერისი თავის გოდებას სასულიერო სამსჯავროს

საზარელ, დოგმატურ რეპლიკებს უერთებდა, ტაძრის სიღრმიდან გუგუნივით რომ მოისმოდა, ხოლო ბედკრული რადამესი მათ საერთოდ არ ეხმაურებოდა.
„რადამეს, რადამეს!“ - დაჟინებით მოუხმობდა რადამესს უზენაესი ქურუმი და ღალატში ულმობელი სიტყვებით ადანაშაულებდა.
„იმართლე თავი!“ - ერთხმად მოუწოდეს ქურუმებმა.
რაკი უზენაეს ქურუმს შეეძლო მათთვის ეთქვა, რადამესი დუმსო, ყველამ ასევე ერთხმად ცნო იგი მოღალატედ.
„რადამეს, რადამეს! - ისევ წამოიწყო უზენაესმა, - შენ ბრძოლის წინ მიატოვე ბანაკი“.
„იმართლე თავი!“ - გაისმა ისევ. „შეხეთ, იგი დუმს“, - მეორედ დაადასტურა თავიდანვე მკაცრად განწყობილმა სასამართლოს წინამძღოლმა და ამჯერადაც ყველა მსაჯულის ხმა შეუერთდა მის განაჩენს: „მოღალატეა!“
„რადამეს, რადამეს! - მესამედ გაისმა ულმობელი ბრალმდებლის ხმა, - შენ გატეხე სამშობლოს, ღირსებისა და მეფის წინაშე დადებული ფიცი“, „იმართლე თავი!“ - გაისმა ხელახლა. დაშემდეგ: „მოღალატეა!“ - საბოლოოდ დაასკვნა შეძრწუნებული ქურუმების კრებულმა, როცა კვლავ შეახსენეს, რადამესი დუმსო. ამგვარად აღსრულდა აღსასრულებელი, გუნდმა კვლავ ერთხმად გამოუტანა განაჩენი დამნაშავეს, მისი ბედი გადაწყვეტილია, იგი მოკვდება შერისხულის სიკვდილით, ცოცხლად დაიმარხება განრისხებული ღვთაების ტაძრის ქვეშ გათხრილ სამარეში.
ამნერისის აღშფოთება სასულიერო პირთა ასეთი სისასტიკის გამო ჰანს კასტორპს თვითონ უნდა წარმოედგინა, რადგან ჩანაწერი აქ თავდებოდა, ფირფიტა უნდა გამოეცვალა, მანაც მშვიდად და მარჯვედ, თვალდახრილმა ჩაატარა ეს პროცედურა და როცა კვლავ მოსასმენად ჩაეშვა სავარძელში, უკვე მელოდრამის ფინალური სცენა ჟღერდა: რადამესი და აიდა უკანასკნელ დუეტს მღეროდნენ თავიანთ აკლდამაში, მათ თავზემოთ კი ფარისეველი, სასტიკი ქურუმები ტაძარში საკულტო ცერემონიალს ატარებდნენ, ხელებს შლიდნენ და დუდუნებდნენ... „თუ - in questa tomba
?!“
(შენ ამ აკლდამაში?! (იტალ.).) - ჭექდა რადამესის ენით აუწერლად მომხიბლავი, თან ტკბილი და თან ვაჟკაცური ხმა და შეძრწუნებასა და აღტაცებას გამოხატავდა... დიახ, იგი შემოიპარა მასთან, სატრფო, ვისი გულისთვისაც აიღო ხელი სიცოცხლესა და ღირსებაზე, იგი ელოდა აქ, რათა მასთან ერთად ჩაკეტილიყო აკლდამაში და მასთან ერთად მომკვდარიყო. ამ ამბის გამომხატველი სიმღერა ზოგჯერ წყდებოდა ზემო სართულში მიმდინარე ცერემონიალის ყრუ ხმებით, ხან ერთმანეთს ენაცვლებოდა, ხან იმათ ხმებს უერთდებოდა და სულის სიღრმემდე სწორედ მიჯნურთა ხმები სძრავდნენ განმარტოებულ ღამეულ მსმენელს, აძრწუნებდა მათი ამბავიც და ამ ამბის მუსიკალური გამოხატვაც. სიმღერაში ზეცა იხსენიებოდა, მაგრამ თვითონ ისინი იყვნენ ზეციურნი და ზეციურადაც მღეროდნენ. ის მელოდიური ხაზი, რადამესისა და აიდას ხმებს ცალ-ცალკე და ერთად შერწყმულსაც რომ გასდევდა, ეს მარტივი, ღვთაებრივი, ტეხილი მელოდია, აგებული ტონიკასა და დომინანტზე, ძირითადი ტონიდან გაბმით მიემართებოდა ზევით, მომდევნო ოქტავამდე ნახევარი ტონი აკლდებოდა, სულ ოდნავ ეხებოდა ამ ტონს, კვინტაში გადადიოდა და მსმენელს ეჩვენებოდა, ამაზე გამჭვირვალე, ამაზე ზეაღმტაცი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომისმენიაო, მაგრამ ეს ბგერითი მხარე ასე ძალიან არ შეუყვარდებოდა, მას საფუძვლად ისეთი ამბავი რომ არ დასდებოდა, გულს ტკბილად რომ უთრთოლებდა. რა მშვენიერი იყო, აიდამ სასიკვდილოდ განწირულ რადამესს რომ მიაგნო და მისი სამარისეული ბედი სამარადისოდ გაიზიარა! სიკვდილმისჯილი სამართლიანად ეურჩებოდა საყვარელ არსებას, არ უნდოდა, მიეღო ასეთი მსხვერპლი, მაგრამ მის ნაზ და სასოწარკვეთილ ფრაზაში: „No, no! troppo seibella
!“
(არა, არა, შენ მეტისმეტად მშვენიერი ხარ! (იტალ.).) მაინც იგრძნობოდა იმ არსებასთან საბოლოო შეერთებით გამოწვეული აღტაცება, რომ ეგონა, ვეღარასოდეს ვიხილავო, და ჰანს კასტორპის წარმოსახვას სრულიადაც არ

გაუჭირდებოდა ეს მადლიერება და აღტაცება გაეზიარებინა. საბოლოოდ კი, რაც იგრძნო, მიხვდა და შეიტკბო, როცა გულხელდაკრეფილი უცქერდა პატარა შავ ჟალუზს, რომლის თამასებიდანაც ეს აყვავებული ნიაღვარი გადმოდიოდა, ეს გახლდათ მუსიკის, ხელოვნების, ადამიანის სულის ძლევამოსილი იდეალურობა, სინამდვილის მახინჯ გამოვლენას ამაღლებულ, თვალწარმტაც სილამაზეს რომ ანიჭებდა. საკმარისი იყო, თვალნათლივ წარმოგედგინათ და ფხიზელი გონებით განგესაჯათ, რაც აქ ხდებოდა! ორ ცოცხლად დამარხულ ადამიანს ფილტვებს სამარის ჰაერი დაუხშობდა და აქ ერთად, ან, რაც უფრო საშინელია, ერთიმეორის შემდეგ დაიხოცებოდნენ შიმშილისაგან დაკრუნჩხულები, შემდეგ კი ხრწნის პროცესი შეუდგებოდა თავის ენით აუწერელ საქმეს, სანამ თაღქვეშ ორი ჩონჩხი არ დარჩებოდა და თითოეული მათგანისათვის სულერთი გახდებოდა ყველაფერი, ვერც იგრძნობდა, აქ მარტო ესვენა თუ წყვილად. აი, ასეთი გახლდათ ვითარების რეალური მხარე, ამ საქმის ასავალ-დასავალი, რომელსაც გულის იდეალიზმი საერთოდ არ ითვალისწინებდა, ხოლო მშვენიერებისა და მუსიკის სული მას ზარ-ზეიმით ჩრდილში აყენებდა. რადამესისა და აიდას საოპერო სულებს ეს ბედი ხომ რეალურად სულაც არ ემუქრებოდა. მათი ხმები უნისონში მიილტვოდა ოქტავის ღვთაებრივი ხმოვანებისაკენ და გვარწმუნებდა, აი, ახლა გაგვეხსნა ზეცა და ჩვენი ურვა და სიმძიმილი მარადისობის შუქით გაცისკროვნდაო. ტანჯვის ასეთი შელამაზება მსმენელზე ძლიერ კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა და ამის ბრალიც იყო, ჰანს კასტორპს თავისი სანუკვარი პროგრამის ეს ნომერი გამორჩეულად რომ უყვარდა.

მისგან მოგვრილი შიშისა და გაცისკროვნებისაგან ერთი პიესით ისვენებდა ხოლმე. ის პიესა მოკლე იყო, მაგრამ მომაჯადოებელი და შინაარსითაც იმ პირველზე გაცილებით მშვიდობიანი. ეს გახლდათ იდილია, მაგრამ რაფინირებული, შექმნილი და აგებული უახლესი ხელოვნების ძუნწი და თან ურთულესი ხერხებით. ეს იყო წმინდა საორკესტრო პიესა სიმღერის გარეშე, ფრანგული წარმომავლობის სიმფონიური პრელუდია,

(„ფრანგული წარმომავლობის სიმფონიური პრელუდია...“ - იგულისხმება ფრანგი კომპოზიტორის, მუსიკალური იმპრესიონიზმის მამამთავრის, კლოდ აშილ დებიუსის (1862-1918) პრელუდია, შექმნილი ფრანგი სიმბოლისტის, სტეფან მალარმეს ამავე სახელწოდების პოეტური ნაწარმოების - „ფავნის ნაშუადღევი“ - მიხედვით.) თანამედროვე გაგებით მომცრო ანსამბლის მიერ ხორცშესხმული, მაგრამ ჟღერადობის თანამედროვე ტექნიკის არც ერთი სიკეთე არ აკლდა და ჭკვიანურად მიილტვოდა ერთი მიზნისაკენ - სული როგორმე ოცნების აბლაბუდაში გაეხვია.

აი, რაზე ოცნებობდა ჰანს კასტორპი ამ პიესის მოსმენისას: ვითომ გულაღმა იწვა ასტრებით გადაჭრელებულ, მზით გაჩახჩახებულ მდელოზე, თავი პატარა ბორცვზე ედო, ცალი ფეხი მუხლში მოეხარა, მეორე ზედ გადაედო, მაგრამ ეს მისი კი არა, ფავნის ფეხები გახლდათ. ირგვლივ ძეხორციელი არ ჩანდა და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ათამაშებდა თითებს პირში გაჩრილ ხის პატარა ჩასაბერ საკრავზე, კლარნეტსა თუ სალამურზე, რომელიც მშვიდ, დუდღუნა ბგერებს გამოსცემდა. ბგერები თითქოს თვითნებურად მისდევდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ ლაგდებოდნენ და უდარდელი დუდღუნი ლურჯად მოხასხასე ზეცისკენ ასე მიემართებოდა, ხოლო ცის ქვეშ, მზეზე ციალებდა ნიავისგან ათრთოლებული ეული არყის ხეებისა და იფნის ფოთლები. მაგრამ მისი ფიქრმორეული და უპასუხისმგებლო, ნახევრად მელოდიური სტვენა სიმარტოვეში დარხეულ ერთადერთ ხმად დიდხანს არ დარჩენილა. ზაფხულის ხვატში ბალახს დასეული მწერების ზუზუნი, თვით მზის კაშკაში, ნიავი, კენწეროების თრთოლა, ფოთლების ბზინვა, მთელი ეს აფოფინებული ზაფხულის სიმყუდროვე ნაირფრად ახმიანდა და მისი სალამურის მარტივ რაკრაკს წამდაუწუმ ცვალებადი, გამაოგნებლად დახვეწილი ჰარმონიული ჟღერადობა მიანიჭა. სიმფონიური აკომპანემენტი ზოგჯერ უკან დაიხევდა და ჩაჩუმდებოდა, მაგრამ ფავნისფეხება ჰანსი სალამურს ისევ ჩაჰბერავდა და თავის მიამიტური, ერთფეროვანი დაკვრით კვლავ ახერხებდა ბუნების აჟღერებას რჩეული, ფერადოვანი, ჯადოსნური ხმებით, ბოლოს და ბოლოს, უცაბედი შეჩერებისთანავე ახალ-ახალი, მჭექარე ინსტრუმენტული ბგერების შემოჭრის წყალობით საკუთარ

თავსვე რომ ჯაბნიდა. ხმები ერთმანეთს სწრაფად მოსდევდნენ და ისიც სულ ერთი, წამის მსწრობელი წამით ივსებოდა აქამდე ნაგროვები ძალით, რომლის ნეტარებით აღსავსე, სრულყოფილი კმაყოფილება მარადისობასთან იყო წილნაყარი. ახალგაზრდა ფავნი მეტისმეტად ბედნიერად გრძნობდა თავს თავის მინდორზე. აქ არ ისმოდა იმართლე თავი!", აქ არ არსებობდა არავითარი პასუხისმგებლობა, არც ქურუმთა სამსჯავრო სდებდა ბრალს ღირსებისა და მოვალეობის დამვიწყებელ კაცს, აქ თვით თავდავიწყება მეფობდა, ნეტარიუძრაობა, უჟამო ჟამის უბიწოება: ეს გახლდათ სინდისდაწყნარებული აღვირახსნილობა, აქტიურობისკენ მომწოდებელი დასავლური ბრძანების სრული უარყოფის ნანატრი აპოთეოზი და ამიტომაც ეს ფირფიტა მისგან მომდინარე, დამაწყნარებელი ხმების გამო ღამის მუსიკოსს ბევრ სხვა ფირფიტას ერჩივნა.
იყო მესამეც... თუმცა მესამე კი არა, რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთში გარდამავალი სამი თუ ოთხი ფირფიტა, რადგან ტენორის მარტო ერთ არიას ფირფიტის ერთი, შუამდე დახაზული მხარე ეჭირა. ესეც ფრანგული ნაწარმოები გახლდათ, ნაწყვეტები კარგად ნაცნობი ოპერიდან, რომელიც რამდენჯერმე ენახა და მოესმინა თეატრში და ერთხელ მისი შინაარსი საუბარში, და თანაც გადამწყვეტ საუბარში, კიდეც მოიშველია... ეს იყო სცენა მეორე აქტიდან, გათამაშებული ესპანურ სამიკიტნოში, ანუ ფსევდომავრიტანიული სტილით ნაგებ, შალებით მორთულ-მოკაზმულ მოზრდილ მოჩარდახულში. კარმენის თბილი, ოდნავ ხრინწიანი, მაგრამ თავისი ჯიშიანობით მომნუსხველი ხმა ამბობს, ახლა სერჟანტის წინაშე ვიცეკვებო და უკვე ისმის მისი კასტანიეტების ტკაცუნი, მაგრამ იმავე წუთს შორიდან მოისმის დაფდაფებისა და საყვირების ხმა, ეს არის განმეორებით მიცემული სამხედრო ნიშანი, რომელმაც ჭაბუკ სერჟანტს ძარღვებში დაუარა. „სდექ! ერთი წამით!" - წამოიძახა მან და ცხენივით ცქვიტა ყურები. კარმენი ეკითხება: „რატომ, რა მოხდაო?" „ნუთუ არ გესმის?" - შესძახებს ჭაბუკი, იგი გაოცებულია, რომ ქალი მასავით არ შეაკრთო ამ ხმამ. ეს ხომ ყაზარმის დაფდაფების ხმაა, ნიშანს რომ იძლევიან. „შინ დაბრუნების დროა", - საოპერო ენით პასუხობს იგი, მაგრამ ბოშა ქალს არც ესმის და არც უნდა გაიგოს, რას ნიშნავს ეს. მით უკეთესიო, თავს განგებ ისულელებს და ლამის თავხედურად პასუხობს იგი, მაშინ კასტანიეტებიც აღარ დაგვჭირდება, საცეკვაო მუსიკას თვით ზეცა გვიგზავნისო: ლა-ლა-ლა-ლა! სერჟანტი გაბრაზებულია. გულისტკენას არაფრად აგდებს, ოღონდ ქალს გააგებინოს, რას ნიშნავს ეს ხმები და რომ დედამიწის ზურგზე ვერავითარი სიყვარული ამ ხმას წინ ვერ აღუდგება. ნუთუ შეიძლება, ასეთი მნიშვნელოვანი და კატეგორიული რამ ვერ გაიგოო! „უნდა წავიდე, შინ, ყაზარმაში, დაფიონზე მაგვიანდება!" - ამბობს ხოზე. იგი სასოწარკვეთილია, ქალს რომ ვერაფერი გააგებინა და გული კიდევ უფრო უმძიმდება. აი, ახლა კი ღირდა კარმენისთვის მოგესმინათ! იგი განრისხებულია, სულის სიღრმემდე აღშფოთებული, მისი ხმა მოტყუებულ და შეურაცხყოფილ სიყვარულს გამოხატავს თუ თვალთმაქცობს? „ყაზარმაში? დაფიონზე? ჩემს გულს რაღას უპირებ? ჩემს კეთილ, სათუთ გულს, რომელიც სისუსტის გამო, დიახ, აღიარებს, რომ სისუსტის გამო! მზად იყო, იგი თავისი ცეკვა-სიმღერით გაერთო? ტრატერატა!" - დამცინავად მიიდო პირზე კარმენმა საყვირივით მომრგვალებული ხელები და მის ხმას გამოაჯავრა. „ტრატერატა!" - და ეს კმარა, რომ ბრიყვი წამოხტეს და წასვლა მოინდომოს. ძალიან კარგი, წავიდეს, მოშორდეს! აი, მისი მუზარადი, მის ხმალი და სარტყელი! ჩქარა, ჩქარა, ყაზარმაში არ დააგვიანდეს! სერჟანტი შებრალებას სთხოვს კარმენს, მაგრამ კარმენი ულმობლად განაგრძობს დაცინვას, წარმოადგენს, საყვირის ხმაზე როგორ კარგავს სერჟანტი თავის ნამცეცა ჭკუას. ტრატერატა, დაფიონზე! ღმერთო მოწყალეო, იჩქაროს, არ დააგვიანდეს! წავიდეს, მოშორდეს, დაფიონზე ეძახიან, ცხადია, გადაირეოდა და თან იმ წუთს, კარმენს მისთვის რომ უნდა ეცეკვა. აი, ეს არის, სულ ეს არის მისი სიყვარული!
აი, ნამდვილი სატანჯველი! ქალს არ ესმის მისი. დედაკაცს, ბოშას, არც ესმის და არც უნდა გაიგოს, არ უნდა და მორჩა, და რაც მთავარია, მის მრისხანებაში, მის დაცინვაში, უეჭველად ურევია რაღაც, რაც ამ მომენტსაც სცილდება და პირად გრძნობასაც, ეს არის იმ პრინციპის საწინააღმდეგოდ მიმართული მარადიული

მტრობა, რომელიც ფრანგული
ჩლაირონს -ის თუ ესპანური საყვირის მეშვეობით მოუხმობდა შეყვარებულ პატარა ჯარისკაცს და ამ პრინციპის დამარცხება მისი, კარმენის, უზენაესი, თანდაყოლილი, ზეპიროვნული პატივმოყვარეობის საქმე იყო. საამისოდ კარმენი სულ უბრალო ხერხს მიმართავდა: თუ წახვალ, ესე იგი, არ გყვარებივარო და მუსიკალურ სკივრში გამომწყვდეულ ხოზეს სწორედ ამის გაგონება ვერ აეტანა. ევედრებოდა, ერთი სიტყვა მათქმევინეო. ქალი უარზე იდგა. მაშინ მან ძალას მიმართა - ეს იყო საშინლად დაძაბული მომენტი. ორკესტრმა საბედისწერო ხმები გამოსცა, გაისმა პირქუში, ავის მომასწავებელი მოტივი. ჰანს კასტორპმა იცოდა, ეს მოტივი მთელ ოპერას კატასტროფულ ფინალამდე რომ გასდევდა და თან პატარა ჯარისკაცის არიის შესავალს წარმოადგენდა, რომელიც სხვა ფირფიტაზე იყო ჩაწერილი.
„აი, გულთან მაქვს სასოებით შენახული“, - დიდებულად მღეროდა ხოზე; ჰანს კასტორპს ეს ფირფიტა ცალკეც, წინამავალი ფირფიტების გარეშეც ხშირად დაუკრავს და ყოველთვის დიდი სიმპათიით მოუსმენია. ეს არია ღრმა შინაარსით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ისეთ ვედრებასა და მხურვალე გრძნობებს გამოხატავდა, რომ გულს აგიჩუყებდათ. ჯარისკაცი მღეროდა იმ ყვავილზე, კარმენმა მათი ნაცნობობის დასაწყისში რომ ესროლა და შემდეგ, მისი გულისთვის ციხეში მოხვედრილს, იმ ყვავილზე სანუკვარი არა გააჩნდა რა. აღელვებული ხოზე აღიარებს, რომ წამით ბედიც დაუწყევლია, კარმენირომ შეახვედრა, მაგრამ მყისვე მწარედ მოუნანიებია ეს შეცოდება და ღმერთს მუხლებზე დაჩოქილი შევედრებია, კვლავ ეხილა იგი. „და, აი“... ეს „და“ იგივე მაღალი ნოტი იყო, რითაც მანამდე წამოიწყო ხოზემ არია „ო, საყვარელო“, ახლა კი ორკესტრში ერთად გაისმა ყველა ინსტრუმენტის ჯადოსნური ხმა, რომელსაც კი რამენაირად შეეძლო, გამოეხატა პატარა ჯარისკაცის ტკივილი, ნაღველი, უნაპირო სინაზე და ტკბილ-მწარე სასოწარკვეთილება, „და, აი“ იგი თვალწინ ჰყავდა, ისე საბედისწეროდ მომხიბლავი, რომ მან ცხადად და გარკვევით იგრძნო, „იგი ტანჯვას რომ ჰპირდებოდა“ („ტანჯვის“ პირველ მარცვალზე ქვითინით შეზავებული ფორშლაგი გაკეთდა), დიახ, სამარადისო ტანჯვას ჰპირდებოდა. „შენ ჩემო ოცნებავ, ჩემო ნეტარებავ!“ - სასოწარკვეთილი მღეროდა სერჟანტი მუსიკალურ ფრაზას, შემდეგ ორკესტრი ცალკე რომ აკვნესებდა, ფრაზა ძირითადი ტონიდან ორი საფეხურით მაღლა ადიოდა და იქიდან მგრძნობიარედ გადადიოდა უფრო დაბალ კვინტაში. „ჩემი გული შენ გეკუთვნის“, - ეფიცებოდა იგი ქალს ბანალური, მაგრამ უნაზესი გრძნობით აღბეჭდილი ფრაზით. დიახ, სწორედ ამ ფიგურალურ გამოთქმას ხმარობდა, შემდეგ მეექვსე ინტერვალამდე ადიოდა და დასძენდა: „სამარადისოდ შენი ვარ, შენი! - შემდეგ ხმას ათი ტონით დაადაბლებდა და გრძნობამორეულს აღმოხდებოდა, - კარმენ, მიყვარხარ!“ ფრაზა ცვალებადი ჰარმონიის წყალობით მტკივნეულად გრძელდებოდა, სანამ ბოლო ორი მარცვალი ძირითად აკორდს არ შეერწყმოდა.
- დიახ, დიახ! - სევდიანად, მადლიერი ხმით იტყოდა ჰანს კასტორპი და ფინალს დადებდა, სადაც ყველა ულოცავს ახალგაზრდა ხოზეს, ოფიცერთან შეტაკების შემდეგ უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი გაქვს და დეზერტირი უნდა გახდეო, რასაც მისდა სავალალოდ, აქამდეც მოითხოვდა კარმენი.
„გამოგვყევ კლდესა და ღრეში,
იქ უფრო ლაღია ქარი...“
მღეროდნენ ისინი გუნდად და ყოველი სიტყვა მკაფიოდ ისმოდა.
„დიდია ქვეყანა, დარდს ნუ მივეცემით;
მამული დიდია, დიდი და უსაზღვრო!
და შენს ხელშია ძალაუფლება,
გული საითაც გაგიწევს, გასწი,
კურთხეულ იყოს თავისუფლება!“
- დიახ, დიახ! - იტყოდა ისევ და ახლა მეოთხე, ზედმიწევნით სანუკვარ და საყვარელ ფირფიტაზე გადადიოდა.
ეს ნაწარმოებიც რომ ფრანგული გახლდათ, ჩვენ არც ამაში მიგვიძღვის ბრალი და ვერც იმაში დავიდანაშაულებთ თავს, აქაც საბრძოლო სულისკვეთება რომ მეფობდა. ეს გახლდათ ჩართული სოლო ნომერი, „ვედრება“ გუნოს ოპერა

„ფაუსტიდან“. ვიღაც მღეროდა, ვიღაც ზესიმპათიური კაცი, რომელსაც ვალენტინო ერქვა სახელად, მაგრამ ჰანს კასტორპი გულში სხვა სახელს ეძახდა, მშობლიურ, დარდითა და ნაღვლით გარემოსილ სახელს, რომლის მატარებელსაც იგი სკივრიდან გადმოსულ პიროვნებასთან აიგივებდა, თუმცა ამ უკანასკნელს ბევრად უკეთესი ხმა ჰქონდა. ეს თბილი, ძლიერი ბარიტონი სამნაწილიან სიმღერას მღეროდა; პირველი და უკანასკნელი სტროფი ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდებოდა და თავისი ღვთისმოსაური ხასიათით ლამის პროტესტანტული ქორალივით ჟღერდა, შუალედური სტროფი კი ომახიანობითა და რაინდული სიმამაცით გამოირჩეოდა, მეომრულიც იყო და ფუქსავატურიც, მაგრამ ისეთივე ღვთისმოსაურიც და ფრანგული მეომრული ხასიათიც სწორედ ამაზე ეტყობოდა. უჩინარი მღეროდა:

„უნდა განვშორდე იძულებით
ჩემს საყვარელ, სანუკვარ მამულს...“

და ამის გამო უზენაესს ევედრებოდა, მისი მშვენიერი და დაეფარა! ომის ხსენებაზე რიტმი იცვლებოდა, ომახიანი ხდებოდა, დარდი და ნაღველი ეშმაკსაც წაუღია, იგი, უჩინარი, იქით მიილტვოდა, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა, ყველაზე დიდი ხიფათი მოელოდა და აპირებდა, მტერს მამაცურად, ღვთის სახელით, ფრანგულად დასტაკებოდა. თუკი ღმერთი ზეცაში მიმიხმობს, მაშინ შენ“ იქიდან გადმოგხედავ და დაგიფარავო, მღეროდა იგი. „შენში“ ღვიძლი და იგულისხმებოდა, მაგრამ ჰანს კასტორპს ეს ადგილი მაინც სულის სიღრმემდე სწვდებოდა და გრძნობათა ჭიდილი ბოლომდე არ უნელდებოდა, სანამ ყოჩაღი ჯარისკაცი სკივრის შიგნით, ქორალივით მოგუგუნე აკორდების ფონზე მღეროდა:

„უზენაესო, შეისმინე ვედრება ჩემი
და მფარველობას ნუ მოაკლებ ჩემს მარგარიტას!“

ამ ფირფიტაში აღარაფერი იყო საინტერესო. მოკლედ მაინც იმიტომ გესაუბრეთ, რომ ჰანს კასტორპს გამორჩეულად უყვარდა იგი და სხვა დროსაც, ერთი უცნაური შემთხვევის გამო მის ცხოვრებაში გარკვეული როლი ითამაშა. ახლა კი მივადექით მეხუთე და უკანასკნელ ნაწარმოებს იმ უახლოესი ფავორიტების ჯგუფიდან, რომელსაც ფრანგულისა აღარაფერი ეცხო, პირიქით, ის ზედმიწევნით და აშკარად გერმანული გახლდათ, თან ეს საოპერო მუსიკა კი არა, სიმღერა იყო, ერთ-ერთი იმ სიმღერათაგანი, ხალხურიც რომ არის და თან დიდი ოსტატის შედევრიც, და სწორედ ამიტომაცაზის გამორჩეული სულიერი და მსოფლმხედველობრივი აზროვნების ბეჭედი... თუმცა რაღად გვინდა ეს ქარაგმები? ეს გახლდათ შუბერტის ცაცხვის ხე“, სწორედ ის მშობლიური და მახლობელი სიმღერა ჭასთან, ჭიშკრის წინ“.

სიმღერას ფორტეპიანოს თანხლებით ერთი ტენორი ასრულებდა, ტაქტიანი და გემოვნებიანი ჭაბუკი, რომელსაც კარგად ესმოდა, როგორ უნდა შეესრულებინა ეს სადა და თან ამაღლებული ნაწარმოები, და ჭკვიანურად, დახვეწილი მუსიკალური გემოვნებითა და უზადო დიქციით ასრულებდა კიდეც. ყველამ ვიცით, ეს დიდებული სიმღერა, ხალხის ან ბავშვების ნამღერი, სასცენოდ დამუშავებულისგან ოდნავ განსხვავებულად რომ ჟღერს. ხალხში იგი გამარტივებულად იმღერება, ყველა კუპლეტი ძირითად მელოდიას მიჰყვება, დამუშავებულ სიმღერაში კი ორიგინალის ეს პოპულარული ხაზი რვაპწკარიანი სტროფის მეორე კუპლეტშივე ვარირებული სახით მინორში გადადის, მეხუთე, განსაკუთრებით ლამაზ კუპლეტში კვლავ მაჟორს უბრუნდება, შემდეგ კი, სადაც „სუსხიან ქარსა“ და თავიდან მოგლეჯილ ქუდზეა ლაპარაკი, დრამატიზმი მატულობს და მელოდია მესამე სტროფის უკანასკნელ ოთხ სტრიქონში ხელახლა წამოტივტივდება და მეორდება, რათა მოტივმა დასრულებული სახე მიიღოს. მელოდიის მომაჯადოებელი ცვლილება სამჯერ ხდება, ორჯერ მის მოდულაციებით მდიდარ მეორე ნახევარში, მესამედ კი უკანასკნელი ნახევარსტროფის რეპრიზისას. არ გვინდა, ზუსტი სიტყვიერი აღწერით შევლახოთ ეს ჯადოსნური ცვლილებები, ისინი სიმღერას მოუდის ფრაგმენტებზე: „უნაზესი სიტყვების წყება“, „თითქოს მომძახიან“, „იმ მხარისგან მოშორებული“, და მომღერლის წკრიალა და თბილი, სუნთქვადაყენებული და ზომიერად მოქვითინე ტენორი ამ ცვლილებების მშვენიერებას ისე კარგად გრძნობდა და ისე ინტელიგენტურად გადმოსცემდა, რომ მსმენელს საოცრად ხვდებოდა გულზე,

განსაკუთრებულ ზემოქმედებას კი მომღერალი გულში ჩამწვდომი საწყისი ბგერებით აღწევდა ისეთ ჰწკარებში, როგორიცაა: „მისკენ მივილტვი მარად და მარად“, „აქ ჰოვებ, კარგო, გულის სიმშვიდეს“. განმეორებულ უკანასკნელ სტროფში კი, „სულის სიმშვიდეს იქ იპოვიდი!“, სიტყვას „იპოვიდი“ პირველად სულსა და გულს ამოატანდა და მხოლოდ მეორეჯერ წარმოთქვამდა ნაზად, როგორც უნაზეს ფლაჟოლეტს.
სულ ეს არის, რაც გვინდოდა, გვეთქვა სიმღერასა და მის შესრულებაზე. თავს მოვიწონებთ და ვიტყვით, რომ წინა შემთხვევებში მშვენივრად ვახერხებდით ჩვენი მსმენელებისთვის მიახლოებითი წარმოდგენა შეგვექმნა იმ ინტიმურ თანაგრძნობაზე, რასაც ჰანს კასტორპი იჩენდა თავისი ღამეული კონცერტების გამორჩეული საპროგრამო ნომრების მიმართ, მაგრამ ეს უკანასკნელი სიმღერა, ძველებური სიმღერა „ცაცხვის ხე“, მისთვის რასაც ნიშნავდა, ამის გაგებინება, ცოტა არ იყოს, საჩოთირო საქმეა და უფრთხილესი ინტონაციის შერჩევა გვმართებს, საქმე გაკეთების ნაცვლად რომ არ გავაფუჭოთ.
ვიტყვით თუნდაც ასე: სულიერი, ანუ მნიშვნელოვანი საგანი სწორედ იმითაა „მნიშვნელოვანი“, რომ იგი სცილდება თავისსავე ფარგლებს, იგი ზოგადსულიერის გამოვლენასა და სიმბოლოს წარმოადგენს, იგი სიმბოლოა გრძნობისა და აზრის მთელი სამყაროსი, რომელსაც მასში მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეუსხამს ხორცი და მისი მნიშვნელობის ხარისხიც ამის მიხედვით იზომება. ამგვარი საგნისადმი სიყვარულიც თავისთავად არის „მნიშვნელოვანი“. იგი იმ პიროვნებაზეც გვეუბნება ზოგ რამეს, ვინც ამ სიყვარულს განიცდის, იგი ახასიათებს მის დამოკიდებულებას იმ ზოგადთან, იმ სამყაროსთან, რომელიც აირეკლება ამა თუ იმ საგანში და ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მას იგიც უყვარს.
იქნებ არც დაგვიჯეროთ, რომ ჩვენი უბრალო გმირი ამდენი და ამდენი წლის ჰერმეტულ-პედაგოგიური აღმავლობის შემდეგ იმდენად ღრმად შეიჭრა სულიერი ცხოვრების სფეროში, რომ შეეძლო თავისი სიყვარულისა და მისი ობიექტის „მნიშვნელობა“ გაეცნობიერებინა? ჩვენ სწორედ იმას გიმტკიცებთ, ასეც იყო-თქო. ეს სიმღერა მისთვის ბევრს ნიშნავდა, მთელ სამყაროს და სახელდობრ ისეთ სამყაროს, რომელიც უნდა ჰყვარებოდა, თორემ მის ორეულზე ასე არ გაგიჟდებოდა. ჩვენ ვიცით, რასაც ვამბობთ, თუკი დავძენთ, თუნდაც ოდნავ ბუნდოვნად, რომ მისი ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა, მისი სული ასე მგრძნობიარე რომ არ ყოფილიყო იმ გრძნობათა სფეროსა და იმ ზოგადი სულიერი წყობის მომხიბლაობის მიმართ, რომლითაც ეს სიმღერა ასე ღრმად და იდუმალად იყო გაჟღენთილი. მაგრამ სწორედ ამ ბედმა არგუნა მას აღმავლობა, საოცარი თავგადასავალი, ჩაახედა საკუთარ სულში, წამოუჭრა მართვის პრობლემები, რომლებმაც მოამწიფა იგი ამ სამყაროსა და მისივე, უეჭველად თაყვანსაცემი ორეულის კრიტიკისათვის, მისივე სიყვარულისთვის და აიძულა კიდეც, სამივე სინდისის ეჭვქვეშ მოექცია.
თუ გნებავთ, იმას სულ არაფერი გაეგება სიყვარულისა, ვინც იტყვის, ასეთი ეჭვებია, სიყვარულს ბოლოს რომ უღებსო. პირიქით, ეს დაეჭვება ანიჭებს მას განსაკუთრებულ სიმძაფრეს. ისაა, სიყვარულს ვნების ცეცხლს რომ უკიდებს, ასე რომ, ვნებისთვის დაეჭვებული სიყვარულიც კი შეგვეძლო, გვეწოდებინა. მაინც რა ეჭვის ჭია ღრღნიდა ჰანს კასტორპის სინდისსა და მართვის სურვილს და სადავოდ უხდიდა სიყვარულის უფლებასმომაჯადოებელი სიმღერისა და მისი სამყაროსადმი? რა სამყარო იდგა მის უკან ისეთი, სინდისი რომ კარნახობდა, ეს აკრძალული სიყვარულის სამყაროაო?
ეს იყო სიკვდილი.
კი მაგრამ, ეს ხომ აშკარა სიგიჟეა! ასეთი დიდებული სიმღერა! ნამდვილი შედევრი, ხალხური გრძნობა-გონების უღრმეს და უწმინდეს წიაღში შობილი; უძვირფასესი საუნჯე, სულიერების წინარე ხატი, თვით მოკრძალება და სიფაქიზე! რა საზიზღარი ცილისწამებაა!
დიახ, დიახ, დიახ, ნამდვილად მშვენიერი რამ არისო, ასე იტყოდა, ალბათ, ყველა წესიერი ადამიანი. და მაინც, ამ მშვენიერი ნაწარმოების უკან იდგა სიკვდილი. იგი სიკვდილთან იყო წილნაყარი და ეს ურთიერთობა შეიძლებოდა, გყვარებოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა შენი წინათგრძნობისა და მართვის უნარისათვის

ანგარიში არ გაგეწია და არ გეგრძნო, ასეთი სიყვარული მთლად ნებადართული არ უნდა იყოსო. თავისი წარმომავლობის მიხედვით იქნებ ამ სიმღერას არც უნდა ჰქონოდა სიკვდილისადმი სიმპათია, პირიქით, იგი ხალხურობის გამო სიცოცხლის ტრფიალით უნდა ყოფილიყო აღსავსე, მაგრამ მისდამი სულიერი სიმპათია სიკვდილისადმი სიმპათიას უდრიდა - ცხადია, ვერც მის წმინდა ღვთისმოსაურ, უფაქიზეს საწყისს უარვყოფდით, მაგრამ მას შედეგად წყვდიადის მოვლენები მოსდევდა.
ნეტავ თავს რას აღარ შთააგონებდა! მაგრამ ვერც რომ ვერაფერს გადაათქმევინებდით? წყვდიადის მოვლენები. შავბნელი მოვლენები. ჯალათობა და კაცთმოძულეობა ესპანურ ბრიჟიან შავ შესამოსელში და სიყვარულის ნაცვლად ავხორცობა - აი, ალალ-მართალი თვალებით მომზირალი ღვთისმოსაობის შედეგი.
ლიტერატორ სეტემბრინის იგი, ცხადია, სრული ნდობით არ ეკიდებოდა, მაგრამ გაახსენდა მისი ერთი შეგონება, გონებანათელმა მენტორმა ოდესღაც, დიდი ხნის წინ, მისი ჰერმეტული სარბიელის დასაწყისში რომ მისცა „უკუქცევის“ თაობაზე, „სულიერ უკუქცევაზე“ ამა თუ იმ სამყაროში, და აი, ახლა მოუვიდა აზრად, ეს მითითება თავისი ობიექტისთვის ფრთხილად მიესადაგებინა. ბატონმა სეტემბრინიმ „იმ უკუქცევის ფენომენი ავადმყოფობად“ მონათლა - თვით მსოფლხატი, სულიერი ეპოქა, რომელიც უკუქცევისკენ გიხმობდა, პედაგოგიურ აზროვნებას, ალბათ, მართლაც „ავადმყოფური“ უნდა მოსჩვენებოდა. ნურას უკაცრავად! განა შეიძლებოდა ჰანს კასტორპის ეს მშვენიერი, სამშობლოს მონატრებით გაჟღენთილი სიმღერა, ის სულიერი სფერო, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, და ამ სფეროსადმი „სიყვარული ავადმყოფური“ ყოფილიყო? არავითარ შემთხვევაში! დედამიწის ზურგზე არ არსებობდა ამაზე ჯანსაღი სულიერი სფერო. ოღონდ ამ ნაყოფს ერთი უცნაურობა სჭირდა: ამ წუთში ან სულ ახლახან ქორფა და სავსებით ჯანსაღი რომ ჩანდა, მეორე წუთში დაშლისა და ლპობისაკენ იჩენდა საოცარ მიდრეკილებას, თუკი შესაფერ მომენტში იგემებდი, სულს მალამოდ მოეცხებოდა, სხვა, შეუფერებელ მომენტში მისით დატკბობა კი კაცობრიობის ლპობასა და დაღუპვას იწვევდა. ეს გახლდათ სიცოცხლის ნაყოფი, მაგრამ სიკვდილისაგან შობილი და სიკვდილისავე მატარებელი. ეს იყო სულის საოცრება - უნამუსო სილამაზის წინაშე, ალბათ, ყველაზე ამაღლებული და მისგანვე კურთხეული, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობით მმართველი სიცოცხლის ტრფიალისა და ორგანული ბუნების სიყვარულიდან გამომდინარე, არ გაგვემტყუნებოდა, მას ეჭვით თუ მოვეკიდებოდით და სინდისის საბოლოო განაჩენის კარნახით საკუთარი თავის დაძლევისას ძირითად დაბრკოლებად თუ მივიჩნევდით.
დიახ, როგორც ჩანს, საკუთარი თავის დაძლევა ყოფილა ამ სიყვარულის დაძლევის არსი - სულის ამ მოჯადოებისა, შავბნელი შედეგები რომ მოჰყვება ხოლმე თან! ჰანს კასტორპის ფიქრები, ანუ წინათგრძნობით სავსე ნახევარფიქრები, მაღლა-მაღლა დაფრინავდა, როცა ღამით მარტოდმარტო უჯდა თავწაკვეთილ მუსიკალურ კუბოს, ისინი უფრო მაღლა ადიოდნენ, ვიდრე მისი გონება ასწვდებოდა, ეს ალქიმისტურად ამაღლებული ფიქრები გახლდათ. ო, რა ძალა ჰქონია სულის მოჯადოებას! ჩვენ, ყველანი, მისი შვილები ვიყავით და როცა მას ვმსახურებდით, დედამიწაზე დიადი საქმეების კეთებაც შეგვეძლო, არავითარი გენია აღარაა საჭირო, ოღონდ ცაცხვის სიმღერის ავტორზე გაცილებით მეტი ტალანტი გჭირდება, რომ სულის მოჯადოების ხელოვნებას ფლობდე, იმ სიმღერას უზარმაზრი მასშტაბი მიანიჭო და მისი მეშვეობით მსოფლიო დაიპყრო. მის საფუძველზე, ალბათ, სახელმწიფოების დაარსებაც კი შეიძლებოდა, მიწიერი, ზედმიწევნით მიწიერი სამეფოებისა, სალ კლდესავით მაგარი და პროგრესული, სამშობლოს სევდას მოკლებული სამეფოებისა, სადაც ეს სიმღერა ელექტროგრამოფონის მუსიკამდე იქნებოდა დასული. მაგრამ მის საუკეთესო ძედ მაინც ის ჩაითვლებოდა, ვინც საკუთარი თავის დაძლევისას სიცოცხლეს გაიცამტვერებდა და მოკვდებოდა, ბაგეებზე კი ახალი სიყვარულის სიტყვა მიაცივდებოდა, რომლის წარმოთქმას ჯერ არც იქნებოდა შეჩვეული. ღირდა კიდეც მისთვის, ამ ჯადოსნური სიმღერისთვის სიკვდილი! მაგრამ ვინც მისთვის მოკვდებოდა, იგი, კაცმა რომ თქვას, მისთვის აღარ იქნებოდა მკვდარი,

მას მხოლოდ იმიტომ ჩათვლიდნენ გმირად, რომ იგი არსებითად უკვე სიახლეს სწირავდა თავს, სიყვარულის ახალ სიტყვას და გულშიდაბუდებულ მომავალს ეწირებოდა...
აი, ესენი იყო ჰანს კასტორპის საყვარელი ფირფიტები.

ფრიად საეჭვო რამ
ედვინ კროკოვსკის ლექციებმა წლების განმავლობაში მოულოდნელი მიმართულება შეიძინა. მისი გამოკვლევები უწინაც სულის დანაწევრებასა და ადამიანის სიზმარეულ ცხოვრებას ეძღვნებოდა და ყოველთვის ახლდა ქვესკნელისა და კატაკომბებისეული ელფერი, ახლახან კი მან ფრთხილად, საზოგადოებისთვის ძლივს შესამჩნევად გადაუხვია ჩვეული გზიდან და გეზი მაგიისა და იდუმალების სფეროსაკენ აიღო. და აი, მისი ორკვირეული ლექციები, სანატორიუმის ეს მთავარი ატრაქციონი, პროსპექტის სიამაყე, ის ლექციები, იგი სასადილო დარბაზში სერთუკსა და სანდლებში გამოწყობილი რომ ატარებდა, იდგა სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან და ეგზოტიკურად გაწელილი აქცენტით ლაპარაკობდა სულგანაბული ბერგჰოფელი საზოგადოების წინაშე. უკვე აღარ ეხებოდა სიყვარულის შენიღბულ მოქმედებას და გაცნობიერებულ აფექტად ავადმყოფობის უკუგარდაქმნას, ლექციებში ახლა ლაპარაკი იყო ჰიპნოტიზმისა და სომნამბულიზმის ამოუცნობ სასწაულებზე, ტელეპათიის ფენომენზე, წინასწარმეტყველურ სიზმრებსა და ნათელმხილველობის ნიჭზე, ისტერიის საოცრებებზე, რომელთა განმარტების წყალობით დიდად ფართოვდებოდა ფილოსოფიური ჰორიზონტი და მსმენელებს ერთბაშად ისეთი გამოცანები აუციმციმდებოდათ თვალწინ, როგორიცაა მატერიის მიმართება ფსიქიკასთან, თვით სიცოცხლის არსის საკითხი, ხოლო მათთან მიახლოება თურმე შიშისა და ავადმყოფობის გზით უფრო ადვილად შეიძლებოდა, ვიდრე სიჯანსაღის გზით...
ამას იმიტომ გიამბობთ, რომ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, შევარცხვინოთ ის მალემრწმენი სულები, აქაოდა, დოქტორი კროკოვსკი მხოლოდ იმისთვის გადასწვდა იდუმალების სფეროს, უნდა, თავისი ლექციები უსაშველო ერთფეროვნებისაგან იხსნასო, ესე იგი, წმინდა ემოციური მიზნები ამოძრავებსო. ასე ამბობდნენ ავი ენები, რომლებიც ყველგან მოიძებნება. მართლაც, ორშაბათის ლექციებზე მამაკაცები უწინდელზე უფრო ბეჯითად იჩიჩქნიდნენ ყურებს, რომ მათი სმენისუნარიანობა გაეძლიერებინათ და ფროილაინ ლევიც კიდევ უფრო მეტად მიაგავდა მკერდში მექანიზმჩადგმულ ცვილის ფიგურას, ვიდრე ოდესმე. მაგრამ ეს ზემოქმედებაც ისეთივე კანონიერი გახლდათ, როგორიც განვითარების ის გზა, სწავლულის გონს უფლება რომ ჰქონდა, გაევლო, მით უმეტეს, როცა ეს არა მარტო ლოგიკური თანამიმდევრობით, არამედ აუცილებლობით ჩანდა ნაკარნახევი. მის კვლევის სფეროში ხომ აქამდეც შედიოდა ადამიანის სულის ის ბნელით მოცული და გამოუკვლევი სფეროები, ქვეცნობიერს რომ უწოდებენ, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა, მისთვის ზეცნობიერი გვეწოდებინა, რადგან ამ სფეროებიდან ზოგჯერ ისეთი ცოდნა ამოხეთქს, ინდივიდის გაცნობიერებულ ცოდნას ბევრად რომ აღემატება და გვაფიქრებინებს, ცალკეული სულის ღრმად ჩამალულ, წყვდიადით მოცულ სფეროებსა და ყოვლისმცოდნე საერთო სულს შორის რაღაც კავშირი და ურთიერთობა უნდა არსებობდესო. სულ ცოტა ხანში კი აღმოჩნდა, რომ ქვეცნობიერის სფერო, „ოკულტური“, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ოკულტური ყოფილა ამ სიტყვის უფრო ვიწრო გაგებითაც და თურმე ერთ-ერთ იმ წყაროთაგანს წარმოადგენს, საიდანაც გამოედინება ის მოვლენები, ძალაუნებურად ზემოხსენებული სახელი რომ დავარქვით. ეგ კიდევ არაფერი. ვინც ავადმყოფობის ორგანულ სიმპტომებში ცნობიერი სულიერი ცხოვრებიდან გამოძევებული ისტერიკული აფექტის ნამოქმედარს ხედავს, მან უნდა აღიაროს მატერიალურის მიმართ ფსიქიკური საწყისის შემოქმედებითი ძალა, ძალა, რომელიც იძულებული ვართ, მაგიური ფენომენის მეორე წყაროდ შევრაცხოთ. პათოლოგიის იდეალისტი, რომ არა ვთქვათ, პათოლოგიური იდეალისტი-თქო, ძალაუნებურად იმ აზრთა მდინარების საწყის წერტილში აღმოჩნდება, რომელიც სულ მოკლე ხანში ყოფიერების პრობლემას, უკეთ რომ ვთქვათ, სულისა და

მატერიის ურთიერთობის პრობლემას მიადგება. მატერიალისტი, სიჯანსაღის ფილოსოფიის პირმშო, არასოდეს მოიშლის იმის მტკიცებას, სულიერი მატერიალურის ფოსფორესცირებული პროდუქტიაო. იდეალისტი კი, პირიქით, შემოქმედებითი ისტერიის პრინციპიდან გამომდინარე, ჯერ ყოყმანით, სულ მალე კი მტკიცედ იტყვის, სულისა და ხორცის პრიმატის საკითხი სულ სხვანაირად უნდა გადაწყდესო. საბოლოო ანგარიშით, არც მეტი და არც ნაკლები, აქ დგას ძველთაძველი საკამათო საკითხი, რომელიც გაჩნდა ადრე: ქათამი თუ კვერცხი - ამ საკამათო საკითხს კი განსაკუთრებით ართულებს ორი ფაქტი: წარმოუდგენელია, ქათამს რომ არ დაუდვია, ისეთი კვერცხი და ასევე წარმოუდგენელია ისეთი ქათამი, წინასწარ დადებული კვერცხისგან არ იყოს გამოჩეკილი.
ასე და ამგვარად, დოქტორი კროკოვსკი ერთი ხანია თავის ლექციებში სწორედ ამ საკითხებს უტრიალებდა. იგი ორგანული, კანონიერი, ლოგიკური გზით მივიდა აქამდე. ამ გარემოებას განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს და თან იმასაც დავსძენთ, რომ ასეთ საკითხებს იგი მანამდე დიდი ხნით ადრე იკვლევდა, სანამ სცენაზე ელენ ბრანდი გამოჩნდებოდა და საქმე ემპირიულ-ექსპერიმენტულ სტადიაში გადავიდოდა.
ეს ელენ ბრანდი ვინღაა? კინაღამ დაგვავიწყდა, ჩვენი მსმენელები ელენ ბრანდს რომ არ იცნობენ, ჩვენთვის კი, რა თქმა უნდა, ცნობილია ეს სახელი.ვინ იყო იგი? ერთი შეხედვით თითქმის არავინ. ეს ცხრამეტი წლის სანდომიანი არსება, სელისფერთმიანი დანიელი გოგონა, რომელსაც ელის ეძახდნენ, კოპენჰაგენელიც კი არ იყო - აქ ფიუნენის ოდენსიდან ჩამოვიდა, სადაც მამამისს კარაქის მაღაზია ჰქონდა. თვითონ უკვე მსახურობდა, რამდენიმე წელი მარჯვენა ხელზე სამკლავურწამოცმული იჯდა მბრუნავ სავარძელში დედაქალაქის ბანკის პროვინციულ ფილიალში სქელ-სქელ დავთრებთან და სიცხიანობაც იქ დასჩემდა. ელი ბრანდს მძიმე ავადმყოფი არ ეთქმოდა, ტუბერკულოზს მხოლოდ ეჭვობდნენ, თუმცაელი სუსტი გოგონა იყო, სუსტი და აშკარად სისხლნაკლული, თან უდავოდ სიმპათიურიც, პირდაპირ, მოგინდებოდათ სელისფერ თმაზე გადაგესვათ ხელი, რასაც ჰოფრატი საკმაოდ ხშირად აკეთებდა კიდეც, როცა სასადილო დარბაზში გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ელი თითქოს ჩრდილოური სიგრილით იყო გარემოსილი და ეს ბროლისებურ-უბიწო, ბავშვურ-ქალწულური ატმოსფერო ისევე გიზიდავდათ, როგორც მისი ლურჯი თვალების გულღია და წმინდა, ბავშვური მზერა. ასევე მიმზიდველი ჰქონდა მეტყველებაც, ლაპარაკობდა წკრიალა, წვრილი და ნაზი ხმით, გერმანულს ოდნავ ამტვრევდა - ტიპური, პატარ-პატარა ფონეტიკური შეცდომები მოსდიოდა, მაგალითად, „ხორცის“ ნაცვლად „ხორზს“ ამბობდა. სახის ნაკვთებით თავს ნამდვილად ვერ მოიწონებდა, ხოლო ნიკაპი მეტისმეტად მოკლეც კი ჰქონდა. ელი კლეეფელდის მაგიდასთან იჯდა და იგიც დედობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა და პატრონობდა.
და აი, ამ ქალწულს, ამ ელი ბრანდს, ამ თავაზიან, პატარა დანიელ ველოსიპედისტსა და კანტორაში მუშაობით წელში გადრეკილ გოგონას აღმოაჩნდა ზოგიერთი თვისება, რასაც ამ სახენათელი პიროვნებისაგან კაცი ვერც პირველ და ვერც მეორე შეხედვაზე ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ მისმა თვისებებმა აქ, ზევით, ჩამოსვლიდან რამდენიმე კვირის თავზე ნელ-ნელა იჩინა თავი და მათი უცნაურობის ამოცნობა დოქტორ კროკოვსკის საქმე შეიქნა.
სწავლულს დაფიქრების პირველი საბაბი საღამოს თავყრილობებზე შემოღებულმა გასართობებმა მისცა. პაციენტები ნაირ-ნაირ გამოსაცნობ თამაშობებს იგონებდნენ. შემოიღეს აგრეთვე დამალული საგნის პოვნა პიანინოზე დაკვრის დახმარებით: თუ მძებნელი სამალავს მიუახლოვდებოდა, დაკვრის ხმა მატულობდა და პირიქით, იკლებდა, როცა ადამიანი მცდარი გზით მიემართებოდა. ამას სხვა თამაში მოჰყვა. ვინმეს კარს უკან დააყენებდნენ და შემოსვლისთანავე, ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებისამებრ, რამდენიმე ეტაპისაგან შემდგარ მოქმედებას შეასრულებინებდნენ: მაგალითად, მას რომელიმე ორი პიროვნებისათვის უნდა შეეცვალა ბეჭდები; ვინმესთვის სამჯერ დაეკრა თავი და საცეკვაოდ გაეწვია; ბიბლიოთეკიდან დანიშნული წიგნი გამოეტანა და ამა და ამ კაცისთვის გადაეცა და სხვა მისთანანი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ტიპის თამაშობანი ჩვეულებად არ ჰქონდა

„ბერგჰოფის“ საზოგადოებას, პირველმა ვინ წამოიწყო იგი, აღარავის ახსოვდა. ელის მაინც ნამდვილად არ წამოუწყია, მაგრამ ეს თამაში პირველად მის იქ ყოფნაში კი შემოიღეს.
მონაწილეთაგან, ჰანს კასტორპის ჩათვლით, თითქმის ყველა ჩვენი ძველი ნაცნობი იყო, თამაშში ყველანი ან მეტ-ნაკლებ ნიჭს იჩენდნენ, ან სრულ უნიჭობას ამჟღავნებდნენ, ელი ბრანდს კი განსაკუთრებული, თვალში საცემი, მისთვის შეუფერებელი უნარი აღმოაჩნდა. დამალული ნივთის ძებნისას მისი მიხვედრილობა ტაშსა და აღტაცების სიცილს იწვევდა, კომბინირებული მოქმედების შესრულებისას კი გაოცებისაგან ყველას ენა უვარდებოდა. იგი ყველაფერს ასრულებდა, რასაც საიდუმლოდ განუზრახავდნენ და ასრულებდა შემოსვლისთანავე, ნაზი ღიმილით, უყოყმანოდ და წარმმართველი მუსიკის გარეშეც. ერთხელ, მაგალითად, სასადილო დარბაზიდან მოიტანა ერთი მწიკვი მარილი, პროკურორ პარავანტს თავზე დააყარა, შემდეგ ჩაჰკიდა ხელი, მიიყვანა პიანინოსთან და ცალი თითით ჩიტი მოფრინდას“ დასაწყისი დააკვრევინა. შემდეგ პროკურორი თავის ადგილზე დააბრუნა, რევერანსი გაუკეთა, მოიტანა დაბალი სკამი და ბოლოს მის ფეხებთან, იმ სკამზე მოიკალათა, - ზუსტად ისე, როგორც დიდი თავის მტვრევის შედეგად მოიფიქრეს დანარჩენებმა.
ეტყობა, ყურს გვიგდებდაო!
იგი გაწითლდა. დარცხვენა რომ შეატყვეს, გული მოეცათ და ერთხმად დაუწყეს ლანძღვა, ის კი ყველას არწმუნებდა, არა, არა, თუ დამიჯერებთ, არაო! გარედან, კარს უკან არ მიგდია ყური, ნამდვილად არაო!
გარედან, კარს უკან არაო?
დიახ, მაპატიეთ, ოთახში რომ შემოვდივარ, მაშინ ვუგდებ ყურს, რომ არ მივუგდო ყური, არ შემიძლიაო.
არ შემიძლიაო, ოთახშიო?
დიახ, ყურში ჩურჩული მესმისო, თქვა მან. ვიღაც ჩამჩურჩულებს, რა უნდა გავაკეთო, ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ და გარკვევით ჩამჩურჩულებსო.
ეს ნამდვილად აღიარებას უდრიდა, ელი მაინც დამნაშავე გამოდიოდა, იგი, ასე იყო თუ ისე, ცრუობდა. უნდა ეთქვა, ასეთი თამაშისთვის არ გამოვდგები, რაკი ყველაფერს ყურში ჩამჩურჩულებენო. შეჯიბრება ყოველგვარ აზრს კარგავს, როცა ერთ-ერთ კონკურენტს ზებუნებრივიუპირატესობა აღმოაჩნდება. სპორტული წესების თანახმად, ელენს მყისვე მიეცა დისკვალიფიკაცია, მაგრამ მის აღსარებაზე ზოგს ტანში ჟრუანტელმაც კი დაუარა. რამდენიმე ხმამ ერთად დაიძახა, დოქტორ კროკოვსკის მოუხმეთო. მის მოსაყვანად გაიქცნენ და ისიც მოვიდა: ჩასკვნილი, მხნედ მოღიმარი, მიხვედრილი და მთელი თავისი არსებით ნდობის ჩამნერგავი. სულმოუთქმელად მოახსენეს, სრულიად არანორმალური მოვლენა აღმოვაჩინეთო, გამოჩნდა ყოვლისმცოდნე ქალიშვილი, ყურში ხმები რომ ესმისო. ოჰო, მერე, მერეო? მშვიდად, მეგობრებო! ვნახავთ, ვნახავთო. ეს სფერო მისი საყრდენი და სარბიელი იყო - სხვებისთვის იქნებ მოტორტმანეც და ჭაობივით დრეკადიც, მაგრამ თვითონ ზედ მტკიცედ და სიამოვნებით კი დააბიჯებდა. მან ელის გამოჰკითხა და აამბობინა ყველაფერი. ოჰო, ხედავთ, ხედავთო!
- მაშ, ასეა თქვენი საქმე, შვილო? - ჰკითხა შემდეგ და მანაც, სხვების არ იყოს, სიამოვნებით დაადო გოგონას თავზე ხელი. უაღრესად საყურადღებო მოვლენაა, მაგრამ შესაშინებელი არაფერიაო. შემდეგ თავისი თაფლისფერი,ეგზოტიკური თვალებით ღრმად ჩახედა ელი ბრანდს ღია ცისფერ თვალებში და თან ხელი თავიდან მკლავზე ნაზად ჩამოუცურა. ელიმ მის მზერას მორჩილზე მორჩილი მზერა შეაგება, თანდათან ქვემოდან ზემოთ დაუწყო ყურება და თავი ნელ-ნელა ჯერ მკერდზე და მერე მხარზე ჩამოუვარდა. თვალები მიელულა თუ არა, სწავლულმა სახესთან დაუდევრად აუქნია ხელი, მერე განაცხადა, ყველაფერი რიგზეაო და აღელვებული საზოგადოება საღამოს სამკურნალო სამსახურში გაისტუმრა, ელის გამოკლებით, რომელთანაც ცოტა წამუსაიფება“ სურდა.
წამუსაიფება! ყველას წარმოედგინა ეს წამუსაიფება. არავის არ ესიამოვნა მხიარული კამერადისგან“, კროკოვსკისაგან, ამ სიტყვის გაგონება. ყველას ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ჰანს კასტორპსაც გააჟრჟოლა, როცა ამჯერად დაგვიანებით წამოწვა თავის ჩინებულ სკამლოგინზე და მოაგონდა, ჯერ ელის

უცნაურ მოქმედებაზე, მერე კი მის მორცხვ ახსნა-განმარტებაზე თითქოს მიწა რომ შეერყა ფეხქვეშ, ცუდად გახდა, ტანშიც ისე გააზრიალა, თითქოს მსუბუქი ზღვის ავადმყოფობა მოერიაო. მიწისძვრას არასოდეს შესწრებია, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ, იმ დროსაც ასეთივე გამთანგველი შიშის გრძნობა დაგეუფლებაო, თუმცა ელენ ბრანდის ფატალურმა ნიჭმა ცნობისმოყვარეობა კი გაუღვიძა. ამ ცნობისმოყვარეობაში სრული უიმედობის შეგრძნებაც ერია, მიხვდა, გონით იმ სფეროს ვერ მისწვდებოდა, მისი ცნობისმოყვარეობა ხელის ცეცებით რომ დაეძებდა, ხოლო აქედან ეჭვიც გაუჩნდა, ჩემი ცნობისმოყვარეობა იქნებ ფუჭიც არის და ცოდვილიცო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ცნობისმოყვარეობა ცნობისმოყვარეობად დარჩენილიყო. ჰანს კასტორპს, როგორც ყოველ ადამიანს, თავისი სიცოცხლის მანძილზე რაღაც-რაღაცები გაგონილი ჰქონდა ბუნების იდუმალებისა თუ ზებუნებრივი მოვლენების შესახებ, ნათელმხილველი დიდი ბებიაც ნახსენები გვყავს, მის მელანქოლიურ ამბავს ჰანს კასტორპის ყურამდეც რომ მოეღწია, მაგრამ ის სამყარო, რომლის არსებობაც მზად იყო, თეორიულად და გულს გარეთ ეღიარებინა, მას პირადად არასოდეს შეხებია, ამ დარგში პრაქტიკული გამოცდილებაც არასდროს შეუძენია და ამგვარი გამოცდილებისადმი ზიზღი, მის წინააღმდეგ ამხედრებული გემოვნება და ესთეტიკური გრძნობები, ამხედრებული ადამიანური სიამაყე, - თუკი შეიძლება ასეთი პრეტენზიული გამოთქმები გამოვიყენოთ ჩვენი უპრეტენზიო გმირის მიმართ, - მის ამაფორიაქებელ ცნობისმოყვარეობას თითქმის უტოლდებოდა. წინასწარ გრძნობდა, გრძნობდა ნათლად და გარკვევით, გამოცდილების შეძენის ცდა როგორც უნდა წარმართულიყო, მაინც მდარე, გაუგებარი და ადამიანის ღირსების შემლახავი გამოდგებოდა და მაინც სული მისდიოდა, ეს გამოცდილება შეეძინა. მშვენივრად ესმოდა, რომ ალტერნატივა ფუჭი თუ ცოდვილი“, უკვე თავისთავად საკმაოდ დიდი სისაძაგლე იყო. სიმართლე თუ გნებავთ, მას ალტერნატივაც აღარ ეთქმოდა, რადგან მისი შემადგენელი ნაწილები სავსებით ემთხვეოდა ერთმანეთს და ისიც კარგად ესმოდა, რომ სულში დაბუდებული უიმედობა მხოლოდ აკრძალული ხილის ამორალურ გამოხატულებას წარმოადგენდა. და მაინც, placet experiri
, ჩანერგილი იმ კაცისაგან, ვინც უეჭველად გაილაშქრებდა ასეთი ცდების წინააღმდეგ, ზედმიწევნით მტკიცედ ჰქონდა ტვინში ჩაბეჭდილი, რაც მთავარია, მისი ზნეობაც მთლიანად ემთხვეოდა მის ცნობისმოყვარეობას და ამიტომ მუდამ შესაბამისად იქცეოდა კიდეც: სწავლას მოწყურებული მოგზაურის დაუოკებელი ცნობისმოყვარეობისათვის, მას შემდეგ, რაც პიროვნების საიდუმლოს გაუსინჯა გემო, შორეული, არც ახალამოტივტივებული სფერო უნდა ყოფილიყო და ესეც რომ არა, აქ სამხედრო ხასიათიც იჩენდა თავს - თუკი აკრძალულს სადმე გადაეყრებოდა, მის წინაშე უკან არ დაეხია. ასე გადაწყვიტა ჰანს კასტორპმა საგუშაგოზე მდგარიყო და შორიდან არ ეცქირა, თუკი ელენ ბრანდის თავს კიდევ ახალი ამბები დატრიალდებოდა.

დოქტორმა კროკოვსკიმ ამიერიდან სასტიკად აკრძალა ფროილაინ ბრანდის იდუმალ ნიჭზე დილეტანტური ექსპერიმენტების ჩატარება. მან გოგონას მეცნიერული ყადაღა დაადო, სეანსებს უტარებდა თავის ანალიტიკურ დილეგში, ჰიპნოზს უკეთებდა, როგორც ამბობდნენ, ცდილობდა,მისი მთვლემარე ნიჭი განევითარებინა და დისციპლინისთვის დაემორჩილებინა, და თან მის წარსულ სულიერ ცხოვრებას იკვლევდა. ამასვე აკეთებდა, სხვათა შორის, ჰერმინე კლეეფელდიც. მისი დედობილი და პატრონი, მან საიდუმლოდ შესანახად გამოიძია კიდეც რაღაც-რაღაცები და ასევე საიდუმლოდ შესანახად ისე მოსდო მთელ სანატორიუმს, თვით კონსიერჟის ჯიხურიც კი არ დაუტოვებია. მაგალითად, შეიტყო, რომ ამ ვის თუ რას, რომელიც პატარას თამაშის დროს შესასრულებელ ამოცანას ყურში ჩასჩურჩულებდა, ჰოლგერი ერქვა. ეს იყო ყმაწვილი ჰოლგერი, Spirit
,(სული (ინგლ.).)

კარგად ნაცნობი, ეთერში გადასახლებული არსება, პატარა ელენის ერთგვარი მფარველი სული - მაშ, მან გაანდო ერთი მწიკვი მარილისა და პარავანტის საჩვენებელი თითის ამბავი? - დიახ, მის ყურს მიელამუნა აჩრდილის ტუჩები და ცოტა კიდეც შეუღიტინა, გააცინა და ყურში ჩასჩურჩულა, რა უნდა გაეკეთებინა, -

ალბათ, სასიამოვნო იქნებოდა, ჰოლგერი სკოლაში რომ კარნახობდა, როცა ელიმ გაკვეთილი არ იცოდა ხოლმე, - ამაზე ელენი ჯერ გაჩუმდა, მერე კი თქვა, ამის უფლება ჰოლგერს არ ჰქონდაო. ასეთ სერიოზულ საქმეში ჩარევა ეკრძალებოდა და ესეც არ იყოს, სასკოლო პროგრამა, ალბათ, თვითონაც არ ეცოდინებოდაო.
შემდეგ გამოირკვა, რომ ელენს ბავშვობიდანვე, მართალია, დროისმოზრდილი ინტერვალებით, მაგრამ ხილვები ჰქონია - ხილულიც და უხილავიც. უხილავი ხილვები რას ჰქვია? - მაგალითად, აი, ამას! ერთხელ, თექვსმეტი წლის რომ იყო, თავის მშობლიურ სახლში, დღისით, მზისით, მარტო იჯდა სასტუმრო ოთახში და ხელსაქმობდა, მის გვერდით ხალიჩაზე კი მამამისის დოგი, ძუ ფრაია იწვა. მაგიდაზე ჭრელი სუფრა ეფარა, აი, ისეთი თურქული შალი, მოხუცი ქალები სამკუთხად გაკეცილს რომ ატარებენ ხოლმე. შალი ირიბად ეფინა მაგიდაზე და ბოლოები მაგიდის ძგიდეებზე მოკლედ გადმოჰკიდებოდა. და აი, უეცრად ელენმა დაინახა, მისი მოპირდაპირე ბოლო ნელ-ნელა როგორ დაეხვია: შალი უხმოდ, გულმოდგინედ და კოხტად ეხვეოდა, ლამის მაგიდის შუაგულამდე მოაღწია და საკმაოდ გრძელი გრაგნილი გამოვიდა; სანამ შალი იგრაგნებოდა, ფრაია აიქოჩრა, ადგილს მოსწყდა, წინა თათები იატაკს დაასო, ერთი ჩაცუცქდა, მერე ღმუილით გავარდა მეზობელ ოთახში, დივნის ქვეშ შეძვრა და ნახევარი წელიწადი თურმე ისე გავიდა, სასტუმრო ოთახში ფეხი ვეღარ შემოადგმევინეს.
შალი ჰოლგერმა დაგრაგნაო? - შეეკითხა ფროილაინ კლეეფელდი, - პატარა ბრანდმა ეს არ იცოდა, - მაინც როგორ ახსენი ეს მოვლენაო, - რახან ამის ახსნა სრულიად შეუძლებელი იყო, ელის თავიც აღარ შეუწუხებია, - მშობლებს თუ უთხარიო, - არაო, - უცნაურია, თუმცა ამ ამბავს ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა. ელის მაინც გასჩენია გრძნობა, რომ ახლაც და სხვა მსგავს შემთხვევაშიც ჯობდა, ეს ამბავი მკაცრი, სამარცხვინო საიდუმლოსავით გულში შეენახა. გიმძიმდა მერე ამ საიდუმლოს შენახვაო? - არა, ძალიან არ გამჭირვებია, ანდა რა დიდი ამბავი იყო სუფრის თავისით დახვევა, მაგრამ აი, სხვა საიდუმლო კი მძიმე სატარებელი გამოდგაო. აი, მაგალითად, ესო:
ერთი წლის წინ, ისევ თავის მშობლების სახლში, ოდენსეში, ერთხელ, დილაადრიან, მკვირცხლად გამოსულა თავისი ოთახიდან. მისი ოთახი პირველ სართულზე ყოფილა და ზევით, სასადილო ოთახში აპირებდა ასვლას, რომ მშობლების ადგომამდე, ჩვეულებისამებრ, ყავა მოეხარშა. ის იყო, თითქმის მიუღწევია კიბის მოსახვევამდე, რომ კიბის მოედანზე, მის კიდეზე, ზედ კიბის საფეხურებთან, ამერიკაში გათხოვილი უფროსი და ზოფი დაუნახავს - ხორცშესხმული და ნამდვილი. ზოფის თეთრი კაბა სცმია, თავზე რატომღაც დუმფარების გვირგვინი სდებია და ხელები მხრებზე ჰქონია შემოჭდობილი. მას დისთვის თავი დაუქნევია. „ზოფი, შენ აქა ხარ?“ - თან სიხარულით და თან შიშით უკითხავს ადგილზე გაშეშებულ ელენს. ზოფის კიდევ ერთხელ დაუქნევია თავი და ნელ-ნელა გაცრეცილა. მერე გამჭვირვალე გამხდარა, სულ მალე ცხელი ჰაერის ნაკადივით ალივლივებულა სივრცეში, მერე კი სულ გაუჩინარებულა და ელენს გზა გახსნია. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაუგიათ, რომ იმ დილით, ზუსტად იმ დროს, მისი და, ზოფი, ნიუ-ჯერსიში გულის შეტევით გარდაცვლილა.
ჰო, თქვა ჰანს კასტორპმა, როცა კლეეფელდმა ეს ამბავი უამბო, ასეთი რამ კიდევ გასაგებია და საინტერესო. დის გამოცხადება აქ, მისი სიკვდილი იქ, - ამ ფაქტში შეიძლება საყურადღებო ურთიერთკავშირის დანახვაო, დასძინა მან, და დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო სპირიტისტულ სეანსში, ანუ ჭიქის ტრიალში, რომელიც მოთმინებადაკარგულ საზოგადოებას უნდოდა, დოქტორ კროკოვსკის ეჭვიანი აკრძალვის მიუხედავად, ელენ ბრანდთან ერთად ჩაეტარებინა.
შინაურულ სეანსზე, კლეეფელდის ოთახში, მხოლოდ რამდენიმე პიროვნება მიიწვიეს: მასპინძლის, ჰანს კასტორპისა და პატარა ბრანდის გარდა, აქ იყვნენ მხოლოდ ქალბატონები შტორი და ლევი, ბატონი ალბინი, ჩეხი ვენცელი და დოქტორი ტინ-ფუ; საღამოს, როგორც კი ჩამოჰკრა ათმა საათმა, ყველამ ჩუმად მოიყარა თავი და ჩურჩულით დაათვალიერეს ნივთები, ჰერმინეს რომ მოემზადებინა: ოთახის შუაგულში იდგა შიშველი,საშუალო ზომის მრგვალი მაგიდა, ზედ იდო გადაბრუნებული ფეხიანი ღვინის ჭიქა, ხოლო ირგვლივ, მაგიდის კიდესთან, ერთმანეთისგან სათანადო მანძილზე ელაგა ძვლის კოჭები და სათამაშო მარკები, რომლებზეც მელნითა და საწერ-კალმით ანბანის

ოცდახუთივე ასო ეხატა. კლეეფელდმა ჯერ ჩაი მოართვა სტუმრებს, რასაც მადლობით შეეგებნენ ყველანი, რადგან ქალბატონები შტორი და ლევი ჩიოდნენ, ამ ვითომ ბავშვური, უწყინარი თამაშის მოლოდინში მაინც ხელ-ფეხი გვეყინება და გულიც გვიფართხალებსო. შეთბნენ თუ არა, მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. მასპინძელს განწყობილების შექმნის მიზნით პლაფონი გამოერთო, მხოლოდ შებურვილი საღამური ნათურა დაეტოვებინა და ამიტომ ოთახში მკრთალი ვარდისფერი შუქი იდგა. ყველამ მარჯვენა ხელის ერთი თითი მსუბუქად მიადო ჭიქის ფეხს. ასეთი იყო წესი. შემდეგ გარინდებულნი უცდიდნენ, ჭიქა როდის ამოძრავდებოდა.

ეს სულ ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მაგიდას პრიალა ზედაპირი ჰქონდა, ჭიქას პირი კარგად გახეხილი და ათრთოლებული თითებიც ფეხზე ისე მსუბუქად ეხებოდნენ, რომ დაწოლა, ცხადია, არათანაბარი გამოდიოდა: ერთ მხარეს უფრო ვერტიკალურად იყო მიმართული დაწოლის ძალა, მეორე მხარეს უფრო გვერდულად და ეს ცოტა ხანში, ალბათ, საკმარისი აღმოჩნდებოდა, ჭიქა მაგიდის შუაგულიდან დაძრულიყო. სამოძრაოსივრცის პერიფერიებში იგი ასოებს წამოედებოდა და თუკი ამ ასოების ერთობლიობა აზრიან სიტყვებს შეადგენდა, ეს იქნებოდა ლამის შინაგან უსინდისობამდე მისული ჩახლართული მოვლენა, მთლიანად ან სანახევროდ შეუცნობელი ელემენტების, ზოგიერთის სურვილისამებრ ჭიქაზე ხელის წაშველების, - სულერთია, ისინი ამას აღიარებდნენ თუ არა, - და საერთოდ, სულის ბნელი ფენების ფარული შეთანხმების ნაზავი, გამიზნული ვითომ უცნობი შედეგის მისაღწევად საიდუმლო თანამშრომლობისათვის, რაშიც მეტ-ნაკლებად ჩაებმებოდა თითოეული სულის ბნელეთი და ყველაზე მეტად, ცხადია, მშვენიერი პატარა ელი ბრანდისა. ეს, სიმართლე თუ გნებავთ, ყველამ წინასწარ იცოდა და ჰანს კასტორპმა, ჩვეულებისამებრ წამოროშა კიდეც, რასაც ფიქრობდა, სანამ თითებაკანკალებულნი ისხდნენ და ჭიქის ამოძრავებას ელოდნენ. ქალების გაყინული ხელ-ფეხი და აფართქალებული გულები, მამაკაცების ნაძალადევი მხიარულებაც სწორედ იქიდან მომდინარეობდა, ეს რომ იცოდნენ, ანუ, ამ წყნარ ღამეს საკუთარი ბუნების კარნახით რომ შეკრებილიყვნენ უწმინდური თამაშისათვის, თავიანთი მეს“ უცნობი სფეროების შიშნარევი ცნობისმოყვარეობით დასაჭაშნიკებლად და იმ მოჩვენებით თუ ნახევრად მატერიალურ მოვლენებს დადარაჯებოდნენ, მაგიური რომ ერქვა სახელად. თან ვითომ ეს ყველაფერი მხოლოდ ფორმალურად, ანდა პირობითობის დასაცავად ხდებოდა და ამიტომ ვარაუდობდნენ, ჭიქის მეშვეობით გარდაცვლილთა სულებს გავესაუბრებითო. ბატონმა ალბინმა ყველას სახელით იკისრა გამოცხადებული სულის ინტელექტთან ურთიერთობის დამყარება, რადგან აქამდეც ჰქონია თურმე შემთხვევა, მონაწილეობა მიეღო სპირიტისტულ სეანსებში.

გავიდა ოცი წუთი თუ ცოტა მეტი. საჩურჩულო მასალა გამოილია, პირველმა დაძაბულობამაც გაიარა. ზოგიერთმა მარჯვენა იდაყვს მარცხენა ხელი შეაშველა. ჩეხ ვენცელს თვლემა მორეოდა. ელენ ბრანდს თითი მსუბუქად მიედო ჭიქაზე და ფართოდ გახელილი, ბავშვივით ნათელი თვალების მზერა ახლომდებარე საგნებს ზემოთ, საღამური ნათურის შუქისკენ მიემართა.

უეცრად ჭიქა შეტორტმანდა, მაგიდაზე დააკაკუნა და გარშემო მსხდომთ ხელიდან გაექცა. ისინი გაჭირვებით ადევნებდნენ თითებს. ჭიქა მაგიდის ძგიდემდე მისრიალდა, მოკლე მანძილზე ნაპირ-ნაპირ ირბინა და შემდეგ სწორხაზოვნად დაახლოებით შუაგულს დაუბრუნდა. აქ ერთხელ კიდევ დააკაკუნა და გაირინდა.

ყველა შიშნარევმა სიხარულმა მოიცვა. ფრაუ შტორმა წაიფშლუკუნა, ჯობია, თამაშს თავი დავანებოო, მაგრამ შეუწყრნენ, ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ, ახლა კი კეთილინებეთ და წყნარად იჯექითო. საქმე, ეტყობა, კარგად მიდიოდა. დათქვეს, რომ, ჰოსა და არას სათქმელად, ჭიქას ასოები კი არ შემოევლო, არამედ ერთხელ ან ორჯერ დაეკაკუნებინა.

- არის აქ ვინმეს ინტელექტი? - მკაცრი სახით იკითხა ბატონმა ალბინმა და ყველას თავზემოთ, სივრცეში გაიხედა... პასუხი დაყოვნდა. მერე ჭიქა შეტორტმანდა და თანხმობის ნიშნად დააკაკუნა.

- რა გქვია? - თითქმის მკვახედ იკითხა ბატონმა ალბინმა და მიმართვისთვის მეტი ენერგიულობის მისანიჭებლად თავიც დააქნია.

ჭიქა დაიძრა. მან ზიგზაგებით მტკიცედ ჩამოუარა რამდენიმე მარკას, შიგადაშიგ კი მაგიდის შუაგულისკენ იხევდა ხოლმე; მიირბინა ჰ-სთან, ო-სთან, ლ-სთან, შემდეგ თითქოს დაიღალა თუ დაიბნა და აღარ იცოდა, გზა როგორ გაეგრძელებინა, მაგრამ ისევ მოეგო გონს და კიდევ გ, ე, რ, და ი იპოვა. ასეც ფიქრობდნენ! ეს გახლდათ პირადად ჰოლგერი, ჰოლგერის სული, რომელმაც გამოიცნო ერთი მწიკვი მარილისა და მისთანების ამბავი, მაგრამ სკოლის საქმეებში რომ არ ერეოდა ხოლმე. იგი აქ იყო, ჰაერში ლივლივებდა, მათ წრეს დასტრიალებდა თავს. ახლა რაღას უპირებდნენ?თითქოს ყველანი გამოთაყვანდნენ, მერე ერთმანეთში ჩუმად, პირზე ხელაფარებულებმა ითათბირეს, რა აჯობებდა მისგან შეეტყოთ. ბატონმა ალბინმა გადაწყვიტა, ეკითხა, სიცოცხლეში ვინ იყო და რა საქმეს მისდევდა ჰოლგერი. მან ესეც დაკითხვის კილოთი წარმოთქვა, მკაცრად და წარბმოღუშულმა.

ჭიქა ერთხანს დუმდა. შემდეგ ტორტმანითა და ბორძიკით გაექანა მ-სკენ, გადმოუხვია და გ გამოსახა. ნეტავ რა გამოვიდოდა? დაძაბულობა უსაშველოდ გაიზარდა. დოქტორმა ტინფუმ ჩაიქირქილა, ჰოლგერი, მგონი, მგელკაცა ყოფილაო. ფრაუ შტორს ისტერიკული სიცილი აუვარდა, მაგრამ ჭიქას ამით მუშაობაში ხელი არ შეშლია, მართალია, კოჭლობით და წკარუნ-წკარუნით, მაგრამ მაინც მისრიალდა ო-მდე და ს-მდე, ნ-ს შეეხო და შემდეგ, ალბათ, შეცდომით თუ გამორჩა ერთი ასო, რადგან სიტყვა ი-თ დაასრულა. გამოისახა მგოსნი“.

ეშმაკმა დალახვროს, მაშ, ჰოლგერი მგოსანი ყოფილა? ჭიქა დამატებით, ეტყობა, თავის მოსაწონებლად, კიდევ ერთხელ შეტორტმანდა და თანხმობის ნიშნად დააკაკუნა.

- ლირიული პოეტი? - იკითხა კლეეფელდმა და ჰანს კასტორპს ყურში უსიამოდ მოხვდა, კლეეფელდს კ რომ გამორჩა... ეტყობა, ჰოლგერს არ ეჭაშნიკა ასეთი ზუსტი კლასიფიკაცია და პასუხი აღარ გაუცია. სამაგიეროდ, ერთხელ კიდევ გამოსახა იგივე სიტყვა, სწრაფად, მტკიცედ და მკაფიოდ, და გამორჩენილი ა-ც ჩაუმატა.

კარგი, კარგი, მაშასადამე, პოეტი ყოფილა. უხერხულობამ იმატა - ეს იყო უცნაური უხერხულობა, გამოწვეული შინაგანი სამყაროდან მომდინარე, კონტროლს დაუმორჩილებელი იმპულსებით, მაგრამ ამ იმპულსების თვალთმაქცური, ნახევრად მატერიალური თვისებების წყალობით იგი მაინც გარე სინამდვილისაკენ იყო მიმართული. შემდეგ მოინდომეს, გაეგოთ,ჰოლგერი ბედნიერი და კმაყოფილი თუ არისო, ჭიქამ მეოცნებესავით გამოსახა სიტყვა „მოსვენებული“. მაშ, „მოსვენებული“ ყოფილა. რა გაეწყობოდა, თავისით ეს სიტყვა არ მოაგონდებოდათ, მაგრამ რაკი ჭიქამ ასე გამოსახა, შესაძლებლად და კარგ ნათქვამად ჩაუთვალეს, - მაინც რამდენი ხანია ჰოლგერი მოსვენებულია? - პასუხად კვლავ ისეთი რამ დაიწერა, არავის რომ არ მოუვიდოდა აზრად, და ესეც მეოცნებე სულის გამონაჟურს ჰგავდა. პასუხად მიიღეს: „აჩქარებული დაყოვნება“ -ა ძალიან კარგი! შეიძლებოდა დაყოვნებული აჩქარებაც“ გამოსულიყო, ეს გარეგნულად მუცლითმეზღაპრის პოეტურ აფორიზმს ჰგავდა და პირადად ჰანს კასტორპს ძალიან მოეწონა. მაშ, ჰოლგერის დროის სტიქია აჩქარებული დაყოვნება ყოფილა. შეკითხვის დამსმელებისთვის მას, ბუნებრივია, აფორისტულად უნდა გაეცა პასუხი, დედამიწისეულ სიტყვებსა და საზომ ერთეულებს იგი ხომ გადაჩვეული იქნებოდა. კიდევ რის შეტყობას ისურვებდნენ მისგან? ლევი გამოტყდა, ცნობისმოყვარეობა მკლავს, ჰოლგერი როგორია, ანუ ოდესღაც როგორი იქნებოდა, ნეტავ ლამაზი ჭაბუკი თუ იყოო? თქვენ თვითონ ჰკითხეთო, უბრძანა ბატონმა ალბინმა, რადგან თვითონ ასეთი ცნობისწადილის გამომჟღავნება ეთაკილებოდა. ლევიმ შენობით ჰკითხა სულს, ჰოლგერს ქერა კულულები ხომ არა აქვსო.

- მშვენიერი წაბლისფერი, წაბლისფერი კულულები, - ამცნო ჭიქამ და სიტყვა „წაბლისფერი“ ასო-ასო ორჯერ გამოსახა. წრეში ჟრიამული ატყდა. მანდილოსნები გულახდილად გაიძახოდნენ, შეყვარებული ვართო და პლაფონისკენ ჰაეროვან კოცნას გზავნიდნენ. დოქტორმა ტინ-ფუმ ჩაიქირქილა, მისტერ ჰოლგერი საკმაოდ თავმომწონე ჩანსო.

ამაზე ჭიქა გაბრაზდა და გადაირია! გიჟივით, უაზროდ დარბოდა მაგიდაზე, გაავებული ტორტმანებდა, მერე გადაბრუნდა და შტორს კალთაში ჩაუგორდა,

შიშისაგან ფერწასული შტორი ხელებს ასავსავებდა და ჭიქას ისე დასცქეროდა. ჭიქა ციმციმ ასწიეს და დიდი ბოდიშებით დააბრუნეს თავის ადგილზე. ჩინელი გაკიცხეს. ეს რამ გააბედვინა! ხომ ხედავს, სანამდე მიგვიყვანა ასეთმა კადნიერებამ! მაშ, რაღა ვქნათ, ჰოლგერი რომ გაბრაზდეს, წავიდეს და სიტყვა აღარ გვითხრას? ჭიქას დაუყვავეს. იქნებ რამე შეგვითხზაო! შენ ხომ პოეტი ყოფილხარ, სანამ აჩქარებულ დაყოვნებაში გაეხვეოდი და იფარფატებდიო. ო, როგორ ენატრება ყველას მისი ლექსები! სულითა და გულით ისიამოვნებდნენ!
და შეხეთ, კეთილმა ჭიქამ „ჰო“ დააკაკუნა. ეს ისე გააკეთა, მართლა იგრძნობოდა შემრიგებლური სიკეთე. შემდეგ კი ჰოლგერის სულმა დაიწყო თხზვა, თხზავდა გულმოდგინედ, დაწვრილებით და დაუფიქრებლად, ვინ იცის, რამდენ ხანს, გეგონებოდათ, ვეღარასოდეს გააჩუმებო! საოცარი იყო ეს ლექსები, იგი რომ მუცლითმეზღაპრესავით თხზავდა, ირგვლივ მსხდომნი კი მის სიტყვებს აღტაცებით იმეორებდნენ. ეს იყო მაგიური წარმონაქმნი, ზღვასავით უკიდეგანო, და, სხვათა შორის, ლექსებშიც უპირატესად ზღვა იხსენიებოდა, - ზღვაზე გრძლად გაწოლილი ნისლი ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა ციცაბოდიუნებიანი კუნძულის ფართო ყურეს. ო, შეხეთ, მწვანე სივრცე მარადისობაში რომ მილივლივებს, იქ, სადაც ნისლის ფართო ზოლებში, მღვრიე მეწამულ და რძისფერ შუქში ზაფხულის მზე ჩასვლას აყოვნებს! ენა ვერ იტყვის, ვერცხლისფერი ლივლივი წყლისა, როდის და როგორ გადავიდა მოციმციმე სადაფისფერში, ენით უთქმელი ფერთა თამაში მქრქალის,ჭრელისა და ოპალისფრის, მთვარის ქვის ციალს დაემსგავსა და ყოველივე მყის გადაფარა... ო, რა უჩუმრად დაიბადა და ჩაკვდა კიდეც ეს ჯადოსნური იდუმალება. ზღვას ჩაეძინა. მაგრამ მზის გამოსათხოვარი ნაზი სხივები აქა-იქ დარჩა გაბნეული და შუაღამემდე აქ სიბნელე ვერ გამეფდება. დიუნებზე შეფენილ ფიჭვნარში აჩრდილივით გაცრეცილი შუქი ჩაბრძანებულა და მოთეთრო ქვიშნარი თოვლივით აუკიაფებია. გვეჩვენება თუ ზამთრის ტყეა, რომ გარინდებულა და ტოტებს ატკაცუნებს მძიმე ფრთების ფათქუნით ბუს გადაფრენა! იყავ ჩვენი ნავსაყუდელი! რა რბილად დავაბიჯებთ, რა დიადი და ალერსიანია ღამე! ქვევით კი მშვიდად ფშვინავს ზღვა და სიზმარში გაბმით ბუტბუტებს. გინდა კვლავ იხილო ეს მშვენიერება? მაშინ ამოდი გლეტჩერებით დაღარულ დიუნებზე, ბოლოს სულ მაღლა ქვიშნარს შემოუდექი და ფეხსაცმელებში ქვიშა გრილად შემოგეპარება. ქვიანი სანაპიროსკენ ციცაბოდ ეშვება ბუჩქნარიანი ფერდობი, ხოლო შორეული სივრცის კიდეებს დღის ნათელი კიდევ შემორჩენიათ... ჩამოჯექ ქვიშაზე! სიკვდილივით ცივი, ფაშარი და აბრეშუმივით რბილია იგი! პეშვში მოქცეული არ გიჩერდება, თითებშუა უფერო, თხელ ნაკადად მიედინება და მიწაზე პატარა, ნაზ ბორცვს ქმნის. გეცნობა ეს სათუთი ჭავლი? ეს ქვიშის საათის ვიწრო ყელში უხმოდ ჩამდინარე წვრილი ნაკადია, იმ მკაცრი, მყიფე ხელსაწყოსი, მწირის სენაკს რომ ამშვენებს. გადაშლილია წიგნი, დევს თავის ქალა და სადგამზე, მსუბუქ ჩარჩოში ორმუცლიანი კოლბა დგას, შიგ ცოტა ქვიშა ყრია, მარადისობისგან აღებული ქვიშა, და მიედინება იგი, როგორც დრო მიერეკება იდუმალებითა და სიწმინდით დაშინებულ არსებას მისას...
ასე გადაინაცვლა აზრების ნაკადში თავისუფლად მონავარდე ჰოლგერის სულმა თავის „ლირიკულ“ იმპროვიზაციებში მშობლიური ზღვიდან მწირსა და მის საჭვრეტ ხელსაწყოებზე, სხვა ადამიანურ და ღვთაებრივ ამბებსაც ბევრს გადასწვდა მეოცნებე, თამამი სიტყვებით. ყოველ სიტყვას უსაზღვრო აღტაცებაში მოჰყავდა პატარა წრე, სული გამოსახავდა სიტყვებს დაისინი აღტაცების შეძახილების ჩასართავად დროს ვეღარ პოულობდნენ, ისე სწრაფად, ზიგზაგებით დაქროდა იგი და გაჩერებას არ აპირებდა. ლექსების თხზვაში ისე გავიდა ერთი საათი, ბოლო არსაიდან ჩანდა, ამოუწურავად მოედინებოდა ლექსი დედის სიმძიმილზე, შეყვარებულთა პირველ კოცნასა და მოწამეობრივ გვირგვინზე, ღმერთის მამობრივ სიმკაცრესა და გულკეთილობაზე. პოეტი ჩაუღრმავდა სულიერის საქმიანობას, ჩაიკარგა საუკუნეთა სიღრმეებსა და ქვეყნებში, ვარსკვლავებში, ერთხელ ქალდეველები და ზოდიაქოც კი ახსენა და ნამდვილად გათენებამდე არ მოიღლებოდა, მის გამომძახებლებს, ბოლოს და ბოლოს, ჭიქისთვის თითები რომ არ მოეცილებინათ და დიდი მადლობა არ მოეხსენებინათ ჰოლგერისათვის, ამჯერად კმარაო, წარმოუდგენლად დიდებული იყო, რაც მოვისმინეთ და რა დასანანია, ლექსები არავის რომ არ ჩაუწერია, ისინი

დავიწყებას მიეცემა. დიახ, სამწუხაროდ, მეტი ნაწილი უკვე მიეცა დავიწყებას, რადგან ისინი სიზმარივით მყიფეა და მალე განქარდებიანო. სხვა დროს წინასწარ მოიმარაგებენ ქაღალდსა და კალამს და ნახავენ, შავით თეთრზე დაწერილი და ერთმანეთის მიყოლებით წაკითხული ლექსები როგორ შთაბეჭდილებას მოახდენსო; ამჯერად კი, სანამ ჰოლგერი თავის აჩქარებულ-დაყოვნებულ ჟამს მოსასვენებლად მიაშურებდეს, უკეთესი იქნება და უეჭველად უღრმეს თავაზიანობად ჩაეთვლება, თუ აქ მყოფთ სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხზე უპასუხებსო. ჯერ არ ვიცით, რა კითხვას დაგისვამთ, მაგრამ ინებებთ თუ არა ახლავე დაგვიდასტუროთ, საამისოდ მზად თუ ხართო?

- დიახ, - გაისმა პასუხი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დაბნეულებმა ერთბაშად ვერ მოისაზრეს, რა ეკითხათ. როგორც ზღაპარშია ხოლმე, ფერია ან ჯადოქარი კაცუნა შეკითხვის უფლებას რომ იძლევა და ადამიანს ეშინია, ხელიდან არ გაუშვას სანუკვარი შესაძლებლობა. აწმყოსა და მომავალში ბევრი რამ იყო საინტერესო და არჩევანის გაკეთებას დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდნენ. რაკი დაწყებას ვერავინ ბედავდა, ჰანს კასტორპმა ერთი თითი ჭიქას მიადო, ლოყა მარცხენა ხელს ჩამოაყრდნო და მოინდომა გაეგო, თავიდან მონიშნული იმ სამი კვირის ნაცვლად სულ რამდენ ხანს მომიწევს აქ ყოფნაო.

კეთილი და პატიოსანი, რაკი სხვა ვეღარაფერი მოიფიქრეს, სული თავისი ცოდნის სალაროდან ამ ალალბედზე დასმულ შეკითხვაზე ამცნობდათ პასუხს. ხანმოკლე დაყოვნების შემდეგ ჭიქა დაიძრა. მან რაღაც უცნაური რამ გამოსახა და, როგორც ეჩვენათ, ისეთი შეუსაბამოც, რომ ზედ ვერაფერს დააშენებდით. გამოსახა ორი მარცვალი: „იარ“, შემდეგ სიტყვა „სიგანეზე“, რომელსაც ჯერ ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ შემდეგ რაღაც დაიწერა ჰანს კასტორპის ოთახზე. ასე რომ, მთელი ეს პატარა განკარგულება ღაღადებდა, შენს ოთახში სიგანეზე იარეო. თავისი ოთახის სიგანეზე? ნომერი 34-ის სიგანეზე? რას უნდა ნიშნავდეს ეს? სანამ ბჭობდნენ და თავებს აკანტურებდნენ, კარზე მუშტის მძიმე დარტყმის ხმა გაისმა.

ყველა გაქვავდა. ნუთუ თავს დაესხნენ? ნუთუ კარს უკან დოქტორი კროკოვსკი იდგა და აკრძალულ სეანსს ჩაშლას უპირებდა? ნირწამხდარნი ისხდნენ და მოტყუებულის შემოსვლას ელოდნენ. ამ დროს მაგიდის შუაგულში ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ზედ მთელი ძალით მოქნეული მუშტიდაეშვაო და ცხადი გახდა, რომ გარედან არც პირველი დარტყმა მოდიოდა, და, ცხადია, არც მეორე.

ეს ბატონი ალბინის იაფფასიანი ხუმრობა იქნებოდა! მან პატიოსნება დაიფიცა, მე არ მიქნიაო და კაცმა რომ თქვას, ყველას უამისოდაც თითქმის სჯეროდა, მათი წრიდან ხელი რომ არავის გაუნძრევია. მაშ, ეს ჰოლგერმა ქნა? მათ ელის გადახედეს, რომლის დუმილი უეცრად ყველას ერთბაშად მოხვდა თვალში. მკლავებჩამოყრილი ელი თავის სკამზე მისვენებულიყო, სახსრებმოდუნებული ხელები თითის წვერებით ჩამოეყრდნო მაგიდის ძგიდეზე, თავი მხარზე ჩამოვარდნოდა, წარბები აეზიდა, მოკუმული ტუჩების ოდნავ ჩამოწეულ კუთხეებზე ძლივს შესამჩნევი, თან იდუმალი და თან უმანკო ღიმილი უკრთოდა და ცისფერი, ბავშვური თვალების უჩინო მზერა სიცარიელისკენ ალმაცერად მიემართა. დაუძახეს, მაგრამ გრძნობის ნიშანწყალი არ დასტყობია. და სწორედ ამ დროს საღამური ნათურაც ჩაქრა.

ჩაქრაო? ფრაუ შტორის გულმა მეტს ვეღარ გაუძლო და ავიშვიშდა, რადგან მან ჩხაკუნის ხმა გაიგონა. შუქი თავისით არ გამორთულა, იგი გამორთეს, იგი გამორთო ხელმა და შელამაზებული ნათქვამი გამოგვივიდოდა, მას მხოლოდ უცხო ხელს თუ ვუწოდებდით. ნუთუ ეს ჰოლგერის ხელი იყო? აქამდე იგი ნაზად, წესიერად და პოეტურად იქცეოდა და ახლა ისე აიწყვიტა, რომ ონავრობასა და ოინბაზობას მოჰყვა? ვინ იყო თავდები, რომ ის ხელი, რომელმაც კარსა და მაგიდას მუშტი დასცხო და ონავრულად ჩააქრო სინათლე, ვინმეს ყელში არ სწვდებოდა? სიბნელეში ზოგი ასანთს მოითხოვდა და ზოგი ჯიბის ფარანს. ლევიმ იწივლა, შუბლზე თმა ჩამომწიწკნესო. შიშმა ფრაუ შტორს სიმორცხვე გადაავიწყა და ღმერთს ხმამაღლა ევედრებოდა, უფალო, ამჯერადაც შეგვიწყალეო, იგი გაჰკიოდა და ქვითინებდა, დასჯის ნაცვლად მოწყალება მოიღე, თუმცა ჯოჯოხეთის ცდუნება გავბედეთო. ერთადერთმა დოქტორმა ტინ-ფუმ მოისაზრა, პლაფონი აენთო და ოთახი მყისვე გაკაშკაშდა. როცა დაადგინეს, რომ საღამური

ნათურა ნამდვილადშემთხვევით არ ჩამქრალა, იგი გამოთიშეს და ახლა საკმარისი იყო, მალული მოძრაობა ადამიანის ხელით გაგვემეორებინა და ისიც აინთებოდა. პირადად ჰანს კასტორპმა სიურპრიზი იხილა, რაც აქ მოთარეშე პრიმიტიული ბნელი ძალების განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულებად უნდა მიეღო; მუხლებზე ედო მსუბუქი საგანი, ის სუვენირი“, მისი კამოდიდან ოდესღაც ბიძამისმა რომ აიღო და შეეშინდა; დიახ, ეს გახლდათ შუშის დიაპოზიტივი, კლავდია შოშას შინაგანი პორტრეტი, რომელიც ამ ოთახში მას, ჰანს კასტორპს, ნამდვილად არ მოუტანია.
დიაპოზიტივი ისე ჩაიდო ჯიბეში, სხვების ყურადღება არ მიუქცევია. ყველანი ელენ ბრანდს დასტრიალებდნენ თავს, რომელიც კვლავ თავის ადგილზე, ერთხელ უკვე აღწერილ პოზაში იჯდა, თვალი გაშტერებოდა და უცნაურად კეკლუცი სახე მიეღო. ბატონმა ალბინმა სული შეუბერა, მერე დოქტორ კროკოვსკის მიჰბაძა და სახესთან ხელი აუქნია. ელი ამ მოძრაობაზე გამოფხიზლდა და რატომღაც წამოიტირა: გოგონას თავზე ხელი გადაუსვეს, დააწყნარეს, შუბლზე აკოცეს და დასაძინებლად გაუშვეს. ლევიმ თავი გამოიდო, ღამეს ფრაუ შტორთან გავატარებო, რადგან ეს ბრიყვი დედაკაცი აცხადებდა, ვერ წარმომიდგენია, ლოგინში როგორ უნდა ჩავწვეო. ჰანს კასტორპს გამოხმობილი სულისგან მოძღვნილი ნობათი გულჯიბეში ედო, მას უარი არ უთქვამს, ეს უჩვეულო ღამე სხვა მამაკაცებთან ერთად ალბინის ოთახში კონიაკის სმაში გაეთენებინა, რადგან ფიქრობდა, ამდაგვარი ამბები, მართალია, არც გულზე მოქმედებს და არც ჭკუა-გონებაზე, მაგრამ კუჭის ნერვებზე კი ახდენს ზეგავლენას, უფრო სწორად, მერე უფრო მოქმედებს, როგორც ზღვის ავადმყოფობამ იცის, ადამიანი ხმელეთზეც კიდევ რამდენიმე საათს რომ გრძნობს გულისრევასა და თავბრუსხვევასო.
ჰანს კასტორპს ჯერჯერობით ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული ჰქონდა. ჰოლგერის ლექსი იმ წუთში თითქოს არ იყო ურიგო, მაგრამ მთელი ლექსის წინასწარვე ნავარაუდევმა აშკარა შინაგანმა უსასოობამ და ბანალურობამ ისეთი უსიამო გრძნობა მოჰგვარა, რომ გადაწყვიტა, ჯოჯოხეთის ცეცხლის რამდენჯერმე შემოგზნება ხომ ვიწვნიე და ისიც კმარაო. ბატონმა სეტემბრინიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, სულითა და გულით მოუწონა განზრახული, როცა ჰანს კასტორპმა თავისი თავგადასავალი უამბო.
- ესღა გვაკლდა! ვაი, სირცხვილო! - წამოიძახა მან და ბევრი არ უფიქრია, ისე განაცხადა, პატარა ელი პირწავარდნილი მატყუარააო.
მის მოწაფეს არც ჰო უთქვამს და არც არა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თქვა, რა არის სინამდვილე, მგონი, ზუსტად და ნათლად ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და აქედან გამომდინარე, ტყუილი საიდანღა გვეცოდინება, რა არისო. ისინი ერთმანეთისგან მკაცრად არც იქნებიან გამიჯნულნი, ალბათ, ერთმანეთში გადადიანო. ბუნებას მათი შემფასებელი სიტყვები არ გააჩნია, მაგრამ აქვს რეალურობის ხარისხები, რომლებიც ისეთ შეფასებას არც დაემოჩილებიან, მათ მკაცრად შემოხაზულ ზნეობრივ ჩარჩოებში რომ მოაქცევდაო. მაინტერესებს, როგორ ესმის ბატონ სეტემბრინის სიტყვა ილუზია“. ამ ცნებაში ისეა ათქვეფილი სიზმრისა და სინამდვილის ელემენტები, რომ იგი ბუნებას უფრო ნაკლებად ეუცხოება, ვიდრე ჩვენს ყოველდღიურ უხეშ აზროვნებასო. სიცოცხლის საიდუმლოება უძიროა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და, რა გასაკვირია, ზოგჯერ მისგან ილუზორულამბებს მოველოდეთ, რომელიც... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, როგორც ჩვენი გმირის ხათრიან, დამყოლ და მერყევ ბუნებას შეეფერებოდა.
ბატონმა სეტემბრინიმ ტყავი გააძრო ჰანს კასტორპს, წუთით მაინც მოახედა სინდის-ნამუსისაკენ და დაპირებისმაგვარი აღთქმაც გამოსძალა, ასეთ საშინელებებში აღარასოდეს გარეულიყო.
- პატივი ეცით თქვენს ადამიანურ ღირსებას, ინჟინერო! - მოუწოდა მან, - მიენდეთ ნათელ და ჰუმანურ აზრებს და ტვინის ღრძობასა და სულიერ დამყაყებას ზიზღით მოეკიდეთ! ილუზია? სიცოცხლის საიდუმლოება? Caro mio
!
(ჩემო ძვირფასო! (იტალ.).) სადაც ზნეობრივ სიმტკიცეს ლპობა შეეპარება და იგი სინამდვილისა და ტყუილის გარჩევა-შეფასებას მოჰყვება, იქ საერთოდ ეღება

ბოლო სიცოცხლეს, განსჯას, ყოველგვარ ფასეულობას, სრულქმნილების პროცესს და მორალური სკეფსისგან მომდინარე ხრწნის პროცესი თავის ამაზრზენ საქმეს შეუდგება.
ადამიანი ყოველივეს საზომიაო, დასძინა მან, ხელშეუხებელია მისი უფლება, განსაჯოს კეთილი და ბოროტი, სინამდვილე და მოჩვენებითობა და ვაი მას, ვინც მოინდომებს, შეურყიოს ამ შემოქმედებითი უფლების რწმენა! ამას სჯობია, ადამიანს კისერზე დოლაბი ჩამოაბა და ღრმა ჭაში ჩაახრჩოო.
ჰანს კასტორპმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მართლაც პირველ ხანებში იმ ამბებისაგან შორს ეჭირა თავი. მის ყურამდე მოდიოდა ჭორები, დოქტორი კროკოვსკი თავის ანალიტიკურ სარდაფში ელენ ბრანდს სეანსებს უტარებს და ამ სეანსებს რჩეული საზოგადოება ეწირებაო. ჰანს კასტორპმა სეანსებში მონაწილეობაზე გულგრილად თქვა უარი, თუმცა, ბუნებრივია, ცდების შედეგებზე მონაწილეთაგან ან თვით დოქტორ კროკოვსკისგან რაღაც-რაღაცებს მაინც იგებდა ხოლმე. იმ ტიპის საოცარ, ძალისმიერ გამოვლინებებს, რაც კლეეფელდის ოთახში მათდა უნებურად მოხდა, ანუ დაბრახუნებას მაგიდასა და კედელზე, ნათურის ჩაქრობასა და სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამბებს იმ თავყრილობებზე სისტემატურად აღწევდნენ და მათ ნამდვილობას შეძლებისდაგვარად ამოწმებდნენკიდეც, როგორც კი დოქტორი კროკოვსკი პატარა ელის ჰიპნოზის ხელოვნების წესების დაცვით ძილ-ღვიძილში გადაიყვანდა. გამოირკვა, რომ მუსიკა ექსპერიმენტებს აიოლებდა, ამიტომ ასეთ საღამოებზე გრამოფონი ადგილს იცვლიდა, მაგიური წრის გამგებლობაში გადადიოდა და ამ დროს მას ბოჰემიელი ვენცელი ემსახურებოდა ხოლმე. ვენცელი მუსიკალური კაცი იყო, იგი, ცხადია, ინსტრუმენტს უდიერად არ მოექცეოდა, არ გააფუჭებდა და ამიტომ ჰანს კასტორპს მშვიდად შეეძლო ინსტრუმენტის მომსახურება მისთვის მიენდო. ფირფიტების ფონდიდან ამ საგანგებო შემთხვევისათვის მან ცალკე ალბომი შეადგინა, ალბომში ნაირ-ნაირი მსუბუქი მუსიკა, საცეკვაოები, პატარ-პატარა უვერტიურები და ამდაგვარი რაღაც-რაღაცები მოათავსა და იგი თავის მოვალეობას მშვენივრად ასრულებდა კიდეც, რაკი ელი უფრო ამაღლებულ მუსიკას არც მოითხოვდა.
ამგვარად, როგორც ჰანს კასტორპს უყვებოდნენ, ამ ჰანგების თანხლებით თურმე ცხვირსახოცი თავისით, უფრო სწორად, მის ერთ-ერთ ნაოჭში ჩამალული „ბრჭყალების“ დახმარებით, მაღლა-მაღლა ადიოდა, დოქტორის ქაღალდების კალათა ჭერისკენ მიფარფატებდა, კედლის საათის ქანქარა არავის ხელით“ ხან გაჩერდებოდა, ხან ისევ ამოძრავდებოდა, „არავინ“ მაგიდის ზარს იღებდა“ და რეკავდა და მრავალ ამის მსგავს წვრილმანს სჩადიოდა. ცდების სწავლული ხელმძღვანელი ბედნიერად გრძნობდა თავს, რაკი შეეძლო ეს ამბები მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღსავსე ბერძნული ტერმინებით მოენათლა. ეს გახლდათ, როგორც იგი თავის ლექციებსა და კერძო საუბარში განმარტავდა, „ტელეკინეტიკური“ მოვლენები, შორიდან მართვის შემთხვევები და იმ ფენომენების სფეროს განეკუთვნებოდა, მეცნიერებას მატერიალიზაციის სახელით რომ მოენათლა და ცხადია, ელენ ბრანდთან ჩატარებულ ცდებში დოქტორის გრძნობა-გონება სწორედ აქეთკენ მიემართებოდა.
მისი ენით თუ ვილაპარაკებდით, აქ საქმე ეხებოდა ობიექტური სამყაროსაკენ მიმართული ქვეცნობიერი კომპლექსების ბიოფსიქიკურ პროცესებს, ანუ ისეთ პროცესებს, რომელთა წყაროდ მიიჩნევდნენ მედიუმის კონსტიტუციას, მის სომნამბულურ მდგომარეობას, და ისინი იმდენად შეიძლებოდა, მიგვეღო ობიექტივირებულ სიზმრებად, რამდენადაც მათში მჟღავნდებოდა ბუნების იდეოპლასტიკური ძალა და გარკვეულ პირობებში ჩაყენებული აზრისათვის დამახასიათებელი უნარი, მატერია მიეზიდა და მისთვის ეფემერული რეალობა მიენიჭებინა. ეს მატერია მოედინებოდა მედიუმის სხეულიდან, რათა თავის გარეთ ბიოლოგიურ, ცოცხალ კიდურებად, ჩაბღაუჭების უნარის მქონე სხეულის ასოებად, ხელებად ჩამოყალიბებულიყო და სწორედ ისინი ასრულებდნენ იმ გასაოცარ წვრილმან მოძრაობებს, რომელთა მოწმენიც დოქტორ კროკოვსკის ლაბორატორიაში მყოფნი იყვნენ. გარკვეულ ვითარებაში ისინი, ეს კიდურები, ისე ხილულნი და ხელშესახებნი ხდებოდნენ, რომ პარაფინში ან თაბაშირში შეიძლებოდა მათი ფორმების ჩამოსხმა, ეს კიდევ არაფერი, სხვა შემთხვევაში

ექსპერიმენტატორთა თვალწინ თავები, ინდივიდუალური სახეები, მთელი ფანტომებიყალიბდებოდნენ და მათთან ავად თუ კარგად ურთიერთობასაც ამყარებდნენ... აი, აქ კი დოქტორ კროკოვსკის მოძღვრება ნელ-ნელა ფერს იცვლიდა, სიელმე ეპარებოდა და დაახლოებით ისეთივე მერყევ და ორჭოფულ ხასიათს იძენდა, როგორიც სიყვარულზე“ მის სჯა-ბაასს ჰქონდა ხოლმე. მსჯელობა თანდათანობით კარგავდა სიცხადესა და მეცნიერულ სახეს, აღარ ეხებოდა მედიუმისა და მისი პასიური თანაშემწეების რეალობაში არეკლილ სუბიექტურ გამოვლინებებს, ახლა მართალია, სანახევროდ, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ სარბიელზე მაინც გამოდიოდა გარედან მოვლენილი, იმქვეყნიური მეობები; ახლა ლაპარაკი მიდიოდა - ცხადია, შეძლებისდაგვარად მთლად გამოტეხილად არა - არაცოცხალ გამოვლინებებზე, ისეთ არსებებზე, რომლებიც ამ ჩახლართულ და იდუმალ, ხელსაყრელ წამს იყენებდნენ, რათა კვლავ მატერიაში უკუქცეულიყვნენ და მათ გამომხმობელს შეხმიანებოდნენ, მოკლედ, საქმე ეხებოდა მიცვალებულთა სულების გამოძახებას.

თურმე კამერადი“ კროკოვსკი თანამზრახველთა წრესთან მუშაობისას ამდაგვარი შედეგების მოსაპოვებლად იღვწოდა. ეს ჩასკვნილი, მხნედ მოღიმარი, ნდობის ჩამნერგავი კაცი მტკიცედ ადგა თავის გზას, ამ დაჭაობებულ, საეჭვო, ქვეადამიანურ სფეროში თავს შინაურად გრძნობდა და წინამძღოლად მხდალებსა და ამ სფეროების მიმართ ეჭვით აღვსილთაც კი გამოადგებოდა. იმის მიხედვით, რაც ჰანს კასტორპმა შეიტყო, დოქტორ კროკოვსკის ელენ ბრანდის არაჩვეულებრივი მონაცემების წყალობით, რომელთა განვითარებასა და გამოღვიძებას იგი ცდას არ აკლებდა, მგონი, გარკვეული წარმატებაც მოეპოვებინა. წრის ზოგიერთ წევრს თურმე უკვე უგრძნია მატერიალიზებული ხელის შეხება. პროკურორ პარავანტისათვის ტრანსცენდენტური სამყაროდან სილა გაუწნავთ, მას წმინდა მეცნიერული ხალისით დაუდასტურებია ეს ფაქტი და ინტერესის გულისათვის მეორე ლოყაც მიუშვერია, თუმცა სილა ვიტალური წარმომავლობის რომ ყოფილიყო, იგი, როგორც კავალერი, იურისტი და ყოფილი კორპორანტი, ცხადია, სულ სხვაგვარად მოიქცეოდა. ა. კ. ფერგეს, ამ უბირ მარტვილს, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველივე ამაღლებული, ერთ მშვენიერ საღამოს საკუთარ ხელში სჭერია ამდაგვარი აჩრდილისეული კიდური და შეხებით დარწმუნებულა მის ნამდვილობასა და სრულყოფილებაში, მერე კი იგი, თვითონაც ვერ გეტყოდათ, როგორ, უეცრად გასხლტომია ხელიდან, თუმცა ხელის ჩამორთმევა არც ზრდილობის ფარგლებიდან გამოსულა და არც გულითადობა ჰკლებია. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, მთელი ორთვე-ნახევარი ტარდებოდა კვირაში ორ-ორი სეანსი, სანამ ყველას თვალწინ არ წარმოუდგა იმქვეყნიური წარმომავლობის ხელი, მოწითალოდ განათებული წითელი ქაღალდით შებურვილი მაგიდის ნათურის შუქით - ეტყობოდა, ყმაწვილი კაცის ხელი - ხელს თითები მაგიდის თავზე აუთამაშებია და ფქვილით სავსე თიხის ჯამში თავისი ანაბეჭდი დაუტოვებია. სულ რაღაც რვა დღის შემდეგ კი მოხდა ისე, რომ დოქტორ კროკოვსკის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ბატონი ალბინის, შტორისა და ცოლ-ქმარ მაგნუსების შემადგენლობით, აღტაცებისაგან სახეგაფითრებულები და თვალებანთებულნი შემოცვივდნენ ჰანს კასტორპის ლოჯიაში და ყინვისგან თვლემამორეულს სხაპასხუპით, არეულ-დარეულად ამცნეს, ელის ჰოლგერი დაგვენახვაო, მისი თავი სომნამბულის მხარს ზემოთ გამოჩნდა, მართლაც „მშვენიერი წაბლისფერი, წაბლისფერი კულულები“ ჰქონია და საოცრად ნაზად და მელანქოლიურად გაგვიღიმა, სანამ გაქრებოდაო!

ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, ნეტავ როგორ ეხამება ეს კეთილშობილური სევდა ჰოლგერის თავაშვებულ საქციელს, უფანტაზიო, ბავშვურ ცელქობასა და უგუნურ ონავრობას, ან თუნდაც იმ სავსებით არამელანქოლიურ ალიყურს, პროკურორმა რომ მისგან იწვნიაო? როგორც ჩანს, აქ ხასიათის თანამიმდევრული წყობა არც იყო მოსალოდნელი. ალბათ, აქაც იმ კუზიანი კაცუნას მსგავსი ჭკუა-გონება თუ მოქმედებდა, ერთ სიმღერაში რომაა გამოყვანილი, ბოროტი, დარდიანი კაცუნა გამოსარჩლებასა და თანაგრძნობას მოითხოვსო. ჰოლგერის თაყვანისმცემლებს, ეტყობა, სულაც არ ენაღვლებოდათ ასეთი ამბები. მათი მთავარი საზრუნავი ჰანს კასტორპის ხელახალი გადმობირება გახლდათ. საქმე ისე დიდებულად მიდის, შემდეგ სეანსს აუცილებლად უნდა დაესწროო. თანაც ელი ძილში შეგვპირდა,

შემდეგ სეანსზე ნებისმიერი გარდაცვლილის სულს გამოვიძახებ, ვისაც კი თქვენ მოითხოვთო.
ნებისმიერსო? ჰანს კასტორპი მაინც უარზე დადგა, მაგრამ ნებისმიერი მიცვალებულის გამოძახება რომ შეიძლებოდა, ამ აზრმა ისე გაიტაცა, რომ სამ დღეში საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. უფრო ზუსტად, სამი დღე კი არა, ამ სამ დღეში რამდენიმე წუთი აღმოჩნდა გადამწყვეტი. აზრი მაშინ შეეცვალა, როცა ერთ საღამოს ჩვეულებისამებრ განმარტოვდა მუსიკალურ სალონში და ისევ ის ფირფიტა დაუკრა, ვალენტინის ზესიმპათიური ხატება რომ იყო აღბეჭდილი. ჰანს კასტორპი თავის სავარძელში იჯდა და ომში მიმავალი ჯარისკაცის ვედრებას უსმენდა, ჯარისკაცს დიდების ველისკენ მიუწევდა გული და მღეროდა:
„და თუკი ღმერთი ზეცად მიმიხმობს,
იქიდან მაინც დაგიფარავ,
ო, მარგარიტა!“
ამ დროს, როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე ამ სიმღერის მოსმენისას, მაგრამ ამჯერად გარკვეული შესაძლებლობების გაჩენის გამო, უფრო ძლიერად შემოაწვა გულზე მღელვარება, მერე მღელვარება სურვილად ექცა და გაიფიქრა, თუნდაც ფუჭი იყოს და ცოდვილი ასეთი თავგადასავალი, უცნაური და სასიამოვნო კი იქნებაო. თუკი იოახიმს რაიმე კავშირი აქვს ასეთ ამბებთან, მისი ხასიათი რომ ვიცი, ნამდვილად არ გამინაწყენდებაო, დაასკვნა გულში, და გაახსენდა მშვიდად და ლიბერალურად ნათქვამი სიტყვები, კარგი, კარგიო, ოდესღაც გასაშუქებელ ლაბორატორიაში წყვდიადიდან რომ შემოესმა, როცა ოპტიკასთან დაკავშირებული მოურიდებელი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების უფლება ითხოვა.
მეორე დილით საღამოს დანიშნულ სეანსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა და ვახშმიდან ნახევარი საათის შემდეგ იმ პაციენტებს შეუერთდა, რომლებიც, აქაოდა, იმქვეყნიურ ამბებში გაშინაურებული ვართო, სარდაფისკენ მიმავალ გზას არხეინი საუბრით მიუყვებოდნენ. ვისაც კიბეზე გადაეყარა, ან დოქტორ კროკოვსკის სენაკში შეხვდა, ყველანი აქ კარგად დაფუძნებული, ძველი პაციენტები იყვნენ; დოქტორი ტინ-ფუ და ბოჰემიელი ვენცელი, პროკურორი, ქალბატონები ლევი და კლეეფელდი, რომ აღარაფერი ვთქვათ შუამავალზე - ელი ბრანდზე და იმათზე, ვინც ჰოლგერის თავის გამოცხადების ამბავი აუწყა.
როცა ჰანს კასტორპმა სადარბაზო ბარათით დამშვენებული კარი შეაღო, ჩრდილოეთის ასულს უკვე დოქტორი კროკოვსკი დაჰპატრონებოდა და გვერდში ამოეყენებინა. კროკოვსკის თავისი შავი სამუშაო ხალათი ეცვა, ელისთვის მამაშვილურად გადაეხვია მხარზე ხელი და ისიც სტუმრების მოლოდინში მასთან ერთად იდგა იმ კიბის თავში, რომელიც სარდაფიდან კიდევ უფრო ქვევით, ასისტენტის ბინისკენ მიემართებოდა, და შემოსულებს ესალმებოდა. მისალმებაში ორივე მხრივ მხიარული და უდარდელი გულითადობა იგრძნობოდა. ეტყობოდა, ყველას მიზნად დაესახა, ყოველგვარი საზეიმო შეზღუდულობა დაეძლია და თავი თავისუფლად ეგრძნო. ერთმანეთს ხმამაღლა და ხუმრობით ელაპარაკებოდნენ, ფერდებში გამამხნევებელ მუჯლუგუნს ჰკრავდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, შეხეთ, რა თავისუფლად გვიჭირავს თავიო. დოქტორ კროკოვსკის მისალმებისას სიმხნევისა და ნდობისაკენ მოწოდების ნიშნად, წვერებში წამდაუწუმ უკრთოდა ყვითელ-ყვითელი კბილები, განსაკუთრებით გულითადად კი მაშინ გამოუვიდა თავისი სალამი“, როცა ჰანს კასტორპს მიესალმა, რომელიც ხმას არ იღებდა და სახეზე ყოყმანი ეტყობოდა.
„ყოჩაღად, ჩემო მეგობარო! - თითქოს ამბობდა მასპინძლის თავის კანტური, როცა ახალგაზრდა კაცს თითქმის უხეშად უჭერდა ხელზე ხელს, - ნუ ჩამოგიყრიათ ყურები! აქ არც თვალთმაქცობაა და არც პირმოთნეობა, მხოლოდ და მხოლოდ ხალისიან, წინასწარი ცრურწმენებისგან თავისუფალ ვაჟკაცურ კვლევას გთავაზობთ!“ პანტომიმის ადრესატს ამით გულზე არ მოშვებია. მართალია, გადაწყვეტილების მიღებისას გასაშუქებელი ლაბორატორია გავახსენებინეთ, მაგრამ ეს ასოციაცია მისი სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად ვერ იკმარებდა. თვითონ ამ წუთში ცხადად აგონდებოდა ის უცნაური და დაუვიწყარი, სიხარულითა და ნერვიულობით, ცნობისწადილით, ზიზღითა და მოწიწებით შეზავებული გრძნობა, მრავალი წლის უკან რომ დაეუფლა, როცა

შეზარხოშებულმა ამხანაგებთან ერთად პირველად გაბედა სანქტ-პაულის საროსკიპო მოენახულებინა.
რაკი აღარავინ აკლდა, დოქტორი კროკოვსკი ორი ასისტენტის თანხლებით - ამჯერად ასისტენტებად ფრაუ მაგნუსი და სპილოსძვლისფერი ლევი დაინიშნენ - მედიუმის ფიზიკური მდგომარეობის შესამოწმებლად მეზობელ ოთახში გავიდა, ჰანს კასტორპი კი ცხრა მონაწილესთან ერთად ამ რეგულარული და მუდამ უშედეგო, მხოლოდ მეცნიერული სიმკაცრის დამადასტურებელი აქტის დასრულებას დოქტორის სამუშაო და საორდინატორო კაბინეტში ელოდებოდა. ამ ოთახს კარგად იცნობდა, აქ, იოახიმის ზურგს უკან ანალიტიკოსთან ერთ დროს ხშირად უსაუბრია. ოთახში იდგა საწერი მაგიდა თავისი სავარძლით, ხელმარცხნივ, ფანჯარასთან, პაციენტის სკამი მოეთავსებინათ, გვერდითა კარის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ თაროებზე სხვადასხვა სახის ცნობარი ელაგა, მარჯვნივ, ოთახის სიღრმეში, საწერი მაგიდიდან რამდენიმესაგდულიანი თეჯირით გამოცალკევებული მუშამბაგადაკრული შეზლონგი მოჩანდა, იმავე კუთხეში ინსტრუმენტების შუშის კარადა იდგა, მეორე კუთხეში ჰიპოკრატეს ბიუსტი აღმართულიყო, ხოლო გაზის ბუხრის თავზე რემბრანდტის „ანატომიის“ გრავიურა ეკიდა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივ დღეებში ეს ოთახი სხვა მრავალი მისაღები ოთახისაგან არაფრით განირჩეოდა, ამ საღამოს კი, საგანგებო შემთხვევის გამო, მის მორთულობაში ცოტაოდენი ცვლილებები შეეტანათ. წითელი ხის სავარძლებშემოწყობილი მრგვალი მაგიდა, ჩვეულებრივ, თითქმის მთელი ოთახის გადამწვდენ წითელ ხალიჩაზე, ოთახის შუაგულში, ელექტროჭაღის ქვეშ იდგა ხოლმე, ახლა კი წინა პლანზე, იმ კუთხეში მიეწიათ, სადაც ბიუსტი იდგა, ხოლო ცენტრიდან ასევემოშორებით, ანთებული ბუხრის ახლოს, საიდანაც მშრალი მხურვალება მოდიოდა, მომცრო მაგიდა დაედგათ. მაგიდას თხელი სუფრა ეფარა, ზედ წითლად შებურვილი ლამპა მოეთავსებინათ, მის თავზე ჭერიდან კიდევ სხვა ასევე წითლად შებურვილი ნათურა ეშვებოდა, ოღონდ ამ უკანასკნელს ზემოდან კიდევ გამჭვირვალე შავი ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული. მაგიდაზე და მის გვერდით რამდენიმე სახელგატეხილი საგანი მოჩანდა: ზარი, უფრო სწორად, ორი სხვადასხვა კონსტრუქციის ზარი, ერთი მაგიდის, მეორე კი ღილაკიანი, ფქვილით სავსე თეფში და ქაღალდების ჩასაყრელი კალათა. მომცრო მაგიდას ნახევარწრედ თორმეტიოდე სხვადასხვა ტიპის სკამი და სავარძელი ჰქონდა შემოწყობილი, ნახევარწრის ერთი ბოლო შეზლონგის ფეხებთან მიდიოდა, მეორე ბოლო კი თითქმის ოთახის შუაგულამდე აღწევდა და ჭაღის ქვეშ მთავრდებოდა. აქ, ბოლო სკამის ახლოს, გვერდითა კარისკენ მიმავალი გზის შუაგულში, მუსიკალური სკივრისთვის მიეჩინათ ადგილი. მსუბუქი მუსიკის ალბომი იქვე, მის გვერდით იდო სკამზე. ასეთი გახლდათ ოთახის მოწყობილობა. წითელი ნათურები ჯერ არ ენთო. ჭაღი დღის სინათლესავით კაშკაშა შუქს აფრქვევდა. ფანჯარას, რომლისკენაც საწერი მაგიდის ვიწრო გვერდი იყო მიქცეული, მუქი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, იმ ფარდაზე კიდევ კრემისფერი, მაქმანისებურად ნაქსოვი, ეგრეთ წოდებული შტორი ეკიდა.
დოქტორი სამ მანდილოსანთან ერთად ათი წუთის შემდეგ გამოვიდა კაბინეტიდან. პატარა ელი სულ შეცვლილიყო. მას ტანსაცმელი გამოეცვალა და სეანსის შესაფერ სამოსში გამოწყობილიყო. თეთრი კრეპის, დილის ხალათის მსგავსი, წელზე ზონარშემოჭერილი უსახელო სამოსიდან წვრილი, შიშველი მკლავები მოუჩანდა. ქალწულებრივი მკერდი ისე რბილად და თავისუფლად ენაკვთებოდა, რომ ეტყობოდა, სამოსის ქვეშ ბევრი არაფერი უნდა სცმოდა.
მას ჟრიამულით შეხვდნენ. „ჰალო, ელი! რა მომხიბლავია! ნამდვილი ფერიაა! აბა, შენ იცი, ჩემო ანგელოზო!“ - გაისმა აქეთ-იქიდან. მან შეძახილებს ღიმილით უპასუხა, ეტყობოდა, თვითონაც იცოდა, მოსაცმელი რომ უხდებოდა.
- წინასწარი შემოწმების შედეგები უარყოფითია, - განაცხადა დოქტორმა კროკოვსკიმ, - აბა, ცოცხლად, საქმეს შევუდგეთ, კამერადებო! - დასძინა მან და ბოლოს თავისი ეგზოტიკური რაე“ გამოურია. ჰანს კასტორპს უსიამოდ გააჟრჟოლა ამ მომართვის გაგონებაზე, დანარჩენები ლაპარაკ-ლაპარაკითა და ჰალოს ძახილით დაიძრნენ, ერთმანეთს მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს და ნახევარწრედ დადგმულ სკამებზე სხდებოდნენ. ის იყო, მანაც დააპირა სადმე

მიყუჟულიყო, რომ დოქტორმა პირადად მას მიმართა:
- თქვენ, ჩემო მეგობარო (ჩემო მეგაბაროო), - უთხრა მან, - რაკი ჩვენს წრეში დღეს სტუმრად თუ ახალბედად ითვლებით, მინდა განსაკუთრებით საპატიო უფლებები მოგანიჭოთ და ჩვენი მედიუმის კონტროლი მოგანდოთ. წესებს ახლავე გაგაცნობთ, - დასძინა მან და ახალგაზრდა კაცი ნახევარწრის იმ ბოლოსკენ მიიპატიჟა, რომელიც შეზლონგსა და თეჯირს ემიჯნებოდა, იქ ჩვეულებრივ სელის სკამზე იჯდა ელენ ბრანდი და სახე უფრო საფეხურებდატნეული შემოსასვლელი კარისკენ მიექცია, ვიდრე ოთახის შუაგულისაკენ: დოქტორმა ისეთივე სკამი ელისთან სულ ახლოს მიაჩოჩა, პირდაპირ დაუჯდა, ხელები დაუჭირა და მისი მუხლები თავის მუხლებშუა მოიქცია, - აი, თქვენც ასე ქენით! - უბრძანა მან ჰანს კასტორპს და თავისი ადგილი დაუთმო, - დამეთანხმებით, რომ საჭიროა მაგრად დაჭერა. ვინმეს კიდევ მოგაშველებთ. ფროილაინ კლეეფელდ, ნება მიბოძეთ, შეგაწუხოთ! - ამ უაღრესად თავაზიანი და ეგზოტიკური განკარგულებით მოხმობილი კლეეფელდი ჯგუფს შემოუერთდა და ორივე ხელი ელის სუსტ მაჯებს შემოაჭდო.
ჰანს კასტორპს სახე ისე ახლოს მიეტანა მასზე მიჯაჭვულ ქალწულ ვუნდერკინდთან, რომ არ შეიძლებოდა, მისთვის სახეში არ ჩაეხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ ელიმ დაიმორცხვა, ჯერ ზევით აღაპყრო და მერე დახარა თვალები, რაც ამ ვითარებაში სავსებით გასაგები გახლდათ, მერე თავი გვერდზე გადახარა, ტუჩები წინ წამოზიდა და ისე კეკლუცად გაიღიმა, როგორც ერთხელ ჭიქის სეანსზე იღიმებოდა. სხვათა შორის, მის ზედამხედველს ამ უსიტყვო კეკლუცობაზე სხვა, უფრო შორეული მოგონებები აეშალა. მოაგონდა, რომ თითქმის ასევე იღიმებოდა კარენ კარსტედი, როცა იგი იოახიმსა და მასთან ერთად „სოფლის“ სასაფლაოზე თავის ჯერ კიდევ გაუთხრელ სამარესთან იდგა...
ნახევარწრე დალაგდა. ცამეტნი იყვნენ, ბოჰემიელი ვენცელის ჩაუთვლელად, რომელიც „პოლიჰიმნიის“ მიხედვას კისრულობდა და თავისუფლად ყოფნას იყო დაჩვეული. მან აპარატი მოამზადა და იქვე, ოთახის შუაგულისკენ პირშექცევით მსხდომთა ზურგს უკან ტაბურეტზე ჩამოჯდა. გიტარაც თან ჰქონდა. დოქტორი კროკოვსკი ჭაღის ქვეშ დაჯდა, იქ, სადაც მორკალული რიგი თავდებოდა, მანამდე კი ხელის ერთი მოძრაობით ორივე წითელი ნათურა აანთო და იმწამსვე დღის კაშკაშა შუქიც ჩააქრო. ოთახი მინავლულ წყვდიადში ჩაეფლო, შორეულ კუთხეებს კი თვალი საერთოდ ვეღარ არჩევდა. კაცმა რომ თქვას, მოწითალო შუქით მხოლოდ მაგიდის ზედაპირი და მისი უახლოესი მიდამო იყო სუსტად განათებული.პირველ წუთებში იქ მყოფნი ერთმანეთის სახეებსაც ვეღარ არჩევდნენ, მაგრამ თვალი ნელ-ნელა მიეჩვია სიბნელეს და ნებადართული სინათლის გამოყენებაც ისწავლეს, რომელსაც ოდნავ აძლიერებდა ბუხარში აცეკვებული ცეცხლის ენები.
დოქტორმა რამდენიმე სიტყვა მიუძღვნა განათებას და მისი მეცნიერული ნაკლისთვის მოიბოდიშა. ღმერთმა დამიფაროს, ამ განათებას განწყობის შესაქმნელად ან მისტიფიკაციისთვის ვიყენებდეთ. სამწუხაროდ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, შუქს ვერ გავაძლიერებთ, აქ გამოსამჟღავნებელი და შესასწავლი ძალების ბუნება კაშკაშა შუქს ვერ ეგუება, სინათლეში ისინი არც გამომჟღავნდებიან და ძალასაც ვერ გამოავლენენო. ამ აუცილებელ წინა პირობას, ჯერჯერობით, ანგარიში უნდა გაეწიოსო... ჰანს კასტორპს ეს გაფრთხილება ესიამოვნა. სიბნელე დამამშვიდებლად მოქმედებდა, იგი მთელ ამ თავისებურ ვითარებას არბილებდა. გარდა ამისა, სიბნელის გასამართლებლად გასაშუქებელი კაბინეტი გაიხსენა, იქაც სიბნელეში ისხდნენ გარინდებულნი და დღის სინათლეს მიჩვეულ თვალებში სიბნელეს ივლებდნენ, სანამ რაიმეს „დაინახავდნენ“ ხოლმე.
მედიუმს, განაგრძო თავისი შესავალი სიტყვა დოქტორმა კროკოვსკიმ, - იგი აშკარად ჰანს კასტორპის გასაგონად ლაპარაკობდა, - მისი ხელით, ანუ ექიმის ხელით, დაძინება დიდი ხანია აღარ სჭირდება. კონტროლიორი თვითონვე დაინახავს, იგი ტრანსში თავისით რომ გადავა, მაშინვე მისი მფარველი სული, ყველასათვის ცნობილი ჰოლგერი, მისი პირით გამოგველაპარაკება და ჩვენც ჩვენი სურვილები მას უნდა ვამცნოთ და არა ელისო. სხვათა შორის, დიდ შეცდომას ჩაიდენთ და შეიძლება მარცხიც განიცადოთ, თუ იფიქრებთ,

ნებისყოფასა და გონებას ძალით უნდა მოვუყაროთ თავი და ამ ფენომენისკენ მივმართოთ, პირიქით, ყველაფერს სჯობია, თუ მოვდუნდებით და თან ერთმანეთთანაც ვისაუბრებთო. ჰანს კასტორპმა უპირველეს ყოვლისა იმაზე იზრუნოს, მედიუმის კიდურებს არ მოაკლდეს ყურადღებაო.
- შეკარით ჯაჭვი! - დაასრულა საუბარი დოქტორმა კროკოვსკიმ და ჯაჭვი სიცილ-სიცილით შეკრეს. ეცინებოდათ, სიბნელეში ერთმანეთის ხელებს მაშინვე რომ ვერ პოულობდნენ. დოქტორი ტინ-ფუ ჰერმინე კლეეფელდის გვერდით იჯდა, მან მარჯვენა ხელი კლეეფელდს გადახვია მხარზე, მარცხენა კი მეორე მხარეს მჯდომ ვეეზალს გაუწოდა. დოქტორის გვერდით ისხდნენ ბატონი და ქალბატონი მაგნუსები, მათ ა. კ. ფერგე მოსდევდა, მას, თუ ჰანს კასტორპს თვალი არ ატყუებდა, მარჯვენა ხელში სპილოსძვლისფერი ლევის ხელი ეჭირა და ასე შემდეგ.
- მუსიკა! - ბრძანა დოქტორმა კროკოვსკიმ. ჩეხმა, რომელიც დოქტორისა და მისი მეზობლების ზურგს უკან იჯდა, აპარატი აამუშავა და ფირფიტას ნემსი დაადო.
გაისმა თუ არა მილეკერის
(კარლ მილეკერი (1842-1899) - ავსტრიელი კომპოზიტორი, კლასიკური ვენური ოპერეტის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი.) უვერტიურის პირველი ტაქტები, დოქტორმა კროკოვსკიმ კვლავ გასცა განკარგულება, ილაპარაკეთო, ყველა მორჩილად აფუსფუსდა და სულ უმნიშვნელო ამბებზე წამოიწყეს კიდეც საუბარი, აქეთ ამ ზამთრის თოვლიანობაზე, იქით უკანასკნელ მენიუზე, პაციენტთა ცალკეულ გამოხდომებზე, უნებართვო თუ კანონიერ გამგზავრებაზე და ასე შემდეგ, საუბარს ზოგჯერ სანახევროდ ახშობდა მუსიკა, ზოგჯერ იგი თვითონვე წყდებოდა, მერე ისევ გაცხოველდებოდა და ასე ხელოვნურად იგრძელებდა სიცოცხლეს. ასე გავიდა რამდენიმე წუთი.
ფირფიტა ჯერაც არ ჩათავებულიყო, ელი რომ ღონივრად შეირხა. მთელი ტანით აცახცახდა, ამოიხვნეშა, ზედატანით წინ ისე გადმოიხარა, რომ შუბლით ჰანს კასტორპის შუბლს შეეხო და ამავე დროს მისმა მკლავებმა ზედამხედველების მკლავებთან ერთად წინ და უკან უცნაური, დგუშისებური მოძრაობა დაიწყო.
- ტრანსი! - ყოვლისმცოდნის ტონით განაცხადა კლეეფელდმა. მუსიკა დადუმდა. საუბარი შეწყდა. უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა დოქტორის რბილი, გაჭიანურებული ბარიტონი, რომელმაც იკითხა:
- ჰოლგერი აქ არის?
ელი ისევ აცახცახდა და სკამზე რწევას მოჰყვა. შემდეგ ჰანს კასტორპმა იგრძნო, გოგონამ ორივე ხელზე როგორ სწრაფად და ღონივრად მოუჭირა ხელი.
- ელი ხელს მიჭერს, - მოახსენა მან საზოგადოებას.
- ის, - შეუსწორა დოქტორმა, - ხელს ის გიჭერთ. მაშასადამე, აქ არის, - მოგესალმებით, ჰოლგერ, - დათაფლული ხმით განაგრძო მან, - კეთილი იყოს შენი მობრძანება, მეგობარო, ნება მომეცი, შეგახსენო! უკანასკნელად რომ იყავი ჩვენთან, დაგვპირდი, ნებისმიერ მიცვალებულს, ვისაც კი ჩვენი წრიდან დაგისახელებენ, ქალი იქნება თუ კაცი, გამოვიხმობ და თქვენს მოკვდავ თვალისჩინს ხილულად წარმოვუდგენო. მზად ხარ და გრძნობ საიმისო ძალას, რომ დანაპირები შეგვისრულო?
ელის ისევ შეაჟრჟოლა, ამოიხვნეშა და პასუხი დააყოვნა. ხელები ზედამხედველების ხელებთან ერთად შუბლთან მიიტანა და ცოტა ხანს შუბლზეგაიჩერა. შემდეგ ზედ ჰანს კასტორპის ყურთან დაიჩურჩულა: „ჰო!“
ბგერების ფშვინვა შიგ ყურში ჩაუძვრა ჩვენს მეგობარს და კანზე ხორკლებმა დააყარა, ამას ხალხში „ბატის კანს“ უწოდებენ, ხოლო მისი არსი ერთ მშვენიერ დღეს ჰოფრატმა აუხსნა ჰანს კასტორპს. ჩვენ ხორკლები ვახსენეთ, რათა წმინდა ფიზიკური მოვლენა სულიერისაგან განგვესხვავებინა, რადგან ამ შემთხვევაში შიშის ზარზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მან დაახლოებით ასეთი რამ გაიფიქრა: „ხედავ, რა შორს შესტოპაო“, მაგრამ თან გული აუჩვილდა, ლამის შეძრწუნდა, შეცბუნება, გულის აჩუყება და შეძრწუნება ერთად მოერია, ეს გრძნობები დაბნეულობამ, უფრო სწორად, სიცრუის ატმოსფერომ აუშალა, ამ ნორჩმა არსებამ, ვისი ხელებიც თვითონ ეჭირა, მის ყურთან „ჰო“ რომ ამოიფშვინა.
- მან თანხმობა განაცხადა, - უპატაკა საზოგადოებას და შერცხვა.
- კარგი, ჰოლგერ! - თქვა დოქტორმა კროკოვსკიმ, - სიტყვა სიტყვაა. ყველა ვიმედოვნებთ, რომ დანაპირებს პატიოსნად აღასრულებ. იმ ძვირფას სახელს,

რომლის გამოძახებასაც მოგთხოვთ, ახლავე გეტყვით. მეგობრებო, - მიუბრუნდა იგი საზოგადოებას, - ხმა ამოიღეთ! ვის გაქვთ სურვილი მოფიქრებული? ვინ გვიჩვენოს ჩვენმა მეგობარმა ჰოლგერმა?
სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ერთმანეთს უცდიდა. ზოგი ამ უკანასკნელ დღეებში კი ჩაფიქრებულა, საით, ვისკენ მიილტვოდა მისი ფიქრები, მაგრამ გარდაცვლილის დაბრუნება, ანუ, ასეთი დაბრუნების სასურველობა, ეტყობა, მეტისმეტად ჩახლართული და საჩოთირო საქმე ყოფილა და იქნება. გულახდილად თუ ვიტყვით, სინამდვილეში ეს სასურველობა საერთოდ არ არსებობს, იგი მოჩვენებითია; კარგად თუ დავაკვირდებით, ისევე შეუძლებელია, ვისურვოთ მიცვალებულის დაბრუნება, როგორც თვით ეს საქმეა შეუძლებელი, რაც მშვენივრად გამოჩნდებოდა, ბუნებას ერთხელ მაინც რომ შესაძლებელი გაეხადა გარდაცვლილის დაბრუნება; ამგვარად, ის, რასაც ჩვენ გლოვას ვუწოდებთ, ალბათ, მხოლოდ იმ ტკივილის შეგრძნება როდია, ჩვენს მიცვალებულს ცოცხალს რომ ვეღარ ვიხილავთ, არამედ იმის ტკივილიცაა, ამ სურვილის გულში გავლებაც რომ არ შეგვიძლია.
ამას ბუნდოვნად ყველა გრძნობდა და თუმცა საქმე სიცოცხლესთან სერიოზულ და ნამდვილ მობრუნებას არ ეხებოდა და ეს მხოლოდ წმინდა სენტიმენტალური, თეატრალიზებული სანახაობა შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც გარდაცვლილი მხოლოდ უნდა დაგენახა და მაშასადამე, შენს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაინც ეშინოდათ თავიანთი ფიქრის საგნის დანახვა და ერჩივნათ, სურვილის გამოთქმის უფლება მეზობლისთვის გადაელოცათ. მართალია, ჰანს კასტორპს კვლავ ყურებში ედგა სიბნელიდან გულკეთილად და ლიბერალურად ნათქვამი, კარგი, კარგიო, მაგრამ გადამწყვეტ წამს ლამის ისიც მზად იყო, პირველობა სხვისთვის დაეთმო, მაგრამ ამ გაჭიანურებულ დაძაბულობას ვეღარ გაუძლო, თავი სეანსის წინამძღოლისკენ მიაბრუნა და ჩახრინწული ხმით თქვა:
- მე მინდა ჩემი გარდაცვლილი ბიძაშვილი, იოახიმ ციმსენი ვიხილო.
ყველამ შვებით ამოისუნთქა. აქ მყოფთაგან მხოლოდ დოქტორი ტინ-ფუ, ჩეხი ვენცელი და მედიუმი არ იცნობდნენ გამოხმობილს. დანარჩენებმა: ფერგემ, ვეეზალმა, ბატონმა ალბინმა, პროკურორმა, ბატონმა და ქალბატონმა მაგნუსებმა, შტორმა, ლევიმ და კლეეფელდმა ხმამაღალი, ხალისიანი შეძახილებით გამოხატეს თავიანთი მოწონება, დოქტორმა კროკოვსკიმაც კი კმაყოფილების ნიშნად დააქნია თავი, თუმცა იოახიმთან არასოდეს გულთბილი ურთიერთობა არ ჰქონია, რადგან იგი საანალიზოდ ნაკლებად დამყოლი აღმოჩნდა.
- ძალიან კარგი, - თქვა დოქტორმა, - გესმის, ჰოლგერ? შენ სიცოცხლეში არ იცნობდი დასახელებულ პიროვნებას, შეიცნობ კი იმ ქვეყნად და მზად ხარ, მოგვიყვანო?
მოლოდინი მეტისმეტად გაძნელდა. მძინარე ირწეოდა, კვნესოდა და თრთოდა. ეტყობოდა, რაღაცას დაეძებდა და ებრძოდა, აქეთ-იქით ქანაობდა, ხან ჰანს კასტორპის და ხან კლეეფელდის ყურს მიაწყდებოდა და რაღაცას გაურკვევლად დაიჩურჩულებდა. ბოლოს ჰანს კასტორპმა მისი ორივე ხელის მოჭერა იგრძნო, რაც „ჰოს“ ნიშნავდა. მან საზოგადოებას ეს ცნობა მიაწოდა და...
- კარგი, კარგი! - შესძახა დოქტორმა კროკოვსკიმ, - საქმეს შეუდექ, ჰოლგერ! მუსიკა! ილაპარაკეთ! - კვლავ შესძახა მან და გაიმეორა თავისი შეგონება, რომ საქმეს ხელს შეუწყობდა არა გონების დაძაბვა და მოსალოდნელი სანახაობის ძალდატანებით წარმოდგენა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ძალდაუტანებელი რუდუნება.
ამას მოჰყვა ყველაზე საოცარი საათები, რაც კი ჩვენს გმირს თავისი ყმაწვილკაცობის მანძილზე განეცადა და თუმცა მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის და იგი ჩვენი მონათხრობი ამბის რომელიმე მომენტში თვალთაგანაც დაგვეკარგება, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავის სიცოცხლეში ამაზე საოცარს ვეღარაფერს მოესწრებოდა.
გავიდა, ბარემ ახლავე ვიტყვით, მოკლე შესვენების ჩათვლით, ორ საათზე მეტი ჰოლგერის თუ ქალწული ელის „მუშაობაში“, და ეს მუშაობა ისე შემაძრწუნებლად გაჭიანურდა, რომ შედეგს ლამის აღარავინ ელოდა. რამდენჯერმე იმ ზომამდეც მივიდნენ, რომ მზად იყვნენ, ყველაფერზე ხელიჩაექნიათ და სეანსი

შეემოკლებინათ, რადგან ეს მუშაობა მართლაც საშინლად მძიმე ჩანდა და არ შეიძლებოდა, მისი ტვირთის მატარებელი სუსტი მხრები არ შეგბრალებოდათ. ჩვენთვის, მამაკაცებისათვის, თუკი ადამიანურ თვისებებს არ დავკარგავთ, ერთი ცხოვრებისეული სიტუაციიდან ნაცნობია ეს აუტანელი სიბრალულის გრძნობა, სასაცილოა, მაგრამ ამ გრძნობას არც არავინ გვიმადლის და, ალბათ, მართლაც უადგილოა ეს აღშფოთებით ნაკარნახევი კმარა!“, საცაა რომ აღმოგვხდება მკერდიდან, თუმცა ეს“ საკმარისი ვერ იქნება და არც შეიძლება იყოს, რადგან, ასე თუ ისე, ის პროცესი ბოლომდე უნდა ჩათავდეს. ალბათ, მიგვიხვდით, მშობიარობისას მეუღლისა და მამის მდგომარეობაზე რომ ვლაპარაკობთ. ელის ჭიდილი ისე ცხადად და მკაფიოდ ჰგავდა იმ აქტს, რომ ისინიც კი შეიცნობდნენ, ვისაც იგი საერთოდ არ ენახა, თუნდაც ახალგაზრდა კასტორპი, რომელმაც თავი არ აარიდა სიცოცხლის საიდუმლოებას და ეს ორგანული მისტიკით გაჟღენთილი აქტი ამგვარი სახით იხილა - და მერე როგორი სახით! ან რისთვის გამიზნული! ან რა ვითარებაში! სკანდალურის მეტი რა შეიძლებოდა, გვეწოდებინა წითელი შუქით განათებულ აზრიალებულ სანთიობოში დატრიალებული ამბის ნიშან-თვისებებისა და დეტალებისათვის, თუნდაც ამ ხალათმოღეღილი, მკლავებგაშიშვლებული ქალწულის სამშობიარო ჭიდილისათვის, ანდა სხვა ამბებისათვის, თუნდაც გრამოფონის გაუთავებელი ჭყვიტინისათვის, ძალდატანებული საუბრისათვის, ნახევარწრე ბრძანებით რომ განაგრძობდა, „მშობიარისკენ“ მიმართული გამამხნევებელი შეძახილებისათვის: „ჰალო! ჰოლგერ! ყოჩაღად! სულ ცოტა დარჩა! არ მოეშვა, ჰოლგერ, თავი არ დაზოგო და გამოგივა!“ ჰოდა, აქ ვერასგზით ვერ გამოვრიცხავთ მეუღლის“ პიროვნებასა და მის განცდებს, - თუკი უფლება გვაქვს ამ საქმეში თავისი სურვილით ჩაბმულ ჰანს კასტორპს მეუღლე ვუწოდოთ, - განა მეუღლე არ იყო, „დედის“ მუხლები მუხლებში რომ მოექცია და მისი ხელები ეჭირა, ისეთივე სველი და სლიპინა, როგორიც ოდესღაც პატარა ლეილას ჰქონდა, და იძულებული ხდებოდა, წამდაუწუმ ხელი მოენაცვლებინა, თორემ ისინი ხელიდან გაუსხლტებოდა.
მათ ზურგს უკან გაზის ბუხარი ვარვარებდა.
მისტიკა და მოწიწება? ნურას უკაცრავად! მოწითალო სიბნელეს თვალი ისე შესჩვეოდა, რომ ოთახში ყველაფერს არჩევდნენ და ახლა აქ უხამსი ჟრიამული იდგა. მუსიკა და შეძახილები ხსნის არმიის აღსაგზნებ მეთოდებს მოაგონებდათ, მოაგონებდათ იმათაც კი, მაგალითად, ჰანს კასტორპს, ვისაც არასოდეს უნახავს გაშმაგებული სალოსების რელიგიური დღესასწაული. ამ ვითომ მისტიკურ და იდუმალებით აღსავსე სცენას ღვთისმოსაური გრძნობები უნდა გაეღვივებინა, მაგრამ სინამდვილეში სულ არ იწვევდა იმქვეყნიურობის განცდას, პირიქით, როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი ახლო და ინტიმურ ნათესაობას ბუნებრივ, ორგანულ მოვლენებთან უფრო ამჟღავნებდა. ელის მტკივნეული ჭიდილი და სიმშვიდის წუთები ერთმანეთს ენაცვლებოდა, სიმშვიდის წუთებში იგი სკამზე მოწყვეტით გადაეკიდებოდა და სავსებით ითიშებოდა, რასაც დოქტორი კროკოვსკი ღრმა ტრანსს“ უწოდებდა. შემდეგ ისევ წამოიწევდა, გმინავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, შფოთავდა, თავის ზედამხედველებს ებრძოდა, ყურთან მის ცხელ სუნთქვას გრძნობდნენ და მისი უაზრო ჩურჩული ესმოდათ, ელი აქეთ-იქით ისე ეხეთქებოდა, თითქოს თავისი წიაღიდან რაღაცის გამოძევება უნდაო, კბილებს აკრაჭუნებდა და ერთხელ ჰანს კასტორპს სახელოზეც კი უკბინა.
ასე გაგრძელდა საათზე მეტხანს და სეანსის წინამძღოლმა საყოველთაო ინტერესებისათვის მიზანშეწონილად ცნო, შესვენება გამოეცხადებინა. ჩეხ ვენცელს მრავალფეროვნების შემოტანის მიზნით მუსიკალური აპარატი დაესვენებინა და კარგა ხანია გიტარას აკვნესებდა და აჟღარუნებდა, მაგრამ ახლა ინსტრუმენტი მანაც გვერდზე გადადო. ყველამ ამოიხვნეშა და ხელები გაითავისუფლა. დოქტორი კროკოვსკი ჭაღის ასანთებად კედელთან მივიდა. ოთახი თვალისმომჭრელმა თეთრმა შუქმა გაანათა და ყველამ მოჭუტა ღამის სიბნელისაგან აზრდაკარგული თვალები. ელი წინ გადმოხრილიყო, სახე ლამის კალთაში ჩაერგო და თვლემდა. იგი უცნაურ საქმეს იყო შებმული, ამას სხვები, ეტყობა, მიჩვეულნი იყვნენ, ჰანს კასტორპი კი ელის გაოცებითა და ყურადღებით უცქერდა: რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი ხელისგულებს თეძოებზე ისვამდა, ხელს ხან მოიშორებდა, მერე კვლავ ისე გამალებით აამოძრავებდა, თითქოს

რაღაცას ბოჭავს და აგროვებსო. შემდეგ რამდენჯერმე შეტოკდა, თვალები დაახამხამა, მანაც სხვებივით უაზრო, ნამძინარევი თვალებით შეხედა შუქს და გაიღიმა.
გაიღიმა კეკლუცად და საკმაოდ თავდაჭერილად. მისი ტანჯვა-ვაება სიბრალულს მართლაც აღარ იწვევდა. არც განსაკუთრებული დაღლა ეტყობოდა და, ალბათ, არც აღარაფერი ახსოვდა. იგი ფანჯარასთან, პაციენტებისთვის განკუთვნილ სავარძელში იჯდა, საწერი მაგიდის ვიწრო მხარესთან, საწერ მაგიდასა და თეჯირს შუა, რომელიც შეზლონგს ეფარებოდა. სავარძელი ისე დაედგა, რომ მკლავით საწერ მაგიდას ჩამოყრდნობოდა და ოთახისკენ ეცქირა. ასე იჯდა იგი, მისკენ ხშირად აპარებდნენ გულაჩუყებულ მზერას, ხან გამამხნევებლად უქნევდნენ თავს, მას კი მთელი შესვენების მანძილზე, რაც თხუთმეტ წუთს გაგრძელდა, ხმა არ ამოუღია.
ეს იყო ნამდვილი შესვენება - ლაღი და შესრულებული სამუშაოს გამო კმაყოფილებით აღსავსე. ისმოდა მამაკაცების სათუთუნეების ტკაცუნი. ისინი დინჯად აბოლებდნენ და ჯგუფ-ჯგუფად მდგარნი სეანსის თავისებურებებზე მსჯელობდნენ. ჯერ ნაადრევი იყო საქმეზე ხელის აღება, აქაოდა, მაინც არაფერი გამოვაო. მრავალი ნიშანი გვარწმუნებდა, რომ სულსწრაფობის გამოჩენა არ ღირდა. ვინც ნახევარწრის მეორე ბოლოში, დოქტორთან ახლოს იჯდა, ერთხმად ირწმუნებოდნენ, რამდენჯერმე გარკვევით ვიგრძენით ის ცივი სიო, ფენომენის გამოჩენის წინ მედიუმის პიროვნებიდან ყოველთვის ერთი გარკვეული მხრიდან რომ მოქრისო. სხვები ირწმუნებოდნენ, შუქისმიერი მოვლენები შევნიშნეთო, თეთრი ლაქები, ანუ შეკუმშული მოხეტიალე ძალები, თეჯირზე რომ დარიალებდნენო. მოკლედ, არავითარი უკან დახევა! არავითარი გულგატეხილობა! ჰოლგერმა სიტყვა მოგვცა და უფლება არა გვაქვს, მისი სიტყვის სიმტკიცეში ეჭვი შევიტანოთო.
დოქტორმა კროკოვსკიმ სეანსის განახლების ნიშანი მისცა. სანამ სხვები კვლავ თავ-თავიანთ ადგილებს მიაშურებდნენ, მან თვითონ მიაცილა ელი თავის საწამებელ სკამამდე და თმაზე ხელი გადაუსვა. სეანსი განახლდა. ჰანს კასტორპმა ითხოვა პირველი კონტროლიორის პოსტიდან გათავისუფლება, მაგრამ სეანსის წინამძღოლმა სასტიკი უარი უთხრა. მე პირადად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ის, ვინც ამ საქმეს იკისრებს, უშუალოდ დავარწმუნო, რომ მედიუმის მხრივ საზოგადოების შეცდომაში შესაყვანი მანიპულაციები პრაქტიკულად გამორიცხულიაო. რა გაეწყობოდა, ჰანს კასტორპმა კვლავ დაიკავა ელის ახლოს თავისი ადგილი. სინათლე ჩაქრა და ოთახში ისევ მოწითალო სიბნელემ დაისადგურა. კვლავ ახმიანდა მუსიკა. რამდენიმე წუთის შემდეგ ელიმ ძველებურად დაიწყო ტოკვა და დგუშისებური მოძრაობები და ამჯერად საზოგადოებას ჰანს კასტორპმა ამცნო ტრანსის“ დაწყების ამბავი. სკანდალური მშობიარობა გაგრძელდა.
რა საშინლად მძიმედ მიმდინარეობდა მშობიარობა! თითქოს დასასრული არ უჩანდა, თუმცა შეიძლებოდა კი ჰქონოდა დასასრული? რა სიგიჟეა! აქ დედობას რა ხელი ჰქონდა? მოლოგინება? როგორ, რანაირად? „მიშველეთ! მიშველეთ!“ - გმინავდა გოგონა და საცაა ის მავნე და სახიფათო, გახანგრძლივებული კრუნჩხვა მოუვლიდა, განათლებული ბებიაქალები ეკლამფსიას რომ უწოდებენ. იგი დროდადრო დოქტორს უხმობდა, ხელი შემაშველეთო, და იგიც გამამხნევებელი შეგონებებით აშველებდა ხელს. ჰიპნოზი, თუკი მართლა არსებობდა იგი, გოგონას ბრძოლის გასაგრძელებელ ძალას მატებდა.
გავიდა მეორე საათიც. ამ დროის განმავლობაში ხან გიტარა მღეროდა და ხან გრამოფონი აფრქვევდა მსუბუქი მუსიკის ალბომიდან ამოღებულ მელოდიებს, და დღის შუქს გადაჩვეული თვალები, ასე თუ ისე, ხელახლა ეგუებოდნენ სიბნელეს. ამ დროს მოხდა ერთი ინციდენტი და ამაში ბრალი ჰანს კასტორპს მიუძღოდა: მან მოვლენებს ბიძგი მისცა, გამოთქვა ერთი სურვილი და მოსაზრება, რასაც, კაცმა რომ თქვას, თავიდანვე ელოლიავებოდა და ისედაც ჯობდა, ადრე გამოეთქვა. ელიმ სახე სწორედ იმ წუთში ჩარგო გაკავებულ ხელებში, „ღრმა ტრანსში“ გადავარდა და ბატონი ვენცელიც, ის-ის იყო, აპირებდა, ფირფიტა გამოეცვალა ან გადაეტრიალებინა, რომ ჩვენმა მეგობარმა მტკიცედ წამოიწყო, ერთი წინადადება უნდა მოგცეთ, შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ, მე მგონი, მან

სარგებლობა უნდა მოგვიტანოსო. მას აქვს... უფრო სწორად, სანატორიუმის ფირფიტების კოლექციაში არის ერთი მუსიკალური ნომერი: „ვალენტინის ვედრება“ გუნოს მარგარიტადან“, ბარიტონი მღერის ორკესტრის თანხლებით, მშვენიერი რამაა და მისი, ანუ ჰანს კასტორპის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, ბედი ერთხელ ამ ფირფიტით გვეცადაო...
- ეგ რაღა საჭიროა? - მოწითალო სიბნელიდან გაისმა დოქტორის ხმა.
- განწყობილების, გრძნობის საქმეა, - მიუგო ახალგაზრდა კაცმა. დასახელებული ნაწარმოების სულისკვეთება თავისებური და სპეციფიკურია, იქნებ გაგვიმართლოს ცდამ. ჩემი აზრით, გამორიცხული არაა, ამ სულისკვეთებამ და სიმღერის ხასიათმა შეამოკლოს აქ მიმდინარე პროცესიო, დასძინა მანვე.
- ფირფიტა აქ არის? - იკითხა დოქტორმა.
არა, აქ არ არის, მაგრამ ჰანს კასტორპს იოლად შეუძლია მისი მოტანა.
- ეგ რამ გაფიქრებინათ! - კატეგორიულად უარყო კროკოვსკიმ ეს წინადადება. როგორ? ჰანს კასტორპს უნდა წავიდ-წამოვიდეს, რაღაც მოიტანოს და ისევ განაგრძოს შეწყვეტილი მუშაობა? აი, რას ნიშნავს გამოუცდელობა. არა, ეს ყოვლად დაუშვებელია. ყველაფერი დაგვენგრევა და თავიდან გაგვიხდება დასაწყები. გარდა ამისა, ასეთ თვითნებურ გასვლა-შემოსვლაზე მეცნიერული სიზუსტე ფიქრსაც კი გვიკრძალავს. კარი ჩაკეტილია. გასაღები მას უდევს ჯიბეში. მოკლედ, თუ ფირფიტა აქ არა გვაქვს, მაშინ... მას ლაპარაკი ჯერ არ მოემთავრებინა, რომ გრამოფონის გვერდით მჯდომმა ჩეხმა გამოსძახა:
- ფირფიტა აქ არის.
- აქ არის? - ჰკითხა ჰანს კასტორპმა.
დიახ, აქ არის. მარგარიტა, ვალენტინის ვედრება. ინებეთ. იგი შემთხვევით მოხვედრილა მსუბუქი მუსიკის ალბომში, წესით კი, მისი ადგილიმეორე ნომერ, არიების მწვანე ალბომში უნდა ყოფილიყო. დიახ, იგი შემთხვევით, უცნაურად, ვიღაცის დაუდევრობისწყალობით, ჩვენდა გასახარად აღმოჩნდა მხიარულ სიმღერებში და ისღა დაგვრჩენოდა, დაგვეკრა.
ჰანს კასტორპმა რაღა თქვა? მას არაფერი უთქვამს, ეს დოქტორმა თქვა, მით უკეთესიო, და ბევრმა აუბა მხარი. ნემსმა დაიზუზუნა, სახურავი დაიხურა და ქორალივით აჟღერდა ვაჟკაცური ხმა: „უნდა განვშორდე...“
ლაპარაკი შეწყდა. ყველანი სმენად იქცნენ. ელიმ სიმღერის დაწყებისთანვე განაახლა მუშაობა. იგი მაღლა იწევდა, ცახცახებდა, გმინავდა, რაღაცას ტუმბავდა და სველ, გალიპულ თითებს შუბლზე ისვამდა. ფირფიტა ბრუნავდა. დაიწყო შუა ნაწილი, რიტმი უეცრად შეიცვალა, ეს იყო ბრძოლისა და საფრთხის მაუწყებელი, ომახიანი, ღვთისმოსავი, ფრანგული სულით გაჟღენთილი ნაწილი. იგი ჩათავდა და აჟღერდა ფინალი, ორკესტრმა დასაწყისი რეპრიზა გააძლიერა და მძლავრად აახმიანა:
„უზენაესო, შეისმინე ვედრება ჩემი...“
ჰანს კასტორპს ელი გაუხდა მისახედი. იგი წელში გაიზნიქა, კრუნჩხვისგან შევიწროებული ყელით ძლივს ჩაისუნთქა ჰაერი, მერე ერთი გრძლად ამოიხვნეშა, მიილუშა და აღარც განძრეულა... ჰანს კასტორპი მზრუნველად დაიხარა მისკენ და ამ დროს გაიგონა შტორის წრიპინა ხმა:
- ციმ-სენ!
ჰანს კასტორპი წელში ვეღარ გაიმართა. პირში მწარე გემო იგრძნო. გაიგონა, როგორ ცივად გამოეპასუხა შტორს სხვა, ბოხი ხმა:
- მე მას დიდი ხანია ვხედავ.
ფირფიტა დამთავრდა, გაიხმიანა ჩასაბერი ინსტრუმენტების უკანასკნელმა აკორდმა, მაგრამ აპარატი არავის გაუჩერებია. სიჩუმეში დისკოზე ფუჭად ტრიალებდა ნემსი და ფირფიტას ფხაჭნიდა. ჰანს კასტორპმა თავი ასწია და ძებნა არ დასჭირვებიათ, თვალებმა თავისით მონახეს სწორი გზა.
ოთახში მყოფთა რიცხვი ერთით გაზრდილიყო. იქ, საზოგადოებისგან მოშორებით, უკანა პლანზე, სადაც წითელი შუქის ანარეკლი თითქმის ღამეში იკარგებოდა, ისე, რომ თვალი თითქმის ვეღარაფერს არჩევდა, საწერი მაგიდის ფართო გვერდსა და თეჯირს შუა, ოთახისკენ პირშექცეულ, პაციენტებისთვის განკუთვნილ სკამზე, იქ, სადაც შესვენებისას ელი იჯდა, იჯდა იოახიმი. ეს იოახიმი იყო, ჩაცვენილი ლოყებითა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში წამოზრდილი მეომრული

წვერით, წვერებში მსხვილი, ამაყად მოხაზული ტუჩები რომ მოუჩანდა. იგი სავარძლის საზურგეს მიყრდნობოდა და ფეხი ფეხზე გადაედო. თავსაბურავი სახეს უჩრდილავდა, მაგრამ მის გაცრეცილ სახეზე ამოიცნობდით ტანჯვის კვალსაც და იმ სერიოზულ და მკაცრ გამომეტყველებასაც, მის სახეს ოდესღაც ვაჟკაცურ სილამაზეს რომ ანიჭებდა. შუბლზე, თვალებშუა, ორი ნაოჭი აჩნდა, თვალები ფოსოებში ღრმად ჩასცვივნოდა, მაგრამ მის მშვენიერ, ფართო, შავ თვალებს ნაზი გამომეტყველება მაინც შერჩენოდა და ეს წყნარი, ალერსიანი და გამომცდელი მზერა ჰანს კასტორპისაკენ, მხოლოდ მისკენ მიემართა. მისი ოდინდელი სადარდებელი, განზე გამდგარი ყურები, უცნაური, გაურკვეველი მოყვანილობის თავსაბურავის ქვემოდანაც მოუჩანდა. იოახიმს სამოქალაქო ტანსაცმელი არ ეცვა; ხმალი თითქოს ზემოდან გადადებულ ფეხზე ჰქონდა მიყუდებული, ხელები ვადაში ჩაევლო და ქამარზე კიდევ რევოლვერის ბუდესავით რაღაც მოუჩანდა. მაგრამ მისი ტანსაცმელი ნამდვილ სამხედრო ფორმას მაინც არ ჰგავდა. ზედ არც არაფერი უბრწყინავდა და არც რაიმე ფერადი შეიმჩნეოდა, ხალათს ქურთუკისებური საყელო და ჩაჭრილი ჯიბეები ჰქონდა და სადღაც ქვევით ებნია ჯვარი. იოახიმს ფეხები წვრილი მოუჩანდა, ტერფები კი უზარმაზარი. წვივებზე ტოლაღები ჰქონდა დახვეული, მაგრამ ისინი სპორტულს უფრო წააგავდა, ვიდრე ჯარისკაცურს. ეს თავსარქმელი რაღა იყო? გეგონებოდათ, იოახიმს თავზე საველე ჭურჭელი, კარდალა ჩამოუცვამს და ნიკაპქვეშ ზონრით დაუმაგრებიაო. მიუხედავად ამისა, ამ თავსარქმელს ძველებური, მეომრული იერი ჰქონდა, ლანდსკნეჰტების მუზარადს მიაგავდა და იოახიმსაც რატომღაც საოცრად უხდებოდა.

ჰანს კასტორპი ხელებზე ელენ ბრანდის სუნთქვას გრძნობდა, გვერდიდან კი კლეეფელდის აჩქარებული ქოშინი ესმოდა. სხვა არაფერი, მხოლოდ ჩამთავრებული ფირფიტა ბრუნავდა და ნემსის ქვეშ ზუზუნი გაუდიოდა. ფირფიტის გამჩერებელი კი არავინ იყო. ჰანს კასტორპი თავისი კომპანიის არც ერთ წევრს არ უყურებდა, მათი დანახვაც არ უნდოდა. მის მუხლებზე დასვენებულ თავსა და ხელებს ზემოთ, მთელი ტანით წინ გადახრილიყო, მოწითალო სიბნელეში იცქირებოდა და სავარძელში მჯდომ სტუმარს თვალს არ აცილებდა. წუთით მოეჩვენა, რომ საცაა გული აერეოდა. ყელში რაღაც უჭერდა და ქვითინი ახრჩობდა. „მაპატიე!“ - წაიჩურჩულა მან; შემდეგ თვალები ცრემლმა დაუბურა და აღარაფერი დაუნახავს.

ჩურჩული გაიგონა: „დაელაპარაკეთ!“ - მერე მოესმა დოქტორ კროკოვსკის ბარიტონი, რომელმაც საზეიმოდ და მხიარულად წარმოთქვა მისი სახელი და იგივე მოწოდება გაუმეორა. თანხმობის ნაცვლად, მან ელის სახეს ხელები გამოაცალა და ფეხზე წამოდგა.

დოქტორმა კროკოვსკიმ ისევ დაიძახა მისი სახელი და ამჯერად ხმაშისიმკაცრე და მუქარა გამოურია, მაგრამ ჰანს კასტორპი რამდენიმე ნაბიჯით შემოსასვლელი კარის საფეხურებთან გაჩნდა და თეთრი შუქის მანჭვილი სწრაფად გადაატრიალა.

მძიმე შოკში ჩავარდნილი ბრანდი კლეეფელდის მკლავებში ცახცახებდა. ის სავარძელი ცარიელი იყო.

კროკოვსკი ფეხზე იდგა და ჰანს კასტორპს უჯავრდებოდა. ჰანს კასტორპი სულ ახლოს მივიდა მასთან. რაღაც უნდოდა, ეთქვა, მაგრამ სიტყვის თქმა ვერ შეძლო. მხოლოდმწყრალად გააქნია თავი და ხელი გაიშვირა. გასაღები მისცეს თუ არა, დოქტორს სახეში შეხედა, თავი რამდენჯერმე მუქარით დაუქნია. სწრაფად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

დიდი ამრეზილობა

წელიწადების ცვლასთან ერთად სანატორიუმ „ბერგჰოფში“ რაღაც შეიცვალა, დამკვიდრდა ერთი სულისკვეთება და ჰანს კასტორპი ხვდებოდა, იგი იმ ავი დემონის პირმშო რომ გახლდათ, რომლის სახელი ერთხელ უკვე ნახსენები გვაქვს. მან განათლებას დაწაფებული მოგზაურის უპასუხისმგებლო ცნობისმოყვარეობით შეისწავლა ეს დემონი და ასე განსაჯეთ, მისი სამსახურისადმი სახიფათო მიდრეკილებანი საკუთარ თავშიც აღმოაჩინა, მის

სამსახურში კი მთელი აქაური სამყარო იყო ჩამდგარი. თავისი ბუნების წყალობით იგი საიმისოდ არ იყო გაჩენილი, დამონებოდა იმ სულისკვეთებას, რომელიც ამჟამად იდგამდა ფესვებს, თუმცა ჩანასახის სახით ესეც და სხვა სულისკვეთებაც აქა-იქ „ბერგჰოფში“ ყოველთვის ბოგინობდა ხოლმე; და მაინც, შიშით ამჩნევდა, რომ საკმარისი იყო, ოდნავ მოდუნებულიყო და, გამომეტყველებაში, ლაპარაკსა და საქციელში მასაც ეპარებოდა ხოლმე ის ინფექცია, რომელსაც ირგვლივ ვერავინ აღწევდა თავს.
მაინც რა იყო? რა ტრიალებდა ჰაერში? ჩხუბის ჟინი. კრიზისის მომასწავებელი გაღიზიანება, უმსგავსი მოუთმენლობა. საყოველთაო მიდრეკილება გესლიანი შეხლა-შემოხლისადმი, გაცეცხლებისადმი, ხელჩართული ჩხუბისადმიც კი. გამწარებული კამათი, თავაწყვეტილი ლანძღვა-გინება ყოველდღიური ამბავი იყო ცალკეულ პიროვნებებსა თუ მთელ ჯგუფებს შორის და ნიშანდობლივია, რომ შორიდან მაყურებლები არათუ არ გმობდნენ უშუალოდ საქმეში გარეულთ და მოჩხუბრებს კი არ აშველებდნენ, არამედ თვითონაც სიამოვნებით ებმებოდნენ აყალმაყალში და ჩხუბის ჟინით თვითონაც იმსჭვალებოდნენ ხოლმე. მოჩხუბრები ფითრდებოდნენ და ცახცახებდნენ. თვალები უბრწყინავდათ, თვალებს აბრიალებდნენ, ტუჩ-პირი ბრაზისაგან ეღრიცებოდათ. სხვებს კი შურდათ იმ აქტიური მოჩხუბრებისა, ვისაც ყვირილის საბაბი და უფლება მიეცემოდა. მიბაძვის დაუოკებელი ჟინი იპყრობდა მათ სულსა და ხორცს და ვისაც ძალა არ ჰყოფნიდა, თავი მარტოობისთვის შეეფარებინა, ის აუცილებლად ებმებოდა საყოველთაო ორომტრიალში. სანატორიუმ „ბერგჰოფში“ მომრავლდა უმიზეზო კონფლიქტები და ერთმანეთის ლანძღვა-გინება დირექციის თანდასწრებით, ისინიც, ვითომ მოჩხუბრებს ვაშოშმინებთო, თვითონაც სულ იოლად გადადიოდნენ ყვირილსა და უხეშობაზე. ვინც აქედან ნერვებდაწყნარებული მიდიოდა, იმანაც კი არ იცოდა, უკან რა დღეში დაბრუნდებოდა. კარგი რუსული მაგიდის ერთი წევრი, მინსკიდან ჩამოსული, მართლაც რომ ელეგანტური პროვინციელი მანდილოსანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მსუბუქი ავადმყოფი, რომელსაც სამთვიანი მკურნალობა ჰქონდა დანიშნული, ერთ მშვენიერ დღეს კურორტზე ჩავიდა მოდური კოფტების ფრანგულ მაღაზიაში და იქ ისეთი ჩხუბი მოუვიდა გამყიდველ ქალთან, რომ შინ ნერვებაშლილი დაბრუნდა, ყელიდან სისხლი წასკდა და მას შემდეგ განუკურნებელი ავადმყოფი გახდა. გამოიძახეს მისი მეუღლე და განუცხადეს, თქვენი ცოლი აქ სამუდამოდ უნდა დარჩესო.
ეს ერთ-ერთი მაგალითი იყო იმისა, რაც აქ ხდებოდა. სულ არ გვეხალისება, მაგრამ ერთ ამბავს კიდევ მოგითხრობთ. იქნებ ვინმეს ახსოვს ერთი მრგვალსათვალიანი მოსწავლე, ანუ ყოფილი მოსწავლე, ფრაუ ზალომონის მაგიდასთან რომ იჯდა. იმ უნიათო ყმაწვილს ერთი ჩვეულება ჰქონდა: საჭმელს დააქუცმაცებდა, აზელდა, მერე მაგიდას იდაყვით დაეყრდნობოდა, იმ სალაფავს მისდგებოდა და შესანსლავდა, თან დროდადრო ხელსახოცს სათვალის სქელ შუშებქვეშ შეიცურებდა ხოლმე. ასე იჯდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს მოსწავლე, თუ ყოფილი მოსწავლე, საჭმელს ნთქავდა, თვალებს იწმენდდა და არავითარ საბაბს არ იძლეოდა, მისი პიროვნებით უფრო მეტად დაინტერესებულიყო ვინმე. ახლა კი, ერთ დღეს, პირველ საუზმეზე, სრულიად მოულოდნელად, რომ იტყვიან, მეხი ჩამოვარდა მოწმენდილი ციდანო, ეს ყმაწვილი ისე გაალმასდა და გააფთრდა, რომ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და მთელი სასადილო დარბაზი ფეხზე დააყენა. იმ ადგილას, დარბაზის ბოლოში, სადაც იგი იჯდა, დიდი ხმაური ატყდა, ყმაწვილი გაფითრებული გაჰყვიროდა, უფრო სწორად, ლილიპუტს უყვიროდა, რომელიც იქვე, მის გვერდით იდგა.
- თქვენ ტყუით! - ყვიროდა იგი და სიბრაზისაგან ხმა უწყდებოდა, - ჩაი ცივია! თქვენი მოტანილი ჩაი ყინულივით ცივია. არ მინდა, სანამ ტყუილს იტყოდეთ, თქვენ თვითონ გასინჯეთ, ეს თუ ნელთბილი ნარეცხი არ არის და თუ შეიძლება საერთოდ დალიოს წესიერმა ადამიანმა! როგორ გაბედეთ ჩემთვის ყინულივით ცივი ჩაის მოტანა, როგორ იფიქრეთ, როგორ გაივლეთ გულში, რომ ამას დავლევდი?! არ დავლევ! არ მინდა! - დაიწივლა მან და მაგიდას მუშტები ისე დაუშინა, რომ ჭურჭელი ათამაშდა და აზრიალდა, - მე ცხელი ჩაი მინდა! ქაფქაფა ჩაი მინდა, ამის უფლება მაქვს ღვთისა და კაცის წინაშე! ეს არ მინდა, მე მდუღარე

მინდა, ეს, ერთი ყლუპიც რომ მოვსვა, სულს გამაცხებინებს... წყეულო ჯოჯოვ! - დაიღრიალა მან უეცრად, ამით უკანასკნელი აღვირიც ჩამოიგდო და გააფთრების სრული თავისუფლება მოიპოვა, ემერენციას მუშტი მოუღირა და პირზე დუჟმორეულმა კბილები დაუღრჭიალა. შემდეგ მაგიდაზე ბრახუნი განაგრძო, თან ფეხებს აბარტყუნებდა და თავის მინდა-არ მინდას გაჰყვიროდა, დარბაზში კიამასობაში ჩვეულებრივი ორომტრიალი იდგა. გამძვინვარებულმა მოსწავლემ შემაშფოთებელი, ნერვიული თანაგრძნობა გამოიწვია. რამდენიმე კაცი წამოხტა და იქით მასავით მუშტმოღერებული, კბილებდაკრეჭილი და თვალანთებული იცქირებოდა. სხვები ფერდაკარგულნი ისხდნენ,თვალები დაეხარათ და კანკალებდნენ. ასევე კანკალებდნენ მერეც, როცა არაქათგამოცლილი მოსწავლე თავისთვის იჯდა, წინ ახალი ჩაი ედგა და პირს არ აკარებდა.
„ბერგჰოფის“ სათვისტომოს ერთი კაცი შემოემატა, ყოფილი კომერსანტი, ოცდაათი წლისა. მას უკვე დიდი ხანია სიცხეს აძლევდა და სანატორიუმიდან სანატორიუმში მომთაბარეობდა. ეს კაცი ებრაელთა მოძულე იყო, ანტისემიტი გახლდათ პრინციპულადაც და სპორტული ინტერესითაც, რაღაცნაირი ხალისიანი გაშმაგებით მისდევდა ამ საქმეს და ეს აკვიატებული უარყოფა მისი ცხოვრების სიამაყესა და შინაარსს შეადგენდა. ოდესღაც კომერსანტი იყო და ვეღარ კომერსანტობდა, ამქვეყნად აღარაფერს წარმოადგენდა, მაგრამ ებრაელთა მტრობაზე ხელი არ აუღია. იგი სერიოზულად იყო ავად, მძიმედ, ხრინწიანად ახველებდა, ხოლო დროდადრო ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ფილტვით აცემინებსო, ხმამაღლა, მოკლედ, ერთს შემაძრწუნებლად ამოახველებდა ხოლმე. მაგრამ ებრაელი რომ მაინც არ იყო, თავმოსაწონად ესღა დარჩენოდა. გვარად ვიდემანი გახლდათ, ქრისტიანული გვარი ჰქონდა, რაიმე უწმინდური კი არა. ერთ ჟურნალს იწერდა, რომელსაც „არიული ლამპარი“ ერქვა და აი, ამდაგვარების მოყოლა იცოდა.
- ჩავდივარ ერთხელ სანატორიუმ იქსში, ის იყო, დავაპირე საერთო გალერეაში დაბანაკება და, როგორ ფიქრობთ, ვინ წევს ხელმარცხნივ შეზლონგზე? ბატონი ჰირში! ხელმარჯვნივ? ბატონი ვოლფი! იქ რაღა გამაჩერებდა, მაშინვე წამოვედი, - და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.
„ეგრეც მოგიხდება!“ - ზიზღით გაიფიქრებდა ხოლმე ჰანს კასტორპი.
ვიდემანმა ჩასაფრებულივით სწრაფად იცოდა ადამიანზე თვალის შევლება. ნამდვილად გეგონებოდათ, ცხვირწინ ფოჩი უკიდია, ზედ ბოროტად აელმებს თვალს და მის მიღმა ვეღარაფერს ხედავსო. მის სულში ჩაბუდებული ავი იდეა მღრღნელ უნდობლობად, ვინმეს ამოჩემებისა და მუდმივი დევნის მანიად გადაქცეოდა და არ ასვენებდა. თავის სიახლოვეს მიმალულ ან შენიღბულ უწმინდურობას თუ იეჭვებდა, უეჭველად უნდა გამოეჩხრიკა და საქვეყნოდ გამოეჭენებინა. სადაც უნდა მოხვედრილიყო, იკბინებოდა, ცილს სწამებდა ყველას და დორბლებს ყრიდა. მოკლედ, ყოველდღიურ ცხოვრებას იმათი ლანძღვა-გინებით ივსებდა, ვისაც მისი კუთვნილი, ის ერთადერთი უპირატესობა არ გააჩნდა.
ზემოთ აღწერილი ბოღმა ამ კაცს ჯანმრთელობას დიდად უუარესებდა და რაკი არ იქნებოდა, აქაც არ წასწყდომოდა ისეთ სულიერთ, ვისაც ის ნაკლი ჰქონდა, რისგანაც თვითონ დაზღვეული გახლდათ, ერთ მშვენიერ დღეს იმ ბოღმის წყალობით მეტისმეტად ამაზრზენი სცენა გათამაშდა, მას ჰანს კასტორპიც შეესწრო და ჩვენც შემდგომ ასაწერ მასალად ამ შემთხვევას გამოვიყენებთ.
აქ ბინადრობდა ერთი კაცი, რომელსაც გამოსააშკარავებელიც არაფერი ჰქონდა, ამჯერად ისე ნათელი იყო ყველაფერი. ეს კაცი გვარად ზონენშაინი გახლდათ და რაკი ვიდემანის თვალში ამაზე უწმინდური გვარი არც მოიძებნებოდა, პირველივე დღიდან ზონენშაინის პიროვნება ცხვირწინ ფოჩივით დაიკიდა, ზედ თვალებს ბოროტად აელმებდა და ხანდახან ხელსაც წაჰკრავდა ხოლმე, ოღონდ თავიდან მოსაცილებლად კი არა, პირიქით, რომ კიდევ უკეთ გაღიზიანებულიყო.
ზონენშაინიც მასავით სოვდაგარი იყო, მასავით მძიმე ავადმყოფიც და ავადმყოფურად მგრძნობიარეც. ამ ყველას მიმართ კეთილად განწყობილ კაცს არც ჭკუა აკლდა და ხუმრობის ნიჭიც ჰქონდა მომადლებული, აი, ვიდემანი კი მისი ენაგესლიანობისათვის და იმ ფოჩით თამაშისათვის, თავის მხრივ, მანაც სასტიკად შეიძულა, ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ნაშუადღევს ხალხი ვესტიბიულში

გაცვივდა, რადგან იქ გამხეცებულ ვიდემანსა და ზონენშაინს ერთმანეთი თმით დაეთრიათ.
საზარელი, უბადრუკი სანახაობა იყო. პატარა ბიჭებივით მუშტი-კრივი გაემართათ, მაგრამ მათ ჩხუბში უკიდურესობამდე მისული მოზრდილი ადამიანების გამწარება იგრძნობოდა. ერთმანეთს სახეს აფხოჭნიდნენ, ცხვირსა და ყელში სწვდებოდნენ, იატაკზე ერთმანეთს აფურთხებდნენ, ფეხით ჯეგავდნენ, აჯაჯგურებდნენ, ტანსაცმელს ახევდნენ, უბრაგუნებდნენ და პირიდან დორბლს ყრიდნენ. სანატორიუმის პერსონალმა ძლივს დააცილა ერთმანეთს დაკბენილი და დაკაწრული მოჩხუბრები. ვიდემანი იფურთხებოდა, სისხლი სდიოდა და ბრაზისაგან სახეშეშლილს თმა ყალყზე დასდგომოდა. ჰანს კასტორპს არც ენახა და არც სჯეროდა, ასეთი რამ საერთოდ თუ შეიძლებოდა. ბატონ ვიდემანს გახევებული თმა ყალყზე ედგა და ასე თმაგაშეშებული მოსცილდა იქაურობას, ბატონ ზონენშაინს კი ერთი თვალი ჩალურჯებოდა და შავ, ხუჭუჭ თმაში სისხლიანი ჭრილობა მოუჩანდა. იგი კანტორაში შეიყვანეს, იქ სკამზე დაეცა, სახეზე ხელები აიფარა და მწარედ აქვითინდა.
აი, ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ ვიდემანსა და ზონენშაინს. ამ სცენის შემსწრენი კიდევ რამდენიმე საათს კანკალებდნენ. შედარებისათვისსასიამოვნოც კია გიამბოთ ამ უბადრუკი სცენის საპირისპირო, იმავე პერიოდში მომხდარი, მართლა შელახული ღირსების დასაცავი ორთაბრძოლის ამბავი, რომელიც ამ სახელს, მართალია, ღიმილისმომგვრელად, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, მისი ფორმალური მხარის ზარ-ზეიმით წარმართვის გამო მაინც იმსახურებდა. ჰანს კასტორპი მის ცალკეულ ფაზებს არ შესწრებია, ამ საქმის ჩახლართულ და დრამატულ მიმდინარეობას მხოლოდ დოკუმენტების, ახსნა-განმარტებითი ბარათებისა და ოქმების საშუალებით გაეცნო, ყველა ეს დოკუმენტი არამცთუ სანატორიუმ ბერგჰოფში“, არამედ მის გარეთაც გავრცელდა, და არა მარტო კურორტზე, მთელ კანტონში, მთელ ქვეყანაში, საზღვარგარეთაც, ამერიკაშიცკი გააღწია და შესასწავლად ისეთ პირებსაც კი დაეგზავნა, რომლებიც ამ საქმეს ვერც მნიშვნელოვნად ჩათვლიდნენ და არც მოინდომებდნენ მის მიმართ თუნდაც იოტისოდენა ინტერესი გამოეჩინათ.
ეს გახლდათ ეგრეთ წოდებული პოლონელთა საქმე, ღირსების დასაცავად პოლონელთა ჯგუფის წიაღში ატეხილი დავა. მთელი ეს პატარა კოლონია ცოტა ხნის ჩამოსული იყო ბერგჰოფში“ და კარგი რუსული მაგიდა მთლიანად ეკავა (ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ ჰანს კასტორპი იქ აღარ იჯდა, მას მერე მან ჯერ კლეეფელდთან გადაინაცვლა, შემდეგ ზალომონთან და ბოლოს, ფროილაინ ლევის გვერდით დაიმკვიდრა ადგილი). პოლონელები ისეთი ელეგანტურები იყვნენ და ისე რაინდულად დახვეწილნი, რომ გაოცებისგან მხოლოდ წარბები შეგეძლოთ აგეწიათ და ნებისმიერი შემთხვევის მოლოდინში ყოფილიყავით. ჯგუფში შედიოდა ერთი ცოლ-ქმარი და ვინმე გაუთხოვარი ქალი, რომელიც ერთ-ერთ მამაკაცთან მეგობრობდა, დანარჩენები სულ კავალრები გახლდნენ. ესენი იყვნენ ფონ ჟუტავსკი, ჩიშინსკი, ფონ როძინსკი, მიხაელ ლოდიგოვსკი, ლეო ფონ აზარაპეტიანი და ასე შემდეგ. ერთხელ ბერგჰოფის“ რესტორანში შამპანურის სმისას ვინმე იაპოლს ორი სხვა კავალრის თანდასწრებით ფონ ჟუტავსკის მეუღლესა და ბატონ ლოდიგოვსკისთან დაახლოებულ ქალიშვილზე, გვარად კრილოვზე, უშვერი რამ ეთქვა.
აი, აქედან მიეცა დასაბამი იმ ნაბიჯებს, მოქმედებასა და ფორმალობებს, ამ ხელიდან ხელში გარდამავალი და მთელ ქვეყანაში დაგზავნილი დოკუმენტების შინაარსს რომ შეადგენდა. ჰანს კასტორპი კითხულობდა:
„განცხადება, თარგმნილი პოლონური დედნიდან: 19... 27 მარტს ბატონმა სტანისლავ ფონ ჟუტავსკიმ თხოვნით მიმართა ბატონებს დოქტორ ანტონი ჩიშინსკისა და შტეფან ფონ როძინსკის მისი სახელით სწვეოდნენ ბატონ კაზიმირ იაპოლს და ღირსების კოდექსის წესების თანხმად, იგი დუელში გაეწვიათ იმ მძიმე შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის, რაიც ბატონმა კაზიმირ იაპოლმა ბატონებთან იანუშ თეოფილ ლენარტსა და ლეო ფონ აზარაპეტიანთან საუბარში მიაყენა მის თანამეცხედრეს, ქალბატონ იადვიგა ფონ ჟუტავსკას.
შეიტყო რა ზემოხსენებული საუბრის ამბავი, რომელიც ნოემბრის ბოლოს შედგა, ბატონმა ფონ ჟუტავსკიმ დაუყოვნებლივ მიიღო სათანადო ზომები, რათა

სრულად დაედგინა შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. გუშინ, 19... 27 მარტს, ბატონ ლეო ფონ აზარაპეტიანის პირით, რომელიც უშუალოდ მოწმე გახლდათ იმ საუბრისა, სადაც წარმოთქმულ იქნა შეურაცხმყოფელი სიტყვები და ინსინუაციები, დადასტურდა ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ფაქტი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბატონი სტანისლავ ფონ ჟუტავსკი იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ მიემართა ქვემორე ხელის მომწერთათვის და აღეჭურვა ისინი უფლებამოსილებით მისი ღირსების ხელყოფისათვის ბატონ კაზიმირ იაპოლის წინააღმდეგ აღეძრათ საქმე.
ქვემორე ხელის მომწერნი აცხადებენ:
1. ერთ-ერთი მხარის მიერ 19... 9 აპრილის შედგენილი ოქმის თანახმად, რომელიც შემუშავებულია ლემბერგში
(ლემბერგი - ახლანდელი ქ. ლვოვი.) ბატონების ზდისლავ ჟიგულსკისა და თადეუშ კადუის მიერ ბატონი ლადისლავ გოდულეჩნისაგან ბატონი კაზიმირ იაპოლის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო, ასევე ღირსების სასამართლოს 19... 18 ივნისის განცხადების საფუძველზე, რომელიც იმავე საქმის თაობაზე ლემბერგშივე იქნა შემუშავებული, ერთმანეთთან შეჯერებული ორივე დოკუმენტიდან დასტურდება, რომ ბატონი კაზიმირ იაპოლი ღირსების ცნებასთან შეუთავსებელი, განმეორებით ჩადენილი საქციელის გამო არ შეიძლება ჩაითვალოს ჯენტლმენად“.
2. გამოაქვთ რა ყოველივე ზემოთქმულიდან სათანადო დასკვნები, ქვემორე ხელის მომწერნი აცხადებენ, რომ ბატონი კაზიმირ იაპოლი ვერასგზით ვერ ჩაითვლება დუელში გაწვევის ღირსად.
3. იგინივე დაუშვებლად თვლიან, იკისრონ შუამავლის როლი ან ღირსების დასაცავი საქმე აღძრან იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ღირსების ცნების მიღმა იმყოფება.
საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ქვემორე ხელის მოწერნი აცნობებენ ბატონ სტანისლავ ფონ ჟუტავსკის, რომ მიზანშეწონილი არ არის საკუთარი უფლების დასაცავად ბატონი კაზიმირ იაპოლის წინააღმდეგ იმოქმედოს ღირსების კოდექსის წესების მიხედვით და ურჩევენ სასამართლოს გზით აზღვევინოს მას დანაშაული, რათა აღიკვეთოს შემდგომი დანაშაულებრივიქმედება იმ პირისაგან, ვისაც არავითარი უფლება არა აქვს და უნარიც არ შესწევს, თვითონვე გამოისყიდოს საკუთარი დანაშაული.
(დათარიღებულია და ხელმოწერილი)
დოქტორი ანტონი ჩიშინსკი,
შტეფან ფონ როძინსკი“.
ჰანს კასტორპმა განაგრძო:
„ოქმი, შედგენილი, ერთი მხრივ, ბატონი სტანისლავ ფონ ჟუტავსკისა და ბატონი მიხაელ ლოდიგოვსკისა და, მეორე მხრივ, ბატონ კაზიმირ იაპოლსა და ბატონ იანუშ თეოფილ ლენარტს შორის 19... 2 აპრილს, კურჰაუსის ბარში საღამოს 7:30-დან 7:45-მდე მომხდარი ინციდენტის მოწმეების ჩვენების მიხედვით.
ბატონი სტანისლავ ფონ ჟუტავსკი თავისი რწმუნებულების, ბატონების დოქტორ ანტონი ჩიშინსკისა და შტეფან როძინსკის, განცხადების საფუძველზე, რომელიც ეხება 19... 28 მარტს ბატონ კაზიმირ იაპოლთან მომხდარ ინციდენტს, საღი განსჯის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბატონი კაზიმირ იაპოლის სასამართლო წესით დასჯას მისი თანამეცხედრის, იადვიგას, „მძიმე შეურაცხყოფისა და ცილისწამების“ გამო ვერ მოჰყვება მისთვის სასურველი შედეგი, ვინაიდან და რადგანაც:
1. არსებობს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ ბატონი კაზიმირ იაპოლი დადგენილ დღეს არ გამოცხადდება სასამართლოს წინაშე, ხოლო მისი შემდგომი დევნა იმისგამო, რომ იგი ავსტრიის ქვეშევრდომია, არამცთუ გაძნელდება, არამედ პირდაპირ შეუძლებელი გახდება.
2. ვინაიდან და რადგანაც სასამართლოს სასჯელი ვერ გამოისყიდის იმ შეურაცხყოფას, რითაც ბატონი კაზიმირ იაპოლი ცილისმწამებლურად შეეცადა, ლაფში ამოესვარა ბატონი სტანისლავ ფონ ჟუტავსკისა და მისი თანამეცხედრის სახელი და ოჯახი.
ბატონმა სტანისლავ ფონ ჟუტავსკიმ თავისი შეხედულებისამებრ აირჩია

უმოკლესი, უსწორესი და შექმნილი ვითარებისათვის ყველაზე შესაფერი გზა, მას შემდეგ, რაც მესამე პირისაგან შეიტყო, რომ ბატონ კაზიმირ იაპოლს დაუპირებია მეორე დღესვე გასცლოდა იქაურობას.
და 19... 2 აპრილს, საღამოს 3:30-დან 7:45-მდე, თავისი თანამეცხედრე იადვიგასა და ბატონების მიხაელ ლოდიგოვსკისა და იგნაც ფონ მელინის თანდასწრებით ბატონ კაზიმირ იაპოლს, რომელიც ბატონ იანუშ თეოფილ ლენარტსა და ორ უცნობ ქალიშვილთან ერთად აქაური კურჰაუსის ამერიკულ ბარში ალკოჰოლურ სასმელებს სვამდა, რამდენჯერმე სტკიცა სილა.
ამის შემდეგ ბატონ კაზიმირ იაპოლს ბატონმა მიხაელ ლოდიგოვსკიმაც გააწნა სილა და დასძინა, ეს ფროილაინ კრილოვის მძიმე შეურაცხყოფის საზღაურიაო.
შემდეგ ბატონმა მიხაელ ლოდიგოვსკიმ სილა გააწნა ბატონ იანუშ თეოფილ ლენარტს ბატონი და ქალბატონი ჟუტავსკებისთვის მიყენებული მიუტევებელი წყენისათვის, შემდეგ კი წუთის დაუკარგავად ბატონმა სტანისლავ ფონ ჟუტავსკიმაც ბატონ იანუშ თეოფილ ლენარტს განმეორებით, რამდენჯერმე გააწნა სილა თავისი თანამეცხედრისა და ფროილაინ კრილოვის სახელის ლაფში ამოსვრისათვის.
ბატონები კაზიმირ იაპოლი და იანუშ თეოფილ ლენარტი ამ ხნის განმავლობაში პასიურად იქცეოდნენ.
(დათარიღებულია და ხელმოწერილი:)
მიხაელ ლოდიგოვსკი, იგნ. ფ. მელინი“.
ჰანს კასტორპს სხვა დროს გაეცინებოდა ასეთ ამბავზე, ახლა კი შინაგანი განცდები არ ანებებდა ოფიციალური სილაქების ამ ელვისებურ ცეცხლზე ეცინა. აკანკალებული კითხულობდა ამ სტრიქონებს და ერთი მხარის უზადო საქციელმა, ხოლო მეორე მხარის სამარცხვინო უილაჯობამ და უთავმოყვარეობამ, რაც დოკუმენტის წამკითხველს მყისვე მოხვდებოდა თვალში, ამ არაცხოვრებისეულმა, მაგრამ შთამბეჭდავმა ურთიერთსაპირისპირო საქციელმა ძალიან ააღელვა. ყველას ასევე ემართებოდა. ღირსების დასაცავად პოლონელებისგან დატრიალებული ამბების მაუწყებელ დოკუმენტებს გატაცებით სწავლობდნენ ყველგან და მის გამო თავგამოდებით კამათობდნენ. საზოგადოება ოდნავ გამოაფხიზლა ბატონი კაზიმირ იაპოლის საპასუხო ფურცელმა, აქაოდა, ფონ ჟუტავსკის მშვენიერად მოეხსენებოდა, რომ მას, იაპოლს, თავის დროზე ლემბერგში ვიღაც მეტიჩარა კოხტაპრუწების წყალობით ჩამორთმეული ჰქონდა დუელში გასვლის უფლება და ამიტომ ყველა მისი დაუხანებელი და თამამი ნაბიჯი წმინდა მაიმუნობა იყო და მეტი არაფერი, რადგან წინასწარვე იცოდა, რომ ბრძოლა არ მოუწევდაო. გარდა ამისა, ფონ ჟუტავსკიმ მას, იაპოლს, მხოლოდ იმიტომ არ უჩივლა, რომ ყველას და მათ შორის თვითონაც მშვენივრად მოეხსენება, თავის თანამეცხედრეს, იადვიგას, რქების მთელი კოლექციით რომ ჰყავს შემკობილი, რისი დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენაც მას, იაპოლს, სულ ადვილად შეუძლია. ასევე სასამართლოს წინაშე წარდგომით არც კრილოვის პატიოსნებას დაადგებოდა კარგი დღე. ისე, სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ მას, იაპოლს, აქვს ჩამორთმეული დუელში გასვლის უფლება, თორემ მის პარტნიორ ლენარტს - არადა ფონ ჟუტავსკი სწორედ მის ზურგს ამოეფარა, რომ საფრთხისთვის თავიაერიდებინა. ამ საქმეში რა როლიც ითამაშა ბატონმა აზარაპეტიანმა, ამაზე ლაპარაკიც არა სურს, ხოლო რაც შეეხება კურჰაუსის ბარში ფონ ჟუტავსკის გამოხდომას, მართალია, იგი, იაპოლი, ენამახვილი და ხუმარა კაცია, მაგრამ დიდი ჯან-ღონით ვერ დაიკვეხნის; ფონ ჟუტავსკის თავის მეგობრებსა და ქალისათვის უჩვეულოდ ღონიერ ჟუტავსკისთან ერთად დიდი ფიზიკური უპირატესობა ჰქონდათ, თან ის ორი პაწია ქალბატონი, მას და ლენარტს რომ ახლდნენ, მართალია, მხიარული არსებანი არიან, მაგრამ ქათამივით სუსტი გული აქვთ და საჯარო სკანდალს ამიტომ მოერიდა. ლენარტი აპირებდა, თავი დაეცვა, მაგრამ მან მოუწოდა, დაწყნარებულიყო და ღვთის გულისათვის მოეთმინა ბატონი ჟუტავსკისა და ლოდიგოვსკის მსუბუქი მოცაცუნება, რაც არც სტკენიათ და ირგვლივ მყოფთაც მეგობრულ წახუმრებად მიიღეს.
ასე მოიქცა იაპოლი, მაგრამ, ბუნებრივია, ლაქას მთლიანად ვერ ჩამოირეცხავდა, მისი შემოტანილი შესწორებები მხოლოდ ოდნავ თუ გააფერმკრთალებდა

ღირსებასა და უბადრუკობას შორის მოწინააღმდეგე მხარის საბუთებით შექმნილ მშვენიერ კონტრასტს, ესეც არ იყოს, ჟუტავსკი მას დოკუმენტების გამავრცელებელი ტექნიკითაც სჯაბნიდა, მან მხოლოდ ის შეძლო, რომ თავისი რეპლიკა რამდენიმე ცალად გადაებეჭდვინებინა და ხალხში გაევრცელებინა. ის ოქმები კი, როგორც მოგახსენეთ, ყველას ჩამოურიგდა, ასე განსაჯეთ, სულ გარეშე ადამიანებსაც კი. მაგალითად, ისინი ნაფტასა და სეტემბრინისაც ერგოთ, ჰანს კასტორპმა მათაც დაუნახა ხელში და თავისდა გასაოცრად შეამჩნია, რომ ამ ქაღალდებს ისინიც გაფაციცებით ჩაჰკირკიტებდნენ. იგი ბატონი სეტემბრინისგან მაინც მოელოდა დამცინავ ღიმილს, რისი უნარიც თავისი გუნება -განწყობის გამო თვითონ აღარ შესწევდა, მაგრამ, ეტყობა, მასონის ნათელ გონებაზეც ემოქმედა საყოველთაოდ გავრცელებულ ინფექციას, მისთვის გაღიმებაც აეკრძალა და იძულებულიც გაეხადა, გასილაქების სცენით გამოწვეულ აჟიოტაჟს სერიოზულად მოჰკიდებოდა. გარდა ამისა, ამ სიცოცხლის მოტრფიალე კაცსგუნებას უწამლავდა ის ამბავი, რომ აქამდე ვითომ დროებით მაინც გამოკეთდებოდა ხოლმე, ახლა კი ჯანმრთელობა დღითი დღე უუარესდებოდა, იგიც წყევლიდა თავის ჭირს, გული მოსდიოდა, თავი ეზიზღებოდა და ერცხვინებოდა, რადგან უკანასკნელ ხანებში მაინც ხომ ავადმყოფობა ყოველ ორ -სამ დღეში თითო დღეს ლოგინში ატარებინებდა.

უკეთ ვერც მისი მეზობელი და მოწინააღმდეგე გრძნობდა თავს. ავადმყოფობა ნაფტას ორგანულ წიაღშიც ვითარდებოდა და ეს გარემოება ფიზიკური მიზეზი, უფრო სწორად, საბაბი გახდა იმისა, რომ ორდენში მისი კარიერა ასე ნაადრევად დასრულებულიყო, ხოლო მისი ავადმყოფობის შეჩერება აღარც მაღალი და გაიშვიათებული ჰაერით სუნთქვას შეეძლო. ისიც ხშირად იწვა, გაბზარული თეფშისებური ხმაც ლაპარაკისას ახლა უფრო ძლიერ ეხრინწებოდა, ლაპარაკით კი სიცხიანი კიდევ უფრო მეტს, უფრო მკვახედ და უფრო ენამწარედ ლაპარაკობდა ხოლმე. პატარა ნაფტასათვის, ეტყობა, უცხო იყო ავადმყოფობასა და სიკვდილთან ბატონი სეტემბრინივით იდეით შთაგონებული ჭიდილი და ამ ჭიდილში მუხანათი ბუნებისაგან ნაწვნევი დამარცხებით გამოწვეული ტკივილი. მას ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, დარდისა და გლოვის მაგიერ დაცინვისა და შეტევის ჟინი უძლიერდებოდა, ყველაფერში დაეჭვების, ყველაფრის უარყოფისა და გაბუნდოვანების წყურვილი კლავდა, ეს კი მეორეს კიდევ უფრო უღვივებდა მელანქოლიას და მათ ინტელექტუალურ პაექრობასაც დღითი დღე ამწვავებდა. ჰანს კასტორპს, ცხადია, მხოლოდ იმ პაექრობებზე შეეძლო ემსჯელა, თვითონ რომ ესწრებოდა, მაგრამ თითქმის არ ეეჭვებოდა, რომ არც ერთი პაექრობა არ გამოუტოვებია, რადგან მნიშვნელოვანი კოლოკვიუმების გასაჩაღებლად მისი, როგორც პედაგოგიური ობიექტის იქ ყოფნა აუცილებელი იყო. მართალია, იგი არც ბატონ სეტემბრინის აკლებდა წყენას, ნაფტას ავყიაობას მოსმენის ღირსად რომ თვლიდა ხოლმე, მაგრამ ძალაუნებურად იმასაც აღიარებდა, ნაფტას ავყიაობა ხშირად სულიერი სიჯანსაღის საზღვრებს რომ გადადიოდა.

ამ ავადმყოფს არც ძალა ჰყოფნიდა და არც ნებისყოფა ავადმყოფობაზე ამაღლებულიყო, პირიქით, მთელ სამყაროს მისი ნიშნის ქვეშ და მის შუქში ხედავდა. ბატონი სეტემბრინის გულის გასახეთქად, რომელსაც ერჩივნა, თავისი გაფაციცებული მოწაფე ან ოთახიდან გაეგდო, ან მისთვის ყურები დაეგმანა. ნაფტამ განაცხადა, მატერია ისეთი უვარგისი მატერიალური მასალაა, რომ მასში სული ხორცს ვერ შეისხამსო. ამის მონდომება სიგიჟეაო. რა გამოვა აქედან? დაჭყანული სახე! თქვენი ნაქები ფრანგული რევოლუციის რეალური შედეგი კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოა, ვერაფერს ვიტყვით, მშვენიერი საჩუქარიაო! მის გაუმჯობესებას კი იმით იმედოვნებენ, რომ ეს სისაძაგლე უნივერსალური გახადონო. ვითომ მსოფლიო რესპუბლიკა კი დიდი ბედნიერება იქნება? პროგრესი? იგი იმ ყბადაღებულ ავადმყოფს ჰგავს, გვერდს რომ წამდაუწუმ იცვლის, აქაოდა, შვება მომეცემაო. ამის გამოხატულებაა ომის ნატვრა, ყველა რომ გულში დაატარებს და ხმამაღლა კი არავინ ამბობსო. იგი გაჩაღდება კიდეც, დაიწყება ომი, და კარგიც იქნება, თუმცა ის სულ სხვა შედეგებს მოიტანს, ვიდრე მისი გამჩაღებლები მისგან მოელიანო. ნაფტას სძულდა ბურჟუაზიული სახელმწიფოსგან შემოთავაზებული უსაფრთხოება. ამ სიძულვილის გამოხატვის

საბაბი მას სხვადროსაც მისცემია. ერთხელ, შემოდგომაზე, მთავარ ქუჩაზე სეირნობისას წვიმამ მოუსწროთ. ერთი წამოწინწკლა თუ არა, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, ყველამ ერთბაშად ჩამოიმხო თავზე ქოლგები. ეს გახლავთ სიმხდალისა და უმსგავსი გასათუთების სიმბოლო, ცივილიზაციას რომ მოაქვსო, თქვა ნაფტამ. ისეთი ტრაგიკული შემთხვევა, როგორიც თბომავალ „ტიტანიკის“ დაღუპვაა, მართალია, ატავისტურ შიშს გვიღვიძებს, მაგრამ კიდეც გვაფხიზლებსო. მყისვე იწყება ყვირილი მიმოსვლის“ უსაფრთხოების გაძლიერებაზე. ჩვეულებრივ, აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, როგორც კი „უსაფრთხოებას“ რაიმე დაემუქრებაო. ეს საცოდაობაა და თავისი ჰუმანური უხერხემლობით მშვენივრად ეხამება იმ ეკონომიკური ბრძოლის ველის მგლურ სიხარბესა და მუხანათობას, როგორიც თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოა. ომი, ომი! მე ომის მომხრე ვარ და ომისადმი საყოველთაო მისწრაფება მასთან შედარებით პატივსაცემ საქმედ მიმაჩნიაო.
მაგრამ როგორც კი ბატონმა სეტემბრინიმ სიტყვა სამართლიანობა“ ახსენა და განაცხადა, ამ მაღალ პრინციპს შეუძლია საშინაო და საგარეო პოლიტიკური კატასტროფა თავიდან აგვაცილოსო, გამოირკვა, რომ ნაფტა, რომელიც წუთის წინ ამტკიცებდა, სულიერი საწყისი ისეთი მაღალი რამ არის, მისი მიწიერი განსხეულება ვერასოდეს მოხერხდება და არც უნდა მოხერხდესო, სწორედ სულიერის სიკეთეს აყენებდა ეჭვქვეშ და მას გათახსირებას უპირებდა. სამართლიანობა! განა ეს ცნება განდიდებისა და გაღმერთების ღირსია? განა იგი ღვთიური წარმომავლობისაა ან პირველხარისხოვანი ცნებაა? ღმერთი და ბუნება უსამართლონი იყვნენ, მათ თავიანთი რჩეულნი ჰყავდათ და თავიანთ წყალობას მათ უნაწილებდნენ, ერთს სახიფათო, ყველასაგან გამორჩეული თვისებებით შეამკობდნენ, სხვას კი უბრალო, ჩვეულებრივ ბედ-იღბალს დაანათლავდნენ. ნებისყოფიანი ადამიანი როგორღა იქცევა? მისთვის სამართლიანობა, ერთი მხრივ, დამადამბლავებელი სისუსტეა. ეჭვის წყაროა, მეორე მხრივ კი, ფანფარა, რომელიც უგუნურ საქმეთაკენ მოუწოდებს. ჰოდა, თუკი ადამიანს ზნეობის შენარჩუნების მიზნით გამუდმებით უხდება ამ სამართლიანობის“ იმ „სამართლიანობით“ შეცვლა, ეს ცნება აბსოლუტური და რადიკალური როგორღა იქნება? ადამიანიც ხომ, ჩვეულებრივ, ანერთი თვალსაზრისითაა, ან მეორით „სამართლიანი“. სხვა დანარჩენი კი ლიბერალიზმია და დღეს ამ საქნიერით ვერავის მიიტყუებ. სამართლიანობა, ცხადია, ბურჟუაზიული რიტორიკის სიტყვიერი ჩენჩოა და სანამ იმოქმედებდე, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდე, რომელი სამართლიანობა გაქვს მხედველობაში: ის, რომელიც ყველას თავისას არგუნებს, თუ ის, რომელსაც ყველასთვის ერთი და იმავეს მიცემა განუზრახავსო.
ჩვენ აქ სახელდახელოდ მხოლოდ ერთი მაგალითი შევარჩიეთ იმ უამრავიდან, როცა იგი ცდილობდა, თავგზა აებნია მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ საქმე კიდევ უფრო უარესად მიდიოდა, როცა იგი მეცნიერებას მისდგებოდა, რომლისაც არაფერი სწამდა. მეცნიერებისა არაფერი მწამს, რადგან ადამიანს უფლება აქვს, იგი ან სწამდეს, ან არაო, ამბობდა იგი. მეცნიერება ისეთივე რწმენაა, როგორიც სხვა დანარჩენი, ოღონდ ყველაზე უარესი და ყველაზე სულელური, და თვით სიტყვა მეცნიერება“ ასევე სულელური რეალიზმის გამოხატულებაა, რომელსაც არ რცხვენია ადამიანის ინტელექტში ობიექტების უაღრესად საეჭვო ანარეკლი ჭეშმარიტებად მიიჩნიოს ან გაასაღოს და აქედან ისეთი უსულგულო და უსასოო დოგმატიზმი შეთითხნოს, კაცობრიობას იმაზე უარესი არასოდეს არაფერი რომ არ მოუგონიაო. განა თავისთავად არსებული გრძნობადი სამყაროს ცნება შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე ყოველგვარ ცნებაზე სასაცილო არ არის? მაგრამ თანამედროვე დოგმატური ბუნებისმეტყველება იმ ერთადერთი მეტაფიზიკური წინამძღვრით სულდგმულობს, თითქოს ჩვენი შემეცნების ფორმები: სივრცე, დრო და მიზეზობრიობა, სადაც ხილული სამყაროს მოვლენები თამაშდება, რეალური მიმართებები იყოს და ჩვენი შემეცნებისგან დამოუკიდებლად არსებობდეს. გონისათვის ამ მონისტურ მტკიცებაზე უფრო დიდი უტიფრობა არასოდეს შეუთავაზებიათ. სივრცეს, დროსა და მიზეზობრიობას მონისტურად განვითარება ჰქვია, და აი, ინებეთ, თავისუფალმოაზროვნულ-ათეისტური ცრუ რელიგიის მთავარი დოგმა, რომლითაც ისე ცდილობენ, გააბათილონ მოსეს პირველი წიგნი, მათი აზრით, ეს ვითომც

გამომათაყვანებელი იგავ-არაკი და მას განმანათლებლური ცოდნა ისე დაუპირისპირონ, ვითომ ჰეკელი
(ჰეკელი - ერნსტ ჰეკელი (1834-1919) - ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი, დარვინის მიმდევარი. აქ ნაფტა ირონიულად გულისხმობს ჰეკელის ცნობილ თხზულებას სამყაროს შექმნის ბუნებრივი ისტორია“ (1868).) პირადად დასწრებოდეს დედამიწის შექმნასო. ემპირიზმი! ვითომ სამყაროს ეთერი ზედმიწევნით გვაქვს შესწავლილი? ანდა ატომის, ამ „პაწაწინა, განუყოფელი ნაწილაკის“, ამ მათემატიკური ხუმრობის არსებობა კი გვაქვს დამტკიცებული? სივრცისა და დროის უსასრულობის თეორია ვითომ ცდებზეა დაფუძნებული? ისე, ცოტაოდენ ლოგიკას თუ მოვიშველიებთ, დროისა და სივრცის უსასრულობისა და რეალურობის დოგმის წყალობით გამამხიარულებელ აღმოჩენებამდე და შედეგებამდე მივალთ: სახელდობრ, შედეგად არარაობას მივიღებთ. სახელდობრ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომრეალიზმი წმინდა წყლის ნიჰილიზმია და მეტი არაფერი. რატომ? სულ უბრალო მიზეზით - იმიტომ, რომ ნებისმიერი სიდიდის მიმართება უსასრულობასთან ნულის ტოლია. უსასრულობაში არ არსებობს არავითარი სიდიდე და არც მარადისობაში არსებობს ხანგრძლივობა და ცვლილება, სივრცულ უსასრულობაში, რაკი ყოველი დისტანცია იქ მათემატიკურად ნულის ტოლია, არ შეიძლება არსებობდეს ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი წერტილიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხეულებსა და, მით უმეტეს, მოძრაობაზე. ამას ამტკიცებს იგი, ნაფტა, და უკვირს, რა უტიფრად ასაღებს მატერიალისტური მეცნიერება „უნივერსუმზე“ თავის ასტრონომიულ ნაბოდვარს, თავის ქარაფშუტულ ნალაყბევს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად. საბრალო კაცობრიობა! უაზრო ციფრებს თავმომწონედ აჩრიან, ამით საკუთარი არარაობის გრძნობას უღვიძებენ და საკუთარი სიდიადის შეგნებას კი უხშობენ! ის კიდევ შესაწყნარებელია, თუკი ადამიანის გონება და შემეცნება დედამიწაზე დაეტევა და თავის სუბიექტურ-ობიექტურ აღქმასა და განცდას რეალურად მხოლოდ ამ სფეროში მიიჩნევს, მაგრამ იგი ამ სფეროში რომ ვეღარ დაეტევა, მარადიულ საიდუმლოს წაეპოტინება და ეგრეთ წოდებულ კოსმოლოგიასა და კოსმოგონიას მოჰყვება, ეს უკვე ხუმრობად აღარ ჩაითვლება და მისი კადნიერებაც უმსგავსობის უმაღლეს მწვერვალს მიაღწევსო. მაინც რა მკრეხელური სისულელეა, დედამიწიდან რომელიმე ვარსკვლავის „დაშორება“ ტრილიონი კილომეტრით ან სინათლის წლებით ზომო და გეგონოს, თითქოს ციფრების ასეთი აბრაკადაბრით შეიძლებოდეს, ადამიანის გონი ჩაახედო უსასრულობისა და მარადისობის არსში, მაშინ როცა უსასრულობას არაფერი აქვს საერთო სიდიდესთან და მარადისობაც საერთოდ ვერ უთავსდება ხანგრძლივობისა და დროისმიერი მანძილების ცნებებს, პირიქით, ისინი ძალიან შორს დგანან საბუნებისმეტყველო ცნებებისაგან და სწორედ რომ აბათილებენ იმას, რასაც ჩვენ ბუნებას ვუწოდებთ! სიმართლე თუ გნებავთ, ბავშვის გულუბრყვილობა, რომელსაც სჯერა, ვარსკვლავები ცის კაბადონზე გაკეთებული ნახვრეტებია, საიდანაც მარადიული ნათელი მოჩანსო, ნაფტასთვის ათასჯერ უფრო სანუკვარია, ვიდრე მთელი ეს ფუჭი, უგუნური და თავდაჯერებული ლაყბობა, მონისტურ მეცნიერებას „სამყაროს“ ირგვლივ რომ გაუჩაღებია.
სეტემბრინიმ ჰკითხა, შემთხვევით, ვარსკვლავებზე თქვენც იმავე რწმენის ხომ არ ბრძანდებითო. ამაზე ნაფტამ უპასუხა, დიახაც, მორჩილებისა და სკეფსისის თავისუფლებას ვიტოვებო. ამან ერთხელ კიდევ ცხადყო, როგორ ესმოდა მას „თავისუფლება“ და ამ გაგებას სადამდე შეიძლებოდა, მივეყვანეთ. ამას კიდევ არა უშავდა, სეტემბრინის რომ არ შეშინებოდა, ჰანს კასტორპს ეს ყველაფერი საინტერესოდ არ მოეჩვენოსო!
ნაფტა ვერაგულად უსაფრდებოდა ბუნების დამპყრობ პროგრესს, ვინძლო, მისი სუსტი მხარეები გამოეჩხრიკა და მისი მებაირახტრეებისა და პიონერებისათვის ირაციონალურ სამყაროში ადამიანური უკუქცევა ეკიჟინებინა. ავიატორები, მფრინავები, უმეტესად ცუდი და საეჭვო პიროვნებები და, უპირველეს ყოვლისა, ცრუმორწმუნენი არიანო, ამბობდა იგი, თან ავგაროზები მიაქვთ, სათამაშო ღორები თუ ყვავები, მხარუკუღმა სამ-სამჯერ გადააფურთხებენ, იღბლიანი მფრინავების ხელთათმანებს იცვამენ და კიდევ რას აღარ სჩადიანო. საოცარია, მათი ხელობის საფუძვლად აღიარებულ მსოფლმხედველობას ეს პრიმიტიული

სიბრიყვე როგორღა უთავსდებაო? თავისგანვე აღმოჩენილი წინააღმდეგობა აღაფრთოვანებდა და უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა ნაფტას და ამაზე ლაპარაკით გულს ვეღარ იჯერებდა ხოლმე... მაგრამ ჩვენ ვერ გამოვლევთ ნაფტას მუხანათობის დამადასტურებელ მაგალითებს და უფრო მნიშვნელოვანი ამბები მოსაყოლი დაგვრჩება.
ერთხელ, თებერვალში, მამაკაცებმა მოილაპარაკეს, ნაშუადღევს მონშტაინში გაესეირნათ. ეს ადგილი მარხილით საათ-ნახევრის სავალზე იყო მათი ყოველდღიური სამყოფელისგან. მსურველთა ჯგუფში შედიოდნენ ნაფტა და სეტემბრინი, ჰანს კასტორპი, ფერგე და ვეეზალი. დაიქირავეს ორი ერთცხენიანი მარხილი, ჰანს კასტორპი ჰუმანისტთან დაჯდა, ნაფტა - ფერგესა და ვეეზალთან, - ეს უკანასკნელი მეეტლეს უჯდა გვერდში, - სამ საათზე კარგად ჩაფუთნილები დაიძრნენ ნაფტასა და სეტემბრინის საბრძანებლიდან და ზანზალაკების წკარუნით, რაც ასე სასიამოვნოდ გაისმის ხოლმე თოვლიან მდუმარებაში ჩაფლულ მიდამოში, მარჯვენა ფერდობს ფრაუენკირჰესა და გლარისის გავლით, სამხრეთისაკენ გაუყვნენ. სამხრეთიდან ისე სწრაფად მოიწევდა თოვლის ღრუბელი, რომ მალე მკრთალი ცისფერი ზოლი რეტიკონის მთაგრეხილის თავზეღა შემორჩა. ყინვა მაგრად უჭერდა, ქედი ნისლში იყო გახვეული. კლდესა და უფსკრულს შორის გამავალი უჯებირო, ვიწრო გზა ნაძვნარისაკენ ციცაბოდ მიემართებოდა. წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ. გზაზე ხშირ-ხშირად ეშვებოდნენ მოციგავეები, ციგიდან გადმოდიოდნენ და მათ გვერდს ისე უვლიდნენ. მოსახვევებიდან სხვა მარხილების ნაზი და გამაფრთხილებელი წკარუნი ისმოდა, ხან ერთმანეთზე მიყოლებული ორცხენშებმული მარხილები შემოხვდებოდათ და ერთმანეთისთვის გვერდის ავლა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. მონშტაინს რომ მიუახლოვდნენ, თვალწინ ციუგენშტრასეს კლდოვანი მონაკვეთის უმშვენიერესი ხედი გადაეშალათ. მონშტაინში, „კურჰაუსად“ წოდებულიპატარა სასტუმროს წინ, პლედებიდან გამოძვრნენ, მარხილები იქვე მიატოვეს და რამდენიმე ნაბიჯი ფეხით გაიარეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით, „შტულზერგრატისკენ“ გაეხედათ. სამი ათასი მეტრი სიმაღლის უზარმაზარი კლდე ნისლში იყო ჩაფლული. ნისლში ერთგან ამოზიდულიყო ცაში ატყორცნილი ეული ქიმი, არამიწიერი, დიდების პანთეონ ვალჰალასავით(ვალჰალა - ძველ გერმანულ-ნორდულ მითოლოგიაში ბრძოლის ველზე დაცემულთა ადგილსამყოფელი.)
შორეული, წმიდათაწმიდა და მიუწვდომელი. ჰანს კასტორპს თვალი მოსტაცა ამ სანახაობამ და სხვებსაც მოუწოდა, დამტკბარიყვნენ. ეს მან წარმოთქვა მოკრძალებით სიტყვა მიუწვდომელი“ და ბატონ სეტემბრინის საბაბი მისცა, ხაზგასმით ეთქვა, რომ იცოდეთ, ის კლდე ბევრჯერ იქნება ფეხდადგმულიო. საერთოდ, ბუნებაში ძნელად მოიძებნება ისეთი მიუწვდომელი ადგილები, ადამიანს ზედ ფეხი არ დაედგასო. ეს მცირე გაზვიადება და ბაქიაობააო, გამოეპასუხა ნაფტა და დაასახელა ევერესტი, რომელიც ადამიანს დღემდე აგებებს ყინულოვან უარს და ეტყობა, მიუკარებლად დარჩენას კიდევ დიდხანს აპირებსო. ჰუმანისტს გული მოუვიდა. ბატონები კურჰაუსთან“ მიბრუნდნენ, სადაც კიდევ რამდენიმე, ცხენებგამოშვებული მარხილი დაუხვდათ.
აქ გაჩერებაც შეიძლებოდა. ზემო სართული სასტუმრო ოთახებს ეკავა. იქვე იყო სასადილო ოთახი, გლეხურად მოწყობილი და კარგად გამთბარი. ექსკურსანტებმა თავაზიან დიასახლისს საუზმე დაუკვეთეს: ყავა, თაფლი, თეთრი პური და აქაური, სახელგანთქმული მსხლის პურები. მეეტლეებს წითელი ღვინო გაუგზავნეს. სხვა მაგიდებს შვეიცარიელი და ჰოლანდიელი სტუმრები უსხდნენ.
გვინდა გითხრათ, რომ ჩვენი ხუთი მეგობრის სუფრას ცხელმა და სანაქებო ყავამ ლაპარაკის საღერღელი აუშალა, თუმცა ჯობია, სიზუსტე დავიცვათ და ვთქვათ, რომ ეს საუბარი სინამდვილეში ნაფტას მონოლოგი გახლდათ, სხვებმა რამდენიმე სიტყვა თქვეს თუ არა, მერე მან ხმა აღარავის ამოაღებინა, მარტო თვითონ ილაპარაკა, ამასთან, მონოლოგს საზოგადოებაში მიუღებელი ფორმა მიეცა, რაკი ექსიეზუიტი თავაზიანი, დამრიგებლური კილოთი მხოლოდ ჰანს კასტორპს მიმართავდა, გვერდით მჯდომი ბატონი სეტემბრინისთვის ზურგი ჰქონდა შექცეული და დანარჩენ თანამესუფრეებსაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.
გაგვიჭირდებოდა, სახელი დაგვერქმია მისი იმპროვიზაციისათვის, რომელსაც

ჰანს კასტორპი ვითომ თანხმობის ნიშნად უქნევდა თავს. იგი ერთ რომელიმე თემას არც უტრიალებდა, სულიერის სფეროში დაფარფატებდა, ხან რას წამოედებოდა და ხან რას, არსებითად კი ლაპარაკობდა სულიერი ცხოვრების გამოვლინებების ორჭოფულობაზე და მისგან წარმომდგარი დიადი ცნებების მოჩვენებით ბუნებასა და უსარგებლობაზე და ცდილობდა, მსმენელის გულის გასატეხად დაემტკიცებინა, აბსოლუტური საწყისი დედამიწაზე რა თვალისმომჭრელ, მოჩვენებით სამოსელში გვევლინებოდა.
ასე იყო თუ ისე, შეიძლებოდა, ჩაგვეთვალა, რომ მისი ლექცია თავისუფლების პრობლემას უტრიალებდა და ამ ცნების აღრევაზე მიუთითებდა. სხვა საკითხებს გარდა, იგი ლაპარაკობდა რომანტიზმსა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ევროპაში წარმოშობილი ამ მიმდინარეობის თვალისმომჭრელ ორჭოფულობაზე, რომლის წინაშეც არარაობად იქცეოდა რეაქციისა და რევოლუციის ცნებები, სანამ ისინი რაღაც უფრო ამაღლებულ აზრს არ შეიძენდნენ. რადგან, ცხადია, ძალიან სასაცილო ჩანდა რევოლუციურობის ცნების დაკავშირება მხოლოდ და მხოლოდ პროგრესსა და ნიაღვარივით მოვარდნილ განმანათლებლობასთან. თურმე ევროპული რომანტიზმი უწინარეს ყოვლისა განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოფილა: იგი ანტიკლასიცისტური, ანტიაკადემიური, ძველფრანგული გემოვნებისა და სიბრძნის ძველი სკოლის წინააღმდეგ ილაშქრებდა და მათ დამცველებს დაცინვით შეპუდრულპარიკიან გოგრებად ნათლავდა.
შემდეგ ნაფტა თავს დაესხა განმათავისუფლებელ ომებს, ფიჰტესეულ აღმაფრთოვანებელ საშუალებებს, გაბრუებული ხალხი სიმღერით რომ აღდგა აუტანელი ტირანიის წინააღმდეგ, რომელიც, ვაგლახ, რომ თავისუფლებას, ანუ რევოლუციის იდეებს განასახიერებდა. სასაცილოა, აბა, რა არის: ხმამაღალ სიმღერაში ხელი ზედმეტად ღონივრად მოიქნიეს, ვითომ რევოლუციური ტირანიის დამხობა უნდოდათ და რეაქციული თავადობის უღელქვეშ კი მოექცნენ, და ეს თავისუფლებისთვის ბრძოლის სახელით ჩაიდინესო.
ახალგაზრდა მსმენელი, ალბათ, დაინახავს, რა განსხვავებაა, უფრო სწორად, რა წინააღმდეგობა არსებობს გარეგან და შინაგან თავისუფლებას შორის და იმ საჩოთირო კითხვასაც უპასუხებს, ერის ღირსებას ყველაზე უფრო ან, ხე-ხე-ხე, ყველაზე ნაკლებად რანაირი თავისუფლება შეეფერებაო.
თავისუფლება, სიმართლე თუ გნებავთ, უფრო რომანტიკული ცნებაა, ვიდრე განმანათლებლური. რომანტიზმთან მას ერთი რამ აქვს საერთო: ადამიანში განუყრელადაა გადაჯაჭვული ლტოლვა გაფართოებისაკენ და თან საკუთარი „მეს“ ვიწროდ წინ წამოწევის დაუოკებელი სურვილი. თავისუფლებისაკენ ინდივიდუალისტურმა სწრაფვამ შვა ეროვნულობის ისტორიულ-რომანტიკული კულტი, იგი ბრძოლის სულისკვეთებითააგაჟღენთილი და ჰუმანიტარული ლიბერალიზმი მას შავბნელს უწოდებს, ვითომ თვითონ, მართალია, ოდნავ სხვაგვარად, მაგრამ მაინც ინდივიდუალიზმს არ ქადაგებდეს. ინდივიდუალიზმი რომანტიკულ-შუასაუკუნეობრივი ხასიათისაა თავისი რწმენით, თითქოს ცალკეულ პიროვნებას უსასრულო, კოსმიური ღირებულება გააჩნდეს, და სულის უკვდავების მოძღვრებაც, გეოცენტრიზმიც და ასტროლოგიაც აქედან მომდინარეობს. მეორე მხრივ, ინდივიდუალიზმს ლიბერალიზმის მოქადაგე ჰუმანიზმიც ეპოტინება, რომელიც ანარქიისკენ იხრება, მაგრამ იმას მაინც ცდილობს, სანუკვარი ინდივიდი საზოგადოსთვის მსხვერპლად შეწირვისგან დაიფაროს. ესეც ინდივიდუალიზმია, რაკი ამ სიტყვით ლამის ყველაფერი შეიძლება გამოიხატოს.
ოღონდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლების პათოსმა სინდისგარეცხილ, გახრწნილ პროგრესთან ბრძოლაში თავისუფლებას უბრწყინვალესი მტრებიც - წარსულის დამცველი გონებანათელი რაინდებიც შესძინაო, განაცხადა ნაფტამ და დაასახელა არნდტი,
(არნდტი - ერნსტ მორიც არნდტი (1769-1860) - გერმანელი მწერალი და ისტორიის პროფესორი, 1841 წელს ბონის უნივერსიტეტის რექტორი. მნიშვნელოვანი პოლიტიკური პუბლიცისტი და პატრიოტული, ანტინაპოლეონისტური ომების ლირიკოსი. ალბათ, აქ ნაფტა გულისხმობს არნდტის ოთხტომიან თხზულებას „ეპოქის სული“, რომელიც არა მარტო მოუწოდებდა გერმანელ ხალხს ნაპოლეონის დესპოტიზმისა და მისი საოკუპაციო არმიის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ აგრეთვე შეიცავდა გერმანიაში ფეოდალურ ურთიერთობათა კრიტიკას.)

რომელიც ინდუსტრიალიზაციას შეაჩვენებდა და თავადაზნაურობას აღმერთებდა, დაასახელა გიორესი,(გიორესი - იოჰან იოზეფ გიორესი (1776-1848) - გერმანელი პუბლიცისტი და სწავლული.)
„ქრისტიანული მისტიკის“ შემქმნელი. და განა მისტიკას თავისუფლებასთან არაფერი აქვს საერთო? განა იგი ანტისქოლასტიკური, ანტიდოგმატური, ანტიხუცური არ არის? განა იერარქიაში თავისუფლების ძალმოსილება არ უნდა დავინახოთ? მან ხომ ზღვარი დაუდო მონარქიის უსაზღვრო ძალაუფლებას, გვიანი შუა საუკუნეების მისტიკამ კი შეინარჩუნა თავისუფლებისმოყვარე ბუნება და რეფორმაციის წინამორბედად იქცა, რეფორმაციისა, რომელმაც, ხე, ხე, ხე, თავის მხრივ, ერთმანეთში აბურდა თავისუფლება და შუასაუკუნეობრივი გადმონაშთები...
ლუთერის საქმენი... რას იზამ, მასაც აქვს თავისი უპირატესობა. მან უხეშად, თვალნათლივ დაგვანახვა, რა საეჭვო რამ არის თვით ქმედება, საერთოდ, ქმედების საქვეყნოდ დადასტურება. იციან თუ არა ნაფტას მსმენელებმა, რა არის ქმედება? ქმედება არის, მაგალითად, სახელმწიფო მრჩეველ კოცებუს
(კოცებუ - ავგუსტ ფონ კოცებუ (1761-1819) - ერთ დროს ძალიან პოპულარული, გრაფომანიით შეპყრობილი იაფფასიანი გერმანელი დრამატურგი (დაწერილი აქვს 200-ზე მეტი პიესა), რუსეთის ცარიზმის ჯაშუში, ამის გამო მოკლა იენელმა სტუდენტმა.) მკვლელობა სტუდენტ-კორპორანტ ზანდის მიერ. კრიმინალისტიკის ენით რომ ვთქვათ, რამ აიძულა ჭაბუკი ზანდი, „იარაღი აეღო ხელში“? ცხადია, თავისუფლებისაკენ მისწრაფებამ, მაგრამ უფრო ახლოდან თუ დავუკვირდებით, ეს უფრო მორალური ფანატიზმი და ანტიხალხური ფრივოლურობის სიძულვილი აღმოჩნდება. სხვათა შორის, კოცებუ რუსეთის სამსახურში, ანუ წმინდა ალიანსის სამსახურში იდგა და გამოდის, რომ ზანდს მაინც თავისუფლებისთვის დაუდვია თავი, რაც ისევ და ისევ დაუჯერებელია იმ გარემოების გამო, რომ მის უახლოეს მეგობრებს შორის იეზუიტებიც ყოფილან. მოკლედ, ქმედება, რაც უნდა იყოს, საკუთარი შეხედულებების გამოსამზეურებლად მუდამ ცუდი საშუალებაა და მას სულიერი პრობლემების განწმენდის საქმეშიც მეტისმეტად მცირე წვლილი შეაქვს ხოლმე.
- ნება მიბოძეთ, გკითხოთ, მალე მორჩებით თუ არა მაგ თქვენი უხამსობების ფრქვევას?
ეს კითხვა ბატონმა სეტემბრინიმ დასვა და საკმაოდ მკვახედაც. იგი აქამდე მაგიდაზე თითებს მოუთმენლად აკაკუნებდა და ულვაშს იკვარკნიდა. კმარა, ახლა კი აევსო მოთმინების ფიალა. იგი წელში გაიმართა, უფრო მეტიც, წამოიმართა: სახე გაჰფითრებოდა, ვითომ სკამზე იჯდა და ცერებზე კი იყო შემდგარი, სკამს მხოლოდ თეძოებით ეხებოდა. შავი თვალები ანთებოდა და ასე შემართული დაუხვდა მტერს, რომელიც მისკენ ვითომ გაოცებული შემობრუნდა:
- რა ინებეთ, გებრძანებინათ? - ასეთი გახლდათ ნაფტას საპასუხო შეკითხვა.
- ის ვინებე, რომ, - მიუგო იტალიელმა და ნერწყვი გადაყლაპა, - ვინებე, მეთქვა, რომ ამიერიდან აღარ დაგანებებთ თქვენი ორაზროვანი დებულებებით გაანათლოთ უმწეო ახალგაზრდობა.
- ბატონო ჩემო, გირჩევთ, სიტყვებს დაუკვირდეთ!
- თქვენი რჩევა უადგილოა, ბატონო ჩემო, ჩემს სიტყვებზე დაკვირვებას მიჩვეული ვარ და ეს სიტყვები ფაქტებზე ზედგამოჭრილი იქნება, თუ ვიტყვი, რომ თქვენი მეთოდი, დააბნიოთ, გარყვნათ და ზნეობრივად დააუძლუროთისედაც მერყევი ახალგაზრდობა, თქვენს სულმდაბლობას მოწმობს და ამისთვის მარტო სიტყვით დასჯა სულაც არ კმარა.
„სულმდაბლობის“ თქმაზე სეტემბრინიმ გაშლილი ხელისგული მაგიდას დაჰკრა, სკამი გასწია და საბოლოოდ წამოდგა, რაც სხვებისთვისაც წამოდგომისავე ნიშანი უნდა ყოფილიყო. სხვა მაგიდებს ყური და თვალი აქეთკენ ეჭირათ, თუმცა ეს მხოლოდ ერთ მაგიდაზე ითქმოდა, რადგან შვეიცარიელები უკვე წასულიყვნენ და ამ სიტყვიერ შეხლა-შემოხლას ჰოლანდიელებიღა უსმენდნენ.
ასე და ამგვარად, ჩვენს მაგიდასთან ყველანი წელში გამართულნი იდგნენ: აქეთ ჰანს კასტორპი და ორივე მოწინააღმდეგე და იქით ფერგე და ვეეზალი. ხუთივეს ფერი წასვლოდა, თვალები გაჰფართოებოდა და ტუჩები უცახცახებდა. განა სამ ნეიტრალურ მსმენელს არ შეეძლო, ეცადა მოწინააღმდეგეების დაშოშმინება.

ერთი გახუმრებით დაძაბულობის განელება, ადამიანური სიტყვით ყველაფრის სასიკეთოდ შემობრუნება? არც უცდიათ. შინაგანი გარემოებანი უშლიდათ ხელს, იდგნენ, კანკალებდნენ და თავისდა უნებურად ხელები მოემუშტათ. ა. კ. ფერგესთვის ხომ უცხო იყო და მიუწვდომელი ყოველივე ამაღლებული, მას კამათისგან თავიდანვე შორს ეჭირა თავი და არც უცდია, მის სიგრძე-სიგანეს ჩასწვდომოდა, მაგრამ ისიც კი დარწმუნდა, რომ აქ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეტრიალდა საქმე, ვერავინ ვეღარაფერს გახდებოდა და საქმე თავის ნებაზე უნდა მიეშვათ. ფერგეს გამალებით აუდ-ჩაუდიოდა თავისი კეთილი ულვაში.
გამეფებულ სიჩუმეში ნაფტას კბილების ღრჭიალი გაისმა. ჰანს კასტორპს ამან ვიდემანის ყალყზე დამდგარი თმა მოაგონა, აქამდე ფიქრობდა, ეს ხატოვანი გამოთქმაა და სინამდვილეში ასე არ ხდებაო. ახლა კი ნაფტა სიჩუმეში კბილებს აღრჭიალებდა და ეს იყო უსიამოვნო, მხეცური და თავზარდამცემი ხმა, რაც თავისთავად საშიშ თავშეკავებაზე მიუთითებდა, რადგან მას არ დაუყვირია, ბატონი სეტემბრინის წყნარი ხმით, ოღონდ მოგუდული, ცალყბა სიცილით მიმართა:
- სულმდაბლობა? დასჯა? მაშ, აყარეს ხომ ტლინკები სათნოების მქადაგებელმა ვირებმა? ნუთუ ცივილიზაციის დამცველი პედაგოგიური პოლიცია იქამდე მივიდა, რომ ხმალს აელვარებს? ეს დასაწყისისთვის წარმატებად მიმაჩნია და დაცინვით მინდა დავძინო, რომ იოლად მოპოვებულ წარმატებადაც, რადგან სულ უმნიშვნელო გაღიზიანება თურმე საკმარისი ყოფილა, რათა სიფხიზლის სადარაჯოზე მდგარი სათნოება მოთმინებიდან გამოსულიყო! ბატონო ჩემო, დანარჩენიც მოვა და სხვათა შორის, „სასჯელიც“ არ დააყოვნებს, იმედი მაქვს, თქვენი სამოქალაქო პრინციპები ხელს არ შეგიშლით და გამიგებთ, ჩემ წინაშე რაც გმართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდები, ეს პრინციპები ისეთი საშუალებებით შევამოწმო, რომელნიც...
ბატონი სეტემბრინი აწრიალდა და ნაფტამაც განაგრძო:
- ოჰო, ვხედავ, რომ ეს არ დამჭირდება. მე თქვენ გზაზე გეღობებით, თქვენ კი მე, ძალიან კარგი, ეს პატარა უხერხულობა შეიძლება შესაბამის ადგილზე მოგვარდეს. ახლა კი მხოლოდ ერთს გეტყვით: თქვენ იაკობინელთა რევოლუციით შექმნილი სახელმწიფოს არსის სქოლასტიკური გააზრების გამო თვალთმაქცური შიში გაიძულებთ, ჩემს მეთოდში პედაგოგიური დანაშაული დაინახოთ. დიახ, მე ვცდილობ, ახალგაზრდობა დავაეჭვო, მზამზარეულ კატეგორიებს ნაგავში გადავუძახო და მათი აკადემიური ზნეკეთილობა და პატივმოყვარეობა იდეებისგან გავძარცვო. თქვენი შიში უსაფუძვლო როდია, თქვენს ჰუმანიზმს უკვე ბოლო მოეღო, დიახ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სამუდამოდ მოეღო ბოლო. იგი დღეს უკვე გადმონაშთია, კლასიცისტური უხამსობაა, სულიერი Ennui
(თავმომაბეზრებელი საქმე (ფრანგ.).) -ა, იგი მთქნარებას იწვევს და მის გაცამტვერებას სწორედ ახალი, ჩვენი რევოლუცია აპირებს. თუკი ჩვენ, როგორც აღმზრდელები, ეჭვს ვთესავთ, და იმაზე უფრო ღრმად, ვიდრე თქვენს კდემამოსილ განმანათლებლობას ოდესმე დასიზმრებია, მშვენივრად ვიცით კიდეც, რასაც ჩავდივართ, მხოლოდ რადიკალური სკეფსისიდან, მორალური ქაოსიდან შეიძლება იშვას კატეგორიული აუცილებლობა, წმინდა ტერორი, ეპოქას რომ სჭირდება. ამას ჩემს გასამართლებლად და თქვენს ჭკუის სასწავლებლად ვამბობ. დანარჩენი სხვა საქმეა. მე ხმას მოგაწვდენთ.
- მეც გაგაგონებთ, ბატონო ჩემო! - მიაძახა სეტემბრინიმ, რადგან ნაფტა უკვე მაგიდას მოსცილდა და თავისი ქურქის ჩამოსაღებად საკიდისაკენ გაემართა. მასონი თავის სკამზე დაენარცხა და გულზე ორივე ხელი იტაცა.
- Distruttore! Cane arrabbiato! Bisogna ammazzarlo
,
(ქვეყნის დამაქცეველი! ცოფიანი ძაღლი! სიკვდილი მაგას! (იტალ.).) - ამოიკვნესა მან.
დანარჩენები ჯერ კიდევ მაგიდასთან იდგნენ. ფერგეს ისევ აუდ-ჩაუდიოდა ულვაში. ვეეზალს ქვედა ყბა მოჰქცეოდა. ჰანს კასტორპს ბაბუამისივით დაებჯინა მკერდზე ნიკაპი, რადგან თავი უცანცარებდა. ყველა ფიქრობდა, წამოსვლისას ასეთ უსიამოვნებას ვინ მოელოდაო. თან ყველანი, და მათ შორის ბატონი სეტემბრინიც, ფიქრობდნენ, რა ბედნიერებაა, ორი მარხილით რომ წამოვედით

და ყველას ერთ მარხილში არ გვიწევს ჩასხდომაო. ეს,ჯერჯერობით, შინ დაბრუნებას მაინც აადვილებდა, მაგრამ მერე რაღას იზამდნენ?
- მან თქვენ დუელში გამოგიწვიათ, - შეშფოთებით უთხრა ბატონ სეტემბრინის ჰანს კასტორპმა.
- დიახ, ასე გახლავთ, - უპასუხა სეტემბრინიმ, მის გვერდით მდგომს ახედა, მაგრამ მაშინვე მოარიდა მზერა და თავი ხელებში ჩარგო.
- იღებთ გამოწვევას? - დაინტერესდა ვეეზალი.
- განა ეგ საკითხავია? - მიუგო სეტემბრინიმ და წამით მასაც შეავლო თვალი, - ბატონებო, - განაგრძო მან და სავსებით დამშვიდებული წამოდგა, - ვწუხვარ, სიამოვნება რომ ჩაგვმწარდა, მაგრამ ცხოვრებაში ასეთ უსიამოვნო შემთხვევას ყოველთვის უნდა მოელოდე. მე თეორიულად დუელის მომხრე არა ვარ, ამ შემთხვევაში, კანონს ვემხრობი, მაგრამ პრაქტიკულად სხვა საქმეა; არსებობს ისეთი სიტუაცია, სადაც... ისეთი წინააღმდეგობანი, როგორიცაა... მოკლედ, მზად ვარ, იმ კაცს ვემსახურო. კარგია, ახალგაზრდობაში რომ მიფარიკავია. რამდენიმე საათის ვარჯიში კმარა, რომ ჩემს მაჯას მოქნილობა დაუბრუნდეს. წავიდეთ! დანარჩენზე მოვილაპარაკებთ. თუ არ ვცდები, ის კაცი ცხენებს უკვე შეეაბმევინებდა.
იყო წუთები, გზაშიც და მერეც, ჰანს კასტორპს მოსალოდნელ საშინელებაზე ფიქრისგან თავბრუ რომ ეხვეოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ნაფტას არავითარი დაკვრა-ჩხვლეტის გაგონებაც არ სურდა და პისტოლეტებით დუელს მოითხოვდა, არადა, იარაღის არჩევანი მას ეკუთვნოდა, რაკი ღირსების დაცვის წესების მიხედვით შეურაცხყოფილი იგი გამოდიოდა. როგორც ვთქვით, იყო წუთები, როცა ახალგაზრდა კაცი როგორღაც თავს აღწევდა ამ ქაოსსა და ბურუსს და გულში ამბობდა, ეს დუელი სიგიჟეა და როგორმე თავიდან უნდა ავიცილოთო.
- ნამდვილი შეურაცხყოფა რომ ყოფილიყო, კიდევ, ჰო! - წამოიძახა მან სეტემბრინის, ფერგესა და ვეეზალთან საუბარში. ეს უკანასკნელი ნაფტას გზაში უკვე დაებევებინა და ისიც მხარეებს შორის შუამავლობდა, - ვთქვათ, საზოგადოებაში მოქალაქეობრივი ღირსების შელახვა, ანდა ამდაგვარი რამ მომხდარიყო! ერთს რომ მეორის სახელი ლაფში ამოესვარა, ან ქალის გულისთვის, ან რაიმე ხელჩასაჭიდი ცხოვრებისეული სიტუაციის გამო მომხდარიყო უსიამოვნება, როცა ანგარიშის გასწორების სხვა გზა აღარ არსებობს! გეთანხმებით, ამდაგვარი შემთხვევებისთვის უკანასკნელი გამოსავალი დუელია, ღირსება აღდგენილია, საქმე, ასე თუ ისე, მოგვარებულია და ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, მოწინააღმდეგენი მშვიდობიანად გაიყარნენო. ასე თუ შევხედავთ, დუელი მშვენიერი გამოგონებაა და ზოგიერთ დახლართულ სიტუაციაზე ზედგამოჭრილიც. მაგრამ მან რა ჩაიდინა? სულაც არ ვაპირებ, დავიცვა, მხოლოდ გეკითხებით, თქვენი შეურაცხმყოფელი რა ჩაიდინა-მეთქი? ერთი ის, რომ ზოგიერთ კატეგორიას სანაგვეზე გადაუძახა, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ცნებებს თავიანთი აკადემიური ღირსება ჩამოაცილა და თქვენც ამის გამო შეურაცხყოფილად იგრძენით თავი... დავუშვათ, სამართლიანადაც...
- დავუშვათ? - გაიმეორა ბატონმა სეტემბრინიმ და ჰანს კასტორპს შეხედა.
- სამართლიანად, სამართლიანად! მან ამით შეურაცხყოფა მოგაყენათ, მაგრამ ხომ არ გაულანძღავხართ! თუ თქვენი ნებაც იქნება, ამაში ხომ არის განსხვავება! საქმე აბსტრაქტულ, სულიერ ამბებს ეხება. ამდაგვარი რაღაცებით ადამიანის შეურაცხყოფა შეიძლება, გალანძღვა კი არა. შემიძლია ხატზე დაგიფიცოთ: ეს ისეთი აქსიომაა, ღირსების დაცვის ყველა სასამართლო რომ მიიღებს. და ამიტომაც, რაც თქვენ მას სულმდაბლობასა“ და მკაცრ სასჯელზე“ უთხარით, არც ის გამოდიოდა ლანძღვა-გინება, რადგან ესეც სულიერი გაგებით იყო ნათქვამი, ეს ყველაფერი სულიერის ფარგლებში თავსდება და პიროვნულის სფეროს სულაც არ ეხება, გალანძღვა კი მხოლოდ და მხოლოდ იმ სფეროშია შესაძლებელი. სულიერი ვერასოდეს ვერ იქნება პიროვნული, ეს არის აქსიომის სრულყოფა და განმარტება, და ამიტომ...
- ცდებით, ჩემო მეგობარო, - გააწყვეტინა ბატონმა სეტემბრინიმ და თვალები დახუჭა, - ჯერ ერთი, მცდარია თქვენი დებულება, თითქოს სულიერს არ შეეძლოს შეიძინოს პიროვნული ხასიათი. ასე არ უნდა მსჯელობდეთ, - თქვა მან და

თავისებურად ნატიფად და ნაღვლიანად გაიღიმა, - თქვენ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი ამბების შეფასებაში ცდებით, როცა მას აშკარად სისუსტეს მიაწერთ და ფიქრობთ, თითქოს მას არ ძალუძდეს ისეთი სასტიკი კონფლიქტებისა და ვნებების გამოწვევა, რეალურ ცხოვრებას რომ მოაქვს თან და იარაღის ხმარების გარდა, სხვა გამოსავალს აღარ გვიტოვებს. All' incontoo
!
(დიახაც პირიქით (იტალ.).) აბსტრაქტული, განწმენდილი, იდეალური არის სწორედ აბსოლუტურიც და მკაცრიც და იგი სიძულვილის გამომწვევ გაცილებით ღრმა და რადიკალურ საშუალებებს შეიცავს, გაცილებით მძაფრ და შეურიგებელ ქიშპს აღვივებს, ვიდრე ეს სოციალურ ცხოვრებას ძალუძს. გიკვირთ, რომ მას უფრო პირდაპირ და ულმობლად მივყავართ ისეთ სიტუაციამდე, სადაც ისმება საკითხი: ან შენ, ან მე! ესე იგი, რადიკალურ სიტუაციამდე, დუელამდე, ფიზიკურ ორთაბრძოლამდე მას უფრო მივყავართ, ვიდრე ცხოვრებას? დუელი, ჩემო კარგო, სხვა ბრძოლის მსგავსი გამოგონება" როდი გახლავთ. იგი პირველყოფილ,ბუნებრივ მდგომარეობასთან დამაბრუნებელი უკანასკნელი საშუალებაა, სულ ოდნავ შერბილებული რაინდული წესებით, რომლებიც, სიმართლე თუ გნებავთ, ზედმიწევნით ზერელე გახლავთ. დუელის არსი, ძირითადად, არ იცვლება, იგი პირველყოფილი რჩება, ეს არის ფიზიკური ორთაბრძოლა და ყოველი მამაკაცის ვალია, რაც უნდა დაცილებული იყოს ბუნებრივ საწყისს, ასეთ წუთებში მაინც არ შეირცხვინოს თავი, ასეთი წუთები კი ყოველდღე შეიძლება დაუდგეს. ვისაც საკუთარი პიროვნებით, საკუთარი მკლავით, საკუთარი სისხლით არ შეუძლია თავისი იდეალის დაცვა, იგი მისი ღირსიც არ არის, რაც უნდა ზეშთაგონებული იყო, მთავარია, ვაჟკაცობა შეინარჩუნო.
ამგვარად, ჰანს კასტორპმა საყვედური დაიმსახურა. ამის შემდეგ რაღა ეთქმოდა? ნირი წაუხდა, ხმა ვეღარ ამოიღო და ფიქრს მიეცა. ბატონი სეტემბრინის სიტყვებს თითქოს არც თავშეკავება აკლდა და არც ლოგიკურობა, მაგრამ ეს სიტყვები მისი პირიდან მაინც უცხოდ და არაბუნებრივად ისმოდა. მის აზრებს მისი არ ეთქმოდა, ისევე როგორც არც ორთაბრძოლა მოუფიქრებია თვითონ და ტერორისტ პატარა ნაფტასგან ჰქონდა გადმოღებული... ეს გახლდათ იმ საყოველთაო შინაგანი გარემოებებით შექმნილი შებოჭილობის გამოხატულება, ბატონი სეტემბრინის ნათელი გონებაც თავის მონად და იარაღად რომ ექცია. ნუთუ სულიერი საწყისი თავისი სიმკაცრის გამო, ანგარიშის გასასწორებლად აუცილებლად სიმხეცემდე და ფიზიკურ ორთაბრძოლამდე უნდა დასულიყო? ჰანს კასტორპი ეურჩებოდა ამ აზრს, უფრო სწორად, ცდილობდა, წინ აღსდგომოდა, მაგრამ მიხვდა, რომ საამისო უნარი არც თვითონ შესწევდა და შეშინდა. იგივე შინაგანი გარემოებანი მის სულშიც მძლავრობდა და არც მას ეყოფოდა საიმისო ვაჟკაცობა, რომ მათგან თავი დაეღწია. იმ მოგონებამ შიშისა და უსასოობის გრძნობები აუშალა, ვიდემანი და ზონენშაინი უგუნურ, პირუტყვულ ჭიდილში იატაკზე რომ გორაობდნენ და მიხვდა, საბოლოოდ ყველაფერი ფიზიკურ საწყისამდე, ფრჩხილებამდე და კბილებამდე რომ დადიოდა. დიახ, დიახ, ნამდვილად ღირდა, შებრძოლებოდნენ ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს, აქ იმ პირველყოფილი ინსტინქტების შერბილება რაინდული წესების დაცვით მაინც შეიძლებოდა... ჰანს კასტორპმა ბატონ სეტემბრინის სეკუნდანტობა შესთავაზა.
მისი წინადადება უარყვეს. არა, არ ივარგებს, უხერხულიაო, ჯერ ბატონი სეტემბრინისგან მიიღო პასუხად და ამ პასუხს დახვეწილი და ნაღვლიანი ღიმილი ახლდა თან, მერე კი, ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, ფერგემ და ვეეზალმაც იგივე აზრი გამოთქვეს, არ ივარგებს, ამ საქმეში ჰანს კასტორპი სეკუნდანტის როლში გამოვიდესო. როგორც მიუკერძოებელ პირს - ამდაგვარი მოწმის დასწრებას იმ ცხოველური შერკინების შემარბილებელი რაინდული წესები ისედაც ითვალისწინებდა - ჰანს კასტორპს შეეძლო, ბრძოლის ველზე მისულიყო. თვით ნაფტამაც გამოთქვა ღირსების დაცვის საქმეში თავისი რწმუნებულის პირით ამის სურვილი და ჰანს კასტორპიც ამ როლს დასჯერდა. მოწმე იქნებოდა თუ მიუკერძოებელი პირი, სულერთია, შესაძლებლობა ეძლეოდა, ზეგავლენა მოეხდინა ბრძოლის პირობებზე და ეს კი აუცილებელი ეჩვენებოდა.
ნაფტას წინადადებანი ხომ ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. მან მოითხოვა ხუთი

ნაბიჯი დისტანცია და თუკი საჭირო გახდებოდა, სამჯერ სროლა. ეს სიგიჟე მან იმავე საღამოს შემოთვალა ვეეზალის პირით, რომელიც მთლად მისი უგუნური სურვილების მესიტყვედ და მოსარჩლედ ქცეულიყო, ნაწილობრივ მოვალეობის, ნაწილობრივ კი, ცხადია, თავისი საკუთარი გემოვნების კარნახითაც და ამ პირობების გატანას კბილებით ცდილობდა. ცხადია, სეტემბრინის არაფერი უთქვამს საწინააღმდეგო, მაგრამ ფერგე, როგორც სეკუნდანტი, და მიუკერძოებელი პირი, ჰანს კასტორპი, აღშფოთდნენ და ამ უკანასკნელმა საბრალო ვეეზალს უხეშადაც კი მიმართა. ნუთუ არ გრცხვენიათ, ასეთი საშინელებები რომ გამოგიქექავთ, როცა საქმე წმინდა აბსტრაქტულ დუელს ეხება, რომელსაც არავითარი შეურაცხმყოფელი ქმედება არ უძევს საფუძვლადო! ვითომ პისტოლეტები არ კმაროდეს, კიდევ მკვლელობის დეტალები არ დაუმატოთო. ბარემ ცხვირში ესროლონ ერთმანეთს და ის იქნებაო! ვეეზალს რა ენაღვლება, მას კი არ ესვრიან ასეთი მანძილიდან, იმიტომაცაა სისხლის დაღვრის წყურვილი ასე იოლად რომ ამოსდის პირიდანო და ასე შემდეგ. ვეეზალმა მხრები აიჩეჩა და ამით უსიტყვოდ შეახსენა ჰანს კასტორპს, კრიტიკული სიტუაცია რომ იყო შექმნილი და ამით მოწინააღმდეგე მხარე, ასე თუ ისე, განაიარაღა, რადგან იგი, ეტყობა, ცდილობდა, ეს გარემოება დაევიწყებინა. ასე იყო თუ ისე, დიდი დავიდარაბის ფასად მაინც შეძლეს, უპირველეს ყოვლისა, სამი გასროლის ერთზე დაყვანა, შემდეგ კი დისტანციის საკითხიც ისე მოაგვარეს, რომ დუელანტები თხუთმეტ ნაბიჯზე დამდგარიყვნენ ერთმანეთის პირისპირ და უფლება ჰქონოდათ, სანამ გაისროდნენ, ხუთი ნაბიჯი წინ გადმოედგათ. ოღონდ ამაზეც იმ პირობით შეთანხმდნენ, რომ არავითარ შერიგებას არ შეეცდებოდნენ. ისე, რომ იცოდეთ, პისტოლეტები საერთოდ არ ჰქონდათ.

პისტოლეტები ბატონ ალბინს ჰქონდა. იმ პატარა პრიალა რევოლვერის გარდა, რომლითაც მანდილოსნების დაშინება უყვარდა, მას ორი ზუსტად ერთნაირი პისტოლეტიც აღმოაჩნდა, ხავერდგამოკრულ ბუდეში ჩაწყობილისაოფიცრო, ბელგიური პისტოლეტები; ავტომატურ ბრაუნინგებს ყავისფერი ხის ტარებში მჭიდები ედო, ჩახმახები და პრიალა ლულები ცისფრად უელავდა დაზედ ლულასთან პატარა, კოხტა სამიზნეებიც ჰქონდა დატანებული. ჰანს კასტორპს ერთხელ იმ ქარაფშუტასთან ენახა ისინი და ახლა თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ობიექტურობის დასამტკიცებლად წამოაყენა წინადადება, პისტოლეტები მისგან ენათხოვრებინათ. ამ საქმეს თვითონვე მოაბა თავი, მიზანი არ დაუმალავს, მაგრამ ისეთი პიროვნული ღირსების საბურველში გაახვია იგი, რომ სულ ადვილად შეძლო იმ ქარაფშუტას რაინდული გრძნობების მონადირება, ბატონმა ალბინმა პისტოლეტების დატენაც კი ასწავლა და მასთან ერთად ტყეში სასინჯად ორივედან რამდენჯერმე კიდეც გაისროლა.

ყველაფერ ამას დრო დასჭირდა და ისე მოხდა, რომ შეხვედრამდე ორი დღე და სამი ღამე გავიდა. დუელის ადგილი ჰანს კასტორპმა აღმოაჩინა: ეს გახლდათ ის თვალწარმტაცი, ზაფხულში ლურჯად მობიბინე კუთხე, სადაც მას სამართავად განმარტოება უყვარდა, და დუელის მონაწილეებს ეს ადგილი შესთავაზა. ჩხუბიდან მესამე დღეს, განთიადისას, საქმე აქ უნდა დასრულებულიყო. ჰანს კასტორპი ძალიან ნერვიულობდა და მხოლოდ წინა საღამოს, და ისიც საკმაოდ გვიან, მოაგონდა, რომ ორთაბრძოლის ადგილზე ექიმის წაყვანაც იყო საჭირო.

იგი მაშინვე მოეთათბირა ფერგეს, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება მეტისმეტად ძნელი გამოდგა. მართალია, რადამანთისი სტუდენტობისას კორპორანტი იყო, მაგრამ განა შეიძლებოდა სანატორიუმის მთავარი ექიმისათვის ასეთ უკანონო საქმეში დახმარება გეთხოვათ, მით უმეტეს, რომ საქმე პაციენტებს შეეხებოდა. საერთოდაც არ ჰქონდათ იმედი, აქ ისეთი ექიმი გამოეძებნათ, ორ მძიმე ავადმყოფს შორის დანიშნულ დუელში დახმარებაზე რომ დათანხმებოდა. რაც შეეხება კროკოვსკის, დარწმუნებულნი არ იყვნენ, ამ სპირიტუალისტს საერთოდ თუ შეეძლო ჭრილობის შეხვევა.

სათათბიროდ ვეეზალსაც უხმეს და მან აცნობა, ნაფტამ უკვე განაცხადა, არავითარი ექიმი არ მინდაო. იქ მალამოს წასასმელად და დოლბანდში გასახვევად როდი მივდივარ, ბრძოლას ვაპირებ და თანაც ძალიან სერიოზულადო. მერე რაც იქნება, სულ არ მადარდებს, ამას მერე ვნახავთო. ავის მომასწავებელი ნათქვამი გახლდათ, მაგრამ ჰანს კასტორპმა თავი დაირწმუნა,

ალბათ, ნაფტა გულში ფიქრობს, ექიმი სულაც არ დაგვჭირდებაო. განა სეტემბრინიმაც არ შემოუთვალათ ფერგეს პირით, ამ საკითხს მოეშვით, ეგ სულ არ მაინტერესებსო? უგუნურებას სულაც არ ნიშნავდა, იმედი ჩაგსახოდათ, იქნებ მოწინააღმდეგეები გულში ერთნაირად ფიქრობენ და სისხლის ღვრის თავიდან აცილებას აპირებენო. იმ შეხლა-შემოხლის შემდეგ ორი ღამე ეძინათ, ახლა მესამედაც დაიძინებდნენ, ძილი კი აგრილებს, აფხიზლებს ადამიანს და საათების სვლასთან ერთად გუნება-განწყობილებაც უცვლელი დარჩება, ადრე დილით, იარაღით ხელში მოსული არც ერთი მოქიშპე ის კაცი აღარ იქნება, განხეთქილების დღეს რომ იყო. დიდი-დიდი, მექანიკურად, პატივმოყვარეობის გამო და არა ახლანდელი ნების კარნახით თუ მოიქცევიან ისე, როგორც მოიქცეოდნენ მაშინ, რწმენა და ჟინი რომ არ ასვენებდათ; და თავიანთი აქტუალური „მეს“ ამდაგვარ უარყოფას იმ „მეს“ სასარგებლოდ, რანიც იმ დღეს იყვნენ, ისინი როგორღაც უნდა დაეფარა!
ჰანს კასტორპი ტყუილად როდი ფიქრობდა ასე, ოღონდ, სამწუხაროდ, ასეთი ფიქრები იმ აზრით იყო მართებული, მას რომ არც დაესიზმრებოდა. თან ზედმიწევნით მართებულიც კი, თუ საქმე ბატონ სეტემბრინიზე მიდგებოდა. მაგრამ ის რომ სცოდნოდა, ლეო ნაფტა გადამწყვეტ წუთამდე თავის განზრახვას რანაირად შეიცვლიდა ან სწორედ იმ წუთში შეიცვლიდა თუ არა, თვით ის შინაგანი გარემოებანიც კი ვერ შეაჩერებდნენ, საიდანაც ეს ყველაფერი მომდინარეობდა, და მოსახდენს წინ აუცილებლად აღუდგებოდა.
დილის შვიდი საათი იყო, მზეს ჯერ კიდევ კარგა ხანი დასჭირდებოდა, სანამ თავისი მთის უკან ამოიწვერებოდა, მაგრამ ბურუსს უკვე გაჭირვებით მოარღვევდა დღის ნათელი, როცა ჰანს კასტორპი სანატორიუმ „ბერგჰოფში“ მოუსვენრად გატარებული ღამის შემდეგ პაემნის ადგილისაკენ მიეშურებოდა. დამლაგებელმა ქალებმა, რომლებიც ვესტიბიულს ასუფთავებდნენ, გაოცებით გააყოლეს თვალი. ალაყაფის კარი მაინც ღია დაუხვდა, ეტყობა, ფერგე და ვეეზალი ერთად ან ცალ-ცალკე უკვე გასულიყვნენ გარეთ, ერთი სეტემბრინის, მეორე კი ნაფტას ბრძოლის ველზე წამოსაყვანად. იგი, ჰანს კასტორპი, მარტო მიდიოდა, რადგან მიუკერძოებელი პირის როლში ყოფნა უფლებას არ აძლევდა, რომელიმე მხარეს მიჰკედლებოდა.
მექანიკურად მიაბიჯებდა, წინ ღირსების გრძნობა და შინაგანი გარემოებები მიერეკებოდა. მისი თანდასწრება, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო. განა შეიძლებოდა, სხვებს გამოჰკლებოდა და შედეგს ლოგინში დალოდებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ... ჯერ ერთი აღარ მოამთავრა და მყისვე მეორეს გადასწვდა, მეორეც, საქმეს თვითდინებას ხომ ვერ მიანდობდა. მადლობა ღმერთს, ცუდი ჯერ არაფერი მომხდარა და, წესით, არც უნდა მომხდარიყო, ეს თითქმის დაუჯერებელი ჩანდა. დილით ელექტროშუქზე წამოდგა და არ უსაუზმია, გზას ისე დაადგა, რომ შეთანხმებისამებრ ამ დილაადრიან, ყინვაში, ღია ცის ქვეშ ყველას დროზე მოეყარა თავი. მერე კი მისი, ჰანს კასტორპის, ზემოქმედების წყალობით,საქმე როგორმე სასიკეთოდ და სასიხარულოდ შემოტრიალდებოდა, ოღონდ როგორ და რა გზით, ამას წინასწარ ვერ გამოიცნობდი და ჯობდა, არცგემკითხავა, რადგან გამოცდილებით ბევრჯერ დადასტურებულა, სავსებით უმნიშვნელო ამბავიც კი სულ სხვაგვარად რომ წარმართულა, ვიდრე წინასწარ გიცდია, წარმოგედგინა.
და მაინც, მის მეხსიერებაში ეს იყო ყველაზე უსიამოვნო დილა. მოდუნებული და ღამენათევი, კბილს კბილზე ნერვიულად აცემინებდა და გულში უკვე ეჭვი ეპარებოდა, თავს ტყუილად ვიმშვიდებო. რაღაც უჩვეულო დრო იდგა... გონებაში ელვის სისწრაფით გაურბინა ჩხუბის მიზეზით გაუბედურებული მინსკელი ქალის, გამძვინვარებული მოსწავლის, ვიდემანისა და ზონენშაინის, პოლონელთა სილაქების ამბებმა. მაინც ვერ წარმოედგინა, რომ მის თვალწინ, მისი თანდასწრებით, ორი კაცი ერთმანეთს ტყვიას ესროდა, სისხლში შეღებავდა და დაასახიჩრებდა, მაგრამ როცა გაიხსენა, ვიდემანმა და ზონენშაინმა მის თვალწინ რა დღე აყარეს ერთმანეთს, საკუთარი თავისა და მთელი სამყაროსადმი რწმენა დაეკარგა და თავის ბეწვის ქურთუკში ააძაგძაგა, თან მთელი ამ სიტუაციის უჩვეულობა და პათეტიკურობა, დილის ჰაერის გამომაცოცხლებელ სუსხთან ერთად, მაინც ამხნევებდა და ახალისებდა.

ასეთი ნაზავი და ცვალებადი განცდებითა და ფიქრებით შეუდგა იგი თანდათან გაცრეცილ ბინდბუნდში, ბობსლეის ბილიკის დასაწყისთან „სოფლიდან“ ფერდობზე ამავალ საცალფეხო გზას, დათოვლილ ტყეს მიაღწია, გადაიარა ხიდი, რომლის ქვეშაც სამარხილე გზა გადიოდა და გაუყვა ხეებს შორის გამავალ გზას, ნიჩბით გაკვალულზე უფრო ფეხით გათელილს რომ მიაგავდა. იგი გამალებით მიდიოდა და მალე წამოეწია კიდეც სეტემბრინისა და ფერგეს. ამ უკანასკნელს ცალ ხელში პალტოს ქვეშ შემალული პისტოლეტების ყუთი ეჭირა. ჰანს კასტორპს ბევრი არ უფიქრია, მათთან შეერთება დააპირა და მხარში ამოუდგა თუ არა, ნაფტა და ვეეზალიც შენიშნა, რომლებიც ოდნავ დაწინაურებულიყვნენ.

- სუსხიანი დილაა, თვრამეტი გრადუსი მაინც იქნება, - კეთილი განზრახვით თქვა მან, მაგრამ საკუთარმა ფუქსავატურმა სიტყვებმა თვითონვე შეაშინა და დასძინა:

- ბატონებო, დარწმუნებული ვარ...

დანარჩენები დუმდნენ. ფერგე გულკეთილად აცმაცუნებდა ულვაშს. ცოტა ხნის შემდეგ სეტემბრინი შეჩერდა, ჰანს კასტორპს ხელი გამოართვა, ზემოდან თავისი ხელი დაადო და უთხრა:

- ჩემო მეგობარო, მე მას არ მოვკლავ. ამას არ ჩავიდენ. მის ტყვიას შევუშვერ მკერდს, ეს არის სულ, რასაც ჩემი ღირსება მკარნახობს. მაგრამ მე თვითონ არ მოვკლავ, ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

მან ჰანს კასტორპს ხელი გაუშვა და გზა განაგრძო. ჰანს კასტორპი ძალიან ააღელვა სეტემბრინის სიტყვებმა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ თქვა:

- რასაც თქვენ ამბობთ, მშვენიერია, ბატონო სეტემბრინი, ოღონდ მეორე მხრიდან... ისიც, რომ თავის მხრივ...

ბატონმა სეტემბრინიმ მხოლოდ თავი გააქნია. ჰანს კასტორპმა კი იფიქრა და დაასკვნა, თუკი ერთი არ გაისვრის, მეორეც ხომ ძალაუნებურად ასევე მოიქცევა, ამგვარად, ყველაფერი ბედნიერად ჩაივლის და ჩემი იმედიც გამართლდებაო, და გულზე მოეშვა.

გადაიარეს ხევზე გადებული ბოგირი, სადაც ზაფხულში ამჟამად ჩაქვავებულ-ჩადუმებული ჩანჩქერი ჩაედინებოდა და ისედაც თვალწარმტაც მიდამოს კიდევ უფრო ამშვენიერებდა. ნაფტა და ვეეზალი თოვლით დაზვინული ძელსკამის წინ სცემდნენ ბოლთას, სადაც ოდესღაც უჩვეულოდ ცოცხალი მოგონებებით აღელვებული ჰანს კასტორპი ცხვირიდან სისხლის დენის შეჩერებას ელოდებოდა. ნაფტა სიგარეტს ეწეოდა და ჰანს კასტორპი დაფიქრდა, მეც ხომ არ მინდა მოწევაო, მაგრამ იოტისოდენა სურვილიც ვერ იგრძნო და დაასკვნა, ალბათ, ისიც ყასიდად, ეფექტის მოსახდენად თუ ეწევაო. ამ ადგილის დანახვა ყოველთვის სიამოვნებდა და ახლაც სიამოვნებით შეავლო თვალი თავისი მამაცური და თან ინტიმური გრძნობების მოწმე მიდამოს, ამ ყინვაშიც რომ არანაკლებ მშვენიერი ჩანდა, ვიდრე თავის ლურჯი ყვავილობის ჟამს. პეიზაჟში ირიბად შეჭრილი ფიჭვის ტანი და ტოტები თოვლს დაემძიმებინა.

- დილა მშვიდობისა! - მხიარულად მიესალმა იგი საზოგადოებას იმ მიზნით, რომ თავიდანვე ბუნებრივი კილო შემოეტანა და ბოროტი ზრახვები განედევნა, მაგრამ ხელი მოეცარა, სალამზე არავის უპასუხია. სალმის მაგიერ ყველანი უსიტყვო თავის დაკვრით დაკმაყოფილდნენ, რაშიც ძლივს შესამჩნევი დაძაბულობა იგრძნობოდა. ჰანს კასტორპმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, კვლავ შეეცადა, თავისი აქ მოსვლა გაემართლებინა, მღელვარებისგან აჩქარებული სუნთქვა, ამ ზამთრის დილით სწრაფი სიარულის წყალობით შეძენილი სითბო დაუყოვნებლივ სასიკეთოდ გამოეყენებინა და წამოიწყო:

- ბატონებო, დარწმუნებული ვარ...

- თქვენს რწმენაზე სხვა დროსაც მოასწრებთ ლაპარაკს, - ცივად მოუჭრა ნაფტამ, - იარაღი გვიბოძეთ, თუ შეიძლება, - ასევე ქედმაღლურად დასძინამან და ენაჩავარდნილი ჰანს კასტორპი იძულებული გახდა, ეყურებინა, როგორ გამოაძვრინა ფერგემ თავისი პალტოს კალთიდან საბედისწერო ბუდე, მასთან მისულმა ვეეზალმა ერთ-ერთი პისტოლეტი გამოართვა და ნაფტას გადასცა. სეტემბრინიმ ფერგეს ხელით მიიღო მეორე. შემდეგ ფერგემ ხმადაბლა სთხოვა ყველას, უკან დაეხიათ, ისინიც მოსცილდნენ და იგიც დისტანციის გადაზომვასა

და მონიშვნას შეუდგა! გარე საზღვარი თოვლში ქუსლით ჩაბეკნილი მოკლე ხაზებით მონიშნა, შიდა ბარიერი კი ორი ხელჯოხით, საკუთრითა და სეტემბრინის ხელჯოხით აღნიშნა.
ხედავთ, რასსჩადიოდა ეს გულკეთილი მარტვილი? ჰანს კასტორპი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ფერგეს ისედაც გრძელი ფეხები ჰქონდა, ახლა ნაბიჯს კიდევ უფრო ფართო-ფართოდ ადგამდა და ის თხუთმეტი ნაბიჯი მაინც კარგა დიდ მანძილზე გადაიჭიმა, თუმცა ის წყეული ბარიერები ერთმანეთთან მაინც ახლო-ახლოს კი აღმოჩნდნენ, ცხადია, ფერგე პატიოსნად იქცეოდა, მაგრამ მაინც რა გონების დამაბნელებელი ძალა აიძულებდა, ასეთი საშინელი აზრის მატარებელი მოსამზადებელი სამუშაო ჩაეტარებინა?
ნაფტამ თავისი წაულისსარჩულიანი ქურქი თოვლზე უკუღმა დააგდო და პისტოლეტით ხელში ერთ-ერთ ახალგავლებულ მიჯნაზე დადგა, თუმცა ფერგეს სხვა მიჯნების მონიშვნა ჯერაც არ ჰქონდა მომთავრებული. ფერგე საქმეს რომ მორჩა, სეტემბრინიმაც დაიკავა თავისი ადგილი და გაქუცული ბეწვის ქურთუკი გაიღეღა. ჰანს კასტორპი ძლივს მოერია გახევებულ სხეულს და ერთხელ კიდევ გამოიჭრა წინ:
- ბატონებო, - ხმაჩაწყვეტილმა მიმართა მან ორივეს, - ნუ ავჩქარდებით! ყველაფრის მიუხედავად, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია...
- გაჩუმდით! - მკვახედ დაუყვირა ნაფტამ, - მოგვეცით ნიშანი!
მაგრამ ნიშანს არავინ იძლეოდა. ამ საკითხზე კარგად არ შეთანხმებულან. ალბათ, საჭირო იყო ერთი სიტყვის თქმა: „იარ!“, მაგრამ ამ საშინელი განკარგულების გაცემა რომ მიუკერძოებელი პირის საქმე იყო, ამაზე არც უფიქრიათ და არც ულაპარაკიათ. ჰანს კასტორპი დუმდა და არც არავინ აპირებდა, მისი მაგივრობა გაეწია.
- ვიწყებთ! - განაცხადა ნაფტამ, - გამოდით და ისროლეთ, ბატონო ჩემო! - გასძახა მან თავის მოწინააღმდეგეს და თვითონაც დაიძრა, პისტოლეტი წინ გაწვდილ ხელში ეჭირა და სეტემბრინის გულში უმიზნებდა... დაუჯერებელი სანახაობა იყო. ასევე მოიქცა სეტემბრინიც. მესამე ნაბიჯზე - მოწინააღმდეგე უკვე ბარიერთან იყო მისული, მაგრამ არ გაუსროლია, - მან პისტოლეტი თავს ზემოთ ასწია და ჩახმახს ხელი გამოჰკრა. მჭახე გასროლის ექომ მრავალჯერ გაიხმიანა. მთებმა ერთმანეთს დაუბრუნეს გამოძახილი, ხეობა აგრუხუნდა და ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, სადაცაა, ალბათ, ხალხი შეიყრებაო.
- თქვენ ჰაერში ისროლეთ, - დინჯად თქვა ნაფტამ და იარაღი დაუშვა.
სეტემბრინიმ მიუგო:
- საითაც მინდა, იქით გავისვრი.
- ერთხელ კიდევ უნდა ისროლოთ!
- არც ვაპირებ. ახლა თქვენი ჯერია, - მიუგო ბატონმა სეტემბრინიმ, თავი მაღლა ასწია, ზეცისკენ აიხედა და მისკენ ფრონტით კი არა, ოდნავ გვერდულად დადგა, რაც გულის ამაჩუყებელი სანახავი იყო. აშკარად გაგონილი ჰქონდა, მოწინააღმდეგეს გაშლილი მკერდი არ უნდა მიუშვიროო, და, ეტყობოდა, ამ მითითებისამებრ იქცეოდა კიდეც.
- ლაჩარო! - დაუყვირა ნაფტამ და ამ შეძახილით საქვეყნოდ აღიარა, რომ უფრო მეტი სიმამაცეა საჭირო სხვას ესროლო, ვიდრე საკუთარი მკერდი სხვის ტყვიას შეუშვირო, მერე თავისი პისტოლეტი ისე ასწია, რომ ამას დუელთან აღარაფერი ჰქონდა საერთო და ტყვია თავში დაიხალა.
საშინელი, დაუვიწყარი სანახაობა იყო! მან წაიბორძიკა თუ გადაქანდა, სანამ მთები მის ბოროტმოქმედებას საზარელი გრუხუნით ეხმიანებოდნენ, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, ფეხები აიქნია, მთელი ტანით მარჯვნივ მკვეთრად შეტრიალდა და სახით თოვლზე დაენარცხა.
წამით ყველანი გაქვავდნენ, მერე სეტემბრინიმ თავისი იარაღი შორს მოისროლა და მასთან პირველი მიიჭრა.
- Iნფელიცე
! - შესძახა მან, - Che cosa fai per I’ამორ დი დიო
!
( ) ჰანს კასტორპი მიეშველა და სხეული გადმოაბრუნეს. საფეთქელთან შავ-წითელი ნახვრეტი დაუნახეს, სახეზე დახედეს, მაგრამ ჯობდა, ზედ ის აბრეშუმის

ცხვირსახოცი დაეფარებინათ, გულჯიბიდან რომ მოუჩანდა.

მეხის გავარდნა

შვიდი წელი დაჰყო ჰანს კასტორპმა ამათთან აქ, ზევით. ათობით სისტემის მოყვარულთათვის ეს მრგვალ რიცხვად ვერ ჩაითვლება, მაგრამ თავისებურად მაინც კარგი და მარჯვე რიცხვი მოამრგვალა და შეიძლება ითქვას, ეს მისტიკურ-ფერადოვანი დროისმიერი სხეული უფრო ესალბუნებოდა გრძნობა-გონებას, ვიდრე თუნდაც მშრალი ნახევარი დუჟინი მიესალბუნებოდა. მან სასადილო დარბაზის შვიდივე მაგიდა მოიარა და თითოეულთან დაახლოებით თითო წელი დაჰყო. უკანასკნელად მდარე რუსულ მაგიდასთან იჯდა ორ სომეხს, ორ ფინელს, ერთ ბუხარელსა და ერთ ქურთთან ერთად. ამასობაში უკვე პატარა წვერი მოუშვა, მაგრამ ჩალისფერ, მოკლე წვერს ისეთი გაურკვეველი მოყვანილობა ჰქონდა, რომ იძულებული ვართ, იგი საკუთარი გარეგნობისადმი ფილოსოფიური გულგრილობის გამოვლენად ჩავუთვალოთ. დიახ, უფრო შორსაც წავალთ და საკუთარი თავისადმი ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას გარე სამყაროსგან მის მიმართაც ასეთივე დამოკიდებულების გაჩენას დავუკავშირებთ. ხელმძღვანელობა აღარ იგონებდა მისთვის დივერსიებს. გარდა დილის მოკითხვისა, „კარგად“ გეძინათ თუ არაო, რაც რიტორიკული ხასიათისა გახლდათ და ყველას ერთნაირად შეეხებოდა. ჰოფრატი მას განსაკუთრებით აღარ მიმართავდა და მისი მოკითხვით ყოველდღე აღარც ადრიატიკა ფონ მილენდონკი იწუხებდა თავს (ჩვენ რომ ამბავს გიყვებით, იმ ხანებში ადრიატიკას თვალზე კარგად მომწიფებული ჯიბლიბო აჯდა). უფრო კარგად თუ დავუკვირდებით, მას იშვიათად, უფრო სწორად, საერთოდ აღარ მიმართავდნენ. მას თავი მიანებეს - დაახლოებით ისე, როგორც მოსწავლეს ანებებენ ხოლმე თავს, რომელსაც თავისებური სახალისო უპირატესობაც კი აქვს მინიჭებული, აღარაფერს ეკითხებიან, საქმე აღარაფერი აქვს, რადგან მისი იმავე კლასში დარჩენა გადაწყვეტილია და იგი სათვალავშიც არაა ჩასაგდები, - მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ესაა თავისუფლების ორგიასტული ფორმა და საკუთარ თავსვე შევეკითხებით, ოდესმე თავისუფლებას ამისგან განსხვავებული ფორმა თუ შეიძლება საერთოდ ჰქონოდა. ასე იყო თუ ისე, აქ ჰყავდათ ადამიანი, რომელზეც ხელმძღვანელობას თვალყურის დევნება აღარ სჭირდებოდა, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, მის გულში არავითარი თვითნებური და ჯიუტი გადაწყვეტილება აღარ მომწიფდებოდა, - ეს იყო სანდო, სამუდამოდ შემორჩენილი კაცი. მან უკვე დიდი ხანია აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო, ბარში დაბრუნებაზე ფიქრის უნარიც კი დაკარგული ჰქონდა... მისი პიროვნების მიმართ ერთგვარი უყურადღებო დამოკიდებულების ბრალი ხომ არ იყო თუნდაც ის ფაქტი, იგი მდარე რუსულ მაგიდასთან რომ გადასვეს? ისე კი ნუ გაგვიგებთ, თითქოს ამის თქმით ვამცირებდეთ ეგრეთ წოდებულ მდარე რუსულ მაგიდას! ამ შვიდი მაგიდიდან არც ერთს არავითარი ხელშესახები უპირატესობა ან ნაკლი არ ჰქონდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ მეფობდა საპატიო მაგიდების დემოკრატია. აქაც ისევე უხვად მოჰქონდათ სასმელ-საჭმელი, როგორც დანარჩენ მაგიდებზე; აქაც ისევე ჯდებოდა ხოლმე რადამანთისი და თავის უზარმაზარ ხელებს თეფშის წინ აწყობდა; და ბოლოს, იმ სუფრასთან მსხდომი ეროვნებებიც კაცობრიობის საპატიო წევრები იყვნენ, თუმცა არც ლათინური იცოდნენ და ჭამაშიც ზედმეტად არ იპრანჭებოდნენ ხოლმე.

დრო სადგურის საათებს როდი ჰგავს, მათი დიდი ისარი ხუთ-ხუთი წუთით ერთბაშად რომ იწევს წინ. იგი უფრო პაწაწინა საათებს მიაგავს, მათი ისრის მოძრაობას საერთოდ რომ ვერ ვამჩნევთ, ან ბალახს ჰგავს, თვალით მის ზრდას რომ ვერ ვხედავთ, თუმცა იგი ჩუმ-ჩუმად იზრდება და ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ ვცნობთ ხოლმე; დრო არის ხაზი, ოღონდ არაგანფენილი წერტილებისგან შემდგარი ხაზი (ამ ქვეყნიდან უბედურად წასული ნაფტა, ალბათ, იკითხავდა, მხოლოდ არაგანფენილობები ხაზს როგორ წარმოქმნიანო) და იგი კვლავაც თავისებურად შემპარავად, უჩინრად, საიდუმლოდ და მაინც ენერგიულად იწვევდა ცვლილებებს. მაგალითად, შეგვეძლო, დაგვესახელებინა ბიჭუნა ტედი, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს - ცხადია, მართლა იმ „ერთ დღეს“ არა, მაგრამ

არც არავინ იცის, რომელი დღიდან მოყოლებული, - ბიჭუნა აღარ ეთქმოდა. ქალები უკვე ვეღარ ისვამდნენ მუხლებზე, როცა იგი ლოგინიდან წამოდგებოდა, პიჟამის ნაცვლად სპორტულ კოსტიუმს ჩაიცვამდა და ქვევით ჩამოდიოდა ხოლმე. გარემოება შეუმჩნევლად შეტრიალდა, ახლა იგი იქით ისვამდა ქალებს მუხლებზე და ეს ორივე მხარეს ისევე, ან იქნებ უფრო მეტადაც, სიამოვნებდა. იგი ჭაბუკად გადაიქცა - ვერ ვიტყვით, გაიფურჩქნა-თქო, მაგრამ ტანი კი აიყარა: ჰანს კასტორპს მისი ზრდა არ შეუმჩნევია, გაზრდილი კი დაინახა. სხვათა შორის, დროსა და ტანის აყრას ბიჭუნა ტედისთვის სიკეთე არ მოუტანია, იგი საამისოდ არ გახლდათ შექმნილი. დრო-ჟამი მას არ სწყალობდა - იგი ოცდაერთი წლის ასაკში გარდაიცვალა იმ ავადმყოფობით, რომლისკენაც ძლიერი მიდრეკილება ჰქონდა და ერთ მშვენიერ დღეს მისი ოთახი, ჩვეულებისამებრ, საფუძვლიანად დაალაგეს. ამ ამბავს მშვიდად გიყვებით, რადგან მის ახალ ყოფასა და ძველს შორის დიდი განსხვავება მაინც არ ყოფილა.
მაგრამ იყო უფრო მნიშვნელოვანი სიკვდილის შემთხვევებიც, ბარშიმომხდარი შემთხვევები, რომლებიც ჩვენს გმირს უფრო სტკენდა გულს, უფრო სწორად, წინათატკენდა. მხედველობაში გვაქვს ცოტა ხნის წინ მოხუცი კონსული ტინაპელის გარდაცვალება, ჰანსის მივიწყებული დიდი ბიძისა და მამობილისა. იგი ყოველთვის გულმოდგინედ გაურბოდა ჰავის შეცვლას, ჰავის შეცვლით გამოწვეული მარცხი მის მაგივრად ბიძია ჯეიმსმა იწვნია, მაგრამ აპოპლექსიას ბოლოს მაინც ვერ გაექცა და ერთ მშვენიერ დღეს ჰანს კასტორპის ჩინებულ სკამლოგინამდე მოვიდა მისი გარდაცვალების ცნობა, დეპეშის შესაფერად მოკლედ, მაგრამ ნაზად და სათუთად შედგენილი - უფრო განსვენებულის პატივისცემით, ვიდრე ამ ცნობის მიმღების მოფრთხილების მიზნით. ჰანს კასტორპმა საპასუხოდ შავარშიამოვლებული ქაღალდი იყიდა და გარებიძას მისწერა, ისედაც ორგზის ობოლი, ახლა ერთხელ კიდევ დავობლდი, სამგზის ობოლი გავხდი და დარდი მიორკეცდება, აკრძალული და აღკვეთილი რომ მაქვს, აქაურობა მივატოვო და დიდი ბიძა უკანასკნელ გზაზე გავაცილოო.
გლოვაზე ლაპარაკი სინამდვილის შელამაზება იქნებოდა, მაგრამ ჰანს კასტორპის თვალები იმ დღეებში ჩვეულებრივზე უფრო ფიქრიანად მაინც იმზირებოდნენ. ეს შემთხვევა არც სხვა დროს აღუძრავდა დიდ გრძნობებს, თავგადასავლებით აღსავსე გაუცხოების წლებმა ხომ თითქმის სულ დაუშრიტა განცდის უნარი, მაგრამ ამ ამბავმა მაინც გაწყვიტა ბართან დამაკავშირებელი კიდევ ერთი ძაფი და იმან, რასაც ჰანს კასტორპი სავსებით სამართლიანადაც თავისუფლებას ეძახდა, საბოლოო სრულყოფილება მიანიჭა. მართლაც, ჩვენ რომ მოგითხრობთ, იმ ხანებში, მასა და ბარს შორის საბოლოოდ გაწყდა ყოველგვარი ურთიერთობა - აღარც იქით გზავნიდა წერილებს და აღარც თვითონ იღებდა. ბარიდან მარია მანჩინიც“ კი აღარ მოსდიოდა. აქ, ზევით, მიაგნო ერთ მარკას, მოეწონა და მასაც ისეთივე ერთგულებას უწევდა, როგორც ოდესღაც იმ თავის ძველ სატრფოსა და მეგობარს ერთგულებდა. ეს ნაწარმი პოლარელ მკვლევრებსაც კი გადაატანინებდა უმძიმეს განსაცდელს, თორემ აქ თუ არ გამოილევდი, რაღა აქ ყოფნა და რაღა ზღვის პირას წოლა - მშვენივრად გაძლებინებდა. ეს გახლდათ იშვიათი გულმოდგინებით დამზადებული სიგარა, სახელად რიუტლის ფიცი“,(„რიუტლის ფიცი“ - თქმულების მიხედვით, შვეიცარიის სამი. კანტონის: ურის, შვიცისა და უნტერვალდენის შეთქმულება დაახლოებით 1291 წელს რიუტლიზე, ურის კანტონის ერთ-ერთ მთის მდელოზე ჰაბსბურგების ბატონობისაგან გათავისუფლების მიზნით; ითვლება შვეიცარიის კონფედერაციის შექმნის, დაარსების პირობით აქტად.)
„მარიაზე“ ოდნავ უფრო მაგრად დახვეული, თაგვისფერი, მოლურჯო რგოლით შემკული სიგარა დამყოლი იყო და რბილი. თოვლივით თეთრ, მდგრად ფერფლს ყრიდა და ფერფლს თამბაქოს ფოთლის ძარღვები ემჩნეოდა. სიგარა ისე თანაბრად იწვოდა, რომ მწეველს ლამის ქვიშის საათის მაგივრობას უწევდა და ჰანს კასტორპი ამ მიზნით იყენებდა კიდეც, რადგან ჯიბის საათს აღარ დაატარებდა. ჯიბის საათი აღარ მუშაობდა, ერთ დღეს ტუმბოდან გადმოუვარდა და მას მერე არც უცდია, მექანიზმი დროის მზომავ წრეზე სარბენად აემუშავებინა, არ უცდია იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც უკვე დიდი ხანია კალენდარსაც აღარ ყიდულობდა, არც ყოველდღიურად ჩამოსახევს და არც უბრალოს, მხოლოდ

დღეებსა და დღესასწაულებს რომ უჩვენებდა. ერთი სიტყვით, ამასაც „თავისუფლების“ გულისთვის, სანაპიროზე გასეირნების, შეჩერებული ყოველდღიურობისა და მარადისობის პატივისცემით სჩადიოდა. ამ ჰერმეტულ ჯადოს ჩვენი განდეგილი მთელი არსებით ჰყავდა შეპყრობილი, ეს იყო მისი სულის მთავარი სახმილი, რომელშიც ამ მარტივი სულიერი მასალის ყველა ალქიმისტური სახეცვლილება მიმდინარეობდა.
ასე იწვა იგი და არც გაუგია, კიდევ ერთხელ როგორ შემობრუნდა წელიწადი და მეშვიდედ დადგა მისი ჩამოსვლის დრო - შუა ზაფხული.
და აი, სწორედ ამ დროს დაიქუხა...
მაგრამ სირცხვილი და რიდი გვაჩერებს, სიტყვების კორიანტელი დავაყენოთ და ისე გიამბოთ, რამაც დაიქუხა და რაც მოხდა. აქ აღარც ტრაბახი გამოდგება და არც მონადირის ცრუპენტელობა! ხმას დავუწევთ და ისე გეტყვით, რომ გაისმა ის ქუხილი, ყველა რომ მოველოდით, დიდი ხნის დაგროვილი, დამღუპველი გონებაჩლუნგობისა და ამრეზილობის გამაყრუებელი დეტონაცია, ისტორიული ქუხილი, რომელმაც, ჯეროვან პატივს თუ მივაგებთ, შეარყია დედამიწის საძირკველი, ჩვენთვის კი იგი მეხის გავარდნას უდრიდა, რადგან მან ააფეთქა ჯადოსნური მთა და ჩვენი ძილისგუდა მის ჭიშკარში უხეშად ისროლა. გაოგნებული ზის ახლა იგი ბალახში და თვალებს იფშვნეტს, როგორც შეეფერება იმ კაცს, ვინც გაფრთხილების მიუხედავად, არ ინება, გაზეთები დროზე წაეკითხა.
მისი ხმელთაშუაზღვისპირელი მეგობარი და მენტორი ყოველთვის ცდილობდა, შეშველებოდა და თავისი ძნელად აღსაზრდელი ბავშვი ქვევით მიმდინარე პროცესებში ზოგადად მაინც გაეცნობიერებინა, მაგრამ მოწაფე ცალი ყურით უსმენდა ხოლმე, მართალია, მართვის სურვილის წყალობით საგნების სულიერ ჩრდილებზე ოცნებობდა, მაგრამ თვით საგნებს არაფრად აგდებდა, ქედმაღლობით თვალდავსებული ჩრდილებს საგნებად იღებდა, საგნებში კი მხოლოდ ჩრდილს ხედავდა, თუმცა ამის გულისთვის მეტისმეტადმკაცრად ვერც გავკიცხავდით, რადგან ეს მიმართება საბოლოოდ მაინც ვერ არის გარკვეული.
წავიდა ის დრო, როცა ბატონმა სეტემბრინიმ ერთხელ უეცრად გაუჩახჩახა ოთახი, ჰორიზონტალურად მდებარე ჰანს კასტორპს საწოლთან დაუჯდა დაშეეცადა, მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე სწორი წარმოდგენა შეექმნა. ახლა, პირიქით, მუხლებშუა ხელებჩაწყობილი თვითონ იჯდა ჰუმანისტის საწოლთან მის პატარა კაბინეტში, ან დღისით წამოსაწოლ ტახტთან, განცალკევებულ და მყუდრო მანსარდში, სადაც კარბონარის ნაქონი სკამები და ხელადა იდგა, ბატონ სეტემბრინის ართობდა და თავაზიანად უსმენდა მის მსჯელობას მსოფლიო ვითარებაზე, რადგან ბატონი სეტემბრინი ფეხზე უკვე იშვიათად დგებოდა ხოლმე. ნაფტას საზარელმა აღსასრულმა, გამწარებული მოპაექრის ტერორისტულმა მოქმედებამ მძიმე დარტყმა მიაყენა მის მგრძნობიარე ბუნებას, ეს ამბავი ვერ მოენელებინა და მას შემდეგ სისუსტე და უღონობა მორეოდა. „სოციოლოგიური პათოლოგიის“ დარგში მისი თანამშრომლობა შეფერხდა, ადამიანური ტანჯვის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებების ლექსიკონი ადგილიდან აღარ იძვროდა, ის ლიგა ამაოდ ელოდა თავისი ენციკლოპედიის შესაბამის ტომს, ბატონი სეტემბრინი იძულებული იყო, პროგრესის ორგანიზაციაში თავისი თანამშრომლობა ზეპირმეტყველებაზე დაეყვანა და საამისო საშუალებას სწორედ ჰანს კასტორპის მეგობრული ვიზიტები აძლევდა, თორემ ამასაც მოკლებული იქნებოდა.
ლაპარაკობდა სუსტი ხმით, მაგრამ ბევრს, ლამაზად და გულითადად, საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე ადამიანის თვითსრულყოფის თაობაზე. მისი სიტყვები თითქოს მტრედის ფეხებით მოგოგმანებდა, მაგრამ როგორც კი გათავისუფლებული ხალხების საყოველთაო ბედნიერებისათვის გაერთიანებაზე მოჰყვებოდა ლაპარაკს, ალბათ, მისდა უნებურად და გაუცნობიერებლად, ხმაში არწივის ფრთების შხუილისმაგვარი ხმა გამოერეოდა და ეს პოლიტიკის, იმ პაპისეული მემკვიდრეობის წყალობა გახლდათ, მამის ჰუმანისტურ მემკვიდრეობასთან ერთად მასში, ლოდოვიკოში, მხატვრულ ლიტერატურად რომ შერწყმულიყო, ისევე როგორც ჰუმანიზმი და პოლიტიკა ერწყმის ერთმანეთს ცივილიზაციის სადღეგრძელოსავით ამაღლებულ იდეაში, მტრედის სათნოებითა და არწივის სიმამაცით აღსავსე იდეაში, რომელიც თავის დროს უცდის და

ხალხთა გარიჟრაჟს ელოდება, ეს დრო კი მაშინ დადგება, როცა უძრაობის პრინციპს თავს გაუჭეჭყავენ და ბურჟუაზიული დემოკრატიის ალიანსი გაიკვალავს გზას... მოკლედ, მის მსჯელობაში შეუსაბამობანიც მოიძებნებოდა. ბატონი სეტემბრინი ჰუმანისტი გახლდათ, მაგრამ ამავე დროს და სწორედ ამიტომაც, ბოლომდე არ ამხელდა, თორემ ომისკენაც მიუწევდა გული. გააფთრებულ ნაფტასთან დუელში იგი ადამიანურად მოიქცა, მაგრამ მაშინ, როცა ადამიანურობა ცივილიზაციის გამარჯვებისა და გაბატონების იდეისათვის მებრძოლ პოლიტიკას აღფრთოვანებით უნდა შერწყმოდა და მოქალაქის შუბი კაცობრიობის საკურთხეველზე უნდა ეკურთხებინათ, საეჭვო იყო, თავი შეეკავებინა და ხელი სისხლში არ გაესვარა; დიახ, ეს შინაგანი გარემოებების ზემოქმედებას მიეწერებოდა, ბატონი სეტემბრინის მშვენიერ ჩანაფიქრში არწივის სიმამაცის ელემენტები სულ უფრო და უფრო რომ იკიდებდა ფეხს და მტრედის სათნოებას ადგილს აღარ უტოვებდა.
არცთუ იშვიათად, იგი მსოფლიოს დიდი დაჯგუფებებისადმი ორგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა და სინდისი ქენჯნიდა ხოლმე. ცოტა ხნის წინ, ორი თუ ერთ-ნახევარი წლის უკან, იგი წუხდა, მისი ქვეყანა ალბანეთის საკითხში ავსტრიასთან რომ თანამშრომლობდა. ეს დიპლომატიური თანამშრომლობა, ერთი მხრივ, აღაფრთოვანებდა, რაკი იგი ლათინურის უცოდინარი, ნახევრად აზიური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ანუ მათრახისა და შლიუსელბურგის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეორე მხრივ კი, იტანჯებოდა, მისმა ქვეყანამ თავის უძველეს მტერთან რომ შეჰკრა დამყაყების პრინციპზე დაფუძნებული და ხალხთა დასამონებლად გამიზნული უღირსი კავშირი. შარშან, შემოდგომაზე, პოლონეთში რკინიგზის ქსელის ასაგებად საფრანგეთმა რომ კრედიტი გაუხსნა რუსეთს, ბატონ სეტემბრინის არც ეს მოსწონდა. იგი ხომ თავის ქვეყანში ფრანკოფილურ პარტიას ეკუთვნოდა, რაც არ გაგვიკვირდება, თუ გავიხსენებთ, რომ ბაბუამისი ივლისის რევოლუციის დღეებს სამყაროს შექმნის დღეებს უტოლებდა, მაგრამ ამ განათლებული რესპუბლიკის შეთანხმება ბიზანტიელ სკვითებთან ეუხერხულებოდა და აწუხებდა, თუმცა იმ რკინიგზის ქსელის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ფიქრი მაინც იმედს უსახავდა და გულს სიხარულით უვსებდა. შემდეგ მოკლეს ერცჰერცოგი
(„შემდეგ მოკლეს ერცჰერცოგი...“ - იგულისხმება ავსტრიელი ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი (1863-1914), ერცჰერცოგ კარლ-ლუდვიგის ვაჟი, ფრანც იოზეფ I-ის ძმისწული (მამისა და კრონპრინც რუდოლფის სიკვდილის შემდეგ ითვლებოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრედ). გეგმაში ჰქონდა მონარქიის ფედერაციული რეკონსტრუქცია: სამხრეთსლავურ რეგიონში უპირატესი როლი უნდოდა მიენიჭებინა ხორვატებისთვის, ხოლო სერბები შეევიწროებინა. ამის გამო სერბმა ნაციონალისტებმა მოკლეს 1914 წლის 28 ივნისს მის მეუღლესთან ერთად იუგოსლავიურ ქალაქში,სარაევოში, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად იქცა.) და ეს მკვლელობა ყველასათვის, გარდა გერმანელი ძილისგუდებისა, ბრძოლის დაწყების ნიშნად იქცა, მან ყველაფერი ცხადყო გაგებულთათვის, რომელთა რიცხვს აუცილებლად უნდა მივაკუთვნოთ ბატონი სეტემბრინი: ჰანს კასტორპი ხედავდა, რომ ბატონ სეტემბრინის პირად-ადამიანური თვალსაზრისით აკრთობდა ეს საშინელი ამბავი, მაგრამ იმასაც ხედავდა, სიხარულით როგორ ევსებოდა გული, როცა მოაგონდებოდა, რომ ეს იყო სახალხო-განმათავისუფლებელი აქტი და იგი მისი საძულველი ციხესიმაგრის წინააღმდეგ გახლდათ მიმართული. მართალია, გული ეთანაღრებოდა, ეს რომ მოსკოვური ხრიკების ნაყოფი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, სამი კვირის შემდეგ რომელიღაც მონარქიის მიერ სერბეთისთვის წაყენებული ულტიმატუმისათვის ადამიანის შეურაცხმყოფელი, საშინელი დანაშაული ეწოდებინა, აქაოდა, მოსალოდნელი შედეგების არსს ნაზიარები ვარო, თუმცა მათ ქოშინ-ქოშინითკი მიესალმებოდა...
მოკლედ, ბატონი სეტემბრინი ისეთივე რთულ და მრავალფეროვან გრძნობებში იყო ჩაფლული, როგორიც გახლდათ თვით ის მოვლენა, რომლის მოზღვავებას იგი კარგად ხედავდა და ცდილობდა კიდეც, თავისი მოწაფისათვის ქარაგმებით აეხილა თვალი, რადგან ეროვნული ზრდილობა და სიბრალულის გრძნობა არ ანებებდა, ეს ამბავი მისთვის პირდაპირ ეთქვა. პირველი მობილიზაციისთანავე,

ომის გამოცხადების პირველივე დღეებში, ბატონ სეტემბრინის ერთი ჩვეულება დასჩემდა: თავის სტუმარს ორივე ხელს გაუწვდიდა და მის ხელებს ჩასჭიდებდა ხოლმე, მაგრამ ამ ბრიყვს ეს საქციელი მხოლოდ გულს უჩქროლებდა, ტვინამდე კი ნამდვილად ვერ აღწევდა.
- ჩემო მეგობარო! - ეუბნებოდა იტალიელი, - დენთი, საბეჭდი დაზგა... ვერავინ უარყოფს, რომ თქვენი გამოგონილია! ოღონდ თქვენ თუ ფიქრობთ, რომ ჩვენ რევოლუციის წინააღმდეგ გავილაშქრებთ...
მძიმე მოლოდინის დღეებში, როცა ევროპას ტანჯვა-ვაებისაგან დაწყვეტაზე ჰქონდა ნერვები, ჰანს კასტორპს ბატონი სეტემბრინი არ უნახავს. ამჯერად აფორიაქებული გაზეთები პირდაპირ მის ლოჯიაში იჭრებოდნენ, მთელ სანატორიუმს აზანზარებდნენ და დენთის შემხუთველი სუნით სასადილო დარბაზს და ასე განსაჯეთ, მძიმე ავადმყოფებისა და მორიბუნდუსების ოთახებსაც კი ავსებდნენ. ეს ის წუთები გახლდათ, ძილისგუდა ბალახებში რომ ეგდო და ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, მის თავს რა ხდებოდა, მერე ნელ-ნელა წამოიწია, წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა... ოღონდ, მოდი, დავასრულოთ ეს სურათი და კარგად გავიგოთ, მის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა. მან ფეხებს ძალა დაატანა, წამოდგა და მიმოიხედა. მიხვდა, რომ ჯადოს ტყვეობაში აღარ იყო, თავი დაეხსნა, გათავისუფლებულიყო, ოღონდ მისდა სამარცხვინოდ, საკუთარი ძალითა და ნებით როდი დაეხსნა თავი, კარში იმ სტიქიურ, გარეგან ძალას გამოეგდო, მისი გათავისუფლება სულაც რომ არ ენაღვლებოდა. მართალია, მისი პატარა ბედ-იღბალი საერთო უბედურების წინაშე ინავლებოდა და ქრებოდა, მაგრამ იქნებ პირადად მასაც ეკისრებოდა რაღაც და ამაში ღვთიური მადლი და სამართალი ვლინდებოდა? ნუთუ ცხოვრება ერთხელ კიდევ შეიფარებდა თავის ცოდვილ, ძნელად აღსაზრდელ პირმშოს, ოღონდ საამურ ცხოვრებას როდი შესთავაზებდა, ისეთ სერიოზულ და მკაცრ განსაცდელს მოუმზადებდა, რომ სავსებით შესაძლებელია, ამ ცოდვილს სიცოცხლის ნაცვლად სწორედ სამი საპატიო ბათქი რგებოდა წილად. იგი მუხლებზე დაეცა და სახე და ხელები ზეცისკენ აღაპყრო. ზეცა გოგირდისფრად მოქუშულიყო, მაგრამ ცოდვის მთაზე გადმომხობილ მღვიმის კარედს აღარ ჰგავდა.
ამ პოზაში მოუსწრო ბატონმა სეტემბრინიმ, ცხადია, ამას ხატოვნად ვამბობთ, თორემ სინამდვილეში ხომ ვიცით, ჩვენი გმირის მკაცრ ზნეობას ასეთი თეატრალური პოზა რომ არ შეეფერებოდა. მკაცრ სინამდვილეში მენტორმა მას ჩემოდნების ჩალაგებისას მოუსწრო, რადგან ჰანს კასტორპი თავისი გამოღვიძების პირველი წუთებიდანვე გამგზავრების ორომტრიალსა და ალიაქოთში მოექცა, რაც ხეობაში გავარდნილ მეხს აეტეხა. „სამშობლო“ აფორიაქებული ჭიანჭველების ბუდეს ჰგავდა. აქ, ზევით, დასახლებული ტომი ხუთი ათასი ფუტის სიმაღლიდან კისრისტეხით ეშვებოდა განსაცდელში ჩავარდნილ ბარში, იერიშით აღებულ პაწაწინა მატარებელს საფეხურებზე ეკიდებოდა, ბარგიც აღარ ენაღვლებოდათ, მათი ავლადიდება შტაბელებად ეწყო აზიმზიმებულ ბაქანზე, რომლის თავზე თითქოს ქვემოდან ამოღწეული მხრჩოლავი კვამლი ტრიალებდა, და ჰანს კასტორპიც სხვებთან ერთად გარბოდა. ამ აურზაურში ლოდოვიკო გადაეხვია, გადაეხვია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მკლავებში მოიქცია და სამხრეთელების (ან თუნდაც რუსების) ჩვეულებისამებრ, ორივე ლოყაზე აკოცა. თავნება მოგზაურს ასეთი გამომშვიდობებისა ამ არეულ-დარეულობაშიც კი შერცხვა, მაგრამ წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა, როცა ბატონმა სეტემბრინიმ უკანასკნელ წუთს სახელით მიმართა, უფრო სწორად, „ჯოვანი“ დაუძახა, თან კულტურულ დასავლეთში მიღებული მიმართვის ფორმაც უკუაგდო და შენობით დაელაპარაკა!
- E così in giù,
- უთხრა მან, - n giù finalmente! Addio, Giovanni mio
ი !
(მაშ, ბარისაკენ, ხომ, ბოლოს და ბოლოს, ბარში მიდიხარ! მშვიდობით, ჩემო ჯოვანი! (იტალ.).) სხვაგვარად მიმავალი მინდოდა, მენახე, მაგრამ რას იზამ, ღმერთებმა ასე ინებეს. იმედი მქონდა, სამუშაოდ წახვიდოდი აქედან, ახლა კი შენიანების მხარდამხარ ბრძოლა მოგიწევს. ღმერთო ჩემო, თურმე ეს ბედი შენ გეწერა და არა ჩვენს ლეიტენანტს. ხედავ, როგორ გვათამაშებს ცხოვრება... იომე

მამაცურად, იმათ ამოუდექი მხარში, ვისთანაც სისხლი გაკავშირებს! ამაზე მეტს ახლა ვეღარავინ გააკეთებს. მე კი მაპატიე, თუკი შემორჩენილ ძალას საიმისოდ გამოვიყენებ, რომ ჩემს ქვეყანასაც ომისაკენ მოვუწოდო და იმათი მხარე დავაჭერინო, საითაც გონი და საკუთარი, წმიდათაწმიდა ინტერესები მოუწოდებს. Addio
!
ჰანს კასტორპმა ფანჯარაზე გადმოკიდებულ სხვა ათ კაცს შუა ძლივს გამოყო თავი და ბატონ სეტემბრინის ხელი დაუქნია. მანაც დაუქნია მარჯვენა ხელი, ხოლო მარცხენა ხელის არათითი თვალის უპეში ნაზად ამოისვა.

***

სად ვართ? ეს რა ამბავია? სად გადმოგვტყორცნა სიზმარმა? ბინდი, წვიმა და ტალახი, ხანძრის არილი ღრუბლიან ცაზე. ცა განუწყვეტელი, მძიმე გრუხუნისაგან ზანზარებს, გალიცლიცებული ნოტიო ჰაერი გამყივანისიმღერით, გააფთრებული, ჯოჯოხეთური ღმუილით იფლითება და ის ღმუილი თავის გზაზე ნამსხვრევებს, შხეფებს, ღრჭიალსა და აბრიალებულ ცეცხლის ენებს ტოვებს, ისმის გმინვა და გოდება, ლამის გასკდეს, ისე გაჰყვირის საყვირი, დოლის ბრაგუნი კი ადამიანებს წინ მიერეკება... აი, ტყეც, საიდანაც ჯარისკაცების უფერო გუნდები ინთხევა, ისინი გამორბიან, ეცემიან, წამოხტებიან. შორეული ხანძრის წინ ბორცვების მწკრივი გაწოლილა, გავარვარებული კვამლიდან ზოგჯერ ბღუჯა-ბღუჯა ამოვარდება ცეცხლის ენები. ირგვლივ დატალღული ყანა გვაკრავს, აჩუგნული და გულდაფლეთილი ტყის გასწვრივ ატალახებული, დალეწილი ტოტებით მოფენილი შარაგზა გადის, მისგან გამოყოფილი, რკალივით მოხრილი, ოღროჩოღრო თემშარა ბორცვებისაკენ მიემართება, ცივ წვიმაში შიშველი, ტოტებჩამოხლეწილი ხეები აღმართულან... აგერ, გზის მაჩვენებელი, მაგრამ მასთან ახლოს მისვლა არც ღირს, მისი დაფა ყუმბარისაგან ორად გახლეჩილიც რომ არ იყოს, ამ ბინდბუნდში ზედ მაინც ვერაფერს ამოიკითხავდით. აღმოსავლეთია თუ დასავლეთი? ეს არის ბარი, ეს არის ომი, ჩვენ კი გზაზე გამოსული მშიშარა ჩრდილები ვართ, დარცხვენილნი რომ ვეფარებით მოჩვენებით უსაფრთხოებას, არც ტრაბახს ვაპირებთ და არც მონადირესავით ცრუპენტელობას, აქ მხოლოდ ჩვენმა თხრობის სტიქიამ მოგვიყვანა, რათა ტყიდან გუნდ-გუნდად გამოცვენილ, სირბილით, ბორძიკით მომავალ, დოლის ბრაგუნით ცეცხლშენთებულ ნაცრისფერ ჯარისკაცებს შორის ერთი კაცი გამოვარჩიოთ, ჩვენი ნაცნობი, ჩვენი მრავალი წლის თანამგზავრი. და ამ გულკეთილ ცოდვილს, ასე ხშირად რომ გვსმენია მისი ხმა, ერთხელ კიდევ ჩავხედოთ გულუბრყვილო სახეში, სანამ სულ დაგვეკარგებოდეს თვალიდან.
ისინი, ეს კამერადები, ბრძოლაში გარდატეხის მოსახდენად მოურეკავთ, ბრძოლა კი მთელი დღეა გრძელდება იმ ბორცვებზე პოზიციების ხელახლა დასაკავებლად და მის გადაღმა მდებარე ალმოდებული სოფლების დასაბრუნებლად, ორი დღეა მტერს რომ აქვს ხელში ჩაგდებული. ეს არის მოხალისეთა პოლკი, ახალგაზრდობისაგან, მეტწილად სტუდენტებისაგან, შემდგარი, და დიდი ხანი არაა, რაც ბრძოლის ველზეა გამოსული. ისინი ღამით განგაშის ხმაზე წამოყარეს, დილამდე მატარებლით ამგზავრეს და ნაშუადღევამდე ფეხით ატარეს ცუდ გზაზე, თუმცა გზაზე არც უვლიათ, გზები ჩახერგილი იყო, შვიდი საათი ატარეს ახოებსა და ჭაობებზე, წვიმისგან დამძიმებული მაზარებით, მთელი აღჭურვილობით, მოკლედ, ეს სახალისო ლაშქრობა როდი იყო, თუ არ გინდოდათ, ჩექმა დაგეკარგათ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე უნდა წახრილიყავით, თითი ჩექმის ყურში ჩაგევლოთ და ისე ამოგეძროთ წებოვანი ტალახიდან. ამიტომაც სულ პატარა მინდვრის გადავლას ერთ საათს მოუნდნენ. და აი, უკვე აქ არიან, მათმა ახალგაზრდულმა სისხლმა ყველაფერს გაუძლო, მათი აღგზნებული, უკვე ქანცგაწყვეტილი, მაგრამ შემონახული სასიცოცხლო ძალების წყალობით ჯერ კიდევ საბრძოლველად შემართული სხეულები დაკლებულ ძილსა და საკვებს ითხოვენ. უკან გადაწეულ, რუხ მუზარადებს ქვეშ უხურთ სველი,

ტალახშეშხეფებული, ღვედშემოვლებული სახეები. სახე დაღლილობისა და იმ დანაკლისის გამო უხურთ, რაც ჭაობიანი ტყის გადავლისას იწვნიეს. მტერს შეუმჩნეველი არ დარჩენია მათი მოახლოება და შრაპნელებისა და მსხვილკალიბრიანი ყუმბარის ჯვარედინი ცეცხლით გადაუღობა გზა, ცეცხლი ტყეშივე მისწვდა მათ რაზმებს. ახლა კი აღმუვლებული, აშხეფებული და აალებული დათარეშობდა ფართოდ გადაშლილ ნასვენ მიწაზე.
მათ უნდა გადალახონ ეს მინდორი, ამ სამი ათასმა აღგზნებულმა ბიჭმა, თავიანთი ხიშტებით მტკიცე იერიში უნდა მიიტანონ ბორცვების წინ და უკანგათხრილ სანგრებზე, ცეცხლმოდებულ სოფლებზე, მიეშველონ თავისიანებს და მიაღწიონ იმ ბრძანებაში აღნიშნულ პუნქტამდე, მათ მეთაურს ჯიბეში რომ უდევს. ისინი სამი ათასი არიან, რათა ორი ათასი მაინც დარჩეს, როცა ბორცვებსა და სოფლებს მიაღწევენ; ესაა მათი სიმრავლის აზრი. ისინი ერთი მთლიანი სხეულია, იმაზე გათვლილი, დიდი დანაკლისის მიუხედავადაც რომ იმოქმედონ და გაიმარჯვონ, ათასხმიანი გამარჯვების ყიჟინა რომ დასცენ, თუმცა თითო-ოროლა კაცი გზაში ისედაც გამოაკლდებათ. ზოგი უკვე გამოაკლდათ კიდეც, გამოაკლდათ ჯერ კიდევ ფორსირებული მარშის დროს, რადგან საამისოდ ძალიან ახალგაზრდები და სუსტნი აღმოჩნდნენ. ფერი წაუვა, წაიფორხილებს ჯარისკაცი, ერთხელ კიდევ მოუხმობს თავის ვაჟკაცობას, მაგრამ ბოლოს მაინც უკან ჩამორჩება. ერთხანს კიდევ მიჩანჩალებს კოლონის კუდში, ერთიმეორეზე გადაუსწრებენ ასეულები და იგი, სადაც ქანცი გაუწყდება, იქვე დაეცემა. შემდეგ იწყება გაჩეხილი ტყე, მაგრამ ტყიდან გუნდ-გუნდად ჯერ კიდევ ბევრი გამორბის; სამი ათასი კაცი უძლებს ძარღვებიდან სისხლის გამოშვებას და მაინც მოზიმზიმე ლაშქარს ჰგავს. უკვე მოედვნენ ჩვენს წვიმით აჩიჩქნილ მინდორს, შარაგზას, თემშარას, ატალახებულ ყანებს; ჩვენ, გზაზე მოდარაჯე თვალხილული ჩრდილები, მალე მათ შორის ამოვყოფთ თავს. ტყის პირას ისინი გაწაფული მოძრაობებით მოიმარჯვებენ ხიშტებს, საყვირი დაჟინებით მოსძახით, დოლს ბრაგაბრუგი გააქვს, მისი გრიალი რიგებს გადაუვლის და ისინიც წინ გაიჭრებიან, გაჭირვებით მიიწევენ წინ, ხრინწიანი ხმით გაჰყვირიან და დამძიმებულ ფეხებს ძლივს მიათრევენ, რადგან მოუხეშავ ჩექმებს ტყვიასავით უმძიმებთ ზედ მიკრული ბელტები.
მიწაზე ეცემიან, როცა ღმუილით მოქრის ყუმბარა, წამოხტებიან და ისევ გარბიან, თან ახალგაზრდულად, ომახიანად გაჰყვირიან,უხარიათ, მათ რომ ასცდა ყუმბარა, თუმცა მერე მაინც არ ასცდებათ, დაეცემიან, ხელებს გაასავსავებენ, შუბლში, გულში, მუცელში მოხვდებათ ტყვია. წვანან, სახე ტალახში აქვთ წარგული და აღარ ინძრევიან. წვანან, ზურგი ზედ დაკრულ აბგას ამოუზნექია, კეფით მიწას ჩიჩქნიან და დაკრუნჩხული ხელებით ჰაერს ეპოტინებიან. მაგრამ ტყე ახალ-ახალ ხალხს გზავნის. ისინიც ეცემიან, წამოხტებიან და ყვირილით თუ უხმოდ დაცემულთა შორის მიბორძიკობენ.
ახალგაზრდობა თავისი აბგებითა და ხიშტიანი შაშხანებით, თავიანთი ამოთხვრილი მაზარებითა და ჩექმებით! შეიძლებოდა მშვენიერებით ტკბობის ჰუმანისტური სულისკვეთება მოგვეშველიებინა და მათ ცქერაში სულ სხვა სურათებზე გვეოცნება. შეიძლებოდა, წარმოგვედგინა: ერთ ზღვის ყურეში როგორ ხედნიან ცხენებს და აბანავებენ, სატრფოსთან ერთად დასეირნობენ სანაპიროზე, ტუჩებს ყურთან მიუტანენ თავიანთ სათნო საცოლეს, ანდა რა მეგობრული ხალისით ასწავლიან ერთმანეთს ისრის სროლას, ამის მაგიერ კი ცხვირი ფერფლსა და ტალახში აქვთ წარგული. მართალია, სასიხარულო და საამაყოა, უსაზღვრო შიშს და მშობლიური სახლის მონატრებას ასე რომ ითრგუნავენ, თავისთავად ამაღლებული და თან სამარცხვინოა ეს სანახაობა, მაგრამ ეს საიმისო საბაბად როდი კმარა, ახალგაზრდობა ასეთ დღეში ჩააგდო.
აგერ ჩვენი ნაცნობი, აი, ჰანს კასტორპი! შორიდანვე ვიცანი თავისი წვერით, მდარე რუსულ მაგიდასთან რომ მოეზარდა. ისიც გალუმპულია, მასაც სხვებივით უხურს სახე. გარბის ბელტებით დამძიმებული ფეხებით, ხიშტიანი შაშხანა ჩამოშვებულ ხელში უჭირავს. ხედავთ, თავის მოკლულ ამხანაგს ხელზე ფეხი რომ დააბიჯა, თავისი ლურსმნიანი ჩექმებით დალეწილი ტოტებით მოფენილ, ატალახებულ მიწაში ჩაჭეჭყა ის ხელი. და მაინც ის არის. რაო, მღერის! მღერის, როგორც მღერიან ხოლმე თავისთვის მღელვარებისაგან გამოთაყვანებულნი და გახევებულნი, ვერც ამჩნევენ, რომ მღერიან, ასე თავისთვის, ხმადაბლა, ქოშინ-

ქოშინით მღეროდა იგი:
„ხის ქერქზე ვკვეთდი
სამიჯნურო, უნაზეს სიტყვებს...“
(„ხის ქერქზე ვკვეთდი სამიჯნურო, უნაზეს სიტყვებს...“ - ციტატი გერმანელი გვიანდელი რომანტიკოსის, მელოდიურ-სასიმღერო, ხალხურ პოეზიასთან მიახლოებულ ლირიკულ ლექსთა ავტორის, ვილჰელმ მიულერის (1794-1827) ლექსიდან მე სიამოვნებით ვკვეთდი ხის ყველა ქერქზე“ (ლექსების ციკლი - „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“). ცნობილია ამ სიმღერისთვის დაწერილი შუბერტის მუსიკა. როგორც ჩანს, ჰანს კასტორპი მექანიკურად მღერის შუბერტის ამ სიმღერას.) იგი ეცემა. არა, მიწას გაეკრა, რადგან მისკენ ჯოჯოხეთის ქოფაკი მოღმუის, უზარმაზარი ბრიზანტული ყუმბარა, ქვესკნელში ნაშობი, საზარელი შაქრის თავი. იგი წევს, სახე გრილ ტლაპოში წაურგავს, ფეხები გაუჩაჩხავს, ტერფები შეუტრიალებია და ქუსლები მიწაზე დაუბჯენია. საშინელებით დატენილი, გაველურებული მეცნიერების პროდუქტი მისგან ალმაცერად, ოცდაათიოდე ნაბიჯზე სატანასავით ერჭობა მიწაში, სიღრმეში საშინელი ძალით ფეთქდება და მიწის, ცეცხლის, რკინის, ტყვიისა და ადამიანის ნაფლეთებისგან შემდგარ სახლის სიმაღლე შადრევანს ისვრის ჰაერში. იქ ორნი იწვნენ - მეგობრები იყვნენ და ჭირშიც ერთად დაწვნენ, აი, ახლა კი ერთმანეთს შეერივნენ და აღარ არიან.
ო, შერცხვენილ იყოს ჩვენი, აჩრდილების უსაფრთხოება! მორჩა! ამას აღარ გიამბობთ! მოიცა, ჩვენს ნაცნობს ხომ არ მოხვდა ნამსხვრევი? წამითმოეჩვენა, მომხვდაო. მიწის დიდი ბელტი მოხვედრია წვივში, ეტკინა, მაგრამ არაფერია. იგი დგება, მიწით დამძიმებული ფეხებით მიბორძიკობს წინ და უგონოდ მღერის:
„და შრი-ალებ-დნენ მი-სი ტოტები,
თითქოს მი-ძახდნენ, მი-ხმობ-დნენ თითქოს...“
და აი ასე, ბრბოში, წვიმაში, ბინდში იგი თვალთაგან გვეკარგება.
მშვიდობით, ჰანს კასტორპ, გულმართალო, მაგრამ ძნელად აღსაზრდელო ბავშვო! დასრულდა შენი ამბავი. შენი თავგადასავალი ჩავათავეთ, მას არც მოკლე ეთქმოდა და არც გაჭიანურებული, რადგან იგი ჰერმეტული ამბავი გახლდათ. ამ ამბავს მისივე გულისთვის ვყვებოდით და არა შენი გულისთვის, რადგან შენ ერთი უბრალო კაცი იყავი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მაინც შენი თავგადასავალი იყო; რაკი იგი შენ გადაგხდა თავს, ეტყობა, არც ისე იოლად ხელწამოსაკრავი კაცი ყოფილხარ, არც ჩვენ უარვყოფთ, მთელი ამ ამბის მანძილზე შენ მიმართ პედაგოგიური ინტერესი რომ გვამოძრავებდა და იმის გაფიქრებაზე, რომ ამიერიდან ვეღარც გნახავდით და ვეღარც შენს ხმას გავიგონებდით, რაღაც ძალამ თითის წვერი თვალის უპეში ნაზად ამოგვასმევინა კიდეც.
გზა მშვიდობისა - სულერთია, იცოცხლებ თუ ამქვეყნად აღარ იქნები! შენს მომავალს ცუდი პირი უჩანს; ის ორომტრიალი, შენ რომ ჩაები, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება და ნაძლევს თამამად ვერ ჩამოვალთ, მას ცოცხალი თუ გადაურჩები. გულახდილად რომ ვთქვათ, საკმაოდ უდარდელად ვტოვებთ ამ საკითხს ღიად. შენს სულსა და ხორცში დატრიალებულმა ფათერაკებმა კიდევ უფრო გააღრმავეს შენი გულუბრყვილობა, სულიერად განგაცდევინეს ის, რასაც ხორციელად, ალბათ, ვეღარც მოესწრები. შენ დაგდგომია ისეთი წამები, როცა სიკვდილიდან და ხორციელი გარყვნილებიდან შენ წინაშე ამოზრდილა წინათგრძნობებით აღსავსე, მართვით შთაგონებული ოცნება სიყვარულზე, მაგრამ სიკვდილის ამ მსოფლიო ზეიმიდან, საღამოს წვიმიან ცაზე შემოგზნებული უკეთური ხანძრიდან აღმოცენდება კი ოდესმე სიყვარული?